სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

2022 წლის სამეცნიერო ანგარიში

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

იურიდიული ფაკულტეტი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ქართული ჩვეულებითი (ხალხური) სამართლის ტერმინოლოგიური ლექსიკონი 2018-2025.

2. კაპიტალური ტიპის საზოგადოების (სს/შპს) საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროექტი: „მომავალ თაობაში იურიდიული განათლების მიღების ხელშეწყობა სამართლებრივი სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და მისი ინსტიტუციური განვითარებისათვის“, პროექტმა გაიმარჯვა 2022 წელს, პროექტის დაწყების თარიღი: 03.01.2023, დამთავრების თარიღი: 31.03.2023.

4. „პროსტიტუცია როგორც სოციალურად ნეგატიური მოვლენა და პროსტიტუციის ცნების განსაზღვრების პრობლემა.“ იურიდიული, სისხლის სამართალი. პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: 2022-2023.

5. „ოპიზის სიგელის“ რუსულ ენაზე თარგმნა. 2021-2022 წწ.

6. „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“ რუსულ ენაზე თარგმნა. 2021-2022 წწ.

7. ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონის შექმნა. 2021-2022 წწ.

8. „საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი საქართველოში - თანამედროვე სამართლებრივი გამოწვევები და სამართლებრივი ასპექტები“ (გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის მე-3 ნაწილი) http://cac-project.org/, სისხლის სამართლის მიმართულება პროექტის ორგანიზატორი და დამფინანსებელი: ფოლკსვაგენის სამეცნიერო ფონდი, გერმანია პროექტის განხორციელების ადგილი: თბილისი, საქართველო / ჰააგა, ნიდერლანდები / ბილეფელდი, იენა, ბერლინი, კიოლნი, გერმანია, პროექტის დაწყების და დამთავრების წლები 2020-2024 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. 1. გიორგი დავითაშვილი (პროექტის ხელმძღვანელი) - სამეცნიერო ლიტერატურისა და საველე-ეთნოგრაფიული გზით მოპოვებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების შესწავლის საფუძველზე გამოვლენილი ტერმინების ანალიზი და განმარტება;

ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების შესწავლის საფუძველზე იურიდიული ხასიათის ტერმინების მოძიება, კერძოდ, მ. კეკელიას მიერ სვანეთში, ხევში, მთიულეთში, იმერეთში, ხევსურეთში საველე-ეთნოგრაფიული გზით მოპოვებული მასალების, ასევე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების ცენტრის „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ სვანეთში, ხევსურეთში, ფშავში, სამეგრელოში, ლეჩხუმში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, მესხეთში, ქართლში საველე-ეთნოგრაფიული გზით შეკრებილი ქართული ჩვეულებთი სამართლის მასალების შესწავლის საფუძველზე.
2. დავით ბოსტოღანაშვილი - ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების, კერძოდ, ალ. ოჩიაურის, ვ. ბარდაველიძის, თ. ოჩიაურის, მ. კედელაძის, მ. ბალიაურის, ნ. მაკალათიას, საარქივო მასალების მიხედვით, იურიდული ტერმინების მოძიება და ანალიზი. 3. ელზა ჩაჩანიძე - ქართული ჩვეულებითი სამართლის შესახებ სამეცნიერო ლიტერაურიდან და საარქივო მასალებიდან, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას, ივ. ცისკარიშვილის მ. კოვალევსკის, რ. ერისთავის, ნ. ხიზანაშვილის, ალ. ხახანაშვილის, ბ. გაბურის, თ. სახოკიას, რ. ხარაძის, იბ. აბაშიძის და სხვა ავტორების ნაშრომებსა და მასალებში იურიდიული ტერმინების მოძიება და ანალიზი. 4. სულხან ონიანი - ქართული ჩვეულებითი სამართლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურიდან და საარქივო მასალებიდან, კერძოდ, ბ. ნიჟარაძის, ეგ. გაბლიანის, ა. დავითიანის, დ. მარგიანის, ა. ონიანის, მ. ქალდანის, ვ. შამილაძის, ვლ. მგელაძის, ნ. მგელაის, გ. ჟორდანიას და სხვათა ნაშრომებიდან და საარქივო მასალებიდან იურიდიული ტერმინების მოძიება და ანალიზი.
2. ი. ბურდული გ. მახარობლიშვილთან ერთად (თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საგრანტო სამეცნიერო პროექტი).
3. მ. ივანიძე (პროექტის ხელმძღვანელი).
4. 1. ირაკლი დვალიძე, სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი (ძირითადი პერსონალი, სამეცნიერო რედაქტორი); 2. ლევან ხარანაული, სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (ძირითადი პერსონალი); 3. გიორგი თუმანიშვილი, სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (ძირითადი პერსონალი).
5. თარგმითი სამუშაო შეასრულა ასოც. პროფ. მარინა გარიშვილმა. თარგმანის რედაქტორობა განახორციელა პროფ. გიორგი დავითაშვილმა. აგრეთვე ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონის შექმნა, ასოც. პროფ. მარინა გარიშვილმა განახორციელა „ოპიზის სიგელის” ტექსტის ელექტრონული ვერსიის მომზადება და ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის გამოწერა, ანბანური წესით სისტემატიზირების მიზნით.
6. თარგმითი სამუშაო შეასრულა ასოც. პროფ. მარინა გარიშვილმა. თარგმანის რედაქტორობა განახორციელა პროფ. გიორგი დავითაშვილმა. აგრეთვე ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონის შექმნა, ასოც. პროფ. მარინა გარიშვილმა განახორციელა „განჩინება ბარისა და მთიურთა“ ტექსტის ელექტრონული ვერსიის მომზადება და ძველი ქართული ტერმინოლოგიის გამოწერა და მისი ანბანური წესით სისტემატიზირება.

7. ასოც. პროფ. მარინა გარიშვილმა განახორციელა ქართული ანბანის „ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, ს“ ასო-ბგერების მიხედვით, ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის გამოწერა, ანბანური წესით სისტემატიზირების მიზნით.

8. პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი დგებუაძე, პროექტის სამეცნიერო კოორდინატორები: მერაბ ტურავა, ედუარდ შრამი (იენის უნივერსიტეტის პროფესორი) და კლაუს კრესი (კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორი), პროექტის პარტნიორები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი / სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC) / ბილეფელდის უნივერსიტეტი / იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი / ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი / კიოლნის უნივერსიტეტი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2022 წელს პროექტის ფარგლებში მოხდა იმ იურიდიული ტერმინების მოძიება, ანალიზი და განმარტება, რომლებიც დაკავშირებულია შურისძიებისა და სასამართლო მტკიცებულებების ინსტიტუტებთან ქართულ ჩვეულებით სამართალში (ყოველწლიურად ქართული ჩვეულებითი სამართლის ტერმინების მოძიება და განმარტება ხდება თემატიკის მიხედვით). ზემოთაღნიშნული ავტორების სამეცნიერო ნაშრომებისა და საარქივო მასალების საფუძველზე პროექტის მონაწილეებმა მოიძიეს შურისძიების ინსტიტუტთან დაკავშირებული ტერმინები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მიხედვით. კერძოდ, ეს არის ტერმინები დაკავშირებული სისხლის აღების ინსტიტუტის ზოგად ასპექტებთან, სისხლის აღების რელიგიურ საფუძვლებთან, მიცვალებულისადმი შეწირვასთა, „მკვდართ წირვასთან“, სისხლის აღების სუბიექტსა და ობიექტთან, მათ წრესთან (ხევსურეთში, სვანეთში, ფშავში, მთიულეთში, თუშეთში, ხევში, აჭარაში, რაჭაში), შურისძიების ინსტიტუტთან სხვადასხვა დანაშაულისას (მკვლელობისას, დაჭრა-დასახიჩრებისას და სხვა), ქონებრივ შურისძიებასთან საქართველოს მთის რეგიონებში, სადაც სისხლის აღების ინსტიტუტი მეოცე საუკუნეშიც კი შემორჩა. შურისძიების ინსტიტუტთან დაკავშირებით მოპოვებული და განმარტებულია ტერმინები, რომლებიც აღნიშნავენ სისხლის აღებას, მესისხლეობას, სისხლის ამღებს, პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება სისხლის აღება, მათ შორის „სათოფედ გაწირულს“, ანუ „დატანებულს“, როგორც მკვლელის თანაზომიერ სისხლის აღების ობიექტს, სისხლის აღებისაგან თავის დაღწევის მიზნით გახიზნვას, ამანათობას, შურიძიების მიზნით პირის დაქირავებას და სხვა. ასევე. პროექტის მონაწილეებმა მოიძიეს ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით სასამართლო მტკიცებულებებთან დაკავშირებული ტერმინები. ეს ტერმინები ეხება ქართული ჩვეულებითი სამართლისათვის ცნობილ ყველა მტკიცებულებას. კერძოდ, ესაა ტერმინები დაკავშირებული ეჭვმიტანილის (მოპასუხის) ფიცთან, ზოგადად ფიცის მნიშვნელობასთან, თანამოფიცრის ინსტიტუტთან და ფიცის ცალკეულ სახეებთან დაკავშირებით. მოძიებული და განმარტებულია ტერმინები, რომელიც ეხება ხელს მამკიდეს, ანუ თანამოფიცარს ხევსურეთში, გვარისეულ თუ არაგვარისეულ თანამოფიცარს, ლუფხვილებით და მეგნამარეთი (ანუ დასახელებული და დაუსახელებელი თანამოფიცრით) ფიცს სვანეთში, ხატში თუ ჯვარში ფიცს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ფიცის მაყურებლის ინსტიტუტს

ხევსურეთში, დაფიცების რიტუალის კომპონენტებს (მაგალითად, „სამამფიცრო საკლავს“), ეკლესიაში ხატის წინაშე ფიცს სვანეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში, ნაბანით ფიცს სვანეთში, ნაშენით ფიცს, ჭდის ამოგდებას, მამულის შემოვლით დაფიცებას, აჭარში ყურანზე ფიცს, აღიარებას, როგორც მტკიცებულებას, დამნაშავის გამოტეხვის სხვადასხვა ხალხურ საშუალებას (მათ შორის: ხატზე გადაცემას, „წინდით გადაცემას“, დარისხებას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, „ბედუას“ აჭარაში). მნიშვნელოვანი ტერმინებია მოძიებული და განმარტებული ისეთ მტკიცებულებასთან დაკავშირებით, როგორიცაა ცოდვის მოკიდება და მტკიცებულებები, რომლებიც „მიცვალებულისადმი შეწირვის“ ელემენტს შეიცავენ, კერძოდ, მხედველობაშია ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია ცოდვის მოკიდებასთან საფლავზე შედგომით, ანუ „ყურის მოჭრასთან“, „მიწათ ცოდოს მიკიდებასთან“ ხევსურეთში, „ცოდვის ხელის ჩამორთმევისთან“ სვანეთში, საფლავზე ცოდვის მოკიდებასთან თუშეთში, „ყურბნად შემოვლებასთან“ აჭარაში. ასევე, მოძიებულია ტერმინები დაკავშირებული მოწმესთან, მახსოვარ მოწმესთან, მთხრობელთან, „ანდრეზის შემნახავ“ პირთან, მოწმის, თუ მთხრობლის დაფიცებასთან, ცრუმოწმობასთან, ცრუმთხრობლობასთან, მთხრობლის გასამრჯელოსთან (სამთხრობლოსთან), ნივთიერ მტკიცებულებებთან (მაგალთად, „გერშთან“), ადგილობრივი ექიმის (აქიმის, დასტაქრის) ჩვენებასთან, ორდალებთან (მაგალითად, შანთთან, მდუღარესთან, ცივი წყლით გამოცდასთან). ქართულ ჩვეულებით სამართალში შურისძიებისა და სასამართლო მტკიცებულებების ინსტიტუტებთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურასა და საარქივო მასალაში მოძიებულ და შემდეგ განმარტებულ იქნა ასოცდაათამდე ტერმინი.

3. საგრანტო პროექტის ძირითადი მიმართულება სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცება. საკითხის მნიშვნელობას თავად შინაარსი და საზოგადოებაში ამ კუთხით არსებული საჭიროება განაპირობებს. პროექტის შინაარსი და ხასიათი მიმართულია ამ კუთხით ღონისძიებების განხორციელებაზე. თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამიზნე ჯგუფად შერჩეული იქნა როგორც სკოლის მოსწავლეები (X, XI, XII) კლასელები, ასევე იურიდიული ფაკულტეტის (I-IV) სემესტრის სტუდენტები. პროექტის მიზანია სამართლებრივი კულტურის გაძლიერება, იურიდიული განათლების პოპულარიზაცია, სკოლის მოსწავლეებში სამართლებრივი მართლშეგნების ამაღლება და სამართლებრივად უსაფრთხო გარემოს შექმნა. პროექტში მონაწილეობას იღებს კოორდინატორი და 3 ასისტენტი, რომლებისც თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები არიან.

4. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ პროსტიტუციის დეფინიცია საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში მოცემული არ არის. კანონიერების პრინციპის განუხრელი დაცვისთვის, ზოჯერ აუცილებელი ხდება ამა თუ იმ ტერმინის საკანონმდებლო განსაზღვრება. თვით ტერმინი პროსტიტუცია მომდინარეობს ლათინური ზმნისგან „prostatuere“, რაც გასაყიდად წარდგენას ნიშნავს. ტერმინი „პროსტიტუცია“ საკმაოდ სადავოა როგორც ისე ქართულ, ისე უცხოურ, იურიდიულ მეცნიერებაში, ხოლო პრაქტიკაში ქმნის კვალიფიკაციის პრობლემას ნორმის განუსაზღვრელობის გამო.

პროსტიტუციის უცილობელ ნიშნებად *მიიჩნევა ვაჭრობა, საჯაროობა, სისტემატურობა, სქესობრივი მომსახურება*. ამის მიუხედავად, იურიდიულ ლიტერატურაში პროსტიტუციის გარკვეული ნიშნების შესახებ არაერთგვაროვანი

დამოკიდებულებაა. მაგალითად, რომელი სქესის წარმომადგენილია პროსტიტუციის ამსრულებელი, ვინ არის პროსტიტუციის კლიენტი, რას გულისხმობს სქესობრივი მომსახურება, ანაზღაურება ყოველთვის ქმნის თუ არა პროსტიტუციას (მაგალითად, ცოლ-ქმარს შორის) და ა.შ. „პროსტიტუცია მიუკუთვნება ნეგატიურ, მართლსაწინააღმდეგო სოციალურ მოვლენათა რიცხვს, რომელიც უძველესი დროიდან არსებობს. ის სოციუმის საზოგადოებრივი, ეკონომიკური, მორალური საფუძვლების დეფორმირების პროდუქტია, რომელსაც ზნეობის დაცემამდე მივყავართ და დამღუპველად აისახება ოჯახურ ურთიერთობებსა თუ მოზარდი თაობის აღზრდაზე. არც თუ იშვითად პროსტიტუციას თან ახლავს სხვა სოციალურად ნეგატიური (ფონური) მოვლენები და თავად წარმოშობს სხვა საშიში შედეგებს: ვენერიულ დაავადებებს, შიდს, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიას, სუიციდს და ა.შ.“

კვლევის პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ პროსტიტუცია სოციალურად ნეგატიური მოვლენაა. „ნეგატიური სოციალური შედეგები გამოიხატება იმაში, რომ პროსტიტუცია უარყოფს უმანკოებას, უანგარო სიყვარულს, ხელს უწყობს ეროვნული კულტურის დეგრადაციას, განათლების, შრომისა და შრომითი შემოსავლის პრესტიჟის დაცემას. პროსტიტუცია ძირს უთხრის საზოგადოების ზნეობრივ სიმყარეს, ანგრევს ოჯახის ინსტიტუტს.“

სამედიცინო შედეგების თვალსაზრისით პროსტიტუციის ნეგატიურობას განაპირობებს ისე, რომ არსებობს სქესობრივი გზით გადამდები ვენერიული და სხვა დაავადებანი. პირი, რომელიც თავს ფულზე ყიდის სქესობრივ მომსახურებას, გარკვეულწილად, არად აგდებს პირად ჰიგიენას და ავადდება აღნიშნული დაავადებებით.

„პროსტიტუციის და მისი დანაშაულთან კავშირის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი იყო იტალიელი კრიმინოლოგი ჩეზარე ლომბროზო. პროსტიტუციას ის განიხილავს როგორც ზნეობრივი ჭკუასუსტობის („ზნეობრივი იდიოტიის“) ერთ-ერთ ფორმად, რომელიც ქალთა პროსტიტუციის საფუძვლებშია მოცემული.“

კაცობრიობის ისტორიისთვის ცნობილია მთელი რიგი კულტურული ფენომენებისა, რომლებიც ბევრი რამით პროსტიტუციასთან ახლოს მყოფი ტაძრების რიტუალებთან ან სტუმარ-მასპინძლობის ჩვეულებებთნ იყო დაკავშირებული. ზოგიერთი კულტურისთვის დამახასითებელი რელიგიური რიტუალები, მაგალითად, ფინიკიური, შუმერული და ბაბილონური, სირიული, ინდური, უკავშირდებოდა პროსტიტუციის შესაბამის გაგებას სექსუალური მოქმედებებით. ამგვარი რიტუალების საფუძვლებში ჩადებული იდეა საწყისი ძალის შესახებ, რაც პერსონიფიცირებული იყო დედა ღმერთში და დედამიწაზე ისინი ქალის ხორცშესახმით იყო მოვლენილი და როგორც ჩანს, წარმოიშვა ნეოლითურ ერაში. ამ როლში მათ გარკვეული პერიოდულობით უნდა შეესრულებინათ წმინდა სექსუალური მოვალეობები ტაძარში (მამაკაცის აღორძინება). სტუმარ-მასპინძლობის ჩვეულების მიხედვით, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ევროპის, აზიისა და აფრიკის მრავალ ხალხში, სტუმარს სახლში ყველაზე უკეთესის უფლება ჰქონდა - საუკეთესო საჭმელი, საკეთესო ადგილი ძილისთვის, საუკეთესო ქალი. ამასთან, სექსუალური ურთიერთობების დასახელებული შემთხვევები შეიძლება დასაჩუქრებულიყო, რასაც ზოგიერთი მკვლევარი განიხილავს პროსტიტუციის ადრინდელ სახეობებად - „ტაძრის“ და „სტუმარ-მასპინძლობის.

ისტორიულად პროსტიტუციის სოციალური კონტროლის სამი ძირითადი მოდელი ჩამოყალიბდა:

1) „პროჰიბიციონიზმის პოლიტიკას საკუთარი საფუძვლები როგორც სექსუალური მომსახურების გაყიდვის, ისე სექსუალური მომსახურების კრიმინალიზაციაში (ან დელივერიზაციაში - ადმინისტრაციული რეგულირების შემთხვევაში) გააჩნია. შესაბამისად, აქ კონტროლის ძირითად მექანიზმებად გვევლინება პროსტიტუციით დაკავებული ან/და სექსუალური მომსახურების მომხმარებელი პირის სამართლებრივი (სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციულსამართლებრივი) დევნა. ნებისმიერ შემთხვევაში, პროჰიბიციონიოსტული პოლიტიკის კონტროლისთვის მძლავრი სამართალდამცავი აპარატი არის საჭირო.“

2) „რეგლამენტაციის პოლიტიკის ძირითადი კომპონენტი პროსტიტუციის სამართლებრივი რეგულირებაა. ძირითადი იდეა, რომელიც რეგლამენტაციის პოლიტიკიდან გამომდინარეობს, არის ის, რომ პროსტიტუცია საოციალური ცხოვრების თავიდანვე მოცემული და აღმოუფხვრელი მოვლენაა, თუმცა იგი სოციუმისთვის მისაღებ ჩარჩოებში უნდა არსებობდეს. სარეგლამენტაციო პოლიტიკის მთავარი მიზანი არის არა პროსტიტუციის ლიკვიდაცია, არამედ მისი თანმხლები „რისკების“ კონტროლი, რომელთაც მიუკუთვნება სქესობრივი გზებით გადამდები ინფექციები, ალკოჰოლის და ნარკოტიკის მოხმარება, სუტენიორთა და ორგანიზატორთა დანაშაულებრივი ქცევა, ძალადობა და აღვირახსნილობა და ა.შ. ამრიგად, სახელმწიფო აღიარებს პროსტიტუციის არსებობას და ზნეობრივად სანქციას ადებს საზოგადოების წევრთა სხვადასხვა ფორმით (მეძავი, კლიენტი, ორგანიზატორი) მონაწილეობას. რეგლამენტაციის პოლიტიკის პრატიკული „გამოსავალი“ არის სპეციალიზებული სოციალური ინსტიტუტების მეშვეობით პროსტიტუციის „ლეგალური“ ფორმების ორგანიზაცია და სახელმწიფო მხარდაჭერა, რასაც შედეგად მისი ნორმალიზება მოსდევს. რეგლამენტაციის პოლიტიკის კლასიკური მაგალითია სამედიცინო-საპოლიციო ზედამხედველობის სისტემა, რომელიც არსებობდა ევროპაში, მათ შორის რუსეთში, XIX–XX საუკენეებში. “

3) „აბოლიციონიზმის პოლიტიკა ამოდის იმ დებულებიდან, რომ პროსტიტუციით საქმიანობა არის ადამიანის ინდივიდუალური, პირადი არჩევანი და სახელმიწფოს არა აქვს უფლება წინ აღუდგეს ან აკონტროლის ის საკუთარი ინსტიტუტებით. ისევე როგორც კლიენტთა კრიმინალიზაციის პოლიტიკა, აბოლიზიონიზმი დღესდღეობით ფემინისტური მოქძრაობის ფაქტიური მიღწევაა. პროსტიტუციის სფეროში აბოლიციონიზმის პოლიტიკა რეალიზებულია დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, ახალ ზელანდიაში.“

ყველას კარგად ესმით პროსტიტუციის მნიშვნელობა, ყველამ იცის ვინ არიან სექსმუშაკები. ამის მიუხედავად, „პროსტიტუციის“ ცნება საკანონმდებლო დონეზე არ არის მოცემული მეცნიერები გამოთქვამენ სხვადასხვა მოსაზრებებს, სადაც განვითარებულია სხვადასხვა მსჯელობანი და დამოკიდებულება პროსტიტუციასთან. ავტროთა მიერ სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ განსაზღვრებათა სიმრავლის მიუხედავად, პროსტიტუციის ზუსტი ცნების ჩამოყალიბება, რთული და შრომატევადია საქმეა.

პროსტიტუცია არის პირის (როგორც ქალის, ისე კაცის) სისტემატური, ხელობის სახით განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია მატერიალური გამორჩენის

მისაღებად და ხორციელდება საკუთარი სექსუალური მომსახურების გაწევით, რაც იწვევს ნეგატიურ სამედიცინო და სოციალურ შედეგებს.

ე. კურილოვა პროსტიტუციის განსაზღვრების წარმოდგენის შემდეგ განმარტავს თითოელ ნიშანს. მისი აზრით, „სისტემატურობა არის იმ პირის მიერ პროსტიტუციით საქმიანობა რეგულარულად (ორზე მეტჯერ), მუდმივად, ქორწინების გარეშე საქმიანობა, რომელიც საკუთარ სექსუალურ მომსახურებას წარადგენს.“ „საქმიანობა ხელობის სახით მაშინ გვაქვს სახეზე, თუკი საკუთარი სექსუალური მომსახურების გაწევა საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს, ხოლო აქედან მიღებული შემოსავალი არის არსებობის ძირითადი ან არსებითი დამატებითი წყარო.“ „მატერიალური გამორჩენის მიღება არის ანაზღაურებაზე წინასაწარი შეთანხმება. მეძავის მიერ მიღებული ანაზღაურება, ჩვეულებისამებრ (და არა ყოველთვის), ფულადი ფორმით არის წარმოდგენილი.“

იურიდიულ ლიტერატურაში პროსტიტუციით დაკავებული არასრულწლოვნების სექსუალური ექსპლუატაციის შემდეგ ფაქტორებია ჩამოთვლილი:

1) კულტუროლოგიური;

2) ეკონომიკური (ოჯახის დაბალი შემოსავალი, უმუშევრობა, სახელმწიფოსგან სოციალური დახმარების უქონლობა);

3) მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის გართობის შესაბამისი სფერო;

4) ზნეობრივი (სქესობრივ-ზნეობრივი აღზრდის ნაკლულობა არასრულწლოვნებს უბიძგებს ნაადრევი სქესობრივი ცხოვრებისკენ);

5) ოჯახური (ოჯახის წევრები ბოროტად იყენებენ სპირტიან სასმელებს და ნარკოტიკებს, მშობლებს შორის სისტემატური კონფიქტი. მშობლები აიძულებენ არასრულწლოვან შვილებს პროსტიტუციით დამატებითი შემოსავალი შემოიტანონ ოჯახში);

6) სამედიცინო (ეს ფაქტორი მჭიდროდ არის დაკავშირებული ოჯახურ ფაქტორთან და დაკავშირებულია მშობლების ალკოჰოლიზმით და ნარკომანიით გამოწვეულ ფსიქიკურ და ფიზიკურ დარღვევებთან. არასრულწლოვნები ხშირად ბაძავენ მშობლებს);

7) ლატენტურობა (მსხვერპლთა უმრავლესობას სხვადასხვა ფაქტორების გამო არ შეუძლია ობიექტურად შეაფასოს სექსუალური ძალადობისას საკუთარი მსხვერპლად ყოფნა და ეშინია ამგვარი ძალადობის გახმაურების. ამას ემატება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ სხვადასხვა გარემოებების გამო უნდობლობა და სხვ.);

8) ვიქტიმურობა (სექსუალური მომსახურებით დაკავებულ არასრულწლოვანთა შიში იმათ მიმართ ვიზეც მუშაობენ, პრაქტიკულად არასრულწლოვნის მიერ პროსტიტუციით საქმიანობაზე უარის თქმა შეუძლებელია, რადგან ამგვარი საქმიანობა ორგანიზებული დანაშაულობის ფორმას ატარებს და სხვ.).

„ვ.მ. ბრუნერი და *ა.ი. ელისტრატოვი* პროსტიტუციად მიიჩნევდნენ საკუთარი სხეულით, როგორც სქესობრივი ინსტინქტის დაკმაყოფილების ობიექტით, ვაჭრობად. ამასთან, მიანიშნებდნენ, რომ პროსტიტუციის ცნებაში აუცილებელია გამოიკვთოს მისი ისეთი ნიშნები, როგორიცაა ქალის სხეულის აშკარა ნასყიდობა, ქალის სქესობრივი კავშირის არჩევანის არარსებობა და მასთან ამგვარი კავშირის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი მსურველისთვის მატერიალური საზღაურის საფუძველზე.“

ა.პ. დიაჩენკოს და *ნ.ა. ავერინის* მოსაზრებით, პროსტიტუცია არის „მატერიალური სარგებლის მისაღებად მიმართული ქმედება, რომელიც ხორციელდება ხელობის სახით სქესობრივი კავშირის დამყარების გზით“, რა დროსაც „საზღაურის გამო სისტემატური (ხელობის სახით) სქესობრივი კავშირი ემსახურება არჩეული (დაქვემდებარებული) ცხოვრების წესს, როგორც ძირითადი ან არსებითი დამატებითი საშუალების წყარო; პროსტიტუცია „ანაზღაურების სანაცვლოდ კლიენტთა სექსუალური მოთხოვნილებების პროფესიონალური დაკმაყოფილებაა.“

ყველა მკვლევარი პროსტიტუციის ცნების აუცილებელ ნიშნად მიიჩნევს ანაზღაურებას. ამასთან, ავტორების მიერ პროსტიტუციის ცნებაში ხაზგასმულია შემდეგი ნიშნები: საზღაურის სანაცვლოდ შემთხვევითი ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირი *(ს. აკოლინსკი);* პირადი სიმპათიის გარეშე არაერთგზის განხორციელებული საზღაურიანი სქესობრივი კავშირი სხვადასხვა პარტნიორთან *(ს. ულიცკი);* საკუთარი სხეულის შედარებით რეგულარული გაყიდვა ან სექსუალური მომსახურება (პროფესიონალურ დონეზე სხვადასხვა პირისთვის მათი სქესის მიუხედავად, რა დროსაც მსგავსი საქმიანობა ძირითადი ან დამატებითი შემოსავლის წყაროა *(ა.ა. სტანსკაია);* სქესობრივი კავშირი ყველასთან ანაზღაურების სანაცვლოდ და ინდივიდუალური ფულადი საზღაურის (ან საჩუქრის ან რაიმე უპირატესობის) გამო *(ი. ბლოხი).*

მართებულია მოსაზრება, რომ მეცნიერთა „ნაწილი იყენებს ისეთ მიუღებელ ტერმინოლოგიას როგორიცაა „სხეულით ვაჭრობა“, რადგან სხეულით ვაჭრობაში იგულისხმება (და ასეც უნდა იყოს), უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სხეულის ორგანოების, მისი ნაწილების ან ქსოვილის გაყიდვა ტრანსპლანტაციისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამოთქმა „საკუთარი სხეულის გაყიდვა“ - მხოლოდ ლიტერატურული ხერხია და მეცნიერებისთვის მიუღებულია.“

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში პროსტიტუციის ნიშნები მკვეთრად არის აღწერილი, პროსტიტუციისა და ე.წ. მსუბუქი ყოფაქცევის გამიჯვნა პრაქტიკაში პრობლემურია. „არც თუ იშვიათად მეძავი სქესობრივ კავშირს ამყარებს მაერიალური ფასეულობის ნატურალური ფორმით (ტანსაცმელი, სამკაული, ძვირფასი კოსმეტიკა, პარფიუმერია და ა.შ.) მიღების მიზნით.“ მომსახურებისთვის ამგვარი საზღაური რთულია გაიმიჯნოს იმ საჩუქრებისგან, რომელსაც არამეძავი ქალი იღებს სქესობრივი კავშირისთვის პარტნიორისგან.

ლიტერატურაში გაზიარებულია სხვა ავტორთა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, პროსტიტუციისა და ე.წ. ქარაფშუტული ცხოვრების წესის მიხედვით, სქესობრივი კავშირის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშნები არის სისტემატურობა და ანაზღაურებაზე წინასწარი შეთანხმება.

მართებულად უნდა ჩაითვალოს იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პროსტიტუციის ცნებაში პარტნიორთა შორის ემოციური დამოკიდებულების ინდიფერენტულობა გამოყენებული არ უნდა იყოს, ვინაიდან მსგავსი მოსაზრების საფუძველზე ნებისმიერი ქორწინება, რომელიც მატერიალურ გათვლებზე არის დამყარებული, პროსტიტუციად უნდა ჩაითვალოს.

პროსტიტუციის „ანაზღაურება შეიძლება როგორც ფულით, ისე სხვა მატერიალური ფორმით (რაიმე საგანი, კვების პროდუქტი, სპირტინი სასმელი). ანაზღაურების გადაცემის მომენტს (მომსახურებამდე ან ამის შემდეგ) მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა

მნიშვნელოვანია მომსახურების დაწყებამდე უნდა მოხდეს შეთანხმება ანაზღაურებაზე. ანაზღაურების გადაცემის გზა არ არის გადამწყვეტი: უშუალოდ სექსუალური მომსახურების გამწევ პირს გადაეცემა, გადაცემა მოხდება შუამავლის მეშვეობით და ა.შ.“

დაბოლოს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს კვლევა შემდეგი კუთხით: - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), 253-ე (პროსტიტუციაში ჩაბმა), 254-ე (პროსტიტუციის ხელშეწყობა) და 408-ე (დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ) მუხლები შეიცავს ტერმინ პროსტიტუციას; პროსტიტუციის დასჯადობა მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172[3] მუხლში, თუმცა პრაქტიკაში აღნიშნული მუხლის მოქმედება არაეფექტურია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, დადგენდეს პროსტიტუციის გამოვლინების ცალკეული ფორმების თავისებურებანი და ისე ხარვეზები, რაც არსებობს პროსტიტუციის, როგორც ნეგატიური სოციალური მოვლენის, დასჯადობისა და პრევენციის კუთხით.

8. საქართველოში საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი განსაკუთრებით გაიზარდა, მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაიწყო გამოძიება საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში ჩადენილ დანაშაულებზე. ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „საქართველოს სიტუაცია“ გამოსაყოფია, ვინაიდან, ეს არის სასამართლოს პირველი პრეცედენტი: (1) აფრიკის კონტინენტის გარეთ; (2) საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში; (3) გაეროს უშიშროების საბჭოს წევრის ქვეყნის ,,სავარაუდო მონაწილეობით“. მხოლოდ კანონიერი, სისხლის სამართლის პრინციპებზე დამყარებული მართლმსაჯულება უზრუნველყოფს როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობას, უშიშროებასა და კეთილდღეობას.

საქართველომ რომის სტატუტის რატიფიცირება 2003 წელს მოახდინა, რითიც სასამართლოს 2003 წლის 1 დეკემბრიდან ქვეყნის ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქეების მიერ ჩადენილ გენოციდის, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე იურისდიქცია მიანიჭა. შესაბამისად, იგი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მონაწილე სახელმწიფოა. საერთაშორისო სისხლის სამართლის სახით სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების პრევენციული საერთაშორისო ,,მექანიზმი“ ამართლებს მისი შექმნის უმთავრეს იდეას - აღსრულების პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმებით პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების სისხლისსამართლებრივ დევნას. სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სწორ პოლიტიკაზე საერთაშორისო სისხლის სამართალია პასუხისმგებელი. ასეთი სისტემის გამოყენება საქართველოს სიტუაციისათვის ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანია, ვინაინდან ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის გულისხმობს კონკრეტულ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას ,,კოლექტიური ძალისხმევით“ ჩადენილი დანაშაულებისათვის. ამ დროს, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება უნდა განიმარტოს ფართოდ, როდესაც ბრალდებულს, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისუფლად შეეძლო გავლენა მოეხდინა დანაშაულებრივ შედეგზე. ორგანიზებული ძალაუფლების სტრუქტურის მიერ

ჩადენილი დანაშაულები ერთიანად, ფართო მნიშვნელობით უნდა იყოს განხილული, როგორც ინდივიდუალური აქტი - სისხლის სამართლის უმთავრესი პრინციპების ,,ფრთხილი“ გამოყენებით.

სამეცნიერო პროექტის მიზანია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დოქტრინისა და პრაქტიკის ანალიზი, განსაკუთრებით, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ისეთ მნიშვნელოვან ენდემურ საკითხებზე, როგორებიცაა: ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მატერიალური და მენტალური ელემენტები); ომის დანაშაული (მატერიალური და მენტალური ელემენტები, განსაკუთრებით, ის სტანდარტები, რომლებიც ჩამოყალიბდა ამ დანაშაულებზე ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ); კომპლემენტარულობის პრინციპი; კონკრეტული დანაშაულის ინდივიდუალური შერაცვა; იმუნიტეტი, ოფიციალური თანამდებობრივი მდგომარეობის საკითხი.

საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ექვსთვიანი სამუშაო-კვლევითი ვიზიტი ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, დაგეგმილია ოთხთვიანი სამეცნიერო-კვლევითი მივლინება იენის უნივერსიტეტში, კიოლნის უნივერსიტეტსა და მაქს-პლანკის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტში, აგრეთვე, ქართველი და გერმანელი პროფესორებისა და პრაქტიკოსი იურისტების მონაწილეობით განხორციელდა ერთი საზაფხულო სკოლა/სამეცნიერო კონფერენცია ბერლინსა და იენაში და დაგეგმილია სხვა საზაფხულო-საზამთრო სკოლები თსუ-ის სტუდენტებისათვის, ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და სამუშაო შეხვედრა საქართველოსა და გერმანიაში.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები.
2. ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგია.
3. ქართული სამართლის ძეგლების თარგმანი ინგლისურ და რუსულ ენებზე (ვახტანგის სამართლის წიგნის (მესამე ნაწილი) ინგლისური თარგმანი.
4. შავი ზღვის სამართლებრივი სტატუსი; 2022 წელი; საერთაშორისო საზღვაო სამართალი.
5. მედიატორის პროფესიული კომპეტენციის საზღვრები შეფასებითი და ხელშემწყობი მედიაციის კონცეპტუალურ მოდელებში (ეთიკური მიჯნა სამართლის პრაქტიკასთან) – თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი პროექტი (დარგი: მედიაცია, კერძო სამართალი).
6. 2021 წლის საუნივერსიტეტო პროექტი სისხლის სამართლის პროცესში - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეფექტური ფუნქციონირების სამართლებრივი გარანტიები.
7. 2022 წლის საუნივერსიტეტო პროექტი - ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი.
8. სისხლისსამართლებრივ ნორმებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმოხილვა (სისხლის სამართალი), 2022 წ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. გამოსაცემად მომზადებული იქნა იუსტინიანეს დიგესტების XVIII წიგნების ქართული თარგმანი (თარგმანი ლათინური ენიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი). შესავალი წერილი და შენიშვნები თარგმანს დაურთო ნ. სურგულაძემ. ლექსიკონი შეადგინეს ნ. სურგულაძემ და მ. შუხოშვილმა, საძიებლები შეადგინეს ნ. სურგულაძე, მ. ხოფერიამ და ა. წიგნაძე. გამოცემის რედაქტორები: ნ. სურგულაძე (მთავარი რედაქტორი), დ. ბოსტოღანაშვილი და მ. გარიშვილი.

2. დამუშავებული იქნა ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი ძეგლის წერაÁ რუის-ურბნისის კრებისაÁ წიგნზე მუშაობდნენ: ნ. სურგულაძე, გ დავითაშვილი და მ. ხოფერია, ხოლო კათალიკოსთა სამართლის წიგნზე - მ. გარიშვილი და ა. წიგნაძე.

3. ვახტანგის სამართლის წიგნის ინგლისურ თარგმანზე მუშაობდნენ: ნ. სურგულაძე, მ. რუსეიშვილი, ქ. სურგულაძე, ა. წიგნაძე.

4. ეკა სირაძე (პროექტის ხელმძღვანელი).

5. ნათია ჩიტაშვილი - ერთპიროვნულად შემსრულებელი.

6. ი. აქუბარდია (პროექტის ხელმძღვანელი).

7. ი. აქუბარდია (პროექტის ხელმძღვანელი).

8. თემურ ცქიტიშვილი (პროექტის განმახორციელებელი).

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. აღნიშნული ნაშრომებში განხილულია ძირითადად კონდიქციური სარჩელები და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები და ინსტიტუტები.

2. პროექტის მიზანია შესწავლილი იქნეს შუა საუკუნეებში შედგენილი ქართული სამართლის წიგნები და კანონთა კრებულები. თითოეული წყაროს შესწავლისას მოძიებული იქნას ძეგლში მოცემული ყველა სამართლებრივი შინაარსის ტერმინი, დაფიქსირებულ და ამოწერილ იქნას მოცემულ წყაროში თითოეული იურიდიიული ტერმინის ხმარების ყველა შემთხვევა და ამის შედეგად დადგინეს ტერმინის მნიშვნელობა/მნიშვნელობები.

3. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ქართული სამართლის ძეგლების ინგლისურ ენაზე თარგმანს, რაც დაეხმარება უცხოელ მეცნიერებს ძველი ქართული სამართლისა და კულტურის გაცნობისა და შესწავლის საქმეში.

4. შავი ზღვის სამართლებრივ სტატუსზე გაეროს 1982 წლის კონვენციის, თურქეთის სრუტეების შესახებ მონტრეს 1936 კონვენციის, 1992 წლის ბუქარესტის კონვენციის, აზოვის ზღვის სტატუსის შესახებ 2004 წლის შეთანხმების მიხედვითა და 2008 და 2014-2022 წწ. რუსეთის ფედერაციის მიერ ცალმხრივად განხორციელებული ქმედებების ჭრილში.

ნაშრომი განიხილავს შავი ზღვის სტატუსს ნაოსნობის თავისუფლების (მათ შორის საერთაშორისო სრუტეებში ნაოსნობა), გარემოს დაცვის (მათ შორის რეგიონალური კონვენციების და UNEP-ის რეგიონალური ზღვების პროექტის) და უსაფრთხოების (საქართველოს სანაპირო ზოლის აფხაზეთის ოკუპირებული აკვატორისს, აზოვის ზღვის ოკუპირებული ტერიტორიებისა და ყირიმის ნახევარკუნძულის) კონტექსტში. დეტალურად არის განხილული როგორც მონტრეს კონვენცია და აზოვის ზღვის შესახებ შეთანხმება, ასევე უკრაინის მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

სხვადასხვა სასამრთლოებში შეტანილი სარჩელები და მოცემულია შედეგების სავარაუდო ანალიზი.

5. ,,მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის და მედიატორთა ეთიკის კოდექსის მიღებით ჩამოყალიბდა მედიატორის დამოუკიდებელი პროფესიის მარეგულირებელი ნორმატიული საფუძვლები, რითაც მედიაციის პრაქტიკა გაიმიჯნა სამართლის პრაქტიკისგან მედიატორის ნეიტრალური როლის აღიარებითა და მხარის კონსულტირების უფლებამოსილების იმპერატიული აკრძალვით.

მედიატორის პროფესიული კომპეტენციის საზღვრების შინაარსობრივი ფარგლების დადგენისა და სხვა პროფესიების როლისგან მისი გამიჯვნის მიზნით შესწავლილ იქნა მედიატორის დავის არსში ინტერვენციის ფარგლები ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების, არსობრივად სამართლიანი სამედიაციო მორიგებისა და დავის სამართლებრივი ანალიზის ხელშეწყობის პროცესში. ევროკავშირის ქვეყნებისა და აშშ-ის ცალკეული შტატების აქტები ითვალისწინებს განსხვავებულ რეგულირებას მედიატორის მიერ საქმის სამართლებრივი ანალიზის, პროფესიული რჩევისა და ინფორმაციის გაცემის საკითხთან მიმართებით. საქართველოს მედიატორთა ეთიკის კოდექსის რეგულირება დიდწილად წინააღმდეგობრივია ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით მედიატორის უფლებამოსილების ფარგლებთან მიმართებით. ამდენად, ხელშემწყობი და შეფასებითი მედიაციის კონცეპტუალური მიდგომების კვლევა აუცილებელია, რათა განისაზღვროს რომელ სისტემაში ექცევა მედიაციის ქართული მოდელი. ამაზე დიდწილად არის დამოკიდებული გადამწყვეტი იქნება თუ არა მედიატორებისთვის დარგობრივი კვალიფიკაციის ქონა სამართლის სფეროში, დასაშვები იქნება თუ არა მათთვის სამართლებრივად რელევატური ინფორმაციის გაცემა, დავის გადაწყვეტის შედეგების სამართლებრივი ანალიზი და რისკების შეფასება.

1996 წელს ლენ რისკინმა განავითარა მედიაციის კონცეპტუალური მიდგომების, მოდელების ტიპოლოგია, რამაც უდედისი გავლენა მოახდინა დარგის მეთოდოლოგიურ გააზრებაზე. აღნიშნული ტიპოლოგია მოიცავს ორ ძირითად მოდელს ხელშემწყობ და შეფასებით მედიაციას. ორივე მიდგომის მიზანი შეთანხმების მიღწევის ხელშეწყობაა, თუმცა ისინი გამოირჩევიან მეთოდოლოგიური სხვაობებით.

მედიაციის ორიენტაციული კლასიფიკაცია შეფასებით და მხარდამჭერ მოდელებად საშუალებას იძლევა თითოეული ტიპის მედიაციის პროცესში განიმარტოს მხარეთა თვითგამორკვევისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშეწყობის მიზნით მედიატორის პროცესუალური ინტერვენციის დასაშვები ფარგლები, გამოსაყენებელი სტრატეგია და მისი განხორციელების ტაქტიკა.

ხელშემწყობი მედიაცია ეფუძნება ვარაუდს რომ მხარეები არიან ინტელიგენტები, მედიატორსა და იურისტებზე უკეთესად იაზრებენ დავის არსს და შეუძლიათ თანამშრომლობა მომლაპარაკებელ მხარესთან. ხელშემწყობი მედიაცია სრულ ნდობას უცხადებს მხარეთა დავის გადაჭრის უნარებს და აძლიერებს მხარეებში აღნიშნულ შესაძლებლობებს აქტიური მოსმენის ტექნიკების გამოყენებით. სწორედ შეკითხვების დასმის უნარების გამოყენებით ხელშემწყობი მედიატორი ცდილობს გააძლიეროს მხარეებში საქმის ძლიერი და სუსტი სამართლებრივი პოზიციების აღქმა, შეთანხმება-შეუთანხმებლობის შედეგების რაციონალური გააზრება.

ხელშემწყობი მედიატორის უმთავრესი ფუნქცია კომუნიკაციის გაუმჯობესების მხარდაჭერაა რათა მხარეებმა ჯანსაღი კომუნიკაციის პირობებში თავად მოიძინონ ურთიერთსასიკეთო გამოსავალი.

ხელშემწყობი მედიატორი არ აფასებს შეთავაზების რაციონალურობასა და გონივრულობას, არ კარნახობს, მიუთითებს მხარეებს შეთანხმებისა და შეუთანხმებლობის მოსალოდნელ შედეგებს. ხელშემწყობი მედიაციის პერსპექტივიდან, აღნიშნული ტაქტიკა აზიანებს მედიატორის მიუკერძოებლობისა და მხარის ავტონომიურობის პრინციპს. ასევე რჩევის გაცემისა და საკითხთა შეფასების დაუშვებლობა იმ მიზეზითაც არის განპირობებული, რომ შეიძლება მედიატორი არ ფლობდეს დავის საგანთან დაკავშირებულ დარგობრივ კომპეტენციას. თუ მხარე ურყევად იცავს არარეალისტურ პოზიციას, ხელშემწყობი მედიატორი მხოლოდ შეკითხვების გამოყენებით ცდილობს მიაღწიოს მხარის დამოკიდებულების ძვრა რაციონალურობისკენ. ხელშემწყობი მედიაციისთვის გადამწყვეტი მედიატორს ჰქონდეს დავის საგანთან დაკავშირებული სიღრმისეული დარგობრივი კომპეტენცია. მეტიც, რისკინის თანახმად, დავის საგანთან დაკავშირებულმა სიღრმისეული კომპეტენციის ქონამ შეიძლება დააბრკოლოს ხელშემწყობი მედიატორი და მეტად მიდრეკილი გახადოს შეფასებითი როლის მორგებისკენ. გარდა ამისა, აღნიშნულმა შეიძლება შეაფერხოს შემოქმედებითი ალტერნატივების მოძიების პროცესი. რისკინის აღნიშნული მოსაზრება შეიძლება იმგვარად განიმარტოს, რომ თუ მედიატორს მაღალი კომპეტენცია და კვალიფიკაცია აქვს დავის საგნის დარგობრივ სფეროში, მაგალითად, იურისპრუდენციაში, შესაძლებელია ის მიდრეკილი იყოს დავის სამართლებრივი

გადაწყვეტის ხელშეწყობისკენ, რომელიც უახლოვდება დავის კანონის თუ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისეულ გადაჭრას, აღნიშნულმა კი შეიძლება განხილვის მიღმა დატოვოს სხვა ალტერნატივები, რომელიც პრობლემის ამოწურვის არასამართლებრივი გზებისა და მრავალმხრივი შესაძლებლობების ძიების პროცესისთვისაა ნიშანდობლიბი.

რისკინის მოსაზრების საფუძვლიანობის მიუხედავად, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელი უნდა იყოს მედიატორის დარგობრივი კომპეტენციის უპირატესობაც ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ფუნდამენტური მიზნის განხორციელებისათვის. კერძოდ, თვით ხელშემწყობ მედიაციაშიც კი, სადაც ნეიტრალური მესამე პირი, შეკითხვების დასმის ტექნიკის გამოყენებით ცდილობს მხარეთა პოზიციების რაციონალიზაციას, რეალისტური შეთავაზებების გენერირების, იურისტი წარმომადგენლების როლის სათანადო გამოყენებით სამედიაციო მორიგების საუკეთესო და საუარესო ალტერნატივების ანალიზის, შეთანხმების არეალის გამოკვეთის ხელშეწყობას, რეალობის ტესტის ეფექტიანი ფუნქციის რეალიზებას, დავის შინაარსის სწორი გააზრებისა და აქედან გამომდინარე სამართლებრივი პოზიციების რაციონალიზაციის ხელმშემწყობი რელევანტური კითხვების გამოყენებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მედიატორისათვის დარგობრივი კვალიფიკაციის ქონას. დავის საგანთან დაკავშირებული პროფესიული კომპეტენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს სავალდებულო სასამართლო მედიაციის პროცესში, როდესაც მხარეები სავალდებულო მედიაციას მოსამართლის არაგასაჩივრებადი გადაწყვეტილების საფუძველზე მომართავენ და არა

კერძო მედიაციისათვის მეტად დამახასიათებელი გააზრებული, შეთანხმების ნებაზე დაფუძნებული ინფორმირებული თანხმობით. მაშინაც კი, როდესაც იურისტი წარმომადგენლები კეთილსინდისიერად წაახალისებენ საქმის ობიექტურ სამართლებრივ ანალიზს, ურთიერთთანამშრომლობას, ხშირად მათი ამგვარი ,,მონდომება“ შეთანხმების გზაზე, კლიენტების მხრიდან ,,სისუსტედ“, არაკვალიფიციურობად ან მეტიც კლიენტის ინტერესების ღალატად აღიქმება და არა მედიაციაში კეთილსინდისიერი, გონივრული მოლაპარაკების ეთიკური ვალდებულების დაცვად, რა დროსაც ავტორიტეტული მედიატორის კვალიფიციურ შეკითხვებს (დავის სამართლებრივი არსიდან გამომდინარე) უდიდესი როლი აქვს მხარეებისათვის რაციონალური აღქმის გაძლიერებისთვის. შესაბამისად, მედიატორის დარგობრივი კომპეტენციის არსებობას რისკინის მიერ განხილულ გარკვეულ

,,საფრთხესთან“ ერთად, დიდწილად ღირებული უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს ინფორმირებული და კეთილგონივრული, სამართლებრივ რისკებთან შეწონილი შეთანხმების მხარდაჭერის გზაზე.

შემფასებელი მედიატორი ეყრდნობა ვარაუდს, რომ მხარეთა მოლოდინი და საჭიროებაა მედიატორმა მისცეს მათ მიმართულება დავის გადაწყვეტის გონივრული საფუძვლების მიმართ, რაც შეიძლება შეეხებოდეს სამართლებრივ, ინდუსტრიულ თუ ტექნოლოგიურ საკითხებს. აღნიშნული როლის შესასრულებლად კი მედიატორს მხარეთა აღქმით, უნდა ჰქონდეს სათანადო პროფესიული განათლება, დარგობრივი კვალიფიკაცია, გამოცდილება და ახასიათებდეს ობიექტურობა. ,,შეფასებითი მედიაციის ამოსავალი პოსტულატია, რომ მხარე ინფორმირებული გადაწვეტილების მიღების შესაძლებლობით მხოლოდ მაშინ სარგებლობს, როდესაც მაქსიმალურად სრულყოფილად არის ინფორმირებული სამედიაციო მორიგების საუკეთესო და საუარესო ალტერნატივების შესახებ. შეფასებითი მედიაციის კოცენპტუალური არსი ისაა, რომ ინფორმაციის ფლობა სასამართლოში მოსალოდნელი შედეგები შესახებ არათუ ზღუდავს, არამედ წაახალისებს მხარის ავტონომიურობის პრინციპს, რადგან არ შეიძლება ვისაუბროთ თავისუფალ და ავტონომიურ ნების გამოვლენაზე სამართლებრივ რისკებზე არასრულყოფილი ინფორმირების პირობებში. ხელშემწყობი მედიაციის კონცეფციით, მედიატორის სიტყვას შეიძლება იმდენად დიდი გავლენა ჰქონდეს მხარეებზე, რომ შეცვალოს მათი პრიორიტეტები და ღირებულებითი პრეფერენციები. მედიატორის შეფასება მეტად უზურპაციას ახდენს თვითგამორკვევის, ვიდრე ხელშეწყობას. ამგვარად, შეფასებითი და ხელშემწყობი მედიაციის ამოსავალი, უზენაესი მიზანი თვითგამორკვევის ხელშეწყობაა, თუმცა განსხვავებულია მათი მეთოდოლოგიური მიდგომები და მედიატორისათვის გამოსაყენებელი ტაქტიკური ფუნქციები შეფასებისა და მოსაზრებების გაზიარების დასაშვებობის კუთხით.

არსობრივი სამართლიანობის შინაარსი განსხვავებულია ხელშემწყობი და შეფასებითი მედიაციის მოდელებში. ხელშემწყობი მედიაციისთვის სამედიაციო შეთანხმების სამართლიანობაა ის, რაც მხარეთა თავისუფალი ნებიდან მომდინარეობს (justice from below) და არა, ის რასაც კანონი განსაზღვრავს (კანონისმიერი სამართლიანობა - justice on high). ხელშემწყობი მედიატორისთვის სამართლიანობის მნიშვნელობა დიდწილად კონტექსტუალურია და განისაზღვრება ცალკეული

ურთიერთობის, კონფლიქტის ინდივიდუალური მახასიათებლებით. ხელშემწყობი მედიაციისთვის მხარეები საკუთარი ნებით ახდენენ კანონის მორალიზებას სამედიაციო შეთანხმებაში, ხოლო სამართლის ნორმა-დებულებათა შეთანხმებაში ასახვის ფარგლები, ხარისხი ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს შეთანხმების სამართლიანობას.

შეფასებითი მედიაციის შემთხვევაში ვინაიდან მედიატორი ფლობს დავის საგანთან დაკავშირებულ კომპეტენციას, ის სამართლებრივ, საინჟინრო-ეკონომიკურ თუ სამომხმარებლო პრაქტიკასთან დაკავშირებულ ნორმა-რეგულაციებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამედიაციო შეთანხმების შინაარსის განსაზღვრისთვის და ამგვარად აღიარებს ამ ნორმების მორალურ ძალმოსილებას მედიაციის პროცესში. ამიტომ, შეფასებითი მედიაციისთვის სამართლებრივი თუ ინდუსტრიული ნორმები არა მხოლოდ პროცესის სტრატეგიული მექანიზმია (მაგალითად, რეალობის ტესტის განსახორციელებად), არამედ ისინი ავტორიტეტული სამიზნე ნიშნულია, რომელსაც მორიგების არეალში სოციალურ ღირებულებათა სისტემა და სოციალური სამართლიანობის გაგება შემოჰყავს.

შეფასებითი და ხელშემწყობი მედიაციის მოდელებს შორის ქართული სამართლის სწორი არჩევანით დიდწილად განისაზღვრება როგორი იქნება კანონის უზენაესობის პრინციპის მოქმედების ფარგლები მედიაციაში, როგორც ალტერნატიული მართლსაჯულების პროცესში.

წინამდებარე კვლევის საფუძველზე მოხდა ქართული მედიაციის ორიენტაციული ხელშემწყობი მედიაციისადმი, რაც დიდწილად განაპირობებს მედიატორის სავალდებულო დარგობრივი კვალიფიკაციის რეფორმირების საკითხს სასამართლო მედიაციის პროგრამებში.

6. 2021 წლის პროექტი დასრულებულია. პროექტის ფარგლებში განხორციელებულ კვლევაში განხილულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობის ისტორია საზღვარგარეთ და საქართველოში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსი, როლი და დანიშნულება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პრობლემას. ამ კონტექსტში გადმოცემულია ნაფიცი მსაჯულებისადმი წაყენებული მოთხოვნების, შეუთავსებლობის, ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის საპროცესო წესი. იდენტიფიცირებულია საკანონმდებლო ხარვეზები. გაანალიზებულია ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის შედგენის, შერჩევის, დასაბუთებული და დაუსაბუთებელი აცილებების გამოყენების, ნაფიც მსაჯულთა ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობის ფორმირების პრობლემური საკითხები. აქცენტირებულია სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართოსადმი, ნაფიც მსაჯულთა უფლება-მოვალეობები, მათი სოციალური დაცვის გარანტიები და უსაფრთხოების დაცვის თავისებურებები. გამოთქმულია მოსაზრებები კანონმდებლობის სრულყოფის და პრაქტიკის დახვეწის მიზნით.

7. 2022 წლის პროექტის ფარგლებში განხორციელებულ კვლევაში განხილულია ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის არსი და სახეები, ვერდიქტის გამოტანის საპროცესო წესი, სასჯელის დანიშვნის სხდომის თავისებურებები. განსაკუთრებით აქცენტირებულია ვერდიქტის დაუსაბუთებლობის საკითხი, საერთაშორისო სტანდარტები, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების განსაკუთრებული წესი, ნაფიც

მსაჯულთა „ნულიფიკაციის“ პრობლემა, ნაფიც მსაჯულთა ე. წ. „უუნარობა“, საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე და დამოკიდებულება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ, მედიის ზეგავლენა ნაფიც მსაჯულებზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები. გამოთქმულია მოსაზრებები/წინადადებები და რეკომენდაციები კანონმდებობის სრულყოფის მიზნით. ამჟამად ვმუშაობ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების, ეროვნული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის კუთხით. ნაშრომის დასრულება დაგეგმილია 2023 წლის იანვარ-თებერვალში. 2021 და 2022 წლის პროექტების ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები გამოიცემა ერთი წიგნის სახით.
8. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის გრანტის ფარგლებში იქნა განხორციელებული პროექტი, რომელიც ეხება სისხლისსამართლებრივ ნორმებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზს. მიმდინარე წელს პროექტის ფარგლებში განხილვის საგანს წარმოადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა, რომელიც შეეხებოდა სსკ-ის 171-ე მუხლის კონსტიტუციურობას. კერძოდ, ნორმის იმ ნაწილს, რომელიც გულისხმობს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სხვა სახის ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე არასრულწლოვნის დაყოლიებისთვის. დავის საგანს წარმოადგენდა ის, გულისხმობდა თუ არა იგი არასრულწლოვნის დაყოლიებას დანაშაულზე. აღნიშნულ საკითხზე სისხლის სამართლის ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში აზრთა არაერთგვაროვნება არსებობდა. საკონსტიტუციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ სიტყვებში არ იგულისხმებოდა არასრულწლოვნის დაყოლიება დანაშაულზე. თუმცა, აღნიშნული ქმედება ისედაც არ რჩება დაუსჯელი, ვინაიდან სისხლის სამართალი იცნობს ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა შუალობითი ამსრულებლობა და თანამონაწილეობა. პროექტში საკითხის განხილვის დროს გათვალისწინებული იქნა უცხოური გამოცდილებაც.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი;
პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების განვითარების პერსპექტივები საერთაშორისო სამართლებრივ და გეოპოლიტიკურ ჭრილში“. გრანტი OTG-I-428); 2021/22 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. 1. პროფ. ირინე ქურდაძე - ხელმძღვანელი 2. ასოცირებული პორფ. ეკა სირაძე - კოორდინატორი 3. ლევან გერაძე 4. მარიამ კევლიშვილი 5. თამარ ალექსიძე 6. ნათია კალანდარიშვილი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების განვითარების პერსპექტივები საერთაშორისო სამართლებრივ და გეოპოლიტიკურ ჭრილში“ მიზნად ისახავს პირველად სამეცნიერო დონეზე ჩაატაროს სიღრმისეული და მულტიდისციპლინარული კვლევა, რომელიც პროექტის გუნდის შესაძლებლობების გათვალისწინებით, მაქსიმალურად ობიექტურად შეისწავლის აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ ბაზას 1992 წლიდან დღემდე.

ამ პროექტის უნიკალურობა მდგომაროებს იმაში, რომ მის ფარგლებში პირველად ერთდროულად განხორციელდება:

(1) ოკუპირებილი ტერიტორიების მარიონეტული მთავრობების მიერ გაფორმებული ე.წ. ხელშეკრულებების საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შეუსაბამობის სამეცნიერო დონეზე დასაბუთება;

(2) სამართლებრივი ასპექტების განხილვა გეოპოლიტიკურ ჭრილში;

(3) იმ შესაძლებლობების შედარებითი ანალიზი, რასაც ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას მისცემს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება და ის უპერსპექტივო მდგომარეობა, რაც მათ აქვთ რუსეთის ფედერაციის მხრიდან ოკუპაციის და მასთან შესაძლო სრული ინტეგრაციის პირობებში.

შესაბამისად, საქართველოს თანამედროვე აკადემიურ სივრცეში პირველად მოხდება კონფლიქტურ, ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებით კომპლექსური განმარტებების, შეფასებებისა და სამოქმედო რეკომენდაციების შემუშავება რელევანტურ დისციპლინათაშორის კონტექსტში, რაც კვლევის სინთეზური ბუნებით არის ნაკარნახევი. კერძოდ, ანალიზი განხორციელდება:

1. შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ჭრილში
2. საერთაშორისო სამართლის ჭრილში (მათ შორის ადამიანის უფლებების, ჰუმანიტარული სამართლის, საერთაშორისო სახელშეკრულებო და საერთაშორისო საზღვაო სამართლის ჭრილში)
3. ევროკავშირის სამართლის ჭრილში (ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში)
4. საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში (მათ შორის არაღიარების პოლიტიკა და მისი შედეგები)

მომიჯნავე თემებად, რომელთაც ნაწილობრივ შეეხება მოცემული კვლევის პროექტი მოიაზრება: ეკონომიკა, გეოპოლიტიკა;

შემოთავაზებული კვლევითი პროექტის ფარგლებში მოხდება:

ა) საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების, საქართველოს საერთაშორისო სახელშეკრულებო და ჩვეულებითსამართლებრივი ვალდებულებების სიღრმისეული ანალიზი, რათა დასკვნები ზედმიწევნით ობიექტური და დასაბუთებული იყოს;

ბ) საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესაძლებლობების გამოყენების რესურსის შესწავლა კონფლიქტების მოგვარებაში: ევროკავშირთან ინტეგრაციის ინდივიდუალური და კოლექტიური სიკეთეების მიმოხილვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის;

2.1 რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების აღიარების შეუთავსებლობა მის საერთაშორისო ვალდებულებებსა და საერთაშორისო მართლწესრიგთან;
2.2 ე.წ. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების მიერ დადებული ე.წ. საერთაშორისო ხელშეკრულებების პირველი სიღრმისეული სამართლებრივი ანალიზი, მათი შეფასება საერთაშორისო სამართლის ჭრილში. კვლევის მიზანია სამეცნიერო დონეზე დაასაბუთოს 2.1. და 2.2 დოკუმენტების არასაერთაშორისო სამართლებრივი ხასიათი და შესაბამისად მათ საფუძველზე განხორციელებული ქმედებების არალეგიტიმურობა და ბათილობა საერთაშორისო სამართლის კუთხით.
დამატებით, მოხდება რუსეთისა კანონმდელობის შესწავლა და ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ქმედებების/მოვლენების მკაფიო შეფასება არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების ჭრილში; აღნიშნული მიზნად ისახავს ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის, განსაკუთრებით კი კონფლიქტ რეგიონებში მცხოვრები ეთნოცენტრულად განწყობილი ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას რფ-სთან მჭიდრო თანამშრომლობის და მასზე უალტერნატივო დამოკიდებულების ნეგატიურ ეფექტებზე, მათ შორის თვითმყოფადობის შენარჩუნების კონტექსტში.
რამდენადაც საზღვაო სივრცე თავისი ბუნებით და სამართლებრივი სტატუსით განსახვავდება სახმელეთო ტერიტორიისგან, იმდენად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განხორციელდეს შავ ზღვაზე საქართველოს ოკუპირებული საზღვაო ზონების სამართლებრივ-ეკონომიკური ასპექტების სიღმისეული შესწავლა და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა.
საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტში შავი ზღვის სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ოკუპირებული ტერიტორიების შესწავლის ფარგლებში ცალკე საკითხად გამოიყოფა საქართველოს საზღვაო ზონების აფხაზეთის მონაკვეთის სამართლებრივი სტატუსი და რეჟიმი. ამ მხრივ, განსაკუთრებით ხაზგასასმელია სოხუმის პორტის დახურვის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების ეფექტიანობა, ტერიტორიული ზღვის აფხაზეთის მონაკვეთში ნაოსნობის განხორციელება და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი და სხვა სირთულები, ისევე, როგორც საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა (გეზ-ის) და კონტინენტური შელფის აფხაზეთის მონაკვეთზე არსებული ცოცხალი და არაცოცხალი რესურსების გამოყენების საკითხი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საყურადღებო და საინტერესოა, რადგან წმინდა სამართლებრივი და პოლიტიკურის გარდა, სერიოზული ეკონომიკური მნიშვნელობის მატარებელია. აღნიშნულ თემაზე კვლევა საქართველოს აკადემიურ სივრცეში უაღრესად მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს, რადგან მას ანალოგი არ გააჩნია და პრობლემური საკითხის უნიკალური პრიზმიდან განხილვის შესაძლებლობას იძლევა. ვფიქრობთ, საკვლევ თემატიკაში საშინაო და საერთაშორისო დონეზე აქამდე განუხილველი საკითხების ჩართვა, კვლევის ინტერდისციპლინური ბუნების, საერთაშორისო მეთოდოლოგიური სტანდარტის აპლიკაციის და სხვა ასპექტების მიღმა პროდუქტს ცალსახად ინოვაციურ ხასიათს სძენს.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალის“ (http://lawjournal.ge/) რედაქტორობა, პროექტის დაწყების წელი: 2019.
2. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ლექსიკონი, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ), პროექტის დაწყება- ნოემბერი 2021.
3. „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“ - ელექტრონული ჟურნალი - Deutsch-Georgische Strafrechtszeitchrift (DGStZ), სისხლის სამართალი, ჟურნალის საიდენტიფიკაციო კოდი: ISSN 2566-5758, დამფინანსებელი ორგანიზაცია: საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ), გერმანია, პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: 2015 - დღემდე.
2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. მთავარი რედაქტორები: ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი, ასოც. პროფ. ლადო სირდაძე. სამუშაო ჯგუფი: ნინო ქავშბაია; თათია ჯორბენაძე; ანა ბაიაძე; ტილმან სუტორი.
2. მაკა ხოდელი - ერთ-ერთი ავტორი.
3. თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი, სამართლის დოქტორი ანრი ოხანაშვილი, ჟურნალის მთავარი რედაქტორი - Schriftleiter. პროექტს გერმანული მხრიდან კოორდინაციას უწევენ ასევე: ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფ. მარტინ ჰეგერი და ებერჰარდ კარლის თიუბინგენის უნივერსიტეტის პროფ. ბერნდ ჰაინრიხი მაკა ხოდელი - სარედაქციო კოლეგიის წევრი, სამუშაო ჯგუფის წევრი (მონაწილე).
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
2. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ლექსიკონი:

ქართული სისხლის სამართლის მეცნიერება გაჯერებულია გერმანული სამართლებრივი ტერმინოლოგიით, ასევე, ცნობილია ნეოლოგიზმები, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა დაამკვიდრეს სისხლის სამართალში. გერმანული გავლენა დღესაც ნათლად ჩანს ქართულ სისხლის სამართალზე.

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის კოდექსი ძირითადად ეფუძნება გერმანულ მოდელს. გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალს შორის ბევრი მსგავსების მიუხედავად, განსხვავებებიც არსებობს, განსაკუთრებით ტერმინოლოგიაში. ეს განსხვავებები კი ართულებს გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ღრმა საგნობრივი დისკუსიის წარმართვას. ხშირად არაა ადვილი სამართლებრივი ტერმინის თარგმნა. საჭიროა მათი შინაარსობრივი განმარტება, ახსნა. რადგან ერთი და იგივე ტერმინების უკან ხშირად იმალება სხვადასხვა იურიდიული კონსტრუქცია.

ეს დაბრკოლება გადაილახება პროექტის საფუძველზე შექმნილი გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ლექსიკონით. პროექტის მიზანია, გამოიკვეთოს მსგავსება და განსხვავებები გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალს შორის კონცეპტუალური ანალიზის საფუძველზე. შედეგად, სისტემატიზირებული სახით იქნება წარმოდგენილი მეცნიერებისა და პრაქტიკისთვის ნებისმიერ დროს უფასოდ ხელმისაწვდომი ერთიანი ნაშრომი. ელექტრონული ლექსიკონი მნიშვნლოვენ წვლილს შეიტანს ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო დიალოგის შენარჩუნებასა და გაღრმავებაში.

3. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი (DGStZ):

გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის (DGStZ) გამომცემლები ესწრაფვიან მხარი დაუჭირონ სისხლის სამართლის მეცნიერების სფეროში მიმდინარე გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება საქართველოს ევროპულ და გერმანულ, შესაბამისად ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესს და სურთ, წვლილი შეიტანონ ქართული- და აგრეთვე გერმანული – სისხლის სამართლის დოგმატიკის ჰარმონიზაციასა და მის შემდგომ განვითარებაში. ამასთანავე, ჟურნალის ძირითად მიზანს წარმოადგენს “ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაცია”. ასეთ გრძელვადიან პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებით აზრთა გაცვლა-გამოცვლას გერმანელ და ქართველ სისხლის სამართალიც მეცნიერებს, პრაქტიკოსებს, დოქტორანტებს და აგრეთვე სტუდენტებს შორის. წერილობითი სახით შემუშავებული ერთობლივი შედარებით-სამართლებრივი ანალიზი სისხლის სამართლის სფეროში წარმოადგენს გარდაუვალ წინაპირობას დასახელებული მიზნის- “ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაცია” – მიღწევისთვის, რომლის გარეშეც ამ მიზანის მიღწევა მნიშვნელოვნად გართულდება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ეს ჟურნალი, რათა შეიქმნას ერთობლივი შედარებით-სამართლებრივი ფორუმი საქართველოსა და გერმანიას შორის. ჟურნალი ორიენტირებულია ასევე აკადემიური წერის სტანდარტების ამაღლებისკენ, განსაკუთრებით ლიტერატურის სწორედ ციტირებისკენ. და ბოლოს, ამ ჟურნალის მეშვეობით, როგორც გერმანელ, ასევე ქართველ სისხლის სამართლის მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს, შეექმნებათ შესაძლებლობა, სრულყოფილად გაეცნონ ორივე ქვეყანაში მიმდინარე სისხლის სამართლის განვითარების პროცესს.

დასახელებულმა მრავალწლიანმა პროექტმა ფუნქციონირება დაიწყო 2015 წლის 8 ოქტომბრიდან, როდესაც საქართველოს უზენაეს სასამართლოში ოფიციალურად დაარსდა გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი. 2016 წელს, პროექტის ფარგლებში შეიქმნა გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის ორენოვანი (გერმანულ-ქართული) ელექტრონული გვერდი. ჟურნალი ინტერნეტში განთავსებულია შემდეგ მისამართზე - www.dgstz.de და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის უფასოდ. ჟურნალის საიტიდან გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამოტვირთვაც უფასოა.
ასეთი სახის ელექტრონული ჟურნალი საქართველოს ისტორიაში პირველია სისხლის სამართლის სფეროში, რომელმაც ძირითადად ხელი უნდა შეუწყოს ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაციას. ჟურნალის მიზანია ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის დაახლოება და შედარებით ანალიზის წარმოება, რომელიც ხორციელდება გერმანელი და ქართველი სისხლის სამართლის პროფესორების სამეცნიერო ნაშრომების ამ ჟურნალში გერმანულ და ქართულ ენებზე გამოქვეყნებით. ჟურნალის მიზანია ასევე, სამეცნიერო წერის კულტურის ამაღლება სისხლის სამართლის მიმართულებით. ჟურნალი ორიენტირებულია არა მხოლოდ პროფესორებზე, არამედ, ასევე დოქტორანტებსა და სტუდენტებზე და სისხლის სამართლის სპეციალისტებზე.
2022 წელს, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის ფარგლებში, გამოიცა ჟურნალის ოთხი ელექტრონული გამოცემა. ოთხივე გამოცემაში, ქართველი და გერმანელი პროფესორებისა და სისხლის სამართლის სპეციალისტების ავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები ეძღვნებოდა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატურ და აქტუალურ საკითხებს.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. მეცნიერების დარგი/სამეცნიერო მიმართულება: სამართალი, კონკურენციის სამართალი პროექტის დასახელება: Digital Cooperation Fellowship დამფინანსებელი ორგანიზაცია: ალექსანდრე ვონ ჰუმბოლდტის ფონდი ქვეყანა: გერმანია პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: პროექტის დაწყების წელი: 2021 წელი პროექტის დასრულების წელი: 2022 წელი.
2. მეცნიერების დარგი/სამეცნიერო მიმართულება: სამართალი, კონკურენციის სამართალი დამფინანსებელი ორგანიზაცია: მაქს პლანკის შედარებითი და კერძო სამართლის ინტიტუტი ქვეყანა: გერმანია, ჰამბურგი პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: პროექტის დაწყების წელი: 2022 წელი პროექტის დასრულების წელი: 2022 წელი.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. გიორგი ცერცვაძე - გრანტის მიმღები პირი, მკვლევარი.
2. გიორგი ცერცვაძე - გრანტის მიმღები პირი, მკვლევარი.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 1. მსოფლიოში შექმნილი სიტუაციის გამო, ჰუმბოლდტის ფონდმა, მეცნიერებს, რომლებიც წინა წლებში უკვე ფლობდნენ მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გრანტს, რომელიც გამოცდილი მეცნიერებისთვისაა განკუთვნილი, მისცა შესაძლებლობა, ონლაინ ემუშავათ კვლევით პროექტზე, რომლებიც ფონდის მიერ წინასწარ იქნა შერჩეული. რადგან მე უკვე ვიყავი მათი გრანტის მფლობელი, რომლის ფარგლებშიც კონკურენციის სამართლის სახელმძღვანელოზე ვიმუშავე 2017-2020 წლებში, ამჯერადაც მომეცა საშუალება ვიმუშავო პროექტზე, რომელიც საქართველოს კონკურენციის სამართლის სამართლებრივ და ეკონომიკურ გავლენებს ეხება. აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობა დასრულდა 2022 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში უკვე ხელმისაწვდომი იყო ბეჭდური სახითაც.

2. აღნიშული ფონდის მიერ შემუშავებული სპეციალური დიგიტალური პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში, ჩავატარე კვლევა საქართველოში მოქმედი კონკურენციის კანონმდებლობის და პრაქტიკის ეფექტური შეფასების შესახებ.

კვლევის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები ჯეი ენდ თი ქონსალთინგის გუნდი და გერმანელი პარტნიორი - სამართლის დოქტორი მორის იაკობსი, რომელმაც, როგორც დამოუკიდებელმა ექსპერტმა შეაფასა კვლევის პროცესის შედეგების შესაბამისობა ევროპული კონკურენციის კანონმდებლობასთან.

გაცნობებთ, რომ კვლევის ქართულენოვანი ვერსიის 200 ეგზემპლარი გამოქვეყნდა ბეჭდური სახით, რომლებიც მიეწოდება საქართველოს საერთო სასამართლოებს, საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს, ბიზნეს ასოციაციებს, უნივერსიტეტებს, ბიბლიოთეკებს და პროცესში ჩართულ დაინტერესებულ პირებს.

ხოლო წიგნის როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვანი ვერსია ელექტრონული სახით გამოქვენდა ჩვენი კომპანიის ვებ-გვერდზე.

2. 2022 წლის ზაფხულში, ორი თვის განმავლობაში, მქონდა შესაძლებლობა ჩემთვის საინტერესო, აქტუალური საკითხი, ჰამბურგში, მაქს პლანკის შედარებითი და კერძო სამართლის ინტიტუტში მეკვლია, კერძოდ კი ვიმუშავე თემაზე რომელიც ევროკავშირის პრატქიკის მნიშვნელობას ეხება ქართული კონკურენციის სამართლის აღსრულებისათვის.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
ბურდული/მახარობლიშვილი/თოხაძე/ზუბიტაშვილი/ალადაშვილი/მაღრაძე/ეგნატაშვილი, საკორპორაციო სამართალი, II გადამ. გამოცემა, ISBN: 978-9941-9778-2-4, „იურისტების სამყარო“, თბ. 2022, გვ. 678.
2. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის კომენტარი, ავტ. კოლ. რედ. ნ. თოდუა, მ. ტურავა, მ. ივანიძე; გამომცემლობა „კალმოსანი“, (გადაცემულია დასაბეჭდად).
3. დავით პატარაია, საერთაშორისო საჯარო სამართალი (წიგნი პირველი).
4. ლ. ფაფიაშვილი, მ. ივანიძე, ი. აქუბარდია, გ. თუმანიშვილი, ბ. მეურმიშვილი, ნ. გოგნიაშვილი, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2022, გადაცემულია დასაბეჭდად.
5. მაია ბითაძე, საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. საკორპორაციო სამართალი საქართველოში, იურიდიული პროფესიის რეგულირებადი ხასიათიდან გამომდინარე, ბაკალავრიატის პროგრამის სავალდებულო საგანთა კატეგორიას განეკუთვნება. მისი შესწავლა აუცილებელია ადვოკატის, ნოტარიუსის, პროკურორის, მოსამართლის, როგორც რეგლამენტირებად პროფესიის წარმომადგენელთა თანამდებობის დასაკავებლად და დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას შეიმეცნოს სამართალურთიერთობაში ჩართული მეწარმე სუბიექტის რაობის, მისი დაფუძნების, შიდაორგანიზაციული მმართველობის/კორპორაციული მართვის, ორგანოთა სტრუქტურისა და პარტნიორთა უფლება-მოვალეობის განხორციელება-შესრულების, მათი უფლების დაცვის, ხელმძღვანელ პირთა და პარტნიორთა პასუხისმგებლობის, საზოგადოებაში ქონების მოზიდვისა და შენარჩუნების, მოგების განაწილების, საზოგადოების გარდასახვისა და დაშლის, სამეწარმეო საზოგადოების სიცოცხლის საბოლოო დასრულების და სხვა შინა კორპორაციულსამართლებრივი საკითხები. ეს კი აუცილებელია არა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული პროფესიის პირისთვის მისი საქმიანობის განხორციელებისას, არამედ ნებისმიერი ამ სფეროთი დაინტერესებული ადამიანისთვის, რომელიც მის ცხოვრებას ამა თუ იმ ორგანიზაციულ სოციალურ წარმონაქმნს უკავშირებს. განსაკუთრებით საინტერესოა ამ დარგის შესწავლა

კორპორაციული იურისტკონსულტისთვის, რომელიც ამ სფეროში კაუტელარული იურისპრუდენციის ძირითადი ინსპირატორი უნდა იყოს. ამ კუთხით, სახელმძღვანელოში გადმოცემულია სამეწარმეო სამართლებრივი ფორმები, მათი შიდაორგანიზაციული მოწყობის ნორმატიული საფუძვლები, სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნების, ფუნქციონირების და დაშლა-რეორგანიზაციის მატერიალური და პროცესუალური ასპექტები.

2. ნ. თოდუას ნაწილში (გვ. 467-701) განხილულია დანაშაულის ამრულებლობა და თანამონაწილეობა დანაშაულში. გადმოცემულია საქართველოს სსკ 22, 23, 24, 25, 26, 27-ე მუხლების კომენტარი შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებებით და სასამართლო პრაქტიკის ანალიზით. ასევე განხილულია დანაშაულის შემხებლობის საკითხი და მისი ფორმები. კერძოდ, მასში განხილულია: ამსრულებლობის ცნება და მისი თითოეული სახე; საკითხი, თუ რამდენადაა შესაძლებელი თანამსრულებლობა შერეული უმოქმედობის დანაშაულში; პარალელური ამსრულებლობის საკითხი გაუფრთხილებლობისას; შემოთავაზებულია საკანონმდებლო წინადადება ამსრულებლის სახეების (ერთპიროვნული, თანაამსრულებელი, შუალობითი ამსრულებელი) ცნების შემდგომი სრულყოფის მიზნით; თანამონაწილეობის ობიექტური მხარე; თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე; მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილეობისას; ბრალის საკითხი თანამონაწილეობისას; თანამონაწილეობის იურიდიული ბუნება; განხილულია თანამონაწილეობის ცნება და მისი თითოეული სახე (ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე); თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის თეორიები და საკითხი, თუ რამდენადაა შესაძლებელი თითოეული ამ თეორიის გამოყენება საქართველოს საკანონმდებლო სინადვილეში; ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობის საკითხი; ქმედების ნიშანი და ობიექტური ნიშნით დამძიმებული შემადგენლობა ამსრულებლისა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას; პერსონალური ნიშანი და სუბიექტური ნიშნით დამძიმებული ან პრივილეგირებული შემადგენლობა ამსრულებლისა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას; პერსონალური ნიშანი, რაც ახასიათებს ბრალს; ამსრულებლის პიროვნებისათვის დამახასიათებელი პერსონალური ნიშანი; სპეციალურ დელიქტებში თანამონაწილეობის საკითხი; წარუმატებელი (ე.წ. ხელმოცარული) წაქეზების საკითხი; ამსრულებლის ექსცესის საკითხი; წინასწარ შეთანხმებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენის არსი და შემოთავაზებულია შემდეგი საკანონმდებლო წინადადება: **„დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილე ამსრულებლები წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად“**.

ასეთი რედაქცია ნათელს მოჰფენს იმას, რომ ჯგუფური დანაშაულის ამ სახის შემთხვევაშიც აუცილებელია, სახეზე იყოს სულ მცირე ორი ამსრულებელი, რომლებიც მომზადების სტადიაზე შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად;

განხილულია ორგანიზებული ჯგუფის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი; შემოთავაზებულია **შესაბამისი საკანონმდებლო წინადადება**, რათა სსკ 27-ე მუხლის მესამე ნაწილში უნდა შევიდეს **შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება**, რომლის ძალითაც ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენა და მატერიალური სარგებლის მიღების მიზანი, ერთმანეთს დაუკავშირდება კავშირით „და“.

გამომდინარე აქედან, სსკ 27-ე მუხლის ბოლო მონაკვეთი უნდა **ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად**: „რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად და რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება“.

კომენტარებში ასევე განხილულია ჯგუფური დანაშაულის სადავო საკითხები; სისხლის სამართლის სუბიექტთა რაოდენობა და მისი მნიშვნელობა ქმედების ჯგუფურ დანაშაულად კვალიფიკაციისას.

3. ნაშრომი არის საერთაშორისო საჯარო სამართლის ორნაწილიანი ქართული სახელმძღვანელოს წიგნი პირველი. ის განკუთვნილია საერთაშორისო სამართლით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის. წიგნი შედგება წინათქმისა და შვიდი კარისგან: 1. სამართლის არსი და საერთაშორისო სამართლის ბუნება; 2. საერთაშორისო სამართლის წყაროები; 3. საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები; 4. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცნება და სახელმწიფო, როგორც მთავარი სუბიექტი; 5. საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტები; 6. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი; 7. საერთაშორისო ორგანიზაციები. წიგნის მოცულობაა – 523 გვ.

ამჟამად მიმდინარეობს დაკაბადონების პროცესი და წიგნს გამოსცემს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

4. სისხლის საპროცესო სამართალი სამართლის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დარგია, სადაც ყველაზე მწვავედ ისმის კერძო და საჯარო ინტერესების სწორი ბალანსის უზრუნველყოფის საკითხი, სადაც დანაშაულის პრევენციის და დამნაშავეთა სამართლიანი დასჯის ლეგიტიმურ საჯარო მიზანს უპირისპირდება ბრალდებულთა დაცვის და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან კერძო პირთა უფლებების უკანონო ან/და დაუსაბუთებელი შეზღუდვისგან დაცვის ლეგიტიმური ინტერესები. ამ უფლებათა ბალანსი ყველაზე უკეთ ასახავს სახელმწიფოს დემოკრატიულობის და პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცულობის ხარისხს. საზოგადოების განვითარების და სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევების კვალდაკვალ დროთა განმავლობაში ეს ბალანსი იცვლება, იცვლება პროცესის მონაწილეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვის მექანიზმები, უფლებებში ჩარევის ფორმები, ინტენსივობა და ნებადართული ფარგლები.

სისხლის საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი როგორც წესი ან კონსტიტუციონალიზებულია ან მოქმედებს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების საფუძველზე. შეუძლებელია შეჯიბრებითი სამართლიანი სასამართლო წარმოების უზრუნველყოფა სამართალწარმოების ფარგლებში კონსტიტუციური სამართლით და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლით დადგენილი სტანდარტების უგულებელყოფის, ადმინისტრაციული და სხვა მომიჯნავე სამართლის დარგებით გათვალისწინებული რეგულირებების იგნორირების პირობებში. სწორედ ამიტომ, წიგნში საკითხების განხილვისას გამოყენებულია როგორც ისტორიული, ასევე შედარებით-სამართლებრივი და სისტემური ანალიზის მეთოდები.

სისხლის საპროცესო კანონმდებლობის სამართლებრივი სიცხადე და სამართლებრივი უსაფრთხოება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული როგორც საპროცესო კანონმდებლობის განჭვრეტადობაზე, ასევე ადმინისტრაციული პრაქტიკის

ერთგვაროვნებასა და კანონთან შესაბამისობაზე. ამიტომ ნაშრომში საკითხების თეორიული პერსპექტივიდან განხილვასთან ერთად დიდი ადგილი უკავია სასამართლო პრაქტიკის ანალიზს და საკანონმდებლო რეგულაციებისათვის ადმინისტრაციული პრაქტიკით მინიჭებული მნიშვნელობის განხილვას.

შედარებით-სამართლებრივი ანალიზი წარმოდგენილია როგორც ცალკე თავის სახით, ასევე ინტეგრირებულად. საპროცესო სამართლის ინსტიტუტები განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრეცედენტული სამართლის, აშშ უზენაესი სასამართლოს და სააპელაციო სასამართლოების პრეცედენტების, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების და გერმანიის საპროცესო კანონმდებლობის, საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების შუქზე. იმავდროულად, სიმარტივისთვის წიგნში არ არის მოცემული ვრცელი ამონარიდები სასამართლო გადაწყვეტილებებიდან და მათი დეტალური გარჩევა. მკითხველს რელევანტური გადაწვეტილებები მიეწოდება გადამუშავებული სახით.

შედარებით-სამართლებრივი და ისტორიული კვლევის მეთოდებთან ერთად, წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოქმედ სამართლებრივ რეალობას და პროცესის მონაწილეთა წინაშე არსებულ გამოწვევებს. ქართული საპროცესო კანონმდებლობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში მუდმივი ცვლილებების საგანს წარმოადგენს როგორც კანონმდებლის, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან. განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, საპროცესო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ვხვდებით რიგ პრობლემურ საკითხებს. საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირებასთან ერთად წიგნი მკითხველს სთავაზობს მათი გადაწყვეტის გზებსაც და მოსაზრებებს განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

წიგნი შესაძლებლობას აძლევს მკითხველს გაეცნოს საპროცესო სამართლის ინსტიტუტებს და ინსტრუმენტებს, რამაც უნდა უზრუნველყოს სამართლიანი მართლმსაჯულების, სამართალწარმოების ფარგლებში მონაწილე პირთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა-განხორციელება, მათ შორის, კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის წინაპირობებს, საფუძვლებს და პროცედურას. გამოძიებისა და სასამართლო განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებს გამოძიების დაწყებიდან ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმეთა განხილვის და იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხების ჩათვლით. მათ შორის, გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების, საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების და სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების თავისებურებას. საკითხების განხილვისას ყურადღება გამახვილებულია როგორც ფუნდამენტურ კონცეფციებზე, ასევე საკითხისადმი ახლებურ მიდგომებსა და ტენდენციებზე.

ი. აქუბარდიას მიერ არის შესრულებული სახელმძღვანელოს პირველი კარის პირველი თავი "გამოძიება", მე-3 კარის მე-3 თავი „საპროცესო შეთანხმება", მე-4 კარის პირველი და მეორე თავები - „წინასასამართლო სხდომა" და სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებანი", მე-5 კარის პირველი თავი „განაჩენის დადგენა".

სახელმძღვანელო პირველად გამოიცა 2017 წელს. 2017 წლიდან დღემდე საპროცესო კანონმდებლობაში შევიდა ბევრი ცვლილება. ცვლილებები შეეხო ი. აქუბარდიას მიერ განხილული საკითხების მარეგულირებელ ნორმებს, რომელთა ნაწილმა შინაარსობრივი ცვლილება განიცადა, ნაწილი დამატებების გზით დაიხვეწა და შეივსო. გარდა ამისა, შემოღებულ იქნა ახალი ნორმებიც (მაგალითისთვის, სსსკ მუხლი 191[1] - მოსამართლის უფლებამოსილება ბრალდებულის/ მსჯავრდებულის მიმართ წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის განხორციელების ან შესაძლო განხორციელების შემთხვევაში).

სახელმძღვანელოს დასახელებული თავები გადმოცემულია მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე. ტექსტი შეივსო, დაზუსტდა, დაიხვეწა . გარდა ამისა, თითოეული თავის, პარაგრაფის ბოლოს შეჯამდა განხილული საკითხის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები.

ნ. გოგნიაშვილის მიერ შესრულებულია 80 გვერდი. მის მიერ განხილულია შემდეგი საკითხები: გამოცხადების სავალდებულოობა, მიყვანა. ასევე ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება, ბრალდებულისათვის მოქალაქეის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერება. ასევე, განხილული აქვს, საგამოძიებო მოქმედების სახეები, კერძოდ: დათვალიერება, სადაც განხილულია შემთხვევის ადგილის, გვამის, საგნებისა და ობიექტების დათვალიერება, ასევე ადგილმდებარეობისა და შენობის დათვალიერება, სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება, მობილური ტელეფონის დათვალიერება. ასევე, პირისა და ობიექტის ამოსაცნობად წარდგენა, ექსპერტიზა სისხლის სამართლის პროცესში, საგამოძიებო ექსპერიმენტი, გვამის ექსჰუმაცია, ნიმუშის აღება.

5. პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოა. პუბლიკაციაში განხილულია გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები: კლიმატის ცვლილება; ბიომრავალფეროვნება; წყლის რესურსებისა დაც ნარჩენების მართვა; კონვენციები, ხელშეკრულებები, რომელის შესრულების ვალდებულება აკისრია საქართველოს, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ჭრილში.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ლადო ჭანტურია, სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართალში, წიგნში „რევაზ გოგშელიძე. 65. საიუბილეო კრებული“, თბ. „მერიდიანი“, 2022 წ. გვ. 311-325.
2. ი. ბურდული, ცვლილებები შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართალში (ზოგადი მიმოხილვა), ჟურნალი „საზოგადოებრივი ადვოკატი“ 3/2022, გვ. 20-26.
3. ნ. თოდუა, ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის, განზრახვისა და ბრალის მიმართების საკითხისათვის. საიუბილეო კრებული; რევაზ გოგშელიძე-65, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022 წ., გვ. 51-66. ISBN 978-9941-34-100-7.
4. თამარ ზარანდია, საზიარო უფლების გაუქმება, სტატია, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №9, 2022, ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი) / ISSN 2667-9817 (ელექტრონული).
5. თამარ ზარანდია, საზიარო საგნის მართვა და განკარგვა, სტატია, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №7, 2022, ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი) / ISSN 2667-9817 (ელექტრონული).
6. თამარ ზარანდია, საზიარო უფლებების სამართლებრივი ბუნება და ზოგადი დახასიათება, სტატია, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №6, 2022, ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი) / ISSN 2667-9817 (ელექტრონული).
7. ირაკლი დვალიძე, „არასათანადო მოპყრობის დასჯადობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით“, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი, ელ. მისამართი: https://www.dgstz.de/ , ISSN 2566-5758, გვერდების რაოდენობა 9 (ჟურნალის საგამომცემლო კოლეგიის მიხედვით შეზღუდულია, რის გამოც სტატია წარმოდგენილია 9 გვერდად).
8. მარინა გარიშვილი, თორნიკე ნემსწვერიძე, საბჭოთა საქართველოს ზღავრგადასული ინტერვენცია ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში და ბრძოლა ევროპაში განსწავლული მეცნიერ იურისტების წინააღმდეგ საბჭოთა საქართველოს ინტერიერში (კრებული) - თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, 2022, ISBN 978-9941-491-95-5.
9. ი. კახიძე, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე“ დამატებითი ოქმის იმპლემენტაციის გამოწვევები საქართველოში, სამართლის ჟურნალი, N2, 2022 (მიღებული გამოსაცემად).
10. ეკა სირაძე, „ღია ზღვის თავისუფლებები“, მიღებულია დასაბეჭდად „საერთაშორისო სამართლის ჟურნალში“.
11. ნათია ჩიტაშვილი, „საოჯახოსამართლებრივი დავის განხილვის თავისებურება მედიაციაში და შესაძლო ეთიკურ-სამართლებრივი დილემები“, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეილი, თსუ გამომცემლობა, 2022, გვ.75, ISSN: 1987-9199; E-ISSN: 2720-7854 (გამოქვეყდნება ჟურნალში 2023 წლის იანვარში).
12. ნათია ჩიტაშვილი, „მხარეთა ავტონომიის, არსობრივი და პროცედურული სამართლიანობის პრინციპი მედიაციაში“, ჟურნალი ,,საზოგადოებრივი ადვოკატი“, იურიდიული დახმარების სამსახური, 2022 #3, გვ. 26-33, http://www.legalaid.ge/ka/p/2206/%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%

93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-
%E1%83%90%E1%83%93%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98.

13. ნათია ჩიტაშვილი, „მხარეთა ავტონომიის და სამართალიანობის პრინციპთა მოქმედების ფარგლები მედიაციის პროცესში“ - მიღებულია დასაბეჭდად ალტე უნივერსიტეტის ჟურნალ ,,წელიწდეულში“, გვ. 20.

14. გიორგი მახარობლიშვილი, ინტერესთა კონფლიქტის კონსტრუქციის ფუნქციონალიზაცია სს-ის კორპორაციული კონტროლის კონტექსტში, სამართლის ჟურნალი, #1, 2022, ISSN 1987-7668, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 37.

15. გიორგი რუსიაშვილი, სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალის“ კონცეფცია, ჟურნალში: სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 1/2022 (ISSN 2720-8575), 3-10, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, სტატია (თანაავტორობით), http://lawjournal.ge/wp-content/uploads/2022/11/MED-1-2022.pdf.

16. გიორგი რუსიაშვილი, პანდემიის პერიოდში საბანკო საკრედიტო ვალდებულების გადავადება – შესრულების შეუძლებლობა და ვადის გადაცილება, ჟურნალში: ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი, 9/2022 (ISSN 2587-5191), 1-17, IRZ, სტატია, http://lawjournal.ge/index.php/124321423425-2/.

17. გიორგი რუსიაშვილი, გრეის-პროცენტი საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებში, ჟურნალში: ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 8/2022 (ISSN 2587-5191), 12-26, IRZ, სტატია, http://lawjournal.ge/index.php/213123123213-2/.

18. გიორგი რუსიაშვილი, კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკო პრაქტიკაში, ჟურნალში: ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 5/2022 (ISSN 2587-5191), 1-21, IRZ, სტატია, http://lawjournal.ge/index.php/213123123213-2/.

19. გიორგი რუსიაშვილი, საბანკო გარანტიის მატერიალური და ფორმალური აბსტრაქტულობა და ბანკის მოთხოვნები დავალების ხელშეკრულების ბათილობისას, ჟურნალში: ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2022 (ISSN 2587-5191), 4-7, IRZ, სტატია,
ქართულად: http://lawjournal.ge/index.php/432423423424-2/, გერმანულად: http://lawjournal.ge/wp-content/uploads/2022/08/DGZR-4-2022-DE.pdf.

20. გიორგი რუსიაშვილი, არასრულწლოვნის წინააღმდეგ აღსრულების გადადება – SC Velleianum 21-ე საუკუნეში, ჟურნალში: ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 3/2022 (ISSN 2587-5191), 1-23, IRZ, სტატია, ქართულად: http://lawjournal.ge/index.php/97986857-2/, გერმანულად: http://lawjournal.ge/wp-content/uploads/2022/07/DGZR-3-2022-DE.pdf.

21. გიორგი რუსიაშვილი, ექიმის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი სისტემატიკა და ექიმის ბრალის მნიშვნელობა, ჟურნალში: ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2022(ISSN 2587-5191), 1-14, IRZ, სტატია (თანაავტორობით), ქართულად: http://lawjournal.ge/index.php/12313123-2/, გერმანულად: http://lawjournal.ge/wp-content/uploads/2022/05/DGZR-1-2022-DE.pdf.

22. ი. აქუბარდია, კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, წიგნში: "რევაზ გოგშელიძე-65, საიუბილეო კრებული", გამომცემლობა "მერიდიანი", თბ., 2022.
23. გიორგი თუმანიშვილი; საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე და ბრალდებულის პროცესუალური გარანტიები; საკონსტიტუციო სასამართლოს ჟურნალი, 2022 წლის მე-2 გამოცემა; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; ბათუმი; 21 გვერდი (სტატია გადაცემულია გამოსაქვეყნებლად და იგი გამოქვეყნდება 2022 წლის მე-2 გამოცემაში).
24. ლევან ხარანაული, ,,უმოქმედობის დელიქტების ურთიერთგამიჯვნის შესახებ", გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი, ელ. მისამართი: https://www.dgstz.de/ , ISSN 2566-5758, (სტატია შესრულებულია 2022 წელს და გადაცემულია დასაბეჭდად. ნაშრომის მოცულობა შეადგენს 11 გვერდს. ჟურნალისთვის დადგენილი სტანდარტების მიხედვით, შეზღუდულია სტატიის გვერდების რაოდენობა).
25. ლავრენტი მაღლაკელიძე, მისაკუთრების მიზნის დადგენის პრობლემა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი) ISSN 25566-5758, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მე-2 გამოცემა, 2022, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) იურიდიული ფაკულტეტი, მე-2 კორპუსი, 008 ოთახი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 3, 0179, ელექტრონული ჟურნალი, ექვსი გვერდი.
26. ლავრენტი მაღლაკელიძე, კანონის უკუძალის აკრძალვის პრობლემა მატერიალურ სისხლის სამართალში (სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი) ISSN-2587-5337, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი N1/2022, კ. გამსახურდიას ქუჩა 8/10, მ. აბაშიძის ქუჩა 16/18 ბათუმი, 6010, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ოცდასამი გვერდი.
27. ს. ონიანი, მორავის წინაშე არსებული თანამედროვე გამოწვევები და პრობლემები, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2022, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, *ბურდული ი. (რედ.)*, 2022, გვ. 1-18 (17 გვ).
28. ელზა ჩაჩანიძე „ადამიანის ღირსების დაცვა მოქმედებით ჩადენილი შეურაცხყოფისას ძველ ქართულ სამართალში". სამართლის ჟურნალი. 2022. №2, P-ISSN1987-7668 E-ISSN2720-782. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 22 გვერდი.
29. მარიამ ხოფერია, მორის დიუვერჟე, რესპუბლიკური მონარქიები (თარგმანი ფრანგული ენიდან), გიორგი კვერენჩხილაძე 50, საიუბილეო კრებული, სულხან-საბა ორბელიანის გამომცემლობა, გვ. 217-235.
30. მარიამ ხოფერია, გრიგოლ VII და "პაპის დიქტატი", სამართლის მეთოდები, N6, თბილისი, საქართველო სულხან-საბა ორბელიანის გამომცემლობა, გვ. 16-20.
31. მარიამ ხოფერია, საფრანგეთი და წმინდა საყდრის კონკორდატი, საქართველო და წმინდა საყდარი, თბილისი, საქართველო სულხან-საბა ორბელიანის გამომცემლობა, გვ. 133-139.
32. ირმა ხარშილაძე, თამარ ღვამიჩავა, „სამოსამართლო სამართლის განვითარების პერსპექტივა საქართველოში, საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის

ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით“. გვ. 24-33, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 12/2022 Deutsch-Georgische ZEITSCHRIFT FÜR RECHTSVERGLEICHUNG ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი) ISSN 2667-9817 (ელექტრონული) © ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2022 © საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2022 © ავტორები, 2022 www.lawjournal.ge.
33. ირმა ხარშილაძე, იზა კასრაძე, საჯარო მოხელეთა სამართლებრივი დაცვის გარანტიები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 12/2022 Deutsch-Georgische ZEITSCHRIFT FÜR RECHTSVERGLEICHUNG ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი) ISSN 2667-9817 (ელექტრონული), გვ. 10-23.
34. თამარ ღვამიჩავა, „პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებები“. გვ. 34-43, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 12/2022 Deutsch-Georgische ZEITSCHRIFT FÜR RECHTSVERGLEICHUNG ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი) ISSN 2667-9817 (ელექტრონული) © ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2022 © საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2022 © ავტორები, 2022 www.lawjournal.ge.
35. ჯორბენაძე სერგი არაკეთილსინდისიერი კონკურენცია ინტერნეტში და მისი სამართლებრივი შედეგები, „იუსტიცია“ N1, თებერვალი, 2022, თბილისი, გვ. 148-160 / Jorbenadze Sergi, Unfair Competition in Internet and its Legal Consequences, / Iustitia, N1, February 2022, Tbilisi, P.161-169 - ISBN 978-9941-486-57-9 - ქართულ-ინგლისურ ენაზე.
36. ჯორბენაძე სერგი, გადახდისუუნარობასთან დაკავში-რებული დანაშაულები საქართველოში, რევაზ გოგშელიძე 65, საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2022, გვ. 424-438 - ISBN 978-9941-34-100-7 - ქართულ ენაზე.
37. ნინო გოგნიაშვილი - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას - სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი. №7 – 2022წ. გამომცემლობა ,,მერიდიანი'' - გვერდები 14. მზადდება გამოსაცემად. ISSN:2587-4810, E-ISSN: 2720-8389.
38. თემურ ცქიტიშვილი, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დასჯადობის ზოგიერთი საკითხი, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2022, მე-3 გამოცემა, გვ. 97-110.
39. თემურ ცქიტიშვილი, რეცენზია: გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა (რედ.)., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბილისი 2019; წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბილისი 2020, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2022, №7, გვ. 58-70.
40. თემურ ცქიტიშვილი, რეცენზია: გურამ ნაჭყებია, ნონა თოდუა (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2022, №9, გვ. 49-106.
41. თემურ ცქიტიშვილი, დიდი ოდენობით თაღლითობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც სამოსამართლო სამართალშემოქმედების აქტი?, ქვეყნდება შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანულ ჟურნალში, 2022 წლის მე-11 ნომერში.

42. თემურ ცქიტიშვილი, ერთიანი მართლწესრიგის პრინციპი და ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხი, კრებულში: რევაზ გოგშელიძე 65, საიუბილეო კრებული, თბ., 2022, გვ. 109-140.
43. თემურ ცქიტიშვილი, ცხოველის სისხლისსამართლებრივი დაცვა, ჟურნალი კერძო სამართლის მიმოხილვა, 2021-2022, №3-4, გვ. 165-182.
44. თემურ ცქიტიშვილი, მინდია უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 74 (რეცენზია), თსუ „სამართლის ჟურნალი“, 2022, №1, გვ. 241-279.
45. გიორგი დგებუაძე, „მაღალი თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული სახელმწიფო აპარატის გამოყენებით ჩადენი დანაშაულებისათვის“, საერთაშორისო სამეცნიერო კრებული: „გენოციდის დანაშაულისა და ადამიანის უფლებათა დაცვის აქტუალური პრობლემები“, თბილისი, „საარი“,21 გვერდი ქართულ ენაზე, 18 გვერდი ინგლისურ ენაზე.
46. გიორგი დგებუაძე, სამართლიანი მარკირების პრინციპი საერთაშორისო სისხლის სამართალში - დანაშაულში ,,მეტად პასუხისმგებელი” პირის გამოსავლენად, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მეოთხე გამოცემა, გადაცემული გამოსაქვეყნებლად, 10 გვერდი.
47. ხუჯაძე ჟ., ჰანს კელზენის ძირითადი ნორმა : ტრანზიცია ტრანსცენდენტალურ-ლოგიკური პირობიდან ფიქციამდე, სამართლის ჟურნალი N2,2022, ISSN : 1987-7668, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 5-19.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. სტატიაში განხილულია ორი საკითხი, საიდანაც პირველი ეხება დანაშაულის პირველი ნიშნის (ქმედების შემადგენლობა) და მისი მეორე ნიშნის (მართლწინააღმდეგობა) ურთიერთმიმართების საკითხს.

დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ **ქმედების შემადგენლობა ცალკე აღებული** არც მართზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო. ანუ იგი თავის თავში არ მოიცავს მართლწინააღმდეგობას. იგი მართლწინააღმდეგობასაც რომ მოიცავდეს, მაშინ დანაშაულის სამი ნიშნიდან დარჩებოდა მხოლოდ ორი: ქმედების შემადგენლობა (რაც შთანთქავდა მართლწინააღმდეგობასაც) და ბრალი.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაირკვევა, ხომ არაა ჩადენილი ეს ქმედება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ რომელიმე გარემოებაში, იგი შეფასდება ან როგორც მართლზომიერი ქმედება, ან როგორც მართლსაწინააღმდეგო. თუმცა ამ დროიდან მას უკვე არ ეწოდება ქმედების შემადგენლობა, არამედ დაერქმევა შესაბამისი სამართლებრივი სახელი - მართლზომიერი ქმედება, ან მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

რაც შეეხება განზრახვისა და ბრალის მიმართების საკითხს, იურიდიულ ლიტერატურაში არსებულ თეორიებისა და გამოთქმული მოსაზრებების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასაბუთებული დასკვნა, რომ ბრალი არაა წმინდა შეფასებითი კატეგორია (როგორც ამას ამტკიცებენ ფინალისტური მოძღვრების წარმომადგენლები), არამედ იგი პირის უპასუხისმგებლო დამოკიდებულიებაა ნორმატიულად დადგენილი ვალდებლებისადმი, რაც განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით ვლინდება. ბრალი რომ წმინდა შეფასებითი კატეგორია იყოს, მაშინ გამოვა, რომ იგი არ ყოფილი დანაშაულის მესამე და

განუყოფელი ნიშანი, იგი თურმე გარედან (მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ) შეიტანება და უერთდება ჩადენილ უმართლობას. ანუ გამოვა, რომ დანაშაულს ჰყავს ორი ავტორი: 1. უმართლობის ჩამდენი და 2. მოსამართლე, რაც არასწორია.

შესაბამისად, განზრახვა არაა ბრალის ნიშანი, არამედ იგი ბრალის (ანუ პირის უპასუხისმგებლობის) გამოვლინების ფორმაა (ასევეა გაუფრთხილებლობაც). ამდენად, მცდარია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბრალის ფორმა მოსამართლის ინდივიდუალური გაკიცხვაა პირისა, ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო. მართლსაწინააღმდეგო ქმდებას სულით ავადმყოფი და მცირეწლოვანიც სჩადის, მაგრამ იგი არ ექვემდებარება გაკიცხვას. პირის გაკიხცვა ბრალის შედეგია და არა თავად ბრალი, ბრალი როდია მხოლოდ ფორმა, არამედ პირველ რიგში, მას საკუთარი შირაარსი აქვს, რაც შესაბამისად მოითხოვს ამ შინაარსის გამოვლინების ფორმას განზრახვისა ან გაუფრთხილებლობის სახით.

7. საერთაშორისოსამართლებრივ აქტებში წამებასთან ერთად გამოყენებულია ტერმინები: ცუდი მოპყრობა, დამამცირებელი მოპყრობა, არასათანადო მოპყრობა. **საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დამოუკიდებელი დანაშაულების სახით არის მოცემული წამება (სსკ-ის** 144[1] მუხლი), **წამების მუქარა (სსკ-ის** 144[2] მუხლი) **და** დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა **(სსკ-ის** 144[3] მუხლი).

ვინაიდან არასათანადო მოპყრობა შეიძლება წამებაშიც, წამების მუქარაშიც და დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობაშიც გამოიხატოს, ამიტომ საკმაოდ მნიშვნელოვანია ზუსტი ნიშნულების გამოძებნა, რათა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან *„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“* მე-3 მუხლში მოაზრებული ქმედებები.

სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანი არის უმაღლესი ღირებულება, რომელიც არ არსებობს ღირსების გარეშე. ღირსების ხელშეუვალობიდან გამომდინარეობს ის, რომ არასათანადო მოპყრობის აბსოლუტური ხასიათის აკრძალვა საქართველოში კონსტიტუციური რანგისაა (საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი).

დღევანდელი მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში არასათანადო მოპყრობას (იგულისხმება წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიაური მოპყრობა) Jus Cogens სტატუსი გააჩნია ანუ არასათანადო მოპყრობა აბსოლუტური ხასიათის აკრძალვაა. საქართველოს მიერ რატიფიცირებულია ყველა ის საერთაშორისო აქტი, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი არასათანადო მოპყრობის აკრძალვის წინააღმდეგ მიმართული სპეციალური საერთაშორისოსამართლებრივი აქტია, ხოლო ნაწილი ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებების დაცვასთან ერთად ითვალისწინების არასათაადო მოპყრობის აკრძალვას.

„წამებისა და წამების მუქარის აკრძალვის აბსოლუტურობიდან არავითარი გამონაკლისი არ უნდა იქნეს დაშვებული და იგი, როგორც ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობის გარანტია, არავითარ რელატივიზაციას არ უნდა დაექვემდებაროს.“

მ. ტურავა ავითარებს შეხედულებას, რომ ასეთი შეზღუდვა ეხებათ საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლებს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს და არ მოქმედებს კერძო ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც

სიცოცხლის გადარჩენის დროს ადამიანის ღირსებას ხელყოფენ. მათი მოქმედება ბრალის ეტაპზე შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება.

2005 წლის 23 ივნისის კანონით სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 144^1-ე (წამება), 144^2 (წამების მუქარა) და 144^3 (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლები. აღნიშნულ მუხლებში დეტალურად განისაზღვრა არასათანადო მოპყრობის ცალკეული გამოვლინების ფორმების, კერძოდ, წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები და შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებანი. ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებები და დამატებები სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო მოპყრობის აკრძალვის პოზიტიურ-სამართლებრივი ვალდებულების ეროვნულ დონეზე განხორციელების გამოხატულებაა.

2016 წლის 1 დეკემბერს საქართველოს სისხლის სამარლის კოდექსის 71-ე მუხლს დაემატა მე-5^1 ნაწილი, რომლითაც აიკრძალა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სსკ-ის 144^1–144^3 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ არასათანადო მოპყრობის ელემენტების მატარებელი ქმედებები პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ნიშნების შემცველია, სპეციალური ნორმების შექმნას უარესად დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის პოლიტიკის კუთხით. კერძოდ, სპეციალური ნორმა ნორმის აბსტრაქტულობის ხარისხს ამცირებს, რადგან სპეციალური ნორმის შექმნისას კანონმდებელი დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშანს ან ნიშნებს აკონკრეტებს. შესაბამისად, ნორმის ინტერპრეტაცია გაადვილებულია და დანაშაულის მსგავს შემადგენლობათა შორის მიჯნის გავლებაც უფრო მოხერხებულია; 2) არასათანადო მოპყრობის გამოვლინების ცალკეული ფორმებისთვის სპეციალური ნორმების შემოღებით საკანონმდებლო დონეზე დიფირენცირებულია პასუხისმგებლობა; 3) საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხითაც გამართლებულია წამების, წამების მუქარისა, დამამცირებელი ან არაადამიაური მოპყრობისთვის სპეციალური მუხლების მიძღვნა, რადგან დამნაშავის გადაცემის ან ექსტრადირებისას უფრო მოხერხებულია შესაბამისი ნორმის მოძიება, როდესაც სახელმწიფოებს კონვეციების შესაბამისი ნორმები გააჩნიათ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში; 4) ძალადობითი დანაშაულებიდან არასათანადო მოპყრობის ცალკეული შემთხვევებისთვის დამოუკიდებელი სტატისტიკის წარმოება, უფრო ეფექტურს ხდის წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიაური მოპყრობის პრევენციისთვის შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად.

არასათანადო მოპყრობა შეიძლება დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობაშიც გამოვლინდეს. მართებულია მოსაზრება, რომ სსკ-ის 144^3 მუხლში (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მოცემულ დისპოზიციაში ერთმანეთისგან ცალსახად არ არის გამიჯნული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ არასათანადო მოპყრობის აღნიშნული ორის სახე, მით უფრო, რომ დანაშაულის დასათაურება ალტერნატიული ხასიათისაა და ამას ისიც იმატება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არასათანადო მოპყრობის ამ ორ ნარისახებას ერთ-ერთ ცნობილ საქმეზე ***ფრეთი*** გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ყველაზე მკადიოდ განმარტავს.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ჰარმონიზებულია არასათანადო მოპყრობის აკრძალვის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისოსამართლებრივი ნომებთან. სისხლის სამართლის კოდექსში არასათანადო მოპყრობის გამოვლინების ცალკეული ფორმებისთვის სპეციალური დანაშაულის შემადგენლობების შექმნას უარესად დიდი მნიშვნელობა როგორც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და საერთაშორისო ვადებულების შესრულების (მაგალითად, ექსტრადირებისას და სხვ.), ისე კრიმინოლოგიური კუთხით (დეტალური სტატისტიკის წარმოება, წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების პრევენცია და ა.შ.).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან ნათლად ჩანს, რომ ქმედების წამებად ან არასათანადო მოპყრობის ნიშნების შემცველ სხვა დანაშაულად კვალიფიკაციის მყარი კრიტერიუმები არ არსებობს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულია საორიენტაციო კრიტერიუმები, რომელიც კუმულაციურად უნდა იქნეს განხილული. აღნიშნულ კრიტერიუმებს შორის უმნიშვნელოვანესია სიტყვა „**კონტექსტის**“ გააზრება, რომელსაც კონკრეტული სოციუმის კულტურისა და ცივილიზებული სამყაროს ჯანსაღი ცხოვრების წესები უნდა დაედოს საფუძვლად.

8. გასული საუკუნის 30-ან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქართველი მეცნიერ-იურისტების წინააღმდეგ განხორციელებული ტერორის შესახებ. გადაეცა Google Scholar-ში ასატვირთად.

9. დემოკრატია არა მხოლოდ არჩეული წარმომადგენლების არსებობას გულისხმობს, არამედ აქტიური და პოლიტიკაში ჩართული მოქალაქეების არსებობასაც. ხალხის მონაწილეობა ხელისუფლების განხორციელებაში არის დემოკრატიის ძირითადი არსი, საფუძველი და მიზანი. წარმოდგენილი სტატია აანალიზებს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარემოს და პრაქტიკას. სტატიაში საუბარია აღნიშნულ სფეროში საქართველოში არსებულ გამოწვევებზე, მათ მიზეზებზე და გადაწყვეტის გზებზე.

10. ღია ზღვის ექვსი თავისუფლება განხილულია როგორც გაეროს 1982 წლის კონვენციის ისე სახელმწიფოთა პრაქტიკის კონტექსტში მსოფლიოში და განსაკუთრებით შავი ზღვის აუზში მიმდინარე მოვლენების ფონზე. ღია ზღვის თავისულფლებების პარალელურად განხილულია შესაბამისი გამონაკლისები და განსაკუთრებული აქცენტები გაკეთებულია ნაოსნობის თავისუფლებიდან გამონაკლისებზე, კერძოდ: მეკობრეობა, მონებით ვაჭრობა, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა, არალეგალური რადიო გადაცემების წარმოება, საზღვაო გარემოს დაცვა და ცხელ კვალზე დევნა. გაანალიზებულია საყოველთაოდ ცნობილ მეცნიერთა შეფასებები და საერთაშორისო საზღვაო ტრიბუნალის გადაწყვეტილებები.

11. სტატია ეთმობა საოჯახოსამართლებრივი დავის მედიაციის სამართლებრივი ბუნების, არსობრივი თავისებურებებისა და თვისობრივი ეთიკური დილემების ანალიზს, საოჯახოსამართლებრივი დავის პროცესში მედიატორის ქცევის სპეციალური ეთიკური სტანდარტებისა და საკანონმდებლო გარანტიების დადგენის მნიშვნელობის მეცნიერულ-პრაქტიკულ გააზრებას. ნაშრომი ითვალისწინებს ეთიკურ დილემებთან გამკლავების პრაქტიკულ რეკომენდაციებს მედიატორთა ეთიკური ვალდებულებების თანაზომიერი განხორციელებისა და მედიაციის

პროცესის ეთიკური მთლიანობის დაცვისთვის, რაც საბოლოოდ ემსახურება პროცესში მონაწილე პირთა, მათ შორის, არასწრულწლოვნის ლეგიტიმურ ინტერესთა ჯეროვანი რეალიზების მიზანს, მათი ავტონომიურობის, თვითგამორკვევისა და ინფორმირებული თანხმობის პრინციპთა გავლით.

კვლევაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მედიაციის პროცესში მედიატორის დარგობრივი კომპეტენციის მნიშვნელობის, პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობის, კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევის, სამედიაციო მორიგების შინაარსობრივ-სოციალური სამართლიანობისა და დავის შედეგის მიმართ მედიატორის ნეიტრალობის პრინციპის შეზღუდვის საკითხებს.

12. მედიაციის პრინციპები უმნიშვნელოვანესია მედიაციის პროცესის არსობრივი მიზნის გააზრებისთვის და აღნიშნული პრინციპები ასევე პირდაპირ განაპირობებს მედიატორის ეთიკურ და კანონისმიერ ვალდებულებათა შინაარსს. მედიაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამ ფუნდამენტურ ღირებულებას: პროცედურული და არსობრივი სამართლიანობა, მხარეთა ავტონომია. წინამდებარე წერილი სწორედ ამ პრინციპთა მოქმედების ანალიზს ეთმობა მედიაციის პროცესში.

13. დავის გადაწყვეტის სახელმწიფოებრივი სისტემის დემოკრატიულობის ხარისხი იზომება ამა თუ იმ სამართლებრივ პროცესში მხარეთა ფართო ჩართულობის ხარისხით, შინაარსობრივი და პროცესუალური კონტროლის შესაძლებლობების გაძლიერებით. დავის გადაწყვეტის პროცესებში მხარეთა ავტონომიის ზრდით დასრულდა *,,მოსამართლეთა მენეჯერობის“ ერა და დაიწყო დავის ,,მხარეთა მენეჯერობის“ ეტაპი.* მედიაციის პროცესში მხარე აღჭურვილია როგორც დავის შინაარსობრივი, ისე პროცესუალური კონტროლის უფლებამოსილებით. მხარეები დავის გადაწყვეტის პროცესს მიიჩნევენ სამართლიანად, იმ შემთხვევაში, თუ პროცესუალური კონტროლის შესაძლებლობა ენიჭება მათ, როგორც სუბიექტებს, ვის ინტერესებზეც შედეგობრივად აისახება სამედიაციო მორიგება. პროცესუალური კონტროლის შესაძლებლობა განაპირობებს მხარეთა მიერ პროცესში ნებაყოფლობითი მონაწილეობის მამოტივირებელ ფაქტორს. აღნიშნული წარმოადგენს მედიაციაში მხარის ავტონომიისა და თვითგამორკვევის უფლების კრიტიკულ ასპექტს. ,,მედიაციაში მხარეებს სრული ავტონომია აქვთ, რამდენადაც ისინი აკონტროლებენ პროცესის წესებსა და შედეგებს. ის ემყარება მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპს და ამ პროცესს ახასიათებენ, როგორც მართლმსაჯულებას ადამიანის სახით.“

მართალია, მედიატორი გამოკვეთს მხარეთა საერთო ინტერესებს და დავის გადაწყვეტის შესაძლო პერსპექტივას, თუმცა გადაწყვეტილების მიღების სრული უფლებამოსილება მხოლოდ მხარეთა პრივილეგიად რჩება. სამედიაციო მორიგება დაუშვებელია იყოს მედიატორის მიერ ნაკარნახევი, შეთავაზებული და ბუნებრივია, მიღებულიც. მედიატორის მიერ მორიგების აქტის ხელმოწერა ადასტურებს მედიაციის პროცესში შეთანხმების მიღწევის ფაქტს და არ არის მორიგების მხარედ მედიატორის აღიარების გამომხატველი. მედიატორს აქვს ლეგიტიმაცია მხოლოდ პროცესუალურ გადაწყვეტილებებზე, თუმცა აღნიშნულიც მხარეთა მიმღებლობის/თანხმობის პირობებში არსებითად უნდა იყოს მოტივირებული მათივე ინტერესებით და გამართლებული პროცესის ლეგიტიმურ-ეთიკური მიზნებით.

14. სტატიაში გაანალიზებულია საკორპორაციო სამართლის ბირთვის, კორპორაციული მართვის მთავარი დილემის ძირითადი ვექტორი, რომელიც

ინტერესთა და ვალდებულებათა კონფლიქტს მიემართება. საკორპორაციო სამართლის კონკრეტული მიზანი ორგანიზაციულად მოწყობილ სამეწარმეო საზოგადოებაში მონაწილე ან მასთან დაკავშირებულ პირთა შორის არსებულ ინტერესთა კონფლიქტის კონტროლირებადი სამართლებრივი არეალის შექმნაა. შეუთავსებელ ინტერესთა მქონე სუბიექტთა შორის დისბალანსის პრევენცია კორპორაციული მართვის სისტემური ნაწილია და მას „მფლობელ-მესაკუთრის“ პრობლემა ეწოდება.

საკუთრების და კონტროლის გამიჯვნა უფლებებს, მოვალეობებსა და ინტერესს შორის კოლიზიას წარმოშობს. ინტერესთა შორის კონფლიქტი არის რეალიზებადი პოტენციური საფრთხე, რომელიც გარიგებაში მონაწილე ერთი მხარისთვის, გარიგების მეორე მხარის ხარჯზე, არამართლზომიერი, პირადი მოტივით განპირობებული უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობას გულისხმობს. კორპორაციულსამართლებრივად, პოტენციური საფრთხე საინვესტიციო თუ ინვესტირებული კაპიტალის რისკად „ითარგმნება“, რისკში კი „რაღაცის დაკარგვის ალბათობა, გამოხატული პროცენტულ მაჩვენებელში“ მოიაზრება. არამართლზომიერი უპირატესობის ეკონომიკური შედეგია მატერიალური, ფინანსური ან სხვა სარგებლის მიღება.

ინტერესთა კონფლიქტის კონსტრუქცია ნორმატიულად მოწესრიგებადი ხასიათის პირობებში კორპორაციულსამართლებრივი დაცვის სტრატეგიად გარდაიქმნება. მისი შინაარსის კორპორაციულ სტრატეგიად გამოყენება სს-ის მიზნობრივად გამართული ფუნქციონირების გარანტია, ხოლო დავის წარმოშობის შემთხვევაში, სასამართლოსთვის მართლმსაჯულებითი ანალიზის ორიენტირის სწორად განსაზღვრის შესაძლებლობას წარმოსახავს. შედეგად, ინტერესთა კონფლიქტის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებადი კონსტრუქცია სს-ის ინტერესთა კონფლიქტის კონტროლირებად ბუფერს ქმნის.

15. სამედიცინო სამართალი და სამედიცინო მენეჯმენტი გადაჯაჭვული დარგებია – სამედიცინო მენეჯმენტში მოქმედი სტანდარტი მეტწილად განაპირობებს იმას, თუ რისთვის აგებს პასუხს ექიმი თუ კლინიკა, თუმცა, ამავდროულად, თავად სამართლის ზოგადი პრინციპებიც აყალიბებენ იმ ჩარჩოს, რომელიც შემდეგ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე წესებითა და ინსტრუქციებით კონკრეტდება. ეს ინტერდარგობრივი სფეროები შეიძლება განვითარდეს მხოლოდ ორივე პროფესიის წარმომადგენლების ერთობლივი ძალისხმევით. „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი“ მიზნად ისახავს ქვემოთ აღწერილი სამეცნიერო, თუმცა, ასევე, საგანმანათლებლო და, ზოგადად, დარგობრივი პოპულარიზაციისაკენ მიმართული აქტივობების მეშვეობით ამ დისბალანსის აღმოფხვრას და სხვადასხვა სოციალურ და პროფესიულ ჯგუფს შორის დიალოგისა და კოოპერაციისათვის საფუძვლის ჩაყრას. პირველ რიგში, ეს გულისხმობს სამედიცინო სამართალისა და მენეჯმენტის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიების შექმნას, კონკრეტულ აქტუალურ სამედიცინოსამართლებრივი ქეისების დამუშავებას, სამედიცინო დაწესებულებებისა და მედპერსონალისათვის უმაღლესი ხარისხის იურიდიული მომსახურების კონცეფციის შემუშავებას და ამ მიზნისადმი მიძღვნილ აკადემიურ სტატიათა ციკლის შექმნას. მოცემულ თემატიკას ნაშრომებს უძღვნიან სამედიცინო და იურიდიული სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ამ სფეროს

ტოპ-მენეჯერები, პრაქტიკოსი ექიმები და იურისტები. სამეცნიერო აქტივობის ერთ-ერთი მიმართულება იქნება, სხვადასხვა სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოსთან ურთიერთობის სტრატეგიისა და კონკრეტული მოდელების შემუშავება, კონკრეტული დოკუმენტების ფორმების შემუშავების ჩათვლით. ზემოთ აღნიშნული დარგების პოპულარიზაცია და სამეცნიერო ლობიზმი: ტელე და სოცმედიის მეშვეობით სხვადასხვა პოპულარული ფორუმის შექმნა, სადაც მედპერსონალი, პაციენტები და იურისტები ისაუბრებენ საკუთარ პრობლემებზე; სამეცნიერო ფორუმების ორგანიზება, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ჯგუფებს დააკავშირებს სასამართლო სექტორთან.

16. მოცემული ტექსტი შეეხება პანდემიის პერიოდში საბანკო საკრედიტო ვალდებულების გადავადებას ბანკსა და მსესხებელს შორის შეთანხმებით პანდემიის პერიოდში.

17. მოცემული სტატია შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ უახლეს გადაწყვეტილებას, რომლის მთავარ პრობლემასაც საბანკო კრედიტის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში ე. წ. „გრეის-პროცენტის“ გადახდევინება წარმოადგენდა.

18. მოცემული სტატია ეხება როგორც ქართულ, ისე უცხოურ საბანკო პრაქტიკაში გავრცელებულ კრედიტის დაზღვევას, რომლის მეშვეობითაც ბანკი აზღვევს საკუთარი მოვალის გადახდისუუნარობის რისკს, და იმ საკითხს, თუ როგორ აისახება ეს დაზღვევა ბანკსა და მის კლიენტს შორის შიდა ურთიერთობაზე, კერძოდ, შეიძლება თუ არა დაეკისროს ბანკს ვალდებულება, ჯერ სადაზღვეო კომპანიისაგან სცადოს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება და მხოლოდ ამის შემდეგ წაუყენოს მოთხოვნა მსესხებელს/მის მემკვიდრეს. საერთაშორისო, კერძოდ, გერმანული პრაქტიკა ამ შეკითხვას ცალსახად უარყოფით პასუხს სცემს – ბანკი არ არის ვალდებული, წინმსწრებად ჯერ სადაზღვეო კომპანიას უჩივლოს და ერთხმად უარყოფილია, რომ თითქოს იგი მხოლოდ ამ დავის უშედეგოდ დასრულების შემდეგ მოიპოვებს უფლებას, მოითხოვოს მსესხებლისაგან დაკმაყოფილება. ეს იქნებოდა კრედიტის დაზღვევის, რომლის ტექნიკურ დასახელებაც არის „მონარჩენი ვალის დაზღვევა“, და რომელიც მხოლოდ ბანკის ინტერესის დაზღვევას წარმოადგენს, სრული აბერაცია და არასწორი განმარტება.

19. საბანკო გარანტიის დროს ბანკი უზრუნველყოფს მესამე პირის (პრინციპალის) მიერ ბენეფიციარის წინაშე შესრულების განხორციელებას. ამ სამ პირს შორის ურთიერთობას საფუძვლად უდევს სამი ხელშეკრულება: პირველ რიგში, პრინციპალი კისრულობს ბენეფიციარის მიმართ ვალდებულებას, რომ მის ვალდებულებას ბანკი უზრუნველყოფს გარანტიის მეშვეობით. ამ ურთიერთობას ეწოდება „სავალუტო ურთიერთობა“ (Valutaverhältnis). პრინციპალი აძლევს ბანკს დავალებას, გასცეს გარანტია ბენეფიციარზე (დაფარვის ურთიერთობა, Deckungsverhältnis), რის გამოც ის ასევე გარანტიის დავალების მიმცემად მოიხსენიება. და ბოლოს, ბანკი დებს ბენეფიციართან საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას. მაშინ, როდესაც შესრულება, რომლის გარანტირებასაც კისრულობს ბანკი ბენეფიციარის წინაშე, განსხვავებული სახის შეიძლება იყოს (ფულის გადახდა, საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა), ბანკმა ბენეფიციარის ეკონომიკური ინტერესი, ჩვეულებრივ, ფულით უნდა დაფაროს.

20. მოცემული ტექსტი წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი ბოლოდროინდელი განჩინების (2021 წლის 18 მაისის განჩინება №2ბ/4754-18)

კრიტიკულ ანალიზს. აღსრულების დროებითი შეჩერების/გადადების ინსტრუმენტს (რომლის დროითი ჩარჩოებიც სასამართლომ აქ დაარღვია იმგვარად, რომ საერთოდ აზრი დააკარგვინა აღსრულებას) მეტ-ნაკლებად, ამა თუ იმ ფორმით, ყველა განვითარებული მართლწესრიგი იცნობს და ის წარმოადგენს აბსოლუტურ საგამონაკლისო გამოყენების მქონე ინსტრუმენტს, ad hoc-გადაწყვეტას იმ შემთხვევებისათვის, რომელსაც კანონმდებელი აბსტრაქტულად ვერ გათვლის და ვერ გაუკეთებს პრევენციას. აქ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააყრდნო ორ გარემოებას: აღსრულების მოვალის არასრულწლოვანებასა და იმას, რომ ნივთი, რომელზეც უნდა ყოფილიყო მიქცეული აღსრულება, იყო ერთადერთი ქონება მის საკუთრებაში. აქედან არცერთი არ არის უშუალოდ აღსრულების წინ შექმნილი ექსტრაორდინალური გარემოება, არამედ ერთიც და მეორეც არსებობდა მატერიალურ-სამართლებრივი გარიგებების დადების მომენტში და თუ კანონმდებელს ამ სიტუაციაში მოთხოვნის აღუსრულებლობა სურდა, თავისუფლად შეეძლო გაეწერა ის მატერიალური სამართლის დანაწესებში. რადგან მან ეს საჭიროდ არ ჩათვალა, დაუშვებელია იმავე შედეგის გამოწვევა „აღსრულებისაგან დაცვის“ სპეციფიკური ინსტრუმენტის მეშვეობით, რომელიც სულ სხვა მიზნით არის შექმნილი.

21. საქართველოში სამედიცინო სამართალს, რომელიც ყველა განვითარებულ მართლწესრიგში სამართლის დამოუკიდებელ დარგს წამოადგენს, ჯერ კიდევ არ შეუძენია დასრულებული კონტურები და მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია. ეს პროცესი რეალურად ძალიან ნელა მიმდინარეობს. სამართლის ჩამოუყალიბებელ დოგმატიკას ახასიათებს დაუშვებელი უკიდურესობები და მერყევი პერსპექტივა. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დღემდე არაცალსახაა, ტრიალდება თუ არა ექიმის პასუხისგებისას ბრალის მტკიცების ტვირთი ექიმის საწინააღმდეგოდ. კერძოდ, ის, რომ ექიმი ბრალეულად მოქმედებდა, უნდა ამტკიცოს პაციენტმა თუ ეს ბრალი ივარაუდება და ექიმმა უნდა იმართლოს თავი, ანუ უნდა დაამტკიცოს, რომ პაციენტის დაზიანება მისი ბრალის გარეშე მოხდა. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მოიპოვება გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ საკითხს როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით წყვეტს (მიუხედავად 1007 2 მუხლისა). ის, რომ სამედიცინო პრაქტიკას ყველა პრობლემური შემთხვევის შესაბამის სამედიცინო კატეგორიებში მოქცევა შეუძლია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ სამართალიც ამ კატეგორიებს გაიზიარებს, რადგან სამედიცინო კატეგორიები ჯერ უნდა „ითარგმნოს“ სამართლის ენაზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მათი გამოყენება სამართალშემფარდებელს. მაგალითად, სამედიცინო მანუალების მიხედვით უშეცდომოდ გაკეთებულმა ოპერაციამაც შეიძლება გამოიწვიოს ექიმის/კლინიკის პასუხისმგებლობა, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ ექიმი ან კლინიკა მოცემულ შემთხვევაში ბრალის გარეშე აგებს პასუხს; იმის დადგენის გარეშე, წარმოადგენს თუ არა ტრანსპლანტი სამოქალაქო სამართლის გაგებით ნივთს ან სისხლის ბანკში შენახული სისხლი - პროდუქტს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლი მიხედვით, შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა მასშტაბით დგინდება მისი ნაკლოვანება და ა. შ. სამედიცინო კატეგორიების ამგვარი „თარგმნა“ სამართლის ენაზე საქართველოში ჯერ არ მომხდარა. ეს გაურკვევლობა კი აზიანებს მოცემული ურთიერთობის მონაწილე ყველა მხარეს და კრავს მანკიერ წრეს: ერთი მხრივ,

კლინიკები და ექიმები თავდაცვის მიზნით სხვადასხვა გზით (მათ შორის სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების პირობებით) მაქსიმალურად ცდილობენ გამორიცხონ პასუხისმგელობა, რასაც შემდეგში სასამართლო აბათილებს, როგორც დაუშვებელ სტანდარტულ პირობას და რაც, ამგვარად, ამაო ცდას წარმოადგენს; მეორე მხრივ, პაციენტებმა რეალურად არ იციან, როდის შეუძლიათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექიმისაგან თუ კლინიკისაგან, რაც წარმოშობს დაუსაბუთებელი სარჩელების დაუსრულებელ რიცხვს და აკარგვინებს ორივე მხარეს დროით და ფინანსურ რესურსს.

22. ნაშრომი უკავშირდება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლის სისტემის ეფექტურობისა და საკმარისობის პრობლემებს, არსებული რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას კერძო პირთა პირადი ავტონომიის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვისა და გამოძიების ინტერესებს შორის თანაფარდობის საკითხებთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების მეშვეობით ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვება ემსახურება მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების მიღწევას. შესაბამისად, აღნიშნული მოქმედებების როლი განსაკუთრებულია დანაშაულის გახსნის და გამოძიების საქმეში. მაგრამ ვინაიდან არსებობს უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გვერდის ავლით, პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაციის შეგროვების რეალური საფრთხე, სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესი შესაძლოა ყოველთვის არ მოვიდეს თანხვედრაში ადამიანის უფლებების დაცვის მიზანთან. ამიტომ გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია კერძო და საჯარო ინტერესის ჰარმონიზაცია, პირად ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობის დაბალანსება კონტროლის სათანადო და საკმარისი მექანიზმებით.

სტატიაში განხილულია ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელი ორგანოს როლი და დანიშნულება. გაანალიზებულია სააგენტოს საქმიანობის კონტროლის ინსტიტუციური და ტექნოლოგიური მექანიზმები. კერძოდ, საპარლამენტო კონტროლი, სამთავრობო (პრემიერ–მინისტრი), საფინანსო კონტროლი, სასამართლო კონტროლი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიერ განხორციელებული კონტროლი. ასევე განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები და ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა აღნიშნულ სტანდარტებთან, კონტროლის მექანიზმები ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/მასალის შენახვასა და განადგურებაზე. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლის სისტემის ნაკლოვანებებზე, საკანონმდებლო ხარვეზებზე, ზედამხედველობის განხორციელებისას არსებულ გამოწვევებზე და გამოთქმულია წინადადებები/რეკომენდაციები კანონმდებლობის დახვეწის მიზნით.

23. მასობრივი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების ეპოქაში ფაქტობრივად შეუზღუდავია მოქალაქეთა წვდომა ინფორმაციებზე. ამის პარალელურად მუდმივად იზრდება მედიის ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს

კრიმინალური შემთხვევების მიმართ, არაერთი მედია საშუალება დიდ ყურადღებას უთმობს კრიმინალურ ქრონიკებს და ცდილობს, ამით მოიპოვოს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი. თუმცა ამას შეუძლია, სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენოს როგორც ცალკეული პირების ღირსება, ისე მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და ამასთან, აქციოს მსხვერპლად პროცედურული სამართლიანობის წესები. როგორც წესი, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე საზოგადოების ინფორმირებისას ხდება პროცესის მონაწილეთა იდენტიფიცირება და სტიგმატიზება ანდა პრეიუდიციული ხასიათის ინფორმაციის გავრცელების შედეგად ხდება ბრალდებულის მედიის მიერ, ჯერ კიდევ, სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე გასამართლება. საფრთხეები, რაც შეიძლება დაემუქროს დაუბალანსებელი საინფორმაციო პოლიტიკის გამო სისხლის სამართლის პროცესსა და ბრალდებულის პროცესუალურ გარანტიებს, განსაკუთრებით საყურადღებო უნდა იყოს პროკურატურისთვის და საგამოძიებო ორგანოებისთვის, რომლებიც რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე. სტატიაში მიმოხილულია სისხლის სამართლის საქმეებზე საინფორმაციო პოლიტიკის წარმოების მნიშვნელობა და თავისებურებები, ასევე ხაზი გასმულია ზემოხსენებულ საფრთხეებზე და სარეკომენდაციო სახით ასახულია დაბალანსებული საინფორმაციო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. დასკვნის სახით ხაზგასმულია იმაზე, რომ სისხლის სამართალმწარმოებელმა ორგანოებმა და მედია საშუალებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ სწორი საინფორმაციო პოლიტიკის განხორციელებას სისხლის სამართლის საქმისა და ბრალდებული პირების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისას. მიუხედავად საზოგადოების მაღალი ინტერესისა ცალკეული სისხლის სამართლის საქმეთა მიმართ, საჭიროა, მათი ინფორმირება მოხდეს დაბალანსებულად, რაც ასევე ბრალდებულისთვის მინიჭებული გარანტიებისა და მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებას გულისხმობს. ამასთან, განცხადებების გაკეთებისას, განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ საგამოძიებო ორგანებისა და პროკურატურის წარმომადგენლებს, რადგან მედია საშუალებები ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით ახდენენ საზოგადოების ინფორმირებას და, ამ შემთხვევაში, ინფორმაციაზე პასუხისმგებელია თავად სისხლის სამართალმწარმოებელი ორგანო და არა მედია საშუალება.

24. უმოქმედობის დელიქტი, სისხლის სამართალში აღიარებული ამკრძალავი და მავალებელი ნორმებიდან, როგორც წესი, მავალებელი ნორმების დარღვევაში გამოიხატება. ეს ეხება როგორც შერეული და წმინდა უმოქმედობის დელიქტებს, ასევე უმოქმედობის სხვა ტიპის დელიქტებსაც, რომლებიც, სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, ცალკე გამოყოფას იმსახურებენ და რომელთა შესახებ ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ყურადღება გამახვილებული არ არის. წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანს სხვადასხვა სახის უმოქმედობის დელიქტების ერთმანეთისაგან გამიჯვნის კრიტერიუმების დადგენა წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებობენ ისეთი ტიპის უმოქმედობის დელიქტები, რომლებიც ცალკე აღებული არც წმინდა უმოქმედობის და არც შერეული უმოქმედობის დელიქტებში არ თავსდებიან, ამიტომ მიზანშეწონილია, ასეთი უმოქმედობის დელიქტები უმოქმედობის დელიქტის

დამოუკიდებელ ტიპად ე. წ. კვაზი წმინდა უმოქმედობის დელიქტად იქნენ მიჩნეული. სისხლის სამართალი იცნობს წმინდა უმოქმედობის ისეთ დელიქტებსაც, რომლებიც ძალიან ჰგვანან შერეული უმოქმედობის ტიპის დელიქტებს იმაში, რომ ისინი შემადგენლობის ნიშნად სამართლებრივი გარანტის ფუნქციას და კონკრეტულ შედეგს ითვალისწინებენ, რა დროსაც აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა. ამის მიუხედავად ასეთი უმოქმედობის დელიქტები მაინც წმინდა უმოქმედობით დელიქტებად რჩებიან ძირითადი შემადგენლობის (უმართლობის) ბუნებიდან გამომდინარე. ამიტომ ასეთ დელიქტებს შესაძლოა ,,თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული წმინდა უმოქმედობის დელიქტები“ ეწოდოთ. ამასთან, რთულია ისეთი კრიტერიუმის დასახელება, რომელიც უმოქმედობის დელიქტის სხვადასხვა ტიპებს ერთმანეთისაგან მათემატიკური სიზუსტით გამიჯნავს.

27. სტატია ეძღვნება სვანი მედიატორების წინაშე არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს. თავდაპირველად განხილულია ის მიზეზები, რის გამოც სვანური ადათობრივი სამართალი და მისი უმთავრესი გამოხატულება – სამედიატორო სასამართლო – სვანეთში დღემდე ცოცხალ ყოფაში არსებობს და კვლავ თანამედროვე რეალობის განუყოფელ ნაწილად რჩება. რის შემდეგაც, ჩამოთვლილია ის პრობლემები, რომელიც ამ ინსტიტუტის გაქრობას უწყობს ხელს. სტატიაში ღიად არის დატოვებული საკითხი, თუ როგორ შეიძლება მოხერხდეს ამ პრობლემების მოგვარება და სვანური სამედიატორო სასამართლოს ტრანსფორმაცია და ადაპტირება სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით.

28. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გარდა, პატივი და ღირსება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. პატივისა და ღირსების ხელყოფა შესაძლებელია ცილისწამებით და შეურაცხყოფით. თავის მხრივ შეურაცხყოფა შეიძლება იყოს ჩადენილი მოქმედებით, ან იყოს სიტყვიერი. კვლევის საგანია ძველ ქართულ სამართალში მოქმედებით განხორციელებული შეურაცხყოფის, როგორც ადამიანის ღირსების შემლახავი ქმედებების შესწავლა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ტერმინების ცნების დაზუსტება საშუალებას იძლევა წარმოჩინდეს რა სახის ქმედებები ითვლებოდა შეურაცხყოფად. ძველ ქართულ სამართალში სიტყვიერი შეურაცხყოფის გამოსახატავად დამკვიდრებული იყო ტერმინი „გინება“. რაც შეეხება მოქმედებით ჩადენილ შეურაცხყოფას, სამართლის ძეგლებში „შეურაცხყოფის“ გარდა გამოყენებულია ტერმინები „შერცხვენა“, „გაუპატიება“, „უპატიობა“. შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობის ფაქტს ხშირად ადასტურებს კანონმდებლის მიერ დაწესებული და სასამართლოს მიერ გამოყენებული სასჯელი „საუპატიო“. ცემისთვის, ან ზოგიერთი სახის ჯანმრთელობის დაზიანებისთვის სანქციად საუპატიოს განსაზღვრა გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ, რომ ძველ ქართულ სამართალში აღნიშნული ქმედებები ასევე შეურაცხყოფად ითვლებოდა.

მოქმედებით ჩადენილი შეურცხყოფის სახეები და ფორმები მრავალგვარი იყო და აქედან გამომდინარე პირობითად შეიძლება მათი დაყოფა რამდენიმე ჯგუფად. ქმედებები, რომლებიც უშუალოდ პირის ღირსების დამცირებისკენ არის მიმართული. მაგალითად, წვერის მოჭრა, მოგლეჯვა, შებოჭვა, აბჯარის აყრა, დაჯაბნა. ცალკე შეიძლება გამოიყოს თავდასხმისას ჩადენილი შეურაცხყოფა, ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი, როგორც პირის პატივის წინააღმდეგ მიმართული ქმედება, ოჯახის ღირსების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები. ამავე დროს ძველი ქართული

სამართლის ძეგლებში და სასამართლო განჩინებებში გვხდება მოქმედებით ჩადენილი შეურაცხყოფის სხვა შემთხვევებიც.

მოქმედებით ჩადენილი შურაცხყოფისთვის სასჯელად უმეტესად სისხლის ფასი და საუპატიო იყო განსაზღვრული. რამდენად მნიშვნელოვანია და ფასეულია სამართლებრივი სიკეთის დაცვა, ეს ჩადენილი ქმედებისთვის დაწესებულ სასჯელში პოვებს ასახვას. ძველ ქართულ სამართალში მოქმედებით ჩადენილი შურაცხყოფისთვის დადგენილი სანქციები უმეტესად უთანაბრდებოდა ადამიანის სიცოცხლის, ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისთვის განსაზღვრულ სასჯელებს.

32. ადმინისტრაციული სამართლის წყაროებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასამართლო პრეცედენტსა და სასამართლო პრაქტიკას. პრეცედენტული სამართალი საკმაოდ გავრცელებული და მნიშვნელოვანი სამართლის წყაროა. სასამართლო პრეცედენტი ჯერ კიდევ მონათმფლობელური ეპოქიდან მომდინარეობს, ძველ რომის სამართალში იგი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამართლის წყაროდ ითვლებოდა. პრეცედენტული სამართალი მოგვიანებით სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა და განვითარდა, თანამედროვე საქართველოშიც შეიმჩნევა სამოსამართლო სამართლის პერსპექტივები, თუმცა ამ ეტაპზე ის ნაკლებად განვითარებულია.

როდესაც ადგილი აქვს კანონმდებლობაში გარკვეული ხარვეზების არსებობას, საჭირო და უცილებელი ხდება მათი შევსება სასამართლოს მიერ. ეს ყოველივე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ჩამოყალიბდეს და განვითარდეს სამოსამართლო სამართალი. ამ კუთხით საინტერესოა საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი გამოცდილების გაზიარება. ზოგიერთ სახელმწიფოში ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა ივსება სასამართლო და ადმინისტრაციული პრეცედენტებით.

ქართული სამართლებრივი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის სამოსამართლო სამართალის განვითარება მნიშვნელოვანია. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესია უზენაესი სასამართლოს როლი. უზენაესი სასამართლოს მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები ძალიან მნიშვნელოვანია როგორც სამართლის განვითარებისათვის, ისე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მართლაც ამკვიდრებს ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას.

34. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ეფექტიანად აღიდგინოს უფლებები ეროვნული სასმართლოების მიერ კონსტიტუციით ან კანონებით მინიჭებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში. ადამიანის ძირითადი უფლება კანონიერ სასამართლოზე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შემადგენელი ნაწილია. სწორედ აღნიშნული უფლებაა უზრუნველყოფილი საქართველოს კონსტიტუციის 31.2 მუხლით.

ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელია სამძებრო, ინკვიზიციური ხასიათი. სასამართლოს შეუძლია თვითონ, საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოს ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების მოპოვება. მოსამართლის მიერ პროცესში აქტიური მონაწილეობა ერთგვარად ხელს უწყობს მხარეთა პროცესუალური შესაძლებლობების გათანაბრებას. როდესაც მხარე

პროცესუალურად სწორად ვერ აყალიბებს თავის მოთხოვნას, მოსამართლემ სარჩელის ტრანსფორმირებისას სწორად უნდა დაადგინოს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი თუ რა უფლების აღსადგენად მიმართა მან სასამართლოს და რა არის მისი საბოლოო ინტერესი. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება არის საკმაოდ მნიშვნელოვანი და უმთავრესი უფლებათაგანი.

37. სისხლის სამართლის საქმის სრულფასოვნად გამოძიება, საგამოძიებო მოქმედებების სწორად დაგეგმასა და ჩატარებაზე არის დამოკიდებული. მათ შორის რიგ შემთხვევებში მნიშვნელოვანია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაც, რომლის გარეშეც ფაქტობრივად შეუძლებელია, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენა. თუმცა, ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, გარკვეულწილად დაკავშირებულია ადამიანის უფლებების შეზღუდვასთან, მით უმეტეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვასთან, რომლის ჩატარებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა არის საჭირო. აღნიშნული საკითხების აქტუალობამ განაპირობა - იმ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება ჯერ კიდევ 2014 წელს, რომელიც კანონმდებლობის დახვეწას ისახავდა მიზნად, სადაც ძირითადი აქცენტი სწორედ ადამიანის პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევის აკრძალვისაკენ იყო მიმართული და აღნიშნული დღემდე ეტაპობრივად გრძელდება. ასევე, აქცენტი კეთდება კონტროლის იმ მნიშვნელოვანი მექანიზმის შერჩევაზე, რომელიც განაპირობებს ადამიანის პირადი ცხოვრების დაცულობისათვის საჭირო და ეფექტური კონტროლის მექანიზმის შერჩევას.

ნაშრომში განხილულია ფარული საგამოძიებო მოქმედების მნიშვნელობა, მისი ისტორიული წინაპირობები და განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და კონტროლის მექანიზმების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

38. სტატიაში აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დასჯადობასთან დაკავშირებით განხილულია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რომელიც მას განასხვავებს კონკრეტული საფრთხის დელიქტებისგან. სტატიაში განხილვის საგანს წარმოადგენს ასევე აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის გამიჯვნა, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ცალკეული შემადგენლობები ქართული და გერმანული სისხლის სამართლის გათვალისწინებით: დაუხმარებლობა, განსაცდელში მიტოვება, ჩხუბში მონაწილეობა,ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა, სიმთვრალეში მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება. წერილში საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით არის საკითხი დაყენებული, იმისთვის, რომ ზოგიერთი ქმედების დასჯადობის საკითხი მართებულად გადაწყდეს.

42. ერთიანი მართლწესრიგის პრინციპსა და მართლწინააღმდეგობის საკითხისთვის მიძღვნილ სტატიაში საუბარია ერთიანი მართლწესრიგის პრინციპის მნიშვნელობაზე, მასთან მართლწინააღმდეგობის დარგებად დაყოფის იდეის შესაბამისობაზე, ქმედების შემადგენლობის და მართლწინააღმდეგობის ურთიერთმიმართებაზე, ქმედების მცირე მნიშვნელობაზე და მის სამართლებრივ შედეგზე, აგრესიული უკიდურესი აუცილებლობის დროს ქმედების მართლზომიერების საკითხზე და ზიანის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ანაზღაურების ბუნებაზე.

44. საერთაშორისო სისხლის სამართლის პერსონალური პასუხისმგებლობის კონცეფცია უარყოფს კოლექტიური შერაცხვის მოდელს, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სანქცია უნდა ემყარებოდეს ინდივიდის ბრალეულობის ხარისხს. ამ მიზნით იგი გვთავაზობს კონკრეტული პასუხისმგებლობის სახის ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდს, auctor intellectualis სისხლისსამართლებრივი დევნის აუცილებლობით. ამ მხრივ, საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის მიზანია დაეხმაროს პროცესუალურ ნაწილს, რომ სათანადოდ წაეყენოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი კანონიერებისა და ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპების მაქსიმალური დაცვითა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონცეფციების „ფრთხილი“ გამოყენებით, რომ არ დაიკარგოს ultima ratio ფუნქცია.

საერთაშორისო სისხლის სამართალი შეგვიძლია მივიჩნიოთ ეროვნული კანონმდებლობის „კატალიზატორად“. ამ ფუნქციას კომპლემენტარულობის პრინციპი ახორციელებს ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებით. ჰორიზონტალური ასპექტი ფოკუსირებულია საერთაშორისო სამართალში დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმწიფოთა ვალდებულებებზე6. რაც შეეხება ვერტიკალურ ასპექტს, იგი პირდაპირ ეროვნული კანონმდებლობის „კატალიზატორის“ ფუნქციას ასრულებს.

საერთაშორისო სისხლის სამართალი შესაძლოა გახდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალი მოდელი მსოფლიო სამართლებრივ სისტემათა შორის. მისი მიზანი არაა ადამიანის ყველა ფუნდამენტური უფლების დარღვევის საერთაშორისო კრიმინალიზაცია. რომელი დარღვევაც არაა სისხლისსამართლებრივი ხასიათის, ამას საერთაშორისო სამართალი სისხლის სამართლისგან დამოუკიდებლად არეგულირებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა სამართალში. შესაბამისად, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინა ამ მხრივ ადამიანის უფლებათა სამართალს ეყრდნობა - საერთაშორისო სისხლის სამართალს ადამიანის უფლებათა სამართალი განუმარტავს სისხლისსამართლებრივად დასჯად არაჰუმანურ ქმედებათა შინაარსს.

საერთაშორისო თანამეგობრობის მთავარი „დავალება“ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) მიმართ კოლექტიური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის შეზღუდვა იყო, რომ სახელმწიფოსა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას შორის ყოფილიყო მიჯნა გავლებული. მთავარია, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, რომის სტატუტის 25-ე მუხლის ინტერპრეტაციით, ინდივიდის ბრალეულობას, დანაშაულში მონაწილეობის ხარისხს დაქვემდებარებოდა, რაც სისტემური პასუხისმგებლობის კონცეფციის მიმართ არსებულ ხარვეზებსა და კრიტიკას აღმოფხვრიდა, ისე, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის მიზნებს არ შექმნოდა საფრთხე. ამ „დანაკლისის“ აღმოფხვრას ხელს უწყობს საერთაშორისო სისხლის სამართალში დაფუძნებული კონცეფციები, რომლებიც ითვალისწინებს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მაღალი თანამდებობის პირებზე, უმეტესწილად, ორგანიზებული სახელმწიფო აპარატის გამოყენებით ჩადენი დანაშაულებისათვის.

ჰორიზონტალური და ვერტიკალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი, უმეტესწილად, „პირველი დონის დამნაშავეა“. ეს არის მაღალი პოლიტიკური ან სამხედრო თანამდებობის პირი, რომელიც ახდენს მასშტაბური (საერთაშორისო) დანაშაულების „ლეგალიზაციას“, მათ დაქვემდებარებაში მყოფი ყველა პირის ჩართვით. იგი გამოირჩევა სხვა ამსრულებლისგან იმით, რომ იყენებს სახელმწიფოს აპარატსა და ხელქვეითებს დანაშაულების უშუალოდ ჩასადენად. იგი არის დანაშაულის შემოქმედი. ასეთი ამსრულებელი შეიძლება იყოს, მაგალითად, სახელმწიფოს მეთაური - პოლიტიკური ძალაუფლების, „სახელმწიფო აპარატზე ბატონობის“ უნარის მქონე პირი. იგი ქმნის განსხვავებულ სოციალურ რეალობას, რომლითაც აქეზებს სხვას, ორგანიზებას უწევს ან გეგმავს დანაშაულების ჩადენას. ზოგადად, ასეთი ტიპის ამსრულებლებს უმაღლესი სასჯელი ეფარდებათ.

საერთაშორისო სისხლის სამართალში დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის რამდენიმე მოდელი არსებობს. ნაშრომის გააანალიზებულია თანაამსრულებლობის - ჰორიზონტალური, არაპირდაპირი ამსრულებლობის - ვერტიკალური და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის ჰიბრიდული კონცეფციები.

46. სტატია ეხება სამართლიანი პასუხისმგებლობის პრინციპს, რომელიც, პრაქტიკულად, კანონიერების პრინციპის ანალოგია. კანონიერების პრინციპის მეშვეობით, საზოგადოება სისხლის სამართალისგან „არსებითად ითხოვს“ სუბსტანციურ სამართლიანობას. ინდივიდმა უნდა იცოდეს თავიდანვე, რამდენად არის მისი ქმედება დასჯადი - ე.წ. „განსაზღვრულობის პრინციპი“. აღნიშნულის გაგრძელებაა, სწორედ, სამართლიანი პასუხისმგებლობის პრინციპი, რომლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამართლიანად უნდა აღწერდეს კანონის დარღვევის „ბუნებასა“ და განსაზღვრავდეს „ზომას“. იგი სისხლის სამართალში აღიარებულია როგორც პასუხისმგებლობის ერთ-ერთი „ნორმატიული პრინციპი“, რომელიც ანგლოამერიკულ სისხლის სამართალში თავის დროზე გამოიყენებოდა ისეთი დანაშაულების ურთიერთგასამიჯნავად, როგორც პირველი და მეორე ხარისხის მკვლელობა, გაუპატიურება და სხვა. შესაბამისად, კანონიერების პრინციპის (აბსტრაქტული) და სამართლიანი პასუხისმგებლობის პრინციპის (კონკრეტული, სიტყვასიტყვითი) გაგებით, სამართალი რაც შეიძლება ზუსტად უნდა აღწერდეს პირის დანაშაულში მონაწილეობის ხარისხს სასჯელის შეფარდების პროპორციულობისათვის. მთავარი პრობლემა არა სასჯელის შეფარდებაში, არამედ სამართლიანი პასუხისმგებლობის პრინციპშია. ეს უკანასკნელი იწვევს სასჯელის შეფარდებისას დანაშაულში ძირითადი და დამატებითი მონაწილეობის გათვალისწინებით „მკაცრ“ დიფერენციაციას. ამ მხრივ, ყურადსაღებია საერთაშორისო სისხლის სამართლის მიდგომები საიდუმლო ლიდერების ბრალეულობის ნათლად წარმოსაჩენად, რომ ისინი იყვნენ დანაშაულის ძირითადი მონაწილეები - ამსრულებლები და არა დამატებითი - (თანა)მონაწილეები. საიდუმლო ლიდერის პასუხისმგებლობის საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა მნიშვნელოვანია დაზარალებულებთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობისათვის იმის გასარკვევად, თუ ვინ იყო „მთავარი დამნაშავე“.

47. ჰანს კელზენის სამართლის წმინდა თეორიის განმსაზღვრელი ცნება ძირითადი ნორმაა, რომელიც 1960 წლამდე ტრანსცენდენტალურ-ლოგიკურ პირობას წარმოადგენს, ხოლო შემდგომ, მოღვაწეობის ბოლო წლებში - ფიქციას. სტატია

ეძღვნება ძირითადი ნორმის მნიშვნელობათა ჩამოყალიბებისას კოენისა და ფაიჰინგერის ფილოსოფიურ მოძღვრებათა გავლენების აღმოჩენასა და მათ კრიტიკას. მასში ასევე განხილულია სამართლის წმინდა თეორიის პოზიტიურ და ბუნებით-სამართლებრივ თეორიათაგან გამიჯვნის საკითხი.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. მ. ივანიძე, „ექიმის მიერ ჩადენილი გაუფრთხილებელი დანაშაული“ (თანაავტორი), სახელმძღვანელოში: „მედიცინის სისხლის სამართალი გერმანულ-ქართულ ჭრილში“ (სარედაქციო კოლეგია: პროფ. ე. ჰილგენდორფი, პროფ. ქ. მჭედლიშვილი, პროფ. მ. ივანიძე, პროფ. კ. ქუშე, პროფ. მ. შალიკაშვილი, პროფ. ნ. თოდუა), გამომცემლობა Dunker@Humbolt, Berlin 2022
2. მ. ივანიძე, „სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით“, სახელმძღვანელოში: „სისხლისსამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეფარდება“ „Strafrechtliche Sanktionen und Strafzumessung” (სარედაქციო კოლეგია: პროფ. ო. გამყრელიძე, პროფ. ნ. თოდუა, პროფ. მ. ივანიძე, პროფ მ. ტურავა, პროფ. ბ. ჰაინრიხი, პროფ. თ. ცქიტიშვილი), გამომცემლობა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. გ. დავითაშვილი, მ. გარიშვილი, Опизская грамота - древний памятник грузинского права, Journal of Polish-Georgian Law, 2/2022, 22-35, ISSN online: 2720-4448.

2. ლადო ჭანტურია, The Principle of Subsidiarity and the Contracting States' Obligations under Article 13 of the European Convention on Human Rights, in Liebr Amicorum Robert Spano, The editors: Jon Fridrik Kjolbro, Siofra O'Leary, Marialena Tsirli, Anthemis, 2022, Pp. 157-165.
3. ლადო ჭანტურია, Privatrecht in der Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte, in Recht als Brücke zwischen Ost und West, Festschrift für Prof. Dr. Alexander Trunk zum 65 Geburtstag, (Hrsg.) Azar Alyev, Burkhard Breig und Rainer Wedde, Berliner Wissenschaftsverlag, 2022, S. 103-116.
4. ლადო ჭანტურია, Geschichte und Gegenwart der deutsch-georgischen rechtlichen Zusammenarbeit, კრებულში: Humboldt-Kolleg, Tbilissi, 30. November - 2. Dezember 2022 (თეზისები).
5. ლადო ჭანტურია, Human Rights Protection – Challenges to the Peace and Public Order in Europe (იბეჭდება).
6. ლადო ჭანტურია, Rechtstransformation, Rechtsharmonisierung und Rechtswissenschaft, in 60 Jahre Institut für Osteuropäisches Recht der Universität Kiel, Alexander Trunk (Hrsg.), Berlin, BWV, 2022, S. 42-50.
7. ლადო ჭანტურია, Rückblick auf Georgiens rechtliche Transformation im Privatrecht, in Kötter/Röder/Deppe/Trappe/Schneider (Hrsg.) Rechtsstaatsförderung, Handbuch für Forschung und Praxis, Kohlhammer, 2022, S. 139-145.
8. I. Burduli, Nekrorezeption in Transformationsgesellschaften. Am Beispiel des postsowjetischen georgischen Unternehmensrechts, in: Tiziana J. Chiusi/Irakli Burduli (Hrsg.), Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch-georgischen Diskurs. Akten des 3. Und 4. Deutsch-Georgischen Kolloquiums, Band 18, Alma Mater, Saarbrücken 2022, 1-13.
9. Tiziana J. Chiusi/Irakli Burduli, Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch-georgischen Diskurs. Akten des 3. Und 4. Deutsch-Georgischen Kolloquiums, Band 18, Alma Mater, Saarbrücken 2022, S. 234.
10. მ. ივანიძე, „ოჯახში ძალადობა და მისი სისხლისსამართლებრივი დაცვა საქართველოში", ჟურნალში: "Journal of Polish-Georgian Law", 2022, გამომცემლობა: Instituti of Law Administration Pomerman Academy in Slupsk.
11. ნ. თოდუა, სამედიცინო შეცდომა და მისი სახეები, ავტ. კოლ. სტატიათა კრებული, ქ. ბერლინი (გერმანულ-ქართულ ენაზე), რედ. ე. ჰილგენდორფი, ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, მ. ივანიძე, ქ. კუსჰე, მ. შალიკაშვილი, ნ. თოდუა, 2022 წ. გვ. 135-149 (გერმანულ ენაზე), გვ. 375-394 (ქართულ ენაზე), ISSN 2364-8155; ISBN 978-3-428-18413-2 (Print); ISBN 978-3-428-58413-0 (E-Book).
12. Марина Гариашвили - Институты уголовного права по "Обозрению Грузии по части прав и законоведения" Давида Багратиони, Journal of Polish-Georgian Law, 2022, №2, ISSN online: 2720-4448, გვ. 1-21.
13. Марина Гариашвили, Торнике Немсцверидзе - "Оголтелая борьба (интервенция в юридическую науку и перипетии проведенной в Тбилиси "дискуссии" 30-х годов) советчины против истинной юридической научной мысли в 30-х годах XX столетия (სტატია) - Annales Pomorienses. Ius. ჟურნალი, 2022, №1, ISSN on-line 2956-3941, 1-29 გვ.
14. გიორგი რუსიაშვილი, Das reformierte Pfand- und Hypothekenrecht – ein Systembruch, in: Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch-georgischen Diskurs: Akten des 3. und 4.

Deutsch-Georgischen Kolloquiums (ISBN 3946851703), Saarbrücken 2022, Iurisprudentia Saraviensis.

15. გიორგი რუსიაშვილი, Der dingliche Vertrag im georgischen ZGB, in: Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch-georgischen Diskurs: Akten des 3. und 4. Deutsch-Georgischen Kolloquiums (ISBN 3946851703), Saarbrücken 2022, Iurisprudentia Saraviensis.

16. გიორგი რუსიაშვილი, Die Stellungnahme des Julians zur Celsinischen Durchgangstheorie in D. 24.1.3.13, in: Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, Sonderband 1/2021(ISSN 2587-5191), 79-110, IRZ, სტატია, http://lawjournal.ge/wp-content/uploads/2022/02/Sonderband-2021.pdf.

17. გიორგი რუსიაშვილი, Die Notwendigkeit des dinglichen Vertrags im georgischen Recht, in: Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, Sonderband 1/2021(ISSN 2587-5191), 61-79, IRZ, სტატია, http://lawjournal.ge/wp-content/uploads/2022/02/Sonderband-2021.pdf.

18. გიორგი რუსიაშვილი, Die Reform des Hypothekenrechtes – Die Wohnung verliert nur derjenige nicht, der keine hat, in: Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, Sonderband 1/2021(ISSN 2587-5191), 51-61, IRZ, სტატია, http://lawjournal.ge/wp-content/uploads/2022/02/Sonderband-2021.pdf.

19. Jorbenadze Sergi, Insolvenzdelikte in Georgien, Zeitschrift für Wirtschaftsstrafrecht und Haftung im Unternehmen (ZWH), Otto-Schmidt Verlag, Heft 4/2022, Köln, S. 87-91 - - გერმანულ ენაზე.

20. თემურ ცქიტიშვილი, ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება და მისი სისხლისსამართლებრივი დასჯადობა, კრებულში: ჰილგენდორფი, მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ივანიძე, კუშე, შალიკაშვილი და თოდუა (რედ.), მედიცინის სისხლის სამართალი გერმანულ-ქართულ შედარებით ჭრილში, ბერლინი, 2022, გვ. 395-415.

21. გიორგი დგებუაძე, „ჰორიზონტალური და ვერტიკალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებები საერთაშორისო სისხლის სამართალში“, საერთაშორისო სამეცნიერო კრებული: „თავისუფლების დაცვა და სისხლის სამართალი“, პოლონეთი, „სვუპსკის პომერანული უნივერსიტეტი“, 12 გვერდი.

22. ირინე ქურდაძე, ეკა სირაძე, “Role of education in achieving the goals of sustainable development - in the light of involvement of ethnic minorities in the building of sustainable society”, Observer Research Foundation (ORF) (Think20 (T20) Secretariat as an official Engagement Group of the G20), სტატია გადაცემულია გამოსაქვეყნებლად.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატია ეძღვნება ქართული სამართლის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ძეგლს - „ოპიზის სიგელს“, რომელიც შედგენილია გაერთიანებული საქართველოს მეფის ბაგრატ მეოთხის მიერ. სიგელი ჩვენამდე ორიგინალის სახითაა მოღწეული. სტატიაში აღწერილია ოპიზის სიგელის შესწავლის ისტორიოგრაფია. სიგელში გადმოცემულია ორ მონასტერს (ოპიზისა და მიჯნაძორის მოასტრებს) შორის დავა მამულის თაობაზე. სტატიის ძირითადი ნაწილი ეძღვნება ოპიზის სიგელის სამართლებრივ ანალიზს. წარმოჩენილია მისი უდიდესი მნიშვნელობა ქართული სამართლებრივი კულტურისათვის. სტატიაში საუბარია იმ სამართლებრივ ასპექტებზე, რომლებიც ოპიზის სიგელში ვლინდება. მხედველობაშია ის გარემოება, რომ ამ ძეგლის

მეშვეობით ვიგებთ, თუ როგორ ტარდებოდა სასამართლო პროცესი საქართველოში, მეთერთმეტე საუკუნეში. ამ ძეგლით დგინდება დარბაზის, როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შემადგენლობა, მისი სასამართლო პრეროგატივა, სტატიაში გაანალიზებულია სიგელის მიხედვით სასამართლო პროცესის სტადიები, კერძოდ, საქმის არსებითი განხილვის პერიპეტიები, სასამართლო მტკიცებულებები, რომლებსაც იყენებენ მხარეები მოსამართლეთა წინაშე საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად. სტატიაში ყურადღება აქვს დათმობილი იმ გარემოებას, რომ ძირითადი სასამართლო მტკიცებულება, რასაც წარადგენენ მხარეები სასამართლოს წინაშე, და რასაც ეყრდნობა სასამართლო განაჩენის გამოტანისას, ეს წერილობითი საბუთებია, რაც მიუთითებს იმდროინდელი საქართველოს მაღალ სამართლებრივ კულტურზე. წერილობითი საბუთები პროგრესულ სასამართლო მტკიცებულებებს წარმოადგენდნენ და არაერთ ქვეყანაში მათი გამოყენება არც ხდებოდა და უპირატესობა შედარებით ჩამორჩენილ სასამართლო მტკიცებულებებს ენიჭებოდა. სტატიაში გახილულია სიგელის მონაცემი იმდროინდელი იურისტების შესახებ. მხედველობაშია „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“, რომლებიც სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრებთან ერთად იყვნენ მოწვეულნი სასამართლო სხდომაზე, მათი სპეციფიკური კომპეტენციიდან გამომდინარე. სტატიაში გახილულია აგრეთვე ის იურიდიული საფუძვლები, რის გამოც სადავო მამული სასამართლომ მეფის თავმჯდომარეობით მიჯნაძორის მონასტერს გადასცა, კერძოდ, აღნიშულია, რომ ოპიზის მონასტერმა სადავო მამულზე თავისი უფლების დასადასტურებლად წარადგინა მხოლოდ გუარამ მამფალის სიგელი, მიჯნაძორის მონასტერმა კი წარადგინა სადავო მამულზე მისი უფლების დამადასტურებელი ბაგრატ მეოთხის წინამორბედი ყველა მეფისა და მთავრის სიგელი. შუა საუკუნეების სამართლით მეფის (მთავრის) მიერ გაცემულ სიგელს ვადა მხოლოდ მის გარდაცვალებამდე ჰქონდა. ოპიზის მონასტრის წარდგენილი გუარამ მამფალის სიგელი შემდგომ მეფე-მთავრებს არ განუახლებიათ, რის გამოც მათ სადავო მამულზე იურიდიული უფლება დაკარგეს. მიჯნაძორელთა მიერ წარდგენილი სიგელები კი ბაგრატ მეოთხის წინა მეფეებს განახლებული ჰქონდათ, რაც გახდა იურიდიული საფუძველი ამ მონასტრისათვის სადავო მამულის მიკუთვნების.

11. სტატიაში განხილულია სამედიცინო შეცდომის არსი და მისი სახეები. გადმოცემულია საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის სისტემებში ამ საკითხთან დაკავშირებული განსხვავებული მიდგომა. ერთმანეთისაგან გამიჯნულია **მისატევებელი და მიუტევებელი** სამედიცინო შეცდომა და მისი დადგენის მნიშვნელობა მედიცინის მუშაკის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას. კერძოდ, დასაბუთებულია, რომ მისატევებელი სამედიცინო შეცდომისათვის მედიცინის მუშაკმა არ უნდა აგოს პასუხი. ხოლო მიუტევებელი სამედიცინო შეცდომის დაშვებისას (თუ მას მოჰყვა მართლსაწინააღმდეგო შედეგი) მედიცინის მუშაკმა გაუფრთხილებლობის ფარგლებში უნდა აგოს პასუხი წინარე ქმედების ჩამდენის პასუხისმგებლობის პარალელურად.

მოყვანილია მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან და კრიტიკულადაა ისინი გაანალიზებული. შემოთავაზებულია ახალი ხედვა სამედიცინო შეცდომისა და **მედიცინაში კურიოზული შემთხვევის** (სამედიცინო კურიოზის) გამიჯვნის

თვალსაზრისით. ერთმანეთისაგან გამიჯნულია მიუტევებელი სამედიცინო შეცდომა და ე.წ. სამედიცინო კურიოზი.

დასაბუთებულია მოსაზრება, რომ ე.წ. სამედიცინო კურიოზის შემთხვევაში (როცა მედიცინის მუშაკი აფუძნებს ახალ საფრთხეს), დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგისათვის სს-ვი წესით პასუხი უნდა აგოს მხოლოდ მედიცინის მუშაკმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს შედეგი არ უნდა შეერაცხოს წინარე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12. დავით ბაგრატიონის (ბატონიშვილის) რუსულენოვანი სამართლის წყაროს მიხედვით, ქართული სისხლის სამართლის ინსტიტუტების გამოკვლევის შესახებ.

13. გასული საუკუნის 30-ან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქართველი მეცნიერ-იურისტების წინააღმდეგ განხორციელებული ტერორის შესახებ.

20. აღნიშნულ სტატიაში განხილულია ავადმყოფის განსაცდელში მიტოვების დასჯადობის საკითხი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით. მსჯელობის საგანს წარმოადგენს როგორც მსგავსება, ისე განსხვავება ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალს შორის ავადმყოფის განსაცდელში მიტოვების დასჯადობაზე. ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სპეციალური შემადგენლობა არსებობს აღნიშნული ქმედების დასჯადობისთვის, განსხვავებით გერმანული კანონმდებლობისგან. თუ ქართული სამართლით ექიმი გარანტორია პაციენტისთვის არასამუშაო დროს და არასამუშაო ადგილას, გერმანული სამართლით ექიმი გარანტორად არ მიიჩნევა ყოველთვის, მხედველობაში მიიღება სამუშაო ადგილი და დრო. სტატიაში მსჯელობის საგანია საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა განსაცდელში მყოფზე ზრუნვის ვალდებულება მაშინ, როცა ადამიანი ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა მკვლელობის მცდელობის შედეგად და გამოხატავს სიცოცხლის დასრულების სურვილს.

21. საერთაშორისო სისხლის სამართლის იურისდიქციის სფერო კომპლექსურია. ერთი მხრივ, ratione materiae იურისდიქციის ფარგლებში, სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოყენებით, იგი ემსახურება სისხლის სამართლის მთავარ მიზანს, დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილებასა და მართლწესრიგის დაცვას, კერძოდ, ფართომასშტაბიანი, ჯგუფური და სისტემატური საერთაშორისო დანაშაულების თავიდან აცილებას. მეორე მხრივ, ratione personae იურისდიქციის ფარგლებში, სჯის, უმეტესწილად, მაღალი თანამდებობის იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების სტატუტებით დასჯადი დანაშაულები. აღნიშნული ორი „მიმართულების“ უზრუნველყოფას საერთაშორისო სისხლის სამართალი, კომპლემენტარულობის პრინციპის გათვალისწინებით, ჯერ ეროვნულ კანონმდებლობას ანდობს.

ჰორიზონტალური, ვერტიკალური და ჰიბრიდული პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებების ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ JCE-ის უარყოფითა და თანაამსრულებლობის, არაპირდაპირი ამსრულებლობისა და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინების ჩამოყალიბებით ICC ცდილობს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ისეთი დოგმატიკის შექმნას, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერიურისტთა ნააზრევზე.

საერთაშორისო სისხლის სამართლის ამსრულებლობის ახალი დოგმატიკა, საერთო ჯამში, ad hoc ტრიბუნალების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინასთან

შედარებით, უფრო პრაგმატულია, განსაკუთრებით, მაღალი თანამდებობის პირთა მიერ ორგანიზებული სახელმწიფო აპარატის გამოყენებით ჩადენი დანაშაულებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კუთხით. რომის სტატუტი ეყრდნობა დანაშაულში მონაწილეობის `ბრალეულობის იერარქიას~, რისი განსაზღვრაც სავალდებულოა _ დასჯის სიმძიმე უნდა განისაზღვროს ბრალის ხარისხით, რომელიც სასჯელის აუცილებელი წინაპირობაა. სასჯელის შეფარდება ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის დადგენის გარეშე შეუძლებელია. ნაშრომში განხილული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დოქტრინები სისტემურად განსხვავდება სხვა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინისგან. ამსრულებლობის დოქტრინის ფარგლებში, გერმანული სისხლის სამართლის ქმედებაზე ბატონობის თეორიაზე დაყრდნობით, მკვიდრდება დანაშაულზე კონტროლის კონცეფცია არსებითი კონტრიბუციის სტანდარტით, კერძოდ, თანაამსრულებლობისთვის _ ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობისა და არაპირდაპირი ამსრულებლობისათვის _ ორგანიზაციაზე კონტროლის სახით. რაც შეეხება, არაპირდაპირ (თანა)ამსრულებლობას, იგი, შესაბამისად, დანაშაულზე კონტროლის სისტემურ ცნებას ეყრდნობა. შესაბამისად, საერთაშორისო სისხლის სამართალს რომის სტატუტის ფარგლებში აქვს ამსრულებლობის ცნების მართვის რამდენიმე დამოუკიდებელი მოდელი, ჰორიზონტალური _ თანაამსრულებლობისა და ვერტიკალური _ არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინების სახით და ასევე, `ჰიბრიდული~ _ არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა, რომელიც დამოკიდებულია ამსრულებლობის აღნიშნული ორი დოქტრინის ცნებებზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მ. ხოფერია, ნ. სურგულაძე, ქალაქის თვითმმართველობა XIX-XX საუკუნეებში ((IX POLISH-GEORGIAN COLLOQUIUM)), 12.10.2022 თბილისი, საქართველო.

2. ნ. სურგულაძე, გ. ფერაძე, „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ ერთა თვითგამორკვევის უფლებისა და საქართველოს (სახელმწიფო) მმართველობის ფორმის თაობაზე, 12.10.2022 თბილისი, საქართველო.

3. ლადო ჭანტურია, Human Rights Conference in Tbilisi, 29/30 September 2022, Presentation: “Extraterritorial jurisdiction during an armed international conflict”.

4. ლადო ჭანტურია, კონფერენცია თემაზე: სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სამართლებრივი ჩარჩო მიმდინარე რეფორმა და საკითხები შემდგომი გაუმჯობესებისთვის, 24 ნოემბერი 2022, თბილისი, მოხსენება: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქართველოს მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

5. ლადო ჭანტურია, Humboldt-Kolleg, Tbilissi, 30. November - 2. Dezember 2022, Presentation: “Geschichte und Gegenwart der deutsch-georgischen rechtlichen Zusammenarbeit“.

6. ი. ბურდული, ფორუმის თემა: ინტერესთა კონფლიქტი საკორპორაციო სამართალში. ორგანიზატორი: სამართლისა და ეკონომიკის ცენტრი (თსუ/ალტე უნივერსიტეტი). მოდერატორი. 8 დეკემბერი, 2022 წ., თბილისი, საქართველო.
7. ი. ბურდული, ფორუმის თემა: ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობა და ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში. ორგანიზატორი: სამართლისა და ეკონომიკის ცენტრი (თსუ/ალტე უნივერსიტეტი). მოდერატორი. 11 თებერვალი 2022 წ. ონლაინ ფორუმი.
8. ი. ბურდული, ფორუმის თემა: მონაწილეობითსამართლებრივი უფლების მოპოვებისა და დაკარგვის მექანიზმები სამეწარმეო საზოგადოებაში. ორგანიზატორი: სამართლისა და ეკონომიკის ცენტრი (თსუ/ალტე უნივერსიტეტი). მოდერატორი. 6 მაისი 2022 წ. თბილისი, საქართველო.
9. ი. ბურდული, საერთაშორისო კონფერენცია: The legal system – evolution or revolution (სამართლის სისტემა - ევოლუცია თუ რევოლუცია). ორგანიზატორი: Akademia Pomorska w Slupsku (პოლონეთი)/თსუ (საქართველო). მონაწილე, 18 ოქტომბერი 2022 წ. თბილისი, საქართველო. რუსულ-ინგლისურ ენებზე.
10. ი. ბურდული, Deutsch-georgisches Kolloquium in Zivilrecht (მე-6 გერმანულ-ქართული კოლოქვიუმი კერძო სამართალში). მოხსენება თემაზე: Zurück zur „Orbite": Rückkehr des georgischen Wirtschaftsrechts zu der kontinental-europäischen Rechtsfamilie im Lichte des europäischen supranationalen Unternehmensrechts. (უკან ორბიტისაკენ: ქართული ეკონომიკური სამართლის შემობრუნება კონტინენტურ-ევროპული სამართლის ოჯახისაკენ (ევროპული სუპრანაციონალური საკორპორაციო სამართლის კონტექსტში)). ორგანიზატორი: ზაარბრიუკენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (გერმანია)/თსუ (საქართველო), 6 ოქტომბერი 2022 წ. თბილისი, საქართველო. გერმანულ ენაზე.
11. ი. ბურდული, საერთაშორისო კონფერენცია: „ბიზნესის წარმოება ჰონგ-კონგსა და საქართველოში". ჰონგ-კონგის სამართლის ასოციაციისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთობლივი ვებინარი (ორგანიზატორები). მომხსენებელი თემაზე: კომპანიათა დაფუძნება საქართველოში. ინგლისურ-ქართული, 17 მარტი 2022 წ. ონლაინ კონფერენცია.
12. ი. ბურდული, უახლესი ცვლილებები „მეწარმეთ შესახებ" საქართველოს კანონში. ვებინარი. ორგანიზატორი: საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. თანამომხსენებელი, 17 თებერვალი 2022 წ. თბილისი, საქართველო.
13. ი. ბურდული, ფორუმის თემა: საკორპორაციო სამართლის განვითარების ტენდენციები საქართველოში. ორგანიზატორი: სამართლისა და ეკონომიკის ცენტრი (თსუ/ალტე უნივერსიტეტი). მომხსენებელი. 18 მაისი 2022 წ. ონლაინ ფორუმი.
14. ი. ხარშილაძე, „ადმინისტრაციული განსჯადობა სასამართლო პრაქტიკაში", თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის ინიციატივით დაფუძნებული ფორმატის – „დისკუსია მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის" – ფარგლებში, 2022 წლის 22 ოქტომბერს, იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების ინიციატივით ჩატარებული პირველი შეხვედრა თემაზე: „ადმინისტრაციული მართლმსაჯულების გამოწვევები საქართველოში".

15. მ. გარიშვილი, სამართლის ისტორიის X საერთაშორისო-სამეცნიერო კოლოქვიუმი, რომელიც 2022 წლის 18 ოქტომბერს ჩატარდა ქ. თბილისში, თსუ იურიდიული ფაკულტეტზე, პოლონეთის რესპუბლიკის ქ. სუფსკის პომორიის აკადემიის ადმინისტრაციისა და სამართლის ფაკულტეტის პროფესორებთან თანამშრომლობის ფარგლებში, მოხსენება: Институты уголовного права по “Обозрению Грузии по части прав и законоведения” Давида Багратиони.
16. საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში „მედიაცია: ტრენინგი და სოციალური ტრანსფორმაცია“, ერასმუს + პროექტის მხარდაჭერით, 26 ოქტომბერი, 2022, კონფერენციის ადგილი: თბილისი მერიოტი. მოხსენების სათაური: სასამართლოს როლი მედიაციის განვითარებაში. მომხსენებელი: ნათია ჩიტაშვილი.
17. მე-2 საერთაშორისო ფორუმი ,,მედიაცია ადვოკატებისთვის“ , საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, USAID კანონის უზენაესობის პროგრამა. მომხსენებელი: ნათია ჩიტაშვილი, მოხსენების სახელწოდება: ,,მედიაცია და იურისტები“. ფორუმის ჩატარების ადგილი და დრო: შერტონ გრანდ მეტეხი პალასი, 15 დეკემბერი, 2022.
18. მეორე საერთაშორისო ფორუმი: ,,მედიაცია ბიზნესისთვის“. მოხსენება: ,,ბიზნეს სექტორთა საჭიროებები და მედიაციის მექანიზმი“ მომხსენებელი: ნათია ჩიტაშვილი მხარდამჭერები: საქართველოს მედიატორთა ასოციაციისა და საქართველოს ბიზნესომბუდსმენი, USAID კანონის უზენაესობის პროგრამა. ფორუმის ჩატარების ადგილი და დრო: ჰილტონ გარდენ ინ თბილისი, 16 დეკემბერი, 2022.
19. გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი: სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, 11-12 ნოემბერი, 2022 წ., მოხსენება თემაზე: სოციალური ქსელები და გამოხატვის თავისუფლება.
20. გიორგი დგებუაძე, „მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები - ვინ არის პასუხისმგებელი?!“, თბილისი, საქართველო, 15–16.6.2022.
21. ირინე ქურდაძე, საერთაშორისო კონფერენციის სახ-ბა: „ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის ურთიერთმიმართების თანამედროვე გამოწვევები“ მოხსენების სათაური: „საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ტრიბუნალების როლი ჰუმანიტარული სამართლის განვითარებაში, საქართველოს მაგალითი“; ინგლისურ ენაზე, თსუ, საქართველო. სექტემბერი, 2022.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. ლადო ჭანტურია, Federalist Society for Law and Public Policy Studies European Judicial Network. Transatlantic Judicial Exchange. A Conference in Paris, March 24-26, 2022, Presentation: “Compulsory Health Measures (Vaccination) from the Perspective of the European Court of Human Rights”.
2. ლადო ჭანტურია, Ceremonial Opening and Colloquium European Human Rights Protection, Köln, 16 September 2022, Presentation “Human Rights Protection – Challenges to the Peace and Public Order in Europe”.

3. ლადო ჭანტურია, Notre Dame Judicial Seminar on Constitutionalism and the Rule of Law in Rome, 22 – 24 September 2022, Presentation: "Human Rights Protection in the Time of the Pandemic in the Case-Law of the European Court of Human Rights".
4. ი. ბურდული, 6. Internationalles Doktorantenseminar (IDS. მე-6 საერთაშორისო სადოქტორო სამეცნიერო სემინარი). მოხსენება თემაზე: Transformation durch Rezeption am Beispiel des postsowjeti-schen Gesellschaftsrechts. (ტრანსფორმაცია რეცეფციის მეშვეობით. პოსტსაბჭოთა საკორპორაციო სამართლის მაგალითზე). ორგანიზატორი: ანდრაში უნივერსიტეტი (უნგრეთი)/შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (გერმანია), 29 სექტემბერი 2022 წ. ბუდაპეშტი, უნგრეთი. გერმანულ ენაზე.
5. მ. ხოფერია, Great codifiers and great codifications, 1-2 ივნისი, 2022, სლუპსკი, პოლონეთი.
6. გიორგი დგებუაძე, საერთაშორისო სისხლის სამართლის მიმდინარე გამოწვევები და სამართლებრივი ასპექტები, ვენა, ავსტრია, 18.6.2022.
7. გიორგი დგებუაძე, „სოციალური მდგრადობა: სამართალი, რეზისტენტულობა და სიცოცხლისუნარიანი მომავალი", დორტმუნდი, გერმანია, 20–24.6.2022.
8. გიორგი დგებუაძე, „საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი საქართველოში - დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი (ICC-ის საგამოძიებო სიტუაცია საქართველოში)", ბერლინი/იენა, გერმანია, 26.9–1.10.2022.
9. გიორგი დგებუაძე, „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო - უფრო სამართლიანი სამყაროს მშენებლობა", ჰააგა, ნიდერლანდები, 13.10.2022.
10. გიორგი დგებუაძე, პანელურ დისკუსიებში მონაწილეობა შემდეგ თემებზე: შეხვედრების / პანელური დისკუსიების აქტუალური საკითხები:
- საერთაშორისო დანაშაულის დაზარალებულთათვის ზიანის ანაზღაურება
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროცესების ხანგრძლივობა
- აგრესიის დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა საერთაშორისო წესრიგის დასაცავად
- სპეციალური სისხლის სამართლის სასამართლო და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო: კომპლემენტარულობის პრინციპის ჭრილში
- „იურისდიქციული თანამშრომლობის" სიძლიერე, ჰააგა, ნიდერლანდები, 5-10.12.2022.
11. ირინე ქურდაძე, კონფერენციის სახ-ბა: საერთაშორისო სამართლის მომავალი რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემდგომ მოხსენების სათაური: „საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო, როგორც გლობალური მართლმსაჯულების საერთაშორისო მექანიზმი: საქართველოდან უკრაინამდე"; ინგლისურ ენაზე, უკრაინის საერთაშორისო სამართლის ასოციაცია, ონლაინ, ივლისი 2022.
12. ირინე ქურდაძე, კონფერენციის სახ-ბა: „საერთაშორისო სამართლის თანამედროვე გამოწვევები." მოხსენების სათაური: საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის პრობლემური საკითხები საქართველოს კანონმდებლობის მაგალითზე"; მსოფლიო ეკონომიკისა და დიპლომატიის უნივერსიტეტი, ტაშკენტი, უზბეკეთი, აპრილი, 2022.

13. ირინე ქურდაძე, საერთაშორისო კონფერენციის სახ-ბა: „ადამიანის უფლებების დაცვის სამართლებრივი საკითხები.“ მოხსენების სათაური: „ევროკავშირში თანასწორობის პოლიტიკის სამართლებრივი ასპეტები“; ინგლისურ ენაზე, კიევი, უკრაინა, ონლაინ, დეკემბერი, 2022.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

გ. კვერენჩხილაძე, რედაქტორი; „თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი“; წიგნი II; სამეცნიერო სტატიების კრებული; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი. თბილისი, 2022.

გ. კვერენჩხილაძე, რეცენზენტი; ნოდარ პაპუკაშვილი, „მუნიციპალური სამართალი“; პირველი გამოცემა; სახელმძღვანელო. თბილისი, 2022.

მ. ივანიძე, ტრენინგი: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, ტრენერი (სისხლის სამართლის მიმართულება), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2022 წლის 14-15 მაისი.

მ. ივანიძე, ტრენინგი: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, ტრენერი (სისხლის სამართლის მიმართულება), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა, ტრენერი, 2022 წლის 8-9 ოქტომბერი.

მ. ივანიძე, კონფერენცია: საერთაშორისო თანამშრომლობა, მონაწილე (ევროპის საბჭოს ექსპერტი 2022 წლის 9 ნოემბერი ჯიმ მერდოკი), ორგანიზატორი: თსუ და ევროპის საბჭო.

მ. ივანიძე, კონფერენცია: გერმანულ-ქართული სამართლისდიალოგი: სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, მონაწილე, 2022 წლის 11-12 ნოემბერი, ორგანიზატორი: ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტი.

მ. ივანიძე, თსუ იურიდიული ფაკულტეტის ღონისძიება: სისხლის სამართლის მიმართულების პროფესორთა ნაშრომების პრეზენტაცია, 2022 წლის 3 დეკემბერი (ერთ-ერთი ორგანიზატორი).

2022 წლის 3 დეკემბერს, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების ინიციატივითა და ორგანიზებით, თსი პირველ კორპუსში მოეწყო 2020-2022 წლებში გამოცემულ ნაშრომთა პრეზენტაცია/განხილვა, სადაც ნ. თოდუა იყო ერთ-ერთი მომხსენებელი (სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში). ღონისძიებაში მონაწილეობა

მიიღეს როგორც ფაკულტეტის სამეცნიერო წრის წარმომადგენლებმა, ასევე მოწვეულმა პრაქტიკოს-იურიუტებმა (მოსამართლეებმა, პროკურორებმა, ადვოკატებმა), ასევე ფაკულტეტის სტუდენტობამ. გამოითქვა მოსაზრებები და წინადადებები კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით. პრაქტიკოსმა იურისტებმა გამოთქვეს სურვილი, გაგრძელდეს შეხვედრები, მოეწყოს დიალოგი, სადაც თემატურად იქნება განხილული პრაქტიკისთვის პრობლემური საკითხები. ასევე შესაბამისი საკანონმდებლო წინადადება მიეწოდის საქართველოს პარლამენტს.

Jean Monnet Chair ("Understanding EU Policy for Equality" (UEUPE)/ ევროკავშირის თანასწორობის შესახებ პოლიტიკის გააზრება), ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტია, რომლის იმპლემენტაცია ხელს უწყობს ევროკავშირის თაობაზე სწავლა/სწავლების პროცესს, ევროკავშირის სამართლებრივი სისტემის უკეთ გააზრებას, მათ შორის, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტში. პროექტის ქოლგის ქვეშ ჩატარებული ღონისძიებები ხელს უწყობს ცოდნის ამაღლებას თანასწორობის, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ევროპული სტანდარტების შესახებ. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები; შეიქმნა და პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია სასწავლო კურსი „ადამიანის უფლებები და მრავალფეროვნება, დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა". ჩატარდა სტუდენტური კონფერენციები და საჯარო ლექციები/დისკუსიები ევროკავშირში ინტეგრაციის, თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის სტანდარტების საკითხებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მონეს პროექტის ფარგლებში, ორგანიზაცია MCERC და თსუ სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის მედია-ფსიქოლოგიისა და კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესორ მარიკა გერსამიასთან პარტნიორობით, ქვეყნის მასშტაბით, მიმდინარეობს ტრენინგ-კურსები ჟურნალისტებისათვის. ტრენინგების ჩატარება ნიდერლანდების საელჩოს მიერ არის მხარდაჭერილი. ჟან მონეს კათედრის იმპლემენტაციაში ჩართულები არიან პროფესორი ირინე ქურდაძე, ასისტენტ-პროფესორი მარიამ კევლიშვილი და ასისტენტი თამარ ალექსიძე.

ზაარლანდის უნივერსიტეტთან ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად პროფესორი ირინე ქურდაძე მიწვეულია ცნობილი საგამომცელო სახლის, შპრინგერის ,,Springer" სპეციალური სერიის ,,European Union and its neighbours in a globalized world" სარედაქციო კოლეგიისა და სამეცნიერო სტატიების წინასწარი შეფასების ჯგუფის წევრად. აღნიშნული სერიის ეგიდით გამოიცა შემდეგი პუბლიკაციები:

- Thomas Giegerich – The European Union as Protector and Promoter of Equlaity.
- Nuno Cunha Rodrigues – Extraterritoriality of EU Economic Law
- Parliamentarization of International Governmental Organizations
- Neven Andjelic – Covid – 19, State – Power and Society in Europe
- Hava Charlotte Lan Yurttagul – Whistleblower Protection by the Council of Europe, the European Court of Human Rights and the European Union

ვარშავის იუსტიციის აკადემიისა და პოლონეთის იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერითა და თანაორგანიზებით, კვლევითი პროექტის ფარგლებში - „Private law aspects of crime prevention and assistance to crime victims“, პროფესორმა ირინე ქურდაძემ და ასისტენტ-პროფესორმა მაკა კევლიშვილმა ერთობლივად შეასრულეს სამართლებრივი ანალიზი თემაზე - „The natural persons' capacity to do legal acts – interdisciplinary approach and prepared an excellent and comprehensive initial report concerning the law of Georgia to the extent connected with the Art. 12 of the UN Convention on the rights of persons with disabilities“. პროექტი განხორციელდა ვარშავის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

2021 წლის დეკემბრიდან - 2022 წლის ივნისამდე, პროფესორი კონსტანტინე კორკელია ფულბრაიტის პროგრამით (Fulbright Program), მოწვეული მკვლევარის რანგში იმყოფებოდა ნიუ ორკის უნივერსიტეტის - ადამიანის უფლებათა დაცვის და გლობალური მართლმსაჯულების ცენტრში. საკვლევი თემა შეეხებოდა - სიცოცხლის უფლებას ევროპულ და ეროვნულ სამართლებრივ დონეებზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ეგიდით გამოიცა რიგით მეჩვიდმეტე ყოველწლიური კრებული სახელწოდებით „ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“. კრებულის გამოცემის ინიციატორი და სამეცნიერო რედაქტორია პროფესორი კონსტანტინე კორკელია.

2022 სასწავლო წლის ფარგლებში დასრულდა მუშაობა საერთაშორისო სამართლის ყოველწლიური ჟურნალის ორ გამოცემაზე - N 1, 2019-2020 წწ. (გადაცემული თსუ-ის გამომცემლობას, მიმდინარეობს დაკაბადონება) და N 1 2021-2022 წწ (მზად არის თსუ-ის გამომცემლობაში გადასაცემად). აღსანიშნავია, რომ 2021-2022 წლის ჟურნალს დაემატა რუბრიკა „სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომები“, რომლიც ინიციატორები არიან თავად საერთაშორისო სამართლის პროგრამის სტუდენტები - თამარ გობეჯიშვილი და ანა ჩხეიძე.

ყურადღება!

* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტი

2022 წლის სამეცნიერო ანგარიში

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - -ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი
სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება ბიოლოგიის დეპარტამენტის მორფოლოგიის კათედრა
1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხით დაფინანსებული კვლევა თემაზე: „სილილირებული სტიროლის შემცველი ხის ახალი კომპოზიტის ზრდასრულ თაგვებზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შესწავლა“.

ნაშრომში განხილულია თანამედროვე ეტაპზე ისეთი განსაკუთრებით აქტუალური პრობლემა, როგორიცაა ახალი, ხის შემავსებლით გამყარებული თერმოპლასტიკური პოლიმერული მატრიცებიდან მიღებული კომპოზიტების შემუშავება. აღნიშნული კომპოზიტების მიმართ გაზრდილი ინტერესი განპირობებულია მათი გარემოს დაცვითი და მაღალი ეკონომიკური სარგებელით. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფილია პირველ რიგში მათი კარგი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებითა და ასევე, დაბალი თვითღირებულებით. მას შემდეგ, რაც დადგინდა ფენოლ-ფორმალდეჰიდის ფისების საფუძველზე დამზადებული სამშენებლო ფილების ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება, აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა. გამოიკვეთა ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო, ახალი კომპოზიციური მასალების შექმნის აუცილებლობა. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი იყო თეთრი ზრდასრული თაგვების სხვადასხვა ქსოვილის მორფოფუნქციურ აქტიურობაზე სილილირებული სტიროლის შემცველი ხის და თივის ახალი კომპოზიტების შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შესწავლა. ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ როგორც ხის, ასევე, თივის ახალი კომპოზიტები, რომლებშიც შემაწებებლად გამოყენებულია ტრიეთოქსისილილირებული სტიროლი, არ იწვევს თეთრი ზრდასრული თაგვების პერიფერიულ სისხლში ლეიკოციტების საერთო რაოდენობის ცვლილებებს. არ გამოვლინდა ასევე, აღნიშნული კომპოზიტების უარყოფითი ზეგავლენა თეთრი ზრდასრული თაგვების სხვადასხვა ქსოვილის (ღვიძლი

და თავის ტვინი) ჰისტოარქიტექტონიკასა და პროლიფერაციულ აქტიურობაზე. მიღებული მონაცემების საფუძველზე გაკეთებული არის შემდეგი დასკვნები:

1. ხის კომპოზიტი, რომელშიც მერქნის ბურბუშელას შემაწებებლად გამოყენებულია სილილირებული სტიროლი, არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას ზრდასრული თეთრი თაგვების სხვადასხვა ქსოვილის მორფო-ფუნქციურ აქტიურობაზე.
2. ვინილ ტრიეთოქსისილანით სილირირებული სტიროლის და თივის ბაზაზე შექმნილ კომპოზიციური მასალის ფილებს არ გააჩნიათ ზრდასრული თაგვების სხვადასხვა ქსოვილის ჰისტოარქიტექტონიკასა და პროლიფერაციულ აქტიურობაზე უარყოფითი ზემოქმედების უნარი.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. გვანცა ნახუცრიშვილი - სამაგისტრო პროგრა ბიოლოგიის მაგისტრანტი II კურსი. ვინილ ტრიეთოქსისილანით სილირირებული სტიროლის და თივის ბაზაზე შექმნილ კომპოზიციური მასალის ფილების გამოყენების შემდეგ ზრდასრული თაგვების სხვადასხვა ქსოვილის ჰისტოარქიტექტონიკის შეფასება
2. ელენე თავდიშვილი მორფოლოგიის კათედრის ასისტენტ პროფესორი, ექსპერიმენტების დაგეგმვა. საკვლევ ქსოვილებში უჯრედების კოლხიცინური მიტოზური ინდექსის განსაზღვრა.
3. ლევან რუსიშვილი, მორფოლოგიის კათედრის ასისტენტ პროფესორი. მიღებული მონაცემების დახარისხება, სტატისტიკური ანალიზი. მიკროფოტოების დამუშავება
4.ელზა მარქარაშვილი, ქიმიის დეპარტამენტის მაკრომოლეკულების ქიმიის ლაბორატორიის გამგე, ვინილ ტრიეთოქსისილანით სილირირებული სტიროლის და თივის ბაზაზე შექმნილ კომპოზიციური მასალის ფილების დამზადება
5.ლევან ლონდარიძე , ქიმიის დეპარტამენტის დოქტორანტი ვინილ ტრიეთოქსისილანით სილირირებული სტიროლის და თივის ბაზაზე შექმნილ კომპოზიციური მასალის ფილების დამზადება
6. დიანა ძიძიგური, მორფოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი. მიღებული შედეგების შეჯამება, ანალიზი და დასკვნების გაკეთება

აღნიშნულ თემაზე გამოქვეყნებული შრომების სია:

1.STUDY OF POSSIBLE NEGATIVE IMPACT OF NEW WOOD COMPOSITE CONTAINING HAY, STYROL AND TRIETHOXYSILYL (4-VINILFENETHYL) SILANE ON A LIVING SYSTEM
E. Tavdishvili, E. Markharashvili, M. Berulava, G. Nakhutsrishvili, L. Londaridze, D. Dzidziguri
Chemistry & Chemical Technology XI INTERNATIONAL SCIENTIFIC-TECHNICAL CONFERENCE «Advance in Petroleum and Gas Industry and Petrochemistry» PROCEEDINGS Lviv, May 16–20, 2022, 174-177

2. ვინილ ტრიეთოქსი სილანით სილირირებული სტიროლის და თივის ბაზაზე შექმნილი ახალი კომპოზიციური მასალის ცოცხალ სისტემებზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შესწავლა
E. Tavdishvili, E. Makharashvili, M. Berulava, G. Nakhutsrishvili, L. Londaridze, D. Dzidziguri
XI INTERNATIONAL SCIENTIFIC-TECHNICAL CONFERENCE «Advance in Petroleum

and Gas Industry and Petrochemistry» PROCEEDINGS Lviv, May 16–20, 2022
3. STUDY OF POSSIBLE NEGATIVE IMPACT OF A NEW WOOD COMPOSITE CONTAINING TRIETHOXYSILYLATED STYRENE ON A LIVING SYSTEM IN EXPERIMENT. G. Nakhutsrishvili, M. Berulava, E.Tavdishvili, Londaridze, D. Dzidziguri Advanced Materials, Polymers, and Composites. New research on Properties, Techniques, and Applications. 2022

2. უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სტუდენტური პროექტი 2022წ.

1. **სტუდენტური პროექტი „ადამიანის მენინგიომის ქსოვილიდან ენდოგენური ცილოვანი ფაქტორის გამოყოფა და უჯრედების გამრავლებაზე მისი ზემოქმედების შესწავლა“**

ეუკარიოტულ უჯრედებში გენეტიკური ინფორმაციის თვითწარმოქმნისა და გადაცემის ფუნქცია უზრუნველყოფილია უჯრედების გამრავლების (პროლიფერაცია) მკაცრად კონტროლირებადი პროცესით. პროლიფერაციის რეგულაცია ეგზოგენური და ენდოგენური ზრდის ფაქტორებით ხორციელდება, რომელთა შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს (1, 2, 3). იდენტიფიცირებული და დახასიათებულია მრავალი ფაქტორი, რომელთა მნიშვნელობა დიდია უჯრედთა პროლიფერაციის, დიფერენცირების, აპოპტოზის და სხვა პროცესებში (4,5). აღსანიშნავია, ასევე, ზრდის ფაქტორებით რეგულირებად მოლეკულურ პროცესებსა და სიმსივნის პროგრესირების კლინიკურ ეტაპებს შორის გამოვლენილია სარწმუნო პარალელები, რაც ზრდის, როგორც ეგზოგენური, ასევე, ენდოგენური ფაქტორების, მათი რეცეპტორებისა და სასიგნალო გზების შესახებ ცოდნის ფარგლების გაფართოების აუცილებლობას (6). შედარებით მწირია ინფორმაცია ენდოგენური ზრდის ფაქტორების შესახებ, რომლებიც რეგულატორული გენებით კოდირებული ცილოვანი მოლეკულებია და სამიზნე ქსოვილებზე სპეციფიკური მოქმედების უნარი გააჩნიათ. ენდოგენური ფაქტორების ექსპრესიის ნებისმიერი ფორმით დარღვევა ორგანიზმში პათოლოგიური პროცესის ინიცირებას განაპირობებს. აქედან გამომდინარე, სადღეისოდ, ეჭვს გარეშეა, რომ უჯრედების პროლიფერაცია ცილოვანი ენდოგენური ფაქტორების მონაწილეობით ზოგადბიოლოგიურ ხასიათს ატარებს და ამიტომ, მათი მოქმედების მექანიზმების შესწავლა დღემდე რჩება ბიოლოგიისა და მედიცინის აქტუალურ პრობლემად. ერთერთი ასეთი ფაქტორი იდენტიფიცირებულია ზრდასრული ვირთაგვას სხვადასხვა ქსოვილის უჯრედებში და არის თერმოსტაბილური ცილოვანი კომპლექსის (თცკ) სახელით ცნობილი. აღნიშნული კომპლექსი ტრანსკრიპციის დათრგუნვის გზით უჯრედების გამრავლების ინჰიბირებას იწვევს. მას არ გააჩნია სახეობრივი სპეციფიკურობა, მაგრამ ხასიათდება ქსოვილსპეციფიკურობით, რომელიც ვლინდება მხოლოდ ტერმინალურად დიფერენცირებულ უჯრედებთან მიმართებაში (8,9). აღნიშნული ცილების კომპლექსი დაბალმოლეკულური კომპონენტის (12 kD) გამოყოფის და გასუფთავების შემდეგ, მასსპექტრული ანალიზით დადგინდა, რომ ეს არის კარგად ცნობილი ცილა კალმოდულინი (10). კალმოდულინი და კალმოდულინ-დამოკიდებული სასიგნალო სისტემა ძუძუმწოვრებში აკონტროლებს უჯრედების პროლიფერაციას, უჯრედის პროგრამირებულ სიკვდილს და აუტოფაგიას და სხვა სასიცოცხლო პროცესებს (11). მიუხედავად ამისა, დღემდე არ არის ბოლომდე და ცალსახად დადგენილი კალმოდულინის როლი უჯრედების სიმსივნურ ზრდაში.

არსებობს მონაცემები იმის თაობაზე, რომ ცილოვანი კომპლექსის

დაბალმოლეკულური კომპონენტის შემცველობა განსხვავებულია სხვადასხვა სახით ტრანსფორმირებულ უჯრედებში. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ კეთილთვისებიანი სიმსივნური (ბავშვთა ჰემანგიომა) უჯრედების ცილოვან კომპლექსში არ გააჩნია მოზარდი ვირთაგვას ჰეტეროტიპური უჯრედების გამრავლების ინჰიბირების უნარი, რაც შეიძლება განპირობებული იყოს კომპლექსში აქტიური საწყისის მინორული შემცველობით. აქტიური საწყისის მინორული შემცველობა დადგენილია ასევე, ადამიანის პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნური (წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჯირკვლოვან-კუნთოვან-ფიბროზული ჰიპერპლაზია) უჯრედებიდან და ადამიანის თავის ტვინის კეთილთვისებიანი(ადენოჰიპოფიზის ადენომა) სიმსივნური ქსოვილებიდან გამოყოფილი თცკ-ს შემთხვევებშიც.

ამავე დროს, ლიტერატურული მონაცემებით, გამოვლინდა პროსტატის ანდროგენ-მგრძნობიარე (LNCaP) და ანდროგენ დამოუკიდებელ (PC-3) სიმსივნურ უჯრედებში, კალმოდულინის განსხვავებული, მაჟორული და მინორული შემცველობა შესაბამისად (12). კალმოდულინის მაჟორული შემცველობა ნაჩვენებია ასევე, ადამიანის გლიობლასტომის უჯრედებიდან მიღებულ ცილოვან კომპლექსშიც. ამავე დროს, თცკ-ს დაბალმოლეკულური კომპონენტი არ იდენტიფიცირდება ადამიანის თირკმლის კიბოს უჯრედებში (7). უფრო მეტიც, დადგენილია, რომ B ქლლ-ის (ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია) კულტივირებული უჯრედების თცკ-ში აქტიური საწყისი მინორული შემცველობა და მიუხედავად ამისა, ის ინარჩუნებს ჰომოტიპური სიმსივნური უჯრედების გამრავლების ინჰიბირების უნარს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ეუკარიოტულ უჯრედებში მრავალფუნქციური ცილა კალმოდულინის რაოდენობრივი შემცველობა და როლი სიმსივნურ ტრანსფორმაციაში ჯერ კიდევ ბევრ კითხვას ბადებს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამ მიმართულებით კვლევების გაფართოება და ჩვენი ყურადღება შევაჩერეთ ცენტრალური ნერვული სისტემის პირველად სიმსივნეზე, მენინგიომაზე. მენინგიომა არის პირველად სიმსივნეებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებული და განასხვავებენ სამი ხარისხის მენინგიომას. პირველი ხარისხის ყველაზე დაბალი, მენინგიომის სიმსივნური უჯრედები ნელა პროლიფერილებენ. მეორე ხარისხის, იგივე ატიპური მენინგიომა, როდესაც სიმსივნე შეიძლება დაბრუნდეს მისი ამოკვეთის შემდეგაც კი. ანაპლაზიური, ანუ მესამე ხარისხის მენინგიომა უმაღლესია, ამ შემთხვევაში იგი ავთვისებიანია და მის უჯრედებს ახასიათებს სწრაფი გაყოფა (15).

2. კვლევის მიზნები, ობიექტი, მეთოდოლოგია და ამოცანები

2.1. კვლევის მიზანი: მოზარდი თეთრი ვირთაგვების უჯრედების გამრავლებაზე ადამიანის მენინგიომის ქსოვილიდან გამოყოფილი ენდოგენური ცილოვანი ფაქტორის ზემოქმედების შესწავლა.

2.2. კვლევის ობიექტი: მოზარდი თეთრი ვირთაგვები (7 დღის).

2.3. კვლევის მეთოდოლოგია:

2.3.1. სპირტული ექსტრაქციის გზით ადამიანის მენინგიომის ქსოვილიდან ენდოგენური ცილოვანი კომპლექსის გამოყოფა და ნაწილობრივი გასუფთავება;

2.3.2. ენდოგენური ცილოვანი კომპლექსის კომპონენტების ელექტროფორეზული ანალიზი პოლიაკრილამიდის გრადიენტული გელის გამოყენებით;

2.3.3. მოზარდი თეთრი ვირთაგვების სხვადასხვა ორგანოს პროლიფერაციულ აქტიურობაზე მენინგიომის ცილოვანი კომპლექსის ზემოქმედების შეფასება კოლხიცინური მიტოზური ინდექსის განსაზღვრით;

2.3.4. მოზარდი თეთრი ვირთაგვას სხვადასხვა ქსოვილში ანდროგენის რეცეპტორის ექსპრესიის ხარისხის შეფასება იმუნოჰისტოქიმიური მეთოდით;

2.3.5. მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი.

2.4 კვლევის ამოცანები

2.4.1. სპირტული ექსტრაქციის მეთოდით ადამიანის მენინგიომის ქსოვილიდან ენდოგენური ცილოვანი ფაქტორის გამოყოფა და გასუფთავება;

2.4.2. ადამიანის მენინგიომის ქსოვილიდან გამოყოფილი ენდოგენური ცილოვანი ფაქტორის პოლიაკრილამიდის გელში შედარებითი ელექტროფორეზული ანალიზი;

2.4.3. მოზარდი თეთრი ვირთაგვების სხვადასხვა ტიპის უჯრედების გამრავლებაზე ადამიანის მენინგიომის ქსოვილიდან გამოყოფილი ენდოგენური ცილოვანი ფაქტორის ზემოქმედების შედარებითი შესწავლა;


2.4.4. მოზარდი თეთრი ვირთაგვების სხვადასხვა ტიპის უჯრედებში ანდროგენის რეცეპტორების შემცველობის განსაზღვრა იმუნოჰისტოქიმიური ანალიზის გზით.

3. კვლევის შედეგები და მათი განხილვა

3.1. ადამიანის მენინგიომის ქსოვილიდან თერმოსტაბილური ცილოვანი კომპლექსის გამოყოფა და შედარებითი ელექტროფორეზული შესწავლა

კვლევის საწყის ეტაპზე მოვახდინეთ სპირტული ექსტრაქციის გზით ადამიანის მენინგიომის უჯრედებიდან თერმოსტაბილურ ცილოვან კომპლექსის გამოყოფა. კომოლექსსში შემავალი კომპონენტების შესაფასებლად გამოვიყენეთ ელექტროფორეზის მეთოდი პოლიაკრილამიდის გელში. შედარებითი ანალიზის გზით გამოვლინდა, რომ მენინგიომით დიაგნოსტირებული პაციენტის სიმსივნური უჯრედებიდან გამოყოფილი თერმოსტაბილური ცილოვანი კომპლექსი შეიცავს ცილების ორ ქვეფრაქციას: შედარებით მაღალმოლეკულურ (20-120კდ) და დაბალმოლეკულურ (12-17კდ) ქვეფრაქციებს. ამავე დროს გამოვლინდა, რომ დაბალმოლეკულური ქვეფრაქცია ზემოხსენებული სიმსივნის უჯრედებში

წარმოდგენილია მაჟორული რაოდენობით, რაც აღწერილი არის სხვა ავთვისებიანი სიმსივნის შემხვევაში, როგორიცაა გლიობლასტომა.




1 2 3

სურ. 1. ადამიანის მენინგიომის ქსოვილიდან გამოყოფილი თერმოსტაბილური ცილების კომპლექსის ელექტროფორეზული შესწავლა

1- მარკერული ცილები (10-240 კდა); 2 - თავის ტვი. 3. ადამიანის მენინგიომიდან გამოყოფილი ცილოვანი კომპლექსი

კერძოდ, ჩვენს მიერ პოლიაკრილამიდის გელში ელექტროფორეზის მეთოდით ადრე ჩატარებული იყო სპირტული ექსტრაქციის გზით ადამიანის თავის ტვინის კეთილთვისებიანი (ადენოჰიპოფიზის ადენომა) და ავთვისებიანი (გლიობლასტომა) სიმსივნური უჯრედებიდან გამოყოფილი თერმოსტაბილური ცილების კომპლექსებში შემავალი კომპონენტების შედარებითი შესწავლა.

ა ბ



სურ. 2 ა და ბ. პოლიაკრილამიდის გრადიენტულ გელში გლიობლასტომით (ა) ადენოჰიპოფიზის ადენომით (ბ) დიაგნოსტირებული პაციენტის შესაბამისი ქსოვილებიდან (პოსტოპერაციული მასალა) გამოყოფილი თერმოსტაბილური ცილების კომპლექსის ელექტროფორეზული ანალიზი.

1-ვირთაგვას თავის ტვინიდან გამოყოფილი ცილოვანი კომპლექსი;

2 - გლიობლასტომის (ა2)და ადენოჰიპოფიზის ადენომის (ბ2) ქსოვილებიდან გამოყოფილი ცილოვანი კომპლექსები

3- მარკერული ცილები (10-240კდა).

ანალიზის გზით გამოვლინდა, რომ გლიობლასტომით დიაგნოსტირებული პაციენტების თერმოსტაბილური ცილების კომპლექსი ინტაქტური ვირთაგვას თავის ტვინის კომლექსის მსგავსად შეიცავს ცილების ორ ქვეფრაქციას: შედარებით მაღალმოლეკულურ (20-120კდ) და დაბალმოლეკულურ ქვეფრაქციებს (12-17კდ). ამავე დროს, გამოვლინდა, რომ დაბალმოლეკულური ქვეფრაქცია ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედებში წარმოდგენილია მაჟორული რაოდენობით (სურ.2ა).

ადენოჰიპოფიზის ადენომით დიაგნოსტირებული პაციენტის სიმსივნური უჯრედებიდან მიღებული ცილოვანი კომპლექსის ანალოგიური კვლევით. დადგინდა, რომ ადამიანის კეთილთვისებიანი სიმსივნური უჯრედებიდან მიღებული ენდოგენური ცილოვანი კომპლექსი ასევე შეიცავს ცილების ორ ქვეფრაქციას: შედარებით მაღალმოლეკულურ (20-120კდ) და დაბალმოლეკულურ ქვეფრაქციებს (12-17კდ). აღსანიშნავია, რომ კეთილთვისებიანი სისმსივნური უჯრედების თცკ-ში, ავთვისებიანი სიმსივნური ქსოვილის

ანალოგიური კომპლექსისგან განსხვავებით, დაბალმოლეკულური ქვეფრაქცია წარმოდგენილია არა მაჟორული, არამედ მინორული რაოდენობით (სურ.2ბ).


მიღებული შედეგების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის თავის ტვინის ავთვისებიანი (მენინგიომა და გლიობლასტომა) და კეთილთვისებიანი(ადენოჰიპოფიზის ადენომა) სიმსივნური ქსოვილებიდან გამოყოფილი უჯრედების გამრავლების მაინჰიბირებელი ენდოგენური თერმოსტაბილური ცილოვანი კომპლექსები განსხვავდება აქტიური საწყისის (კალმოდულინი) რაოდენობრივი შემცველობის მიხედვით. ანალოგიური შედეგები არის აღწერილი სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევაში, როგორებიც არის: ბავშვთა ჰემანგიომა და ადამიანის პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია (წყარო ?).

3.2 მოზარდი თეთრი ვირთაგვას სხვადასხვა ქსოვილის პროლიფერაციულ აქტიურობაზე მენინგიომის ცილოვანი კომპლექსის ზემოქმედების შეფასება კოლხიცინური მიტოზური ინდექსის განსაზღვრის გზით


კვლევის შემდგომ ეტაპზე შევისწავლეთ ადამიანის მენინგიომის უჯრედებიდან მიღებული თერმოსტაბილური ცილოვანი კომპლექსის ზემოქმედება 7-დღიანი ინტაქტური ვირთაგვების ღვიძლის, თირკმლისა და თავის ტვინის უჯრედების პროლიფერაციულ აქტიურობაზე.

ამისათვის ცხოველები დავყავით ორ ჯგუფად: I- საკონტროლო ჯგუფი ინტაქტური ვირთაგვები; II- საცდელი ჯგუფი ცხოველები, რომლებსაც ინტრაპერიტონეალურად გაუკეთდათ ადამიანის მენინგიომის უჯრედებიდან გამოყოფილი თერმოსტაბილური ცილების ინექცია (200 გამა). ერთი საათის შემდეგ ორივე ჯგუფის ცხოველებს გაუკეთდათ კოლხიცინის ინექციები (1მკგ/გ). ინექციებიდან ორ საათში დიეთილის ეთერის ნარკოზის პირობებში მოვახდინეთ ცხოველების დეკაპიტაცია და საკვლევი ქსოვილები დავამუშვეთ სტანდარტული პროტოკილით პარაფინის ანათების დასამზადებლად.


ამასთან, შევაფასეთ მოცემული ქსოვილების ჰისტოარქიტექტონიკა, სადაც საცდელ და საკონტროლო ჯგუფებს შორის განსხვავება არ გამოვლინდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ზემოხსენებულ თერმოსტაბილურ ცილოვან კომპლექსს არ გააჩნია ტოქსიკური ზეგავლენა ორგანიზმზე.




სურ. 4 საკონტროლო ჯგუფის მოზარდი თეთრი ვირთაგვას ღვიძლის ჰისტოარქიტექტონიკა (შეღებვა- ჰემატოქსილინ-ეოზინი); მიტოზური ფიგურები.




სურ. 5 საცდელი ჯგუფის მოზარდი თეთრი ვირთაგვას ღვიძლის ჰისტოარქიტექტონიკა (შეღებვა- ჰემატოქსილინ-ეოზინი); მიტოზური ფიგურები.




სურ. 6 საკონტროლო ჯგუფის მოზარდი თეთრი ვირთაგვას თირკმლის ჰისტოარქიტექტონიკა (შეღებვა- ჰემატოქსილინ-ეოზინი); მიტოზური ფიგურები.



სურ. 7 საცდელი ჯგუფის მოზარდი თეთრი ვირთაგვას თირკმლის ჰისტოარქიტექტონიკა (შეღებვა- ჰემატოქსილინ-ეოზინი); მიტოზური ფიგურები.



სურ. 8 საკონტროლო ჯგუფის მოზარდი თეთრი ვირთაგვას ტვინის ჰისტოარქიტექტონიკა (შეღებვა- ჰემატოქსილინ-ეოზინი); მიტოზური ფიგურები.




სურ. 9 საცდელი ჯგუფის მოზარდი თეთრი ვირთაგვას ტვინის ჰისტოარქიტექტონიკა (შეღებვა- ჰემატოქსილინ-ეოზინი); მიტოზური ფიგურები.

გამოკვლევებით დადგინდა,რომ მენინგიომის თერმოსტაბილური ცილების კომპლექსის ერთჯერადი ინექცია არ ავლენს უჯრედების გამრავლებაზე დამთრგუნველი ზემოქმედების უნარს. მე-3 სურათიდან როგორც ჩანს ცილოვანი კომპლექსის ზემოქმედებით მოზარდი ვირთაგვების თირკმლის და თავის ტვინის უჯრედების კოლხიცინური მიტოზური ინდექსი არ იცვლება საკონტროლო ჯგუფის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით .

ამავე დროს, განსხვავებული შედეგები იქნა მიღებული ღვიძლის შემთხვევაში. კერძოდ, ღვიძლის ქსოვილის პროლიფერაციული აქტიურობა სარწმუნოდ გაიზარდა აღნიშნული ცილების ზემოქმედების შემდეგ. ჰეპატოციტების მიტოზური ინდექსი დაახლოებით 2-ჯერ გაიზარდა საკონტროლო ჯგუფის ცხოველების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით (სურ. 3). რითი შეიძლება აიხსნას მიღებული მონაცემები?

ზემოთ როგორც უკვე იყო აღნიშნული, ადამიანის თავის ტვინის ავთვისებიანი (მენინგიომა და გლიობლასტომა) და კეთილთვისებიანი(ადენოჰიპოფიზის ადენომა) სიმსივნური ქსოვილებიდან გამოყოფილი უჯრედების გამრავლების

მაინჰიბირებელი ენდოგენური თერმოსტაბილური ცილოვანი კომპლექსები განსხვავდება აქტიური საწყისის (კალმოდულინი) რაოდენობრივი შემცველობის მიხედვით ( ).



სურ. 3 მოზარდი თეთრი ვირთაგვების ღვიძლის, თირკმლისა და ტვინის პროლიფერაციულ აქტიურობაზე ადამიანის მენინგიომის თერმოსტაბილური ცილოვანი კომპლექსის ზემოქმედება.

ნორმასთან შედარებით კალმოდულინის მაღალი შემცველობა აღწერილია თაგვის ფილტვის კიბოს უჯრედებში, ადამიანის ძუძუს ადენოკარცინომის, მსხვილი ნაწლავის კარცინომის და სხვა ავთვისებიანი სიმსივნური ქსოვილების უჯრედებში ( ). ამასთან ერთად, ინ ვიტრო სისტემაში ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ადამიანის პროსტატის ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედებიდან გამოყოფილი თერმოსტაბილურ ცილოვან კომპლექსში აქტიური საწყისი, კალმოდულინი, წარმოდგენილია მაჟორული შემცველობით. ასევე მაღალი შემცვლებითაა პროსტატის ქსოვილში ანდროგენი და ანდროგენის რეცეპტორი. აღნიშნული ლიგანდ-რეცეპტორული კომპლექსი, როგორც ცნობილია, უჯრედში მოხვედრის შემდეგ უკავშირდება კალმოდულინს, გადაიტანება უჯრედის ბირთვში და ხდება პროლიფერაციის სტიმულაცია (14). შედარებით ადრეულ შრომებში ასევე ნაჩვენებია, რომ


ინტაქტური თაგვების ნორმალური ღვიძლის უჯრედებთან შედარებით ჰეპატომის უჯრედებში ასევე მაღალია კალმოდულინის შემცველობა ( ).

ლიტერატურული მონაცემების თანახმად, ღვიძლი აქტიურად არის ჩართული ანდროგენის მეტაბოლიზმსა და შესაბამისი რეცეპტორის აქტივაციაში (13). ანდროგენის რეცეპტორი ნორმაში ექსპრესირდება ჰეპატოციტების პლაზმურ მემბრანაზე და მონაწილეობას იღებს მრავალ მნიშვნელოვან პროცესში, მაგალითად, ალკოჰოლის მეტაბოლიზმში. მოცემული შედეგებიდან და ლიტერატურული მონაცემებიდან გამომდინარე, კვლევის მომდევნო ეტაპზე მიზნად დავისახეთ შეგვეფასებინა მოზარდი ვირთაგვების ღვიძლში ანდროგენის რეცეპტორის ექსპრესიის ინტენსიურობის ცვლილება იმუნოჰისტოქიმიური ანალიზით.


3.3 მოზარდი თეთრი ვირთაგვას სხვადასხვა ქსოვილში ანდროგენის რეცეპტორის ექსპრესიის ხარისხის შეფასება იმუნოჰისტოქიმიური მეთოდით.

ექსპერიმენტების ამ სერიაში ცხოველები ასევე დავყავით ორ ჯგუფად: I- საკონტროლო ჯგუფი - ინტაქტური ვირთაგვები და II- საცდელი ჯგუფი - ცხოველები, რომლებსაც ინტრაპერიტონეალურად გაუკეთდათ ადამიანის მენინგიომის უჯრედებიდან გამოყოფილი თერმოსტაბილური ცილების ინექცია (200 გამა).

მე-10 და მე-11 სურათებზე წარმოდგენილია მოზარდი თეთრი ვირთაგვების ღვიძლის იმუნოჰისტოქიმიური ანალიზის ამსახველი მიკროფოტოები. სურათებიდან ჩანს, რომ როგორც საკონტროლო, ისევე საცდელი ცხოველების ღვიძლის ქსოვილი დადებითადაა შეღებილი ანდროგენის რეცეპტორის მიმართ. აქედან გამომდინარეობს, რომ მოზარდი თეთრი ვირთაგვას ღვიძლის ქსოვილში ექსპრესირდება ანდროგენის რეცეპტორი.




სურ. 10. ანდროგენის რეცეპტორის მიმართ მოზარდი ინტაქტური ვირთაგვას ღვიძლის ქსოვილის იმუნოჰისტოქიმიური შეღებვა (გადიდება ა-10x10, ბ- 10x40, გ-10x100).




სურ. 11. ანდროგენის რეცეპტორის მიმართ მოზარდი ვირთაგვას ღვიძლის ქსოვილის იმუნოჰისტოქიმიური შეღებვა მენინგიომის ქსოვილიდან გამოყოფილი ცილის ინექციის შემდეგ (გადიდება ა-10x10, ბ- 10x40, გ-10x100).


აღსანიშნავია,როგორც მე-12-მე15 ფოტოებზე ჩანს, რომ ამავე ცხოველების თავის ტვინსა და თირკმელში ანდროგენის რეცეპტორის მიმართ შეღებვა ნეგატიურია საცდელ და საკონტროლო ჯგუფებში, ანუ ზემოხსენებული რეცეპტორები არ ექსპრესირდებიან ამ კონკრეტულ ქსოვილებში, რაც კორელირებს ჩვენ მიერ მიღებულ შედეგებთან.




სურ. 12. ანდროგენის რეცეპტორის მიმართ მოზარდი ინტაქტური ვირთაგვას თირკმლის ქსოვილის იმუნოჰისტოქიმიური შეღებვა (გადიდება ა-10x10, ბ- 10x40, გ-10x100).



სურ. 13. ანდროგენის რეცეპტორის მიმართ მოზარდი ვირთაგვას თირკმლის ქსოვილის იმუნოჰისტოქიმიური შეღებვა მენინგიომის ქსოვილიდან გამოყოფილი ცილის ინექციის შემდეგ (გადიდება ა-10x10, ბ- 10x40, გ-10x100).



სურ. 14. ანდროგენის რეცეპტორის მიმართ მოზარდი ინტაქტური ვირთაგვას ტვინის ქსოვილის იმუნოჰისტოქიმიური შეღებვა (გადიდება ა-10x10, ბ- 10x40, გ-10x100).



სურ. 15. ანდროგენის რეცეპტორის მიმართ მოზარდი ვირთაგვას ტვინის ქსოვილის იმუნოჰისტოქიმიური შეღებვა მენინგიომის ქსოვილიდან გამოყოფილი ცილის ინექციის შემდეგ (გადიდება ა-10x10, ბ- 10x40, გ-10x100).

4. დასკვნები

1. ადამიანის თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნის (მენინგიომა) უჯრედებში იდენტიფიცირებულია თერმოსტაბილური ცილების კომპლექსი დაბალმოლეკულური კომპონენტის ცილა კალმოდულინის მაჟორული შემცველობით;

2. მენინგიომის თერმოსტაბილური ცილების კომპლექსს მოზარდი თეთრი ვირთაგვების ღვიძლის უჯრედების პროლიფერაციის სტიმულაციის უნარი გააჩნია.

2. მენინგიომის თერმოსტაბილური ცილების კომპლექსის ზრდის მასტიმულირებელი ზემოქმედება ღვიძლის უჯრედებში ანდროგენის რეცეპტორის ექსპრესიით და, შესაბამისად, კალმოდულინის მაღალი შემცველობით არის განპირობებული.

5. გამოყენებული ლიტერატურა.

1. Sporn M. B., A. B. Roberts. Peptide Growth Factors and Their Receptors I © Springer-Verlag Berlin Heidelberg 1990. Book chapter R. A. Bradshaw, K. P. Cavanaugh (796 p) 17-36pp.

2. Dijke P.T, Goumans M., 2002 Regulation of cell proliferaiotn by Smad proteins. J. Cell biology 191, 1-16

3. Mitchell Aaron C., Priscilla S.Briquez, Jeffrey A.Hubbell, Jennifer R.Cochran. Engineering growth factors for regenerative medicine applications. Acta Biomaterialia, 2016, 30:1-12.

4. Goustin AS, Leof EB, Shipley GD, Moses Hl –Growth factors and cancer, Cancer res. 1999 Mar;46(3):1015-29.

5. J.M. Ou,Z.Y. Yu,M.K. Qiu,Y.X. Dai Knockdown of VEGFR2 inhibits proliferation and induces apoptosis in hemangioma-derived endothelial cellsEuropean journal of histochemistry2014 58:2233 G.V.

6. G.V. Sherbet. Growth Factors and Their Receptors in Cell Differentiation, Cancer and Cancer Therapy. // Elsevier, 2011, Pages- 347 D.Dzidziguri, M. Iobadze, T. Aslamazishvili, G. Tumanishvili, V. Bakhutashvili, T. Chigogidze, L. Managadze. Comparative study of influence of endogenic kidney factors on the proliferative activity of epitheliocytes. Tsitologiya. 2005, 47(6): 497-500.

7. Giorgobiani N, Dzidziguri D, Rukhadze M, Rusishvili L, and Tumanishvili G. Possible role of endogenous growth inhibitors in regeneration of organs: searching for new approaches. cel biol intern. 2005, 29(12):1047-1049.

8. Diana Dzidziguri, Irina Modebadze, Ekaterine Bakuradze , Giorgi Mosidze, Manana Berulava. Properties of the thermostable protein complex of rat brain inhibiting the cell proliferation. Cell J (Yakhteh), 2018, 19(4), Serial Number: 76, 552-558

9. http://conference.ens-2014.tsu.ge/en/lecture/view/549

10. Martin W Berchtold, Antonio Villalobo. The many faces of calmodulin in cell proliferation, programmed cell death, autophagy, and cancer. 2014 Feb;1843(2):398-435

11. Cifuentes E, Mataraza JM, Yoshida BA, Menon M, Sacks DB, Barrack ER, Reddy GP. Physical and functional interaction of androgen receptor with calmodulin in prostate cancer cells. 2003. Proc Natl Acad Sci U S A. 2004 Jan 13;101(2):4649.

12. Ogasawara, C., Philbrick, B. D., & Adamson, D. C. (2021). Meningioma: A Review of Epidemiology, Pathology, Diagnosis, Treatment, and Future Directions. Biomedicines, 9(3), 319. https://doi.org/10.3390/biomedicines9030319

13. L M Houdebine, B Teyssot, J Djiane, E Devinoy Oct-Nov 1982;43(5):354-69

14.seminal plasma of infertile patients. Preliminary results. Acta Eur Fertil. 1986 May-Jun;17(3):207-11. PMID: 2878554.

15. კორძაძე ა; „ადამიანის სხვადასხვა სახით ტრანსფორმირებულ ნერვულ უჯრედებში ენდოგენური ზრდის შემაკავებელი ფაქტორის იდენტიფიცირება და შედარებითი დახასიათება“; (2021).

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის
1. პროფ. დიანა ძიძიგური(კათედრის გამგე), ექსპერიმენტის დაგეგმვა, მონაცემების ანალიზი და შეჯამება; ირინა მოდებაძე (ასოც.პროფესორი) , მორფოლოგიური კვლევების წარმართვა, ეკატერინე ბაკურაძე (ასოც. პროფესორი, იმუნოჰისტოქიმიური ანალიზი), ლევან რუსიშვილი(ასისტ.პროფესორი). ცილების ელექტროფორეზი, გიორგი ალექსანაშვილი, მედიცინის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი, ადამიანის სიმსივნური ქსოვილიდან ცილების გამოყოფა, დახასიათება და მიტოზურ აქტიურობის ცვლილების შეფასება, მირებული მონაცემების ანალიზი. თორნიკე გოგოლაური, ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მე-9 სემესტრი, ცდების მომზადება, ლიტერატურის მიმოხილვა და ექსპერიმენტებში მონაწილეობა. მარიამ აბულაზე, ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მე-2 კურსი -ცდების მომზადება, ლიტერატურის მიმოხილვა და ექსპერიმენტებში მონაწილეობა.

უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული მეორე სტუდენტური პროექტი

2. კარდიომიოციტების ადაპტაციურ-კომპენსატორული მექანიზმების თავისებურებების შესწავლა ზრდასრულ ვირთაგვებში ალოქსანური დიაბეტის მოდელზე

ძუძუმწოვრებში ჰეპატოციტებისა და კარდიომიოციტების პოლიპლოიდიზაციის უნარი მიჩნეულია ცვლადი გარემოს ფაქტორებისა და სტრესის საპასუხოდ განვითარებულ დამცავ ევოლუციურ მექანიზმად (Ghiraldini et al., 2012). პოლიპლოიდური უჯრედები ყალიბდება აგრეთვე, სტრესისა და სხვადასხვა დაზიანებების საპასუხოდ, და მოქმედებენ როგორც დამცავი მექანიზმი აპოპტოზისა და ოქსიდაციური სტრესით გამოწვეული დნმ-ს დაზიანებების დროს. ახორციელებენ რა არსებული გენეტიკური მასალის აღწარმოებას, ზოგავენ ენერგეტიკულ რესურსებს და ახანგრძლივებენ უჯრედის სიცოცხლეს (Celton-Morizur, et al., 2010). მეორე მხრივ, კარდიომიოციტების პოლიპლოიდიზაცია ითვლება რეგენერაციის მალიმიტირებელ ფაქტორად, რადგან ჩვეულებრივ დიპლოიდურ უჯრედებთან შედარებით მაღალპლოიდურ უჯრედებს აქვთ დაბალი პროლიფერაციის უნარი (Patterson, M, Barske, L. 2017).

ნორმაში, ემბრიონულ პერიოდში კარდიომიოციტებს შეუძლიათ პროლიფერაცია, თუმცა დაბადების შემდეგ კარდიომიოციტების განახლების უნარი ძალიან დაბალია (<1%) იმისთვის, რომ გულმა შეძლოს რეგენერაცია. დაბადებიდან 1 თვეში მიიღება კარდიომიოციტების თითქმის საბოლოო რაოდენობა (Bergmann O, Zdunek S, 2015) და გულის ზრდა კარდიომიოციტების რაოდენობრივი მატებიდან იცვლება უჯრედების ზომაში მატებით - კარდიომიოციტები გაივლიან უჯრედული ციკლის 1-2 წრეს, ხდებიან პოლიპლოიდურები და შემდეგ გადადიან ჰიპერტროფიულ ზრდაზე - უჯრედი ზომაში მატულობს ცილოვანი კომპონენტების ზრდის ხარჯზე.

პოსტნატალურ კარდიომიოციტებში უჯრედული ციკლი ყოველთვის არ სრულდება უჯრედის გაყოფით, არამედ ნორმალური, დიპლოიდური გენომის გაორმაგებით შეიძლება

მივიღოთ ერთ ან მრავალბირთვიანი პოლიპლოიდური უჯრედი. პოლიპლოიდიზაციის ძირითადი გზა არის ე.წ. არასრული მიტოზი.. როგორც ერთ, ისე მრავალბირთვიანი მაღალპლოიდური უჯრედები ხშირად გვხვდება ძუძუმწოვრების პარკუჭებში. ზრდასრული ადამიანის კარდიომიოციტების 10%-ზე ნაკლებია დიპლოიდური, 57,5% არის ტეტრაპლოიდური (4n ან მეტი) და 25,5% არის მრავალბირთვიანი (Bergmann, O, Zdunek, S, Dynamics of cell generation and turnover in the human heart, 2015), ვირთაგვებში 3.5% არის დიპლოიდური; <1% 4n; 96.5% მრავალბირთვიანი (აქედან დაახლოებით 80% არის ორბირთვიანი ტეტრაპლოიდური) (Bensley, JG, De Matteo, 2016). ცნობილია რომ მეტაბოლიზმის ტიპიც ახდენს გავლენას კარდიომიოციტების პლოიდობაზე. ემბრიონის მაღალი პროლიფერაციის უნარის მქონე კარდიომიოციტები ენერგიის წყაროდ მოიხმარენ ძირითადად გლუკოზას. დაბადების შემდეგ კი ხდება მეტაბოლიზმის „გადართვა“ უმეტესად ცხიმოვანი მჟავების მოხმარებაზე. ახალშობილ თაგვებზე ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ კარდიომიოციტებში ცხიმოვანი მჟავების ბეტა დაჟანგვის ინჰიბირება ამცირებს მათ ბინუკლეაციას, ხოლო ბეტა დაჟანგვის სტიმულირება პირიქით, ზრდის ბინუკლეაციას (Cao, T, Liccardo, D, Fatty acid oxidation promotes cardiomyocyte proliferation rate but does not change cardiomyocyte number in infant mice, 2019). ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეტაბოლიზმის ცვლილება აინდუცირებს პროლიფერაციის პოლიპლოიდიზაციით შეცვლას.

ცნობილია, რომ კარდიომიოციტების პლოიდობის ზრდას ადამიანის გულში იწვევს ჰიპერტროფია, რომელიც გამოწვეულია ქრონიკული ჰიპერტენზიით. ასევე, კარდიომიოციტებში პლოიდობის ზრდა ნაჩვენებია ინფარქტის შემდეგ, როდესაც პარკუჭების დაზიანებულ უბნები განიცდიან კომპენსატორულ ჰიპერტროფიას გაზრდილი ფუნქციური დატვირთვის გამო (Meckert, PC, Rivello, HG, Endomitosis and polyploidization of myocardial cells in the periphery of human acute myocardial infarction, 2005).

აქედან გამომდინარე, კარდიომიოციტების პლოიდობის ზრდა არ არის მხოლოდ გულის ფიზიოლოგიურ ზრდასთან დაკავშირებული, არამედ გარკვეულ დაავადებებთანაც, თუმცა არ არის ცნობილი ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე მექანიზმით ხდება თუ არა მაღალპლოიდური უჯრედების წარმოქმნა.

დღეისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემაა შაქრიანი დიაბეტი, რომელსაც აქვს დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, გავრცელების სიხშირის, ინვალიდობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის თვალთახედვით, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ მსოფლიოში მოსახლეობის 2% დაავადებულია შაქრიანი დიაბეტით და ყოველ ერთ გამოვლენილ შემთხვევაზე მოდის ამ ავადმყოფობის ერთი გამოუვლენელი ფორმა, ე.ი., გააჩნიათ ფარულად მიმდინარე შაქრიანი დიაბეტი. მოსახლეობის 3%-ს კი აქვს გენეტიკურად განპირობებული შაქრიანი დიაბეტი. ცნობილია, რომ მთელი ენდოკრინული დაავადებების სტრუქტურაში 50% მოდის შაქრიან დიაბეტზე (ლაცაბიძე, 2015). შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ადამიანების დაახლოებით 74%-ს უვითარდება ჰიპერტროფული კარდიომიოპათია.

ჰიპერგლიკემიის დროს კარდიომიოპათიის განვითარების მექანიზმი მოიცავს გლიკაციის საბოლოო პროდუქტების გაზრდილ დონეს, უჯრედული მეტაბოლიზმის ცვლილებას,

მიტოქონდრიულ დისფუნქციას, გაძლიერებულ ოქსიდაციურ სტრესს, კალციუმის ჰომეოსტაზის ცვლილებასა და ა.შ. ამ ყველაფრის შედეგად კი ხდება მიოკარდიუმის დესტრუქცია, რის გამოც დაკარგული უჯრედების საკომპენსაციოდ კარდიომიოციტები განიცდიან ჰიპერტროფიას, თუმცა არ არის ცნობილი იცვლება თუ არა ამ დროს პოლიპლოიდური უჯრედების რაოდენობა გულში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაოს მიზანია ალოქსანური დიაბეტის პირობებში ზრდასრული ვირთაგვების კარდიომიოციტების ადაპტაციურ-კომპენსატორული მექანიზმების თავისებურებების შესწავლა.

კვლევის მიზნები, ობიექტი, მეთოდოლოგია და ამოცანები.

1. **კვლევის მიზანი:** კარდიომიოციტების ადაპტაციურ-კომპენსატორული მექანიზმების თავისებურებების შესწავლა ზრდასრულ ვირთაგვებში ალოქსანური დიაბეტის მოდელზე.

2. **კვლევის ობიექტი:** თეთრი ზრდასრული ვირთაგვები (140-165 გ).

3. **კვლევის მეთოდოლოგია:**

3.1. გლუკოზის კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლში გლუკომეტრის მეშვეობით;

3.2. გულის (მარცხენა პარკუჭის) ქსოვილის ნაცხების დამზადება, ფიოლგენის რეაქციით დნმ-ს შეღებვა და კომპიუტერული პროგრამით ImageJ დნმ-ს კონცენტრაციის განსაზღვრა;

3.3 გულის (მარცხენა პარკუჭის) ქსოვილის ანათლების დამზადება, . ჰემატოქსილინ-ეოზინით შეღებვა და კომპიუტერული პროგრამით ImageJ უჯრედებისა და ბირთვების ფართობის განსაზღვრა მარცხენა პარკუჭის (მორფომეტრიის ჩატარება)

3.4. ინტაქტური და საცდელი ჯგუფის ცხოველების გულში TNF α პოზიტიური უჯრედების შეფასება იმუნოჰისტოქიმიური მეთოდით.

3,5 ალოქსანის ინექციიდან სხვადასხვა ვადებზე ზრდასრული ვირთაგვაში კარდიომიოპათიის განვითარების შეფასება NT-proBNP ცილის იმუნოფერმენტაციული ანალიზით.

3.6 მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი;

4. **კვლევის ამოცანები:**

4.1. ალოქსანის ინექციის შემდეგ ჰიპერგლიკემიის ხარისხის შეფასება ექსპერიმენტული ცხოველების სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის განსაზღვრის გზით;

4.2. ალოქსანის ინექციიდან სხვადასხვა ვადებზე (48სთ, 96,სთ. 1კვირა, 2კვირა, 4,კვირა) ზრდასრული ვირთაგვაში კარდიომიოპათიის განვითარების შეფასება NT-proBNP ცილის იმუნოფერმენტაციული ანალიზით.

4.3.ალოქსანის ინექციიდან სხვადასხვა ვადებზე (24, 48, 96სთ, 1,2,4 კვირა) ზრდასრული ვირთაგვის კარდიომიოციტებისა და მათი ბირთვების ფართობების განსაზღვრა.

4.4. ალოქსანის ინექციიდან სხვადასხვა ვადებზე ზრდასრულ ვირთაგვებში პროლიფერაციული აქტივობის შეფასება კოლხიცინური მიტოზური ინდექსის მეთოდით.

4,5. ალოქსანის ინექციიდან სხვადასხვა ვადებზე (24, 48,96 სთ1,2, 4, კვირა) ზრდასრული ვირთაგვას კარდიომიოციტების პლოიდობის ცვლილებების შესწავლა.

4.6, ინტაქტური და საცდელი ჯგუფის ცხოველების გულში TNF α პოზიტიური უჯრედების შეფასება იმუნოჰისტოქიმიური მეთოდით.


კვლევის შედეგები და მათი განხილვა

4.1. ალოქსანის ინექციის შემდეგ ჰიპერგლიკემიის ხარისხის შეფასება ექსპერიმენტული ცხოველების სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის განსაზღვრის გზით

ალოქსანური დიაბეტის მოდელის მისაღებად კვლევის ობიექტად შევარჩიეთ თეთრი ზრდასრული ვირთაგვები (140-170გ.). ცხოველები დავყავით 4 ჯგუფად: 1) საკონტროლო ჯგუფი - ინტაქტური ცხოველები; 2) სამი საცდელი ჯგუფი - ცხოველები, რომლებსაც გაუკეთდათ ალოქსანის 5%-იანი ხსნარის (რეკომენდებული დოზა არის 150-180 მგ/კგ.წონაზე) ინექცია (Ighodaro et al, 2017). საკვლევი მასალა (გულის მარცხენა პარკუჭი) აღებული იუო ინექციიდან 24-ე, 48-ე და 96 საათებზე.

ალოქსანის შეყვანით გამოწვეული ჰიპერგლიკემიის ხარისხის შესაფასებლად ყოველი ცხოველის სისხლში შეფასდა გლუკოზის კონცენტრაციის ცვლილება (ერთეული მგ/დლ) დინამიკაში. ამ მიზნით, ალოქსანის ინექციიდან ზემოთ აღნიშნულ ვადებზე გლუკომეტრის გამოყენებით, საცდელი ჯგუფის თითოეული ცხოველის სისხლში განისაზღვრა გლუკოზის კონცენტრაცია (3 სთ, 6 სთ, 24 სთ, 30 სთ, 48 სთ, 96 სთ). პარალელურად განისაზღვრა გლუკოზის კონცენტრაციის ცვლილება საკონტროლო ჯგუფის ცხოველების სისხლში.


სურათზე 1 წარმოდგენილია საკონტროლო ჯგუფის ცხოველების სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის ცვლილების ამსახველი მრუდი (სურ.1). სურათიდან ნათლად ჩანს, რომ ოთხი დღის განმვლობაში ინტაქტური ვირთაგვების სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის თვალსაჩინო ცვლილებები არ აღინიშნება (სურ. 1)



სურათი 1. ზრდასრული ინტაქტური ვირთაგვების სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის ცვლილება დინამიკაში (საკონტროლო ჯგუფის ცხოველები, პირველი 96სთ-ის განმავლობაში)


განსხვავებული სურათი დაიმზირება საცდელი ჯგუფის ცხოველების შესაბამისი მაჩვენებლების ამსახველ მრუდზე. კერძოდ, გამოვლინდა, რომ ალოქსანის ინექციიდან უკვე სამ საათში, საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით, საცდელი ჯგუფის ვირთაგვების სისხლში დაახლოებით 2-ჯერ იზრდება გლუკოზის რაოდენობა (სურ.2). შემდეგი სამი საათის განმვლობაში (3-6სთ) ცხოველების 95%-ს სისხლში აღენიშნათ შაქრის კონცენტრაციის კლების ტენდენცია (სურ.2). ამავე სურათიდან ჩანს, რომ 24-ე საათიდან აღინიშნება საცდელი ჯგუფის ცხოველების სისხლში გლუკოზის კონცენტრაცია გაზრდა. მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ სისხლში გლუკოზის გაზრდილი მაჩვენებლები, შენარჩუნებულია ექსპერიმენტის ბოლო ვადაზეც (96 სთ).

მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ზრდასრულ თეთრ ვირთაგვებში ალოქსანის ინექციიდან 48 საათში ჩამოყალიბდა სტაბილური ჰიპერგლიკემია (სურ.2).



სურათი 2. ალოქსანის ინექციის შემდეგ ზრდასრული თეთრი ვირთაგვების სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის ცვლილება დინამიკაში (პირველი 96სთ)

ლიტერატურული მონაცემებით სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის ზრდის ამსახველი ანალოგიური მრუდი აღწერილია ლენზინის მიერ თაგვებში, როგორც ალოქსანის, ასევე სტრეპტოზოტოცინით ინდუცირებული დიაბეტის ექსპერიმენტულ მოდელზე (**Lenzen, S. 2008).** მე-3 სურათზე წარმოდგენილია ამ ექსპერიმენტებში მიღებული მონაცემების ამსახველი მრუდი (სურ 3).



სურ. 3. ალოქსანით და სტრეპტოზოტოცინით ინდუცირებული დიაბეტის მექანიზმი


(Lenzen, S. Diabetologia 51, 216–226 , 2008).

4.2. ალოქსანის ინექციიდან სხვადასხვა ვადებზე (24,48,96,სთ) ზრდასრული ვირთაგვაში კარდიომიოპათიის განვითარების შეფასება NT-proBNP ცილის იმუნოფერმენტაციული ანალიზით

ლიტერატურული მონაცემების თანახმად, კარდიომიოპათიის განვითარების დასადგენად ძირითადად გამოიყენება 3 მარკერი: წინაგულების ნატრიურეზული პეპტიდი (ANP), ტვინის ნატრიურეზული პეპტიდი (BNP) და N-ტერმინალური proBNP (NT-proBNP). მათი დონე, განსაკუთრებით კი BNP-ისა და N-ტერმინალური proBNP-ის (NT-proBNP), იზრდება გულის სტრესისა და დაზიანებისას. ამ 3 მარკერიდან NT-proBNP-ის აქვს ყველაზე ხანგრძლივი ნახევარდაშლის პერიოდი (დაახლოებით 120 წუთი). ვირთაგვებში NT-proBNP-ის ნორმალური კონცენტრაცია არის დაახლოებით 180 პკგ/მლ, დიაბეტის დროს კი მისი რაოდენობა ორჯერ იზრდება (S. Tanoorsaz, N.Behpoor*, V.Tadibi 2017). აქედან გამომდინარე, ის ფართოდ გამოიყენება როგორც სადიაგნოსტიკო საშუალება გულის უკმარისობის დროს (McDonagh TA, Holmer S... Eur J Heart Fail. 2004 Mar).

NT-proBNP ცილა უპირატესად გამომუშავდება გულის პარკუჭების კარდიომიოციტების მიერ (Maeda K, Tsutamoto T, Am Heart J. 1998).მისი სინთეზი ხდება მოცულობისა და წნევის ზრდის საპასუხოდ და ჩართულია სისხლძარღვების მოცულობის რეგულირებაში (Baughman KL. N Engl J Med. 2002 Jul). ვირთაგვებში NT-proBNP-ის სინთეზი იწყება 121 ამინომჟავური ნაშთის შემცველი prepro-BNP-ის წარმოქმნით, რომელიც შეიცავს 26 ამინომჟავური ნაშთის სასიგნალო თანამიმდევრობას. ამ პეპტიდის პროტეოლიზური დაშლით გამოთავისუფლდება 95 ამინომჟავური ნაშთის შემცველი pro-BNP, რომლის შემდგომი პროტეოლიზური დაშლით წარმოიქმნება ბიოლოგიურად არააქტიური NT-proBNP და აქტიური BNP (Ogawa Y, Itoh H, J Clin Invest. 1994 May).

ალოქსანური დიაბეტის პირობებში კარდიომიოპათიის განვითარების შესაფასებლად ჩავატარეთ ცხოველების სისხლის შრატში NT-proBNP ცილის შედარებითი



იმუნოფერმენტული ანალიზი დინამიკაში. ანალიზი ჩატარდა საკონტრლო და საცდელი ჯგუფების ვირთაგვების შრატებზე.

სურათი 4. ალოქსანური დიაბეტის განვითარების საწყის ეტაპზე საკონტროლო და საცდელი ჯგუფის ცხოველების სისხლის შრატში NT-proBNP ცილის კონცენტრაციის ცვლილების შეფასება იმუნოფერმენტული ანალიზით (p<0.05).

ჩატარებული ანალიზით დადგინდა, რომ საკონტროლო ჯგუფის ცხოველების შრატში მარკერული ცილის (NT-proBNP) კონცენტრაციიის მაჩვენებელი არის 216 პკგ/მლ, რაც კარგად კორელირებს ლიტერტურულ მონაცემებთან, რომელთა თანახმადაც აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 180 პკგ/მლ (S.Tanoorsaz, N. Behpoor*, V.Tadibi, 2017). ალოქსანის ინექციიდან 48-ე საათზე პირველი საცდელი ჯგუფის ცხოველთა შრატში კარდიომიოპათიის მარკერული ცილის კონცენტრაცია არ იცვლება საკონტროლო ჯგუფის ცხოველების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით (სურ.4). ასევე სარწმუნოდ არ შეიცვალა NT-proBNP-ის რაოდენობრივი შემცველობა მეორე სადელი ჯგუფის (96სთ ალოქსანის ინექციიდან) ვირთაგვების სისხლის შრატში. მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენს მიერ განხილულ ვადებზე (ალოქსანის ინექციიდან 48-ე და 96-ე სთ) ალოქსანური დიაბეტის საწყის ეტაპზე კარდიომიოპათია, როგორც პათოლოგია ჯერ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კვლევის შემდეგ ეტაპზე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ აღნიშნულ ვადებზე გულის კუნთში შესაძლო დესტრუქციული პროცესების მიმდინარეობის დამატებითი შეფასება. ამ მიზნით გამოვიყენეთ მორფომეტრიული ანალიზი. ასევე, შევარჩიეთ პროლიფერაციული აქტიურობის შესაფასებლად კოლხიცინური მიტოზური ინდექსის და პლოიდობის განსაზღვრის მეთოდები.

4.3. ალოქსანის ინექციიდან სხვადასხვა ვადებზე (24, 48, 96სთ) ზრდასრული ვირთაგვის კარდიომიოციტებისა და მათი ბირთვების ფართობების განსაზღვრა


საკონტროლო და საცდელი ჯგუფის ცხოველებში კარდიომიოციტების და მათი ბირთვების ფართობების შესაფასებლად გამოვიყენეთ მორფომეტრიული ანალიზის მეთოდი. კერძოდ, დავამზადეთ ზრდასრული ვირთაგვების მარცხენა პარკუჭის ქსოვილის ანათლები (ჰემატოქსილინ-ეოზინით შეღებვა) და კომპიუტერული პროგრამა Image J-ის გამოყენებით შევაფასეთ კარდიომიოციტების და მათი ბირთვების ფართობები, რომელთა რიცხობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1. საკონტროლო და საცდელი ჯგუფის ცხოველებში კარდიომიოციტებისა და მათი ბირთვების ფართობების ცვლილება ალოქსანის ინექციიდან სხვადასხვა ვადებზე. (p<0.05)

ჯგუფები	K	Alloxan 24სთ	Alloxan 48სთ	Alloxan 96სთ
უჯრედის ფართობი $(\mu m)^2$	323±20	396±39	355±45	417±67

ბირთვის ფართობი (μm)2	26±2	25±1	32±2	30±4

მიღებული მონაცემების ანალიზით გამოვლინდა, რომ კონტროლთან შედარებით საცდელი ჯგუფის ცხოველების კარდიომიოციტების ფართობი, ისევე, როგორც მათი ბირთვების შესაბამისი მაჩვენებლები, სარწმუნოდ არ იცვლება.



სურათი 5. კარდიომიოციტებისა და მათი ბირთვების ფართობების ცვლილება ალოქსანის ინექციიდან სხვადასხვა ვადებზე.


ორივე ჯგუფის ცხოველების გულის კუნთის უჯრედების მორფომეტრული ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ჰისტოგრამების სახით სურათზე 5.

გამომდინარე იქიდან, რომ ალოქსანის ინექციის შემდეგ არ გამოვლინდა კარდიომიოციტების ფართობის სარწმუნო ცვლილებები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოთ აღნიშნულ ვადებზე, მისი ტოქსიკური ზემოქმედება არ იწვევს გულის კუნთის უჯრედების მორფო-ფუნქციური აქტიურობს თვალსაჩინო ცვლილებებს. ამასთან ერთად, ის ფაქტი, რომ ინექციიდან პირველი ოთხი დღის განმავლობაში, სარწმუნოდ არ იცვლება ამ უჯრედების ბირთვების ფართობიც, იმაზე მიუთითებს, რომ არ მოხდა გულზე ფუნქციური დატვირთვის ისეთი ხარისხით გაზრდა, რომლის საპასუხოდაც, ჩვეულებრივ აღიძვრება ქსოვილებისა და ორგანოთა განახლებისთვის აუცილებელი პროცესები: პროლიფერაცია, ჰიპერტროფია და პოლიპლოიდიზაცია.

ლიტერატურული მონაცემების თანახმად, ითვლება, რომ ნორმაში, ზრდასრულ გულში არ ხდება კარდიომიოციტების გამრავლება ანუ ბლოკირებულია პროლიფერაციის აქტივაციის კასკადური სასიგნალო გზები.შედარებით ნაკლებია ინფორმაცია სხვადასხვა პათოლოგიის პირობებში ამ უჯრედების კომპენსატორული მექანიზმების აქტივაციის თაობაზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პარალელურად შევეცადეთ დამატებითი კვლევებით გამოგვეკვლინა საცდელი ცხოველების გულის კუნთის ჰისტორქიტექტონიკის და პროლიფერაციული აქტიურობის შესაძლო ცვლილებები.

4.4.ალოქსანის ინექციიდან სხვადასხვა ვადებზე ზრდასრულ ვირთაგვებში პროლიფერაციული აქტივობის შეფასება კოლხიცინური მიტოზური ინდექსის მეთოდით


ალოქსანური დიაბეტის პირობებში გულის კუნთის ჰისტოარქიტექტონიკის ცვლილების შესაფასებლად ექსპერიმენტების შემდეგ სერიაში გამოვიყენეთ ზრდასრული ვირთაგვების ექსპერიმენტული მოდელი. სურათზე 6, წარმოდგენილია ინტაქტური ვირთაგვების მარცხენა პარკუჭის ჰისტოარქიტექტონიკის ამსახველი მიკროფოტოები საიდანც კარგად ჩანს ინტაქტური ზრდასრული ვირთაგვების გულის კუნთის ტიპიური ჰისტოარქიტექტონიკა. კარად არის გამოკვეთილი ბოჭკოების სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია ისეთი ფუნქციების განხორციელებაზე, როგორებიც არის:წინაგულების და პარკუჭების შეკუმშვა და მოდუნება სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილში სისხლის გადატანის დროს (სურ.6).




სურათი 6. ინტაქტური ვირთაგვების (საკონტროლო ჯგუფი) გულის მარხენა პარკუჭის ჰისტოარქიტექტონიკა. შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით

გულის ბოჭკოების სტრუქტურის ცვლილებები არ ვლინდება არც საცდელი ჯგუფების ცხოველების ჰისტოლოგიურ ანათლების მიკროფოტოებზე (სურ. 7, 8 და 9).


სურათი 8. საცდელი ჯგუფის ცხოველების მარცხენა პარკუჭის ჰისტოარქიტექტონიკა



სურათი 7. საცდელი ჯგუფის ცხოველების მარცხენა პარკუჭის ჰისტოარქიტექტონიკა ალოქსანის ინექციიდან 24 საათის შემდეგ. შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით




ალოქსანის ინექციიდან 48 საათის შემდეგ. შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით



სურათი 9. საცდელი ჯგუფის ცხოველების მარცხენა პარკუჭის ჰისტოარქიტექტონიკა ალოქსანის ინექციიდან 96 საათის შემდეგ. შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით

ექსპერიმენტების ამ სერიაში შევეცადეთ ასევე, კარდიომიოციტების პროლიფერაციული აქტიურობის შესაძლო ცვლილებების შეფასება. ამ მიზნით, გამოვიყენეთ ზემოთ მოყვანილ ჰისტოლოგიურ პრეპარატებზე წარმოდგენილ ქსოვილები და განვსაზღვრეთ კარდიომიოციტების კოლხიცინური მიტოზური ინდექსი. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ზემოთ აღნიშნულ ვადებზე, ალოქსანის ინექცია როგორც საკონტროლო, ასევე, საცდელი ჯგუფების ცხოველებში არ ინიცირებას გულის მარცხენა პარკუჭში ქსოვილში მიტოზურ ანუ პროლიფერაციულ აქტიურობას.

1. პროექტის ხელმძღვანელი პროფ. ნანული დორეული „პოსტ ტრავმულ სტრესულ აშლილობასთან ასოცირებული შიშის მეხსიერების სპეციფიკური ბიომარკერების შესწავლა მღრღნელებში.“
2. პროექტის ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ბუციკო ჩხარტიშვილი „5-HT2Aდა5-HT1A რეცეპტორების როლისშესწავლა პათოლოგიური შიშის მეხსიერებაზე პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობის ცხოველურ მოდელებში“.

ველოდებით საბოლოო შედეგებს.

ასევე, კათედრის დოქტორანტმა გია ქუთელიამ (ხელმძღვანელი პროფ. ნანული დორეული) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, მოიპოვა სამეცნიერო გრანტი სადისერტაციო თემის „შიშის მეხსიერების პტსა-ის სპეციფიკური ინჰიბიტორული ქსელების შესწავლა“-თან დაკავშირებული კვლევების უზრუნველსაყოფად (პროექტის შიფრი JFZ-II-22-109).

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრა

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1

*1) **გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები*

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.

*1) **დასრულებული** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების* მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები.

1. MD1-ის გავლენა CD180 ის ექსპრესიის ხარისხზე ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის უჯრედებში. 2022-2022წ.

2. „SARS CoV2 ის საწინააღმდეგო ზოგადი და ანტი Spike 1&2 IgG ანტისხეულების ტიტრი სხვადასხვა ვაქცინით იმუნიზირებულ და კოვიდ 19-ის სხვადასხვა შტამით ინფიცირებულ პირებში“. 2022-2022წ.

3. ,,ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიით დაავადებული პირების ოპორტუნისტული ბაქტერიული ინფექციების გამომწვევების ანტიბიოტიკო და ფაგომგრძნობელობის შესწავლა ნამკურნალებ და უმკურნალებ პაციენტებში“. 2022-2022წ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამაგისტრო პროგრამა „ბიოლოგიის“ სტუდენტი ანა-მარია კვაჭაძე; ამავე უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები: ბუთხუზი ანა, გაბაძე საბა, ჭაჭიაშვილი თინათინი და მედიცინის ფაკულტეტი სტუდენტი - პაპავა მერაბი.
2. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამაგისტრო პროგრამა „ბიოლოგიის“ სტუდენტი ანა მახათაძე.
3. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამაგისტრო პროგრამა „ბიოლოგიის“ სტუდენტი ხატია მიქელაძე.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია (ქლლ) ხასიათდება CD5+CD19+CD23+ უჯრედების კლონური ექსპანსიით და აკუმულირებით პერიფერიულ ლიმფურ ორგანოებში, ქსოვილებსა და ძვლის ტვინში. ნაჩვენებია, რომ ქლლ უჯრედები მიკროგარემოსგან ღებულობენ სიგნალებს, რომლებიც ხელს უწყობენ მათ დაყოფას, გადარჩენასა და ექსპანსიას in vivo. სავარაუდოდ, ქლლ-ის განვითარებას ბიძგს აძლევს ჰიპოთეტური ენდოგენური ან ეგზოგენური (აუტო)ანტიგენ(ებ)ი. ნაჩვენები იქნა, რომ ქლლ უჯრედები ძლიერ სიგნალებს იღებს CD180 თოლლ-მსგავსი რეცეპტორების საშუალებით.

შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია როგორც ზემოაღნიშნული ანტიგენის იდენტიფიცირება, ასევე ქლლ-ის უჯრედებში არსებული პრო-გადარჩენის სასიგნალო გზების შესწავლა. სავარაუდოდ, ერთ-ერთი რეცეპტორი რომელიც ურთიერთქმედებს მიკროგარემოსთან - Toll-მსგავს რეცეპტორების ოჯახის წევრი - CD180.

ნაჩვენები იქნა, რომ CD180 ჰეტეროგენულად არის ექპრესირებული ქლლ უჯრედებზე [Porakishvili et al., 2005, 2011, 2015], ძირითადად კი - მუტირებული IGHV გენების მქონე უჯრედებზე, ხოლო მონოკლონური ანტისხეულებით (მკა) CD180-ის შებოჭვა განაპირობებს CD180+ ქლლ კლონების დაახლოებით 50%-ის პროლიფერაციას, აქტივაციას და აპოპტოზისგან გადარჩენას.

აღსანიშნავია, რომ ქლლ პაციენტებში პროლიფერაცია მიმდინარეობს მხოლოდ ე.წ. „პროლიფერაციულ ცენტრებში“ - ლიმფურ კვანძებსა და ძვლის ტვინში, ხოლო პერიფერიული სისხლიდან გამოყოფილი ლიმფოციტები გაჩერებულნი არიან უჯრედული ციკლის G_0 ფაზაში. აღნიშნული ფაქტი განაპირობებს იმას, რომ პაციენტების სისხლიდან მიღებულ უჯრედებზე მუშაობისას, შეუძლებელია აქტიურად პროლიფერირებადი პოპულაციის მიღება ციტოკინების დამატების გარეშე და კვლევა იზღუდება უჯრედული ციკლის G_0 ფაზაში გაჩერებული მცირე ზომის ლიმფოციტების პოპულაციით. შესაბამისად, ზემოხსენებული შეზღუდვის აცილების მიზნით, კვლევისთვის გამოვიყენეთ სამოდელო სისტემა - მუტირებული IGHV გენების მქონე ქლლ პაციენტის ლიმფოციტებისგან მიღებული უჯრედული ხაზი MEC1, რათა მოგვეცემოდა საშუალება შეგვესწავლა აქტიურად ციკლირებად უჯრედების პოპულაციაზე [Ricciardi MR et al., 2001], CD180-ის და CD32-ის ექსპრესია და CD180-ის და IgG1-ის სტიმულაციის საპასუხოდ უჯრედშიდა სასიგნალო გზები. კერძოდ, მოვახდინეთ სტიმულირებული და არასტიმულირებული MEC1, და საკონტროლო RAMOS უჯრედების პერმეაბილიზაცია (მემბრანის განვლადობას) და ფიქსაცია, რომელსაც მოყვება ფლუოროქრომებთან კონიუგირებული მკა დამატება მიმართული Zap70, pAKT, pBTK, p38Mapk, pSYK, მიმართ .

ამრიგად, წარმოდგენილი კვლევითი პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ლეიკემიური ხაზის MEC1 უჯრედებში მიკროგარემოს ზეგავლენით სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მექანიზმები. MEC1 უჯრედული ხაზი განვითარებულია ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის (ქლლ) უჯრედიდან. ამ ხაზში მიკროგარემოს შემცნობი CD180 თოლლ-მსგავსი რეცეპტორის სასიგნალო თავისებურებების შესწავლა მეტად გაარღმავებს ჩვენს ცოდნას ქლლ უჯრედების გადარჩენის თაობაზე, ახალი თერაპიული საშუალებების შემოთავაზების მიზნით.

2. ჩვენს მიერ COVID-19-ის ზოგად და Spike 1&2 სპეციფიურ IgG-ზე გამოკვლეული იქნა 170 მოხალისე პირის პერიფერიული სისხლის ნიმუში. მათგან 23 გახლდათ საკონტროლო ჯგუფი (სისხლის შრატები, რომლების სხვა სამეცნიერო კვლევებისათვის თსუ იმუნოლოგიის ლაბორატორიაში ინახებოდა - 200C 2018-2019 წწ-დან, ანუ პანდემიის დადგომამდე), ხოლო 147 პირი გახლდათ მოხალისე, რომელთაც ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე გაიღო 5 მლ პერიფერიული სისხლი.
აღნიშნულმა 147 პირმა შეავსო წინასწარ მომზადებული კითხვარი, რომელიც კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მოიცავდა შემდეგი ტიპის შეკითხვებს:

1. ასაკი, სქესი;
2. ვაქცინაცია/ან მისი არ არსებობა;
3. ინფიცირება/არაინფიცირება;
4. დაავადების სიმძიმე ინფიცირების შემთხვევაში;
5. ვირუსთან "კონტაქტის" ბოლო თარიღი - ვირუსით ინფიცირება ან ვაქცინირება;
6. თანმხლები/ქრონიკული დააავადების არსებობა, დაზუსტებით.

პასუხების მიხედვით კვლევაში მონაწილე პირები დაიყო შემდეგ ჯგუფებად:

1. სხვადასხვა პლატფორმით შექმნილი სრულად ვაქცინირებული პირები, რომლებსაც არ ქონდათ გადატანილი კორონავირუსული ინფექცია:
   - m-RNA (Pfizer/BionTech) – 17 პირი,
   - ვექტორული ვაქცინა (Astra Zeneca) – 10 პირი,
   - ინაქტივირებული ვაქცინები (Sinopharm/Sinovac) – 13 პირი.
2. სხვადასხვა პლატფორმით შექმნილი სრულად ვაქცინირებული პირები, რომლებსაც ქონდათ გადატანილი კორონავირუსული ინფექცია:
   - m-RNA (Pfizer/BionTech) – 36 პირი,
   - ვექტორული ვაქცინა (Astra Zeneca) – 14 პირი,
   - ინაქტივირებული ვაქცინები (Sinopharm/Sinovac) – 23 პირი.
3. პირები, რომლებიც არ იყვნენ აცრილები არცერთი ტიპის ვაქცინით და არ ქონდათ გადატანილი კორონავირუსული ინფექცია - 15 პირი;
4. პირები, რომლებიც არ იყვნენ აცრილები არცერთი ტიპის ვაქცინით და ქონდათ გადატანილი კორონავირუსული ინფექცია - 23.

გამოკვლეულებიდან 123 გახლდათ ქალი, ხოლო 24 მამაკაცი. მამაკაცების სიმცირის და საკვლევ ჯგუფებში მათი სრულიად უმნიშვნელო გადანაწილების გამო სქესის მიხედვით შედეგების ანალიზი აღარ მომხდარა. გამოკვლეული პირების საშუალო ასაკი 46წ (21წ- 77წ). ვაქცინირებული და ვაქცინა+ინფექცია გადატანილ პირებში ქრონიკული დაავადებებიდან ჭარბობდა ჰიპოთირეოზი -18 პირი და დიაბეტი - 6.
აღსანიშნავია, რომ როგორც ვაქცინირებულ, ასევე ინფიცირებულ პირებში ვისუსთან ბოლო კონტაქტიდან (ვაქცინის ან/და ინფიცირების სახით) არ იყო გასული 6 თვეზე მეტი.

კვლევის შედეგების განხილვა

კვლევის შედეგად ცალსახად გამოიკვეთა ერთი ძირითადი მაჩვენებელი - ვაქცინირებულ პირებში COVID-19 ის ზოგადი ანტისხეულების ტიტრი მომატებულია ინფიცირებულ და არავაქცინირებულ პირებთან შედარებით, რაც ასევე მართებულია COVID-19 Spike 1&2 ცილის სპეციფიური ანტისხეულების შემთხვევაშიც:
ტაბულა 1. ა
ინფიცირებული პირების (n=23) COVID- IgG 97,304 ±19,85 WHO IU/ml

ვაქცინირებული პირების (n=109) COVID-19 IgG 104,3 ± 20,8 WHO IU/ml

ტაბულა 1. ბ

ინფიცირებული პირების (n=23) Spike 1&2 IgG	168,2 ± 72,98 WHO IU/ml
ვაქცინირებული პირების (n=109) Spike 1&2 IgG	196,5 ± 36,27WHO IU/ml

მიღებული შედეგი უდავოდ ადასტურებს ინფექციური აგენტის მიმართ ეფექტური იმუნური პასუხის გამომუშავებას მწვავე კლინიკური პროცესის თავიდან არიდებით.
რაც შეეხება სხვადასხვა პლატფორმით შექმნილი ვაქცინებით აცრილ პირებში COVID-19 ზოგადი IgG კონცენცენტრაციას სისხლის შრატში, როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, სხვადასხვა ტიპის ვაქცინებს არ გამოუწვევიათ ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული იმუნური პასუხი, უმნიშვნელოდ უპირატესობით გამოირჩეოდა მხოლოდ მ-რნმ ტექნოლოგიით დამზადებული ვაქცინა.

ტაბულა 2.

ვაქცინა	COVID-19 Total IgG WHO IU/ml
Pfaizer- BionTech	106,9 ± 25,8 WHO IU/ml
Astra Zeneca	102,1 ± 14,2 WHO IU/ml
Sinopharm/Sinovac	102,6 ± 27,3 WHO IU/ml

ხოლო Spike 1&2 სპეციფიური ანტისხეულების ყველაზე მაღალი ტიტრი აჩვენა Astra Zeneca - ვაქცინით აცრილი პირების საკვლევმა ნიმუშებმა:
ტაბულა 3.

ვაქცინა	COVID-19 Spike 1&2 IgG WHO IU/ml
Pfaizer- BionTech	194,4 ± 40,9 WHO IU/ml
Astra Zeneca	202,8 ± 18,9 WHO IU/ml
Sinopharm/Sinovac	194,3 ± 41,6 WHO IU/ml

საგულისხმოა, რომ მოყვანილი შედეგები ეხება თითოეული ვაქცინით სრულად (2 ჯერადად) აცრილ პირებს, რომლებსაც ასევე გაკეთებული ქონდათ Pfaizer-ის ბუსტერული დოზა. საინტერესოა, რომ 3-ჯერადად ფაიზერით აცრამ მხოლოდ ზოგადი IgG ტიტრის მატება აჩვენა, ხოლო სპაიკ სპეციფიური ანტისხეულების მნიშვნელოვნად მაღალი ტიტრი მოგვცა ფაიზერის და ასტრა ზენეკას ვაქცინების კომბინაციამ. ინაქტივირებული ვირუსით შექმნილი ვაქცინების და მ-რნმ ტექნოლოგიით შექმნილი ვაქცინების კომბინაციამ და მხოლოდ მ-რნმ ვაქცინის სამჯერადმა დოზამ აჩვენეს პრაქტიკულად ერთნაირი ტიტრი. მ-რნმ და ვექტორული ვაქცინით იმუნიზირების უპირატესობის და უფრო ძლიერი იმუნური პასუხის გამომუშავების მონაცემები ასევე აჩვენა სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა მსგავსმა კვლევებმა. [11,12, 13, 14]
თუმცა, სიტუაცია შეიცვალა, როდესაც ვაქცინირებას დაემატა ვირუსით ბუნებრივი ინფიცირება. მიუხედავად იმისა, ინფიცირება ვაქცინირებამდე მოხდა თუ ვაქცინირების შემდეგ, რასაც შედეგზე გავლენა პრაქტიკულად არ მოუხდენია, Spike 1&2 სპეციფიური ანტისხეულების ყველაზე მაღალი ტიტრი აღმოაჩნდათ პირებს, რომლებიც ვაქცინირებული იყვნენ Pfaizer- BionTech -ს ვაქცინით.

ტაბულა 4.

ვაქცინა + ინფიცირება COVID-19 Total IgG WHO IU/ml COVID-19 Spike 1&2 IgG WHO IU/ml
Pfaizer- BionTech 106,3 ± 25,8 WHO IU/ml 203,1 ± 26,3 WHO IU/ml
Astra Zeneca 96,6 ± 13,8 WHO IU/ml 189,8 ± 20,7 WHO IU/ml
Sinopharm/Sinovac 104,5 ± 22,9 WHO IU/ml 193,6 ± 16,6 WHO IU/ml
ა
მ შემთხვევაში Spike ცილის მიმართ გამომუშავებულმა ანტისხეულების ტიტრმა აჩვენა მ-რნმ და ვექტორული ვაქცინის „კოქტეილის“ მსგავსი ეფექტი.
რაც შეეხება, ჯგუფს, რომლებსაც, მათი თქმით, არ გადაუტანიათ კორონავირუსი, არ ქონიათ სიმპტომები და შესაბამისად არ გაუვლიათ ტესტირება და ასევე, არ აცრილან არცერთი ვაქცინით, მათ ტოტალურ უმრავლესობას გამოუვლინდა როგორც ზოგადი, ასევე სპაიკ ცილის სპეციფიური ანტისხეულების საკმაოდ მაღალი ტიტირი, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ყველა მათგანთან მოხდა ინფიცირება, მაგრამ ინფექციური პროცესი წარიმართა ძალზე მსუბუქად, უსიმტომოდ და არც კი გამოიწვია ეჭვი ინფიცირებაზე. მსუბუქად ინფექციური პროცეისი წარმართვამ კი მართალია დატოვა ატისხეულების რაღაც ტიტრი, მაგრამ არც ისე მარალი, როგორც ეს მოხდა საშუალო და მძიმე მიმდინარეობით ინფიცირებისას და რასაკვირველია არა იმდენად მაღალი, როგორც ვაქცინაციის შემთხვევაში ვიხილეთ.
ტაბულა 5.
არავაქცინირებული + არაინფიცირებული
პირები n= 15 COVID-19 Total IgG WHO IU/ml COVID-19 Spike 1&2 IgG WHO IU/ml
75,8 ± 38 WHO IU/ml 154, 6 ± 89,1 WHO IU/ml

მხოლოდ 2 პირის შემთხვევაში, ამ ჯგუფის15 გამოკვლეულიდან, ორივე ანტისხეულის მაჩვენებელი იყო ნულის ტოლი.
რაც შეეხება რეალურად „0“-ან ჯგუფს, ანუ, მათ, ვისი საკვლევი მასალა თსუ იმუნოლოგიის და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის საყინულეში დაცული იყო ჯერ კიდევ პანდემიამდე 1ან 2 წლით ადრე. მათი მაჩვენებლები ასე გამოიყურება:

საკონტროლო ჯგუფი (n= 23) COVID-19 Total IgG WHO IU/ml COVID-19 Spike 1&2 IgG WHO IU/ml
26,5 ± 4,21 19, 2 ± 1,16

სადიაგნოსტიკო ტესტ სისტემის მწარმოებლის (Dia Pro, Italy) მიერ მოცემული სქემის მიხედვით სისხლის შრატში ≤ 10 WHO IU/ml კონცენტრაცია ანტისხეულების უარყოფით მაჩვენებელზე მიუთითებს, 10≤ WHO IU/ml < 12 საეჭვო/ზღვრულ მნიშვნელობაზე, 12≤ WHO IU/ml < 50 სუსტად დადებითზე, 50 ≤ WHO IU/ml < 250 საშუალოდ დადებითზე, 250 ≤ WHO IU/ml < 1000 ძლიერ დადებითზე, ხოლო≥ 1000 დადებითობის ძალიან მაღალი მაჩვენებელზე.
შესაბამისად, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „0“-ვან ჯგუფს კორონავირუსებთან შეხება ქონიათ და სავარაუდოთ ეს გახლდათ სხვა, ე.წ. „გაციებების გამომწვევი“ კორონავირუსები და არა SARS Cov 2, თუმცა მიღებული მონაცემები ადასტურებს სხვა კორონავირუსულ ანტიგენებთან პანდემიის გამომწვევი ვირუსების მაღალ ჯვარედინ რეაქტიულობას.

თანმხლები ქრონიკული დაავადების მქონე პირები, რომლებიც სრულად იყვნენ ვაქცინირებული სხვადასხვა ვაქცინით, ვაქცინების მიხედვით შედეგები პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა. ზოგადი სურათი კი ასე გამოიყურებოდა:
ტაბულა 6.

დაავადება	COVID-19 Total IgG WHO IU/ml	COVID-19 Spike 1&2 IgG WHO IU/ml
ჰიპოთირეოზი n=18	100,7 ±	186,4 ±
დიაბეტი n=6	104,9 ±	197,4 ±

3. პროექტის მიზანი იყო ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიით დაავადებული პირების ოპორტუნისტული ბაქტერიული ინფექციების გამომწვევების ანტიბიოტიკო და ფაგომგრძნობელობის შესწავლა ნამკურნალებ და უმკურნალებ პაციენტებში. ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია (CLL) არის სისხლის ავთვისებიანი დაავადება, რომლის დროსაც ლიმფოიდურ ქსოვილში არის ლეიკოციტების გაზრდილი რაოდენობა. ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის (CLL) მქონე პაციენტებს აქვთ ინფექციური ავადობისა და სიკვდილიანობის მაღალი რისკი, რაც დაკავშირებულია მეორადი ინფექციების განვითარებასთან. ინფექციები ძირითადად გამოწვეულია სოკოებით, ბაქტერიებით, აღნიშნულ პირებში ინფექციები შეიძლება იყოს, მონომიკრობული ანუ გამოწვეული იყოს მხოლოდ ერთი მიკრობით, თუმცა ხშირია პოლიმიკრობული ინფექციების განვითარება, ინფექციების უმეტესობა გამოწვეულია მრავალი ბაქტერიული პათოგენით (გრამდადებითი, გრამუარყოფითი და ზოგჯერ ანაერობული მიკროორგანიზმებით), თუმცა ბაქტერიული და სოკოვანი ან ბაქტერიული და ვირუსული ინფექციებიც შეიძლება თანაარსებობდეს.

პროექტის მიზნით მისაღწევად მოხდა შემდეგი ამოცანების და აქტივობების შესრულება:
1. პირველი ეტაპზე მოხდა კლინიკური საკვლევი ჯგუფების განსაზღვრა: პირველი ჯგუფი - CLL -ის მქონე 10 ნამკურნალები პაციენტი, მეორე ჯგუფი - CLL -ის მქონე 10 არანამკურნალები პაციენტი. ასევე, პირველ ეტაპზე მოხდა კვლევის საჭირო რეაქტივებით, საიდენტიფიკაციო სისტემებით, ერთჯერადი სახარჯი მასალით უზრუნველყოფა და კვლევაში მოხალისედ ჩართული პირებისათვის ნებაყოფლობით მონაწილეობის თაობაზე თანხმობის ფორმების შემუშავება;
2. მეორე ეტაპზე განხორციელდა პაციენტებისაგან კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობის მიღება და ცხვირ-ხახის ნაცხის აღება; საკვლევ ნიმუშებში მიკრობების იდენტიფიკაცია სახეობის დონემდე; გამოყოფილ მიკრობებში ანტიობიოტიკო და ფაგომგრძნობელობის განსაზღვრა;
3. მესამე ეტაპზე მოხდა მიღებული შედეგების გაანალიზება, სტატისტიკური დამუშავება და მიღებული შედეგების წარდგენა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიით დაავადებული სულ 20 პირი რომელთაგანაც 10 იყო ნამკურნალები, ხოლო 10 არანამკურნალები. პაციენტების საშუალო ასაკი შეადგენდა 60 წელს, სულ იდენტიფიცირებულ იქნა 29 შტამი, შესწავლილ იქნა მათი ფაგომგრძნობელობა

კომერციული ბაქტერიოფაგების გამოყენებით, ასევე ანტიბიოტიკომგრძნობელობა დისკ-დიფუზიის მეთოდით.
მიღებული შედეგები:

- ტეტრაციკლის მიმართ რეზისტენტული იყო სულ 5 შტამი, ხოლო მგრნობიარეა 12 შტამი;
- ვანკომიცინის მიმართ რეზისტენტული იყო სულ 2 შტამი, მგრძნობიარე - 14, ხოლო საშუალო მგრძნობელობა - 1;
- ლინეზოლიდის მიმართ მგრძნობიარე იყო 17 შტამი;
- ცეფუროქსიმის მიმართ მგრძნობიარე იყო 17 შტამი;
- ლევოფლოქსაცინის მიმართ რეზისტენტული იყო 3 შტამი, მგრძნობიარე - 10 შტამი, ხოლო საშუალო მგრძნობელობა ქონდა 4-ს;
- მოქსიფლოქსაცინის მიმართ რეზისტენტული იყო 2 შტამი, მგრძნობიარეა - 11 შტამი, ხოლო საშუალო მგრძნობელობის კი - 4 შტამი;
- ტობრამიცინის მიმართ რეზისტენტული იყო 5 შტამი, მგრძნობიარე - 11, ხოლო საშუალო მგრძნობელობა ქონდა - 1.

შეირჩა ყველაზე ეფექტური ანტიბიოტიკები აღნიშნული შტამების წინააღმდეგ საბრძლოველად და ბაქტერიოფაგები თითეული გამოყოფილი შტამის მიმართ, რის საფუძველზეც გაიცა რეკომენდაციები მკურნალი ექიმებისათვის.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

*1) **გარდამავალი (მრავალწლიანი)** პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები*

1. საკვერცხის კისტის მუცინების მონაწილეობა სიმსივნის ზრდის ფაქტორ ადამიანის ქორიონულ გონადოტროპინთან და მის სუბერთეულებთან ჯვარედინად მორეაგირე IgG აუტოანტისხეულების წარმოქმნაში. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებანი_3 ფუნდამენტური მედიცინა_3.1. FR-19-479; 2020-2023წ.

2. 2022 წლის ,,მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის" გამარჯვებული პროექტი: "მიკრობთა სამყარო და ადამიანი", N SPG – 22-313; 2022-2023წ.

3. მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების 2022 წლის საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი „საერთაშორისო კონფერენცია მიკრობთა ვირუსები 2023", MG – ISE-1606; 2022-2023წ.

4. „ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიით დაავადებული პირების პირ-ხახის ბაქტერიული მიკროფლორა - თავისებურებები, ანტიბიოტიკო და ფაგომგრძნობელობა და იმუნური პასუხის მაჩვენებლები", PHDF-22-560; 2022-2024წ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ნინო ჭიკაძე- ხელმძღვანელი;
   ნინა ფორაქიშვილი - ძირითადი პერსონალი;
   მაია ჯანელიძე - ძირითადი პერსონალი;
   თამარ ცერცვაძე - ახალგაზრდა მეცნიერი.

2. პროექტის ხელმძღვანელი - ნატა ბაკურაძე, ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი;
პროექტის მენეჯერი/კოორდინატორი - ნინა ჭანიშვილი, ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიკრობთა ეკოლოგიის განყოფილების გამგე
საორგანიზაციო კომიტეტი - თამარ თათრიშვილი, ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი;
მოწვეული სპიკერები:
დავით ფრანგიშვილი - თსუ პროფესორი,
ეკატერინე ჯაიანი - New Vision უნივერსიტეტის სოცირებული პროფესორი,
ნინო გაჩეჩილაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი
დავით ლორთქიფანიძე - ეროვნული მუზეუმის დირექტორი,
ბესარიონ ლასარეიშვილი - აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ლეილა ახვლედიანი - ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი
ლელა წიკლაური - თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
თეა ქოიავა - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ნათია ქარუმიძე - ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი.
3. ნინა ჭანიშვილი - ხელმძღვანელი;
სოფო რიგვავა - კოორდინატორი;
დავით ფრანგიშვილი - სამეცნიერო კომიტეტის წევრი;
ნინო გაჩეჩილაძე - სამეცნიერო კომიტეტის წევრი;
რობ ლავინი - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.
4. ხატია მიქელაძე - გრანტის მიმღები დოქტორანტი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მიმდინარე წელს განხორციელდა, პროექტის გეგმა-გრაფიკის მიხედვით, მეორე პერიოდი. პროექტის მეორე პერიოდს შევუდექით ამ პერიოდით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად საჭირო რეაქტივების შეძენით. ამის პარალელურად, პროექტის პირველი ეტაპის განმავლობაში მიღებული შედეგების საფუძველზე შევარჩიეთ საკვერცხის კისტის მქონე პაციენტების ის შრატები, რომლთა ტესტირებასაც მოვახდენდით მიმდინარე პერიოდით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად.
გეგმა-გრაფიკის მიხედვით, თავიდაპირველად, შერჩეულ შრატებში შევისწავლეთ ადამიანის ქორიონული გონადოტროპინისა და მისი სხვადასხვა სუბერთეულის საწინააღმდეგო ბუნებრივი, IgG იზოტოტიპის, ანტისხეულების განაწილება ქვეკლასების მიხედვით და შევაფასეთ ამ ანტისხეულების აფინობა. აღსანიშნავია, რომ პროექტის მიხედვით, დაგეგმილი გვქონდა მხოლოდ ანტი-აქგ, ანტი-აქგβ, ანტი აქგα და ანტი-აქგβკტპ IgG იზოტოტიპის ბუნებრივი ანტისხეულების ქვეკლასების შეფასება და ჩვენ დამატებით შევაფასეთ ასევე და ანტი-აქგ-ცენტრალური ფრაგმენტის (ანტი- აქგ-ც.ფ.) სპეციფიურობის ბუნებრივი ანტისხეულების ქვეკლასების გადანაწილებაც. აღნიშნულის მიზეზი იყო ის, აქგ-ცენტრალური ფრაგმენტი, თავისუფალი ფორმით, ცირკულირებს მრავალი ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტის სისხლის შრატში და მსგავსი კვლევა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აქამდე არ განხორციელებულა. პაციენტების შრატში არსებული აქგ-სა და მისი სუბერთეულების საწინააღმდეგო, ბუნებრივი ანტისხეულების ქვეკლასების შესასწავლად გამოვიყენეთ იმუნოფერმენტული ანალიზი (ELISA)., სადაც მეორადი, სახეობასპეციფიური, ფერმენტით მონიშნული, აღმომჩენი ანტისხეულები იყო IgG1, IgG2, IgG3, IgG4 ქვეკლასის სპეციფიურობის. არასპეციფიური დაკავშირების გამორიცხვის მიზნით, კონტროლის სახით, მეთოდში ჩართული იყო დაკავშირება მხოლოდ მაბლოკირებელ აგენტთან ანტიგენის გარეშე. ჩვენს მიერ მიღებული შედეგების მიხედვით ყველა საკვლევ ანტიგენთან დაკავშირების უნარის მქონე ბუნებრივი ანტისხეულების უმეტესობა IgG2 ქვეკლასისაა. დამატებით, ამავე შრატებში ანტი-აქგαβ და ანტი-

აქგβკტპ IgG იზოტიპის ბუნებრივ ანტისხეულებს შორის, შემთხვევათა 80%-ში აღმოჩნდა IgG3 ქვეკლასის ანტისხეულების, დაბალი, მაგრამ სარწმუნო დონე. ასევე საინტერესოა, რომ ანტი-აქგβ-ცენტრალური ფრაგმენტის სპეციფიურობის ბუნებრივ ანტისხეულებს შორის ყველა საკვლევ ნიმუშში IgG2 ქვეკლასის ანტისხეულებთან ერთად აღმოჩნდა IgG4 ქვეკლასის ანტისხეულებიც და შემთხვევათა 50%-ში კი დამატებით IgG3 ქვეკლასის ანტისხეულებიც. IgG1 ქვეკლასის საკვლევი ანტისხეულები არც ერთ ნიმუშში არ დაფიქსირებულა.

ცნობილია, რომ IgG2 ქვეკლასის ანტისხეულები დომინანტურია თიმუს-დამოუკიდებელ, პოლისაქარიდულ ანტიგენებზე პასუხისას [1;2]. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღმოჩენილი IgG2 ქვეკლასის ანტისხეულები შესაძლოა იყოს საკვერცხის კისტის სითხეში არსებული სისხლის ჯგუფის ანტიგენების წინააღმდეგ წარმოქმნილი ბუნებრივი ანტისხეულები, რომლებიც ჯვარედინად უკავშირდებიან აქგ-ს და მისი სუბერთეულების გვერდით შაქრებს.

კვლევის შემდეგ ეტაპზე, შერჩეულ შრატებში არსებული ბუნებრივი ანტისხეულების ადამიანის ქორიონულ გონადოტროპინთან (აქგ), მის ბეტა ჯაჭვთან (აქგβ) α -ჯაჭვთან (აქგα) და β ჯაჭვის კარბოქსი-ტერმინალურ პეპტიდთან (აქგβკტპ) დაკავშირების აფონობის შესაფასებლად გამოვიყენეთ იმუნოფერმენტული ანალიზი (ELISA), ქაოტროპულ აგენტ ამონიუმ თიოციანიტის მონაწილეობით (ათც). ცნობილია, რომ ათც ახდენს იმუნური კომპლექსების დისოციაციას, რომლის ხარისხიც დამოკიდებულია ათც-ს რაოდენობაზე მოლებში და ანტიგენი ანტისხეულს შორის კავშირის აფინობაზე.

მიღებული შედეგების მიხედვით, ჩვენს მიერ აღმოჩენილი IgG კლასის ბუნებრივი ანტისხეულები, სამივე საკვლევ ანტიგენს - აქგ-ს, აქგβ-ს, აქგα და აქგβკტპ-ს- საშუალო აფინობით უკავშირდება. კერძოდ, აქგ-სთან და აქგβკტპ-სთან დაკავშირება ინჰიბირდება და უტოლდება დონორების სისხლის შრატში ანალოგიურ მაჩვენებელს 1M ათც-ის დამატებისას, ხოლო აქგβ-სთან დაკავშირების ინჰიბირებისთვის საკმარისი აღმოჩნდა 0,5M კონცენტრაციის ათც. მიღებული შედეგები თანხვედრაშია პროექტის წინა საფეხურებზე განხორციელებული კვლევების შედეგებთან, როდესაც ვახდენდით საკვლევ შრატებში ბუნებრივი ანტისხეულების აღმოჩენას მათი ტიტრირების გზით და ტიტრის 50%-ის მიხედვით ვმსჯელობდით აფინობაზე. აღსანიშნავია, რომ კავშირის სიმტკიცის ეს მაჩვენებელი საკმარისია იმისათვის, რომ აღნიშნულმა ანტისხეულებმა შესძლონ აქგ-ს შებოჭვა/განეიტრალება, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ ავთვისებიანი სიმსივნური ზრდისგან დაცვის უნარი, თუმცა, ეს ვარაუდი ექსპერიმენტულ დადასტურებას მოითხოვს.

პროექტის ამ პერიოდით განსაზღვრულ ბოლო ამოცანას კი წარმოადგენდა საკვერცხის კისტის მუცინების წინაარმდეგ გამომუშავებული
სხვადასხვა მონოკლონური/პოლიკლონური ანტისხეულების აქგαβ-ს, აქგβ-ს, აქგα-ს და აქგβკტპ-სთან დაკავშირების უნარის შეფასება. ამ მიზნით შევარჩიეთ ოთხი კომერციული, მონოკლონური ანტისხეული, რომელთა მისაღებადაც იმუნოგენად გამოყენებულია საკვერცხის კისტიდან გამოყოფილი ესა თუ ის მუცინი. კერძოდ:

- ab212418 – სისხლის ჯგუფის ანტიგენის წინამორბედის სპეციფიურობის ანტისხეული (abcam, ab212418). იგი ურთიერთქმედებს A და H ჯაჭვების დეტერმინანტებთან, რომლებიც არიან მე-3 ტიპის (Gal1-3GalNAc-R) და მე-4 ტიპის (Gal1-3GalNAc-R) და არ ურთიერთქმედებს პირველი და მე-2-ე ტიპის სტრუქტურებთან. ასევე არ ურთიერთქმედებს იმუნოდომინანტურ A ტრისაქარიდთან.
- SPM522– სისხლის ჯგუფის ანტიგენების ოჯახის წევრის ლუის A ანტიგენის სპეციფიურობის ანტისხეული (Novus Biologicals). მონოკლონი. გამოიცნობს შემდეგ ნახშირწყლოვან დეტერმინანტს - Gal 1-3(Fuc 1-4) GlcNAc, რომელიც ცნობილია, როგორც ლუის A ანტიგენი.
- ab3968 – სისხლის ჯგუფის ანტიგენების ოჯახის წევრის ლუის B ანტიგენის სპეციფიურობის ანტისხეული (Novus Biologicals). მონოკლონი.ნახშირწყლოვანი დეტერმინანტა, რომელიც გვხვდება როგორც გლიკოლიპიდებზე, ასევე გლიკოპროტეინებზე. ნანახია ერითროციტებზე, ზოგიერთ ეპითელურ უჯრედზე და სეკრეტებში.
- SPM297 - MUC5AC ანტისხეული (Novus Biologicals) მონოკლონი. მის მისაღებად გამოყენებული იმუნოგენია საკვერხის კისტიდან გამოყოფილი M1 მუცინი. მონოკლონური ანტისხეულია, რომელიც უკავშირდება მუცინი M1-ის ცენტრალურ ნაწილს.

მიღებული შედეგებით გამოვლინდა, რომ ანტისხეული ab212418 (Abcam), ჯვარედინად უკავშირდება ოთხივე საკვლევ ანტიგენს - აქგαβ, აქგβ, აქგα, აქგβ კტპ. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ GalNAc-თან დაკავშირებულ გლიკანებს ხშირად მუცინის ტიპის გლიკანებს უწოდებენ და ისინი წარმოადგენენ O-ბმულ ოლიგოსაქარიდებას, ხოლო მეორეს მხრივ, ბირკენისა და მისი თანაავთორების მიხედვით Galβ1-3GalNAc-ი ფეხმძიმე ქალების შარდიდან მიღებული აქგ-ს შემადგენლობაში არსებული მთავარი O-გლიკანური სტრუქტურაა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეპიტოპი, რომელსაც ab212418 ანტისხეული აქგαβ, აქგβ, აქგα, აქგβ კტპ მოლეკულებზე O-ბმული გლიკანია.
საკვლევი, კომერციული ანტისხეულების აფინობის შეფასებისას კი გამოვლინდა რომ ყველაზე მტკიცე მაღალაფინური კავშირია ანტისხეულ ab212418-ს და აქგαβ და/ან აქგβ-ს შორის. 4M ათც ამ ანტისხეულის აქგαβ-სთან კავშირს მხოლოდ 39%-ით აინჰიბირებს, ხოლო აქგβ-სთან 48%-ით. ანტისხეული SPM522-ის როგორც აქგαβ-სთან, ასევე აქგβ-სთან დაკავშირების 50%-ით ინჰიბირებისათვის საკმარისია 0,25M ათც, რაც ამ კავშირის დაბალაფინურობაზე მეტყველებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Buckley, R. H., Immunoglobulin G subclass deficiency: fact or fancy? Curr. Allergy Asthma Rep., (2002) 2, 356–360.
2. Yount WJ, Dorner MM, Kunkel HG & Kabat EA Studies on human antibodies. VI. Selective variations in subgroup composition and genetic markers. J Exp Med, (1968)127: 633–646.
3. van Helden PM, van den Berg HM, Gouw SC, Kaijen PH, Zuurveld MG, Mauser-Bunschoten EP, et al. IgG subclasses of anti-FVIII antibodies during immune tolerance induction in patients with hemophilia A. Br J Haematol (2008) 142(4):644–52.10.1111/j.1365-2141.2008.07232.x
4. Iizuka A, Nagao T. Analysis of IgG heavy chain subclasses of alloantibodies to factor IX by crossed immunoelectrophoresis of factor IX using the intermediate gel technique. Br J Haematol (1983) 53(4):687–8.10.1111/j.1365-2141.1983.tb07323.x

2.
3.
4.

2.2.
1) **დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. Chikadze N, Tevzadze M, Janelidze M, Lydyard P, Porakishvili N. Prevalence of high affinity naturally occurring IgG2 antibodies against human chorionic gonadotropin and its subunits in patients with ovarian cyst. Immunobiology. 2022 Nov;227(6):152273. **doi: 10.1016/j.imbio.2022.152273**. Epub 2022 Sep 6. PMID: 36088866. – 9 გვერდი
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

სიმსივნის ანტიგენების მიმართ ბუნებრივად წარმოქმნილი ანტისხეულები სულ უფრო მეტ ინტერესს იძენს, როგორც პოტენციურ კლინიკურად მნიშვნელოვანი ბიომარკერები კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის, პროგნოზისა და კიბოს საწინააღმდეგო თერაპიული საშუალებების განვითარებისათვის. გლიკოპროტეინი, αβ ჰეტეროდიმერული ჰორმონი ადამიანის ქორიონული გონადოტროპინი (hCG) და მისი β სუბერთეული (hCGβ) წარმოიქმნება სხვადასხვა კიბოს მიერ და შრატში მათი გაზრდილი დონე დაკავშირებულია ცუდ პროგნოზთან. ჩვენ ადრე ვაჩვენეთ, რომ საკვერცხის კეთილთვისებიანი კისტის მქონე პაციენტებს, ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტებისაგან განსხვავებით, სისხლის შრატში ანტი-hCG და ანტი-hCGβ-ს ბუნებრივად წარმოქმნილი IgG ანტისხეულების გაზრდილი დონეები აქვთ. წაროდგენილ ნაშრომში ჩვენ უკეთესად ვახასიათებთ ამ ანტისხეულებს საკვერცხის ცისტების მქონე პაციენტებში. IgG და IgM ანტისხეულები, რომლებიც უკავირდებიან მთლიან hCG-ს, hCGβ, hCGα, hCGβ C-ტერმინალურ პეპტიდს (hCGβCTP) და hCGβ ცენტრალურ ფრაგმენტს (hCGβCF) შეფასდა საკვერცხის კისტის მქონე 36 პაციენტის და 12 ჯანმრთელი ქალის სისხლის შრატში. შესაფასებლად გამოყენებული იყო სტანდარტული ELISA. შეფასდა IgG ქვეკლასების გადანაწილება და აფინურობა. ასევე განისაზღვრა მთლიან hCG-სთან და მის სუბერთეულებთან ჯვარედინი დაკავშირება ოთხი შერჩეული კომერციული მონოკლონური ანტისხეულისა, რომლებიც გენერირებულია საკვერცხის კისტის მუცინების წინააღმდეგ. ჩვენმა შედეგებმა აჩვენა, რომ შესწავლილი შრატების 91.7% შეიცავდა IgG- კლასის, მაგრამ არა IgM ანტისხეულების მაღალ დონეს ერთი ან რამდენიმე ანტიგენის მიმართ, მაღალი აფინურობის IgG2-ის აბსოლუტური გავრცელებით, რაც მიუთითებს მათ შეკავშირებაზე ნახშირწყლოვან ეპიტოპებთან და შესაძლოა საკვერცხის ცისტების მუცინებთან. ანტიმუცინური კომერციული ანტისხეული ab212418 (Abcam), რომელიც მიმართულია Gal1-3GalNAc-ის წინააღმდეგ, ავლენდა ძლიერ ჯვარედინი შეკავშირებას hCGαβ, hCGβ, hCGα და hCGβCTP. ამ ანტისხეულების დამცავი კიბოს საწინააღმდეგო პოტენციალი შემდგომში იქნება გამოკვლეული და შეიძლება გამოიწვიოს საკვერცხის კიბოს მკურნალობის ახალი სტრატეგიების შემუშავება.

2.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.

2.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1.
1) მომხსენებელი/მომხსენებლები;
ნ. ჭიკაძე, მ. თევზაძე, მ. ჯანელიძე, ნ. გაჩეჩილაძე, პ. ლიდიარდი, ნ. ფორაქიშვილი.
2)მოხსენების სათაური:
საკვერცხის კისტის მუცინ(ებ)ის საწინააღმდეგო ანტისხეულების დაკავშირება თირეოიდმასტიმულირებელ ჰორმონთან.
3)ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
30-ე მსოფლიო კონგრესი მეანობა, გინეკოლოგიისა და უშვილობის საკითხებზე მჯელობათათვის. ამსტერდამი, ნიდერლანდები; 24-26 ნოემბერი, 2022 წელი.
2.
1) მომხსენებელი/მომხსენებლები;
ა. ბილანიშვილი, თ. ცერცვაძე, ი. დათიკაშვილი, პ. ლიდიარდი, ნ. ფორაქიშვილი
2)მოხსენების სათაური: ილ-4-ის გავლენა CD180-ის ექსპრესიაზე და სიგნალის გადაცემაზე ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის უჯრედებში.
3)ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი:
ჰემატოლოგიის და სისხლის დაავადებების მეორე ევროპული კონგრესი. პარიზი, საფრანგეთი, 10-11 ნოემბერი, 2022 წელი.

3.
1) მომხსენებელი/მომხსენებლები;
თ. ყალიჩავა, თ. ცერცვაძე, ნ. მიცკევიჩი, ზ. ავალიანი, პ. ლიდიარდი, მ. ბოდმან-სმიტი, ნ. ფორაქიშვილი.
2)მოხსენების სათაური:
Vδ1 და Vδ12 γδ T უჯრედების ფენოტიპური სახეები ფილტვის აქტიური ტუბერკულოზის მქონე პაციენტებში.
3)ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი:
ალერგიის მსოფლიო კონგრესი (WAC); სტამბოლი, თურქეთი. 13-15 ოქტომბერი, 2022წ.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - ვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება - გენეტიკის კათედრა

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ,,CYP2C9 და VKORC1 გენების პოლიმორფიზმის განსაზღვრა აფხაზური პოპულაციის ჯანმრთელ და თრომბოზით დაავადებულ ინდივიდებში, ვარფარინის დოზის რეგულირების მიზნით,, (მედიცინა და ჯანმრთელობის მეცნიერებანი, ადამიანის გენეტიკა). OTG-I-22-362; 2022-2023.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თეიმურაზ ლეჟავა (პროექტის ხელმძღვანელი)
2. ნონა კაკაურიძე (პროექტის კოორდინატორი)
3. მაია გაიოზიშვილი (ძირითადი პერსონალი, მკვლევარი)
4. თამარ ბუაძე (ძირითადი პერსონალი, მკვლევარი)
5. თინათინ ჯოხაძე (ძირითადი პერსონალი, მკვლევარი)
6. ხათუნა გარგულია (ძირითადი პერსონალი, მკვლევარი)

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის მიზანს წარმოადგენს ვარფარინის მეტაბოლიზმში ჩართული CYP2C9 და VKORC1 გენების პოლიმორფიზმის შესწავლა აფხაზური პოპულაციის ჯანმრთელ და თრომბოზებით დაავადებულ ინდივიდებში და პოლიმორფულ ალელთა ოპტიმალური ვარიანტების გამოვლენა ანტიკოაგულანტ ვარფარინის დოზის რეგულირებისათვის.

უკანასკნელი წლების მონაცემების მიხედვით, პოპულაციაში არსებობს გენეტიკური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს გულსისხლძარღვთა სისტემის (გსძ) დაავადების მქონე ადამიანების განსხვავებულ მგრძნობელობას კუმარინის ჯგუფის ანტიკოაგულანტ – ვარფარინის მიმართ.

ვარფარინი, როგორც ყველაზე ეფექტური ორალური ანტიკოაგულანტი, ფართოდ გამოიყენება ვენური თრომბოზების პრევენციისა და მკურნალობისათვის. ნაჩვენებია მნიშვნელოვანი ინდივიდთაშორისი ვარიაბელობა ვარფარინის დოზის მოთხოვნასთან დაკავშირებით, გენეტიკური და გარემო ფაქტორების მიხედვით. ვარფარინის ანტიკოაგულაციური ეფექტის მონიტორინგი ხდება ნორმირების საერთაშორისო სტანდარტით (INR). მიუხედავად იმისა, რომ ვარფარინი უკვე 50 წელზე მეტი ხნის

განმავლობაში გამოიყენება სამკურნალოდ, მისი მთავარი გვერდითი ეფექტი – სისხლდენა – წარმოადგენს ჰოსპიტალიზაციისა და წამლით გამოწვეული სიკვდილიანობის ძირითად მიზეზს.ვარფარინის საჭირო დოზა ინდივიდების მიხედვით შეიძლება 20-მდე ვარიანტს იძლეოდეს, რის მიზეზადაც წარმოდგენილია კლინიკური და დემოგრაფიული ფაქტორები, როგორიცაა - ასაკი, სხეულის მასა, თანდართული დაავადებები, წამლებისა და საკვების გავლენა.

ამჟამინდელი პოპულაციური კვლევებით დადგენილ იქნა განსხვავებები წამლის მიმართ მგრძნობელობის მიხევდით სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფსა და რასებში. იდენტიფიცირებულია ორი ძირითადი გენი CYP2C9 და VKORC1, რომლებიც გავლენას ახდენენ ვარფარინის საწყისი და სამკურნალო დოზების განსაზღვრაზე.

VKORC1 გენის პოლიმორფიზმის ყველა შესაძლო ვარიანტი გაერთიანებულია GG, GA და AA ჰაპლოჯგუფებში. ინდივიდებს, რომლებიც მიეკუთნებიან G ჰაპლოჯგუფს კლინიკური ეფექტის მისაღწევად ესაჭიროებათ ვარფარინის მაღალი დოზა.

CYP2C9 გენის მაკოდირებელ ნაწილში იდენტიფიცირებულია ექვსი სტრუქტურული მუტაცია. ამ გენის კლინიკურად მნიშვნელოვან ალელებს შორის შედარებით გავრცელებულ ვარიანტს წარმოადგენს CYP2C9*1, რომელსაც “ველურ” ტიპს უწოდებენ, ხოლო ევროპული პოპულაციისათვის შედარებით ნაკლებად გავრცელებულია CYP2C9*2 და CYP2C9*3 ალელები.

1999 წელს პირველად იქნა აღმოჩენილი CYP2C9 გენსა და სისხლდენებს შორის კავშირი. ლიტერატურულ მონაცემებში, კავკასიელ ინდივიდებში CYP2C9 გენის ველური ალელის CYP2C9*1 და მუტანტური CYP2C9*2 და CYP2C9*3 ალელების მატარებელი ინდივიდების პროცენტული მონაცემები სხვადასხვაა. ასევე ნაჩვენებია CYP2C9 გენის პოლიმორფიზმის განსხვავებული სიხშირე რასებს შორის, სხვადასხვა პოპულაციებში.

პოპულაციათაშორისი განსხვავება CYP2C9 და VKORC1 გენების პოლიმორფიზმის მიმართ მიიჩნევა მნიშვნელოვან ფაქტორად ვარფარინის დოზირების რეგულირებისათვის. CYP2C9*2\–ს და CYP2C9*3 ალელების არსებობა იწვევს ფერმენტული აქტივობის დაქვეითებას, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ალელების მატარებელ ინდივიდებს ესაჭიროებათ ვარფარინის ნაკლები დოზა ვიდრე CYP2C9*1 ალელის მატარებლებს. აქედან გამომდინარე, წამლის დოზის განსაზღვრისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ორივე - CYP2C9 და VKORC1 გენის მდგომარეობა, ვინაიდან მაღალმა დოზამ შესაძლოა გამოიწვიოს სიცოცხლისათვის საშიში სისხლდენები, დაბალი დოზა კი იქნება არაეფექტური, რასაც საფუძვლად უდევს ნიშვნელოვანი ინდივიდთაშორისი ვარიაბელობა.

ჩვენს მიერ განხორციელდაCYP2C9 და VKORC1 გენების პოლიმორფიზმის შესწავლა ქართულ პოპულაციაში (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო) და დადგინდა მნიშვნელოვანი პოპულაციური თვისებურებები. ჩვენს მიერ აღნიშნული გენების შესწავლა განხორციელდა პირველად და საფუძველი ჩაეყარა ახალი (მესამე) თაობის ტექნოლოგიის დანერგვას, რომელიც კვლევის სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით მოითხოვს ნაკლებ დროს, ენერგიას და უფრო ეფექტურია.

მნიშვნელოვანია აღნიშნული კვლევის ჩატარება აფხაზურ პოპულაციაში, ვინაიდან საფუძველი ჩაეყრება პერსონალიზებული მედიცინის განვითარებას და გარდა ამისა, კვლევის შედეგებს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა თრომბოზების პრევენციისა და მკურნალობისათვის.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. თ. ლეჟავა, თ. ჯოხაძე, ჯ. მონასელიძე, თ. ბუაძე, მ. გაიოზიშვილი, თ.სიგუა, ნ. ჩიღვინაძე, ე. კილაბერია. **Epigenetic Variations in Chromatin Caused by the Combination of Bioregulators with Heavy Metals During Aging.** International Journal of Peptide Research and Therapeutics. https://doi.org/10.1007/s10989-022-10427-9. Springer. 5 Pages. Impact factor 2.191.

2. თ. ლეჟავა, ვ. ხავინსონი, თ. ჯოხაძე, თ. ბუაძე, ჯ. მონასელიძე, თ. სიგუა, მ. გაიოზიშვილი, თ. წულეისკირი. ***Epigenetic Activation of Ribosomal Cystrons in Chromatids of Acrocentric Chromosome 15 th in Ductal Breast Cancer".*** International Journal of Peptide Research and Therapeutics. Status: Accepted for publication. Springer. **Electronic** ISSN 1573-3904. Impact factor 2.191.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

მაია გაიოზიშვილი, თამარ ბუაძე, თინათინ ჯოხაძე, თამარ სიგუა, თეიმურაზ ლეჟავა. ***Polymorphysm of CYP2A6*1and CYP2A6*4 genes and the intensity of synthetic processes in individuals with Lung cancer, in Georgian population***; XXXI ISTANBUL International Conference on "Chemical, Biological, Environmental and Medical Sciences" (CBEMS-22); Istanbul (Turkey), March 21-23, 2022.

გენეტიკის კათედრის ორგანიზებით ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია „ავთვისებიანი სიმსივნური გენეტიკა“ . სტუდენტებს გადაეცათ სერთიფიკატები მონაწილეობისათვის.

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - - -

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულება

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. Gaidamashvili, M., Benelli, C. Zygotic embryos for the efficient long-term conservation of a Georgian provenance of sweet chestnut: an overview. Acta Hortic. 1339. ISHS 2022. DOI

10.17660/ActaHortic.2022.1339.6 Proc. IX International Scientific and Practical Conference on Biotechnology as an Instrument for Plant Biodiversity Conservation Eds.: K. Thammasiri et al.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ტყის ეკოსისტემებს დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად. ევროპული, ანუ ჩვეულებრივი წაბლი (Castanea sativa Mill.) მიეკუთვნება მერქნიან ტყის სახეობებს Castanea-ს გვარში. იგი დომინირებს დასავლეთ საქართველოს მთიან ტყეებში და უკავია ტყით დაფარული ტერიტორიების უმეტესი ნაწილი. დაბალი თვითგანახლების და დაავადებების გამო წაბლის ტყეების დიდ მასივებს გადაშენების საფრთხე ემუქრება. Castanea sativa შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში სახელმწიფო მოწყვლადი (VU) ქვეშ და ექვემდებარება კონსერვაციის ღონისძიებებს მცენარეთა დაცვის გლობალური სტრატეგიის საპასუხოდ. სწრაფად განვითარებადი ინ ვიტრო ტექნოლოგიები ხსნის ახალ შესაძლებლობებს ხის მცენარეული მასალის უსაფრთხო ex-situ კონსერვაციისთვის. ქსოვილთა კულტურიდან მიღებული სხვადასხვა ექსპლანტანტები, როგორიცაა კენწრული კვირტები, მუხლოვანი კვანძები, სომატური ემბრიონები, ემბრიოგენური უჯრედული ხაზები და ემბრიონული ღერძები ფართოდ არის გამოყენებული კონსერვაციის მიზნით, რათა უზრუნველყონ Castanea გვარის გენეტიკური რესურსების მდგრადობა. წინამდებარე მიმოხილვა ფოკუსირებულია ზიგოტური ემბრიონების წარმატებულ გამოყენებაზე ქართული ადგილწარმოშობის წაბლის გენეტიკური რეზერვების კონსერვაციისთვის და აჯამებს ბოლოდროინდელ მიღწევებს გრძელვადიანი კონსერვაციის შესაძლებლობებით. აქვე, შეფასებულია ემბრიონების კრიოგენული კონსერვაციის სხვადასხვა ტექნიკის ეფექტურობა, როგორიცაა: ნიმუშის დეჰიდრატაცია-„ერთსაფეხურიანი გაყინვა“, PVS2-ვიტრიფიკაცია და ინკაფსულაცია-ვიტრიფიკაცია. განხილულია ზიგოტური ემბრიონების გამოყენების უპირატესობები საფრთხის ქვეშ მყოფი საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების უსაფრთხო და ეფექტური გრძელვადიანი კონსერვაციისთვის.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.
2.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.
2.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

STM 2022 მოკლევადიანი მობილობის პროგრამის განხორციელება იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (Consiglio Nazionale delle Ricerche) დაფინანსებით. ქ. ფლორენცია, ბიოეკონომიკის ინსტიტუტი.

2022 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაციების სია

Gaidamashvili, M., Benelli, C. Zygotic embryos for the efficient long-term conservation of a Georgian provenance of sweet chestnut: an overview. Acta Hortic. 1339. ISHS 2022. DOI 10.17660/ActaHortic.2022.1339.6

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - -

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრა
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი - „უჯრედული და მოლეკულური მედიცინა“

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით -

*კათედრის გამგე, ბ.მ.დ., პროფესორი - **ნანა კოტრიკაძე***

ბ.დ. ასოც. პროფესორი - მანანა გორდეზიანი

მოწვეული ლექტორი/ ლაბორატორიის თანამშრომელი - ბ.დ., ლიანა რამიშვილი

მოწვეული ლექტორები: ბ.დ. მანანა ალიბეგაშვილი

ბ.დ. მაია ზიბზიბაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. პროექტის დასახელება:

კანცეროგენული ტრანსფორმაციის უჯრედული და მოლეკულური მექანიზმების შესწავლა ჰორმონო-დამოკიდებული სიმსივნეების (პროსტატის, სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს ტანის) დროს”

1. საქართველოს მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება არაერთი უწყების თუ სამეცნიერო სფეროს მუდმივი ზრუნვის და კვლევის საგანი უნდა გახდეს. ამჟამად მოქმედმა კანონმა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ გარკვეული როლი ითამაშა მთის მოსახლეობის სოციალური თუ ეკონომიკური სტიმულირების საქმეში. აქაური მცხოვრები სარგებლობს არსებითი შეღავათებით ენერგიის წყაროების მოხმარებისას, გაზრდილია განათლების და ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებულთა ხელფასები, პენსიები და სხვ.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება არაერთი პრობლემის მოგვარებას მოითხოვს. მათ არსებობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ დღემდე ვერ ხერხდება მთის მოსახლეობის მიგრაციის პრევენცია, ეკონომიკური საქმიანობის არსებითი სტიმულირება, ტრადიციული დარგების აღდგენა, ეკოლოგიური ზემოქმედების შემცირება, ბუნებრივ რესურსებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდა და სხვ.

საქართველოს მთიანი შესაგიონების მდგრადი განვითარების დამატებითი სტიმულირება რამდენიმე გზითაა შესაძლებელი, რომლებიც მოითხოვს ევროპული გამოცდილების შესწავლას და შესაბამის საკანონმდებლო უზრუნველყოფას. ევროპის მთიან რეგიონებში შედეგიანად მოქმედებს **ალპური და კარპატების კონვენცია,** რაც გახდა ამ მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების, კულტურული იდენტობის შენარჩუნების, საერთაშორისო თანამშრომლობის, სამეურნეო საქმიანობის სტიმულირების, განათლების და მეცნიერების ხელშეწყობის, ცოდნის მიღების და განზოგადების არსებითი წყარო. ალპების და კარპატების განვითარების გამოცდილებით დაინტერესებულია მსოფლიოს თითქმის ყველა მთიანი სახელმწიფო, რაც უკვე აისახა არაერთი მათგანის კანონმდებლობაში (ავსტრალია, კანადა, ჩილე და სხვ.).

საქართველოს მთიანი რეგიონები **არსებითად განსხვავდება** მდგრადი განვითარების პრობლემატიკით, რაც მათ გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ სპეციფიკას უკავშირდება. კავკასიონის მაღალმთიანეთი არსებითად რთული რელიეფური და კლიმატური პირობებით ხასიათდება. აქ, მცირე კავკასიონისა და ჯავახეთის ვულკანური პლატოსგან განსხვავებით, აღინიშნება გაცილებით აქტიური და მასშტაბური გეო დინამიური პროცესები (მეწყერები, ზვავები, ღვარცოფები, ეროზია, დენუდაცია და სხვ.), მიწის რესურსების სიმწირე და ნიადაგის დაბალი ნაყოფიერება, მოსახლეობის დეპოპულაციის მაღალი დონე, ინფრასტრუქტურის განვითარების და სეზონური დასაქმების პრობლემები, განათლების და ჯანდაცვის სისტემის არასაკმარისი გამართულობა, დემოგრაფიული დაბერების კატასტროფული ზღვარი, ბიზნესის დამატებითი სტიმულირების აუცილებლობა, კლიმატის ცვლილების მასშტაბური გავლენა,

ენერგეტიკული პროექტების განხორციელების საჭიროება, მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონე და სხვ.

ამ მიმართულებით დადებითი როლი შეუძლია ითამაშოს ისეთმა საკანონმდებლო უზრუნველყოფამ, რომლებიც სრულად გაიზიარებს ევროპის მთიანი ქვეყნების გამოცდილებას, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ეკონომიკურ სტიმულირებას, სოციალური დაცულობის განცდას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, საერთაშორისო თანამშრომლობას, დემოგრაფიული კრიზისის პრევენციას, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, მთის ეკოსისტემების დაცვას, ეკოლოგიური მეურნეობის განვითარებას, „მწვანე“ დასახლებების შექმნას, ისტორიულ-კულტურული ფასეულობების შენარჩუნებას და განვითარებას, ტერიტორიის ლანდშაფტურ (ეკოლოგიურად ორიენტირებული) დაგეგმარებას, ევროპის ლანდშაფტური და კულტურული მემკვიდრეობის კონვენციის მოთხოვნების რეალიზაციას, ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას და ბუნებრივი საფრთხეების პრევენციას.

2. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ერთ-ერთ თვალსაჩინო მოვლენას, მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის სტაგნაცია წარმოადგენს, რომელიც 60 წელზე მეტია გრძელდება. აღნიშნული ფაქტი მოკვდაობის სფეროში არსებული ნეგატიური ვითარებითაა განპირობებული.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 1960-2021 წწ. მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცებში 1.6 წლით შემცირდა, ხოლო ქალებში 0.4 წლით და 2021 წელს შესაბამისად 67.5 და 75.4 წელი შეადგინა.

დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით საქართველო დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ფაზას ასრულებს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოკვდაობის მატება. 1960-2021 წწ. საქართველოში 2.1-ჯერ გაიზარდა მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი და 16.2‰ შეადგინა (2021 წ.). განხილული კოეფიციენტი დამოკიდებულია მოსახლეობის ასაკობრივ და სქესობრივ შემადგენლობაზე, მისი მატება ასევე დამოკიდებულა მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების დონეზე და ემიგრაციულ პროცესებზე. საქართველოში მაღალია სამუშაო ასაკის მოსახლეობის მოკვდაობა. დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისაგან, განსხვავებული სცენარით ვითარდება ეპიდემიოლოგიური გადასვლა.

საქართველოში მოკვდაობის სფეროში არსებული მძიმე მდგომარეობა, ძირითადად გამოწვეულია: სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით, ჯანდაცვის სისტემის ხარისხით, მოსახლეობის უმრავლესობის მიერ ცხოვრების ჯანსაღი წესის უგულებელყოფით.

მოკვდაობის სფეროში არსებული განსხვავებების საილუსტრაციოდ, ჩატარებულია შედარებით ანალიზი დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Elizbarashvili N., Meladze G., Grigolia L., Sandodze G., Gogoladze S., Gurgenidze M. Landscapes-Structure, Functions and Development Trends (On the Example of Landscapes of Georgia) // Open Journal of Ecology. Vol. 12, N1, January 2022. P. 81-93. doi: 10.4236/oje.2022.121005. ISSN Online: 2162-1993; ISSN Print: 2162-1985. https://www.scirp.org/journal/oje

2. Nodar Elizbarashvili, Lado Grigolia, Gela Sandodze. 2022. Assessment of ecological conditions and potential of pastures, meadows, and steppes landscapes of Georgia. Global journal of botanical sciences. Savvy Science Publisher, Vol.10, https://savvysciencepublisher.com/jms/index.php/gjbs/article/view/857

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური თუ ეკოლოგიური მნიშვნელობის პროექტის რეალიზაცია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საჭიროებს, მათ სისტემატურ კონტროლსა და მიზანმიმართულ მართვას მოითხოვს.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ბუნების დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის სტრატეგიისა და ტაქტიკის ახლებურ გააზრებას საჭიროებს. დღის წესრიგში დგება იმ სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულებების გამოცდილების გარდაქმნის აუცილებლობა, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და კვლავწარმოებას, ლანდშაფტთა ოპტიმიზაციას (ლანდშაფტის ფუნქციის მაქსიმალურ შესაბამისობას ბუნებრივ პოტენციალთან) და დაგეგმარებას.

აღნიშნულ მიმართულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ლანდშაფტმცოდნეობას, მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსთა წარმოშობის, განვითარების, ეთოლოგიის, სტრუქტურისა და ფუნქციონირების სივრცე-დროით თვისებებს. ბუნების დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის ღონისძიებათა შემუშავებაში ლანდშაფტმცოდნეობის უპირატესობა მის კომპლექსურობაში მდგომარეობს. ლანდშაფტთა ოპტიმალური გამოყენება დაკავშირებულია იმ პროცესების გან-

საზღვრასთან, რომლებიც გაითვალისწინებს ბუნებრივი გარემოს შემადგენელი კომპონენტების მდგომარეობას, მათ სისტემურ ურთიერთკავშირებს, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ აქტივობას, ქვეყნის პერსპექტიულ განვითარებას და ლანდშაფტთა გამოყენებით დაგეგმარებას.

ნებისმიერი ტერიტორია, სადაც არაერთგვაროვანია საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების ფორმები, შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ლანდშაფტურ წარმონაქმნთა კრებადობა. ყოველ ლანდშაფტურ ერთეულს გააჩნია საკუთარი, სპეციფიკური "სახე", პოტენციალი, სადაც თავისებურად მიმდინარეობს თვითწმენდის ან თვითაღდგენის, ტრანსფორმაციის ან დეგრადაციის პროცესები. აქედან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ ლანდშაფტს შეუძლია გაუძლოს მხოლოდ მისთვის მისაღებ სპეციფიკურ დატვირთვას, თავისებურად "შეასრულოს" საზოგადოებისთვის მისაღები და საჭირო საზოგადოებრივი, ანუ პოტენციური სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია. ლანდშაფტთა მიერ პოტენციური ფუნქციის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ზემოქმედების შედეგების სწორი პროგნოზირებითა და შემხვედრ ღონისძიებათა დაპირისპირებით. ამიტომ, ლანდშაფტთა ფუნქციების განსაზღვრას უდიდესი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. ლანდშაფტთა დაგეგმარება და მათთვის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების მინიჭება რაციონალური გამოყენების მიზნით მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრობლემაა ლანდშაფტმცოდნეობაში (Преображенский и др., 1988).

ლანდშაფტთა ფუნქციების განსაზღვრა გამოყენებითი ლანდშაფტმცოდნეობის, მათი დაგეგმარების საკვანძო საკითხია, რაც საქართველოს ფარგლებში არ განხორციელებულა _ მას უმნიშვნელო ყურადღება ექცოდა. გასაგებია, რომ ამგვარი საქმიანობა არაერთი პროფილის სპეციალისტის მონაწილეობითაა შესაძლებელი, რომლებიც გაითვალისწინებენ ტერიტორიის ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ ვითარებას _ მისი სტრუქტურისა და ფუნქციონირების თანამედროვე მდგომარეობას, ანთროპოგენული ზემოქმედების ფორმებსა და მასშტაბებს, პოტენციალს, მდგრადობას, გარემოსაღმდგენ თვისებათა და იმ სოციალურ-ეკონომიურ ფუნქციათა თავისებურებებს, რომლებიც დააკისრა ან შესაძლებელია დააკისროს საზოგადოებამ. ამის გამო, ლანდშაფტთა ფუნქციების დადგენა მჭიდროდ უკავშირდება ცალკეული ტერიტორიის სოციო-ფუნქციონალურ ანალიზსა და პერსპექტიულ სამეურნეო პროგნოზს. ამჟამად საქართველოს ცალკეული რეგიონისთვის დარგობრივ მეცნიერულ მიმართულებათა მიერ შემუშავებულია სოციო-ფუნქციური განვითარების არაერთი სქემა თუ მოდელი, რომლებიც თავის მხრივ ათეულობით ეტაპად თუ საფეხურად იყოფა. ასეთი რთული სქემებისა და მოდელების გამოყენებით თითქმის შეუძლებელია ჩატარდეს ობიექტური სოციო-ფუნქციური ანალიზი და დადგინდეს ლანდშაფტთა ჭეშმარიტი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია.

ლანდშაფტთა ფუნქციების განსაზღვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ეტაპად უნდა ჩაითვალოს ლანდშაფტთა ეკოლოგიური პასპორტიზაცია, რომელიც სასურველია მოიცავდეს ინფორმაციას: ლანდშაფტის ფარგლებში მიმდინარე გეოდინამიურ პროცესებზე, ლანდშაფტის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ

თავისებურებებზე, ცალკეულ კომპონენტთა რესურსულ პოტენციალზე, მიგრაციის რეჟიმსა და დანესტიანების ტიპზე და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები _ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროკოსმოსური მეთოდებით გარემოს მდგომარეობათა შესწავლის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში ძირითადად დამთავრებულია საქართველოს ლანდშაფტთა წვრილმასშტაბიანი (ცალკეულ შემთხვევებში კი _ საშუალო და მსხვილმასშტაბიანი) გეოეკოლოგიური პასპორტიზაცია. საშუალომასშტაბიანი პასპორტიზაციის დროული ჩატარება თანამედროვეობის მოთხოვნებითა და გეოეკოლოგიური ვითარებითაა განპირობებული. იგი საშუალებას მოგვცემს ლანდშაფტის პასპორტში აისახოს ინფორმაცია ტერიტორიის თანამედროვე და პერსპექტიული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ლანდშაფტი წარმოადგენს უმდაბლესი რანგის ბუნებრივ-რესურსულ და ეკოლოგიურ რაიონს (Исаченко, 1991).

განსაკუთრებულად ფრთხილ დამოკიდებულებას საჭიროებს მთიანი ტერიტორიების ლანდშაფტთა ეკოლოგიურად ორიენტირებული დაგეგმარება, მათთვის სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციათა განსაზღვრა, რაც ლანდაშაფტური მოზაიკურობითაა განპირობებული. მთიან ტერიტორიების დაგეგმარებისას წინა პლანზე გამოდის ლანდშაფტთა გარემოსმარეგულირებელი ან გარემოსაღმდგენი ფუნქციების გათვალისწინების აუცილებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება არაერთი გეოეკოლოგიური პრობლემა.

ლანდშაფტთა ფუნქციები დაკავშირებულია ორ მომენტთან: 1. ფუნქცია, განპირობებული საზოგადოების მოთხოვნებით და 2. ფუნქცია განსაზღვრული ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მდგომარეობით, მდგრადობით პოტენციური შესაძლებლობით და სხვ.

გასაგებია, რომ პირველი ტიპის სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციათა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე მეორის. პირველი ტიპი მოიცავს საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროს და შესაბამისად, ლანდშაფტთა ფუნქციების მრავალგვაროვნება სწორედ ამით აიხსნება. პირველი ტიპის ფუნქციათა კლასიფიკაციის შედეგად შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი ძირითადი ჯგუფები: 1. სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმული ლანდშატფები; 2. სამეცნიერო-საგანმანათლებლო; 3. რეკრეაციულ-ესთეტიკური დანიშნულების; 4. სელიტებური ტერიტორიებით წარმოდგენილი; 5. ბუნების დაცვისა და გარემოს რეგულირებისათვის საჭირო ლანდშაფტები.

2. საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნება გამორჩეულია მსოფლიოში. ეს განსაკუთრებით ეხება ქვეყნის სუბტროპიკულ და ზომიერი სარტყლებს, რომლებიც წარმოადგენენ სამოცდაათზე მეტ ბუნებრივ ლანდშაფტს, ნოტიო სუბტროპიკული და ნათელი ნახევრად მშრალი ტყეები ტენიანი და ალპური ლანდშაფტებით. ასეთი მრავალფეროვნება რამდენიმე ფაქტორის შედეგია, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: გეოგრაფიული მდებარეობა (მდებარეობა ტროპიკული და ზომიერი სარტყლების საზღვარზე), შავის ზღვის ეფექტი (რომელიც არასდროს იყინება), სიმაღლებრივი ზონირება (5200 მლ-მდე) და

ტერიტორიის ეკონომიკური გამოყენების რამდენიმე ათასწლოვანი ისტორია. საქართველოს უაღრესად მრავალფეროვანი ლანდშაფტები ართულებს გეოგრაფიულ-ეკოლოგიურ (გეოეკოლოგიურ) შესწავლას.

ლანდშაფტთა თვისებებს შორისაა: ლანდშაფტების ჰორიზონტალური და ვერტიკალური სტრუქტურა, ენერგია და ნივთიერება ლანდშაფტის ტრანსფორმაცია (ფუნქციონირება), ლანდშაფტებზე გავლენის ფორმები და მასშტაბები. ლანდშაფტის სტაბილურობას და ფუნქციას, ლანდშაფტის მდგომარეობას და პოტენციალს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ლანდშაფტების მდგომარეობა განისაზღვრება გარე გავლენის ფორმებითა და მასშტაბებით. გავლენის ხასიათი შესაძლებელია განიხილულ იქნას ლანდშაფტის სტრუქტურის თვითრეგენერაციის უნარით. დაშვებულია, რომ თუ ზემოქმედება ეხება მხოლოდ ბიოლოგიური კომპონენტებს, ლანდშაფტი ინარჩუნებს თვითწარმოქმნის უნარს.

ლანდშაფტების მდგომარეობა და პოტენციალი ტერიტორიული დაგეგმარების მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს მის ფორმებს. საძოვრების, მდელოების და ციცაბო ლანდშაფტების გამოყენება, დაცვა და მდგრადი განვითარება. სტატიაში შეფასებულია ამ ლანდშაფტების ეკოლოგიური მდგომარეობა და პოტენციალი (ეკოსისტემები - საძოვრები, მდელოები და საქართველოს სტეპები), რომლებზეც დიდ გავლენას ახდენს როგორც ადამიანის ეკონომიკური აქტივობა, ასევე კლიმატის ცვლილების ტენდენციები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Meladze G., Population Aging in Georgia – Past, Present, Future // II International scientific conference - Landscape dimensions of sustainable development science-carto/GIS-planning-governance. Dedicated to commemorate the 75th Anniversary of Professor Nikoloz (Niko) Beruchashvili. Tbilisi, 12-16 September, 2022. P. 194-203.

2. ელიზბარაშვილი ნ., მელაძე გ. სვანეთის მდგრადი განვითარების ზოგიერთი პრობლემა და პერსპექტივები // სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია: ,,სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები“ V მიძღვნილი პროფ. შოთა ჩართოლანის დაბადებიდან 90 წლის იუბილისადმი. მესტია 14-15 აგვისტო, 2022.

ანოტაცია

2. მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება უკავშირდება არაერთი პრობლემის გადაწყვეტას, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის დასაქმება, ბუნებრივი რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება, გეო დინამიური პროცესების პრევენცია და დემოგრაფიული ვითარების გამოსწორება.

მთის მოსახლეობის ეკონომიკური სტიმულირება და მთიანი რეეგიონების ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღებაში განსაკუთრებული როლი შეიძლება ითამაშოს არაერთი რესურსის (წყლის, ტყის, რეკრეაციული და სხვ.) ეფექტურმა გამოყენებამ, რომელთაგან სვანეთი მაღალი პოტენციალით გამოირჩევა.

საქართველოში, განსაკუთრებით კი სვანეთში, ჰიდრო ელექტროენერგიის წარმოებას ზრდის აუცილებლობა, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია, რამდენიმე ფაქტორითაა

განპირობებული: ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტენდენციებით, მდინარეთა ჩამონადენის რეგულირების აუცილებლობით; მსოფლიოში მუდმივად მზარდ მოთხოვნას სასმელ წყალზე, კლიმატის ცვლილების ტენდენციებს და სხვ.

ანალოგიური პროექტების განხორციელების ევროპული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მთიანი რეგიონების მოსახლეობა გაგებით და ხშირ შემთხვევაში კი, დიდი ენთუზიაზმით ხვდება მათ რეალიზებას. ამგვარი მიდგომა უკავშირდება რამდენიმე ფაქტორს: ადგილმონაცვლე მოსახლეობას ეძლევა სრულყოფილი (გონივრული) კომპენსაცია, ენიშნებათ შემოსავალი რეალიზებული ელექტროენერგიიდან; ეძლევათ დასაქმების შესაძლებლობა და სხვ.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1990-2022 წწ. ლენტეხისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის უპრეცედენტო კლება დაფიქსირდა. უახლოესი მონაცემებით (2021 წ.) ორივე მუნიციპალიტეტში გარდაცვლილთა რაოდენობა აღემატებოდა დაბადებულთა რაოდენობას. ინტენსიურად მიმდინარეობდა დემოგრაფიული დაბერებისა და ემიგრაციული პროცესები.

შექმნილი ვითარების დარეგულირებისათვის საჭიროა, არსებული მიდგომების დახვეწა და ისეთი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც გამოიწვევს მოსახლეობის მატერიალურ დაინტერესებას. განსაკუთრებით აქტუალურია ახალგაზრდების ადგილზე დამაგრებისა და მათი ღირსეული დასაქმების პრობლემის მოგვარება.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Elizbarashvili N., Meladze G., Sandodze G., Grigolia L. Climat Change and Mountain Landscapes of Georgia // EURACLI 2022 – International Eurasia Climate Change Congress. Van, Turkey. 22 September - 1 October, 2022. P. 41-44.
http://webportal.yyu.edu.tr/images/content/1667915411_EURACLI_22_ABSTRACT_BOOK.pdf

2. Meladze M., Meladze G. Elizbarashvili N., Meladze G., Grigolia L., Sandodze G., Gogoladze S. Changes of agroclimatic resources of mountainous regions of Georgia in terms of global warming // Resources, environment and regional sustainable development in northeast Asia. 5th International Conference. Irkutsk, August 23-26, 2022.

ანოტაცია

2. გლობალური კლიმატის თანამედროვე დაჩქარებული დათბობის პირობებში კლიმატის ცვლილების შენელებისა და მის მიმართ მოწყვლადობისა და ადაპტაციის პრობლემა მსოფლიო მასშტაბის ამოცანად იქცა, რომელიც მიმდინარე საუკუნის დასაწყისში გაეროს ძირითად გამოწვევად იქნა აღიარებული. გლობალური დათბობის პირობებში, კლიმატის არაერთგვაროვანი ცვლილების გავლენის კვლევა აგროკულტურების პროდუქტიულობაზე, მათ მოწყვლადობაზე და არსებული აგროკლიმატური ზონების საზღვრების მოსალოდნელი ტრანსფორმაციის გამოვლენა აუცილებელი და აქტუალურია. საქართველოს აღმოსავლეთ მცხეთა-მთიანეთის და დასავლეთ სამეგრელო - ზემო სვანეთის მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიებზე ჩატარებული 70 წლიანი (1948-2017) მეტეოროლოგიური დაკვირვებების საფუძველზე, გამოვლენილია გლობალური

დათბობის გავლენით აგროკლიმატური მახასიათებლების (აქტიურ ტემპერატურათა (>10°C) და ატმოსფერული ნალექების (მმ) ჯამების) ცვლილების ტენდენცია - მატება/კლება. შემუშავებული სცენარით, ტემპერატურის 1 და 2°C-ით მატებისას (დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებისათვის, შესაბამისად) დასავლეთ სამეგრელო-ზემო სვანეთის მთიან (3525°C) და მაღალმთიან (2206°C) რეგიონებში აქტიურ ტემპერატურათა ჯამების მატება საბაზისისთან შედარებით შეადგენს 189-192°C, შესაბამისად. მთიან და მაღალმთიან რეგიონებში სავეგეტაციო პერიოდი გახანგრძლივებულია 11-9 დღით, შესაბამისად. აღმოსავლეთ მცხეთა-მთიანეთის მთიან (3581°C) და მაღალმთიან რეგიონებში (2128°C) აღინიშნება აქტიურ ტემპერატურათა ჯამების მატება (486-500°C, შესაბამისად), სავეგეტაციო პერიოდი გახანგრძლივებულია მთიან და მაღალმთიან რეგიონებში 19-18 დღით, შესაბამისად. საკვლევ ტერიტორიებზე აღნიშნული სცენარების მიხედვით გამოვლენილია ატმოსფერული ნალექების და ჰიდროთერმული კოეფიციენტების კლების ტენდენციები, რაც გვალვების განმეორადობის გახშირების მიზეზია. ზემოაღნიშნული მომავლის (2020-2050) სცენარების (1 და 2°C-ით მატება) გათვალისწინებით შედგენილი განტოლებების მიხედვით, განისაზღვრა აქტიურ ტემპერატურათა ჯამები (>10°C) და გამოიყო აგროკლიმატური ზონები, შესაბამისი კულტურების გავრცელების პერსპექტივით. დასავლეთ საქართველოს სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონის ტენიანი სუბტროპიკული ზონის, 500 მ სიმაღლის ზევით 1500 მ სიმაღლემდე ვრცელდება რეგიონის მთიანი ტერიტორია. სადაც გამოიყო ორი აგროკლიმატური ზონა, ხოლო 1500 მ-დან 2500 მ სიმაღლემდე - მაღალმთიანი ტერიტორია, ორი აგროკლიმატური ზონით. საქართველოს აღმოსავლეთ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გამოიყო 3 აგროკლიმატური ზონა. I მთიანი ზონა ვრცელდება 1000 მ-დან 1500 მ სიმაღლემდე, II მაღალმთიანი ზონა - 2000 მ სიმაღლემდე, ხოლო III მაღალმთიანი ზონა - 2000 მ-დან 2500 მ სიმაღლემდე. გლობალური დათბობის პირობებისათვის შემუშავებული სცენარებით ტემპერატურების მატება აგროკულტურებზე არსებით ნეგატიურ გავლენას ვერ მოახდენს, თუ ტემპერატურის მატება სცენარით გათვალისწინებულზე მაღალი არ აღმოჩნდება. პირიქით, შეიძლება ხელსაყრელი იყოს ვერტიკალური ზონალობით ზღ.დონიდან სიმაღლეების მიხედვით აგროკულტურების გავრცელებისათვის. სადაც, 1°C-ით მატებისას აგროკულტურების გავრცელება შესაძლებელი იქნება 100-200 მ-ით, ხოლო 2°C-ით მატებისას 200-300 მ-ით უფრო მაღლა, არსებულ ზონებთან შედარებით. თუმცა, გასათვალისწინებელია შემცირებული ატმოსფერული ნალექებით გამოწვეული ნეგატიური პროცესების მიმართ შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების შემუშავება.

კათედრის სხვა აქტივობა.

- ბათუმის მუნიციპალიტატის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავება. 16.09.2021-16.04.2023 ბათუმის პროგნოზი.

მიმდინარე წელს შესრულდა ქ.ბათუმის მოსახლეობის პროგნოზული გაანგარიშებები 2020-2035 წწ. პროგნოზის დაბალი, საშუალო და მაღალი ვარიანტების

გასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა საქართველოს სტატატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები. მიგრაციის შესახებ მონაცემების არარსებობის გამო ვისარგებლეთ გაანგარიშების ირიბი მეთოდით, რომელიც აპრობირებულია და გამოიყენება მსგავს სიტუაციებში.

პროგნოზის სამივე ვარიანტის (დაბალი, საშუალო. მაღალი) თანახმად, ქ. ბათუმში 2020-2035 წწ. მოსახლეობის მატებაა მოსალოდნელი.

სტატიები

1. Elizbarashvili N., Meladze G., Grigolia L., Sandodze G., Gogoladze S., Gurgenidze M. Landscapes-Structure, Functions and Development Trends (On the Example of Landscapes of Georgia) // Open Journal of Ecology. Vol. 12, N1, January 2022. P. 81-93. doi: 10.4236/oje.2022.121005. ISSN Online: 2162-1993; ISSN Print: 2162-1985. https://www.scirp.org/journal/oje

2. Nodar Elizbarashvili, Lado Grigolia, Gela Sandodze. 2022. Assessment of ecological conditions and potential of pastures, meadows, and steppes landscapes of Georgia. Global journal of botanical sciences. Savvy Science Publisher, Vol.10, https://savvysciencepublisher.com/jms/index.php/gjbs/article/view/857

3. Khomeriki G., Meladze G., Nadareishvili N., Tutberidze M., Kvirkvelia N, Dzhvarsheishvili S., Tavadze G., Bokeria M Demographic Issues of Social-Economic Development of Eastern Georgia: Population as a Demographic Potential // Georgian Geographical Journal 2022, Vol. 2(1). p. 10-23. **DOI:** https://doi.org/10.52340/ggj https://journals.4science.ge/923d6a2d-623c-4f7b-9a48-756f19693c96

4. ნ.ელიზბარაშვილი (2022). საქართველოს მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების აქტუალური საკითხები. თსუ ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს გეოგრაფია“, #12, გამომ. თსუ, გვ.4-14.

5. მელაძე გ. მოკვდაობისა და მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის პრობლემები საქართველოში // ,,საქართველოს გეოგრაფია“ , #12. თსუ, 2022. ISSN 1512 – 1267.

ასოც.პროფ. მარიამ ელიზბარაშვილი

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. კლიმატის ცვლილების პროგნოზირებული ზემოქმედების შეფასება საქართველოში ძალიან მაღალი გარჩევადობის კლიმატური მოდელის გამოყენებით. სამეცნიერო მიმართულება: მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია. საგრანტო ხელშეკრულება № FR-19-8110; პროექტის დაწყებისა და დასრულების წლები: 09.03.2020-09.03.2023

2. ქვემო ქართლის მხარეში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შეფასების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა. საგრანტო ხელშეკრულება № FR-19-14993; პროექტის დაწყებისა და დასრულების წლები: 09.03.2020-09.03.2023

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარიამ ელიზბარაშვილი - სამეცნიერო ხელმძღვანელი, მაგდა ცინცაძე - კოორდინატორი შეიცვალა 2022 წლის მარტიდან ელიზბარ ელიზბარაშვილი - კოორდინატორი, ცეზარი მშვენიერაძე - ახალგაზრდა მეცნიერი შეიცვალა 2022 წლის მარტიდან - თამარ ხუნწელია - ახალგაზრდა მეცნიერი.

2. ბელა კვირკველია - სამეცნიერო ხელმძღვანელი, მარიამ ელიზბარაშვილი - კოორდინატორი, შალვა ელიზბარაშვილი - მკვლევარი - გის სპეციალისტი, თამარ ხუნწელია - ახალგაზრდა მეცნიერი, გის სპეციალისტი; მარინა ტატანაშვილი - გის სპეციალისტი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2022 წლის განმავლობაში მომზადდა სამი საკონფერენციო მოხსენება და წარდგენილია შემდეგ კონფერენციებზე: 1) EGU General Assembly 2022 Vienna, Austria & Online | 23–27 May 2022; https://meetingorganizer.copernicus.org/EGU22/EGU22-2065.html 2) XII International Conference of the Georgian Mathematical Union, Batumi, August 29 – September 3, 2022; http://gmu.gtu.ge/Batumi2022/ 3) მდგრადი განვითარების ლანდშაფტური განზომილება: კვლევა - კარტო/გის - დაგეგმარება - მართვა", 12-16 სექტემბერი, 2022წ. თბილისი საქართველო.

ასევე შესრულდა პროექტით გათვალისწინებული ამოცანა შესაბამისი აქტივობებით:
ამოცანა - RegCM-ის კლიმატის ცვლილების სიგნალი.

1. აქტივობა - სეზონურ და წლიურ კლიმატოლოგიაში ცვლილებების ანალიზი.
2. აქტივობა - კლიმატურ ექსტრემუმებში ცვლილებების ანალიზი

შეფასდა ცვლილებები სეზონურ და ყოველწლიურ კლიმატოლოგიაში, კლიმატურ ექსტრემუმებში (მომავალი, ისტორიული) RegCM4-ის 12 კმ რეზოლუციის სხვადასხვა კონფიგურაციის მქონე სიმულაციებისათვის.

2. პროექტის ფარგლებში განხორციელებული კამერალური და საველე კვლევების შედეგად შედგენილი ქვემო ქართლის მხარის გზებზე საგანგებო სიტუაციების წარმომქმნელი საშიში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების მონაცემთა ბაზის საფუძველზე იდენტიფიცირებული იქნა საშიში ბუნებრივი პროცესების გამოვლინების უბნები. საკვლევი არეალი დაიყო მონაკვეთებად და თითოეული არეალისთვის მომზადდა შესაბამისი რუკები გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის გამოყენებით.

ქვემო ქართლის მხარის სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ანალიზისთვის და გაუმჯობესებისათვის საჭირო ინოვაციური ინსტრუმენტების შექმნის მიზნით ხდება ამ საშიში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ მონაცემების ინტეგრირება ჩვენს მიერ წინა წელს შედგენილ გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემაში (1:10000 მასშტაბი), რომელიც მოიცავს სპეციფიკურ დეტალურ ინფორმაციას: სამედიცინო დაწესებულებების (პირველი, მეორე და მესამე დონის ჯანდაცვის ობიექტები), სასწრაფო დახმარებას, სააფთიაქო ქსელის, საგზაო ინფრასტრუქტურის, გზის საფარის და სხვა შესახებ. კვლავ მიმდინარეობს სხვადასხვა მონაცებების დეტალური გადამოწმება-განახლება რომელიც საჭიროა 1:10000 მასშტაბისათვის.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი;
პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ცენტრალურ კავკასიონზე მდებარე საზღვრისპირა დასახლებებთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების (თბილისი-გუდაური-ლარსი და თბილისი-ჟინვალი-შატილი) კლასიფიკაცია /დარაიონება საშიში ბუნებრივი მოვლენების თვალსაზრისით და მისი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა. ფიზიკური გეოგრაფია, გეომეცნიერებები მულტიდისციპლინური, საგრანტო ხელშეკრულება № BRG-I-21-228;
პროექტის დაწყებისა და დასრულების წლები: 09.09.2021-09.09.2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარიამ ელიზბარაშვილი - სამეცნიერო ხელმძღვანელი, გიორგი გაფრინდაშვილი - კოორდინატორი, ელიზბარ ელიზბარაშვილი მკვლევარი, გიორგი დვალაშვილი - მკვლევარი, ნინო ჩიხრაძე - მკვლევარი, თამარ ხუნწელია და ზურაბ რიკაძე - ახალგაზრდა მეცნიერი.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მცხეთა-ჟინვალი-სტეფანწმინდა-ლარსის და ჟინვალი-ბარისახო-შატილი-¬მუცოს საავტომობილო გზების 250კმ-იან მონაკვეთზე განხორციელებული საველე და კამერალური კვლევების შედეგად იდენტიფიცირებული იქნა გეოლოგიური და ჰიდრომეტეროლოგიური პროცესების გამოვლინების უბნები. ამ საავტომობილო გზების აღნიშნულ 250 კმ-იან მონაკვეთზე დომინირებს მეწყრული, ღვარცოფული,

კლდეზვავ-ქვათაცვენითი პროცესები და თოვლის ზვავები, ხოლო ეროზიული პროცესები (დახრამვა, მდინარის ნაპირების გარეცხვა) დაფიქსირდა 17 უბანზე. საკვლევ ტერიტორიაზე დაფიქსირებული სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებიდან ყველაზე მეტი შემთხვევა წყალდიდობა-წყალმოვარდნებზე მოდის, ხოლო გეოლოგიური მოვლენებიდან განსაკუთრებით გამოსარჩევია მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესები. მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს წყალდიდობა-წყალმოვარდნას ან რამდენიმე ბუნებრივი პროცესის და ანთროპოგენური ფაქტორების ზედდებას. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ათწლეულებში კლიმატის ცვლილების ფონზე აშკარად შეინიშნება სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით კი წყალდიდობა-წყალმოვარდნების, მეწყრების და ღვარცოფების რიცხვი საკმაოდ მატულობს. საკვლევ რეგიონში განსაკუთრებით მოწყვლადი დასახლებული პუნქტებიდან გამოიყოფა დუშეთის მუნიციპალიტეტის თემები: მაღაროსკარი, ქვეშეთი და ხევსურეთი, ასევე ყაზბეგის მუნიციპალიტეტი. გაანალიზებულია ასევე გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების გადანაწილება აღნიშნული საავტომობილო გზების 250 კმ მონაკვეთზე.

განხორციელდა საკვლევი არეალის ზონირება (დარაიონება) ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით. სამიზნე არეალი დაიყო მონაკვეთებად და თითოეული არეალისთვის მომზადდა შესაბამისი რუკები გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის გამოყენებით. შემუშავებულია საადაპტაციო ღონისძიებები, რომელთა დროულმა გატარებამ გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგრადი ფუნქციონირება.

კვლევის შედეგებზე გამოიცა მონოგრაფია: „საშიში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები ცენტრალური კავკასიონის საზღვრისპირა რეგიონებში – ყაზბეგი, დუშეთი, თიანეთი და მცხეთა“, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. Development of Regional Climate Modelling and Assessment Capability in Georgia; Climatology Climate change; Prep215; Austria's Agency for Education and Internationalization, 0eAD-GmbH; რეგიონული კლიმატის მოდელირებისა და შეფასების

შესაძლებლობების განვითარება საქართველოში, ავსტრიის განათლებისა და ინტერნაციონალიზაციის სააგენტოს (OeAD-GmbH)
01.02.2022 - 31.05.2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. მარიამ ელიზბარაშვილი - პროექტის კოორდინატორი; მაგდა ცინცაძე - მკვლევარი; მანანა ხაჩიძე -მკვლევარი; ნიკოლინა ბენ - თანაკოორდინატორი ავსტრიიდან.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. კლიმატის ცვლილება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე, რომლის წინაშეც მსოფლიო დღეს დგას და ის წარმოადგენს მთავარ გამოწვევას სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. მთიანი ტერიტორიები ზემოქმედებს რეგიონების ამინდზე და კლიმატზე და კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მგრძნობიარე ზონებს წარმოადგენს. თუმცა, ცოდნა თუ როგორ იმოქმედებს კლიმატის ცვლილება მთის კლიმატზე, ჯერ კიდევ ძალიან შეზღუდულია. პერსპექტიული ინსტრუმენტი მთის კლიმატის ღრმა გაგებისთვის არის რეგიონალური კლიმატის მოდელირება.

პროექტის განხორციელებისას განვითარდა აკადემიური პარტნიორობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საქართველო) და ინსბრუკის უნივერსიტეტს (ავსტრია) შორის საქართველოში კლიმატის მოდელირებისა და შეფასების რეგიონალური შესაძლებლობების განვითარებისათვის. შემუშავდა თსუ-ში კლიმატის რეგიონალური მოდელების მართვის ინფრასტრუქტურისა და კლიმატის ცვლილებისა და მოდელირების ერთობლივი კურსების განვითარების გეგმა.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. მარიამ ელიზბარაშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, გიორგი დვალაშვილი, ნინო ჩიხრაძე, თამარ ხუნწელია, ზურაბ რიკაძე; საშიში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები ცენტრალური კავკასიონის საზღვრისპირა რეგიონებში – ყაზბეგი, დუშეთი, თიანეთი და მცხეთა; ISBN 978-9941-33-305-7; თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“; 200 გვ.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებთან დამაკავშირებელ საავტომობილო გზებს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. გზების უქონლობა ან გზებზე

გადაადგილების შეფერხება შესაძლოა გახდეს საზღვრისპირა მონაკვეთის გაუკონტროლებლობის წინაპირობა, რაც თავის მხრივ უკანონო პროდუქციის გადმოტანის რისკს გაზრდის, ან გაურკვეველი წარმომავლობის და დანიშნულების შეიარაღებული პირების თუ ჯგუფების გადმოსვლის საფრთხეს შეიცავს. სწორედ მოუწესრიგებელი და გადაადგილებისთვის არასაიმედო გზების არსებობა არის მოსახლეობის საზღვრისპირა მთიანი რეგიონებიდან ბარში მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი. ამის გამო ძალიან ბევრი მთის სოფელი გაუკაცრიელდა. მთიანი რეგიონები მრავალ ტურისტს იზიდავს, რაც მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისათვის, მაგრამ მოუწესრიგებელი საგზაო ინფასტრუქტურა და რთული ბუნებრივი პირობები აძნელებს ტურისტების გადაადგილებას და ბევრი მაღალმთიანი რეგიონის ტურისტული პოტენციალის სათანადოდ ათვისება სწორედ ამ მიზეზების გამო ვერ ხდება. საავტომობილო გზები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, რადგანაც მისი მეშვეობით მოსახლეობას ხელი მიუწვდება სამედიცინო მომსახურებაზე, საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, ტურისტულ ობიექტებზე და ა.შ. ამასთანავე, მოწესრიგებული და გამართული საგზაო ქსელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

გზები აუცილებელია საზოგადოებრივი სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნებისათვის. გზების დაზიანებას და განადგურებას ბუნებრივი კატასტროფების მიერ უარყოფითი გავლენა შეუძლია იქონიოს მოქალაქეების კეთილდღეობაზე. კლიმატის გლობალური ცვლილების პირობებში მნიშვნელოვნად მატულობს ამინდისა და კლიმატის ექსტრემალური მოვლენების სიხშირე და ინტენსივობა: დიდთოვლობა, ნისლი, ზვავი, ქარიშხალი, თავსხმა წვიმა, სეტყვა და ა.შ., რაც გეოლოგიურ მოვლენებთან ერთად ქმნის საგანგებო სიტუაციებს საავტომობლო გზებზე და აფერხებს მოძრაობას. ხშირად რამდენიმე საათიდან დაწყებული, მთელი ზამთრით დამთავრებული გზები იკეტება და სოფლები და დასახლებულ პუნქტები მოწყვეტილი და იზოლირებული რჩება, ამიტომ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებთან დამაკავშირებელ სააავტომობილო გზებზე საშიში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესწავლა და გზების კლასიფიკაცია/დარაიონება ამ მოვლენების მიხედვით მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის, საზოგადოებისათვისა და მეცნიერებისათვის.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია თბილისი-გუდაური-ლარსის და თბილისი-ჟინვალი-შატილის საავტომობილო გზებზე საგანგებო სიტუაციების წარმომქმნელი საშიში გეოლოგიური (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი-ქვათაცვენა, მდინარის ნაპირის გარეცხვა და სხვა) და ჰიდრომეტეოროლოგიური (წყალდიდობა, თოვლის ზვავი, ნისლი, გრიგალი და სხვა) მოვლენების განხორციელების პროცესის და მახასიათებლების გამოკვლევის შედეგები და ამ მოვლენების თვალსაზრისით გზების კლასიფიკაცია/დარაიონების რუკები.

ნაშრომში გამოკვლეულ ორ საგზაო მონაკვეთს საქართველოს საზღვრისპირა მთიანი ტერიტორიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია ვინაიდან ისინი აკავშირებენ ერთმანეთთან კავკასიონის ჩრდილო და სამხრეთ ფერდობებს:

1. თბილისი-ფასანაური-გუდაური-დარიალი-ლარსი, ანუ ე.წ. საქართველოს სამხედრო გზა; და
2. თბილისი-ჟინვალი-ბარისახო-შატილი, ანუ პირიქითა ხევსურეთის და პირაქეთა ხევსურეთის მაღალმთიანი ნაწილის დედაქალაქთან დამაკავშირებელი გზა.

ორივე მიმართულებით მიმავალი გზა უკავშირდება კავკასიონის ჩრდილო ფერდობებზე განლაგებულ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციებს, რომლებიც იზოლირებულია მაღალი წყალგამყოფი ქედით (კავკასიონის მთავარი ქედი) და მათთან პირდაპირი სატრანსპორტო კომუნიკაცია ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ მაღალი უღელტეხილების მეშვეობით: ჯვრის უღელტეხილისა (2379 მ) (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) და დათვისჯვრის უღელტეხილის (2676 მ) (დუშეთის მუნიციპალიტეტი) გავლით.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. E.Sh. Elizbarashvili, M.E. Elizbarashvili, Sh.E. Elizbarashvili , B.V. Kvirkvelia, T.D. Khuntselia**.** Climatic risks created by dangerous weather phenomena in Kvemo Kartli, Annals of Agrarian Science, vol.20. N1, Tbilisi, 28-33 pp, 2022, ISSN 1512-1887

ე.შ. ელიზბარაშვილი, მ.ე.ელიზბარაშვილი, შ.ე. ელიზბარაშვილი, ბ.ვ.კვირკველია, თ.დ.ხუნწელია. ქვემო ქართლში საშიში ამინდის მოვლენებით შექმნილი კლიმატური რისკები, Annals of Agrarian Science, ტ.20. N1, თბილისი, 28-33 გვ., 2022 წ, ISSN 1512-1887

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ქვემო ქართლი უშუალოდ ესაზღვრება საქართველოს დედაქალაქს და ამარაგებს მას პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით. რეგიონისთვის დამახასიათებელი საშიში ამინდის პირობები უარყოფითად მოქმედებს რეგიონის ეკონომიკის ყველა სექტორზე და მთლიანად ქვეყანაზე. ამიტომ, რეგიონში მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესარბილებლად, 8 მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვების საფუძველზე, შესწავლილი იქნა ტიპიური საშიში ამინდის ფენომენების ალბათობა და ამ მოვლენებთან დაკავშირებული შესაძლო სოციალური და ეკონომიკური რისკები არახელსაყრელი ამინდის პირობებში. აღმოჩნდა, რომ მთლიანად

რეგიონისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ რისკებს წარმოადგენს ნისლი და ძლიერი ქარი.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Mariam Elizbarashvili, Magda Tsintsadze, Tsezari Mshvenieradze, Elizbar Elizbarashvili; ASSESSMENT OF REGCM4 SIMULATED ANNUAL AND SEASONAL AIR TEMPERATURE AND PRECIPITATION OVER GEORGIA; II INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE: „LANDSCAPE DIMENSIONS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT: SCIENCE – CARTO/GIS - PLANNING – GOVERNANCE“; 12-16 September 2022, Tbilisi, Georgia;

მარიამ ელიზბარაშვილი, მაგდა ცინცაძე, ცეზარი მშვენიერაძე, ელიზბარ ელიზბარაშვილი; REGCM4-ის სიმულაციური წლიური და სეზონური ჰაერის ტემპერატურისა და ნალექების შეფასება საქართველოში; II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: “მდგრადი განვითარების ლანდშაფტური განზომილება: კვლევა - კარტო/გის - დაგეგმარება - მართვა”, 12-16 სექტემბერი, 2022წ. თბილისი საქართველო.

2. Mariam Elizbarashvili, Regional Climate Modeling: Challenges, and Prospects in Georgia; XII International Conference of the Georgian Mathematical Union, Batumi, August 29 – September 3, 2022;

მარიამ ელიზბარაშვილი, რეგიონალური კლიმატური მოდელირება: გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში; საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის XII საერთაშორისო კონფერენცია; ბათუმი, 29 აგვისტო - 3 სექტემბერი, 2022.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Mariam Elizbarashvili, Tímea Kalmár, Magda Tsintsadze, Tsezari Mshvenieradze; Regional climate modeling for Georgia with RegCM4. 7; EGU General Assembly 2022 Vienna, Austria & Online | 23–27 May 2022;

https://meetingorganizer.copernicus.org/EGU22/EGU22-2065.html

მარიამ ელიზბარაშვილი, ტიმეა კალმარი, მაგდა ცინცაძე, ცეზარი მშვენიერეძე; რეგიონალური კლიმატური მოდელირება საქართველოსათვის RegCM4. 7-ის გამოყენებით; EGU გენერალური ასამბლეა 2022 ვენა, ავსტრია & ონლაინ | 2022 წლის 23–27 მაისი;
https://meetingorganizer.copernicus.org/EGU22/EGU22-2065.html

ამ კვლევაში გამოყენებულია აბდუს სალამის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის (ICTP) რეგიონალური კლიმატის მოდელის უახლესი ვერსია RegCM4.7.0 საქართველოს კლიმატის სიმულაციისთვის 1986-2005 წლებისათის.

საქართველოს რთული რელიეფისთვის მაღალი ჰორიზონტალური გარჩევადობით კლიმატის სიმულაციისთვის გამოყენებულია ორმაგი ბუდობრივი დინამიური შემცირების მეთოდი (double-nested dynamic downscaling method). RegCM გაშვებული იქნა თვლაზე ERA-Interim მონაცემებით 50 კმ-იანი რეზულიციით. მიღებული შედეგი გამოყენებული იქნა 12 კმ-იანი გარჩევადობის RegCM სიმულაციისათვის. ჩვენ შევარჩიეთ დომენის ზომა საკმარისად დიდი შესაბამისი ფართომასშტაბიანი პროცესების გასათვალისწინებლად (როგორიცაა ნაკადის ფართომასშტაბიანი მოდულაციები ოროგრაფიული მახასიათებლებისა და წყლის ობიექტების გამო), მაგრამ ამავე დროს საკმარისად მცირე ზომის გამოთვლითი რესურსების გამოყენების შესამცირებლად.

გამოყენებული იქნა BATS (ბიოსფერო-ატმოსფეროს გადაცემის სქემა) მიწის ზედაპირის პარამეტრიზაციის სქემა, SUBEX (Sub-grid Explicit Moisture Scheme) ტენიანობის სქემა და Holstlag პლანეტარული სასაზღვრო ფენის სქემა სიმულაციებისთვის.

სიმულირებული წლიური და სეზონური მიწისპირა ჰაერის ტემპერატურა და ნალექები, ისევე როგორც ექსტრემალური კლიმატური მოვლენები შედარებულია კლიმატის კვლევის ცენტრის (CRU) მონაცემებთენ, ERA5 რეანალიზთან, GPCP მონაცემთა ნაკრებებთან. ექსტრემალური მოვლენების ანალიზისთვის ჩვენ შევარჩიეთ და გამოვიყენეთ რამდენიმე ინდექსი, რომელიც განსაზღვრულია კლიმატის ცვლილების გამოვლენისა და ინდექსების ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელიც ასევე რეკომენდებულია მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ.

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი,
გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის კათედრა
დალი ნიკოლაიშვილი _ კათედრის გამგე, პროფესორი
თენგიზ გორდეზიანი _ ასოცირებული პროფესორი
ცეცილი დონაძე _ ასისტენტ პროფესორი
გიორგი დვალაშვილი _ ასისტენტ პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1. 1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო
მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი და საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზონა. ისტორიულ-გეოგრაფიული რეალიები. BRG-I-22-095
საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების
ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

თენგიზ გორდეზიანი - პროექტის ხელმძღვანელი, კარტოგრაფი, თსუ ასოცირებული პროფესორი
ზაზა სხირტლაძე - ხელოვნებათმცოდნე-ისტორიკოსი, თსუ პროფესორი
ნოდარ ხორბალაძე - კარტოგრაფი, სოციოლოგიის დოქტორი
თედო გორგოძე - პროექტის კოორდინატორი, კარტოგრაფი, გეოგრაფიის დოქტორი
რევაზ თოლორდავა - კარტოგრაფი, სოხუმის სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ნოდარ ელიზბარაშვილი - გეოგრაფი, თსუ პროფესორი
ნათელა მირიანაშვილი - ისტორიკოსი, საქართველოს ეროვნული არქივის, დოკუმენტების ინფორმაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსი
ზურაბ ლაოშვილი - გის ექსპერტი, საქართველოს ტექნუკური უნივერსიტეტის პროფესორი
ცისანა ქადაგიშვილი - იურისტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
გოჩა გუძუაძე - თსუ დოქტორანტი გეოგრაფიის მიმართულებით, ტოპოგრაფი
მარიამ გაგოშაშვილი - თსუ დოქტორანტი გეოგრაფიის მიმართულებით, გის-სპეციალისტი
ჯულია ბენიძე - თსუ დოქტორანტი ისტორიის მიმართულებით, ისტორიკოსი

პროექტი მიმდინარეა. პროექტის საბოლოო შედეგები იქნება ორი სამეცნიერო-პრაქტიკული დანიშნულების პროდუქტის მომზადება: 1) მონოგრაფიული გამოკვლევა (ქართულ-ინგლისურ ენებზე), რომელიც მომზადდება დასაბეჭდად და გამოიცემა განსაზღვრული ტირაჟით; 2) დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ელექტრონული ატლასი. ამ ნაშრომების შექმნის მიზნით ჩატარებულ იქნა შემდეგი სამუშაოები: 1) მოძიებულ იქნა ლიტერატურული და კარტოგრაფიული წყაროები, ჩატარდა მათი ანალიზი; 2) მოძიებულ იქნა ყველა არსებული საარქივო მასალა დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიული მიკუთვნებულობის შესახებ; 3) ნაწილობრივ შესრულდა დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის კვლევა ისტორიულ ჭრილში. მიმდინარეობს კვლევები კომპლექსის ობიექტთა ეპიგრაფიკის მიმართულებით; 4) შესრულდა საკვლევი ტერიტორიის ლანდშაფტური ანალიზი; 5) ჩატარდა 1:200 000 მასშტაბის K-38-XXII ნომენკლატურის ტოპოგრაფიული რუკის პლანშეტის კარტოგრაფიული ექსპერტიზა.

1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა დაბეჭდილია 1937 წელს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დაკვეთით. რუკის პასუხისმგებელი რედაქტორია *დოც. სერგი ცხაკაია,* რომელიც იმხანად ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის ტოპო-გეოდეზიურ სამსახურს. ეს რუკა, საქართველო-აზერბაიჯანის ამ მონაკვეთზე წარმოადგენს ერთგვარ „კარტოგრაფიულ პასპორტს“, სადაც გათვალისწინებულია მოკავშირე ნრესპუბლიკებს შორის საზღვრები სსრ კავშირის 1936

წლის კონსტიტუციის მიხედვით. დახასიათებულია მიუფლინგის მრავალწახნაგა კარტოგრაფიული პროექცია, რომელშიაც შედგენილია ეს ტოპოგრაფიული რუკა. მიუფლინგის პროექციას გააჩნია გაუსის საკოორდინატი საფუძველი, რაც იმას ნიშნავს, რომ მასზე ობიექტთა მდებარეობა და ურთიერთგანლაგება იდენტურია გაუს-კრიუგერის განივ ცილინდრულ პროექციაში შედგენილ ტოპოგრაფიულ რუკაზე იგივე ობიექტების მდებარეობისა და ურთიერთგანლაგებისა.

მიუფლინგის მრავალწახნაგა პროექცია 1821 წელს შექმნა გერმანელმა სამხედრო გეოდეზისტმა *კარლ ფონ მიუფლინგმა.* აღნიშნული პროექცია გამოყენებულ იქნა მსხვილმასშტაბიანი რუკების შესადგენად და მისი მეშვეობით პირველად შეადგინეს ავსტრიისა და ტრანსილვანიის 1 : 75 000 მასშტაბიანი რუკა.

მიუფლინგის პროექცია აგებულია მერიდიანებისა და პარალელების გასწორებული რკალების გასწვრივ, ხოლო მის ანალოგს წარმოადგენს ტრაპეციის სახით გამოსახული ფსევდოცილინდრული პროექცია. ფართოდ გამოიყენებოდა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის დროს 1930-იანი წლების ჩათვლით. 1917 წლამდე მრავალწახნაგა პროექციაში ხდებოდა შემდეგი მასშტაბის რუკების შედგენა: 1 : 21 000 (ნახევარვერსტიანი), 1 : 42 000 (ერთვერსტიანი), 1 : 84 000 (ორვერსტიანი), 1917 წლიდან 1942 წლამდე მრავალწახნაგა პროექციაში ხდებოდა 1 : 25 000 – 1 : 200 000 მასშტაბების რუკების შედგენა. ევროპის რიგ სახელმწიფოებში ამჟამადაც გამოიყენება მრავალწახნაგა პროექციები 1 : 100 000, 1 : 200 000 და 1 : 300 000 მასშტაბიანი რუკების შესადგენად.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარება განედების მიხედვით, მიუფლინგის პროექციაში, 1:1000 000 მასშტაბის ტრაპეციის შემთხვევაში განაპირობებს პროექციის ყველა ელემენტის (მანძილები, ფართობები, კუთხეები) მინიმალურ დამახინჯებას.

მიუფლინგის პროექცია გამოირჩევა მაღალი სიზუსტის მათემატიკური პარამეტრებით და გააჩნია მცირე ცდომილებები წახნაგების შეერთების ადგილებში. თითოეული ტრაპეციის (წახნაგის) შიგნით გააჩნია მაღალი სიზუსტე, რაც სრულად აკმაყოფილებს მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული რუკისათვის საჭირო სიზუსტეს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროექციის გამოყენება რეკომენდირებულია მცირე ტერიტორიის მქონე ქვეყნების ტოპოგრაფიული რუკების შესაქმნელად. დიდი განფენილობის მქონე ტერიტორიების ასახვის შემთხვევაში, რომელიც სცილდება 1 : 1 000 000 მასშტაბის დაყოფის ზონას, ტრაპეციათა შეერთების ადგილებში იწვევს დამახინჯებას.

ჩვენ მოვახდინეთ 1 : 200 000 მასშტაბის მიუფლინგის და გაუს-კრიუგერის პროექციებში შედგენილი, 1937 და 1988 წლებში გამოცემული, ტოპოგრაფიული რუკების მათემატიკური საფუძვლების შედარება. შედარებისათვის გამოყენებული იქნა შემდეგი კარტოგრაფიული მეთოდები: 1. კომპიუტერული (ციფრული, თანამედროვე), 2. მექანიკური („ჟენევის სახაზავით“ გაზომვა), 3. კალკირების (გამჭვირვალე პერგამენტზე გეოგრაფიული ობიექტების ურთიერთშედარება).

შედარებამ გვიჩვენა ამ ორი რუკის მათემატიკური საფუძვლის პარამეტრების მსგავსებაც და განსხვავებაც. მსგავსია მათემატიკური საფუძვლის შემდეგი პარამეტრები: მასშტაბი, ნომენკლატურა, ჩარჩო, გრადუსთა ბადე, ფურცლის ზომები. განსხვავებულია კილომეტრული ბადე განედის მიმართულებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ რუკების შექმნისათვის გამოყენებულია სხვადასხვა ელიფსოიდი („ბესელის“ - 1937 წლის რუკისათვის, „კრასოვსკის“ - 1988 წლის რუკისათვის). აღნიშნული განსხვავება ლოგიკურია და არანაირ გავლენას არ ახდენს რუკაზე გეოგრაფიული ობიექტების განლაგებაზე.

გრადუსთა ბადე ორივე რუკაზე აბსოლუტურად ერთნაირია და დაყოფილია 10′-იან ინტერვალებად განედის მიმართულებით და 15′-იან ინტერვალებად გრძედის მიმართულებით. კილომეტრული ბადე ორივე რუკაზე ზუსტ შესაბამისობაშია

ერთმანეთთან, მაგრამ დატანილია განსხვავებული სიხშირით: 1937 წლის რუკაზე - 10 კმ-იანი, 1988 წლის რუკაზე - 4 კმ-იანი.

რუკებზე განხორციელდა გეოგრაფიულ ობიექტთა განლაგების შედარება. შედარებისათვის შერჩეულ იქნა 11 გეოგრაფიული ობიექტი, რომლებიც დატანილია ორივე რუკაზე. რიცხობრივი მონაცემები აღებულია 1988 წელს გამოცემული 1 : 200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკიდან და შედარებულია 1937 წელს გამოცემული იმავე მასშტაბის რუკის მონაცემებთან.

ცხრ. 1. გეოგრაფიულ ობიექტთა განლაგების შედარება 1937 და 1988 წლებში გამოცემული 1 : 200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების მიხედვით

N	გეოგრაფიული ობიექტი	განედი φ	გრძედი λ	დაშორება რუკის მარცხენა კიდიდან a (მ)	დაშორება რუკის ქვედა კიდიდან b (მ)	განსხვავება Δ (მ)
1	ხიდი მდ. ალაზანზე	41⁰59’15’’	45⁰34’52’’	48 170	72 660	-
2	მ. ნაკალავარი (მ. ნატახტრისწვერი)	41⁰58’05’’	45⁰57’03’’	78 820	70 530	400
3	მ. გომბორი	41⁰52’23’’	45⁰16’52’’	23 310	60 040	400
4	მ. იალნო	41⁰50’02’’	45⁰04’34’’	6 410	56 890	400
5	მ. მანავის ცივი	41⁰47’02’’	45⁰26’57’’	37 330	50 160	-
6	მ. ნაომარი	41⁰36’58’’	45⁰17’57’’	24 930	31 490	-
7	მ. დემურდაღი	41⁰35’07’’	45⁰16’44’’	23 200	28 000	-
8	მ. უდაბნო	41⁰26’25’’	45⁰22’45’’	31 750	11 920	-
9	რკგ. სადგ. ბიოიუკ-კიასიკი (რკგ. სადგ. ძმობა)	41⁰23’13’’	45⁰11’09’’	15 520	5 950	-
10	მ. გეგტებე	41⁰22’32’’	45⁰34’40’’	48 370	4 760	-
11	მ. სოჩხიმი (მ. ქვაბები)	41⁰23’23’’	45⁰59’25’’	82 910	6 280	-

შენიშვნა: მონაცემებს შორის განსხვავებები შესაძლოა გამოწვეულ იყოს შემდეგი მიზეზებით: 1. იმ პერიოდისათვის არსებული აგეგმვის მეთოდი; 2. გეოგრაფიული ობიექტის (მწვერვალის) მდებარეობის არასწორად განსაზღვრა ადგილზე; 3. ქაღალდის დეფორმაცია და სკანირების დამახინჯება.

პროექტის ფარგლებში, კვლევის შემდგომ ეტაპზე, დაგეგმილია საკვლევი ტერიტორიის ობიექტთა ტოპო-გეოდეზიური აგეგმვა (კოორდინატების აღება) და დრონის საშუალებით მსხვილმასშტაბიანი აეროგადაღება.

2.2. 1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

ცენტრალურ კავკასიონზე მდებარე საზღვრისპირა დასახლებებთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების (თბილისი-გუდაური-ლარსი და თბილისი-ჟინვალი-შატილი) კლასიფიკაცია/დარაიონება საშიში ბუნებრივი მოვლენების თვალსაზრისით და მისი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა. BRG-I-21-228
საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების
ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

მარიამ ელიზბარაშვილი - პროექტის ხელმძღვანელი, გეოგრაფი, თსუ-ს ასოცირებულ პროფესორი.
გიორგი გაფრინდაშვილი - პროექტის კოორდინატორი - გეოგრაფიის დოქტორი, გეოლოგი
ელიზბარ ელიზბარაშვილი - პროფესორი, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის კლიმატოლოგიისა
და აგრომეტეოროლოგიის განყოფილების გამგე.
გიორგი დვალაშვილი - გეოგრაფი, სტიქიური პროცესების კვლევა.
ნინო ჩიხრაძე - ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტი გეოგრაფიის მიმართულებით.
თამარ ხუნწელია - თსუ-ს დოქტორანტი. - გის-სპეციალისტი
ზურაბ რიკაძე - თსუ-ს დოქტორანტი. - გის-სპეციალისტი.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საზღვრისპირა რეგიონებთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების გამართულობა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ რეგიონების განვითარების თვალსაზრისით. გზების გაუმართავ მდგომარეობაში ყოფნა განაპირობებს საზღვრისპირა რეგიონების გაუკონტროლებლობის საფრთხეს, სოფლების დეპოპულაციას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სერვისებზე ხელმიუწვდომლობას, ტურისტული პოტენციალის სათანადოდ ვერათვისებას. კლიმატის გლობალური ცვლილების პირობებში ამინდისა და კლიმატის ექსტრემალური მოვლენების სიხშირე და ინტენსივობა მნიშვნელოვნად მატულობს: დიდთოვლობა, ნისლი, ქარიშხალი, თავსხმა წვიმა, სეტყვა, და ა.შ. რაც გეოლოგიურ მოვლენებთან ერთად ქმნის საგანგებო სიტუაციებს საავტომობლო გზებზე და აფერხებს მოძრაობას. ხშირია შემთხვევები როცა გზები იკეტება რამდენიმე საათიდან დაწყებული, მთელი ზამთრის განმავლობაში და სოფლები და დასახლებული პუნქტები მოწყვეტილი და იზოლირებული რჩება, ამიტომ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებთან დამაკავშირებელ საავტომობილო გზებზე საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური პროცესების შესწავლა და გზების კლასიფიკაცია/დარაიონება ამ მოვლენების მიხედვით მეტად მნიშვნელოვანია უპირველეს ყოვლისა საზღვრისპირა დასახლებებისათვის, სახელმწიფოსათვის, საზოგადოებისათვის, მეცნიერებისათვის. კვლევის მიზანს წარმოადგენს თბილისი-გუდაური-ლარსი და თბილისი-ჟინვალი-შატილი საავტომობილო გზებზე საგანგებო სიტუაციების წარმომქმნელი საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური (წყალდიდობა, თოვლის ზვავი და სხვა) და გეოლოგიური (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი-
ქვათაცვენა, მდინარის ნაპირის გარეცხვა და სხვა) მოვლენების სხვადასხვა კომპლექსის განხორციელების პროცესის და მახასიათებლების გამოკვლევა, გზების კლასიფიკაცია/დარაიონება

საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების თვალსაზრისით და მისი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) შექმნა. პროექტის შედეგები შეიძლება, გამოყენებულ იქნას საქართველოს ამ საავტომობილო გზების განვითარების გეგმის შემუშავებისათვის; კონკრეტულ ადგილებში კონკრეტული სერვისების გაძლიერების მიზნით; სხვადასხვა სიტუაციების მოდელირებისათის; საგანგებო სიტიუაციებში კოორდინაციის, მზადყოფნისა და სწრაფ რეაგირებისათის. ამრიგად პრობლემების დეტალურად მოდელირება მათი განვითარების გეგმაში გათვალისწინების საშუალებას იძლევა, რასაც ამ სასაზღვრო რეგიონისა და მთლიანად ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სოციალურ - ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ნიკოლაიშვილი დ., სართანია დ., უჯმაჯურიძე ა., ჩხიკვიშვილი გ. **ივანე ჯავახიშვილის როლი ქართული კარტოგრაფიის განვითარებაში. //** II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მდგრადი განვითარების ლანდშაფტური განზომილება: კვლევა, კარტო/გის, დაგეგმარება, მართვა, 12-16 სექტემბერი, 2022, თბ., გვ. 26-34. ISBN 978-9941-36-030-5.
   http://icldscartogis.tsu.ge/assets/media/uploads/images/krebuli_2022.pdf

   ვრცელი ანოტაცია:

   კარტოგრაფიის ისტორიას და რუკათშექმნას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ძველ პერიოდში უნდა შექმნილიყო რუკები, თუმცა ქვეყნის თავზე დატრიალებულმა ძნელბედობამ გაანადგურა კარტოგრაფიული ძეგლები. ასევე განადგურდა მრავალი მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი და წერილობითი წყარო, რომელიც ამ ფაქტს დაადასტურებდა. ამიტომ არ მოგვეპოვება XVIII საუკუნის უადრესი კარტოგრაფიული ძეგლები და მათზე მსჯელობა ირიბად, მხოლოდ სხვა ისტორიული წყაროების მეშვეობით შეიძლება (თუნდაც „ლეგენდა არგონავტებზე“, სადაც მოხსენიებული კირბები). შესაბამისად საგულისხმოა ყოველივე იმ ძველი კარტოგრაფიული წყაროს შესწავლა, რაც შემოგვრჩა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და ჯერ კიდევ არასათანადოდ შესწავლილი XX საუკუნის I ნახევრის ქართულენოვანი კარტოგრაფიული წყაროები. მათ უპირველესად მიეკუთვნება ივანე

ჯავახიშვილის მიერ 1913, 1919, 1922, 1923 და 1930 წლებში შექმნილი წვრილი და საშუალო მასშტაბის რუკები.

საქართველოს გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ცოდნის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართველ გეოგრაფს, კარტოგრაფსა და ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს (1696-1757). დღემდე მოღწეულ ნაშრომთაგან არსად ისეთი სისრულით არაა აღწერილი საქართველოს თანამედროვე და მიმდებარე ისტორიული ტერიტორიები, როგორც მის მიერ შექმნილ თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. მანვე შექმნა იმდროინდელი საქართველოს ატლასები, რომლებიც გამოირჩევიან სიზუსტითა და ყოვლისმომცველობით. რუკების შესრულების ტექნოლოგია და შინაარსი იმის უტყუარი დასტურია, რომ მანამდე საქართველოში რუკათშექმნის საკმოდ დიდი გამოცდილება უნდა ჰქონოდათ. თუმცა შემდგომ განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა სრულიად შეცვალა ვითარება. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში კავკასიისა და მათ შორის საქართველოს ტერიტორიის აგეგმვასა და რუკათშექმნას ახორციელებენ უმთავრესად რუსი, გერმანელი, ფრანგი სამხედრო ტოპოგრაფები და გეოდეზისტები. კარტოგრაფიული ცნობიერების მაღალი ტრადიციების მიუხედავად, ამ პერიოდში საქართველოში ფაქტობრივად აღარ იქმნებოდა ქართულენოვანი რუკები, რაც XX საუკუნის თითქმის 1920-იან წლებამდე გაგრძელდა. 1910-1920-იან წლებში იქმნება საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ცალკეული ნაწილისათვის წვრილი მასშტაბის ქართულენოვანი რუკები.

სტატიაში წარმოჩენილია ის როლი, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა შეასრულა ქართული კარტოგრაფიის განვითარებაში. მის სახელს უკავშირდება საშუალო მასშტაბის პირველი ქართულენოვანი 2 რუკის შედგენა-გამოცემა 1922 და 1923 წლებში („საქართველოს რესპუბლიკის რუკა“ და „საქართველოს ისტორიული რუკა“). აღნიშნულ რუკებზე ასახულია საქართველოს მთელი ტერიტორია. მათზე დატანილია მრავალი ობიექტი (დაახლოებით 8000 და 3000 შესაბამისად): დასახლებული პუნქტები, ინფრასტრუქტურა, საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობები და სხვ. რუკების შინაარსის მიხედვით ჩატარდება სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული საკითხებისა და მათი ტერიტორიული განაწილების თავისებურებების კვლევა. ყოველივე ამის საფუძველზე შედგა თემატურ რუკათა სერია.

ჩვენს მიერ მიკვლეულია ივანე ჯავახიშვილის ავტორობითა და უშუალო აქტიური მონაწილეობით შექმნილი 7 რუკა: საქართველოს საისტორიო რუკა. VII-XII ს. შედგენილი ძველი წყაროების მიხედვით (1913 წ.), საქართველოს საზღვრების რუკა (1919 წ.), საქართველოს რუკა, № 1 (1919 წ. ფრანგულ ენაზე), საქართველოს რუკა, № 2 (1919 წ. ფრანგულ ენაზე), საქართველოს რესპუბლიკის რუკა (1922 წ.), საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა ძველი წყაროების მიხედვით (1930 წ.) და საქართველოს ისტორიული რუკა (1923 წ.).

ივანე ჯავახიშვილის ზემოთ ჩამოთვლილ რუკებს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, თუმცა ისინი განხილულ უნდა იქნეს როგორც კომპლექსური წყარო და არა როგორც მხოლოდ ისტორიული წყარო, ვინაიდან ისტორიული მოვლენის / პროცესის გარდა, ასახავენ ცოდნის სხვადასხვა სფეროს, მაგალითად, გეოგრაფიულ გარემოს, საქართველოს სამეურნეო ეკონომიკურ დარაიონების ტრადიციას, კარტოგრაფირების განვითარების დონეს რუკის შედგენის მომენტისათვის, ტოპონიმიკურ მასალას და სხვას.

რუკები შედგენილია სხვადასხვა საკოორდინატო სისტემაში, სხვადასხვა მასშტაბისაა და „კარტოგრაფიული სტილისაა“ (ანუ არ არის გამოყენებული უნიფიცირებული პირობითი აღნიშვნები). შესაბამისად თავდაპირველად საჭირო ხდება ყველა ამ გარემოებაში გარკვევა, შემდეგ რუკების, აგრეთვე მათი სხვა წყაროებთან ურთიერთშედარება. ეს კი საკმაოდ რთული და შრომატევადი სამუშაოა, რაც მრავალმხრივ განათლებას და უნარს მოითხოვს მკვლევარისაგან. სირთულეს ქმნის ისიც, რომ

მრავალი ტოპონიმის სახელწოდება შეცვლილია ტოპონიმიკური კვლევაც ხდება აუცილებელი.

1922 წლის რუკის გარდა, რომელიც ზოგადგეოგრაფიულია, ყველა დანარჩენი თემატური - პოლიტიკური სახის ისტორიული რუკებია, სადაც ასახულია პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულები და სახელმწიფო საზღვრები სხვადასხვა ისტორიული პერიოდისათვის.

როგორც წესი, ისტორიული რუკები თანდათან ჰკარგავენ თავიანთ თანამედროვე მნიშვნელობას, ანუ იმას, რასაც ისინი ასრულებდნენ შედგენის პერიოდში, თუმცა იძენენ არანაკლებ მნიშვნელოვან ღირებულებას _ წყაროსა და რეტროსპექტივის შექმნის ფუნქციას. ამ მხრივ, ივანე ჯავახიშვილის რუკები შეუცვლელი და უმნიშვნელოვანესი წყაროა.

2. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. **დავითგარეჯა ძველი პერიოდიკისა და კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით (XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი)**. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მდგრადი განვითარების ლანდშაფტური განზომილება: კვლევა, კარტო/გის, დაგეგმარება, მართვა, 12-16 სექტემბერი, 2022, თბ., გვ. 155-170. ISBN 978-9941-36-030-5.
http://icldscartogis.tsu.ge/assets/media/uploads/images/krebuli_2022.pdf

ვრცელი ანოტაცია:

დავითგარეჯის შესახებ არაერთი ნაშრომია შექმნილი, სადაც მოცემულია სრულიად განსხვავებული თემატიკის საკითხები: დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსისა და აქ მოღვაწე მეუდაბნოეთა და ბერ-მონაზონთა ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერილობა, აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო ცნობები აღდგენით-საკონსტრუქციო სამუშაოების, არქეოლოგიური მონაპოვრის, კულტურული მემკვიდრეობის, ტოპონიმების და სხვათა შესახებ. კვლევის მიზნად დავისახეთ წარმოგვეჩინა დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის შესახებ ძველ პერიოდულ გამოცემებსა და კარტოგრაფიულ წყაროებში არსებული ცნობები როგორც უტყუარი დასტური აღნიშნული კომპლექსის საქართველოსადმი მიკუთვნებულობაზე.

დავითგარეჯის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ XIX საუკუნის პერიოდის ქართულ პერიოდიკაში მოგვეპოვება, რომლებიც თვალნათლივ მიგვანიშნებენ მთელი სამონასტრო კომპლექსის საქართველოსადმი მიკუთვნებულობის თაობაზე. ჩვენ მიერ მიკვლეული მონაცემებით პირველი ცნობა 1860 წელს დაიბეჭდა. აქ დაბეჭდილია გაბრიელ ეპისკოპოსის მცირე მოძღვრება, რომელიც მან წარმოთქვა მთაწმინდის ეკლესიაში ღირსი დავით გარეჯელის ხსენების დღეს. დავითგარეჯაზე თავდასხმის, მისი გაძარცვისა და ქონების გატაცებაზე ცნობები მოცემულია 1918 წლის პერიოდიკაშიც. მრავალი ცნობაა მოცემული დავითგარეჯის მონასტერში არსებულ საბიბლიოთეკო ფონდის თაობაზეც. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით 1879 წლისათვის აქ 80-მდე ძველი ქართული ხელნაწერი წიგნი ყოფილა დაცული. მოიპოვება საინტერესო ცნობები დავითგარეჯში დაცული სიგელ-გუჯრების შესახებაც.

საინტერესოა ისიც, რომ ეს ძველი წყაროები მეტყველებენ არა მარტო გამოცემის პერიოდში დავითგარეჯის საქართველოსადმი მიკუთვნებულობის თაობაზე, არამედ ანალოგიურს აღწერენ და ადასტურებენ ადრინდელ პერიოდებისათვისაც. დავითგარეჯში სამეცნიერო კვლევა და რესტავრაციული სამუშაოები ყოველთვის ტარდებოდა საქართველოს მხრიდან. ამაზე უამრავი დოკუმენტი, სამეცნიერო კვლევა თუ საგაზეთო პუბლიკაცია მეტყველებს. ძველ პერიოდიკაშიცაა ამის შესახებ ცნობები. მათგან ირკვევა, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში ჩატარებული აღდგენით-სარესტავრაციო სამუშაოებს ყოველთვის ქართველი სასულიერო თუ საერო პირები ედგნენ სათავეში.

კვლევისას გაანალიზდა არაერთი კარტოგრაფიული წყარო: საქართველოს ისტორიული ატლასის რუკები, ე.წ. ვერსტოვკები (5-ვერსიანი რუკები), ივანე ჯავახიშვილის

მიერ 1923 წელს შედგენილი „საქართველოს ისტორიული რუკა“, კავკასიის ოლქის რუკა 1801-1813 წლების მდგომარეობით საზღვრების მითითებით, ს. ბურნაშევის მიერ 1784 წელს შედგენილი რუკა, 1903 წელს სამხედრო-ტოპოგრაფიულმა განყოფილებამ გამოუშვა კავკასიის ადმინისტრაციული რუკა, საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკები და სხვ. ძველი კარტოგრაფიული წყაროების ანალიზმა დაგვანახა, რომ თითქმის ყველა მათგანზე დავითგარეჯის მთელი კომპლექსი და მიმდებარე ყარაიაზის ველი საქართველოს ფარგლებშია მოქცეული.

3. ნიკოლაიშვილი დ., **ზოგიერთი შტრიხი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ცხოვრებიდან პოლიტიკური რეპრესიების პერიოდში - 1937 წელი.** // საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, ახალი სერია III (XXI). თბ., იბეჭდება.

ვრცელი ანოტაცია:

1930-იან წლებში საბჭოთა კავშირი და მათ შორის მასში მოკავშირე რესპუბლიკად შემავალი საქართველო, პოლიტიკურმა რეპრესიებმა მოიცვა. რეპრესიების მთავარი საფუძველი იყო სსრკ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო კომისრის # 00447 ოპერატიული ბრანება. ამ სრულად საიდუმლო ბრანებამ 1937 წლის 5 აგვისტოდან 1938 წლის ნოემბრამდე იმსხვერპლა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე. კიდევ უფრო მეტი ადამიანი გადასახლებული იყო შორეულ ბანაკებსა თუ კოლონიებში. რეპრესიები შეეხო მაღალი თუ დაბალი რანგის თითქმის ყველა სახელმწიფო უწყებას. პროცესის კულმინაცია იყო 1937 წელს. ამის შესახებ მრავალჯერ დაიწერა, გამომზეურდა არაერთი დოკუმენტი თუ პიროვნების საიდუმლოებით მოცული ისტორიები. თუმცა ჯერ კიდევ საგანგებოდ არაფერი თქმულა საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაზე. საკითხის აქტუალობაც სწორედ ამაში გვესახება.

ძველი საარქივო დოკუმენტების შესწავლამ დაგვანახა, რომ ისევე როგორც არაერთ სხვა სფეროს, საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებასაც საკმაოდ მძაფრად შეეხო პოლიტიკური რეპრესიები, რაც გამოიხატა როგორც პიროვნებათა დევნა-შევიწროებაში, ისე თვით ორგანიზაციის საქმიანობაში უხეშ ჩარევასა და მის უსამართლო მართვაში. შესაბამისად ეს პროცესი თავისუფლად შეიძლება მოინათლოს „გეოგრაფების საქმედ“. ძველი დოკუმენტები ბევრ დაფარულ ვითარებას ხდის ფარდას. ზოგი ცნობა შეიძლება გარკვეულ უხერხულობასაც კი ქმნის, თუმცა მაინც ჩავთვალეთ ისინი მისაწვდომი გაგვეხადა ფართო საზოგადოებისათვის და ამით მიგვეყურადებინა დროის მაჯისცემისათვის.

წარმოდგენილი ნაშრომი უმთავრესად ეფუძნება საარქივო მასალებს და იმ სხდომის ოქმებს, რომელიც 1937 წელს ჩაატარა, ერთი მხრივ. საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ 7 აგვისტოს და 29 სექტემბერს (2 ოქმი: # 7-8), ხოლო მეორე მხრივ, სახალხო კომისარიატის სპეციალურმა კომისიამ 10-15 დეკემბერს (6 ოქმი: #1-6). ნაშრომში ასევე გამოყენებულია: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მიერ შექმნილი სტალინური სიების ელექტრონულ მონაცემთა ბაზა, სხვა საარქივო დოკუმენტები და სხვადასხვა გამოქვეყნებული ნაშრომი.

აღნიშნული სხდომები შესაძლებლობას იძლევა მეტად საინტერესო ცნობებს საზოგადოების სტრუქტურული ერთეულებისა და ხელმძღვანელი პირების თაობაზე. იმ პერიოდში ფუნქციონირებდა 2 სამეცნიერო განყოფილება. 2 ძირითად განყოფილებას ჰყავდა თავმჯდომარე და სწავლული მდივანი.

ასევე წარმომადგენლობითი იყო ადმინისტრაციული შტატიც. ოქმებში დასახელებულია 10 თანამდებობა: თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, სწავლული მდივანი* , საქმეთამმართველი*, ოპერატიული საგამომცელო განყოფილების ხელმძღვანელი*, ბიბლიოთეკის გამგე*, გამომცემლობის ხელმძღვანელი, მემანქანე*, ბუღალტერი* და მოლარე*.

1937 წლის 10 დეკემბრის ოქმიდან ირკვევა, რომ საზოგადოებას უკვე ჰქონდა მიღებული სხვა, ახალი წესდება, რომელიც დამტკიცებული იყო 1936 წლის 6 აგვისტოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. სამწუხაროდ, აღნიშნული წესდება ჩვენთვის უცნობია და მასზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ზემოთ დასახელებული 2 ოქმის მიხედვით. სხდომებზე განიხილებოდა შემდგეი მნიშვნელოვანი საკითხები: საწევრო-წიგნაკებისა და წევრების მიერ განსაზღვრული ანარიცხების, განყოფილების ქვესექციების, საზოგადოების წლიური მუშაობისა და ფინანსური ანგარიშების, სარევიზიო კომისიის, საქართველოს ქალაქებსა და ოლქებში ფილიალების შესახებ და სხვ.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებოს მუშაობის შესახებ განსხვავებული დამოკიდებულება არსებობდა: იყო დადებითი და უარყოფითი შეფასებები, თუმცა უარყოფითი შეხედულებები აშკარად ჭარბობდა დადებითს. ოქმებიდან ირკვევა, რომ საზოგადოება საკმაოდ აქტიური იყო და დიდ სამუშაოს ასრულებდა. ცხადია, საზოგადოების მუშაობა არ იქნებოდა უნაკლო. როგორც ოქმებიდან ირკვევა, ყველაზე დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ექსპედიციების ადგილის შეთანხმებამ. იყო საუბარი როგორც საქართველოში (თბილისის მიდამოებში, თუშეთსა და რაჭაში), ისე მის ფარგლებს გარეთ (ახალ ზელანდიაში) ჩასატარებელ ექსპედიციებზე.

როგორც ოქმებიდან ირკვევა, საზოგადოებაში კითხულობდნენ მოხსენებებსაც, თუმცა კომისია აქაც გამოთქვამს შენიშვნებს. 1937 წელს ფიზიკურ-გეოგრაფიულ განყოფილების ხაზით წაუკითხვათ 5 მოხსენება. ეკონომ-გეოგრაფიული განყოფილების ხაზით კი არცერთი მოხსენება არ წაკითხულა. ჩანიშნული ყოფილა 1 მოხსენება (სანებლიძის[1]), თუმცა ხალხის სიმცირის გამო, არ წაკითხულა.

საზოგადოებაში არსებობდა ე.წ. დამხმარე სტრუქტურული ერთეული, რომელსაც სხდომებზე სხვადასხვა სახელით იხსენიებენ: სავაჭრო სექცია, რომელიც ამ პერიოდისათვის უკვე გაუქმებულია.

თითქმის ყველა გამომსვლელის სიტყვაში იგრძნობოდა, რომ ზოგადად კოლეგებს შორის არ იყო კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, თუმცა აქ უნდა გამოიკვეთოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომ დაპირისპირების მიზეზი არ ყოფილა აზრთა სხვადასხვაობა, შეხედულებათა ჰიდილი, დაპირისპირება არსებობდა უმთავრესად ე.წ. „დანიშნულ“, პარტიულ მოხელეებსა და პროფესურას შორის.

4. სართანია დ., ნიკოლაიშვილი დ., უჯმაჯურიძე ა., ციცვიძე მ., ახალკაციშვილი გ. **1574 და 1595 წლების „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედარებითი ანალიზისათვის.** // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე. ივლისი 5-6 July, ბათუმი, 2022. იბეჭდება.

ვრცელი ანოტაცია:

ნაშრომში განხილულია და ერთმანეთთან არის შედარებული საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგიის, ლინგვისტიკის და სხვა სამეცნიერო დარგებისათვის მეტად მნიშვნელოვანი 2 დოკუმენტი - 1574 და 1595 წლებში ოსმალეთის ხელისუფლების მიერ შედგენილი დავთრები. ტერიტორიული მომცველობის მიხედვით აღნიშნული დავთრები ერთმანეთს ემთხვევა მხოლოდ ერთადერთი - დიდი არტაანის ლივით, კერძოდ, 1574 წლის დავთარში აღრიცხული დიდი არტაანის ლივა 1595 წლის დავთრის დიდი არტაანისა და ფანაკის ლივების შესატყვისია. სწორედ ამ ტერიტორიულმა შესატყვისობამ მოგვცა შესაძლებლობა გაგვეანალიზებინა 20-წლიან პერიოდში განვითარებულა ეთნო-კონფესიური და ეკონომიკური პროცესები დინამიკურ ჭრილში და გარკვეულწილად წარმოგვეჩინა ქართული სუბსტრატის ტრანსფორმაციის ხარისხი.

წარმოდგენილი კვლევა დაეფუძმნა კომპლექსურ, დარგთაშორის ურთიერთშეჯერებულ და არა მხოლოდ ისტორიულ ანალიზს. სხვადასხვა თემატური

[1] *იგულისხმება მელიტონ (მელენტი) სანებლიძე (1905-1984).*

შინაარსის რუკების შედგენის მიზნიღ მოხდა ოსმალურ დავთრებში არსებული მონაცემების იდენტიფიკაცია, სისტემატიზაცია-კლასიფიკაცია, შეიქმნა გის-ის მონაცემთა ბაზა, ობიექტების იდენტიფიკაცია განხორციელდა სხვა წყაროებთან ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რისთვისაც გამოყენებული იქნა კვლევის შედარებითი, სემანტიკური, რექტორსპექტიული კარტოგრაფირებისა და სხვა მეთოდები. განხორციელდა ობიექტების გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი.

მნიშვნელოვანი იყო საველე-ექსპედიციური კვლევა, რომელიც ჩატარდა თურქეთის რესპუბლიკასა (ართვინისა და არტაანის პროვინციები) და საქართველოში (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი). საველე განხორციელდა 2 უმთავრესი მიმართულებით: 1) საველე დაკვირვებები ჩატარდა კომპლექსური მიდგომი (აღწერა, ფოტოგრაფირება / ვიდეოგადაღება); 2) ცნობები შეგროვდა წინასწარ შედგენილი სტანდარტული კითხვარის მიხედვით.

კვლევამ გვიჩვენა, რომ დავთრებში აღრიცხული ყველა მონაცემის მექანიკური მიკუთვნება დავთრის შედგენის მომენტისათვის დაუშვებელია. ამის დასტურია არაერთი სოფლის მონაცემები, რომლის მიხედვითაც 1574 წელს სოფლებში გარკვეული რაოდენობის მუსლიმებია აღრიცხული, ხოლო 1595 წელს იმავე სოფლებში - არცერთი, რაც არალოგიკურია. თუ ამა თუ იმ სოფელში 1574 წ. ცხოვრობდა მუსლიმი, იგი 20 წლის შემდეგ ვერ გაქრებოდა, რადგან ოსმალო მოხელეები და უმაღლესი ხელისუფლება დაიცავდა. ამდენად, უფრო ლოგიკური იქნებოდა მუსლიმთა მატება მომხდარიყო. მაგრამ, რადგანაც ასე არაა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ცნობები მუსლიმი კომლების შესახებ გვიანდელი მინაწერია და მათი გათვალისწინება ამ პერიოდის (1574 წ.) ანალიზისათვის, არარელევანტურია. მითუმეტეს, რომ 20-წლიან პერიოდში ფაქტობრივად არ შეცვლილა დემოგრაფიული ვითარება. ერთი და იგივე სოფელში კომლთა იგივე რაოდენობა გვაქვს და ამ კომლების უფროსთა ანთროპონიმებიც იგივეა, რაც იმას ნიშნავს, რომ 1595 წ, აღწერისას ოსმალო მოხელეებმა იგივე ადამიანები აღწერეს, რაც 1574 წ. იყო.

1574 და 1595 წლების დავთრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ ხნის პერიოდში შემცირდა დასახლებული პუნქტების რაოდენობა 11 %-ით, კერძოდ, 1574 წლისათვის დიდი არტაანის ლივაში იყო 191 სოფელი და 80 ნაასოფლარი, ხოლო 1595 წლისათვის - 169 სოფელი და 77 ნასოფლარი.

დავთრებიდან ირკვევა, რომ არსებობდა ნასოფლარების ზრდის ტენდენცია. თუ 1574 წლის დავთრით დასახლებული ზოგერთი სოფელი 1595 წლის დავთარში უკვე ნასოფლარი ან სათესველია. მაგალითად, სოფ. ქუფრინქი || ლიღვანეთი || კიღვანქი – დიდი არტაანის ლივის ფანაკის ნაჰიეში. შეესაბამება „გურჯ. დავთ.-1595“-ის ნასოფ. ქეიღვანქი-ს; სოფ. ართუჯი || არნუჯი - დიდი არტაანის ლივის ფანაკის ნაჰიეში. შეესაბამება „გურჯ. დავთ.-1595“-ის ეგრიშუარს(?); სოფ. ქარჯიღო || ქარჩაკო || ქარჯაღო - დიდი არტაანის ლივის ფანაკის ნაჰიეში შეესაბამება. „გურჯ.დავთ - 1595“-ის სახელ-ამოუკითხავ ნასოფლარს და სხვ.

დავთრების შედარებით ირკვევა, რომ 20-წლიან პერიოდში ადგილი ჰქონდა მიწის მფლობელის ცვლილებასაც, კერძოდ, ქართველის ჩანაცვლება ხდება მუსლიმი მოხელით. საინტერესოა, რომ ამის მიდევნება მხოლოდ ერთი დავთრითაც შეიძლება, ვინაიდან ჩანაწერია გაკეთებული მიწის მფლობელის ცვლილების თაობაზე.

ორივე დავთრის მიხედვით, მოსახლეობის უმრავლესობა იხდიდა ქრისტიანთათვის დაწესებულ გადასახადს – ისფენჯის, აგრეთვე ქრისტიანული ეკლესიისა და მღვდლის შესანახ გადასახადს – მურახასიეს. ამასთან აშკარაა, რომ ქართველებისათვის ტრადიციული აგროკულტურების (ხორბალი, ქერი, ფეტვი, ჭვავი, ცერცვი, ოსპი და სხვ.) მოყვანა, აგრეთვე მევენახეობა და მეღორეობა მოცემულ პერიოდში (XVI ს. II ნახ.) ოსმალების ბატონობის დროსაც ფართოდ ყოფილა წარმოდგენილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად დაწყებული ისლამიზაციის

პროცესისა, ქართული მოსახლეობა კვლავაც აგრძელებდა მისთვის ტრადიციულ სამეურნეო საქმიანობას.

ზოგად ჭრილში შეიძლება ითქვას, რომ 20-წლიან პერიოდში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა დემოგრაფიული ვითარება. ამის თქმის შესაძლებლობას გვაძლევს შემდეგი:

- მნიშვნელოვნად არ არის შეცვლილი მოსახლეობის რაოდენობა. ზოგიერ შემთხვევაში 1595 წლის დავთარშიც იგივე კომლთა უფროსია დასახელებული, რაც 1574 წლის დავთარში;
- ორივე დავთრის მიხედვით, მოსახლეობის უმრავლესობა იხდიდა ქრისტიანთათვის დაწესებულ გადასახადებს – ისფენჯისა და მურახასიეს.

ბევრი საკითხი გაურკვეველი და ბუნდოვანია, თუმცა აშკარაა, რომ ქართველებისა-თვის / ქრისტიანებისათვის ტრადიციული აგროკულტურების მოყვანა XVI საუკუნის II ნახევარში, მიუხედავად ოსმალების ბატონობისა, მაინც შენარჩუნებული იყო. ოსმალური დავთრებიდან ირკვევა, რომ ქართული მოსახლეობის ტრადიციული სამეურნეო სტრუქტურა ძირითადად არ შეცვლილა, თუმცა აშკარაა სტრუქტურის ცვლილების ტენდენცია - ქართველებისათვის / ქრისტიანებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის შემცირების ფონზე.

5. Tsitsagi M., Kharebava N., Nikolaishvili D., Kupatadze I.; Gadrani L. **Tbilisi Through Time. //** Georgian Geographical Journal, 2022-03-07, Vol.2 (1) 62-72, Part of ISSN: 2667-9701. https://journals.4science.ge/index.php/GGJ/article/view/758/793

ვრცელი ანოტაცია:

უძველესი ქალაქები მრავალი ცვლილებას განიცდიდა საუკუნეების მანიძლზე. ამ ცვლილებებს სხვადასხვა გამომწვევი მიზეზები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. წინამდებარე ნაშრომი განიხილავს თბილისის ურბანულ არეალს - XIX საუკუნის დასაწყისიდან 2020 წლამდე. თბილისი არის საქართველოს უდიდესი და ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. ლოგიკურია, რომ ქალაქის განვითარება და კონფიგურაცია დაკავშირებულია მის მიწათსარგებლობასა და ურბანულ ტერიტორიასთან. ბუნებრივია, ცვლილებები სხვადასხვა ეტაპებზე სხვადასხვა ინტენსივობით ხდებოდა და ძირითადი მამოძრავებელიც იცვლებოდა. ამ საკითხებზე კვლევები წარსულშიც ტარდებოდა. წინამდებარე კვლევაში ჩვენ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება თბილისში ურბანული გავრცელების მიზეზებისა და შედეგების შესახებ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში.

კვლევა მიზნად ისახავს თბილისის ურბანული არეალში ცვლილებების გაანალიზებას დროთა განმავლობაში, რათა დადგინდეს და გამოვლინდეს ამ ცვლილებების ძირითადი მიმართულებები და მიზეზები. ჩვენ ასევე გამოვიკვლევთ, როგორ და რატომ გადაიქცა თბილისი კომპაქტური ქალაქიდან იმ ურბანულ სტრუქტურაში, რომელშიც დღეს არის იგი და რა პრობლემები შეიძლება შექმნას ამან მომავალში.

თბილისის შესახებ ინფორმაციის მრავალი წყარო არსებობს, მაგრამ უმეტესობა ციფრულ ფორმატში არ არის. ეს განსაკუთრებით ეხება ძველ რუკებს და ქალაქის გეგმებს. ამიტომ საჭირო გახდა ძველი კარტოგრაფიული წყაროების თანამედროვე საფუძვლებთან შეპირაპირება. კვლევა ეყრდნობა ძველ კარტოგრაფიულ წყაროებს და დისტანციურ ზონდირების მასალებს. კვლევაში გამოყენებულია სხვა წყაროებიც.

საწყის ეტაპზე კარტოგრაფიულ საფუძვლად გამოყენებულია თბილისისა და მისი შემოგარენის 1:25,000 მასშტაბის რუკა, რომელიც შედგება 19 ფურცლისგან. ამ საფუძველს დავუკავშირეთ XVIII-XX საუკუნეების რუკები და გეგმები (ვახუშტი ბაგრატიონი, ე.წ. „ვერსტოვკი“, საბჭოთა ტოპოგრაფიული და თანამედროვე რუკები, კოსმოსური გამოსახულებები), რომლებიც შედგენილია სხვადასხვა მასშტაბებითა და პროექციებით, კარტოგრაფიის განვითარების დონეებით. ამ გარემოებამ შექმნა გარკვეული პრობლემები GIS-რეგისტრაციისა და ობიექტების შესატყვისობის კუთხით.

ერთის მხრივ, რუკის გადაფარვა უზრუნველყოფდა კარგ სიზუსტეს, ხოლო მეორეს მხრივ, ობიექტების სრულ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი. ეს განსაკუთრებით ეხება იმ რუკებს / გეგმებს, რომელთა შორის დიდი დროითი სხვაობაა. კვლევის პროცესში გამოვავლინეთ ძველ წყაროებში არსებული ობიექტები, დავადგინეთ მათი თანამედროვე შესატყვისები და ძველი კარტოგრაფიული წყაროებიდან ინფორმაცია ახალ ბაზაზე „გადავიტანეთ“. შემდეგ ეტაპზე მოხდა ქალაქის გეგმების გეორეფერენსირება. ყველა რუკას ერთ საკოორდინატო სიტემასა და პროექციაში იქნა მოყვანილი (GS-84-38N). თითოეული რუკიდან „ამოღებულიქნა“ გამწვანებული და განაშენიანებული ტერიტორიები. შემდეგ ეტაპზე ჩვენ განვსაზღვრეთ „მწვანე ადგილები“ Landsat 5 TM და Landsat 8 OLI სურათებიდან LULC კლასიფიკაციის გამოყენებით. შედეგების სიზუსტის შესაფასებლად გამოვიყენეთ Google Maps და მაღალი გარჩევადობის რუკები.

ჩვენს ხელთ არსებული კარტოგრაფიული წყაროებიდან უძველესი იყო ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილი თბილისის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით განისაზღვრა თბილისის მაშინდელი დასახლებების კონტურები, განისაზღვრა ქალაქის ცენტრი და განვსაზღვრეთ ურბანული სხდულის ზრდის მიმართულება და სიჩქარე. ყველა ოპერაცია შესრულდა პროგრამა ArcMap 10.8-ში. ასევე გამოყენებული იქნა სხვადასხვა ნარატიული წყაროს მონაცემები მიწათსარგებლობის ნიმუშების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის. ეს ფუნქცია შესრულდა როგორც სამეცნიერო წყაროების, ასევე უძველესი მონაცემების გამოყენებით. ამ წყაროების მონაცემებით შეივდო GIS-ის მონაცემთა ბაზა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა შესაძლებელი გახადა თბილისის მიწათსარგებლობის სივრცე-დროის ცვლილებების იდენტიფიცირება, ტერიტორიის კარტოგრაფიული და ანთროპოგენური ხარისხის დადგენა.

ამრიგად, ისტორიული მასალების, ქალაქგეგმარების და ძველი რუკების ანალიზის შედეგად და ArcMap 10.8-ის გამოყენებით შეიქმნა თბილისის ურბანული გავრცელების ფენები. Landsat 5 TM-ისა და Landsat 8 OLI-ის სურათები გამოყენებული იქნა ცვლილებების შესაფასებლად (ბოლო 30 წლის). მიღებული მონაცემები შევადარეთ კვლევის პერიოდში ჩატარებული აღწერის მონაცემებს, ისტორიული წყაროების გამოყენებით აღვადგინეთ არსებული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება და საბოლოოდ დავადგინეთ, რომელ პერიოდში მოხდა ურბანული გაფართოება, მისი მიზეზები და როგორ მოხდა ეს გაფართოება და როგორ იმოქმედა ქალაქის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.

ვინაიდან საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში შექმნილი ვითარება ხელსაყრელ გარემოს ქმნის ქალაქების ურბანიზაციის „ბუმის“ (აფეთქების) და გადატვირთულობის წარმოქმნაში, ეს ქმნის ისეთ პრობლემებს, როგორიცაა უსისტემო განვითარება და ქაოტური მშენებლობები, რაც უარყოფითად აისახება ადგილის ბუნებრივ გარემოსა და სოციალურ პირობებზე, კერძოდ, წარქმომნის სოციალურ დატვირთვას, საცობების, პარკირების პრობლემებს და სხვ. რეკომენდაციის კუთხით, შეიძლება იტქვასმ რომ საჭიროა საჭიროა სწორი ურბანული დაგეგმარება, რათა მოქალაქეებს არ შეუქმნას განმეორებითი პრობლემები და მათი საცხოვრებელი გარემო იყოს კომფორტული. ასევე აუცილებელია მეტ-ნაკლებად ჯანსაღი ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მოსახლეობის შეკავებას. ეს უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარებით, არამედ მიმდებარე მუნიციპალური ცენტრების განვითარებით, რათა მოსახლეობამ ნაწილობრივ მაინც მიიღოს კულტურული ან საგანმანათლებლო საზრდო, რომელიც მათ ქალაქში მიიზიდავს.

6. **Tsetsilia Donadze, Giorgi Dvalashvili,** Teona Tigishvili, Zurab Rikadze. SIGHTS OF GEORGIAN NATURE ON THE EXAMPLE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA. TSU Press, Tbilisi, 2022, pp. 229-233, ISBN 978-9941-36-030-5 // II საერთაშორისო სამეცნიერო

კონფერენცია მდგრადი განვითარების ლანდშაფტური განზომილება: კვლევა, კარტო/გის, დაგეგმარება, მართვა, 12-16 სექტემბერი, 2022, თბ., გვ. 229-233. ISBN 978-9941-36-030-5. http://icldscartogis.tsu.ge/assets/media/uploads/images/krebuli_2022.pdf

ვრცელი ანოტაცია: საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ფართო კონტრასტული ბუნებრივი პირობები და ქვეყანაში ლანდშაფტური თავისებურებები შესაძლებელს ხდის უნიკალური ბუნებრივი ძეგლების სიმრავლესა და განსხვავებას.

ბუნების ძეგლი არის გეომორფოლოგიური და ჰიდროლოგიური წარმონაქმნი. ცოცხალი ორგანიზმების ობიექტები, ისევე როგორც ტერიტორია, სადაც იშვიათი, უნიკალური, შეზღუდული ეკოსისტემები მაღალი ესთეტიკით. ბუნების ძეგლი შეიძლება იყოს გამოქვაბული, ხეობა, მდინარის პირი, ჩანჩქერი, ტბა, ტყის კორომი, იშვიათი მცენარეებისა და ცხოველების თავშესაფარი. თითოეულ ძეგლს აქვს სამეცნიერო, ისტორიული, ეკოლოგიური და საგანმანათლებლო და ესთეტიკური ღირებულება და ის საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას. ბუნებრივი სვეტები და კლდეების სვეტები, ღრმა კანიონები და ხეობები მდიდარი ბიომრავალფეროვნებით, ვულკანური ფორმებით, ბუნებრივი ხიდები, ტბები და ჩანჩქერები, გაქვავებული ტყე. ბუნებრივი პეიზაჟი აოცებს მნახველებს და კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ დედა ბუნება შეუსაბამო შემქმნელია. თუმცა, ჩვენი აზრით, მათი მნიშვნელობიდან და ერთჯერადი ბუნებიდან გამომდინარე, აქ გამოსახული ობიექტები არის თანაბარი ღირებულება. საქართველოს ბუნება, მეცნიერთა მრავალწლიანი დეტალური შესწავლილობის მიუხედავად, მაინც ბევრს მალავს ბუნებრივ სილამაზეს, რომლებიც ჯერ კიდევ მეცნიერის თვალს მიღმა რჩება.

ათწლეულების მანძილზე მსოფლიოს ყველაზე ღრმა უფსკრულად აღიარებული იყო საფრანგეთის პიერ-სენ-მარტენისა და, შემდეგ უკვე, ჟან ბერნარის მღვიმე, რომლის სიგრძე მიწის წიაღში 1600 მ-მდე აღწევდა. თუმცა, 1960 წლის გეოგრაფიულმა აღმოჩენამ მათ ლიდეროზას საფუძველი

გამოაცალა: იმ წელს ქართველმა სპელეოლოგებმა აფხაზეთში, არაბიკის მასივზე, მანამდე უცნობ კარსტულ უფსკრულს მიაკვლიეს, 95 მეტრამდე გამოიკვლიეს და გეოგრაფისა და სპელეოლოგიის ცნობილი მკვლევრის, ალექსანდრე კრუბერის სახელი უწოდეს. შემდგომი ექსპედიციები სულ უფრო ღრმად ჩადიოდნენ მიწის ქვეშ და ახალ-ახალ სიღრმეებს აღწევდნენ: 210 მ, 340 მ, 710 მ... 2007 წელს ოლეგ კლიმჩუკის ექსპედიციამ გამოკვლეული არე 2191 მეტრამდე გაზარდა, ხოლო 2012 წელს სპელეოლოგთა

საერთაშორისო ჯგუფის ერთ-ერთი უკრაინელი წევრი, გენადი სამოხინი, გამოქვაბულის ფსკერამდე, 2197 მეტრამდე დაეშვა.

რიწა ყველაზე ღრმა ტბაა საქართველოში, თუმცა მისი უნიკალურობა ამით არ ამოიწურება: ტბის წყალი მეტად მტკნარია (66 მგ/ლ) და არასდროს იყინება. გაზაფხულზე მომწვანო ფერი აქვს, ზამთარში _ მოცისფრო-მოლურჯო. რიწის კამკამა წყალში ირეკლება ტბის გარშემო აღმართული სქელი, ხშირი ტყით დაფარული უზარმაზარი მწვერვალები, რომელთა სიმაღლე 2200-3500 მეტრს აღწევს. გარშემო წიწვოვან ნაძვთა ნაირსახეობა ხარობს.

სამეცნიერი სტატია ეფუძნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეომორფოლოგიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ კვლევებს (საველე და კამერალური სამუსაოებით მოპოვებული მასალები, არსებული საინფორმაციო წყაროები).

7. **Tengiz Gordeziani.** Georgian cartography in the past, present and future. Niko Beruchashvili's contribution to the development of Georgian cartography. TSU Press, Tbilisi, 2022, pp. 3-12, ISBN 978-9941-36-030-5 // II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

მდგრადი განვითარების ლანდშაფტური განზომილება: კვლევა, კარტო/გის, დაგეგმარება, მართვა, 12-16 სექტემბერი, 2022, თბ., გვ. 3-12. ISBN 978-9941-36-030-5. http://icldscartogis.tsu.ge/assets/media/uploads/images/krebuli_2022.pdf

ვრცელი ანოტაცია: კარტოგრაფიული მემკვიდრეობის ცნება მრავლისმომცველი სინთეზური ფენომენია, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებსა და აქტივობებს: 1) პრაქტიკული კარტოგრაფია (რუკათშედგენა); 2) კარტოგრაფიული წარმოება; 3) კარტოგრაფიული განათლება (ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების წარმართვა კოლეჯისა და უმაღლესი განათლების დონეებზე, კარტოგრაფიული პროფილის სახელმძღვანელოებისა და მეთოდური მითითებების შექმნა); 4) ახალი ტექნოლოგიური საშუალებების დანერგვა კარტოგრაფიაში; 5) თეორიული კარტოგრაფია (სამეცნიერო სტატიებისა და მონოგრაფიების ავტორობა და თანაავტორობა; 6) სამხედრო კარტოგრაფია; 7) კარტოგრაფია, როგორც ხელოვნება.

ამგვარ კარტოგრაფიულ მემკვიდრეობას ტოვებს ის მეცნიერი თუ პრაქტიკოსი, რომელსაც ყველა ზემოთჩამოთვლილ მიმართულებაში გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი.

ქართულ კარტოგრაფიას მდიდარი მეკვიდრეობა გააჩნია, ამ მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კარტოგრაფიული საუნჯის შექმნა, ზემოთჩამოთვლილი მიმართულებებისა და აქტივობების გათვალისწინებით, საქართველოში, ექვსი ცნობილი ქართველი მეცნიერის სახელთან არის დაკავშირებული. ესენი არიან: ვახუშტი ბაგრატიონი, ანდრია ბენაშვილი, სერგი ცხაკაია, ალექსანდრე ასლანიკაშვილი, ნიკო ბერუჩაშვილი და ჯანსუღ კეკელია.

სტატიაში გაანალიზებულია თითოეული ზემოთდასახელებული მეცნიერის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. ცალკე გამოყოფილია ალექსანდრე ასლანიკაშვილისა და ნიკო ბერუჩაშვილის მოღვაწეობა კარტოგრაფიაში. ა. ასლანიკაშვილის მემკვიდრეობა შეფასებულია მის მიერ შექმნილი მეტაკარტოგრაფიის კონცეფციის ფონზე, ხოლო ნიკო ბერუჩაშვილის წვლილი კარტოგრაფიაში დანახულია მის მიერ გეოინფორმაციული კარტოგრაფირების კონცეფციის ფონზე.

8. **Tengiz Gordeziani,** Manana Sharashenidze. AGRICULTURAL ATLAS PROJECT OF GEORGIA. TSU Press, Tbilisi, 2022, pp. 353-358, ISBN 978-9941-36-030-5 // II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მდგრადი განვითარების ლანდშაფტური განზომილება: კვლევა, კარტო/გის, დაგეგმარება, მართვა, 12-16 სექტემბერი, 2022, თბ., გვ. 353-358. ISBN 978-9941-36-030-5. http://icldscartogis.tsu.ge/assets/media/uploads/images/krebuli_2022.pdf

ვრცელი ანოტაცია. თანამედროვე თემატურ კარტოგრაფიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის კარტოგრაფირება. პრაქტიკის მოთხოვნებმა კიდევ უფრო გაზარდა შეფასებითი და პროგნოზული დანიშნულების რუკებისა და ატლასების შექმნის აუცილებლობა. ამ მიმართულებით დღემდე გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით რაც სოფლის მეურნეობის ყოველი დარგის მართვის საფუძველს წარმოადგენს. ამ მიმართულებით დღემდე, როგორც ქართულ, ისე უცხოურ კარტოგრაფიაში გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული. სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის რუკებისა და სხვა კარტოგრაფიული გამოსახულებების შექმნისას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის ისეთი პრიორიტეტული დარგის კარტოგრაფირებას, როგორიცაა მევენახეობა - მეღვინეობა, რომელიც აწარმოებს ნედლეულს მეღვინეობის მრეწველობის განვითარებისათვის. ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, პრაქტიკულ აუცილებლობას წარმოადგენს აღნიშნული

დარგის კვლევა და სივრცე-დროითი კარტოგრაფირება. საქართველოს მეურნეობის თანამედროვე სტრუქტურიდან გამომდინარე პირველ რიგში პრიორიტეტად შეიძლება ჩაითვალოს ის დარგები, რომლებიც ამჟამად ფუნქციონირებენ გარკვეული დატვირთვით და ქმნიან კონკურენტუნარიან პროდუქციას. ამჟამად საქართველოს არ გააჩნია, სოფლის მეურნეობის დარგში გეოინფორმაციული ტექნოლოგიებით შექმნილი ატლასი ან რუკათა სერია. ამდენად, ამ პროფილის კარტოგრაფიული ნაწარმოები საქართველოსთვის მიზანშეწონილია შეიქმნას სწორედ ისეთი პრიორიტეტული დარგისათვის, როგორიც სოფლის მეურნეობაა.

აღნიშნული დარგის დაგეგმვის, მოსავლიანობის პროგნოზირების, მართვისა და განვითარებისათვის ქმედით საშუალებას წარმოადგენს აღნიშნული რეგიონის რუკათა სერიის შექმნა, ასევე ტექსტური, გრაფიკული მონაცემების არსებობა გეოინფორმაციული ტექნოლოგიებით შექმნილი ატლასის საფუძველზე. ამდენად, საქართველოს სოფლის მეურნეობის გეოინფორმაციული ატლასური კარტოგრაფირება, რომლის პროდუქტი იქნება გეოინფორმაციული ტექნოლოგიებით შექმნილი ატლასი ერთობ აქტუალურია საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგების ტერიტორიული ორგანიზაციის, დაგეგმარებისა და მართვის საქმეში. საქართველოს სოფლის მეურნეობის ატლასისა და გეოინფორმაციული სისტემის პროექტის სტრუქტურა შემდეგნაირია:

1) ზოდადი ნაწილი, რომელიც მოიცავს საქართველოს ზოგადგეოგრაფიულ რუკებს;

2) ბუნების მოვლენათა რუკები;

3) სოფლის მეურნეობის დარგობრივი რუკები;

4) სოფლის მეურნეობის შეფასებითი და რეკომენდაციული რუკები.

ატლასის მაკეტს თან ახლავს დანართი, რომელიც წარმოდგენილია სტატისტიკური ინფორმაციით, გრაფიკებით, დიაგრამებითა და ფოტომასალით.

შესრულებული ნაშრომი ნოვაციურია, რადგან საქართველოს დღემდე არ გააჩნია თავისი ყველაზე პრიორიტეტული დარგის – სოფლის მეურნეობის ატლასი, რომელსაც დიდი გამოყენება ექნება სოფლის მეურნეობის დაგეგმარება-მართვის საქმეში. მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს საქართველოს მევენახეობის რეგიონების (კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ზემო იმერეთი) რეგიონის სოფლის მეურნეობის კონკრეტული პროფილით გამოკვლევა, მევენახეობის განვითარებისათვის პრიორიტეტული უბნების გამოვლენა და საშუალომასშტაბიანი კარტოგრაფირება, იმდენად, რამდენადაც ამ რეგიონების კვლევა, ამ მიმართულებით და შესაბამისი რუკების შედგენა საქართველოში პირველად განხორციელდება.

შესრულებულ ნაშრომს გააჩნია გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც შემდეგში მდგომარეობს: 1) შედგენილი დარგობრივი (თემატური) ატლასი და გეოინფორმაციული სისტემა თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განლაგების შესახებ ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით.

2) ნაშრომში წარმოდგენილ სტატისტიკური ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიძლება საქართველოს რეგიონების სოფლის მეურნეობის დარგების თანამედროვე მდგომარეობის შეფასება. 3) შედგენილი ატლასი საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ და შევაფასოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგების ოდენობრივი

მახასიათებლები მათი ტერიტორიული განაწილების თვალსაზრისით. 4) შედგენილი რუკები საშუალებას იძლევა გარკვეული სიზუსტით მოვახდინოთ სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების განვითარების პროგნოზირება. 5) შექმნილი გეოინფორმაციული სისტემა დაინტერესებულ პირებს და შესაბამის სამსახურებს სრულ ინფორმაციას მისცემს საქართველოში სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების ტერიტორიული ორგანიზაციის შესახებ. ასევე შესაძლებელია აღნიშნული მუშა გის-ის რეგულარული შევსება-განახლება ახალი გეოინფორმაციით.

9. Zurab Laoshvili, **Tengiz Gordeziani**, Ana Iremashvili, Lado Grigolia, Marika Narsia. GEOTECTONIC STRUCTURES OF GEORGIA AND NATURAL/ANTHROPOGENIC PROCESSES. TSU Press, Tbilisi, 2022, pp. 325-332, ISBN 978-9941-36-030-5 // II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მდგრადი განვითარების ლანდშაფტური განზომილება: კვლევა, კარტო/გის, დაგეგმარება, მართვა, 12-16 სექტემბერი, 2022, თბ., გვ. 325-332. ISBN 978-9941-36-030-5. http://icldscartogis.tsu.ge/assets/media/uploads/images/krebuli_2022.pdf

ვრცელი ანოტაცია: საქართველოს ტერიტორია დაფარულია მრავალი განსხვავებული წარმოშობის გეოტექტონიკური სტრუქტურებით და მორფოლოგიური ერთეულებით (წრფივი და წრიული). მათი როლი დიდია არა მხოლოდ სეისმურ/გეოლოგიური პროცესებისა და რელიეფის მიმდინარეობისას, არამედ ლანდშაფტში მიმდინარე პროცესებშიც. მათ ასევე დიდი გავლენა აქვთ ადამიანის საწარმოო აქტივობაზეც. სეისმურად აქტიური ზონები, მიწისძვრის კერები (მაგ., ს. სამება) ძირითადად ემთხვევა რღვევის ხაზებს. ასეთებია სეისმურად აქტიური ხაზები (წრფივი) და წრიული (რგოლური) სტრუქტურები. ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნას სხვადასხვა საინჟინრო ობიექტების დიზაინის შექმნის პროცესში. ტექტონიკა გავლენას ახდენს კლიმატურ პროცესებზე. ზოგან ტექტონიკური ხაზების გასწვრივ (მაგ., საგურამოს ქედი, ფარავნის ტბის ირგვლივ), წარმოიშობა ე.წ. „ტექტონიკური ღრუბლები“. კარტოგრაფიული სივრცით-დროითი ანალიზი და კლიმატური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისეთი სტიქიური მოვლენები, როგორიცაა სეტყვა ზოგან (მაგ. ს. ხიდისთავი) ასევე ასოცირდება. ტექტონიკური ხარვეზებით. გეოტექტონიკური სტრუქტურები ასრულებენ როლს განსახლების სისტემების ფორმირებაში. მაგალითად, კახეთის რეგიონში (ალაზნის ხეობის მარჯვენა მხარეს) რამდენიმე სოფელი გარემოცულია თაღოვანი რღვევებით. ეს არის მტკიცებულება იმისა, რომ მევენახეობისთვის ხელსაყრელი ნიადაგური და ჰიდროგეოლოგიური პირობები სწორედ ტექტონიკასთანაა დაკავშირებული. ცალკე კვლევის საგანია გეოტექტონიკური სტრუქტურები და ძალიან განსხვავებული ეთნო/კულტურული და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის ფსიქო-ემოციური მახასიათებლები.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **დვალაშვილი გ.** თამაზაშვილი თ. ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი“, ISBN 978-9941-33-199-2. თბილისი, გამომცემლობა ,,უნივერსალი“ 2022, გვ 170.

2. მარიამ ელიზბარაშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, **გიორგი დვალაშვილი**, ნინო ჩიხრაძე, თამარ ხუნწელია, ზურაბ რიკაძე ,, საშიში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები ცენტრალური კავკასიონის საზღვრისპირა რეგიონებში – ყაზბეგი, დუშეთი, თიანეთი და მცხეთა“ UDC (უაკ) 551.515.9(479.22) ე – 562. ISBN 978-9941-33-305-7. გამომცემლობა ,,უნივერსალი“ 2022, გვ 200.
3. **დვალაშვილი გ**. ,,იმერეთის 100 ძეგლი“, ISBN 978-9941-496-37-0. თბილისი, გამომცემლობა ,,კლიო“ 2022, გვ 124.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. წიგნში განხილულია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტები, დახასიათებულია ერთი ქალაქი და მუნიციპალიტეტში არსებული ტერიტორიული მართვის ორგანოში გაერთიანებული, საინტერესო გეოგრაფიული პირობებით და კულტურული მემკვიდრეობით გამორჩეული 15 სოფელი. ყველა ამ დასახლებულ პუნქტში საინტერესო და მნიშვნელოვანი ბუნებრივი და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები მდებარეობს. ყოველივე ეს კი, მთლიანობაში, წარმოადგენს მდიდარ ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსს.

წიგნი ილუსტრირებულია მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების შესაბამისი ფოტოსურათებით. განხილულია — სოფლების სახელწოდების წარმოშობის სხვადასხვა ვერსია, ტრადიცია, თქმულება, ლეგენდა, გავრცელებული გვარები, გეოგრაფიული ადგილების (მდინარეები, ტბები, მინდვრები, მთები, ხეობები,) დახასიათება, ეკლესია-მონასტრების, ციხე-სიმაგრეებისა და სახლ-მუზეუმების, როგორც ისტორიული წარსული, აგრეთვე-თანამედროვე მდგომარეობა. მუნიციპალიტეტს უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. აქ წარმოდგენილია მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობა და ისეთი ბუნებრივი საოცრებები, როგორიცაა: ვაშლოვნის დაცულ ტერიტორიებში შემავალი: ვაშლოვნის ნაკრძალი (დაარსდა 1935 წელს), ვაშლოვნის ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლები: არწივის ხეობა, ტახტი-თეფას ტალახის ვულკანი და ალაზნის ჭალები (კაკლისყურე), ასევე ჭაჭუნის აღკვეთილი და იქ არსებული ბუნებრივი მემკვიდრეობა. მნიშვნელოვანია 40-ზე მეტი ისტორიულ-არქიტექტურული ღირსშესანიშნაობა, მაგალითად, ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრე, ბოსტანაანთ კოშკი, ზედა მაჩხაანის მთავარანგელოზის ტაძარი, ოზაანის ამაღლების ტაძარი და ა.შ; ისეთი არქეოლოგიური ღირსშესანიშნაობები, როგორიცაა გოხების სამლოცველო, რომელიც თარიღდება პირველი ათასწლეულით ჩვენს წელთაღრიცხვამდე, კოდისხევის საფლავი, თარიღდება მეორე ათასწლეულით ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ბრინჯაოს ხანის ნაქალაქარი მდინარე იორის მახლობლად და ა.შ; პალეონტოლოგიური ძეგლები; ისეთი მუზეუმები, როგორიცაა ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი და დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. არამატერიალური ტურისტული პოტენციალი წამოდგენილია უნიკალური ტრადიციული კერძებით (დედას პური, ქიზიყური ფუნთუშეული, ხარჩოს პური და ა.შ.), სამოსით, ნაკეთობებით, ფოლკლორული ფესტივალებით (ელიაობა, ფიროსმანობა და ა.შ.) და მეღვინეობის ტრადიციით. მუნიციპალიტეტის ყველაზე პოპულარული შიდა და გარე ტურისტული დანიშნულების ადგილია ვაშლოვნის დაცული ტერიტორიები, მისი ძირითადი ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურით (სასტუმრო, საინფორმაციო ცენტრი, ბუნგალოები, საპიკნიკეები). ტურისტებს კიდევ უფრო იზიდავთ ფიროსმანის მუზეუმი, V საუკუნის ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრე და ელიას მთა თავისი VI-XI საუკუნეების სამლოცველოთი, რომელიც ალექსანდრე დიუმამ ახსენა საკუთარ დღიურში მისი კავკასიაში მოგზაურობის დროს 1858 წელს. 2015 წელს ვაშლოვნის დაცულ ტერიტორიებს ევროსაბჭოს ევროპული დიპლომი ხუთი წლის ვადით გადაეცა. 2019 წელს ევროპელი ექსპერტების მიერ მოხდა ხელახალი შეფასება და

ვაშლოვნის დაცულ ტერიტორიებს ევროპული დიპლომის ფლობის ვადა 10 წლით გაუხანგრძლივდა. დაცული ტერიტორიების ევროპული დიპლომი პრესტიჟულ საერთაშორისო პრემიას წარმოადგენს, რომელიც 1965 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ინიციატივით დაიწერგა. ჯილდო სამაგალითო მენეჯმენტის მქონე დაცულ ტერიტორიებს მათი კულტურულ-ესთეტიური, სამეცნიერო ღირებულებებისა და ევროპული მნიშვნელობის მქონე ბიოლოგიური, გეოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების გამო 1965 წლიდან განსაზღვრული ვადით გადაეცემა და იგი ევროპის მასშტაბით მხოლოდ 28 ქვეყნის 74 დაცულ ტერიტორიას აქვს მინიჭებული. აღსანიშნავია, რომ ვაშლოვნის დაცული ტერიტორიები პირველია საქართველოში, რომელიც ამ ჯილდოს ფლობს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მკვიდრთა დამახასიათებელი სტუმარმასპინძლობის განსაკუთრებული ტრადიციები საუკეთესო პირობაა, ამ ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებისათვის. წიგნი დააინტერესებს, როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგებს, სტუდენტებსა და მოგზაურებს. მკითხველის მიერ გამოთქმული შენიშვნები და სურვილები, ამ მიმართულებით, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული შემდგომ კვლევებში. წიგნი ეძღვნება დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსის, მეუფე დიმიტრი კაპანაძის ხსოვნას.

2. მონოგრაფიაში განხილულია ცენტრალურ კავკასიონზე თბილისი-გუდაურილარსის და თბილისი-ჟინვალი-შატილის საავტომობილო გზებზე საგანგებო სიტუაციების წარმომქმნელი საშიში გეოლოგიური (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავიქვათაცვენა, მდინარის ნაპირის გარეცხვა და სხვ.) და ჰიდრომეტეოროლოგიური (უხვი ნალექები, ნისლი, ძლიერი ქარი, ქარბუქი, თოვლის ზვავი და სხვ.) მოვლენები. ჩატარებულია რეგიონის და საავტომობილი გზების კლასიფიკაცია/დარაიონება საშიში ბუნებრივი მოვლენების თვალსაზრისით. კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, გრანტი №BRG-I-21-228 „ცენტრალურ კავკასიონზე მდებარე საზღვრისპირა დასახლებებთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების (თბილისი-გუდაური-ლარსი და თბილისი-ჟინვალი-შატილი) კლასიფიკაცია/დარაიონება საშიში ბუნებრივი მოვლენების თვალსაზრისით და მისი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა“. საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებთან დამაკავშირებელ საავტომობილო გზებს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. გზების უქონლობა ან გზებზე გადაადგილების შეფერხება შესაძლოა გახდეს საზღვრისპირა მონაკვეთის გაუკონტროლებლობის წინაპირობა, რაც თავის მხრივ უკანონო პროდუქციის გადმოტანის რისკს გაზრდის, ან გაურკვეველი წარმომავლობის და დანიშნულების შეიარაღებული პირების თუ ჯგუფების გადმოსვლის საფრთხეს შეიცავს. სწორედ მოუწესრიგებელი და გადაადგილებისთვის არასაიმედო გზების არსებობა არის მოსახლეობის საზღვრისპირა მთიანი რეგიონებიდან ბარში მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი. ამის გამო ძალიან ბევრი მთის სოფელი გაუკაცრიელდა. მთიანი რეგიონები მრავალ ტურისტს იზიდავს, რაც მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისათვის, მაგრამ მოუწესრიგებელი საგზაო ინფასტრუქტურა და რთული ბუნებრივი პირობები აძნელებს ტურისტების გადაადგილებას და ბევრი მაღალმთიანი რეგიონის ტურისტული პოტენციალის სათანადოდ ათვისება სწორედ ამ მიზეზების გამო ვერ ხდება. საავტომობილო გზები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, რადგანაც მისი მეშვეობით მოსახლეობას ხელი მიუწვდება სამედიცინო მომსახურებაზე, საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, ტურისტულ ობიექტებზე და ა.შ. ამასთანავე, მოწესრიგებული და გამართული საგზაო

ქსელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. გზები აუცილებელია საზოგადოებრივი სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნებისათვის. გზების დაზიანებას და განადგურებას ბუნებრივი კატასტროფების მიერ უარყოფითი გავლენა შეუძლია იქონიოს მოქალაქეების კეთილდღეობაზე. კლიმატის გლობალური ცვლილების პირობებში მნიშვნელოვნად მატულობს ამინდისა და კლიმატის ექსტრემალური მოვლენების სიხშირე და ინტენსივობა: დიდთოვლობა, ნისლი, ზვავი, ქარიშხალი, თავსხმა წვიმა, სეტყვა და ა.შ., რაც გეოლოგიურ მოვლენებთან ერთად ქმნის საგანგებო სიტუაციებს საავტომობლო გზებზე და აფერხებს მოძრაობას. ხშირად რამდენიმე საათიდან დაწყებული, მთელი ზამთრით დამთავრებული გზები იკეტება და სოფლები და დასახლებულ პუნქტები მოწყვეტილი და იზოლირებული რჩება, ამიტომ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებთან დამაკავშირებელ სააავტომობილო გზებზე საშიში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესწავლა და გზების კლასიფიკაცია/დარაიონება ამ მოვლენების მიხედვით მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის, საზოგადოებისათვისა და მეცნიერებისათვის. ჩვენი კვლევის მიზანი იყო თბილისი-გუდაური-ლარსის და თბილისი-ჟინვალი-შატილის საავტომობილო გზებზე საგანგებო სიტუაციების წარმომქმნელი საშიში გეოლოგიური (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი-ქვათაცვენა, მდინარის ნაპირის გარეცხვა და სხვა) და ჰიდრომეტეოროლოგიური (წყალდიდობა, თოვლის ზვავი, ნისლი, გრიგალი და სხვა) მოვლენების განხორციელების პროცესის და მახასიათებლების გამოკვლევა, გზების კლასიფიკაცია/დარაიონება საშიში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების თვალსაზრისით და მისი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) შექმნა. ნაშრომში გამოკვლეულია ორი საგზაო მონაკვეთი, რომლებიც საქართველოს საზღვრისპირა მთიანი ტერიტორიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს, რადგან ისინი აკავშირებენ ერთმანეთთან კავკასიონის ჩრდილო და სამხრეთ ფერდობებს: 7 1. თბილისი-ფასანაური-გუდაური-დარიალი-ლარსი, ანუ ე.წ. საქართველოს სამხედრო გზა; და 2. თბილისი-ჟინვალი-ბარისახო-შატილი, ანუ პირიქითა ხევსურეთის და პირაქეთა ხევსურეთის მაღალმთიანი ნაწილის დედაქალაქთან დამაკავშირებელი გზა. ორივე მიმართულებით მიმავალი გზა უკავშირდება კავკასიონის ჩრდილო ფერდობებზე განლაგებულ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციებს, რომლებიც იზოლირებულია მაღალი წყალგამყოფი ქედით (კავკასიონის მთავარი ქედი) და მათთან პირდაპირი სატრანსპორტო კომუნიკაცია ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ მაღალი უღელტეხილების მეშვეობით: ჯვრის უღელტეხილისა (2379 მ) (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) და დათვისჯვრის უღელტეხილის (2676 მ) (დუშეთის მუნიციპალიტეტი) გავლით. კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, გრანტი №BRG-I-21-228, „ცენტრალურ კავკასიონზე მდებარე საზღვრისპირა დასახლებებთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების (თბილისი-გუდაურილარსი და თბილისი-ჟინვალი-შატილი) კლასიფიკაცია /დარაიონება საშიში ბუნებრივი მოვლენების თვალსაზრისით და მისი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა“.

3. იმერეთი, დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, ორ ნაწილად _ ზემო და ქვემო იმერეთად იყოფა. მისი ფართობი 6552კმ2-ია. მოიცავს ჭიათურის, ტყიბულის, წყალტუბოს, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ხარაგაულისა და ხონის მუნიციპალიტეტებს. გეოგრაფიულად მას ქვეყნის ცენტრალური ადგილი უჭირავს: ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, აღმოსავლეთიდან _ შიდა ქართლი, დასავლეთიდან _ გურია და სამეგრელო-ზემო სვანეთი. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ქუთაისი, რომელიც თბილისიდან 221 კილომეტრით არის დაშორებული.

საუკუნეების მანძილზე იმერეთი იმ უძველესი სავაჭროსატრანზიტო გზის („აბრეშუმის დიდი გზა“) შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციას ასრულებდა; მისი ცენტრი _ ქუთაისი კი საქართველოს გაერთიანების ხანიდან, 978 წლიდან, სატახტო ქალაქად გამოცხადდა და 1122 წლამდე ინარჩუნებდა ამ ტიტულს.

წიგნში წარმოდგენილია იმერეთის ძეგლების ფოტოები, მუნიციპალიტეტების რუკები, ობიექტების შესახებ არსებული ლეგენდები და თქმულებები, სამეცნიერო-პოპულარულად დაწერილი საცნობარო ტექსტები. თითოეული ძეგლის ადვილად მისაგნებად წიგნში წარმოდგენილია ობიექტების ზუსტი მდებარეობა, სიმაღლე ზღვის დონიდან, მისასვლელი გზა (მანძილი თბილისიდან, ქუთაისიდან, ადმინისტრაციული ცენტრიდან), აგრეთვე გეოგრაფიული კოორდინატები. წიგნი არის ა4 ფორმატის და მოიცავს 124 ფერად, ილუსტრირებულ გვერდს.

იმერეთში ძნელად მოიძებნება ხეობა თუ სოფელი, წარსულის ნაშთი რომ არ იყოს შემორჩენილი. ყოველწლიურად სულ უფრო მეტ ვიზიტორს იზიდავს ამ მხარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები: ქუთაისის ციხექალაქი, ბაგრატის ტაძარი, გელათის სამონასტრო კომპლექსი, გეგუთის ციხე-დარბაზი, მოწამეთა, ანტიკური პერიოდის შორაპნის ციხესიმაგრე, ვანის ნაქალაქარი და სხვ. რეგიონში მრავლადაა ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებიც _ კარსტული მღვიმეები და უნიკალური ბუნების ძეგლები, რომელთა დასაცავად შექმნილია იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორია. მხარის მნიშვნელოვან ტურისტულ რესურსს წარმოადგენს კურორტები და გამაჯანსაღებელი ზონები.

ქალაქ ქუთაისიდან შეტანილია 5 ობიექტი: ქუთაისის მუზეუმები, ბაგრატის ტაძარი, იაზონის მღვიმე, ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, მუხნარის ტყე-პარკი

ხარგაულის მუნიციპალიტეტიდან: ხარაგაულის მუზეუმი; ჩხერის ციხე; ვახანის ციხე; უბისის ტაძარი; კახორის წმინდა გიორგი; დევისხვრელის მღვიმე; ლეღვანის ტბა; ცაშეკრულას კანიონი; რკინისჯვრის მთა; ზვარე; ნუნისის ხეობა.

საჩხერის მუნიციპალიტეტიდან: საჩხერის მუზეუმები; ღოდორის წმინდა გიორგი; ქორეთის მაცხოვრის ეკლესია; სავანის წმინდა გიორგი; სპეთის მაცხოვარი; ჯრუჭის წმიდა გიორგის მონასტერი; მოდინახეს ციხე; დევის ტბა; ხახიეთის ტბა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტიდან: ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; სვერის ციხე, კლდეკარი; კაცხის სვეტი და მაცხოვრის ტაძარი; თირის ეკლესია; დარკვეთის წმინდა გიორგი; ითხვისის ნაქალაქარი; მღვიმევის მონასტერი; ძუძუანის მღვიმე; ციხისწყლის კანიონი; ხრეითის ქვაყუნტია; მანდაეთის მღვიმე.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტიდან: ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; შორაპნის ციხე; ბუჯის ციხე; ბოსლევის წმინდა გიორგი; ტაბაკინის ტაძარი; სამცვერას ჩანჩქერი; შროშა; ჭალატყის თაღოვანი ხიდი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან: დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმი; სკანდის ციხე; გოგნის წმინდა გიორგი; ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესია; ძუსის ხეობის ფაუნის ნაკვალევი; საგვარჯილე და ძევრის სტრუქტურული რელიეფი; საკაჟიას მღვიმე; მდინარე ჭიშურის ხეობა; ნავენახევის მღვიმე.

ტყიბულის მუნიციპალიტეტიდან: გელათის მონასტერი; მოწამეთა; წყალწითელას ხეობა; ცუცხვათის მღვიმოვანი; მუხურის ჩანჩქერი; კურსები; ძმუისის ჩანჩქერი; კურორტი საწირე; ცხრაჯვარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტიდან: წყალტუბოს მუზეუმები; გეგუთის სასახლე; დერჩის ნათლისმცემელი; კურორტი წყალტუბო; ხვამლის მასივი; სათაფლია; პრომეთეს მღვიმე.

ბაღდათის მუნიციპალიტეტიდან: ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი; დიმნას ციხე; ვარციხის ციხე; ობჩის წმინდა გიორგი; წითელხევის წმინდა გიორგი; ქვასაყდარას კლდოვანი სვეტი; ხანის ხეობა; კურორტი საირმე; ზეკარის ხეობა.

ვანის მუნიციპალიტეტიდან: ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი; გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი; გადიდის ეკლესია; ამაღლების მაცხოვრის ეკლესია; ბზვანის მღვიმე; ძულუხურის ხეობა; კურორტი სულორი; დიხაშხოს თერმული წყლები; მთა მეფისწყარო.

ხონის მუნიციპალიტეტიდან: ხონის მუზეუმები; ღვედის ციხე-კოშკი; ხონის წმინდა გიორგი; პომპეუსის ანუ „ბუმბუას“ ხიდი; „სათევზიის“ კარსტული მღვიმე; ოკაცეს კანიონი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან: ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი; ტელეფისის ციხე; ზანდოს წმინდა გიორგი; ხის ეკლესიები; კულაშის სინაგოგა; კურორტი სამტრედია; ნარიონალი ტბები და კუნძულები.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Tskhavardze M., Nikolaishvili D. Matchavariani L. Lagidze L., Trapaidze V. **Some Questions ABOUT Georgia's Landscapes Dynamics (on the example of SamtSkhe-Javakheti).** // 12th Int. Conf. on Geotechnique, Construction Materials & Environment, Bangkok, Thailand, 22-24 November 2022, ISBN: 978-4-909106087 C3051.

   ვრცელი ანოტაცია:

   ლანდშაფტების ეთოლოგია ლანდშაფტმცოდნეობის შედარებით ახალი მიმართულებაა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს გეოგრაფიულ გარსში მიმდინარე ტენდენციები - ელემენტარული ნაწილების (გეომასების), ვერტიკალური სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესწავლის გზით. მისი პრაქტიკული მნიშვნელობა უპირველესად მდგომარეობს იმაში, რომ იგი ქმნის ლანდშაფტებისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონების სივრცე-დროითი ანალიზის თეორიულ ბაზას, რომელიც ორიენტირებულია ბტკ-ების საშუალომრავალწლიურ და პოტენციურ მდგომარეობათა შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, და რაც ყველაზე მთავარია მას დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს მართვის სისტემების შემუშავებისათვის.

   ლანდშაფტთა დინამიკის საკითხების შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს ლანდშაფტებში და საერთოდ, გეოგრაფიულ გარსში მიმდინარე ფიზიკურ-გეოგრაფიული თუ ანთროპოგენური პროცესები. მათი გამოვლენა გარკვეულ როლს ასრულებს გარემოში მიმდინარე ტენდენციების დასადგენად და საბოლოო ჯამში, ტერიტორიული დაგეგმარების ძირითადი მიმართულებების წარმოსაჩენად.

   საქართველოს ლანდშაფტების დინამიკა შესწავლილია სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში, სადაც განხილულია ლანდშაფტები განხილულია როგორც ერთიან ჭრილში, ისე ცალკეული რეგიონების ფონზე. აღნიშნულ ნაშრომებში ლანდშაფტთა დინამიკის საკითხები გაანალიზებულია ლანდშაფტების ტიპების, ქვეტიპებისა და საბაზო მეტეოსადგურის მონაცემების მიხედვით. ამის საფუძველზე შეიქმნა ლანდშაფტთა წლიური დინამიკის საკმაოდ ნათელი და სრულყოფილი სურათი. თუმცა

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლანდშაფტების ტიპები / ქვეტიპები აერთიანებენ თერმული და დატენიანების პირობების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებულ ლანდშაფტებს (გვარებს / სახეებს, ბტკ-ების ტიპებს). შესაბამისად საჭიროა ამ განხვავებების კვლევაც. მართალია, აღნიშნული საკითხი გარკვეულ ჭრილში განხილულია ზოგიერთ ნაშრომში, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი საკითხია ამ თვალსაზრისით შესასწავლი, კერძოდ, არასაკმარისია დაბალი საკლასიფიკაციო რანგის ლანდშაფტური ერთეულების მიხედვით დინამიკის საკითხების შესწავლა. იგი საჭიროებს არა მარტო საბაზო, არამედ მთელი რიგი მეტეოროლოგიური სადგურის / პოსტის შერჩევასა და ანალიზს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გადავიდეთ კვლევის შემდგომ, უფრო დეტალურ ეტაპზე - ლანდშაფტების გვარების, სახეებისა და ბტკ-ების ტიპების დონეზე დინამიკის საკითხების კვლევაზე.

ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე კი, კერძოდ, კლიმატის ცვლილების გამოსავლენად მონაცემთა გაცილებით მეტი სიზუსტეა საჭირო - როგორც დროით ჭრილში, ისე მეტეოსადგურების / საგუშაგოების სიმრავლის თვალსაზრისით. ამასთან მნიშვნელოვანია ლანდშაფტთა სივრცითი გადაჭიმულობის ფაქტორიც (ზოგიერთი ლანდშაფტი მიუჰყვება რა ოროჰიდროგრაფიულ ობიექტებს, წაგრძელებული კონფიგურაციისაა) და 1 მეტეოსადგური ხშირად რეალურად ვერ წარმოაჩენს სრულ სურათს. აქედან გამომდინარე, სამცხე-ჯავახეთის ლანდშაფტების ანალიზისათვის გამოყენებულია 12 მეტეოსადგურის / საგუშაგოს მონაცემები. ამრიგად, ლანდშატების კლიმატურ მახასიათებელთა ანალიზი განხორციელდა არა ერთი სადგურის, არამედ რამდენიმე სადგურის მონაცემებზე დაყრდნობით.

იმისათვის, რომ დადგინდეს ლანდშაფტთა დინამიკის საკითხები, იგი მოითხოვს მეტეოროლოგიური პარამეტრების საშუალო მრავალწლიურ მონაცემთა ანალიზს. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვ ნელობა აქვს ჰაერის ტემპერატურას, ატმოსფერული ნალექებისა და თოვლის საფარის სიმძრავრის განსაზღვრას. ისინი წარმოაჩენენ, თუ რა ცვლილებები მოხდა ლანდშაფტთა ფიტოგენურ, პედოგენურ თუ ნივალურ სტუქტურაში. წინამდებარე კვლევა სწორედ ამ პარამეტრთა ანალიზს დაეფუძნა.

ამ მიზნით გამოყენებულია მეტეოროლოგიური სადგურების / პოსტების მონაცემები, რომლებიც დაუკავშირდა საქართველოს ლანდშაფტურ გვარებს, რაც განხორციელდა გის-ტექნოლოგიების გამოყენებით. თუმცა ისიც ცხადია, რომ არსებობს მონაცემთა დეფიციტი - ყველა ლანდშაფტი თანაბრად არ არის უზრუნველყოფილი მეტეომონაცემებით. შესაბამისად გარკვეულ ლანდშაფტში მეტეოროლოგიური სადგურების / პოსტების არარსებობის შემთვევაში მივმართეთ ექსტრაპოლაციისა და ინტერპოლაციის მეთოდებს.

სამცხე-ჯავახეთში კლიმატის ცვლილების შესწავლის მიზნით გამოყენებულია მეტეოროლოგიურ სადგურთა ის მონაცემები, რომლებიც მათი ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში არსებობს. ზოგიერთი სადგურისათის მონაცემები უწყვეტია, თუმცა ზოგიერთი სადგურისათვის - დისკრეტული, ან ზოგიერთ შემთხვევაში თანამედროვე პერიოდამდე. ზოგიერთი ლანდშაფტისათვის გვაქვს მონაცემთა თითქმის უწყვეტი ჯაჭვი. ეს შეეხება ახალციხის, ბაკურიანი და ბორჯომის, მეტეოსადგურებს (ლანდშაფტი: 83-ქვედა მთის ეროზიულ-აკუმულაციური ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარი (ქართული მუხის), მუხნარ-ფიჭვნარი და ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვის) ტყეებით, იშიათად შიბლიაკით; 112 - მთის ქვაბულის დენუდაციურ-ეროზიულ-აკუმულაციური ლანდშაფტი სტეპის, ფრიგანის, შიბლიაკის და იშვიათად მთის ნახევრად უდაბნოს მცენარეულობით; 127 - საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარ-მუქწიწვინი, ზოგან ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვი) ტყეებით). ყველაზე მცირეპერიოდიანი მონაცები მოიცავს ინფორმაციას 1944-1963 წლებზე. ასეთია არალის მეტეოსადგური (ლანდშაფტი მთის ქვაბულის დენუდაციურ-ეროზიულ-აკუმულაციური ლანდშაფტი სტეპის, ფრიგანის, შიბლიაკის და იშვიათად მთის ნახევრად უდაბნოს მცენარეულობით).

კვლევის შედეგად დადგინდა ლანდშაფტთა ზოგიერთი დინამიკური თავისებურება არა მარტო საშუალო მრავალწლიური, არამედ ცალკეული წლების მიხედვით. ამან შესაძლებლობას მოგვცა დაგვედგინა ზოგიერთი ტენდენცია, რომელსაც ადგილი აქვს ამა თუ იმ ლანდშაფტში, ამასთან წარმოგვეჩინა ჰუმიდიზაციის თუ არიდიზაციის, ტემპერატურის მატების თუ კლების ტენდენციაასა სახეზე და რომელ ლანდშაფტებშია ეს პროცესები უფრო მკაფიოდ გამოკვეთილი და რომელ მათგანს ემუქრება ძირეული სტრუქტურული ცვლილებები. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა დადგინილიყო თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ლანდშაფტურ-გეოფიზიკური მახასიათებლების (გეომასების რაოდენობის, ვერტიკალური სტრუქტურის სიმძლავრისა და სირთულის) მიხედვით. ამით კი საბოლოო ჯამში, ლანდშაფტების რესურსული პოტენციალის ცვლილების ტენდენციების დადგენის შესაძლებობაც მოგვეცა.

სამცხე-ჯავახეთში გამოიკვეთა ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ცვლილების მრავალფეროვანი სურათი, კერძოდ, ადგილი აქვს ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ჯამების მკვეთრ ცვალებადობას, დათბობააცივების ერთგვარი მონაცვლეობით: დასაკვირვებელ პერიოდში საშუალო წლიური ტემპერატურების ზრდა დაიკვირვებოდა მაღალი მთის პლატოს ლანდშაფტების ცენტრალურ და ჩრდილოეთ, ხოლო შემცირება - მის სამხრეთ ნაწილში. თითქმის უცვლელად დარჩა ჰაერის ტემპერატურა ქვედა მთის ადა საშუალო მთის ტყის ლანდშაფტებში 1962-2004 წლების პერიოდში. რაც შეეხება ატმოსფერულ ნალექებს, მათი ზრა უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით სახეზეა კვლავს მაღალი მთის პლატოს, ხოლო შემცირება მთის ქვაბულების ლანდშაფტებში.

2. Nino Kharebava, Dali Nikolaishvili, and Mariam Tsitsagi. **Cartographic Retrospective of spatial and temporal changes of gardens and parks in Tbilisi.** // EGU General Assembly, Vienna, Austria & Online, 23–27 May 2022.
https://meetingorganizer.copernicus.org/EGU22/EGU22-9924.html

ვრცელი ანოტაცია:

ქალაქის ზრდა-განვითარება იწვევს ბუნებრივი გარემოს მკვეთრ ცვლილებას, რაც უამრავ ეკოლოგიურ პრობლემას განაპირობებს. პრობლემებს შორის არის მწვანე საფარის შემცირება და განადგურება. საქართველოს ქალაქებში მწვანე საფარი გვხვდება ორი ძირითადი ფორმით: ბუნებრივი ჰაბიტატი (რაც ამჟამად ძალზე იშვიათია) და ბაღები (ხელოვნურად გაშენებული, ხშირად დეკორატიული მიზნებისათვის) და პარკები (მცენარეობის და გასართობი ატრაქციონების სინთეზი, რაც შედარებით ახალი ფორმაა).

დედაქალაქი თბილისი უძველესი ქალაქია და ამიტომ მან ურბანული განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა, რამაც ლოგიკურად განაპირობა მწვანე ფართობის შემცირება. კვლევა მიზნად ისახავს თბილისის თბილისის ბაღებისა და პარკების რეტროსპექტულ სივრცით ანალიზს. გეოინფორმაციული სისტემების მეშვეობით თავდაპირველად გამოიკვეთა ბაღებისა და პარკების კონტურები, განისაზღვრა და გაანალიზდა მათი მდებარეობა, ფართობი, მცენარეულობის ტიპები, ცვლილებები და პირველადი ფაქტორები. კარტოგრაფიულ საფუძვლად გამოიყენებოდა თბილისის XIX-XXII საუკუნეების კარტოგრაფიული წყაროები. ისინი შედგენილია სხვადასხვა მასშტაბში და პროექციაში. ყველა რუკა გეორეფერენცირებული იყო და იდენტიფიცირებული სხვა ისტორიულ წყაროებთან მიმართებაში. გარდა ამისა, საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკები და სატელიტური გამოსახულება (CORONA და აერო-ფოტოგრაფია) გამოყენებული იქნა XX საუკუნეში მომხდარი ცვლილებების რეკონსტრუქციისათვის.

მიღებული შედეგების მიხედვით, ირკვევა, რომ შუა საუკუნეებში თბილისში საკმაოდ განვითარებული იყო მებაღეობა. ძირითადად აღმოსავლური სტილის ბაღები

ჭარბობდა. არსებობდა ორი ძირითადი მიმართულება: ქალაქის ტერიტორიაზე საჯაროდ ხელმისაწვდომი ბაღები და დიდგვაროვანი სასახლეების ირგვლივ მოწყობილი ბაღები. ამ შემთხვევაში ადგილობრივი ჯიშების გარდა (ძირითადად ფართოფოთლოვანი) გამოიყენებოდა სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილი ჯიშებიც. ქალაქის მწვანე საფარი XIX საუკუნიდან მცირდება სწრაფი ურბანიზაციის ფონზე. ქალაქში ბაღების ჩანაცვლება განაშენიანებით იწყება. XX საუკუნის I ნახევარში ინტენსიურად ირგვებოდა წიწვოვანი მცენარეები (ძირითადად ფიჭვი), ბაღებსა თუ პარკებში (მოგვიანებით) დომინანტური სახეობა გახდა წიწვოვანი მცენარეულობა. XX საუკუნის II ნახევრიდან გაჩნდა ახალი ტიპის დასასვენებელი ადგილები - პარკი. ასეთი პარკების მოწყობა თბილისის გენერალური გეგმების ნაწილი იყო. 1990-იანი წლებიდან ქვეყანაში რთული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების ფონზე, პატარა პარკებმა დაიწყეს გაქრობა უკონტროლო ურბანული გავრცელების ფონზე, რასაც დაემატა წიწვოვანი მცენარეების მასობრივი კლება ქალაქის კლიმატის ცვლილების ფონზე (ურბანული სითბოს კუნძული) ან /და პარაზიტები. ბოლო დროს განსაკუთრებით გააქტიურდა ბაღებისა და პარკების აღდგენა. ეს არის ქალაქის ახალი გენერალური გეგმის ნაწილი.

3.**Tengiz Gordeziani,** Manana Sharashenidze, Gocha Jincharadze. He technique of landscape-ecological mapping for the purpose of zoning forest landscapes (by the Ambrolauri and Oni regions, Georgia). SUSTAINABLE ENVIRONMENTAL MANAGEMENT: TRADITIONS AND INNOVATIONS
Proceedings of III international conference, Moscow, 2022. pp. 161-170.
https://elibrary.ru/item.asp?id=49525036

ვრცელი ანოტაცია: ნებისმიერი ტერიტორიის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასი არის ლანდშაფტებისა და მათში შემავალი ელემენტარული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ერთიანი ბადე, რომელიც აჩვენებს ამ ტერიტორიის ძირითად ბარიერებსა და ეკოტონებს. ონისა და ამბროლაურის (საქართველო) რაიონებში არსებული ბარიერებიდან და ეკოტონებიდან ძირითადი ყურადღება დაეთმო ისეთ კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ტერიტორიის ლანდშაფტურ სტრუქტურას. ამ მიზნით ექსპედიციური კვლევა ჩატარდა დასავლეთ საქართველოს რამდენიმე რეგიონში. კვლევები ჩატარდა 2007-2019 წლებში. გარდა ამისა, ამ რეგიონებში განხორციელდა სპეციალური ფერადი აერო გადაღება (2017 წლის ოქტომბერში და 2019 წლის ივნისში). ყველა ეს მონაცემი დამუშავდა თანამედროვე გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების (GIS) გამოყენებით. ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კვლევების შედეგად შედგენილია შესწავლილ ტერიტორიებზე ტყის ლანდშაფტების მდგრადობის რუკები. გამოვლინდა ლანდშაფტთა მდგრადობის 3 გრადაცია: 1) მდგრადი, 2) საშუალოდ მდრადი, 3) არამდგრადი. ეს გრადაციები გამოვლინდა შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: ზედაპირის დახრილობა, ფერდობის ექსპოზიცია, ლითოლოგიური სტრუქტურა, კლიმატური ბარიერები და ეკოტონი, გეოდინამიური პროცესები, ადამიანის ანთროპოგენური ზემოქმედება. ამ რუკების საფუძველზე მნიშვნელოვანია პრაქტიკული რეკომენდაციების მიცემა ტყის ტერიტორიების ზონირებისა და ტყის მართვის სამუშაოების სწორად განხორციელებისთვის. ამ შემთხვევაში მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტური რუკა წარმოადგენს ტყის ლანდშაფტების მდგრადობის რუკების შედგენის მთავარ საფუძველს.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. სართანია დ., ნიკოლაიშვილი დ., უჯმაჯურიძე ა., ციცვიძე მ., ახალკაციშვილი გ. 1574 და 1595 წლების „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედარებითი ანალიზისათვის. // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე. ივლისი 5-6 July, ბათუმი, 2022. მომხსენებელი: დ. ნიკოლაიშვილი.
2. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. დავითგარეჯა ძველი პერიოდიკისა და კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით (XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი). II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მდგრადი განვითარების ლანდშაფტური განზომილება: კვლევა, კარტო/გის, დაგეგმარება, მართვა, 12-16 სექტემბერი, 2022, თბილისი. მომხსენებელი: რ. თოლორდავა.
3. ცეცილია დონაძე, გიორგი დვალაშვილი, თეონა თიგიშვილი, ზურაბ რიკაძე,,ბუნების ღირსშესანიშნაობები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მდგრადი განვითარების ლანდშაფტური განზომილება: კვლევა, კარტო/გის, დაგეგმარება, მართვა, 12-16 სექტემბერი, 2022, თბილისი. მომხსენებელი: ც. დონაძე
4. თენგიზ გორდეზიანი. ქართული კარტოგრაფია წარსულში, აწმყოსა და მომავალში. ნიკო ბერუჩაშვილის წვლილი ქართული კარტოგრაფიის განვითარებაში. II საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენცია მდგრადი განვითარების ლანდშაფტური განზო-მილება: კვლევა, კარტო/გის, დაგეგმარება, მართვა, 12-16 სექტემბერი, 2022, თბილისი. მომხსენებელი: თ. გორდეზიანი
5. თენგიზ გორდეზიანი, მანანა შარაშენიძე. საქართველოს სოფლის მეურნეწობის ატლასის პროექტი. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მდგრადი განვითა-რების ლანდშაფტური განზომილება: კვლევა, კარტო/გის, დაგეგმარება, მართვა, 12-16 სექტემბერი, 2022, თბილისი. მომხსენებელი: მ. შარაშენიძე
6. ზურაბ ლაოშვილი, თენგიზ გორდეზიანი, ანა ირემაშვილი, ლადო გრიგოლია. საქართველოს გეოტექტონიკური სტრუქტურები და ბუნებრივ/ანთროპოგენური პროცესები. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მდგრადი განვითარების ლანდშაფტური განზომილება: კვლევა, კარტო/გის, დაგეგმარება, მართვა, 12-16 სექტემბერი, 2022, თბილისი. მომხსენებელი: ზ. ლაოშვილი

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Tskhavardze M., Nikolaishvili D. Matchavariani L. Lagidze L., Trapaidze V. **Some Questions ABOUT Georgia's Landscapes Dynamics (on the example of SamtSkhe-Javakheti).** // 12th Int. Conf. on Geotechnique, Construction Materials & Environment, Bangkok, Thailand, 22-24 November 2022. მომხსენებლი: მაია ცხვარაძე.
2. Tengiz Gordeziani, Manana Sharashenidze, Gocha Jincharadze. **He technique of landscape-ecological mapping for the purpose of zoning forest landscapes (by the Ambrolauri and Oni regions, Georgia).** SUSTAINABLE ENVIRONMENTAL MANAGEMENT: TRADITIONS AND INNOVATIONS Proceedings of III international conference, Moscow, 2022. მომხსენებელი: თენგიზ გორდეზიანი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება:
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი, ნიადაგების გეოგრაფიის კათედრა

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. პროექტი FR-18-009 – "გარემოსა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე წყალსაცავის ნეგატიური ზემოქმედების შეფასების მეთოდიკა" (სამეცნიერო მიმართულება: 1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; ქვემიმართულება: 1.5 დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი; კატეგორია: 1.5.8 გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი); 21.02.2019-20.02.2022

2. პროექტი SP-21-070 – საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი – მონოგრაფია "წყალსაცავების პოზიტივები და ნეგატივები" (მიმართულება: 7. საქართველოსშემსწავლელი მეცნიერებანი; ქვე-მიმართულება: 7.1 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; კატეგორია: 7.1.5 დედამიწისა და მათთან დაკავშირებული გარემოსშემსწავლელი მეცნიერებანი);

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ლია მაჭავარიანი (პროექტის ხელმძღვანელი), ზაზა გულაშვილი (კოორდინატორი), გიორგი მეტრეველი (მკვლევარი).

2. ლია მაჭავარიანი (პროექტის ხელმძღვანელი), ზაზა გულაშვილი (კოორდინატორი), გიორგი მეტრეველი (მკვლევარი); მონოგრაფიის ავტორები: გ. მეტრეველი, ლ. მაჭავარიანი, ზ. გულაშვილი.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტის მიზანი იყო გარემოზე და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე წყალსაცავის ნეგატიური ზემოქმედების შესაფასებლად ისეთი კომპლექსური მეთოდიკის შემუშავება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა წყალსაცავის კლიმატზე, ზღვისპირზე, გრუნტის წყლებზე, მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებაზე ნეგატიური შედეგების პროგნოზირება და აცილება, ან მათი შერბილების გზების განსაზღვრა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შემდეგ მიღებული შედეგები: მოძიებულია სამეცნიერო-ეკონომიკური ინფორმაცია მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს წყალსაცავებზე; შეიქმნა საინ-ფორმაციო ბაზა წყალსაცავების პარამეტრებზე (შეტბორვის სიმაღლე, სარკის ფართობი, სრული და სასარგებლო მოცულობა, წყალსაცავის ფუნქციები); ნატურული ექსპერიმენტისათვის შეირჩა ახალი კვეთები და განახლდა არსებული კვეთები (ხელოვნური საგუბარები), რომლებიც 2015-2017 წლებში განხორციელებული პროექტისას AR/220/9-120/14 იყო შექმნილი; შედგენილია მონაცემთა ბაზა უმნიშვნელოვანესი წყალსაცავების სამეცნიერო-

ეკონომიკური ინფორმაციის შესახებ; შეგროვილია მონაცემები წყალსაცავების პარამეტრებზე (ზედაპირის/სარკის ფართობი, სრული და სასარგებლო მოცულობა, სიმაღლე, გამოყენება-ფუნქცია); განი-საზღვრა წყალსაცავის ზემოქმედების ინდიკატორები მეტეო-ელემენტებზე; შეიქმნა კლიმატზე წყალსაცავის ზემოქმედების შეფასების მეთოდიკა, რომელიც ორი მეთოდის ერთობლიობას წარმოადგენს (მიმდინარე კლიმატის მიერ შექმნილი ფონის ლოკალური პარამეტრების გამოკვლევა; წყალსაცავის კლიმატზე ზემოქმედების ლოკალური შედეგების განცალკევება ფონის ლოკალური პარამეტრებისაგან); ტრაფარეტის სახით განისაზღვრა კლიმატზე წყალსაცავის ზემოქმედების ინდიკატორები და პარამეტრები; ძირითადი ინდიკატორებად აღებულია ჰაერისა და წყლის ტემპერატურები, ატმოსფერული ნალექები, ტენიანობა, ქარის სიჩქარე და მიმართულება; წყალსაცავის პარამეტრებიდან განსაზღვრულია: მოცულობა, სარკის ფართობი, დონეები, საშუალო და მაქსიმალური სიღრმეები, ასევე მაქსიმალური და საშუალო სიგრძე-სიგანეები; შესწავლილია გრუნტის წყლების რეჟიმზე წყალსაცავის ზემოქმედების მექანიზმები; განისაზღვრა მათი ინდიკატორები და პარამეტრები; მექანიზმში იგულისხმებოდა "სველი ზედაპირი" (ფსკერი, ფერდები), ჰიდროტექნიკური ნაგებობები (კაშხალი, სადერივაციო გვირაბი, არხი); ზემოქმედების ინდიკატორები დაიყო ხილულ და უხილავად – ხილულია: წყაროები, ჭაობები, მეწყერები, რომლებიც წყალსაცავის შექმნის შემდეგ ჩნდება, უხილავია კი: სუბმარინული წყლები (წყალქვეშ უერთდება ზღვას); პარამეტრებად გათვალის-წინებულია: წყლის ხარჯი, ფართობი; საველე და წყალ-საბალანსო მეთოდებით გამოკვლეულია ძირითადი წყალსაცავების ფილტრაციული ველი; წყალ-საბალანსო მეთოდის მიზანი და არსია წყალსაცავის წყლის ბალანსის საანგარიშო გამოსახულება ამოიხსნას მისი ერთერთი წევრის – ფილტრაციული მდგენელის მიმართ; GIS-ტექნოლოგიების გამოყენებითა და შექმნილ საინფორმაციო ბაზებზე დაყრდნობით შედგენილია გრუნტის წყლებზე და კლიმატზე წყალსაცავის ზემოქმედების ამსახველი ელექტრონული რუკები; აპრობირებულია წყალსაბალანსო გაანგარიშებების მეთოდი; შემუშავდა ზღვის სანაპიროს სენსიტიური მონაკვეთების შერჩევის კრიტერიუმები, რომელიც ორ ფორმას მოიცავს: პლიაჟის მკვებავი წყაროს გადაკეტვა ჰიდროტექნიკური ნაგებობებით (წყალსაცავები, სანაპირო კონსტრუქციები, დამბები, პორტები და სხვ.), რაც პლაჟის დეგრადაციას იწვევს; სანაპიროს ურბანიზაციული დატვირთვა, რაც პლაჟის გამოფიტვას იწვევს; ჩამოყალიბდა ზღვისპირის სენსიტიურ უბნებში მდინარის ნატანის გადაადგილების ზოგადი დინამიკური სქემები, შეიქმნა სანაპიროს განივი და გასწვრივი პროფილების სქემა; დამუშავდა ზღვისპირის მდგრადობაზე წყალსაცავის გავლენის შეფასების მეთოდი, რომლის მიზანია მდინარის შესართავში და სანაპიროს მოწყობილ პროფილებზე მონიტორინგის კვეთების მოწყობა, სადაც სისტემატურად გაიზომება ნატანის გრანულომეტრია; ყოველწლიურად წყალსაცავებზე, შენაკადებსა და ზღვისპირეთში ხორციელდებოდა საველე ექსპედიციები, სადაც ბათიმეტრიული აგეგმვები და საკონტროლო გაზომვები ტარდებოდა ექოლოტის გამოყენე-ბით; გაზომვის მონაცემებით აიგო წყალსაცავების გასწვრივი და განივი პროფილები; ზუსტდებოდა მოსილვის პრიზმის ზედაპირზე მდინარის კალაპოტის მდებარეობა და სიღრმეები; გაირკვა შენაკადებისგან წარმოქმნილი წყალქვეშა ნაკადების მიმართულებები, სიღრმეები; პირველად იქნა გამოყენებული ახალი ტიპის მათემატიკური გამოსახულება, რითაც გამოითვლება მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებაზე წყალსაცავის ზემოქმედების ალბათობა; ზღვის სანაპიროზე წყალსაცავის ზემოქმედების შეფასება ნატანის ბალანსის მეთოდით განხორციელდა; გრუნტის წყლების მოცულობასა და რეჟიმზე წყალსაცავის გავლენის შესაფასებლად გამოყენებულია ფილტრაციული და წყლის ბალანსის მეთოდები; შემუშავდა "წონასწორული კალაპოტის პროგნოზირების" მეთოდი, რომლითაც შესაძლებელია შენაკადების კალაპოტების ამაღლებით გამოწვეული საფრთხეების

შეფასება; ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკაში პირველად შეიქმნა თეორია, ინსტრუმენტი კომპლექსური მეთოდიკის ფორმით, რომლითაც ავიცილებთ მცდარ გადაწყვეტილებებს წყალსაცავის მშენებლობის ადგილის, რეგულირების ტიპისა და დასახლებული პუნქტების განლაგების შერჩევისას. მიღებული შედეგები საფუძვლად დაედო წყალსაცავის ზღვრული მოსილვის მოცულობისა და ექსპლოატაციის ხანგრძლივობის მოდერნიზებულ ახალ საანგარიშო მეთოდს. საექსპედიციო კვლევებისას (მოქმედ წყალსაცავებზე მიმდინარე მონიტორინგისა და მთის პატარა საკვლევ მდინარეებზე ნატურული ექსპერიმენტების შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით) შესწავლილია წყალსაცავში ნატანის აკუმულირებისა და შენაკადების კალაპოტების მოსილვის მექანიზმი. ახალი ტიპის მათემატიკური გამოსახულების გამოყენებით, შეიქმნა წყალსაცავის მოსილვის ბოლო ფაზაში მდინარის წონასწორული კალაპოტის ზღვრული დახრილობის საანგარიშო გამოსახულება, რომლის აპრობაცია მსოფლიოს მოქმედ წყალსაცავებზე არსებული მონაცემების გაანგარიშების საფუძველზე განხორციელდა; შემუშავდა წყალსაცავში ნატანის კარიერების სივრცითი განლაგების მეთოდი პლაჟამგები, სამშენებლო, აგრარული და სხვ. მიზნებისათვის; შემუშავდა მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის დატბორვის რისკების განმსაზღვრელი კრიტერიუმები; მოსახლეობის უსაფრთხოების გათვალისწინების მიზნით, წყალსაცავების დამპროექტებლებისათვის ჩამოყალიბდა სარეკომენდაციო წინადადებები; პროგრამული უზრუნველყოფის AQUATOOL გამოყენებით, პოტენციური რისკის ქვეშ მყოფ ზონებში, განხორციელდა წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება, გრძელვადიანი პროგნოზირება და მართვის სარეკომენდაციო სქემის ჩამოყალიბება.

2. პროექტის ფარგლებში შეიქმნა და გამოქვეყნდა მონოგრაფია “წყალსაცავების პოზიტივები და ნეგატივები” (ISBN: 978-9941-9784-6-3), რომელიც წყალსაცავის შესახებ არსებული შემეცნებითი ინფორმაციის განზოგადებისა და ახალი კვლევის შედეგებს მოიცავს. ავტორთა მიზანი იყო ამ ჰიდროტექნიკური ნაგებობის ნეგატიური და პოზიტიური მხარეების სამეცნიერო შეფასება ფართო საზოგადოებისათვის მისაღები ფორმით. შემოთავაზებული ნაშრომი პირველი მცდელობაა ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას წყალსაცავების შექმნის საჭიროების შესახებ. იმის გამო, რომ წყალსაცავს აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური თვისებები, მისი კომპლექსური შეფასება მხოლოდ სისტემური ანალიზის საფუძველზე უნდა შესრულდეს. სისტემური ანალიზის თანახმად, წყალსაცავი წარმოადგენს: წყლის საცავს, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის (ზოგან აუმჯობესებს, ზოგან აუარესებს) წყლის მაჩვენებლებს; აკვატორიას, რომელსაც იყენებს წყლის ტრანსპორტი, თევზისა და აკვაკულტურის მოსაშენებლად; პერსპექტიულ ბაზას რეკრეაციისა და ტურიზმის განვითარებისათვის; საშუალებას სამეურნეო მიწის ფონდის მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის (ირიგაცია და წყალდიდობა-წყალმოვარდნების დარეგულირება; ობიექტს, რომელიც არსებითად ცვლის ბუნებრივ გარემოს, და მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, საქმიანობაზე, საცხოვრებელ პირობებზე და ინფრასტრუქტურაზე. მონოგრაფიაში განიხილება წყალსაცავების გარემოზე (კლიმატზე, გრუნტის წყლებზე, ზღვისპირზე) და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ნეგატიური ზემოქმედების შეფასების პრინციპები, პროგნოზირებისა და აცილება-შერბილების გზები, სპეციალურად შემუშავებული კომპლექსური მეთოდიკის გამოყენებით. შემუშავებულია კვლევის ახლებური მეთოდიკა, პრობლემების გადაჭრის გზები, და შეთავაზებულია რეკომენდაციები როგორც სამეცნიერო საზოგადოებისათვის, ისე ჰიდროელექტროსადგურების დამპროექტებლებისა და მფლობელებისათვის. მონოგრაფიაში თავმოყრილი ინფორმაცია ეყრდნობა არა მარტო ავტორისეულ ადრეულ კვლევებს, დაგროვილ მასალებს, ცოდნასა და გამოცდილებას წყალსაცავების ჰიდროლოგიაზე, არამედ მონოგრაფიის ავტორთა საერთაშორისო

სამეცნიერო პუბლიკაციების სერიას, სადაც ფართოდ არის ასახული შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების ფარგლებში მიღებული კვლევის შედეგები – "ნაპირდაცვისა და ჰიდროენერგეტიკის ერთობლივი პრობლემის რეალიზაციის თანამედროვე მეთოდიკა" (AR/220/9-120/14, 2015-2017), "გარემოსა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე წყალსაცავის ნეგატიური ზემოქმედების შეფასების მეთოდიკა" (FR-18-009, 2019-2022). საანგარიშო პერიოდში მონოგრაფიის შესაქმნელად შემდეგი სახის სამუშაოები განხორციელდა: პროექტის პირველი თვის განმავლობაში მოხდა მონოგრაფიის თემატიკაზე არსებული და მოძიებული საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და დამუშვება; პროექტის მეორე თვის განმავლობაში – აღნიშნულ თემატიკაზე ავტორების კვლევის შედეგების, მათ შორის წყალსაცავების თემატიკაზე განხორციელებული პროექტების ფარგლებში მიღებული შედეგების თავმოყრა და გადამუშავება მონოგრაფიის სტილში; პროექტის მესამე თვე დაეთმო მონოგრაფიის მთლიანი ტექსტის აწყობასა და რეცენზირებას დარგობრივი სპეციალისტების მიერ; პროექტის მეოთხე თვეს მოხდა მონოგრაფიის ტექსტის რედაქტირება და სტილისტური კორექტირება; პროექტის მეხუთე თვეს განხორციელდა მონოგრაფიის საილუსტრაციო მასალის (სქემები, გრაფიკები, ელექტრონული რუკები, ფოტოები, ცხრილები) დამზადება, დამუშვება, განახლება; პროექტის მეექვსე თვე მონოგრაფიის დაკაბადონებას, ყდის აწყობას და სტამბურ ბეჭდვას დაეთმო. მიზნობრივ აუდიტორიაზე გათვლით, გამოიცა მონოგრაფიის 200 ეკზემპლიარი, რომელიც ფერადი საილუსტრაციო მასალით (ფოტოები, სქემები, გრაფიკები, ცხრილები, რუკები და სხვ.) არის გაფორმებული. ძირითად სამიზნე აუდიტორიას დარგობრივი უწყებები, სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები და ბიბლიოთეკები წარმოადგენენ: ენერგეტიკული დანიშნულების მქონე კაშხლიანი წყალსაცავები – ჰეს-ების მფლობელები (წალკის, ჯვრის, შაორის, სიონის, ტყიბულის, ჟინვალის, ვარციხის, გუმათის, ლაჯანურის); ენერგეტიკის, განათლებისა და მეცნიერების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების შესაბამისი დეპარტამენტები; პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი; ჰიდრომეტეოროლოგიის, წყალთა მეურნეობის, გეოგრაფიის, გეოფიზიკისა და სხვ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები; საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება; თსუ, სტუ, ილიაუნი, ბსუ, აწსუ, აგრარული, სოხუმის, თელავის შესაბამისი ფაკულტეტების ბიბლიოთეკები და სხვ.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. "ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებელი მიწის მდგრადი მართვის გზით მოწყვლადი თემებისათვის საქართველოში"; მიმართულება – გარემოს დაცვა; დონორები – GEF, UN; REC CAUCASUS, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ამავე სამინისტროს გარემოს დაცვის სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრი; 2019-2023. შემსრულებელები: ასოც. პროფ. ბ. კალანდაძე – ექსპერტი ნიადაგების კვლევებში, სამეცნიერო ჯგუფი.

2. "ტრანსსასაზღვრო გეოტურიზმი, როგორც ინოვაციისა და თანამშრომლობის მამოძრავებელი ძალა აღმოსავლეთ ევროპის პერიფერიულ რეგიონებში"; მიმართულება – გარემოს დაცვა; დონორები – BMBF გერმანიის განათლებისა და მეცნიერების

სამინისტრო; გისენის უნივერსიტეტი, გეოგრაფიის ინსტიტუტი, თსუ; 2022-2025. შემსრულებელები: პროფ. ა. დიტმანი (ხელმძღვანელი-გისენის უნივერსიტეტი), ნ. ბოლაშვილი (პროექტის კოორდინატორი-გეოგრაფიის ინსტიტუტი), ბ. კალანდაძე (ექსპერტი – თსუ), გ. ლომინაძე (ექსპერტი – გეოგრაფიის ინსტიტუტი) და სამეცნიერო ჯგუფი.

3. “ზოონოზოური ინფექციების ატლასის მომზადება სამხრეთ კავკასიაში”; მიმართულება – გარემოს დაცვა; დონორი – აშშ თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტო (DTRA). შემსრულებელები: ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, თსუ (საქართველო); გეოგრაფიის ინსტიტუტი (აზერბაიჯანი); ერევნის სახ. უნივერსიტეტი (სომხეთი).

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს კლიმატური პირობები და ნიადაგის მრავალფეროვნება ხელსაყრელია და ხელშემწყობია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირება, რომელიც დაიწყო 1990-იან წლებიდან, ნიადაგის ხარისხისა და პროდუქტიულობის ვარდნის მიზეზია, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია მიწის რესურსების არამდგრადი გამოყენებით. განსაკუთრებით, ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი განიცდის მიწის დეგრადაციას, როგორიცაა – მონოკულტურის გავრცელება, დამლაშება და ქარისმიერი ეროზია. ისინი ძირითადად გამოწვეულია არაადექვატური კულტივაციით (მაგ: ჭარბი ძოვება, მონო კულტურის გავრცელება, ლანდშაფტური სტრუქტურის და მუდმივი ნიადაგის საფარის ნაკლებობა, არასათანადო ირიგაცია), რაც მწვავდება კლიმატური შედეგებით, როგორიცაა შემცირებული ნალექიანობა, გაზრდილია ქარიანი დღეების რაოდენობა და სიჩქარე – შედეგად, ამ მიწების უმეტესობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის გამოუსადეგარია. მიწის მდგრადი მართვის პილოტური ღონისძიებების განხორციელების მიზანია ნიადაგის დეგრადაციის ფართომასშტაბიანი პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც არის მიწის დეგრადაციის ძირითადი ფაქტორი და ზიანს აყენებს სასოფლო სამეურნეო წარმოებას. 90-იანი წლების შემდეგ სოფლის მეურნეობაში გაბატონებული იყო მონოკულტურების მოყვანა, როგორც მარცვლოვნებში ისე ბოსტნეულ კულტურებში და რომელიც დღესაც გრძელდება. მოსახლეობა ფაქტიურად აღარ ფლობს შესაბამის უნარ-ჩვევებს და აღარც იყენებს ნიადაგის ნაყოფიერების სხვადასხვა აპრობირებულ მეთოდებს, როგორიცაა მრავალწლიანი თესლბრუნვები, კულტურათა მონაცვლეობა, ნაკვეთების როტაცია, შეთესვითი კულტურები და სხვა. მოსახლეობამ იპოვა მარტივი გამოსავალი და მასიურად დაიწყეს სახნავ-სათესი ფართობების სათიბებად და საძოვრებად გადაქცევა. გარდა ამისა პრაქტიკაში გავრცელებულია მონოკულტურის მოვლა-მოყვანა, რაც აღრმავებს ნიადაგების დეგრადაციის უარყოფით პროცესებს (ნიადაგების დატკეპვნა, გადაძოვება, გაუდაბნოება, დამლაშება, ეროზია). 2020-22 სამეურნეო წელს კულტურათა მონაცვლეობამ, თესლბრუნვებში პარკოსანი კულტურების მასიურმა ჩართვამ მოსავლიანობა გაზარდა 45-55%-ით, განსაკუთრებით თავთავიან კულტურებში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ფაოს-თან (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაცია) ერთად ერთწლიან თავთავიან კულტურებში დავნერგეთ ნიადაგის ნულოვანი (No-till) დამუშავებისა და თესვის ტექნოლოგია, რის შედეგადაც ფერმერთან აგროტექნიკაში და ენერგო-რესურსებში მოხდა 450 ლარის დაზოგვა 1 ჰა ფართობზე. რაც შეეხება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისგან ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების მაჩვენებლებს, ეს ცოტა ხანგრძლივი პროცესია და შედეგი დადგება თესლბრუნვის სრული ციკლის ჩამთავრების შემდეგ.

2. გეოპარკი არის დაცული ტერიტორია, რომელიც ხელს უწყობს გეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვას და ასევე იქ მცხოვრებთა ეკონომიკურ კეთილდღეობას. მთელს მსოფლიოში საკმაოდ დიდია დაინტერესება ე. წ. მწვანე ტურიზმითა და გეოტურიზმით, რაც გულისხმობს ვიზიტორების დაინტერესებას გეოლოგიური და გეომორფოლოგიური ობიექტებით. ამ მხრივ საინტერესოა გეოპარკები, გეოპარკების შესწავლა და გეოტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანია არა მარტო გეოლოგიური და გეომორფოლოგიური პროცესების შემეცნებისათვის, არამედ საზოგადოების მიერ სტიქიური საფრთხეების და მათი მექანიზმების გაცნობიერების და საბოლოო ჯამში, გარემოს უსაფრთხოებაზე ზრუნვის გაძლიერებისათვის. ასევე გეოტურიზმი საუკეთესო პრაქტიკაა მდგრადი განვითარებისა და მწვანე (მდგრადი) ტურიზმის განვითარებისთვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიო გეოპარკების ორგანიზაციასთან და ცდილობს მოახდინოს სხვადასხვა ტერიტორიების აღმოჩენა და მოვლა-პატრონობა. გეოპარკი იყენებს გეოლოგიურ მემკვიდრეობას ტერიტორიის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ყველა სხვა ასპექტთან დაკავშირებით, რათა გაძლიერდეს საზოგადოების წინაშე მდგარი ძირითადი საკითხები, როგორიცაა დედამიწის რესურსების მდგრადი გამოყენება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ასეთი ადგილების გამოვლენა, შესწავლა და შესაბამისი სტატუსის მიცემა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 2022 წელს პროექტის გეგმიდან გამომდინარე მოხდა სტუდენტების გაცვლა მონაწილე მხარეთა უნივერსიტეტებს შორის, ჩატარდა 2 დისტანციური სამეცნიერო კონფერენცია. 2022 წლის სექტემბრის თვეში პარტნიორმა უნივერსიტეტებმა საქართველოში ჩავატარეთ საზაფხულო სკოლა ყველა პარტნიორი სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაციების სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობით. იმის გამო, რომ 2021 წელს პანდემიის გამო პროექტის ფარგლებში აქტიური სამუშაოები არ ჩატარებულა, პროექტის ხანგრძლივობამ გადაიწია ერთი წლით – 2025 წლის ბოლომდე.

3. პროექტის მიზანია სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიული, კლიმატური და გარემოს შესახებ ინფორმაციის მოპოვება და რუკების შედგენა შემდეგ დაავადებებთან კავშირში: ციმბირის წყლული, ბრუცელოზი, ყირიმ-კონგო, შავი ჭირი და სხვ. ჩვენი სამეცნიერო ჯგუფის ამოცანა იყო შეგვეკრიბა ინფორმაცია საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური და ზოგადად გეოგრაფიული პარამეტრების შესახებ. ჩემი მოვალეობა როგორც ნიადაგების ექსპერტის იყო ამ დაავადებების გავრცელების კერებში ნიადაგების მორფოლოგიური, აგროქიმიური და ტოქსიკური ელემენტების გავრცელების შესახებ ინფორმაციის ექსელ-ფაილში მომზადება, რაც შვასრულე და გადავეცი პროექტის კოორდინატორს საქართველოში. იმის გამო, რომ 2021 წელს გლობალური პანდემიის გამო აქტიური სამუშაოები არ ჩატარებულა, პროექტი გახანგრძლივდა ერთი წლით.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. გიორგი მეტრეველი, ლია მაჭავარიანი, ზაზა გულაშვილი. “წყალსაცავების პოზიტივები და ნეგატივები”. ISBN 978-9941-9784-6-3, თბ., გამომცემლობა “სამშობლო”, 2022, 200 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მონოგრაფიის სახით, პირველად ეროვნულ პრაქტიკაში შეიქმნა ნაშრომი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი გახდება წყალსაცავის პროექტირებისას თავიდან ავიცილოთ მცდარი გადაწყვეტილებები წყალსაცავის ადგილისა და რეგულირების ტიპის შერჩევასთან დაკვშირებით დასახლებული პუნქტებისა და ინფრასტრუქტურის მიმართ. მიღებული შედეგები საფუძვლად დაედება წყალსაცავის ზღვრული მოსილვის მოცულობისა და ექსპლოატაციის ხანგრძლივობის მოდერნიზებულ ახალ საანგარიშო მეთოდს – წყალსაცავის უმნიშვნელოვანესი სამუშაო ინსტრუმენტის “დონეებისა და მოცულობების დამოკიდებულების მრუდის W=f(H)” სინქრონულ კორექტირებას. ამით ავიცილებთ წყალსაცავის ექსპლოატაციის თანმდევ ცდომილებას, რომელიც მუდმივად იზრდება და მზარდ შეცდომებს იწვევს სამოქმედო გეგმებში, რომლებიც წყალსაცავში აკუმულირებული წყლის მოცულობაზეა ორიენტირებული. ამჟამად მოქმედი მეთოდები არ ითვალისწინებენ შენაკადებში დალექილი ნატანის მოცულობებს, რაც გაანგარიშებული სიდიდეების უხეშ ცდომილებას იწვევს. პირველადაა გამოყენებული ახალი ტიპის მათემატიკური გამოსახულება I=f(Hk,Dm,Ri), რითაც გამოითვლება მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებაზე წყალსაცავის ზემოქმედების ალბათობა. ასეთი ფორმულები ასახავენ წყალსაცავის ზედა ბიეფში შენაკად(ებ)ის დახრილობის დამოკიდებულებას ნატანის მაქსიმალურ დიამეტრზე, ჰიდრავლიკურ რადიუსზე და კაშხლის წყალსაგდების ზღურბლის სიმაღლეზე. საველე და თეორიულ კვლევებთან ერთად, პირველად არის გამოყენებული განსხვავებულ გარემოში ნატურული ექსპერიმენტი სხვადასხვა ჰიდრორეჟიმის მქონე მთის მცირე მდინარეებზე ხელოვნური საგუბარების (მცირე წყალსატევების) სახით. ამით შესაძლებელი გახდა მოსილვის პრიზმის სივრცე-დროითი დინამიკის მონიტორინგი და განსხვავებული მეთოდოლოგიის შექმნა, მისი განვითარებისა და ზღვრული მოცულობის

განსაზღვრისათვის. წყალსაცავების ჰიდროლოგიაში მოსილვის პრიზმის შეფასების განსხვავებული მეთოდოლოგია საშულებას იძლევა პროექტირების პროცესში განისაზღვროს წყალსაცავის, ან კასკადის ზემოქმედების არე და კონფლიქტური ურთიერთობები მოსახლეობასთან, ინფრასტრუქტურასთან და სხვ., რაც პრაქტიკულად იგნორირებული იყო. ახლებურადაა გააზრებული წყალსაცავის არსებობის საბოლოო ფაზა, როდესაც წყალსაცავის მოსილვის პრიზმი ზღვრულ მოცულობას აღწევს (ანუ წონასწორული კალაპოტი იქმნება), მის ადგილზე კი აკუმულაციური ტერასა ყალიბდება, განვითარებული ნიადაგური და მცენარეული საფარით. კვლევებმა განაპირობა მთის მდინარეების ნატანის გენეზისის, ტრანსპორტირებისა და აკუმულაციის პროცესების ახლებური შეფასება და ნატანის ბალანსის განტოლების შექმნა.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Metreveli G., Matchavariani L., Alaverdashvili M., Rekhviashvili Sh., Tsintsadze N. Modern Method of Analysis of the Factors of Catastrophic Floods on the Caucasus Mountain Rivers. BULLETIN of the Georgian National Academy of Sciences, ISSN: 0132-1447, vol. 16(1), 2022, 48-55

2. გ. მეტრეველი, ლ. მაჭავარიანი, ნ. კარანაძე. ჭოროხის წყალსაცავების კასკადით ბათუმის ზღვისპირში შექმნილი პრობლემების სარეალიზაციო მეთოდიკა. საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების (სგს) შრომები, სერია III (XXI), 12 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომის მიზანია წყალმოვარდნების ზალპური ტალღების გამოკვლევა. კვლევის ობიექტებად შერჩეული იყო სიდიდითა და წყლიანობით მკვეთრად განსხვავებული მდინარეების – რიონისა და ვერეს კატასტროფული წყალმოვარდნები, რომელთა სცენარებში შეგუბების კოლაფსით წარმოქმნილი ზალპური ტალღის თვისებებია გამოკვეთილი. კვლევებისათვის გამოყენებულია: მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები (ანალოგიის, უმცირეს კვადრატთა), “მაღალი წყლის დონის” (მწდ) მეთოდი

და წყლის სიჩქარეთა საანგარიშო მეთოდები და მოდერნიზებული საანგარიშო გამოსახულებები. რიონის 2020 წლის ივლისის წყალმოვარდნის მიზეზი იყო ძლიერი წვიმით პროვოცირებული მეწყერი და ფირნის დეგრადაცია. ვერეს კატასტროფული წყალმოვარდნა თბილისის გვირაბებს უკავშირდება, რადგან მათ ვერ გაატარეს ფიტონატანით გაჯერებული ჩამონადენი. მთის მდინარის წყალმოვარდნის კატასტროფულობის ხარისხს და სიხშირეს განსაზღვრავს იშვიათი განმეორების ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების ერთობლიობა. წყალმოვარდნა კატას-ტროფულ ხასიათს იღებს, როცა ნაგებობის კონსტრუქციული პარამეტრები არ შეესაბამება ადიდებული მდინარის შეგუბების კოლაფსით წარმოქმნილი ზალპური ტალღის პარამეტრებს.

2. მდინარის ნატანის ხანგრძლივად გადაკეტვა წყალსაცავის მიერ, ზღვისპირში პლაჟამგები მასალის პერმანენტულ დეფიციტს იწვევს. პროცესი გრძელდება ვიდრე წყალსაცავში დალექილი ნატანი ზღვრულ სიდიდეს მიაღწევს და მდინარე ნატანის ტრანსპორტირების საწყის უნარს აღიდგენს. პროცესის ხანგრძლივობა დამოკიდებულია წყალსაცავის რეგულირების ტიპზე, მისი მოცულობისა და ნატანის წლიური მოცულობის ფარდობაზე. სანაპიროს დამცავი პლაჟები ნატანის დეფიციტის, ნაპირ-გასწვრივი მიგრაციისა და ცვეთის გამო, პერმანენტულად მცირდება და ხშირად, კოლაფსითაც მთავრდება. ასეთი გარემოება კახაბრის ვაკეზე შეიქმნება. სანაპიროს ზღვა სრული განადგურებით დაემუქრა მას შემდეგ, რაც მდ. ჭოროხისა და აჭარისწყლის ნატანი, ექვსი წყალსაცავისგან შექმნილმა კასკადმა გადაკეტა. იმის გათვალიწინებით, რომ ამ სანაპიროდან ზღვა ყოველწლიურად პლაჟამგებ მასალასაც იტაცებს, დაბლობს სრული აბრაზიული კოლაფსი ემუქრება. პროცესები ვითარდება ზღვის მზარდი აქტივობის, გეოლოგიური, ურბანული და კლიმატური ფაქტორების ფონზე. მათი ვექტორების მიმართულების შესაბამისად, იგი ძლიერდება, ან სუსტდება. წყალსაცავის ზემოქმედების არეში მდებარე ზღვისპირის დინამიკის გრძელვადიანი პროგნოზისათვის გამოყენებულია მეთოდიკა, რომელიც რეგიონში მოქმედი ფაქტორების საკვლევ მეთოდებს აერთიანებს. მისი გამოყენებით შესაძლებელია წყალსაცავის ზღვისპირზე ზემოქმედების ხანგრძლივობის გაანგარიშება და იმ ვადის დაზუსტება, თუ როდის უნდა მოიძებნოს ნატანის ალტერნატიული წყარო და მოეწყოს ნატანით სანაპიროს პერმანენტული შევსების კონვეირი.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Matchavariani, L., Metreveli G. Methodology for the implementation of problems caused by reservoirs on the Seashore. RTA: "Reliability: Theory and Applications", USA, ISSN 1932-2321, #4(70), Vol. 17, 2022, 227-234
http://www.gnedenko.net/Journal/2022/SI_042022/RTA_SI%204%20(70)%202022_RISK-2022.pdf
http://www.gnedenko.net/Journal/2022/SI_042022/RTA_SI_4_2022-25_227-234.pdf
DOI: https://doi.org/10.24412/1932-2321-2022-470-227-234

1. **“გლიკოზილამინების წარმოებულების სინთეზი - ბიოლოგიურად აქტიური პრეპარატების ძიების ახალი გზა“ -სინთეზირებული ნაერთების სავარაუდო ბიოლოგიური აქტივობის შესწავლა PASS(Prediction of Activity Spectra for Substances) პროგრამით“**
2. **„ჟანგბადის შემცველი ახალი ტიპის მონოსაქარიდების წარმოებულების სინთეზი“**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **ასოც.პროფ. ნელი სიდამონიძე - ხელმძღვანელი**
2. **პროფ. რ.გახოკიძე - ხელმძღვანელი**
3. **რ. ვარდიაშვილი**
4. **მ. ნუცუბიძე**

5. ქეთევან ონაშვილი
6. ლევან სამარგულიანი
7. თამარ გელოვანი
8. მაია თათარიშვილი

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. N-გლიკოზილამინებმა და მისმა წარმოებულებმა მეცნიერების დიდი ყურადღება დაიმსახურადა სამედიცინო პრაქტიკაში მათი გამოყენება აქტუალური გახდა. N-გლიკოზიდებს იყენებენ მედიცინაში ცენტარალური ნერვული სისტემის სტიმულატორად, მედიატორებად, ასევე სოფლის მეურნეობაში მას მოიხმარენ მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის ნაერთების სინთეზი, სინთეზის მეთოდების დამუშავება და შესწავლა.

ჩვენი სამუშაოს მიზანი იყო ისეთი N-გლიკოზიდების სინთეზი რომლებიც ციკლში შეიცავენ ბენზოლის ბირთვს. როგორც ცნობილია ბენზოლის ბირთვის შემცველი ნაერთები საინტერესოა ფიზიოლოგიური აქტიურობის მხრივ: პ-ამინობენზოის მჟავა წარმოადგენს ტუბერკულიოზის სამკურნალო ძვირფას პრეპარატს, პ-ამინოსალიცილის მჟავა გამოიყენება როგორც ვიტამინი, აღსანიშნავია ასევე პ-ამინობენზოის მჟავას წარმოებულები: ანესთეზინი, ნოვოკაინი, სტრეპტოციდი და სხვა. სწორად ამიტომ ბიოორგანული ქიმიის კათედრაზე აქტიურად მიმდინარეობს N-გლიგლიკოზიდების და მისი წარმოებულების სინთეზი.

2022 წელს ბიოორგანული ქიმიის კათედრაზე **დაცული იქნა 2 სამაგისტრო ნაშრომი** და ამჟამად კათედრაზე გრძელდება კვლევით პროცესები, სადაც ჩართულია **4 დოქტორანტი და 5 მაგისტრანტი:**

მაგისტრანტები:

1. **მარიამ არჩვაძე**
2. **არამ ბაზიკიანი,**
3. **სალომე ბიბიაშვილი,**
4. **მიხეილ დიაკონიძე,**
5. **ნანა სხირტლაძე**

2022-ში მაგისტრანტების მიერ დაცული სადიპლომო ნაშრომები:

1. **აწზორ აბესაძე** - "β-O-(2-ქლორ-3-ტრიმეთილსილილპროპილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზის სინთეზი"

   ხელმძღვანელები: ასოც.პროფ. ნელი სიდამონიძე

ქიმ.მეცნ.კანდ. მაია ნუცუბიძე

ანოტაცია: სილიციუმის შემცველი ნაერთები განსაკუთრებულ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცოცხალი ორგანიზმის მიმართ. კერძოდ, მრავალი უმაღლესი მცენარისთვის, დაფიქსირებულია სილიციუმის მაღალი შემცველობა; ასევე სილიციუმის ნაერთები ასრულებენ ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციებს უმაღლესი ცხოველების და ადამიანის სხეულშიც, მიუხედავად იმისა, რომ მათი ორგანოების უმეტესობაში ამ ელემენტის შემცველობა შედარებით მცირეა. ამასთან, სილიციუმის ატომის შეყვანამ ცნობილ სამკურნალო პრეპარატებში შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს პრეპარატის მოქმედების ხასიათი, რიგ შემთხვევებში კი შესძინოს მათ ახალი თვისებები.

β-O-ალილ-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზის კონდენსაციით ტრიმეთილ-ქლორსილანთან კატალიზატორის დიკუმილის ზეჟანგის თანაობისას, **პირველად იქნა სინთეზირებული** β-O-(2-ქლორ-3-ტრიმეთილსილილპროპილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზა რეაქცია. განხილულია ინიციატორის, დიკუმილის პეროქსიდის სავარაუდო მექანიზმი, რომელიც მიმდინარეობს დიკუმილის **ჰომოლიტურ დაშლაში** ორი რადიკალური ფრაგმენტის წარმოქმნით. სინთეზირებულ ნაერთთა აღნაგობა დადგენილ იქნა კვლევის ფიზიკო–ქიმიური მეთოდებით, კერძოდ, განსაზღვრულ იქნა ხვედრითი ბრუნვა $[\alpha]_D^{20}$ პოლარიმეტრული მეთოდით; თხელფენოვანი ქრომატოგრაფიით - R_f გადაადგილების კოეფიციენტი, ბმრ ^{13}C - და ^1H ბმრ სპექტრომეტრებით.

2. **ლაშა ლალიაშვილი** - „N-Si-ბმის შემცველი გლუკოპირანოზის სინთეზი და სინთეზირებული ნაერთის შესაძლო ბიოლოგიური აქტიურობის პოტენციალის შესწავლა“

   ხელმძღვანელები: პროფ. რამაზ გახოკიძე
   ქიმ.მეცნ.კანდ. რუსუდან ვარდიაშვილი

ანოტაცია: ბიოლოგიურად აქტიური ორგანული ნაერთების მოდიფიკაციისათვის გლიკოზიდების გამოყენებამ შეიძლება შეცვალოს ერთის მხრივ მათი ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მოქმედება, ხოლო მეორეს მხრივ – შეამციროს მათი ტოქსიკურობა

ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა სილიციუმის შემცველი N-გლუკოზილამინის სინთეზის ახალი მეთოდის დამუშავება და მიღებული ნაერთის შესაძლო ბიოლოგიური აქტივობის პოტენციალის დადგენა.

პირველ ეტაპზე მიღებულ იქნა 1,2,3,4,6-პენტა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზა, რომლის ურთიერთქმედებით p-ამინობენზოის მჟავას ეთილის ესთერთან (ანესთეზინი) სინთეზირებულ იქნა β-N-(p-ამინობენზოის მჟავას ეთილესთერილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზილამინი. ამ უკანასკნელის ურთიერთქმედებით ტრიმეთილქლორსილანთან, თუთიის ფხვნილის თანაობისას ჩვენს მიერ პირველად იქნა სინთეზირებული β-N-(p-ამინობენზოის მჟავას ეთილესთერილ)-N-ტრიმეთილსილილ-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზილამინი. სინთეზირებულ ნაერთთა აღნაგობა დადგენილ იქნა კვლევის ფიზიკო–ქიმიური მეთოდებით, კერძოდ, განსაზღვრულ

იქნა ხვედრითი ბრუნვა $[\alpha]_D^{20}$ პოლარიმეტრული მეთოდით; თხელფენოვანი ქრომატოგრაფიით - R_f გადაადგილების კოეფიციენტი, ბმრ ^{13}C - და ^1H პმრ სპექტრომეტრებით.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. **"აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად ეკოლოგიურად სუფთა საშუალებათა გამოყენების სტრატეგია"**

1. 2. პროექტის დაწყების და დამთავრების წლები 2017-2022
2. პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფ.რ.გახოკიძე- **პროექტის ხელმძღვანელი**

2. **ამირან ფიცხელანი - მოწვეული ლაბორანტი, ბიოლ. მეცნ. დოქტორი**

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აზიურმა ფაროსანამ უდიდესი ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას, განადგურდა თხილის პლანტაციები,სიმინდის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავალი.გადარჩენილ ნაყოფთა (მაგ. თხილის)ნაწილი, ქიმიური პრეპარატების გამოყენების გამო, კვებისთვის უვარგისია, რასაც ადასტურებსევროპაში ექსპორტირებულ თხილზე ჩატარებული სანიტარულ-ჰიგიენური ექსპერტიზა. მავნებელმა მწერმა და, მით უმეტეს, მის საწინააღმდეგოდ გამოყენებულმა პესტიციდებმა გამოიწვია მთელი რიგი, მაგალითად, მიკოტოქსიკური, დაავადებების წარმოშობა, რაც ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იმყოფება. მწერების შემოსევამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო და დიდი სისწრაფით ვრცელდება ქვეყანაში. მავნებელი მწერების პოპულაციების მრავალჯერად გაზრდას ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებები (მაგალითად, გლობალური დათბობა), ტყის ხანძრები და სხვა ფაქტორები.

თსუ-ის ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებულია ახალი სტრატეგია აზიური ფაროსანას (და მცენარეთა სხვა მავნებლების) წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ეფუძნება მათ მიერ ჩატარებულ ფუნდამენტურ გამოკვლევებს ბიოორგანული ქიმიის, ბიოფიზიკის და გენეტიკის სფეროში.

1. დაავადებების, მავნებლების და სხვა არახელსაყრელი ფაქტორების ზემოქმედების მიმართ მცენარეთა არასპეციფიკური რეზისტენტობის გაზრდა და ადჰეზიის შემცირება ბიოენერგოაქტივატორების საშუალებით;
2. მავნებელი მწერის ქიტინური ჯავშნის დაშლის ოპტიმალური პირობების შემუშავება, რაც მნიშვნელოვნად გააიოლებს დეზინფექციას;

3. იმ ფერმენტთა აქტიურობის შემცირება, რომლებიც აქვეითებს პესტიციდების დეზაქტივაციას მწერის ორგანიზმში;
4. ახალი თაობის რეპელენტების შექმნა და გამოყენება;
5. ბუნებრივ პოპულაციათა შესამცირებლად წერის გენერაციულ ორგანოებსა და სასქესო უჯრედებში ცვლილებების გამოწვევა ქიმიური და ფიზიკური აგენტების – ქემოსტერილიზატორების (ახალი ტიპის ანტიმეტაბოლიტები, მწერის ჰორმონთა ანალოგები და სხვ.), მიკროტალღური გამოსხივების და ჰიდროოზონაციის მეთოდებისგ ამოყენებით.
6. ადამიანის და გარემოს მიმართ უვნებელი პრეპარატების შექმნა და მათი საშუალებით აზიური ფაროსანას სელექციური ლიკვიდაცია.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. **რამაზ გახოკიძე. მიღებული აქვს 2 პატენტი.**

2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ლალი ტაბატაძე, ნელი სიდამონიძე. სახელმძღვანელო **<ორგანული ქიმიის პრაქტიკუმი>,** მე-2 გადამუშავებული გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2022 წ. გვ. 256. *(ბეჭდვის პროცესში)*

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. ორგანული ქიმიის პრაქტიკუმი შედგენილია ორგანული ქიმია I, ორგანული ქიმია II საუნივერსიტეტო კურსის პროგრამის შესაბამისად. წიგნში მოტანილი მასალა სრულიად ასახულია საგნის სილაბუსში. პრაქტიკული ნაწილის თითოეულ თავს ერთვის საკითხის მოკლე თეორიული მიმოხილვა და დეტალურად არის აღწერილი ექსპერიმენტის მსვლელობა.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის და ქიმიის მიმართულების სტუდენტებისათვის. წიგნი დაეხმარება სტუდენტებს ორგანული ქიმიის სრული კურსის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძვლიანად დაუფლებაში, ლაბორატორიაში მუშაობისას ორგანულ ნაერთთა ძირითადი კლასების გაცნობაში და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. R.Gakhokidze. Mining-Related Pollution and Ecological Risk Factors in South—Eastern Georgia. – Sustainability, 2022, v.14, Issue 9, p.5621-5636.

2. R.Gakhokidze. Influence of Biostimulanbs on the Cadmium, Zinc and Copper Accumulation Potential of the Sugar Beet (Beta vulgaris) and Analysis Anova and Accumulation

Coefficient. – Corpation Journal of Earth and Environ –mental Sciences, 2022, v.17, N1, p.140-157.

3. R.Gakhokidze. About of the Rotation Mechanisms of the Molecular "Motors", - Advanced Materials, Polymers and Composites. New Research on Properties, Techniques, and Applications. New-York, Paris, 2022, p.407-415

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. 1. *N. N. Sidamonidze, R. A. Gakhokidze, R. O. Vardiashvili, and M. O. Nutsubidze* Synthesis and Investigation of Environmentally Friendly Silicon-Containing Carbohydrates Derivatives. Tailored Functional Materials for Clean and Sustainable Development. Part 23, 2022
ISBN: 9781774913659

2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Neli Sidamonidze, Ramaz Gakhokidze, Rusudan Vardiashvili, and Levan Samarguliani Synthesis and Quantum–Chemical Investigation of Some New Types of 1,2- Trans-Glycosides. **Environmental Technology and SustainabilityPhysical, Chemical and Biological Technologies for Environmental Protection** Part.22, 2022.

2. N.N. Sidamonidze, L.V. Tabatadze, R.O. Vardiashvili; The condensation reactions of 1-chloro 2,3,4-tri-O-acetyl-α-L-arabinopyranose and 1-chloro-2,3,4-tri-O-acetyl-α-L-rhamnopyranose with α-pyrrolidone and ε-caprolactame. J. <Oxidation Communications>; IF 0,54. Bulgaria. Vol. 45 (4) 2022. ***(ბეჭდვის პროცესში)***

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. α-ქლორო-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-α-D-გლუკოპირანოზის და α-ქლორო-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-α-D-გალაქტოპირანოზის კონდენსაციითს რეაქცია 4,4,8,8-ტეტრამეთილ-2,3,6,7-დიბენზო-9-ოქსაბიციკლო-(3,3,1)-ნონან-1-N-ტრიპტამინ-5-ოლთან, 4,4,8,8- ტეტრამეთილ-2,3,6,7-დიბენზო-9-ოქსაბიციკლო-(3,3,1)-ნონან-1-N-5-მეთოქსიტრიპტამინ-5-ოლთან და 4,4,8,8-ტეტრამეთილ-2,3,6,7-დიბენზო-9-ოქსაბიციკლო-(3,3,1)-ნონან-1-N-4-მეთილთიაზოლილეთილამინო-5-ოლთან, პირველად იქნა შესწავლილი კატალიზატორის - ვერცხლის კარბონატის თანდასწრებით. ექსპერიმენტის შედეგად მიღებულია შესაბამისი დიბენზოოქსაბიციკლო-ამინოშემცველი 1,2-ტრანს-გლუკოზიდები. მათი აგებულება განისაზღვრა ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით.რეაქციის მიმართულების თეორიული დასაბუთების მიზნით ჩატარდა კვანტურ-ქიმიური გამოთვლები.
2. 1-0-ალილ-2,3,4-ტრი-O-აცეტილ-β-L-არაბინოპირანოზის ჰიდროსილილაციით 1,3-ბის(დიმეთილსილილ)-2,2,4,4-ტეტრამეთილციკლოდისლაზანთან კატალიზატორის - $Co_2(CO)_8$ თანდასწრებით მივიღეთ 1,3-ბის[3-(2,3,4-ტრი-O-აცეტილ-β-L-არაბინოპირანო-ზილოქსი)პროპილდიმეთილსილილ]-2, 2,4,4-ტეტრამეთილ-ციკლოდისილაზანი. რეაქცია ჩატარდა მშრალ ქლოროფორმში მოლური თანაფარდობით 3:1 60-65^{0}C ტემპერატურაზე. რეაქციები ძირითადად მიმდინარეობს ფარმერის წესით, თუმცა მცირე რაოდენობით არის მარკოვნიკოვის დანამატის პროდუქტიც. მიღებული ნაერთების სტრუქტურა დადგინდა ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრა, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. გარდამავალი
SMART|AtmoSIM_LAB , 2019-2022.
გიორგი ჯიბუტი - პროექტის ხელმძღვანელი
ბეჟან ჭანკვეტაძე- სამეცნიერო კონსულტანტი ქიმიის სფეროში
რამაზ ბოჭორიშვილი- სამეცნიერო კონსულტანტი მოდელირების სფეროში

ანოტაცია

COVID პანდემიის გამო და ფაკულტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით ლაბორატორიული სივრცის აუდიტორიად გადაკეთების გამო პროექტის ფარგლებში კვლევები მნიშვნელოვნად იქნა შეზღუდული, ჩატარდა კვლევები პორტატული აპარატურის გამოყენებით და ერთმანეთს შეუდარდა ლაბორატორიული კლასის და სენსორული კლასის მიკრონაწილაკების მთვლელები, შედეგებმა აჩვენა, რომ იაფფასიანი სენსორული მთვლელების მონაცემები ახლოსაა ლაბორატორიული ხელსაწყოს მონაცემებთან

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. მანგანუმით დაბინძურებული ნიადაგების შესწავლა მდინარე ყვირილას აუზში და შესაძლო ფიტორემედიაცია Phytolacca americana-სა და Polygonum hydropiper-ის საშუალებით. PHDF-22-405. 2022-2024.

   პროექტის ხელმძღვანელი - ბეჟან ჭანკვეტაძე
   ძირითადი შემსრულებელი - რუსუდან ცინცაძე

   ანოტაცია

მანგანუმი (Mn) დედამიწის ქერქის დაახლოებით 0.1%-ს შეადგენს. იგი ბუნებაში გვხვდება მინერალების სახით და ასზე მეტი მინერალის შემადგენელი კომპონენტია. მანგანუმის ყველაზე გავრცელებული და კომერციული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი მინერალია პიროლუზიტი (MnO2). გარემოს ობიექტებში (ნიადაგი, წყალი, ჰაერი, მცენარეები და სხვა) მანგანუმის შემცველობა განსხვავებულია. ანთროპოგენურმა დაბინძურებამ (მანგანუმის შემცველი მადნების მოპოვება, მანგანუმის შენადნობების წარმოება, მანგანუმით მდიდარი ჩამდინარე წყლების წყალსაცავებში ჩაშვება და სხვა) მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოახდინოს მანგანუმის ბუნებრივ შემცველობებზე.

მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი მანგანუმის საბადო და უმსხვილესი Mn-ის მაღაროები მდებარეობს საქართველოს რესპუბლიკაში, ქალაქ ჭიათურაში. ადრეულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჭიათურაში მდებარე მდინარე ყვირილას წყლები, განსაკუთრებით მისი ქვედა ნაწილი, დაბინძურებულია არა მხოლოდ მანგანუმით, არამედ სხვა მძიმე ლითონებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ მდინარეში ჩაედინება სამრეწველო ნარჩენები. ადგილობრივი მოსახლეობისთვის რისკი განსაკუთრებით დიდია, რადგან ეს ტერიტორიები ამჟამად აქტიურად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ბოსტნეულის, ასევე საძოვრების გასაშენებლად. ეს სერიოზულად ზრდის დაბინძურებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კვების ჯაჭვში შეღწევის რისკს.

პროექტის უპირველესი მიზანია, ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში მდებარე მდინარე ყვირილას მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებში, მძიმე ლითონების შემცველობის სისტემატური გაზომვა (აქცენტი Mn-ზე) ორი ხელსაწყოს ატომურ-აბსორბციული სპექტროფოტომეტრის და მიკროტალღური პლაზმის ატომურ-ემისიური სპექტრომეტრის საშუალებით. მიღებული მონაცემების საფუძველზე კი ნიადაგის დაბინძურების წინასწარი რუკის შედგენა, რომელიც უნდა გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რათა გაიზარდოს დაბინძურებული ნიადაგების გამოყენებით გამოწვეული ჯანმრთელობის რისკის შესახებ ინფორმაცია.

პროექტის ალტერნატიული მიზანია, მძიმე მეტალების შემცველობის შეფასება ადგილობრივი წარმოშობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებშიც (კულტურები, ბოსტნეული, რძე და შინაური ცხოველების ხორცი). საბოლოო ჯამში, შეიძლება ჩატარდეს წინასწარი კვლევები ბიოლოგიურ ნიმუშებზე (სასურველია შარდის, ნერწყვისა და თმის) ადგილობრივი წარმოშობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზემოქმედების შედეგად.

პროექტის საბოლოო მიზანია, წინასწარი ექსპერიმენტების ჩატარება დაბინძურებული ნიადაგების ფიტორემედიაციის მიზნით. სამეცნიერო ლიტერატურაში ორი მცენარე, კონკრეტულად Phytolacca americana და Polygonum hydropiper აღწერილია, როგორც Mn-ის ჰიპერაკუმულატორები. აღნიშნული მცენარეები შეიძლება სასარგებლო იყოს დაბინძურებული ნიადაგებისთვის, რომლებიც შეიცავს Mn-ის ოდნავ გაზრდილ კონცენტრაციებს, მაგრამ ჯერ არ არის შესწავლილი იმ ექსტრემალურ პირობებში, რაც ჩვენ აღმოვაჩინეთ ზემოთ აღნიშნულ ნიადაგებში. ამიტომ, თავდაპირველად ინტენსიური კვლევები ჩატარდება ლაბორატორიულ პირობებში, რათა შეფასდეს ამ კონცეფციის გამოყენება ჩვენს რეალობაში. იგეგმება ასევე საველე ექსპერიმენტის ჩატარდება ადგილზე (კონტამინირებულ ნიადაგებზე).

2. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო გრანტით დაფინანსებული პროექტი.

   ახალი ჰალოგენირებული პოლისაქარიდზე დაფუძნებული ქირალური სტაციონარული ფაზების დიზაინი, მომზადება და გამოყენება თხევად ფაზურ ენანტიომერულ დაყოფებში. CNR-19-075. 2021-2023.

გიორგი ჯიბუტი - პროექტის ხელმძღვანელი
გიორგი კობიძე - მკვლევარი
თამარ ხატიაშვილი - მკვლევარი

ანოტაცია

პროექტისთვის მომზადდა ოპტიმიზირებული იმობილიზებული ამილოზას სვეტი, კერძოდ ამილოზა ტრის 3,5 დიმეთილფენილკარბამატი, სვეტების თვისებების კვლევისთვის საანალიზო ნივთიერებებად ავიღეთ ფეროცენის ორი ქირალური ნაწარმი, მოძრავ ფაზად გამოყენებული იქნა შემდეგი შემადგენლობის გამხსნელები; აცეტონიტრილი 100%, აცეტონიტრილი 90% : წყალი 10% (მოცულობითი), აცეტონიტრილი 80% : წყალი 20% (მოცულობითი); აცეტონიტრილი 70% : წყალი 30% (მოცულობითი); აცეტონიტრილი 60% : წყალი 40% (მოცულობითი). წყლის შემცველობის ზრდა იწვევს ენანტიომერების დაყოფის დროის მკვეთრ ზრდას 40 დან 300 წუთამდე.

ენანტიომერული დაყოფების თერმოდინამიკური პარამეტრების შესასწავლად ანალიზები ჩატარდა სხვადასხვა ტემპერატურაზე 10-დან 60 °C-მდე 10°C ბიჯით გამხსნელად სუფთა აცეტონიტრილის გამოყენებით. ქრომატოგრამებზე დაყრდნობით გამოითვალა დაყოფის ფაქტორები ორივე ენანტიომერისთვის და დაყოფის სელექტრიურობა შემდეგ კი გიბს-ჰელმჰოლცის და ვანტ-ჰოფის განტოლებების აიგო მრუდები ენთალპიის და ენტროპიის გამოსათვლელად.

ანალოგიური ანალიზები ჩატარდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოძრავი ფაზების შემთხვევაში.

კვლევებმა აჩვენა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევებში ენანტიომერული დაყოფები მიმდინარეობს უმეტესად ენთალპიური კონტროლით. მოსალოდნელია, რომ მაღალ ტემპერატურაზე პროცესზე კონტროლი ექნება ენტროპიას, თუმცა ეს ტემპერატურა იმდენად მაღალია, რომ მისი გამოყენება მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიაში ვერ მოხერხდება.

3. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო გრანტი.

„ახალი ქირალური ჰიდანტოინების და ფენოთიაზინის ნაწარმების სინთეზი და მათი ენანტიომერული დაყოფის შესწავლა მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიაში"

პროექტის კოდი: **CNR-19-127**

ვადები: 2021-2022 წწ.

პერსონალი:

ბეჟან ჭანკვეტაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

რუსუდან კაკავა (ძირითადი თანამშრომელი)

იზა მათარაშვილი (ძირითადი თანამშრომელი)

ანოტაცია: მიმდინარე პროექტის მიზანს წარმოადგენს ენანტიოსელექტივობასა და ქირალური ნივთიერების/ქირალური სელექტორის ქიმიურ სტრუქტურას შორის კავშირის დადგენის მიზნით, სტრუქტურული თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო ქირალური ჰიდანტოინების და ფენოთიაზინის ნაწარმების სინთეზი და მათი ენანტიომერული დაყოფის შესწავლა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიით ქირალური სტაციონალური ფაზების გამოყენებით. გამოვლენილი იქნება კავშირი ნივთიერების, სტაციონალური და მოძრავი ფაზების სტრუქტურასა და ენანიოსელექტივობას შორის.

4. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო გრანტი.

   პროექტის კოდი: **CNR-22-259**
   ვადები 2023-2024 წლები

„ენანტიომერების თხევად-ფაზური დაყოფის მექანიზმების და არაკოვალენტური ურთიერთქმედებების ექსპერიმენტული და თეორიული კვლევა“

გიორგი ჯიბუტი - პროექტის კოორდინატორი საქართველოს მხრიდან
გიორგი კობიძე - მკვლევარი
თამარ ხატიაშვილი - მკვლევარი

ანოტაცია:

ბოლო დროს, გაიზარდა ინტერესი ფეროცენების პლანარული ქირალური ნაწარმების მიმართ მეცნიერების სხვა დარგებშიც, როგორებიცაა სამედიცინო ქიმია, ქიროპტიკური სპექტროსკოპია და ელექტროქიმია. ფეროცენის ქირალური ნაწარმების სინთეზისთვის, დროთა განმავლობაში დამუშავდა ასიმეტრიული სინთეზის ეფექტური მეთოდები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ასიმეტრიული სინთეზის წარმადობა ძალიან დაბალია. ამდენად თხევადფაზურმა ენანტიომერულმა დაყოფებმა შესაძლოა კვლავ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ამ დარგში. თუმცა, ენანტიომერების დაყოფის მეცნიერებებში ეს მეტალოცენები არ ყოფილან კარგად გამოკვლეული და სისტემატური ანალიზური კვლევების ძალიან მცირე რიცხვია ამ მიმართულებით.

ამ პროექტის ფარგლებში ქართული და იტალიური ჯგუფები გააერთიანებენ თავიანთ გამოცდილებას თეორიულ (იტალიური ჯგუფი) და ექსპერიმენტულ (ქართული ჯგუფი) ანალიზებში, არილ და ჰალოგენ ჩანაცვლებული ფეროცენის ქირალური ნაწარმების ენანტიომერების დაყოფების ახალი მეთოდების განვითარებაში და შეისწავლიან ამ დაყოფებთან დაკავშირებულ მოლეკულური გამოცნობის მექანიზმებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გაფართოებული π-ღუბლის შემცველი ფეროცენის პლანარული ქირალური ნაწარმების ენანტიომერების დაყოფაზე მოძრავი ფაზის გავლენას.
ამ პროექტის მთავარი მიზანია მოლეკულური გამოცნობის სფეროში ნათლად წარმოაჩინოს თუ როგორია π-ღუბლის, როგორც გამომცნობის როლი მრავალ-სხეულიანი ურთიერთქმედებების დროს ქირალურ დაყოფებში.

უნდა აღინიშნოს, რომ წყალბადური ბმის გავლენა ენანტიომერების დაყოფაზე მესქ მეთოდით კარგად ცნობილია, თუმცა π-ღუბლების, როგორც გამომცნობის წვლილი ჯერ კიდევ საჭიროებს სრულყოფილად შესწავლას.

2.2. დასრულებული პროექტი

GFI-2022 შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსი 2022.

„ციკლოდექსტრინების მიერ ქირალურ ნივთიერებებთან ენენტიოსელექტიური კომპლექსების წარმოქმნის მექანიზმების კვლევა იზოთერმული ტიტრაციის კალორიმეტრული მეთოდით“.

ანოტაცია

ციკლოდექსტრინები ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მაკროციკლური კომპლექსის წარმომქმნელ აგენტებს წარმოადგენენ. ეს მოლეკულები აერთიანებენ რამდენიმე უნიკალურ თვისებას, რაც მათ საშუალებას აძლევთ გადაჭრან ქიმიური სამეცნიერო კვლევების წინაშე მდგარი რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, ასევე მნიშვნელოვანი გამოყენება ჰქონდეთ ინდუსტრიაშიც. დღეისათვის ციკლოდექსტრინები და მათი ნაწარმები აქტიურად გამოიყენება ანალიზურ ქიმიაში (დაყოფის მიმართულებით), ფიზიკურ ქიმიაში (მოლეკულათშორისი ურთიერთქმედებების შესასწავლად , ორგანულ ქიმიაში (კატალიზი), სუპრამოლეკულურ ქიმიაში, მასალების და ფარმაცევტულ ინდუსტრიაში (ჰიდროფობური პრეპარატების წყალში ხსნადობის გასაუმჯობესებლად, არასასიამოვნო გემოს და სუნის შესანიღბად და ა.შ.). ჩვენი ჯგუფი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ-ერთ წამყვანი ჯგუფია მსოფლიოში ციკლოდექსტრინების მიერ მოლეკულათშორისი ენანტიოსელექტიური კომპლექსების წარმოქმნის კვლევის მიმართულებით ქირალურ ნივთერებებთან კაპილარული ელექტროფორეზის, ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის და მოლეკულური მოდელირების გამოყენებით. კაპილარული ელექტროფორეზი დაყოფის მაღალი ეფექტურობის გამო ყველაზე მგრძნობიარე მეთოდია სუსტი ენანტიოსელექტიური ეფექტის დასანახად მოლეკულათშორისი ურთერთქმედების დროს. არც ერთ სხვა დაყოფისა თუ არა დაყოფის მეთოდი მსგავსი შესაძლებლობით არ ხასათდება. მეორეს მრივ ბირთვულმაგნიტური რეზონანსის სპექტროსკოპია (ბმრ) წარმოადგენს ყველაზე მძლავრ მეთოდს ციკლოდექსტრინის მიერ ხსნარში წარმოქმნილი კომპლექსების სტრუქტურების შესასწავლად, გარდა ამისა, ეს მეთოდი გვაძლევს დამატებით ინფორმაციას კომპლექსის სტექიომეტრიისა და ასოციაციის მუდმივას შესახებ. ჩემს სადოქტორო ნაშრომში, ვიყენებდი კაპილარულ ელექტროფორეზს, ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსსა და მოლეკულურ მოდელირებას, რათა შემესწავლა ციკლოდექტრინების მიერ

ქირალურ ნივთიერებებთან ენანტოსელექტიური კომპლექსების წარმოქმნის მექანიზმები. ეს მეთოდები ასევე მაძლევდა საშუალებას მიმეღო არაპირდაპირი ინფორმაცია თერმოდინამიკური ერთეულების შესახებ, როგორებიც არის, კომპლექსის გიბსის თავისუფალი ენერგია, ენთალპია და ენტროპია (მათი ტემპერატურაზე დამოკიდებულების საშუალებით). თუმცა მიკროკალორიმეტრია თერმოდინამიკური ერთეულების შესწავლის საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მცირე ენერგეტიკული ეფექტების შესასწავლად, როგორიც ციკლოდექსტრინისა და ქირალური ნივთერების ენანტიოსელექტიურ ურთიერთქმედებას ახასიათებს, ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა იზოთერმული ტიტრაციის კალორიმეტრია (ITC). ITC უკვე წლებია ამ მიზნით გამოიყენება რამდენიმე სამეცნიერო ჯგუფის მიერ. თუმცა ამ კვლევების შედეგად მიღებული შედეგები არ არის შემოწმებული სხვა ალტერნატიული მეთოდების საშუალებით. ამ კონკრეტული კვლევის მიზანს სწორედ ეს წარმოადგენს, ჩვენს მიერ გამოყენებული კვლევების პორტფოლიოს დავამატოთ იზოთერმული ტიტრაციის კალორიმეტრია, რათა მივიღოთ უფრო სრული ინფორმაცია ციკლოდექსტრინების მიერ მოლეკულათშორისი ენანტიოსელექტიური კომპლექსების წარმოქმნის მექანიზმის შესახებ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც სამეცნიერო კვლევებში, ასევე ინდუსტრიაშიც.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. V. Barbakadze, L. Gogilashvili, L. Amiranashvili, M. Merlani, M. Getia, A. Gogolashvili, A. Salgado, B. Chankvetadze, Biologically Active Sugar-Based Biopolyether Poly[3-(3,4-Dihydroxyphenyl)Glyceric Acid] from the Stems and Roots of Paracynoglossum imeretinum (Kusn.) M.Pop, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 16, no. 3, 2022, 110-115.

შრომაში დადგენილია, რომ Paracynoglossum imeretinum-ის (Boraginaceae) ღეროების და ფესვების წყალში ხსნადი მაღალმოლეკულური პრეპარატების ძირითადი კომპონენტია ბიოლოგიურად აქტიური კოფეინის მჟავას წარმოებულის პოლიმერი, კერძოდ, პოლი[ოქსი-1-კარბოქსი-2-[3,4-დიჰიდროქსიფენილ)ეთილენი], ანუ პოლი[3-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)გლიცერინის მჟავა] (პდფგმ). აღნიშნული ბიოპოლიმერის სტრუქტურა დადგენილია უი, იწ, 1H და 13C ბმრ, gCOSY და 2D ჰეტერობირთვული 1H/13C gHSQCED ექსპერიმენტების მონაცემების საფუძველზე. ადრე ჩატარებული კვლევების მიხედვით Symphytum asperum, S. caucasicum, S. officinale, S. grandiflorum, Anchusa italica, Cynoglossum officinale და Borago officinalis-ის (Boraginaceae) მაღალმოლეკულური ფრაქციების ძირითადი კომპონენტი აგრეთვე არის პდფგმ. მისი დეტექტირება Boraginaceae-ს ოჯახის სხვადასხვა გვარში საინტერესოა ქემოტაქსონომიური თვალსაზრისით. კოფეინის მჟავას წარმოებულის უჩვეულო პოლიმერი შეიძლება იყოს Boraginaceae-ს მცენარეების ქემოტაქსონომიური მარკერი. ამგვარად, პდფგმ საინტერესოა ქიმიური და ქემოტაქსონომიური თვალსაზრისით, ხოლო Boraginaceae-ს მცენარეები მათი

პოტენციური ბიოსამედიცინო გამოყენების მნიშვნელობის გამო. პოლი[3-(3,4-დიჰიდ-როქსიფენილ)გლიცერინის მჟავას] არსებობა Boraginaceae-ს მრავალ სახეობაში აფართოებს ამ ბიოლოგიურად აქტიური პოლიმერის ნედლეულის რესურსების სიას.

2. R.Chaladze, N. Papuashvili, K. Nanobashvili, T. Butkhuzi, M. Kurtanidze, M. Rukhadze. "Spectrophotometric determination of promethazine hydrochloride with sodium persulphate in drug release experiment in vitro"; Journal of the Georgian Chemistry Society, 2022. https://chemistry.ge/publication/jgcs/vol/2022_2_1_Rukhadze1.pdf

ანოტაცია: შემუშავებულია პრომეტაზინის ჰიდროქლორიდის ბუფერულ ხსნარში განსაზღვრის სწრაფი და მარტივი სპექტროფოტომეტრული მეთოდი წამლის ოქსიდაციის რეაქციის საფუძველზე. პრომეტაზინის ჰიდროქლორიდი იჟანგება ნატრიუმის პერსულფატით მჟავე გარემოში, რის შედეგადაც მიიღება მუქი ვარდისფერი-მოწითალო პროდუქტი მაქსიმალური შთანთქმით 532 ნმ. შესწავლილია სხვადასხვა პერსულფატების, რეაქციის გარემოს მჟავიანობის და ნატრიუმის პერსულფატის კონცენტრაციის გავლენა შეღებილი პროდუქტის მგრძნობელობაზე და სტაბილურობაზე. დადგენილია, რომ ლამბერტ-ბუგერ-ბეერის კანონი სრულდება კონცენტრაციის დიაპაზონში 5.0 - 80.0 მკგ/მლ. აღმოჩენის ზღვარი 2.0 მკგ/მლ. შემუშავებული მეთოდი გამოყენებულია მიკროემულსიური სისტემებიდან პრომეტაზინის ჰიდროქლორიდის გამოთავისუფლების შესაფასებლად.

3. Rusudan Lazashvili, Nino Lominadze, Nino Takaishvili, Manana Kekenadze, George Bezarashvili, and Marina Rukhadze. Study of Water-in-Oil Emulsions on the Basis of Sodium Cholate and Tetraethylene Glycol Dodecyl Ether: Stability Estimation. In: Advanced Polymer Structures, Chemistry for Engineering Applications, Apple Academic Press, 2022

https://www.appleacademicpress.com/advanced-polymer-structures-chemistry-for-engineering-applications-/9781774913017

ანოტაცია: შებრუნებული ტიპის წყალი/ზეთში ემულსიები მომზადდა ზედაპირულად აქტიური ბიოლოგიური ნივთიერებების ნატრიუმის ქოლატის და არაიონური ტეტრაეთილენგლიკოლ დოდეცილის ეთერის საფუძველზე. ნატრიუმის ქოლატით სტაბილიზირებული ემულსიის დაშლის კინეტიკა დამაკმაყოფილებელი სიზუსტით აღიწერება პირველი რიგის განტოლებით, ხოლო ტეტრაეთილენგლიკოლ დოდეცილის ეთერით სტაბილიზირებული ემულსიის დაშლა მეორე რიგის კინეტიკური განტოლების მიხედვით. წყლის წვეთების ნატრიუმის ფტორიდით მოდიფიცირება აუმჯობესებს შებრუნებული ემულსიების მდგრადობას. მიღებულ იქნა ბარიუმის სულფატის სუსპენზია შებრუნებული ტიპის წყალი/ჰექსანი/ნატრიუმის ქოლატი ემულსიის არეში. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ემულსია მდგრადია 20 წუთის განმავლობაში და მისი დაშლა მიმდინარეობს მეორე რიგის კინეტიკური განტოლების მიხედვით.

4. Lali Kirvalidze, Nino Lominadze, Manuchar Gvaramia, Manoni Kurtanidze, Nino Kokiashvili, Maka Alexishvili, Natela Okujava, and Marina Rukhadze. Pharmacokinetic Aspects of Biotechnology Products: Interaction with Artificial Drugs. Application of Engineering Principles and Practices In Biotechnology, Apple Academic Press, 2022.

https://www.appleacademicpress.com/application-of-engineering-principles-and-practices-in-biotechnology-/9781774915608

ანოტაცია: კოფეინის გავლენა სხვა პრეპარატების ფარმაკოკინეტიკაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყავაში, ჩაიში და სხვა სასმელებსა და წვენებში კოფეინის არსებობის გამო. აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა კოფეინისა და რისპერიდონის ფარმაკოკინეტიკური ურთიერთქმედების შესწავლას ბოცვრებში. წამლები, კოფეინი და რისპერიდონი, ეძლეოდათ ექსპერიმენტულ ცხოველებს, როგორც ერთჯერადი პერორალური დოზები, ასევე ერთდროულად, 1 სთ ინტერვალით. წამლების მიღების თანმიმდევრობა განსხვავებული იყო. კოფეინისა და რისპერიდონის კონცენტრაცია სისხლის პლაზმაში იზომებოდა HPLC მეთოდით. კოფეინის გავლენით რისპერიდონის კინეტიკურ მრუდზე ჯერადი პიკები გამოჩნდა. მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნა რისპერიდონის აბსორბციისა და ელიმინაციის სიჩქარეებში. რისპერიდონის გავლენით ნარევებში კოფეინის კინეტიკურ მრუდზე დაფიქსირდა ჯერადი პიკები. ადგილი ჰქონდა როგორც ელიმინაციის სიჩქარის ზრდას პირველ პიკებზე, ასევე ტერმინალური ელიმინაციისას. კოფეინის ერთ-ერთი მეტაბოლიტის, თეოფილინის წარმოქმნის დათრგუნვა ხდება პროცესის საწყის ეტაპებზე.

ამრიგად, კოფეინის გავლენით შეინიშნება რისპერიდონის აბსორბციისა და ელიმინაციის დათრგუნვა, ხოლო რისპერიდონის გავლენით დაიკვირვება კოფეინის ელიმინაციის გაძლიერება. ეს შეიძლება აიხსნას ორივე წამლის კონკურენციით ფერმენტ CYP3A4-ისთვის და CYP1A2-ის, კოფეინის მეტაბოლიზმის ძირითადი ფერმენტის გააქტიურებით. ჩვენი შედეგები მიუთითებს, რომ ცვლილებები აღნიშნული წამლების აბსორბციის, განაწილებისა და ელიმინაციის პროცესებში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წამლების მიღების თანმიმდევრობაზე.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. R. Dallocchio, A. Dessì, B. Sechi, B. Chankvetadze, S. Cossu, V. Mamane, E. Aubert, C. Rozzo, G. Palmieri, P. Peluso, Exploring interaction modes between polysaccharide-based selectors and biologically active 4,4’-bipyridines by experimental and computational analysis, J. Chromatogr. Open, 2 (2022) 100030. DOI:10.1016/j.jcoa.2022.100030

პოლისაქარიდული ბუნების ქირალური სელექტორების და ბიოლოგიურად აქტიური 4,4’-ბიპირიდინის ნაწარმების ურთიერთქმედების შესწავლა ექსპერიმენტული და კომპიუტერული მოდელირების მეთოდებით.

4,4’-ბიპირიდინის ნაწარმები ამ ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მათი მაღალი ბიოლოგიური აქტიურობის გამო. ამ კლასის ქირალური ნაწარმები ერთი ქირალური ელემენტით შეიცავს 2 ენანტიომერს, რომელთაც დიდი ალბათობის განსხვავებული ბიოლოგიური აქტიურობა და ტოქსიურობა გააჩნიათ. აქედან გამომდინარე,

აუცილებელი არის ამ ენანტიომერების ერთამნეთისგან დაცილება. ენანტიომერების დაცილება ქირალური სელექტორების გამოყენებით დამყარებულია სხვადასხვა არაკოვალენტურ ძალებზე. წინამდებარე ნაშრომის მიზანს სწორედ ამ ძალების კვლევა წარმოადგენდა ექსპერიმენტული და კომპიუტერული მოდელირების მეთოდების გამოყენებით.

2. B. Chankvetadze, Our research co-operation with Professor Yoshio Okamoto, Chirality, 2022, 34, 630-645. DOI. 10.1002/chir.23418.

ჩვენი სამეცნიერო თანამშრომლობა პროფესორ იოშიო ოკამოტოსთან.

პროფესორი იოშიო ოკამოტო გახლავთ პოლიმერების ქიმიის ცნობილი სპეციალისტი. მის სახელს უკავშირდება აქირალური მონომერისგან პირველი ქირალური პოლიმერის სინთეზი, ისევე როგორც პოლისაქარიდების ფენილკარბამატების შემოტანა ენანტიომერული ნარევების დასაყოფად სითხურ ქრომატოგრაფიაში. წინამდებარე ნაშრომი გამოქვეყნდა რედაქტორების სპეციალური მიწვევით ჟურნალ Chirality-ის სპეციალურ ტომში, რომელიც პროფ. ოკამოტოს 80 წლის იუბილეს მიეძღვნა. ამ მიმოხილვაში აღწერილია ჩვენი მეცნიერული თანამშრომლობა პროფესორ იოშიო ოკამოტოს ჯგუფთან 1992-2005 წლებში. ნაშრომში მიმოხილულია ჩვენი 30-ზე მეტი საერთო პუბლიკაცია პოლისაქარიდული ბუნების ახალი ქირალური სელექტორების სინთეზის, სითხური ქრომატოგრაფიის, კაპილარული ელექტროფორეზის და კაპილარული ელექტროქრომატოგრაფიის დარგში. ყურადღება არის გამახვილებული ასევე იმ მასალების სინთეზზე, რომელთა კომერციალიზაციაც მოხდა მოგვიანებით მრავალი კომპანიის მიერ იაპონიაში, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

3. A. Dessì, B. Sechi, R. Dallocchio, B. Chankvetadze, M. Pérez-Baeza, S. Cossu, V. Mamane, P. Pale, P. Peluso, Comparative enantioseparation of planar chiral ferrocenes on polysaccharide-based chiral stationary phases, Chirality, 2022, 34, 609-619. DOI.10.1002/chir.23417.

პლანარულად ქირალური ფეროცენების ენანტიომერების დაყოფის შედარებითი შესწავლა პოლისაქარიდული ბუნების ქირალურ სტაციონარულ ფაზებზე.

ფეროცენის ქირალური ნაწარმები განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს როგორც ასიმეტრიული&ენანტიოსელექტიური კატალიზატორები. წინამდებარე ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პლანარულად ქირალური ფეროცენის ნაწარმების ენანტიომერების დაყოფას სხვადასხვა სტრუქტურის მქონე პოლისაქარიდული ბუნების ქირალური სელექტორების გამოყენებით მომზადებულ ქირალურ სტაციონარულ ფაზებზე. დადგენილი იქნა მნიშვნელოვანი კავშირები ენანტიომერების დაყოფის სელექტივობას, ფეროცენების და ქირალური სელექტორების სტრუქტურებს შორის.

4. M.-L. Konjaria, R. Kakava, A. Volonterio, B. Chankvetatdze, G.K.E. Scriba, Enantioseparation of chiral (benzylsulfinyl)benzamide sulfoxides by capillary electrophoresis using cyclodextrins as chiral selectors, J. Chromatogr. A 1672 (2022) 463027. https://doi.org/10.1016/j.chroma.2022.463027.

ბენზილსულფინილბენზამიდის ტიპის ქირალური სულფოქსიდების ენანტიომერების დაყოფა კაპილარულ ელექტროფორეზში ქირალურ სელექტორებად ციკლოდექსტრინების გამოყენებით.

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილი ქირალური სულფოქსიდები ნეიტრალური ნივთიერებებია და მათი ენანტიომერების დაყოფა კონცეპტუალურად შეუძლებელია მხოლოდ ნეიტრალური ციკლოდექსტრინებით. ამიტომ ჩვენ ვიყენებდით უარყოფითად და დადებითად დამუხტულ ციკლოდექსტრინებს. გარდა ამისა, შევისწავლეთ ასევე ნეიტრალური ციკლოდექსტრინების გამოყენება მიცელების თანაობისას. დადგენილი იქნა ქირალური სულფოქსიდების სტრუქტურის მნიშვნელოვანი გავლენა ციკლოდექსტრინების მიერ მათი ენანტიომერების დაყოფის უნარზე. აღმოჩენილი იქნა ენანტიომერების მიგრაციის რიგის შებრუნების საინტერესო შემტხვევა ციკლოდექსტრინის კონცენტრაციაზე დამოკიდებულებით.

5. M.G. De Cesaris, G. D'Orazio, A. Gentili, C. Fanali, N. Takaishvili, B. Chankvetadze, S. Fanali, Enantioeparation of selected chiral agrochemicals by using nano-liquid chromatography and capillary electrochromatography with amylose tris(3-chloro-5-methylphenylcarbamate) covalently immobilized onto silica, J. Chromatogr. A, 1673 (2022) 463128. https://doi.org/10.1016/j.chroma.2022.463128.

ზოგიერთი ქირალური აგროქიმიური საშუალების ენანტიომერების დაყოფა ნანო სითხურ ქრომატოგრაფიასა და კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში სილიკაგელზე იმობილიზებული ამილოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატის) გამოყენებით.

წინამდებარე ნაშრომში დეტალურად არის შედარებული ერთმანეთს ნივთიერებათა დაყოფის ორი მინიატურული მეთოდი: ნანო სითხური ქრომატოგრაფიოა და კაპილარული ელექტროქრომატოგრაფია. ნაჩვენები იქნა კაპილარული ელექტროქრომატოგრაფიის უპირატესობა დაყოფის ეფექტურობის და გარჩევითობის თვალსაზრისით. ნიმუშების სახით გამოყენებული იყო სხვადასხვა სტრუქტურული ჯგუფის წარმომადგენელი ქირალური აგროქიმიური საშუალებები, რომელთა ენანტიომერების დაყოფა თავის მხრივ საინტერესოა.

6. B. Sechi, A. Dessì, C. Gatti, R. Dallocchio, B. Chankvetadze, S. Cossu, V. Mamane, P. Pale, P. Peluso, Unravelling functions of halogen substituents in the enantioseparation of dihalogenated ferrocenes on polysaccharide-based chiral stationary phases: experimental and electrostatic potential analyses, J. Chromatogr. A 1673 (2022) 463097. https://doi.org/10.1016/j.chroma.2022.463097.

ჩამნაცვლებელი ჰალოგენების გავლენის შესწავლა დიჰალოგენირებული ქირალური ფეროცენების ენანტიომერების დაყოფაზე პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების გამოყენებით: ექსპერიმენტული კვლევა და ელექტროსტატიკური პოტენციალის ანალიზი.

ფეროცენის ჰალოგენჩანაცვლებული ნაწარმები ფართოდ გამოიყენება როგორც შუალედური ნივთიერებები კატალიზის, ოპტოელექტრონიკის და სამედიცინო ქიმიის თვალსაზრისით საინტერესო ნაერთების მისაღებად. გამოქვეყნებულია რამდენიმე ნაშრომი ფეროცენის ქირალური ჰალოგენჩანაცვლებული ნაწარმების ენანტიოსელექტიური სინთეზის შესახებ,

მაგრამ წინამდებარე გამოკვლევამდე არ იყო შესწავლილი ამ ნაერთების ენანტიომერების ქრომატოგრაფიული დაყოფა. ამ ნაშრომში შესწავლილია ფეროცენის 11 ქირალური დიჰალოგენირებული ნაწარმის ენანტიომერების დაყოფა პოლისაქარიდული ბუნების 5 სხვადასხვა სტაციონარულ ფაზაზე და დადგენილია როგორც ქირალური ფეროცენის ნაწარმის, ასევე ქირალური სელექტორის და მოძრავი ფაზის ბუნების გავლენა ენანტიომერების დაყოფაზე. ვანტ-ჰოფის განტოლების საფუძველზე შესწავლილი იქნა აგრეთვე დაყოფის თერმოდინამიკური მახასიათებლები.

7. T. Öztepe, N.B. Kale, T. Reçber, İ. Baysal, S. Yabanoğlu-Çiftçi, M. Gumustas, S. Kır, B. Chankvetadze, E. Nemutlu, Separation of the Enantiomers of Underivatized Amino Acids by Using Dual Column High-performance Liquid Chromatography-Tandem Mass Spectrometry Systems, J. Chromatogr. A, 1683, (2022) Article number 463529. DOI:10.1016/j.chroma.2022.463529.

ნატივური ამინომჟავების ენანტიომერების დაყოფა ორი თანმიმდევრულად შეერთებული სვეტის გამოყენებით სითხურ ქრომატოგრაფია-ტანდემურ მას სპექტრომეტრიაში.

ნატივური პროთეინოგენური ამინომჟავების ენანტიომერების დაყოფა ძალიან აქტუალური არის მეტაბოლომის და პროთეომის, ისევე როგორც დაავადებათა პროგნოსტური და დიაგნოსტური ბიომარკერების კვლევებში. ეს ანალიზი მხოლოდ ქირალური სვეტების გამოყენებით გართულებულია, რადგანაც ამ შემთხვევაში სვეტი ერთდროულად უნდა ავლენდეს როგორც ქემო-, ასევე ენანტიო-სელექტივობას. ეს განსაკუთრებით კრიტიკული საკითხია იზობარული და იზომერული ამინოიმჟავების ანალიზში, რომელთა განსხვავება გართულებულია მაღალსელექტიური მას-სპექტრომეტრული დეტექტორის გამოყენების დროსაც კი. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული იყო აქირალური სვეტი იზომერული და იზობარული ამინომჟავბეის ერთმანეთისგან დაყოფის მიზნით, ხოლო აქირალურ სვეტზე თანმიმდევრულად მიერთებული კრაუნ ეთერის საფუძველზე მომზადებული ქირალური სვეტი ყველა პროთეინოგენური ამინომჟავის ენანტიომერების დასაყოფად.

8. E. Lucci, C. Dal Bosco, L. Antonelli, C. Fanali, S. Fanali, A. Gentili, B. Chankvetadzee, Enantioselective high-performance liquid chromatographic separations methods to study occurrence and fate of chiral pesticides in soil, water, and agricultural products, J. Chromatogr. A, 1685 (2022) 463595. DOI:10.1016/j.chroma.2022.463595.

ენანტიოსელექტიური მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენება ქირალური პესტიციდების შემცველობის და ფორმების (ბედის) შესწავლის მიზნით ნიადაგებში, წყლებსა და აგროპროდუქტებში.

წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ ნაშრომებს ქირალური პესტიციდების ენანტიოსელექტიური განაწილების შესახებ ნიადაგებში, წყლებსა და აგროპროდუქტებში. ყურადღება არის გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ ქირალური პესტიციდების სტერეოიზომერები მიზნობრივ და არამიზნობრივ ობიექტებში შეიძლება არა მარტო განსხვავებული სიჩქარით, არამედ განსხვავებული მიმართულებითაც გარდაიქმნან. აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს არა ორი ენანტიომერის ჯამური შემცველობის გაზომვა აქირალური მეთოდების გამოყენებით, არამედ მათი

ცალკეული ენანტიომერის/სტერეოიზომერის გაზომვა ენანტიოსელექტიური მეთოდების გამოყენებით.

9. R. Dallocchio, A. Dessì, B. Sechi, B. Chankvetadze, G. Jibuti, S. Cossu, V. Mamane, P. Peluso, Enantioseparation of planar chiral ferrocenes on cellulose-based chiral stationary phases: benzoate versus carbamate pendant groups, Electrophoresis, 2022, DOI: 10.1002/elps.202200205.

ფეროცენის პლანარული ქირალური ნაწარმების დაყოფა ცელულოზას საფუძველზე მომზადებულ ქირალურ სტაციონარულ ფაზებზე: ბენზოატის და კარბამატის შედარება.

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილი იქნა ფეროცენის 14 ქირალური ნაწარმის ენანტიომერების დაყოფა ცელულოზას საფუძველზე მომზადებულ 2 ქირალურ სვეტზე, ლონკრეტულად ცელულოზა ტრის(4-მეთილბენზოატზე) და ცელულოზა ტრის(3,5-დიმეთილფენილკარბამატზე). დადგინდა რომ ბენზოატის და კარბამატის ტიპის ჩამნაცვლებელი ჯგუფის მქონე ქირალური სელექტორები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან არა მარტო ნივთიერებათა ამ ჯგუფის ენანტიომერების დაყოფის უნარით, არამედ ენანტიომერების აფინობით მათ მიმართ, ისევე როგორც დაყოფის თერმოდინამიკური მახასიათებლებით. თერმოდინამიკურ კვლევასთან ერთად ჩატარდა ასევე კვლევა მოლეკულური მოდელირების მეთოდების გამოყენებით.

10. N. Khundadze, C. Küppers, B. Kammer, A. Garbaras, A. Masalaite, H. Wissel, A. Lücke, B. Chankvetadze, J. Rudolph, A. Kiendler-Scharr, I. Gensch, Benchmarking source specific isotopic ratios of levoglucosan to better constrain the contribution of home heating to the air pollution, Atmospheric Environment, Volume 2681, 2022, Article number 118842. https://doi.org/10.1016/j.atmosenv.2021.118842.

ატმოსფეროს მავნე გაზებით და მიკრონაწილაკებით დაბინძურების მნიშვნელოვანი წილი მოდის შენობების გასათბობად გამოყენებული ღუმელების წვის პროდუქტებზე. ატოსფერული ჰაერის დაბინძურების ეს წყარო განსაკურებით საშიშია იმის გამო, რომ ამ გზით ატმოსფერიოს დაბუნძურება ხდება ადამიანების საცხოვრებელ გარემოსთან უშუალო სიახლოვეში და ამგვარად ძლიერია დამაბინძურებლების მავნე ზემოქმედება ადამიანზე. ატმოსფეროს დაბინძურების ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახის მერქნის წვა ხდება. ცელულოზას ნაწილობრივი დაწვის პროდუქტი, ლევოგლუკოზანი (1,6-ანჰიდრო-a-D-გლუკოპირანოზა) წარმოადგენს კარგ მარკერს იმის დასადგენად, თუ სახის მერქანი დაიწვა. ამ ნივთიერების საშუალებით მიღებულ შედეგებს უფრო საიმედოს ხდის წვის პროდუქტებში ნახშირბადის იზოტოპური განაწილების შესწავლა. წინამდებარე ნაშრომში გაზ-ქრომატოგრაფია-მას სპექტრომეტრიასთან ერთად გამოყენებული იყო იზოტოპური თანაფარდობის მას სპექტრომეტრიის მეთოდი ლევოგლუკოზანსა და მერქნის უფრო ღრმა დაწვის პროდუქტებში ნახშირბადის იზოტოპური განაწილების შესწავლის მიზნით. Nაცენები იქნა, რომ ამ გზით შესაძლებელია საწვავად გამოყენებული მასალის წარმომავლობის დადგენა.

11. S. Krait, A. Salgado, M. Malanga, T. Sohajda, G. Benkovics, P. Soma Szakály, B. Chankvetadze, G.K.E. Scriba, Effect of the isomeric purity of methyl-β-cyclodextrins on the separation and

migration order of the enantiomers of daclatasvir, J. Chromatogr. A, 1661 (2022) 462675. https://doi.org/10.1016/j.chroma.2021.462675.

მეთილირებული ბეტა-ციკლოდექსტრინების იზომერული შედგენილობის გავლენა დაკლატასვირის ენანტიომერების დაყოფასა და მიგრაციის რიგზე კაპილარულ ელექტროფორეზში.

იმის გამო, რომ არაკოვალენტური ურთიერთმოქმედება საანალიზო ნივთიერებასა და ციკლოდექსტრინებს შორის ზოგადად სწრაფ პროცესს წარმოადგენს კაპილარული ელექტროფორეზის მასშტაბით, ამ მეთოდში კომპლექსწარმოქმნაში მონაწილე საანალიზო ნივთიერებისა და მისი თავისუფალი ფრაქციისთვის ხდება არა 2 სხვადასხვა სიგნალის, არამედ ერთი სიგნალის დეტექტირება. ეს სიგნალი წარმოადგენს თავისუფალი და კომპლექსწარმოქმნაში მონაწილე ფრაქციების სტატისტიკურ ჯამს მათი ეფექტური ელექტროფორეტული ძვრადობების გათვალისწინებით. ჩვენს მიერ 2 წლის წინ პირველად იქნა აღმოჩენილი შემთხვევა, როდესაც საანალიზო ნივთიერების თავისუფალი და კომპლექსწარმოქმნაში მონაწილე ფრაქციები სხვადასხვა სიგნალებს იძლევა. ამ პრობლემის დეტალურ შესწავლას მიეძღვნა ჩვენი რამდენიმე ნაშრომი. ამ კონკრეტულ ნაშრომში შესწავლიალია მეთილირებულ ციკლოდექსტრინებში მეთილის ჯგუფების რაოდენობის და განთავსების გავლენა ზემოთ ხსენებულ ეფექტზე და დაკლატასვირის ენანტიომერების მიგრაციის რიგზე კაპილარულ ელექტროფორეზში. კაპილარული ელექტროფორეზის მეთოდთან ერთად გამოყენებული იყო სხვა მეთოდებიც, უპირველესად კი, ბირთვულ მაგნიტური რეზონანსის სხვადასხვა ექსპერიმენტები.

12. P. Peluso, B. Chankvetadze, Recognition in the Domain of Molecular Chirality: from Noncovalent Interactions to Separation of Enantiomers, Chem. Rev. 2022, 122, 16, 13235–13400. https://doi.org/10.1021/acs.chemrev.1c00846.

გამოცნობის როლი მოლეკულურ ქირალობაში: არაკოვალენტური ურთიერთქმედებიდან ენანტიომერების დაყოფამდე.

ეს არის ჟურნალ Chemical Reviews მიწვევით მომზადებული 165 გვერდიანი ნაშრომი, რომელიც აღწერს არაკოვალენტურ ძალების თეორიას და მათ როლს ქიმიის და სხვადასხვა მომიჯნავე დარგში. მეორეს მხრივ, ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი მოლეკულური ქირალობის საფუძვლები და თანამედროვე თეორია. შემდეგ ნაწილში ეს ორი კონცეფცია გაერთიანებულია და აღწერილია არაკოვალენტური (მოლეკულათშორისი) ძალების როლი ქირალურ (ენანტიოსელექტიურ) გამოცნობაში და ამ ფენომენის ასახვა ქიმიაში და სიცოცლის შემსწავლელ მეცნიერებებში. შემდეგი ნაწილი ეძღვნება ენანტიოსელექტიური მოლეკულათშორისი გამოცნობის გამოყენებას ენანტიომერული ნარევების დაყოფის მიზნით, ისევე როგორც ამ უკანასკნელის გამოყენებას ენანტიოსელექტიური მოლეკულათშორისი გამოცნობის უკეთ შეცნობის მიზნით. ნაშრომში დეტალურად და კრიტიკულად არის მიმოხილული ამ დარგში გამოყენებული თანამედროვე ექსპერიმენტული და კომპიუტერული ქიმიის მეთოდები.

მიღებულია გამოსაქვეყნებლად

13. P. Peluso, B. Chankvetadze, Fundamentals of Enantioselective Liquid Chromatography, Chapter in the book: Liquid Chromatography, Volume 1, Fundamentals and Instrumentation, (Elsevier). Accepted.

ენანტიოსელექტიური სითხური ქრომატოგრაფიის საფუძვლები

ეს არის თავი გამომცემლობა Elsevier-ის წიგნში სითხური ქრომატოგრაფიის შესახებ. წიგნი გამოდის მე-3 შევსებული და შესწორებული გამოცემის სახით. წინამდებარე თავში დეტალურად არის აღწერილი ენანტიოსელექტიური სითხური ქრომატოგრაფიის ისტორია და ფუნდამენტური ასპექტები, გაშუქებული არის თერმოდინამიკური და კინეტიკური მიდგომა და აღწერილია ის ექსპერიმენტული და თეორიული მეთოდები, რომლებიც გამოიყენება ენანტიოსელექტიური გამოცნობის მექანიზმების უკეთ შეცნობისთვის.

14. P. Peluso, B. Chankvetadze, Applications of Enantioselective Liquid Chromatography, Book Chapter in the book: Liquid Chromatography, Volume 2, Applications, (Elsevier). Accepted.

ენანტიოსელექტიური სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენება

ეს არის თავი გამომცემლობა Elsevier-ის წიგნში სითხური ქრომატოგრაფიის შესახებ. წიგნი გამოდის მე-3 შევსებული და შესწორებული გამოცემის სახით. წინამდებარე თავში დეტალურად არის აღწერილი ენანტიოსელექტიური სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენება ქიმიაში, ფარმაცევტულ ანალიზში, ბიოანალიზში, გარემოს ანალიზში, კრიმინალისტურ ანალიზში და ა.შ.

მორევის შემდეგ, დიალდეჰიდის **4** წარმოქმნასთან ერთად, სარეაქციო არეში ქრომატოგრაფიულად ისევ შეინიშნება საწყისი ფიშერის ფუძის არსებობა. ტემპერატურის მომატება **60**^{0}C-ზე იწვევს სარეაქციო არის ფერის მკვეთრ ცვლილებას, საწყისი მოყვითალო-წითელი შეფერილობა იცვლება ინტენსიური ლურჯი შეფერილობით. რეაქციის შედეგად გამოყოფილი იქნა ლურჯი კრისტალები, რომელთაც ჩატარებული სპექტრალური ანალიზის შედეგად მიეწერა რეაქციის ანომალური პროდუქტის ტრიმეთინური ციანინის სტრუქტურა **5** ანალოგიურად ნაერთისა **5a,** რომელიც წარმოიქმნება ინდოლინური ფიშერის ფუძის ურთიერთქმედებისას ფიშერის ალდეჰიდთან.

ფიშერის ფუძის **1** ფორმილირება ჩატარებულ იქნა ასევე ჰელმუტ-ფრიტცის მიხედვით 35°C ვილსმაიერის კომპლექსის დიდი სიჭარბის (1:45) პირობებში 2 საათის განმავლობაში. ამ პირობებში გამოყოფილ იქნა ფიშერის ალდეჰიდის ბის-ანალოგი - 2,7-დი(ფორმილმეთილიდენ)-1,4,5,8-ტეტრაჰიდრო-1,1,8,8-ტეტრამეთილდიპიროლო[1,2,3,-d,e:3,2,1-i,j]ბენზო[g]ქინოქსალინი (**4**) 67% გამოსავლიანობით. ნაერთის **5** ულტრაიისფერი, ЯМР-^{1}H და მასს-სპექტრების მონაცემები არ ეწინააღმდეგება წარმოდგენილ სტრუქტურას.

ამრიგად, დიპიროლობენზოქინოქსალინის რიგის ფიშერის ფუძის ბის-ანალოგის ფორმილირებისას ვილსმაიერის რეაქციის პირობებში 60^{0}C ჩვენს მიერ გამოყოფილია ანომალური პროდუქტი - ტრიმეთინური ციანინი, რომლის მიღება შეიძლება აიხსნას თავდაპირველად წარმოქმნილი დიალდეჰიდის **4** ინტერმედიატის - ბისდიმეთილამინოვინილური ნაწარმის **A** - კონდენსაციით საწყის ფიშერის ფუძესთან.

ტრიმეთინური ციანინის წარმოქმნის სავარაუდო სქემა ასეთია:



5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომ

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

4) გვერდების რაოდენობა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

4) გვერდების რაოდენობა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები

1) ავტორები

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

4) გვერდების რაოდენობა


ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.4. სტატიები

1) გამზადებულია სტატია (წერილი რედაქციას) საერთაშორისო ჟურნალ ХГС- ში დასაბეჭდად:

СИНТЕЗ НОВОГО БИСАНАЛОГА ОСНОВАНИЯ ФИШЕРА И БИССПИРОПИРАНОВЫХ СИСТЕМ НА БАЗЕ БЕНЗО[*e*]ПИРРОЛО[3,2-*g*]ИНДОЛА. Ш. А. Самсония*, М. В. Трапаидзе, Н. Н. Николеишвили, С. Квиникадзе, Дж. П. Майсурадзе[а], У. Кацмайер[б]

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)



ჩვენს მიერ ადრე სინთეზირებული იყო დიჰიდროინდოლიზინის ტიპის [1] და ბისსპიროპირანის ტიპის [2,3] სპიროციკლური სისტემები 2,3,3,8,9,9-ჰექსამეთილ-3,8-დიჰიდრობენზო[*e*]პიროლო[3,2-*g*]ინდოლის (1) ბაზაზე. წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია საკვანძო ნაერთის - ფიშერის ფუძის ახალი ბისანალოგის 1,5,6,9-ტეტრაჰიდრო-1,1,9,9-ტეტრამეთილ-2,8-დიმეთილიდენ-4H-დიპიროლო-[1,2,3-e,f:3,2,1-n,o]ნაფთო[2,3–b][1,4]დიაზეპინის(2) სინთეზი და მის საფუძველზე ახალი სპირონაერთების მიღება.

ჩატარებულია ფიშერის ახალი ბიფუნქციონალური ფუძის **2** კონდენსაცია 5-ბრომ-, 5-ნიტრო-, 3-ნიტრო-5-ქლორ- და 3,5-დიბრომსალიცილის ალდეჰიდებთან ეთილის სპირტის არეში ალდეჰიდების სამჯერადი სიჭარბისას (30–45 წთ, 50–70°C). ხსნარების გაცივების შემდეგ სარეაქციო ნარევიდან გამოყოფილია სხვადასხვა ფერის კრისტალური ნაერთები, მიღებულია დიაზეპინის ციკლის შემცველი ახალი ინდოლინური ბისსპიროპირანული სისტემები შესაბამისი ჩამნაცვლებლებით პირანულ ბირთვში. მათი სტრუქტურები დამტკიცებულია სპექტრალური მონაცემების საფუძველზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1. **11th Annual Symposium on Physical and Analytical Chemistry**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **Tinatin Bukia[1,2], Ana Goletiani[3], Tamar Tabatadze[2], Sandro Bakhsoliani[1], Ioseb Chikvaidze[2]**

2) მოხსენების სათაური: **Synthesis Of Amantadine Fragment Containing Derivatives Via Ugi-4cr And Characterization**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: 8-10 December 2022, Tbilisi, Georgia,

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7.2.უცხოეთში

1) **XIV International Scientific and Practical Conference**
მომხსენებელი/მომხსენებლები; **Katsadze E.A., Turiashvili M.N, Nikoleishvili N.N.**
მოხსენების სათაური: ECO-FRIENDLY SYNTHESIS OF 3,3'-(PHENYLMETHYLENE)-BIS-(2-PHENYL-1H-INDOLE).
ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **Stockholm, Sweden 16-18 October, 2022. p.p. 77-80**
https://sci-conf.com.ua/wp-content/uploads/2022/10/MODERN-SCIENCE-INNOVATIONS-AND-PROSPECTS-16-18.10.22.pdf

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც:

დაცულია სამაგისტრო ნაშრომი
მარიამ ტურიაშვილი
ზოგიერთი ჩანაცვლებული ბის-ინდოლილმეთანების სინთეზი სალიცილის მჟავას კატალიზური მოქმედებისას
ხელმძღვანელები: **იოსებ ჩიკვაიძე** - ქიმიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი
ელენე კაცაძე - ქიმიის დოქტორი, ასისტ. პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2022 წლის სამეცნიერო ანგარიში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არის ორი მიმართულება: ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირება. ***ეკონომიკის მიმართულება*** აერთიანებს შვიდ კათედრას:

1. თეორიული ეკონომიკის კათედრა;
2. ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა;
3. მიკროეკონომიკის კათედრა;
4. მაკროეკონომიკის კათედრა;
5. ეკონომეტრიკის კათედრა;
6. ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა;
7. საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება აერთიანებს შვიდ კათედრას:

1. ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა;
2. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა;
3. საერთაშორისო ბიზნესის კათედრა;
4. მენეჯმენტის და ადმინისტრირების კათედრა;
5. გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა;
6. მარკეტინგის კათედრა;
7. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა;
8. ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა.

ფაკულტეტის შემადგენლობაშია _ ***„საერთაშორისო საწარმოთა მართვა“*** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფრიდრიჰ შილერის სახელობის იენის (გერმანია) უნივერსიტეტის ***ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ორმაგი ხარისხით*** (აკრედიტებული), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ***ლუმიერის ლიონ 2 (საფრანგეთი)*** უნივერსიტეტის ***ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ტურიზმში ორმაგი ხარისხით*** (აკრედიტებული).

თითოეული ორიენტირებულია თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი პროექტების დამუშავებასა და სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვაზე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემადგენლობაშია – ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა Master's Program in Economics at International School of Economics at Tbilisi State University (ISET). ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა Bachelor's Degree Program in Economics at International School of Economics at Tbilisi State University (ISET).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს პარტნიორობას უწევენ ბერლინის (გერმანია), პოტსდამის (გერმანია), ბრანდერბურგის (გერმანია), იენის (გერმანია), პირეუსის (საბერძნეთი),

მიუნხენის (გერმანია), ლილის (საფრანგეთი), ლიონის (საფრანგეთი) უნივერსიტეტები. მათთან დადებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს:

- ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დამუშავებას;
- გაცვლითი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მომზადებას;
- სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვას.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებობს ***სამეცნიერო კვლევითი ერთეულები:***

1. ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი;
2. მარკეტინგული კვლევის ცენტრი;
3. მიგრაციის კვლევის ცენტრი;
4. სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია;
5. სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“;
6. სამრეწველო პოლიტიკის კვლევის ცენტრი;
7. ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია;
8. მდგრადი განვითარების კვლევითი ცენტრი.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება*: თეორიული ეკონომიკის კათედრა*

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
პროფესორი თეიმურაზ ბერიძე
პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
ასოცირებული პროფესორი თამარ ათანელიშვილი
ასოცირებული პროფესორი მარინა ნაცვალაძე
ასისტენ-პროფესორი რუსუდან სირბილაძე

პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. ინსტიტუტების გავლენა საზოგადოებრივი დოვლათის ეფექტიან წარმოებაზე (ექსპერიმენტული ეკონომიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით).
2. ეკონომიკის მიმართულება, 2022 წელი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. პროფ. ე. მექვაბიშვილი - ხელმძღვანელი
2. ეკონ. დოქტორი - რ. მექვაბიშვილი, ასოც. პროფ. მ. ნაცვალაძე, ასისტ. პროფ. რ. სირბილაძე, დოქტორანტები: ს. დეისაძე, გ. მჟავანაძე, ს. კობახიძე.
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა (2007-2009წწ) გამოავლინა ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და დღის წესრიგში დააყენა ახალი პარადიგმის შექმნის აუცილებლობა. მსოფლიოში ცნობილი თეორეტიკოსი ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება უნდა გახდეს უფრო ინკლუზიური, პლურალისტური, და არაორთოდოქსული (იგულისხმება ნეოლიბერალურ -ნეოკლასიკური) მიდგომების მიმართ ღია. წინა პლანზე წამოიწია ორმა მთავარმა მოთხოვნამ:

ა) ემპირიული ანალიზის გაღრმავება და ბ) გამოყენებითი ხასიათის კვლევების გაძლიერება.მკვლევარი ეკონომისტების მიერ ასევე დასახელებულია თეორიული ეკონომიკური მეცნიერების სამი ყველაზე აქტუალური მიმართულება (დარგი):

1. ქცევითი ეკონომიკა
2. ეკონომიკაში რანდომიზირებული კონტროლირებადი ცდები ანუ ექსპერიმენტული ეკონომიკა
3. ინსტიტუციური განვითარების პრობლემების კვლევა.

ჩვენი სამეცნიერო პროექტი დასახელებული მიმართულებიდან პირველ და მეორეს ეხება. ამ პრობლემაზე ფიქრი ჯერ კიდევ 2012 წლიდან დავიწყეთ, როცა ჩვენ ფაკულტეტს და კერძოდ, თეორიული ეკონომიკის კეთედრას სტუმრობდა ექსპერიმენტული ეკონომიკის თვალსაჩინო ბრიტანელი მკვლევარი, პროფესორი კრისტოფერ სტამერი, რომელმაც ერთი კვირის განმავლობაში სტუდენტებით სავსე აუდიტორიაში ჩაატარა ძალიან საინტერესო ლექციების კურსი.
პროექტის მთავარი იდეა მდგომარეობს შემდეგში: „ ეკონომიკური ადამიანის“,ეგოისტური და ოპორტუნისტული ინტერესების გამო საზოგადოებრივი დოვლათი ვერ, იწარმოება საკმარისი რაოდენობით ანუ ადგილი აქვს ე.წ „ ბაზრის ჩავარდნას“ (Market Fail). ამასთანავე, ალტრუისტული ტიპის ადამიანი არის საზოგადოების კეთილდღეობის ქვაკუთხედი და ინდივიდთა პროსოციალურობას, თანამშრომლობას და ნდობას გააჩნია ეკონომიკური ფუნქცია (კ. ეროუ, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში).

შესაბამისად, ისეთი ეკონომიკური გარემოს დამკვიდრება, რომელშიაც პროსოციალური ქცევა პრიორიტეტულია, სახელმწიფოს და ცალკეული ინდივიდების ინტერესებშია. ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის შესაბამისად, ჩვენ ჩავატარეთ ეკონომიკური ექსპერიმენტი „დიქტატორის თამაშის“ და „საზოგადოებრივი დოვლათის თამაშის“ სახით.

ექსპერიმენტი ჩატარდა 2022 წლის ზაფხულ- შემოდგომაზე და მას ჰყავდა 146 მონაწილე, ძირითადად სტუდენტები. ექსპერიმენტის შედეგად მიღებული შედეგები შევადარეთ სხვადასხვა პერიოდსა და ქვეყანაში ჩატარებულ ანალოგიურ ექსპერიმენტებს, რამაც რიგი საინტერესო დასკვნის შესაძლებლობა მოგვცა. კერძოდ:

1. ჩვენს ექსპერიმენტში დიქტატორის საშუალო შეთავაზებები ახლოსაა სხვა ქვეყნების საშუალო შედეგებთან;
2. გამოიკვეთა მკვეთრი განსხვავება დიქტატორის განაწილების სამართლიანობის ნორმასა და მის ფაქტიურ შეთავაზებებს შორის;
3. წევრთაშორისი დასჯის მექნიზმი არაეფექტიანი აღმოჩნდა თანამშრომლობის მაღალი დონის შესანარჩუნებლად;
4. საზოგადოებრივი დოვლათის თამაშმა დასჯის მექანიზმით არსებითად გააძლიერა ეგოისტური ქცევა;
5. ჩვენ მოვახერხეთ სამართლიანობის ინდივიდუალური ნორმის გაზომვა ახალი მეთოდის გამოყენებით დინამიკურ კონტექსტში.

მიღებული სამეცნიერო დასკვნები, ვფიქრობთ, შეიძლება იქნეს გამოყენებული ბიზნესგადაწყვეტილებების მიღებისა და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მსგავსი კვლევა ადრე არ ჩატარებულა და ბევრი საკითხი გაღრმავებულ შესწავლას მოითხოვს, გადაწყვეტილი გვაქვს კვლევის გაგრძელება-განვითარება. ასევე გვსურს ქცევითი და ექსპერიმენტული ეკონომიკის კვლევების ლაბორატორიის შექმნა, რომელიც ჩვენი აზრით, შეიძლება გადაიქცეს ამ უაღრესად თანამედროვე კვლევითი მიმართულების ცენტრად სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ე. მექვაბიშვილი - „პოსტთანამედროვე ეკონომიკის კონტურები“ ESBN 978 9941-491-70-2 (pdf). კრებულში „კოვიდ 19, პანდემია და ეკონომიკა“, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 224-230

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში მოცემულია თანამედროვე ეკონომიკური სისტემის გრძელვადიანი განვითარების პროგნოზის ზოგიერთი პარამეტრი. ჩამოყალიბებულია ის ნისნები, რომლებიც, ავტორის აზრით დამახასიათებელი იქნება მომავალი ეპოქის ეკონომიკისათვის. კერძოდ: მარალტექნოლოგიური ბაზა და მის საფუძველზე ფუნქციონირებადი ცოდნის ეკონომიკა; საკუთრებიტი ურთიერთობების პლურალიზმი პირადი და საჯარო საკუთრების პრიორიტეტის წამოწევით; შექმნილი მატერიალური დოვლათის შედარებით სამართლიანი განაწილება; პოსტეკონომიკური ფასეულობების პრიორიტეტი; ეკონომიკური განვითარების ჰუმანიზაცია და ეკონოლოგიზაცია; „წრიული“ და „მწვანე“ ეკონომიკების დომინირება.

2. ე. მექვაბიშვილი - „ეკონომიკის ფინანსებიზაცია: ბოროტება თუ სიკეთე?“ ISBN-978-9941-36-061-9 (pdf), კრებულში „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 293-301

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში გაანალიზებულია განვითარებული ეკონომიკური სისტემის ორი მდგენელის - რალური და ფინანსური სექტორის განვითარების დინამიკა ბოლო ექვსი ათეული წლის მანძილზე. მრავალრიცხოვანი ციფრობრივი და ფაქტობრივი მასალის მოხმობის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ განვითარების წამყვან ტენდენციას წარმოადგენდა საფინანსო სექტორის უპირატესი ზრდა რეალური სექტორის შევიწროვების ხარჯზე. აღნიშნული გარემოება არ შეიზლება ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს. ეკონომიკის ფინანსებიზაცია, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა პოსტინდუსტრიული ქვეყნების კონკურენტული უპირატესობის განმტკიცებას საერთაშორისო ბაზრებზე, მეორე მხრივ კი იგი ფინანსური კრიზისების წარმოქმნის მთავარ მაპროვოცირებელ ფაქტორად ომგვევლინა. სტატიაში განხილულია ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ავტორის აზრით, მაქსიმალურად წარმოაჩენს ფინანსებუზაციის პოზიტიურ პოტენციალს და მინიმუმამდე დაიყვანს მის უარყოფით შედეგებს.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ე. მექვაბიშვილი - ანტიგლობალიზმი თუ ალტერგლობალიზმი?, ჟურნალი „ეკონომიკა დაბიზნესი“ 2022, N4, ISSN-1987-5789, ESSN-2587-8426, DOI 10.56079, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 15 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში დასაბუთებულია ეკონომიკის გლობალიზაციის კანონზომიერი ხასიათი. აღნიშნულია რომ გლობალიზაციამ ვერ შეძლო იმ პრობლემების გადაჭრა, რომლებიც მის წინაშე იდგა ამ პროცესის საწყის ეტაპზე. კერძოდ: ა) გლობალიზაციის ეპოქაში მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპი საგრძნობლად შემცირდა, ბ) გაღრმავდა უთანასწორობა როგორც „ჩრდილოეთისა“ და „სამხრეთის“ სამყაროში შემავალ ქვეყნებს შორის, ასევე ცალკეული ქვეყნების შიგნით, გ) გაძლიერდა ეკონომიკის განვითარების ციკლური ხასიათი, რაც გამოიხატა გლობალიზაციის ეპოკაში, მომრავლებულ რეგიონულ და ასევე 2007-2009 წლების გლობალური ფინანსურ ეკონომიკურ კრიზისში.

აღნიშნული ავტორის აზრით არ წარმოადგენს გლობალიზაციაზე უარის თქმის საფუძველს. ამასთანავე, აუცილებელია გლობალიზაციის მეინსტრიმული ნეოლიბერალური მოდელიდან ახალ მოდელზე გადასვლა, რომელსაც ავტორი ალტერგლობალიზმს უწოდებს და აღწერს მის ფუნდამენტურ დამახასიათებელ ნიშნებს.

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. საქართველოში, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოვიდა ანალიტიკური ბროშურა „საქართველო-იაპონია: ეკონომიკური პარტნიორობის პერსპექტივები“. თბილისი, GFSIS, 2022, გვ. 14, <https://www.gfsis.org.ge/files/library/pdf/Georgian-3166.pdf> (DOI 10.13140/RG.2.2.23252.27526), და “Georgia-Japan: Perspectives for Economic Cooperation.” Tbilisi, GFSIS, 2022, 13 გვ., <https://www.gfsis.org.ge/files/library/pdf/English-3166.pdf> (DOI 10.13140/RG.2.2.30277.73449). (ISBN 978-9941-8-4253-5, თანაავტორი: ვახტანგ ჭარაია; ინდექსირებულია Google Scholar-ის მიერ).

2. საქართველოში, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოვიდა ანალიტიკური ბროშურა „პანდექსიტის ძირითადი ეკონომიკური გამოწვევები“. თბილისი, GFSIS, 2022, გვ.32, <https://www.gfsis.org.ge/files/library/pdf/%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-

%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-3191.pdf> (DOI 10.13140/RG.2.2.24592.48642), და "Main Economic Challenges of Pandexit." Tbilisi, GFSIS, 2022, 31 გვ., <https://www.gfsis.org.ge/files/library/pdf/Main-Economic-Challenges-of-Pandexit-3191.pdf> (DOI 10.13140/RG.2.2.31303.37286). (ISBN 978-9941-8-4254-2; ინდექსირებულია Google Scholar-ის მიერ)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საქართველოსა და იაპონიას შორის ურთიერთობები ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში დინამიკურად ვითარდება. მხარეები აქტიურად თანამშრომლობენ პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, საინვესტიციო, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, კულტურის, საგანმანათლებლო, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტურიზმის სფეროებში. რეგულარულად ტარდება მაღალი დონის ვიზიტები, ბიზნესფორუმები და კულტურული ღონისძიებები. იაპონურ-ქართული თანამშრომლობა კიდევ ერთხელ გაძლიერდა COVID-19-ის პანდემიის დროს, რომელმაც საქართველოსაც და მთელ მსოფლიოსაც უზარმაზარი სირთულეები მოუტანა, თუმცა ხელი არ შეუშლია იაპონიისთვის დახმარებოდა საქართველოს.

2. წინამდებარე კვლევის მიზანი კი პანდექსიტის ძირითადი ეკონომიკური გამოწვევების განსაზღვრაა, რაც როგორც ცალკეულ ადამიანს, ისე მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს პოსტპანდემიური პერიოდის პრობლემებში უკეთ გარკვევას შეუწყობს ხელს.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. საქართველოში, ინგლისურ ენაზე, ჟურნალში "Bulletin of the Georgian National Academy of Sciences" ("საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე", ტომი 16, № 2, გვ. 142-149, ინდექსირებულია Scopus-ის და და Google Scholar-ის მიერ, <http://science.org.ge/bnas/vol-16-2.html>), გამოვეცი სტატია "On Sanctionomics and the Externalities of Economic Sanctions" („სანქციონომიკის და ეკონომიკური სანქციების ექსტერნალიების შესახებ").

2. საქართველოში, ენაზე, ჟურნალში „ეკონომიკა, ბიზნესი და ადმინისტრირება" (No. II, გვ. 3-21, ISSN 2720-8249, <http://www.sciencejournals.ge/index.php/bu/article/view/301/265>) გამოვეცი სტატია „სანქციონომიკა და მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილების ძირითადი მიმართულებები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში".

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. სტატიაში შესწავლილია იმ ეფექტებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც წარმოიქმნა რუსეთის წინააღმედგ დაწესებული ეკონომიკური სანქციების შედეგად, და რომლებიც, თავის

მხრივ, შემოღებულ იქნა რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიანი ომის დაწყების გამო. აშკარაა, რომ ამ ეკონომიკური სანქციების მასშტაბურობა აქტუალურს ხდის მათი ზეგავლენის საკითხის შესწავლას, როგორც იმ ქვეყნის (ანუ, რუსეთის) მიმართ, რომელიც დაექვემდებარა სანქციებს, ისე იმ ქვეყნების მიმართ, რომლებმაც შემოიღეს ეს სანქციები, ასევე იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ არ შეუერთდნენ სანქციებს. ეკონომიკური მეცნიერების იმ სფეროს, რომელიც შეისწავლის ამ საკითხს შემოთავაზებულია ეწოდოს სანქციონომიკა. განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს ეკონომიკური სანქციების ექსტერნალიების შესწავლას, რომლებიც თავისი ბუნებით არიან ეგზოგენურები, განსხვავებით საბაზრო ექსტერნალიებისა, რომლებიც კვალიფიცირდება როგორც ენდოგენური. განხილულია უარყოფითი და დადებითი ეკონომიკური სანქციები და აღნიშნულია, რომ პირველები უკანასკნელთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია.

2. სტატიაში განხილულია ის ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირშირებული რუსეთის მიერ უკრაინაში ომთან და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ მიღებულ ეკონომიკურ სანქციებთან. დასაბუთებულია, სანქცინომიკის, როგორც ეკონომიკური მეცნიერების იმ სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობის საკითხებს შეიწავლის. ეკონომიკური სანქციები განაპირობებენ მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლიებებს, რომელიც ძირითადად ემსაგვსება საბჭოთა კავშირის დროინდელი „ცივი ომის“ პირობებში ჩამოყალიბებულს. მსოფლიოს ქვეყნები ექცევიან იმ ქვეყნების ჯგუფში, რომლებიც იღებენ სრულმასშტაბიან სანქციებს (მაგალითად, აშშ და დიდი ბრიტანეთი და სხვ.), ან ექვემდებარებიან სანქციებს (რუსეთი და ბელარუსი), ან თუნდაც ნაწილობრივ მაინც არ იზიარებენ სანქციებს (ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა, ჩინეთი, ინდოეთი და სხვ.). ნაჩვენებია, რომ COVID-19-ის პანდემიის დროს გლობალიზაციის პროცესი იყო ტურბულენტურ მდგომარეობაში, ხოლო რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა მსოფლიო ეკონომიკაში გააძლიერა ფრაგმენტაციულობა და, აქედან გამომდინარე, შესძინა კონფრონტაციული ხასიათი. ფაქტობრივად, სახეზეა კონფრონტაციული გლობალიზაცია. მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის საბოლოო სახე უშუალოდაა დაკავშირებული იმასთან, თუ როდის და როგორი პირობებით გახდება შესაძლებელი რუსეთ-უკრაინის ომის დასრულება. აშკარაა, რომ მსოფლიო ეკონომიკა პრაქტიკულად ვერ შეძლებს დაუბრუნდეს იმ არქიტექტურას, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომამდე ჩამოყალიბდა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. სამხრეთ კორეაში, ინგლისურ ენაზე ჟურნლაში “Journal of Asian Finance, Economics and Business” („ფინანსების, ეკონომიკის და ბიზნესის აზიური ჟურნალი“, ISSN 2288-4645, ტომი 9, No. 9, გვ. 7-17, თანაავტორი: ვახტანგ ჭარაია; ინდექსირებულია Web of Science-ის და და Google Scholar-ის მიერ) გამოვეცი სტატია “On the Inflation and its Modifications in the Era of Global

Pandemic: The Case of Some ADB Countries" („ინფლაციის და მისი მოდიფიკაციების შესახებ გლობალური პანდემიის ერაში: აზიის განვითარების ბანკის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე)" DOI: doi:10.13106/jafeb.2022.vol9.no8.0007, <https://koreascience.kr/article/JAKO202223548661539.pdf>).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში განხილულია გლობალური პანდემიის დროს აზია-წყნარი ოკეანის განვითარებად რეგიონში ინფლაციით გამოწვეული პრობლემები და შემოთავაზებულია პრობლემის გადაწყვეტის არასტანდარტული გზები. რეალობა კი ისაა, რომ სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების ზოგიერთი ჯგუფი (მაგალითად, არასეზონური ხილი, ელექტრონიკა, ავეჯი, სასტუმროსა და რესტორნების მომსახურება და ა.შ.) არ ასახავს ღარიბთა საჭიროებებს, რომლებიც შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას განვითარებად ქვეყნებში. იმავდროულად, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი მოძველებული და არასანდოა იმის გამო, რომ ეგზოგენური ფაქტორები (იმპორტირებული ინფლაცია, ნავთობის ფასების რყევა, მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევა, რუსეთ-უკრაინის ომი და ა.შ.) არ ექვემდებარება კონტროლს, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში. ინფლაციის ინდექსი და ინფლაციის თარგეთირების მექანიზმი, სამწუხაროდ, სრულად არ ასახავს როგორც საზოგადოების, ისე მთავრობისა და ცენტრალური ბანკის მოლოდინებს. სტატიაში შემოთავაზებულია ახალი სტატისტიკური მაჩვენებელი, რომლებიც მედიკამენტების, კომუნალური და სურსათის ფასების რყევებს ასახავენ.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ინგლისურ ენაზე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში „კოვიდ-19 პანდემია და ეკონომიკა. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნასის ფაკულტეტის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. საქართველო, თბილისი, 8 თებერვალი, 2022 წელი" (თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, გვ. 260-262, <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/2022---%20konferencia.pdf>, ISBN 978-9941-491-70-2; ინდექსირებულია Google Scholar-ში) გამოვაქვეყნე სამეცნიერო სტატია "On The Supply-Chainflation" („მიწოდების ჩეინფლაციის შესახებ").

2. ინგლისურ ენაზე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში „თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" (თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, გვ. 368-374, <https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-

2022.pdf>, ISBN 978-9941-36-061-9, ინდექსირებულია Google Scholar-ში) გამოვაქვეყნე სამეცნიერო სტატია "On the Functional Types of Globalization" („გლობალიზაციის ფუნქციონალური ტიპების შესახებ").

3. საქართველოში, რუსულ ენაზე პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები" (27 ნოემბერი, 2022) (თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2022, გვ. 77-81, <http://conferenceconomics.tsu.ge/uploads/images/konfkreb2022.pdf>, ISBN 978-9941-36-049-7, თანაავტორი თამარ თაფლაძე, ინდექსირებულია Google Scholar-ში) გამოვაქვეყნე სამეცნიერო სტატია «О некоторых модификациях глобализации» („გლობალიზაციის ზოგიერთი მოდიფიკაციის შესახებ").

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 6-7 ოქტომბერს ბერლინში (გერმანია) მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო სამეცნიერო ვორკშოპი „პერიფერიული ლიბერალიზმი. ახალი პერსპექტივები (პოსტ)სოციალისტურ სამყაროში ლიბერალური სცენარების ისტორიის შესახებ", სადაც მოხსენებით გამოვედი თემაზე "On Liberal Economic Reforms in Post-Communist Georgia" („პოსტკომუნისტურ საქართველოში გატარებული ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების შესახებ"). **ანოტაცია:** კომუნისტური სისტემის რღვევა და საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, ისევე როგორც მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ფაქტობრივად, მოულოდნელად დაიწყო. მბრძანებელი ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნის თეორიის არარსებობის გამო, ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმები ეფუძნებოდა „ცდასა და შეცდომის" მეთოდს. მოხსენება შეეხო პოსტკომუნისტურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების საკითხებს. პოსტკომუნისტურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პირველი თაობა ეფუძნებოდა შოკური თერაპიის პოლონურ გამოცდილებას. სამწუხაროდ, საწყის ეტაპზე ეს რეფორმები საქართველოში ჩავარდა, რადგან მათ არ გააჩნდათ ინსტიტუციური მხარდაჭერა. ამ რეფორმების განხორციელებისას დაშვებული შეცდომების გამოსწორებით საქართველოში მიღწეული იქნა მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რამაც შესაძლებელი გახადა ფულის რეფორმის წარმატებით განხორციელება. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაიწყო ულტრალიბერალური ეკონომიკური რეფორმები, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მიიღო. ულტრალიბერალური ეკონომიკური რეფორმების საფარქვეშ საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო არაფორმალური ზეწოლა ბიზნესზე, ასევე ადამიანის უფლებების დარღვევა. ეს ყველაფერი შეიძლება „ნეობოლშევიზმად" დავაფასოთ. შედეგად, პოსტრევოლუციური ეკონომიკური რეფორმები საქართველოში ულტრალიბერალიზმისა და ნეობოლშევიზმის ნაზავი იყო. 2014 წელს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა

ასოცირებული სტატუსის შესახებ შეთანხმებას, რამაც გახსნა ახალი შესაძლებლობები ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის გამოყენებისთვის. მას შემდეგ, რაც საქართველომ ევროკავშირისგან ევროპული პერსპექტივა მიიღო 2022 წელს, ქვეყანას აქვს ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები ეკონომიკური დაახლოებისთვის ევროპის საბაზრო ეკონომიკის მოდელთან. პოსტკომუნისტური ეკონომიკის ქართული გამოცდილების განზოგადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ რეფორმებში ლიბერალიზმის მნიშვნელობის სწორად გააზრებისთვის.

პროფესორი თეიმურაზ ბერიძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **თეიმურაზ ბერიძე, ნუნუ ოვსიანიკოვა.** საკუთერბის ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტი. საერთაშორისო ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“. თბილისი. 2022. გვ.25-29. (ინგლისურ ენაზე); **Teimuraz Beridze, Nunu Ovsyannikova.** On Economic and Legal Aspects of Property. International Journal “Globalization and Business”. Tbilisi. #13.2022. pp.25-29. https://doi.org/10.35945/gb.2022.13.003

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.სტატიაში განხილულია ეკონომიკურ სისტემაში საკუთრება, როგორც ფუნდამენტალური ეკონომიკური კატეგორია. კვლევის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით ნაჩვენებია საკუთრების ეკონომიკური და სამართლებრივ ასპექტებს შორის **პრინციპული** განსხვავება. **პირველ** შემთხვევაში (ეკონომიკური) საქმე გვაქვს უშუალოდ მატერიალური პროდუქტის წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების პროცესთან (ანუ **საკუთრების** ფლობა საწარმოო პროცესში - **de facto)**, ხოლო **მეორე** შემთხვევაში, საკუთრების სამართლებრივ ასპექტთან (ანუ ვინ რა **საკუთრებას** ფორმალურად ფლობს - **de jure).** აქედან გამომდინარე პრივატიზაცია არ უნდა იყოს თვითმიზანი, არამედ წარმოების ფაქტორების (მიწა, კაპიტალი, სამუშაო ძალა) ეფექტიანი გამოყენების წინაპირობა, რომელმაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. საკუთრების არცერთ ფორმას **ავტომატურად** არ მივყავართ ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდისაკენ (საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ამის კარგი მაგალითია), არამედ იმ ფორმას (ფორმებს), რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების ფაქტორების ეფექტიანად გამოყენებას.

ასოცირებული პროფესორი თამარ ათანელიშვილი

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. ეკონომიკა
2. პროექტის დაწყების თარიღი:2022 წლის 01 მარტი
პროექტის დასრულების თარიღი: 2022 წლის 01 დეკემბერი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მკვლევარი
2. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი - მკვლევარი
3. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
4. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
5. ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
6. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე - მკვლევარი
7. **ასოცირებული პროფესორი თამარ ათანელიშვილი** - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
8. შოთა ჯიმშერაშვილი - პროექტის სტუდენტ-ასისტენტი
9. ბექა ზაუტაშვილი - პროექტის სტუდენტ-ასისტენტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მცირე და საშუალო ბიზნესი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში და განსაკუთრებული წვლილი შეაქვს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ დაბალია.

Covid-19-ის პანდემიის შედეგად მსოფლიო ეკონომიკაში, ცხადია, საქართველოშიც, თვისობრივად ახალი დღის წესრიგი შეიქმნა, გადასახედი გახდა შეყიდვების პოლიტიკა. მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელოვანი ფაქტორი და მთავარი დამსაქმებელი, ახალი გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე აღმოჩნდა, განსაკუთრებული პრობლემები გამოიკვეთა შესყიდვების სისტემაში.

საჯარო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობის ხელშეწყობა სექტორის განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად განიხილება, განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდში. მსხვილი კომპანიების უმეტესი ნაწილი საკმაოდ ინფორმირებულია საჯარო შესყიდვების შესახებ, მათთვის ელექტრონულად განთავსებული ინფორმაცია სრულად ხელმისაწვდომია და ადვილია საერთაშორისო სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა. მიმდინარე ეტაპზე აქტიური ეკონომიკური სუბიექტების დაახლოებით 25% რეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების eProcurement სისტემაში, თუმცა, მონაწილეობის ეს მაჩვენებელი მაინც ძალიან დაბალია. საჯარო შესყიდვებს ყოველწლიურად საშუალოდ 3000-მდე ბიზნეს სუბიექტი ემატება, როგორც პოტენციური მომხმარებელი. ასევე, მცირედ, მაგრამ მაინც იზრდება მცირე და საშუალო ბიზნესის საშუალო მონაწილეობა ტენდერებში, თუმცა, დღეს ყველაზე დიდი გამოწვევა მაინც არის დაბალი მონაწილეობა, არასაკმარისი კომპეტენცია და უარყოფითი შედეგით დასრულებული ღია ტენდერები.

ამასთან, გამოიკვეთილია რიგი საკითხები, რომლებიც დამატებით სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს, კერძოდ:

- შეუსწავლელია მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევები სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით;

- გამოსავლენია საერთაშორისო სახელმწიფო შესყიდვებში ჩართულობის პერსპექტივები;
- დასაბუთებას მოითხოვს მცირე და საშუალო ბიზნესის შესყიდვების სისტემაში ეფექტიანი ჩართულობისა და კოორდინაციის მექანიზმები.
-

DCFTA-ს მიერ მოტანილი სარგებლის სრულფასოვნად გამოყენებისათვის აუცილებელია „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რათა საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეებებს შეეძლოთ საერთაშორისო საჯარო შესყიდვებში მონაწილეობა, ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა პოსტ-კრიზისულ პერიოდში. ცნობიერების და ცოდნის დონის ამაღლება საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებით გათვალიწინებული შეღავათების, პირობებისა და პროცედურების შესახებ გაუმარტივებს მეწარმეების დოკუმენტებთან მუშაობას, მაქსიმალურად გაიზრდება მსს სექტორის წვდომა სხვდასხვა ბაზარზე.

ამრიგად, აუცილებელია საქართველოსათვის შემუშავდეს საჯარო შესყიდვების ისეთი მოდელი, რომლებიც ერთი მხრივ, შესაბამისობაში იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადი განვითარების მიზნებთან და მოთხოვნებთან, მეორე მხრივ, ასახავს იმ საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, რომელიც არსებობს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში.

კვლევითი პროექტის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ბარიერებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარების რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის შედეგები:

- მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შემუშავებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ელექტრონული საინფორმაციო ბუკლეტები;
- შემუშავებულია რეკომენდაციები მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის მხარდამჭერი შესყიდვების შესახებ;
- მომზადებულია წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების შესატანად;
- გამოსაცემად მომზადებულია რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, მათ შორის სამეცნიერო სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში ან რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, რეფერირებად ჟურნალებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომათა კრებულებში დასაბეჭდად;
- კვლევის შედეგები აისახება სასწავლო კურსებში ,,მეწარმეობის ეკონომიკა“, ,,ფირმის ეკონომიკა.“

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მ. ნაცვალაძე, თ. ათანელიშვილი, მიკროეკონომიკის პრინციპები, აქტიური სწავლება, ISBN 978-9941-33-327-9, გამომც. ,,უნივერსალი", გვ. 50, 2022.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თანამედროვე სწავლების პროცესი, ყოველწლიური გამოცდილებიდან გამომდინარე, საშუალებას იძლევა სემინარულ მეცადინეობებზე ახალი აქტივობები და მიდგომები იქნას დანერგილი. ეკონომიკის საწყისი კურსისთვის მეთოდურ-პრაქტიკული მასალების გამოცემის აუცილებლობა სტუდენტებთან სწორედ ამ მრავალწლიანი მუშაობის ანალიზის შედეგია. ავტორებმა გადაწყვიტეს ეკონომიკის საწყისი კურსის შემსწავლელ სტუდენტებს საშუალება მისცენ სიტუაციების, ადაპტირებული ტესტების, საქართველოს რეალურ ბაზარზე და ზოგადად ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზისა და ფაქტების საფუძველზე გაიღრმაონ თეორიული ცოდნა, იაზროვნონ რაციონალურად და გააკეთონ ეფექტიანი დასკვნები, რაც ინტრავერდ და ექსტრავერდ სტუდენტებს ბოლომდე თვითრეალიზაციის საშუალებას მისცემს.

ნაშრომში გამოყენებულია ქართულ და უცხოურ ენებზე გამოცემული ლიტერატურა აღნიშნულ საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებით და მოიცავს იმ თავებს, რომლებიც გათვალისწინებულია სემესტრული (15 კვირეული) დატვირთვით, სილაბუსის შესაბამისად.

სემინარებზე სამუშაო წიგნის დავალებების განახლება ყოველწლიურად ხდება, თუმცა „მიკროეკონომიკის პრინციპების" 2022 წლის გამოშვება სრულიად განახლებულია როგორც თემატურად, ასევე შინაარსობრივად, ვინაიდან სასწავლო კურსი განახლდა და სახელმძღვანელოდ ახალი ლექციების კურსი (რიდერი) გამოიყენება (დამატებულია ახალი თემები). სიახლეა ისიც, რომ სტუდენტებთან შესაძლებელი გახდება ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების მიცემა ონლაინ სწავლების გამოყენებით, რაც სტუდენტების შეფასების მრავალფეროვანი სისტემის დანერგვას და აქედან ამომდინარე, სალექციო კურსის განვითარებას შეუწყობს ხელს, ეს კი სასწავლო პროცესს უფრო შემოქმედებითს გახდის.

წიგნში გამოყენებულია მოწინავე ამერიკული კომპანიის, Cengage Group-ის ექსკლუზიური მასალები. Cengage Group არის საგანმანათლებლო კონტენტის, ტექნოლოგიებისა და სერვისების კომპანია უმაღლესი განათლების, K-12, პროფესიული და ბიბლიოთეკის ბაზრებისთვის, რომელიც მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობს. დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში Cengage Learning-ის სასწავლო კონსულტანტის, ჯეინ ნიკოლიჩის მიმართ (Jayne Nikolic, Learning Consultant Central and Eastern Europe), რომელმაც ერთთვიანი უფასო წვდომა მომცა გრეგორი მენქიუს და მარკ ტეილორის წიგნის - „Economics" ინსტრუქტორების მასალებზე, სტუდენტების რესურსებზე და პროგრამაზე - Cengage MindTap - eLearning resources.

ავტორი, მარინე ნაცვალაძე

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.1 **Atanelishvili, T..... Covid Depression and Search for a New Paradigm** („კოვიდ დეპრესია“ და ახალი პარადიგმის ძიება). BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 16, no. 1, 2022 . (scopus)

კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნის მიხედვით, სახეზეა კოვიდ-დეპრესიის საწყისი ნეგატიური ტენდენციები, რომელთა დასაძლევად საჭიროა: ვაქცინაციის გლობალური პროცესების მკვეთრად დაჩქარება და კოვიდ -19-ის მძიმე შედეგების დასაძლევად საჭირო დაფინანსების უზრუნველყოფა; ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაძლიერება; კონკურენტუნარიანი სამამულო პროდუქტის წარმოების ზრდა და ამ პროდუქციით, პირველ რიგში, სამამულო მოთხოვნის დაკმაყოფილება; ექსპორტშემცველი პროდუქციის წარმოების წახალისება; ექსპორტის ზრდის ტემპებისა და მოცულობის ზრდა; უცხოური ინვესტიციების მოზიდვის წახალისება; ოლიგოპოლიური ბაზრის წინააღმდეგ ზომების გამოყენება; სამამულო რესურსების გამოყენების წახალისება; დასაქმების ქმედითი სისტემის შექმნა; ფინანსური ბაზრების და ცენტრების ჩამოყალიბების წახალისება; საქართველოს მეზობელ ქვეყნებსა და, განსაკუთრებით, ევროკავშირთან, შეერთებულ შტატებთან, საერთაშორისო ცენტრებსა და სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და სხვ. ამასთან, ეს და სხვა საკითხები უნდა აისახოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ოფიციალურად დამტკიცებულ სამოქმედო პროგრამაში.

1.2 **Atanelishvili, T.... Sustainable State Procurements and Business in Georgia** (მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები და ბიზნესი საქართველოში). BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 16, no. 3, 2022 (scopus)

სტატიაში დასაბუთებულია მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების როლი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ხაზგასმულია, რომ მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მნიშვნელოვან გარიერად რჩება ინვესტიციებსა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა. ნაშრომში გაანალიზებულია პანდემიის პერიოდში მცირე და საშუალო ბიზნესში წარმოქმნილი თვისებრივად ახალი გამოწვევები სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით: შესყიდვების ბაზარზე შეზღუდული წვდომა, მწირი საინვესტიციო რესურსები, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე, შესყიდვების შესახებ ინფორმაციის შეზღუდულობა, ცოდნის დაბალი დონე, ელექტრონულ ტენდერებზე ნაკლები წვდომა, ელექტრონული პლატფორმების დეფიციტი და სხვ.; სტატიაში შემოთავაზებულია სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით ადგილობრივი მეწარმეების და/ან ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერის მექანიზმებით ადგილობრივი მცირე და საშუალო კომპანიების გაძლიერების შესაძლებლობები. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის მიხედვით: მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები სოციალურ-ეკონომიკური და გარემოზე ზემოქმედების ეფექტიანობის თვალსაზრისით უნდა შეფასდეს; ეკონომიკური ეფექტიანობის ინდიკატორით შეფასებისას უნდა განისაზღვროს რამდენად გაუმჯობესდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი გარემო, რა ოდენობის უცხოური ინვესტიციები განხორციელდა, მათ შორის, კერძო სექტორში; სოციალური ეფექტიანობის კუთხით შეფასებამ უნდა გამოავლინოს სახელმწიფო შესყიდვებმა

რამდენად გააუმჯობესა დასაქმების დონე, სამუშაო პირობები, შრომითი სტანდარტები, საჯარო მოხელეების, მომწოდებლებისა და კონტრაქტორების ეთიკური ქცევები; გარემოზე გავლენის ეფექტიანობა საჭიროა შეფასდეს მცირე და საშუალო ბიზნესში მდგრადი მიწოდების ჯაჭვების ფუნქციონირებით, განახლებადი ენერგიის გამოყენების, ბუნებრივი რესურსების დაცულობის დონით.

3.1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" . (მონაწილე). https://tsu.ge/assets/media/files/7/prog.V%202020.pdf

3.2. „გარდამავალი ეკონომიკები გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე“. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება. 21-22 ოქტომბერი 2022. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნ-ტი, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი. (მონაწილე). https://www.bsu.edu.ge/sub-33/news/index.html

3.3. **Atanelishvili, T....** FOREIGN DIRECT INVESTMENT IN TRANSITION ECONOMIES IN THE CONDITIONS OF COVID-DEPRESSION (COMPARATIVE ANALYSIS) [პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებში კოვიდ დეპრესიის პირობებში (შედარებითი ანალიზი)], Ecoforum Journal, 11/1. http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/ article/viewFile/ 1345/798 . **ERIH PLUS**

მნიშვნელოვანი აქტივობა:

დაჯილდოებულია თსუ „მედლით“.

ასოცირებული პროფესორი მარინა ნაცვალაძე

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტი - ,,ინსტიტუტების გავლენა საზოგადოებრივი დოვლათის ეფექტიან წარმოებაზე (ექსპერიმენტული ეკონომიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით)“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თეორიული ეკონომიკის კათედრა, 2022.

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ელუჯა მექვაბიშვილი- პროექტის ხელმძღვანელი
2. ასოცირებული პროფესორი, მარინე ნაცვალაძე-სამეცნიერო ჯგუფი წევრი
3. ასისტენტ-პროფესორი რუსუდან სირბილაძე -სამეცნიერო ჯგუფი წევრი
4. დოქტორანტი - სალომე კობახიძე
5. დოქტორანტი-გიორგი მჟავანაძე
6. დოქტორანტი-სალომე დეისაძე
7. ეკონომიკის დოქტორი რატი მექვაბიშვილი - პროექტის კონსულტანტი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქცევითი ეკონომიკის ინტერდისციპლინარული კვლევების განვითარების ამგვარ პირობებში ალტრუიზმი, როგორც პროსოციალური ქცევის ერთ-ერთი მთავარი მოტივი, მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. მეცნიერულ კვლევებში საზოგადოების კეთილდღეობის ქვაკუთხედად სწორედ ალტრუისტული ტიპის ადამიანი იქცა, რომელზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. პროსოციალური და ალტრუისტული ქცევის ინტერდისციპლინარული ექსპერიმენტული კვლევების მიმოხილვა და ქცევითი ეკონომიკის შესაბამისი თეორიების ანალიზი;
2. ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ტიპის ინსტიტუტების ზემოქმედების კვლევის შედეგების ანალიზი ექსპერიმენტული ეკონომიკის ლიტერატურაში;
3. ეკონომიკური ექსპერიმენტის დიზაინის და კვლევითი პროექტის მომზადება;
4. შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის მოდიფიცირება-ადაპტირება და ექსპერიმენტის ჩატარება;

პროექტის განხორციელების მეორე ეტაპის განმავლობაში ჩატარდა კვლევითი ექსპერიმენტის 4 სესია: 1-ელი და მე-2 სესია - 7 ივლისი, 12:00 საათი (ონლაინ), მე-3 სესია - 12 ივლისი, 12:00 საათი (ონლაინ) , მე-4 სესია -13 ივლისი, 12:00 საათი (ონლაინ)
4 სესიის მიხედვით სულ დარეგისტრირებული 200 მონაწილიდან, მათგან 78 მონაწილის დაკვირვების სრული შედეგები.

- მომზადდა და გამოსაცემად მზად არის ორი სამეცნიერო სტატია:

1. რ. მექვაბიშვილი, ე. მექვაბიშვილი, მ. ნაცვალაძე, რ.სირბილაძე, ს. დეისაძე, გ. მჟავანაძე „დეცენტრალიზებული და ცენტრალიზებული დასჯა საზოგადოებრივი დოვლათის თამაშში საქართველოს მაგალითზე“; თსუ სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ 2023.
2. Rati Mekvabishvili, Elguja Mekvabishvili, Marine Natsvaladze, “Prosocial Behavior and Norm of Fairness in a Dynamic Context: Experimental Evidence” 2023.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მ. ნაცვალაძე, თ. ათანელიშვილი, მიკროეკონომიკის პრინციპები, აქტიური სწავლება, ISBN 978-9941-33-327-9, გამომც. ,,უნივერსალი”, გვ. 50, 2022.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თანამედროვე სწავლების პროცესი, ყოველწლიური გამოცდილებიდან გამომდინარე, საშუალებას იძლევა სემინარულ მეცადინეობებზე ახალი აქტივობები და მიდგომები იქნას დანერგილი. ეკონომიკის საწყისი კურსისთვის მეთოდურ-პრაქტიკული მასალების გამოცემის

აუცილებლობა სტუდენტებთან სწორედ ამ მრავალწლიანი მუშაობის ანალიზის შედეგია. ავტორებმა გადაწყვიტეს ეკონომიკის საწყისი კურსის შემსწავლელ სტუდენტებს საშუალება მისცენ სიტუაციების, ადაპტირებული ტესტების, საქართველოს რეალურ ბაზარზე და ზოგადად ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზისა და ფაქტების საფუძველზე გაიღრმაონ თეორიული ცოდნა, იაზროვნონ რაციონალურად და გააკეთონ ეფექტიანი დასკვნები, რაც ინტრავერდ და ექსტრავერდ სტუდენტებს ბოლომდე თვითრეალიზაციის საშუალებას მისცემს.

ნაშრომში გამოყენებულია ქართულ და უცხოურ ენებზე გამოცემული ლიტერატურა აღნიშნულ საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებით და მოიცავს იმ თავებს, რომლებიც გათვალისწინებულია სემესტრული (15 კვირეული) დატვირთვით, სილაბუსის შესაბამისად.

სემინარებზე სამუშაო წიგნის დავალებების განახლება ყოველწლიურად ხდება, თუმცა „მიკროეკონომიკის პრინციპების“ 2022 წლის გამოშვება სრულიად განახლებულია როგორც თემატურად, ასევე შინაარსობრივად, ვინაიდან სასწავლო კურსი განახლდა და სახელმძღვანელოდ ახალი ლექციების კურსი (რიდერი) გამოიყენება (დამატებულია ახალი თემები). სიახლეა ისიც, რომ სტუდენტებთან შესაძლებელი გახდება ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების მიცემა ონლაინ სწავლების გამოყენებით, რაც სტუდენტების შეფასების მრავალფეროვანი სისტემის დანერგვას და აქედან ამომდინარე, სალექციო კურსის განვითარებას შეუწყობს ხელს, ეს კი სასწავლო პროცესს უფრო შემოქმედებითს გახდის.

წიგნში გამოყენებულია მოწინავე ამერიკული კომპანიის, Cengage Group-ის ექსკლუზიური მასალები. Cengage Group არის საგანმანათლებლო კონტენტის, ტექნოლოგიებისა და სერვისების კომპანია უმაღლესი განათლების, K-12, პროფესიული და ბიბლიოთეკის ბაზრებისთვის, რომელიც მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობს. დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში Cengage Learning-ის სასწავლო კონსულტანტის, ჯეინ ნიკოლიჩის მიმართ (Jayne Nikolic, Learning Consultant Central and Eastern Europe), რომელმაც ერთთვიანი უფასო წვდომა მომცა გრეგორი მენქიუს და მარკ ტეილორის წიგნის - „Economics“ ინსტრუქტორების მასალებზე, სტუდენტების რესურსებზე და პროგრამაზე - Cengage MindTap - eLearning resources.

ავტორი, მარინე ნაცვალაძე

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მ. ნაცვალაძე, “ქცევითი ეკონომიკის გამოყენება საჯარო და კერძო სექტორში”,** Innovative Economics and Management: International Scientific Journal, Vol. 9, No. 3, pages 114-125, 2022. ISSN 2449- 2418. **DOI:** https://doi.org/10.46361/2449-2604.9.3.2022.114-125

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

Covid-19-მა პანდემიამ გამოიწვია უპრეცედენტო ცვლილებები ადამიანების სოციალურ და ეკონომიკურ ქცევაში, როდესაც ადამიანებს უწევდათ ერთდროული ბრძოლა როგორც ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის, ასევე საარსებო წყაროს საძებნელად. აღმოჩნდა, რომ ქცევითი ეკონომიკა უაღრესად აქტუალურია Covid-19 პანდემიის დროს ეკონომიკური

აგენტების ქცევის ახსნაში, „ახალი ნორმის“ პირობებში, რათა წარმოაჩინოს ადამიანის რეალური ეკონომიკური ქცევა. ქცევითი ეკონომიკა თანამედროვე ეკონომიკაში მნიშვნელოვანი პარადიგმაა და მან რევოლუციური გზით შეცვალა ეკონომიკის თეორიის სტანდარტები და რაციონალური გადაწყვეტილებების ნაცვლად გვთავაზობს გადაწყვეტილებების მიღებისა და მართვის მეტად რეალისტურ ალტერნატივებს - ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს არა რაციონალურ და მათემატიკურ გათვლებს, არამედ ადამიანური ქცევის მოდელების შესწავლას, მიზეზთა ანალიზსა და იმის გათვითცნობიერებას, თუ როგორ ფიქრობენ ადამიანები და როგორ შეიძლება გადაწყვეტილების მიღების პროცესში შინაარსის თუ გარემოს ცვლილებით მოვახდინოთ ზეგავლენა მათ არჩევანზე, არჩევანის შეზღუდვის გარეშე (ქცევითი ეკონომიკის „ბიძგების“ გამოყენება - „Nudge Theory“).

Covid-19-ის პანდემიამ წამოჭრა რამდენიმე საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ რეაგირებენ ბაზრის მონაწილეები გლობალურ პანდემიაზე. Covid-19-ის პანდემიამ შეძლო სწრაფად გავრცელება მთელს მსოფლიოში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საჭირო იყო უკიდურესი ზომები მის კონტროლის ქვეშ მოქცევისთვის. მთელ მსოფლიოში მთავრობების პოლიტიკამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით დღის წესრიგში დადგა ბაზრის მონაწილეების ეკონომიური ქცევის შესწავლის საკითხი პანდემიის პირობებში.

რაციონალურობაზე დაფუძნებული რეალური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება, როგორც ჩანს, უკიდურესად რთულია ყველა ეკონომიკური აგენტისთვის Covid-19 პანდემიის პირობებში. ამიტომ, როდესაც ეკონომიკური აგენტები აწყდებიან პანდემიის მიერ შექმნილ უკიდურესად რთულ მდგომარეობას, რაციონალური ეკონომიკური გადაწყვეტილებები, სავარაუდოდ, არაეფექტიანი ან არაქმედითუნარიანი ხდება და, შესაბამისად, ქცევითი ეკონომიკის სფეროში აღწერილი „შეზღუდული რაციონალურობის“ პრინციპი შეიძლება უმოქმედო გახდეს პანდემიის შედეგების შერბილების სტრატეგიის განხორციელებისას.

სტატიაში განხილულია „ბიძგის თეორიის“ („Nudge Theory“) გამოყენება საჯარო და კერძო სექტორში ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას სტიმულების ამოქმედებისთვის.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მ. ნაცვალაძე, „გაურკვევლობა და რისკი კოვიდ-19 პანდემიის პირობებში“,** თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, საერთაშორისო სამეციერო კონფერენცია „კოვიდ-19 პანდემია და ეკონომიკა“, შრომების კრებული, გვ. 243-248, ISBN 978-9941-491-70-2, 2022;

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2020 წლის დასაწყისში მსოფლიოს ყველა ქვეყანის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე, საქონლისა და მომსაურების ყველა ბაზარზე შეიმჩნეოდა მზარდი დაბნეულობა. ეკონომიკაზე კოვიდ-19 პანდემიის გავლენით, ფაქტიურად ყველა დარგის მეცნიერთა შორის მრავალი საინტერესო საკვლევი საკითხი გამოიკვეთა.

კოვიდ-19 პანდემიის ფონზე არსებული დიდი გაურკვევლობის პირობებში, შეიმჩნეოდა მოსალოდნელი საფრთხეების და მასთან დაკავშირებული მაღალი ზემოქმედების რისკების უგულებელყოფა, რომლებიც, წლების განმავლობაში, ბევრმა ქვეყნის მთავრობამ არ გაითვალისწინა. მეცნიერების მხრიდან იყო სანდო გაფრთხილება იმის შესახებ, რომ მსოფლიო ცუდად იყო მომზადებული პანდემიისთვის. მისი დაწყებითანავე ცხადი გახდა, რომ ბევრმა ქვეყანამ აღნიშნულ ფაქტზე საკმაოდ ნელი რეაგირება მოახდინა და არაეფექტური ღონისძიებები გაატარა, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა ეკონომიკის თითქმის ყველა დარგს.

სტატიაში საუბარია არაპროგნოზირებადი გაურკვევლობისა და გაზომვადი რისკის პირობებში კოვიდ-19 პანდემიის ფონზე მთავრობების მიერ განხორციელებულ პოლიტიკაში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შეფასებაზე „შავი გედის თეორიისა“ (ტერმინი, რომელიც გამოიყენება გახმაურებული, მაგრამ ძნელად პროგნოზირებადი და იშვიათი მოვლენების აღსაწერად) და „რუხი მარტორქის“ („საკმაოდ სავარაუდო, მაღალი ზემოქმედების რისკები) ტერმინების მიხედვით.

მომავალში რთული გამოწვევების წინაშე დგომა მოითხოვს გრძელვადიან, ფართომასშტაბიან აზროვნებას, სადაც უფრო მეტი აქცენტი გაკეთდება რეალურ ეკონომიკაზე და უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის და პოლიტიკური ლიდერების პასუხისმგებლობის დაკისრების ვალდებულებაზე. არსებული სიტუაცია ასევე, ახალი შესაძლებლობების განხორციელების კარგი საშუალებაა. ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიციების ხელშეწყობა შექმნის სამუშაო ადგილებს და შეამცირებს ჯანდაცვის ხარჯებს. უთანასწორობის დაძლევა კი აამაღლებს k-ფორმის აღდგენის ქვედა ნაწილს და გაავრცელებს ეკონომიკური აღდგენის სარგებელს (Wucker, 2020). პოსტპანდემიური პერიოდის ადრეულ ეტაპებზე, სავარაუდოდ, მთავრობები გააგრძელებენ ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტების გამოყენებას, გარკვეული დროის განმავლობაში.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, პოსტკრიზისულ პერიოდში ზომბირებული ეკონომიკის აღდგენა კიდევ უფრო რთული იქნება (Papava, 2021). ამ შემთხვევების ანალიზის დროს აშკარად ჩანს ის პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდუალურ ფსიქოლოგიასა და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს შორის კავშირზე, მაგალითად ადამიანებს (მთავრობებს, პოლიტიკის გამტრებლებს) ახასიათებთ ტენდენცია, ყურადღება გაამახვილონ უფრო სასიამოვნო ამბებზე, ვიდრე უსიამოვნო ამბებისადმი მეტი ყურადღების გამოჩენაა. ასევე არსებობს ბუნებრივი სურვილი - გადავადება იმ პრობლემებთან გამკლავებაში, რომლებსაც არ აქვს ვადა, იმ იმედით, რომ მომავალში ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით და პრობლემასაც მოვაგვარებთ. ქვეყანას უნდა აწუხებდეს არა მხოლოდ „შავი გედები“, არამედ „რუხი მარტორქები“, რისი მაგალითებიცაა ქვეყნებისა და მთლიანად მსოფლიოს წინაშე მყოფი მრავალი პრობლემება, დაკავშირებული პოლიტიკასთან, იდეოლოგიასთან, მეცნიერებასა და ტექნოლოგიებთან, საზოგადოებასთან, გარემოს მდგრადობასთან და მთლიანად, ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა**

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ***პროფესორი რევაზ გველესიანი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი
ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი
ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი
ასისტენტ პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი
ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია

პროფესორი რევაზ გველესიანი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. **საფაკულტეტო საგრანტო პროექტი *„ევროკავშირში ინტეგრაციის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირება და მისი გატარების შესაძლებლობები საქართველოში”***

1) გარდამავალი(მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **1.03.2022 -15.12.2022**

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **პროექტის ხელმძღვანელი:** პროფესორი რევაზ გველესიანი

პროექტში ჩართული პერსონალი: ასოცირებული პროფესორები: ეკა ლეკაშვილი (პროექტის კოორდინატორი), გულნაზ ერქომაიშვილი, ირინა გოგორიშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი. ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია (მკვლევარები), დოქტორანტები: მარიამ ხორავა და გიორგი კრავეიშვილი (ინფორმაციის მოძიება, თარგმნა).

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ბოლო ათწლეულებში განვითარებულმა საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისებმა, გლობალიზაციის პირობებში გაზრდილმა უთანასწორობამ და ეკოლოგიური კატასტროფების რიცხვის ზრდამ მეინსტრიმული ეკონომიკური თეორიის მიმართ კითხვები გააჩინა. ფინანსური სექტორის დომინანტურმა ძალამ განვითარებული ქვეყნების დეინდუსტრიალიზაცია გამოიწვია და მათი ეკონომიკები დესტრუქციული საფინანსო ბუშტების მიმართ მოწყვლადი გახადა (24). საფინანსო კრიზისმა თავი იჩინა ევროზონაშიც, მის პერიფერიულ ნაწილში. საბაზრო ჩავარდნების დასაძლევად, ადგილობრივი დარგების დაცვისა და რეგიონული განვითარების სტიმულირების უზრუნველსაყოფად, ასევე ციფრული მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ახალი დარგების და შესაბამისად, მრეწველობის განვითარების ხელშეწყობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა საზოგადოების გრძელვადიანი მიზნების მხარდამჭერი პოლიტიკის გატარება. გადაწყვეტის გზად მიჩნეულ იქნა ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა, რომლის სტრატეგიულ დონეზე წარმატებული განხორციელებაც

შესაძლებელია სხვადასხვა (კონკურენციის, ტექნოლოგიური და ინოვაციის, განათლების, ვაჭრობის, საინვესტიციო და ა.შ) პოლიტიკების კოორდინაციის საფუძველზე, რაც მოითხოვს სახელმწიფოს როლის ზრდას ეკონომიკაში. ევროპის რეიდუსტრიალიზაციის პოლიტიკა გაიწერა შესაბამის დოკუმენტებში (ლისაბონის სტრატეგია 2000; ევროპის სტრატეგია 2020). შემუშავდა სტრატეგიის მხარდამჭერი პროგრამები, რომლებშიც ასახულია მრეწველობის კონკურენტუნარიანობის, მდგრადი და ინკლუზიური მრეწველობის, ციფრული მრეწველობის ხელშეწყობის, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში ინვესტირების და სხვა აქტუალური საკითხები.

ამასთან, ევროკავშირში მომწიფდა აზრი, რომ ევროკავშირის სამრეწველო პოლიტიკა მოითხოვს გადახედვას: ნაცვლად ტრადიციულ კონცეფციებზე დაყრდნობილი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საინვესტიციო გადაწყვეტილებებისა, საინვესტიციო ნაკადები უნდა წარიმართოს ისეთი ინდუსტრიებისკენ, რომლებიც ხელს შეუწყობენ მდგრად კეთილდღეობას, კლიმატზე მავნე ზეგავლენის შემცირებას და ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას. სახელმწიფო ინვესტიციებით უნდა ისარგებლონ მხოლოდ მათ, ვინც მოწოდებულია პატივი სცეს კლიმატზე ზრუნვას და შექმნას კარგი სამუშაო ადგილები, მათ შორის ციფრულ სფეროში. მრეწველობის გაციფრულება და მასთან დაკავშირებული ,,კარგი სამუშაო ადგილების“ შექმნა, ინოვაციური და ტექნოლოგიური მიდგომების პრიორიტეტულობა ,,ჭკვიანი მრეწველობის“ განვითარების გზით, დეკარბონიზაციის მხარდამჭერი პოლიტიკის ამოქმედება ევროპის ყოვლისმომცველი სამრეწველო სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები უნდა გახდეს (26). ამასთან, უნდა მოხდეს სამრეწველო და სოცილური პოლიტიკის უკეთესი კოორდინაცია, რის საჭიროებაც გამოავლინა კოვიდ 19 პანდემიის გამოწვევებმა.

სამრეწველო პოლიტიკა მეცნიერების და პოლიტიკოსების მხრიდან დიდ ყურადღებას იქცევს, რაც დაკავშირებულია ჩინეთის და სხვა სწრაფად მზარდი ეკონომიკების პროგრესთან. სამრეწველო პოლიტიკა თავის ასახვას პოულობს მწარმოებლურობაზე, ეკონომიკურ ზრდაზე, კონკურენციაზე, დასაქმებაზე და სოციალურ საჭიროებებზე. ამიტომაც მის მიმართ ინტერესი უფრო მეტად გაიზარდა კოვიდ 19 პანდემიის პირობებში.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის შეფასების დოკუმენტიდან ჩანს (ევროკომისია, 2020 გვ.64), რომ ხელშეკრულების ტექნიკური პროდუქციის სტანდარტები და რეგულაციების ნაწილი (3.3.3) მოიცავს სამრეწველო პროდუქციისთვის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას. დაინტერესებული მხარეები განიხილავენ ევროპული სტანდარტების შესაბამისი ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების (TBT) მიღებას მომგებიან ღონისძიებად გრძელვადიან პერსპექტივაში და თვლიან, რომ ამ სფეროში საჭიროა ისეთ გრძელვადიანი სამრეწველო პოლიტიკა, რომელიც მოითხოვს თანამშრომლობას, სახელმწიფო და კერძო დაფინანსებას, შესაბამის ინფრასტრუქტურას, კვლევას და უპირველეს ყოვლისა, საკმარის კვალიფიციურ ადამიანურ რესურსს.

ამასთან, ასოცირების ხელშეკრულების მე-5 თავის (სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო მოპოვებითი საქმიანობა) მუხლი 313 - განმარტავს მხარეების თანამშრომლობას სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკის სფეროში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას ყველა ეკონომიკური მოთამაშისთვის,

განსაკუთრებული აქცენტით მცირე და საშუალო საწარმოებზე, როგორც ეს ევროკავშირისა და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობებებშია წარმოდგენილი.

საკვლევი პრობლემის აქტუალურობა გამომდინარეობს მდგრადი განვითარების მეცხრე მიზნიდანაც (მდგრადი განვითარების მიზნების ანგარიში, 2020) (28), რაც ჩვენს ქვეყანას გამძლე ინფრასტრუქტურის შექმნას, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობას და ინოვაციების განვითარებას ავალდებულებს.

დღეს საქართველო საჭიროებს რაციონალურ სამრეწველო პოლიტიკას, ნაკლებადაა შესწავლილი ამ კუთხით განვითარების არსებული პოტენციალი და ევროკავშირის მოთხოვნებთან დაახლოების შესაძლებლობები. მეცნიერული კვლევის თვალსაზრისითაც საკითხი თითქმის შეუსწავლელია. იკვეთება სამრეწველო პოლიტიკის სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს წარმოდგენილი სამეცნიერო პროექტის აქტუალურობას.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია გაანალიზოს ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირების და მისი გატარების შესაძლებლობები საქართველოში.

ამოცანები:

- სამრეწველო პოლიტიკის პრობლემატიკაზე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი;
    - ევროკავშირში სამრეწველო პოლიტიკის ევოლუციის ზოგადი მიმართულებების და თანამედროვე გამოწვევების შესწავლა;
- ევროკავშირის წევრი, კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილების გაანალიზება;
- საქართველოში ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების არსებული მდგომარეობის შესწავლა;
- რეკომენდაციების შემუშავება ევროკავშირში ინტეგრაციის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისა და გატარებისათვის;
- საკვლევი პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე სტატიებისა და მონოგრაფიის გამოქვეყნება.

კვლევის მეთოდები. სამეცნიერო პროექტის კვლევისას გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, შედარებისა და სტატისტიკური (დაკვირვების, შერჩევითი, დაჯგუფების) მეთოდები, აგრეთვე ექსპერტული შეფასებები. ანალიტიკურ და სტატისტიკურ შეფასებებს შორის კანონზომიერებების დასადგენად გამოყენებული იქნება როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეცნიერ-ეკონომისტთა თეორიული და გამოყენებითი კვლევები. ამასთან, გამოყენებული იქნება მონაცემთა ,,ბენჩმარკინგის“ მეთოდი.

კვლევის შედეგები:

- საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე სისტემატიზირებულ იქნა სამრეწველო პოლიტიკის საკითხზე თანამედროვე თეორიული ხედვები;

- შესწავლილი იქნა ევროკავშირში სამრეწველო პოლიტიკის ევოლუციის ზოგადი მიმართულებები და თანამედროვე გამოწვევები;
- გაანალიზებული იქნა ევროკავშირის წევრი, კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილება;
- შესწავლილი იქნა საქართველოში ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების არსებული მდგომარეობა;
- შემუშავებული იქნება რეკომენდაციები ევროკავშირში ინტეგრაციის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისა და გატარებისათვის;
- საკვლევი პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე გამოქვეყნდა სტატიები, მათ შორის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში და მზადდება მონოგრაფია (ელექტრონული ფორმით);
- კვლევითი პროექტის მასალები გამოყენებული იქნება სასწავლო კურსებისთვის ,,საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე“ და ,,ინდუსტრიული პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა“;
- თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამრეწველო პოლიტიკის კვლევის ცენტრის ფარგლებში დაიგეგმება სამრეწველო პოლიტიკის აქტუალური ასპექტების კვლევა, რისთვისაც მომზადებული იქნება სამეცნიერო საფუძველი წარმოდეგნილი კვლევითი პროექტის სახით.

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. **რ.გველესიანი**, ი.გოგორიშვილი, გ.ერქომაიშვილი, ე.ლეკაშვილი, ლ.ხურცია, გ.გაფრინდაშვილი

2)სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN 978-9941-491-45-0

1. **ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, II.**

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2022

4) გვერდებისრაოდენობა

1. წიგნი I – 336 გვ.
2. წიგნი II – 305გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1. ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელო შედგება ორი წიგნისაგან. პირველ წიგნში განხილულია: ეკონომიკური პოლიტიკის საგანი, მიზანი და ამოცანები; ეკონომიკური წესრიგის, კონკურენციის, საფინასო, ფულადი, განაწილების პოლიტიკის (შემოსავლებისა და სოციალური პოლიტიკის) სტრატეგიები და წინააღმდეგობები, ხოლო მეორე წიგნის სტრუქტურა მოიცავს: შრომის ბაზრისა და დასაქმების, საგარეო, გარემოს დაცვის, აგრარული, განვითარების და ციფრიზაციი ეკონომიკური პოლიტიკის თემებს. სახელმძღვანელო

განკუთვნილია ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის. იგი აგრეთვე დააინტერესებს უმაღლესი სასწავლებლების პროფესურას და სახელმწიფოს ეკონომიკურ სტრუქტურებში დასაქმებულ სპეციალისტებს.

5.3. კრებულები

1)ავტორი/ავტორები

1. **გველესიანი რ.,** გოგორიშვილი ი., რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდულობა
   COVID-19 პანდემიის პირობებში.
2. **გველესიანი რ.,** გოგორიშვილი ი, ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების მიმართულებები და თანამედროვე გამოწვევები.
3. **გველესიანი რ.,** ლეკაშვილი ე, ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების ევროპული გამოცდილება (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითი).

2)კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“, შრომების კრებული, ISBN 978-9941-491-70-2

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული.

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, თსუ გამომცემლობა, თბ., 2022
2. თბილისი, თსუ გამომცემლობა, თბ., 2022
3. თბილისი, თსუ გამომცემლობა, თბ., 2022

4) გვერდების რაოდენობა

1. გვ. 80-88.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1. *ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემათა მეცნიერული განხილვის საფუძველზე მიღებულ შედეგებს ვერც ერთი პოლიტიკოსი გვერდს ვერ აუვლის როგორც მიზნების ფორმირების, ასევე მათი მიღწევის საშუალებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას. ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების მეცნიერულად გადაჭრის შედეგი ცოდნის სახით გვეძლევა შემდეგ საკითხებზე:*

- *თუ რა სახის დამოკიდებულებაა დასახულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზნებს შორის;*
- *რა ინსტრუმენტებს ვფლობთ ამ მიზნების მისაღწევად;*
- *რა თანმხლები მოვლენები მოჰყვება ცალკეული ინსტრუმენტის გამოყენებას;*
- *გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების ლოგიკიდან გამომდინარე რა დამხმარე საშუალებების გამოყენებაა შესაძლებელი დასახული მიზნების მისაღწევად.*

რამდენადაც ამგვარი ცოდნა პოლიტიკოსის აზრით სანდოობის გარკვეული ხარისხით სარგებლობს, ამდენად იგი მას იყენებს კიდეც თავისი მოქმედების მომზადების პროცესში. მის წინაშე (გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი პრობლემის სახით) წამოიჭრება ხოლმე საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ასეთი ცოდნის მიღება და მისი შეფასება.

აღსანიშნავია, რომ დღეს არა მარტო საქართველოში არამედ მთელ მსოფლიოშიც ძალზე გაჭირდა რაციონალური (ან მასთან დაახლოებული) პოლიტიკის როგორც შემუშავება, ასევე მისი გატარება. უფრო მეტიც, ეკონომისტების უმრავლესობა დღეს ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმასთან დაკავშირებით. ჯერ-ჯერობით არ არის ჩამოყალიბებული კონკრეტული „საგზაო რუქა“ პანდემიიდან გამოსვლისა და მისი შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

ამ თვალსაზრისით გვსურს გამოვყოთ რიგი გარემოებები, რომელთა მოქმედებაც ხელს უშლის რაციონალური აზროვნების, ქცევის და არსებულ შესაძლებლობათა გამოყენებას. გლობალური რაციონალიზმის დამაბრკოლებელი პროცესები ეყრდნობა:

- მსოფლიო საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნიჰილიზმს, აგრესიასა და ნაციონალურ საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემების ძალისმიერი მეთოდებით ტრანსფორმაციის მცდელობებს;
- წინააღმდეგობას, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის მეთოდური ნორმების პოზიტიური კვლევებისა და მათ საფუძველზე ნორმატიულ გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობების დეფიციტმა წარმოშვა. COVID-19 პანდემიამ გამოავლინა დემოკრატიასა და რაციონალიზმს შორის არსებულ წინააღმდეგობათა (როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მეთოდურ ნორმებს შორის არსებული) კონკრეტული პრობლემები, მაგრამ არ არის მოძიებული როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ დონეზე მათი გადაწყვეტის ეფექტიანი ინსტრუმენტები;
- სიმეტრიული ინფორმაციის სიმწირეს, რაც ერთმნიშვნელოვნად ვლინდება მეცნიერების, პოლიტიკური ძალაუფლებით აღჭურვილ პირთა და მსოფლიოში ცნობილ ბიზნესმენთა ურთიერთსაწინაარდეგო მოსაზრებებში;
- და ბოლოს, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ძალაუფლების მქონე ინტერესთა ჯგუფების შეუთანხმებელ და არაორგანიზებულ მოქმედებებს.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მსოფლიოში დაწყებული აგრესიული, ნაწილობრივ უმართავი ეკონომიკური ტენდენციები, რომელიც ვლინდება ტრადიციულ ლოგისტიკურ, საწარმოო და სასაქონლო ღირებულებათა ჯაჭვის შესუსტებასა და რიგ შემთხვევებში წყვეტაში. ამ მხრივ აქტუალური გახდა ყველა ქვეყნისათვის სტრუქტურულ (სექტორულ და რეგიონულ) პოლიტიკაზე აქცენტირება. განსაკუთრებით ეს ეხება მცირე ღია ეკონომიკის მქონე განვითარებად და საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებს, რომლებიც ჯერ რეალურად სრულყოფილად არ არიან ინტეგრირებული ეკონომიკურ და რეგიონულ გაერთიანებებში. რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი შედეგი, რომელიც თანხვედრაში იქნება მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების ძირითად ტრენდთან არის ინტელექტუალური პროდუქტებისა და მომსახურების წარმოების დამკვიდრება.

2. *ნაშრომში განხილულია ინდუსტრიული განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის გატარება ევროკავშირში. იგი დამოკიდებულია ძალისხმევაზე რომელიც მიმართულია შემდეგ მიმართულებებზე:*

- *რამდენიმე სახის სამრეწველო-ინოვაციური პერსპექტიული აქტივების გათვალისწინება. ზოგიერთზე ყურადღების ფოკუსირება არ გვაძლევს საფუძველს ცვლილებათა შესაძლებლობების შესაფასებლად;*
- *სამეცნიერო ბაზის მოდერნიზაცია კრიტიკული პირობაა მსოფლიო დონის კვლევითი ცენტრების ფორმირებისთვის გამრღვევი სამრეწველო ინოვაციების პროცესში;*
- *პროფესიული უნარებისა და თვითგანვითარების როლის უპირატესი გაზრდა სამრეწველო ინოვაციების მხარდასაჭერად;*
- *ინოვაციების მხარდასაჭერად საჭირო ცოდნის გაზრდის პირობების შექმნა და მათი დაჩქარებული განვითარება;*
- *ბიზნესის განვითარების მონიტორინგი სამრეწველო ინოვაციების შესაფასებლად, ვინაიდან ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მასობრივი უმუშევრობა. ასეთი საფრთხის საპირისპირო ღონისძიებაა თანამედროვე საპროგნოზო კვლევების რეგულარულად ჩატარება.*

კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების ხელმისაწვდომობის სწრაფი ცვლილებების პირობებში, იზრდება ადეკვატური წესრიგის პოლიტიკის ჩარჩო პირობების ჩამოყალიბების როლი და მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს გამრღვევი სამრეწველო ინოვაციების დაგროვებას, ზრდას და გავრცელებას.

მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოსახლეობის მიერ ინოვაციების მიღების ხარისხს, რადგან ისინი ახდენს გავლენას ადამიანთა ცხოვრების პირობებზე. ამავე დროს სამრეწველო ინოვაციების დაჩქარებული გავრცელება, მოითხოვს მოსახლეობის პირდაპირ ფართო მონაწილეობას მათ დიზაინსა და განვითარებაში, რაც შეუძლებელია საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის არსებობისა და გაფართოების გარეშე.

ინდუსტრიული განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის გატარება ევროკავშირში დამოკიდებულია ძალისხმევაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდეგ მიმართულებებზე:

- **რამდენიმე სახის სამრეწველო-ინოვაციური პერსპექტიული აქტივების გათვალისწინება.** ზოგიერთ მათგანზე ყურადღების ფოკუსირება ყოველთვის არ შეიძლება იყოს საკმარისი საფუძველი ცვლილებათა პროცესის მხარდაჭერის შესაძლებლობების შესაფასებლად;
- **სამეცნიერო ბაზის მოდერნიზაცია კრიტიკული პირობაა** მსოფლიო დონის კვლევითი ცენტრების ფორმირებისა და გამრღვევი სამრეწველო ინოვაციების განვითარებისა და გააქტიურების პროცესში;
- შესამჩნევად იზრდება **პროფესიული უნარებისა და თვითგანვითარების როლი** სამრეწველო ინოვაციების მხარდასაჭერად და მათი გამოყენების სარგებლის მიწოდებაში;
- იზრდება ინოვაციების მხარდასაჭერად საჭირო **ცოდნის ნაკადის გაზრდის პირობების შექმნის როლი** და მათი დაჩქარებული და ფართო განვითარება;
- ბიზნესის განვითარების ტრადიციული ინდიკატორების მნიშვნელობის შენარჩუნებასთან ერთად, მათი მონიტორინგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრეწველობის დარგობრივი ინოვაციური ფორმების შესაფასებლად. კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების

ხელმისაწვდომობის სწრაფი ცვლილებების პირობებში, მაგალითად, მონაცემებზე, იზრდება ადეკვატური წესრიგის პოლიტიკის ჩარჩო პირობების ჩამოყალიბების მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს გამღრღვევი სამრეწველო ინოვაციების დაგროვებას, ზრდას და გავრცელებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- სარისკო (ვენჩურულ) კაპიტალთან დაკავშირებით სამრეწველო ინოვაციების ციკლის ყველა ეტაპზე;
- რეგულირება, რომელიც ხელს უწყობს და არა ხელს უშლის ცვლილებათა (სიახლეთა) გაცვლას ეკონომიკის სექტორებს შორის;
- რესურსების სწრაფი და შეუფერხებელი გადანაწილების უზრუნველსაყოფად შექმნილი ბაზრების ფუნქციონირება. ასევე ერთიანი შემოქმედებითი „სათამაშო მოედნის“- კონკურენტული სივრცის ფორმირება ეფექტური კონკურენციის პოლიტიკის შედეგად.

დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **მოსახლეობის მიერ ინოვაციების მიღების ხარისხს**, რადგან ისინი სულ უფრო მეტად ახდენს ტრანსფორმაციულ გავლენას ადამიანთა ცხოვრების პირობებზე.

ამავე დროს ღია სამრეწველო ინოვაციების დაფიქსირებული დაჩქარებული გავრცელება, თავის მხრივ, მოითხოვს **მოსახლეობის პირდაპირ ფართო მონაწილეობას მათ დიზაინსა და განვითარებაში** (Sandra Broszeit, Ursula Fritsch, Holger Görg, and Marie-Christine Laible 2016). გამოდის, რომ ეს შეუძლებელია საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის არსებობის გარეშე.

3. ნაშრომში გაანალიზებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების თავისებურებები, რაც განპირობებულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების და ევროკავშირთან ინტეგრირების ინტერესებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების ეტაპებში განხილულია ვერტიკალური ინდუსტრიული პოლიტიკიდან ჰორიზონტალურ, ხოლო დარგობრივი ინდუსტრიულ პოლიტიკიდან დეცენტრალიზებულ ტერიტორიულ პოლიტიკაზე გადასვლის თავისებურებები,. ანალიზის საფუძველზე მოხდა იმ გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც დაკავშირებულია "ჭკვიანი სპეციალიზაციის" მრავალდონიან მართვასთან. მათ შორისაა: არაეფექტიანი კოორდინაციის მექანიზმები; ხელისუფლების წევრებსა და აქტორებს შორის ნდობის ნაკლებობა და ტერიტორიული განსხვავება; ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების სირთულე; დღის წესრიგი და მოლოდინები ტერიტორიულ დონეებზე; ცხადი პოლიტიკური ვალდებულების არარსებობა აქტიური ჩართულობის მისაღწევად, ურთიერთგამომრიცხავი ზომების მიღება და სხვა.

ამრიგად, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების შესწავლამ გვაჩვენა, რომ მცდარია მოსაზრება, რომ განვითარებული ეკონომიკის, მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობები აღარ ატარებენ ინდუსტრიულ პოლიტიკას. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სამომხმარებლო ბაზრის შექმნით, საერთო სტანდარტებისა და ევროკავშირის შიდა კონკურენციის კანონის მეშვეობით ევროკავშირმა გააძლიერა შიდა ღირებულებების ჯაჭვი და აამაღლა სამრეწველო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა. იმავდროულად, შეიმუშავა და აამოქმედა კანონმდებლობა და ინიციატივები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს უკეთ დაცვასთან და მდგრად, უსაფრთხო და ხელმისაწვდომ ენერგიასთან.

ახალი მიდგომით, ევროკავშირის კომისიამ არსებული ჰორიზონტალური ზომების გაუმჯობესებასთან ერთად, თავის ახალ ინდუსტრიულ პოლიტიკაში გამოყო სპეციფიკური სექტორები და მიზნად დაისახა სტრატეგიული სექტორების სინერგიული ურთიერთქმედება სექტორული მიდგომებისა და სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. გლობალურ კონკურენტებთან დაკავშირებით, ევროკავშირმა ჩამოაყალიბა შეთავაზება, რომ მხარი დაუჭიროს ინდუსტრიულ პოლიტიკას და მის განხორციელებას ევროკავშირის ქვეყნებს შორის მიზნობრივი ინდუსტრიების შესაბამისად. ამ პროცესში ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანაა ჩართული, მათ შორის სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპის წევრი სახელმწიფოები.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

რ.გველესიანი, გ.ბედიანაშვილი

2)სტატიის სათაური, ISSN 2449-2396

1. ეკონომიკური პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგების შეფასების პრობლემა.

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. „გლობალიზაცია და ბიზნესი“ №13, 2022

4)გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, ევროპის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2022

5) გვერდების რაოდენობა

1. გვ. 17-24.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის ამოსავალი წერტილია განსხვავება არსებულსა და მას შორის, რაც უნდა არსებობდეს. ამიტომ, მოსაზრებები (შეხედულებები) იმის შესახებ, რაც უნდა იყოს, შესაძლოა გამოვიყენოთ დაკვირვებადი ეკონომიკური მდგომარეობისა და განვითარების შესაფასებლად. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გაჩნდეს რეკომენდაციები თუ როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან განსხვავებები არსებულსა და მას შორის, რაც უნდა არსებობდეს. რეალობაში გვხვდება ფაქტობრივი მოვლენები, რომელთა შემოწმება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. ასევე არსებობს სასურველი მოვლენები, რომლებიც შორდებიან ასეთ შემოწმებას. სწორედ მათი შედარების საფუძველზე ყალიბდება, როგორც შეფასებების, ისე რეკომენდაციების შინაარსი. ნორმატიული შეხედულებები სუბიექტურ სურვილებს გამოხატავენ, ამიტომ შეფასების შედეგი არ შეიძლება „სწორად“ ან „მცდარად“ მივიჩნიოთ. შესაძლებელია, რომ სუბიექტმა (ან ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფმა) ისინი თავისთვის მისაღებად ჩათვალოს ან უარყოს კიდეც.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია შეფასებათა მეცნიერული დადგენა და გაანალიზება, ისევე როგორც მათი ურთიერთდამოკიდებულებების შემოწმება. მაგრამ დაუშვებელია ისინი მივიჩნიოთ „სწორ“ ან „მცდარ“ შეფასებებად. ეს რა თქმა უნდა არ გამორიცხავს იმას, რომ მეცნიერი შეიძლება პიროვნულად მხარს უჭერდეს გარკვეულ ნორმატიულ პოზიციას. ასევე არ არის გამორიცხული მეცნიერული შეფასებითი მსჯელობა ან კამათი ღია და საჯარო ფაქტების შესახებ. თუ ნორმად მივიღებთ იმას, რომ აუცილებელია ინტერსუბიექტურად შემოწმებადი შეფასებითი მსჯელობის (იდეოლოგიების) თავიდან აცილება, მაშინ მკაფიოდ უნდა გვქონდეს გაცნობიერებული შეხედულების შეფასებითი ნაწილი (შეფასების ტრანსპარენტობის

პოსტულატი). მაგრამ ამ მოთხოვნის შესრულება ძალზე ძნელია იმის გამო, რომ მეტყველების ელემენტებს ხშირად შეფასების მიზნით ვიყენებთ. ყოველ შემთხვევაში დასკვნებს მეცნიერული ხასიათი სულაც არ ენიჭება იმის გამო, რომ მათ შეიძლება ისეთი ვინმე იყენებდეს, ვინც მეცნიერულ საქმიანობას ეწევა. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ მეცნიერი, თავისი კვლევებიდან გამომდინარე, გარკვეულ შეფასებით მტკიცებულებებს სხვა ასეთივე შეხედულებებთან შედარებით უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდეს.

შეფასების მეცნიერულ დასაბუთებას ყოველთვის ცდილობდნენ. მაგრამ ინტერსუბიექტურად შემოწმებადი მეცნიერული კრიტერიუმის არარსებობის გამო ამგვარი მცდელობა საბოლოოდ მარცხით მთავრდებოდა. დასაბუთების ერთ-ერთი მცდელობა იმაში მდგომარეობს, რომ ღირებულებათა უშუალო წვდომა (ინტუიციონიზმი) შემეცნების წყაროდაა მიჩნეული. იგივე შედეგი გვაქვს, როდესაც ცდილობენ საზოგადოებრივ სინამდვილეზე (მოვლენებსა და პროცესებზე) დაკვირვების გზით მისი მარად უცვლელი „არსი“ შეიმეცნონ და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბონ შეფასებები (ნატურალიზმი).

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. **Gvelesiani R.,** Lomia T.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN 2344-2174

1. Evaluation functions when making decisions in conditions of uncertainty,

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Ecoforum, Vol 11, Issue 3 (29),

4) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. Romani, 2022

5) გვერდების რაოდენობა

1. 6 გვ.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების ოპტიმიზაცია - მაქსიმალური შედეგის მიღწევა - მხოლოდ მკაცრი რაციონალურობის საფუძველზეა შესაძლებელი. ერთი მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მოქმედების დროს გასათვალისწინებელია ის მიღწევები, რომლებიც შედეგების მატრიცაში წინასწარ არის მოცემული. მეორე მხრივ კი, საჭიროა შეფასების ფუნქცია გამოვიყენოთ. იგი საშუალებას მოგვცემს სხვადასხვა შედეგი მათი მახასიათებლების მიხედვით შევაფასოთ და მოქმედებები სასურველი წესრიგის ფარგლებში მოვაქციოთ. მოვლენათა მახასიათებლების შეჯამება მაშინაა შესაძლებელი, როცა ასეთი მახასიათებლების სახეობა, გვარი, ხარისხი, ხანგრძლივობა და სანდოობა ერთმანეთისგან დამოუკიდებელია. ამასთან ერთად შეფასებასაც – პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე – საფეხურებრივი ხასიათი აქვს. ყოველი მომდევნო საფეხური შედეგთა მატრიცის გამარტივებას გულისხმობს. ასეთი პროცედურის ბოლოს ჩვენს წინაშეა ისეთი გადაწყვეტილების ფორმირების შესაძლებლობა, რომელიც ყველა ქმედებას მნიშვნელობას ანიჭებს ანდა მის ვექტორად გვევლინება. იგი ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას ხელს უწყობს.

შეფასების ფუნქციასთან მრავალი პრობლემაა დაკავშირებული. საქმე იმაშია, რომ შეფასების ფუნქცია გადაწყვეტილების წესთან ერთად განსაზღვრავს იმას, თუ ინსტრუმენტების რომელი ვარიანტის გამოყენებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ასეთი ფუნქციები და წესები, უპირველს ყოვლისა, გადაწყვეტილების პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობაზეა ორიენტირებული. ისინი გადაწყვეტილების მომზადების პრაქტიკული სიტუაციებისგან განსხვავებით, გადაწყვეტილების ერთადერთ მიმღებს ითვალისწინებენ. გადაწყვეტილების მომზადების წესის ცოდნა უკიდურესად ფრაგმენტულია. იგი დროში არასტაბილურია. ეს ნიშნავს, რომ ინსტრუმენტების მნიშვნელობის (ღირებულების) შესახებ ინფორმაცია, როგორც წესი, არასრულია. რაც შეეხება ინსტრუმენტთა გამოყენებას, ისიც არასრულყოფილადაა შეფასებული.

ზოგადად მოკლებული ვართ გადაწყვეტილების მომზადების იმ პრაქტიკულ მეთოდებს, რომელიც აუცილებელია გაურკვევლობის პირობებში ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოქმედებათა დასაგეგმად. ერთი მხრივ, ამის მიზეზი ისიცაა, რომ გადაწყვეტილების ველზე არსებული ურთიერთკავშირების შესახებ საკმარისი ცოდნა არ გაგვაჩნია. მეორე მხრივ, არ ვიცით მოსალოდნელ შედეგთა არც რაოდენობა და არც სახეობა. გადაწყვეტილების მომზადების პრობლემის კომპლექსურობასა და მისი ანალიტიკური და სიღრმისეული წვდომის რეალურ შესაძლებლობებს შორის გარკვეული შეუსაბამობა არსებობს. ამავე დროს ნაჩქარევია (ამიტომ უარსაყოფია) დასკვნა იმის შესახებ, რომ სისტემური და თეორიულად დასაბუთებული მოქმედება პრობლემას აუცილებლად გაამარტივებს. ლოგიკურია კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელია სისტემური და გადაწყვეტილების მიხედვით თეორიულად დასაბუთებული მოქმედება, რომელიც ინტუიციის გვერდით უნდა დავაყენოთ. გარდა ამისა, ასეთი მოქმედება არ ემყარება რაოდენობრივ ანალიზს, რომელიც პრობლემის მთელ კომპლექსურობას მოიცავს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **გველესიანი რ.,** გოგორიშვილი ი., რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდულობა
   COVID-19 პანდემიის პირობებში.
2. **გველესიანი რ.,** გოგორიშვილი ი, ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების მიმართულებები და თანამედროვე გამოწვევები.
3. **გველესიანი რ.,** ლეკაშვილი ე, ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების ევროპული გამოცდილება (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითი).

2) მოხსენების სათაური

1. რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდულობა COVID-19 პანდემიის პირობებში.
2. ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების მიმართულებები და თანამედროვე გამოწვევები.
3. ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების ევროპული გამოცდილება (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითი).

3) ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

1. 8 თებერვალი, 2022. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2.
2. 4-5 ნოემბერი, 2022, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2.
3. 4-5 ნოემბერი, 2022, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2.

ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა და მასთან არსებული **ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი** პროფ. **რევაზ გველესიანის** ინიციატივიტა და უშუალო ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას (ამ ეტაპზე დისტანციურ რეჟიმში):

ა) ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ვოლფგანგ ვენგი);
ბ) ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი გკუნტერ ფალთინი);
გ) ცუკუბას უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ნეანტრო საავედრა რივანო);
დ) პოტსდამის უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ანგელა მიკლეი);
ე) იტალიის საპიენცას უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი ფაბიო საბატინი);
ვ) უნგრეთის მისკოლცის ეკონომიკურ უნივერსიტეტთან (წარმომადგენელი პროფესორი დანიელ კუტორი);
ზ) საფრანგეთის ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი ასოცირებული პროფესორი ფელიქს ვონ ნოსტიტზი);
თ) პოლონეთის რჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი პროფესორი იაცეკ სტროინი);
ი) ბულგარეთის ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის უნივერსიტეტი (წარმომადგენელი ემდ საბრინა კალინკოვა);
კ) სლოვენიის მარიბორის უნივერსიტეტი (წარმომადგენელი ნუსა ბასლე);
ლ) ავსტრიის პარიზი-ლონდონი- ზალცბურგის უნივერსიტეტი (წარმომადგენელი კარატინა ჯიმი).

აღნიშნული თანამშრომლობის პროგრამა მოიცავს: **ა)** ერტობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას; **ბ)** საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმების ორგანიზებას; **გ)** ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების მომზადებას; **დ)** ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორების მოწვევას და მათ მიერ ლექციების ინტენსიური კურსის წაკითხვას; **ე)** ეკონომიკური პოლიტიკის მოდულის მაგისტრანტების გერმანიაში პროფესიულ პრაქტიკაზე მივლინებას; **ვ)** დოქტორანტების ერთობლივ სამეცნიერო ხელმძღვანელობას და მათი სადისერტაციო ნაშრომების ერთობლივ რეცენზირებას.

ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. 1. **ევროკავშირში ინტეგრაციის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირება და მისი გატარების შესაძლებლობები საქართველოში, თსუ, 2022**

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **2022 წლის მარტი, 2022 წლის დეკემბერი**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **1. პროფესორი რ. გველესიანი - პროექტის ხელმძღვანელი**

2. .ასოცირებული პროფესორი ე. ლეკაშვილი - კოორდინატორი

3. ასოცირებული პროფესორი გ. ერქომაიშვილი - მკვლევარი

4. ასოცირებული პროფესორი ი. გოგორიშვილი -მკვლევარი

5. ასოცირებული პროფესორი გ. გაფრინდაშვილი -მკვლევარი

6.ასისტენტ პროფესორი ლ. ხურცია- მკვლევარი

დოქტორანტი მარიამ ხორავა - მკვლევარი

დოქტორანტი გიორგი კრავეიშვილი - მკვლევარი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მეწარმეობის წარმოშობისა და განვითარების ისტორია საქართველოში. (თანაავტორი რ. მინაშვილი).**
   ISBN 978-9941-33-205-0
   თბილისი, „უნივერსალი“ , 2022, 112გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში გადმოცემულია მეწარმეობის წარმოშობისა და განვითარების ისტორია საქართველოში, მეწარმეები საქართველოში XIX საუკუნის ბოლოს, მეწარმეობის ელემენტები საბჭოთა პერიოდში, მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, ტრადიციული მეწარმეობიდან ციფრულ მეწარმეობამდე, სოციალური მეწარმეობის თავისებურებები საქართველოში, მეწარმეობა და გადასახადები, სამეწარმეო რისკი და დაზღვევა, კოვიდ-19 და სამეწარმეო პოლიტიკა. აღნიშნული საკითხების ცოდნა მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისათვის. სწორედ ამას ემსახურება წინამდებარე ნაშრომი.

განკუთვნილია საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ასევე აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი. **გ.ერქომაიშვილი**, ე. ლეკაშვილი, ლ. ხურცია, გ. გაფრინდაშვილი.ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი 1.

თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2022.

2. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი. **გ.ერქომაიშვილი**, ე. ლეკაშვილი, ლ. ხურცია, გ. გაფრინდაშვილი.ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი 2.
თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2022, 308 გვ.
3. ე. ბარათაშვილი, ზ. ნასარაია, ჯ.ზარანდია, ა. აბრალავა, რ. ქუთათელაძე, **გ. ერქომაიშვილი** და სხვ. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, ISBN 978-9941-33-229-6.
თბილისი, უნივერსალი, 2022, 500 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2 ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელო შედგება ორი წიგნისაგან. პირველ წიგნში განხილულია: ეკონომიკური პოლიტიკის საგანი, მიზანი და ამოცანები; ეკონომიკური წესრიგის, კონკურენციის, საფინანსო, ფულადი, განაწილების პოლიტიკის (შემოსავლებისა და სოციალური პოლიტიკის) სტრატეგიები და წინააღმდეგობები,

მეორე წიგნის სტრუქტურა მოიცავს: შრომის ბაზრისა და დასაქმების, საგარეო, გარემოს დაცვის, აგრარული, განვითარების და ციფრიზაციის ეკონომი- კური პოლიტიკის თემებს.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის. იგი აგრეთვე
დააინტერესებს უმაღლესი სასწავლებლების პროფესურას და სახელმწიფოს
ეკონომიკურ სტრუქტურებში დასაქმებულ სპეციალისტებს.

3. წიგნში განხილულია რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის და საერთოდ, რეგიონალიზმის უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა რეგიონული ეკონომიკური განვითარების თეორიების გენეზისი, საზოგადოების ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის კონცეფცია, ინვესტიციების მოზიდვის რეგიონული ასპექტები, რეგიონული კონკურენტუნარიანობის კომპლექსური შეფასება, პოლიტიკური რეგიონალისტიკა, რეგიონული საფინანსო ბაზრების თანამედროვე ტენდენციები, „ცენტრი-რეგიონი“-ს ურთიერთობები, რეგიონული დიაგნოსტიკა, რეგიონული პოლიტიკის მაკროეკონომიკური პროგნოზი და სხვ.

ნაშრომი განკუთვნილია მაგისტრების, დოქტორანტებისა და მეცნიერ-მკვლევარებისთვის. იგი საინტერესო იქნება აგრეთვე აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Mineral and Freshwater Consumer Market and Export Policy in Georgia.**
MEDICON AGRICULTURE & ENVIRONMENTAL SCIENCES. Volume 2 Issue 3 March 2022
https://themedicon.com/pdf/agricultureenvironmental/MCAES-02-021.pdf

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში გადმოცემულია მინერალური და მტკნარი წყლების წარმოებისა და ექსპორტის არსებული ვითარება, კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ინსტიტუციონარული რეფორმები საკმარისი არ არის მინერალური და მტკნარი წყლების კონკურენტუნარიანობის და ექსპორტის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

მთავარ პრობლემებად მიიჩნევა:

- საინვესტიციო და საექსპორტო სუბსიდიების ნაკლებობა;
- რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში სახელმწიფოს მხრიდან დახმარებების არქონა;
- ინფლაცია;
- პროდუქციის ფალსიფიკაციის პრობლემა, განსაკუთრებით უცხოეთის ბაზრებზე.

რეკომენდაციები:

- უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით: ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; შეღავათიანი კრედიტების ხელმისაწვდომობა, დაზღვევის სისტემის შექმნა, ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა;
- მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიის დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ.;
- კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელია თანამედროვე დიზაინით გაფორმებული მაღალი ხარისხის პროდუქციის უწყვეტი მიწოდება, ახალი ბაზრების ათვისებისათვის სადისტრიბუციო ქსელების გახსნა, სარეკლამო საქმიანობის ფართოდ გაშლა, ელექტრონული ვაჭრობის ორგანიზაცია;
- მინერალური წყლების ბიზნესის აღმავლობის საწინდარი კარგად განვითარებული სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო კომუნიკაციებია, რადგან საწარმოთა უმრავლესობა უახლოეს რკინიგზის სადგურებსა და პორტებს ძალიან მოშორებულია;
- ინვესტორებისთვის აუცილებელია სტაბილური სამართლებრივი გარემოს არსებობა, რაც შეუქმნის მათი საკუთრების დაცვის მყარ გარანტიებს.

საქართველოს შეუძლია მთელი მსოფლიო დააკმაყოფილოს როგორც მინერალური, ისე მტკნარი წყლებით. დღეს მსოფლიოში განსაკუთრებით დგას წყლის პრობლემა. ყველაზე დიდი შემოსავალი შეიძლება მიღებულ იქნეს წყლის ბიზნესით. ეს არის უფასო მზა რესურსი. ბიზნესმენი ვინც ამ სფეროში ჩადებს ფულს, წაგებული არასოდეს დარჩება.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. 1. **გულნაზ ერქომაიშვილი, .მრეწველობის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში.**

ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი", N3, 2022

ISSN 1987-5789

ESSN 2587-5426

2. **მინერალური და მტკნარი წყლების საექსპორტო პოლიტიკა საქართველოში. თსუ, 2022. გვ.114-120**

https://dspace.tsu.ge/xmlui/bitstream/handle/123456789/1412/Mineral%20and%20Fresh%20Water%20Export%20Policy%20in%20Georgia.pdf?sequence=1&isAllowed=y

3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. თსუ, 2022

4. .პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში პოსტპანდემიურ პერიოდში. გორი, 2022

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.სტატიაში გადმოცემულია მრეწველობის დარგის როლი და მნიშვნელობა, გაანალიზებულია სამრეწველო წარმოების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, ნაჩვენებია სამრეწველო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი, შეფასებულია სამრეწველო პოლიტიკის განმახორციელებელი ინსტიტუტების საქმიანობის შედეგები, განხილულია დარგში პანდემიის პერიოდში შექმნილი გამოწვევები. სტატისტიკური მონაცემების ანალიზით ნაჩვენებია, რომ ქვეყანაში მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი საკმაოდ დაბალია.

კვლევის მიზანია მრეწველობის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და მისი ეფექტიანი განხორციელების გზების ძიება.

სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ მრეწველობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქვეყანამ უნდა აირჩიოს ტექნოლოგიურ განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურ ზრდაზე ორიენტირებული მოდელი. სახელმწიფოში უნდა შემუშავდეს სამრეწველო პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოყენებული იქნეს ინოვაციური მიდგომები მრეწველობის პრიორიტეტული დარგებისადმი. აუცილებელია სამრეწველო პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა: ინოვაციები და ტექნოლოგიები, განათლება და უნარების ფორმირება, საგარეო ვაჭრობაზე ორიენტირება, მრეწველობის პრიორიტეტული დარგების მხარდამჭერი მექანიზმის შემუშავება, კონკურენტუნარიანობა და კონკურენციის დაცვა.

სამრეწველო სექტორის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელების კვალდაკვალ, გარკვეული დადებითი შედეგები სახეზეა, როგორც დასაქმების, ასევე საწარმოთა განვითარების თვალსაზრისით.

მრეწველობის დარგში გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე შემუშავებულია აქტიური სამრეწველო პოლიტიკის განხორციელების რეკომენდაციები მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში.

2. ნაშრომში გადმოცემულია მინერალური და მტკნარი წყლების წარმოებისა და ექსპორტის არსებული ვითარება, ახალი ბაზრების ათვისების გამოწვევები, კოვიდ -19 პანდემიის გავლენა გაყიდვებზე, მინერალური და მტკნარი წყლების საექსპორტო პოლიტიკა საქართველოში. აღნიშნულია, რომ ახალი ბაზრების მოძიება საკმაოდ რთულია. მსოფლიოში კონკურენცია დიდია და ქართველ მეწარმეებს დიდი ბრძოლა უწევთ ახალი ბაზრების ასათვისებლად. აუცილებელია პოტენციური პარტნიორი ქვეყნების რეგულაციებისა და მოთხოვნის თავისებურებების გათვალისწინება. სწორი სტრატეგიის შემთხვევაში საკმაოდ დიდი შემოსავალი შეიძლება მიღებულ იქნეს წყლის ბიზნესით.

3. ნაშრომში გადმოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებული მდგომარეობა და მისი მოზიდვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. აღნიშნულია, რომ 2019-2020 წლებში საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნაწილი სამშენებლო სექტორზე მოდიოდა, ინვესტიციები ნაკლებად იყო მიმართული ისეთი სექტორების ხელშეწყობისათვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და დამამუშავებელი მრეწველობა, რისთვისაც საქართველოს გააჩნია სანედლეულო ბაზა და სამეურნეო ტრადიციები. 2022 წლის მეორე კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 40,9%-ით აღემატება პანდემიამდელ პერიოდს (2019 წ.). ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ენერგეტიკის, საფინანსო და აგრარულ სექტორებში, რაც უდაოდ მისასალმებელია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებული დონე მიღწეულია საქართველოში სტაბილური სიტუაციით, ბიზნესის წარმოებისათვის ხელსაყრელი ფისკალური და საინვესტიციო გარემოთი და ხელისუფლების მიერ გარე ნეგატიური ფაქტორების მაქსიმალური ნეიტრალიზაციის მეშვეობით.

გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები. აღნიშნულია, რომ ინვესტიციური პროექტების შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, ასევე რეგიონების ბუნებრივი, ისტორიული, ეთნოკულტურული და და ეკონომიკური თავისებურებები და მოთხოვნები, საჭიროა ინვესტიციების სტიმულირების რეგიონული მექანიზმების შემუშავება საგადასახადო და საბიუჯეტო პრეფერენციული ბერკეტების გამოყენებით.

4. კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ უპრეცედენტო ძვრები გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკაში. განსაკუთრებით ეს აისახა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი-ს) მოზიდვაზე ქვეყანაში.

ნაშრომში გადმოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებული მდგომარეობა საქართველოში. მისი მოზიდვის ეკონომიკური პოლიტიკა პოსტკრიზისულ პერიოდში. აღნიშნულია, რომ 2019-2020 წლებში საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნაწილი სამშენებლო სექტორზე მოდის. ინვესტიციები ნაკლებადაა მიმართული ისეთი სექტორების ხელშეწყობისათვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და დამამუშავებელი მრეწველობა, რისთვისაც საქართველოს გააჩნია სანედლეულო ბაზა და სამეურნეო ტრადიციები. მნიშვნელოვან ფაქტორად კვლავ რჩება კვალიფიციური კადრების პრობლემა, რაც განათლების სფეროს და საკანონმდებლო ბაზის სწრაფი მოდერნიზაციის აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში. სახელმწიფომ უნდა გადადგას უფრო ქმედითი ნაბიჯები მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მიმართულებით მუშაობა განუწყვეტლივ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები.

ინვესტიციური პროექტების შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, ასევე რეგიონების ბუნებრივი, ისტორიული, ეთნოკულტურული და და ეკონომიკური თავისებურებები და მოთხოვნები. ამ მიზნით საჭიროა ინვესტიციების

სტიმულირების რეგიონული მექანიზმების შემუშავება საგადასახადო და საბიუჯეტო პრეფერენციული ბერკეტების გამოყენებით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **მრეწველობის განვითარების სტრატეგია საქართველოში.**

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი
განვითარება", 21-22 ოქტომბერი, ბათუმი
www.bsu.edu.ge

2. **.პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში პოსტპანდემიურ პერიოდში . გორი, 2022. ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია.**

3.მინერალური და მტკნარი წყლების საექსპორტო პოლიტიკა საქართველოში.

VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა",
თსუ, 8 თებერვალი, 2022

4. **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში.**

VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში".

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Economic Policy to Promote small and Medium-sized Enterprises in Georgia in the Post-Pandemic Period.**

International Conference on Economics, Business and Marketing Management, 22-23 May 2022 in Berlin.

Paper Code: 22DE050083

https://waset.org/profile/submissions/papers/detail/145023

2. **Economic Policy of Environment Protection in Georgia in the PostPandemic Period.**

International Conference on Ecological Economic and Sustainable Economic Growth, 14-15 November 2022 in Rome

Paper Code 22IT110097

https://waset.org/ecological-economic-and-sustainable-economic-growth-conference-in-november-2022-in-rome

ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Irina Gogorishvili., Tariel Lomia., (2022). Monograph "MANAGEMENT: CHALLENGES IN GLOBAL WORLD". იბეჭდება.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ევროკავშირის ენერგეტიკულ კავშირში გაწევრიანების ოქმის მიხედვით, საქართველოს 2018 წლის 31 დეკემბრამდე უნდა დაენერგა განახლებადი ენერგიის დირექტივა (2009/28/EC44) 11 . თუმცა, ზოგიერთი მოთხოვნები მხოლოდ ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული და ზოგიერთზე მუშაობა ჯერ არ დაწყებულა. მიუხედავად მათი განხორციელების შეფერხებისა, ექსპერტები თვლიან, რომ აღებული ვალდებულებები მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მზის და ქარის ენერგიის გამოყენების გაზრდა. მეორე მხრივ, ამ ვალდებულებებმა ასევე უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი მავნე პრაქტიკის გამოსწორებაში, რომელიც აფერხებს ქარისა და მზის ენერგიის განვითარებას.

ამ მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა (2019 წლის 20 დეკემბერი) ორი კანონი ენერგეტიკის სექტორის რეფორმის შესახებ:

საქართველოს კანონი ენერგეტიკის ეტიკეტირების შესახებ და საქართველოს კანონი განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ.

მათ მოსდევს კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც არის ჩამოთვლილი პრიორიტეტის მიხედვით. კერძოდ, განახლებადი ენერგიის მხარდაჭერის სქემები უნდა იქნას მიღებული შესვლიდან მაქსიმუმ 1 წლის განმავლობაში კანონის ძალაში. მას მოჰყვა საქართველოს კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ მიღებულია 2020 წლის 14 მაისს. საქართველომ შეიმუშავა განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმა. საქართველო სრულად არის მოწოდებული, რომ უპირობოდ შეზღუდოს ქვეყნის სათბურის გაზების მთლიანი ემისიები 35%-მდე.1990 წლის დონის 2030 წლისთვის. თუმცა, ეს გეგმა არსებითად უნდა შეიცვალოს და განახლდეს 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ. კანონმდებლობის გარდა, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ შექმნა ქსელური აღრიცხვის სისტემა, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს მიაწოდონ და მიაღწიონ ქსელს მზის პანელებით გამომუშავებული დამატებითი მიკროენერგიის (100 კვტ) ელექტროენერგია. ამავდროულად, ტყის მართვაზე პასუხისმგებელი ეროვნული სატყეო სააგენტო ცვლის ტყის კოდექსს ტყის მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად, ძირითადად გასათბობად გამოყენებული ბიომასასთან/შეშასთან დაკავშირებით. დირექტივა 2009/28/EC44 ცალსახად ადგენს ვალდებულებებს განახლებადი ენერგიის წყაროებთან მიმართებაში და ქმნის საერთო ჩარჩოს, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებას.

დღეს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა და, შესაბამისად, მწვანე ენერგიის დაჩქარებული განვითარება ერთადერთი ყველაზე უსაფრთხო გზაა (ჰიდროენერგეტიკის განვითარება არ არის უსაფრთხო) ეკონომიკური, პოლიტიკური და გარემოსდაცვითი რისკების შეზღუდვის მისაღწევად.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის

მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Gogorishvili I., Kraveishvili G., (2022). RESEARCH AND EVALUATION OF PERCEPTIONS OF INCLUSIVE ECONOMIC GROWTH IN GEORGIA. Estonian Discussions on Economic Policy. 2022, P.150-171; Pp. 313.
   DOI:https://doi.org/10.15157/edep
   ISSN 2228-1878

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომის მიზანია გაანალიზდეს და შეფასდეს ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობის აღქმა ძირითადად საქართველოს მოსახლეობის ახალგაზრდა ნაწილისთვის. დღეს საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემებია: სიღარიბე, უთანასწორობა და დაბალი ცხოვრების დონე. ეს ის ფაქტორებია, რომელთა აღმოფხვრაც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიზანია.

შედეგად, ჩვენ გვსურდა შეგვეფასებინა საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის აღქმის თვალსაზრისით. ეს შეფასება შესაძლოა განსხვავდებოდეს ოფიციალური სტატისტიკისგან, რაც განპირობებულია რესპონდენტების მიერ სიტუაციის სუბიექტური აღქმით და პრობლემისადმი მათი დამოკიდებულებით.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად განხილულია აზიის განვითარების ბანკისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგია. ამ მეთოდოლოგიების მიხედვით, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია: სიღარიბე, უთანასწორობა, ჯანდაცვის სისტემა, განათლების სისტემა, სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტური ფუნქციონირება, კორუფციის დონე, დასაქმება. ჩვენს მიერ წარმოდგენილი კითხვები შექმნილია ამ სფეროების შესაფასებლად.

კვლევაში გამოყენებულია ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები. კვლევა გაგრძელდა ოთხი კვირა, 2022 წლის 21 თებერვლიდან 2022 წლის 20 მარტამდე. გამოკითხვა ძირითადად ჩატარდა პროფესიულ სოციალურ ქსელში https://www.linkedin.com/. მიღებული შედეგები დამუშავდა SPSS კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით Chi-Square Tests-ის მისაღებად და Pearson Chi-Square-ის გამოსათვლელად.

მიმდინარე კვლევამ აჩვენა, თუ როგორ აღიქვამს მოსახლეობა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორებს. ფაქტორისა და შედეგის ცვლადებს შორის დამოკიდებულების იდენტიფიცირება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ, რომელმა ფაქტორებმა განაპირობა ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობის უფრო მაღალი აღქმა.

უარყოფითად ფასდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპი, გარემოსდაცვითი მდგომარეობა და სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ხარისხი. განათლების სისტემით უკმაყოფილების დონე უკიდურესად მაღალია. საშუალო დონეზე ფასდება საცხოვრებელი გარემო და ისეთი ფაქტორები, როგორიცაა თანასწორობა, სამართლიანობა, უსაფრთხოება. ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად გამოყენებული იქნა ფაქტორები, როგორიცაა რესპონდენტთა ცხოვრების დონე, ქვეყანაში ცხოვრების დონე და სამართლიანი და სამართლიანი გარემო. ქვეყანაში ასეთი გარემოს შესაქმნელად აუცილებელია სხვადასხვა ინსტიტუტმა ეფექტურად იმუშაოს. მიგვაჩნია, რომ ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ხელს უწყობს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას (რაც

მათ შორის მაღალი კორელაციაში გამოიხატება) არის: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი მდგომარეობა, განათლების სისტემა, ჯანდაცვის სისტემა, გარემოსდაცვითი მდგომარეობა, ხარისხი. სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობა და კორუფციის დონე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი (2022), რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდულობა COVID-19 პანდემიის პირობებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ,,კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“. 8 თებერვალი 2022. გვ. 80-89;
   https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/2022---%20konferencia.pdf
2. ირინა გოგორიშვილი. უფალი არის უსაზღვრო ცოდნა სიყვარულით გასხივოსნებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 2022, იბეჭდება;
3. რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი. ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების მიმართულებები და თანამედროვე გამოწვევები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 2022, გვ. იბეჭდება;

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Irina Gogorishvili., Rusudan Seturidze., (2022). PROBLEMS HINDERING THE DEVELOPMENT OF RENEWABLE ENERGY IN GEORGIA. “STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT” (SIMM-2022). VI International conference. Proceedings. 21, October 2022. Pp. 253-256, pp.438;

ქვეყნების განახლებადი ენერგიის პოლიტიკა (მათ შორის, მთავრობის მხარდაჭერა კვლევებისა და განვითარებისთვის, ინოვაციების, ფინანსებისა და რეგულირებისთვის) განიხილება, როგორც განახლებადი ენერგიის ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა. საერთაშორისო თანამშრომლობა მდგრადი ენერგია ყველასათვის (SE4ALL) ინიციატივის ფარგლებში ხელს შეუწყობს ქვეყნებში განახლებადი ენერგიის მომავლის ფორმირებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას (Soboleva, T. and Kharashchenko, N., 2020).

საქართველო კარბონატული ენერგორესურსების გარეშე ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მწვანე ენერგეტიკის განვითარება დაიწყო, ქვეყანა ამ სფეროში უზარმაზარი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, როგორც ტექნიკური, ასევე ფინანსური თვალსაზრისით. ასეთი წინაპირობა უკვე არსებობდა და რუსეთს რომ არ დაეწყო აგრესიული ომი უკრაინის

წინააღმდეგ, მაშინ საქართველოში ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოვლენები ძალიან ნელა განვითარდებოდა.

ომმა ყველაფერი შეცვალა. დღეს საქართველოს წინაშე დგას ენერგეტიკული უსაფრთხოების ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. ცხადია, ამ მხრივ აუცილებელია საკანონმდებლო სივრცის შეცვლა, რომელიც მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული მწვანე ენერგიის (იგულისხმება მხოლოდ განახლებადი ენერგიის წარმოების წყაროები) და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების განვითარებაზე.

სამუშაოს მიზანია საქართველოში განახლებადი ენერგიის წარმოების პრობლემების შესწავლა.

ასოცირებული პროფესორი გიორგი გაფრინდაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. **საფაკულტეტო საგრანტო პროექტი *„ევროკავშირში ინტეგრაციის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირება და მისი გატარების შესაძლებლობები საქართველოში”***

1) გარდამავალი(მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **1.03.2022 -15.12.2022**

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **პროექტის ხელმძღვანელი:** პროფესორი რევაზ გველესიანი

პროექტში ჩართული პერსონალი: ასოცირებული პროფესორები: ეკა ლეკაშვილი (პროექტის კოორდინატორი), გულნაზ ერქომაიშვილი, ირინა გოგორიშვილი, **გიორგი გაფრინდაშვილი.** ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია (მკვლევარები), დოქტორანტები: მარიამ ხორავა და გიორგი კრავეიშვილი (ინფორმაციის მოძიება, თარგმნა).

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ბოლო ათწლეულებში განვითარებულმა საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისებმა, გლობალიზაციის პირობებში გაზრდილმა უთანასწორობამ და ეკოლოგიური კატასტროფების რიცხვის ზრდამ მეინსტრიმული ეკონომიკური თეორიის მიმართ კითხვები გააჩინა. ფინანსური სექტორის დომინანტურმა ძალამ განვითარებული ქვეყნების დეინდუსტრიალიზაცია გამოიწვია და მათი ეკონომიკები დესტრუქციული საფინანსო ბუშტების მიმართ მოწყვლადი გახადა (24). საფინანსო კრიზისმა თავი იჩინა ევროზონაშიც, მის პერიფერიულ ნაწილში. საბაზრო ჩავარდნების დასაძლევად, ადგილობრივი დარგების დაცვისა და რეგიონული განვითარების სტიმულირების უზრუნველსაყოფად, ასევე ციფრული მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ახალი დარგების და შესაბამისად, მრეწველობის განვითარების ხელშეწყობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა საზოგადოების გრძელვადიანი მიზნების მხარდამჭერი პოლიტიკის გატარება. გადაწყვეტის გზად მიჩნეულ იქნა ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა, რომლის სტრატეგიულ დონეზე წარმატებული განხორციელებაც შესაძლებელია სხვადასხვა (კონკურენციის, ტექნოლოგიური და ინოვაციის, განათლების,

ვაჭრობის, საინვესტიციო და ა.შ) პოლიტიკების კოორდინაციის საფუძველზე, რაც მოითხოვს სახელმწიფოს როლის ზრდას ეკონომიკაში. ევროპის რეიდუსტრიალიზაციის პოლიტიკა გაიწერა შესაბამის დოკუმენტებში (ლისაბონის სტრატეგია 2000; ევროპის სტრატეგია 2020). შემუშავდა სტრატეგიის მხარდამჭერი პროგრამები, რომლებშიც ასახულია მრეწველობის კონკურენტუნარიანობის, მდგრადი და ინკლუზიური მრეწველობის, ციფრული მრეწველობის ხელშეწყობის, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში ინვესტირების და სხვა აქტუალური საკითხები.

ამასთან, ევროკავშირში მომწიფდა აზრი, რომ ევროკავშირის სამრეწველო პოლიტიკა მოითხოვს გადახედვას: ნაცვლად ტრადიციულ კონცეფციებზე დაყრდნობილი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საინვესტიციო გადაწყვეტილებებისა, საინვესტიციო ნაკადები უნდა წარიმართოს ისეთი ინდუსტრიებისკენ, რომლებიც ხელს შეუწყობენ მდგრად კეთილდღეობას, კლიმატზე მავნე ზეგავლენის შემცირებას და ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას. სახელმწიფო ინვესტიციებით უნდა ისარგებლონ მხოლოდ მათ, ვინც მოწოდებულია პატივი სცეს კლიმატზე ზრუნვას და შექმნას კარგი სამუშაო ადგილები, მათ შორის ციფრულ სფეროში. მრეწველობის გაციფრულება და მასთან დაკავშირებული ,,კარგი სამუშაო ადგილების“ შექმნა, ინოვაციური და ტექნოლოგიური მიდგომების პრიორიტეტულობა ,,ჭკვიანი მრეწველობის“ განვითარების გზით, დეკარბონიზაციის მხარდამჭერი პოლიტიკის ამოქმედება ევროპის ყოვლისმომცველი სამრეწველო სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები უნდა გახდეს (26). ამასთან, უნდა მოხდეს სამრეწველო და სოციალური პოლიტიკის უკეთესი კოორდინაცია, რის საჭიროებაც გამოავლინა კოვიდ 19 პანდემიის გამოწვევებმა.

სამრეწველო პოლიტიკა მეცნიერების და პოლიტიკოსების მხრიდან დიდ ყურადღებას იქცევს, რაც დაკავშირებულია ჩინეთის და სხვა სწრაფად მზარდი ეკონომიკების პროგრესთან. სამრეწველო პოლიტიკა თავის ასახვას პოულობს მწარმოებლურობაზე, ეკონომიკურ ზრდაზე, კონკურენციაზე, დასაქმებაზე და სოციალურ საჭიროებებზე. ამიტომაც მის მიმართ ინტერესი უფრო მეტად გაიზარდა კოვიდ 19 პანდემიის პირობებში.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის შეფასების დოკუმენტიდან ჩანს (ევროკომისია, 2020 გვ.64), რომ ხელშეკრულების ტექნიკური პროდუქციის სტანდარტები და რეგულაციების ნაწილი (3.3.3) მოიცავს სამრეწველო პროდუქციისთვის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას. დაინტერესებული მხარეები განიხილავენ ევროპული სტანდარტების შესაბამისი ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების (TBT) მიღებას მომგებიან ღონისძიებად გრძელვადიან პერსპექტივაში და თვლიან, რომ ამ სფეროში საჭიროა ისეთ გრძელვადიანი სამრეწველო პოლიტიკა, რომელიც მოითხოვს თანამშრომლობას, სახელმწიფო და კერძო დაფინანსებას, შესაბამის ინფრასტრუქტურას, კვლევას და უპირველეს ყოვლისა, საკმარის კვალიფიციურ ადამიანურ რესურსს.

ამასთან, ასოცირების ხელშეკრულების მე-5 თავის (სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო მოპოვებითი საქმიანობა) მუხლი 313 - განმარტავს მხარეების თანამშრომლობას სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკის სფეროში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას ყველა ეკონომიკური მოთამაშისთვის, განსაკუთრებული აქცენტით მცირე და საშუალო საწარმოებზე, როგორც ეს ევროკავშირისა და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობებებშია წარმოდგენილი.

საკვლევი პრობლემის აქტუალურობა გამომდინარეობს მდგრადი განვითარების მეცხრე მიზნიდანაც (მდგრადი განვითარების მიზნების ანგარიში, 2020) (28), რაც ჩვენს ქვეყანას გამძლე ინფრასტრუქტურის შექმნას, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობას და ინოვაციების განვითარებას ავალდებულებს.

დღეს საქართველო საჭიროებს რაციონალურ სამრეწველო პოლიტიკას, ნაკლებადაა შესწავლილი ამ კუთხით განვითარების არსებული პოტენციალი და ევროკავშირის მოთხოვნებთან დაახლოების შესაძლებლობები. მეცნიერული კვლევის თვალსაზრისითაც საკითხი თითქმის შეუსწავლელია. იკვეთება სამრეწველო პოლიტიკის სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს წარმოდგენილი სამეცნიერო პროექტის აქტუალურობას.

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. რ.გველესიანი, ი.გოგორიშვილი, გ.ერქომაიშვილი, ე.ლეკაშვილი, ლ.ხურცია,

გ.გაფრინდაშვილი

2)სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN 978-9941-491-45-0

1. **ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, II.**

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2022

4) გვერდებისრაოდენობა

1. წიგნი I – 336 გვ.

2. წიგნი II – 305გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელო შედგება ორი წიგნისაგან. პირველ წიგნში განხილულია: ეკონომიკური პოლიტიკის საგანი, მიზანი და ამოცანები; ეკონომიკური წესრიგის, კონკურენციის, საფინასო, ფულადი, განაწილების პოლიტიკის (შემოსავლებისა და სოციალური პოლიტიკის) სტრატეგიები და წინააღმდეგობები, ხოლო მეორე წიგნის სტრუქტურა მოიცავს: შრომის ბაზრისა და დასაქმების, საგარეო, გარემოს დაცვის, აგრარული, განვითარების და ციფრიზაციი ეკონომიკური პოლიტიკის თემებს. სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის. იგი აგრეთვე დააინტერესებს უმაღლესი სასწავლებლების პროფესურას და სახელმწიფოს ეკონომიკურ სტრუქტურებში დასაქმებულ სპეციალისტებს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2.უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. 1. Lekashvili E.R., Gaprindashvili G.J. ACTUALIZAGTION OF COORDINATED INDUSTRIAL POLICY

ISSUES: EUROPEAN UNION EXPERIENCE FOR GEORGIA. “Challenges for Business: DecisionMaking under the Current Conditions”. VI INTERNATIONAL CONFERENCE “STRATEGIC

IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT" (SIMM-2022) 21, October 2022.
"Challenges for Business: DecisionMaking under the Current Conditions" 21, October 2022. Kyiv National Economic University named after Vadym Hetman. 180-187;

ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. **საფაკულტეტო საგრანტო პროექტი *,,ევროკავშირში ინტეგრაციის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირება და მისი გატარების შესაძლებლობები საქართველოში"***

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **1.03.2022 -15.12.2022**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **პროექტის ხელმძღვანელი:** პროფესორი რევაზ გველესიანი

პროეტში ჩართული პერსონალი: ასოცირებული პროფესორები: ეკა ლეკაშვილი (პროექტის კოორდინატორი), გულნაზ ერქომაიშვილი, ირინა გოგორიშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი. ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია (მკვლევარები), დოქტორანტები: მარიამ ხორავა და გიორგი კრავეიშვილი (ინფორმაციის მოძიება, თარგმნა).

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

ბოლო ათწლეულებში განვითარებულმა საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისებმა, გლობალიზაციის პირობებში გაზრდილმა უთანასწორობამ და ეკოლოგიური კატასტროფების რიცხვის ზრდამ მეინსტრიმული ეკონომიკური თეორიის მიმართ კითხვები გააჩინა. ფინანსური სექტორის დომინანტურმა ძალამ განვითარებული ქვეყნების დეინდუსტრიალიზაცია გამოიწვია და მათი ეკონომიკები დესტრუქციული საფინანსო ბუშტების მიმართ მოწყვლადი გახადა (24). საფინანსო კრიზისმა თავი იჩინა ევროზონაშიც, მის პერიფერიულ ნაწილში. საბაზრო ჩავარდნების დასაძლევად, ადგილობრივი დარგების დაცვისა და რეგიონული განვითარების სტიმულირების უზრუნველსაყოფად, ასევე ციფრული მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ახალი დარგების და შესაბამისად, მრეწველობის განვითარების ხელშეწყობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა საზოგადოების გრძელვადიანი მიზნების მხარდამჭერი პოლიტიკის გატარება. გადაწყვეტის გზად მიჩნეულ იქნა ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა, რომლის სტრატეგიულ დონეზე წარმატებული განხორციელებაც შესაძლებელია სხვადასხვა (კონკურენციის, ტექნოლოგიური და ინოვაციის, განათლების, ვაჭრობის, საინვესტიციო და ა.შ) პოლიტიკების კოორდინაციის საფუძველზე, რაც მოითხოვს სახელმწიფოს როლის ზრდას ეკონომიკაში. ევროპის რეიდუსტრიალიზაციის პოლიტიკა გაიწერა შესაბამის დოკუმენტებში (ლისაბონის სტრატეგია 2000; ევროპის სტრატეგია 2020).

შემუშავდა სტრატეგიის მხარდამჭერი პროგრამები, რომლებშიც ასახულია მრეწველობის კონკურენტუნარიანობის, მდგრადი და ინკლუზიური მრეწველობის, ციფრული მრეწველობის ხელშეწყობის, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში ინვესტირების და სხვა აქტუალური საკითხები.

ამასთან, ევროკავშირში მომწიფდა აზრი, რომ ევროკავშირის სამრეწველო პოლიტიკა მოითხოვს გადახედვას: ნაცვლად ტრადიციულ კონცეფციებზე დაყრდნობილი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საინვესტიციო გადაწყვეტილებებისა, საინვესტიციო ნაკადები უნდა წარიმართოს ისეთი ინდუსტრიებისკენ, რომლებიც ხელს შეუწყობენ მდგრად კეთილდღეობას, კლიმატზე მავნე ზეგავლენის შემცირებას და ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას. სახელმწიფო ინვესტიციებით უნდა ისარგებლონ მხოლოდ მათ, ვინც მოწოდებულია პატივი სცეს კლიმატზე ზრუნვას და შექმნას კარგი სამუშაო ადგილები, მათ შორის ციფრულ სფეროში. მრეწველობის გაციფრულება და მასთან დაკავშირებული ,,კარგი სამუშაო ადგილების“ შექმნა, ინოვაციური და ტექნოლოგიური მიდგომების პრიორიტეტულობა ,,ჭკვიანი მრეწველობის“ განვითარების გზით, დეკარბონიზაციის მხარდამჭერი პოლიტიკის ამოქმედება ევროპის ყოვლისმომცველი სამრეწველო სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები უნდა გახდეს (26). ამასთან, უნდა მოხდეს სამრეწველო და სოცილური პოლიტიკის უკეთესი კოორდინაცია, რის საჭიროებაც გამოავლინა კოვიდ 19 პანდემიის გამოწვევებმა.

სამრეწველო პოლიტიკა მეცნიერების და პოლიტიკოსების მხრიდან დიდ ყურადღებას იქცევს, რაც დაკავშირებულია ჩინეთის და სხვა სწრაფად მზარდი ეკონომიკების პროგრესთან. სამრეწველო პოლიტიკა თავის ასახვას პოულობს მწარმოებლურობაზე, ეკონომიკურ ზრდაზე, კონკურენციაზე, დასაქმებაზე და სოციალურ საჭიროებებზე. ამიტომაც მის მიმართ ინტერესი უფრო მეტად გაიზარდა კოვიდ 19 პანდემიის პირობებში.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის შეფასების დოკუმენტიდან ჩანს (ევროკომისია, 2020 გვ.64), რომ ხელშეკრულების ტექნიკური პროდუქციის სტანდარტები და რეგულაციების ნაწილი (3.3.3) მოიცავს სამრეწველო პროდუქციისთვის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას. დაინტერესებული მხარეები განიხილავენ ევროპული სტანდარტების შესაბამისი ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების (TBT) მიღებას მომგებიან ღონისძიებად გრძელვადიან პერსპექტივაში და თვლიან, რომ ამ სფეროში საჭიროა ისეთ გრძელვადიანი სამრეწველო პოლიტიკა, რომელიც მოითხოვს თანამშრომლობას, სახელმწიფო და კერძო დაფინანსებას, შესაბამის ინფრასტრუქტურას, კვლევას და უპირველეს ყოვლისა, საკმარის კვალიფიციურ ადამიანურ რესურსს.

ამასთან, ასოცირების ხელშეკრულების მე-5 თავის (სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო მოპოვებითი საქმიანობა) მუხლი 313 - განმარტავს მხარეების თანამშრომლობას სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკის სფეროში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას ყველა ეკონომიკური მოთამაშისთვის, განსაკუთრებული აქცენტით მცირე და საშუალო საწარმოებზე, როგორც ეს ევროკავშირისა და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობებებშია წარმოდგენილი.

საკვლევი პრობლემის აქტუალურობა გამომდინარეობს მდგრადი განვითარების მეცხრე მიზნიდანაც (მდგრადი განვითარების მიზნების ანგარიში, 2020) (28), რაც ჩვენს ქვეყანას გამძლე

ინფრასტრუქტურის შექმნას, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობას და ინოვაციების განვითარებას ავალდებულებს.

დღეს საქართველო საჭიროებს რაციონალურ სამრეწველო პოლიტიკას, ნაკლებადაა შესწავლილი ამ კუთხით განვითარების არსებული პოტენციალი და ევროკავშირის მოთხოვნებთან დაახლოების შესაძლებლობები. მეცნიერული კვლევის თვალსაზრისითაც საკითხი თითქმის შეუსწავლელია. იკვეთება სამრეწველო პოლიტიკის სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს წარმოდგენილი სამეცნიერო პროექტის აქტუალურობას.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია გაანალიზოს ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირების და მისი გატარების შესაძლებლობები საქართველოში.

ამოცანები:

- სამრეწველო პოლიტიკის პრობლემატიკაზე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი;
- ევროკავშირში სამრეწველო პოლიტიკის ევოლუციის ზოგადი მიმართულებების და თანამედროვე გამოწვევების შესწავლა;
- ევროკავშირის წევრი, კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილების გაანალიზება;
- საქართველოში ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების არსებული მდგომარეობის შესწავლა;
- რეკომენდაციების შემუშავება ევროკავშირში ინტეგრაციის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისა და გატარებისათვის;
- საკვლევი პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე სტატიებისა და მონოგრაფიის გამოქვეყნება.

კვლევის მეთოდები. სამეცნიერო პროექტის კვლევისას გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, შედარებისა და სტატისტიკური (დაკვირვების, შერჩევითი, დაჯგუფების) მეთოდები, აგრეთვე ექსპერტული შეფასებები. ანალიტიკურ და სტატისტიკურ შეფასებებს შორის კანონზომიერებების დასადგენად გამოყენებული იქნება როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეცნიერ-ეკონომისტთა თეორიული და გამოყენებითი კვლევები. ამასთან, გამოყენებული იქნება მონაცემთა ,,ბენჩმარკინგის“ მეთოდი.

კვლევის შედეგები:

- საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე სისტემატიზირებულ იქნა სამრეწველო პოლიტიკის საკითხზე თანამედროვე თეორიული ხედვები;
- შესწავლილი იქნა ევროკავშირში სამრეწველო პოლიტიკის ევოლუციის ზოგადი მიმართულებები და თანამედროვე გამოწვევები;
- გაანალიზებული იქნა ევროკავშირის წევრი, კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილება;

- შესწავლილი იქნა საქართველოში ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების არსებული მდგომარეობა;
- შემუშავებული იქნება რეკომენდაციები ევროკავშირში ინტეგრაციის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისა და გატარებისათვის;
- საკვლევი პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე გამოქვეყნდა სტატიები, მათ შორის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში და მზადდება მონოგრაფია (ელექტრონული ფორმით);
- კვლევითი პროექტის მასალები გამოყენებული იქნება სასწავლო კურსებისთვის ,,საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე“ და ,,ინდუსტრიული პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა“;
- თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამრეწველო პოლიტიკის კვლევის ცენტრის ფარგლებში დაიგეგმება სამრეწველო პოლიტიკის აქტუალური ასპექტების კვლევა, რისთვისაც მომზადებული იქნება სამეცნიერო საფუძველი წარმოდეგნილი კვლევითი პროექტის სახით.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ეკონომიკური პოლიტიკა (წიგნი I) სახელმძღვანელო. მესამე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. ავტორთა ჯგუფი. უნივერსტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2022. 336 გვერდი. ISBN978-9941-491-45-0;

2. ეკონომიკური პოლიტიკა (წიგნი II) სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო. მესამე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. ავტორთა ჯგუფი. უნივერსტეტის გამომცმლობა. თბილისი. 2022. 307 გვერდი. ISBN978-9941-491-45-0;

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Eka Lekashvili, Nikoloz Gogoladze. Problems of Human Resource Selection and Career Policy in Georgian Higer Education Institutions. Economic Alternatives, 2022, Issue 4, pp. 661-677. DOI: https://doi.org/10.37075/EA.2022.4.06

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში განხილულია პერსონალის შერჩევა-დაქირავების პროცესი, როგორც ადამიანური რესურსების დეპარტამენტის სამსახურის ფუნქცია. პერსონალის შერჩევა-დაქირავება არის სისტემური პროცესი, რომელსაც უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ახორციელებენ იმ ადამიანური რესურსის მოსაზიდად, რომელთაც გააჩნიათ უნივერსიტეტის მიზნების მისაღწევად საჭირო ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია. შერჩევის დროს უმაღლესი

დაწესებულება ახდენს დაინტერესებული პოტენციური კანდიდატებიდან იმ პირების გამოვლენას, რომლებიც ვაკანტური ადგილების მოთხოვნებს და კრიტერიუმებს ყველაზე მეტად აკმაყოფილებენ. შერჩევის სამართლიანი, ღია და მისაღები პროცედურა ზრდის უნივერსიტეტის იმიჯს და სანდოობას.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ადამიანური რესურსების შერჩევისა და კარიერული მართვის პრობლემები, რომელთაც შეიძლება სერიოზულ საფრთხე შეუქმნან უნივერსიტეტის მომავალს. კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია საქართველოში მოქმედი ყველა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მიერ, მათი ორგანიზაციული ფორმის და სიდიდის მიუხედავად, რაც საბოლოოდ ამ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის ამაღლებას და მთლიანად ქვეყნის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ჩატარდა ანკეტური გამოკითხვის მეთოდით. გამოკითხულ იქნა 805 რესპოდენტი. კვლევის მიზნიდან გამომდინარე წინასწარ შედგენილ იქნა 21 კითხვიანი კითხვარი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ღია, ასევე, დახურული კითხვები. კითხვარში გათვალისიწინებული იყო როგორც უმაღლესი განათლების საერთაშორისო, ასევე ეროვნული მკვლევარების მიერ საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული აქტუალური ნაშრომების კვლევის შედეგები.

ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა ადამიანური რესურსების, მენეჯმენტის, ოპერაციული მართვის, მარკეტინგის, ინოვაციების ძირითადი თეორიების კონცეფციებისა და სტრატეგიების ზედმიწევნით ფართო ცოდნის საჭიროება და მათი კრიტიკული გააზრება უნივერსიტეტის მენეჯმენტის მხრიდან. კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ევროპული საგანმანათლებლო სივრცის მოთხოვნების და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან დაახლოება საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრციის მხრიდან შესაძლებელია კომპლექსური მართვით, სისტემური მიდგომის გაცნობიერების საფუძველზე, რომელიც უნივერსიტეტების კონკურენტულ უპირატესობას განავითარებს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ლეკაშვილი ეკა, კრავეიშვილი გიორგი. თურქეთის სამრეწველო პოლიტიკა: წარმატებული გამოცდილება საქართველოსთვის. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“,** მიძღვნილი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დაარსებიდან 25 წლის იუბილეს. ბათუმი. 21-22 ოქტომბერი 2022 წელი;
2. გველესიანი რევაზ, ლეკაშვილი ეკა, ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების ევროპული გამოცდილება (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითი).ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ 4-5 ნოემბერი, 2022;
3. ლეკაშვილი ეკა, კოვიდ-19 პანდემიის პირობებში საქართველოს განვითარების სტრატეგიის საკითხის განხილვისათვის. 8 თებერვალი 2022. უნივერსიტეტის დაარსებისა და

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ-19 პანდემია და ეკონომიკა“. თბილისი. გვ. 211-218;

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Lekashvili E.R., Gaprindashvili G.J**. ACTUALIZAGTION OF COORDINATED INDUSTRIAL POLICY ISSUES: EUROPEAN UNION EXPERIENCE FOR GEORGIA.** “Challenges for Business: DecisionMaking under the Current Conditions”. VI INTERNATIONAL CONFERENCE “STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT” (SIMM-2022) 21, October 2022. “Challenges for Business: DecisionMaking under the Current Conditions” 21, October 2022. Kyiv National Economic University named after Vadym Hetman. 180-187;

2. Eka Lekashvili, Lela Jamagidze. **Structural Transformation and Export Performance in Georgia: Is There a Need for the New Industrial Policy?** II-ND INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE “STRATEGIC PLANNING AND MARKETING IN DIGITAL WORLD”.11 November 2022.

3. Eka Lekashvili. The Challenges of Georgia’s Economic Policy in Achieving Sustainable Development Goal 9 in the COVID-19 Pandemic Period. 6th FEB International Scientific Conference: Challenges in Economics and Business in the Post-COVID Times. 17May 2022.Editor Zladko Nedelko. Slovenia. University of Maribor, Faculty of Economics and Business. pp.21-33. DOI https://doi.org/10.18690/um.epf.5.2022.3ISBN 978-961-286-600-6

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში:

№	განხორციელების წლები	დონორი ორგანიზაცია№	პროექტის დასახელება	როლი პროექტში
	2022 (12-19 ივნისი)	ევროკომისია. ერაზმუს + KA107	CRITICAL EDGE ALLIANCE- Acting in Higher Education in response to Climate Change. 5Th International Conference. 15,16,17 June, 2022, Hosted by Universite Paris 8 Vincennes - Saint-Denis	მონაწილე
	2022 (30 ივნისი - 8 ივლისი)	ევროკომისია. ერაზმუს + KA107	PoSIG Teacher Academy 2022. Trade Policy in the Age of Populism. London University of Saltsburg, Austria	მონაწილე

ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. ლეკაშვილი, **ლ. ხურცია,** გ. გაფრინდაშვილი. ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბილისი, თსუ, 338 გვ

2. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. ლეკაშვილი, **ლ. ხურცია,** გ. გაფრინდაშვილი

ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II, თბილისი, თსუ,308 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელო შედგება ორი წიგნისაგან. პირველ წიგნში განხილულია: ეკონომიკური პოლიტიკის საგანი, მიზანი და ამოცანები; ეკონომიკური წესრიგის, კონკურენციის, საფინანსო, ფულადი, განაწილების პოლიტიკის (შემოსავლებისა და სოციალური პოლიტიკის) სტრატეგიები და წინააღმდეგობები,

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის. იგი აგრეთვე დააინტერესებს უმაღლესი სასწავლებლების პროფესურას და სახელმწიფოს ეკონომიკურ სტრუქტურებში დასაქმებულ სპეციალისტებს.

2. ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელო შედგება ორი წიგნისაგან. მეორე წიგნის სტრუქტურა მოიცავს: შრომის ბაზრისა და დასაქმების, საგარეო, გარემოს დაცვის, აგრარული, განვითარებისა და ციფრიზაციის ეკონომიკური პოლიტიკის თემებს.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის. იგი აგრეთვე დააინტერესებს უმაღლესი სასწავლებლების პროფესურას და სახელმწიფოს ეკონომიკურ სტრუქტურებში დასაქმებულ სპეციალისტებს.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Vano Tsertsvadze, **Lali Khurtsia** Success and challenges of Georgian tobacco taxation policy. The Journal of Politics and Democratization, August 14, 2022. Online publication: ISSN 2449-2671, 8 გვ

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. თამბაქოს პოლიტიკის მიზანი საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, თამბაქოს მომხმარებელთა რაოდენობის და თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული დაკავშირებული დაავადებები შემცირება და ბიუჯეტის შემოსავლების სათანადო დონეზე უზრუნველყოფაა. ამ მიზნების მისაღწევად აქტიურად გამოიყენება სამართლებრივი შეზღუდვები და გადასახადების განაკვეთები.

2017 წლიდან, თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობისა და ეკონომიკური დანახარჯების შემცირების მიზნით, საქართველომ მიიღო შთამბეჭდავი ცვლილებები

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ამ ცვლილებებით აიკრძალა მოწევა საზოგადოებრივ ადგილებში; აიკრძალა თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარების ან/და თამბაქოს მოხმარების მოწყობილობების ყველა სახის რეკლამა; თამბაქოს მწარმოებლებს შეეზღუდათ ნებისმიერი აქტივობის სპონსორობა; სიგარეტის კოლოფებზე გაფრთხილების არეალი გაიზარდა 30-დან 65 პროცენტამდე, ხოლო ჯანმრთელობის რისკის შესახებ გაფრთხილების გრაფიკული გამოსახულებები სავალდებულო გახდა. 2023 წლის იანვრიდან ამოქმედდება ახალი კანონი – „თამბაქოს ნაწარმისა და მათი შეფუთვის სტანდარტიზაციის ტექნიკური რეგლამენტი“ და საქართველოში გასაყიდად განკუთვნილი ყველა თამბაქოს ნაწარმი სტანდარტიზებული ტექნიკური მახასიათებლების (შეფუთვის ფერი, ყუთის ზომა) გაიყიდება. , წონა, წარწერა). ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები სრულ თანხვედრაშია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის FCTC-თან .საქართველომ ასევე მოახდინა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება. ამ შეთანხმებების თანახმად, საქართველო ვალდებულია მოახდინოს თამბაქოს საგადასახადო პოლიტიკის ჰარმონიზაცია და არსებითად გააფართოოს სიგარეტის ადგილები. სტატია მიმოიხილავს მიღწეულ მიზნებს მოწევის შემცირებისა და ბიუჯეტის შემოსავლების მიმართ მეორადი მონაცემების გამოყენებით და ავლენს მიზეზებს, რის გამოც თამბაქოს პოლიტიკა ბოლო წლებში წარუმატებელი იყო.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ხურცია ლალი.** ვანო ცერცვაძე. თამბაქოს პოლიტიკისა და კონტროლის ფინანსური საკითხები.

VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თსუ, 4 ნოემბერი, 2022

2. **ხურცია ლალი.** ინდუსტრიული ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელობა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული “ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები” 27/11/2022

3. ვანო ცერცვაძე. **ხურცია ლალი.** თამბაქოს გადასახადების განაწილება - ეარმარკინგის მოდელი საქართველოში. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეთხუთმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება, მეცნიერება, ინოვაციები პოსტ-პანდემიურ პერიოდში“. 15-16 დეკემბერი, 2022, გორი, საქართველო

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა).

1.

თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის საერთო მიზანი თამბაქოს მოხმარების პრევალენტობის შემცირება და თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და დაავადებების თავიდან აცილებაა. საკანონდებლო დონეზე განხორციელებული ცვლილებების პარალელურად, საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა თამბაქოს დაბეგვრის სფეროში. სტატია დამუშავებულია საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრის ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოლიტიკის ჩარჩოს მიხედვით. მასში შესწავლილია საგადასახადო განაკვეთების გავლენა თამბაქოს პროდუქტების მოხმარებაზე, ჩანაცვლების ეფექტი, ქართული მონაცემები შედარებულია უკრაინისა და მოლდოვას ანალოგიურ მონაცემებს. თამბაქოს პოლიტიკა გაანალიზებულია ხელმისაწვდომობის, ინფლაციისა და გაზრდილი შემოსავლების გათვალისწინებით. შემოთავაზებულია ე.წ. ეარმარკინგის მოდელი და მიზნობრივი ჯანდაცვის ფონდის შექმნა.

2.

ინდუსტრიული (სამრეწველო) პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს სტრატეგიულ ძალისხმევას ეკონომიკური გარდაქმნების წასახალისებლად, შესაბამისი სტიმულების შექმნას, რომლის მიზანია პროდუქტიულობისა და ეკონომიკური აქტივობების ზრდა როგორც სექტორებს შიგნით, ასევე სექტორებს შორის ან შიგნით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამრეწველო პოლიტიკა არის ნებისმიერი შერჩევითი სახელმწიფო ჩარევა, რომელიც ცდილობს შეცვალოს წარმოების სტრუქტურა იმ სექტორების ეფექტიანობის ასამაღლებლად, რომლებიც პერსპექტივაში ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, და რომელიც არ მოხდებოდა თუ არ იარსებებდა სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული წამახალისებელი ნაბიჯები.

დღეისათვისა ეკონომიკურ აზრში მიმდინარეობს კამათი იმის შესახებ, თუ რომელი სამრეწველო სექტორები შეიძლება მოექცეს სახელმწიფო ინდუსტრიული პოლიტიკის ყურადღების ქვეშ. ყველა ინდუსტრიის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან არ არის თანაბრად სასარგებლო განვითარებისთვის; ზოგიერთი ინდუსტრია შეიძლება იყოს კარგი მასობრივი დასაქმებისთვის, მაგრამ ნაკლებად უწყობდეს ხელს ტექნოლოგიურ განვითარებას. გარდა ამისა, ინდუსტრიული პოლიტიკა შედარებით მომთხოვნი მიდგომაა. იმისათვის, რომ იყოს სახელმწიფო პოლიტიკა იყოს ეფექტური, მისი დიზაინი და განხორციელება უნდა ითვალისწინებდეს როგორც მთავრობის შესაძლებლობებს, ასევე პოლიტიკურ ნებას.

ქვემოთ მიმოვიხილავთ სხვადასხვა მკვლევარებისა და მეცნიერების ნაშრომებს ინდუსტრიული პოლიტიკისა და ინდუსტრიული სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ. მიმოხილვაში გაერთიანებულია როგორც აკადემიური ნაშრომები, ასევე სხვადასხვა ქვეყნების ისტორიული მაგალითები, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს ეკონომიკურ განვითარებაში წარმატებული სამრეწველო პოლიტიკის განხორციელების გზით.

3.

გლობალურად და, განსაკუთრებით, დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში, სახსრების მობილიზება დაავადებების პრევენციისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიმართულებით, სერიოზული გამოწვევების წინაშეა. ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორი არის თამბაქოს მოხმარება, მისი პასიური მოხმარების ჩათვლით. დადგენილია, რომ სწორედ ამ მიზეზით საქართველოში ყოველწლიურად 11400 (ზოგადი სიკვდილიანობის 22%) ადამიანი კვდება და, სამწუხაროდ, ეს ტენდენცია მზარდია (NCDC, 2018) .

დიდია თამბაქოსგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალიც. ჯანდაცვის პირდაპირი ანახარჯები, ასევე არაპირდაპირი დანახარჯები (ნაადრევი სიკვდილი და სამუშაოზე მოწევასთან დაკავშირებული ხარჯები), 2018 წლისთვის შეადგენდა 824.9 მილიონ ლარს, რაც ქვეყნის წლიური მშპ-ს 2.43%-ს შეადგენდა (NCDC, გაეროს განვითარების პროგრამა, 2018) .

ბევრ ქვეყანას, ჯანმრთელობის სექტორისა და ჯანმრთელობის პროგრამების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, შექმნილი აქვს ფისკალური მექანიზმები. ეს მექანიზმები გულისხმობს თამბაქოს აქციზის გადასახადების ზრდას და გარკვეული შემოსავლების მიმართვას სპეციალური ფონდებისაკენ, რასაც თამბაქოს გადასახადების განაწილებას, ე.წ "earmarking tobacco taxes" უწოდებენ.„ეარმარკინგი" გულისხმობს შემოსავლების ნაწილის ან გადასახადებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის გადადებას კონკრეტული სამთავრობო ან საზოგადოებრივი სერვისებისთვის (ARC handbook of cancer prevention, 2011). იგი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერაა დანერგილი და გააჩნია საკმაოდ დიდი ისტორია. გადასახადების განაწილებას მსოფლიოს ბევრი ქვეყანა განიხილავს, როგორც ფისკალური სივრცის გაზრდის და ჯანმრთელობის სექტორისთვის რესურსების მობილიზაციის, ისევე, როგორც საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტის გაზრდის ან ჯანმრთელობის სხვა პრიორიტეტების დაფინანსების საშუალებად (Cashin, Sparkes, & Bloom, 2017). გადასახადების განაწილება გლობალური დისკუსიის საგანი გახდა ჯანმრთელობის რესურსების მობილიზაციისთვის, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, ძირითადად, დონორების მხარდაჭერით მუშაობენ (Cashin, Sparkes, & Bloom, 2017). აღნიშნული მექანიზმის გამოყენება განიხილება ძირითადად ისეთ პროდუქტებზე, რომლებიც ჯანმრთელობის პრობლემების მთავარი რისკ-ფაქტორები არიან. ასეთებს შორის კი, ძირითადად თამბაქო და ალკოჰოლია (WHO , 2019). სხვა ქვეყნებში, სადაც ეარმაკინგის სქემა დანერგილია და მუშაობს, მიზნობრივი სახსრების მობილიზება ძირითადად ხდება აქციზურ განაკვეთზე ეარმარკინგის წილის დამატებით. დამატებული განაკვეთი მთლიანი აქციზის 0.5-2%-ის ფარგლებშია. საქართველოს მეზობელი აზერბაიჯანის შემთხვევაში, ჯანდაცვის საჭიროებებზე მიმართულია აქციზის დაახლოებით 4% (აზერბაიჯანის საგადასახადო კოდექსის მიხედვით აქციზი 1000 ცალ სიგარეტზე 38.5 მანათია, საიდანაც 1.5 მანათი სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდში მიდის). ანალოგიურ მოდელის გადმოტანით საქართველოში, „ეარმარკინგის" წილი ასევე შესაძლოა ასახულ იქნას აქციზში, საიდანაც იგი მიმართული იქნება მიზნობრივ ფონდში. მაგალითად, თუ ქართულ ბაზარზე ყველა ფაქტორი უცვლელი დარჩება (ფასისა და სხვა ჩამანაცვლებლების მიმართ ელასტიკურობა, ინფლაცია, შემოსავალი, ხელმისაწვდომობა), მაშინ საცალო სიგარეტზე მიმდინარე ფიქსირებული აქციზის ზრდა 5%-ით (1.7 ლარიდან 1.785 ლარამდე) გამოიწვევს სააქციზო შემოსავლების მატებას 3%-ით (დაახლოებით 30 მლნ ლარით). გაზრდილ ფიქსირებულ აქციზში „ეარმარკინგის" კომპონენტად 1.5% წილის განსაზღვრის შემთხვევაში, შესაძლებელია ეარმარკინგის ფონდში მობილიზდეს 13 მილიონ ლარზე მეტი და მოხმარდეს თამბაქოს მკურნალობასა და პრევენციას, ხოლო დანარჩენი - ბიუჯეტით გათვალისწინებულ სხვა ხარჯებს. ასეთი განაწილების ეფექტურობა აშკარაა, ვინაიდან, გარდა ბიუჯეტის შემოსავლების მატებისა, მოხდება თამბაქოს მკურნალობისა და პრევენციის ღონისძიებების დაფინანსების გაორმაგება, ხოლო მეორეს მხრივ ადგილი ექნება მოხმარების

შემცირებას 1.3%-ის ფარგლებში, რაც თავის მხრივ გრძელვადიან პერსპექტივაში ზეგავლენას იქონიებს მკურნალობის ხარჯების შემცირებაზეც.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, მიკროეკონომიკის კათედრა

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი ეთერ ხარაიშვილი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე
ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია
ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი
ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი
ასისტენტ-პროფესორი ნინო ლობჟანიძე

პროფესორი ეთერ ხარაიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს ,,Economics for Business" John Sloman, Dean Garratt, Jon Guest, Elizabeth Jones, 7 th edition, 2016, 738 pp. ქართულ ენაზე თარგმნა და სამეცნიერო რედაქტირება

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ეკონომიკა

2. თარგმნის პერიოდი: 2021 წლის 01 იანვარი - 2021 წლის 01 ივნისი; რედაქტირებისა პერიოდი: 2022 წლის 01 იანვარი - 2022 წლის 01 მაისი.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - სამეცნიერო რედაქტორი

სარედაქციო კოლეგია: ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე, ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი, ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი.

თარგმნელები:

1. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
2. ეკონომიკის დოქტორი ქუჯი ბიჭია
3. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე
4. ეკონომიკის დოქტორი ნინო ტალიკაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სახელმძღვანელოს ავტორებია:

ჯონ სლოუმენი

ეკონომიკური ქსელის დირექტორი (1999-2012), ბრისტოლის უნივერსიტეტი

მოწვეული პროფესორი, დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი

დინ გარეტი

მოწვეული პროფესორი, ეშტონის ბიზნესის სკოლა

მოწვეული პროფესორი, ნოტინგემის ბიზნესის სკოლა

ჯონ გესტი

ეშტონის ბიზნესის სკოლა

მოწვეული პროფესორი, ნოტინგემის ბიზნესის სკოლა

ელიზაბეტ ჯონსი

პროფესორი, ვარვიკის უნივერსიტეტი

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების სტუდენტებისათვის. წიგნი ფოკუსირებულია ბიზნეს სამყაროზე და ამ სფეროში ეკონომიკის ყველა ძირითად საკითხს განიხილავს. ამასთან, სახელმძღვანელოში მოცემულია ბევრი ისეთი თემა, რომელიც ტრადიციული ეკონომიქსის შესწავლისას არ განიხილება.

წიგნში ჩართულია მრავალი სიტუაციური ანალიზი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ბიზნესის სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, ასევე, გამოვლენილია მათი გადაჭრის ეკონომიკური გზები. ზოგიერთი სიტუაციური ანალიზი ზოგადი სახისაა და ბიზნესის გარემოსთვის დამახასიათებელ პრობლემებს უსვამს ხაზს, ზოგიერთი კი კონკრეტული ფირმის საქმიანობაზე დაფუძნებით სპეციფიკური გამოწვევების გამოვლენაზეა ორიენტირებული. მთლიანობაში ყველა სიტუაციური ანალიზი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მაგალითად, ონლაინ ბიზნესი, მეწარმეობა, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, კონკურენცია და ზრდის სტრატეგია, შერწყმა და გაყოფა, 2000-იანი წლების საბანკო კრიზისი, გლობალური ვაჭრობა, ახლად ინდუსტრიალიზებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ზრდა და ბრექსტის ეფექტი და სხვ.

სახელმძღვანელოში თემები წარმოდგენილია ძირითადი თავებისა და შემადგენელი ქვეთავების სახით, რომელიც დატვირთულია სიტუაციური ანალიზისა და სამსჯელო კითხვების ჩანართებით, რაც სტუდენტს დაეხმარება თეორიული საკითხების სიღრმისეულად და პრაქტიკულ ჭრილში გააანალიზებაში.

მოცემული წიგნის შესწავლის შემდეგ სტუდენტები შეძლებენ ეკონომიკის მეცნიერების გააზრებას მრავალმხრივ ჭრილში. სახელმძღვანელოში ასახულია რეალური გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, განხილულია სამყარო, სადაც ბიზნესი, როგორც მწარმოებელი, ცდილობს მომხმარებლების საჭიროებებს მაქსიმალურად ეფექტიანად და რაციონალურად უპასუხოს.

მოკლე შინაარსი

ნაწილი A. ბიზნესი და ეკონომიკა

1.ბიზნესის გარემო და ბიზნესის ეკონომიკა

2.ეკონომიკა და ბიზნეს სამყარო

3. ბიზნეს ორგანიზაციები

ნაწილი B. ბიზნესი და ბაზრები

4. კონკურენტული ბაზრების მუშაობა

5. ბიზნესი საბაზრო გარემოში

ნაწილი C. მოთხოვნა

6. მოთხოვნა და მომხმარებელი
7. მომხმარებლის ქცევა
8. ფირმები და მომხმარებელი

ნაწილი D. მიწოდება

9. წარმოების ღირებულება
10. შემოსავალი და მოგება

ნაწილი E. მიწოდება: მოგების მაქსიმიზაცია მოკლევადიან პერიოდში

11. მოგების მაქსიმიზაცია სრულყოფილი კონკურენციისა და მონოპოლის პირობებში
12. მოგების მაქსიმიზაცია არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში
13. ფირმის ალტერნატიული თეორიები

ნაწილი F. მიწოდება: ალტერნატიული სტრატეგიები

14. ბიზნეს სტრატეგიის შესავალი
15. ზრდის სტრატეგია
16. მცირე ფირმის სექტორი
17. ფასების სტრატეგია

ნაწილი G. ფირმა ფაქტორთა ბაზარზე

18. შრომის ბაზრები, ხელფასები და საწარმოო ურთიერთობები
19. ინვესტიცია და დასაქმება

ნაწილი H. ურთიერთობა მთავრობასა და ბიზნესს შორის

20. ბაზრის ფუნქციონირებაში მთავრობის ჩარევის მიზეზები
21. მთავრობა და ფირმა
22. მთავრობა და ბაზარი

ნაწილი I. ბიზნესი საერთაშორისო გარემოში

23. გლობალიზაცია და მრავალეროვნული ბიზნესი
24. საერთაშორისო ვაჭრობა
25. სავაჭრო ბლოკები

ნაწილი J. მაკროეკონომიკური გარემო

26. ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემო
27. საგადასახადო ბალანსი და გაცვლითი კურსი
28. ბანკი, ფული და პროცენტები
29. ბიზნეს საქმიანობა, დასაქმება და ინფლაცია

ნაწილი K. მაკროეკონომიკური პოლიტიკა

30. მოთხოვნის პოლიტიკა
31. მიწოდების პოლიტიკა
32. საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკა

2. ,,მცირე და საშუალო მეწარმეობის მდგრადი განვითარების მექანიზმი: გამოწვევები და შესაძლებლობები სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფისათვის“

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ეკონომიკა

2. პროექტის დაწყების თარიღი:2022 წლის 01 მარტი

პროექტის დასრულების თარიღი: 2022 წლის 01 დეკემბერი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მკვლევარი
2. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი - მკვლევარი
3. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
4. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
5. ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
6. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე - მკვლევარი
7. ასოცირებული პროფესორი თამარ ათენალაშვილი - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
8. შოთა ჯიმშერაშვილი - პროექტის სტუდენტ-ასისტენტი
9. ბექა ზაუტაშვილი - პროექტის სტუდენტ-ასისტენტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მცირე და საშუალო ბიზნესი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში და განსაკუთრებული წვლილი შეაქვს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ დაბალია.

Covid-19-ის პანდემიის შედეგად მსოფლიო ეკონომიკაში, ცხადია, საქართველოშიც, თვისობრივად ახალი დღის წესრიგი შეიქმნა, გადასახედი გახდა შეყიდვების პოლიტიკა. მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელოვანი ფაქტორი და მთავარი დამსაქმებელი, ახალი გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე აღმოჩნდა, განსაკუთრებული პრობლემები გამოიკვეთა შესყიდვების სისტემაში.

საჯარო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობის ხელშეწყობა სექტორის განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად განიხილება, განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდში. მსხვილი კომპანიების უმეტესი ნაწილი საკმაოდ ინფორმირებულია საჯარო შესყიდვების შესახებ, მათთვის ელექტრონულად განთავსებული ინფორმაცია სრულად ხელმისაწვდომია და ადვილია საერთაშორისო სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა. მიმდინარე ეტაპზე აქტიური ეკონომიკური სუბიექტების დაახლოებით 25% რეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების eProcurement სისტემაში, თუმცა, მონაწილეობის ეს მაჩვენებელი მაინც ძალიან დაბალია. საჯარო შესყიდვებს ყოველწლიურად საშუალოდ 3000-მდე ბიზნეს სუბიექტი ემატება, როგორც პოტენციური მომხმარებელი. ასევე, მცირედ, მაგრამ მაინც იზრდება მცირე და საშუალო ბიზნესის საშუალო მონაწილეობა ტენდერებში, თუმცა, დღეს ყველაზე დიდი გამოწვევა მაინც არის დაბალი მონაწილეობა, არასაკმარისი კომპეტენცია და უარყოფითი შედეგით დასრულებული ღია ტენდერები.

ამასთან, გამოიკვეთილია რიგი საკითხები, რომლებიც დამატებით სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს, კერძოდ:

- შეუსწავლელია მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევები სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით;
- გამოსავლენია საერთაშორისო სახელმწიფო შესყიდვებში ჩართულობის პერსპექტივები;
- დასაბუთებას მოითხოვს მცირე და საშუალო ბიზნესის შესყიდვების სისტემაში ეფექტიანი ჩართულობისა და კოორდინაციის მექანიზმები.
-

DCFTA-ს მიერ მოტანილი სარგებლის სრულფასოვნად გამოყენებისათვის აუცილებელია „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რათა საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეებებს შეეძლოთ საერთაშორისო საჯარო შესყიდვებში მონაწილეობა, ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა პოსტ-კრიზისულ პერიოდში. ცნობიერების და ცოდნის დონის ამაღლება საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებით გათვალიწინებული შეღავათების, პირობებისა და პროცედურების შესახებ გაუმარტივებს მეწარმეების დოკუმენტებთან მუშაობას, მაქსიმალურად გაიზრდება მსს სექტორის წვდომა სხვდასხვა ბაზარზე.

ამრიგად, აუცილებელია საქართველოსათვის შემუშავდეს საჯარო შესყიდვების ისეთი მოდელი, რომლებიც ერთი მხრივ, შესაბამისობაში იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადი განვითარების მიზნებთან და მოთხოვნებთან, მეორე მხრივ, ასახავს იმ საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, რომელიც არსებობს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში.

კვლევითი პროექტის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ბარიერებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარების რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის შედეგები:

- მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შემუშავებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ელექტრონული საინფორმაციო ბუკლეტები;
- შემუშავებულია რეკომენდაციები მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის მხარდამჭერი შესყიდვების შესახებ;
- მომზადებულია წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების შესატანად;
- გამოსაცემად მომზადებულია რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, მათ შორის სამეცნიერო სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში ან რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, რეფერირებად ჟურნალებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომათა კრებულებში დასაბეჭდად;
- კვლევის შედეგები აისახება სასწავლო კურსებში ,,მეწარმეობის ეკონომიკა“, ,,ფირმის ეკონომიკა.“

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ხარაიშვილი, ე.,** ლომინაძე, მ. (2022). კერძო საკუთრების დიალექტიკა, ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი", ტომი XIV, N2. https://doi.org/10.56079/20222/1

2. Kharaishvili, E., Lobzhanidze, N. (2022). Preliminary Impacts of the Covid-19 Pandemic on Agri-Food Trade: Challenges and Development Scenarios (Case of Georgia). Globalization and Business. 13, 41-50. https://doi.org/10.35945/gb.2022.13.006

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კერძო საკუთრება უძველესი დროიდან წარმოადგენდა თეორიული კვლევის საგანს და მას მიძღვნილი აქვს მეცნიერების სხვადასხვა დარგის (ფილოსოფია, ეკონომიკური თეორია, სამართალმცოდნეობა, სოციოლოგია და ა.შ.) მრავალი ნაშრომი. აღნიშნულის მიუხედავად, ზოგადად საკუთრების, განსაკუთრებით კი კერძო საკუთრების პრობლემის ისეთი ასპექტები, როგორიცაა ისტორიული კონტექსტით მისი გენეზისი, თანამედროვე მდგომარეობა და განსაკუთრებით გრძელვადიან პერსპექტივაში მისი მოდიფიცირების საკითხები, დღესაც ინარჩუნებს აქტუალურობას. ამ თვალსაზრისით, მიუღებლად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ნეოკლასიკურ პარადიგმებზე დაფუძნებული თანამედროვე ''ეკონომიკსი'''საერთოდ გვერდს უვლის კერძო საკუთრების ფუნდამენტურ კატეგორიას, მიიჩნევს რა მას ცივილიზაციის განვითარების მიღმა არსებულ არაისტორიულ ფენომენად. კერძო საკუთრების გაღრმავებულმა თეორიულმა ანალიზმა, ჩვენი აზრით, შეიძლება არა მარტო მოგვცეს მისი არსის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენა, არამედ დაგვანახოს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური სისტემის გრძელვადიანი განვითარების ტრაექტორია და პერსპექტივა. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ცოდნის ეკონომიკის ჩამოყალიბება არსებითად ცვლის კერძო საკუთრების შინაარს და მისი ტრადიციული გაგებიდან განსხვავებით, აახლოებს მას პირადი საკუთრების განსაზღვრულობასთან. ასევე იცვლება საკუთრების როლი განვითარებული საზოგადოების სტრატიფიკაციაში: წინა პლანზე გამოდის საკუთრების მიმართ ადამიანთა არა განსხვავებული დამოკიდებულება, არამედ პიროვნების უნიკალური უნარ-ჩვევებითა და შესაძლებლობებით განპირობებული სტატუსი.

2. სტატიაში დასაბუთებულია აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის როლი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, შეფასებულია COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის პერიოდში სურსათით ვაჭრობის პრობლემები, ექსპორტის შეზღუდვისა და იმპორტის გამარტივების შესაძლებლობები. ნაშრომში შესწავლილია აგროსასურსათო წარმოების სფეროში წარმოების სექტორში სხვადასხვა ფაქტორით გამოწვეული მიწოდების ცვლილებები, გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ სურსათზე მოთხოვნა შედარებით მდგრადია ფინანსური, ასევე, სხვადასხვა კრიზისის დროს.

ნაშრომში გაანალიზებულია მეცნიერთა შეხედულებები პანდემიით გამოწვეული სირთულეების შესახებ, რის საფუძველზეც ფორმულირებულია განვითარების ორი სცენარი. გამოვლენილია შესაძლებლობები ქვეყნებს შორის აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის გაგრძელების შესახებ, დასაბუთებულია მოსაზრება მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში ამ პროდუქტებით ვაჭრობის წახალისების მიმართულებებზე.

კვლევის პროცესში, შედარებითი ანალიზის გზით, დაჯგუფებულია საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის მაჩვენებლები პანდემიამდე (2018-2019 წწ.) და პანდემიის შემდეგ (2020-2021 წწ.) პერიოდებში, გამოვლენილია ვაჭრობის დადებითი და უარყოფითი ტენდენციები. ამავდროულად, მსოფლიო ფინანსური კრიზისა და პანდემიის შედეგების საფუძველზე ჩატარებულია ტიპიური და ატიპიური კრიზისების ჩაღრმავებული ანალიზი აგროსასურსათო სექტორისათვის მსოფლიოსა და საქართველოში.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შედგენილია მატრიცა, რომლითაც დადგენილია პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის ზრდის და შემცირების მაჩვენებლები.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის პერიოდში სურსათით ვაჭრობის სფეროში შექმნილ პრობლემებსა და ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Kharaishvili, E.** Atanelishvili T. (2022). Sustainable State Procurements and Business in Georgia. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 16, no. 3. http://science.org.ge/bnas/vol-16-3.html ISSN - 0132 - 1447

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.სტატიაში დასაბუთებულია მდგრადი საჯარო შესყიდვების როლი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ხაზგასმულია, რომ მდგრადი შესყიდვების განსახორციელებლად მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მნიშვნელოვან ბარიერად რჩება ინვესტიციებსა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

ნაშრომში მდგრადი საჯარო შესყიდვები ეკონომიკური, სოციალური და გარემოზე ზემოქმედების ეფექტიანობის თვალსაზრისით არის შეფასებული. ეკონომიკური ეფექტიანობის ინდიკატორით განსაზღვრულია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი გარემო, უცხოური ინვესტიციების მოცულობა, მათ შორის კერძო სექტორში; სოციალური ეფექტიანობის კუთხით გამოვლენილია შესყიდვებმა რამდენად გააუმჯობესა ცხოვრებისა და დასაქმების დონე, სამუშაო პირობების, შრომის სტანდარტები, საჯარო მოხელეების, მომწოდებლებისა და კონტრაქტორების ეთიკური ქცევა; გარემოზე გავლენის ეფექტიანობა გაანალიზებულია მცირე და საშუალო ბიზნესში მდგრადი მიწოდების ჯაჭვის საფუძველზე, განახლებადი ენერგიის გამოყენების, ბუნებრივი რესურსების დაცულობის დონის მიხედვით და სხვა.

საჯარო შესყიდვების ბაზარზე არსებული ხარვეზებისა და შეუსაბამობების დადგენის მიზნით გამოვლენილია ძირითადი გამოწვევები. შემუშავებულია მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.. **Kharaishvili, E.** Talikadze, N., (2022). Competitiveness characteristics of agri-food products – what does the consumer choose? (Case of Georgia). Innovative Marketing, N18(1), 195-207. DOI: 10.21511/im.18(1).2022.16

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროდუქტის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვანი ინფორმაციაა საწარმოებისთვის, რადგან ის ეხმარება მათ განსაზღვრონ თავიანთი პროდუქციის პოზიცია ბაზარზე. კონკურენტუნარიანობის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, საწარმოებს, შეუძლიათ გაანალიზონ თავიანთი პროდუქტის ნაკლოვანებები ზოგიერთ მნიშვნელოვან სფეროში და გაასუმჯობესონ პროდუქციის კონკურენტუნარიანობა შესაბამისი კონკურენტული სტრატეგიის შემუშავებით, რაც მიზნად ისახავს პროდუქციის ბაზრის წილის გაფართოებას და მოგების ზრდას. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტების ტოპათეულში ყოველთვის დომინირებს აგროსასურსათო პროდუქტები. კონკურენტუნარიანობამ შესაძლოა გადამწყვეტი როლი ითამაშოს საექსპორტო პოტენციალის სწორად და მიზანმიმართულ ათვისებაში განვითარებადი ქვეყნებისთვის.

სამყარო სწრაფად იცვლება და ასეთ პირობებში მომხმარებელთა პრეფერენციების დადგენა შეიძლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს მეწარმისთვის. ამდენად, მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდა პროდუქტთა შესაბამისი მახასიათებლების საფუძველზე.

კვლევის მიზანია გამოავლინოს ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავს აგროსასურსათო პროდუქტის კონკურენტუნარიანობას ქართველი მომხმარებლისთვის. ამ მიზნით გამოიკითხა 1200 ზრდასრული პირი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, რომლებსაც ჰქონდათ სტაბილური თვიური შემოსავალი. გამოკითხვა ჩატარდა ონლაინ კითხვარის გამოყენებით. შედეგები დამუშავდა მონაცემთა ანალიზის, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. გამოკითხულთა 74% კონკურენტუნარიანობის მთავარ მახასიათებლად ასახელებს ხარისხს, ხოლო ფასს - 21%. გამოვლინდა, რომ ასაკისა და შემოსავლის მატებასთან ერთად, ხარისხის მნიშვნელობა იზრდება. ამასთან, აგროსასურსათო პროდუქტების შერჩევის პროცესში მომხმარებლისთვის მომსახურება და შეფუთვა გადამწყვეტი არ არის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 42%-ზე მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენს აგროსასურსათო პროდუქტების რეკლამა. ამრიგად, მწარმოებლებმა პირველ რიგში უნდა იზრუნონ აგროსასურსათო პროდუქტების ხარისხის ამაღლებაზე, ხოლო სახელმწიფომ უნდა შექმნას ხელსაყრელი გარემო.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ხარაიშვილი ე., (2022). ქართული ხილის ბაზარი: ატიპიური კრიზისით გამოწვეული ცვლილებები და ბაზრის დივერსიფიკაციის პოტენციალი. IV ეროვნული სამეცნიერო

კონფერენცია ,,მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები". 2022 წლის 9 სექტემბერი, გორი.

2. ხარაიშვილი ე., ლობჟანიძე ნ. (2022). მდგრადი განათლების გამოწვევები დისტანციური სწავლების პირობებში (საქართველოს მაგალითზე), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება". 21-22 ოქტომბერი. ბათუმი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში ბიბლიოგრაფიულ კვლევაზე დაყრდნობით გაანალიზებულია მდგრადი განათლების გამოწვევები სხვადასხვა ქვეყანაში, შესწავლილია ამ ქვეყნებში არსებული მიდგომები და კონცეფციები, დისტანციური სწავლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.

საქართველოში მდგრადი განათლების სისტემის ფორმირების ხელშემშლელი ფაქტორების გამოსავლენად, დისტანციური სწავლების პოზიტიური და ნეგატიური მხარეების შესაფასებლად და მდგრადი განათლების მიმართულებების დასადგენად ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა.

ნაშრომში გამოკვეთილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მდგრადი განათლების სისტემასა და დისტანციური სწავლების სფეროში არსებული პრობლემები, დასაბუთებულია დისტანციური სწავლების პირობებში იმ მექანიზმების გამოვლენის აუცილებლობა, რაც განათლების სისტემის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის.

სტატიაში შეფასებულია მეცნიერ-მკვლევრების მოსაზრებები დისტანციური განათლების შესახებ, ჩატარებულია დისტანციური სწავლების SWOT ანალიზი. დისტანციური სწავლების მდგრადი განათლების სისტემაზე გავლენის დასადგენად გამოყენებულია პოპულაციაზე დაფუძნებული (Population-based/Census-based) მიდგომა. კვლევის შედეგები დამუშავებულია SPSS პროგრამით.

რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზისა და ფოკუს ჯგუფებთან დისკუსიის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები დისტანციური სწავლების პირობებში მდგრადი განათლების მიღწევის მიმართულებებზე.

3. ხარაიშვილი ე. (2022), საჯარო შესყიდვების ბარიერები მცირე და საშუალო ბიზნესში: მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივა. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში". 4-5 ნოემბერი. თბილისი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში დასაბუთებულია საჯარო შესყიდვების მნიშვნელობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, ბიბლიოგრაფიული კვლევის საფუძველზე შეფასებულია ბარიერების შესახებ ჩამოყალიბებული სხვადასხვა განმარტებითი თეორია და ჰიპოთეზა. თვრამეტი ლიდერი ქვეყნის მაგალითზე გაანალიზებულია მცირე და საშუალო ბიზნესში საჯარო შესყიდვების სფეროში არსებული გამოცდილება.

საჯარო შესყიდვების წვლილი მშპ-ის ზრდაში შესწავლილია რამდენიმე ძირითადი ინდიკატორით, მათ შორისაა: საჯარო შესყიდვების შესახებ ინფორმირებულობა, საჯარო

შესყიდვებში ჩართულობის დონე, ფულადი სახსრების მენეჯმენტი, საგადასახადო პროცედურები, მონაცემებზე წვდომა, უსაფრთხოება და სხვა. დასახელებული ინდიკატორების მიხედვით შეფასებულია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ბარიერები საჯარო შესყიდვებში.

სტატიაში გამოვლენილია საჯარო შესყიდვების ძირითადი ბარიერები, შემუშავებულია შესაბამისი დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივებზე.

4. ხარაიშვილი, ე., ნარიმანიშვილი, ე. (2022). პანდემიის გავლენა სასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის ინდიკატორებზე: გამოწვევები და შესაძლებლობები (საქართველოს მაგალითზე). საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენცია ,,შრომის ბაზრის ახალი გამოწვევები: COVID-19 პანდემიის კონტექსტი". ქუთაისი.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Kharaishvili, E.** (2022). Export and Import Indicators of Georgian Agri-food Products during the Pandemic: Challenges and Opportunities. ICEBMM 2022: 16. International Conference on Economics, Business and Marketing Management . May 23-24, 2022 in Berlin, Germany

2. **Kharaishvili, E.** Natsvlishvili, I. Shonia N. (2022). Challenges Of Distance Assessment In Higher Education And The Impact Of Academic Achievement On Alumni Employment (Evidence From Georgia). 14th International Conference on Education and New Learning Technologies. 4-6 July, 2022. Palma, Spain. EDULEARN22 Proceedings, 2022. pp. 1499-1506 ISBN:978-84-09-42484-9.ISSN:2340-1117 doi: 10.21125/edulearn.2022.0395 https://library.iated.org/view/KHARAISHVILI2022CHA

3. Kharaishvili E., Natsvlishvili I., Shonia N., (2022). Challenges of Global Educational Crises in Pandemic Time: Innovations versus Crises., proceeding., 8 th International Scientific Symposium "Economics, Business & Finance" ISSN 2500-9737 5 th International Multidisciplinary Academic Conference (IMAC) ISSN 2592-8678. Jurmala, Latvia

4. **Kharaishvili, E.** Gaganidze, G. (2022). Distance Learning and Modern Challenges of Education Management in Georgia. : ICESDC 2022 : International Conference on Education System and Development of Countries. World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Educational and Pedagogical Sciences Vol:16, No:11. November 14-15, 2022 in Rome, Italy.

5. **Kharaishvili E.,** Aduashvili L., (2022). The importance of innovation in vegetable production and management (The example of Georgia), Kyiv, November 16

ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

პროექტის დასახელება: მცირე და საშუალო მეწარმეობის მდგრადი განვითარების მექანიზმი: გამოწვევები და შესაძლებლობები საჯარო შესყიდვების სრულყოფისათვის

მცირე და საშუალო ბიზნესი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში და განსაკუთრებული წვლილი შეაქვს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ დაბალია.

Covid-19-ის პანდემიის შედეგად მსოფლიო ეკონომიკაში, ცხადია, საქართველოშიც, თვისობრივად ახალი დღის წესრიგი შეიქმნა, გადასახედი გახდა შეყიდვების პოლიტიკა. მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელოვანი ფაქტორი და მთავარი დამსაქმებელი, ახალი გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე აღმოჩნდა, განსაკუთრებული პრობლემები გამოიკვეთა შესყიდვების სისტემაში.

საჯარო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობის ხელშეწყობა სექტორის განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად განიხილება, განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდში. მსხვილი კომპანიების უმეტესი ნაწილი საკმაოდ ინფორმირებულია საჯარო შესყიდვების შესახებ, მათთვის ელექტრონულად განთავსებული ინფორმაცია სრულად ხელმისაწვდომია და ადვილია საერთაშორისო სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა. მიმდინარე ეტაპზე აქტიური ეკონომიკური სუბიექტების დაახლოებით 25% რეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების eProcurement სისტემაში, თუმცა, მონაწილეობის ეს მაჩვენებელი მაინც ძალიან დაბალია. საჯარო შესყიდვებს ყოველწლიურად საშუალოდ 3000-მდე ბიზნეს სუბიექტი ემატება, როგორც პოტენციური მომხმარებელი. ასევე, მცირედ, მაგრამ მაინც იზრდება მცირე და საშუალო ბიზნესის საშუალო მონაწილეობა ტენდერებში, თუმცა, დღეს ყველაზე დიდი გამოწვევა მაინც არის დაბალი მონაწილეობა, არასაკმარისი კომპეტენცია და უარყოფითი შედეგით დასრულებული ღია ტენდერები.

ამასთან, გამოიკვეთილია რიგი საკითხები, რომლებიც დამატებით სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს, კერძოდ:

- შეუსწავლელია მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევები სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით;
- გამოსავლენია საერთაშორისო სახელმწიფო შესყიდვებში ჩართულობის პერსპექტივები;
- დასაბუთებას მოითხოვს მცირე და საშუალო ბიზნესის შესყიდვების სისტემაში ეფექტიანი ჩართულობისა და კოორდინაციის მექანიზმები.

DCFTA-ს მიერ მოტანილი სარგებლის სრულფასოვნად გამოყენებისათვის აუცილებელია „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რათა საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეებებს შეეძლოთ საერთაშორისო საჯარო შესყიდვებში მონაწილეობა, ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა პოსტ-კრიზისულ პერიოდში. ცნობიერების და ცოდნის დონის ამაღლება საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებით გათვალიწინებული შეღავათების, პირობებისა და პროცედურების შესახებ გაუმარტივებს მეწარმეების დოკუმენტებთან მუშაობას, მაქსიმალურად გაიზრდება მსს სექტორის წვდომა სხვდასხვა ბაზარზე.

ამრიგად, აუცილებელია საქართველოსათვის შემუშავდეს საჯარო შესყიდვების ისეთი მოდელი, რომლებიც ერთი მხრივ, შესაბამისობაში იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადი განვითარების მიზნებთან და მოთხოვნებთან, მეორე მხრივ, ასახავს იმ საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, რომელიც არსებობს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში.

კვლევითი პროექტის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ბარიერებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარების რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის შედეგები:

- მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შემუშავებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ელექტრონული საინფორმაციო ბუკლეტები;
- შემუშავებულია რეკომენდაციები მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის მხარდამჭერი შესყიდვების შესახებ;
- მომზადებულია წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების შესატანად;
- გამოსაცემად მომზადებულია რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, მათ შორის სამეცნიერო სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში ან რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, რეფერირებად ჟურნალებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომათა კრებულებში დასაბეჭდად;
- კვლევის შედეგები აისახება სასწავლო კურსებში ,,მეწარმეობის ეკონომიკა“, ,,ფირმის ეკონომიკა.“

კვლევით პროექტის მონაწილეები:

1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მკვლევარი
2. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი - მკვლევარი
3. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
4. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
5. ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
6. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე - მკვლევარი
7. ასოცირებული პროფესორი თამარ ათენალაშვილი - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
8. შოთა ჯიმშერაშვილი - პროექტის სტუდენტ-ასისტენტი
9. ბექა ზაუტაშვილი - პროექტის სტუდენტ-ასისტენტი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მონოგრაფიის ერთი თავის ავტორი ვარ უკრაინაში, მაგრამ მუშაობენ გამოცემაზე და არ ვიცი როდის გამოვა.

მონოგრაფიის სათაურია: **"MANAGEMENT: CHALLENGES IN GLOBAL WORLD"**
ჩემი თავის სათაურია: **INDUSTRY 5.0 AND SOCIETY 5.0 – THE ROLE OF THE UNIVERSITY**

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. სტატია გამოქვეყნდა იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში Kybernetes რომლის 2021 წლის რეიტინგებია: Scopus CiteScore 3.7; Clarivate Analytics Impact Factor - 2.352. სტატიის სათაურია: „ინდუსტრიული რევოლუცია 4.0 და ინდუსტრიული რევოლუცია 5.0: შეძლებენ

კლასტერები გაუმკლავდნენ გამოწვევებს? (სისტემური მიდგომა)“ ("Industry 4.0 and industry 5.0: can clusters deal with the challenges? (A systemic approach)" https://doi.org/10.1108/K-07-2022-1005) მოცულობა 18 გვერდი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.სტატია კონცეპტუალურია. სამეცნიერო ჟურნალის მოთხოვნების შესაბამისად ასეთი სტატია უნდა იყოს ორიენტირებული ჰიპოთეზის შემუშავებაზე, მოიცავდეს ფილოსოფიურ დისკუსიას და სხვა ავტორების მოსაზრებებთან შედარებით კვლევას. აღნიშნულის გათვალისწინებით სტატიაში გამოყენებულია 85 წყარო, მ. შ. ევროკომისიის დოკუმენტები, საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების ანგარიშები, სამეცნიერო სტატიები და სხვა.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის მ. პორტერის განმარტებით ეკონომიკაში კლასტერი ესაა გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, სპეციალიზებული და მომსახურების მიმწოდებლების, შესაბამისი დარგების ფირმათა ჯგუფები, აგრეთვე მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციები (უნივერსიტეტები, სტანდატიზაციის სააგენტოები, სავაჭრო ორგანიზაციები და სხვ.) განსაზღვრულ სფეროებში კონკურენტები, მაგრამ ამასთან ერთობლივად მომუშავენი. ნაშრომის მიზანი იყო იმის დასაბუთება, რომ კლასტერები გაუმკლავდებიან მეოთხე და მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციების გამოწვევებს და კვლავ დარჩებიან ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა. ანალოგიური შინაარსის ორ კვლევით კითხვაზე პასუხი გაცემა დაისახა მიზნად ავტორმა.

ბოლო 40 წლის მანძილზე კლასტერების კვლევები ინტენსიურად მიმდინარეობდა. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შესახებ აქტიურმა დისკუსიამ კლასტერების კვლევები შედარებით შეამცირა. აღსანიშნავია, რომ გაურკვევლობის მიუხედავად ამ საკითხზე მკვლევრებმა ისევ დაიწყეს დისკუსია. ერთი მხრივ, Industry 4.0 პირობებში დისტანციური მუშაობის გამო გეოგრაფიულ სიახლოვეს მნიშვნელობა ეკარგება. მეორე მხრივ, თავის დროზე კლასტერების ჩამოყალიბებას მისი წევრების გეოგრაფიულმა სიახლოვემ შეუწყო ხელი. ამ რთულ და გაურკვეველ სიტუაციაში მკვლევართა ნაწილი შეეცადა გაეგრძელებინა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის და კლასტერების ერთობლივად კვლევა. კვლევები განხორციელდა, როგორც ზოგადთეორიული მიმართულებით, ასევე კონკრეტული წარმატებული კლასტერების მაგალითებზეც.

იმის გამო, რომ სამეცნიერო კვლევით მიღებული ინოვაციური პროდუქტი საჭიროებს კვლევას, კვალიფიცირებული სამუშაო ძალის მომზადებას, ადგილობრივი მმართველების და ბიზნესის აქტიურ ჩართულობას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობას - ციფრიზაცია კლასტერის აქტორებს/წევრებს ხელს უწყობს უფრო იოლად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და სწრაფად გაცვალონ საჭირო ინფორმაცია.

სტატიის ავტორი კლასტერებზე 2007 წლიდან აქვეყნებს ნაშრომებს და საქართველოსა თუ უცხოეთში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გრაფიკულად აქვს გამოსახული სისტემური კავშირები, როგორც კლასტერში, ასევე მის გარეთ. ასე მაგალითად, 2015 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მან კლასტერი, როგორც სისტემა წარმოადგინა „კლასტერის ხის“ ფორმით და ახალ ნაშრომში მას ციფრიზაციით მოსალოდნელი კავშირები დაამატა. ავტორის აზრით ვინაიდან

კლასტერი ქსელი და სისტემაა, ის უფრო ეფექტიანად და სწრაფად ექვემდებარება გაციფრულებას, ვიდრე დამოუკიდებელი ფირმები.

სტატიაში ავტორის მიერ შეთავაზებული სიახლეა ციფრიზაციის ეპოქაში განვითარების მიმართულების გრაფიკულად გამოსახვა ორგანზომილებიან სიბრტყეში. ავტორმა ერთ ღერძზე განათავსა „დარგი/კლასტერი/ფირმა“ ხოლო მეორეზე - „ციფრიზაცია“. ღერძების შემაერთებელი მრუდი კი აღნიშნა, როგორც განვითარების დონე ციფრიზაციის ეპოქაში. ავტორის აზრით განვითარების დონეს ასახავს მრუდი და არა ერთი რომელიმე წერტილი იმის გამო, რომ, „დარგი/კლასტერი/ფირმა“ ერთიანად ყველა ნაწილში და სრულყოფილად მყისიერად ვერ გაციფრულდება.

ავტორის აზრით, იმ გეოგრაფიულ არეალზე, სადაც კლასტერები არაა ჩამოყალიბებული და ცალკეული ფირმები დამოუკიდებლად საქმიანობენ ციფრიზაციის პროცესი გაცილებით რთულია. ამის მიზეზია ის, რომ ცალკეული ფირმის ინტერესი გადააწყოს ბიზნესი, სამეცნიერო კვლევასა და ფინასებზე წვდომა და სხვა საჭირო პირობები განსხვავებულია. შედეგად, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების პროცესი გვიანდება, რთულდება და არათანაბარია. აღნიშნულის გამო, წარუმატებლობის ალბათობაც დიდია.

სრულიად განსხვავებული სცენარია მოსალოდნელი კლასტერებში. ამ შემთხვევაში არსებობს ერთმანეთთან კარგად დაკავშირებული წევრების ქსელი და სისტემა. შესაბამისად ყველას სურვილია სწრაფად განვითარდეს ადგილობრივი ეკონომიკა და საამისოდ ყველა ერთად იღწვის. შეიძლება ვთქვათ, რომ აქ დევიზია: „ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის“ და „ძალა ერთობაშია“. კლასტერის ყველა აქტორი შეთანხმებულად მოქმედებს გაციფრულების, ინოვაციურობის და ბიზნესის მოდელის ცვლილებისთვის. ასეთ პირობებში განვითარების პროცესი შეთანხმებულად, თანმიმდევრულად მიმდინარეობს და წარმატებაც გარანტირებულია. ზემოაღნიშნულის დასაბუთება ავტორმა მოახდინა ორგანზომილებიან სიბრტყეში მის მიერ შექმნილი რამდენიმე ახალი გრაფიკული გამოსახულებით.

სტატიაში გაანალიზებული სამეცნიერო სტატიების ავტორები პროგნოზირებენ, რომ მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში საზოგადოების წარმატების განმაპირობებელი უნივერსიტეტებზე ფოკუსირება იქნება. საგანმანათლებლო ინსტიტუტში ხომ საზოგადოების ყველა თაობაა წარმოდგენილი და ტრადიციებით დამკვიდრებული ურთიერთობები სინერგიული ეფექტის საფუძველია გამოწვევების დასაძლევად. ვინაიდან XXI საუკუნის პირველ ათწლეულში კლასტერების რენესანსი დიდწილად სამეწარმეო უნივერსიტეტების ფორმირებამ განაპირობა, სავარაუდოა, რომ ეს მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციის პირობებშიც განმეორდება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს გაციფრულების უარყოფითი მხარეების შესახებაც. აქ იგულისხმება ის ზიანი, რაც შეიძლება მიადგეს ინდივიდის პირადი ინფორმაციის დაცულობას და სხვა თანმდევ პრობლემებს. ავტორის აზრით, ამ საკითხშიც კლასტერის წევრების ჯგუფური ინტერესი კრიტიკული აღმოჩნდება. აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლების ფორმირება და დიდი კორპორაციების მხრიდან ინფორმაციაზე მონოპოლიური ძალაუფლების შემზღუდავი ღონისძიებების გატარება.

როგორც მკვლევრები მიუთითებენ მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში „საზოგადოება 5.0“-ის ფორმირების ერთ-ერთი წარმმართველი ძალა უნივერსიტეტი იქნება.

ნაშრომში დასმულ კვლევით კითხვებზე პასუხები დადებითია, ვინაიდან კლასტერი ხასიათდება ისეთი მახასიათებლებით (სისტემურობა, ქსელურობა, სინერგია), რომლებიც ავტორის ვარაუდით, განაპირობებენ წარმატებას მეოთხე და მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციის ერაშიც. კლასტერების მკვლევრები აღნიშნავენ, რომ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია გეოგრაფიულ სიახლოვეს მნიშვნელობას უკარგავს. თუმცა, იმის გამო, რომ ზოგიერთი სახეობის კვლევა დისტანციურად ვერ განხორციელდება, გეოგრაფიული სიახლოვე მომავალში მაინც მნიშვნელოვანი იქნება.

აღნიშნულს დავამატებთ, რომ ამჯერად კლასტერის უნარს გაუმკლავდეს გამოწვევებს განაპირობებს გაურკვეველ სიტუაციაში გადარჩენის, ადეკვატური პასუხის და წარმატების შენარჩუნების ერთიანი, ჯგუფური ინტერესი. ცნობილია, რომ პანდემიამდე ევროპაში 3000 კლასტერი იყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ავტორის მოსაზრებით, ციფრულ ერაში მხოლოდ ის კლასტერები გაგრძელებენ არსებობას, რომლებიც ძლიერ ქსელსა და სისტემას წარმოადგენენ. აღნიშნული უპირატესობის გამო, ეკონომიკის სამომავლო განვითარება კლასტერების მოდელის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. გაგნიძე, ი. (2022) „გერი ნორთი და მისი წიგნი „ბიბლიის ეკონომიკური კომენტარები“, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, თსუ, თბ. (იბეჭდება)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Gagnidze, I. (2022) From Industry 4.0 to Industry 5.0 – the way for sustainable development and welfare of Society 5.0. VI International Conference “Strategic Imperatives of Modern Management” (SIMM-2022) “KNEU-115”, Proceedings. 21 October, Kyiv, Ukraine, pp. 249-253.
2. Gagnidze, I. (2022) ‘The Numerous Challenges of the Post-COVID Economy’. 6th FEB International Scientific Conference “Challenges in Economics and Business in the Post-COVID Times”. Proceedings. pp. 11-19. DOI https://doi.org/10.18690/um.epf.5.2022.2 ISBN 978-961-286-600-6
3. Гагнидзе И.(2022) ‘Налоги, равенство и распределение в экономике и православное учение’. Сборник статей участников V Международной научно-практической конференции 28-30 января 2022 г., Минск ст. 23-25. ISBN 978-985-7145-57-7

ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. მცირე და საშუალო მეწარმეობის მდგრადი განვითარების მექანიზმი: გამოწვევები და შესაძლებლობები საჯარო შესყიდვების სრულყოფისათვის

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 01.03.2022 – 05.12.22

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მკვლევარი
2. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი - მკვლევარი
3. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
4. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
5. ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
6. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე - მკვლევარი
7. ასოცირებული პროფესორი თამარ ათენალაშვილი - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
8. შოთა ჯიმშერაშვილი - პროექტის სტუდენტ-ასისტენტი
9. ბექა ზაუტაშვილი - პროექტის სტუდენტ-ასისტენტი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. Nino Damenia

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. THE IMPACT OF COVID-19 ON GEORGIA'S AGRICULTURE

https://doi.org/10.35945/gb.2022.13.018

For Citation: ***Damenia, N., (2022). The Impact of Covid 19 on Georgia's Agriculture. Globalization and Business. (In Georgian). 13, 123-127. https://doi.org/10.35945/gb.2022.13.018***

https://www.eugb.ge/view_content.php?content=content&id=385&THE%20IMPACT%20OF%20COVID-19%20ON%20GEORGIA#

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Globalization and Business. (In Georgian). 13.018. 2022.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.https://www.eugb.ge/view_content.php?content=content&id=385&THE%20IMPACT%20OF%20COVID-19%20ON%20GEORGIA#

5) გვერდების რაოდენობა

1. 6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. COVID 19 გახდა გლობალური პრობლემა, რომელიც გავლენას ახდენს მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე. პანდემიამ მოიცვა ყველა სფერო: მედიცინა, ეკონომიკა, ტურიზმი, კულტურა და ა.შ., სოფლის მეურნეობის ჩათვლით. ბაზრების დახურვამ, ტრანსპორტის აკრძალვამ და სხვადასხვა ეკონომიკური შეზღუდვები ფაქტობრივად შეაფერხა დარგის განვითარება. სოფლის მეურნეობის დარგი საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, რადგან ამ სფეროში ბევრი ადამიანია დასაქმებული და ბევრი ოჯახის კეთილდღეობა პირდაპირ კავშირშია დარგის განვითარებასთან. ამას ემატება ისიც, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოსთვის ერთგვარი ტრადიცია და კულტურაა, რომელიც ერს უკვე მრავალი საუკუნეა მისდევს და რომელიც ქართულ იდენტობასთანაა შესისხლხორცებული. ამიტომ, COVID 19-ის გავლენა ამ სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

გლობალური პანდემიის კონტექსტში გამოვლინდა სხვადასხვა პრობლემა და გამოწვევა ყველა სფეროში, მათ შორის სოფლის მეურნეობაში. მთელ რიგ ნეგატიურ ასპექტებთან ერთად, როგორიცაა ეკონომიკური არასტაბილურობა, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის პრობლემები და ა.შ., რაც უარყოფითად აისახება სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, არის დადებითი გარემოებებიც: ხარისხის კონტროლის შესაძლებლობა, მეტი ფოკუსირება სურსათის უვნებლობაზე, დიგიტალიზაციისა და პოპულარიზაციის დაჩქარება, სოფლის მეურნეობის სფეროებით დაინტერესება და სხვა.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნინო დამენია

2) მოხსენების სათაური

1. რისკის გამოვლენის ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი აგრარულ სექტორში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. ანოტაცია. საქართველოსათვის, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოსათვის, სტრატეგიულად მნიშვნელოვანია აგრარული სექტორის განვითარება. რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია სხვადასხვა სახის რისკთან.

რისკისა და გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილების მიღების ანალიზი შესაძლებლობას იძლევა უკეთ შევიცნოთ ეკონომიკური გარემო და გავაკეთოთ ოპტიმალური არჩევანი. საკითხის სიღრმისეული ანალიზი შესაძლებელს ხდის არსებული ალტერნატივებიდან მიღებული იქნას საუკეთესო გადაწყვეტილება.

რისკი დაკავშირებულია მოსალოდნელ დანაკარგებთან და მისი მინიმუმამდე შემცირების მიზნით მეწარმეს/ფერმერს უნდა შეეძლოს მოსალოდნელი რისკების პროგნოზირება, მეტნაკლები სიდიდით შედეგების განსაზღვრა და რისკის რეგულირება. ეკონომიკური გარემოს ცვალებადობის პირობებში აგრარულ ბიზნესში რისკის საფრთხე კიდევ უფრო მზარდია. მოსალოდნელი რისკების გამოვლენა, ანალიზი და მართვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება აგრარული სექტორის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. Nino Damenia

2. Nino Damenia, Iza Gigauri

2) მოხსენების სათაური

1. Risk-taking and Avoidance Decisions in Pandemic Agriculture in Georgia

2. ON SUSTAINABILITY OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT IN CONTEMPORARY ORGANIZATIONS

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ICEBMM 2022: 16. International Conference on Economics, Business and Marketing Management May, 23-24, 2022

2. Higher School of Security and Economics – Plovdiv, Bulgaria. Conference devoted to the INTERNATIONAL HUMAN RESOURCES DAY „MANAGEMENT OF THE HUMAN RESOURCES – FROM CRISIS ACTIONS TO VISIONS FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT“. May 20, 2022 /ONLINE/

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია საქართველოში სოფლის მეურნეობაში წარმოშობილი რისკები, მათი მიღებისა და პრევენციის შესაძლებლობები, პანდემიური კრიზისით შექმნილი საფრთხე და მათი დაძლევის სახელმწიფო პროგრამები.

სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მშპ-ში 8,3%-ია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველომ 5,9 მილიარდი დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია შემოიტანა. მიუხედავად ამ მაჩვენებლებისა, 2012 წლიდან სოფლის მეურნეობა საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვანი სექტორი გახდა, რასაც ადასტურებს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის 2012-2020 წლების ბიუჯეტიდან 1,5 მილიარდ ლარზე მეტი ხარჯი. სოფლის მეურნეობის ნებისმიერი სფერო, იქნება ეს მეფრინველეობა, მეცხოველეობა, მარცვლეული, ხილი თუ ბოსტნეული, ძალიან მგრძნობიარეა სხვადასხვა კლიმატური და ვირუსული რისკების მიმართ. ამ რისკების თავიდან აცილება დამატებით ინვესტიციას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ მცირე მეურნეობები ძირითადად განიცდიან რისკებს, შედარებით მსხვილ მეურნეობებს კი ნაკლები პრობლემები აქვთ, რადგან ისინი შედარებით მომზადებულნი არიან პრობლემების გადასაჭრელად და უფრო ადვილად ახდენენ მათი თავიდან აცილებას.

სტატიაში ვირუსული რისკის მაგალითია თხილის ექსპორტი, რომელსაც საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს. ნათესის გაფუჭების გამო, რომელიც გამოწვეულია ყავისფერი მარმორირებული სუნიანი ბუზით (BMSB), თხილის ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა წლების განმავლობაში. თუ 2016 წელს ექსპორტირებული თხილის მოცულობამ 179 378 ათასი დოლარი შეადგინა, 2018 წელს Brown Marmorated Stink Bug-ის (BMSB) მიერ გამოწვეული დეფიციტის გამო 57 124 ათასი დოლარი გახდა. ვითარების შედარებით დარეგულირების შემდეგ კი თხილის ნერგები მოიწამლა. 2020 წლისთვის ეს მაჩვენებელი 91 088 ათას აშშ დოლარამდე გაუმჯობესდა. სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება და რისკების შემცირება მოითხოვს ტექნოლოგიურ განვითარებას, ინვესტორთა ინტერესს და კიდევ უფრო მეტ სახელმწიფო მხარდაჭერას, რათა უფრო მეტ მცირე ფერმერულ მეურნეობას ჰქონდეთ მეტი წარმოებისა და მდგრადი განვითარების პოტენციალი. კვლევის მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში პანდემიამდე და შემდგომი რისკების გამოვლენა, მათი შეფასება, ევროპის ზოგიერთი ქვეყნის სოფლის მეურნეობასთან შედარება და საჭირო რეკომენდაციების შემუშავება წარმოშობილი რისკების თავიდან ასაცილებლად. კვლევაში გამოყენებულია სტატისტიკის ანალიზისა და სინთეზის, დაკვირვების, ინდუქციის, დედუქციისა და ანალიზის მეთოდები. ნაშრომი ეფუძნება როგორც ქართულ, ისე უცხოურ სამეცნიერო კვლევებს, ასევე სახელმწიფოს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტაციას სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამების შესახებ. კვლევა ეფუძნება ევროპის სტატისტიკის სამსახურის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და მრავალი სხვა ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების ანალიზს. კვლევის შედეგები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს საქართველოში

სოფლის მეურნეობის რისკების შემცირებას და, ზოგადად, არსებული პოტენციალის გამოვლენას და მთლიანად დარგის განვითარებას.

ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. პროექტის დასახელება: მცირე და საშუალო მეწარმეობის მდგრადი განვითარების მექანიზმი: გამოწვევები და შესაძლებლობები საჯარო შესყიდვების სრულყოფისათვის

პროექტის ხანგრძლივობა: 9 თვე

პროექტის ბიუჯეტი: 6 000 ლარი

პროექტის დაწყება 2022 წ. თებერვალი

პროექტის დასრულება 2022 წ. დეკემბერი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მკვლევარი
2. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი - მკვლევარი
3. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
4. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
5. ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
6. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე - მკვლევარი
7. ასოცირებული პროფესორი თამარ ათენალაშვილი - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი
8. შოთა ჯიმშერაშვილი - პროექტის სტუდენტ-ასისტენტი
9. ბექა ზაუტაშვილი - პროექტის სტუდენტ-ასისტენტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მცირე და საშუალო ბიზნესი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში და განსაკუთრებული წვლილი შეაქვს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ დაბალია.

Covid-19-ის პანდემიის შედეგად მსოფლიო ეკონომიკაში, ცხადია, საქართველოშიც, თვისობრივად ახალი დღის წესრიგი შეიქმნა, გადასახედი გახდა შეყიდვების პოლიტიკა. მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელოვანი ფაქტორი და მთავარი დამსაქმებელი, ახალი გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე აღმოჩნდა, განსაკუთრებული პრობლემები გამოიკვეთა შესყიდვების სისტემაში.

საჯარო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობის ხელშეწყობა სექტორის განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად განიხილება, განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდში. მსხვილი კომპანიების უმეტესი ნაწილი საკმაოდ ინფორმირებულია საჯარო შესყიდვების შესახებ, მათთვის ელექტრონულად განთავსებული ინფორმაცია სრულად ხელმისაწვდომია და ადვილია საერთაშორისო სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა. მიმდინარე ეტაპზე აქტიური ეკონომიკური სუბიექტების დაახლოებით 25% რეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების eProcurement სისტემაში, თუმცა, მონაწილეობის ეს მაჩვენებელი მაინც ძალიან დაბალია. საჯარო შესყიდვებს ყოველწლიურად საშუალოდ 3000-მდე ბიზნეს სუბიექტი ემატება, როგორც პოტენციური მომხმარებელი. ასევე, მცირედ, მაგრამ მაინც იზრდება მცირე და საშუალო ბიზნესის საშუალო მონაწილეობა ტენდერებში, თუმცა, დღეს ყველაზე დიდი გამოწვევა მაინც არის დაბალი მონაწილეობა, არასაკმარისი კომპეტენცია და უარყოფითი შედეგით დასრულებული ღია ტენდერები.

ამასთან, გამოიკვეთილია რიგი საკითხები, რომლებიც დამატებით სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს, კერძოდ:

- შეუსწავლელია მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევები სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით;
- გამოსავლენია საერთაშორისო სახელმწიფო შესყიდვებში ჩართულობის პერსპექტივები;
- დასაბუთებას მოითხოვს მცირე და საშუალო ბიზნესის შესყიდვების სისტემაში ეფექტიანი ჩართულობისა და კოორდინაციის მექანიზმები.

DCFTA-ს მიერ მოტანილი სარგებლის სრულფასოვნად გამოყენებისათვის აუცილებელია „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რათა საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეებებს შეეძლოთ საერთაშორისო საჯარო შესყიდვებში მონაწილეობა, ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა პოსტ-კრიზისულ პერიოდში. ცნობიერების და ცოდნის დონის ამაღლება საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებით გათვალიწინებული შეღავათების, პირობებისა და პროცედურების შესახებ გაუმარტივებს მეწარმეების დოკუმენტებთან მუშაობას, მაქსიმალურად გაიზრდება მსს სექტორის წვდომა სხვდასხვა ბაზარზე.

ამრიგად, აუცილებელია საქართველოსათვის შემუშავდეს საჯარო შესყიდვების ისეთი მოდელი, რომლებიც ერთი მხრივ, შესაბამისობაში იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადი განვითარების მიზნებთან და მოთხოვნებთან, მეორე მხრივ, ასახავს იმ საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, რომელიც არსებობს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში.

კვლევითი პროექტის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ბარიერებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარების რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის შედეგები:

- მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შემუშავებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ელექტრონული საინფორმაციო ბუკლეტები;
- შემუშავებულია რეკომენდაციები მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის მხარდამჭერი შესყიდვების შესახებ;
- მომზადებულია წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების შესატანად;
- გამოსაცემად მომზადებულია რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, მათ შორის სამეცნიერო სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში ან რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, რეფერირებად ჟურნალებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომათა კრებულებში დასაბეჭდად;
- კვლევის შედეგები აისახება სასწავლო კურსებში ,,მეწარმეობის ეკონომიკა“, ,,ფირმის ეკონომიკა.“

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ნაცვლიშვილი ი., ძალადობრივი კონფლიქტის მიკროეკონომიკური კვლევის თანამედროვე ტენდენციები. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია COVID 19 პანდემია და ეკონომიკა. 8 თებერვალი, 2022 წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. შრომების კრებული. თსუ გამომცემლობა 2022. გვ. 250-259 ISBN 978-9941-491-70-2

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ძალადობრივი კონფლიქტის მიკროეკონომიკური კვლევის თანამედროვე ტენდენციები

სტატიაში განხილულია ძალადობრივი კონფლიქტის მიკროეკონომიკურ კვლევაში თანამედროვე მიღწევები, სამაგიდო კვლევის მეთოდით სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე გაანალიზებულია კონფლიქტის მიკროეკონომიკური კვლევის შედეგების გავლენა პოლიტიკაზე და კონფლიქტების სამომავლო კვლევებზე. კონფლიქტი წარმოდგენილია, როგორც ინტერესების აღქმული დაშორება ან მხარეთა რწმენა, რომ მათი მისწრაფებები ვერ იქნება მიღწეული ერთდროულად. სტატიაში ნაჩვენებია ბოლო ათწლეულებში ძალადობრივი კონფლიქტის მიკროეკონომიკის, როგორც ემპირიული განვითარების ეკონომიკის, ახალი ქვედარგის წარმოშობა, კრიტიკულად შეფასებულია კონფლიქტის მიკროეკონომიკის შესახებ გავრცელებული ზოგიერთი წარმოდგენა. ამასთან, წარმოჩენილია კონფლიქტების კვლევასთან დაკავშირებული სხვა დისციპლინების როლი და თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში კონფლიქტის მიკროეკონომიკის მიერ ემპირიული კვლევის მეთოდებით და მონაცემებით შეტანილი წვლილი. სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ კონფლიქტების მიკროეკონომიკური კვლევის შედეგები მომავალში ხელს უწყობს კონფლიქტის ზონებში სამშვიდობო ინტერვენციების, პოსტკონფლიქტური ინსტიტუტების მშენებლობის, კონფლიქტურ ზონებში ფირმების ქცევის და ინდივიდუალური

გადაწყვეტილების მიღებისას ემოციების როლის კვლევებს. სუსტია კავშირი ჰუმანიტარულ თუ განვითარების ხელშემწყობი, პოლიტიკის შემქმნელი ორგანიზაციების მიერ გენერირებული შეზღუდული ცოდნის გამოყენებასა და სწრაფად განვითარებად აკადემიურ ქვედარგს შორის. ამასთან, სწრაფად განვითარებადი ეს ქვედარგი სათანადოდ არ არის წარმოდგენილი ეკონომიკურ დისციპლინათა სწავლებაში.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Natsvlishvili I.,** Kharaishvili E., Shonia N., (2022). Challenges of Global Educational Crises in Pandemic Time: Innovations versus Crises., proceeding., 5-th International Multidisciplinary Academic Conference – JURMALA., 26-30 July, 2022. IRIS-ALKONA. Institute of Research and International Symposiums. Jurmala, Latvia.
https://ea4a2251-b874-4c58-8b59-a4842fa15d84.filesusr.com/ugd/7ebfb0_c471b7e3509e4d5baff481c6c8ee35c3.pdf

2. Kharaishvili E., **Natsvlishvili I.,** Shonia N., (2022). CHALLENGES OF DISTANCE ASSESSMENT IN HIGHER EDUCATION AND THE IMPACT OF ACADEMIC ACHIEVEMENT ON ALUMNI EMPLOYMENT (EVIDENCE FROM GEORGIA). 14th International Conference on Education and New Learning Technologies. 4-6 July, 2022. Palma, Spain. EDULEARN22 Proceedings, 2022. **pp**. 1499-1506. **ISBN:**978-84-09-42484-9.**ISSN:**2340-1117
doi: 10.21125/edulearn.2022.0395
https://library.iated.org/view/KHARAISHVILI2022CHA

3. Kharaishvili E., **Natsvlishvili I.,** Lobzhanidze N., Public Procurement Challenges and Opportunities in Small and Medium-Sized Enterprises (Case f Georgia). SGEM World Science (SWS) Scholarly Society. **SWS Vienna Social Sciences & Art Sessions 2022 "When Science Meets Art". 6 - 9 December 2022. Vienna, Austria. Proceedings**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **გლობალური საგანმანათლებლო კრიზისის გამოწვევები პანდემიის პირობებში: ინოვაციები კრიზისის საპირწონედ**

მოცემულ სტატიაში გაანალიზებულია თანამედროვე გლობალური საგანმანათლებლო კრიზისი პამდემიის პირობებში. ამასთან, სტატიაში განხილულია კოვიდ-19 პანდემიის გავლენას უმაღლეს განათლებაზე და მიმოიხილავს იმ გზებს, თუ როგორ შეიძლება განათლებაში ინოვაციები დაგვეხმაროს გლობალური საგანმანათლებლო კრიზისის დაძლევაში. სტატიაში სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნები, თუ როგორ ზემოქმედებს გლობალიზაცია საგანმანათლებლო სისტემაზე, თუ რა თავისებურებები ახასიათებს გლობალურ საგანმანათლებლო კრიზისს, რომელიც უფრო გამწვავდა პანდემიის პირობებში.

გლობალიზაცია პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზეგამოქმედებს განათლების სისტემაზე და იწვევს მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ცვლილებებს: ის ზემოქმედებს შრომის ორგანიზაციაზე, დასაქმებისას მოითხოვება მაღალკვალიფიციური უნარები. ასეთ სამოშაოებზე მოთხოვნის ზრდა იწვევს სახელმწიფოს მხრიდან უმაღლეს განათლებაზე დანახარჯების გაზრდას. სახელმწიფოები იძულებული ხდებიან, გაზარდონ დანახარჯები განათლებაზე. ამასთან, განათლების ხარისხის შედარება ხდება საერთაშორისო დონეზე. განათლების სისტემის მენეჯმეტში წამყვან როლს ასრულებს საბაზრო მექანიზმები და კონკურენცია საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციებს შორის. განათლების ადმინისტრატორები უფროი მეტ ყურადღებას უთმობენ ეფექტიანოიბის, ანგარიშვალდებულების და დაგეგმვის ინსტრუმენტებს, ვიდრე ურთიერეთთანამშრომლობის და გამოცდილების ურთიერთგაზიარების ღონისძიებებს.

გგლობალიზებული განათლებვის პოზიტიური შედეგებია: ფართოდ გავრცელებული და უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებული სწავლების მეთოდები, სასკოლო განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა, მულტინაციონალური როლებისთვის უფრო უკეთესად მომზადებული სტიდენტები. გლობალიზებული საზოგადოების ერთ-ერთი ნაკლოვანებაა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის უკვე არსებული ტექნოლოგიური სხვაობა, რომელიც კიდევ უფრო გაღმავდება და გამოიწვევს მრავალ შეუსაბამობებს, რომელთა აღმოფხვრაზე ზრუნვა მოუწევს თანამედროვე მსოფლიოს.

გლობალიზაცია იწვევს ინფორმაციის, პროდუქტების და კაპიტალის ტრანსნაციონალურ მოძრაობას მსოფლიოში. გლობალიზაცია ხელს უწყობს ცოდნის ეკონომიკის წარმოქმნას, სადაც საინფორმაციო ტექნოლოგიები და ცოდნის მენეჯმენტი აჭარბებს კაპიტალსა და შრომას. ელიტარულიდან მასიურ უმაღლეს განათლების სისტემაზე გლობალურად გადასვლის მოწმეა თანამედროვე მსოფლიო. ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში განათლების უფრო მაღალი საფეხურების დანახარჯები იზრდება მსოფლიო მასშტაბით. ემპირიული მონაცემები ცხადყოფენ, რომ განათლების პრივატიზაციამ და უფრო მეტად დეცენტრალიზაციამ ზოგადად არ გამოიწვია საგანმანათლებლო სერვისების მიღებაში თანასწორობა. გლობალიზაციამ მიგვიყვანა უფრო მეტ სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობამდე. განათლებაზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა ხარისხის კუთხით უფრო მეტად უთანასწორო აღმოჩნდა. ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა არის გლობალური გამოწვევა.

კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული განათლების მიღების შეფერხებამ 20 წლით უკან დასწია განათლების კუთხით უკანასკნელ ათწლეულებში მიღწეული პროგრესი. მართალია, ყველა სტუდენტზე მოახდინა ზემოქმედება პანდემიამ, მაგრამ სხვაობა პრივილეგირებულ და მოწყვლად სოციალურ ჯგუფებს შორის განათლების სარგებლის მიღების კუთხით კიდევ უფრო გაიზარდა. თანამაროვე მსოფლიოს სჭირდება ინოვაციური იდეები, რომელსაც ექნება ზემოქმედებისა და მასშტაბის მძლავრი პოტენციალი, რომ დაძლიოს საგანმანათლებლო კრიზისი. საჭიროა ისეთი ინოვაციების დანერგვა, რომელიც შეცვლის განათლების მომავალს და ფოკუსირებული იქნება სამ მთავარ მიმართულებაზე: მოწყვლადი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის თანასწორობის უზრუნველყოფაზე, მასწავლებლების განვითარებაში ინვესტირებაზე, სტუდენტებისთვის ისეთი უნარების გამომუშავებაზე, რომელიც სამომავლოდ დასჭირდებათ.

2. **უმაღლეს განათლებაში დისტანციური შეფასების გამოწვევები და აკადემიური მოსწრების გავლენა კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე** (მტკიცებულებები საქართველოდან)

ანოტაცია

სტუდენტთა სწავლის შეფასება და აკადემიური მოსწრება სწავლების ფუნდამენტური ასპექტია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. Covid-19 პანდემიის გამო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისტანციური სწავლება გადამწყვეტი გახდა. შესაბამისად, აქტუალურია შეფასებისა და აკადემიური მოსწრების სფეროში იმ გამოწვევების გამოვლენა, რომელთა გადაჭრა პოზიტიურ გავლენას მოახდენს კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე.

დისტანციური სწავლების პირობებში სტუდენტთა შეფასების სისტემასა და აკადემიური მოსწრების შედეგებში გამოწვევების გამოსავლენად, კურსდამთვარებულთა დასაქმებაზე მისი გავლენების დასადგენად, ჩატარებულია ორეტაპიანი კვლევა. პირველ ეტაპზე სამაგიდე კვლევით შესწავლილია დისტანციური სწავლების ხელშემწყობი და შემზღუდავი ფაქტორები, სწავლისა და აკადემიური მოსწრების შეფასების ტიპები. კვლევის ობიექტად შერჩეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების ონლაინ სასწავლო კურსების სილაბუსები და აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები. სილაბუსების ანალიზისა და მონაცემების დაჯგუფების გზით გამოვლენილია შეფასების ძირითადი ტიპები. პირველი ეტაპის კვლევით შემუშავებულია ჰიპოთეზები სწავლის შეფასების როლისა და წვლილის შესახებ კურსების განვითარებაში, გაანალიზებულია აკადემიური მოსწრებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები.

მეორე ეტაპზე ჩატარებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. ფოკუს ჯგუფებთან და ექსპერტებთან ინტერვიუების პროცესში საკვლევი პრობლემების გამოსავლენად გამოყენებულია წინასწარ შემუშავებული კითხვარი, მათგან მნიშვნელოვანია: რა გამოწვევებია ონლაინ კურსების შეფასების სისტემის შექმნისა და გამოყენების დროს? შეფასების რა პრაქტიკაა გამოყენებული ონლაინ სისტემით, რომელიც განსაკუთრებით ეფექტიანი აღმოჩნდა? როგორ აისახა სასწავლო კურსის ონლაინ სწავლება და შეფასება კურსების განვითარებასა და შეფასების პრაქტიკაზე? როგორია აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები და გავლენას ახდენს იგი კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე?

კვლევით გამოვლენილია დისტანციური სწავლების პირობებში შეფასების სისტემისა და აკადემიური მოსწრების საკითხებში არსებული ის გამოწვევები, რომლებიც გავლენას ახდენს კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. რანგობრივი კორელაციის სპირმენის კოეფიციენტით (Rho) დადგენილია სამუშაოთი კმაყოფილებასა და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებასთან შესაბამისობას შორის დამოკიდებულება. წარმოდგენილია დასკვნები აკადემიური მოსწრების, დასაქმებისა და ანაზღაურების მაჩვენებლებს შორის კავშირების შესახებ. ნაშრომს ბოლოში ახალავს გამოწვევების დასაძლევად შემოთავაზებული რეკომენდაციები.

3. **საჯარო შესყიდვების გამოწვევები და შესაძლებლობები მცირე და საშუალო საწარმოებში (საქართველოს მაგალითზე)**

ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია მცირე და საშუალო საშუალო საწარმოების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. დასაბუთებულია, რომ ამ ტიპის საწარმოებში საჯარო შესყიდვების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება დიდ წვლილს შეიტანს მშპ-ის ზრდაში, ასევე, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებაში, კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირებაში, კერძო მეწარმეობის განვითარებაში, სამომხმარებლო ბაზრის მოდერნიზაციასა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში.

საჯარო შესყიდვების წვლილი მშპ-ის ზრდაში შესწავლილია რამდენიმე ძირითადი ინდიკატორების გამოყენებით: საჯარო შესყიდვების შესახებ ინფორმირებულობა, საჯარო შესყიდვებში ჩართულობის დონე, ფულადი სახსრების მენეჯმენტი, საგადასახადო პროცედურები, შესაბამის ინფორმაციებსა და მონაცემებზე წვდომა, უსაფრთხოება.

ნაშრომში გამოყენებულია ბიბლიოგრაფიული და ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია, მონაცემების შერჩევის, დაჯგუფების, მსგავსებისა და განსხვავების დასადგენად გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, ინდუქციისა და სხვა მეთოდები. შესყიდვების ინდიკატორების მიხედვით შეფასებისა და გამოწვევების გამოსავლენად ჩატარებულია რაოდენობრივი თვისებრივი კვლევა; ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებით დაზუსტებულია შესყიდვების ბარიერები, დადგენილია მომსახურების გაუმჯობესების მიმართულებები.

კვლევაში შესწავლილია მცირე და საშუალო საწარმოებში საჯარო შესყიდვებში ლიდერი სახელმწიფოების გამოცდილება, გაანალიზებულია შესყიდვების მხარდამჭერი პროგრამები და სერვისები. გაკეთებულია დასკვნა, რომ საჯარო შესყიდვების სფეროში წარმატებული ქვეყნების მაგალითებისა და გამოცდილების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს საქართველოში, მცირე და საშუალო საწარმოებში, საჯარო შესყიდვებში არსებული გამოწვევების ძიება.

ბიბლიოგრაფიული და რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილია მცირე და საშუალო საწარმოებში საჯარო შესყიდვების ძირითადი გამოწვევები: ინფორმაციის გაურკვევლობა, სატენდერო წინადადებების მომზადების უნარების ნაკლებობა, ელექტრონულ ტენდერებზე ნაკლები წვდომა, ელექტრონული პლატფორმების დეფიციტი შესყიდვების პროცედურების იგნორირება, შესყიდვების პროცესის შრომატევადი და მკაცრი პროცესი და სხვა. ამასთან, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ინფორმაციის გაურკვევლობისა და უუნაროობის ფაქტორები უმთავრეს გამოწვევად არის მიჩნეული.

სტატიაში შემოთავაზებულია სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერის მექანიზმებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოების გაძლიერების შესაძლებლობები. პასუხი გაცემულია კითხვებზე მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საჯარო შესყიდვების შესაძლებლობებზე წვდომის გაადვილება როგორ გააუმჯობესებს ზოგად ეკონომიკურ გარემოს, გაადვილებს რესურსებზე ხელმისაწვდომობას და სამართლიან კონკურენციას, უზრუნველყოფს ეკონომიკის ინკლუზიურ და მდგრად განვითარებას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ნაცვლიშვილი ი., მცირე და საშუალო საწარმოების გაძლიერება სახელმწიფო შესყიდვებით (საზღვარგარეთული გამოცდილება და საქართველო). აბსტრაქტი.** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება". ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. 21-22 ოქტომბერი. 2022. ბათუმი, საქართველო.
2. ნაცვლიშვილი ი., ძალადობრივი კონფლიქტის მიკროეკონომიკური კვლევის თანამედროვე ტენდენციები. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია COVID 19 პანდემია და ეკონომიკა. 8 თებერვალი, 2022 წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. შრომების კრებული. თსუ გამომცემლობა 2022. გვ. 250-259 ISBN 978-9941-491-70-2 (pdf)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1. **მცირე და საშუალო საწარმოების გაძლიერება სახელმწიფო შესყიდვებით (საზღვარგარეთული გამოცდილება და საქართველო)**

ანოტაცია

მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს ევროკავშირის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ხერხემალს. იგი მნიშვნელოვნად ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკურ ზრდას და ინოვაციებს. სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე ადვილი წვდომა მცირე და საშუალო საწარმოებს დაეხმარება მათი პოტენციალის რეალიზაციაში, რასაც ეკონომიკაზე ექნება პოზიტიური ზეგავლენა. საჯარო სექტორი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი ბაზარია და სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკის გაუმჯობესება დაეხმარება მათ, ადვილად შეაღწიონ ამ ბაზარზე. ამრიგად, საჯარო სექტორის ბაზარზე შესაღწევად წინაღობების მოხსნა და სახელმწიფო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობის ზრდა წარმოადგენს საკვანძო პრიორიტეტს. აღსანიშნავია, რომ შემოსავლებში უთანაბრობა კიდევ უფრო ძლიერდება თანამედროვე მსოფლიოში. ამ უთანაბრობის აღმოფხვრაში მცირე და საშუალო ბიზნესს მთავარი როლის შემსრულებლის პოტენციალი გააჩნია. პანდემიურ პერიოდში კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ყურადღების გამახვილება ეკონომიკის სტიმულირების გზებზე, სამუშაო ადგილების შექმნასა და მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შესაძლებლობების შექმნაზე.

სტატიაში გაანალიზებულია სახელმწიფო შესყიდვების მეშვეობით მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობის საზღვარგარეთული გამოცდილება, რომელიც სხვადასხვა მიზნების მიღწევის საშუალებას იძლევა. შესწავლილია კავშირი ევროპაში სახელმწიფო შესყიდვების მარეგულერებელ პოლიტიკასა და სახელმწიფო შესყიდვებში მცირე და საშუალო საწარმოების მონაწილეობას შორის. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ სახელმწიფო შესყიდვების რეგულირების უკეთესი ხარისხი უკავშირდება სახელმწიფო შესყიდვების გამოცხადებულ ტენდერებში მცირე და საშუალო საწარმოების უფრო ხშირად მონაწილეობას, ასევე, ამ ტენდერების მოგების უფრო მაღალ ალბათობას. 2014 წელს ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების რეფორმის საკვანძო მახასიათებელი გახდა

კონტრაქტების დაყოფა უფრო მცირე ლოტებად. ეს ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობის ზრდას ტენდერებში, თუმცა, ზრდის მხოლოდ მცირე ღირებულების (25 000 ევროზე ნაკლები) კონტრაქტების მოგების ალბათობას. ამიტომ მკვლევარები ხაზს უსვამენ, რომ საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის განსაკუთრებული პრეფერენციების მინიჭების გარეშე სახელმწიფო შესყიდვების მთლიანი პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.

სტატიაში განხილულია ის წინააღმდეგობები, რომელსაც საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოები აწყდებიან სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გამოხცადებულ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღების დროს. ამასთან, გამოვლენილია ის განმსაზღვრელი ფაქტორები, რომელიც ტენდერებში მცირე და საშუალო საწარმოების წარმატების რისკებზე ზემოქმედებენ და განაპირობებენ მათ მარცხს. საჯარო ინსტიტუტებმა უნდა სრულად გამოიყენონ მცირე და საშუალო ბიზნესის პოტენციალი სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებისას. სტატია მიმოიხილავს საქართველოში მოქმედ საჯარო შესყიდვების სისტემას და მასში ხაზგასმულია საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მცირე და საშუალო საწარმოების ჩართულობის გაზრდის საჭიროება. ასევე, იდენტიფიცირებულია საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ზოგიერთი გამოწვევა: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამჭირვალობა, შერჩევის პროცესი, წარუმატებელი ტენდერები და პირდაპირი შესყიდვები, კონტრაქტების ადმინისტრირება, მიმდინარე ურთიერთობების მენეჯმენტი. დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ არსებული სამართლებრივი ჩარჩო ართულებს სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე შესვლის მსურველ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ბაზარზე უკვე დამკვიდრებულ ძლიერ მოთამაშეებთან კონკურენციის გაწევას, რაც სტიმულს უკარგავს მათ მონაწილეობა მიიღონ გამოცხადებულ ტენდერებში.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Natsvlishvili I.** (2022). „Small and Medium-Sized Enterprises (SME) Development trough Government Procurement (Case of Georgia)". 5-th International Multidisciplinary Academic Conference – JURMALA., 26-30 July, 2022. IRIS-ALKONA. Institute of Research and International Symposiums. Jurmala, Latvia.
2. **Natsvlishvili I.,** Kharaishvili E., Shonia N., (2022). Challenges of Global Educational Crises in Pandemic Time: Innovations versus Crises., proceeding., 5-th International Multidisciplinary Academic Conference – JURMALA., 26-30 July, 2022. IRIS-ALKONA. Institute of Research and International Symposiums. Jurmala, Latvia.

https://ea4a2251-b874-4c58-8b59-a4842fa15d84.filesusr.com/ugd/7ebfb0_c471b7e3509e4d5baff481c6c8ee35c3.pdf

3. Kharaishvili E., **Natsvlishvili I.,** Shonia N., (2022). CHALLENGES OF DISTANCE ASSESSMENT IN HIGHER EDUCATION AND THE IMPACT OF ACADEMIC ACHIEVEMENT ON ALUMNI EMPLOYMENT (EVIDENCE FROM GEORGIA). 14th International Conference on Education and New Learning Technologies. 4-6 July, 2022. Palma, Spain. EDULEARN22 Proceedings, 2022. **pp**. 1499-1506. **ISBN:**978-84-09-42484-9.**ISSN:**2340-

1117
doi: 10.21125/edulearn.2022.0395
https://library.iated.org/view/KHARAISHVILI2022CHA

4. Kharaishvili E., **Natsvlishvili I.,** Lobzhanidze N., Public Procurement Challenges and Opportunities in Small and Medium-Sized Enterprises (Case f Georgia). SGEM World Science (SWS) Scholarly Society. **SWS Vienna Social Sciences & Art Sessions 2022 "When Science Meets Art". 6 - 9 December 2022. Vienna, Austria. Proceedings**

ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1. ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს ,,Economics for Business" John Sloman, Dean Garratt, Jon Guest, Elizabeth Jones, 7 th edition, 2016, 738 pp. ქართულ ენაზე თარგმნა და სამეცნიერო რედაქტირება
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. ეკონომიკა
2. თარგმნის პერიოდი: 2021 წლის 01 იანვარი - 2021 წლის 01 ივნისი;
რედაქტირებისა პერიოდი: 2022 წლის 01 იანვარი - 2022 წლის 01 მაისი.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - სამეცნიერო რედაქტორი
სარედაქციო კოლეგია: ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე, **ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი,** ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი.
2. მთარგმნელები:
1. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
2. ეკონომიკის დოქტორი ქუჯი ბიჭია
3. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე
4. ეკონომიკის დოქტორი ნინო ტალიკაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. სახელმძღვანელოს ავტორებია:
ჯონ სლოუმენი
ეკონომიკური ქსელის დირექტორი (1999-2012), ბრისტოლის უნივერსიტეტი
მოწვეული პროფესორი, დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი
დინ გარეტი
მოწვეული პროფესორი, ეშტონის ბიზნესის სკოლა
მოწვეული პროფესორი, ნოტინგემის ბიზნესის სკოლა
ჯონ გესტი
ეშტონის ბიზნესის სკოლა
მოწვეული პროფესორი, ნოტინგემის ბიზნესის სკოლა
ელიზაბეტ ჯონსი

პროფესორი, ვარვიკის უნივერსიტეტი

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების სტუდენტებისათვის. წიგნი ფოკუსირებულია ბიზნეს სამყაროზე და ამ სფეროში ეკონომიკის ყველა ძირითად საკითხს განიხილავს. ამასთან, სახელმძღვანელოში მოცემულია ბევრი ისეთი თემა, რომელიც ტრადიციული ეკონომიქსის შესწავლისას არ განიხილება.

წიგნში ჩართულია მრავალი სიტუაციური ანალიზი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ბიზნესის სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, ასევე, გამოვლენილია მათი გადაჭრის ეკონომიკური გზები. ზოგიერთი სიტუაციური ანალიზი ზოგადი სახისაა და ბიზნესის გარემოსთვის დამახასიათებელ პრობლემებს უსვამს ხაზს, ზოგიერთი კი კონკრეტული ფირმის საქმიანობაზე დაფუძნებით სპეციფიკური გამოწვევების გამოვლენაზეა ორიენტირებული. მთლიანობაში ყველა სიტუაციური ანალიზი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მაგალითად, ონლაინ ბიზნესი, მეწარმეობა, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, კონკურენცია და ზრდის სტრატეგია, შერწყმა და გაყოფა, 2000-იანი წლების საბანკო კრიზისი, გლობალური ვაჭრობა, ახლად ინდუსტრიალიზებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ზრდა და ბრექსტის ეფექტი და სხვ.

სახელმძღვანელოში თემები წარმოდგენილია ძირითადი თავებისა და შემადგენელი ქვეთავების სახით, რომელიც დატვირთულია სიტუაციური ანალიზისა და სამსჯელო კითხვების ჩანართებით, რაც სტუდენტს დაეხმარება თეორიული საკითხების სიღრმისეულად და პრაქტიკულ ჭრილში გააანალიზებაში.

მოცემული წიგნის შესწავლის შემდეგ სტუდენტები შეძლებენ ეკონომიკის მეცნიერების გააზრებას მრავალმხრივ ჭრილში. სახელმძღვანელოში ასახულია რეალური გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, განხილულია სამყარო, სადაც ბიზნესი, როგორც მწარმოებელი, ცდილობს მომხმარებლების საჭიროებებს მაქსიმალურად ეფექტიანად და რაციონალურად უპასუხოს.

მოკლე შინაარსი

ნაწილი A. ბიზნესი და ეკონომიკა

3. ბიზნესის გარემო და ბიზნესის ეკონომიკა
4. ეკონომიკა და ბიზნეს სამყარო
3. ბიზნეს ორგანიზაციები

ნაწილი B. ბიზნესი და ბაზრები

4. კონკურენტული ბაზრების მუშაობა
5. ბიზნესი საბაზრო გარემოში

ნაწილი C. მოთხოვნა

6. მოთხოვნა და მომხმარებელი
7. მომხმარებლის ქცევა
8. ფირმები და მომხმარებელი

ნაწილი D. მიწოდება

9. წარმოების ღირებულება
10. შემოსავალი და მოგება

ნაწილი E. მიწოდება: მოგების მაქსიმიზაცია მოკლევადიან პერიოდში

11. მოგების მაქსიმიზაცია სრულყოფილი კონკურენციისა და მონოპოლის პირობებში
12. მოგების მაქსიმიზაცია არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში
13. ფირმის ალტერნატიული თეორიები

ნაწილი F. მიწოდება: ალტერნატიული სტრატეგიები

14. ბიზნეს სტრატეგიის შესავალი
15. ზრდის სტრატეგია

16. მცირე ფირმის სექტორი
17. ფასების სტრატეგია
ნაწილი G. ფირმა ფაქტორთა ბაზარზე
18. შრომის ბაზრები, ხელფასები და საწარმოო ურთიერთობები
19. ინვესტიცია და დასაქმება
ნაწილი H. ურთიერთობა მთავრობასა და ბიზნესს შორის
20. ბაზრის ფუნქციონირებაში მთავრობის ჩარევის მიზეზები
21. მთავრობა და ფირმა
22. მთავრობა და ბაზარი
ნაწილი I. ბიზნესი საერთაშორისო გარემოში
23. გლობალიზაცია და მრავალეროვნული ბიზნესი
24. საერთაშორისო ვაჭრობა
25. სავაჭრო ბლოკები
ნაწილი J. მაკროეკონომიკური გარემო
26. ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემო
27. საგადასახადო ბალანსი და გაცვლითი კურსი
28. ბანკი, ფული და პროცენტები
29. ბიზნეს საქმიანობა, დასაქმება და ინფლაცია
ნაწილი K. მაკროეკონომიკური პოლიტიკა
30. მოთხოვნის პოლიტიკა
31. მიწოდების პოლიტიკა
32. საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკა

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1) **ჩავლეიშვილი მ**. (2022), *„საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი - არსებული მდგომრეობა და ახალი გამოწვევები“,* ჟურნალი „ბიზნესი და ეკონომიკა“, №2 - https://doi.org/10.56079/20222/6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფარმაცევტულ ბაზარზე არსებულ მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ქვეყნისათვის, განსაკუთრებით აქტუალურია ის არსებული პანდემიის პირობებში. ნაშრომში გაანალიზებულია ქართული ფარმაცევტულ ბაზარი, მისი განვითარება, მახასიათებლები, შეფასებულია ბაზრის უმსხვილესი ეკონომიკურ აგენტები, ფარმაცევტული ბაზრის რეგულირების მექანიზმები და განვითარების პერსპექტივები.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მდგომარეობა, მისი განვითარების ტენდენციები, ასევე გაანალიზებულია ბაზარზე არსებული ბარიერები და შეზღუდვები, რაც არ იძლევა ბაზრის უფრო სწრაფი განვითარების საშუალებას. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სამი მსხვილი მიმწოდებელი, რომელთაც პრაქტიკულად განაწილებული აქვთ ბაზარი და ფასწარმოქმნის და საფასო დისკრიმინაციის ერთიან პოლიტიკას ატარებენ. ანალიზმა ცხადყო, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე შეინიშნება ოლიგოპოლიის დამახასიათებელი ნიშნები. არსებული მდგომარეობის ანალიზი და ფარმაცევტული პროდუქტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფომ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებაში, კერძოდ, შეიმუშაოს კონკურენციის სწორი პოლიტიკა, ასევე, მნიშვნელოვანია მედიკამენტებზე განისაზღვროს გარკვეული მოგების მარჟა, გაკონტროლდეს მედიკამენტების ხარისხი, დაინერგოს ეფექტიანი

საწარმოო და დისტრიბუციის პრაქტიკა, *რომელიც ხელს შეუწყობს ფარმაცევტულ ბაზარზე ხარისხიანი პროდუქტის არსებობას*

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ჩავლეიშვილი მ. (2022), *„პანდემიის გავლენა საქართველოს სოფლის მეურნეობაზე - გამოწვევები და შესაძლებლობები“,* თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. 4-5 ნოემბერი. თბილისი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში გაანალიზებულია სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები COVID-19-ის პანდემიის პერიოდში, კერძოდ, წარმოდგენილია პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები (2018-2021წწ), ასევე, შეფასებულია საექსპორტო აგრარული პროდუქტების წარმოების შესაძლებლობები; განხილულია საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული სოფლის განვითარების ანტიკრიზისული გეგმა, მისი დადებითი მხარეები და გავლენა სექტორის განვითარებაზე; შეფასებულია საქართველოს სოფლის მეურნეობაში განხორციელებული პროექტები; კვლევის საფუძველზე გამოვლინდა პანდემიის პერიოდში დარგში განვითარების დადებითი ტენდენციები. პანდემიამდე, პანდემიის პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარების მაჩვენებლების ანალიზზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც განსაზღვრავენ სოფლის მეურნეობის სამომავლო განვითარებას.

ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს ,,Economics for Business” John Sloman, Dean Garratt, Jon Guest, Elizabeth Jones, 7 th edition, 2016, 738 pp. ქართულ ენაზე თარგმნა და სამეცნიერო რედაქტირება

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ეკონომიკა

2. თარგმნის პერიოდი: 2021 წლის 01 იანვარი - 2021 წლის 01 ივნისი;

რედაქტირებისა პერიოდი: 2022 წლის 01 იანვარი - 2022 წლის 01 მაისი.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - სამეცნიერო რედაქტორი

სარედაქციო კოლეგია: ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე, ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი, **ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი.**

2. მთარგმნელები:

1. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
2. ეკონომიკის დოქტორი ქუჯი ბიჭია
3. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე
4. ეკონომიკის დოქტორი ნინო ტალიკაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სახელმძღვანელოს ავტორებია:

ჯონ სლოუმენი

ეკონომიკური ქსელის დირექტორი (1999-2012), ბრისტოლის უნივერსიტეტი

მოწვეული პროფესორი, დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი

დინ გარეტი

მოწვეული პროფესორი, ეშტონის ბიზნესის სკოლა

მოწვეული პროფესორი, ნოტინგემის ბიზნესის სკოლა

ჯონ გესტი

ეშტონის ბიზნესის სკოლა

მოწვეული პროფესორი, ნოტინგემის ბიზნესის სკოლა

ელიზაბეტ ჯონსი

პროფესორი, ვარვიკის უნივერსიტეტი

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების სტუდენტებისათვის. წიგნი ფოკუსირებულია ბიზნეს სამყაროზე და ამ სფეროში ეკონომიკის ყველა ძირითად საკითხს განიხილავს. ამასთან, სახელმძღვანელოში მოცემულია ბევრი ისეთი თემა, რომელიც ტრადიციული ეკონომიქსის შესწავლისას არ განიხილება.

წიგნში ჩართულია მრავალი სიტუაციური ანალიზი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ბიზნესის სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, ასევე, გამოვლენილია მათი გადაჭრის ეკონომიკური გზები. ზოგიერთი სიტუაციური ანალიზი ზოგადი სახისაა და ბიზნესის გარემოსთვის დამახასიათებელ პრობლემებს უსვამს ხაზს, ზოგიერთი კი კონკრეტული ფირმის საქმიანობაზე დაფუძნებით სპეციფიკური გამოწვევების გამოვლენაზეა ორიენტირებული. მთლიანობაში ყველა სიტუაციური ანალიზი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მაგალითად, ონლაინ ბიზნესი, მეწარმეობა, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, კონკურენცია და ზრდის სტრატეგია, შერწყმა და გაყოფა, 2000-იანი წლების საბანკო კრიზისი, გლობალური ვაჭრობა, ახლად ინდუსტრიალიზებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ზრდა და ბრექსტის ეფექტი და სხვ.

სახელმძღვანელოში თემები წარმოდგენილია ძირითადი თავებისა და შემადგენელი ქვეთავების სახით, რომელიც დატვირთულია სიტუაციური ანალიზისა და სამსჯელო კითხვების ჩანართებით, რაც სტუდენტს დაეხმარება თეორიული საკითხების სიღრმისეულად და პრაქტიკულ ჭრილში გააანალიზებაში.

მოცემული წიგნის შესწავლის შემდეგ სტუდენტები შეძლებენ ეკონომიკის მეცნიერების გააზრებას მრავალმხრივ ჭრილში. სახელმძღვანელოში ასახულია რეალური გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, განხილულია სამყარო, სადაც ბიზნესი, როგორც მწარმოებელი, ცდილობს მომხმარებლების საჭიროებებს მაქსიმალურად ეფექტიანად და რაციონალურად უპასუხოს.

მოკლე შინაარსი

ნაწილი A. ბიზნესი და ეკონომიკა

5.ბიზნესის გარემო და ბიზნესის ეკონომიკა

6.ეკონომიკა და ბიზნეს სამყარო

3. ბიზნეს ორგანიზაციები

ნაწილი B. ბიზნესი და ბაზრები

4. კონკურენტული ბაზრების მუშაობა

5. ბიზნესი საბაზრო გარემოში

ნაწილი C. მოთხოვნა

6. მოთხოვნა და მომხმარებელი

7. მომხმარებლის ქცევა

8. ფირმები და მომხმარებელი

ნაწილი D. მიწოდება

9. წარმოების ღირებულება

10. შემოსავალი და მოგება

ნაწილი E. მიწოდება: მოგების მაქსიმიზაცია მოკლევადიან პერიოდში

11. მოგების მაქსიმიზაცია სრულყოფილი კონკურენციისა და მონოპოლის პირობებში

12. მოგების მაქსიმიზაცია არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში

13. ფირმის ალტერნატიული თეორიები

ნაწილი F. მიწოდება: ალტერნატიული სტრატეგიები

14. ბიზნეს სტრატეგიის შესავალი

15. ზრდის სტრატეგია

16. მცირე ფირმის სექტორი

17. ფასების სტრატეგია

ნაწილი G. ფირმა ფაქტორთა ბაზარზე

18. შრომის ბაზრები, ხელფასები და საწარმოო ურთიერთობები

19. ინვესტიცია და დასაქმება

ნაწილი H. ურთიერთობა მთავრობასა და ბიზნესს შორის

20. ბაზრის ფუნქციონირებაში მთავრობის ჩარევის მიზეზები

21. მთავრობა და ფირმა

22. მთავრობა და ბაზარი

ნაწილი I. ბიზნესი საერთაშორისო გარემოში

23. გლობალიზაცია და მრავალეროვნული ბიზნესი

24. საერთაშორისო ვაჭრობა

25. სავაჭრო ბლოკები

ნაწილი J. მაკროეკონომიკური გარემო

26. ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემო

27. საგადასახადო ბალანსი და გაცვლითი კურსი

28. ბანკი, ფული და პროცენტები

29. ბიზნეს საქმიანობა, დასაქმება და ინფლაცია

ნაწილი K. მაკროეკონომიკური პოლიტიკა

30. მოთხოვნის პოლიტიკა

31. მიწოდების პოლიტიკა

32. საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკა

2. ,,მცირე და საშუალო მეწარმეობის მდგრადი განვითარების მექანიზმი: გამოწვევები და

შესაძლებლობები სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფისათვის“

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ეკონომიკა

2. პროექტის დაწყების თარიღი:2022 წლის 01 მარტი

პროექტის დასრულების თარიღი: 2022 წლის 01 დეკემბერი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მკვლევარი

2. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი - მკვლევარი

3. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი

4. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი

5. **ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი**

6. ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე - მკვლევარი

7. ასოცირებული პროფესორი თამარ ათენალაშვილი - გამოკვლევის სპეციალისტი/ექსპერტი

8. შოთა ჯიმშერაშვილი - პროექტის სტუდენტ-ასისტენტი

9. ბექა ზაუტაშვილი - პროექტის სტუდენტ-ასისტენტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის დასახელება: მცირე და საშუალო მეწარმეობის მდგრადი განვითარების მექანიზმი: გამოწვევები და შესაძლებლობები საჯარო შესყიდვების სრულყოფისათვის

მცირე და საშუალო ბიზნესი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში და განსაკუთრებული წვლილი შეაქვს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ დაბალია.

Covid-19-ის პანდემიის შედეგად მსოფლიო ეკონომიკაში, ცხადია, საქართველოშიც, თვისობრივად ახალი დღის წესრიგი შეიქმნა, გადასახედი გახდა შეყიდვების პოლიტიკა. მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელოვანი ფაქტორი და მთავარი დამსაქმებელი, ახალი გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე აღმოჩნდა, განსაკუთრებული პრობლემები გამოიკვეთა შესყიდვების სისტემაში.

საჯარო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობის ხელშეწყობა სექტორის განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად განიხილება, განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდში. მსხვილი კომპანიების უმეტესი ნაწილი საკმაოდ ინფორმირებულია საჯარო შესყიდვების შესახებ, მათთვის ელექტრონულად განთავსებული ინფორმაცია სრულად ხელმისაწვდომია და ადვილია საერთაშორისო სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა. მიმდინარე ეტაპზე აქტიური ეკონომიკური სუბიექტების დაახლოებით 25% რეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების eProcurement სისტემაში, თუმცა, მონაწილეობის ეს მაჩვენებელი მაინც ძალიან დაბალია. საჯარო შესყიდვებს ყოველწლიურად საშუალოდ 3000-მდე ბიზნეს სუბიექტი ემატება, როგორც პოტენციური მომხმარებელი. ასევე, მცირედ, მაგრამ მაინც იზრდება მცირე და საშუალო ბიზნესის საშუალო მონაწილეობა

ტენდერებში, თუმცა, დღეს ყველაზე დიდი გამოწვევა მაინც არის დაბალი მონაწილეობა, არასაკმარისი კომპეტენცია და უარყოფითი შედეგით დასრულებული ღია ტენდერები.
ამასთან, გამოიკვეთილია რიგი საკითხები, რომლებიც დამატებით სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს, კერძოდ:

- შეუსწავლელია მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევები სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით;
- გამოსავლენია საერთაშორისო სახელმწიფო შესყიდვებში ჩართულობის პერსპექტივები;
- დასაბუთებას მოითხოვს მცირე და საშუალო ბიზნესის შესყიდვების სისტემაში ეფექტიანი ჩართულობისა და კოორდინაციის მექანიზმები.

DCFTA-ს მიერ მოტანილი სარგებლის სრულფასოვნად გამოყენებისათვის აუცილებელია „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რათა საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეებებს შეეძლოთ საერთაშორისო საჯარო შესყიდვებში მონაწილეობა, ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა პოსტ-კრიზისულ პერიოდში. ცნობიერების და ცოდნის დონის ამაღლება საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებით გათვალიწინებული შეღავათების, პირობებისა და პროცედურების შესახებ გაუმარტივებს მეწარმეების დოკუმენტებთან მუშაობას, მაქსიმალურად გაიზრდება მსს სექტორის წვდომა სხვდასხვა ბაზარზე.
ამრიგად, აუცილებელია საქართველოსათვის შემუშავდეს საჯარო შესყიდვების ისეთი მოდელი, რომლებიც ერთი მხრივ, შესაბამისობაში იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადი განვითარების მიზნებთან და მოთხოვნებთან, მეორე მხრივ, ასახავს იმ საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, რომელიც არსებობს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში.
კვლევითი პროექტის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ბარიერებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარების რეკომენდაციების შემუშავება.
კვლევის შედეგები:

- მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შემუშავებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ელექტრონული საინფორმაციო ბუკლეტები;
- შემუშავებულია რეკომენდაციები მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის მხარდამჭერი შესყიდვების შესახებ;
- მომზადებულია წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების შესატანად;
- გამოსაცემად მომზადებულია რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, მათ შორის სამეცნიერო სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში ან რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, რეფერირებად ჟურნალებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომათა კრებულებში დასაბეჭდად;
- კვლევის შედეგები აისახება სასწავლო კურსებში ,,მეწარმეობის ეკონომიკა“, ,,ფირმის ეკონომიკა.“

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **აზარიაშვილი თ. (2022).** ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოების შესაძლებლობები და მხარდამჭერი პროგრამები კოვიდ პანდემიის პირობებში .VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“, თსუ, 8 თებერვალი, 2022

2. **.ლაზარიაშვილი თ. (2022).** აგროსასურსათო წარმოების განვითარების შესაძლებლობები პოსტპანდემიურ პირობებში. IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ,,მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები”. 2022 წლის 9 სექტემბერი, გორი.

3. **ლაზარიაშვილი თ. (2022)**. კოვიდ 19 - ის გავლენა აგროტურიზმზე და თანამედროვე გამოწვევები.საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება”, 21-22 ოქტომბერი, ბათუმი www.bsu.edu.ge

4. **ლაზარიაშვილი თ. (2022).** საქართველოს აგრორურისტული ბაზრის პოტენციალის შეფასება (კახეთის მაგალითზე).VIi საერთაშორისო სამეცნიერ კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თსუ, 4 ნოემბერი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. *სტატიაში დახასიათებულია ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოების შესაძლებლობები* და მოცემულია მისი მხარდამჭერი პროგრამები კოვიდ პანდემიის პირობებში. შესწავლილია ამ პროდუქტებით მოსახლეობის დაინტერესების დონე და მასზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია.

   ნაშრომში გაანალიზებულია კონკურენციის დონე ბიოპროდუქტების ბაზარზე, გამოკვეთილია ბიოპროდუქციის ძირითადი მიმწოდებლები და მომხმარებლები. გაკეთებულია დასკვნა, რომ ორგანული პროდუქციის ყველაზე დიდი მოხმარება მდიდარ ქვეყნებში აღინიშნება. ბოლო წლებში ბიოპროდუქციის მსოფლიო ბაზარი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. თუ ადრე ბიოპროდუქცია მხოლოდ ელიტარულ მომხმარებელზე იყო გათვლილი, დღეს უკვე გაჩნდა ამ პროდუქციით რიგითი მომხმარებლის დაინტერესების ტენდენცია და გაიზარდა კონურენციაც.

   სტატიაში გაანალიზებულია ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და შესაბამისი ბაზრის ევროპული მოდელი. საქართველოში ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოება მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპულ მოთხოვნებს, თუმცა, საქართველოს ბიოპროდუქტების ბაზარზე შეიმჩნევა მომხმარებელთა ფენის ჩამოყალიბება, რომელიც ჯანსაღი კვების მომხრეა და მზადაა გადაიხადოს განსხვავებული ფასიც. გაანალიზებულია პანდემიის პერიოდში ბიომეურნეობების სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები. ბიოსასურსათო პროდუქტების ბაზრის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოებაში არსებული პრობლემების შესახებ და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

2.გლობალიზაციის პირობებში აგროსასურსათო წარმოების ზრდის პოტენციური შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენება სასურსათო უსაფრთხოების გადაჭრის აუცილებელი გზაა. სტატიაში გაანალიზებულია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ტენდენციები პანდემიის პირობებში, გამოვლენილია სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების

ხელშემშლელი ფაქტორები, შესწავლილია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების საექსპორტო პოტენციალი, ნაჩვენებია მისი დივერსიფიკაციის შესაძლებლობები. ნაშრომში შეფასებულია სახელმწიფოს როლი ქართული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდაში, შესაბამისი მეთოდების გამოყენებით გამოვლენილია აგრარული პროდუქტების წარმოების ზრდის სტიმულირების ბერკეტები.

ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და დივერსიფიკაციაში, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა საექსპორტო პორტფელის მკვეთრი გაფართოება, რათა გაგრძელდეს ეკონომიკური ზრდა და შემცირდეს სასურსათო პროდუქტების უარყოფითი სავაჭრო სალდო. ამისათვის კი აუცილებელია იმ პრობლემების შესწავლა, რაც ქვეყნის ექსპორტის ზრდას შეუწყობს ამ მხრივ აღსანიშნავია აგროსასურსათო წარმოების შესაძლებლობების გამოვლენა. ამ სფეროში პრობლემად მიიჩნევა წარმოების მცირე მასშტაბები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს კონკურენტულ უპირატესობას. ასევე შესამუშავებელია ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები ქართული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების სტიმულირების მიზნით. აუცილებელია ადგილობრივი წარმოების ყველაზე სწრაფმოქმედი და ეფექტიანი მეთოდების გამოყენების გზების ძიება.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნები აგროსასურსათო წარმოების ტენდენციებისა და განვითარების შესახებ, შემოთავაზებულია რეკომენდაციები პოსტპანდემიურ პერიოდში აგრარული წარმოების პოტენციური შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენების გზებზე.

2. სტატიაში განხილულია კოვიდ 19-ის გავლენა აგროტურიზმზე, გაანალიზებულია პანდემიის პირობებში ამ სექტორში არსებული მდგომარეობა, გამოვლენილია ის შედეგები, რომელმაც ნეგატიური გავლენა მოახდინა ტურისტული პროდუქტების როგორც მიწოდებაზე, ასევე, მოთხოვნაზე. პანდემიამ ნეგატიური ზეგავლენა იქონია ზოგადად ტურისტული ქვეყნების ეკონომიკაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ აგროპროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნა, უმუშევრობის ზრდა, სიღარიბის მზარდი მაჩვენებლები, ეროვნულ ვალუტაზე სხვადასხვა ფაქტორების ზეწოლა, საერთაშორისო გზავნილების შემცირება, ყველაზე ნეგატიურად აისახა ტურიზმზე. სერიოზულად დაზარალდა სასტუმრო სექტორი, რესტორნები და კაფეები, რომლებიც პრაქტიკულად დროებით დაიკეტა. ასევე, შემცირდა მოთხოვნა ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირებაზე, გიდების, თარჯიმნების და ტურისტების სხვა მომსახურებაზე. ამ ყველაფერმა გავლენა მოახდინა აგროპროდუქტების წარმოებაზე. შედეგად, ფერმერული ნაწარმი, რომელიც იყიდებოდა რესტორნებსა და სასტუმროებში, შემცირდა. პანდემიის შემდგომი პერიოდის ეკონომიკური პრობლემების დასაძლევად გადამწყვეტი როლი სახელმწიფოს ენიჭება, რომელმაც, პირველ რიგში, დახმარება უნდა გაუწიოს აგროტურიზმის სფეროს. აგროტურიზმის განვითარებით საქართველოში შესაძლებელია მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, სივრცული და გარემოს დაცვითი პრობლემების გადაჭრა. ამ სფეროს განვითარებით მოხდება სოფლის მეურნეობის დარგისა და სასურსათო ბაზრების დივერსიფიკაცია; წვრილმასშტაბური ფერმერული მეურნეობების განვითარება და გაფართოება; ქართული ტრადიციების აღდგენა და პოპულარიზაცია; მოთხოვნის გაზრდა ქართული სამზარეულოსა და აგროსასურსათო ბრენდულ პროდუქტებზე; მიგრაციული პროცესების შეჩერება; ახალი უნარების შეძენა და სხვა. აგროტურიზმის განვითარებისათვის განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია მიწათსარგებლობის ეფექტიანი გამოყენება და ბიოლოგიური სისტემების დაცვა.

აგროტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კერძო საკუთრების უფლებისა და მისი რეგულირების მექანიზმების შეფასებაც. მიზანშეწონილია ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული დარგების მდგრადი განვითარებისათვის რეგულირება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით წარიმართოს, განსაკუთრებით საგადასახადო თვალსაზრისით. უპირველესად, მხედველობაში გვაქვს გარემოს დაცვითი ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვა ეკოგადასახადების საშუალებით. აღნიშნულ გადასახადებს არაერთი სახელმწიფო იყენებს, რითაც ახალისებს ინოვაციების დანერგვას. აუცილებელია მოხდეს შიდა ტურიზმის განვითარების სტიმულირება სავალდებულო უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების დაცვის რეკომენდაციების გათვალისწინებით. სასურველია, ამ სფეროს შემდგომი განვითარებისათვის საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია და საბანკო სესხებზე ხელმისაწვდომობა. ასევე, საყურადღებოა, სწორად შეირჩეს ის ტურისტული დესტინაციები, სადაც მაქსიმალურად იქნება შესაძლებელი ტურისტული ობიექტების გადატვირთვის აღმოფხვრა, მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვა. ეს, საშუალებას მოგვცემს, ზუსტად შესრულდეს სახელმწიფო სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოების დაცვის ნორმების რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, აგროტურიზმი, აგროპროდუქტი, ტურისტული უსაფრთხოება, პოსტკრიზისული პერიოდი.

4. საქართველოში აგროტურისტულ ბაზარს განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს, აგროსასურსათო პროდუქტებზე მოსახლეობის ზრდის ტენდენცია კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ამ სფეროს განვითარებისადმი ინტერესს და მნიშვნელობას.

სტატიაში შესწავლილია აგროტურისტული ბაზრის პოტენციალი კახეთის რეგიონში, გამოვლენილია აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობები, შესწავლილია ბაზრის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები, შეფასებულია სახელმწიფოს როლი აგროტურიზმის განვითარებაში, შესაბამისი მეთოდების გამოყენებით ნაჩვენებია აგროტურისტული პროდუქტების წარმოების ზრდის სტიმულირების ბერკეტები. ნარომში შემუშავებელია აგროტურისტული ბაზრის განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნები აგროტურისტული ბაზრის განვითარების ტენდენციებისა შესახებ, შემოთავაზებულია რეკომენდაციები პოსტპანდემიურ პერიოდში ამ ბაზრის პოტენციური შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენების გზებზე.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **T. Lazariashvili (2022).** Trade and Economic Relations between Georgia and Germany – the Impediments Caused by the Pandemic and Future Prospects. ICEBMM 2022: 16. International Conference on Economics, Business and Marketing Management . May 23-24, 2022 in Berlin, Germany

ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს ,,Economics for Business" John Sloman, Dean Garratt, Jon Guest, Elizabeth Jones, 7 th edition, 2016, 738 pp. ქართულ ენაზე თარგმნა და სამეცნიერო რედაქტირება

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ეკონომიკა

2. თარგმნის პერიოდი: 2021 წლის 01 იანვარი - 2021 წლის 01 ივნისი;

რედაქტირებისა პერიოდი: 2022 წლის 01 იანვარი - 2022 წლის 01 მაისი.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - სამეცნიერო რედაქტორი

სარედაქციო კოლეგია: ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე, ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი, ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი.

2. მთარგმნელები:

1. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
2. ეკონომიკის დოქტორი ქუჯი ბიჭია
3. **ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე**
4. ეკონომიკის დოქტორი ნინო ტალიკაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სახელმძღვანელოს ავტორებია:

ჯონ სლოუმენი

ეკონომიკური ქსელის დირექტორი (1999-2012), ბრისტოლის უნივერსიტეტი

მოწვეული პროფესორი, დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი

დინ გარეტი

მოწვეული პროფესორი, ეშტონის ბიზნესის სკოლა

მოწვეული პროფესორი, ნოტინგემის ბიზნესის სკოლა

ჯონ გესტი

ეშტონის ბიზნესის სკოლა

მოწვეული პროფესორი, ნოტინგემის ბიზნესის სკოლა

ელიზაბეტ ჯონსი

პროფესორი, ვარვიკის უნივერსიტეტი

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების სტუდენტებისათვის. წიგნი ფოკუსირებულია ბიზნეს სამყაროზე და ამ სფეროში ეკონომიკის ყველა ძირითად საკითხს განიხილავს. ამასთან, სახელმძღვანელოში მოცემულია ბევრი ისეთი თემა, რომელიც ტრადიციული ეკონომიქსის შესწავლისას არ განიხილება.

წიგნში ჩართულია მრავალი სიტუაციური ანალიზი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ბიზნესის სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, ასევე, გამოვლენილია მათი გადაჭრის ეკონომიკური გზები. ზოგიერთი სიტუაციური ანალიზი ზოგადი სახისაა და

ბიზნესის გარემოსთვის დამახასიათებელ პრობლემებს უსვამს ხაზს, ზოგიერთი კი კონკრეტული ფირმის საქმიანობაზე დაფუძნებით სპეციფიკური გამოწვევების გამოვლენაზეა ორიენტირებული. მთლიანობაში ყველა სიტუაციური ანალიზი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მაგალითად, ონლაინ ბიზნესი, მეწარმეობა, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, კონკურენცია და ზრდის სტრატეგია, შერწყმა და გაყოფა, 2000-იანი წლების საბანკო კრიზისი, გლობალური ვაჭრობა, ახლად ინდუსტრიალიზებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ზრდა და ბრექსტის ეფექტი და სხვ.

სახელმძღვანელოში თემები წარმოდგენილია ძირითადი თავებისა და შემადგენელი ქვეთავების სახით, რომელიც დატვირთულია სიტუაციური ანალიზისა და სამსჯელო კითხვების ჩანართებით, რაც სტუდენტს დაეხმარება თეორიული საკითხების სიღრმისეულად და პრაქტიკულ ჭრილში გააანალიზებაში.

მოცემული წიგნის შესწავლის შემდეგ სტუდენტები შეძლებენ ეკონომიკის მეცნიერების გააზრებას მრავალმხრივ ჭრილში. სახელმძღვანელოში ასახულია რეალური გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, განხილულია სამყარო, სადაც ბიზნესი, როგორც მწარმოებელი, ცდილობს მომხმარებლების საჭიროებებს მაქსიმალურად ეფექტიანად და რაციონალურად უპასუხოს.

მოკლე შინაარსი

ნაწილი A. ბიზნესი და ეკონომიკა

7. ბიზნესის გარემო და ბიზნესის ეკონომიკა
8. ეკონომიკა და ბიზნეს სამყარო
3. ბიზნეს ორგანიზაციები

ნაწილი B. ბიზნესი და ბაზრები

4. კონკურენტული ბაზრების მუშაობა
5. ბიზნესი საბაზრო გარემოში

ნაწილი C. მოთხოვნა

6. მოთხოვნა და მომხმარებელი
7. მომხმარებლის ქცევა
8. ფირმები და მომხმარებელი

ნაწილი D. მიწოდება

9. წარმოების ღირებულება
10. შემოსავალი და მოგება

ნაწილი E. მიწოდება: მოგების მაქსიმიზაცია მოკლევადიან პერიოდში

11. მოგების მაქსიმიზაცია სრულყოფილი კონკურენციისა და მონოპოლის პირობებში
12. მოგების მაქსიმიზაცია არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში
13. ფირმის ალტერნატიული თეორიები

ნაწილი F. მიწოდება: ალტერნატიული სტრატეგიები

14. ბიზნეს სტრატეგიის შესავალი
15. ზრდის სტრატეგია
16. მცირე ფირმის სექტორი
17. ფასების სტრატეგია

ნაწილი G. ფირმა ფაქტორთა ბაზარზე

18. შრომის ბაზრები, ხელფასები და საწარმოო ურთიერთობები

19. ინვესტიცია და დასაქმება

ნაწილი H. ურთიერთობა მთავრობასა და ბიზნესს შორის

20. ბაზრის ფუნქციონირებაში მთავრობის ჩარევის მიზეზები

21. მთავრობა და ფირმა

22. მთავრობა და ბაზარი

ნაწილი I. ბიზნესი საერთაშორისო გარემოში

23. გლობალიზაცია და მრავალეროვნული ბიზნესი

24. საერთაშორისო ვაჭრობა

25. სავაჭრო ბლოკები

ნაწილი J. მაკროეკონომიკური გარემო

26. ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემო

27. საგადასახადო ბალანსი და გაცვლითი კურსი

28. ბანკი, ფული და პროცენტები

29. ბიზნეს საქმიანობა, დასაქმება და ინფლაცია

ნაწილი K. მაკროეკონომიკური პოლიტიკა

30. მოთხოვნის პოლიტიკა

31. მიწოდების პოლიტიკა

32. საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკა

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Kharaishvili, E., **& Lobzhanidze, N. (**2022). "Preliminary Impacts of the Covid-19 Pandemic on Agri-Food Trade: Challenges and Development Scenarios (Case of Georgia)". International Scientific Journal Globalization and Business. 13, 41-50. https://doi.org/10.35945/gb.2022.13.006

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში დასაბუთებულია აგროსასურსათო ვაჭრობის როლი სასურსათო უსაფრთხოებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. შეფასებულია საკვებით ვაჭრობის გამოწვევები, ექსპორტის შეზღუდვები და იმპორტის ხელშეწყობა COVID-19 კრიზისის დროს. ნაშრომი განიხილავს მიწოდების ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეულია წარმოების სექტორში სხვადასხვა ფაქტორით აგროსასურსათო სექტორში. ნაშრომი აანალიზებს მეცნიერთა შეხედულებებს პანდემიით გამოწვეულ სირთულეებზე, რომლის საფუძველზეც ყალიბდება განვითარების ორი სცენარი. გამოვლენილია ქვეყნებს შორის აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის გაგრძელების შესაძლებლობები და არსებობს გონივრული შეხედულება ამ პროდუქტებით ვაჭრობის სტიმულირების შესახებ მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში. კვლევის პროცესში, შედარებითი ანალიზის საშუალებით, საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობა პანდემიამდე (2018-2019) და პოსტპანდემიურ (2020-2021) პერიოდებში

დაჯგუფებულია ინდიკატორები, გამოვლენილია ვაჭრობის დადებითი და უარყოფითი ტენდენციები. ამავდროულად, მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და პანდემიის შედეგებზე დაყრდნობით, ჩატარდა ტიპიური და ატიპიური კრიზისების სიღრმისეული ანალიზი აგროსასურსათო სექტორისთვის მთელს მსოფლიოში და საქართველოში. კვლევის შედეგების საფუძველზე შედგენილია მატრიცა, რათა განისაზღვროს აგრო-სასურსათო პროდუქტების ვაჭრობის ზრდისა და კლების ტემპები პანდემიამდე და მის დროს. ნაშრომში გამოტანილია დასკვნები და რეკომენდაციები საკვებით ვაჭრობის გამოწვევებზე და ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე COVID-19 კრიზისის დროს.

2. Kharaishvili E., **Lobzhanidze N.,** (2022). Sustainable Education Challenges through Distance Learning (case of Georgia). Innovative Economics and Management, 9(2),45-56. DOI: https://doi.org/10.46361/2449-2604.9.2.2022.45-56

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში ბიბლიოგრაფიულ კვლევაზე დაყრდნობით გაანალიზებულია მდგრადი განათლების გამოწვევები სხვადასხვა ქვეყანაში, შესწავლილია ამ ქვეყნებში არსებული მიდგომები და კონცეფციები, დისტანციური სწავლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. საქართველოში მდგრადი განათლების სისტემის ფორმირების ხელ-შემშლელი ფაქტორების გამოსავლენად, დისტანციური სწავლების პოზიტიური და ნეგატიური მხარეების შესაფასებლად და მდგრადი განათლების მიმართულებების დასადგენად ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა. ნაშრომში გამოკვეთილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მდგრადი განათლების სისტემასა და დისტანციური სწავლების სფეროში არსებული პრობლემები, დასაბუთებულია დისტანციური სწავლების პირობებში იმ მექანიზ-მების გამოვლენის აუცილებლობა, რაც განათლების სისტემის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის. სტატიაში შეფასებულია მეცნიერ-მკვლევრების მოსაზრებები დისტანციური განათლების შესახებ, ჩატარებულია დისტანციური სწავლების SWOT ანალიზი. დისტანციური სწავლების მდგრადი განათლების სისტემაზე გავლენის დასადგენად გამოყენებულია პოპულაციაზე დაფუძნებული (Population-based/Census-based) მიდგომა. კვლევის შედეგები დამუშავებულია SPSS პროგრამით. რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზისა და ფოკუს ჯგუფებთან დისკუსიის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები დისტანციური სწავლების პირობებში მდგრადი განათლების მიღწევის მიმართულებებზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ხარაიშვილი ე., **ლობჟანიძე ნ.** (2022). „მდგრადი განათლების გამოწვევები დისტანციური სწავლების პირობებში (საქართველოს მაგალითზე)“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“. 21-22 ოქტომბერი. ბათუმი, საქართველო.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში დასაბუთებულია მდგრადი განათლების მნიშვნელობა ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. ბიბლიოგრაფიულ კვლევაზე დაყრდნობით გაანალიზებულია

მდგრადი განათლების გამოწვევები სხვადასხვა ქვეყანაში, შესწავლილია ამ ქვეყნებში არსებული მიდგომები და კონცეფციები, მდგრადობის მიღწევის პირობები, დისტანციური სწავლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. დასაბუთებულია, რომ პანდემიის პერიოდში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მდგრადი განათლების სისტემის ფორმირებასა და ეფექტიან ფუნქციონირებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა დისტანციურმა სწავლებამ. საქართველოში მდგრადი განათლების სისტემა ფორმირების პროცესშია, შესაბამისად, მდგრადი განათლების სისტემის ფორმირების ხელშემშლელი ფაქტორების გამოსავლენად, დისტანციური სწავლების პოზიტიური და ნეგატიური მხარეების შესაფასებლად, მდგრადი განათლების მიმართულებების დასადგენად ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა, რომლის საუძველზე დასაბუთებულია კვლევის საწყის ეტაპზე ფორმირებული ჰიპოთეზები.

ნაშრომში გამოკვეთილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მდგრადი განათლების სისტემასა და დისტანციური სწავლების სფეროში არსებული პრობლემები, დასაბუთებულია დისტანციური სწავლების პირობებში იმ მექანიზმების გამოვლენის აუცილებლობა, რაც განათლების სისტემის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის.

სტატიაში შეფასებულია მეცნიერ-მკვლევრების მოსაზრებები დისტანციური განათლების როლზე განათლების მდგრად განვითარებაში. დასაბუთებულია, რომ მდგრადი განათლების სისტემის ფორმირებისა და დისტანციური განათლების მიწოდებისათვის აუცილებელი იქნება განათლებაზე გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება რესურსების შეზღუდულობის პირობებში. ნაშრომში შესწავლილია უნივერსიტეტებში დისტანციური სწავლების შესახებ ფორმირებული მოლოდინები, მათ შორის ყურადღება გამახვილებულია უცვლელი ზედნადები დანახარჯების პირობებში ფინანსური სახის მოლოდინებზე. ამასთან, დისტანციური სწავლება ფინანსური რესურსების დაზოგვის კარგ შესაძლებლობად და განათლების სისტემის მდგრადობის მიღწევის გადამწყვეტ ფაქტორად არის მიჩნეული. ნაშრომში შემუშავებულია დისტანციური სწავლების SWOT ანალიზი. დისტანციური სწავლების ძლიერ მხარეებად მიჩნეულია: სწავლების მოქნილობა დროსა და სივრცეში, განათლების მიღების უწყვეტობის უზრუნველყოფა, სწავლა-სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება, დამოუკიდებლად სწავლის უნარების გამომუშავება, ელექტორნულ ბაზებზე ხელმისაწვდომობის გაფართოება: Elsevier, Scopus, Sciencedirect, EBSCO, Econlit England Journal, Oxford Textbook of Medicine, JSTOR, BioOne; ECD-Library, Cambridge Journals Online, HINARI Health და სხვ.); სუსტ მხარეებად გამოვლინდა: ინტერნეტით დაფარვის არათანაბარი დონე რეგიონებს შორის ქვეყნის მასშტაბით, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის სირთულეები, კომპიუტერიზაციის პროცესისათვის საჭირო დრო, ტექნიკაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა სტუდენტებს შორის, სასწავლო მასალებისა და პროცესების მოდიფიკაციის გამოწვევები დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის პირობებში, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შესაბამისი კომპეტენციის ნაკლებობა და სხვა. შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ მთავარ შესაძლებლობად შეიძლება გამოიყოს თანამედროვე ტექნოლოგიების ახალი პოტენციალის გამოვლენა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციების განვითარება ონლაინ მართვის სისტემების მიმართულებით, ქვეყნის ინოვაციური

ინფრასტრუქტურული განვითარება, ახალი სასწავლო სისტემებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, საერთაშორისო სასწავლო პროგრამებთან ჰარმონიზაციის პროცესის დაჩქარება და სხვა. საფრთხეებს შორის გამოკვეთილია: დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის დაჩქარებული პროცესების ირიბი გავლენის ნეგატიური შედეგები, კერძოდ, ის ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც სტუდენტებში იჩენს თავს სოციალური იზოლაციისა და თვითგამოხატვის ახალი ფორმების აუთვისებლობის საფუძველზე. ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისეთი კიბერსაფრთხეები, რომელიც გამოიწვევს ონლაინ სასწავლო სისტემების მწყობრიდან გამოსვლას.

კვლევის შედეგად გამოვლენილია მდგრადი განათლების ფორმირებაზე დისტანციური სწავლების გავლენის შედეგები. დისტანციური სწავლების მდგრადი განათლების სისტემაზე გავლენის დასადგენად გამოყენებულია პოპულაციაზე დაფუძნებული (Population-based/Census-based) მიდგომა. კვლევის შედეგები დამუშავებულია SPSS პროგრამით.

სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ დისტანციურ განათლებაზე მოთხოვნა ზრდადია და განვითარებადი ქვეყნებისთვის ეს პროცესი განსაკუთრებული გამოწვევაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მდგრადი განათლების მიღწევის პირობების შესახებ კვლევების განხორციელება დისტანციური სწავლების საკითხებთან კავშირში.

რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზისა და ფოკუს ჯგუფებთან დისკუსიის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები დისტანციური სწავლების პირობებში მდგრადი განათლების მიღწევის მიმართულებებზე.

2. ხარაიშვილი, ე., **ლობჟანიძე, ნ.** (2022). აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობა: გამოწვევები და შესაძლებლობები COVID-19 პანდემიის პირობებში. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,,COVID 19 პანდემია და ეკონომიკა“. SBN 978-9941-491-70-2 (pdf). გვ. 423-435. თბილისი. https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/2022---%20konferencia.pdf

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში გაანალიზებულია მეცნიერთა შეხედულებები აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის სფეროში პანდემიით გამოწვეული სირთულეების შესახებ. ტიპიური და ატიპიური კრიზისების შედარებითი ანალიზის გზით გამოვლენილია პროდუქტებით ვაჭრობის განვითარების ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები. კვლევის პროცესში, შედარებითი ანალიზის გზით, დაჯგუფებულია საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის მაჩვენებლები პანდემიამდე (2018-2019 წწ.) და პანდემიის შემდეგ (2020-2021 წწ.) პერიოდებში, ამ პერიოდების მიხედვით დასაბუთებულია ვაჭრობის დადებითი და უარყოფითი ტენდენციები. პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის ზრდის და შემცირების მაჩვენებლები.ს ანალიზზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის პერიოდში სურსათით ვაჭრობის სფეროში შექმნილ პრობლემებსა და ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე. საკვანძო სიტყვები: სურსათით ვაჭრობა, ექსპორტი, იმპორტი, პანდემიის გავლენა, სავაჭრო ბალანსი.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Kharaishvili, E. and **Lobzhanidze, N.** (2022). "Youth Attitudes towards Distance Learning: Challenges and Opportunities for Sustainable Education - Case of Georgia". In Proceedings of the 5th International Scientific Congress Society of Ambient Intelligence - ISC SAI, ISBN 978-989-758-600-2, pages 516-524. DOI: http://dx.doi.org/10.5220/0011366300003350

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება –

მაკროეკონომიკის კათედრა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი –

კათედრის ხელმძღვანელი - *პროფესორი მირიან ტუხაშვილი*

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –

პროფესორი მირიან ტუხაშვილი
ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი
ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია
ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა
ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე
ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე
ასოცირებული პროფესორი მზია შელია
ასისტენტ პროფესორი მარინა ტაბატაძე

პროფესორი მირიან ტუხაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

1. **დაბრუნებითი შრომითი და სასწავლო მიგრაცია საქართველოში.**

მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულება: - ეკონომიკა. შრომის ეკონომიკა
პროექტის დაწყების და დამთავრების დრო: 2022 01.01 -2022 .22.12.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1, **პროფ. მირიან ტუხაშვილი: ხელმძღვანელი**
2. ასოც. პროფ. მურმან ცარციძე -შემსრულებელი
3. ასოც. პროფ. მირონ ტუღუში - შემსრულებელი
4. დოქტორანტი: მაკა ციბაძე - შემსრულებელი
5. დოქტორანტი ბესარიონ სიორდია -შემსრულებელი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტში დეტალურადაა გაანალიზებული საქართველოს შრომის ბაზარზე თანამედროვე ვითარება, დასაბუთებულია, რომ შრომის ბაზრის შესაბამისი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში იგი ეფექტურად დაასაქმებს შრომითი ემიგრაციიდან დაბრუნებულ სამუშაო ძალასაც.

დაბრუნებულთა სამუშაო ძალის ღრმა შესწავლის მიზნით ჩატარებულია მასშტაბური კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევა. გამოყენებულია მკვლევართა ჯგუფის მიერ შედგენილი და 300 რესპონდენტზე გავრცელებული 148 კითხვიანი დახურული ანკეტა). კვლევის მეთოდია ე. წ. „თოვლის გუნდის“ მეთოდი. განათლების მიღების შერმდგომ დაბრუნებული კონტინგენტი შესწავლილია იგივე მეთოდით(უცხოეთიდან 100 დაბრუნებული, 50 კითხვიანი დახურული ანკეტა)

გამოკითხული კონტინგენტის მრავალმხრივი სოციალურ-ეკონომიკური ანალიზით დადგენილია, რომ

- შესწავლილი კონტინგენტი პრინციპულად აკმაყოფილებს საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და სათანადო გადამზადების შემთხვევაში შესაძლებელია მინიმუმამდე შემცირდეს მათი ხელახალი ემიგრაციული განწყობა.
- გამოვლინდა რეინტეგრაციის პროცესში რიგი ხელშემშლელი ფაქტორები:არასწორი სარეინტეგრაციო პოლიტიკა, გადამზადების სისტემის მოუქნელობა, ზოგ შემთხვევაში ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ გულგრილი დამოკიდებულება, სოციალური რეინტეგრაციის პროცესის არასათანადო გააზრება.
- არსებითი მნიშვნელობა აქვს დაბრუნებულთა მიერ მათი საზღვარგარეთული დანაზოგის საქართველოს ეკონომიკური ინვესტირების შესაძლებლობების რადიკალურად გაზრდის ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას, დაბრუნებულთა ბიზნეს-ინტერესების დაცვას
- რადიკალურ გარდაქმნას საჭიროებს საზღვარგარეთ ემიგრაციის მეშვეობით საქართვეკლოს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მიზნობრივი მომზადება. დამუშავებულია რამდენიმე სქემა „ტვინების გადინების“ შესამცირებლად.
- დაასაბუთებულია საქართველოს ე. წ. „ცირკულარული მიგრაციის“ მოდულის უდიდესი მნიშვნელობა და მისი ფორმირების პოლიტიკური გააქტიურება, გავლენა საქართველოს „დემოგრაფიულ გადარჩენაზე.

5. **ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში**

5.4. **სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

5.4.1.**მირიან ტუხაშვილი. კახეთის მოსახლეობა: დინამიკა და ეთნოსტრუქტურა**. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი. ტომი მე-14. # 3. 2022. გვ. 178-199. **ISSN-1987-5789**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

რაციონალური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის ტრანსფორმაციის კანონზომიერებათა გამოვლენას. ჩვენი კვლევის ობიექტია კახეთის მხარის მოსახლეობა, რომელმაც ბოლო საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. სტატიაში განხილულია რუსეთის იმპერიის მიერ ანექსირებული საქართველოს, საბჭოთა რესპუბლიკისა და პოსტსაბჭოთა პერიოდის კახეთის მხარის მოსახლეობის რიცხოვნობისა და ეთნოსტრუქტურის ცვლილების ძირითადი ტენდენციები - ქართველი მოსახლეობისა და დიასპორათა თანაფარდობის საკითხები.

განხილული პერიოდის განმავლობაში იმპერიულ მმართველობაში მოქცეულ საქართველოში ინტენსიური იმიგრაციული პოლიტიკის პერმანენტული გატარებით განუწყვეტლად იზრდებოდა მთელ მოსახლეობაში დიასპორათა ხვედრითი წონა. იგივე ვითარება იყო კახეთის მხარის მოსახლეობაშიც, სადაც მოიმატა ეროვნულ უმცირესობათა კონტინგენტმა. აქტიური იმიგრაციული პოლიტიკის გატარებით სწრაფად გაიზარდა რუსი მოსახლეობის რაოდენობა. 1926-1939წწ. იგი კახეთის მოსახლეობის 7,2% გახდა. სომხური დიასპორის შედარებით სწრაფი რიცხობრივი მატება აღინიშნა მე-19 საუკუნეში, ოსებისა - მე-20 საუკუნის დასაწყისში.

ყველაზე სტაბილური მატება ახასიათებს მუსლიმური აღმსარებლობის მოსახლეობას. თავისი მაღალი ბუნებრივი მატების ტრადიციათა წყალობით აზერბაიჯანელთა და ქისტების რიცხოვნობა 1884-1989წწ 6,4 ათასიდან 37, 5 ათასამდე გაიზარდა, 2014 წლისათვის მათი წილი კახეთის მხარის მოსახლეობაში 11,8% გახდა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა კახეთის მხარის მოსახლეობის რიცხოვნობასა და ეთნოსტრუქტურაში. 1989-2014წწ მოსახლეობის აღწერათაშორის პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა. როგორც მთელი მოსახლეობის, ისე დიასპორათა რიცხოვნობა: სომხებისა 3-ჯერ, რუსებისა - 7-ჯერ, ოსებისა-4,9-ჯერ, უკრაინელებისა- 9,4-ჯერ. შედარებით სტაბილურობას ინარჩუნებს მუსლიმური აღმსარებლობის აზერბაიჯანელებისა და ქისტების დიასპორები. მოსახლეობის რიცხოვნობის სწრაფი კლების პირობებში კახეთის მხარეში გამოიკვეთა პოლიეთნიკური სტრუქტურიდან ბიეთნიკურზე გადასვლის ტენდენცია.

ძირითადი მიზეზი დიასპორათა რიცხოვნობის შემცირებისა არის ემიგრაციული პროცესების ინტენსიფიკაცია. იგი გამოიწვია პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს ეკონომიკის კრახმა, ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა და ცხოვრების პირობების არნახულმა გაუარესებამ, უმუშევრობამ, სიღარიბის გაღრმავებამ. ამის გარდა ეროვნულ უმცირესობათა ემიგრაციის ინტენსივობაზე იმოქმედა იმანაც, რომ დიასპორათა მნიშვნელოვანმა ნაწილმა სახელმწიფო ენა-ქართული არ იცოდა და არჩია თავის ისტორიულ - კულტურულ გარემოში, თავის სამშობლოში დაბრუნება. ზოგიც ემიგრაციაში წავიდა იმ ქვეყნებში, სადაც ცხოვრების დონე ბევრად მაღალი იყო საქართველოსთან შედარებით.

დიასპორათა შემცირება, ნაწილობრივ, ქართულ მოსახლეობაში მათმა ინტეგრაციამაც გამოიწვია. ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში კულტურულად ქართველებთან ახლო მყოფი ეროვნებები: ოსები, სომხები ინტეგრირდნენ ქართულ ეთნოსში. მათ შორის, ხშირი იყო ბიეთნიკური ქორწინება. კახეთის მხარეში არ ყოფილა ეროვნებათაშორისი დაპირისპირებები და ეთნოკონფლიქტები.

2014 წლის აღწერით კახეთის მხარეში გამოვლინდა, რომ რელიგიური აღმსარებლობის თვალსაზრისით დომინირებს ქრისტიანი მართლმადიდებლობა(85,7%) და მუსლიმები(12,1%). მუსლიმთა აბსოლუტური უმრავლესობა აზერბაიჯანელები, ქისტები, ხუნძები და ეკომიგრანტ ქართველ აჭარელთა უფროსი თაობის წარმომადგენლები არიან.

ხელისუფლების მნიშვნელოვანი ამოცანაა, ტოლერანტობით გამორჩეულ კახეთის მხარეში უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობათა ღირსეული სოციალურ-კულტურული განვითარება. დაამკვიდროს მათი ადათ-წესებისადმი მოსახლეობის სამაგალითო პატივისცემა. სურვილის შემთხვევაში დაეხმაროს მათ მოქალაქეობრივ ინტეგრაციაში, შექმნას ერთა ჰუმანური თანაცხოვრების სამაგალითო გარემო.

5.4 2.მზია შელია. მირიან ტუხაშვილი.კახეთის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი. # 4. 2022. გვ. 69-79.ISSN-1987-5789

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ბოლო ორმოცდაათი წელია საქართველო უკვე დემოგრაფიულად დაბერებული ქვეყანაა. მისი მრავალფეროვანი ბუნებრივ გეოგრაფიული ლანდშტაფი და ეთნიკურ-რელიგიური სიჭრელე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ ქვეყნის დემოგრაფიული და ეკონომიკური განვითარების რეგიონულ თავისებურებებს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ცალკეული რეგიონის მოსახლეობაში მიმდინარე ცვლილებების სიღრმისეული შესწავლა რეგიონული შრომის ბაზრის რაციონალური ფუნქციონირების აუცილებელი წინაპირობაა.

კვლევისას საანალიზოდ აღებული იქნა ის საინფორმაციო ბაზა, რომელსაც იძლევა სტატისტიკის ეროვნული სამსახური როგორც მოსახლების საყოველთაო აღწერების, ისე მიმდინარე აღრიცხვის მეშვეობით. კვლევის არეალად შეირჩა კახეთის მხარე - საქართველოს წამყვანი სასოფლიო-სამეურნეო რეგიონი, რომელსაც სამი მხრიდან სახელმწიფო სახმელეთო საზღვარი გასდევს. ის ხასიათდება კონტრასტული კლიმატით, რთული ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურით და დემოგრაფიული დაბერების მაღალი ტემპით.

კლევით დადგინდა, რომ კახეთის მხარემ 1959 წლიდან გადალახა დემოგრაფიული სიბერის ზღვარი. კერძოდ, 60 წლისა და უფროსი ადამიანების წილი 12% და მეტია. 2014 წლის მოსახლეობის აღწერით, მოსახლეობის მედიანური ასაკი 41 წელი იყო. 1990-იანი წლებიდან დაწყებული ინტენსიური დეპოპულაციური პროცესის გამო, რომელიც დღემდე გრძელდება, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა კიდევ უფრო დეფორმირებული გახდა, გაიზარდა მედიანური ასაკიც. პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რასაც მოჰყვა ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა გამოიწვია მოსახლეობის ზეინტენსიური ემიგრაცია, როგორც საქართველოს შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. რეგიონმა დიდი რაოდენობით კვალიფიციური სამუშაო ძალა დაკარგა.

მოკვდაობის ანალიზმა გარდაცვალების მიზეზების მიხედვით, გამოავლინა, რომ კახეთში, როგორც დანარჩენ საქართველოში, გარდაცვალების უპირველესი მიზეზი გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებია. ამას, მოსდევს კიბო, სასუნთქი სისტემის დაავადებები, ტრავმები და მოწამვლები. პანდემიამ თავისი დააღი დაასვა ამ რეგიონსაც. თუ 2020 წელს კახეთი ლამის „მწვანე ზონად“ მოინათლა, 2021 წელს კორონავირუსით გარდაცვალებულთა რიცხვი, მხოლოდ გულსისხლძარღვთა დაავადებებით გარდაცვლილებს ჩამორჩება. აღსანიშნავია ისიც, რომ გარდაცვალების სხვა მიზეზებისაგან განსხვავებით, 2015 წლიდან მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა სასუნთქი გზების დაავადებებით გარდაცვალება. ეს ტენდენცია დღემდეა შენარჩუნებული, რაც გასათვალისინებელია ჯანდაცვის რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისას.

კახეთის მოსახლეობის ანალიზმა მუნიციპალიტეტების მიხედვით გამოავლინა, რომ ყველა მათგანი დემოგრაფიული სიბერის განსაკუთრებით მაღალი დონით ხასიათდება. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ქიზიყი, კერძოდ, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები. აქ ყოველი მესამე მკვიდრი 60 წლისა და უფროსი ასაკისაა.

კახეთის მხარეში მეტად დიდია 80 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 60 წლისა და უფროსი ასაკის მთელ მოსახლეობაში(17%). დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 60 წელს

გადაცილებულ მოსახლეობაში ყოველი მეხუთე ადამიანი 80 წლისა და უფროსი ასაკისაა, რაც მიუთითებს მოსახლეობის დაბერების დიდ სიღრმეზე. რაც შეეხება 100 წლისა და უფრო ასაკის ადამიანების რაოდენობას, ამ მხრივ კახეთი არაა გამორჩეული რეგიონი. აქ ასეთი მხოლოდ 16 კაცია.

საბოლოოდ დადგინდა, რომ ბოლო 80 წლის მანძილზე კახეთის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციის უწყვეტი პროცესი მიმდინარეობს, რაც ვლინდება მოსახლეობის დაბერებაში. შესაბამისად, საპენსიო ასაკის მოსახლეობის ზრდაში, რაც განპირობებულია ამ მხარიდან მოსახლეობის ინტენსიური ემიგრაციით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქცეყნის გარეთ. არსებული გარემოება აისახა სამუშაო ძალის მიწოდებაზე მოცემულ რეგიონში.

კახეთის მხარის საზღვრისპირა დასახლებები უწყვეტი დეპოპულაციის პროცესით ხასიათდება. ადგილობრივი შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება ზრდის მოსაზღვრე ქვეყნების მჭიდროდ დასახლებული ქვეყნები ე. წ. „დემოგრაფიულ დაწოლას“, რაც საზღვრებზე მიმოსვლის ლიბერალიზაციის შემთხვევაში გამოიწვევს იქიდან მოსახლეობის ინტენსიურ შემოდინებას და ეთნიკონფლიქტებით გაჯერებულ კავკასიაში პოლიტიკური ვითარების დაძაბვას.

კახეთის მხარის დემოგრაფიული განვითარების სტაბილურობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების სპექტრის რადიკალურ გაფართოებას, ეკონომიკის მიზანმართულ დარგობრივ დივერსიფიკაციას. მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე ორიენტაცია ვერ შეაჩერებს ზეინტენსიურ მიგრაციულ პროცესს. ხელსაყრელად ფორმირებული მჭიდროდ დასახლებული ზოლოვანი განსახლების სისტემა აადვილებს მაღალურბანული მომსახურების ფორმირებას, რასაც ხელს შეუწყობს თანამედროვე საავტომობილო გზების ქსელის მშენებლობის დამთავრება, რეკრეაციულად ხელსაყრელ სასოფლო დასახლებებში კომფორტული საცხოვრებელი პირობების ფორმირება, ამ რეგიონის კულტურული საყოფაცხოვრებო პირობების გამოთანაბრება მსხვილი ქალაქების დონესთან. ყოველივე ეს ქმნის ყველა პირობას კახეთის მხარეში ფორმირდეს ე.წ. „სტაციონარული მოსახლეობის“ მოდელი.

5.4.3. **მირიან ტუხაშვილი. მიგრაციული პროცესები საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში.** გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. შრომების კრებული. თბილისი. 2022. გვ.452-456. /. **ISBN978-36-061-9**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

XX საუკუნის პირველი ნახევარი გამოირჩევა საქართველოს არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით და შესაბამისად, ტერიტორიული მობრაობის მიმართულებათა მრავალფეროვნებით. რუსეთის იმპერიაში სტოლიპინის აგრარულმა რეფორმებმა გამოიწვია დიდი ტერიტორიული გადაადგილებები, რამაც საქართველოში განაპირობა ინტენსიური იმიგრაციული პროცესები. შემდგომ, პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მიგრაციის ვექტორი შებრუნდა; ეკონომიკური კრიზისისა და ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემის, პოლიტიკურად დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ფორმირების ვითარებაში უფრო ინტენსიური გახდა ემიგრაციული პროცესები. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის და საქართველოს სსრკ-ში მოქცევის შემდგომ ეკონომიკურმა აღმავლობამ რადიკალურად გაზარდა საქართველოში

კვალიფიციოური სამუშაო ძალაზე მოთხოვნა. ამან გამოიწვია საქართველოს რესპუბლიკის გარედან ინტენსიური იმიგრაციული ტალღების წარმოქმნა. იმიგრაციას ხელი შეუწყო 1930-იან წლებში რუსეთ-უკრაინაში წარმოშობილმა შიმშილობამ და იქიდან მოსახლეობის გადმოხვეწამ საქართველოში. საბოლოოდ XX საუკუნის პირველ ნახევარში მიგრაციული პროცესების შედეგად მკვიდრი ქართველთა წილი მთელ მოსახლეობაში 61,4%-მდე შემცირდა.

6. **ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში**

6.3. **სტატიები**

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

6.3.1. **Tsibadze M., Tukhashvili M. ETHNODEMOGRAPHIC CONSEQUENCES OF FORCED MIGRATION IN THE OCCUPIED REGIONS OF GEORGI.** // Modern research in world science. Proceedings of the 4th International scientific and practical conference. SPC “Sci-conf.com.ua”. Lviv, Ukraine. 2022. Pp. 21-27. URL: https://sci-conf.com.ua/iv-mizhnarodna-naukovo-praktichna-konferentsiya-modernresearch-in-world-science-10-12-07-2022-lviv-ukrayina-arhiv/. **ISBN 978-966-8219-86-3**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სსრკ დაშლის შემდგომ საქართველოს ყოფილ ავტონომიურ ერთეულებში-აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოსახლეობის რიცხოვნობასა და სტრუქტურაში არსებითი ცვილებები მოხდა. რუსეთის ფედერაციის სამხედრო დახმარებით სეპარატისტული ძალების მიერ ეთნოწმენდებით ამ რეგიონებიდან გამოიდევნა მკვიდრი ქართველი მოსახლეობის უმეტესობა, რასაც დაემატა საარსებო პირობების კატასტროფული გაუარესების გამო სხვა ეთნიკური ჯგუფის ემიგრაციაც. პოსტსაბჭოთა პერიოდში აფხაზეთის რეგიონში განხორციელებული ეთნოწმენდების შემდეგ 2020 წლისათვის აქ შემორჩენილია 1989 წლის მოსახლეობის აღწერით აღრიცხული მოსახლეობის 46,7%, მათ შორის ქართველთა მხოლოდ 19,6%, სომხების -54,7%, რუსების -30%, ბერძნების -6,6%. აფხაზთა წილმა კი ნახევარს გადააჭარბა. ეს სეპარატისტული თვითმარქვია ხელისუფლების პრინციპულ ამოცანას წარმოადგენდა.

ოკუპაციამდე ცხინვალის რეგიონში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ოსი და ქართველი ეროვნების მოსახლეობა იყო. მოსახლეობის რიცხოვნობა პოსტსაბჭოთა პერიოდში 98527 მცხოვრებიდან(1989წ.) 53532 კაცამდე შემცირდა(2015წ); რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების დახმარებით ოსი სეპარატისტების მიერ ამ რეგიონიდან ეთნოწმენდის დროს იძულებით გადაადგილდა ქართველი მოსახლეობის 86%, რის შემდგომ ღრმა ეკონომიკური კრიზისის, სამეურნეო წესრიგის მოშლისა და ცხოვრების პირობების კატასტროფული გაუარესების გამო რეგიონი დატოვა აქ მცხოვრებ რუსთა 71%-მა, ოსების 26%-მა. თუ საბჭოთა პერიოდის ბოლოს ოსი ეროვნების რიცხოვნობა მხოლოდ 2,2-ჯერ ჭარბობდა ქართველთა კონტინგენტს, 2015 წლის მდგომარეობით კი უკვე 12-ჯერ აღემატებოდა. ეკონომიკის სრული მოშლის შემდგომ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ერთერთ სახედ იქცა რეგიონში განლაგებული რუსეთის საოკუპაციო სამხედრო ბაზების მომსახურება. ოსი ეროვნების მოსახლეობა მასობრივად გავიდა რუსეთის ფედერაციაში შრომითი

ემიგრაციის ფორმით. ცხინვალის რეგიონი სრულიად იზოლირებულია საქართველოს ძირითადი ნაწილისაგან მავთულხლართებით; გარე სამყაროს უკავშირდება მხოლოდ როკის გვირაბისა და რუსეთის ფედერაციის მიმართულებით ერთადერთი საავტომობილო გზის მეშვეობით. ასეთ ვითარებაში რეგიონის ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია.

ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად მეტად ჩამორჩა დანარჩენ საქართველოს აფხაზეთის ოკუპირებული რეგიონიც. სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ვერ მოხერხდა ეკონომიკის აღდგენა, მეტად შემცირდა სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო წარმოება, ვერც ტურიზმი აღორძინდა, აღარ ფუნქციონირებს რუსეთის კავკასიის ქვეყნებთან დამაკავშირებელი რკინიგზა და საავტომობილო მაგისტრალი, ყვავის კორუფცია. ჩვენი აზრით, შექმნილი მძიმე ვითარების გამოსწორების ერთადერთი სწორი გზა არის აფხაზეთის დეოკუპაცია და კვლავაც საქართველოს იურისდიქციაში მოქცევა გარანტირებული ავტონომიურობის შენარჩუნებისა და აფხაზური კულტურის განვითარებაში მაქსიმალური ხელშეწყობის პირობებით. რასაკვირველია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა ითვალისწინებდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა თანდათანობით, უკონფლიქტო დაბრუნებას თავიანთ საცხოვრისში და აფხაზი და ქართველი მოსახლეობის მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების ღირსეულად გაგრძელებას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მზია შელია. მირიან ტუხაშვლი.კახეთის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება.
საქართველოს ეკონომისტთა IV ეროვნული კონფერენცია "მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები".გორი 2022 12 09.

1. მირიან ტუხაშვილი. მიგრაციული პროცესები საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში.VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში შრომების კრებული. თბილისი. 4-5 ნოემბერი.2022. გვ.452-456.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Tsibadze M., Tukhashvili M. ETHNODEMOGRAPHIC CONSEQUENCES OF FORCED MIGRATION IN THE OCCUPIED REGIONS OF GEORGI. The 4 th International scientific and practical conference —Modern research in world science|| (July 10-12, 2022) SPC —Sci-conf.com.ua||, Lviv, Ukraine. 2022**

ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **გველესიანი, რ., ბედიანაშვილი, გ. ეკონომიკური პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგების შეფასების პრობლემა.** https://doi.org/10.35945/gb.2022.13.002; *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 13, თბილისი. ევროპის უნივერსიტეტი. გვ. 17-24.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში წარმოდგენილია ეკონომიკური პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევის ფორმატში მისი მოსალოდნელი შედეგების შეფასების კონტექსტით. აღნიშნულია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის ამოსავალი წერტილი არის განსხვავება არსებულსა და არსებულს შორის. ამიტომ, მოსაზრებები (შეხედულებები) იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს, შეიძლება გამოყენებულ იქნას დაკვირვებული ეკონომიკური მდგომარეობისა და განვითარების შესაფასებლად. ნორმატიული შეხედულებები გამოხატავს სუბიექტურ სურვილებს, ასე შეფასების შედეგი არ შეიძლება ჩაითვალოს „სწორად“ ან „არასწორად“. შესაძლებელია, რომ სუბიექტმა (ან ეკონომიკური ინტერესების ჯგუფმა) ჩათვალოს ისინი მისაღებად ან თუნდაც უარყოს ისინი. აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკური განუზღვრელობის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნობრივი ასპექტის კომპლექსური წარმოდგენა, ისე თვით პოლიტიკის ადაპტაციურობის ხარისხის არსებითი გაუმჯობესება სისტემური გრძელვადიანი პროგნოზების შემუშავების უწყვეტობისა და აქტიური გამოყენების უზრუნველყოფის მოთხოვნების გათვალისწინებით.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Bedianashvili, G. The COVID-19 Pandemic, Globalization, and the Socio-Economic System of the Country (Macro Aspect).** Proceedings of International Scientific Conference Dedicated to the Establishment of the
   University and the 100th Anniversary of the Faculty of Economics and Business: “Covid -19 Pandemic and Economics”. ISBN 978-9941-491-70-2 (pdf). Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business; pp. 38-42.
2. **ბედიანაშვილი, გ. კლიმატის ცვლილების გაურკვევლობა და ეკონომიკური ზრდა.** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლისდაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: *“ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები”.* ISBN 978-9941-36-049-7. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი; გვ. 29-36.

3. **ბედიანაშვილი, გ. კულტურული ფაქტორების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე და მეწარმეობაზე თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში.** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: *„გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“*. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. 8 გვ.
4. **ბედიანაშვილი, გ. ეკონომიკური ზრდის და განვითარების დეტერმინანტები გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევების პირობებში.** *ეკონომიკა, ბიზნესი და ადმინისტრირება.* №2. IV ეროვნული კონფერენციის მასალები: “მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები“. გორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 11 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში განხილულია სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები და მათი სისტემური თავისებურე-ბები COVID-19-ის პანდემიის პირობებში როგორც გლობალურ ასევე მსოფლიოს ცალკეული ქვეყნისჭრილში. გაანალიზებულია ისეთი მნიშვნელოვანი ეფექტი, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური გაუზღვრელობის ზრდა. კვლევის შედეგად ნაჩვენებია, რომ ზრდადი განუზღვრელობის პირობებში საჭიროა, განხორციელდეს კომპლექსური უწყვეტი საპროგნოზო-ანალიტიკური საქმიანობის გაძლიერებაქვეყნის სოციალურ-ეკონიმიკური სისტემის როგორც ობიექტის თავისებურებებიდან გამომდინარე, როგორც სახელმწიფო მაკროსისტემურ, ისე კერძო სექტორის დონეზე. აღნიშნულია, რომ პანდემიური პერიოდის გამოცდილებამ დაგვანახა გამოწვევებზე და შესაბამისი კომპლექსური პრობლემების გადაჭრაზე მიმართული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის ეფექტიანი მექანიზმის დიდი მნიშვნელობა. ეს პოლიტიკა, შესაბამისი ინსტიტუციური ფაქტორების ჩართულობით, ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოების გრძელვადიან მდგრადობას.
2. ნაშრომში გადმოცემულია გლობალიზაციის თანამედროვე თავისებურებების პირობებში კლიმატის ცვლილების გაურკვევლობასთან დაკავშირებული გამოწვევები. გაანალიზებულია კლიმატის ცვლილების პრობლემის გლობალური ხასიათი, გამოყოფილია საქართველოს და კავკასიის მეზობელი ქვეყნების კლიმატის ცვლილების ნეგატიური დინამიკა ბოლო ათწლეულების პერიოდში – საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდის ტენდენცია. გამოყოფლია დეკარბონიზაცია როგორც წიაღისეულ საწვავზე დაფუძნებული ენერგეტიკული რესურსებიდან ნახშირბადის ნულოვანი ემისიებით და განახლებადი ენერგიის წყაროებზე დაფუძნებული საწვავზე გადასვლის აქტუალობა. აღნიშნულია, რომ სწორედ განახლებადი ენერგეტიკული წყაროების გამოყენება ამცირებს სათბურის გაზების გამოყოფას, უზრუნველყოფს ქალაქებში ჰაერის დაბინძურების დონის არსებით შემცირებას. კლიმატის ცვლილების გაურკვევლობის ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით, გამომდინარე მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მოთხოვნებიდან, აღნიშნულია კლიმატის პოლიტიკისა და ეკონომიკური ზრდის ურთერთმიმართების სწორი განსაზღვრის დიდი მნიშვნელობა. ამასთან, მდგრადი განვითარება უნდა გულისხმობდეს

ეკონომიკის, სოციალური სფეროს და ბუნებრივი გარემოს სისტემურ მდგრადობას მწვანე ზრდის კონცეფციის ფორმატში.

3. მსოფლიო ცივილიზაცია გამოირჩევა განუზღვრელობის განსაკუთრებით მაღალი ხარისხით, რასაც განაპირობებენ საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესები, რომლებიც თავისი მოქმედების არეალით სცილდებიან კონკრეტული ერთი სფეროს საზღვრებს და უკვე ხშირ შემთხვევაში არაიან სხვა სფეროებში მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კრიზისული შოკური ეფექტების გამომწვევი მიზეზი. ყოველი სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი ხდება პირველ რიგში თავისი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნციონირების მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც აქტუალური გახდა ჯერ კიდევ ტურბულენტური გლობალიზაციის გარემოში. ქვეყნის მდგრადობა დამოკიდებულია მისი სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების დონეზე, რაც წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას და ჩაირთავს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ და საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროებს. აქედან გამომდიმარე, აქტუალურია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარების დეტერმინანტების გამოვლენისას სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციის გამოყენება, ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორების სისტემური წარმოდგენა და ანალიზი. გამოყოფილია ეკონომიკური ზრდის და სამეწარმეო საქმიანობის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კულტურურის და ფასეულობების მახასიათებლები. აღნიშნულია საქართველოსთვის ამ ფაქტორების მიმართ რეკომენდაციების შესახებ.
4. ნაშრომის მიზანია გლობალიზაციის თანამედროვე თავისებურებების იდენტიფიცირება, ეკონომიკური ზრდის და განვითარების მთავარი დეტერმინანტების გამოვლენა, მათი სპეციფიკის დახასიათება, ამ მიმართებით საქართველოს ძირითადი გამოწვევების დაფიქსირება და შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბება. მსოფლიო ცივილიზაცია გამოირჩევა განუზღვრელობის განსაკუთრებით მაღალი ხარისხით, რასაც განაპირობებენ საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესები, რომლებიც თავისი მოქმედების არეალით სცილდებიან კონკრეტული ერთი სფეროს საზღვრებს და უკვე ხშირ შემთხვევაში არის სხვა სფეროებში მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კრიზისული შოკური ეფექტების გამომწვევი მიზეზი. ყოველი სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი ხდება პირველ რიგში თავისი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნციონირების მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც აქტუალური გახდა ჯერ კიდევ ტურბულენტური გლობალიზაციის გარემოში. ქვეყნის მდგრადობა დამოკიდებულია მისი სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების დონეზე, რაც წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას და მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ და საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროებს. აქედან გამომდინარე, აქტუალურია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარების დეტერმინანტების გამოვლენისას სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციის გამოყენება, ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორების სისტემური წარმოდგენა და ანალიზი. გამოყოფილია ეკონომიკური ზრდის და განვითარების ისეთი დეტერმინანტები, როგორიცაა განუზღვრელობის მაღალი დონე, კლიმატის გლობალური ცვლილება, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირება, კულტურის და ფასეულობების

მახასიათებლები. გამოთქმულია მოსაზრებები საქართველოსთვის აღნიშნული გამოწვევების და დეტერმინანტების შესაბამისი რეკომენდაციების შესახებ

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Bedianashvili, G., Zhosan, H., Lavrenko, S.** Modern Digitalization Trends of Georgia and Ukraine. Scientific Papers Series Management, Economic Engineering in Agriculture and Rural Development Vol. 22, Issue 3. PRINT ISSN 2284-7995, E-ISSN 2285-3952. Romania, University of Agronomic Sciences and Veterinary Medicine of Bucharest; pp. 57-74.

2. **Bedianashvili, G**. Modern Global Challenges and Uncertainty Factor in Management. Proceedings of II INTERNATIONAL SCIENTIFIC AND PRACTICAL CONFERENCE «TRENDS AND PROSPECTS OF MANAGEMENT DEVELOPMENT IN THE CONDITIONS OF GLOBAL CHALLENGES». ISBN 978-617-7941-86-5. Kherson, Ukraine; pp.72-73.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში განხილულია დღევანდელ ტურბულენტურ და არასტაბილურ გარემოში საერთაშორისო კომპანიების გამოწვევები, მათ შორის უკრაინასა და საქართველოში ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლის კონექსტით. კომპანიები, რომლებიც გადარჩებიან გრძელვადიან პერსპექტივაში - ისეთები რომლებსაც აქვთ საუკეთესო ხელსაწყოები, რაც მათ საშუალებას აძლევს იყვნენ მოქნილი, მოქნილი; ისინი, ვინც სხვებზე უკეთესად შეძლებენ რეაგირებას ცვლილებებზე პროდუქციის ასორტიმენტში, აკონტროლებენ მათ ქარხნებს, არეგულირებენ მიწოდების ქსელებს და იქნება შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი სამუშაო ძალა მართლაც ყველგან. მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებული იქნა კვლევის შერეული მეთოდები. თეორიული და კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა შემეცნების დიალექტიკური მეთოდი, სისტემური მიდგომა ეკონომიკური თეორიის ზოგადი დებულებები. კვლევის შედეგების მიხედვით, მიუხედავად სერიოზული დადებითი დიგიტალიზაციის სფეროში გარდაქმნების შედეგად, არსებობს მთელი რიგი აქტუალური და მნიშვნელოვანი გადაუჭრელი საკითხები დადგენილია, რომ ციფრული ეკონომიკა უკრაინასა და ს.აქართველოში, მიუხედავად მთელი რიგი პრობლემებისა, დინამიურად ვითარდება. ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ორგანიზაციები იწყებენ აქტიურ განხორციელებას ციფრული გადაწყვეტილებები, მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით. ინოვაცია არის ეკონომიკის ძრავა განვითარება, ამიტომ მცდელობებია მოძებნონ და შექმნან ორგანიზაციული გაერთიანებების ყველაზე შესაფერისი ფორმები ინოვაციური საწარმოები, ალიანსები, რომელთა ფარგლებშიც შეიძლება დამყარდეს ძლიერი კოოპერატიული კავშირები. აღნიშნულია, რომ საჭიროება ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა და კოორდინაცია საინოვაციო პროცესში მონაწილეთა ქსელის სახით ხდება საკმაოდ აშკარაა, რაც მათ სასარგებლო ეფექტს და შესაბამის კონკურენტულ უპირატესობას აძლევს.

2. გლობალური პროცესების დინამიკის ანალიზი აჩვენებს, რომ საზოგადოების განვითარების მიმდინარე ტენდენციებთან დაკავშირებით გაურკვევლობა (სოციალურ-ეკონომიკური გაურკვევლობა) მოკლე და გრძელვადიან პერიოდში შენარჩუნდება. ეს ყველაფერი, ალბათ, შექმნის ჩვენთვის უცნობი გლობალური გამოწვევებისა და რისკების ახალ წყაროებს. აქტუალური ხდება ცოდნაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების შემუშავება და გამოყენება, გრძელვადიანი პროგნოზირების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გზით. პანდემიის პერიოდის გამოცდილებამ და ბოლო მოვლენებმა გვაჩვენა, რომ ეფექტიან მექანიზმებს დიდი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათი დაუყოვნებელი განხორციელების ეტაპზე. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის, როგორც მთლიანი სისტემის ფორმირება და განხორციელება მიმართული უნდა იყოს ამ გამოწვევებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაზე. მნიშვნელოვანია, რომ ამ პოლიტიკამ, მმართველობით სტრუქტურებში შესაბამისი ინსტიტუციური აქტორების ჩართულობით, ხელი შეუწყოს საზოგადოების გრძელვადიან მდგრადობას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღევანდელი გლობალური გამოწვევისა და გაზრდილი გაურკვევლობის კონტექსტში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ბედიანაშვილი, გ. კლიმატის ცვლილების გაურკვევლობა და ეკონომიკური ზრდა**. 27 ნოემბერი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი. https://www.researchgate.net/publication/365805630_CLIMATE_CHANGE_UNCERTAINTIES_AND_ECONOMIC_GROWTH_klimatis_tsvlilebis_gaurkvevloba_da_ekonomikuri_zrda
2. ბედიანაშვილი, გ. **კულტურული ფაქტორების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე და მეწარმეობაზე თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში.** 4,5 ნოემბერი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. თბილისი.
3. **ბედიანაშვილი, გ. ეკონომიკური ზრდის და განვითარების დეტერმინანტები გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევების პირობებში.** 9 სექტემბერი. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გორი.
4. **Bedianashvili, G. The COVID-19 Pandemic, Globalization, and the Socio-Economic System of the Country (Macro Aspect).** 8 თებერვალი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. თბილისი. https://www.researchgate.net/publication/359329475_The_COVID-19_Pandemic_Globalization_and_the_Socio-Economic_System_of_the_Country_Macro_Aspect

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Bedianashvili, G. Public Sector in Conditions of Modern Globalization**. Oktober 20. (In Teams Microsoft).

10th International Scientific Conference PUBLIC MANAGEMENT 2022: „The contemporary problems of management, defense, and security". Faculty of Management and Command War Studies University in Warsaw, Poland

- **ანოტაცია.** საკონფერენციო მოხსენებასი წარმოდგენილი იყო კვლევის შედეგები, საზოგადოებრივი სექტორის გაოწვევების შესახებ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. აღნიშნულია, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ყველა დონეზე მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის ფორმირება გრძელვადიანი პროგნოზირების ნაწილის არსებითი გაძლიერებით ეკონომიკის კერძო სექტორის დონეზე (სამეწარმეო საქმიანობა - ბიზნესი) - ბიზნესანალიტიკის, ხოლო, ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში - კომპლექსური მაკროეკონომიკური ანალიტიკის ფუნქციის გამოყოფით და განვითარებით.

2. **Bedianashvili, G. Uncertainty and Challenges of Small Countries in Modern Conditions of Globalization.** October 14,15. (In ZOOM). Daugavpils University, Daugavpils, Latvia. https://www.researchgate.net/publication/364334795_UNCERTAINTY_AND_CHALLENGES_OF_SMALL_COUNTRIES_IN_MODERN_CONDITIONS_OF_GLOBALIZATION
3. **Bedianashvili, G. Macroeconomic and Cultural Features of the Economic Crisis Caused by the Covid-19 Pandemic**. June 22. (In ZOOM). Kherson National Technic University. Kherson, Ukraine. https://www.researchgate.net/publication/363892128_MACROECONOMIC_AND_CULTURAL_FEATURES_OF_THE_ECONOMIC_CRISIS_CAUSED_BY_THE_COVID-19_PANDEMIC
4. **Bedianashvili, G. Modern Global Challenges and Uncertainty Factor in Management.** May 31. (In ZOOM). Kherson State Agrarian and Economic University (Ukraine), Kherson, Ukraine. https://www.researchgate.net/publication/362239188_MODERN_GLOBAL_CHALLENGES_AND_UNCERTAINTY_FACTOR_IN_MANAGEMENT

ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. მალხაზ ჩიქობავა, ნაზირა კაკულია, თეა ლაზარაშვილი

2. მალხაზ ჩიქობავა, ნაზირა კაკულია, თეა ლაზარაშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების ანტიინფლაციური პოლიტიკა და გლობალური რეცესიის საფრთხე

2. თანამედროვე მონეტარული პოლიტიკის შესახებ

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ჟურნალი „ეკონომისტი" #4, 2022 წ.

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", #3, 2022 წ.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი,
2. თბილისი, თსუ გამომცემლობა
5) გვერდების რაოდენობა
1. 14
2. 23

წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების ანტიინფლაციური პოლიტიკა და გლობალური რეცესიის საფრთხე

ანოტაცია: ჯერ კიდევ 2021 წლის შემოდგომის დასაწყისში ანალიტიკოსებისა და ექსპერტების უმრავლესობა დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ მომდევნო 2022 წელი უკეთესი იქნებოდა წინამორბედზე. მაგრამ, 2021 წლის ბოლო კვარტალში მრავალთათვის მოულოდნელად საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა კორექტივები შეიტანეს 2022 წლის მსოფლიო GDP-ის ზრდის შეფასებაში შემცირების მიმართულებით. საქმე ისაა, რომ მრავალთათვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა 2021 წლის ნოემბერსა და დეკემბერში. 2021 წლის 3 ნოემბერს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ გამოაქვეყნა გადაწყვეტილება „რაოდენობრივი შერბილების“ პროგრამის შეწყვეტის შესახებ, ხოლო 15 დეკემბერს გამოქვეყნდა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ „რაოდენობრივი შერბილების“ პროგრამის შემცირების სისწრაფე გაორმაგდებოდა. ფინანსური ბაზრების მონაწილეებისა და ბიზნესისათვის მოცემული გადაწყვეტილება ძალზე სერიოზული სიგნალი აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკური რეცესიის მორიგი სერიოზული ტალღის მიმართ მოლოდინების გასაჩენად.

მიმდინარე წლის მარტში საბაზისო განაკვეთის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჯერომი პაუელმა განაცხადა, რომ აშშ-ის ცენტრალური ბანკი ყველაფერს გააკეთებდა წლიური ინფლაციის 2%-მდე დასაყვანად. მისი სიტყვებით, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა არ განიხილავდა საბაზისო განაკვეთის 75 საბაზისო პუნქტით ზრდას. თუმცა ყველაფერი პირიქით მოხდა: ფედრეზერვმა ფედერალური ფონდების განაკვეთი 75 საბაზისო პუნქტით ზედიზედ ოთხჯერ გაზარდა და ჯერჯერობით, წლიურ ინფლაციასაც, რომლის მაჩვენებელი 8%-ს აღემატება, ვერაფერი მოუხერხა, რომ არაფერი ვთქვათ მის 2-3%-მდე შემცირებაზე.

ანალიტიკოსებს უჩნდებათ კითხვები: რამდენად ძლიერია ამერიკის ეკონომიკის ორგანიზმი, შეძლებს თუ არა ის გაუძლოს ინფლაციის საწინააღმდეგო წამალს, რომელსაც ეწოდება „მონეტარული გამკაცრება“? უმრავლესობის ვარაუდით, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას ძალიან მაღალი ალბათობით მოჰყვება გლობალური რეცესიის პროვოცირება.

თანამედროვე მონეტარული თეორიის შესახებ

ანოტაცია: სამეცნიერო პუბლიკაციებში მონეტარული ურთიერთობების პრობლემებზე, თანამედროვე მონეტარული თეორია განმარტებულია, როგორც შეხედულებათა სისტემა, რაც ჩამოყალიბებულია ბოლო ოცი წლის განმავლობაში ამერიკელი და ავსტრალიელი ეკონომისტების ჯგუფის, ძირითადად, უნივერსიტეტის პროფესორების მიერ. თანამედროვე

მონეტარული თეორიის განვითარებისა და პოპულარიზაციის მთავარ სტიმულად იქცა ამერიკული ეკონომიკის ისეთი პრობლემების დაძლევის მეცნიერული კონცეფციის შექმნის აუცილებლობა, როგორიცაა უზარმაზარი სახელმწიფო ვალის დაგროვება, ქრონიკული ბიუჯეტის დეფიციტი და უმუშევრობის მაღალი დონე. აღნიშნული თეორია გვთავაზობს ამ პრობლემების უნივერსალურ გადაწყვეტას.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მონეტარული თეორია შეიცავს პარადოქსულ დასკვნებსაც, მისი შესწავლა აუცილებელია. საქმე ისაა, რომ თანამედროვე მონეტარული თეორიის შემუშავებისას ფართოდ გამოიყენებოდა ანალიზის საბალანსო და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები. სწორედ მათი გამოყენების შედეგების თავისებურმა ინტერპრეტაციამ მიიყვანა თანამედროვე მონეტარული თეორიის ავტორები არაორდინარულ დასკვნებამდე.

მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია თანამედროვე მონეტარული თეორიის შედარებითი ანალიზი ჩარტალიზმთან, მარქსისტულ თეორიასა და კეინზიანურ მიმდინარეობასთან. ნაჩვენებია, თუ რამდენად ძალუძს აღნიშნულ თეორიას თანამედროვე გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისთან გამკლავება; სტატიაში გაანალიზებულია ასევე თანამედროვე მონეტარული თეორიის ძლიერი და სუსტი მხარეები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნაზირა კაკულია
2. ნაზირა კაკულა
3. ნაზირა კაკულია
4. ნაზირა კაკულია

2) მოხსენების სათაური

1. მდგრადი განვითარების ინდექსები და საქართველო.
2. რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.
3. გარემოსდაცვითი მდგრადობის ცალკეული საკითხები და სახელმწიფო პოლიტიკის ფექტიანობა.
4. სახელმწიფო პოლიტიკა და დასაქმების ტრანსფორმაციის პერსპექტივა საქართველოში.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 10 სექტემბერი, 2022 წ.
2. VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", რომელიც მიეძღვნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილეს. თსუ, 4 ნოემბერი, 2022 წ.
3. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკლულტეტი. საერტასორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „შრომის ბაზრის ახალი გამოწვევები: COVID -19 პანდემიის კონტექსტში".10 თებერვალი, 2022, ქუთაისი, საქართველო. IBSN 978-9941-495-51-94.

4. პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები“, თსუ, 27 ნოემბერი, 2022 წ.

ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მანანა ლობჟანიძე** – ,,უმუშევრობა ახალგაზრდებში და პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელობა“
VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში
ISBN 978-9941-36-061-9 (pdf) https://tsu.ge/assets/media/files/7-2022.pdf

2. **მანანა ლობჟანიძე - ,,**COVID-19 პანდემიის გავლენა სასწავლო მიგრაციაზე და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები” ISBN 978-9941-491-70-2 (pdf)
https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/2022---%20konferencia.pdf

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.სტატიაში გაანალიზებულია სწორი პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელობა ახალგაზრდების დასაქმებისათვის. უმუშევრობა ახალგაზრდებში მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. ცხოვრების დონის დაქვეითებასთან ერთად უფასურდება ადამიანური კაპიტალი, რომელიც სახელმწიფოს ან ოჯახის მიერ არის ინვესტირებული. ახალგაზრდა ადამიანი მორალურად ტრავმირებულია, საზოგადოება კი კარგავს იმ ეკონომიკურ დოვლათს, რისი მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა მათი შრომითი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებით. ახალგაზრდები მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისაგან გამოირჩევიან ჯანმრთელობით, განათლების დონით, პროფესიული მომზადებით, მობილურობით, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნებით და ა.შ. ყოველივე ეს განსაზღვრავს მათ ქცევას შრომის ბაზარზე. შემოთავაზებულია დასკვნები და რეკომენდაციები.

2. COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მიგრაციულ პროცესებში, აღსანიშნავია ცვლილებები სასწავლო მიგრაციის პროცესში. COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა გამოიწვია ცვლილებები სასწავლო პროცესში, რაც უარყოფითად აისახა სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე. საგანმანათლებლო პროცესი ნაწილობრივ ან მთლიანად გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე, დისტანციური სწავლება ახალი გამოწვევაა არა მხოლოდ საქართველოსთვის არამედ მსოფლიოსთვის. არ არსებობს პანდემიის მართვის გამოცდილება, COVID-19-ის პანდემიის წინაშე მოუმზადებელი აღმოჩნდა ჯანდაცვის და განსაკუთრებით კი განათლების სექტორი. არასაკმარისი კომპიუტერული ტექნიკის ქონა, ასევე არასაკმარისი ციფრული ტექნოლოგიების ფლობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა განათლების

სექტორისათვის. რეგიონებში საკმაოდ დიდი პრობლემაა ხარისხიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობა. რაც ყველაზე უარყოფითად სწორედ განათლების სექტორზე აისახა. დისტანციური სწავლების დროს სწავლების ხარისხი გაუარესდა.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ლობჟანიძე მ., ,,COVID-19 პანდემიის გავლენა ახალგაზრდების დასაქმებაზე და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები'' IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ,,მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები". 2022 წლის 9 სექტემბერი, გორი.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **lobzhanidze M.,** Kobalava M., (2022). The Impact of the Atypical Crisis on Educational Migration: Economic and Policy Challenges International Conference on Education System and Development of Countries. World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Educational and Pedagogical Sciences Vol:16, No:11. November 14-15, 2022 in Rome, Italy.

ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. მალხაზ ჩიქობავა, ნაზირა კაკულია, თეა ლაზარაშვილი

2. მალხაზ ჩიქობავა, ნაზირა კაკულია, თეა ლაზარაშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების ანტიინფლაციური პოლიტიკა და გლობალური რეცესიის საფრთხე

2. თანამედროვე მონეტარული პოლიტიკის შესახებ

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ჟურნალი „ეკონომისტი“ #4, 2022 წ.

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, #3, 2022 წ.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი,

2. თბილისი, თსუ გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

1. 14

2. 23

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების ანტიინფლაციური პოლიტიკა და გლობალური რეცესიის საფრთხე

ანოტაცია: ჯერ კიდევ 2021 წლის შემოდგომის დასაწყისში ანალიტიკოსებისა და ექსპერტების უმრავლესობა დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ მომდევნო 2022 წელი უკეთესი იქნებოდა წინამორბედზე. მაგრამ, 2021 წლის ბოლო კვარტალში მრავალთათვის მოულოდნელად საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა კორექტივები შეიტანეს 2022 წლის მსოფლიო GDP-ის ზრდის შეფასებაში შემცირების მიმართულებით. საქმე ისაა, რომ მრავალთათვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა 2021 წლის ნოემბერსა და დეკემბერში. 2021 წლის 3 ნოემბერს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ გამოაქვეყნა გადაწყვეტილება „რაოდენობრივი შერბილების“ პროგრამის შეწყვეტის შესახებ, ხოლო 15 დეკემბერს გამოქვეყნდა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ „რაოდენობრივი შერბილების“ პროგრამის შემცირების სისწრაფე გაორმაგდებოდა. ფინანსური ბაზრების მონაწილეებისა და ბიზნესისათვის მოცემული გადაწყვეტილება ძალზე სერიოზული სიგნალი აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკური რეცესიის მორიგი სერიოზული ტალღის მიმართ მოლოდინების გასაჩენად.

მიმდინარე წლის მარტში საბაზისო განაკვეთის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჯერომი პაუელმა განაცხადა, რომ აშშ-ის ცენტრალური ბანკი ყველაფერს გააკეთებდა წლიური ინფლაციის 2%-მდე დასაყვანად. მისი სიტყვებით, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა არ განიხილავდა საბაზისო განაკვეთის 75 საბაზისო პუნქტით ზრდას. თუმცა ყველაფერი პირიქით მოხდა: ფედრეზერვმა ფედერალური ფონდების განაკვეთი 75 საბაზისო პუნქტით ზედიზედ ოთხჯერ გაზარდა და ჯერჯერობით, წლიურ ინფლაციასაც, რომლის მაჩვენებელი 8%-ს აღემატება, ვერაფერი მოუხერხა, რომ არაფერი ვთქვათ მის 2-3%-მდე შემცირებაზე.

ანალიტიკოსებს უჩნდებათ კითხვები: რამდენად ძლიერია ამერიკის ეკონომიკის ორგანიზმი, შეძლებს თუ არა ის გაუძლოს ინფლაციის საწინააღმდეგო წამალს, რომელსაც ეწოდება „მონეტარული გამკაცრება“? უმრავლესობის ვარაუდით, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას ძალიან მაღალი ალბათობით მოჰყვება გლობალური რეცესიის პროვოცირება.

თანამედროვე მონეტარული თეორიის შესახებ

ანოტაცია: სამეცნიერო პუბლიკაციებში მონეტარული ურთიერთობების პრობლემებზე, თანამედროვე მონეტარული თეორია განმარტებულია, როგორც შეხედულებათა სისტემა, რაც ჩამოყალიბებულია ბოლო ოცი წლის განმავლობაში ამერიკელი და ავსტრალიელი ეკონომისტების ჯგუფის, ძირითადად, უნივერსიტეტის პროფესორების მიერ. თანამედროვე მონეტარული თეორიის განვითარებისა და პოპულარიზაციის მთავარ სტიმულად იქცა ამერიკული ეკონომიკის ისეთი პრობლემების დაძლევის მეცნიერული კონცეფციის შექმნის აუცილებლობა, როგორიცაა უზარმაზარი სახელმწიფო ვალის დაგროვება, ქრონიკული ბიუჯეტის დეფიციტი და უმუშევრობის მაღალი დონე. აღნიშნული თეორია გვთავაზობს ამ პრობლემების უნივერსალურ გადაწყვეტას.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მონეტარული თეორია შეიცავს პარადოქსულ დასკვნებსაც, მისი შესწავლა აუცილებელია. საქმე ისაა, რომ თანამედროვე მონეტარული თეორიის შემუშავებისას ფართოდ გამოიყენებოდა ანალიზის საბალანსო და ეკონომიკურ-

მათემატიკური მეთოდები. სწორედ მათი გამოყენების შედეგების თავისებურმა ინტერპრეტაციამ მიიყვანა თანამედროვე მონეტარული თეორიის ავტორები არაორდინარულ დასკვნებამდე.

მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია თანამედროვე მონეტარული თეორიის შედარებითი ანალიზი ჩარტალიზმთან, მარქსისტულ თეორიასა და კეინზიანურ მიმდინარეობასთან. ნაჩვენებია, თუ რამდენად ძალუძს აღნიშნულ თეორიას თანამედროვე გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისთან გამკლავება; სტატიაში გაანალიზებულია ასევე თანამედროვე მონეტარული თეორიის ძლიერი და სუსტი მხარეები.

საკვანძო ტერმინები: თანამედროვე მონეტარული თეორია, ჩარტალიზმი, ფულის მარქსისტული თეორია, კეინზიანური თეორია, ნეოკლასიკური თეორია, მეინსტრიმული მიმდინარეობა, ფისკალური პოლიტიკა, მონეტარული თეორია, სახელმწიფოს მონეტარული სუვერენიტეტი, სახელმწიფო ვალი, ინფლაცია, გარანტირებული დასაქმება.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მალხაზ ჩიქობავა
2. მალხაზ ჩიქობავა
3. მალხაზ ჩიქობავა
4. მალხაზ ჩიქობავა

2) მოხსენების სათაური

1. ოქროს მსოფლიო ბაზრის დინამიკა და გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მოსალოდნელი ტალღა
2. თანამედროვე მონეტარული თეორია, როგორც მეინსტრიმული პარადიგმის ალტერნატივა
3. მონეტარული თეორიის ახალი პარადიგმა და თანამედროვე გამოწვევები
4. პანდემიის ორი წლის ეკონომიკური შედეგები და „დიადი გადატვირთვის“ პერსპექტივები

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“ თსუ, 8 თებერვალი, 2022 წ.
2. IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 10 სექტემბერი, 2022 წ.
3. VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, “გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში”, რომელიც მიეძღვნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილეს. თსუ, 4 ნოემბერი, 2022 წ.
4. პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები“, თსუ, 27 ნოემბერი, 2022 წ.

ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ცარციძე მ. უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში. მონოგრაფია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ISBN 978-9941-36-011-4. თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 2022 წელი. 186 გვერდი;

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

უმუშევრობის დაძლევა და შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფა ნებისმიერი სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა. უმუშევრობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში განიხილება როგორც ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, ფენომენი, რომლის დაძლევის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის ნორმალური, ეფექტიანი ფუნქციონირება. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური შედეგები განიხილება ისეთ მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემებთან ერთად, როგორიცაა სიღარიბე და სოციალური სტაბილურობა. საქართველოში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და აქტუალური გამოწვევაა. იგი გვევლინება ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად. უმუშევარ მოსახლეობას შორის დომინანტია ახალგაზრდობა და უმაღლესი განათლების მქონე პირები. უმუშევრობას საზოგადოებისათვის მოაქვს საგრძნობი ნეგატიური სოციალური და ეკონომიკური შედეგები, რაც ადეკვატურად აისახება როგორც ეკონომიკური განვითარების საერთო პროცესზე, ისე ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხზე, თითოეული ინდივიდის ჯანმრთელობაზე, ქცევაზე, ხასიათზე, განწყობაზე, ფსიქიკაზე, საერთო ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობაზე.

ნაშრომში წარმოდგენილია უმუშევრობის, როგორც მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური კატეგორიის, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის და ფენომენის, სიღრმისეული კვლევა; განხილულია სამუშაო ძალის, უმუშევრობის აღრიცხვის მეთოდოლოგიური საფუძვლები (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად) და მისი ძირითადი ფორმები საქართველოში; შეფასებულია უმუშევრობის ბუნებრივი დონე და მასზე მოქმედი ფაქტორები; გაანალიზებულია უმუშევრობისა და სიღარიბის თანამედროვე მდგომარეობა; შესწავლილია უმუშევრობის გავლენა შრომით მიგრაციასა და შრომის ბაზრის არაფორმალურ სექტორზე. ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეფასებულია უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში.

ბუნებრივია, შრომის ბაზრის, დასაქმების, უმუშევრობისა და, საერთოდ, სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი კვლევებია განხორციელებული ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ, რაც გათვალისწინებულია და ასახულია ნაშრომის შესაბამის ნაწილში.

მონოგრაფია გათვალისწინებულია როგორც ეკონომიკური პროფილის სპეციალისტების, ისე დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.ცარციძე მ. მინიმალური ხელფასის ფორმირებისა და რეგულირების თავისებურებანი საქართველოში. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი“, N13, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი 2022წ. გვ.73-82. https://doi.org/ 10.35945/gb.2022.13.011. Murman Tsartsidze.pdf (eugb.ge). https://doi.org/10.35945/gb.2022.13.011

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, მიმდინარე გლობალური კრიზისის პირობებში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანისეული კაპიტალის განვითარებას, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, შრომის სტიმულირების პრინციპულად ახალი მექანიზმების შექმნას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს შრომის მწარმოებლურობის, მისი ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდას. აღნიშნული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის სრულყოფასა და მის ოპტიმალურ სახელმწიფო რეგულირებას. თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში ხელფასის რეგულირების სფეროში სახელმწიფოს როლი უფრო სოციალურია და მის ძირითად ფუნქციას მოსახლეობის შემოსავლების მინიმალური დონის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი კი უნდა განხორციელდეს რეალური საარსებო მინიმუმის, მინიმალური ხელფასის დადგენისა და მათ შორის ოპტიმალური თანაფარდობის დამყარების გზით. განვითარებულ ქვეყნებში მინიმალური ხელფასის რეგულირება ხორციელდება ეკონომიკური განვითარების, შრომის მწარმოებლურობის, საშუალო ხელფასის დონისა და მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის რეალური ღირებულების გათვალისწინებით (ცარციძე, 1999:125). მინიმალური ხელფასის კონკრეტული სიდიდე ეროვნულ დონეზე დგინდება ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ხოლო მისი სიდიდე ცალკეულ დარგში ან რეგიონში განისაზღვრება მეწარმეთა კავშირებსა და პროფკავშირების წარმომადგენლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით. მისი დადგენისას გაითვალისწინება: მომუშავეებისა და მათი ოჯახის წევრთა მოთხოვნილებები; ქვეყანაში ხელფასის საერთო დონე; ცხოვრების ღირებულება და მისი ცვლილება; ეკონომიკური განვითარების ფაქტორები; შრომის მწარმოებლურობის დონე და დასაქმების მაღალი დონის მიღწევისა და შენარჩუნების შესაძლებლობები. მინიმალური ხელფასის დადგენის მიზანია დაქირავებულ მომუშავეთა სოციალური დაცვა. მართლაც *„მინიმალური ხელფასი ისტორიულად სოციალური დაცვის იმგვარ მექანიზმს წარმოადგენს, რომელმაც დაბალანაზღაურებადი მშრომელები და მათი ოჯახები სიღარიბისგან უნდა დაიცვას“ (ხელაია, 2020:2).* პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის რადგანაც აქ დღემდე არ არსებობს მინიმალური ხელფასის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფილი მექანიზმი და მისი განმსაზღვრელი საკანონმდებლო ბაზა.

სამეცნიერო სტატიაში წარმოდგენილია მინიმალური ხელფასის ფორმირებისა და მისი რეგულირებას თავისებურებების, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის ანალიზი საქართველოში, საბჭოთა პერიოდიდან დღემდე. ჩამოყალიბებულია მინიმალური ხელფასის ფორმირების ძირითადი პრინციპები, მიზანი და ამოცანები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მინიმალური ხელფასის საკანონმდებლო წესით დადგენასთან დაკავშირებით მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებას. დასკვნით ნაწილში მოცემულია მინიმალური ხელფასის გაანგარიშებისა და მისი სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში.

2.<u>Tsartsidze Murman, Gabadadze Shota.</u> Determining and regulating the subsistence level Peculiarities in Georgia (საარსებო მინიმუმის განსაზღვრისა და რეგულირების თავისებურებანი საქართველოში). თსუ-ის რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშო-რისო სამეცნიერო-პრაქტი-კული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ‘‘Ekonomics and Business’’ ტომი XIV, N1, 2022წ. გვ. 37-66. <u>ekonomikadabiznesi1_22.pdf (tsu.ge)</u>. ISSN 1987 – 5789 ESSN 2587- 5426.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომკური პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაა. ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველო სოციალური სახელმწიფოა, რომელიც ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე, ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის სახელმწიფომ შეიმუშავა მიზნობრივი სოციალურ პოლიტიკა, რასაც სხვა მნიშვნელოვან სოციალურ ნორმატივებთან ერთად, საფუძვლად დაედო საარსებო მინიმუმი. სწორედ ესაა ქვეყნის მოქალაქეთა სოციალური დაცვისა და სოციალური გარანტიების საფუძველი, მიმართული მოსახლეობის ნაკლებადუზრუნველყოფილი ნაწილის მხარდასაჭერად, რასაც რეალურად მოაქვს მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვლილება. სამეცნიერო სტატიაში წარმოდგენილია საქართველოში საარსებო მინიმუმის განსაზღვრისა და რეგულირების ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლების მიმოხილვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მისი ფორმირების, გამოყენებისა და გადასინჯვის პრინციპებს. გაანალიზებულია საარსებო მინიმუმის გაანგარიშების არსებული მეთოდოლოგია, გამოკვეთილია ამ სფეროში არსებული ხარვეზები, დასაბუთებულია მისი სრულყოფის აუცილებლობა და ჩამოყალიბებულია ამ მიმართულებით გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებები. ნაშრომში ასევე მოცემულია საარსებო მინიმუმის, მინიმალური სამომხმარებლო კალათის სტრუქტურული ანალიზი საქართველოსა და მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, გლობალური პანდემიის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური კრიზის შედეგებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის, თავისებურებების გათვალისწინებით, გაანგარიშებულია საარსებო მინიმუმის რეალური დონე, მინიმალური სამომხმარებლო კალათის სტრუქტურის (თანაფარდობა სასურსათო და არასასურსათო კალათას შორის) ცვლილების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: ცხოვრების დონე, საარსებო მინიმუმი, მინიმალური სასურსათო კალათა, არასასურსათო კალათა, სოციალური დაცვა, სოციალური პოლიტიკა.
JEL Codes: I30, I31, I38
7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.**ცარციძე მ. ტყემალაძე ი.** დასაქმების ფორმების ტრანსფორმაცია გლობალური პანდემიის პირობებში. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „COVID 19 პანდემია და ეკონომიკა“, 08.02.2022წ. შრომების კრებული. გვ. 396-406. https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/2022---%20konferencia.pdf;
2.**ცარციძე მ.** მინიმალური ხელფასი საქართველოში. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. 4-5 ნოემბერი, 2022 წელი. https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle.pdf;

ასოცირებული პროფესორი მზია შელია

5. **ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში**
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
მზია შელია. საქართველოს სტუდენტობა სოციალურ-შრომით და დემოგრაფიულ პრიზმაში(2022). უნივერსალი, თბილისი. 123 გვ. ISBN 978-9941-33-268-5
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
მონოგრაფიაში კრიტიკულადაა გაანალიზებული სტუდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიურისაკითხები, სოციალურ-შრომითი და დემოგრაფიული თავისებურებები,დასაქმების პრაქტიკა, პროფესიული ინტერესები და ტერიტორიულიმობილობა. ნაშრომი ავტორის მიერ ბოლო ათწლეულში ჩატარებული მრავალი კვლევის განზოგადებაა და გათვალისწინებულიაროგორც სტუდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის მკვლევართათვის,ისე, ზოგადად, ახალგაზრდობის პრობლემებით დაინტერესებული მკითხველისათვის.
5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მზია შელია, მირიან ტუხაშვილი. კახეთის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება.**
ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი. # 4. 2022.თსუ. ISSN 1987-5789. 11 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ბოლო ორმოცდაათი წელია საქართველო უკვე დემოგრაფიულად დაბერებული ქვეყანაა. მისი მრავალფეროვანი ბუნებრივ გეოგრაფიული ლანდშტაფი და ეთნიკურ-რელიგიური სიჭრელე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ ქვეყნის დემოგრაფიული და ეკონომიკური განვითარების რეგიონულ თავისებურებებს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ცალკეული რეგიონის მოსახლეობაში მიმდინარე ცვლილლებების სიღრმისეული შესწავლა რეგიონული შრომის ბაზრის რაციონალური ფუნქციონირების აუცილებელი წინაპირობაა.

კვლევისას საანალიზოდ აღებული იქნა ის საინფორმაციო ბაზა, რომელსაც იძლევა სტატისტიკის ეროვნული სამსახური როგორც მოსახლების საყოველთაო აღწერების, ისე მიმდინარე აღრიცხვის მეშვეობით. კვლევის არეალად შეირჩა კახეთის მხარე - საქართველოს წამყვანი სასოფლიო-სამეურნეო რეგიონი, რომელსაც სამი მხრიდან სახელმწიფო სახმელეთო საზღვარი გასდევს. ის ხასიათდება კონტრასტული კლიმატით, რთული ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურით და დემოგრაფიული დაბერების მაღალი ტემპით.

კლევით დადგინდა, რომ კახეთის მხარემ 1959 წლიდან გადალახა დემოგრაფიული სიბერის ზღვარი. კერძოდ, 60 წლისა და უფროსი ადამიანების წილი 12% და მეტია. 2014 წლის მოსახლეობის აღწერით, მოსახლეობის მედიანური ასაკი 41 წელი იყო. 1990-იანი წლებიდან დაწყებული ინტენსიური დეპოპულაციური პროცესის გამო, რომელიც დღემდე გრძელდება, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა კიდევ უფრო დეფორმირებული გახდა, გაიზარდა მედიანური ასაკიც. პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რასაც მოჰყვა ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა გამოიწვია მოსახლეობის ზეინტენსიური ემიგრაცია, როგორც საქართველოს შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. რეგიონმა დიდი რაოდენობით კვალიფიციური სამუშაო ძალა დაკარგა.

მოკვდაობის ანალიზმა გარდაცვალების მიზეზების მიხედვით, გამოავლინა, რომ კახეთში, როგორც დანარჩენ საქართველოში, გარდაცვალების უპირველესი მიზეზი გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებია. ამას, მოსდევს კიბო, სასუნთქი სისტემის დაავადებები, ტრავმები და მოწამვლები. პანდემიამ თავისი დააღი დაასვა ამ რეგიონსაც. თუ 2020 წელს კახეთი ლამის „მწვანე ზონად“ მოინათლა, 2021 წელს კორონავირუსით გარდაცვალებულთა რიცხვი, მხოლოდ გულსისხლძარღვთა დაავადებებით გარდაცვლილებს ჩამორჩება. აღსანიშნავია ისიც, რომ გარდაცვალების სხვა მიზეზებისაგან განსხვავებით, 2015 წლიდან მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა სასუნთქი გზების დაავადებებით გარდაცვალება. ეს ტენდენცია დღემდეა შენარჩუნებული, რაც გასათვალისინებელია ჯანდაცვის რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისას.

კახეთის მოსახლეობის ანალიზმა მუნიციპალიტეტების მიხედვით გამოავლინა, რომ ყველა მათგანი დემოგრაფიული სიბერის განსაკუთრებით მაღალი დონით ხასიათდება. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ქიზიყი, კერძოდ, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები. აქ ყოველი მესამე მკვიდრი 60 წლისა და უფროსი ასაკისაა.

კახეთის მხარეში მეტად დიდია 80 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 60 წლისა და უფროსი ასაკის მთელ მოსახლეობაში(17%). დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 60 წელს გადაცილებულ მოსახლეობაში ყოველი მეხუთე ადამიანი 80 წლისა და უფროსი ასაკისაა, რაც მიუთითებს მოსახლეობის დაბერების დიდ სიღრმეზე. რაც შეეხება 100 წლისა და უფრო ასაკის

ადამიანების რაოდენობას, ამ მხრივ კახეთი არაა გამორჩეული რეგიონი. აქ ასეთი მხოლოდ 16 კაცია.

საბოლოოდ დადგინდა, რომ ბოლო 80 წლის მანძილზე კახეთის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციის უწყვეტი პროცესი მიმდინარეობს, რაც ვლინდება მოსახლეობის დაბერებაში. შესაბამისად, საპენსიო ასაკის მოსახლეობის ზრდაში, რაც განპირობებულია ამ მხარიდან მოსახლეობის ინტენსიური ემიგრაციით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქცეყნის გარეთ. არსებული გარემოება აისახა სამუშაო ძალის მიწოდებაზე მოცემულ რეგიონში.

კახეთის მხარის საზღვრისპირა დასახლებები უწყვეტი დეპოპულაციის პროცესით ხასიათდება. ადგილობრივი შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება ზრდის მოსაზღვრე ქვეყნების მჭიდროდ დასახლებული ქვეყნები ე. წ. „დემოგრაფიულ დაწოლას“, რაც საზღვრებზე მიმოსვლის ლიბერალიზაციის შემთხვევაში გამოიწვევს იქიდან მოსახლეობის ინტენსიურ შემოდინებას და ეთნიკონფლიქტებით გაჯერებულ კავკასიაში პოლიტიკური ვითარების დაძაბვას.

კახეთის მხარის დემოგრაფიული განვითარების სტაბილურობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების სპექტრის რადიკალურ გაფართოებას, ეკონომიკის მიზანმართულ დარგობრივ დივერსიფიკაციას. მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე ორიენტაცია ვერ შეაჩერებს ზეინტენსიურ მიგრაციულ პროცესს. ხელსაყრელად ფორმირებული მჭიდროდ დასახლებული ზოლოვანი განსახლების სისტემა აადვილებს მაღალურბანული მომსახურების ფორმირებას, რასაც ხელს შეუწყობს თანამედროვე საავტომობილო გზების ქსელის მშენებლობის დამთავრება, რეკრეაციულად ხელსაყრელ სასოფლო დასახლებებში კომფორტული საცხოვრებელი პირობების ფორმირება, ამ რეგიონის კულტურული საყოფაცხოვრებო პირობების გამოთანაბრება მსხვილი ქალაქების დონესთან. ყოველივე ეს ქმნის ყველა პირობას კახეთის მხარეში ფორმირდეს ე.წ. „სტაციონარული მოსახლეობის“ მოდელი.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. **საქართველოში**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **მზია შელია. მირიან ტუხაშვლი.კახეთის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება.**

საქართველოს ეკონომისტთა IV ეროვნული კონფერენცია "მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები".გორი, 2022 12. 09

ასისტენტ პროფესორი მარინა ტაბატაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

(არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი,

გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მარინა ტაბატაძე , „ეკონომიკური მდგრადობის გლობალური და ეროვნული სტანდარტები“

ჟურ. ეკონომისტიEKONOMISTI N4, 2022, 10გვ
DOI:10.36172/ EKONOMISTI E ISSN 2346-8432 Print ISSN 1987-6890

ანოტაცია

თანამედროვე ინტეგრაციულმა პროცესებმა ეკონომიკური კრიზისების გაამწვავა, რამაც მათი რაციონალური მართვის, ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავების და კონფლიქტურ გარემოში ხელისუფლების ოპტიმალური ფუნქციონირების საკითხების გააქტიურება გამოიწვია. გლობალურმა სისტემებმა ქვეყნების მომავალი მნიშვნელოვნად გახადეს დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად პოზიციონირებენ ისინი მსოფლიო ეკონომიკაში, რა დოზით შეუძლიათ თანამედროვე ინტეგრაციული პროცესებთან ადაპტირება, ეკონომიკის ციკლური განვითარების შედეგების სწორი პროგნოზირება და მაკროეკონომიკურ დისპროპორციებზე ეფექტიანი რეაგირება. ნაშრომში განხილულია ინტეგრაციული პროცესების მართვის თანამედროვე სტრატეგიები, კრიზისის რეგულირების და პოსტკრიზისული რეაბილიტაციის ეროვნული სტანდარტები.

ნაშრომში მოცემულია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური პროცესების პრიორიტეტული მმართველობითი სტანდარტები და ეკონომიკის სტაბილიზაციის სტრატეგიები, კრიზისულ გარემოში გლობალური ეკონომიკური სისტემების სწორი კოორდინირების და ხელისუფლების დონეებს შორის ფუნქციების ოპტიმალური განაწილების საკითხები. ნაშრომში განხილულია თანამედროვე ეკონომიკის მართვის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების შესახებ კონცეპტუალური მიდგომები, შეფასებულია ეროვნული ანტიკრიზისული რეფორმები და გლობალურ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის საკითხები, ეკონომიკის ანტიკრიზისული მართვის და რეფორმისშემდგომი ფუნქციონირების ოპტიმიზაციის მექანიზმები. ეროვნული ეკონომიკის პროგნოზები წარმოდგენილია საერთაშორისო და ევროკავშირის საექსპერტო შეფასებების, სარეიტინგო ორგანიზაციების და მკვლევართა მოსაზრებების საფუძველზე.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მარინა ტაბატაძე კრიზისის მართვის მონეტარული მექანიზმების თანამედროვე პრიორიტეტები, ჟურ. „ეკონომიკა, ბიზნესი და ადმინისტრირება“, N2, 2022.11გვ. (126-137),

ანოტაცია

თანამედროვე ანტიკრიზისული სტრატეგია მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება.

შეუძლებელი ხდება კრიზისის მართვის ერთიანი უნიფიცირებული მოდელის შემუშავება, იზრდება არაეკონომიკური ხასიათის კრიზისწარმომქმნელი ფაქტორების როლი, რთულდება კრიზისის შედეგების და, შესაბამისად, ანტიკრიზისული სტრატეგიის ეფექტის სწორი პროგნოზირება. ქვეყნების ეკონომიკის პოსტკრიზისული რეაბილიტაციის წარმატება მნიშვნელოვნად ხდება დამოკიდებული არა მხოლოდ საკუთარი გეგმის ეფექტურ

რეალიზაციაზე, არამედ, ზოგადად, გლობალური ეკონომიკის სპეციფიკაზე, მსოფლიო ბაზრების მიერ კრიზისის უარყოფითი შედეგების დაძლევის უნარზე. პრობლემების გლობალური ხასიათი ახალი მიმართულების მეცნიერულ კვლევებს და მათ კოორდინაციას მოითხოვს, პრიორიტეტად კომპლექსური ანტიკრიზისული სტრატეგიების და სახელმწიფო პოსტკრიზისული პლატფორმების შემუშავება განისაზღვრა. ანტიკრიზისულ სტრატეგიაში ყველაზე ქმედითი კომპონენტი ეკონომიკის მართვის მონეტარული ინსტრუმენტები გახდა, ეკონომიკის წარმატებული ფუქციონირების განმსაზღვრელ ფაქტორად გაცვლითი კურსის, საპროცენტო განაკვეთის და ინფლაციური პროცესების რეგულირება იქცა.

ნაშრომში განხილულია ინტეგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვის ფინანსური სტრატეგიები, გაანალიზებულია ხელისუფლების მონეტარული მექანიზმების გავლენა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებაზე, განხილულია ანტიკრიზისული პოლიტიკის მონეტარული სტრატეგიები, მისი საპროგნოზო შედეგები და ფინანსური სტაბილიზაციის გეგმები. სტატიაში მოცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის თანამედროვე მონეტარული სტრატეგია და ძირითადი პრიორიტეტები. გაანალიზებულია ანტიკრიზისული სავალუტო ინსტრუმენტები და მათი გამოყენების მექანიზმები საქართველოში.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
(არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით
(არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. თანდილაშვილი, ნ., ტაბატაძე, მ. (2022) საერთაშორისო კლასიფიკატორების გავლენა უნივერსიტეტებზე (ინგლისურ ენაზე), Tertiary Education and Managament, vol 28 (4). ბეჭდურიISSN: 1358-3883, ონლაინ ISSN: 1573-1936

ანოტაცია

სტატიაში განხილულია უნივერსიტეტების საერთაშორისო კლასიფიკატორების გავლენა უნივერსიტეტების ფუნქციონირებაზე. 2000იანი წლების დასაწყისში საერთაშორისო მაშტაბის კლასიფიკატორები და რეიტინგების გამოჩენამ დიდი ცვლილებები გამოიწვია. უამრავი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა ამ სიახლეს და მის შესაძლო გავლენას აკადემიურ სამყაროზე. განსაკუთრებით კრიტიკულად მიიჩნეოდად კლასიფიკატორების შესაძლო გავლენა სამეცნიერო მუშაობაზე. ორი ათწლეულის შემდეგ კვლავ მწირია კვლევა, რომელიც კლასიფიკატორების რეალურ გავლენას შეისწავლის. შესაბამისად, სტატიის მიზანია რეალური ცვლილებების აღწერა და გაანალიზება რამდენიმე უნივერსიტეტის მაგალითზე.

სტატია გამიხილავს სამი, განსხვავებული აკადემიური პროფილის ევროპული უნივერსიტეტის მაგალითს. Nvivo პროგრამით დამუშავებულია ვრცელი თვისობრივი მასალა: ინტერვიუები, უნივერსიტეტების ბიუჯეტები, წლიური ანგარიშები, შიდა განაწესები და ა.შ. კვლევის შედეგად ორი პროფილის უნივერსიტეტი გამოიკვეთა: ერთი მხრივ

უნივერსიტეტი, რომელიც წარმატებით არის წარმოდგენილი მთავარ საერთაშორისო კლასიფიკატორებში. ასეთ შემთხვევაში გავლენა მინიმალურია. მეორე მხრივ უნივერსიტეტი, რომელსაც არასახარბიელო ადგილი უჭირავს, ან საერთოდ არ ფიგურირებს. ამ შემთხვევაში კლასიფიკატორების გავლენა დიდია და ეს უნივერსიტეტის ფუნქციონირების ყველა ასპექტს შეიძლება ეხებოდეს: ადმინისტრაციული, აკადემიური, ა.შ.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

1. ეკონომიკის პოსტკრიზისული რეგულირების სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია
თსუ მე-7 საერთაშორისო სამეცნ.კონფერენცია "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", 4-5 ნოემბერი, 2022წ http://sciencejournals.ge/index.php/bu/index
2. ფინანსური სტაბილიზაციის სახელმწიფო ანტიკრიზისული სტრატეგია
თსუ, პაატა გუგუშვილის სახ.საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკის ინოვაციური
განვითარება:მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები". 27.11.2022
3. კრიზისის მართვის მონეტარული მექანიზმების თანამედროვე პრიორიტეტები მე-4 ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია, გორი, 9 .09.2022
4. პანდემიური კრიზისის მართვის ევროკავშირის პოლიტიკა
სტუ, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები", 28-29 მაისი, 2022 წელი, თბილისი

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***ეკონომეტრიკის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი ***იური ანანიაშვილი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი აკაკი არსენაშვილი
ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე
ასოცირებული პროფესორი ნინო მიქიაშვილი
ასოცირებული პროფესორი ლია თოთლაძე

პროფესორი იური ანანიაშვილი

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1) ავტორი/ავტორები

1. **იური ანანიაშვილი**

2) სტატიის სათაური: **ბაზრის მოდელის შეფასება შეზღუდული ინფორმაციის პირობებში**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი, ISSN

1. **ეკონომიკა და ბიზნესი** , ტომი XV, #4, 2022, ISSN 1987-5789

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

5) გვერდების რაოდენობა **22**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნებისმიერი სტანდარტული ბაზრის დასახასიათებლად, ზოგად შემთხვევაში, საჭიროა მინიმუმ ორი განტოლებისაგან შემდგარი მოდელი, რომელშიც ერთი განტოლება უნდა აღწერდეს შესაბამის საქონელზე ან რესურსზე მოთხოვნის, მეორე განტოლება კი - მიწოდების კანონზომიერებას. უმარტივეს შემთხვევაში, როცა მოთხოვნასა, Q^D, და მიწოდებაზე, Q^S, ზემოქმედი ყველა ფაქტორი, ფასის, P-ს, გარდა, დაფიქსირებულია და საქმე გვაქვს ტიპურ ბაზართან, ასეთი მოდელის ვარიანტს შემდეგი სახე აქვს:

$$Q^D = D(P),\ \ Q^S = S(P),\ \ D'(P) < 0,\ \ S'(P) > 0\,,$$

სადაც $D(P)$ და $S(P)$ ფასის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნისა და მიწოდების ფუნქციებია. როცა ამ ფუნქციების კონკრეტული სახე ცნობილია, ადვილად განისაზღვრება ბაზრის წონასწორობის წერტილი (თუკი ასეთი არსებობს) შემდეგი განტოლების გამოყენებით $D(P) = S(P)$.

როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, $D(P)$ და $S(P)$ ფუნქციების კონკრეტული სახე უცნობია და მათ შესაფასებლად პრაქტიკაში უნდა მივმართოთ ეკონომეტრიკულ მოდელირებას, რომელიც თავისთავად გულისხმობს ორ გარემოებას: 1) ზემოთ მოყვანილი სისტემის გარდაქმნას რეგრესიული განტოლებებისგან შემდგარ მოდელად; 2) მოდელში შემავალი Q^D , Q^S და P ცვლადების შესახებ დაკვირვების $Q_i^D, Q_i^S, P_i, i = 1,2,\cdots,n,$ მონაცემების მიღებას.

ამ გარემოებებიდან პირველი – რეგრესიულ სისტემად გარდაქმნა – მარტივად წყდება ნულოვანი ლოდინის მქონე ε^D და ε^S შემთხვევითი წევრების ჩართვით შესაბამის განტოლებებში: $Q^D = D(P) + \varepsilon^D$, $Q^S = S(P) + \varepsilon^S$. გაცილებით რთული გადასაწყვეტია მეორე გარემოება – Q^D , Q^S და P ცვლადების შესახებ დაკვირვების მონაცემების განსაზღვრა. პრობლემა ის არის, რომ ბაზრის მოდელის ანალიზისას, თუ სპეციალურად არ ტარდება ბაზრის სუბიექტების გამოკვლევა, იშვიათად მიგვიწვდება ხელი უშუალოდ მოთხოვნისა და მიწოდების განცალკევებულ Q_i^D და Q_i^S მნიშვნელობებზე. არსებული სტატისტიკური სისტემა, როგორც წესი, ფასის მნიშვნელობებთან ერთად ინფორმაციას იძლევა გაყიდვების ფაქტობრივი მოცულობის ცვლადის, Q-ს, შესახებ და არა იმის შესახებ, როგორი იყო ამა თუ იმ ფასის პირობებში კონკრეტულად მოთხოვნა, Q_i^D, და მიწოდება, Q_i^S. ასეთ სიტუაციაში, თუ სხვა დამატებითი ინფორმაცია მოცემული არ არის, ბაზრის მოდელის როგორც მოთხოვნის ასევე მიწოდების ფუნქციები ერთობლიობაში არაიდენტიფირებადად ითვლება. პრობლემის გადაწყვეტის სტანდარტული მიდგომა, რომელიც ფართოდ გამოიყენება, გულისხმობს ბაზრის მოდელის სპეციფიკაციის ცვლილებას განტოლებებში დამატებითი ფაქტორული ცვლადების

ჩართვის გზით და დაშვების შემოღებას, იმის შესახებ, რომ Q-ს მოცემული დაკვირვებადი მნიშვნელობები, შესაბამის ფასებთან ერთად, ბაზრის წონასწორობის მდგომარეობებს შეესაბამება ანუ ადგილი აქვს ტოლობებს: $Q_i^D = Q_i^S = Q_i,\ i = 1,2,\cdots,n.$

სტატიაში შემოთავაზებულია ტიპური ბაზრის რეგრესიული განტოლებებისგან შემდგარი მოდელის შეფასების განსხვავებული მეთოდი, რომელიც, ბაზრის მექანიზმის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოთხოვნისა და მიწოდების ფუნქციების ნაწილობრივი ან სრული იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხელმისაწვდომია მხოლოდ ფასებისა და გაყიდვების მონაცემები. ტრადიციული მიდგომებისაგან განსხვავებით შემოთავაზებული მეთოდი ეფუძნება დაშვებას, რომ მონაცემთა მოცემულ Q_i, P_i, $i = 1,2,\cdots,n$, შერჩევაში შემავალი ფასისა და რაოდენობის ყოველი წყვილი შეიძლება ბაზრის წონასწორობას არ ასახავდეს.

მოდელის განტოლებების შეფასება ორ ეტაპად ხდება. პირველ ეტაპზე ფასებისა და გაყიდვების მონაცემებისაგან შემდგარი შერჩევით ვაფასებთ **გაყიდვების წირს** და ვსაზღვრავთ მისი მაქსიმუმის წერტილს, რომელიც ბაზრის შესაძლო წონასწორობის წერტილს შეესაბამება. მეორე ეტაპზე, წონასწორობის წერტილის მდებარეობის გათვალისწინებით, მონაცემების მთლიან შერჩევაში სპეციალური მეთოდიკით გამოვყოფთ მოთხოვნისა და მიწოდების განმსაზღვრელ ქვეშერჩევებს და ვაგებთ მათ შესაბამის განტოლებებს.

მეთოდის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა სტატიაში ილუსტრირებულია საქართველოს შრომის ბაზრის მაგალითზე. დასაქმებულთა რაოდენობისა და რეალური ხელფასის 2010-2021 წლების კვარტალური მონაცემებით შეფასებულმა სამუშაო ძალის **დასაქმების წირის** განტოლებამ გვიჩვენა, რომ საქართველოს ეკონომიკის შრომის ბაზარის წონასწორობას შეესაბამებოდა 2013 წლის მე-3 კვარტალის მდგომარეობა. ამ ინფორმაციის საფუძველზე შრომის მიწოდების ფუნქციის შესაფასებლად გამოვიყენეთ მონაცემები 2010 წლის პირველი კვარტლიდან 2013 წლის მე-3 კვარტლამდე ჩათვლით, დარჩენილი მონაცემებით კი შევაფასეთ შრომაზე მოთხოვნის ფუნქცია. შეფასებული ფუნქციების მიხედვით, საანალიზო პერიოდში საქართველოში რეალური ხელფასის 100 ლარით ზრდა განაპირობებდა შრომის მიწოდების 5,2%-ით ზრდას, ხოლო შრომაზე მოთხოვნის 5,6%-ით კლებას.

7.1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

იური ანანიაშვილი

2) მოხსენების სათაური:

ეკონომეტრიკული მოდელირების თანამედროვე გამოწვევები

3) ფორუმის დასახელება

საქართველოს ეკონომისტთა IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები“

4) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი:

9 სექტემბერი, 2022 წელი, ქალაქი გორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

იური ანანიაშვილი

2) მოხსენების სათაური:

საქართველოს შრომის ბაზრის წონასწორობის შეფასების ეკონომეტრიკული მოდელი

3) ფორუმის დასახელება

მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში".

4) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი:

4-5 ნოემბერი, 2022 წ, თბილისი, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასოცირებული პროფესორი აკაკი არსენაშვილი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **A.I. Arsenashvili, „Modeling of the economic-political systems", The Business and Management Review, Volume 13 Number 1, April 2022**.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ა. არსენაშვილი „ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის მოდელირება". ანოტაცია ეკონომიკური სისტემა იმ საშუალებათა ერთობლიობაა, რომელთა კომპლექსური მოქმედება უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას დროის ყოველ მომენტში მოცემული ინტერვალიდან. ეკონომიკური სისტემა არის ოპტიმალური, თუ იგი მინიმალური დანახარჯებით სავსებით აკმაყოფილებს საზოგადოების ყველა ძირითად მოთხოვნილებას. სტატიაში მოცემულია ეკონომიკური სისტემის მათემატიკური მოდელი. მოყვანილია ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის, გრადიენტული ეფექტიანობის, ოპტიმალურობის, კვაზიოპტიმალურობის და ინტეგრალურად კვაზიოპტიმალურობის პირობები. განმარტებულია რაციონალური, იდეალური, საიმედო, სარისკო და მიუღებელი ეკონომიკური სისტემები. ჩამოყალიბებულია ეკონომიკური სისტემის ოპტიმალური მართვის ამოცანა. ჩამოყალიბებული ამოცანისთვის მიღებულია ოპტიმალური მართვის აუცილებელი პირობები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **A.I. Arsenashvili, „Modeling of the economic-political systems“ , 11th CBER-MEC International Conference on Business and Economic Development, (ICBED) 11-12 April 2022.**

ასოცირებული პროფესორი ნინო მიქიაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. მიქიაშვილი ნ.
2) სტატიის სათაური, ISSN
1. სიღარიბე, როგორც სოციალური პრობლემა და მისი შეფასების სირთულეები, ISBN 978-9941-36-061-9
2. გლობალური პანდემიის მოდელირების რამდენიმე ასპექტი გვ.463-470, IBSN 978-9941-495-51-9
3. INNOVATIONS AS A BASIS FOR MACROECONOMIC STABILITY, ISBN 978-966-926-416-9 pp. 261-265
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. VI I საერთაშორისო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული
2. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციის ”შრომის ბაზრის ახალი გამოწვევები: COVID-19 პანდემიის კონტექსტი” მასალათა კრებული
3. Proccedings of VI International conference “STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT”
(SIMM-2022)
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცელობა
2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. Kyiv National Economic University named after Vadym Hetman
5) გვერდების რაოდენობა
1. 314-320
2. 463-470
3. 261-265

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სოციალური სახის პრობლემები მსოფლიო დონის გამოწვევების რანგ ში რჩება.განსაკუთრებით მწვავეა ეკონომიკურ უთანასწორობასთან მჭიდროდ დაკავ შირებული სიღარიბის საკითხი, რომელიც მსოფლიოს მას შტაბით გადაუჭრელია. სოციალური პრობლემების უმრავლესობის მიზეზი და საწყისი სიღარიბესა და სიღატაკე შია. სწორედ ამიტომ, მსგავს ჯგუფებზე ზემოქმედება და მათი რიცხოვნობის შემცირება თანმდევად

გაამარტივებს სოციალური პრობლემების მოგვარებას. ღარიბი ადამიანი ან ოჯახი მოკლებულია საბაზო მოთხოვნილებების
დაკმაყოფილების შესაძლებლობას. სიღარიბე სხვადასხვა კრიტერიუმით ფასდება და მნიშვნელოვანია შეფასების სისტემა ადეკვატურად ასახავდეს რეალურ მდგომარეობას. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულია გარკვეული რეკომენდაციები, თუმცა, ამასთან,აუცილებელია კონკრეტული ქვეყნისა თუ რეგიონის თავისებურებების გათვალისწინება. სიღარიბის შეფასების დროს შერჩევითი ერთობლიობის მიხედვით ჩატარებული კვლევის მონაცემების ექსტრაპოლაცია გენერალურ ერთობლიობაზე ხდება შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების საშუალებით. როგორც წესი, გაითვალისწინება დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მონაცემები. არსებული დიფერენციაციის შედარებით შეჯერებული შემფასებელია ე.წ.კორექტირებული (ეკვივალენტური) მას შტაბის მეთოდი, ხოლო სიღარიბის გავრცობის ხარისხი დგინდება დაბალი შემოსავლების (გასავლების) დეფიციტის, სიღარიბის სიმწვავის და სიღრმის ინდექსების საშუალებით, რეგრესიული მოდელებით კი ხორციელდება სიღარიბის შეფასება და პროგნოზირება. სიღარიბის შეფასების მეთოდების მრავალფეროვნება გამოწვეულია იმ პრობლემებით, რომელიც თავს იჩენს კონკრეტულ დროსა და სივრცე ში. ისინი მხოლოდ კომპლექსური და მიზანმიმართული მუ შაობის შედეგად დაიძლევა, რა შიც მნი შვნელოვან როლს მეცნიერულად დასაბუთებული შეფასების სისტემაც ასრულებს.

2. მსოფლიო ეკონომიკაზე პანდემიის გავლენა საუკუნეებისადა მიხედვით განსხვავებულია. დაავადების ტიპი, მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა, სამკურნალო მეთოდების ადეკვატურობა, მედიკამენტების არსებობა და სხვა ფაქტორები ზემოქმედებდნენ პანდემიის ხანგრძლივობასა და სიმწვავეზე. 21-ე საუკუნის პანდემიებს შორის აღსანიშნავია კაცობრიობის ყველაზე დიდი გამოწვევა, Covid-19. კვლევის მიზანი. გლობალური პანდემიის ანალიზისა და პროგნოზირების პროცესში აქტიურად გამოიყენება ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები. კვლევის მიზანია გლობალური პანდემიის მოდელირების პრობლემური საკითხების განხილვა ბაიეზური ვექტორული ავტორეგრესიული მოდელის (BVAR) მიხედვით. კვლევის მეთოდი. კვლევა ეფუძნება მეცნიერ-ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა თეორიული და გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევებს, სამეცნიერო-პრაქტიკულ ნაშრომებს, საერთაშორისო პუბლიკაციებსა და მოხსენებებს. კვლევის მეთოდოლოგიური
საფუძველია ეკონომიკური ანალიზის, შედარებითი ანალიზის, ანალოგიის, ინდუქციის, დედუქციის, ეკონომიკური სიმულაციის, მათემატიკურ-სტატისტიკური კვლევის მეთოდები და მოდელები. კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილებულია მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების პრობლემატიკაზე. შედეგები. გლობალური ეკონომიკის მოდელირების მოდელი ითვალისწინებს არამარტო ეკონომიკური ცვლადების სტოხასტურ ბუნებას, არამედ იმ შემთხვევითობასაც, რაც თან ახლავს ეკონომიკურ ცვლადთა შორის ურთიერთკავშირებს. BVAR მოდელი უფრო მოქნილია მკაცრი შეზღუდვების მქონე სტრუქტურულ მოდელებთან შედარებით და არის შესაფერისი ინსტრუმენტი მონაცემთა დიდი ნაკრების მოდელირებისთვის. დასკვნები. გლობალურ ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებზე დაფუძნებით შესაძლებელია პანდემიის პროგრესის პროგნოზირება, დაავადების გავრცელების წინააღმდეგ ჩარევის ეფექტური მეთოდების ტესტირება, რომლითაც უნდა მოხდეს პანდემიის

გავრცელების შეკავება. მსგავსი კომპლექსური მოდელების საშუალებით გაიოლებულია შეზღუდული რესურსების რაციონალური გამოყენება და/ან შედეგების გამწვავების აღმოფხვრა საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის და ეკონომიკური დანაკარგების მინიმიზაციის მიზნით. ეკონომიკის Qqსიმულაციური მოდელირებიდან გამომდინარე, ეკონომიკის სხვადასხვა ეფექტი ძლიერდება პანდემიური ტიპის რეცესიების დროს.

3. განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა არის მოხმარებაზე ორიენტირებული ეკონომიკის მოდელი. სამწუხაროდ, ეკონომიკური პოლიტიკა, ჩვეულებრივ, მიმართულია მოხმარების სტიმულირებისკენ და არა მწარმოებლურობის ზრდისკენ. თუმცა, შეუძლებელია ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის ჩამოყალიბება სტაბილური მაკროეკონომიკით, თუ მას არ აქვს განვითარებული რეალური სექტორი. ნაშრომი მიზნად ისახავს აღწეროს და გაანალიზოს სირთულეები, პრობლემები და გამოწვევები. რაც თან ახლავს მცირე ღია ეკონომიკის განვითარებად ქვეყნებს. ყურადღება გამახვილებულია მაკროეკონომიკური სტაბილურობის საკითხებზე. აღწერილია მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა და მისი მოკლევადიანი პერსპექტივები გლობალური ინოვაციების ინდექსის გამოყენებით. გლობალური ინოვაციის ინდექსი არის ქვეყნების ყოველწლიური რეიტინგი ინოვაციების შესაძლებლობებისა და წარმატების მიხედვით. ინოვაცია მნიშვნელოვანია ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობისთვის. ინოვაცია საშუალებას იძევა გაიზარდოს კონკურენტული უპირატესობა, საბაზრო ძალაუფლება და სხვ. ინოვაცია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წარმოებისთვის, არამედ მოსახლეობისთვის. იგი არის პროგრესის მამოძრავებელი ძალა. ამრიგად, განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკა, სახსრებს მიმართავს სოციალური და ინოვაციური სფეროების გასაუმჯობესებლად (უფრო კვალიფიციური სამედიცინო და აკადემიური პერსონალის მომზადება-შენარჩუნებისთვის, რომელიც ასე სჭირდება და დასჭირდება ქვეყანას, პანდემიური და სხვა სახის გამოწვევეის დროს, ასევე, მოქმედი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, ინოვაციების დასანერგად, მისი სიკეთეების ხელმისაწვდომობა და ა.შ.). სახელმწიფო უნდა ეცადოს და წაახალისოს კერძო სტრუქტურები იგივე მიმართულებით წარმართონ სახსრები. საზოგადოებას სჭირდება მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რომელიც მოაქვს სოციალურ პროგრესს და განსაზღვრავს მომავალი განვითარების პერსპექტივებს. მიზანმიმართული საინოვაციო პოლიტიკას შეუძლია შეამციროს უმუშევრობის დონე, მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და გააუმჯობესოს სოციალური უსაფრთხოება.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მიქიაშვილი ნ.

2) მოხსენების სათაური

1. სიღარიბე, როგორც სოციალური პრობლემა და მისი შეფასების სირთულეები

2. გლობალური პანდემიის მოდელირების რამდენიმე ასპექტი

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 5 ნოემბერი, თბილისი

2. 10 თებერვალი, ქუთაისი

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. მიქიაშვილი ნ.
2) მოხსენების სათაური
1. INNOVATIONS AS A BASIS FOR MACROECONOMIC STABILITY - ინოვაცია, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილურობს ბაზისი
3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 21 ოქტომბერი, კიევი, უკრაინა (ვირტუალური ფორმატი)

ასოცირებული პროფესორი ლია თოთლაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ***ადამიანკაპიტალის გაზომვის კონცეპტუალური ასპექტები.*** რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2022, #3. ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426 http://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge&adgi=1280&title=ადამიანკაპიტალის%20გაზომვის%20კონცეპტუალური%20%20ასპექტები; (თანაავტორი მ. ხუსკივაძე)

ანოტაცია

XXI საუკუნის ჰიპერკონკურენტული გლობალური ეკონომიკა ინოვაციების, ტექნოლოგიების, პროდუქტიულობის, ახალი ცოდნისა და უნარების ეპოქა გახდა, რომელიც ორიენტირებულია მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე. ადამიანკაპიტალი კი ფუნდამენტური ფაქტორია მდგრადი და ინკლუზიური ზრდის უზრუნველსაყოფად. ადამიანკაპიტალის კონცეფცია რა თქმა უნდა ახალი არაა. დიდი ხანია ადამიანი აღიარებულია სახელმწიფოს სიმდიდრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად. ეკონომიკური ზრდის თანამედროვე თეორიები აღიარებენ ადამიანკაპიტალს ფიზიკურ კაპიტალთან ერთად, როგორც ეკონომიკური ზრდის ამხსნელ ცვლადს. მისი ფორმირების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი, ინერციულია და განიცდის მრავალი ფაქტორის ზემოქმედებას, რისი გაზომვაც ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

სტატიაში გაანალიზებულია ადამიანკაპიტალის გაზომვის როგორც თეორიული კონცეფციები, ასევე მასთან დაკავშირებული პრობლემები, გადმოცემულია აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნების ადამიანკაპიტალის დინამიკის ემპირიული ანალიზი და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის

მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ***The Impact of Human Capital and Innovation Determinants on Economic Growth: Evidence from Georgia***

International Journal of Business & Management Studies. ISSN 2694-1430 (Print), 2694-1449 (Online) Volume 03; Issue no 09: September, 2022, p. 28-33. https://doi.org/10.56734/ijbms.v3n9a4

https://ijbms.net/assets/files/1662821120.pdf (თანაავტორი მ. ხუსკივაძე)

ანოტაცია

ოცდამეერთე საუკუნის ჰიპერკონკურენტული გლობალური ეკონომიკა გახდა ინოვაციების, ტექნოლოგიების, პროდუქტიულობის, ახალი ცოდნისა და უნარების ეპოქა, რომელიც ორიენტირებულია მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე. ადამიანური კაპიტალი ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორია მდგრადი და ინკლუზიური ზრდის უზრუნველსაყოფად. ადამიანური კაპიტალის ფორმირების პროცესი ხანგრძლივია და მასზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. მისი გაზომვა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. პანდემიით გამოწვეულ ნეგატიურ ეფექტებს დაემატა რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გამოწვეულ ჰუმანიტარულ, ეკონომიკურ, ლოგისტიკურ და სხვა სახის პრობლემებს, რომელმაც გლობალური ხასიათი მიიღო და მეტ-ნაკლებად სიმძიმით შეეხო მსოფლიოს ყველა ქვეყანას.

კვლევაში წარმოადგენილია ადამიანისეული კაპიტალის გაზომვისა და ინოვაციური აქტივობის ინდიკატორების თეორიული კონცეფციები. ნაშრომში შესწავლილია ადამიანისეული კაპიტალის და ინოვაციური საქმიანობის როლი ქვეყნის განვითარებაში საქართველოს მაგალითზე. ამ მიზნით აგებულია და შეფასებულია მრავლობითი რეგრესიის მოდელები. მოდელებსა და კოეფიციენტის მნიშვნელოვნებაზე დაფუძნებული ემპირიული შედეგები მიუთითებს მიზეზობრიობაზე ადამიანისეულ კაპიტალს, ინოვაციურ აქტივობასა და საქართველოს ეკონომიკურ ზრდას შორის.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ადამიანისეული კაპიტალის როლი ინოვაციური აქტივობის დეტერმინანტების ფორმირებაში.

IV ეროვნული კონფერენცია (თანაავტორები მ. ხუსკივაძე, გ. ვეშაპელი)

ანოტაცია

თანამედროვე სამყარო უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. პანდემიით გამოწვეული ნეგატიური გავლენებს დაემატა რუსეთ-უკრაინის ომის გამო წარმოქმნილი ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ლოჯისტიკური და სხვა სახის პრობლემები, რომლებმაც გლობალური ხასიათი მიიღო და მეტ-ნაკლები სიმწვავით შეეხო მსოფლიოს ყველა ქვეყანას. ამ რეალობაში, ცხსადია ყველა ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს განვითარების ტემპები, იზრუნოს მაკროეკონომიკურ გარემოზე. ოცდამეერთე საუკუნეში სწორედ ინოვაციური განვითარება ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ოპტიმალურ გზად, ამიტომ არსებითია ქვეყნის ინოვაციური აქტივობის შეფასება და ზრდის უზრუნველყოფა.

აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ნაშრომში გადმოცემულია ინოვაციური აქტიურობის მაკროდეტერმინანტების ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ადამიანისეული კაპიტალის წვლილზე ქვეყნის ინოვაციური აქტიურობის შეფასებისათვის გაანგარიშებულ მაკროდეტერმინანტებზე. კვლევაში ასევე მოცემულია საქართველოს აღნიშნული ინდექსებისა და მახასიათებლების დინამიკის ანალიზი.

2. ***ინოვაციური აქტივობის დეტერმინანტები: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ანალიზი.***

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები“, ივანე ჯავახიშვილის ახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2022 ***http://conferenceconomics.tsu.ge/uploads/images/konfkreb2022_6384d5cba132d.pdf***
(თანაავტორები თ. თაფლაძე, გ. ვეშაპელი)

3. ***ეკოლოგიური უსაფრთხოება, როგორც მდგრადი განვითარების ფაქტორი: ბენელუქსის ქვეყნების გამოცდილება.***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: “გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში”, თბილისი, 2022. (თანაავტორი მ. ხუსკივაძე)

ანოტაცია

მდგრადი განვითარება, როგორც საზოგადოების განვითარების სისტემა, რომლის მიზანია საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით ადამიანის კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდა, ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. იგი უპირველეს ყოვლისა ორიენტირებულია საზოგადოების რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი უზრუნველყოფაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყნების პრიორიტეტული ამოცანად შეიძლება მივიჩნიოთ.

ნაშრომში განხილულია მდგრადი განვითარების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების ინდიკატორები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურ ინდიკატორებს თეორიულ და პრაქტიკულ ჭრილში. ბენელუქსის ქვეყნების მოდელი ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ და საინტერესო მოდელად და ამიტომ ნაშრომში გაანალიზებულია ბენელუქსის ქვეყნების გარემოსდაცვითი პოლიტიკის და ეკოლოგიური უსაფრთხოების თავისებურებები და შესაბამისი ინდიკატორები.

ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისია. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი". საქართველოს ეკონომისტთა IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის კრებული „მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოქვეყნები". 2022 წლის 9 სექტემბერი.გორი.

სამთავრობო პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა

2022 გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. 6 გვერდი.

http://sciencejournals.ge/index.php/bu/article/view/304/268

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკსა და ბიზნესში" შრომების კრებული. 2022წლის 4-5 ნოემბერი, თბილისი

IBSN 978-9941-491-35-1

ეკონომიკური მოდელების თეორიული საფუძვლები; 2022 თბილისი, თსუ გამომცემლობა, 11 გვერდი.

3. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი" .

DOI: 10.36172/EKONOMISTI

P ISSN 1987-6890

E ISSN 2346-8432

საქართველოს ეკონომ

იკური ზრდის მოდელი

#4 2022 წელი, ტომი XVVI. 12 გვერდი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. განვითარებად ქვეყნებში გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის ტემპი განსაზღვრავს მისი განვითარების დონეს. საბაზრო მექანიზმი მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე უზრუნველყოფს საწარმოო შესაძლებლობების ოპტიმალურ გამოყენებას, რომელიც ეკონომიკური ზრდის საფუძველია. თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს ბაზრის ჩავარდნას - საბაზრო მექანიზმის უუნაროობას უზრუნველყოს საწარმოო შესაძლებლობების ოპტიმალური გამოყენება. ბაზრის ჩავარდნა იწვევს ეკონომიკის სფეროზე სახელმწიფოს ზემოქმედების აუცილებლობას და ამ ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე:

როგორც საბაზრო ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე, ასევე ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიაზე. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში - ეს ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე სადაო და დელიკატური პრობლემაა. განვიხილავთ ზოგიერთი

ინსტრუმენტს, რომლითაც მთავრობა სარგებლობს ეკონომიკაზე ზემოქმედების თვალსაზრისით. ეს ინსტრუმენტები მოიცავს კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას, ფირმების ქცევის რეგულირებას, დაგეგმვას, სავაჭრო პოლიტიკას, წარმოების საშუალებების უშუალო ფლობას და სხვა. გაანალიზებულია ეკონომიკურ ზრდაზე მათი გავლენის ხარისხი და წარმოდგენილია რეკომენდაციები.

2. ეკონომიკა შეზღუდული რესურსების გადანაწილებას განიხილავს სხვადასხვა ალტერნატიულ შესაძლებლობებს შორის. ამ პროცესის ასახნელად ეკონომისტები რეალური სიტუაციიდან აბსტრაგირების მეშვეობით მარტივ ეკონომიკურ მოდელებს შეიმუშავებენ, რომლებიც ბაზრის მხოლოდ აუცილებელ მახასიათებლებს შეიცავენ და მათემატიკური საფუძველი აქვთ. ნაშრომში განხილულია ასეთი ეკონომიკური მოდელების აგების თეორია და აგების პროცესში წარმოშობილი პრობლემები. თუმცა არ არსებობს მოდელი, რომელიც სრულყოფილად ასახავს რეალობას, მთავარი საკითხია გავარკვიოთ მიღებული მოდელი შეიძლება თუ არა ჩაითვალოს კარგ მოდელად. ასევე განხილულია ექსპერიმენტულ მონაცემების გამოყენებით ემპირიული კვლევების ჩატარების ახალი მიდგომა, რომელშიც ეკონომისტები ცდილობენ ბუნებრივი ექსპერიმენტი იპოვონ, რათა ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აჩვენონ.

3. ნაშრომში განხილულია ეკონომიკური ზრდის მოდელი, რომელშიც შრომასა და კაპიტალთან ერთად ჩართულია ინტენსიფიკაციის ისეთი ფაქტორები როგორიცაა სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ორგანიზაციული პოტენციალები. საქართველოს ეკონომიკისათვის შევეცადეთ მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ) ზრდა აგვეხსნა როგორც ექსტენსიური ფაქტორების - შრომის და კაპიტალის, ასევე ინტენსიური ფაქტორების -სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ორგანიზაციული პოტენციალების კომპონენტების მოქმედებით, რომლებიც წარმოების ფაქტორების უკუგებას სახეს უცვლიან. მიდგომის თავისებურება ისაა, რომ საწარმოო ფუნქციის პარამეტრები შეფასებულია საბაზისო პერიოდის ყოველ ხუთწლეულში, ხოლო შემდეგ ამ პარამეტრების დინამიკა ინტენსიფიკაციის შესაბამისი ფაქტორების ზრდით იქნა ახსნილი. საწარმოო ფუნქციის ელასტიკურობის პარამეტრები ფაქტორების მიხედვით შეპირისპირებული იქნა შესაბამის ხვედრითი პოტენციალების მნიშვნელობებთან. გამოვლინდა არაწრფივი კორელაციური კავშირი მათ შორის. შედეგად მივიღეთ საწარმოო ფუნქცია ტექნოლოგიური პროგრესის ეკონომიკურ ზრდაზე სამმხრივი ზემოქმედებით, რომელიც გამოყენებული იქნა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დინამიკური მოდელის ასაგებად.

1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა***
2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი სიმონ გელაშვილი***
3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე
ასოცირებული პროფესორი მაია მინდორაშვილი
ასოცირებული პროფესორი მარინა მუჩიაშვილი
ასოცირებული პროფესორი მაია გიორგობიანი
ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ჩიტალაძე
ასისტენტ-პროფესორი ლია ძებისაური

პროფესორი სიმონ გელაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითიპროექტის2022 წლისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 1. **Covid-19 პანდემიის პირობებში ბიზნესის სექტორული აქტიურობის შედარებითი სტატისტიკური კვლევა**

(ეკონომიკის დარგი, ეკონომიკური სტატისტიკა; დაწყება 01.03.2022, დამთავრება -30.11.2022)

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი სიმონ გელაშვილი (ხელმძღვანელი);
2. ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი. ძირითადი შემსრულებელი;
3. ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე. ძირითადი შემსრულებელი;
4. ასისტენტ პროფესორი ლია ძებისაური. ძირითადი შემსრულებელი;
5. დოქტორანტი თეონა ხაბეიშვილი. დამხმარე პერსონალი
6. მაგისტრანტი თამუნა მაზანიშვილი. დამხმარე პერსონალი.

დასრულებული კვლევითიპროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ანოტაცია

*COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა ბიზნეს სექტორზე, რაც ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ეს გავლენა მრავალმხრივია, რაც კომპლექსურ რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, საქართველოში ბიზნესის სფეროზე კორონავირუსის პანდემიის გავლენის კომპლექსურ რაოდენობრივ და ხარისხობრივ კვლევას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ **ანალოგიური კვლევა საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა.** ასეთი კვლევის შედეგები კი ხელს შეუწყობს კონცეპტუალური და რეალური პოლიტიკის შემუშავებას, დასაბუთებული და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას, განსაკუთრებით ბიზნესის სფეროში (მათ შორის სექტორულ დონეზე). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აქტუალურობა უდავოა.*

*საგრანტო პროექტის შესწავლის **ობიექტია** საქართველოში ბიზნესის სფეროში შემავალი სექტორები, ხოლო **კვლევის საგანს** წარმოადგენს ცალკეული სექტორების საქმიანობის დიფერენცირებული და სტრატიფიცირებული ტენდენციებიCOVID-19 პანდემიამდე, პანდემიისა და პოსტპანდემიის პერიოდებში.*

***კვლევის მეთოდოლოგია** მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ მეთოდებს.ხარისხობრივი მეთოდებიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ,,დელფის“ მეთოდს, ხოლო რაოდენობრივიდან ფართოდ იქნება გამოყენებული სტატისტიკური მეცნიერების თითქმის ყველა **მეთოდი.** როგორიცაა: შერჩევითი დაკვირვება, მონაცემთა ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური დაჯგუფებანი, შეფარდებითი, საშუალო, ვარიაციისა და კორელაციური ანალიზის მეთოდები, აგრეთვე მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის გამოყენებით.*

*ჩატარებული კვლევით მიღებულია შემდეგი **თეორიული და პრაქტიკული შედეგების მიღება:***

- *შემუშავდა ბიზნეს სექტორებზე COVID-19 პანდემიის გავლენის სპეციალური რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების სისტემა და მოხდება მისი პრაქტიკული აპრობაცია;*
- *დადგინდა ბიზნესის ცალკეული სექტორების ცვლილებების დიფერენცირებული ტენდენციები COVID-19 პანდემიამდე, პანდემიისა და პოსტპანდემიის პერიოდებში;*
- *გამოვლინდა ბიზნეს სექტორის სტრუქტურის სტრატიფიცირებული ტენდენციები COVID-19 პანდემიამდე, პანდემიისა და პოსტპანდემიის პერიოდებში;*
- *განისაზღვრა ბიზნეს სექტორის ცვლილების სპეციალური რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები და მოხდება მათი შედარებითი ანალიზი პრეპანდემიური პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებთან;*

***კვლევითი პროექტის მდგრადობას** უზრუნველყოფს მიღებული თეორიული და პრაქტიკული შედეგების მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობა მომხმარებელთა ფართო სპექტრის მიერ როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე მმართველობითი მიზნებით. ასევე, კვლევის შედეგების გრძელვადიანი გამოყენება მიზანშეწონილი იქნება შემდეგი საგნების სწავლებისას: **,,სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის-2“, ,,სტატისტიკური ანალიზის მეთოდები“ და ,,მიკროეკონომიკა“.** აღნიშნულის გარდა, კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება სტუდენტების მიერ შესაბამისი პროფილით კვლევითი პროექტების, საკონფერენციო მოხსენებებისა და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისას, აგრეთვე მტკიცებულებებზე დაფუძნებული ნებისმიერი დაინტერესებული პირების ბიზნეს თუ ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მისაღებად.*

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები;მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდებისრაოდენობა

1. **სიმონ გელაშვილი. პროგნოსტიკა: მეთოდები, მოდელები, პროგნოზები. განმარტებითი ლექსიკონი. ISBN 978-9941-491-76-4 pdf). თსუ გამომცემლობა. – 120 გვ.**

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1. წარმოდგენილი ლექსიკონი სპეციალურ ლიტერატურაში პირველია მსოფლიოში. ლექსიკონში განხილულია თანამედროვე მულტიმეცნიერულ მიმართულებაში - პროგნოსტიკაში გამოყენებული ძირითადი ცნებები და კატეგორიები, კონკრეტული მოდელები და მეთოდები, ასევე განმარტებულია მათი შინაარსი, წარმოდგენილია პროგნოზირების მრავალფეროვანი ლექსიკის არსენალი და მათი კლასიფიცირებული ტერმინოლოგია (სინონიმების აღნიშვნით). რა თქმა უნდა, ტერმინები დალაგებულია ქართული ანბანის მიხედვით.

განმარტებითი ლექსიკონი გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, აკადემიური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **სიმონ გელაშვილი, ირაკლი მაკალათია, გიორგი მიქელაძე.**
ცხოვრების დონის სტატისტიკა
ISBN 978-9941-491-87-0 (pdf). თსუ გამომცემლობა. - 227 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

სახელმწიფოს წარმოშობიდან დღემდე ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა, რაც გულისხმობს მუდმივად მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხის ზრდას. მოსახლეობის ცხოვრების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, რაც აისახება მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და სიმდიდრეში.

თანამედროვე პირობებში მოსახლეობის ცხოვრების დონის კვლევაში მრავალი მიმართულება ყალიბდება, რაც მოითხოვს მეთოდების ფართო სპექტრის არსებობას. ამ პროცესში ძირითადად გამოიყენება სტატისტიკური მეთოდები და ხერხები, როგორიცაა: დაკვირვების, დაჯგუფების, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების, სტატისტიკურ მონაცემთა გრაფიკული გამოსახვის, ვარიაციის მაჩვენებლების, დროითი მწკრივების, საინდექსო მეთოდები და კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი.

მოსახლეობის ცხოვრების დონის კვლევისას ცხოვრების დონის რაოდენობრივ მხარესთან ერთად შეისწავლება ხარისხობრივი მხარეც, რაც მეტად მნიშვნელოვანია ცხოვრების დონის კომპლექსური და სიღრმისეული ანალიზისათვის.

*წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილულია 10 თემა მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკის ყველა ძირითადი მიმართულებიდან. **პირველ თემაში - „მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის მაჩვენებლები”** - გადმოცემულია ცხოვრების ხარისხისა და ცხოვრების წესის ცნებების შინაარსი, ცხოვრების დონის კვლევის მეთოდები და ცხოვრების*

დონის მაჩვენებელთა სისტემები, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსი და მათი გამოთვლის მეთოდიკა. ***მეორე თემა - „ცხოვრების დონის სტატისტიკის მაჩვენებელთა გაანგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგია“*** *- ეძღვნება ცხოვრების დონის ამსახველ სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების მეთოდებს, სათანადო მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიას და მათი გამოყენების პრაქტიკულ ასპექტებს.* ***მესამე თემაში - „შინამეურნეობების შერჩევისა და მონაცემთა შეწონვის მეთოდები“*** *- განხილულია შემთხვევითი შერჩევის მეთოდები, სტატისტიკური წონების დადგენა და მისი სახესხვაობები. აღნიშნული საკითხები წარმოადგენს ცხოვრების დონის სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს.* ***მეოთხე თემა - „ეკონომიკური ზრდის გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე“*** *- ეძღვნება ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების დონის ურთიერთკავშირის სტატისტიკის საკითხებს. აქვე წარმოდგენილია საქართველოში მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) გაანგარიშების მეთოდოლოგია.* ***მეხუთე თემაში - „ დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური მაჩვენებლების გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე“*** *- განხილულია მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, დასაქმებისა და უმუშევრობის დონის გაზომვის სტატისტიკური მეთოდები.* ***მეექვსე თემა - „ ხელფასის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა, როგორც ცხოვრების დონის განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი“*** *- ეძღვნება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა: ხელფასის სტატისტიკის ზოგადი მეთოდოლოგია, ხელფასის სტატისტიკური მაჩვენებლები დარგობრივ და სექტორულ ჭრილში, აგრეთვე ნომინალური და რეალური ხელფასის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.* ***მეშვიდე თემაში - „მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების სტატისტიკა“*** *- დახასიათებულია შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების ოფიციალური სტატისტიკის წარმოება საქართველოში, ნაჩვენებია ასევე შესაბამისი მაჩვენებლების გაანგარიშება.* ***მერვე თემა - „ სიღარიბის სტატისტიკური მაჩვენებლები“*** *- მოიცავს ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა: საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოში და სხვა ქვეყნებში, რომელშიც წარმოდგენილია პოსტსაბჭოთა 5 ქვეყანა და ასევე ჩეხეთი; მოცემულია „შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მეთოდი“. აქვე განხილულია სიღარიბის სტატისტიკის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები.* ***მეცხრე თემაში - „ ცხოვრების დონის ამსახველი სოციალური მაჩვენებლები: ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის სტატისტიკა“*** *- განხილულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სტატისტიკის ძირითადი საკითხები; აქვე წარმოდგენილია განათლებისა და კულტურის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები.* ***მეათე თემაში - „სამართალდარღვევებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ურთიერთკავშირის სტატისტიკური ანალიზი“*** *- წარმოდგენილია სამართლის სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია და პრაქტიკა, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გამოთვლის წესები.*

2. საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა. ავტორთა ჯგუფი. ISBN 978-9941-491-78-8 (pdf). თსუ გამომცემლობა. - 274 გვ.

ვრცელი ანოტაცია

ნებისმიერი ქვეყნის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სიმდიდრე არის მისი მოსახლეობა, რომლის რიცხოვნობაც საფუძვლად უდევს ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო და ა. შ. პოლიტიკის შემუშავებას და, ზოგადად, ქვეყნის მართვას. დღემდე არ არსებობს თანამედროვე საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების არც დემოგრაფიული და არც სოციალური სტატისტიკის სახელმძღვანელო, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის შესაბამის სფეროში როგორც სასწავლო, ისე კვლევითი პროცესების მაღალ დონეზე განსახორციელებლად. ამ ხარვეზის ნაწილობრივ აღმოფხვრას ემსახურება სწორედ წარმოდგენილი სახელმძღვანელო - „საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა“, რომელიც მოამზადა მეცნიერ-სტატისტიკოსების ჯგუფმა. სახელმძღვანელოში განხილულია სულ 9 თემა დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის თითქმის ყველა ძირითადი მიმართულებიდან. პირველ თემაში - „საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის საგანი, მეთოდი და ამოცანები“ - განხილულია რეგიონული დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის ობიექტი, საგანი და მეთოდი, ასევე შესაბამისი მაჩვენებელთა სისტემა, მონაცემთა შეგროვების ფორმები, წესები, ხერხები; აქვე საინტერესოა საქართველოში დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მოკლე ისტორიის მიმოხილვაც. მეორე თემა - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის ტენდენციები“ - ეძღვნება საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების ტენდენციების განხილვას XIX საუკუნიდან დღემდე. ცალკე საკითხებადაა წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის - თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებები საბჭოთა პერიოდამდე, საბჭოთა პერიოდში და პოსტსაბჭოთა პერიოდში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს რეგიონებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით პატარა და დიდი სოფლების, ასევე გაუკაცრიელებული სოფლების მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებების სტატისტიკა გრძელვადიან პერიოდში. მესამე თემაში - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები“ - წარმოდგენილია ადმინისტრაციული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები. აქვე განხილულია მოსახლეობის დაბერების სტატისტიკური შესწავლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. მეოთხე თემა - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მისი ცვლილების ტენდენციები“ - ეძღვნება საქართველოსთვის, როგორც ეთნიკური მრავალფეროვანი ქვეყნისთვის, ისეთ მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: ეთნიკური სტატისტიკის შესწავლის საგანი და ობიექტი, ეთნიკური სტატისტიკის წარმოება საქართველოში, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მშობლიური ენა რეგიონების მიხედვით. ცალ-ცალკეა წარმოდგენილი საქარ- 10 თვეloში მცხოვრები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ეთნოსების - ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების რიცხოვნობის ცვლილებები. მეხუთე თემაში - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი“ - განხილულია მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები, გაანალიზებულია ასევე შობადობის, მოკვდაობის, ქორწინებისა და განქორწინების კერძო კოეფიციენტები და წარმოდგენილია რეგიონების მიხედვით მოსახლეობის ბუნებრივი მატების

სტატისტიკური ანალიზი. მეექვსე თემა - „რელიგიის სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით“ - ეძღვნება საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: აღმსარებლობის სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით, რელიგიის სტატისტიკის წარმოება საქართველოში, ასევე, აღმსარებლობის მიხედვით საქართველოში მცხოვრები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის - მართლმადიდებელი, მაჰმადიანური და სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მოსახლეობის სტატისტიკა. მეშვიდე თემაში - „განათლების სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით“ - დახასიათებულია განათლების სისტემა თანამედროვე საქართველოში, გაანალიზებულია ასევე სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურების ოფიციალური სტატისტიკა და გაანგარიშებულია შესაბამისი მაჩვენებლები როგორც მთლიანად საქართველოს, ისე მისი რეგიონების მიხედვით. მერვე თემა - „საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით“ - მოიცავს ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა: ჯანდაცვის სისტემა თანამედროვე საქართველოში, ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების ანალიზი და მისი გავლენა საქართველოს რეგიონების მოსახლეობაზე, ჯანდაცვის სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტები და ინდიკატორები, ჯანდაცვის სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშების წესები და მათი ანალიზი რეგიონულ ჭრილში. ამავე თემაში წარმოდგენილია თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პრობლემის - COVID-19 პანდემიის და მასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოში. მეცხრე თემაში - „დემოსოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს შორის კავშირის სტატისტიკური ანალიზი“ - განხილულია დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის ურთიერთკავშირის თავისებურებების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები, წარმოდგენილია მოვლენათა ურთიერთკავშირის შესწავლის სტატისტიკური მეთოდები და მათი გამოყენების პრაქტიკა, მოცემულია კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიისსათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემისადგილი, გამომცემლობა; გვერდებისრაოდენობა

1. **ნინო აბესაძე, სიმონ გელაშვილი, მარინე მინდორაშვილი, ლია ძებისაური. დასაქმების სტატისტიკა საქართველოს ბიზნეს სექტორში პანდემიური შოკების ფონზე.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობისთსუ-ს VII საერთაშორისოსამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევებიეკონომიკასადაბიზნესში“ შრომების კრებული. თსუ 2022 წლის 4 ნოემბერი. 12 გვერდი.

2. **Simon Gelashvili, Nino Abesadze, Marine Mindorashvili , Lia Dzebauri Modern trends of employment in Georgian industry.**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტესის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“ შრომების კრებული.

3. **სიმონ გელაშვილი, ნინო აბესაძე, მარინე მინდორაშვილი.**
სტუდენტთა მშობლების დასაქმებასა და უმუშევრობაზე COVID-19 პანდემიის გავლენის სტატისტიკური კვლევა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისადასოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისსაერთაშორისოსამეცნიერო-პრაქტიკულიკონფერენციის „შრომისბაზრისახალიგამოწვევები: COVID-19 პანდემიისკონტექსტი“ შრომების კრებული. ქუთაისი 2022.
IBSN 978-9941-495-51-9 11 გვერდი.

ანოტაცია

1. სტატიაში მოცემულია ბიზნეს სექტორში დასაქმების სტატისტიკური ანალიზი საწარმოთა საკუთრების ფორმის, ორგანიზაციული -სამართლებრივი ფორმის, საწარმოთა ზომის, რეგიონული ჭრილის მიხედვით. აქცენტი გაკეთებულია და მაჩვენებლები გაანგარიშებულია დასაქმებულების, აგრეთვე დაქირავებით დასაქმებულების მიხედვით. თითოეული საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით ჩატერებული ანალიზიდან გამომდინარე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები.

შედეგები. ბიზნეს სექტორში დასაქმებისმაჩვენებლები მეტად არაერთგვაროვანი იყო წლების, რეგიონების, საკუთრების ფორმების, საწარმოთა ზომის მიხედვით.საანალიზო პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობა საშუალოდ ყოველწლიურად 7% -ით იზრდებოდა, თუმცა 2020 წელს მათი რიცხვი წინა წელთან შედარებით 7%-ით შემცირდა;ბიზნესის სექტორში ყველაზე მეტი ადამიანია დასაქმებული მრეწველობაში, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის სფეროში და მშენებლობაში; ყველაზე მეტი დასაქმებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, თუმცა დინამიკაში იზრდება სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივებში დასაქმებულთა რაოდენობაც;სამუშაო ადგილების რაოდენობისმიხედვით გამოირჩევა კერძო სტუქტურები, რომელთა დიდი ნაწილი ადგილობრივი ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაა. დასაქმებულთა დიდი რაოდენობით გამოირჩევა თბილისი. 2021 წელს ბიზნეს სექტორში სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი ნაწილი მსხვილ და მცირე ბიზნესზე მოდის.

2. მრეწველობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მთავარ დარგს წარმოადგენს. მის წინაშე ბევრი სტრატეგიული გამოწვევაა, რომელთა გადაწყვეტა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან მისი ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური წინსვლა, შესაბამისად, ქვეყანაში არსებული სამუშაო ძალის რაციონალური გამოყენება.

კვლევის პროცესში ფართოდაა გამოყენებული სტატისტიკური მეცნიერების მრავალი მეთოდი, როგორიცაა: შეფარდებითი და საშუალოები, დროითი მწკრივების ანალიზი, ვარიაციული ანალიზი და სხვ. სათანადო მაჩვენებლების გაანგარიშება განხორციელდა სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის გამოყენებით.

პანდემიამ რომ უარყოფითი გავლენა იქონია საერთოდ ბიზნეს სექტორზე, ეს უდავო ფაქტია. შეზღუდვებმა და მასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა, ლოკდაუნებმა კომპანიების ნაწილის საქმიანობები განუსაზღვრელობის ჩარჩოში მოაქცია. შესაბამისად, იკლო სამუშაო ადგილებმა და გაიზარდა უმუშევრობის დონე. ზოგადად, პანდემიამდე ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2010 წლიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, 2010-2019 წლებში ზრდის საშუალო წლიური ტემპი 107%-ის დონეზე იყო, თუმცა, 2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 7%-ით შემცირდა. 2021 წლის ოფიციალური მონაცემებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულია 663 473 ადამიანი, რაც 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით 5.8%-ით ნაკლებია. აქედან, მრეწველობაში დასაქმებულია 129 000, რაც ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 19.3%-ს შეადგენს. მრეწველობაში დასაქმების მაღალი მაჩვენებლები ვლინდება დამამუშავებელ მრეწველობაში, ელექტროენერგიის, აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდებაში, წყალმომარაგებაში, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობებში. მრეწველობის ამ დარგებში დასაქმებულთა რაოდენობისთვის დინამიკაში დამახასიათებელია ზრდის ტენდენცია. ასეთ პირობებში იზრდება კერძო სამრეწველო საწარმოებში დასაქმების მაჩვენებელები. 2020 წელს მრეწველობაში დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი, ანუ 89%, კერძო საწარმოებში დასაქმებაზე მოდის, საიდანაც მისი 67% არის ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ების კერძო საკუთრება, დანარჩენი 33% კი უცხოელ ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირი/ებს ეკუთვნის. მრეწველობაში დასაქმებულთა ნახევარზე მეტი, ანუ 68,7%, დასაქმებულია დამამუშავებელ მრეწველობაში, 9% სასმელების წარმოებაში, 7,8% სამთომოპოვებითი მრეწველობასა და კარიერების დამუშავებაში, 7,3% ძირითადი ლითონების წარმოებაში. რაც შეეხება სამრეწველო საწარმოებში დასაქმებულების განაწილებას ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით, აქ ცალსახად იკვეთება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში უპირატესი დასაქმება. ასე, მაგალითად, 2020 წლის ოფიციალური მონაცემებით, ქვეყნის მრეწველობაში დასაქმებულების 78,2% დასაქმებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, 16,2% - სააქციო საზოგადოებაში, 6.5% - ინდივიდუალური მეწარმეა. აღნიშნული ტენდენცია ვრცელდება მთლიან საანალიზო (2010-2020 წწ.) პერიოდზე, წლების მიხედვით მცირეოდენი პროცენტული ცვლილებების გათვალისწინებით, რომელსაც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით სამრეწველო საწარმოების სტრუქტურაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

საქართველოს რეგიონების მიხედვით დასაქმების მაჩვენებელთა ანალიზით დგინდება, რომ მრეწველობაში ყველაზე მეტი, ანუ 45%, თბილისშია დასაქმებული; შემდეგ იმერეთში - 12,9%, და ქვემო ქართლში - 11,7%. ყველაზე მცირე მაჩვენებლები დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (0,5%), შიდა ქართლში (3,7%), მცხეთა-მთიანეთში (3.8%).

თუ ზოგადად, 2010-2020 წლებში მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხვის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა 102,5% შეადგინა, თბილისისთვის ეს მაჩვენებელი 102,7%, იმერეთისთვის

101.5%, ქვემო ქართლისთვის კი 100.7% შეადგინა. საქართველოში 2020 წლისათვის მრეწველობაში დასაქმებულთა 50% მსხვილ საწარმოებშია დასაქმებული, 28,3% მცირე საწარმოებში და 21.7% კი საშუალო ზომის საწარმოში. ეს ტენდენცია უცვლელია მთლიან საანალიზო პერიოდში.

2020 წლის მდგომარეობით, მრეწველობაში დასაქმებულთა 97% დაქირავებით დასაქმებულია, რომელთა შორისაც 51% დასაქმებულია მსხვილ კომპანიებსა და საწარმოებში. დაქირავებთ დასაქმებულთა 68% დამამუშავებელ მრეწველობაშია დასაქმებული, 13% ელექტროენერგიის, აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდებაში, და 11% წყალმომარაგებაში; რაც საერთოდ მრეწველობაში დასაქმებულთა შესაბამისად, 66%, 12%, 11% -ს შეადგენს.

საერთოდ მრეწველობაში დასაქმებულთა რეგიონულ სტუქტურაში გამოხატული ტენდენციები შენარჩუნებულია დაქირავებით დასაქმებულთა შორისაც. ასე, მაგალითად, მაღალია დაქირავებით დასაქმების მაჩვენებლები თბილისის, ქვემო ქართლის, იმერეთისა და აჭარის რეგიონებში. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით, მრეწველობაში დაქირავებით დასაქმებულები არიან ძირითადად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, სადაც მათი წილი 2021 წლის მონაცემებით, 80%-მდეა. მრეწველობაში დაქირავებით დასაქმებულთა 88% დასაქმებულია კერძო საწარმოებში, საიდანაც 65.5% არის ადგილობრივი ფიზიკური და /ან იურიდიული პირი/რების საკუთრებაში, ხოლო 34,5% - უცხოელების.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მრეწველობაში დასაქმებულია ბიზნეს სექტორში დასაქმებულების 19,3%; დასაქმებულთა შორის 68,7% დასაქმებულია დამამუშავებელ მრეწველობაში; 2021 წელს ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმდა საბითუმო და საცალო ვაჭრობაში და მშენებლობის სექტორში; მრეწველობაში დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი, ანუ 89%, დასაქმებულია კერძო საწარმოებში; ცალსახად იკვეთება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში დასაქმების მაღალი მაჩვენებლები; მრეწველობის სფეროში დასაქმებულების 97% დაქირავებით დასაქმებულია, რომლის 67% მოდის დამამუშავებელ მრეწველობაზე; მრეწველობის დარგში დაქირავებით დასაქმებულების 45% თბილისშია; მსხვილ საწარმოებშია დასაქმებული მრეწველობაში დაქირავებით დასაქმებულთა 50%, ხოლო 88% დასაქმებულია კერძო საწარმოებში.

3. *დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს და ის კიდევ უფრო გამწვავდა COVID-19 პანდემიის დროს, რომელსაც შედეგად მოჰყვა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტის გაუარესება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ვირუსის გავრცელების არეალის გაფართოებასა და ეპიდვითარების დამძიმების პარალელურად ღრმავდებოდა სოციალური კრიზისი და იზრდებოდა უმუშევრობის მაჩვენებლები.*

სტატიაში განხილულია COVID-19 პანდემიის მოსახლეობის დასაქმებაზე გავლენის საკითხები, სადაც საქართველოს საუნივერსიტეტო ქალაქების სტუდენტთა პოპულაციისა და მათი მშობლების გამოკითხვის შედეგების მიხედვით, აქცენტი გაკეთებულია პანდემიის პერიოდში სტუდენტი ახალგაზრდების მშობლების დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემებზე. მიგვაჩნია, რომ სტუდენტების აზრის პარალელურად მნიშვნელოვანია მათი მშობლების შეხედულებების გაანალიზება მათი შინამეურნეობების შემოსავლების,

ხარჯების, ცხოვრების სტანდარტის მდგომარეობის, დასაქმების და სხვ მაჩვენებლების მიხედვით.

გამოყენებული მეთოდები: *კვლევის პროცესში გამოყენებულია შერჩევითი სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფების, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების, საინდექსო, ვარიაციული და კორელაციური ანალიზის მეთოდები. ძირითადი გაანგარიშებები წარმოებულია კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის საფუძველზე. კროსტაბულაციური ანალიზის შედეგად კი ფორმულირებულია შესაბამისი დასკვნები.*

დასკვნა: *შვილებთან შედარებით, მშობლების დიდი რაოდენობა მიიჩნევს, რომ COVID-19 პანდემიის შედეგად მათი შინამეურნეობის შემოსავლები შემცირდა, როგორც დასაქმებული, ისე დაუსაქმებელი მოსახლეობისათვის. კერძოდ, შემოსავლები შეუმცირდა დაუსაქმებელი მშობლების 75%-ს და დასაქმებული მშობლების 64%-ს და იმ მშობლების 13,5%-ს, ვინც პანდემიის გამო დაკარგა სამსახური.*

როგორც სტუდენტების, ისე მათი მშობლების დიდი ნაწილი თვლის, რომ მათი შინამეურნეობა საშუალოშემოსავლიანია, ასე ფიქრობს დასაქმებული მშობლების 62,5% და დაუსაქმებელი მშობლების 59%, ხოლო მათ, ვინც დაკარგა სამსახური, ამ კატეგორიის მშობლების მოსაზრება თითქმის თანაბრად განაწილდა დაბალშემოსავლიანებსა და საშუალოშემოსავლიანს შორის.

რესპონდენტ სტუდენტთა მშობლების აზრით, პანდემიის გავლენით შემცირდა მათი შემოსავლები როგორც ხელფასიდან, ისე თვითდასაქმებიდან, აგრეთვე უცხოეთიდან მიღებული გზავნილებიდან, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან და ა. შ.

გამოკითხულ სტუდენტთა როგორც დასაქმებული, ისე დაუსაქმებელი მშობლები თვლიან, რომ პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვნად გაეზარდათ გაწეული ხარჯების მოცულობაც, მათ შორის კვებაზე, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეძენაზე, ჯანდაცვაზე, ტრანსპორტზე. როგორც მშობლები, ისე შვილები თანაბრად აღიქვამენ სამსახურის დაკარგვის, ან უმუშევრობის პირობებში შემოსავლების შემცირებით მიღებული სოციალური ფონის დამძიმებასა და ცხოვრების სტანდარტის გაუარესებას. თუმცა, როგორც ვნახეთ, პანდემიის პირობებშიც უმჯობესდება ზოგიერთი დასაქმებული თუ დაუსაქმებელი წევრებისაგან შემდგარი, მაგრამ საკმაოდ მცირე რაოდენობის შინამეურნეობის ცხოვრების სტანდარტი.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები;სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში);ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Simon Gelashvili. Statistical Imputation Methods in Forecasting Economic Processes.** Scientific Results. Rome, Italy, 2022.

ISBN 978-3-8007-4016-1 ***გმული:*** **https://ojs.publisher.agency/index.php/SR/issue/view/3/7**

2. Giorgi Mikeladze, Simon Gelashvili.

Econometric and Statistical Modeling of Incomes and Expenditures of Georgian Households by Small Areas.

გმული: https://www.dpublication.com/proceeding/6th-icrbme/#Table-of-Contents

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური;ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **სიმონ გელაშვილი, თეონა ხაბეიშვილი.**
   ბიზნესის სფეროში შრომის ანაზღურების მაჩვენებელთა სექტორული სტატისტიკური ანალიზი
   ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბ., 4-5 ნოემბერი, 2022.
2. ***ნინო აბესაძე, სიმონ გელაშვილი, მარინე მინდორაშვილი, ლია ძებისაური.***
   დასაქმების სტატისტიკა საქართველოს ბიზნეს სექტორში პანდემიური შოკების ფონზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბ., 4-5 ნოემბერი, 2022.

3. Simon Gelashvili, Nino Abesadze, Marine Mindorashvili , Lia Dzebauri.

Modern trends of employment in Georgian industry

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,, ეკონომიკისა და ბუზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება; 21.10.2022.

3. სიმონ გელაშვილი, ნინო აბესაძე, მარინე მინდორაშვილი.

სტუდენტთა მშობლების დასაქმებასა და უმუშევრობაზე COVID-19 პანდემიის გავლენის სტატისტიკური კვლევა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნვერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა დასოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისსაერთაშორისოსამეცნიერო-პრაქტიკულიკონფერენციის „შრომის ბაზრის ახალი გამოწვევები: COVID-19 პანდემიის კონტექსტი“ ქუთაისი 2022. 10 თებერვალი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Giorgi Mikeladze, Simon Gelashvili.**

Econometric and Statistical Modeling of Incomes and Expenditures of Georgian Households by Small Areas.

6th International Scientific Conference Research in Business, Management and Economics. 3-5 November, 2022. Vienna, Austria.

ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითიპროექტის2022 წლისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 1. **Covid-19 პანდემიის პირობებში ბიზნესის სექტორული აქტიურობის შედარებითი სტატისტიკური კვლევა**

(ეკონომიკის დარგი, ეკონომიკური სტატისტიკა; დაწყება 01.03.2022, დამთავრება -30.11.2022)

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი სიმონ გელაქვილი (ხელმძღვანელი);

2. ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი. ძირითადი შემსრულებელი;

3. ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე. ძირითადი შემსრულებელი;

4. ასისტენტ პროფესორი ლია ძებისაური. ძირითადი შემსრულებელი;

5. დოქტორანტი თეონა ხაბეიშვილი. დამხმარე პერსონალი

6. მაგისტრანტი თამუნა მაზანიშვილი. დამხმარე პერსონალი.

დასრულებული კვლევითიპროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

*COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა ბიზნეს სექტორზე, რაც ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ეს გავლენა მრავალმხრივია, რაც კომპლექსურ რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, საქართველოში ბიზნესის სფეროზე კორონავირუსის პანდემიის გავლენის კომპლექსურ რაოდენობრივ და ხარისხობრივ კვლევას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ **ანალოგიური კვლევა საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა.** ასეთი კვლევის შედეგები კი ხელს შეუწყობს კონცეპტუალური და რეალური პოლიტიკის შემუშავებას, დასაბუთებული და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას, განსაკუთრებით ბიზნესის სფეროში (მათ შორის სექტორულ დონეზე). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აქტუალურობა უდავოა.*

*საგრანტო პროექტის შესწავლის **<u>ობიექტია</u>** საქართველოში ბიზნესის სფეროში შემავალი სექტორები, ხოლო **<u>კვლევის საგანს</u>** წარმოადგენს ცალკეული სექტორების საქმიანობის დიფერენცირებული და სტრატიფიცირებული ტენდენციებიCOVID-19 პანდემიამდე, პანდემიისა და პოსტპანდემიის პერიოდებში.*

***<u>კვლევის მეთოდოლოგია</u>** მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ მეთოდებს.ხარისხობრივი მეთოდებიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ,,დელფის“ მეთოდს, ხოლო რაოდენობრივიდან ფართოდ იქნება გამოყენებული სტატისტიკური მეცნიერების თითქმის ყველა **<u>მეთოდი,</u>** როგორიცაა: შერჩევითი დაკვირვება, მონაცემთა ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური დაჯგუფებანი, შეფარდებითი, საშუალო, ვარიაციისა და კორელაციური ანალიზის მეთოდები, აგრეთვე მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის გამოყენებით.*

*ჩატარებული კვლევით მიღებულია შემდეგი **თეორიული და პრაქტიკული შედეგების მიღება:***

- *შემუშავდა ბიზნეს სექტორებზე COVID-19 პანდემიის გავლენის სპეციალური რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების სისტემა და მოხდება მისი პრაქტიკული აპრობაცია;*
- *დადგინდა ბიზნესის ცალკეული სექტორების ცვლილებების დიფერენცირებული ტენდენციები COVID-19 პანდემიამდე, პანდემიისა და პოსტპანდემიის პერიოდებში;*
- *გამოვლინდა ბიზნეს სექტორის სტრუქტურის სტრატიფიცირებული ტენდენციები COVID-19 პანდემიამდე, პანდემიისა და პოსტპანდემიის პერიოდებში;*
- *განისაზღვრა ბიზნეს სექტორის ცვლილების სპეციალური რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები და მოხდება მათი შედარებითი ანალიზი პრეპანდემიური პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებთან;*

კვლევითი პროექტის მდგრადობას *უზრუნველყოფს მიღებული თეორიული და პრაქტიკული შედეგების მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობა მომხმარებელთა ფართო სპექტრის მიერ როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე მმართველობითი მიზნებით. ასევე, კვლევის შედეგების გრძელვადიანი გამოყენება მიზანშეწონილი იქნება შემდეგი საგნების სწავლებისას:* ***„სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის-2“, „სტატისტიკური ანალიზის მეთოდები“ და „მიკროეკონომიკა“.*** *აღნიშნულის გარდა, კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება სტუდენტების მიერ შესაბამისი პროფილით კვლევითი პროექტების, საკონფერენციო მოხსენებებისა და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისას, აგრეთვე მტკიცებულებებზე დაფუძნებული ნებისმიერი დაინტერესებული პირების ბიზნეს თუ ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მისაღებად.*

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები;მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდებისრაოდენობა

2. **სიმონ გელაშვილი. პროგნოსტიკა: მეთოდები, მოდელები, პროგნოზები. განმარტებითი ლექსიკონი. ISBN 978-9941-491-76-4 pdf). თსუ გამომცემლობა. – 120 გვ.**

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

2. წარმოდგენილი ლექსიკონი სპეციალურ ლიტერატურაში პირველია მსოფლიოში. ლექსიკონში განხილულია თანამედროვე მულტიმეცნიერულ მიმართულებაში - პროგნოსტიკაში გამოყენებული ძირითადი ცნებები და კატეგორიები, კონკრეტული მოდელები და მეთოდები, ასევე განმარტებულია მათი შინაარსი, წარმოდგენილია პროგნოზირების მრავალფეროვანი ლექსიკის არსენალი და მათი კლასიფიცირებული ტერმინოლოგია (სინონიმების აღნიშვნით). რა თქმა უნდა, ტერმინები დალაგებულია ქართული ანბანის მიხედვით.

განმარტებითი ლექსიკონი გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, აკადემიური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

3. სიმონ გელაშვილი, ირაკლი მაკალათია, გიორგი მიქელაძე.
ცხოვრების დონის სტატისტიკა
ISBN 978-9941-491-87-0 (pdf). თსუ გამომცემლობა. - 227 გვ.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

სახელმწიფოს წარმოშობიდან დღემდე ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა, რაც გულისხმობს მუდმივად მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხის ზრდას. მოსახლეობის ცხოვრების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, რაც აისახება მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და სიმდიდრეში.

თანამედროვე პირობებში მოსახლეობის ცხოვრების დონის კვლევაში მრავალი მიმართულება ყალიბდება, რაც მოითხოვს მეთოდების ფართო სპექტრის არსებობას. ამ პროცესში ძირითადად გამოიყენება სტატისტიკური მეთოდები და ხერხები, როგორიცაა: დაკვირვების, დაჯგუფების, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების, სტატისტიკურ მონაცემთა გრაფიკული გამოსახვის, ვარიაციის მაჩვენებლების, დროითი მწკრივების, საინდექსო მეთოდები და კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი.

მოსახლეობის ცხოვრების დონის კვლევისას ცხოვრების დონის რაოდენობრივ მხარესთან ერთად შეისწავლება ხარისხობრივი მხარეც, რაც მეტად მნიშვნელოვანია ცხოვრების დონის კომპლექსური და სიღრმისეული ანალიზისათვის.

*წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილულია 10 თემა მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკის ყველა ძირითადი მიმართულებიდან. **პირველ თემაში - „მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის მაჩვენებლები”** - გადმოცემულია ცხოვრების ხარისხისა და ცხოვრების წესის ცნებების შინაარსი, ცხოვრების დონის კვლევის მეთოდები და ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემები, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსი და მათი გამოთვლის მეთოდიკა. **მეორე თემა - „ცხოვრების დონის სტატისტიკის მაჩვენებელთა გაანგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგია“** - ეძღვნება ცხოვრების დონის ამსახველ სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების მეთოდებს, სათანადო მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიას და მათი გამოყენების პრაქტიკულ ასპექტებს. **მესამე თემაში - „შინამეურნეობების შერჩევისა და მონაცემთა შეწონვის მეთოდები“** - განხილულია შემთხვევითი შერჩევის მეთოდები, სტატისტიკური წონების დადგენა და მისი სახესხვაობები. აღნიშნული საკითხები წარმოადგენს ცხოვრების დონის სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს. **მეოთხე თემა - „ეკონომიკური ზრდის გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე“** - ეძღვნება ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების დონის ურთიერთკავშირის სტატისტიკის საკითხებს. აქვე წარმოდგენილია საქართველოში მთლიანი*

*შიგა პროდუქტის (მშპ) გაანგარიშების მეთოდოლოგია. **მეხუთე თემაში - „ დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური მაჩვენებლების გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე“** - განხილულია მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, დასაქმებისა და უმუშევრობის დონის გაზომვის სტატისტიკური მეთოდები. **მეექვსე თემა - „ ხელფასის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა, როგორც ცხოვრების დონის განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი“** - ეძღვნება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა: ხელფასის სტატისტიკის ზოგადი მეთოდოლოგია, ხელფასის სტატისტიკური მაჩვენებლები დარგობრივ და სექტორულ ჭრილში, აგრეთვე ნომინალური და რეალური ხელფასის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. **მეშვიდე თემაში - „მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების სტატისტიკა“** - დახასიათებულია შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების ოფიციალური სტატისტიკის წარმოება საქართველოში, ნაჩვენებია ასევე შესაბამისი მაჩვენებლების გაანგარიშება. **მერვე თემა - „ სიღარიბის სტატისტიკური მაჩვენებლები“** - მოიცავს ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა: საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოში და სხვა ქვეყნებში, რომელშიც წარმოდგენილია პოსტსაბჭოთა 5 ქვეყანა და ასევე ჩეხეთი; მოცემულია „შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მეთოდი“. აქვე განხილულია სიღარიბის სტატისტიკის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები. **მეცხრე თემაში - „ ცხოვრების დონის ამსახველი სოციალური მაჩვენებლები: ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის სტატისტიკა“** - განხილულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სტატისტიკის ძირითადი საკითხები; აქვე წარმოდგენილია განათლებისა და კულტურის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები. **მეათე თემაში - „სამართალდარღვევებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ურთიერთკავშირის სტატისტიკური ანალიზი“** - წარმოდგენილია სამართლის სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია და პრაქტიკა, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გამოთვლის წესები.*

4. საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა. ავტორთა ჯგუფი. ISBN 978-9941-491-78-8 (pdf). თსუ გამომცემლობა. - 274 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ნებისმიერი ქვეყნის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სიმდიდრე არის მისი მოსახლეობა, რომლის რიცხოვნობაც საფუძვლად უდევს ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო და ა. შ. პოლიტიკის შემუშავებას და, ზოგადად, ქვეყნის მართვას. დღემდე არ არსებობს თანამედროვე საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების არც დემოგრაფიული და არც სოციალური სტატისტიკის სახელმძღვანელო, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის შესაბამის სფეროში როგორც სასწავლო, ისე კვლევითი პროცესების მაღალ დონეზე განსახორციელებლად. ამ ხარვეზის ნაწილობრივ აღმოფხვრას ემსახურება სწორედ წარმოდგენილი სახელმძღვანელო - „საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა“, რომელიც მოამზადა მეცნიერ-სტატისტიკოსების ჯგუფმა. სახელმძღვანელოში განხილულია სულ 9 თემა დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის თითქმის ყველა ძირითადი მიმართულებიდან. პირველ თემაში - „საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის

საგანი, მეთოდი და ამოცანები“ - განხილულია რეგიონული დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის ობიექტი, საგანი და მეთოდი, ასევე შესაბამისი მაჩვენებელთა სისტემა, მონაცემთა შეგროვების ფორმები, წესები, ხერხები; აქვე საინტერესოა საქართველოში დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მოკლე ისტორიის მიმოხილვაც. მეორე თემა - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის ტენდენციები“ - ეძღვნება საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების ტენდენციების განხილვას XIX საუკუნიდან დღემდე. ცალკე საკითხებადაა წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის - თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებები საბჭოთა პერიოდამდე, საბჭოთა პერიოდში და პოსტსაბჭოთა პერიოდში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს რეგიონებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით პატარა და დიდი სოფლების, ასევე გაუკაცრიელებული სოფლების მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებების სტატისტიკა გრძელვადიან პერიოდში. მესამე თემაში - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები“ - წარმოდგენილია ადმინისტრაციული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები. აქვე განხილულია მოსახლეობის დაბერების სტატისტიკური შესწავლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. მეოთხე თემა - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მისი ცვლილების ტენდენციები“ - ეძღვნება საქართველოსთვის, როგორც ეთნიკური მრავალფეროვანი ქვეყნისთვის, ისეთ მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: ეთნიკური სტატისტიკის შესწავლის საგანი და ობიექტი, ეთნიკური სტატისტიკის წარმოება საქართველოში, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მშობლიური ენა რეგიონების მიხედვით. ცალ-ცალკეა წარმოდგენილი საქარ- 10 თვეloში მცხოვრები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ეთნოსების - ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების რიცხოვნობის ცვლილებები. მეხუთე თემაში - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი“ - განხილულია მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები, გაანალიზებულია ასევე შობადობის, მოკვდაობის, ქორწინებისა და განქორწინების კერძო კოეფიციენტები და წარმოდგენილია რეგიონების მიხედვით მოსახლეობის ბუნებრივი მატების სტატისტიკური ანალიზი. მეექვსე თემა - „რელიგიის სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით“ - ეძღვნება საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: აღმსარებლობის სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით, რელიგიის სტატისტიკის წარმოება საქართველოში, ასევე, აღმსარებლობის მიხედვით საქართველოში მცხოვრები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის - მართლმადიდებელი, მაჰმადიანური და სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მოსახლეობის სტატისტიკა. მეშვიდე თემაში - „განათლების სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით“ - დახასიათებულია განათლების სისტემა თანამედროვე საქართველოში, გაანალიზებულია ასევე სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურების ოფიციალური სტატისტიკა და გაანგარიშებულია შესაბამისი მაჩვენებლები როგორც მთლიანად საქართველოს, ისე მისი რეგიონების მიხედვით. მერვე თემა - „საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით“ - მოიცავს ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა:

ჯანდაცვის სისტემა თანამედროვე საქართველოში, ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების ანალიზი და მისი გავლენა საქართველოს რეგიონების მოსახლეობაზე, ჯანდაცვის სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტები და ინდიკატორები, ჯანდაცვის სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშების წესები და მათი ანალიზი რეგიონულ ჭრილში. ამავე თემაში წარმოდგენილია თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პრობლემის - COVID-19 პანდემიის და მასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოში. მეცხრე თემაში - „დემოსოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს შორის კავშირის სტატისტიკური ანალიზი“ - განხილულია დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის ურთიერთკავშირის თავისებურებების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები, წარმოდგენილია მოვლენათა ურთიერთკავშირის შესწავლის სტატისტიკური მეთოდები და მათი გამოყენების პრაქტიკა, მოცემულია კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიისსათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემისადგილი, გამომცემლობა; გვერდებისრაოდენობა

4. **ნინო აბესაძე, სიმონ გელაშვილი, მარინე მინდორაშვილი, ლია ძებისაური. დასაქმების სტატისტიკა საქართველოს ბიზნეს სექტორში პანდემიური შოკების ფონზე.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობისთსუ-ს VII საერთაშორისოსამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევებიეკონომიკასადაბიზნესში“ შრომების კრებული. თსუ 2022 წლის 4 ნოემბერი. 12 გვერდი.

5. **Simon Gelashvili, Nino Abesadze, Marine Mindorashvili , Lia Dzebauri**
Modern trends of employment in Georgian industry.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტესის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“ შრომების კრებული.

6. **სიმონ გელაშვილი, ნინო აბესაძე, მარინე მინდორაშვილი. სტუდენტთა მშობლების დასაქმებასა და უმუშევრობაზე COVID-19 პანდემიის გავლენის სტატისტიკური კვლევა**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნვერსიტეტის ბიზნესის, სამართლისადასოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისსაერთაშორისოსამეცნიერო-პრაქტიკულიკონფერენციის „შრომისბაზრისახალიგამოწვევები: COVID-19 პანდემიისკონტექსტი“ შრომების კრებული. ქუთაისი 2022.

IBSN 978-9941-495-51-9 11 გვერდი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. სტატიაში მოცემულია ბიზნეს სექტორში დასაქმების სტატისტიკური ანალიზი საწარმოთა საკუთრების ფორმის, ორგანიზაციული -სამართლებრივი ფორმის, საწარმოთა ზომის, რეგიონული ჭრილის მიხედვით. აქცენტი გაკეთებულია და მაჩვენებლები

გაანგარიშებულია დასაქმებულების, აგრეთვე დაქირავებით დასაქმებულების მიხედვით. თითოეული საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით ჩატერებული ანალიზიდან გამომდინარე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები.

შედეგები. ბიზნეს სექტორში დასაქმებისმაჩვენებლები მეტად არაერთგვაროვანი იყო წლების, რეგიონების, საკუთრების ფორმების, საწარმოთა ზომის მიხედვით.საანალიზო პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობა საშუალოდ ყოველწლიურად 7% -ით იზრდებოდა, თუმცა 2020 წელს მათი რიცხვი წინა წელთან შედარებით 7%-ით შემცირდა;ბიზნესის სექტორში ყველაზე მეტი ადამიანია დასაქმებული მრეწველობაში, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის სფეროში და მშენებლობაში; ყველაზე მეტი დასაქმებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, თუმცა დინამიკაში იზრდება სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივებში დასაქმებულთა რაოდენობაც;სამუშაო ადგილების რაოდენობისმიხედვით გამოირჩევა კერძო სტუქტურები, რომელთა დიდი ნაწილი ადგილობრივი ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაა. დასაქმებულთა დიდი რაოდენობით გამოირჩევა თბილისი. 2021 წელს ბიზნეს სექტორში სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი ნაწილი მსხვილ და მცირე ბიზნესზე მოდის.

5. მრეწველობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მთავარ დარგს წარმოადგენს. მის წინაშე ბევრი სტრატეგიული გამოწვევაა, რომელთა გადაწყვეტა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან მისი ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური წინსვლა, შესაბამისად, ქვეყანაში არსებული სამუშაო ძალის რაციონალური გამოყენება.

კვლევის პროცესში ფართოდაა გამოყენებული სტატისტიკური მეცნიერების მრავალი მეთოდი, როგორიცაა: შეფარდებითი და საშუალოები, დროითი მწკრივების ანალიზი, ვარიაციული ანალიზი და სხვ. სათანადო მაჩვენებლების გაანგარიშება განხორციელდა სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის გამოყენებით.

პანდემიამ რომ უარყოფითი გავლენა იქონია საერთოდ ბიზნეს სექტორზე, ეს უდავო ფაქტია. შეზღუდვებმა და მასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა, ლოკდაუნებმა კომპანიების ნაწილის საქმიანობები განუსაზღვრელობის ჩარჩოში მოაქცია. შესაბამისად, იკლო სამუშაო ადგილებმა და გაიზარდა უმუშევრობის დონე. ზოგადად, პანდემიამდე ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2010 წლიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, 2010-2019 წლებში ზრდის საშუალო წლიური ტემპი 107%-ის დონეზე იყო, თუმცა, 2020 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 7%-ით შემცირდა. 2021 წლის ოფიციალური მონაცემებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულია 663 473 ადამიანი, რაც 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით 5.8%-ით ნაკლებია. აქედან, მრეწველობაში დასაქმებულია 129 000, რაც ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 19.3%-ს შეადგენს. მრეწველობაში დასაქმების მაღალი მაჩვენებლები ვლინდება დამამუშავებელ მრეწველობაში, ელექტროენერგიის, აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდებაში, წყალმომარაგებაში, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობებში. მრეწველობის ამ დარგებში დასაქმებულთა რაოდენობისთვის დინამიკაში დამახასიათებელია ზრდის ტენდენცია. ასეთ პირობებში

იზრდება კერძო სამრეწველო საწარმოებში დასაქმების მაჩვენებელები. 2020 წელს მრეწველობაში დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი, ანუ 89%, კერძო საწარმოებში დასაქმებაზე მოდის, საიდანაც მისი 67% არის ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ების კერძო საკუთრება, დანარჩენი 33% კი უცხოელ ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირი/ებს ეკუთვნის. მრეწველობაში დასაქმებულთა ნახევარზე მეტი, ანუ 68,7%, დასაქმებულია დამამუშავებელ მრეწველობაში, 9% სასმელების წარმოებაში, 7,8% სამთომოპოვებითი მრეწველობასა და კარიერების დამუშავებაში, 7,3% ძირითადი ლითონების წარმოებაში. რაც შეეხება სამრეწველო საწარმოებში დასაქმებულების განაწილებას ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით, აქ ცალსახად იკვეთება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში უპირატესი დასაქმება. ასე, მაგალითად, 2020 წლის ოფიციალური მონაცემებით, ქვეყნის მრეწველობაში დასაქმებულების 78,2% დასაქმებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, 16,2% - სააქციო საზოგადოებაში, 6.5% - ინდივიდუალური მეწარმეა. აღნიშნული ტენდენცია ვრცელდება მთლიან საანალიზო (2010-2020 წწ.) პერიოდზე, წლების მიხედვით მცირეოდენი პროცენტული ცვლილებების გათვალისწინებით, რომელსაც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით სამრეწველო საწარმოების სტრუქტურაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

საქართველოს რეგიონების მიხედვით დასაქმების მაჩვენებელთა ანალიზით დგინდება, რომ მრეწველობაში ყველაზე მეტი, ანუ 45%, თბილისშია დასაქმებული; შემდეგ იმერეთში - 12,9%, და ქვემო ქართლში - 11,7%. ყველაზე მცირე მაჩვენებლები დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (0,5%), შიდა ქართლში (3,7%), მცხეთა-მთიანეთში (3.8%).

თუ ზოგადად, 2010-2020 წლებში მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხვის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა 102,5% შეადგინა, თბილისისთვის ეს მაჩვენებელი 102,7%, იმერეთისთვის 101.5%, ქვემო ქართლისთვის კი 100.7% შეადგინა. საქართველოში 2020 წლისათვის მრეწველობაში დასაქმებულთა 50% მსხვილ საწარმოებშია დასაქმებული, 28,3% მცირე საწარმოებში და 21.7% კი საშუალო ზომის საწარმოში. ეს ტენდენცია უცვლელია მთლიან საანალიზო პერიოდში.

2020 წლის მდგომარეობით, მრეწველობაში დასაქმებულთა 97% დაქირავებით დასაქმებულია, რომელთა შორისაც 51% დასაქმებულია მსხვილ კომპანიებსა და საწარმოებში. დაქირავებთ დასაქმებულთა 68% დამამუშავებელ მრეწველობაშია დასაქმებული, 13% ელექტროენერგიის, აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდებაში, და 11% წყალმომარაგებაში; რაც საერთოდ მრეწველობაში დასაქმებულთა შესაბამისად, 66%, 12%, 11% -ს შეადგენს.

საერთოდ მრეწველობაში დასაქმებულთა რეგიონულ სტუქტურაში გამოხატული ტენდენციები შენარჩუნებულია დაქირავებით დასაქმებულთა შორისაც. ასე, მაგალითად, მაღალია დაქირავებით დასაქმების მაჩვენებლები თბილისის, ქვემო ქართლის, იმერეთისა და აჭარის რეგიონებში. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით, მრეწველობაში დაქირავებით დასაქმებულები არიან ძირითადად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, სადაც მათი წილი 2021 წლის მონაცემებით, 80%-მდეა. მრეწველობაში დაქირავებით დასაქმებულთა 88% დასაქმებულია კერძო საწარმოებში, საიდანაც 65.5% არის ადგილობრივი ფიზიკური და /ან იურიდიული პირი/რების საკუთრებაში, ხოლო 34,5% - უცხოელების.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მრეწველობაში დასაქმებულია ბიზნეს სექტორში დასაქმებულების 19,3%; დასაქმებულთა შორის 68,7% დასაქმებულია დამამუშავებელ მრეწველობაში; 2021 წელს ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმდა საბითუმო და საცალო ვაჭრობაში და მშენებლობის სექტორში; მრეწველობაში დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი, ანუ 89%, დასაქმებულია კერძო საწარმოებში; ცალსახად იკვეთება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში დასაქმების მაღალი მაჩვენებლები; მრეწველობის სფეროში დასაქმებულების 97% დაქირავებით დასაქმებულია, რომლის 67% მოდის დამამუშავებელ მრეწველობაზე; მრეწველობის დარგში დაქირავებით დასაქმებულების 45% თბილისშია; მსხვილ საწარმოებშია დასაქმებული მრეწველობაში დაქირავებით დასაქმებულთა 50%, ხოლო 88% დასაქმებულია კერძო საწარმოებში.

ბიუჯეტის პირველადი ბალანსის შოკი, ნომინალური გაცვლითი კურსის შოკი, კომბინირებული შოკი და პირობითი ვალდებულებების შოკი) გათვალისწინებით სტრეს ტესტების ჩატარება და მათი გავლენის შეფასება მთავრობის ვალის მდგრადობაზე.

ვალის მდგრადობის ანალიზი აჩვენებს, რომ კოვიდ-19-ის ზემოქმედების შედეგად საქართველოს მთავრობის ვალი/მშპ-თან კრიტიკულ ზღვარს აღწევს და ზოგჯერ სცდება კიდეც ყველა სახის ერთჯერადი შოკების ზემოქმედების დროს, რასაც პანდემიამდელ პერიოდში არასოდეს არ ჰქონია ადგილი. თუმცა, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია თითოეული შოკის უარყოფითი ზემოქმედების ეფექტის თანდათანობითი შესუსტება დაშვებული შოკის ნეიტრალიზებასთან ერთად, რის შედეგადაც მოსალოდნელია ვალის მდგრადობის ინდიკატორების თანდათანობითი გაუმჯობესება და მისი დაბრუნება დასაშვებ ჭერებს ქვემოთ. დამატებითი შოკების ზემოქმედების გარეშე, ფინანსთა სამინისტროს პროგნოზების მიხედვით, ვალის მშპ-თან ფარდობა შემდეგ წლებშიც შეინარჩუნებს კლებად ტენდენციას. მაშასადამე, საქართველოს მთავრობის ვალის მდგრადობა (იმ შემთხვევაში, თუ ადგილი არ ექნება სხვა, გაუთვალისწინებელი შოკების ზემოქმდებას) საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნებული იქნება. ერთჯერადი შოკ ტესტები აჩვენებს, რომ ვალის მგრადობა განსაკუთებული რისკის ქვეშ დგება ეკონომიკური ზრდისა და გაცვლითი კურსის ერჯერადი შოკების ზემოქმედების დროს. უნდა აღინიშნოს, რომ პესიმისტური სცენარის პირობებში ერთჯერადი შოკების ზემოქმედების პირობებში მნიშვნელოვანი ზომით ირღვევა ვალის მდგრადობა, რადაგან ამ შემთხვევაში ვალის/მშპ-თან შეფარდების მაჩვენებელი მნიშვნელოვანი ზომით აჭარბებს დასაშვებ ზღვრულ (კრიტიკულ) მნიშვნელობებს.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ ფისკალური მდგრადობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია არა მარტო სახელმწიფო ვალი/ მშპ-ში, არამედ ქვეყნის მთლიანი ვალის(რაც სახელმწიფო ვალს 2-ჯერ აღემაება) / მშპ-თან შეფარდების განსაზღვრაც, რაც სახელმწიფოს აკისრებს ირიბ ვალდებულებებს. მდგრადობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია ექსპორტსა და ბიუჯეტის შემოსავლებში სახელმწიფო ვალის წილის განსაზღვრაც. ამ ინდიკატორების დასაშვებ ჭერებთან პერმანენული მიახლოება ასევე შეიცავს რისკებს ქვეყნის ფისკალური მდგრადობისავის. შესაბამისად, ნაშრომში მოცემულია ამ მაჩვენებლების შეფასებები პანდემიის ზეგავლენის გათვალისწინებით.

ნაშრომში შესწავლილია საქართველოში სახელმწიფო ვალის სტრუქტურის თავისებურებები, საგარეო ვალის მაღალი წილი წარემოადგენს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს ფისკალური მდგრადობისნ შენარჩუნების თვალსაზრისით.

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. .მარინა მუჩიაშვილი, ზამირა შონია

2) მოხსენებისსათაური

1. „კოვიდ-19-ის ზეგავლენის სტატისტიკური შეფასება საქართველოს მთავრობის ვალის მდგრადობაზე,“

2.

3) ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები”პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი.

თბილისი, 2022, 27 ნოემბერი

ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ჩიტალაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა, თბილისი 2022. თანაავტორი. ISBN 978-9941-491-78-8

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილულია დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები რეგიონულ ჭრილში, კერძოდ: ძირითადი ცნებები და კატეგორიები, დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის სპეციფიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები, კონკრეტული მეთოდები და მათი გამოყენების პირობები. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიებისა და კლასიფიკაციების განხილვას.

სახელმძღვანელოს ყველა თემაში მოტანილი და გაანალიზებულია დიდი მოცულობის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები საქართველოს ადმინისტრაციული და ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, რომელთა საფუძველზეც გაანგარიშებულია დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მრავალი სპეციფიკური მაჩვენებელი.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. N. ABESADZE , N. PARESASHVILI, R. KINKLADZE , K. CHITALADZE GENDER IMBALANCES IN THE GEORGIAN LABOR MARKET AND PECULIARITIES OF THE IMPACT OF THE COVID-19 PANDEMIC, 12th International Scientific Conference “Business and Management 2022”, ISSN 2029-4441 / eISSN 2029-929X ISBN 978-609-476-288-8 / eISBN 978-609-476-289-5, Article Number: bm.2022.710

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პანდემიამ მძიმე გავლენა მოახდინა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე, რადგან ვირუსის გავრცელებამ და ეპიდემიის ესკალაციამ გააღრმავა სოციალური კრიზისი და გაზარდა უმუშევრობა. გენდერული დისბალანსი შრომის ბაზარზე კიდევ უფრო მწვავე გახდა პანდემიის დროს, რადგან საწარმოთა დიდმა ნაწილმა შეწყვიტა მუშაობა ან განაგრძო მუშაობა შეზღუდული რესურსების პირობებში. შედეგად, შრომის ბაზრის დისბალანსი გაძლიერდა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს შრომის ბაზრის თავისებურებების გენდერული თვალსაზრისით განხილვა, მისი ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება, რაოდენობრივი ანალიზის ჩატარება სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით და შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - **ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,**

საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ***აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე
ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი
ასოცირებული პროფესორი მიხეილ თოქმახიშვილი
ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი
ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე
ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე
ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი
ასოცირებული პროფესორი ლელა ჯამაგიძე
ასოცირებული პროფესორი ემზარ ჯგერენაია

აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე

1. ***სახელმძღვანელო:***

1.1.M მსოფლიოს მოკლე ეკონომიკური ისტორია. სახელ-ლო ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნილი. ქართული გამოცემის სამეცნიერო და მთავარი რედაქტორი ა. სილაგაძე. თბილისის უნ-ტის გამომცემლობა. თბ., 2022. 483 გვ.

1.2. საერთაშორისო ფინანსების ისტორია. ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნილი. ქართული გამოცემის სამეცნიერო და მთავარი რედაქტორი ა. სილაგაძე. თბილისის უნ-ტის გამომცემლობა. (ბეჭდვაში). 361 გვ.

2. ***სტატია:***

2.1 **Silagadze, A.... Covid Depression and Search for a New Paradigm („კოვიდ დეპრესია“ და ახალი პარადიგმის ძიება). BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 16, no. 1, 2022 .**

კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნის მიხედვით, სახეზეა კოვიდ-დეპრესიის საწყისი ნეგატიური ტენდენციები, რომელთა დასაძლევად საჭიროა: ვაქცინაციის გლობალური პროცესების მკვეთრად დაჩქარება და კოვიდ -19-ის მძიმე შედეგების დასაძლევად საჭირო დაფინანსების უზრუნველყოფა; ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაძლიერება; კონკურენტუნარიანი სამამულო პროდუქტის წარმოების ზრდა და ამ პროდუქციით, პირველ რიგში, სამამულო მოთხოვნის დაკმაყოფილება; ექსპორტშემცველი პროდუქციის წარმოების წახალისება; ექსპორტის ზრდის ტემპებისა და მოცულობის ზრდა; უცხოური ინვესტიციების მოზიდვის წახალისება; ოლიგოპოლიური ბაზრის წინააღმდეგ ზომების გამოყენება; სამამულო რესურსების გამოყენების წახალისება; დასაქმების ქმედითი სისტემის შექმნა; ფინანსური ბაზრების და ცენტრების ჩამოყალიბების წახალისება; საქართველოს მეზობელ ქვეყნებსა და, განსაკუთრებით, ევროკავშირთან, შეერთებულ შტატებთან, საერთაშორისო ცენტრებსა და სხვა

ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და სხვ. ამასთან, ეს და სხვა საკითხები უნდა აისახოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ოფიციალურად დამტკიცებულ სამოქმედო პროგრამაში.

2.2 **Silagadze, A. Contemporary Global Economic Trends: Transitional Economies during Covid-Depression (თანამედროვე გლობალური ეკონომიკური ტენდენციები: გარდამავალი ეკონომიკები კოვიდდეპრესიის პირობებში).** BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 16, no. 3, 2022

კოვიდ დეპრესიის პერიოდში მკვეთრად შეიკვეცა გლობალური ეკონომიკა, მათ შორის, გარდამავალი ეკონომიკები, განსაკუთრებით – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) შემავალი ქვეყნების, საქართველოს, ასევე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკები; ზოგიერთ ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა, სახელმწიფო ვალების მოცულობა, სიღარიბე, ინფლაციური პროცესები, შემცირდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა. 2019-2020 წლებში მსოფლიო ეკონომიკის შემცირების მოცულობა დიდად აღემატება ამავე პერიოდში მთლიანად გარდამავალი ეკონომიკების ჯამურ მოცულობას. ასეთ პირობებში ბაზარი ავტომატურად ყველაფერს ვერ დაარეგულირებს; უნდა გააქტიურდეს სახელმწიფოს როლი „ეკონომიკური წესრიგის“ შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებასა და მის დაცვაში, მათ შორის კარტერული გარიგებების წინააღმდეგ, რომლის საბოლოო შედეგია ფასების გაუმართლებელი ზრდა. ვფიქრობთ, რომ „ნეოსინთეზური“ დოქტრინის აქტიურად გამოყენების დრო დადგა. ამის გარეშე მოსალოდნელი სხვადასხვა საფრთხეების თავიდან აცილება, სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა მომავალშიც გართულდება.

3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:

3.1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" . (სექციის ხელ-ლი).
https://tsu.ge/assets/media/files/7/prog.V%202020.pdf

3.2. ა. სილაგაძე (მომხსენებელი), თემა: „გარდამავალი ეკონომიკები გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე“. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება. 21-22 ოქტომბერი 2022. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნ-ტი, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი. https://www.bsu.edu.ge/sub-33/news/index.html

3.3 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი „გლობალური გამოწვევები და ეკონომიკური განვითარების მოდელების ტრანსფორმაცია“. სტუ. 21 ოქტომბერი. (მონაწილე). https://cloud.mail.ru/attaches/16661881891663143782%3B0%3B1

მნიშვნელოვანი აქტივობა:

4. მიენიჭა: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნ-ტის საპატიო დოქტორის წოდება;

5. დაჯილდოებულია- თსუ: „ოქროს მედლით“ და „ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედლით“.

6. პრესაში გამოქვეყნდა მოსაზრებები: 50 პუბლიკაცის სახით ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე.

ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1. „საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე“

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. დაწყება, მარტი, 2022 – დამთავრება, დეკემბერი, 2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. შოთა ვეშაპიძე, ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო-კვლევით პროექტის ხელმძღვანელი.
2. ლელა ბახტაძე, ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო-კვლევით პროექტის მონაწილე.
3. თამაზ ზუბიაშვილი, ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო-კვლევით პროექტის მონაწილე.
4. რამაზ ფუტკარაძე, ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო-კვლევით პროექტის მონაწილე.
5. ჯემალ ხარიტონაშვილი, ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო-კვლევით პროექტის მონაწილე.
6. მიხეილ ლომინაშვილი, მეორე კურსის დოქტორანტი, სამეცნიერო-კვლევით პროექტის მონაწილე.
7. სალომე ციყელეშვილი, მეორე კურსის მგისტრანტი, სამეცნიერო-კვლევით პროექტის მონაწილე.
8. ნანუკა ჩანტლაძე, მეორე კურსის მგისტრანტი, სამეცნიერო-კვლევით პროექტის მონაწილე.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. დღევანდელ პირობებში, გლობალური ეკონომიკა ეროვნული უსაფრთხოების ახალ ეპოქაში შევიდა. COVID-19 პანდემიამ ცხადი გახადა დაუცველობა, რომელიც გამოწვეულია უკიდურესი დამოკიდებულებით მიწოდების გლობალურ ჯაჭვზე და გლობალურ ჯანმრთელობის რისკებთან ბრძოლის კოორდინაციის არარსებობაზე. მაგრამ რამაც ყველაზე მეტად გვამცნო ეს ახალ ეპოქა, ეს არის რუსეთის არაპროვოცირებული შეჭრა უკრაინაში, მსოფლიო ეკონომიკის საბოტაჟი, სასურსათო ომი და ენერგეტიკული ომი. გარდა ადამიანური და ეკონომიკური დანაკარბებისა, უკრაინის ომმა მკვეთრად გააძლიერა უთანხმოება დასავლურ და აღმოსავლურ გეოპოლიტიკურ ბლოკებს შორის, რომელიც შემოკრებილია, შესაბამისად შეერთებული შტატების და ჩინეთის ირგვლივ.

თანამედროვე მსოფლიოში, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, დამოკიდებულია როგორც საშინაო, ასევე საგარეო ფაქტორებზე. ამიტომ, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საქართველოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ის ხელს უწყობს სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას, სამრეწველო გამოცდილების გაცვლას,

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების და საქონლითა და სერვისებით მსოფლიო ვაჭრობის დაჩქარებულ განვითარებას.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი მიზანია მსოფლიო თანამეგობრობისბის ერთობლივი ეკონომიკური პოტენციალის უპირატესობების მაქსიმალური გამოყენება. ამავდროულად, აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ ქვეყნები ამ პროცესში სხვადასხვა როლს ასრულებენ და ნებისმიერი ქვეყნის ან მისი ცალკეული რეგიონის საერთაშორისო მნიშვნელობა ემყარება არსებულ ბუნებრივი რესურსებს, ეკონომიკური განვითარების დინამიკას, მის ადგილს საქონლისა და მომსახურების წარმოების მსოფლიო სისტემაში და ფინანსური რესურსების არსებობას, მის ხელმისაწვდომობას.

საქართველო, წარმატებითაა ჩართული მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში, ზრდის საექსპორტო პოტენციალს, აფართოებს ეკონომიკურ თანამშრომლობას მსოფლიოს ქვეყნებთან, ამყარებს ურთიერთხელსაყრელ ურთიერთობებს აშშ–სთან, ევროკავშირთან, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებთან, ახლო აღმოსავლეთის, ყაზახეთის და შუა აზიის სხვა რესპუბლიკებთან, რუსეთის ფედერაციასთან, ჩინეთთან, ევროპის ქვეყნებთან, იაპონიასთან, სრულიად მსოფლიო თანამეგობრობასთან, რომელიც არის საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების მიზნით ურთიერთმოქმედი სუბიექტების ერთობლიობა.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემური გააზრება აუცილებელია საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში ინტეგრაციისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური სივრცის გლობალური პროცესების თანმდევი ტენდენციები და მათი გავლენა ჩვენს ქვეყანაზე. მნიშვნელოვანია შეფასდეს, საით მიემართება საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს სამომავლო განვითარება, რა გზებით შეიძლება ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, რა არის მისი პრიორიტეტები, როგორია ქვეყნის განვითარების საგარეო ორიენტირები. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს ევროპული ინტეგრაცია. ამ მოკლე დროში ქვეყნის პრიორიტეტს წარმოადგენს კანდიდატის სტატუსის მიღება და კიდევ უფრო დაახლოება ევროკავშირის წევრობასთან.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022). The Modern Economy and Values. Cambridge Scholars Publishing. ISBN (10): 1-5275-8915-3 ISBN (13): 978-1-5275-89155. p. 125.
https://scholar.google.com/citations?view_op=view_citation&hl=en&user=bBLG4nMAAAAJ&pagesize=80&citation_for_view=bBLG4nMAAAAJ:KlAtU1dfN6UC

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. თანამედროვე ეკონომიკა და ღირებულებები

ეს წიგნი გამომდინარეობს პრინციპიდან, რომ ჩვენს პლანეტაზე თითოეული ინდივიდი არის უმაღლესი ღირებულება და ამტკიცებს, რომ თითოეული ადამიანი უნდა იყოს აღიარებული იმის მიხედვით, თუ რა ღირსების და რა ფასეულობების მატარებელია.

წიგნი გვიჩვენებს, რომ ღირებულებების ფენომენი არ არის ის, რაც ხალხს უნდა, არამედ ისაა, რაც ხალხს უნდა უნდოდეს, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ევროპა და ამერიკა ყველაზე მეტად წინ წავიდნენ ამ გზაზე. როგორც ასეთი, წიგნი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ევროპულ და ევროატლანტიკურ ღირებულებებს. წიგნი აღწერს, თუ როგორ უკარნახებდა ღირებულებითი სისტემა, რომელსაც საზოგადოება იყენებს როგორც ორიენტირს, ჩვეული ქცევის ნორმებს ადამიანთა უმეტესობას. ეს ღირებულებები ყველასთვის თანაბრად მისაღები არ არის და ზოგი არღვევს კიდეც მათ, მაგრამ საზოგადოებამ შეიმუშავა ფორმალური (კანონები) და არაფორმალური (ჩვეულებები) ინსტიტუტები მათ შესანარჩუნებლად.

ამ წიგნში განხილული საკითხები, თანამედროვე ეკონომიკისა და ღირებულებების შესახებ, საინტერესო იქნება ყველა ადამიანისთვის, ვინც ფიქრობს თავისი ქვეყნისა და კაცობრიობის ბედზე, განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა, რასისა, პროფესიისა, ასაკისა თუ მსოფლმხედველობისა.

6.2. სახელმძღვანელოები

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Veshapidze S., Karchava L. (2022). Contradictions of Globalization Under the Covid-19 Pandemic. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, **16(4):** 152-157.

2. Veshapidze S., Otinashvili R., Gvarutsidze A., Abuselidze G., Zoidze G. (2022). "Modern technologies to overcome the challenges of globalization". Entrepreneurship, 2:22-32. https://www.ceeol.com/search/article-detail?id=1074987

3. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022). TRANSFORMATION OF ECONOMIC POLICY PRIORITIES UNDER COVID-19. *Three Seas Economic Journal*, *3*(2), 35-43.

4. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. *DOI: https://doi. org/10.5281/zenodo*, *6373197*. P. 135-140. მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ მასალების კრებული. თბილისი, თსუ, 2022.

5.Veshapidze S. (2022). Ilia Chavchavadze on the Methodological Aspects of Economic Processes Research and Modernity Proceedings November 4, Georgia, Tbilisi. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“. International Scientific Conference Dedicated to the Establishment of the University and the 100th Anniversary of the Faculty of Economics and Business “Covid 19 Pandemic and Economics”. შრომების კრებული. თსუ, 2022. გვ. 164-173.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. გლობალიზაციის წინააღმდეგობები კოვიდ-19 პანდემიის პირობებში

აღნიშნული სტატიის ძირითად მიზანია გლობალიზაციის წინააღმდეგობების გამოვლენა თანამედროვე ეტაპზე, მისი გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი დაძლევის

პრიორიტეტების განსაზღვრა. ნაშრომი ეფუძნება სხვადასხვა ფუნდამენტური ლიტერატურის ანალიზს, სინთეზს, კონკრეტულ სტატისტიკურ მონაცემებს, სოციოლოგიურ კვლევას. ნაშრომი აკეთებს დასკვნებს ფაქტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოყენებით. წარმოდგენილია მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები გლობალიზაციის თანამედროვე პროცესების შედეგად გამოწვეულ წინააღმდეგობებსა და გამოწვევებზე. განვითარება წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და სწორედ გლობალური წინააღმდეგობებია ამ სტატიაში ჩვენი კვლევის საგანი, ობიექტი კი გლობალიზაციის პროცესებია. ასევე, მნიშვნელოვანია გლობალიზაციის გამომწვევი ეკონიმიკური პროცესების ანალიზი. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, სხვადასხვა ასპექტების ანალიზისთვის მნიშვნელოვანია უკვე არსებულ კვლევებზე დაყრდნობა. ამ კვლევის შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე, როგორც ლოკალურ, ასევე რეგიონულ და გლობალურ დონეზე მიმდინარე პლანეტარული პროცესების შედეგად გამოწვეული წინააღმდეგობების დაძლევა, მჭიდრო კავშირშია ისეთ პროცესებთან, როგორიცაა, მდგრადი განვითარების ტექნოლოგიების შემუშავება და ადაპტირება, არსებული ბუნებრივი, ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსების რაციონალური გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანია ამ წინააღმდეგობების დაძლევის მოწინავე გამოცდილების გაზიარება, მისი გადაჭრის ალტერნატიული გზების ცოდნა, ქვეყნებს შორის ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური კავშირების განვითარება.

2. თანამედროვე ტექნოლოგიები გლობალური გამოწვევების დასაძლევად

ცივილიზებული კაცობრიობა უნდა ისწრაფვოდეს იცხოვროს ისეთ საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნებული იქნება სამართლიანობაზე, კეთილდღეობასა და ჰუმანიზმზე. გლობალიზაციის ახლანდელ ეტაპზე, აღნიშნული მიზნის მიღწევა მოითხოვს არსებული ბუნებრივი, ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას. მოსახლეობა არის ის ფენომენი, რომელიც ყველაფერს განსაზღვრავს, რომელსაც ყველაფერი უკავშირდება. მსოფლიო მოსახლეობის ზრდა მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება ტექნოლოგიების განვითარებასთან, განაპირობებს მას და მისგან უკუზეგავლენას განიცდის. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, შესაძლებელია სურსათზე და სხვა საარსებო საშუალებებზე ადამიანთა მზარდი მოთხოვნილებების ადეკვატური უზრუნველყოფა. საქართველოს სტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია: ეკონომიკის დივერსიფიკაცია, მეზობელ ქვეყნებზე ეკონომიკური დამოკიდებულების გონივრული შემცირება; ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის უფრო ეფექტიანი გამოყენება; ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნად მიღების რეალური პერსპექტივის გამოყენება; ქვეყნის ეკონომიკის დასავლეთის, აზიის და ყველა სხვა ცივილიზებულ ქვეყნებთან ინტეგრაციის დაჩქარება,

საკვანძო სიტყვები: მოსახლეობის ზრდა, ტექნოლოგიური რევოლუცია, სურსათზე მოთხოვნის ზრდა, სახელმწიფოებრივი აზროვნება.

3. ეკონომიკური პოლიტიკის ტრანსფორმაციის პრიორიტეტები COVID-19-ის პირობებში

ამ ნაშრომის მიზანია გაანალიზოს ეკონომიკის ახალი პარადიგმის ძირითადი გამოწვევები Covid 19-ის კონტექსტში, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბები. ეკონომიკა გვასწავლის, რომ არის ბიუჯეტის გაფართოების დრო და

ბიუჯეტის შეზღუდვების დრო. არის დრო, როდესაც მთავრობას უწევს ჩარევა ღირებულების ჯაჭვში და არის დრო, როდესაც მას უწევს ბაზრების მარტო დატოვება. გადასახადი ხან მაღალი უნდა იყოს და ხან დაბალი. ზოგიერთ სფეროში ვაჭრობა უფრო დამოუკიდებელი და სხვაგან რეგულირებული უნდა იყოს. გლობალიზაცია არის ერთ-ერთი ძირითადი ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე თანამედროვე მსოფლიოში. სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია გლობალიზაციის კონტექსტში არის არა მხოლოდ ეროვნული ეკონომიკის დაცვა გარე გავლენისგან (ე.წ. „გარე შოკები“), რაც დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია, არამედ საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში ეფექტური მონაწილეობა და ზრდა. ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობა. ამ ასპექტში გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე სახელმწიფო. თავის მხრივ, საქართველომ უნდა ააშენოს ეკონომიკის „ქართული მოდელი“, რომელიც იქნება ეკონომიკური მოდელის „ბირთვი“, რომელიც მოიზიდავს ინვესტიციებს (რეალურ ეკონომიკაში), ხელს შეუწყობს დასაქმებას, გააფართოვებს ექსპორტს და ნამდვილ კეთილდღეობას მოუტანს ყველა მოქალაქეს. დღევანდელ პირობებში სახელმწიფოს ინიციატივით განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტები და ეკონომიკური პოტენციალი რეალიზდება. თანამედროვე ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც გამოწვეული იყო კოვიდ-პანდემიით, აჩვენა, რომ არსებული მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის გზა, წარმოუდგენელია, თუ ანტიკრიზისული სტრატეგია ეკონომიკაში მთავრობის გაზრდილ მონაწილეობაზე არ იქნება დაფუძნებული. ამის მისაღწევად მთავრობამ და საჯარო სექტორმა უფრო დიდი როლი უნდა შეასრულონ კრიზისების მართვაში. მიუხედავად ამ მაგალითებისა, სახელმწიფოს ეკონომიკურ რეგულირებას ყოველთვის ჰქონდა სტრატეგიული და ტაქტიკური მნიშვნელობა. ნებისმიერი ქვეყნისთვის ყოველთვის არის და იქნება სახელმწიფო პრობლემები, რომლებიც ან არ წყდება მიწოდება-მოთხოვნის მექანიზმით, ან დაკავშირებულია უარყოფით გვერდით ეფექტებთან. ასეთი შემთხვევების არსებობიდან გამომდინარე, ეკონომიკის სახელმწიფო პროგრამირებისა და მარეგულირებელი ინსტრუმენტების გამოყენებით მუშავდება თავისუფალი ბაზრის ეკონომიკური ღონისძიებების ნაკრები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში სახელმწიფოს როლისა და უფლებების გადახედვა და რეფორმირება. რეფორმის დროს ხაზი უნდა გაესვას სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკაში პროგრესული განვითარების ფაქტორად ჩამოყალიბების აუცილებლობას. გარდა ამისა, უნდა მოიცავდეს საკანონმდებლო საქმიანობას, როგორიცაა - შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა, მინიმალური ხელფასის დარეგულირება, სოციალური კონფლიქტების მოგვარება და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: COVID-პანდემია, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში, ეკონომიკის ახალი პარადიგმა.

4. საზოგადოების ღირებულებითი არჩევანი Covid-19 პანდემიის კონტექსტში

გლობალური Covid-19-ის პანდემიის შედეგად საქართველოს ეკონომიკა კრიზისში აღმოჩნდა. პანდემია ასევე საფრთხეს უქმნის საზოგადოების ტრადიციებსა და ღირებულებებს. ქვეყანამ უნდა დაძლიოს პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგები, რომელმაც გლობალური ხასიათი შეიძინა. მსოფლიოში დიდი გლობალური ცვლილებები ხდება. ისევე, როგორც 1960-იან წლებში დაწყებულმა ეპოქალურმა გარდაქმნებმა საფუძველი ჩაუყარა იმას, რაც დღეს

ხდება, შემდგომი ცვლილებები გამოწვეული იქნება COVID-19-ის დაძლევის შედეგებით. ეს ეხება ყველაფერს, მათ შორის ღირებულებები. დღეს მსოფლიო პროცესები ახალ გამოწვევას სთავაზობს ყველას. იმისათვის, რომ გლობალიზაციის გამოწვევები იქნეს დაძლეული, რათა ქვეყანამ იპოვოს თავისი ადგილი და ფუნქციონირება თანამედროვე სამყაროში, საჭიროა ადამიანურ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი აზროვნება. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადოების არსებობა პროგრესის შეუქცევადი გარანტია.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტაციები, ერთობა, თავისუფლება, რეფორმები, პროგრესი.

5. ილია ჭავჭავაძე ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტების შესახებ და თანამედროვეობა

სოციალურ–ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ჭეშმარიტი შემეცნებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული თეორიის დამუშავების ზუსტი წესების მკაფიო სისტემის შესწავლას და დადგენას. ამ სტატიის მიზანია, გამოკვლევა და ანალიზი იმის შესახებ, როგორ ვითარდებოდა სათანადო მეთოდოლოგია ქართულ ეკონომიკურ აზროვნებაში, როგორ ყალიბდებოდა მისი მეცნიერული პრინციპები. საუკუნე ნახევრის წინათ, ილია ჭავჭავაძემ წარსულის ანალიზსა და მომავლის ხედვაზე დაფუძნებული ეკონომიკური პროცესების კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტები ჩანოაყალიბა. მის შეხედულებებს პრაგმატული, გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს. ის ხელს უწყობს ამჟამინდელ თეორიულ კვლევებს და მათი შედეგების პრაქტიკული რეალიზაციას. სათანადო მეთოდოლოგიის დამუშავებით და გამოყენებით, შესაძლებელია მეცნიერული თეორიების შექმნა, რომლებშიც აისახება საქართველოს ეროვნული ინტერესების, მისი უსაფრთხოების დაცვის და მდგრადი ეკონომიკური განვითარების ობიექტური საფუძვლები, ამჟამინდელი გამოწვევები, წინააღმდეგობები და მათი დაძლევის გზები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობა:

1.ვეშაპიძე შ., ზოიძე გ. საზოგადოების ღირებულებითი არჩევანი Covid-19 პანდემიის კონტექსტში. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. *DOI: https://doi. org/10.5281/zenodo*, *6373197*. P. 135-140. მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბილისი, 8 თებერვალი, 2022.

2. ვეშაპიძე შ. ილია ჭავჭავაძე ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტების შესახებ და თანამედროვეობა. Veshapidze S. (2022). Ilia Chavchavadze on the Methodological Aspects of Economic Processes Research and Modernity Proceedings November 4, Georgia, Tbilisi. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“. International Scientific Conference Dedicated to the Establishment of the University and the 100th Anniversary of the Faculty of Economics and Business “Covid 19 Pandemic and Economics”. შრომების კრებული. თსუ, 4 ნოემბერი, 2022. გვ. 164-173.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

ფუტკარაძე რ. ჩინეთის ეკონომიკური განვითარების გამოწვევები გლობალიზაციის პირობებში. Putkaradze R. Challenges of China's Economic Development in Terms of Globalization. მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" მასალების კრებული. თბილისი, თსუ, 2022.

ფუტკარაძე რ. COVID 19 პანდემიის გავლენა საქართველოს მთლიან სამამულო პროდუქტზე და საგარეო ვაჭრობაზე. The Impact of the COVID 19 Pandemic on the Gross Domestic Product (GDP) and Foreign Trade of Georgia. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა". International Scientific Conference Dedicated to the Establishment of the University and the 100th Anniversary of the Faculty of Economics and Business "Covid 19 Pandemic and Economics". შრომების კრებული. თსუ, 2022. გვ. 322-329.

ფუტკარაძე რ. ერთიანი ევროპული ვალუტა (ევრო) საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას ეკონომიკაში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება". International Scientific Conference "Global Challenges and Sustainable Development of Economics and Business". BOOK OF PROCEEDINGS. აბსტრაქტების კრებული. ბათუმი, 2022. გვ. 176-178.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჩინეთის ეკონომიკური განვითარების გამოწვევები გლობალიზაციის პირობებში

საკვანძო სიტყვები: ჩინეთის ეკონომიკა, ეკონომიკის ისტორია, ეკონომიკური რეფორმები, გლობალიზაცია, ეკონომიკური ინტეგრაცია, საგარეო ვაჭრობა.

ნაშრომში განხილულია ჩინეთის ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები, ჩინეთის მიღწევები ეკონომიკური რეფორმების დაწყების შემდეგ, ჩინეთის ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები, ჩინეთის როლი ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით ჩინეთი ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა.

ჩინეთი წარმოადგენს გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს. მისი როლი შეიძლება სასარგებლო იყოს მთლიანი მსოფლიო ეკონომიკისა და ვაჭრობის ზრდისთვის. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩინეთი გახდა მსოფლიო ეკონომიკური ზრდის მთავარი ძრავა. ჩინეთში სწრაფი ზრდა შესაძლებელი გახდა ქვეყნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების, ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და შიდა ეკონომიკაში ინვესტიციების მაღალი ზრდის გამო.

თანამედროვე ეტაპზე ჩინეთი მსოფლიოში N1 ექსპორტიორი ქვეყანა, უდიდესი სავალუტო რეზერვების მქონე, ნომერ მეორე უდიდესი ეკონომიკის და უმსხვილესი დადებითი სავაჭრო სალდოს მქონე ქვეყანაა. ეკონომიკური რეფორმებისა და ვაჭრობის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაციის დაწყებამდე ქვეყანა ნაკლებად იყო ინტეგრირებული გლობალური

ეკონომიკაში. საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების გახსნისა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების შემდეგ, ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკებს შორისაა. ეკონომიკურმა ზრდამ და ექსპორტის გაზრდამ შესაძლებელი გახადა ქვეყანაში ასეულობით ადამიანის სიღარიბიდან გამოყვანა.

1980-იანი წლებიდან ჩინეთმა განიცადა მაღალი ეკონომიკური ზრდა და მისი წილი გლობალურ ვაჭრობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა ბოლო პერიოდში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა ნელდება. ნაშრომი წარმოდგენილია ჩინეთის ეკონომიკის განვითარების ისტორიული ასპექტები. თავის მხრივ ჩინეთის როლი მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვანია და შეუძლია გავლენა მოახდინოს გლობალურ ზრდაზე.

ჩინეთის მზარდი გლობალური ეკონომიკური გავლენა და წარმატებული ეკონომიკური და სავაჭრო პოლიტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთელს მსოფლიოზე, როგორც განვითარებულ (აშშ, ევროკავშირი და სხვ), ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებზე.

1979 წელს ჩინეთის მსპ-მა მიმდინარე ფასებში მოსახლეობის ერთ სულზე 200 აშშ დოლარს არ აღემატებობა, ხოლო 2021 წელს - 12556 აშშ დოლარი შეადგინა. ჩინეთში 2020 წელს საქონლის იმპორტისა და ექსპორტის მთლიანმა მოცულობამ 4.5 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ჩინეთი წარმოადგენს საქონლის N1 ექსპორტიორ და N2 იმპორტიორ ქვეყანას, მასზე მოდის საქონლის მსოფლიო ექსპორტის14.7% და იმპორტის 11.54%. ჩინეთი გახდა მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკა (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით).

ამრიგად, ჩინეთის როლი მსოფლიო ეკონომიკაში მზარდია. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ჩინეთის წილი მსოფლიო ეკონომიკაში და ვაჭრობაში მნიშვნელოვნად გაიზრდება. ჩინეთს შეუძლია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს გლობალური ეკონომიკური ზრდისთვის.

COVID 19 პანდემიის გავლენა საქართველოს მთლიან სამამულო პროდუქტზე და საგარეო ვაჭრობაზე

ანოტაცია. ბოლო 2 წელია მსოფლიო თანამეგობრობა კოვიდ 19 პანდემიამ მოიცვა. წინამდებარე ნაშრომში განხილულია COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, კერძოდ მთლიან სამამულო პროდუქტზე და ქვეყნის საგარეო ვაჭრობაზე, რა პროცესები მიმდინარეობდა ამ პერიოდში, რა გავლენა იქონია ყოველივემ მსპ-ს კომპონენტებზე და მოცემულია შესაბამისი დასკვნები. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია კოვიდ 19-ის გავლევა ადრეულ სტადიაზე, რადგან კოვიდ 19 გრძელდება და მისი შედეგები საშუალო და გრძელვადიან პერიოდში განსხვავებული შეიძლება იყოს.

მსოფლიო კაცობრიობის ისტორიაში პანდემიის არაერთი შემთვევა ყოფილა, რომლთა რიცხვი იზრებოდა და სავარაუდოდო შემდგომშიც გაიზრდება. 2019 წელს ჩინეთის ქალაქ ვუჰანში პირველად გამოვლინდა ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ავადობა ადამიანებში, რომელიც სწრაფად მოედო მთელს მსოფლიოს, როგორგ განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებს, ყოველივემ კი კაცობრიობა ახალი გლობალური-ეკონომიკური კრიზისის წინაშე დააყენა.

ნაშრომის ბოლოს გაკეთებულია დასკვნა, რომ კოვიდ 19 პანდემიამ მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. შემცირდა პუი-ები, მსპ, მსპ მოსახლეობის ერთ სულზე, ტურიზმი, ვაჭრობა და სხვ.

ფუტკარაძე რ. ერთიანი ევროპული ვალუტა (ევრო) საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას ეკონომიკაში.

ნაშრომში გამოკვლეულია საერთაშორისო და ევროპულ ეკონომიკურ ინტეგრაციაში საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას მნიშვნელოვანი და მზარდი როლი. აღნიშნულია, რომ უნდა გაზარდოს ევროს, როგორც საერთაშორისო ვალუტის როლის სამივე ქვეყანაში.

მითუმეტეს იმ ფონზე რომ აღნიშნული ქვეყნები აქტიურად ცდილობენ ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებას.

აღსანიშნავია, რომ აშშ დოლარი აქტიურად გამოიყენება საანგარიშგებო და სტატისტიკის საწარმოებელ ვალუტად სამივე ქვეყანაში. ევროს როლის ზრდა შესაძლებელია სამი მნიშვნელო-ვანი პარამეტრით, რითაც თვითონ ევროპის ცენტრალური ბანკი სარგებლობს - ქვეყანაში ბანკებში არსებული დეპოზიტები, ბანკების მიერ გაცემული სესხები და სახელმწიფო რეზერვები.

რეზერვების კუთხით, ევროს ყველაზე დიდი როლი 2021 წლის ბოლომდე მოლდოვას ეკონომიკაში ჰქონდა, როგორც სამეულიდან ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ინტერვენციებისათვის დოლარის გარდა სხვა ვალუტას, ევროს იყენებდა. მოლდოვას ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2009 წლიდან მოყოლებული ევროთი სავალუტო ინტერვენცია მრავალჯერ განხორციელდა.

სიტუაციას ამ ეტაპზე გარკვეულწილად ცვლის უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული ომი, რადგანაც 2022 წელს ამ დიდი კრიზისის ფონზე, უკრაინის ცენტრალურმა ბანკმაც დაიწყო ევროთი სარგებლობა ინტერვენციებისათვის. 2022 წლის პირველი ხუთი თვის მონაცემებით - გაყიდული უცხოური ვალუტის 20%, ხოლო შესყიდული ვალუტის 5.8% ევროზე მოვიდა, რაც მკვეთრად ჩამოუვარდება დოლარს, თუმცა წარმოადგენს მაინც დიდი მასშტაბის გადატეხას ევრო არეას გავლენის კონტექსტში.

2021 წლის მონაცემებით, საქართველოში არსებულ ფინანსურ ინსტიტუტებში 38 მილიარდი ლარის ღირებულების დეპოზიტები იყო განთავსებული, ხოლო უკრაინაში 1.5 ტრილიონი გრივ-ნიას ღირებულების. აქედან ევროში განთავსებული იყო 3.7 მილიარდი ლარისა და 139.9 მილიარდი გრივნიას ოდენობის დეპოზიტები. მონაცემებს უკეთ აჩვენებს პროცენტული პარამეტრები: საქართველოში ევროში განთავსებული დეპოზიტები მთლიანის 9.65%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 15.9%-ს შეადგენდა, ხოლო უკრაინაში 9.19%-სა და 27.59%. ევროს წილი დეპოზიტებში საქართველოში უფრო მაღალია, თუმცა უკრაინის შემთხვევაში ევროს უფრო მაღალი წილი უცხოური ვალუტის დეპოზიტებში აიხსენება საქართველოს ეკონომიკის უკრაინასთან შედარებით მაღალი დოლარიზებით. იმავე წელს, საქართველოს ბანკებში არსებული დეპოზიტების 60.52% უცხოურ ვალუტაში იყო, მაჩვენებელი, რომელიც 33.3%-ს უდრიდა უკრაი-ნაში.

აღნიშნული 3 ქვეყნის ეკონომიკაში ევროს, როგორც ვალუტის როლის გაზომვისას ცალსახად ჩნდება, რომ მოლდოვა სავალუტო კუთხით საგრძნობლად უფრო მეტად არის ინტეგრირებული ევრო არეასთან ვიდრე საქართველო და უკრაინა, მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ დონის ცვლი-ლება დოლარის გავლენის შესუსტებით და ევროპული ვალუტის მოძლიერებით სამივე სახელმწიფოში სახეზეა.

ამრიგად, ევროს როლი აღნიშნული სამი ქვეყნის ეკონომიკაში მზარდაა. აღნიშნულმა ქვეყნებ-მა თავის მხრივ უნდა გააგრძელოს ევროკავშირთან შემდგომი ინტეგრაცია. გაზარდოს სავაჭრო–ეკონომიკირი და სავალუტო თანამშრომლობა ევროკავშირთან.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობა:

ფუტკარაძე რ. ჩინეთის ეკონომიკური განვითარების გამოწვევები გლობალიზაციის პირობებში. Putkaradze R. Challenges of China's Economic Development in Terms of Globalization. **მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში". თბილისი, 4-5 ნოემბერი, 2022.**

ფუტკარაძე რ. COVID 19 პანდემიის გავლენა საქართველოს მთლიან სამამულო პროდუქტზე და საგარეო ვაჭრობაზე. The Impact of the COVID 19 Pandemic on the Gross Domestic Product (GDP) and Foreign Trade of Georgia. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“. International Scientific Conference Dedicated to the Establishment of the University and the 100th Anniversary of the Faculty of Economics and Business “Covid 19 Pandemic and Economics”. თბილისი, თსუ, 8 თებერვალი, 2022.

ფუტკარაძე რ. ერთიანი ევროპული ვალუტა (ევრო) საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას ეკონომიკაში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება”. International Scientific Conference "Global Challenges and Sustainable Development of Economics and Business". ბათუმი, 21-22 ოქტომბერი, 2022.

ასოცირებული პროფესორი ლელა ჯამაგიძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. Lela Jamagidze (2022), Georgia –Romania Economic Cooperation and the New Regional Challenges, EURINT, volume 9, pp. 134-151

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომის მიზანია საქართველოსა და რუმინეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი საკითხების ანალიზი. ანალიზი მოიცავს საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის ორმხრივი ნაკადების დინამიკას. სტატიაში ხაზგასმულია ის შესაძლებლობები და საერთო გამოწვევები, რომლებიც არსებობს ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების, სატრანსპორტო და ენერგეტიკული თანამშრომლობის სფეროებში. გეოგრაფიული სიახლოვე, ისევე როგორც ორი ქვეყნის მრავალი ნიშნით მსგავსება ეკონომიკის სტრუქტურასა და განვითარების დონეებში, ეხმარება მათ ორმხრივი ეკონომიკური კავშირების განვითარებაში. გამოყენებულია ეკონომიკური და ინსტიტუციური თანამშრომლობის შესახებ არსებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი იმის საჩვენებლად, თუ როგორ არიან წარმოდგენილი საქართველო და რუმინეთი ორმხრივად საინტერესო ეკონომიკურ ინიციატივებში და როგორ უწყობს ხელს ეს ინიციატივები ორი ქვეყნის პოზიციონირებას გლობალურ და რეგიონულ ბაზრებზე. რეგიონში არსებული ეკონომიკური და უსაფრთხოების საფრთხეების გათვალისწინებით, კვლევა ვარაუდობს, რომ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ინტეგრაციის ორმხრივი, განზომილება უნდა გაძლიერდეს, რათა რეგიონული ინტეგრაციის სარგებელი იქცეს რეალურ ეკონომიკურ მოგებად.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. ეკა ლეკაშვილი, ლელა ჯამაგიძე. Structural Transformation and Export Performance in Georgia: Is There a Need for the New Industrial Policy? მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

მოხსენების ანოტაცია

ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია ფართო სამეცნიერო დისკუსიის საკითხია, რადგან ის დაკავშირებულია პროდუქტიულობასთან, სამუშაო ძალის განაწილებასთან, შემოსავლებთან და ეკონომიკური განვითარების სხვა ასპექტებთან. ის კარგად არის შესწავლილი განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში. ასევე არსებობს კვლევები, რომლებიც იძლევა განვითარებულ ეკონომიკებში არსებული საკითხების საფუძვლიან ანალიზს. რაც შეეხება გარდამავალ ქვეყნებს, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და კვლევის ძირითადი აქცენტები მიმართულია ეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ რეფორმებზე, რომლებიც მიზნად ისახავს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, მაგრამ მწირია კვლევები, რომლებიც ნათლად გაანალიზებს, თუ როგორ შეუწყო ხელი ამ რეფორმებმა პროდუქტიულობის ზრდას ეკონომიკის ცალკეულ სექტორში, როგორც შუწყო ხელი მათ მოდერნიზაციას, დაბალი დამატებითი ღირებულების საქმიანობიდან მაღალი დამატებითი ღირებულების სექტებში რესურსების გადანაცვლებას. ამ ხარვეზის შესავსებად წინამდებარე ნაშრომი აანალიზებს საქართველოს ეკონომიკურ ტრანსფორმაციას ექსპორტის მაჩვენებლების ჭრილში და განიხილავს ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის საჭიროებას.

საქართველო ეკონომიკური განვითარების თავისუფალ ვაჭრობაზე ორიენტირებულ მიდგომას მისდევს (რის გამოვლინებაცაა ორიენტირება ექსპორტის ზრდაზე, ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე, ვაჭრობის ხელშეწყობაზე და სავაჭრო შეთანხმებებზე, როგორც ძირითად პოლიტიკაზე). წარმოდგენილ ნაშრომში ექსპორტის დივერსიფიკაციისა და ვაჭრობის ეფექტიანობის ზრდის პოტენციალი შეფასდებულია ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის კუთხით. გამოყენებულია მონაცემები დარგობრივ დონეზე შექმნილი დამატებული ღირებულების, დარგობრივი დასაქმების წილების, დარგობრივი ხარჯების წილისა და წმინდა ექსპორტის წილების შესახებ მთლიან მშპ-ში.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება აერთიანებს რვა კათედრას:

1. ***ფინანსებისა და საბანკო საქმე;***
2. ***ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;***
3. ***საერთაშორისო ბიზნესი;***
4. ***მენეჯმენტი და ადმინისტრირება;***
5. ***გლობალურ გარემოში მენეჯმენტის;***
6. ***მარკეტინგი;***
7. ***ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;***
8. ***ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში.***

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება*: **ფინანსები და საბანკო საქმის კათედრა***

2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი ირაკლი კოვზანაძე***

3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
ასოცირებული პროფესორი ხათუნა გარგაქაძე
ასოცირებული პროფესორი მაია გოგობია
ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე
ასოცირებული პროფესორი ავთანდილ ჩუთლაშვილი
ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური
ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი
ასისტენტ პროფესორი თამარ კბილაძე

პროფესორი ირაკლი კოვზანაძე
6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1. ირაკლი კოვზანაძე
   გოგი კონტრიძე
2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა
   ISBN 978-9941-33-301-9
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი. გამომცემლობა „სეზანი“
4) გვერდების რაოდენობა
1. 704
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
სახელმძღვანელო შექმნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ სიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრაზე და მოიცავს საბანკო სისტემის და კომერციული ბანკის საქმიანობის პრაქტიკულად ყველა მნიშ ვნელოვან ასპექტს.
ნაშრომი ეფუძნება საბანკო საქმიანობის საერთაშორისო და სამამულო გამოცდილებას. მასში სა ბანკო კანონმდებლობის ნორმატიულ დოკუმენტებსა და სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდ ნობით განხილულია საბანკო საქმის კონკრეტული მაგალითები როგორც საქართველოს შემთხვ ევაში, ასევე საერთაშორისო საბანკო პრაქტიკიდან.
წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების საბანკო საქმის სპეციალობის ბაკალავრებისა თვის, ეკონომიკური პროფილის სხვა მიმართულებების მაგისტრებისათვის, დოქტორანტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის. იგი ასევე დაეხმარება მეცნიერ-
მკვლევარებს, ეკონომისტებსა და პრაქტიკოს ბანკირებს გაიღრმავონ ცოდნა საბანკო საქმეში.

ასოცირებული პროფესორი ხათუნა გარგაქაძე

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნატო კაკაშვილი
ხათუნა ბარბაქაძე
2. ხათუნა ბარბაქაძე
ნატო კაკაშვილი
3. ნატო კაკაშვილი
ხათუნა ბარბაქაძე

2) მოხსენების სათაური

1. „აგროდაზღვევა: სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკის მიღწევები და გამოწვევები“
2. „კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკა: პრობლემები და პერსპექტივები“
3. „სამოგზაურო დაზღვევის მნიშვნელობა ტურისტული ბიზნესისათვის და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 4-5 ნოემბერი 2022 წელი. თბილისი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცი
2. 21-22 ოქტომბერი 2022 წელი. ბათუმი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“
3. 8 თებერვალი 2022 წელი. თბილისი. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „COVID 19 პანდემია და ეკონომიკა“

ასოცირებული პროფესორი ავთანდილ ჩუთლაშვილი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

ჩუთლაშვილი ა., სტატიის სათაური - Consumption, Savings and Investment in the Light of the COVID-19 Pandemic.

ციფრული საიდენტიფიკაციო კოდი DOI - *https://doi.org/10.31435/rsglobal_ijite/30032022/7788*

ჟურნალის დასახელება - International Journal of Innovative Technologies in Economy.

p-ISSN: 2412-8368

e-ISSN: 2414-1305

გამოცემის ადგილი - პოლონეთი

გამოცემლობა - **Publisher:** RS Global Sp. z O.O., Poland
გვერდების რაოდენობა - 11
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

დანაზოგები, მოხმარება და ინვესტიციები COVID-19 პანდემიის ფონზე

ანოტაცია

ნაშრომი განიხილავს პოსტკრიზისული ეკონომიკის აღდგენის საკითხებს და Covid-19-ის პანდემიის გავლენას მოხმარებაზე, დაზოგვასა და ინვესტიციებზე. აღნიშნული პარამეტრები შესწავლილია ქვეყნების სამი ჯგუფის მაგალითზე. კერძოდ, G 7-ის ქვეყნები, G20-ის ქვეყნების წარმომადგენლები და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები.

გლობალური ეკონომიკური ვარდნა მხოლოდ პანდემიით ან ეკონომიკური ციკლის თავისებურებებით არ არის განპირობებული. ჩვენი აზრით, ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებში საინვესტიციო აქტივობის შენელებამ და ეკონომიკური ზრდისათვის დამახასიათებელი ინოვაციური მამოძრავებლების არარსებობამ.

პანდემიის პერიოდში ბევრმა ქვეყანამ ბიზნესისა და მოსახლეობის მხარდასაჭერად უპრეცედენტო ზომები მიიღო. მაგალითად, აშშ-ის კონგრესმა 1.9 ტრილიონი დოლარის დახმარების პაკეტი დაამტკიცა, ხოლო ევროზონის ქვეყნებში დახმარება 2 ტრილიონ ევროს აცდა. მიზანი, არა მხოლოდ მოთხოვნის სტიმულირება, არამედ დანაზოგების მისაღები დონის შენარჩუნებაც იყო, რასაც საბოლოო ჯამში წარმოება უნდა გამოეცოცხლებინა. თუმცა, სწრაფი შედეგი არ მომხდარა.

ანალიზი აჩვენებს, რომ ისეთი ინდიკატორების მოცულობა და ზომა, როგორიცაა ინვესტიცია, დანაზოგი და მოხმარება, დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ეკონომიკური ციკლის მიღმა არსებულ ფაქტორებზეც. COVID-19-ის პანდემიამ გაზარდა გლობალური განვითარების დისბალანსი. პანდემიის შედეგები შეანელებს გლობალური ეკონომიკური აღდგენის პროცესს.

გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მხოლოდ ინვესტიციებზე ორიენტირება არაა საკმარისი. საჭიროა ახალი ზრდის წერტილები. ეს ეხება როგორც ცალკეულ ქვეყანას, ასევე მთლიან გლობალურ ეკონომიკას. შეერთებულ შტატებში, ევროკავშირში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ვითარდება ტექნოლოგიები, რომლებიც შეიძლება მოგვევლინოს ზრდის ახალი მამოძრავებელი ძალად. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური მეცნიერებისთვის ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის ახალი მოდელების შემუშავება და შემოთავაზება, რომელიც შეიძლება დაფუძნდეს ახალ თეორიულ პოსტულატებზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.

1. მონაწილეობა საქართველოს პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის მუშაობაში. თემა: „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - არსებული გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“ (მოსმენა კერძო სექტორთან). შეხვედრა ჩატარდა 2022 წლის 25 იანვარს Webex პლატფორმის საშუალებით;

2. მონაწილეობა საქართველოს პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის მუშაობაში. თემა: სახელმწიფო ვალი და ფისკალური სტაბილურობა კოვიდ პანდემიის გავლენით. 2022 წლის მარტი.

ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ***ლეილა ღუდუშაური. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო საქართველოში: გამოწვევები და გადაწყვეტის გზები.*** ჟურ. ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, №2, ტომი XIV, 2022, ISBN 1987-5789. ESSN 2587-5426. თბ., თსუ გამომცემლობა,–18 გვ. https://doi.org/10.65079/2022/7

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო საქართველოში: გამოწვევები და გადაწყვეტის გზები

ანოტაცია

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის ფინანსური სტაბილურობის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას კერძო სექტორის ვალის ტვირთის ჭარბი და, ამავდროულად, სწრაფი ზრდა წარმოადგენდა. აღნიშნული პრობლემის მთავარი მიზეზი იყო წლების განმავლობაში სესხის გაცემა შემოსავლების დადასტურების გარეშე. ჭარბვალიანობა, **როგორც ცნობილია, მსესხებლის გადახდისუნარიანობის რისკებს საგრძნობლად ამწვავებს, რაც, თავის მხრივ, არა მარტო მსესხებლის დეფოლტის რისკს, არამედ მთლიანად ქვეყნის ფინანსური კრიზისის ალბათობას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.**

ფიზიკური პირების ჭარბვალიანობის გამოწვევების საპასუხოდ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2019 წლიდან პასუხიმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო აამოქმედა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში მოქმედი ყველა ლიცენზირებული სესხის გამცემი ობიექტის დაქვემდებარებას დაკრედიტების ერთიან წესებზე, როგორც მომხმარებელთა უფლებების, ასევე საკრედიტო სტანდარტების დაცვის კუთხით. აღნიშნული დებულება 2020 წელს, არსებული რეალობის გათვალისწინებით, უფრო გამარტივდა და დაიხვეწა. ცვლილებები გათვალისწინებულია 2022 წელსაც.

სტატიაში განხილული და გაანალიზებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პასუხისმგებლიანი დაკრედიტების შესახებ დებულებით გათვალისწინებული რეგულაციები, მათი გავლენა ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე, კერძო სექტორის ვალის ტვირთის დონეზე და გამოთქმულია მოსაზრებები ზოგიერთი რეგულაციის შემდგომი დახვეწის მიმართულებით.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს ამოქმედების შემდგომი პერიოდის ანალიზი ცხადყოფს, რომ რეგულაციებმა მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგები გამოიღო, სახელდობრ: შემცირდა შინამეურნეობების ჭარბვალიანობა; გაუმჯობესდა აქტივების ხარისხი; ფიზიკური პირების ვალის ტვირთის ჭარბი ზრდა შენელდა; საკრედიტო აქტივობა მდგრად დონეზე

ნარჩუნდება; ახალი სტანდარტით გაცემულ სესხებზე დეფოლტის დონე მნიშვნელოვნადაა შემცირებული და მისაღებ ფარგლებშია.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ რეგულირების პერიოდში არ შემცირებულა ხელმისაწვდომობა სესხებზე, პორტფელის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მსხესხებლები უფრო ინფორმირებულები გახდნენ თავიანთ კრედიტუნარიანობასა და გადახდისუნარიანობაზე, რაც მათ, მომავალში სხვადასხვა შოკების შემთხვევაში, პოტენციური საფრთხის მინიმუმამდე დაყვანის საშუალებას აძლევს.

> ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკის შესარბილებლად და შინამეურნეობების გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად, სახელდობრ: მსესხებლებს შესთავაზა სესხების(გასაკუთრებით, იპოთეკური სესხების) რესტრუქტურიზაცია, ამიტომ რისკის სტანდარტული საზომი, როგორიცაა დეფოლტი და ვადაგადაცილება შენატანზე, ამ პერიოდში ნაკლებად ფიქსირდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის საწყის ეტაპზე სესხების მომსახურებაზე საშეღავათო პერიოდის შეთავაზებამ შინამეურნეობებს ფინანსური მდგომარეობის შერბილების საშუალება მისცა, შოკის სიმძიმიდან გამომდინარე, გაუარესებულ გადახდისუნარიანობას უმოქმედო სესხების წილის ზრდა მოჰყვა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პანდემიის ნეგატიური გავლენა განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა შემოსავალთან შედარებით სესხის მომსახურების მაღალი ტვირთის მქონე ფიზიკური პირებისთვის.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო, არსებული რეალობის გათვალისწინებით, 2022 წელსაც განიცდის ცვლილებებს, სახელდობრ, მსესხებელთა ნაწილისთვის სასესხო მოთხოვნები მკაცრდება. ცვლილებები გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: სესხის მომსახურების კოეფიციენტის (PTI) ზღვრების თავდაპირველი შეფასება 2017 წლის სტატისტიკურ მონაცემებს ეყრდნობოდა, რის შემდგომ რიგი ნომინალური ეკონომიკური მაჩვენებლები, მაკროფინანსური გარემოს ცვლილებებიდან და შოკებიდან გამომდინარე, საგრძნობლად გაიზარდა. შესაბამისად, წესდება სესხის მომსახურების კოეფიციენტის (PTI) ახალი ზღვრები, რომელთა მიზანი მსესხებელი ფიზიკური პირების შოკის შეწოვის უნარის შენარჩუნებაა და თანხვედრაშია FSAP-ის რეკომენდაციებთან.

მიუხედავად **პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციების ამოქმედების ზემოაღნიშნული** დადებითი შედეგებისა, ვფიქრობთ, რომ დებულების ზოგიერთი მუხლი საკამათოა და შემდგომ დახვეწას საჭიროებს, სახელდობრ:

- **რეგულაციების** თანახმად, ფინანსურ ინსტიტუტს აქვს უფლება თავად, შიდაორგანიზაციული პროცედურების ჩატარების საფუძველზე მოახდინოს შემოსავლების დადგენა. აღნიშნული ზრდის რისკებს შემოსავლების დადგენის სიზუსტის თვალსაზრისით და საჭიროებს განსაკუთრებულ სიფრთხილეს ბანკის მხრიდან.
- პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს საფუძველზე გაიზარდა სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (LTV), რაც ნიშნავს იმას, რომ ერთი და იმავე სესხის უზრუნველსაყოფად მიმდინარე პერიოდში ნაკლები ღირებულების ქონებაა აუცილებელი, ვიდრე იყო რეგულაციებამდე პერიოდში. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მომგებიანია მსესხებლებისათვის, მაგრამ რისკის მატარებელია საბანკო დაწესებულებისათვის, რადგან უზრუნველყოფის სახით

კლიენტი დებს ნაკლები ღირებულების ქონებას და ამიტომ იმის ალბათობა, რომ მან სესხი ვერ დაფაროს, საკმაოდ იზრდება.

- გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დებულება არ ვრცელდება იმ ფიზიკურ პირებზე, რომელთა ჯამური სასესხო დავალიანება სესხის გამცემი სუბიექტების მიმართ გადააჭარბებს 1,000,000 ლარს ან პირებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ „გათვითცნობიერებული ინვესტორის“ კრიტერიუმებს, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ პირებზე სესხის გაცემა გამარტივდა და შეიძლება მოხდეს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს მიღმა. ვფიქრობთ, ამ გამონაკლისის დაშვება მაღალი რისკის მატარებელია და მთლიანად ხდება დამოკიდებული ბანკის შიდა პოლიტიკაზე, რაც ზრდის ბანკის სუბიექტურობის ხარისხს და არასათანადო პროცედურების ჩატარების შემთხვევაში, ქმნის რეალურ საფუძვლებს დანაკარგების წარმოქმნის კუთხით. ის ფაქტი, რომ კლიენტს აღნიშნული ზღვრული დავალიანება უკვე გააჩნია, მეტყველებს იმაზე, რომ ამ პერიოდამდე მასზე სესხის გაცემისას უკვე ჩატარდა შემოსავლებისა და ხარჯების ძირითადი მიმართულებების დადგენა, რის შედეგადაც დაშვებულ იქნა ფინანსური სახსრების მიწოდება, მაგრამ, ცვალებადი ეკონომიკური გარემოსა და არსებული პანდემიისა და პოსტპანდემიის პირობებში, ფინანსური მდგომარეობის დამატებითი შესწავლის გარეშე პირზე სესხის გაცემა მაღალი რისკის მატარებელია.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული პასუხიმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდა და ეკონომიკური შოკის შერბილებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ყოველივე ეს კი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი ფაქტორია.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ***ლეილა ღუდუშაური. ინოვაციური საბანკო ტექნოლოგიები და პროდუქტები: გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები.***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები – ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბ., 4–5 ნოემბერი, 2022. ISBN 978-9941-36-061-9. –10 გვ.

2. ***ლეილა ღუდუშაური. საოპერაციო რისკის მართვის გამოწვევები და გადაწყვეტის გზები.***

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. პროფ. გიორგი წერეთლის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული– „ეკონომიკური ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები“. თბ., 27 ნოემბერი, 2022. ISBN 978-9941-36–049-7. –10 გვ.

ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნატო კაკაშვილი

ხათუნა ბარბაქაძე

2. ხათუნა ბარბაქაძე

ნატო კაკაშვილი

3. ნატო კაკაშვილი

ხათუნა ბარბაქაძე

2) მოხსენებისსათაური

1. „აგროდაზღვევა: სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკის მიღწევები და გამოწვევები“

2. „კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკა: პრობლემები და პერსპექტივები“

3.„სამოგზაურო დაზღვევის მნიშვნელობა ტურისტული ბიზნესისათვის და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში“

3) ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

1. 4-5 ნოემბერი 2022 წელი. თბილისი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

2. 21-22 ოქტომბერი 2022 წელი. ბათუმი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“

3. **8 თებერვალი 2022 წელი. თბილისი. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „COVID 19 პანდემია და ეკონომიკა“**

ასოცირებული პროფესორი მაია გოგოხია

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მ. გოგოხია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების საკითხისათვის, doi 10.56079, „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XIV, N 3, 2022, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა. გვ, 167-177.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) *სტატიის მიზანია თანამედროვე ეტაპზე ფინანსური სტრუქტურის ტრანსფორმაციის ზოგიერთი არსებითი ტენდენციის გამოვლენა და მისი რეგულირების აქტუალური საკითხების წარმოჩენა საქართველოში. ყურადღება გამახვილებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების პრინციპებზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი რეგულირების მნიშვნელობაზე, აღნიშნული ბაზრის კაპიტალიზაციის მასშტაბზე, საბირჟო ჯგუფების შექმნის ტენდენციაზე, კოვიდ პანდემიის გავლენასა და განსხვავებულ მიდგომებზე ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების სისტემის აგებისადმი.*

სტატიაში ხაზგასმულია, რომ დეცენტრალიზებული ფინანსური სისტემის სტრუქტურა - თანაფარდობაა საბანკო სექტორსა და ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურ ბაზრებს შორის. ფინანსური სტრუქტურა, როგორც ეკონომიკური განვითარების გზებისა და მექანიზმების წყარო, სადისკუსიო საკითხია. ამასთან, ბოლო პერიოდში შეინიშნება ფინანსური სისტემის სექტორების სულ უფრო მეტი დაახლოვება. დერეგულირების გაძლიერებასთან ერთად, სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტები სულ უფრო მეტად უწევენ ერთმანეთს კონკურენციას მათი ბიზნეს-მოდელების მაფორმირებელი სპეციალობების მიხედვით. აღმოცენდა ფინანსური ჰოლდინგები, რომლებიც წარმართავენ ფინანსური ბიზნესის ფაქტობრივად ყველა მიმართულებას. გამოკვეთილია ფინანსური სისტემის ცალკეული სერვისების სფეროში მაღალტექნოლოგიური კომპანიების გააქტიურება და ახალგაზრდა, ზოგჯერ შედარებით მცირე ფინტექფირმების ექსპანსია.

სტატიაში ჩამოყალიბებული მოსაზრებები, ხელს შეუწყობს ფინანსური ბაზრის რეგულირების სისტემის სრულყოფას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მ. გოგოხია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების თანამედროვე ტენდენციები. 27 ნოემბერი, 2022, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული - ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები. გვ. 246-251. ISBN 978-9941-36-049-

ასისტენტ პროფესორი თამარ კბილაძე

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. აკადემიური მობილობის გრანტი დაფინანსებული DAAD –ის მიერ. კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია. ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 2022 წლის - 29 სექტემბერი- 29 ნოემბრი.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თამარ კბილაძე - მიწვეული ლექტორი კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის

მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. თამარ კბილაძე, დავით კბილაძე, თამარ ჩირაძე. მდგრადი განვითარების მიზნები და საუნივერსიტეტო განათლების ზოგიერთი მიმართულება საქართველოში, ჟურნალი სპექტრი, 2022 წ, 10 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გაეროს მიზანმიმართული ქმედებებით და მისი წევრი ქვეყნების მთავრობათა მონაწილეობით საქართველოში გარკვეული საქმიანობა მიმდინარეობს ეგრეთწოდებული მდგრადი განვითარების 17 ამოცანის შესასრულებლად. მოცემული ამოცანების შესრულებაში ჩართულია სამთავრობო უწყებები, ბიზნესის წარმომადგენლები, მეცნიერები და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. ზემოაღნიშნული მეტად ამბიციური ამოცანების შესრულება გულისხმობს 2030 წლისათვის მსოფლიოში სიღარიბის აღმოფხვრას, სოციალური უთანასწორობის საკითხების მოგვარებას და ეკოლოგიური კატასტროფის აღკვეთას. გაეროს გენერალურმა მდივანმა მსოფლიოს სახელმწიფოების მეთაურთა თხოვნით ჩამოაყალიბა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან წარმოდგენილი 15 სხვადასხვა სპეციალობის მქონე მეცნიერისა და სამთავრობო უწყებებისგან შედგენილი კომისია, რომელმაც შეიმუშავა მოხსენება რომელიც ეძღვნება გარდაქმნების მიმდინარეობას მდგრადი განვითარების მიზნებისათვის. რა არ მოსწონთ მეცნიერებს მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლამდე პერიოდში შესრულების სფეროში? ის რომ დღემდე არცერთი ქვეყანა მზად არ არის უზრუნველსტატიის ავტორები შეეცადნენ წარმოედგინათ თავიანთი ხედვები თუ როგორი წვლილის შეტანა შეუძლია მეცნიერებას და კერძოდ საუნივერსიტეტო განათლებას საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, სიღარიბის აღმოფხვრა, ეკოლოგიური კატასტროფა, ბიომრავალფეროვნება, განათლება, სამეცნიერო კვლევები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Ethical Decision Making in a disruptive world. Sustainability and work. BTU, 2022

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება ***ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი ***პროფესორი ლევან საბაური***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ნადეჟდა კვატაშიძე ასოცირებული პროფესორი
ნანა სრესელი ასოცირებული პროფესორი
იზოლდა ჭილაძე ასოცირებული პროფესორი
მარინა მაისურაძე ასოცირებული პროფესორი
მერაბ ჯიქია ასოცირებული პროფესორი
მარიამ ვარდიაშვილი ასოცირებული პროფესორი
ლია კოზმანაშვილი ასისტენტ-პროფესორი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.2. სახელმძღვანელოს თანაავტორი
1) ნ.კვატაშიძე (თანაავტორები: ლ.საბაური, ნ.სრესელი, ზ.გოგრიჭიანი, ა.ხორავა, მ.ვარიდიაშვილი, მ.მაისურაძე)
2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. ფინანსური აღრიცხვა . ISSN **ISBN 978-9941-8-2824-9**
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, კოლორი
4) გვერდების რაოდენობა
1. 511

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელმძღვანელო დაწერილია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, საგანში „ფინანსური აღრიცხვა“. სახელმძღვანელოში ყველა საკითხი განხილულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სატნადარტების საბჭოს (ფასსს) მიერ 2022 წლის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია თსუ ბაკალავრების, ასევე ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის, პრაქტიკოს-მუშაკთათვის, ფინანსური აღრიცხვია საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

5.3. კრებულები
1) ნ.კვატაშიძე (თანაავტორები: ლ.საბაური, ნ.სრესელი, ზ.გოგრიჭიანი, ა.ხორავა, მ.ვარიდიაშვილი, მ.მაისურაძე)
2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. სავარჯიშოებისა და ამოცანების კრებული ფინანსურ აღრიცხვაში. ISSN **ISBN 978-9941-8-2780-8**
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, კოლორი
4) გვერდების რაოდენობა
1. 520

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კრებული დაწერილია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, საგანში „ფინანსური აღრიცხვა“. კრებულში ყველა საკითხი განხილულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სატნადარტების საბჭოს (ფასსს) მიერ 2022 წლის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

კრებული განკუთვნილია თსუ ბაკალავრების, ასევე ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის, პრაქტიკოს-მუშაკთათვის, ფინანსური აღრიცხვია საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ნ.კვატაშიძე, ლ.საბაური.

2) ნ.კვატაშიძე, ლ.საბაური

3)) ნ.კვატაშიძე, ლ.საბაური

2) სტატიის სათაური, ISSN

1. ხელშეკრულების მნიშვნელობა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენაში. **ISBN 978-9941-36-061-9 (pdf)**

2. COVID-19 პანდემიის გავლენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე **ISBN 978-9941-491-70-2 (pdf)**

3. საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიკაციის ზოგიერთი ასპექტების შესახებ. ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენზია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში.2022წ. 4-5 ნოემბერი.

2. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“. 2022წ. 8 თებერვალი

3. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ 2022. # 1/3

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

2. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

5) გვერდების რაოდენობა

1. 13

2. 12

3. 10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სახელშეკრულებო ურთიერთობები შემოსავლების და სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარების საფუძველია. ამასთან დაკავშირებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IASB) არსებით საკითხად მიიჩნევს ხელშეკრულების იდენტიფიკაციისა და ასახვის წესებს. ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში მნიშვნელოვანია ახალი, „ციფრული“ ხელშეკრულებების სამართლებრივი ასპექტების გააზრება, რამდენად არის თანხვედრაში საბჭოს მიერ განსაზღვრულ „ტრადიციული“ ხელშეკრულების იდენტიფიკაციის კრიტერიუმებთან, რომელთა აღიარება-ასახვას შეუძლია გავლენის მოხდენა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სამართლიან წარდგენაზე.

2. 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა კოვიდვირუსის (COVID-19) პანდემია, რომლის გავრცელების შემაკავებელმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეკონომიკის სექტორზე. შედეგად შეფერხდა ბიზნესის ფუნქციონირება, რასაც მოყვა ეკონომიკის დაცემა, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთის, აქტივების ფასების ცვლილება და გაუფასურება. პანდემიის შედეგად გაიზარდა ეკონომიკის განუსაზღვრელობები, რომლის შესახებ განსჯა და შეფასება ფინანსური ანგარიშგების მომზადების მნიშვნელოვან ამოცანად იქცა. მოვლენების განუსაზღვრელობების მიუხედავად, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საჭირო ხდება ინვესტორებისათვის ინფორმაციის პროგნოზირება, რისკების შეფასება, გარკვეული დაშვებების და მოდელირების გაკეთება. ყოველივე ეს გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესზე და მაჩვენებლებზე.
3. განხილულია საწარმოთა გაერთიანებების იდენტიფიკაციის კროტერიუმები და მისი მნიშვნელობა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის შესაბამისი და სამართლიანი ინფორმაციის წარდგენისათვის; ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიკაციის კრიტერიუმებში შეტანილი ცვლილებების გაზიარება და მათი იმპლემენტაცია პრაქტიკაში; იდენტიფიკაციის კრიტერიუმების სიახლეს წარმოადგენს საწარმოს კრიტერიუმების დაზუსტება, „აქტივების სამართლიანი ღირებულების კონცენტრაქციის ტესტის“ შემოღება. ჩამოყალიბებულია საწარმოს იდენტიფიკაციის ელემენტები ***(რესურსები, პროცესები, პროდუქცია)*** და კრიტერიუმები (საწარმო და კონტროლი); განხილულია არსებითი პროცესების მახასიათებლები - პროდუქციის საწარმოებლად პროცესების პრინციპული მნიშვნელობა და ორგანიზებული შრომითი რესურსები; გაანალიზებულია აქტივების სამართლიანი ღირებულების კონცენტრაციის ტესტის მნიშვნელობა. საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიკაციის კრიტერიუმების დახვეწა ამარტივებს საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიკაციის პროცესს, ზღუდავს აღიარების არეალს და ზრდის ფინანსური ინფორმაციის ხარხს.

ასოცირებული პროფესორი მარინა მაისურაძე

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ლ.საბაური,ნ.კვატაშიძე,ზ.გოგრიჭიანი,ა.ხორავა,ნ.სრესელი,მ.ვარდიაშვილი,მ.მაისურაძე ,,ფინანსური აღრიცხვა“ ISBN 973-9941-8-2824-9. თბილისი, გამომცემლობა ,,კოლორი“ 2022. 507 გვერდი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.სახელმძღვანელო მომზადებულია თსუ აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის მიერ საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კურსისათვის ,,ფინანსური აღრიცხვა“ სახელმძღვანეოში ყველა საკითხი განხილულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ 2022 წლის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების

გათვალისწინებით. განხილულია ფინანსური აღრიცხვის შემდეგი თემები: ფულადი სახსრების,მოთხოვნების,მარაგების, ძირითადი საშუალებების,არამატერიალური აქტივების,ვალდებულებების,კაპიტალისა და შემოსავლების აღრიცხვა. სახელმძღვანელოში ასევე განხილულია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საკითხები.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მ.ვარდიაშვილი,მ.მაისურაძე . COVID 19 პანდემია და მისი გავლენა შემოსავლების აღიარებაზე

   უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“ ISBN 978-9941-491-70-2 (pdf) თბილისი 2022

2. მ.მაისურაძე, მ.ვარდიაშვილი ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის საკითხები COVID 19-ის პირობებში. ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი“ N 1 2022 , ISSN 1987-5789; ESSN 25875426

3. მ.ვარდიაშვილი, მ.მაისურაძე, ხ. ჩიტაძე. ფასს 15-ის გავლენის ანალიზი სამშენებლო კონტრაქტებიდან ამონაგების აღიარებაზე

მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. 4-5 ნოემბერი 2022

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში განილულია კოვიდ 19 პანდემიით შექმნილ სიტუაციებსა და გარემოებებში ფასს 15-ით „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“, შემოსავლების აღიარების ის ასპექტები, რომლებზეც ძირითადად გავლენას იქონიებს პანდემიით გამოწვეული კრიზისი, რომლის დროსაც იცვლება მყიდველების ქცევა. შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცვალებადი ანაზღაურება. იმისათვის, რომ სამართლიანად აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გარემოებები და საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები საჭირო ხდება არსებული კონტრაქტების გადასინჯვა და ცვალებადი ანაზღაურების ხელახალი შეფასება. გაურკვევლობებმა, რომელიც დაკავშირებულია კოვიდ 19 პანდემიასთან და ამჟამინდელ საბაზრო პირობებთან, ასევე შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებელთა კონტრაქტების მოდიფიკაცია. ზოგიერთი მოდიფიკაცია მხედველობაში მიიღება პერსპექტიულად, ხოლო სხვები მხედველობაში მიიღება კუმულაციური მიდგომის გამოყენებით. აგრეთვე შესაძლებელია, რომ საწარმოები ახლა უფრო მეტად იყვნენ მზად, რათა მიიღონ ნაწილობრივი გადახდის ან გადახდის ვადების გახანგრძლივების გადაწყვეტილება. საწარმოებმა უნდა გააანალიზონ, არსებული გარემოებები და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი აქტივი ან სავაჭრო დებიტორული დავალიანება გაუფასურების შემდგომ უნდა შეაფასონ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შესაბამისად.

2.კორონავირუსის პანდემიამ უპრეცედენტო მასშტაბის გაურკვევლობა წარმოქმნა გლობალურ ეკონომიკაში. ბიზნესი განიცდის მიწოდების ჯაჭვის შეფერხებას და მნიშვნელოვან ზარალს. ბიზნესაქტივობის შემცირების შედეგად მსოფლიოში დაზარალდა მრავალი საწარმო და მილიონობით ადამიანმა დაკარგა სამსახური, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ფინანსურ და სასაქონლო ბაზრებზე.

ბევრმა მთავრობამ, ეკონომიკის დაზარალებული სექტორებისთვის, ბიზნესისა და ცალკეული საწარმოებისათვის, ფინანსური და არაფინანსური დახმარების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ღონისძიება გაატარა. ყოველივე ამან რამდენადმე გაართულა ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

COVID 19 - ით გამოწვეული ამჟამინდელი გაურკვევლობის ფონზე, საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ მაღალი ხარისხის ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რასაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კაპიტალის ბაზრის სათანადოდ ფუნქციონირებაში.

ეკონომიკური აქტივობის ცვლილებებმა გამოიწვია საწარმოების არსებული კონტრაქტებისა და შეთანხმებების პირობების გადახედვის აუცილებლობა. მაგალითად, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების, იჯარის და მრავალი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების პირობები, აგრეთვეაქტივების გაუფასურება და ცვლილებები გაუფასურების ტესტირების დაშვებებში, სესხებისა და სხვა ფინანსური აქტივებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისშეფასებებში და ა.შ.

პანდემიით გამოწვეული ცვლილება და გაურკვევლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგების ელემენტების შეფასებაზე. მიუხედავად ამისა, თითოეულმა საწარმომ უნდა უზრუნველყოს ყველა ამ საკითხების მიმართ ფასს (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი) შესაბამისი მოთხოვნების გამოყენება.

სტატიაში ხაზგასმულია ზოგიერთი გამოწვევა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, პანდემიით გამოწვეული გაურკვევლობების პირობებში.

3.სამშენებლო კონტრაქტებით გათვალისწინებული სამუშაოების ბუნება ისეთია, რომ როგორც წესი, მათი დაწყებისა და დამთავრების თარიღები სცილდება ერთ საანგარიშგებო პერიოდს. აქედან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების აღრიცხვის მთავარი საკითხია ამ სამუშაოებიდან მიღებული ამონაგებისა და გაწეული დანახარჯების განაწილება იმ საანგარიშგებო პერიოდებზე, რომელთა განმავლობაშიც ხორციელდებოდა მშენებლობა. ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ შემოღებით მნიშვნელოვნად შეიცვალა ამონაგების აღიარების წესი გრძელვადიან პერიოდში სამუშაოს მიმდინარეობისას. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე სტატიაში განხილულია ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ ძირითადი პრინციპების გავლენა სამშენებლო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ამონაგების აღიარებაზე.

სამშენებლო კონტრაქტებზე ფასს 15-ის პრინციპების გამოყენების შეფასება ეფუძნება ამონაგების აღიარების ხუთსაფეხურიან მოდელს, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს: კლიენტთან დადებული კონტრაქტების იდენტიფიკაცია; საკონტრაქტო ვალდებულებების იდენტიფიკაცია; გარიგების ფასის განსაზღვრა; კონტრაქტის ფასის განაწილება საკონტრაქტო ვალდებულებებზე; ამონაგების აღიარება ვალდებულებების შესრულებისას.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Levan SABAURI, Mariam VARDIASHVILI, Marina MAISURADZE
   METHODS FOR MEASUREMENT OF PROGRESS OF PERFORMANCE OBLIGATION UNDER IFRS 15
   ECOFORUM [Volume 11, Issue 3(29), 2022]

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ამონაგების აღიარებაზე, როდესაც კონტრაქტით გათვალისწინებული საქონელისა და მომსახურების გადაცემა და შესაბამისად შესასრულებელი ვალდებულების შესრულება, მოიცავს ერთზე მეტ საანგარიშგებო პერიოდს.
ვალდებულების შესრულება შეიძლება მოხდეს დროის გარკვეულ მომენტში, ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში.
გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვალდებულების შესრულებისას ამონაგების აღიარება ფასს 15 -ის მიხედვით, ხდება ვალდებულების შესრულების პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით.
სტატიაში გაანალიზებულია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ხარისხის შეფასების სტანდარტით ნება დართული მეთოდები: შედეგების მეთოდი და გამოყენებული რესურსების მეთოდი.
დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვალდებულების შესრულებისას, დასრულებული სამუშაოს მოცულობის გამოთვლა შედეგების და გამოყენებული რესურსების მეთოდებით და შესაბამისად ამონაგების განსაზღვრა განხილულია სიტუაციური მაგალითებით.

ასოცირებული პროფესორი ნადეჟდა კვატაშიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოს თანაავტორი

1) ნ.კვატაშიძე (თანაავტორები: ლ.საბაური, ნ.სრესელი, ზ.გოგრიჭიანი, ა.ხორავა, მ.ვარიდიაშვილი, მ.მაისურაძე)

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. ფინანსური აღრიცხვა . ISSN **ISBN 978-9941-8-2824-9**

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, კოლორი

4) გვერდების რაოდენობა

1. 511

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელმძღვანელო დაწერილია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, საგანში „ფინანსური აღრიცხვა“. სახელმძღვანელოში

ყველა საკითხი განხილულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სატნადარტების საბჭოს (ფასსს) მიერ 2022 წლის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია თსუ ბაკალავრების, ასევე ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის, პრაქტიკოს-მუშაკთათვის, ფინანსური აღრიცხვია საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

5.3. კრებულები

1) ნ.კვატაშიძე (თანაავტორები: ლ.საბაური, ნ.სრესელი, ზ.გოგრიჭიანი, ა.ხორავა, მ.ვარიდიაშვილი, მ.მაისურაძე)

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. სავარჯიშოებისა და ამოცანების კრებული ფინანსურ აღრიცხვაში. ISSN **ISBN 978-9941-8-2780-8**

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, კოლორი

4) გვერდების რაოდენობა

1. 520

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კრებული დაწერილია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, საგანში „ფინანსური აღრიცხვა“. კრებულში ყველა საკითხი განხილულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სატნადარტების საბჭოს (ფასსს) მიერ 2022 წლის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

კრებული განკუთვნილია თსუ ბაკალავრების, ასევე ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის, პრაქტიკოს-მუშაკთათვის, ფინანსური აღრიცხვია საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ნ.კვატაშიძე, ლ.საბაური.

2) ნ.კვატაშიძე, ლ.საბაური

3)) ნ.კვატაშიძე, ლ.საბაური

2) სტატიის სათაური, ISSN

1. ხელშეკრულების მნიშვნელობა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენაში. **ISBN 978-9941-36-061-9 (pdf)**

2. COVID-19 პანდემიის გავლენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე **ISBN 978-9941-491-70-2 (pdf)**

3. საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიკაციის ზოგიერთი ასპექტების შესახებ. ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. VII საერთაშირისო სამეცნიერო კონფერენზია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში.2022წ. 4-5 ნოემბერი.

2. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“. 2022წ. 8 თებერვალი

3. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ 2022. # 1/3

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

2. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

5) გვერდების რაოდენობა

1. 13

2. 12

3. 10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. სახელშეკრულებო ურთიერთობები შემოსავლების და სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარების საფუძველია. ამასთან დაკავშირებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IASB) არსებით საკითხად მიიჩნევს ხელშეკრულების იდენტიფიკაციისა და ასახვის წესებს. ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში მნიშვნელოვანია ახალი, „ციფრული“ ხელშეკრულებების სამართლებრივი ასპექტების გააზრება, რამდენად არის თანხვედრაში საბჭოს მიერ განსაზღვრულ „ტრადიციული“ ხელშეკრულების იდენტიფიკაციის კრიტერიუმებთან, რომელთა აღიარება-ასახვას შეუძლია გავლენის მოხდენა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სამართლიან წარდგენაზე.
5. 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა კოვიდვირუსის (COVID-19) პანდემია, რომლის გავრცელების შემაკავებელმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეკონომიკის სექტორზე. შედეგად შეფერხდა ბიზნესის ფუნქციონირება, რასაც მოყვა ეკონომიკის დაცემა, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთის, აქტივების ფასების ცვლილება და გაუფასურება. პანდემიის შედეგად გაიზარდა ეკონომიკის განუსაზღვრელობები, რომლის შესახებ განსჯა და შეფასება ფინანსური ანგარიშგების მომზადების მნიშვნელოვან ამოცანად იქცა. მოვლენების განუსაზღვრელობების მიუხედავად, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საჭირო ხდება ინვესტორებისათვის ინფორმაციის პროგნოზირება, რისკების შეფასება, გარკვეული დაშვებების და მოდელირების გაკეთება. ყოველივე ეს გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესზე და მაჩვენებლებზე.
6. განხილულია საწარმოთა გაერთიანებების იდენტიფიკაციის კროტერიუმები და მისი მნიშვნელობა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის შესაბამისი და სამართლიანი ინფორმაციის წარდგენისათვის; ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიკაციის კრიტერიუმებში შეტანილი ცვლილებების გაზიარება და მათი იმპლემენტაცია პრაქტიკაში; იდენტიფიკაციის კრიტერიუმების სიახლეს წარმოადგენს საწარმოს კრიტერიუმების დაზუსტება, „აქტივების სამართლიანი ღირებულების კონცენტრაციის ტესტის“ შემოღება.

ჩამოყალიბებულია საწარმოს იდენტიფიკაციის ელემენტები ***(რესურსები, პროცესები, პროდუქცია)*** და კრიტერიუმები (საწარმო და კონტროლი); განხილულია არსებითი პროცესების მახასიათებლები - პროდუქციის საწარმოებლად პროცესების პრინციპული მნიშვნელობა და ორგანიზებული შრომითი რესურსები; გაანალიზებულია აქტივების სამართლიანი ღირებულების კონცენტრაციის ტესტის მნიშვნელობა. საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიკაციის კრიტერიუმების დახვეწა ამარტივებს საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიკაციის პროცესს, ზღუდავს აღიარების არეალს და ზრდის ფინანსური ინფორმაციის ხარხს.

ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯიქია

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. მერაბ ჯიქია

2. მერაბ ჯიქია

3. მერაბ ჯიქია

2) სტატიის სათაური, ISSN

1. Fiatures of the regression analysis methodology in management accounting;

2. ინტეგრალური და ლოგარითმული მეთოდის გამოყენების უპირატესობები მართველობით აღრიცხვაში;

3. პანდემიის პირობებში, საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე: კონცეფცია - მოგების მაქსიმიზაცია თუ კომპანიის ღირებულების გაზრდა!?

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ECOFORUM Volume 11, Issue 3(29), 2022 ISSN:2344-2174;

2. მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. 4-5 ნოემბერი, 2022.

3. უნივერსიტეტისა დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“ 8.02.2022

https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/2022---%20konferencia.pdf

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. რუმინეთი

ECOFORUM is an international, multi-disciplinary, refereed (peer-reviewed) and open access journal aiming to promote and enhance research in all fields of Economics. The journal is conceived and edited by the members of Management, Business

Administration and Tourism Department within the Faculty of Economic Sciences and Public Administration, "Stefan cel Mare" University of Suceava.

2. საქართველო

3. საქართველო

5) გვერდების რაოდენობა

1. 6

2. 6

3. 7

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

როგორც ცნობილია, ბიუჯეტის შედგენა ხდება პროგნოზის საფუძველზე. პროგნოზი შესაძლოა მომზადდეს წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობისათვის, რეალიზაციიდან შემოსავლისათვის, დანახარჯებისათვის და სხვა. პროგნოზირების დანიშნულებაა ბიუჯეტო პროცესის დროს რეალისტური დაშვებების ჩამოყალიბება დაგეგმარებისათვის.

პროგნოზი შესაძლოა დაფუძნებული იყოს მარტივ დაშვებებზე, როგორიცაა მაგალითად, რეალიზაციის მოცულობისა და რეალიზაციიდან შემოსავლების X%-იანი ზრდის პროგნოზი. მეორე მხრივ, პროგნოზის მომზადება შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა საპროგნოზო მოდელის, მეთოდისა ან ტექნიკის გამოყენებით, რომლებიც ითვლიან წინა წლების ტენდენციას და ცვალებადობას. ამ მოდელებისა და ტექნიკების გამოყენების ძირითადი მიზანია უფრო ზუსტი და სანდო პროგნოზის წარდგენა.

მმართველობით აღრიცხვაში რამდენიმე ცვლადს შორის წრფივი დამოკიდებულების პროგნოზირებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რეგრესიული ანალიზი. ჩვენ განვიხილავთ წრფივ დამოკიდებულებას მხოლოდ ორ ცვლად შორის. არსებობს რამდენიმე მეთოდი ამ დამოკიდებულების იდენტიფიცირებისათვის: მინი-მაქსის, განფენილი წერტილებისა და უმცირეს კვადრატთა რეგრესიული ანალიზი.

რეგრესიული ანალიზის გამოყენება შესაძლებელია პროგნოზირებისათვის მაშინ, როდესაც ორ ცვლადს შორის იგულისხმება წრფივი დამოკიდებულება და ანალიზისათვის ხელმისაწვდომია ისტორიული მონაცემები. ამასთან, რეგრესიული ტოლობის გამოყენება შესაძლებელია Y ცვლადის პროგნოზისათვის X ცვლადით, თუ:

ა) X ცვლადი თავსდება მონაცემთა ცნობილი დიაპაზონის ფარგლებში. ასეთ პროგნოზს ინტერპოლაციას უწოდებენ;

ბ) X ცვლადი თავსდება მონაცემთა ცნობილი დიაპაზონის გარეთ. ასეთ პროგნოზს ექსტრაპოლაციას უწოდებენ.

ზოგადად, ინტერპოლაცია უფრო სანდოა, ვიდრე ექსტრაპოლაცია.

მარტივი წრფივი რეგრესიული ანალიზის უპირატესობებია:

მარტივია გამოყენებაში;

განიხილავს ძირითად დამოკიდებულებას მონაცემთა ორ სიმრავლეს შორის;

შესაძლებელია გამოყენებული იყოს პროგნოზისა და ბიუჯეტების მოსამზადებლად;

ამარტივებს ბიუჯეტის შედგენის პროცესს.

მარტივი წრფივი რეგრესიული ანალიზის შეზღუდებია:

ხდება დაშვება იმისა, რომ ცვლადებს შორის არსებობს წრფივი დამოკიდებულება;
ხდება დამოკიდებულების შეფასება მხოლოდ ორ ცვლადს შორის. რეალობაში დამოკიდებულ ცვლადზე გავლენას ახდენს სხვა მრავალი დამოუკიდებელი ცვლადი;
ტენდენციურად მხოლოდ ინტერპოლაციური პროგნოზებია საიმედო. ტოლობა არ უნდა იყოს გამოყენებული ექსტრაპოლაციისათვის;
რეგრესიული ანალიზი ახდენს დაშვებას, რომ მონაცემების ისტორიული ქცევა წარსულში გაგრძელდება უახლოეს მომავალშიც;
ინტერპოლაციური პროგნოზი საიმედოა მონაცემთა შორის, მხოლოდ ძლიერი კორელაციის შემთხვევაში.

2. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ანალიზური კვლევებისას მათემატიკური მეთოდებისა და თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებამ მნიშვნელოვნად აამაღლა მათი დონე და როლი. მმართველობითი ანალიზი გახდა უფრო სიღრმისეული და კომპლექსური, შეიძლება ჩატარდეს უფრო ოპერატიულად, მოიცვას უფრო მეტი რაოდენობის ობიექტები და შეისწავლოს მნიშვნელოვნად მეტი ინფორმაცია.

ვინაიდან კომპანიების ბიუჯეტები ნორმატიული დანახარჯების საფუძველზე მზადდება, ნორმატიულ დანახარჯებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გადახრების გამოთვლასა და ანალიზში. გადახრების ანალიზი ხელმძღვანელობისათვის გარკვეული ,,მარეგულირებელი“ მექანიზმის როლს თამაშობს, ვინაიდან გვიჩვენებს, რამდენად კარგად ან ცუდად მუშაობს კომპანია.

სისტემური მიდგომა მმართველობით ანალიზში აუცილებელს ხდის ფაქტორები შესწავლილ იქნეს მათი შიგა და გარე კავშირების, ურთიერთქმედებისა და თანადაქვემდებარების იერარქიის გათვალისწინებით, რაც მიიღწევა ფაქტორების სისტემატიზაციით. განასხვავებენ დეტერმინირებულ და სტოხასტიკურ ფაქტორულ სისტემებს. დეტერმინირებული ფაქტორული სისტემის შექმნა ნიშნავს შესასწავლი მოვლენა წარმოვადგინოთ რამდენიმე ფაქტორის ალგებრული ჯამის, განაყოფის ან ნამრავლის სახით, რომლებიც განსაზღვრავენ მის სიდიდეს და იმყოფებიან მასთან ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში.

მმართველობითი ანალიზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ ამოცანას წარმოადგენს საკვლევ მაჩვენებლებზე ცალკეულ ფაქტორთა გავლენის სიდიდის ზუსტი გაზომვა. ამისათვის, დეტერმინირებული ანალიზისას, გამოიყენება შემდეგი ხერხები: ჯაჭვური ჩასმის ხერხი, აბსოლუტური სხვაობის ხერხი, ფარდობითი სხვაობის ხერხი, ინტეგრალური მეთოდი, ლოგარითმული მეთოდი და სხვა.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე რთული ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობა გახდა მძლავრი სტიმული მათემატიკური მოდელირების გამოყენებისათვის ეკონომიკურ ანალიზში.

სტატიაში განვიხილეთ, დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზისას, საკვლევ მაჩვენებელზე ცალკეულ ფაქტორთა გავლენის სიდიდის დასადგენად გამოყენებული სხვადასხვა ხერხის (ჯაჭვური ჩასმის ხერხი, აბსოლუტური სხვაობის ხერხი, ფარდობითი სხვაობის ხერხი, ინტეგრალური და ლოგარითმული მეთოდი) დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ცალკეული ხერხების (ჯაჭვური ჩასმის ხერხი, აბსოლუტური სხვაობის ხერხი, ფარდობითი სხვაობის ხერხი) გამოყენებისას თავდაპირველად (თანმიმდევრობით) განისაზღვრება საშედეგო მაჩვენებელზე რაოდენობრივი ფაქტორების გავლენა, ხოლო შემდგომ - ხარისხობრივის. რაც შეეხება ინტეგრალური და ლოგარითმული მეთოდების გამოყენებისას რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორების გავლენის სიდიდე საშედეგო მაჩვენებელზე მათი ადგილმდებარეობის მიხედვით არ იცვლება.

ინტეგრალური მეთოდი გამოიყენება ფაქტორთა გავლენის გასაზომად მულტიპლიკატიურ, ჯერად და ჯერად-ადიტიურ მოდელებში. მისი გამოყენება შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ ფაქტორთა გავლენის უფრო ზუსტი შედეგები, ვიდრე ამას ვღებულობთ ჯაჭვური ჩასმის, აბსოლუტური სხვაობის ან ფარდობითი სხვაობის ხერხების გამოყენებისას, რამდენადაც, გარდა ზემოაღნიშნულისა, ფაქტორთა ურთიერთქმედების შედეგად საშედეგო მაჩვენებლის დამატებითი ცვალებადობა უერთდება არა ბოლო ფაქტორს, არამედ თანაბრად ნაწილდება მათ შორის.

ინტეგრალურთად შედარებით ლოგარითმული ხერხი უზრუნველყოფს გაანგარიშებათა უფრო მაღალ სიზუსტეს. თუ ინტეგრალური მეთოდის გამოყენებისას ფაქტორთა ურთიერთქმედების შედეგად საშედეგო მაჩვენებლის დამატებითი ცვლილება თანბარზომიერად ნაწილდება მოქმედ ფაქტორთა შორის, ლოგარითმული ხერხის პირობებში ფაქტორთა ერთობლივი ქმედების შედეგი საშედეგო მაჩვენებლის დონეზე ნაწილდება ყოველი ცალკეული ფაქტორის იზილირებული გავლენის ხვედრითი წონის პროპორციულად.

ეკონომიკური ანალიზის ძირითადი სამუშაო ხერხებით განსაზღვრული ფაქტორთა გავლენის სიდიდეები არ ემთხვევა ACCA-ის მმართველობით აღრიცხვაში ნორმატიული დანახარჯებით კალკულაციის სასწავლო ტექსტსა და საგამოცდო სავარჯიშოებში გამოყენებული მეთოდიკის მიხედვით მიღებულ მონაცხემებს (ასევე განსხვავებულია ინტეგრალური და ლოგარითმული მეთოდით განსაზღვრული ფაქტორთა გავლენის სიდიდეებიც).

ჩვენი აზრით, უფრო ზუსტი იქნება თუ დავეყრდნობით ინტეგრალური და ლოგარითმული მეთოდით გაანგარიშებულ ფაქტორთა გავლენის სიდიდეებს. ამასთან, ფაქტორთა გავლენის სიდიდის დასადგენად მთავარია, ამოცანების პირობებიდან გამომდინარე, სწორად შევადგინოთ ანალიზური ცხრილი, ხოლო შემდეგ თუ, რომელი ხერხით ამოვხსნით ამოცანას ეს ჩვენზე, ან ამოცანის პირობაზე იქნება დამოკიდებული.

ვფიქრობთ, რომ ასეთი მიდგომა ასახსნელად და გასაგებადაც უფრო მარტივია, ვიდრე ის რასაც გვთავაზობს ACCA-ის მმართველობით აღრიცხვაში ნორმატიული დანახარჯებით კალკულაციის სასწავლო ტექსტი.

3.

კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად ეკონომიკური ვარდნა პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანას შეეხო. მსოფლიო ეკონომიკის მიერ მიღებული ზარალი კოლოსალურია. ამასთან, როგორც ცნობილია, ფინანსური ანალიზის უმთავრესი მეთოდოლოგიური თავისებურება ისაა, რომ მას შეწევს უნარი დაადგინოს არა მარტო მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, არამედ მისცეს მათ რაოდენობრივი დახასიათებაც. ე.ი. იგი უზრუნველყოფს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე მოქმედ ფაქტორთა გავლენის სიდიდის გაზომვას, რაც

შესაძლებლობას იძლევა ეკონომიკის მდგომარეობაზე დავსვათ ზუსტი დიაგნოზი, ხოლო მისი შედეგებიდან გამომდინარე, შევიმუშაოთ უფრო დასაბუთებული რეკომენდაციები.

დღეისათვის საბაზრო ეკონომიკაში ბიზნესის განვითარების ძირითადი მიზნის - მოგების მაქსიმიზაციის კონცეფციის სანაცვლოდ, შემოდის ღირებულების მაქსიმიზაციის კონცეფცია - Value Based Management(VBM), რომელიც მნიშვნელოვანწილად გამოდის ადრინდელი მიდგომის ჩარჩოებიდან.

აღნიშნული კონცეფცია, უმთავრეს ღირებულებით ფაქტორებზე კონცენტრაციის გაძლიერების გზით, მიმართულია კომპანიის სტრატეგიული ამოცანების გადაჭრაზე.

ფინანსური ბერკეტის ეფექტი გვიჩვენებს თუ რამდენი პროცენტით იზრდება საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა ნასესხები კაპიტალის საწარმოს ბრუნვაში მოზიდვის შედეგად. ის წარმოიქმნება ისეთ შემთხვევებში, თუ ეკონომიკური რენტაბელობა მაღალია სესხის ან კრედიტის პროცენზე.

ფინანსური ბერკეტის ეფექტი შედგება ორი კომპონენტისაგან: იგი არის სხვაობა ინვესტირებული კაპიტალის რენტაბელობასა (გადასახადების გადახდის შემდეგ) და კრედიტზე საპროცენტო განაკვეთს შორის.

იქიდან გამომდინარე, ნასესხები კაპიტალი ითვლება უფრო იაფფასიან წყაროდ (პროცენტზე საგადასახადო ეკონომიის ეფექტი, ამასთან კრედიტორების რისკი უფრო დაბალია ვიდრე მესაკუთრეების, ამიტომ რისკის საკომპემსაციოდ მესაკუთრეებმა დაბანდებულ კაპიტალზე უნდა მიიღონ უფრო მეტი უკუგება), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნასესხები კაპიტალის ზრდა და საკუთარის გამოდევნა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა.

იმავდროულად, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი გადიდება იწვევს ფინანსური რისკის ზრდას, რამდენადაც, პირველ რიგში, ნასესხები კაპიტალის უკვე არსებული მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აიძულებს კრედიტორებს გაზარდონ საპროცენტო განაკვეთები; და მეორე, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის გადიდება ზრდის მესაკუთრეთა რისკს, რაც იწვევს აუცილებლობას გაზარდონ საკუთარ კაპიტალზე შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთი.

ასოცირებული პროფესორი ნანა სრესელი

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.**ლ.საბაური,ნ.კვატაშიძე,ზ.გოგრიჭიანი,ა.ხორავა,ნ.სრესელი,მ.ვარდიაშვილი,მ.მაისურაძე -** ,,ფინანსური აღრიცხვა“ ISBN 973-9941-8-2824-9. თბილისი, გამომცემლობა ,,კოლორი“ 2022. გვ.507 (მ.შ. ნ.სრესელის თავი1, გვ 7-66).

2.**ლ.საბაური,ნ.კვატაშიძე,ზ.გოგრიჭიანი,ა.ხორავა,ნ.სრესელი,მ.ვარდიაშვილი,მ.მაისურაძე -** სავარჯიშოებისა და ამოცანების კრებული ფინანსურ აღრიცხვაში, ISBN 973-9941-8-2780-8;

თბილისი, გამ. „კოლორი“ , 2022. გვ.520 (მ.შ. ნ. სრესელი - ნაწილი 1 თავი1. გვ 7-39. ნაწილი 2 - თავი1, გვ. 281-304.).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.სახელმძღვანელო მომზადებულია თსუ აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის მიერ საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კურსისათვის ,,ფინანსური აღრიცხვა“ სახელმძღვანეოში ყველა საკითხი განხილულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ 2022 წლის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით. განხილულია ფინანსური აღრიცხვის შემდეგი თემები: ფულადი სახსრების,მოთხოვნების,მარაგების, ძირითადი საშუალებების,არამატერიალური აქტივების,ვალდებულებების,კაპიტალისა და შემოსავლების აღრიცხვა. სახელმძღვანელოში ასევე განხილულია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საკითხები.

2. სავარჯიშოებისა და ამოცანების კრებული ფინანსურ აღრიცხვაში განკუთვნილია უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისა და ამ საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის. კრებული მომზადებულია 10 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კურსისთვის ,,ფინანსური აღრიცხვა“. კრებულში ყველა საკითხი განხილულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ 2022 წლის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით. განხილულია ფინანსური აღრიცხვის შემდეგი თემები: ფულადი სახსრების,მოთხოვნების,მარაგების, ძირითადი საშუალებების,არამატერიალური აქტივების,ვალდებულებების,კაპიტალისა და შემოსავლების აღრიცხვა. კრებული შედგება ორი ნაწილისგან. კრებულის პირველი ნაწილი მოიცავს თეორიული და პრაქტიკული შინაარსის დავალებებს , ხოლო მეორე ნაწილში წარმოდგენილია თეორიული და პრაქტიკული საკითხების პასუხები.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ნ. სრესელი, რ. სრესელი -** კრიპტოვალუტის აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხები, ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი“ N 4, 2022 , ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426
Doi 10.56079

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია კრიპტოვალუტის აღრიცხვის მოდელები ფასს-ის მიხედვით. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მიმოქცევაში ჩართო “ვირტუალური აქტივები” (VA). იგი აქტივების ახალი კლასია ღირებულების ციფრული გამოსახულებით და შესაძლებელია მათი გადახდის საშუალებად გამოყენება ან გადაცემა. პირველი ვირტუალური აქტივი არის კრიპტოვალუტა - ბიტკოინი, რომელიც წარმოადგენს დეცენტრალიზებული გადახდების ალტერნატიული არხებით განხორციელდების საშუალებას. კრიპტოვალუტით გადახდებმა წარმოქმნა მნიშვნელოვანი პრობლემები, კერძოდ, აუცილებელია იმ კომპანიების კატეგორიის განსაზღვრა, რომლებსაც კრიპტოვალუტის აღრიცხვის საკითხების გადაჭრა მოუწევთ; აუცილებელია იმის დადგენა, რამდენად შესაძლებელია კრიპტოვალუტის შესახებ სათანადო

და სამართლიანი ინფორმაციის მოპოვება და მისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში სტანდარტების მიხედვით გამჟღავნება; მნიშვნელოვანია , რომ შეფასდეს კრიპტოვალუტის სამართლებრივი რეგულირების მდგომარეობა და პერსპექტივები. კრიპტოვალუტის აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხების მიმართ პრაქტიკაში განსხვავებული და არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს; ჩვენი მიზანია კრიპტოვალუტის აღრიცხვისა და ანგარიშგების თეორიული და პრაქტიკული საკითხების ანალიზის საფუძველზე, შევაფასოთ არსებული მდგომარეობა. ეკონომიკის ციფრული სექტორის განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია კრიპტოვალუტის აღრიცხვისა და ანგარიშგების არსებული მდგომარეობის კვლევა და შეფასება. აღრიცხვის ეს სეგმენტი ფორმირებისა და განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება და ამდენად ჩატარებული კვლევებიც ნაკლებად ეფუძნება აღრიცხვის პრაქტიკულ მონაცემებს. კვლევამ მოიცვა უმეტესად ლიტერატურულ წყაროებში წარმოდგენილი მასალები და ემპირიული მტკიცებულებების სიმცირის გამო, შედარებით ნაკლებად -უშუალოდ კვლევის საგანი. შრომაში წარმოდგენილი კვლევის შედეგების მიხედვით ჩამოვაყალიბეთ შემდეგი დასკვნები და წინადადებები, კერძოდ:

-ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ მოცემულ ეტაპზე პერსონალურად კრიპტოვალუტის აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხების რეგულაციების მიზნით სტანდარტი შემუშავებული არ არის. ამდენად, კრიპტოვალუტის აღრიცხვის მოდელებს საწყის ეტაპზე საფუძვლად დაედო ბასს-8 -ის რეკომენდაცია რომ თუ მოცემული ოპერაციის მიმართ არ არსებობს სტანდარტი, პროფესიული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა, რომელიც აღრიცხვის ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისი იქნება და უზრუნველყოფს ეკონომიკური გადაწყვეტილებისათვის შესაფერისი და საიმედო ინფორმაციის მიღებას (ბასს 8.10) და სააღრიცხვო პოლიტიკაზე მუშაობის პროცესში, მენეჯმენტი უნდა დაეყრდნოს ფასს-ით რეკომენდებულ ლიტერატურულ წყაროებს და დადგენილი იერარქიით გამოიყენოს ისინი (ბასს 8.11). ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შეჯერდეს და პრაქტიკის საუკეთესო გამოცდილებებისა და მიდგომების გათვალისწინებით, გონივრულ ვადებში შემუშავდეს ვირტუალური აქტივების აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისოდ აღიარებული ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპები, რადგან შექმნილი გარემოებების გამო კრიპტივალუტის აღრიცხვასთან დაკავშირებით კომპანიებში არაერთგვაროვანი და ხშირ შემთხვევაში მცდარი მიდგომებიც არის ჩამოყალიბებული. ასეთი დამოკიდებულება კი მნიშვნელოვნად ზღუდავს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და ინფორმაციის გამჭვირვალობის ხარისხს.

-კრიპტოვალუტა აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით განსაზღვრულ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და წარმოადგენს აქტივს. ამჟამად მოქმედი სტანდარტებიდან არც ერთი პირდაპირ და უშუალოდ არ არეგულირებს კრიპტოვალუტის აღრიცხვის, შეფასებისა და წარდგენის საკითხებს. ბასს 8–ით „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ დაშვებულია, რომ სპეციალურად მოცემული ოპერაციის მიმართ თუ არ არსებობს სტანდარტი, სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა შემუშავდეს იმ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მოთხოვნებისა და მითითებების

საფუძველზე რომლებიც დაკავშირებულია მსგავს და მონათესავე საკითხთან. კრიპტოვალუტის მარეგულირებელი კონკრეტული ფასს დადგინდა კრიპტოვალუტის შესაბამის კლასის აქტივის მიხედვით. კრიპტოავალუტის მახასიათებლების ანალიზმა და დანარჩენი აქტივების მახასიათებლებთან შედარებამ აჩვენა შედმდეგი:

-კრიპტოვალუტა არ არის ფული და განსხვავდება ფიატის ფულისგან რადგან არისვირტუალური, მატერიალური სუბსტანციის არმქონე ვალუტა; არ არის ფუნქციური ვალუტა და ვერ უზრუნველყოფს კომპანიების ფინანსური ანგარიშგების წარდგენას არარის გადახდის კანონიერი საშუალება, ამიტომ როგორც ფულადი საშუალებები არ აღირიცხება; უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის სასამართლოს მიერ კრიპტოვალუტის აღიარებამ ეროვნული ვალუტების ბუნებრივ ალტერნატივად, ბიტკოინი ტრადიციულ ფიატის ვალუტებს გაუთანაბრა; მეცნიერ-ეკონომისტების ნაწილს ასევე მიაჩნიათ, რომ ნებისმიერი გადახდა, რომელიც მიღებულია კრიპტოვალუტაში (CC), განიხილება, როგორც ტრანზაქცია უცხოური ვალუტით და წარმოადგენს ფულად მუხლს;

-კრიპტოვალუტა ასევე არ მიეკუთვნება ფულის ეკვივალენტებს, რადგან მათგან განსხვავებით კრიპტოვალუტას ახასიათებს ღირებულების შეცვლის მაღალი რისკი და ვალატილობა, კრიპტოვალუტა არ არის აღიარებული გადახდის კანონიერ საშუალებად; არ სარგებლობს ცენტრალური საბანკო სისტემის მხარდაჭერით და როგორც გაცვლის საშუალება არ არის ფართო აღიარებული.

-კრიპტოვალუტის ფლობის მიზნებიდან გამომდინარე, კრიპტოვალუტა უნდა აღირიცხოს როგორც მარაგები, თუ გაყიდვის მიზნით ფლობენ და როგორც არამატერიალური აქტივი, თუ ფლობენ საინვესტიციო მიზნებისათვის. ამიტომ, მიღებულია, რომ სააღრიცხვო მოდელი, რომელიც შეესაბამება კრიპტოვალუტის აღრიცხვას არის ბასს 38 – „არამატერიალური აქტივები“ და ბასს 2 – „მარაგები“. მაგრამ ჩვენი აზრით ამ მოდელებისთვის რიგ საკითხებთან მიმართებაში დამახასიათებელია ბუნდოვანება, მაგალითად, გამოკვეთილი არ არის, თუ როგორ უნდა რეგულირდებოდეს ბასს 38-ით ექსპლოატაციაში გადაცემული საკუთარი გამოყენების არამატერიალური აქტივები და საინვესტიციო მიზნებისთვის ფლობილი არამატერიალური აქტივები. მაშინ, როცა ამ მიზნებისთვის გრძელვადიან მატერიალურ აქტივებთან მიმართებით მოქმედებს ორი სტანდარტი ბასს 16 – „ძირითადი საშუალებები“ და ბასს 40 – „საინვესტიციო ქონება“.

-კრიპტვალუტის შეფასება ზოგადად სუბიექტური პროცესია და ერთიანი მეთოდოლოგია ჩამოყალიბებული არ არის, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების თანახმად, აქტივები აღიარდება პირვანდელი ღირებულებით, ანუ თვითღირებულებით რომელიც მოიცავს აქტივის შესაძენად ან შესაქმნელად გაწეული დანახარჯებს, გარიგების დანახარჯების ჩათვლით. კრიპტოვალუტის სამართლიანი ღირებულებით აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში, აუცილებელია სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ არსებული სამი მიდგომიდან კრიპტოვალუტის სამართლიანი ღირებულება უნდა შეფასდეს დანახარჯების მეთოდით, ვინაიდან აქტიური ბაზრის პირობებში არსებობს სათანადო ემპირიული ამოსავალი მონაცემების მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობა სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის

მნიშვნელოვნად რელევანტური და შესაბამისი იქნება ინფორმაცია, რომელიც ფორმირებულია იმ სააღრიცხვო პოლიტიკით, სადაც გათვალისწინებულია კრიპტოვალუტის სამართლიანი ღირებულების შეფასებისა და გადაფასების შედეგების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარდგენა;

-რეგულაციების არარსებობა ან მათი სისუსტე, კრიპტოვალუტის აღრიცხვის შემაფერხებელი ვერ იქნება, რადგან კრიპტოვალუტა და ზოგადად ვირტუალური აქტივი უკვე არსებული, ობიექტური რეალობაა. რეგულაციების ნაკლოვანებების გამო, სათანადო სტანდარტის ან შესაფერისი რეგულაციების არჩევისა და გამოყენების პროცესში კომპანიები სერიოზული რისკების წინაშე დგებიან.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.**ნანა სრესელი, ლია კოზმანაშვილი** -კრიპტოგრაფიული აქტივების სამართლებრივი რეგულირებისა და საგადასახადო დაბეგვრის საკითხები.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ 4-5ნოემბერი, 2022.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ციფრული ტექნოლოგიებისა და რთული კრიპტოგრაფიის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკის ციფრული სეგმენტის - კრიპტობიზნესის ფორმირებას და მონეტარული სისტემების ფუნქციონირების ტრანსფორმაციას - ფულადი ტრანზაქციების დეცენტრალიზებული ფორმით ანუ შუამავლების გარეშე განხორციელებას. კრიპტოგრაფიული ვალუტის მოპოვებამ -„მაინინგმა“, კრიპტოვალუტით ტრანზაქციების განხორციელებამ და მათმა დეცენტრალიზებულ სისტემებში დამუშავებამ ბრუნვაში მოაქცია აქტივების ახალი კლასი ე.წ. კრიპტოაქტივები, რომელთაგანაც პირველი სწორედ კრიპტოვალუტა - ბიტკოინია. თანამედროვე ეტაპზე, კრიპტოაქტივების სამართლებრივი რეგულირების საკითხები საკმაოდ სუსტი და ბუნდოვანია, რაც განაპირობებს რისკების წარმოქმნას. მოსალოდნელი რისკებისა და საფრთხეების აცილება საჭიროებს მნიშვნელოვანი ღონისძიებების განახორციელებას, ვინაიდან ანონიმურმა და დაურეგულირებელმა გაცვლამ და კონტროლის მექანიზმების არარსებობამ, შეიძლება ფარული და უკანონო შემოსავლების მიღებისა და სხვა ფინანსური დანაშაულის ჩადენის საფრთხეები წარმოქმნას პერსპექტივაში. სტატიაში წარმოდგენილია კრიპტოგრაფიული აქტივების კერძოდ, კრიპტოვალუტის სამართლებრივი რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოში კროპტოვალუტის სამართლებრივი რეგულაციებისა და საგადასახადო დაბეგვრის საკითხების კვლევა და ანალიზი. პრაქტიკაში არსებული მწირი მონაცემების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სტატიაში ჩამოყალიბებულია რომ:

-კრიპტოგრაფიული ვალუტა საქართველოში არის ლეგალური, მაგრამ გადახდის კანონიერ საშუალებას არ წარმოადგენს; კრიპტოგრაფიული ვალუტა ასევე არ არის ელექტრონული

ფული; და რომ კრიპტოგრაფიული ვალუტა საქართველოს კანონმდებლობით საქონლად არ განიხილება, სესაბამისად მისი მიწოდება საგადასახადო დაბეგვრის ობიექტს არ წარმოადგენს;
-კრიპტოგრაფიულ ვალუტაზე საკუთრების უფლების გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით არ წარმოადგენს მომსახურების გაწევას და კრიპტოგრაფიულ ვალუტის მიწოდება საქართველოს კანონმდებლობით ითვლება ვირტუალურ მიწოდებად საზოგადოების ვირტუალურ წევრებს შორის, ამდენად იგი არც საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალი და საგადასახადო დაბეგვრის ობიექტია.შეასაბამისად, გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან;
-საქართველოს კანონმდებლობით დაბეგვრის ობიექტია დადამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ) იბეგრება -კრიპტოგრაფიული ვალუტის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდება; საქართველოში მოქმედი საგადასახადო პოლიტიკიდან გამომდინარე, კრიპტოსექტორი მიმზიდველია ინვესტიციების განთავსებისთვის; ეკონომიკის ციფრული სექტორის განვითარებას ასევე უზრუნველყოფს საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საგადასახადო პოლიტიკა და მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის მიერ ენერგორესურსებით სარგებლობის მიმართ დამკვიდრებული პრაქტიკა;კრიპტოსექტორის განვითარებისა და სამართლებრივი რეგულირების საკითხებიდან მნიშვნელოვანია კრიპტოგრაფიული ვალუტის მოპოვების თანმდევი ეკოლოგიური ფაქტორის - ბუნებაში ჭარბი CO^2-ს გამოყოფის ნორმალიზაცია, რაც მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს.

ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჭილაძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ავტორი:**
   იზოლდა ჭილაძე,
   საწარმოთა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულებისა და მომგებიანობის მაჩვენებლების ურთიერთკავშირის ასპექტები, 2022. თსუ გვ.
   ანოტაცია:

კვლევის მიზანია საწარმოთა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების მაჩვენებლის არსისა და როლის ანალიზის საფუძველზე დამტკიცება იმისა, რომ ამ მაჩვენებელს არ შეუძლია და გაუმართლებელია შეცვალოს საწარმოს მომგებიანობის მაჩვენებელი.

კვლევის საგანია საწარმოთა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) და საწარმოთა საქმიანობის მომგებიანობის მაჩვენებლები.

შრომაში გამოყენებულია ლოგიკური აზროვნების, საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის, ეკონომიკური ზრდის და სააქციო კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების მაჩვენებლების შედარებითი და ლოგიკური ანალიზის მეთოდები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) არის საშუალო განაკვეთი, რომელსაც ბიზნესი იხდის თავისი აქტივების დასაფინანსებლად. ის გამოითვლება კომპანიის კაპიტალის ყველა წყაროს (როგორც ვალის, ასევე კაპიტალის) საშუალო განაკვეთის საფუძველზე, შეწონილი თითოეული კომპონენტის პროპორციით.

ასევე აუცილებელია აქტივების მომგებიანობის მაჩვენებლის მართვა და კონტროლი, რადგან, დაფინანსების წყაროების ანუ საკუთარი და მოზიდული კაპიტალისაგან მიღებული სარგებელი დამოკიდებულია მათი საშუალებით შეძენილი რესურსების (ანუ აქტივების) გამოყენების ეფექტიანობაზე.

სტატიაში გადმოცემულია კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) და მომგებიანობის შედარებითი დახასიათება და გაკეთებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

სააქციო საზოგადოების ფინანსური მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშნელოვანი ამოცანაა გაზარდოს აქციონერების ქონება. **კომპანიის საბაზრო ღირებულება, როგორც წესი** მისი დაფინანსების წყაროების: საკუთარი კაპიტალისა და აღებული სესხების საბაზრო ღირებულებების ჯამის ტოლია.

დაფინანსების თითოეული ტიპის საბაზრო ღირებულება უნდა უდრიდეს ინვესტორების უკუგების მიმდინარე ღირებულებას, სადაც დისკონტირების კოეფიციენტი მათი საერთო მოთხოვნილი უკუგებაა.

კომპანიის მიერ მისი მოგების სრულად განაწილების შემთხვევაში, კომპანიის მთლიანი საბაზრო ღირებულება უდრის ინვესტორებისათვის ხელმისაწვდომი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას, სადაც დისკონტირების კოეფიცენტს წარმოადგენს მათი საერთო მოთხოვნილი უკუგება ან კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება.

სააქციო კაპიტალზე დივიდენდის გაცემა და აღებულ სესხებზე საპროცენტო გადასახადების გადახდა უპირობოდ მოითხოვს, რომ კომპანია უნდა იყოს მომგებიანი. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება რაც უფრო მაღალი იქნება ნულზე და სტაბილური, პოტენციური ინვესტორი, კომპანიის აქციების შესყიდვით მით მეტად დაინტერესდება.

კაპიტალის ღირებულება არის თანხის ოდენობა, რომელიც კომპანიამ უნდა დახარჯოს ინვესტორების ანაზღაურების საჭირო განაკვეთის დასაკმაყოფილებლად და აქციების ფასის სტაბილურად შესანარჩუნებლად.

მაშასადამე, WACC ეხმარება კომპანიის მენეჯმენტს, შეაფასოს, დააფიანანსოს თუ არა კომპანიამ ახალი აქტივების შეძენა სესხით, სააქციო კაპიტალით ან ორივეთი ერთდროულად. ახალი შესყიდვების დაფინანსებამ ვალით ან საკუთარი კაპიტალით, შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს კომპანიის მომგებიანობაზე და მთლიანი აქციების ფასზე. მენეჯმენტმა უნდა გამოიყენოს განტოლება აქციების ფასის, ინვესტორების დაბრუნების მოლოდინების და აქტივების შეძენის მთლიანი ღირებულების დასაბალანსებლად. საწარმოთა მენეჯმენტი და დირექტორთა საბჭო იყენებენ შეწონილ საშუალოს, რათა განსაჯონ, მიზანშეწონილია თუ არა მათი შერწყმა.

ამრიგად, სააქციო კაპიტალზე დივიდენდის გაცემა და აღებულ სესხებზე საპროცენტო გადასახადების გადახდა უპირობოდ მოითხოვს, რომ კომპანია უნდა იყოს მომგებიანი. კაპიტალის

საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულიდანაც ნათლად სჩანს, რომ მოგება გავლენას ახდენს კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებაზე და თვით კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე.

ამასთან, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება უნდა იყოს მოთხოვნილი დივიდენდის საპროცენტო განაკვეთზე მაღალი. ხოლო, მომგებიანობა უნდა იყოს კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებაზე მაღალი, რათა კომპანიებმა შეძლონ ყველა დანარჩენი ხარჯის (წარმოების ზრდა, პერსონალის სტიმულირება, ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა) დაფარვა. ამ მიზნის მისაღწევად, WACC – ის გაანგარიშებაში ჩართული უნდა იქნეს პრივილეგირებული აქციები და მოკლევადიანი სესხებიც, რაც კოფიციენტს უფრო სრულყოფს და ყველა სესხისა და დივიდენდის დაფარვის კონტროლის ხარისხს გააძლიერებს. ხოლო, თვით მომგებიანობის მაჩვენებლის შეცვლა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების მაჩვენებლით, გაუმართლებელია. მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება რაც შეიძლება მაღალი ეფექტიანობით იქნეს გამოიყენებული მატერიალური რესურსები, რომელიც დედამიწაზე ამოწურვადია.

2. **ავტორები:**

იზოლდა ჭილაძე, ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოც. პროფესორი.

თამარ თორია. თსუ დოქტორანტი.

„ **საქართველოს საწარმოთა ფინანსური შედეგებისა და რისკების ცვლილებები პანდემიის შემდეგ“.** 2022. გვ. 413-422.

Izolda Chiladze, Tamar Toria, Changes in the Financial Results and Risks of Enterprises after the Pandemic in Georgia. 2022. pp. 413-422.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში განხილულია საწარმოთა ფინანსური შედეგიანობისა და ფინანსური რისკების ხარისხის შეფასება საქართველოში პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში , საანალიზო საწარმოების მაგალითზე. კვლევის საგანია საწარმოთა აქტივების მომგებიანობის, ფულის ბრუნვადობის, კაპიტალის და პროცენტის ლევერიჯის მაჩვენებლები და მათი ტენდენციები.

შრომაში გამოკვლეულია თორმეტი სხვადასხვა დარგის თხუთმეტი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია, გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები თუ რა გზებით შეუძლიათ საწარმოებს დაფარონ ხარჯები, აამაღლონ ბიზნესის აქტივობა და შეარბილონ ფინანსური რისკები. კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- სათანადო მაჩვენებლების შერჩევა;
- საანალიზო კომპანიების შერჩევა;
- ფინანსური შედეგიანობისა და რისკების ტენდენციების შედარებითი შეფასებების საფუძველზე საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

შრომაში შესწავლილია ოთხი ძირითადი ფინანსური კოეფიციენტი: აქტივების მომგებიანობა, პროცენტის ლევერიჯი, კაპიტალის ლევერიჯი და ფულის ბრუნვის რიცხვი. შერჩეულ იქნა თხუთმეტი სხვადასხვა დარგის საწარმო, რათა მათი როგორც კერძო, ისე ნაერთი ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე შესაძლებელი გამხდარიყო საქართველოს „მიკროეკონომიკური ფინანსური სურათის“ შედგენა პანდემიასთან კავშირში.

ჩატარებული ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ 2020-21 წლებში საქართველოში მოქმედი საწარმოების დაახლოებით 80% გაკოტრების პირას აღმოჩნდა.

ასოცირებული პროფესორი მარიამ ვარდიაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მარინა მაისურაძე, მარიამ ვარდიაშვილი, COVID 19 - ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე;** https://doi.org/10.56079/20221/4 ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი" 1. 2022; თბილისი; თსუ 10.გვ ISSN 1987-5789

1. ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კორონავირუსის პანდემიამ უპრეცედენტო მასშტაბის გაურკვევლობა წარმოქმნა გლობალურ ეკონომიკაში. ბიზნესაქტივობის შემცირების შედეგად მსოფლიოში დაზარალდა მრავალი საწარმო და მილიონობით ადამიანმა დაკარგა სამსახური, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ფინანსურ და სასაქონლო ბაზრებზე.

ყოველივე ამან რამდენადმე გაართულა ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რადგან პანდემიით გამოწვეული ცვლილება და გაურკვევლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგების ელემენტების შეფასებაზე. მიუხედავად ამისა, თითოეულმა საწარმომ უნდა უზრუნველყოს ყველა ამ საკითხების მიმართ ფასს შესაბამისი მოთხოვნების გამოყენება. სტატიაში განხილულია ზოგიერთი გამოწვევა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, პანდემიით გამოწვეული გაურკვევლობების პირობებში.

2. **მარიამ ვარდიაშვილი, მარინა მაისურაძე,** COVID 19 პანდემია და მისი გავლენა შემოსავლების აღიარებაზე; შრომების კრებული „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“; თსუ; 8.02.2022; ISBN 978-9941-491-70-2 (pdf) გვ.5

2. ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განილულია COVID 19 პანდემიით შექმნილ სიტუაციებსა და გარემოებებში ფასს 15-ით „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“, შემოსავლების აღიარების ის ასპექტები, რომლებზეც ძირითადად გავლენას იქონიებს პანდემიით გამოწვეული კრიზისი, რომლის დროსაც იცვლება მყიდველების ქცევა.

3. **მ. ვარდიაშვილი, მ. მაისურაძე, ფასს 15-ის გავლენის ანალიზი სამშენებლო კონტრაქტებიდან ამონაგების აღიარებაზე;** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას: ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“; 2022 წლის 4-5 ნოემბერს; 10 გვ

3. ***ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

სამშენებლო კონტრაქტების აღრიცხვის მთავარი საკითხია ამ კონტრაქტებიდან მიღებული ამონაგებისა და გაწეული დანახარჯების განაწილება იმ საანგარიშგებო პერიოდებზე, რომელთა განმავლობაშიც ხორციელდებოდა მშენებლობა. ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ შემოღებით მნიშვნელოვნად შეიცვალა ამონაგების

აღიარების წესი გრძელვადიან პერიოდში სამუშაოს მიმდინარეობისას. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე სტატიაში განხილულია ფასს 15-ის ძირითადი პრინციპების გავლენა სამშენებლო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ამონაგების აღიარებაზე.
სამშენებლო კონტრაქტებზე ფასს 15-ის პრინციპების გამოყენების შეფასება ეფუძნება ამონაგების აღიარების ხუთსაფეხურიან მოდელს, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს: კლიენტთან დადებული კონტრაქტების იდენტიფიკაცია; საკონტრაქტო ვალდებულებების იდენტიფიკაცია; გარიგების ფასის განსაზღვრა; კონტრაქტის ფასის განაწილება საკონტრაქტო ვალდებულებებზე; ამონაგების აღიარება ვალდებულებების შესრულებისას. ამონაგების აღიარების ეტაპები სამშენებლო კონტრაქტებთან მიმართებაში წარმოდგენილია პრაქტიკული მაგალითებით.

6. **ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში**

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ლ. საბაური; მ.ვარდიაშვილი, მ. მაისურაძე METHODS FOR MEASUREMENT OF PROGRESS OF PERFORMANCE OBLIGATION UNDER IFRS 15 (** შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხარისხის შეფასების მეთოდები ფასს 15-ის მიხედვით)**;** ISSN: 2344-2174 ECOFORUM; Volume 11, Issue 3(29), 2022

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ამონაგების აღიარებაზე, როდესაც კონტრაქტით გათვალისწინებული შესასრულებელი ვალდებულების შესრულება, მოიცავს ერთზე მეტ საანგარიშგებო პერიოდს. ვალდებულების შესრულება შეიძლება მოხდეს დროის გარკვეულ მომენტში, ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვალდებულების შესრულებისას ამონაგების აღიარება ფასს 15 -ის მიხედვით, ხდება ვალდებულების შესრულების პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით.
სტატიაში გაანალიზებულია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ხარისხის შეფასების სტანდარტით ნება დართული მეთოდები: შედეგების მეთოდი და გამოყენებული რესურსების მეთოდი. დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვალდებულების შესრულებისას, დასრულებული სამუშაოს მოცულობის გამოთვლა შედეგების და გამოყენებული რესურსების მეთოდებით და შესაბამისად ამონაგების განსაზღვრა განხილულია სიტუაციური მაგალითებით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **მ. ვარდიაშვილი, SOME ISSUES OF ACCOUNTING FOR LONG-TERM CONTRACTS (**გრძელვადიანი კონტრაქტების აღრიცხვის ზოგიერთი საკითხები) 2022; **"STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT" (SIMM-2022)** ***21, ოქტომბერი 2022; ურბინ,; კიევი; 4 გვ.***

1. *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

სტატიაში ზოგადად არის მიმოხილული გრძელვადიანი კონტრაქტების აღრიცხვის ძირითადი თავისებურებები. კერძოდ, საქონლისა და მომსახურების გრძელვადიან პერიოდში მიწოდებისას შემოსავალების და ხარაჯების აღიარება, **შესასრულებელი ვალდებულებების შესრულების** ხარისხის **შეფასების მეთოდები,** წამგებიანია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმდინარე ვალდებულების როგორც ანარიცხის აღიარება და შეფასება, **ხელშეკრულების დანახარჯები და სხვა.**

ასისტენტ-პროფესორი ლია კოზმანაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ლია კოზმანაშვილი, ნანა სრესელი** - კრიპტოგრაფიული აქტივების სამართლებრივი რეგულირებისა და საგადასახადო დაბეგვრის საკითხები.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ 4-5 ნოემბერი, 2022.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ციფრული ტექნოლოგიებისა და რთული კრიპტოგრაფიის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკის ციფრული სეგმენტის - კრიპტობიზნესის ფორმირებასა და მონეტარული სისტემების ფუნქციონირების ტრანსფორმაციას - ფულადი ტრანზაქციების დეცენტრალიზებული ფორმით ანუ შუამავლების გარეშე განხორციელებას. კრიპტოგრაფიული ვალუტის მოპოვებამ -„მაინინგმა“, კრიპტოვალუტით ტრანზაქციების განხორციელებამ და მისმა დეცენტრალიზებულ სისტემებში დამუშავებამ ბრუნვაში მოაქცია აქტივების ახალი კლასი ე.წ. კრიპტოაქტივები, რომელთაგანაც პირველი სწორედ კრიპტოვალუტა - ბიტკოინია. თანამედროვე ეტაპზე, კრიპტოაქტივების სამართლებრივი რეგულირების საკითხები საკმაოდ სუსტი და ბუნდოვანია, რაც განაპირობებს რისკების წარმოქმნას. მოსალოდნელი რისკებისა და საფრთხეების აცილება საჭიროებს მნიშვნელოვანი ღონისძიებების განახორციელებას, ვინაიდან ანონიმურმა და დაურეგულირებელმა გაცვლამ და კონტროლის მექანიზმების არარსებობამ, შეიძლება ფარული და უკანონო შემოსავლების მიღებისა და სხვა ფინანსური დანაშაულის ჩადენის საფრთხეები წარმოქმნას პერსპექტივაში. სტატიაში წარმოდგენილია კრიპტოგრაფიული აქტივების, კერძოდ, კრიპტოვალუტის სამართლებრივი რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოში კროპტოვალუტის სამართლებრივი რეგულაციებისა და საგადასახადო დაბეგვრის საკითხების კვლევა და ანალიზი. პრაქტიკაში არსებული მწირი მონაცემების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სტატიაში ჩამოყალიბებულია შემდეგი:

-კრიპტოგრაფიული ვალუტა საქართველოში არის ლეგალური, მაგრამ გადახდის კანონიერ საშუალებას არ წარმოადგენს; კრიპტოგრაფიული ვალუტა, ასევე, არ არის ელექტრონული

ფული; და რომ კრიპტოგრაფიული ვალუტა საქართველოს კანონმდებლობით საქონლად არ განიხილება, შესაბამისად მისი მიწოდება საგადასახადო დაბეგვრის ობიექტს არ წარმოადგენს;
-კრიპტოგრაფიულ ვალუტაზე საკუთრების უფლების გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით არ წარმოადგენს მომსახურების გაწევას და კრიპტოგრაფიული ვალუტის მიწოდება საქართველოს კანონმდებლობით ითვლება ვირტუალურ მიწოდებად საზოგადოების ვირტუალურ წევრებს შორის, ამდენად, იგი არც საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი და არც საგადასახადო დაბეგვრის ობიექტია. შესაბამისად, გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან;
-საქართველოს კანონმდებლობით, დაბეგვრის ობიექტია და დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ) იბეგრება -კრიპტოგრაფიული ვალუტის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდება; საქართველოში მოქმედი საგადასახადო პოლიტიკიდან გამომდინარე, კრიპტოსექტორი მიმზიდველია ინვესტიციების განთავსებისთვის; ეკონომიკის ციფრული სექტორის განვითარებას ასევე უზრუნველყოფს საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საგადასახადო პოლიტიკა და მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის მიერ ენერგორესურსებით სარგებლობის მიმართ დამკვიდრებული პრაქტიკა; კრიპტოსექტორის განვითარებისა და სამართლებრივი რეგულირების საკითხებიდან, მნიშვნელოვანია, კრიპტოგრაფიული ვალუტის მოპოვების თანმდევი ეკოლოგიური ფაქტორის - ბუნებაში ჭარბი CO^2-ს გამოყოფის ნორმალიზაცია, რაც მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***საერთაშორისო ბიზნესის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი თეიმურაზ შენგელია***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი უშანგი სამადაშვილი
ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე
ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი
ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი
ასოცირებული პროფესორი ლალი ხიხაძე
ასისტენტ პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი
პროფესორი თეიმურაზ შენგელია

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. SP-2-21 351 „ქროსს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში“ 2021-2022 წლები. დარგი- ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო ბიზნესი

2. SP-2-21-215 „ბიზნეს-სუბიექტების ორგანიზაციული სტრუქტურების განვითარების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში“ დარგი- ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო ბიზნესი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თ.შენგელია - ხელმძღვანელი, ბ.გასვიანი - კოორდინატორი, ხ. ბერიშვილი - მკვლევარი; თ ჟორჟოლიანი - მკვლევარი

2. თ.შენგელია - კოორდინატორი; ბ. გასვიანი - ხელმძღვანელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტის სახელწოდება: კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში. ნაშრომის მიზანია საერთაშორისო ბიზნესში კროს-კულტურული ურთიერთოებების და მნიშვნელობის კვლევა, რომელიც დაგვეხმარება შევიცნოთ ქართული კულტურის თავისებურებები უცხოელი ინვესტორებისათვის და ასევე მოვახდინოთ ცოდნის სისტემატიზაცია კულტურების მახასიათებლებისა და კლასიფიკაციის შესახებ, რაც თავიანთი კულტურების შესაბამისი ტიპებისა და შერჩეული ქვეყნების მახასიათებლები წარმოაჩენისა და ბიზნესსფეროში გამოიყენების შესაძლებლობას იძლევა. ნაშრომი არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ბიზნესზე კულტურული განსხვავებების გავლენის შესახებ სამეცნიერო დისკუსიის გაფართოების თვალსაზრისით. მას შეუძლია მიაწოდოს ფართო ინფორმაცია იმ მეწარმეებს და სტუდენტებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კულტურული მრავალფეროვნებით, დაეხმაროს მათ გააცნობიერონ საკითხის მნიშვნელობა და გავლენა ბიზნესზე. პროექტი სრულყოფილად აკავშირებს ეროვნული კულტურების მახასიათებლებს საერთაშორისო ბიზნესის სხვადასხვა სფეროსთან, აჩვენებს მათ ურთიერთმიმართებასა და მნიშვნელობას. პრობლემის ამ ასპექტით კვლევა გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია კულტურული განსხვავებების ცოდნა კომპანიის სწორი მენეჯმენტისთვის. ნაშრომი ფოკუსირებულია კომპანიების საერთო ფუნქციონირებაზე საერთაშორისო ბაზარზე და განიხილავს კულტურულ განსხვავებებს, რომლებიც დაკავშირებულია მოლაპარაკების პროცესთან.

2. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ტრანსნაციონალური კომპანიები გლობალიზაციის მთავარი სუბიექტები გახდნენ. ამრიგად, გლობალურ ბაზარზე მიმდინარე უახლესი ტენდენციების მიმოხილვა არსებითად მნიშვნელოვანია კერძო სექტორის განვითარების სწორი სტრატეგიის ფორმირებისათვის. ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო გამოცემისა და ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების ანალიზი, რომელიც ცხადყოფს გლობალური ბაზრის უსაზღვრო შესაძლებლობებს და მასზე ოპერირების გარდაუვალ აუცილებლობას როგორც ქვეყნის ეკონომიკის, ისე კერძო სექტორის წარმატებული განვითარების მისაღწევად. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია ქართული კომპანიების ორგანიზაციული განვითარების მიმდინარე საფეხური, რაც გამოკითხული კომპანიების ორგანიზაციული განვითარების ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირების საფუძველს იძლევა. კერძოდ, ქართულ ბაზარზე მოქმედ კომპანიებში არარის ჩამოყალიბებული ქმედითი სტრუქტურა, მოწესრიგებული სუბორდინაციის საკითხი, არ

არსებობს მკაცრად გამიჯნული ფუნქციური უფლება-მოვალეობები, რასაც ემატება კვალიფიციური კადრების რთულად მოძიების პრობლემა.
2.2.
2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. პროფ.თ.შენგელია-ხელმძღვანელი, ეკ დოქტორი ბ.გასვიანი- კოორდინატორი, ასოც. პროფ. ხ ბერიშვილი-მკვლევარი, აკად. დოქტორო თ. ჟორჟოლიანი - მკვლევარი.
2. პროფ. თ. შენგელია კოორდინატორი ეკ დოქტორი ბ. გასვიანი ხელმძღვანელი.
5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. თ.შენგელია, ბ.გასვიანი. ბიზნესსუბიექტების ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში.გამ. „მერიდიანი“, . თბ., 2022, 320 გვ.
2. თ.შენგელია, ხ.ბერიშვილი, თ. ჟორჟოლიანი, ბ. გასვიანი. საერთაშორისო ბიზნესის კროსკულტურული ურთიერთობები. თბ., „უნივერსალი“ 2022. 440 გვ.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ტრანსნაციონალური კომპანიები გლობალიზაციის მთავარი სუბიექტები გახდნენ. ამრიგად, გლობალურ ბაზარზე მიმდინარე უახლესი ტენდენციების მიმოხილვა არსებითად მნიშვნელოვანია კერძო სექტორის განვითარების სწორი სტრატეგიის ფორმირებისათვის. ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო გამოცემისა და ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების ანალიზი, რომელიც ცხადყოფს გლობალური ბაზრის უსაზღვრო შესაძლებლობებს და მასზე ოპერირების გარდაუვალ აუცილებლობას როგორც ქვეყნის ეკონომიკის, ისე კერძო სექტორის წარმატებული განვითარების მისაღწევად. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია ქართული კომპანიების ორგანიზაციული განვითარების მიმდინარე საფეხური, რაც გამოკითხული კომპანიების ორგანიზაციული განვითარების ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირების საფუძველს იძლევა. კერძოდ, ქართულ ბაზარზე მოქმედ კომპანიებში არარის ჩამოყალიბებული ქმედითი სტრუქტურა, მოწესრიგებული სუბორდინაციის საკითხი, არ არსებობს მკაცრად გამიჯნული ფუნქციური უფლება-მოვალეობები, რასაც ემატება კვალიფიციური კადრების რთულად მოძიების პრობლემა.
წინამდებარე მონოგრაფიული გამოკვლევა ეძღვნება საქართველოს ბაზარზე მოქმედი ბიზნესსუბიექტების ორგანიზაციული სტრუქტურების განვითარების თავისებურებების შესწავლას მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში. რისკებისა და პრობლემების იდენტიფიცირებით ავტორების მიერ შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები ქართული კომპანიებისათვისორგანიზაციული მართვის სრულყოფისა და საერთაშორისო ბაზარზე ეფექტიანი ინტეგრაციისათვის, რაც დაეხმარება საკითხის შესწავლით დაინტერესებულ პირებს.
2. საერთაშორისო ბიზნესის კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს კულტურული სხვადასხვაობის ფენომენი და კულტურული მრავალფეროვნების სწორი და

ადეკვატური აღქმა მრავალეროვნული კომპანიების მართვის პროცესში. ქროსს-კულტურული ანალიზი და მისი შედეგების გამოყენება თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესის მართვის მნიშვნელოვანი სფეროა. დედამიწის მოსახლეობის პალიტრა მრავალფეროვანია, შესაბამისად ცალკეული ერების და ეთნიკური ჯგუფების კულტურული თავისებურებების გათვალისწინება და მათი ჩაყენება თანამედროვე ბიზნესის სამსახურში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადაწყვეტაზე მუშაობენ, როგორც კულტუროლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური ასევე ეკონომიკური მეცნიერებანი. ქროს-კულტურული ურთიერთობანი გლობალურ ბიზნესში კარგა ხანია გახდა მულტიდისციპლინარული კვლევის სფერო. წინამდებარე კვლევაში ქროს- კულტურული ურთიერთობების დინამიური ანალიზი წარმოდგენილია, როგორც საერთაშორისო კომპანიის კონკურენციული უპირატესობის წყარო.

საერთაშორისო ბიზნესი მრავალფეროვანია იმიტომ, რომ ქვეყნები კულტურული ღირებულებებით განსხავდებიან ერთმანეთისგან. ბიზნესის წარმატება განსხავავებულ ქვეყნებში მოითხოვს კულტურათაშორისო განათლებას (ცროსს-ცულტურალ ლიტერაცყ)-ს. უკანასკნელში ჩვენ ვგულისხმობთ იმის ცოდნას თუ ერების კულტურას შორის განსხვავებას რა გავლენის მოხდენა შეუძლია ბიზნესის კეთების მეთოდებზე. გლობალური კომუნიკაციების, ტრანსპორტირების და გლობალური ბაზრების სწრაფი განვითარების პერიოდში, მაშინ როდესაც „გლობალური მსოფლიოს“ დრო სულ უფრო ახლოსაა, მხედველობიდან შეიძლება გამოგვრჩეს ის დიდი სხვაობა, რომელიც არსებობს ხალხის კულტურებს შორის. მოდერნიზმის ბრწყინვალების ქვეშ, ღრმა კულტურული სხვაობანი მაინც რჩებაა. როგორც წესი დასავლეთის მოქალაქეებს, მიაჩნიათ, რომ თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ხალხი ატარებს ლურჯ ჯინსებს, უსმენს დასავლურ პოპულარულ მუსიკას, იკვებება „მაკდონალდში“ და სვამს „კოკა-კოლას“, ისინი იზიარებენ დასავლური კულტურის ძირითად ღირებულებებს. მაგრამ ეს რომ ასე არ არის ნათლად ჩანს შემდეგი მაგალითად: ჩინელები თანდათანობით იძენენ თანამედროვე საზოგადოების ელემენტებს. ყველა ვინც თბილისში ჩამოდის, არ შეიძლება არ გაოცდეს ქალაქის ძველი და თანამედროვე არქიტექტურის სიმბიოზით. მაგრამ საქართველოში დასავლური მოდენრნიზმის ბრწყინვალების ქვეშ, უძველესი კულტურული ტრადიციები იმალება, როლებსაც ფესვები 3000 წლის წინათ აქვთ გადგმული და ისინი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ბიზნესის წარმოებაზე.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. თ.შენგელია. მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები კოვიდპანდემით გამოწვეული გაურკვევლობის პირობებში. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 65-70.

2. T.Shengelia, Kh. Y.Kozak, Berishvili An aggregate model of sustainable development of small business. Moambe.Bulletin of the Georgian Academy of Sciences. V.16, n.4. pp.145-150

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საბაზრო სისტემას, რომელიც ეფუძნება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას, ახასიათებს ფუნდამენტური გაურკვევლობა. ფუნდამენტური გაურკვევლობა განსხვავდება

რისკებისგან იმით, რომ აქ შეუძლებელია ემპირიულად გავზომოთ მომავალი საფრთხეების დონე და დინამიკა. გაურკვევლობის სწორი გაგება საფუძვლად ედება მრავალი კრიზისული მოვლენის შესწავლას. COVID-19 პანდემიის გამო, მსოფლიო აღმოჩნდა ახალ გლობალურ კრიზისში, შესაბამისად გაიზარდა ეკონომიკური და სოციალური გაურკვევლობა. გაურკვევლობის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ შეუძლებელი გახდა პანდემიის მესამე ტალღის შედეგების პროგნოზირება. პანდემიით გამოწვეულ კრიზისს თან ახლავს არა მხოლოდ გლობალური ხასიათის დანაკარგები, არამედ მათი კომპენსაციის შეზღუდული წყაროები. მეცნიერთა აზრით, ასეთი კრიზისი ბოლო საუკუნის განმავლობაში კაცობრიობის ყოფაში ყველაზე უპრეცედენტო მოვლენაა.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Ecological-economic development of the South Caucasus countries under the COVID-19 Pandemic. European Academic Science and Research. No. XXVII (2022). Germany , Hamburg 2022. 22-30

2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Visegrad Group: a form of establishment and development of European integration: collective monograph / edited by A. Krysovatyy, T. Shengelia – – 305 p. Tbilisi, Universal, 2022.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მონოგრაფია ეძღვნება ევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის პრობლემებს. კვლევა ეფუძნება ორ მიდგომას. ერთ-ერთი მათგანია ეფექტურობის ანალიზი ევროინტეგრაციის პროცესების დაჩქარების მიზნით ასოციაციის შექმნა და ევროკავშირში გაწევრიანებას. მეორე არის განვითარების გამოცდილების გამიჯვნა, რომელიც იძლევა საფუძველს ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადის მისაღებად. ამავე დროს, წინადადებები, რომლებიც მიზნად ისახავს უკრაინასა და V4-ს შორის ერთგვარი ალიანსის განვითარებას ადაპტაციაში დასაბუთებულია მისი წევრების გამოცდილება ტრანსფორმაციის ძალისხმევაში. მკვლევარებისთვის, ეკონომისტებისთვის, საჯარო მოხელეებისთვის.

ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერშესრულებული სამეცნიერო-კვლევითიპროექტები

დასრულებული

კვლევითიპროექტისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1. . SP-2-21 351 „კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში“ 2021-2022 წლები. დარგი- ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო ბიზნესი

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტითდაფინანსებულისამეცნიერო-კვლევითიპროექტები

1)

გარდამავალი(მრავალწლიანი)პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი;პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2021-2022 წლები.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თ.შენგელია-ხელმძღვანელი, ბ.გასვიანი -კოორდინატორი, ხ. ბერიშვილი - მკვლევარი; თ ჟორჟოლიანი-მკვლევარი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითიპროექტის2022 წლისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1. პროექტის სახელწოდება: კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში.

ნაშრომის მიზანია საერთაშორისო ბიზნესში კროს-კულტურული ურთიერთოებების და მნიშვნელობის კვლევა, რომელიც დაგვეხმარება შევიცნოთ ქართული კულტურის თავისებურებები უცხოელი ინვესტორებისათვის და ასევე მოვახდინოთ ცოდნის სისტემატიზაცია კულტურების მახასიათებლებისა და კლასიფიკაციის შესახებ, რაც თავიანთი კულტურების შესაბამისი ტიპებისა და შერჩეული ქვეყნების მახასიათებლები წარმოაჩენისა და ბიზნესსფეროში გამოიყენების შესაძლებლობას იძლევა. ნაშრომი არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ბიზნესზე კულტურული განსხვავებების გავლენის შესახებ სამეცნიერო დისკუსიის გაფართოების თვალსაზრისით. მას შეუძლია მიაწოდოს ფართო ინფორმაცია იმ მეწარმეებს და სტუდენტებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კულტურული მრავალფეროვნებით, დაეხმაროს მათ გააცნობიერონ საკითხის მნიშვნელობა და გავლენა ბიზნესზე. პროექტი სრულყოფილად აკავშირებს ეროვნული კულტურების მახასიათებლებს საერთაშორისო ბიზნესის სხვადასხვა სფეროსთან, აჩვენებს მათ ურთიერთმიმართებასა და მნიშვნელობას. პრობლემის ამ ასპექტით კვლევა გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია კულტურული განსხვავებების ცოდნა კომპანიის სწორი მენეჯმენტისთვის. ნაშრომი ფოკუსირებულია კომპანიების საერთო ფუნქციონირებაზე საერთაშორისო ბაზარზე და განიხილავს კულტურულ განსხვავებებს, რომლებიც დაკავშირებულია მოლაპარაკების პროცესთან.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფ.თ.შენგელია-ხელმძღვანელი, ეკ დოქტორი ბ.გასვიანი- კოორდინატორი, ასოც. პროფ. ხ ბერიშვილი-მკვლევარი, აკად. დოქტორო თ. ჟორჟოლიანი - მკვლევარი.

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები;მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN;გამოცემისადგილი, გამომცემლობა;გვერდებისრაოდენობა

1. . თ.შენგელია, ხ.ბერიშვილი, თ. ჟორჟოლიანი, ბ. გასვიანი. საერთაშორისო ბიზნესის კროსკულტურული ურთიერთობები. თბ., „უნივერსალი“ 2022.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1. საერთაშორისო ბიზნესის კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს კულტურული სხვადასხვაობის ფენომენი და კულტურული მრავალფეროვნების სწორი და ადეკვატური აღქმა მრავალეროვნული კომპანიების მართვის პროცესში. ქროსს-კულტურული ანალიზი და მისი შედეგების გამოყენება თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესის მართვის მნიშვნელოვანი სფეროა. დედამიწის მოსახლეობის პალიტრა მრავალფეროვანია, შესაბამისად ცალკეული ერების და ეთნიკური ჯგუფების კულტურული თავისებურებების გათვალისწინება და მათი ჩაყენება თანამედროვე ბიზნესის სამსახურში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადაწყვეტაზე მუშაობენ, როგორც კულტუროლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური ასევე ეკონომიკური მეცნიერებანი. ქროს-კულტურული ურთიერთობანი გლობალურ ბიზნესში კარგა ხანია გახდა მულტიდისციპლინარული კვლევის სფერო. წინამდებარე კვლევაში ქროს- კულტურული ურთიერთობების დინამიური ანალიზი წარმოდგენილია, როგორც საერთაშორისო კომპანიის კონკურენციული უპირატესობის წყარო.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები;სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN;გამოცემისადგილი, გამომცემლობა;გვერდებისრაოდენობა

1. თბ., „უნივერსალი“ 2022,გვ.440

5.3. სტატიებიციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემისადგილი, გამომცემლობა; გვერდებისრაოდენობა

5.4. სტატიებიჟურნალის/კრებულისISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიისსათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემისადგილი, გამომცემლობა; გვერდებისრაოდენობა

1. SHengelia.T, **Berishvili KH**. Ecological-economic development of the South Caucasus countries under the COVID-19 Pandemic.
2. European Academic Science and Research. No. XXVII (2022).
3. Germany , Hamburg 2022
4. 22-30

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები;სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში);ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში);გამოცემისადგილი, გამომცემლობა;გვერდებისრაოდენობა

1. T.Shengelia, Y.Kozak, **Kh. Berishvili** An aggregate model of sustainable development of small business. Moambe.Bulletin of the Georgian Academy of Sciences. V.16, n.4. pp.145-150

2. **Georgian Academy of Sciences;** 2. pp.145-150

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლებიმოხსენებისსათაური;ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

*1. **ბერიშვილი ხ**-ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია COVID 19 პანდემია და ეკონომიკა. -,,საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება Covid-19 პანდემიის და პოსტპანდემიურ პირობებში. 8 ებერვალი,2022*

2 ბერიშვილი ხ**-ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-,,ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც კოლექტივიზმის შერბილებული ფორმა, **27 ნოემბერი, 2022

3. , **ბერიშვილი ხ**. -ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:„ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლი თანამედროვე გლობალურ ბიზნესში", 4-5 ნოემბერი, 2022

4. თ.შენგელია, თ.ჟორჟოლიანი, **ხ. ბერიშვილი**-თსუ-ს სამეცნიერო კვლევითი კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში.ჟ.ეკონომიკა და ბიზნესი,2022

ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

დავით სიხარულიძე, შოთა შაბურიშვილი, ლეილა ქადაგიშვილი, თეა მუნჯიშვილი, საქართველოს სამრეწველო საქონლის (ნაწარმი) ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ანალიზი. შრომების კრებული გლობალიზაციის გამომწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. ISBN 978-9941-36-061-9. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვერდების რაოდენობა 21. https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-2022.pdf

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

კახაბერ-გიორგი ლაზარაშვილი, დავით სიხარულიძე, თამთა ლეკიშვილი და ვასილ კიკუტაძე. The Economic Repercussions of Covid-19 and Well-Being in Georgia. DOI: 10.1007/978-3-031-14425-7_3. The Unequal Costs of Covid-19 on Well-being in Europe. Human Well-Being Research and Policy Making. Springer, Cham. SpringerLink. https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-031-14425-7_3#citeas

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

Covid-19-ის ეკონომიკური შედეგები და კეთილდღეობა საქართველოში

ამ თავში შესწავლილი იქნება Covid-19-ის პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკის ცალკეულ სექტორებზე, რამაც თავის მხრივ იმოქმედა უმუშევრობასა და კეთილდღეობაზე. ერთის მხრივ, ნაშრომი შეისწავლის საქართველოს მთავრობის მიერ პანდემიის დროს განხორციელებული გადაწყვეტილებებისა და პოლიტიკის შედეგებს. პოლიტიკის დოკუმენტების, შეფასებებისა და საქართველოს მთავრობის ოფიციალური პირების განცხადებების გაანალიზებით, შეფასდება ამ გადაწყვეტილებების ეფექტურობა უთანასწორობის და, შესაბამისად, კეთილდღეობის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, ემპირიულად არის შესწავლილი კავშირი Covid-19-ის პანდემიასა და უმუშევრობის დონეს შორის 2020 და 2021 წლებში კავკასიის (საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) ქვეყნებში. განიხილება ისეთი ცვლადები, როგორიცაა Covid-19 შემთხვევები, ჩაკეტვა და შემოსავლის მხარდაჭერა. დასკვნის მიზნით ნაშრომი იყენებს ხაზოვანი რეგრესიის მოდელს. დასკვნები აჩვენებს, რომ Covid-19 შემთხვევების გავლენა უმუშევრობის მაჩვენებელზე დადებითია, თუმცა არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, ჩაკეტვა დადებით გავლენას ახდენს უმუშევრობის ზრდაზე (უმუშევრობის გაზრდაზე) და ეს ცვლადი არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, ხოლო მთავრობის მხარდაჭერა უარყოფითად მოქმედებს უმუშევრობის ზრდა.

ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტითდაფინანსებულისამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი(მრავალწლიანი)პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი;პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. "სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა საქართველოში". ფუნდამენტური კვლევები. გრანტი: FR19-19-619. 2020-2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარინე თავართქილაძე- პროექტის ხელმღვანელი.

2. ანა ფირცხალაიშვილი- პროექტის კოორდინატორი.

3. შოთა შაბურიშვილი - პროექტის ძირითადი პერსონალი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითიპროექტის2022 წლისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1. *წინამდებარე პროექტი ეძღვნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური და ეკონომიკური უფლებების, მისი დაცვის მექანიზმების, კანონმდებლობის აღსრულებისა და ეფექტიანობის მეცნიერულ შესწავლა-შეფასებას. პროექტს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი გამოყენება შეეძლებათ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს: სახელმწიფო სტრუქტურებს, სამოქალაქო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სექტორებს.იგი მოსახერხებელი წყარო იქნება პრაქტიკოსებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეგულირების ინსტრუმენტების გასაცნობად. შიდა ეკონომიკური საქმიანობის აქტიურმა თუ პოტენციურმა მონაწილეებმა შესაძლოა გამოიყენონ სხვადასხვა საინფორმაციო-საკონსულტაციო შინაარსის მასალების მოსამზადებლად. კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები გააუმჯობესებენ საქართველოში მოქმედ სამართლებრივ ნორმებს, მათი აღსრულებისა და ეფექტიანობის ხაირსხს და აგრეთვე შესაბამისობაში მოიყვანს გაეროს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების დაცვის საერთაშორისო პაქტთან[1] და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ არსებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ სამართლებრივ სტანდარტებთან.*

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები;მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN;გამოცემისადგილი, გამომცემლობა;გვერდებისრაოდენობა

1. მარინე თავართქილაძე, ანა ფირცხალაიშვილი, შოთა შაბურიშვილი სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა საქართველოში. თბილისი, „უნივერსალი“, 2022. ISBN 978-9941-33-219-7. 267 გვერდი.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1. ნაშრომი ეძღვნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური და ეკონომიკური უფლებების, მისი დაცვის მექანიზმების, კანონმდებლობის აღსრულებისა და ეფექტიანობის მეცნიერულ შესწავლასა და ანლიზს.

დღევანდელ კანონშემოქმედებით საქმიანობაში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევა სამართლებრივ აქტებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პრინციპების ეფექტიანად ასახვაა. აღნიშნულ პრობლემას შედეგად მოაქვს მოსახლეობის არასახარბიელო მდგომარეობა უფლებების კუთხით, რაც პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის/საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ყოფასთან. წელების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებისთვის გადაუჭრელ პრობლემად რჩება მოსახლეობისთვის სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზება. ქვეყანაში მოქმედებს რიგი სახელმწიფო პროგრამები, რომლებსაც საქართველოს ხელი-

[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0

სუფლება სთავაზობს მოსახლეობას სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზების მიზნით. კვლევებით იკვეთება აღნიშნულ პროგრამებში ხარვეზები, რის შედეგადაც დაბალია პროგრამების ეფექტიანობა და შესაბამისად არასახარბიელოა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ყოფაც.

სწორედ რეგულაციების აღსრულებისა და ეფექტიანობის ხარისხის შეფასებისთვის ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის კვლევაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, საქართველოს პროფესიული კავშირების ასოციაცის და სხვა უწყებების ექსპერტებმა და წარმომადგენლებმა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული შედეგების გადასამოწმებლად ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა სამიზნე ჯგუფებთან: (სოციალურად დაუცველი პირები, უმუშევრები, მრავალშვილიანი ოჯახები, პენსიონერები, დასაქმებულები) საქართველოს მასშტაბით. შემდეგ კი მოვახდინეთ შეგროვებული მონაცემების ეკონომიკური და სტატისტიკური ანალიზი. ანალიზისთვის გამოვიყენეთ ლოგისტიკური და მულტინომიალური მოდელები. ბინარული დამოკიდებული ცვლადებისთვის ავაგეთ ლოგისტიკური რეგრესია, ხოლო რამდენიმე შესაძლო შედეგის მქონე ცვლადის გასაანალიზებლად ავაგეთ მულტინომიალური რეგრესია. ნაშრომში წარმოდგენილია სოციალურად დაუცველის კატეგორიაში ინდივიდის მოხვედრის შანსების, ინდივიდების, სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის რისკების, ყოველკვირეული დასვენებით სარგებლობის უფლების დარღვევის და სხვა მოდელები.

ანალიტიკური სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელიც გააუმჯობესებს ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვას საკანონმდებლო დონეზე, აღსრულებისა და ეფექტიანობის კუთხით.

5.2. სახელმძღვანელოები

5.3. სტატიებიციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემისადგილი, გამომცემლობა; გვერდებისრაოდენობა

1. სიხარულიძე დ., შაბურიშვილი შ., ქადაგიშვილი ლ., მუნჯიშვილი თ., დირექტორთა საბჭოს სტრუქტურის დეტერმინანტები და მათი გავლენა საქართველოს საბანკო სექტორის ეფექტიანობაზე. ჯურნ. გლობალიზაცია და ბიზნესი. N13, 2022. DOI 10. 35945 https://eugb.ge/uploads/content/N13/David%20Sikharulidze.pdf

2.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში საბანკო სისტემას მნივშნელოვანი წვლილი შეაქვს. ფაქტობრივად საქართველოს საფინანსო სექტორი მთლიანად წარმოდგენილია განკებით (90%-ზე მეტი) (OECD, 2020). საბანკო სექტორის რენტაბელობა რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესოა. 2021 წლის პირველ და მეორე კვარტალის მონაცემებით დაბანდებულ კაპიტალზე უკუგება იყო 16,5%, ხოლო აქტივებზე უკუგება - 1,8%.

რენტაბელობის მაღალი მაჩვენებელი საბანკო სექტორში სტაბილურობას უზრუნველყოფს. მიუხედავად საქართველოს საბანკო სექტორის სტაბილურობისა ბანკები სხვა კომპანიებთან შედარებით უფრო კონკურენტუნარიანი და არასტაბილური გლობალური გარემოს წინაშე დგანან. ზოგადად, საბანკო სექტორი ძალიან მგრძნობიარეა ერთი მხრივ საზოგადოების კონტროლის, ხოლო მეორე მხრივ მენეჯმენტისა და დაინტერესებული მხარეების წარუმატებელი ურთიერთობების რისკებთან. მენეჯმენტსა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის პროცესში დირექტორთა საბჭო არის შიდა მმართველობის რამდენიმე მექანიზმიდან ერთ-ერთი, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს აქციონერებისა და მენეჯერების ინტერესების მჭიდრო თანხვედრა და დისციპლინა ან აღმოფხვრას ნაკლებად ეფექტიანი მენეჯმენტი. თანამედროვე ორგანიზაციის თეორიაში თვალსაჩინოა კონფლიქტი აქციონერებსა და ფირმების მენეჯერებს შორის.

ასოცირებული პროფესორი ლალი ხიხაძე

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. მიზნობრივი კვლევითი პროექტი- მცირე ბიზნესის ანტიკრიზისული რეგულირების მეთოდები Covid-19 პანდემიისა და პოსპადემიურ პერიოდში. დამფინანსებელი თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.

1 მარტი-10 დეკემბერი 2022

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის მონაწილეები: პროფესორი- თ.შენგელი(პროექტის ხელმძვანელია; ასოც.პროფესორი ლ. ხიხაძე-(პროექტის მონაწილე);
ასოც.პროფესორი უ.სამადაშვილი-(პროექტის მონაწილე);
ასოც. პროფესორი ხ. ბერიშვილი-პროექტის მონაწილე);
თსუ დოქტორანტი ნ.ადამია-(პროექტის მონაწილე);
თსუ მაგისტრი გ. ორაგველიძე-(პროექტის მონაწილე);

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ქართველი და უცხოელი მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული კვლევების ფართო სპექტრის მიუხედავად COVID-19 პანდემიის მცირე ბიზნესზე ზეგავლენის დაძლევის ეფექტიანი ტექნოლოგიებისა და მოდელების შექმნა არის უაღრესად მნიშვნელოვანი იმ ანტიკრიზისული რეგულირების ინსტრუმენტებში, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამით განისაზღვრა თემის აქტუალობა, მისი მიზანი და ამოცანები.

წინამდებარე კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მცირე ბიზნესის გარე გარემოს არასტაბილურ ეკონომიკურ პირობებში, სისტემურ-დინამიური მეთოდოლოგიის გამოყენებით, ანტიკრიზისული რეგულირების თანამედროვე მეთოდოლოგიური მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

ამ მიზნობრივი ორიენტირიდან გამომდინარე პროექტში მონაწილე მეცნიერების წინაშე დაისვა შემდეგი ამოცანები:

Covid-19 პანდემია: მსოფლიოს ეკონომიკისა და გლობალური ბიზნესის განვითარების ტენდენციებისა და საქართველოს შესაძლებლობების დადგენა;

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ანალიზი კოვიდ-19 პანდემიამდელ პერიოდში;

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების დინამიკა კოვიდ-19 პანდემით გამოწვეული კრიზისის პირობებში;

მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ანალიზი კოვიდ-19 პანდემით გამოწვეული კრიზისის პირობებში;

ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის პროცესში, მცირე ბიზნესში ეკონომიკური გაურკვევლობის ძირითადი ფაქტორების სისტემატიზაცია და ანტიკრიზისული რეგულირების როლის დადგენა;

მცირე ბიზნესის ეკონომიკური შედეგების მიღწევაში ანტიკრიზისული ღონისძიებების საzღვარგარეთის გამოცდილების შესწავლა და ანალიზი;

2. *პანდემიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ადამიანების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე. მაგალითად, ბიზნესი როგორც ყველგან მსოფლიოში, საქართველოშიც აღმოჩნდა მნიშვნელოვანი სირთულეებისა და გამოწვევების წინაშე. მსოფლიო ბანკის მონაცემების შესაბამისად მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტი (შემდგომში - მშპ) 2019 წელს უტოლდებოდა 87,735 ტრილიონ აშშ დოლარს, 2020 წელს კი, შემცირდა 3,39%-ით. საქართველოში სიტუაცია კიდევ უფრო მძიმეა, რადგან სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების შესაბამისად, მშპ - ს რეალური ზრდის მაჩვენებელი უტოლდებოდა - (მინუს) 6,8 %-ს 2020 წელს წინა წელთან შედარებით. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ ბიზნესი უფრო რთული საკეთებელი გახდა 2020 წელს და კიდევ უფრო გართულდა 2021 წელს. გამძაფრებული კონკურენციის ფონზე, იმისთვის, რომ ბიზნესმა შეძლოს არსებობა და წარმატების მიღწევა აუცილებელია ადაპტირდეს ახალ გარემოსთან, რაც ხშირად დაკავშირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილებასთან.*

ცვლილებები, რომელიც ხდება კომპანიის მაკრო თუ მიკრო გარემოში, ვალდებულს ხდის მას შეიცვალოს და უპასუხოს მათ ისე, რომ მისი შეთავაზება დარჩეს კვლავ კონკურენტუნარიანი. აღნიშნულის მიღწევა კი დაკავშირებულია ბიზნეს მოდელის ისეთი ელემენტების

ცვლილებასთან, როგორებიცაა: მომხმარებელთა სეგმენტები, შეთავაზების ფასეულობა, მიწოდების არხები, ურთიერთობის ფორმა მომხმარებლებთან, შემოსავლების წყაროები, ძირითადი რესურსები, ძირითადი საქმიანობა, ძირითადი პარტნიორები და ხარჯების სტრუქტურა.

თავის მხრივ, ბიზნეს მოდელის შეცვლა არის საკმაოდ რთული და კომპლექსური პროცესი, რომელიც მენეჯმენტის მხრიდან მოითხოვს განვითარებულ ტექნიკურ, ადამიანურ და კონცეპტუალურ (კატცი, 1955, 35) უნარებს, ასევე ბიზნეს მოდელის არსისა და მის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების, კერძოდ, ხუთი ფაზის – მობილიზება, გააზრება, დაპროექტება, დანერგვა და მართვა, სიღრმისეულ ცოდნას.

კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა არაერთი სამეცნიერო სტატია თუ სახელმძღვანელო. ასევე, ჩატარდა კვლევა პირდაპირი გამოკითხვის მეთოდით ათ სხვადასხვა კომპანიაში, რომლებიც საქმიანობას ეწეოდნენ (და ეწევიან დღესაც) კვების, უძრავი ქონების, წარმოების და დისტრიბუციის სექტორებში (მათ შორის იყო კომპანია „ქართული რძის პროდუქტების ჰოლდინგი“ - 40 მლნ- ზე მეტი წლიური რეალიზაციით). რაც შეეხება ამონაკრებს, ის მიზნობრივად იყო შერჩეული, კომუნიკაცია დამყარდა ტოპ მენეჯმენტის წარმომადგენლებთან.

ჩვენს ნაშრომში, განხილულია ის ინსტრუმენტები და რიგი საკითხები, რომელიც ბიზნესმოდელის ცვლილებისას დაეხმარება როგორც ქართულ ისე, უცხოურ კომპანიებს.

3. 2020 წლის პირველ ნახევარში, მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად, მკვეთრად შემცირდა წარმოების მოცულობა, გაჩნდა ხარვეზები საქონლის მიწოდებაში, შეიზღუდა მომსახურების სფერო. საქართველოსთვის და ბევრი სხვა განვითარებადი ქვეყნისთვის დამატებითი სირთულეები შექმნა სხვა ქვეყნებში მყოფი ჩვენი მოქალაქეების მიერ ფულადი გადმორიცხვების მკვეთრმა შემცირებამ, რაც საცალო ვაჭრობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. განსაკუთრებით დაზარალდნენ ის ქვეყნები, რომლელთა ეკონომიკის მნიშვნელოვან წილს ტურიზმი წარმოადგენს. იმ ქვეყნებში სადაც შეზღუდვების შემოღება დააგვიანეს პანდემიის უფრო მასობრივი აფეთქებები მოხდა, მაღალი იყო სიკვდილიანობის მაჩვენებელი და მკვეთრად შეიზღუდა ბიზნეს საქმიანობა. შედეგად, გაიზარდა უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებელები. ვირუსის პირველი ტალღის „მოგერიების“ შემდეგ, ბევრ ქვეყანაში და ჩვენთანაც შეიმჩნეოდა ეკონომიკის გარკვეული გამოცოცხლება. თუმცა ამ გაზრდილმა მობილობამ გამოიწვია ვირუსის კიდევ უფრო დამანგრეველი მეორე და შემდგომი ტალღები და ამჟამადაც კიდევ ერთ ტალღას ებრძვის მსოფლიო. საქართველოში პანდემიის ფაქტორს, მეორე, მესამე და შემდგომი ტალღის პარალელურად, თან დაერთო არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია. ეს დამატებთი წნეხი გახდა ეკონომიკის ვარდნისა და ლარის დევალვაციისთვის. როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც კორონავირუსის პანდემიამ განათლებასა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ნეგატიური გავლენით, პირდაპირი დარტყმა მიაყენა ადამიანურ კაპიტალს. სტიქიური უბედურებებისგან განსხვავებით, რომელთა დამანგრეველი მოქმედება ფიზიკურ კაპიტალზე გაცილებით დიდია ვიდრე ადამიანურზე, პანდემიამ ხელუხლებელი დატოვა ქარხნები, ფაბრიკები, ინფრასტრუქტურა, თუმცა უკიდურესად ნეგატიური გავლენა მოახდინა ადამიანთა ჯანმრთელობაზე, ჩაშალა მოსწავლეებისა და სტუდენტების სწავლის პროცესი.

სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების დახურვამ და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ, სასწავლო წლის დიდი ნაწილის დაკარგვა გამოიწვია. ცალკე პრობლემაა დისტანციური სასწავლო პროცესის ნაკლები ეფექტურობა და ცოდნის შემოწმებასთან დაკავშირებული სირთულეები. ამასთან, არსებული ვითარება კიდევ უფრო ამძაფრებს განსხვავებას სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა შორის, სრულფასოვანი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. პანდემიას ეწირება ათასობით ადამიანი. გამოჯანმრთელებულთაგან ბევრს კი პანდემიამ, როგორც ჯანმრთელობის ასევე ფსიქოლოგიური პრობლემები დაუტოვა. არსებული სიტუაციში ჯანდაცვის სექტორს არ ეძლევა სხვა ავადმყოფობებთან გამკლავების სრულყოფილი საშუალება. პანდემიის დასრულების შემდეგ საჭირო იქნება მნიშვნელოვანი ინვესტიციების გაკეთება როგორც განათლებაში, ასევე ჯანდაცვაში.

ადამიანური კაპიტალის განვითარების დონე, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ყველა ქვეყნის ეკონომიკისთვის. ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებები მთლიან შიდა პროდუქტში 10-30%-ით გამოწვეულია ადამიანური კაპიტალის განვითარების დონეში არსებული განსხვავებით. აღსანიშნავია, რომ ადამიანური კაპიტალის გავითარებაში პანდემიით გამოწვეული დღევანდელი ხარვეზები ნეგატიურ გავლენას მოახდენს ბევრი მომავალი წლის განმავლობაში. 2018 წლიდან მსოფლიო ბანკი ახორციელებს ადმიანური კაპიტალის განვითარების პროექტს. ამ პროექტის ფარგლებში შემუშავდა ე.წ. ადამიანური კპიტალის ინდექსი (HCI), რომელიც გვიჩვენებს მშრომელთა მომდევნო თაობის პროდუქტიულობას სრული განათლებისა და სრულყოფილი ჯანმრთელობის ეტალონთან შედარებით. პანდემიიდან გამომდინარე აღნიშნული ინდექსი გაუარესდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც.

4. ნაშრომში საუბარია იმაზე, თუ რა დიდი იყო პანდემიის უარყოფითი გავლენა საქართველოს ბიზნესზე. თუ 2013-2019 წლების პერიოდში, ე.ი პანდემიამდე საქართველოში ბიზნესი მნიშვნელოვნად ვითარდებოდა, 2020 წელს, ანუ პანდემიის შემდეგ დაიწყო მისი დაცემა. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა მცირე ბიზნესში, სადაც 2019 წელთან შედარებით შემცირდა ბრუნვაც (98.9%), პროდუქციის გამოშვებაც (99%), ფინანსური შედეგიც (99%) და დასაქმებაც (85,4%). ანტიპანდემიური შეზღუდვების გამო, მცირე ბიზნესში დაიკარგა 49446 სამუშაო ადგილი, ე.ი ამდენივე ადამიანი გამუცნობი ვადით მიემატა უმუშევართა ისედაც დიდ არმიას.

ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს ბიზნესში პანდემიით შექმნილი გამოწვევების გაანალიზებას და მათი დაძლევის შესაძლებლობების ანალიზს. პანდემიის პერიოდში სამუშაო დაკარგულებს დაცვა სჭირდებათ. სტატიის ავტორები იზიარებენ სხვა მეცნიერების აზრს, რომ დადგა დრო საქართველოში შემოღებული იქნას უმუშევართა დაზღვევა. პანდემიით გამოწვეულ ატიპიურ კრიზისს სპეციალური შესწავლა სჭირდება, დადგა დრო მოხდეს ეკონომიკური პოლიტიკის ახლებული გააზრება, ახალ, პანდემიურ რეალობაზე მორგების მიზნით კი მცირე ბიზნესში უნდა მოხდეს ISO-9001 სტანდარტის იმპლემენტაცია. სტატიაში მომზადებულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა განხორციელებამაც კრიზისის ეფექტურ მართვამდე უნდა მიგვიყვანოს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. დავით ნარმანია, მანანა ხარხელი, ნინო ვარდიაშვილი, მიხეილ მაკასარაშვილი. The role, problems and challenges of higher education in Georgia (on the example of TSU, faculty of Economics and Business), http://dx.doi.org/10.52950/TE.2022.10.1.004 , International Journal of Teaching & Education X(1):34-64

2. დავით ნარმანია, მანანა ხარხელი, მიხეილ მაკასარაშვილი. On One "Cheap Source" for Involvement of Internally Displaced Persons (IDPs) in the Inclusive Development of Georgia, http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/1378/820 ,Ecoforum ,Volume 11, Issue 2(28), 2022

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ქვეყნის კეთილდღეობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის განათლება ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანი საკითხია. ხარისხიანი განათლების სისტემა პირადი, პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნები, რომლებიც მეტ ყურადღებას უთმობენ განათლების დონის ამაღლებას, სწრაფად ვითარდებიან და აღწევენ ცხოვრების უკეთეს პირობებს.

განათლების მიღება ადამიანის ცხოვრების უწყვეტი პროცესია. ამ პროცესში ერთ-ერთ საკვანძო როლს კი საუნივერსიტეტო განათლება ასრულებს. უნივერსიტეტის მთავარი ფუნქციაა მოამზადოს ადამიანი პროფესიული საქმიანობის დასაწყებად და განუვითაროს მას ისეთი უნარები, რომლებიც დაეხმარება კარიერულ წინსვლაში. საკითხი იმის შესახებ თუ რამდენად ახერხებენ უნივერსიტეტები შრომის ბაზრისთვის კვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდებას აქტუალური და საკამათოა არა მარტო ქართულ რეალობაში, არამედ გლობალურადაც. ხშირ შემთხვევაში, უნივერისტეტები სტუდენტებს გარკვეულ თეორიულ ცოდნასთან ერთად უზრუნველყოფენ საბაზისო უნარ-ჩვევებითაც, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში წარმატების მისაღწევად უნივერსიტეტებმა ძირითადი აქცენტები უნდა გააკეთონ სტუდენტებში კომუნიკაციის უნარების, კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური აზროვნების გაუმჯობესებაზე. მნიშვნელოვანია, რომ მათ შექმნან ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს სამუშაო გარემოსთან ადვილად ადაპტირებაში. უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდები თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი ცოდნით, უნარ-ჩვევებით და კომპეტენციებით.

თანამედროვე რეალობა გამოირჩევა სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესით, კვალიფიციური სამუშაო ძალის მოსამზადებლად ყველა უნივერსიტეტი მზად უნდა იყოს ახალი ტექნოლოგიების დასანერგად სასწავლო პროცესში. ზოგადად უნივერსიტეტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ სამ ძირითად მიმართულებას: პირველ რიგში, ინფრასტრუქტურულად ისინი უნდა იყვნენ გამართულები და აკმაყოფილებდნენ თანამედროვე მოთხოვნებს. დახვეწილი ციფრული ინფრასტრუქტურის არსებობის აუცილებლობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა Covid-19 პანდემიის პირობებში. უნივერსიტეტებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი

ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც სტუდენტებს მომავალში, რეალურ სამუშაო გარემოში გაუადვილებს სხვადასხვა პროგრამასთან ან აღჭურვილობასთან მუშაობას.

მეორე მიმართულება ეს ლექტორების კვალიფიკაციის ამაღლება. ლექტორებმა უნდა შეძლონ და გასცენ არამარტო თეორიული ცოდნა, არამედ უნდა დაეხმარონ სტუდენტებს სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებაში, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნება, კომპლექსური პრობლემების გადაჭრის უნარი, გუნდური მუშაობის უნარი. აღნიშნული უნარები საშუალებას აძლევს სტუდენტებს ეფექტურად გაუმკლავდნენ სოციალურ, სამეცნიერო და პრაქტიკულ პრობლემებს. მხოლოდ ცოდნა ან ინფორმაცია საკმარისი არ არის, სამუშაო ადგილზე სტუდენტებს უნდა შეეძლოთ პრობლემების გადაჭრა და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება; მათ უნდა შეეძლოთ კრიტიკული აზროვნება.

მესამე მიმართულება კი არის აქტიური მუშაობა სხვადსხვა კომპანიებთან, რათა სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ გაიარონ სტაჟირების პროგრამები წამყვან კომპანიებში. ეს მათ მისცემს დიდ გამოცდილებას და გაუადვილებს მომავალში სამუშაო გარემოში ადაპტაციას. სწავლის პერიოდში შესაბამის დარგში სტაჟირება ხელს უწყობს სტუდენტს პროფესიულ სფეროში წარმატების მიღწევაში. საუნივერსიტეტო გარემოში სტუდენტი დისკუსიაში, დებატებში ჩართვით და თანატოლებთან ურთიერთობით იღებს სხვადასხვა თეორიულ გამოცდილებას, თუმცა მნიშვნელოვანია მათთვის ისეთი შესაძლებლობების მიცემა, რომელთა საშუალებით ამა თუ იმ აკადემიურ კონცეფციას გამოიყენებს პრაქტიკაში, რეალურ სამუშაო გარემოში.

ნაშრომში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე შესწავლილი იქნება თუ რამდენად არიან ქართული უნივერსიტეტები კვალიფიციური სამუშაო ძალის მოსამზადებლად მზად, გარდა ამისა გამოვლინდება სწავლების პროცესში ძირითადი პრობლემები და შემუშავებული იქნება რეკომენდაციები სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის და ისეთი პროგრამების შემუშავებითვის, რომელთა დახმარებითაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები შეძლებენ წარმატებული კარიერის შექმნას შრომის ბაზარზე.

2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს მოსახლეობის ჯამური თვიური შემოსავალი 321.4 ლარი იყო, ხოლო ხარჯები 303.3 ლარი. საარსებო მინიმუმი 191,4 ათასი ლარი იყო, აბსოლუტური სიღარიბე 21,3%, ფარდობითი სიღარიბე 26,7% (საქსტატი, 2021, გვ. 53-59). ოფიციალური სტატისტიკა აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის მეოთხედი სიღარიბეში ცხოვრობს. ასეთ დროს, იგივე ოფიციალური სტატისტიკა აჩვენებს, რომ ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წლიდან წლამდე იზრდება: 2017 წელს ის გაიზარდა 4,8%-ით, 2018 წელს 4,8%-ით, 2019 წელს 5%-ით (საქსტატი, 2021 წ., გვ. 114). გამონაკლისი იყო 2020 წელი, როდესაც ის 6,8%-ით დაეცა და ამის მიზეზი Covid-19-ით გამოწვეული პანდემია გახდა. ის, რომ ქვეყნის ეკონომიკურმა ზრდამ, რაც გამოიხატება მშპ-ს ზრდაში, არ გამოიწვია სიღარიბის მნიშვნელოვანი შემცირება საქართველოში, გვაფიქრებინებს, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ყველა სეგმენტი არ არის ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში. ამ ვითარებამ წინა პლანზე წამოიწია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მიღწევა ინკლუზიური გზით, ეკონომიკურ საქმიანობაში მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობით. ეს საკითხი წინამდებარე სტატიაში განხილულია მოსახლეობის ერთი ჯგუფის, კერძოდ, დევნილების მაგალითზე.

სტატიაში წამოჭრილია დევნილებისთვის ბიზნეს ცოდნის მიწოდების საკითხი, რათა მათ დამოუკიდებლად დაიწყონ მარტივი ბიზნესი და აღარ იყვნენ დამოკიდებული ბიუჯეტიდან 45 ლარიანი შემწეობის მიღებაზე. სტატიის ავტორი რეკომენდაციას უწევს ამ ღონისძიების გატარებას ბათუმის, წყალტუბოს და სხვა დევნილთა მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში და მათ ამის აუცილებლობას უჩვენებს მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას; ამ მიზნით ადგილობრივ ხელისუფლებაში უნდა შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს ბიზნეს გეგმას და თანმიმდევრულად განახორციელებს მოსამზადებელ და საბაზისო სამუშაოებს დევნილთა მომზადების კუთხით. სტატიის ავტორი აჩვენებს ამ სამუშაოს ეტაპებს, სამუშაოს ტიპებს, შესრულების პერიოდს და ა.შ. გარდა ამისა, ნაჩვენებია სავარაუდო ხარჯები დევნილებისთვის გაცემული სოციალური შეღავათების ოდენობებთან შედარებით. ავტორი ამტკიცებს, რომ თუ დევნილთა მიწის ფართობი გაიზრდება და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფილი იქნება და აგრობიზნესს ასწავლიან, თვითდასაქმებულები იქნებიან და სოციალური შეღავათები არ დასჭირდებათ, პირიქით, შეძლებენ პროდუქციის შეცვლას. ქართულ ბაზარზე შემოტანილი რამდენიმე პროდუქტით.

ასისტენტ-პროფესორი ეკატერინე გულუა

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

მიზნობრივი სამეცნიერო (გარდამავალი) კვლევითი პროექტი: „საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისობის ანალიზი" (თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე)

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. დ. ნარმანია, ე.დ. სრული პროფესორი, თსუ
2. ე. ჩოხელი, ედ. ასოცირებული პროფესორი, თსუ
3. გ. ქეშელაშვილი, ედ. ასოცირებული პროფესორი, თსუ
4. მ.ხარხელი, ედ. ასოცირებული პროფესორი, თსუ
5. ვ.კიკუტაძე, ედ. ასოცირებული პროფესორი, თსუ
6. ე.გულუა, ედ. ასოცირებული პროფესორი, თსუ

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მსოფლიოსა და საქართველოშიც დიდი ყურადღება ეთმობა შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე ორიენტირებული განათლების სისტემის შექმნას. ამაზე მეტყველებს განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შეუსაბამობამობაზე მსოფლიოში განხორციელებული და მიმდინარე მრავალრიცხოვანი კვლევები. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია _„საქართველო 2020", ადამიანური რესურსების განვითარებისთვის სამ ძირითად მიმართულებას ითვალისწინებს, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების აქტიურ განხორციელებას მოითხოვს. მათ შორის ერთ-ერთია: „**შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება**".

უმუშევრობის მაღალი დონე საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, შესაბამისად, უმუშევრობის დონის შემცირება მომდევნო წლებში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მნიშვნელოვანია განხორციელდეს შრომის ბაზრის ასიმეტრიულობის, მობილობის დაბალი ხარისხის, დაბალი პროდუქტიულობისა და არაადეკვატური კვალიფიკაციის არსებობის ანალიზი.

უმაღლესი განათლება საქართველოში დგას მნიშნველოვანი გამოწვევების წინაშე. ათასობით ახალგაზრდა ეუფლება უმაღლეს განათლებას იმ იმედით, რომ შემდეგ გაიზრდება მათი დასაქმების შანსი და შესაბამისად, შემოსავალიც. ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოება: გამოკითხული ორგანიზაციების ნაწილი განიცდის გარკვეულ პოზიციებზე შრომითი რესურსების ნაკლებობას, რაც აიხსნება იმით, რომ, უმეტეს შემთხვევაში, დამსაქმებლები ვერ ახერხებენ სათანადო კვალიფიკაციისა და უნარების მქონე კადრების მოძიებას.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №533 „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021“, შემუშავდა განათლების, გადამზადებისა და ახალგაზრდობის, მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და შესაბამისი დანართებით გათვალისწინებული ვალდებულებების საფუძველზე. იგი შეესაბამება ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს. ამასთან, მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი SWOT ანალიზის მიხედვით, განათლების სისტემის სისუსტეებად განიხილება: შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან განათლების სისტემის შეუსაბამობა; განათლების დაბალი ხარისხი; სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და კერძო სექტორს შორის არასაკმარისი თანამშრომლობა; განათლების ყველა საფეხურზე მასწავლებელთა მაღალი ასაკი და მათი კვალიფიკაცია.

ზემოხსენებული პრობლემების გადაჭრა მნიშვნელოვანია, როგორც ევროპასთან და ევროპულ განათლების სისტემასთან დაახლოების, ასევე ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით. კვლევაში განხილულია საქართველოს შრომის ბაზარი და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ურთიერთკავშირი. თუმცა აქცენტი გაკეთებულია თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების პრობლემებზე.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

THE RESULTS OF A STUDY OF STUDENTS' ATTITUDES TO THE DEMAND FOR COMPETENCIES IN THE LABOR MARKET, DAVIT NARMANIA, EKA CHOKHELI, EKATERINE GULUA, SESILI TABATADZE, International Journal of Social Sciences, Vol. XI, No. 1 / 2022, Prague, March 20, 2022; Editors: Jana Safrankova, ISSN 1804-980X (online), Published 2012-2020 by the International Institute of Social and Economic Sciences (IISES) and since 2021 by the European Research Center (EURREC).pg.29-72. DOI: 10.52950/SS2022.11.1.003

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შრომის ბაზარზე კომპეტენციების მოთხოვნისადმი სტუდენტების დამოკიდებულების კვლევის შედეგები
(თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე)

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს უმსხვილეს უმაღლეს სასწავლებელში სწავლების ხარისხის მართვის გამოწვევებისადმი სტუდენტის დამოკიდებულების კვლევას, თუ როგორ აფასებენ სტუდენტები კომპეტენციებისადმი ბაზრის მოთხოვნებს და რამდენად აღიქვამენ, რომ ისინი იღებენ სათანადო თანამედროვე, ბაზრის მოთხოვნებისადმი შესაბამის ცოდნას.

კვლევის მიზანია: ა) სტუდენტთა დამოკიდებულების კვლევის შესწავლა, თუ რამდენად ზუსტად აღიქვამენ შრომის ბაზრის დამოკიდებულებას კვალიფიკაციისადმი და რამდენად აქვთ განცდა, რომ ისინი იღებენ ბაზრის ადეკვატურ ცოდნას; ბ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისათვის რეკომენდაციების შემუშავება სათანადო კომპეტენციების სწავლებისა და სასწავლო პროცესისადმი სტუდენტთა დამოკიდებულების გასაუმჯობესებლად.

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო გრანტის საფუძველზე: ,,საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისობის კვლევა“, რომელიც განხორციელდა მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის აკადემიური პერსონალის მიერ. ნაშრომს საფუძვლად უდევს: ზოგადად, საქართველოს შრომის ბაზრის შესახებ მეორადი ინფორმაციის ანალიზი, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის მექანიზმების თვისებრივი ანალიზი, აგრეთვე თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისა და დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ზემოაღნიშნული გამოწვევებისადმი დამოკიდებულებათა კვლევის რაოდენობრივი ანალიზი.

გამოკითხვა განხორციელდა ანონიმური ანკეტირების მეთოდით, საგანგებოდ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. 200 წინასწარ შერჩეული დასაქმებულიდან 69 კითხვიანი ანკეტა შეავსო 137-მა დამსაქმებელმა. ხოლო სტუდენტებისათვის შედგენილი 70 კითხვისგან შემდგარი ანკეტა შინაარსობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით გადანაწილდა 511 დასაქმებულ და დაუსაქმებელ სტუდენტზე. მონაცემები დამუშავდა SPSS Statistics პროგრამის საშუალებით, განხორციელდა როგორც ზოგადი სიხშირული ანალიზი და ჯვარედინი (კროსტაბულაციური) ანალიზი, აგრეთვე დავადგინეთ მონაცემთა სანდოობა და ცვლადებს შორის კავშირების დონე ხი-კვადრატ ტესტის (Chi-Square Tests), კრონბახის ალფას (Cronbach's Alfa), პირსონის კორელაციური ტესტის, წრფივი რეგრესიის საფუძველზე.

ნაშრომში, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლენილი გამოწვევების ანალიზი საფუძვლად დაედო თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების გზების ძიებას და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას, რაც ვფიქრობთ დაეხმარება უნივერსიტეტს და საკითხით/დარგით დაინტერესებულ სტეიკჰოლდერებს.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - ***გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:***პროფესორი გიორგი ღაღანიძე***

I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –

ასოცირებული პროფესორი მირონ ტულუში
ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი
ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი
ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე
ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე

პროფესორი გიორგი ღაღანიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
გ. ღაღანიძე, ,,საექსპორტო სტრატეგიების ფორმირება და ფუნქციონირება თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკის საფუძველზე“, ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, #4, 2022.
7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
4. Kharaishvili, E**. Gaganidze, G.** (2022). Distance Learning and Modern Challenges of Education Management in Georgia. : ICESDC 2022 : International Conference on Education System and Development of Countries. World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Educational and Pedagogical Sciences Vol:16, No:11. November 14-15, 2022 in Rome, Italy.

ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1. საგრანტო პროექტი - „საპენსიო აკადემიური პერსონალის პოტენციალის გამოყენება და პოსტსაპენსიო პერიოდის პრობლემები

პროექტის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია თანამედროვე ქართველი და უცხოელი ავტორების მეცნიერული შრომები და სახელმძღვანელო ლიტერატურა. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევასა და აგრეთვე კორელაციურ ანალიზს.
მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე მოხდა შედარების, ლოგიკური

განზოგადების, მეცნიერული კლასიფიკაციის, შერჩევითი სოციოლოგიური გამოკვლევის, კორელაციური ანალიზის და სხვა მეთოდების გამოყენება.

კვლევის შედეგად დადგინდა:

.1. რა რესურსი გააჩნია ორგანიზაციას არსებული პრობლემების გადასაჭრელად

2. რა რესურსი გააჩნია სახელმწიფოს არსებული პრობლემის გადასაჭრელად

3. რა ტიპის საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება არის შესაძლებელი გამოწვევებთან გასამკლავებლად

4. რა როლის შესრულება შეუძლია გამოცდილ კადრს ორგანიზაციის ეფექტიანობის ზრდაში

5. რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს საპენსიო ასაკის პედაგოგთა რეზერვის შექმნა

მასალები გამოქვეყნებულია საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ბადრი რამიშვილი

2. ნატალია ხარაძე

3. დეა ფირცხალაიშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. 10.46361/2449-2604.2.2022.57-67

2.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. 1. INNOVATIVE ECONOMICS AND MANAGEMENT Vol 9 No 2 (2022):

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Batumi Navigation Teaching University

5) გვერდების რაოდენობა

1. 57-67

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოში სამართლიანი ხელფასის დადგენის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების ანალიზი

ხელფასის სწორად განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი მმართველობითი პრობლემაა და ამ საკითხის გარშემო უამრავი მეცნიერული გამოკვლევა თუ პროფესიული მოსაზრება არსებობს. უფრო მეტიც, ეს ის სოციალურ-ეკონომიკური საკითხია, რაც ალბათ ყველაზე მეტად აღელვებს კაცობრიობას უკანსაკნელი სამი საუკუნის განმავლობაში ანუ სამრეწველო რევოლუციის დასაწყისიდან, როდესაც დაქირავებული შრომა ფასეულობის შექმნის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მოგვევლინა. თუ რის საფუძველზე უნდა განისაზღვროს შრომის ანაზღაურება, ამ კითხვაზე სხვადასხვა იდეოლოგია განსხვავებულ პასუხს იძლეოდა ოდითგანვე და ხშირად ეს იყო მთავარი ტრიგერი რევოლუციური მოვლენებისა, რაც არაერთხელ მომხდარა მსოფლიოს ისტორიაში. საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანი და მრავალწახნაგოვანია, ამიტომ მასზე მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი პასუხის გასაცემად საჭიროა ეკონომისტების, ფსიქოლოგების,

სოციოლოგების, ისტორიკოსების, კულტუროლოგების, მენეჯმენტისა და ბევრი სხვა სპეციალისტის კომპლექსური მუშაობა. წინამდებარე სტატიაში სწორედ აღნიშნული პრობლემაა გაანალიზებული საქართველოს მაგალითზე. ავტორები შეეცადნენ სოციალურ-ეკონომიკური ასპექტით გაეანალიზებინათ აღნიშნული პრობლემა და საქართველოს მაგალითზე წარმოეჩინათ ამ მხრივ არსებული ძირითადი ტენდენციები. სტატიაში შრომის ანაზღაურების სამართლიანობის საკითხი დარგობრივი, სქესობრივი, თანამდებობრივი ჭრილითაა დასმული და განხილული. საქართველოს მაგალითზე გამოვლენილია ამ მხრივ არსებული დისპროპორცია და მოტანილია რეკომენდაციები აღნიშნული პრობლემის დასაძლევად.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. პაატა კოღუაშვილი

2. ბადრი რამიშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

1. მიწა ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი კომპონენტია ISSN 1512-3901 DOI 10.52244

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. “ეკონომიკური პროფილი” ტომი 17 N1 2022

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ქუთაისი, ქუთაისის უნივერსიტეტი

5) გვერდების რაოდენობა

1. 132-142

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მიწა ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი კომპონენტია

თანამედროვე მსოფლიოში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის უმნიშვნელვანეს ბაზისად დიდი ხნის განმავლობაში დარჩება მიწა. მაგრამ, გარდა ამისა, მას სხვა დანიშნულებაც აქვს ერებისთვის. განსაკუთრებული როლი, მიწას როგორც ერის არსებობისა და შემოქმედებითი განვითარების საფუძველს, საქართველოსნაირ მცირე ქვეყნებისთვის აქვს. მიწის რაციონალური გამოყენების აუცილებლობას ისიც განაპირობებს, რომ ქართველები უძველესი დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო კულტურისა და ტრადიციების მქონე ერი ვართ. ჩვენი წარსული და მომავალი გაპირობებული და გაშინაარსებულია მიწასთან დაკავშირებული რელიგიური, რაციონალური თუ ემოციური საწყისებით. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები პრაქტიკულ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის ტრადიციიდან გამომდინარეობს. მიწის განცდა ქართველი კაცისათვის მისი საერთო მსოფლაღქმის უშუალო გამოვლენაა. მიწისა და მიწათმოქმედების გააზრებისა და მოწყობის ქართული მოდელის საწყისები სწორედ ქართველის ზოგად-კულტურულ ვინაობასა და რაობაში უნდა ვეძიოთ.

რას ნიშნავს მიწა, მიწათმოქმედება და მათთან კულტურული მიმართება ქართველი კაცისთვის? როგორ უკავშირდება საქართველოს სასიცოცხლო ინტერესი იმ სფეროს, რომლის

სახელსაც (გეორგია) ატარებს ჩვენი ქვეყანა? რა ეკონომიკური და სულიერი მნიშვნელობა აქვს მიწასა და მიწათმოქმედებას ჩვენთვის? როგორ უკავშირდება ერთმანეთს ქვეყნის ცხოვრების ეკონომიკური და ზნეობრივი ასპექტები? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის მცდელობაცაა წინამდებარე სტატია.

ნაშრომის აქტუალობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა. ვითარებას ართულებს ნიადაგის ეროზიის პროცესი, რაც უკანასკნელ პერიოდში, ანთროპოგენური ექსპანსიის და კლიმატური ცვლილებების ფონზე, კრიტიკულ ფაზაში შევიდა.

ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. GENDER IMBALANCES IN THE GEORGIAN LABOR MARKET AND PECULIARITIES OF THE IMPACT OF THE COVID-19 PANDEMIC, 12th International Scientific Conference "Business and Management 2022", ISSN 2029-4441 / eISSN 2029-929X ISBN 978-609-476-288-8 / eISBN 978-609-476-289-5, Article Number: bm.2022.710

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პანდემიამ მძიმე გავლენა მოახდინა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე, რადგან ვირუსის გავრცელებამ და ეპიდემიის ესკალაციამ გააღრმავა სოციალური კრიზისი და გაზარდა უმუშევრობა. გენდერული დისბალანსი შრომის ბაზარზე კიდევ უფრო მწვავე გახდა პანდემიის დროს, რადგან საწარმოთა დიდმა ნაწილმა შეწყვიტა მუშაობა ან განაგრძო მუშაობა შეზღუდული რესურსების პირობებში. შედეგად, შრომის ბაზრის დისბალანსი გაძლიერდა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს შრომის ბაზრის თავისებურებების გენდერული თვალსაზრისით განხილვა, მისი ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება, რაოდენობრივი ანალიზის ჩატარება სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით და შესაბამისი დასკვნების გამოტანა.
7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. ოქრუაშვილი ნ., **ფარესაშვილი ნ.,** საქართველოს შრომის ბაზრის ინსტიტუციონალური რეგულირება თანამედროვე გამოწვევების პირობებში: პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმი, 2022, 24 ივნისი

2. ოქრუაშვილი ნ., **ფარესაშვილი ნ.,** ორგანული სასოფლო -სამეურნეო პროდუქციის ბაზრის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა: - გერმანული გამოცდილება და ქართული რეალობა, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", თბილისი, 2022 წლის 5 ნოემბერი

ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. საგრანტო პროექტი - „საპენსიო აკადემიური პერსონალის პოტენციალის გამოყენება და პოსტსაპენსიო პერიოდის პრობლემები

პროექტის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია თანამედროვე ქართველი და უცხოელი ავტორების მეცნიერული შრომები და სახელმძღვანელო ლიტერატურა. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევასა და აგრეთვე კორელაციურ ანალიზს.

მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე მოხდა შედარების, ლოგიკური განზოგადების, მეცნიერული კლასიფიკაციის, შერჩევითი სოციოლოგიური გამოკვლევის, კორელაციური ანალიზის და სხვა მეთოდების გამოყენება.

კვლევის შედეგად დავადგინეთ

.1. რა რესურსი გააჩნია ორგანიზაციას არსებული პრობლემების გადასაჭრელად
2. რა რესურსი გააჩნია სახელმწიფოს არსებული პრობლემის გადასაჭრელად
3. რა ტიპის საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება არის შესაძლებელი გამოწვევებთან გასამკლავებლად
4. რა როლის შესრულება შეუძლია გამოცდილ კადრს ორგანიზაციის ეფექტიანობის ზრდაში
5. რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს საპენსიო ასაკის პედაგოგთა რეზერვის შექმნა

მასალები გამოქვეყნებულია საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საპენსიო ასაკის აკადემიური პერსონალის პრობლემები და გამოწვევები

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Badri Ramishvili; Natalia Kharadze; Dea Pirtskhalaishvili. Vol 9 No 2 (2022): INNOVATIVE ECONOMICS AND MANAGEMENT. ANALYSIS OF SOCIO-ECONOMIC BASES OF DETERMINING FAIR SALARY IN GEORGIA**

https://doi.org/10.46361/2449-2604.9.2.2022.57-67

2. Natalia Kharadze; Dea Pirtskhalaishvili. INNOVATIVE ECONOMICS AND MANAGEMENT \ „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“ (თეზისები). Challenges of academic personnel of retirement age in terms of gender

3. PROBLEMS AND CHALLENGES OF THE ACADEMIC STAFF OF RETIREMENT AGE Journal of Eastern European and Central Asian Research (JEECAR)“ . რომელიც ინდექსირებულია SCOPUSE Web o of Science. წარმოდგენილია ცნობა

Natalia Kharadze Badri Ramishvili Maia Giorgobiani Nino Paresashvili Dea Pirtskhalaishvili

იმ პირთა მხარდაჭერა, რომლებმაც მიაღწიეს საპენსიო ასაკს, აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნისთვის, ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ თაობათა ცვლა და ახალგაზრდების კარიერის გაგრძელების შესაძლებლობა ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, მაგრამ ღირსეული კოლეგის მიტოვება მიუღებელია. საპენსიო ასაკის მიღწევისას პროფესორები მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდებიან. ამ საკითხებზე იყო კონცენტრირებული ჩვენი კვლევა, რომელიც მოიცავდა საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებს. კვლევის პროცესში გამოიკითხა 630 პროფესორი. შეგროვებული მონაცემები გაანალიზებულია SPSS პროგრამული პაკეტის გამოყენებით. კვლევის დროს აქცენტი გაკეთდა საპენსიო ასაკში სამსახურის დაკარგვის შიშზე. შედეგად დადგინდა, რომ პენსიაზე გასვლის შიში დაკავშირებულია ფინანსებთან და სოციალიზაციის საკითხებთან. რთული სტატისტიკური ანალიზის გამოყენებით, ჩვენ მივიღეთ გადამწყვეტი რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება საგანმანათლებლო დაწესებულებებს რესურსების მოძიებაში პენსიაზე გასული პროფესორების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სტატიის ერთ-ერთი მთავარი საკითხია სხვადასხვა ფაქტორების გავლენა საპენსიო ასაკში სამსახურის დაკარგვის შიშზე. კვლევის მიხედვით, პირებს, რომლებსაც ეშინიათ სამუშაოს დაკარგვის, როდესაც მიაღწევენ საპენსიო ასაკს:

• არ გაქვთ დანაზოგი;

• არ აქვთ შვილების ან ახლობლების დახმარების მიღების იმედი;

• არ გქონდეს ორგანიზაციის მხარდაჭერის იმედი;

• ორგანიზაცია არ ეხმარება ინდივიდებს აქტივობების შერჩევაში მათი მიდრეკილებებისა და ჰობის მიხედვით.

შევისწავლეთ შემდეგი დამოკიდებული ცვლადების გავლენა დამოკიდებულ ცვლადზე Q8 - გეშინიათ პენსიაზე სამსახურის დაკარგვის?

• Q15 - გაქვთ თუ არა რაიმე დამატებითი შემოსავალი, რომელსაც იღებთ საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა სხვა წყაროებიდან?

• Q16 - გიფიქრიათ თუ არა საპენსიო ასაკში გამოთავისუფლებული დროის შევსების წყაროებზე?

• Q17 სთავაზობს თუ არა ორგანიზაცია პენსიაზე გასულ თანამშრომლებს ფსიქოლოგიურ ტრენინგს, რათა დაეხმაროს მათ ახალ გარემოსთან ადაპტაციაში?

მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას პენსიაზე გასული პროფესორების უზრუნველყოფის საქმეში.

სახელმწიფოსა და უნივერსიტეტების ერთობლივი ძალისხმევის გარეშე, ღვაწლმოსილი პროფესორები უმოწყალოდ მიტოვებულნი იქნებიან ქვეყანაში. სამწუხაროდ, ამის უამრავი მაგალითი უკვე არსებობს.

I. განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - ***მარკეტინგის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი ნუგზარ თოდუა***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ბაბულია მღებრიშვილი

ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში

ასოცირებული პროფესორი ნანა ოქრუაშვილი

ასოცირებული პროფესორი მაკა კობალავა

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე უროტაძე

ასისტენტ-პროფესორი მაია ვეშაგური

ასისტენტ-პროფესორი მაია სეთური

პროფესორი ნუგზარ თოდუა

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

. Matin, Arian; Khoshtaria, Tornike & Todua, Nugzar/ The Impact of Social Media Influencers on Brand Awareness, Image and Trust in their Sponsored Content: An Empirical Study from Georgian Social Media Users/International Journal of Marketing, Communication and New Media, ISSN 2182-9306Vol. 10, N 18, pp. 88-114. https://doi.org/10.54663/2182-9306 პორტუგალია

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.სტატიაში შესწავლილია სოციალური მედია ინფლუენსერების გავლენა ბრენდის ცნობადობაზე, ბრენდის იმიჯზე და დასპონსორებული კონტენტის მიმართ სანდოობაზე. ამ მიზნით სოციალური მედია ინფლუენსერები დაყოფილია გარეთა და შიგნითა მახასიათებლების მიხედვით, რაც მათი გავლენის გაზომვის სიზუსტეს ამაღლებს. ნაშრომში ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზები და შემუშავებულია ანკეტა სოციალური მედია ინფლუენსერების ქცევის გასაანალიზებლად. კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ სოციალური მედია ინფლუენსერების შიგნითა მახასიათებლები დადებით გავლენას ახდენენ ბრენდის ცნობადობაზე, ხოლო აღქმული გარეთა მახასიათებლები დადებითად ზემოქმედებენ ბრენდების იმიჯზე და დასპონსორებული კონტენტის მიმართ სანდოობაზე. კვლევა ასევე ზომავს გავლენისმომხდენი მარკეტინგის მიმართ მომხმარებელთა რეაქციას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. თოდუა, ნ., & გოგიტიძე, ნ./ COVID-19-ის პანდემიის გავლენა ციფრული ბანკინგის მომხმარებელთა ქცევაზე.საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“ შრომების კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022 წლის 8 თებერვალი.

2. თოდუა, ნ., & გოგიტიძე, ნ./ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მარკეტინგული ასპექტები საქართველოს ბანკებში. მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022 წლის 4 ნოემბერი.

3. თოდუა, ნ., & ჯაში, ჩ. დიდი მონაცემების გამოწვევები და შესაძლებლობები ციფრულ მარკეტინგში. მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022 წლის 4 ნოემბერი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1. სტატიაში ნაჩვენებია COVID-19-ის პანდემიის გავლენა ციფრულ ბანკინგსა და ციფრულ საბანკო მარკეტინგზე, გაანალიზებულია უახლესი კვლევები, რომლებიც ითვალისწინებს ციფრული საბანკო არხების გამოყენებას თანამედროვე ეტაპზე და მათ სამომავლო პროგნოზებს. ნაშრომში გამოყოფილია COVID-19-ის პანდემიის პირობებში ციფრული ბანკინგის მომხმარებელთა ქცევის ძირითადი მახასიათებლები. აქვე მიმოხილულია უახლესი პერიოდის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც COVID-19-ის პანდემიის დაწყებიდან დღემდე ციფრული ბანკინგის მომხმარებელთა ქცევაზე აისახა. სტატიაში, მეორადი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, გამოკვეთილია ციფრული ბანკინგის გამოყენების მნიშვნელობა და მისი ზრდის პერსპექტივები, რომლებიც ბანკებმა კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად უნდა გამოიყენონ.

2. სტატიაში განხილულია ციფრული საბანკო ტექნოლოგიების გამოყენების თავისებურებები და გამოწვევები ფინანსურ ბაზარზე ორი უმსხვილესი პროვაიდერის, თიბისი ბანკის და საქართველოს ბანკის მაგალითზე. ნაჩვენებია, რომ საქართველოში ეს კომპანიები ციფრული მარკეტინგის ერთგვარ პიონერებადაც ითვლებიან და მომხმარებელს ინოვაციური პროდუქტებით და მომსახურებით გლობალური პანდემიის დაწყებამდეც ამარაგებდნენ. სტატიაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ამ ბანკებს შორის კონკურენცია საფინანსო ბაზარზე ყველაზე მკვეთრადაა გამოხატული, ამიტომ ნაშრომში წარმოდგენილია მოცემული ბანკების ციფრული განვითარების სპეციფიკა, ინოვაციური პროდუქტები და მომსახურება, ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენების უპირატესობები და ნაკლოვანებები, რაც ახალი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მარკეტინგული ასპექტების შესასწავლად აუცილებლად განსახილველ ინფორმაციას წარმოადგენს.

3. ნაშრომში შესწავლილია დიდი მონაცემების როლი ეკონომიკის, ბიზნესისა და ჯანდაცვის სფეროებში, აგრეთვე მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღებაში. ხაზგასმულია, რომ დიდი მონაცემებისა და მარკეტინგული ინსტრუმენტების ერთობლივ კომბინაციას უდიდესი წვლილი შეაქვს ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიების განხორციელებაში. განსაკუთრებით წარმოჩენილია დიდი მონაცემების გავლენა მარკეტინგულ აქტივობებსა და COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული რისკების მართვის პროცესებზე. ლიტერატურული მასალების ანალიზმა დაადასტურა დიდი მონაცემების განუსაზღვრელი შესაძლებლობები კომპანიების ეფექტიან მართვასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში. ნაჩვენებია, რომ დიდი მონაცემების სისტემატური გაანალიზება ხელს შეუწყობს პოსტკოვიდის შემდგომი ეფექტების შესახებ ახალი კვლევების ჩატარებას და პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფას.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. თოდუა, ნ. & უროტაძე, ე. / The Effect of Social Media Marketing on Consumer Behavior of Tourism Destinations. **Second International Scientific Conference „Strategic Planning and Marketing in the Digital World.** University of National and World Economy, სოფია (ბულგარეთი), 2022 წლის 11 ნოემბერი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

სტატიაში ნაჩვენებია ციფრული ტექნოლოგიების როლი ტურისტული დესტინაციების განვითარებაში. ხაზგასმულია, რომ ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება ხელს უწყობს ტურისტულ დესტინაციებს მომხმარებლებთან ურთიერთობების წარმართვაში. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ტურისტულ დესტინაციებში სოციალური მედია მარკეტინგის გამოყენებაზე. აქვე ჩამოთვლილია მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის საქართველოს ტურისტულ დესტინაციებში სოციალური მედია მარკეტინგის განვითარებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩატარებულია მარკეტინგული კვლევა, რომლის მეშვეობითაც შესწავლილია ქართული ტურისტული დესტინაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების მიმართ ტურისტების დამოკიდებულება. აქვე დადგენილია ასეთი აქტივობების მიმართ მომხმარებელთა დაინტერესებისა და კმაყოფილების დონეები. მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავენ ტურისტული დესტინაციების მომხმარებელთა ქხევაზე სოციალური მედია მარკეტინგის გავლენას.

ასოცირებული პროფესორი გაბულია მღებრიშვილი

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლებიმოხსენებისსათაური;ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

ბაბულია მღებრიშვილი, გიული ქეშელაშვილი

კონფლიქტები მარკეტინგულ არხებში და მისგან მომდინარე საფრთხეები

2022წ 8 თებერვალი, თბილისი, საქართველო
2) ბაბულია მღებრიშვილი, ეკატერინე უროტაძე, მაია ვეშაგური
ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში
2022წ 5 ნოემბერი, თბილისი, საქართველო

ასოცირებული პროფესორი ნანა ოქრუაშვილი
7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. **ოქრუაშვილი ნ.**, ფარესაშვილი ნ., საქართველოს შრომის ბაზრის ინსტიტუციონალური რეგულირება თანამედროვე გამოწვევების პირობებში: პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმი, 2022, 24 ივნისი
2. **ოქრუაშვილი ნ.**, ფარესაშვილი ნ., ორგანული სასოფლო -სამეურნეო პროდუქციის ბაზრის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა: - გერმანული გამოცდილება და ქართული რეალობა, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", თბილისი, 2022 წლის 5 ნოემბერი

ასოცირებული პროფესორი მაკა კობალავა
6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. **კობალავა მ.,** საზოგადოებასთან ურთიერთობა დემოკრატიული მმართველობის ფორმირების პროცესში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება". 21-22 ოქტომბერი. ბათუმი.
2. კობალავა მ., პანდემიის გავლენა ელექტრონული პიარის მასშტაბებზე. IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია ,,მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები". 2022 წლის 9 სექტემბერი, გორი.
3. **კობალავა მ. „**ბენჩმარკინგი-I" საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „აკადემლაბი" N2 (2022)
4. კობალავა მ. „ბენჩმარკინგი-II" საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „აკადემლაბი" N2 (2022)
5. კობალავა მ. „პანდემია, გლობალიზაცია და პიარი" საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „აკადემლაბი" N1 (2021)
ISSN 2720-7811

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

კობალავა მ., საზოგადოებასთან ურთიერთობა დემოკრატიული მმართველობის ფორმირების პროცესში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“. 21-22 ოქტომბერი. ბათუმი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Lobzhanidze M., **Kobalava M.,** The Impact of the Atypical Crisis on Educational Migration: Economic and Policy Challenges. ICESDC 2022 : International Conference on Education System and Development of Countries. World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Educational and Pedagogical Sciences Vol:16, No:11. November 14-15, 2022 in Rome, Italy.
Education System and Development of Countries, November 14-15, 2022 - Italy, Rome. https://waset.org/profile/submissions/papers/detail/156833

2. **Kobalava M.** Opportunities for Effective Conflict Management Caused by Global Crises. International Conference Economics and Business Innovation, October 21-22, 2021 - Greece, Athens. Economics and Business Innovation, October 21-22, 2021 - Greece, Athens. https://waset.org/profile/submissions/papers/detail/136247

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნუგზარ თოდუა, ჩარიტა ჯაში

2) მოხსენების სათაური

1. BIG DATA-ს შესაძლებლობები და გამოწვევები თანამედროვე მარკეტინგულ გარემოში (კონცეპტუალური მიმოხილვა)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 2022 წლის 6 ნოემბერი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესკომპანიები მუდმივად ეძიებენ კონკურენტულ უპირატესობებს, უდიდესია Big Data -ს როლი დღევანდელ პირობებში პროგნოზირებადი ანალიზისა და ფასეული, კარგად ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. Big Data-მ რევოლუციური გადატრილება მოახდინა ეკონომიკის, ბიზნესისა და ჯანდაცვის სფეროებში. აღსანიშნავია, რომ Big Data შთამბეჭდავი მოცულობის, ინტენსივობისა და სირთულისაა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სტანდარტულ ანალიტიკურ შესაძლებლობებს. უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და

მარკეტინგული ინსტრუმენტების ერთობლივ კომბინაციას უდიდესი წვლილი შეაქვს ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიის განხორციელებაში. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს Big Data -ს არსის გარკვევა, მისი როლის წარმოჩენა
მარკეტინგულ აქტივობებში, ასევე Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული რისკების მართვის პროცესებში. ჩატარებულმა მარკეტინგულმა კვლევებმა ნათლად დაადასტურა Big Data-ს განუსაზღვრელი შესაძლებლობები კომპანიის ეფექტიან მართვაში. აღნიშნულმა ინფორმაციებმა უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროშიც. Big Data -ს სისტემატიური დამუშავება და გაანალიზება COVID 19 – ის და პოსტკოვიდის შემდგომი ეფექტების წინააღმდეგ ხელს შეუწყობს ახალი კვლევების ჩატარებასა და პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფას. უამრავი სამეცნიერო პუბლიკაცია არის დაბეჭდილი ბოლო პერიოდში ამ საკითხებთან დაკავშირებით მთელ მსოფლიოში, თუმცა საქართველოში ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

2. **სოციალური მარკეტინგის გავლენა ქცევის ცვლილებაზე COVID-19-ის პანდემიის პირობებში კონფერენციის მასალები 2022**

კოვიდ 19 პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ასპექტია ვაქცინაციის სტრატეგია (იმუნიზაციაა), რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს. აღნიშნული სტატიის მიზანს წარმოადგენს მსოფლიოში მიმდინარე იმუნიზაციის პროცესის ანალიზი, რომელიც ეფუძნება უახლესი პუბლიკაციებისა და კვლევების მიმოხილვას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სამ საკითხზე: სოციალური ქცევის ცვლილებები, სოციალური მარკეტინგის ინსტრუმენტები იმუნიზაციის გააქტიურებისათვის, სოციალური ქსელები - ვაქცინის მომხრეებისა და მოწინააღმდეგების დისკურსის არენა. ნაშრომში განხილულია ბრიტანელი მეცნიერების მიერ შემუშავებული ე.წ. 5C-ის მოდელი, რომელიც მოიცავს შემდეგ ფაქტორებს: ნდობა, შეზღუდვა, თავდაჯერებულობა , გათვლა და კოლექტიური პასუხისმგებლობა . აღნიშნული მოდელი დრაივერის (მამოძრავებელი) როლს არულებს და ზემოქმედებას ახდენს ნეიტრალურად ან ნეგატიურიად განწყობილ ინდივიდებზე .სოციალური ქსელები ონტენსიურად გამოიყენება ჯანდაცვისა და სოციალური კამპანიების ეფექტიანი და ფართომასშტაბიანი წარმართვისათვის. ამასთან ერთად ,სოციალურ ქსელებში ჩართულები არიან ვაქცინაციისადმი სკეპტიკურად განწყობილი ინდივიდები და მწვავედ რეაგირებენ მოწოდებულ ინფორმაციებზე. ყოველი ინფორმაცია ვაქცინის შესახებ მათი თვალთახედვით აღიქმება არა როგორც სამეცნიერო პროცესის შესაბამისი სტანდარტული პროდუქტი, არამედ ინდივიდუალური ირაციონალური ინტერპრეტაციით განიხილება, რომელიც აფერხებს იმუნიზაციის პროცესის მიმდინარეობას. სოციალური მედია განუსაზღვრელი ზემოქმედებით სარგებლობს მომხმარებელთა ქცევაზე, ამიტომ საჭიროა სისტემატიური კვლევა ამ მიმართულებითაც, რომ ყველამ გააცნობიეროს ვაქცინაციის მნიშვნელობა პანდემიის დამარცხებისათვის.

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე უროტაძე

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ჯაში, ჩ., & უროტაძე, ე. სოციალური მარკეტინგის გავლენა ქცევის ცვლილებაზე Covid-19-ის პანდემიის პირობებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“ შრომების კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022 წლის 8 თებერვალი.

2. მღებრიშვილი, ბ., უროტაძე, ე. & ვეშაგური, მ. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022 წლის 4 ნოემბერი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1. COVID-19-ის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ასპექტია ვაქცინაციის სტრატეგია (იმუნიზაცია), რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს. სტატიაში გაანალიზებულია მსოფლიოში მიმდინარე იმუნიზაციის პროცესი, რომელიც ეფუძნება უახლესი პუბლიკაციებისა და კვლევების მიმოხილვას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სამ საკითხზე, როგორიცაა: სოციალური ქცევის ცვლილებები, იმუნიზაციის გააქტიურებისათვის გამოყენებული სოციალური მარკეტინგის ინსტრუმენტები და სოციალური ქსელების როლი ვაქცინის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების დისკურსში. ნაშრომში განხილულია ბრიტანელი მეცნიერების მიერ შემუშავებული 5C-ის მოდელი, რომელიც მოიცავს შემდეგ ფაქტორებს: ნდობას, შეზღუდვას, თავდაჯერებულობას, გათვლას და კოლექტიურ პასუხისმგებლობას. აღნიშნული მოდელი ასრულებს მამოძრავებელი ძალის როლს და ზემოქმედებას ახდენს ვაქცინაციის მიმართ ნეიტრალურად ან ნეგატიურიად განწყობილ ინდივიდებზე. სოციალური ქსელები ინტენსიურად გამოიყენება ჯანდაცვისა და სოციალური კამპანიების ეფექტიანად წარმართვისათვის. ამასთან, სოციალურ ქსელებში ჩართულები არიან ვაქცინაციისადმი სკეპტიკურად განწყობილი ინდივიდები, რომლებიც მიწოდებულ ინფორმაციებზე მწვავედ რეაგირებენ. ისინი ვაქცინის შესახებ ინფორმაციებს განიხილავენ არა სამეცნიერო პროდუქტად, არამედ ინდივიდუალური ირაციონალური ინტერპრეტაციით, რაც იმუნიზაციის პროცესს აფერხებს. სტატიაში ნაჩვენებია, რომ სოციალური მედია უზარმაზარ გავლენას ახდენს მომხმარებელთა ქცევაზე, ამიტომ საჭიროა სისტემატური კვლევა ამ მიმართულებით, რათა ყველამ გააცნობიეროს ვაქცინაციის მნიშვნელობა პანდემიის დამარცხებისთვის.

2. სტატიაში დახასიათებულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები სამი მიმართულებით: მარკეტინგული ეთიკის მოთხოვნების დაცვა, გარემოს დაცვა, საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა. სტატიაში, არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, ნაჩვენებია ბიზნესის პასუხისმგებლობის ამაღლების აუცილებლობა საქართველოში. ამ კუთხით ყურადღება გამახვილებულია ცალკეული მოქალაქის პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხზე გარემოს დაცვაში, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს სამთავრებო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებას. სტატიის ავტორების აზრით, საზოგადოების წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, ბიზნესის როლის ამაღლება დაეხმარება როგორც ბიზნესში დასაქმებულ

ადამიანებს, ისე მომხმარებლებსა და მთელ საზოგადოებას კორონავირუსული პანდემიით გამოწვეული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებაში.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. თოდუა, ნ. & უროტაძე, ე. / The Effect of Social Media Marketing on Consumer Behavior of Tourism Destinations. **Second International Scientific Conference „Strategic Planning and Marketing in the Digital World.** University of National and World Economy, სოფია (ბულგარეთი), 2022 წლის 11 ნოემბერი.

ანოტაცია

სტატიაში ნაჩვენებია ციფრული ტექნოლოგიების როლი ტურისტული დესტინაციების განვითარებაში. ხაზგასმულია, რომ ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება ხელს უწყობს ტურისტულ დესტინაციებს მომხმარებლებთან ურთიერთობების წარმართვაში. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ტურისტულ დესტინაციებში სოციალური მედია მარკეტინგის გამოყენებაზე. აქვე ჩამოთვლილია მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის საქართველოს ტურისტულ დესტინაციებში სოციალური მედია მარკეტინგის განვითარებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩატარებულია მარკეტინგული კვლევა, რომლის მეშვეობითაც შესწავლილია ქართული ტურისტული დესტინაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების მიმართ ტურისტების დამოკიდებულება. აქვე დადგენილია ასეთი აქტივობების მიმართ მომხმარებელთა დაინტერესებისა და კმაყოფილების დონეები. მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავენ ტურისტული დესტინაციების მომხმარებელთა ქხევაზე სოციალური მედია მარკეტინგის გავლენას.

ასისტენტ-პროფესორი მაია ვეშაგური

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **მღებრიშვილი ბ., უროტაძე ე., ვეშაგური მ. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში**

VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ , 2022 წ. 5 ნოემბერი, საქართველო, თბილისი (იბეჭდება)

2.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

სტატიაში დახასიათებულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები სამი მიმართულებით: მარკეტინგული ეთიკის მოთხოვნების დაცვა, გარემოს დაცვა, საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა. სტატიაში, არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, ნაჩვენებია ბიზნესის პასუხისმგებლობის ამაღლების აუცილებლობა საქართველოში. ამ კუთხით ყურადღება გამახვილებულია ცალკეული მოქალაქის პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხზე გარემოს დაცვაში, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს

სამთავრებო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებას. სტატიის ავტორების აზრით, საზოგადოების წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, ბიზნესის როლის ამაღლება დაეხმარება როგორც ბიზნესში დასაქმებულ ადამიანებს, ისე მომხმარებლებსა და მთელ საზოგადოებას კორონავირუსული პანდემიით გამოწვეული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებაში.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემების მოგვარებაში ბიზნესის მონაწილეობის დონე წარმოადგენს. ბიზნესმა, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, უნდა გააქტიუროს საქმიანობის სამივე ასპექტი-ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი. ბიზნესის სოციალური კუთხით გააქტიურების შედეგები გამოვლინდება მისი თანამშრომლების კეთილდღეობაში, მომხმარებლის კმაყოფილების მაღალ მაჩვენებლებში, პროდუქტისა და მომსახურების უსაფრთხოებაში. სოციალური პასუხისმგებლობით მომუშავე ბიზნესი გამორიცხავს „მოგების მიღებას“ და „სიმდიდრის დაგროვებას“ საკუთარი თანამშრომლებისა და მომხმარებლების ხარჯზე. ამასთან, ის ეხმარება თანამშრომლებს, რომ ადვილად გადაიტანონ კორონავირუსული პანდემიით მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალი. მომხმარებლის კმაყოფილების მიღწევას ბიზნესი უზრუნველყოფს მისთვის არა მარტო უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებით, არამედ ნდობის აღმძვრელი და სასიამოვნო ატმოსფეროს ჩამოყალიბებითაც მასთან ურთიერთობისთვის.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მაღლაკელიძე ე., გეგეშიძე ე., ჯღამაძე ნ., მალაღურიძე ი., ვეშაგური მ.

ASSESSING BENEFITS FROM DEMAND RESPONSE (DR) PROGRAM IN THE DIFFERENT CLIMATIC ZONES OF GEORGIA ON THE EXAMPLE OF RESIDENTIAL PV INSTALLATIONS

DOI: 10.20472/EFC.2022.017.012

ეკონომიკისა და ფინანსების მე-17 კონფერენციის მასალები, თურქეთი, სტამბული, 5 სექტემბერი, 2022 წ. გვ. 153-170

ასისტენტ-პროფესორი მაია სეთური

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. მაია სეთური (Maia Seturi)

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1.**“THE ROLE AND IMPORTANCE OF SALES AND SALES PROMOTION IN THE DEVELOPMENT OF CUSTOMER RELATIONS”.**

DOI: https://doi.org/10.32070/ec.v2i54.139

e-ISSN 2545-3483

ISSN 2449-7320

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. EUROPEAN COOPERATION. Vol. 2 No. 54 (2022)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. პოლონეთი. Publisher: Consilium

5) გვერდების რაოდენობა

1. 9 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გაყიდვების და მისი სტიმულირების მნიშვნელობა მუდმივად იზრდება. ტექნოლოგიური პროგრესი ხელს უწყობს კომპანიების მარკეტინგული საქმიანობის მუდმივ განვითარებას და ინოვაციების დანერგვას. რაც აუცილებელია მომხმარებლების მოსაზიდად და მათთან გრძელვადიანი ურთიერთობების დასამყარებლად. მომხმარებელთა გემოვნების ცვლილებასთან და ახალ პრეფერენციებთან ერთად, აუცილებელია კომპანიებმა სწორად შეარჩიონ გაყიდვების სტიმულირების ინსტრუმენტები და ეფექტიანად გამოიყენონ ისინი. გაყიდვების ხელშეწყობის ინსტრუმენტებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ყიდვის ქცევაზე და ლოიალურობაზე. კომპანიები დღეს ყურადღებას ამახვილებენ თავის არსებულ და ახალ მომხმარებლებზე. ჭკვიანი ლიდერები ცდილობენ, მიაღწიონ თავიანთი ბიზნესის წარმატებებს არა მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში, არამედ ისინი ითვალისწინებენ გრძელვადიან შედეგებსაც. ურთიერთობების მარკეტინგი ყურადღებას ამახვილებს მომხმარებელთა ლოიალურობაზე. ორგანიზაციები ამ მიზნის მისაღწევად აერთიანებენ თავიანთ მარკეტინგულ ძალისხმევას პროდუქტების, ფასების, დისტრიბუციის, სტიმულირებისა და სერვისების თვალსაზრისით. მყიდველის მოზიდვა და მისი შემდგომი შენარჩუნება სულ უფრო ინდივიდუალურ ხასიათს ღებულობს. კონკურენციის პირობებში მნიშვნელოვანია კომპანიის მიერ თავისი მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის ფლობა და მისი სურვილების მუდმივად შესწავლა. უმნიშვნელოვანესია იმის გაგება, თუ რატომ კარგავს კომპანია მომხმარებელს. ავტორი განიხილავს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით სხვადასხვა მკვლევართა განმარტებებსა და შეხედულებებს, ხოლო შემდეგ აკეთებს დასკვნებს და წარმოადგენს რამდენიმე რეკომენდაციას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მაია სეთური

2) მოხსენების სათაური

1. **„Some Views About Sales and Relationship Marketing“**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 22-25 აგვისტო, 2022, ბურგასი, ბულგარეთი

https://www.sciencebg.net/en/conferences/economy-and-business/

(გამოქვეყნებულია)

Economy & Business, Journal of International Scientific Publications. Volume 16, 2022, Publisher: Foundation "Science & Education”. ISSN 1314-7242

https://www.scientific-publications.net/en/article/1002453/

I 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება,

I. ლაბორატორია) დასახელება: ***ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი დემურ სიჭინავა***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ენვერ ლაგვილავა

ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი

ასოცირებული პროფესორი რუსუდან სეთურიძე

ასოცირებული პროფესორი თინა მელქოშვილი

ასისტენტ-პროფესორი მზია ტიკიშვილი

პროფესორი დემურ სიჭინავა

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **დ.სიჭინავა, მ.მაღრაძე, რ.სეთურიძე, „სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილებისა და გამოყენების ანალიზი“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ N3, 2022, ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426, თბილისი.**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში განათლების ხარისხის ეფექტიანობისა და სამართლიანობის ამაღლების ასპექტით გაანალიზებულია სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილებისა და გამოყენების არსებული წესი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე. ასახულია სტატისტიკა გრანტოსან და არაგრანტოსან სტუდენტთა კონტინგენტის მოძრაობისა და აკადემიური მოსწრების შესახებ. სტატიაში ასევე განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნებში გრანტის მაძიებლისთის სასწავლო გრანტის მიღების კრიტერიუმები. მოცემულია ინფორმაცია მშპ-თან მიმართებით განათლებაზე გამოყოფილი დანახარჯების თაობაზე, როგორც საქართველოში, ასევე ევროპისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში. ჩატარებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა (გამოკითხულია 210 რესპოდენტი) სახელმწიფო სასწავლო გრანტის ეფექტიანი განაწილების, გამოყენებისა და სტუდენტთა სწავლისადმი მოტივაციის ამაღლების მიმართულებით. სტატიაში მოცემულია კვლევის შედეგები, გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. შემოთავაზებულია სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილებისა და გამოყენების მოდელი და რეკომენდაციები, რომელთა შესრულება გამოიწვევს სტუდენტთა უფრო მეტ დაინტერესებას სწავლისადმი და ჯანსაღ კონკურენციას. დასაბუთებულია, რომ აღნიშნული მოდელის რეალიზაციისას, განათლების სფეროში ჩადებული ინვესტიცია მაქსიმუმ ოთხ წელიწადში უარუნველყოფს კონკურენტუნარიანი უმაღლესი განათლების მქონე კადრების მომზადებას, რაც დააკმაყოფილებს, როგორც

საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების მოთხოვნებს, ასევე აღიარებულ საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1) **მაღრაძე მ., სიჭინავა დ. „კრიპტოვალუტა ბიტკოინის ეკოსისტემა, არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები“,**

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო კონფერენცია -„გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზსნესში“ საქართველო, თბილისი, 4-5 ნოემბერი, 2022

2) **თოფურია ნ., სიჭინავა დ., ხატიაშვილი თ. „ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვა ორგანიზაციის ციფრული ტრანსფორმაციის დროს“**

სტუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის 65 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია, საქართველო, თბილისი, 18-19 ნოემბერი, 2022

ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

„საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ეფექტიანობის კვლევა კონკურენტუნარიანობის კონტექსტით” ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **01.03.2022 - 15.12.2022**

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები: TEA Munjishvili DAVID SIKHARULIDZE,SHOTA SHABURISHVILI, LEILA KADAGISHVILI

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

DETERMINANTS OF THE STRUCTURE OF THE BOARD OF DIRECTORS AND THEIR IMPACT ON THE PERFORMANCE OF THE GEORGIAN BANKING SECTOR

https://doi.org/10.35945/gb.2022.13.020

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

გლობალიზაცია და ბიზნესი #13, 2022

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ევროპის უნივერსიტეტი; 2022

5) გვერდების რაოდენობა

83-91

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

TEA Munjishvili DAVID SIKHARULIDZE,SHOTA SHABURISHVILI, LEILA KADAGISHVILI, Z.Sigua

2) სტატიის სათაური, ISSN

ISBN 978-9941-491-35-1

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, თსუ გამომცემლობა

ასოცირებული პროფესორი რუსუდან სეთურიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

2. დ.სიჭინავა, მ.მაღრაძე, რ.სეთურიძე, „სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილებისა და გამოყენების ანალიზი“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ N3, 2022, ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426, თბილისი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში განათლების ხარისხის ეფექტიანობისა და სამართლიანობის ამაღლების ასპექტით გაანალიზებულია სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილებისა და გამოყენების არსებული წესი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე. ასახულია სტატისტიკა გრანტოსან და არაგრანტოსან სტუდენტთა კონტინგენტის მოძრაობისა და აკადემიური მოსწრების შესახებ. სტატიაში ასევე განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნებში გრანტის მაძიებლისთის სასწავლო გრანტის მიღების კრიტერიუმები. მოცემულია ინფორმაცია მშპ-თან მიმართებით განათლებაზე გამოყოფილი დანახარჯების თაობაზე, როგორც საქართველოში, ასევე ევროპისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში. ჩატარებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა (გამოკითხულია 210 რესპოდენტი) სახელმწიფო სასწავლო გრანტის ეფექტიანი განაწილების, გამოყენებისა და სტუდენტთა სწავლისადმი მოტივაციის ამაღლების მიმართულებით. სტატიაში მოცემულია კვლევის შედეგები, გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. შემოთავაზებულია სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილებისა და გამოყენების მოდელი და რეკომენდაციები, რომელთა შესრულება გამოიწვევს სტუდენტთა უფრო მეტ დაინტერესებას სწავლისადმი და ჯანსაღ კონკურენციას. დასაბუთებულია, რომ აღნიშნული მოდელის რეალიზაციისას, განათლების სფეროში ჩადებული ინვესტიცია მაქსიმუმ ოთხ წელიწადში უარუნველყოფს კონკურენტუნარიანი უმაღლესი განათლების მქონე კადრების მომზადებას, რაც დააკმაყოფილებს, როგორც საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების მოთხოვნებს, ასევე აღიარებულ საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Irina Gogorishvili, Rusudan Seturidze, PROBLEMS HINDERING THE DEVELOPMENT OF RENEWABLE ENERGY IN GEORGIA. "STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT" (SIMM-2022). VI International conference. Proceedings. 21, October 2022. Pp. 253-256, pp.438; ISBN 978-966-926-416-9

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქვეყნების განახლებადი ენერგიის პოლიტიკა (მათ შორის, მთავრობის მხარდაჭერა კვლევებისა და განვითარებისთვის, ინოვაციების, ფინანსებისა და რეგულირებისთვის) განიხილება, როგორც განახლებადი ენერგიის ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა. საერთაშორისო თანამშრომლობა მდგრადი ენერგია ყველასათვის (SE4ALL) ინიციატივის ფარგლებში ხელს შეუწყობს ქვეყნებში განახლებადი ენერგიის მომავლის ფორმირებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას (Soboleva, T. and Kharashchenko, N., 2020).

საქართველო კარბონატული ენერგორესურსების გარეშე ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მწვანე ენერგეტიკის განვითარება დაიწყო, ქვეყანა ამ სფეროში უზარმაზარი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, როგორც ტექნიკური, ასევე ფინანსური თვალსაზრისით. ასეთი წინაპირობა უკვე არსებობდა და რუსეთს რომ არ დაეწყო აგრესიული ომი უკრაინის წინააღმდეგ, მაშინ საქართველოში ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოვლენები ძალიან ნელა განვითარდებოდა.

ომმა ყველაფერი შეცვალა. დღეს საქართველოს წინაშე დგას ენერგეტიკული უსაფრთხოების ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. ცხადია, ამ მხრივ აუცილებელია საკანონმდებლო სივრცის შეცვლა, რომელიც მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული მწვანე ენერგიის (იგულისხმება მხოლოდ განახლებადი ენერგიის წარმოების წყაროები) და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების განვითარებაზე.

სამუშაოს მიზანია საქართველოში განახლებადი ენერგიის წარმოების პრობლემების შესწავლა.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Irina Gogorishvili, Rusudan Seturidze, PROBLEMS HINDERING THE DEVELOPMENT OF RENEWABLE ENERGY IN GEORGIA. "STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT" (SIMM-2022). VI International conference. Proceedings. 21, October 2022. Pp. 253-256, pp.438; ISBN 978-966-926-416-9.

ასოცირებული პროფესორი თინა მელქოშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

თინა მელქოშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ სწავლების პროცესის შეფასება

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, თსუ გამომცემლობა.

5) გვერდების რაოდენობა

10 (ათი)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში განხილულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ სწავლის პროცესის შეფასების შესახებ შედგენილი კითხვარების დამუშავების საფუძველზე მიღებული კვლევის შედეგები. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თანამედროვე შრომის ბაზარი საჭირო უნარებისა და ცოდნის მქონე კადრებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ციფრული განათლების ხელშეწყობა, ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება და სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა. მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ზოგადად უნივერსიტეტებში ამ მიმართულებით არსებული პრობლემების აღმოჩენა, რათა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები მათ აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით, ნაშრომში შესწავლილია ისეთი საკითხები როგორიცაა: უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მუშაობენ თუ არა უნივერსიტეტში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად; არსებობს თუ არა კავშირი სტუდენტის შეფასების საშუალო მაჩვენებელსა და დასაქმებას შორის, ეროვნული გამოცდების შედეგებით მიღებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტსა და უნივერსიტეტში სწავლის საშუალო შეფასებას შორის, თსუ-ში სწავლის საშუალო შეფასებასა და დასაქმების დროს მიღებულ ანაზღაურებას შორის. მოცემული საკითხების კვლევის შედეგების საფუძველზე სტატიაში გამოტანილია შესაბამის დასკვნები და რეკომენდაციები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

თინა მელქოშვილი

2) მოხსენების სათაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ სწავლების პროცესის შეფასება

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. 4-5 ნოემბერი, 2022 წელი.

ასისტენტ-პროფესორი მზია ტიკიშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

მზია ტიკიშვილი და სხვ.

2) სტატიის სათაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ სწავლების პროცესის შეფასება

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

ISBN 978-9941-491-35-1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა: თბილისი, თსუ გამომცემლობა.

5) გვერდების რაოდენობა: 10 (ათი)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში განხილულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ სწავლის პროცესის შეფასების შესახებ შედგენილი კითხვარების დამუშავების საფუძველზე მიღებული კვლევის შედეგები. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თანამედროვე შრომის ბაზარი საჭირო უნარებისა და ცოდნის მქონე კადრებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ციფრული განათლების ხელშეწყობა, ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება და სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა. მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ზოგადად უნივერსიტეტებში ამ მიმართულებით არსებული პრობლემების აღმოჩენა, რათა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები მათ აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით, ნაშრომში შესწავლილია ისეთი საკითხები როგორიცაა: უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მუშაობენ თუ არა უნივერსიტეტში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად; არსებობს თუ არა კავშირი სტუდენტის შეფასების საშუალო მაჩვენებელსა და დასაქმებას შორის, ეროვნული გამოცდების შედეგებით მიღებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტსა და უნივერსიტეტში სწავლის საშუალო შეფასებას შორის, თსუ-ში სწავლის საშუალო შეფასებასა და დასაქმების დროს მიღებულ ანაზღაურებას შორის. მოცემული საკითხების კვლევის შედეგების საფუძველზე სტატიაში გამოტანილია შესაბამის დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: კურსდამთავრებული, დასაქმება.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

მზია ტიკიშვილი და სხვ

2) მოხსენების სათაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ სწავლების პროცესის შეფასება

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

4-5 ნოემბერი, 2022 წელი, თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

I 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება,

I. ლაბორატორია) დასახელება: ***ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი იოსებ ხელაშვილი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე

ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია

ასოცირებული პროფესორი ვალერი არღუთაშვილი

ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Leadership Program, Executive Academy Europe Stream - Prague, Czech Republic 9-13 May 2022, Transformation Strategy: Toward the Faculty Internalization

ასოცირებული პროფესორი ვალერი არღუთაშვილი

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. **ვალერი არღუთაშვილი**

2.

2) სტატიის სათაური, ISSN

1. **Business studies issues in the context of regional development Case in Georgia**.

DOI: 10.36172/EKONOMISTI p ISSN 1987-6890 e ISSN 2346-8432

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი ,,ეკონომისტი“

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.

5) გვერდების რაოდენობა

1. 11

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ბიზნესის განათლების საკითხები რეგიონული განვითარების ჭრილში - საქართველოს მაგალითი
DOI: 10.36172/EKONOMISTI.2022.XVII.01.ARGHUTASHVILI

რეზიუმე

ნებისმიერი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და წისვლისთ- ვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია განათლება და მეცნიერება, რომლის კარგი ხარისხი წარმოადგენს ქვეყნის განვითარების გარანტიას. განათლების ხარისხის განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებას, რაც აუცილებელი წინაპირობაა ადამიანის პიროვნული, პროფესიული და, ზოგადად, სოციუმის განვითარებისთვის.

2005 წელს საქართველო ოფიციალურად შეუერთდა ბოლონიის პროცესს და მიზნად დაისახა საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების გზით ევროპულ სა- განმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია. მიზნიდან გამომდინარე, საუნივერსიტეტო განათლებაში ძირეულად შეიცვალა მიდგომები; შემუშავდა ახალი საგანმანათ- ლებლო პროგრამები. ნაშრომში ძირითადად შესწავლილია საქართველოს რეგიო- ნული პოტენციალი ამ მიმართულებით.

სიღრმისეული რეფორმების და განხორციელებული ინვესტიციების მიუხე- დავად, კვლავ რჩება ბევრი გადასაჭრელი საკითხი და ამ გამოწვევებს შორისაა განათლების კავშირი შრომის ბაზართან, სამეწარმეო უნარჩვევების განვითარება უმაღლესი განათლების საფეხურზე.

სამეცნიერო კვლევითი ერთეულების
2022 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

1. სამრეწველო პოლიტიკის კვლევის ცენტრი
2. მარკეტინგული კვლევის ცენტრი;
3. მიგრაციის კვლევის ცენტრი;
4. სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია;
5. ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია.

სამრეწველო პოლიტიკის კვლევის ცენტრი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი
სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

1. პროფესორი რევაზ გველესიანი - დირექტორი;
2. პროფესორი ვოლფგანგ ვენგი - თანადირექტორი;
3. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - დირექტორის მოადგილე;
4. ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი - დირექტორის მოადგილე;
5. ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი - წევრი;
6. ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი - წევრი;
7. ასოცირებული პროფესორი მარინე ნაცვალაძე - წევრი;
8. ასისტენტ პროფესორი – ლალი ხურცია;
9. ასისტენტ პროფესორი – გიორგი გაფრინდაშვილი.

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1. **საფაკულტეტო საგრანტო პროექტი *„ევროკავშირში ინტეგრაციის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირება და მისი გატარების შესაძლებლობები საქართველოში”* . ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულება. 1.03.2022 -15.12.2022**2.
2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **პროექტის ხელმძღვანელი:** პროფესორი რევაზ გველესიანი
პროექტში ჩართული პერსონალი: ასოცირებული პროფესორები: ეკა ლეკაშვილი (პროექტის კოორდინატორი), გულნაზ ერქომაიშვილი, ირინა გოგორიშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი. ასისტენტ პროფესორი ლალი ხურცია (მკვლევარები), დოქტორანტები: მარიამ ხორავა და გიორგი კრავეიშვილი (ინფორმაციის მოძიება, თარგმნა).

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ბოლო ათწლეულებში განვითარებულმა საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისებმა, გლობალიზაციის პირობებში გაზრდილმა უთანასწორობამ და ეკოლოგიური კატასტროფების რიცხვის ზრდამ მეინსტრიმული ეკონომიკური თეორიის მიმართ კითხვები გააჩინა. ფინანსური სექტორის დომინანტურმა ძალამ განვითარებული ქვეყნების დეინდუსტრიალიზაცია გამოიწვია და მათი ეკონომიკები დესტრუქციული საფინანსო ბუშტების მიმართ მოწყვლადი გახადა (24). საფინანსო კრიზისმა თავი იჩინა ევროზონაშიც, მის პერიფერიულ ნაწილში. საბაზრო ჩავარდნების დასაძლევად, ადგილობრივი დარგების დაცვისა და რეგიონული განვითარების სტიმულირების უზრუნველსაყოფად, ასევე ციფრული მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ახალი დარგების და შესაბამისად, მრეწველობის განვითარების ხელშეწყობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა საზოგადოების გრძელვადიანი მიზნების მხარდამჭერი პოლიტიკის გატარება. გადაწყვეტის გზად მიჩნეულ იქნა ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა, რომლის სტრატეგიულ დონეზე წარმატებული განხორციელებაც შესაძლებელია სხვადასხვა (კონკურენციის, ტექნოლოგიური და ინოვაციის, განათლების, ვაჭრობის, საინვესტიციო და ა.შ) პოლიტიკების კოორდინაციის საფუძველზე, რაც მოითხოვს სახელმწიფოს როლის ზრდას ეკონომიკაში. ევროპის რეიდუსტრიალიზაციის პოლიტიკა გაიწერა შესაბამის დოკუმენტებში (ლისაბონის სტრატეგია 2000; ევროპის სტრატეგია 2020). შემუშავდა სტრატეგიის მხარდამჭერი პროგრამები, რომლებშიც ასახულია მრეწველობის კონკურენტუნარიანობის, მდგრადი და ინკლუზიური მრეწველობის, ციფრული მრეწველობის ხელშეწყობის, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში ინვესტირების და სხვა აქტუალური საკითხები.

ამასთან, ევროკავშირში მომწიფდა აზრი, რომ ევროკავშირის სამრეწველო პოლიტიკა მოითხოვს გადახედვას: ნაცვლად ტრადიციულ კონცეფციებზე დაყრდნობილი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საინვესტიციო გადაწყვეტილებებისა, საინვესტიციო ნაკადები უნდა წარიმართოს ისეთი ინდუსტრიებისკენ, რომლებიც ხელს შეუწყობენ მდგრად კეთილდღეობას, კლიმატზე მავნე ზეგავლენის შემცირებას და ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას. სახელმწიფო ინვესტიციებით უნდა ისარგებლონ მხოლოდ მათ, ვინც მოწოდებულია პატივი სცეს კლიმატზე ზრუნვას და შექმნას კარგი სამუშაო ადგილები, მათ შორის ციფრულ სფეროში. მრეწველობის გაციფრულება და მასთან დაკავშირებული ,,კარგი სამუშაო ადგილების“ შექმნა, ინოვაციური და ტექნოლოგიური მიდგომების პრიორიტეტულობა ,,ჭკვიანი მრეწველობის“ განვითარების გზით, დეკარბონიზაციის მხარდამჭერი პოლიტიკის ამოქმედება ევროპის ყოვლისმომცველი სამრეწველო სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები უნდა გახდეს (26). ამასთან, უნდა მოხდეს სამრეწველო და სოციალური პოლიტიკის უკეთესი კოორდინაცია, რის საჭიროებაც გამოავლინა კოვიდ 19 პანდემიის გამოწვევებმა.

სამრეწველო პოლიტიკა მეცნიერების და პოლიტიკოსების მხრიდან დიდ ყურადღებას იქცევს, რაც დაკავშირებულია ჩინეთის და სხვა სწრაფად მზარდი ეკონომიკების პროგრესთან. სამრეწველო პოლიტიკა თავის ასახვას პოულობს მწარმოებლურობაზე, ეკონომიკურ ზრდაზე, კონკურენციაზე, დასაქმებაზე და სოციალურ საჭიროებებზე. ამიტომაც მის მიმართ ინტერესი უფრო მეტად გაიზარდა კოვიდ 19 პანდემიის პირობებში.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის შეფასების დოკუმენტიდან ჩანს (ევროკომისია, 2020 გვ.64), რომ ხელშეკრულების ტექნიკური პროდუქციის სტანდარტები და რეგულაციების ნაწილი (3.3.3) მოიცავს სამრეწველო პროდუქციისთვის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას. დაინტერესებული მხარეები განიხილავენ ევროპული სტანდარტების შესაბამისი ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების (TBT) მიღებას მომგებიან ღონისძიებად გრძელვადიან პერსპექტივაში და თვლიან,

რომ ამ სფეროში საჭიროა ისეთ გრძელვადიანი სამრეწველო პოლიტიკა, რომელიც მოითხოვს თანამშრომლობას, სახელმწიფო და კერძო დაფინანსებას, შესაბამის ინფრასტრუქტურას, კვლევას და უპირველეს ყოვლისა, საკმარის კვალიფიციურ ადამიანურ რესურსს.

ამასთან, ასოცირების ხელშეკრულების მე-5 თავის (სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო მოპოვებითი საქმიანობა) მუხლი 313 - განმარტავს მხარეების თანამშრომლობას სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკის სფეროში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას ყველა ეკონომიკური მოთამაშისთვის, განსაკუთრებული აქცენტით მცირე და საშუალო საწარმოებზე, როგორც ეს ევროკავშირისა და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობებებშია წარმოდგენილი.

საკვლევი პრობლემის აქტუალურობა გამომდინარეობს მდგრადი განვითარების მეცხრე მიზნიდანაც (მდგრადი განვითარების მიზნების ანგარიში, 2020) (28), რაც ჩვენს ქვეყანას გამძლე ინფრასტრუქტურის შექმნას, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობას და ინოვაციების განვითარებას ავალდებულებს.

დღეს საქართველო საჭიროებს რაციონალურ სამრეწველო პოლიტიკას, ნაკლებადაა შესწავლილი ამ კუთხით განვითარების არსებული პოტენციალი და ევროკავშირის მოთხოვნებთან დაახლოების შესაძლებლობები. მეცნიერული კვლევის თვალსაზრისითაც საკითხი თითქმის შეუსწავლელია. იკვეთება სამრეწველო პოლიტიკის სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს წარმოდგენილი სამეცნიერო პროექტის აქტუალურობას.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია გაანალიზოს ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირების და მისი გატარების შესაძლებლობები საქართველოში.

ამოცანები:

- სამრეწველო პოლიტიკის პრობლემატიკაზე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი;
- ევროკავშირში სამრეწველო პოლიტიკის ევოლუციის ზოგადი მიმართულებების და თანამედროვე გამოწვევების შესწავლა;
- ევროკავშირის წევრი, კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილების გაანალიზება;
- საქართველოში ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების არსებული მდგომარეობის შესწავლა;
- რეკომენდაციების შემუშავება ევროკავშირში ინტეგრაციის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისა და გატარებისათვის;
- საკვლევი პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე სტატიებისა და მონოგრაფიის გამოქვეყნება.

კვლევის მეთოდები. სამეცნიერო პროექტის კვლევისას გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, შედარებისა და სტატისტიკური (დაკვირვების, შერჩევითი, დაჯგუფების) მეთოდები, აგრეთვე ექსპერტული შეფასებები. ანალიტიკურ და სტატისტიკურ შეფასებებს შორის კანონზომიერებების დასადგენად გამოყენებული იქნება როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეცნიერ-ეკონომისტთა თეორიული და გამოყენებითი კვლევები. ამასთან, გამოყენებული იქნება მონაცემთა ,,ბენჩმარკინგის“ მეთოდი.

კვლევის შედეგები:

- საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე სისტემატიზირებულ იქნა სამრეწველო პოლიტიკის საკითხზე თანამედროვე თეორიული ხედვები;
- შესწავლილი იქნა ევროკავშირში სამრეწველო პოლიტიკის ევოლუციის ზოგადი მიმართულებები და თანამედროვე გამოწვევები;
- გაანალიზებული იქნა ევროკავშირის წევრი, კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილება;
- შესწავლილი იქნა საქართველოში ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების არსებული მდგომარეობა;
- შემუშავებული იქნება რეკომენდაციები ევროკავშირში ინტეგრაციის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისა და გატარებისათვის;
- საკვლევი პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე გამოქვეყნდა სტატიები, მათ შორის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში და მზადდება მონოგრაფია (ელექტრონული ფორმით);
- კვლევითი პროექტის მასალები გამოყენებული იქნება სასწავლო კურსებისთვის ,,საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე“ და ,,ინდუსტრიული პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა“;
- თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამრეწველო პოლიტიკის კვლევის ცენტრის ფარგლებში დაიგეგმება სამრეწველო პოლიტიკის აქტუალური ასპექტების კვლევა, რისთვისაც მომზადებული იქნება სამეცნიერო საფუძველი წარმოდეგნილი კვლევითი პროექტის სახით.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ერქომაიშვილი გულნაზ, მრეწველობის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა. საქართველოში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3, 2022;

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

4. ლეკაშვილი ეკა, კრავეიშვილი გიორგი. თურქეთის სამრეწველო პოლიტიკა: წარმატებული გამოცდილება საქართველოსთვის. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“,** მიძღვნილი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დაარსებიდან 25 წლის იუბილეს. ბათუმი. 21-22 ოქტომბერი 2022 წელი;
5. გველესიანი რევაზ, ლეკაშვილი ეკა, ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების ევროპული გამოცდილება (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითი).ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ 4-5 ნოემბერი, 2022;
6. ერქომაიშვილი გულნაზ, მრეწველობის განვითარების სტრატეგია საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“. ბათუმი, 21-22 ოქტომბერი, 2022;

7. კოვიდ-19 პანდემიის პირობებში საქართველოს განვითარების სტრატეგიის საკითხის განხილვისათვის. 8 თებერვალი 2022. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ-19 პანდემია და ეკონომიკა“. თბილისი. გვ. 211-218;
8. ლალი ხურცია, ინდუსტრიული ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელობა განვითრებული ეკონომიკის ქვეყნებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი. 27 ნოემბერი,2022.

8. 2. უცხოეთში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Lekashvili E.R., Gaprindashvili G.J. **ACTUALIZAGTION OF COORDINATED INDUSTRIAL POLICY ISSUES: EUROPEAN UNION EXPERIENCE FOR GEORGIA.** “Challenges for Business: DecisionMaking under the Current Conditions”. VI INTERNATIONAL CONFERENCE “STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT” (SIMM-2022) 21, October 2022. “Challenges for Business: DecisionMaking under the Current Conditions” 21, October 2022. Kyiv National Economic University named after Vadym Hetman. 180-187;
2. Eka Lekashvili, Lela Jamagidze. **Structural Transformation and Export Performance in Georgia: Is There a Need for the New Industrial Policy?** II-ND INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE “STRATEGIC PLANNING AND MARKETING IN DIGITAL WORLD”.11 November 2022.
3. Eka Lekashvili. The Challenges of Georgia’s Economic Policy in Achieving Sustainable Development Goal 9 in the COVID-19 Pandemic Period. 6th FEB International Scientific Conference: Challenges in Economics and Business in the Post-COVID Times. 17May 2022.Editor Zladko Nedelko. Slovenia. University of Maribor, Faculty of Economics and Business. pp.21-33. DOI https://doi.org/10.18690/um.epf.5.2022.3ISBN 978-961-286-600-6

მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში:

№	განხორციელების წლები	დონორი ორგანიზაცია№	პროექტის დასახელება	როლი პროექტში
	2022 (12-19 ივნისი)	ევროკომისია. ერაზმუს + KA107	CRITICAL EDGE ALLIANCE-Acting in Higher Education in response to Climate Change. 5Th International Conference. 15,16,17 June, 2022, Hosted by Universite Paris 8 Vincennes - Saint-Denis	მონაწილე
	2022 (30 ივნისი - 8 ივლისი)	ევროკომისია. ერაზმუს + KA107	PoSIG Teacher Academy 2022. Trade Policy in the Age of Populism. London University of Saltsburg, Austria	მონაწილე

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი ერთეული **„მარკეტინგული კვლევის ცენტრი“**

ცენტრი ხელმძღვანელი: პროფესორი ნუგზარ თოდუა

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნუგზარ თოდუა, ეკატერინე უროტაძე

2) მოხსენების სათაური

1. The Effect of Social Media Marketing on Consumer Behavior of Tourism Destinations.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. . **Second International Scientific Conference „Strategic Planning and Marketing in the Digital World.** University of National and World Economy, სოფია (ბულგარეთი),

2022 წლის 11 ნოემბერი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. სტატიაში ნაჩვენებია ციფრული ტექნოლოგიების როლი ტურისტული დესტინაციების განვითარებაში. ხაზგასმულია, რომ ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება ხელს უწყობს ტურისტულ დესტინაციებს მომხმარებლებთან ურთიერთობების წარმართვაში. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ტურისტულ დესტინაციებში სოციალური მედია მარკეტინგის გამოყენებაზე. აქვე ჩამოთვლილია მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის საქართველოს ტურისტულ დესტინაციებში სოციალური მედია მარკეტინგის განვითარებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩატარებულია მარკეტინგული კვლევა, რომლის მეშვეობითაც შესწავლილია ქართული ტურისტული დესტინაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების მიმართ ტურისტების დამოკიდებულება. აქვე დადგენილია ასეთი აქტივობების მიმართ მომხმარებელთა დაინტერესებისა და კმაყოფილების დონეები. მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავენ ტურისტული დესტინაციების მომხმარებელთა ქხევაზე სოციალური მედია მარკეტინგის გავლენას.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

მარკეტინგული კვლევის ცენტრში გაერთიანებული სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს ხელმძღვანელობენ მარკეტინგის კათედრის პროფესორები. მარკეტინგული კვლევის ცენტრის სახელით 2022 წელს ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების განხილვა. ცენტრის სახელით შესრულდა 17 სამეცნიერო თემა, რომლებიც ეხებოდა საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს. განსაკუთრებული ყურადღება

გამახვილდა კორონავირუსული პანდემიის პირობებში ქართველი მომხმარებლების ქცევის ცვლილების საკითხებზე.

მიგრაციის კვლევის ცენტრი
ცენტრი ხელმძღვანელი: პროფესორი მირიან ტუხაშვილი

- პროფ მ. ტუხაშვილმა მიგრაციის ცენტრში არსებული სტატისტიკური ინფორმაციის გადამუშავებით მონაწილეობა მიიღო თსუ მე-10 საერთაშორისო კონფერენციაში.
- დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტისა და მიგრაციის კვლევის ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით, ცენტრის თანამშრომლის მ. შელიას ხელმძღვანელობით ჩატარდა სამეცნიერო კვლევა თემაზე: „პანდემიის გავლენა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაზე“. გამოიცა მისი მონოგრაფია „საქართველოს სტუდენტობა სოციალურ-შრომით და დემოგრაფიულ პრიზმაში“. უნივერსალი. თბილისი. 2022. მონოგრაფიაში ასახულია სტუდენტთა პოტენციური და სასწავლო მიგრაციის კვლევის შედეგები.
- თ. ზუბიაშვილმა მიგრაციის ცენტში მოამზადა სტატია „Some Aspects of Teaching Methodology for Population Course“. Georgian Journal for European Studies.. December, 2022. Tbilisi
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და საქართელოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიწვევითა და მიგრაციის კვლევის ცენტრის წარდგენით, ასოც. პროფესორმა ნ. ჭელიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის (EU) მიერ დაფინანსებულ პროექტში: “დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მომზადება“(25.01.2022);
- აგრეთვე, მონაწილეობა მიიღო 2.11.2022, საქართველო XII საერთაშორისო ფორუმში-ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება (XII LED Forum). მე-2 სესიის „მიგრაციის ეკონომიკური გავლენები, დიასპორული კაპიტალი ადგილობრივი განვითარებისთვის“მუშაობაში და წაიკითხა მოხსენება თემაზე: **ფულადი გზავნილები და დაბრუნებულ მიგრანტთა მდგრადი რეინტეგრაცია.** (ორგანიზატორები- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, OECD, IOM).
- ცენტრის თანამშრომლებმა (მ. ტუხაშვილი, თ. ზუბიაშვილი, ნ.ჭელიძე, მ. შელია, მ. ლობჟანიძე და სხვ.) ჩაატარეს კონსულტაციები სხვა ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტების დოქტორანტებთან, მაგისტრანტებთან, მეცნერ მკვლევარებთან.
- მიგრაციის ცენტრის თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობდნენ მიგრაციის თემაზე შექმნილ სადისერტაციო საბჭოების მუშაობაში(მ. ტუხაშვილი, მ. ლობჟანიძე, მ. ცარციძე, თ. ზუბიაშვილი).
- ცენტრში მომზადდა და 2023 წლის დასაწყისში გამოვა ჟურნალი „მიგრაცია“-11.

სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია
ცენტრი ხელმძღვანელი: პროფესორი სიმონ გელაშვილი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითიპროექტების ჩამონათვალი:
1) პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1. **Covid-19 პანდემიის პირობებში ბიზნესის სექტორული აქტიურობის შედარებითი სტატისტიკური კვლევა**
2. 2022 წელი

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
გელაშვილი სიმონი პროექტის ხელმძღვანელი
მინდორაშვილი მარინე ძირითადი შემსრულებელი
აბესაძე ნინო ძირითადი შემსრულებელი
ძებისაური ლია ძირითადი შემსრულებელი
ხაბეიშვილი თეონა დამხმარე შემსრულებელი
მაზანიშვილი თეონა დამხმარე შემსრულებელი

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებულისამეცნიერო-კვლევითიპროექტების შესრულების შედეგები
2.1. **პროექტის ძირითადი მიზანია** საქართველოში ბიზნესის სფეროს შემადგენელ სექტორებზე კორონავირუსის პანდემიის გავლენის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება და შედარებითი ანალიზი.
აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო **შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:**

- ბიზნეს სექტორის სტატისტიკის წარმოებაში ევროკავშირის მიერ შემუშავებული და საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეთოდოლოგიების განხილვა;
- სათანადო მონაცემების შეგროვება და კვლევის ინფორმაციული ბაზის ფორმირება;
- მიღებული ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავება და რელევანტური მაჩვენებლების გაანგარიშება პროგრამა SPSS-ის გამოყენებით;
- კორონავირუსის პანდემიის შედეგად საქართველოში ბიზნესის სფეროს აქტიურობის სტრუქტურული ცვლილებების დადგენა ცალკეული სექტორების მიხედვით;
- ბიზნესის სფეროს სექტორების აქტიურობის კომპლექსური თვისებრივი და რაოდენობრივი შედარებითი ანალიზი;
- კვლევის შედეგების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

პროექტის განხორციელება მოიცავდა ორ ეტაპს:

პირველ ეტაპზე შესრულდა კვლევის ორგანიზაციული და პროგრამულ-მეთოდოლოგიური სამუშაოები, რაც გულისხმობს: ბიზნეს სექტორის სტატისტიკის წარმოების ევროკავშირის მეთოდოლოგიების განხილვას, მონაცემთა შეგროვებას და კონტროლს, ასევე, მონაცემთა ბაზის მომზადებას კომპიუტერული დამუშავებისა და შემდგომი ანალიზისათვის.

მეორე ეტაპზე მოხდა მოპოვებული სტატისტიკური ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავებისათვის საჭირო ცხრილების მაკეტებისა და ალგორითმების შემუშავება, რომლებშიც მოთავსდა ციფრობრივი შედეგები (სორტირება, ფილტრაცია, რეკოდირება, კროსტაბულაცია, ჯგუფური და კომბინაციური ცხრილების გენერირება). ამავე ეტაპზე განხორციელდა მრავალი სპეციალური სტატისტიკური მაჩვენებლის გაანგარიშება პროგრამა SPSS-ის გამოყენებით, მოხდა სექტორებს შორის შედარებები პრეპანდემიურ და პანდემიის პირობებში. მიღებული შედეგების კომპლექსური რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა კონკრეტული დასკვნები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

პროექტის აქტუალურობა და სიახლე

COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, განსაკუთრებით გამწვავდა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მდგომარეობა. პანდემიის გავლენა უარყოფითად აისახა ბიზნეს სექტორზეც, რაც ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა შესაბამისად, ეს სფერო მკაცრი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, რამაც უფრო გაართულა სოციალური მდგომარეობა. ყოველივე აღნიშნულს თან დაერთო საქართველოს მცირე და სუსტი ეკონომიკა და შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები. მსოფლიო ისტორიაში პირველად, ლოკალური, რეგიონული თუ გლობალური ეკონომიკური კრიზისის მთავარი გამომწვევი ფაქტორი აღმოჩნდა არა უშუალოდ ეკონომიკაში ან მის მართვაში არსებული ხარვეზები, არამედ სხვა, მეტად ძლიერი და უხილავი ეგზოგენური ფაქტორი - COVID-19 პანდემიის ზემოქმედება. ეს გავლენა მრავალმხრივია, რაც კომპლექსურ რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, საქართველოში ბიზნესის სფეროზე კორონავირუსის პანდემიის გავლენის კომპლექსურ რაოდენობრივ და ხარისხობრივ კვლევას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ **ანალოგიური კვლევა საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა.** ასეთი კვლევის შედეგები კი ხელს შეუწყობს კონცეპტუალური და რეალური პოლიტიკის შემუშავებას, დასაბუთებული და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას, განსაკუთრებით ბიზნესის სფეროში (მათ შორის სექტორულ დონეზე). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აქტუალურობა უდავოა.

კვლევის ობიექტი, საგანი და მეთოდოლოგია

საგრანტო პროექტის შესწავლის **ობიექტია** საქართველოში ბიზნესის სფეროში შემავალი სექტორები, ხოლო **კვლევის საგანს** წარმოადგენს ცალკეული სექტორების საქმიანობის დიფერენცირებული და სტრატიფიცირებული ტენდენციები COVID-19 პანდემიამდე, პანდემიისა და პოსტპანდემიის პერიოდებში.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ მეთოდებს. ხარისხობრივი მეთოდებიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ,,დელფის“ მეთოდს, ხოლო რაოდენობრივიდან ფართოდ იქნება გამოყენებული სტატისტიკური მეცნიერების თითქმის ყველა **მეთოდი,** როგორიცაა: შერჩევითი დაკვირვება, მონაცემთა ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური დაჯგუფებანი, შეფარდებითი, საშუალო, ვარიაციისა და კორელაციური ანალიზის მეთოდები, აგრეთვე მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის გამოყენებით.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მდგრადობა

ჩატარებული კვლევით მიღებულია **თეორიული და პრაქტიკული შედეგები:**

- შემუშავდა ბიზნეს სექტორებზე COVID-19 პანდემიის გავლენის სპეციალური რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების სისტემა და მოხდა მისი პრაქტიკული აპრობაცია;
- დადგინდა ბიზნესის ცალკეული სექტორების ცვლილებების დიფერენცირებული ტენდენციები COVID-19 პანდემიამდე, პანდემიისა და პოსტპანდემიის პერიოდებში;
- გამოვლინდა ბიზნეს სექტორის სტრუქტურის სტრატიფიცირებული ტენდენციები COVID-19 პანდემიამდე, პანდემიისა და პოსტპანდემიის პერიოდებში;
- განისაზღვრა ბიზნეს სექტორის ცვლილების სპეციალური რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები და მოხდება მათი შედარებითი ანალიზი პრეპანდემიური პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებთან;

კვლევითი პროექტის შედეგების საფუძველზე მომზადდება და მაღალრეიტინგულ (**Scopus** და **Erih Plus**-ში ინდექსირებულ) საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნდება

ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორიის ანგარიში
ცენტრი ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა

THE RESULTS OF A STUDY OF STUDENTS' ATTITUDES TO THE DEMAND FOR COMPETENCIES IN THE LABOR MARKET, DAVIT NARMANIA, EKA CHOKHELI, EKATERINE GULUA, SESILI TABATADZE, International Journal of Social Sciences, Vol. XI, No. 1 / 2022, Prague, March 20, 2022; Editors: Jana Safrankova, ISSN 1804-980X (online), Published 2012-2020 by the International Institute of Social and Economic Sciences (IISES) and since 2021 by the European Research Center (EURREC).pg.29-72. DOI: 10.52950/SS2022.11.1.003

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შრომის ბაზარზე კომპეტენციების მოთხოვნისადმი სტუდენტების დამოკიდებულების კვლევის შედეგები
(თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე)

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

არ გვქავს

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

არ გვქავს

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

არ გვქავს

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

არ გვქავს

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. EP01. 03-013 A Pilot Study of Lung Cancer Screening with Low Dose CT in Georgia (One Centre Experience and Preliminary Data)
S Kukava, E Mariamidze, N Japaridze, N Batiashvili, N Otxozoria, ...
Journal of Thoracic Oncology 17 (9), S177 2022
DOI:https://doi.org/10.1016/j.jtho.2022.07.295

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფილტვის კიბო მსოფლიოში, ისევე როგორც ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში, სიკვდილიანობის ერთ-ერთი წამყვანი მიზეზია როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში. საქართველოში კიბოს მოსახლეობის რეესტრის მონაცემებით (2015-2017) ფილტვის კიბო იყო ყველაზე გავრცელებული კიბოს ტიპი მამაკაცებში, შემთხვევების 60% დიაგნოზირებულია IV სტადიაზე. ფილტვის კიბოს შემთხვევების უმრავლესობა დაკავშირებულია მოწევასთან. არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორების STEPwise მიდგომის (STEPS) 2016 წლის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის თითქმის მესამედი (31.1%) ეწევა. ჩვენ გადავწყვიტეთ წამოგვეწყო ფილტვის კიბოს სკრინინგის საპილოტე კვლევა დაბალი დოზით CT რისკის ჯგუფში.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

არ გვქავს

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
არ გვქავს

2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.3. სტატიები ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. 2.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 2022 წლის 5-6 მაისი, თბილისი, საქართველო - 1-ლი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტრანსლაციური და კლინიკური მედიცინა“
   Tamar Rukhadze (Georgia)
   „ Benefits of implementation of early intervention of symptom management in patients-oriented care“

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. CLINICAL GROUPS (CG) IN CANCER PAIN MANAGEMENT AS PART OF FORMER SOVIET HEALTH CARE SYSTEM (SHCS) –REGULATION, PRACTICE, EXPERIENCE AND IMPACT ON MODERN HEALTHCARE SYSTEMS – T. Rukhadze 1,2, Z. Khachiperadze 1, K. Meladze 1,2, S. Kordzaia 1, T. Lekashvili 1 1Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia, Acad. F. Todua Medical Centre - **Reference:** ABSTRACT-EFIC-2022-01171
European Pain Federation EFIC – Pain in Europe XII (EFIC 2022) Dublin, Ireland, on 27 – 30 April 2022

2. EVALUATION OF MEDICAL NEEDS AND AVAILABLE MEDICAL SERVICES OF END-OF-LIFE CANCER PATIENTS WITH CHRONIC PAIN – GEORGIAN EXPERIENCE - T. Rukhadze [1,2], Z. Khachiperadze [1], K. Meladze [1,2], S. Kordzaia [1], T. Lekashvili [1, 1]Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia, Acad. F. Todua Medical Centre - **Reference:** ABSTRACT-EFIC-2022-01171

European Pain Federation EFIC – Pain in Europe XII (EFIC 2022) Dublin, Ireland, on 27 – 30 April 2022

3. Real-life trends of COVID-19 vaccination and outcomes among patients with cancer in Georgia: One center experience; T Esakia, N Balanchivadze, A Makashvili, M Abuladze, M Kacharava, ... Journal of Clinical Oncology 40 (16_suppl), e18753-e18753, 2022

4. MEDICAL NEEDS AND BARIERS OF ADEQUATE PAIN MANAGMENT OF END OF LIFE CANCER PATIENTS - GEORGIAN EXPERIENCE - T. Rukhadze [1,2], Z. Khachiperadze [1], S. Kordzaia [1], K. Meladze [1,2], T. Lekashvili [1, 1]Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia, Acad. F. Todua Medical Centre - **Reference:** Abstract Submission No. 184 - The 4th European Congress on Clinical Trials in Pain, Vienna, Austria, 7-8 December 2022

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

<u>სხვა აქტივობები:</u>

<u>ელექტრონული მოდული ონკოლოგიაში პირველადი ჯანდაცვის ექიმებისათვის</u>
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, პაციენტთა კავშირსა და City Cancer Challenge Foundation-ს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის მიზანი იყო საჯარო და კერძო სექტორების ჩართულობით კიბოს უკეთესი მართვის ხელშეწყობა და ამ მიზნით, ქალაქის მასშტაბით არსებული გამოწვევების, საჭიროებებისა და პრიორიტეტების შეფასება; კიბოსთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის შემუშავება; ქალაქის გეგმის განხორციელების მხარდასაჭერად საერთაშორისო და რეგიონული პარტნიორობის დანერგვა. საჭიროებების შეფასებისას იდენტიფიცირებულ იქნა პირველადი ჯანდაცვის რგოლის ჩართულობის გაძლიერების საჭიროება ონკოლოგიური მიმართულებით. ამ მიზნით კატალონიის ონკოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით დაიგეგმა პირველადი ჯანდაცვის ექიმებისათვის ელექტრონული მოდულის შექმნა და დანერგვა. სასწავლო მასალა განსაზღვრულია პირველადი ჯანდაცვის ექიმებისათვის და ითვალისწინებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს პირველადი ჯანდაცვის დონეზე. სასწავლო მასალა დაეხმარება პირველადი ჯანდაცვის ექიმებს იცნობდნენ ყველაზე გავრცელებულ ონკოლოგიურ გადაუდებელ მდგომარეობებს, რათა მოახერხონ ამ მდგომარეობების სტაბილიზაცია, მართვა. სასწავლო მოდულის მთავარი მიზანია პირველადი ჯანდაცვის ექიმებისათვის ინფორმაციის მიწოდება თითოეული ტიპის კიბოს ყველაზე გავრცელებული ნიშნებისა და სიმპტომების, ასევე, კიბოს ადრეული დიაგნოსტიკისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ. პირველადი ჯანდაცვის ექიმები სასწავლო მოდულის გავლის შემდგომ შეძლებენ კიბოს მქონე პაციენტებში ადრეული ნიშნების გამოვლენას, ყველაზე გავრცელებული მოვლენების დიაგნოსტირებას, სიმპტომების მართვას და მკურნალობის ხელშეწყობას.

ელ. მოდული პირველადი ჯანდაცვის ექიმებისათვის ონკოლოგიის მიმართულებით:

მოდული 1. გავრცელებულ ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკის მიმოხილვა: https://iseazy.com/dl/a9fd576e2f1e492e93ddcfea62dd0a02

მოდული 2. სიმპტომების მართვა და გადაუდებელი ონკოლოგიური მდგომარეობები: https://iseazy.com/dl/c7992daf2ff946628073f0cf51f6dc0a

მოდული 2.1 ყველაზე გავრცელებული ნიშნები და სიმპტომები კიბოთი დაავადებულ პაციენტებში: https://iseazy.com/dl/0a065e9eb6a24fed8752f4d29fa43e24
მოდული 2.2. გადაუდებელი ონკოლოგიური მდგომარეობები : https://iseazy.com/dl/467db21c910d4cd38069b7cc3ee98f2f
მოდული 3. ონკოლოგიური მკურნალობის გვერდითი მოვლენები: https://iseazy.com/dl/a29a69ed0ef74973afc7bcf157429175
მოდული 3.1 სისტემური თერაპიის გვერდითი მოვლენები: https://iseazy.com/dl/db9a257e5d284dee9e31e7c702215386
მოდული 3.2 რადიოთერაპიის გვერდითი მოვლენები: https://iseazy.com/dl/459a318d96114fb3a032e39908d89d1b
მოდული 3.3 ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადარჩენილი პაციენტები: https://iseazy.com/dl/640b5ab0086845b7ab32b5dd19832cf7

იგივე პროექტის ფარგლებში მომზადდა 2 კლინიკური-პრაქტიკული გაიდლაინი:

1) **ძუძუს კიბოს გაიდლაინი;**
2) **საშვილოსნოს კიბოს გაიდლაინი.**

ყურადღება!

* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CDდისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიეროანსასწავლოერთეულისდასახელება

თსუ მედიცინის ფაკულტეტის სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრა

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

გარდამავალი(მრავალწლიანი)კვლევითიპროექტის2022წლისძირითადითეორიულიდა პრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია(ქართულენაზე)

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

ს.კახაძე - Ultrasound elastography and its role in the research of diffuse liver diseases - Translational and Clinical medicine – Georgian Medical Journal – November 2022 vol 7, No 1 – p 22-25

ანოტაცია - ულტრაბგერითი ელასტოგრაფიის მეთოდს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე ჰეპატოლოგიაში. კვლევა არაინვაზიურია, არ გააჩნია გართულებები და საკმაოდ ეკონომიურია. ხშირ შემთხვევაში ელასტოგრაფიული კვლევა წარმოდგენილია, როგორც ღვიძლის ბიოფსიის ალტერნატიული გზა. სტატიაში განხილულია ულტრაბგერითი ელასტოგრაფიის სხვადასხვა მეთოდის ტექნიკურ მახასიათებლები და აღწერილია მათ შორის განსხვავებები. ამ მეთოდის შემუშავებისა და დახვეწის საფუძველს წარმოადგენს მიმდინარე და მომავალი კვლევები, რაც იძლევა უფრო მეტ სანდოობას და შედეგების სიზუსტის პერსპექტივას. შრომის მიზანი იყო ლიტერატურაში ულტრაბგერითი ელასტოგრაფიის შესახებ არსებული ცოდნის შეჯამება, ულტრაბგერითი კვლევის როლის წარმოჩენა და მომავალი კვლევის ასპექტების შეჯერება. ნაშრომში განხილულია 2006-2021 წლების სტატიები PubMed-ისა და Google Scholar-ის სამედიცინო მონაცემთა ბაზებიდან. მონაცემების ანალიზის შედეგად დადასტურდა ულტრაბგერითი ელასტოგრაფიის მნიშვნელობა ღვიძლის დიფუზური დაავადებების შეფასებაში.

ულტრაბგერითი ელასტოგრაფია არაინვაზიური კვლევის მეთოდია, რომელიც იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას ღვიძლის ქრონიკული დაავადების დროს. ნაშრომში ასევე აქცენტები გაკეთდა ელასტოგრაფიის გარკვეულ შეზღუდვებზე. აღინიშნა, რომ ფიბროზის ადრეულ სტადიებზე შედეგები ნაკლებად სარწმუნოა, ამიტომ აუცილებელია ახალი კვლევების ჩატარება, რომ ულტრაბგერითი ელასტოგრაფიის მეთოდებმა ამ მხრივ მეტი სანდოობა მოიპოვოს.

ს.კახაძე - Prostate imaging reporting and data system in preoperative grading of prostate cancer - Translational and Clinical medicine – Georgian Medical Journal – November 2022 vol 7, No 1

– p 1-5

ანოტაცია - პროსტატისკიბოონკოლოგიურ დაავადებებს შორის ყველაზე გავრცელებულია.პროსტატისკიბოსშემთხვევებში დაავადების გამოსავალი და მკურნალობიი შედეგი პირდაპირ კავშირშია დაავადების ადრეულეტაპზე დიაგნოსტირებაზე, ზუსტპრეოპერაციულსტადირებაზე, რაც თავის მხრივ მკურნალობისსწორი ტაქტიკის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.საქართველოსპოპულაციაშიპრეოპერაციულიჰისტოპათოლოგიურისტადირება ხდება - ტრანსრექტალურიულტრაბგერითი (TRUS) ბიოფსიითმიღებულიმასალის გლისონისშკალით შეფასება. გლისონის ქულა არისპროსტატისკიბოსყველაზეგავრცელებულიშეფასებისსისტემა, მიუხედავად TRUS ბიოფსიისშეზღუდვებისა,
რომელიცდაკავშირებულიაულტრაბგერითმცირეინდექსისდაზიანებებისშეზღუდულვიზუალიზაციასთან.პროსტატისვიზუალიზაციის მეთოდებით მიღებული შედეგების ინტერპრეტირების დამონაცემთაკლასიფიცირების სისტემა (Pi rads) არის გაიდლაინი შესაბამისი
რეკომენდაციებითადათანმიმდევრულიინსტრუქციებითმულტიპარამეტრულიმაგნიტურ-რეზონანსულიტომოგრაფიისთვის (mpMRI). მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის საშუალებით ამ სისტემის გამოყენებით შესაძლებელია წინასწარდაარაინვაზიურადგანისაზღვროსპროსტატისკიბოსსტადია,
ჰისტოპათოლოგიურიხარისხი.ნაშრომში განხილულია მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მონაცემები PIRADS სისტემასთან და გლისონის შკალასთან კორელაციაში.ნაშრომში შეფასებულია მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის შესაძლებლობები პროსტატის კიბოს წინასაოპერაციოშეფასებისას.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში (შრომატა კრებულებში)

მ.ბერაია - electromagnetism, blood flow and coagulation – Journal of biomedical science and engineering – vol 15 No 7, july 2022 - DOI: 10.4236/jbise.2022.157017

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაშიმონაწილეობა

7.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

მ.ბერაია - eleqtromagnetic properties of the arterial blood flow – 1st international conference Translational and Clinical Medicine 5-7 May, 2022 Tbilisi, Georgia

ს.კახაძე - multiparametric MRI for prostate cancer characterization -1st international conference Translational and Clinical Medicine 5-7 May, 2022 Tbilisi, Georgia

მ.გურგენიძე

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

მ.ბერაია - electromagnetism and the role of coagulation in blood flow – 4th Global Virtual Comference on Cardiology – November 14-15 2022

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის თაოსნობით ჩატარდა ენდოსკოპისტთა საერთაშორისო VIII კონგრესი ====

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2022 წლის სამეცნიერო ანგარიში

ფორმა №2

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულება
სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით - - - -
- -

თეონა მატარაძე - ასოცირებული პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
რევაზ ჯორბენაძე - პროფესორი
გია ჟორჟოლიანი - პროფესორი
ნოდარ ბელქანია - პროფესორი
მარიამ გერსამია - პროფესორი
მარინა მუსხელიშვილი - პროფესორი
გუგული მაღრაძე - პროფესორი
მედეა ბადაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ჯაბა უროტაძე - ასოცირებული პროფესორი
ზურაბ აბაშიძე - ასოცირებული პროფესორი
თამარ ვეფხვაძე - ასოცირებული პროფესორი
ფარცხალაძე ნათელა-ასოცირებული პროფესორი
ლაშა ტუღუში - ასისტენტ-პროფესორი

მედეა ბადაშვილი

1.სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი - მიგრაციის გენდერული ასპექტების შესწავლა: შრომითი მიგრაციის გავლენა ქალთა გაძლიერებაზე
10 აპრილი, 2022-10 ოქტომბერი, 2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. მედეა ბადაშვილი - პროექტის ხელმძღანელი;
გრიგოლ უროტაძე,დოქტორანტი
მარიამ კანდელაკი - მკვლევარი;
ქრისტინე ჟღენტი - მკვლევარი;
მედეა ჟვანია - მკვლევარი
მარიამ ჩუბინიძე - მკვლევარი;
თამარ ზრეგაძე - მკვლევარი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტი მიზნად ისახავდა მიგრაციის პოზიტიური მხარეების კვლევას, თუ როგორ იცვლება მიგრანტ ქალთა აგენტობა, სტატუსი, როლი ოჯახსა და საზოგადოებაში, როგორ თავისუფლდებიან მიგრანტი ქალები პატრიარქალური საზოგადოების წნეხისგან, იძენენ ახალ აგენტობას, ავლენენ სურვილებს, აყალიბებენ ახალ ურთიერთობებსა და ქმნიან დისკურსს.

მიმდინარე წლის ივნისი-ივლისის პერიოდში, პროექტის ჯგუფის მიერ ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, რომლის ფარგლებში შემუშავებულ იქნა კვლევის ინსტრუმენტი - კითხვარი, რომელიც აერთიანებს საკვლევი საკითხების მიხედვით 6 სექციად დაყოფილ 60 შეკითხვას.

სექტემბერ - ოქტომბერში, პროექტით გათვალისწინებულ სამიზნე ქვეყნებში - აშშ, იტალია, საბერძნეთი მოძიებულ იქნენ რესპონდენტები. ამჟამად, ჩატარებულია 11 ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ (4 - აშშ, 4 - იტალია, 3 - საბერძნეთი).

ასევე, ინტერვიუირების პროცესში, სოციალურ მედიაში მიგრანტთა თვით-რეპრეზენტაციისთვის გამოყენებული იმიჯებისა და სხვა ვიზუალური მასალის ანალიზის ფარგლებში, დათვალიერებულ იქნა რესპონდენტთა პოსტები, ფოტოები და გაზიარებული ინფორმაცია სოციალურ ქსელ - ფეისბუკში.

შედეგად, მიმდინარეობს აღნიშნული მონაცემების დამუშავება, დაგეგმილია 9 თებერვალს თსუ-ში კონფერენციაზე კვლევის პრეზენტაცია.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Badashvili, M. "A Spatial-Based Explanation for Institutional Trust in Georgia: Evidence from the Maternal Healthcare System", Journal Of Eurasian Studies, 2022; Volume 13, Issue 1; გვ. 82-96 , ISSN: 1879-3665, Online ISSN: 1879-3673;
https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/18793665221079344;
https://journals.sagepub.com/toc/ensa/13/1

2. Pirtskhalava,E.; Badashvili, M. (2022) “Integration Process of Georgian Migrants Living in EU and USA”. GESJ: Education Science and Psychology 2022. N4 (65) pp 3-15 ISSN 1512-1801 http://gesj.internet-academy.org.ge/ge/list_artic_ge.php?b_sec=edu&fbclid=IwAR011AnpolQu2ajgCivrsU_u2O9pdnHPeHYIy2eomkB9yaf-frVdfqXABwM

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატია აღწერს კვლევას, რომელიც განხორციელდა ტეხასის უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პროფესორებთან ერთად. კვლევა ჩატარდა საქართველოში და ტეხასის შტატში.

2. სტატია აღწერს კვლევას, რომელიც განხორციელდა ქართველ მიგრანტებთან აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში: პორტუგალია, საფრანგეთი

ნათია ფარცხალაძე

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. ნათია ფარცხალაძე, თსუ X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“. 2022წ. 23-25 ივნისი, თბილისი. მოხსენება: ცხოვრების ხარისხი, როგორც ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის შეფასების მეთოდი.

მოხსენება ეხებოდა ცხოვრების ხარისხის შეფასების თანამედროვე მეთოდის დანერგვას და მომხსენებლის სადოქტორო კვლევას, რომელიც საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნებში ამ მეთოდის გამოყენების პირველი შემთხვევაა.

2. ნათია ფარცხალაძე, სამეცნიერო კონფერენცია - სოციალური მუშაობა კრიზისში მყოფი ბავშვების მხარდასაჭერად. 2022წ. 12-12 აპრილი. თბილისი. მოხსენება: იძულებით გადაადგილებულ ბავშვებთან სოციალური მუშაობის კრიტიკული ასპექტები.
მოხსენება ეხებოდა უკრაინის უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებისა და სამაჩაბლოსა და აფხაზეთში საქართველოს ტრაგიკული გამოცდილების ფონზე, ჰუმანიტარული კრიზისების დროს იძულებით გადაადგილებულ ბავშვებთან სოციალური მუშაობის სპეციფიური ასპექტების გათვალისწიების აუცილებლობა.

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ნათია ფარცხალაძე, The Association of Southeast Asian Nations Inter-Sectoral Regional Conference on Strengthening Social Work and Implementing the ASEAN Road Map. 2022წ. 26-28 აპრილი. ჰანოი, ვიეტნამი. დისტანციური მოხსენება: Rationale on setting minimum ratios of social workers per population.

მოხსენება ეხებოდა სოციალური მუშაკების საჭირო რაოდენობის დადგენის მიზნით, პროფესიონალებისა და კლიენტების შეფარდების დადგენის მეთოდოლოგიის შემუშავებას. გაეროს მეთოდოლოგიის შემუშავებაზე მუშაობდნენ ბავშვთა ფონდის ცენტრალური ოფისი და სოციალური მომსახურებების გლობალური ალიანსი.

2. ნათია ფარცხალაძე, The Association of Southeast Asian Nations Inter-Sectoral Regional Conference on Strengthening Social Work and Implementing the ASEAN Road Map. 2022წ. 26-28 აპრილი. ჰანოი, ვიეტნამი. დისტანციური მოხსენება: Advancing the Social Work Profession: Establishing Systems of Accreditation, Certification, Registration, Licensing and the Role of a Professional Associations

მოხსენება ეხებოდა სოციალური მუშაკების პროფესიული რეგულირების მნიშვნელობასა და რეგულირების გლობალურ და რეგიონულ გამოცდილებას. ასევე მოხსენებაში განხილული იყო პროფესიული რეგულირების სავალდებულო კომპონენტები და რეგულირებაში სოციალურ მუშაკთა ასოციაციების როლი. მაგალითის სახით, გაზიარებული იყო საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დაარსებისა და მუშაობის გამცდილება.

3. ნათია ფარცხალაძე, The Association of Southeast Asian Nations Inter-Sectoral Regional Conference on Strengthening Social Work and Implementing the ASEAN Road Map. 2022წ. 26-28 აპრილი. ჰანოი, ვიეტნამი. დისტანციური მოხსენება: Expanding and Strengthening Education and Regulation in Social Work

მოხსენება ეხებოდა სოციალურ მუშაკების მომზადებისთვის აკადემიური სწავლების მნიშვნელობას, სოციალური მუშაობის განათლების გლობალურ სტანდარტებსა და რეგიონულ გამოცდილებას. ასევე საუბარი იყო სოციალური მომსახურებების მუშაკთა მოკლევადიანი პროგრამებისა და უწყვეტი განათლების პროგრამების განვითარებაში უნივერსიტეტების როლზე.

4. ნათია ფარცხალაძე, European Centre BBinars: Social Policies in Eastern Europe. დისტანციური კონფერენცია. 2022წ. 22 თებერვალი. მოხსენება: Social Services during the COVID-19 Pandemic in Georgia.

მოხსენება ეხებოდა პანდემიის გავლენას ხანდაზმულებზე და გამოწვევებთან გამკლავების გზებს. მოხსენებაში განხილული იყო კავკასიის რეგიონის ქვეყნებში 2020-2021 განხორციელებული კვლევის მიგნებებს და კოვიდის გავლება ხანდაზმულებზე საქართველოში. ასევე ხაზი გაესვა სოციალური მუშაკების როლს პანდემიის პერიოდში.

5. ნათია ფარცხალაძე, UNICEF South Asia Regional Child Protection Network Conference. 2022წ. 6-8 სექტემბერი, კატმანდუ. ნეპალი. მოხსენება: Strengthening the Global Social Service Workforce – the Global Trends, and the Mapping of the Justice for Children Workforce in the Region of South Asia.

მოხსენება ეხებოდა სამხრეთ აზიის რეგიონში და გლობალურ დონეზე სოციალური მუშაობის გამოწვევებს და განვითარების პერსპექტივებს. ასევე წარმოდგენილი იყო 2018-2019 წლებში სამხრეთ აზიის ქვეყნებში სოციალური მომსახურებების მუშაკთა მდგომარეობის შეფასების შედეგები და კვლევის საფუძველზე შემუშავებულ სამომავლო რეკომენდაციები.

ფორმა №2

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით - - - -
- -

ალექსანდრე კუხიანიძე - პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
მალხაზ მაცაბერიძე - პროფესორ
კორნელი კაკაჩია - პროფესორი
ავთანდილ ტუკვაძე - ასოცირებული პროფესორი
სალომე დუნდუა - ასოცირებული პროფესორი
ზვიად აბაშიძე - ასოცირებული პროფესორი
თამარ ქარაია - ასისტენტ- პროფესორი
გიორგი მელიქიძე - ასისტენტ-პროფესორი
ვალერიან დოლიძე - ასისტენტ-პროფესორი
ვლადიმერ ნაფეტვარიძე- ასისტენტ-პროფესორი

ალექსანდრე კუხიანიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. კუხიანიძე, ა. (2022). რუსეთის პოლიტიკური რეჟიმის არსი (რეტროსპექტული ანალიზი). აკადემიური ჟურნალი „სივრცე და საზოგადოება." გამოშვება 4, გვ. 167-185. http://es.tsu.ge/index.php/es/article/view/39/33

ვრცელი ანოტაცია
2022 წლის 24 თებერვლის დილას უკრაინაზე რუსეთის თავდასხმამ გამოიწვია არა მხოლოდ უდიდესი ტრაგედია უკრაინის მოქალაქეებისთვის, ცივილიზებული საზოგადოების აღშფოთება და სერიოზული გეოპოლიტიკური ცვლილებები საერთაშორისო არენაზე, არამედ ვითარების მკვეთრი გაუარესებაც თავად რუსეთში. ზოგიერთი მკვლევარი და პოლიტიკური ანალიტიკოსი ახასიათებს თანამედროვე რუსეთის რეჟიმს, როგორც ფაშისტურს (ბუდრაიცკისი, 2022), ზოგი როგორც მაფიოზურს (ზდორენკო, 2015), ზოგი კი როგორც ტერორისტულს (შაპოვალოვა, 2022).

ძალზე აქტუალური ხდება იმის ახსნა, თუ რა არის რეალურად თანამედროვე რუსული რეჟიმი, კერძოდ, ადამიანთა ჯგუფი, რომელთა ხელში კონცენტრირებულია სახელმწიფო ძალაუფლება. ამ ჯგუფს უწოდებენ როგორც კრიმინალურს არა მხოლოდ იმიტომ, რომ 2008 წელს მან დაიწყო სისხლიანი ომი

საქართველოში და 2014-2022 წლებში უკრაინაში, არამედ მთელი რიგი სხვა მიზეზების გამო. ეს მიზეზები თავად რუსეთშია: ძალაუფლების უზურპაცია, პოლიტიკური ოპონენტების სასტიკი დევნა და კორუფციის უპრეცედენტო მასშტაბები. ამ ჯგუფს ბრალად ედება გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების, ჟურნალისტების, სპეცსამსახურების ყოფილი წევრების და იმ პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლების მკვლელობები, რომლებიც რეჟიმს ეწინააღმდეგებოდნენ, მათ შორის დასავლეთის სახელმწიფოების ტერიტორიაზე ქიმიური საშუალებებისა და მასობრივი განადგურების იარაღის რადიოაქტიური კომპონენტების გამოყენებით. არაერთი ვიდეოდოკუმენტი მოწმობს რუსეთის არმიის მიერ უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქალაქეების ხოცვა-ჟლეტასა და წამებას. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს დანაშაული რუსული რესურსებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების გამოყენებით განხორციელდა. ზემოაღნიშნული საფუძვლად უდევს ვარაუდს, რომ ეს მმართველი ჯგუფი არის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც სჩადის დანაშაულს და იპყრობს სახელმწიფო ძალაუფლებას რუსეთში როგორც უკანონო გამდიდრების და საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტს.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ისეთი მეთოდოლოგიური საკითხების გათვალისწინება, როგორიცაა ორგანიზებული დანაშაულის არსის და ფორმების გაგება. საჭიროა აგრეთვე იმ სპეციფიკური პირობების კვლევა, რომლებმაც განაპირობეს რუსეთში თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმის ჩამოყალიბება, ძალაუფლების ხელში ჩაგდების ძირითადი მიზეზების დადგენა და, საბოლოო ჯამში, რუსული პოლიტიკური რეჟიმის არსის გაგება. სტატიაში გამოყენებულია ავტორის მიერ ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის მრავალწლიანი კვლევის გამოცდილება. ეს საშუალებას იძლევა უფრო ღრმად გავიგოთ რუსეთში თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმის ბუნება.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, ორგანიზებული დანაშაული, სუპერ-მაფია, პოლიტიკური რეჟიმი.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. კუხიანიძე ალექსანდრე. Anatomy of the Russian Power. Vol. 5 No. 5 (2022): International Conference - Space, Society, Politics (SSP) abstracts

Abstract

After attempts to transform the Soviet Union and its subsequent collapse in 1991, Russia went through a difficult period, which, according to various estimates, on the one hand, is characterized as democratic transformation, and on the other hand, as chaos, oligarchic rule, and rampant organized crime and corruption. With the growth of authoritarian tendencies in governing the country and a rollback to a management style, Russia's new period began in the 2000s. It is associated with Russian organized crime, the Bolshevik style of suppressing dissidents, the NKVD methods, the aggressive foreign policy style of the Russian Empire, and in some cases, the brutal style of Nazi Germany. The monstrous scale of corruption in Russian state structures has repeatedly been the subject of investigations by political opponents and civil society representatives. As a result, some were killed, while others were imprisoned for many years. The treacherous attack of Russia on Ukraine on February 24, 2022, the brutal bombing of Ukrainian cities, the torture and execution of civilians, the rape of women, the creation of so-called filtration camps, and other heavy war crimes committed by the Russian army in the occupied territories, are unprecedented since the Second World War. The prohibition in Russia itself of the independent media, the persecution of political opponents, prison sentences for criticizing the Kremlin's policies by its citizens, and the mass exodus of Russians from the country gave grounds to international experts to talk about the formation of a

fascist regime in modern Russia, often referred to as rashism. The purpose of the study is to explain how the current Russian political regime originated and what it is today, taking into account the political processes of 2022. In this regard, two modern Russian political development stages are considered. First, the consequences of "perestroika" under the first and last President of the USSR, Mikhail Gorbachev, and processes of criminalization and oligarchization after the collapse of the USSR in 1991. Second is the restoration of the authoritarian style of government in modern Russia. The very purpose of "perestroika" was the liberal transformation of the Soviet Union, which, however, led to its complete collapse. One can agree with the point of view that in the conditions of the Cold War, too low oil prices were the final chord in the confrontation between East and West. However, the collapse of the USSR occurred not only due to the inefficiency of the Soviet system but also because of the strategy of perestroika itself, with its “glasnost” (not economic reforms) at the forefront. Following the example of China, which proclaimed the New Economic Policy (NEP) with Chinese characteristics, reforms began in the field of economy. However, the ideological and political system remained without significant changes, as a result of which, while maintaining political stability, the country achieved rapid socio-economic development. As a result, after half a century, the volume of China's economy surpassed that of the United States, and the Chinese totalitarian political system gradually transformed into an authoritarian one. China has become the United States' main rival in the international arena. In contrast to such a strategy, the Soviet policy of “glasnost” led to a crisis in the ideological system and, as a result, the abolition of Article 6 of the Soviet Constitution on the leading role of the Communist Party in Soviet society. This meant a crisis and collapse of the Soviet political system and, as an inevitable consequence, a crisis of party management of the economy and an economic collapse, which, in turn, caused the mass impoverishment of the already poor Soviet population and the aggravation of ethnopolitical and civil conflicts, a significant part of which led to bloody wars in Chechnya, Abkhazia, the Tskhinvali region, Transnistria, Nagorno-Karabakh. A fierce struggle for power with the use of armed forces in Moscow itself, in an attempt to seize power and resign Mikhail Gorbachev in order to return to the Soviet past, led in 1990 to the transfer of Kremlin power into the hands of Boris Yeltsin and the signing on December 8, 1991, of the Agreement on the Creation of the Commonwealth of Independent States (CIS), which stated the cessation of the existence of the USSR as a subject of international law and geopolitical reality. The post-Soviet stage is not only a transfer of power from the Soviet to the Russian leadership but the collapse of the entire Soviet ideological, political and economic system, including morality, discipline, and the rule of law. This period is characterized by two main trends: the chaotic attempts to create a market economy in Russia and the emergence of an oligarchy, as well as newly organized crime groups that swept Russia in the 1990s, which led to nostalgia among the older generation of Russians for a primitive but calm Soviet way of life. A significant part of the political processes in Russia turned out to be heavily dependent on its leaders. In this regard, the leadership of St. Petersburg, the outgoing President of Russia, Boris Yeltsin, and the Russian oligarchs in the change of power and promotion of a new candidate for the presidency of Russia is considered. The usurpation of power in Russia and the use of criminal methods for its retention from 1999 to the present, as well as the nature of this power during the Russian invasion of Ukraine, are analyzed here.

Keywords: Rashism, Russian Power, Russian Authority

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Kukhianidze Alexandre. (2022, December 13). Georgia: History and memory in the conditions of the Russian Invasion of Ukraine. RUCARR seminar: Georgia – history and memory, Malmo University, Sweden. https://mau.se/en/calendar/rucarr-seminar-georgia-history/

Abstract

Russia's attack on Ukraine in the early morning of February 24, 2022, led not only to a rethinking of international security and stability, of Russia's entire policy towards its immediate neighbors, but also to international assessments of Russia's invasion of Georgia in 2008.

The war led to a complication in relations between the ruling “Georgian Dream” party and the Ukrainian leadership, influenced the relationship of the Georgian leadership with the political opposition and leading non-governmental organizations, as well as the relationship of the ruling party to the European Union and the United States.

Against the backdrop of the war in Ukraine, the Georgian political opposition is increasingly accusing the political leadership of Georgia of pro-Russian orientation, rejection of European and Euro-Atlantic integration and insufficient assistance to Ukraine, attacks by individual representatives of the “Georgian Dream” on the ambassadors of the European Union, the United States and the leadership of Ukraine. Meanwhile, the scale of mass rallies held in Georgia in support of Ukraine and aimed at criticizing the Georgian leadership has sharply decreased by the autumn of 2022, which has an impact on the stability of the latter.

Based on personal observations and analysis of the entire post-Soviet period in Georgia, the speaker explains the reasons for the behavior of the Georgian leadership and the public against the backdrop of Russia's war in Ukraine.

სალომე დუნდუა

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. ტაბატაძე, ს., დუნდუა, ს., ჭკუასელი, ქ., ლიბერალურ დემოკრატიული ღირებულებები და საშუალო სკოლა: საქართველოს შემთხვევა, Journal of Eurasian Studies, ონლაინ გამოქვეყნდა 2022 წლის 12 ოქტომბერს, https://doi.org/10.1177/18793665221134305

2. ტაბატაძე, ს., დუნდუა, ს. (2022) სოციალური მეცნიერებების ცოდნის კომერციალიზაცია: თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევის ანალიზი, Studia Politicae Universitatis Silesiensis, Volume 34, გვ. 3–26

ვრცელი ანოტაცია
1. მოცემული სტატია ეხება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას. კვლევაში შესწავლილია მოსწავლეებისა და მასწავლებლების დამოკიდებულებები ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების მიმართ, რაც დეკლარირებულია საქართველოს 2004 წლის განათლების პოლიტიკის მიზნებში. კვლევის პროცესში გამოიკითხა 297 მოსწავლე და 121 მასწავლებელი. კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლები უფრო მეტად ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების მხარდამჭერები არიან, ვიდრე მოსწავლეები. ასევე, გოგონები ნაკლებად უჭერენ მხარს ავტორიტარული ტიპის მმართველობას, ვიდრე - ბიჭები. მსგავსი ტენდენციებია ასევე კერძო და საჯარო სკოლების შემთხვევებშიც. რესპონდენტები, რომლებიც დემოკრატიულ სახელმწიფოდ განიხილავენ საქართველოს და უფრო მეტად ამაყობენ ქართული საზოგადოების წევრობით, ნაკლებად ლიბერალურ და დემოკრატიულ პრინციპებს იზიარებენ და

პირიქით. კვლევაში ნაჩვენებია თუ როგორია რესპონდენტების დამოკიდებულება დეკლარირებული ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების მიმართ.

2. დღესდღეობით უნივერსიტეტებს, კვლევით ცენტრებსა და ინდუსტრიას შორის ღრმა თანამშრომლობა განიხილება როგორც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი სტიმული. ჯერაც არაა შესწავლილი, როგორ მუშაობს ცოდნის კომერციალიზაცია იმგვარ ქვეყნებში, რომლებსაც ცენტრალიზებული ეკონომიკისა და განათლების სისტემის გამოცდილება აქვს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შესაძლოა განვიხილოთ, როგორც კომერციალიზაციის კუთხით კარგი შესაზლებლობის მქონე ინსტიტუცია. ამის ძირითადი მიზეზი მისი ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხია. თუმცა სოციალურ მეცნიერებათა კომერციალიზაცია ჯერაც უგულებელყოფილია. ჩვენს სტატიაში შესწავლილია საქართველოში ყველაზე ძველი, ინტერნაციონალზიებული უნივერსიტეტის მაგალითი. კვლევა მიზნად ისახავს, განსაზღვროს ის მიკრო და მაკრო დონეები, რომელიც სოციალურ მეცნიერებებში კომერციალიზაციას აქცევს წარმატებულად ან წარუმატებლად. კვლევაში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი ტექნიკა, კერძოდ ჩატარდა ფოკუს ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები. შედეგებმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტის ზოგიერთი წარმომადგენელი თვლის, კომერციალიზაცია ძირითადად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ეხება. ამისგან განსხვავებით, რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანური განვითარების მხრივ შეტანილი კონტრიბუცია ცოდნის ყველაზე დიდი ტრანსფერია.

ზვიად აბაშიძე

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ზვიად აბაშიძე, „ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების საკითხები აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში „ / საერთაშორისო კონფერენცია :“სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022 წლის 23-25 ივნისი.

გიორგი მელიქიძე

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. გიორგი მელიქიძე; ლიდერი პარტიის პირისპირ: საქართველოს გამოცდილება; ჟურნალი პოლიტიკა, 2022, ტომი 6, N 3; ISSN 2449-2833 (online) ISSN 2449-2825 (print)

ვრცელი ანოტაცია

წარმოდგენილ სტატიაში საუბარია პოსტსაბჭოთა საქართველოში პარტიული სისტემის ტრანსფორმაციის საკითხზე. საქართველოში პოლიტიკური პარტიები სუსტად ინსტიტუციონალიზებული და პერსონიფიცირებულია, ხოლო ხალხის ნდობა მათ მიმართ დაბალია. პარტიების პერსონალიზაცია უმეტესწილად მათი ლიდერების ფაქტორით არის განპირობებული. პირველი ასეთი პარტია იყო ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო,“ რომელიც ზვიად გამსახურდიას გარშემო შეიქმნა. ლიდერის პარტია იყო ედუარდ შევარდნაძის მიერ შექმნილი ,,მოქალაქეთა კავშირი.“ აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ შექმნა ,,საქართველოს აღორძინების კავშირი.“

იგივე შეიძლება ითქვას მიხეილ სააკაშვილის ,,ნაციონალურ მოძრაობაზე" და ბიძინა ივანიშვილის ,,ქართულ ოცნებაზე." კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში პარტიული სისტემა განიცდის კრიზისს ინსტიტუციონალიზაციის კუთხით. ერთის მხრივ, სუსტი პროგრამულ / იდეოლოგიური კავშირი ელექტორატსა და პარტიებს შორის და საზოგადოებრივი ინტერესების არტიკულაცია / აგრეგაცია რჩება გადაუჭრელ პრობლემად. პარტიები ხასიათდებან არასტაბილურობით და მოკლევადიანი მიზნებით. მეორეს მხრივ კი პოლიტიკის პერსონალიზაცია და ლიდერზე განსაკუთრებული დამოკიდებულება ამწვავებს ინსტიტუციონალიზაციის კრიზისს. პარტიებს შორის იდეოლოგიური წყალგამყოფების არარსებობა იწვევს ელექტორატის არასტაბილურობას. ამომრჩეველი ხშირად ვერ ხედავს პარტიებს შორის ფუნდამენტურ განსხვავებებს.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური პარტია; ლიდერი; პარტიული სისტემა; ინსტიტუციონალიზაცია; საქართველო;

2. Giorgi Melikidze, (TV) Media Causing Division: The Case of Georgia; Eastern Europe – Regional Studies, 2022; Number 1 ISSN 2587-456X

ვრცელი ანოტაცია
წინამდებარე ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს პოსტსაბჭოთა დემოკრატიულ ქვეყნებში საარჩევნო პოლარიზაციაზე, სადაც მასმედიას დიდი გავლენა აქვს პოლიტიკურ კამპანიებზე. წინასაარჩევნო კამპანიის დროს არჩევნებისთვის მზადება აქტუალური იყო ყველა ეპოქაში. მე-19 საუკუნეში შეერთებულ შტატებში განვითარდა საარჩევნო კამპანიის ჩატარების ახალი მეთოდები. საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაცია გამოირჩევა ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა მედიის განსაკუთრებული როლი წინასაარჩევნო პერიოდში, პოლიტიკური პერსონალიზება, მყიფე იდეოლოგიური საფუძველი და პოლიტიკური კამპანიის განსაკუთრებული სპეციალიზაცია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ საარჩევნო კამპანიაზე გავლენის მოხდენის პროცესი, რომელიც აღწერილია, როგორც პოლიტიკური მედიატიზაცია, ამ ნაშრომში ცენტრალურ ადგილს იკავებს. მედიატიზაცია ნიშნავს მასმედიის ლოგიკის განხორციელებას საარჩევნო კამპანიის ფარგლებში. საარჩევნო კამპანიას სჭირდებოდა მედიის პროფესიონალები კამპანიის სტრატეგიის გასატარებლად. კამპანიის მრჩევლების გამოჩენასთან ერთად გაჩნდა ტერმინი „მედიატიზაცია." 1990-იანი წლების დასაწყისისთვის საქართველოში, 70-წლიანი საბჭოთა მმართველობის შემდეგ, პირველი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფოებრიობის გზაზე. პოსტსაბჭოთა საქართველოში მრავალპარტიულმა და კონკურენტულმა არჩევნებმა პოლიტიკურ პარტიებს საშუალება მისცა გამოიყენონ უცხოური გამოცდილება პოლიტიკური კამპანიის დროს. ნაშრომის მიზანია საქართველოში საარჩევნო კამპანიის მედიატიზაციის ტენდენციების შესწავლა 2012 წლიდან 2021 წლამდე. კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით, პარტიული სისტემის სუსტი ინსტიტუციონალიზაცია ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის პოლიტიკური კამპანიის მედიატიზაციისთვის. კვლევის პროცესში გაანალიზებული იყო პოსტსაბჭოთა საქართველოში არსებული პოლიტიკური მედიატიზაციის მახასიათებლები.

საკვანძო სიტყვები: პოლარიზაცია, საარჩევნო კამპანია, მედიატიზაცია, საქართველო

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. გიორგი მელიქიძე; ტელემედიის პოლიტიკური ლანდშაფტის ცვლილება საქართველოში; 2022 წლის 23-25 ივნისი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა;"

მოხსენების ანოტაცია

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავლენა საარჩევნო კამპანიაზე, რასაც პოლიტიკურ მედიატიზაციას უწოდებენ ამ ნაშრომის საკვანძო თემაა. მედიატიზაცია ნიშნავს მასმედიის დღის წესრიგის გატარებას პოლიტიკურ პროცესში. საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა დემოკრატიულ ქვეყნებში, აქტიურად წარიმართა საარჩევნო კამპანიის მედიატიზაცია. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის პერსონალიზაცია, ქართული პარტიული სისტემის მყიფე იდეოლოგიური და სტრუქტურული საფუძვლები იყო დამოუკიდებლობის პირველი წლების მთავარი მახასიათებელი. პოსტსაბჭოთა საქართველოში საწყის ეტაპზე პარტიების ამოცანა იყო საპროტესტო აქციებისთვის მოსახლეობის მობილიზება. თუმცა, მასმედიის და მედია ტექნოლოგიების გაძლიერებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა პოლიტიკური ტრანსფორმაციის პერსპექტივაში. მედიატიზაცია არის თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ მედია აყალიბებს პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესებს, ისევე როგორც საზოგადოებას, რომელშიც ეს კომუნიკაცია მიმდინარეობს. საქართველოში პოლიტიკის მედიატიზაცია ეტაპობრივად განხორციელდა და პიკს „ვარდების რევოლუციის“ დროს მიაღწია.

წინამდებარე ნაშრომი მედიატიზაციას იყენებს, როგორც თეორიულ ჩარჩოს პოსტსაბჭოთა საქართველოს ტელემედიის ანალიზისას. ჩვენ დაინტერესებული ვართ, თუ რა გავლენას ახდენს მედია გარემოში მიმდინარე ცვლილებები საარჩევნო კამპანიის დინამიკასა და შედეგებზე. ბოლო ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა გარდაქმნა პოლიტიკური ინსტიტუტები, პროცესები და პოლიტიკური კულტურა. მიუხედავად იმისა, რომ მედიატიზაციის კონცეფცია შეიქმნა განვითარებულ დემოკრატიებში, მედიატიზაციის პროცესი თანაბრად მუშაობს ჰიბრიდულ დემოკრატიებში. უფრო მეტიც, გარდამავალი დემოკრატიების უნიკალური თავისებურებები, მათი ინსტიტუციური სისუსტე და პერსონალიზება შეიძლება აღიქმებოდეს მედიატიზირებული პოლიტიკური პროცესების საფუძვლად. პოსტსაბჭოთა დემოკრატიულ ქვეყნებში ინსტიტუტების მშენებლობა ხდება არაორდინალურ ვითარებაში, რაც ურთულებს პოლიტიკურ პარტიებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. პოლიტიკურმა პარტიები იძულებული გახდნენ იმგვარად ჩამოაყალიბონ პოლიტიკური გზავნილები, რომ ისინი თავსებადი იყოს მედიის ტენდენციებთან. ტრანზაციის პერიოდში პოლიტიკური ინსტიტუტების შესაძლებლობა განსაზღვრონ პოლიტიკის კურსი შესუსტებულია და სწორედ ამან მისცა მედიას პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. პოსტსაბჭოთა საქართველოში პოლიტიკური პარტიები აქტიურად ეყრდნობიან მედიას, როგორც მთავარ რესურსს პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის. თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და მედია სტრატეგიები უაღრესად ეფექტური ინსტრუმენტებია საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისთვის. საქართველო მიიჩნევა სახელმწიფოდ, სადაც საზოგადოებრივი აზრი მნიშვნელოვანწილად ტელემედიაზეა დამოკიდებული.

ზვიად გამსახურდიას მმართველობის ხანმოკლე პერიოდი არ გვაძლევს პოლიტიკური კამპანიის ყოვლისმომცველი ანალიზის შესაძლებლობას. წინასაარჩევნო კამპანიის მედიატიზაციის მნიშვნელოვანი წინაპირობები გაჩნდა ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს. შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდი შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად, მედიატიზაციის თვალსაზრისით: პირველი - მოიცავს 1990-იანი წლების პირველ ნახევარს და მას პირობითად შეიძლება ეწოდოს საწყისი ეტაპი; ხოლო მეორე ეტაპი - 1990-იანი წლების მეორე ნახევარი და შემდგომი პერიოდი 2003 წლამდე, რომელსაც შეიძლება ეწოდოს გარდამავალი პერიოდი. პოლიტიკური მედიატიზაცია აქტიურად განხორციელდა „ვარდების რევოლუციის“ დროს და მის შემდეგ. 2012 წლის სექტემბერში, სოციალურ მედიაში რამდენიმე დღის განმავლობაში აქტიური განხილვის შემდეგ, ქართულმა ტელეარხებმა აჩვენეს ქართულ ციხეში, წამებისა და გაუპატიურების ამსახველი ვიდეოჩანაწერები. სკანდალი უპრეცედენტო იყო საქართველოს ისტორიაში და ხელი შეუწყო ივანიშვილის კოალიცია „ქართულ ოცნებას“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში პოლიტიკურ პროცესებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მედიის როლი და აქტიურად იქნა გამოყენებული პოლიტიკური კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიები. საქართველოს მედია ლანდშაფტი დარჩა პლურალისტური, მაგრამ ძალიან პოლარიზებული. სამწუხარო ტენდენციად იქცა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები უარს ამბობენ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული მედიის გადაცემებში მონაწილეობაზე. მედია, განსაკუთრებით ტელევიზია, პოლიტიკოსების მიერ აღიქმება,

როგორც პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტი. ტელეკომპანიების ფინანსური მდგრადობა და დეზინფორმაცია კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება ქართული მედიისთვის.

ვალერიან დოლიძე

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.ა.ტუკვაძე, ვ.დოლიძე, ე.გელაშვილი, „რუსეთის პოლიტიკური რეჟიმის განვითარების თავისებურებები“ Georgian Scientists/ქართველი მეცნიერები ტ. 4 N 3, 2022 გვ 102–123Vol. 4 Issue 1, 2022 https://doi.org/10.52340/gs.2022.04.01.10, E-ISSN: 2667-9760 DOI : ttps://doi.org/10.52340/gs

2. ვ. დოლიძე, ა. ტუკვაძე, ა. აბზიანიძე, გ. კვინიკაძე

„სოციალური მოძრაობები და ბიზნესის პრივილეგირებული მდგომარეობა აშშ-ში: დაიკავე უოლსტრიტი“ // Georgian Scientists. ქართველი მეცნიერები.

Vol.4 Issue 4, 2022 გვ.29-46 https//doi.org/gs.2022.04.04.05 E-ISSN:2667-9760 DOI:

https://doi.org/10.52340/gs.2022.04.04.05
https://scholar.google.com/scholar?hl=en&as_sdt=0%2C5&q=1.%09Social+movements+and+business+privilege+in+the+US%3A++Occupy+Wall+Street&btnG=

3. ა.ტუკვაძე, ვ.დოლიძე, “მმართველი ელიტის საკადრო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები” სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“№3(53)2022 გვ 5–17; http://odageorgia.ge/?page=gamoceme, http://www.eLIBRARY.ru , ISSN 1512-374X

ვრცელი ანოტაცია

1. რუსეთის ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი განაპირობებს ამ ქვეყნის აგრესიულ ქცევას საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. ამ მხრივ, ამ რეჟიმის შესწავლა აქტუალურია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. ამ რეჟიმის ძირითადი მახასიათებლები გამომდინარეობს მისი ჰიბრიდული ბუნებიდან, კერძოდ: ავტორიტარულ-ავტოკრატიული მახასიათებლებით; მაგრამ ეს არ არის ტრადიციული ავტორიტარიზმი, რომლის თეორია და პრაქტიკა ჩვენ ვიცით ისტორიიდან. უპირველეს ყოვლისა, მისი სპეციფიკა მომდინარეობს რეჟიმის პროპაგანდისტული დატვირთვიდან და სახელმწიფო მედიაზე კონტროლის გზით ხელისუფლება აღწევს ინფორმაციულ დიქტატურას; რაც საკმარისია საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად და რეპრესიების საჭიროების შესამცირებლად: მეორე მახასიათებელია დემოკრატიული ელემენტების (შეზღუდული პლურალიზმი, მრავალპარტიული სისტემა, ოპოზიციური ტელევიზია) თანაარსებობა ტოტალიტარულთან (მმართველი პარტიისა და სახელმწიფოს შერწყმა, საიდუმლო პოლიცია. ,სერვილური პოლიტიკური კულტურა). მესამე თვისებაა ავტოკრატია, პუტინის კონსტიტუცია, საკანონმდებლო აქტები, რაც პუტინის თქმით, აუცილებელია. რუსეთის რეჟიმის შესასწავლად ვიყენებთ ციკლური განვითარების თეორიას, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური მოდერნიზაციის ავტორიტარული ციკლები გეოპოლიტიკურ წარმატებებთან ასოცირდება, ხოლო მოკლევადიანი ლიბერალიზაციის მცდელობები,

რომლებიც ყოველთვის წარუმატებლად მთავრდებოდა, დაკავშირებულია წარუმატებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან. ყველა ამ შემთხვევაში ინიციატივა ყოველთვის პოლიტიკური ელიტისგან მოდის, ხალხი კი მათი მხარდამჭერია. ამის გამო მკვლევარები თვლიან, რომ სამოქალაქო საზოგადოება ვერ შეიძინა სუბიექტურობა. ჩვენი აზრით, პოლიტიკურ კულტურას გადამწყვეტი გავლენა აქვს რუსეთის პოლიტიკურ რეჟიმზე. რუსული პოლიტიკური კულტურის დამახასიათებელი ნიშნებია: ძლიერი სახელმწიფოსა და ლიდერის რწმენა; დიდი რუსული მესიანური შოვინიზმი, რომელიც არის რუსული იდენტობის იდეა და ხალხის მენტალიტეტის ნაწილი, ასევე სოციალური თანასწორობის, სუვერენული დემოკრატიის, სუბიექტური ორიენტაციებისა და იმპერიული აზროვნების იდეები, რომლებიც დომინანტურ როლს თამაშობენ საზოგადოებრივ ცნობიერებაში. . მაშასადამე, ცდებიან ის მკვლევარები და სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც თვლიან, რომ შოვინიზმი მხოლოდ პუტინისგან მოდის. მთავარი მიზეზი ხალხის იმპერიული ცნობიერება უნდა იყოს. სტატია ადასტურებს ჰიპოთეზას რუსეთის ბუნებრივი განვითარების ავტორიტარული ბუნების შესახებ. ათწლეულები დასჭირდება (თუ ხელისუფლებას სურს) ავტორიტარული კულტურის ელემენტების აღმოფხვრას მოქალაქეთა გონებაში,

2. ნაშრომში ჩარლზ ლინდბლომის ბიზნესის პროვილეგირებული მდგომარეობის თეორიის საფუძველზე გაანალიზებულია დაიკავე უოლსტრიტისა და ოკუპაციის მოძრაობის შედეგები აშშ-ში. ავტორთა აზრით, დაიკავე უოლსტრიტმა აშშ-ში წარმოშვა რევოლუციური სიტუაცია, რასაც სხვა რევოლუციური სიტუაციებისაგან განასხვავებს ხალხისა და მეინსტრიმის ერთიანობა და მშვიდობიანი ხასიათი. დაიკავე უოლსტრიტმა აჩვენა , რომ ამერიკის ძველებურად მართვა აღარ შეიძლებოდა, ხოლო ხალხს კი ძველებურად ცხოვრება აღარ სურდა.

დაიკავე უოლსტრიტმა აშშ-ში წარმოშვა რევოლუციური სიტუაცია, ეს მოძრაობა მიმართული იყო ბიზნესის პრივილეგირებული მდგომარეობის წინააღმდეგ . ოკუპაციის მოძრაობამ იმის გამო ვერ შეძლო ფულისა და მსხვილი კორპორაციების გავლენის შესუსტება გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რომ ამ გავლენის წყაროს ბიზნესის პრივილეგირებული მდგომარეობა წარმოადგენს, რომლის გარესეც საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული პოლიარქიების ფუნქციონირება სეუძლებელია. მაგრამ, ამის მიუხედავად, დაიკავე უპლსტყრიტმა დაასუსტა ამერიკული საზოგადოების იდეოლოგიური საფუზვლები და გაბატონებული სტყერეოტიპები.

3. ნაშრომში თვისებრივი მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია პოსტსაბჭოთა ელიტების შერჩევის პროცესი საქართველოში. გამოყოფილია ელიტების შერჩევის ორი სისტემა: ანტრეპრენერული და გილდიური; ხელისუფლების კომპეტენციაში შედის საკადრო პოლიტიკის მართვა, რაც გულისხმობს ელიტის განახლების პროცესის ინსტიტუონალიზაციას. ხელისუფლება უნდა ქმნიდეს ე. წ. პრეელიტურ და ექს–ელიტურ ზონებს და აკონტროლებდეს მათ, რადგანაც ბევრი პრეცედენტი არსებობს, როცა ხელისუფლებიდან განდევნილმა ელიტამ შეცვალა რეჟიმი კონკრეტულ ქვეყანაში და ამის სამწუხარო პრეცედენტი საქართველოშიც არსებობს.

საქართველოს სინამდვილეში არ ფუნქციონირებს ელიტების შერჩევის ინსტიტუციონალური მექანიზმები; ამიტომ, ელიტების შერჩევის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ელიტების ხარისხსა და ეფექტურობას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ავთანდილ ტუკვაძე, ვალერიან დოლიძე: ”ელიტური ინჟინერია–ხარისხიანი და ეფექტური ელიტების ჩამოყალიბების წინაპირობა” სამეცნიერო კონფერენციაში „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ თსუ 2022 წლის ივნისი, Vol. 5 No. 5 (2022): International Conference - Space, Society, Politics (SSP) abstracts

2. ვალერიან დოლიძე, ავთანდილ ტუკვაძე, „სოციალური მოძრაობები აშშ-ში: დაიკავე უოლ სტრიტი“, ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური 23-ე საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 19-21 მაისი, 2022;

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Valerian Dolidze, Avtandil Tukvadze, “Accumulation of Democratic Resources and Development of Democracy in Georgia”, INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE CAUCASUS 2022 8.11.2022 r. 7:00-15:30 (GMT+1) CAUCASUS 2022 პოლონეთი, ქალაქი ჟეშუვი

2. ვალერიან დოლიძე, ავთანდილ ტუკვაძე; სამეცნიერო-საინფორმაციო მრგვალი მაგიდა „კაზაკთა ფაქტორი“ რუსეთ უკრაინის ომებში. ჩატარდა ონლაინ რეჟიმში.უკრაინა , 2022 წლის22 ივნისი. ლვოვი, უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტი

მოხსენების თეზისები. ისტორიული მეხსიერება და თანამედროვეობა:საქართველოსა და უკრაინის შემთხვევები (თეზისები). Историческая память и современность: случай Грузии и Украины (Тезисы)

მოხსენების ანოტაცია

1. მოხსენებაში გახილულია საქართველოში დემოკრატიის ევოლუციური განვითარების პროცესი, რამაც ავტორთა აზრით, შეიძინა ქანქარისებრი ხასიათი, როცა დემოკრატიზაციისა და ავტორიტარიზმის ციკლები პერიოდულად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. დემოკრატიული განვითარება ეს არის დემოკრატიული რესურსებისა და დემოკრატიული პოტენციალის აკუმულაციის პროცესი. დემოკრატიის რესურსებს კი შეადგენენ ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი კონტროლისა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული მმართველობის ინსტრუმენტები, რომელთა ერთობლიობაც წარმოშობს საზოგადოების დემოკრატიულ პოტენციალს: პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოება, საარჩევნო სისტემა, თვისუფალი მედია, და ა. შ. საქართველოს პოლიტიკური განვითარების მთვარი ტრენდი დემოკრატიულია, რომლის წყაროსაც წარმოადგენს ქართული საზოგადოების ვესტერნიზაციის შედარებით მაღალი დონე. გამსახურდიას რეჟიმისაგან განსხვავებით, ელექტორალურ-ავტორიტრაული რეჟიმები ზრდიდნენ საზოგადოების დემოკრატიულ პოტენციალს. ამიტომ ქვეყნის დემოკრატიული განვითარება არ შეწყვეტილა ავტორიტარული ციკლების დროსაც კი.

2. ისტორიული მეხსიერება მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე პოლიტიკური აქტიურობის მოტივაციისა და მიზნების ფორმირებაში. ის თუ ისტორიული მეხსირება როგორ აყალიბებს თანამედროვეობას შეიძლება დავაკვირდეთ საქართველოს მაგალითზე, სადაც საჯაროობისა და გარდაქმნის დროს, საქართველოს ისტორიის გადამწყვეტი მოვლენების ფართო და თავისუფალმა განხილვამ შეცვალა საზოგადოების ისტორიული ცნობიერება, რამაც გამოიწვია მისი დამოკიდებულების შეცვლა არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ წყობილებისადამი. ისტორიული მეხსიერება, რომელიც ყალიბდება ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, ეროვნულ იდენტობისა და ეროვნული სიამაყის წყაროს წარმოადგენს. კაზაკების ისტორია განსაკუთრებულ როლს

ასრულებს უკრინული ეროვნული თვითშეგნებისა და ეროვნული სიამაყისათვის, რაც კარგად ჩანს უკრაინის ეროვნული ჰიმნის მაგალითზე, სადაც საუბარია უკრაინელების კაზაკური ფესვების შესახებ. უკრაინელებისა და ქართველი ხალხების ისტორიულ მეხსიერებაში შეიძლება დავინახოთ ბევრი საერთო, რასაც მათი ისტორიული ბედის მსგავსება უდევს საფუძვლად. საერთო ისტორიული გამოცდილება და ისტორიული მეხსიერება განაპირობებს იმას, რომ ქართველებს კარგად ესმით უკრაინელების ეროვნული გრძნობები და მათ ბრძოლას რუსული აგრესიის წინააღმდეგ განიხილავენ, როგორც საკუთარ ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის.

ვლადიმერ ნაფეტვარიძე

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტი - YS-21-2606

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები - 2021-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ვლადიმერი ნაფეტვარიძე (პროექტის ხელმძღვანელი)

2. მალხაზ მაცაბერიძე (ახალგაზრდა მეცნიერის სამეცნიერო ხელმძღვანელი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის განხორციელება იწყება 2022 წლის იანვარში. კვლევის დასრულების შემდეგ, 2023 წლის მიწურულს დაგეგმილია მონოგრაფიის და სამეცნიერო სტატიის გამოცემა.

მოცემული პროექტის, სახელწოდებით „ხელოვნური ინტელექტი სახელმწიფო მართვის პროცესში“ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს უახლესი ტექნოლოგიების, კერძოდ კი ხელოვნური ინტელექტის სახელმწიფო მართვის პროცესში ინტეგრაციის ევროპული გამოცდილების შესწავლა და აღნიშნული კვლევის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტის შემუშავება.

21 საუკუნეში ინტერნეტის და კომპიუტერული სისტემების სწრაფ განვითარებასთან ერთად, სახელმწიფოს მართვის პროცესი სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდა თანამედროვე ტექნოლოგებზე, რამაც სამყარო ელექტრონული მმართველობის კონცეფციამდე მიიყვანა. ეს არის ცნება, რომელიც მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ციფრულ კომუნიკაციის გულისხმობს და მოიცავს ურთიერთობის განსხვავებულ ფორმებს და დონეებს. ელექტრონული მმართველობა მოიცავს ციფრული ურთიერთობის როგორც მარტივ, ასევე განვითარებულ და რთულ ფორმებს. თანამედროვე სამყაროში შესაძლებელია მოქალაქემ ინტერნეტის საშუალებით, მთავრობის მუშაობის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია მიიღოს ინტერნეტის გამოყენებით.

ელექტრონული მმართველობა მოიცავს ციფრული კომუნიკაციის ისეთ ფორმასაც, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურები საზოგადოებს საჯარო სერვისებს ციფრული გზების გამოყენებით აწვდიან, რათა საჯარო მმართველობის პროცესი გაცილებით გამჭვირვალე, ეფექტიანი და ეკონომიური იყოს. ელექტრონული მმართველობის განსხვავებულ სახეს წარმოადგენს ე.წ. ციფრული დემოკრატია, რომელიც სახელმწიფო მართვის პროცესში მოქალაქეთა ელექტრონული გზით ჩართულობას გულისხმობს, თანამედროვე სახელმწიფოები ნერგავენ ისეთ ინოვაციურ სერვისებს, როგორიცაა ინტერნეტ არჩევნები, ელექტრონული პეტიციები და ა.შ. რაც უფრო ვითარდება ინფორმაციული ტექნოლოგიები, ელექტრონული მმართველობა უფრო და უფრო რეალისტური და მასშტაბური ხდება. ინფორმაციულ ეპოქაში სახელმწიფოები, თუ სხვადასხვა ორგანიზაციები, მოქალაქეთა შესახებ უზარმაზარ მონაცემებს ფლობენ, რომელთა შესაბამისი გადამუშავება, კიდევ უფრო განავითარებს ელექტრონული მმართველობის მოდელს. თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოები, უკანასკნელ წლებში ნერგავენ განსხვავებული ტიპის მონაცემთა დამუშავების განსხვავებულ მეთოდებს, რომელთა გამოყენება სახელმწიფო მართველობის პროცესის ეფექტიანობის გასაზრდელად ხდება. იმისთვის, რომ მოხდეს არსებული მონაცემების დამუშავება, ბევრ ქვეყანაში დაიწყეს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, რომელიც უფრო და უფრო აქტიურად ინერგება ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა, ეკოლოგია, სახელმწიფო გადასახადები და ა.შ.

საკითხი იმდენად აქტუალური გახდა, რომ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანამ შეიმუშავა ხელოვნური ინტელექტის დანერგვის და განვითარების სახელმწიფო სტრატეგია/სამოქმედო გეგმა. ხელოვნური ინტელექტის სახელმწიფო მართვის პროცესში გამოყენება ინოვაციური ფენომენია, აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის შესახებ სამეცნიერო კვლევების დეფიციტია, არ არსებობს შესაბამისი კვლევითი ინსტრუმენტები, თუ საყოველთაოდ აღიარებული თეორიული ჩარჩო და ა.შ. მოცემული პროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ევროპის ქვეყნებში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის სახელმწიფო პოლიტიკის მიმდინარეობა და მისი შედეგები ასახვა, შესწავლა განსხვავებული ქვეყნების სამოქმედო გეგმების, რომელთა საფუძველზე, მოხდება გამოვლენა იმ პროექტებისა, რომელიც მიზნად ისახავს ხელოვნური ინტელექტის დანერგვით საჯარო ადმინისტრირების, თუ მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდას, საბოლოო ჯამში კი ისეთი დოკუმენტის შექმნა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება ხელოვნური ინტელექტის სახელმწიფო სტრატეგიის დაგეგმვის პროცესში. მსგავსი ტიპის ნაშრომი განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს საქართველოსთვის და სხვა ისეთი სახელმწიფოებისთვის, რომელთაც ჯერაც არ აქვს ხელოვნური ინტელექტის დანერგვის სახელმწიფო პოლიტიკა შემუშავებული.

კვლევის პირველი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ხელოვნური ინტელექტის თემასთან დაკავშირებული თანამედროვე ლიტერატურის, თუ ოფიციალური დოკუმენტების შესწავლის და შედარების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა AI ტექნოლოგიებთან დაკავშირებით არსებული უახლესი სამეცნიერო ტენდენციების გამოვლენა და მათი წარმოდგენა სტატიის სახით, რომელიც დაიბეჭდა ადგილობრივ რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალ პოლიტიკაში (ISSN 2449 – 2825 E ISSN 2449 – 2833) https://psage.tsu.ge/index.php/Politics/article/view/274/pdf

მეორე საანგარიშო პერიოდის ფარგლებში აღებულ ვალდებულებას, წარმოადგენდა საქართველოში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება და კვლევის პროცესში არსებულ მიგნებებზე საუბარი. ამ მიზნით, რუსთაველის ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტის მფლობელმა, ვლადიმერ ნაფეტვარიძემ 23-25 ივნისს, მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში (იხ. დანართი N1), სადაც მან მოხსენების ფარგლებში სახელწოდებით: „პოლიტიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები“ (იხ. დანართი N2) ისაუბრა ხელოვნური ინტელექტის დანერგვის ევროპულ და ქართულ გამოცდილებასა და გამოწვევებზე. კონფერენციის

მასალის, (რომელიც გამოქვეყნდა 16 ნოემბერს) ხილვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: http://www.es.tsu.ge/index.php/es/article/view/118

აღსანიშნავია, რომ ვლადიმერ ნაფეტვარიძემ საანგარიშო პერიოდის ფარგლებში, დამატებით მონაწილეობა მიიღო საქართველოში ციფრული ტექნოლოგიების ყველაზე დიდ საერთაშორისო კონფერენციაზე: „Georgian IT Innovations Event - Giti 2022“ (იხ. დღის წესრიგი შემდეგ მისამართზე: https://giti.ictbc.ge/agenda?fbclid=IwAR2xhqh9_79C2gyOOjoko9uFnxUvp8qGixNm0BGHOSKkvPU 5aBN5na-o7QE), სადაც მან მოხსენების ფარგლებში (იხ. დანართი N3) ვრცლად ისაუბრა ესტონეთში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის სახელმწიფო პოლიტიკაზე.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ვლადიმერი ნაფეტვარიძე; „ხელოვნური ინტელექტის ფილოსოფიური და პრაქტიკული საფუძვლები”ჟურნალი „პოლიტიკა“ ნომერი 1; ტომი 6; ISSN: 2449-2833 (online). ISSN: 2449-2825 (print). http://www.psage.tsu.ge/index.php/Politics/article/view/274/pdf

ვრცელი ანოტაცია

21-ე საუკუნე თანამედროვე ტექნოლოგიების ხანაა. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ რევოლუცია მოახდინა ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში. ინტერნეტის განვითარებასთან ერთად გაჩნდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა დიდი მონაცემები, ბლოკჩეინ ტექნოლოგიები, ელექტრონული მმართველობა და ა.შ. ტერმინები, რომლებიც სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კაცობრიობის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ახალი და მნიშვნელოვანი ფენომენების

გაჩენამ განაპირობა ახალი აკადემიური მიმართულებების შექმნის აუცილებლობა, თუმცა კვლევის პროცესში ხარვეზს იწვევს ის ფაქტი, რომ ციფრული ტექნოლოგიების განვითარების სიჩქარე აღემატება შესაბამისი სამეცნიერო სფეროს განვითარების ტემპებს. გამომდინარე იქიდან, რომ სამეცნიერო კვლევისა და კვლევის შედეგებზე დაფუძნებული სტატიის გამოქვეყნების პროცესს ზოგჯერ წლები სჭირდება და ტექნოლოგიური პროგრესი კი სულ უფრო ჩქარდება, სამეცნიერო

ლიტერატურა მისი გამოქვეყნების მომენტში ხშირად მოძველებულია და არ ასახავს არსებულ მდგომარეობას. მოცემული სტატიის უმთავრესი მიზანს ხელოვნური ინტელექტის შესახებ უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, AI ტექნოლოგიის მიმართ არსებულ მიდგომებს შორის სხვაობის და მსგავსების დადგენა წარმოადგენს. გან- საზღვრა იმის, თუ რა სამეცნიერო ხედვები არსებობდა ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიასთან დაკავშირებით, როგორ შეიცვალა ის დროთა განმავლობაში და როგორია უახლესი ტენდენციები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ვლადიმერი ნაფეტვარიძე. კონფერენცია: „სივრცე დრო საზოგადოება“ - მოხსენება: „პოლიტიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები“. 2022 წლის http://www.es.tsu.ge/index.php/es/article/view/118

ფორმა №2

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - - -

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით -

მანანა შამილიშვილი - პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
ნინო ჭალაგანიძე - ასოცირებული პროფესორი
რევაზ ჭიჭინაძე - ასოცირებული პროფესორი
ხათუნა კაჭარავა - ასოცირებული პროფესორი
ხათუნა მაისაშვილი - ასოცირებული პროფესორი
მარი წერეთელი - ასოცირებული პროფესორი
მაია ტორაძე - ასოცირებული პროფესორი
ნანული ტალახაძე - ასოცირებული პროფესორი
ნათია კუპრაშვილი - ასოცირებული პროფესორი
თინათინ მაჭარაშვილი- ასისტენ- პროფესორი
თამარ ზელქანია - ასისტენტ-პროფესორი
თეა მჟავანაძე - ასისტენტ-პროფესორი
მარინე ლომიძე - ასისტენტ-პროფესორი
სვანიძე ნათია-ასისტენტ-პროფესორი

მანანა შამილიშვილი

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. „კავკასიის საცენზურო კომიტეტი მე-19-ე საუკუნის საქართველოში და რუსეთის იმპერიული მმართველობის მექანიზმები“; FR-21-8335, 2022 – 2024 წ.წ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თამარ შარაბიძე - პროექტის ხელმძღვანელი, მანანა შამილიშვილი - პროექტის კოორდინატორი, დოდო ჭუმბურიძე - ძირითადი პერსონალი, გოჩა კუჭუხიძე - ძირითადი პერსონალი, ანა დოლიძე - ძირითადი პერსონალი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოში „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საქმიანობის შესწავლა სხვადასხვა კუთხით:

ა. „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საქმიანობის პრიორიტეტების დადგენა კომიტეტის დებულებებიდან, ცენზორთა ანგარიშებიდან და რედაქტორთა განცხადებებიდან გამომდინარე. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში საზოგადოებრივ აზრზე პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონტროლის ზემოქმედებისა და მანიპულირების პრიორიტეტების დადგენა.

ბ. XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში, კრიტიკა-პუბლიცისტიკაში, დრამატურგიაში დამახინჯებული და აკრძალული ტექსტების ბიბლიოგრაფიის შედგენა.

გ. დამახინჯებული, ჩასწორებული და აკრძალული ტექსტების რეკონსტრუქცია და აუთენტური ტექსტების ქართული ლიტერატურისათვის დაბრუნება.

XIX საუკუნის რუსეთის იმპერიული ცენზურის კვლევის შედეგად მოხდება მოძიებული მასალის ახლებური აღწერა, გააზრება, სისტემატიზაცია, შეჯამება, შეფასება, იმპერიის მიერ კოლონიურ ქვეყნებში (კერძოდ, საქართველოში) საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისა და მანიპულირების იმდროინდელი მექანიზმების ძირითადი პრინციპებისა და ტენდენციების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა. პროექტის განხორციელების შედეგად XIX საუკუნის რუსეთის იმპერიული ცენზურის საქმიანობა საქართველოში წარმოჩნდება რაც შეიძლება დეტალიზებულად, სხვადასხვა ასპექტით და ამასთანავე სისტემურად, მთლიანი სახით. პროექტი ითვალისწინებს ინტერდისციპლინარულ კვლევას _ განხილული იქნება ქართველი ერის იდენტობის წინააღმდეგ მიმართული, ეროვნული ინტერესების სრულად დამაზიანებელი იმპერიული საცენზურო პოლიტიკის შედეგები ისტორიულ კონტექსტში. პროექტი იძლევა საშუალებას, შეიქმნას ჰუმანიტარულ სფეროში ახალი მიმართულება _ „ცენზურის ისტორია“. პროექტით გათვალისწინებული კვლევის შედეგები პოსტკოლონიური კვლევების სამომავლო შესწავლაში ძალზედ მნიშნელოვანი იქნება; აუთენტური მხატვრული და კრიტიკულ პუბლიცისტური ტექსტების დადგენა დაეხმარება ტექსტოლოგებს ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებაში.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSNის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მ. შამილიშვილი, „სატელევიზიო ეთერის (მა)ვნებ(ლობ)ანი“, ჟურნალი „კრიტიკა“, # 17, ISSN 0206-5746, თბილისი, 2022, ლიტინსტიტუტის გამომცემლობა, 10 გვერდი.

2. მ.შამილიშვილი, “ამბის თხრობის დრამატურგია ქართულ სოციალურ ქსელში”, საერთაშორისო კონფერენციის „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV” მასალები, 2022, ბსუ -ს გამომცემლობა, 7 გვერდი.

ვრცელი ანოტაცია

1. სტატიაში „სატელევიზიო ეთერის (მა)ვნებ(ლობ)ანი“ წარმოჩენილია თანამედროვე მედიაში სუიციდის გაშუქების ნეგატიური გამოცდილება. ნაშრომში საუბარია პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე, პრევენციულ მექანიზმებსა და მედიის ბრალეულობაზე ამ უკიდურესი ქმედების გაშუქებისას. საკითხი განხილულია გახმაურებული შემთხვევების ანალიზზე დაყრდნობით. კონკრეტული ნიმუშების მოხმობით დადასტურებულია როგორც მედიით არაპროფესიონალურად გაშუქებული თვითმკვლელობის მიბაძვის ტენდენცია, ე.წ. „ვერტერის სინდრომი“, ასევე მისი პრევენციისთვის, ე. წ. „პაპაგენოს ეფექტისთვის“ საჭირო ღონისძიებების მნიშვნელობა. მედიის საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების სხვადასხვა თეორიის ჭრილში გაანალიზებულია ამ ორი ფენომენის არსი, მათი წარმოქმნის ისტორია და განხილულ პრობლემასთან ლიტერატურული პროტოტიპების კავშირი.

2. სტატიაში “ამბის თხრობის დრამატურგია ქართულ სოციალურ ქსელში” წარმოჩენილია ქსელურ მედიაში ამბის თხზვის სპეციფიკა. დასახული მიზნის მისაღწევად თეორიული ჩარჩოს სახით გამოყენებულია ელიჰუ კატცისა და პოლ ლაზერფილდის „კომუნიკაციის ორსაფეხურიან თეორია“, რომლის მიხედვით, იდეები გადაეცემა ჯერ მედიიდან გავლენიან ადამიანებს, შემდეგ კი მათი მეშვეობით - ფართო საზოგადოებას. შერჩეული ნიმუშები განხილულია თვისებრივი კვლევის მეთოდით. დასაკვირვებელი ტექსტების შერჩევის კრიტერიუმებად გათვალისწინებულია ავტორების პროფესიული კომპეტენცია, მრავალრიცხოვანი მიმდევარი („გამომწერი“) სოციალურ ქსელში, სტატუსების გამოქვეყნების ინტენსივობა და აქტუალურ თემებზე მსჯელობა. პოპულარული ავტორების პოსტინგზე დაკვირვებით განხილულია ამბის თხრობის დრამატურგია, გამოკვეთილია მულტიმედიური ნარატივის ძირითადი მახასიათებლები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მ. შამილიშვილი, „სთორითელინგის“ სპეციფიკა ქართულ ინტერნეტმედიაში“, შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო კონგრესი - "მსოფლიო ლიტერატურების გადააზრება: გლობალური და ლოკალური, ცენტრალური და მარგინალური მიმართულებები", 25 - 30 ივლისი, 2022, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

2. მ. შამილიშვილი, “ამბის თხრობის დრამატურგია ქართულ სოციალურ ქსელში”, საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV”, 02-04 დეკემბერი, 2022, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნინო ჭალაგანიძე

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. „ქართული საბავშვო ლიტერატურა - დედაენიდან სალამურამდე“,

- სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმი; სამეცნიერო მიმართულება: ჰუმანიტარული მეცნიერებები, მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი: SPG-22-213; პროექტის დაწყებისა და დასრულების წლები: 1.09.2022-1.07.2023. ბმული: https://rustaveli.org.ge/res/docs/7ee2eb209d71143ad9db108a253554ae60648412.pdf

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის ხელმძღვანელი: ი. რატიანი;

პროექტის კოორდინატორი: ლ. მეტრეველი;

პროექტის ძირითადი პერსონალი, პროდიუსერი: ნ. ჭალაგანიძე,

პროექტის დამხმარე პერსონალი, რეჟისორი: ს. მელაძე,

პროექტის დამხმარე პერსონალი, ჟურნალისტი: ლ. ზამბახიძე,

პროექტის დამხმარე პერსონალი, ოპერატორი: ე. შაყულაშვილი,

პროექტის დამხმარე პერსონალი: ლ. მებურიშვილი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის ფარგლებში 2022 წლის პროექტი: ქართული საბავშვო მწერლობა. „დედაენიდან“ „სალამურამდე“. პროექტი მოიცავს ცხრა საუბარს იმ ქართველი ავტორების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებაში. ეს ავტორებია:

- იაკობ გოგებაშვილი;
- აკაკი წერეთელი;
- ვაჟა-ფშაველა;
- შიო მღვიმელი;
- ეკატერინე გაბაშვილი;
- რევაზ ინანიშვილი;
- ოტია იოსელიანი;
- ნოდარ დუმბაძე;

 არჩილ სულაკაური.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღემდე, საბავშვო მწერლობა ქართული ლიტერატურის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ სფეროს წარმოადგენს და მხოლოდ ერთეული სამეცნიერო გამოკვლევები არსებობს აღნიშნულ თემაზე.

შესაბამისად, ახალი საპროექტო განაცხადი ძალზე საინტერესო და დროული გამოწვევაა. სამეცნიერო-შემეცნებითი ფილმები, ფაქტობრივად, იქნება პირველი მცდელობა დავიწყოთ ღია საუბრები უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართული საბავშვო ლიტერატურის შესახებ. წამყვანი ქართული ლიტერატურათმცოდნეები, აგრეთვე, თანამედროვე საბავშვო მწერლები,

წარმოადგენენ საკუთარ რეფლექსიებს საბავშვო მწერლობის კლასიკოს ავტორებზე, შეაფასებენ მათ მნიშვნელობას და გავლენას თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურის ფორმირების პროცესზე.

პროექტს განსაკუთრებულ ხიბლს შესძენს ფილმების ჩაწერის ლოკაციები, ვინაიდან გადაღებების სივრცეებად მოვიაზრებთ საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსების სახლ-მუზეუმებსა და საცხოვრებელ სახლებსაც.

პროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქართველი საბავშვო მწერლებისა და მათი ღვაწლის წარდგენა, ერთი მხრივ, ქართული, მეორე მხრივ, კი მსოფლიო საზოგადოებისთვის. ფილმები მომზადდება ქართულ ენაზე და, დამატებით, ითარგმნება ინგლისურ ენაზეც. თარაგმანი დაერთვება ტიტრებად, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საერთაშორისო აუდიტორიის ინტერესსა და გაადვილებს ფილმის გავრცელებას საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში.

N სხვა აქტივობები

1. კსუ მულტიმედია ცენტრის მიერ შექმნილი სასწავლო-შემეცნებითი დოკუმენტური ფილმების ორნაწილიანი ციკლი: „ყვარლიდან მთაწმინდამდე გურამ შარაძის მოტივებზე“, II ნაწილი, თოთხმეტი სერია, მიმართულების პროდიუსერი.

იხ. ბმული: https://www.youtube.com/watch?v=eelPqmB--5E

2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“, ბათუმი, 2022; კონფერენციის სამეცნიერო საბჭოს წევრი, მასობრივი კომუნიკაციებისა და მედიის კვლევების პირველი სხდომის თავმჯდომარე, მომხსენებელი shorturl.at/nsBEP

რევაზ ჭიჭინაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.რევაზ ჭიჭინაძე, დამხმარე სახელმძღვანელო „ახალი მედიუმი - ციფრული მედია და მედიაარტის ძირითადი სახეები“, ISBN 978-9941-9767-7-3, თბილისი, გამომცემლობა კენტავრი, 125გვ

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ახალი მედიის შესახებ ბევრი და მუდმივად განახლებული წიგნები თუ პუბლიკაციები გამოიცემა. ეს ის სფეროა, რომელიც ტექნოლოგიურ სიახლეებს სწრაფად ითვისებს და შემდგომ ახლებურ პროდუქტს გვთავაზობს. სპეციალისტთა უმრავლესობა, ვინც ციფრული მედიის ახალი ფორმების შესახებ, სახელმძღვანელოს, ან დამხმარე სახელმძღვანელოს წერს, შესავალ ნაწილში აღნიშნავს, რომ მათი წიგნი, გამოცემისას, შესაძლოა უკვე მოძველებული იყოს. ჩვენს შემთხვევაშიც, თავდაპირველად, ამ სტილის შესავალი იყო გადაწყვეტილი, მაგრამ მიგვაჩნია, რომ საკომუნიკაციო პროცესის ეტაპების აღწერა და განმარტება მნიშვნელოვანია დარგის შემდგომი განვითარებისთვის.

ამგვარი დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის იდეა გაჩნდა მას შემდეგ, რაც გამოიცა სამეცნიერო-კვლევითი კრებული „კულტურა მედიაში“ (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორის სამინისტროს პროგრამა „ორიენტირის“ ფარგლებში, 2019), სადაც ერთი ნაწილი ახალ მედიას ეთმობა. სწორედ ეს კვლევა და მასზე არსებული მოთხოვნა (როგორც სტუდენტების, ისე პედაგოგებისა და დარგის სპეციალისტების მხრიდან), გახდა ერთგვარი ინსპირაცია, რომ მის საფუძველზე შექმნილიყო უფრო სრული ნაშრომი, სადაც გაეცობით, თუ როგორ გადავიდა მედია ანალოგურიდან ციფრულ მატარებელზე, რა სხვაობა ამ ორ სიგნალს შორის და რატომაა დღეს სასურველი ციფრული მაუწყებლობა. აქვე განმარტებულია ისც, თუ რას ნიშნავს ინფორმაციული საზოგადოება. ჩვენ შევეცადეთ, ნაშრომში ახალი მედიის რაობა სხვადასხვა რაკურსით წარმოგვეჩინა. აქ გაეცნობით ე.წ. უნივერსალური ჟურნალისტის და ინტერნეტ ჟურნალისტიკის პრინციპებს. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია ჰიპერტექსტი, მულტიმედიური პროდუქტები და ის უპირატესობები, რაც თანამედროვე ჟურნალისტიკაში გააჩნია ე.წ. დიზაინ აზროვნებას.

ნაშრომი არა მხოლოდ ჟურნალისტიკას, არამედ თანამედროვე მედიის ჰიბრიდულ მოდელებსაც ეხება. გაანალიზებულია ე.წ. ნიუსრუმის გარდაქმნის პროცესი და ინტეგრირებული მუშაობის სტილი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალი მედია მნიშვნელოვნად ცვლის არა მხოლოდ ჟურნალისტიკას, არამედ ის გვევლინება როგორც ხელოვნების ახალი ჟანრების შემქმნელი. შესაბამისად, განვიხილავთ ახალი მედიაარტის ძირითად მიმართულებებსა და ტრანსმედიურობის თეორიას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. რევაზ ჭიჭინაძე, „თანამედროვე მოქალაქე, როგორც მედიის გამოწვევა“, თბილისი 2022, http://www.tafu.edu.ge/files/pdf/conf/XV_art/Abstracts-2022-WEB.pdf

ხათუნა მაისაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. კვლევა - რამდენად მიღწევადია კონცეპტუალური ერთობა პროფესიაში შესავალი კურსის სწავლებისას

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ხათუნა მაისაშვილი, თსუ ასოცირებული პროფესორი, ინდივიდუალური პროექტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1. კვლევა შეეხება პროფესიაში შესავალი კურსის შინაარსსა და მეთოდიკას საქართველოში აკრედიტებულ იმ უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებშიც სხვადასხვა სტატუსის სასწავლო-ადმინისტრაციულ ერთეულში ინტეგრირებულია ჟურნალისტიკის/მედიის/კომუნიკაციის/მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამები. სულ შესწავლილ იქნა 8 უმაღლესი სასწავლებლის პრაქტიკა: თსუ, სტუ, სდასუ, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ნახევრად სტანდარტიზებული ორი კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა 18 რესპონდენტი: 8 პროგრამის ხელმძღვანელი და 10 საგნის პროფესორი.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები;სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში);ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში);გამოცემისადგილი, გამომცემლობა;გვერდებისრაოდენობა

1. ხათუნა მაისაშვილი, ნათია სვანიძე, ქრისტინე საჯაია, ნათია ბრეგვაძე, მარიანა ასანიძე, ისტორიის გადააზრება გლასნოსტის პერიოდის ქართულ ოფიციალურ პრესაში. Re-Thinking of History in Glasnost-Period Georgian Official Press; Publication date 2022/1/11; Journal Advances in Journalism and Communication; Volume10; Issue 1; Pages 25-39 Publisher; Scientific Research Publishing; https://scholar.google.com/citations?view_op=view_citation&hl=en&user=xF2w0XoAAAAJ&citation_for_view=xF2w0XoAAAAJ:hqOjcs7Dif8C

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლებიმოხსენებისსათაური;ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

1. Khatuna Maisashvili, „Factors of Georgian Politics influenced Abkhazian-Georgian Relationships in Media Representation. 2002-2010“ ; Authors: Publication date: 2022/4; Conference: 24th PARIS International Conference on Marketing, Education, Social Sciences and Humanities (MESSH-22); Volume: 1; Issue ISBN – 978-989-9121-02-7;Pages; 17-28; Scholar articles Factors of Georgian Politics influenced Abkhazian-Georgian Relationships in Media Representation. 2002-2010*

მარი წერეთელი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის მრავალწლიანი პროექტი - ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია . 2006-2022 წ.წ. (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები).

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარი წერეთელი - თსუდან მიწვეული მკვლევარი, ძირითადი პერსონალი

2. ლეილა სულხანიშვილი - ფილოლოგიის დოქტორი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი.

3. მანანა ბარათაშვილი -ფილოლოგიის დოქტორი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი.

3. ნინო მამარდაშვილი -ფილოლოგიის დოქტორი. პროექტის ხელმღვანელი.

4. მანანა ყიფიანი -ფილოლოგიის დოქტორი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი.

5. ნანა ზღულაძე -ი.ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია - პროექტი მოიცავს პერიოდს - 2010 წლიდან 2020 წლამდე. 2010 წელს გამომცემლობა ,,უნივერსალმა~ დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია (1837-1907) –,,სიტყვანი“. პროექტის მეორე ეტაპი დაიწყო 2010 წლიდან. დასახელებული პროექტის ფარგლებში 2022 წელს ილია ჭავაჭავაძის კვლევის ცენტრი აგრძელებდა პროექტზე მუშაობას. მისი სახელწოდებაა - ,, ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიისათვის-მასალები”, რომელშიც აისახა შემდგომი კვლევის შედეგები. წიგნს დაემატა მნიშვნელოვანი მასალა, შედეგად, გაფართოებული, შევსებული სახით წარმოდგა ე.წ.,,პერსონალიები~, რომელშიც თავს იყრის პიროვნებათა ბიოგრაფიისა და ღვაწლის ამსახველი მონაცემები. კვლევის პროცესში დამუშავდა პირველწყაროები, დიდძალი საარქივო მასალა (მათ შორის საოჯახო არქივები), პერიოდული გამოცემები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თეატრალური, ეთნოგრაფიული და სხვა საზოგადოებების, მრავალი ორგანიზაციის შემონახული დოკუმენტაცია. ასევე, ინტერნეტრსივრცეში არსებული უამრავი წყარო. შესწავლილ იქნა თავად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ტომეულებიც, ილიას ბიბლიოგრაფია, საიუბილეო კრებულები, მემუარული ლიტერატურა, ქართული და უცხოური ენციკლოპედიები, პერიოდული გამოცემები, ბიბლიოგრაფიული ცნობარები, რათა შედარებითი ანალიზით დადგენილიყო ცალკეული დოკუმენტების, მონაცემებისა და ფაქტების უტყუარობა. გასწორდა თავად ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში არსებული ცალკეული უზუსტობანი. კვლევა-ძიების არეალი მოიცავდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის იმპერიის, ევროპისა და

ზოგადად, მსოფლიოს იმჟამინდელ ისტორიულ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ გეოგრაფიულ სივრცეს.

პროექტის მოცემულ ეტაპზე პარალელურად ვმუშაობდით ტექსტის რედაქტირებასა და სრულყოფაზე, მასალის შევსებასა და ფაქტობრივი მონაცემების დაზუსტებასა და დიდძალ წყაროებთან შეჯერებაზე. ასევე დამუშავდა მე-19 საუკუნის პრესა, ანუ მონაცემები იმ ქართულ და უცხოურ პერიოდული გამოცემებიდან, რომლებიც ექცევა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღაწეობის პერიოდის არეალში. ასევე , უშუალოდ პირველწყაროებიდან ზუსტდება წიგნში შესული, იმ პერიოდში გამოქვეყნებული ცალკეული მწერლის, პუბლიცისტისა თუ მთარგმნელის ცალკეული ნაწარმოების დაბეჭდვის ზუსტი თარიღები და ბიბლიოგრაფიული მონაცემები. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ წიგნი 2022 წლის იანვრის თვეში დაბეჭდა გამომცემლობა ,,უნივერსალმა“.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდები

1. მარი წერეთელი, ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია -მასალები, ISBN978-9941-33-106-0, თბილისი, გამომცემლობა ,,უნივერსალი“, 1247 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2022 წელს გამომცემლობა ,,უნივერსალმა“ დაბეჭდა წიგნი ,,ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია - მასალები“, რომელიც ეძღვნება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგის, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას. წიგნი მომზადდა ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრში, საგრანტო პროექტის, ,,ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის" ფარგლებში.,, ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია - მასალები ~, პროექტის მეორე - ახალი გამოცემაა.

წიგნი ,,ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია - მასალები~, აისახა მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა, შესაბამისად, XIX საუკუნის პოლიტიკური და კულტურული გარემო, ,,საუკუნის მკვლელობად" სახელდებული ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული აღსასრულის ჩათვლით. მასში ახლებურად არის წარმოჩენილი მნიშვნელოვანი წარსული, იდეურად პოლარიზებული საზოგადოებრივი სივრცე, რთული და საინტერესო დრო, რომელიც მოიცავს პერიოდს - 1837-დან 1907 წლამდე.

მოძიებული, შესწავლილი და დადგენილი იქნა მრავალი მოვლენა, ფაქტი, თარიღი, მონაცემი, პიროვნება, ტოპონიმი, პერიოდული გამოცემა და სხვ. წიგნის მონაცემები ეფუძნება პირველწყაროებს, დიდძალ საარქივო მასალას (მათ შორის საოჯახო არქივებს), პერიოდული გამოცემებს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თეატრალური, ეთნოგრაფიული და სხვა საზოგადოებების, მრავალი ორგანიზაციის შემონახულ დოკუმენტაციას, ასევე, ინტერნეტრსივრცეში არსებული წყაროებს - თავად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ტომეულებს, ილიას ბიბლიოგრაფიას, საიუბილეო კრებულებს, მემუარულ ლიტერატურას, ქართულს და უცხოურ ენციკლოპედიებს, პერიოდულ გამოცემებს, ბიბლიოგრაფიულ ცნობარებს. შედარებითი ანალიზით დადგინდა ცალკეული დოკუმენტის,

მონაცემებისა და ფაქტების უტყუარობა. წიგნის არეალი მოიცავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის იმპერიის, ევროპისა და ზოგადად, მსოფლიოს იმჟამინდელ და ისტორიულ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ გეოგრაფიულ სივრცეს.

წიგნში ,, ილია ჭავჭავაძის ენციკლოპედია - მასალები“ მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1. ილიას თხზულებები

2. პერსონალიები (ილიას კულტურულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივი გარემოცვა – ნათესავთა, ახლობელ-მეგობართა და ნაცნობთა წრე; ილიას მიერ მოხსენიებული პიროვნებები მხატვრულ შემოქმედებაში, ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებსა და კერძო მიმოწერაში, ლიტერატურული და მითოლოგიური პერსონაჟები)

3. გეოგრაფიული სახელები

4. ილიას დროინდელი პერიოდიკა

წიგნის მოზრდილი ნაწილია ე.წ. პერსონალიები, რომელიც თავს უყრის არა მხოლოდ პიროვნებათა ბიოგრაფიისა და ღვაწლის ამსახველ ფაქტობრივ მონაცემებს, არამედ ილიას თანამედროვეთა წარმოჩენით ცხადდება მათი მსოფლმხედველობრივი და პარტიული კუთვნილება, რაც განსაზღვრავდა ილია ჭავჭავაძისა და მის იდეურ მომხრეთა მიმართ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისა თუ ჯგუფის დამოკიდებულებას. სწორედ ,,პერსონალიებში“ მკაფიოდ ჩანს წარსულის წინააღმდეგობრივი და აწ უკვე გადაფასებული, უაღრესად მრავალმხრივი სურათი, ზოგადად, ილიას დროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნიადაგის რაგვაროვნება.

წიგნი ,,ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია - მასალები", ასახავს ეპოქის კულტურული ცხოვრების მეტ-ნაკლებად მთლიან სურათს, ვინაიდან სწორედ ასეთი მთლიანობა ქმნიდა მწერლის ირგვლივ არსებულ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოს, ლიტერატურულ პროცესს, და რაც მთავარია, მეტი სისრულით წარმოაჩენს თავად ილია ჭავჭავაძის პიროვნებას.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მარი წერეთელი, ,,უკრაინის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების რეპრეზენტაცია - 1917-1918 წლების გაზეთ ,,საქართველოს“ პუბლიკაციათა რაკურსში“; ინტერდისციპლინური საერთაშორისო რეფერირებული სამეცნიერო ონლაინჟურნალი “გარემო და საზოგადოება”, ტ. 6 No. 6 (2022): №6 , ISSN 2667-9620 (online), 26 გვ. ონალინმისამართი: https://es.tsu.ge/index.php/es/article/view/125

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში შესწავლილია ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ ,,საქართველოს“ (1915-1921) პუბლიკაციები, რომლებიც ასახავს 1917-1918 წლების უკრაინის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის ისტორიული წანამძღვრებს. საკვლევი საკითხის აქტუალურობას განაპირობებს თემის თანამედროვე რაკურსი. კერძოდ, ის გარემოება, რომ 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალები დეკლარირებული ე.წ. სამშვიდობო მისიით, უკრაინის „დემილიტარიზაციისა და დენაციფიკაციის“ მოტივით შეიჭრნენ მის

ტერიტორიაზე, რის შედეგად უკრაინასა და რუსეთს შორის დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უპრეცედენტო სამხედრო დაპირისპირება ევროპის კონტინენტზე, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა, მათ შორის საქართველოს უსაფრთხოებას.

უკრაინაში მიმდინარე პროცესები, უკრაინისა და ბოლშევიკური რუსეთის ურთიერთობის ისტორიული ასპექტები მაშრომში განხილულია გაზეთ ,,საქართველოს“ პუბლიკაციათა მაგალითზე, რაც დღემდე არ ყოფილა საგანგებო კვლევის საგანი. საგაზეთო პუბლიკაციების კვლევა შესაძლებელს გახდის, გავიაზროთ თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემის ისტორიული კონტექსტი, მისი პოლიტიკური თუ სოციალური ასპექტები.

საკვლევი თემა ასევე, აქტუალურია აღნიშნული ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა გაანალიზების კუთხით. 1917 წლის 7 ნოემბრის ბოლშევიკური გადატრიალების შედეგად, რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნები და ხალხები ბოლშევიკური ოკუპაციისა და ანექსიის საფრთხის წინაშე აღმოჩდნენ. ახალი რეალობის წინაშე იყო უკრაინაც, რომლის ტერიტორიაზეც მონიშნულ პერიოდში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი.

1918 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ უკრაინის წინააღმდეგ განახორციელა სამხედრო შეტევა, რის შემდეგაც, 1918 წლის 22 იანვარს უკრაინის სახალხო რესპუბლიკამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. სწორედ ამ სახით იარსება მან 1922 წლამდე - საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლამდე.

გაზეთ ,,საქართველოსთვის“, როგორც ეროვნული სარედაქციო პოლიტიკის მქონე მთავარი გამოცემისათვის, პრიორიტეტულია რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების მომავალი, მათი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ასახვა. ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალიზდება პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) პერიოდში მიმდინარე პროცესებისა და დამდგარი გეოპოლიტიკური სინამდვილის პირობებში.

მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ აღნიშნულმა პროცესებმა დიდწილად განსაზღვრა შემდგომი მოვლენები და თანამედროვე რეალობაც. ამდენად, ამ რაკურსით საკითხის შესწავლა პრობლემის გენეზისის გააზრებას და თანამედროვე ტენდენციების ანალიზსაც უწყობს ხელს.

უკრაინის თემაზე გაზეთ ,,საქართველოს“ საკვლევი პუბლიკაციები ასახავს ქვეყნის სამოქალაქო ომის პერიოდს - 1917 წლის ნოემბრიდან, ვიდრე უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1918 წლის 22 იანვრამდე, ასევე, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ფორმირების პროცესს. აღნიშნულ თემაზე ,,საქართველომ“ 200 სხვადასხვა მოცულობის პუბლიკაცია გამოაქვეყნა. მასალა, მეტწილად, ინფორმაციულია და მოვლენებს ქრონოლოგიური პრინციპით ზედმიწევნით წარმოაჩენს. მისთვის დამახასიათებელია: მოვლენურობა, დოკუმენტურობა, პროცესების ასახვის სიზუსტე და უტყუარობა. გაზეთს გამოყოფილი აქვს საგანგებო, მუდმივი რუბრიკები: ,,ეროვნული საკითხი - რუსეთი და უკრაინა“, ,,უკრაინა“, ,,უკრაინის ამბები“, ,,უკრაინაში“. ყველაზე უფრო ოპერატიული ამბები იბეჭდება რუბრიკით, ,,უკანასკნელი დეპეშები“. გაზეთი, რუბრიკით ,,ყირიმი“, აქვეყნებს პუბლიკაციებს ყირიმში მიმდინარე მოვლენების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მასალები მოძიებულია სხვადასხვა პერიოდული გამოცემიდან, ასევე საინფორმაციო წყაროებიდან. გაზეთი ბეჭდავს ცალკეულ დოკუმენტებსაც, საკანონმდებლო და მმართველობითი ორგანოების გადაწყვეტილებებს - სამთავრობო განკარგულებებს, დეტალურ ინფორმაციებს არჩევითი ორგანოების შესახებ. საგაზეთო პუბლიკაციები ასახავს უკრაინაში მიმდინარე ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის პერიპეტიებს, ცალკეული შეტაკებების სურათებს, პოლიტიკური და საარჩევნო ორგანოების ფორმირების პროცესს. აღსანიშნავია, რომ გაზეთი ,,საქართველო“ ყურადღებას ამახვილებს უკრაინის იმდროინდელ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზეც. გამოცემა ერთიანი სარედაქციო მიდგომით

განიხილავს დაპყრობილი ქვეყნების მდგომარეობას და მხარს უჭერს მათ ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენათა ასახვის პარალელურად, წარმოჩენილია ბოლშევიზმის, როგორც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მაძიებელი ქვეყნებისთვის საერთო საფრთხის, არსი, რაც ზოგადად, გამოცემის პუბლიცისტური დისკურსის მთავარი მახასიათებელია.

კვლევის პროცესი გულისხმობს საარქივო მუშაობას - საგაზეთო მასალათა მოძიებას, სისტემატიზება -კლასიფიკაციას, პუბლიკაციათა შინაარსობრივ ანალიზს. ნაშრომი ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომებს. თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ფრეიმინგის თეორია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მეშვეობით, საკვლევი საკითხი გაანალიზდება კომპლექსურად, კონტექსტურ ცოდნაზე დაფუძნებით.

კვლევის შედეგად შესაძლებელი იქნება XX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდში გამომავალი გაზეთ ,,საქართველოს“ სადღეისოდ აქტუალური კუთხით შესწავლა და საკვლევი საკითხის თანამედროვე რეცეფცია.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მარი წერეთელი, Representation of Socio-Political Events in Ukraine in the Context of the Publications of the Newspaper "Sakartvelo" of 1917-1918, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისისსახელმწიფო უნივერსიტეტი.საერთაშორისო კონფერენცია ,,სივრცე, საზოგადოება , პოლიტიკა“.23-25 ივნისი, 2022 წ.ქ. თბილისი, http://es.tsu.ge/index.php/es/article/view/102

მაია ტორაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებითავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1) Maia Toradze, Mariam Gersamia, „Media Environment in Georgia during the Crisis“ Gerogian Scientistis; 2022; Journal DOI: https://doi.org/10.52340/gs Vol. 4 No. 4 (2022) https://orcid.org/0000-0002-8369-0275, https://orcid.org/0000-0001-9092-9232 DOI: https://doi.org/10.52340/gs.2022.04.04.25

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1) Maia Toradze, Mariam Gersamia, ”Media Environment and Safety of Journalists During the Crisis in Georgia: Threats and Supportive Instruments“, Tbilisi state University, International Conference - Space, Society, Politics (SSP) abstracts, Vol. 5 No. 5 (2022):

http://www.es.tsu.ge/index.php/es/article/view/56

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1) Maia Toradze, Mariam Gersamia, Liana Markariani, „Safety of journalists and the issue of impunity during the Crisis in Georgia“, Ending Impunity for Attacks on Journalists International Virtual Symposium Sponsored by Communication Law & Policy and the Brigham Young University School of Communications, November 18, 2022; Time: Nov 18, 202

Abstract

Viable, free media is a crucial component of democratic progress in Georgia. 30 years after the collapse of the Soviet Union and gaining independence, safety of journalists while carrying out professional duties and impunity continues to be one of the key indicators of what constitutes progress in the country’s media democracy. Creating a safe environment for journalists is directly related to ending impunity. In this context, the term “safety” refers to and includes the joint package of understanding the problems of security and impunity, that is, the need to develop a mechanism of suspending / coming up with a restraining factor 1 . In 2022, the full-scale invasion of Russia in Ukraine revealed existed and additional threats in media environment, e.g. risks linked to disinformation and Russian malign influence.

The aim of the research is to distinguish the traits prevalent to the media environment (impunity included) in Georgia during the times of global (war, pandemic) and local crisis throughout 2021 and 2022. The study replicates the research of 2021 and fucus-group discussions conducted in November (2022) and analyses the cases of attacks on journalists that have not been investigated.

The research answers the questions as it follows:

• What are the factors that reinforce impunity, self-censorship and escalation of fear in Georgian media?

• How risks of impunity are reinforced during the crisis, political polarization or decline of democracy?

• How stereotypes, dis-mis information, hoaxes about journalists and hate speech towards media are linked with impunity?

• What are some of the support mechanisms for the improvement of media environment and what needs to be done so that to end impunity?

One macro-threat that emerged from the previous studies (2021) was incitement of physical and verbal violence towards journalists (this includes hate speech and the use of aggressive rhetoric by the state). The crimes committed in 2021 and earlier towards journalists are not investigated. These media threats reinforce self-censorship and fear, destabilise media institutions' viability and negatively affect demonstration of solidarity and support towards media. One of the identified macro-threats towards journalists remains the lack of investigation on crimes (e.g. illegal surveillance) committed against journalists and/or impunity, as an encouraging factor. Procrastination during crime investigations and impunity for the perpetrators pose systemic threats that act as motivating factors for further aggression and prevent the formation of a secure media environment. Journalists in Georgia can no longer see the deterrent and preventive measures being implemented (specifically, punishing perpetrators) even during formal statements made after specific cases of violence against members of the media. In their opinion, "the government is creating an imitation as though they are in fact investigating violence and crimes against journalists" (Focus group participant, 2021).

While on its way to building a democracy in Georgia, just like in any other post-Soviet countries, the malignant nature and malign influence of Russian propaganda is systematically revealed as a threat. This threat increased and became more visible after the full-scale invasion on Russia in Ukraine. Disinformation systematically damages the media environment and threatens the country's democratic development. Research has shown that the extent to which journalists feel safe in their professional work is one of the components of assessing the quality of democracy. Even in a transitional democracy, credible and viable media remain an essential source of strengthening it.

ნანული ტალახაძე

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემისადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.ნანული ტალახაძე -,,ემიგრანტული და დისიდენტური პრესის ურთიერთანამშრომლობის ფორმები და მათი როლი საბჭოთა სისტემის რღვევაში (მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების პერიოდიკის მიხედვით)“. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ,,ენა და კულტურა“ , №28. ქუთაისი, 2022. გვ.165-172, ISSN 1987-7323 ; E- ISSN 2720-7900 https:// doi.org/10.52340/lac, https://journals.4science.ge/index.php/enadakultura

ვრცელი ანოტაცია

ემიგრანტული და დისიდენტური პრესის ურთიერთანამშრომლობის ფორმები და მათი როლი საბჭოთა სისტემის რღვევაში (მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების პერიოდიკის მიხედვით)

ნაშრომი იკვლევს გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და ე.წ. საბჭოთა დისიდენტების კომუნიკაციის შესაძლებლობებსა და განხორციელების გზებს მედიურ ჭრილში. კონკრეტულად,კონტრასტულ მედიაველებში ფუნქციონირებადი პლურალისტური ემიგრანტული პრესისა (,,ჩვენი დროშა“, ,,ივერია“, ,,თავისუფლების ტრიბუნა“) და საბჭოთა საქართველოში, ერთპარტიულ იდეოლოგიზირებულ მედიაგარემოში არალეგალურად დაბეჭდილი ე.წ. თვითგამოცემების (,,ოქროს საწმისი“ და,,საქართველოს მოამბე“-1975-1976 წწ.) ურთიერთთანამშრომლობის ფორმებსა და მათ წვლილს საბჭოთა სისტემის რღვევაში.

შესწავლილია ვრცელი ემპირიული მასალა, სათანადო წყაროები, საგაზეთო პუბლიკაციები , სამეცნიერო სტატიები და კვლევის ისტორიულ-შედარებითი (კომპარატივისტური) და კონტენტ ანალიზის მეთოდის გამოყენებით გამოკვეთილია მონიშნული პერიოდის ისტორიულ-პოლიტიკური რეალობის კონტექსტში დისიდენტური და ემიგრანტული მედიების კონსპირაციული კავშირები, ურთიერთგავლენა და პოლიტიკური ბმები, ასევე პუბლიცისტური დისკურსისა თუ ღირებულებითი ხედვების თავისებურებანი. კვლევამ აჩვენა, რომ 70-80-იან წლებში ქართული ემიგრაციის პერიოდიკის ცენტრად კვლავ საფრანგეთი რჩებოდა, სადაც სტაბილურად ფუნქციონირებდა პარტიული პრესა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ორგანო ,,ჩვენი დროშა“, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის,,ივერია“ და თავისუფალი გაზეთი ,,თავისუფლების ტრიბუნა“ - ,,საქართველოს განთავისუფლებისთვის მებრძოლთა ორგანო“, რომელიც 1984 წლიდან ,,გუშაგის“ სახელწოდებით გამოდიოდა. უცვლელი დარჩა პოლიტემიგრანტების საერთო ისტორიული მიზანი -საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა და მთავარი პრინციპი - ,,არავითარი თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან“, რომელიც ნაწილობრივ ეხმიანებოდა დისიდენტების სამოქმედო ამოცანებს და ეს აისახა კიდეც ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით გამოცემულ ე.წ. თვითგამოცემებში: ლიტერატურული მიმართულების ,,ოქროს საწმისსა“ (1975-1976 წწ.), და პოლიტიკური ხასიათის ,,საქართველოს მოამბეში“ (1976 წ.). პოლიტემიგრანტები სწორედ დისიდენტებში ხედავდნენ მთავარ მოკავშირეებსა და თანამოაზრეებს და, პირიქით, დისიდენტებიც, რომლებიც ცდილობდნენ საზღვარგარეთის დემოკრატიული ქვეყნების მედიის ყურადღების მიპყრობას, ამ მხრივ პოლიტემიგრანტების თანადგომის იმედიც ჰქონდათ, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის მხილებას დიპლომატიური მეთოდების გარდა, ჟურნალისტიკის საშუალებითაც ახერხებდნენ. ეს არაფორმალური კონტაქტები მალულად ხორციელდებოდა, კონსპირაციული მეთოდებით და ხშირად ხელისუფლების სადამსჯელო ღონისძიებებით მთავრდებოდა. ემიგრანტულ პრესას დისიდენტები აწვდიდნენ ინფორმაციებს ისეთ მოვლენებზე, რომლებიც საბჭოთა პრესაში არაობიექტურად შუქდებოდა, ,,თვითგამოცემებში“ კი იბეჭდებოდა სსრკ-ში აკრძალული ემიგრანტი მწერლების ნაწარმოებები და ა.შ. 80-იანი წლებიდან საქართველოში დისიდენტური მოძრაობის მუხტი შენელდა, დისიდენტების უმრავლესობა დაპატიმრებული ან სამშობლოდან გაძევებულები იყო, მაგრამ უკვე იცვლებოდა მსოფლიოს პოლიტიკური წესრიგი, საბჭოთა იმპერიაში მწიფდებოდა სერიოზული ცვლილებები ე. წ. პერსტროიკის“ სახით, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში ღიად,

საყოველთაოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას, რომელსაც დისიდენტებიც შეუერთდნენ. ამრიგად, ქართული დისიდენტური და ემიგრანტული პრესა, რომელიც გაჯერებული იყო ანტისაბჭოთა ნარატივით, ის ერთობლივი ოპოზიციური პლატფორმა აღმოჩნდა, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა საზოგადოების ობიექტურ ინფორმირებასა და საბჭოთა სისტემის რღვევაშიც.

ნათია კუპრაშვილი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
1. Natia Kuprashvili, Nino Chalaganidze, "PERCEPTION OF HATE SPEECH IN THE OF FREEDOM OF SPEECH CONTEXT - GEORGIAN MEDIA CULTURE EXAMPLE", Publication date: 2022/6/15; International Journal of Innovative Technologies in Social Science; DOI: https://doi.org/10.31435/rsglobal_i ; International Journal of Innovative Technologies in Social Science journal and accessed on RS Global website via the link https://rsglobal.pl/index.php/ijitss/article/view/2322

2. Natia Kuprashvili, Nino Chalaganidze, Irma Choladze, „New normality of agriculture against the background of infodemia (Georgian example)“, Georgian Scientistsქართველი მეცნიერებიVol. 4 Issue 5, 2022https://doi.org/10.52340/gs.2022.04.05.20; DOI: https://doi.org/10.52340/gs.2022.04.05.20

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. სიძულვილის ენა, ზოგადად, განიხილავს შეუწყნარებლობის გამოხატვას გარკვეული ჯგუფის მიმართ და ძალიან ხშირად ასეთი კომუნიკაცია იწვევს ერთგვარ ძალადობას. ზიზღის სტიმულირება გულისხმობს რასის, ეთნიკური იდენტობის, ეროვნების, სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე განსაზღვრულ პირთა ჯგუფს, როგორც წესი, ეს ეხება უმცირესობებს. თუმცა, ყველა ქვეყანას აქვს საკუთარი უნიკალური კონტექსტი, რომელიც ართულებს ე.წ. „სიძულვილის ენის“ აშკარა განსაზღვრას. ზოგიერთ შემთხვევაში, ყველა სახის ნეგატიური გამონათქვამი, რომელიც არის დამამცირებელი, თავხედური, ცილისმწამებლური ან დისკრიმინაციული გამოხატულება ვინმეს მიმართ, საზოგადოების ან/და ცალკეული ჯგუფების მიერ აღიქმება, როგორც სიძულვილის ენა. სიძულვილის ენის აღქმის გაუგებრობა გამოვლინდა 2019 წელს საქართველოს მედიის რეგულირების შესახებ დისკუსიებში, როდესაც ხელისუფლებამ გამოთქვა სურვილი, სიძულვილის ენის რეგულირების აუცილებლობით მოტივირებული, შეეცვალა საქართველოში არსებული მედიის თვითრეგულირების სისტემა. გამოითქვა მრავალი ინიციატივა და ისინი მიმართული იყო იმისთვის, რომ სიძულვილის ენა გამოყენებული ყოფილიყო მედიაში სადამსჯელო და მარეგულირებელი. კვლევა ტარდება თვისებრივი მეთოდოლოგიით. ჩვენ გავაანალიზეთ სიძულვილის ენის თვითრეგულირების პრაქტიკა საქართველოში 2019 წელს და შერჩეულმა შემთხვევებმა, რომლებიც სატელევიზიო მედიასაშუალებებში მაღალი ჟღერადობით გამოირჩეოდა, ფართო დისკუსიები გამოიწვია და რომელიც განიხილებოდა თვითრეგულირების ორგანოების მიერ. საქმეების გაანალიზებისა და თვითრეგულირების ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე დაკვირვების გარდა, ჩვენ გამოვიყენეთ ღრმა ინტერვიუების მეთოდიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის ყველაზე საინტერესო პერიოდში (2019 წ.) ორი ჟღერადობის შემთხვევა შევარჩიეთ. კვლევის ორივე პერიოდისთვის ეს იყო ეროვნული სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის წამყვანის საავტორო ტექსტი. პირველი საქმე განიხილა რუსთავი 2-ის თვითრეგულირების საბჭომ და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ. ჩვენ გავაანალიზეთ ორი განსხვავებული მიდგომა, რომელსაც ორივე თვითრეგულირების საბჭო იყენებს. ღრმა ინტერვიუების ჩატარების შედეგად მივიღეთ თვითრეგულირების ორგანოების რადიკალურად განსხვავებული ინტერპრეტაციების მსგავსი შედეგები. პარტიების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ტექსტი გამოხატავს სიძულვილის ენას

ქრისტიანების მიმართ, მაგრამ სამოქალაქო ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტების აკადემიური სფეროს წარმომადგენლები არ თვლიან, რომ ტექსტი იყო ვინმეს მიმართ დისკრიმინაციული. ერთ-ერთი ახსნა ასეთი იყო: „მოყვანილი მაგალითი ნაკლებად სავარაუდოა, რომ შეესაბამება სიძულვილის ენის დამადასტურებელ დეფინიციას. იგი წარმოადგენს გარკვეული ჟურნალისტის სუბიექტურ აზრს. ვფიქრობ, ეს არ ეწინააღმდეგება სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციურ ნორმებს და არ განიხილება რელიგიური გრძნობების წინააღმდეგ დამამცირებელ აქტად, რადგან რელიგიური პასაჟი მიეძღვნა გარკვეული პოლიტიკის დისკრეციას და არა ამ აღმსარებლობის დისკრიმინაციას. ორივე მაგალითის ანალიზმა აჩვენა, რომ სიძულვილის ენის ტერმინის გაგება და აღქმა მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული არც ზოგადად საზოგადოებაში და არც საქართველოს პროფესიულ წრეებში. სიძულვილის ენა ხშირად ერთსა და იმავე დონეზე აყენებენ დამამცირებელ და უხამს გამონათქვამებს. მედიის თვითრეგულირების საბჭოების მიდგომები და განმარტებები საკმაოდ განსხვავებულია. წინამდებარე კვლევამ ნაწილობრივ დაადასტურა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც დაინტერესებული მხარეები სიძულვილის ენას ფართო გაგებით განიხილავენ, რაც ითვალისწინებს უხამს და დამამცირებელ გამონათქვამებს. ასევე სრულად დადასტურდა, რომ სიძულვილის ენის ფართო გაგებით ინტერპრეტაცია და რეგულირება პრაქტიკაში მედიის თავისუფლებისთვის მყიფე დემოკრატიის ქვეყნებში გარკვეულ რისკებს შეიცავს.

2. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მზარდმა ტექნოლოგიურმა განვითარებამ და აღნიშნული მიზეზის გამო შეცვლილმა ტრადიციულმა მედია გარემომ ჟურნალისტიკა სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, ძირითადად ცრუ ინფორმაციასთან და პროპაგანდისტულ ნარატივთან ბრძოლის აუცილებლობამდე. ერთის მხრივ, მან უნდა შეარჩიოს მხოლოდ ინფორმაციის წყარო, უფრო მეტიც, პირადად შექმნას და გააზიაროს გარკვეული ინფორმაცია და, მეორე მხრივ, შექმნას პროპაგანდითა და სიძულვილის ენის დატვირთული მედია მასალის გავრცელების რეალური შესაძლებლობა. ძირითადი ფუნქციები, რისთვისაც მრავალი საუკუნის წინ შეიქმნა ჟურნალისტიკა, მისი სოციალური მიზანი, უპირველეს ყოვლისა, ემყარება აუდიტორიის ინფორმირებას. ინფორმაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თითოეული ცალკეული ინდივიდისთვის, ისევე როგორც მთელი საზოგადოებისთვის. ცნობილი სიტყვა-მხატვრული განმარტება განსაზღვრავს მის მნიშვნელობას და არსს, როგორც „დემოკრატიის ვალუტას“. ამასთან, ოპერატიული ინფორმაცია ღირებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ინახავს ყველა სავალდებულო მახასიათებელს (ფაქტურობას, აქტუალურობას, სპეციფიკას და სხვა) და, ამავდროულად, იძენს ახალ მახასიათებლებს, რაც განპირობებულია მისი გადაცემის არხების (ბეჭდური, მაუწყებლობა, ციფრული) აღწერილობითი საშუალებების სპეციფიკით. მედია). ზუსტი, ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია მხარს უჭერს ინდივიდის აბსოლუტურ მონაწილეობას თანამედროვე ცხოვრებაში, რაც გამოიხატება სოციალური ურთიერთობების სწორი მიზნებით და სამყაროს აღქმის საკუთარი კონსტრუქციის შექმნით. გაცხადებულთან საპირისპიროდ, დეზინფორმაცია და ყალბი ამბების გავრცელება ნამდვილად მუშაობს; ისინი მიზნად ისახავს აუდიტორიის შეცდომაში შეყვანას, სოციალური აზრის მანიპულირებას და მომხმარებლის ინფორმირებულ არჩევანზე გავლენის მოხდენას. წინამდებარე დისერტაციის მიზანია სოფლის მეურნეობის სექტორის, ე.წ. „ახალი ნორმალურობის“ ანალიზის გაკეთება დღევანდელი ინფოდემიის ფონზე, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, როგორც ცალკეული ინდივიდებისა და ორგანიზაციების მიერ ათასწლეულების განმავლობაში გამომუშავებული ქცევის ნორმების შემცვლელად. წლების ურთიერთობის ახალი ფორმებით. განმარტება „ინფოდემია“ დაყენებულია, როგორც ონლაინ და ოფლაინ ინფორმაციის დატბორვა და ყალბი ამბების მიზანმიმართული გავრცელების მცდელობით, მისი მიზანია ცალკეული ჯგუფებისა და ინდივიდების ალტერნატიული დღის წესრიგის მხარდაჭერა. კვლევის ამოცანაა საქართველოს მცირე და საშუალო ფერმერების საქმიანობის მაგალითზე ბაზარზე წვდომისა და მომხმარებლებთან კავშირის ფორმების ანალიზის მომზადება ახალი ნორმალობის პირობებში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. ნინო ჭალაგანიძე, ნათია კუპრაშვილი; დეზინფორმაცია სოციალურ ქსელებში: მდგომარეობა და პერსპექტივები; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“; მომხსენებელი, სექციის ხელმძღვანელი და სამეცნიერო საბჭოს წევრი. ნაშრომის გამოქვეყნება იგეგმება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებად ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალში
„ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“; *(ჟურნალის საიტი იყენებს ღია ჟურნალის სისტემას (Open Journal System) და ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ.*
სტატიას მიენიჭება ობიექტის ციფრული იდენტიფიკატორი -DOI.).

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)
ნაშრომში განხილულია თანამედროვე მედიაკვლევების სფეროში გამორჩეულად აქტუალური დეზინფორმაციის კონცეფცია. შესწავლილია მისი როლი და ადგილი მასმედიის დისკურსში ე.წ. პოსტ-ჭეშმარიტების ეპოქის კონტექსტში, სადაც სიმართლესა და სიცრუეს შორის ზღვრები ბუნდოვანია, მზარდია საზოგადოებაში გაურკვევლობის ხარისხი; ობიექტურ ფაქტებს კი სუბიექტური შეფასებები და მოსაზრებები ცვლის.
ამ შემთხვევაში დეზინფორმაცია გაგებულია, როგორც ყალბი ინფორმაციის შეგნებულად გადაცემა ზიანის მიტანის მიზნით. დეზინფორმატორი ხელმძღვანელობს განზრახვით - შეცდომაში შეიყვანოს ადრესატი და, მანიპულირების მიზნით მოახდინოს დეზინფორმაციული ეფექტი სხვადასხვა ლინგვისტური საშუალებებით.
ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა პოსტ-სიმართლის ეპოქისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ყველაზე ტიპური ნარატივი.
ნაშრომის ჰიპოთეზაცა და შედეგებიც უკავშირდება სოციალურ ქსელებში მანიპულირების მექანიზმს, რაც კიდევ უფრო დესტრუქციული ხდება, როცა „იმოსება“ მითებითა და ემოციებით, მედიამომხმარებლის განწყობების ცვლილებით და რეალობას სულ უფრო შორდება.
განსაკუთრებით სახიფათოა დეზინფორმაცია, თუ იგი, ერთი შეხედვით, უწყინარ მედიანაკადშია „ჩაკარგული“, სადაც შეუიარაღებელი თვალით სიმართლისა და პროპაგანდის გარჩევა ჭირს.
ნაშრომში ასევე განხილულია ე.წ. საინფორმაციო ხმაურის თავისებურებები.
დეზინფორმაცია, ცხადია, ინფორმაციული ხმაურის შემადგენელი ნაწილია, თუმცა მისი გავრცელება ყოველთვის გარკვეულ მიზანს ემსახურება, ხოლო ხმაური, როგორც წესი, საბაბისა და მიზეზის გარეშე ავსებს საინფორმაციო სივრცეს და უკონტროლო ნაკადები საინფორმაციო ველის დაბინძურებას იწვევს.

თინათინ მაჭარაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. თინათინ მაჭარაშვილი, „1918-1921 წლების ქართულ პარტიულ პრესაში აღბეჭდილი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების პოლიტიკა“, DOI: https://doi.org/10.52340/gs.2022.04.01.09 „ქართველი მეცნიერები“ მე-4 ტომი, თბილისი, ასოციაცია მეცნიერებისათვის, გვერდების რაოდენობა- 12

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოს პირველი სუვერენიტეტის წლების (1918-1921) განათლების პოლიტიკას აღნიშნული პერიოდის ძირითად მედიასაშუალებებზე (გაზეთები: „ერთობა“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“) დაკვირვების გზით წარმოვაჩენთ.

მოგეხსენებათ, ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე მრავალი პრობლემა იდგა. ნაციონალიზაციის საკითხის მოგვარება, ძირითადად, ემყარებოდა განათლების სისტემის ძირეულ გარდაქმნას. მშობლიური ენის დაბრუნება, უპირველეს ყოვლისა, საგანმანათლებლო პროგრამის გაქართულებას საჭიროებდა, რაც, თავის მხრივ, როგორც მატერიალურ, ისე ინტელექტუალურ რესურსს მოითხოვდა. დიდი ევროპული ოჯახის წევრობა საქართველოში მეცნიერების აღორძინებასთან ასოცირდებოდა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხიც უშუალო კავშირში იყო სახალხო განათლებასთან. შესაბამისად, სუვერენული რესპუბლიკის განათლების პოლიტიკა სხვადასხვა ჭრილში უნდა განხილულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის წლების საქართველოს ცხოვრებას არა ერთი ნაშრომი მიეძღვნა, ისინი ძირითადად ისტორიოგრაფიული ხასიათისაა. ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევა კი, კონკრეტულად, მედიაში წარმოჩენილი განათლების პოლიტიკის თავისებურებებზე ახდენს აქცენტირებას და ამ კუთხით საკითხის სიღრმისეულ კვლევას ისახავს ძირითად ამოცანად. მედიაეფექტების, კერძოდ დღის წესრიგისა და ფრეიმინგის თეორიებზე დაყრდნობით გამოვკვეთეთ მედიის როლი განათლების სისტემის რეფორმის წარმართვის მეტად წინააღმდეგობრივ გზაზე.

აღმოჩნდა, რომ ქართულ მრავალპარტიულ პრესაში განათლების სისტემის ფორმირება ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენდა და სხვადასხვა პარტიები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ერთგვაროვან პოლიტიკას ატარებდნენ. მედიაგზავნილი კი შემდეგი იყო: მეცნიერების განვითარებით დავუკავშირდებოდით ევროპას, ხოლო ევროპული ოჯახის წევრი კი მხოლოდ მაშინ გავხდებოდით, თუ ვიქნებოდით სრულუფლებიანი ერი. ამ გზავნილთა ჩარჩო საქართველოს სივრცითი ორიენტაციით არის განსაზღვრული - საქართველო, არა რუსეთის გავლით, არამედ პირდაპირ უნდა დაკავშირებოდა ევროპას.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. თინათინ მაჭარაშვილი, ნათია სვანიძე „სატელევიზიო ღია პოლიტიკური რეკლამის სემიოტიკა (2014-2021 წლების ქართული სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამების მაგალითზე)“, სეუ და მეცნიერება სამეცნიერო რეცენზირებადი ჟურნალი N 13 2022, ISSN 1987-8591, თბილისი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, გვერდების რაოდენობა- 13

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ვიზუალური კულტურის ეპოქა წარმოშვა, რომელშიც ვერბალურ ინფორმაციაზე დიდი მნიშვნელობა ვიზუალურ ინფორმაციას ენიჭება, რადგან ეს უკანასკნელი, უმეტეს წილად, უფრო მეტად არის გაჯერებული იმპლიციტური შეტყობინებებით. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, შეგვესწავლა ქართული სატელევიზიო ღია პოლიტიკური რეკლამები, რომლებშიც ვიზუალურ ინფორმაციას, ხშირად, ვერბალურ ინფორმაციაზე გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს. ზოგადად, რეკლამის მწარმოებლები და მით უფრო პოლიტიკური რეკლამის

შემქმნელები, ოსტატურად უნდა იყენებდნენ ვიზუალურ კომპონენტს, რათა შეძლონ ინფორმაციული ველის ზრდის ხარჯზე, მომხმარებელზე ზემოქმედების ხარისხის გაზრდა. იმ მიზნით, რომ გაგვეზომა, რა ტენდენციები შეიმჩნევა ამ მხრივ ქართულ პოლიტიკურ მარკეტინგში, გავაანალიზეთ 2014 - 2021 წლების სხვადასხვა ტიპის არჩევნებზე გამოყენებული სარეკლამო რგოლები. საკვლევი პერიოდის განსაზღვრა განპირობებული იყო შემდეგი ფაქტით: 2014 წლიდან ქართული პოლიტიკური პარტიების მიერ დამკვიდრებულ ღია პოლიტიკურ რეკლამათა ნაირსახეობას - კონტრრეკლამა, პროპაგანდა - „ქართულმა ოცნებამ“ შემატა ახალი მოდელი - კანდიდატის მრავალმხრივ პოზიციონირება. ჩვენი მიზანიც ის იყო, რომ დავკვირვებოდით, როგორ ტრანსფორმაციას განიცდიდა ღია სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამა 2014 წლიდან 2021 წლის მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნების ჩათვლით. ჩვენი კვლევა სიახლეს წარმოადგენს მეთოდოლოგიის მხრივ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ღია თუ ფარული პოლიტიკური რეკლამა სხვადასხვა კონტექსტში უკვლევიათ დარგის სპეციალისტებს, აქამდე არ ყოფილა პრეცედენტი სემიოტიკური ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილიყო ქართული ღია პოლიტიკური რეკლამების იმპლიციტური მნიშვნელობები. ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ვიზუალური კოდი ერევა რეციპიენტის მიერ შეტყობინების აღქმის პროცესში და აძლევს მიმართულებას. 2014 წლიდან მოყოლებული ქართული სატელევიზიო ღია პოლიტიკური რეკლამა იხვეწება, შეინიშნება შემოქმედებითი მიდგომის ზრდის ტენდენცია, რაც წინასაარჩევნო 162 კამპანიის ამ უმნიშვნელოვანეს ნაწილს მრავალფეროვანს ხდის. „ნეგატივიზმში გადავარდნაც“ იკლებს და მის ადგილს ისეთი ტიპის სარეკლამო რგოლი იკავებს, რომელიც ორიენტირებულია კანდიდატისა და მისი სამოქმედო გეგმის კრეატიულად წარმოჩენისკენ.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. თინათინ მაჭარაშვილი/ნათია სვანიძე, „სატელევიზიო ღია პოლიტიკური რეკლამის სემიოტიკა“, 19/07/2022, თბილისი, საქართველოს ეროვნული უნივერიტეტი სეუ.

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. თინათინ მაჭარაშვილი/ნათია სვანიძე, „როგორ იცვლება საქართველოში პოლიტიკური რეკლამა (2014-2022 წლების სატელევიზიო ღია პოლიტიკური რეკლამის მაგალითზე)“
12-13/08/2022, „გამოცემის საერთაშორისო კვლევისა და განვითარების ცენტრი“ (Zoom)

თამარ ბელქანია

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. თამარ ბელქანია-ტერენტი გრანელი/უცნობი ნახატები ISBN 99-9941-8-4799-8 თბილისი; გამომცემლობა „სტამბა“. 215გვ წიგნის ავტორი და რედაქტორი. 2022 წელი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.ტერენტი გრანელის გრაფიკულ ნამუშევრებს საზოგადოება პირველად, სწორედ ამ წიგნით იხილავს; გრანელი, საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც პოეტი, ხოლო ამ წიგნში ის წარმოჩენილია, როგორც

მხატვარი გრაფიკოსი; ეს გრაფიკული ნამუშევრები უნიკალურია თავისი შინაარსითა და არსებობით. ნამუშევრები ვიზუალურად ასახავს ცნობილი პოეტის სულიერ მდგომარეობასა და ეპოქალურ პრობლემას, როდესაც საბჭოთა პერიოდში ხდებოდა არა მხოლოდ ისტორიოგრაფიის დაგეგმვა; არამედ, კულტურის სფეროში მომუშავე პირების პერსონალური დისკრედიტაცია, თუ ისინი საბჭოთა კონიუქტურაში ვერ ეწერებოდნენ. გრაფიკული ნამუშევრები უნიკალურია თავისი ფორითა და შინაარსით; ნახატები შესრულებულია სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა სივრცეშ, ეს არის ციხის დილეგი, საავადმყოფოს თუ ფსიქიატრიული კლინიკის კედლები. ნამუშევრები დაცული იყო საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის საცავში; სულ 840 ნახატი; წიგნი ორ ენოვანია; წიგნი შექმნაში ჩართული იყო, როგორც ლიტერატურის მუზეუმი, ასევე თბილისის ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხაატვრო აკადემია, საქართველოს მხატვართა კავშირი; მოძიებულ იქნა მის შესახებ ზუსტი ბიოგრაფიული მონაცემები და ასე შედგა ეს უნიკალური გამოცემა, რომელიც დააინტერესებს, როგორც მედიის, კერძოდ კი ბეჭდური მედიის სფეროში მომუშავე ადამიანს ასევე კულტურით, ან სოვეტოლოგიით დაინტერესებულ მკითხველს. ეს არის აკადემიური გამოცემა, რომლის შექმნაშიც მუშაობდა არა მხოლოდ ცნობილი დიზაინერი, ან მხატვარი, არამედ ორი სახელმწიფო უწყება.
წიგნი ფერადია და შესრულებულია მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით.
2. სტალინური კულტურა/ ინფორმაციით კულტურის კონსტრუირება სოც რეალიზმში.
წიგნი, რომელიც 325 გვერდისგან შედგება და მაღლი პოლიგრაფიული ხარისხითაა შესრულებული მთელი 30 გვერდიანი ანოტაცია ინგლისურ ენაზეა ნათარგმნი. წიგნი თავისი შინაარსით უნიკალურია, რადგან პირველად ხდება გააზრება, თუ როგორ ხდებოდა სოც რეალიზმში ინფორმაციით საზოგადოებისა და კულტურის მართვა, ფორმირება, კონსტრუირება. წიგნში პირველად იბეჭდება საქრთველოს შსს დახურულ არქივში დაცული დოკუმენტები. ხდება მისი ანალიზი და ისტორიულ კონტექსტში განხილვა. ერთერთი საგანი რასაც ვასწავლი გახლავთ საარქივო დოკუმნტებთან მუშაობა და ამ წიგნს ვიყენებ როგორც სახელმძღვანელო. თუ რა იყო საბჭოთა ეპოქა, რა ტიპის დოკუმენტები ინახება ზოგადად არქივში და როგორ უნდა მოხდეს ამ დოკუმენეტების გამოთხოვა, მედია პროდუქტად გადაქცევა, საზოგადოებისათვის სწორი კუთხით მიწოდება დაროგორ მოხვდეს ეს დოკუმენტები საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში, რათა სწორად მოხდეს საბჭოთა საქართველოს შესახებ ინფორმაციის გავრცელება. გარდა ამისა წიგნის მიზანია რეალური ისტორიის შესაქმნელად საზოგადოებრივი განწყობის შექმნა და ამ ისტორიისათვის არქივის როლის წარმოჩენა. ამ წიგნს ვიყენებ როგორც სახელმძღვანელოს საგანში საარქივო დოკუმენეტებთან მუშაობა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა)

თეა მჟავანაძე,

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. თეა მჟავანაძე, „ხელისუფლებების მიერ მედიის რეგულირება პანდემიის პირობებში“, გთუნის სამეცნიერო შრომათა კრებული #11, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 6 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ბოლო ათწლეულია მსოფლიო საზოგადოება შეშფოთებულია ეგრეთწოდებული „ყალბი

ინფორმაციის“ მომრავლებაზე. ციფრული ტექნოლოგიების ერაში, ინფორმაცია ელვისებურად ვრცელდება მსოფლიოს ყველა წერტილში და საზოგადოება აღარ არის მხოლოდ ტრადიციულ მედიასაშუალებებზე დამოკიდებული. ინტერნეტმომხმარებელთა ზრდამ და განუსაზღვრელ (არაკანონიერ და მავნე/დამაზიანებელ) ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობამ მთელი მსოფლიოს სახელმწიფოები ალაპარაკა ელექტრონული კონტენტის რეგულირების მექნიზმების შემუშავებაზე. განსაკუთრებით, ეს აქტუალური და თვალსაჩინო გახდა კოვიდპანდემიის დროს.

სრულიად ახლამა და ამასთანავე ერთი შეხედვით უხილავმა პანდემიამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა, შიში, უნდობლობა, მიუღებლობა, დაბნეულობა, აგრესია, ნიჰილიზმი და კიდევ მრავალი განწყობები წარმოქმნა, რასაც გარკვეულწილად ყალბი ინფორმაციების განუსაზღვრელად გავრცელებამ შეუწყო ხელი. სახელმწიფოებმა დამაზიანებელი კონტენტის ზეგავლენა საზოგადოებაზე სხვადასხვაგვარად აღიქვეს და შესაბამისად კანონმდებლობებშიც ასახეს. პანდემიასთან ბრძოლის საბაბს ზოგიერთი მთავრობებიდან მოჰყვა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. ხშირ შემთხვევაში, საფრთხე დაემუქრა არა მხოლოდ სოციალურ მედიას, არამედ ტრადიციულ მედიასა და იქ მომუშავე ჟურნალისტებს. 90-იან წლებამდე ბეჭდური თუ აუდიოვიზუალური მედიაკონტენტი შემოფარგლული იყო კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფოს კანონმდებლობით. დღეს კი, ციფრული მატარებლებით, ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციის გლობალიზაცია ვეღარ ექცევა კონკრეტული ნაციონალური კანონების ჩარჩოებში. ინფორმაციის მიღებაზე თავისუფალი ხელმისაწვდომობა და მედიაპლურალიზმი სულ უფრო მიუღებელი გახდა არადემოკრატიული მთავრობებისთვის. დაიწყეს მედიის რეგულირება, კანონების შემუშავება, რომლებიც ზღუდავს ან საერთოდაც აუქმებს მედიასაშუალებებს.

სამართალდარღვევები აღინიშნება სოციალურ ქსელებშიც. ინტერნეტპლატფორმებით გავრცელებული ინფორმაციის შინარსიის რეგულირება სახლმწიფოს მიერ სახიფათოა. რთულია სიყალბის დადგენის ადეკვატური მექანიზმების შემუშავება და შესაბამისად, შესაძლოა მივიღოთ სახელმწიფოს მიერ არამართლოზიმერი რეგულირების ნორმები, რაც მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევას გამოიწვევს.

ამდენად, ყალბ ინფორმაციასთან საბრძოლველად, ციფრულ ეპოქაში, საიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დასაცავად, მნიშვნელოვანია არა სამართლებრივი ნორმების შემოღება, არამედ სახემწიფოების მიერ საზოგადოების ცოდნით შეიარაღებაზე ზრუნვა, მედია- და ციფრულ წიგნიერების დანერგვა და სწავლება სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე.

მარინე ლომიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მარინე ლომიძე, ჯემალ ქარჩხაძის სიყვარულის მარაგი (მონოგრაფია მწერლის პუბლიცისტური თხზულებების შესახებ) -100 გვ. (მზადდება დასაბეჭდად „სეზანის“ საგამომცემლო ჯგუფის მიერ).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კვლევის საკვანძო საკითხები

ჯემალ ქარჩხაძის მწერლური პუბლიცისტიკის არსებითი სათქმელი ფორმულასავით იკითხება: ადამიანის ზნეობრივი სამყარო = ხასიათი + ქმედება + პოზიცია.

კვლევის მთავარ ჰიპოთეზად სწორედ ეს დავსახე. ვფიქრობ, ეს მოსაზრება საკუთარ ცხოვრებაში წესრიგის დამყარებას ჰგავს და ამგვარი მიდგომით პუბლიცისტი ჯემალ ქარჩხაძე გვეხმარება, გავიაზროთ ადამიანის არსებობის(რაობის) მარადიული მოწოდება. ასევე, ვეცდები დავასაბუთო, რომ

ჯემალ ქარჩხაძის მწერლურ პუბლიცისტიკას(ამ ტერმინს მოგვიანებით განვიხილავ) მკვეთრად გამოხატული მხატვრული სახეებით აზროვნება, საკითხის (პრობლემის) სიმწვავის/აქტუალურობის ნათლად წარმოჩენა, არგუმენტაციის ხერხებისა და მეთოდების მრავლად მოშველიება, პოზიციის ცალსახად გამოკვეთა გამოარჩევს.

გამოთქმული ვარაუდის შესაბამისად, საკვლევი საკითხებიც ასე ჩამოვაყალიბე.

ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტურ ნააზრევში:

• რამდენად შეიგრძნობა დროის მაჯისცემა და როგორ ვლინდება ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის პრინციპების ერთიანობა;

• შემოქმედებითი საქმიანობის ორი სფეროს (ლიტერატურა, პუბლიცისტიკა) გამოხატვის რომელი თავისებურებებია უპირატესი;

• ტექსტში ინფორმაცია/მოსაზრება პირდაპირ, ღიად ჩანს, თუ ქვეტექსტურადაა წარმოდგენილი, მკითხველს ცალსახა აზრს უყალიბებს თუ ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს;

• რა გზებით გამოკვეთს ავტორი თავის თვალსაზრისს;

• ტექსტების სარწმუნოობის ხარისხის განმსაზღვრელი ნიშანდობლივი კომპონენტები: რომელი სახეები ჭარბობს - არგუმენტების საკმაო რაოდენობა, თუ მრავალფეროვნება;

• რამდენად თვალსაჩინოა თხზულებათა ნარატივის ლოგიკა და თუ იძლევა იგი საშუალებას, რომ მკითხველი თვითონ მივიდეს დასკვნამდე.

კვლევის ძირითადი მეთოდი კონტენტანალიზია, რომელიც ჰიპოთეზის დადასტურების მიზნობრივი ინსტრუმენტის ფუნქციას იძენს და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა. განსახილველი კრებულის 15 პუბლიცისტურ თხზულებათა შორის 11 დიალოგის ფორმატითაა წარმოდგენილი: ზოგან შემდგარ საუბარს ვეცნობით, სხვაგან მოსაუბრე არ ჩანს, კითხვები იგულისხმება და მათ შინაარსს მწერლის პასუხებით ვიგებთ.

1. ,,მწელობას ეყოფა ღონე, თავისი ჯვარი თავადვე ზიდოს“ (გაზეთი ,,თბილისი“, 3. 07. 1989);
2. ,,ომი საკუთარ თავთან“ (ჟურნალი ,,კრიტიკა“, #1.1991);
3. ,,საქართველო მთლად ჭაობი არ ყოფილა“ (გაზეთი ,,დედამიწა“, #9, სექტემბერი,1991);
4. ,,ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული“ (გაზეთი ,,საქართველო“, 24.01.1992);
5. ,,არჩევანი ჯერ კიდევ ჩვენზეა“ (გაზეთი ,,ლიტერატურული საქართველო“, 15.05.1992);
6. ,,ვუშველოთ მომავალ თაობას“ (გაზეთი ,,ივერია ექსპრესი“,17.10.1992);
7. ,,როცა სამსხვერპლოზე შენი ქვეყანაა...“((გაზეთი ,,ლიტერატურული საქართველო“, 25.02.1994);
8. ,,ვიდრე მზიან მინდორზე გავალთ...“(გაზეთი ,,არილი“, 6.04. 1996);
9. ,,მწერალი ,,ფარისეველთა სამეფოში“ (გაზეთი ,,თბილისი“, 20.04.1996);
10. ,,საიდუმლოებების ამოხსნა შეიძლება, ამოწურვა კი-არა“(გაზეთი ,,ფენომენი“, #2, 1997);
11. ,,შეხვედრა - არა შემთხვევითი“(ჟურნალი ,,ცისკარი“, #12, 1998).

2 თხზულება ფორმალურად ინარჩუნებს დიალოგის ფორმატს.

,,არსებობა გარკვეული აზრით და გარკვეული დოზით კომპრომისია“(გაზეთი ,,მერიდიანი“, 6,05, 1998) კლასიკური ფორმის ინტერვიუ არ არის, წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა და კორესპონდენტის მიერ შეთავაზებულ თემებზე საუბრობს მწერალი.

,,მონოლოგი დიალოგიდან“ ჟურნალ ,,მნათობის“ 1998 წლის მე-8 ნომერში დაიბეჭდა. რედაქციას ქართველი მწერლების ერთი ნაწილისათვის მიუმართავს შეკითხვებით, უთხოვია, თავიანთი მოსაზრებები გამოეთქვათ ლიტერატურის, კულტურისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. დასმულ კითხვებზე რესპონდენტთა პასუხების თვალსაჩინოების გამო, ჟურნალ ,, მნათობის“ რედაქციამ ინტერვიუირებულთა პასუხები გააერთიანა და თითოეული მათგანი მონოლოგის ფორმით წარმოადგინა. შესაბამისად, ჯემალ ქარჩხაძესთან ინტერვიუც ასე დასათაურდა ,,მონოლოგი დიალოგიდან“.

,,რამდენიმე ფსიქოლოგიური შტრიხი ჩვენი უახლესი ისტორიისთვის“ (გაზეთი ,,ახალგაზრდა კომუნისტი“, 1. 03.1990) ფართო მოცულობის წერილია და წიგნის 21 გვერდს იკავებს, ხოლო ბოლო პუბლიკაცია - ,,ხელისუფლება ამოსაცნობი ნიშნების გარეშე“(გაზეთი ,,დედამიწა“, 10, 03, 1993)- მცირე ფორმატის ესეია.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.მარინე ლომიძე. მხატვრული აზროვნება, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტიანობის რესურსი (ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკის მიხედვით) . ბიზნეს-ინჟინერინგი. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი. #3.2022. ჟურნალი დარეგისტრირებულია საძიებო სისტემაში GOOGLE SCHOLAR: http://scholar.bpengi.com DOI: https://doi.org/10.36073/1512-0538 JOURNAL IS REGISTERED IN THE GOOGLE SCHOLAR: http://scholar.bpengi.com DOI: https://doi.org/10.36073/1512-0538. გვ.210-212(3 გვ).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საკუთარი ნააზრევის გამოსათქმელად სათანადო სიტყვის პოვნა მისი მნიშვნელობის (სემანტიკის) მიხედვით ზოგადად მწერლისთვის არ წარმოადგენს სირთულეს, რადგან მან სიტყვის მნიშვნელობაც უკეთ იცის, წერითი მეტყველების კულტურასაც ჯეროვნად ფლობს და, რაც მთავარია, ყურადღებით, სიფრთხილით ეკიდება სიტყვებს. ეს ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკის ზოგადი დახასიათებაა. მწერლის პუბლიცისტურ ნააზრევში შეიგრძნობა დროის მაჯისცემა და ვლინდება ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის პრინციპების ერთიანობა; ინფორმაცია/მოსაზრება პირდაპირ, ღიად ჩანს ან ქვეტექსტურად არის წარმოდგენილი, რაც მკითხველს ცალსახა აზრს უყალიბებს ან ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. სიტყვათა თავსებადობა და შეხამება, ქართული ენის ლექსიკური ფონდის ფლობა, მეტყველების სიზუსტე, გამომსახველობა, კომუნიკაციის ხატოვანება - მწერლის ყოველი პუბლიცისტური თხზულება ამ მოდელისაა.
ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკაში მხატვრული მეტყველების მრავალი ნიმუშია (შედარება, ეპითეტი, მეტაფორა, ექსპრესიული გამეორებები-რეფრენი და სხვ.),

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.მარინე ლომიძე, ჯემალ ქარჩხაძის ,,მწერლური პუბლიცისტიკის“ შტრიხები. ფილოსოფიური ძიებანი. XXVI. კრებული 26-ე. გამ-ობა „ Carpe diem”. თბილისი-2022. ISSN 1512-2468 UDC (uak) 1 (479.22) (061.2) f. 562 ISBN 978-9941-9793-9-2.გვ.171-185(15 გვ.)

2. მარინე ლომიძე, „მწერლური პუბლიცისტიკა“ და მისი ისტორიული წანამძღვრები(გადაცემულია დასაბეჭდად) სამეცნიერო ჟურნალი „ს პ ე ქ ტ რ ი“. გამომცემლობა „მერიდიანი“. ISSN 2587-4810, E-ISSN 2720-8389.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ჯემალ ქარჩხაძის კრებული ,,პუბლიცისტიკა“ 1988-1998 წლების ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული მწერლის პუბლიცისტური ნააზრევის ამსახველ 15 თხზულებას მოიცავს. მათ შორის 11 დიალოგის ფორმატითაა წარმოდგენილი: ზოგან შემდგარ საუბარს ვეცნობით, სხვაგან მოსაუბრე არ ჩანს, კითხვები იგულისხმება და მათ შინაარსს მწერლის პასუხებით ვხვდებით/ვიგებთ. მწერალმა გამოთქვა შეხედულებები და დაწერა თავისი თანამედროვე ცხოვრების ორომტრიალზე, სურვილსა და სწრაფვაზე. პუბლიცისტ ქარჩხაძის ფილოსოფიურ-ლირიკული მონოლოგების მომცველი ტექსტები

დროული იყო მაშინაც და ფასეულია დღესაც. და, რაც არსებითია, ეს ტექსტები მომავლის სახელით დაწერილიც აღმოჩნდა. ამიტომაცაა, რომ წლების შემდეგაც არ კარგავს აქტუალობას.
მწერლის მთავარი პუბლიცისტური სათქმელი ისაა, რომ ადამიანის ზნეობრივი ბუნების დასაბამი, სათავე მისი არსის წარმომავლობაშია. ხასიათი, დამოკიდებულებათა სისტემა, საქციელი არის მიზეზი (გაცნობიერებული, შეიძლება გაუცნობიერებელიც) და საწყისი საკუთარ თავსა და გარესამყაროსთან გონივრული ურთიერთობისა. ადამიანის დანიშნულება უფრო მეტია, ვიდრე გულგატეხილობის ფილოსოფიით სულდგმულობა, რომ ამქვეყნიურ წუხილსაც შეიძლება მოეძებნოს სარგებელი, სურვილისა და მცდელობის პირობებში ისინი სიხარულადაც შეიძლება ვაქციოთ.
ჯემალ ქარჩხაძის მწერლური პუბლიცისტიკა აღბეჭდილია თვალსაზრისების სიახლისა და სიმწვავის, ვნებათაღელვის სრული გამის წარმოჩენით, სიმართლის ხედვით, საკუთარი არსების სრულად გამოვლენით, სურვილებით, რომლებიც მისი ფასეულობების საზომია.
მწერლის პუბლიცისტიკის მკვებავი (ფესვი) სიყვარულია. ამ სიყვარულის მარაგი ულევია. მისი სათქმელის მთავარი გზავნილიც ასე მესმის: როცა გული სიყვარულით სავსეა, სიკეთეს ქმნი. მწერალი თავისი სიყვარულის მარაგს გვინაწილებს, როგორც განძს.

2. თანამედროვე ეპოქის - „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის აფეთქების ხანის“- განმასხვავებელი თავისებურება ისიცაა, რომ ინფორმაციის მოცულობა, ფლობა, გავრცელება არნახულ მასშტაბებს აღწევს. ინფორმაციის სასიცოცხლო მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო „იჭრება“ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროებში. ინფორმაცია ცვლის სამყაროს. ჩვენი ცხოვრების თანადროული გარდაქმნების პერიოდში, „ინფორმაციული ომების“ ხანაში სიტყვა იძენს ჯადოსნურ ძალას და ადამიანთა შორის ურთიერთობის ზეპირ და წერით მეტყველებას ფასდაუდებელ პოტენციალს უჩენს. ამ საყოველთაო ტერმინი ,,მწერლური პუბლიცისტიკა“ არახალია, მაგრამ არც ისე ძველი, მასში ძირითადად იგულისხმება მწერლების მიერ შექმნილი პუბლიცისტური თხზულებები. მწერლური პუბლიცისტიკა ავსებს და აძლიერებს მწერლის შემოქმედებით სააზროვნო სივრცეს, მას აპარეზს აძლევს, წმინდა ლიტერატურული აზროვნების მიღმა ღიად გამოხატოს თავისი სათქმელი დოკუმენტური პროზის სახით.
ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას ,,მწერლური პუბლიცისტიკის“ დიდი შემოქმედებითი ტრადიცია გააჩნია. ტერმინია შედარებით ახალი, თორემ ეს მოვლენა ქართული სინამდვილისთვის სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. პუბლიცისტიკის საუკეთესო ნიმუშები ჩვენი კლასიკოსი მწერლების კალამს ეკუთვნის და სწორედ მათი ნააზრევია „მწერლური პუბლიცისტიკის“ პარადიგმები: ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი. XX საუკუნის ჩვენი დროის მწერლური პუბლიცისტიკის პარადიგმებია ოთარ ჭილაძისა და ჯემალ ქარჩხაძის ნააზრევი. დიალოგებში ასახული მათი მსჯელობები გამორჩეულად მწერლურია. ისტორიული მეხსიერებით აღბეჭდილი ეს უნიკალური მასალა სანიმუშოდ გამოდგება პუბლიცისტიკის შემსწავლელი სტუდენტებისათვის; იქნებ საინტერესოა მოსაზრებისა და ანალიზის ფორმატით მწერალი ჟურნალისტებისა და ზოგადად პუბლიცისტიკის საკითხებითა და ისტორიით დაინტერესებულთათვის.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Marine Lomidze https://orcid.org/0000-0002-7960-4805 Georgian Technical University, Georgia Amrita Janashia https://orcid.org/0000-0002-4684-4044 Georgian Technical University, Georgia. The Social Potential of Media Literacy and Ways to Implement. Regulating Human Rights, Social Security, and Socio-Economic Structures in a Global Perspective. Chapter 4 DOI: 10.4018/978-1-6684-4620-1.ch004.

Emilia Alaverdov Georgian Technical University, Georgia Muhammad Waseem Bari Government College University, Faisalabad, Pakistan A volume in the Advances in Human Services aand Public Health (AHSPH) Book Series Published in the United States of America by IGI Global Information Science Reference (an imprint of IGI Global) 701 E. Chocolate Avenue Hershey PA, USA 17033 Tel: 717-533-8845 Fax: 717-533-8661 E-mail: cust@igi-global.com Web site: http://www.igi-global.com Copyright © 2022 by IGI Global. All rights reserved. No part of this publication may be reproduced, stored or distributed in any form or by any means, electronic or mechanical, including photocopying, without written permission from the publisher. Product or company names used in this set are for identification purposes only. Inclusion of the names of the products or companies does not indicate a claim of ownership by IGI Global of the trademark or registered trademark. Library of Congress Cataloging-in-Publication Data British Cataloguing in Publication Data A Cataloguing in Publication record for this book is available from the British Library. All work contributed to this book is new, previously-unpublished material. The views expressed in this book are those of the authors, but not necessarily of the publisher. For electronic access to this publication, please contact: eresources@igi-global.com. Names: Alaverdov, Emilia, 1978- editor. | Bari, Muhammad Waseem, 1980- editor. Title: Regulating human rights, social security, and socio-economic structures in a global perspective / Emilia Alaverdov, and Muhammad Waseem Bari, editors. Description: Hershey, PA : Information Science Reference, [2022] | Includes bibliographical references and index. | Summary: “While human security is interconnected with the security of society and the state, this book offers various perspectives on how the modern world is experiencing a crisis of individual and national identity”-- Provided by publisher. Identifiers: LCCN 2022001290 (print) | LCCN 2022001291 (ebook) | ISBN 9781668446201 (hardcover) | ISBN 9781668446218 (paperback) | ISBN 9781668446225 (ebook) Subjects: LCSH: Human rights. | Social security. | National security. Classification: LCC JC571 .R4447 2022 (print) | LCC JC571 (ebook) | DDC323--dc23/eng/20220304 LC record available at https://lccn.loc.gov/2022001290 LC ebook record available at https://lccn.loc.gov/2022001291 This book is published in the IGI Global book series Advances in Human Services and Public Health (AHSPH) (ISSN: 2475-6571; eISSN: 2475-658X. pp.45-62.(18 გვ.)

ვრცელი ანოტაცია

ტექნოლოგიურმა განვითარებამ ბევრ სიკეთესთან ერთად, ახალი გამოწვევებიც გააჩინა. სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ინფორმაცია ელვის სისწრაფით ვრცელდება. ყალბ ახალ ამბებთან ბრძოლის ქმედითი იარაღი მედიაწიგნიერებით, ცოდნით შეიარაღებული მოქალაქეა. სწორედ ამიტომ მედიაწიგნიერება სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მთელს მსოფლიოში, რადგან ის წარმოადგენს აუცილებელ უნარ-ჩვევას მედიის კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და მედიაკონტენტის შექმნისათვის. მედიაწიგნიერება საზოგადოების წევრებისთვის თანამედროვე სწრაფად მზარდ და მაღალტექნოლოგიურ სამყაროში ჩართულობის ერთ-ერთი ქმედითი ბერკეტია.

ინტერნეტის ეპოქაში ინფორმაციამ გარკვეულწილად სახიფათო განზომილებები შეიძინა და ის ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ იარაღად იქცა. დღეს პოპულარობით სარგებლობს და დიდი გავლენა აქვს სოციალურ მედიას, სადაც ადამიანები ყველა სახის ინფორმაციას ავრცელებენ. ყალბი ამბების გავრცელება და მასთან გამკლავება მნიშვნელოვან გამოწვევას წარ¬მო¬ადგენს არამხოლოდ მედიის მომხმარებლებისთვის, არამედ თავად მედი¬ისთვისაც. გადამოწმების გარეშე ინფორმაციის გაზიარებით მომხმა¬რებელი ნახევრად სიმართლისა და დეზინფორმაციის სწრაფ გავრცელებას უწყობს ხელს.

სოციალური ქსელებით გავრცელებულ ყალბი ახალი ამბებისადმი ინ¬ტე¬რესი დიდია. „ფეიკნიუსსა“ და ნამდვილ ახალ ამბავს შორის განსხვავებას მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ხვდება, უმრავლესობას ტექსტის კრიტიკულად აღქმის ცოდნის უნარი არ გააჩნია. შესაბამისად, ისინი ადვილად ეგებიან მედიით გავრცელებული ყალბი ამბების მახეში. მხოლოდ მედიაწიგნიერ ადამიანს შეუძლია გაარჩიოს ყალბი და ნამდვილი ამბავი ერთმანეთისგან.

მედიაწიგნიერების საჭიროება განსაკუთრებით გამოიკვეთა კორონავირუ¬სის შედეგად გამოწვეული მსოფლიო პანდემიისას. ვირუსთან თანაცხოვრება ჯერ კიდევ უწევს მსოფლიოს და საზოგადოება მასთან დაკავშირებული არაერთი ყალბი ინფორმაციის მსხვერპლი ხდება. ეს განსაკუთრებით იგრძნო¬ბოდა 2020 წლის გაზაფხულზე, როცა მსოფლიო უცნობი ვირუსის წინაშე აღმოჩნდა და 2021

წლის პირველ თვეებში, როცა ანტივაქსერულმა კამპანიამ მასშტაბური სახე მიიღო. ყოველ-დღიურად გავრცელებულ მრავალ პუბლიკაციას შორის ნამდვილისა და ყალბის გარჩევა რთულია, რის გამოც მოსახლეობაში შიში, უნდობლობა ჩნდებოდა ვაქცინის მიმართ.

ამ უნდობლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მედიაწიგ¬ნიერების უნარების არქონაა - სამწუხაროდ, მოსახლეობის უდიდესმა ნაწილ¬მა არ იცის, როგორ გაფილტროს, განასხვავოს ნამდვილი და ყალბი ამბავი ერთმანეთისგან.

მედიაწიგნიერება ერთ-ერთი საუკეთესო იარაღია ჰიბრიდული და საინფორმაციო ომების წინააღმდეგ საბრძოლველად, საზოგადოების განვითარებისთვის, რადგან დემოკრატიულ საზოგადოებას სჭირდება ხარისხიანი და ზუსტი ინფორმაცია. მედიაწიგნიერება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო ჩართუ¬ლობაში. საერთაშორისო კვლევების თანახმად, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, სადაც მედიაწიგნიერება ისწავლება, მეტი სამოქალაქო აქტი¬ვობით გამოირჩევიან. ამ ახალგაზრდების უმრავლესობის აზრით, მათ ეს უნარები სწორედ სასწავლებელში მედიაწიგნიერების სწავლების დროს განივითარეს.

თანამედროვე სამყაროში ინდივიდი აუცილებელია მედიაწიგნიერი იყოს ადრეული ასაკიდანვე - მზარდი ტექნოლოგიური პროგრესი სწორედ ამ ასაკიდან მოითხოვს კრიტი¬კულ აზროვნებას და ანალიზის უნარს.

საკითხის შესასწავლად ჩატარებულმა თვი¬სებრივმა და რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახ¬ლეობის უმრავლესობა სათანადოდ არ არის ინფორმირებული მედიაწიგნიერების შესახებ.

კვლევისას მიზნად განვსაზღვრეთ მედიაწიგნიერების, როგორც თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ სამყაროში დეზინფორმაციის წინააღმდეგ ერთ-ერთი მძლავრი იარაღის,ეფექტურად გამოყენების შესწავლა, მედიაწიგნიერების სოციალური ზემოქმედება საზოგა¬დოებაზე.

ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობამ არ იცის მედიაწიგნიერების მნიშვნელობა, თუ რა უნარ-ჩვევებს მოიცავს იგი და რატომ არის აუცილებელი თანამედროვე ადამიანისათვის მედიაწიგნიერების საჭიროება. საზოგადოება, რომელიც ინფორმაციას ძირითადად სოცი¬ალური მედიით ეცნობა, განსაკუთრებით მოწყვლადია გახდეს არასანდო, ეგრეთ წოდებული „ფეიკ ნიუსის“ მსხვერპლი. ციფრული ეპოქის გამოწვე¬ვები ახალ უნარებს მოითხოვს სოციუმისგან. მედიაწიგნიერება კი სწორედ ის აუცილებელი იარაღია, რომლის გარეშეც თანამედროვე ეპოქაში მოზღვა¬ვებული ინფორმაციის ნაკადში ადამიანი გზას ვერ გაიკვალავს.

ამგვარად, მედიაწიგნიერება ხდება დღევანდელი და მომავლის მსოფ¬ლიოს განუყოფელი ნაწილი. იმ უნარების გარეშე, რომელსაც მოითხოვს მედი¬აწიგ¬ნიერება, ინფორმაციულ ნაკადში ადამიანი ვერ იქნება სრულ¬ფასოვანი მოქალაქე, რადგან ის შეიძლება მუდმივად იყოს მსხვერპლი დეზინფორ¬მაციის, ხელოვნური ინტელექტით შექმნილი Deepfake-ის, გარემოცვის, პოლიტიკური გემოვნებების და ა.შ. აღნიშნული გარემოება კი ქმნის სოციალური პასუხისმგებლობისა და ადამიანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით სერიოზულ საფრთხეებს.

რაც უფრო მაღალია ადამიანის მედიაწიგნიერების ხარისხი, რეალურ სამყაროსა და მედიის მიერ შექმნილ სამყაროს შორის არსებული საზღვრის დანახვის უნარი უფრო დიდია. თანამედროვე ადამიანი ტრადიციული მედიისა თუ ინტერნეტპორტალების საშუალებით ყოველდღიურად იღებს უამრავ ინფორმაციას. მან უნდა ისწავლოს მისი მოხმარება. რა უნარები სჭირდება, რომ უფრო მეტი სარგებელი ნახოს ინფორმაციისგან და არა ზიანი. მედიაწიგნიერი ადამიანი არ ექცევა ინფორმაციული გავლენის ქვეშ და არ აძლევს მედიას საშუალებას, დააპროგრამოს მისი გონება. დღეს, როცა პრაქტიკოსი ჟურნალისტების მიერ მედიასაშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციასთან ერთად, მოქალაქე ჟურნალისტებიც ავრცელებენ სხვა¬დასხვა ამბავს, ამ ტიპის ინფორმაციის წყაროებისთვის სასიცოცხლოდ მნიშ¬ვნე¬ლოვანია მედიაწიგნიერების იმ აუცილებელი ანბანური ჭეშმარიტების ცოდნა და სოციალური პასუხისმგებლობის გააზრება, რაც მათ ქმედებას მოჰყვება.

მედიაწიგნიერება ყოველდღიურად ვითარდება. მედიაწიგნიერმა ადამი¬ანმა იცის, თუ როგორ, სად მოიპოვოს, გაფილტროს, შექმნას და გასცეს შესაბამისი ინფორმაცია. ასევე აქვს უნარი, გადაამოწმოს სანდო წყარო. მედია¬წიგნიერება ადამიანში ავითარებს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვ¬ნებას.

ჯერ კიდევ 1999 წელს იუნესკომ ვენის კონფერენციაზე შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლის მიხედვით გაცხადდა მედიაწიგნიერების მხარდაჭერის აუცილებლობა. მედიაწიგნიერება უნდა დანერგილიყო ყველა სახელმწიფოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში, როგორც დამატებითი, არაფორმალური და მთელი ცხოვრების განმავლობაში თვითგანვითარებისთვის საჭირო დარგი. მედიაწიგნიერება არის ნებისმიერი ქვეყნის ყოველი მოქალაქის ძირითადი უფლების შემადგენელი ნაწილი თვითგამოხატვის და ინფორმაციის მიღების თავისუფლების შესახებ, რაც ხელს უწყობს დემოკრატიის მხარდაჭერის პროცესს. როგორც კონფერენციის Education for the Media and the Digital Age მასალებში აღინიშნა, მედიაწიგნიერება უკავშირდება მედიის ყველა საშუალებასა და სხვადასხვა ტექნოლოგიას. იგი ადამიანებს აძლევს საშუალებას გაიგონ მასკომუნიკაცია როგორ გამოიყენება სოციუმში და თავადაც როგორ გამოიყენონ მედია საკომუნიკაციოდ. მედიაწიგნიერება ადამიანს უზრუნველყოფს სათანადო ცოდნით, რათა: 1. კრიტიკულად გაიაზროს და შექმნას ტექსტი; 2. განსაზღვროს მედიატექსტების წყაროები, მათი პოლიტიკური, სოციალური, კომერციული, კულტურული ინტერესები და კონტექსტი; 3.მედიით გავრცელებული ტექსტების ინტერპრეტაცია და ფასეულობები; 4. სათანადო მედიასასუალების შერჩევა საკუთარი მედიატექსტების შექმნისა და გავრცელება დაინტერესებული აუდიტორიის მოზიდვის მიზნით; 5. ჰქონდეს შესაძლებლობა თავისუფალად მიუწვდებოდეს ხელი მედიაზე, როგორც აღსაქმელად, ასევე პროდუქციისათვის. https://ifap.ru/projects/mediaed2.htm)

კვლევის მიზნები და ამოცანები: მედიაწიგნიერებისადმი მისი აქტუა¬ლურობის შესაბამისად საქართველოში ინტერესი სულ უფრო იზრდება. ჩვენი კვლევის მიზანია მედიაწიგნიერების სოციალური პოტენციალის ხაზგასმა, თუ რა სოციალური ზემოქმედების მოხდენა შეუძლია მედიაწიგნი¬ერებას საზოგადოებაზე; მედიაწიგნიერების განხორციელების გზების დასახვა, მისი დანერგვის, განვი¬თა-რების გზების ძიება; რა უნდა გააკეთონ შესაბამისმა ორგანიზაციებმა თუ უწყებებმა მისი განვითარებისთვის. რა ინსტრუმენტებია საჭირო, რომ მოსახლეობის ფართო ფენები უფრო მეტად ფლობდნენ მედიაწიგნიერების უნარებს და რა პერსპექტივა აქვს დარგის განვითარებას საქართველოში.

ნაშრომის ჰიპოთეზა: სავარაუდოა, რომ მედიაწიგ¬ნიერების სოციალურ პოტენციალსა და ზეგავლენას ვერ აცნობიერებს მოსახლეობის დიდი ნაწილი. შესაბამისად, კრიტიკული აზროვნების დეფიციტი, დეზინფორ¬მაცი¬ასთან ბრძოლის შესაბამისი უნარების არქონა, ციფრული ტექნოლო¬გიების ფლობის არასათანადო დონე ხელს უშლის ქვეყანაში დემოკრატიული საზო¬გადოების ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული პროცესების განვითა¬რებას. მედიაწიგნიერ საზოგადოებას შეუძლია გაარჩიოს ნამდვილი და ყალბი ამბავი ერთმანეთისგან, არ გახდეს მანიპულაციის მსხვერპლი, თავი დაიზღვიოს მოსალოდნელი რისკებისგან, რეალური ინფორმაცია გამო¬იყენოს საკუთარი და საზოგადოებრივი ინტერესის გამომხატველი მართე¬ბული გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული ფაქტორები განსაზღვრავს მედიაწიგნიერების საზოგადოებრივი ზემოქმედების ბერკეტებს, რომელთა განვითარებაა სწორედ ქვეყანაში დემოკრატიული, თავისუფალი საზოგადო¬ების ჩამოყალიბების ერთ-ერთი გარანტი, რომელიც გარკვეულწილად განაპირობებს სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებასა და ადამიანთა უფლებების დაცვას. საკვლევი კითხვები: რატომ არის დღეს მედიაწიგნიერების აუცილებლობის საჭიროება და რა უნდა გაკეთდეს, რომ უფრო მეტად იყოს საზოგადოება მედიაწიგნიერი? ახდენს თუ არა დემოკრატია გავლენას მედიაწიგნიერებაზე ან პირიქით - ხელს უწყობს თუ არა მედიაწიგნიერება დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყა¬ლიბებას? რა სოციალური ზემოქმედება შეუძ¬ლია მედიაწიგნიერებას საზოგადოებაზე? როგორ შეცვალა საზოგადოება COVID-19-მა და რა როლი აქვს მედიაწიგნიერებას კრიტიკულ სიტუაციებში?

საკითხის კვლევის მეთოდები: საკითხის შესასწავლად გამოვიყენეთ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდე¬ბი: ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან, ანალიტიკოსებთან, ტელე¬წამყვანებთან, დარგის სპეციალისტებთან, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნუ¬ლი კომისიის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან; სამაუწყებლო და სოციალური მედიის კონტენტანალიზი; ონლაინგამოკითხვა.

სტატისტიკურმა კვლევამ, სისტემური მიდგომის, ანალიზისა და შედარების მეთოდებმა, რომლებიც კვლევის პროცესში იქნა გამოყენებული, შესაძ¬ლებლობა მოგვცა დასაბუთებულად წარმოვაჩინოთ საკვლევი თემის აქტუალურობა და მისი შედეგები.
კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომი საინტერესო იქნება მედიაწიგნიერებით დაინტერესებულთათვის, იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მედიაწიგნიერების კვლევით და სწავლე¬ბით არიან დაკავებულები. მნიშვნელოვანია სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიერ შემოთავაზებული კონკრეტული გზები, როგორ ხედავენ ისინი მედიაწიგნიერების განვითა¬რების შესაძლებლობებს საქართველოში, რა სახის დაბრკოლებები არსებობს და როგორ შეიძლება მათი გადაჭრა. სფეროთი დაინტერესულ ორგანიზა¬ციებსა და უფლებამოსილ უწყებებს, კვლევების საფუძველზე მიღებული დასკვნები საშუალებას მისცემს გამოიყენონ ისინი რეალურად განსახორცი¬ელებელ პროგრამებში, ყურადღება მიაქციონ მედიაწიგნიერების ფსიქო-სოციალურ ფაქტორებს, მის რესურსს ადამიანთა უფლებებისა და სოციალური უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ნაშრომში ასახული დებულებები წაადგება მედიაწიგნიერების შესწავლის პროცესის გაფართოებას.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.მარინე ლომიძე. Media Influence Paradigms: History, Challenges, Perspective. Inequality and Unemployment in the time of COVID-19 13. International Conference on Political Economy (ICOPEC2022@İstanbul) June 23-25, 2022, İstanbul, Turkey | www.icopec.org | ABSTRACTS & PROCEEDING. IJOPEC Publication Limited CRN:10806608 60 Westmeade Close, Cheshunt Waltham Cross Hertfordshire / London EN7 6JR United Kingdom www.ijopec.co.uk E-Mail: info@ijopoc.co.uk Phone: (+44) 73 875 2361 (UK) (+90) 488 217 4007 (Turkey) Inequality and Unemployment in the time of COVID-19: ICOPEC 2022 Abstracts & Proceedings First Edition, June 2022 IJOPEC Publication No: 2022/06 ISBN: 978-1-913809-32-4. Pp. 20; 205-210. (6 გვ).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მედიის გავლენის პარადიგმები: ისტორია, გამოწვევები, პერსპექტივა
თანამედროვე ეპოქის - სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის აფეთქების ხანის- განმასხვავებელი თავისებურება ისიცაა, რომ ინფორმაციის მოცულობა, ფლობა, გავრცელება არნახულ მასშტაბებს აღწევს. ინფორმაციის სასიცოცხლო მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იჭრება ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროებში, რაც განაპირობებს კიდეც მედიის გავლენის ზრდის არნახულ მასშტაბებს და რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა განსაკუთრებით ბოლო პერიოდში კორონას ეპიდემიისა და რუსეთ-უკრაინის მსვლელობის პირობებში. ჩვენი ცხოვრების თანადროული გარდაქმნების პერიოდში, „ინფორმაციული ომების“ ხანაში სიტყვა იძენს ჯადოსნურ ძალას და ადამიანთა შორის ურთიერთობის ზეპირ და წერით მეტყველებას ფასდაუდებელ პოტენციალს უჩენს, გამოკვეთს მედიის სოციალური პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამ საყოველთაო ფონზე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივი სივრცის პირობებში, გასათვალისწინებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალების თავისებურებები (მიზნობრივი და პოტენციური აუდიტორია, ადრესატის მოთხოვნები, გამოცემის მიმართულება და პერიოდულობა, სარედაქციო პოლიტიკა, პრობლემატიკა და თემატიკა, ჟანრული მოდელი, გამოცემის გამოსვლისთვის არსებული მდგომარეობა).
მედია ისე, როგორც არასდროს, ახალი გამოწვევების წინაშე დგას: გაიაზროს საქმიანობის გამოცდილება, გაანალიზოს რისკები და პროფესიული კეთილსინდისიერებით გამოიყენოს მის ხელთ არსებული შესაძლებლობები, რითაც შეასრულებს თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას -ობიექტური

ინფორმაციის მიწოდებით ადამიანებს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმაროს. გლობალიზაციისა და დემოკრატიის პროცესები, უდიდესი ძვრები _ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენათა სწრაფი განვითარება, მათი ფართო სპექტრი, მასშტაბურობა და სიმძაფრე, აზრთა პლურალიზმის დამკვიდრება _ აქტიურად შეიჭრა ადამიანური საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. ამიტომაც ხშირად გვიჭირს თანამედროვე სამყაროს შეცნობა. სირთულე ვლინდება მოჭარბებული ინფორმაციის მძლავრი ნაკადით, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით, ისევ და ისევ ფასეულობათა გადაფასებით, კულტურათა ტრანსფორმაციითა და სხვა მოვლენებით, რომლებიც ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირებითაა გადაჯაჭვული.

ბუნებრივია, მიმდინარე პროცესებმა თავისებური ასახვა პოვა შემეცნების ჟურნალისტურ ფორმებსა და სინამდვილის აღქმის მეთოდებში. ამ ფონზე სათქმელისათვის სათანადო ფორმის შესატყვისობა კიდევ უფრო აქტუალური გახდა. XX საუკუნის კომუნიკაციის თეორეტიკოსი მარშალ მაკლუენი საზოგადოებას აფრთხილებდა, რომ ტელევიზიას შეუძლია ნებისმიერი ნაკლებადმნიშვნელოვან მოვლენას, წვრილმანს საქვეყნო მნიშვნელობა მიანიჭოს. მაყურებელი ,,სატელევიზიო მოზაიკის“ ათვისების პროცესში აქტიურადაა ჩართული: ნანახით ყველა საკუთარ სურათს ქმნის ცხოვრებისეული გამოცდილების, განათლების, განწყობისა და კონკრეტულ მომენტში ყურადღების ხარისხის მიხედვითაც კი. ე. ი. ტელევიზიის(ზოგადად მედიის) ზემოქმედების ამ ფსიქოლოგიური ბერკეტის, როგორც ინსტრუმენტის, რაციონალურად გამოყენება სხვადასხვა მიზნის მიღწევის გზაა.

დღეს, როცა ჟურნალისტებს სთავაზობენ მრავალგვარ სქემას, ე.წ. გაიდლაინებს (გზამკვლევებს), როგორ უნდა გააშუქონ მრავალფეროვნება (არჩევნები, გენდერული საკითხები, ჰომოფობიის თემები და სხვ.), მაინც ბევრი პროფესიულ დონეს მოკლებული პუბლიკაცია და სიუჟეტი იწერება და იქმნება. დღის წესრიგში ისევ ხარისხიანი მედიის, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR-ის) ინსტრუმენტის, პრობლემა რჩება (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მედიასაშუალებათა საქმიანობის შინაარსობრივ და არა ტექნოლოგიურ მხარეს).

ხარისხს, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ოპერატიული, სრულყოფილი, სანდო ამბების მიწოდება განსაზღვრავს, რაც მედიის უმთავრესი დანიშნულების - ინფორმირების განხორციელებაა.სხვადასხვა მოსაზრების, ცოდნის გაზიარების საფუძველზე აზროვნების გამდიდრება, გადაწყვეტილების მიღებაში დახმარება მედიის სხვა ფუნქციის - განათლების საქმეა. განათლება, ფართო გაგებით, გარკვეულწილად ინფორმირების - ახალი ამბების ჟურნალისტიკის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ მედიის განათლების როლის განმსაზღვრელად უპირატესად მაინც ,,მოსაზრების გაცნობა ანუ ანალიტიკური ჟურნალისტიკა უნდა მივიჩნიოთ. ,,მოსაზრება'' ანუ, ,, ადამიანს სჯერა რაღაცის ფაქტობრივი სიმართლის''. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ,,მოსაზრებას, რომელიც შეიცავს შეფასებას ან ემოციურ კომპონენტს, დამოკიდებულება ჰქვია.'' მოსაზრებები უფრო ადვილად იცვლება, ვიდრე დამოკიდებულება. ქაოსით სავსე სამყაროში, როცა ადამიანის ყველაზე ძვირფასი ფასეულობა - სიცოცხლეც კი თვალის დაუხამხამებლად მავანთა მეშვეობით პოლიტიკას ეწირება და ამგვარ საქციელს გამართლებასაც უძებნიან, ადამიანს ჰაერივით სჭირდება საკუთარი თავისადმი ნდობათუ ჟურნალისტის/ მედიაპროდუქტის ავტორის შემოთავაზებული მოსაზრება ახლებური მართებული ხედვაა, ინფორმაციის მომხმარებელი ამ სააზროვნო სივრცის ნაწილი ხდება, რაც მას სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებასაც აძლევს და ღირსების განცდასაც უმძაფრებს, საკუთარ თავს დაეხმაროს, მართალი სიტყვა შეიმეცნოს და საზოგადოების სრულუფლებიან მოქალაქედ მიიჩნიოს თავი.

კვლევის მიზნები და ამოცანები: თანამედროვე მსოფლიოში მედიის გავლენა უსაზღვროდ იზრდება. ინფორმაციის გავრცელების შინარსმა და ფორმებმა სახიფათო განზომილებები შეიძინა, რისი თავიდან აცილებას განაპირობებს მედიასაშუალებების მხრიდან პროფესიული სტანდარტების განუხრელი დაცვა. ამ თემის აქტუა¬ლურობის შესაბამისად მისდამი ინტერესი სულ უფრო იზრდება. ჩვენი კვლევის მიზანია მედიის გავლენის სოციალური პოტენციალის ხაზგასმა, რა სოციალური ზემოქმედების მოხდენა შეუძლია მედიას საზოგადოებაზე; მედიის პროფესიული საქმიანობის განხორციელების გზების დასახვა; რა უნდა გააკეთონ მედიასაშუალებებმა საზოგადოებაზე ადეკვატური ზეგავლენისათვის.

ნაშრომის ჰიპოთეზა: სავარაუდოა, რომ მედიის სოციალურ პოტენციალსა და ზეგავლენას სათანადოდ ვერ აცნობიერებს ვერც მოსახლეობის დიდი ნაწილი და ვერც მედიასაშუალებები. შესაბამისად, მედიასაშუალებების არაკეთილსინდისიერი ქმედებები და საზოგადოების კრიტიკული აზროვნების დეფიციტი, დეზინფორ-მაცი¬ასთან ბრძოლის შესაბამისი უნარების არქონა ხელს უშლის ქვეყანაში დემოკრატიული საზო¬გადოების ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული პროცესების განვითა¬რებას, რათა მოსახლეობამ რეალური ინფორმაცია გამო¬იყენოს საკუთარი და საზოგადოებრივი ინტერესის გამომხატველი მართე¬ბული გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული ფაქტორები განსაზღვრავს მედიის საზოგადოებრივი ზემოქმედების ბერკეტებს, რომელთა პროფესიული კეთილსინდისიერებით გამოყენებაა დემოკრატიული, თავისუფალი საზოგადო¬ების ჩამოყალიბების ერთ-ერთი გარანტი, რომელიც გარკვეულწილად განაპირობებს სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებასა და ადამიანთა უფლებების დაცვას.

საკვლევი კითხვები: რატომ არის დღეს მედიის გავლენის ფაქტორების შესწავლის აუცილებლობის საჭიროება? ახდენს თუ არა დემოკრატია გავლენას მედიაზე ან პირიქით - ხელს უწყობს თუ არა მედია დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყა-ლიბებას? რა სოციალური ზემოქმედება შეუძ¬ლია მედიას საზოგადოებაზე? რა როლი აქვს მედიას კრიტიკულ სიტუაციებში?

საკითხის კვლევის მეთოდები: საკითხის შესასწავლად გამოვიყენეთ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდე¬ბი: ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან; სამაუწყებლო და სოციალური მედიის კონტენტანალიზი.კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომი საინტერესო იქნება მედიით, მედიაწიგნიერების კვლევით და სწავლე¬ბით დაინტერესებულთათვის; მნიშვნელოვანია მედიაზემოქმედების მექანიზმების ცოდნა და მათი გაფილტვრა. მედიის ზემოქმედების ფსიქო-სოციალური ფაქტორებისთვის ყურადღების მიქცევა, მისი რესურსის გამოყენება ადამიანთა უფლებებისა და სოციალური უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მარინე ლომიძე. მხატვრული აზროვნება, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტიანობის რესურსი (ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკის მიხედვით) . თბილისი, 21 ოქტომბერი, 2022.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.მარინე ლომიძე. მედიის გავლენის პარადიგმები: ისტორია, გამოწვევები, პერსპექტივა. International Conference on Political Economy Inequality and Unemployment in the time of COVID-19 | ICOPEC2022@ISTANBUL | June 23-25, 2022, İstanbul, Turkey www.icopec.org

ფორმა №2

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით -

ფიქრია ასანიშვილი - ასოცირებული პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
ზურაბ დავითაშვილი - პროფესორი
თორნიკე თურმანიძე - პროფესორი
ეკა აკობია - ასოცირებული პროფესორი
ნიკოლოზ სამხარაძე - ასოცირებული პროფესორი
დავით მაცაბერიძე - ასოცირებული პროფესორი

კონსტანტინე შუბითიძე-ასოცირებული პროფესორი

ფიქრია ასანიშვილი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. ფიქრია ასანიშვილი, რუსეთის საგარეო პოლიტიკის როლი რუსეთის სახელმწიფო იდენტობის ფორმირებაში. ელექტრონული სამეცნიერო რეცენზირებადი ჟურნალი Environment and Society, N4,July, 2022, გვ.83-103 Published: 08.11.2022 *ISSN 2667-9620 (online)*

ვრცელი ანოტაცია
ამ ნაშრომის მიზანია გაანალიზოს რუსეთის საგარეო პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივიზმის თეორიის პრიზმიდან და ახსნას თუ როგორია თანამედროვე რუსეთის წარმოდგენა და აღქმა გარე სამყაროზე და რუსეთის როლზე ამ სამყაროში. როგორ აღიქვამს რუსეთი ურიერთობას სხვა სახელწლიფოებთან განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებთან (ევროკავშირი და აშშ). როგორ აყალიბებს იგი თავის საგარეოპრიორიტეტებს და როგორ ქმნის ეს საგარეო პოლიტიკა თანამედროვე რუსეთის სახელმწიფოიდენტობას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. ფიქრია ასანიშვილი, რუსეთის საგარეო პოლიტიკა,როგორც რუსეთის ეროვნული იდენტობის ფორმირების ინსტრუმენტი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე ,საზოგადოება, პოლიტიკა“ 23-25 ივნისი, 2022 თბილისი

მოხსენების ანოტაცია
მოხსენების მიზანს წარმოადგენდა წარმოეჩინა რუსეთის საგარეო პოლიტიკის გავლენა რუსულ ეროვნულ იდენტობაზე. რა მიზნებს ისახავს მოქმედი რუსეთის პოლიტიკური ელიტა საგარეო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში და შემდეგ ამ მიზნების უკეთ იმპლემენტაციისთვის,როგორ აყალიბებს და ქმნის რუსული ეროვნული იდენტობის ნარატივებს და მიმართულებას,რათა გაამართლოს საგარეო პოლიტიკური კურსი და მაქსიმალური მხარდაჭერა მოიპოვოს რუსეთის საზოგადოების მხრიდან.

დავით მაცაბერიძე

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება: პოლიტიკის მეცნიერებები/საერთაშორისო ურთიერთობები
დონორი: კავკასიაში ევროპული კვლევების ასოციაცია (AESC), კონრად ადენაუერის ფონდთან (KAS) თანამშრომლობით.

სახელმძღვანელოს *„ევროპული კვლევები სამხრეთ კავკასიაში“* შემუშავება. თანაავტორი [რუბენ ელამირიანი] სახელმძღვანელოს თავისა: აღმოსავლეთ პარტნიორობა, როგორც მშვიდობის მშენებლობის სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში: სომხეთისა და საქართველოს შედარებითი ანალიზი. წიგნში/სახელმძღვანელოში: *ევროპული ფასეულობების ხელშეწყობა სწავლების გზით სამხრეთ კავკასიის უმაღლესი განათლების დაწესებულებებში.* გამოცემის წელი: 2023. პროექტის ხანგრძლივობა ნოემბერი 2019 - გაზაფხული, 2023.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. დავით მაცაბერიძე, თანაავტორი, მკვლევარი
2. რუბენ ელამირიანი, თანაავტორი, მკვლევარი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში წარმოჩენილია პოზიტიური მშვიდობის (იოჰან გალტუნგის) კონცეპტის გამოყენების შესაძლებლობა ევროკავშირის მშვიდობის მშენებლობის ჩარჩოს ანალიზისთვის და ნაჩვენებია მშვიდობის მშენებლობის ჭრილში ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის თავსებადობა იმანუელ კანტის *მუდმივი მშვიდობის* ცნებასთან მიმართებაში. ამ მხრივ გაანალიზებულია 2000-იანი და 2020-იანი წლების დასაწყისში საქართველოსა და სომხეთში მომხდარი

მშვიდობიანი რევოლუციების როლი მშვიდობის ხელშეწყობასა თუ არეულობების პროვოცირებაში. ამ ჭრილში გაანალიზებულია ასევე ევროკავშირის მხრიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობის მშენებლობისა და მისი შენარჩუნების ძირითადი მიდგომები, ინსტრუმენტები, და ამ მხრივ ევროკავშირის სტრატეგიისადმი არსებული მთავარი დაბრკოლებები. ნაშრომი წარმოაჩენს ევროკავშირის მიერ მშვიდობის, როგორც ზოგადსაკაცობრიო ფასეულობის, ხელშეწყობასა და გავრცელებას აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში და აფასებს მის წარმატებასა და წარუმატებლობას შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, ასევე მისი მოქმედების სამომავლო გაუმჯობესების გზებს კონკრეტულად საქართველოსა და სომხეთში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

დავით მაცაბერიძე- *„აღმოსავლეთ პარტნიორობა როგორც მშვიდობის მშენებლობის სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში: სომხეთისა და საქართველოს შედარებითი ანალიზი“*

2022, 7-8 ნოემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ორგანიზებული კავკასიაში ევროპული კვლევების ასოციაციის [AESC] მიერ, სახელწოდებით: *„კავკასია გზაჯვარედინზე: რა არის ევროპის როლი?,“* მასპინძელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ჟან მონეს მოდულის ფარგლებში, თბილისი, საქართველო

მოკლე ანოტაცია / სტატია წარდგენილია დასაბეჭდად და ამჟამად რევიუირების პროცესშია.

ნაშრომში წარმოჩენილია პოზიტიური მშვიდობის (იოჰან გალტუნგის) კონცეპტის გამოყენების შესაძლებლობა ევროკავშირის მშვიდობის მშენებლობის ჩარჩოს ანალიზისთვის და ნაჩვენებია მშვიდობის მშენებლობის ჭრილში ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის თავსებადობა იმანუელ კანტის *მუდმივი მშვიდობის* ცნებასთან მიმართებაში. ამ მხრივ გაანალიზებულია 2000-იანი და 2020-იანი წლების დასაწყისში საქართველოსა და სომხეთში მომხდარი მშვიდობიანი რევოლუციების როლი მშვიდობის ხელშეწყობასა თუ არეულობების პროვოცირებაში. ამ ჭრილში გაანალიზებულია ასევე ევროკავშირის მხრიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობის მშენებლობისა და მისი შენარჩუნების ძირითადი მიდგომები, ინსტრუმენტები და ამ მხრივ ევროკავშირის სტრატეგიისადმი არსებული მთავარი დაბრკოლებები. ნაშრომი წარმოაჩენს ევროკავშირის მიერ მშვიდობის, როგორც ზოგადსაკაცობრიო ფასეულობის, ხელშეწყობასა და გავრცელებას აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში და აფასებს მის წარმატებასა და წარუმატებლობას შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, ასევე მისი მოქმედების სამომავლო გაუმჯობესების გზებს კონკრეტულად საქართველოსა და სომხეთში.

დამატებითი ინფორმაცია

I.

2022, 25-28 ივლისი

ახალგაზრდა მეცნიერთა და მშვიდობის მკვლევართა კარიერული განვითარება 2022: *„კავკასიის სიძნელეებისა და გამოწვევების ანალიზი და მოგვარება,“* ორგანიზებული კორიდორის პროექტის მიერ, სამოქალაქო იდეასთან (საქართველო) და მდგრადი განვითარების კვლევებისა და ტრენინგების ინსტიტუტთან (სომხეთი) თანამშრომლობით; დაფინანსებული გერმანიის

ფედერალური ოფისისა (#სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობა) და საგარეო ოფისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მიერ. თელავი, საქართველო.

პრეზენტაცია: *უსაფრთხოების ძიებაზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა საქართველოში*

II.

2022, დეკემბრიდან - დღემდე	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი https://eqe.ge
თანამდებობა	აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი
ქალაქი	თბილისი, საქართველო

ფორმა №2

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით -

იოსებ სალუქვაძე - პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
ვაჟა ლორთქიფანიძე- პროფესორი
გიორგი გოგსაძე- პროფესორი
რევაზ გაჩეჩილაძე- პროფესორი
თამარ დოლბაია - ასოცირებული პროფესორი
გიორგი კვინიკაძე - ასოცირებული პროფესორი
ანზორ სახვაძე - ასოცირებული პროფესორი
ნინო პავლიაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ვალერიან მელიქიძე - ასოცირებული პროფესორი
ია იაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ვლადიმერ ჩხაიძე - ასისტენტ-პროფესორი

ვაჟა ლორთქიფანიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ვაჟა ლორთქიფანიძე-„ნამდვილი ცნობები უბრწყინვალესი დედოფლის, ქეთევანის სახელოვან მოწამებრივ სიკვდილზე..“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 111 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ 2022 წელს ვ.ლორთქიფანიძის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით გამოსცა მამა ამბროზიო დუშ ანჟუშის მიერ დაწერილი და 1630 წელს რომში

გამოქვეყნებული აღნიშნული წიგნი. წიგნში შეტანილია ცნობილი პორტუგალიელი მკვლევარის, რობერტო გულბეკიანის ნაშრომი ქეთევან დედოფლის შესახებ, შესავალითა და მნიშვნელოვანი კომენტარებით. ასევე, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების მოსაძიებლად 2001 წელს გოაში ვ.ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით განხორციელებული სამეცნიერო ექსპედიციის მასალები, შემდგომ პერიოდში სხვა უცხოელ მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები და მათ შესახებ ვ.ლორთქიფანიძის ვრცელი კომენტარები.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.V. Lordkipanidze, A. Sakhavadze, Strategic challenges of demographic and migration development in modern Georgia. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol 16, no 3, 2022

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატია წარმოადგენს თანამედროვე საქართველოში ჩამოყალიბებული დემოგრაფიული და მიგრაციული განვითარების სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრის მცდელობას, რომელიც დამყარებულია მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების ანალიზზე. მასში დახასიათებულია საქართველოს მოსახლეობის ქრონიკული დეპოპულაციისა და ინტენსიური შრომითი ემიგრაციის გამომწვევი მიზეზები და მათი გამოსწორების გზები.

გიორგი გოგსაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Gogsadze, Giorgi, Dolbaia, Tamar, and Sitchinava, Tatiana. The main peculiarities of labour migrants' integration in Georgia (case of Tbilisi and Batumi). Journal DELA,2022, issue #1.

2. Gogsadze Giorgi, Pavliashvili Nino, Kvinikadze Giorgi, Chkaidze Vladimir. The Small Hotel Sector of Ajara and The Main Challenges of COVID-19 Pandemic. Environment and Society, Vol.9, Issue 1. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში განხილულია საქართველოში მყოფი იმიგრანტების ინტეგრაციის საკითხები, ბათუმისა და თბილისის მაგალითებზე. აღნიშნულ 2 ქალაქში ჩატარდა თვისებრივი კვლევა - გამოიკითხა 52 იმიგრანტი. გამოვლინდა, რომ საქართველოში იმიგრანტთა ინტეგრაცია მთლიანობაში სპონტანურ

ხასიათს ატარებს, რადგან ხელისუფლებას ამ სფეროში არ გააჩნია მკაფიო პოლიტიკა და შესაბამისი აღმასრულებელი ინსტიტუტები. ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი იმიგრანტების ინტეგრაცია მეტნაკლებად წარმატებით მიმდინარეობს, როდესაც აზიიდან და ფრიკიდან ჩამოსული იმიგრანტები ძირითადად მიმღები საზოგადებისგან იზოლირებულად ცხოვრობენ.

2. ნაშრომში მოცემულია კოვიდ-19 პანდემიის ზეგავლენა აჭარის სასტურმროების სექტორზე 2020-2021 წწ.. ჩატარდა თვისებრივი კვლევა - გამოიკითხა აჭარის სანაპირო ზოლში მდებარე 32 მცირე სასტუმროს მეწეჯერი და მფლობელი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პანდემიის პირველი 2 წლის განმავლობაში საერთაშორისო მიმოსვლის შეჩერების გამო აჭარის მცირე სასტუმროებს დააკლდათ უცხოელი ტურისტები, რომელელთა დანახარჯები სასტუმროების შემოსავლის მნიშვნელოვნ ნაწილს შეადგენდა. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გაწეული გარკვეული ფინანსური და ორგანიზაციული ხასიათის დახმარებისა მცირე სასტუმრობის დიდმა ნაწილმა, გარდა ფინანსური ზარალისა, ვერ შეინარჩუნა პერსონალი, რომლის გარკვეული ნაწილი სამსახურის გარეშე დარჩა. ამ წლებში სასტუმროების ძირითადად შიდა ტურიზმის ხარჯზე არსებობდნენ.

რევაზ გაჩეჩილაძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. რევაზ გაჩეჩილაძე. როგორ იქმნებოდა ცენტრალური ევროპა. ჟურნალი „ჩემი სამყარო“, (ნაწილი 1). N35, 2022, გვ. 28-35 [https://gfsis.org.ge/files/my-world/35/gachechiladze.pdf], (ნაწილი 2). N36, გვ. 20-25 [https://gfsis.org.ge/files/my-world/36/gachechiladze.pdf] (გვერდების რაოდენობა 14)

2. რევაზ გაჩეჩილაძე. საქრისტიანო სამყარო I და II ათასწლეულების მიჯნაზე. ჟურნალი „ჩემი სამყარო“, N37, 2022, გვ. 22-35 (გვერდების რაოდენობა 14)

3. რევაზ გაჩეჩილაძე. ხელშეკრულება, რომელიც ვერ შესრულდა - სევრის აჩრდილი. ჟურნალი „ჩემი სამყარო“, N 38, 2022, გვ. 15-23 (გვერდების რაოდენობა 9)

ვრცელი ანოტაცია

1. სტატია, რომელიც ორ ნაწილად გამოქვეყნდა, ეხება ცნებისა და პოლიტიკურ-გეოგრაფიული რეალობის -- „ცენტრალური ევროპის“ -- წარმოშობას და განვითარებას მე-20 და 21-ე საუკუნეებში. კერძოდ, განხილულია პოლონეთის, ჩეხეთის, სლოვაკიისა და უნგრეთის ისტორიული გზა იმ გაერთიანების ფორმირებამდე, რომელსაც ეწოდა „ვიშეგრადის ოთხეული“ და რომელიც წარმოადგენს საკმაოდ მსგავსი საგარეო-პოლიტიკური დღის წესრიგის მქონე რეგიონულ გაერთიანებას ევროპული კავშირის შიგნით. ცენტრალური ევროპა 1940-იანი წლების ბოლოდან 1990-იან წლების დამდეგამდე, 40 წელი, იყო საბჭოთა კავშირის უპირობო გავლენის სფერო და ახლაც არის რუსული ჰეგემონიზმის საფრთხის ქვეშ. 21-ე საუკუნეში ევროპულ კავშირში ყოფნამ ცენტრალურ ევროპას მისცა საშუალება

საკმაოდ დაახლოებოდა დასავლეთ ევროპის ცხოვრების დონეს, ხოლო ნატო-ს წევრობამ უსაფრთხოების მეტი გარანტია შესძინა მას.

2. სტატიაში განხილულია ევროპის სოციალური ცხოვრება ჩვ.წ. მეორე ათასწლეულის დამდეგს. მოყვანილია შედარებები იმდროინდელი აღმოსავლეთ ჰემისფეროს დანარჩენ ნაწილებთან, აგრეთვე, საქართველოსთან. განხილულია ევროპელი ერების ჩამოყალიბების დაწყება, რელიგიის როლი საზოგადოების ცხოვრებაში, დემოგრაფიული თავისებურებები, სასოფლო-სამეურნეო სისტემები და ევროპაში დაწყებული ტექნოლოგიური ცვლილებები. გაკეთებულია მომდევნო ეპოქის მოკლე მიმოხილვა, იმისათვის, რომ მკითხველმა უკეთ შეიმეცნოს საზოგადოების განვითარების დინამიკა.

3. სტატიაში განხილულია პირველი მსოფლიო ომის დამამთავრებელი უკანასკნელი სამშვიდობო ხელშეკრულების არსი და მისი განხორციელების სერიოზული პრობლემები. პარიზის ახლოს, ქ. სევრში 1920 წლის 10 აგვისტოს ხელმოწერილი ხელშეკრულება, ერთი მხრივ, გამარჯვებულ „ანტანტასა“ და მისი მოკავშირეების და, მეორე მხრივ, დამარცხებულ ოსმალეთის იმპერიას შორის, არ ითვალისწინებდა ომის დამთავრებიდან ორი წლის განმავლობაში მომხდარ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს. ხელმომწერი მხარე, ოსმალეთის იმპერია, რეალურად აღარ არსებობდა: მის ადგილზე ჩნდებოდა ახალი პოლიტიკური წარმონაქმნი, ქემალისტური თურქეთი, რომელიც არ ცნობდა „სევრის ხელშეკრულებას“. ამ ხელშეკრულების პრაქტიკული განხორციელების არც ერთი მექანიზმი არ შემუშავებულა. ახალმა გეოპოლიტიკურმა რეალობამ 1920-1921 წლებში გამოიწვია ადრე წარმოუდგენელი, თუნდაც ხანმოკლე, თანამშრომლობა ტრადიციულ მტრებს -- თურქეთსა და რუსეთს -- შორის; „ანტანტის“ ერთ-ერთმა წევრმა საფრანგეთმა, 1921 წლის შემოდგომაზე ფაქტობრივად მოახდინა მის მიერვე ხელმოწერილი „სევრის ხელშეკრულების“ დეზავუირება; ყველაზე მეტად დაზარალდა სომხეთის რესპუბლიკამ, რომელსაც „სევრის ხელშეკრულება“ ყასიდად ჰპირდებოდა ტერიტორიის გასამმაგებას, რეალურად კი სომხეთმა ის ტერიტორიაც დაკარგა, რომელიც რუსეთის იმპერიისაგან მემკვიდრეობით მიიღო. ფაქტობრივსად დაზარალდა საქართველოც, რომელიც არ აწერდა ხელს „სევრის ხელშეკრულებას“: მის მიერ საკუთარ ტერიტორიად მიჩნეული ართვინის ოკრუგი და სომხეთთან სადავო არტაანის ოკრუგის ოკუპირება თურქეთმა მოახდინა. 1921 წელის 16 მარტის „მოსკოვის ხელშეკრულებამ“ განსაზღვრა საქართველოს და სომხეთის დღევანდელი სამხრეთი და დასავლეთი საზღვრები. „სევრის ხელშეკრულება“ უნდა მივიჩნიოთ უპასუხისმგებლო დიპლომატიის ნიმუშად.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. რევაზ გაჩეჩილაძე. სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში (მე-17-18 სს.) მოყვანილი ტოპონიმების ლინგვისტური ფესვების შესახებ. (მოხსენება).

X საერთაშო¬რი¬სო¬ სამეცნიერო კონფერენცია "სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“. თსუ: თბილისი, 23-24 ივნისი, 2022

მოხსენების ანოტაცია

1. მოხსენება ეხებოდა გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ევროპული კულტურის რეპრეზენტაციას გეოგრაფიული ტერმინების მეშვეობით. წყაროდ გამოყენებული იქნა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ (ქართული ლექსიკონი“. გაკეთდა იქ მოტანილი ყველა გეოგრაფიული ტოპონიმის ლინგვისტური წარმომავლობის ანალიზი. იტალიის გარეთ მდებარე ქალაქებისა და ცალკეული ქვეყნების დასახელების ლიგვისტური წყარო არის იტალიური ენა. ამის ახსნა არის ის, რომ ავტორი სარგებლობდა იტალიაში გამოცემული რუკებით/ატლასებით. პირველად გამოჩნდა „ინგლისის“ ქართული დასახე-ლება, როგორც ინგლიზი. ეს, ქართულისათვის შედარებით უჩვეულო ფორმა (მაშინ, როდესაც ქვეყნების სახელებს ქართულად უკეთდება სუფიქსი „ეთი“) დამკვიდრდა და დღეს გამოითქმის, როგორც ინგლისი. ამის სულხან-საბამ საფუძვლად აიღო არა ინგლისის იტალიური სახელი (Inglaterra), არამედ „ინგლისელის“ იტალიური დასახელება -- Inglese (გამოითქმის ინგლეზე). სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი არის ევროპასთან საქართველოს კულტურული კონტაქტების დაწყების ნათელი დადასტურება.

ნინო პავლიაშვილი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Nino Pavliashvili, Mzia Tutberidze. Physical Geography of Georgia chapter – “Physical-geographical Features of Tourist Development”. Cham (Switzerland), „Springer“. 10 გვ.ნ.პავლიაშვილი, მ.თუთბერიძე. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თავი – ტურისტული მეურნეობის განვითარების ფიზიკურ-გეოგრაფიული წანამძღვრები.

ვრცელი ანოტაცია

საქართველოს განსაკუთრებული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები მის ტერიტორიაზე მრავალფეროვანი და გამორჩეული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების განმსაზღვრელია. ქვეყნის ჯანსაღი კლიმატი, რთული ოროგრაფიული რელიეფი, მრავალფეროვანი ლანდშაფტები, ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელი და შავი ზღვის სანაპირო, სხვადასხვა შემადგენლობის მინერალური წყლები, ტყით დაფარული დიდი ფართობები და დაცული ტერიტორიები, სპელეო-ობიექტები ქმნიან საკურორტო და ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ერთობლიობას. აღნიშნული მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების ბაზაზე საქართველოში პრეზიდენტის ბრძანებულებით და კანონით „ტურიზმის და კურორტების შესახებ“, გამოყოფილია 103 კურორტი და 180-ზე მეტი საკურორტო ადგილი, რომელთაგან ექვსი კურორტი საერთაშორისო მნიშვნელობისაა.

როგორც ყველა ბუნებაზე ორიენტირებული დარგისათვის, ტურიზმის განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური ფაქტორი. დიდი მნიშვნელობა აქვს კურორტებზე მინერალური წყაროების გამოსასვლელების, კლიმატური და სხვა რესურსების დაცვას

დაბინძურებისაგან. მაღალმთიანი კურორტების ფუნქციონირებას საფრთხეს უქმნის ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი კატასტროფები: ზვავები, მეწყრები, ღვარცოფები.

ფიზგეოგრაფიული პირობები განსაზღვრავენ არა მარტო კურორტის ტიპს და მის სამედიცინო პროფილს, არამედ მისი სივრცითი განვითარების შესაძლებლობებსაც.

საქართველოს ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები იძლევიან იმის საშუალებას, რომ კურორტების რიცხვი გაიზარდოს, მით უმეტეს, რომ უკვე არსებობს მთელი რიგი ადგილებისა, რომელსაც ოფიციალური წრეები და მოსახლეობა კურორტებს უწოდებს მიუხედავად იმისა, რომ კანონით მიღებულ სიაში ისინი არ ფიგურირებენ.

2. Giorgi Gogsadze, Nino Pavliashvili, Mariam Tsitsagi, Nana Kvirkvelia. Challenges of the COVID-19 pandemic confront Georgia's tourism industry in „COVID-19 and an Emerging World of Ad Hoc Geographies". „Springer", 2022. 12 გვ. https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-030-94350-9_95

გიორგი გოგსაძე, ნინო პავლიაშვილი, მარიამ ციცაგი, ნანა კვირკველია. "კოვიდ-19 პანდემიის გამოწვევები და საქართველოს ტურიზმის ინდუსტრია". კრებულში „კოვიდ-19 და მის ფონზე ფორმირებადი გეოგრაფიული სამყარო".

ვრცელი ანოტაცია

ჯანდაცვის სისტემების სიმწიფისა და ხარისხის მიუხედავად, COVID-19-ის პანდემიამ უამრავი მოულოდნელი პრობლემა და ნეგატიური ეფექტი მოუტანა მთელ მსოფლიოს. საქართველომ პანდემიის პირველ ტალღას (2020 წლის მარტი-აპრილი) პანდემიის მართვის საფუძვლების (Find-Test-Trace-Isolate-Detect) გამოყენებით კარგად მართული და კარგად კოორდინირებული აქტივობებით უპასუხა. მაგრამ საზაფხულო სეზონზე გაზრდილმა მობილობამ, პანდემიური დაღლილობის გამო ნიღბების ტარების და დისტანცირების ჩვევების საზოგადოებისგან უგულებელყოფამ, საპარლამენტო არჩევნების ორი რაუნდის პირობებში ჩასატარებულმა მრავალრიცხოვანმა მასობრივმა შეხვედრებმა 2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გამოიწვია რეგიონული კლასტერების გამრავლება და სრულიად განსხვავებული მეორე ტალღა – ავადობისა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლებით (40-55 დღიური გარდაცვალება). პანდემიამ შეაფერხა ტურიზმის ზრდა, საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი, რომელიც მთლიან შიდა პროდუქტის 8%-ს შეადგენს და დაახლოებით 150 ათას სამუშაო ადგილს ქმნის. თბილისი, აჭარა, ქვემო ქართლი, იმერეთი და მცხეთა-მთიანეთი საქართველოში ყველაზე პოპულარული ტურისტული მიმართულებებია. საქართველოში ტურიზმის ინდუსტრია, განსაკუთრებით საერთაშორისო ჩამოსვლები, მძიმედ დაზარალდა COVID-19-ით. საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები საქართველოში 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, 80%-ით შემცირდა. წარმოდგენილი კვლევა შეისწავლის, თუ როგორ იმოქმედა COVID-19-ის პანდემიამ საქართველოს ტურისტულ ინდუსტრიაზე, როგორც სტრუქტურულად, ასევე გეოგრაფიულად. კვლევა მოიცავს პერიოდს 2020 წლის მარტიდან დეკემბრამდე. კვლევაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ქართული ოფიციალური წყაროებიდან მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, ასევე ავტორების მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები, აღნიშნულ თემაზე არსებული აკადემიური და მედიის სტატიების მიმოხილვა, და GIS ტექნოლოგიები წინასწარი ანალიზისთვის. კვლევის მთავარი დასკვნა არის ის, რომ COVID-19-ის პანდემიამ ყველაზე დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ტურისტულ ბაზარზე, რამაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზიანი გამოიწვია; მაშინ, როცა საერთაშორისო ტურიზმი მკვეთრად დაეცა, შიდა ტურიზმი თითქმის უცვლელი დარჩა წინა წლებთან შედარებით, რამაც გამოავლინა ტურისტების ახალი რეგიონალური პრეფერენციები.

2016 წლიდან დღემდე – თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;

2016 წლიდან დღემდე – საქართველოს გეოფრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

ია იაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ქართული დიასპორები ბალტიისპირეთში: მიგრაციის პარამეტრების ტრანსფორმაცია სივრცესა და დროში. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი. საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება. 1 აპრილი, 2022 – 1 დეკემბერი, 2022.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ია იაშვილი - თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოც. პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი; ჩაატარა ინტერვიუები ბალტიისპირეთში მცხოვრებ ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან. გაუწია პროექტის მონაწილე სტუდენტებს კონსულტაციები და მონიტორინგი პროექტის მიმდინარეობას. მოამზადა საბოლოო ანგარიში და მოამზადა მასალები გამოსაქვეყნებელი სტატიისათვის.

გიორგი კვინიკაძე - თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოც. პროფესორი, პროექტის თანახელმძღვანელი. პროექტის მონაწილე სტუდენტებს გაუწია კონსულტაციები და დაეხმარა საქართველოში მიგრაციაზე მომუშავე სტრუქტურებში პოტენციური რესპონდენტების შერჩევაში. მონაწილეობა მიიღო საბოლოო ანგარიშის მომზადებაში.

ტატიანა სიჭინავა - თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების დოქტორანტი. ჩაუტარა ტრენინგები პროექტის მონაწილე ბაკალავრებს, გაუწია მათ კონსულტაცია კითხვარის შედგენასა და ინტერვიუების ჩაწერაში. მონაწილეობა მიიღო საბოლოო ანგარიშის მომზადებაში.

ელეონორა ჭანია - თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების მაგისტრანტი. მოახდინა ინტერვიუების პასპორტიზაცია და მის ბაზაზე ინფორმაციის მომზადება გის სისტემაში გადასაყვანად და რუკების შესაქმნელად; მოპოვებული სიღრმისეული ინტერვიუებისა და სტატისტიკური მასალის საფუძველზე მოახდინა გეოგრაფიული არეალებისა და კონკრეტული ლოკაციების დაჯგუფება თემატურად. ასევე, განსაზღვრა მიგრაციის ნაკადების პერიოდიზაცია კონკრეტული ქვეყნის მიხედვით.

თეონა რუსიტაშვილი - თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ბაკალავრი. შეხვდა დარგის ექსპერტებს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში (საგარეო საქმეთა სამინისტოს

დიასპორების დეპარტამენტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო და სხვ.) და ჩაწერა მათთან სიღრმისეული ინტერვიუები. მოამზადა შესაბამისი ტრანსკრიპტები.

ანი ნინუა - თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ბაკალავრი. შეხვდა დარგის ექსპერტებს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში (საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორების დეპარტამენტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო და სხვ.) და ჩაწერა მათთან სიღრმისეული ინტერვიუები. მოამზადა შესაბამისი ტრანსკრიპტები.

სოფიო კალანდარიშვილი - თსუ პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულების ბაკალავრი. შეხვდა დარგის ექსპერტებს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში (საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორების დეპარტამენტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო და სხვ.) და ჩაწერა მათთან სიღრმისეული ინტერვიუები. მოამზადა შესაბამისი ტრანსკრიპტები.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ჩვენი კვლევითი პროექტი ერთდროულად განხორციელდა ორ ლოკაციაზე - საქართველოსა და ბალტიისპირეთში. ბალტიის რეგიონში კვლევა ძირითადად წარიმართა ლატვიის დედაქალაქ რიგაში, სადაც პირისპირ შევხვდით რესპონდენტებს.

სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ ქართული დიასპორის წევრები, საქართველოს საელჩოს თანამშრომლები და ლატვიელი ექსპერტები უნივერსიტეტების მიგრაციის კვლევის ცენტრებიდან. ლიეტუვასა და ესტონეთში იგივე ტიპის კონტინგენტთან დაკავშირება მოხდა დისტანციურად, zoom ონლაინ პლათფორმების გამოყენებით.

როგორც დიასპორების წევრების, ასევე ექსპერტთა შერჩევაში ვისარგებლეთ „თოვლის გუნდის“ პრინციპით.

კვლევამ აჩვენა ქართველ მიგრანტთა ინტეგრაციის მაღალი დონე ლატვიურ საზოგადოებაში, რაც გამოიხატა მიღებული უმაღლესი განათლებისა და კვალიფიკაციის მიხედვით მათი აქტიური პროფესიული დასაქმებით; ასევე, მასპინძელი ქვეყნის ენის კარგი ცოდნით და ლოკალური საზოგადოების მხრიდან ქართველთა მაღალი მიმღებლობით. ქართული დიასპორის წევრთა უმეტესობას (განსაკუთრებით პირველი თაობის იმიგრანტებს) სრულად შენარჩუნებული აქვთ მშობლიური ენა და ამ უნარ-ჩვევებს გადასცემენ მომდევნო თაობას. ქართული საკვირაო სკოლის მნიშვნელობა დიდია, რომელიც დაფუძნებულია დიასპორის წევრების მიერ და დიდი მხარდაჭერა აქვს ლატვიაში საქართველოს საელჩოსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორის დეპარტამენტის მხრიდან.

საქართველოს სამთავრობო სტურქტურებში ჩატარებულმა კვლევამ, აჩვენა სუსტი კავშირი ცირკულარული მიგრაციის განხორციელებისათვის, რომელიც 2017 წლიდან იგეგმებოდა ესტონეთთან. ამ საკითხზე მუშაობა კვლავაც მიმდინარეობს, თუმც ქართველი შრომითი რესურსის ევროკავშირის შრომით ბაზარზე დასასაქმებლად, ჯერ კიდევ დიდი სამუშაოებია გასაწევი საქართველოს სათანადო ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. How Long to Stay When to Return? A Comparative Study of Gender-driven International Migration in Latvia and Post-Soviet Georgia (რამდენ ხანს დარჩე, როდის დაბრუნდე? საერთაშორისო მიგრაციის შედარებითი გენდერული ანალიზი ლატვიასა და საქართველოში). მიგრაციის გეოგრაფია. პროექტის კოდი: 2021-1F, (ინდივიდუალური სამეცნიერო-კვლევითი გრანტი). State education development agency, Latvia (განათლების განვითარების სახელმწიფო სააგენტო, ლატვია). 20.01.2022-20.06.2022.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ია იაშვილი, ასოც. პროფესორი. თსუ საზოგადოებრივი მიმართულება. პროექტის გრანტიორი.

ზანე ვარპინა (Zane Varpina), ასოც. პროფესორი. გრანტის მონაწილე მასპინძელი უნივერსიტეტიდან - სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლა რიგაში (Stockholm School of Economics in Riga);

კატა ფრედჰეიმი (Kata Fredheim), ასოც. პროფესორი. გრანტის მონაწილე მასპინძელი უნივერსიტეტიდან - სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლა რიგაში (Stockholm School of Economics in Riga);

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ჩემი აკადემიური გეგმის მთავარი ამოცანა იყო იმ კვლევებისა და პროექტების გაცნობა, რომლებიც განხორციელდა რიგის სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლის მკვლევართა მიერ მიგრაციულ კვლევებში. ძირითადი საკითხები, რომლებიც მაინტერესებდა, იყო შემდეგი:

როგორ შეიცვალა მიგრაციის ტენდენციები ქვეყანაში ლატვიის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ? რა არის მთავარი სტიმული ლატვიელი მიგრანტების დასაბრუნებლად? რა სახის უნარები შეიძინა ემიგრანტთა უმეტესობამ მათი იმიგრაციის ქვეყანაში და როგორ იყენებს მათ ლატვიაში? როგორია ახალგაზრდა თაობის (საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები და კოლეჯის/უნივერსიტეტის სტუდენტები) მისწრაფება ლატვიაში ან მის ფარგლებს გარეთ სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით?

მათი კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ მეტი ინგლისურენოვანი სპეციალობების დაფუძნება ლატვიის უნივერსიტეტებში, რაც ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკის ნაწილია, ხელს უწყობს ლატვიელი ახალგაზრდების არჩევანს დარჩნენ თავიანთ ქვეყანაში უმაღლესი განათლების მისაღებად. ამასთანავე, სწავლების მაღალი დონე და ხელმისაწვდომი ფასი ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მიმზიდველს ხდის ლატვიაში სწავლის გაგრძელებას უცხოელი ახალგაზრდებისთვისაც. ჩემი კვლევის ფარგლებში შევხვდი და სიღრმისეული ინტერვიუები ჩავწერე ქართველ სტუდენტებთან, რომლებიც, როგორც საერთაშორისო სტუდენტები, საბაკალავრო და სამაგისტრო განათლებას იღებენ რიგის სხვადასხვა უნივერსიტეტებში; რამდენიმე მათგანი სამუშაო გამოცდილების მიღების მიზნით, გარკვეული პერიოდით საქმდება კიდეც სპეციალიზაციის მიხედვით მასპინძელ ქვეყანაში. როგორც

ისინი მიუთითებენ, ლატვია იძლევა პროფესიული განვითარების დიდ შესაძლებლობას, რისი პერსპექტივა სამწუხაროდ, საქართველოში ნაკლებად აქვთ.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ია იაშვილი, თათია დოღონაძე (2022). ტურისტული დანიშნულების მქონე მცირე ლოკაციების განვითარების ტენდენციები აშშ-სა და საქართველოში. მე-9 საერთაშორისო კონფერენციის შრომები ამერიკისმცოდნეობაში. გვ. 419-434. ISSN 1512-2379.

ვრცელი ანოტაცია

1. დასავლურ ლიტერატურაში განხილულია მოდელები და მეთოდები, რომლითაც მკვლევარები განსაზღვრავენ ადგილობრივ მცხოვრებთა დამოკიდებულებას ტურიზმის ბიზნესის მიმართ. მოცემულ სტატიაში განვიხილავთ მცირე მასშტაბის, ახალი ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების ტენდენციებს ჩრდილო კაროლინას შტატის პატარა ქალაქ ვაშინგტონის მაგალითზე და შევადარებთ მას ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს საქართველოში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, პრომეთეს მღვიმის ტურისტულ კომპლექსზე.

შედარებითი კვლევის მიზანია იმის დადგენა, თუ როგორია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ტურისტული ბიზნესის მიმართ, რომელიც ახალია მოცემულ არეალში; რა მოლოდინები აქვთ ლოკალური თემის წევრებს და რა სოციალურ–ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მოუტანოს ამ საქმიანობამ, როგორც მცირე დასახლებებს ცხოვრების პირობების გაუმჯობესების კუთხით, ასევე მათ მკვიდრთ.

პრომეთეს მღვიმის ტურისტულ კომპლექსზე ჩატარებული კვლევა ეყრდნობა ბალანსირებული და არაბალანსირებული ზრდის ეკონომიკურ თეორიასა და კოორდინაციის მარცხის თეორიას. (Cooper, et. al. 2008: 248).

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული თეორიები კარგად ესადაგება იმ მცირე მასშტაბის ამერიკული და ქართული თემების რეალობას, რომელთა განვითარების დინამიკა მოცემულ სტატიაშია განხილული. ტურიზმი მართლაც შეიძლება გახდეს კონკრეტული, მცირე რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის არსებითი დარგი, რომელიც უზრუნველყოფს ლოკალური მოსახლეობის დასაქმებას, ოჯახების შემოსავლების ზრდას, ხელს შეუწყობს მათ სოციალურ აქტივობასა და ბუნებრივი გარემოს მდგრადობის შენარჩუნებას. ამ მიმართებით, უაღრესად მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების მიმართ სამთავრობო მხარდაჭერა დ ა საერთაშორისო დონორთან ერთად გადადგმული ნაბიჯები, რომელიც წარმატების მომტანი იქნება ქვეყნისათვის. აღნიშნული ტენდენციები ჩვენმა კვლევამ დაადასტურა. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდი სიღრმისეული ინტერვიუების სახით ყუმისთავის მღვიმის არეალის 10 კმ-იან რადიუსში. იმერეთის არაურბანიზებულ ტურისტულ რეგიონებში, სამთავრობო ლობირებით განხორციელებული პროექტები, დადებითად აისახება ლოკალური მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალური მდგომარეობაზე. ტურიზმის სექტორში სამთავრობო ინვესტირების შემდეგ, იგივე მოლოდინები აქვთ ჩრდილოეთ კაროლინას შტატის, ქალაქ

ვაშინგტონის მცხოვრებთაც, რომლის კონკრეტულ შემთხვევასაც განვიხილავთ შედარებით-ანალიტიკური მიზნით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ია იაშვილი. The Socio-economic Consequences of the Policy of Restricting Population Mobility for Georgian International Labor Migrants in the Conditions of COVID-19 Pandemic

(საქართველოს საერთაშორისო შრომითი მიგრანტებისთვის მოსახლეობის მობილობის შეზღუდვის პოლიტიკის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები COVID-19 პანდემიის პირობებში) (ინგლისურ ენაზე). კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“, თსუ, თბილისი, 23-25 ივნისი, 2022;

ანოტაცია. კვლევის მთავარი მიზანია განიხილოს COVID-19 პანდემია, როგორც ქართველი შრომითი მიგრანტების მობილურობის მოტივაციის, ასევე დაბრუნების სტრატეგიის ფაქტორი. ჩვენი გამოკითხვა აჩვენებს საქართველოს მთავრობის რეაქციას კორონა ვირუსის კრიზისზე და მიგრაციის პოლიტიკაზე მიგრანტების მიმართ, რომლებიც დანიშნულების ქვეყნებში არიან ჩარჩენილი. კვლევა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს საქართველოდან მიგრაციის ტენდენციების გარკვეული სპეციფიკა და ქართველი მიგრანტების შრომითი აქტივობა საერთაშორისო შრომითი მიგრაციის ბაზარზე გენდერული თვალსაზრისით; კერძოდ, გავაანალიზოთ პანდემიაზე ქართველი მიგრანტ ქალთა პასუხები, რომლებიც ძირითადად დაკავებულნი არიან ზრუნვის სექტორში (მოხუცთა სახლებსა და ოჯახებში) და მათი დაბრუნების სტრატეგია Covid-19 გლობალური კრიზისის გამო. კვლევამ დაადასტურა ჩვენი ჰიპოთეზა შრომითი მიგრანტების მობილობის სტრატეგიის შესახებ. ის ფაქტი, რომ ქართველი შრომითი მიგრანტი ქალების უმეტესობა არარეგულარული სამუშაო ძალაა და მათ ოჯახებს კვლავ სჭირდებათ ფინანსური დახმარება საზღვარგარეთიდან, ზღუდავს მათ სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივას. მაგრამ მათთვის, ვისაც ლეგალური ბინადრობის ნებართვა აქვს, საქართველოში დაბრუნება (კოვიდ-19-ის პანდემიის გამო) დროებითია და მობილობის რეგულაციების მოხსნის შემდეგ ისინი უკან დაბრუნდებიან. უკეთესი ანაზღაურება მიმღებ სახელმწიფოში ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ნაკლებად მიმზიდველი სამუშაო გარემო მშობლიურ ქვეყანაში (უმუშევრობა ან ძალიან დაბალი ხელფასები/პენსია), სრულიად ბუნდოვანს ხდის მათი საქართველოში დაბრუნების პერსპექტივას.

2. ია იაშვილი. თანამედროვე ქართული დიასპორული სივრცე აშშ-ში: მობილიზაცია და სოციალური აქტივობა კოვიდპანდემიით შექმნილი გამოწვევების ფონზე. მე-10 საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში, 14-15 ოქტომბერი, 2022. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი.

ფორმა №2

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით -

ამირან ბერძენიშვილი - პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
იაგო კაჭკაჭიშვილი - პროფესორი
სალომე ნამიჭეიშვილი - ასოცირებული პროფესორი
ნინო შატბერაშვილი - ასოცირებული პროფესორი
თამარ მახარაძე - ასოცირებული პროფესორი
ნათელა დონაძე - ასოცირებული პროფესორი
ლია წულაძე - ასოცირებული პროფესორი
ლელა გაფრინდაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ნინო დურგლიშვილი - ასოცირებული პროფესორი
კახა ქეცბაია - ასოცირებული პროფესორი
ანა დიაკონიძე -ასოცირებული პროფესორი
შორენა თურქიაშვილი - ასისტენტ-პროფესორი
ნათია სვანიძე - ასისტენტ-პროფესორი

ამირან ბერძენიშვილი

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები;მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN;გამოცემისადგილი, გამომცემლობა;გვერდების რაოდენობა
1. ამირან ბერძენიშვილი, კახა ქეცბაია, თანამედროვე სოციოლოგიური დისკურსი, ISBN 978-9941-33-190-9, თბილისი, გამ. „უნივერსალი“, 2022წ. 676 გვ.

ვრცელიანოტაცია
1. წიგნში უმთავრესად სოციალური შემეცნების სპეციფიკური პრობლემები და თეორიებია განხილული. სოციოლოგიური თეორიები თანამედროვე საზოგადოებასთან მიმართებაშია გაანალიზებული და ეხმიანება ყველა იმ პროცესებს, რომლებიც სწრაფადცვალებად გლობალურ და ლოკალურ სოციუმებში მიდინარეობს. ნაჩვენებია თუ როგორ და რა შემთხვევაში არის შესაძლებელი სოციოლოგიური თეორიების კვლევით სტრატეგიებად და პარადიგმებად გამოყენება ემპირიული კვლევის შედეგების საინტერპრეტაციოდ. ყოველივე ამასთან დაკავშირებით გამოკვეთილია მონოგრაფიის ავტორთა პოზიციები.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემისადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ა.ბერძენიშვილი, კ. ქეცბაია, Social Stratification Profile of Contemporary Georgian Society, ISSN 1987-5789, ESSN 198-5426, Doi 10.56079. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, # 3. თსუ-ს გამომცემლობა, 10 გვ.

2. ა.ბერძენიშვილი, კ. ქეცბაია; The Future of Education in the Epoch of Social-Technological Mutations based on the Experience Acquired and the Challenges Revealed in Relation to the Distance Teaching (Moodle) in the Period of the Pandemic, DOI: https://doi.org/10.52340/gs.2022.04.04.42, E-ISSN: 2667-9760. ჟურნ. „ქართველი მეცნიერები“ VOL. 4 NO. 4 (2022), ინდექსირებულია: Google cholar, Crossref, WorldCat და Cosmos-ის ბაზებში. ჟურნალის IMPACT FACTOR 0.62. თბილისი, „ასოციაცია მეცნიერებისათვის“. 9 გვ.

ვრცელი ანოტაცია

1. სტატია თანამედროვე ქართული საზოგადოების სოციალურ სტრატიფიკაციულ პროფილს შეეხება. მასში განხილულია, სოციალურ მეცნიერული თვალსაზრისით, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა - ქართული საზოგადოების სტრატიფიკაციული სტრუქტურის პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია და მისი თანამედროვე სოციალური პროფილის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები. სტატია შემდეგი სტრუქტურული ელემენტებისაგან შედგება: საკვანძო სიტყვები, შესავალ ნაწილი, კვლევის მეთოდები და წყაროები, სტატიის ძირითადი - ანალიტიკური ნაწილი, დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურა. ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად ქართულ საზოგადოებასაც მისთვის დამახასიათებელი სოციალურ სტრატიფიკაციული სტრუქტურა გააჩნია, რომელიც საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების გზაზე ისტორიულად იცვლებოდა. ამ შემთხვევაში აქტუალურია საკითხი იმის შესახებ, თუ რა შედეგები მოჰყვა ქართული საზოგადოების სოციალურ სტრატიფიკაციული სტრუქტურის ცვლილებებს და როგორია მისი თანამედროვე სოციალური პროფილი და მოსალოდნელია თუ არა სხვა სახის ტრანსფორმაცია? საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოშიც ისტორიას ჩაბარდა საბჭოთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კლასობრივი სტრატიფიკაცია. ბუნებრივიაა, რომ დარჩა ფიზიკური შრომით დაკავებული ადამიანები, მაგრამ ეს არ არის, მარქსისტული გაგებით, ძველი მუშათა კლასი. არც კოლმეურნე - გლეხობაა სახეზე, რადგან სოციალისტური საკუთრება ლიკვიდირებულია. სახეზეა გონებრივი შრომით დაკავებული ადამიანები, მაგრამ ეს არ არის საბჭოთა ინტელიგენცია. ერთი სიტყვით, ყველა პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ დამოუკიდებლობის წლებში (იგულისხმება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პერიოდი) ქართული საზოგადოების სტრატიფიკაციული სტრუქტურა ცივილიზაციური განვითარების გკვალობაზე თავის ბუნებრივ კალაპოტში მოქცეულიყო, მაგრამ პოლიტიკურმა ფაქტორებმა, კერძოდ ეროვნული ხელისუფლების დამხობამ, სამოქალაქო ომმა, ისტორიული ტერიტორიების დაკარგვამ და სხვა ანომიურმა მდგომარეობამ (კორუფცია და სხვ.) ნოყიერი ნიადაგი შექმნა სახელმწიფო ქონების, ეროვნული სიმდიდრის დასატაცებლად. შესაბამისად, მოსახლეობის ერთი ნაწილი კატასტროფულად გაღატაკდა, ხოლო მეორე - მცირე - ნაწილი უსაშველოდ გამდიდრდა. ყოველივე ამან თავისი გავლენა იქონია საზოგადოების სოციალურ სტრატიფიკაციული სტრუქტურის დღევანდელი სახით ჩამოყალიბებაზე, რომელიც ჩვენი აზრით, პათოლოგიური ხასიათის მქონეა. პრობლემურია ის, რომ დასავლური საზოგადოებისაგან განსხვავებით, საშუალო და დაბალი ფენის ფორმირება თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ძირითადად შემოსავლების ოდენობით ხდება, ხოლო სხვა

მასტრატიფიცირებელი ფაქტორების - განათლება, პროფესია, კვალიფიკაცია და სხვ. - მოქმედების ძალა მინიმალურია. სტატიის ავტორთა ზრით, ამჟამად ქართულ საზოგადოებაში იგივე სტრატებია რაც ამერიკულში ან ბრიტანულში, მაგრამ მათგან განსხვავებით საშუალო ფენსათან შედარებით უზომოდ დიდია დაბალი ფენის ხვედრითი წილი მთლიან სტრატიფიკაციულ სტრუქტურაში, რაც მის პათოლოგიურობაზე მიანიშნებს. პრობლემის მოგვარება არ უნდა დარჩეს საზოგადოების განვითარების შინაგანი კანონზომიერების იმედად, რომელიც დიდ დროს მოითხოვს, ამიტომ, პირველი რიგის ამოცანა საშუალო ფენის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და ხელშეწყობა და არა ბრძოლა ამ ფენის წინააღმდეგ.

2. სტატია ორი ნაწილისაგან შედგება. მისი პირველი ნაწილი თეორიულია და სოციალურ-ტექნოლოგიური მუტაციების ეპოქაში განათლების მომავალს შეეხება, რასაც საფუძვლად ელვინ ტოფლერის „განათლების ფუტუროლოგიური კონცეფცია“ და ზიგმუნტ ბაუმანის „თხევადი განათლების თეორია“ უდევს. მეორე ნაწილი პრაქტიული ხასიათისაა და პანდემიის პერიოდში გამოყენებული დისტანციური სწავლების სფეროში დაგროვილ გამოცდილებასა (პირადი გამოცდილება) და გამოწვევებს შეეხება.

5.4. სტატიებიჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიისსათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემისადგილი, გამომცემლობა; გვერდებისრაოდენობა
1. ა.ბერძენიშვილი, ცოდნის-აზროვნების სოციოლოგიური გაგების სათავეებთან (მარქსი, დიუკემი, მაჰაიმი), ISSN 1512-2468, ISBN 978-994109793-9-2, კრ. ფილოსოფიური ძიებანი. ტ. 26. თბ., გამომც. Carpe diem, 18 გვ.
2. ა.ბერძენიშვილი, კ. ქეცბაია, ქრისტიანობის სოციალური იდეალები - მართლმადიდებლობა, ISSN 1512-1423, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი „რელიგია“, #1, თბილისი, 11 გვ.

ვრცელიანოტაცია
1. სტატია აზროვნების - ცოდნის სოციოლოგიის საწყისებს შეეხება. მასში კრიტიკულად არის გააზრებული და ინტერპრეტირებული მარქსის, დიურკემისა და მანჰაიმის სოციოლოგიური კონცეფციები.

2. სატატიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის სოციალური იდეალებია განხილული. სტატიის ავტორთა აზრით, სინამდვილეს არ შეეფერება ის მოსაზრება, რომ თითქოს მართლმადიდებელი ქრისტიანობა ადამიანებს უკრძალავდეს აქტიურ სოციალურ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ საქმიანობას და თითქოს მართლმადიდებლურ ქრისტიანობას ჩამოყალიბებული სოციალური დოქტრინა არ ჰქონდეს. ამ მოსზრების საპირწონედ სტატიის ავტორები განიხილავენ ისეთ თემებს როგორებიცაა: მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულება ეროვნული საკითხებისადმი, სახელმწიფოსადმი, შრომისა და საკუთრებისადმი, ოჯახისა და ოჯახური პრობლემებისადმი, მედიისადმი. ყოველივე ეს აჩვენებს რომ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას თავისი სოციალური დოქტრინა აქვს და მისი სოციალური იდეალები სახარებას, ქრისტეს სწავლებას ემყარება, რომელიც ადამიანებს სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემისაკენ, არაძალადობისაკენ მოუწოდებს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში
1)მომხსენებელი/მომხსენებლები, მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ამირან ბერძენიშვილი/კახა ქეცბაია, ინტელექტუალი და იდეოლოგი, თბილისი,
თსუ, 2022 წ. 17-18 ნოემბერი, იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ვახტანგ ერქომაიშვილი – 90.
მოხსენების ტექსტი სტატიის სახით დაიბეჭდება თსუ ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის ორენოვან სამეცნიერო ჟურნალ ,,ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველში“ N13 2023 წ.

მოხსენების ანოტაცია

მოხსენების პირველი ნაწილი თეორიულია. მასში ინტელექტუალისა და იდეოლოგის ურთიერთიმამართების პრობლემა განხილულია კარლ მანჰაიმის ცოდნის სოციოლოგიის საფუძველზე, კერძოდ მისი ცნობილი ნაშრომის: „იდეოლოგია და უტოპია-ს“ მიხედვით. მოხსენების მეორე ნაწილი პრაქტიკული ხასიათის მატარებელია. მის მიხედვით, ინტელექტუალისა და იდეოლოგის ურთიერთმიმართების პრობლემის ჭრილში განხილულია პროფ. ვ.ერქომაიშვილის ფილოსოფიური მემკვიდრეობა და მოცემულია მისი, როგორც ინტელექტუალის ფილოსოფიური პროფილი.

სალომე ნამიჭეიშვილი

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. სალომე ნამიჭეიშვილი, სამეცნიერო კონფერენცია - სოციალური მუშაობა კრიზისში მყოფი ბავშვების მხარდასაჭერად. მოხსენება: „პროფესიული ზედამხედველობის სისტემა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში“, აპრილი, 2022, თბილისი, საქართველო
2. სალომე ნამიჭეიშვილი, X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - მოხსენება: “სოციალურ მუშაკთა პროფესიული ზედამხედველობის სისტემა ბავშვთა კეთილდღეობისა და ზრუნვის სახელმწიფო სისტემაში“, 2022.

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Salome Namitcheishvili Social Work Conference, February 2022, Kyiv, Ukraine Key-note speaker: Research in Social Work: Key Questions and Characteristcis of Social Work Research

ნინო შატბერაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.2. სახელმძღვანელოები
1. ელ-სახელმძღვანელო სოციალური მუშაკებისათვის:
„სოციალური მუშაკის როლი სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისათვის: პრაქტიკული სახელმძღვანელო“, სახელმძღვანელოს თემატური რედაქტორი
https://evergreen.tsu.ge/eg/opac/results?query=%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98+%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90&qtype=keyword&fi%3Asearch_format=&locg=1&detail_record_view=0&sort=

ინვენტარის N: CD-1063

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. სახელმძღვანელო შექმნილია 2021 წელს და განკუთვნილია მაგისტრანტი სოციალური მუშაკებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან პროფესიული საქმიანობის
განხორციელებით სკოლაში. მის აქტუალობას აძლიერებს ახალხანს (2020 წლიდან) სოციალური მუშაობის ამ მიმართულების დანერგვა საქართველოს საგანმანათლებლოს სისტემაში.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. N Shatberashvili, S Sadzaglishvili - Social Work Education, 2022, Published by: Social Work Education The International Journal, Volume 41, 2022 - Issue 7: Social work and the Sustainable Development Goals; Guest Editors: Karen Rice, Colleen Fisher, Sarah Moore Routledge
https://doi.org/10.1080/02615479.2022.2103111

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. სტატიაში მიმოხილულია სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამაში ასახული მდგრადი განვითარების მიზნების აღსრულებისაკენ მიმართული თემატური აქცენტები; წარმოდგენილია ამ მიმართულებით სასწავლო კურსების ფარგლებში სოციალურ მუშაკთა როლის გათვითცნობიერებისაკენ მიმართული ძალისხმევა და პრაქტიკული საქმიანობა.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1. სამეცინიერო კონფერენცია „სოციალური მუშობა კრიზისში მყოფი ბავშვების მხარდასაჭერად“ / “Social Work to Support Chidren in Crisis Situations”
მოხსენება: „სოციალური მუშაობის გამოწვევები კრიზისულ სიტუაციებში“/ Social Work to Support Children in Crisis Situations, 2022
მოხსენებებს შორის გამართულ თემატურ დისკუსიაში მონაწილეობას იღებდნენ სფეროს ადგილბრივი და საერთაშორისო ექსპერტები.
2. მე-3 საერთაშორისო კონფერენცია:
„ბავშვთა უფლებების საკითხების ჩართვა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებსა და კურიკულუმებში“/ 3 rd International Conference: “Incorporation of Child Rights into the Educational Programmes and Curricula of Universities”, 2022
მოხსენება: „ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის ეროვნული პროგრამის ახალი მოდელის ჩამოყალიბება და დანერგვა საქართველოში“/ “Establishing and implementing a new model of the National Inclusive Education Support System in Georgia.”
მოხსენებებს შორის გამართულ თემატურ დისკუსიაში მონაწილეობას იღებდნენ სფეროს ადგილბრივი და საერთაშორისო ექსპერტები.

თამარ მახარაძე

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. პროექტი ,,მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად“, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხორციელდება სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, საგრანტო პროექტი №FR-21-3869. 2022-2024 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

თამარ მახარაძე, პროექტის ხელმძღვანელი. პროექტში სულ ჩართულია 21 პირი, აქედან: 7 მკვლევარი, 4 კონსულტანტი: 2 ქართველი, 2 უცხოელი, 5 დამხმარე პერსონალი და კოორდინატორი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კვლევის მიზანია შეისწავლოს საქართველოში ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესების გზები. კერძოდ, პროექტში ჩართულ პარტნიორ უნივერსიტეტებში (თსუ, ბსუ, აწსუ, თესაუ) შესწავლილი იქნება სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დამოკიდებულებები ინკლუზიური განათლების მიმართ; სპეციალური ფოკუსი გაკეთდება განათლების მეცნიერებათა სპეციალობის სტუდენტებზე - გაანალიზებული იქნება მათი მზადყოფნა იმუშაონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან. კვლევითი პროექტის ფარგლებში, ასევე გაანალიზებული იქნება ინკლუზიური განათლების პროცესში ჩართული მოქმედი მასწავლებლების გამოწვევები. ამ ეტაპზე: მოპოვებულ იქნა დასტური კვლევის ეთიკის კომისიისაგან (ვარშავის უნივერსიტეტიდან) კვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით, შემუშავდა სათანადო ინსტრუმენტები რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევისათვის, შედგა შერჩევა ინსტრუმენტის პილოტირებისა და ძირითადი კვლევისათვის, ჩატარდა რაოდენობრივი ინსტრუმენტის პილოტირება, აგრეთვე თვისებრივი კვლევის ნაწილი - ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები რესპონდენტებთან.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. პროექტი „საჯარო სექტორში შშმ პირთა დასაქმების მხარდაჭერა“, # 2403, სოციალური მეცნიერებები, საჯარო პოლიტიკა. განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის მხარდაჭერით. 2021-2022 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თამარ მახარაძე (ხელმძღვანელი), თამარ აბაშიძე (მკვლევარი), ირინე ჟვანია(მკვლევარი), ანასტასია ქიტიაშვილი (მკვლევარი), დეა აბულაძე (მკვლევარი) და ორი უცხოელი მონაწილე/ მკვლევარი.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კვლევის მიზანი იყო საქართველოში საჯარო სამსახურში შშმ პირთა დასაქმებისა და მუშაობის თავისებურებები გაანალიზება. კერძოდ, საჯარო სექტორში დასაქმებული შშმ პირების აღრიცხვის ეფექტური გზების შესწავლა და საჯარო სამსახურში შშმ პირთა დასაქმებასა და მუშაობაზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზება. კვლევა დაეყრდნო როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდებს. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა საჯარო სექტორში დასაქმებულ შშმ პირებთან. თვისებრივ კვლევაში გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუსა და ფოკუს-ჯგუფის მეთოდები. რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი დაეყრდნო აღწერით სტატისტიკას, ხოლო თვისებრივი მონაცემების ანალიზისას გამოყენებული იყო თემატური ანალიზი. კვლევის პირველადი მონაცემები გაანალიზებული იყო საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების შედეგებსა და რელევანტურ ლიტერატურასთან მიმართებით.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში საჯარო სამსახურში შშმ პირთა დასაქმებასა და მუშაობაზე ძირითადად მოქმედებს იგივე ფაქტორები, რომლებიც ზოგადად განიხილება როგორც შშმ პირთა დასაქმების ძირითადი ბარიერები: ღია შრომის ბაზარზე შშმ პირთა ნაკლები კონკურენტუნარიანობა (სხვებთან შედარებით, შშმ პირთა ნაკლები პროფესიული უნარებისა და კომპეტენციის გამო), არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, დამსაქმებლებსა და საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული ხედვა და სტიგმა (განსაკუთრებით ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე პირთა მიმართ). თუმცა, საჯარო სამსახური კიდევ უფრო ნაკლებად არის ხელმისაწვდომი შშმ პირებისთვის მაღალი მოთხოვნების გამო – უმრავლეს შემთხვევაში საჭიროა უმაღლესი განათლება, რაც შედარებით იშვიათია შშმ პირებში. უმაღლესი განათლება ასევე მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურში პროფესიული წინსვლისთვის, რაც ასევე პრობლემას წარმოადგენს შშმ პირთა დიდი ნაწილისთვის. ნაკლები ძალისხმევა ეთმობა გამოცხადებულ ვაკანსიებზე შშმ კანდიდატების მოსაზიდად. საჯარო სამსახურში დასაქმებული შშმ პირები ზოგადად კმაყოფილები არიან სამსახურით, თუმცა ყოველთვის არ არიან მათი უნარებისა და ინტერესების შესაბამის თანამდებობებზე - თანხმდებიან იმ სამუშაოს, რომელსაც სთავაზობენ, რადგან ეს ურჩევნიათ უმუშევრობას. უმრავლეს შემთხვევაში, თანამშრომლებთან და უშუალო ხელმძღვანელთან ურთიერთობის დადებითი გამოცდილება აქვთ; თუმცა, უმრავლესობას ხელფასი ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას არ აძლევს - ეს გარემოება უკავშირდება არა მათ შეზღუდულ შესაძლებლობას, არამედ ორგანიზაციის სახელფასო პოლიტიკას - ორგანიზაციაში ზოგადად დაბალი ანაზღაურებაა; მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის დამატებითი ხარჯები, რომლებიც შშმ თანამშრომლებს აქვთ. საქართველოში საჯარო სექტორში დასაქმებული შშმ პირების შესახებ ზუსტი მაჩვენებლები არ არსებობს, ისევე როგორც ზოგადად, ქვეყანაში დასაქმებული შშმ პირების შესახებ - ამ მონაცემებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური არ ამუშავებს. საჯარო სამსახურის ეროვნული ბიურო საჯარო სამსახურებისგან აგროვებს ინფორმაციას ორგანიზაციაში დასაქმებული შშმ პირების შესახებ, თუმცა არ არსებობს მონაცემების შეგროვების ერთიანი, უნიფიცირებული მიდგომა და მეთოდები. შესაბამისად, არსებული მონაცემები არასრულია და არ ასახავს საჯარო სამსახურში დასაქმებული შშმ პირების სრულ სურათს. კვლევის მონაცემები და საერთაშორისო გამოცდილების

ანალიზი საფუძვლად დაედო კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელიც გაზიარებულ იქნა სახელმწიფო სტრუქტურებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

ნათელა დონაძე

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ნათელა დონაძე, მირანდა მიქაძე, „საქართველოში ევროკავშირის სამშვიდობო პოლიტიკა სტუდენტურ ფოკუსში“, 25.06.2022 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“

მოხსენების ანოტაცია

XX საუკუნის ბოლოს, საბჭოთა კავშირისა და ე.წ სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ, მთელ მსოფლიოში დაიწყო მკვეთრი ცვლილებების ეპოქა. მდგრად განვითარებასთან ერთად, სულ უფრო მწვავე ხდება თანამედროვე კონფლიქტები და საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია გეოპოლიტიკურ ძვრებთან, მთელ რიგ ქვეყნებში არსებულ ეთნიკურ, რელიგიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, გენდერულ და სხვ. უთანასწორობასთან, დისკრიმინაციასთან, აგრეთვე, ორგანიზებულ დანაშაულთან, ექსტრემიზმსა და ტერორიზმთან, სიღარიბესთან, იძულებით გადაადგილებულ ადამიანებთან, დევნილებთან, მიგრაციასა და სხვა პროცესებთან ზოგიერთ ქვეყანაში.

ტრანსფორმაციული ცვლილებები შეეხო არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, რელიგიურ და სხვ. ასპექტებს, არამედ თავად სოციალურ ჯგუფებსა და ცალკეულ ინდივიდებს.

შექმნილ ვითარებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და ფუნქციები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა. ისინი თანდათან ყალიბდებიან, როგორც გლობალური და მნიშვნელოვანი აქტორები, განსაკუთრებით, კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ ქვეყნებში.

საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე მშვიდობის დამყარების საქმეში დიდი წვლილი შეაქვს ევროკავშირს, უნიკალურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ორგანიზაციას. ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა საშუალებას აძლევს მას, წამყვანი როლი შეასრულოს სამშვიდობო (სამოქალაქო და სამხედრო) მისიებში, როგორც ევროპაში, ისე მსოფლიო მასშტაბით.

ევროკავშირი სამშვიდობო პოლიტიკაში, ძირითადად, „რბილი ძალის“ (Soft Power) საშუალებებს იყენებს. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს მშვიდობის მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს ისეთ საკითხებს, როგორიცაა არჩევნების სადამკვირვებლო მისიები, ჰუმანიტარული დახმარება, პოლიტიკური დიალოგები, მედიაცია (საშუამავლო საქმიანობა) და სხვ.

ბოლო პერიოდში უფრო მნიშვნელოვანი გახდა ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა. ახლა მას არა მარტო ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს მშვიდობიან განვითარებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უკავია.

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში მთელ მსოფლიოს აჩვენა, რომ დღეს, XXI საუკუნის III ათწლეულში, ევროპის წინაშე დადგა უშიშროებისა და უსაფრთხოების პრობლემა.

ამ ომის ბედი, უკრაინელ გმირ მებრძოლთა თავგანწირულ წინააღმდეგობასთან ერთად, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროკავშირის ქმედებებზე, მის ერთიან პოლიტიკაზე გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესების, ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისა და მშვიდობის დაცვის მიზნით.

ევროკავშირმა, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში, 2008 წლის 15 სექტემბერს გადაწყვიტა საქართველოში მონიტორინგის მისიის (EUMM) გამოგზავნა. ევროკავშირი წარმოადგენს სამშვიდობო ორგანიზაციას, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტების თავიდან აცილებასა და მშვიდობის განმტკიცებას ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონებში. ის არის ერთგვარი შემაკავებელი ძალა, რომელიც, ნაწილობრივ, ხელს უწყობს საომარი მოქმედებების შეკავებასა და კონფლიქტების ზონებში ადამიანების მშვიდობიან ცხოვრებას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აქტიურდება მხოლოდ ისეთ სიტუაციებში, როდესაც წარმოიშობა კრიზისი და აუცილებელი ხდება მასზე მყისიერი რეაგირება. მისი უფლებები შეზღუდულია საზღვრის მეორე მხარეს, სეპარატისტული რეგიონების შიგნით. მიუხედავად ამისა, არსებულ სიტუაციაში მისი გავლენა მაინც დიდია.

ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამშვიდობო პროცესში. მას ჰყავს ჯარები, პოლიცია და მოსამართლეები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენას მსოფლიოს მასშტაბით, აგრეთვე, ქვეყნებსა და რეგიონებში კონფლიქტების შემდგომ სტაბილიზაციას.

ჩვენი მოხსენების მიზანია, გაგაცნოთ სტუდენტთა დამოკიდებულებები ევროკავშირისადმი, მათი შეხედულებები მის პოლიტიკაზე საქართველოში.

აღნიშნული საკითხის შესასწავლად სტუდენტებსა და ექსპერტებთან ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკვლევა. გამოვიყენეთ ტრიანგულაციური მიდგომა. ექსპერტების გამოკითხვა, სტუდენტთა ფოკუს-ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუები, ინტერნეტ გამოკითხვა („ონლაინ“ ანკეტირება).

ამ მეთოდების საშუალებით ჩვენ შევისწავლეთ და გავაანალიზეთ ზემოთ აღნიშნული საკითხი, ვაჩვენეთ EUMM-ის პასუხისმგებლობა საქართველოში, მისი როლი არსებული კონფლიქტების დარეგულირებაში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხული ექსპერტებისა და სტუდენტობის უმეტესობა ევროკავშირს განიხილავს, როგორც კონფლიქტების შემაკავებელ ძალას, რომელიც განმტკიცებულია ევროკავშირის მონიტორინგის მისიით. მათი აზრით, ევროკავშირის ჩართულობას საქართველოს კონფლიქებში დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მისი უფლებები შეზღუდულია და ხშირად ხდება უსაფრთხოების დარღვევა. აღსანიშნავია, რომ არ ხდება ევროკავშირის მისიის უფლებების გაფართოება და უახლოეს მომავალში არც ძირეული ცვლილებები იგეგმება. რაც შეეხება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, ისინი ამ საკითხს უფრო შორეულ პერსპექტივაში ხედავენ.

საქართველოსთვის მისიას პარტნიორობისა და მხარდაჭერის მნიშვნელობა აქვს.

კვლევის შედეგებმა დაგვანახა, რომ მხოლოდ ევროკავშირი ვერ იქნება ქვეყნებს შორის კონფლიქტების მოგვარების გარანტი და ვერც ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა, თუ, პირველ რიგში, შიდა პოლიტიკური კონფლიქტები არ იქნება მოგვარებული.

ზოგიერთი სტუდენტი აღნიშნავს, რომ ევროკავშირი რუსეთ-საქართველოს, აგრეთვე, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტების მოგვარებაში უძლურია. მათი აზრით, ამის მიზეზია რუსეთის აგრესიული მონაწილეობა ამ კონფლიქტებში.

ლია წულაძე

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. „მედიატიზებული ევროკავშირი: ევროკავშირის შესახებ მედიით გაშუალებული დისკურსები და მათი რეპრეზენტაცია საზოგადოებრივ განწყობებში.” 2021-2024. კვლევისა და ინოვაციის პროგრამა, ჰორიზონტი 2020, ევროკომისია. დარგი: სოციალური მეცნიერებები, სოციოლოგია/ინტერდისციპლინური. საგრანტო ხელშეკრულება #101004534.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ლია წულაძე, პროექტის ავტორი და ემპირიული კვლევის ხელმძღვანელი.

ქართული გუნდი შედგება კიდევ 5 მკვლევრისგან - მარიამ ამაშუკელი, დიანა ლეჟავა, ლელა ჯავახიშვილი, ირინა ოსეფაშვილი და ნინო აბზიანიძე, - რომელთაგან პირველი სამი წევრი ლია წულაძის დოქტორანტებია. კონსორციუმი შედგება 7 ქვეყნისგან.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანია, სამიზნე ქვეყნების მედიის დისკურსების შესწავლა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს „ევროპული პროექტის“ განხორციელებას. ამასთან, პროექტი იკვლევს, თუ როგორ რეაგირებს ამ დისკურსებზე საზოგადოება. ევროპეიზაციის შესახებ მედიატიზებული პოლიტიკური დისკურსების კვლევას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, ე.წ. ძველი ევროპის, ახალი ევროპისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევროპეიზაციის შესახებ დამოკიდებულებების სიღრმისეულად გააზრებისთვის. პროექტში გამოვიყენებთ შერეული ტიპის მეთოდოლოგიას, რაც გულისხმობს როგორც რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების, ასევე დელიბერაციული მეთოდის გამოყენებას; კერძოდ, პროექტის ფარგლებში განხორციელდება მედიის დისკურსების კვლევა დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდის საშუალებით, ჩატარდება სიღრმისეული ინტერვიუები პოლიტიკურ ელიტასა და მედიის წარმომადგენლებთან, მოხდება მოსახლეობის რაოდენობრივი გამოკითხვა ქვეყნის მასშტაბით და ბოლოს, გაიმართება დელიბერაციული დისკუსიები საზოგადოებასთან. აღნიშნული საველე სამუშაოები ჩატარდება თითოეულ სამიზნე ქვეყანაში, რაც საშუალებას მოგვცემს, შვიდი ქვეყნის შედარებითი ანალიზი განვახორციელოთ და პოლიტიკის რეკომენდაციები შევიმუშაოთ პოლიტიკის შემქმნელებისთვის ეროვნულ და ევროკავშირის დონეებზე.

2. „ბაზრები: გამოწვევები და შესაძლებლობები განვითარებადი ბაზრებისთვის: არაფორმალური ბარიერები, ბიზნესგარემო და სამომავლო ტენდენციები აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.“ 2020-2023. მარი კურის კვლევისა და ინოვაციის პროგრამა, ჰორიზონტი 2020,

ევროკომისია. დარგი: სოციალური მეცნიერებები, სოციოლოგია/ეკონომიკა/ინტერდისციპლინური. საგრანტო ხელშეკრულება # 861034.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ლია წულაძე, კონსორციუმის ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი და პროექტში ჩართული ახალგაზრდა მკვლევრის, მარგარიტა გობატის (ბრემენის უნივერსიტეტი) სადოქტორო ნაშრომის თანახელმძღვანელი. კონსორციუმი შედგება 9 ქვეყნისგან.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანია იმ ფორმალური და არაფორმალური პრაქტიკების შესწავლა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს ბიზნესგარემოს განვითარებას აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ეს ფაქტორები მოიცავს როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ და კულტურულ ფაქტორებსაც, როგორიცაა კულტურული ღირებულებები და არაფორმალური სოციალური ნორმები. პროექტს ორმაგი მიზანი აქვს: ერთი მხრივ, სიღრმისეულად შეისწავლოს სამიზნე რეგიონებში არსებული ბიზნესგარემო და მისი ცვლილების ტენდენციები; მეორე მხრივ კი, აღნიშნული საკითხების სიღრმისეული ცოდნით აღჭურვოს ახალგაზრდა მკვლევრები, რომლებიც უახლესი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველზე იკვლევენ სამიზნე რეგიონებში მიმდინარე სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს. ეს უკანასკნელი კომპონენტი მოიცავს პროექტში მონაწილე ორგანიზაციების მიერ დოქტორანტების ხელმძღვანელობას, რომლებიც მოცემული რეგიონით არიან დაინტერესებულნი და ორგანიზაციის ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ, პროექტის დასრულებისთვის, შესაბამის თემაზე სადოქტორო დისერტაციას დაიცავენ. ლია წულაძე ხელმძღვანელობს იტალიელ დოქტორანტს, რომელიც კონსორციუმის პარტნიორი უნივერსიტეტებიდან ჩარიცხულია ბრემენის უნივერსიტეტში და მუშაობს არაფორმალური სოციალური ნორმების როლზე ღვინის ექსპორტისას ევროკავშირის ბაზარზე (საქართველოს და მოლდოვას შედარებითი ანალიზი).

3. „ჩრდილოვანი: არაფორმალური ეკონომიკისა და ჩრდილოვანი პრაქტიკების კვლევა ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონებში.“ 2018-2022. მარი კურის კვლევისა და ინოვაციის პროგრამა, ჰორიზონტი 2020, ევროკომისია. დარგი: სოციალური მეცნიერებები, სოციოლოგია/ეკონომიკა/ ინტერდისციპლინური. საგრანტო ხელშეკრულება #778188.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ლია წულაძე, კონსორციუმის ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. კონსორციუმი შედგება 8 ქვეყნისგან.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანია „ჩრდილოვანი” პრაქტიკების, განსაკუთრებით კი, „ჩრდილოვანი” ეკონომიკის კვლევა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, რომლებიც, მიუხედავად უამრავი ბუნებრივი რესურსის და საბაზრო პოტენციალის ქონისა, არასასურველ პარტნიორებად მიიჩნევიან დასავლეთის ქვეყნებში,

მათი არასანდო საინვესტიციო გარემოს, ფართოდ გავრცელებული ოპორტუნიზმისა და კორუფციის, მაღალი ინფლაციის და სახელმწიფო რესურსების მისაკუთრების გამო. მოცემული პროექტი ორმაგი დატვირთვისაა - კვლევითი და საგანმანათლებლო - და მიზნად ისახავს როგორც რეგიონის შესახებ ახალი ცოდნის შექმნას ჩრდილოვანი პრაქტიკების გამოყენებასთან დაკავშირებით, ისე მკვლევართა ახალი თაობის მომზადებას არაფორმალობის საკითხებზე პოსტსაბჭოთა სივრცეში. პროექტის შედეგად იგეგმება როგორც ჩრდილოვანი ეკონომიკის ინდექსის შექმნა სამიზნე ქვეყნებში და მათ შორის შედარებითი ანალიზის განხორციელება, ისე ჩრდილოვანი პრაქტიკების ტაქსონომიის შედგენა აღნიშნული რეგიონის მაგალითზე. ემპირიული კვლევა მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.ლია წულაძე, სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ამჟამად სრულდება წიგნის დაკაბადონება და მისი ელექტრონული ვერსიის გამოქვეყნება დაგეგმილია 2023 წლის იანვარში).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მოცემული სახელმძღვანელო სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივ მეთოდებს ეძღვნება და საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებზეა გათვლილი, რომლებიც კვლევის მეთოდების შესავლის კურსს იცნობენ (თუმცა, სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებსაც გამოადგებათ). სახელმძღვანელო 8 თავისგან შედგება და ლოგიკურად მიყვება კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებს, კვლევის დიზაინით დაწყებული და კვლევის ანგარიშით დასრულებული. ავტორი რაოდენობრივი კვლევის სამ ძირითად მეთოდზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც სოციოლოგებისთვის განსაკუთრებით რელევანტურია: მასობრივი გამოკითხვა, რაოდენობრივი კონტენტანალიზი და Q მეთოდოლოგია. ამასთან, თითოეული თავის ბოლოს შესაბამისი ემპირიული ნიმუშებია წარმოდგენილი ავტორის და მისი კოლეგების კვლევებიდან. ამდენად, სახელმძღვანელოს სტრუქტურა და შინაარსი ავტორის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნება.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Tsuladze, Lia. Euro-optimism Intertwined with Pragmatism: Elite and Popular Discourses on Georgia's Europeanization through Q Methodology. Caucasus Survey (სტატიამ გაიარა რეცენზირების პროცესი და იბეჭდება ჟურნალის სპეციალურ ნომერში სახელწოდებით: Georgia's Strategic Path).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

The paper discusses Georgia's political and intellectual elites' and citizens' discourses on the country's Europeanization in the context of pragmatic and identity considerations. The research is based on Q methodology that, in contrast to its traditional use, has been integrated into in-depth interviews with political and intellectual elites and focus group discussions with citizens residing in the urban areas of Georgia. Q analysis has revealed that both elites and citizens are characterized by Euro-optimistic views perceiving Georgia's Europeanization in light of pragmatic considerations. The major pragmatic factors are related to the improved protection of human rights and the safeguarding of the country's security. Unlike previous studies, the current research has shown that, at least at the rhetorical level, Georgia's Europeanization is not perceived as a threat to the national identity.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ლია წულაძე. ევროოპტიმიზმი გადაჯაჭვული პრაგმატიზმთან: ელიტებისა და მოსახლეობის დისკურსები საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ. „ევროპის გეოპოლიტიკური მომავალი: ევროკავშირის პოლიტიკის პერსპექტივები აღმოსავლეთ სამეზობლოში.“ 11 მარტი, 2022. აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრი, ციურიხის უნივერსიტეტი, შვეიცარია. https://www.cees.uzh.ch/dam/jcr:011590b1-cf2e-4532-86b3-0d718caa15c9/Flyer_Program_Europe%E2%80%99s%20Geopolitical%20Future.pdf

The paper discusses Georgia's political and intellectual elites and citizens' discourses on the country's Europeanization in the context of pragmatic and identity considerations. The paper aims to contribute to the sociological study of Georgia's Europeanization via focusing on the "usage of European integration" (Jacquot and Woll 2003) with a special emphasis on its discursive usage. It is through this discursive usage that "different constructions and images of Europe" are formed and "constantly re-negotiated and co-constructed by different elites and social groups" (Wodak and Weiss 2005, 128), and hence different versions of Europe and the EU are invented (Delanty 1995). These constructions and images are a means of legitimizing certain EU practices or depriving them of legitimacy (Radaelli 2003).

The present research is based on the methodological triangulation integrating qualitative and quantitative approaches. The target group is represented by, on the one hand, political elites, in particular, the parliamentary majority (Georgian Dream) and the largest parliamentary minority (United National Movement), as well as government officials, and on the other hand, intellectual elites (academic community and civil society/NGO sector). In addition, the target group consists of citizens residing in the urban areas of Georgia. Q methodology was integrated in the course of both in-depth interviews with elites and focus group discussions with citizens. Despite its quantitative focus, Q methodology is used with rather small samples allowing a deeper analysis of individual cases (McKeown and Thomas 2013).

Q analysis has revealed that both elites and citizens are characterized by Euro-optimistic views perceiving Georgia's Europeanization in light of pragmatic considerations. The major pragmatic factors are related to the improved protection of human rights and the safeguarding of the country's security. Unlike previous studies, the current research has shown that at least at the rhetorical level Georgia's Europeanization is not perceived as a threat to the national identity. It is noteworthy that in contrast to the Eastern enlargement countries, where research has revealed a shift from the initial Euro-optimistic discourse to a more pragmatic, Euro-realistic one (Heinisch and Landsberger 2011), the current paper illustrates that Euro-optimism and pragmatism are closely intertwined in Georgian elites and citizens' views. Moreover, it is the anticipation of pragmatic gains that encourages optimistic perceptions of the country's European integration and Europeanization.

ნინო დურგლიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

„საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობა და დამოკიდებულება საპენსიო სისტემის მიმართ“,

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, პოლიტიკის მეცნიერება, 2022წ

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ჯაბა უროტაძე, ასოცირებული პროფესორი, ხელმძღვანელი

2. ნინო დურგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი, უფროსი მკვლევარი

3. ნათია სვანიძე, ასისტენტ პროფესორი, მკვლევარი

4. სანდრო ტაბატაძე, დოქტორანტი, მკვლევარი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჩატარდა რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკითხვა საქართველოს მასშტაბით. შერჩევის მოდელი: ორსაფეხურიანი სტრატიფიცირებულ-კლასტერული შერჩევა.

ანალიზის მეთოდები: აღწერითი სტატისტიკა, რეგრესიული, ფაქტორული და კლასტერული ანალიზები.

ძირითადი დასკვნები და შედეგები:

ა) ვლინდება დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით სკეპტიკური დამოკიდებულების ტენდენცია; სახელმწიფო გადანაწილებით საპენსიო სისტემას უფრო მეტი ადამიანი ენდობა, ვიდრე დაგროვებითს;

ბ) საპენსიო ფონდების მართვასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მიმართ ბევრად უფრო მაღალი ნდობის ხარისხი იკვეთება, ვიდრე - კერძო ბიზნესის მიმართ.

გ) მიმდინარე საპენსიო რეფორმის შესახებ ინფორმირების ხარისხი საკმაოდ დაბალია, რაც, სავარაუდოდ, ნეგატიურად აისახება მის მიმართ დამოკიდებულებაზე;

დ) ყველაზე ხშირ საინფორმაციო წყაროებს წარმოადგენს: სატელევიზიო რეკლამა, სამსახური, ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები/ოჯახის წევრებ, სოციალური ქსელები;

ე) იკვეთება მოთხოვნა თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობასა (საპენსიო სისტემაში ინტეგრირების ნებაყოფლობითობა) და სოციალურ სამართლიანობაზე (თანაბარი პირობები ყველასათვის).

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

Gugushvili, T., Roep, D., & Durglishvili, N. (2021). Transformation of family-based entrepreneurial activities in rural areas: View angle from human capital. Dela, (55), 87–106. DOI: https://doi.org/10.4312/dela.55.87-106, (9 გვერდი)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სოფლის განვითარებაზე ფოკუსირება ადგილობრივ ოჯახებს საშუალებას აძლევს განავითარონ თავიანთი ეკონომიკური საქმიანობა, საყოფაცხოვრებო რესურსები, განსაკუთრებით ადამიანური კაპიტალი, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ახლად განვითარებული შესაძლებლობების კაპიტალიზაციისთვის. საკმარისი რესურსების მქონე ადგილობრივები სარგებლობენ სოფლის მეურნეობისა და განვითარებადი ეკონომიკური სექტორების შესაძლებლობებით, როგორიცაა ტურიზმი. ყაზბეგისა და მესტიის მუნიციპალიტეტების ოჯახების შესწავლამ (33 სიღრმისეული ინტერვიუ) გამოავლინა ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობა სხვა სახის რესურსების მოპოვებაში, როგორიცაა სოციალური და ფინანსური კაპიტალი და, საბოლოო ჯამში, ოჯახზე დაფუძნებული პროცესის უპირატესობა. ადგილობრივი ოჯახების განვითარების ყველაზე ეფექტიან საშუალებებს წარმოადგენს: თანამედროვე ფერმერული პრაქტიკა, ეფექტური მდგრადი საარსებო წყაროების მოძიება და დიდი ხნის დამკვიდრებულ ინდუსტრიებთან ერთად, ტრადიციული ცოდნის გამოყენება სამეწარმეო (მათ შორის, ტურისტულ საქმიანობაში ჩასართავად).

კახა ქეცბაია

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიებიჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიისსათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომიISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემისადგილი, გამომცემლობა; გვერდებისრაოდენობა

1. კახა ქეცბაია, რელიგიის პრობლემა სეკულარულ საზოგადოებაში, ISSN 1512-2468, ISBN 978-994109793-9-2, კრ. ფილოსოფიური ძიებანი. ტ. 26. თბ., გამომც. Carpe diem, 14 გვ.

2. კახა ქეცბაია, Mythic view of the Universe and Religious-philosophical Consciousness, ISSN 1987 – 7293. ინდექსირებულია academia.edu, scholar.google, DRIY. ჟურნალი THE CAUCASUS AND THE WORLD International Scientific Journal, Кавказ и Мир Международный научный журнал, #24. გამ. მერიდიანი, თბ. 2022. 4 გვ.

ვრცელი ანოტაცია

1. სტატია თანემდროვე რელიგიის სოციოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს - სეკულარულ საზოგადოებაში რელიგიის პრობლემას შეეხება. ჰ. კოქსის, დ. ბელის, ი. მოლტმანისა და ე. ბლოხის მოსაზრებების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე სტატიის ავტორი ასაბუთებს, რომ სეკულარიზაციის დაჩქარებული პროსეცები უკურეაქციებს იწვევენ და რელიგიას გაქრობით კი არ ემუქრებიან, არამედ კიდევ უფრო ამყარებენ მის გავლენასა და პოზიციებს თანამედროვე საზოგადოებაში, რასაც თანამედროვე რელიგიური რენესანსიც მოწმობს.

2. სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამყაროს მითოსური სურათის, დღევანდელი მეცნიერული გაგებით - აბსურდულის, სათანადო ფილოსოფიური ინტერპრეტაცია შესაძლებელია სამყაროს გენეზისის საკითხის გასაღებს იძლეოდეს. ავტორის აზრით, ჩვენი წინაპრები არც ისე გაუგებარი და ჩამორჩენილები იყვნენ, რომ არ სოდნოდათ დედამიწა ბრტყელი კი არა, მრგვალია, მაგრამ ამ ცოდნას სპეციალურად ნიღბავდნენ, საკრალურ, ეზოთერულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და პოეტური, მითოსური სახეებით ფარავდნენ მატერიალური სამყაროს რეალურ არსს. ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, რომ ამ სამყაროს გარდა (ასეთი განზომილება) არსებობს სხვა სამყარო, რომელსაც სხვა განზომილება აქვს, ან საერთოდ არავითარი განზომილება არ გააჩნია. მაგ. სუპერ განზომილება („ცათა სასუფეველი", „სამოთხე"). ავტორს მიაჩნია, რომ მითი საიდუმლოდ გვეუბნება ბიბლიურ ჭეშმარიტებას, რაც იმის მტკიცების შესაძლებლობას იძლევა, რომ კოსმიური და ადამიანური არსებობის არქეტიპული სუარათის საფუძველი არის ბიბლია, წმინდა წერილი. მითოსური და რელიგიური წარმოდგენები სამყაროს აგებულებისა და კანონზომიერების შესახებ კულტურისა და ცივილიზაციის მოცემულ საფეხურზე ჯერ ბოლომდე დიფერენცირებული არ არის. მართალია, ამ მხრივ, რელიგიური და ფილოსოფიური ხედვები დომინირებენ, მაგრამ უნივერსუმის მითოსური ხედვა ჯერ არ არის უარყოფილი. უფრო მეტიც, მათ შორის არ არსებობს კონფლიქტური სიტუაცია, პირიქით, მითი ემსახურება რელიგიას, რელიგიურ რწმენას, ხოლო ორივე მათგანის ინტერპრეტირებას ფილოსოფია ახდენს. სამყაროს კანონზომიერებათა გაგებისას უნდა ვიყოთ არა მხოლოდ მეცნიერი, არამედ პოეტიც. პოეზია ძალიან ახლოს არის როგორც ფილოსოფიასთან, ასევე რელიგიასთან (ფსალმუნების პოეტური გამოსახულებები შემთხვევითი არ არის). ასევე ცნობილია ფაქტია, რომ პლატონის ფილოსოფია მითოსური და პოეტური სახეებით არის აღსავსე. ჩნდება კითხვა: რატომ? იმიტომ რომ როდესაც გონებას, ცნებით აზროვნებას უჭირს, საქმეში ფანტაზია, პოეტური და მითოსური „აზროვნება" ერთვება. თუმცა თანამედროვე ტექნიკურად გაუცხოებულმა ადამიანმა დიდი ხანია, რაც „მითის ცოცხალი აღქმა" დაკარგა. ის მიუწვდომელი, გაუგებარი და ზოგ შემთხვევაში მიუღებელია თანამედროვე, სრულიად გაუცხოებული ადამიანისთვის. თუმცა, მითი ჩვენგან რწმენას კი არ მოითხოვს, არამედ გაგებას. ამიტომ დადგა დრო, რომ მას „გაგებით" მოვეპყრათ. მითი თავისთავად მალავს სიმართლეს; განსაკუთრებით, შეიძლება ითქვას, რელიგიურ ჭეშმარიტებაზე, რომელიც ონტოლოგიური მნიშვნელობის მქონე და ზეციური წარმოშობისაა.

ანა დიაკონიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.„გიგ“ მუშაკების სოციალური უსაფრთხოება საქართველოში, სოციოლოგია/სოციალური პოლიტიკა, მაისი - ოქტომბერი, 2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ანა დიაკონიძე, ასოცირებული პროფესორი - პროექტის ხელმძღვანელი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
მოცემული პროექტის მიზანი იყო შეესწავლა „გიგ“ მუშაკების, სხვაგვარად, ონლაინ პლათფორმების საშუალებით მომუშავე ადამიანების სოციალური უსაფრთხოების გამოწვევები საქართველოში. კვლევა ფოკუსირდებოდა კურიერული შრომით დაკავებულ ადამიანებზე. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო როგორც რაოდენობრივი ისე თვისებრივი მეთოდები. კერძოდ, პირველ ეტაპზე ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი და 10 ჩაღრმავებული ინტერვიუ. აღნიშნულ პროცესში გაკეთებული ძირითადი მიგნებების საფუძველზე შემუშავდა რაოდენობრივი კითხვარი. გამოკითხვის პროცესში 87 კურიერმა მიიღო მონაწილეობა.
კვლევის ძირითადი შედეგები შეიძლება შემდეგი სახით ფორმულირდეს:

- თბილისში მომუშავე კურიერების უმეტესობას ახალგაზრდა (30 წლამდე ასაკის) მამაკაცები წარმოდგენენ. მათი უმეტესობისათვის აღნიშნული საქმიანობა შემოსავლის ძირითადი წყაროა და არა დამატებითი, განსხვავებით განვითარებული ეკონომიკების შემთხვევაში ჩატარებული კვლევებისაგან.
- სამუშაო პირობები საკმაოდ მძიმეა: ისინი ვისთვისაც ეს საქმიანობა შემოსავლის ძირითადი წყაროა კვირის განმავლობაში საშუალოდ 47 საათს მუშაობენ, ხოლო ისინი ვინც კურიერობას დამატებით შემოსავლის წყაროდ აღიქვამენ ასევე საკმაოდ დიდ ხანს უთმობენ კურიერობას - კვირაში 33 საათი. სწორედ აღნიშნულ დროს ასახელებენ კურიერები როგორც აუცილებელს იმისთვის რომ ადექვატური შემოსავალი მიიღონ.
- სოციალური უსაფრთხოების დონე საკმაოდ დაბალია. კურიერების 90% არ გააჩნია კერძო სამედიცინო დაზღვევა და არ არიან ჩართული საპენსიო დაზღვევაში. აღნიშნული საკითხები მათ არც დაუსახელებიათ როგორც მთავარი გამოწვევა, რადგანაც სამედიცინო დახმარება ნაკლებად სჭირდებათ და საპენსიო უზრუნველყოფაზე სერიოზულად არ ფიქრობენ.
- უმთავრესი გამოწვევა კურიერებისთვის ფინანსური უსაფრთხოებაა: თუნდაც რამდენიმე დღით უმუშევრობა მათთვის სერიოზული ფინანსური გამოწვევაა, რადგანაც ამ დროს ისინი შემოსავლის გარეშე რჩებიან. შესაბამისად, მათი უმეტესობა დასვენებისთვის დროს იშვიათად ნახულობს.
- კურიერების 95% რეგისტრირებულია მიკრომეწარმედ. აღნიშნული ორი მიზეზითაა განპირობებული - მიკრომეწარმის სტატუსის გარეშე მუშაობის შემთხვევაში ზოგიერთი კომპანია (მაგ. „ვოლტი“) მათ უქვითავს საშემოსავლოს (20%), აღნიშნული სტატუსის ფლობის შემთხვევაში კი კურიერებს არ უწევს გადასახადის გადახდა (თუკი მათი წლიური ბრუნვა გარკვეულ ზღვარს არ სცილდება). მეორეს მხრივ, კომპანია „გლოვო“ პირდაპირ მოითხოვს

კურიერებისაგან მსგავსი სტატუსით დარეგისტრირებას სანამ მათთან ხელშეკრულებას გააფორმებს.

- კურიერები სოციალური უსაფრთხოების ნაკლებობას არ აღიქვამენ როგორც პრობლემურს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსგან გარკვეული ტიპის გარანტიებს მიესალმებიან (მაგ. უმუშევრობის დაზღვევის სისტემის შემოტანას) მსგავსი სისტემის არარსებობის პირობებში ისინი ვერ ხადავენ გადასახადის გადახდის მორალურ/პრაქტიკულ აუცილებლობას და ყველა გზას მიმართავენ იმისათვის რომ რაც შეიძლება მცირე ან საერთოდ არ გადაიხადონ გადასახადი.

აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვან კონტრიბუციას წარმოადგენს პლათფორმული მშრომელების სოციალური უსაფრთხოების კვლევაში. კერძოდ, განვითარებული თუ ნაკლებად განვითარებული ეკონომიკების კონტექსტში აღნიშნული კვლევები ძირითადად მიუთითებს იმაზე, რომ პლათფორმული მუშაკები თავს გარიყულად გრძნობენ ეროვნული სოციალური უსაფრთხოების სისტემიდან და სურთ მასში ჩართვა. თუმცა, საქართველოში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიმართ არსებული ნდობის დაბალი დონის გამო კურიერები არც აღიქვამენ თავიან დაუცველობას განსაკუთრებით პრობლემურად და სურვილიც ძალიან დაბალი აქვთ ჩაერთონ იმ ეროვნულ უსაფრთხოების სისტემებში რაც ამჟამად არსებობს.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. დიაკონიძე ანა, "გიგ" მუშაკები და მათი სოციალური დაცვის საჭიროებები" საქართველოში, გარემო და საზოგადოება; (2022) No. 4, გვ. 1-29. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ვრცელი ანოტაცია
ბოლო დეკადის განმავლობაში „გიგ" ებზე მუშაობა გლობალური ფენომენი გახდა. „გიგ" მუშაკი განისაზღვრება როგორც ადამიანი, რომელიც მოკლევადიან, კონკრეტულ დავალებებს ასრულებს ერთდროულად რამდენიმე ორგანიზაციისთვის და არ შედის ერთ დამსაქმებელთან ხანგრძლივვადიან ურთიერთობაში დასაქმებულის სტატუსით. მსგავსი ტიპის შრომითი ურთიერთობები დიდი ხანია მეცნიერული კვლევის საგანია დასავლეთის განვითარებულ ეკონომიკებში, სადაც ის პრეკარული შრომის ექვივალენტად განიხილება იმდენად რამდენადაც არ უზრუნველყოფს დასაქმებისა და სოციალური დაცვის გარანტიებს დასაქმებულთათვის. დაბალი და საშუალო ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში „გიგ" მუშაკების შრომითი პირობებისა და მათი სოციალური დაცვის შესახებ კვლევები მწირია.

აღნიშნულ ქვეყნებში კონტექსტი თვისებრივად განსხვავდება განვითარებული ეკონომიკებისაგან, რადგანაც აქ სოციალური დაცვის სისტემები სუსტადაა განვითარებული. ამდენად, თუ განვითარებულ ეკონომიკებში საუბარია იმაზე თუ როგორ ჩართონ „გიგ" მუშაკები სოციალური დაცვის არსებულ პროგრამებში, განვითარებად ეკონომიკებში მსგავსი პროგრამები შეიძლება საერთოდ არ არსებობდეს. შესაბამისად, განვითარებად კონტექსტში „გიგ" ეკონომიკისა და სოციალური დაცვის სისტემების ურთიერთკავშირის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება.

მოცემული სტატიის მიზანია შეავსოს აღნიშნული დანაკლისი თბილისში აპლიკაციის საშუალებით მომუშავე მძღოლების (მძღოლი პარტნიორების) შესწავლის გზით. კვლევა ეფუძნება აპლიკაციის საშუალებით მომუშავე 40 მძღოლთან ჩატარებულ ნახევრად-სტრუქტურირებულ ინტერვიუს. კვლევის პროცესში ორი ძირითადი კითხვა იყო ჩამოყალიბებული: სოციალური დაცვის თვალსაზრისით

როგორია აღნიშნული მუშაკების საჭიროებები და რამდენად ხდება ამ საჭიროებების გათვალისწინება არსებული სისტემით? კვლევის შედეგები გვიჩვენებს რომ ფინანსური უსაფრთხოება მძღოლი-პარტნიორების უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. უმუშევრობის დაზღვევის სისტემის არარსებობის პირობებში „გიგ“ მუშაკები უკიდურესად დამოკიდებული ხდებიან სამუშაოზე და ვერ ახერხებენ თუნდაც მცირე ხნით სამუშაოდან ამორთვას. „გიგ“ მუშაკების მზარდი რაოდენობიდან გამომდინარე აღნიშნული საკითხის გათვალისწინება განაკუთრებით რელევანტური ხდება სოციალური პოლიტიკის რეფორმის პროცესში.

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინსტიტუტების დასახელებები:

1. კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი
2. პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი
3. სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
4. შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
5. განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
6. პედაგოგიკის ინსტიტუტი

კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. «ქართველობის ეთნიკური იდენტობის მოდერნული ფორმისა და მისი სოციალური რეპრეზენტაციების გენეზისის კვლევა«, სოციალური მეცნიერებები, ფსიქოლოგია, ინტერდისციპლინური, 2022-2024
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. პროექტის ხელმძღვანელი: ვლადიმერ გამსახურდია, სუპერვიზორი: ლალი სურმანიძე
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. ეთნიკური კუთვნილების გრძნობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მრავალი ადამიანის ცხოვრებაში - განსაკუთრებით ინტენსიური გლობალიზაციის ზეწოლის ქვეშ. ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ ეთნიკური ნიშნით ნაციონალიზმის პერიოდულ აღმავლობას მსოფლიოს მრავალ კუთხეში. ეთნიკური იდენტიფიკაცია იძენს სპეციფიკურ აქტუალობას, როდესაც ადამიანები ხვდებიან უცხოელებს და ეწევიან კულტურათშორის ურთიერთობებს, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, იწვევს კონფლიქტებს. კულტურის დინამიკის

გათვალისწინებით ეთნიკური იდენტიფიკაციის უკეთესმა გაგებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეთნიკურ განსხვავებებზე დაფუძნებული კონფლიქტების თავიდან აცილებას. ეს პროექტი კი იკვლევს ქართული ეთნიკური იდენტობის საფუძვლებს.
2.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. პროექტი ,,მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად“, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები; ხორციელდება სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, საგრანტო პროექტი №FR-21-3869.
2022-2024 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. თამარ აბაშიძე (მკვლევარი), ირინე ჟვანია(მკვლევარი); პროექტში სულ ჩართულია 21 პირი, აქედან: 7 მკვლევარი, 4 კონსულტანტი: 2 ქართველი, 2 უცხოელი, 5 დამხმარე პერსონალი და კოორდინატორი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. კვლევის მიზანია შეისწავლოს საქართველოში ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესების გზები. კერძოდ, პროექტში ჩართულ პარტნიორ უნივერსიტეტებში (თსუ, ბსუ, აწსუ, თესაუ) შესწავლილი იქნება სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დამოკიდებულებები ინკლუზიური განათლების მიმართ; სპეციალური ფოკუსი გაკეთდება განათლების მეცნიერებათა სპეციალობის სტუდენტებზე - გაანალიზებული იქნება მათი მზადყოფნა იმუშაონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან. კვლევითი პროექტის ფარგლებში, ასევე გაანალიზებული იქნება ინკლუზიური განათლების პროცესში ჩართული მოქმედი მასწავლებლების გამოწვევები. ამ ეტაპზე: მოპოვებულ იქნა დასტური კვლევის ეთიკის კომისიისაგან (ვარშავის უნივერსიტეტიდან) კვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით, შემუშავდა სათანადო ინსტრუმენტები რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევისათვის, შედგა შერჩევა ინსტრუმენტის პილოტირებისა და ძირითადი კვლევისათვის, ჩატარდა რაოდენობრივი ინსტრუმენტის პილოტირება, აგრეთვე თვისებრივი კვლევის ნაწილი - ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები რესპონდენტებთან.

2. კვლევის მიზანია შეისწავლოს საქართველოში ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესების გზები. კერძოდ, პროექტში ჩართულ პარტნიორ უნივერსიტეტებში (თსუ, ბსუ, აწსუ, თესაუ) შესწავლილი იქნება სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დამოკიდებულებები ინკლუზიური განათლების მიმართ; სპეციალური ფოკუსი გაკეთდება განათლების მეცნიერებათა სპეციალობის სტუდენტებზე - გაანალიზებული იქნება მათი მზადყოფნა იმუშაონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან. კვლევითი პროექტის ფარგლებში, ასევე გაანალიზებული იქნება ინკლუზიური განათლების პროცესში ჩართული მოქმედი მასწავლებლების გამოწვევები. ამ ეტაპზე: მოპოვებულ იქნა დასტური კვლევის ეთიკის კომისიისაგან (ვარშავის უნივერსიტეტიდან) კვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით, შემუშავდა სათანადო ინსტრუმენტები რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევისათვის, შედგა შერჩევა ინსტრუმენტის პილოტირებისა და ძირითადი კვლევისათვის, ჩატარდა რაოდენობრივი ინსტრუმენტის პილოტირება, აგრეთვე თვისებრივი კვლევის ნაწილი - ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები რესპონდენტებთან.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. პროექტი „საჯარო სექტორში შშმ პირთა დასაქმების მხარდაჭერა“, # 2403, საჯარო პოლიტიკა.

განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის მხარდაჭერით.

2021-2022 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თამარ აბაშიძე (მკვლევარი), ირინე ჟვანია(მკვლევარი), თამარ მახარაძე (ხელმძღვანელი), ანასტასია ქიტიაშვილი (მკვლევარი), დეა აბულაძე (მკვლევარი) და ორი უცხოელი მონაწილე/ მკვლევარი.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კვლევის მიზანი იყო საქართველოში საჯარო სამსახურში შშმ პირთა დასაქმებისა და მუშაობის თავისებურებები გაანალიზება. კერძოდ, საჯარო სექტორში დასაქმებული შშმ პირების აღრიცხვის ეფექტური გზების შესწავლა და საჯარო სამსახურში შშმ პირთა დასაქმებასა და მუშაობაზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზება. კვლევა დაეყრდნო როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდებს. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა საჯარო სექტორში დასაქმებულ შშმ პირებთან. თვისებრივ კვლევაში გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუსა და ფოკუს-ჯგუფის მეთოდები. რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი დაეყრდნო აღწერით სტატისტიკას, ხოლო თვისებრივი მონაცემების ანალიზისას გამოყენებული იყო თემატური ანალიზი. კვლევის პირველადი მონაცემები გაანალიზებული იყო საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების შედეგებსა და რელევანტურ ლიტერატურასთან მიმართებით.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში საჯარო სამსახურში შშმ პირთა დასაქმებასა და მუშაობაზე ძირითადად მოქმედებს იგივე ფაქტორები, რომლებიც ზოგადად განიხილება როგორც შშმ პირთა დასაქმების ძირითადი ბარიერები: ღია შრომის ბაზარზე შშმ პირთა

ნაკლები კონკურენტუნარიანობა (სხვებთან შედარებით, შშმ პირთა ნაკლები პროფესიული უნარებისა და კომპეტენციის გამო), არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, დამსაქმებლებსა და საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული ხედვა და სტიგმა (განსაკუთრებით ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე პირთა მიმართ). თუმცა, საჯარო სამსახური კიდევ უფრო ნაკლებად არის ხელმისაწვდომი შშმ პირებისთვის მაღალი მოთხოვნების გამო – უმრავლეს შემთხვევაში საჭიროა უმაღლესი განათლება, რაც შედარებით იშვიათია შშმ პირებში. უმაღლესი განათლება ასევე მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურში პროფესიული წინსვლისთვის, რაც ასევე პრობლემას წარმოადგენს შშმ პირთა დიდი ნაწილისთვის. ნაკლები ძალისხმევა ეთმობა გამოცხადებულ ვაკანსიებზე შშმ კანდიდატების მოსაზიდად. საჯარო სამსახურში დასაქმებული შშმ პირები ზოგადად კმაყოფილები არიან სამსახურით, თუმცა ყოველთვის არ არიან მათი უნარებისა და ინტერესების შესაბამის თანამდებობებზე - თანხმდებიან იმ სამუშაოს, რომელსაც სთავაზობენ, რადგან ეს ურჩევნიათ უმუშევრობას. უმრავლეს შემთხვევაში, თანამშრომლებთან და უშუალო ხელმძღვანელთან ურთიერთობის დადებითი გამოცდილება აქვთ; თუმცა, უმრავლესობას ხელფასი ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას არ აძლევს - ეს გარემოება უკავშირდება არა მათ შეზღუდულ შესაძლებლობას, არამედ ორგანიზაციის სახელფასო პოლიტიკას - ორგანიზაციაში ზოგადად დაბალი ანაზღაურებაა; მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის დამატებითი ხარჯები, რომლებიც შშმ თანამშრომლებს აქვთ. საქართველოში საჯარო სექტორში დასაქმებული შშმ პირების შესახებ ზუსტი მაჩვენებლები არ არსებობს, ისევე როგორც ზოგადად, ქვეყანაში დასაქმებული შშმ პირების შესახებ - ამ მონაცემებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური არ ამუშავებს. საჯარო სამსახურის ეროვნული ბიურო საჯარო სამსახურებისგან აგროვებს ინფორმაციას ორგანიზაციაში დასაქმებული შშმ პირების შესახებ, თუმცა არ არსებობს მონაცემების შეგროვების ერთიანი, უნიფიცირებული მიდგომა და მეთოდები. შესაბამისად, არსებული მონაცემები არასრულია და არ ასახავს საჯარო სამსახურში დასაქმებული შშმ პირების სრულ სურათს. კვლევის მონაცემები და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი საფუძვლად დაედო კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელიც გაზიარებულ იქნა სახელმწიფო სტრუქტურებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. მამუკაძე შ,(სამეცნიერო რედაქტორი), ვიბლიანი, ს., უგუზაშვილი, მ., გაბედავა ნ. ვერბალური დასწავლის უნარის დარღვევა და მასთან გამკლავების გზები. 2-ე გამოცემა (გამოცემის პროცესში). 192 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
5. ელენე კვანჭილაშვილი- საერთაშორისო კონფერენცია - თამბაქოს ზიანის შემცირება - ზეპირი პრეზენტაცია - "მშობელთა ეთნოთეორიები და ქცევის პატერნების მნიშვნელობა: კროს-კულტურული პერსექტივა" შვეიცარია - ვარშავა - ივნისი 2022

2.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1. გერმანიში მცხოვრები ემიგრანტების იდენტობის სტრატეგიები" კვლევა აჩვენებს, თუ როგორ დასახლდნენ ქართველი მიგრანტები გერმანიაში. ეს თვისებრივი კვლევა ეძღვნება ქართველების ახალ გარემოში ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეკონომიკურმა სირთულეებმა გამოიწვია ქვეყნიდან გარე მიგრაციის ყველაზე მაღალი დონე საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 2015 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 3 729 500 ადამიანს. . ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მოსახლეობის დაახლოებით 1241 (22,72%) ადამიანით შემცირების შედეგად. ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესები რთულია, რადგან ისინი ჩვეულებრივ გულისხმობენ ბალანსის დაცვას საკუთარი კულტურული იდენტობის შენარჩუნების ნებას შორის მასპინძელ საზოგადოებასთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარებისას. მრავალი ფაქტორი ხელს უწყობს ინტეგრაციის პროცესს, როგორიცაა ინდივიდის უნარი ისწავლოს ახალი ენა და კულტურა, რომელიც არ ეწინააღმდეგება დომინანტური და პირველადი კულტურის ღირებულებას; მასპინძელი საზოგადოების ღიაობა და შემწყნარებლობა ახალი წევრების მიმართ და ა.შ. იდენტობის ტაქტიკა და სტრატეგიები, რომლებიც ხშირად მიმართავენ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების გამოყენებას, უნიკალურ როლს თამაშობს ახალ სოციალურ-კულტურულ სივრცეებში ურთიერთქმედების პროცესებში. ამ სტრატეგიების მობილიზებით ეთნიკური ჯგუფები ახერხებენ ჩაერთონ ადგილობრივ სოციალურ-ინტერაქციის ქსელში და სვლას მასპინძელ საზოგადოებაში ინტეგრაციისკენ. ეს განმარტავს, რომ სხვადასხვა სოციალურ-კულტურულ გარემოში მდებარე ერთი და იგივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს შეეძლოთ მობილიზებულიყვნენ სხვადასხვა იდენტობის სტრატეგიები: ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის სტრატეგიები (Camilleri., Malewska-Peyre.1997). გერმანიაში 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მცხოვრებ მიგრანტებთან სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე, ეს ნაშრომი ფოკუსირებულია ქართველი ემიგრანტების აღქმის შესწავლაზე: ადაპტაციის პროცესის დინამიკა ახალ სოციალურ-კულტურულ

სივრცეებში. იდენტობის სტრატეგიების მიხედვით, რომელიც დაფუძნებულია ორ ღერძზე: მარტივ და რთულ თანმიმდევრულობაზე, კვლევა ცდილობს გააანალიზოს ქართველი მიგრანტების ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის სტრატეგიები.

.

2. ქართველების მიგრაცია დასავლეთ ევროპაში: ჯანსაღი და არაჯანსაღი ადაპტაციის შემთხვევები ეს ნაშრომი აღწერს ქართველი მიგრანტის ცხოვრებას ახალ სოციალურ გარემოში. სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველო სრულიად ახალ გეოპოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში აღმოჩნდა. ბოლო ორი ათწლეულის აღწერის მიხედვით აჩვენა მოსახლეობის შემცირება დაახლოებით 1241 (22,72%) ადამიანით. მიგრაციის მოტივაცია და პროცესები განსხვავებულია ინდივიდებსა და ოჯახურ მიგრანტებს შორის. ხალხის გადაწყვეტილება მიგრაციის შესახებ ხშირად მოტივირებულია ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების კომპლექსით. სოციალური, ინსტიტუციური, პოლიტიკური, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი ფაქტორებიც კი. დამოუკიდებლობის პირველი ათწლეულის განმავლობაში საქართველოდან ემიგრანტების უმრავლესობამ აირჩია პოსტსაბჭოთა სივრცე, მაგრამ მოგვიანებით ევროკავშირის ქვეყნები მათთვის უფრო მიმზიდველი გახდა. პორტუგალიაში (21), საფრანგეთში (15) და გერმანიაში (30) მცხოვრებ მიგრანტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე, კვლევა ფოკუსირებულია ქართველი ემიგრანტების კვლევის აღქმაზე ადაპტაციის პროცესის დინამიკის შესახებ; ჯანსაღი და არაჯანსაღი ადაპტაციის ფაქტორები. ინტეგრაციის პროცესი ტრავმული და სტრესულია იმ მიგრანტებისთვის, რომლებიც განიცდიან ფსიქოლოგიურ და კულტურულ ცვლილებებს; და ეს სირთულე სხვაგვარად მოქმედებს ქართველი მიგრანტების ცხოვრების სტილზე, ზოგი თავს დეპრესიულად გრძნობს, ზოგი უფრო თავისუფლად გრძნობს თავს და ძველი წესების დარღვევით იწყებს ახალ ცხოვრებას. კვლევამ აჩვენა, რომ ადაპტაციისა და მიგრაციის პროცესისთვის უფრო სასარგებლო ფაქტორები განსხვავებულია და დამოკიდებულია მასპინძელი ქვეყნების ენების ცოდნაზე, ოჯახთან თუ მის გარეშე ცხოვრებაზე, მიგრანტების ასაკსა და განათლებაზე.

შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
საერთაშორისო, კროსკულტურული კვლევა: მდგრადი ადამიანური რესურსების მართვა - კროს-კულტურული კვლევა (SUSTAINABLE HUMAN RESOURCE MANAGEMENT - CROSS-CULTURAL EMPIRICAL STUDY); ადამიანური კაპიტალის ინსტიტუტი, ვარშავის ეკონომიკის სკოლა (Warsaw School of Economics), პოლონეთი; 2022-2023

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.მაია რობაქიძე, მკვლევარი (საერთაშორისო თანამშრომლობა გულისხმობს კვლევის ინსტრუმენტების ადაპტაციას ქართულ პოპულაციაზე, კვლევის ჩატარებას, მონაცემთა ბაზების მომზადებას, ჩართულობას მონაცემთა დამუშავებასა და სამეცნიერო სტატიების თანაავტორობას)
***2**.ხათუნა მარწყვიშვილი,მკვლევარი* (საერთაშორისო თანამშრომლობა გულისხმობს კვლევის ინსტრუმენტების ადაპტაციას ქართულ პოპულაციაზე, კვლევის ჩატარებას, მონაცემთა ბაზების მომზადებას, ჩართულობას მონაცემთა დამუშავებასა და სამეცნიერო სტატიების თანაავტორობას*)*

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კვლევის მიზანია შეისწავლოს ადამიანური რესურსების მდგრადი განვითარების კავშირი თანამშრომელთა პროეკოლოგიურ ფუნქციონირებასთან, კერძოდ მწვანე HRM-თან. ამ კვლევის აქტუალობა განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო წლებში, რაც გამოწვეულია COVID-19 პანდემიით კრიზისით. მან გამოავლინა უფრო მეტი ზრუნვის საჭიროება არა მხოლოდ თანამშრომლების ფიზიკური ჯანმრთელობის, არამედ მათი ფსიქოლოგიური კეთილდღეობის, ასევე სამუშაო და ცხოვრების ბალანსის მიმართ. კვლევის შედეგები მოგვცემს თანამშრომელთა დამოკიდებულებისა, სამუშაო ადგილზე ქცევების კავშირის შესწავლას ადამიანური რესურსების მართვის ზოგადი პრაქტიკებისა და განსაკუთრებით მწვანე HRM პოლიტიკასთან. კვლევა საერთაშორისოა, მასში ჩართულია 50-ზე მეტი ქვეყანა,

რაც კულტურული განსხვავებულობის, ორგანიზაციულ კულტურული თავისებურებების იდენტიფიცირების საშუალებას მისცემს კვლევის ავტორებს შესასწავლ საკითხებთან მიმართებაში. პროექტი გულისხმობს რაოდენობრივი კვლევის ჩატარებას 7 კითხვარის საშუალებით; თითოეული მონაწილე ქვეყანა ამ ინსტრუმენტების ადაპტაციას ატარებს თავის პოპულაციაზე.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

მესამე მისიის ხარისხისა და შესაბამისობის განვითარება ქართულ უნივერსიტეტებში" (SQUARE) პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების მიზნით ჩატარდა სახელფასო კვლევა.

ხანგრძლივობა: მაისი, 2022 - ოქტომბერი, 2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ჩართული პირები; პროექტის მკვლევარი/ტრენერი: ია კუტალაძე
ექსპერტი პერსონალის მართვის დეპარტამენტში: ნინო წულაია

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კვლევა რამდენიმე ეტაპს აერთიანებდა:

სამაგიდე კვლევა

პირველ ეტაპზე, პროექტის ფარგლებში შესრულდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საკომპენსაციო სისტემების შესახებ სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის ანალიზი აკადემიური პერსონალის ეფექტიანი საკომპენსაციო სისტემის მახასიათებლებისა და სტრუქტურის იდენტიფიცირების მიზნით.

პროექტის მეორე ეტაპი გულისხმობდა უნივერსიტეტის სახელფასო სისტემის მიმართ აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებებისა და განწყობების შეფასებას. ჩატარდა ინტერვიუ პროფესორებთან თსუ-ს ყველა ფაკულტეტიდან. გარდა განწყობების შეფასებისა, ამ საფეხურზე ასევე გაანალიზდა ობიექტური მონაცემები უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სახელფასო სისტემის შესახებ. ობიექტური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ფაკულტეტებს შორის განსხვავებების იდენტიფიცირება; პროექტის შემდეგი საფეხური ითვალისწინებს რეკომენდაციების შემუშავებას სახელფასო სისტემის მოდერნიზებისა და უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან მისი თავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი

1.*საჯარო სამსახურის რეფორმის ეფექტიანობის შეფასება*

ამ კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI)ფარგლებში.

2021 -2022 წლები

1. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია

2. ადამიანური რესურსების მართვა

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ია კუტალაძე - *ხელმძღვანელი*

პროექტის დაგეგმვა, მონიტორინგი და მხარდაჭერა; მეთოდოლოგიურ ნაწილსა და მონაცემთა ტრიანგულაციაზე პასუხისმგებელი; ანგარიშის ფინალური ვარიანტისა და რეკომენდაციების მომზადება

2. სოფო დოლიძე - *თვისებრივი კვლევის კოორდინატორი*

მოდერატორი, ფოკუს-ჯგუფების ანალიზი და პირველადი ანგარიშის მომზადება

3. ნინო წულაია - *რაოდენობრივი კვლევის კოორდინატორი*

მონაცემთა ბაზის გაწმენდა და ფაქტორული ანალიზი, მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი, ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა, HR ანალიტიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და სისტემატიზაცია

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის დიზაინი

კვლევის მიზანია ემპირიული მტკიცებულების მოპოვება იმის თაობაზე, თუ რამდენად უზრუნველყო საჯარო სამსახურის რეფორმამ მუნიციპალურ დონეზე ადამიანური რესურსის მართვის (HRM) ეფექტიანი, მერიტოკრატულ პრინციპზე დაფუძნებული, პოლიტიკურად ნეიტრალური სისტემის შექმნა.

კვლევა კომპლექსურია როგორც გამოყენებული მეთოდების, ასევე სამიზნე ჯგუფების თვალსაზრისით.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის დიზაინი; კვლევა 16 მუნიციპალიტეტსა და თბილისის ორ გამგეობაში ჩატარდა. მუნიციპალურ დონეზე რეფორმის ეფექტიანობა რამდენიმე პერსპექტივიდან შეფასდა. კვლევამ მოიცვა სხვადასხვა სამიზნე პოპულაცია: მუნიციპალიტეტების მერიებში დასაქმებულები, მუნიციპალიტეტების მერიების ადამიანური რესურსის მართვის (HRM) დეპარტამენტების წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტების მოსახლეობა.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 12 ფოკუს ჯგუფი და 18 ჩაღრმავებული ინტერვიუ. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობდა 538 საჯარო მოხელე და შერჩეულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 782 რესპონდენტი. კვლევაში გამოყენებულია HR ანალიტიკის მეთოდიკა. ამ მეთოდმა უზრუნველყო კვლევაში ჩართული პირების აღქმებისა და განწყობების შეფასება ობიექტური მონაცემების ჭრილში. კვლევის შემაჯამებელ ეტაპზე ჩატარდა თვითმმართველობის ექსპერტთა ფოკუსჯგუფი. შედეგების ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა ე. წ. *ტრიანგულაციაზე დაფუძნებული ჩარჩო.* ეს მეთოდი მნიშვნელოვანია თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებით სხვადასხვა სამიზნე ჯგუფიდან შეგროვებული ინფორმაციის სიღრმისეული ანალიზისა და კვლევის მიგნებების ვალიდაციისთვის.

კვლევის მიგნებები

კვლევა აჩვენებს, რომ პოლიტიკური პატრონაჟი მეტ-ნაკლებად ჩანაცვლდა მერიტოკრატულ პრინციპებზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების მართვის პროცედურებით, თუმცა **პოლიტიკური მიკუთვნებულობა, როგორც პატრონაჟის ერთ-ერთი ფორმა, მუნიციპალიტეტების მერიებში მაინც რჩება ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად, განსაკუთრებით მაღალი მმართველობითი პოზიციებისთვის შერჩევის ან მოხელეთა დაწინაურების დროს.**

მუნიციპალიტეტების მერიებში წინაასარჩევნო პროცესებში საჯარო მოხელეთა ჩართულობის მაღალი დონე შენარჩუნებულია, თუმცა კანონისა და რეგულაციების დაცვით. ამაზე მეტყველებს საჯარო მოხელეთა შვებულებების მზარდი რაოდენობა წინასაარჩევნო პერიოდში. მუნიციპალიტეტების მიხედვით ვითარება განსხვავებულია. კვლევაში ჩართულ მუნიციპალიტეტებში გვხვდება როგორც საკადრო გადაწყვეტილებებზე პოლიტიკური გავლენების შემცირების თვალსაჩინო მაგალითები, ასევე მკაფიოდ გამოხატული ნეგატიური პრაქტიკაც.

ორგანიზაციული სამართლიანობის თუ უსამართლობის განცდის ფორმირებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მერიაში ადამიანური რესურსის მართვის პროცესებია (დაწინაურების შესაძლებლობა, სარგებელი/ჯილდო, რომელსაც მოხელე იღებს გაწეული შრომისა და ძალისხმევისთვის და ა.შ.); მასთან შედარებით სუსტი, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა საჯარო მოხელეთა მიერ ორგანიზაციული სამართლიანობის აღქმაზე აქვს პოლიტიკური პატრონაჟის პრაქტიკას (საკადრო გადაწყვეტილებებზე პოლიტიკური გავლენები). მერიაში დასაქმებული პირების მიერ პოლიტიკური პატრონაჟი და წინასაარჩევნო პროცესებში ჩართულობა ჩვეულ მოვლენად აღიქმება. ლოკალური

პოლიტიკური გავლენებით გამოწვეული უკმაყოფილება არ კონვერტირდება უსამართლობის აღქმაში. კვლევის ეს შედეგი გვაფიქრებინებს, რომ მოხელეები ნაკლებ სენსიტიურები არიან ასეთი ფაქტების მიმართ, რაც შეიძლება მათი ნიჰილისტური განწყობებით და/ან პოლიტიკური გავლენებისადმი ადაპტაციის მაღალი ხარისხით აიხსნას.

ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის შეფასება

მუნიციპალიტეტების მერიებში ადამიანური რესურსის მართვის მოდელი, ძირითადად, ოპერაციულ აქტივობებზეა ფოკუსირებული. სტრატეგიულ საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო სამსახურის ბიუროა. ადამიანური რესურსის მართვაში კვლევით იდენტიფიცირებული გამოწვევები, როგორც ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკაში, ასევე ოპერაციულ HRM-ში.

საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში ჯერ ვერ მოხერხდა **შესრულებული სამუშაოს შეფასების ობიექტური სისტემისა და მასზე დაფუძნებული დაწინაურებისა თუ წახალისების ეფექტიანი სქემების დანერგვა.** შესრულებული სამუშაოს შეფასების ფორმალური ხასიათი, საკომპენსაციო მექანიზმების

უნიფიცირება (პრინციპი: ყველასთვის ერთნაირად) გავრცელებული პრაქტიკაა მუნიციპალიტეტების მერიებში. არსებულმა კანონმდებლობამ, ნეპოტიზმისა თუ პოლიტიკური ზემოქმედების ბერკეტების პრევენციის მექანიზმებზე ორიენტაციით (რაც, თავისთავად, უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია), დამსახურებული, კვალიფიციური კადრების დაწინაურებისა და წახალისების შესაძლებლობებიც შეზღუდა. ამასთან, დაბალი ანაზღაურება, მატერიალური წახალისებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობის ნაკლებობა არამხოლოდ ართულებს კვალიფიციური კადრების მოზიდვას, არამედ კადრების დენადობის წინაპირობაცაა. მეთოდოლოგიურად გასამართია ტრენინგის საჭიროების ანალიზისა და ტრენინგის ეფექტიანობის შეფასების სისტემები.

ადამიანური რესურსების მართვის პროცესები მუნიციპალიტეტების მერიებში საკმაოდ ცენტრალიზებულია. პარადოქსულია, რომ სწორედ ის პროცესები, რომლებიც შექმნილია ნეიტრალიტეტის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, რიგ შემთხვევებში, ამცირებს მუნიციპალიტეტის შანსს, ეფექტურად უპასუხოს საკუთარ, ზოგჯერ სპეციფიკურ საჭიროებებს. სტრატეგიული დაგეგმვა ცენტრალიზებულ სისტემაში ბევრად მარტივია, თუმცა არ არის საკმარისი პირობა იმისთვის, რომ სტრატეგიული HR ეფექტიანად ასრულებდეს თავის ფუნქციას; ის უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის მართვის ერთიან/ჰოლისტურ მიდგომას, თუმცა მუნიციპალურ მერიებში ადამიანური რესურსის მართვის კომპეტენციების ზრდის კვალდაკვალ, უნდა გაიზარდოს კონკრეტული მუნიციპალიტეტების საჭიროებებსა და გამოწვევებზე ავტონომიურად რეაგირების შესაძლებლობები.

მრავალფეროვნების მართვა

ქალთა თანაბარი წარმომადგენლობა საჯარო სამსახურში მრავალფეროვანი და ინკლუზიური სამუშაო ძალის შექმნის პროცესში პროგრესის მნიშვნელოვანი ინდიკატორია; კვლევა აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტების მერიებში ქალების დასაქმების შანსი უფრო მაღალია, ვიდრე მათი კარიერული წინსვლის შესაძლებლობები; კვლევაში ჩართულ მუნიციპალიტეტებში პირველი რანგის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შორის ქალების რაოდენობა დაახლოებით 4-ჯერ ნაკლებია კაცების რაოდენობაზე; შესაბამისად, ქალების კარიერული წინსვლის საკითხები მუნიციპალტეტების მერიებში უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს. რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ინკლუზიას, ვითარება ასეთია:

სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში არსებული ჩანაწერების მიუხედავად (მაგალითად, როგორიცაა 2014 წლის ანტიდისკრიმინაციული კანონი), რომლებიც კრძალავს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციასა და მიკერძოებას, პრაქტიკა ძალაუნებურად აწესებს კანონთან

შეუსაბამო ჩარჩოებს: თეორიულად შშმ პირთა დასაქმება შესაძლებელია, თუმცა გარემო იმდენად არაადაპტირებული და, შესაბამისად, „არამეგობრულია“, რომ ძალაუნებურად არსებითად ზღუდავს ამ შესაძლებლობას.
ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო ენის არცოდნა გარკვეულ ბარიერებს ქმნის როგორც დასაქმების, ასევე, შემდეგ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიმართულებითაც.
პროექტის ფარგლებში შემუშავებულია რეკომენდაციები; შეთავაზებული რეკომენდაციები ურთიერთდაკავშირებულია და ცვლილებების სინქრონიზებულად / დროში შეწყობილად განხორციელებას მოითხოვს.

2.მედიაწიგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების პროექტი, აგვისტო, 2022 - დეკემბერი, 2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ნინო წულაია - მკვლევარი
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შე სახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით მედია აკადემია მედიაწიგნიერების ფორმალური განათლებაში ინტეგრირების პროექტს ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა კვლევა სასკოლო საზოგადოებაში. კვლევაში მონაწილეობდა 1500 მოსწავლე და 500 მასწავლებელი თბილისსა და რეგიონებში. კვლევის მიზანი მედიაწიგნიერების საჭიროებებისა და კომპეტენციების ანალიზი იყო. პროექტის ფარგლებში მკვლევარი პასუხისმგებელი იყო კვლევის სრულ პროცესზე, მათ შორის: შერჩევის ჩარჩოს მომზადება, სკოლების შერჩევა იმგვარად, რომ დაცული ყოფილიყო საჯარო სკოლების რეპრეზენტატულობა თბილისსა და რეგიონებში, მონაცემთა ბაზის შექმნა და გაწმენდა, მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი (აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკა) და კვლევის ანალიტიკური ანგარიშის მომზადება. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით იდენტიფიცირდა მედიაწიგნიერების უნარების განვითარების მიმართულებით მოსწავლეებისა და მასწავლებლების შერჩევაში დაფიქსირებული საკვანძო საჭიროებები, რასაც მოჰყვება რელევანტური სახელმძღვანელოს შემუშავება.

3. **საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - hr.gov.ge - შშმ პირებზე ადაპტირება - კონცეფციის დოკუმენტის შემუშავება; დონორი ორგანიზაცია** - UNDP; 2022; შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია; მრავალფეროვნების მართვა

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. სოფიო დოლიძე, პროექტის ექსპერტი (მთავარი მკვლევარი)

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანი საჯარო სამსახურის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - hr.gov.ge – შშმ პირებისთვის ადაპტირების მხარდაჭერაა. პროექტის ფარგლებში შემუშავდა პირველადი კონცეფციის დოკუმენტი, რომელიც უნდა გახდეს ერთგვარი საფუძველი ამ მიმართულებით მომავალი ინტერვენციების დაგეგმვის პროცესში. პროექტის ფარგლებში ძირითადი სამიზნე ჯგუფია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. პროექტი, ძირითადად, ფოკუსირებულია ვებგვერდზე hr.gov.ge, როგორც საჯარო სამსახურში პერსონალის მოზიდვის პროცესში გამოყენებულ ინსტრუმენტზე. კონცეფციის დოკუმენტს საფუძვლად უდევს თვისობრივი კვლევა, კერძოდ, დოკუმენტაციის ანალიზი, ასევე ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერვიუები (ფოკუსჯგუფები). ასევე სამაგიდე კვლევა.

4. **„მესამე მისიის ხარისხისა და შესაბამისობის განვითარება ქართულ უნივერსიტეტებში" (SQUARE) პროექტი**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ია კუტალაძე: მკვლევარი, ტრენერი
ნინო წულაია: ექსპერტი პერსონალის მართვის დეპარტამენტში
ხანგრძლივობა: მაისი, 2022 - ოქტომბერი, 2022

პროექტის ფარგლებში მომზადდა ანალიტიკური დოკუმენტი ,,აკადემიური პერსონალის საკომპენსაციო სისტემა: საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი". პარალელურად, უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების მიზნით, ჩატარდა სახელფასო კვლევა, რომელიც გულისხმობდა არსებული სახელფასო სისტემის მიმართ თსუ-ს აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებებისა და განწყობების შეფასებას. გაანალიზდა ობიექტური მონაცემები, გაკეთდა სხვადასხვა ჭრილში უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სახელფასო სისტემის ანალიზი. პროექტის შემდეგი საფეხური ითვალისწინებს რეკომენდაციების შემუშავებას სახელფასო სისტემის მოდერნიზებისა და უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან მისი თავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მაია რობაქიძე, მედეა სოლოღაშვილი. სერვისის კლიმატს, თანამშრომლის გამოცდილებასა და ორგანიზაციულ ლოიალობას შორის მიმართება; doi.org/10.52340/gs.2022.04.01.08; ქართველი მეცნიერები, ელექტრონული, **E-ISSN:** 2667-9760, ტ.4(1), 2022, 73–89

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
კვლევა მიზნად ისახავს სერვისის კლიმატს, თანამშრომლის გამოცდილებას (EX) და თანამშრომლის ორგანიზაციულ ლოიალობას შორის კავშირის შესწავლას. კვლევის ინსტრუმენტებად გამოყენებული იყო სამი კითხვარი: სერვისზე ორიენტაციის სკალა - Serv*or (Lytle, Hom, & Mokwa, 1988), თანამშრომლის გამოცდილების ინდექსი (Morgan, 2017) და თანამშრომლის ლოიალობის ინდექსი -eNPS (Reichheld, 2011). კვლევა ჩატარდა მომსახურების სფეროში მომუშავე 370 სუბიექტზე, რომლებიც აფასებდნენ იმ ორგანიზაციას, სადაც მიმდინარედ მუშაობდნენ. კვლევის ფარგლებში შემუშავდა სერვისის კლიმატის საზომი ინსტრუმენტის ქართული ვერსია. კვლევის შედეგებმა დაადასტურა კვლევითი ჰიპოთეზები: თანამშრომლის აღქმული სერვისის კლიმატი დადებითადაა დაკავშირებული თანამშრომლის გამოცდილებასა და ორგანიზაციულ ლოიალობასთან, კერძოდ, მენეჯმენტის სერვისის ხედვა თანამშრომლის გამოცდილებისა და ლოიალობის ყველაზე ძლიერი პრედიქტორია; თავის მხრივ, თანამშრომლის გამოცდილება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ლოიალობას ორგანიზაციის მიმართ.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. თეონა ლოდია, ლუიზა არუთინოვა, სოფიო დოლიძე; 6 თვიდან 6 წლამდე ბავშვის განვითარების მდგომარეობის შესაფასებელი ტესტის ქართული ვერსიის პირველადი სტანდარტიზაცია; GESJ: Education Science and Psychology 2022 | No.1(62); ISSN 1512-1801; https://gesj.internet-academy.org.ge/ge/index_ge.php; გვ. 78-85

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შემუშავდა ადრეულ ასაკში (6 თვიდან 6 წლამდე) ბავშვის განვითარების მდგომარეობის შესაფასებელი ინსტრუმენტის (E-T 6-6-R Entwicklungstest für Kinder von 6 Monaten bis 6 Jahren - Revision. Petermann F. & Macha, T. 2013 Frankfurt/M.: Pearson Assessment) ქართული ვერსია. აღნიშნული ინტრუმენტი ბრემენის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიისა და რეაბილიტაციის ცენტრში შეიქმნა და წარმატებით გამოიყენება არა მხოლოდ გერმანულენოვან სივრცეში და სხვა ევროპულ ქვეყნებში, არამედ, აგრეთვე, იაპონიასა და თურქეთში. ამ ინსტრუმენტის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლების შეფასებისა და პირველადი ასაკობრივი ნორმების დადგენის მიზნით ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 2-დან 6-წლამდე ასაკის 433-მა ბავშვმა და მათმა მშობლებმა. კვლევის მონაწილე ბავშვებიდან 213 (49%) გოგონა იყო, ხოლო 220 ბიჭი (51%). შერჩევა მოიცავდა ქ. თბილისის, იმერეთისა და კახეთის რეგიონის საჯარო და კერძო ბაღების აღსაზრდელებს. მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ინსტრუმენტის ფსიქომეტრული მახასიათებლების, მათ შორის, სანდოობის და ვალიდობის შეფასებამ დაადასტურა, რომ ტესტის ქართულ ვერსიას აქვს საკმაოდ კარგი პოტენციალი, სანდოდ და ვალიდურად შეაფასოს სხვადასხვა ასაკის ბავშვების განვითარების დონე და თავისებურებები.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

51. **მირანდა სოფრომაძე, სოფიო თევდორაძე**. ,, სტრესის დაძლევის სტრატეგიები მოზარდებთან''. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი,,ინტელექტი'', #1(71),2022წ. ISSN1512-0333. თბილისი, საქართველოს მეცნიერებისა და განვითარების ფონდი.გვ.75-79

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტრესულ სიტუაციაში დაძლევის ქცევის სტრატეგიები- წარმოადგენს ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის: განვითარების ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, პიროვნების ფსიქოლოგიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის შესწავლის საგანს. აღნიშნული საკითხის კვლევის აუცილებლობა განპირობებულია, როგორც მეთოდოლოგიური, თეორიული ასევე გამოყენებითი მიმართულებით. დაძლევის ქცევის პრობლემა არასაკმარისად არის შესწავლილი ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში, პიროვნულ თეორიებში. საქართველოს მასშტაბით არ გვხვდება კვლევები, რომლებიც შეისწავლიდნენ თუ როგორი სახის დაძლევის ქცევის სტრატეგიებს იყენებენ ქართველი მოზარდები სტრესთან საბრძოლველად. შესაბამისად, მოცემული კვლევა ფოკუსირებულია იმაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლია მოზარდს სტრესის დასაძლევად, როგორ უმკლავდება დაძაბულ ვითარებას და რომელი ფაქტორები ახდენენ გავლენას დაძლევის ქცევის ეფექტურობაზე უფრო მეტად (სიტუაციური თუ პიროვნული ფაქტორები).

2. მარიამ რევიშვილი, **მზია წერეთელი, ია აფთარაშვილი** (2022), მოტივაციისა და თვითრეგულირებადი სწავლის ინსტრუმენტის ქართული ვერსია და მისი ფსიქომეტრული მახასიათებლებიქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, ISSN 2667–9027, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (იბეჭდება)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია მოტივაციისა და თვითრეგულირებადი სწავლის საზომი ინსტრუმენტის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები, როგორებიცაა: ინსტრუმენტის ფაქტორული მახასიათებლები, სუბ-სკალების შინაგანი შეთანხმებულობა და სქესთა შორის განსხვავებები მოტივაციისა და სწავლის სტრატეგიების სკალებში შემავალი ფაქტორების ჭრილში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის საფეხურის 560 სტუდენტმა 17 უმაღლესი სასწავლო დაწესებულებიდან. მოტივაციისა და თვითრეგულირებადი სწავლის ინსტრუმენტი აერთიანებს ორ ძირითად სკალას, მოტივაციური ორიენტაციებისა და სწავლის სტრატეგიების სკალას. ინსტრუმენტი მოიცავს 81 დებულებას, რომელსაც რესპოდენტები ლაიკერტის ტიპის 7 ბალიან სკალაზე აფასებდნენ. 1 ნიშნავს - „სრულიად არ შემესაბამება“, ხოლო 7 – „სრულიად შემესაბამება“. მთლიანი კითხვარის ადმინისტრირება დაახლოებით 20-30 წთ-ს მოითხოვს. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მოტივაციისა და თვითრეგულირებადი სწავლის ინსტრუმენტის ქართული ვერსია იმეორებს ორიგინალი ვერსიის ფაქტორულ მახასიათებლებს. ინსტრუმენტის შინაგანი კონსისტენტობის კოეფიციენტი მოტივაციის სკალისთვის წარმოადგენს .70-ს, ხოლო სწავლის სტრატეგიების სკალისთვის კი .80-ს, რაც შეესაბამება ინსტრუმენტის ვალიდაციისთვის მისაღებ სტანდარტს. სკალებში შემავალ ფაქტორთა სანდოობის მაჩვენებლები ვარირებდა .51-დან .89-მდე. რაც შეეხება სქესთა შორის განსხვავებებს, სტატისტიკურად სანდო განსხვავებები ფიქსირდება როგორც მოტივაციის სკალის ფაქტორებზე, როგორებიცაა: დავალების ღირებულება, კონტროლის შესახებ რწმენები, თვითეფექტურობა სწავლაში, ასევე, სწავლის სტრატეგიების სკალის ფაქტორების შემთხვევაშიც, როგორებიცაა: შემუშავების, ორგანიზების, მეტაკოგნიტური თვითრეგულაციის, დროისა და სასწავლო გარემოს მენეჯმენტისა და ძალისხმევის რეგულაციის ფაქტორები. ჩატარებული კვლევის მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მოტივაციისა და თვითრეგულირებადი სწავლის ქართული ვერსიის გამოყენება შესაძლებელია სამომავლო კვლევითი საქმიანობისთვის.

5.3. მაკა ბაშარული, **ია აფთარაშვილი, მზია წერეთელი** (2022), ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების საკვლევი კითხვარის ადაპტაცია, *ქსჯ: განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია,* ISSN 1512-1801, გამომცემელი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გვ.20-32

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მოცემული კვლევის მიზანი იყო ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების საკვლევი კითხვარის ადაპტაცია. ნაშრომში განხილულია კითხვარის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები, კერძოდ, ქვესკალების შინაგანი კონსისტენტურობა, ფაქტორული სტრუქტურა, სქესთაშორისი განსხვავება ძირითად ცხოვრებისეულ მიზნებში. ასევე, შეფასებულია ძირითადი ცხოვრებისეული მიზნები მნიშვნელოვნების მიხედვით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი საფეხურის 250 სტუდენტზე (123 კაცი; 127 ქალი) ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების საკვლევი კითხვარის ქართული ვერსია შეესაბამება ორიგინალ ვერსიას. შინაგანი კონსისტენტურობის კოეფიციენტის მიხედვით, კთხვარის სანდოობის მაჩვნებელი 0.86-ია,

ხოლო ცალკეული სკალების სანდოობის კოეფიციენტი მერყეობდა 0.61-სა და 0.86-ს შორის. სკალებს შორის კორელაციის მიხედვით, ყველაზი ძლიერი დადებითი კორელაცია იყო ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზნებს შორის (r=0.59). რაც შეეხება, ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების მნიშვნელოვნებას, კვლევის მონაწილეთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური მიზნები. მდედრობითი სქესის სტუდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ეკონომიკური, სოციალური და თეორეტიკული მიზნები, ვიდრე მამრობითი სქესის სტუდენტებისთვის.

5.4. თამარი ღაჭავა, **მზია წერეთელი, ია აფთარაშვილი** (2022), სოციალური მიზნების საკვლევი ინსტრუმენტის ადაპტაცია, *ქესჯ: განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია,* ISSN 1512-1801, გამომცემელი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გვ.33-43

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მოცემული კვლევის მიზანი იყო სოციალური მიზნების საკვლევი ინტრუმენტის ადაპტაცია. ნაშრომში განხილულია ინსტრუმენტის (SGQ-Geo) ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები, კონკრეტულად, ფაქტორული სტრუქტურა, ქვესკალებს შორის შინაგანი შეთანხმებულობა, სქესთაშორის განსხვავებები სოციალურ მიზნებს შორის. აგრეთვე, შეფასებულია სოციალური მიზნების მნიშვნელოვნება. კვლევაში მონაწილეობდა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი საფეხურის 250 სტუდენტი (111 - მამრობითი, 139 - მდედრობითი; Mასაკი=20.58; SD=1.73). ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინსტრუმენტის ქართული ვერსია სრულად შეესაბამება მის ორიგინალ შვიდფაქტორიან ინსტრუმენტს და შენარჩუნებულია შვიდივე ფაქტორი. შინაგანი შეთანხმებულობის მიხედვით, კითხვარის 66 დებულების ჯამური მაჩვენებელი 0.93-ია, ხოლო თითოეული ფაქტორის კრონბახის ალფას მაჩვენებელი 0,77-სა და 0,91-ს შორის მერყეობს. რაც შეეხება სკალებს შორის კორელაციას, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სოციალური მიმზიდველობისა და მიკუთვნებულობის ფაქტორებს შორის. ხოლო ძალაუფლებისა და სოციალური პასუხისმგებლობის და ზრუნვის ფაქტორები ერთმანეთთან უარყოფით კორელაციაში იყო. კვლევის მონაწილეებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სოციალური პასუხისმგებლობისა და ზრუნვის ფაქტორი. სქესის გათვალისწინებით, ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ სოციალური პასუხისმგებლობისა და ზრუნვის სკალაზე, აგრეთვე, მიკუთვნებულობის სკალაზე. კვლევის მონაწილეებისთვის ყველაზე ნაკლებად ღირებული ძალაუფლების ფაქტორი აღმოჩნდა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. პროფესიული განათლება- პრობლემები და პერსპექტივები. 2022.
2. „ინსტიტუციური ეფექტიანობის ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, უმაღლესი განათლება. 2019-2022.
3. უნივერსიტეტების ავტონომია საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები. 2021-2022.
4. აკადემიური პერსონალის მიერ კოვიდ-19-ის გავლენის შეფასება მათსავე აკადემიურ დატვირთვაზე ბრიტანულ და ქართულ უნივერსიტეტებში. 2021-2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ირმა გრძელიძე-მონაწილე
   რუსუდან სანაძე-მონაწილე
   სოფიო იდაძე- მონაწილე
   ფრან ბუნინგი-მონაწილე
   ჰანეს ტეგელბეკერი- მონაწილე
   თამარა ჰენიგე-მონაწილე
2. ირმა გრძელიძე - კოორდინატორი
   ივანე მინდაძე - მონაწილე
   თინათინ გაბრიჩიძე - მონაწილე
   რუსუდან სანაძე - მონაწილე
   დავით სიხარულიძე - მონაწილე
   თინათინ დავითაშვილი - მონაწილე
   დავით ყიფიანი - მონაწილე
3. პოლ გიბსი - კოორდინატორი;
   ირმა გრძელიძე - მონაწილე;
   თამარ სანიკიძე - მონაწილე;
   გიორგი შარვაშიძე - მონაწილე;
   გიორგი ლაზარიაშვილი - მონაწილე;
   დავით ჩერქეზიშვილი - მონაწილე;
   ქეთევან აფთარაშვილი - მონაწილე.
4. ლიანა ბეატი - კოორდინატორი;
   პოლ ლისი - მონაწილე;
   მინგ ჩენგი - მონაწილე;
   ჯული სილი - მონაწილე;
   ირმა გრძელიძე - მონაწილე;
   რუსუდან სანაძე - მონაწილე;
   იზაბელა პეტრიაშვილი - მონაწილე;
   თეა გერგედავა - მონაწილე.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კვლევითი პროექტის მიზანია პროფესიული განათლების ძირითადი პერსპექტივების და გამოწვევები კვლევა განსხვავებული დაინტერესებული მხარის პერსპექტივიდან. 2022 წელს აღნიშნული კვლევა საფუძვლად დაედო სააკრედიტაციოდ მომზადებულ ორ ინგლისურენოვან პროგრამას: სამაგისტრო პროგრამა- პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების მართვა, PhD- პროფესიული განათლება. კვლევაში, ისევე როგორც, საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში მონაწილეობენ თსუ და მაგდებურგის უნივერსიტეტის წარმომადგენლები. კვლევის პირველი შედეგები წარდგენილი იქნა განათლების, კვლევის და ინოვაციების საერთაშორისო კონფერენციაზე სევილიაში 15th annual International Conference of Education, Research and Innovation Seville (Spain). 7th - 9th of November, 2022. პროექტი მრავალწლიანი და მიმართულია პროფესიული განათლების სფეროში გამოწვევებისა და პერსპეცტივების კვლევისაკენ.

2. უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომლის ეფექტიანობა დამოკიდებულია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებზე. მხოლოდ მათი ბალანსი იძლევა საშუალებას უზრუნველყოფილი იქნეს სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის მაღალი სტანდარტები, რასაც ითხოვს ერთის მხრივ ყველა დაინტერესებული მხარე და მეორეს მხრივ კი - უმაღლესი განათლების საქართველოსა და საერთაშორისო სტანდარტები, საბოლო ჯამში კი ეს პროცესი უზრუნველყოფს მოსახლეობისა და აკადემიური საზოგადოების უნივერისტეტისადმი ნდობას, უნივერსიტეტის, როგორც ინსტიტუციის რეპუტაციის ზრდასა და აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში. პროექტის მიზანია, თსუ-ში ინსტიტუციური განვითარების, სამუშაო პროცესების განხორციელების ეფექტურობის უზრუნველყოფის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობის, ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესისათვის და საერთაშორისო საუნივერსიტეტო რანჟირების სისტემებში მონაცემებისათვის შეგროვება/წარდგენის მიზნით, აგრეთვე სტრატეგიული სამოქმედო გეგმების შერსულების მონიტორინგისათვის სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა, სერვისებისა და უნივერსიტეტის არსებული რესურსების შესახებ მონაცემების შეგროვების, ანალიზის და ანგარიშგების სისტემის განვითარება და დანერგვა. მიმდინარე რეჟიმში, შემუშავებულია ინდიკატორების გარკვეული სისტემა და ხდება მათი ინფორმაციული მართვის პორტალზე განთავსების პილოტირება. 2021 წელს დასრულდა აღნიშნული მოდელის ტექნიკური დავალება და დაიწყო მუშაობა სოფტის პილოტურ ვერსიაზე. აღნიშნული პროექტის გარკვეული ნაწილები წარდგენილ და გავრცელებულ იქნა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაზე: 1. ირმა გრძელიძემ და თინათინ გაბრიჩიძემ 2021 წლის 29-30 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ერთობლივ კონფერენციაში "უნივერსიტეტის დანიშნულება და ინსტიტუციური ავტონომია: გამოწვევები და მათი გავლენა საქართველოზე", სადაც ირმა გრძელიძემ წარადგინა მოხსენებები შემდეგ თემებზე: "საქართველოში ინსტიტუციური ეფექტიანობის წინასწარი კვლევა" თამარ სანიკიძის თანაავტორობით და "ანგარიშვალდებულების გამოწვევები: როგორ აისახება გარე ანგარიშვალდებულება უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასების სისტემაზე? თსუ-ს მაგალითი" თინათინ გაბრიჩიძის თანაავტორობით. 2. ირმა გრძელიძისა და თინათინ გაბრიჩიძის მიერ საერთაშორისო კონფერენციაზე INTED 2021 წარდგენილ იქნა ნაშრომი: Measuring and Improving Institutional Effectiveness and Establishing Quality Culture at Universities through rigorous data collection and weighted indicators (Case of Georgia, TSU);

ირმა გრძელიძემ და თინათინ გაბრიჩიძემ მონაწილეობა მიიღეს ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის ფორუმის 2021 წლის კონფერენციაზე, სადაც თინათინ გაბრიჩიძემ წარმოადგინა მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის, გამოცდილებისა და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და შესრულების ინდიკატორების საფუძველზე შედეგების შეფასების შესახებ.

2022 წლის ბოლომდე ი.გრძელიძე, გ.შარვაშიძე, თ. გაბრიჩიძე, დ. სიხარულიძე სტატია Article: Data-driven analysis for evidence-based decision making at universities: benchmarking, software tools and weighted indicators in quality assurance—analytical framework of Tbilisi State University დასაბეჭდად მიიღო Journal: Quality in Higher Education (CQHE), Article ID: CQHE 2122107 სტატია დაიბეჭდება სპეციალურ გამოშვებაში.

3. კვლევა ეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიას საქართველოში. კვლევის შედეგები გაზიარებული იქნება პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას, უნივერსიტეტის, როგორც სტრატეგიული აქტორის, შიდა და გარე მმართველობის, ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების მაგალითზე. კვლევა აქცენტირებულია ქართული უნივერსიტეტის როლზე საკანონმდებლო ნორმებით განსაზღვრული ავტონომიისა და აკადემიური თავისუფლების გამოყენებაზე. კვლევის ფარგლებში ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე, რომლის წინასწარი შედეგებიც წარდგენილ იქნა ორი უნივერსიტეტის (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე. კვლევის მეორე ეტაპზე დაიგეგმა ჩაღრმავეული ინტერვიუები ორი კლასტერის (კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების) 5 სამიზნე ჯგუფთან: რექტორი, ვიცე რექტორები; დეკანები; აკადემიური პერსონალი; ხარისხის სამსახურისს ხელმძღვანელები; სტუდენტები. 2022 წელს შეივსო EUA Academic Score card რომლის შედეგები 2023 წლის იანვარში გამოქვეყნდება და აღნიშნული კვლევისთვის მონაცემთა ტრიანგულაციის კარგ შესაძლებლობას მოგვცემს.

4. კვლევის მიზანია გამოიკვლიოს COVID19-ის გავლენა განათლების მიმართულებით აკადემიური პერსონალის დატვირთვაზე ბრიტანულ და ქართულ უნივერსიტეტებში. კვლევის მიზნებისთვის აკადემიური პერსონალის დატვირთვა გულისხმობს სამ მიმართულებას: სწავლა-სწავლება, კვლევა და საზოგადოების განვითარების მიზნით შესრულებული სამუშაოები. კვლევითი პროექტი აქცენტირებულია როგორც საუკეთესო პრაქტიკის, ისე გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენაზე, განსაკუთრებით სამუშაო დატვირთვის კოვიდ-19-ით ზემოქმედებით გამოწვეულ ცვლილებებთან დაკავშირებით. კვლევის საბოლოო შედეგები გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას, რომელიც დაეხმარება მათ პანდემიის პირობებში აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ეფექტურად დაგეგმვასა და წარმართვაში. კვლევის ფარგლებში სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა კითხვარი, ჩამოაყალიბა საპროექტო განაცხადი და დაამტკიცა იგი ბრიტანული უნივერსიტეტების (Edge Hill University; Liverpool John Moores University) კვლევით საბჭოებზე. აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩატარდა 20-ზე მეტი ინტერვიუ ბრიტანელ და ქართველ კოლეგებთან, დასრულდა ლიტერატურის მიმოხილვა. კვლევის შუალედური შედეგები ი.გრძელიძის, ლიანა ბიტლის და პოლ ლისის მიერ წარდგენილი იყო EHU ყოვეწლიურ კვლევით კონფერენიაზე ACRE 14 -15, 07, 2022. კვლევა ინტერვიუს მონაცემების დამუშავების ეტაპზეა.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. “მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად”. პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები (2022-2023)

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის ხელმძღვანელი - თამარ მახარაძე

პროექტის კოორდინატორი - ნინო ბერიშვილი

მკვლევარები: თამარ აბაშიძე, ირინა ჟვანია, ანასტასია ქიტიაშვილი, თამარ გაგოშიძე, ეთერ ღვინერია, ნანა მაკარაძე, ნატო ქობულაძე, შორენა ძამუკაშვილი

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კვლევითი პროექტის ამოცანებია: 1. გააანალიზოს ინკლუზიური განათლების მიმართ არსებული დამოკიდებულებები და ამ პროცესთან დაკავშირებული მასწავლებლების ძირითადი საჭიროებები როგორც მოქმედ მასწავლებლებთან, ასევე, განათლების მეცნიერებების მიმართულების სტუდენტებთან, პროექტის სამიზნე უნივერსიტეტებში. 2. შეაფასოს ინკლუზიური განათლების მიმართულებით, მოცემული კვლევითი პროექტის სამიზნე უნივერსიტეტებში არსებული მდგომარეობა - (1) გარემოს ინკლუზიურიურობა: ფიზიკური, ინფორმაციული და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა შშმ/სსსმ 5 | დანართი №3 სტუდენტებისთვის და (2) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დამოკიდებულებები ინკლუზიური განათლების მიმართ

ძირითად აქცენტს ვაკეთებთ შშმ პირებსა და მათ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს განვითარებაზე. ფართო გაგებით ინკლუზიური განათლების თავისებურებების კვლევაზე მოცემული კვლევა ინტერდისციპლინურ ხასიათს ატარებს, რადგან ქმნის მყარ მტკიცებულებას რამდენიმე სფეროში საჭირო ცვლილებების გასატარებლად.

მოცემული კვლევა ინტერდისციპლინურ ხასიათს ატარებს, რადგან ქმნის მყარ მტკიცებულებას რამდენიმე სფეროში საჭირო ცვლილებების გასატარებლად. კვლევის

შედეგები ხელს შეუწყობს განათლების მეცნიერებებში მასწავლებელთა მოსამზადებელ პროგრამაში იმ ცვლილებების შეტანას, რომლებიც მომავალ მასწავლებლებს მისცემს უკეთეს პროფესიულ ცოდნასა და უნარებს შშმმ /სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ.

2.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ERASMUS + პროექტი: Developing and Implementing Technology-Enhanced Teaching and Learning at Georgian HEIs (DITECH) 4) (618766-EPP-1-2020-1-EE- EPPKA2-CBHE-JP)

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. იზაბელა პეტრიაშვილი, თანა-კოორდინატორი და თსუ ინსტიტუციური მენეჯერი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. შეიქმნა საბაკალავრო და სამაგისტრო კურსები, რომელთა პილოტირებაც დაიწყო 2022წ. შემოდგომის სემესტრში; შეიქმნა ქართულენოვანი რიდერები, შეიქმნა პროექტის ვებგვერდი - https://www.ditech-erasmus.eu/, ასევე ფეისბუქზე ოფიციალური გვერდი, სადაც ასახულია ყველა აქტივობა, შეხვერის ანგარიშები და ამ დროისთვის მიღწეული შედეგები; ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი ტალინის უნივერსიტეტში და კაუნასის ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, რის შემდეგაც დატრენინგებულმა ტრენერებმა ჩაატარეს ტრენინგები თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებისთვის სწავლა-სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

4.2. ეროვნული პატენტები

1. საგრანტო პროექტი ითვალისწინებდა შუა საუკუნეების გამორჩეულად საინტერესო თურქი პოეტის, იუნუს ემრეს, ცნობილი მესნევის „დარიგებათა წიგნის " (Risaletün Nushiyye) ქართულად თარგმანსა და კომენტირებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იუნუს ემრეს შესახებ მონოგრაფიის დონეზე სამეცნიერო ნაშრომები მოგვეპოვება (პროფესორ ელიზბარ ჯაველიძის მონოგრაფია ეხება იუნუს ემრეს მსოფლმხედველობის საკითხებს, პროფესორ შალვა გაბესკირიას ნაშრომი კი - პოეტის ენისა და ლექსიკის საკითხებს, იუნუს ემრეს ლექსები თარგმნილია ქართულ ენაზე) ჩემ მიერ შერჩეული ნაშრომის ირგვლივ ქართველ თურქოლოგებს აქამდე კვლევა არ ჩაუტარებიათ. უფრო მეტიც, თავად თურქეთშიც იუნუს ემრეს „დარიგებათა წიგნის" თანამედროვე თურქულ ენაზე დამუშავება და სამეცნიერო კვლევები მხოლოდ 1990-იან წლებში დაიწყო. მასპინძელი უნივერსიტეტი საკვლევი თემიდან გამომდინარე თავად თურქეთის მეცნიერებათა აკადემიამ შეარჩია, სამეცნიერო ხელმძღვანელიც სფეროს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ჩემი კვლევა განვახორციელე ქალაქ ნიღდეში, ომერ ჰალისდემირის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტმა შემიქმნა ყველანაირი პირობა მშვიდად მემუშავა ჩემს საგრანტო პროექტზე. უნივერსიტეტს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია იუნუს ემრეს შესახებ გამოცემული თითქმის ყველა საშრომი. კვლევის ხანგრძლივობა თურქეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ თავიდანვე განისაზღვრა სამი თვით. სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტით ნიღდეს უნივერსიტეტის თურქული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ვიმყოფებოდი 30 ივნისიდან 1 ოქტომბრამდე. თურქული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი ზია ავშარი, გახლავთ იუნუს ემრეს მკვლევარი, მანვე 2016 წელს „დარიგებათ წიგნი" თანამედროვე თურქულ ენაზე დაამუშავა და გამოსცა. მასთან და სხვა ლიტერატორებთან კონსულტაციებისა და მუდმივი თანმაშრომლობის შედეგად ჩემს წინაშე დასმული რთული ამოცანა მარტივად დავძლიე. იუნუს ემრეს „დარიგებათ წიგნი" დიდქტიკური ხასიათის ნაშრომია, რომელიც რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარება სუფიზმის (ისლამური მისტიციზმი) სააზროვნო სისტემას ეფუძნება და შესაბამისი ცნებებით არის გაჯერებული. კვლევა ორი მიმართულებით წარვამრთე პირველი- დერვიშიზმი და დერვიშული ლიტერატურა, რომელმაც მოითხოვა იუნუს ემრეს სხვა ნაშრომის „დივანი" დამუშავება, მეორე -უშუალოდ „დარიგებათა წიგნის" თარგმანი და კომენტირება. აღნიშნული საკითხები სინთეზირებულად ითხოვს გაანალიზებას, რადგან „დარიგებათა წიგნი" დერვიშებისთვის დაწერილია ნაშრომია. საკითხში სიღრმისეულად გარკვევის მიზნით თავად ძეგლის შესახებ მოვიძიე დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა, ტექსტზე მუშაობისას კი უპირატესობა მივანიჭე ცნობილი თურქი პროფესორის, იუნუს ემრეს ცნობილი მკვლევრის, მუსტაფა ტათჩის მიერ დამუშავებულ „დარიგებათა წიგნის" ტექსტს. მუსტაფა ტათჩის მიერ გამოცემული ტექსტი სხვა ტექსტებთან შედარებით სრულია და სხვადასხვა ხელნაწერების გათვალისწინებით არის შექმნილი. ძეგლზე მუშაობისას ყურადღება მივაქციე სტრუქტურის თავისებურებას, რითაც იგი იმავე პერიოდის სხვა ძეგლებისგან გამოირჩევა. აღნიშნული კვლევა წარმატებით დასრულდა, რაც აღინიშნა თურქეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, პროფესორ მუზაფერ შექერის, მადლობის წერილით ჩემი და ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგენილი შუალედური და საბოლოო ანგარიშების გათვალისწინებით. პროფესორ მუზაფერ შექერის მიწვევით ვიმყოფებოდი ანკარაში, მეცნიერებათა აკადემიაში. შეხვედრაზე ვრცლად ვისაუბრეთ საგრანტო პროექტზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გრანტის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო კვლევა და მესნევის თარგმანი წიგნის სახით უნდა დაიბეჭდოს. კვლევას წიგნის სახე ჯერ კიდევ ნიღდეში ყოფნისას მივეცი. წიგნი შედგება შესავლის, სარჩევის, სამი თავისა და თავად ტექსტის თარგმანისგან, ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სიაც. თავად პოეტისა და ძეგლზე მუშაობისას ვისარგებლე უახლესი კვლევებით. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, კულტურული და გეოგრაფიული გარემო, რომელიც კვლევის ჩატარებაში დამეხმარა. ქალაქი ნიღდე მდებარეობს შიდა ანატოლიაში, მის სიახლოვეს

მდებარეობს ქალაქი კონია და ყარამანი, რომლებიც მისტიკური, ანუ სუფიური აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი კერები იყო. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის უნივერსიტეტში ჩემი სამეცნიერო ვიზიტი პირველი არ ყოფილა, ცნობილი ლიტერატორების, იუნუს ემრეს შემოქმედებისა და ცხოვრების მკვლევართა პირადად გაცნობამ, აზრთა გაზიარებამ და თანამშრომლობამ მეტი ცოდნა და გამოცდილება შემძინა. საგრანტო პროექტზე მუშაობისას გამოიკვეთა სამომავლოდ დასამუშავებელი თემებიც და ქართველი და თურქი თურქოლოგების ერთობლივ პროექტებზე მუშაობის დიდი სურვილი. პროექტის ფარგლებში მოვამზადე სამეცნიერო სტატია „იუნუს ემრეს მესნევის „დარიგებათ წიგნის“ რეცეფციის საკითხი“, რომელიც ცნობილი თურქოლოგის, მეთინ ექიჯის, საიუბილეო კრებულში დაიბეჭდება.

2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. ირინე ტატიშვილი (რედაქტორ-შემდგენელი). მიხეილ წერეთელი, ურარტოლოგიური ძიებანი, თბილისი, თსუ გამომცემლობა, ISBN 987-9941=491-71-9; 2022; 251 გვერდი

2. ნინო სამსონია, ჯემალ შარაშენიძე (რედაქტორ-შემდგენელი); მ. წერეთლის ბიბლიოგრაფია (*ეშგარ-გატონი*). ISBN; 987-9941-491-67-2; თბილისი; თსუ გამომცემლობა 2022; 145 გვერდი.

3. მირიან მახარაძე, ზაზა შაშიკაძე, იუსუფელი (კაშხალთმსენებლონა, სოფლები და ძეგლები); ISBN 978-9941-33-351-4, თბილისი, უნივერსალი, გვ. 1- 360.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. ნაშრომში თავმოყრილია მ. წერეთლის ურარტოლოგიური ნაშრომები, რომლებმაც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში შერიოზული გარდატეხა შეიტანეს ურარტული ენის შესწავლის საქმეში და, ა. გოეტცესა და ი. ფრიდრიხის ნაშრომებთან ერთად ურარტოლოგია ახალ სიმაღლეზე აიყვანეს. ნაშრომში შესულია აგრეთვე „კელიშინის სტელის“ ტექსტების ფრანგული თარგმანები ვრცელი კომენტარებითურთ და მათზე თანდართული ნარკვევი ურარტული გრამატიკისა. განსაკუთრებით ფასეულია „კელიშინის სტელის“ ის ნაწილი, რომელშიც მკვლევარი წარმოგვიდგენს სტელის ორსაე ტექსტში დადასტურებული ლექსემების ფორმობრივ-შინაარსობრივ შეპირისპირებებს.

2. ქართულ საზოგადოებას სთავაზობს ცნობილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნის, რუსთველოლოგის და საზოგადო მოღვაწის, მიხეილ წერეთლის (1878-1965) პუბლიკაციების, მონოგრაფიების, ხელნაწერების სრულ ბიბლიოგრაფიას, რომლის მოძიებადა შეკრება, ნინო სამსონიამ და ჯემალ შარაშენიძემ, 2012 წლიდან დაიწყეს.

3. თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში მოქცეული ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა დღევანდელი იუსუფელის რაიონი (თურქ. İlçe), ძველი ახალთა მისი მიმდებარე შემოგარენით. ამჟამად იუსუფელის რაიონში 61 სოფელია გაერთიანებული. აღნიშნულ სოფლებში დღესაც მრავლადაა ქართული ისტორიული ძეგლები. რეგიონში შემორჩენილია ქართული სოფლები, რომელიც, პირობითად, შეიძლება გაიყოს სამ კატეგორიად: პირველი - სადაც შემორჩენილია ქართული ენა და მეორე, სადაც მოსახლეობამ არ იცის ქართული, მაგრამ იციან, რომ ადგილობრივები არიან და მათი წინაპრები ქართველები იყვნენ; ხოლო მესამე, სადაც მოსული მოსახლეობა ცხოვრობს. 1959 წელს თურქეთის რესპუბლიკაში მიიღეს 7267-ე კანონი, რომლის მეორე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ყველა სოფლის და დასახელებული პუნქტის არათურქული სახელწოდება უნდა შეცვლილიყო თურქულით. ქვეყნის მასშტაბით 12 000-მდე სოფელს გადაერქვა სახელი, მათ შორის იყო ისტორიული ქართული სოფლებიც. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილია და ახლაც იყენებენ ძველ ქართულ დასახელებებს. იუსუფელი ზღვის დონიდან 565 მეტრზე მდებარეობს. მისი მაღალმთიანი მხარეა კაჩკარის მთები, რომლის უმაღლესი წერტილი 3932 მეტრს აღწევს. რეგიონის მთავარი მდინარე ჭოროხია, თავისი შენაკადებით. მათ შორისაა პარხლისწყლის ხეობა, სადაც მდებარეობს ქალაქი იუსუფელი. იუსუფელის რაიონი მდიდარია ტბებით, ნაკადულებითა და მიწისქვეშა წყლებით. მდინარე ჭოროხი სათავეს ბაიბურთიდან იღებს და არზრუმ-სპერის რაიონის შემდეგ გრძელდება ართვინის პროვინციის საზღვრებში. შემდეგ საქართველოში შემოედინება და ბათუმთან შავ ზღვას ერთვის. მდინარე 431 კილომეტრს ციცაბო კლდეებსა და ღრმა ხეობებში გადის. იგი ძალიან სწრაფად მიედინება და წყლის მოცულობის საშუალო მაჩვენებელი 6,3 მილიარდი $მ^3$-ია. იუსუფელის რაიონი ისტორიული ტაოს შემადგენელი ნაწილია. ტაო პირველად მოიხსენიება ასურულ დოკუმენტებში, როგორც „დაიანე“. IX-VIII სს-ის ურარტულ ძეგლებში, ტაო ფიქსირდება „დიაუხის“ სახით და წარმოადგენს უძველეს ქართველურ სახელმწიფოს. კოლხეთის სამეფოს დაწინაურების შემდეგ, ტაოს დიდი ნაწილი, მათ შორის დღევანდელი იუსუფელის რაიონიც მის შემადგენლობაში შევიდა. ძვ.წ.აღ. IV-III სს-დან ახლად ჩამოყალიბებულ ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში იყო. ძვ.წ. და II ს-დან სამხრეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად გაძლიერებული სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა, ხოლო ახ.წ.აღ. I ს-დან კვლავ ქართლის სამეფოს შეუერთდა. IV-VII სს-ში აქ მამიკონიანთა გვარი ბატონობს. მიუხედავად ამისა, ტაოს მოსახლეობის უმეტესობა ქართულია, რაც აშკარად გამოიხატა ქალკედონის კრებაზე მონოფიზიტობის აღიარებით. VIII ს-დან ტაო კვლავ ქართლს ექვემდებარება. IX-X სს-დან იგი იქცა ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის აღორძინების მძლავრ კერად. XII-XIII სს-ში ტაო საქართველოს სამეფოს მონაპირე საერისთავოს წარმოადგენდა. XIII ს-ის II ნახევარიდან სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში შევიდა. დღევანდელი იუსუფელის ტერიტორიას კავკასიძეთა გვარი ფლობდა. XVI ს-ის 40-იანი წლების ბოლოს ოსმალებმა კვლავ დაიპყრეს დღევანდელი იუსუფელის რაიონი და აღნიშნული ტერიტორია იმპერიას დაუქვემდებარეს. ეს ტერიტორია მოიცავს ისტორიულ ფერთექრექს, ნიგალს/ლიგანი (Livane), ქისქიმს. ფერთექრექი დღევანდელი იუსუფელის სოფელ ჩევრელიში მდებარე დიდი ციხესიმაგრეა. ქისქიმი უფრო სამხრეთით მდებარეობს. ლივანა XVI ს-ის საარქივო დოკუმენტებისა და წყაროების მიხედვით დღევანდელი იუსუფელის და ართვინის ტერიტორიებია. 1574 წლის „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარში“ თორთომის ნაჰიეს შემადგენლობაში მხოლოდ ორი - ფერთექრექის და კუდროჩორის (ქისქიმის სოფელი) ნაჰიეებია აღწერილი. აღნიშნული ტერიტორია მოიცავს დღევანდელი იუსუფელის სამხრეთით ჭოროხისპირა ტერიტორიებს, სპერისკენ აყოლებაზე. ანუ ქისქიმს მისი შემოგარენით და სპერის რამდენიმე სოფელს. არ არის აღწერილი პარხლის ხეობა, რადგან იგი იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით იმართებოდა. დავთრის მიხედვით ტერიტორიაზე ქრისტიანი მოსახლეობა ცხოვრობს, თუმცა შემდგომი დავთრების მიხედვით მათი რაოდენობა თანდათან მცირდება, ამის მიზეზი კი მათი ისლამზე მოქცევა და ზოგჯერ უცხო ეთნიკური ჯგუფების მიგრაცია იყო. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის ბოლომდე მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა შეინარჩუნა ქრისტიანობა. 1835 წლის ოსმალური მოსახლეობის აღწერების მიხედვით დღევანდელი იუსუფელის რაიონი გაერთიანებულია ძირითადად ორ - ქისქიმისა და ზემო ლივანეს სანჯაყებში, მხოლოდ რამდენიმეა მოქცეული ტაოსკარსა და ოლთისში. მთლიანი ტერიტორია კი ჩილდირის საბეგლარბეგოს შემადგენლობაშია, რომელშიც ასევე შედიოდა ადრიანოპოლის ზავით (1829 წელი) ოსმალეთის იმპერიაში დარჩენილი ისტორიული ქართული ტერიტორიები. ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილებებთან ერთად დღევანდელი იუსუფელის ტერიტორია დრო და დრო არზრუმის ან

ტრაპიზონის ვილაიეთის ფარგლებში ექცეოდა. დღევანდელ ქალაქ იუსუფელის დაარსების ისტორია დაკავშირებულია ერთ უცნაურ/სახალისო ისტორიასთან. ოსმალეთის იმპერიის საფოსტო განყოფილების მუშაკებს გზავნილების გადამისამართების დროს ხშირად ერეოდათ ერთმანეთში არზრუმის პროვინციის ქისქიმის და ანკარის პროვინციის ქესქინის რაიონები. ამ მიზეზით საფოსტო-სატელეგრაფო სამსახურმა სახელმწიფო ზედამხედველობას შესთავაზა ქისქიმის რაიონს ერსისი დარქმეოდა. ეს წინადადება არ იქნა მიღებული. 1914 წლის 7 თებერვლის მითითებით, ანკარის პროვინციის მმართველობას შესთავაზეს, მათ შეეცვალათ სახელწოდება ქესქინი. ამ მითითებას ანკარის პროვინციამ უპასუხა, რომ ქესქინი წარმოადგენდა ძველ თურქულ სახელწოდებას და შესაბამისად, უფრო მართებული იქნებოდა შეცვლილიყო არზრუმის პროვინციის ქისქიმის სახელწოდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა ზედამხედველობამ 1914 წლის 24 თებერვალს არზრუმის პროვინციას გამოუგზავნა დირექტივა, ქისქიმის რაიონს დარქმეოდა შესაფერისი თურქულენოვანი სახელი. 1914 წლის 6 მაისს ქისქიმის რაიონის მეჯლისის თავჯდომარემ აჰმედ ნეჯათ ბეიმ მეჯლისს შესთავაზა ოსმალეთის ტახტის მემკვიდრის, უფლისწულ იუსუფ იზედინის სახელის პატივისცემის ნიშნად რაიონს დარქმეოდა იუსუფელი. მეჯლისი გადაწყვეტილებით დაეთანხმა აღნიშნულ წინადადებას. 1914 წელს იუსუფელის რაიონი იყოფოდა ოღდემისა და ხოდიჩურის თემებად. მოგვიანებით, ოსმალეთის მინისტრთა კაბინეტის 1921 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით, გაუქმდა ხოდიჩურის თემი და მისი ოთხი სოფელი პირდაპირ დაექვემდებარა რაიონის ხელმძღვანელობას. იმავე გადაწყვეტილებით, შეიქმნა სარიგოლის თემი, რომელსაც ოღდემის თემის ზოგი სოფელიც შეუერთეს. 1926 წლის 30 მაისს გამოცემული „სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის“ შესახებ კანონის თანახმად, იუსუფელის რაიონი არზრუმიდან ართვინის პროვინციის შემადგენლობაში გადავიდა. რაიონის ცენტრად დასახელდა დაბა ოღდემი. 1933 წლის 20 მაისს გაუქმდა ართვინის პროვინცია და შეიქმნა ჭოროხის პროვინცია, რომლის ცენტრი გახდა რიზე. იუსუფელის რაიონი მთლიანად ისევ არზრუმის პროვინციას დაექვემდებარა. მოგვიანებით - 1936 წლის 4 იანვარს მიღებული კანონის თანახმად, ჭოროხის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი რიზედან კვლავ ართვინში იქნა გადატანილი. იმავე კანონით იუსუფელის რაიონი არზრუმის პროვინციას გამოეყო და ჭოროხის პროვინციას გადაეცა.

1950 წლის 11 თებერვლის №5531 კანონის თანახმად, იუსუფელის რაიონის ცენტრმა ოღდემიდან გადაინაცვლა ვეჟანგეთისა და კაზახორას (კოწახური) უბნებისაგან შემდგარ სოფელ ახალთაში (დღევანდელი ქალაქი იუსუფელი). 1956 წლის 17 თებერვალს ჭოროხის პროვინციას შეეცვალა სახელი და დაერქვა ართვინის პროვინცია. მას დღემდე ამგვარად ეწოდება და მოიცავს ართვინის, არტანუჯის, ხოფის, არხავის, ბორჩხის, მურღულის, იუსუფელის და შავშეთის რაიონებს.

ამჟამად იუსუფელის კაშხლის მშენებლობის გამო წყლის ქვეშ ექცევა ქალაქი იუსუფელი და მიმდებარე ტერიტორიები. 1998 წელს თურქეთის დიდმა ეროვნულმა მეჯლისმა გამოსცა შესაბამისი კანონი, რომლის თანახმადაც ქალაქი გაშენდება დღევანდელი იუსუფელის ჩრდილოეთით, ვრცელ მთაგორიან ტერიტორიაზე.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ნინო ეჯიბაძე,** თანამედროვე არაბული ენა (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა. ISBN 978-9941-036-045-9, თბილისი, თსუ, 208 გვ.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სახელმძღვანელო განკუთვნილია არაბული ენის სწავლებისთვის მაღალ საფეხურზე, როდესაც სტუდენტს უკვე ათვისებული აქვს არაბული ენის საფუძვლები. იგი პრაქტიკულად მთლიანად არაბულია (გარდა მოკლე ქართული შესავლისა და არაბულად სათარგმნი წინადადებებისა სავარჯიშოთა ნაწილში). მასში გათვალისწინებულია თანამედროვე არაბული სამყაროს სოციოლინგვისტური სურათი: ერთი მხრივ, წარმოდგენილი მასალა გულისხმობს მუშაობას როგორც კლასიკური, ისე სტანდარტ ნორმების მიხედვით, მეორე მხრივ, მოტანილია მცირე მოცულობის დიალექტური ტექსტებიც (ანდაზები, ლექსები და სხვ.).

წიგნი ითვალისწინებს რამდენსამე სამუშაო მიმართულებას: ზეპირსამეტყველო უნარების დახვეწა, თხზვა, ლექსიკური მარაგის აქტუალიზება, გრამატიკული მასალა (წარმოდგენილი სავარჯიშოების სახით), კარნახით წერა და სხვ. წიგნი აგებულია იმ პრინციპზე, რომ სწავლების მთლიან პროცესში წამყვანია მასწავლებლის შემოქმედებითი როლი. სახელმძღვანელო პირველად თსუ-ს გამომცემლობის მიერ გამოიცა 2016 წელს. ამჟამად, მცირედი გადამუშავებით, მომზადდა ხელმეორედ გამოსაცემად. არაბისტიკული საბაკალავრო პროგრამების დამამთავრებელ სემესტრებში ეს წიგნი სახელმძღვანელოდ გამოიყენება, პირველ რიგში, თსუ-ში, ასევე – აჯწუ-ში.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. HITTITE COURT RECORDS: THE TRIAL OF UKURRA AND HIS SON - SALLI-TARHUNTA , ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია VII, 2022, 449-456, http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE

2. ცხენის გახედვნის ტექსტი (ე.წ. ქიქულის ტექსტი), ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია VIII, 2022, http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE

3. **ნანა გელაშვილი,** იაპონიის თვითიზოლაციის დასასრული 1854 წელს და მისი შედეგები, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“, 2022, #5, ბათუმი, ISSN 2587-490X; E-ISSN 2720-8168, გვ. 26-41.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მოცემულია ხეთური სასამართლოპროცესისტექსტისქართულითარგმანიდაკომენტარები, სადაცმბრლადებელისავარაუდოდ, არისხეთებისდედოფალიფუდუხეფა, ხათუსილიIII-სმეუღლე(ძვ. წ. მე-13 ს.), ხოლობრალდებულები-უქურადამისივაჟი-სალი-თარხუნთა, რომელიცროგორცჩანს, იკავებდამაღალთანამდებობას(სავარაუდოდ, იყოსასახლისსალაროსმეჭურჭლეთუხუცესი.

2. მოცემულია ცხენის გახედვნისინსტრუქციის (ე.წ. ქიქულის ტექსტი, CTH 284) თარგმანი და კომენტარი. ტექსტი ცნობილია ხეთების დედაქალაქ ხათუსადან (ბოღაზქოი, თან. თურქეთი, დაახლ. ძვ. წ. მე-13 ს.). ქართული თარგმანი ქვეყნდება პირველად.

3. ნაშრომი ეძღვნება იაპონიის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, კერძოდ, 1854 წელს ქვეყნის თვითიზოლაციის დასრულებას ანუ მის ე. წ. „გახსნას“ აშშ-ს ძალისხმევით და მის შედეგად განვითარებული მოვლენების განხილვას. აღნიშნული საკითხები წარმოჩენილია როგორც საერთაშორისო ურთიერთობების, ისე იაპონიის შიდა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შუქზე. ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და იდეოლოგიური ერთიანობის დაკარგვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მმართველი ტოკუგავას ხელისუფლება XVII დაუკუნის დასაწყისიდან ანტიდასავლური და ანტიქრისტიანული მკაცრი პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა, რაც საბოლოოდ ქვეყნის დახურვით დაგვირგვინდა. იაპონია თვითიზოლაციაში ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე იმყოფებოდა - 1639 წლიდან 1854 წლამდე. ამ ხნის მანძილზე მინიმალური ურთიერთობები მას შენარჩუნებული ჰქონდა მეზობელ კორეასთან და ჩინეთთან, ხოლო ევროპის ქვეყნებიდან - მხოლოდ ჰოლანდიასთან. აშშ-ს დაჟინებული მოთხოვნების შედეგად, 1854 წლის 31 მარტს იაპონიასა და აშშ-ს შორის ხელი მოეწერა პირველ ხელშეკრულებას „მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც აშშ-მ იაპონიაში მთელი რიგი პრივილეგიები მოიპოვა. ამერიკის კვალდაკვალ იაპონიისგან ანალოგიური შეღავათები მოითხოვეს ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა და რუსეთმა. იაპონიაში იმხანად არსებული რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული იყო ქვეყნის სუვერენული უფლებების შემლახავი კაბალური ხელშეკრულებები მათთანაც გაეფორმებინა. მართალია, იაპონია გაბმული აღმოჩნდა უთანასწორო ხელშეკრულებათა ქსელში, თუმცა, უმთავრესი ის იყო, რომ ქვეყნის ისტორიის სრულიად ახალი ფურცელი გადაიშალა. ხაზგასასმელია, რომ იაპონია

თამამად შეეგება ახალი დროის გამოწვევებს და წარმატებით გაართვა თავი წამოჭრილ დაბრკოლებებს, რის შედეგადაც ის აქტიურად ჩაება მსოფლიოს საერთაშორისო ურთიერთობებში. საბოლოო ჯამში, სწორედ იაპონიის გახსნის უშუალო შედეგს წარმოადგენდა ქვეყანაში განვითარებული პროგრესული ინოვაციური პროცესები პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში, რომლებიც განხილული და გაანალიზებულია წარმოდგენილ ნაშრომში.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **დარეჯან გარდავაძე.** უცხოობის განცდა – უმთავრესი ადამიანური გამოცდილება. ელიას ხურის „ქალაქის კარიბჭეები“. ჟურნალი „აღმოსავლეთმცოდნეობა“#11, 2022. ISSN 2298-0377, 8 გვ.

2. **ხათუნა თუმანიშვილი**. On the Importance of Comparative Study of Bilingual Proverbial Funds (Baced on Syrian Dialect Arabic and Georgian Material). Studies on Arabic Dialectology and Sociolinguistics, Proceedings of the AIDA 13th International Conference (volume 1), The International Association of Arabic Dialectology. ISBN 978-9941-495-52-6. Akaki Tsereteli State University. Kutaisi. Georgia. pp. 455-463.

3. **მარიამ ნანობაშვილი,** ქრისტიანულ აღმოსავლეთში ბერძნული ფილოსოფიის გავრცელების ზოგიერთი ასპექტი, „აღმოსავლეთმცოდნეობა“, № 11, ISSN 2298–0377, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 159–178.

4. **ნინო ეჯიბაძე,** THE ISSUE OF THE FINAL MĪM IN THE EGYPTIAN ARABIC DIALECT; STUDIES ON ARABIC DIALECTOLOGY AND SOCIOLINGUISTICS, არაბისტ დიალექტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის კონფერენციის მასალები, N13, ISBN 978-9941-495-52-6, ქუთაისი, აკწუ, გვ. 121-125.

5. **ნინო ეჯიბაძე,** გარეგანი ფლექსიის შესახებ არაბულში. აღმოსავლეთმცოდნეობა, N11, ISSN 2298-0377, თბილისი, თსუ. გვ. 61-79.

6. **მაია ანდრონიკაშვილი.** ვოკალიზმის შესახებ არაბული ენის ძირში. აღმოსავლეთმცოდნეობა, N11, ISSN 2298-0377, თბილისი, თსუ. გვ. 23-40.

7. **დალი ჩიტუნაშვილი;** სტეფანე მტბევარის უცნობი ჰომილეტიკური თხზულება; მრავალთავი, 27,ISSN-0234-7385; თბილისი, „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“; გვ.284-290.

8. **ნინო სამსონია.** შუხურმაშუს (თევზი-თხის) მოდელი შუამდინარულ ტექსტებსა და იკონოგრაფიაში, აღმოსავლეთმცოდნეობა, 2022, ISSN გვ. 147-158.

9. **ნინო სამსონია.** *ენგური* და *ლახამა* შუამდინარულ იკონოგრაფიაში, შოთა ჩართოლანის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები V”, მესტიის მუზეუმი, 2022, (გადაცემულია დასაბეჭდად).

10. **ნანი გელოვანი.** ამიერკავკასიის მუფთი ჰუსეინ ეფენდი გაიბოვი.აღმოსავლეთმცოდნეობა, N11, ISSN 2298-0377, თბილისი, თსუ. გვ. 83-98.

11. **ნანა გელაშვილი,** სპარსულ წერილობით წყაროთა ცნობები როსტომ მეფის ქორწინების შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ისტორიის სერია), #1, 2022, ISSN-0132-6058 (print); ISSN 2720-8214 (online), გვ.8-22

12. **ნანა გელაშვილი,** ებრაელთა ჩინეთში დასახლების ისტორიიდან, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXXVI, თბ.-თსუ გამომცემლობა, ISSN 1512-0694, გვ. 63-78.

13. **ნანა გელაშვილი,** სეფიანთა პირველი კონტაქტები საქართველოსთან, საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნ. მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, თბ.-კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2022, ISBN 978-9941-8-3292-5, გვ.231-237.

14. **მირიან მახარაძე, ზაზა შაშიკაძე,** ალექსანდრე კახთა მეფე და ქართველთა პილიგრიმობის საკითხი იერუსალიმში, „აღმოსავლეთმცოდნეობა“, XI, ISSN 2298-0377; თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2022. გვ. 133-146

15. **მარიკა ჯიქია.** თურქული წარმომავლობის *იალღუზი* ქართულსა და ოსურ ისტორიულ ანთროპონიმიაში. VII საერთაშორისო კონფერენცია – ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების

პერსპექტივები, კონფერენცია ეძღვნება იოანე იალღუზიძეს. მასალები. ISBN 978-9941-33-109-1; თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ.394-398.

16. **ელისაბედ ბჟალავა/ნინო ოქროსცვარიძე,** *კონცეპტი „სამშობლო“ ისტორიულ–კულტურული მარკერი თურქეთელ ქართველებში,* „ფილოლოგიური კვლევები“ / „Philological Researches” (impact-factor: 0.591; indexed in ISI database, Online ISSN: 2667-9612) ნომერი V (2022)

17. **შურღაია, თეა.** იუსტინე აბულაძის რამდენიმე ბიოგრაფიული ფაქტის ახლებური ინტერპეტაციისთვის, „აღმოსავლეთმცოდნეობა“, N 11, ISSN 2298-0377, Tbilisi, TSU, 9 გვერდი (212-220).
18. მზია ბურჯანაძე, *ირანი შექუფე აზარის რომანში „ალუჩის ხის ემანაცია“,* კრ. „აღმოსავლეთმცოდნეობა“, 11 (გვ. 41-52), 2022 (256 გვ.), თსუ გამომცემლობა. ISSN 2298-0377
19. **მ. ალექსიძე,** გ. ბერაძე, თ. მოსიაშვილი, ქართველები სეფიანთა ირანში: უნდილაძეების საგვარეულოს წარმომადგენლებთან დაკავშირებული XVII საუკუნის რამდენიმე სპარსული და არაბული წარწერის შესახებ, *ახალი მასალები საქართველოს შესახებ ირანის არქივებში და ბიბლიოთეკებში* (რედ. ნ. ნახუცრიშვილი და გ. სანიკიძე), ილიაუნის გამომცემლობა, ISBN 978-9941-18-409-3, 2022, 50-101.

20. **მ. ალექსიძე,** ირანელების საქველმოქმედო საქმიანობა თბილისში (XIX-XX საუკუნეების მიჯნა), *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო,* #14, ილიაუნის გამომცემლობა, ISBN 978-9941-18-192-4, (იბეჭდება).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. „უცხოს“, „უცხოობის“ კონცეპტი თანამედროვე ლიბანელი მწერლის, რომანისტის, ლიტერატურის კრიტიკოსის ელიას ხურის ერთ-ერთ ადრეულ მცირე ფორმატის რომანში „ქალაქის კარიბჭეები“ ძალიან დიდი დატვირთვის მატარებელია. რომანი, რომელიც 1981 წელს დაიწერა, „ათას ერთი ღამის“ ერთი ცნობილი ნარატივის „სპილენძის ქალაქის“ თემის პოსტმოდერნული ლიტერატურული გადამუშავებაა, რომელიც ავტორმა მწერლური შთაგონებით მისთვის ყველაზე მტკივნეულ თემას - ბეირუთის სამოქალაქო ომსა და მის გამოძახილს დაუკავშირა, თუმცა ამ პატარა რომანში მკითხველი პირდაპირ ვერც ბეირუთს ამოიკითხავს და არც ომის ხსენებაა სადმე. რომანის მთავარი პერსონაჟი შორეული ქალაქისკენ მიმავალი უცხო კაცია და უცხოობაშია მისი ძალა, რადგან სწორედ უცხოობის განცდას შეუძლია ღვთიური ჭეშმარიტებისკენ მისი სვლის, მისი მსოფლაღქმის ახსნა. უცხოობა თან ტანჯვაა მისთვის და ამასთანავე, თან მისი რჩეულობის გამოხატულება, საშუალება ღვთიური ჭეშმარიტების წვდომისა. მისი გზა ღვთის მაძიებლის, ღვთისკენ მიმავალი გზაა; მისი ცხოვრების გამოცდილებაც ექსტაზის გარკვეული ფორმაა, სულსა და მატერიას შორის ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ მიჯნას რომ გადალახავს. მისი სამყარო და სააქაო დევნილობის სივრცეა, სადაც ყველა და ყველაფერი საკუთარ უცხოობას ახსენებს და ათავისუფლებს მიწიერ ორიენტირებზე მიჯაჭვულობისგან. ამ უცხოობიდან უკან დასახევი გზა მისთვის მოჭრილია, იდენტობის შესახებ მიწიერი წარმოდგენები სრულიად გამქრალი აქვს, რადგან მას მოგონებებიც კი აღარ აქვს დაკარგულ სამშობლოზე. ის არ ცდილობს უცხოობისა და ტანჯვის განდევნას, დასრულებას, პირიქით, დაუღლავად აგრძელებს გზას, უცხოობა უკვე მყარად ფესვგადგმულია მასში და მრავალი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ, რომლებიც აპოკალიფსურ სცენებს მოგვაგონებს, უთვალავი დღისა და ცივი, წვიმიანი ღამის შემდეგ ის თან აღწევს და თან ვერ აღწევს მიზანს - ქალაქი, სადაც ეგონა, რომ ელოდნენ, ჯერ ცეცხლში დაინთქა, შემდეგ მოვიდა ზღვა, ზღვამ შთანთქა ცეცხლი და ქალაქი დაფარა, ის წყალში ჩაიქცა და თვალს მიეფარა. ამრიგად, მშვენიერება და ჭეშმარიტება მისკენ მიმავალი კაცისთვის კვლავ მიუწვდომელი დარჩა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ კაცი ეძებდა იმას, რაც ამქვეყნად არ არსებობს, რაც მხოლოდ იმქვეყნადაა. მისთვის ხსნის მტანჯველი პერსპექტივა სწორედ ამ უცხოობასა და სვლაშია - აღთქმული ქვეყნისკენ სვლაში.

2. მიმდინარე ეპოქალური გამოწვევების ფონზე, მძლავრი კულტურული ექსპანსიის პირობებში პარემიოლოგია გლობალურ ჭრილში სვამს საკითხს საანდაზო ენის ფუნქციაზე ტრადიციულ და თანამედროვე კულტურაში. მეცნიერებს უმნიშვნელოვანესად მიაჩნიათ განსხვავებულ კულტურათა მონაცემების შეპირისპირებითი კვლევა, რათა მიღებულ იქნას საერთაშორისო ანდაზების ერთობლივი

მარაგი მათი მრავალფეროვანი ფუნქციებით სხვადასხვა კულტურაში. ნაშრომში არაბული და ქართული პარემიული ეკვივალენტური მოდელების განსაზღვრის და შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე გამოვლენილია, როგორ, რა ზოგადი და, ამავდროულად, თითოეულისთვის დამახასიათებელი რა კერძო საშუალებებით იქმნება მოცემული სიბრძნე მოცემულ (არაბულ / ქართულ) ლინგვოკულტურულ სივრცეებში – „წარმოსახვათა ერთობის“ (ბ. ანდერსონი) განსხვავებულ სისტემებში. ნაშრომში შეპირისპირებით-ტიპოლოგიურ პლანში გაანალიზებულია საერთო სემანტიკურ მოდელში მოქცეული არაბულ-ქართული აზრობრივი პარალელები. გააზრებულია, როგორ ხდება თითოეულში კოდირებული არსებითის ზედაპირზე ამოტანა. გამოვლენილია კონკრეტული აზრობრივი მოდელის ფორმირებაში თითოეული ეთნოსი რა გამოცდილებას ეყრდნობა (მისი ქვეცნობიერი რა გენეტიკური ინფორმაციის მატარებელია მოცემულ შემთხვევაში) – **ცნებითი აზროვნების** რა ანალოგიებზეა აგებული დეკოდირებისას მიმდინარე აზრმდებლობის პროცესი. შესაბამისად, რა სახის წარმოსახვით-ლოგიკურ მიმართებებს (საგანთა და მოვლენათა რა სახის კავშირებს) გვთავაზობს მოცემული ანდაზების კონსტრუქტი რადიკალურად განსხვავებულ ეთნოკულტურათა ჩარჩოებში. არაბულენოვანი მაგალითები მოპოვებულია არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ (სირიელი, ლიბანელი) ინფორმანტებისგან.

3. სტატიაში კრიტიკულადაა გაანალიზებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც სირიელმა სწავლულებმა ბერძნული ფილოსოფიის თარგმნას მხოლოდ მაშინ მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება, რაც ისინი აქტიურად ჩაებნენ ბერძნულ-არაბულ მთარგმნელობით საქმიანობაში აბასიანთა სახალიფოში. ამ შეხედულების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ არაერთი ნაშრომი მიეძღვნა სირიელთა როლს აღნიშნულ მთარგმნელობით პროცესში, ნათლად გამოიკვეთა, რომ ბერძნულიდან არაბულად თარგმნა თვით ისლამური იმპერიის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული უდიდესი პროექტი იყო, რომელშიც აქტიურად ჩართეს სირიელები, ვინაიდან მათ უკვე დიდი გამოცდილება ჰქონდათ მთარგმნელობით ასპარეზზე. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს გამოცდილება მხოლოდ თეოლოგიური და წმინდა სასულიერო დარგების ფარგლებს არ სცილდებოდა. ჩვენი სტატიის მიზანია, ვუჩვენოთ, რომ სირიელები არაბთა სახელმწიფოს შექმნდამდეც, ქრისტიანობის პირველივე საუკუნეებიდან აქტიურად თარგმნიდნენ ფილოსოფიურ და საბუნებისმეტყველო თხზულებებსაც. სტატიაში ქრონოლოგიურადაა წარმოდგენილი, როგოგრ ითარგმნა ბერძნულიდან სირიულად პლატონის, არისტოტელესა და სხვა ბერძენ ფილოსოფოსთა შრომები, ასევე ტრაქტატები მედიცინის, მათემატიკისა და ასტროლოგიის, ასევე სხვა დარგებში. სათანადოდაა გამოკვეთილი რამდენიმე ცნობილი სირიელი მთარგმნელის ფიგურაც, მათი ბიოგრაფია და პრინციპები, რის მიხედვითაც ისინი სათარგმნ მასალას არჩევდნენ. სტატიის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა, რომლის თანახმადაც ფილოსოფიური ნაშრომების ბერძნულიდან სირიულად შესრულებული თარგმანები მხოლოდ შუალედურ ფუნქციას კი არ ასრულებდა არაბულად თარგმნის პროცესში, არამედ მათ სრულიად დამოუკიდებელი სამეცნიერო ღირებულება აქვთ.

4. THE ISSUE OF THE FINAL *MĪM* IN THE EGYPTIAN ARABIC DIALECT (ბოლოკიდური მიმ-ის შესახებ ეგვიპტის არაბულ დიალექტში). ეგვიპტის არაბულ დიალექტში ზმნის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის მამრობითი სქესის ფორმებში დასტურდება ბოლოკიდური -მ (იგულისხმება ფორმა faʿal-u-m ნაცვლად ფორმისა faʿal-ū/u), რომლის ფუნქცია და წარმოშობა ინტერესს იწვევს. XX საუკუნის 50-იან წლებში შარბატოვმა ეს -მ ჩათვალა ნაშთად ძველი სემიტური მიმაციისა, რომელმაც, შემდგომში, არაბულში ნუნაცია მოგვცა. შარბატოვის ეს მოსაზრება გაკრიტიკდა, რადგან მიმაცია, როგორც ნუნაცია, სემიტურ ენებში სახელისთვისაა დამახასიათებელი, და მისი კვალის აღმოჩენა ზმნაში საეჭვოდ იქნა მიჩნეული. სხვა მკვლევრები ან საერთოდ თავს იკავებენ ამ მ-ზე საუბრისგან, ან მისი არსებობის ფაქტის კონსტატირებით შემოიფარგლებიან, რაიმე კვალიფიკაციის მიცემის გარეშე. წინამდებარე სტატია წარმოადგენს ამ მიმ-ისთვის კვალიფიკაციის მიცემის მცდელობას. სტატიაში, არაბული ენის მასალის (სახელები, ნაცვალსახელები, ზმნა) ანალიზის საფუძველზე, დადგენილია, რომ საკვლევი -მ არის არაბულში მრავლობითის მარკერი. ამის შემდგომ, კვლევა ორიენტირებულია სტატიის ავტორისეული „მრავლობითის მარკერისა“ და შარბატოვისეული „მიმაციის ნაშთის“ ურთიერთმიმართების დადგენაზე. საბოლოოდ, მიღებულია დასკვნა, რომ აღნიშნული ბოლოკიდური -მ, რომელიც არის მრავლობითის მარკერი, ამავდროულად წარმოადგენს ნუნაციასაც/მიმაციასაც. ამგვარი, დუბლეტური, ფუნქციური დატვირთვის საშუალებას იძლევა თვით არაბული ენის ბუნება, ვინაიდან არაბულში

(სემიტურში) შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე (და არა – ფორმალურ თანხვედრაში მყოფი, sic!) მორფი მიემართებოდეს როგორც ზმნის, ასევე სახელის რომელსამე გრამატიკული კატეგორიას (მაგ., აკუზატივსა და კავშირებით კილოს, ან არა – ნომინატივსა და თცხობით კილოს ერთდროულად).

5. გარეგანი ფლექსიის შესახებ არაბულში. თანამედროვე არაბულის ყველაზე შესამჩნევი განსხვავება კლასიკური სალიტერატურო ენისგან ისაა, რომ სიტყვის დაბოლოება არ წარმოითქმის. ამ მოვლენის ყველაზე გავრცელებული, ამავდროულად, ყველაზე ზოგადი და არაზუსტი კვალიფიცირებაა "გარეგანი ფლექსიის გაუქმება." სტატიაში ახლებურადაა გადააზრებული არაბ. al-’i‘rāb-ისა და დასავლური „გარეგანი ფლექსიის“ ტერმინთა შეპირისპირებითი ანალიზი. საბოლოოდ, ანალიზის საფუძველზე, რეზიუმირებულია, რომ:

მოვლენა, რომელიც კვალიფიცირდება ხოლმე როგორც "გარეგანი ფლექსიის გაუქმება" თანამედროვე სასაუბრო ენაში

ა) არაა მხოლოდ თანამედროვე მოვლენა, რამდენადაც უკვე ისლამამდელ ხანაში არა-ბეთის ნახევარკუნძულის ზოგიერთი ტომის მეტყველება იყო ანალიტიკური ტიპისა; შესაბამისად, ესაა არაბულისთვის ზოგადად დამახასიათებელი მოვლენა, რომლისთვისაც თვალის გადევნება შეგვიძლია დიაქრონიულადაც და სინქრონიაშიც;

ბ) ეს არაა "გაუქმება", არამედ _ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ხარისხით და სხვადასხვა სახით გამოვლენილი რედუქცია, რადგანაც არაა ერთსაფეხურიანი, არამედ ვარირებს, ერთი მხრივ, მორფოსინტაქსური, ხოლო მეორე მხრივ _ ექსტრალინგვისტური რეალიებიდან გამომდინარე;

გ) არა ყოველი ბოლოკიდური ხმოვანი, რომელიც იკვეცება ასეთ დროს, არის გარეგანი ფლექსიის ნიშანი, რადგანაც ისინი შეიძლება არ მონაწილეობდნენ სიტყვის სინტაქსური კავშირების გამოვლენასა და ფორმაწარმოებაში;

დ) არა ყველა ნიშანი, რომელიც მონაწილეობს სიტყვის მორფოსინტაქსური კავშირების გამოვლენასა და ფორმაწარმოებაში (ე.ი. არის გარეგანი ფლექსიის ნიშანი) _ არის ბოლოკიდური ხმოვანი.

ე) და ყველაზე მ თ ა ვ ა რ ი: ეს მოვლენა _ არაბულის ბუნებრივი განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი, ხელოვნურად შეკავებული al-fuṣḥā-ში, გამოვლენილი ენის სასაუბრო ფორმებში მთელი დადასტურებული დიაქრონიის მანძილზე, წარმოადგენს ორი, ერთმანეთში ლოგიკურად გადახლართული, მოვლენის ნაწილს: ა) ენის ანალიტიკურობისკენ გადახრის ტენდენციისა და ბ) ბოლოკიდური ხმოვნების რედუცირებისა. ამავდროულად, ის _ თავისთავად _ არის არაბულის მოცემული ფორმისადმი არაბთა დამოკიდებულების განმაპირობებელი ხელშესახები ინდიკატორი. მისი გამოვლენის ხარისხი უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ენის პრესტიჟის ხარისხთან: al-fuṣḥā, სადაც იგი გამოვლენილია მინიმალურად და შემოსაზღვრულია სპეციფიკური ექსტრალინგვისტური ჩარჩოებით (ყურანი, პოეზია) _ ითვლება ენის ყველაზე მაღალი პრესტიჟის ფორმად; დიალექტები, სადაც ის გამოვლინდება ყველაზე მაღალ ხარისხში _ ფასდებიან ყველაზე დაბალი პრესტიჟის ენობრივ ფორმებად; ის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი გამოვლენის მაღალი ხარისხი არაბების მიერ არაბული გრამატიკის (qawā‘id) არარსებობად აღიქმება.

6. სტატიაში გაზიარებულია ი.დიაკონოვის მოსაზრება, რომ სემიტურ ენებშიც, ისევე როგორც სხვა ენათა ოჯახებში, სახელებში და ზმნების ძირებში თანხმოვნების გარდა არსებობდა თავდაპირველი ვოკალიზმიც. ძირს ასეთი აგებულება ჰქონდა: კონსონანტი + ხმოვანი + კონსონანტი (ან რედუპლიკაციით). შეგროვილი მასალის გაანალიზების შედეგად გამოთქმულია ვარაუდი, რომ არაბულში ზმნისა და უფრო მეტად კი სახელურ ფორმებში, იკვეთება ტრანსფიქსის მიერ დამხმარე მორფის ფუნქციის შესრულების პარალელურად ტრანსფიქსის უნარი მონაწილეობა მიიღოს ძირეული მორფისსტრუქტურაში. ზემოთ ნათქვამს ადასტურებს ზმნათა მცირე ჯგუფში ვოკალიზმით დაპირისპირებული სხვადასხვა არაერთგვაროვანი მნიშვნელობის მქონე ზმნათა ფორმების არსებობა. დასტურდება წყვილ და სამეულ სახელად ფორმათა მთელი კორპუსი, სადაც ტრანსფიქსი ძირეულ თანხმოვანთან ერთად გადმოსცემს სხვადასხვა ლექსიკურ მნიშვნელობას. ყველაზე მეტია ამგვარი ერთმარცვლიანი მოდელები დაპირისპირებული ერთი ხმოვნის ხარისხით სხვა მოდელებთან. ასეთივე სურათს ქმნიან გემინირებული ძირის მქონე ერთმარცვლიანი მოდელები, მოდელები ე.წ. სუსტი თანხმოვნით მეორე და მესამე ძირეულად და მოდელები გრძელი ხმოვნით მეორე მარცვალში. ლექსიკური ერთეულების არაარაბული ენიდან სესხების შედეგად შექმნილია ერთმანეთთან სემანტიკური კავშირის არმქონე, ვოკალიზმით დაპირისპირებული რამდენიმე წყვილი. გამოვლენილი

ოპოზიციური მასალა ტრანსფიქსების მეორადი, ძირეული მორფის ფუნქციით არ ეწინააღმდეგება არაბული დამხმარე მორფის სინთეტოსემიას.

7. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფრაგმენტების ფონდში ინახება სამკაოდ მოზრდილ ეტრატის ფრაგმენტი. ტექსტი ორ სვეტად არის ნაწერი, მეთერტმეტე საუკუნის დასაწყისის ნუსხურით. ფრაგმენტის შესწავლამ და ტექსტის იდენტიფიცირება, გამოავლინა , რომ საქმე გვაქვს დღეს უკვე დაკარგული მრავლთავის ერთ ფურცელთან, რომელიც ცნობილი ქართველი მწერლისა სტეფანე მტბევარის დღემდე უცნობ ჰომილეტიკურ თხზულებას შეიცავს. თხზულება „სწავლაჲ სიანულისათჳს და ლეღჳსა მისთჳს, რომელ სწყევა უფალმან“ განკუთვნილი იყო მარხვის მეორე ორშაბათს საკითხავად. საკითხავი ლეღვის თემაზე, რომელიც უფალმა დასწყევლა შეიცავს დაბნოსა და ათონის მრავალთავები, „სულელი ლეღვის“ თემაზე დაწერილი ჰომილები შესულია მარხვის პერიოდის ე.წ. სინანულის საკითხავებს შორის, თუმცა არცერთი ჩვენთვის ცნობილი მრავალთავი იოანე მტბევარის ამ თემზე დაწერილ ჰომილიას არ შეიცავს. ამდენად ერთი ფურცლით წარმოდგენილმა ტექსტმა შემოგვინა სტეფანე მტბევარის დღემდე უცნობი ჰომილია, რითიც გაამდიდრა ჩვეი ცოდნა IX-X საუკუნეების ამ ცნობილი მოღვაწის შესახებ.

8. შუმერული ჰიდრონიმების აბზუ-ენგურის სემანტიკური და ფონეტიკური თანხვედრების კვლევისას, ყურადღება გავამახვილეთ ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულის ურუქის ლიტერატურულ ტექსტებში დაფიქსირებულ წყლის არსებაზე šuḫur-maš -თევზზე, რომელიც როგორც შუმერულ-აქადური *ლახამა*-ლახმუ, აბზუ- ენგურს უკავშირდება. *შუხურმაშ-თევზი* , ისევე როგორც ენგურის 50 ლახამა,ძვ.წ. III ათასწლეულიდან არაერთ შუმერულ ტექსტში გვხვდება და როგორც წესი ღვთაება ენქის(აქად.ეა) და სიბრძნის, ენგურის წყალს უკავშირდება. ჩვენი მცდელობა ჩავძიებოდით ლურსმული ნიშნების მნიშვნელობებს, შემდეგნაირად გამოიყურება, შუხურ-ლურსმული ნიშანი დამოუკიდებლად თევზის სახეობას აღნიშნავს, ***მაშ*** -კი თხას. ქრონოლოგიურად თვალი გადავავლოთ ლურსმულ ტექსტებს, სადაც *შუხურმაშუ* ფიქსირდება. შუმერული ტექსტი **ნინურთას მოგზაურობა ერიდუში,** ენქის ქალაქში, სადაც შუხურმაშ-თევზი აბზუ-ენგურის წყლებში გვხვდება. *შუხურმაშუ* ქ. ურუქის შუმერული ეპოსის „ლუგალბანდა და ენზუდი“ ეპილოგში გვხვდება, სადაც ქალღმერთი ინანა საბოლოო რიტუალს ასრულებს ენგურში. შუმერული ტექსტი; **შულგი და ნინლილის ნავი**, კვლავ ახსენებს *შუხურმაშ-თევზს*, ამ შემთხვევაში შედარების კონტექსტში. შუმერულ ტექსტებში თევზის ხტომა, სიხარულის, ბედნიერების, სიბრძნის ზეიმის მეტაფორად ჩანს. შუმერული კოსმოგონიური ტექსტი, **ენქი და სამყაროს წესრიგი,** რომელიც შუამდინარული კოსმოგონიის უძველესი ნიმუშია, შუხურმაშ-თევზს ენქისთვის მებრძოლი არსების კონტექსტში იხსენიებს. შუმერულ ლურსმულ ტექსტებში დაფიქსირებული სახელი **šuḫur-maš,** ყველა შემთხვევაში აუხსნელი რჩება. *შუხურმაშ-თევზის* ზუსტი თარგმანს ასირიოლოგები არ გვთავაზობენ და მხოლოდ სახელით šuḫur-maš თარგმნიან. არსებული ლურსმული ტექსტების კვლევას აღრმავებს *შუხურმაშუს* იკონოგრაფია, რომელსაც თევზისა და თხის გამოსახულებით ძვ.წ. I ათასწლეულში ვხედავთ. სტატიაში განვიხილავთ ნეო-ასურული ცილინდრული საბეჭდავი იკონოგრაფიაც, რომელზეც წარმოდეგნილია ცხენის ზურგზე შემდგარი მზის ღმერთი შამაში , სცენის კიდეებში კი თევზის ფორმით შემოსილი ფიგურა და საბეჭდავის პატრონია წარმოდგენილი. საბეჭდავზე გამოსახული ადსამიანი- ხარი (ქუსარიკუ) ასევე მზის კულტს უკავშირდება და აბზუ-ენგურის მცველის, ლახამას წყვილად გვევლინება, რაც როგორც წინა აზიის ხელოვნებაში, ასევე ნეო-ასურულ შელოცვებშიც ფიქსირდება. ამ შემთხვევასი ჩვენთვის საინტერესო ენგურ-აბზუსთან დაკავშირებული ორივე მოდელი ერთ საბეჭდავზე გვხვდება. ასევე თვალსაჩინოა, რომ ძველი შუამდინარული რელიგიური წარმოდგენები და მათი გამოსახვა ათასწლეულების შემდგაც უცვლელი რჩება და სრულიად ძველარმოსავლურ პერიოდს (ძვ.წ. III-I ათასწ.) მოიცავს. ჩვენთვის საინტერესო მოდელებს ასევე განვიხილავთ ერთერთ ჯერჯერობით შესწავლის პროცესში არსებულ ნიმუშზე, სადაც *შუხურმაშ* (თევზი-თხა) და ეას სინბოლიკაა წარმოდგენილი , რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულიდან კუდურუების მოდელს წარმოადგენდა და არსებულ ნიმუსზე კი ერთად გვხვდება. სტატიაში განვიხილავთ ძვ.წ. I ათასწლეულის ცნობილ *ფუზუზუს* ფრიზს, რომელზეც თევზისფორმიან ფიგურას ვხედავთ . ნეო-ბაბილონური პერიოდის, ჩამოსხმული სპილენძის ფილა

დემონებისგან და ავი სულებისგან დამცავი უნდა ყოფილიყო. რომლის იკონოგრაფიაზეც ჩვენთვის საინტერსო მოდელებს განვიხალავთ. ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა შუმერულ ლურსმულ ტექსტებზე მუშაობისას გამოიკვეთა, რაც ძვ.წ. II-I ათსწლეულებშიც შენარჩუნებულია და სრულიად ძველაღმოსავლურ პერიოდს მოიცავს. სამხრეთ შუამდინარული პანთეონის საფუძველი ქ. ერიდუდან იღებს სათავეს, რაც ენქის, სიბრძნის იგივე აბზუ-ენგურის იდეას ეფუძნება. არსებული იკონოგრაფიული მასალის კვლევაც ლერსმულ ტექტების იდეას გვიდასტურებს. ლურსმული ტექსტებისა და გამოსახულებების კომპლექსური კვლევის საფუძველზე კი შეიძლება დავასკვნათ, რომ ელ-უბაიდის პერიოდიდან (ძვ.წ. V-IV ათასწ.) არსებული აბზუ-ენგურის ლახამას, თევზი-თხის, წყლის ჭავლის მოდელები მოდელები არსებობას აგრძელებენ როგორც შუამდინარეთის, ასევე სრულიად წინა აზიის ცივილიზაციებში, რომლის კულტურულ ნაწილად კKავკასიაც მოიაზრება. აAქიდან გამომდინარე ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე, სავარაუდოა რომ შუამდინარული გავლენები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიაზეც ვეძებოთ.

9. აბზუ-ენგურის სემანტიკური და ფონეტიკური თანხვედრების კვლევისას, ყურადღება გავამახვილეთ შუმერული სიტყვების _ *ენგურ*-ისა და *ლახამა*-ს საერთო კონტექსტზე სვანური ენის ტოპონიმებზე - მდინარე ენგურსა და ტოპონიმ *ლახამულაზე,* რომელიც ასევე მდინარე ენგურს უკავშირდება. *ენგურის 50 ლახამა*, ისევე როგორც *აბზუ-ენგური* ძვ.წ. III ათასწლეულიდან არაერთ შუმერულ ტექსტში გვხვდება და ყველგან ენგურის წყალს უკავშირდება. ლურსმულ ტექსტებში არსებულ მასალას კიდევ უფრო ამყარებს მათი იკონოგრაფიაც. *ენგურ*-ისა და *ლახამა*-ს გამოსახვა აქადურიდან (ძვ.წ. XXIV –XXIIს.ს.) ახალ ასურულ და ახალ ბაბილონურ (ძვ.წ. VII ს.) პერიოდამდე უწყვეტ ხაზს გვიჩვენებს, რომლებიც ძველშუმერულ სახვით ხელოვნებას ეფუძნება და შემდეგ წინა აზიის სხვადასხვა რეგიონალურ მოდელებში იჩენს თავს. *ენგურ-ისა* და *ლახამა-ს* იკონოგრაფია ძირითადად ცილინდრული საბეჭდავებით და მათი ანაბეჭდებით არის წარმოდგენილი ჩვენამდე მოღწეული. ჩვენ მიერ განხილულ შუმერული ლურსმულ ტექსტებში დაცული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სვანურ ტოპონიმებს უკავშირდება ძვ.წ .III ათასწლეულში ჩნდება, ყალიბდება და მომდევნო, ძველბაბილონური პერიოდის, საკუთრება ხდება. ჩვენ მიერ წარმოდგენილი შუამდინარული იკონოგრაფიის მოდელები კი სრულიად ძველაღმოსავლურ პერიოდს (ძვ.წ. III-I ათასწ.) მოიცავს, რაც წინა აზიის სახვითი ხელოვნების საფუძველს წარმოადგენს, რომელსაც წინა აზიის სახვითი ხელოვნების სხვადასხვა რეგიონული სტილები -მითანური, სირიული, ანატოლიური, ირანული ეფუძნება. აქიდან გამომდინარე, არსებული არქეტიპების და ლექსიკური ერთეულების ერთობლივი კვლევის საფუძველზე ჩნდება ვარაუდი, რომ მათი გავრცელების არეალი შესაძლოა სამხრეთ კავკასიაც ყოფილიყო. სვანური ტოპონიმების შუამდინარულ კონტექსტი ძველი ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის კულტურული ურთიერთობებისთვის კიდევ ერთი ნათელი დასტურია, რასაც სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ და ეთნოლოგიურ მასალასთან ერთობლივ კონტექსტში კვლევა, მომავალში მეტად გაამყარებს.

10. 1872 წელს ოფიციალურად დამტკიცდა „დებულება ამიერკავკასიის შიიტთა მუსლიმი სასულიერო წოდების მართვის შესახებ“ და „დებულება ამიერკავკასიის სუნიტთა მუსლიმი სასულიერო წოდების მართვის შესახებ“. ამიერკავკასიის შიიტთა და სუნიტთა სასულიერო მმართველობების (ცენტრებით თბილისში) იურისდიქცია ვრცელდებოდა ბაქოს, ელისავეტპოლის, თბილისი (ტიფლისი) და ერევნის (ერივანი) მუსლიმებზე. სასულიერო მმართველობებს ხელმძღვანელობდნენ სუნიტი მუფთი და შიიტი შეიხ-ულ-ისლამი, რომელთაც კავკასიის მეფისნაცვლის წარდგინებით, ამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი. იმპერიის კავკასიური პროვინციების მუსლიმ სასულიერო წოდებაში ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ მოღვაწედ ითვლებოდა ამიერკავკასიის მუფთი, ამიერკავკასიის სუნიტური სასულიერო მმართველობის თავმჯდომარე ჰუსეინ-ეფენდი გაიბოვი.სტატიაში განხილული და გაანალიზებულია ჰუსეინ-ეფენდი გაიბოვის, როგორც ამიერკავკასიის მუსლიმ-სუნიტთა რელიგიური მეთაურისა და რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოხელის საქმიანობა.

11. ნაშრომში ყურადღება ფოკუსირებულია XVII საუკუნის იმ სპარსულ წყაროებზე (მოჰამმად იუსუფის, მოჰამმად მა'სუმის, აბუ ალ-მაფახერ თაფრეშის, მირ თემურ მარაშის ნაშრომები), რომლებიც საინტერესო ცნობებს შეიცავენ განსახილველი საკითხების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი

ინფორმაცია ხოსრო-მირზას აღზევების შესახებ სეფიანთა სამეფო კარზე, მისი და შაჰ სეფი I-ის (1629-1642) გულთბილ ურთიერთობაზე, ქართლში მის გამეფებაზე და მარიამ დადიანზე დაქორწინებაზე, თეიმურაზ მეფისა და იმერეთის მეფის - გიორგი III-ის უშედეგო მცდელობაზე აღნიშნული ქორწინების ჩასაშლელად, თეიმურაზისა და როსტომის დაპირისპირებაზე და სხვ. ირანელი მემატიანეები, რომლებიც თავიანთ ნაშრომებში აღწერილ მოვლენათა თანამედროვენი იყვნენ (შესაძლოა, ზოგჯერ - თვითმხილველნიც), ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ როსტომმა, როგორც ირანის ხელისუფლების ხელდასხმულმა და ერთგულმა ვასალმა, მარიამ დადიანზე დაქორწინების საკითხი ჯერ შაჰ სეფისთან შეათანხმა. რამდენადაც დადიანსა და როსტომს შორის ნათესაური კავშირის შეკვრა სეფიანთა სახელმწიფო ინტერესებს ყველა პარამეტრებით მიესადაგებოდა, შაჰ სეფიმ როსტომს არჩევანი მოუწონა და საქორწილო საჩუქრებიც გამოუგზავნა. სპარსულ საისტორიო თხზულებებში დაცული ინფორმაცია ნაშრომში შეჯერებულია პარალელური ცნობების შემცველ ქართულ, თურქულ და ევროპულ წყაროთა მონაცემებთან. მათი სათანადო ანალიზის და საკვლევი პერიოდის კონკრეტული ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინების საფუძველზე, გამოტანილია შესაბამისი დასკვნები

12. ნაშრომში ყურადღება ფოკუსირებულია ჩინეთში ებრაელთა პირველ ჩასვლასა და მათი იქ ჩასახლების საკითხებზე. აღნიშნული მოვლენების შესახებ ინფორმაცია დაცულია სხვადასხვა ენაზე არსებულ შუა საუკუნეების (IX-XIV სს.) წერილობით წყაროებში, რომელთა თანახმად, ებრაელების პირველი ნაკადი ჩინეთში ირანიდან და ინდოეთიდან მოხვდა, აბრეშუმის გზის მეშვეობით. წყაროები ერთხმად აფიქსირებენ ებრაელების თემების და კოლონიების არსებობას ჩინეთის სხვადასხვა ქალაქში, ასევე მათ აქტიურ და წარმატებულ საქმიანობას, განსაკუთრებით - ვაჭრობა-ხელოსნობაში. ებრაელების დიდი ჯგუფების კომპაქტურად დასახლება ჩინეთში თანგის დინასტიის მმართველობის ხანაში (618-907) დაიწყო, კერძოდ, VIII საუკუნეში. ამ მხრივ გამორჩეული იყო ძველი ისტორიული ქალაქი ქაიფენგი (ხენანის პროვინცია), სადაც ებრაელთა პირველი თემი შეიქმნა და პირველი სინაგოგაც აიგო. ხაზგასასმელია, რომ ებრაელთა რელიგია ჩინეთში დევნას არ განიცდიდა. უფრო მეტიც, გარკვეული ხნის შემდეგ ჩინეთში ჩასახლებულმა ებრაელებმა, ქვეყნისათვის ერთგული სამსახურის საზღაურად, ხელისუფლებისგან ფართო სპექტრის უფლებები მიიღეს. მათ შეუზღუდავად შეეძლოთ აღესრულებინათ თავიანთი ყველა რელიგიური თუ ყოფითი ადათ-წესები. ფაქტობრივად, „ჩინელ“ ებრაელთა უფლებამოსილება თითქმის გათანაბრებულ იქნა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებთან ანუ ისინი უკვე აღჭურვილი იყვნენ კულტურული ავტონომიის ყველა კომპონენტით.

13. XVI საუკუნის დამდეგისთვის საქართველო დანაწევრებული იყო ცალკეულ ფეოდალურ სამეფოებად. მიუხედავად ამისა, ის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა როგორც რეგიონში, ისე ზოგადად საერთაშორისო სარბიელზე. ყიზილბაშურ ტომთა ლიდერებს და მათ მომავალ შაჰს - ისმაილს (1487-1524) სათანადოდ ჰქონდათ გაცნობიერებული საქართველოს განსაკუთრებული გეო-სტრატეგიული და პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა და ამიტომაც ის იმთავითვე მათი თვალთახედვის არეალში მოექცა. სპარსული წყაროების ცნობით, 1500 წლის ზაფხულში, ისმაილმა სამხრეთ საქართველოში ყიზილბაშთა ლაშქარი გაგზავნა ხოლეფა-ბეგის სარდლობით, რომელიც იქიდან ურიცხვი ნადავლით დაბრუნდა. სავარაუდოდ, აღნიშნული სამხედრო ექსპედიციის მიზანს მხოლოდ ალაფის აღება წარმოადგენდა, რადგანაც ჯერ კიდევ სახელმწიფოს ფორმირების პროცესში მყოფ ყიზილბაშებს იმხანად ფიქრიც არ ძალუძდათ საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებაზე. საქმე ის იყო, რომ ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად, ისინი სხვადასხვა მოწინააღმდეგე ძალებთან პერმანენტული ბრძოლებით იყვნენ დაკავებულნი და შესაბამისად, მათ უპირველეს მიზანს უზენაესი ხელისუფლებისაკენ გზის გაკაფვა წარმოადგენდა. ევროპულ წყაროთა ცნობით, ალვენდ აყ-ყოიუნლუსთან ბრძოლის წინ, ისმაილმა დახმარებისათვის ქართველ მეფე-მთავრებს მიმართა, სამაგიეროდ კი მათ იმ ხარკისგან განთავისუფლებას დაპირდა, რასაც ისინი აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს (1468-1501) უხდიდნენ. რამდენადაც ქართველი მეფე-მთავრებისთვის მიმზიდველი აღმოჩნდა ეს პირობა, მათ ქმედითი დახმარება გაუწიეს ისმაილს. წყაროებში ხაზგასმულია ქართველთა ლაშქრის გადამწყვეტი როლი ამ ბრძოლაში ყიზილბაშების გამარჯვებაში.

14. XVI-XVII სს-ში იანსა და ოსმალეთს შორის მიმდინარე ომების ერთ-ერთი ძირითადი ასპარეზი ქართული ტერიტორიები იყო. თუ მანამდე ბრძოლები სამცხე-საათაბაგოს მიწებზე მიმდინარეობდა, 1578 წელს დაწყებულმა მორიგმა ომმა მასთან ერთად ქართლის და კახეთის სამეფოებიც მოიცვა.

ოსმალთა ჯარების სარდლად ამჯერად ლალა მუსტაფა ფაშა დაინიშნა. ლაშქრობის დაწყებამდე მან საქართველოს მეფეებსა და მთავრებს ცალ-ცალკე წერილები დაუგზავნა და დამორჩილება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის ძარცვა-განადგურებით და ხალხის ტყვედ წასხმით იმუქრებოდა. იმერეთის მეფე გიორგი II (1565-1583 წწ.), რომელსაც ოსმალეთის სახელმწიფოსთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა, ქართველი მეთაურების, განსაკუთრებით კახეთის მეფისა და სამცხის ათაბაგის დასამორჩილებლად, ოსმალეთს დახმარებაზე დათანხმდა. მუსტაფა ლალა ფაშამ იმერეთის გარდა „აღმოსავლეთის ლაშქრობაში“ მონაწილეობა უბრძანა და შესაბამისი წერილები გაუგზავნა სამეგრელოსა და გურიის მთავრებს. სტამბოლშივე იყო გადაწყვეტილი, რომ ირანში ლაშქრობა საქართველოს გზით წარიმართებოდა და განადგურდებოდა ყველა ის დასაყრდენი ფორ-პოსტი, რომელსაც სეფიანთა ირანი ოსმალების წინააღმდეგ გამოიყენებდა. უფრო მეტიც, ლალა მუსტაფა ფაშას დავალებული ჰქონდა ე.წ. ირანის დასაყრდენი ქართული სამეფო-სამთავროების სეფიანთა წინააღმდეგ გამოეყენება. 1578 წლის 5 აგვისტოს ოსმალთა ლაშქარი არტაანში დაბანაკდა, საიდანაც დაიწყო სამცხე-საათაბაგოს ციხეების დაპყრობა. სამცხის ათაბაგის ოჯახი და მისი მომხრეები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მომხდურთ, თუმცა უშედეგოდ. 1578 წლის 9 აგვისტოს ოსმალებსა და ირანელებს შორის ჩილდირის ველზე გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა, სადაც შაჰის ჯარი სასტიკად დამარცხდა. სამცხის ათაბაგი მანუჩარი იძულებული იყო მორჩილება გამოეცხადებინა ოსმალთათვის, თუმცა იგი შემდგომშიც აგრძელებდა წინააღმდეგობას.

ოსმალეთის ხელისუფლება სამცხე-საათაბაგოს სრული ინკორპორაცია, მისი საფაშოდ გადაქცევა და სანჯაყებად დაყოფა ჰქონდა განზრახული. მას აქ მოხელე სჭირდებოდა და არა ათაბაგი, რაც შემდგომში მოახერხა კიდეც. სამცხე-საათაბაგოს დამორჩილების შემდეგ ოსმალებს თბილისისკენ გზა გახსნილი ჰქონდათ. ქართლის სატახტო ქალაქში გამუსლიმებული დაუდ-ხანი მეფობდა, რომელმაც სიმონ I-ის სეფიანთა ირანში დატყვევების შემდეგ, ტახტის უზურპაცია მოახდინა. 1578 წლის 24 აგვისტოს, ოსმალები თბილისში შევიდნენ. თბილისის დაპყრობის შემდეგ მუსტაფა ფაშას ჯარი შირვანისკენ გაემართა. გზად მას კახეთის სამეფო უნდა გაევლო. დიპლომატიის ნიჭით ცნობილმა კახეთის მეფე ალექსანდრემ, ოსმალთა სარდალს, ჯერ კიდევ სართიჭალაში შეაგება თავისი ქვეშევრდომები და მორჩილება გამოუცხადა. ალექსანდრე სართიჭალაშივე შეხვდა ოსმალო ფაშას და მოლაპარაკებები გამართა. მან საჩუქრები გადასცა და გარკვეული ხარკის გადახდა იკისრა. ნაშრომში, სხვადასხვა ისტორიკოსთა გადმოცემებისა და წყაროების მიხედვით გაანალიზებულია და შეძლებისდაგვარად აღდგენილია შეთანხმება კახეთის მეფესა და ოსმალო მთავარსარდალს შორის მოლაპარაკების საკითხები.

დაზავების შედეგად კახეთი გადაურჩა ოსმალთა აგრესიას. კახეთიდან შირვანის ლაშქრობის დროს კახელი მოხელენი თვითონ უწევდნენ მეგზურობას ოსმალებს კახეთის მიწაზე, რომლის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ დაეცვათ ოსმალთა ჯარის უკანონო ქმედებები. ზავის მიხედვით, ოსმალები ჰპირდებოდნენ ალექსანდრეს, რომ დაეხმარებოდნენ მას დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში. რა თქმა უნდა, ეს მათი მხრიდან მხოლოდ კეთილი ჟესტი იყო, სინამდვილეში, მათ საკუთარი გეგმები ამოძრავებდათ.

თურქეთის არქივებში დაცული ოსმალური ხელნაწერების მიხედვით ნათლად ირკვევა, რომ კახეთის მეფესა და ლალა მუსტაფა ფაშას მოლაპარაკებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ალექსანდრეს ქვეშევრდომი ქართველი მომლოცველების იერუსალიმში გამგზავრებისა და უსაფრთხო გადაადგილების უფლების მოპოვება. აქვე მოტანილია ჰიჯრით 986 წლის 17 ზილკაადეთი (1579 წლის 15 იანვარი) დათარიღებული სამი ხელნაწერი და მათი ქართული თარგმანები, რომელიც ეხება სულთნის მიერ გაცემულ ნებართვას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ერთიანი საქართველოს სამეფო და შემდეგ ცალკეული სამეფო-სამთავროები დიდ ყურადღებას აქცევდნენ წმინდა მიწაზე მდებარე არა მარტო ქართულ ეკლესია-მონასტრებს, არამედ იქ მოღვაწე ქალთველ სასულიერო პირებსაც. მოკლედ შევეხეთ აღნიშნულ საკითხსაც.

15. ქართველთა და ოსთა პირის სახელებად თუ გვარსახელთა ფუძედ გვხვდება თურქული წარმომავლობის არა მხოლოდ ანთროპონიმები, არამედ მრავალნაირი სიტყვაფორმები. ნასესხობებში დაცულია ის ფონეტიკურ-ფონოლოგიური კანონზომიერებანი, რომლებიც ახლავს თურქიზმების დამკვიდრებას არამონათესავე ენებში.

თურქულ ენათათვის დამახასიათებელი უკანაენისმიერი ხშული ნაზალი /ŋ/ აღარ შემორჩა თანამედროვე ენებს – თურქულს, აზერბაიჯანულს, ყარაჩაულს, ბალყარულს, ყუმუხურს და სხვ. ამ

დროს კი ქართულში თურქულ ნასესხობათა (მათ შორის -- ანთროპონიმთა) კვალობაზე ამ ბგერის შემცველ სიტყვებში /ŋ/ 7 (!) რეფლექსითაა დადასტურებული:

1. /ŋ/ >/ng/; 2./ŋ/ >/nγ/; 3. /ŋ/ >/n/; 4. /ŋ/>/g/;/5. ŋ/ >/γ/; 6. /ŋ/>/m/; 7. /ŋ/>/vm/

2. თურქულ ენათა დიაქრონიული ფონოლოგიის ფაქტია შემდეგი მოვლენა:ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მთელ რიგ სიტყვებსა და აფიქსებში ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში ძირითადად იხმარებოდა ვიწრო ბაგისმიერი ხმოვნები /u,ü/ ნაცვლად არაბაგისმიერი /ı, i/-ისა. მაგ., *altun* 'ოქრო', *demür* 'რკინა' ნაცვლად დღევანდელი *altın* და *demir* ფორმებისა. ეს მიიჩნევა ძველი სალიტერატურო თურქულის წარმოთქმის დამახასიათებელ ნიშნად, რადგან ბოლოკიდურ მარცვალში ხმოვნის ლაბიალობას არა აქვს დისტინქციური ფუნქცია. ამგვარი ფორმები ხშირია დიალექტებში და ისინი განიხილებიან თურქული ენის არქაული მდგომარეობის მაჩვენებლად. ამ ფონოლოგიური პროცესების შედეგად ქართველთა ანთროპონიმულ სივრცეში აღმოჩნდა თურქული */jalŋuz/* 'ერთადერთი' იალღუზ-ის (ŋ/>/γ/) სახით. ეს სიტყვა გვხვდება პირის სახელადაც (მაგ.,სვანეთსა და სამხრეთ საქართველოში), ასევე გვარების – იალღუზაშვილი, იალღუზისშვილი, იალღუზიშვილი, იალღუზიძე – ფუძეში. იალღუზიშვილები აზნაურები იყვნენ. მათი გვარი შეწყდა მე-18 საუკუნის 80-იან წლებში და ამოწყვეტილთა მამულში დასახლდნენ გაბარათები, რომლებმაც იმდროინდელი სამართლის შესაბამისად იალღუზიშვილთა/ იალღუზისძეთა გვარსახელი მიიღეს. სწორედ მათ შთამომავალს – იოანე იალღუზიძეს – ეკუთვნის პოემა "იალღუზიანი", რომელიც გადმოგვცემს ოსეთის მეფის შვილის იალღუზინის საგმირო საქმეებს. ამდენად ეს თურქული სიტყვა ოსურ ისტორიულ ანთროპონიმიაშიც ფიგურირებს.

16. საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ კულტურა შეიძლება განისაზღვროს მეხსიერებით. ადამიანები იმ კულტურას აკუთვნებენ თავს, რომელთანაც ისინი დაკავშრებული არიან წარმოშობით, საცხოვრებელი ადგილით, აღზრდთ, ტრადიციით და ენით. კონცეპტი, რომელიც ლინგვოკულტუროლოგიის კვლევის საგანია მოიცავს ლექსემებს, რომელთა მნიშვნელობაც განპირობებულია ეროვნულ-ენობრივი ცნობიერებით და ახდენენ ენის მატარებლის სამყაროს სურათის ფორმირებას. ნაშრომში განხილულია მე-19 საუკუნის 80–იან წლებში საქართველოდან თურქეთში იძულებით გადასახლებული ქართველების მეტყველებაში კონცეპტ „სამშობლოს" გამომხატველი ლექსიკური ერთეულები, რომელთა განზოგადების საშუალებითაც, შესაძლებელი ხდება თურქეთელი ქართველების ეთნო-კულტურული იდენტიფიცირება ემოციურ დონეზე. ნაშრომში გამოყენებულია როგორც ჩვენ მიერ, სხვადასხვა დროს ქალაქ ინეგოლსა და მის გარშემო თურქეთელი ქართველებით დასახლებულ სოფლებში საველე მივლინებების დროს შეგროვილი მასალა, ისე მაგალითები სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურიდან. კვლევისას გამოიკვეთა, რომ თურქეთელი ქართველები კონცეპტ "სამშობლოს" გამოსახატავად იყენებენ მხოლოდ ორ, არაბული წარმოშობის ლექსემას „Memleket" (მემლექეთ) და „Vatan"-ს (ვათან). რომლითაც განასხვავებენ გენეტეკურ/ისტორიულ და მეორე/"შეძენილ" სამშობლოს. გენეტეკურ/ისტორიულ სამშობლოს- საქართველოს მოიხსენიებენ ლექსემა Memleket" (მემლექეთით), ხოლო მეორე/"შეძენილ" სამშობლოს - თურქეთს „Vatan" (ვათანით). ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ ლექსემების შერჩევას საფუძვლად უდევს უპირველეს ყოვლისა ადამიანური კონტექსტი და შემდგომ სიტყვის ეტიმოლოგია. მიზეზი, თვით სიტყვების ემოციური აღქმის მაღალ ხარისხშია.

17. იუსტინე აბულაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თაობაზე არსებულ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მეცნიერის ირანში ყოფნის სხვადასხვა თარიღი (1902, 1903, 1915) სახელდება. თავად იუსტინე აბულაძეს არსად აღუნიშნავს, რომ სპარსეთში იმოგზაურა. ეს ფაქტი არც მის პირად არქივში დაცული დოკუმენტებით დასტურდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობისას მეცნიერს სპარსეთში გამგზავრების, სულ მცირე, ორი (1918, 1919) მცდელობა ჰქონდა, თუმცა უშედეგოდ. სტატიის ავტორის მიერ მოძიებული საარქივო მასალების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ იუსტინე აბულაძეს სპარსეთი (შემდგომში - ირანი) არ უნახავს. ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი საკადრო პოლიტიკისა და იუსტინე აბულაძისადმი დამოკიდებულების შესწავლის თვალსაზრისითაც: უნივერსიტეტის ფინანსური და მორალური მხარდაჭერა მიმართული იყო ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების დასახმარებლად. 1918 წელს იუსტინე აბულაძე უკვე 44 წლის იყო და „ახალგაზრდა კადრად" ვერ

ჩაითვლებოდა. სავარაუდოდ, სწორედ მეცნიერის ასაკი უნდა ყოფილიყო მთავარი მიზეზი ი. აბულაძისადმი „ნაკლები კეთილგანწყობისა“ და არა მხოლოდ ის, რომ, მისივე თქმით, „ზოგის ბამბაცა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც კი არა“. ამ მოსაზრების არგუმენტებად წარმოდგენილია საქართველოს ცენტრალურ არქივსა და კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, იური მარის პირად არქივში, დაცული დოკუმენტები.

18. შექუფე აზარი ავსტრალიაში მცხოვრები ირანელი მწერალია. იგი ავტორია რომანისა „ალუჩის ხის ემანაცია”, რომლის ინგლისურენოვანი თარგმანი 2020 წელს ბუკერის საერთაშორისო ლიტერატურული კონკურსის მოკლე სიაში მოხვდა. მწერალი რომანის სათქმელს ასეთ განმარტებას აძლევს: „ალუჩის ხის ემანაციის” პრობლემა ისაა, თუ რამდენად მოახერხებს ირანელი კაცის კულტურა, ხელოვნება, იმედი და ოცნება პოლიტიკურ-რელიგიური სიბრიყვისა და მარწუხების პირობებში გადარჩენას... რომანი მთლიანად ისლამური რევოლუციისა და, გარკვეულწილად, თავად ისლამის კრიტიკაა”. რომანის ინგლისურად მთარგმნელის სახელი, მისივე უსაფრთხოების მიზნით, დღემდე ანონიმურია, რადგან წიგნის ავტორი ირანში ცენზურის მიერ შერისხულია. შექუფე აზარს რომანი მაგიური რეალიზმის პრინციპებით აქვს აგებული. მთავარი, წამყვანი ხაზი რომანში რეალური მოვლენები და დღევანდელი პოლიტიკური თემაა. კერძოდ, ისლამური რევოლუციის და მისი შემდგომი პერიოდის სისასტიკე და აბსურდულობა. ხოლო რომანის ქვედა, თითქოსდა მეორე პლანის, სინამდვილეში კი უფრო მნიშვნელოვანი შრე მწერლის მთავარი სათქმელის ილუსტრაციას წარმოადგენს: მარადიული ღირებულებების მშვენიერებას; ეთნოკულტურული ფასეულობების სიცოცხლისუნარიანობას - ამაო, წარმავალი ადამიანური ფაციფუცისა და სიბრიყვის საპირისპიროდ. „რომანი მთლიანად ისლამური რევოლუციისა და, გარკვეულწილად, თავად ისლამის კრიტიკაა”, - ამბობს მწერალი.

19. სტატია შეეხება რამდენიმე სპარსულ და არაბულ წარწერას, რომლებიც დაკავშირებულია სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ასპარეზზე აღზევებული უნდილაძეების საგვარეულოს ორი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი წარმომადგენლის -- ალავერდი ხანის (გარდ. 1613 წ.) და მისი უფროსი ვაჟისა და მემკვიდრის იმამყული ხანის (გარდ. 1632 წ.) სახელებთან. სახელდობრ, ნაშრომში განხილულია XVII საუკუნის პირველი მეოთხედის (ანუ ზემოხსენებულ უნდილაძეთა თანადროული) შემდეგი ეპიგრაფიკული მასალა: ალავერდი ხანის გუმბათიანი აკლდამის არაბული და სპარსული წარწერები ქ. მეშჰედიდან; ქ. შირაზის ძველი საკრებულო მეჩეთის (მასჯედ-ე ჯამე‘-ე ‘ათიყ-ე შირაზ) ჩრდილოეთი შესასვლელის პორტალზე განთავსებული არაბული წარწერა; ქ. გოლფაიეგანის ერთ-ერთ რელიგიურ ნაგებობაზე (ემამზადე-იე ჰეფდაჰ-თან) არსებული არაბული და სპარსული წარწერები; სპარსული წარწერები 1622 წელს ირანელთა მიერ იმამყული ხანის სარდლობით ჰორმუზის აღებისას სამხედრო ნადავლის სახით ხელში ჩაგდებულ პორტუგალიურ ზარბაზნებზე.

20. სტატიაში მიმოხილულია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თბილისში მცხოვრები ირანელების საქველმოქმედო საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავდა გაჭირვებული თანამემამულეების დახმარებას. ქველმოქმედება ხორციელდებოდა როგორც ირანის საკონსულოსა და შეძლებული ირანელების ძალისხმევით, ისე საქველმოქმედო საზოგადოებების საშუალებით და ორი ძირითადი მიმართულება ჰქონდა: საგანმანათლებლო და ჯანდაცვითი.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ნინო ეჯიბაძე,** Specificity of Teaching Arabic as a Foreign Language: University Education. Specificity of Teaching Arabic as a Foreign Language: University Education. Proceedings of the International Conference „Approaches and Challenges in Arabic Language Pedagogy", კაირო, ეგვიპტე, კაიროს ამერიკული უნივერსიტეტი (იბეჭდება).

2. **დალი ჩიტუნაშვილი. ზაზა ალექსიძე.** MOUNT SINAI, in book: MEDIEVAL GEORGIAN LITERARY CULTURE AND BOOK PRODUCTION IN THE CHRISTIAN MIDDLE EAST AND BYZANTIUM, ISSN 1439-4634, ISBN 978-3-402-11071-3; Ashendorff Verlag; pp.107-164

3. **დალი ჩიტუნაშვილი**. A FRAGMENT OF AN UNKNOWN ARMENIAN HOMILETIC COLLECTION FROM THE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPT, DOI: 10.52837/27382702-2022.2-56, Բանբեր Արևելագիտության ինստիտուտի=Bulletin Of The Institute Of Oriental Studies (BIOS), 2, 2022, ISSN 2738-2710 ; e- 2738-2702

4. **Irene Tatišvili,** Levan Gordeziani. Hittite funeral traditions and afterlife beliefs in the context of Hittite cosmology. *Ancient Near Eastern Weltanschauugen in Contact and in Contrast: Rethinking the Terms Ideology and Propaganda in the Ancient Near East*, ISBN 978-3-96327-186-1 (book)
ISBN 978-3-96327-187-8 (e-book), ISSN 2698-7007, Münster: Zaphon (Series wEdge: https://www.zaphon.de/wEdge/de), 309-322.

5. **ქეთევან ლორთქიფანიძე.** ქართულ ენაში ფიქსირებული ზოგიერთი თურქული წარმომავლობის სიტყვის შესახებ.რიგით მე-5 თურქული ენისა და ლიტერატურის საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის (ყურულთაის) მოხსენებათა კრებული (11-13მაისი,2022) ელგინკანის ფონდის ხელშეწყობით.წარსულიდან დღემდე სასაუბრო თურქული.გამოცემა მოამზადეს:შუქრუ ჰალუქ აკალინმა და ემინე გურსოი ნასკალიმ. გამოცემის თარიღი: 31.08.2022, გამომცემლობა „ნეიზ",ანკარა, გვ.571-577. ISBN 978-605-71538-1-4.

6. **Mzisa Buskivadze**, Yunus Emre'nin Risaletün Nushiyye adlı mesnevisinde Öfke Destanı, Metin Ekici Armağanı, Ege Üniversitesi Yayınları, E- ISBN: 978-605-338-383-3, II.cilt, ss487-493, Aralık 2022.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია არაბულის, როგორც უცხო ენის, სწავლების სპეციფიკაზე უმაღლესი განათლების კონტექსტში. გაანალიზებულია არაბულის სწავლების მეთოდოლოგიური სპეციფიკა არაბული სოციოლინგვისტური სურათის გათვალისწინებით;

ყურადღება ეთმობა როგორც სალიტერატურო ენის (კლასიკურისა და სტანდარტ ენის), ასევე დიალექტების სწავლების სპეციფიკურ საჭიროებებს და განსხვავებებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე. აქცენტირებულია საბაკალავრო საფეხურის პრაქტიკული, გამოყენებითი საჭიროებები სამაგისტრო საფეხურის გაღრმავებულ თეორიულ სპექტრთან მიმართებაში. მასალა მოწოდებულია სათანადო მაგალითების ილუსტრირების ფონზე.

2. წიგნში: შუა საუკუნეების ქართული სამწიგნობრო კერები ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში, ქვეთავი სინას მთა, ეძღვნება ქართველთა მრავალსაუკუნოვან ცხოვრებას სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერსა და მის შემოგარენში. ქვეთავში განხილულია სინას მთს ქართულ ხელნაწერთა რეპერტუარი და მისი მნიშვნელობა ქართული სასულიწრო მწერლობის და ქართული ქრისტიანობის შესწავლის საქმესი. ნაშრომი დაყოფილია თავებად: შესავალი (ქარტვლები სინას მთაზე, ქართული კელესიაები, საქართველოს მეფეები და სინას მთა, გვიანი შუა საუკუნეები, საკითხსი კვლევის ისტორია), პერსონალია, სინურ ხელნაწერთა კოლექცია (წარმომავლობა, სინაარსი, ანდერძ-მინაწერები, დათარიღების სისტემები, კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული თავისებურებანი).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ ხელნაწერთა ფონდში ინახება ოთხთავი, რომელიც პალეოგრაფიულად XV საუკუნით თარიღდება. ოთხთავი რესტავრირებულია XX საუკუნის სამოციან წლებში, შემონახული აქვს ავთენტური ტყავის ყდის ფრაგენტები. რესტავრაციის პროცესში, როგორც ჩანს, მოიხსნა ყდის საცავ ფურცლებად გამოყენებული ეტრატის ორი ფურცელი. ეტრატის ფრაგმენტები ჰორიზონტალურად გაჭრილი ერთი ფურცლის ნაწილებია და თავიდანვე მიიქცია ყურადღება როგორც პალეოგრაფიის, ისე ტექსტის თვალსაზრისით. გადაჭრამდე ფრაგმენტის ზომა 320x210 იყო, თუმცა ესეც არ ასახავს ეტრატის ფურცლის ორიგინალურ ზომას, რადგან ფრაგმენტზე მხოლოდ ერთი სვეტი არის შემორჩენილი და ისიც არასრულად, ხელნაწერი კი სულ მცირე, ორ სვეტად უნდა ყოფილიყო ნაწერი. ტექსტი ნაწერია კუთხურობისაკენ მიდრეკილი, დახრილი ერკათაგირით; საზედაო გრაფემები რამდენჯერმე დიდია სადა გრაფემებზე და გადის სვეტის გარეთ; განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებულია წერტილი ხაზზე; ამოკითხულ ტექსტში დაქარაგმებული მხოლოდ ერთი სიტყვა - ღმერთი (Ա˜Ծ), გვხვდება; პალეოგრაფიულად ხელნაწერი ორგვარ შთაბეჭდილებას ტოვებს: ასოთა მოხაზულობით ის ახლოს დგას ლაზარიანის სახარებასთან, თუმცა გრაფემები დახრილია, რითაც მეათე საუკუნის ხელნაწერებს მოგვაგონებს. გრაფემათა დიდი ნაწილი ორ პარალელურ ხაზს შორის იწერება, ქვემოთ ჩამოდის ქანისა და ფარის ვერტიკალური ბუნები, ოდნავ ცილდება ორ პარალელურ ხაზს Ზ-ს, Ჩ-ს, Ჯ-სა და Ვ-ს ვერტიკალური ბუნები, ამდენად, ფრაგმენტი თავისუფლად შეიძლება X საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღდეს.

ფრაგმენტში აღმოჩნდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა წამების დასასრული და სახარების თარგმანება იოანე ოქროპირის ჰომილია სახარებისეული მეზვერისა და ფარისეველის ისტორიის შესახებ, რომლის კითხვაც ფრაგმენტის მიხედვით მარხვის მეოთხე კვირას არის დადებული, შესაბამისად, სებასტიელთა წამება მარხვის მესამე კვირას იგულისხმება. სებასტიელთა წამება და იოანე ოქროპირის ჰომილია ერთმანეთის მიყოლებით ძველ სომხურ ჰომილეტიკურ კრებულებში - ჭარინტირებში გვხდება, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი ჰომილეტიკური კრებულის ნაწილს წარმოადგენს.

3. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ ხელნაწერთა ფონდში ინახება ოთხთავი, რომელიც პალეოგრაფიულად XV საუკუნით თარიღდება. ოთხთავი რესტავრირებულია XX საუკუნის სამოციან წლებში, შემონახული აქვს ავთენტური ტყავის ყდის ფრაგენტები. რესტავრაციის პროცესში, როგორც ჩანს, მოიხსნა ყდის საცავ ფურცლებად გამოყენებული ეტრატის ორი ფურცელი. ეტრატის ფრაგმენტები ჰორიზონტალურად გაჭრილი ერთი ფურცლის ნაწილებია და თავიდანვე მიიქცია ყურადღება როგორც პალეოგრაფიის, ისე ტექსტის თვალსაზრისით. გადაჭრამდე ფრაგმენტის ზომა 320x210 იყო, თუმცა ესეც არ ასახავს ეტრატის ფურცლის ორიგინალურ ზომას, რადგან ფრაგმენტზე მხოლოდ ერთი სვეტი არის შემორჩენილი და ისიც

არასრულად, ხელნაწერი კი სულ მცირე, ორ სვეტად უნდა ყოფილიყო ნაწერი. ტექსტი ნაწერია კუთხურობისაკენ მიდრეკილი, დახრილი ერკათაგირით; საზედაო გრაფემები რამდენჯერმე დიდია სადა გრაფემებზე და გადის სვეტის გარეთ; განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებულია წერტილი ხაზზე; ამოკითხულ ტექსტში დაქარაგმებული მხოლოდ ერთი სიტყვა - ღმერთი (Ա˜Ծ), გვხვდება; პალეოგრაფიულად ხელნაწერი ორგვარ შთაბეჭდილებას ტოვებს: ასოთა მოხაზულობით ის ახლოს დგას ლაზარიანის სახარებასთან, თუმცა გრაფემები დახრილია, რითაც მეათე საუკუნის ხელნაწერებს მოგვაგონებს. გრაფემათა დიდი ნაწილი ორ პარალელურ ხაზს შორის იწერება, ქვემოთ ჩამოდის ქანისა და ფარის ვერტიკალური ბუნები, ოდნავ ცილდება ორ პარალელურ ხაზს ზ-ს, ჩ-ს, ჯ-სა და ვ-ს ვერტიკალური ბუნები, ამდენად, ფრაგმენტი თავისუფლად შეიძლება X საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღდეს.

ფრაგმენტში აღმოჩნდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა წამების დასასრული და სახარების თარგმანება იოანე ოქროპირის ჰომილია სახარებისეული მეზვერისა და ფარისეველის ისტორიის შესახებ, რომლის კითხვაც ფრაგმენტის მიხედვით მარხვის მეოთხე კვირას არის დადებული, შესაბამისად, სებასტიელთა წამება მარხვის მესამე კვირას იგულისხმება. სებასტიელთა წამება და იოანე ოქროპირის ჰომილია ერთმანეთის მიყოლებით ძველ სომხურ ჰომილეტიკურ კრებულებში - ჭარინტირებში გვხდება, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი ჰომილეტიკური კრებულის ნაწილს წარმოადგენს.

4. ხეთური ტექსტებიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ გარდაუვალი სიკვდილისაგან ხეთები კარგს არაფერს ელოდნენ და, შესაბამისად, სხვადასხვა საშუალებით (ლოცვებით და ცოდვების მონანიებით, ღვთაებისთვის მიცემული აღთქმით, ე.წ. სუბსტიტუციის რიტუალებით) ცდილობდნენ მის გადავადებას ან თავიდან აცილებას. ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროები სხვადასხვა ეთნოკულტურულ ფენას განეკუთვნება და არ ასახავს იმქვეყნიურ ცხოვრებაზე წარმოდგენათა ერთიან მოწესრიგებულ სისტემას. ტექსტებიც და არქეოლოგიაც ადასტურებს დაკრძალვის სხვადასხვა ტრადიციის (პირველ რიგში, ინჰუმაციისა და კრემაციის) თანაარსებობას. წარმოდგენები მეფისა და მისი ოჯახის წევრების სიკვდილსა და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე სამეფო იდეოლოგიის განუყოფელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, აქ მაინც უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული სისტემის არსებობა. თუმცა, მეფის გარდაცვალებასა თუ დაკრძალვასთან დაკავშირებულ წარმოდგენებშიც შეიძლება შევნიშნოთ სხვადასხვა კონცეპციის ელემენტები, რაც ხეთებთან ორი განსხვავებული კოსმოლოგიური სისტემის თანაარსებობით შეიძლება აიხსნას. კრემაციის გაჩენაც სწორედ ამ კონტექსტში შეიძლება იყოს განხილული.

5. ქართულმა ენამ თავისი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ენებიდან და მათ შორის თურქულიდან ისესხა გარკვეული რაოდენობის სიტყვები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი არ იყო ცალმხრივი, რადგან დღესაც კი აღმოსავლეთ ანატოლიის თურქულ დიალექტებში ვხვდებით ქართულ ბაზისურ და ნასესხებ ლექსიკას. სტატიაში საუბარი გვაქვს სალიტერატურო და სასაუბრო ქართულ ენაში დადასტურებულ ოთხ გენეტურად თურქულ სიტყვაზე.ესენია: ოთახი, იალქანი, ჩამჩა და არმაღანი. ოთახის და ჩამჩას თურქული წარმომავლობა ეჭვგარეშეა. რაც შეეხება არმაღანს, აქ მეცნიერთა ნაწილი მის სპარსულ წარმომავლობაზე მსჯელობს, თუმცა აღნიშნული ლექსემა გვხვდება ბევრ თურქულ ენასა და დიალექტში: უზბეკურში,ყირიმის თათრულში, ყირგიზულში, ბაშკირულში, ჩაღათაურსა და სხვ. არმაღანისა (შორი გზიდან მორთმეული საჩუქარი, ძღვენი) და იალქნის(აფრა) თურქულობას კი ჩვენ ვამტკიცებთ უპირველეს ყოვლისა მათი სტრუქტურიდან გამომდინარე. ორივე ლექსემაში თვალნათლივ იკვეთება ზმნური ფუძეები: -yar , -yel და ზმნათაგან სახელებისა და ზედსართავების მაწარმოებელი სუფიქსები: -gan, -kan. Yarmağan სიტყვა იძენს მნიშვნელობას „ერთი ადამიანისთვის განკუთვნილი“(ანუ საჩუქარი) და yelken „მქროლავი“

6. სტატიაშია გაანალიზებული შუა საუკუნეების ცნობილი მისტიკოსი პოეტის, იუნუს ემრეს, მესნევის „დარიგებათ წიგნი“ ერთი თავი, რომელიც ეხება მრისხანების ვნებას. ნაშრომში საკითხის კვლევისას გამოყენებულია ანალიზის მეთოდი. მესნევის შესახებ მოცემულია სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებები. მრისხანების დესთანის შერჩევისას კვლევის მიზანი

იყო, მასში გადმოცემული რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა სუფიზმის სააზროვნო სისტემის მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების გამახვილება, გარკვეული სახით მსგავსების გამოვლენა ქრისტიანულ სააზროვნო სისტემასთან და სტრუქტურის თავისებურების ხაზგასმა.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. დარეჯან გარდავაძე. თეა შურღაია. რამდენად „აღმოსავლურია“ აღმოსავლეთი „ამირანდარეჯანიანში“? (აღმოსავლური რეალიები და სტერეოტიპები) /How Oriental is the ''Orient'' in ''Amirandarejaniani''? (Oriental Realia and Stereotypes)/. *ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების (SEI) მეათე საერთაშორისო კონგრესი* /X INTERNATIONAL CONGRESS of the SPANISH SOCIETY OF IRANIAN/.STUDIES. **20-21 ოქტომბერი, 2022 წ. თბილისი.** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2. **ნინო ეჯიბაძე,** კიდევ რამდენიმე არაბიზმის შესახებ ქართულში. ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თსუ, თბილისი, 27-28 აპრილი.
3. **ნინო დოლიძე.** *ალ-ჰარირის „თაღლითობანი“,* თსუ-ს, კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციისა და შ. რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული შედარებითი ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაციის 23-ე კონგრესი, 24-29 ივლისი, თბილისი.
4. **ნათია ჩანტლაძე,** ქართველ-სომეხთა პოლემიკა დოგმატურ-ლიტურგიკულ საკითხებზე XVIII საუკუნეში;არმენოლოგიის კათედრის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია; 2-3 ნოემბერი, 2022; თსუ.
5. **დალი ჩიტუნაშვილი,** კონსტანტინეპოლიზაციის გზაზე: თვენის პირველი რადაქციის კალენდრისათვის; არქივმცოდნეობა, ყაროთმცოდნეობა, ტენდენციები და გამოწვევები, თბილისი, 8-10 სექტემბერი.
6. **დალი ჩიტუნაშვილი:** სომეხ წმინდანთა ხსენებები ქართულ ლიტურგიკულ კრებულებში დავითისა და ტირიჭანის საგალობელი; არმენოლოგიის კათედრის დაარსების 100წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია; 2-3 ნოემბერი,2022; თსუ.
7. **დალი ჩიტუნაშვილი:** მიქაელ საბაწმიდელის საგალობლები ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში (X საუკუნის უცნობი იადგარი); ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია ეძღვნება მ. დოლაქიძის, ლ. ხევსურიანის და ლ. ჯღამაიას ხსოვნას; 15 დეკემბერი, 2022; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
8. **ნინო სამსონია**, ზვიად კვიციანი_***ლახამა(ლახამული) ლურსმულ ტექსტებში.*** კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესი; 26 აგვისტო, 2022. VI international congress of Caucasiologists, 25-27. VIII.2022; საქართველო, სვანეთის მუზეუმი, მესტია.

8. **ნინო სამსონია. ენგური და ლახამა შუამდინარულ იკონოგრაფიაში;** სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის: სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები(მიძღვნილი პროფ. შოთა ჩართოლანის დაბადებიდან 90 წლის იუბილისადმი.საქართველო, სვანეთის მუზეუმი, მესტია.14-15 აგვისტო, 2022.
9. **ნ. გელაშვილი,** ამერიკული კინემატოგრაფი იაპონიაში ოკუპაციის პერიოდში. ამერიკისმცოდნეობის 23-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წლისთავისადმი, 2022, 19-21 მაისი, თბ. - თსუ.
10. **ნ. გელაშვილი,** ქალაქთმშენებლობის ტრადიციების ფორმირება ჩინეთში, აკად. მ. ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნ. XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, 2022, 14-16 ივლისი, თბ.-თსუ.

11. **ნ. გელაშვილი,** Div-sultan Rumlu's military expeditions to Georgia (1516, 1518, 1521) and their results. X International congress of the Spanish society of Iranian studies, 2022, October 20-21, Tb.-TSU.
12. ნ. გელაშვილი, ინოვაციები იაპონიის პოლიტიკურ ცხოვრებაში და კულტურაში -კამაკურას ეპოქა, შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აღმოსავლეთ აზია ისტორიულ და თანამედროვე სპექტრში", მიძღვნ. თსუ-ში შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულების დაარსების 15 წლისთავისადმი, საქართველოს იაპონიასთან და ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წლისთავისადმი, 2022, 28-29 ოქტომბერი, თბ.-თსუ
13. **ნ. გელაშვილი,** საისტორიო წყაროები მეფე თეიმურაზ I-ის ასულის ირანის სამეფო კარზე გაგზავნის შესახებ. საქართველოს უნივერსიტეტის თ.ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის I საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და კავკასია - წარსული, აწმყო, მომავალი". 2022, 26-27 ნოემბერი, თბ,-საქართველოს უნივერსიტეტი.
14. **მარიკა ჯიქია.** თურქული ინტერფერენციის არალექსიკური მოდიფიკაციები ზოგიერთ ქართულ დიალექტში. საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი, თბილისი (თსუ), 3-5 ოქტომბერი.
15. **მარიკა ჯიქია.** თურქულ ენათა ერთი ფონოტაქტიკური თავისებურების შესახებ. VIII საერთაშორისო კონფერენცია – ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები, 13-14 ოქტომბერი, თბილისი (თსუ).
16. **მარიკა ჯიქია.** გივი გეგეჭკორის უნიკალური სტროფი. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი,26-27ოქტომბერი, თბილისი.
17. **მარიკა ჯიქია.** ქართული ტოპონიმების თურქულად გადმოცემის თანმხლები ფონოლოგიური პროცესები საერთაშორისო ონომასტიკური კონფერენცია – ონომასტიკის თანამედროვე პრობლემები, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 9-10 დეკემბერი, ახალციხე.
18. **მარიკა ჯიქია.** პროთეზასთან დაკავშირებული მოვლენები თურქულში. სამეცნიერო კონფერენცია ტოგო გუდავა – მეცნიერი და მასწავლებელიეძღვნება დაბადებიდან 100 წლისთავს, თსუ, 20 დეკემბერი.
19. **ქეთევან ლორთქიფანიძე** (თანაავტორებთან ერთად).ქართულ-ებრაული ურთიერთობები კომუნიკაციური მეხსიერების ჭრილში (შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე) ,საერთაშორისო კონფერენცია საქართველო და ისრაელი: წარსულიდან მომავლისაკენ,მეცნიერული და კულტურული კვლევის პერსპექტივები,თბილისი,საკრებულოს შენობა,19-20 ოქტომბერი, 2022;
20. **ნანული კაჭარავა,** კავკასიოლოგია თურქეთში, თ. გამყრელიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი, ორგანიზატორები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თსუ და ილიაუნი, 2022 წლის 3-5 ოქტომბერი, თბილისი; თეზისები დაიბეჭდა ქართულ და ინგლისურ ენებზე, გვ.46,168; ISBN 978-9941-36-033-6, თსუ გამომცემლობა.
21. **ნანული კაჭარავა,** ალინა ბაღიშვილი, მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკა სამეგრელოს ტოპონიმიაში (ნაწილი II), 2022 წლის 9-10 დეკემბერი, ახალციხე; მოხსენებები დაიბეჭდება.
22. **ნანული კაჭარავა,** ალინა ბაღიშვილი, ერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის, დ.გოცირიძის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი თსუ სლავისტიკის ს/ს ინსტიტუტის კონფერენცია, 2022 წლის 29 დეკემბერი, თეზისები განთავსდება რეპოზიტორზე.
23. **მზისა ბუსკივაძე,** „ ადამიანი, როგორც „განვითარების სუბიექტი" ოღუზ ათაის რომანში „გარიყულები"The Disconnected", საერთაშორისო კონფერენცია, ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV, ბათუმი, 2-4 .XII.2022
24. **მზისა ბუსკივაძე,** ფსევდოევროპული ნარატივი თანზიმათის მწერლობის თურქულ ლიტერატურაში(აჰმედ მიდჰათ ეფენდი და რეჯაიზადე მაჰმუთ ექრემი), კავკასიოლოგთა I საერთასორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი, თბილისი14-16 XI .2022
25. **შურღაია თეა,** ნახუცრიშვილი ნიკოლოზი. *წარსული, აწმყო, ყოფა და წარმოსახვა ყოლამრეზა რაფი'ის ფერეიდნულ პოემებში.* ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების (SEI) მეათე საერთაშორისო კონგრესი, 20-21 ოქტომბერი, თბილისი .
26. **მზია ბურჯანაძე,** *პორტრეტი ინტერვიუში (ირანელი ემიგრანტი მწერალი ქალები),* ესპანეთის ირანისტთა ასოციაციის მე-10 საერთაშორისო კონგრესი, თბილისი, 20-21 ოქტომბერი, 2022.

27. გრ. ბერაძე, **მ. ალექსიძე,** მეოცე საუკუნის დამდეგის თბილისი ირანელი მხატვრის მემუარებში, მრგვალი მაგიდა: პროექტის „თბილისის ეთნორელიგიური მოზაიკა (1801-1921) განხორციელების პირველი წლის შედეგები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში, 23 დეკემბერი, თბილისი.
28. **ფატმან ანთაძე-მალაშხია,** ნასესხობათა გამოყენება ენის სწავლებისას. პროფესორ დავით გოცირიძისამი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 29 დეკემბერი, 2022.
29. **ფატმან ანთაძე-მალაშხია,** On the Mediation of Languages in Iranian-Georgian Language Contacts. X International Congress of the Spanish Society of Iranian Studies, თბილისი, 20-21 ოქტომბერი, 2022.
30. **ფატმან ანთაძე-მალაშხია,** ახალი სპარსულიდან ქართულში შემოსულ ზმნურ ნასესხობათათვის. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 14-16 ივლისი, 2022.
31. **მანანა კვაჭაძე.** კარის პოეტთა როლისა და ხვედრის შესახებ შირვან შაჰთა სასახლეში.ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების მე-10 საერთაშორისო კონგრესი, თბილისი 2022, 20-21 ოქტომბერი.
32. **მარიამ ჩაჩიბაია.** ტერმინები φύσις და ὑπόστασις ქრისტოლოგიური დავის მთავარი საკითხი ბერძნულსა და სირიულში (V-VI სს.) – პროფესორ ტოგო გუდავას დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია,თსუ. 20 დეკემბერი 2022 წელი.
33.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1. კლასიკური ხანის ძეგლი „ამირანდარეჯანიანი“, რომლის ავტორადაც მოსე ხონელი მიიჩნევა, საუკუნეზე მეტია, რაც ქართველ და უცხოელ მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. ძეგლზე იმუშავეს ქართველოლოგებმაც და ირანისტებმაც. გამოთქმულია რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა კარდინალური საკითხი (სადაურობა - სპარსული თუ ორიგინალური; ჟანრობრივი კუთვნილება - სარაინდო რომანი თუ ზღაპარი, მისი მიმართება ხალხურ „ამირანიანთან“ ან „ვეფხისტყაოსანთან“; სტრუქტურის თავისებურება, შექმნის დრო) საბოლოოდ და ცალსახად გადაწყვეტილი არ ჩანს. ტექსტი კვლავაც იძლევა ინტერპრეტაციისა და ვარაუდების გამოთქმის საშუალებას. მოხსენებაში მოცემულია მცდელობა, თხზულების აღმოსავლური რეალიებისა და ჟანრული სტერეოტიპების ანალიზის გზით, დადგინდეს „ამირანდარეჯანიანის“ „აღმოსავლურობის მასშტაბები“, ყურადღება გამახვილდეს ზოგიერთ დეტალზე, რომელიც წინამორბედ მკვლევრებს მხედველობიდან გამორჩათ, მნიშვნელოვნად არ მიიჩნიეს ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცეს მათ. ამავე, აღმოსავლურ, კონტექსტში „ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიციაში აღნიშნულია ზეპირსიტყვიერების ეპიკური კანონების გავლენის კვალი (დასაწყისის და დასასრულის კანონი, განმეორებები, რიცხვები, სქემატიზაცია და სხვ.).საგანგებოდ მახვილდება ყურადღება „ამირანდარეჯანიანის“ რაინდების („ჭაბუკთა“) თვისებების სასანური ირანის აღზრდის ინსტიტუტის პრინციპებთან მსგავსებაზე. „ამირანდარეჯანიანში“ აღწერილი ბრძოლისა და ნადიმის (შდრ. „შაჰნამეს“ bazm o razm”) წესები და რიტუალები განხილულია სპარსულ და, ზოგადად, აღმოსავლურ მონაცემებთან მიმართებაში. ამ კონტექსტში ყურადღება ექცევა „მგოსანთა“ (საშ. სპარს. gusān) როლსა და დანიშნულებას. „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტი ამდიდრებს ინფორმაციას გუსან-მგოსანთა ხელოვნების შესახებ.

2. ქართულში შემოსული არაბიზმების შესახებ ბევრია ცნობილი. გ. წერეთელმა, ვლ. ლეკიაშვილმა, მზ. ანდრონიკაშვილმა, ა. სილაგაძემ, მ. ანდრონიკაშვილმა, გ. ჩიქოვანმა და სხვ. მიუძღვნეს ნაშრომები არაბული წარმოშობის სიტყვებს, რომლებიც უშუალოდ არაბულიდან ან ტრანზიტული გზით შემოვიდა ქართულში. შედეგად, შედგენილია ქართულში შემოსული არაბიზმების მთელი კორპუსი; ამ სიტყვათაგან ნაწილი გამოიყენება დღესაც (ხასიათი, ექიმი), ნაწილი – ქართულმა აღიქვა ზედმეტად და თავიდან მოიშორა (დარაკა, მისქინი), ხოლო ნაწილი – ისეთ სპეციფიკურ სფეროში ფუნქციონირებდა, რომ ბუნებრივად ნიველირდა ამ სპეციფიკის აქტუალობის დაკარგვასთან ერთად (ეჯიბი, მანშური). ყოველივე ამის მიუხედავად, ჟამიდან ჟამზე, მკვლევრის თვალს ხვდება ზოგიერთი სიტყვა, რომელიც, გარკვეული ნიშნების მიხედვით, შეიძლებოდა არაბიზმად ჩაგვეთვალა. ზოგ შემთხვევაში, ადრე უკვე დადგენილი ეტიმოლოგიის გადახედვის საჭიროებაც იკვეთება; მაგ., გ. ჩიქოვანმა გადაიაზრა „მახალ“-ის

ეტიმოლოგია, როგორც მომდინარე არაბ. სიტყვისგან muḫallal مُخَلَّل მოხსენება ეხება რამდენსამე არაბულ სიტყვას, რომლებიც, რამდენადაც სტატიის ავ-ტორისთვისაა ცნობილი, აქამდე არაბიზმებად კვალიფიცრებული არ ყოფილა, მაგრამ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ასეთებად. კერძოდ, გაანალიზებული ერთეულებია: *ბალანი* < ballānun بَلَّان *ბურჯი* < burjun بُرْج *კუბაღი* < kūbun كُوبَك *ჯილაგი* < jīl جِيل; *თანასობა* < tanāsub تَناسُب *ჯილდაობა, ჯელთაობა* < jilādun جِلَاد.

3. მოხსენებაში მოკლედაა მიმოხილული მე-13 ს-ის არაბული ლიტერატურული შედევრის, ალ-ჰარირის „მაკამების“, აქამდე შესრულებული სპარსული, ებრაული, ლათინური, ფრანგული, გერმანული, ინგლისური, რუსული თარგმანები და შედარებით ვრცლად – უახლესი, 2020 წელს გამოსული მაიკლ კუპერსონის თარგმანი „თაღლითობანი“. ამ ერთ ნაწარმოებზე დაკვირვებითაც ჩანს მთარგმნელთა დამოკიდებულება კლასიკური ძეგლის მიმართ სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში. დასავლეთის ინტერესი აღმოსავლეთის როგორც განსხვავებულის მიმართ მხატვრულ თარგმანშიც აისახა, რაც საუკუნეთა განმავლობაში არაბული ნიმუშების თარგმნა-გადაკეთებასთან იყო დაკავშირებული. არის კი კუპერსონის უახლესი ინგლისურენოვანი თარგმანი ორიგინალის ზუსტი ადეკვატი? რა არის 21-ე ს-ის მთარგმნელისთვის უმნიშვნელოვანესი ალ-ჰარირის მაკამებში? მოხსენებაში კუპერსონის თარგმანის მაგალითზე გაანალიზებულია, თუ როგორ შეიცვალა მთარგმნელის მიდგომა გლობალიზაციის ხანაში.

4. მოხსენებაში განხილულ იქნა იმ დოგმატურ-პოლემიკურ საკითხთა წრე, რომელთა გამოც ქართული და სომხური ეკლესიების წარმომადგენლები კამათობენ საუკუნეთა მანძილზე ზოგადად და კერძოდ XVIIIსაუკუნეში, მასალა მოხმობილ იქნა ანტონ I ბაგრატიონის „მზამეტყველებიდან“ და გევორგ გორელის ხელნაწრი კრებულიდან, ლაზარე ჯაჰუკელის „საწადლი სამოთხიდან“. აღნიშნული საკითხების გამოყოფის, გარკვეული პრინციპით დაჯგუფების და ანალიზის შედეგად, წარმოდგენილ იქნა კვლევის შედეგები, უმთავრესი კი არის შემდეგი - კამათი აღნიშნულ საკითხებზე მწვავდება მაშინ, როდესაც პოლიტიკურად და სოციალურად განსაკუთრებული დაახლოების ფონზე ერთი ეკლესია მეორისგან გრძნობს აგრესიულ ზეწოლას და ნიველირების საფრთხეს. მთელი XVII და XVIII საუკუნეების განმავლობაში, ქართველები და სომხები ფიქრობდნენ რაღაც ტიპის გაერთიანებაზე, რამეთუ ცალ-ცალკე ვეღარ უმკლავდებოდნენ საერთო მტრებს. ქართველებს და სომხებს ამ ერთობის განსხვავებული მოდელები ჰქონდათ. გ.მაისურაძე თვლის, რომ ერეკლეს რელიგიური პოლიტიკა ქართული და სომხური ეკლესიების გაერთიანებას ისახავდა მიზნად (მაისურაძე,გ.1984,გვ.307), რადგანაც მისი აზრით, ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილებამ მხოლოდ მტრები გააძლიერა და ახლა მათ შესაკავშირებლად საკმარისი იქნებოდა ორივე მხარეს უარი ეთქვა ზოგიერთ ზედმეტ და უვარგის რიტუალზე (მაისურაძე,გ.1984.გვ.266); სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველო უფრო ძლიერი იყო, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მცხოვრები სომხობა ენობრივად დიდწილად გაქართველებულიყო და ბრძოლა უწევდა საკუთარი ეროვნული და რელიგიური იდენტობის შესანარჩუნებლად. ცხადია, ეს ფაქტორები სომხურ ეკლესიას უბიძგებდა, გარკვეული ნაბიჯები გადაედგა თავის დასაცავად და შესაბამისად, ამ დროს ჩვენ ვხედავთ, როგორ ქმნიან სომეხი ეკლესიის მესვეურები ქართულ ენაზე სხვადასხვა ჟანრის საღვთისმეტყველო ნაწარმოებებს, რათა თავიანთ მრევლს (რომელიც ქართულად კითხულობს სასულიერო მწერლობას ან ისმენს ჟამისწირვას) უქადაგონ, განუმარტონ და არ დაავიწყონ სომხური ეკლესიის მრწამსი და ღვთისმსახურება. სწორედ ასეთ თხზულებათა რიგშია გევორგ გორელის ნაშრომიც, რომელსაც ის წერს საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოში გამოსაგზავნად (იხ.მელიქსეთ-ბეგი,ლ. 1940.გვ.98-99). მაგრამ ამ მედალსაც აქვს მეორე მხარე - აღნიშნულ პერიოდში ქართული მოსახლეობაც გადადიოდა სომხურ სარწმუნოებაზე (ძირითადად, ეს ხდებოდა ვაჭრულ საქმიანობაში ჩაბმის დროს და სომეხი ვაჭრის მხრიდან ქართველი მართლმადიდებელი ყმების შესყიდვისას (მაისურაძე, გ. 1984.გვ.34-305)! ცხადია, სომხური ეკლესიაც გააქტიურებდა თავის პროპაგანდას უკვე ამ მიმართულებითაც. ყოველივე ზემოთქმული კი გვაფიქრებინებს, რომ გევორგ გორელის მიერ შედგენილ კრებულს შეიძლება სხვა მიზანიც ჰქონოდა - კერძოდ, ქართველების დარწმუნება სომხური სარწმუნოების სიკეთეში და ქართული ეკლესიის წიაღიდან მათი გადაბირების მცდელობა (*„...გადმოთარგმანებული სომხის ენიდგან ქართველთ ენაზედ გორელი გევორგ უღირსი ვართაპეტისგან **სარგოთ ყრმათა სომხეთის ეკლესისათა, ვისაც სომხის ენა არ ესმით....**“* - წერს კრებულის ავტორი ერთ-ერთი ანდერძში (H-2809.კრებული, XVIIIს.104r) და ჩვენი აზრით, აქ იგულისხმებიან ის სომხებიც, რომლებიც ენობრივად გაქართველებულან და ის ქართველებიც, რომლებიც მზად არიან, მრწამსი შეიცვალონ სომხური

ეკლესიის სასარგებლოდ ან უკვე შეიცვალეს). იქნებ ამიტომაც გრძნობს ანტონი „მზამეტყველების“ შექმნის აუცილებლობას?! ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შეგვექმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მაშინ, როდესაც ერისკაცნი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური საჭიროებების გათვალისწინებით ერთობაზე ფიქრობენ და ამ ერთობის მიღწევის საშუალებებს ეძებენ, მათ შორის ქართული და სომხური ეკლესიების გაერთიანების გზითაც, თავად ეს ეკლესიები კიდევ ერთხელ საქვეყნოდ განაცხადებენ ასეთი გაერთიანების და საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულ წინააღმდეგობათა დაძლევის შეუძლებლობას.

5. გასული საუკუნის სამოციან წლებში კორნელი კეკელიძემ გამოყო ხელნაწერთა ერთი ჯგუფი, როგორც თვენი პირველი რედაქციის ხელნაწერები და აჩვენა მათი გარდამავალი ხასიათი იერუსალიმურსა და კონსტანტინეპოლურ პრაქტიკებს შორის. თვენის პირველი რედაქციის კალენდარზე დაკვირვებამ გამოავლინა ხსენებათა ნაწილი, რომელიც იერუსალიმურ პრაქტიკას ემთხვევა, ნაწილი კი კონსტანტინეპოლური ღვთიმსახურების ლიტურგიკული კრებულებისათვის არის დამახასიათებელი. ამასთანავე კალენდრის შესწავლამ გვიჩვენა ხსენებების ერთი ნაწილი, რომელიც არცერთ სხვა ქართულ ლიტურგიკულ კრებულში არ გვხვდება და თვენის პირველი რედაქციის თავისებურებას წარმოადგენს.

6. იერუსალიმური და კონსტანტინეპოლური პრაქტიკის ამსახველ ქართულ ლიტურგიკულ ხელნაწერებში - ლექციონარები, იადგარები, სვინაქსარები, თვენები და ა.შ. გვხვდება იმ წმინდანთა მოსახსენებლები, რომლებიც სომხურ სამოციქულო ეკლესიასთან არიან დაკავშირებული. ამ წმინდანთა დღესასწაულების გამოჩენა ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში, უმეტესწილად, შესაბამისი ბერძნული ლიტურგიკული წყაროებიდან მომდინარეობს, მაგრამ გვაქვს გამონაკლისი შემთხვევებიც. ტაო-კლარჯეთში გადაწერილი A-97 ხელნაწერი, რომელიც გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარს შეიცავს, დიდი ხანია ცნობილია თავისი მინაწერებით. ძირითადი კალენდრის გარდა, მის არშიებზე გადამწერისავე ხელით მიწერილია სომეხ წმინდანთა მოსახსენებლები, რომელთა დღესასწაულიც აღესრულებოდა საყოველთაოდ თუ არა, იმ მონასტერში მაინც, რომლისთვისაც A-97 ხელნაწერი გადაიწერა. ეს წმინდანები არიან მესუკაველები – სუქიასი და მისი თანმხლები პირები, იწამნენ სომხეთში (დაახლ. 123 წ.); ნერსე სომეხთა მთავარეპისკოპოსი – სომხეთის მომაქცევლის, გრიგოლ განმანათლებლის შთამომავალი (354-373 წწ.), აღესრულა 373 წ. ახლოს; იზიდბოზიდ მოწამე – მაჰაშოტ სპარსი, მოგვყოფილი, მიიღო ქრისტიანობა და იწამა სომხეთში (დაახლ. 553 წელს); დავით დვინელი – არაბი სურჰანი, რომელიც ჰამაზასპის დროს ჩამოვიდა სომხეთში, აქ გაქრისტიანდა და არაბებმა აწამეს სუმბატ ბაგრატუნისა და საჰაკ კათალიკოსის დროს (დაახლ. 703 წ.), დავითი და ტირიჭანი – სომეხი მოწამეები, რომლებიც ტაოში საკუთარმა ბიძამ ქრისტიანობის გამო აწამა (VII ს).ყველა ეს ხსენება და წმინდანი ასე თუ ისე დაკავშირებულია სომხურ სამყაროსთან, მათი ნაწილი კავკასიური სქიზმის წინა პერიოდის მოწამეები არიან, ნაწილი კი იმ პერიოდის, როდესაც სომხური ეკლესია დიოფიზიტურ მრწამსს იზიარებდა. ამ სომეხ წმინდანთა ჰაგიოგრაფიული წამება-ცხოვრებები გაქართველებულ სომეხ ქალკედონელთა წრეში ითარგმნა სომხურიდან ქართულად ან პირდაპირ ქართულ ენაზე დაიწერა. „წამებათა“ დიდი ნაწილი მხოლოდ ერთ ხელნაწერში – მეათე საუკუნის მიწურულით დათარიღებულ ჰაგიოგრაფიულ კრებულში Ivir.geo-8 არის წარმოდგენილი. ათონური კრებულის წამებათა სათაურებისა და ტაო-კლარჯული წარმოშობის სვინაქსარის ხსენებების შედარებამ ერთი მხრივ ამავე წმინდანთა სომხურ ლექციონარსა და გვიანდელი პერიოდის სომხური სვინაქსარის მონაცემებთან გვიჩვენა, რომ ხსენებები აშკარად იმეორებენ ჰაგიოგრაფიული ცხოვრებების ქართული ტექსტების ჩვენებას და განსხვავდებიან სომხური ლექციონარის მოაცემებისაგან, ისევე როგორც გვიანდელი სომხური სვინაქსარის ჩვენებებისგან. ქართული ლიტურგიკული კრებულების შესწავლამ გვიჩვენა, რომ სვინაქსარსა და ათონურ კრებულში შესული სომეხი წმინდანებისაგან მხოლოდ დავითისა და ტირიჭანის საგალობელი გვხვდება ორგან - კონსტანტინეპოლური ღმრთისმსახურების ამსახველი თვენის პირველ რედაქცისა და გიორგი მთაწმიდელის თვენში. ხსენების დღედ ორივე კრებულში ათონურ ხელნაწერსა და სვინაქსარში დადასტურებული წმინდანთა „წამების“ დარად 17 მაისია დადებული. ცნობილია, რომ თვენის პირველი რედაქციის წყაროს მეათე საუკუნის საგალობელთა კრებული - იადგარი წარმოადგენდა, იყო თუ არა იადგარის ბოლო რედაქციაში დავითისა და ტირიჭანის საგალობელი, დღეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია. იადგარის სინური ხელნაწერები, რომლებმაც ჩვენამდე მეტ-ნაკლები სისავსით მოაღწია, არ იცნობენ დავითსა და ტირიჭანის საგალობელს, სამაგიეროდ, მათი მოხსენიება მოწამეთა საერთო მოსახსენებლთან ერთად გვხვდება მიქაელ მოდრეკილის „დიდ იადგარში“ 22 იანვარს „სარწმუნოებით შევამკობდეთ დღეს,

მორწმუნენო, გურიას, სამონას და აბიბოსს, იოვანეს და ჰრომანოზს და ***ცხრათა ყრმათა,*** კოზმან და დამიანეს, კჳრიკეს და ღირსსა ივლიტას, კონონს ძითურთ, ***დავითს და ტირიჭანს დედითურთ მათით***“ (ხეც S-425, 117r). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ მიქაელ მოდრეკილის იადგარში მათი საგალობლები უნდა არსებულიყო, რაც ადგილობრივი, ტაოს ტრადიციის ასახვას წარმოადგენდა. საგალობლის ტექსტმა იადგარში მისი დეფექტურობის გამო (აკლია ტექსტის ორი მესამედი, მათ შორის მთლიანად მაისი თვეც) ჩვენამდე ვერ მოაღწია, თუმცა სწორედ იადგარი უნდა გამხდარიყო წყარო თვენის პირველი რედაქციისათვის. დავითისა და ტირიჭანის საგალობელი, მათი „წამების“ მსგავსად – ორიგინალურ ქართულ ტექსტს წარმოადგენს. საგალობლის ავტორი მისი შექმნისას ეყრდნობა მოწამეთა ცხოვრების ტექსტს. კანონი აგებულია მოწამეთა ცხოვრების ფაქტებზე. მსგავსება არა მხოლოდ სტრუქტურული და ფაქტობრივია, არამედ ხშირად მხატვრული შედარებები და ფრაზებიც კი მეორდება. იადგარი და არა თვენის პირველი რედაქცია უნდა ყოფილიყო გიორგი მთაწმიდელისთვისაც, როდესაც მან დავითისა და ტირიჭანის საგალობელი თვენის საკუთარ რედაქციაში შეიტანა წინასწარი გადამუშავებით. გიორგი მთაწმიდელის მიერ დავითისა და ტირიჭანის საგლობლის მისი რედაქციის თვენში გადატანის შემდეგ ქართულმა ტრადიციამ დავითი და ტირიჭანი საერთოდაც ქართველ წმინდანებად გამოაცხადა. ამრიგად, ქართულ საღვთისმსახურო წიგნებში დავითისა და ტირიჭანის საგალობლის დადასტურება აიხსნება იმით, რომ დავითისა და ტირიჭანის „წამება“, სხვა სომეხი წმინდანების „წამებათაგან“ განსხვავებით ქართულ ენაზეა შექმნილი და უკვე მეათე საუკუნიდან ეს წმინდანები ქართული კლერიკალური წრეებისათვის ქართული ეკლესიის, ქართველ წმინდანთა გუნდის ნაწილად აღიქმებოდნენ, მათ სახელზე ეკლესიაც იყო აგებული და აღესრულებოდა ღმრთისმსახურება.

7. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ ხელნაწერთა ფონდში 299-ე ნომრად ინახება XIV ს-ის კრებული, რომლის საცავ ფურცლებად თავსა და ბოლოში ახლავს ქართული ხელნაწერის ეტრატის ორი ფურცელი. ნუსხური გრაფიკით შესრულებული ფურცლები საგალობელი კრებულის ფრაგმენტს წარმოადგენს, ის პალეოგრაფიულად X საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. გარდა ამისა, ტექსტი ნევმირებულია წითელი მელნით, რაც მიგვითითებს, რომ საქმე გვაქვს ძველი, იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკის ამსახველ საგალობელ კრებულთან - იადგართან. ფრაგმენტი 4, 5, 6 და 7 დეკემბრის საგალობელ მასალას შეიცავს. 7 დეკემბერს ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტში სინგურით არის მითითებული ხსენება მიქაელ საბაწმიდელისა, რასაც მოჰყვება მისი საგალობელი. სამწუხაროდ, ტექსტი სრულად არ არის შემონახული, 9 ოდიდან შემორჩენილია მხოლოდ სამი ოდა - „უგალობდითსა“, „განძლიერდესა“ და „უფალო მესმასა“. ჩვენს იადგარში მოხსენიებული მიქაელ საბაწმიდელი არის აბდ ალ-მალიქის დროს (685-705 წწ.) იერუსალიმში ნაწამები მიქაელი. მიქაელ საბაწმიდელის საგალობელი დაცულია ასევე თვენის პირველ რედაქციასიც, თუმცა ეს ორი საგალობელი ერთმანეთისაგან განსხვავდება. განსხვავდება წმინდანის ხსენების დღეებიც. თუ ახლადგამოვლენი იადგარსი მიქაელი 7 დეკემბერის მოიხსენიება, თვენის პირველ რედაქციაში მისი ხსენება 17 აპრილს არის დადებული. მიქაელ საბაწმიდელი მოხსენიება 7 დკემბერის ადრეული საბაწმიდური პრაქტიკის ამსახველი უნდა იყოს, თვენის პირველი რედაქცია კი გვიჩვენებს დამოკიდებულებას მისი წამების ტექსტზე.

8. ნინო სამსონია. დაბეჭდილია

9. ნინო სამსონია. დაბეჭდილია.

10. აშშ-სა და იაპონიის ურთიერთობების ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდს წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის სემდგომი ხანა,კერძოდ - 1945-1952 წლები, როდესაც ომში დამარცხებული იაპონია აშშ-ს საოკუპაციო რეჟიმის ქვეშ იმყოფებოდა. აღნიშნულ პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობდა იაპონიის ამერიკანიზაციის პროცესი, რაც მეტნაკლები დოზით აისახებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის კულტურაზეც. ამჯერად ყურადღება ფოკუსირებულია კინოხელოვნებაზე - ამერიკული კინემატოგრაფის გავრცელებაზე იაპონიაში და მის შედეგებზე. ამ კონტექსტში ხაზგასასმელია, რომ აშშ-ს მტავრობამ იმთავითვე გააცნობიერა ამერიკული კინოს მასშტაბური პოტენციალი, რის საფუძველზეც ის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ კომერციულ და იდეოლოგიურ იარაღად იქცა. ეს ნათლად გამოჩნდა აშშ-ს სამხედრო ძალების მიერ იაპონიის ოკუპაციის პერიოდში იმ ფილმების დემონსტრირებით, რომლებშიც იდეალიზირებული იყო ამერიკული ცხოვრების წესი, ამერიკა, ამერიკული ღირებლებები და ა. შ.

11. ძველ ჩინეთში დაკანონებული ნორმების თანახმად, კონკრეტული ქალაქისთვის ადგილმდებარეობის შერჩევისას, უპირველეს ყოვლისა, ხდებოდა დეტალური ტოპოგრაფიული და ჰიდროლოგიური გამოკვლევა, წყალმომარაგების საკითხის და საწყლო გზებთან სიახლოვის გარკვევა. ამათანავე ისეთ ადგილს ენიჭებოდა უპირატესობა, რომელიც ქარისგან მთებით იყო დაცული, ბუნებრივად ნიავდებოდა და იმავდროულად მზიანიც იყო. შერჩეული ადგილის რელიეფის თავისებურებები სათანადო თანხვედრაში უნდა ყოფილიყო ციური სხეულების მდებარეობასთან, მაგნიტურ ველებთან, კოსმიურ ძალებთან და სიმბოლოებთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა გეომეტრიული სიმბოლოების ერთმანეთთან შეთავსებას (ან შეხამებას?), მათგან ყველაზე ხშირად - წრისა და კვადრატისა (წრე განასახიერებდა მამაკაურ საწყისს, ცას, ხოლო კვადრატი - ქალურ საწყისს, მიწას). მხოლოდ აღნიშნული პირობების დამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძველზე ესა თუ ის ტერიტორია ითვლებოდა მშენებლობისათვის შესაფერისად. ტრადიციულად, ჩინეთის ძველ ისტორიულ ქალაქებს ჰქონდათ კვადრატული ფორმა, მკაცრი გეომეტრიული დაგეგმარებით. ქალაქი დაყოფილი იყო თანაბარი ზომის კვადრატულ კვარტლებად, ჭადრაკის დაფის მსგავსად. შენობა-ნაგებობები ისე იყო განთავსებული ბუნებრივ ლანდშაფტში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დადებითი ენერგეტიკის მაქსიმალური რაოდენობით მიღება, ხოლოლ უარყოფითის - უკუგდება. ქალაქის კომპოზიცია მკაცრ სიმეტრიას ექვემდებარებოდა ცენტრალური ღერძის გასწვრივ - ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. ჩინეთის ნიმუშით მიმდინარეობდა ქალაქების აღმშენებლობა აზიის მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით ეს ეხება კორეას და იაპონიას.

12. დივ-სულთან რუმლუს ლაშქრობები საქართველოში (1516, 1518, 1521) და მათი შედეგები. სხვადასხვა წერილობით წყაროთა მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი ხდება განსახილველი ისტორიული მოვლენების განვითარების ნათელი სურათის აღდგენა. კერძოდ, დივ-სულთან რუმლუმ საქართველოში 3-ჯერ ილაშქრა: 1516, 1518 და 1521 წლებში. 1524 წლის გაზაფხულზე კი თვით შაჰ ისმაილი წარუძღვა ყიზილბაშთა ჯარს საქართველოში, კონკრეტულად - კახეთში. ამ ლაშქრობის მიზეზი იყო კახეთის მეფის - ლევანის (1518-1574) ანტიირანული გამოხდომა, კერძიდ, მის მიერ შაქის დარბევა, რომელიც იმხანად სეფიანთა ირანის ვასალად ითვლებოდა. ყიზილბაშთა არაერთგზის ლაშქრობების მიუხედავად, XVI საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში სეფიანთა პოლიტიკური ბატონობა არ დამყარებულა. მართალია, დივ-სულთან რუმლუს შემოსევების შედეგად ზოგიერთმა ქართველმა მეფე-მთავარმა ირანის მიერ შეწირილი ხარკის გადახდა იკისრა, მაგრამ ეს საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას არ ხელყოფდა. საქმე ის იყო, რომ იმ ეტაპზე სეფიანთა სახელმწიფოს არასტაბილურობა, ეკონომიკური სისუსტე, ყიზილბაშურ ტომებს შორის მიმდინარე პერმანენტული ომები, მათი სეპარატისტული მისწრაფებები და სხვა ფაქტორები, შაჰ ისმაილ I-ს აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შესაძლებლობას არ აძლევდა. შესაძლოა, ვარაუდის დაშვება, რომ შაჰ ისმაილის მიერ საქართველოს ოკუპაციას გარკვეულწილად დიპლომატიური ფაქტორიც აბრკოლებდა. კერძოდ, მისთვის ნათელი იყო, რომ მას არ ძალუძდა ოსმალეთის აგრესიული ზრახვებისთვის ტოლფასი ძალა დაეპირისპირებინა. მითუმეტეს, რომ მას უკვე ჰქონდა ოსმალეთთან ომის გამოცდილება, რომელიც სეფიანებისთვის სავალალო შედეგით დასრულდა. აქედან გამომდინარე, შაჰ ისმაილი ცდილობდა ოსმალეთთან ურთიერთობა ზედმეტად არ გაემწვავებინა, რადგანაც ირანის მიერ საქართველოს ანექსია ოსმალეთის ხელისუფლების მკვეთრად ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევდა.

13. იაპონიის ისტორიაში მრავალმხრივ მნიშვნელოვან და საინტერესო პერიოდს წარმოადგენს ე. წ. კამაკურას ეპოქა (1192-1333), რომელიც უკავშირდება ქვეყანაში სამხედრო-ფეოდალური მმართველობის ახალი სისტემის - შიოგუნატის ფორმირებას. კერძოდ, როდესაც ფეოდალურ შიდა ომებში გამარჯვებულმა გავლენიანი საგვარეულოს - მინამოტოს ლიდერმა იორიტომომ 1192 წელს იმპერატორისგან შიოგუნის (იაპონურად ნიშნავს - მთავარსარდალს) წოდება მიიღო, იმავდროულად თავისი ახალი ხელისუფლების დედაქალაქად კამაკურა გამოაცხადა. ამ ნაბიჯით იორიტომო მიზნად ისახავდა კიოტოში არსებული საიმპერატორო კარის პოლიტიკური უფლებამოსილების შეკვეცას და მისგან დამოუკიდებელი, ძლიერი სახელისუფლო ბერკეტების შექმნას. ამრიგად, ამიერიდან იაპონიაში ორხელისუფლებიანობის ხანგრძლივი ხანა დაიწყო - საიმპერატორო და შიოგუნატის ხელისუფლება. ხაზგასასმელია, რომ მმართველობის ამგვარმა დუალისტურმა სისტემამ განმსაზღვრელი გავლენა იქონია შემდგომ ხანის იაპონიის ისტორიულ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაზე. ახალ რეალობაში კამაკურა, რომელიც ადრე მეთევზეთა პატარა სოფელი იყო, მოკლე ხანში პოლიტიკურთან ერთად, ქვეყნის მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურის ცენტრად იქცა, სადაც თავი მოიყარა

პოლიტიკურმა და ინტელექტუალურმა ელიტამ. კამაკურაში ფართომასშტაბიანი სააღმშენებლო სამუშაოები გაიშალა, აიგო ბუდისტური და შინტოისტური ტაძრები, ბუდისტურ ღვთაებათ მონუმენტური ქანდაკებები, საცხოვრებელი სახლები, სასახლეები, გაყვანილ იქნა გზები და სხვ. გამომდინარე იქიდან, რომ კამაკურა თავისი პოლიტიკური დატვირთვით სამხედრო მმართველობას უკავშირდებოდა, მისი უმეტესი ნაწილი სპორტულ მოედნებს და სტადიონებს ეკავათ, სადაც სამურაები სისტემატურ რეჟიმში ვარჯიშობდნენ. კამაკურას პერიოდში სიახლეები კულტურის თითქმის ყველა სფეროს შეეხო: გაჩნდა ახალი ჟანრები ლიტერატურში, სახვით ხელოვნებაში, როგორც სატაძრო, ისე საერო არქიტექტურაში გამოიკვეთა წარსულისკენ - ნარას პერიოდისკენ მიბრუნების ტენდენცია.

14. მეფე თეიმურაზ I-ის ხანგრძლივი ზეობის ხანა (1606-1663) დრამატული მოვლენებით და მწვავე პერიპეტიებით იყო აღსავსე. დროის სხვადასხვა მონაკვეთში ის იყო კახეთის მეფე, ასევე - ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოსი, ხან კი, გარკვეულ მიზეზთა გამო, საერთოდ კარგავდა სამეფო ტახტს. 1606 წელს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა თეიმურაზი, შაჰ აბას I-მა (1587-1629) კახეთის მეფედ დაამტკიცა. ის იმედოვნებდა, რომ სპარსული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი ბატონიშვილი საქართველოში ირანის პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი იქნებოდა. თუმცა, როგორც ისტორიიდან ცნობილია, თეიმურაზმა ეს იმედები არ გაამართლა და მას მეტად ძვირად დაუჯდა ირანის ხელისუფლებასთან დაპირისპირება. 1632 წელს, დაუდ-ხან უნდილაძესთან ერთად, ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აჯანყების გამო, თეიმურაზი სამეფო ტახტიდან გადაყენებულ იქნა. სამეფოს გარეშე დარჩენილმა მეფემ იმერეთში შეაფარა თავი. მოგვიანებით, არსებული ვითარების საღი გონებით შეფასების საფუძველზე, მან დათმობაზე წასვლა არჩია და ცოდვების გამოსასყიდად, შაჰ სეფი I-ს (1629-1642) თავისი ქალიშვილის გაგზავნას შეპირდა. თეიმურაზის შემორიგებით კმაყოფილმა შაჰმა, სამაგიეროდ მას კახეთის სამეფო ტახტი დაუბრუნა.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია თეიმურაზ მეფის ასულის - თინათინის ირანის სამეფო კარზე გაგზავნის გარემოებები, მისი მიზეზები და შედეგები. ჩვენთვის საინტერესო საკითხები შესწავლილია სხვადასხვა (ქართულ, სპარსულ, ევროპულ, რუსულ) წერილობით წყაროთა მონაცემების ურთიერთშეჯერების და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. კონკრეტული ისტორიული მოვლენების განვითარების ლოგიკური თანმიმდევრობის გათვალისწინებით, გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

15. დივ-სულთან რუმლუს ლაშქრობები საქართველოში (1516, 1518, 1521) და მათი შედეგები. სხვადასხვა წერილობით წყაროთა მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი ხდება განსახილველი ისტორიული მოვლენების განვითარების ნათელი სურათის აღდგენა. კერძოდ, დივ-სულთან რუმლუმ საქართველოში 3-ჯერ ილაშქრა: 1516, 1518 და 1521 წლებში. 1524 წლის გაზაფხულზე კი თვით შაჰ ისმაილი წარუძღვა ყიზილბაშთა ჯარს საქართველოში, კონკრეტულად - კახეთში. ამ ლაშქრობის მიზეზი იყო კახეთის მეფის - ლევანის (1518-1574) ანტიირანული გამოხდომა, კერძიდ, მის მიერ შაქის დარბევა, რომელიც იმხანად სეფიანთა ირანის ვასალად ითვლებოდა. ყიზილბაშთა არაერთგზის ლაშქრობების მიუხედავად, XVI საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში სეფიანთა პოლიტიკური ბატონობა არ დამყარებულა. მართალია, დივ-სულთან რუმლუს შემოსევების შედეგად ზოგიერთმა ქართველმა მეფე-მთავარმა ირანის მიერ შეწერილი ხარკის გადახდა იკისრა, მაგრამ ეს საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას არ ხელყოფდა. საქმე ის იყო, რომ იმ ეტაპზე სეფიანთა სახელმწიფოს არასტაბილურობა, ეკონომიკური სისუსტე, ყიზილბაშურ ტომებს შორის მიმდინარე პერმანენტული ომები, მათი სეპარატისტული მისწრაფებები და სხვა ფაქტორები, შაჰ ისმაილ I-ს აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შესაძლებლობას არ აძლევდა. შესაძლოა, ვარაუდის დაშვება, რომ შაჰ ისმაილის მიერ საქართველოს ოკუპაციას გარკვეულწილად დიპლომატიური ფაქტორიც აბრკოლებდა. კერძოდ, მისთვის ნათელი იყო, რომ მას არ ძალუძდა ოსმალეთის აგრესიული ზრახვებისთვის ტოლფასი ძალა დაეპირისპირებინა. მითუმეტეს, რომ მას უკვე ჰქონდა ოსმალეთთან ომის გამოცდილება, რომელიც სეფიანებისთვის სავალალო შედეგით დასრულდა. აქედან გამომდინარე, შაჰ ისმაილი ცდილობდა ოსმალეთთან ურთიერთობა ზედმეტად არ გაემწვავებინა, რადგანაც ირანის მიერ საქართველოს ანექსია ოსმალეთის ხელისუფლების მკვეთრად ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევდა.

16. იაპონიის ისტორიაში მრავალმხრივ მნიშვნელოვან და საინტერესო პერიოდს წარმოადგენს ე. წ. კამაკურას ეპოქა (1192-1333), რომელიც უკავშირდება ქვეყანაში სამხედრო-ფეოდალური მმართველობის ახალი სისტემის - შიოგუნატის ფორმირებას. კერძოდ, როდესაც ფედალურ შიდა ომებში გამარჯვებულმა გავლენიანი საგვარეულოს - მინამოტოს ლიდერმა იორიტომომ 1192 წელს

იმპერატორისგან შიოგუნის (იაპონურად ნიშნავს - მთავარსარდალს) წოდება მიიღო, იმავდროულად თავისი ახალი ხელისუფლების დედაქალაქად კამაკურა გამოაცხადა. ამ ნაბიჯით იორიტომო მიზნად ისახავდა კიოტოში არსებული საიმპერატორო კარის პოლიტიკური უფლებამოსილების შეკვეცას და მისგან დამოუკიდებელი, ძლიერი სახელისუფლო ბერკეტების შექმნას. ამრიგად, ამიერიდან იაპონიაში ორხელისუფლებიანობის ხანგრძლივი ხანა დაიწყო - საიმპერატორო და შიოგუნატის ხელისუფლება. ხაზგასასმელია, რომ მმართველობის ამგვარმა დუალისტურმა სისტემამ განმსაზღვრელი გავლენა იქონია შემდგომ ხანის იაპონიის ისტორიულ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაზე. ახალ რეალობაში კამაკურა, რომელიც ადრე მეთევზეთა პატარა სოფელი იყო, მოკლე ხანში პოლიტიკურთან ერთად, ქვეყნის მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურის ცენტრად იქცა, სადაც თავი მოიყარა პოლიტიკურმა და ინტელექტუალურმა ელიტამ. კამაკურაში ფართომასშტაბიანი სააღმშენებლო სამუშაოები გაიშალა, აიგო ბუდისტური და შინტოისტური ტაძრები, ბუდისტურ ღვთაებათ მონუმენტური ქანდაკებები, საცხოვრებელი სახლები, სასახლეები, გაყვანილ იქნა გზები და სხვ. გამომდინარე იქიდან, რომ კამაკურა თავისი პოლიტიკური დატვირთვით სამხედრო მმართველობას უკავშირდებოდა, მისი უმეტესი ნაწილი სპორტულ მოედნებს და სტადიონებს ეკავათ, სადაც სამურაები სისტემატურ რეჟიმში ვარჯიშობდნენ. კამაკურას პერიოდში სიახლეები კულტურის თითქმის ყველა სფეროს შეეხო: გაჩნდა ახალი ჟანრები ლიტერატურში, სახვით ხელოვნებაში, როგორც სატაძრო, ისე საერო არქიტექტურაში გამოიკვეთა წარსულისკენ - ნარას პერიოდისკენ მიბრუნების ტენდენცია.

17. მეფე თეიმურაზ I-ის ხანგრძლივი ზეობის ხანა (1606-1663) დრამატული მოვლენებით და მწვავე პერიპეტიებით იყო აღსავსე. დროის სხვადასხვა მონაკვეთში ის იყო კახეთის მეფე, ასევე - ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოსი, ხან კი, გარკვეულ მიზეზთა გამო, საერთოდ კარგავდა სამეფო ტახტს. 1606 წელს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა თეიმურაზი, შაჰ აბას I-მა (1587-1629) კახეთის მეფედ დაამტკიცა. ის იმედოვნებდა, რომ სპარსული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი ბატონიშვილი საქართველოში ირანის პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი იქნებოდა. თუმცა, როგორც ისტორიიდან ცნობილია, თეიმურაზმა ეს იმედები არ გაამართლა და მას მეტად ძვირად დაუჯდა ირანის ხელისუფლებასთან დაპირისპირება. 1632 წელს, დაუდ-ხან უნდილაძესთან ერთად, ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აჯანყების გამო, თეიმურაზი სამეფო ტახტიდან გადაყენებულ იქნა. სამეფოს გარეშე დარჩენილმა მეფემ იმერეთში შეაფარა თავი. მოგვიანებით, არსებული ვითარების საღი გონებით შეფასების საფუძველზე, მან დათმობაზე წასვლა არჩია და ცოდვების გამოსასყიდად, შაჰ სეფი I-ს (1629-1642) თავისი ქალიშვილის გაგზავნას შეპირდა. თეიმურაზის შემორიგებით კმაყოფილმა შაჰმა, სამაგიეროდ მას კახეთის სამეფო ტახტი დაუბრუნა.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია თეიმურაზ მეფის ასულის - თინათინის ირანის სამეფო კარზე გაგზავნის გარემოებები, მისი მიზეზები და შედეგები. ჩვენთვის საინტერესო საკითხები შესწავლილია სხვადასხვა (ქართულ, სპარსულ, ევროპულ, რუსულ) წერილობით წყაროთა მონაცემების ურთიერთშეჯერების და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. კონკრეტული ისტორიული მოვლენების განვითარების ლოგიკური თანმიმდევრობის გათვალისწინებით, გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

18. თეზისები დაიბეჭდა

19. თეზისები დაიბეჭდა.

20. გივი გეგეჭკორის ლექსების კითხვისას ჩემი ყურადღება მიიქცია ტრადიციული ფორმის ლექსების მეზობლობაში განსხვავებულმა – მოკლე ექვსსტრიქონიანმა დიდი მოცულობის ლექსებმა – თითქოს 7 და 6- მარცვლიანი სტრიქონები "კომპენსირებული" იყო 10, 11, 14, 15, 16, 17 თუ 21 მოქნილი, ნატიფი სტროფით. უჩვეულო, უცნობი სტროფიკის მქონე ლექსები არაორდინალური სათაურებით ('ლექ-სი კითხვის ზიანზე', ' ლექსი დაქანცულ მდინარეზე', ' ლექსი ატირებულ კარის ფიცარზე', 'მუხა სა-ბურთალოს ბაზრის მოედანზე' და სხვ.) იმთავითვე ბადებდა დაუყოვნელივ წაკითხვის სურვილს. ამ ჩამონათვალისეული ყველა ლექსის მეტრი ჰეტეროსილაბურია – შვიდმარცვლედი ექვსმარცვლედ-თან; I, II, IVდა V სტრიქონები შვიდმარცვლიანია, ხოლო III და VI სტრიქონები – ექვსმარცვლიანი. შვიდმარცვლედი შემდეგი კომბინაციებით დასტურდება: 4/3; 4/3 (1/2); 4(2/2)/3; 2/5; 4(1/1/ 2)/3; 4(1/3)/3; ექვსმარცვლიანი მუხლის კომბინაციებია: 2/4; 4/2; 4 (1/3)/2; ტერნარული ბოლორითმაა: **abcdec;** რითმა გრძლიობის თვალსაზრისით ორმარცვლიანია.

ამ ფაქტების შეჯერებით ვასკვნით: გივი გეგეჭკორის სალექსო შემოქმედებაში გამორჩეულია

ექვსსტრიქონიანი დაა უხვსტროფიანი ლექსები, რაც მის უკიდეგანოდ კრეატიულ პოეზიას სიმსუბუქესა და განუმეორებელ ხიბლს სძენს. ფაქტია, რომ გივი გეგეჭკორი უმაღლეს დონეზე ფლობდა სალექსო ტექნიკას.

21. თურქული მოდგმის ადამიანთათვის გადაულახავი არტიკულაციური მომენტია მარცვლის დასაწყისში ორი ან მეტი თანხმოვნის წარმოთქმა. ამის გამოა, რომ ოდენ თურქული წარმომავლობის სიტყვები მარცვალს CCV(C) შემადგენლობით არ შეიცავენ. ამავდროულად მარცვლის ბოლოს ორი თანხმოვანი არცთუ იშვიათად გვხვდება როგორც ნასესხებ, ისე საკუთრივ თურქულ სიტყვებში, ოღონდ გარკვეული ფონეტიკური პირობით, კერძოდ კი, თანხმოვანთკომპლექსში პირველი თანხმოვანი ერთ-ერთი შემდეგთაგანია – l, m, n, r, ş, s, f, h; ხოლო მეორე კომპონენტი უცილოდ ყრუ თანხმოვანი უნდა იყოს – ç, f, h, k, p, s, t . შდრ. თვით ხალხის დასახელება –Türk. აგრეთვე alp 'გმირი', dinç 'ძლიერი', ilk 'პირველი' , yurt 'სამშობლო' და სხვ.(ანუ მარცვლის ბოლოს ორი თანხმოვანი დაძლეულია). თურქთა-თვის უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულების სიზუსტით გადმოცემისა თუ გათავისების პროცესი განაპირობებს მთელ რიგ ლინგვისტურ სვლებს, რომელთაგან ერთ-ერთია ეპენთეზა. სწორედ ეპენთე-ზას მიმართავს ოსმალო მოხელე ქართული ტოპონიმების გადმოცემისას: ბლორძა>/bulurza/, ცხროჭა > /sixruž/, დგვარი > dugar და სხვ.

22.თეზისები დაიბეჭდა.

23.თეზისები დაიბეჭდა

24.თეზისები დაიბეჭდა

25. თეზისები დაიბეჭდა

26. თეზისები დაიბეჭდა

27. თეზისები დაიბეჭდა

28. თეზისები დაიბეჭდა

29. თეზისები დაიბეჭდა

30. 1839 წელს მუსტაფა რეშიდ ფაშას მიერ გიულჰანეს პარკში გამოცხადებული ფირმანი, რომელსაც „თანზიმათის ფირმანსაც" უწოდებენ ოსმალეთის იმპერიის პროევროპული კურსის ოფიციალური განაცხადი იყო. ევროპული კონცეპტის დამკვიდრების მცდელობა თავიდანვე განწირული გამოდგა. იგი ემყარებოდა ზედაპირულ შეხედულებებს ევროპული ცივილიზაციის საფუძვლების შესახებ. თურქულ ლიტერატურაში აღნიშნული ამბივალენტიზმი შესაბამისი სახელითაც არის ცნობილი მას „ფესვდოგაევროპელებას" ან „მცდარგაევროპელებას" უწოდებენ. ამ პროცესში კი ყველაზე მნიშვნელოვანი სააზროვნო სისტემის ცვლილებაა, რომელმაც განაპირობა კიდეც „არაჯანსაღი" ევროპული დისკურსი. ფსევდოევროპულ ნარატივში წინაპლანზე წამოიწია ღირებულებათა სისტემისადმი სენსიტიურობამ და ინდეტობის კრიზისმა. აჰმედ მიდჰათ ეფენდი და რეჯაიზადე მაჰმუთ ექრემი აღნიშნულ თემას სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავენ. აჰმედ მიდჰათ ეფენდი ბინარულ წყვილს გვთავაზობს, რომელთაგან ერთი არაჯანსაღი ევროპული ცნობიერების სიმბოლური სახეა, ხოლო მეორე- აღმოსავლური და დასავლური კულტურის საუკეთესო სინთეზი. რეჯაიზადე მაჰმუთ ექრემი საზოგადოებრივი ცნობიერების გაუკუღმართებას, მორალურ-ზნეობრივი კატეგორიების მოშლას რომანის მთავარი პროტაგონისტის ცხოვრების მაგალითზე გვიჩვენებს. ორივე მწერალი პაროდიის გზით საზოგადებაში ღირებულებათა კონფლიქტზე ამახვილებს ყურადღებას. ფესევდოევროპული ნარატივი საკუთარი კულტურის, ენის, ტრადიციების სრულ უარყოფასა და დაცინვაში ვლინდება.

31. თეზისები დაიბეჭდა.

32. ოთხასი წლის წინათ ირანში გადასახლებული ქართველების კომპაქტური დასახლებების, მათ მიერ შენარჩუნებული დიალექტისა და მათი ყოფის შესწავლის ისტორია თითქმის საუკუნეს ითვლის. ირანსა და საქართველოს შორის პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ (1992), აგრეთვე, საინფორმაციო ტექნოლოგიების წყალობით, ამ კვლევისათვის ახალი პერსპექტივა და

გამოწვევები გაჩნდა. ირანში მცხოვრებ ქართველებს დედა-სამშობლოში მოგზაურობის, ქართული მასმედიისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, თანამედროვე ქართული ენის დახვეწის ან დაუფლების საშუალება მიეცათ, რამაც საფრთხის წინაშე მყოფი ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. ამ გამოწვევას კარგად აცნობიერებენ არა მხოლოდ მკვლევრები, არამედ ფერეიდნელებიც. ერთ-ერთი მათგანია, წარმოშობით ქართველი, ბოინ-მიანდაშთში დაბადებული ყოლამრეზა რაფიი (1968). გეომორფოლოგიის მაგისტრი, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა, არის მწერალი და პოეტი. 2018-2021 წლებში გამოქვეყნებული აქვს 2 პროზაული და 4 პოეტური წიგნი სპარსულ ენაზე. ამჟამად ცხოვრობს. ქ. ყუმში. მოხსენებაში განხილულია ყ. რაფიის სამი გამოუქვეყნებელი პოემა („სად ვიყავით“, „აწყა ჯერაც“, „მარჭაკლობა“), რომლებიც ფერეიდნულ დიალექტზე დაიწერა. მათ ერთგვარ მეგზურად თან ახლავს პოემაში აღწერილი ამბის რეზიუმე სპარსულ ენაზე. ეს პოემები მომხსენებლებმა აუდიოფაილისა და სპარსული ტრანსლიტერაციის სახით მიიღეს. ავტორს, ასევე, სპარსულ ენაზე მოუმზადებია ზოგადი ინფორმაცია საქართველოს, ქართული ენისა და ფერეიდნელი ქართველების შესახებ. არაბული გრაფიკით გადმოცემულ ტექსტებს ახლავს სპარსული კომენტარები. პოემები არაბულ-სპარსული არუზის სისტემის გავლენით (მისი დაცვის მცდელობით) არის დაწერილი, თუმცა აქა-იქ სპარსული ხალხური პოეზიის ელემენტებიც იჩენს თავს. ძირითადი აქცენტი გადატანია ლექსის რიტმულობაზე, მარცვალთრაოდენობა ბეითის მისრებში ხშირად განსხვავებულია. ყოლამრეზა რაფიის თქმით, ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტზე პოემების შექმნისა და მათი სპარსული გრაფიკით ჩაწერის მიზანია: 1. შენარჩუნდეს ფერეიდნელთა მეტყველება, რომლის გამოყენების არეალიც სულ უფრო მეტად ვიწროვდება; 2. პოეტური ფორმით დაფიქსირდეს ძველი ადათ-წესები, რომლებიც დავიწყებას ეძლევა; 3. აღიწეროს ფერეიდნელი ქართველების ძველებური ყოფა, განსაკუთრებით, მათი ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ფორმები და სამიწათმოქმედო ტერმინოლოგია. 4. ქართული ანბანის არმცოდნე ფერეიდნელებმა სპარსული დამწერლობით შეძლონ ქართული ტექსტების წაკითხვა. მოხსენებაში ყურადღება მახვილდება ამ სამი ტექსტის ენობრივ თავისებურებებზე, მოცემულია პოეტურად აღწერილი ადათ-წესების ანალიზი.

33. ირანელი მწერალი ქალების ლიტერატურა, რომელიც საზღვარგარეთ სხვადასხვა ენაზე ითარგმნება ან პირდაპირ მასპინძელი ქვეყნის ენაზე იწერება, დასავლელი მკითხველის ყურადღებას, პირველ რიგში, პოლიტიკური საკითხებით და, ასევე, ისლამურ სამყაროში ქალების საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვის კუთხით იპყრობს. მწერალი ქალების ძირითადი თემები, თუ პოლიტიკურ საკითხებს არ ჩავთვლით, იდენტობის ძიებასთან, დასავლურ სამყაროში საკუთარი თავის აღმოჩენასთანაა დაკავშირებული. როგორც მეჰრნუშ მაზარეი აღნიშნავს, “ქალებმა დაარღვიეს მასკულინური ლიტარატურის კლიშე, სადაც ქალი მხოლოდ მამაკაცთან კავშირში განიხილებოდა”. ნეგარ ჯავადის რომანი “დეზორიენტირებული”, ერთგვარად, მაზარეის შენიშვნის ილუსტრაციაა. მასში ირანში ტაბუირებული, დასავლეთში კი ნებადართული და ფართოდ რეკლამირებული – უმცირესობათა საკითხი – წამყვანი თემაა. მათგან კი მთავარია სექსუალური უმცირესობის თემა. ფარზანე მილანი, აშშ-ში მცხოვრები მწერალი და მკვლევარი, ასე ახასიათებს ირანელ ემიგრანტ ქალებს: „განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების ფასი ესმით. ირანისა და მსოფლიოს მიჯნაზე დგანან და საერთაშორისო ასპარეზზე სპარსული ლიტერატურის ახალ სახეს გამოხატავენ. ამ ლიტერატურას შეიძლება მიჯნის ლიტერატურა ეწოდოს. ლიტერატურა, რომელიც ტრადიციული საზღვრებისგან გათავისუფლდა და წერისა და ხედვის ახალ გზებს ეძიებს. იცის, რომ თავის ადგილს მოსწყდა და სხვადასხვა იდენტობასა და შეხედულებას გამოხატავს. ემიგრაციას ნოსტალგია, უცხოობა და გარიყულობის მწარე განცდა მუდამ თან სდევს, მაგრამ მწერალი ქალების პერსონაჟთა უმრავლესობამ იცის, რომ თავისუფლების საფასური ძალიან მაღალია და მზად არიან გადასახდელად. დროდადრო ორიენტაციას კარგავენ და ორ ენას, ორ კულტურას, ორ ტრადიციასა და ორ იდენტობას შორის დაბორიელებენ”.

34. მოხსენება ეხება გასული საუკუნის გამოჩენილი ირანელი მხატვრის ‘აბას რასამ არჟანგის (1892-1975) მემუარებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მემუარების იმ მონაკვეთებზე, რომლებშიც ირანელი ავტორი იხსენებს და აღწერს 1910-იანი წლების დასაწყისში თბილისში მისი

ოთხწლიანი ცხოვრებისა და სამხატვრო სასწავლებელში სწავლის სხვადასხვა ეპიზოდს. ამასთანავე, როგორც ირანის კონსტიტუციური რევოლუციის იდეებით გამსჭვალული ირანელი სტუდენტი, იგი მონაწილეობდა თბილისში მუდმივად (ან ხანგრძლივად) მცხოვრებ თუ აქ დროებით მყოფ ირანელთა პრორევოლუციურად განწყობილი ნაწილის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. ‘აბას რასამ არჟანგის მემუარები შეიცავს საინტერესო მასალას XX საუკუნის დამდეგის თბილისის ისტორიის სხვადასხვა ასპექტებით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

35. უცხო ენათა სწავლებისას ნასესხობების სასწავლო რესურსად ფართოდ განიხილება და მეტწილად ენის სწავლების ხელშემწყობ წყაროდ მოიაზრება. პირველი ენისა(L1) და სამიზნე ენის ინდივიდუალური მიმართების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისტორიულ თუ მიმდინარე ენობრივ ურთიერთობათა ფაქტორი. ნასესხობების გამოყენებას საუკეთესო ნიადაგი აქვს ქართულენოვანი სტუდენტებისთვის სპარსულის სწავლებისას, რადგან ქართულს ყველაზე ხანგრძლივი ურთიერთობები ირანულ ენობრივ ჯგუფთან, უპირველეს ყოვლისა კი, სპარსულთან აკავშირებს. ახალი სპარსულიდან ქართულში ნასესხობების შემოსვლის პროცესი თითქმის 10 საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ პროცესმა მოიცვა მეტყველების ყველა ნაწილი, ნომინაციური თუ კომუნიკაციური ერთეულები, პირველ რიგში, არსებითი სახელები. სპარსულიდან შემოსულ ნასესხობათა ნაწილი ხმარებიდან გამოვიდა, ნაწილი კი დღემდე აქტიურად ფუნქციონირებს ქართულში. პირველი ენიდან სამიზნე ენაში შესულ ნასესხობათა წინარე ცოდნამ ხელი არ შეუშალოს სამიზნე ენის შეთვისებას. პირიქით, ის ხელს უნდა უწყობდეს ახალი ენის დაუფლებას. ამისთვის საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა ნასესხობათა სასწავლო მიზნით შერჩევისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სწავლების საწყის ეტაპს ეხება. ნასესხობათა შესარჩევი კრიტერიუმები გულისხმობს შემდეგ პრინციპებს: 1)ეტიმონისა და ნასესხობის მაქსიმალური ფონეტიკური მსგავსებას; 2)ეტიმონისა და ნასესხობის იგივეობას მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით; 3) ეტიმონისა და ნასესხობის სემანტიკური იგივეობას; 4)ეტიმონისა და ნასესხობის სტილისტური ნეიტრალობას; 5)ეტიმონისა და ნასესხობის გამოყენების მაღალ სიხშირეს. ამგვარ მკაფიო და გაურთულებელ ნასესხობებზე გეზის აღება სწავლებას ამსუბუქებს და სპარსულის სრულიად უცოდინარ სტუდენტს უმცირებს ენობრივი გაუცხოების გრძნობას.

36. ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულები ქართულში როგორც უშუალო, ასევე გაშუალებული გზით შემოდიოდა. საშუალო ირანულ ენობრივ პერიოდში უშუალო სესხების პარალელურად, ქართული საშუალო სპარსიზმებსა და პართიზმებს სომხურის შუამავლობითაც სესხულობდა. ახალი სპარსულის ენობრივ საფეხურზე კი, მე-11 საუკუნიდან არაბულსა და ქართულს შორის უშუალო ენობრივი ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ თავად სპარსული გვევლინებოდა შუამავალ ენად არაბიზმთა სესხებისას. საგულისხმოა, რომ ქართულში შემოსულ ზოგიერთ ახალ სპარსულ ნასესხობათა ანალიზი წარმოაჩენს თურქულის ან აზერბაიჯანულის შუამავლობას. უკანასკნელ ხანებამდე გაუთვალისწინებელი ეს გარემოება მიუთითებს, რომ ახალი სპარსულის საფეხურზე ქართულში ენობრივი ერთეულები გაშუალებული გზითაც შემოდიოდა. ქართულში შემოსულ პართიზმთა, საშუალო და ახალ სპარსიზმთა თუ არაბიზმთა კორპუსში უშუალო და გაშუალებული ნასესხობები ერთმანეთისგან ძირითადად მ. ანდრონიკაშვილის მიერ შემუშავებულ ფონეტიკურ კრიტერიუმთა საფუძველზე იმიჯნება. ამავდროულად ფონეტიკური კრიტერიუმი გამოუსადეგარი ხდება იმ შემთხვევებში, როცა ეტიმონში არაა წარმოდგენილი ის სპეციფიკური ბგერები თუ ბგერათკომპლექსები, რომლებიც სხვადასხვაგვარად ადაპტირდება უშუალო და გაშუალებული სესხებისას. რიგ შემთხვევებში გამოსავლად მორფოსემანტიკურ და მორფოსინტაქსურ კრიტერიუმთა მოხმობა გვევლინება. ეტიმონი, ნასესხობა და შუამავალ ენაში წარმოდგენილი პარალელი რიგ შემთხვევებში განსხვავდება მორფოლოგიური მახასიათებლისა და სემანტიკური მნიშვნელობის მიხედვით. ასე მაგალითად, ქართულში დადასტურებული **იავარ/ავარ** „ნადავლი, ალაფი“, ფონეტიკური ფორმის მიხედვით, შესაძლოა, მომდინარეობდეს როგორც საშუალო სპარსულ ეტიმონ **āvār**–იდან „ძარცვა, ყაჩაღობა“, ასევე სომხური ფორმიდან **ավար**[**avar**] „ნადავლი“, მაგრამ სომხურ პარალელთან მისი სემანტიკური თანხვდენა მიუთითებს ქართულში **იავარ**[**iavar**]/**ავარ**[**avar**]-ის სომხურიდან მომდინარეობაზე. შეცვლილია ასევე ეტიმონის მორფოლოგიური ქვეკლასი, კერძოდ,

საშუალო სპარსული მოქმედების სახელი **āvār** „ძარცვა, ყაჩაღობა“ სომხურსა და ქართულში ჩანაცვლებულია მოქმედების შედეგით. მორფოსინტაქსური კრიტერიუმები ეფექტურად მუშაობს უშუალო და გაშუალებული გზით შემოსულ არაბიზმთა ურთიერთგამიჯვნისას. ხშირად გვიანდელი არაბიზმები არა დამოუკიდებელი ერთეულების, არამედ სპარსულიდან ჰიპერკალკირებულ სინტაგმათა, კერძოდ, შედგენილ ზმნათა სახელადი ნაწილების სახით გვხვდება, რაც ცხადად მიუთითებს ქართულში მათი სპარსული გზით შემოსვლაზე. იხილეთ: სპარსული **خیر دیدن**[**xeir didan**] და ქართული **ხეირ-ის ნახვა**[**xeir**-is naxva]. ქართულში ნასესხებ ზოგიერთ სპარსიზმთა თურქული თუ აზერბაიჯანული გზით შემოსვლას მათი ფონეტიკური ფორმა ან სემანტიკური მნიშვნელობა ადასტურებს. ასე მაგალითად, ფონეტიკური სახე ცხადად მიუთითებს ქართული **თერძ**-ის „მამაკაცის ტანსაცმლის მკერავის“ მომდინარეობაზე თურქულ-აზერბაიჯანული ფორმიდან **terzi** „მკერავი“<სპარსული **درزی**[**darzi**] „მკერავი“. სემანტიკური თანხვდენის საფუძველზე ჩანს მაგალითად, აზერბაიჯანული შუამავლობა ქართული **ნარ**[**nar**]-ის „ხვადი აქლემის“ შემთხვევაში, შდრ. აზერბაიჯანული **nər** „ხვადი აქლემი“ და სპარსული **نر**[**nər**] „მამრი, ხვადი“.

ზემოთ მოტანილი ტიპის მაგალითები ცხადყოფს შუამავალი ენის უშუალო და გაშუალებულ ნასესხობათა გამიჯვნისას კრიტერიუმთა კომბინირებული გამოყენების აუცილებლობას.

37. ახალი სპარსულიდან ქართულში შემოსულ ლექსიკურ ერთეულთა ნაწილი ზმნური ნასესხობებითაა წარმოდგენილი. დასტურდება მარტივ ზმნათა სესხების მხოლოდ ორი მაგალითი გარკვეული სემანტიკური ცვლილებით: **sänj-idän** 1.„აწონ-დაწონვა“, 2.„შედარება“, 3.„აწონვა“, 4.„გაზომვა“>ქართული „გა-**სინჯ**-ვა: **სინჯ**-ავ-ს“ და **nävärd-idän** 1.„გავლა, გადალახვა“, 2.„მოგზაურობა, ხეტიალი“>ქართული „**ნავარდ**-ობ-ა: **ნავარდ**-ობ-ს“. ამ ზმნათა აწმყოს ფუძის ფორმით სესხება ადასტურებს მოსაზრებას, რომ „ზმნების სესხება ხდება ისე, თითქოს ისინი არსებით სახელებს წარმოადგენდნენ და მსესხებელი ენა მათ ნასახელარ ზმნებად გარდაქმნის“(Moravcsik, 1978: 111-112). შედგენილ ზმნებს, რომლებიც სპარსულ ზმნათა უმრავლესობას წარმოადგენენ ქართული ძირითადად ჰიპერკალკირებით სესხულობს, რაც ზმნის სახელადი ნაწილის უთარგმნელად გადმოტანასა და მხოლოდ ზმნური კომპონენტის თარგმნას გულისხმობს. სპარსულიდან ქართულში შემოსული ჰიპერკალკირებული ზმნური ნასესხობები მეტწილად ორკომპონენტიან შედგენილ ზმნათაგან მომდინარეობს, რომელთა ზმნური ელემენტი მარტივი ზმნითაა წარმოდგენილი. იხ. სპარსული **sofre gostärd-än**>ქართული „**სუფრ-ის გა-შლ-ა: სუფრა** გა-შალ-ა“. დასტურდება წინდებულიან ზმნურ ელემენტთა შემცველ ეტიმონთაგან მომდინარე ნასესხობებიც, იხ. სპარსული **sofre bär čid-än** >ქართული „**სუფრ-**ის ა-ლაგ-ებ-ა: **სუფრა** ა-ა-ლაგ-ა“. რიგ ჰიპერკალკთა ეტიმონებად მრავალკომპონენტიანი ზმნები გვევლინება. იხ. სპარსული **(be-) sär-e eštehå åvärd-än** (მოქმ.)>„**ოშტა-**ზე მო-ყვ-ან-ა“**: xåter-e käsi-rå šekäst-än**>ქართული „ვინმესთვის **ხათრ**-ის გა-ტეხ-ა: **ხათრ**-ი გა-უ-ტეხ-ა“. ხშირად ჰიპერკალკის პარალელურად წარმოდგენილია სინონიმური ვარიანტი ნასახელარი ზმნის სახით, იხ. სპარსული **nešån dåd-än**>ქართული ჰიპერკალკი **„ნიშნ-ის მი-ცემ-ა“: ნიშან-**ი მი-ს-ც-ა/ნასახელარი ზმნა „ა-**ნიშნ**-ა“. რიგი სპარსული ორკომპონენტიანი ზმნებისა ქართულში მხოლოდ ნასახელარი ზმნის ფორმით ადაპტირდება. ამგვარ ნასესხობათა ეტიმონები მეტწილად **kärd-an** და **šod-an** ზმნურ კომპონენტებს შეიცავენ, იხ. სპარსული **fekr kärd-an**>ქართული **ფიქრ**-ი: **ფიქრ**-ობ-ს, **jäm' šod-an**(ვნებ.)>ქართული **ფიქრ**-ი: **ფიქრ**-ობ-ს. სესხების ადრინდელ ეტაპზე ზოგჯერ გვხდება ამგვარ ზმნათა ჰიპერკალკირებული ფორმებიც, მაგალითად, შუა საუკუნეების ძეგლებში გვაქვს **zäbun šod-an**>„**ძაბუნ** ი-ქმნ-ა“ და არა ამჟამინდელი „და-**ძაბუნ**-დ-ა“(ვნებ.). დასტურდება ერთი მაგალითი, სადაც მრავალკომპონენტიანი ზმნის ფორმით წარმოდგენილი ფრაზეოლოგიზმი ქართულში ნასახელარ ზმნად გადმოდის: სპარსული **mesl-e bot istådän**>ქართული გა-**ბოტ-**ვა: გა-ი-**ბოტ**-ა. სპარსულიდან ნასესხები ზმნებში ეტიმონის პოლისემიური არე უმეტესად შემცირებულია, რიგ შემთხვევებში იცვლება მნიშვნელობაც.

38. თეზისები.

39. თეზისები

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. დარეჯან გარდავაძე. Arabic Dystopian Novel on the Example of "Death is Hard Work" by Khaled Khalifa /არაბული დისტოპიური რომანი ხალიდ ხალიფას რომანის „სიკვდილი მძიმე შრომაა“ მაგალითზე/. International Conference Arabic Literature. Quo Vadis? 2022 წლის 8-9 სექტემბერი
Faculty of Foreign Languages and Literatures, Arabic Department and Center for Arab Studies, University of Bucharest

2. **დარეჯან გარდავაძე**. The feminine side of the war. The novel “B as in Beirut” by Iman Humaydan Younes /ომის ქალური სახე. იმან ჰუმაიდან იუნისის რომანის „ასო ბ სიტყვებში: ბინა, ბეირუთი...“ მიხედვით/. 14th EURAMAL CONFERENCE ARAB REFUGEE LITERATURE: NEW POETICS AND PERSPECTIVES. 2022 წლის 6-8 ივნისი. Sofia, Bulgaria.

3. **ნინო ეჯიბაძე,** Dialectal Adventure of the King Shahriyar. 8-9 სექტემბერი, ბუქარესტი, ბუქარესტის უნივერსიტეტი, რუმინეთი.

4. **ნინო ეჯიბაძე,** Tell a Joke, Teach Arabic Dialects. 28 ივნ.-2 ივლისი. გრანადა, გრანადის უნივერსიტეტი, ესპანეთი.

5. **Irene Tatishvili,** Quelques réflexions sur la perception du monde chez les Hittites (8.11.2022, Paris, CNRS, Ivry-sur-Seine).

6. **ნანი გელოვანი.** Information on the Georgian Flag of the Middle Ages. 17th Economics & Finance Conference. Book of Abstracts. E-book. p. 14. 5-7 სექტემბერი. სტამბოლი (თურქეთი)

7. **ნანი გელოვანი.** Tbilisi Mosques in Georgian and Foreign Sources. The XIXth Congress of Turkish History. Book of Abstracts, pp. 427-428. 3-7 ოქტომბერი. ანკარა (თურქეთი).

8. **ნ. გელაშვილი,** Georgia-China relations in historical and contemporary context, The Belt and road: international symposium on Chinese modernization and social development experience, December 9, 2022, China – Beijing.

9. **მირიან მახარაძე,** ქართული წყაროების მიხედვით 1535-45 წლებში ქართული სამეფოებისა და ოსმალეთის ურთიერთობები, 2022 წლის 3-7 ოქტომბერი, თურქეთი. ანკარა/თეზისები დაბეჭდილია/.

10. **მარიკა ჯიქია.** Регулируемая интонацией соразмерность поэтического текста и мелодии**.** Центр теории текста и лингвистического обеспечения коммуникации РГГУ(ТТиЛОК) Москва Международная научная конференция «Отношения между разносистемными элементами в поликодовых (мультимодальных) текстах, 23-24 ივნისი, Zoom-ის პლატფორმა.

11. **ელისაბედ ბჟალავა;** ქართული თურქოლოგია და პანდემია; 29-30 ნოემბერი ქ,ბაქოს პედაგოგიური უნივერსიტეტი, ჰასან მირზაევის 95 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, მოხსენება ***“Gürcü Türkolojisi ve Pandemi”*** (ქართული თურქოლოგია და პანდემია-თურქულ ენაზე) დაიბეჭდება კონფერენციის მასალებში.

12. **ქეთევან ლორთქიფანიძე.** ქართულში ფიქსირებული ზოგიერთი თურქული წარმომავლობის სიტყვის შესახებ, ელგინკანის ფონდის მიერ ორგანიზებული რიგით მე-5 თურქული ენისა და ლიტერატურის საერთაშორისო ყურულთაი, სასტუმრო „ფოლათ ბოსფორუსი,2022წ.“11-13 მაისი,სტამბოლი; Gürcücede Saptanan bazı Türkçe kökenli Sözcükler Hakkında, Elginkan Vakfı Uluslararası Türk Dili ve Edebiyatı Kurultayı 5, Renaissance İstanbul Polat Bosphorus Hotel.11-13 Mayıs,2022, İstanbul

13. **ქეთევან ლორთქიფანიძე**. გერმანული ენიდან „ვეფხისტყაოსნის“ ერთი უცნობი თურქული თარგმანის შესახებ, საერთაშორისო სიმპოზიუმი მიძღვნილი ჰეიდარ ალიევის 99 წ. იუბილესადმი, აზერბაიჯანის ენათა უნივერსიტეტი (გერმანისტიკის ინსტიტუტი) , ბაქოს სლავური უნივერსიტეტი, ბაქო, 6-8 მაისი, 2022; About one unknownTurkish translation from German language of the “The Knight in the Panther’s Skin”

14. . **Mzisa Buskivadze,** Türk ve Gürcü Masallarında Kadın Tipleri, Erzincan, , 9-12 Ekim 2022, Türkiye Cumhuriyeti (Online)

15. M.Chachibaia. On the Study of Syriac-Georgian Literary Relations – XIII Symposium Syriacum et au XI Congrès d'études arabes chrétiennes. 4-9 July, 2022. PARIS (France)

16. **M.Chachibaia.** The Church of the East and Alexandrine Christological Tradition on the Incarnation of the Salvation in Christ” – The 2022 WEI Rome International Academic Conference on Humanities. 22-24 November,2022; Rome.

17. **M.Chachibaia.** The Existence of Jews and Christians in the Area in which Islam Came into Being –4th Paris - International Conference on Social Science & Humanities (ICSSH). 25-26 november Paris 2022.

18. **M.Chachibaia.** Ecclesiastic History" and "The Life of Peter the Iberian" (5th c.)11th – ICSSH. 19-20 December 2022. Bangkok

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1. ხალიდ ხალიფას რომანი „სიკვდილი მძიმე შრომაა" არის დისტოპიური რომანი, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ აღწერილი საზოგადოება არ არის არც წარმოსახვითი, მომავლის საზოგადოება და არც სივრცობრივად არის ის მკითხველისგან დაშორებული. ის აქვეა, მთლად ჩვენს გვერდით, ჩვენივე დროში, სადაც ისევე მარტივად, ერთი ფეხის გადაბიჯებით შეიძლება მოხვდეს ადამიანი, როგორც რომანის გმირები ხვდებიან ისლამურ სახელმწიფოში, რომანის ავტორი კი დისტოპიისათვის აუცილებელ გაოცებისა და შიშის ეფექტს სწორედ რეალობის წვრილმანებამდე დეტალური აღწერით, სინამდვილის უტრირებით, ყველაზე შავბნელ ფერებში წარმოდგენით აღწევს. სწორედ დისტოპიური რომანის წინასწარმეტყველურ აღწერებად ჩანს ეს რეალობა, რომელიც სულ ადვილად შეიძლება გავრცელდეს და არა მხოლოდ ერთი პატარა უკონტროლო ტერიტორიის, არამედ საყოველთაო მოვლენად იქცეს არაბულ სამყაროში განვითარებული მოვლენების ფონზე.
   დისტოპიური ლიტერატურის თეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს ლიტერატურა სრულყოფილი მმართველობის მოდელის რეალობაში განუხორციელებლობის შედეგია. ის უტოპიის ანტიპოდია - თუ უტოპია სრულყოფილებას ქადაგებს, დისტოპია გვარწმუნებს, რომ გულუბრყვილო რწმენა და მისწრაფება სრულყოფილებისკენ ხშირად სავალალო შედეგებით სრულდება. ხალიდ ხალიფას რომანიც ერთი ოჯახის ისტორიის ფონზე შესანიშნავად ხატავს, არაბული ერთობისა და განმათავისუფლებელი ბრძოლის ატმოსფერომ და საერთო არაბული მიზნების განხორციელების უტოპიურმა იდეებმა როგორ მოიტანა მძიმე იმედგაცრუება, გულგატეხილობა და ნიჰილიზმის ჭაობი, რაც თაობათა სულიერი კრიზისისა და ტრავმული სინდრომის მიზეზი გახდა. დისტოპიური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი გაოცებისა და შიშის ეფექტი ამ რომანში ორმაგია - მკითხველისთვის გამაოგნებელია ის რეალობა, რომელშიც რომანის გმირები ცხოვრობენ, ის საყოველთაო სიძულვილისა და შიშის ატმოსფერო, განუკითხავი ძალადობა, რაც სიკვდილს სასურველს და სანატრელს ხდის; რომანის გმირებისთვის კი, რომელთათვისაც ეს ატმოსფერო უკვე ჩვეული გამხდარა, გამაოგნებელი და შემაძრწუნებელია ისლამური სახელმწიფოს რეალობა და იქ ნანახი დაუჯერებელი ფაქტები - გვამის დაპატიმრებით დაწყებული, ემირის კარის ცხოვრებითა და შუასაუკუნეობრივი რელიგიური ფანატიზმით დამთავრებული... რომანი უდავოდ იმსახურებს ამ კუთხით კვლევას და არა მხოლოდ დისტოპიური თეორიების ფონზე განხილვას, არამედ შედარებით ტიპოლოგიურ ანალიზსა და პარალელების გავლებას ამ ჟანრის ზოგიერთ ცნობილ ნიმუშთან, ასევე სირიელი ნოველისტის, ზაქარია თამირის შემოქმედებასთან, სადაც ასევე შეიმჩნევა დისტოპიური მოტივები. თანამედროვე არაბული ლიტერატურის ევროპული ასოციაციის (EURAMAL) მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დევნილობის არაბული ლიტერატურა: ახალი პოეტიკა და პერსპექტივები"
2. ფორუმის მასალები აერთიანებს მოხსენებათა ანოტაციებს, სრული სახით შერჩეული მოხსენებები სტატიებად დაიბეჭდება 2023 წელს.
3. 1984 წელს მუჰსინ მაჰდიმ, მანამდე გამოუქვეყნებელ ხელნაწერებზე დაყრდნობით, გამოაქვეყნა „1001 ღამის" ვერსია, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობაში ცნობილია, როგორც დიალექტური.
   ზოგადად, „1001 ღამე" – არაბულ ზღაპართა მსოფლიოში ცნობილი კრებული – ფოლკლორად ითვლება, თუმცა მისი სხვადასხვა ვერსიის ტექსტებმა უკვე შუა საუკუნეებში განიცადა სტანდარტიზაცია. "1001 ღამის" სხვადასხვა ვერსიის ტექსტის ნორმალიზებული ხასიათი აისახება არა მხოლოდ ლინგვისტურ, არამედ, ლიტერატურულ შემადგენელსა და ეთიკურ ცენზურაზეც. მუჰსინ

მაჰდისეული ვერსია კი გამოქვეყნებული იყო რაიმე სახის ეთიკური, ლიტერატურული თუ ლინგვისტური ნორმალიზების გარეშე.

მოხსენების მიზანი იყო, მუჰსინ მაჰდის მიერ გამოცემული ტექსტის ანალიზი მისი ლინგვისტური ბუნების დასადგენად.

საბოლოოდ, ტექსტის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ: ა) ტექსტი არაა დიალექტური, თუმც კი არ სალიტერატურო ენის ნორმებს იცავს; ბ) ესაა ფსევდონორმალიზებული ტექსტი სტანდარტიზების ნიშნებით (სხვა სიტყვებით, იგი ეკუთვნის ე.წ. საშუალო არაბულს); გ) სტანდარტიზების მცდელობა გამოწვეულია დოგმით, რომ გრაფიკულად ფიქსირებული ტექსტი უნდა ყოფილიყო სალიტერატურო (და არა დიალექტური); თუმცა კი ამ, ისევე, როგორც ბევრ სხვა, შემთხვევაშიც, ტექსტის გალიტერატურულების მცდელობა ფსევდოკორეგირებას უფრო წარმოადგენს; დ) რამდენადაც ტექსტი ასახავს დიალექტური (ძირითადად, სირიული) მეტყველების ზოგიერთ თავისებურებას, შეიძლება ჩაითვალოს შუა საუკუნეების ცოცხალი არაბული მეტყველების შესახებ ინფორმაციის დამატებით წყაროდ.

4. ხანდახან ამბობენ, რომ თუკი ადამიანს შეუძლია, მოცემულ ენაზე იხუმროს და გაიგოს ხუმრობა, მან ეს ენა იცის. ამ დებულების საფუძველი ისაა, რომ ხუმრობის გასაგებად მდიდარი ლექსიკონისა და გრამატიკული ბაზის ფლობა არაა საკმარისი, არამედ, აგრეთვე, მნიშვნელოვანია მოცემული სოციუმის არსებობასთან დაკავშირებული კულტურული და პოლიტიკური რეალიების, სოციალური და ოჯახური მოწყობის და მისთ. სპეციფიკისა და სხვა მსგავსი ნიუანსების ზედმიწევნითი ცოდნა. ამავდროულად, ენის ფლობის დონეც უნდა იყოს ისეთი, რომ სიტყვათა თამაშის, კალამბურისა და მისთ.-ის გაგების საშუალებას იძლეოდეს. მოხსენება შეეხება ანეკდოტების ინფორმატიულობის ხარისხისა და მნიშვნელობის საკითხს ენის სწავლების პროცესში. მასში განხილულია წმინდა ლინგვისტური შინაარსის ანეკდოტები, შეგროვებული ავტორის მიერ არაბ ინფორმანტთაგან და სოციალურ ქსელებში. ტექსტები სრულად ან ნაწილობრივ დიალექტურია, და თემატურად ისეა შერჩეული, რომ ისინი, გარდა იმისა, რომ ხუმრობას წარმოადგენენ, ასახავენ არაბული სამყაროს დიგლოსიურ სურათსა და არაბთა დამოკიდებულებას ამ სურათისადმი, ისევე, როგორც განსხვავებებს სალიტერატურო ენასა და დიალექტებს შორის. დამატებით, ყოველივე ეს გადმოცემულია, ხშირად, სიტყვათა თამაშითა და კალამბურით.

5. ირინე ტატიშვილი, ზოგიერთი მოსაზრება ხეთების მსოფლაღქმის შესახებ. მოხსენებაში, ხეთური ტექსტების მონაცემების ანალიზის საფუძველზე, გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად, ხეთებთან ვხვდებით სამყაროს ორი სხვადასხვა კოსმოლოგიური კონცეფციის კვალს: ერთი მხრივ, ეს არის სამყაროს მესოპოტამიური (ან ინდოევროპული) ხედვა, რომელიც სამყაროს მოიაზრებს სამ ვერტიკალურ სკნელად დაყოფილს, მეორე მხრივ კი - ხათური მსოფლაღქმა, რომლის მიხედვითაც სამყაროს ვერტიკალური ზონები ღვთაებებისთვის ადვილად გადალახვადია და მათ შორის მკაფიო საზღვრები არ არის. ამ ორი კოსმოლოგიური კონცეფციის შეხვედრა ხეთებთან გვაძლევს იმ, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობებით აღსავსე სურათს, რასაც ხეთურ კოსმოლოგიას ვუწოდებთ.

ამ ორი კოსმოლოგიური კონცეფციის შეხვედრის და თანაარსებობის შედეგია სწორედ ის, რომ ხეთურ ტექსტებში გავრცელებული გამოთქმა *nepišaš* DINGIR.MEŠ *taknaš* DINGIR.MEŠ „ცის (და) მიწის ღვთაებები“ ორგვარად შეგვიძლია გავიგოთ: 1.როგორც ერთობლიობა ღვთაებათა ორი ჯგუფისა, რომელთაგან ერთი ცას ეკუთვნის, ხოლო მეორე - მიწას; 2. როგორც ერთობლიობა ღვთაებებისა, რომლებიც ეკუთვნიან როგორც ცას, ასევე მიწას. მზის ღვთაება თავისი ორი იპოსტასით - „მზე ცისა“ და „მზე მიწისა“ - ორი სხვადასხვა კოსმოლოგიური მსოფლაღქმის შეხვედრის ყველაზე თვალსაჩინო შედეგს წარმოადგენს.

6. XII საუკუნეში საქართველოს სამეფო დროშა თეთრი ფერის ქსოვილზე დატანილ წითელ ჯვარს წარმოადგენდა. თუმცა გაურკვეველია, თუ რამდენი წითელი ჯვარი იყო ამ დროშაზე გამოსახული, – ერთი, როგორც წმ. გიორგის დროშაზე თუ ხუთი, როგორც ეს გვხვდება ევროპულ პორტოლანებზე XIV საუკუნიდან მოყოლებული. სწორედ ამ საკითხის გასარკვევად განხილულია ცნობა XVI საუკუნის ქართლის დროშის შესახებ. XVI საუკუნის II ნახევარში ქართლის მეფე სვიმონ I ცდილობდა კავშირი დაემყარებინა ევროპის ქვეყნებთან და ანტიოსმალური კოალიცია შეექმნა. 1588 წელს რომში ჩადის სვიმონ მეფის ელჩის ალექსანდრე, რომელმაც საჩუქრები ჩაიტანა პაპისთვის და ესპანეთის მეფისთვის. ქართველი ელჩის

მონათხრობის საფუძველზე აბაგარომ შეადგინა ვრცელი მოხსენება ცნობილი ინკვიზიტორის ჯულიო სანტორიოსათვის, რომელიც რომის კურიის პოლიტიკის წარმმართველი, გავლენიანი კარდინალი და სანტა სევერინას დიოცეზის არქიეპისკოპოსი იყო. ეს მოხსენება დაიბეჭდა ფერნანდესისა და ი. ტაბაღუას მიერ ესპანეთში გამოცემული დოკუმენტების კრებულში. საბუთის იტალიური დედანით და მისი ქართული თარგმანით ირკვევა, რომ სვიმონ I-ის ელჩის აღწერით, ქართლის მეფის წითელი დროშა ოთხ ნაწილად არის გაყოფილი და ოთხივე ნაწილზე ჯვარი არის გამოსახული. დროშის ოთხ ნაწილად გაყოფა კი მხოლოდ ცენტრალური ჯვრით არის შესაძლებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართლის დროშაზე მთლიანობაში ხუთი ჯვარი იყო გამოსახული – ერთი ცენტრალური და ოთხი კუთხეებში.

7. მოხსენებაში განხილულია ქართული და უცხოური წყაროების (ნარატიული, ეპიგრაფიკული, დოკუმენტური, ნუმიზმატიკური..) ინფორმაცია თბილისის მეჩეთების შესახებ X საუკუნიდან მეოცე საუკუნის დასაწყისამდე. ასევე გაანალიზებულია საარქივო მასალები თბილისში შიიტური და სუნიტური მეჩეთების შესახებ (სტატისტიკა მეჩეთების შემოსავლების, მეჩეთის ადმინისტრაციის, სარემონტო სამუშაოების, ვაკფის შესახებ და ა.შ.).

8. საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები ისტორიულ და თანამედროვე კონტექსტში. საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობებზე საუბრისას, უპრიანია მოკლე ისტორიული წიაღსვლის გაკეთება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ გვიანი ანტიკური ხანიდან, როდესაც ამოქმედდა ე. წ. აბრეშუმის დიდი გზა (ძვ. წ. II საუკუნე) - საერთაშორისო საქარავნო სავაჭრო მაგისტრალი, ჩინეთს მრავალმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდა დამყარებული ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიასთან, სპარსეთთნ, ხმელთაშუა ზღვის და შავი ზღვის აუზის, ასევე ამიერკავკასიის ქვეყნებთან. ძირითადი პროდუქციის - აბრეშუმის გარდა, იმხანად ჩინეთიდან გაჰქონდათ სხვადასხვა მეტალი, ძვირფასი ქვები, ხელოსნური ნაწარმი, ფუფუნების საგნები, ჭურჭელი. ხაზგასასმელია, რომ სავაჭრო დანიშნულებასთან ერთად, აბრეშუმის გზას ჰქონდა ტრანსკულტურული ხიდის ფუნქცია შორეულ აღმოსავლეთს, ევროპას, ჩრდილოეთ აფრიკას და აზიის დანარჩენ ნაწილებს შორის. ასე რომ, სწორედ აბრეშუმის გზაზე მოძრავ ვაჭრებს და მოგზაურებს, გარდა საქონლისა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადააჰქონდათ მშობლიური, ასევე უცხო კულტურის ელემენტები. მათი მეშვეობით მიმდინარეობდა კულტურათა დიალოგი, იდეების და სულიერი ფასეულობების, ტრადიციების, სხვადასხვა ტექნოლოგიების გაცნობა-გაზიარება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძველ საქართველოში - კოლხეთში და იბერიაში უკვე იმ პერიოდში გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ ჩინეთზე და ჩინელებზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველ რუკებში და ცნობებში, ძველი „აბრეშუმის დიდი გზის“ ჯაჭვში საქართველოს ტერიტორია არ ფიგურირებდა. ხსენებული გზა ისტორიულად საქართველოდან მნიშვნელოვნად უფრო სამხრეთით გადიოდა და მხოლოდ პერიფერიული შტო თუ შემოდიოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში. კავკასიის მარშრუტმა გარკვეული მნიშვნელობა მოგვიანებით - VI საუკუნეში შეიძინა, როდესაც ძირითადი საქარავნო არტერია გაფართოვდა და მას გვერდითი გზებიც დაემატა. სწორედ იმ დროიდან ფიქსირდება საქართველო აქტიურად აბრეშუმის გზასთან დაკავშირებით. საქმე ის იყო რომ ხსენებულ პერიოდში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის არსებული დაპირისპირების გამო, აბრეშუმის გადაზიდვა ირანის გავლით, ბიზანტიასა და ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვა ქვეყნებში, მეტად სარისკო და სახიფათო გახდა. ამიტომაც აზიელმა ვაჭრებმა (მათ შორის ჩინელებმა), რომლებიც ბიზანტიას ჩინურ აბრეშუმს და ასევე სხვა პროდუქციას აწვდიდნენ, ახალი მარშრუტი შეიმუშავეს. კერძოდ, ეს იყო კასპიის ზღვიდან ჩრდილოეთისკენ მიმავალი გზა, რომელიც გადაკვეთდა კავკასიონის ქედს და ბიზანტიისკენ გაემართებოდა. აქედან გამომდინარე, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, გაცილებით მეტი ინფორმაცია არსებობდა საქართველოში ჩინეთზე, რაც დასტურდება როგორც არქეოლოგიური არტეფაქტებით, ისე ქართული წერილობითი წყაროებით. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს შორის აღსანიშნავია ჩინური აბრეშუმის ქსოვილის ფრაგმენტები, ფაიფური, ბრინჯაოს მონეტა ჩინური წარწერებით და სხვ.

9. თეზისები დაბეჭდილია.

10. ენათმეცნიერებას, პოეტიკასა და მუსიკათმცოდნეობას აქვთ საერთო საგანი _ პოეტური ტექსტი. ეს ტექსტი ენათმეცნიერთათვის ფუნქციობს როგორც გამონათქვამი, ლექსმცოდნეთათვის იგი დაკვირვების ძირითადი ობიექტია, ხოლო ვოკალურ მუსიკაში სიტყვები მელოდიასთან ერთად

აღიქმება და დიდ ზემოქმედებას ახდენს მსმენელზე. ლექსის მელოდიკაში იგულისხმება ფონიკური ელემენტების გარკვეულ კატეგორიათა მონაცვლეობა, კერძოდ კი წარმოთქმულ ლექსში ბგერათა სიმაღლეების მონაცვლეობა. ლექსს აკლია სიმღერის მყარი ტონები და აქვს თავისუფალი მიმდევრობის გლაიდები. ლექსის მარცვლები არ ლაგდება თავისუფლად ამორჩეულ სიმაღლეებზე, როგორც მუსიკალურ კომპოზიციაში, არამედ იმ სიმაღლეებზე, რომელსაც კარნახობს კონტექსტის აზრობრივ-ემოციური მახვილი, ანუ ბუნებრივი ფრაზისეული მახვილი. როდესაც წარმოვთქვამთ მხატვრულ ტექსტს, იგი მელოდიზირდება ისევე, როგორც ყოველგვარი წარმოსათქვამი რამ. მაგრამ რა წარმოშობისაა ის მელოდია, რითაც ჩვენ ტექსტს ვამარაგებთ? არის იგი მთლიანად ჩვენეული თუ ლექსშივეა მოცემული? ძოგჯერ ტონები ისე მისდევენ ერთმანეთს ლექსში, რომ მათი სიმაღლე გაიაზრება მოცემული ტექსტის აზრისა და განწყობი(ლებ)ის მიხედვით; ზოგჯერ კი ტონების სიმაღლე ემორჩილება გარკვეულ გეგმას, ან გამოყენებულია სპეციფიკური მელოდიური სვლები. ეს მოცემულობები გადამოწმებულია რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოების მელოდიკის ანალიზით. ერთ-ერთია ვარლამოვის რომანსი, რომელიც შექმნილია ლერმონტოვის ლექსზე „აფრა“.

11. გეოგრაფია ბედისწერააო, სწორედ ამიტომ ქართველები ყოველთვის ყურადღებას იჩენდნენ იმ ქვეყნების ენისა და კულტურის მიმართ, რომლებთანაც აკავშირებთ სასაზღვრო მეზობლობა და რომლებთანაც ისტორიის მანძილზე ჰქონდათ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა. ქართული თურქოლოგია, რომელიც დაარსდა ივანე ჯავახიშვილის სახლეობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტში ვითარდებოდა და ძლიერდებოდა უნივერსიტეტის პარალელურად. თუკი მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ქართველი თურქოლოგების კვლევის საგანი თურქული ენის დიალექტები, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია, ლიტერატურა და ისტორია იყო დღეს უფრო მეტი ყურადღება ერთმობა თურქულ-ქართული ურთიერთობების, თარგმანმცოდნეობის, სწავლების მეთოდიკის. ეთნოლინგვისტიკისა და თანამედროვე ლიტერატურული მიმდინარეობების კვლევის საკითხებს. ნაშრომში შევეცადეთ განგვეხილა კოვიდ პანდემიის პერიოდში ქართული თურქოლოგიის დარგში განხორციელებული რიგი ცვლილებები და შეგვეფასებინა მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია IDFI ჩატარებულმა კვლევამ „განათლების სექტორის მიმოხილვა COVID-19 პანდემიის პირობებში” და 2021 წელს თურქეთის საელჩოს და სამი უნივერსიტეტის ეგიდით ჩატარებულმა ონლაინ სემინარმა „ქართული თურქოლოგია - გუშინ, დღეს, ხვალ“ რომელშიც მონაწილეობა მიიღი 60-მდე თურქოლოგმა საქართველოს მასშტაბით.

შედეგები მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

უარყოფითი ფაქტორები:

- COVID-19 პანდემიის პერიოდში თურქოლოგიის პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობის მკვეთრი კლება;
- ონლაინ სახელმძღვანელოებისა და მასალების ნაკლებობა;
- პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებში ციფრული უნარ-ჩვევების დაბალი ხარისხი;
- აკადემიურ ერთეულებს შორის ინფორმაციის გაცვლის ნაკლებობა;
- Erasmus, Mevlâna და მსგავსი გაცვლითი პროგრამების შეჩერება/შენელება და სხვა.

დადებით მხარედ შეძლება ჩაითვალოს:

- პანდემიის პერიოდში ონლაინ სიმპოზიუმების, კონფერენციების, სემინარების და მსგავსი ღონისძიებების სიუხვე და ორგანიზების სიმარტივე;
- პროფესორ-მასწავლებლების, ახალგაზრდა მეცნიერების, მკვლევარებისა და სტუდენტების დიდი აქტიურობა ონლაინ სიმოზიუმებში, კონფერენციებში, სემინარებსა და მსგავს ღონისძიებებში;
- თვით განვითერებისათვის მეტი დროისა და საშუალებების არსებობა და სხვა.

12. თეზისები დაიბეჭდა

13. 1999 წელს, თურქეთში ყოფნის დროს,უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოების დელეგაციას ჩვენმა თანამემამულემ, ჰაირი ჰაირიოღლუმ (ვახტანგ მალაყმაძემ) გადასცა „ვეფხისტყაოსნის“დღემდე უცნობი თურქული თარგმანის ხელნაწერი. თარგმანი შესრულებულია მე-20 საუკუნის ოცდაათიან წლებში „ვეფხისტყაოსნის“ ფელიქს პეჩინასეული გერმანული თარგმანიდან. ამ თურქული პროზაული თარგმანის ავტორია ქ. ადანის ვაჟთა ლიცეუმის გერმანული ენის მასწავლებელი ჰალის კოიუთურქი.წიგნად გამოცემული აღნიშნული თარგმანი შემთხვევით აღმოჩენილ იქნა ქ.ბურსის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში, მაგრამ მისი გამოტანა ვერ მოხერხდა ადმინისტრაციის კატეგორიული წინააღმდეგობის გამო. მაშინ, ჩვენმა თანამემამულემ,ამ ბიბლიოთეკის თანამშრომელმა, მეჰმეთ სევალმა (ფუტკარაძემ) მოახერხა ამ წიგნის ხელით გადმოწერა. ამ ფაქტის გამომჟღავნების შემდეგ, ბიბლიოთეკის ადმინისტრაციამ წიგნი საერთოდ გააქრო კარტოთეკიდან, ხოლო მეჰმეთ სევალი კი სამსახურიდან დაითხოვა. გერმანული ენის სპეციალისტის დახმარებით შევადარეთ ერთმანეთს ფელიქს პეჩინასეული და თურქული თარგმანი.გარდათქმის ღირსებებთან ერთად სამწუხაროდ დაფიქსირდა ბევრი უზუსტობა აზრობრივი გადახრა. ხშირად ჰალის კოიუთურქი (გარდამთქმელი) თავის მხრივ აკეთებს ჩართვებს, დამატებებს, ამძაფრებს სიუჟეტს, რათა როგორც ჩანს უფრო დააინტერესოს პოტენციური მკითხველი. არ ერიდება და შემოაქვს ტექსტში ის გეოგრაფიული სახელები, რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ნახსენები არ არის:მაგ., „როსტევანის ქვეყანა არაბეთის ზღვიდან თურქეთამდე იყო გადაჭიმული“.(Memleketi Arap denizinden ta Türkiye’ye kadar uzanır) აშკარაა თურქეთის ხსენებაც გარკვეული რეკლამის როლს ასრულებს, რათა უფრო დააინტერესოს ნაწარმოებით თურქი მკითხველი. რამდენიმე ადგილას ნახსენებია სპარსეთის ყურე (Acem körfezi). თარგმანში საერთოდ არ არის ნახსენები მულღაზანზარი. რაც შეეხება საკუთარ სახელებს, ისინიც ხშირად გამოტოვებულია. მაგ., უსამი,მელიქ-სურხავი .ხშირია ციფრებთან დაკავშირებული უზუსტობანი და სხვ.მთლიანობაში თარგმანი არ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას და უნდა ვივარაუდოთ, რომ ის, როგორც ჩანს პირველი მცდელობაა „ვეფხისტყაოსნის“თურქულად თარგმნისა.
14. ქალი პერსონაჟები თურქულ და ქართულ ზღაპრებში. ზღაპარი ამა თუ იმ ერის ცხოვრებისა და აზროვნების სტილის, მსოფლმხედველობის, სულიერი კულტურის და განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია. ზღაპარში ჩადებული კულტურული კოდები შესაძლოა საერთო იყო სხვადასხვა ერის წარმომადგენლებისათვის. ქართველი და თურქი ხალხის ფოლკლორული ტრადიცია საუკუნეების ითვლის. ფოლკლორის კუთვნილებაა ზღაპარიც. საზოგადოების განვითარება, ისტორიული პროცესები ქალს განსხვავებულ როლსა და ფუქნციას აკისრებს. ჩვენი მიზანია მოხსენების ფარგლებში ქართულსა და თურქულ ზღაპრებში ქალი პერსონაჟებისა და მათზე დაკისრებული როლის გამოვლენა. თურქულში აღნიშნული საკითხის კვლევისას დავეყრდენით პერტევ ნაილი ბორატავის ზღაპრების კრებულს Az gittik uz gittik. ქართულში კი „ქართული ხალხური ზღაპრების“ წიგნით ვისარგებლეთ. ნაშრომში ქალი პერსონაჟები ორ ჯგუფად დავყავით: ა) გონიერი, გონებაგამჭრიახი, ქალის ტიპები ; ბ) შურით შეპრყობილი ქალის ტიპები; ქალი პერსონაჟები, რომლებიც პირველ კატეგორიაში გავაერთიანეთ გამოირჩევიან არა მხოლოდ ჭკუა-გონებით, არამედ ფიზიკური ძალით. ისინი მამაკაც პერსონაჟებს ტოლს არაფერში უდებენ. ზღაპრებში „Altı kız Babası”, “Can –kuşu Çor-kuşu”, “Mehmed Eşkiya”, “İlik Sultan”, “Kadı ve karısı“, „Gülmeyen Padişah“, „Tembel koca“, “Padişah ve köylü kadın” ქალი პერსონაჟები სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენელები არიან, რომლებიც აქტიური ფუნქციის მატარებელები არიან. ქალი პერსონაჟები, რომელბიც მეორე ჯგუში გავაერთიანეთ წარმოდგენილია ან დების სახით, ან დედინაცვალისა და გერის სახით. შურს იწვევს, არამხოლოდ ფიზიკური სილამაზე, არამედ ბედნიერი ქორწინებაც. მიუხედავად იმისა, რომ ქართული და თურქული ზღაპრების სტრუქტურულად ერთმანეთისგან განსხვავდება ქალი პერსონაჟების თვალსაზრისით ერთი ფუნქციის მატარებელია. ქალი პერსონაჟები უმეტეს წილად არიან აქტიური ფუნქციის მატარებელები, ვიდრე პასიური.
15. თეზისები
16. თეზისები
17. თეზისები
18. თეზისები

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომელთა ნაშრომების სია

(2022)

1. **მიხეილ წერეთელი,** ურარტოლოგიური ძიებანი, თბილისი, თსუ გამომცემლობა, ISBN 987-9941=491-71-9; 2022; 251 გვერდი (რედაქტორ-შემდგენელი - ირინე ტატიშვილი).

2. **ნინო სამსონია,** ჯემალ შარაშენიძე (რედაქტორ-შემდგენელები). მ. წერეთლის ბიბლიოგრაფია (*ეშგარ-ბატონი*). ISBN; 987-9941-491-67-2; თბილისი; თსუ გამომცემლობა 2022; 145 გვერდი.

3. **მირიან მახარაძე, ზაზა შაშიკაძე,** იუსუფელი (კაშხალთმსენებლონა, სოფლები და ძეგლები); ISBN 978-9941-33-351-4, თბილისი, უნივერსალი, გვ. 1- 360.

სტატიები/საქართველო

1. **ღამბაშიძე მაია,** HITTITE COURT RECORDS: THE TRIAL OF UKURRA AND HIS SON - SALLI-TARHUNTA, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია VII, 2022, 449-456, http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE

2. **ღამბაშიძე მაია,** ცხენის გახედვნის ტექსტი (ე.წ. ქიქულის ტექსტი), ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია VIII, 2022, http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE

3. **გელაშვილი ნანა,** იაპონიის თვითიზოლაციის დასასრული 1854 წელს და მისი შედეგები, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“, 2022, #5, ბათუმი, ISSN 2587-490X; E-ISSN 2720-8168, გვ. 26-41.

4. **გარდავაძე დარეჯან,** უცხოობის განცდა – უმთავრესი ადამიანური გამოცდილება. ელიას ხურის „ქალაქის კარიბჭეები“. ჟურნალი „აღმოსავლეთმცოდნეობა“#11, 2022. ISSN 2298-0377, 8 გვ.

5. **თუმანიშვილი ხათუნა,** On the Importance of Comparative Study of Bilingual Proverbial Funds (Baced on Syrian Dialect Arabic and Ceorgian Material). Studies on Arabic Dialectology and Sociolinguistics, Proceedings of the AIDA 13th International Conference (volume 1), The International Association of Arabic Dialectology. ISBN 978-9941-495-52-6. Akaki Tsereteli State University. Kutaisi. Georgia. pp. 455-463.

6. **ნანობაშვილი მარიამ,** ქრისტიანულ აღმოსავლეთში ბერძნული ფილოსოფიის გავრცელების ზოგიერთი ასპექტი, „აღმოსავლეთმცოდნეობა“, № 11, ISSN 2298–0377, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 159–178.

7. **ეჯიბაძე, ნინო,** THE ISSUE OF THE FINAL MĪM IN THE EGYPTIAN ARABIC DIALECT; STUDIES ON ARABIC DIALECTOLOGY AND SOCIOLINGUISTICS, არაბისტ დიალექტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის კონფერენციის მასალები, N13, ISBN 978-9941-495-52-6, ქუთაისი, აკწუ, გვ. 121-125.

8. **ეჯიბაძე ნინო,** გარეგანი ფლექსიის შესახებ არაბულში. აღმოსავლეთმცოდნეობა, N11, ISSN 2298-0377, თბილისი, თსუ. გვ. 61-79.

9. **ანდრონიკაშვილი მაია,** ვოკალიზმის შესახებ არაბული ენის ძირში. აღმოსავლეთმცოდნეობა, N11, ISSN 2298-0377, თბილისი, თსუ. გვ. 23-40.

10. **ჩიტუნაშვილი დალი,** სტეფანე მტბევარის უცნობი ჰომილეტიკური თხზულება; მრავალთავი, 27,ISSN-0234-7385; თბილისი, „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“; გვ.284-290.

8. **სამსონია ნინო,** შუხურმაშუს (თევზი-თხის) მოდელი შუამდინარულ ტექსტებსა და იკონოგრაფიაში, აღმოსავლეთმცოდნეობა, 2022, IშშN გვ. 147-158.

9. **სამსონია ნინო,** *ენგური* და *ლახამა* შუამდინარულ იკონოგრაფიაში, შოთა ჩართოლანის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები V”, მესტიის მუზეუმი, 2022, (გადაცემულია დასაბეჭდად).

10. **გელოვანი ნანი,** ამიერკავკასიის მუფთი ჰუსეინ ეფენდი გაიბოვი.აღმოსავლეთმცოდნეობა, N11, ISSN 2298-0377, თბილისი, თსუ. გვ. 83-98.

11. **გელაშვილი ნანა,** სპარსულ წერილობით წყაროთა ცნობები როსტომ მეფის ქორწინების შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ისტორიის სერია), #1, 2022, ISSN-0132-6058 (print); ISSN 2720-8214 (online), გვ.8-22

12. **გელაშვილი ნანა,** ებრაელთა ჩინეთში დასახლების ისტორიიდან, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXXVI, თბ.-თსუ გამომცემლობა, ISSN 1512-0694, გვ. 63-78.

13. **გელაშვილი ნანა,** სეფიანთა პირველი კონტაქტები საქართველოსთან, საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნ. მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, თბ.-კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2022, ISBN 978-9941-8-3292-5, გვ.231-237.

14. **მახარაძე მირიან, ზაზა შაშიკაძე,** ალექსანდრე კახთა მეფე და ქართველთა პილიგრიმობის საკითხი იერუსალიმში, „აღმოსავლეთმცოდნეობა“, XI, ISSN 2298-0377; თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2022. გვ. 133-146.

15. **ჯიქია მარიკა,** თურქული წარმომავლობის *იალღუზი* ქართულსა და ოსურ ისტორიულ ანთროპონიმიაში. VII საერთაშორისო კონფერენცია – ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები, კონფერენცია ეძღვნება იოანე იალღუზიძეს. მასალები. ISBN 978-9941-33-109-1; თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ.394-398.

16. **ბჟალავა ელისაბედ/ნინო ოქროსცვარიძე,** *კონცეპტი „სამშობლო“ ისტორიულ–კულტურული მარკერი თურქეთელ ქართველებში,* „ფილოლოგიური კვლევები“ / „Philological Researches” (impact-factor: 0.591; indexed in ISI database, Online ISSN: 2667-9612) ნომერი V (2022)

17. **შურღაია, თეა.** იუსტინე აბულაძის რამდენიმე ბიოგრაფიული ფაქტის ახლებური ინტერპეტაციისთვის, „აღმოსავლეთმცოდნეობა“, N 11, ISSN 2298-0377, Tbilisi, TSU, 9 გვერდი (212-220).

18. **ბურჯანაძე მზია,** *ირანი შექუფე აზარის რომანში „ალუჩის ხის ემანაცია“,* კრ. „აღმოსავლეთმცოდნეობა“, 11 (გვ. 41-52), 2022 (256 გვ.), თსუ გამომცემლობა. ISSN 2298-0377

19. **ალექსიძე მარინა, გ. ბერაძე, თ. მოსიაშვილი,** ქართველები სეფიანთა ირანში: უნდილაძეების საგვარეულოს წარმომადგენლებთან დაკავშირებული XVII საუკუნის რამდენიმე სპარსული და არაბული წარწერის შესახებ, *ახალი მასალები საქართველოს შესახებ ირანის არქივებში და ბიბლიოთეკებში* (რედ. ნ. ნახუცრიშვილი და გ. სანიკიძე), ილიაუნის გამომცემლობა, ISBN 978-9941-18-409-3, 2022, 50-101.

20. **ალექსიძე მარინა,** ირანელების საქველმოქმედო საქმიანობა თბილისში (XIX-XX საუკუნეების მიჯნა), *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო,* #14, ილიაუნის გამომცემლობა, ISBN 978-9941-18-192-4, (იბეჭდება).

სტატიები/უცხოეთი

1. **ეჯიბაძე ნინო,** Specificity of Teaching Arabic as a Foreign Language: University Education. Specificity of Teaching Arabic as a Foreign Language: University Education. Proceedings of the International Conference „Approaches and Challenges in Arabic Language Pedagogy", კაირო, ეგვიპტე, კაიროს ამერიკული უნივერსიტეტი (იბეჭდება).

2. **ჩიტუნაშვილი დალი. ზაზა ალექსიძე.** MOUNT SINAI, in book: MEDIEVAL GEORGIAN LITERARY CULTURE AND BOOK PRODUCTION IN THE CHRISTIAN MIDDLE EAST AND BYZANTIUM, ISSN 1439-4634, ISBN 978-3-402-11071-3; Ashendorff Verlag; pp.107-164

3. **ჩიტუნაშვილი დალი,** A FRAGMENT OF AN UNKNOWN ARMENIAN HOMILETIC COLLECTION FROM THE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPT, DOI: 10.52837/27382702-2022.2-56, Բանբեր Արևելագիտության ինստիտուտի=Bulletin Of The Institute Of Oriental Studies (BIOS), 2, 2022, ISSN 2738-2710 ; e- 2738-2702

4. **ტატიშვილი ირინე,** Levan Gordeziani. Hittite funeral traditions and afterlife beliefs in the context of Hittite cosmology. *Ancient Near Eastern Weltanschauugen in Contact and in Contrast: Rethinking the Terms Ideology and Propaganda in the Ancient Near East*, ISBN 978-3-96327-186-1 (book) ISBN 978-3-96327-187-8 (e-book), ISSN 2698-7007, Münster: Zaphon (Series wEdge: https://www.zaphon.de/wEdge/de), 309-322.

5. **ლორთქიფანიძე ქეთევან,** ქართულ ენაში ფიქსირებული ზოგიერთი თურქული წარმომავლობის სიტყვის შესახებ.რიგით მე-5 თურქული ენისა და ლიტერატურის საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის (ყურულთაის) მოხსენებათა კრებული (11-13მაისი,2022) ელგინკანის ფონდის ხელშეწყობით.წარსულიდან დღემდე სასაუბრო თურქული.გამოცემა მოამზადეს:შუქრუ ჰალუქ აკალინმა და ემინე გურსოი ნასკალიმ. გამოცემის თარიღი: 31.08.2022, გამომცემლობა „ნეიზ",ანკარა, გვ.571-577. ISBN 978-605-71538-1-4.

6. **ბუსკივაძე მზისა,** Yunus Emre'nin Risaletün Nushiyye adlı mesnevisinde Öfke Destanı, Metin Ekici Armağanı, Ege Üniversitesi Yayınları, E- ISBN: 978-605-338-383-3, II.cilt, ss487-493, Aralık 2022.

დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–
სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი - პროფ. მანანა გელაშვილი
წავლული მდივანი: ასოც. პროფ. მარინე კობეშავიძე

ინგლისური ფილოლოგიის კათედრა:
მანანა რუსიეშვილი – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
მანანა გელაშვილი - პროფესორი
რუსუდან დოლიძე – ასოცირებული პროფესორი
ნათელა ნემსაძე – ასოცირებული პროფესორი
ნინო დარასელია – ასოცირებული პროფესორი
ირინე გველესიანი – ასოცირებული პროფესორი
დავით მაზიაშვილი – ასოცირებული პროფესორი
ირინე დემეტრაძე – ასისტენტ პროფესორი
სოფიო თოთიბაძე – ასისტენტ პროფესორი
თამარ გელაშვილი - ასისტენტ პროფესორი

გერმანული ფილოლოგიის კათედრა
ლალი ქეცბა-ხუნდაძე – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
ალექსანდრე კარტოზია – პროფესორი
მარინა ანდრაზაშვილი – ასოცირებული პროფესორი
ნუნუ კაპანაძე – ასოცირებული პროფესორი
ნინო ქიმერიძე – ასოცირებული პროფესორი

სოფიო მუჯირი – ასოცირებული პროფესორი
კონსტანტინე ბრეგაძე – ასოცირებული პროფესორი
თამარ ჭუმბურიძე – ასისტენტ პროფესორი

რომანული ფილოლოგიის კათედრა
ბელა ხაბეიშვილი – ასოცირებული პროფესორი
ნანა გუნცაძე – ასოცირებული პროფესორი
მარინე კობეშავიძე – ასოცირებული პროფესორი
მაია ჯავახიძე – ასოცირებული პროფესორი
სალომე კენჭოშვილი – ასისტენტ პროფესორი
ნინო ჭრიკიშვილი – ასისტენტ პროფესორი
ნინო ქავთარაძე – ასისტენტ პროფესორი

თარგმანმცოდნეობის კათედრა
ინესა მერაბიშვილი – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
ლელა ებრალიძე – ასისტენტ პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო გრანტი** საფრანგეთის Côte d'Azur უნივერსიტეტის ინტერდისციპლინარული კვლევის ლაბორატორია CTEL, განათლების მეცნიერებები მიმართულებით განსახორციელებელი კვლევისთვის თემაზე : „ ფრანგული ენისა და ცივილიზაციის სწავლა-სწავლების კრიზისი საქართველოში: ისტორიული, დიდაქტიკური და პოლიტოლოგიური ანალიზი“.
   - პროექტის განხორციელების მე-2 ფაზა (2021-2022)
   - პროექტის დაწყების წელო 2018
   - პროექტის დასრულების წელი 2024
   - პროექტი მიმდინარეობს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსების ფორმატში, ეტაპობრივი საკონკურსო დაფინანსების საფუძველზე,სადოქტორო კვლევის პარალელურად
   - მიმდინარე საგრანტო დაფინანსება: დადებითი 2021-2022; 2022-2023 წლის დაფინანსება სამეცნიერო პროექტის შეფასების საფუძველზე.

2. **საზოგადოებრივ, ჰუმანიტარულ, ხელოვნებისა და ლიტერატურულ მეცნიერებათა (SHAL) სკოლა,** განათლების მეცნიერებები მიმართულება, ინტერდისციპლინარული ლაბორატორია CTEL (CENTRE TRANSDISCIPLINAIRE D'ÉPISTÉMOLOGIE DE LA LITTÉRATURE ET DES ARTS VIVANTS (CTEL), საფრანგეთის უნივერსიტეტი Côte d'Azur

პროექტის განხორციელების მე-2 ფაზა (2021-2022) განათლების მეცნიერებები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ინდივიდუალური გრანტი - ბელა ხაბეიშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. წარმოდგენილი კვლევა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეთთან თანამშრომლობის პროექტის საფუძველზე და მოიცავს შემდეგ კონკრეტული პუნქტუალური აღწერით (გეგმა მოდიფიცირებადია და დამოკიდებულია სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობაზე)

პროექტი ეხება ევროინტეგრაციის პროცესში ენის, ლიტერატირისა და კულტურის მნიშმვნელობას ევროპული ღირებულებების შექმნისა და გაზიარების მიმართულებით და უკავშირდება ჩემს პედაგოგიურ და სამეცნიერო აქტივობას, რაც, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სწავლების და კვლევის პარალელურად, უახლესი პროექტების ინიცირებასაც გულისხმობს.

ჩვენი ქვეყნის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში უცხოური ენისა და ლიტერატურის სწავლების აპრობირებული პრაქტიკა, ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ან ძველი სისტემის გადმონაშთია, ან ახალი პრაქტიკული მოდელის ბრმა კალკია, რაც დიდაქტიკური მიდგომის შიგნით სრულიად გამორიცხავს ლინგვო-კულტუროლოგიურ საფუძველს და ენის სწავლებას მხოლოდ საკონტაქტო დონეზე განიხილავს. აღნიშნული გარემოება ევროპაში მოქალაქეთა სრულფასოვანი ინტეგრაციის მიმართულებით დაბრკოლებად წარმოჩინდება. კვლევის მიზანი ლინგვო-პოლიტოლოგიური მიდგომის საფუძველზე ენის სწავლების გზით ღირებულებათა გაზიარების ახალი მეთოდოლოგიის შექმნა და ქართულ რეალობაში დანერგვაა, რაც ხარისხიანი ლინგვისტური განათლების მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობასაც შექმნის. შედეგად, სწავლების ინფორმაციული მოდელი მიუახლოვდება ლინგვისტური განათლების ევროპულ მოდელს, რაც ხელს შეუწყობს ენათა სწავლების სფეროში მეთოდოლოგიური მიდგომების ჰარმონიზაციას და ევროინტეგრაციის პროცესში არსებულ დაბრკოლებათა გადაჭრას.

პროექტის განხორციელების მე-2 ეტაპის შედეგები შეფასდა, როგორც ძალიან კარგი (Très favorable) და შესაძლოა გაიწეროს შემდეგნაირად:

საპროექტო კვლევითი სამუშაო დაეთმო თეორიული და ბიბლიოგრაფიული ნაწილის დამუშავებას კონტექსტუალური მორგების თვალსაზრისით. ნაშრომის ამ ნაწილმა „ფრანგული ენის სწავლება საქართველოში- სინქრონული და დიაქრონული ანალიზი“, შეადგინა 70 გვერდი. სამუშაო აგრეთვე შეეხო კვლევის ესპერიმენტული ნაწილის მოზადებასა და განხორციელებას, რაც მდგომარეობდა სამიზნე ჯგუფების შესახებ მონაცემთა შეგროვებასა და შემუშავებული მეთოდოლოგიური მასალის საფუძველზე კვლევის წარმოებაში. აღნიშნულმა ექსპერიმენტულმა ფაზამ მოიცვა ქართული საგანმანათლებლო სექტორის აქტორები: მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაციული ხელმძღვანელები, ისევე როგორც საფრანგეთში მყოფი ქართველი მიგრანტები მათი ლინგვისტური ინტეგრაციის შეფასების მიზნით.

გაწეულმა სამუშაოებმა შესაძლებლობა მოგვცა:

1) მოგვეხდინა სათაურის რეფორმულირება: „ ფრანგული ენისა და ცივილიზაციის სწავლების კრიზისი საქართველოში: ისტორიული, დიდაქტიკური და პოლიტოლოგიური ანალიზი“.
2) გადაგვეხედა ბიბლიოგრაფიულ მინიშნებათა სტანდარტებისთვის ტექსტში და ბიბლიოგრაფიულ დანართში, საკვლევ საკითხთან მიმართებაში განსაკუთრებული შეზღუდვების გათვალისწინებით.

3) შევაჯერეთ ტექსტში არსებული ციტირებისა და რეფორმულირებული მოსასრებების წარმოდგენის წესები, აგრეთვე დისკურსის წესები. გადაწყდა, რომ ნაშრომის განვითარება განხორციელდებოდა მთავარი ჰიპოთეზის და მასთან დაკავშირებული დისკუსიის ირგვლივ, რის გამოც მოხდა საკითხის კონკრეტიზაცია უშუალოდ საქართველოში ფრანგული ენის სწავლების საკითხთან მიმართებაში, რამაც გამორიცხა წმიდად ისტორიული დისკურსი და თეორიული და ექსპერიმენტული კუთხით მკვლევარის სუბიექტური მისაზრებები.

4) შეგვედგინა **სამუშაოთა გენერალური გეგმა:**

ნაწილი I : **კვლევის კონტექსტი**

თავი **I :** საფრანგეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ისტორია

თავი II : საქართველოში ფრანგული ენისსწავლების ისტორია

თავი III :საქართველოში ფრანგული ენის სწავლების თანამედროვე სისტემა

ნაწილი II : თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩო

თავი I : ერთიანი ევროპული ჩარჩო და ფრანგული, როგორც უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგია

თავი II : ლინგვისტური პოლიტოლოგია

თავი III : კვლევის ორდონიანი პრობლემატიკა: გარე (ფრანკოფონული დასაქმების ბაზარი) და შიდა (ფრანგული ენის სწავლება საქართველოში)

ნაწილი III: ექსპერიმენტული ძიებები, შედეგები და პრაქტიკაში რეალიზაცია

თავი **I :** ექსპერიმენტული ჩარჩოს პრესენტაცია

თავი II : შედეგების ანალიზი

თავი III :კვლევის შედეგები და პერსპექტივები

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. უნივერსალური და ვარიანტული კონცეპტუალური მეტაფორები: ქართული და ინგლისური ენების კონტექსტი (შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, ფუნდამენტური, FR-23, ჰუმანიტარული მეცნიერებები, ენა და ლიტერატურა, ლინგვისტიკა) 2022-2025

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფ. მანანა რუსიეშვილი (ხელმძღვანელი, მკვლევარი)
2. ასოც. პროფ. რუსუდან დოლიძე (კოორდინატორი, მკვლევარი)
3. ფილოლოგიის დოქტორი მარიამ ქებურია (მკვლევარი)
4. ასისტენტ-პროფესორი სოფიო თოთიბაძე (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ზოგადი მიზანია (1) დადებითი და უარყოფითი ემოციების მეტაფორული კონცეპტუალიზაციის მოდელების შესწავლა ქართულ ენასა და კულტურაში; (2) დადებითი და უარყოფითი ემოციების მეტაფორული კონცეპტუალიზაციის მოდელების შესწავლა ინგლისურ ენასა და კულტურაში ; (3) ქართულსა და ინგლისურში გამოვლენილი ემოციების გამომხატველი მეტაფორული მოდელების შედარება და შეპირისპირება, ამ ორი კულტურისთვის დამახასიათებელი უნივერსალური და ვარიანტული მოდელების გამოვლენა.

ქართული და ინგლისური ემპირიული მასალა ამოიკრიფება ქართული და ინგლისური კორპუსული მონაცემთა ბაზებიდან (Georgian Web 2013 (kaWaC); GnC; Corpora.iliauni.edu.ge; www.idioms.tsu) and English languages (VU Amsterdam Metaphor Corpus; British National Corpus) და ინტერნეტ დისკურსის მასალებიდან. დადებითი (სიყვარული, ბედნიერება, სიხარული, კმაყოფილება, გართობა) და უარყოფითი (ზიზღი, სევდა, შიში, ბრაზი, მარტოობა) ემოციების მეტაფორული კონცეპტუალიზაციის მოდელები გაანალიზდება მეტაფორის შემდეგ პარამეტრებზე დაყრდნობით: (1) მეტაფორის საწყისი სფეროს რაგვაროობა, (2) მეტაფორის სასრული სფეროს რაგვაროობა; (3) მეტაფორის სფეროებს შორის შედარების საფუძვლის რაგვაროობა; (4) მეტაფორის სფეროებს შორის ურთიერთობის ტიპი; (5) მეტაფორის სფეროებს შორის ასოციაციური ბმების ტიპი; (7) ბლენდინგი; (8) მეტაფორის ენობრივი, ვერბალური გამოვლინებები; (8) მეტაფორის არაენობრივი, არავერბალური გამოვლინებები; (9) მეტაფორის კულტურული მოდელები.

პროექტი განხორციელდება სამ პერიოდად და მისი განხორციელების გეგმა მოიცავს შემდეგ ეტაპებს. კვლევის პირველ პერიოდში, პროექტის გუნდი გაეცნობა ლიტერატურას, მოიძიებს ემპირიულ მასალას ენობრივი კორპუსებიდან და ინტერნეტ დისკურსის მონაცემებიდან. ამ პერიოდის შედეგებს გავუზიარებთ ადგილობრივ კონფერენციას. ამჟამად, მიმდინარეობს პროექტის პირველი ეტაპი, რომელზეც მოიძებნა რელევანტური თეორიული მასალა, გაანალიზდა და იწერება მონოგრაფიის პირველი თავი. ასევე, იძებნება დადებითი და უარყოფითი ემოციების გამომხატველი კონცეპტუალური მეტაფორები მითითებულ წყაროებში. პროექტის პირველი ეტაპი მთავრდება 2023 წლის მარტში.

2. სიძულვილის ენა და გენდერული სტერეოტიპები ქართული ციფრული მედიაენის დისკურსში

(YS-21-339, ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი 2022. 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.2. ენები და ლიტერატურა, 6.2.6 ლინგვისტიკა; 5. სოციალური მეცნიერებანი, 5.2. სოციოლოგია, 5.4.3. ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, სოციალური თემები). 2022- 2024

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1 ასისტენტ-პროფესორი სოფიო თოთიბაძე (ხელმძღვანელი, მკვლევარი)

2. ასოცირებული პროფესორი რუსუდან დოლიძე (მენტორი)

3. სონია მარია მელქიორე (კონსულტანტი)

ანოტაცია

ნაშრომის პირველი თავი განიხილავს ფემინიზმის, გენდერისა და სიძულვილის ენის არსს. წარმოდგენილია გენდერულ სტერეოტიპებსა და სიძულვილის ენის თემაზე შექმნილი უახლოესი, როგორც წმინდა ლინგვისტური და სოციოლინგვისტური კვლევები, ასევე სოციალური და იურიდიული მიდგომები სიძულვილის ენისა და სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით. წიგნის პირველი ნაწილი, ასევე, თეორიულად მიმოიხილავს სოციალური მედიის როლს სიძულვილისა და გენდერულად მარკირებული დისკურსის გავრცელებაში. გარდა ამისა, ნაშრომის ამ თავში წარმოდგენილ თეორიულ მასალას ეფუძნება მის მეორე თავში წარმოდგენილი კვლევა.

პირველი თავი კრიტიკულად აანალიზებს და აპირისპირებს სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებებსა და მიდგომებს და საბოლოოდ, შეჯერებულად გვთავაზობს სიძულვილის ენის განმარტებას და თუ რა ხერხებით შეიძლება ვებრძოლოთ მას. აქვე განმარტებულია ისეთ ტერმინები, როგორიცაა მიზოგინია, სექსიზმი როგორც სიძულვილის ენის მუდმივად თანმდევი იდეოლოგიის გამომხატველი ერთეულები. გარდა ამისა, განვიხილავთ, თუ სად გადის ხაზი სიტყვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენას შორის და არსებობს თუ არა რაიმე ბერკეტი სიძულვილის ენის თავიდან ასარიდებლად.

მეორე თავში წარმოდგენილია CDA-ს თეორიული მიმოხილვა და მისი მნიშვნელობა. ასევე, მონოგრაფიის ფარგლებში არსებული კვლევითი კომპონენტის მიზნები და მეთოდოლოგია. კერძოდ, კითხვარის დაგეგმვა და სიძულვილის ენის შემცველი კომენტარების შეგროვების სპეციფიკა და მეთოდოლოგია.

3. ქართული კულტურის ინტეგრაცია ევროპულ კულტურულ სივრცეში: ფრანგული პოეზია და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველი პოეტები.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. დაწყება/დამთავრება: 2022 წლის იანვარი - 2024 წლის დეკემბერი

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ნანა გუნცაძე პროექტის ხელმძღვანელი

ია მანიჟაშვილი კოორდინატორი

ნინო ქავთარაძე მკვლევარი

ბელა ხაბეიშვილი მკვლევარი

ბელა წიფურია მკვლევარი

ილია გასვიანი მკვლევარი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტში განხილული იქნება ტრადიციული ლექსის კრიზისთან დაკავშირებული ძირითადი თემები და ჟანრობრივი სიახლეები, როგორც სიმბოლისტური ესთეტიკის ჩამოყალიბების საფუძველი; ჩვენ შევისწავლით ასევე ფრანგული სიმბოლისტური დისკურსის სულიერ და ლიტერატურული რეგისტრებს და გამოვავლენთ მათ კვალს ქართულ მოდერნისტულ პოეზიაში; შესწავლილი იქნება პარიზსა და თბილისში

ახალი ლიტერატურული სივრცის შექმნის მიზეზები და, ზოგადად, ამ პერიოდის პარიზისა და თბილისის ინტელექტუალური კლიმატი. საქართველოში პირველი მოდერნისტული დაჯგუფების, „ცისფერი ყანწების“ შექმნა 1915-1916 წლებში უშუალოდაა დაკავშირებული ფრანგულ სიმბოლიზმთან. ჯგუფი აკეთებს მიზანმიმართულ არჩევანს და ქართული ლიტერატურის მოდერნიზაციის ახალ ეტაპს იწყებს ევროპული მოდერნიზმის საფუძვლებთან მიბრუნებით. როგორც ტიციან ტაბიძე აღნიშნავს 1916 წელს წერილში „ცისფერი ყანწებით“, მას გაცნობიერებული აქვს, რომ სიმბოლიზმი ევროპაში უკვე იქცა „მებრძოლი სკოლიდან” აკადემიურ სკოლად, თუმცა დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ქართულ სინამდვილეში სწორედ ამ მიმდინარეობის ფარგლებში დაწყებულ ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივ პროცესებში ჩართვაა საჭირო იმისათვის, რომ მოხდეს თანადროულ ევროპულ კონტექსტთან სინქრონიზაცია. ამავე დროს, როგორც ამას ტიციან ტაბიძის ეს საპროგრამო წერილი და პაოლო იაშვილის მანიფესტი „პირველთქმა“ (1916) გვიჩვენებს, ჯგუფი მკვეთრ მიჯნას ავლებს ფრანგულ სიმბოლიზმსა და მის რუსულ მოდიფიკაციას შორის და საკუთარი პოეტურ-ესთეტიკური მიზნების რეალიზაციას სწორედ ფრანგული სიმბოლიზმის, საკუთრივ კი ბოდლერის, ვერლენის, მალარმეს, რემბოს, ლაფორგის პოეტურ გამოცდილებას უკავშირებს. პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნება - ერთი მხრივ „ცისფერი ყანწების“, მეორე მხრივ კი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების კავშირი ფრანგულ სიმბოლიზმთან. გალაქტიონის პოეზიის კავშირს ქართველი მკვლევარები ხედავდნენ გალაკტიონის 1919 წელს გამოცემულ პოეტურ კრებულში „არტისტული ყვავილები“. თუმცა გ. ტაბიძის ზემოაღნიშნულ კრებულში ეს მკვლევრები ძირითადად რუსული სიმბოლიზმის კვალს უფრო ხედავდნენ. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას (ჩვენ შორის არიან ფრანგული სიმბოლიზმის მკვლევრებიც, კერძოდ, ნ. გუნცაძე, ი. გასვიანი და სხვ.), მიზნად დავისახეთ, კომპარატისტული კვლევის საფუძველზე გამოვავლინოთ ის გავლენები , რომელმაც ბიძგი მისცა გალაკტიონს, შეექმნა ეს პოეტური შედევრები, და დავადგინოთ, არის თუ არა „არტისტული ყვავილები“ ფრანგული სიმბოლიზმის გავლენით შექმნილი პოეტური კრებული და თუ ეს ასეა, რაში გამოვლინდა ეს გავლენები.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 1. **ქართული ენის ტექსტის მეტყველების ნაწილებად თეგირებადა სალექსიკონო ერთეულებად ლემირება**

ენათმეცნიერება და ლიტერატურა
სამეცნიერო ქვემიმართულება: ენათმეცნიერება
FR-18-15744 2019-21. პროექტს გაუგრძელდა ვადა და დასრულდა: 14.07.22

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ოლეგ კაპანაძე - პროექტის ხელმძღვანელი
ნინო ქიმერიძე - პროექტის კოორდინატორი
ნუნუ კაპანაძე - ძირითადი პერსონალი
ნათია ფუტკარაძე - ძირითადი პერსონალი
ქეთევან შეყილაძე - ძირითადი პერსონალი

2. 1.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში ქართული ენის თეგირებისა და ლემირებისათვის სამუშაო გეგმა 7 მოდულის შექმნით განისაზღვრა. პირველი რიგის სამუშაო მეტყველების ნაწილთა ქვეგრამატიკებისათვის მორფოტაქტიკური წესების გამოყენებით შესაბამისი ალგორითმების შემუშავებასა და მათზე დაყრდნობით პროგრამული კოდის შექმნას დაეთმო. მოდულების სახელწოდება მეტყველების ნაწილების მიხედვით იქნა შერჩეული.

პროექტის პირველი წლის განმავლობაში მოხდა ქართული ენის ლექსიკური ბაზის, რათა შემუშავებულიყო არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელებისა და სხვა მეტყველების ნაწილების (ზმნიზედები და ფორმაუცვლელი სიტყვები: - ნაწილაკები, შორისდებულები, კავშირები (minors), სახელდებითი ერთეულები (Named Entity)) თეგირებისა და ლემირების ქვემოდულები. შესაბამისად, დამუშავდა 44 ტექსტური ერთეული, მათ შორის 32 დარგობრივი (25 იურიდიული და 2 ფსიქოლოგიური, 1 თეოლოგიური, 1 ლიტერატურათმცოდნეობითი, 2 კულტურის კვლევების, 1განათლების მეცნიერებების) და 6 მხატვრული ლიტერატურის ნიმუში, რომლის საფუძველზე აიგო თეგირებისა და ლემირების 6 პროგრამული ქვემოდული.

პირველ ეტაპზე განხორციელებული სამუშაოების შედეგად მივიღეთ შემდეგი სტატისტიკური მოცულობის მასალა (ლემების/სალექსიკონო ერთეულების (N+AD+ADVERBS+MINORS+NAMEDENTITY) ჯამური: 42 261 ერთეული) 6 ქვემოდულისათვის: **არსებითი სახელი**: 24 186 ერთეული; **ზედსართავი სახელი**: 14 559 ერთეული; **ზმნიზედა**: 1318 ერთეული; **ფორმაუცვლელი სიტყვები**: 450 ერთეული და სახელდებითი ერთეულები: 1748.

პირველი წლის ბოლოს მუშა მდგომარეობაში იყო ექვსივე ქვემოდული, რომლებსაც შეუძლიათ ქართული ენის მეტყველების ნაწილების სალექსიკონო ლემის სახით გამოცემა და მათი შესაბამისი სინტაქსური თეგებით დაჭდევება.

პროექტის **მეორე წლის** განმავლობაში ძირითადი ძალიხმევა დაეთმო ქართული ენის ზმნების სიმრავლისათვის თეგირებისა და ლემირების ქვემოდულების აგებას. საწყის ეტაპზე ზმნის ძირების სიმრავლის კლასტერიზაცია დიათეზათა სქემის (დ. მელიქიშვილი. „ქართული ზმნის უღლების სისტემა“. თბილისი, ლოგოს პრესი, 2001) მიხედვით მოხდა, რომელიც აუცილებელი იყო ზმნის ლინგვისტური (ლექსიკოგრაფიული) მოდულის ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თვით დიათეზათა კონცეფციის ლემირების პროცესში მახასიათებელ ნიშან-თვისებათა შორის გათვალისწინება პროექტის გეგმით დასახული არ იყო, ხსენებული ნაშრომი წარმოადგენს ქართული ენის ზმნის ყველაზე უფრო სრულ აღწერას ამ სახის ცნობილ ყველა ნაშრომს შორის. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორისეული ამოსავალი კლასიფიკაცია (73 პარადიგმა) ზმნის უღლების მხოლოდ პირველი წრის მონაცემებს ეყრდნობა და არ არის საკმარისი სამივე სერიის ფორმების ამომწურავი ფორმალური აღწერისათვის. ამიტომ აუცილებელი გახდა შემდგომი, უფრო დაწვრილებითი კლასიფიკაცია უკვე გამოყოფილი 73 სიმრავლის შიგნით, რის შედეგადაც მათმა რიცხვმა დაახლოებით ორ ასეულ ქვეპარადიგმას მიაღწია, რომლებიც ზმნის სისტემის 74 კლასტერში გადანაწილდა და საერთო ჯამში დაახლოებით 200-მდე ლინგვო-ტექნოლოგიურ ერთეულს შეადგენს. შესაბამისად, საჭირო გახდა ყველა მათგანისათვის ტექსტური ფაილების შემუშავება ზმნის პარადიგმების სახით, რომელთა გამოყენებით ჩატარდა მათთვის შემუშავებული პროგრამული კოდის ტესტირება და მისი შემდგომი სრულყოფისა და დახვეწის პროცედურები. თითოეული გამოსავალი ფაილი შეიცავს ზმნური ფორმისათვის მის მორფოლოგიურ გარჩევას და დართულ ინფორმაციას სერიის, მწკრივის, პირის, რიცხვის, გვარისა და კილოს შესახებ მონაცემების სახით. ლემას ასევე ერთვის მეტყველების ნაწილის (POS), სინტაქსური ვალენტობის (VAL) მონაცემები და ტექნიკური ინფორმაცია ზმნის შესაბამისი ქვემოდულის (M) მითითებით. თეგირებისა და ლემირების ერთიანი კონსოლიდირებული მოდულის ტესტირება

ჩატარდა ქართული ენის საკანონმდებლო ტექსტების კორპუსზე. პროექტის მეორე წლის გეგმის თანახმად ბოლო 6 თვის მანძილზე ხსენებული 25 ტექსტზე თანმიმდევრულად მოხდა კონსოლიდირებული პროგრამული კოდის ტესტირება. საბოლოოდ, 25 ტექსტისათვის მიღწეული იქნა თეგირებისა და ლემირების თითქმის 100% გამოსავალი.

პროექტის <u>მესამე წელს</u> ხელშეკრულების <u> გაგრძელებული ვადის</u> (2021 წლის 1 ნოემბერი 2022 წლის 31 აპრილი) განმავლობაში შესრულდა MS Windows პლატფორმისათვის მიღებული შედეგების პორტირება MacOS/Linux-ის ოპერაციულ ოპერაციულ გარსში. ამ მიზნით მოხდა

- პროექტის მეორე წლის განმავლობაში ზმნის სისტემის 74 კლასტერისათვის შემუშავებული ლინგვო-ტექნოლოგიური რესურსების და ქართული ენის ტექსტისათვის თეგირებული და ლემირებული 400.000 ტოკენის MS Windows ოპერაციული სისტემიდან MacOS/Linux-ის ფორმატში კონვერტირება.

- მეორე ეტაპზე კონვერტირებული ფაილების MacOS/Linux-ში პლატფორმისათვის შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით გაანალიზება. ამ სამუშაოს აუცილებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ MacOS/Linux-ის პლატფორმაზე გამოცემული ფაილები MS Windows ფორმატისაგან განსხვავებულ ფორმატშია წარმოდგენილი.

- მესამე ეტაპზე ჩატარდა მიღებული ფაილების იდენტურობაზე ტესტირება იმის გამოსაკვლევად, არიან თუ არა ისინი ერთმანეთთან თავსებადი ფორმატში განსხვავების გათვალისწინებით. ამოსვალ და კონვერტირებულ მასალას შორის სხვაობის აღმოჩენისას მოხდა შესაბამისი კორექტირების შეტანა MacOS/Linux -ისათვის შემუშავებულ პროგრამულ მოდულში.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) პროექტი (2020-2023) Philologie - Technologie – Translation კარლ რუპრეხტის ჰაიდელბერგის უნივერისტეტის თარგმნისა და და თარჯიმნობის ინსტიტუტსა და თსუ-ს გერმანული ფილოლოგიის კათედრას შორის GIP-ის პარტნიორობის ფარგლებში გერმანისტიკის დარგში.**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. 2.
1. პროფ. ვ. ატაინი (ჰაიდლებერგის უნივერისტეტი, პროექტის ხელმძღვანელი
2. პროფ. ლ. ქეცბა-ხუნდაძე (თსუ, პროექტის თანახელმძღვანელი)
3. პროფ. ა. კარტოზია (თსუ, პროექტის თანახელმძღვანელი)
4. ასოც. პროფ. ნუნუ კაპანაძე.

ა. ენის ტექნოლოგიური რესურსების შემუშავება და ტესტირება მცირე რესურსების მქონე ენებისთვის: ორი სპეციალური კორპუსის (გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული) მომზადება; ფუნქციები: პროექტის ძირითადი პერსონალი;

ბ. კარლ რუპრეხტის ჰაიდელბერგის უნივერისტეტის თარგმნისა და და თარჯიმნობის ინსტიტუტსა და თსუ-ს გერმანული ფილოლოგიის კათედრას შორის GIP-ის პარტნიორობის ფარგლებში ვ. ადმონის სახელობის დოქტორანტთა სკოლის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი;

გ. ადმონის სკოლის დოქტორანტის თ. ელბაქიძის სამეცნიერო თანახელმძღვანელი.

5. ასოც. პროფ. ნინო ქიმერიძე.

3. . **თსუ-ს პროფესორ-მასწავლებელთათვის Erasmus+Staff Mobility - გაცვლითი პროგრამით დაფინანსებული, გარდამავალი პროექტი: „თურქი ავტორების გერმანულენოვანი ლიტერატურა“** გერმანისტიკის დარგში, ქ. ანკარას ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტისა და თსუ გერმანული ფილოლოგიის კათედრის პარტნიორობის ფარგლებში.
პროექტის დაიწყო 2022 წლის 18 - 22 ივლისს თურქეთში, ქ. ანკარას ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტში, სადაც განვიხილეთ კოოპერაციასთან დაკავშირებული საკითხები, სასწავლო პროგრამები, ვიმუშავეთ კოლოქვიუმებზე, დავესწარით ICM - სემინარებს, მოდულებსა და ვორქშოპებს, გავეცანით ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობას, რის შემდეგაც გადმოგვეცა შესაბამისი სერთიფიკატი.

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. პროექტის ხელმძღვანელები:
ქ. ანკარას ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტის, გერმანული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ასოც. პროფ. ერკან ზენგინი; თსუ გერმანული ფილოლოგიის მიმართულების პროფ. დოქტ. ალექსანდრე კარტოზია.
2. ძირითადი შემსრულებლები: სოფიო მუჯირი, თამარ ჭუმბურიძე

4. „Übersetzung und Auswertung von Tonaufnahmen der Kriegsgefangenen des ersten Weltkriegs“ ***პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ტყვეების აუდიოარქივის დამუშავება*** **(*ჩანაწერების*** მოსმენა, ტრანსკრიპტის შედარება თარგმანთან, აუდიოჩანაწერების ანალიზი ენობრივი დონეების მიხედვით, ასევე სოციოლინგვისტურ და სემანტიკურ პლანში).

დამფინანსებელი ორგანიზაცია – ლაიბნიცის სახელობის ბერლინის ახალაღმოსავლეთის კვლევის ცენტრი ZOM.შემსრულებლები: **მარინა ანდრაზაშვილი** - კოოპერატორი, თსუ ასოც. პროფ., .**დოქტ. ჰაიკე ლიბაუ** - კოოპერატორი, დამფინანსებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი, ბერლინის ლაიბნიცის სახ. ახალაღმოსავლეთის ცენტრის განყოფილების გამგე

5. **„გერმანულენოვან საკუთარ სახელთა ტრანსფერი ქართულად – ტრადიციები და ტენდენციები.“**
ინდივიდუალური გარდამავალი პროექტი. მარინა ანდრაზაშვილი – პროექტის ავტორი და ერთპიროვნული შემსრულებელი.
დამფინანსებელი ინსტიტუცია – გერმანიის გაცვლითი აკადემიური სამსახური (DAAD).
დაწყების თარიღად პირობითად შეიძლება დასახელდეს 2012 წელი (ანუ როცა მოვიპოვე უშუალო
ამ თემასთან დაკავშირებული მასალების შესაგროვებლად DAAD-ს პირველი სტიპენდია. პროექტზე გაცემულია სულ სამი სტიპენდია).

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტის მიზანია ენის ტექნოლოგიის რესურსების შემუშავება და გამოცდა მცირე რესურსების მქონე ენებისთვის. ორი სპეციალური კორპუსის (გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული) შემუშავება და ექსპერიმენტის ჩატარება მომზადებული კორპუსების ხარისხის და სარგებლიანობის შემოწმების მიზნით, ენის, კულტურისა და თარგმანმცოდნეობის პრობლემატიკასთან მიმართებით. პროექტი ინტერდისციპლინურია და მოიცავს ქვემოდულებს: ლიტერატურულ, მედიალურ და დარგობრივ კომუნიკაციას. თითოეული მოდულის ფარგლებში ეტაპობრივად ხორციელდება (ქართულ-გერმანული და გერმანულ-ქართული) კულტურის ტრანსფერის შესაძლებლობათა შესწავლა, რეალიზაცია და სწავლება.

მოცემული ეტაპის თეორიული შედეგები:

გასულ წლებში ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლის სახ. უნივერსიტეტის თარგმანისა და თარჯიმნობის ინსტიტუტში მივლინების, სემინარებსა და ვორკშოპებზე დასწრების შედეგად, ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოვიპოვე და დავამუშავე შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის სისტემატიზაციის, ასევე თანამედროვე გერმანული ენის სპეციფიკისათვის შესატყვისი მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრის შედეგად, მოვამზადე მასალები თარგმნის, თარჯიმნობისა და დიდაქტიკის სფეროში, სახელმძღვანელოს და დამხმარე სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსიის შესაქმნელად.

მოცემული ეტაპის პრაქტიკული შედეგები:

ა). დასაბეჭდად გამზადებულია ელექტრონული ვერსია სახელმძღვანელოსათვის თარჯიმნობის, ნაწილობრივ დიდაქტიკის სფეროშიც, რომელიც მოიცავს დარგისათვის სპეციფიკურ ტექსტებსა და სავარჯიშოებს თარჯიმანთა უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. მომავალი თარჯიმნებისათვის მომზადებულია მხატვრული, პუბლიცისტური და დარგობრივი (სამედიცინო) ხასიათის მასალა პრაქტიკული, დამოუკიდებელი თარგმანისათვის.

დასაბეჭდად გამზადებულია:

ბ). დამხმარე სახელმძღვანელო მხატვრული თარგმანის ანალიზისა და კრიტიკის სფეროში. მოპოვებული და დამუშავებულია როგორც თეორიული ნაწილი, ასევე თარგმანის ანალიზისა და კრიტიკისათვის საჭირო პუბლიცისტური და მხატვრული ლიტერატურა. პროექტთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე მოპოვებული ცოდნა და გამოცდილება აისახა შემდეგი სამაგისტრო კურსების <u>სწავლების პროცესზე:</u> „მხატვრული თარგმანის ანალიზი და კრიტიკა," „ზეპირი და ეკრანული თარგმანი," „ტექსტის თარგმნამდელი ანალიზი" (სამაგისტრო პროგრამა: თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა/გერმანული ენა). სტუდენტებისათვის შექმნილია თეორიული მასალის, ასევე თარგმანისათვის საჭირო მხატვრული, პუბლიცისტური და დარგობრივი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები. ზემოთ დასახელებულ კურსებზე გამოყენებულია თარგმანისა და თარჯიმნობის სწავლების ახალი, ინოვაციური მეთოდები, რაც აისახა როგორც სწავლების პროცესზე, ასევე <u>სტუდენტთა (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ნაშრომების ხელმძღვანელობისა და რეცენზირების</u> ხარისხზე.

4. პროექტზე მუშაობა დავიწყეთ 2017 წელს. პირველ ეტაპზე საარქივო მასალების გაცნობის მიზნით ჩავატარეთ სასინჯი სამუშაოები, კერძოდ შევისწავლეთ ომის მონაწილე ტყვედ ჩავარდნილი რამდენიმე ქართველის აუდიოჩანაწერი და შესატყვისი ტრანსკრიპტები თარგმანითურთ ეპოქის კულტურისტორიულ კონტექსტში. იმ ეტაპზე გაწეული სამუშაოების დანიშნულება იყო, რამდენიმე ნიმუშზე დაყრდნობით შეგვემუშავებინა კვლევის ტექნოლოგიები და მეთოდები, რომლებსაც დავეყრდნობოდით არქივის აქტუალური სეგმენტის – კავკასიელი/ქართველი ტყვეების აუდიოჩანაწერების გლობალური შესწავლისას.

2019 წლის სექტემბერში ინსტიტუტის (ZOM) წინაშე პრეზენტაციისას პროექტის მიენიჭა – საქართველოს ტერიტორიული დაშორების, საარქივო მასალის კონფიდენციალურობისა და დასამუშავებელი მასალის მოცულობითობის გათვალისწინებით – მრავალწლიანი გარდამავალი პროექტის სტატუსი. სამუშაოების დაწყების ვადად დაგვითქვეს 2020 წლის მარტი.

2020 წლის მარტში დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა – *ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ბერლინის აუდიოარქივში* მასალების შეგროვების მიზნით – ვერ შედგა პანდემიის გამო. პროექტზე მუშაობის აღდგენა შევძელით 2022 წლის ივნის-აგვისტოში. პროექტთან უკან დაბრუნებამ გამოკვეთა სურათი, რასაც არ ველოდით, კერძოდ, 2020–2022 წლებში არქივის რეორგანიზაციისა და ხელახალი კატალოგიზაციის ფონზე სრულიად შეცვლილი ინვენტარის ნომრები, რის გამოც ფაქტობრივად თავიდან მოგვიხდა საძიებო სამუშაოს წარმართვა და რამაც საკმაო დრო შეიწირა.

სრულად დავამუშავეთ ე.წ. *მანჰაიმის კორპუსის* პირველი ნაწილი 24 აუდიჩანაწერი და შედეგები ავსახეთ: 1) ერთობლივ მოხსენებაში *კავკასიელი/ქართველი ტყვეების აუდიოჩანაწერები გერმანიის ბანაკებში (1915-1918)* (იხ. მოხსენება, წაკითხული 2022 წლის 3-5 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო კავკასიოლოგიურ კონგრესზე); 2) სტატიაში: *ბერლინის ჰუმბოლდტ-უნივერსიტეტის აუდიოარქივი და იქ არსებული ქართულენოვანი აუდიოჩანაწერები.* წარვადგინეთ გამოსაქვეყნებლად რეფერირებად ინტერნეტჟურნალ „სპეკალში“ და რეცენზირების შედეგად მივიღეთ დადებითი პასუხი. სტატია აიტვირთება ჟურნალში 2023 წლის აგვისტოში.

2022 წლის 25 ნოემბერს შედგა შედეგების ინტერნეტ-განხილვა ლაიბნიცის სახელობის ბერლინის ახალაღმოსავლეთის კვლევის ცენტრში (ZOM). შედეგად ნაშრომს კვლავაც შეუნარჩუნეს გარდამავალი პროექტის სტატუსი და გაგვიგრძელეს მუშაობის ვადა. გაგრძელების მოტივებად დასახელდა: თემატიკისადმი ინტერესი, მასალის შეუსწავლელობა დღემდე და ჩვენ მიერ მიგნებული კველევის მეთოდების დამაჯერებლობა. შეხვედრის თარიღის დადგენა მოგვანდეს თანაავტორებს ძირითად სამსახურეობრივ მოვალეობებთან შეჯერებით.

5. წინამდებარე ინტერდიციპლინარული პროექტი მასშტაბური ხასიათისაა და მოიცავს ორ დამოუკიდებელ ნაწილს: 1) გერმანიის ტოპონიმთა ლექსიკონი; და 2) თეორიული/მონოგრაფიული ნაწილი — გერმანისტული ონომასტიკა და სახელთტრანსფერის თეორია.

გამოკვლევა ორიენტაციას იღებს უშუალოდ ანთროპონიმებსა და ტოპონიმებზე, როგორც საკუთარ სახელთა სუბკლასის ყველაზე სპეციფიკურ რეპრეზენტანტებზე თავიანთი პროპრიალური მახსიათებლებისა და რეფერენციალური მიმართებების გამო. იგი მიზნად ისახავს, გერმანული და ქართული ენების საილუსტრაციო მასალის შეპირისპირებითი ანალიზის გზით გამოავლინოს ლინგვისტური კრიტერიუმები, რომლებიც საკუთარ სახელთა ტრანსფერირებას ერთი ენიდან მეორეზე მთარგმნელის გემოვნებასა თუ ენობრივ ალღოზე დამოკიდებულს კი არ გახდის, არამედ დასაბუთებულ ლინგვისტურ კანონზომიერებებს დაუქვემდებარებს. ამ მიზნით ნაშრომი განსახილველ სუბკლასში ერთმანეთისგან გამიჯნავს უშუალოდ სახელებს, სახელის სინტაგმებსა და წინდებულიან სინტაგმებს, თითოეულ მათგანს აღწერს სემანტიკური იზოლირებულობისა და დესკრიპტიულობის ან მოჩვენებითი დესკრიპტიულობის ფაქტორების გათვალისწინებით, შესაბამისად კი გამოყოფს საკუთარ სახელთა ტრანსფერირების სამ, თვისობრივად ურთიერთგანსხვავებულ, პროცედურულ ხერხს. ანალიზისას ითვალისწინებს სამიზნე ენის ფონემური და გრაფემული ინვენტარის შეთავსებადობას ერთმანეთთან, ისევე როგორც ამოსავალი ენის ანალოგიურ ინვენტართან სისტემურ დონეზე; სინტაგმატური მიმართებების თვალსაზრისით კი ცდილობს, ანგარიში გაუწიოს, ერთი მხრივ, სამიზნე ენის გრაფოტაქტიკურსა და ფონოტაქტიკურ წესებს, მეორე მხრივ კი, მსოფლიო მასშტაბით ფეხმოკიდებულ კომპრომისულ განწყობას ადაპტირება-ასიმილირების პროცესებისადმი თანამედროვე პირობებში ინდივიდის მრავალენოვნების ფონზე; ზომიერი ტოლერანტობით უდგება ტრადიციით გადმოცემულ მემკვიდრეობას და უშვებს ინდივიდუალურ მიდგომას ანთროპონიმებისადმი, როგორც პოტენციურად ვარირებადი/არაიზოტოპური სტრუქტურებისადმი თვით ამოსავალ ენაშიც, თუმცა იმავდროულად მკაცრად თანმიმდევრულია ტოპონიმების, როგორც ენის ლექსიკური მარაგის მყარი ნაწილის, სალექსიკონო წესით ნორმირების მიმართ.

პროექტის განხორციელების შედეგებს სისტემატურად წარვადგენდი საჯარო გამოსვლებსა და პუბლიკაციებში უპირველესად ევროპის გერმანულენოვან ქვეყნებში, ასევე საქართველოში. პლენარული მოხსენება აღნიშნულ თემატიკაზე დაგეგმილი მქონდა 2020 წლის დეკემბერში ვენის უნივერსიტეტში ავსტრიის ლინგვისტთა ასოციაციის 46-ე ყრილობაზე, რომელიც არ შედგა პანდემიის

გამო (გადატანილია 2023 წლისთვის). მოხსენებათა ციკლები თემის ირგვლივ წაკითხული მაქვს ჰაიდელბერგისა და რეგენსბურგის უნივერსიტეტებში, ასევე მანჰაიმის გერმანული ენის ინსტიტუტში, გიოტინგენის მეცნიერებათა აკადემიის მიუნსტერის ონომასტიკურ ცენტრსა და ლაიბნიცის სახელობის ახალაღმოსავლეთის ცენტრში. ბოლო გამოსვლა ამ თემატიკაზე მქონდა 2022 წლის 30 ოქტომბერს არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში (იხ. ქვემოთ: გერმანიის ჰიდრონიმები და მათი ტერმინოლოგიური ეკვივალენტები ქართულში).
ნაშრომის პირველი, სალექსიკონო ნაწილი „გერმანიის ტოპონიმები – ორთოგრაფიული ლექსიკონი კულტურგეოგრაფიული კომენტარებით“, დასრულებული სახით გადავეცი თსუ გამომცემლობას 2020 წლის აგვისტოში. რედაქტირებული, დასაბეჭდად მზა კონდიციაში მყოფი ორტომეული ამჟამად დევს სტამბაში ტექნიკური პირობების მოწესრიგების მოლოდინში (ტენდერზე გადაცემული საღებავი, ქაღალდი და მელანი, გატეხილი რიზოგრაფი). სტამბა შეუდგება ნაშრომის ბეჭდვას ზემოხსენებული ტექნიკური პრობლემების მოგვარებისთანავე, სავარაუდოდ 2023 წლის იანვარში.
პროექტის მეორე, მონოგრაფიულ ნაწილზე მუშაობას შევუდგები (იხ. პუნქტი 6.3 ლინცის კრებულის ანოტაცია) მხოლოდ გერმანიის ფონდებში დასაფინანსებლად განაცხადის გაკეთების შემდეგ, რომლის აუცილებელი წინაპირობაა, დასაბეჭდად გადაცემული ორტომიანი ლექსიკონის წარდგენა DAAD-ს, ანუ დამფინანსებელი მხარის წინაშე.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **კონსტანტინე ბრეგაძე; „ორი ცდა გოეთეზე: გოეთეს მსოფლმხედველობა . გოეთე და ნიცშე“, [ISBN 978-9941-25-439-4];** თბილისი, გამ-ობა „მერიდიანი“; 250 გვერდი.
2. სოფიო მუჯირი **„გერმანული და ქართული იდიომები და პარემიები ენის სისტემასა და კონტექსტში“** გამომცემლობა: უნივერსალი. გვერდების რაოდენობა: 150იბეჭდება. ცნობა თან ერთვის

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. წიგნში წარმოდგენილია ორი გამოკვლევა, რომელთაგან ერთი ეძღვნება გოეთეს მსოფლმხედველობასა და რელიგიურ მრწამსს, ხოლო მეორე _ გოეთეს შემოქმედების ნიცშესეულ რეცეფციებსა და კრიტიკას.
   წიგნი განკუთვნილია სამივე აკადემიური საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ფილოლოგიის სტუდენტების, სპეციალისტებისა და გოეთეს შემოქმედებითა და პიროვნებით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

2. მონოგრაფიაში განხილულია ფრაზეოლოგიის, როგორც ლინგვისტური დისციპლინის დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბების ისტორია, განხილულია ამ დარგის ცნობილ ქართველ და უცხოელ მკვლევართა მოსაზრებები (შ. ბალი, ვ. ვინოგრადოვი, ი. ჩერნიშოვა ნ. შანსკი, ა. რაიხშტაინი, ი. ამოსოვა, ჰ. ბურგერი, ჩ. ფიოლდესი, დ. დობროვოლსკი, ი. კორჰონენი, ქ. შინდლერი ალ. ონიანი, ა. თაყაიშვილი, ალ. ღლონტი, შ. ძიძგური, და სხვ.), ფრაზეოლოგიური სისტემის ურთიერთქმედება ენის ლექსიკურ და გრამატიკულ სისტემებთან, ფრაზეოლოგიზმის ფუნქცია: ცნებათა ჯგუფის ხატოვანი და ექსპრესიული გამოხატვა. მოცემულია ფრაზეოლოგიური ერთეულის განსაზღვრება, რომელიც მოიცავს სამ დონეს: 1. სემანტიკურს, ანუ მნიშვნელობის დონეს; 2. პრაგმატულს ანუ ენობრივი ერთეულის მოხმარების დონეს: რის საფუძველზე, როგორი ინტენციით იყენებს კომუნიკანტი ამა თუ იმ გამოთქმას; სიტუაციურ ანუ სოციალურ დონეს. აღწერილია ფრაზეოლოგიის კლასიფიკაციის ცდა სხვადასხვა თანამედროვე ავტორთა მიერ.
   მონოგრაფიაში კვლევის ძირითადი ობიექტია იდიომები. განხილულია იდიომთა თარგმნის ისტორიის საკითხები, ცნობილ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით (დ. ფანჯიკიძე, გ. გაჩეჩილაძე, წინახაშვილი, ქ. კანდელაკი, ა. ალხაზიშვილი, ვ. ვინოგრადოვი, რ. მანტენი, ს. კალი, ქ. შინდლერი და სხვ.), იდიომების სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია, სემანტიკური და სტრუქტურული თავისებურებები და თარგმნის პრობლემები. მოცემულია მათი თარგმანის შეფასების კრიტერიუმები: თარგმანში დედნის შინაარსისა და ფორმის, სტილის, ემოციურ-ესთეტიკური ასპექტების ადეკვატური გადმოცემა და სხვ.
   მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა თარგმნის პრობლემებს: თარგმანში უცხო და მშობლიურის თანაფარდობის საკითხი, ,,ნაციონალური კოლორიტის“, და ,,დედნის მხატვრული შთაბეჭდილების“ შენარჩუნება, უცხო იდიომის მნიშვნელობის, ხატოვანების და ექსპრესიულობის შენარჩუნება, ქართული შესატყვისის მოძებნის და მისი კონტექსტთან მისადაგების საკითხი. განხილულია ეკვივალენტთა სახეები: სრული, ნაწილობრივი და ნულოვანი ეკვივალენტი და იდიომთა თარგმნის საშუალებები: იდიომით, ფრაზეოლოგიზმით, სიტყვით, სიტყვათა ჯგუფით ან მნიშვნელობის აღწერით. მიჩნეულია, რომ შეძლებისდაგვარად, იდიომთა თარგმნისას სხვა პარამეტრებიც უნდა იყოს დაცული. ესენია: ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა, ან მნიშვნელობები, მისი კონოტაცია, კომპონენტთა შემადგენლობა, ვარიანტების არსებობა, ლექსიკურ-გრამატიკული კლასისადმი მიკუთვნება, ფრაზეოლოგიზმის გრამატიკული ან ლექსიკური კომბინირების უნარი, ისტორიულ-დროული

მახასიათებლები, რომელთა გათვალისწინებით, მთარგმნელმა უნდა დაადგინოს გერმანული და ქართული იდიომების ეკვივალენტური მიმართებები კონტექსტში. გერმანული იდიომისა და ლექსიკონში მოცემული ქართული ეკვივალენტის პარამეტრები შესაძლოა დაემთხვნენ, მაგრამ არ ესადაგებოდნენ ერთმანეთს მოცემულ კონტექსტში. ამ შემთხვევაში მთარგმნელმა უნდა მოიძიოს შესაბამისი „კონტექსტური ეკვივალენტი“.

მონოგრაფიაში ცალკე თავი ეთმობა იდიომთა ავტორისეული მოდიფიკაციის ხერხებს: ფრაზეოლოგიზმის კომპონენტების სუბსტიტუციას, ელიმინაციას, რედუცირებას და სხვ. და ამგვარი იდიომების თარგმნის საკითხებს. გერმანულენოვან მხატვრულ ტექსტებში და მათ ქართულ თარგმანებში მოძიებული იდიომების ბაზაზე, ნაშრომში მოცემულია იდიომთა თარგმნის შეპირისპირებითი ანალიზი (ანალიზისათვის გამოყენებულია ჰ. კანტის რომანი: „აუდიტორია“, ნ. ხარატიშვილის რომანი: ,,მერვე სიცოცხლე“ (ბრილკასთვის), გ. გრასის ტექსტები:

,,დედალი ვირთაგვა,“ თუნუქის დოლი.“ და განხილულია თარგმანთან დაკავშირებულისირთულეები: ავტორისეული ინტენციის სრულყოფილად გადმოცემა, დედნის ერთგულება, ხარვეზები თარგმანში: გაუმართლებელი სუბსტიტუციები, გამოტოვებები და დამატებები.

მოცემულ ნაშრომში ცალკე თავში განვიხილავთ დასურათებულ სარეკლამო განცხადებებში განთავსებულ იდიომებს, რომელთა იდიომატური ხატი იცვლება სარეკლამო სურათის ზეგავლენით. დადგენილია, რომ სარეკლამო განცხადებებში განთავსებულ იდიომებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის პოტენციალი გააჩნიათ. სარეკლამო სურათმა იდიომატურ ხატზე შეიძლება საერთოდ არ მოახდინოს გავლენა. სარეკლამო სურათმა იდიომატურ ხატზე იმ შემთხვევაში შეიძლება მოახდინოს გავლენა, როდესაც: ერთდროულადაა აქტუალიზებული იდიომატური ხატის ერთი კომპონენტის სიტყვასიტყვითი და გადატანითი მნიშვნელობა; სარეკლამო სურათი იწვევს იდიომატური ხატის ან მისი რომელიმე კომპონენტის სპეციფიკაციას. ამასთან, იდიომის მნიშვნელობა უცვლელი რჩება, მაგრამ შესაძლებელი ხდება მისი ორმაგი ინტერპრეტაცია; იდიომს „ემატება“ ერთი კომპონენტი, მაგრამ იგი ინარჩუნებს იმავე ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობას და ა. შ.

მოცემულ ნაშრომში შემდეგი თავის კვლევის საგანია უზუალური პარემიები, ასევე, ფორმალურად და სემანტიკურად სახეშეცვლილი ანდაზები. დადგენილია მოდიფიკაციის მიზეზები: ანდაზით გადმოცემული რეალიის მოძველება და შეუსაბამობა თანამედროვე ცხოვრების წესთან; ანდაზის ხშირი ციტირება, რის გამოც იგი კარგავს ხატოვნებას. მოდიფიკაცია განპირობებულია ასევე ანდაზის გრძელი ფორმულირების ლაკონურად გადმოცემის, მისი დედააზრის ახლებურად ან იუმორისტულად მიწოდების სურვილით. პაროდიის საგანი ხდება უზუალური ანდაზის აპოდიქტიკური ტონი და ავერსიის გამომწვევი მითითებები. ჟურნალისტური ტექსტის ტიპში (ფელეტონი, სარეკლამო ტექსტი, მკითხველის წერილი, მოდების ჟურნალი და სხვ.) ჩვენს მიერ მოპოვებული და გაანალიზებული ანდაზა-მოდიფიკაციები სათავეს იღებენ ლათინური და ბერძნული ენებიდან, ბიბლიიდან, ლიტერატურული წყაროებიდან. ეს ანდაზები გერმანულ ენაში დამკვიდრდნენ გერმანული ენის სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელის გამოყენების საფუძველზე. მოდიფიკაციის შედეგად ისინი უფრო ზუსტად და ხატოვნად გადმოსცემენ აზრს, უკეთ ესადაგებიან კონტექსტსა და სიტუაციას, ხასიათდებიან პაროდიული და სემანტიკურ-სტილისტიკური კონოტაციების მრავალფეროვანი სპექტრით.

გაანალიზებულ ტექსტებში გვხვდება მოდიფიკაციის შემდეგი ტიპები: ფორმალური მოდიფიკაცია სემანტიკური მოდიფიკაციით ან მის გარეშე და სემანტიკური მოდიფიკაცია ფორმალური მოდიფიკაციის გარეშე. ყველაზე ხშირად ჟურნალისტური ტექსტის ტიპში გვხვდება ფორმალური მოდიფიკაციის კომბინაცია სემანტიკურ მოდიფიკაციასთან. ადრესანტი მოდიფიკაციების შესაქმნელად ყველაზე ხშირად იყენებს სუბსტიტუციის ხერხს, რომელიც გულისხმობს ანდაზის ერთი ან რამდენიმე ლექსემის ჩანაცვლებას სინონიმური ან ანტონიმური სიტყვით, სინტაგმით ან წინადადებით. სუბსტიტუციის ხერხის გამოყენება

ხშირად იწვევს სიტყვათა თამაშს, ანდაზის ორაზროვან გაგებას ანუ მისი ძირითადი და სიტყვასიტყვითი მნიშვნელობების პარალელურ აქტუალიზაციას. ასეთ შემთხვევაში ანდაზაში ერთდროულადაა რეალიზებული მოდიფიკაციის ორივე ხერხი: „სუბსიტუცია“ და „ორმაგი აქტუალიზაცია“. გარდა აღნიშნული ხერხებისა ანდაზის პაროდიული ტრანსფორმაციისათვის ადრესანტი იყენებს „დამატების“, „კონტამინაციის“ და „ანდაზის ხატის გამოყენების“ ხერხებს.

მონოგრაფიაში განხილულია საკითხები, რომელთა გადაჭრა აუცილებელია იდიომთა ლექსიკოგრაფიული ასახვისათვის ორენოვან (ქართულ - გერმანულ), ენის შემსწავლელთათვის განკუთვნილ ლექსიკონში. ესენია: ლექსიკონის ტიპის (რეცეფციული თუ პროდუქტიული) განსაზღვრა, იდიომების როგორც ლექსიკონის ერთეულების არჩევისა და აღწერის კრიტერიუმებისა და საშუალებების დადგენა. აღნიშნულია, რომ პროდუქტიული ტიპის (აქტიური) ლექსიკონი, რომელიც უცხოური ენის შემსწავლელს ყველაზე მეტად ენის შესწავლის საწყის ეტაპზე ესაჭიროება, უნდა შეიცავდეს ყველაზე გავრცელებულ და ხშირად ხმარებულ იდიომებს, მათი სემანტიკის, სინტაქტიკისა და პრაგმატიკის დაწვრილებითი აღწერით, რათა ენის შემსწავლელმა შესძლოს იდიომის აქტიური გამოყენება მისი ადეკვატური გაგების, თარგმნისა და ფორმულირებისათვის სხვადასხვა კონსიტუაციაში. ლექსიკონი უნდა ითვალისწინებდეს ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს საკომპეტენციო დონეებისათვის განსაზღვრულ თემატურ სფეროებს. იდიომების შერჩევა, შემოსაზღვრა და აღწერა სწორედ ამ თემატური სფეროების პერცეფციისა და პროდუქციისათვის იქნებოდა ამავე დროს იდეალური მეთოდი ლემების თემატური რელევანტობის პრინციპით შერჩევისათვის.

მიგვაჩნია, რომ იდეალური იდიომატური ლექსიკონი უნდა შეიცავდეს მონაცემებს იდიომთა მნიშვნელობის ახსნის, მათი ხატოვანი კომპონენტის ექსპლიკაციის, ეტიმოლოგიისა და კულტურული სპეციფიკის, პრაგმატიკული გამოყენების, სინტაქსური ტრანსფორმაციების, ლექსიკური მოდიფიკაციებისა და გამოყენების შეზღუდვების შესახებ, ასევე იდიომთა სხვადასხვა ტიპის ტექსტში, ონომასიოლოგიურ და იდეოგრაფიულ სტრუქტურებში ფუნქციობის შესახებ.

გერმანული და ქართული იდიომებისა და პარემიების თეორიული საკითხების კვლევას, მონოგრაფიის მეორე ნაწილში ახლავს პრაქტიკული ნაწილი: შესასწავლი გერმანული იდიომების ჩამონათვალი, მათი გერმანული შესატყვისები, ქართული თარგმანები და მრავალფეროვანი სავარჯიშოები.

ვფიქრობთ მოცემული მონოგრაფია საშუალებას მისცემს როგორც ფრაზეოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ პირებს, ასევე ჩვენს სტუდენტებს, სიღრმისეულად გაეცნონ გერმანული და ქართული იდიომებისა და პარემიების თავისებურებებს ენის სისტემასა და კონტექსტში, იდიომთა უნივერსალურ მახასიათებლებს და თითოეული ენისათვის სპეციფიკურ, კულტურულად განპირობებულ სტრუქტურულ –სემანტიკურ განსხვავებებს, მათი ლექსიკოგრაფიული ასახვის პერსპექტივას, ლიტერატურულ ტექსტებში და სარეკლამო განცხადებებში იდიომების და ანდაზების მოდიფიცირების ხერხებს. ფრაზეოლოგიის კვლევის ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები წარმოადგენენ არა მარტო თანამედროვე ფრაზეოლოგიური კვლევის უმნიშვნელოვანეს პრობლემას, არამედ აგრეთვე საკმაოდ საინტერესო სასწავლო მასალას გერმანული ენის შემსწავლელთათვის. მათი სწავლება მიზნად ისახავს სტუდენტთა კოგნიტიური, ენობრივი და სოციალური კომპეტენციების გაზრდას, რაც გულისხმობს სხვადასხვა წყაროებიდან წარმოქმნილი იდიომების, პარემიების და მათი მოდიფიკაციების ცნობას, გაგებასა და გამოყენებას.

იდიომისა და ანდაზის ადეკვატური აღქმა-გაგებისა და აქტიური გამოყენებისათვის მოცემული კონტრასტული და რეცეპტიული და პროდუქტიული ტიპის სავარჯიშოებში, კონტექსტსა და მცირე ზომის აუთენტიკურ ტექსტებში დაეხმარება სტუდენტებს ინტერფერენციული შეცდომების რედუცირებაში, ზეპირ და წერილობით ტექსტში იდიომების და პარემიების თავისუფლად გამოყენების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბებაში.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ე. მუმლაძე, ი. გველესიანი,** ფლურილინგუალიზმი და ონლაინ სწავლება კოვიდ-19-ის დროს, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, No 1, 2022-2023 (გადაცემულია დასაბეჭდად)
2. **ლელა ებრალიძე.** „თეთრი და წითელი ვარდების სიმბოლიკა ოსკარ უაილდის ზღაპრებში“ - „ქართველი მეცნიერები“ ტომ. 4 No. 5 (2022) DOI: https://doi.org/10.52340/gs; https://orcid.org/0000-0003-0802-4085; E-ISSN: 2667-9760. ონლაინ ჟურნალი. გვ. 120-133
3. **ლელა ებრალიძე,** „ინგლისურენოვან მხატვრულ ნაწარმოებთა სათაურების ქართულად თარგმნასთან დაკავშირებული სირთულეები“ - „ქართველი მეცნიერები“ ტომ. 4 No. 5 (2022) DOI: https://doi.org/10.52340/gs; https://orcid.org/0000-0003-0802-4085; E-ISSN: 2667-9760. ონლაინ ჟურნალი. გვ. 310-323
4. **სოფიო მუჯირი,** მისტიკური სამყაროს სურათი ფრანც კაფკას ნაწარმოებებში.
   იმფაქტ ფაქტორის ინდექსიკაცია, ციტირების ინდექსი.: 2022 – 7.838. დოის ინდექსი; https://doi.org/10.52340/lac ჟურნალი განთავსებულია ასევე: Google shcolar-ის მონაცემთა ბაზებში; https://scholar.google.com/citations?user=_8DJ8jYAAAAJ&hl=en&authuser=1
   საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკის „ივერიელის“ კოლექციაში; ქართულ რეფერატულ ჟურნალში (ქრჟ) www.techinformi.ge.
   EISSN -2720-7900 ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის „ენა და კულტურა“ 28-ე ნომერი, გვ.119-127. ქუთაისი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. Covid-19–ის გავრცელება მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის. თითოეული მოქალაქის ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა. ნაწილობრივი ან სრული გადასვლა ვირტუალურ კომუნიკაციაზე გარდაუვალი გახდა ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. პედაგოგები და პოლიტიკის შემქმნელები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.

ნაშრომი მიმოიხილავს ონლაინ სწავლების ინოვაციურ მიდგომებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ძირითადი აქცენტი კეთდება არა-ვირტუალურიდან ვირტუალურ სწავლებაზე გადასვლის სტრატეგიებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა

ორენოვანი სტუდენტების შესაძლებლობებსა და მათი უნარ-ჩვევებისა თუ მოტივაციის წარმატებულ ვირტუალურ მართვას.

2. სტატიაში საუბარია თეთრი და წითელი ფერების, უფრო კონკრეტულად კი თეთრი და წითელი ვარდების სიმბოლურ დატვირთვაზე ოსკარ უაილდის ზღაპრებში. ხსენებულ ფერებთან დაკავშირებული ასოციაციების საილუსტრაციო მაგალითებში შეგვხვდა ბევრი შემთხვევა, როდესაც ერთმანეთის გვერდიგვერდ იყო ნახსენები თეთრი და წითელი ვარდები. შესაბამისად, გავეცანით კვლევებს არა მხოლოდ თეთრი და წითელი ფერების, არამედ ვარდის ზოგადი სიმბოლიკის შესახებ. ამის ფონზე განვიხილეთ, თუ რა კონოტატიურ მნიშვნელობათა მატარებელია თეთრი და წითელი ფერები, თეთრი და წითელი ვარდები ოსკარ უაილდის ნაწამორმოებებში. გამოიკვეთა მთელი რიგი მნიშვნელობები, როგორიცაა, უმანკო თუ ვნებიანი სიყვარული, ცოდვის სისხლით გამოსყიდვა და სულიერი განწმენდა, ხელოვნება. ყოველივე ეს თავად ავტორის პიროვნებას და ცხოვრებას ასახავს და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ გენიალური შემოქმედის პარადოქსულ ბუნებაზე.

3. სტატიის განხილვის საგანია ინგლისურენოვან მხატვრულ ნაწარმოებთა სათაურების ქართულ ენაზე გადმოტანის პრობლემა. მასში მიმოხილულია სათაურის მნიშვნელობა და ფუნქციები, მისი თარგმნის სხვადასხვა მეთოდები, თარგმანში სათაურის დამახინჯების შემთხვევები და სათაურის თარგმანთან დაკავშირებული სირთულეები. ამა თუ იმ მეთოდის, მიდგომისა თუ პრობლემის საილუსტრაციოდ მრავლად არის მოხმობილი მაგალითები მხატვრულ ლიტერატურის თარგმანებიდან. განსაზღვრულია მიზეზები, რომლებიც ყველაზე მეტ სიძნელეს წარმოშობს სათურების თარგმნისას და უზუსტობისა თუ დანაკარგის გამომწვევად გვევლინება. ასეთი მიზეზია, უპირველეს ყოვლისა, არასწორი, სუბიექტური ინტერპრეტაცია; ასევე სამიზნე ენის სპეციფიკის, პოლისემიისა და კონტექსტის გაუთვალისწინებლობა, როდესაც მთარგმნელი ვერ ახერხებს სამიზნე ენაზე სათანადო შესატყვისების მოძიებას, ისეთი ეკვივალეტების პოვნას, რომლებიც ბუნებრივი და გასაგები იქნება თარგმანის მკითხველისათვის. განხილული მაგალითებიდან ირკვევა, რომ ყოველთვის ვერ ხდება თარგმანში ალიტერაციის შენარჩუნება, ხოლო სიტყვების თამაშის გადმოტანა ფაქტობრივად შეუძლებელია.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ირინა დემეტრაძე:** The Symbolic Meanings and Semantic Peculiarities of Fingers (On the material of English and Georgian Languages). Civilization researches. No 19. 2022. ISSN 1512-1941

2. **მანანა რუსიეშვილი და სოფიო თოთიბაძე. ვირჯინია ვულფის „მისის დელოუეი“ ქართულად.** რეცენზირებადი ჟურნალი „სამეცნიერო კვლევები: თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები“, N1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2022, ISSN 2720-7870

3. **მანანა გელაშვილი,** ,,ვეფხისტყაოსნის'' ინგლისური თარგმანების შედარებითი ანალიზი. რეცენზირებადი ჟურნალი „სამეცნიერო კვლევები: თარგმანი და ლიტერატურული

ურთიერთობები“, N1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2022, ISSN 2720-7870 გვ.44-52.

4. **მანანა გელაშვილი,** შექსპირის ,,ქარიშხლის'' ინტერპრეტაცია მარგარეტ ეტვუდის რომანში ,,კუდიანის ნაშიერი''. Retelling of Shakespeare's 'The Tempest' in Margaret Atwood's 'The Hag-Seed'. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, VII, 2022, გვ. 53-58 ქუთაისი, 2022, ISSN 1987-7323
5. **თამარ გელაშვილი,** დიალოგიზმის როლი ფლენ ო'ბრაიენის რომანში ,,დოლქის არქივი'' Dialogism in *The Dalkey Archive* by Flann O'Brie, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, VII, 2022, გვ. 53-58 ქუთაისი, 2022, ISSN 1987-7323
გვ. 47-52
6. **დავით მაზიაშვილი** - „ფრანკენშტაინიდან ფრანქისშტაინამდე“; საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი“ (ელექტრონული გამოცემა); ISSN 2298-0954; თბილისი, გამომცემლობა „არილი“.
7. **დავით მაზიაშვილი** - „ალექსიძის მეტამორფოზა “; საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი“ (ელექტრონული გამოცემა); ISSN 2298-0954; თბილისი, გამომცემლობა „არილი“
8. **მარინე კობეშავიძე,** ჯვარედინი ფორმები ესპანურ გრამატიკაში (მსაზღვრელი თუ ნაცვალსახელი), Scripta Manent, N2 (54), Tbilisi. ISSN 1987-7390. 2022, გვ. 25-31

9. **მარინე კობეშავიძე,** მე-7 საერთაშორისო კონფერენცია „ ენა და კულტურა“ , ტოპონიმების როლი ესპანურ რაზეოლოგიურ ერთეულებში, შრომები, ქუთაისი, 2022, ISSN 1987-7323, გვ. 185-191
10. **ბელა ხაბეიშვილი.** მედიაციის როლი ფრანგული ენის სწავლების პროცესში, საფეხურზე. *Scripta Manent* N°4(52), თბილისი 2021. გვ.51-56 (2021 წელს წარდგენილი სტატია გამოქვეყნდა 2022 წ.)file:///C:/Users/user/Desktop/tsu%202021-22/Publications/scripta%20manent%202022/magazin%20inside-%234-27.12.2021.pdf

11. **ბელა ხაბეიშვილი, ციური** ახვლედიანი.ფრაზეოლოგიზმების შედარებითი ანალიზის როლი ფრაზეოდიდაქტიკასა და ფრაზეოთარგმანში, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “ენა და კულტურა” შრომები, ქუთაისი, 2022, გვ. 410-414
ISSN 1987-7323 (ბეჭდური) E- ISSN 2720-7900 (დისტანციური) https://enadakultura.com/ https://enadakultura.com/conferences/
12. **ბელა ხაბეიშვილი.** ფრანგული ენის სწავლების დიდაქტიკური პოტენციალის ანალიზი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში; სოციო-პოლიტიკური და კულტურული ასპექტები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის *ანტიკურობა და ფრანგული კულტურა* სამეცნიერო შრომების კრებული, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო (AUF) და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი აწსუ საუნივერსიტეტო წარმატების ცენტრი (CRU), ქუთაისი, 2021,გვ.79-85. file:///C:/Users/user/Desktop/TSU%202022-2023/Rapport%20Bela%202021-2022/Conferences%20participations%202022%20Bela/Kutaissi%20ATSU%20sept%2028-28%202021/krebuli.pdf
13. **ნანა გუნცაძე, ილია გასვიანი,** ფრანგული სიმბოლიზმის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი : ენა და კულტურა. ქუთაისი, 92-102
14. **მაია ჯავახიძე;** ადამიანის მახასიათებლების პროექცია მწერების აღმნიშვნელ მეტაფორებში იტალიურ და ქართულ ენებში; Scripta Manent, N2 (54); ISSN 1987-7390, UDK (უაკ)81-82, S-41, თბილისი, გვ.48-57

15. **მაია ჯავახიძე;** გულის კონცეპუალიზაცია კოგნიტიური ლინგვისტიკის თეორიის საფუძველზე (იტალიური და ქართული ენების მასალაზე); Scripta Manent, N2 (54); ISSN 1987-7390, UDK (უაკ)81-82, S-41, თბილისი, გვ.59-64

16. ***ნინო ქავთარაძე, ფრანგული მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების სათაურების თარგმნის სირთულეები,*** Revue officielle internationale du Collège doctoral francophone régional d'Europe centrale et orientale en Sciences humaines (CODFREURCOR), EISH-ის მე-8 ნომერი, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.: 483-497, 2022 წლის აპრილი, (საერთაშორისო კონფერენციის მასალები), ISSN 1987-8753, https://ojs.iliauni.edu.ge/index.php/eish/issue/view/35,
17. ლელა ებრალიძე„ედგარ პოს პიროვნების ორი მხარე. შემოქმედებაში ასახული პირადი ტრაგედია" - ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის (ETAG) საერთაშორისო ელექტრონული რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი Online Journal of Humanities, ნომერი 7. 2022. ISSN 234-8149. ონლაინ ჟურნალი. 11 გვ.
18. **ანდრაზაშვილი, მარინა / ბასილაია, ნატალია:** *ტექსტის კულტურული შრეების გადმოცემის სპეციფიკა თარგმანში*
ქუთაისის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა". 26-27 მარტი, 2022 წელი ქუთაისი, კონფერენციის შრომები: ქუთაისი: 1922. გვ. 20–27. ISSN 1987-7323, E-ISSN 27 20-7900. https://doi.org/1052340/lac. https://enadakultura.com. https://enadakultura.com/conferences/
19. ავტორები: **ანდრაზაშვილი, მარინა / ბასილაია, ნატალია**
2. ნაშრომი (მანუსკრიპტის მოცულობა 28 გვერდი) დასაბეჭდად გადავეცით 2022 წლის იანვარში ჟურნალის „ცივილიზაციური ძიებანი" რედაქციას. დაიბეჭდება 2023 წლის თებერვალში.
20. ***მარინა ანდრაზაშვილი, ჰაიკე ლიბაუ***ბერლინის ჰუმბოლდტ-უნივერსიტეტის აუდიოარქივი და იქ არსებული ქართულენოვანი აუდიოჩანაწერები.
(აიტვირთება რეფერირებად ინტერნეტჟურნალში „სპეკალი" 2023 წლის აგვისტოში).
21. **ალექსანდრე კარტოზია:** *თომას მანის "ბუდენბროკების" დალი ფანჯიკიძისეული თარგმანის შესახებ.* კრებულში: "თარგმანი როგორც შემოქმედება", სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2022, გვ. 99-111. ISBN 978-9941-30-898-7

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში განხილულია სიტყვა „თითისა" და მისი ინგლისური შესატყვისის მნიშვნელობები, ეტიმოლოგია და სიმბოლიკა. შესწავლილია ზოგადად თითისა და თითოეული ცალკეული თითის სიმბოლური რელიგიური დატვირთვა და ფუნქციები უძველეს რიტუალებსა თუ მედიცინაში, რაც აისახება ენის სფეროშიც. სტატიაში ასევე დეტალურადაა განხილული თითოეული თითის დასახელების წარმოშობა ინგლისურ და ქართულ ენებში. გარდა ამისა, სტატიაში განხილულია თითთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები ინგლისურ და ქართულ ენებში. ემპირიული მასალის ანალიზმა გამოავლინა თითის შემდეგი სემანტიკა: თითი, როგორც რაიმე საგანზე მინიშნების ინსტრუმენტი, თითი, როგორც სამყაროს შემეცნების ინსტრუმენტი, თითი როგორც საქმიანობის განხორციელების ინსტრუმენტი, თითი, როგორც მცირე ზომის ეტალონი, თითი, როგორც მცირე რაოდენობის აღმნიშვნელი, თითი, როგორც ჭამისთვის გამოყენებული ინსტრუმენტი და მრავალი სხვა. კვლევამ აჩვენა, რომ, სხეულის სხვა ნაწილების მსგავსად, თითი წარმოადგენს ინგლისური და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელოვან სომატურ კომპონენტს. თითებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზმა გამოავლინა მრავალი სიბოლური მნიშვნელობა და სემანტიკური თავისებურება, რომელთა შესწავლა უნდა ემყარებოდეს ლექსიკური და კულტურული თავისებურებების, წეს-ჩვეულებების, რელიგიური რიტუალების, მითებისა და ლეგენდების შესწავლას.

2. ვირჯინია ვულფი ცნობიერების ნაკადის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია, „მისის დელოვეი“ კი - მისი ერთ-ერთი შედევრი.ნაშრომი მიზნად ისახავს 1) ვირიჯინია ვულფის სტილის თავისებურებების შეჯამებას და 2) მისი ქართულად გადმოტანის თავისებურებების გამოვლენას და ანალიზს.ქართულ ენაზე ვირჯინია ვულფის ამ რომანის ორი თარგმანი არსებობს: 1. გიორგი ძნელაძისეული („მისის დოლოვეი“, გამომცემელი პალიტრა L, 2012) და 2. კატერინა პეტროვა-ბერძენაძის („მისის დელოუეი“, გამომცემელი საქართველოს აკადემიური გამომცემლობა, 2019).ნაშრომში გაანალიზებულია ვირჯინია ვულფის, როგორც ცნობიერების ნაკადის მიმართულების წარმომადგენელის ზოგად, სტილისტურ მახასიათებლები (პარკსი, 2014; ვერდონკი, 2002, განნი, 2003). თარგმანის ტექსტის შეპირისპირების დროს ვეყრდნობით რაისის მოდელს (2014), რომელიც გვთავაზობს ორიგინალისა და თარგმანის ეკვივალენტურობის მრავალშრიან ანალიზს შედარება-შეპირისპირების მეთოდზე დაყრდნობით. ნაშრომში შედარებულია ვირჯინია ვულფის სტილის მნიშვნელოვანი ელემენტების სინტაქსური (ირიბი მეტყველება, თავისუფალი ირიბი დისკურსი, მწერლის ხმის გადმოცემის თავისებურებები), ლექსიკური, მეტაფორულ-სტილისტიკური თავისებურებებისა და სოციალურ - კულტუროლოგიური რეალიების გადმოტანის სპეციფიკა და ეკვივალენტურობა.

3. .ნაშრომში გაანალიზებულია ,,ვეფხიტყაოსნის'' სამი თარგმანი ინგლისურ ენაზე: მარჯორი უორდროპის (The Man in the Panther's skin, A Romantic Epic by Shota Rustaveli, Oriental Translation Fund, London, 1912), ვენერა ურუშაძისა (The Knight in the Panther's Skin, Tbilisi, Sabchota Sakartvelo, 1968) და ლინ კოფინის (The Knight in the Panther Skin, Turkey, Poezia Press, 2015).

ამ თარმანებს ერთმანეთისაგან ნახევარი საუკუნე აშორებს და სხვადასხვა მთარგმნელობით პრონციპებს ემყარება, შესაბამისად მიღებული თარგმანები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და საინტერესო მასალას წრმოადგენენ შედარებითი კვლევისთვის.მარჯორი უორდროპის პროზაული თარგმანი დედნისადმი ერთგულებით გამოირჩევა. მთარგმნელმა უარი თქვა სალექსო ფორმაზე, რადგან ჩათვალა, რომ ამით ნაწარმოების აზრობრივი მხარე დაზარალებოდა. თარგმანის წინასიტყვაობაში, რომელიც ოლივერ უორდროპს ეკუთვნის ვკითხულობთ: ,,ეს არის მცდელობა ამ წიგნის ერთგული, სიტყვასიტყვითი გადმოცემის. წიგნისა, რომელიც სარკეა დიადი წარსულის მქონე კულტურული ერის.'' თარგმნის სირთულეებთან დაკავშირებით კი უპირველეს სირთულედ ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის სიმდიდრესა და დიდ მოქნილობას ასახელებს. გასული საუკუნის 70-იან წლებში ვენერა ურუშაძეს მიერ შესრულებული თარგმანი, პოეტურ თარგმანს წარმოადგენს, რომლის გასამართად ავტორმა ჰეგზამეტრი გამოიყენა. წინასიტყვაობაში ვენერა ურუშაძე ქართულ და ინგლისურ ენებს შორის არსებულ განსხვავებაზე აკეთებს აქცენტს და მიიჩნევს, რომ ინგლისურში, რომელიც ანალიზური ენაა ორმარცვლიანი და სამმარცვლაინი რითმის გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ ნებისმიერი მცდელობა ქართული ლექსის ფორმის იმიტირებისა საბედიწერო იქნებოდა მთარგმნელისათვის. ჰეგზამეტრის გამოყენებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები: ინგლისელი მკითხელისათვის იგი ჰომეროსის ეპოსთან ასოცირდება და ამდენად, ,,ვეფხისტყაოსანიც'' გარდასულ დღეთა დიადი ეპიკური ნაწარმოების განწყობას აღძრავს მასში. თუმც ამგვარი ტექსტი მძიმეა და ორგინალის ფორმისმიერი მშვენება, სილაღე და მოქნილობა იკარგება, მაგრამ იგი დაკვირვებულ მკითხელს ორგინალის ტექსტის ეპიკურ დიდებულებასა და კეთილშობილებას ნამდვილად მიახვედრებს.

ლინ კოფინის თარგმანი პირველი თარგმანია, რომელშიც ,,ვეფხისტყაოსანი'' გარითმული, უფრო კონკრეტულად კი იმავე სალექსო ფორმით ანუ შაირით არის თარგმნილი ინგლისურად. პოეტური ნაწარმოების თარგმნისას სალექსო ფორმის შენარჩუნება, რომ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ამას მტკიცება არ სჭირდება, თუმცა ისიც არის გასათვალისწინებელი, თუ რისი დათმობა უწევს ამის საფასურად მთარგმნელს და ამასთანავე სალექსო ფორმის უცვლელად გადატანა უცხო ენაზე, რამდენად წარმოქმნის იმ მხატვრულ ექვივალენტს, რომლის შექმნაც თარგმანის ყველაზე დიდი მიზანი უნდა იყოს. ლინ კოფინის

თარგმანი, სამწუხაროდ ადასტურებს ვენერა ურუშაძის მოსაზრებას, რომ ინგლისურ ენაზე ქართული სალექსო ფორმის იმიტირება პოემას დააკნინებდა. შაირის გადატანა ინგლისურ ენაზე შეუძლებელია და კალკირებულ ხელოვნურ ფორმას წარმოქმნის, რისი მიზეზიც ამ ორ ენასა და მათ ლექსთაწყობას შორის არსებული დიდი სხვაობაა.სტატიაში გაანალიზებულია კონკრეტული მაგალითები თუ როგორ ხდება თარგმნისას წამოჭრილი ამა თუ იმ პრობლემის (როგორიცაა: აფორიზმები, ვერბალური ალიტერაციია და სხვ.) გადაჭრა სხვადასხვა თარგმანში.ანალიზმა ცხადყო, რომ მარჯორი უორდროპის პროზაული თარგმანი, მიუხედავად მთარგმნელის მოკრძალებული განაცხადისა, რომ მან მხოლოდ ,,სიტყვასიტყვითი თარგმანი'' გააკეთა ოდნავადაც არ შეესაბამება ტექსტის ღირსებას, რომელიც ბევრად აღემატება ,,სიტყვასიტყვითი თარგმანს''. მთაგმნელი ახერხებს შეინარჩუნოს დედნის ხატოვანება, აფორისტულობა და ამიტომ თარგმანი მხატვრული ღირსებით ასი წლის შემდეგაც არ კარგავს ზემოქმედებას. ჰეგზამეტრი, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ლიტერატურაში თითქმის ოთხი საუკუნეა არსებობს ინგლისური პოეზიისათვის მაინც არ წარმოადგენს ბუნებრივ ფორმას. ჰეგზამეტრით თარგმნილი ,,ვეფხისტყაოსნის'' ტექსტი მძიმეა, მაგრამ ამავე დროს პოემა ეპიკური დიდებულებას ინარჩუნებს.შაირის ფორმით ,,ვეფხისტყაოსნის'' ინგლისურად ამეტყველების მცდელობამ ინგლისური პოეზიაში უცხო და ხელოვნური სახე მიიღო. ამასთანავე, სალექსო ფორმის შენარჩუნებას ხშირად ეწირება პოემის აფორისტულობა, აზრის სიღრმე და პოეტური ხატოვანება. ხოლო თარგმანში თანამედროვე, სასაუბრო ინგლისური ენის გამოყენება ტექსტს ეპოქიდან ამოგდებულს ხდის და იგი გალექსილი ზღაპრის შთაბეჭდილებას ქმნის, რომელსაც ფილოსოფიური სიღრმე და ფორმისმიერი მშვენიერება აკლია.

4. მარგარეტ ატვუდის ნაწარმოები ,,კუდიანის ნაშიერი'' (Hag-seed, 2016) მრავალშრიანი ნაწარმოებია, რომლიც შექსპირის ბოლო პიესის ,,ქარიშხალის'' პოსტმოდერნისტულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. რომანში შექსპირის პიესის პროტაგონისტი პროსპერო 21-ე საუკუნის თეატრის რეჟისორი ფელიქს ფილიპსია, რომელიც თეატრიდან გამოძევების შემდეგ გამოსასწორებელ კოლონიაში იწყებს მუშაობას და პიესა ,,ქარიშხალს'' დგამს, რომელშიც როლებს პატიმრები ასრულებენ. სტატიაში განხილულია თუ როგორ ინტერპრეტაციას იღებს შექსპირის ტექსტი (პერსონაჟები, სიუჟეტური განვითარება, ფინალის გააზრება და სხვ.) ეტვუდის რომანში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნაწარმოების ფორმის ანალიზს, თუ ჟანრული სპეციფიკიდან და ეპოქიდან გამომდინარე როგორ შეიცვალა მხატვრული ნაწარმოების პოეტიკა. ნაჩვენებია, თუ რა როლს ასრულებს ეტვუდის ნაწარმოებში ინტერტექსტუალობა, გაანალიზებულია რომანში ჩართული სპექტაკლის ფუნქცია და თანამედროვე სამყაროსა და ხელოვნების, როგორც სიმულაკრული რეალობის აღქმა.

5. **დიალოგიზმის როლი ფლენ ო'ბრაიენის რომანში ,,დოლქის არქივი''**

ირლანდიელი მწერალი ფლენ ო'ბრაიენი, ერთ-ერთი პირველი პოსტ-მოდერნისტი ავტორია, რომლის შემოქმედება ნაკლებადა არის შესწავლილი. წინამდებარე სტატიაში ბახტინის დიალოგიზმის თეორიაზე დაყრდნობით გაანალიზებულია ფლენ ო'ბრაიენის ბოლო რომანი ,,დოლქის არქივი" (The Dalkey Archive, 1964). როგორც ეს პოსტმოდერისტულ ტექსტს ახასიათებს რომანი დიალოგშია სხვადასხვა ავტორების ტექსტებთან (ჯოისის, ნეტარი ავგუსტინეს). საინტერესოა რომ ერთ-ერთ ინტერტექსტს ამავე ავტორის პირველი რომანი ,,მესამე პოლიციელი'' წარმოადგენს, რომლის ფიქციური პერსონაჟი, დე სელბი, ,,დოლქის არქივში'' ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა ხდება. რომანი ტექსტი პოლიფონიურ ხმათა ერთობას წარმოქმნის, რომელშიც ყოვლიმცოდნე ავტორი გამქრალია და ტექსტი იქმნება როგორც ციტატების მოზაიკა, რომელიც პოსტ-მოდერნიზმისათვის დამახასიათებელ ირონიულ- პაროდიულ დიალოგს წარმოქმნის ტრადიციასთან.

6. რანკენშტაინიდან ფრანქისშტაინამდე

სტატია „ფრანკენშტაინიდან ფრანქისშტაინამდე“ შეისწავლის თანამედროვე ინგლისელი მწერლის ჟანეტ უინტერსონის 2019 წელს გამოცემულ რომანში „ფრანქისშტაინი“ (*Frankissstein*) პოსტჰუმანიზმისა თუ ტრანსჰუმანიზაციის მხატვრული რეპრეზენტაციის საკითხებს. ეს ნაწარმოები, იენ მაკიუენის რომანის „ჩემნაირი მანქანების“ პარალელურად გამოქვეყნდა და იმ პრობლემატიკითაა დატვირთული, რომლის წინაშეც თანამედროვე სამეცნიერო-ტექნოლოგიური მსოფლიო დგას. თუ მაკიუენი, ალან ტურინგის ალტერნატიულ ისტორიას და მისი შემოქმედების - ხელოვნური ინტელექტის მქონე ჰუმანოიდის ადამ და ევას „დაბადების“ შესახებ გვიამბობს, უინტერსონთან, ასეთი პერსონა, რომანის მთავარი პერსონაჟი პროფესორი ვიქტორ შტაინი და მისი მასწავლებელი, ტურინგის თანამოაზრე ცნობილი მათემატიკოსი ჯეკ ირვინგ გუდია.

უინტერსონის „ფრანქისშტაინის“ მოქმედება ორ დროში ვითარდება. პირველი დრო 1816-იანი წლებია, რომელიც ინგლისელი რომანტიკოსი პოეტების პერსი ბისი შელის, ლორდ ბაირონის, ჯონ პოლიდორის და მერი შელის ჟენევის ტბის პირას შეკრების ცნობილ ამბავს და მათი „ახირების“ შესახებ მოგვითხრობს. რომანის მეორე დრო თანამედროვე (მომავლის) განზომილებაა. მთავარი პერსონაჟები დოქტორი რაი შელი (Ry Shelly), პროფესორი ვიქტორ შტაინი (Victor Stein) და რონ ლორდია (Ron Lord), რომლებიც 19-ე საუკუნის სიუჟეტის და მერი შელის, ლორდ ბაირონის თუ ვიქტორ ფრანკენშტაინის მომავლის იდეურ-მხატვრული სახეები არიან. ისინი სოციალური და ინდუსტრიული რევოლუციიდან, ტექნოლოგიურ რევოლუციამდე, ახალი აზროვნების ადამიანის დაბადების სურვილიდან, ახალი ადამის შექმნის იდეამდე, რომანტიზმის და პოსტჰუმანიზმის ეპოქების დამაკავშირებელ პერსონაჟებად გვევლინებიან. თუმცა, პირველ რიგში რომანის და პერსონაჟების მთავარი იდეა ტექნოლოგიების ეპოქაში ადამიანის აზროვნების ტრანსფორმაციებია. შესაძლებელია თუ არა ადამიანმა, ბიბლიურ თუ არქაულ მეხსიერებაში დალექილი მარადიულობა, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საშუალებით დაიბრუნოს. შესაძლებელია თუ არა ადამიანის ცნობიერების - აზროვნების - ცოდნის - გონის კომპიუტერულ პროგრამაში გადატანა და სხეულის გარეშე სიცოცხლის გაგრძელება-განახლება. უინტერსონის რომანის ერთ-ერთი მთავარი განხილვის თემა სწორედ ტრანსჰუმანისტული იდეები და ტექნოლოგიის მეშვეობით სიცოცხლის გახანგძლივება ან/და სიკვდილის დამარცხების შესაძლებლობაა.

ჟანეტ უინტერსონი, პოსტჰუმანიზმის და ტექნოლოგიის ეპოქაში, მე-19 საუკუნის სამეცნიერო იდეების მნიშვნელობებსა და მსგავსებებს, მერი შელის „ფრანკენშტაინის“ ფიქციური რეკონსტრუქციით და პოსტმოდერნისტული ირონიით გვთავაზობს. თუმცა, ორ ეპოქას და მხატვრულ ნაწარმოებს შორის მსგავსებასთან ერთად, განსხვავებებიცაა. თუ მერი შელის „ფრანკენშტაინში“, ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ადამიანი ზმანებად, ფიქციად, ფანტასტიკად ან/და „საშინელებათა ისტორიად“ ითვლებოდა, დღეს ის ხელოვნური ინტელექტის, ტრანსჰუმანიზმის თუ ჰუმანოიდების სახით, თანამედროვე მსოფლიოს აწმყო და მომავალია.

7. ალექსიძის მეტამორფოზა

2018 წელს, მარიამ ალექსიძის მიერ დადგმული თანამედროვე ბალეტი „მეტამორფოზები“, ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მხატვრული იდეის და გამომსახველობითი ფორმის სინთეზის საინტერესო მაგალითია. ქორეოგრაფმა, თანამედროვე სამყაროში მიმდინარე სოციო-კულტურული თუ სულიერი მეტამორფოზები, ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაში დალექილი მხატვრული იდეებით, სიუჟეტებითა თუ სახეებით in illo tempore-ში (დიდ დროში) წარმოგვიდგინა. მარიამ ალექსიძემ, თანამედროვე „მეტამორფოზების“ წარმოსაჩენად მითის მუდმივი დაბრუნების მხატვრულ იდეას მიმართა, ხოლო მხატვრული ფორმის მხრივ, „სანახაობას და კითხვას“, მორჩა ელიადეს სიტყვებით, რომ ვთქვათ რომელიც კინოსა და თეატრისთვის დამახასიათებელ კონცენტრირებულ დროში დიდი დაძაბულობით მიმდინარეობს და ესთეტური თანაზიარობის გარდა, მაყურებელში ღრმა გამოძახილს ჰპოვებს. ალექსიძის თანამედროვე ბალეტი სწორედ, ოვიდიუსის „მეტამორფოზების“„წაკითხვა“ და იოჰან სებასტიან ბახის, ელექტრონული მუსიკისა და ნეო-კლასიკური და თანამედროვე საბალეტო ენით გამოხატული სანახაობაა. თუმცა, წაკითხვა-სანახაობა, არა მხოლოდ გართობა ან/და ესთეტიკური სილამაზის მინიჭება, არამედ უპირველესად

შემეცნება-დაკვირვებაა. სანახაობა-ცეკვა, როგორც მხატვრულ-რიტუალური აქტი იმას ემსახურება, რომ მითოლოგიურ დროში გავიაზროთ თანამედროვე დროების გარდასახვები. ალექსიძის „არტისტული რიტუალი“ ოვიდიუსის პოეზიის საფუძველზე თამაშდება, რომელშიც პლასტიკურადაა წარმოჩენილი თანამედროვეობაში სილამაზის, სიყვარულის, სექსის, ხელოვნების, პოლიტიკის, ღალატის, შურის, ბოროტების, ძალაუფლების გარდასახვები. მათ შორის აღსანიშნავია: ფაეტონის ამბით მოყოლილი სამყაროს წესრიგის რღვევა, კიკნუსის მწუხარება, ნარცისისა და ექოს სილამაზის ტრაგიზმი, ტირესიასის სიამენი, არაქნეს ამპარტავნული ხელოვნება, არიადნეს, თეზევსისა და დიონისეს სექსი, ჰერმაფროდიტუსის ორმაგი ბუნება, პირამუსისა და თისბეს მარადიული სიყვარული, კენტავრ ნესუსის ველური ვნებები, სიბილას მარადიულობისა და ახალგაზრდობისკენ ლტოლვის ტრაგიზმი, ორფევსის გამაყრუებელი გოდება, ფილომელასა და პროკნეს სისასტიკე და ბოლოს, მთავარი მეტამორფოზა: სამყაროს დაბადების და აღსასრულის (აპოკალიფსი) მუდმივი განმეორებადობა.

8. ესპანურ ენაში მეტყველების ნაწილების თავდაპირველმა კლასიფიკაციამ, რომელიც ათწევრა სისტემით იყო წარმოდგენილი, ევოლუციის საკმაოდ რთული გზა განვლო და რამდენჯერმე იცვალა სახე. ესპანური ენის პირველი გრამატიკის (1492 წ.) ავტორის - ანტონიო დე ნებრიხას მიერ შემოთავაზებულმა კლასიფიკაციამ, რომელიც მოიცავდა სახელს, ნაცვალსახელს, არტიკლს, ზმნას, მიმღეობას, გერუნდივს, ინფინიტივს, წინდებულს, ზმნიზედას (შორისდებულთან ერთად) და კავშირს, პირველი ძირეული ცვლილება XVIII საუკუნის დასაწყისში დაარსებული სამეფო აკადემიის გრამატიკის გამოქვეყნებით (1771 წ.) განიცადა. ესპანური ენის სამეფო აკადემია (RAE), რომელიც არ დაეთანხმა მეტყველების ნაწილების ნებრიხასეულ კლასიფიკაციას, აქვეყნებს ახალ გრამატიკულ ნაშრომს, სადაც ნებრიხას მიერ დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილებად გამოცხადებული გერუნდივი და ინფინიტივი გაერთიანებულია ზმნასთან, ხოლო ზმნიზედა და შორისდებული ცალ-ცალკე მეტყველების ნაწილებად არის წარმოდგენილი.

მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციამ კიდევ ერთხელ იცვალა სახე 2009 წელს. სწორედ ამ წელს გამოქვეყნდა აკადემიის გრამატიკის უახლესი ვერსია, სადაც მეტყველების ნაწილების ახალი კლასიფიკაცია ვიხილეთ. მეტყველების ნაწილების ჩამონათვალში გაჩნდა ახალი მეტყველების ნაწილი - მსაზღვრელი, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ განიხილებოდა, როგორც ზედსართავი სახელის ერთ-ერთი ჯგუფი და მოიხსენიებოდა ტერმინით „განმსაზღვრელი ზედსართავი სახელი“ esp. adjetivo determinativo). მეტყველების ნაწილების ახლებურად კლასიფიკაციის გარდა, სამეფო აკადემია გამოყოფს ჯვარედინ ფორმებს (esp. clases transversales). სწორედ ჯვარედინ ფორმებად არის მოხსენიებული კუთვნილების (esp. posesivos), ჩვენებითობის (esp. demostrativos), განუსაზღვრელობის (esp. indefinidos) აღმნიშვნელი ის ფორმები, რომლებიც სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა მეტყველების ნაწილს წარმოადგენენ. წინამდებარე სტატიაში განხილულია ჯვარედინი ფორმები და მათი ხან მსაზღვრელად, ხან კი ნაცვალსახელად გამოყენების ძირითადი შემთხვევები და მახასიათებლები. მოძიებულია ჯვარედინი ფორმების ქართული შესატყვისიც.

9. ფრაზეოლოგიის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი სამყაროს აღქმის და გაცნობიერების ნაციონალური თავისებურებებია. სამყაროს აღქმის და გაცნობიერების განსხვავებული გზები, ქვეყნის ისტორია და სხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორები განაპირობებენ, რომ წარმოიქმნას ფრაზეოლოგიური ერთეულების ისეთი ჩამონათვალი, რომელიც მხოლოდ ერთი კონკრეტული ენისთვის იქნება დამახასიათებელი.

ნაციონალური ხასიათი და კავშირი ქვეყნის ისტორიასთან კარგად ჩანს ესპანურ ფრაზეოლოგიაშიც. ესპანეთის ისტორია და სხვადასხვა საუკუნით დათარიღებული ისტორიული მოვლენები არაერთხელ გამხდარა „შთაგონების წყარო“ ესპანური ფრაზეოლოგიისათვის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ისტორიით შთაგონებულ ესპანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში აღწერილია არა კონკრეტული ისტორიული მოვლენა, არამედ დასახელებულია ის გეოგრაფიული ობიექტი, სადაც ქვეყნის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა. ტოპონიმები და

ტოპონიმიკური ფრაზეოლოგიური ერთეულების განხილვა-ანალიზი წინამდებარე მოხსენების მთავარი თემაა.

10. სტატიაში განხილულია მედიაციის მნიშვნელობა ფრანგული ენის სწავლების პროცესში. ხაზგასმით აღნიშნულია მედიატორის როლი და ფუნქცია სასწავლო საკომუნიკაციო პროცესის წარმართვისა და ფასილიტაციის თვალსაზრისით. განხილულია მედიაციის დიდაქტიკურ პრაქტიკაში ინტეგრირების შესაძლებლობები, როგორც ზოგადი განათლების, ასევე პროფესიული და საუნივერსიტეტო განათლების საფეხურებზე

11. **ფრაზეოლოგიზმების შედარებითი ანალიზის როლი ფრაზეოდიდაქტიკასა და ფრაზეოთარგმანში**

ენის მატარებელთა მრავალი ეთნოკულტურული მახასიათებელი, ტრადიციათა თავისებურებანი, ყოველდღიური ყოფა ასახულია ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკურ ჯგუფებში. ფრაზეოლოგიზმები ინარჩუნებენ განსაზღვრული ეპოქის საზოგადოების აზრებს, გამოხატავენ ეთნოსის მსოფლმხედველობას, ფობიებს, ცრურწმენებსა და ტრადიციებს.

ნაშრომში წარმოდგენილია ფრანგული და ინგლისური ენების ფრაზეოლოგიზმთა შედარებითი ანალიზი, რაც სემანტიკურ თავისებურებათა გამოვლენას ისახავს მიზნად, ამასთანავე ხაზს უსვამს ფრაზეოდიდაქტიკისა და ფრაზეოთარგმანის მიმართულებებით კვლევის მნიშვნელობას. კომპარატივისტული ლინგვისტიკის სფეროში მიმდინარე სამეცნიერო კვლევა, ამ ახალ დისციპლინებთან იმართებაში, პრქტიკულ ლინგვისტურ კონტექსტში ჩაიწერება,რომელიც ხაზს უსვამს თარგმანისა და უცხოური ენის სწავლა/სწავლების პროცესში მათი გაგებისა და გამოყენების მნიშვნელობას.

12. **ფრანგული ენის სწავლების დიდაქტიკური პოტენციალის ანალიზი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში;**

წინამდებარე მოხსენების მიზანია ფრანგული, როგორც უცხოური ენის სწავლების პოტენციალის კვლევისას სოციო-პოლიტიკური და კულტურული ასპექტების წინა პლანზე გამოტანა, რაც საშუალებას მოგვცემს, შევისწავლოთ და საფუძვლიანად გავაანალიზოთ ქართულ სივრცეში არსებული ფრანკოფონული დიდაქტიკური შესაძლებლობები და სწორად დავგეგმოთ ფრანგული ენის სწავლების მოდელი.

მოხსენებაში მოკლედ მომოვიხილავთ საქართველოში ფრანგული ენის სწავლების ლინგვო-კულტურულ ასპექტებს, ორი ქვეყნის ლინგვო-კულტურულ ურთიერთობებს შუა საუკუნეების ეპოქიდან საბჭოთა კავშირის პერიოდის ჩათვლით.

13. ქართული მოდერნისტული პოეზიის კომპარატისტული კვლევა ფრანგული პოეზიის კონტექსტში ცხადყოფს, რომ მე-20ს-ის დასაწყისის ქართული პოეზია არ წარმოადგენს ევროპული პოეზიის ეპიგონურ დანამატს ან პერიფერიას. იგი ქმნის მის ორიგინალურ ინვარიანტს, რომელიც ერთგვარად აფართოებს და განავრცობს ფრანგული პოეზიის მითოგრაფიულ დისკურსსა და მითოსურ სახისმეტყველებას, ქრონოტოპებს, კულტურულ და ლანდშაფტურ სივრცეებს.

მე-20 ს-ის 20-იან წლებში ცისფერყანწელები თავის აღტაცებას ვერ მალავდნენ ფრანგი სიმბოლისტების შემოქმედებით, რაც მათი მხრიდან მიიჩნეოდა იმის მტკიცებულებად, რომ ქართული ლიტერატურის გეზი ევროპულისკენ იყო მიმართული. მათ ჰყავდათ სათაყვანებელი პოეტები: ედგარ პო, ბოდლერი, რემბო, ვერლენი... თუმცა ვფიქრობ, ცისფერყანწელების გამოცხადება ქართველ სიმბოლისტებად ძალზე სადავოა. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ფრანგული სიმბოლიზმის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება და შესაბამისად მისი დაკავშირება მე-20 ს-ის ქართველ პოეტებთან, კერძოდ გალაკტიონის პოეზიასთან .

14. მხატვრულტრა-ლიტერატურული ტექსტების სათაურების თარგმანი ურთულესი შემოქმედებითი პროცესია, რადგან ერთი მხრივ, იგი თავად ავტორის იდეებს, შეხედულებებს წარმოაჩენს, მეორე მხრივ – მთარგმნელისას. ხშირად, სათაური თარგმანის პროცესის დასრულების შემდეგ შეირჩევა. სათაურში შეიძლება ნაწარმოების ძირითადი თემა, მთავარი ან მეორეხარისხოვანი პერსონაჟები იყოს მოხსენიებული; იგი მეტაფორული ხასიათის შეიძლება იყოს ან იუმორისტული სათარგმნ ენაზე გადატანისას, ტექსტის და სათაურის სპეციფიკიდან გამომდინარე, მთარგმნელი სათარგმნი ტექსტის სათაურის ერთგული რჩება ან სათაურის ნაწილობრივ, ხან კი სრულად შეცვლა უწევს. წინამდებარე ნაშრომში, ყურადღება გვსურს გავამახვილოთ რამდენიმე ფრანგულენოვანი მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის სათაურების ქართულ თარგმანზე და ვიმსჯელოთ მათი შერჩევის მართებულობაზე.

ტექსტის თარგმანზე არანაკლებ ნიშვნელოვანია სათაურის თარგმნა. ტექსტების სათაური შეიძლება იყოს ლიტერალური (ძირითადი თემის ან პროტაგონისტის ამსახველი), მეტაფორული, მეტონიმური (მეორეხარისხოვან პერსონაჟზე მორგებული), ირონიული და ტექსტის ფორმის გამომხატველი. სასურველია, თარგმნისას გათვალისწინებული იყოს სათარგმნი ტექსტის სათაურის ზემოაღნიშნული კრიტერიუმები. მწერლის მიერ ნაწარმოების სათაურის არჩევა რთული შემოქმედებითი პროცესის ნაწილია, შესაბამისად სათაურის თარგმნა მთარგმენისთვისაც არანაკლებ თავსატეხს ქმნის, შეიძლება ითქვას ორმაგსაც, რადგან გასათვალისწინებელია ავტორის ჩანაფიქრი და სათარგმნის ენობრივი ასპექტი. სტატიისთვის მოვიძიე რამდენიმე მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის თარგმილი სათაური: ამელი ნოტომის ,,კრძალვითა და ცახცახით'' - ფრანგული ორიგინალის სათაურში ჩანს ერთი მხრივ უძრაობა (stupeur), მეორი მხრივ – მოძრაობა (tremblements), რაც იკარგება ქართულ თარგმანში; მილან კუნდერას ,,ყოფის აუტანელი სიმსუბუქე'' (,,ყოფის აუტანელი სიმსუბუქე'' უფრო ირონიულ დამოკიდებულებას იწვევს, ვიდრე ტრაგიზმით სავსე და ფილოსოფიურ კონტექსტის მქონე - ,,ყოფიერების გაუსაძლისი სიმსუბუქე''; ვიქტ ჰუგოს ,,საბრალონი'' - რომანტიზმის გავლენა და ნაწარმოების სიუჟეტი ნაწარმობის სათაურის *გიბლიასთან* დაკავშირების საფუძვლიან მიზეზს იძლევა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ დიდტანიანი მხატვრული ტილოს სათაური არა *საბრალონი*, არამედ *ღატაკნი* ან *უპოვარნი* უნდა ყოფილიყო.

სტატიაში განხილულია სხვა თანამადროვე თუ კლასიკოსი ფრანგი მწერლის ქართულად თარგმნილი ნაწარმოებების სათაურები: ჟან-მარი გუსტავ ლე კლესიოს ,,მონდო და სხვა ამბები, მარტენ პაჟის ,,როგორ გავხვდი იდიოტი'', პასკალ კინიარის ,,ენაზე მომდგარი სახელი'', ტეოფილ გოტიეს ,,ფანტასტიკური მოთხრობები''....

15. **ადამიანის მახასიათებლების პროექცია მწერების აღმნიშვნელ მეტაფორებში იტალიურ და ქართულ ენებში**

კოგნიტიური მეტაფორის თეორიის ფარგლებში დადგენილია კოგნიტიური მეტაფორის - ადამიანი ცხოველია (HUMANS ARE ANIMALS) - არსებობა. ამ კოგნიტიური მეტაფორის კვლევის მიზნით გავაანალიზეთ მწერების სემანტიკური ჯგუფი ქართულ და იტალიურ ენებში, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა, თუ კონკრეტულად რომელი მწერებია წარმოდგენილი წყაროს სფეროში(დომენში) ადამიანის მიზნის სფეროს გასაგებად, დადასტურებული შემთხვევებიდან კი, რომელი მათგანი გამოირჩევა სიხშირის მიხედვით; ასვე გავარკვიეთ, დასტურდება თუ არა გენდერული ნიშნით მათი მარკირება და მწერების საშუალებით ადამიანის გარეგნობის, მისი საქციელისა და შინაგანი თვისებების პროექციის დროს შეფასების თვალსაზრისით რომელი მიმართულება ჭარბობს - პოზიტიური თუ ნეგატიური. წყაროს გავრცელებული სფეროებია ადამიანის სხეულის ნაწილები, ადამიანის ჯანმრთელობა და ავადმყოფობა, მცენარეები, ცხოველები, თამაშები, სპორტი და სხვ.;ლაკოფისა და ტერნერის მიხედვით (Lakoff, Johnson 1989), ცხოველთა მეტაფორა ეფუძნება ე.წ. დიდი ჯაჭვის მეტაფორას (Great Chain Metaphor); ის გაგებულია, როგორც კულტურული მოდელი, რომელიც სხვადასხვა არსებებსა და საგნებს (ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს, რთული აგებულების მქონე საგნებსა და ბუნებრივ ფიზიკურ საგნებს) განალაგებს იერარქიულად; იერარქია აგებულია ყოველი მისი შემადგენლის თვისებებისა და მახასიათებლების

საფუძველზე. სისტემა ხდება მეტაფორული, როდესაც მისი ერთი კონკრეტული დონე გამოიყენება სხვა კონკრეტული დონის გასაგებად; უფრო მაღალ იერარქიულ დონეზე მყოფი ელემენტები გაიგება უფრო დაბალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი ელემენტების საშუალებით (მაგ., ადამიანი გაიგება როგორც ცხოველი ან მცენარე) ან პირიქით, უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი ელემენტი კონცეპტუალიზებულია როგორც უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი ერთეული (მაგალითად, რთული აგებულების მქონე საგნები პერსონიფიცირებულია) (Kövesces 2010:167). კოგნიტიური მეტაფორა *ადამიანი ცხოველია* ასეთი ნიშნებით ხასიათდება:

1. ის სისტემატიური ხასიათისაა - ყველა მაგალითში ხდება იდენტური ტიპის სტრუქტურის დადგენა, რომელიც ეფუძნება წყაროსა (ცხოველები) და მიზნის (ადამიანები) სფეროებს შორის შესაბამისობების პროექცირებას.
2. ის ეფუძნება როგორც ადამიანებთან, ისე ცხოველებთან ურთიერთობის ჩვენეულ გამოცდილებას.
3. ის ეფუძნება მეტაფორას - *ზოგადი არის კონკრეტული* (Generic is Specific Metaphor), რაც საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს ზოგადი ინფორმაციის პროექცირება წყაროს სფეროდან მიზნის სფეროს კონკრეტულ მაგალითში.
4. ის გულისხმობს არსებათა იერარქიულ ორგანიზაციას. მაგალითად, მოცემული კოგნიტიური მოდელის გამოყენებით ცხოველურ მეტაფორასთან მიმართებაში ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ადამიანები (უმაღლესი არსებები) ცხოველთა ტერმინებში (უმდაბლესი არსებები) და ასევე შეგვიძლია გავიგოთ ცხოველები ადამიანის ტერმინებში, ვინაიდან მივაწერთ მათ ადამიანების თვისებებს. ამგვარად ეს მოდელი აკავშირებს იერარქიაში ორ დონეს იმგვარად, რომ ერთი გაიგება მეორის ტერმინებში და ის მუშაობს ორი მიმართულებით: ზევიდან ქვევით და პირიქით.

წინამდებარე სტატიაში ჩვენი კვლევის საგანია იმის დადგენა, თუ როგორ არის პროექცირებული იტალიური და ქართული ენების ცხოველურ მეტაფორებში (Animal Metaphors) მწერები - როგორც წყაროს სფერო და ადამიანები - როგორც მიზნისა. ამ მიზნით გამოვიყენეთ იტალიური განმარტებითი ლექსიკონი, ტრეკანის ონლიან ლექსიკონი, ქართული ენის კორპუსი, ქართული ენის ეროვნული კორპუსი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და იდიომური გამოთქმების ლექსიკონი.

მეტაფორულ პროექცირებას დაქვემდებარებული მწერების თემატური ჯგუფი ასეა წარმოდგენილი იტალიურ ენაში: ხის ჭია, ჭრიჭინა, ბუზი, კრაზანა/ბზიკი, რწყილი, ტილი, ჭიანჭველა, ფუტკარი, ციკადა, კალია, ნემსიყლაპია, პეპელა, ღამის პეპელა, ქინქლა, ღვთისმლოცველა, კოღო, ციცინათელა, წურბელა, ტკიპა - სულ 24 დასახელების ერთეული,\ქართულში ამ 24-იდან ჩვენთვის საინტერესო პროექციაში დასტურდება მხოლოდ 5: ჭია, ბუზი, ჭიანჭველა, ფუტკარი, (ჭრელი) პეპელა; არ დასტურდება: ჭრიჭინა, რწყილი, კრაზანა, ტილი, ციკადა, კალია, ნემსიყლაპია, ღამის პეპელა, კოღო და ციცინათელა. იტალიურში კი, ქართულისაგან განსხვავებით, არ დასტურდება ბუზანკალი. ადამიანის ქცევისა და შინაგანი მახასიათებლის ჯგუფიდან ყველაზე ხშირია უარყოფითი მახასიათებლის პროექცირება: „აბეზარი“, „თავის მომაბეზრებელი“ – რაც, რა თქმა უნდა, უკავშირდება შესაბამისი მწერების (ბუზი, კრაზანა, ციკადა, კოღო) მიერ გამოცემულ ხმას ან მათ მახასიათებლებს, რომელიც ძალიან შემაწუხებელია ადამიანისათვის: წურბელა და ტკიპა - სისხლს წოვს, კოღო და ტილი იკბინება და ქავილს იწვევს; მთლიანად აღნიშნულ ჯგუფში ჭარბობს უარყოფითი შეფასება, დადებითი ძალიან ცოტაა (ორივე ენაშია წარმოდგენილი *ჭიანჭველასავით მუშა* და *ფუტკარივით მშრომელი,* იტალიურში ადამიანს, რომელიც *ჭრიჭინასავით დახტის* - კარგი ჯანმრთელობა აქვს).

ორივე ენაში მწერების ჯგუფიდან აღნიშნულ პროექციაში ყველაზე გავრცელებული ლექსიკური ერთეულია *ბუზი,* რომელიც უარყოფითი ნიშნით არის რეალიზებული. გენდერული ნიშნით იტალიურში მდედრობითი სქესის ნიშნით პროექცირდება: კრაზანა, ფუტკარი (ape regina),

ციცინათელა, პეპელა (farfallina) და მამრობითი სქესის ნიშნით: farfallone. ქართულში გენდერული ნიშნით პროექცია არ ხდება.

16. გულის კონცეპუალიზაცია კოგნიტიური ლინგვისტიკის თეორიის საფუძველზე

ჯონსონი და ლაკოფი კონტეინერის მეტაფორას ონტოლოგიური მეტაფორების რიგს მიაკუთვნებენ. იმის მსგავსად, თუ როგორ ბადებს ადამიანის სივრცობრივი ორიენტაციის გამოცდილება ორიენტაციულ მეტაფორებს, მატერიალურ ობიექტებთან ურთიერთქმედების გამოცდილება (განსაკუთებით ჩვენ საკუთარ სხეულთან) ქმნის საფუძველს ძალიან მრავალფეროვანი ონტოლოგიური მეტაფორების არსებობისათვის, ანუ, როდესაც მოვლენებს, მოქმედებებს, ემოციებს, იდეებს და ა.შ. მატერიალურ რაობებად აღვიქვამთ. კონტეინერის სქემა ფართოდაა წარმოდგენილი როგორც ქართულ, ისე იტალიურ ენაში; მაგალითად, იმას, რომ ჩვენ საკუთარ თავს აღვიქვამთ, როგორც კონტეინერს, ადასტურებს შემდეგი მაგალითები: გული ამოუჯდა ტირილით ან სირბილით გული ამოუვარდა (ამ შემთხვევაში კონტეინერი ჩვენი სხეულია, საიდანაც გული „ამოჯდება“ ან „ამოვარდება“). ახლა კი განვიხილოთ შემთხვევები, როდესაც თავად გული არის კონტეინერი. აქ შეიძლება გამოვყოთ ორი შემთხვევა: -ში თანდებულის საშუალებით ნაწარმოები კონტეინერი და ლექსიკურად, კონკრეტული ზმნის გამოყენებით, რომელიც კონტეინერს გულისხმობს: 1-ში თანდებულის საშუალებით: გულში ჩაუვარდა (მოეწონა, დაინტერესდა), გულში უდევს (არ ავიწყდება, სათუთად ინახავს), ვინმეს გულში ზის (სხვისი აზრები იცის), გულში ამოიჭრის(სათუთად შეინახავს, გაუფრთხილდება), გულში ჩაიმარხავს (არ დაივიწყებს), გულში იკლავს გრძნობას (გრძნობას არავის უმხელს, თავის თავში იკლავს), გულში ხინჯი აქვს (დარდი აქვს), გულში გაივლებს (გაიფიქრებს); იტალიური ენის მაგალითებია: leggere nel cuore - გულში ამოიკითხავს (მიხვდება ჩანაფიქრს), avere una spina nel cuore - გულში ეკალი აქვს (დარდი აწუხებს), avere qc. nel/ a cuore გულში აქვს/ჰყავს რაღაც/ვიღაც - მოსწონს, აინტერესებს. ლექსიკური საშუალებით: გული ევსება სიხარულით, გულის სიღრმემდე შემძრა, გულის გადახსნა (საიდუმლოს განდობა) ასევეა იტალიურშიც: fino al fondo del cuore (გულის ძირამდე). დასტურდება საპირისპირო მნიშვნელობა - კონტეინერიდან ამოღება, ამ შემთხვევაში გამოყენებულია -დან თანდებული: გულიდან ამოიღებს, ამოიგლეჯს, ამოირეცხავს, ამოიფხეკს, ამოიფხვრის, გადააგდებს, გააძევებს, გადაუვარდება; გულიდან გადაეყრება - გაუვლის, გაუქრება (რაიმე განცდა), გარდა ორიენტაციისა შიგნით-გარეთ, ანუ კონტეინერის გაგებისა, დასტურდება ორიენტაცია ზედაპირზე-ზედაპირიდან: გულიდან ლოდი ჩამოეცლება, მოეხსნება - მწუხარება, დარდი, ნაღველი მოშორდება, შდრ: Togliere il peso dal cuore (გულიდან სიმძიმის მოხსნა) – მწუხარება, დარდი, ნაღველი მოშორდება; ბოღმა მოეშვება გულზე (დარდი გაუვლის), გულზე არ ახატია (არ უყვარს, არ მოსწონს), ასევე: გულზე დაწოლილი ლოდი (მეტისმეტად შემაწუხებელი დარდი), გულზე შავი ქვა (მძიმე, დიდი ნაღველი), გულზე ხელდაკრეფილი (უძრავად, უნუგეშოდ). გულთან მიმართებაში შესაძლებელია გამოიყოს ორი დიდი მეტაფორული ჯგუფი, სადაც : 1. გული საგანია: გული გარკვეული ზომის მქონე საგანია: გული დიდია (მამებითა გაქვთ დიდი გული), ნამცეცა გული (მხდალის, მშიშარას გული) გული გარკვეული მასალისაგანაა: ქართული ენის მონაცემები: გული ქვისაა, ოქროსია, რკინისაა; იტალიური ენის მონაცემები: cuore d’oro (ოქროს გული)- კეთილშობილი, cuore di bronzo (ბრინჯაოს გული) – უგრძნობი, sentirsi il cuore di piombo (ტყვიის გული) - დადარდიანებული, ნაღვლიანი იყო. 2. გული ცოცხალი არსებაა: გულს შეგრძნების უნარი აქვს: გრძნობს (გული უგრძნობს), სტკივა (გული სტკივა), ღონდება (გული უღონდება), გულს უხარია, გული ტირის, მას კლავენ (გული მოუკლა); იტალიურში: Sentirsi ridere il cuore (გული იცინის) გულს ფიზიკური გადაადგილება შეუძლია: გული არ უჩერდება (არ უდგება სადმე ან ვინმესთან), მიიწევს (ვიღაცისკენ ან რაღაცისკენ), ჩერდება, ბრუნდება (მოუბრუნდა რაღაცისკენ ან ვიღაცის მიმართ), გული „მიდის“ - გული წაუვიდა, გული არ მიუვიდა (რამეზე); გული „მოდის“ - გული მოუვიდა, იტალიურში: fermare il cuore in q.c. - გული შეაჩერო (რამეში) - მყარი გადაწყვეტილება მიიღო. ექვემდებარება გარკვეული გარემო პირობების ზემოქმედებას - ზოგადად

სიცხე და სიცივე ადამიანის ბაზისური გამოცდილებებია. ხშირად ვიყენებთ სიცხის სფეროს მეტაფორულად, როდესაც ვსაუბრობთ ადამიანებთან ურთიერთობებზე. ცეცხლის სფერო დაკავშირებულია სიცხის სფეროსთან. გარდა იმისა, რომ ცეცხლის საშუალებით ვთბებით, ჩვენ ცეცხლს ვიყენებთ, როდესაც საკვებს ვამზადებთ, როდესაც საგნებს ვანადგურებთ (ვწვავთ) და ა.შ., ეს წყაროს სფერო განსაკუთრებით გავრცელებულია ვნებებისა და სურვილების მეტაფორული კონცეპტუალიზაციის დროს, მაგ. ისეთი გრძნობებისა, როგორიცაა განრისხება, სიყვარული, სიძულვილი და ზოგი სხვა (Kövesces 2010:18). ყველაზე მეტად ქართულში დამუშავებულია ცეცხლისა და წყლის სფეროები: სიცივე: გული გაუცივდა; avere il cuore di ghiaccio (ყინულის გულის ქონა); ქარი: გულიდან განიქარვა წყალი: გული ეწურება, ემღვრევა, ემდუღრება. ცეცხლი: გული - იწვის (მეწვის), იმდუღრება (გული დამემდუღრა), იხრუკება (გული დამეხრუკა), ითუთქება (გული დამეთუთქა), გახურებულ გულზე (აღელვების დროს), გულის დამწველი (დიდი ნაღველის გამომწვევი). იტალიურში: scaldare il cuore (გულის გათბობა - დამშვიდება, გამხნევება); ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ იმიჯ სქემის რაობა, რომ ეს არის დინამიკური მოდელი, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც იმიჯის აბსტრაქტული სტრუქტურა და ამიტომ აკავშირებს ერთმანეთთან ფართო და სხვადასხვაგვარ გამოცდილებას. იმიჯ-სქემის საფუძველზე დავადგინეთ გულის, როგორც კონტეინერის კონცეპტუალიზაცია, რომელშიც რაღაც ინახება (საპირისპირო მოქმედება - გულიდან რამის ამოღება). გამოვყავით ორი დიდი მეტაფორული ჯგუფი - გული, როგორც საგანი, რომელიც შეიძლება იყოს დიდი ან პატარა, გარკვეული მასალისაგან და გული, როგორც ცოცხალი არსება, რომელიც შეიგრძნობს, გადაადგილდება, ექვემდებარება გარკვეული გარემო პირობების ზემოქმედებას. ზოგადად კი, გაანალიზებული მასალის საუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართულში გული ბევრად უფრო დამუშავებული კონცეპტია, ვიდრე იტალიურ ენაში.

17. სტატია ედგარ ალან პოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას ეძღვნება. მისი მიზანია წარმოაჩინოს, თუ როგორ აისახა პოეტის ცხოვრებისეული გამოცდილება და პირადი ტრაგედიები მის პიროვნებასა და შემოქმედებაზე, მის რეპუტაციაზე. სტატიაში უდიდესი ამრიკელი პოეტის, მწერლისა და კრიტიკოსის პორტრეტი დახატულია მისი ყველაზე ცნობილი, გენიალური ნაწარმოებების, მათში გამოხატული აზრებისა და ემოციების მეშვეობით, რადგან, ყველაზე ნათლად მისი სულიერი სამყარო, განწყობა და ჭეშმარიტი გრძნობები სწორედ ამ ნაწარმოებებში იკითხება. პოს ტკივილით, სირთულეებითა და იმედგაცრუებებით სავსე ცხოვრების, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაცნობით აიხსნება ბევრი რამ, რასაც საუკუნეების მანძილზე ზოგი კრიტიკოსი გენიოსი პოეტის სახელის გასატეხად იყენებდა. სწორი წარმოდგენის შესაქმენლად, წარმოდგენილია პოს პიროვნების ორივე – დადებითი და უარყოფითი – მხარე, ასევე ხაზგასმულია მისი წვლილი არაერთი ლიტერატურული ჟანრის ჩამოყალიბებასა და ზოგადად, მსოფლიო ლიტერატურის განვითრებაში.

18. ტექსტის კულტურული შრეების გადმოცემის სპეციფიკა თარგმანში

წინამდებარე ნაშრომი აგრძელებს ამ რამდენიმე წლის წინ ორივე თანაავტორის მიერ *თარგმანის დიდაქტიკის* კვლევის კუთხით ერთობლივად დაწყებულ ციკლს. პირველი შედეგები, გამოკვეთილი საავტორო და სტუდენტური თარგმანების შედარების თვალსაზრისით, წარდგენილი იყო ჩვენ მიერ 2021 წლის სექტემბერში თსუ-ში მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ VII სამეცნიერო კონფერენციაზე. ამჯერად სიმძიმის ცენტრი ენობრივი საშუალებებიდან გადაგვაქვს კულტურულ შრეებზე და ერთმანეთს ვუდარებთ, ერთი მხრივ, გერმანელი მწერლის ვოლფგანგ ბორხერტის ნოველის „მოწყენილი გერანიების“ ორ ავტორიზებულ თარგმანს, შესრულებულს სტუდენეცკისა და რავიკოვიჩის მერ; მეორე მხრივ კომპიუტერულ თარგმანს; მესამე მხრივ კი, ორივე

მათგანს ვუდარებთ იმავე ნოველის რუსულ- და ქართულენოვან თარგმანს, შესრულებულს ჩვენი უნივერსიტეტის სლავისტიკისა და გერმანისტიკის მიმართულების სტუდენტების მიერ. ამასთან მიმართებაში წინა პლანზე წამოვწევთ ისეთ ყოფით-კულტურულ პლასტებს, რომლებიც წესით გასათვალისწინებელი უნდა ყოფილიყო მთარგმნელის მიერ პროტაგონისტის ხასიათისა თუ მისი ქმედების მოტივაციის გახსნის თვალსაზრისით, და რომლის არ- თუ ვერ-დანახვამაც უდავოდ დაუკარგა თარგმანს არა მხოლოდ ხარისხი, არამედ გამჭვირვალობა და ადეკვატურობაც კი.

კულტურული პლასტების კვლევისა და შეპირისპირების კონტექსტში ყურადღებას ვაჩერებთ „მოწყენილი გერანიების“ მამაკაცი-პროტაგონისტის (er) ასოციაციების შედარებაზე მის სარკისებრ ანარეკლთან (он) ვისოცკისეულ ლექსში “*У нее все свое“*, რომელშიც მამაკაცი-პროტაგონისტი თავისი სოციალური სტატუსით ბევრად დაბლა დგას „მოწყენილი გერანიების“ კაც-პროტაგონისტზე და მისდაუნებურად საკუთარ დამოკიდებულებას ქალისდამი „დამცინავი გრიმასის“ ნაცვლად „სევდიან ღიმილში“ ასახავს.

ვფიქრობთ, ამით არ დასრულებულა დაინტერესება ბორხერტის „გერნაიებისადმი“ და ალბათ მოიძებნება კიდევ სხვა მთარგმნელი, რომელიც უფრო ზუსტად მიაგნებს ამ ენობრივად სრულიად გამჭვირვალე, სტაკატოს სტილში დაწერილი, მაგრამ სემანტიკურად დატვირთული, მრავალშრიანი ნოველის მოსარგებ ზუსტ გასაღებს.

19. სინესთეტი პოეტის ფსიქოლოგიური პორტრეტი და მისი თვალით დანახული სამყარო

წინამდებარე სტატია აგრძელებს სინესთეზიის ფენომენისა და სინესთეტ შემოქმედთა მიერ სამყაროს აღქმისა და მის სიტყვიერ ფორმაში გამოცემისადმი მიძღვნილ ციკლს, ერთობლივად დაწყებულს ორივე თანაავტორის მიერ ამ ორი წლის წინ. შესწავლის ობიექტად ამჯერად სახავს ოთხ ავტორს, რომლებიც გამოკვლევაში წარმოდგენილნი არიან ორი წყვილის სახით: *გეორგ თრაკლი* (*1887–†1914) // *მარინა ცვეტაევა* (*1892– †1941) და *ვლადიმირ ნაბოკოვი* (*1899 -†1977) // *ფერდინანდ ფონ შირახი* (*1964). შემთხვევითი არ არის არც ავტორთა შერჩევა და არც მათი დაჯგუფება ორ წყვილად, რამდენადაც ის ეყრდნობა, ერთი მხრივ, მწერალთა საკუთარ პიროვნულ-ბიოგრაფიულ ინდივიდუალობებს, მეორე მხრივ კი, მათი წერის მანერას, ჟანრობრივ თავისებურებებს.

ოთხივე შემოქმედს გამოარჩევს მეტ-ნაკლებად მსგავსი ცხოვრებისეული გზა, ასევე საკუთარ ნეირობიოლოგიურ მოცემულობები, მათზე დაყრდნობით კი გარკვეული საერთო ან მსგავსი ფსიქიკური გადახრები, გამოვლენილი დეპრესიების, მელანქოლიური აშლილობების, ინცესტის, ბიპოლარობის სახით, ხშირად ასევე სუიციდისკენ სწრაფვა და მისი განხორციელებაც კი. სამყაროსთან მიმართებაში ეს აისახება ფერთა არაადეკვატურ არეკვლაში, მათი ისეთ პრიზმაში გარდატეხვაში, რომელიც იძლევა სრულიად ინდივიდუალურ გამას, განსხვავებულს თვით ერთი მწერლის განწყობის მიხედვითაც კი ცხოვრების სხვადასხვა ფაზაში პირადული დრამისა თუ მსოფლიო კატაკლიზმების ფონზე. ამდენად მცდარი იქნებოდა, ფერთა ესოდენ მყისიერი, მერყევი აღქმა გაგვეთანაბრებინა სიმბოლიზმთან.

შედეგი სინესთეტური გადახრებისა არის ოთხივე ავტორის მიერ დატოვებული მსოფლიო მასშტაბის შედევრები, რომლებიც ამონარიდების სახით უხვად არის მოტანილი ნაშრომში და სათანადოდ გაანალიზებული როგორც მხატვრულ-ლიტერატურულ ჭრილში, ისე ლექსიკური და ლინგვისტური პარამეტრების მიხედვით.

ზემოხსენებული ოთხი ავტორის ერთგვარ გამოძახილად აღიქმება თანამედროვე გერმანელი ესეისტი ქალის *მარლენ შტიოსელის* შემოქმედება, რომელიც დაბადებიდან სინესთეტია; ის თავის ერთ-ერთ რადიოსიუჟეტს უწოდებს: «Das „E“ ist weiß, die „4“ veilchenblau» (ე – თეთრია, ოთხიანი – იისფერია), თხრობას კი ისე ავითარებს, რომ მსმენელს დაანახოს, რა სიფრიფანაა ზღვარი „კომიკურობასა“ და „ტრაგიკულობას“ შორის. სინესთეტია ასევე შირახის რომანის „ტაბუს“ პროტაგონისტიც, რომლის მთლიანი ცხოვრებაც ტრაგიზმია, წარმოდგენილი შესაბამისი ლექსიკური საშუალებებით.ნაშრომში ვითარდება ასევე მეორე ხაზი: პარალელი „ჭეშმარიტსა“ და ე.წ. „მოგონილ“/„შეთხზულ“ სინესთეზიას შორის; კერძოდ ხომ არ იქცა ერთგვარ „მოდად“, დროის

ტენდენციად წერა სინესთეზიაზე. ვფიქრობთ, ეს მარადიულად არსებული ფენომენია, დანახული სხვადასხვა თაობის მიერ სხვადასხვა რაკურსში, და ის კვლავაც მრავალჯერ იქცევა შემოქმედთათვის თხრობის ობიექტად, ფილოლოგებისა თუ ფსიქოლოგებისთვის – კვლევის საგნად, მკითხველებში კი – მძაფრი ემოციების აღძვრის

20. იხ.მ. ანდრაზაშვილის გარდამავალი პროექტის აღწერა.

21. ნაშრომში განხილულია თომას მანის "ბუდენბროკების" ქართული თარგმანი, რომელიც შესრულებულია დალი ფანჯიკიძის მიერ, კერძოდ, გაანალიზებულია რომანის დასაწყისი. ახსნილია, თუ რა უდევს საფუძვლად ერთი შეხედვით არაზუსტი თარგმანისთვის უპირატესობის მინიჭებას მთარგმნელის მხრიდან. დასაბუთებულია ერთ შემთხვევაში პერსონაჟის მიერ თანამედროვე გერმანულ ენაზე წარმოთქმული ფრაზის შესატყვისად ძველი ქართული ენის ფორმების შერჩევისა და მეორე შემთხვევაში ორიგინალის რთული ქვეწყობილი წინადადების რამდენიმე მარტივი წინადადებით თარგმნის - ანუ, ერთი შეხედვით ყველაზე მეტად "დასაგმობი" ქმედებების - მართებულობა. განხილული მაგალითები არადოგმატიკოსი მთარგმნელის ოსტატობის დასტურია.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ***დიტრიხ ბუსე, ლალი ქეცბა-ხუნდაძე (2022): გერმანული ენათმეცნიერების ძირითადი ასპექტები. 285გვ. UTB გამომცემლობა ვილჰელმ ფინკი, პადერბორნი.***
   Dietrich Busse, Lali Ketsba-Khundadze (2022): Gründzüge der germanistischen Sprachwissenschaft. UTB,285 S. Wilhelm Fink Verlag, Paderborn.

2. მანანა რუსიეშვილი, რუსუდან დოლიძე თავი წიგნში Georgia on my mind: English language and discursive practices in Georgian culture, გვ.15-41, Monterosi-VT-Italy, იტალია. (რედაქტორები Sonia Maria Melchiorre, Manana Rusieshvili), 2022 ISBN: 9788878539853 (წიგნი დაიბეჭდა ვიტერბოს უნივერსიტეტისა და იტალიაში საქართველოს საელჩოს დახმარებით, მისი პრეზენტაცია მოეწყო ვიტერბოს უნივერსიტეტში და საქართველოს საელჩოში იტალიაში)
   ,, There is no room for weakness here! Cultural metaphors and stereotypes versus gay love in film and society''

3. Sopio Totibadze A woman turned into a man. A sociolinguistic analysis of a Georgian fairy tale (Georgia on my mind: English language and discursive practices in Georgian culture, გვ.131-141, Monterosi-VT-Italy, იტალია. (რედაქტორები Sonia Maria Melchiorre, Manana Rusieshvili), 2022 ISBN: 9788878539853)

4. Nino Daraselia, Metaphors of Conscience in Georgian and English, in Studien zur Text und Diskursforschung, volume 29: Inter and Itralinguistic Contrast, Peter Lang Monograph, ISNN 2191-3714, (ანონიმური რეცენზირების შედეგად მირებულ იქნა დასაბეჭდად, გაიარა რედაქტირება, იბეჭდება)

5. **Andrazashvili, Marina:** Transfer deutschsprachiger Eigennamen aus der Sicht der Sprachuniversalien: *Modus Procedendi* und *Termini Technici* (გერმანულ საკუთარ სახელთა ტრანსფერი ენობრივი უნივერსალიების პოზიციიდან: Modus Procedendi და Termini Technici). კრებულში: Ernst, Peter / Gaisbauer, Stephan / Greule, Albrecht / Hohensinner, Karl (Hrsg.): Namenforschung im Spannungsfeld zwischen Wissenschaft und Öffentlichkeit. Beiträge zum Symposion Namenforschung (Linz, 4.–6. Oktober 2018). Regensburg: edition vulpes 2022 (= Regensburger Studien zur Namenforschung 12). ISBN-Nr. 978-3-939112-35-8. S./გვ. 311–349. Abrufbar: http//dnb.de

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომი წარმოადგენს მრავალწლიან ერთობლივ ნაშრომს, რომელშიც გაანალიზებულია გერმანული ენათმეცნიერების ძირითადი ასპექტები

2. .საქართველო იბრძვის ევროპული ღირებულებების დამკვიდრებისათვის და პროგრესულ ცვილებებს ატარებს ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ამის მიუხედავად,ქალებისა და არატრადიციული ორიენტაციის ხალხის დაცვა კვლავ პრობლემად რჩება (სიძულვილის ენა, სიძულვილზე და დისკრიმინაციაზე დამყარებული დანაშაული საქართველოში (2018).
მას შემდეგ, რაც ქართულ-შვედური ფილმი „ და ჩვენ ვიცეკვეთ“ გამოვიდა 2019 წელს, ფილმი დაჯილდოვდა რამდენიმე მნიშვნელოვანი, პრესტიჟული ჯილდო, და დასახელდა „ოსკარის“ ნომინანტად. მიუხედავად ამისა, ფილმი წინააღმდეგობრივად მიიღოს ქართულმა საზოგადოებამ.

თავი წიგნიდან იკვლევს ფილმისადმი განსხვავებული მიდგომის მიზეზებს. ამისთვის, გამოკვლეული და გაანალიზებულია ორი ტიპის ემპირიული მასალა. კვლევის პირველ, საწყის ეტაპზე აღწერილია ფილმის რეჟისორის (ლევან აკინი) „ბრძოლა“ ფილმში აღწერილ, სოციალურ გარემოში ფესვგადგმულ კულტურულ და გენდერულ სტერეოტიპებთან (მაგალითად, ქართულ ცეკვასთან დაკავშირებულ სტერეოტიპებთან) და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის.

კვლევის მეორე ეტაპზე გაანალიზებულია ფილმზე რეაქციის ამსახველი ელექტრონული მასალა,გამოყოფილი და გაანალიზებულია ლინგვისტური სტრატეგიები, რომლებიც ემსახურება სიძულვილის ენის ლინგვისტურ გამოვლენებს და პარამეტრებს ქართულ ენაში.

3. ზღაპარი როგორც სოციოლინგვისტური ფენომენი გვევლინება კარგ ინსტრუმენტად იმ სოციალური პრობლემების რეკონსტრუქციისა და ანალიზისათვის, რომლებიც იდგა საზოგადოების წინაშე ზღაპრის შექმნის პერიოდში. ამ პრობლემებისგან ერთ-ერთია გენდერული უსამართლობის, უთანასწორებისა და გენდერული სტერეოტიპების საკითხები, რომლებიც გამოსჭვივის ზღაპრის სიუჟეტის განვითარების, ქალი და მამაკაცი გმირების ვერბალური პორტრეტების აგებაში და ენობრივი სტრატეგიების შერჩევაში, რომლითაც (პირდაპირ თუ არაპირდაპირ) გადმოიცემა მნიშვნელობა. ზღაპარში გადმოიცემა სოციალურად დამკვირდებული გენდერული როლებიც. კერძოდ, ქალი ტრადიციულად ასოცირდება სახლთან, სამზარეულოსთან, პასიური დამკვირვებლების როლში გვევლინებიან მამაკაცი გმირებისგან განსხვავებით, რომლებიც, თავგადასავლების ძიებაში, თამამად მოგზაურობენ და საგმირო საქმეებს სჩადიან. ~ეს თავი ეძღვნება ერთი ძველი ზღაპრის (მამაკაცად გადაქცეული ქალი) ანალიზს და მის მნიშვნელობას გენდერული სწავლებებისთვის. ცნობილია, რომ ტრანსგენდერული და ლესბიური პოლიტიკა ქართული სინამდვილისთვის მიუღებელი და უცხოა. მეორე მხრივ, ასეთი ზღაპრის ანალიზი სოციალური კონტექსტისა და ლინგვისტური თვალსაზრისით, საშუალებას გვაძლევს აშკარა გავხადოთ ირიბად, შეფარვით გადმოცემული კონტექსტი.

4.სტატია ქართულ და ინგლისურ ენათა და კულტურათა მასალაზე შეისწავლის სინდისის ცნებას. ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის კოგნიტიური ლინგვისტიკა (კერძოდ, კონცეპტუალური მეტაფორის თეორია, განსხეულების ჰიპოთეზა), სემანტიკა, პრაგმატიკა ფა კულტუროლოგიური კვლევები. ემპირიული მასალა მოძიებულ იქნა ავტორიტეტული ლექსიკონებიდან, ქართული და ინგლისური ენების კორპუსებიდან, ასევე, წერილობითი და ზეპირმეტყველებითი დისკურსის სხვადასხვა ჟანრიდან.
ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ასპექტებზე:

(1) სინდისის აღმნიშვნელი ქართული და ინგლისური ლექსიკური ერთეულების ეტიმოლოგია და სემანტიკა დიაქრონულ ჭრილში;

(2) სინდისის მეტონიმური და მეტაფორული კონცეპტუალიზაცია ორ ენასა და კულტურაში, მსგავსებანი და კულტურის სპეციფიკით განპირობებული განსხვავებანი მათ შორის;

(3) სინდისის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებისა და იდიომების პრაგმატიკული დატვირთვა დისკურსში.

5. ***გერმანულ საკუთარ სახელთა ტრანსფერი ენობრივი უნივერსალიების პოზიციიდან: Modus Procedendi და Termini Technici***

პუბლიკაცია მოიცავს ორმოცამდე გვერდს და ფაქტობრივად წარმოადგენს ზემოხსენებული ონომასტიკური პროექტის მეორე, დაგეგმილი მონოგრაფიული ნაწილის ვრცელ კონცეფციას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ჩაფიქრებულ წიგნს. პუბლიკაცია საყურადღებოა იმით, რომ: 1) მასში მოცემულია სახელთტრანსფერის ისტორია წინამორბედ ავტორთა, კერძოდ, ლაიპციგის ონომასტიკური სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომების ანალიზის მიხედვით, შეჯამებულია მათი დადებითი და უარყოფითი მომენტები და გამოტანილია სათანადო დასკვნები; 2) შეფასებულია სახელთა არასწორად გადატანის მიზეზები, ერთი მხრივ, ენობრივი უნივერსალიების პოზიციიდან, მეორე მხრივ, საკუთრივ ქართული ენის ინდივიდუალობათა გადმოსახედიდან, ასევე რუსულის როგორც ყოფილი დომინანტური ენის, ზეგავლენის გათვალისწინებით; ცალკე საკითხად არის გამოტანილი აღმოსავლური სამყაროს ზეგავლენა იმავე ფენომენზე; 3) წამოჭრილია და დასაბუთებულია სახელთტრანსფერის პროცესში სახელთა სემანტიკური პლანის კატეგორიალურ ნაირსახეობათა გათვალისწინების აუცილებლობის ფაქტორი; 4) შემოთავაზებულია ტრანსფერის კატეგორიალურ ნაირსახეობებთან დაკავშირებული ნიუანსობრივი მომენტების ანალიზი, სახელთა გადატანის საფეხურები და მათი ტერმინოლოგიურად ასახვის დაზუსტების აუცილებლობა.

6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

d’Annick Benoit-Dusausoy, Guy Fontaine,

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. Lettres Européennes Histoire de la littérature européenne
2. ISBN 978-2-271-12889-8 EAN 9782271128898 Format Grand Format Présentation Broché Nb.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. France, Editeur CNRS

გვერდების რაოდენობა 600

1. Collaborateur de la Georgie : Prof. Nana Gountsadze (ჩემი ნაწილი ამ ნაშრომში 50 გვ.)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) .

ევროპული ლიტერატურა არის სახელმძღვანელო ევროპული ლიტერატურის ისტორიის შესახებ. ეს არის კოლექტიური ნაშრომი, რომელშიც მონაწილეობა მივიღეთ 100-ზე მეტმა პროფესორმა მთელი ევროპიდან. შედეგი, ადასტურებს ამ პროექტის განმახორციელებელი საუნივერსიტეტო ქსელის საგანმანათლებლო ამბიციას: არის თუ არა ლეგიტიმური და აუცილებელი 800 მილიონი ევროპელი მოქალაქისთვის იცოდეს ლიტერატურის შექმნის ფესვები, ისტორია, სიახლეები .

ამ ნაშრომში ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის დიალექტიკა არ არის დავიწყებული : ძველ, ბიბლიურ, კელტურ , არაბულ მემკვიდრეობის წვლილს ლიტერატურაში , რომლითაც იწყება წიგნი , ასრულებს ამავე ნაშრომის ბოლო თავი სახელწოდებით „თანამედროვე მოღვაწეები“, ანუ ცოცხალი ავტორები, რომლებშიც ქართველი მწერლებიდან შევიყვანე პოეტი ბესიკ ხარანაული . ნაშრომი „ევროპული ლიტერატურა „ სულ 16 თავისაგან შედგება :: მათ შორისაა: მემკვიდრეობა, ევროპული ლიტერატურის გენეზისი, შუა საუკუნეებიდან იტალიურ რენესანსამდე, ჰუმანიზმი და რენესანსი, ბაროკოს ტრიუმფი და ფრანგული კლასიციზმი, მე-18 ს. განმანათლებლები, მე-19 და მე20 ს-ის ლიტერატურა ცალკე თავებად, და ა. შ. და მთავრდება თანამედროვე ტენდენციებით და ფიგურებით 1989 წლიდან 2020 წლამდე.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომის ყველა თავში და ქვეთავშიც კი შუა საუკუნეებიდან, დაწყებული დღევანდელი მწერლობით დამთავრებული, მომეცა შესაძლებლობა ქართული ლიტერატურა მოკლე სტატიებით შემეტანა . ამრიგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩემი წვლილი ამ 600 გვერდიან წიგნში, ერთ თავს უდრის. ამდენად, როგორც წიგნის ერთ-ერთი ავტორი პროფ. გი ფონტენი აღნიშნავს, ჩემი სამეცნიერო წვლილით შესაძლებელი გახდა ქართული ლიტერატურის ჩართვა ევროპულ სივრცეში (ევროპული ლიტერატურაში).

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Manana Rusieshvili-Cartledge** Has the pandemic changed the assessment system in education? In VIII virtual international spring symposium proceedings. Language education in the 21st century: perspectives, paradigms, practices. CZU: 37.0:81/82.09=00 L 20. Moldova, pp. 9-20
2. **Irine Demetradze**, Metaphors in the Terms of Construction Industry. Proceedings of eleventh international conference on language and literary studies language, literature and industry. Alfa BK University. Faculty of Foreign Languages. Belgrade. Serbia. 22–23 September 2022
3. **სოფიო თოთიბაძე: WHAT IS HATE SPEECH AND WHY SHOULD WE STUDY IT?** დაიბეჭდა Online Journal of Humanities, 2022 (etag. Ge). E ISSN 2346-8149, Issue VII, 2022. 11 გვერდი (ჟურნალი იძებნება Google Scholar-ში და რეგისტრირებულია EBSCO-ს ბაზაში).
4. . ი. გველესიანი, “Trust”- თან დაკავშირებული ტერმინები სალიანი ფრანკების სამართალში, საერთაშორისო ჟურნალი “Social Sciences Bulletin”, დაუგავპილსის უნივერსიტეტი, ლატვია, 1 (34), 2022, 13 გვ.
5. . ი. გველესიანი, კანადური ორმაგი სამართალი და ლინგვისტური შეუთავსებლობა, სამართლებრივი ლინგვისტიკის თანამედროვე მიდგომები, LIT Verlag, ვენა, 2022, 19 გვ.
6. მანანა გელაშვილი, თამარ გელაშვილი, ლიტერატურისა და პოლიტიკის მიჯნა: ჯეიმზ ჯოისის ,,ულისე'' და ფრენკ მაკგინესის ,,სომისაკენ მიმავალი ალსტერის შვილები'' . მეექვსე საერთაშორისო კონფერენციის მასალები სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებებში, ნიცა, საფრანგეთი. 2022 (იბეჭდება).

7. ბელა ხაბეიშვილი, ციური ახვლედიანი. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თარგმნის სპეციფიკა და დიდაქტიკური პოტენციალი ქართულ და ფრანგულ ენებში. გამოყენებითი ლინგვისტიკის მე-5 საერთაშორისო კონგრესის მასალები, მადრიდი, ნებრიხას უნივერსიტეტი (მოხსენება მიღებულია და ჩაშვებულია დსაბეჭდად)

8. 1. **N. Kapanadze**. G. Kuparadze. (2022). Semantic Representation of the Concept Success/Failure in English, German and Georgian Somatisms. International Journal of Arts, Humanities and Social Studies IJAHSS, Volume-4, Issue-2**:** ISSN (online): 2582-3647. pp. 36-44 Impact Factor: 5.935. Google Scholar: https://ijahss.in/indexing/https://ijahss.in/Archive/vol-4issue-2/IJAHSS0402008-36-44.pdf
9. Alexander Kartosia: Akademische Freiheit? Eine Annäherung an den Gründungskontext der Universität Tbilissi, in: T. Borsche (Hg.), *Akademische Freiheit. Orte und Regeln des freien Wortes im Wandel geschichtlicher Kontexte*, Verlag Karl Alber, Baden-Baden 2023, S. 125-136. ISBN 978-3-495-99890-8

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. თავს დატეხილმა პანდემიამ შეცვალა მთელი მსოფლიო სისტემა, განათლების ჩათვლით. სასწავლო პროცესის ონლაინ გადატანამ მრავალი ცვლილება გამოიწვია სწავლის, სწავლების და შეფასების სტრატეგიების ფორმატშიც. სტატიაში წარდგენილი თვისებრივი კვლევა განიხილავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის ინგლისური ენის მასწავლებლების მიერ გამოყენებული შეფასების სისტემებს პანდემიამდე და, პანდემიის პერიოდში.
   განხილული და გაანალიზებულია სტუდენტების შეფასებაში განხორციელებული ცვლილებები. კვლევისა და ანალიზის ემპირიული მასალა ეყრდნობა თსუ-ში ჩატარებულ კვლევას. კვლევა ჩატარდა ელექტრო კითხვარის საშუალებით.
   მოხსენებაში აღწერილია მასწავლებლებისა და პროფესორების პანდემიის დროს პროცესის მართვის მიზნით გადადგმული ნაბიჯები ერთის მხრივ ონლაინ სწავლასა და სწავლებასთან და, მეორე მხრივ, შეფასების სისტემებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, ონლაინ სწავლებისა და სწავლების ეფექტურობისა და ობიექტურობის ამაღლების თვალსაზრისით.

2. მოხსენებაში შესწავლილია სამშენებლო ინდუსტრიასთან დაკავშირებული ტერმინები. რამდენადაც სამშენებლო ინდუსტრია ჩვენს დროში ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, სამშენებლო ტერმინოლოგია მდიდარი და მრავალფეროვანია. სამშენებლო ინსტრუმენტების და მასალების სახელები ხშირად მეტაფორულია. მოხსენებაში ეს სპეციალური ტერმინები გაანალიზებულია ინგლისური, ქართული და რუსული ენების მონაცემებზე დაყრდნობით.
   თეორიული მასალა ემყარება ზ. კოვეჩესის (2010), ლეიკოვისა და ჯონსონის (1980), ბროხნერის (2009), გინზბურგის (1979), ნურგალეევას (2016) და სხვათა ნაშრომებს. ემპირიული მასალა აღებულია სამივე საანალიზო ენის განმარტებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან, ასევე სამშენებლო ტერმინების ლექსიკონებიდან და ზეპირი მეტყველებიდან.
   სამშენებლო მეტაფორები გაანალიზებულია ორი კუთხით:
   მეტაფორის როლი სამშენებლო ტერმინების შექმნაში.
   სამშენებლო ტერმინების მეტაფორული გამოყენება სასაუბრო ენაში.
   სამშენებლო ლექსიკა შესწავლილია ორი ენობრივი მოვლენის გათვალისწინებით: სპეციალიზაცია (სიტყვა სასაუბრო ენიდან გადადის სპეციალიზირებულ ლექსიკაში და იძენს ახალ მნიშვნელობას) და განზოგადება (სიტყვა გადადის სპეციალიზირებული სფეროდან ზოგად მოხმარებაში).
   კვლევამ აჩვენა, რომ მრავალი სამშენებლო ტერმინი მიღებულია ზოგადი ლექსიკიდან გარკვეულ მეტაფორულ კომპონენტზე დაყრდნობით. ეს მოვლენა ეხმარება პროფესიული სფეროს

თავისებურებების გამოხატვას და აღქმას, რადგან მყარდება კონცეპტუალური კავშირი ყოველდღიური რეალობის ამსახველ ობიექტებსა და სამშენებლო ხელსაწყოებსა და მასალებს შორის.

მრავალი სამშენებლო ტერმინი მიღებულია მეტაფორული გავრცობით, ორ ობიექტს შორის არსებული მსგავსების საფუძველზე. ამ კუთხით, მოხსენებაში გამოყოფილია შემდეგი ჯგუფები: სხეულის ნაწილები, საოჯახო ნივთები, ცხოველები და ფრინველები, საზღვაო ტერმინები.

მოხსენებაში ასევე განხილულია სამშენებლო ტერმინების მეტაფორული, იდიომატური გამოყენება სასაუბრო ენაში. კვლევამ აჩვენა, რომ სამშენებლო ტერმინების მეტაფორიზაცია ხშირი და საინტერესო მოვლენაა სამივე საანალიზო ენაში.

3. ტექნოლოგიურ წინსვლასთან ერთად გამარტივდა კომუნიკაცია. თუმცა, ეს პროგრესი ასევე გულისხმობს, რომ , ზოგადად, უარყოფითი ინფორმაცია გახდა შედარებით ადვილად ხელმისაწვდომი. სიძულვილის ენა ნამდვილად არის კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც ხშირად მიმართავენ ადამიანები ისე, რომ არც უწყიან, თუ რა მავნე ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს მას, ერთი მხრივ, ადრესატსა და, მეორე მხრივ, მთელ საზოგადოებაზე. უფრო მეტიც, საზოგადოების ზოგიერთმა წევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, თუ რა არის სიძულვილის ენა ან როგორ ამოიცნონ ის, როდესაც მას წააწყდებიან.

ნათქვამიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ პრობლემის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების წევრებისთვის მის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების მიწოდება.

ეს სტატია მიზნად ისახავს აამაღლოს სიძულვილის ენისა და თანმხლები პრობლემების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერება. განიხილება რამდენიმე მნიშვნელოვანი თეორია ამ საკითხის შესახებ.

4. “Trust”- თან დაკავშირებული ტერმინები სალიანი ფრანკების სამართალში

ტრასტი ანგლო-ამერიკული სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივი ინსტიტუტია. მრავალი კვლევა მიეძღვნა მისი უნიკალური ხასიათისა და ევოლუციის შესწავლას. მიუხედავად ამისა, ტრასტის, როგორც ლექსიკური ერთეულისა და იურიდიული ინსტიტუტის, წარმოშობის საკითხმა მეცნიერთა კამათი გამოიწვია.

ნაშრომში წარმოდგენილია მე-6 და მე-9 საუკუნეების ფრანკონული ხელნაწერების შესწავლის ცდა ტრასტთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ერთეულების შესაბამისობის დადგენის მიზნით. ჩატარებული კვლევის საბოლოო შედეგები ცხადყოფს, რომ ფრანკების Lex Salica-მ და მასში წარმოდგენილმა ლექსიკამ გარკვეული ზეგავლენა იქონია ანგლო-ამერიკული სატრასტო ურთიერთობებისა და მათთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ერთეულების ფორმირებაზე.

5. კანადური ორმაგი სამართალი და ლინგვისტური შეუთავსებლობა

დღესდღეობით, კანადა უნიკალური ქვეყანაა, რომელიც წარმოგვიდგენს ორი განსხვავებული იურიდიული ტრადიციის ერთიანობას. ერთი მხრივ, ასეთი თანაარსებობა ასახავს ქვეყნის ისტორიულ განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, კვებეკის სამოქალაქო სამართლის მიღება დღის წესრიგში აყენებს იურიდიული ტერმინოლოგიის მოწესრიგების საკითხს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს კვებეკის იურიდიული რეალობის ანალიზსა და იმ შეუთავსებლობის განხილვას, რომელიც არსებობს იურიდიული ლინგვისტიკის სფეროში. ემპირიული მასალის შესწავლა-მოწესრიგების პროცესში გამოყენებულია ვენის ტერმინოლოგიური სკოლის მიერ შემუშავებული ონომასიოლოგიური მიდგომა. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე შეთავაზებულია ფიდუციურ ურთიერთობებთან დაკავშირებული ზოგიერთი ცნების ხელახალი სახელდება, რაც ხელს შეუწყობს თარგმანის პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

6. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ლიტერატურასა და პოლიტიკას შორის არსებული მიჯნის შესწავლა ორი ირლანდიელი მწერლის ნაწარმოებების ანალიზზე დაყრდნობით: ერთის მხრივ, ეს არის ჯეიმზ ჯოისის ,,ულისე“, ხოლო მეორეს მხრივ და ფრენკ მაკგინესის პიესა ,,სომისაკენ მიმავალი ალსტერის შვილებზე დაკვირვება''.

   კვლევის მიზანია აჩვენოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჯოისმა, ისევე როგორც ბევრმა მოდერნისტმა, განაცხადა თავისი სრული გულგრილობის შესახებ პოლიტიკის მიმართ და უარი თქვა ირლანდიის აღორძინებაზე, მისი რომანი ცხადყოფს ძლიერ შეშფოთებას, როგორც პირველი მსოფლიო ომის, ისე ირლანდიური ნაციონალიზმის მიმართ.

   ჯოისისგან განსხვავებით, ფრენკ მაკგინესი ღრმად არის ჩართული ირლანდიის ისტორიაში. მის ნაწარმოებებს პოლიტიკური შეშფოთების მუდმივი ქვეტექსტი ახლავს თან. პიესაში ,,სომისაკენ მიმავალი ალსტერის შვილებზე დაკვირვება'' მაკგინესი ომის ვეტერანის ცნობიერებით იკვლევს, თუ რა ადგილი უჭირავს სომისა და ბოინის ბრძოლებს ჩრდილოეთ ირლანდიის უნიონისტური ცნობიერებაში.

   ამ ორი ნაწარმოების შედარებითი შესწავლა ნათლად აჩვენებს პოლიტიკური საკითხების გავლენას ორივე მწერალზე. თუმცა, ავტორთა პოზიცია პოლიტიკის მიმართ განსხვავებულია, რომელიც ნაწარმოებებშიც მკაფიოდ ჩანს: მაშინ რცა ჯოისი ირონიულია, ხოლო მაკგინესი, რომელიც ერთგვარად თავის პირადსაც გადმოგვცემს, აღვიძებს გარკვეულ თანაგრძნობას მისი პერსონაჟების მიმართ.

7. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თარგმნის სპეციფიკის თავისებურებათ გააზრება ქართულ და ფრანგულ ენებში მიზნად ისახავს მათი დიდაქტიკური პოტენციალის შესწავლასა და შეფასებას. მიდგომა ეფუძნება როგორც ცალკეული ფრაზეოლოგიური ერტეულების ანლიზს, ასევე კომპლექსური სტრუქტურების შესწავლასა და მათი ლექსიკო- გრამატუკული აგებულების ექსპლუქტაციის შესაძლებლობათა კვლევას. შესწავლის მიზანია არამარტო სტრუქტურული მახასითებლების გაანალიზება, არამედ სემანტიკური ბაზის შესწავლა ლინგვო-კულტურული მახასიათებლების გათვალისწინებით.
8. სტატია ეძღვნება კონცეპტ წარმატება/წარუმატებლობის სემანტიკურ რეპრეზენტაციას ინგლისურ, გერმანულ და ქართულ სომატიზმებში და აღწერილია, თუ რაგვარად არის კონცეპტუალიზებული კულტურის ეს მოდელი დასახელებულ ენებში. სტატიის მიზანია, სომატიზმების, ფრაზეოლოგიზმების ერთ-ერთი ქვეჯგუფის, განხილვა, რამდენადაც სხეულის ნაწილები ძირითადი ბიოლოგიური ფუნქციების პარალელურად ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა საგნობრივი შინაარსების სიმბოლური გამოხატვის მიზნით გამოიყენება. სხეულის ნაწლები ნებისმიერი ენის სიტყვათამარაგის უძველეს ფენას განეკუთვნება და გამომდინარე ადამიანის უნივერსალური ბუნებიდან, სომატიზმებიც, ნაწილობრივ, უნივერსალურობის ტენდენციებს ავლენენ. თუმცა, საერთოს პარალელურად ჩნდება განსხვავებები კულტურის იმ მოდელებიდან გამომდინარე, რომელიც საზოგადოებებმა შექმნეს და საზიაროა.სტატიაში გამოყნებული კორპუსი შედგენილია ბეჭდური და ციფრული ლექსიკონების, ინტერნეტში არსებული გლოსარების დახმარებით. რაოდენობრივი ასპექტის კუთხით ნაჩვენებია სხეულის ნაწილების გამოყენების სიხშირე სომატიზმებში და მათი წილი კულტურის მოდელის (წარმატება/წარუმატებლობა) კონცეპტუალიზაციაში. ეკვივალენტობის ანალიზის შედეგებში სომატიზმებს შორის სრული შესატყვისობის გვერდით ასევე ნაჩვენებია სომატიზმები სრული შესატყვისობის გარეშე, განხილულია *ცრუ მეგობრების* ანუ მოჩვნებითი ეკვივალენტობის შემთხვევები სომატიზმებში წარმატება/წარუმატებლობის კულტურის მოდელის კონცეპტუალიზაციისას. იდენტიფიცირებული სომატიზმების შემცველი ფრაზეოლოგიზმების რაოდენობრივი მონაცემები ენების მიხედვით სტატიაში ცხრილების სახითაც არის წარმოდგენილი მეტი თვალსაჩინოების მიზნით. კოპუსში თავმოყრილია წარმატება-წარუმატებლობის გამომხატველი სომატიზმების მაქსიმალური ოდენობა, თუმცა სრულიად შესაძლებელია, რამდენიმე არაიდენტიფიცირებული სომატიზმი კიდევაც დაემატოს კორპუსს, ზოგიერთ შემთხვევაში კი, ინტერპრეტაციის საკითხიც

არის, თუ რამდენად არის ზოგიერთი მათაგნში ამგვარი კონცეპტუალიზაცია მოცემული. მიუხედავად ამისა, თითოეულ ენაში იდენტიფიცრებული სომატიზმებისა და ფრაზეოლოგიზმების რაოდენობრივ-თვისებრივი შეფარდება და შედარება მკაფიო სურათს გვაძლევს. ყველაზე მეტი სომატონიმი და SF დავადასტურეთ გერმანულ ენაში: 26 სხვადასხვა სომატონიმისგან 137 SF ფრაზეოლოგიზმია წარმოებული. ინგლისურსა და ქართულში ეს ციფრები, შესაბამისად, ასე გამოიყურება: ინგლ.: 22 სომატონიმი და 103 SF ფრაზეოლოგიზმი, ქართ. 19 სომატონიმი და 108 SF ფრაზეოლოგიზმი. რაც შეეხება ეკვივალენტობის პროცენტულ შეფარდებას ამოსავალი ენების მიხედვით: გერმანულ 137 SFP-ს, 63 (ანუ 45,9% -იანი) ინგლისურენოვანი შესატყვისობა აქვთ, ქართულში კი, შესაბამისად 77 ერთეული SFP, რაც პროცენტულად 56,2%-ია. ამოსავალი ინგლისური ენის 103 ერთეული SFP-ის შემთხვევაში დადასტურდა 63 SFP ეკვივალენტი (61,1%), ქართულში კი 56 ერთეული SFP (54,3%). ქართულ 108 SFP-ს ეკვივალენტი შეადგენს 61 ერთეულს, რაც 56,4%, ხოლო ინგლისურისა 50 SFP-ს, ანუ 46,2%.რაც შეეხება თვით წარმატება/წარუმატებლობის კონცეპტუალიზაციას ფრაზეოლოგიზმებში, სამივე ენაში წარუმატებლობა მეტად არის კონცეპტუალიზებული, ვიდრე წარმატება. ეს კონცეპტუალიზაცია საინტერესო შეფარდებას უჩვენებს საერთო რაოდენობასთან: გერმან. 137 ფრაზეოლოგიზმში 55,4% პროცენტია კონცეპტუალიზებული წარუმატებლობა, ინგლ. 103 SFP-დან - 59,2%, ქართულში კი 105 SFP-დან - 69,4%. წარმატების კონცეპტუალიზაციის შეფარდება საერთო რაოდენობასთან კი ასეთია: გერმ. 137 SFP-დან - 44,5%, ინგ. 103 SFP-დან - 59,2% , ქართულში 105 SFP-დან - 30,5%. როგორც მკაფიოდ ჩანს, ქართული წარუმატებლობის SFP-ს რაოდენობით გამოკვეთილი „ლიდერია“. მიღებული შედეგების ანალიზი წარმართულია ბაუმეისტეროის, ბრატსლავსკის, ფინკენაუერის *(R. Baumaisteroy, E. Bratslavsky, C. Finkenauer 2001*), ევერილის (Averill1980), ენდერსონის (Anderson 1965) მოსაზრებების ფონზე.

9. ნაშრომში განხილულია მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ვითარება აკადემიური თავისუფლების თვალსაზრისით. ყურადღების ცენტრში ექცევა, ერთი მხრივ, ე. წ. “342 სწავლულის წერილი” (1905), ხოლო, მეორე მხრივ, იმხანად პეტერბურგში მოღვაწე ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება როგორც ხსენებული წერილის ხელმომწერთა, ასევე მათს მოწინააღმდეგეთა მიმართ. იმ საერთო კონტექსტში უკეთ გასარკვევად, რომელიც წინ უძღოდა თბილისში უნივერსიტეტის დაარსებას, გარკვეული ყურადღება ეთმობა ასევე ივანე ჯავახიშვილის პოლემიკას, ერთი მხრივ, იაკობ გოგებაშვილთან, ხოლო, მეორე მხრივ, ნიკო მართან.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **მანანა რუსიეშვილი და მარიამ ქებურია**

დადებითი ემოციის (სიყვარული) კულტურულ -მეტაფორული მოდელი ქართულ და ინგლისურ ენებში. A CULTURAL METAPHORIC MODEL OF POSITIVE EMOTION (LOVE) IN GEORGIAN AND ENGLISH (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია, 14 ივლისი, 2022
https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1884?locale-attribute=en

2. **მანანა რუსიეშვილი და ლია ქაროსანიძე** სამეცნიერო კვლევები და თარგმნითი ლექსიკოგრაფია საქართველოში / Scientific Research and Translation Lexicography in Georgia. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე/International Scientific Conference Black Sea Region at the Crossroads of Civilizations . BSRCC, 5-6 ივლისი, 2022

3. **Manana Rusieshvili, Lia Karosanidze, Manana Khachidze**. Extensive Georgian-English Thematic Dictionary (New Project at Tbilisi State University). III International Conference Terminology – Heritage and Modernity. 29-30 October. 2022, TSU

სიტყვის მაგიური ძალა: ზოგი საინტერესო ფაქტი ფრაზეოლოგიისა და ფსიქოსომატიკის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, 14-16 ივლისი, 2022. თბილისი.

4. **Irine Demetradze** Metaphor, Specialization and Generalization in Construction Terms (On the Material of English, Georgian and Russian languages) . III International Conference Terminology – Heritage and Modernity. 29-30 October, თსუ 2022

5. **ნათია ნემსაძე** „ვერბალური გრაფიტის ლინგვისტიკური ანალიზი“. ივანე ჯავახიშვილის 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, მაისი, 2022. თბილისი, თსუ

6. **მანანა გელაშვილი,** გრძელი გზა ელიოტიდან ელიოტამდე. ელიოტამდე“. X საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში ეძღვნება პროფ. თემურ კობახიძის ხსოვნას. ენა, ლიტერატურა, კულტურა, ხელოვნება, ფილოსოფია, თარგმანი, ქართულ-ამერიკული ურთიერთობები, პოლიტიკა, ისტორია, ეკონომიკა, განათლება და საზოგადოება, აწსუ, 14-15 ოქტომბერი, 2022

7. **მანანა გელაშვილი,** შექსპირის სამი ტრაგედია ქართულად (მანანა ანთაძის თარგმანი). ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 26-27 აპრილი , 2022

8. **მანანა გელაშვილი,** შექსპირის ,,ქარიშხლის'' ინტერპრეტაცია მარგარეტ ეტვუდის რომანში ,,კუდიანის ნაშიერი''. Retelling of Shakespeare's 'The Tempest' in Margaret Atwood's 'The Hag-Seed'. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, 2022 წლის 26-27 მარტი.

9. **თამარ გელაშვილი,** აკრძალული ზონა: მერი ბროდენის შემოქმედება. ელიოტამდე“. X საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში ეძღვნება პროფ. თემურ კობახიძის ხსოვნას. ენა, ლიტერატურა, კულტურა, ხელოვნება, ფილოსოფია, თარგმანი, ქართულ-ამერიკული ურთიერთობები, პოლიტიკა, ისტორია, ეკონომიკა, განათლება და საზოგადოება, აწსუ, 14-15 ოქტომბერი, 2022

10. **თამარ გელაშვილი,** „ღამისთევა ფინეგანისათვის“ მეექვსე თავის თარგმანის სირთულეები, ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 2022-04-27,

11. **თამარ გელაშვილი,** დიალოგიზმის როლი ფლენ ო'ბრაიენის რომანში ,,დოლქის არქივი'' Dialogism in *The Dalkey Archive* by Flann O'Brie, კონფერენცია „ენა და კულტურა“, 2022 წლის 26-27 მარტი..

12. **მანანა გელაშვილი,** საერთაშორის სამეცნიერო კონფერენცია ულისე 100, 2-4 ივნისი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი GAU, თბილისი.

13. **თამარ გელაშვილი,** ისევ ,,ფინეგანის'' თარგმნაზე. საერთაშორის სამეცნიერო კონფერენცია ულისე 100, 2-4 ივნისი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი GAU, თბილისი.

14. **დავით მაზიაშვილი** - „იშიგუროს კლონები“;

აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია; 14-16 ივლისი, თსუ, თბილისი.

15. **დავით მაზიაშვილი - „**ლუჩიას გამოღვიძება ჯოისის სამყაროში“
საერთაშორის სამეცნიერო კონფერენცია ულისე 100, 2-4 ივნისი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი GAU, თბილისი.

16. **კონსტანტინე ბრეგაძე:** „პროფ. გურამ რამიშვილი და *დედაენის* თეორიის საკითხები“; 25-26 ნოემბ., თსუ. „საერთაშორისო კონფერენცია „ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი და ნეოჰუმბოლდტიანური თეორიები. ეძღვნება პროფ. გურამ რამიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავს“.
17. **კონსტანტინე ბრეგაძე: „**In memoriam - პროფ. თემურ კობახიძე“; 14-15 ოქტ., აწსუ. „ამერიკისმცოდნეობის მე-10 საერთაშორისო კონფერენცია. ეძღვნება პროფ. თემურ კობახიძის ხსოვნას“.
18. **კონსტანტინე ბრეგაძე: „**ომის თემა გერმანულ და ქართულ ლიტერატურულ ბაროკოში (დავით გურამიშვილი და ანდრეას გრიფიუსი)“; 24-29 ივლისი, თსუ, შ. რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. „კომპარატივისტული ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაციის (ICLA) შედარებითი ლიტერატურის 23-ე მსოფლიო კონგრესი“.
19. **მარინე კობეშავიძე,** , ტოპონიმების როლი ესპანურ რაზეოლოგიურ ერთეულებში, მე-7 საერთასორისო კონფერენცია „ენა და კულტურა“, 2022 წლის 26-27 მარტი..
20. **ბელა ხაბეიშვილი,** VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ენა და კულტურა",ქუთაისი აკაკი წერეთლის . სახელმწიფო უნივერსიტეტი,26-27 მარტი 2022: „ფრაზეოლოგიზმების შედარებითი ანალიზის როლი ფრაზეოდიდაქტიკასა და ფრაზეოთარგმანში“ https://drive.google.com/file/d/1Uwh3kI9s6Gx3faHNcqQB4AnzTtk-d9Cd/view
21. **ნანა გუნცაძე,** კვლევის თემატიური მეთოდი და რემბოს პოეზია. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენცია. 20 დეკემბერი, 2021წ. (Zoom ID: 837 3375 3505;)
22. **სოფიო მუჯირი,** „მოსმენის კომპეტენცია ლინგვისტურ და დიდაქტიკურ ჭრილში“, 15-16 დეკემბერი, 2022, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება, მეცნიერება, ინოვაციები პოსტ-პანდემიურ პერიოდში.“ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორი.
23. **სოფიო მუჯირი,** ინფორმაციული სტრუქტურა: თეორია და იმპლემენტაცია (გერმანულენოვანი, ზეპირი, სპონტანურად პროდუცირებული ტექსტის მაგალითზე). 2022 წლის 20 დეკემბერს, გამოყენებითი ენათმეცნიერების ს/ს ინსტიტუტში პროფესორ ტოგო გუდავას დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, თბილისი. ნაშრომი ატვირთულია თსუ ბიბლიოთეკის საცავში და რეპოზიტორზე, შემდეგ ბმულებზე: **https://dspace.tsu.ge/** URI: http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/2008 Date: 2022-12-20 https://dspace.tsu.ge/handle/123456789/2008?fbclid=IwAR0YVJTE6RTxFILsOgNn7jNOVd0D WFr253KXug9SO43WahSTHDjRRZ5Rjj8
24. **სოფიო მუჯირი,** „ფშავური რეალიები და რიტუალები ვაჟა ფშაველას „სათაგურში“ და მათი გადმოცემის სპეციფიკა გერმანულ თარგმანში“. 28 ნოემბერს, ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ მე-3 სამეცნიერო კონფერენცია – „ვაჟა-ფშაველა 160 – თანამედროვე ინტერპრეტაციათა ცდანი“. თსუ. თბილისი. იხ. პროგრამა.
25. **სოფიო მუჯირი,** ემოციური იდიომების რეფლექტირების ხერხები მხატვრულ ტექსტში. 27.12. 2022. თსუ. თბილისი. XIX საუკუნე-ეპოქათა მიჯნა. მეხუთე სამეცნიერო კონფერენცია
26. **ანდრაზაშვილი / ბასილაია, ნატალია** *ტექსტის კულტურული შრეების გადმოცემის სპეციფიკა თარგმანში,* ქუთაისის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“. 26-27 მარტი, 2022 წელი ქუთაისი: https://atsu.edu.ge/index.php/news/2835-qutaisis-konferencia-ena-da-kultura-geoჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტე

27. ანდრაზაშვილი, მარინა: *XIX საუკუნის კავკასია გერმანელ მკვლევართა ნაწერებში.* ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. **27–28 აპრილი 2022.** https://dspace.tsu.ge/handle/123456789/314
URI: http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1740 Date: 2022-04-27

28. ანდრაზაშვილი, მარინაა. ჩიქობავას სახელობის III საერთაშორისო კონფერენციაზე „ტერმინოლოგია – მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“

29. ალექსანდრე კარტოზია: *“ენის ძალები” და მხატვრული ტექსტის კვლევის (ნეო)ჰუმბოლდტიანური მეთოდები.* საერთაშორისო კონფერენცია “ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი და თანამედროვე ნეოჰუმბოლდტიანური თეორიები (მიძღვნილი პროფ. გურამ რამიშვილის დაბადების 90-ე წლისთავისადმი)”, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 25-26 ნოემბერი, 2022.

30. Alexander Kartosia: *Die multilinguale Kulturszene von Tbilissi im ersten Viertel des 20. Jahrhunderts*, Humboldt-Kolleg zum Thema “Deutschland – Schwarzmeerraum – Südkaukasien: Geschichte und Gegenwart der gegenseitigen Wahrnehmung”. Iwane-Dschawachischwili-Staatsuniversität Tbilissi, 30.11.-02.12.2022.

31. ***დიტრიხ ბუსე, ლალი ქეცბა-ხუნდაძე (2022):*** გერმანული ენათმეცნიერების ძირითადი ასპექტები. 285გვ. UTB გამომცემლობა ვილჰელმ ფინკი, პადერბორნი.
Dietrich Busse, Lali Ketsba-Khundadze (2022): Gründzüge der germanistischen Sprachwissenschaft. UTB,285 S. Wilhelm Fink Verlag, Paderborn.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

14. იშიგუროს კლონები

ნობელიანტი ბრიტანელი მწერლის კაზუო იშიგუროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული რომანი „არასოდეს გამიშვა“ 2005 წელს გამოქვეყნდა. ამ რომანმა, ადამიანის იდენტობის თუ კლონირების ეთიკურ პრობლემატიკას, ახალი ათასწლეულის ბრიტანულ ლიტერატურასა და მხატვრულ აზროვნებში ახალი განზომილება შემატა. 2010 წელს რომანის კინემატოგრაფიული ვერსიაც გადაიღეს, რამაც ნაწარმოებში დასმულ საკითხებს უფრო ფართო აუდიტორია შესძინა. ამიტომ, იშიგუროს რომანში, ადამიანის კლონირების თემას, ადამიანებისა და კლონების იდენტობასა და მათი რეალობა-ირეალობის საკითხებს სამი მიმართულებით განვიხილავ:

- კლონების იდენტობა და რეალობა;
- პლატონის გამოქვაბულის ალეგორიის იშიგუროსეული რემინისცენცია;
- ადამიანის, როგორც ბიბლიური კლონის ბედი სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ეპოქაში.

15. ლუჩიას გამოღვიძება ჯოისის სამყაროში

ლიტერატურათმცოდნეთა და ხელოვნების სამყაროში ლუჩია ჯოისი ცნობილია, როგორც დიდი ირლანდიელი მწერლის ჯეიმზ ჯოისი ქალიშვილი. თუმცა ბოლო წლებში, ლუჩიას პიროვნების მიმართ ინტერესი გაიზარდა, რისი მიზეზიც მისი საინტერესო და ბურუსით მოცული ცხოვრებაა. ლუჩია 1907 წელს ტრიესტეში დაიბადა. მისი ახალგაზრდული ცხოვრების საინტერესო წლები ოჯახთან ერთად

პარიზში გაატარა. 1920 წელს პარიზში თანამედროვე ცეკვას სწავლობდა და სხვადასხვა ექსპერიმენტულ დადგმაში მონაწილეობდა. სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა სემუელ ბეკეტთან და ამერიკელ ხელოვანთან ალექსანდერ კელდერთან. ასევე, იგი კარლ გუსტავ იუნგის პაციენტი იყო შვეიცარიაში, ხოლო ცხოვრების უკანასკნელი 50 წელი ინგლისში, მარტოობაში, ფსიქიკურ თავშესაფარში გაატარა. ლუჩიას ყველა წერილი, ჩანაწერი, ჩანახატი თუ მისი მკურნალი ექიმის იუნგის მასზე გაკეთებული ჩანაწერები განადგურებულია და დიდი მწერლის ქალიშვილის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი.

მსოფლიო ლიტერატურის თუ ზოგადად, მხატვრული სამყაროს ისტორიაში ამგვარი პიროვნებების შესახებ ბევრი მხატვრული და დოკუმენტური ნამუშევარი შექმნილა. შეიძლება ითქვას, რომ მარიამ ალექსიძის „ლუჩიას ოთახის" მხატვრული გადაწყვეტა და მიგნებაც, სწორედ ლუჩია, მისი ირეალური რეალურობა, მოდერნ ბალეტის მოცეკვავის პროფესია, მის ბიოგრაფიაში არსებული ცარიელი სივრცეები და რაც მთავარია, მისი მამის მხატვრული სამყარო და მასთან შემოქმედებითი ურთიერთობაა. როგორც კრიტიკოსები წერენ, სწორედ ლუჩიამ და მისმა თანამედროვე ცეკვის ექსპერიმენტულმა პლასტიკურმა ენამ, მამის ბოლო რომანის „ღამისთევა ფინეგანისთვის" (Finnegans ჭაკე) (1939) წერის პროცესზე დიდი გავლენა იქონია. სიტყვისა და სხეულის ექსპერიმენტული ლინგვისტური თუ მხატვრული სამყარო, მამა-შვილი ჯოისების შემოქმედებითი და სულიერი კავშირის ადგილი გახდა.

16. ენერგეისტულ ენის თეორიასა და ენათმეცნიერებაში (ვ. ფონ ჰუმბოლდტი, ლ. ვაისგერბერი, ჰ. გიპერი, გ. რამიშვილი) ენის ონტოლოგიური არსი და ენის, როგორც *გონითი ძალის* **(geistige Kraft),** მოქმედება და უმთავრესი გონითი ფუნქციები ასეა განსაზღვრული:

a) ცნობიერების აგებაში მონაწილეობა, b) ისტორიისა და კულტურის აგებაში ჩართვა, c) ენობრივი სოციუმის (ერის) შექმნა. თავის დედაენის თეორიაში *დედაენობრივი რეალიზმის* (ლ. ვაისგერბერი) პოსტულატს ასევე იზიარებს და აფუძნებს ქართველი ნეოჰუმბოლდტოლოგი და ენერგეისტული ენის თეორიის წარმომადგენელი, პროფ. გურამ რამიშვილიც (1932-1998), რომლის მიხედვითაც, *დედაენა* სოციუმის, ამ შემთხევავში *ერის,* ყოველი ცალკეული წარმომადგენლის ცნობიერ და ქვეცნობიერ აღქმაში ფუძნდება როგორც აპრიორული *შუამავალი* გონითი ძალა, რომლის საშუალებითაც „ეროვნული" სოციუმის ყოველი ცალკეული წევრი, ერთი მხრივ, სწორედ „დედაენობრივად" ჭვრეტს სამყაროს, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარ თავს მოიაზრებს და თანაგანიცდის ამ კონკრეტული „ეროვნული" სოციუმის კულტურისა და ისტორიის განუყოფელ ნაწილად. გ. რამიშვილი გამოყოფს დედაენის იმ ფუნდამენტურ გონით ფუნქციებს, რაც საბოლოო ჯამში ქმნის ეროვნული თვითიდენტობისა და ეროვნული კონსოლიდაციის საფუძვლებს. ხოლო, თავის მხრივ, დედაენის ეს ფუნქციები განსაზღვრულია და გამოყვანილია სწორედ ენის ენერგეისტული გაგებიდან, ანუ იმ ფუნდამენტური ჰუმბოლდტისეული გაგებიდან, რომლის მიხედვითაც, ენა *წარმოქმნაა* **(გერმ. Erzeugung),** *ენერგეიაა* **(Energeia)** (ვ. ფონ ჰუმბოლდტი): a) *დედაენა,* როგორც სამყაროს ცნობიერების ფაქტად გარდამქმნელი გონითი ძალა, b) *დედაენა,* როგორც ერის ისტორიის აგებაში თანამონაწილე გონითი ძალა და ერთიანი ***(დედა-)ენობრივი სოციუმის*** (გ. რამიშვილი) შემქმნელი გონითი ძალა, c) დედაენა, როგორც ერის კულტურის, ეროვნული კულტურული შემოქმედების დაფუძნების აუცილებელი წინაპირობა. ხოლო, დედაენის ამ ფუნდამენტური „მაიდენტიფიცირებელი" ფუნქციების ეფექტური რეალიზების აპრიორულ წინაპირობად გ. რამიშვილი მიიჩნევს *დედაენობრივ აღზრდას,* რაც გულისხმობს სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის (ამ შემთხვევაში ქართული ენისა და ლიტერატურის), ან სხვა ჰუმანიტარული საგნების, მაგ., საქართველოს ისტორიის, ისე სწავლებას, 1. როდესაც ამ დისციპლინების სწავლებისას წინა პლანზე წამოწეულია არა დედაენის გრამატიკული კოდექსები, ან მშრალი ისტორიული ფაქტები ერის ისტორიიდან, არამედ წინა პლანზე წამოწეული და გათვალისწინებულია *დედაენისეული, დედაენობრივი მსოფლხედვა,* ანუ ის, თუ როგორ და როგორი

„მოაქვს“ სამყარო დედაენას ადამიანთან, 2. როდესაც სწავლებისას წინ წამოწეულია ისტორიულ პროცესში, ე. ი. (ქართველი) ერის კონსოლიდაციის, ეროვნული სახელმწიფოსა და ეროვნული კულტურის დაფუძნების პროცესში *დედაენის* გადამწყვეტი როლი.

17. თემურს აქვს ერთი საარაკო და ფანტასტიური სტატია - „მოგვთა მოგზაურობა საკრალურ დროში“.... არადა, თავად იყო ბრძენი მოგვი, ოღონდ მოგვი დასავლური განათლებითა და სიბრძნით აღვსილი, მთელი დასავლური კულტურა და ლიტერატურა - ძველბერძნული ანტიკურობიდან ვიდრე პოსტმოდერნიზმამდე - სულ ხელის გულზე ეწყო, რადგან ის ფლობა დასავლური კულტურისა და ლიტერატურის სიღრმისეულ ცოდნას და, რაც მთავარია, მთელი არსებით გრძნობდა და უყვარდა ეს კულტურა...ის ამ კუტურის ფლობდა ეპისტემეს...
ამიტომაც, როდესაც თემური ნებისმიერ თემაზე წამოიწყებდა საუბარს, დანტესა თუ ოვიდიუსზე, ჰოლანდიურ მხატვრობასა თუ ბახის მუსიკაზე, ის ამ ყველაფერზე დიდი ცოდნით და სილაღით, საუბრობდა, თითქოს იმ ეპოქებიდან ახლახან გადმოსული ყოფილიყო... და ისე გესაუბრებოდა, ვითომც არაფერი - საუბრობდა თავისთავადობით, სიყვარულით, რადგან დასავლური კულტურა და ლიტერატურა მისთვის მუგამ ცოცხალი და ცხოველმყოფელი ფენომენი იყო...
თემურის, როგორც ანგლო-ამერიკული ლიტერატურის პროფესორის, ლიტერატურულ-აკადემიურ მისწრაფებებზე რომ არაფერი ვთქვათ (ელიოტი, ჯოისი, ფოლკნერი, კონრადი...), განსაკუთრებით უყვარდა იტალიური რენესანსი, მე-17 საუკუნის ჰოლანდიური სკოლის მხატვრობა, ესპანური ბაროკოს მხატვრობა, გერმანული ბაროკოს მუსიკა (ბახი, ჰენდელი), ოპერა... თავადაც სულ ფეხით ჰქონდა მოვლილი, ვითარც მოგვს, თავისი საყვარელი პილიგრიმობის ადგილები - რომი, ფლორენცია, ვენეცია, სევილია, ტოლედო, ლონდონი, შემდგომ, თანამედროვე დასავლური კულტურის ტოპოსები - ნიუ იორკი, კალიფორნია...
მისი, როგორც ლიტერატურათმცოდნე ანგლისტის, დასავლური კულტურისა და ლიტერტაურუს ცოდნა იყო პარადიგმატული: ის ღრმად ერკვეოდა ამ კულტურისა და ლიტერატურის პარადიგმასა და ამ პარადიგმის ტრანსფორმაციების ნიუანსებში: მის ნაშრომებში ელიოტზე („ტომას ელიოტი და მაღალი მოდერნიზმის ლიტერატურული ესთეტიკა“, 2015) და მის საუნივერსიტეტო თუ საჯარო ლექციებში სწორედ ეს იგრძნობოდა - ის ნებისმიერ საკითხში ფლობდა კულტურული და ლიტერტურილი პარადგმის ცოდნას, რადგან ის, როგორც შევნიშნე, ფლობდა მთელს დასავლურ კულტურულ და ლიტერატურულ ეპისტემეს, რაც იყო მისი შინი და დიდი სიყვარულის საგანი. და ის, როგორც ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის პროფესორი, სწორედ ამ პარადიგმატულ ცოდნასა და სიბრძნეს გადასცემდა და უზიარებდა თავის სტუდენტებს, კოლეგებსა და მეგობრებს...
მისი ბიჰევიორიც წმინდად დასავლური იყო - მისი სტიქია იყო როკოკოული სენსუალიზმი, ღვინის ნატიფი სმა, ნატიფი მოლხენა, ფილოსოფიური ნადიმობა... არ უყვარდა უკიდურესობები, რაც მასში ნიცშესეულ „ექელ“-ს, ანუ ზიზღს იწვევდა და ამ უკიდურესობების მიმართ მუდამ ჰქონდა ნიცშეანური დისტანციის პათოსი. მუდამ „სტილნათ“ და დახვეწილად ეცვა - ერთდულად აკადემიური და „ბიჭური“ იყო მისი „აუტფიტ“-ი, ერთდროულად აკადემიურ-პროფესორული და „ბიჭური“ მანერები, ასეთივე საუბრის კილო და ტონი... და ეს ყველაფერი იმთავითვე სიმპათიით განგაწყობდა მის მიმართ და ეს სიმპატია ყოველი ახალი შეხვედრისას კიდევ უფრო ღრმავდებოდა და ბოლოს მისი ქარიზმის ხიბლში ექცეოდი...
არის ერთი ქიმიური ტერმინი, „არჩევითი ნათესაობანი“ (გერმ. “Wahlverwandschften”), რომელიც მერე გოეთემ თავისი მესამე რომანის სათაურად შეარჩია. ეს ტერმინი აღნიშნავს ელემენტთა მიზიდვა-განზიდვის, სიმპატია-ანტიპატიის უსასრულო პროცესს... თუ ამ პროცესს ადამიანური ურთიერთობების სიბრტყეზე გადავიტანთ, მაშინ ვიტყოდი, რომ ჩვენს შორის დამყარებული ურთიერთობა სწორედ ამ „არჩევითი ნათესაობის“ პრინციპს ეფუძნებოდა: ჩვენი დაახლოება ლოგიკურად მოხდა, სწორედ მაშინ მოხდა, როცა უნდა მომხდარიყო, ანუ როდესაც მე ინტელექტუალურად და პიროვნულად მომწიფებული ვიყავი მასთან სამეგობროდ, რასაც კონკრეტულმა გარემოებებმაც შეუწყო ხელი - ბოლო ათი წლის მანძილზე ჩვენ ხშირად გვიწევდა ერთად ყოფნა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე, სადისერტაციო დაცვებსა თუ ამ დაცვების შემდგომ გამართულ წვეულებებზე... და ასე, ნელ-ნელა და ბუნებრივად დავვახლოვდით და

დავმეგობრდით და გაჩნდა ურთიერტსიმპატია და დამყარდა ჩვენს შორის „არჩევითი ნათესაობა“, გოეთეს ტერმინით თუ ვიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შორის ასაკით ორ ათეულ წელზე მეტი სხვაობა იყო. ჩვენ არა მხოლოდ უფროს-უმცროსი უნივერსიტეტელი კოლეგები ვიყავით, არამედ ურთიერთობა იყო ძმაკაცობაში გადაზრდილი მეგობრობა, რაც ჩემი მუდმივი სიამყის საგანი იყო და არის - ვამაყობ რომ პროფ. თემურ კობახიძის არამარტო კოლეგა, არამედ მეგობარი ვარ... და ამ ასაკობრივ ზღვარს არასოდეს ვგრძნობდით, ვინაიდან ეს „არჩევითი ნათესაობა“ ეფუძნებოდა არა ქიმიურ ელემენტთა ტიპის ბრმა ურთიერთსიმპატიას, არამედ საერთო მსოფლმხედველობრივ პოზიციას, სულიერ-გაისტურ ინტერესებსა და ცხოვრების ხელოვნების ფილოსფიას: მსოფლმხედველობით ორივე მედასავლეთენი ვართ, სულიერი მისწრაფებებისას ორივეს გვიყვარს ბაროკო, კლასიკური მუსიკა, ლიტერატურული მოდერნიზმი, ხოლო ცხოვრების ფილოსოფიით ორივე „ეპიკურეელები“ და „სენსუალისტები“ ვართ, რამეთუ ორივე გამოუსწორებელი „ფილისტერი“ პროფესორები ვართ...
ასეთი იყო და არის თემურ კობახიძის ენტელექია - ქართველი პროფესორი ევროპული ჰაბიტუსით...

18. მე-17 საუკუნის გერმანიაში მძვინვარე ოცდაათწლიანი ომი (1618-1648) და მე-18 საუკუნის პირველი მესამედის საქართველში არსებული შიდა პოლიტიკური ქაოსი (პოლიტიკური დაქუცმაცებულობა) და ოსმალეთის იმპერიისა და ირანის სამეფოს საგარეო აგრესია საქართველოს მიმართ პოეტურ შემოქმედებათა თემად იქცა, კერძოდ, გერმანული ბაროკოს ცნობილი წარმომადგენლის, ანდრეას გრიფიუსის (1616-1664) ლირიკაში და ქართული ბაროკოს უმთავრესი წარმომადგენლის, დავით გურამიშვილის (1705-1792) ლირიკულ-ისტორიულ პოემაში „დავითიანი“. *ომი* ორივე ავტორთან განხილილია ისეთ აპოკალიფსურ მოვლენად, რომელიც არა მხოლოდ საკუთარ სამშობლოს ანადგურებს პოლიტიკურად და ეკონომიკურად, არამედ ომი გააზრებულია ზოგადსაკაცობრიო კატასტროფად, ვინაიდან იგი საერთოდ უსპობს ყველანაირ პერსპექტივას ადამიანის ეგზისტენციას, ხოლო ისტორიის მსვლელობას უკარგავს ყოველგვარ საზრისს. აღნიშნულ ავტორთა ლირიკული გმირები სწორედ ამ უპერსპექტივობასა და უსაზრისობას რეფლექტირებენ ბაროკოსთვის დამახასიათებელი *ვანიტალურობით* (ე. ი. ამაოების ღრმა განცდით შეპყრობილნი) და ბაროკოს პოეზიისათვის დამახასიათებელი მაღალი სტილით (genus grande), რაც ომის თემას რეალურ აპოკალიფსზე აპოკალიფსურს ხდის.

თუკი გრიფიუსის სონეტში ოცდაათწლიანი ომის ფონზე გადმოცემულია ობიექტური ზოგადსაკაცობრიო კატასტროფის აპოკალიფსური ვიზიონები და ამ აპოკალიფსის მოლოდინი, მაშინ გურამიშვილის ლირიკულ პოემაში გვაქვს სუბიექტურ ეგზისტენციურ ხვედრზე რეფლექსიები, რაც გამოწვეულია აპრიორული ობიექტური *ეგზისტენციალიებით* – პოლიტიკური დესტაბილიზაციითა (ისტორიული ფაქტორი) და „ორგემაგე“ „საწუთოს სოფლის“ მუხანათობით, ანუ ეგზისტენსის სტიქიურობითა და განუჭვრეტელობით (ონტოლოგიური ფაქტორი) – „არ დაიჭირვის ხელშია, რაგინდ რომ ბჭალი უჭირო“. აქ კი გურამიშვილის პოემის ლირიკული გმირის სუბიექტივიზმი, ანუ მისი სუბიექტური რეფლექსიები საკუთარ ეგზისტენციაზე, მოულოდნელად გადაიქცევა ობიექტურ ეგზისტენციურ მოცემულობად, კერძოდ, სარტრის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „დავითიანის“ ლირიკული გმირის ეგზისტენცია ჩაეწერება *ჯერარსისა* (ფრგ. en-soi, გერმ. An-sich-ein, Existenz) და *არსის* (ფრგ. pour-soi, გერმ. Für-sich-sein, Essenz) ობიექტურად მოცემულ დიალექტიკაში, ე. ი. *ეგზისტენსისა* და *არსების* ობიეტურად მოცემულ დიალექტიკაში, როდესაც ჯერ *არსებული* და მისი ონტოლოგიური მონაცემებია და შემდეგ ამ მონაცემებში ჩაწერილი ადამიანის პირადი *ეგზისტენცია, არსებობა.* ამიტომ, a priori გვაქვს ეგზისტენციური ვითარება, როდესაც *არსებული და* მისი ონტოლოგიური მონაცემები ყოველთვის წინ უსწრებენ და წინ ხვდებიან ადამიანსა (შესაბამისად, „დავითიანის“ ლირიკულ გმირსა) და მის კერძო ეგზისტენციას, ხოლო ეს ონტოლოგიური მონაცემები (მაგ., დაბადება, სიკვდილი, ისტორიული ყოფა, დროითობა, დროებითობა, წარმავლობა, არარა და ა. შ.) სწორედ ისეთად ევლინებიან ადამიანს (შესაბამისად, „დავითიანის“ ლირიკულ გმირს), როგორადაც ისინი უკვე წინასწარაა გაწერილი, როგორადაც ისინი უკვე წინასწარ არსებობენ.

21. მწერლის შემოქმედების შესწავლისას, მკვლევარი პირველ რიგში ახდენს კვლევის თემის ფორმულირებასა და განსაზღვრავს კვლევის პრობლემას. როცა პრობლემა უკვე განსაზღვრულია ეს მკვლევარს საშუალებას აძლევს წინასწარ შერჩეული მეთოდის მიხედვით კონცენტრირება მოახდინოს კვლევის პროცესზე, რაც თეორიული დისკურსის ფორმას იღებს. კვლევის შედეგები დიდად არის დამოკიდებული კონკრეტულ შემთხვევაში კვლევის მეთოდის სწორ არჩევანზე.

რემბოს პოეზიის კვლევისას გამოყენებული გვაქვს თემატური კრიტიკა, რომელიც ჰერმნევტიკული კრიტიკის სხვა ფორმებისაგან განსხვავდება იმით, რომ ის უარყოფს პოსტულატს – ლიტერატურა ადამიანის, საზოგადოების და ისტორიის გამოხატვაა; ეს პოსტულატი საერთოა ახალი ფსიქოანალიტიკური და სოციოლოგიური კრიტიკისათვის. თემატური კრიტიკა კი იზიარებს რომანტიზმისგან მემკვიდრეობით მიღებულ ახალ კონცეფციას: ლიტერატურული ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, ეს არის უხილავი და ფარული კავშირების გამოვლენა, ზეშთაგონება.

დამოკიდებულება, რომელსაც მწერალი ენის მიმართ იჩენს, მხატვრულ ტექსტს აქცევს გამოგონების ადგილად და არა საკუთარი თავის გამოხატვად. თემატური კრიტიკა ინტერნალურია. მათთვის, ვინც კითხვა იცის, მწერლის დამოკიდებულება სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან და საკუთარ თავთან მთლიანად მწერლის ტექსტშია მოთავსებული; ეს ის ადგილია, სადაც ავტორი თავის თავს იგონებს, საკუთარ თავს შეიცნობს. ამ მიმართულების კრიტიკოსს მიაჩნია, რომ მან უნდა გააცნობიეროს მწერლის მიერ განვლილი სულიერი გამოცდილება.

ჟორჟ პულე, ჟან რუსე, ჟან სტარობინსკი, ჟან პიერ რიშარი, აი ის ცნობილი მკვლევრები, რომლებიც გასტონ ბაშელარის შრომებზე დაყრდნობით ამ სფეროში ნამდვილ დიდოსტატებად იქცნენ. ამავე მიმართულებით აგრძელებდნენ მუშაობას „ჟენევის სკოლის“ წარმომადგენლები: ა. ბეგენი და მ. რეიმონი. ამ მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ თემატურ კვლევას არაფერი აქვს საერთო დოგმასთან, იგი დოქტრინის ირგვლივ არ ყალიბდება, არამედ ვითარდება როგორც კვლევა, რომლის ამოსავალი წერტილია ინტუიცია; იგი უგულებელყოფს ლიტერატურის ლუგიკურ თუ ფორმალისტურ კონცეფციებს; ამ მიმართულების კვლევის არსი (როგორც აღვნიშნეთ) მდგომარეობს დაადასტუროს შემდეგი: ლიტერატურა იმდენად ცოდნის საფუძ¬ველზე არ იქმნება (რასაც ცხადია სრულად არ გამორიცხავს), რამდენადაც სულიერი გამოცდილების საფუძველზე, ასე მაგალითად, ცნობილი მკვლევარი მარსელ რეიმონი რუსომ მიიზიდა „მისტიკური ხასიათის გამოცდილებით”. თემატური კრიტიკის მიზანია მწერლის წარმოსახვითი სამყაროს გამოკვლევა. თემა კი არის ერთი კონკრეტული პრინციპი, ერთი ფიქსირებული სქემა ან ობიექტი რომელზედაც დაეფუძნება კვლევა-ძიება. სიუჟეტის კომენტარი კრიტიკოსის მხრიდან მოითხოვს ინტუიციის განსაკუთრებულ უნარს და აგრეთვე საკვლევი ტექსტის ზედმიწევნით ცოდნას. უნდა აღინიშოს, რომ ამ მიმართულებით მომუშავე მკვლევრები ძირითადად პოეზიით უფრო ინტერესდებიან.

რაკი ჩემი კვლევები ძირითადად ა. რემბოს პოეზიას უკავშირდება, ბუნებრივია, თემატიური კვლევა ნაყოფიერად მივიჩნიე და ჩემს ნაშრომში ძირითადად მას ვეყრდნობი. ამ ნაშრომში, მიზნად დავისახე რა ტექსტის თემატური კვლევა, ჩემს ამოცანად მივიჩნიე ა. რემბოს პოეტური შედევრის „გასხივოსნების ” ანალიზი, რამაც მიმიყვანა შემდეგ დასკვნამდე: დამოკიდებულება, რომელსაც ა. რემბო ენის მიმართ იჩენს, „გასხივოსნებას“ აქცევს გამოგონების ადგილად; ეს ის ადგილია, სადაც ავტორი იგონებს სრულიად ახალ, უჩვეულო სამყაროს, სადაც სიცოცხლე და მოძრაობა ჩნდება უძრაობაში, ანუ იქ სადაც ყველაფერი გაქვავებულია; ერთიანობა ჩანს იქ სადაც ყველაფერი ფრაგმენტულია და ეს მდგომარეობა აძლევს პოეტს გამოუთქმელის, იდუმალის, ფარულის გამხელის საშუალებას.

აქ მოცემული სიტუაციების, ხატების, იდეების და გრძნობების სუგესტიურობით შესაძლებელი ხდება რემბოს წარმოსახვითი სამყაროს ხედვა. ასეთი ტექსტის კითხვის მომენტი იძლევა წარმოუდგენელი თავისუფლების გრძნობით ცხოვრების ისეთივე განცდას, რასაც გრძნობს შემოქმედი ნაწარმოების შექმნის მომენტში. როდესაც პოეტი ენას ასე იმორჩილებს მას ექმნება შთაბეჭდილება, რომ მიაღწია მარადისობას. თავისუფლების ასეთი გაუგონარი, არნახული მდგომარეობა, ასეთი აღტკინება ჯერ არნახული სამყაროთი, რისი წაკითხვაც ამ ტექსტში მოცემული სიტუაციების, ხატების, იდეების და გრძნობების სუგესტიურობით უნდა შევძლოთ, ალბათ სწორედ ეს არის მშვენიერების იდუმალი გრძნობის ის საიდუმლო, რასაც ყველა ასე სულმოუთქმელად ელოდება.

ეს ის უცხო და შემაშფოთებელი რეალობაა, რომელსაც პოეტი შეიცნობს საკუთარი მე-ს სიღრმეში და რომელსაც XX ს-ში ფსიქოლოგია უწოდებს არაცნობიერს. ა. რემბოს "გასხივოსნება", მოდერნული პოეზიის ფუძემდებლური ტექსტია.

24. ნაშრომში განხილულია ვაჟა ფშაველას „სათაგურის" გიორგი ბრეგაძისეული თარგმანი და ფშავური რეალიებისა და რიტუალების გადმოცემის სპეციფიკა გერმანულ თარგმანში. თარგმანის განხილვისას ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია მთის მოსახლეობის ადათ-წესებზე, ბუნების აღქმაზე, ფოლკლორზე, ფლორასა და ფაუნაზე, განსაკუთრებით, ხაფანგში გაბმული თაგვების გმირულ საქციელზე, რომელიც ასახავს მთიელი ხალხის წარმოდგენას სიმამაცეზე, მათ ზნე-ჩვეულებებსა და ხასიათზე. თარგმანში კარგადაა გადმოტანილი ფშავური სამზარეულოსა და სუფრისთვის სპეციფიკური რეალიები. მთარგმნელი, მიუხედავად რამდენიმე ხარვეზისა, მაინც კარგად ახერხებს ფშავური რეალიებისა და რიტუალების გადმოცემას გერმანულ თარგმანში.

28. გერმანიის ჰიდრონიმები და მათი ტერმინოლოგიური ეკვივალენტები ქართულში
გერმანიის ჰიდრონიმებს, შესაბამისად საკუთარი კატეგორიისა, საფუძვლად უდევთ ურთიერთგანსხვავებული მორფოსინტაქსური მოდელი; მოხსენების მიზანია, იმსჯელოს ამ მოდელთა სახეობაზე, მათი კონსტიტუენტების აპელატიურ ელემენტთა სემანტიზაცია-პროტოტიპულობის ხარისხზე და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მიუსადაგოს მათ ქართული ეკვივალენტი კატეგორიალურ ტერმინთან ერთად:

- კატეგორია ზღვა; ორივე ზღვის სახელი Nordsee / Ostsee არის კომპოზიტი, რომელშიც კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინი მეორე კომპონენტის სახით მოჰყვება აპელატიურ ლექსე-მას. ამ სახელთა პროტოტიპულობის გამო გასარკვევია, ქართულად უნდა გადმოდიოდნენ ისი-ნი ენდონიმის ანალოგიურად თუ ტრანსლირებული სახით.
- კატეგორია ყურე/უბე; ნიმუშებია: Kieler Bucht / Pommersche Bucht / Wismarbucht / Greifswalder Bodden / Stettiner Haff; სურათი არაჰომოგენურია დენოტატთა სპეციფიკურ მახასი-ათებელთა სხვადასხვაობის გამო, რაც გერმანულად სამი არაურთიერთჩანაცვლებადი ტერმი-ნებით – Bucht (უბე) / Haff (ყურე/ლაგუნა) / Bodden (ყურე/ბოდენი) – გადმოიცემა. გასარკვევია, უნდა გადმოვიტანოთ ისინი ქართულად გენიტიური განსაზღვრების სახით: შტეტინის ყურე, თუ პარალელურად დასაშვებია ასევე პროპრიალური შესიტყვების არსებობაც: ყურე შტეტი-ნერ-ჰაფი;
- კატეგორია ტბა; ნიმუშებია, ერთი მხრივ, კომპოზიტები: Ammersee / Bodensee, მეორე მხრივ, სახელის სინტაგმები: Starnberger See / Überlinger See. ამ შემთხვევაში პრობლემას ქმნის –see/See – კომპონენტის განსხვავებული ლექსიკური დატვირთულობა, კერძოდ, რჩება ისპროპრიალურ მსაზღვრელთან დაკავშირებულ აპელატიურ საზღვრულად, რომლის სემანტი-კაც ქართულ ეკვივალენტშიც უნდა წარმოჩნდებოდეს, თუ შეიძლება მისი გვერდის ავლა; რა ბედი უნდა ეწიოს see/See-აფიქსოიდს დესემანტიზებულ ტოპონიმებში: Hiddensee (კუნძული) / Seebühl (ქალაქი) / Seehausen (ქალაქი) ან როგორ განვასხვაოთ ისინი ანალოგიურად ნაწარმოები სემანტიზებული ჰიდრონიმებისაგან, მაგ.: Ammersee;
- კატეგორია არხი; ნიმუშებია: Teltowkanal / Küstenkanal / Mittellandkanal; Dortmund-Ems-Kanal. სტრუქტურულად ყველა მათგანი ეფუძნება ერთ მოდელს, კერძოდ, ისინი ერთსიტყვია-ნი ან დეფისით გაფორმებული კომპოზიტებია, თუმცა ლექსიკურად სურათი ჰეტეროგენულია, ანუ შეიძლება წარმოდგენილი იყოს აპელატიური და პროპრიალური კომპონენტების ნებისმი-ერი კომბინაციით. ტრანსფერირებისას დასადგენია კანონზომიერება, რამდენად მართებულია, დესემანტიზებული აპელატიური ლექსიკა მთლიანად მოექცეს პროტოტიპულ ჩარჩოებში: Mittellandkanal არხი მიტელლანდკანალი, თუ საჭიროა თარგმნა: *ქვეყნისშუა არხი;
- კატეგორია მდინარე; შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ლექსემით: Neckar, ორლექ-სემიანი კომპოზიტით Saalbach ან ადიექტიური განსაზღვრების შემცველი სახელის სინტაგმე-ბით: Fränkische Saale / große Aa / Schwarzer Regen / Weiße Elster. ამ ბოლო შემთხვევაში საკამათოა, უნდა გადმოდიოდნენ ისინი ენდონიმის ანალოგიურად თუ (ტრანსლიტერაციით); გასარ-კვევია, ასევე, ქართულის

ფლექსიური ბუნებიდან გამომდინარე, მათი მართებულად გაფორმე-ბის საკითხიც: შვარცერ-რეგენი თუ *შვარცერრეგენი; ვაისე-ელსტერი თუ *ვაისეელსტერი.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Manana Rusieshvili-Cartledge**. Has the pandemic changed the assessment system in education? In VIII virtual international spring symposium proceedings. Language education in the 21st century: perspectives, paradigms, practices. Moldova, 18-19 March, 2022 (ორგანიზებულია მოლდოვეთის ბალტის უნივერსიტეტის, ამერიკის სახელმეიფო დეპარტამენტის მიერ. თსუ არის ერთ-ერთი ორგანიზატორი, მომხსენებელი წარდგა პლენარულ სხდომაზე)

2. **Manana Rusieshvili-Cartledge.** TESOL Best of Affiliates Sessions.. Culture and ELT: To Combine or Not to Combine? (ტესოლის 2022 TESOL International Convention and English Language Expo in Pittsburgh, Pennsylvania USA. ამ სესიაში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს მასშტაბით შერჩეული 8 საუკეთესო მოხსენება)

https://www.tesol.org/convention-2022/convention-highlights/affiliate-sessions

3. **Manana Rusieshvili & Sopio Totibadze.** A battle of the sexes'' and gender solidarity in the Georgian version of the British TV show "The Weakest Link". GenderCom 2022, VIII International Conference on Gender and Communication. 11 -14 October, 2022, Università della Tuscia, Italy (პირველი მომხსენებელი იყო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრიც)
4. **Irine Demetradze**, Metaphors in the Terms of Construction Industry. Eleventh International Conference on Language and Literary Studies Language, Literature and Industry. Alfa BK University, Faculty of Foreign Languages 22-23 სექტემბერი, ბელგრადი.
5. **ი. გველესიანი,** კორპუსების ეფექტური გამოყენება იურიდიულ კვლევებში (fiducie-ის მაგალითზე) 14-15 ნოემბერი, 2022, პოლონეთი-იტალია.
6. **ი. გველესიანი,** კორპუსზე დაფუძნებული ანალიზი, თარგმანი და ისმ – ინოვაცია ენის პედაგოგიკაში, 24 ივნისი, 2022, კანადა.
7. **ი. გველესიანი,** ციფრული კორპუსების ჩართულობა მეორე ენის ათვისებაში, 2022 წლის 12 მაისი, ტაშკენტი.
8. **მანანა გელაშვილი, თამარ გელაშვილი,** ლიტერატურისა და პოლიტიკის მიჯნა: ჯეიმზ ჯოისის ,,ულისე'' და ფრენკ მაკგინესის ,,სომისაკენ მიმავალი ალსტერის შვილები'' მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებებში, ნიცა, საფრანგეთი, 17-19 ივნისი 2022.
9. **დავით მაზიაშვილი** - „ლუჩია ჯოისი ალექსიძის ოთახიდან";
"One, No One, and One Hundred (Thousand?) Ulysses", რომის უნივერსიტეტი, რომი, იტალია 28, 29 აპრილი.
10. **მარინე კობეშაციძე,** Queen Saint Ketevan and Historical-Diplomatic Relations between Georgia and Portugal. „*Georgian-European Relations in the16th and 17th centuries.*" ლისაბონი, პორტუგალია, 26-27 სექტემბერი 2022.
11. **ბელა ხაბეიშვილი,** პირველი საერთაშორისო კონგრესი „« E-Learning და მომავლის უნივერსიტეტი» (ELUT'22), აბდელმალეკ ასაადის უნივერსიტეტი, ტანგერის ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მაროკო,27-30 ივისი 2022: „E-Learning- საქართველოში ფრანგული,

როგორც უცხოური ენის სწავლების პრაქტიკა: ბრმა იმიტაციასა და რეგიონალურ პედაგოგიურ მიზნებს შორი http://rifgeomatique.com/elut22/programme.php

12. **ბელა ხაბეიშვილი,** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *Conférence Internationale on Applied Linguistics to Language Teaching, V Congreso Internacional Nebrija en Lingüística Aplicada a la Enseñanza de Lenguas*: *En camino hacia el plurilingüismo,* ნებრიხას უნივერსიტეტი, მადრიდი, 30ივნისი-1 ივლისი 2022: „თარგმანის თავისებურებანი და ფრაზეოლოგიური გამონათქვამების დიდაქტიკური პოტენციალი ფრანგულ და ქართულ ენებში“.https://www.congresolenguasnebrija.es/en/congress/program/
13. **Sophie Mujiri, Irina Kapanadse: The Paradigms of the Russian Intercultural Literature.** პროგრამა თან ერთვის. 15-17 декабря 2022 г. Факультет русского языка и литературы Тамканского университета (Тайвань), Кафедра филологии НГТУ, VI **Международная научно-практическая конференция , «Русское языкознание и литературоведение – 2022.»**
14. **მარიამ ანდეაზაშვილი,** სახეთტრანსფერის გარეშე?) „Neue Wege der Germanistik: Literatur- und Kulturtransfer zwischen Europa und dem Kaukasus“. (საერთაშორისო სიმპოზიუმი „გერმანისტიკის ახალი გზები: ლიტერატურისა და კულტურის ტრანსფერი ევროპასა და კავკასიას შორის) Internationales Symposion 06.–08.05.2022 in Baku, gewidmet dem 99-jährigen Jubileum des Nationalführers Heydar Alyev. Bildungsministerium der Republik Aserbaidschan, Institut für Germanistik der Aserbaidschanischen Sprachenuniversität und der Slavistischen Universität zu Baku.https://adu.edu.az/ru/xeberler/xeberler/1839.html https://www.facebook.com/photo/?fbid=5271040306331176&set=pcb.5271054672996406
15. **Alexander Kartosia:** *Wissenschaft und Macht: Der Fall Nikolaj Marr*. Humboldt-Kolleg zum Thema “Wissenschaften in Dialog und Monolog”, Arbanassi, 30.06.-03.07.2022
16. **Alexander Kartosia**: *Akademische Freiheit, akademische Unfreiheit, unakademische Freiheit, akademische Willkür. Georgische Hochschulen in guten und in schlechten Zeiten*. Interdisziplinäre Fachtagung am Institut für Philosophie der Universität Hildesheim zum Thema “Akademische Freiheit”, Hildesheim, 03.-06.04.2022.
17. **Alexander Kartosia:** *“Nach Kolchis. Faszination Georgien”. Ein Gespräch mit dem Herausgeber Ralph Schock*. Lesung im Literaturforum im Brecht-Haus, Berlin, 27.09.2022.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

10. ლუჩია ჯოისი ალექსიძის ოთახიდან

2020 წელს ჩოვიდ 19-ის ჟამიანობის პერიოდში, ქართულ ვირტუალურ სივრცეში ქორეოგრაფიული სპექტაკლის „ლუჩიას ოთახი“ პრემიერა შედგა, რომელიც დიდი ირლანდიელი მწერლის ჯეიმზ ჯოისის ქალიშვილის ლუჩია ჯოისის შესახებ მოგვითხრობდა. სპექტაკლების სახელწოდება უთუოდ ვირჯინია ვულფის ესეს „საკუთარი ოთახი“ (A ღოომს ოფ Oნე’ს Oწნ) გაგვახსენებს, თუმცა ჯოისის შემოქმედება, თანამედროვე ქართველი ხელოვანის მიერ, მისივე ოთახში სიტყვის, პოეზიის, მუსიკისა და მოძრაობის სინთეზით, თანამედროვე ქორეოგრაფიული ენით ამეტყველდა.
მარიამ ალექსიძის სპექტაკლში განზოგადოებულია პანდემიურ (დავირუსებულ) სამყაროში ნამდვილი ხელოვანის და მაღალი ლიტერატურის სულიერი მდგომარეობა, რომელიც განურჩევლად დროებისა მუდამ საკუთარ ოთახში, როგორც ცნობიერებაში ან/და არაცნობიერშია გამოკეტილი. მაღალი შემოქმედება კი, განსაკუთრებით ჟამიანობისას,

ზმანებადაა ქცეული, რომელიც თანამედროვე საზოგადოების მსგავსად არავის სჭირდება. თუმცა, ალექსიძის მიერ საკუთარ ოთახში შექმნილმა „ლუჩიას ოთახმა“, ლიტერატურული ნაწარმოებების და ქორეოგრაფიის ახალი გამომსახველობითი მხატვრული ფორმებით კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ერთი მხრივ, ჯეიმზ ჯოისის შემოქმედების სახით, მაღალი შემოქმედების მარადიული აწმყოობა, ხოლო მეორე მხრივ ჩOVID 19-ით გამოწვეული იძულებითი იზოლაციით, ვირტუალური სამყაროს ამარა დარჩენილი თანამედროვე ადამიანის სულიერი სიცარიელე.

ვ) ქართულში ფუნქციური კლასტერების ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ _
ფონოლოგიის დონეზე: ჰარმონიული კომპლექსები;
მორფოლოგიის დონეზე: ვნებითის ფორმა←→[თ*(-ებ-)*.-აწმყო(*-ი*)/-აწმყო.ს.3.მხ(*-ა*)]
უწყვეტელი←→[თემა - სავრცობი - მწკრივი/-მწკრივი.სუბიქტი.3.მხ}
შუალობითი კონტაქტი←→{თ.1-კონტ.]
სინტაქსის დონეზე: არსებითი სახელი ატრიბუტულ მსაზღვრელად←→[N1+N2]
კავშირებითი კილო←→[მოდალური ნაწილაკი/ზმნა+ფაქტობრივი ზმნა]

2. გამოჩენილი დანიელი ენათმეცნიერი, ისტორიულ-შედარებითი მეთოდისა და ინდოევროპეისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი რასმუს რასკი საქართველოში 4 თვეს, 1819 წლის ნოემბრიდან 1820

წლის მარტამდე იმყოფებოდა. თბილისში მან დაასრულა თავისი ხანგრძლივი მოგზაურობა რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა ენების გაცნობის მიზნით, საიდანაც ის შემდეგ გაემგზავრა ირანში, ინდოეთსა და ცეილონზე. რ. რასკის თბილისური პერიოდის ჩანაწერებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ორმა საკითხმა: ა) როგორც ჩანს, რასკისთვის ორთოგრაფია და ტრანსლიტერაცია იყო მნიშვნელოვანი თემები, რამდენადაც ალფაბეტების უნიფიცირება ხელს უწყობდა სხვადსხვა ენების მონაცემების შეთანადებას. ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია, საინტერესოა რ. რასკის მოსაზრებები გამოთქმული ქართულ წერასა და ტრანსლიტერაციასთან დაკავშირებით დღევანდელ სალიტერატურო ნორმებთან მიმართებაში. ბ) კოპენჰაგენის უნივერსიტეტის დირექტორისადმი რასმუს ნიუერუპუსადმი თბილისიდან 1820 წლის 9 იანვარს გაგზავნილ წერილში (*Magazin for Rejseiagttagesler* 1820 I: 298-299) რასმუს რასკი უზიარებს შთაბეჭდილებას თბილისის ტიპოგრაფიის შესახებ და ურთავს პეტერბურგიდან და მოსკოვიდან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის გაგზავნილი რარიტეტული წიგნების სიას, რომელთა შორის ასახელებს 1819 წელს თბილისში დაბეჭდილ რუსულ-ქართულ სასაუბროსა („შეკრება რუსულთა უბნობათა, საზოგადოდ ცხოვრებასა შინა სახმარებელთა, დართვითა ქართულისა თარგმანისათა, სასარგებლოდ კეთილშობილთა ყრმათა“) და 1802 წელს გამოცემულ „ქართული ენის მოკლე გრამატიკას“, რომელიც შედგენილია არქიეპისკოპოს ვარლამის (ერისთავის) მიერ (1763-1830, 1811 წლიდან მცხეთის მიტროპოლიტი, საქართველოს პირველი ეგზარხოსი). სტატიაში განხილულია ზემოთ დასახელებული საკითხები.

3. შრომაში წარმოდგენილია ეკონომიკის როგორც სისტემის კვლევის სხვადასხვა მიმართულება სპეციალური ლიტერატურის მიხედვით. ავტორი განსაზღვრავს სტატიკური და დინამიკური ეკონომიკის, შედარებითი ეკონომიკის, მათემატიკური ეკონომიკის, ისტორიული ეკონომიკის, ეკონომიკური პალეონტოლოგიისა და წინარეისტორიული (ისტორიამდელი ხანის) ეკონომიკის მნიშვნელობას. თემაში დასმულია წინარეისტორიული ეკონომიკური სისტემების რეკონსტრუქციის (აღდგენის) პრობლემა. წინარეისტორიული ეკონომიკა მოიცავს ადამიანის წარმოშობის ისტორიიდან წერილობითი ძეგლებით დამოწმებულ ეპოქამდე.

4. შრომაში წარმოდგენილია მასალები „უსაფრთხოება“ ტერმინის განსაზღვრის, დაზუსტებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის ისტორიის შესწავლისათვის. ტერმინი „უსაფრთხოება“ ნაწარმოებია ძველი ბერძნული «aspháleia» და ლათინური «securitas» სიტყვების მიხედვით, რომელთა მნიშვნელობაა „უსაფრთხოება“, „დაცვა“. შრომაში გამოყენებულია ძველი ბერძნული და ლათინური ლიტერატურა უსაფრთხოების პრობლემის მიმოხილვისა და დედნისეული ნაწილების ინტერპრეტაციებისთვის. ძველმა ბერძენმა და რომაელმა ფილოსოფოსებმა, ისტორიკოსებმა და პოლიტიკოსებმა გზა გახსნეს თანამედროვე უსაფრთხოების, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებისთვის.

5. შრომაში განიხილილულია საზოგადოების ეკონომიკური ფორმაციის განვითარება როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი. ისტორიამდელი ხანის სამხრეთ-კავკასიის, ევროპისა და აზია-აფრიკის რეგიონებში აღმოჩენილი ნივთიერი მასალის მიხედვით, ავტორის მიერ გამოკვლეულია მწარმოებლურ ძალთა განვითარების სპეციფიკა, „ზედა პალეოლითური რევოლუცია“, „პირველი ეკონომიკური რევოლუცია“, შრომის დანაწილება, შესწავლილ-გაშიფრულია მასალა თვლის, აღრიცხვა-ანგარიშის, ხელოვნებისა და წერითი სისტემების წარმოშობისა და განვითარების შესახებ. ეს გამოკვლევა სიახლეა ისტორიამდელი ხანის ეკონომიკის მიმართულებით. ეკონომიკის ფუნქციონირება, როგორც მათემატიკის, ხელოვნებისა და წერითი სისტემების წარმოშობისა და განვითარების პირობა, დღემდე შეადგენს ეკონომიკური მეცნიერებისთვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას. მისი შესწავლა-გადაჭრა არსებითი მნიშვნელობის მქონეა ეკონომიკური მეცნიერების რიგი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად. თანამედროვე თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკის, ეკონომიკური აზრის ისტორიის, ანდა ეკონომიკის ისტორიის მიმართულებისთვის მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ისტორიამდელი ეკონომიკური იდეებისა და შედეგების გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის, როგორც მისი მთლიანობის ახლებურად გააზრებასა და დროის მიხედვით თანმიმდევრობითი განვითარების დადგენას.

6. ძვ.წ. IX–I ათასწლეულებით დათარიღებული არქეოლოგიური მასალის შესწავლის შედეგად, შრომაში პასუხი გაცემულია შემდეგ კითხვებზე: სად, როდის, რატომ და როგორ ჩაისახა და განვითარდა ეკონომიკური აღრიცხვის სისტემა, მათემატიკა, წერის ხელოვნება და დამწერლობა, რამაც გამოიწვია სოციალურ-ეკონომიკური რევოლუცია.

შრომაში განხილულია ეკონომიკური აღრიცხვის სისტემა, რომელიც ნეოლითის ხანიდან გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთში. აღრიცხვა ხორციელდებოდა თიხის ფიგურა-სიმბოლოების, საანგარიშო კოჭების მეშვეობით, რომლებიც რიცხვებსა და სხვადასხვა ტიპის საქონელს აღნიშნავდა. გარკვეულ პერიოდში ფიგურა-სიმბოლოები თიხის გუნდაზე მატყლის ბაწარზე ასხმული მაგრდებოდა ან ბურთისებური ყულაბების შიგნით იყრებოდა და ილუქებოდა. ზოგ შემთხვევაში ისინი თიხის ყულაბების გარეთა ზედაპირზე იბეჭდებოდა, რაც ყულაბებში მოთავსებული კოჭების რაოდენობას აღრიცხავდა.

თიხის ყულაბების გარეთა ზედაპირზე ფიგურა-სიმბოლოების ბეჭდვის პროცესმა ჩამოაყალიბა ნახატ-ნიშნიანი, ხაზოვანი და ლურსმული დამწერლობები, რომლებიც ძვ.წ. 3500–2800 წლებში ჩნდება. ამ დამწერლობებითაა შესრულებული უამრავი თიხის ფირფიტა, რომელთა გაშიფრვით დასტურდება, რომ წერა საქონლის, ანუ შრომის პროდუქტის დათვლის პირდაპირი შედეგია და გამოიყენებოდა სამეურნეო-ადმინისტრაციული აღრიცხვა-ანგარიშგების შესაქმნელად.

7. თავკიდურ პოზიციაში მჟღერი ხშულები (b, d, g) ავლენენ სრულმჟღერობას იმ ენებში, სადაც მჟღერი უპირისპირდება არაფშვინვიერ ყრუ თანხმოვანს, ეს ენებია – ფრანგული, ესპანური, რუსული, ნიდერლანდური, უნგრული და ა.შ.; ხოლო ხშულთა ისეთ სისტემებში, სადაც არსებობს ყრუ ფშვინვიერი ხშული, თავკიდური მჟღერი თანხმოვნის ხშვის ფაზა არის დაყრუებული ან, იშვიათად, ნაწილობრივ მჟღერი. ქართული ენის მჟღერი ხშული თანხმოვნების (ბ, დ, გ) აკუსტიკური ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ თავკიდურ პოზიციაში ხშვის ფაზა შესაძლოა ნაწილობრივ იყოს დაყრუებული ან სახმო სიმების ჟღერა იწყებოდეს სკდომის მომდევნოდ. მჟღერი ხშვა უფრო დამახასიათებელია ბაგისმიერი თანხმოვნისთვის, რაც, სახმო სიმების მოქმედების მექანიზმიდან გამომდინარე, ბუნებრივი მოვლენაა. ინტერვოკალურ პოზიციაში ქართული მჟღერები ინარჩუნებენ ყველა ფაზის მჟღერობას.

ქართული ბოლოკიდური მჟღერი თანხმოვნების წარმოთქმისას შესაძლებელია ხშვის ფაზა იყოს სრულმჟღერი, სრულად ან ნაწილობრივ დაყრუებული. ამ დროს ფშვინვიერებისაგან მათი განსხვავება ვლინდება ხშვის ფაზისა და ჩქამის მცირე გრძლივობით. სრულად დაყრუებული ხშვის ფაზის შემთხვევაში განსხვავება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ეს თავისებურება ადასტურებს გიორგი ახვლედიანის (1999: 357) მოსაზრებას „ყრუ mediae-ს“ ბუნების შესახებ - ბოლოკიდური თანხმოვნების დაყრუების წესის თანახმად, ***დ*** დაყრუდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მოისპო განსხვავება ფშვინვიერობის მიხედვით ***დ***-სა და ***თ***-ს შორის - ის არ არის არც ***დ*** და არც ***თ,*** არამედ - წინაენისმიერი ყრუ **media**-ა.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ მჟღერი ხშულების წარმოთქმისას მათი მჟღერობის ხარისხი განპირობებულია არა მარტო არტიკულაციურ-ფიზიოლოგიური მახასიათებლებით, არამედ ხშულ თანხმოვანთა სისტემის პარადიგმატული თავისებურებებით.

8. 1950-იანი წლებიდან შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში პოპულარული გახდა ამერიკელი ლინგვისტის მორის სვოდეშის გლოტოქრონოლოგიური მეთოდი, რომლის მეშვეობითაც გამოითვლებოდა ქრონოლოგიური სიღრმე, რაც, უპირველესად, გამიზნული იყო მონათესავე ენათა ფუძეენის დასათარიღებლად; შესაბამისი გამოთვლები ეფუძნებოდა ბაზისურ ლექსიკონს, ე.წ. სვოდეშის სიას, რომლის 2 ვარაინტია ცნობილი (100- და 200-სიტყვიანი სიები).

მას შემდეგ არაერთი ნაშრომი მიეძღვნა სვოდეშის მოდელის განხილვას, ჩამოყალიბდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თუ ნეიტრალური დამოკიდებულება აღნიშნული მოდელის მიმართ, გამოიკვეთა პრობლემური საკითხები და შემოთავაზებული იქნა მეთოდები მათ დასაძლევად.

სვოდეშის მოდელის გაუმჯობესებაში განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ცნობილი ლინგვისტი სერგეი სტაროსტინი. მან დაწვრილებით გაანალიზა სვოდეშის მოდელის ნაკლოვანი მხარეები და შემოგვთავაზა ახალი მოდელი, რომელსაც უწოდა „ძირის გლოტოქრონოლოგია“ ანუ „ეტმოლოგიური ლექსიკოსტატისტიკა“. ახალი გლოტოქრონოლოგიური მოდელი ეფუძნება რეგულარულ ფონოლოგიურ (ეტიმოლოგიურ) შესატყვისობებს მონათესავე ენათა ძირეულ

მორფემებს შორის. ს. სტაროსტინმა შეცვალა ქრონოლოგიური სიღრმის გამოსათვლელი ფორმულაც, რომელიც ემყარება შემდეგ პრინციპს: აღებულია რომელიმე A ენის 100 არანასესხები ძირეული მორფემა და მის მონათესავე B ენაში დაძებნილია მათი ფონოლოგიურად შესატყვისი ძირები; იმის მიხედვით, თუ რამდენი ძირეული მორფემა აღმოჩნდება საერთო ამ ორ ენას შორის, შესაძლებელია დავათარიღოთ ამ ორი ენის წინარე ენა. ამავე დროს, ს. სტაროსტინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამგვარი გამოთვლების განსახორციელებლად აუცილებელია წინასწარი სწორი ეტიმოლოგიური კვლევის ჩატარება.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Asatiani R., Ivanishvili M., Soselia E.,** Relationship Between the Kartvelian Roots **ywn*- 'wine' and **yun* 'creep, curve, twist'*, Athens Journal of Philology* , Volume 9, Issue 4, December 2022, Athens, 8 გვ.
   https://doi.org/10.30958/ajp.9-4-2
2. **Ivanishvili M,** Rasmus Rask on Georgian writing and transliteration and books obtained by him in Tbilisi, *Beiträge zur Geschichte der Sprachwissenschaft*, 32.2 (2022), ISSN 0939–2815, Münster : Nodus Publikationen, 12 pages.

ვრცელი ანოტაციები (ქართულ ენაზე)

1. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ფუნდამენტური ნაშრომის მიხედვით, ქართველები (ქართველური ტომები) ისტორიული წარმომავლობის თვალსაზრისით ერთ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე დგანან ინდოევროპელებთან და სემიტებთან ერთად მცირე აზიაში და ამ კულტურული არეალის უძველესი ცივილიზაციის ხალხებს შორის ექცევიან. ამას მოწმობს ინდოევროპული, ქართველური და სემიტური წინარეენობრივი სისტემების ლექსიკური ნასესხობანი და სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსება, რაც, სავარაუდოდ, არეალური სიახლოვით შეიძლება აიხსნას (Гамкрелидзе, Иванов 1984: 647). ამ მხრივ, უაღრესად საყურადღებოა ზემოთ დასახელებულ ენებში „ღვინის“ აღმნიშვნელი ლექსიკა, რაც არაერთი მკვლევრის შესწავლის საგანი გამხდარა. აღნიშნული ფუძის ქართველური წარმომავლობის შესახებ არსებული მოსაზრებები ისეთივე ძველია, როგორიც მისი ინდოევროპულიდან ნასესხებ ფორმად განხილვა. მოსაზრებათა სხვადასხვაობის მიზეზი, ალბათ, არის ის, რომ ვერ ხერხდებოდა *ღვინო* ფუძის ეტიმოლოგია ქართველური ენების

საფუძველზე. საერთოქართველურ დონეზე ქართ. *ɣvin*-ი : მეგრ. *ɣvin*-i : ლაზ. *ɣ(v)in-i* : სვან. *ɣvin-* (*ɣvin-el/ɣvin-äl)* „ღვინო“ შესატყვისობის საფუძველზე აღდგება **ɣvin-* „ღვინო“ ფუძე, რომელიც უკავშირდება *ɣun-* „ღუნვა“, „გრეხა“ ზმნურ ფორმას (Fähnrich 2007: 486).

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ „ღვინის“ აღმნიშვნელი საერთოქართველური სიტყვის სტრუქტურა აგებულია ქართველური სიტყვაწარმოების წესების – აბლაუტური საფეხურების კანონზომიერი მონაცვლეობის – მიხედვით.

როგორც საერთოქართველურში, ასევე ინდოევროპულში ძირის კანონიკური ფორმაა C_1VC_2, სადაც C შეიძლება იყოს როგორც ჩქამიერი თანხმოვანი, ისე სონანტი. კანონიკური ფორმის 3 ძირითადი ქვეტიპი გამოიყოფა: 1. CVC, 2. CVSC, 3. CSVC. ამ ზოგად ფორმულებში C-ს ყოველთვის შეიძლება ჩაენაცვლოს S. ჩვენთვის საინტერესო *ღუნ-* ძირი მე-3 ქვეტიპს განეკუთვნება, ოღონდ გახმოვანების ნულოვან საფეხურზე. შესაბამისი ძირი სრული გახმოვანებით უნდა ვივარაუდოთ **ღUენ-* სახისა, რომელიც შეიძლება გავიაზროთ როგორც ორმორფემიანი ზმნური ფუძე, ერთი მხრივ, **ღVU* ძირი გახმოვანების ნულოვან საფეხურზე, რაც მოგვცემდა **ღU-* ფორმას, და მეორე მხრივ, *-ენ* სუფიქსი გახმოვანების რედუქციის საფეხურზე; შესაბამისად, **ღუონ-* ფუძე რეკონსტრუირებული საერთოქართველურ დონეზე, იქნება აბლაუტური მონაცვლეობის მექანიზმით განსაზღვრული კანონზომიერი ფორმა: ძირეული მორფემა გახმოვანების ნულოვან საფეხურზეა (*ღU*), სუფიქსური მორფემა კი – გახმოვანების რედუქციის საფეხურზე (*-ონ*).

ამგვარად, სავსებით შესაძლებელია, რომ **ღვონ-* ფორმა წარმოადგენდეს „ღუნვა, გრეხა, ხვევა, წვნა“ მნიშვნელობის ზმნიდან ნაწარმოები საერთოქართველური დერივატის ფუძეს და არა ინდოევროპულ ნასესხობას, როგორც აქამდე იყო მიჩნეული. ეს არის კიდევ ერთი ლინგვისტურ-ტიპოლოგიური პარალელი ქართველურსა და ინდოევროპულს შორის, ამჯერად – ლექსიკურ დონეზე.

რაც შეეხება „ღვინის“ აღმნიშვნელ ქართველურ და ინდოევროპულ სახელებს შორის სესხების თვალსაზრისით მიმართების გარკვევას – ქართველურიდან ინდოევროპულში, თუ პირუკუ, საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვას: ტიპოლოგიურად რომელი ფონეტიკური პროცესია მისაღები, კომპლექსის გამარტივება *ɣw>w* (ქართვ. **ɣwin-* > ინდოევროპ. **win*), თუ ქართველური ძირის *ɣ*-თი გართულება? მოცემულ ეტაპზე, არსებული ფაქტებისა და მასალის ანალიზის საფუძველზე ორივე მიმართულება მისაღები ჩანს და რომელიმეს სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება ახალი მასალის გამოვლენასა და ენათმეცნიერების მომიჯნავე დარგების მონაცემების ინტეგრალურ გააზრებას მოითხოვს.

2. გენიალური დანიელი ენათმეცნიერი, ისტორიულ-შედარებითი მეთოდისა და ინდოევროპეისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი რასმუს რასკი საქართველოში 4 თვეს, 1819 წლის ნოემბრიდან 1820 წლის მარტამდე იმყოფებოდა. თბილისში მან დაასრულა თავისი ხანგრძლივი მოგზაურობა რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა ენების გაცნობის მიზნით, საიდანაც ის შემდეგ გაემგზავრა ირანში, ინდოეთსა და ცეილონზე.

რ. რასკის თბილისური პერიოდის ჩანაწერებიდან საყურადღებოა მიიპყრო ორმა საკითხმა:

ა). როგორც ჩანს, რასკისთვის ორთოგრაფია და ტრანსლიტერაცია იყო მნიშვნელოვანი თემები, რამდენადაც ალფაბეტების უნიფიცირება ხელს უწყობდა სხვადასხვა ენების მონაცემების შეთანადებას. ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია, საინტერესოა რ. რასკის მოსაზრებები გამოთქმული ქართულ წერასა და ტრანსლიტერაციასთან დაკავშირებით დღევანდელ სალიტერატურო ნორმებთან მიმართებაში.

ბ) კოპენჰაგენის უნივერსიტეტის დირექტორისადმი რასმუს ნიუერუპუსადმი თბილისიდან 1820 წლის 9 იანვარს გაგზავნილ წერილში (*Magazin for Rejseiagttagesler* 1820 I: 298-299) რასმუს რასკი უზიარებს შთაბეჭდილებას თბილისის ტიპოგრაფიის შესახებ და ურთავს პეტერბურგიდან და მოსკოვიდან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის გაგზავნილი რარიტეტული წიგნების სიას, რომელთა შორის ასახელებს 1819 წელს თბილისში დაბეჭდილ რუსულ-ქართულ სასაუბროსა („შეკრება რუსულთა უბნობათა, საზოგადოდ ცხოვრებასა შინა სახმარებელთა, დართვითა ქართულისა თარგმანისათა, სასარგებლოდ კეთილშობილთა ყრმათა“) და 1802 წელს გამოცემულ „ქართული ენის მოკლე გრამატიკას“, რომელიც შედგენილია არქიეპისკოპოს ვარლამის (ერისთავის) მიერ (1763-1830, 1811 წლიდან მცხეთის მიტროპოლიტი, საქართველოს პირველი ეგზარხოსი).

სტატიაში განხილულია ზემოთ დასახელებული საკითხები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **რუსუდან ასათიანი,** ენობრივ ფორმათა ფუნქციური „კლასტერები“ სხვადასხვა ლინგვისტურ დონეზე ქართულში, ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: *ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები,* 27-28 აპრილი, 2022, თბილისი.
   http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1741
2. **რუსუდან ასათიანი,** ენობრივ ფორმათა ფუნქციური „კლასტერები“ სხვადასხვა ლინგვისტურ დონეზე ქართულში, *საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი,* 3-5 ოქტომბერი, 2022, თბილისი.
   https://tsu.ge/assets/media/files/57/PROGRAMA-KAVKASIOLOGIA.pdf
3. **რუსუდან ასათიანი,** წესები და „გამონაკლისები“: ქართულში სამპირიანი ზმნების სუპლეტური ფორმების კოგნიტიური ინტერპტეტაცია, *თინათინ გიორგობიანის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია “ენა - ნორმა და დევიაცია“,* 24-25 ნოემბერი, 2022, თბილისი.

რუსუდან ასათიანი, სამყაროს ლინგვისტური ხედვა: ზმნის არგუმენტული სტრუქტურები, *ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტის კლუბისა და გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია „ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი და ნეოჰუმბოლდტიაანური თეორიები, მიძღვნილი პროფ. გურამ რამიშვილის დაბადების 90-ე წლისთავისადმი*, 25-26 ნოემბერი, 2022, თსუ, თბილისი.

4. 5. **რუსუდან ასათიანი,** ფონემათა დისტრიბუცია ქართულში გავრცელებულ საკუთარ სახელებში: ფონეტიკური სიმბოლიზმი (?), *სამეცნიერო კონფერენცია: ტოგო გუდავა - მეცნიერი და მასწავლებელი, ეძღვნება დაბადებიდან 100 წლისთავს*, 20 დეკემბერი, 2022, თბილისი.
   http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/2000
6. **თინათინ ბოლქვაძე,** გურამ რამიშვილის ცხოვრების გზა დაა სამეცნიერო *მემკვიდრეობა, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტის კლუბისა და გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია „ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი და ნეოჰუმბოლდტიაანური თეორიები, მიძღვნილი პროფ. გურამ რამიშვილის დაბადების 90-ე წლისთავისადმი*, 25-26 ნოემბერი, 2022, თსუ, თბილისი.
7. გიორგი ალიბეგაშვილი, **თინათინ ბოლქვაძე,** მამუკა ჭანტურაია, ვაჟა-ფშაველა ენის *შესახებ, „ვაჟა-ფშაველა 160 – თანამედროვე ინტერპრეტაციათა ცდანი“, III სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას დაბადების 160-ე წლისთავისადმი,* 28 ნოემბერი, 2022. https://tsu.ge/assets/media/files/57/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%20--%20%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9F%E1%83%90%20+.pdf
8. **თინათინ ბოლქვაძე,** კვლავ მეგრული „კუდიანი“ ანბანის შესახებ, *სამეცნიერო კონფერენცია ტოგო გუდავა – მეცნიერი და მასწავლებელი, ეძღვნება დაბადებიდან 100 წლისთავს*, 20 დეკემბერი, 2022, თსუ, თბილისი.
   http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/2001
9. **თამაზ გამყრელიძე †, მარინე ივანიშვილი,** აკადემიკოსები აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი – *საერთაშორისო კავკასიოლოგიურ კონგრესი,* 3-5 ოქტომბერი, 2022, თბილისი.
   https://tsu.ge/assets/media/files/57/PROGRAMA-KAVKASIOLOGIA.pdf
10. **გია კვაშილავა,** „პროტოქართველების, პროტოქართველური კულტურის, ენისა და წარწერების შესახებ (მოკლე მიმოხილვა, ძირითადი შედეგები)“, *კონფერენცია „ორნამენტი და კულტურა“,* გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი, 30, 31 მაისი და 1 ივნისი, 2022, თბილისი.

11. **გია კვაშილავა,** „A კლასის ხაზოვანი ku-ro და ki-ro სიტყვების საერთოქართველურ ენაზე დეშიფრაციის შესახებ“, *კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესი, კავკასია – ინტერდისციპლინური კვლევები – II. ენები, ხალხები, კულტურა, გენეტიკური კვლევები,* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სვანეთის მუზეუმი,წლის 25–27 აგვისტო, 2022, თბილისი - მესტია.
12. **გია კვაშილავა,** „A კლასის ხაზოვანი წარწერების საერთოქართველურ ენაზე გაშიფვრის შესახებ (ზოგადი მომოხილვა, მეთოდი, ძირითადი შედეგები)“, *საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი,* საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 3–5 ოქტომბერი, 2022, თბილისი.
https://tsu.ge/assets/media/files/57/PROGRAMA-KAVKASIOLOGIA.pdf
13. **გია კვაშილავა,** „ეკონომიკა ისტორიამდელ ხანაში“, *საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი „გლობალური გამოწვევები და ეკონომიკური განვითარების მოდელების ტრანსფორმაცია“,* მიეძღვნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლისთავს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 21 ოქტომბერი, 2022, თბილისი.
14. **გია კვაშილავა,** „A კლასის ხაზოვანი წარწერების საერთოქართველურ ენაზე გაშიფრვის შესახებ: ka-ti – ჭურჭლის აღმნიშვნელი სახელი“, *კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი,* რომელიც მიეძღვნა ცნობილი კლასიკოსის, მწერალ მიხეილ ლოხვიცკის (აჯუქ-გირეის) 100 წლისთავს, თსუ კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, 14–16 ნოემბერი, 2022, თბილისი.
15. **მარინე ივანიშვილი,** ეტიმოლოგიური ძიებანი: *კაცი, ადამიანი, სამეცნიერო კონფერენცია: ტოგო გუდავა - მეცნიერი და მასწავლებელი, ეძღვნება დაბადებიდან 100 წლისთავს*, 20 დეკემბერი, 2022, თბილისი.
http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/2002
16. **ივანე ლეჟავა,** ქართულ მჟღერ ხშულ თანხმოვანთა წარმოთქმის თავისებურებანი, *ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია,* 12 აპრილი, 2022, თბილისი.
https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1958
17. **ივანე ლეჟავა,** ტოგო გუდავა - მეცნიერი და მასწავლებელი, *სამეცნიერო კონფერენცია: ტოგო გუდავა - მეცნიერი და მასწავლებელი, ეძღვნება დაბადებიდან 100 წლისთავს*, 20 დეკემბერი, 2022, თბილისი.
http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/2003
18. **ეთერ სოსელია,** ქართული მრავალწევრა თანხმოვანთკომპლექსები და ფონოტაქტიკური ტენდენციები, *საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი,* 3-5 ოქტომბერი, 2022, თბილისი.
https://tsu.ge/assets/media/files/57/PROGRAMA-KAVKASIOLOGIA.pdf
19. **ეთერ სოსელია,** სონორ თანხმოვანთა ფონოტაქტიკური მახასიათებლები (ქართულ-მეგრული კონსონანტური კომპლექსების მიხედვით), *სამეცნიერო კონფერენცია: ტოგო გუდავა - მეცნიერი და მასწავლებელი, ეძღვნება დაბადებიდან 100 წლისთავს*, 20 დეკემბერი, 2022, თბილისი.
http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/2009

.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Asatiani R., Ivanishvili M., Soselia E.,** Relationship Between the Kartvelian Roots **ywn*- ‘wine’ and **yun* ‘creep, curve, twist’, *ATINER - 15th Annual International Conference on Languages & Linguistics,* 4-7 July 2022, Athens, Greece, (www.atiner.gr/languages)
2. **Asatiani R., Ivanishvili M., Soselia E.,** Cognitive Approach: Typology of a Dative Subject and the Georgian Data, *ICMS XXXI, 31st International Conference on Multidisciplinary Studies: “Recent Ideas and Research”,* 18-19 November, 2022, Luxembourg.
https://revistia.net/icms28en/forum/thread.php?code=C45409E357A8D744

3. **Bolkvadze T.,** Migration and Language Problems, *19th Annual conference of The European Federation of National Institutions for Language (EFNIL), Language and Migration*, , October 11-13, 2022, Vilnius.
4. **Bolkvadze T.,** Standardization of the Georgian Language in Soviet and post-Soviet Times, *54th Annual Convention of the Association for Slavic, East European and Eurasian Studies,* November 10 – 13, 2022, Chicago, USA

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

დამატებითი ინფორმაცია

I. *სარედაქციო საქმიანობა*

1. **ი. ლეჟავა** - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალის - "ენათმეცნიერების საკითხების" მთავარი რედაქტორი.
2. **რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, მ. ივანიშვილი, ე. სოსელია** – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალის – "ენათმეცნიერების საკითხების" სარედაქციო კოლეგიის წევრები.
3. **რ. ასათიანი,** ICMS XXXI, 31st International Conference on Multidisciplinary Studies: "Recent Ideas and Research", 18-19 November, 2022, Venue: Université du Luxembourg, Campus de Belval, Maison du Savoir BOOK OF PROCEEDINGS, Editors: Prof. Dr. Bob Barrett, Prof. Dr. Stanley Tweyman, Prof. Dr. Thomas Goetz, Prof. Dr. Rusudan Asatiani. ISBN 978-1-915312-05-1 (რედაქტორი)
4. თ. ბოლქვაძე, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ბიულეტენი, 3 თბილისი, 2022 (რედაქტორი)
5. **მარინე ივანიშვილი,** ზოია ტუღუში „გურული ლექსიკონი", ნეკერი, თბილისი 2022 (რედაქტორი).
6. **მარინე ივანიშვილი,** საერთაშორისო ორენოვანი ჟურნალის „ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია"- (თანარედაქტორი).
7. სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ჟურნალის "ენათმეცნიერების საკითხები" – 2021-2022 აღწერილობა:

   ჟურნალი "ენათმეცნიერების საკითხები" (ISSN 1512-0473) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოდის 1999 წლიდან. სამეცნიერო ჟურნალი წარმოადგენს რეცენზირებად, ორენოვან, პერიოდულ გამოცემას. ჟურნალის რედკოლეგიის წევრები არიან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიური მიმართულების წარმომადგენლები და თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომლები, ხოლო სარედაქციო საბჭოს წევრები – გამოჩენილი ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერები. ჟურნალს 2007 წლიდან გამოსცემს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და ჟურნალის ყოველი ნომერი (ISSUES OF LINGUISTICS) განთავსებულია თსუ გამომცემლობის ვებგვერდზე და სოციალურ სამეცნიერო ქსელში - academia.edu. "ენათმეცნიერების საკითხების" 2021-2022 წლის ნომერი გამოირჩევა სტატიათა თემატური მრავალფეროვნებით და ეძღვნება ენათმეცნიერების ისტორიის, ფრაზეოლოგიის, ქართველური ენების, ფონეტიკის, ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, სემანტიკის, ეტიმოლოგიის, ენათა შეპირისპირებითი ანალიზის, კორპუსული ლემატიზაციის, გლოტოქრინოლოგიისა და ლექსიკოსტატისტიკის საკითხებს. ასევე წარმოდგენილია ლეონარდ ბლუმფილდის ნაშრომის - "წიგნიერთა და უწიგნურთა მეტყველება" თარგმანი და რეცენზია ზოია ტუღუშის წიგნზე "გურული ლექსიკონი".

II კონფერენციების ორგანიზება

1. **რ. ასათიანი, მ. ივანიშვილი** - საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ლოგიკასა და ენაში" (Sixteenth International Tbilisi Summer School in Logic and Language, Sept. 19–Sept. 23, 2022, Tbilisi, Georgia) -
2. **რ. ასათიანი, ი. ლეჟავა** - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია: ტოგო გუდავა - მეცნიერი და მასწავლებელი, ეძღვნება დაბადებიდან 100 წლისთავს, 20 დეკემბერი, 2022, თბილისი.

3. **თ. ბოლქვაძე,** ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია - მიძღვნილი ქართული ენის დღისადმი, 12 აპრილი, 2022, თბილისი.
4. **თ. ბოლქვაძე, ი. ლეჟავა** - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტის კლუბისა და გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია „ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი და ნეოჰუმბოლდტიაანური თეორიები, მიძღვნილი პროფ. გურამ რამიშვილის დაბადების 90-ე წლისთავისადმი, 25-26 ნოემბერი, 2022, თსუ, თბილისი.
   https://tsu.ge/assets/media/files/57/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%97%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

III საჯარო ლექციები

1. **თ. ბოლქვაძე,** სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა; 2) ნასესხები ლექსიკა; 3) ქართული ენა და იდენტობის პრობლემები
   https://www.youtube.com/watch?v=T5WiQfizrws

თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის 2022 წელს გამოქვეყნებული შრომების სია

1. საქართველოში გამოცემული სტატიები

1. **რუსუდან ასათიანი**, ენობრივ ფორმათა ფუნქციური „კლასტერები“ სხვადასხვა ლინგვისტურ დონეზე ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები 2021- 2022, ISSN 1512-0473, თბილისი: თსუ გამომცემლობა, გვ. 17-26.
2. **მარინე ივანიშვილი,** რასმუს რასკი ქართული წერისა და ტრანსლიტერაციის შესახებ და მის მიერ თბილისში შეძენილი წიგნები, ენათმეცნიერების საკითხები 2021- 2022, ISSN 1512-0473, თბილისი: თსუ გამომცემლობა, გვ. 71-82.
3. **გია კვაშილავა,** „ეკონომიკის კვლევის ზოგიერთი თანამედროვე მიმართულების შესახებ“, სამეცნიერო ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 17 ტ., №1 (64), ISSN 1512-4649 (Print), ISSN 2667-9752(Online), თბილისი: გამომცემლობა „ლოი“, 2022, გვ. 50-55.
4. **გია კვაშილავა,** „ეკონომიკური უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემის ისტორიის შესახებ (ბერძნული და ლათინური წყაროების მიხედვით)“, სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, ISSN1512-0538, თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, №1–2, გვ. 40-44
5. **გია კვაშილავა,** „ეკონომიკა ისტორიამდელ ხანაში“, სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №3–4, ISSN1512-0538, თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, გვ. 230-234.
6. **გია კვაშილავა, მათემატიკური და ეკონომიკური აღრიცხვის სისტემების საკითხისათვის (ძვ.წ. IX-I ათასწლეულებით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით),** ენათმეცნიერების საკითხები 2021- 2022, ISSN 1512-0473, თბილისი: თსუ გამომცემლობა, გვ. 83-123.
7. **ივანე ლეჟავა,** ქართულ მჟღერ მსკდომ თანხმოვანთა წარმოთქმის თავისებურებები, ენათმეცნიერების საკითხები 2021- 2022, ISSN 1512-0473, თბილისი: თსუ გამომცემლობა, გვ. 142-174.
8. **ეთერ სოსელია,** „ძირის გლოტოქრონოლოგია“ ანუ „ეტიმოლოგიური ლექსიკოსტატისტიკა“, ენათმეცნიერების საკითხები 2021- 2022, ISSN 1512-0473, თბილისი: თსუ გამომცემლობა, გვ. 188-196.

2. უცხოეთში გამოცემული სტატიები

1. **Ivanishvili M.,** Rasmus Rask on Georgian writing and transliteration and books obtained by him in Tbilisi, Beiträge zur Geschichte der Sprachwissenschaft, 32.2 (2022), ISSN 0939–2815, გვ. 221-232.

თეორიული და შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება: თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

პროფესორი ირმა რატიანი

ასოც. პროფ. გაგა ლომიძე, ასოცირებული პროფ. სოლომონ ტაბუცაძე, ასისტენტ პროფესორი ანა ლეთოდიანი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ლიტერატურის თეორია. ლიტერატურული ჟანრები. ორ ტომად. 2020-2023 წწ.
2. ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია, ხუთ ტომად. 2014- 2024 წწ.
3. ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია IV (2018-მიმდინარე)

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ირმა რატიანი** - პროექტის ხელმძღვანელი, რედაქტორი და სტატიების ავტორი. მონაწილეები: გაგა ლომიძე (თანარედაქტორი), სოლომონ ტაბუცაძე, ანა ლეთოდიანი, ირაკლი ხვედელიძე, თამარ ბარბაქაძე, თამარ ლომიძე (თანარედაქტორი), ირაკლი კენჭოშვილი, კონსტანტინე ბრეგაძე, თათა ობოლაძე - სტატიების ავტორები.

2. **ირმა რატიანი** - პროექტის ხელმძღვანელი, რედაქტორი; გაგა ლომიძე (თანარედაქტორი). მონაწილეები: სოლომონ ტაბუცაძე, ირინე მოდებაძე, შორენა შამანაძე, ნინო გაგოშაშვილი რუსუდან თურნავა - ქრესტომათიული ტექსტების თარგმნა.

3. **გაგა ლომიძე –** ხელმძღვანელი, ნუცუბიძე თამარ – შემსრულებელი, ნაჭყებია მაია – შემსრულებელი, შამანაძე შორენა – შემსრულებელი, თამარ ლომიძე – შემსრულებელი, არჩილ წერედიანი – შემსრულებელი, კონსტანტინე ბრეგაძე – შემსრულებელი, თათია ობოლაძე – ნინო გაგოშაშვილი – შემსრულებელი, რუსუდან თურნავა – შემსრულებელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2022 წელს გამოსაცემად მომზადდა და სტამბას გადაეცა აღნიშნული წიგნის პირველი ტომი, რომელიც მოიცავს სტატიებს დიდი ეპიკური ჟანრებისა და დრამატული ჟანრების შესახებ.

2. 2022 წელს შეკრებილია მასალა მე-4 ტომისთვის (პირველი სამი ტომი უკვე გამოიცა). ტომი მოიცავს საეტაპო ნაშრომებს სტრუქტურალიზმის, პოსტსტრუქტურალიზმისა და ნარატოლოგიის სფეროში.

3. კვლევითი სამუშაო, რომელიც მოიცავს პერიოდს 2018-დან 2023 წლამდე, ითვალისწინებს ლიტერატურის თეორიის ქრესტომათიის ორი წიგნის გამოცემას. ერთი წიგნის გამოცემა ნავარაუდევია 2022 წელს. ამჟამად მზადაა შემდეგი ტექსტები: მიშელ ფუკოს „ცინიკოსები და მათი ხერხები", ვიაჩესლავ ივანოვის „ცივი და ცხელი კულტურების ანთროპოლოგიური თეორიები", ი. ილინის „კულტურული არაცნობიერი", თეოდორ ადორნოს „მხატვრული ნაწარმოების თეორიისთვის", მ. ლ. გასპაროვის „ევროპული ლექსის ისტორიის ნარკვევი", გასტონ ბაშლარის „წამიერება პოეტური და წამიერება მეტაფიზიკური", ჟერარ ჟენეტის „თხრობის საზღვრები" და „ნიშანთა შიდაპირი", სიუზან ზონტაგის „გეორგ ლუკაჩის ლიტერატურული კრიტიკა", ფორმანის „მითოლოგიური კრიტიკა". რედაქტირებას საჭიროებს: გვატარის და დელიოზის „ათასი პლატო", ალენ რობ-გრიიეს „რა შემოგვრჩა „ახალირომანიდან?", ჟილბერ დიურანის „ლიტერატურული წარმოსახვა და მითოკრიტიკის ძირითადი ცნებები", ი. ილინის „ნეობაროკო". ითარგმნება შემდეგი ტექსტები: კლოდ ლევი სტროსის და რომან იაკობსონის „ბოდლერის „კატების" ანალიზი", მიხაილ ბახტინის „ქრონოტოპი", ვალტერ ბენიამინის „ბოდლერი", გეორგ ლუკაჩის „მარქსის და ენგელსის ნაშრომები ესთეტიკის შესახებ", თეოდორ ადორნოს „სტილი", როლან ბარტის „ედგარ პოს ერთი ნოველის შესახებ", მიშელ ფუკოს „შეშლილობის ისტორია", ცვეტან ტოდოროვის „ფანტასტიკა", ნორთროპ ფრაის „კრიტიკის ანატომიის" ერთი თავი.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ლიტერატურული აგენტის სასწავლო მოდულის შემუშავება და დანერგვა. საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველო. 2021-2022

2. ბავშვის მიერ წიგნზე წვდომის მხარდაჭერა. საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველო. 2022
3. ილია ჭავჭავაძე და ევროპული ღირებულებები. საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველო. 2022.
4. ლიტერატურული ჟანრები — ლიტერატურის თეორია, 2020-2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ირმა რატიანი, ხელმძღვანელი. მონაწილეები: გაგა ლომიძე, თეა თალაკვაძე, ლილი მეტრეველი, ელენე თოიძე, ქეთევან ტვილდიანი.

2. ირმა რატიანი, ხელმძღვანელი. მონაწილეები: ლილი მეტრეველი, ნინო მალუტაშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი, სალომე კაკაბაძე.

3. ირმა რატიანი, ხელმძღვანელი. მონაწილეები: მაკა ელბაქიძე, გაგა ლომიძე, თამარ ციციშვილი, მირანდა ტყეშელაშვილი.

4. რუსუდან ცანავა – შემსრულებელი, არჩილ წერედიანი – შემსრულებელი, ირაკლი კენჭოშვილი – შემსრულებელი, მაკა ელბაქიძე – შემსრულებელი, მაია ნაჭყებია – შემსრულებელი, რამაზ ჭილაია – შემსრულებელი, ირმა რატიანი – ხელმძღვანელი, გაგა ლომიძე – ხელმძღვანელი, კონსტანტინე ბრეგაძე – შემსრულებელი, შორენა შამანაძე – შემსრულებელი, ირაკლი ხვედელიძე – შემსრულებელი, ივანე ამირხანაშვილი – შემსრულებელი, სოლომონ ტაბუცაძე – შემსრულებელი, თათია ობოლაძე – შემსრულებელი, ლევან გელაშვილი – შემსრულებელი, თამარ ბარბაქაძე – შემსრულებელი, გუბაზ ლეთოდიანი – შემსრულებელი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პირველად ქართულ სამეცნიერო და კულტურულ სივრცეში შემუშავდა ლიტერატურული აგენტის სასწავლო მოდულის პრინციპები, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. კომისიის მიერ შერჩეულმა სტუდენტებმა სტაჟირება გაიარეს უცხოურ გამომცემლობაში.

2. სამუშაო ჯგუფის დიდი ძალისხმევით დამუშავდა ახალგაზრდა თაობის წიგნზე ხელმისაწვდომობის გაზრდის კონცეფცია. ჩატარდა გასვლითი სემინარებია მაღალმთიან რეგიონსა (რაჭა) და სასაზღვრო რეგიონში (გორის მუნიციპალიტეტი).

3. ქართველი კლასიკოსის საიუბილეოდ, მომზადდა და გამოიცა კრებული, სადაც, სარედაქციო საბჭოს შერჩევით, დაიბეჭდა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ავტორების მიერ, აღნიშნულ თემაზე მომზადებული სტატიები.

4. სამუშაო დაიწყო 2020 წელს და წელს უკვე გამოსაცემად მზადაა. პროექტი ითვალისწინებდა ლიტერატურული ჟანრების შესახებ კრებულის მომზადებას. საქმე ისაა, რომ ამგვარი კრებული უმაღლესი სასწავლებლებისთვის არ არსებობდა ერთიანად თავმოყრილი სახით და პროფესორებს უწევდათ სხვადასხვა წიგნით და უცხოენოვანი ლიტერატურით ხელმძღვანელობა. უკვე გამოსაცემად მომზადდა პირველი გამოცემა, რომლის შევსებული გამოცემის მომზადებაც დაგეგმილია მომავალ წელს. მიმდინარე გამოცემა აერთიანებს შემდეგ საკითხებს: ეპოსი და დიდი ეპიკური ჟანრები: ანტიკური ეპოსი, ანტიკური რომანი, პიკარესკული რომანი, სარაინდო რომანი, ბაროკოს რომანი, სენტიმენტალური რომანი, ანტიუტოპიური რომანი, რეალისტური რომანი, კლასიკური და პოსტმოდერნისტული რომანი, საოჯახო რომანი, ავტობიოგრაფიული რომანი. საშუალო და მცირე ეპიკური ჟანრები: ნოველა, აგიოგრაფიული პროზა, ესეი, მინიატურა, ესკიზი, ლიტერატურული ზღაპარი, ფენტეზი, სამეცნიერო ფანტასტიკა. დრამა და დრამატული ჟანრები: ტრაგედია, კომედია, აბსურდის დრამა. ლირიკა და ლირიკული ჟანრები: მცირე ლირიკული ჟანრები, ეპიკური ჟანრები, პოემა, ბალადა, ლექსი პროზად, კონკრეტული პოეზია, ფიგურული ლექსი, გაბაასება, ვერლიბრი.
აღნიშნული გამოცემა უკიდურესად დროული იქნება უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებისა და სტუდენტებისთვის და სახელმძღანელოს ფუნქციას შეასრულებს. პროექტის გამოცემა დაგეგმილია 2023 წელს.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. „დედაენიდან“ „სალამურამდე“ . ქართული საბავშვო მწერლობა. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; საქართველო. 01-09-22-01.9.2023.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ირმა რატიანი, ხელმძღვანელი. მონაწილეები: ლილი მეტრეველი, ნინო ჭალაგანიძე, სულხან მელაძე. სპიკერები: ზაზა აბზიანიძე, გაგა ლომიძე, მაკა ელბაქიძე, ჰაიატე სოტომე.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მომზადდა წინასწარი მასალა პროექტისათვის - ტექსტები. აგრეთვე, შეირჩა სპიკერები და შეთანხმდა გადაღების ადგილები.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ქართული მწერლობა 90 წუთში. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; საქართველო. 01-09-22-01.9.2023. ხელმძღვანელი.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ირმა რატიანი, ხელმძღვანელი. მონაწილეები: ლილი მეტრეველი, ნინო ჭალაგანიძე, სულხან მელაძე. სპიკერები: მაკა ელბაქიძე, გაგა ლომიძე, გია არგანაშვილი, ბელა წიფურია.

2

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.-

2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. იუნესკოს მონაწილეობის პროგრამის გრანტი - „მცირე ერების ლიტერატურების კომერციალიზაცია და მისი როლი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ჩამოყალიბების და პოპულარიზაციის საკითხში“. UNESCO. 2022- 2023.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ირმა რატიანი - ხელმძღვანელი. მონაწილეები: ლილი მეტრეველი, თიკი ბაღაშვილი. მოწვეული სპიკერები: გაგა ლომიძე, ოქტაი ქაზუმოვი, კატო ჯავახიშვილი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. შედგა პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი, დადგინდა და მოწვეულ იქნენ ქართველი სპიკერები, გამოცხადდა განაცხადების მიღება კონფერენციის და ტრენინგების ფორმატში, მიმდინარეობს მოლაპარაკება უცხოელ სპიკერებთან.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. იუნესკოს კულტურული მრავალფეროვნების გრანტი - „შემოქმედებით გარდასახვა“ UNESCO. 2021- 2023.

2. შემოქმედებითი ნაპერწკალი, ბრიტანეთის საბჭო, 2022.

3. პოლიტიკის კვლევისა და განვითარების მხარდაჭერა შემოქმედებითი ეკონომიკის სექტორში. ბრიტანეთის საბჭო. 2021, ხელმძღვანელი.

4. შემოქმედებით ნაპერწკალი, ბრიტანეთის საბჭო, 2021, ხელმძღვანელი.

5. მემარცხენე მწერლობის ფორმირება საქართველოში (მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე), #FR-18-17206, 2019-2022
6.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ირმა რატიანი - პროექტის დირექტორი. ელენე თოიძე - პროექტის მენეჯერი. მონაწილეები: ვახტანგ ურუშაძე, თიკი ბაღაშვილი, ნიკა ნადარეიშვილი, ხატია ჭოხონელიძე.
2. ირმა რატიანი - პროექტის დირექტორი. თიკი ბაღაშვილი - პროექტის მენეჯერი. მოწვეული მკვლევრები.
3. ირმა რატიანი - პროექტის დირექტორი. ელენე თოიძე- პროექტის მენეჯერი. მოწვეული მკვლევრები.

4. ირმა რატიანი - პროექტის დირექტორი. თიკი ბაღაშვილი - პროექტის მენეჯერი. მოწვეული მკვლევრები.

5. გაგა ლომიძე (ხელმძღვანელი), მარიამ გიორგაშვილი (კოორდინატორი), ირინე მოდებაძე (ძირითადი პერსონალი, თამარ ციციშილი(ძირითადი პერსონალი), სოლომონ ტაბუცაძე (ძირითადი პერსონალი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტის ფარგლებში მომზადდა ვრცელი და დაწვრილებითი ანგარიში ქვეყანაში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების დონისა და მდგომარეობის შესახებ. შეიქმნა სტატისტიკური ბაზა. მომზადდა სტრატეგიის დოკუმენტი.

2. პროექტის ფარგლებში ჩატარდა სასემინარო მუშაობა თბილისსა და რეგიონებში, სტუდენტებისა და ახალგაზრდების ჩართულობით. მომზადდა სახელმძღვანელო.

3. პროექტის ფარგლებში მომზადდა პოლიტიკის კვლევისა და განვითარების მხარდაჭერაის დოკუმენტი შემოქმედებითი ეკონომიკის სექტორში.

4. პროექტის ფარგლებში ჩატარდა სასემინარო მუშაობა თბილისსა და რეგიონებში, სტუდენტებისა და ახალგაზრდების ჩართულობით.

5. იდეოლოგიურად ანგაჟირებული საბჭოური კვლევების ფონზე დამახინჯებული იყო ცალკეული ლიტერატურული დაჯგუფებების და მხატვრულ-ესთეტიკური მოვლენებისა დაფაქტების მეცნიერული შესწავლა. მათ შორის იყო მე-19 საუკუნის ქართული მემარცხენე მწერლობაც. სწორედ ამ ინტერპრეტაციული ხარვეზის გამოსწორებას ემსახურებოდაწარმოდგენილი პროექტი. პროექტის ფარგლებში პირველად დამუშავდა: ხალხოსნური მოძრაობის განვითარების გზასაქართველოში, ქართველი ხალხოსნების პოლიტიკური და სოციალური შეხედულებები, მათი მსოფლმხედველობითი მიმართება რუსულ „ნაროდნიკობასთან“; ქართველი ხალხოსნების მიმართება მათ თანამედროვე ევროპულ სივრცეში შემუშავებულ კულტურულ, საზოგადოებრივ, სოციალურ და პოლიტიკურ ღირებულებებთან (ეს ასპექტი არასოდეს დამუშავებულა საბჭოთა კრიტიკის სფეროში); ნაციონალური საკითხის ადგილი ქართველხალხოსან მწერალთა პუბლიცისტიკასა და მემუარულ მწერლობაში; ქართველი ხალხოსანი მწერლების ესთეტიკური პლატფორმა: ახალი ლიტერატურული ტრადიციების შექმნა დაახალი მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბება, მათი შემოქმედების აქტუალობა ქართული იდენტობის გადარჩენისა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში; გენდერულითემა — ერთ-ერთი სრულიად ახალი დისკურსია ქართველი ხალხოსნების მწერლობაში. ქალთა ემანსიპაციის საკითხი პირველად სწორედ ხალხოსნურ ლიტერატურაში გამოიკვეთა. პროექტის ფარგლებში მომზადდა ორტომეული კრებული — პირველი აერთიანებს პროექტის ფარგლებში განხორციელებულ კვლევებს (ვრცელი ინგლისური რეზიუმეებით), მეორე ტომში თავმოყრილია აღნიშნული პერიოდის მოღვაწეთა ანთოლოგიური ხასიათის ნაშრომები და უნიკალური ფოტომასალა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დაცული არქივებიდან თუ მუზეუმებიდან.საგულისხმოა, რომ განხორციელებული საგრანტო პროექტის ფარგლებში, ჯგუფის ძირითადმა წევრმა, ირაკლი ხვედელიძემ, იმუშავა მემარცხენე მწერლების ავტობიოგრაფიულ ნაწერებზე. კვლევისთვის გამოყენებულ იქნა ავტობიოგრაფიული მეხსიერებისა და კოგნიტური მეცნიერებების უახლესი სამეცნიერო ცოდნა.პროექტის ფარგლებში, უცხოელი კონსულტანტის, ოლჰა ჩერვინსკას მიერ, პირველად იქნა წარმოდგენილი ჩვენს სივრცეში ალოტროპიის მეთოდი, რომელიც ლიტერატურულიტექსტების თუ სოციო-კულტურული მოვლენების განხილვას ბიოლოგიაში მიღებული ტერმინის, ალოტროპიის ანალოგიით.
პროექტის ფარგლებში ჩვენი პროექტის არსი გავაცანით უკრაინელ კოლეგებს. კოლეგებთან ურთიერთობა გრძელდება და ვფიქრობთ ერთობლივი პროექტის მომზადებას.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

5.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. „ილია ჭავჭავაძე და ევროპული ღირებულებები“. თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“. 2022. 230 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ქართველი კლასიკოსის საიუბილეოდ, მომზადდა და გამოიცა კრებული, სადაც, სარედაქციო საბჭოს შერჩევით, დაიბეჭდა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ავტორების მიერ, აღნიშნულ თემაზე მომზადებული სტატიები.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **რატიანი, ირმა.** Georgian Literature as Part of World Literary Heritage. *A brief introduction*. სამეცნიერო სტატია რეცენზირებად (ადგილობრივ) ჟურნალში. ჟ. „LitInfo”. 2022.http://www.litinfo.ge/ E ISSN:1987-6092
2. **ლომიძე გაგა.** ქართული მწერლობა სოციალურ-პოლიტიკური პარადიგმების ცვლილებების გზაჯვარედინზე („ქრისტინე", „პირველინაბიჯი") (გვ. 194-232) მემარცხენე მწერლობის ფორმირება საქართველოში (მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე) (ტ. I), გამომცემლობა მწიგნობარი, თბილისი, 2022
ISBN 978-9941-498-82-4

3. **ლომიძე გაგა.** გალაკტიონოლოგია IX, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2022, ISBN 978-9941, გალაკტიონის რუსთაველი (გვ. 90-111)

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატია წარმოადგენს ქართული მწერლობის, როგორც მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ღირებული ნაწილის წარდგინებას.

2. ეგნატე ნინოშვილი თავის ტექსტებში განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს სიზმრებზე: „ე. ნინოშვილი ხშირად მიმართავს სიზმრის გამოყენებას, როგორც მხატვრულ ხერხს. ამის მაგალითს ვხედავთ „ჩვენი ქვეყნის რაინდში“, „ქრისტინეში“, „მოსე მწერალში“, „განკარგულებაში“, „ცოლსა და ქმარში“, „პარტახში“, „სოფლის გმირებში“ და რომანში — „ჯანყი გურიაში“. ე. ნინოშვილის ნაწარმოებებში სიზმარი არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ბედისწერის მიერ დათქმული მოსალოდნელი უბედურებისა თუ ბედნიერების უცილობელ წინაგრძნობას. ავტორი მიმართავს სიზმარს, როგორც ლიტერატურულ ხერხს, ნაწარმოებში მოთხრობილი ამბის გასაძლიერებლად, გმირის შინაგანი სულიერი ღელვის გადმოსაცემად.“ ცხადია, ნინოშვილთან სიზმარს „გმირის შინაგანი სულიერი ღელვის გადმოცემის“ ფუნქციაც აკისრია, მაგრამ ამავე დროს, ის პერსონაჟის ქვეცნობიერ პროცესებს წინა პლანზე წამოწევს, რაც მოგვიანებით მოდერნიზმის პოეტიკის ერთ-ერთ ნიშნად იქცევა. ჯორჯ ჰენრი ლუისის ფსიქოლოგიური ხასიათის წიგნში „ძილი და სიზმარი“ (1859), რომელიც ეგნატე ნინოშვილის პერიოდში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა, ასეთ რამეს ვკითხულობთ: „არსებობს ერთი ქალბატონის მიერ მოთხრობილი ამბავი, რომელსაც ესიზმრა, რომ მსახური მასთან მოსაკლავად მივიდა. შეშინებულმა ქალმა მაშინვე გაახილა თვალი და საწოლთან დაინახა მსახური დანით ხელში! ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ქალმა, ალბათ, ნაბიჯების და კიბეების ჭრიალის, ან კარის გაღების ხმა გაიგონა.. და ქალმა შეიძლება იგრძნო (შესაძლოა, ეს აზრი მისთვის არც აქამდე ყოფილა უცხო), რომ მსახური მოკვლას უპირებდა“. ლუისის მოთხრობილ ისტორიაში არაცნობიერის ფაქტორი მნიშვნელოვანია. ვფიქრობთ, მხატვრულთან ერთად, ამგვარი შინაგანი ფსიქოლოგიური დატვირთვა უნდა ჰქონდეს სიზმრებს ნინოშვილის შემოქმედებაშიც და კონკრეტულად მოთხრობაში „ქრისტინე“; სიზმრებს, რომლებიც ხშირად წინასწარმეტყველურია და პერსონაჟებს მოსალოდნელ განსაცდელზე მიანიშნებს. გიორგი წერეთლის რომანის „პირველი ნაბიჯი“ ქსოვილი რეალისტური რომანისთვის დამახასიათებელი რამდენიმე თვალსაზრისით განხილვის საშუალებას გვაძლევ.

3. ბორხესი ერთერთ თავის ლოგიკურ პარადოქსში, რომელსაც გვთავაზობს ესსეში „კაფკა და მისი წინამორბედნი“, კაფკას ნააზრევს და ტექსტებს წინამორბედების — ძენონის თუ სხვათა ტექსტების მეშვეობით კითხულობს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ გვიანდელი პერიოდის ავტორის ინტერპრეტაცია შესაძლებელია წინამორბედების საშუალებით. ანალოგიურ ოპერაციას გვთავაზობს გალაკტიონ ტაბიძეც რამდენიმე შემთხვევაში რუსთაველთან, როგორც თავის იდეურ წინამორბედთან, მიმართებაში. გალაკტიონი არაერთ ლექსში უსვამს ხაზს კავშირს რუსთაველთან, როგორც თავის უშუალო წინაპართან, როგორც, მაგალითად, ლექსში „თენდება.. გათენდა!“: „მე შოთას ვიცნობ ძალიან ახლოს“. სხვაგან ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი, / ოცნებობდა ოქროს ნავში“ („მთვარის ნაამბობიდან“). აქ თითქოს დროითი კოორდინატები გაუქმებულია და შექმნილია ზედროული პერსპექტივა. ამ უკანასკნელ ლექსს მოგვიანებით კიდევ დავუბრუნდებით.ის, რომ რუსთაველს გალაკტიონისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, თავს მის მემკვიდრედ თვლიდა და ერთგვარ საკულტო ფიგურად, გზამკვლევად ესახებოდა, არაერთხელ დასტურდება მის პოეტურ ნამუშევრებში. ლექსში „კოსმიური ორკესტრი“ (1926), რომელშიც სიტყვა „მსოფლიო“ ბევრჯერ მეორდება, წარმოდგენილია გლობალიზებული სამყაროს სურათი — ერთგვარი მომავალი, სადაც რუსთაველს ცივილიზებული მსოფილოს კონტექსტში ხედავს და თავისი მსოფლმხედველობით და მასშტაბით საქართველოს სავიზიტო ბარათად იქცევა: „ყველა სახელებში მხოლოდ რუსთაველი /

იხსნის განსაცდელით მრავალ საუკუნეს, / იგი უძლევია და მზის ის თაველი,/ რომელს მონობისთვის გზა ვერ გაუღუნეს.“ ამ ლექსის აპოკალიფსურ სურათში („მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდებით“), მსოფლიო გადალაგების და ახალი წესრიგის პირობებში, რუსთაველი ბაირონის, შელის, დანტეს, ედგარ პოს და ბოდლერის გვერდით იკავებს საპატიო ადგილს.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. რატიანი, ირმა. *ილია ჭავჭავაძე - ევროპული ღირებულებების ქომაგი.*სამეცნიერო წიგნი (თემატური სტატიების კრებული). ილია ჭავჭავაძე და ევროპული ღრებულებები. თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი. 2022. გვ. 5-11. ISBN: 97 978-9941-503- 63-4
2. რატიანი, ირმა. *ილია ჭავჭავაძე და მკითხველის ფენომენი: კომუნიკაცია ევროპული რეალიზმის ჭრილში.* სამეცნიერო წიგნი (თემატური სტატიების კრებული).ილია ჭავჭავაძე და ევროპული ღრებულებები. თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი. 2022. გვ. 133-150. ISBN: 97 978-9941-503- 63-4
3. ლომიძე, გაგა. Voyager, I, ინდიგო, თბილისი, 2022, სათავგადასავლო ლიტერატურის დინამიკა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატია ეთმობა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის იმ მიმართულების მიმოხილვას, სადაც თვალნათლივ მოჩანს მწერლის მხარდაჭერა ევროპული კულტურული და სოციალ-პოლიტიკური ღირებულებების დანერგვისადმი საქართველოში,
2. სტატია ეთმობა ილია ჭავჭავაძის, როგორც კრიტიკული რეალიზის ეროპული სკოლის პრინციპების მიმდევრის ერთ-ერთი სამწერლო ხერხის ანალიზს.
3. ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ თინეიჯერებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველ ია ლიტერატურა, სადაც მათთვის აქტუალური პრობლემებია განხილული — მაგალითად, ისე თი წიგნი, როგორიცაა სტივენ ჩბოსკის „მარტოსულობის უპირატესობანი“, თავისი ზრდასრუ ლობის ასაკში შესვლის პრობლემებით, პირველი პაემანით, სექსით და ნარკოტიკებით.როგორ ც სპეციალიტები ამბობენ, კორონავირუსმა გარკვეუწილად შეცვალა წიგნისადმი დამოკიდებუ ლება და დღესდღეობით თაობა Y და Z გაცილებით მეტს კითხულობს, ვიდრე აქამდე კითხულ ობდნენ მოზარდები უკანასკნელ ათწლეულებში. თუმცა, წიგნებისადმი ინტერესი მაინც კრიზ ისში რჩება. მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე
საუკუნის დასაწყისში წიგნი თუკი არ ჩაანაცვლა, ყოველ შემთხვევაში, მას სერიოზული კონკუ რენცია გაუწია კინომ და ანიმემ. ამას ემატება გაჯეტებზე დამოკიდებულება, რომელიც უზარმ აზარ ინფორმაციასთან ერთად, ახალგაზრდა მკითხველებს წიგნებს სხვადასხვა ფორმატში სთ ავაზობს — ციფრულით დაწყებული აუდიოთი დამთავრებული. კონკურენციის თვალსაზრის ით, ამ ეტაპზე აღორძინების ფაზაში მაინც თამაშებია, რომლებიც დღესდღეობით უკვე წიგნსაც აერთიანებს, კინოს ელემენტებსაც და თამაშსაც და სამომავლოდ უდიდესი პოტენციალი აქვს — მათ შორის საგანმანათლებლო სფეროშიც, რადგან უკვე დიდი ხნის წინ თქვეს, რომ თამაში ა დამიანის თანდაყოლილი თვისებაა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ირმა რატიანი,** ქართული ლიტერატურა - მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ნაწილი.შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო კონგრესი - „მსოფლიო ლიტერატურის გადააზრება: გლობალური და ლოკალური, ცენტრალური და მარგინალური“. 24.07.2022-29.07.2022. თბილისი საქართველო.
2. **გაგა ლომიძე,** XXIII Congress Of The ICLA • შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო XXIII კონგრესი, თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 24-29 ივლისი, 2020, კულტურის პოლიტიკა და შედარებითი ლიტერატურის შესწავლა
3. **სოლომონ ტაბუცაძე,** ჰაროლდ ბლუმის „გავლენის თეორია“ და მისი ქართული ექსპლიკაციები. XXIII Congress Of The ICLA • შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო XXIII კონგრესი, თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 24-29 ივლისი, 2022
4. **ანა ლეთოდიანი,** შუა საუკუნეების იდეურ-პოლიტიკური დისკურსის (მეფის გაღმერთება თუ განღმრთობა?) ასპექტი ქართულ საისტორიო მწერლობაში; შედარებითი ლიტერატურის XIV მსოფლიო კონგრესი - "მსოფლიო ლიტერატურების გადააზრება: გლობალური და ლოკალური, ცენტრალური და მარგინალური მიმართულებები", 25 - 30 ივლისი, თბილისი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი;
5. **ანა ლეთოდიანი,** ვაჟა-ფშაველას „სტუმარ - მასპინძელი“ და ლიმინალობის თეორია (ინტერპრეტაცია); საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV”, 02-04 დეკემბერი, ბათუმი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

2.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

3 ჰაროლდ ბლუმის გავლენის თეორიის არსი ასეთია: ლიტერატურა თავისი შინაგანი ბუნებით ანტაგონისტურია, რაც ვლინდება იმით, რომ ყოველი ავტორი თავის წინამორბედ შემოქმედს ეჯიბრება და ებრძვის. პოეტი ახდენს წინამორბედთა ტექსტების რადიკალურ ტრანსფორმაციას, რასაც ბლუმი "არასწორ წაკითხვას" უწოდებს და რაც, თავის მხრივ, განპირობებულია "გავლენის შიშით". ეს შიში თავისებური ტროპების ანუ "გავლენის შიშის" ტროპების სახითაა რეალიზებული ახალ ტექსტში. ამიტომ წინამორბედ ტექსტებთან ჭიდილში შექმნილ ახალ ნაწარმოებში ყოველთვის რიტორიკულად არის ჩაწერილი შიში და შფოთვა.

ბლუმის თეორიის ექსპლიკაციად წარმოგვიდგება ზაზა შათირიშვილის ადრეული ტექსტი, კერძოდ, მისი მონოგრაფია „გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა", რომელშიც ავტორი „გავლენის თეორიის" შუქზე მსჯელობს გალაკტიონის როგორც „ძლიერი პოეტის" დაბადებაზე. 1915 წლიდან მოყოლებული გალაკტიონი ქმნის ტექსტებს, რომლებიც ადასტურებს, რომ აკაკის ეპიგონობიდან იგი „ძლიერ პოეტად" იქცა. სწორედ აკაკის გარდაცვალების შემდეგ ჩნდება გალაკტიონის პოეზიაში „მკვდარი (დაღუპული) მამის" ინვარიანტული მოტივი. გალაკტიონისათვის ერთადერთი ავთენტური თვითწოდება თუ სახელი არის „მეფე", რომელიც გაიზიარა მთელმა შემდგომმა პოეტურმა ტრადიციამ. თუკი „მკვდარი, დაღუპული მამის" მიღმა აკაკი იკითხება, მეფე-პოეტი, გარკვეული აზრით, ახალი რუსთაველია _ გალაკტიონის ტრიუმფალური alter ego.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ირმა რატიანი,** *ქართული მწერლობა დასაბამიდან დღემდე.* საერთაშორიოს სამეცნიერო კონფერენცია - „საქართველო კულტურათა გზაგასაყარზე". 28.11.2022 -01.12.2022. პარიზი, საფრანგეთი.

2. **გაგა ლომიძე.** XVIII International Conference in Literary Studies - ლიტერატურათმცოდნეობის XVIII საერთაშორისო კონფერენცია, Yuriy Fedkovych Chernivtsi National University, ჩერნოვცის ნაციონალური უნივერსიტეტი, უკრაინა, 25 ნოემბერი, 2022, Prohibited literature (აკრძალული ლიტერატურა)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი ნაშრომების სია

(2022)

ირმა რატიანი. *ილია ჭავჭავაძე - ევროპული ღირებულებების ქომაგი.*სამეცნიერო წიგნი (თემატური სტატიების კრებული). ილია ჭავჭავაძე და ევროპული ღრებულებები. თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი. 2022. გვ. 5-11. ISBN: 97 978-9941-503- 63-4

ირმა რატიანი. *ილია ჭავჭავაძე და მკითხველის ფენომენი: კომუნიკაცია ევროპული რეალიზმის ჭრილში.* სამეცნიერო წიგნი (თემატური სტატიების კრებული).ილია ჭავჭავაძე და ევროპული ღრებულებები. თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი.2022. გვ. 133-150. ISBN: 97 978-9941-503- 63-4

ირმა რატიანი. Georgian Literature as Part of World Literary Heritage. *A brief introduction.* სამეცნიერო სტატია რეცენზირებად (ადგილობრივ) ჟურნალში. ჟ. „LitInfo”. 2022.http://www.litinfo.ge/ E ISSN:1987-6092

გაგა ლომიძე, ქართული მწერლობა სოციალურ-პოლიტიკური პარადიგმების ცვლილებების გზაჯვარედინზე („ქრისტინე", „პირველინაბიჯი") *მემარცხენე მწერლობის ფორმირება საქართველოში (მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე) (ტ. I),* გამომცემლობა მწიგნობარი, თბილისი, 2022, გვ. 194-232; ISBN 978-9941-498-82-4

გაგა ლომიძე, გალაკტიონის რუსთაველი, *გალაკტიონოლოგია IX,* ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2022, გვ. 90-111; ISBN 978-9941

კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - -ივ. ჯავახიშვილის სახ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

1. ინსტიტუტის ხელმძღვანელი პროფესორი მერაბ ჩუხუა
2. პროფესორი ცირა ბარამიძე
3. ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭავარიანი
4. ასოცირებული პროფესორი ჯონი კვიციანი
5. ასოცირებული პროფესორი რევაზ აბაშია

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ციფრულად დოკუმენტირებული და ლინგვისტურად ანოტირებული ლაზური ტექსტები ლექსიკონითურთ HE-18-1344 . 2018-2021 (დამატებითი თარიღი 2023)

2. „კავკასიის ხალხები, კულტურები, ენები. I. ავტოქთონი მოსახლეობა - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საგრანტო ხელშეკრულება (CS-I-21-130 30.08.21), 2022 წ. - პროექტის ხელმძღვანელი

3. ქართული კულტურის ეთნოლინგვისტური ენციკლოპედია ეთნოლინგვისტურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონითურთ FR-19-21285, 2020-2023 წწ.

4. „ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები: ქართულ-აფხაზურ-კავკასიური პრაქტიკის“ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საგრანტო ხელშეკრულება (OTG-I-21-273 30.08.21), 2022 წ. - ძირითადი პერსონალი.

5. „წეს-ჩვეულებათა და რიტუალთა ამსახველი კოლოკაციები კავკასიურ ენებში“
(პროექტი №FR-21-2100 ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით)
2022-2024 წ.წ.

6. ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში - მონაცემთა ბაზა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე - (CS-I-21-158), 1.10.2021 – 28.02.2023.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მანანა ბუკია (ხელმძღვანელი), ნატო ახალაია (კოორდინატორი), ლილე თანდილავა, ზეზვა ქავთარაძე (შემსრულებლები), მერაბ ჩუხუა (ლინგვისტ-კონსულტანტი)

2. მერაბ ჩუხუა (ხელმძღვანელი), გიორგი ომსარაშვილი (კოორდინატორი), ნუგზარ ანთელავა, მაგომედ მაგომედხანოვი (შემსრულებლები)

3. მანანა ბუკია (ხელმძღვანელი), გიორგი ომსარაშვილი (კოორდინატორი), ნუგზარ ანთელავა, ირმა კვაშილავა, მერაბ ჩუხუა (შემსრულებლები)

4. ნუგზარ ანთელავა (ხელმძღვანელი), მარიამ ბეჟიტაშვილი (კოორდინატორი), მერაბ ჩუხუა, მაგომედ მაგომედხანოვი, გიორგი ომსარაშვილი (შემსრულებლები)

5. რევაზ აბაშია (ხელმძღვანელი, ლევან აზმაიფარაშვილი - პროექტის კოორდინატორი, როსტომ ფარეულიძე - ძირითადი მონაწილე, ქეთევან მარგიანი-დადვანი - ძირითადი მონაწილე, ნათია ფონიავა - ძირითადი მონაწილე

6. პროექტის ხელმძღვანელი - ცირა ბარამიძე, პროექტის კოორდინატორი - ქეთევან ქურდიანი ძირითადი პერსონალი: ნინო ჩიქოვანი, ხვთისო მამისიმედიშვილი, გიორგი კრავეიშვილი, მაგომედ მაგომედოვი, შახბან ხაფიზოვი, ბორის ხარსიევი

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. „კავკასიის ხალხები, კულტურები, ენები. I. ავტოქთონი მოსახლეობა“ კოლექტიურ მონოგრაფიაში წარმოდგენილია კომპლექსური შესწავლის კავკასიაში გავრცელებულ ენათა, ავტოქთონ ხალხთა და კულტურათა სტრუქტურისა და შედგენილობის დესკრიფციული და შედარებით-შეპირისპირებითი (გენეზისური) თვალსაზრისით შესწავლის ცდა. ამისათვის გამოკვლეულიქნა ქართულ-ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ჩეჩნურ-ინგუშურ-წოვათუშური (ნახური), დაღესტნური (ხუნძურ-ანდიურ-დიდოური, ლაკურ-დარგუული, ლეზგური) ენებისა და ხალხებისათვის დამახასიათებელი ძირითადი მარკერები, რამაც ამ ეტაპზე ნიადაგი შეამზადა კავკასიის რეგიონის სამომავლო ფართომასშტაბიანი და სრულყოფილი კვლევებისათვის. მოცემულ მონოგრაფიაში პირველად სრულად აღიწერა და გამოკვლეულიქნა იბერიულ-კავკასიური (პალეოკავკასიური) მოდგმის ხალხებისა და ენების თანამედროვე მდგომარეობა და მათი წარმომავლობის კარდინალური საკითხები. აქვე წარმოდგენილია ამა თუ იმ არქეოლოგიურ კულტურათა შესწავლის ცდები. სტრუქტურისა და ისტორიის შედარებით-შეპირისპირებით კვლევასთან ერთად, საძიებო მასალა გაანალიზებულია არეალური ლინგვისტიკისა და ეთნოლინგვისტიკის თვალსაზრისითაც. ამრიგად, ნაშრომი ემყარება როგორც სისტემურ-სტრუქტურულ, ისე ანთროპოლოგიურ სამეცნიერო პარადიგმებს, რაც გულისხმობს, ენობრივ-ეთნიკური მონაცემების სისტემისა და სტრუქტურის კვლევის პარალელურად, მათს რეალობაში აღბეჭდილი მსოფლხედვისა და კულტურის ფაქტების წარმოჩენას. სავარაუდოდ, ნაშრომში თავმოყრილი და გაანალიზებული, ზოგჯერ სულაც უნიკალური, მასალა დააინტერესებს როგორც ენათმეცნიერებს, ისე ეთნოლოგებს და სხვა მომიჯნავე დარგების სპეციალისტებსაც.

5. „წეს-ჩვეულებათა და რიტუალთა ამსახველი კოლოკაციები კავკასიურ ენებში“ პროექტის ფარგლებში შეისწავლება კოლოკაციები, რომლებითაც სახელდებულია წეს-ჩვეულებები და რიტუალები და შეიცავენ მნიშვნელოვან ინფორმაციას ეთნოლინგვისტური კვლევებისათვის, რამდენადაც გამოავლენენ ცნობებს ენაში ასახული კულტურული, სოციალური, ყოფითი რეალიების შესახებ. პროექტის ფარგლებში საკვლევ ენათა სათანადო მასალამ საყურადღებო ფაქტები უნდა წარმოაჩინოს, რასაც, ვფიქრობთ, მნიშვნელობა ექნება კომბინატორული ლექსიკოლოგიის, ფრაზეოლოგიის, პრაგმატიკისა და, ასევე, კომპლექსური დისციპლინებისათვის: ეთნოლინგვისტიკა/ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა, კოგნიტიური ლინგვისტიკა და სხვ. საკვლევი თემის შესაბამისად და მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიული ტექსტების მონაცემთა ანალიზს. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა, რომ კოლოკაციათა შესწავლისას გათვალისწინებულ იქნეს არა მხოლოდ სემანტიკა კოლოკაციაში კომბინირებული სიტყვებისა, მათი სემანტიკური შეთანხმება და, აგრეთვე, ამ სიტყვათა მორფოსინტაქსური ურთიერთობა, არამედ გარკვეული კონტექსტიც, რომელშიც ესა თუ ის კოლოკაციაა გამოყენებული. ეთნოგრაფიულ ტექსტებში დაუნჯებულია ეთნოკულტურული ინფორმაციის შემცველი მრავალი ლინგვისტური მონაცემი, რომლის გარკვეული ნაწილის ანალიზიც შეადგენს პროექტის ამოცანას. გაანალიზდება მასალა შემდეგი ენებისა: ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური, აფხაზური, ჩეჩნური, ხუნძური ენებისა. პროექტის ფარგლებში საკვლევ

ენათა მასალის შესწავლა ამ ეტაპზე იქნება გარკვეული ნიადაგის შემზადება სამომავლო ფართომასშტაბიანი ენათაშორისი ტიპოლოგიური და ეთნოლინგვისტური კვლევებისათვის. დასახელებული ენები კავკასიის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ერთმანეთის მეზობლად, რაც გამოავლენს არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით საყურადღებო ფაქტებს კოლოკაციებთან დაკავშირებით. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ამ ენებზე მეტყველი ხალხების მეზობლობამ, კონტაქტებმა, თანაცხოვრებამ განაპირობა არაერთი მსგავსების გაჩენა ამ ხალხების ტრადიციულ-ყოფით კულტურაში, რამაც ასახვა ჰპოვა მათ ენებშიც.

საპროექტო თემა დამუშავდება როგორც სისტემურ-სტრუქტურული, ისე ანთროპოლოგიური სამეცნიერო პარადიგმების ფარგლებში, რაც გულისხმობს, ენობრივი მონაცემების სისტემისა და სტრუქტურის კვლევის პარალელურად, ენაში ასახული მსოფლხედვის, ყოფისა და კულტურის ფაქტების წარმოჩენას. პროექტის ფარგლებში პირველად შეიქმნება მონოგრაფია, რომელშიც, კავკასიური ენების მასალის საფუძველზე, ვრცლად და სისტემურად იქნება წარმოდგენილი ამგვარი ფაქტები, რაც დღემდე მხოლოდ ფრაგმენტულად თუ იყო ცნობილი. მოპოვებულ მასალასა და კვლევის შედეგებს, ვფიქრობთ, მნიშვნელობა ექნება არა მარტო ლინგვისტური კავკასიოლოგიის, არამედ თეორიული ლინგვისტიკის, ეთნოლოგიის, კულტუროლოგიისა და ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სხვა დარგებისთვისაც. ნაშრომი გამოადგება კავკასიური ენებითა და კულტურით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებასაც.

პროექტის გეგმა-გრაფიკში კვლევის მიზნებისათვის შესასრულებელი ამოცანები დანაწილებულია 9 სამეცნიერო-კვლევით ამოცანად. შესაბამისად, თითო საანგარიშო პერიოდი (12 თვე) დაეთმობა სამი სამეცნიერო-კვლევითი ამოცანის შესრულებას. თითოეულ ამოცანას თან ახლავს კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები.

I პერიოდი: 1. ტრადიციულ სოციალურ ორგანიზაციასა და სახალხო თვითმართველობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველ კოლოკაციათა კვლევა; 2. ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველ კოლოკაციათა კვლევა; 3. ნათესაურ და მოყვრულ ურთიერთობებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველ კოლოკაციათა კვლევა.

II პერიოდი: 1. საოჯახო ყოფასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველ კოლოკაციათა კვლევა; 2. ქორწინებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველ კოლოკაციათა კვლევა; 3. ბავშვის დაბადებასა და აღზრდასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველ კოლოკაციათა კვლევა.

III პერიოდი: 1. მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველ კოლოკაციათა კვლევა; 2. გენდერულ და ასაკობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველ კოლოკაციათა კვლევა; 3. ეთიკეტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველ კოლოკაციათა კვლევა.

გეგმა-გრაფიკში ასახულია პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სხვა ტიპის ამოცანებიც: ბიბლიოგრაფიის შედგენა (I პერიოდში), სხვადასხვა წყაროებიდან საანალიზო ემპირიული მასალის ამოწერა (I-II პერიოდებში), მონაწილეობა ადგილობრივ სამეცნიერო ღონისძიებაში (I, II, III პერიოდებში), მონაწილეობა საქართველოში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში (II პერიოდში), მონაწილეობა საზღვარგარეთ გამართულ საერთაშორისო

სამეცნიერო ღონისძიებაში (III პერიოდში), პროექტის ფარგლებში მომზადებული სტატიების გამოქვეყნება არარეიტინგულ ჟურნალში (II პერიოდში) და რეფერირებად და ციტირებად ჟურნალში (III პერიოდში), პროექტის ფარგლებში დამუშავებული მონოგრაფიის განთავსება თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ვებგვერდზე (III პერიოდში).

6. მიმდინარე პროექტის **„ქართული სულიერი და მატერიალური კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში - მონაცემთა ბაზა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე“** ფარგლებში აღიწერა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, შესწავლილ იქნა ამ ძეგლების ჩრდილოეთ კავკასიაში არსებობის ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური მიზეზები; ჩრდილოეთ კავკასიაში დასტურდება არა მარტო ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები, არამედ სხვა სახის კულტურული მემკვიდრეობაც ქართული კულტურისა (ეპიგრაფიკა, წარწერები, ქართული ეთნოტოპონიმიკა, ქართული ისტორიოგრაფიული მასალები, ქართული ფოლკლორული მასალა, ქართული მუსიკალური ფოლკლორი და საგალობლები, აგრეთვე ქართული მატერიალური კულტურის ექსპონატები, დაცული ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების მუზეუმებსა და არქივებში, ასევე ღია სივრცეში). პროექტში მონაწილე მეცნიერები ინტერდისციპლინური, მულტიდისციპლინური, კროსდისციპლინური და მონოდისციპლინური მიდგომებით იკვლევენ ჩრდილოკავკასიაში არსებულ ძეგლებს შემდეგი დარგებისა: ლინგვისტიკა, ისტორია, არქეოლოგია, ფოლკლორი, კულტუროლოგია, მუსიკალური ფოლკლორი და, ისტორიული პერიოდიზაციის გათვალისწინებით, ქმნიან მეცნიერულად გამართულ **კატალოგს** ვიზუალურ მასალაზე, კერძოდ, ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე დაყრდნობით და ამზადებენ სპეციალურად პროექტის ფარგლებში შექმნილ ვებგვერდზე განსათავსებლად საძიებლებითა და ლინკებით. პროექტის ფარგლებში ვიზუალურ მასალაზე, კერძოდ, ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, აგრეთვე ქართული წარმართული და ქრისტიანული კულტურის ძეგლები, ქართული ტრადიციები, რომელთაც გავრცელება ჰპოვეს ჩრდილოეთ კავკასიაში, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, აგრეთვე ქართული დამწერლობით შესრულებული ტექსტები ქართულ და სხვა კავკასიურ ენებზე; შესწავლილი იქნა აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა მითოსში, ფოლკლორში, პროზასა და პოეზიაში ქართულიდან შესული კულტურული მემკვიდრეობა და ამ მემკვიდრეობის შესახებ არსებული შესაბამისი ემპირიული მასალა ანალიზითურთ იქნა სისტემურად წარმოდგენილი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა აგრეთვე ქართული მუსიკალური ფოლკლორის, სიმღერებისა და საგალობლების შესწავლა, სისტემატიზაცია თემატურად, ანალიზი და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მომზადდა გამოსაცემად პროექტის პუბლიკაცია, რომელსაც მეცნიერული ანალიზის პარალელურად დართული ექნება CD მუსიკალური ემპირიული მასალის ჩანაწერებით.

პროექტის შედეგები კომპლექსურად წარმოადგენს ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების, როგორც ქართული კულტურული მემკვიდრეობის ანალიზსა და აუდიო-ვიზუალურ მასალას სამეცნიერო ანალიზით შესაბამისი კატალოგებით **მონაცემთა ბაზაში.**

პროექტის შედეგად მომზადდა გამოსაცემად სამეცნიერო პუბლიკაცია. პროექტის შედეგების გავრცელებას ხელს შეუწყობს მისი ელექტრონული ვარიანტი - **მონაცემთა ბაზა და ვებგვერდი** კატალოგებითურთ, რომელზეც წვდომა იქნება თავისუფალი. ამჟამად მიმდინარეობს სარედაქციო სამუშაოები.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. კავკასიის ონლაინ ენციკლოპედია - მონაცემთა ბაზა (ინგლისურ ენაზე), ცირა ბარამიძე, ს/კ - 8737
2. კავკასიის ენების ელექტრონული სამენოვანი ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ცირა ბარამიძე, ს/კ - 8738
3. კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესის მასალები (სამ ენაზე), ცირა ბარამიძე, ს/კ - 8733
4. კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები (სამ ენაზე), ცირა ბარამიძე, ს/კ - 8793
5. კავკასიოლოგთა I საერთაშორისო კონგრესი - პროგრამა (სამ ენაზე), ცირა ბარამიძე, ს/კ - 8794

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მ. ჩუხუა,** ნ. ანთელავა (თბილისი), მ. მაგომედხანოვი, კავკასიის ავტოქთონური ენები, ხალხები, კულტურები (500 გვერდიანი მონოგრაფია იბეჭდება ქართულ და ინგლისურ ენებზე). (დაღესტანი), 2022 წ.
2. რ. მეტრეველი (ხელმძღვანელი), ვ. ვაშაკიძე, ვ. გურული, ა. დაუშვილი, ლ. მიქიაშვილი, **ჯონი კვიციანი,** გ. ჭეიშვილი, ო. ჯანელიძე; „კავკასიის ისტორია I“ ISBN 978-9941-504–24–2; თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“; 845 გვ.
3. რ. მეტრეველი (ხელმძღვანელი), ვ. ვაშაკიძე, ვ. გურული, ა. დაუშვილი, ლ. მიქიაშვილი, **ჯონი კვიციანი,** გ. ჭეიშვილი, ო. ჯანელიძე; - „კავკასიის ისტორია II“, ISBN 978–9941-504–25–9.; თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“; 756 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა პალეოკავკასიური ანთროპოლოგიური სამყაროს რეკონსტრუქციას, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი ენობრივი ქვესისტემებით: ქართველური, ნახური, აფხაზურ-ადიღური (სინდური) და დაღესტნური; კვლევა ითვალისწინებდა აღნიშნულ ენათა ძირითადი (ბაზისური) არქაული ლექსიკური ფონდის ეტიმოლოგიურ კვლევას და პროტოკავკასიური არქეტიპების გამოვლენას. ამ კუთხით მრავალფეროვანი სამუშაოებია ჩატარებული, სადაც არქეტიპების გარკვეული (არასრული) რაოდენობა აღდგენილია ოთხივე ფუძეენის დონეზე. გამოვლენილი ვრცელი და უნიკალური იზოგლოსური მასალის საფუძველზე რეკონსტრუირდება პროტოკავკასიური ენის

სემანტიკური ლექსიკონი, რომელიც ფუძე-ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის არქაულ შრეებს წარმოგვიდგენს, არა მარტო ფორმობრივი, არამედ სემანტიკური თვალსაზრისითაც, რაც წარმოაჩენს პროტოკავკასიური ენის მატარებელი სოციუმის განსხვავებულ მსოფლაღქმას. ფუძე-ენათა დონეზე რეკონსტრუირებული არქეტიპების შედარება რეგიონის უძველესი ცივილიზაციის ენებთან (შუმერული, ხათური, ჰურიტულ-ურარტული, ეტრუსკული...) ხელს უწყობს ევროპა-აზიის არაინდოევროპულ ეთნოსებთან პალეოკავკასიელთა შესაძლო გენეტიკური კავშირისა და მათი ეთნოგენეზის პრობლემის კვლევას.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ინდოევროპეისტიკისა და კავკასიოლოგიის საკვანძო თემის - კავკასიის რეგიონის პირველადი დასახლების - გლობალური პრობლემის ძირითად საკითხებს, რაც ასევე გულისხმობს პროტოკავკასიელთა და სხვა პროტოხალხთა არეალური კონტაქტებისა და განსახლება-მიგრაციის არეალის განსაზღვრას, კავკასიელების ყოფასა და კულტურასთან დაკავშირებული ენობრივი მასალების ლინგვისტურ-ანთროპოლოგიურ ანალიზს: შერჩეული ლექსიკური ერთეულების, ტერმინების რეკონსტრუქცია და არქეტიპთა აღდგენა განხორციელდა ჯერ ოთხ ფუძე-ენაზე: პროტოქართველურზე, პროტოაფხაზურ-ადიღურზე (resp. პროტოსინდურზე), პროტონახურსა და პროტოდაღესტნურზე და შემდეგ მოხდა მათი შეჯერება, შესაძლებლობის ფარგლებში, უძველესი ცივილიზაციის ენების (შუმერული, ხათური, ჰურიტულ-ურარტული, ეტრუსკული...) მონაცემებთან; და ბოლოს, არქეტიპთა რეკონსტრუქცია პალეოკავკასიური ფუძე-ენის დონეზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ საქართველოს ჰუმანიტარული კვლევების ისტორიაში პირველად შეიქმნა ინტერდისციპლინური ხასიათის ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი - ახალი პარადიგმა მეცნიერებაში, რომელიც, მიმდინარე კვლევათა შედეგების ფონზე, სრულად წარმოაჩენს თანამედროვე კავკასიელი ხალხების (resp. პალეოკავკასიელების) ენობრივ, კულტურულ და ყოფით სამყაროს.

2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. 3. *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*
ვარ ამ ორტომეულის ერთი მონაკვეთის - „კავკასიის ხალხები XIII – XVII საუკუნეებში“- ავტორი (140 გვ.) და, ამავე დროს, ორივე ტომის რედკოლეგიის წევრი.
ნაშრომში კავკასიის ისტორია გადმოცემულია ქართული და უცხო-ენოვანი წყაროების, არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ნუმიზმატიკური და ფოლკლორული მასალების შესწავლის საფუძველზე. გათვალისწინებულია სხვადასხვაენოვანი ავტორების ნაშრომებიც - ფართო ისტორიოგრაფიული მასალა. ამგვარი სახის ნაშრომი ჩვენში პირველად ქვეყნდება.
წიგნის პირველი ტომი მოიცავს კავკასიის ხალხთა ისტორიას უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. მასში ასახულია სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის ხალხთა თანაცხოვრების, მათი სოციალურ-კულტურული განვითარების პროცესი და სხვა, მეზობელ ცივილიზაციებთან ურთიერთობების, კულტურული დიალოგის ისტორია. რეგიონის ისტორიის მიმართ მეთოდოლოგიურმა პლურალიზმმა და არა ეთნოკონკურენტულ, არამედ ეთნოსოლიდარობის პრინციპებზე დაყრდნობით რეგიონის ისტორიის ანალიზმა, ავტორებს საშუალება მისცა, რეგიონის ისტორია ახლებურად, რეგიონული ინტეგრაციის კონტექსტში დაენახათ. ეს უკანასკნელი კი განპირობებულია ერთიანი გეოგრაფიული სივრცითა და აქ

მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობის ლინგვოკულტურული ნათესაობით, აგრარულ ცივილიზაციაში კავკასიელების მიერ საერთოკავკასიური ტრადიციული კულტურისა და ცივილიზაციის ჩამოყალიბებით. ყოველივე ამის შედეგად, როგორც წიგნშია ნაჩვენები, XI-XII სს. კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა მიერ მიღწეულ იქნა კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ერთობა.

საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი კავკასიის ხალთა ისტორია შიდაკავკასიურ და საგარეო, ბიზანტიურ-თათარ-მონღოლური, ოსმალურ-ირანულ-რუსული ურთიერთობების კონტექსტში. ყურადღებას იქცევს XVI-XIX სს.-ში რუსეთისა და კავკასიის ურთიერთობების ორი ეტაპის ანალიზი, რომელიც, თუ ამ ურთიერთობების პირველ ეტაპზე (XVI-XVIII ს.მეორე ნახ.) მშვიდობიან, სამხედრო-სამოკავშირეო ხასიათს ატარებს, მეორე ეტაპზე (XVIII ს. მეორე ნახ. – XIXს. 60-იან წწ.) იგი ძალდატანებითში, დამყპრობლურ პოლიტიკაში ტრანსფორმირდა. გაანალიზებულია კავკასიაში რუსეთის მიერ გატარებული სოციალური ექსპანსიისა და კოლონიზაციის პოლიტიკა. ნაჩვენებია კავკასიაში თერგის, ყუბანისა და დონის აუზებში კაზაკური მოსახლეხლეობის დამკვიდრების ხელშეწყობის პროცესი და ა.შ.

ნაშრომის მეორე ტომში, მსოფლიო ისტორიის კონტექსტში, ნაჩვენებია კავკასიის ხალხების ისტორია რუსეთისა და საბჭოთა იმპერიების შემადგენლობაში, სადაც მათი დამოუკიდებლობის იგნორირების, კულტურული და ეკონომიკური თავისებურებების გაუთვალისწინებლობის ხარჯზე, „ზემოდან“ ზეწოლით ხორციელდებოდა, ჯერ იყო და რუსულ ერთიან სოციუმში (ცარიზმის დროს) და შემდგომ კი, საბჭოთა ეპოქაში, ე.წ. „საბჭოთა ხალხში“ გათქვეფის პოლიტიკა. ავტორები მიანიშნებენ, რომ ხელისუფლების აღნიშნული პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა კავკასიაში ხალხთა ეროვნული ცნობიერების ზრდას. საბჭოთა კავშირში 1970-80-იან წწ. აღნიშნული წინააღმდეგობის შედეგად წარმოქმნილმა პრაქტიკამ, განსაკუთრებით საქართველოში, ხელი შეუწყო საზოგადოებაში საპროტესტო პოტენციალის დაგროვებას და ერთმნიშვნელოვნად იქონია სათანადო გავლენა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესზე.

ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა კავკასიის ომებს ფართო და ვიწრო გაგებით, ბატონყმობის გაუქმებას კავკასიაში და კაპიტალიზმის პროცესების განვითარების თავისებურებებს როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ კავკასიაში. ვრცლადაა წარმოდგენილი რუსეთში 1897 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის მასალების ანალიზი. ყურადღება ეთმობა 1918-1921 წწ.-ში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკებისა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა დამოუკიდებელი რესპუბლიკის ფუნქციონირებას, მათი მთავრობების კავკასიურ პოლიტიკას.

წიგნი განკუთვნილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სპეციალობების ისტორიკოსებისათვის, ეთნოლოგებისათვის, სოციოლოგებისათვის, ლექტორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, ასევე, კავკასიის ხალხთა ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

2.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

ცირა ბარამიძე, პოლიფუნქციური -დ- ქართულში და უღვლილების მორფოსინტაქსური მოდელები - POLYFUNCTIONAL -D- IN GEORGIAN AND MORPHOSYNTACTIC MODELS OF CONJUGATION - ქართველური მემკვიდრეობა XXV, DOI: 10.54635/tpks.2022.05putk

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

განვიხილავთ ქართული ენის ზმნის უღვლილების მოდელის ცვლის პროცესში -დ- მარკერის პოლიფუნქციურობის მორფოლოგიურ და სინტაქსურ საფუძვლებს. ამოვდივართ მოსაზრებიდან, რომ ქართული ზმნა თავდაპირველად არ განარჩევდა პირებს, ანუ, პიროვანი უღვლილება მეორეულია (არნ. ჩიქობავა). ქართული, ისევე, როგორც ყველა იბერიულ-კავკასიური ენა, იყო კლასოვანი უღვლილების ენა. ზმნა იუღვლებოდა კლასების (ადამიანისა და ნივთის კლასების) მიხედვით. სინქრონიულ დონეზე ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში კლასოვანი უღვლილების კვალი ძნელად იკითხება.

უძველესი ზმნური კატეგორიებია: გრამატიკული კლასი, ლაბილურობა-სტაბილურობა, სტატიკა-დინამიკა, ტრანზიტიულობა- ინტრანზიტიულობა. ეს კატეგორიები გადაჯაჭვულია ერგატიულობის მორფოსინტაქსურ კონსტრუქციასთან. ამიტომაც უღვლილების მოდელი ქართულში უნდა ყოფილიყო ისეთი, როგორიც ეს კლასოვანი უღვლილების ენისთვისაა დამახასიათებელი: ტრანზიტიული ზმნისთვის – ობიექტური უღვლილებისა, ხოლო ინტრანზიტიული ზმნებისთვის – სუბიექტური უღვლილებისა. ამგვარ უღვლილებაში სუბიექტიცა და ობიექტიც ერთი და იმავე ნიშნითაა წარმოდგენილი. კლასოვანი უღვლილების მოშლა იბერიულ-კავკასიურ ენათა გავრცელების თვალსაზრისით პერიფერიულ ენებში (აფხაზურ-ადიღურ, ქართველურ, ლეზგიურ...) გამოწვეულია სხვა ენათა კონტაქტებითა და ასევე იბერიულ-კავკასიურ ენათა ბუნებრივი ცვლის მიზეზებით. უღვლილების გარდამავალი საფეხური (კლასოვან-პიროვანი) ამ ენათაგან რამდენიმე ენაშია დღეს წარმოდგენილი (თაბასარანული ენის ჩრდ. დიალექტი, აფხაზური ენა...), გვაქვს პიროვანი უღვლილება ადიღეურში, უდიურში, ქართულ-ქართველურ ენებში, რაც მეორეულია და უღვლილების მოდელის ცვლამ დატოვა კვალი მარკირების სისტემისა და უღვლილების მოდელების მიხედვით. კლასოვანი უღვლილების მოდელის დროს ასახულია ობიექტის ვალენტობა (ტრანზიტიულ ზმნაში) და სუბიექტის ვალენტობა (ინტრანზიტიულ ზმნაში); ორივე ვალენტობა ერთდროულად (S და O) არ აისახება. კლასოვან-პიროვან უღვლილებაში კლასის მარკერებს პირი ემატებათ. ქართულის პიროვანი უღვლილება მეორეული პიროვანი უღვლილებაა და არა იმ რიგისა, როგორიცაა პიროვანი უღვლილება, მაგალითად, ინდო-ევროპულ ან თურქულ ენებში. აქ პიროვანი უღვლილება არ არის სხვა (კლასოვანი) უღვლილების ცვლის შედეგი. ახალი ქართული ენის ზმნის უღვლილება მდიდარი და ნაირფეროვანია. ქართულ ზმნას შეუძლია საგანგებო თავსართ-ბოლოსართით აღნიშნოს: მოქმედი და სამოქმედო პირები და მათი რიცხვი, ვერსიები, კაუზატივი, გვარი (მოქმედებითი და ვნებითი), ასპექტი, კილო... იბერიულ-კავკასიურ ენებში ხშირად დასტურდება ერთი და იმავე მორფოლოგიური მარკერის პოლიფუნქციურობა. ასეთ

შემთხვევაში მორფოლოგიური ნიშნის ფუნქციას განარჩევს ან ადგილი სიტყვაში, ან ზმნის კონსტრუქცია და ვალენტობა, ან სხვა...

დ-ს პოლიფუნქციურობას ადასტურებს სხვადასხვა მკვლევრის მიერ დ- გრამატიკული კლასის ნიშნის წარმომავლობისა და ფუნქციათა შესახებ გამოთქმული მოსაზრებები.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ცირა ბარამიძე,** იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის საკითხი და ნანოსინტაქსური „ატომები“ - ლინგვისტიკური გენეტიკური კოდი - ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“, ტ. 12, **(იბეჭდება).**

2. **ცირა ბარამიძე,** ევრაზიულობის გეოლინგვისტური თეორიის გეოპოლიტიკური ასპექტები და უმცირესობათა ენები კავკასიაში - ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“, ტ. 12, **(იბეჭდება).**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

მერაბ ჩუხუა - კავკასიის ნეოლითური კულტურის ეთნოლინგვისტური ასპექტები. - გორის სახელმწიფო უნოვერსიეტი, საგამომცემლო სახლი სამეცნიერო ჟურნალები: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ტ. მე-8. 2022, გვ. 3-13

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კავკასიაში, ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, ნეოლითის ხანა მოჰყვა პალეოლითის პერიოდს და იგი წინ უძღოდა ბრინჯაოს ხანას, იგივე ლითონის იარაღების ადრეულ პერიოდს, როდესაც ძველ სამყაროში ნეოლითის შემდგომ დაიწყო ბრინჯაოს ხანა; მაშინ ადამიანთა პირველყოფილმა საზოგადოებებმა ისწავლეს სპილენძისა და კალის შერწყმა ახალი პროდუქტის, ბრინჯაოს დასამზადებლად, რომელმაც შეცვალა ადრეული ქვა და ჩაანაცვლა იგი უფრო მოქნილი სამუშაო იარაღებით. ნეოლითის ხანას ახასიათებდა ქვის იარაღები, რომლებიც ფორმირებული იყო თავისებურად, ანუ ე.წ. იარაღი უკვე დამუშავებულია ადამიანის სპეციალური ჩარევით. ამასთანავე, პალეოკავკასიელი ადამიანი დასაქმებულია ისეთი ხელოსნობით, როგორიცაა *ჭურჭელი* და *ქსოვა*. კავკასიის ნეოლითური კულტურები შრომითი საქმიანობისათვის საჭირო ქვის იარაღებს ამზადებდნენ შედარებით მძიმე ქანების მსხვრევითა და გაპრიალების გზით. სავარაუდოდ, ამ პერიოდის კავკასიაში მოშინაურებულია **მცენარეები** და **ცხოველების** ნაწილი; როგორც ეტყობა, ნეოლითში კავკასიელი ადამიანი **მუდმივად ბინადრობს სოფლური ტიპის დასახლებებებში**; ჩანს, მარცვლეულის კულტივაციამ ნეოლითურ პერიოდში პალეოკავკასიელებს საშუალება მისცა აეშენებინათ მუდმივი საცხოვრებლები და დასახლებულიყვნენ კომპაქტურად, ხოლო მომთაბარეობისა და ნადირობის შემგროვებელი ეკონომიკის გათავისუფლებამ მათ გამოუთავისუფლა დრო *სპეციალიზებული ხელოსნობისთვის.* როგორც მოსალოდნელი იყო, ეს გახდა ყველაზე ხანგრძლივი და თანდათანობითი (ევოლუციური) გარდამავალი პერიოდი პალეოკავკასიელი ადამიანის ისტორიაში. სწორედ ამ პერიოდიდან მოჰყავდათ პალეოკ-ავკასიელებს **ქერი და ხორბალი** და მწყემსავდნენ **ცხვრებსა** და **თხებს**, რომელთაც მოგვიანებით **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი** და **ღორი** დაემატა. ქრისტეს წინ, არაუგვიანეს 5000 წლისა კავკასიაში **ფეტვსა** და **ბრინჯზე** დაფუძნებული ფერმერული თემებიც აღმოცენდა. სავარაუდოდ, შედარებით უფრო გვიან ჩნდება კულტურები **ლობიო** და **გოგრა**. შესაძლოა, პალეოკავკასიური ცივილიზაციის შემდგომი ინოვაციები მცირე აზიიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, კერძოდ, ევროპაში ორი გზით გავრცელდა: თანამედროვე თურქეთისა და საბერძნეთის გავლით ჯერ ცენტრალურ ევროპაში, ეგვიპტესა და ჩრდილოეთ აფრიკაში, ხოლო იქიდან კი ესპანეთში.

მერაბ ჩუხუა - აინუ და ქართველური ენები. - ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. 16 (**იბეჭდება**)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შორეული აღმოსავლეთის ლინგვისტიკის ისტორიაში იყო მრავალგვარი მცდელობა, დაეკავშირებინათ აინუ სხვა ენებთან ან ენობრივ ოჯახებთან. ადრეულ კვლევებში აინუ შეადარეს ებრაულ, ინდოევროპულ, ბასკურ, პოლინეზიურ და სხვა ევრაზიულ ენებს. ბოლო დროს, აინუს კლასიფიკაციის მცდელობები ძირითადად მიმართული იყო შედარებაზე ალტაურთან, ან ევრაზიულ მაკროოჯახთან, მათ შორის ურალურ ენებთანაც და ა.შ. თუმცა, არცერთი ეს ვარაუდი არ არის საყოველთაოდ აღიარებული, ამიტომაც აინუ გენეალოგიურ კლასიფიკაციებში განიხილება, როგორც ერთ-ერთი იზოლირებული ენა. ჯერ კიდევ ე. სეპირი ვარაუდობდა ნა-დენე ენების გენეტიკურ კავშირს სინო-ტიბეტურ ენებთან. როგორც ზევით

ვნახეთ, სერგეი სტაროსტინმა შემოგვთავაზა მაკროოჯახი, რომელიც მოიცავს სინო-ტიბეტურ, ჩრდილოკავკასიურ და იენისეურ ენებს [სტაროსტინი]. მოგვიანებით, ს. ნიკოლაევმა ამავე მაკროოჯახში გააერთიანა ნა-დენე ენები (ჰაიდას ჩათვლით) [ნიკოლაევი], ხოლო ჯ. ბენგტსონმა, დენე-კავკასიური მაკროოჯახის ჰიპოთეზის შესაქმნელად, ისედაც უაღრესად მდიდარ ჩამონათვალს დაამატა ბურუშასკი, ვასკონური და შუმერული ენები. ამას წინათ სპეციალურად შექმნილ ნაშრომში აინუ და ნა-დენე ენათა ნათესაურად დამაკავშირებელი მტკიცებულებები პროფ. ქინ ლიუს (სტენფორდის უნივერსიტეტი, კალიფორნია, აშშ) მიერ იქნა წარმოდგენილი იმის სადემონსტრაციოდ, რომ აინუ ენა გენეალოგიურად არის დაკავშირებული ამერიკის ნა-დენე ენებთან, განსაკუთრებით კი ათაბასკანურ ენასთან. ავტორის შენიშვნით, თუ აინუ-დენე ჰიპოთეზა მართალია, ის ნათელს მოჰფენს აინუსა და ნა-დენე პოპულაციების წარმოშობას და ხალხთა ადრეულ მიგრაციას ევრაზიასა და ბერინგიაში. მკვლევარი დარწმუნებულია, რომ მოძიებული ლინგვისტური მტკიცებულებები მიუთითებს პრეისტორიულად ნა-დენე ხალხების ჩრდილოეთ ამერიკაში უფრო რთული მიგრაციის პროცესებზე, ვიდრე ამას ტრადიციული თეორიები ვარაუდობდნენ. აინუ-დენეს ურთიერთობების სიღრმისეული კვლევა ასევე გაამყარებს მნიშვნელოვან კავშირს ახალი სამყაროსა და ძველი სამყაროს ენებს შორის, რომელსაც შეუძლია წარმოაჩინოს სხვა თეორიები ნა-დენე ენების შესახებ, როგორიცაა დენე-ენისეის ჰიპოთეზა და დენე-კავკასიური ჰიპოთეზა [ქინ ლიუ 2022].

ნაშრომში წარმოდგენილ კვლევაში ჩვენ ვეყრდნობით პროფესორ ქინ ლიუს მიერ გამოყენებულ სიტყვათა სიას და წარმოვადგენთ აინუ ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის პალეოკავკასიურ შესატყვისებს, ვინაიდან გვჯერა, რომ ისტორიულ-გენეზისური მიმართულებით კვლევა-ძიებას გარკვეული პერსპექტივა გააჩნია...

Цира Барамидзе, Наноморфосинтаксис иберийско-кавказских языков и его ведущие элементы в диахронии - Nanomorphosyntax of the Iberian-Caucasian languages and its leading elements in diachrony -გროზნოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, კრებული, **იბეჭდება.**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **მერაბ ჩუხუა** – მრავლობითი რიცხვის აფიქსთა ერთიანი წარმომავლობისათვის იკე-ში. „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები“, 26 მარტი, 2022, თბილისი

მერაბ ჩუხუა – შენიშვნები სვანურის ბრუნვათა შედგენილობაზე. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები – XXXIII, 2022 წლის 17-19 მაისი, თბილისი

მერაბ ჩუხუა – ბგერათშესატყვისობათა სისტემა იბერიულ-კავკასიურ ენებში (მოხსენება პლენარულ სხდომაზე). კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი, თბილისი, 14-16 ნოემბერი

მერაბ ჩუხუა – ქართველური და დენე-სინო-კავკასიური ჰიპოთეზა. კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი, თბილისი, 14-16 ნოემბერი

მერაბ ჩუხუა – ქართველური მოდგმის ტომები და მათ სახელები, XLII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, გორი, 2022 წლის 26-27 ნოემბერი

მერაბ ჩუხუა – გრემის ეტიმოლოგიისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ონომასტიკის თანამედროვე პრობლემები, 2022 წლის 9-10 დეკემბერი, საქართველო /ახალციხე/

მერაბ ჩუხუა - ჩერქეზული ენის სწავლების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები როგორც ნაწილი ანტიჩერქეზული იდენტობისა. ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის მე-8 სამეცნიერო სესია 2022 წლის 15-17 დეკემბერი, თბილისი

მერაბ ჩუხუა - იახონტოვის სია და იბერიულ-კავკასიური ენები. თსუ სამეცნ. სესია მიძღვნილი პროფ. ტოგო გუდავას დაბადებიდან 100 წლისთავს, 2022 წლის 20 დეკემბერი, თბილისი

მერაბ ჩუხუა - სისინ-შიშინა სიბილანტური თანხმოვნების ისტორიისათვის იკე-ში. თსუ ენათმეცნ. ინსტ-ის 81-ე სამეცნ. სესია, 2022 წლის 20-22 დეკემბერი, თბილისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1.მრავლობითი რიცხვის აფიქსთა ერთიანი წარმომავლობისათვის იკე-ში.

მიუხედავად იმისა, რომ მოხსენებაში განხილული აფიქსები ადრეც ყოფილა სპეციალური განხილვის საგანი, მოცემული მასალა მეტად საინტერესოა იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიის წინარე სურათის აღსადგენად. გარდა ამისა, მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის პალეოკავკასიური ფორმათწარმოების თავისებურებებზე, მრავლობით რიცხვის გრამატიკულ კატეგორიად ჩამოყალიბების პრეისტორიულ პროცესზე როგორც ზმნებში, ისე სახელებში.

2.გრემის ეტიმოლოგიისათვის.

ტოპონიმ **გრემის** წარმომავლობისა და გარეენობრივ მონაცემებთან ურთიერთობების კვლევას დიდი ხნის (საუკუნოვანი) ისტორია აქვს (ნ. მარი, მ. ჰანი, ლ. ჭილაშვილი), მაგრამ ირკვევა, რომ გრემ- სახელი ქართულში დაკარგული სიტყვაა, რომლის კანონზომიერი შესატყვისიც მეგრულმა შემოგვინახა როგორც გარამ-ი „ჯურღმული; კარსტრული ჭა“ ლექსიკური ერთეული, ისე ტოპონიმები: გარამ-ი, გარამ-ულ-ა / გარამ-ელ-ა ფორმების სახით, რომლებიც მანამდე, გრემის ისტორიის კვლევის კონტექსტში, არ მოხვედრილა დარგის სპეციალისტების საკვლევ თვალსაწიერში.

3.ჩერქეზული ენის სწავლების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები როგორც ნაწილი ანტიჩერქეზული იდენტობისა

ადიღელები, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობებს მსოფლიოს ყველა რეგიონში, ტერიტორიული, შიდაეთნიკური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა კავშირების არარსებობის პირობებში, თანდათანობით ინტეგრირდება მათ გარშემო არსებულ დიდ ენობრივ თემებში, განიცდიან ასიმილაციას და დრო არ არის შორს. როდესაც ისინი საერთოდ დაკარგავენ იდენტობას. ადიღეური ენა, როგორც ევროპელი ენათმეცნიერები აღნიშნავენ, ამჟამად გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მსოფლიოს ენებს მიეკუთვნება (გადაშენების პირას მყოფი ენები). ენის გაქრობასთან ერთად, რომელიც თანდათან წყვეტს ადიღეურ თემებს ემსახურება ცხოვრების მრავალ ასპექტში, როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ, იშლება ადიღეური და მისი ობიექტივიფიკაცია ადიღეური ხაბზე, რაც გარკვეულწილად უმნიშვნელოდ რჩება იდენტობის ფაქტორად, ვინაიდან მათი გამოვლინებისა და შემდგომი არსებობის ინსტრუმენტი ადიღეური ენაა. ადიღეური დიასპორის დისპერსიულ ქვეყნებში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს დესტრუქციული პროცესები. ურბანიზაციის ზრდისა და არაბული და თურქულენოვანი სახელმწიფო მედიის, განსაკუთრებით ელექტრონულის შემოჭრასთან ერთად, ენობრივი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა ოჯახურ ცხოვრებაში. ადიღეები, უფროსი თაობის გარდა, გადადიან

არაბულზე და თურქულზე და ამჟამად მოზარდები მშობლიურ ენაზე აღარ საუბრობენ, რასაც ხელს უწყობს რუსეთის ფედერაციის კოლონიალური ჩერქეზული ენის სწავლების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები.

2. **ჯონი კვიციანი,** საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ზოგი მეთოდოლოგიური საკითხი; 26-27 მარტი, 2022წ., თბილისი

ჯონი კვიციანი, „ქართველიანი“, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული და ადამიანთა მრავალეროვნული ერთობის აღმნიშვნელი ტერმინი; 29-30 ოქტომბერი, 2022 წ., თბილისი

ჯონი კვიციანი, ბალანსის პრობლემა სახელმწიფო-სამოქალაქო და ეთნიკური იდენტობის დინამიკის პროცესში საქართველოში, 14-16 ნოემბერი, 2022 წ., თბილისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1. მოხსენებაში „**საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ზოგი მეთოდოლოგიური საკითხი“** ნათქვამია, რომ თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიული განვითარების პერსპექტივა სულ უფრო ფართოვდება. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნების ისტორიულ-კულტურული და ცივილიზაციური ტრადიციიდან გამომდინარე დემოკრატიის სხვადასხვა ვარიანტები ჩამოყალიბდა, ლიბერალურ ასევე, მარქსისტულ თეორიებზე დაყრდნობით. თუ დასავლეთში, ლიბერალურ-დემოკრატიულმა ქვეყნებმა სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფოს და ეკონომიკის დიფერენცირება მოახდინეს და „საზოგადოებაცენტრისტული“ (ჯინ ლ. კოენი, ე. არატო) განვითარებისკენ არიან მიმართული, პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში ადრე და მათ შორის საქართველოშიც პრიორიტეტი „სახელმწიფოცენტრისტულ“ (გ. ჰეგელი) და „ეკონომიკაცენტრისტულ“ (კ. მარქსი) თეორიებს ენიჭებოდა.

ავტორის მიერ გაანალიზებულია საქართველოში, სსრკ პირობებში ზემოაღნიშნული იდეოლოგიების ზემოქმედების პრაქტიკა, რომელმაც ქვეყანა უარყოფით შედეგებამდე მიიყვანა. ადმინისტრაციულ-ბრძანებლური სისტემის ჩამოყალიბება, საზოგადოების სახელმწიფოდან დისტანცირებამ და ერთიანი, საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბების მცდელობამ ქვეყანა უარყოფით შედეგებანდე, დაშლამდე მიიყვანა.

ზემოაღნიშნულ ვითარებაში, ავტორის აზრით, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას ხელს შეუწყობს ადამიანის სოციალიზაცია, ახალი განათლების, ზნეობრიობის და მორალის სფეროებში. საქართველოში, მისი აზრით, მიუღწეველი (და არასასურველი) მისწრაფების მაგიერ, გახდა ისეთი, როგორებიც იყვნენ ან არიან დასავლეთის ქვეყნები, მოქალაქეების ამოცანა უნდა გახდეს არჩევანი მივმართოთ დემოკრატიის ისეთ მოდელზე, რომელიც დაფუძნებული იქნება შესაძლო საერთო მომავლის ხედვაზე. ქვეყნის მოქალაქეობრივი იდენტობის გაღრმავების, ტრადიციული და მოდერნიზაციული ღირებულებების სინთეზირებით და ფუნდამენტური უფლებების (კულტურის აღწარმოების, სოციალური ინტეგრაციის, სოციალიზაციის) დაცვა უნდა გახდეს თანამედროვე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების საორგანიზაციო პრინციპი. სამომავლოდ, ამგვარ ზეეთნიკურ სამოქალაქო საზოგადოებაში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც გაერთიანებული იქნებიან საერთო იდეოლოგიით, მიზნებითა და ამოცანებით „ქართველიანები“ შეიძლება ვუწოდოთ.

მოხსენებაში ახლავს დასკვნები და ერთვის ლიტერატურა.

2. „ქართველიანი“, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული და ადამიანთა მრავალეროვნული ერთობის აღმნიშვნელი ტერმინი

საქართველოში, დემოკრატიული რეფორმების გაღრმავების, სამოქალაქო ერის ფორმირების პროცესში, თანასწორუფლებიან ადამიანთა კონსოლიდაციის საკითხი სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. შესაბამისად, აქტუალური ხდება ასეთი პოლიეთნიკური ერთობის აღმნიშვნელი ტერმინის - „ქართველიანის“- შემოღება, სადაც შეხამებული იქნება ეთნიკური და სოციალური, ეროვნული და კოსმოპოლიტური, რაც ქართული კულტურის მრწამსს წარმოადგენს. ამავე დროს, მოქალაქე, რომელიც ამგვარი სუპერეთნიკური ერთობის წევრია, მისი ეროვნული და ეთნიკური კუთვნილება უცვლელი დარჩება. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში აგრარული, ინდუსტრიული და ინფორმაციული ცივილიზაციების სუპერეთნიკურ ერთობათა ტერმინოლოგიის საკითხები ისტორიოგრაფიულად შეუსწავლელი რჩება.

აღნიშნული პროცესის წარმატებულად განხორციელება თანამედროვე საქართველოში ბევრად არის დაკავშირებული ჩვენი ტრადიციული საზოგადოების მოდერნიზაციულში ტრანსფორმაციის ბუნებრივი პროცესის აღდგენასთან, შესაბამისი ღირებულებების სინთეზირებით (ადამიანის ღირსების, სამართლიანობის, გენდერული თანასწორობის და ა.შ. დაცვა). გაერთიანებული საქართველოს წარმოქმნა ისტორიული ქართლის კულტურული და პოლიტიკური გავლენის მოპოვებასთან არის დაკავშირებული. ქართლის კულტურის დომინირებით შექმნილმა სახელმწიფომ განაპირობა ახალი ეთნიკური სისტემის ხალხთა ერთობის ჩამოყალიბება, რომელიც რამდენიმე სხვადასხვა ეთნოსისგან შედგებოდა. მათი კონსოლიდაციის ფაქტორს კი საერთო მენტალობის არსებობა განაპირობებდა, რომელიც კავკასიის ხალხთა კულტურულ-ისტორიული ერთობის საფუძვლებზე გახლდათ დამყარებული. მასში ეთნოსებს აერთიანებდა ერთიანი ტერიტორია, ეკონომიური ცხოვრების ერთობა, ცხოვრების წესის, კულტურის სიახლოვე, საერთო ისტორიული ბედი და სამომავლო ინტერესები.

ქართულ ენას, როგორც სახელმწიფო ენას, სრულად არ ფლობს ქვეყნის მოსახლეობა. ქვეყანაში, ქართველურ კულტურულ-ისტორიული ერთობის დომინირების ბაზაზე ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფს შორის სრულფასოვანი, მდგრადი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთქმედების მიმართულებები არ გამოკვეთილა. ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას ხელს უშლის ჰორიზონტალური ურთიერთობების განუვითარებლობა სახელმწიფოს მიერ ერთგვარად მონოპოლიზებულია ფუნქციები მოსახლეობაში უფლების განაწილების მიზნით, მათ შორის ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების მხრივ.

იმისათვის, რომ მომავალში შემცირდეს საქართველოში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები, საჭიროა, შემუშავდეს ქართულ გარემოში ახალი „ზეეთნიკური“ ერთობის მოდელი ან პროექტი, რომელიც დაფუძნებული იქნება როგორც ისტორიული თანაცხოვრების გამოცდილებაზე, ისე დღევანდელი გამოწვევების ობიექტურ გააზრებაზე. ასეთ „ზეეთნიკური“ ერთობის მოდელს, „ქართველიანი“ (მრავლობითში „ქართველიანები“) შეიძლება ეწოდოს, რომლის არსი, ქართული იდეის გათვალისწინებით, სწორედ რომ საქართველოში მცხოვრები ყოველი ეთნოსის საყოველთაო სამოქალაქო ინტეგრაციაა. მითუმეტეს, რომ ისტორიულად ამ ტერმინის ერთგვარ წინასახეს წარმოადგენდა სახელი „ქართლოსიანი“, რომელშიც მოიაზრებოდა არა მხოლოდ ქართლოსის

შთამომავლები, არამედ სრულიად საქართველოს ყველა მკვიდრი, მიუხედავად მისი ეთნიკური და სუბეთნიკური კუთვნილებისა.
გარკვეული ლინგვისტური სირთულეები ახლავს ისეთ ფრაზებს, რომლებიც დღეს გამოიყენება ამ მნიშვნელობით, კერძოდ: საქართველოს მოქალაქე, საქართველოს მაცხოვრებელი, საქართველოს მოსახლე და ა.შ. , რომლებიც აღწერითი ფრაზეოლოგიური წარმოებისაა. ტერმინი „ქართველიანი“ კი გარკვეულწილად ლაკონურად მიგვანიშნებს საქართველოს საზოგადოების სამომავლო სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური ინტეგრაციის ხასიათზე.
ამგვარად, საზოგადოების ყოველი წევრი (ეროვნული კუთვნილების მიუხედავად) მოტივირებული იქნება, ხელი შეუწყოს ქვეყნის დემოკრატიზაციის შემდგომ განვითარებას, რის შედეგადაც, ეთნოსთა შერწყმის გარეშე, წარმოიქმნება გარკვეული კულტურული, სულიერი, სოციალურ-ეკონომიკური ერთობა ეთნოსის ძირითადი მახასიათებლების შენარჩუნებით.

3.ბალანსის პრობლემა სახელმწიფო-სამოქალაქო და ეთნიკური იდენტობის დინამიკის პროცესში საქართველოში

ავტორი აღნიშნავს, რომ დღევანდელ მსოფლიო გლობალიზაციას და მის თანმხლებ რეგიონული „ლოკალიზაციის“ პროცესის კონტექსტში „თანამედროვე ეთნიკურ პარადოქსზე“ მიანიშნებენ, რაც ნიშნავს ეთნიკურობის თვითშეგნების ზრდას გლობალიზაციის პროცესში, ფაქტიურად ეთნიკური კულტურის ტრადიციული ფორმების რღვევის ფონზე. შექმნილი ვითარება გვკარნახობს, ყურადღება მივაქციოთ, არა ეთნიკურობის პოლიტიზირებას და ეთნოკლანების მიერ მის სამობილიზაციო, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური კონკურენციის ინსტრუმენტად გამოყენებას (რასაც ფუნდამენტალისტები და სეპარატისტები არ ერიდებიან), არამედ შევქმნათ ადამიანის „მეორედ დაბადების“ პირობები.
აღნიშნულ პრობლემას სამეცნიერო წრეებში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა (ერიკ ხობსბაუმი, მარტინ კრეველდი, ბრუნო კოპიტერსი, რობერტ ლენგვოლდი, სტივენ ჯონსი, პიერ პაქტე, ტომას დე ვაალი, ვალერი ტიშკოვი, ჯონი ხეცურიანი, ლევან იზორია, გია ნოდია, ზაალ ანდრონიკაშვილი, მურმან გორგოშაძე, ვალერ ძიძოევი, ხაჟისმელ თხაგაფსოევი და სხვა).
ამჟამად, ადამიანი „ვინ ვარ მე“-ს აცნობიერებს ეთნიკური კულტურის ფორმებთან, მოცემული სოციალურ-კულტურულ კოდებთან კუთვნილებით და „კულტურულ გენომში“(რომელსაც ის მიეკუთვნება) წვდომით. აღნიშნული პროცესის შედეგად ადამიანში ყალიბდება მისი სულიერების საწყისი, რაც გლობალურ სამყაროში ადამიანის სუბიექტურ პოზიციას და ეროვნულ იდენტობას შეუცვლელ ადგილს მიაკუთვნებს. მსოფლიოს ამჟამინდელი რეალიებიდან გამომდინარე, ამგვარ მიდგომას მივყავართ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის და მულტიკულტურალიზმის პრაქტიკამდე, რაც ხალხთა თანამედროვე რეგიონალური ინტეგრაციის თვალსაზრისით გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.
საქართველოში არსებულ ეროვნებათაშორის ურთიერთობებში ამგვარი პოლიტიკის რეალიზება შესაძლებელია დემოკრატიული აღშენებლობის, ქვეყანაში თვითმმართველობის ფართო განვითარების, საბაზრო ეკონომიკისა და მთლიანი სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების საფუძველზე.

ქართველი ერის - „ნაციის“- ხელახალ, თანამედროვე ერად ჩამოყალიბის პროცესი პირობითად შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ:

პირველი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობითა და რეგიონში კაპიტალიზმის განვითარებით დაიწყო და 1918-1921 წლებში დასრულდა საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირობებში. ამ დროს ქართული ეროვნული იდეა, ადამიანის კულტურული ნაციის თვითშეგნება სახელმწიფოსთან იქნა დაკავშირებული.

მეორე ეტაპზე, საქართველოს იძულებით გასაბჭოების პირობებში, ეროვნული პოლიტიკა ეთნოსამდე იქნა დაყვანილი. 1920-30-იან წლებში სსრკ-ში შემოღებული ტერმინების «национальное самосознание» (ეროვნული თვითშეგნება) და «коренизация» („ფესვგადგმა“) შესაბამისი პოლიტიკით დატვირთვამ (ერის ეთნოსთან გაიგივების შედეგად) საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეთნიკურად არაქართველი ქართველი ერის ცნებისგან გააუცხოვა და, ფაქტობრივად, უკანონოდ მცხოვრებთან ან, უკეთეს შემთხვევაში, დროებით სტუმრად მყოფებთან გააიგივა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში ჩაისახა ქართული ნაციონალიზმი, ყველაზე არქაული და ფეთქებადი - ეთნოცენტრისტული - ფორმით.

მესამე ეტაპი საქართველოში დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლით, ანუ 1991 წლის შემდეგ და დაკავშირებულია ახალი, თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან. ქვეყანაში დიდწილად უკვე გადაილახა საბჭოთა კავშირის ინსტიტუციონალური მემკვიდრეობა და ამიტომ მას არ შეიძლება ვუწოდოთ პოსტსაბჭოური რესპუბლიკა.

ჩვენი თემის ფორმატიდან გამომდინარე, მოხსენებაში გაანალიზებული იქნება: 1. საქართველოში თანდათან მიმდინარე სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ნორმების დასავლური მოდელების სტანდარტიზაცია და ახალი სახელმწიფოებრივ - სამართლებრივი ნორმების დამკვიდრება, რამაც შესაძლოა ეთნონაციონალიზმი და მისი პოლიტიზირების გამოვლინების საშუალება გამორიცხოს; 2. საქართველოს კონსტიტუციაში 1995-2018 წლებში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ემსახურება სახელწიფო-სამოქალაქო და ეთნიკურ იდენტობას შორის ბალანსის მიღწევას; 3. საქართველოს სახელმწიფოებრიობა, როგორც ქართველებს, აფხაზებსა და სხვა „უმცირესობებს“ შორის საერთო და ძირითადი დამაკავშირებელი რგოლი.

3.ნანა მაჭავარიანი, **უ** ფორმანტის ფუნქციები აფხაზურში, თსუ კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის არნ. ჩიქობავას დაბადების დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები“, თბილისი, 2022.

ნანა მაჭავარიანი, **ბ, - ბა** აფიქსთა ფუნქციები აფხაზურში, კავკასიოლოგთა მე-6 საერთაშორისო კონგრესი- კავკასიის ლინგვისტური და ანთროპოლოგიური პორტრეტი, მიძღვნილი გამორჩეული კლასიკოსი მწერლისმიხეილ ლოხვიცკის (აჯუკ-გირეის) 100 წლის იუბილისადმი, თსუ, 13-15 ნოემბერი, თბილისი, 2022.

ნანა მაჭავარიანი, აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკაში გამოვლენილი სახელური და ზმნური აფიქსები და აფიქსოიდები,საერთაშორისო კონფერენცია, გაუ, 2022.

ნანა მაჭავარიანი, ატრიბუტული მსაზღვრელი აფხაზურში - შეთანხმება თუ მართვა?(საკითხის დასმისათვის), თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 82-ე საინსტიტუტო სესია, 2022.

4.რევაზ აბაშია, ქართველური ფუძეენის დიფერენციაციის ზოგიერთი საკითხი. I // საერთაშორისო ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური კონგრესი, III, თბილისი, 3-5 ოქტომბერი 2022, გვ. 7-8 (ინგლ. გვ. 128-129).
რევაზ აბაშია, ქართველური ფუძეენის დიფერენციაციის ზოგიერთი საკითხი. II // სამეცნიერო კონფერენცია „ტოგო გუდავა - მცნიერი და მასწავლებელი“ (ეძღვნება დაბადების 100 წლისთავს), თეზისები, თბილისი, 20 დეკემბერი 2022, გვ. 3-5 (ინგლ. გვ. 6-7).
რევაზ აბაშია, საერთოქართველური ლექსიკიდან. XVIII // ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის VIII სამეცნიერო სესია „ენა და იდენტობა“, თბილისი, 15-17 დეკემბერი 2022.

ქართველურ ენათა მდიდარი ლექსიკური ფონდი კვლავაც არაერთი საერთოქართველური ფუძის (resp. ძირის, მორფემის) გამოვლენის საშუალებას იძლევა. ამ ფუძეთა შორის კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის დადგენა კი საერთოქართველური ფუძეენის დონეზე არქეტიპების რეკონსტრუქციას შეგვაძლებინებს. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი კვლევა საკმაოდ წარმატებულია და მეცნიერულად უაღრესად ღირებული გამოკვლევები მოგვეპოვება, ახალი მასალის გამოვლენა ან უკვე არსებულის შევსება-დაზუსტება ისევ საშურია.

ქვემოთ წარმოვადგენთ ქართველურ ენათა რამდენიმე ლექსიკური ერთეულის ანალიზს, რომლებიც, ჩვენი აზრით, საერთოქართველური წარმომავლობისაა და ფუძეენის დონეზე არქეტიპთა აღდგენის შესაძლებლობასაც იძლევა:

ქართ. **ხელ**-ად-(ვე) (**ხელ** < ****ჴელ**) „მაშინვე, სწრაფად“;
ზან. (მეგრ.) **ხა**-თ-ე „id.“

ხ ე ლ ა დ ვ ე ძველ ქართულ წერილობით წყაროებში არ ჩანს, მაგრამ ამ მნიშვნელობით გამოიყენებოდა რედუპლიცირებული ფორმა — ჴ ე ლ ი ს - ჴ ე ლ „მაშინვე, საჩქაროდ“: „ჴ ე ლ ი ს - ჴ ე ლ განიკითხავნ მას“ მ. ცხ., 228 v; „ჴ ე ლ ი ს - ჴ ე ლ მოაწევს რისხვასა ცოდვილთა ზედა“ A-92,252 (იხ. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973).

ამ ქართულ-ზანურ ფუძეთა შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ ჯერ კიდევ გ. როზენის დროიდან ცნობილი (Rosen 1845, 30) შესატყვისობა — *ქართ.* **ჴელ**-ი : *მეგრ.* **ხე** : *ლაზ.* **ხე** — უდავოდ ვერ ჩაითვლება ერთი მარტივი წესის გამო, რომ ხმოვანთა შორის მოსალოდნელი **ე** : **ა** შესატყვისობა არა გვაქვს. კვლევის შემდგომ ეტაპზე მართებულად დაუკავშირდა **ჴელ** ფუძეს მეგრული **ხუ** „მუჭი“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 14), თუმცა აქაც — *ქართ.* **ელ** : *ზან.* **უ** — ბგერათშესატყვისობის (Schmidt 1950, 25) მიხედვითაც ყველაფერი ნათელი არ არის. ჴ ე ლ ი / ხ ე ლ ი ლექსემა აქტიური გამოყენების ძირეული ლექსიკური ფონდის სიტყვა იყო ყოველთვის, რაც ერთგვარი სტიმული იქნებოდა მისი კანონზომიერი შესატყვისის — ****ხალ**-/****ხარ**- — შესანარჩუნებლად ზანურში, მაგრამ, როგორც ჩანს, სამწერლობო ქართულის გავლენით შეიზღუდა მისი გამოყენება და გავრცელდა ქართული **ხელ** ფუძის ცვეთის შედეგად მიღებული **ხე**. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, კანონზომიერი შესატყვისი ზანურში მაინც შემორჩა **ხა**-თ-ე ფუძეში „ხელადვე“ (სემანტიკური გადაწევით — „მაშინათვე, სწრაფად“). ამ ფუძეში **ხა**- ძირი გამოიყოფა, რომელიც ****ხალ**- ძირისგან მომდინარეობს და, ამდენად, ქართული **ჴელ**- ძირ-ფუძის კანონზომიერ შესატყვისად

წარმოგვიდგება. პარალელურად **ხე**-თ-ე ფუძეც გვაქვს, სადაც -**ე** სუფიქსის ასიმილაციური გავლენა ჩანს. ამ შესატყვისობის გვერდით მეგრულში ქართულიდან შემოსულ ხ ე ლ ა თ ფუძესაც ვხვდებით. ლაზურშიც დასტურდება ეს სიტყვა ხ ე ლ ა თ ე/ხ ე ლ ა თ ე ნ, თუმცა სხვა მნიშვნელობით — „სიხარულით; მშვიდობით“ — და, როგორც ჩანს, სხვა ეტიმოლოგიითაც (**ხელ**- < **ხიოლ**-). სვანურში ჴ□ლ „სიგრძის საზომი ერთეული, ორი გაშლილი მკლავის სიგრძე“ შესატყვისობა არის წარმოდგენილი (Климов, 1964). ამდენად, საერთოქართველური ფუძეენის დონეზე ***ჴელ**- არქეტიპის რეკონსტრუქცია მისაღები ჩანს.

ამასთანავე, კიდევ ერთ, ჩვენი აზრით, საერთოქართველურ ფუძეს წარმოვადგენთ:

ქართ. **ხეხ**-ვ-ა, გა-**ხეხ**-ვ-ა;

ზან. (მეგრ.) **ხახ**-უ-ა, გო-**ხახ**-უ-ა „გაფატრვა“.

ქართ. **ხეხ**- : *მეგრ.* **ხახ**- ფუძეთა შორის ფონემური შესატყვისობა სრულად არის დაცული, სემანტიკური გადაწევაც დასაშვებ ფარგლებს არ სცილდება (იდენტური სემანტიკით მეგრულში სამწერლობო ქართულის ხ ე ხ - უ - ა, გ ო - ხ ე ხ - უ - ა გვხვდება). ამდენად, ქართველური ფუძეენის დონეზე ***ხეხ**- არქეტიპის რეკონსტრუქცია, ვფიქრობთ, მართებულია.

რევაზ აბაშია, ფონოლოგიური პროცესები, როგორც იბერიულ-კავკასიური სხვადასხვა ჯგუფის ფუძეენათა დიფერენციაციის ძირითადი ფაქტორი // სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები“, თბილისი, 26 მარტი, 2022 წ.

ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ჯგუფთა ფუძეენების დიფერენციაციის ძირითად ფაქტორად, ვფიქრობთ, ერთგვაროვანი ფონოლოგიური პროცესებია საგულისხმებელი. ფონემატურ სისტემაში განხორციელებული ასეთი პროცესები, ცხადია, არც გართულებას გამორიცხავს და არც – გამარტივებას, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად განსხვავებული შედეგებით სხვადასხვა ენაში. დიფერენციაცია-დივერგენციის პროცესები ამ ენებში ერთგვაროვანი უნდა ყოფილიყო, დროთა განმავლობაში კი იბერიულ-კავკასიურ ენებში მომხდარი კონვერგენციული პროცესების, სხვადასხვა ენებიდან ახალი ფონემების სესხებისა და, ზოგადად, ენათა და დიალექტთა შერევის შედეგად გართულდა. მაგისტრალური ხაზი მაინც სწორედ ფონემატური სისტემის გართულებას გვაძლევს და არა – გამარტივებას ამოსავალ ვითარებასთან შედარებით. ფონემატურ სისტემაში ისტორიულად განხორციელებული ცვლილებები ბგერითი შედგენილობის გაზრდის თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ნაკლებად შეეხო ქართველურ ენებს, მეტ-ნაკლებად – ნახურ-დაღესტნურ ენებს, მაგრამ მომეტებულად – აფხაზურ-ადიღურ ენებს. ამის შედეგია ის სხვაობა, რაც ამჟამად წარმოდგენილია იბერიულ-კავკასიურ ენათა ხსენებულ ჯგუფებს შორის ბგერათა შედგენილობის მიხედვით.

ვფიქრობთ, საერთოქართველური ფუძეენის დიფერენციაციის შესახებ გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრების კრიტიკული შეჯერების შედეგად გარკვეული პარალელების დაშვება შესაძლებელი ჩანს საერთოაფხაზურადიღურ, საერთონახურ და საერთოდაღესტნურ ფუძეენათა დიფერენციაციის საკითხებთან მიმართებითაც. კერძოდ, ფონოლოგიური პროცესები, რომელიც ძირითადი ფაქტორი აღმოჩნდა ქართველური ფუძეენიდან ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური ენობრივი ერთეულების ჩამოყალიბების გზაზე, ასეთივე ფაქტორი ჩანს სხვა იბერიულ-კავკასიური ენობრივი ერთეულებისთვისაც. ქართველოლოგიაში გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით (გ. დეეტერსი), როგორც ცნობილია, სვანურის სხვა ქართველური ენებისაგან განსხვავებულობა მთავარი არგუმენტი

გახდა ამ ენის ქართველური ფუძეენიდან ადრე გამოყოფის შესახებ, ამ ავტორის ცნობილი მოსაზრების სასარგებლოდ. თუმცა, შინაგანი რეკონსტრუქციის გზით ირკვევა, რომ სვანურში დღეს არსებული განსხვავებული ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკური მონაცემები საკუთრივ სვანურში ისტორიულად, ფუძეენის დიფერენციაციის შემდეგ განხორციელებული სტრუქტურული (ძირითადად – ფონოლოგიური) ცვლილებების შედეგია. ამდენად, სვანურის ადრე გამოყოფის საკითხი მეტად საეჭვოა, და შესაბამისად, ქართველური ფუძეენის დიფერენციაციის სხვაგვარი პროცესია სავარაუდებელი. როგორც ჩანს, ანალოგიური ფონოლოგიური პროცესები მოქმედებდა აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ფუძეენათა დიფერენციაციის დროსაც და ამ ფუძეენათა დაშლის შედეგად ჩამოყალიბებულ იბერიულ-კავკასიურ ენებში არსებული მნიშვნელოვანი სტრუქტურული სხვაობანი სვანურის მსგავსად, საკუთრივ ამ ენებში გვიანდელ ეტაპზე განხორციელებული ფონოლოგიური (ძირითადად) ცვლილებების შედეგია.

რევაზ აბაშია, იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონემასტური სისტემის დიაქრონიულ ცვლილებათა დინამიკის ზოგიერთი საკითხი // კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესის მასალები, თბილისი, 14-16 ნოემბერი 2022 წ.

როგორც ცნობილია, იბერიულ-კავკასიურ ენებში სინქრონიულ დონეზე ფონემატური სისტემის შედგენილობა მნიშვნელოვან სხვაობას გვიჩვენებს არა მხოლოდ სხვა ოჯახის ენებთან მიმართებით, არამედ ამავე ოჯახის შიგნით ცალკეული ჯგუფის ენებს შორის და, უფრო მეტიც, თითოეული ჯგუფის შიგნით წარმოდგენილ ენებს შორისაც. ერთგვარი პარადოქსია მონათესავე ენებში წარმოდგენილი ასეთი სხვაობა: მარტივი ფონემატური სისტემის ქართველური ენები 35-მდე ფონემით და რთული ფონემატური სისტემის აფხაზურ-ადიღური ენები 90-მდე ფონემით. ეს ვითარება, ცხადია, საგრძნობლად ართულებს იბერიულ-კავკასიურ ენებში ისტორიულად არსებული სტრუქტურული მოდელის რეკონსტრუქციას და ფონემატურ სისტემაში განხორციელებულ დიაქრონიულ ცვლილებათა დინამიკის სურათს.
ბუნებრივია, დაისმის კითხვა თუ რომელი ჯგუფის იბერიულ-კავკასიურმა ენებმა შეინარჩუნეს ამოსავალი ვითარება: ქართველურმა, აფხაზურ-ადიღურმა თუ მეტ-ნაკლებად რთული ფონემატური სისტემის ნახურ-დაღესტნურმა ენებმა?
ამდენად, ლინგვისტურ კავკასიოლოგიაში დღემდე სადისკუსიო საგნად რჩება ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის ძირითადი საკითხი — ამოსავალ ფონემატურ სისტემაში განხორციელებულ დიაქრონიულ ცვლილებათა შედეგად ამ სისტემის გართულება მივიღეთ თუ გამარტივება? ცხადია, სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპზე როგორც თითოეული ჯგუფის ფუძეენის დონეზე, ისე ცალკეული ენის ფონემათა შედგენილობის მხრივ არც გართულებაა გამორიცხული და არც — გამარტივება. დიაქრონიული ცვლილებები განსაკუთრებით სიბილანტურ ფონემებს შეეხო და ამიტომაც, ძირითადად, ამ ფონემებმა შექმნეს ის თვალსაჩინო სხვაობა, რაც ხსენებულ ენათა ბგერით შედგენილობაშია წარმოდგენილი. როგორც მართებულად ითქვა, „სიბილანტები ქმნიან სადემარკაციო ხაზს ქართველურ ენებს შორის“ (გ. მაჭავარიანი). 10 სიბილანტის მქონე ქართველურ ენებთან შედარებით, ადვილი წარმოსადგენია, ნახურ-დაღესტნურ ენათა და, განსაკუთრებით, 30 სიბილანტის მქონე აფხაზურ-ადიღურ ენათა ფონემატურ სისტემაში არსებული რთული ვითარება. ამ ენათა ისტორიულ-შედარებით ფონეტიკაში ერთი რამ უდავოა — მხოლოდ იბერიულ-კავკასიურ ენათათვის დამახასიათებელი აბრუპტივების მონაწილეობით თითოეულ ენაში ჩამოყალიბებული თანხმოვანთა სამეულების სერიის რეკონსტრუქცია ცალეული ჯგუფის ფუძეენის დონეზე. დისკუსიის საგნად რჩება თანხმოვანთა სხვა სერიების — ლატერალური, პალატალური, ფარინგალიზებული, ლაბიალიზებული, ინტენსიური და სხვა ბგერების —

რეკონსტრუქციის საკითხები. როგორც არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს, მაგისტრალური ხაზი მაინც სწორედ ფონემატური სისტემის გართულებას გვაძლევს და არა — გამარტივებას. ამრიგად, იბერიულ-კავკასიური თითოეული ჯგუფის ფუძეენათა ფონემატურ სისტემაში განხორციელებული ცვლილებების დინამიკა უფრო გართულებას გვიჩვენებს, ვიდრე — გამარტივებას, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ ფუძეენაში არსებული ცალკეული ფონემა შეიძლება დაიკარგა კიდეც, ანუ, ამ მხრივ, სისტემა გამარტივდა, მაგრამ ასეთი ფონემების გაქრობა ვერ შეცვლიდა საერთო სურათს — ბევრად მეტი ფონემების გაჩენას გვიანდელ ეტაპზე. ამაზე მეტყველებს არაერთი ფაქტორი, მათ შორის, ნასესხები ლექსიკის ფონემების მსესხებელი ენისთვის დამახასიათებელი ფონემებით ჩანაცვლება ამ ფონემების ფუძეენის დონეზე დაშვებას ერთგვარად გამორიცხავს, მაგალითად, ქართველური და თურქული ენებიდან ნასესხებ ზოგიერთ ლექსემაში (შაბათი, შაჰიდი...), შიშინა **შ** სპირანტის ნაცვლად ყაბარდოულ ენაში წარმოდგენილია სისინ-შიშინა სპირანტი **ს'** (გ. როგავა), რაც, ბუნებრივია, გვიანდელი ფაქტია და ამ ფონემის ფუძეენის დონეზე სარეკონსტრუქციოდ ვერ გამოდგება. ამასთანავე, ვფიქრობთ, იბერიულ-კავკასიურ ენებში ამოსავალი მარტივი ფონემატური სისტემის სასარგებლოდ მეტყველებს ბგერათა დიაქრონიულ ცვლილებებში მოქმედი უნივერსალური წესებიც, კერძოდ, არამონათესავე ინდოევროპულ ენათა ჩვენებაც, სადაც აბრუპტივების გარდა პოზიციურად შეპირობებული ყველა სიბილანტია წარმოდგენილი, მაგრამ ინდოევროპულ ფუძეენაში ერთადერთი სიბილანტი — **ს** სპირანტია დაშვებული (ა. მეიე).

5.ცირა ბარამიძე, პოლიფუნქციური ი- ქართული ზმნის უღლებაში (გვარის კატეგორიისათვის)/ Polyfunctional i- in Georgian Verb Conjugation (For category of voice), https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1955; ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 14 აპრილი, 2022

ცირა ბარამიძე, დვალეთის ქართული ონომასტიკა - Georgian Onomastics of Dvaleti, ცირა ბარამიძე Tsira Baramidze - ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 27-28 აპრილი, 2022https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/1742/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%20%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%20-%20146%20%282%29-15-19.pdf?sequence=1&isAllowed=y

ცირა ბარამიძე, ქართული დამწერლობა ჩრდილოეთ კავკასიაში ლინგვოკულტუროლოგიური საფუძვლები - Georgian scripts in the North Caucasus – linguocultural basics - აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, 14-16 ივლისი, 2022 https://tsu.ge/assets/media/files/57/%E1%83%9B.%20%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94%20-%20100%20-%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90.pdf

ცირა ბარამიძე - ონომასტიკა - ისტორიის წყარო (დვალეთი) - სამეცნიერო კონფერენცია „ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში“, თბილისი, 29.09.2022 (იბეჭდება კრებული). კონფერენცია ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.[1]

ცირა ბარამიძე, იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის საკითხი და ნანოსინტაქსური „ატომები“ - ლინგვისტური გენეტიკური კოდი - კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესი, მესტია, 25-27.08.2022, მასალები, გვ. 96-97, 234-235. თბილისი, 2022, ISBN 978-9941-33-320-0

ცირა ბარამიძე, ევრაზიულობის გეოლინგვისტური თეორიის გეოპოლიტიკური ასპექტები და უმცირესობათა ენები კავკასიაში - კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესი, მესტია, 25-27.08.2022, მასალები, გვ. 97-98, 235-236. თბილისი, 2022, ISBN 978-9941-33-320-0

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ანოტაცია

2. დვალეთის ქართული ონომასტიკა, მოხსენებაში განხილულია საქართველოს ძირძველი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის - დვალეთისა და დვალების (დვალები - ეთნიკური ქართველები, ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი) ონომასტიკური ემპირიული მასალა

[1] ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში - მონაცემთა ბაზა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე - (CS-I-21-158)

ონომასტიკური უნივერსალიების, მისი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტების გათვალისწინებით.

დვალეთის ონომასტიკის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, განსაკუთრებით კი ოიკონიმების (ოიკონიმია ბერძნული სიტყვაა οἶκος ὄνομα, რომელიც „საცხოვრისის“, „ქალაქის“ სახელს ნიშნავს) ლინგვისტური შესწავლა ტოპონიმთა „ადრესატულ“ ერთმნიშვნელობას გვიდასტურებს და ხაზს უსვამს ონომათა მნიშვნელობას „სხვადასხვა მეცნიერებისათვის. განხილულია კვაზიეთნოტერმინი „ამიერკავკასიის დვალეთი“. ქართულმა ისტორიოგრაფიამაც (ვახუშტი) შექმნა მანამდე არარსებული ორმაგი ეთნოტერმინი „დვალნი ოსნი“. დვალნი >>> დვალნი ოსნი (ვახუშტი)>>> ოსნი (და გაგება იმგვარად, თითქოს დვალები ეთნიკური ოსები იყვნენ თავიდანვე). სწორედ ამის საფუძველზე ოსმა მეცნიერებმა დვალეთი ოსთა განსახლების უძველეს არეალად გამოაცხადეს. იგნორირებული იყო ქართველთა კვლევები და წყაროებზე დაყრდნობილი არგუმენტაცია.

დვალეთში დასახლებული ოსები თავის თავს უწოდებდნენ „თუალს“ (დ>თ),

ი. გაგლოითი დვალების ოსობის დამადასტურებლად აღნიშნავს, რომ „ძეგლი ერისთავთაში“ 11 შემთხვევაში მოხსენიებულია დვალ-ნ-ი, დანარჩენ შემთხვევაში კი თვალთა ფორმითაა მოხსენიებული:

თვალ-თა მისთვის არის ოსური „თუალთა“«туалта» .

„დვალთა კარის“ გასასვლელის შესახებ. დვალტა შესახებ სანდო წყაროდ მიჩნეულია ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება. ის წერს: „ენა აქვთ ძუელი, დვალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად“

„მაღრან-დვალეთი და მაღრან დვალნი“, აგრეთვე „ქვემო დვალნი“.

სომხური გეოგრაფიის ანონიმ ავტორს მე-7 საუკუნეში დვალები მოხსენიებული ჰყავს შემდეგი ფორმით - dualk - დუალ-კ; გვხვდება ტერმინი „დვალთღორღი“.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Merab Chukhua, Circassian Issue: Questions and Answers**. Ethno-Cultural Problems of the Circassian Nation. The First North Caucasus Conference. Centre for East European Studies University of Warsaw.The 90th Anniversary of Oriental Studies at the University of Warsaw. Potockich Palace, University of Warsaw, November 7-9, 2022, Institute of Caucasology Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Circassian (Adyghean) Culture Center in Georgia

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

Circassian Issue: Questions and Answers. კავკასია გამოირჩევა თავისი ეთნიკური მრავალფეროვნებით შედარებით მცირე გეოგრაფიულ არეალში - ენებისა და ხალხების სიმრავლით (50-ზე მეტი ენა და კიდევ უფრო მეტი ეთნიკური ჯგუფი), ტრადიციებით, ადგილობრივი მაცხოვრებლების გამორჩეული ბუნება/ხასიათით, რასაც ეფუძნება საერთო კავკასიური ფენომენი, ქცევის ერთიანი მორალური კოდექსი, წეს-ჩვეულებები, პატიოსნება, სიმამაცე, ურთიერთპატივისცემა, რელიგიურ-კონფესიური შემწყნარებლობა, შრომისმოყვარეობა და ერთიანი კავკასიური ცივილიზაცია. კავკასიაში, საქართველოსთან ერთად, ჩერქეზეთი ისტორიულად განთქმული ქვეყანა იყო თავისი საზღვაო მდებარეობითა და მეზღვაურობით. ადიღეელები, ყაბარდოელები, შაფსუღები და სხვა ჩერქეზები ჩერქეზული ერის სუბეთნიკური ჯგუფებია, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდნენ და ვითარდებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე. მე-20

საუკუნის დასაწყისში ერთი ეთნიკური ჯგუფის ეროვნებებად ხელოვნურად დაყოფა კავკასიაში რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის ბუნებრივი შედეგია, როდესაც კოლონიზაციის ცენტრ მოსკოვისგან არა მხოლოდ გაიყო, არამედ გენეტიკურად დაკავშირებული სუბეთნიკური ჯგუფები ერთმანეთს დაუპირისპირდა არასწორი დიქოტომიის გამო. საყოველთაოდ მიღებული ფაქტია, რომ ეროვნული რესპუბლიკები ისტორიული ჩერქეზეთის მიწაზე არის კომუნისტური სისტემის რელიქვია, რომელიც არღვევს ხალხთა ნორმალური განვითარების ბევრ ბუნებრივ პროცესს და ყოველთვის შექმნის დაძაბულობას, რომელიც რუსეთს სურს კავკასიაში.

2.**ჯონი კვიციანი,** Грузинский фактор в обороне Кавказа а годы Второй мировой войны, 2022წ. 18-22 маисი, Северо-Кавказский федеральни университет, Ставрополь

მოხსენებაში ნაჩვენებია საკითხის აქტუალობა საქართველოში და ზოგადად მსოფლიოში მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის როლის შეფასების კონტექსტში. გაანალიზებულია თემის ისტორიოგრაფიული ნაწილი, სადაც აისახა ქართველი მეცნიერების (ს. დუმბაძე, მ. ნათმელაძე, ო. დვალიშვილი, ე. მამუკელაშვილი, გ. ბეჟიტაშვილი, ა. დაუშვილი, რ. გაჩეჩილაძე, გ. მამულია და სხვ.) ნაშრომების განსხვავებული ხედვები მეორე მსოფლიო ომში ქართველების მონაწილეობის ხასიათთან დაკავშირებით.

ავტორი მიიჩნევს, რომ ქართველებისათვის და ყველა სხვა ეროვნების ხალხებისათვის ამ ომში მონაწილეობა სამამულო ხასიათს ატარებდა, რომ ყველა მათგანი თავის სამშობლოს, მიწა-წყალს იცავდა. ყოველივე ეს, მისი აზრით, განსაკუთრებულად კავკასიისათვის ბრძოლებში გამოიხატა, როცა თბილისი სამხრეთ კავკასიის სამობილიზაციო ცენტრად გადაიქცა.

ჯ. კვიციანი, კავკასიის თავდაცვის ორ ეტაპს გამოყოფს. გაანალიზებულია გერმანული ნაცისტური არმიის საოკუპაციო პერიოდი რეგიონში, ნაჩვენებია საქართველოს როლი კავკასიის ხალხების მობილიზაციაში ოკუპანტის წინააღმდეგ ბრძოლებში და მთლიანად კავკასიიდან მტრის განდევნაში.

მოხსენებაში გაკეთებულია დასკვნები და მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა.

3.Цира Барамидзе, Аджам - исламская письменность на Северном Кавказе *(исторические и лингвистические аспекты)* – «Исламская письменная культура в России», посвященной памяти выдающегося российского историка-востоковеда Амри Рзаевича Шихсаидова (1928-2019). *Махачкала, 17-19.10.2022*

4.**Цира Барамидзе,** Наноморфосинтаксис иберийско-кавказских языков и его ведущие элементы в диахронии - Nanomorphosyntax of the Iberian-Caucasian languages and its leading elements in diachrony - Международную научно-практическую конференцию научно-педагогических работников «Основные вопросы лингвистики, лингводидактики и межкультурной коммуникации». 11.03.2022 - https://www.kon-ferenc.ru/konferenc17_03_22.html

2. *მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)*

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

პროფესორ ცირა ბარამიძის დამატებითი აქტივობები:

1. კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესის მასალები სამ ენაზე, 400 გვ., მესტია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2022, ISBN 978-9941-33-320-0 - ც. ბარამიძე - რედაქტორი, (ასევე კონგრესის თავმჯდომარე);
2. კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესის პროგრამა სამ ენაზე, 52 გვ., მესტია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, ც. ბარამიძე - რედაქტორი;
3. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“, ტ. 12, 2022, 650 გვ., (იბეჭდება) - ც. ბარამიძე - რედაქტორი;
4. ილო ბეროშვილი, ილია და საზოგადოება, თბილისი, 2022, წინასიტყვა - ც. ბარამიძისა;
5. რადოსლავ კანარკოვსკის სადოქტორო დისერტაცია “Historical-comparative studies on numerals in Dagestanian languages. Cardinal numerals” - დაცვა, კრაკოვი, 12. 01.2023, ც. ბარამიძე - რეცენზენტი.
   https://jezykoznawstwo.nauka.uj.edu.pl/publiczne-obrony-prac-doktorskich/-/journal_content/56_INSTANCE_H0wF13MtXsZj/143384379/152612442

ყურადღება!

***** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

***** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

***** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

***** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

***** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორთა სამეცნიერო ნაშრომების სია
(2022)

მერაბ ჩუხუა, მრავლობითი რიცხვის აფიქსთა ერთიანი წარმომავლობისათვის იკე-ში. „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები“, 26 მარტი, 2022, თბილისი

მერაბ ჩუხუა, შენიშვნები სვანურის ბრუნვათა შედგენილობაზე. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები – XXXIII, 2022 წლის 17-19 მაისი, თბილისი

მერაბ ჩუხუა, ბგერათშესატყვისობათა სისტემა იბერიულ-კავკასიურ ენებში (მოხსენება პლენარულ სხდომაზე). კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი, თბილისი, 14-16 ნოემბერი

მერაბ ჩუხუა, ქართველური და დენე-სინო-კავკასიური ჰიპოთეზა. კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი< თბილისი, 14-16 ნოემბერი

მერაბ ჩუხუა, ქართველური მოდგმის ტომები და მათ სახელები, XLII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, გორი, 2022 წლის 26-27 ნოემბერი

მერაბ ჩუხუა, გრემის ეტიმოლოგიისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ონომასტიკის თანამედროვე პრობლემები, 2022 წლის 9-10 დეკემბერი, საქართველო /ახალციხე/

მერაბ ჩუხუა, ჩერქეზული ენის სწავლების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები როგორც ნაწილი ანტიჩერქეზული იდენტობისა. ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის მე-8 სამეცნიერო სესია 2022 წლის 15-17 დეკემბერი, თბილისი

მერაბ ჩუხუა, იახონტოვის სია და იბერიულ-კავკასიური ენები. თსუ სამეცნ. სესია მიძღვნილი პროფ. ტოგო გუდავას დაბადებიდან 100 წლისთავს, 2022 წლის 20 დეკემბერი, თბილისი

მერაბ ჩუხუა, სისინ-შიშინა სიბილანტური თანხმოვნების ისტორიისათვის იკე-ში. თსუ ენათმეცნ. ინსტ-ის 81-ე სამეცნ. სესია, 2022 წლის 20-22 დეკემბერი, თბილისი

მერაბ ჩუხუა, Circassian Issue: Questions and Answers. Ethno-Cultural Problems of the Circassian Nation. The First North Caucasus Conference. Centre for East European Studies University of Warsaw.The 90th Anniversary of Oriental Studies at the University of Warsaw. Potockich Palace, University of Warsaw, November 7-9, 2022, Institute of Caucasology Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Circassian (Adyghean) Culture Center in Georgia

ცირა ბარამიძე, პოლიფუნქციური -დ- ქართულში და უღვლილების მორფოსინტაქსური მოდელები - POLYFUNCTIONAL -D- IN GEORGIAN AND MORPHOSYNTACTIC MODELS OF CONJUGATION - ქართველური მემკვიდრეობა XXV, DOI: 10.54635/tpks.2022.05putk

ცირა ბარამიძე, იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის საკითხი და ნანოსინტაქსური „ატომები“ - ლინგვისტიკური გენეტიკური კოდი - ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“, ტ. 12, **(იბეჭდება).**

ცირა ბარამიძე, ევრაზიულობის გეოლინგვისტური თეორიის გეოპოლიტიკური ასპექტები და უმცირესობათა ენები კავკასიაში - ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“, ტ. 12, **(იბეჭდება).**

Цира Барамидзе, Наноморфосинтаксис иберийско-кавказских языков и его ведущие элементы в диахронии - Nanomorphosyntax of the Iberian-Caucasian languages and its leading elements in diachrony -გროზნოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, კრებული, **იბეჭდება.**

ცირა ბარამიძე, პოლიფუნქციური ი- ქართული ზმნის უღლებაში (გვარის კატეგორიისათვის)/ Polyfunctional i- in Georgian Verb Conjugation (For category of voice), https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1955; ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 14 აპრილი, 2022

ცირა ბარამიძე, დვალეთის ქართული ონომასტიკა - Georgian Onomastics of Dvaleti, ცირა ბარამიძე Tsira Baramidze - ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 27-28 აპრილი, 2022https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/1742/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%20%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%20-%20146%20%282%29-15-19.pdf?sequence=1&isAllowed=y

ცირა ბარამიძე, ქართული დამწერლობა ჩრდილოეთ კავკასიაში ლინგვოკულტუროლოგიური საფუძვლები - Georgian scripts in the North Caucasus – linguocultural basics - აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, 14-16 ივლისი, 2022 https://tsu.ge/assets/media/files/57/%E1%83%9B.%20%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94%20-%20100%20-%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90.pdf

ცირა ბარამიძე - ონომასტიკა - ისტორიის წყარო (დვალეთი) - სამეცნიერო კონფერენცია „ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში“, თბილისი, 29.09.2022 (იბეჭდება კრებული). კონფერენცია ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.[2]

ცირა ბარამიძე, იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის საკითხი და ნანოსინტაქსური „ატომები“ - ლინგვისტური გენეტიკური კოდი - კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესი, მესტია, 25-27.08.2022, მასალები, გვ. 96-97, 234-235. თბილისი, 2022, ISBN 978-9941-33-320-0

ცირა ბარამიძე, ევრაზიულობის გეოლინგვისტური თეორიის გეოპოლიტიკური ასპექტები და უმცირესობათა ენები კავკასიაში - კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესი, მესტია, 25-27.08.2022, მასალები, გვ. 97-98, 235-236. თბილისი, 2022, ISBN 978-9941-33-320-0

Цира Барамидзе, Аджам - исламская письменность на Северном Кавказе *(исторические и лингвистические аспекты)* – «Исламская письменная культура в России», посвященной памяти выдающегося российского историка-востоковеда Амри Рзаевича Шихсаидова (1928-2019). *Махачкала, 17-19.10.2022*

Цира Барамидзе, Наноморфосинтаксис иберийско-кавказских языков и его ведущие элементы в диахронии - Nanomorphosyntax of the Iberian-Caucasian languages and its leading elements in diachrony - Международную научно-практическую конференцию научно-педагогических работников «Основные вопросы лингвистики, лингводидактики и межкультурной коммуникации». 11.03.2022 - https://www.kon-ferenc.ru/konferenc17_03_22.html

[2] ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში - მონაცემთა ბაზა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე - (CS-I-21-158)

ნანა მაჭავარიანი - უ ფორმანტის ფუნქციები აფხაზურში, თსუ კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის არნ. ჩიქობავას დაბადების დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები“, თბილისი, 2022

ნანა მაჭავარიანი, ბ, - ბა აფიქსთა ფუნქციები აფხაზურში, კავკასიოლოგთა მე-6 საერთაშორისო კონგრესი- კავკასიის ლინგვისტური და ანთროპოლოგიური პორტრეტი, მიძღვნილი გამორჩეული კლასიკოსი მწერლისმიხეილ ლოხვიცკის (აჯუკ-გირეის) 100 წლის იუბილისადმი, თსუ, 13-15 ნოემბერი, თბილისი, 2022.

ნანა მაჭავარიანი, აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკაში გამოვლენილი სახელური და ზმნური აფიქსები და აფიქსოიდები,საერთაშორისო კონფერენცია, გაუ, 2022.

ნანა მაჭავარიანი, ატრიბუტული მსაზღვრელი აფხაზურში - შეთანხმება თუ მართვა?(საკითხის დასმისათვის), თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 82-ე საინსტიტუტო სესია, 2022.

ჯონი კვიციანი, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ზოგი მეთოდოლოგიური საკითხი; 26-27 მარტი, 2022წ., თბილისი

ჯონი კვიციანი, „ქართველიანი“, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული და ადამიანთა მრავალეროვნული ერთობის აღმნიშვნელი ტერმინი; 29-30 ოქტომბერი, 2022 წ., თბილისი

ჯონი კვიციანი, ბალანსის პრობლემა სახელმწიფო-სამოქალაქო და ეთნიკური იდენტობის დინამიკის პროცესში საქართველოში, 14-16 ნოემბერი, 2022 წ., თბილისი .

ჯონი კვიციანი, Грузинский фактор в обороне Кавказа а годы Второй мировой войны, 2022წ. 18-22 მაისი, Северо-Кавказский федеральни университет, Ставрополь

რევაზ აბაშია, ქართველური ფუძეენის დიფერენციაციის ზოგიერთი საკითხი. I // საერთაშორისო ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური კონგრესი, III, თბილისი, 3-5 ოქტომბერი 2022, გვ. 7-8 (ინგლ. გვ. 128-129).

რევაზ აბაშია, ქართველური ფუძეენის დიფერენციაციის ზოგიერთი საკითხი. II // სამეცნიერო კონფერენცია „ტოგო გუდავა - მცნიერი და მასწავლებელი“ (ეძღვნება დაბადების 100 წლისთავს), თეზისები, თბილისი, 20 დეკემბერი 2022, გვ. 3-5 (ინგლ. გვ. 6-7).

რევაზ აბაშია, საერთოქართველური ლექსიკიდან. XVIII // ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის VIII სამეცნიერო სესია „ენა და იდენტობა“, თბილისი, 15-17 დეკემბერი 2022.

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და
ნეოგრეცისტიკის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:
ლევან გიგინეიშვილი
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
იამზე გაგუა
ირინე დარჩია
ეკატერინე კობახიძე
ნანა ტონია
ზაზა ხინთიბიძე
ქეთევან ნადარეიშვილი
მანანა ფხაკაძე
რუსუდან ცანავა
თინა დოლიძე
თამარ აფციაური
ლევან გიგინეიშვილი
სოფიო შამანიდი
ანა ჩიქოვანი
მედეა აბულაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.1
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. პროექტი „ ქართულ - ბიზანტიური ურთიერთობების უმთავრესი თარიღები, პირები და მოვლენები“, 2021- 2023.

2. ბიზანტინისტიკა, ქართველოლოგია

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. პროფ. თინა დოლიძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. პროექტის მონაწილეები და ავტორები: აკად. ვალერი ასათიანი, პროფ. ლევან გიგინეიშვილი, მოწვ. ლექტ. გვანცა კოპლატაძე, მოწვ. ლექტ. მაგდა მჭედლიძე, ასისტ. პროფ. თამარ აფციაური.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
პროექტი მიზნად ისახავს ზემოხსენებულ ავტორთა მიერ შედგენილი კრებულის გამოცემას სახელწოდებით „ქართულ-ბერძნულ ურთიერთობათა ძირითადი ორიენტირები“ (უმთავრესი თარიღები, პირები და მოვლენები). წიგნი გამოქვეყნდება 2023 წლის იანვარში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდაჭერით და მიეძღვნება მისი უწმიდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებისა და დაბადების საიუბილეო თარიღებს. კრებული წარმოადგენს მრავალსაუკუნოვანი ქართული-ბიზანტიური ისტორიული და კულტურული ურთიერთობების ამსახველ კომპენდიუმს. იგი თავს უყრის და მკითხველთა თვალსაწიერში აქცევს ბიზანტიურ-ქართულ ურთიერთობათა ამსახველ საკითხთა ფართო წრეს, კერძოდ, სახელმწიფოსა და ეკლესიის ისტორიიდან, განათლების, მწერლობისა და ხელოვნების სფეროებიდან. თითოეულ საკითხზე წარმოდგენილი სტატია გამიზნულია იმ მკითხველისთვის, ვისაც სურს გაიგოს, თუ როგორ აისახა შუა საუკუნეების ქართულ სინამდვილეში გლობალური მნიშვნელობის მქონე ბიზანტიური სამყარო, რომელიც ქართული კულტურული იდენტობის განუყოფელი ნაწილია.

1.1.2

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. **„გელათის აკადემია, მეცნიერებისა და განათლების უძველესი კერა ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“**, პროექტის დაწყების და დასრულების თარიღი: 2018-2023
2. ბიზანტინისტიკა, ქართველოლოგია

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. პროფ. ლევან გიგინეიშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ნარკვევის ქართული და ინგლისური ვერსიების ცალ-ცალკე გამოცემა. პროექტი ხორციელდება ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის დაფინანსებით.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. „SCISCITATOR“, პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: 2021-2026
2. ჰუმანიტარული მეცნიერებები (ისტორია, არქეოლოგია; ენების ზოგადი კვლევები; ცალკეული ენები; ლიტერატურათმცოდნეობა; ლიტერატურის თეორია; ცალკეული ქვეყნების ლიტერატურა; ლინგვისტიკა; ფილოსოფია; ეთიკა; თეოლოგია; რელიგიათმცოდნეობა; ხელოვნების ისტორია).

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. თამარ ჭეიშვილი - ხელმძღვანელი
2. ქეთევან გარდაფხაძე - ძირითადი შემსრულებელი.
3. მანანა ფხაკაძე - ძირითადი შემსრულებელი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ელექტრონული პროექტი SCISCITATOR ითვალისწინებს მე-18 საუკუნიდან დღემდე საქართველოს სამეცნიერო სივრცეში კლასიკური ფილოლოგიის დარგში ემპირიული მასალის (საარქივო დოკუმენტაცია, პრესა, სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, თარგმანები, მეცნიერული გამოკვლევები, დისერტაციები და ა. შ.) დამუშავებასა და სისტემატიზაციას, რის საფუძველზეც, საბოლოოდ, შეიქმნება კვლევითი შედეგების ამსახველი სრულყოფილი, ანოტირებული და სტრუქტურირებული ელექტრონული ბაზა. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია არა მხოლოდ მოძიებული მასალის კატალოგიზაცია, არამედ ციფრული ფაილების განთავსებაც. დიდი მოცულობის ემპირიულმა მასალამ და, ასევე, ჩვენი ქვეყნის კულტურული და სამეცნიერო მიღწევების ევროპულ მოდელთან დაახლოების აუცილებლობამ, რაც, თავის მხრივ, საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის აუცილებელი პირობაა, საჭირო გახადა ორენოვანი (ქართული და ინგლისური) კატალოგის შექმნა, რათა იგი ხელმისაწვდომი იყოს არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მომხმარებლისთვისაც. ამ დროისთვის, კატალოგში განთავსებულია 900-ზე მეტი ბიბლიოგრაფიული ერთეული, რომლის რაოდენობა სამომავლოდ რამდენიმე ათასს მოიცავს.

2. მასალის ელექტრონული სახით წარმოდგენა გულისხმობს კვლევითი საკითხის ირგვლივ არსებული დიდი მოცულობის ემპირიული მასალის მოძიებასა და სისტემატიზაციას. ელექტრონულ ბაზაში განთავსებული კვლევითი შედეგების ამსახველი სტრუქტურირებული ინფორმაცია, ერთი მხრივ, წვლილს შეიტანს საქართველოში კლასიკური მემკვიდრეობის ისტორიის შესწავლის საქმეში, სამყაროში მისი ადგილისა და მნიშვნელობის გააზრებაში, მეორე მხრივ, დაგვეხმარება გავიაზროთ კლასიკური მემკვიდრეობის შესწავლის მნიშვნელობა თანამედროვე ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებში და, რაც მთავარია, არაერთი მნიშვნელოვანი კვლევის წყარო გახდება მეცნიერთა ახალი თაობისთვის.

3. კატალოგის აღწერა. კატალოგის სარჩევში მოწოდებულია ინფორმაცია პროექტისა და სამუშაო ჯგუფის შესახებ (ჭეიშვილი, თამარ; გარდაფხაძე, ქეთევან; ფხაკაძე, მანანა;). სარჩევშივე მოცემულია რამდენიმე საძიებო ფილტრი: *სიტყვა, სათაური, პირი, გამომცემელი, გამოცემის წელი.*

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.1

1) **„ანტიკურობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“** (პროექტის N FR-21-1947); ჰუმანიტარული მეცნიერებები, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები 2022-2024

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ხელმძღვანელი: თსუ პროფ. ნანა ტონია; კოორდინატორი: თსუ მეცნიერ-მკვლევარი გიორგი უგულავა; მკვლევარები: თსუ ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე; თსუ მეცნიერ-მკვლევარი მაია დანელია.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი „ანტიკურობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“, რომლის პირველი საანგარიშო პერიოდი სრულდება 2023 წლის მარტში, ეძღვნება ბერძნულ-რომაული ტრადიციის კვალს ქართული ლიტერატურის ყველა პერიოდში. ქართული ლიტერატურისა და ანტიკურობის ურთიერთმიმართების საკითხებზე უკანასკნელ ხანებამდე ძირითადად ქართულ ენაზე იწერებოდა ცალკეული სტატიები და გამოკვლევები, თუმცა, მათ არ ჰქონდათ სისტემური, მონოგრაფიული ხასიათი. შესაბამისად, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ნაშრომი, სადაც შეძლებისდაგვარად სრულად იქნებოდა ასახული ანტიკური ტრადიცია ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარების ყველა ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა ცალკეულ მწერალთან თუ ცალკეული პერიოდის ფარგლებში ადრეც გამხდარა მეცნიერთა ინტერესის საგანი. დაახლოებით 30 წლის წინ მონოგრაფიულად დამუშავდა მხოლოდ ერთი, ძველი ქართული ლიტერატურის მონაკვეთი (ვალერი ასათიანი, ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში, თბილისი, თსუ, 1987), რომელშიც, ცხადია, არაა გათვალისწინებული როგორც უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა, ისე ანტიკურობასთან დაკავშირებული ახლადმოძიებული პასაჟები ამ პერიოდის მწერალთა ნაწარმოებებიდან.

პროექტი „ანტიკურობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“ მიზნად ისახავს სამი წლის განმავლობაში ფუნდამენტური, მონოგრაფიული, ორენოვანი (ქართული, ინგლისური) ნაშრომის შექმნას, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ანტიკური ტრადიციის კვალი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში და მისი როლი ქართული მწერლობის განვითარებაში.

ანტიკურობასთან დაკავშირებული რეცეფციების გამოვლენის მიზნით საპროექტო ჯგუფის მიერ წინასწარ მომზადდა მასალა, რომელიც წარმოადგენს ქართველი მწერლების ნაწარმოებებიდან მცირე ამონარიდებს აუცილებელი სამეცნიერო კომენტარით (მასალა განთავსებულია ორენოვან ვებგვერდზე „ანტიკურობის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში“ http://classicaltradition.tsu.ge/).

აღნიშნული მასალა, რომელიც საცნობარო ხასიათისაა, საჭიროებს შევსებას (მწერლების და ნაწარმოებების ნაწარმოებების დამატებას) და განზოგადებულ, სისტემურ, მონოგრაფიულ კვლევას, რომლის საფუძველზეც შეიქმნება ორენოვანი ნაშრომი სახელწოდებით „ანტიკურობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“.

ქართულ მწერლობაში ძველი ბერძნული და რომაული ტრადიციის სისტემური შესწავლა მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რამდენად სინქრონული და თემატურად იდენტურია

ქართული და ევროპული ლიტერატურები ანტიკური რეცეფციის საკითხებში; რამდენად ორიგინალურია ქართული ლიტერატურა ანტიკური ტრადიციის რეციპირების თვალსაზრისით.

ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს პირველი საანგარიშო პერიოდის მასალაზე, რომელიც გულისხმობს I- XVIII საუკუნეების (ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდში) ქართულ მწერლობაში აღმოჩენილი რეცეფციების თავმოყრასა და ანალიზს.

2.2.2

1) „ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“, (პროექტის N FR -18-2218) ჰუმანიტარული მეცნიერებები, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები; 2019-2022

2) ხელმძღვანელი: თსუ ასისტენტ-პროფესორი ნათია ფიფია; კოორდინატორი: თსუ ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე; მკვლევარი: პროფ. თედო დუნდუა.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი „ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“, დასრულების სტადიაშია, კერძოდ წიგნის ქართული და ინგლისური ვერსიები გადაცემულია სარეცენზიოდ (რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნანა ტონია და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მარიკა მშვილდაძე), რის შემდეგ მონოგრაფია გატანილი იქნება დარგობრივ საბჭოზე დასამტკიცებლად. ამის შემდეგ ნაშრომი დაიბეჭდება 2 წიგნად, რადგან ნაშრომი „ანტიკური ხანის ბერძნული და ლათინური წარწერები როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“ არის ორენოვანი (ქართული და ინგლისური) გამოცემა. მონოგრაფიაში განხილულია ქართულ საისტორიო წყაროებში შედარებით მწირად წარმოდგენილი და შესაბამისად, ძირითადად უცხოენოვან წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილი პერიოდი, რომლის ტრადიციული ქრონოლოგიური ჩარჩოებია ძვ. წ VIII ს- ახ. წ IV ს. ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისთვის ამ უცხოენოვან წყაროთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბერძნულ და ლათინურ წარწერებს, რომლებიც როგორც საქართველოში, ისე, საზღვარგარეთაა დაცული.

მართალია, ნაშრომში გამოკვლეული ეპიგრაფიკული მასალის დიდი ნაწილი სხვადასხვა დროს ადრეც იყო შესწავლილი სხვადასხვა გამოცემებში, მაგრამ არსებული ნაშრომი მათგან განსხვავებულია რამდენიმე კონკრეტული მახასიათებლით:

1) ქართულ სამეცნიერო სივრცეში დღემდე არ არსებობდა ერთ ნაშრომში თავმოყრილი ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული როგორც **ბერძნულ,** ისე **ლათინურ** ენაზე არსებული წარწერების მაქსიმალურად სრული ნუსხა;
2) ამ დრომდე ერთ წიგნად არ ყოფილა გამოცემული საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის ამსახველი ბერძნული და ლათინური წარწერები, რომლებიც როგორც **საქართველოში**, ისე **მის ფარგლებს გარეთაა** აღმოჩენილი ან დაცული.
3) ამ დრომდე ერთ გამოცემაში ერთმანეთის გვერდით არ ყოფილა წარმოდგენილი საქართველოს ისტორიისთვის საინტერესო ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული

სხვადასხვა ეპიგრაფიკული მასალა: **წარწერები, გრაფიტოები და ნუმიზმატიკური მონაცემები.**

4) აქამდე არ ჩატარებულა ამ მასშტაბური მასალის სისტემური, მონოგრაფიული კვლევა, რომელიც შეისწავლიდა მას, როგორც **საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის წყაროს**.
5) წიგნში კრიტიკულად გაანალიზებულია როგორც ტრადიციულად არსებული განმარტებები, ისე თანამედროვე გამოკვლევევები, არაერთ წარწერას დართული აქვს **ავტორთა სრულიად ახალი, ხშირ შეთხვევაში - დამკვიდრებულისგან განსხვავებული კომენტარები**, რომელიც მომზადდა ამ კონკრეტული გამოცემისათვის.
6) ზოგიერთი წარწერა და წყარო ამ ნაშრომის მეშვეობით **პირველად** შემოდის ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში.

საყურადღებოა, წიგნში გამოყენებული მეთოდოლოგია და კვლევის პრინციპებიც.

ეპიგრაფიკული და ნარატიული წყაროების შეჯერებისას მეტწილად გამოყენებულია **ჰევრისტიკული მეთოდი,** რომლის მეშვეობითაც ხდება წყაროებში დაცული მონაცემების კლასიფიკაცია და ვერიფიკაცია. ზოგიერთ შემთხვევაში, სხვადასხვა წყაროების მონაცემების გათვალისწინებით, გამოყენებულია ინფორმაციის **სინთეზის და რეკონსტრუქცის მეთოდები.**

საყურადღებოა მასალების კლასიფიკაციის და შესწავლის პრინციპი, რომელიც გულისხმობს წარწერების კვლევას **ერთდროულად პოლიტიკურ (იბერიისა და კოლხეთის) და ქრონოლოგიურ ჭრილში.**

ნაშრომში თავმოყრილი ინფორმაციის პოლიტიკურ და ამავდროულად ქრონოლოგიურ ჭრილში განხილვა ეფექტური აღმოჩნდა კვლევის მიზნების წარმატებით მიღწევისათვის.

ე.წ. „პოლიტიკური“ პრინციპის გათვალისწინებამ, კერძოდ, კოლხეთისა და იბერიის ეპიგრაფიკული მასალის ცალ-ცალკე თავებად შესწავლამ ხელი შეუწყო ანტიკური საქართველოს ორი მთავარი რეგიონის და სახელმწიფო გაერთიანების- კოლხეთისა და იბერიის ერთმანეთისგან განსხვავებული ისტორიული „თავგადასავლის“ სწორად და სიღრმისეულად შეფასებას; ამავდროულად, საერთო ქრონოლოგიურმა პერიოდიზაციამ, სხვაგვარად რომ ვთქვათ- ერთი და იმავე ქრონოლოგიური პრინციპების მიხედვით დასავლეთსა და აღმოსავლეთში აღმოჩენილი წარწერების დაყოფამ - ხელი შეუწყო ერთი და იმავე ქრონოლოგიურ პერიოდში იბერიის და კოლხეთის მონაცემების ერთმანეთთან ეფექტურად შედარებას და ამ კონტექსტში მათ განხილვას საქართველოს ისტორიის ერთ ნარატივად.

პერიოდიზაციისას გამოყენებული ტერმინოლოგია მისდევს ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ტრადიციას და ესადაგება ანტიკური კულტურების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. ქრონოლოგიური ტერმინოლოგიის შერჩევისას გათვალისწინებელი იყო შემდეგი:

1. საქმე გვაქვს ბერძნულ და ლათინურ წარწერებთან, რომელთა ენობრივი მახასიათებლები და შინაარსი განსაზღვრულია ანტიკურ საბერძნეთსა და რომში მიმდინარე ისტორიული პროცესებით;
2. საქართველო მუდმივად ინარჩუნებდა კავშირს ანტიკურ ბერძნულ-რომაულ კულტურასთან და ანტიკურ ხანაში მისი ისტორიის ძირითადი ვექტორი ზოგადად მაინც მისდევდა ამ პერიოდებისთვის განსაზღვრულ მახასიათებლებს.

3. ნაშრომის კონცეფცია, საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ემყარება ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის მსოფლიო და ამ ჭრილში, დასავლურ ცივილიზაციებთან ერთ კონტექსტში განხილვას.

მასალის ქრონოლოგიურმა კლასიფიკაციამ უფრო ეფექტური გახადა ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიული რეალობის ეტაპობრივი რეკონსტრუქცია და საშუალება მოგვცა თვალი მიგვედევნებინა მოვლენათა განვითარების სრული სურათისათვის.

საქართველოს ისტორიისათვის საყურადღებო ანტიკური ხანის ბერძნული და ლათინური წარწერების, გრაფიტოებისა და ნუმიზმატიკური მონაცემების შეძლებისდაგვარად სრულად თავმოყრასა და ანტიკური წყაროების ბერძნულ და ლათინურ ენებზე შესწავლასთან ერთად, ბუნებრივია, საჭირო გახდა **ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების** გათვალისწინება, **უახლესი სამეცნიერო განმარტებების სისტემატიზაცია** და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია- **ახალი, ორიგინალური კომენტარების დართვა**, რამაც, ჩვენი აზრით, მეტი სიცხადე შეიტანა საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის არაერთი პრობლემური საკითხის კვლევაში.

წიგნის ავტორთა- კლასიკური ფილოლოგიის და საქართველოს ისტორიის სპეციალისტთა- შეთანხმებული, **ინტერდისციპლინური** კვლევის საფუძველზე, რაც გულისხმობდა წარწერების კომპლექსურ (ლინგვისტურ და ისტორიულ) ანალიზს, შესაძლებელი გახდა ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიაში გარკვეული მონაცემების დამატება, კორექტირება, მოძიება და ზოგ შემთხვევაში- რეკონსტრუქციაც კი.

ასე, მაგალითად: ზუბოვკის თასის ვერცხლის ფიალის წარწერის მაგალითზე გამოიკვეთა ბერძნულ-კოლხური კულტურული ურთიერთობების ახალი პერიპეტიები; სხვადასხვა წარწერებიდან უკვე კარგად ცნობილ საბერძნეთსა და რომში მოხვედრილ სხვადასხვა ქართველურ ტომთა წარმომადგენლებს ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში დაემატნენ: ლანგენბრუკის წარწერაში დადასტურებული ჰენიოხი, კეისრის კოლხი ბალნეატორი რომიდან, კოლხი ქალი და სალუსტია კოლხი რომის მონათა სამარხიდან, სოხუმის ციხის წარწერაში დადასტურებული მმართველი ვალერიანუსი, გრაცის მუზეუმის და ჰალიკარნასოსის თეატრის წარწერებში მოხსენიებული მოსხოსი მოსხოსის ძე, მაკრონი ქალი უკვე კუნძულ როდოსიდან (ატენის სტელაზე აღმოჩენილი მაკრონისას კვალდაკვალ); ფესინოს სკითინოსი ათენის აკროპოლისის წარწერიდან (რომელიც ადრე დადასტურებული იყო დელფოს წარწერაში) და სხვ.

რამდენიმე წარწერის მონაცემთა შეჯერების, მათი საერთო კონტექსტის და ზოგჯერ წარწერის ახლებურად წაკითხვის ვარიანტის გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა ანტიკური ხანის საქართველოსთვის არაერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი და ბოლომდე დაუდგენელი ისტორიული ფაქტის გარკვევა: ახლადაღმოჩენილ წარწერაზე სოხუმის ციხიდან, ჩვენი აზრით, დადასტურდა სანიგთა მეფე მეფე სპადაგასის მოხსენიება; ეშერის, ფასისის და სოხუმის წარწერებისა და დამღების მიხედვით დაზუსტდა საქართველოში ბერძნული ახალშენების სტატუსი; ოსტიის წარწერის მიხედვით ზედმიწევნით დაკონკრეტდა ფარსმანის რომში ვიზიტის თარიღი; რომის ერთ-ერთი წარწერისა და სხვადასხვა ანტიკური და ქართული წყაროების საფუძველზე გაირკვა ლუციუს ვერუსის პართული ექსპედიციის დროს

რომაელთა სამხედრო შენაერთების იბერიაში ლაშქრობის ფაქტი და მიზეზები; მცხეთაში აღმოჩენილი რამდენიმე წარწერის შეჯერების საფუძველზე დაზუსტდა წარწერაში მოხსენიებულ პირთა: დედოფალ დრაკონტისის, ანაგრანესის და მეფე ამაზასპის ვინაობის საკითხი; მცხეთაში აღმოჩენილ ცნობილ სამარხში დაკრძალული „ულპია დედოფლის“ წარწერისა და ამაზასპოსის ეპიტაფიის ერთ კონტექსტში შესწავლის ფარგლებში განიმარტა დედოფლის სახელის წარმომავლობის საკითხი და ეპიტაფიაში დასახელებული ამაზასპოსისა და მითრიდატეს ვინაობა; პარიზის მედალიონთა კაბინეტში დაცული ბეჭდის გემისა და ანტიკური წყაროების გამოყენებით დაზუსტდა „კარქედონელ იბერთა“ პიტიახშის, უსას ვინაობა, მისი სამფლობელო და მმართველობის სავარაუდო პერიოდი; ბაკურთან დაკავშირებული რამდენიმე წარწერის შეპირისპირებით შესაძლებელი გახდა ფარსმან ქველის გარდაცვალების შემდეგ მომხდარი მოვლენების რეკონსტრუქცია და სხვა.

საყურადღებოა, რომ უკვე კარგად ცნობილი და კვლევისას ახლადგამოვლენილი მონაცემები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ არმენიის, საბერძნეთის, რომის, პართიისა და ანტიკური პერიოდის სხვა ქვეყნების ისტორიის კვლევის კონტექსტში. საქართველოსა და საზღვარგარეთ არსებული ბერძნულ-რომაული წარწერები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის შესახებ, ამავდროულად გვაწვდიან ცნობებს მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. მაგალითად: საბერძნეთსა და რომში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების და მათი შთამომავლების უფლებრივი და სოციალური სტატუსის შესახებ, რომაული სამხედრო აქტივობების და საჯარისო შენაერთების ფუნქციონირებაზე პროვინციებსა და მეზობელ ქვეყნებში, ბერძნული და რომაული რელიგიური კულტების არსებობაზე კოლხეთსა და იბერიაში, ირანული, ბერძნული და რომაული გავლენების ზუსტი ქრონოლოგიის შესახებ იბერიასა და არმენიაში, რომის მეგობარი ქვეყნების მმართველებისათვის რომის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების საკითხზე და ა.შ.

შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ნაშრომი „ანტიკური ხანის ბერძნულ ი და ლათინური წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“ სისტემურ და უახლეს სამეცნიერო ინფორმაციას მიაწვდის ანტიკური ხანის საქართველოსა და მსოფლიო ისტორიით, ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკითა და, ზოგადად, ანტიკური წყაროებით დაინტერესებულ მკითხველებს, სტუდენტებსა და სპეციალისტებს.

2.2.3

1) კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე

2. პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: 02.05.2022 - 29.09.2023

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ასოც. პროფ. ირინე დარჩია (პროექტის ხელმძღვანელი)

2. დოქტორანტი ეკატერინე კვირკველია (პროექტის კოორდინატორი)

3. რისმაგ გორდეზიანი (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას - „კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე“, რომლის ძირითადი ორგანიზატორი არის სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კონფერენცია ჩატარდება ფრიდრიხ შილერის იენის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით (გერმანია) და ეს იქნება გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბებული იენისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ერთობლივი კონფერენციების ტრადიციის გაგრძელება. საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 20-22 სექტემბერს.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენციის მიზნებია: 1) ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური კვლევების მხარდაჭერა ამ თემაზე საერთაშორისო დისკუსიის ორგანიზებით; 2) სხვადასხვა თაობისა და ეროვნების, სხვადასხვა ქვეყნისა და ინსტიტუციის, სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს შორის აკადემიური კომუნიკაციის გაუმჯობესება; 3) ქართველი მეცნიერების კვლევის შედეგების გაცნობა საერთაშორისო სამეცნიერო წრეებისთვის; 4) ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართ ახალგაზრდა თაობის ინტერესის ზრდა; 5) მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავება; 6) ქართველი მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა; 7) კავკასიის და მათ შორის ქართული კულტურის მნიშვნელობისა და ადგილის წარმოჩენა ანტიკური და ბიზანტიური სამყაროს - ევროპის კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საფუძვლების კონტექსტში.

საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობაზე უკვე განაცხადა თანხმობა მსოფლიოს სხვადასხვა თაობის 10 წამყვანმა მეცნიერმა მსოფლიოს 7 ქვეყნიდან (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, კვიპროსი, ბულგარეთი, ესტონეთი, უკრაინა), 8 სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. წარმოდგენილ პროექტში მკვლევართა ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დასაფასებელია მსოფლიოში დღემდე არსებული პანდემიისა და უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე.

კავკასია უმნიშვნელოვანესი რეგიონია როგორც გეოპოლიტიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით არა მხოლოდ დღევანდელ გლობალურ და მულტიკულტურულ სამყაროში, არამედ იგი მნიშვნელოვან რეგიონად გვევლინებოდა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, რაც წარმოჩნდება როგორც ანტიკურ მითებში, ისე ეპიგრაფიკულ, ისტორიოგრაფიულ და ლიტერატურულ წყაროებში. კავკასია მთელი თავისი მრავალფეროვნებით წარმოგვიდგება შემდგომი პერიოდის, გვიანანტიკურ, შუასაუკუნეების, ახალ და უახლეს ლიტერატურაშიც. დაგეგმილი კონფერენცია მიზნად ისახავს კავკასიის აღქმასთან დაკავშირებული სხვადასხვა ლიტერატურული, კულტურული და უფრო ფართო, ანთროპოლოგიური ასპექტების წარმოჩენას ინტერდისციპლინურ კონტექსტში, სინქრონულსა და დიაქრონულ ჭრილში.

საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში იმუშავებს რამდენიმე სექცია შემდეგი პირობითი სათაურებით: I. კავკასია და ანტიკური მითოლოგია; II. კავკასიის აღქმა ანტიკურსა და გვიანანტიკურ პერიოდში; III. კავკასიის აღქმა ბიზანტიურ ხანაში; IV. კავკასიის აღქმა ახალსა და უახლეს ლიტერატურაში; V. სტუდენტების თვალით დანახული კავკასია და სხვ.

კონფერენციის სამუშაო ენებია ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ახალი ბერძნული და ქართული.

საერთაშორისო კონფერენციის პარალელურად გაიმართება შემდეგი შემეცნებით-კულტურული ღონისძიებები: 1) კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით თსუ-სა და იენის უნივერსიტეტის თანამშრომლობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტო გამოფენა; 2)

სტუდენტური სპექტაკლი; 3) ექსკურსია ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

3.1.1

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

„ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში“

დონორი ორგანიზაცია: საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. სამეცნიერო დარგი - ნეოგრეცისტიკა

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1996 -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ძირითადი პერსონალი: სოფიო შამანიდი, მედეა აბულაშვილი, ანი ჩიქოვანი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც საქართველოს 20-მდე სკოლაში, საბერძნეთის მხარდაჭერით და თსუ ახალი ბერძნული ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელობით, ახალი ბერძნული ენის სწავლება წარმატებით მიმდინარეობს. არაერთი მოსწავლე, სკოლის დასრულების შემდეგ, თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტი ხდება და ნეოელინისტიკას ირჩევს ძირითად ან დამატებით სპეციალობად. ჩვენი კურსდამთავრებულების ნაწილი კი ბერძნული ენის პედაგოგად საქმდება ზემოაღნიშნულ სკოლებში.

3.1.2

1. **„პროკლე დიადოხოსის ‘ღვთისმეტყველების საფუძვლების’ იოანე პეტრიწისეული კომენტირებული თარგმანის ინგლისური თარგმანი და ანოტირებული გამოცემა“** (English translation and annotated edition of Ioane Petritsi’s commented translation of Proclus’ ‘Elements of Theology“, პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: 2017-2023, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის გაღრმავებული კვლევების ინსტიტუტის (Institute of Advanced Studies of the Central European University, Budapest) დაფინანსება, ERC მიმდინარე პროექტი (2018-2023)
2. ბიზანტინისტიკა, ქართველოლოგია

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. პროფ. ლევან გიგინეიშვილი
2. პროფ. იშტვან პერცელი (ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი), პროფ. პროფ. დრაგოს კალმა

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში ინგლისურად ითარგმნა იოანე პეტრიწის ძველქართული თარგმანი და კომენტარები. მიმდინარეობს მოლაპარაკება Brill-ის და Dumbarton Oaks-ის გამომცემლობებთან. იგეგმება შემდეგი წიგნის გამოცემა “პროკლეს და აბრაამული ტრადიციები“.

3.2. დასრულებული პროექტი

3.2.1

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

საბერძნეთის რევოლუციის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისა და პუბლიკაციებისთვის გაცემული გარნტი, დონორი ორგანიზაცია: საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, სამეცნიერო დარგი - ნეოგრეცისტიკა

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2020-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. სოფიო შამანიდი (პროექტის ხელმძღვანელი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)

2. ანი ჩიქოვანი - პროექტის კოორდინატორი

3. მედეა აბულაშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2021 წელს აღინიშნა საბერძნეთის დამოუკიდებლობის 200 წლისთავი. თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი მოემზადა საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი პროექტის განსახორციელებლად, რომელიც გულისხმობდა სამეცნიერო-კულტურულ ღონისძიებათა მთელ კასკადს და რამდენიმე წიგნის გამოცემას.

როგორც ბერძნული მხარე აღნიშნავს, საბერძნეთის ფარგლებს გარეთ, არცერთი ქვეყანა არ შეუერთდა საიუბილეო წელს ისე მასშტაბური და მრავალფეროვანი პროექტით, როგორც საქართველო.

დაიგეგმა, ბერძნულ მხარესთან შეთანხმდა და დაიწყო მზადება 20-ზე მეტი ღონისძიების განხორციელებისთვის. მათ შორის: ორი სამეცნიერო კონფერენცია, საჯარო ლექცია-დისკუსიები, წიგნების პრეზენტაციები, კონკურსები, გამოფენები, ლიტერატურული შეხვედრები, საღამოები თუ პერფომანსები. პროექტი მოიცავდა სოციალურ ქსელებსაც. დაიგეგმა რამდენიმე ტელეპროექტიც. პროექტის ფარგლებში გამოიცა წიგნები.

3.2.2

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **„რელიგიური პლურალიზმის შესწავლა“, დონორი ორგანიზაცია: ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი**

2. პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: 2022

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ანა ჩიქოვანი, მონაწილე (18 მონაწილე მსოფლიოს 18 სხვადასხვა ქვეყნიდან)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა რელიგიური პლურაზმის გამოვლინების სხვადასხვა შემთხვევები მსოფლიოს სხვადასხვა ლიტერატურასა და კულტურაში. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ვიზიტი აშშ-ის წამყვან უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

5.1.1

ევრიპიდე „მედეა“. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო ნანა ტონიამ. ISBN 978-9941-48-29-2; თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“; 192 გვ. (მეორე გამოცემა).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ევრიპიდეს „მედეა“ბერძნული კლასიკის ეგზისტენციის განუმეორებელი ლიტერატურული სახეა. ტრაგედია მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. „მედეას“ ეს გამოცემა განხორციელებულია უახლეს ევროპულ გამოცემათა შესაბამისად. იგი ორენოვანია და განკუთვნილია როგორც მკითხველთა ფართო წრისთვის, ასევე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისთვის.

5.1.2

რისმაგ გორდეზიანი, ეკატერინე კობახიძე, ეტრუსკები- ანტიკური სამყაროს ტრიტაგონისტები, ISBN 978-9941-35-112-2 ; თბილისი, პალიტრა L, 2022, გვ 305

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მონოგრაფია წარმოადგენს რეცენზირებულ გამოცემას (რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნანა ტონია; ფილოლოგიის დოქტორი გიორგი უგულავა), რომელშიც წარმოადგენილია ბერძნებთან და რომაელებთან ერთად ანტიკური კულტურის შექმნაში ჩართული ხალხის, ეტრუსკების შესახებ ფუნდამენტური გამოკვლევა. ნაშრომში გაანალიზებულია ეტრუსკული ცივილიზაციის ყველა ძირითადი სფერო: ისტორიული პანორამა; ეტრუსკთა წარმომავლობის საკითხი; ეტრუსკული დამწერლობა; ეტრუსკული ტექსტები; საზოგადოებრივი ცხოვრების ასპექტები; მითოლოგიური წარმოდგენები; რელიგია; მხატვრული კულტურა; ენა; ეტრუსკთა მემკვიდრეობა ანტიკურსა და პოსტანტიკურ სამყაროში. წიგნი წარმოადგენს ეტრუსკების შესახებ პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას ქართულ ენაზე, რომელიც განკუთვნილია როგორც სამეცნიერო საზოგადოებისათვის, სტუდენტებისათვის, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

უშუალოდ ჩემ მიერ შესრულდა შემდეგი ნაწილები:

1. მითოლოგიური წარმოდგენები (გვ 59-55)
2. რელიგია (გვ.60-124)
3. ეტრუსკთა მემკვიდრეობა ანტიკურ და პოსტანტიკურ სამყაროში (გვ 188-236)

5.1.3

დიმიტრის ნოლასი "დაბრუნება საბერძნეთში", ბერძნულიდან თარგმნა ანა ჩიქოვანმა, თბილისი, საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“, 2022, ISBN 978-9941-9743-8-0

5.1.4

ენციკლოპედია Caucasus Antiquus - ანტიკური კავკასია, I წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, რედ.: რისმაგ გორდეზიანი, მაია დანელია, გიორგი უგულავა, საგამომცემლო ჯგუფი: ნინო დიანოსაშვილი, ეკატერინე კვირკველია, თამარ ჯაფარიძე, ავტორთა კოლექტივი (ქ. ნადარეიშვილი, ი. დარჩია და სხვ.), ISBN 978-9941-9743-7-3, თბილისი: ლოგოსი, 2022, 759 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2022 წელს გამოიცა ენციკლოპედიის „Caucasus Antiquus – ანტიკური კავკასია“ წყაროების ტომის ახალი შესწორებული და შევსებული გამოცემა.

ენციკლოპედიის „ანტიკური კავკასია“ პირველი გამოცემა მომზადდა ავტორთა კოლექტივის მიერ შ. რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში. პროექტის მონაწილეები იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის თანამშრომლები. წყაროების ტომის ახალი გამოცემა დაიბეჭდა საპატრიარქოს ქართველოლოგიური კვლევის ცენტრის მხარდაჭერით.

ენციკლოპედია წარმოადგენს ანტიკური პერიოდის კავკასიის (ძვ.წ. II ათასწლ. – ახ.წ. V-VI სს.) შესახებ ენციკლოპედიურ სამეცნიერო ცნობარს, რომელიც შედგება წყაროების ტომისგან და სტატიების ტომებისგან (II,1 ა; II,2 ბ-ი; III კ; IV,1 ლ-რ; IV,2 ს-ჰ). ენციკლოპედიის

წყაროების ტომში წარმოდგენილია ძველაღმოსავლური ტექსტების თარგმანები: ხეთური, აქადური, ურარტული, სპარსული; ბერძნულენოვანი და ლათინურენოვანი წყაროები და მათი თარგმანები ქართულ ენაზე, ბიბლიური ტექსტების ქართული თარგმანები, ხოლო სტატიების ტომებში წარმოდგენილია როგორც კავკასიასთან, ისე ცალკეულ ქვეყანასა თუ ეთნოსთან, ცალკეულ გეოგრაფიულ ერთეულთან თუ ისტორიულ ფიგურასთან დაკავშირებული დაახლ. 3000-მდე სტატია. მეორე გამოცემა შევსებულია ანტიკურ ავტორთა დამატებითი ტექსტებითა და თარგმანებით ქართულ ენაზე, ასევე დართული აქვს სახელთა დეტალური საძიებელი. მაქსიმალურად გამოყენებულია უკვე არსებული ქართული თარგმანები გარკვეული კორექტივებით, იმ შემთხვევაში თუ თარგმანი არ არსებობდა, ისინი შესრულებულია პროექტის მონაწილეების მიერ.

ენციკლოპედიაში წარმოდგენილია ის არეალი, რომელსაც ეწოდება „კავკასია“, აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიები, რომლებზეც ანტიკურობაში განსახლებული იყვნენ კავკასიური ხალხები – შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო ზოლი, სადაც უმეტესად ქართველური ტომები სახლობდნენ; ანატოლიის რეგიონი; არმენია; დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კასპიისპირეთის რეგიონები. ენციკლოპედიაში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ კავკასიის ტერიტორიებზე, თუმცა გვხვდება ცნობები მდ. ტანაისისა და ბოსპოროსის სამეფოს რეგიონის შესახებაც. ენციკლოპედიის ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს პერიოდს ძვ.წ. II ათასწლეულიდან ახ.წ. V-VI სს-მდე.

პროექტში მონაწილეობდნენ:

ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის ფარგლებში: ვალერი ასათიანი, ირინე გარაყანიძე, ქეთევან გარდაფხაძე, რისმაგ გორდეზიანი (მთავარი რედაქტორი, სამეცნიერო ხელმძღვანელი), ლევან გორდეზიანი, ირინე დარჩია, თეა დულარიძე, მარიკა ერქომაიშვილი, თამარ თარხნიშვილი, ქეთევან ნადარეიშვილი, თამარ ჭეიშვილი, ზაზა ხინთიბიძე, გიორგი ხომერიკი, თამარ ჯაფარიძე.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მხარდაჭერით და თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის განვითარების ფონდის გრანტის ფარგლებში: ნიკოლოზ ალექსიძე, სვეტლანა ბერიკაშვილი, მაია დანელია, ნინო დიანოსაშვილი, ეკატერინე კვირკველია, ნინო მღებრიშვილი, გიორგი უგულავა.

ენციკლოპედიის მომზადების პროცესში ასევე იყვნენ ჩართულები: ნინო აბაკელია, ზაზა ალექსიძე, შუშანიკ ასათიანი, ნინო ბარამიძე, ნინო გველესიანი, თინა დოლიძე, მაია დონაძე, გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, მანანა ვადაჭკორია, თამარ კალატოზი, დარეჯან კაჭარავა, ლალი კოჭლამაზაშვილი, ვახტანგ ლიჩელი, გურამ ლორთქიფანიძე, ნათია მახარაძე, თამარ მირიანაშვილი, მარიკა მშვილდაძე, მარიამ ნუცუბიძე, ანეგრეტ პლონტკე-ლიუნინგი, ნანი რევიშვილი, თამარ სუხიშვილი, ადა ტრაპაიძე, დალი ქურიძე, ნინო ღლონტი, გურამ ყიფიანი, რუსუდან ცანავა, ნინო ცინცაძე.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

5.2.1

ასპარეზზე გამოდიან გმირები. თხრობა და კომენტარები ნანა ტონიასი და მანანა ღარიბაშვილის.ISBN 99928-65-11-3 (სერია), თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“, 254 გვ. (მეოთხე გამოცემა).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჩვენი ინსტიტუტი უკვე მრავალი წელია გამოსცემს წიგნების სერიას სახელწოდებით: ბერძნული მითების სამყარო. აღნიშნული წიგნი ამ სერიის ნაწილია (წიგნი მეხუთე). მასში მოთხრობილია ისეთი დიდი გმირების შესახებ, როგორებიც იყვნენ ჰერაკლე, თესევსი, პერსევსი და სხვები. წიგნი განკუთვნილია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისთვის.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

5.3.1

ნანა ტონია,“ქიმერების მარულა“(ფანტასმაგორია, მითი, კულტი და ანტიკურობა ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში), https://doi.org/10.48614/logos.8.2022.53, ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, ტ. 8 , 2022; თბილისი, ლოგოსი, გვ. 53-7

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გასული საუკუნის ოციანი წლების ქართული ლიტერატურული ტენდენციების შესაცნობად განსაკუთრებული მნშვნელობა ენიჭება სახელოვანი „ცისფერყანწელის“ ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებას. მან, როგორც ღრმად მოაზროვნე ესსეისტმა და პოეტმა, კარგად შეიგრძნო ახალი პოქის სულისკვეთება. მართალია, ეს ეპოქა მხოლოდ რვა წელი გაგრძელდა, მაგრამ ეს წლები საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქართულ ლიტერატურულ აზრს მძაფრად შეეგრძნო ის სიახლე, რომელიც ევროპულ მოდერნიზმად შეირაცხა და რომელიც უპირისპირდებოდა რა არსებულ მსოფლაღქმას, ახალ ესთეტიკასა და სტილს ამკვიდრებდა.

ვალერიან გაფრინდაშვილი თავის ესსეებში საგულდაგულოდ მიუთითებს იმაზე, რომ ქართველი პოეტები და მწერლები განიცდიდნენ რა ევროპული და რუსული პოეზიის გავლენას, მაინც მყარად იდგნენ ძირძველ ტრადიციებზე.

ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედება განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ანტიკურობის რემინისცენციებით. სტატიაში ვცდილობ წარმოვაჩინო პოეტისა და ესსეისტის ის მხარე, რომელიც ანტიკურობასთან არის დაკავშირებული. ეს კავშირი კი ერთობ

მრავალფეროვანია. მისი გაცნობიერება და ანალიზი ჩვენს წინ აცოცხლებს გარდასული საუკუნის ოციანი წლების ქართული პოეტური აზრის არა მხოლოდ უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელს, არამედ მემატიანესაც, რომელმაც შემოგვინახა „ფანტასმაგორიული“ ეპოქის, თუმც ტრაგიკულად დასრულებული, მაგრამ მაინც სულისშემძვრელი ხიბლი.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

5.4.1 **ნანა ტონია,** „ლექსი, როგორც საგალობელი“ წიგნში: თან საკითხავი (85 ამბავი დავით წერედიანზე), ISSN 2587-4993; ISSN 978-9941-504-07-5; თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 302 გვ.

5.4.2 **ნანა ტონია,** „ყველა მასთან სიახლოვეს ესწრაფოდა“ წიგნში: თან საკითხავი (85 ამბავი დავით წერედიანზე), ISSN 2587-4993; ISSN 978-9941-504-07-5; თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 302 გვ.

5.4.3 **ნანა ტონია,** Magister Magistrorum, წიგნში: ანტიკური სამყაროს ხიბლი: რისმაგ გორდეზიანი - 80.

ISSN 978-9941-491-55-9, თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, 259 გვ.

5.4.4 **მანანა ფხაკაძე,** „წერედიანის „ირინოლა“, წიგნში: „85 ამბავი, დავით წერედიანი“, თბილისი: არტანუჯი. 2022, 185-186; ISBN 2587-4993; 978-9941-504-07-5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2. პირველი ორი სტატია დაბეჭდილია ერთ წიგნში, რომელიც ეძღვნება დავით წერედიანს. ქართველი მკითხველი მას იცნობს, როგორც ბრწყინვალე პოეტსა და მთარგმნელს. სტატიებში აღიბეჭდა ის მოგონებები, რომლებიც მაკავშირებს ამ დიდებულ შემოქმედთან.

3. ეს საკმაოდ ვრცელი სტატია ეძღვნება აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანს. მასში თითქმის სრულად არის ასახული ის გზა, რომელიც გაიარა ბატონმა რისმაგმა, როგორც მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ. განხილულია ყველა ის ფუნდამენტური გამოცემა, რომელმაც მას საერთაშორისო აღიარება მოუპოვა.

5.4.4

„ლოგოსი“, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, N 8, საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2022, ISBN: 978-9941-468-75-9

5.4.5

სამეცნიერო კონფერენცია „ენა - ნორმა და დევიაცია“, ეძღვნება თინათინ გიორგობიანის დაბადებიდან 80-ე წლისთავს, კონფერენციის პროგრამა და თეზისები, საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2022, ISBN: 978-9941-9744-3-4

5.4.6

Tina Dolidze, Conference Report. Online Patristic Conference “Topical Problems of Patristic Studies in the Georgian Section of the Association Internationale d’ Études Patristiques/International Association of Patristic Studies”, Phasis 24, 2021, pp. 123-129, ISSN 1512-1046 (გამოქვეყნდა 2022 წლის შემოდგომაზე)

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

ზემოხსენებული ანგარიში წარმოადგენს სამეცნიერო ინფორმაციას 2020 წელს ზუმის პლატფორმაზე გამართული სამეცნიერო კონფერენციის „პატრისტიკის აქტუალური პრობლემები საქართველოში“ შესახებ. კონფერენცია მიეძღვნა ფილოსოფიის ისტორიის გამოჩენილ მკვლევარს, პატრისტიკის საერთაშორისო ასოციაციის ქართული სექციის ყოფილ წევრს, აკადემიკოს გურამ თევზაძეს. კონფერენციის ორგანიზატორი იყო თსუ კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ბიზანტინისტიკის კათედრა. კონფერენციის რეგლამენტი ითვალისწინებდა ყოველი გამომსვლელისთვის 30 წუთს (20 წ. მოხსენება + 10 წ. დისკუსია). გამოსვლები შეეხო როგორც ინდივიდუალურ სამეცნიერო მუშაობას, ისე ჯგუფურ პროექტებს, რომლებიც შესრულდა ან ამჟამად მიმდინარეობს საქართველოში პატრისტიკული მემვიდრეობისა და შუა საუკუნეების ქრისტიანობის კვლევის კუთხით. კონფერენცია გახსნა თ. დოლიძემ, რომელმაც ისაუბრა აკად. გ. თევზაძის შემოქმედების შესახებ, აგრეთვე ვრცლად განიხილა საერთაშორისო პატრისტიკული ასოციაციის მნიშვნელობის შესახებ, რომლის აქტიური წევრიც არის საქართველო 2008 წლიდან. წარმოდგენილი პრეზენტაციები სამეცნიერო ანგარიშში განხილული და შეფასებულია ინსტიტუციების მიხედვით, რათა თვალნათლივ გამოიკვეთოს თითოეულის პროფილი და წვლილი პატრისტიკული მემკვიდრეობისა და შუა საუკუნეების ქრისტიანული კულტურის კვლევის საქმეში. წარმოდგენილია შემდეგი ინსტიტუციები თუ სექტორები: თსუ ბიზანტინისტიკის კათედრა, თსუ ძველი ქართული ენის კათედრა, თსუ-თან არსებული „ქრისტიანული აღმოსავლეთის ცენტრი“, თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, „ქართულ სიძველეთა კვლევის ცენტრი“ (დამფუძნებელი თ. მგალობლიშვილი), გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილება (ილიას უნივერსიტეტი), ახალი ქართული უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, მიუნხენის უნივერსიტეტი (ნ. საყვარელიძე) და ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი (თ. პატარიძე), ბათუმის უნივერსიტეტი.

ქართული სექციის მუშაობის ანგარიშის მოკლე ვერსია გამოქვეყნდა საერთაშორისო ასოციაციის ბიულეტენში: Bulletin d'information et de liaison 55 (2021).

5.4.7

Ketevan Nadareishvili, "Medea the Feminist and Medea the Other in Modern Georgian Receptions;" Phasis – Greek and Roman Studies, #24; ISSN: 1512-1046; volume XXIV, issue 3, Tbilisi, Logos, 2021; ISSN 1512-1046 (58-97), https://doi.org/10.48614/phasis.24.2021.58-97 (გამოქვეყნდა 2022 წლის შემოდგომაზე)

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

მედეას რეციპირების მთავარ ხაზს მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ამ მხატვრული სახის ინტერპრეტაციის ის მიმართულებები ქმნის, რომლებიც მედეას, როგორც ფემინისტს, და, როგორც "სხვას", "უცხოს" წარმოგვიდგენს.

სტატიის მიზანია, შეისწავლოს მედეა-ფემინისტისა და მედეა, როგორც "უცხოს" ქართული ინტერპრეტაციები ამ მიმართულებებით მისი რეციპირების დასავლურ კონტექსტში. კერძოდ, სტატიაში განხილულია სამი მხატვრული ნაწარმოები: ოლგა ტაქსიდუს ორი პიესის მიხედვით მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლი: "მედეა: გახლეჩილი სამყარო" (1997), ნინო ხარატიშვილის პიესა "ჩემი და შენი გული (მედეა)" (2007) და მადი ბერიაშვილის პიესა "მედეა, როგორც მედეა" (2013).

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანია როგორც მედეას ქართული რეცეპციების მიერ წარმოდგენილი ნოვატორული ელემენტების შესწავლის კუთხით, ისე იმ მსგავსებათა ანალიზის თვალსაზრისით, რომლებიც დასახელებული ინტერპრეტაციული მიმართულებებით მედეას სახის დამუშავების მხრივ ქართულ და დასავლურ დისკურსებში არსებობს.

5.4.8

Phasis – Greek and Roman Studies, Volume 24, Tbilisi, Publishing Program "Logos", 2021; ISSN 1512-1046, ინდექსირებულია საერთაშორისო ბაზა ERIH-PLUS-ში (გამოქვეყნდა 2022 წლის შემოდგომაზე)

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

6.3.1.

Ana Chikovani, *Τα ήθη και τα έθιμα στα έργα του Στρατή Μυριβήλη* (ხალხური წეს-ჩვეულებების ასახვა სტრატის მირივილისის შემოქმედებაში, ბერძნულ ენაზე), კრებულში: Hellenism and the Balkans: two-way relationships: language, history, literature, culture (1453-2019), 4th Balkan Congress of Modern Greek Studies, Edited by Manolis G. Varvounis – Thanasis V. Kougkoulos Volume 3.1, გვ. 152-165, გამომცემლობა: Παρατηρητής της Θράκης, ISBN 978-618-5001-92-6 | ISBN (SET) 978-618-5001-89-6 ISBN E-BOOK 978-618-5001-96-4 | ISBN E-BOOK (SET) 978-618-5001-93-3, Komotini 2022

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ხალხურ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ სტრატის მირივილისის მხატვრულ შემოქმედებაში. ლიტერატურულ ნაწარმოებებში აღწერილი რწმენა-წარმოდგენები და ქრისტიანული და წარმართული წეს-ჩვეულებების სინკრეტული ხასიათი საინტერესო ელემენტებს მოიცავს. ამგვარი ფოლკლორული მასალა ელინიზმის დიაქრონული შესწავლის საშუალებას იძლევა. სტატიაში არა მხოლოდ შესწავლილია ლიტერატურულ ნაწარმოებებში წარმოდგენილი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების შესახებ არსებული ინფორმაცია, არამედ განხილულია ფოკლორის, რიტუალების, მითოლოგიური და რელიგიური ელემენტების ფუნქცია პროზაულ ნაწარმოებებში.

6.3.2

იამზე გაგუა, ლელა ჩოთალიშვილი, ნინო ჯორბენაძე, ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, მცენარეთა ლათინური სახელების ქართულად გადმოტანის თავისებურებანი; საერთაშორისო

აკადემიური ინსტიტუტის აკადემიური კონფერენციის მასალები; რომის აკადემიური კონფერენცია - 19 სექტემბერი, 2022 წელი, ISSN 2671-3179; რომი, რომის აკადემიური კონფერენციის გამომცემლობა; გვ. 87-92;

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. XVIII საუკუნეში შვედმა მეცნიერმა, **კარლ ლინემ** შემოიტანა **ბინომინალური ნომენკლატურა**, რომლის მიხედვითაც, მცენარეთა თითოეული სახეობა განისაზღვრება ორი ლათინური სახელით: **გვარის დასახელება** და **სახეობის განმსაზღვრელი ეპითეტი.** მოხსენების მიზანია, **წარმოვაჩინოთ ქართულ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში ბინომინალური პრინციპის გადმოტანისას შექმნილი სირთულეები და მცენარეთა ლათინური სახელების ქართულად თარგმნის თავისებურებები.** ლინგვისტურ-ფილოლოგიური ანალიზის შედეგად ჩვენ შევიმუშავეთ ლათინურ ფიტონიმთა ქართულად გადმოტანის გარკვეული წესები. მოხსენებაში ვისაუბრებთ ზოგიერთ მათგანზე, კერძოდ: 1. სახეობის აღმნიშვნელი რთული შედგენილობის ეპითეტი დეფისის გამოყენების გარეშე გადავაქციეთ ერთ სიტყვად ფორმათა შერწყმის გზით, რითაც მივუსადაგეთ ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს; 2. გვარ-სახელების გადმოტანისას გავითვალისწინეთ კონკრეტული ენის ფონეტიკური წესები და წარმოთქმის თავისებურებანი, ამ ენებიდან საკუთარი სახელების ქართულად გადმოტანის წესები და თავად ფიტონიმთა წარმოშობის ისტორია; 3. მასალაზე მუშაობამ გვიჩვენა, რომ ეპითეტის ფუნქციით გამოყენებული ტოპონიმის გადმოტანისას ქართული სახელებისათვის ძირითადი უნდა იყოს ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (შესაბამისად, კუთვნილების სემანტიკა), თუმცა ზოგიერთი სახელი ფორმდება წარმომავლობის **-ურ/-ულ** სუფიქსით. ვფიქრობთ, მიღებული წესების დაცვა შექმნის ერთგვარ ბარიერს ქართულში გაუმართავი ფორმების დასამკვიდრებლად.

6.3.3

Ekaterine Kobakhidze, Metaia, DOI: 10.25205/1995-4328-2022-16-1-54-87; Schole (Ancient Philosophy and the Classical Tradition), volume XVI, issue 1, Novosibirsk State University, Russian Federation ISSN 1995-4328 (print); ISSN 1995-4336 (online), 54-87 (33 გვ); https://classics.nsu.ru/schole/page4.html

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატია არის რეცენზირებული (peer-reviewed) გამოცემაა ჟურნალში, რომელიც ერთდროულად ინდექსირებულია: Scopus-ში, Web of Science-ში და ERIH Plus-ში. სტატია ეძღვნება მედეას და არგონავტების მითის უძველეს გამოსახულებას მსოფლიო ხელოვნებაში, კერძოდ ჩერვეტერიში აღმოჩენილ ეტრუსკული ოლპეზე (ძვ. წ. VI ს) მოცემულ მითს და მის ახლებურ ინტერპრეტაციას. ჩემი დასკვნის მიხედვით, ეტრუსკულ ოლპეზე გამოსახულია მედეას მიერ იასონის გაახალგაზრდავების სცენა, რომლის მიღმა იკითხება ეტრუსკული გაახალგაზრდავების და ხელახლა შობის რიტუალი (ამ რიტუალს ჩვენ ვიცნობთ სხვა გამოსახულებებიდან და ანტიკური წყაროებიდან). ეს რიტუალი დაკავშირებული იყო სოლარულ კულტებთან, რაც ნიშანდობლივი იყო ეგვიპტისა და აღმოსავლეთის არაერთი

რელიგიისა და კულტმსახურებისათვის - მზე, რომელიც ყოველ გარიჟრაჟზე ახლად იბადება აღქმული იყო გაახალგაზრდავებისა და ხელახალი დაბადების სიმბოლოდ. ეტრუსკული მზის ღვთაება Catha ასევე მიემართებოდა მიწისქვეშა, მიღმიერ სამყაროს, რაც დასტურდება დაკრძალვასთან დაკავშირებული ერთი წარწერიდან, სადაც ნახსენებია მისი სახელი და ასევე მისი სახელის არსებობით მალიანოს ტყვიის რიტუალურ ფირფიტაზე.

გაახალგაზრდავების რიტუალი ეტრუსკული სამარხის კონტექსტში გარდაცვლილის ხელახალი დაბადების და უკვდავების იმედს აღძრავდა. ეტრუსკული რიტუალის მონაწილეებად არგონავტების მითის პერსონაჟების, მათ შორის, მედეას და პოპულარული მითოლოგიური ნარატივის გმირის და დემონური ძალის მფლობელი დედალოსის აღქმა ასახავდა ეტრუსკთა მხრიდან ელინურ სამყაროსთან კულტურული ურთიერთობებისკენ ლტოლვას. გამოსახულებაზე წარმოდგენილი kanna-ს, გემის იალქნის, მეშვეობით, რომელიც არგონავტებს მოაქვთ, რითაც იქმნება არგოს ალუზია, ამავდროულად წარმოადგენს ეტრუსკული რიტუალის ნაწილს, შესაწირს იმ ღმერთებისა, რომელსაც ცერეში სცემდნენ თაყვანს, როგორც ეს დადასტურებულია პირგის ტაძრის არქეოლოგიური მასალებით. ამ ღმერთებს შორის არის Cavatha და Usils, რომლებიც, ჩვენი აზრით იგულისხმებიან Metaia-სა (მედეა) Taitale-ს (დედალოსის) „მიღმა“.მედეას გამოსახულებები ეტრუსკულ ხელოვნებაში, რომელიც დასტურდება ორიენტალიზაციის პერიოდიდან ელინიზაციის ხანამდე, წარმოადგენს მედეას სახის ორიგინალურ, ლოკალურ ინტერპრეტაციას. ეტრუსკულმა კულტურამ, რომელიც აღმოჩნდა მედიატორი ბერძნულ და იტალიკურ სამყაროს შორის, დიდი როლი შეასრულა მედეასა და მასთან დაკავშირებული მითების პოპულარიზაციაში აპენინის ნახევარკუნძულზე. მედეას მაგიური ხელოვნება ახლობელი აღმოჩნდა მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში დივინაციისა და მაგიის ექსპერტებად ცნობილი ეტრუსკებისათვის, რომლებმაც, განსხვავებით ბერძნებისაგან, ჰელიოსის შვილიშვილი მედეა კულტმსახურების ობიექტად აქციეს, გააიგივეს რა იგი ეტრუსკულ სოლარულ ღვთაება Cavatha-სთან. ეტრუკთა მეშვეობით მედეამ შეაღწია ძველი იტალიის ხალხთა მითოლოგიაში, რელიგიასა და ხელოვნებაში. შეიძლება ითქვას, რომ მედეას ეტრუსკულმა რეცეფციამ ძველ რომზეც მოახდინა გავლენა, ხოლო მოგვიანებით, via Roma- ევროპულ ხელოვნებასა და კულტურაზე.

6.3.4

Levan Gigineishvili, *Henads as divine images: the epistemological and ontological significance of inner light and creation of a new subjectivity in Ioane Petritsi's metaphysics.*In: D. Calma (ed.), Reading Proclus and the Book of Causes. Vol. 3. Translations and Acculturations, Leiden / Boston, Brill, coll. Studies in Platonism, Neoplatonism, and the Platonic Tradition, 2022, pp. 168-177. (ჰენადები როგორც ღვთის ხატები: შინაგანი ნათლის ეპისტემოლოგიური და ონტოლოგიური მნიშვნელობა და ახალი სუბიექტურობა იოანე პეტრიწის მეტაფიზიკაში).

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **თინა დოლიძე**

2) მოხსენების სათაური: **ენა და დევიაცია საღვთისმეტყველო ენაში**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **სამეცნიერო კონფერენცია „ენა - ნორმა და დევიაცია“, თბილისი, 24-25 ნოემბერი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

პავლე მოციქულის ეპისტოლეებში გამოთქმულია აზრი, რომ ქრისტიანული თეოლოგიის ენა საღვთო ძალის არეალია და, შესაბამისად, მორწმუნეთათვის ჭეშმარიტების წვდომის გარანტი. ეს ლინგვისტური კონცეპტი ამოზრდილია ბიბლიის ეგზეგეტიკის მრავალსაუკუნოვანი ებრაული ტრადიციიდან, რომელიც ბიბლიის ენას საღვთო ჭეშმარიტების ფონეტიკურ გაჟღერებად მიიჩნევს. პატრისტიკულმა ღვთისმეტყველებამ იმემკვიდრა საღვთო წერილის ენის საკრალურობის თეზისი, თუმცა წარმართულ ფილოსოფიასა და რიტორიკასთან, ასევე ქრისტიანულ ერესებთან თეოლოგიური დებატებისას მოახდინა მისი არსებითი მოდელირება. სახელდობრ, ეკლესიის ღვთისმეტყველებმა სარწმუნოებრივი ენის ღვთივსულიერების იდეა ფილოსოფიიდან მომდინარე ენობრივ სკეპტიციზმს შეუკავშირეს და ამით ახალი სემიოტიკური მოდელი შექმნეს, რომელიც აღმნიშვნელისა და აღნიშნულის ანტითეზას ეფუძნება. ამ ანტითეტურ მიმართებას თვალსაჩინოდ გამოხატავს ორიგენეს მიერ ბიბლიის ჰერმენევტიკაში შემოტანილი და მის მიერ ჰერმენევტიკულად ინტერპრეტირებული 2 კორ. 4,7: „ხოლო ჩვენ ეს საუნჯე თიხის ჭურჭლებით დაგვაქვს, რათა ამ ძალის სიდიადე ღმერთისა იყოს, და არა ჩვენი“.

საერთო პატრისტიკული თვალსაზრისი სარწმუნოებრივ ენაში აღმნიშვნელსა და აღნიშნულს შორის არსებული მიმართების შესახებ იმას გულისხმობს, რომ ამ სემიოტიკურ მოდელში მიმართება ფორმისა შინაარსთან უცილობლად ადეკვატურობის პრინციპს უნდა ემყარებოდეს, რაც თავისთავად სემანტიკური რელატიურობის დაშვებას გამორიცხავს. აქედან გამომდინარე, პატრისტიკული ღვთისმეტყველება განარჩევს დოგმატურად ნორმატულ და არანორმატულ გამონათქვამებს. ნორმატული გამონათქვამების სემანტიკური საზღვრები უშვებს გარკვეულ ვარირება-გადახრებს, მაგრამ არსებობს ენობრივი დევიაციები, რომლებიც, სწორი კონცეფციის ქონის შემთხვევაში, ნათქვამის ხარვეზად (vitium orationis-ად) მიიჩნევა.

მოხსენებაში საღვთისმეტყველო ენასთან მიმართებით დევიაციის რამდენიმე ასპექტია განხილული: ა) ბუნებრივ და თეოლოგიურ ენას შორის არსებული დევიაციები, კერძოდ, საღვთისმეტყველო გამონათქვამები, რომლებიც წარმოადგენენ დევიაციას ბუნებრივ ენაში არსებული სემანტიკური კონვენციებისგან; ბ) დოგმატიკის პოზიციიდან მისაღები და არამისაღები დევიაციები და გ) ძველი ქართული ლექსიკური ანალოგის მიმართება ბერძნულ ორიგინალთან, რომელიც სემანტიკურ დევიაციად განიხილება.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **მანანა ფხაკაძე**

2) მოხსენების სათაური: **დაკვირვებები ლათინური ენის სწავლებაზე**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **სამეცნიერო კონფერენცია „ენა - ნორმა და დევიაცია“, თბილისი, 24-25 ნოემბერი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

თანამედროვე სამყაროში კლასიკური ენების სწავლების აქტუალობაზე, მის მნიშვნელობაზე ევროპული ენების შესწავლის, მშობლიური ენის სრულყოფილად დაუფლების, ლოგიკური აზროვნებისა და იმ უნარების განვითარებაზე, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამება, დღევანდლამდეც მეცნიერულ სივრცეში კამათი არ წყდება.

2021 წელს თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე (*Vitae Discimus*) წაკითხულ მოხსენებაში – *თსუ კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებაზე ლათინური ენის შესწავლის პრობლემები* (მომხსენებელი: მანანა ფხაკაძე) – გაცხადებული იყო, რომ იგეგმებოდა მრავალი წლის განმავლობაში გამოყენებული სახელმძღვანელოს – მ. ფხაკაძე, ლ. ბერძენიშვილი. *ლათინური ენა* I-II – ახალი სახელმძღვანელოთი შეცვლა (Orberg H., *Lingua Latina: Pars I: Familia Romana; Lingua Latina: Sermones Romani*).

ახალი სასწავლო მასალით არცთუ ხანგრძლივი, ორსემესტრიანი სწავლების მიუხედავად, შესაძლებელი გახდა, პედაგოგებს, საკუთარ გამოცდილებასა და სტუდენტთა ანონიმურ შეფასებებზე დაყრდნობით, სახელმძღვანელოსა და, მასთან ერთად, სწავლების ახალ მეთოდზე გაეკეთებინათ საყურადღებო დასკვნები, რომლებსაც პროფესიულ აუდიტორიას წარუდგენენ და გაუზიარებენ.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **ქეთევან ნადარეიშვილი**

2) მოხსენების სათაური: **ენა და გენდერული დევიაციები - ევრიპიდეს „მედეა“**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **სამეცნიერო კონფერენცია „ენა - ნორმა და დევიაცია“, თბილისი, 24-25 ნოემბერი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1. ევრიპიდეს მედეა, ისევე როგორც ამ მითოსური ფიგურის ყველა მნიშვნელოვანი ლიტერატურული ხასიათი, წარმოგვიდგენს კოლხი ასულის პოლარიზებულ ხასიათს, რო-მელიც დიამეტრალურად განსხვავებულ იდენტობათა შორის მერყეობს. ამ სახის ერთ-ერთ მთავარ დიქოტომიად გვევლინება საპირისპირო გენდერული როლების თანაარსებობა – მედეა

დახატულია, ერთი მხრივ, ქალებისთვის დამახასიათებელი თვისებებით, მეორე მხრივ, ამ გმირში აშკარად ვხედავთ მამრობითი სქესისთვის ნიშანდობლივ შტრიხებს.

2. მედეას გენდერული ტრანსგრესიის ერთ-ერთი გამოკვეთილი მარკერი კოლხი ქალის მეტყველების სტილია.

მედეას „მამაკაცური ენა“ კომპლექსური დისკურსია, რომელიც რამდენიმე ასპექტით წარმოდგება. აქ შეიძლება გამოიყოს: გამკიცხავი სიტყვები, სავსე შეურაცხმყოფელი ლექსიკითა და დაუფარავი კრიტიკით; თანასწორი მამაკაცი პარტნიორების ურთიერთობისთვის დამახასიათებელი მეტყველება და ლექსიკა; ჰეროიკული ქცევის კოდექსისთვის ნიშანდობლივი ენა.

მოხსენებაში განხილულია მედეასთვის, როგორც ჰეროიკული კოდექსით მოქმედი გმირისთვის, ნიშანდობლივი ქცევისა და მეტყველების ასპექტები. მიუხედავად იმისა, რომ მედეას სახის ეს პლასტი შესწავლილია Bongie (1977), Knox (1979), Barlow (1989) მიერ, ამ დისკურსის რიგი საკითხები კვლავაც იმსახურებენ ყურადღებას (Knox B.M.W., „The *Medea* of Euripides“, YCLS 25, 1979, 193-225; Bongie E.B., „Heroic Elements in the *Medea* of Euripides“, TAPA 107, 1977, 27-56. Barlow SH. A., „Stereotype and Reversal in Euripides' *Medea*“, Greece and Rome 36, 1989, 158-171).

3. ამ კუთხით მოხსენებაში განხილულია: ა) რამდენად უახლოვდება მედეა სოფოკლეს ჰეროიკულ გმირებს თავისი თვისებებითა და მეტყველების სტილით; ბ) რამდენად არის მედეას შურისძიების უპირატესი მოტივი ბრძოლა ღირსების შემლახავის წინააღმდეგ მის დასასჯელად, თუ ამასთან ერთად ევრიპიდე მუდმივად ათამაშებს შურისძიების მეორე მოტივატორს – გატეხილი გულისა და ეჭვიანობის ფაქტორს ამ პატივმოყვარე ქალში; გ) ევოლუციის რა ეტაპებს გადის მედეა, როგორც ჰეროიკული კოდექსით მოქმედი გმირი და რა ლექსიკური კონტექსტია ნიშანდობლივი თითოეული ეტაპისთვის; შეიძლება თუ არა მოვიაზროთ მედეას ცნობილი მონოლოგი (1021-1090) ჰეროიკული დისკურსის კულმინაციურ ეტაპად.

მოხსენების დასკვნები საყურადღებო იქნება როგორც მედეას სახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის – მისი სხვადასხვა „ენის“ კვლევის საქმეში, ისე ამ გმირის მრავალსახა იდენტობათა სიღრმისეულად გასააზრებლად.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: ნანა ტონია

2) მოხსენების სათაური: **ევრიპიდეს უხამსი სამეტყველო ლექსიკა ტრაგედია „ჰერაკლიდების“ ფონზე**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **სამეცნიერო კონფერენცია „ენა - ნორმა და დევიაცია“, თბილისი, 24-25 ნოემბერი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ევრიპიდეს შემოქმედების მკვლევარები ერთხმად აღიარებენ, რომ „ჰერაკლიდები“ დრამატურგის პატრიოტულ თემაზე დაწერილ ქმნილებათა შორის უმნიშვნელოვანესია. ეს

ტრაგედია ევრიპიდეს თავისი მოღვაწეობის ადრეულ ხანაში დაუდგამს, დაახლოებით ძვ. წ. 430 წელს, მაშინ როდესაც პელოპონესოსის ომი სულ ახალი დაწყებული იყო.

მართალია, ამ ტრაგედიას არ ასახელებენ ევრიპიდეს საუკეთესო პიესათა შორის, მაგრამ მასში რამდენიმე საყურადღებო მომენტი იჩენს თავს. მათ შორის უმთავრესი არის ის, რომ პიესა დაიწერა ათენის განდიდების მოტივით. კერძოდ, ევრიპიდე თეატრში მოსულ საზოგადოებას შეახსენებდა, რომ ათენს ჰქონდა ღმერთისგან ნაბოძები უფლება, შეექმნა დემოკრატიულ პოლისთა გაერთიანება ტირანულ-ოლიგარქიული სპარტას წინააღმდეგ. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ სცენაზე თამაშდებოდა დემოკრატიული ათენის კანონმდებლობის ენკომიონი. ემი მოხსენების მიზანია ვაჩვენო, თუ როგორ ახერხებდა დრამატურგი ამ უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემათა წარმოდგენას ქალაქური სამეტყველო, ხშირად უხამსი ენით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს არისტოტელეს ცნობილ შეფასებას იმის თაობაზე, რომ ევრიპიდე „ხატავდა ადამიანებს ისეთებად, როგორებიც ისინი იყვნენ“ (Poet. XXV).

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **ირინე დარჩია**

2) მოხსენების სათაური: **ცალკეულ ცნებათა ახლებური ინტერპრეტაციისთვის ანდრეას ფლურაკისის პიესებში „მედეას ფეხი“ და „მედეას ბურკა“**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **სამეცნიერო კონფერენცია „ენა - ნორმა და დევიაცია“, თბილისი, 24-25 ნოემბერი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ცნობილი ბერძენი მწერლის, ანდრეას ფლურაკისის ორი პიესა „მედეას ფეხი“ და „მედეას ბურკა“ მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო, როგორც არგონავტების მითის თანამედროვე და თან საკმაოდ არაორდინალური ინტერპრეტაციები. ეს ნაწარმოებები მედეასა და იასონის ურთიერთობას წარმოგვიდგენს კოლხეთში, ოქროს საწმისის მოპოვებამდე და კორინთოში, მას შემდეგ, რაც მედეა ქმრის ღალატს შეიტყობს, მაგრამ შვილების მოკვლის ნაცვლად მათ უკან, კოლხეთში აგზავნის გემით.

ანდრეას ფლურაკისის აღნიშნული პიესები საინტერესოა როგორც „ნორმიდან გადახვევა“ არა მხოლოდ ძველი ბერძნული მითის შინაარსის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, არამედ ცალკეული ცნების უჩვეულო, „დერივაციული“ გამოყენების გამოც.

მოხსენება წარმოგვიდგენს ანდრეას ფლურაკისის ორ პიესას, სადაც – არგონავტების მითის ბევრი სხვა ინტერპრეტაციისგან განსხვავებით – „უცხოდ“ გვევლინება არა მედეა (როგორც მოსალოდნელი იყო), არამედ – იასონი. გარდა ამისა, მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ცნობილი ანტიკური ანტინომიური წყვილის „ბერძენი – ბარბაროსი“ უჩვეულო ინტერპრეტაცია და საგანგებო ადგილი დაეთმობა ზღვის, როგორც ქალური საწყისის აღქმას და მის გააზრებას არა ჩვეულ, მითოლოგიურ ან მხატვრულ კონტექსტში, არამედ თანამედროვე გენდერული ხედვებისა და წარმოდგენების თვალსაზრისით.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **ზაზა ხინთიბიძე**

2) მოხსენების სათაური: **ორობითი და მრავლობითი რიცხვით მისალმება "ილიადაში": ნორმა თუ დევიაცია?**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **სამეცნიერო კონფერენცია „ენა - ნორმა და დევიაცია", თბილისი, 24-25 ნოემბერი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ძველბერძნულ ენაში გამოიყენებოდა სამგვარი რიცხვის ფორმები: მხოლობითი ერთი სუბიექტისთვის, მრავლობითი ორზე მეტისთვის, ორობითი ორისთვის. „ილიადაში" ენობრივი ნორმის დარღვევის, დევიაციის, ყველაზე ცნობილი შემთხვევაა მეცხრე წიგნში ორზე მეტწევრიანი, ხუთკაციანი, ელჩობის ორობითი ფორმებით გადმოცემა. აღნიშნულს სხვადასხვაგვარად ხსნიან:

ორობითით ჩანაცვლებულია მრავლობითი: მაგრამ ჰომეროსი მრავლობითით ანაცვლებს ორობითს და არასდროს პირიქით;

ორობითი ფორმებით გადმოცემულია ორი ელჩი, ოდისევსი და აიასი, ფოინიქსი უგულებელყოფილია, როგორც ნაკლებმნიშვნელოვანი ანდა აქილევსის გასაფრთხილებლად დანარჩენ ელჩობაზე ადრე წასული, რის უსაფუძვლობასაც ამჟღავნებს მთელ ეპიზოდში სამივე ელჩისადმი თანაბარი დამოკიდებულება და აქილევსის გაოცება ელჩობის დანახვისას;

ორობითით აქილევსი ესალმება მხოლოდ ორ მაცნეს (რაც შეუძლებელია, რადგან მისალმების გარეშე ვერ დატოვებდა ორ უდიდეს გმირს და თავის ძიძას), ანდა აიას/ფოინიქსს, ტრადიციული მტრობის გამო კი ოდისევსს უგულებელყოფს (რაც, მეცხრე წიგნის რეალობებით, საფუძველმოკლებულია);

ჰომეროლოგთა უმრავლესობის ვარაუდით, სამი ელჩიდან ფოინიქსი ან აიასი გვიანაა ჩამატებული: ორობითი თავდაპირველად ასახავდა ორ ელჩს, ოდისევსსა და აიასს ან ფოინიქსს;

ზოგიერთი მკვლევარის, მათ შორის ჩემი, აზრით, ეს არის წარმოსახვითი ორობითი: ელჩობა გააზრებულია ორ ჯგუფად, ელჩებად და მაცნეებად.

ამგვარი ახსნა არ იქნა გაზიარებული: შესაძლებელია, წარმოვიდგინოთ ორჯგუფიანი ელჩობის აქილევსთან მისვლა, მაგრამ ხელოვნური იქნებოდა აქილევსის მისალმება ელჩობასთან, როგორც ორ ჯგუფთან. ეს არგუმენტი, ვფიქრობ, ირელევანტურია. აქილევსი ორობითით ესალმება ელჩობას, რომელსაც გაიაზრებს არა ორ ჯგუფად, არამედ ელჩებად და მაცნეებად: „მოგესალმებით ორთავეს, [ანუ ელჩებსაც და მაცნეებსაც]". ასევე შენიშნულია: აქილევსის ორობითით მისალმების ადრესატებია „ნამდვილი მეგობრები" და „აქაველთაგან უახლოესი მეგობრები". მეორე მიმართვას მხოლოდ 3 ელჩი შეესაბამება, ვფიქრობ, ისევ წარმოსახვითი წყვილი: აიას-ფოინიქსი და მათზე წინ, ცალკე მდგარი ოდისევსი.

მკვლევართათვის ასევე გაუგებარია: „ილიადის" პირველ წიგნში ბრისეისის წასაყვანად მისულ ორ მაცნეს აქილევსი მრავლობითით ესალმება, მეცხრე წიგნში ხუთ/სამკაციან ელჩობას

ორობითით. მისალმებისას ბერძნულში გამოიყენება ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმა: „გაიხარე/თ“. ამიტომ, ვფიქრობ, თუკი ვირტუალური წყვილის შემთხვევაში ორობითით მისალმებამ შესაძლებელია ხაზი გაუსვას მასპინძლისაგან ორივე წევრისადმი (ელჩები/მაცნეები) პატივისცემას, რეალურ წყვილთან მიმართებით (საგანგებო კონტექსტის არარსებობისას, როგორც აქაა) ორობითით მიმართვა ხელოვნური იქნებოდა: „მოგესალმებით ორივე მაცნეს“. ამიტომ ორობითს პოეტი ჩაანაცვლებს მრავლობითით, რაც ჰომეროსის ეპოსისათვის ნორმაა და არა დევიაცია.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **ანა ჩიქოვანი**

2) მოხსენების სათაური: **თანამედროვე ბერძნული ფოლკლორი - ანტიკურ წარსულთან ენობრივი კავშირის შესწავლის წყარო**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **სამეცნიერო კონფერენცია „ენა - ნორმა და დევიაცია“, თბილისი, 24-25 ნოემბერი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ენის ლექსიკური ჯგუფებისა და ფრაზეოლოგიის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ენაზე მოსაუბრე ხალხის კულტურის, ისტორიის, სამყაროს აღქმისა და რელიგიურ-რიტუალური წარმოდგენების შესასწავლად. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ბერძნული ენა, რომელიც ისტორიის რამდენიმე ათასწლეულს მოიცავს. თანამედროვე ბერძნული ხალხური ზეპირსიტყვიერების შესწავლისას გამოვლენილი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური მასალა დაედო საფუძვლად ბერძნული ენის უწყვეტობის მტკიცებულებებს.

ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებთან ერთად ძველი ბერძნული წეს-ჩვეულებებიც ცოცხლობს ტრადიციებში რაც აისახება ბერძენთა წარმოდგენებში როგორც ზეპირი გადმოცემების, ისე ლექსიკის დონეზე (ლექსიკური ერთეულები, იდიომატური გამოთქმები). მაგალითად, ფოლკლორში დაცული მოირების კავშირი ძაფის დართვასთან ლექსიკურ დონეზე ასახულია ფრაზეოლოგიაში, სადაც ადამიანის სიცოცხლე ძაფთანაა შედარებული. *κόπηκε/ σώθηκε η κλωστή του* გაწყდა მისი ძაფი – ეს ფრაზა ტიპიური ევფემიზმია და ნიშნავს - გარდაიცვალა. მსგავსი მნიშვნელობით იხმარება ოდნავ განსხვავებული მეტაფორა: *μαζώθηκε το κουβάρ' του* მისი (ძაფის) გორგალი ბოლომდეა დახვეული და სხვ. მსგავსი ნიმუშები ახალი ბერძნული ტრადიციების ძველ ბერძნულ ტრადიციებთან კავშირის ილუსტრაციას წარმოადგენს.

მოხსენებაში განვიხილავთ ლექსიკურ დონეზე ასახულ ურღვევ კავშირებს ანტიკურობასა და თანამედროვეობას შორის ახალი ბერძნული ენის ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში არსებულ მაგალითებზე დაყრდნობით და ფოლკლორში დაცული რწმენა-წარმოდგენების შესწავლის გზით.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **მედეა აბულაშვილი**

2) მოხსენების სათაური: **დევიანტური ქცევები ბერძნულ იდიომებში**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **სამეცნიერო კონფერენცია „ენა - ნორმა და დევიაცია“, თბილისი, 24-25 ნოემბერი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ადამიანისა თუ ეთნოსის ცნობიერება, აღქმა, ემოცია, მითოპოეტური მენტალობა, ქცევები და მიდგომები, ნორმები და ნორმიდან გადახვევები – ეს ყველაფერი არსად ისეთი მრავალფეროვნებით და ორიგინალობით არ ირეკლება, როგორც ენაში, განსაკუთებით კი მის სრულიად გამორჩეულ ფენომენში – იდიომსა და გამოთქმაში. დიდი დრო არაა გასული მას შემდეგ, რაც მეცნიერება მათი ფორმით დატვირთვით, მორფოლოგიური თუ სინტაქსური, ლექსიკური თუ სემანტიკური სტრუქტურითა და ხმარების სპეციფიკით დაინტერესდა. ფრაზეოლოგიური ერთეულები თავიანთი მზა ფორმებით, ლექსიკური ინვენტარით, ლინგვისტური და კულტუროლოგიური ასპექტებით, ასწლეულების მანძილზე დაგროვილი მძლავრი ენერგეტიკით, ჭეშმარიტების ლაკონური კონსტატირებით, ემოციის ეფექტურად გამოხატვით, ცნებითი აზროვნების ვირტუოზულობით, კულტურათაშორისი კომუნიკაციებით ყოველთვის საინტერესო იქნება ენათმეცნიერებისთვის, მთარგმნელებისთვის, ისტორიკოსებისთვის, ეთნოგრაფებისა თუ კულტუროლოგებისთვის.

ჩვენი ყურადღების არეალში ის ბერძნული იდიომები და გამოთქმები მოექცა, რომლებიც ძალადობას, ბულინგს, აშკარა დევიანტურ ქცევას გამოხატავენ. რა არის მათი წარმოშობის საფუძველი, როგორია მათი ლექსიკური ინვენტარი, რამდენად უკავშირდება მათი წარმოშობა წარსულში განხორციელებულ კონკრეტულ, არასტანდარტულ ქცევას? თუკი, მიღებული თეორიის თანახმად, არ შეიძლება დამნაშავე დევიაციასთან გავაიგივოთ, რა სოციალური მოლოდინები შეიძლება არსებობდეს მაშინ, როცა დევიანტური ქცევის გამომხატველ იდიომს ინდივიდი საუბარში იყენებს? რასაკვირველია, როგორც იდიომის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს, ისე არ გულისხმობს დევიანტური ქცევის შემცველი იდიომი კრიმინალური აქტის აუცილებელ და უპირობო განხორციელებას, თუმცა ბერძენი ხალხის სემანტიკური მეხსიერება ინახავს ისეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, როგორიცაა: „ბაგეებზე თევზს მაწვავს“ (κάποιος μου ψήνει το ψάρι στα χείλη), „ცხვირით ვათრევ“ (σέρνω από τη μύτη κάποιον), „თვალებს საკუთარი ხელით ვითხრი“ (βγάζω τα μάτια μου μόνος μου), „ვინმეს ლურსმნით ვაჭედებ“ (καρφώνω κάποιον),“ მეტიც: „სამყაროს ვაფუჭებ“ (χαλώ τον κόσμο).

ჩვენს მოხსენებაში სწორედ მსგავსი გამოთქმების თავმოყრასა და მეცნიერულ დამუშავებას შევეცდებით.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **ნანა ტონია**

2) მოხსენების სათაური: **ევრიპიდეს „ალკესტისი“: სატირული დრამა თუ კომედია?**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“, 2-4 დეკემბერი, ბათუმი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

მაშინ, როდესაც ევრიპიდეს „ალკესტისი“ დაიდგა ათენის სცენაზე (ძვ. წ. 438 წ.), კომედიები საფესტივალო პროგრამაში უკვე კარგა ხნის დამკვიდრებული იყო. ყოველი შემთხვევისათვის, კომედიების დიონისიების პროგრამაში ჩართვის თარიღად ძვ. წ. 486 წელს ასახელებენ.

წარმოდგენის დღეს „ალკესტისს“ ტეტრალოგიაში ბოლო, მეოთხე ადგილი ეკავა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ იგი სატირულ დრამად იყო მიჩნეული. მოგვიანებით, ანტიკურ ხანაშივე, ინტერპრეტატორთა ნაწილი ადასტურებდა ამ ქმნილების სატირულ დრამად წარმოდგენის აუცილებლობას. მკვლევართა ნაწილის აზრით, „ალკესტისი“ უფრო ტრაგედიის ნიშნების მატარებელი პიესაა, ვიდრე სატირული დრამისა; არსებობს მოსაზრება, რომ ეს პიესა კომედიად ან ტრაგი-კომედიად უნდა იქნეს მიჩნეული. კამათი დღემდე გრძელდება და იგი ჟანრის პრობლემებს ეხება. მიუხედავად ამისა, მკვლევართა აღიარებით, ეს ქმნილება ჟანრული სპეციფიკის თვალსაზრისით უნიკალურია არა მხოლოდ ევრიპიდეს, არამედ ძველი ბერძნული თეატრალური ხელოვნების ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშთა შორის.

ჩემი მოხსენების მიზანია, გარკვევა იმისა, თუ რამდენად აკმაყოფილებს ეს დრამა იმ ჟანრის პრინციპებს, რომელსაც მიაკუთვნებდნენ თავდაპირველად.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **ირინე დარჩია**

2) მოხსენების სათაური: **ანდრეას ფლურაკისის „მედეას ფეხი“ - არგონავტების მითის კომიკური ინტერპრეტაციისთვის**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“, 2-4 დეკემბერი, ბათუმი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენებაში განხილულია თანამედროვე ბერძენი მწერლის, ანდრეა ფლურაკისის ერთ-ერთი პიესა, „მედეას ფეხი“, მასში მოძიებული კომიკურ-გროტესკული ელემენტები და ნაწარმოების მიმართებები მენტის ბოსტანძოღლუს „მედეასთან“.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **იამზე გაგუა**

2) მოხსენების სათაური: **ქველმოქმედება ციცერონის თხზულებებსა და „ვეფხისტყაოსანში“**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“, 2-4 დეკემბერი, ბათუმი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **სოფიო შამანიდი**

2) მოხსენების სათაური: **აქილევსისა და აგამემნონის კონფლიქტი ახალ ბერძნულ ლიტერატურაში**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“, 2-4 დეკემბერი, ბათუმი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **რუსუდან ცანავა**

2) მოხსენების სათაური: **ანტიკური რეცეფციები სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“, 2-4 დეკემბერი, ბათუმი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **ეკატერინე კობახიძე**

2) მოხსენების სათაური: **ნონოსის „დიონისიაკას“ პასაჟი „ვეფხისტყაოსანში“**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **24-29 ივლისი 2022, თბილისი, ICLA (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის საერთაშორისო ასოციაცია) XXIII საერთაშორისო კონგრესი.**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **ნათია ფიფია, ეკატერინე კობახიძე**

2) მოხსენების სათაური: **რომაულ-იბერიული კონტაქტების საკითხისათვის (ამაზასპოსის ეპიტაფია)**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: 8-**10 სექტემბერი 2022; თბილისი, VII საერთაშორისო კონფერენცია “არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **მედეა აბულაშვილი**

2) მოხსენების სათაური: **ბერძნულ-ქართული ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდი**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **საერთაშორისო კონფერენცია "საქართველო და მსოფლიო (ინტერკულტურული ურთიერთობები)" - COGNIA (საერთაშორისო საგანმანათლებლო მომსახურება - აშშ) /თსუ, ონლაინ ფორმატი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **მანანა ფხაკაძე, ქეთევან გარდაფხაძე**

2) მოხსენების სათაური: **პირველი ქართული პოემა ტროის ომზე**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“, 2-4 დეკემბერი, ბათუმი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ტროის ომზე პირველი ქართული პოემა პირველ ქართველ აკადემიკოსს (თეიმურაზ ბატონიშვილი მისი მოწაფის, მარი ბროსეს წარდგინებით, 1837 პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად იქნა არჩეული) თეიმურაზ ბაგრატიონს ეკუთვნის. ტროის ომის აღმწერი ჰომეროსის „ილიადის“ ხსენება ძველი ქართული მწერლობისათვის უცხო არ არის. ჯერ კიდევ VII სუკუნიდან ვიდრე XiX საუკუნემდე მოხსენიებულია ჰომეროსი და მისი პოემები - „ილიადა“ და „ოდისეა“ ძველ ქართულ ორიგინალურ, ნათარგმანებ, ფილოსოფიურ, ისტორიულ ნაშრომებსა და სქოლიონებში; ასევე „ილიადის“ ცალკეული სტრიქონები ქართულ ენაზე თარგმნილსა თუ ძველ ქართულ ორიგინალურ თხზულებებში.

ჩვენთვის საინტერესო პოემა „ტროადის დარღვევა ანუ მეხაძის ვაშლის განმარტება“ თეიმურაზ ბატონიშვილმა თავისი არასრულად შემორჩენილი დღემდე აქტუალური ეროვნული სულისკვეთების პიესის „სამსახეობა რაინდისა“ განსამარტებლად დაწერა (შესაძლოა, ამიტომაც არ მიექცა სათანადო ყურადღება). მომცრო ზომის დიდაქტიკურ-ალეგორიული პოემა (423 სტრ.) ტროის ომის თითქმის მთელ მითოლოგიურ ციკლს (Discordiae malum-დან ვიდრე fuimus troiani, fuit troia-მდე) მოიცავს. სამეფოდაკარგული ბატონიშვილი რუსეთის იმპერიის პირდაპირ სახელდებას ერიდება და საქართველოს თანადროული ვითარების ალეგორიული ასახვის მოდელად ტროის დაცემის ამბავს ირჩევს, შესაბამისად, ნაკლებ ყურადღებას უთმობს ამ დიდი მითოლოგიური ციკლის მნიშვნელოვან ეპიზოდებს და უფრო ვრცლად აშუქებს ბერძენთა (დიდი იმპერიის) მზაკვრობებს.

მოხსენებაში დაწვრილებითაა განხილული ტროის ომის ტრადიციული მითოლოგიისგან განსხვავებული ტროის ომის პირველი ქართული პოემა „ტროადის დარღვევა ანუ მეხაძის ვაშლის განმარტება“ და გამოთქმულია ვარაუდი ამ პოეტური თხზულების შესაძლო პირველწყაროების შესახებ, რაც დიდი მეცნიერის თეიმურაზ ბატონიშვილის მრავალხრივი მოღვაწეობის მეტნაკლებად სრულად შესწავლისაკენ გადადგმული ერთი მცირედი ნაბიჯია.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **ქეთევან ნადარეიშვილი, მანანა ფხაკაძე**

2) მოხსენების სათაური: **Medea of Three Different Eras - Woman's Artistic Image as a Reflection of Epochal Tensions (Corneille, Legouve, Anouilh)**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **24-29 ივლისი 2022, თბილისი, ICLA (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის საერთაშორისო ასოციაცია) XXIII საერთაშორისო კონგრესი**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

https://openjournals.ge/index.php/icla/article/view/5858

7.2. უცხოეთში

7.2.1

იამზე გაგუა, ლელა ჩოთალიშვილი, ნინო ჯორბენაძე, ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, მცენარეთა ლათინური სახელების ქართულად გადმოტანის თავისებურებანი; საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის კონფერენცია რომი-2022; 17 დეკემბერი, ქ. რომი.

7.2.2

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Ekaterine Kobakhidze, The Symbol of Three-headed serpent in Etruscan Art (ეკატერინე კობახიძე, სამთავიანი გველის სიმბოლიკა ეტრუსკულ ხელოვნებაში), 25-27 მაისი, 2022, ფლორენცია (იტალია), CAMNES -Center for Ancient Mediterranean and Near Eastern Studies- ანტიკური ხანის ხმელთაშუა ზღვისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი. ღონისძიების სახელწოდება: ICAS 1- International Conference on the Archeology of Symbols (პირველი საერთაშორისო კონფერენცია სიმბოლოთა არქეოლოგიაზე).

7.2.3

2. Ekaterine Kobakhidze, Natia Phiphia, New Interpretations of Some Inscriptions from Mtskheta, Eastern Georgia (ეკატერინე კობახიძე, ნათია ფიფია, მცხეთაში აღმოჩენილი რამდენიმე წარწერის ინტერპტერაციისთვის, აღმოსავლეთი საქართველო), 29 აგვისტო- 2 სექტემბერი, ბორდო (საფრანგეთი),ბორდოს უნივერსიტეტი (Université de Bordeaux).ღონისძიების სახელწოდება: XVI Congressus Internationalis Epigraphiae Graecae et Latinae, ბერძნული და ლათინური ეპიგრაფიკის XVI საერთაშორისო კონგრესი.

7.2.4

3. Ekaterine Kobakhidze, Greek Inscriptions of Colchis as an historical source (ეკატერინე კობახიძე, კოლხეთის ბერძნული წარწერები როგორც საისტორიო წყარო), 26 სექტემბერი- 2 ოქტომბერი; თესალონიკი (საბერძნეთი); საერთაშორისო ელინური უნივერსიტეტი. (International Hellenic University) Seventh International Congress on Black Sea Antiquities, The Black Sea: Hub of peoples and cultures (8th century BC- 5th/6th century BC)- მეშვიდე საერთაშორისო კონგრესი შავი ზღვის სიძველეების შესახებ. შავი ზღვა: ხალხთა და კულტურათა კერა (ძვ. წ. VIII ს.–ახ. წ. V/VI სს).

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2.5

1) მომხსენებელი/მომხსენებლები: **მედეა აბულაშვილი**

2) მოხსენების სათაური: **ბერძნული ენის გავრცელება და პოპულარიზაცია საქართველოში /პლენარული მოხსენება/**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: **ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა 35-ე საერთაშორისო კონფერენცია, ქ. პატრა, საბერძნეთი, 2022**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**

*** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.**

*** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.**

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შრომების სია (2022 წელი)

1) მონოგრაფიები:

ენციკლოპედია Caucasus Antiquus - ანტიკური კავკასია, I ტომი, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, რედ.: რისმაგ გორდეზიანი, მაია დანელია, გიორგი უგულავა, საგამომცემლო ჯგუფი: ნინო დიანოსაშვილი, ეკატერინე კვირკველია, თამარ ჯაფარიძე, ავტორთა კოლექტივი (ქ. ნადარეიშვილი, ი. დარჩია და სხვ.), ISBN 978-9941-9743-7-3, თბილისი: ლოგოსი, 2022, 759 გვერდი

რისმაგ გორდეზიანი, ეკატერინე კობახიძე, ეტრუსკები - ანტიკური სამყაროს ტრიტაგონისტები, ISBN 978-9941-35-112-2 ; თბილისი, პალიტრა L, 2022

ევრიპიდე, „მედეა“. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო ნანა ტონიამ. ISBN 978-9941-48-29-2; თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“, 2022 (მეორე გამოცემა)

დიმიტრის ნოლასი, "დაბრუნება საბერძნეთში", ბერძნულიდან თარგმნა ანა ჩიქოვანმა, თბილისი, საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“, 2022, ISBN 978-9941-9743-8-0

2) კრებულები:

Phasis – Greek and Roman Studies, Volume 24, Tbilisi, Publishing Program “Logos”, 2021; ISSN 1512-1046, ინდექსირებულია საერთაშორისო ბაზა ERIH-PLUS-ში (გამოქვეყნდა 2022 წლის შემოდგომაზე)

„ლოგოსი“, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, N 8, საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2022, ISBN: 978-9941-468-75-9

სამეცნიერო კონფერენცია „ენა - ნორმა და დევიაცია“, ეძღვნება თინათინ გიორგობიანის დაბადებიდან 80-ე წლისთავს, კონფერენციის პროგრამა და თეზისები, საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2022, ISBN: 978-9941-9744-3-4

3) სახელმძღვანელოები:

ასპარეზზე გამოდიან გმირები. თხრობა და კომენტარები **ნანა ტონიასი და მანანა ღარიბაშვილის**, ISBN 99928-65-11-3 (სერია), თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“, 254 გვ. (მეოთხე გამოცემა).

4) საქართველოში დაბეჭდილი სტატიები:

ნანა ტონია, "ქიმერების მარულა" (ფანტასმაგორია, მითი, კულტი და ანტიკურობა ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში), https://doi.org/10.48614/logos.8.2022.53, ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, ტ. 8 , 2022; თბილისი, ლოგოსი, გვ. 53-7

Tina Dolidze, Conference Report. Online Patristic Conference "Topical Problems of Patristic Studies in the Georgian Section of the Association Internationale d' Études Patristiques/International Association of Patristic Studies", Phasis 24, 2021, pp. 123-129, ISSN 1512-1046 (გამოქვეყნდა 2022 წლის შემოდგომაზე)

Ketevan Nadareishvili, "Medea the Feminist and Medea the Other in Modern Georgian Receptions;" Phasis – Greek and Roman Studies, #24; ISSN: 1512-1046; volume XXIV, issue 3, Tbilisi, Logos, 2021; ISSN 1512-1046 (58-97), https://doi.org/10.48614/phasis.24.2021.58-97 (გამოქვეყნდა 2022 წლის შემოდგომაზე)

5) უცხოეთში დაბეჭდილი სტატიები:

Ana Chikovani, *Τα ήθη και τα έθιμα στα έργα του Στρατή Μυριβήλη* (ხალხური წეს-ჩვეულებების ასახვა სტრატის მირივილისის შემოქმედებაში, ბერძნულ ენაზე), კრებულში: Hellenism and the Balkans: two-way relationships: language, history, literature, culture (1453-2019), 4th Balkan Congress of Modern Greek Studies, Edited by Manolis G. Varvounis – Thanasis V. Kougkoulos Volume 3.1, გვ. 152-165, გამომცემლობა: Παρατηρητής της Θράκης, ISBN 978-618-5001-92-6 | ISBN (SET) 978-618-5001-89-6 ISBN E-BOOK 978-618-5001-96-4 | ISBN E-BOOK (SET) 978-618-5001-93-3, Komotini 2022

იამზე გაგუა, ლელა ჩოთალიშვილი, ნინო ჯორბენაძე, ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, მცენარეთა ლათინური სახელების ქართულად გადმოტანის თავისებურებანი; საერთაშორისო აკადემიური ინსტიტუტის აკადემიური კონფერენციის მასალები; რომის აკადემიური კონფერენცია - 19 სექტემბერი, 2022 წელი, ISSN 2671-3179; რომი, რომის აკადემიური კონფერენციის გამომცემლობა; გვ. 87-92

Ekaterine Kobakhidze, Metaia, DOI: 10.25205/1995-4328-2022-16-1-54-87; Schole (Ancient Philosophy and the Classical Tradition), volume XVI, issue 1, Novosibirsk State University, Russian Federation ISSN 1995-4328 (print); ISSN 1995-4336 (online), 54-87 (33 გვ); https://classics.nsu.ru/schole/page4.html

Levan Gigineishvili, *Henads as divine images: the epistemological and ontological significance of inner light and creation of a new subjectivity in Ioane Petritsi's metaphysics.*In: D. Calma (ed.), Reading Proclus and the Book of Causes. Vol. 3. Translations and Acculturations, Leiden / Boston, Brill, coll. Studies in Platonism, Neoplatonism, and the Platonic Tradition, 2022, pp. 168-177. (ჰენადები

როგორც ღვთის ხატები: შინაგანი ნათლის ეპისტემოლოგიური და ონტოლოგიური მნიშვნელობა და ახალი სუბიექტურობა იოანე პეტრიწის მეტაფიზიკაში).

კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ინსტიტუტის ხელმძღვანელი პროფესორი ნინო ჩიქოვანი
ასოცირებული პროფესორები: ქეთევან კაკიტელაშვილი, ივანე წერეთელი, ირაკლი ჩხაიძე
ასისტენტი პროფესორი მაია ქვრივიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტი „საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობის გზაზე“. მიმართულება - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი, ქვე-მიმართულება - ჰუმანიტარული მეცნიერებები. FR-18-3459. 2019-2022.

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ნინო ჩიქოვანი - მკვლევარი, პროექტის ხელმძღვანელი
ქეთევან კაკიტელაშვილი - მკვლევარი
ივანე წერეთელი - მკვლევარი
ირაკლი ჩხაიძე - მკვლევარი
მაია ქვრივიშვილი - მკვლევარი
ქეთევან ეფაძე - დოქტორანტი, მკვლევარი

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტი „პოპულიზმი საქართველოში: დასავლეთის წინააღმდეგობრივი სახე ქართულ საჯარო დისკურსში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ“. მიმართულება - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი, ქვე-მიმართულება - ჰუმანიტარული მეცნიერებები. FR-18-1461. 2019-2022.

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ირაკლი ჩხაიძე - მკვლევარი, პროექტის ხელმძღვანელი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტის ფარგლებში გაწეული კვლევითი მუშაობის შედეგები აისახა მონოგრაფიაში „საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე. მასში შესწავლილია საბჭოთა კავშირის ბოლო და დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოში მიმდინარე რთული და წინააღმდეგობრივი პროცესები, რომლებიც მნიშვნელოვან ტეხილს ქმნიან თანამედროვე საქართველოს ისტორიაში. კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის თეორიათა,

აგრეთვე გამარჯვების ტრავმის კონცეფციის ჩარჩოში გამოკვლეულია ამ გარდამტეხი მოვლენების აღქმა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მიერ.

მიუხედავად საერთო ტრავმული ბუნებისა, 1980-90-იანი წლების მოვლენების აღქმა და საზოგადოებაზე მათი გავლენა ერთგვაროვანი არ ყოფილა. ზოგიერთმა მსხვერპლიანმა და ტრაგიკულმა ფაქტმა, ტკივილთან ერთად, ტრიუმფის როგორც მსხვერპლით მოპოვებული გამარჯვების განცდა დაბადა, ზოგიერთმა კი - სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობა და მისი დავიწყების სურვილი. ავტორთა დასკვნით, 9 აპრილი კოლექტიურ მეხსიერებაში პარადიგმულ მოვლენად დამკვიდრდა, რომელმაც ტრაგედიის ადგილიც პარადიგმული მნიშვნელობის მქონე სივრცედ ჩამოაყალიბა. 9 აპრილისაგან განსხვავებით, თბილისის ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერების მკაფიო კონსტრუირება ვერ მოხერხდა და ისინი დღემდე დარჩა ურთიერთდაპირისპირებულ და, ზოგჯერ, შეურიგებელ ჯგუფებად დაყოფის წყაროდ.

დაპირისპირებულმა მხარეებმა წინააღმდეგობრივი ნარატივები შექმნეს, რომელთა შორის შეხების წერტილები, დროთა განმავლობაში, თითქოს, მოიძებნა, მაგრამ ომის მძიმე გამოცდილებისადმი მათი დამოკიდებულება განსხვავებული დარჩა. ტრავმის მატარებელმა ჯგუფებმა (პოლიტიკურმა და კულტურულმა ელიტამ, დაპირისპირებულმა მხარეებმა) ვერ შეძლეს მოვლენისათვის მკაფიო მნიშვნელობის მინიჭება და მისი სიმბოლური რეპრეზენტაცია გავლენის ნარატივის სახით. ამის გამო, კითხვები - რა მოხდა? ვინ არის მსხვერპლი? როგორია მსხვერპლისა და დანარჩენი საზოგადოების დამოკიდებულება? ვინ არის დამნაშავე და პასუხისმგებელი? - მკაფიო პასუხების გარეშე დარჩა. საბოლოოდ, ჩამოყალიბდა ომის მონაწილე ჯგუფების ჩაკეტილი, ჰერმეტულად დალუქული ნარატივები. სამოქალაქო დაპირისპირება, როგორც ტრავმული მოვლენა, ვერ მოთავსდა მნიშვნელობათა კულტურულ სისტემაში, რაც აუცილებელია მოვლენის კულტურულ ტრავმად ჩამოყალიბებისათვის. თბილისის ომსა და მომდევნო სამოქალაქო დაპირისპირებას არ მოეძებნა შესაბამისი *პრეფიგურაცია* - ძველი სტიმული რეზონანსის სფეროში. სამოქალაქო დაპირისპირების გაზიარებული ნარატივისა და მასზე დაფუძნებული მეხსიერების ჩამოუყალიბებლობაში თავისი როლი შეასრულა 90-იანებში შექმნილმა რთულმა ვითარებამ. დროის მოკლე მონაკვეთში განვითარებული მძიმე მოვლენები ერთმანეთს გადაფარავდა და ნაკლებად ტოვებდა სივრცეს მათი გააზრებისა და რეპრეზენტაციისათვის. ეს გარდამტეხი ცვლილებები ზემოქმედებდა რიგითი ადამიანების ცხოვრებაზე, განწყობაზე, მსოფლხედვასა და იდენტობაზე, აღიბეჭდებოდა მათ მეხსიერებაში.

კვლევამ მკაფიოდ წარმოაჩინა 90-იანი წლების ტრავმული გარემოს - შიშის, სასოწარკვეთის, დაუცველობის, დაბნეულობის და უპერსპექტივობის დამთრგუნველი განცდის - ჩამოყალიბების პროცესი, რომელმაც მოიცვა სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები. ისინი მოულოდნელად აღმოჩნდნენ გარემოში, რომელთანაც მათი ღირებულებათა სისტემა და მორალური პრინციპები შეუთავსებელი იყო. გამოიკვეთა ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა ტრავმული გარემოს შექმნა; ტრავმულ მოვლენათა მწკრივის ძირითადი მომენტები; ტრავმის მატარებელი ჯგუფები; ტრავმული და ტრიუმფალური მოვლენების ინსტიტუციონალიზაციის ფორმები; მათი გავლენა იდენტობის ტრანსფორმაციასა და ახალი იდენტობ(ებ)ის ფორმირებაზე. 90-იანების გარემოს აღქმის თავისებურებები ნათლად აისახა დამოუკიდებლობის შემდგომ შექმნილ მხატვრულ ლიტერატურაში, რომელიც, ერთი მხრივ, აცოცხლებს 1980-90-იანების ძირითად მოვლენებს და ტრავმულ გარემოს, მეორე მხრივ, თავად „ქმნის“ იმდროინდელ სამყაროს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლიტერატურული ტექსტები ბიძგს აძლევს მოვლენათა მუდმივ გააზრებას და ტრავმის გადალახვას. სხვა მედიუმებთან ერთად და, შესაძლოა, მათზე უფრო მკაფიოდაც, ლიტერატურულმა ტექსტებმა წარმოაჩინა 1990-იანი წლები როგორც გამარჯვების ტრავმა, 9 აპრილი როგორც ტრიუმფისა და ტრავმის მომცველი, მკაფიოდ კონსტრუირებული პარადიგმული მოვლენა და სამოქალაქო დაპირისპირება, როგორც არაარტიკულირებული, ბოლომდე ჩამოუყალიბებელი ტკივილი.

2022 წლის 6-7 მაისს ბუდაპეშტში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში, ჩატარდა ვორკშოპი, რომელზეც წარდგენილ იქნა წიგნი „საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე.“ მონაწილეობდნენ წიგნის ავტორები, პროექტის კონსულტანტი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი ბალაშ ტრენშენი, ისტორიის დეპარტამენტისა და დემოკრატიის ინსტიტუტის პროფესორები და მკვლევრები. წიგნის განხილვა მოეწყო ასევე გოტინგენის უნივერსიტეტში.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლების პროცესში, სხვადასხვა საგანში, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში. ისინი, შესაძლოა, საფუძვლად დაედოს შემდგომ კვლევას რამდენიმე მიმართულებით, ასევე საინტერესო იყოს მკითხველთა ფართო წრისათვის, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს უახლოესი წარსულით.

2. პროექტით განსაზღვრული ძირითადი ამოცანები მოიცავდა საკვლევ ეპოქასთან დაკავშირებული ემპირიული მასალის მოძიებას და სისმეტატიზაციას, აკადემიური სტატიისთვის საბაზისო ტექსტის შექმნას, სტატიის მომზადებას, სტრუქტურირებას და გაგზავნას გამოსაცემად, კონფერენციის ჩატარებას, საბოლოო მონოგრაფიული ნაშრომის მომზადებას და გამოცემას.

დასახული ამოცანები წარმატებით განხორციელდა. ჩატარდა კვლევა, დამუშავდა და გაანალიზდა ემპირიული მასალა, კვლევის თეორიული საფუძველი და ფაქტობრივი მონაცემები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი. მომზადდა ორი აკადემიური სტატია. ერთი მათგანი უკვე გამოცემულია რეიტინგული საერთაშორისო გამომცემლობის მიერ. მეორე მიღებულია გამოსაცემად. გარდა ამისა, მომზადდა არაერთი საკონფერენციო მოხსენება, რომელიც წარდგენილი იქნა რამდენიმე მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციაზე საზღვარგარეთ, კერძოდ: 2020 წლის 17-18 თებერვალს მონაწილეობა მივიღე ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (ბუდაპეშტი) ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაში „ნაციონალისტური ისტორიოგრაფია პოსტკომუნისტურ სამხრეთ კავკასიაში“, რომელიც შეეხებოდა ტრანზიციის პერიოდში წარსულის კვლევის მნიშვნელოვან პრობლემებს. 2019 წლის 20-22 ივნისს ვნონაწილეობდი ევროპეისტთა 26-ე საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ჩატარდა ქ. მადრიდში კოლუმბიის უნივერსიტეტის (აშშ) ევროპული კვლევების საბჭოს ორგანიზებით, მოხსენებაში „ევროპული ინტეგრაცია: საქართველოს სუვერენიტეტის საფრთხე თუ გარანტია?“, თანამედროვე თეორიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, გავაანალიზე საქართველოს დასავლური ინტეგრაციის პროცესი და ამ პროცესის წინააღმდეგ არსებული საფრთხეები.

2019 წლის 7-9 ნოემბერს მონაწილეობა მივიღე ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზებით ქ. სოფიაში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში „სოციალიზმის გააზრება: სოციალისტური წარსულის ცოდნა, მეხსიერება და დავიწყება“. ღონისძიებაზე წარვადგინე მოხსენება „სოციალიზმიდან ნაციონალიზმისკენ: ეროვნული პოპულიზმი საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ“. მოხსენების აბსტრაქტი (ინგლისურ ენაზე) დაიბეჭდა კონფერენციის მასალებში, რომელიც თან ერთვის ანგარიშს. 2019 წლის 25-26 ნოემბერს მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო კონფერენციაში “ნაციონალიზმი ტრანსნაციონალურ ეპოქაში“, რომელიც ჩატარდა ნორვეგიაში (ქ. ბოდო). ღონისძიებაზე წარვადგინე მოხსენება „“ანგელოზი“ „დემონის“ პირისპირ: პოპულისტური ნაციონალიზმი და დასავლეთი საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ“. კონფერენციის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ცნობილმა გერმანულმა გამოცემამ De Gruyter გამოსცა ანთოლოგია „ნაციონალიზმი ტრანსნაციონალურ ეპოქაში“, სადაც სტატიის სახით დაიბეჭდა ჩემი მოხსენება. ვფიქრობ, რომ ეს ფაქტი მნიშვნელოვანი მიღწევაა კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა ფინანსურად უზრუნველყოფილი იქნა როგორც პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხით, ასევე ჩემს მიერ დამოუკიდებლად მოძიებული ფინანსებით.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა კიდევ ერთი სტატია „ეროვნული პოპულიზმის საწყისები პოსტსაბჭოთა საქართველოში“, რომელიც გამოქვეყნდება ჟურნალში „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“ 2022 წლის ივნისში. აღნიშნული პერიოდული გამოცემა იძებნება რამდენიმე საერთაშორისო მონაცემთა, ბაზაში, მათ შორის, ERIHplus-ში.

პროექტის ერთ-ერთი შედეგი იყო ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება წამყვანი მკვლევრების მონაწილეობით. კონფერენცია ჩატარდა 2020 წლის 10 დეკემბერს. მას ჰქონდა მკვეთრად ინტერდისციპლინური ხასიათი. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს ქართველი ერის მშენებლობის საკვანძო საკითხები და ძირითადი გამოწვევები.

პროექტის საბოლოო შედეგებმა თავი მოიყარა მონოგრაფიაში, რომელიც დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ივანე წერეთელი, ირაკლი ჩხაიძე, ქეთევან ეფაძე. საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე. ISBN 978-9941-9796-4-4. გამომც. „სამშობლო“, თბილისი, 2022, 680 გვ.

2. ირაკლი ჩხაიძე. „ანგელოზი“ „დემონის“ პირისპირ: დასავლეთის წინააღმდეგობრივი სახე საქართველოში. ISBN 978-9941-33-231-9. გამომცემლობა „უნივერსალი.“ თბილისი, 2022.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე მოვლენებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში და მისი სამომავლო განვითარება განსაზღვრა. საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესწავლას უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე ქართველი და უცხოელი მეცნიერების მრავალი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა. გამოვლენილი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია საყურადღებო დოკუმენტები, დადგენილია ფაქტები, გაანალიზებულია ისტორიული და პოლიტიკური პროცესები.

XX საუკუნის შუა ხანებიდან საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცა კულტურული ტრავმის ფენომენი, მისი კავშირი კოლექტიურ მეხსიერებასთან, იმის შესწავლა, თუ რა როლს ასრულებს *წარსული აწმყოში*, რა გავლენას ახდენს იგი ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებასა და გარდაქმნაზე. ჩვენს ნაშრომში, კულტურის კვლევათა პარადიგმულ ჩარჩოში, შესწავლილია საბჭოთა კავშირის უკანასკნელ და დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოში განვითარებული პროცესები. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში დაგროვილი ცოდნა, გამოქვეყნებული ემპირიული მასალა და ჩვენ მიერ მოძიებული მონაცემები გაანალიზებულია კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის თეორიათა, ასევე *გამარჯვების ტრავმის* კონცეფციის ჭრილში.

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესს, დამოუკიდებლობის აღდგენას და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რადიკალურ ცვლილებას თან ახლდა არაერთი მოულოდნელი და მტკივნეული მოვლენა: 1989 წლის 9 აპრილი, 1991-1992 წლების თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება მთლიანად ქვეყანაში, კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ბუნებრივი კატაკლიზმები (მეწყერები, მიწისძვრები, წყალდიდობები), ეკონომიკური კოლაფსი და მისგან გამომდინარე სოციალური სიდუხჭირე, ენერგოკრიზისი, სიბნელე, სიცივე, უტრანსპორტობა და უგაზობა. ეს პროცესები, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა შემდგომი პერიოდის სოციალური ურთიერთობების სახე, სიმბოლოები, ფასეულობები, ნორმები და კანონები, ჩვენი აზრით, ზუსტად შეესაბამება „გამარჯვების ტრავმას“ – „ცვლილებას, რომელიც ცალსახად ფასდება როგორც სასურველი და პროგრესული, რომელსაც ენთუზიაზმით ხვდებიან, მაგრამ ამავე დროს ის წარმოშობს ტრავმას, ზოგიერთი საზოგადოებისთვის მაინც.“ მიუხედავად საერთო ტრავმული ბუნებისა, 1980-90-იანი წლების მოვლენების აღქმა და საზოგადოებაზე მათი გავლენა ერთგვაროვანი არ ყოფილა. ზოგიერთმა მსხვერპლიანმა და ტრაგიკულმა ფაქტმა, კოლექტიური აღქმის დონეზე, ტკივილთან ერთად, ტრიუმფის როგორც მსხვერპლით მოპოვებული გამარჯვების განცდა დაბადა, ზოგიერთმა კი - სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობა და მისი დავიწყების სურვილი. ამიტომ, მათი გააზრებისათვის, კულტურული ტრავმის დამკვიდრებულ კონცეფციასთან ერთად, საჭიროდ მივიჩნიეთ ტრიუმფის ცნების შემოტანა.

ჩვენს ნაშრომს რამდენიმე მიზანი აქვს: პირველი - ესაა კულტურული ტრავმის კონცეფციის, გამარჯვების ტრავმისა და კოლექტიური მეხსიერების თეორიების საფუძველზე 1980-1990-იანი წლების საქართველოს რეალობის გაანალიზება, ამ პერიოდში მომხდარი მოვლენების აღქმისა და მათთვის მნიშვნელობათა მინიჭების დინამიკის შესწავლა. მეორე მიზანია 1980-1990-იანი წლების მიჯნის ტრავმული მოვლენების მნიშვნელობათა კონსტრუირებისა და ინსტიტუციონალიზაციის პროცესის შესწავლა და კოლექტიურ მეხსიერებაში მათი ადგილის ჩვენება. მესამე მიზანია იდენტობის

ტრანსფორმაციასა და ახალი იდენტობ(ებ)ის ფორმირებაზე, ინდივიდებისა და ჯგუფების მსოფლმხედველობაზე, ღირებულებებსა და ცხოვრების წესზე ტრავმის გავლენის გამოკვლევა.

ჩვენი ნაშრომი ერთ-ერთი პირველია, სადაც კულტურული ტრავმისა და კოლექტიური მეხსიერების თეორიათა გამოყენებით არის ახსნილი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეტაპზე მიმდინარე პროცესები. შემოთავაზებულია უახლოესი წარსულისა და მიმდინარე მოვლენების კვლევის ახალ პერსპექტივა, რაც 1980-1990-იანი წლების რეალობის უკეთ გააზრების საშუალებას იძლევა.

2. 1980-იანი წლების ბოლოდან, დამოუკიდებლობა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში აღმოცენებული ეროვნული მოძრაობის უმთავრესი მიზანი გახდა. მიზნის მიღწევისა და სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ, 1990-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა საზოგადოებისთვის მძიმე პრობლემად იქცა. საბჭოთა სისტემის დეკონსტრუქციის პროცესში, ქართველებმა იდენტობის ახალი კონსტრუქციისა და საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილის ძიება დაიწყეს. ამ დროიდან, იდეამ ქართველთა ევროპული წარმოშობისა და დასავლეთთან მჭიდრო კავშირის შესახებ მყარად მოიკიდა ფეხი საჯარო და აკადემიურ სივრცეებში. „ევროპელობის“ იდეა ჯერ კიდევ თამაშობს საკვანძო როლს ქართული იდენტობის ფორმირების პროცესში, თუმცა, დასავლეთისადმი დამოკიდებულება არ არის ცალსახად პოზიტიური. სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მცდელობის პარალელურად, რომელიც ნაციონალური პროექტის ძირითად გზავნილად იქცა, დასავლეთისადმი შიშმა და უნდობლობამ თანდათან დაიპყრო ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი. სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები დასავლეთის დემონიზებას ახდენენ, რომელიც, დიდი ისტორიის მქონე, ტრადიციულ, ორთოდოქსულ ქვეყანას ემუქრება. გამოკვლევა მიზნად ისახავს დასავლეთის იდეალიზაციისა და დემონიზაციის დაპირისპირებული, თუმცა, ამავე დროს, მჭიდროდ გადაჯაჭვული ტენდენციის შესწავლას საქართველოს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში. კვლევის ქრონოლოგია არ არის მკაფიოდ შემოსაზღვრული. დასავლეთის წინააღმდეგობრივი აღქმის გასააზრებლად, აუცილებელია, შევეხოთ საქართველოს პირველ დამოუკიდებლობას მე-20 საუკუნის დასაწყისში, მის წინა და მომდევნო პერიოდებს, რადგან დასავლურ სამყაროსთან დაკავშირებით შექნილმა მაშინდელმა პარადიგმებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოსტსაბჭოთა დამოუკიდებლობის დასაწყისში და დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. წიგნში ასევე გაანალიზებულია საქართველოში პოპულიზმის თავისებურებები. გამომდინარე კვლევის სტრატეგიიდან, გადავწყვიტე ქრონოლოგიური ჩარჩო არ ყოფილიყო მკაცრად განსაზღვრული, რადგან დასავლეთისადმი დამოკიდებულებისა და პოპულიზმის მიმართების შესწავლა მოითხოვს დროში გაშლილ ფაქტებსა და მოვლენებზე კონცენტრაციას, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიებას.

იდენტობის, ეროვნული ერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების კვლევა საქართველოში ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების შედარებით ახალი მიმართულებაა. ამ კუთხით ბევრი პრობლემური საკითხი საჭიროებს თანამედროვე თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით გააზრებას. ცოტაა იმ ნაშრომების რიცხვი, რომლებიც საკვლევ პრობლემას ჩვენთვის საინტერესო პერსპექტივიდან განიხილავს. მიუხედავად მდიდარი და მრავალფეროვანი ემპირიული მასალისა, მისი დიდი ნაწილი არ არის სათანადოდ სისტემატიზებული და კონტექსტუალიზებული რელევანტური თეორიული ჩარჩოს საფუძველზე. წარმოდგენილი ნაშრომი ცდილობს მცირე წვლილი შეიტანოს ამ ხარვეზის გამოსწორებაში. კომბინირებული თეორიული მოდელის გამოყენებით, შევეცდები, მკითხველს განსხვავებული პერსპექტივიდან დავანახო საკითხები, რომლებიც განმსაზღვრელ როლს თამაშობდა თანამედროვე ქართველი ერის ფორმირების სხვადასხვა ეტაპზე და დღემდე მწვავე საჯარო დისკუსიის საგნად რჩება.

პრობლემა, რომლის გაანალიზებას გამოკვლევის ფარგლებში ვცდილობთ, საქართველოს უახლესი ისტორიის ნაწილია. საკვლევ პერიოდებში განვითარებულმა პროცესებმა დიდწილად განაპირობა საქართველოს საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა, ასევე დამოუკიდებლობის

შემდგომი ტრანზიციის პერიოდში მიღწეული წარმატებები თუ განცდილი მარცხი. საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ განვლილი გზის კრიტიკული ანალიზი. პროცესების იდენტობის კვლევების პერსპექტივიდან შესწავლა ხელს შეუწყობს როგორც უახლესი წარსულის ხელახალ გააზრებას, ასევე საქართველოში განვითარებული მოვლენების რეგიონული და საერთაშორისო კონტექსტის განსაზღვრას.

კვლევის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელთა საჯარო გამოსვლები, მიმართვები, ინტერვიუები, ოფიციალური დოკუმენტები, აკადემიური და ჟურნალისტური ნაშრომები, რომლებიც ქმნიან საზოგადოებრივ დისკურსს ამა თუ იმ საკითხის გარშემო. საჯარო დისკურსი კონსტრუირებული ფენომენია, რომელიც ელიტების მიერ ყალიბდება და პოლიტიკური კონტექსტის ცვლილებასთან ერთად განიცდის ტრანსფორმაციას.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ნინო ჩიქოვანი.** მთაწმინდის პანთეონი: მეხსიერების ადგილი და იდენტობის სიმბოლო. თავი წიგნში: მეხსიერების ადგილები და ქართული ნაციონალური იდენტობის სიმბოლური გარემო. ISBN 978-9941-18-380-5. ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც., თბილისი, 2022, გვ. 58-94.
2. **ქეთევან კაკიტელაშვილი,** ირაკლი ჩხაიძე. ილია ჭავჭავაძე: ეროვნული ფიგურა როგორც მეხსიერების ადგილი (1910-1940-იანი წლები). თავი წიგნში: მეხსიერების ადგილები და ქართული ნაციონალური იდენტობის სიმბოლური გარემო. ISBN 978-9941-18-380-5. ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც., თბილისი, 2022, გვ. 26-57.
3. **ირაკლი ჩხაიძე.** ეროვნული პოპულიზმის საწყისები პოსტსაბჭოთა საქართველოში. ჟურნალი „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია.“ #7 (2022). გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 487-499.
4. **მაია ქვრივიშვილი,** რუსული იმპერიალიზმი და ბრძოლა საქართველოსთვის (1917-30წწ.) , VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, შრომები, ISSN – 1987-7323. E-ISSN 27 20-7900. ქუთაისი 2022. გვ. 321-329.
5. **მაია ქვრივიშვილი,** ქართული იდენტობის ფორმირება და რუსიფიკატორული პოლიტიკა (რამდენიმე ასპექტი). “. აბრეშუმის გზის მე-17 საერთაშორისო კონფერენცია, მასალების კრებული #17. ISBN: 978-9941-8-3942-9

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში შესწავლილია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი, როგორც მეხსიერების ადგილი და ქართული იდენტობის სიმბოლო. პანთეონის სტატუსმა ბევრი რამ განსაზღვრა მთაწმინდის შემდგომ ისტორიაში - როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე მისი დასრულების შემდეგ. ჩვენი მიზანია, თვალი მივადევნოთ პანთეონის იდეისა და ამ ადგილის ტრანსფორმაციას თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში; ვნახოთ, როგორ და რატომ იცვლებოდა მისთვის მინიჭებული მნიშვნელობები, რომელთა საფუძველზე ყალიბდებოდა საერთო მეხსიერება - ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მსაზღვრელი. რა არის პანთეონის იდეა დღევანდელ საქართველოში? როგორ მოიაზრება პანთეონი: „ღმერთებივით პატივსაცემი“ ადამინების სამუდამო განსასვენებლად, ამა თუ იმ სფეროში ღვაწლმოსილ ადამიანთა საპატიო სასაფლაოდ თუ სახელმწიფო სასაფლაოდ, სადაც დაკრძალვა გამორჩეულობის ან, როგორც ხშირად ამბობენ, პრესტიჟულობის ნიშნით ხდება? სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაიმარჯვა თუ არა პანთეონის იდეამ საქართველოში?

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია კოლექტიური მეხსიერების თეორია. მორის ჰალბვაქსის კონცეფცია მეხსიერების როგორც კონსტრუირებული ფენომენის შესახებ საშუალებას გვაძლევს, მთაწმინდის პანთეონის მაგალითზე, თვალი მივადევნოთ ხერხებსა და საშუალებებს, რომელთა გამოყენებით ხდებოდა ფაქტებისა და მოვლენების გააზრება, დამახსოვრება და ხელახლა გააზრება თითქმის საუკუნის განმავლობაში, აგრეთვე იმას, თუ რა იყო „ზემოდან ქვემოთ“ შეთავაზებული დასამახსოვრებლად/დასავიწყებლად და რამდენად „მუშაობდა“ ეს შეთავაზებები სხვადასხვა პერიოდში. იან და ალეიდა ასმანების იდეა კოლექტიური მეხსიერების როგორც ფენომენის შესახებ, რომელიც კრავს, ამჭიდროებს კოლექტივს და აყალიბებს კოლექტიურ იდენტობას, გვაძლევს შესაძლებლობას, გავიაზროთ საკუთარი ვინაობა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ დონეზე. ჩვენთვის საყურადღებო იყო ასევე ასმანების მიერ დამკვიდრებული კომუნიკაციური და კულტურული მეხსიერების ცნებები, რამდენადაც მთაწმინდის პანთეონის ისტორია კომუნიკაციური და კულტურული მეხსიერების გადაკვეთის საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს. საბჭოთა პერიოდის მიწურულს მთაწმინდის პანთეონში მიმდინარე ამბების გააზრებისათვის მნიშვნელოვანი იყო ალეიდა ასმანის მიერ შემოთავაზებული აქტიური და პასიური დავიწყების ცნებები. მთაწმინდის პანთეონის როგორც მეხსიერების ადგილის გააზრება ემყარება მეხსიერების ადგილების პიერ ნორასეული ცნებას. ნაშრომი ემყარება მთაწმინდასთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, ფაქტობრივ მასალასა და თეორიულ მსჯელობებს, რომლებიც მოცემულია ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომებში, სხვადასხვა მედიასაშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას, რომლებიც გააზრებულია კოლექტიური მეხსიერების თეორიის ჭრილში.

2. ილია ჭავჭავაძე გამორჩეულია იმ ფიგურათაგან, რომელთა დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე საყოველთაოდაა აღიარებული. ილია საკულტო ფიგურაა ქართული საზოგადოების თითქმის ყველა სეგმენტისთვის. როგორც ფართო საზოგადოებრივ დონეზე, ასევე ინტელექტუალურ წრეებში, ბევრს საუბრობენ მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე, თუმცა, ილია ჭავჭავაძის საყოველთაო აღიარება არ არის საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველი. ჯგუფებს, რომელთათვისაც ილია საკულტო მოღვაწეა, სრულიად განსხვავებული ხედვები აქვთ საქართველოს სახელმწიფოსთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ერის მშენებლობის ფორმები, საზოგადოების განვითარების მოდელები და მიმართულებები, საგარეო-პოლიტიკური კურსი და სხვა.

ილია ჭავჭავაძე სამართლიანად მოიაზრება ქართული ნაციონალიზმისა და თანამედროვე ქართველი ერის მშენებლობის მესაძირკვლედ. 1860-იანი წლებიდან ილიასა და თერგდალეულების მიერ დაწყებული მოძრაობა მიზნად ისახავდა ქართული საზოგადოების ტრანსფორმაციას და მოდერნული ეპოქის შესაბამისი ერთობის შექმნას. მრავალმხრივმა საზოგადოებრივმა და შემოქმედებითმა აქტივობამ იგი სიცოცხლეშივე აქცია გამორჩეულ ფიგურად. მოგვიანო პერიოდში საქართველოში მარქსისტული იდეოლოგიის გაძლიერებამ მნიშვნელოვნად დააზარალა ილიას „იმიჯი“ ქართული საზოგადოების თვალში. ამის მიზეზი იყო მწვავე დაპირისპირება, რომელიც ილია ჭავჭავაძესა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) შორის არსებობდა, თუმცა, ამ

უკანასკნელთა შეხედულებებზე ილიას ნააზრევმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. 1900-იანი წლებიდან სოციალ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ თანდათან დაიმკვიდრა გაბატონებული ადგილი საქართველოს საზოგადოებაში. ამ ფაქტმა ილია ჭავჭავაძის ფიგურისგან ერთგვარი დისტანცირება განაპირობა.

მეხსიერების კვლევების პერსპექტივიდან ილია ჭავჭავაძის ფენომენის შესწავლა იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მისი სახელი ერთ-ერთი ყველაზე მანიპულირებადია საქართველოს უახლეს ისტორიაში. მისადმი დამოკიდებულება რამდენჯერმე რადიკალურად შეიცვალა ამ პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური რეჟიმების/ კონტექსტების ვითარების ცვლილებასთან ერთად. მასთან დაკავშირებით არსებული ნარატივები ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით უნდა ვიკვლიოთ. ვფიქრობთ, ილიას მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებების ისტორიულ დინამიკასა და კულტურული მეხსიერების თეორიის ჭრილში კვლევა პასუხს გასცემს მისი მოღვაწეობის წინააღმდეგობრივ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ კითხვებს.

კვლევის მიზანია მეხსიერების თეორიების პერსპექტივიდან ილია ჭავჭავაძის სახელთან დაკავშირებული ნარატივების დინამიკაში გაანალიზება, იმის ჩვენება, თუ როგორ ტრანსფორმირდა ეროვნული ფიგურა მეხსიერების ადგილად და როგორ ჩადგა სოციალისტური იდეოლოგიის სამსახურში. გამოკვლევის ძირითადი ამოცანაა ნარატივების ბრძოლის ანალიზი, რომელიც, საბოლოოდ, მკაცრ იდეოლოგიურ ჩარჩოში მოქცეული მეხსიერების ოფიციალური პოლიტიკის სრული ტრიუმფით დასრულდა. კვლევის ძირითად ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის სახელთან დაკავშირებული აკადემიური ტექსტები, საგაზეთო პუბლიკაციები, ასევე ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკის ამსახველი მასალები. კვლევის ეს სტრატეგია საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ ისტორიული ფიგურის როგორც ერთგვარი მეხსიერების ადგილის ფორმირების პროცესს.

3. საქართველო იმ ქვეყნების რიცხვშია, რომლებსაც, დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე, იდენტობის კრიზისმა და რადიკალურმა ნაციონალიზმმა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა, განაპირობა პოლიტიკური, სოციალური და ტერიტორიული დეზინტეგრაცია. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან, პროდასავლური პოლიტიკური მისწრაფებების კვალდაკვალ, ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა თანდათან შეიძინა სამოქალაქო მახასიათებლები და ინკლუზიური ბუნება. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში დასავლეთისადმი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება და მისი როლი იდენტობის ალტერნატიული დისკურს(ებ)ის ფორმირებაში, თუ რა მნიშვნელობა აქვს დასავლური სამყაროს არაერთგვაროვან აღქმას იდენტობათა განსხვავებული ვერსიების ჩამოყალიბების პროცესში. 1980-იანი წლების ბოლოდან, დამოუკიდებლობა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში აღმოცენებული ეროვნული მოძრაობის უმთავრესი მიზანი გახდა. მიზნის მიღწევისა და სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ, 1990-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა საზოგადოებისთვის მძიმე პრობლემად იქცა. საბჭოთა სისტემის დეკონსტრუქციის პროცესში, ქართველებმა იდენტობის ახალი კონსტრუქციისა და საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილის ძიება დაიწყეს. ამ დროიდან, იდეამ ქართველთა ევროპული წარმოშობისა და დასავლეთთან მჭიდრო კავშირის შესახებ მყარად მოიკიდა ფეხი საჯარო და აკადემიურ სივრცეებში. „ევროპელობის“ იდეა ჯერ კიდევ თამაშობს საკვანძო როლს ქართული იდენტობის ფორმირების პროცესში, თუმცა, დასავლეთისადმი დამოკიდებულება არ არის ცალსახად პოზიტიური. სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მცდელობის პარალელურად, რომელიც ნაციონალური პროექტის ძირითად გზავნილად იქცა, დასავლეთისადმი შიშმა და უნდობლობამ თანდათან დაიპყრო ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი. ნაშრომი მიზნად ისახავს, პოპულიზმის კვლევის თეორიული პერსპექტივიდან გაანალიზოს საქართველოში დასავლეთის იდეალიზაციისა და დემონიზაციის დაპირისპირებული, თუმცა, ამავე დროს, მჭიდროდ გადაჯაჭვული ტენდენციები პოსტსაბჭოთა ეპოქის დასაწყისში. პრობლემა, რომლის გაანალიზებას

გამოკვლევის ფარგლებში ვცდილობთ, საქართველოს უახლესი ისტორიის ნაწილია. საკვლევ პერიოდებში განვითარებულმა პროცესებმა დიდწილად განაპირობა საქართველოს საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა, ასევე დამოუკიდებლობის შემდგომი ტრანზიციის პერიოდში მიღწეული წარმატებები თუ განცდილი მარცხი. საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ განვლილი გზის კრიტიკული ანალიზი. პროცესების იდენტობის კვლევების პერსპექტივიდან შესწავლა ხელს შეუწყობს როგორც უახლოესი წარსულის ხელახალ გააზრებას, ასევე, საქართველოში განვითარებული მოვლენების რეგიონული და საერთაშორისო კონტექსტის განსაზღვრას.

სტატიაში განხილულია რამდენიმე საკითხი: ქართული საზოგადოების განვითარების პერსპექტივები სხვადასხვა ისტორიულ რეალობაში - რომანოვების იმპერიის დასარული, პირველი მსოფლიო ომი და საბჭოთა იმპერიების მმართველობის პერიოდში, ახალი ქართული საზოგადოების იდენტიფიკაციის პროცესები და მისი თავისებურებები.

XIX საუკუნის 1860-იანი წლებიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სხვა დონეზე გადავიდა. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ქართველებისა და ქართველების ადგილისა და როლის ძიება.

რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართული სახელმწიფო აღდგა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ სოციალ-დემოკრატი მეწშევიკები, მათ მაინც გაატარეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რეფორმები: 1917-1921 წლებში სახელმწიფომ შეძლო თვითორგანიზება ევროპულ ყაიდაზე: ინსტიტუტები და საკანონმდებლო ორგანოები, კონსტიტუცია, პარლამენტი, მთავრობა, კანონთა სისტემა, უნივერსიტეტი. ყველა ეს ელემენტი იყო არა მხოლოდ ფორმა, არამედ ქართული საზოგადოების განვითარების გამოხატულება.

საქართველოს განვითარების ვექტორი ბოლშევიკების ოკუპაციის შემდეგ შეიცვალა, შეფერდხა და საერთოდ შეჩერდა ეროვნული განვითარება. ხელისუფლების მკაცრი ზედამხედველობით იდენტიფიკაციის პროცესმა გარდაქმნა ქართული საზოგადოება, სადაც სოციალური წესრიგი, საზოგადოებრივი ცხოვრება და სოციალური და კულტურული ურთიერთობები რუსულ საბჭოთა ყაიდაზე გარდაიქმნა და ჩამოყალიბდა.

4. 1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სუვერენული სამეფოს გაუქმების შემდეგ დაიწყო რუსიფიკაციის პროცესი, რასაც ძალაუფლების გარეშე დარჩენილი ხალხის დიდი წინააღმდეგობა მოყვა. რელიგიურ-მართლმადიდებლური ერთიანობის მიუხედავად, რუსული სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური სივრცე მკვეთრად განსხვავდებოდა ქართულისგან. აიკრძალა ქართული ენა: სკოლებში, საჯარო დაწესებულებებში და ეკლესიებში. მეფის ხელისუფლებამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალია და სინოდალური მმართველობის ქვეშ მოაქცია. კულტურული იმპერიალიზმის მეშვეობით შეიქმნა იმპერიის ერთგული სასულიერო ელიტა, ასევე არისტოკრატია, რომელიც აქტიურად იყო ჩართული კოლონიური პოლიტიკის წარმოებაში. ქართულ ენასთან ერთად ქრისტიანობა საუკუნეების მანძილზე იდენტობის ერთ-ერთი უძლიერესი ნიშანი იყო, განსაკუთრებით მუსულმანურ სამყაროსთან მიმართებაში. XIX საუკუნიდან მართლმადიდებლობა ქართველთა გადაგვარების მძლავრ იარაღად იქცა ერთმორწმუნე რუსი მტრის ხელში.

1860-იან წლებში განახლებული ეროვნული მოძრაობის მიზანი იყო ახალი ქართველი ერის ჩამოყალიბება. მეფის პოლიტიკამ ხელი შეუშალა ქართველ ერს ეროვნული კონსოლიდაციისკენ სწრაფვაში და შექმნა იდენტობის ნიშნები, რომლებიც მისაღები იქნებოდა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისა თუ აღმსარებლობის წარმომადგენლებისთვის. განსაკუთრებით სასტიკი იყო იმპერიული პოლიტიკა მაჰმადიანი ქართველების მიმართ, რომლებიც იძულებულნი იყვნენ ემიგრაციაში წასულიყვნენ თურქეთში. ეს იყო რუსების მიერ ეთნიკური წმენდის ერთ-ერთი ფორმა და საშუალება. ეროვნული მოძრაობის სურვილი იყო საერო საზოგადოების შექმნა. ეს იყო როგორც შინაგანი მისწრაფებების, ასევე ნაციონალიზმის გავლენის, და ამავე დროს ცარიზმის პოლიტიკაზე ერთგვარი რეაქციის შედეგი. ერის გაგების ცნება განისაზღვრა ეროვნული მოძრაობის იდეოლოგების მიერ, სადაც ენა, ტერიტორია, კანონები, ისტორიული მეხსიერება, საერთო კულტურა მნიშვნელოვან როლს და ადგილს იკავებდა და სადაც რელიგია უფრო ინდივიდუალურ გრძნობად ითვლებოდა. ეს იყო ერთგვარი პასუხი რუსეთის მართლმადიდებლურნ იდეოლოგიასა და პოლიტიკაზე, სადაც ისინი

გამოვიდნენ ისლამური სამყაროდან, როგორც „ქართველი ძმების“ მხსნელები და ცდილობდნენ ხაზგასმით აღენიშნათ საერთო მხარეები. 1918-1921 წლებში პირველი რესპუბლიკა იყო სეკულარული სახელმწიფო, სადაც რელიგიური იდენტობა ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. საინტერესოა საბჭოთა კავშირის რელიგიური პოლიტიკა, სადაც საქართველო იყო ერთ-ერთი კოლონია. საბჭოთა კავშირს ჰქონდა მხოლოდ ათეისტური პოლიტიკა, რელიგია კვლავ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს საბჭოთა ხალხების მანიპულირებაში. რელიგიური იდენტობა გაქრა (ოფიციალურ დონეზე), იგი შეცვალა პარტიულმა იდენტობამ და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებაში.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ნინო ჩიქოვანი.** 9 აპრილის ტრაგედია და სამოქალაქო უთანხმოების ასახვა სახელმძღვანელოებში. მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია „არქივების ღიაობის მნიშვნელობა საბჭოთა წარსულის გადაფასებასა და პროპაგანდისთვის წინააღმდეგობის გაწევაში.“ თბილისი, 16-17 დეკემბერი, 2022 (ორგანიზატორები - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო).

ანოტაცია

მოხსენებაში გაანალიზებულია საქართველოს თანამედროვე ისტორიის სამი უმნიშვნელოვანესი მოვლენის (1989 წლის 9 აპრილი, 1991 წლის 9 აპრილი, თბილისის ომი და სამოქალაქო

დაპირისპირება) ასახვის დინამიკა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს უკანასკნელნი განიხილება როგორც მეხსიერების უმნიშვნელოვანესი მედიუმები, რომლებიც სოციალიზაციის ადრეულ ეტაპზე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ წარსულზე საზიარო წარმოდგენისა და, მასზე დაყრდნობით, საერთო სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებაში. შესწავლილია განათლების რეფორმის შემდგომ გამოცემული სამი თაობის ისტორიის სახელმძღვანელოები, რომლებიც ნათლად ასახავს ცვლილებებს როგორც ისტორიის სწავლების პრინციპებში, ასევე მეხსიერების პოლიტიკაში.

2. **ნინო ჩიქოვანი.** რთული წარსულის მეხსიერება: დამოუკიდებლობის პირველი წლები. საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“. ბათუმი, 2-4 დეკემბერი, 2022 (ორგანიზატორი - ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი).

ანოტაცია

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესს, დამოუკიდებლობის აღდგენას და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რადიკალურ ცვლილებას თან ახლდა არაერთი მოულოდნელი და მტკივნეული მოვლენა, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა შემდგომი პერიოდის სოციალური ურთიერთობების სახე, სიმბოლოები, ფასეულობები და ნორმები. მათი აღქმა და საზოგადოებაზე გავლენა ერთგვაროვანი არ ყოფილა. ზოგიერთმა მსხვერპლიანმა და ტრაგიკულმა ფაქტმა, კოლექტიური აღქმის დონეზე, ტკივილთან ერთად, ტრიუმფის განცდა დაბადა, ზოგიერთმა კი სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობა და მისი დავიწყების სურვილი.

ნაშრომში შესწავლილია 1991-1992 წლების მიჯნაზე მიმდინარე თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება, როგორც მოვლენები, რომელთათვის მნიშვნელობის მინიჭება, კონსენსუსზე დამყარებული ტრავმული ნარატივის შექმნა და კულტურულ მეხსიერებაში ადგილის მიჩენა ვერ მოხერხდა. ეს მოვლენები არ ქცეულა მეხსიერების პოლიტიკის ნაწილად, არ მომხდარა მათი ინსტიტუციონალიზაცია. ისინი, უმთავრესად, კომუნიკაციურ მეხსიერებაში შემოინახა და აისახა სხვადასხვა მედიაში. ამა თუ იმ ჯგუფის მიერ შექმნილი ნარატივების, ხელისუფლების მიერ სხვადასხვა დროს მიღებული დადგენილებების და გადაწყვეტილებების, დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლების მოგონებათა და ინტერვიუების, სოციალური მედიის მასალების ანალიზის გზით, ნაშრომში შესწავლილია, თუ რამ შეუშალა ხელი თბილისის ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერების მკაფიო კონსტრუირებას, რის გამოც ეს მოვლენები დღემდე რჩება ურთიერთდაპირისპირებულ და, ზოგჯერ, შეურიგებელ ჯგუფებად დაყოფის წყაროდ.

3. **ნინო ჩიქოვანი.** “Historical Master-narrative and History Textbooks in Georgia: the Soviet Time and Period of Independence” (საისტორიო მასტერ ნარატივი და ისტორიის სახელმძღვანელოები საქართველოში: საბჭოთა პერიოდი და დამოუკიდებლობის ხანა). The South Caucasus Regional InterbationalnConference on Memory Politics „Teaching History: Education and Identity Building in the South Caucasus“ (სამხრეთ კავკასიის რეგიონული საერთაშორისო კონფერენცია მეხსიერების კვლევებში „ისტორიის სწავლება: განათლება და იდენტობის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში“). თბილისი, 24 ოქტომბერი, 2022 (ორგანიზატორები - ჰაინრიხ ბიოლის სამხრეთ კავკასიის ბიურო და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია).

ანოტაცია

მოხსენების პირველი ნაწილი ეხება ისტორიის სახელმძღვანელოებს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ საშუალებას წარსულის იმიჯის კონსტრუირებასა და „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფების აღქმაში. როგორც წესი, სახელმძღვანელოები საისტორიო მასტერ ნარატივის საფუძველზე იქმნება. მომდევნო ნაწილში გაანალიზებულია ისტორიის სწავლების პრინციპები და ისტორიის წერის კანონის ჩამოყალიბება საბჭოთა პერიოდში. ქართული საისტორიო მასტერ ნარატივი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა, ძირითადად, შენარჩუნდა, თუმცა მოერგო მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიურ ჩარჩოს. ეს ნარატივი აისახებოდა სახელმძღვანელოებს და განმტკიცდებოდა სხვა მეხსიერების არეებით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ისტორიის გადააზრების პროცესი დაიწყო. პროფესიული ნარატივის ერთგვარი კონსერვატულობის პირობებში, ცვლილებები საისტორიო განათლებაში სასკოლო სახელმძღვანელოებით დაიწყო. ნაშრომის ბოლო ნაწილში

განხილულია ეტაპები, რომლებიც განვლო ისტორიის სწავლების პრინციპებმა და მათ საფუძველზე შექმნილმა სახელმძღვანელოებმა დამოუკიდებელ საქართველოში.

4. **ნინო ჩიქოვანი.** Between Remembering and Forgetting: The Tbilisi War and Civil Confrontation in Georgia (დამახსოვრებასა და დავიწყებას შორის: თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება საქართველოში). საერთაშორისო კონფერენცია "Memory Policy in Post-Totalitarian Space - Lessons Learned" („მეხსიერების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში - გაკვეთილები"). 28 ივნისი, 2022, თბილისი, თავისუფალი უნივერსიტეტი. ორგანიზატორები - სოვლაბი და თავისუფალი უნივერსიტეტი, „ნორვეგია საქართველოში"-ს მხარდაჭერით

ანოტაცია

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესს, დამოუკიდებლობის აღდგენას და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რადიკალურ ცვლილებას თან ახლდა არაერთი მოულოდნელი და მტკივნეული მოვლენა, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა შემდგომი პერიოდის სოციალური ურთიერთობების სახე, სიმბოლოები, ფასეულობები და ნორმები. მათი აღქმა და საზოგადოებაზე გავლენა ერთგვაროვანი არ ყოფილა. ზოგიერთმა მსხვერპლიანმა და ტრაგიკულმა ფაქტმა, კოლექტიური აღქმის დონეზე, ტკივილთან ერთად, ტრიუმფის განცდა დაბადა, ზოგიერთმა კი - სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობა და მისი დავიწყების სურვილი.

ნაშრომში შესწავლილია 1991-1992 წლების მიჯნაზე მიმდინარე თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება, როგორც მოვლენები, რომელთათვის მნიშვნელობის მინიჭება, კონსენსუსზე დამყარებული ტრავმული ნარატივის შექმნა და კულტურულ მეხსიერებაში ადგილის მიჩენა ვერ მოხერხდა. ეს მოვლენები არ ქცეულა მეხსიერების პოლიტიკის ნაწილად, არ მომხდარა მათი ინსტიტუციონალიზაცია. ისინი, უმთავრესად, კომუნიკაციურ მეხსიერებაში შემოინახა და აისახა სხვადასხვა მედიაში. ამა თუ იმ ჯგუფის მიერ შექმნილი ნარატივების, ხელისუფლების მიერ სხვადასხვა დროს მიღებული დადგენილებების და გადაწყვეტილებების, დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლების მოგონებათა და ინტერვიუების, სოციალური მედიის მასალების ანალიზის გზით, ნაშრომში შესწავლილია, თუ რამ შეუშალა ხელი თბილისის ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერების მკაფიო კონსტრუირებას, რის გამოც ეს მოვლენები დღემდე რჩება ურთიერთდაპირისპირებულ და, ზოგჯერ, შეურიგებელ ჯგუფებად დაყოფის წყაროდ.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის თეორიები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ საქართველოში 1980-90-იანი წლების მიჯნაზე განვითარებული მოვლენები და სიტუაციები როგორც კულტურული კონსტრუქციები, რომლებიც განისაზღვრება კულტურაში კოდირებულ მნიშვნელობათა ფარგლებში.

5. **ნინო ჩიქოვანი.** Conflicting narratives: How do they Work in Georgia (კონფლიქტური ნარატივები: როგორ მუშაობს ისინი საქართველოში). საერთაშორისო კონფერენცია "Narratives and Reconciliation in the South Caucasus" organized by UN South Caucasus" („ნარატივები და შერიგება სამხრეთ კავკასიაში"). თბილისი, 24-25 ივნისი, 2022 (ორგანიზებული გაეროს სამხრეთ კავკასიის ოფისის მიერ)

ანოტაცია

ნარატივები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინდივიდების, ჯგუფების და საზოგადოებების მიერ კონფლიქტებისათვის მნიშვნელობის მინიჭებაში. ეს პროცესი კონფლიქტის გაჩაღებამდე იწყება, გაივლის კონფლიქტის პერიოდს და საბოლოო სახეს მისი დასრულების შემდეგ იღებს. ნარატივის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, როგორ აღიქმება იგი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მიერ. მისი ტრანსფორმაცია ასახავს ცვლილებებს კონფლიქტის აღქმასა და შეფასებაში.

მოხსენებაში განხილულია თბილისის ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების ნარატივები. ამ კონფლიქტების გაჩაღებაში დაპირისპირებული მხარეები დღემდე ერთმანეთს ადანაშაულებენ. ნაშრომში გაანალიზებულია სტრატეგიები, რომელთაც ისინი იყენებენ საკუთარი ნარატივების კონსტრუირებისა და „არასასურველი წარსულის" ტრავმული გამოცდილების დაძლევისათვის.

ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევის ანალიზის შედეგები შეიძლება გამოსადეგი იყოს სხვა კონფლიქტური ნარატივების გასაანალიზებლადაც.

6. **ქეთევან კაკიტელაშვილი.** „გამარჯვების ტრავმა: 1990-იანი წლების საქართველო“. საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“. ბათუმი, 2-4 დეკემბერი, 2022 (ორგანიზატორი - ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი).

ანოტაცია

მრავალფეროვანია წყაროები ცხადყოფს, რომ 1990-იანი წლების საქართველოს შემთხვევა ზუსტად შეესაბამება კოლექტიური ტრავმის ფენომენს. კონკრეტული ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად მკაფიოდ იკვეთება 1990-იანი წლების ტრავმული ეთოსის კონსტრუირების პროცესი: როგორ მოიცვა შიშმა, სასოწარკვეთამ, დაუცველობის, დაბნეულობის და უპერსპექტივობის დამთრგუნველმა განცდამ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, რომლებიც უეცრად მოშლილი სახელმწიფო ინსტიტუტების, მომძლავრებული კრიმინალისა და სოციალური სიდუხჭირის პირისპირ აღმოჩნდნენ; როგორ გართულდა მათთვის საკუთარი ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა გარემოში, რომელთანაც შეუთავსებელი იყო მათი ღირებულებათა სისტემა და მორალური პრინციპები.

7. **ივანე წერეთელი.** გამარჯვების ტრავმის რეპრეზენტაცია მხატვრულ ტექსტებში: დამოუკიდებლობის შემდგომი საქართველო. საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“. ბათუმი, 2-4 დეკემბერი, 2022 (ორგანიზატორი - ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი).

ანოტაცია

სოციალური ტრავმის შესწავლამ ერთი პარადოქსული ფაქტი გამოავლინა: ის ცვლილებაც კი, რომელსაც ელიან, რომელზეც ოცნებობენ და რომლისთვის იბრძვიან კიდეც, შეიძლება მტკივნეული აღმოჩნდეს. ასეთ მოვლენას პიორტ შტომპკამ „გამარჯვების ტრავმა“ უწოდა სხვადასხვა საზოგადოებაში ტრავმა შეიძლება სხვადასხვა ფაქტორმა გამოიწვიოს. პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაციის შემთხვევაში ტრავმის გამომწვევი ფაქტორები აღმოჩნდა უმუშევრობა, ინფლაცია, დანაშაულის ზრდა, დარღვეული იერარქია, პოლიტიკური ელიტის უუნაროება თავი გაართვას სიტუაციას და სხვ.

სოციალური ცვლილებით გამოწვეული კულტურული ტრავმით შექმნილი სიტუაცია ხასიათდება გარკვეული კოლექტიური ემოციებით: 1) შფოთვა, დაუცველობის და გაურკვევლობის განცდა, „მორალური პანიკა“; 2) უნდობლობა როგორც ადამიანების, ასევე ინსტიტუტების მიმართ; 3) კოლექტიურ იდენტობასთან დაკავშირებული დეზორიენტაცია; 4) აპათია, სასოწარკვეთილება, გამოუვალი მდგომარეობის განცდა; 5) მომავალთან დაკავშირებული პესიმიზმი და წარსულის ნოსტალგია.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, ვნახოთ, როგორ არის გაანალიზებული, გააზრებული და ინტერპრეტირებული დამოუკიდებლობის შემდგომ შექმნილ მხატვრულ ტესტებში XX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენები, რამდენად შეესაბამება და შესაძლებელია თუ არა 90-იანი წლების რეალობა შეფასდეს როგორც „გამარჯვების ტრავმა“?

მიგვაჩნია, რომ მხატვრული ლიტერატურა მოვლენის კულტურულ ტრავმად კონსტრუირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ლიტერატურული ტექსტები, ერთი მხრივ, მოვლენის მნიშვნელობას განსაზღვრავს და ტრავმად აყალიბებს, მეორე მხრივ, თხრობა წარმოადგენს ტრავმის დაძლევის მნიშვნელოვან საშუალებას. ტრავმის დაძლევა მისი მუდმივი გააზრებითა და გაანალიზებით მიიღწევა და არა რეპრესიითა და მიჩუმათებით. პროზას, მხატვრული წარმოსახვისა და სიმბოლიზაციის უნარზე დაყრდნობით, შესწევს ძალა გააცოცხლოს მოვლენა, რომლის ვერბალიზაცია, აღწერა და გაგება თითქოს შეუძლებელია, რადგან პროზა მრავალი კუთხით, ბევრი წახნაგით წარმოაჩენს მას, დაწვრილებით, სკრუპულოზულად ასახავს, ყურადღებას აქცევს და უღრმავდება ყოველდღიურობის ნებისმიერ უმნიშვნელო დეტალს, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს. მხატვრული ტექსტის კითხვისას მკითხველი გადასახლდება აღწერილ ეპოქაში და მასში იწყებს ცხოვრებას, ამყარებს რა ემოციურ კავშირს მოვლენებთან, გარემოსთან, პერსონაჟებთან, დეტალებთან, ყოველდღიურობასთან. მხატვრული ტექსტის კითხვისას აცნობიერებ, რომ მოვლენები

ასე მხოლოდ და მხოლოდ იმ კონტექსტში მოხდებოდა, გმირები ასე მხოლოდ დამხოლოდ იმ რეალობასა და ეპოქაში მოიქცდეოდნენ და არა სხვაგან და სხვა დროს.

8. **ირაკლი ჩხაიძე.** ნარატივების ბრძოლა: ილია ჭავჭავაძის ფიგურის წინააღმდეგობრივი ინტერპრეტაციები. სამეცნიერო კონფერენცია „ილია ჭავჭავაძე - წარსული და თანამედროვეობა.“ თბილისი, 26 დეკემბერი, 2022 (ორგანიზატორი - ევროპის აკადემიის თბილისის ცენტრი).

ანოტაცია

ილია ჭავჭავაძე გამორჩეულია იმ ფიგურათაგან, რომელთა დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე საყოველთაოდაა აღიარებული. ილია საკულტო ფიგურაა ქართული საზოგადოების თითქმის ყველა სეგმენტისთვის. როგორც ფართო საზოგადოებრივ დონეზე, ასევე ინტელექტუალურ წრეებში, ბევრს საუბრობენ მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე, თუმცა, ილია ჭავჭავაძის საყოველთაო აღიარება არ არის საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველი. ჯგუფებს, რომელთათვისაც ილია საკულტო მოღვაწეა, სრულიად განსხვავებული ხედვები აქვთ საქართველოს სახელმწიფოსთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ერის მშენებლობის ფორმები, საზოგადოების განვითარების მოდელები და მიმართულებები, საგარეო-პოლიტიკური კურსი და სხვა.

9. **მაია ქვრივიშვილი** - ქართული იდენტობის ფორმირება და რუსიფიკატორული პოლიტიკა (რამდენიმე ასპექტი). აბრეშუმის გზის მე-17 საერთაშორისო კონფერენცია. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი , 21 -22 ოქტომბერი 2022.

10. **მაია ქვრივიშვილი** - რუსული იმპერიალიზმი და ბრძოლა საქართველოსათვის (1917-1930 წლები). საქართველო. ქუთაისის VII საერთაშორისო კონფერენცია: „ენა და კულტურა“, ქუთაისი, 26-27 მარტი, 2022.

11. **მაია ქვრივიშვილი** - ახალი ქართული იდენტობის ფორმირება და რუსიფიკატორული პოლიტიკა (რელიგიური ასპექტი). აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XVI საფაკულტეტო კონფერენცია, თბილისი, 14-16 ივლისი 2022 https://tsu.ge/assets/media/files/57/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20-%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-(04-07-2022).pdf

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ნინო ჩიქოვანი.** April 9 and the Civil War: Pain, Triumph and Shame in the post-Soviet Georgian Memory (9 აპრილი და სამოქალაქო ომი: ტკივილი, ტრიუმფი და სირცხვილი პოსტ-საბჭოთა საქართველოს მეხსიერებაში). ბუდაპეშტი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი. 6-7 მაისი, 2022

ანოტაცია

მოხსენებაში განხილულია საქართველოს თანამედროვე ისტორიის სამი მნიშვნელოვანი მოვლენის - 1989 წლისა და 1991 წლის 9 აპრილის, აგრეთვე 1991-1995 წლის სამოქალაქო ომის აღქმისა და რეპრეზენტაციის საკითხი ქართველთა კოლექტიურ მეხსიერებაში. გაანალიზებულია 9 აპრილის, როგორც პარადიგმული მოვლენის, ნარატივის ჩამოყალიბებისა და მისი ტრანსფორმაციის საკითხი, მისი გავლენა რუსთაველის გამზირის კონკრეტული მონაკვეთის ჩამოყალიბებაზე პარადიგმულ

სივრცედ, სადაც მომდევნო წლებში ვითარდებოდა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი მოვლენები. რაც შეეხება სამოქალაქო ომს, 9 აპრილისაგან განსხვავებით, მისი, როგორც მტკივნეული წარსულის მეხსიერების მკაფიო კონსტრუირება ვერ მოხერხდა, იგი ერთგვარად გაიყინა დამახსოვრებასა და დავიწყებას შორის. ეს მოვლენა არ ქცეულა მიზანმიმართული დავიწყების ან კომუნიკაციური სიჩუმის საგნად, მეხსიერების ოფიციალური პოლიტიკის ნაწილად. ამიტომ სამოქალაქო ომის გამოცდილება დარჩა მოუშუშებელ ჭრილობად და გამოუგლოვებელ, ჩამოუყალიბებელ ტრავმად.

2. **ქეთევან კაკიტელაშვილი,** Natural Disasters: Echo of The April 9 (ბუნებრივი კატასტროფები: 9 აპრილის ექო). ბუდაპეშტი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი. 6-7 მაისი, 2022.

ანოტაცია

1990-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ტრიუმფის განცდა მალევე ჩაანაცვლა ყოვლისმომცველი კრიზისით გამოწვეულმა სტრესმა, რომელიც გამარჯვების ტრავმის სახით ჩამოყალიბდა. დამოუკიდებლობის მიღება საქართველოში არა მხოლოდ სასურველი იყო, არამედ ამისათვის იბრძოდნენ კიდეც. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეულ ცვლილებებთან გამკლავება უკიდურესად რთული და მტკივნეული აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისათვის, რომელსაც, ნანატრი თავისუფლების მიღებასთან ერთად, საყრდენი მოერღვა. ნაშრომის მიზანი 1980-იანი წლების მიწურულისა და 1990-იანი წლების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ყოველდღიური და ინდივიდუალური განზომილების შესწავლაა. მასში ნაჩვენებია, თუ რა გავლენას ახდენდა 1990-იანი წლების გარდამტეხი ცვლილებები რიგითი ადამიანების ცხოვრებაზე, მათ (თვით)განცდაზე, განწყობაზე, მსოფლხედვასა და იდენტობაზე; როგორ აღიბეჭდა ეს დრო იმ თაობის მეხსიერებაში და როგორ აფასებენ ისინი 1990-იან წლებს უკვე დაახლოებით სამი ათწლეულის გადასახედიდან. ამ მიზნით, გაანალიზებულია კვლევის პროცესში ჩაწერილი ზეპირი ისტორიები, ტელეგადაცემები, ბლოგები, ფეისბუქის მასალა, 90-იანი წლების ამსახველი დოკუმენტური ვიდეოკადრები, პუბლიკაციები და სხვა წყაროები, რომლებიც წარმოგვიდგენს 1990-იანი წლების მოვლენებსა და ყოველდღიურ ყოფას, მათ იმდროინდელ და რეტროსპექტიულ აღქმას.

3. **ქეთევან კაკიტელაშვილი,** The Dark 90s" in Georgia: the Trauma of Everyday Life („ბნელი 90-იანები: ყოველდღიურობის ტრავმა). ბუდაპეშტი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი. 6-7 მაისი, 2022.

ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში (1980-იანი წლების მიწურული) და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1991) საქართველოში მომხდარი სტიქიური უბედურებების კულტურულ ტრავმად ტრანსფორმაციის მექანიზმების ანალიზი. ხსენებული პერიოდი აღინიშნა დრამატული და სწრაფი ცვლილებებით საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. მძაფრი მოვლენების მწკრივმა (1989 წლის 9 აპრილი, დამოუკიდებლობის დეკლარაცია, კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში და დაძაბულობა აფხაზეთში), ისევე როგორც ეკონომიკურმა არასტაბილურობამ განაპირობა მოსახლეობის დეზორიენტაცია და ფრუსტრაცია. ამ მოვლენების ნაწილს წარმოადგენდა ქართული ეროვნული იდენტობის მკაფიოდ განსაზღვრის აუცილებლობა, რამაც, თავის მხრივ, ეროვნული წარსულის გადაფასება და ახალი კოლექტიური მეხსიერების ძიება განაპირობა. მეწყერმა აჭარაში (1989) და მიწისძვრამ რაჭაში (1991) იმ პერიოდის მოვლენების უფრო მეტად გამძაფრებას შეუწყო ხელი. მოხსენებაში განხილულია ნარატივები, რომლებიც აღწერს ამ ბუნებრივ კატასტროფებს და ცხადყოფს, თუ რამდენად შეუწყვეს მათ ხელი სოციალური ცვლილებების და ტრავმული გამოცდილების გამძაფრებას და, ამავე დროს, აჩვენებს რამდენად მოახდინა სოციალური გავლენა ამ ბუნებრივი კატასტროფების აღქმაზე და მათ კულტურულ ფენომენად ჩამოყალიბებაზე. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბუნებრივი კატასტროფები სხვა ტრავმული ისტორიული მოვლენების თანაბარმნიშვნელოვან მოვლენებად იყო

აღქმული და მჭიდრო კავშირში განიხილებოდნენ კულტურულ მეხსიერებასა და ეროვნულ იდენტობასთან.

3. **ივანე წერეთელი,** Trauma and Triumph in Literary Texts (ტრავმა და ტრიუმფი ლიტერატურულ ტექსტებში). ბუდაპეშტი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი. 6-7 მაისი, 2022.

ანოტაცია

ადამიანი ბუნებით მთხრობელი არსებაა. თხრობა, ალწერასთან ერთად, ინტეპრეტაციას გულისხმობს. გამიზნულად თუ გაუაზრებლად, მნიშვნელობა ენიჭება საგნებს, ფაქტებს და წარსულში მომხდარ მოვლენებს. ამას აკეთებს როგორც მთხრობელი, ასევე აუდიტორიაც. თუ მოვლენის შესახებ ტრავმული/ტრავმის ამსახველი ტექსტები არ შეიქმნა, როგორი ტრაგიკულიც არ უნდა იყოს იგი, კულტურულ/კოლექტიურ ტრავმად არ ჩამოყალიბდება, რადგან თანამედროვე საზოგადოებაზე ზემოქმედებას ახდენს არა წარსული თავისთავად, არამედ წარსულის მოვლენათა რეპრეზენტაცია, რომელიც იქმნება, ვრცელდება და მიიღება სპეციფიკურ კულტურულ ჩარჩოში და პოლიტიკურ სიტუაციაში. კულტურულ მეხსიერებაში დამკვიდრებულ კოლექტიურ ტრავმას შეუძლია ხანგრძლივი დროის მანძილზე შეასრულოს ჩვენ ჯგუფის შემკვრელი ფუნქცია.

ნაშრომის მიზანია, ვნახოთ, როგორ არის გაანალიზებული, გააზრებული და ინტერპრეტირებული დამოუკიდებლობის შემდგომ შექმნილ მხატვრულ და მემუარულ ლიტერატურაში XX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენები, (1989 წლის 9 აპრილი, 1991 წლის 9 აპრილი, თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება, უეცარი და ინტენსიური ცვლილებების სტრესული მწკრივი) რამდენად შეესაბამება საქართველოს შემთხვევას „ტრავმისა“ და „ტრიუმფის“ ცნებები? შესაძლებელია თუ არა 90-იანი წლების რეალობა შეფასდეს როგორც „გამარჯვების ტრავმა“?

4. **მაია ქვრივიშვილი.** L'impérialisme russe soviétique et le processus de formation de la Géorgie soviétique, (საბჭოთა რუსული იმპერიალიზმი და საბჭოთა საქართველოს ჩამოყალიბების პროცესი). საერთაშორისო სიმპოზიუმი "სხვაობა, საჩუქარი, პრესტიჟი სახლში და სხვაგან ანთროპოლოგიიდან ისტორიამდე“, ბუქარესტი, 16-17 ივნისი 2022 . (ორგანიზატორი ბუქარესტის უნივერსიტეტის აფრიკული კვლევების ინსტიტუტის სენგორის სერეფრია ვილა ნოელის კათედრა, ბუქარესტის ფრანგული ინსტიტუტის მხარდაჭერით).

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია რუსეთის საბჭოთა იმპერიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ზოგადად იმპერიული პოლიტიკით დამახასიათებელი რუსეთი ოკუპაციის შემდეგ საქართველოს ტერიტორიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ კოლონიზაციასაც ახორციელებდა, რასაც კულტურული იმპერიალიზმი მოჰყვა.

საქართველო რუსეთის იმპერიამ მეორედ დაიპყრო. იმპერიისა, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე, გარკვეული პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად, უცვლელი დარჩა თავის იმპერიულ ზრახვებსა და მისწრაფებებში. „დღევანდელი რუსეთის ფედერაცია არის საბჭოთა კავშირის მემკვიდრე, სსრკ - რუსეთის იმპერია, რომელიც თავის მხრივ იყო მოსკოვის დიდი სამთავროს პირმშო. მაგრამ რუსეთში დაარსებულ ყველა ახალ პოლიტიკურ ფორმაციას უკავშირდება რამდენიმე უცვლელი მახასიათებელი: უკიდურესი ავტორიტარიზმი. შიდა მმართველობა და საგარეო პოლიტიკის აგრესიულობა“.

ინტერნაციონალიზმის კომუნისტური ლოზუნგებით მოსულმა ბოლშევიკებმა არ დაივიწყეს „მესამე რომის“ დოქტრინა და „მართლმადიდებლობა, ავტონომია და ეროვნება“ შეცვალეს უფრო საყოველთაო, აგრესიული და დამპყრობელი. მათი იდეა და მიზანი იყო კომუნიზმის საყოველთაო გავრცელება ცენტრის - მოსკოვის გავლით. რელიგია შეცვალა კომუნისტურმა იდეოლოგიამ, ეკლესია - კომუნისტურმა პარტიამ, ხოლო მეფემ - ლიდერმა.

არსებობდა კულტურული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ხალხთა ჰეტეროგენურობას, მაგრამ ამას აფერხებდა მრავალი ფაქტორი, მათ შორის ამ ხალხების კულტურული ტრადიციები. რუსეთი აგრძელებდა თავის კოლონიურ პოლიტიკას მრავალი მიმართულებით: სამხედრო, ტერიტორიული, ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული (მცირე ერების წახალისება), კულტურული. ამ პოლიტიკის მიზანი იყო ახალი ადამიანის, საბჭოთა სოციალისტური ერის შექმნა.
რუსული კულტურული კოლონიალიზმის შედეგი იყო და არის მათთვის მისაღები: ქართველის აგება: ორივე მისი ხასიათი. ეროვნებისა და ეროვნების მნიშვნელობა და გაგება დაყვანილია ეთნოგრაფიულ არსებობამდე და დაყვანილია მხოლოდ ცეკვის, სიმღერის, მუსიკის, ასევე მწერლობის, კინოსა და ზოგადად ფოლკლორის დონეზე. პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა სტალინის თეზისმა: „ნაციონალური ფორმით, სოციალისტური შინაარსით“. სტალინური ეროვნული კულტურები განვითარდა მთელ საბჭოთა კავშირში.სამოცდაათი წლის განმავლობაში რთულ სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებთან ერთად იქმნებოდა პარტიულ-სახელმწიფოებრივი აპარატის მიერ სახელმწიფო მმართველობის ძირითადი ფუნქციების წართმევისა და განმტკიცების პროცესი, ახალი მმართველი კლასის - ქართული საბჭოთა ნომენკლატურისა და საბჭოთა წითელი დაზვერვის ჩამოყალიბება. ძველი მმართველი/ელიტარული კლასის ჩახშობა.განადგურება პერიოდულად ხდებოდა. ფ.ბროდელი ამგვარად უწოდებს ახალი სოციალური იერარქიის ჩამოყალიბებას. ეს გზა უცხო და არაორგანული იყო ქართული საზოგადოებისთვის.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

1. ნინო ჩიქოვანი. წარსული, რომელიც „უარს ამბობს წასვლაზე“: გამარჯვების ტრავმა საქართველოში. საშემოდგომო სკოლა „რუსეთის ომი უკრაინაში და შავი ზღვის რეგიონული დინამიკა: აქტორები, პროცესები და დინამიკა“. თბილისი, ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი, 17-21 ოქტომბერი, 2022. კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით.
2. ნინო ჩიქოვანი. ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე: 9 აპრილი და სამოქალაქო დაპირისპირება. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიწვევით. 16 ნოემბერი, 2022.
3. ნინო ჩიქოვანი. კულტურული შოკი, ეთნოცენტრიზმი და ეთნორელატივიზმი. პროექტი „გახდი კულტურის მკვლევარი. თსუ საბავშვო უნივერსიტეტი. 25 ნოემბერი, 2022.
4. ნინო ჩიქოვანი. *ლექცია 1.* ენობრივი პოლიტიკა საქართველოში: მიღწევები და პრობლემები; *ლექცია 2.* პოლიტიკა უმცირესობების მიმართ საქართველოში. საშემოდგომო სკოლა „პოლიტიკა, ენები, ეთნიკური უმცირესობები და იდენტობა“. საშემოდგომო სკოლა. 25-30 ოქტომბერი, 2022. კიშინიოვი, გერმანიის აკადემიური მხარდაჭერის პროგრამისა და ლაიპციგის უნივერსიტეტის მოლდოვას ინსტიტუტის მხარდაჭერით.
5. ქეთევან კაკიტელაშვილი. „როდესაც ჩვენ და სხვები ერთმანეთს ვხვდებით“. ნორჩ ჰუმანიტართ სკოლა, თბილისი, 16 დკემბერი, 2022.
6. ქეთევან კაკიტელაშვილი. „კულტურის ფენომენი და კულტურული უნივერსალიები“. პროექტი „გახდი კულტურის მკვლევარი“. თსუ საბავშვო უნივერსიტეტი. 25 ნომბერი, 2022.
7. ქეთევან კაკიტელაშვილი. „იდენტობა, ენობრივი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“. მოლდოვა ინსტიტუტი ლაიპციგის მიერ ორგანიზებული საშემოდგომო სკოლა „ენობრივი პოლიტიკა და კონფლიქტების გადაჭრა“, 21-30 სექტემბერი, 2022.
8. ქეთევან კაკიტელაშვილი. „ქართულნოვან ებრაელთა თემი“. კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის პროექტი „მსოფლიო რელიგიათა კლუბი“, ბათუმი, 31 ივლისი, 2022.
9. ქეთევან კაკიტელაშვილი. ეთნიკური და რელიგიური იდენტობა XIX საუკუნის საქართველოში. თსუ ბიბლიოთეკის პროექტი „იმპერიიდან ეროვნულ სახელმწიფომდე. თბილისი, 11 ივლისი, 2022.

10. ივანე წერეთელი. სოციალიზაცია, იდენტობა, გლობალიზაცია. პროექტი „გახდი კულტურის მკვლევარი. თსუ საბავშვო უნივერსიტეტი. 25 ნოემბერი, 2022.
11. ირაკლი ჩხაიძე. გლობალიზაცია - საფრთხე თუ შესაძლებლობა? პროექტი „გახდი კულტურის მკვლევარი. თსუ საბავშვო უნივერსიტეტი. 2 დეკემბერი, 2022.
12. ირაკლი ჩხაიძე. „ორსახოვანი იანუსი“: დასავლეთის წინააღმდეგობრივი აღქმა პოსტკოლონიურ საქართველოში. თბილისი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი 20 ნოემბერი, 2022.
13. ირაკლი ჩხაიძე. ეთნიკური კონფლიქტები საქართველოში სსრკ-ის დაშლიდან დღემდე. თსუ ბიბლიოთეკის პროექტი „იმპერიიდან ეროვნულ სახელმწიფომდე. თბილისი, 7 ივნისი, 2022.
14. ირაკლი ჩხაიძე. თერგდალეულები და ნაციონალიზმი. თსუ ბიბლიოთეკის პროექტი „იმპერიიდან ეროვნულ სახელმწიფომდე. თბილისი, 12 აპრილი, 2022.
15. ქეთევან კაკიტელაშვილი, წელიწდეულის „ცივილიზაციური ძიებანი“ (2022 წელი) სარედაქციო საბჭოს წევრი.
16. ივანე წერეთელი, წელიწდეულის „ცივილიზაციური ძიებანი“ (2022 წელი) სარედაქციო საბჭოს წევრი.
17. ირაკლი ჩხაიძე, წელიწდეულის „ცივილიზაციური ძიებანი“ (2022 წელი) სარედაქციო საბჭოს წევრი.
18. მაია ქვრივიშვილი, წელიწდეულის „ცივილიზაციური ძიებანი“ (2022 წელი) სარედაქციო საბჭოს წევრი.

ყურადღება!

* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის

შრომების სია

ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ივანე წერეთელი, ირაკლი ჩხაიძე, ქეთევან ეფაძე. *საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე.* ISBN 978-9941-9796-4-4. თბილისი, „სამშობლო“, 2022.

ნინო ჩიქოვანი, "მთაწმინდის პანთეონი: მეხსიერების ადგილი და იდენტობის სიმბოლო". თავი წიგნში: *მეხსიერების ადგილები და ქართული ნაციონალური იდენტობის სიმბოლური გარემო.* ISBN 978-9941-18-380-5. თბილისი, ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, გვ. 58-94.

ირაკლი ჩხაიძე, ქეთევან კაკიტელაშვილი, „ილია ჭავჭავაძე: ეროვნული ფიგურა როგორც მეხსიერების ადგილი (1910-1940-იანი წლები)“. თავი წიგნში: *მეხსიერების ადგილები და ქართული ნაციონალური იდენტობის სიმბოლური გარემო.* ISBN 978-9941-18-380-5. თბილისი, ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, გვ. 26-57.

ირაკლი ჩხაიძე, *„ანგელოზი“ „დემონის“ პირისპირ: დასავლეთის წინააღმდეგობრივი სახე საქართველოში.* ISBN 978-9941-33-231-9. თბილისი, „უნივერსალი“, 2022.

ირაკლი ჩხაიძე, „ეროვნული პოპულიზმის საწყისები პოსტსაბჭოთა საქართველოში“. *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია,* #7 (2022), გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 487-499.

მაია ქვრივიშვილი, „რუსული იმპერიალიზმი და ბრძოლა საქართველოსთვის (1917-30წწ.)“, *VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ შრომები,* ISSN – 1987-7323. E-ISSN 27 20-7900. ქუთაისი, 2022. გვ. 321-329.

მაია ქვრივიშვილი, „ქართული იდენტობის ფორმირება და რუსიფიკატორული პოლიტიკა (რამდენიმე ასპექტი)“, *აბრეშუმის გზის მე-17 საერთაშორისო კონფერენცია, მასალების კრებული* #17, 2022. ISBN: 978-9941-8-3942-9

მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ინსტიტუტის ხელმძღვანელი – პროფ. თეიმურაზ პაპასქირი

ინსტიტუტის შემადგენლობა

ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრა

1. პროფ. ლევან გორდეზიანი (კათედრის ხელმძღვანელი)
2. ასოც. პროფ. მარიკა მშვილდაძე

შუა საუკუნეების ისტორიის კათედრა

3. პროფ. მურმან პაპაშვილი (კათედრის ხელმძღვანელი)
4. ასოც. პროფ. თეა წითლანაძე
5. ასოც. პროფ. თეა ქარჩავა

ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა

6. პროფ. თეიმურაზ პაპასქირი (კათედრის ხელმძღვანელი)
7. ასოც. პროფ. მერაბ კალანდაძე
8. ასოც. პროფ. ლეილა (ია) ხუბაშვილი
9. ასოც. პროფ. ფატიმა შეყლაშვილი
10. ასისტენტ-პროფ. ზაალ გოგენია
11. ასისტენტ-პროფ. თამარ ანთაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. „ანტიკური წყაროები (I-V სს.) კავკასიის შესახებ“ (04.2022-04.2025)
2. „ვატიკანის Propaganda Fide-ს საისტორიო არქივში დაცული ქართული და საქართველოსთან დაკავშირებული წყაროების სამეცნიერი კვლევა“, HE-22-2353; 2022-2025.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ლევან გორდეზიანი – ხელმძღვანელი
2. მურმან პაპაშვილი – ძირითადი შემსრულებელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროფ. ლევან გორდეზიანის ინდივიდუალურ ანგარიშში ანოტაცია არ არის მოცემული.
2. პროექტმა კონკურსში 2022 წლის დეკემბერში გაიმარჯვა.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

2.

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მერაბ კალანდაძე, თამარ ანთაძე. პროფესორი გივი კიღურაძე. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2022 (იბეჭდება).
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. წიგნი ეხება გივი კიღურაძის დაბადებიდან 100 წლისთავს. მასში თავმოყრილია ყველა ინფორმაცია, რაც მის შესახებ არის დაწერილი. ეს წარმოდგენას შეგვიქმნის ქართულ ისტორიოგრაფიაში პროფესორი გივი კიღურაძის მიერ შეტანილ წვლილზე.
2.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ლევან გორდეზიანი. ძველაღმოსავლური წყაროები. – ენციკლოპედია *ანტიკური კავკასია,* ტ. 1, თბილისი, 2022, გვ. 11-44.
2. მარიკა მშვილდაძე. რომისა და ხანის იმპერიებს შორის არსებული ურთიერთობის შესწავლის საკითხისათვის. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები XXXVI, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი 2022, გვ. 41-49, 9 გვერდი, ISSN 1512-0694.
3. მარიკა მშვილდაძე. ქართლი და სასანიანთა ირანი III ს. რელიგიური ასპექტი. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XVIII, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი 2022, გვ. 83-94, 12 გვერდი, ISSN 1987–9970.

4. მურმან პაპაშვილი. საფრანგეთის უცხოეთის მისიონის დაარსების მცდელობა საქართველოში (1670-იანი წლები). – კრებ.: „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“ 3-4, ISBN 978-9941-8-4357-0, თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 21-20.
5. მურმან პაპაშვილი. მეფე ერეკლე II-ის დამოკიდებულება კათოლიკობისადმი დღემდე უცნობი მასალების მიხედვით. – კრებ.: „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“ 3-4, ISBN 978-9941-8-4357-0, თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 230-252.
6. ზაალ გოგენია. საბჭოთა დიპლომატი მარსელ როზენბერგი. საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია. თბილისი: „უნივერსალი“, 2022 ISSN-1512-2086 გვ. 324-341

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

ლევან გორდეზიანი

ძველაღმოსავლური წყაროები

პროფ. ლევან გორდეზიანის ინდივიდუალურ ანგარიშში ანოტაცია არ არის მოცემული.

2.

მარიკა მშვილდაძე

რომისა და ხანის იმპერიებს შორის არსებული ურთიერთობის შესწავლის საკითხისათვის

ორი იმპერია - აღმოსავლეთით ხანისა და დასავლეთით რომის იმპერიები ელინისტური პერიოდის ბოლოსა და გვიან ანტიკური პერიოდის პირველ საუკუნეებში ევრაზიული კონტინენტის ორ ჰეგემონურ იმპერიას წარმოადგენდა. ნაშრომში გაანალიზებულია ჩინეთის ხანის იმპერიაში არსებული ჯერ კიდევ ცინის დინასტიის დროს დამკვიდრებული სინოცენტრიზმის იდეა, რომლის მიხედვითაც ჩინეთი მსოფლიოს კულტურულ ცენტრად გვევლინებოდა და ამ ფონზე ისტორიულ წყაროებზე (პლინიუს უფროსი, ლუციუს ანეუს ფლორუსი...), არტეფაქტებზე და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებულია რომისა და ხანის იმპერიებს შორის არსებული პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული კონტაქტები, რომლებიც ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზის (აბრეშუმის გზა, რომელსაც ხანის დინასტიის პერიოდში ეყრება საფუძველი) მეშვეობით ხორციელდებოდა.
ახ.წ. I საუკუნეში მყარდება სავაჭრო კავშირი ევროპასა და ჩინეთს შორის, რის დადასტურებასაც წარმოადგენს რომაული მონეტებისა და საგნების აღმოჩენა ხანის იმპერიის ტერიტორიაზე. ხანის პერიოდში ჩინეთში ფასობდა რომის იმპერიაში - ალექსანდრიასა და სირიაში წარმოებული მინის ჭურჭელი, ფუფუნების საგნები - ოქროთი მოქარგული ხალიჩები, მოოქროვილი და ასბეტის ნაჭრები. რომის იმპერიაში პოპულარული იყო ჩინური აბრეშუმი. ნიშანდობლივია ის ფაქი, რომ მიუხედავად ხანის დინასტიაში არსებული ეთნოცენტრული იდეოლოგიისა, ჩინელები პატივისცემით მოიხსენიებდნენ რომს და „დაცინს“ (დიდი ცინი) უწოდებდნენ, რომაელები კი ჩინეთს „სერესს“ (ლათ. seres) - „აბრეშუმის“, ანუ „აბრეშუმის ქვეყანას“.

3.

მარიკა მშვილდაძე

ქართლი და სასანიანთა ირანი III ს. რელიგიური ასპექტი

ახ.წ. I-III საუკუნეებში ქართლი “Pax Romana”-ს გეოპოლიტიკურ სფეროში შედიოდა. გამონაკლისს წარმოადგენს ახ.წ. III საუკუნის შუა ხანები, როდესაც ქართლის მეფე ამაზასპი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, იძულებულია სახელმწიფო ორიენტაცია შეცვალოს და თავი ირანის შაჰის შაბურ I-ის ვასალად აღიაროს.
III საუკუნე მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს სასანიანთა ირანისათვის, რომელსაც რელიგიური რეფორმების ხანა შეგვიძლია ვუწოდოთ (კარტირი და მანი. ზოროასტრიზმი და მანიქეველობა). ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს დავადგინოთ თუ რამდენად აისახა სასანიანთა ირანში III საუკუნეში

არსებული რელიგიური სიტუაცია ქართლზე. ნაშრომში ისტორიულ წყაროებსა და არტეფაქტებზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებულია იბერიასა და სასანიანთა ირანს შორის არსებული პოლიტიკური და რელიგიური საკითხები. კვლევის შედეგად დგინდება, რომ ქართლი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, გვერდს ვერ აუვლიდა III საუკუნეში სასანიანთა ირანში მიმდინარე რელიგიურ პროცესებს, მაგრამ, იმავდროულად, ეს პროცესები ნაკლებად უნდა ასახულიყო ქართლზე. ნიშანდობლივია, რომ სასანური გლიპტიკური ძეგლები ქართლში უმეტესად IV საუკუნის შემდეგ ჩნდება და მთელი სასანური პერიოდის მანძილზე გრძელდება. გემა კი თანადროული ისტორიული დოკუმენტია, რომელზეც გამოსახული ღვთაებები, სიმბოლოები და რიტუალური სცენები სინათლეს ჰფენს ამა თუ იმ პერიოდის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს.

4.

მურმან პაპაშვილი

საფრანგეთის უცხოეთის მისიონის დაარსების მცდელობა საქართველოში (1670-იანი წლები)

სტატიაში დღემდე უცნობი საარქივო მასალების (ვატიკანის არქივიდან) საფუძველზე შესწავლილია, თუ როგორ შეეცადა XVII საუკუნის 70-იან წლებში პარიზის უცხოეთის მისია საქართველოში დაემკვიდრებინა საფრანგეთის კათოლიკური მისიონი. ეს მიზანი უშუალოდ გამომდინარეობდა საფრანგეთ-ირანის იმ ხელშეკრულებიდან (1671 წ.), რომლის ძალითაც საფრანგეთმა ირანის იმპერიის სივრცეში მცხოვრებ კათოლიკეებზე მფარველობის ლეგიტიმური უფლებები მოიპოვა. პარიზის უცხოეთის მისიონერებს აღნიშნულ სივრცეში თავისუფალი გადაადგილების პრივილეგიები მიენიჭათ, რომელიც პირდაპირ დაკავშირებული იყო საფრანგეთ-ირანის ორმხრივ სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებთან. ეს ფაქტორი საშუალებას აძლევდა საფრანგეთის სამეფო კარს ახლა თავისი სამისიონერო პოლიტიკა საქართველოს მიმართულებითაც განევითარებინა. ირკვევა, რომ საფრანგეთის ინტერესებში პროპაგანდა ფიდემ გადაწყვიტა, საქართველოს კაპუცინთა მისიონი გადაეცა საფრანგეთის უცხოეთის მისიონისათვის, რაც პროპაგანდის მხრიდან ნაკარნახევი იყო ეკონომიკური ინტერესებით. კერძოდ, იგი ვერ უწევდა საჭირო ფინანსურ დახმარებას საქართველოში მოღვაწე კაპუცინ მამებს. ამ მიზეზით პროპაგანდამ გადაწყვიტა, რომ საქართველოს მისიონი საფრანგეთისათვის გადაეცა, რომელიც ეკონომიკურად დაეხმარებოდა მისიონს და პოლიტიკურად მათი უკეთ დაცვასაც შესძლებდა. პროპაგანდა ფიდეს ამ გადაწყვეტილებას მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს თბილისისა და გორის კაპუჩინთა მისიონის ხელმძღვანელებმა. ეს ბრძოლა სამი წელი გაგრძელდა, რაც მათი გამარჯვებით დამთავრდა. ამ მოვლენების კონტექსტში გამოთქმულია ვარაუდი, რომ საკუთრივ ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰ-ნავაზი დაინტერესებული იყო, რომ აღმოსავლეთ საქართველოში პროპაგანდა ფიდეს კაპუცინთა მისიონი საფრანგეთის უცხოეთის მისიონით შეცვლილიყო, ცხადია, მათი სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის გათვალისწინებით.

5.

მურმან პაპაშვილი

მეფე ერეკლე II-ის დამოკიდებულება კათოლიკობისადმი დღემდე უცნობი მასალების მიხედვით

სტატიაში ახალი საარქივო მასალების საფუძველზე შესწავლილია მეფე ერეკლე II-ის მიერ ევროპაზე აღებული ორიენტაცია მისი ორგვარი სარწმუნოებრივი სტანდარტის კონტექსტში: ქვეყნის შიგნით მართლმადიდებლობის თავგამოდებული დაცვა, ხოლო დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის დროს კათოლიკობის მიმდევრად თავის წარმოჩენა. პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში რელიეფურად იქნა წარმოჩენილი ერეკლე მეფის ანტიკათოლიკური პოლიტიკის თავისებური დიპლომატია, რის უმართებულობასაც ადამიანურად განიცდიდა მეფე. კერძოდ, იგი მიმართული იქითკენ, რომ საქართველოში კათოლიკობის მომავალზე დაფიქრებულ დასავლეთის კათოლიკე მონარქებს ამ პრობლემის საფუძველზე ქართლ-კახეთის მეფესთან კავშირი გაებათ. ეს ის დიპლომატიური ხერხიც იყო, რის საშუალებითაც მეფე რუსეთზე ზეგავლენის მოხდენასაც ისახავდა მიზნად. ამ დიპლომატიურმა გათვლამ გაამართლა. თბილისის კაპუცინთა პრეფექტი დომენიკე ტრიესტელი პროპაგანდა ფიდეს დახმარებით აქტიურად შეუდგა კავშირების ძიებას ევროპის მონარქებთან. როგორც პრეფექტმა, ისე კაპუცინმა მამებმა სავსებით სწორად დაინახეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში კათოლიკობის წარმატებისათვის ევროპის პოლიტიკურ დაახლოებას. აქედან

გამომდინარე, ისინი არ აკლებდნენ საკუთარ შესაძლებლობებს, რომ დასავლეთში დიპლომატიური წარმატებისათვის მიეღწია ერეკლე მეფეს.

6.
ზაალ გოგენია
საბჭოთა დიპლომატი მარსელ როზენბერგი

ესპანეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით საბჭოთა ხელმძღვანელობა ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადავიდა, მართალია სტალინი ჯერაც არ ჩქარობდა სამხედრო დახმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ მალე ეს მოსალოდნელი იყო. ესპანეთში საბჭოთა ელჩად დაინიშნა გამოცდილი დიპლომატი მარსელ იზრაელის ძე როზენბერგი; რესპუბლიკურ ესპანეთში როზენბერგის ჩასვლას დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. მათთვის საბჭოეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება რესპუბლიკის სწრაფი გამარჯვების საწინდარი უნდა ყოფილიყო.

რწმუნებათა სიგელის გადაცემისას გაკეთებულ მოკლე მოხსენებაში ახალმა ელჩმა დაარწმუნა რესპუბლიკის მთავრობა, რომ ის და მისი მთავრობა პატივს სცემდა ესპანეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ იდეებს და ინსტიტუტებს. თუმცა საქმით როზენბერგის ქცევა აშკარა ეწინააღმდეგება მის სიტყვებს. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ როზენბერგმა ჩამოსვლისთანავე უგულებელყო საყოველთაოდ მიღებული წესი და არ შეატყობინა ჩამოსვლის შესახებ ესპანეთში აკრედიტებული მისი თქმით „კუდა დიპკორპუსის“ დუაიენს, მაგრამ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატიდან მოსთხოვეს ამ შეცდომის გამოსწორება.

4 სექტემბერს სოციალისტმა ფ. ლარგო კაბალიერომ ჩამოაყალიბა მთავრობა, რომელშიც კომუნისტებიც შევიდნენ, როზენბერგი დაინტერესდა რა ინსტრუქციები ექნებოდა მას ამასთან დაკავშირებით, მაგრამ იგი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატიდან გააფრთხილეს არავითარ შემთხვევაში არ ჩარეულიყო საშინაო საქმეებში და თავი შეეკავებინა სამთავრობო კომბინაციებზე ზეგავლენისგან. მიუხედავად ამისა როზენბერგის თავდაჯერებულობამ, მისმა თავხედურმა და აბეზარმა ქცევამ მალე დააპირისპირა იგი ესპანეთის ახლა მთავრობასთან და განსაკუთრებით მის მეთაურთან.

როზენბერგის ქცევა აღიზიანებდა საკუთარ თანამშრომლებსაც, რაზეც ნათლად მოწმობს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სამხედრო და საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში აღმოჩენილი დოკუმენტები. მაგალითად, 1936 წლის 16 ოქტომბრის წერილში ვოროშილოვისადმი ესპანეთში სამხედრო ატაშე ვ. გორევი წერდა როზენბერგის მანკიერი თვისებების შესახებ. ესპანეთში საბჭოთა საელჩოს მრჩეველი ი. გაიკისი სახალხო კომისარს წერდა როზენბერგთან თავისი რთული ურთიერთობების შესახებ. საპასუხოდ მ. ლიტვინოვი სთხოვდა გაიკისს ყველაფერი გაეკეთებინა ელჩთან ურთიერთობების დასალაგებლად.

1936 წლის დეკემბრის ბოლოს როზენბერგის საკითხით დაინტერესდა სტალინი. საბჭოთა ლიდერმა ლარგო კაბალიეროს გაუგზავნა წერილი რომელშიც სხვათა შორის თხოვდა შეეფასებინა როზენბერგის საქმიანობა ესპანეთში. საპასუხო წერილში რომელიც თარიღდება 12 იანვრით კაბალიერო დადებითად აფასებდა ელჩის საქმიანობას, თუმცა მათ შორის ურთიერთობა ძალიან იყო დაძაბული და კიდევ უფრო დაიძაბა როზენბერგის გამოწვევამდე 1937 წლის თებერვალში. კაბალიეროს წერილი ეჭვ ქვეშ აყენებს ცნობილ ისტორიებს ელჩსა და პრემიერს შორის მაგრამ ეს პოზიცია აიხსნება საბჭოთა ხელმძღვანელობასთან საუკეთესო მდგომარეობის სურვილით. მიუხედავად დადებითი შეფასებისა 1937 წლის თებერვალში როზენბერგი გაიწვიეს მოსკოვში, დანიშნეს ახალ თანამდებობაზე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელად თბილისში, თუმცა ის იქ არასდროს ჩასულა. 1937 წლის 26 დეკემბერს დააპატიმრეს ხოლო 1938 წლის მარტში დახვრიტეს. მისი ბედი დიდხანს გაურკვეველი იყო.

რატომ მოიშორეს მ. როზენბერგი? ზოგი ამას უკავშირებს ელჩის გამომწვევ ქცევებს, მის მუდმივ მცდელობას ჩარეულიყო ესპანეთის საშინაო და საგარეო საქმეებში, ეს აზრი მნიშვნელოვანია, მაგრამ რადგანაც ესპანეთში მივლენილი ყველა რუსი მოხელე თუ ოფიცერი თითქმის ერთნაირად იქცეოდა მხოლოდ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ცნობილი დიპლომატის გაქრობის საფუძველად. ზოგის აზრით როზენბერგი თვლიდა, რომ სტალინის და ჰიტლერის პოლიტიკა ესპანეთში მსგავსი იყო და ხშირად უთითებდა ამ პოლიტიკის სიბეცეზე რაც მას არ აპატიეს. ამ აზრსაც ვერ გავიზიარებთ. მართებულად

მიგვაჩნია აზრი, რომ როზენბერგმა თავისი მისია შეასრულა (მათ შორის ოქროს გაგზავნის ოპერაცია) ის უკვე საჭირო არ იყო, თან ძალიან ბევრი იცოდა და შესაბამისად მოიშორეს. ვთვლით, რომ ელჩი სპეციალური მისიით იყო მივლენილი, (დანიშვნისას გათვალისწინებული იყო მხოლოდ როზენბერგის უნარები ფარული დიპლომატიასა და არაფორმალურ მოლაპარაკებებში) სხვა ახსნა არ აქვს ესპანეთში პირველ ელჩად ისეთი ადამიანის გაგზავნას რომელმაც ენა არ იცოდა და არც ესპანელების ხასიათს იცნობდა.

აშკარა ფაქტებისა და საყოველთაოდ მიღებული აზრის საპირისპიროდ ზოგიერთი მკვლევარი თვლის (მაგალითად ნ. პლატოშკინი), რომ როზენბერგი არ მონაწილეობდა საკადრო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, პრემიერთან წინააღმდეგობას კი ხსნის ელჩის მოთხოვნით უფრო ენერგიულად ეწარმოებინა ომი და სამხედრო დახმარებაც გამოეყენებინათ რაციონალურად. ჩვენს ხელთ არსებული საარქივო დოკუმენტები ცხადყოფს ამ დებულებების სიმცდარეს. ვიზიარებთ იმ დროს საფრანგეთში ესპანეთის ელჩის ლ. არაკისტაინის აზრს იმის შესახებ, რომ მიუხედავად დიდი ცოდნისა, რომელიც როზენბერგმა დააგროვა ერთა ლიგის დერეფნებში ის აღმოჩნდა სრულიად უვიცი ესპანელებთან მიმართებაში.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ლევან გორდეზიანი, ირინე ტატიშვილი. Hittite Funeral Traditions and Afterlife Beliefs in the Context of Hittite Cosmology. წიგნში: Ancient Near Eastern Weltanschauungen in Contact and in Contrast: Rethinking the Terms Ideology and Propaganda. Münster: Zaphon, 2022, გვ. 309-322.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროფ. ლევან გორდეზიანის ინდივიდუალურ ანგარიშში ანოტაცია არ არის მოცემული.

2.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **მარიკა მშვილდაძე.** ჰერმეს-მერკურის კულტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე (I-IV სს.). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, ბათუმი, 2022 წლის 5-6 ივლისი.

2. **მარიკა მშვილდაძე.** ღვთაება ნემესისი კულტი გვიან ანტიკური პერიოდის ქართლში. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2022 წლის 14-16 ივლისი. რეზიუმეების ინტერნეტვერსია.

3. **მარიკა მშვილდაძე.** ტიხე-ფორტუნას კულტი გვიან ანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე. საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი, თბილისი, 2022 წლის 3-4 ოქტომბერი, რეზიუმეების ინტერნეტვერსია.

4. **მარიკა მშვილდაძე.** იუდეველთა თემების ინდოსტანის ნახევარკუნძულზე განსახლების შესწავლის საკითხისათვის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია აღმოსავლეთ აზია ისტორიულ და თანამედროვე კონტექსტში, თბილისი, 2022 წლის 28-29 ოქტომბერი, რეზიუმეების ინტერნეტვერსია.

5. **მურმან პაპაშვილი.** „დღემდე უცნობი წყაროები თბილისის კათოლიკეთა საეპისკოპოსოსა და მისი ეპისკოპოსის-ქრისტეფორე ორბელიანის შესახებ“. 27-28 აპრილი,2022. თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

6. **მურმან პაპაშვილი.** „თეატინელი მისიონერის აქამდე უცნობი ერთი ინფორმაციის ანალიზი“. მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი. კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში, 7-8 ივნისი, 2022.თბილისი. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი.

7. **მურმან პაპაშვილი.** „ყვარყვარე IV-ის კონფესიური დიპლომატია (ახლებური წაკითხვა)“. 14-16 ივლისი,2022. თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

8. **მურმან პაპაშვილი.** „XI-XVIII საუკუნეების საქართელოს ორიენტაცია ევროპაზე წმინდა ტახტთან ურთიერთობის კონტექსტში (ფაქტები, წყაროები, დასკვნები)“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-„საქართველო და ევროიინტეგრაცია“, 28-29 ივლისი, 2022. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

9. **მურმან პაპაშვილი.** „მეფე გიორგი XI-ის პროლათინური დამოკიდებულების ახლებური ინტერპრეტაცია“. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-„საქართველო და ევროინტეგრაცია“, 29-30 სექტემბერი, 2022. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

10. **მურმან პაპაშვილი.** „ბერნარდო ნეაპოლელის ყოველდღიურობა საქართველოში კათოლიკეთა პრობლემების კონტექსტში(დღემდე უცნობი წყაროები, ფაქტები, დასკვნები)“. დოქტორ სიმონ ზაზაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ქართული დიასპორა: წარსული და თანამედროვეობა II. 11-12 ოქტომბერი, თბილისი, 2022. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სულხან-საბას უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტამბულის ქართული ხელოვნების სახლი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

11. **მურმან პაპაშვილი.** „მიცვალებულთა ინდულგენციის მართლმადიდებლური პრაქტიკა საქართველოში (ერთი უცნობი წყაროს ანალიზი)“. მეთხუთმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-„განათლება, მეცნიერება, ინოვაციები პოსტ-პანდემიურ პერიოდში“ 15-16 დეკემბერი, 2022. გორი. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

12. **თ. ქარჩავა, თ. წითლანაძე.** ჟილბერტ დე ლენოი – ვერშემდგარი ჯვაროსნული ლაშქრობის პროპაგანდისტი და კურიერი. აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენება, 14-16 ივლისი, თბილისი, 2022.

13. **თ. წითლანაძე, თ. ქარჩავა, ანდრო გოგოლაძე.** სამხრეთ საქართველო ფრანგული დიპლომატიის ფოკუსში (მე-16 ს. II ნახ.). დოქტორ სიმონ ზაზაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ქართული დიასპორა – წარსული და თანამედროვეობა, II. 11-12 ოქტომბერი, თბილისი, 2022.

14. **თეიმურაზ პაპასქირი.** ესპანეთის საკითხი პოტსდამის კონფერენციაზე. ქართულ-ბასკური ურთიერთობებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, თსუ, 23 დეკემბერი.

15. **თეიმურაზ პაპასქირი.** არშემდგარი „წითელი ცუნამი“: აშშ-ს 2022 წლის შუალედური არჩევნების შედეგების გააზრებისათვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთხუთმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 29 დეკემბერი.

16. **მერაბ კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე მითრიდატე VI ევპატორზე. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, თსუ, 14-16 ივლისი.
17. **მერაბ კალანდაძე.** გუსტავ ვაზას და გუსტავ ადოლფის მოღვაწეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთხუთმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 29 დეკემბერი.
18. **ლეილა (ია) ხუბაშვილი.** კათოლიკური რესტავრაცია და თანამედროვე ეკლესიის მმართველობის სისტემის შექმნა. სიქსტუს V. ივანე ჯავახიშვილის 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები. თბილისი, თსუ, 27.04.2022.
19. **ლეილა (ია) ხუბაშვილი.** ბენედიქტ XV-ის რელიგიური და დიპლომატიური მოღვაწეობა. ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური 23-ე საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წლისთავისადმი. თბილისი, თსუ, 19-21.05.2022.
20. **ლეილა (ია) ხუბაშვილი.** რომის პაპი „რკინის ფარდის“ მიღმა ქვეყნიდან. იოანე პავლე II. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „პოლონეთი-საქართველო. ორსაუკუნოვანი დიალოგი“. თბილისი, თსუ, 06-07.10.2022.
21. **ლეილა (ია) ხუბაშვილი, ალექსანდრე უბირია.** დემოგრაფიული აფეთქების პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზები შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების მაგალითზე. იოანე პავლე II. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია აღმოსავლეთ აზია ისტორიულ და თანამედროვე კონტექსტში. თბილისი, თსუ, 28-29.10.2022.
22. **ლეილა (ია) ხუბაშვილი.** საეკლესიო სახელმწიფოს რესტავრაცია. ფრანგული კონკორდატი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთხუთმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 29.12.2022.
23. **ფატიმა შეყლაშვილი.** ინტეგრაციული პროცესის სირთულეები გერმანიაში XX ს-ის 90-იან წლებში და ინოვაციური პოლიტიკა ახალ მიწებზე. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, თსუ, 14-16 ივლისი.
24. **ფატიმა შეყლაშვილი.** უნგრეთის სტრატეგიული მიზნები 1914-1918 წლებში (პოლიტიკურ-ტერიტორიული ასპექტები). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთხუთმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 29.12.2022.
25. **თამარ ანთაძე.** ვარლამ ჩერქეზიშვილი ინგლის-ბურების ომზე (1899-1902). აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, თსუ, 14-16 ივლისი.
26. **ფატიმა შეყლაშვილი.** ვარლამ ჩერქეზიშვილი ინგლისელ პოლიტიკოს სესილ როდსზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთხუთმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 29.12.2022.
27. **ზაალ გოგენია.** „სტამბულის არხი“ და მონტრეს კონვენციის მომავალი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე. ბათუმი, 2022 წლის 5- 6 ივლისი.
28. **ზაალ გოგენია.** წინააღმდეგობის (აჯანყების) უფლება: იდეის ისტორია. საერთაშორისო კონფერენცია - არქივმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები. თბილისი, 2022 წლის 8-10 სექტემბერი.
29. **ზაალ გოგენია.** ბასკეთის საფეხბურთო გუნდის ტურნე საბჭოთა კავშირში 1937 წ. ქართულ-ბასკური ურთიერთობებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, თსუ, 23 დეკემბერი.
30. **ზაალ გოგენია.** კომუნიტარული ექსპერიმენტი ესპანეთში (1936-1939 წწ.). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთხუთმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 29 დეკემბერი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1.

მარიკა მშვილდაძე

ჰერმეს-მერკურის კულტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე (I-IV სს.)

საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქები აფსაროსი, ფასისი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი (ახ.წ. II საუკუნიდან) I-IV სს. რომისათვის სტრატეგიული დანიშნულების მნიშვნელოვან თავდაცვით სისტემაში შედიოდნენ, როგორც პროვინცია კაპადოკიის გარკვეული ნაწილი, რომელიც რომაელთა ბატონობის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ფორპოსტი იყო კავკასიაში. კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში რომაელთა გარნიზონები იდგა.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს დაგვედგინა, თუ რამდენად იყო პოპულარული ჰერმეს-მერკურის კულტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში I-IV სს., სადაც ანტიკური ღვთაებები დიდი ბერძნული კოლპნიზაციის პერიოდიდან შემოდიან. ხოლო ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან რომის მეშვეობით ხდება უკვე მათი გავრცელება.

ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე ჰერმეს-მერკურის კულტთან დაკავშირებული სამი ნივთი: 1. ბიჭვინთის სამაროვნის ტერიტორიაზე №460 ორმოსამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ბეჭედში ჩასმული ღია ნარინჯისფერი სარდიონის ინტალიო ჰერმესის-მერკურის გამოსახულებით, რომელსაც ხელში ქისა და კერიკეიონით უჭირავს; 2. ოქროს ბეჭედში ჩასმული წითელი იასპის ინტალიოზე წარმოდგენილი ჰერმესისა და ფორტუნას გამოსახულება ურეკის განძიდან და 3. ექვსსტრიქონიანი ბერძნული წარწერაა “მოგზაურო, თაყვანიეც მეუფე ჰერმეს-მერკურის (თავის) გადასარჩენად” გამოყვანილი სოხუმის თიხის ჭრაქზე, რომელიც ადგილობრივ ნახელავად ითვლება. კვლევის შედაგად დგინდება, რომ ჰერმეს-მერკურის კულტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე საკმაოდ იყო გავრცელებული ახ.წ. II-III სს., რაზეც ადგილობრივი ნაწარმი – სოხუმის თიხის ჭრაქის წარწერაც მეტყველებს. ღვთაება ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ვაჭრობის აღებ-მიცემის, მოგზაურობის, ბედის მფარველ ღმერთად გვევლინება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბიჭვინთაში რომაულ კასტელუმთან ერთად წარმოიქმნა საქალაქო დასახლება, რომელიც პიტიუნტის ციტადელს ეკვრის წრიული მოყვანილობის გალავნით და კოშკით. ეს სავსებით ლოგიკური იქნება.

2.

მარიკა მშვილდაძე

ღვთაება ნემესისი კულტი გვიან ანტიკური პერიოდის ქართლში

ნემესისი ერთ-ერთი უძველესი და პატივდებული - ბედის განმასახიერებელი ღვთაება იყო ძველ საბერძნეთში. იგი სამართლიანი შურისძიების ქალღმერთად გვევლინება. მის მოვალეობას დანაშაულისათვის დასჯა (სიკვდილი), მოკვდავთა შორის სიკეთის თანაბრად გადანაწილება... წარმოადგენდა. ძველ რომში ღვთაება წარმოადგენდა ერთგვარ „იმპერიის ფორტუნას“, რომელიც ერთის მხრივ, იმპერიის შურისძიებას, ხოლო მეორეს მხრივ, იმპერიის მიერ სუბსიდირებულ საჩუქრებს არიგებდა.

გვიან ანტიკურ ხანაში ნემესისის კულტი საქართველოს ტერიტორიაზე ქართლის (იბერია) სამეფოში - დიდი მცხეთის, ურბნისისა და ჟინვალის ტერიტორიაზე ფიქსირდება. კერძოდ, აქ აღმოჩენილ გემა-ინტალიოებზე, რომლებიც ძირითადად საშუალო ფენის მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი. აღმოჩენილი შვიდი ინტალიოდან სამი რკინის, ერთი ბრინჯაოს, ორი ვერცხლის, ხოლო ერთი ოქროს ბეჭედშია ჩასმული. ინტალიოები მასობრივი პროდუქციის ნიმუშებს წარმოადგენს, რომლებიც არ განსხვავდება გვიან ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი მასობრივი პროდუქციის ნიმუშებისგან. ბეჭდები და ინტალიოები ახ.წ. I-III სს-ით თარიღდება. მხოლოდ ერთი ოქროს ბეჭედი ჩასმული ინტალიო თარიღდება III-IV სს-ით.

ნემესისის გამოსახულებიანი ინტალიოების კვლევის შედეგად დგინდება, რომ ქართლის სამეფოში გავრცელებულია ანტიკური წარმართული პანთეონი. აშკარაა, რომ ქართლი ანტიკური ოიკუმენის ნაწილია, რაც ასახულია კიდეც ჭრილა ქვებზე. ღვთაება ნემესისის გამოსახულებიანი ბეჭდები შემოდის სწორედ იმ დროს. რომელ პერიოდშიც რომის იმპერიაშა პოპულარული ეს ღვთაება I-III სს.

3.
მარიკა მშვილდაძე
ტიხე-ფორტუნას კულტი გვიან ანტიკური საქართველოს ტერიტორიაზე

ტიხე-ფორტუნა ბედნიერების მომტანი ღვთაება იყო. მისი კულტი ნაყოფიერებას, სიუხვეს, ადამიანის ბედს უკავშირდებოდა. იგი ანტიკურ გლიპტიკაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ღვთაებას წარმოადგენდა. იმთავითვე ხალხმა ტიხე-ფორტუნა ადამიანის ცხოვრების თანამგზავრად მიიჩნია. ითვლებოდა ანტიოქიის, ალექსანდრიის მფარველად. ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ტიხე-ფორტუნას კულტთან დაკავშირებული არტეფაქტები. კვლევის შედეგად დგინდება, რომ ღვთაება ტიხე-ფორტუნა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კულტი იყო გვიან ანტიკური ხანის იბერია-კოლხეთში, რაც ანტიკურ სამყაროსთან პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობების შედეგს წარმოადგენს. გვიან ანტიკურ ხანაში კოლხეთის შავიზღვისპირეთი რომის პროვინცია პონტოს შემადგენელი ნაწილია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო - ქართლი (იბერია) რომის მეგობარი და მოკავშირე ქვეყანა. ღვთაების გამოსახულებები გვხვდება როგორც ხელოვნების ნიმუშებზე (მცხეთა, არმაზისხევის №6 სამარხში დაფიქსირებული ვერცხლის ფიალის ფსკერზე გამოსახული ტიხე-ფორტუნა ახ.წ. II ს., ვერცხლის თეფშის ძირზე გამოსახული ტიხე-ფორტუნა ციხისძირის სამაროვნიდან ახ.წ. II-III სს.), ისე სამკლაურზე (ბიჭვინთა, ბიჭვინთის სამაროვანის №345 სამარხში (ლეგიონერის სამარხი) აღმოჩენილი ვერცხლის სამკლაური, ახ.წ. II-III სს.) და გლიპტიკურ ძეგლებზე. ტიხე-ფორტუნას გამოსახულებიანი საბეჭდავები დაფიქსირებულია მცხეთაში, ურბნისში, ჟინვალში, კლდეეთში, ბორში, გონიო-ავსაროსში... ღვთაებისგამოსახულებიანი ინტალიოები დამზადებულია: სარდიონისგან, ქალცედონისგან, იასპისგან, ტოპაზისგან... რომლებიც ჩასმულია, როგორც რკინის, ისე ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს ბეჭდებში. ნიშანდობლივია, რომ ტიხე-ფორტუნას კულტი ძირითადად გავრცელებულია ურბანისტულ ცენტრებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტიხე-ფორტნა მოსახლეობის ყველა ფენაში, ჩვენი აზრით კი ძირითადად რომანიზებულ მოსახლეობაში იყო პოპულარული.

4.
მარიკა მშვილდაძე
იუდეველთა თემების ინდოსტანის ნახევარკუნძულზე განსახლების შესწავლის საკითხისათვის

ნაშრომში ისტორიულ წყაროებზე და არტეფაქტებზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებულია ინდოსტანის ნახევარკუნძულზე იუდეველთა პირველი განსახლების საკითხები. ისრაელისა და ინდოსტანის ნახევარკუნძულზე არსებულ სახელმწიფოს შორის პირველი კავშირი ბიბლიაში დაცული ცნობების მიხედვით, სოლომონ მეფის პერიოდში ხდება. მიუხედავად იმისა, რომ მკველევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ბიბლიაში მოხსენიებულ ოფირის ქვეყანის შესახებ (შრი-ლანკა, არაბეთის ნახევარკუნძული, აფრიკის სანაპირო ინდოეთის ოკიანესთან...) რომელთანაც მჭიდრო სავაჭო ურთიერთობები ჰქონდა ისრაელის მეფე სოლომონს, მეცნიერთა უმეტესობის მიერ ოფირის ქვეყანა სწორედ ინდოეთთან – ინდოსტანის ნახევარკუნძულთან, მალაბარის სანაპირო ზოლთან არის დაკავშირებული.

თუ გავითვალისწინებთ ცნობებს ინდოეთში არსებული ზღვაოსნობის კულტურის, ნავიგაციის განვითარების – ინდური ნიჩბიანი გემების არსებობის შესახებ, პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს ამ ორ ქვეყანას შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობების არსებობის ფაქტი. ხოლო რაც შეეხება იუდეველთა პირველი განსახლების თარიღს ინდოსტანის ნახევარკუნძულზე, ისტორიული პროცესების გათავლისწინებით, სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია ჯერ კიდევ ბიბლიური მეფე სოლომონის პერიოდში გაცნობოდნენ იუდეველები ამ მხარეს. იუდეური თემების დაარსების თარიღად კი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ ძვ.წ. 586 წელს იუდას სამეფოს განადგურიების შემდგომი

პერიოდი მიგვაჩნია. ისევე როგორც ტიტუსის მიერ იუდეველთა მეორე ტაძრის დანგრევის (ახ.წ. 70 წ.) შემდგომი პერიოდი. არ არის გამორიცხული იუდეველთა ერთი ტალღა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე მართლაც ძვ.წ. 722 წელს ასურეთის მიერ ჩრდილო ისრაელის განადგურების შემდგომ ჩასულიყო. მაგრამ ამ ხალხის მიერ ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ეთნოკულტურის შენარჩუნება ნაკლებ შესაძლებლად მიგვაჩნია. მათ ისტორია 10 დაკარგული ტომის სახელით იცნობს, რომლებიც რომელ ტერიტორიაზეც განსახლდნენ ყველგან ადგილობრივ მოსახლეობაში აირივნენ და თვითმყოფადობა ვერ შეინარჩუნეს.

5.

მურმან პაპაშვილი

დღემდე უცნობი წყაროები თბილისის კათოლიკეთა საეპისკოპოსოსა და მისი ეპისკოპოსის – ქრისტეფორე ორბელიანის შესახებ ***(გამოქვეყნებულია)***

6.

მურმან პაპაშვილი

თეატინელი მისიონერის აქამდე უცნობი ერთი ინფორმაციის ანალიზი

მოხსენებაში გაშუქებულია 1662 წლის 19 სექტემბრის ერთი ვრცელი რელაცია, რომელიც ჩვენი ვარაუდით ეკუთვნის სამეგრელოში თეატინელთა მისიონის პრეფექტს დონ ჯუზეპე ძამპის. მასში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაანალიზებულია ოდიშის სამთავროში არსებული მსხვერპლშეწირვის, ანუ ეკლესიაში ზვარაკის დაკვლის ფაქტები, რომელზეც მთავარმა ლევან II დადიანმა მისიონერების მოქმედების შედეგად ხელი აიღო. ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეატინელი მამები ქართულ სამყაროში ახალ რეალობას ქმნიდნენ. მათი საქმიანობით ქვეყანა ევროპის სინამდვილის შესახებ თავის წარმოდგენებს აფართოებდა და მათი მიღება, როგორც „თავისიანის“, მართლმადიდებელი რწმენის დათმობის გარეშე მიმდინარეობდა. ეს იმაზე მიუთითებდა, რომ „კულტურული ადაპტაცია“ ქართული სინამდვილისათვის მისაღები იყო რელიგიური კომპრომისების გარეშე.

7.

მურმან პაპაშვილი

ყვარყვარე IV-ის კონფესიური დიპლომატია (ახლებური წაკითხვა) ***(გამოქვეყნებულია)***

8.

მურმან პაპაშვილი

XI-XVIII საუკუნეების საქართველოს ორიენტაცია ევროპაზე წმინდა ტახტთან ურთიერთობის კონტექსტში (ფაქტები, წყაროები, დასკვნები)

მოხსენებაში, როგორც ცნობილი, ისე უცნობი წყაროების საფუძველზე წარმოდგენილია ის რელიგიური პოლიტიკა, რომელმაც განსაზღვრა ევროპაზე ორიენტაცია დასახელებულ პერიოდში. იგი დაფუძნებულია კათოლიკე მისიონერების უნიატური და მისიონერული საქმიანობის კონკრეტულ ფაქტებზე და გაკეთებულია განმაზოგადებელი დასკვნა: სახელმწიფოს დაქვემდებარებული ქართული ეკლესია იზიარებდა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის პროდასავლურ პოლიტიკას და ინარჩუნებდა სრულ შემწყნარებლობას კათოლიკე მისიონერების მიმართ. მართლმადიდებელ სასულიერო იერარქებს კარგად ესმოდათ, რომ ეს კავშირი თავისთავად განსაზღვრავდა ქართული ეკლესიის კეთილდღეობასაც. ქართველმა პოლიტიკოსებმა და სასულიერო პირებმა ნათლად დაინახეს, რომ ქვეყნის იზოლაციის გარღვევა, საქართველოს ქრისტიანულ დასავლეთთან გაერთიანება დასავლურ კულტურასთან ზიარება და ამის საფუძველზე საქართველოს აღორძინება წმიდა საყდართან კონტაქტის შენარჩუნებით იყო მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებელი.

9.

მურმან პაპაშვილი

მეფე გიორგი XI-ის პროლათინური დამოკიდებულების ახლებური ინტერპრეტაცია

მოხსენებაში ახალი უცნობი წყაროების საფუძველზე გაანალიზებულია ქართლის მეფის გიორგი XI-ის კათოლიკე მისიონერებთან ურთიერთობა. გამოთქმულია საფუძვლიანი ვარაუდი, რომ გიორგი მეფე ფარული კათოლიკე იყო, ყოველ შემთხვევაში, კათოლიკობისკენ მიდრეკილი მაინც. ეს ნათლად გამოვლინდა იმაში, რომ მან არ შეასრულა საქართველოში ჩამოსული იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოზ II-ის მოთხოვნა, რომ კათოლიკე მისიონერები საქართველოდან გაეძევებინა და მათთვის თბილისისა და გორის ეკლესიები ჩამოერთვა. პირიქით, მეფემ თავის მხრივ ფინანსური დახმარება აღმოუჩინა თბილისში კათოლიკეთა ახალი ეკლესიის აგებას. ირიბი წყაროების საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომ მეფე გიორგი XI-ის შეგონებით მიდრკა სულხან-საბა ორბელიანი კათოლიკობისკენ. მეფის პროლათინური პოლიტიკა უკავშირდებოდა უმთავრესად დასავლეთის ანტითურქულ ძალებთან კავშირის ძიებას.

10.

მურმან პაპაშვილი

ბერნარდო ნეაპოლელის ყოველდღიურობა საქართველოში კათოლიკეთა პრობლემების კონტექსტში(დღემდე უცნობი წყაროები, ფაქტები, დასკვნები)

მოხსენებაში ახალი წყაროების საფუძველზე გაშუქდა ბერნარდო ნეაპოლელის მისიონერული საქმიანობა საქართველოში. ამ წყაროების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია განმაზოგადებელი დასკვნა. კერძოდ: ბერნარდო ნეაპოლელს საქართველოში ევროპული მისიონერული საშუალებების შემოტანა მიაჩნდა აქ კათოლიკობის მომავალი წარმატებების საწინდრად. მიუხედავად რომაულ-ქართული ეკლესიების განსხვავებისა, იგი კათოლიკური ევროპეიზაციის პროცესის ერთ-ერთ სპეციფიკურ ფორმად განათლებას მიიჩნევდა. მის საფუძველზე, ანუ განათლებული მისიონერები, განათლებული ექიმები, განათლებული ქართველი ახალგაზრდები და ეკონომიკური ძალმოსილება იყო შესაძლებელი საბოლოო მიზნის, ეკლესიათა უნიის ადვილად მიღწევა.. ყოველივე ამას მაშინდელი ქართლის სამეფოს წმინდა ტახტთან ურთიერთობის ვექტორი განსაზღვრავდა, რომელიც ჯდებოდა სპარსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, როგორც კათოლიკეთა მისიონის ამოცანებში, ასევე ირანის ხელმწიფეთა ევროპული პოლიტიკის მისწრაფებებში. ე.ი. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საგარეო კონიუნქტურა, რომელშიც ჩართული იყვნენ, როგორც ირანის შაჰები, ასევე ქართლის მეფეები.

11.

მურმან პაპაშვილი

მიცვალებულთა ინდულგენციის მართლმადიდებლური პრაქტიკა საქართველოში (ერთი უცნობი წყაროს ანალიზი)

მოხსენებაში ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, საერთოდ კი ქართულ სინამდვილეში, პირველად იქნა ეს პრობლემა განხილული. ერთი კონკრეტული წყაროს ანალიზზე, რომელიც ავტორის ვარაუდით, ეკუთნის დონ ჯუზეპე ძამპის გაკეთებულია განმაზოგადებელი დასკვნა. კერძოდ: მართლმადიდებელ აღმოსავლეთში XVI საუკუნიდან გავრცელებული ინდულგენცია, როგორც ცოცხლებისათვის, ასევე მიცვალებულთათვის, საქართველოში XVII ს-ის მეორე ნახევარში გავრცელდა. თუ ლათინური და ბერძნული პრაქტიკის საწყისებს ერთმანეთს შევადარებთ, ისინი არაფრით განსხვავდებიან ამ საქმეში ერთმანეთისაგან და ისტორიული პოლემიკა ამ სფეროში ინდულგენციათა გაცემის ექსკლუზივს მიეწერებოდა და არა საღვთისმეტყველო ჭეშმარიტებას. გამონაკლისი არც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოფილა. ინდულგენცია გამდიდრების საშუალებას წარმოადგენდა. ბუნებრივია, ინდულგენციის კომერციალიზაციის პრაქტიკული სამყაროს წარმომადგენელ კათოლიკე მისიონერს, რომელმაც აღნიშნული ცნობა დაგვიტოვა ამ მოვლენის მანკიერ მხარეზე არ უმსჯელია და იგი არ დაუგმია, როგორც ამას ამავე წყაროში სხვა მართლმადიდებლური ტრადიციისა თუ დოგმის მიმართ აკეთებდა. ასე რომ, ამ სფეროში მართლმადიდებლების საყვედური კათოლიკეთა სწავლების მიმართ უნიადაგოა და იგი იმთავითვე დაეშენა იმას, რომ ინდულგენციის გაცემის უფლება მხოლოდ პაპს ხელეწიფებოდა.

12.

თ. ქარჩავა, თ. წითლანაძე
ჟილბერტ დე ლენოი – ვერშემდგარი ჯვაროსნული ლაშქრობის პროპაგანდისტი და კურიერი
(გამოქვეყნებულია)

13.
თ. წითლანაძე, თ. ქარჩავა, ა. გოგოლაძე
სამხრეთ საქართველო ფრანგული დიპლომატიის ფოკუსში (მე-16 ს. II ნახ.) *(გამოქვეყნებულია)*

14.
თეიმურაზ პაპასქირი
ესპანეთის საკითხი პოტსდამის კონფერენციაზე

„დიდი სამეულის“ მესამე კონფერენციაზე, რომელიც 1945 წლის 17-31 ივლისს გაიმართა პოტსდამში, ბერლინის მახლობლად, სსრკ-ს ლიდერმა იოსებ სტალინმა, აშშ-ს პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრებმა უინსტონ ჩერჩილმა და კლემენტ ეტლიმ, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, გარკვეული დრო დაუთმეს ესპანეთის საკითხსაც. ამის ინიციატორი სტალინი გახლდათ. მართალია, ის მოითხოვდა, რომ ესპანეთის საკითხი საერთოდ ცალკე შესულიყო დღის წესრიგში, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ის განხილულ იქნა განთავისუფლებული ევროპის ქვეყნებისა და გერმანიის ყოფილი მოკავშირეების (მართალია, ესპანეთი ფორმალურად არ იყო გერმანიის მოკავშირე, მაგრამ ის „ღერძის“ ქვეყნების თანამოაზრედ მიიჩნეოდა) მიმართ გასატარებელ ღონისძიებებთან ერთად. გარდა ამისა, გარკვეულწილად ესპანეთთან შეხება ჰქონდა ტანჟერის საკითხსაც, რომელზეც კონფერენციის მსვლელობის დროს „დიდი სამეულის“ ლიდერებს ასევე ჰქონდათ გარკვეული კონსულტაციები.
ესპანეთის საკითხს პირველად მხარეები 19 ივლისს შეეხნენ. სსრ კავშირის დელეგაციამ წარმოადგინა თავისი წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა მოკავშირეთა მხრიდან ესპანეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტასა და ესპანელი ხალხისათვის დახმარების გაწევას, რათა ამ ქვეყანაში მოსულიყო დემოკრატიული მთავრობა. როგორც შეხვედრის მსვლელობიდან გაირკვა, ეს სულაც არ შედიოდა დიდი ბრიტანეთის ინტერესებში. ჩერჩილსა და სტალინს შორის გაიმართა საკმაოდ მწვავე პოლემიკა. თავის მხრივ, ტრუმენმა, რომელიც მაინცდამაინც არ იყო ამ საკითხით დაინტერესებული, განაცხადა, რომ ის ვერ იტანდა ფრანკოს, მაგრამ ხაზი გაუსვა ამ პრობლემის თავად ესპანელების მიერ გადაწყვეტის აუცილებლობას.
ამის შემდეგ ესპანეთის საკითხზე ძირითადად ვიაჩესლავ მოლოტოვი (სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი), ჯეიმს ბირნსი (აშშ-ს სახელმწიფო მდივანი), ენტონი იდენი და ერნესტ ბევინი (დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივნები) მსჯელობდნენ. ვინაიდან ძირითად საკითხად ესპანეთის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანება იქცა, დიდი ვნებათაღელვა ამჯერად უკვე არ ყოფილა. მხარეები საკმაოდ სწრაფად შეთანხმდნენ, რომ ესპანეთის ხელისუფლება არანაირად არ აკმაყოფილებდა გაეროს წესდების მუხლებს და არ იმსახურებდა მასში გაწევრიანებას. რაც შეეხება ტანჟერის საკითხს, მიუხედავად საბჭოთა მხარის მოთხოვნისა, რომ ის გადაწყვეტილიყო ესპანეთის გარეშე, მისი განხილვა გადაიდო კონფერენციის შემდგომი პერიოდისთვის. ამასთან, ბრიტანელების მოთხოვნით, იქ უნდა გათვალისწინებულიყო ესპანეთის ინტერესებიც.

15.
თეიმურაზ პაპასქირი
არშემდგარი „წითელი ცუნამი“: აშშ-ს 2022 წლის შუალედური არჩევნების შედეგების გააზრებისათვის

2022 წლის 8 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა შუალედური არჩევნები. როგორც წესი, ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, მისი პარტია შუალედურ არჩევნებში არც ისე კარგ შედეგს აჩვენებს ხოლმე. ამჯერადაც, სპეციალისტების უმრავლესობა უპირატესობას რესპუბლიკურ პარტიას აძლევდა. ყოველივე ამის მიზეზი პრეზიდენტ ჯოზეფ რობინეტ ბაიდენ-უმცროსის არაპოპულარობა და ქვეყანაში არსებული ინფლაცია იყო. სწორედ ამის გამო, ითვლებოდა, რომ იქნებოდა დიდი „წითელი ტალღა“ (რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებს აშშ-ში წითელი ფერით აღნიშნავენ, დემოკრატიულისას კი – ლურჯით). რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგი, აშშ-ს

წარმომადგენელთა პალატის სპიკერი 1995-1999 წლებში, ნიუტ გინგრიჩი იმასაც კი აცხადებდა, რომ ეს იქნებოდა არა უბრალოდ „წითელი ტალღა“, არამედ „ცუნამი“, რომელიც იქნებოდა 1994 და 2010 წლების შუალედური არჩევნების მსგავსი და უფრო დიდიც კი. რესპუბლიკური პარტია წინასწარ ემზადებოდა იმისთვის, რომ კონტროლს დაამყარებდა როგორც წარმომადგენელთა პალატაზე (არჩევნებამდე დემოკრატებს მცირე უპირატესობა გააჩნდათ 222 213-ზე), ისე სენატზე (არჩევნებამდე აქ საერთოდ თანაფარდობა იყო და სადავო საკითხების გადაწყვეტისას ვიცეპრეზიდენტი კამალა ჰარისი ერთვებოდა, რითაც დემოკრატები სენატს აკონტროლებდნენ). მართლაც, 1994 და 2010 წლებში, როდესაც დაახლოებით ისეთივე ვითარება იყო, როგორც 2022 წლის არჩევნების წინ (ახალარჩეული დემოკრატი პრეზიდენტი, რომელიც არც ისე პოპულარულია იმ მომენტისთვის და შედარებით ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა), რესპუბლიკელებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს არჩევნებში: 1994 წელს მათ კონგრესის ორივე პალატაზე დაამყარეს კონტროლი (წარმომადგენელთა პალატაში შეემატათ 54 ადგილი /230-204/, სენატში კი – 8 სენატორი /52-48/), 2010 წელს კი – მხოლოდ წარმომადგენელთა პალატაზე (+63 ადგილი /242-193/), თუმცა სენატშიც მათ შეემატათ 6 ადგილი /49-51/. როგორც ვხედავთ, გინგრიჩი მსგავს და უფრო დიდ გამარჯვებას ელოდა. სოციოლოგიური გამოკითხვების უმრავლესობა უპირატესობას ასევე რესპუბლიკელებს ანიჭებდა, თუმცა იყო საკმაოდ დიდი განსხვავებები მასშტაბში. ასეთი შედეგების მიზეზი სხვადასხვა შტატში ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. ნიუ იორკსა და ფლორიდაში ამომრჩეველთა მთავარი საზრუნავი კოვიდი აღმოჩნდა, რამაც რესპუბლიკელთა წისქვილზე დაასხა წყალი. მიჩიგანსა და ნიუ ჰემპშირში აბორტების თემა წამოვიდა წინა პლანზე, რამაც დემოკრატების სასარგებლოდ ითამაშა. არიზონაში, ნევადასა და ჯორჯიაში კი კანდიდატის ტრამპთან სიახლოვეს მიენიჭა გადამწყვეტი ყურადღება, რაც ასევე დემოკრატებისთვის აღმოჩნდა მომგებიანი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2022 წლის შუალედური არჩევნების შედეგების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა აშშ-ს 45-ე პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ფიგურა. ე.წ. „საბრძოლო შტატებში“ დამარცხდა თითქმის ყველა კანდიდატი, რომელიც ტრამპის მხარდაჭერით სარგებლობდა და გაიმარჯვა პრაქტიკულად ყველამ, ვინც ტრამპს ემიჯნებოდა. ყოველივე ეს კარგად აჩვენებს, თუ რამდენად პოლარიზებულია ამერიკული საზოგადოება დონალდ ტრამპის ფიგურის გარშემო. სწორედ ამიტომ, ამ არჩევნების შემდეგ რესპუბლიკელები სულ უფრო მეტად ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ტრამპი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მათი საპრეზიდენტო კანდიდატი 2024 წლის არჩევნებში. მათი აზრით, ეს არა მარტო შეუძლებელს გახდის თეთრი სახლის დაბრუნებას, არამედ ავნებს სხვა რესპუბლიკელ კანდიდატებსაც როგორც მთლიანად ეროვნულ დონეზე (წარმომადგენელთა პალატასა და სენატში), ისე ადგილობრივ დონეზე (გუბერნატორების იმ მცირე ნაწილში, სადაც არჩევნები ჩატარდება 2024 წელს).

16.
მერაბ კალანდაძე
დიმიტრი უზნაძე მითრიდატე VI ევპატორზე (გამოქვეყნებულია)

17.
მერაბ კალანდაძე
გუსტავ ვაზას და გუსტავ ადოლფის მოღვაწეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და ეხება სკანდინავიის მეფეების გუსტავ ვაზას (1523-1560წწ.) და გუსტავ ადოლფის (1611-1632წწ.) მოღვაწეობის გაშუქებას. საქართველოში ამ კუთხით ეს საკითხი შესწავლილი არ ყოფილა. ამას აქვს მნიშვნელობა და წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე, თუ რა არის ამ მიმართულებით გაკეთებული და რა არის საჭირო კიდევ რომ გაკეთდეს. მოცემულია საკითხის პერიოდიზაცია, რომელიც სრულიად განსხვავდება საბჭოურისაგან. აღნიშნული საკითხის შესწავლამ ქართულ ისტორიოგრაფიაში, ვფიქრობთ საინტერესო ევოლუცია განიცადა. თავდაპირველად ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდგომ იძულებული გახდა გადაეხვია ამ გზიდან და სულ სხვა მიმართულებით განვითარდა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად ძნელია მივიჩნიოთ.

18.
ლეილა (ია) ხუბაშვილი

კათოლიკური რესტავრაცია და თანამედროვე ეკლესიის მმართველობის სისტემის შექმნა. სიქსტუს V

ვატიკანის უდიდეს პოლიტიკურ და დიპლომატურ მნიშვნელობას მთელი მისი ორიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე განსაზღვრავდა საეკლესიო აპარატი, რომელსაც ის კათოლიკური სამყაროს მართვისათვის იყენებდა, ამიტომ სწორედ რელიგიური აპარატის უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ კათოლიკური ეკლესიის იერარქიულ-ადმინისტრაციული სისტემა.

რომის კათოლიკური ეკლესიის აღმასრულებელი ხელისუფლება ძირითადად თავმოყრილია სამ ელემენტში: სტატსმდივანი, კარდინალთა კოლეგია და კონგრეგაცია. ყველა მათგანი უსიტყვოდ ემორჩილება პაპს და დამოკიდებული არიან მის უსაზღვრო ძალაუფლებაზე. კათოლიკური ეკლესიის საორგანიზაციო სტრუქტურაში კარდინალთა ინსტიტუტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. კათოლიკური ეკლესიის საქმიანობა მრავალმხრივია და სხვადასხვა სფეროს მოიცავს, ამიტომაც როგორც ყველა ყველა სახელმწიფო ადმინისტრაციულ აპარატში, ვატიკანშიც შესაბამისად არსებობს სხვადასხვა სამინისტროები, რომლებსაც იქ კონგრეგაციებს უწოდებენ. ყოველი კონგრეგაციის სათავეში დგას პაპის მიერ დანიშნული კარდინალი, პრეფექტი(მინისტრი). ცალკეულ შემთხვევაში პაპი თვითონ ასრულებს პრეფექტის როლს. რომის კონგრეგაციები XVI საუკუნეში შეიქმნა და დაკავშირებულია სიქსტუს V-ის სახელთან, რომელიც ითვლება ვატიკანის კარდინალური კურიის შემქმნელად. XVI საუკუნე მსოფლიო ისტორიაში ერთერთი მნიშვნელოვანი ეპოქაა, რომელიც სავსეა პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმებით. გერმანიაში დაწყებულმა რეფორმაციამ ევროპის რუკა შეცვალა და საფრთხე შეუქმნა კათოლიკურ ეკლესიას. პაპობამ მას კონტრრეფორმაციით უპასუხა, რასაც სისხლის მდინარეები მოჰყვა. ტრიდენტის მსოფლიო საეკლესიო კრების(1545-1563) დადგენილებებმა კიდევ უფრო გაამკაცრა პროტესტანტების დევნა და განამტკიცა კონტრრეფორმაცია. ერთადერთი დათმობა კათოლიკური ეკლესიის მხრიდან ინდულგენციების გაუქმება იყო. კონტრრეფორმაციის მთავარი ბურჯი იესოს საზოგადოება იყო, რომელმაც ავსტრიელ და ესპანელ ჰაბსბურგებთან ერთად საეკლესიო კონსერვატული რეფორმა გადააქცია მებრძოლ და აგრესიულ კონტრრეფორმაციად, რომლის მთავარ ბასტიონებად გადაიქცნენ ვენისა და პრაღის უნივერსიტეტები, სადაც ამზადებდნენ კონტრრეფორმაციულ ელიტას, რომელმაც მოგვიანებით დაიწყო პროტესტანტი მეფე-მთავრების უკან დაბრუნება კათოლიკობაზე. შედეგად ბევრი ქვეყანა (პოლონეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ჩეხეთი, იტალია) კვლავ დაუბრუნდა კათოლიკობის წიაღს. გერმანია ორ ნაწილად გაიყო: ჩრდილოეთ გერმანია პროტესტანტული დარჩა, სამხრეთმა კი კათოლიკობა დაიბრუნა. კათოლიკურმა რესტავრაციამ თავის აპოგეას მიაღწია ფელიჩე პერეტი დი მონტალტოს დროს, რომელიც ტახტზე ავიდა სიქსტუს V-ის სახელით (1585-1590). მან აქტიურად შეუწყო ხელი კონტრრეფორმაციას; ეკლესიიდან განკვეთა ანრი ბურბონი (1585. მოგვიანებით ანრი IV) და ელიზაბეტ I ტიუდორი (1587). პაპის მიერ გატარებულმა საეკლესიო რეფორმამ და სპეციალიზირებული კონგრეგაციის სტრუქტურის შემოღებამ მნიშვნელოვნად განამტკიცა რომის ეკლესიის ცენტრალიზმი და პაპის აბსოლუტიზმი. 1588 წლის 22 იანვრის ბულით „Immense aeterni Dei” 15 კონგრეგაცია შეიქმნა. მათგან 10 შედიოდა საეკლესიო მმართველობის ერთიან სისტემაში 5 პაპის სახელმწიფო მმართველობის ორგანოში. ამ სისტემამ არსებითი ცვლილებები პირველად 1870 წელს განიცადა პაპის სახელმწიფოს ლიკვიდაციის დროს. შემდეგ კი პიუს მეათის მიერ განხორციელებული რეფორმის შედეგად. 1588 წელს სიქსტუს V-მ შექმნა უნივერსიტეტების, სემინარიებისა და კვლევების კონგრეგაცია. მის მიზანს წარმოადგენდა განათლების ზედამხედველობა ჯერ პაპის ოლქში და შემდეგ მისი კონტროლის გავრცელება კათოლიკურ უნივერსიტეტებზე ავსტრიაში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში. ამჟამად ის აკონტროლებს ყველა უმაღლეს სასწავლებელს, რომლებსაც კათოლიკები ხელმძღვანელობენ. საეკლესიო კრებების კონგრეგაცია, რომელიც ტრიდენტის კრების შემდეგ შეიქმნა, ასევე რეორგანიზებულ იქნა. 1588 წელს პაპმა დაარსა კონსისტორიუმის კონგრეგაცია, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა და დაკავებული იყო წმინდა ინკვიზიციის საქმეებით. პიუს მეხუთის მიერ დაარსებულ აკრძალულ წიგნთა ინდექსის კონგრეგაციას, სიქსტუსმა დიქტატორული უფლებამოსილება მიანიჭა. სიქსტუს V-მ დაარსა წმინდა რიტუალების კონგრეგაცია, რომელიც დაკავებულიიყო წმინდანებად შერაცხისა და კანონიზაციის საკითხებით.

სიქსტუსმა პირველმა განსაზღვრა კარდინალთა უფლებამოსილება ცენტრალიზმის პრინციპის შესაბამისად. 1586 წლის 3 დეკემბრის ბულით „Pastquam verus ille” მან კარდინალთა რიცხვი 70-ით განსაზღვრა. ეს რიცხვი 1958 წელს იქნა პირველად გადაჭარბებული იოანე ოცდამესამის მიერ. შეიცვალა

ნეპოტიზმის ფორმებიც. ნეპოტიზმი მთელ ოჯახზე აღარ ვრცელდებოდა. პაპი ირჩევდა ორ ყველაზე ნიჭიერს და ამზადებდა მათ კარდინალებად. ერთერთ მათგანს აკისრებდა სტატს-მდივნის ფუნქციას. მეორე ნათესავს კი საეკლესიო სახელმწიფოს სამეურნეო მმართველობის ფუნქციას. სიქსტუს V-მ მნიშვნელოვნად გააძლიერა ნუნციუსების ინსტიტუტი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვატიკანის საგარეო პოლიტიკაში. რეფორმა შეეხო საფინანსო მმართველობასაც, რამაც პაპის ხაზინის შევსება განაპირობა. დიდ ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებას, აბრეშუმის მოყვანას, ვაჭრობის გაფართოებას.

სიქსტუს V-ის პონტიფიკატი გამოირჩეოდა რომში დანაშაულის წინააღმდეგ აქტიური¯ბრძოლით, გადასახადების რეგულირებით, საბანკო დაწესებულებებისა და მანუფაქტურების დაარსებით. იგი მფარველობდა კულტურასა და ხელოვნებას, სადაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. რენესანსისგან თითქმის აღარაფერი დარჩა. კათოლიკური რესტავრაციისა და კონტრრეფორმაციის ადეკვატურ მიმართულებად ხელოვნებაში ბაროკო იქცა. პაპის აბსოლუტიზმმა ხელოვნება მთლიანად ჩააყენა თავის სამსახურში; რენესანსის პერიოდში თუ ხელოვნება ბატონობდა პაპებზე, ახლა პირიქით მოხდა. ხელოვნება, რომელიც რენესანსის პერიოდში ყველაზე მეტად დაშორდა ეკლესიას,ახლა ყველაზე მეტად მიუახლოვდა მას. პაპი უშუალოდ მონაწილეობდა საეკლესიო მამების თხზულებების ბერძნულიდან თარგმანებში, მას ეკუთვნის თხზულება წმ. ამბროსი მილანელზე. სიქსტუს V-ის დროს გრანდიოზული მშენებლობა დაიწყო რომში მისი ფავორიტი არქიტექტორის დომენიკო ფონტანას აქტიური მონაწილეობით: მარადიული ქალაქი ახალი შენობებით გალამაზდა, მოწესრიგდა ქუჩები და მოედნები, კვირინალზე აშენდა ოთხი შადრევანი. მთავარი ტაძრების წინ პაპმა ბრძანა ობელისკების დადგმა, რომლებიც ეგვიპტიდან ანტიკური რომის ეპოქაში ჩამოიტანეს და იმპერიული სასახლეების ნანგრევებში იყვნენ მიტოვებული. 1586 წელს პაპის ბრძანებით ნერონის ცირკიდან გამოიტანეს და წმინდა პეტრეს მოედნის ცენტრში დადგეს წარმართული ეგვიპტური ობელისკი, რომელზეც სიქსტუსმა ამოაკვეთინა შემდეგი სიტყვები: Christus vivit, Christus regnat, Christus imperat. Vincit Lieo de tribu Juda (ქრისტე ცოცხლობს, ქრისტე მართავს, ქრისტე მბრძანებლობს. გაიმარჯვა ლომმა იუდეის ტომიდან). დასრულდა წმინდა პეტრეს ტაძრის გუმბათის მშენებლობა; აშენდა ვატიკანის ბიბლიოთეკისა და სტამბის შენობა; აღდგენილ და რესტავრირებულ იქნა ტრაიანესა და ანტონიუს პიუსის თაღები; გაკეთდა ახალი წყალგაყვანილობა -Aqua Felice. სიქსტუს V პირადად მფარველობდა იტალიელი პოეტის ტორკუატო ტასოს (1544-1595) შემოქმედებას, რომელმაც სახელი გაითქვა პოემით „იერუსალიმის გათავისუფლება“. სიქსტუსის საფლავი მდებარეობს სანტა მარია მაჯორეს საკათედრო ტაძარში სიქსტის კაპელაში, რომელიც მისი ბრძანებით ააშენა დომენიკო ფონტანამ. კაპელას ამშვენებს გუმბათი, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული მდიდრული დეკორით. პაპის საფლავის ქანდაკება მორთულია ბარელიეფებით. მუხლმოყრილი სიქსტუსის ქანდაკება შეასრულა სკულპტორმა ჯოვანი პარაკამ, რომელიც ვალსოლდოს სახელით იყო ცნობილი.

19.
ლეილა (ია) ხუბაშვილი
ბენედიქტ XV-ის რელიგიური და დიპლომატიური მოღვაწეობა

XIX საუკუნის 80-იან წლებში ვატიკანმა კათოლიკობის გადარჩენის უზრუნველსაყოფად დიპლომატიური მოლაპარაკებები დაიწყო საბჭოთა კავშირთან. კარდინალი პიეტრო პაროლინი „ავსტრია-უნგრეთის კატასტროფა შემზარავი და ამავდროულად სასიამოვნოა. მისი ისტორიული მისია დასრულდა. ახლა აღმოსავლეთში ახალი ერა იწყება. თურქეთის იმპერიის გარეშე, ავსტრიის იმპერიის გარეშე, ცარიზმის გარეშე სიტუაცია იძენს სრულიად ახალ, იდუმალ ხასიათს, რომელიც იპყრობს ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის ყურადღებას. მაგრამ ეს ახალი სამყარო, რომლის მახასიათებლებიც ახლახან ჩნდება, არანაკლებ საინტერესოა, თუმცა განსხვავებულია. მოედანი გაიწმინდა და მომავალი ბევრ შესაძლებლობას გვთავაზობს“. ემოციებით სავსე ეს სიტყვები თავის დღიურში ჩაწერა 1918 წლის შემოდგომაზე ახალგაზრდა პაპის დიპლომატმა ერმენეჯილდო პელეგრინეტმა (მოგვიანებით ბელგრადში სამოციქულო ნუნიცი და კარდინალი). იმ დროს იგი მსახურობდა პოლონეთში მოციქულ სტუმართან, მომავალ პაპ პიუს XI-თან ერთად აჩილე რატისთან ერთად. მისი ჩანაწერები ცხადყოფს შიშებითა და მოლოდინებით სავსე ატმოსფეროს, რომელიც სუფევდა ვატიკანის დიპლომატიაში პირველი მსოფლიო ომის ბოლოს. აშკარა იყო, რომ მიმდინარე პოლიტიკური რყევები იყო უპრეცედენტო სიღრმისეული, მაგრამ კათოლიკური სამყარო იყო ოპტიმისტური და მზად იყო გაეხსნა

ახალი გზები, რომლებიც, ალბათ, ძველი ჭეშმარიტების დაყენებას, მომავლის ამოცანებს და ახალი პერსპექტივების გახსნას შეძლებდა. ეკლესიის მისია, ახალი წესრიგი, რომელიც ჰორიზონტზე ჩანდა, შეიძლება იყოს „სწორად გაგებული, პატიოსანი თავისუფლების დაპირება და გარანტია, ან ყველაზე უარესი ტირანიის იარაღი, იმისდა მიხედვით, იყო თუ არა ისინი შთაგონებული ქრისტიანული თუ ათეისტური პრინციპებით“, გააფრთხილა L'Osservatore Romano. ”1919 წლის იანვრის დასაწყისში, ომისშემდგომი პირველი წლის გამთენიისას. ასეთი იყო გზაჯვარედინზე, რომელთანაც პაპი ბენედიქტ XV ხედავდა თავისი საქმიანობის მთავარ ამოცანას, როგორც რელიგიურ და პასტორალურ, ასევე პოლიტიკურ და დიპლომატიური. ამ დავალების შესასრულებლად რომის ეპისკოპოსი ემზადებოდა დიპლომატთა საკმაოდ მცირე, მაგრამ უაღრესად თავდადებული ჯგუფის დახმარებით. იმ დღეებში ისინი ჯერ კიდევ ექსკლუზიურად იტალიელები იყვნენ, გაწვრთნილი ოფისების, სალონების და სწავლული ენის ძველი დიპლომატიური სულისკვეთებით; ახლა ისინი იძულებულნი იყვნენ შეეგუებოდნენ ახალპირობებს, ენებსა და თანამოსაუბრეებს.

პირველი, ფუნდამენტური ეტაპი ამ გზაზე იყო მშვიდობა. ბუნებრივია, რომ პაპის დიპლომატია, რომელმაც ამდენი ძალისხმევა დაუთმო მშვიდობის აღდგენას დიდი ომის დროს, საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, იბრძოდა ნამდვილი სამშვიდობო და მისი ფუნდამენტური წინაპირობა - საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვა. ცნობილია, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებები წმიდა საყდრის მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა: ვატიკანი გამორიცხული იყო ლონდონის პაქტის მე-15 მუხლით, ასევე სეკულარული ძალების ჩარევით, რომლებმაც გადაწყვიტეს შეეწინააღმდეგებინათ რელიგიური და საეკლესიო გავლენა საერთაშორისოზე. ორგანიზაციები. მიუხედავად ამისა, პაპმა ბენედიქტ XV-მ არ დათმო რამდენიმე საშუალება, რამაც მას საშუალება მისცა ჩარეულიყო: პასტორალური სიტყვა საჯარო განცხადებებში, საზოგადოებრივი აზრის მობილიზება კათოლიკეებს შორის და - თუმცა არაოფიციალურად - მისი დიპლომატიური წარმომადგენლების ყოფნა.

ჯერ კიდევ სამშვიდობო კონფერენციის დაწყებამდე, 1918 წლის 1 დეკემბერს დათარიღებულ მოკლე ენციკლიკაში Quod iam diu, ბენედიქტ XV, შეშფოთებული იძულების სულისკვეთებითა და ბოროტებით, რომელიც წარმოიქმნება პარიზის შეხვედრის მომზადებიდან, აღნიშნა, რომ ამოცანა მომავალი კონგრესი იყო სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობა. რომის პაპმა მოუწოდა ეპისკოპოსებს, სთხოვონ თავიანთ მორწმუნეებს ილოცონ, რომ „ღვთის დიდი საჩუქარი, ქრისტიანულ პრინციპებზე დაფუძნებული ჭეშმარიტი მშვიდობა“ კონკრეტული თვისებები მიეღო. ამავდროულად, ბენედიქტ XV-მ გაგზავნა თავისი დიპლომატიური განყოფილების ხელმძღვანელი, საგანგებო საეკლესიო საკითხებში გამოცდილი მდივანი, ბონავენტურა სერეტი, საფრანგეთში, ბელგიაში, შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, რათა გავლენა მოეხდინა შესაბამის მთავრობებზე ეროვნული ეპისკოპოსებისა და კათოლიკური საზოგადოების მეშვეობით. აზრი. როდესაც სამშვიდობო კონფერენცია პარიზში შეიკრიბა, სერეტი (თუმცა ის თავად მოლაპარაკებებიდან გამორიცხული იყო) დარჩა საფრანგეთის დედაქალაქში ორი თვის განმავლობაში და შეძლო შეემსუბუქებინა წმინდა ადგილების ბედი, ისევე როგორც გერმანიის კათოლიკური მისიები კოლონიებში. დამარცხებული გერმანია ჩამოერთვა. გარდა ამისა, დიპლომატმა წამოიწყო ფრთხილი კონტაქტები იტალიელ თანამოსაუბრეებთან, რათა ნელ-ნელა ამოეხსნა რომაული გადაუჭრელი საკითხი.

ახალი ევროპული წესრიგის შესახებ პაპის ხედვის შინაარსი უკვე კარგად იყო ცნობილი 1917 წლის 1 აგვისტოს ბენედიქტ XV-ის ცნობილი სამშვიდობო ნოტადან: სამართლიანობის დაცვა და მიუკერძოებლობა სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის ურთიერთობაში, ურთიერთ ანაზღაურების უარყოფა, ბუნებრივის პატივისცემა. მოქალაქეობის პრინციპი და ხალხთა ლეგიტიმური მისწრაფებები, ყველასთვის მატერიალური სიკეთეებისა და კომუნიკაციის საშუალებების სამართლიანი ხელმისაწვდომობა, შეიარაღების შემცირება, არბიტრაჟი, როგორც კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი ინსტრუმენტი.

ნიშანდობლივია, რომ ბენედიქტ XV ამჯობინა „სამართლიანობის“ ნაცვლად ქრისტეს მიერ შთაგონებულ „მიუკერძოებლობაზე“ საუბარი. აღსანიშნავია, რომ ბენედიქტ XV-ს ამჯობინა „სამართლიანობის“ ნაცვლად საუბარი ქრისტიანული მოწყალებით შთაგონებულ „მიუკერძოებლობაზე“, რაც გულისხმობდა მოყვასის სიყვარულის და დანაშაულთა მიტევების ძირითად ევანგელურ შეთანხმებას, ასევე პოლიტიკურ მცნებას შეუძლებლობის შესახებ. მოთხოვნების შესრულება, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ადამიანთა თანაარსებობას და ემუქრებათ მტრის

გამოჯანმრთელებისთანავე დამანგრეველი რეაქციების პროვოცირებას მსოფლიოსთვის და თავად გუშინდელი გამარჯვებულებისთვის. ეს გაფრთხილება გამარჯვებულთა მიმართ, რომ არ ბოროტად გამოიყენონ თავიანთი წამიერი ძალაუფლება, ასევე მიუთითებდა გარკვეულ საზღვრებზე, რომლებზეც წმიდა საყდარმა დაამტკიცა სამშვიდობო ხელშეკრულებები: ისინი მიესალმებოდნენ, თუ ისინი ნებას რთავდნენ საომარი მოქმედებების შეწყვეტას და ხსნიდნენ ხალხებს შორის თანამშრომლობის განახლების შესაძლებლობას, მაგრამ მიიღებდნენ მათ. დაბნეულობა და კრიტიკა თუ მშვიდობა ქაღალდზე დარჩებოდა და არა ხალხის გულებში და ქრისტიანული მოწყალების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

პაპის ომისშემდგომი დიპლომატიის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა იყო ჰაბსბურგების მრავალსაუკუნოვანი მონარქიის დაშლა. მიუხედავად იმისა, რომ ვატიკანს არ ჰქონდა ილუზია დუნაის მონარქიის შიდა სტატუსზე, უკანასკნელი დიდი სახელმწიფოს დაშლა, რომელმაც თავი კათოლიკედ აღიარა, არ შეიძლებოდა არ გააჩინა წმიდა საყდარში შეშფოთება. მიუხედავად ამისა, ვილა ჯუსტის ზავიდან რამდენიმე დღეში, ბენედიქტ XV-მ დაავალა ვენის სამოციქულო ნუნციატურის ხელმძღვანელს, მ. თეოდორო ვალფრე დი ბონცო „მეგობრული ურთიერთობების დამყარება ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოს სხვადასხვა ეროვნებებთან, რომელიც ახლახან გადაკეთდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“. პაპის მისიას ჰაბსბურგის სასამართლოში მთავარი ამოცანა უნდა გადაეჭრა: წმინდა საყდრისთვის დაკარგული ინფორმაციის შეგროვება და ეკლესიის ინტერესების დასაცავად

ეფექტური კომუნიკაციისა და დიპლომატიური მოქმედებების ახალი არხების შექმნა. არანაკლებ დრამატული იყო რუსეთში ბოლშევიკური რევოლუციის გამოწვევები, რომელმაც ჩამოაგდო ცარისტული მთავრობა კათოლიკური ეკლესიისადმი მისი მტრობით და შეცვალა იგი (მოციქულთა სასახლეში ოპტიმისტური მოლოდინების ხანმოკლე ეტაპის შემდეგ) კიდევ უფრო რეპრესიული რეჟიმით ღვთის მიმართ. და ბუნებრივი კანონი. საბჭოთა რეჟიმი საოცრად ძლიერი აღმოჩნდა, კათოლიკეების პოზიცია უფრო და უფრო დრამატული ხდებოდა, მაგრამ ქვეყნის მთავრობამ აღმოაჩინა რომის პაპის დიპლომატიური აღიარების პოლიტიკური უპირატესობები.

ვატიკანის დიპლომატიას არ ეშინოდა დაკავშირებოდა ბოლშევიკ „კუდიან რევოლუციონერებთან“ და დაეწყო დიპლომატიური მოლაპარაკებები საბჭოთა კავშირში კათოლიციზმის გადარჩენის უზრუნველსაყოფად. მოლაპარაკებები ჩაიშალა, მაგრამ წმიდა საყდარმა მაინც შეძლო საბჭოთა კავშირში დიდი საქველმოქმედო მისიის გაგზავნა, რითაც დაეხმარა ათასობით ადამიანის სიცოცხლეს. ქრისტიანობა რუსეთსა და საბჭოთა კავშირში რომის ყველა პაპის ერთ-ერთ უდიდეს საზრუნავად დარჩა მშფოთვარე მე-20 საუკუნეში. მიუხედავად ყველა სირთულისა, ომი და ომისშემდგომი მოვლენები, მკაცრი მიუკერძოებლობა, შუამავლობის ფართო ქმედებები, მშვიდობის დამყარება, დახმარება და

გულუხვი სიყვარული ინდივიდისა და ყველა ხალხის მიმართ, განამტკიცა პატივისცემა და პრესტიჟი, რომელსაც სარგებლობდა ვატიკანი და მისი დიპლომატია. მისი პოზიცია საერთაშორისო ასპარეზზე. მარტივი არითმეტიკული თვალსაზრისით, სანამ ბენედიქტ XV-ის პონტიფიკატის დასაწყისში (1914 წლის სექტემბერში) წმიდა საყდარმა ინარჩუნებდა ურთიერთობას მხოლოდ 17 სახელმწიფოსთან, პაპის გარდაცვალების მომენტისთვის (1922 წლის იანვარში) დიპლომატიური პარტნიორების რაოდენობა იყო. გაიზარდა 27-მდე. ეს რიცხვი მოიცავდა არა მხოლოდ ახალ სახელმწიფოებს, რომლებიც გრძნობდნენ მხარდაჭერის აუცილებლობას უძველესი სუვერენისა და პაპის მორალური ავტორიტეტისგან, არამედ დიდ სახელმწიფოებსაც, რომლებმაც ომამდე გაწყვიტეს ურთიერთობა ვატიკანთან. ამ უკანასკნელთა შორის იყო საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ასევე ვაიმარის რესპუბლიკა, რომლებმაც მიატოვეს ძველი სისტემა (რომელშიც პრუსია და ბავარიის სახელმწიფოები ინახავდნენ თავიანთ წარმომადგენლებს რომში და განათავსებდნენ მონაზვნებს მათ ტერიტორიაზე) და დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობები ცენტრალურ დონეზე.

20.
ლეილა (ია) ხუბაშვილი
რომის პაპი „რკინის ფარდის“ მიღმა ქვეყნიდან. იოანე პავლე II

მეოცე საუკუნე პოლიტიკური, რელიგიური და იდეოლოგიური კატაკლიზმებით გამორჩეული ეპოქაა, რომლის პრელუდია ბერლინის კედლის დანგრევა იყო, ბოლო აკორდი კი საბჭოთა კავშირის დაშლა, რამაც საბოლოოდ ნანგრევებად აქცია სოციალისტური სისტემა და ხელი შეუწყო დემოკრატიის

განვითარებას. ამ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოლონეთმა, სადაც 1989 წელს მასობრივმა დაუმორჩილებლობამ „სოლიდარობის“ ხელმძღვანელობით და კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერით შეძლო სოციალისტური სისტემისგან თავის დაღწევა. ამიტომაც ევროპაში დეკომუნიზაციის მთელი ეპოქა გორბაჩოვთან ერთად უკავშირდება იოანე პავლე II-ის სახელს. მისმა საჯარო გამოსვლებმა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მხარდასაჭერად, იგი აქცია ავტორიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ მთელ მსოფლიოში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიმდინარე პოლიტიკური პერიპეტიები ვატიკანშიც აისახა, რომელიც დაუღალავად ებრძოდა ათეისტურ სოციალისტურ სისტემას, 1978 წლის 16 ოქტომბერს კონკლავმა უპრეცენდენტო ნაბიჯი გადადგა და 455 წლის შემდეგ, პაპად აირჩია არაიტალიელი, პოლონელი კაროლ იოზიფ ვოიტილა, რომელიც ტახტზე ავიდა იოანე პავლე მეორის სახელით (1978-2005).

თავისი ხანგრძლივი პონტიფიკატის პერიოდში იოანე პავლე მეორემ განუზომლად დიდი როლი შეასრულა რელიგიათა დიალოგში და მშვიდობისათვის ბრძოლაში, რითიც ძალიან განსხვავდებოდა თავისი წინამორბედებისგან. ის გახდა პირველი პაპი, რომელმაც კონტაქტი დაამყარა სხვა რელიგიებთან და კონფესიებთან: მართლმადიდებლებთან, ანგლიკანებთან, ლუთერანებთან, ებრაელებთან, ისლამურ სამყაროსთან. 2000 წელს რომის პაპს მიენიჭა შეერთებული შტატების უმაღლესი ჯილდო, კონგრესის ოქროს მედალი. 1989 წ. პაპმა ვატიკანში მიხეილ გორბაჩოვი მიიღო. შეხვედრა გარდამტეხი აღმოჩნდა სსრკ-სა და ვატიკანს შორის დიპლომატიური ურთიერთობებისთვის. 1997 წ. რომში პაპთან შეხვედრა მოჰამედ ხათამს დაეხმარა ირანის საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსვლაში.

2000 წელს ერევანში პაპმა ღვთისმსახურება აღასრულა ოსმალეთის იმპერიაში გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნისათვის. 2004 წ. ვატიკანს ოფიციალური ვიზიტით ეწვია კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი ბართლომე I. იოანე პავლე II-ის პონტიფიკატი გამორჩეული იყო მონანიებითაც. 2000 წლის 12 მარტს, წმინდა პეტრეს ბაზილიკაში ტრადიციული საკვირაო წირვის დროს, იოანე პავლე II-მ საჯაროდ მოინანია და შენდობა ითხოვა კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლთა და წევრების ცოდვებისათვის: საეკლესიო განხეთქილება, ჯვაროსნული ლაშქრობები, რელიგიური ომები, ინკვიზიცია, იუდეველთა მიმართ „ზიზღი, მტრობა და დუმილის აქტები ჰოლოკოსტის დროს“, ამერიკის იძულებითი ევანგელიზაცია, გენდერული და ეროვნების საფუძველზე დისკრიმინაცია... არასოდეს კაცობრიობის ისტორიაში არცერთ რელიგიას არ ჰქონია მსგავსი პრეცენდენტი მონანიების. 1992 წ. რომის კათოლიკურმა ეკლესიამ მოახდინა გალილეო გალილეის რეაბილიტაცია. 1998 წ. წმინდა ინკვიზიციის არქივები გახსნეს.

1999 წლის 8 ნოემბერს იოანე პავლე მეორე საქართველოს ეწვია. პაპის ვიზიტს წინ უძღოდა იოანე პავლე II-ისა და ილია II -ის პირველი ოფიციალური შეხვედრა 1980 წლის 5-6 ივნისს, ვატიკანში. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ქართველ მეცნიერები ვატიკანის არქივებში ქართულ დოკუმენტებზე მუშაობას შეძლებდნენ. თბილისში გაიხსნა ვატიკანის საელჩო, კავკასიაში რომაულ-კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსო. რომის პაპის ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ქრისტეშობის 2000 წლისთავზე, როდესაც ქართველი ერი აღნიშნავდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვან იუბილეს. ეს ისტორიული მოვლენა დასავლურ სამყაროსთან, ევროპულ ცივილიზაციასთან საქართველოს ერთობის სიმბოლოდ იქცა. რომის პაპთან შეხვედრისას ილია მეორემ ხაზი გაუსვა პონტიფექსის ვიზიტის საოცარ დამთხვევას ბერლინის კედლის დანგრევის 10 წლისთავთან და აღნიშნა იოანე პავლე მეორის უდიდესი როლი მასში. საპასუხო გამოსვლაში იოანე პავლე მეორემ საქართველოს ევროპის ქრისტიანული სამყაროს უპირველესი ბასტიონი უწოდა, რომელიც თავისი კულტურით, ისტორიით და სარწმუნოებით მუდამ დასავლეთისკენ მიიღტვოდა და დიდი წვლილი შეიტანა ქრისტიანული ევროპის საგანძურში. პაპმა ხაზი გაუსვა ქართული ანბანის უძველესობას, რომელიც წმინდა ნინოს სიტყვის საქადაგებლად შეიქმნა, ისაუბრა ქართული ეკლესია.

მონასტრების წმინდა და განსწავლული ბერების იმ უდიდეს წვლილზე, რომლებმაც არაერთი ხელთუქმნელი ძეგლით გაამდიდრეს კულტურისა და ცივილიზაციის საგანძური და ხაზგასმით აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც უნდა შეასრულოს კულტურისა და ტრადიციების უძველეს გზაჯვარედინზე მყოფმა ქვეყანამ ახალ მსოფლიო ცივილიზაციაში. პაპს არ დავიწყებია არც იმის აღნიშვნა, რომ საქართველო ყოველთვის იყო განუმეორებელი სტუმართმოყვარეობისა და მასპინძლობის ქვეყანა, რომელიც ასევე იქცა პატივისცემისა და შემწყნარებლობის მისაბაძ მაგალითად

განსხვავებული რელიგიის მიმდევართა მიმართაც და დასამოწმებლად არცთუ ის მოშორებით, ერთმანეთის გვერდით მდგომი ქრისტიანული, ებრაული და მუსლიმური სალოცავები დაასახელა.
ქართული მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებთან შეხვედრისას იოანე პავლე მეორემ ისაუბრა გლობალიზაციაში არსებულ საფრთხეებზე, ეთნოცენტრიზმსა და უკიდურეს ნაციონალიზმზე და აღნიშნა დიალოგის აუცილებლობა ძველსა და ახალ ტრადიციებს შორის ახალგაზრდა თაობისა და ერის მომავლისათვის. პაპმა იმედი გამოთქვა, რომ თანამედროვეობის ამ კულტურულ გამოწვევებში საქართველოს სულიერი მემკვიდრეობა და მისგან მომდინარე ტრადიციები ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენდა, მაგალითისთვის კი ჯვრის მონასტერი დაასახელა, რომელსაც ბრწყინვალე მარგალიტი და საქართველოს სულიერი გზის შუქურა უწოდა. საქართველო-პოლონეთის ურთიერთობების ისტორიაში იოანე პავლე მეორის ვიზიტი თბილისში და ქართული კულტურული მემკვიდრეობის მისეული შეფასებები უდავოდ გამორჩეული და უაღრესად მნიშვნელოვანია.

21.
ლეილა (ია) ხუბაშვილი, ალექსანდრე უბირია
დემოგრაფიული აფეთქების პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზები შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების მაგალითზე

თანამედროვე სამყაროს უმთავრესი გამოწვევა მოსახლეობის ზრდასთან არის დაკავშირებული, ვინაიდან დემოგრაფიული ციკლების ქაოტუროზა მრავალი პრობლემის გამომწვევია, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სასურსათო უსაფრთხოებასთან. მოსახლეობის ზრდა იწვევს ცხოვრების ხარისხის გაუარესებას, უმუშევრობის დონე იზრდება, ხელფასები კლებულობს, იწყება ფასების ზრდა აბსოლუტურად ყველა რესურსზე, ეკოლოგიური მდგომარეობა უარესდება. ამ პროცესების უკონტროლობამ უმძიმეს მდგომარეობამდე მიიყვანა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ შობადობის რეგულირების კუთხით ყველაზე დიდი გამოცდილება შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს აქვთ, ვინაიდან XX საუკუნის დემოგრაფიული აფეთქების ფენომენმა მათზე ძალზედ დიდი გავლენა მოახდინა, რამაც შემდგომ გამოიწვია ალტერნატიული გზები, რომლის შედეგად მოხდა მდგომარეობის სტაბილიზაცია.
ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს ჩინეთის დემოგრაფიული პოლიტიკა („ერთი ბავშვის პოლიტიკა“) წარმოადგენს, რომელმაც წარმატებით შეაჩერა დემოგრაფიული აფეთქება, ხოლო ამ უკანასკნელის მიზეზით გამოწვეულ იქნა 1959-1962 წლების შიმშილი, რომლის გამოც 36 მილიონი ადამიანი დაიღუპა. 2016 წლიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დემოგრაფიული პოლიტიკა იცვლება - „ორი შვილის პოლიტიკა“-ზე გადასვლა, ხოლო 2021 წლიდან მთავრობამ ნება დართო ბავშვების რაოდენობის გაზრდას, შედეგად ბავშვების რაოდენობა ოჯახში 2-ის მაგივრად 3 გახდა. ამ ყოველივეს მიზეზი მოსახლეობის დაბერება გახდა, ასევე შობადობის მკვეთრი ვარდნა.
საყურადღებოა დემოგრაფიული პროცესები იაპონიაში, სადაც მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ ახალი სივრცის დაკავება და იმპერიალიზმის წარმოქმნა განაპირობა. ასევე აღსანიშნავია დემოგრაფიული პოლიტიკა სამხრეთ კორეაში და სინგაპურში. ამ უკანასკნელის შემთხვევა ერთ-ერთი თვალსაჩინოა შობადობის რეგულირების კუთხით. ამავდროულად დემოგრაფიული პოლიტიკის აქტიური წარმოების მიუხედავათ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში დემოგრაფიული პროცესები ჯერ კიდევ სტაბილიზაციისგან შორს არიან. მათ უმრავლესობაში მოსახლეობის სიმჭიდროვის მაღალი მაჩვენებელია დაფიქსირებული. შორეული აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში არსებული დეპოპულაციის ფენომენი ამ ეტაპზე ჭარბმოსახლეობის პრობლემას ვერ აგვარებს, რაც თავის მხრივ რეგიონის პროგრესს აფერხებს.

22.
ლეილა (ია) ხუბაშვილი
საეკლესიო სახელმწიფოს რესტავრაცია. ფრანგული კონკორდატი

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე პაპობა ალბათ, არასოდეს შეხვედრია ეპოქის ისეთ სასტიკ წინააღმდეგობას, როგორც განმანათლებლობის საუკუნეში, რომელიც მისი დიდი მარცხით დამთავრდა. რაციონალიზმი და სეკულარიზაცია კი ტრიუმფამდე მიიყვანა. XVIII საუკუნის

სეკულარიზაციის იდეური საფუძველი რაციონალიზმი იყო. ინგლისელი განმანათლებლების(ბეკონი, ლოკი და მათი თანამოაზრეები) გავლენით გერმანელმა ფილოსოფოსებმა (ლაიბნიცმა, ვოლფმა და პირველ რიგში, კანტმა) შექმნეს იდეათა და მოთხოვნათა მთელი სისტემა, იდეოლოგია, რომელიც იმ ეპოქის რევოლუციებს იდეურად ამზადებდა. საფრანგეთში განმანათლებლობა იქცა ანტიფეოდალური და ანტიკლერიკალური მსოფლმხედველობის რევოლუციურ პროგრამად. ვოლტერმა, რუსომ, დიდრომ და ენციკლოპედისტებმა დაანგრიეს შუა საუკუნეების სამყაროს გაგება, რომელიც აგებული იყო კათოლიკური ეკლესიის იდეოლოგიურ მონოპოლიაზე. ეს იყო აშკარა მარცხისკენ მიმავალი გზის დასაწყისი, რომელიც საუკუნის ბოლოს საფრანგეთის დიდი რევოლუციით დამთავრდა. პირველი პაპი, რომელიც ამ მძიმე პოლიტიკური პერიპეტიების წინაშე აღმოჩნდა, პიუს VI იყო (1775-1779). ის უიმედო ბრძოლაში ჩაება ჰაბსბურგების განმანათლებლობის აბსოლუტიზმთან. იმპერატორი იოსიფ მეორე(1765-1780) ცდილობდა განეხორციელებინა საეკლესიო პოლიტიკაში სახელმწიფო ეკლესიის იდეა. მან 6000-დე დეკრეტი გამოსცა, რომელიც ეკლესიას ეხებოდა. იოზეფიანიზმის მიზანი იყო ეკლესიის მოწყვეტა რომისგან და მისი სეკულარიზაცია. პიუსVI-მ კანოსა გაიმეორა, ოღონდ პირიქით და 1782 წლის მარტში ვენაში ჩავიდა იმპერატორთან. მაგრამ მიუხედავად პომპეზური დახვედრისა, იოზეფ მეორეზე გავლენა ვერ მოახდინა.

სახელმწიფო ეკლესიის იდეის გარშემო არსებული ბატალიები მხოლოდ ნაპერწკალი იყო იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ფონზე, რომელიც მიმდინარეობდა საფრანგეთსა და პაპობას შორის. დიდმა რევოლუციამ გაანადგურა ფეოდალიზმი და დაანგრია კათოლიკური ეკლესია. 1789 წლის 2 ნოემბერს ნაციონალურმა საკანონმდებლო კრებამ კენჭი უყარა ოტენის ეპისკოპოსის ტალეირანის წინადადებას კათოლიკური ეკლესიის სეკულარიზაციის შესახებ. 1790 წლის 12 ივლისს კი კანონი გამოსცა ნაციონალური ეკლესიის კონსტიტუციის შესახებ(Constitution civile). საფრანგეთის ეკლესია რომს გამოეყო, ეპისკოპოსების დანიშვნა კი სახელმწიფოს პრეროგატივად გამოცხადდა. პაპმა ტალეირანი ეკლესიიდან განკვეთა, მაგრამ მოვლენების მსვლელობაზე გავლენის მოხდენა ვერ შეძლო. პიუს VI -მ რევოლუციური დიქტატურის მიერ დასჯილი ლუი XVI კათოლიკური რწმენისთვის შეწირულ მოწამედ გამოაცხადა და სამგლოვიარო ღვთისმსახურება აღავლინა. დირექტორიის მიერ მიღებულმა კანონმა სინდისის თავისუფლების შესახებ და ამ პერიოდში დაწყებულმა დაპყრობითმა ომებმა კონფლიქტი გამოიწვია რომსა და პარიზს შორის. კონტრრევოლუციურ რეაქციას ავსტრია ხელმძღვანელობდა, მაგრამ ნაპოლეონთან ბრძოლაში დამარცხდა, რამაც ხელი შეუწყო პროტესტანტული პრუსიის გავლენის გაძლიერებას. შუა საუკუნეებში დაარსებული გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია წარსულს ჩაბარდა. იმპერატორმა ფრანც მეორემ უარი თქვა რომის საღვთო იმპერატორობაზე(1806) და ავსტრიის იმპერატორისა და უნგრეთის მეფის ფრანც პირველის ტიტულით მართავდა იმპერიას. ამასთანავე ჰაბსბურგები აგრძელებდნენ იოზეფისტურ საეკლესიო პოლიტიკას და არც კი უფიქრიათ კონკორდატის დადებაზე პიუს VII-თან.

1798 წლის 15 თებერვალს რომში არეულობა დაიწყო. ფრანგი გენერლის დიუფოს მკვლელობის საპასუხოდ ფრანგები ქალაქში შევიდნენ და პაპს საერო ძალაუფლება ჩამოართვეს. რომი რესპუბლიკად გამოცხადდა. თებერვლის ბოლოს კი საფრანგეთს შეუერთდა. 81 წლის პიუს მეექვსე დააპატიმრეს და ვალანსის ციხე სიმაგრეში გამოკეტეს, სადაც ის აგვისტოს ბოლოს გარდაიცვალა. ისე ჩანდა, თითქოს დატუსაღებული პაპის სიკვდილთან ერთად პაპობაც მოკვდა. რომს საფრანგეთი მართავდა. კარდინალების დიდი ნაწილი ან ემიგრაციაში წავიდა, ანდა დატუსაღებული იყო. თუმცა ორი წლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება რელიგიას საჭიროებდა, შესაბამისად კი ეკლესიასა და პაპობას.

ახალმა პაპმა პიუს მეშვიდემ(1800-1823), რომელიც ავსტრიული პარტიის ფავორიტი იყო, მათ იმედები გაუცრუა და კონტრრევოლუციურ კოალიციას არ შეუერთდა. თავისი ფრთხილი და მოზომილი პოლიტიკით ის ცდილობდა modus vivendi-ის შემუშავებას, რომელიც დამყარებული იქნებოდა ურთიერთობების დალაგებაზე ფრანგებთან და ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან, დემოკრატიასა და ქრისტიანობასთან. თავის საპროგრამო დოქტრინაში მან გამოაცხადა საეკლესიო სახელმწიფოს რესტავრაცია და რეორგანიზებული ეკლესიის ცენტრალური მმართველობის აუცილებლობა. 1799 წელს პუტჩის შედეგად ნაპოლეონმა ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. რელიგიისადმი სრულიად გულგრილ დიქტატორს კარგად ესმოდა, რომ ძალაუფლების განსამტკიცებლად ძალიან სჭირდებოდა ეკლესია და სამღვდელოება. გარდა ამისა, რეალურად მოაზროვნე პოლიტიკოსს ესმოდა, რომ ხანგრძლივი ისტორიის მქონე კათოლიკობა იმდენად ღრმად იყო გამჯდარი სახალხო მასებში და ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, რომ დიდხანს არ შეეძლო რელიგიის გარეშე ყოფნა. 1800 წელს მილანის

სამღვდელოების წინაშე გამოსვლისას ნაპოლეონმა რელიგიის აუცილებლობაზე ისაუბრა და ეკლესია დაახასიათა, როგორც ერის კონსოლიდაციის საფუძველი, როგორც სიმშვიდისა და წესრიგის გარანტი. მან ლიუნევილის ზავის საფუძველზე (1801) შესაძლებლად მიიჩნია საეკლესიო სახელმწიფოს რესტავრაცია და შესაძლებლობა მისცა 3000 ფრანგ სასულიერო პირს ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. 1800 წლის ნოემბერში მილანში დაიწყო მოლაპარაკებები კონკორდატზე. პაპმა ცნო საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია და აღიარა პირველი კონსულის უფლებად ეპისკოპოსების დანიშვნა. 1801 წლის 15 ივლისს პარიზში გაფორმდა კონკორდატი, რომელსაც ხელს აწერდნენ ჟოზეფ ბონაპარტი და სტატს მდივანი, ცნობილი იურისტი ერკოლე კონსალვი. კონკორდატი წარმოადგენდა პაპობის გამარჯვებას გალიკანურ ფრანგულ ეპისკოპატზე და ამავე დროს ერთგვარი კარტბლანში იყო ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.

კონკორდატი შედგებოდა 17 მუხლისგან და აღიარებდა ერთი მხრივ, პაპის საერო ძალაუფლებას საეკლესიო სახელმწიფოს დარჩენილ ტერიტორიაზე და მეორე მხრივ, სახელმწიფოსა და ეკლესიის კავშირს საფრანგეთში. კონკორდატი აღიარებდა კათოლიკობას ფრანგების უმრავლესობის რელიგიად, მაგრამ არა სახელმწიფო რელიგიად. ის უზრუნველყოფდა და არეგულირებდა რელიგიური წეს-ჩვეულებების თავისუფლებას. განამტკიცებდა რაციონალურ, რეორგანიზებულ(რევოლუციის დროს) საეკლესიო სტრუქტურებს და 60 ეპისკოპატის შექმნას შესაბამისი დეპარტამენტებით. ახალი ეპისკოპოსები ინიშნებოდნენ პირველი კონსულის მიერ სამი თვის განმავლობაში, შემდეგ კი მათ პაპი ამტკიცებდა. პაპს უფლება ეძლეოდა ეპისკოპოსების შეცვლის, მაგრამ ხარისხს საფრანგეთის მთავრობა აძლევდა. სახელმწიფო ფარავდა საეკლესიო ხარჯებს, სამღვდელოება კი ერთგულების ფიცს დებდა სახელმწიფოს წინაშე. ეკლესია უარს აცხადებდა ყველა პრეტენზიაზე იმ საეკლესიო მიწებსა და ქონებაზე, რომელიც მას ჩამოერთვა 1790 წლის შემდეგ. პირველი კონსული იგივე უფლებებით სარგებლობდა ეკლესიის მიმართ, როგორითაც ადრე ფრანგი მეფეები. იმისათვის, რომ საფრანგეთის ეკლესიაში განხეთქილებისთვის ბოლო მოეღოთ, კონკორდატი ითვალისწინებდა ყველა ეპისკოპოსის გადადგომას და ხელახლა დანიშვნას. თუმცა 92-დან მხოლოდ 39-მა ეპისკოპოსმა არ ისურვა გადადგომა და პაპის კაპიტულანტური პოზიცია დაგმო. ამ ეპისკოპოსებს პიუს მეშვიდემ ხარისხი ჩამოართვა. ამგვარად, კონკორდატმა იხსნა ფრანგული კათოლიკური ეკლესია განადგურებისაგან და აღადგინა მისი იერარქიული სისტემა. საფრანგეთის ხელისუფლება აღიარებდა პაპობას. ეკლესია სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა და მასზე დამოკიდებული გახდა. მოგვიანებით ნაპოლეონმა პაპის პროტესტის მიუხედავად კონკორდატს კიდევ დაამატა 27 ე.წ. ორგანული სტატია, რამაც ხელახლა მოახდინა ახალი სიტუაციის შესაბამისად გალიკანური უფლებების ფორმულირება, მაგრამ ამას გავლენა არ მოუხდენია რომისა და პარიზის ურთიერთობებზე. 1802 წლის აღდგომას კარდინალმა კაპრარამ, პაპის ლეგატმა საზეიმო, სამადლობელო მესა აღავლინა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. 1801 წლის ფრანგული კონკორდატი XIX-XX საუკუნეებშიც სხვა კონკორდატების ნიმუშად ითვლებოდა, რომელიც ვატიკანმა ევროპისა და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანასთან დადო.

1804 წლის 2 დეკემბერს ნაპოლეონმა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში საკუთარი ხელით დაიდგა იმპერატორის გვირგვინი. გაოცებული პაპისაგან მხოლოდ მირონცხება მიიღო. თუ გავიხსენებთ ისტორიას, კარლოს დიდი რომში თვითონ ჩავიდა იმპერატორის გვირგვინისათვის, ნაპოლეონმა კი პაპი პარიზში გამოიძახა კორონაციისათვის და ორი საათი ალოდინა ტაძარში. ამით მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ თავისი ძალაუფლების წყარო თვითონ იყო და არ საჭიროებდა ღვთის წყალობის მისაღებად პაპის შუამავლობას. 1805 წელს პიუს მეშვიდე ნაპოლეონის ნების საწინააღმდეგოდ რომში დაბრუნდა, რამაც ურთიერთობა მათ შორის უკიდურესად დაძაბა. 1808 წელს საფრანგეთის არმიამ ხელახლა დაიკავა რომი. 1809 წელს კი იმპერატორმა პაპის სახელმწიფო საფრანგეთს მიუერთა. პაპმა დაგმო „წმინდა პეტრეს მემკვიდრეობის მძარცველები“, თუმცა ნაპოლეონის სახელი არ უხსენებია. რომის მეფე გახდა ნაპოლეონის შვილი მეორე ქორწინებიდან. რუსეთში დამარცხების შემდეგ ნაპოლეონმა გადაწყვიტა შეერბილებინა თავისი მოთხოვნები და ხელახლა დადო ახალი კონკორდატი პიუს მეშვიდესთან. ნაპოლეონის გადადგომის შემდეგ პაპი სასწრაფოდ დაბრუნდა რომში და აღადგინა ინკვიზიცია და „აკრძალულ წიგნთა ინდექსი“.

პაპის საერო ხელისუფლების აღდგენა მოხდა ვენის კონგრესზე(1814-1815). სტატს მდივანი კონსალვი, რომელიც იქ კვლავ შეხვდა თავის ძველ მოწინააღმდეგეებს, ტალეირანსა და მეტერნიხს, ჯიუტად მოითხოვდა პაპის სახელმწიფოს აღდგენას ნაპოლეონამდელ საზღვრებში. არაკათოლიკურმა ქვეყნებმა-ინგლისმა, პრუსიამ და რუსეთმა მხარი დაუჭირეს მას. 1815 წლის 9 ივნისს ვენის კონგრესმა უწინდელ საზღვრებში, მინიმალური განსხვავებით აღადგინა საეკლესიო სახელმწიფო და გარანტია მისცა, რომ

დაცული იქნებოდა საერთაშორისო სამართალით. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, კონსალვიმ ვერ მიაღწია კონგრესზე ეკლესიისთვის დაებრუნებინათ ყოფილ გერმანიის იმპერიის ტერიტორიაზე სეკულარიზებული საეკლესიო ქონება. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება კონგრესმა არ ჩათვალა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხად. გადაწყდა, რომ მათი დარეგულირება ცალკეული სახელმწიფოს საშინაო საქმე იყო. კონსალვიმ პროტესტის ნიშნად კონგრესი დატოვა. პაპმა კი 1815 წლის სექტემბერში საიდუმლო კონსისტორიუმის სხდომაზე გამოხატა თავის პროტესტი და ვენის კონგრესის გადაწყვეტილებებს შეურაცხმყოფელი უწოდა.

23.
ფატიმა შეყლაშვილი
ინტეგრაციული პროცესის სირთულეები გერმანიაში XX ს-ის 90-იან წლებში და ინოვაციური პოლიტიკა ახალ მიწებზე

ორი დამოუკიდებელი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი გზა დასრულდა 1990 წლის 3 ოქტომბერს და მომენტალურად დაიწყო რეალური ინტეგრაციის რთული პროცესი, რომელიც მთელი სიმწვავით გაერთიანების პირველ ათწლეულში იგრძნეს გერმანიის, განსაკუთრებით კი ყოფილი გდრ-ის მოქალაქეებმა, როგორც საშინაო პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს გერმანიის მნიშვნელოვანი როლი თანამედროვე მსოფლიოში, როგორც გეოგრაფიული და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, ისე ძლიერი ეკონომიკით, რომელიც ერთიანი ევროპის ეკონომიკის საყრდენად მოიაზრება.

ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული და ფსიქოლოგიური სხვაობა ორი გერმანული სახელმწიფოს ინტეგრაციის პროცესში იმაზე ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა.

ყოფილი გდრ-ის ეკონომიკის განვითარების შედარებით დაბალი დონე და კონკურენტუნარიანობა, ფედერაციის ცენტრიდან და აღმოსავლეთ გერმანული მხრიდან ითხოვდა უზარმაზარ ფინანსებს, რასაც მოჰყვა წარმოების სტაგნაცია და უმუშევრობის ზრდა აღმოსავლეთ ნაწილში.

სერიოზულ პრობლემად იქცა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანელების, განსაკუთრებით საშუალო და უფროსი თაობის, სოციალურ-ფსიქოლოგიური შეუთავსებლობა, რის გამოც მათ შორის დაძაბულობა, არა მხოლოდ გაერთიანების პირველ ათწლეულში, შემდგომშიც იგრძნობოდა.

სოციალური პრიორიტეტების სისტემის ცვლა, დემოგრაფიული სიძნელეები, ახალი კანონები, მტკივნეულად აისახა აღმ. გერმანიის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილზე. სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმებმა თავისი ტემპით გაუსწრო ფსიქოლოგიურ მზადყოფნას, რასაც მოჰყვა ახალი პრობლემები, ერის ორად გახლეჩა: „Ossi“ (Ost —აღმოსავლეთი) და „Wessi“ (Westen — დასავლეთი). დასავლეთსა და აღმოსავლეთში ადამიანებს ჰქონდათ ცხოვრების განსხვავებული სტილი, ქცევის წესები, საზოგადოებრივი და კულტურული სფეროები. არსებული ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სტრუქტურების რღვევამ აღმ..გერმანიაში გააჩინა ტერმინი „ოსტალგია“ (დარდი წარსულზე, როგორც წესი, ძირითადათ, კარგს იხსენებდნენ).

საინვესტიციო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი მიწების ეკონომიკის ტრანსფორმაციაში. ფედერალური სახელმწიფოს სუბსიდიებმა განამტკიცა მათი ინოვაციური შესაძლებლობები. ინოვაციური პოლიტიკის ფარგლებში შემუშავდა ახალი პროგრამები, გაღრმავდა თანამშრომლობა კომპანიებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის.

შრომით ბაზარზე ვითარების შესამსუბუქებლად აღმოსავლეთ მიწებზე გატარდა ექსტრემისტული ღონისძიებები, პენსიაზე გაუშვეს დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ეს შეეხო ყველა სფეროს. შეიქმნა ფართო ქსელი კვალიფიკაციის ამაღლების, კადრების გადამზადების და ახალი პროფესიების ასათვისებლად.

თანამედროვე გერმანიაში ეს პრობლემები მნიშვნელოვნად აღმოფხვრილია და გერმანიის გაერთიანების შემდგომ დაბადებული თაობა წარმატებულად ახდენს ინტეგრაციას გერმანულ საზოგადოებაში.

24.
ფატიმა შეყლაშვილი
ინტეგრაციული პროცესის სირთულეები გერმანიაში XX ს-ის 90-იან წლებში და ინოვაციური პოლიტიკა ახალ მიწებზე

თანამედროვე უნგრული ნაციონალური იდენტობის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი, ე.წ. „ტრიანონის ტრავმა“ პირდაპირ კავშირშია პირველი მსოფლიო ომის მოვლენებთან. წინამდებარე ასპექტის გათვალისწინებით, უნგრეთის როლი და სტრატეგიული მიზნები ამ უდიდეს კონფლიქტში საინტერესოა და აქტუალური.

1867 წ. ჰაბსბურგთა იმპერიამ რეფორმირება განიცადა. წარმოიქმნა დუალისტური სახელმწიფო, თანაბარუფლებიანი უნგრეთის სამეფოსა და ავსტრიის იმპერიის სახით.

1867-1918 წლები, ითვლება უნგრეთის ისტორიის . „ოქროს ხანად“. ქვეყნის ეკონომიკურმა განვითარებამ და მრავალეთნიკური მოსახლეობის მადიარიზაციამ გზა გაუხსნა უნგრეთის იმპერიული იდეის განვითარებას.

XIX საუკუნის ბოლოს მადიარული იმპერიალიზმი გამოდიოდა ბალკანეთსა და ადრიატიკაზე უნგრეთის გავლენის გაფართოების ლოზუნგით. გაჩნდა მთელი რიგი არაოფიციალური ანექსიონისტური პროექტები - მაგ., სერბეთის, მონტენეგროს, ბულგარეთისა და ბესარაბიის ანექსია და მადიარიზაცია ან აფრიკაში უნგრეთის კოლონიების შექმნა.

დუალისტური იმპერიის საგარეო პოლიტიკაში უნგრეთის ფაქტორი მნიშვნელოვნად გამოიკვეთა. მადიარული ზედაფენა ორერთიანი მონარქიის გერმანიასთან მჭიდრო კავშირის და აქტიური ბალკანური პოლიტიკის გატარების მომხრე იყო.

იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ბალჰაუსპლაცის* სტრუქტურებში ხელმძღვანელ პოზიციებზე, ძირითადათ, ადგილობრივი უნგრელები დაწინაურდნენ.

პირველი მსოფლიო ომის დროს ავსტრია-უნგრეთის სტრატეგიული მიზნები, სამხედრო და საერთაშორისო სიტუაციიდან გამომდინარე, მოქნილი და ადვილად ცვალებადი იყო.

კონფლიქტის გლობალურმა ესკალაციამ ვენისა და ბუდაპეშტის ომის წმინდა ბალკანური მოტივები საერთაშორისო ურთიერთობების უფრო მაღალ დონეზე აიყვანა.

უნგრეთის პოლიტიკური ელიტა ბალკანეთზე დომინირებასა და სერბეთ-რუმინეთის ანექსიაზე ოცნებობდა.

უფრო ზომიერი პროექტები გულისხმობდა ჰაბსბურგთა იმპერიის ძველი ტერიტორიების გადანაწილებას, ავსტრიული დალმაციისა და 1908 წლიდან ავსტრია-უნგრეთის გამგებლობაში მყოფი ბოსნია-ჰერცეგოვინას უნგრეთთან მიერთებას.

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით უნგრული პოლიტიკური წრეები, როგორც რადიკალურ გზას, ითვალისწინებდნენ ავსტრიასთან განხეთქილებას, დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ანტანტასთან ცალკე ზავის დადებას.

ომის წლებში უნგრეთისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი იყო სერბეთის საკითხი. განიხილებოდა სხვადასხვა პროექტები, მათ შორის, სერბეთის უნგრეთის შემადგენლობაში შეყვანა და ავტონომიის მინიჭება ხორვატიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინასთან ერთად.

1914-15 წლებში უნგრული სეპარატიზმი გააქტიურდა. დაიწყო დაახლოების გზების ძიება რუმინეთთან და საბერძნეთთან. 1915-1916 წლებში გაძლიერდა უნგრეთის პრეტენზიები ბოსნია-ჰერცეგოვინასა და დალმაციაზე, განსაკუთრებით, პოლონეთის საკითხზე გამართული კონსულტაციების შემდგომ (უნგრეთის მთავრობას აფიქრებდა, რომ ავსტრიის გაფართოება უარყოფითად აისახებოდა უნგრულ პარიტეტზე).

რუმინეთის ომში შესვლამ დიდი გავლენა მოახდინა უნგრეთის სეპარატისტულ და ანექსიონისტურ განწყობებზე 1917-1918 წლებში.

საბოლოოდ, 1918წ. 31 ოქტომბერს უნგრეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და უარი თქვა პრეტენზიებზე ბოსნია-ჰერცეგოვინასა და დალმაციის მიმართ. თუმცა, ამ დათმობებითაც ვერ შეძლო ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფოს ზეწოლის შეკავება. 1920 წლის ტრიანონის ზავით უნგრეთმა დათმო თავის შემადგენლობაში მყოფი, ომამდელი ტერიტორიების 70%.

თამარ ანთაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი ინგლის-ბურების ომზე (1899-1902) *(გამოქვეყნებულია)*

26.
თამარ ანთაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი ინგლისელ პოლიტიკოს სესილ როდსზე

ჩვენ ვაგრძელებთ ვარლამ ჩერქეზიშვილის წვლილის შესწავლას ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამჯერად შევეხებით მის დამოკიდებულებას მე-19 საუკუნის მიწურულის ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსის სესილ როდსისადმი (1853-1902). იგი იმ ეპოქის მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ, აქედან გამომდინარე ვარლამ ჩერქეზიშვილი შემთხვევით არ დაინტერესებულა მისი მოღვაწეობით. მწერლისა და პუბლიცისტის დამოკიდებულება სესილ როდსისადმი ნეგატიურია. ის მის სახელს მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს. ასეთი განწყობილება ვფიქრობთ შემთხვევითი არ არის და აიხსნება როდსის აქტიური კოლონიური საქმიანობით აფრიკაში. ვარლამ ჩერქეზიშვილი განსაკუთრებით უარყოფითად ახასიათებს როდსის როლს ინგლის-ბურების ომში.
ჩვენი აზრით, ვარლამ ჩერქეზიშვილი საკმაოდ ობიექტური იყო როდსის მოღვაწეობის შეფასებისას, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებითი მხარეა.

27.
ზაალ გოგენია
„სტამბულის არხი“ და მონტრეს კონვენციის მომავალი

შავი ზღვის სრუტეების საკითხი ისტორიულად წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ფაქტორს რეგიონის სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისთვის. დღეს მეგაპროექტ ,,სტამბულის არხის“ მშენებლობის ფონზე ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. მართალია თურქული მხარის განცხადებებით სტამბულის არხი პირველ ყოვლისა ეკონომიკური პროექტია მიმართული ბოსფორზე სატრანზიტო დატვირთვის შესამცირებლად, მაგრამ რუსეთის ხელისუფლების აზრით ის წარმოადგენს საფრთხეს მათი ინტერესებისთვის.
ზოგადად საზღვაო ნაოსნობის საკითხებს, მათ შორის სრუტეების სტატუსს არეგულირებს გაეროს 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ. კონკრეტულად შავი ზღვის სრუტეების სამართლებრივ რეჟიმს არეგულირებს კონვენცია ხელმოწერილი მონტრეში 1936 წელს. მონტრეს ხელშეკრულება სპეციალისტების აზრით არის წარმატებული კომპრომისი რომელიც ყველაზე მეტად თურქეთს აძლევს ხელს. თუ არ იქნება მონტრეს კონვენცია შავი ზღვის სრუტეებზე გავრცელდება თუ არა გაეროს 1982 წლის კონვენცია? კონვენციის მოქმედება ამ კონკრეტულ სიტუაციაში კითხვის ნიშნებს აჩენს. თურქეთის რესპუბლიკას არ მოუწერია მასზე ხელი, ერთი შეხედვით კონვენციის ნორმები არ ვრცელდება თურქეთზე. ზოგი ავტორი აღნიშნავს, რომ თავისუფალი ნაოსნობა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სრუტეებზე წარმოადგენს ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმების მოქმედების სფეროს და მიუხედავად გაეროს კონვენციაში არმონაწილეობისა ესაა პრინციპი რომელიც თურქეთმა უნდა დაიცვას.
ერდოღანი აცხადებს, რომ სტამბულის არხი განამტკიცებს თურქეთის სუვერენიტეტს. მონტრეს კონვენციამ ეს გააკეთა, მაგრამ დღეს ის შეზღუდულია ჩარჩოებში. ანკარას დიდი ხანია შემოქვს ახალი ,,რეგულაციები“. თუმცა მას ავიწყდება, რომ რეგულირების ობიექტი არა ნაციონალური არამედ საერთაშორისო სამართლის სფეროშია. თურქეთის ცალმხრივი მოქმედებები არ შეიძლება ლეგიტიმურად იქნეს განხილული, მონტრეს კონვენციის ყველა მონაწილის გარეშე. სტამბულის არხი თურქეთისთვის თითქოს ერთგვარი გამოსავალია აქ ნაოსნობის რეგულირება სრულად მოხდება შიდა კანონმდებლობით. ეს ნაბიჯი ვერ გამოიწვევს ავტომატურად კონვენციით გათვალისწინებული რეჟიმის დარღვევას, რამდენადაც შავ ზღვაში შესვლა დარდანელიდან უნდა მოხდეს. ეს ნიშნავს რომ ყველა პირობა შენარჩუნდება მეორე მომენტი ისაა, რომ შესაძლოა სტამბული მხოლოდ პირველი ნაბიჯია, მეორე იქნება დარდანელის პარალელური არხის გაყვანა.

28.
ზაალ გოგენია
წინააღმდეგობის (აჯანყების) უფლება: იდეის ისტორია

წინააღმდეგობის (აჯანყების) უფლება რაღაც პერიოდი დასავლელი მკვლევრების ინტერესების მიღმა აღმოჩნდა. ამას თავისი ახსნა აქვს. ჯერ ერთი დასავლეთის ქვეყნები დიდი ხანი არ შეუწუხებია რევოლუციას და ინტერესი მისადმი არა ისტორიის, არამედ იურიდიული თვალსაზრისით არც თუ ისე დიდი იყო. ჩნდება კითხვა ერთ დროს ადამიანის უმაღლეს ფასეულობად აღიარებული უფლება ხომ არ იქნა მივიწყებული იმ მიზეზით, რომ მოძველდა? რათქმა უნდა ეს ასე არ არის. არაბული გაზაფხული არის ნათელი დადასტურება იმის, რომ რევოლუციები ხდება და კიდევ მოხდება. მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ საკითხი არის სენსიტიური – წესით წინააღმდეგობა ხელისუფლებისადმი და მით უმეტეს მასზე თავდასხმა წარმოადგენს უკანონო აქტს.
აჯანყების უფლების იდეა ვითარდებოდა როგორც დასავლურ ისე აღმოსავლურ სამართლებრივ ტრადიციაში. ბუნებითი სამართლის და საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიებმა დიდწილად განაპირობა ამ უფლების ჩამოყალიბება, მაშინ როცა ეს იდეა დამოუკიდებელ განვითარებას პოულობს ჩინურ და ისლამურ პოლიტიკურ და სამართლებრივ დოქტრინებში. დისკუსია რევოლუციის უფლებაზე ტირანის წინააღმდეგ თავის სათავეს იღებს პლატონის დროიდან. ციცერონმა გაამართლა ,,მათი ქცევა“ ვინც მოკლა კეისარი ანუ ,,ტირანი“. ტირანის მკვლელობა რომ სამართლიანია ამტკიცებს ინგლისელი თეოლოგი ჯონ სოლსბერი. თომა აქვინელი საკითხს განიხილავს თეოლოგიურ ჭრილში: არის თუ არა აჯანყება ცოდვა? როცა ხელისუფალი არღვევს საზოგადოებრივ მშვიდობას ის თვითონაა მეამბოხე და მისთვის ხელისუფლების წართმევა არ ნიშნავს მეამბოხეობას და შესაბამისად ცოდვას. პამფლეტი „სარჩელი ტირანების წინააღმდეგ“ (ავტორი უცნობია) განიხილავს ოთხ საკითხს რომელიც ეხება მეფის და მისი ქვეშევრდომების ურთიერთობებს და ყველა შემთხვევაში ამართლებს აჯანყების უფლებას. ესპანელი ფილოსოფოსი ფრანსისკო სუარესი თავის ტრაქტატში ,,კანონების შესახებ“ უზურპატორის და ტირანის მოკვლას უშვებს. იგივე იდეას ანვითარებს ესპანელი იეზუიტი ისტორიკოსი ხუან დე მარიანა თავის ტრაქტატში „მმართველობის შესახებ“. XVIII საუკუნის შვეიცარელი იურისტი ემერი დე ვატელმა თავის მხრივ განავითარა ხუან დე მარიანას კონცეფცია. ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორები ამ თვალსაზრისით არიან თომას ჰობსი და ჯონ ლოკი, ფრანგი განმანათლებლები და მათი იდეები. წინააღმდეგობის იდეის რეალიზება მოხდა ისეთი მნიშვნელობის ისტორიულ დოკუმენტებში როგორებიცაა ფრანგული ,,ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ (1789), აშშ დამოუკიდებლობის დეკლარაცია (1776) და ა.შ წინააღმდეგობის იდეა პირდაპირაა ასახული ბევრი ქვეყნის კონსტიტუციების ტექსტში, ხოლო სადაც არაა ნახსენები, უცილობლად მოიაზრება იგი.

29.
ზაალ გოგენია
ბასკეთის საფეხბურთო გუნდის ტურნე საბჭოთა კავშირში 1937 წ.

ბასკების საფეხბურთო გუნდის (ნაკრები) შექმნა და მისი პროპაგანდისტული ტურნე ევროპაში, სსრკ-სა და ლათინურ ამერიკაში ესპანეთის სამოქალაქო ომის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია.
1937 წლის მარტის ბოლოს ფ. ფრანკოს ძალებმა ომის სიმძიმე ჩრდილოეთში გადაიტანეს, მათი პირველი მიზანი იყო ბასკეთი. ესპანეთის რესპუბლიკის მესვეურები ჩრდილოეთის ფრონტს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, შესაბამისად აქ იარაღის, საბრძოლო მასალის და სურსათის კატასტროფული სიმცირე იყო. ბასკეთის მთავრობის მეთაური ხოსე ანტონიო აგირრე აწარმოებდა პროპაგანდას საზღვარგარეთ მათ შორის სახსრების მოძიებასთან დაკავშირებით. ამ კონტექსტში განიხილება ბასკეთის ,,ნაკრების“ ჩამოყალიბების ისტორია. ,,ჩვენ უნდა დიდი სარგებელი მივიღოთ ამ ექსპედიციიდან როგორც ეკონომიკური კუთხით ისე სოციალური და საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით“ - წერდა გაზეთი ,,La Tarde“.
გუნდს ოფიციალურად ბასკეთის ნაკრები არ დარქმევია, პრომოუტერების შიშობდნენ ფიფა მას ამ სახელით, საზღვარგარეთ თამაშს აუკრძალავდა. გუნდის ხერხემალი იყო ბილბაოს ატლეტიკო გაძლიერებული სხვა ფეხბურთელებით.

ტურნე მეზობელი საფრანგეთიდან დაიწყო. ბასკების გამარჯვება სპორტულ სფეროში მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ის დაჩრდილა გერნიკას დაბომბვამ იმავე დღეს 26 აპრილს. ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში დელეგაციის ხელმძღვანელმა მანუელ დე ლა სოტამ განაცხადა, რომ ბასკი ფეხბურთელები არიან ჯარისკაცები რომლებმაც დროებით დატოვეს სანგრები, სადაც იბრძვიან მშვიდობისა და ძმობისთვის. ,,ჩვენს ახალგაზრდებს უნდათ აჩვენონ, რომ იბრძვიან თავისუფლებისთვის სპორტის გზით“. ზოგისთვის ეს ბასკური ნაციონალიზმის საჯარო აღიარებას წარმოადგენდა.

მოსკოვში ბასკების პირველი მეტოქე იყო ლოკომოტივი (მწვრთნელი ფრანგი ჟიულ ლიმბეკი), რომელიც დაამარცხეს ანგარიშით 5:1. ბასკების გუნდის მწვრთნელი პედრო ვალიანა ვერ მალავდა გაოცებას რომ ამ კლასიის ოსტატები რატომ თამაშობდნენ არქაული წესით „ხუთი ხაზზე“. მაშინ როცა ყველა საერთაშორისო დონის კლუბები დიდი ხანია გადავიდნენ „დუბლვეზე“.

27 ივნისს მოსკოვის დინამოსთან დანიშნული მატჩიც ბასკების გამარჯვებით დასრულდა მოსკოვში ორი მოგების შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობა შეშფოთებას ვერ მალავდა. ხელმძღვანელობას სურდა ორი მარში-რევანშის გამართვა. თუმცა დინამოსთან მეორე თამაში დასრულდა 7:4. ამით სტალინის თავმოყვარეობა შეილახა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსკოვის დინამო იყო ნკვდ გუნდი.

საქართველოში ბასკები განსაკუთრებული სითბოთი მიიღეს, ამის მიზეზი მხოლოდ ქართული სტუმართმოყვარეობა არ ყოფილა. დიდი როლი ითამაშა ნიკო მარის პოპულარულმა თეორიამ ბასკების და ქართველების ნათესაობის შესახებ. თბილისში გამართული ორივე თამაში პირველად ,,დინამოსთან“ ხოლო მეორედ საქართველოს ნაკრებთან ბასკების გამარჯვებით დასრულდა.

ჯამში საბჭოთა კავშირიდან ბასკებმა 100 ათასი ფრანგული ფრანკი წაიღეს, მაგრამ სამშობლოში ისინი ვერ დაბრუნდნენ. პროპაგანდისტული თვალსაზრისით ბასკების ეს ტურნე მნიშვნელოვანი იყო ბორის პაიჭაძე ამბობდა: „მაშინ პირველად დავრწმუნდი თუ რა დიდი ადგილი უკავია ფეხბურთს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არა მგონია ქვეყანაზე იყოს აგიტაციის სხვა რაიმე ფორმა რომელსაც ამდენი კეთილმოსურნე და მხარდამჭერი მოეპოვებინა რესპუბლიკური ესპანეთისთვის როგორც ეს ფეხბურთელთა ამ ტურნემ გააკეთა“.

30.
ზაალ გოგენია
კომუნიტარული ექსპერიმენტი ესპანეთში (1936-1939 წწ.)

ესპანეთში 1936 წელს დაწყებულ აჯანყებას აქტიურად დაუპირისპირდა მშრომელთა სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთა შორის ანარქისტები და ანარქო-სინდიკალისტები წამყვან ძალას წარმოადგენდნენ: ესენია პროფკავშირული გაერთიანება შრომის ეროვნული კონფედერაცია, იბერიის ანარქისტთა ფედერაცია, ლიბერტარიანული ახალგაზრდობის იბერიული ფედერაცია, ,,თავისუფალი ქალები“ და ა.შ.

თავდაპირველად აჯანყებაზე პასუხი იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოცხადებული გაფიცვა. ხელისუფლებისგან მოითხოვდნენ იარაღს, თუმცა ამ უკანასკნელს ეშინოდა და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ აჯანყების ჩახშობის შემდეგ ეს იარაღი მის წინააღმდეგ იქნებოდა გამოყენებული.

პირველი ბრძოლების შემდეგ ესპანეთი ორ ზონად გაიყო. ტერიტორიაზე რომელიც ფორმალურად კანონიერი ხელისუფლების ქვეშ დარჩა, სტიქიურად დაიწყო რადიკალური სოციალ -ეკონომიკური გარდაქმნები, რაშიც ანარქო-სინდიკალისტური პროფკავშირების წევრების გარდა მონაწილეობას იღებდნენ სოციალისტური პროფკავშირების წევრები, რადიკალი მარქსისტები პოუმიდან და ა.შ. რევოლუციის დაწყების თარიღად მიჩნეულია 1936 წლის 19 ივლისი, როდესაც მშრომელთა დახმარებით ჩახშობილ იქნა აჯანყება ბარსელონაში.

თავიდან ესპანეთის ანარქო-სინდიკალისტური მოძრაობის ლიდერებმა ივლისში მომხდარი მოვლენები აღიქვეს როგორც სამხედრო ფაშისტური გადატრიალების მცდელობა, შესაბამისად მათი უპირველესი ამოცანა იყო ქვეყანაში ფაშისტური დიქტატურის არდაშვება, სხვა არაფერი, მაგრამ რიგითი წევრები უფრო რადიკალურად მოქმედებდნენ ძველი გამოცდილებიდან გამომდინარე ჩვეული სცენარით, ისე რომ არანაირ განკარგულება თუ დეკრეტს არ ელოდებოდა. ამრიგად წინააღმდეგობრივი სიტუაცია შეიქმნა, სანამ მასები ქვემოდან ატარებდნენ რევოლუციური გარდაქმნებს სოციალ ეკონომიკურის ფეროში ანარქო სინდიკალისტების ლიდერებმა ,,რევოლუცია გადადეს“. ლიდერებს და მასებს შორის შექმნილი ნაპრალი დღითი დღე იზრდებოდა,

ცვლილებები არათანმიმდევრული იყო, ვინაიდან მასში სხვა ძალებიც მონაწილეობდნენ მაგალითად მშრომელთა საყოველთაო კავშირის მემარცხენე ფრთა და პოუმი. პროცესებს აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ კომუნისტები, ისინი კომინტერნის და კრემლის დირექტივებით ხელმძღვანელობდნენ და პირდაპირი მითითება ჰქონდათ არ დაეშვათ ანარქისტული ექსპერიმენტის ცხოვრებაში გატარება.

სახელდახელოდ შექმნილი ანარქისტული მილიციის კოლონების საქმიანობა საბჭოთა და თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში უამრავი მითის საფუძველს წარმოადგენს და მისი მიზანი ანარქისტული ორგანიზაციების დისკრედიტაციაა. თითქოს მათ ვერ შეძლეს ბრძოლისუნარიანი შეირაღებული ფორმირების ორგანიზება და ა.შ. სინამდვილეში ანარქო-სინდიკალისტური მილიცია არაფრით ჩამოუვარდებოდა სხვას.

ამრიგად ესპანეთის იმ რეგიონებში სადაც ავჯანყება ჩახშობილ იქნა ეს ნიშნავდა ახალი რევოლუციის დაწყებას. ხალხმა სტიქიურად დაიწყო ქონების განაწილება, მიწა გადადიოდა გლეხთა კომიტეტების საკუთრებაში, რომელსაც, სხვათა შორის, ანარქო-სინდიკალისტები თუ „კოლექტივებს“ უწოდებენ, კომუნისტები სიტყვა „თემებს“ იყენებდნენ. ფაბრიკა-ქარხნები გადადიოდა მუშათა კოლექტივების ხელში. სოფელში პროცესები უფრო შორს წავიდა ვიდრე ქალაქში და აქ არაგონი იყო გამორჩეული თუმცა ანდალუსიის და ლევანტის შემთხვევები ძალიან საინტერესოა. რაც შეეხება კოლექტივიზაციის მასშტაბებს ავტორებს სხვადასხვა ციფრები მოჰყავთ, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს ციფრები მხოლოდ მიახლოებითია.

მნიშვნელოვანია თვითონ ანარქო-სინდიკალისტების აგრარული კოლექტიური მეურნეობების გაჩენის ბუნება, რაც ისტორიოგრაფიაში სპეკულაციების ობიექტია, თითქოს გლეხთა მასებს აიძულებდნენ ძალით კოლექტივებში გაწევრიანებას, თუმცა ეს არ დასტურდება.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ლევან გორდეზიანი, ირინე ტატიშვილი. Some Thoughts on Urartian ḫa(i)u-. – Urartu and Beyond. Improvement and Interaction in the Iron Age Highlands. International Symposium. ვანი (თურქეთი), 7-9.09.2022.

2.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**

*** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.**

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების სია

(2022)

მონოგრაფია:

1. **მერაბ კალანდაძე, თამარ ანთაძე.** პროფესორი გივი კიღურაძე. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2022 (იბეჭდება).

სტატიები:

1. **ლევან გორდეზიანი, ირინე ტატიშვილი.** Hittite Funeral Traditions and Afterlife Beliefs in the Context of Hittite Cosmology. წიგნში: Ancient Near Eastern Weltanschauungen in Contact and in Contrast: Rethinking the Terms Ideology and Propaganda. Münster: Zaphon, 2022, გვ. 309-322.
2. **ლევან გორდეზიანი.** ძველაღმოსავლური წყაროები. – ენციკლოპედია *ანტიკური კავკასია,* ტ. 1, თბილისი, 2022, გვ. 11-44.
3. **მარიკა მშვილდაძე.** რომისა და ხანის იმპერიებს შორის არსებული ურთიერთობის შესწავლის საკითხისათვის. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები XXXVI. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 2022, გვ. 41-49.
4. **მარიკა მშვილდაძე.** ქართლი და სასანიანთა ირანი III ს. რელიგიური ასპექტი. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XVIII. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 2022, გვ. 83-94.
5. **მურმან პაპაშვილი.** საფრანგეთის უცხოეთის მისიონის დაარსების მცდელობა საქართველოში (1670-იანი წლები). – კრებ.: „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“ 3-4. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, გვ. 21-20.
6. **მურმან პაპაშვილი.** მეფე ერეკლე II-ის დამოკიდებულება კათოლიკობისადმი დღემდე უცნობი მასალების მიხედვით. – კრებ.: „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“ 3-4. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, გვ. 230-252.
7. **ზაალ გოგენია.** საბჭოთა დიპლომატი მარსელ როზენბერგი. საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია. თბილისი: „უნივერსალი“, 2022, გვ. 324-341.

საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2
(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ინსტიტუტის ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი თედო დუნდუა; აკადემიკოსი, ისტორიის დოქტორი პროფესორი ჯაბა სამუშია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე, ისტორიის დოქტორი ასოცირებული პროფესორი აპოლონ თაბუაშვილი, ისტორიის დოქტორი ასოცირებული პროფესორი ბონდო კუპატაძე, ისტორიის დოქტორი ასოცირებული პროფესორი ქეთევან ნადირაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ისტორიის დოქტორი ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი, ისტორიის დოქტორი ასისტენტ-პროფესორი ნათია ფიფია, ისტორიის დოქტორი ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ქუთათელაძე, ისტორიის დოქტორი ასისტენტ-პროფესორი ლერი თავაძე (სწავლული მდივანი).

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში (ეთნიკური და დემოგრაფიული სურათის ცვლილებების პროცესი). FR-21-22519 – სამწლიანი ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტი. 2022-2025;

2. გარდამავალი ორწლიანი პროექტის დასახელებაა: „„საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ სამტომეული. საქართველოს ახალი ისტორია. (1918-1921). (შიფრი № FR – 21 - 13590) ფარგლებში. 2022-2024.

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ალექსანდრე ბოშიშვილი – სამეცნიერო ხელმძღვანელი. პროექტის მონაწილე-შემსრულებლები: ლერი თავაძე (კოორდინატორი და შემსრულებელი), აკაკი ჩიქობავა და ემილ ავდალიანი.

2. დიმიტრი შველიძე – სამეცნიერო ხელმძღვანელი. მონაწილე-შემსრულებლები: ი. ირემაძე, ბ. კუპატაძე, მ. ბახტაძე და ს. ჭანტურიძე.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კვლევის სფერო ეთნიკური და დემოგრაფიული სურათის ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხებია. ამ ეტაპზე, როდესაც თითქმის ყველა საისტორიო დოკუმენტებზე, საარქივო მასალაზე და სხვა საკანცელარიო დოკუმენტაციაზე სრული წვდომის საშუალება არსებობს. გამოქვეყნებულია უცხოენოვანი მასალაც (მაგ., კარლ შტუმპის ნაშრომი, სადაც გამოქვეყნებულია გერმანული დოკუმენტები, გადმოსახლებულების დღიურები და სხვა სახის ჩანაწერები, სრული და დაზუსტებული გენეალოგიური მონაცემების დართვით და სხვ.). უნდა აღიწეროს სრული სურათი, კოლონების დაარსების, იქ მცხოვრები ადამიანების ცხოვრების პირობებისა და სირთულეების შესახებ, დასაზუსტებელია მათი რიცხოვნობა, ინტეგრაციისსაკითხი ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვა ეროვნებების მიერ დაარსებულ კოლონიებთან, მათი დამოკიდებულება სახელმწიფოსთან და აშ. აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ გადმოსახლებული კოლონისტების შესახებ კვლევა საკითხის სრულყოფილად წარმოჩენისთვის საკმარისი არ იქნება, ამიტომ დაგეგმილია მათი განხილვა მთელი მოსახლეობის კონტექსტში. გასარკვევია, მათი რაოდენობა, ცვლილებები, ეკონომიკური აქტიურობა და სხვა საკითხები. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, დამატებით უნიკალობას შესძენს პროექტს. აღსანიშნავია, რომ საგრანტო ჯგუფის წევრთა მიერ გარკვეული სამუშაოები უკვე ჩატარებულია. კერძოდ, შესწავლილია ქვემო ქართლში ეთნიკური და დემოგრაფიული სურათის ცვლილებები უძველესი დროიდან დღემდე (იხ. ა. ბოშიშვილი. ქართლის სამეფოს სამხრეთის საზღვარი და სამხრეთის პროვინციები (XV-XVIII სს.), თბ. 2015; ა. ბოშიშვილი. ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და თანამდროვე მდგომარეობა)“. თბ. 2020). მოპოვებული მასალა, მიღებული დაკვირვებები და დასკვნები საგრანტო ჯგუფს შემდგომი კვლევის გაღრმავებაში დიდ დახმარებას გაუწევს. საპროექტო წინადადება წარმოადგენს გაგრძელებას და შეჯამებას, რომელიც მთელი საქართველოს ტერიტორიაზე XIX საუკუნეში განვითარებულ ეთნიკურ და დემოგრაფიულ ცვლილებებს მოიცავს. რუსეთის იმპერიისთვის დამახასიათებელი ეთნიკური და დემოგრაფიული პოლიტიკისთვის დამახასიათებელი იყო, ასევე, ქართველების ცალ-ცალკე ჯგუფებად დაყოფის პოლიტიკაც, ეთნოგრაფიულ რუკებსა და აღწერებში ცალ-ცალკე აღნიშნავდნენ, „თუშებს“, „ხევსურებს“, „ქართველებს“, „კახელებს“, „იმერლებს“, „სვანებს“ და აშ. და აქცენტი კეთდებოდა მათ არა მათ საერთო ეროვნულობასა და კულტურაზე, არამედ, მცირე განმასხვავებელ ნიშნებზე და, ეს ყველაფერი მაქსიმალურად დანაწევრებას იწვევდა და დაპყრობილი ხალხი სამართავად ბევრად მარტივი იქნებოდა. ამას ხელს უწყობდა რუსული ენის ფართოდ გავრცელებაც. ზოგადად, როგორც ცნობილია, განათლებისა და ენის შესწავლის საკითხი XIX საუკუნეში მოსახლეობის სხვადასხვა ფენას, ეროვნებასა თუ კონფესიებს შორის განსხვავებული იყო. არარუსი წარმოშობის კოლონისტებისთვის ეტაპობრივად რუსული ენა გახდა უფრო „მშობლიური“ და ძირითადი საკომუნიკაციო ენა. მაშინ, როდესაც განათლების კერებისა და სკოლების არარსებობის გამო ადგილობრივი ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსულ ენას არ ფლობდა. კოლონისტები რუსულის ცოდნით ახერხდებოდნენ ერთმანეთთან ინტეგრაციას, რაც იყო გასაღები, ასევე, იმპერიის სამოხელეო აპარატთან და ბიუროკრატიასთან ურთიერთობაშიც. ხშირად ისინი (მაგ., გერმანელების კოლონიები), განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ სახელმწიფოსთან, და ადგილობრივ სამაზრო და საუბნო მმართველობებთან არ ჰქონდათ კავშირი. პირდაპირ საგუბერნიო და სპეციალურად მათთვის შექმნილი მმართველობითი ორგანოები განიხილავდნენ მათ საკითხებს. რაც ადგილობრივებსა და კოლონისტებს ერთმანეთთან აშორებდა. თავისთავად იმპერიის პოლიტიკის მიზეზით იყო გამოწვეული და არა ადგილობრივების მიუღებლობით, ან ჩამოსულების შიშით. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ეროვნების ხალხის ცხოვრება საქართველოსთვის, მანამდეც არ იყო უცხო და ეკონომიკური თუ სამხედრო მიზნებით ხშირად მეფეები და სახელმწიფო მესვეურები პირადად უწყობდნენ ხელს ხალხის ჩამოსახლებას. ამასთან არასოდეს არ ყოფილა მათი რაიმე ნიშნით შეზღუდვა, ამას მოწმობს, თუნდაც

საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა სამლოცველოები და აშ. მათ მხოლოდ ქართული ენის სწავლა ევალებოდათ, არაერთი მათგანი ჩართული იყო ფეოდალური სახელმწიფოს სამოხელეო ინსტიტუტების საქმიანობაში, ეს ყველაფერი კი მაქსიმალურ ინტეგრაციას უწყობდა ხელს და მშვიდობიან თანაცხოვრებას უზრუნველყოფდა, რუსეთის იმპერიის პოლიტიკის შედეგად კი, უკვე ინტეგრირებული, ჯგუფებიც კი (მაგ. სომხები, თურქმანული ტომები, ბერძნები და აშ.) დისტანცირდნენ ერთმანეთისგან. პროექტში აღნიშნული საკითხები იქნება განხილული.

2. პროექტში შესასრულებელი მაქვს 7 თემა, რომლებიც გარკვეულ პერიოდებში უნდა გაკეთდეს. პროექტზე მუშაობა დაიწყო 2022 წლის აპრილის თვიდან. დღეის მდგომარეობით შესრულებულია პირველი და მეორე თემები. 1. ქართული პოლიტიკური ელიტა. მემარცხენე პოლიტიკური პარტიები (სოციალ-დემოკრატები, ესერები, ანარქისტები) და 2. ნაციონალისტური პარტიები: სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები.

შესრულებული სამუშაოს ანოტაცია შემდეგი შინაარსისაა. პროექტის ამ ნაწილში შესწავლილია პირველი რესპუბლიკის წამყვანი პოლიტიკური პარტიების საქმიანობა-მოღვაწეობა: მათი პროგრამული დოკუმენტები; ყრილობებისა და კონფერენციების მასალები; მონაწილეობა საქართველოს პარლამენტსა და დამფუძნებელ კრებაში; მათი პარტიული პრესის მასალები, რომელშიც იგულისხმება პარტიული პრესის ორგანოები: „საქართველოს რესპუბლიკა“, „ერთობა“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“ და სხვა გაზეთები. შესწავლილია პარტიების ლიდერთა მოგონებები, მათი პუბლიცისტური ნააზრევი, სტატიები, გამოსვლები, მოხსენებეი და სხვა სახის ინტელექტუალური მემკვიდრეობა. მასალების უმრავლესობა ახალია, თუმცა, ამასთან ერთად აქტიურად ვიყენებთ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სპეციალურ ლიტერატურასაც.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო, 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1. ისტორია და არქეოლოგია, 6.1.1. ისტორია, Fr 18-22-16. 2019-2022 წწ.
2. ქორეპისკოპოსი და მეფე: კახეთის პოლიტიკური ისტორია VIII-XII საუკუნეებში. „საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი“ 7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი, 7.6 ჰუმანიტარული მეცნიერებები, 7.6.1. ისტორია და არქეოლოგია (SP-21-225). 2021-2022 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ხელმძღვანელი ასისტ. პროფ. ნათია ფიფია; კოორდინატორი ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე; ძირითადი პერსონალი პროფ. თედო დუნდუა.
2. პროექტის ხელმძღვანელი ლერი თავაძე, პროექტის კოორდინატორი ლექსანდრე ბოშიშვილი.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. დასრულების სტადიაშია, კერძოდ წიგნის ქართული და ინგლისური ვერსიები გადაცემულია სარეცენზიოდ (რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნანა ტონია და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მარიკა მშვილდაძე), რის შემდეგ მონოგრაფია გატანილი იქნება დარგობრივ საბჭოზე დასამტკიცებლად. ამის შემდეგ ნაშრომი დაიბეჭდება 2 წიგნად, რადგან ნაშრომი „ანტიკური ხანის ბერძნული და ლათინური წარწერები როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“ არის ორენოვანი (ქართული და ინგლისური) გამოცემა. მონოგრაფიაში განხილულია ქართულ საისტორიო წყაროებში შედარებით მწირად წარმოდგენილი და შესაბამისად, ძირითადად უცხოენოვან წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილი პერიოდი, რომლის ტრადიციული ქრონოლოგიური ჩარჩოებია ძვ. წ VIII ს- ახ. წ IV ს. ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისთვის ამ უცხოენოვან წყაროთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბერძნულ და ლათინურ წარწერებს, რომლებიც როგორც საქართველოში, ისე, საზღვარგარეთაა დაცული.

მართალია, ნაშრომში გამოკვლეული ეპიგრაფიკული მასალის დიდი ნაწილი სხვადასხვა დროს ადრეც იყო შესწავლილი სხვადასხვა გამოცემებში, მაგრამ არსებული ნაშრომი მათგან განსხვავებულია რამდენიმე კონკრეტული მახასიათებლით:

1) ქართულ სამეცნიერო სივრცეში დღემდე არ არსებობდა ერთ ნაშრომში თავმოყრილი ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული როგორც **ბერძნულ,** ისე **ლათინურ** ენაზე არსებული წარწერების მაქსიმალურად სრული ნუსხა;
2) ამ დრომდე ერთ წიგნად არ ყოფილა გამოცემული საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის ამსახველი ბერძნული და ლათინური წარწერები, რომლებიც როგორც **საქართველოში**, ისე **მის ფარგლებს გარეთაა** აღმოჩენილი ან დაცული.
3) ამ დრომდე ერთ გამოცემაში ერთმანეთის გვერდით არ ყოფილა წარმოდგენილი საქართველოს ისტორიისთვის საინტერესო ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული სხვადასხვა ეპიგრაფიკული მასალა: **წარწერები, გრაფიტოები და ნუმიზმატიკური მონაცემები.**
4) აქამდე არ ჩატარებულა ამ მასშტაბური მასალის სისტემური, მონოგრაფიული კვლევა, რომელიც შეისწავლიდა მას, როგორც **საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის წყაროს**.
5) წიგნში კრიტიკულად გაანალიზებულია როგორც ტრადიციულად არსებული განმარტებები, ისე თანამედროვე გამოკვლევევები, არაერთ წარწერას დართული აქვს **ავტორთა სრულიად ახალი, ხშირ შეთხვევაში - დამკვიდრებულისგან განსხვავებული კომენტარები**, რომელიც მომზადდა ამ კონკრეტული გამოცემისათვის.
6) ზოგიერთი წარწერა და წყარო ამ ნაშრომის მეშვეობით **პირველად** შემოდის ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში.

საყურადღებოა, წიგნში გამოყენებული მეთოდოლოგია და კვლევის პრინციპებიც.

ეპიგრაფიკული და ნარატიული წყაროების შეჯერებისას მეტწილად გამოყენებულია **ჰევრისტიკული მეთოდი,** რომლის მეშვეობითაც ხდება წყაროებში დაცული მონაცემების კლასიფიკაცია და ვერიფიკაცია. ზოგიერთ შემთხვევაში, სხვადასხვა წყაროების მონაცემების გათვალისწინებით, გამოყენებულია ინფორმაციის **სინთეზის და რეკონსტრუქცის მეთოდები.**

საყურადღებოა მასალების კლასიფიკაციის და შესწავლის პრინციპი, რომელიც გულისხმობს წარწერების კვლევას **ერთდროულად პოლიტიკურ (იბერიისა და კოლხეთის) და ქრონოლოგიურ ჭრილში.**

ნაშრომში თავმოყრილი ინფორმაციის პოლიტიკურ და ამავდროულად ქრონოლოგიურ ჭრილში განხილვა ეფექტური აღმოჩნდა კვლევის მიზნების წარმატებით მიღწევისათვის.

ე.წ. „პოლიტიკური“ პრინციპის გათვალისწინებამ, კერძოდ, კოლხეთისა და იბერიის ეპიგრაფიკული მასალის ცალ-ცალკე თავებად შესწავლამ ხელი შეუწყო ანტიკური საქართველოს ორი მთავარი რეგიონის და სახელმწიფო გაერთიანების- კოლხეთისა და იბერიის ერთმანეთისგან განსხვავებული ისტორიული „თავგადასავლის“ სწორად და სიღრმისეულად შეფასებას; ამავდროულად, საერთო ქრონოლოგიურმა პერიოდიზაციამ, სხვაგვარად რომ ვთქვათ- ერთი და იმავე ქრონოლოგიური პრინციპების მიხედვით დასავლეთსა და აღმოსავლეთში აღმოჩენილი წარწერების დაყოფამ - ხელი შეუწყო ერთი და იმავე ქრონოლოგიურ პერიოდში იბერიის და კოლხეთის მონაცემების ერთმანეთთან ეფექტურად შედარებას და ამ კონტექსტში მათ განხილვას საქართველოს ისტორიის ერთ ნარატივად.

პერიოდიზაციისას გამოყენებული ტერმინოლოგია მისდევს ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ტრადიციას და ესადაგება ანტიკური კულტურების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. ქრონოლოგიური ტერმინოლოგიის შერჩევისას გათვალისწინებელი იყო შემდეგი:

1. საქმე გვაქვს ბერძნულ და ლათინურ წარწერებთან, რომელთა ენობრივი მახასიათებლები და შინაარსი განსაზღვრულია ანტიკურ საბერძნეთსა და რომში მიმდინარე ისტორიული პროცესებით;

2. საქართველო მუდმივად ინარჩუნებდა კავშირს ანტიკურ ბერძნულ-რომაულ კულტურასთან და ანტიკურ ხანაში მისი ისტორიის ძირითადი ვექტორი ზოგადად მაინც მისდევდა ამ პერიოდებისთვის განსაზღვრულ მახასიათებლებს.
3. ნაშრომის კონცეფცია, საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ემყარება ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის მსოფლიო და ამ ჭრილში, დასავლურ ცივილიზაციებთან ერთ კონტექსტში განხილვას.

მასალის ქრონოლოგიურმა კლასიფიკაციამ უფრო ეფექტური გახადა ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიული რეალობის ეტაპობრივი რეკონსტრუქცია და საშუალება მოგვცა თვალი მიგვედევნებინა მოვლენათა განვითარების სრული სურათისათვის.

საქართველოს ისტორიისათვის საყურადღებო ანტიკური ხანის ბერძნული და ლათინური წარწერების, გრაფიტოებისა და ნუმიზმატიკური მონაცემების შეძლებისდაგვარად სრულად თავმოყრასა და ანტიკური წყაროების ბერძნულ და ლათინურ ენებზე შესწავლასთან ერთად, ბუნებრივია, საჭირო გახდა **ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების** გათვალისწინება, **უახლესი სამეცნიერო განმარტებების სისტემატიზაცია** და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია- **ახალი, ორიგინალური კომენტარების დართვა**, რამაც, ჩვენი აზრით, მეტი სიცხადე შეიტანა საქართველოს ისტორიის ანტიკური პერიოდის არაერთი პრობლემური საკითხის კვლევაში. წიგნის ავტორთა- კლასიკური ფილოლოგიის და საქართველოს ისტორიის სპეციალისტთა- შეთანხმებული, **ინტერდისციპლინური** კვლევის საფუძველზე, რაც გულისხმობდა წარწერების კომპლექსურ (ლინგვისტურ და ისტორიულ) ანალიზს, შესაძლებელი გახდა ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიაში გარკვეული მონაცემების დამატება, კორექტირება, მოძიება და ზოგ შემთხვევაში- რეკონსტრუქციაც კი.

ასე, მაგალითად: ზუბოვკის თასის ვერცხლის ფიალის წარწერის მაგალითზე გამოიკვეთა ბერძნულ-კოლხური კულტურული ურთიერთობების ახალი პერიპეტიები; სხვადასხვა წარწერებიდან უკვე კარგად ცნობილ საბერძნეთსა და რომში მოხვედრილ სხვადასხვა ქართველურ ტომთა წარმომადგენლებს ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში დაემატნენ: ლანგენბრუკის წარწერაში დადასტურებული ჰენიოხი, კეისრის კოლხი ბალნეატორი რომიდან, კოლხი ქალი და სალუსტია კოლხი რომის მონათა სამარხიდან, სოხუმის ციხის წარწერაში დადასტურებული მმართველი ვალერიანუსი, გრაცის მუზეუმის და ჰალიკარნასოსის თეატრის წარწერებში მოხსენიებული მოსხოსი მოსხოსის ძე, მაკრონი ქალი უკვე კუნძულ როდოსიდან (ატენის სტელაზე აღმოჩენილი მაკრონისას კვალდაკვალ); ფესინოს სკითინოსი ათენის აკროპოლისის წარწერიდან (რომელიც ადრე დადასტურებული იყო დელფოს წარწერაში) და სხვ.

რამდენიმე წარწერის მონაცემთა შეჯერების, მათი საერთო კონტექსტის და ზოგჯერ წარწერის ახლებურად წაკითხვის ვარიანტის გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა ანტიკური ხანის საქართველოსთვის არაერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი და ბოლომდე დაუდგენელი ისტორიული ფაქტის გარკვევა: ახლადაღმოჩენილ წარწერაზე სოხუმის ციხიდან, ჩვენი აზრით, დადასტურდა სანიგთა მეფე მეფე სპადაგასის მოხსენიება; ეშერის, ფასისის და სოხუმის წარწერებისა და დამღების მიხედვით დაზუსტდა საქართველოში ბერძნული ახალშენების სტატუსი; ოსტიის წარწერის მიხედვით ზედმიწევნით დაკონკრეტდა ფარსმანის რომში ვიზიტის თარიღი; რომის ერთ-ერთი წარწერისა და სხვადასხვა ანტიკური და ქართული წყაროების საფუძველზე გაირკვა ლუციუს ვერუსის პართული ექსპედიციის დროს რომაელთა სამხედრო შენაერთების იბერიაში ლაშქრობის ფაქტი და მიზეზები; მცხეთაში აღმოჩენილი რამდენიმე წარწერის შეჯერების საფუძველზე დაზუსტდა წარწერაში მოხსენიებულ პირთა: დედოფალ დრაკონტისის, ანაგრანესის და მეფე ამაზასპის ვინაობის საკითხი; მცხეთაში აღმოჩენილ ცნობილ სამარხში დაკრძალული „ულპია დედოფლის“

წარწერისა და ამაზასპოსის ეპიტაფიის ერთ კონტექსტში შესწავლის ფარგლებში განიმარტა დედოფლის სახელის წარმომავლობის საკითხი და ეპიტაფიაში დასახელებული ამაზასპოსისა და მითრიდატეს ვინაობა; პარიზის მედალიონთა კაბინეტში დაცული ბეჭდის გემისა და ანტიკური წყაროების გამოყენებით დაზუსტდა „კარქედონელ იბერთა“ პიტიახშის, უსას ვინაობა, მისი სამფლობელო და მმართველობის სავარაუდო პერიოდი; ბაკურთან დაკავშირებული რამდენიმე წარწერის შეპირისპირებით შესაძლებელი გახდა ფარსმან ქველის გარდაცვალების შემდეგ მომხდარი მოვლენების რეკონსტრუქცია და სხვა.

საყურადღებოა, რომ უკვე კარგად ცნობილი და კვლევისას ახლადგამოვლენილი მონაცემები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ არმენიის, საბერძნეთის, რომის, პართიისა და ანტიკური პერიოდის სხვა ქვეყნების ისტორიის კვლევის კონტექსტში. საქართველოსა და საზღვარგარეთ არსებული ბერძნულ-რომაული წარწერები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის შესახებ, ამავდროულად გვაწვდიან ცნობებს მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. მაგალითად: საბერძნეთსა და რომში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების და მათი შთამომავლების უფლებრივი და სოციალური სტატუსის შესახებ, რომაული სამხედრო აქტივობების და საჯარისო შენაერთების ფუნქციონირებაზე პროვინციებსა და მეზობელ ქვეყნებში, ბერძნული და რომაული რელიგიური კულტების არსებობაზე კოლხეთსა და იბერიაში, ირანული, ბერძნული და რომაული გავლენების ზუსტი ქრონოლოგიის შესახებ იბერიასა და არმენიაში, რომის მეგობარი ქვეყნების მმართველებისათვის რომის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების საკითხზე და ა.შ.

შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ნაშრომი „ანტიკური ხანის ბერძნულ ი და ლათინური წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“ სისტემურ და უახლეს სამეცნიერო ინფორმაციას მიაწვდის ანტიკური ხანის საქართველოსა და მსოფლიო ისტორიით, ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკითა და, ზოგადად, ანტიკური წყაროებით დაინტერესებულ მკითხველებს, სტუდენტებსა და სპეციალისტებს;

2. პროექტის ნაშრომში (ლერის თავაძის მონოგრაფია) წარმოდგენილია კახეთის საქორეპისკოპოსოსა და კახეთ-ჰერეთის სამეფოს ისტორია VIII-XII საუკუნეებში. მასში მოცემულია საქართველოს ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გაერთიანების წარმოშობის, განვითარებისა და დაცემის ისტორია როგორიცაა კახეთის საქორეპისკოპოსო და მისი პოლიტიკური გაგრძელება – კახეთ-ჰერეთის სამეფო.

ჩვენს ნაშრომში გამოყენებული იქნება ახლადგამოვლენილი ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალა, ასევე ნარატიულ წყაროთა ახალი გამოცემები. უკანასკნელ დროს გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია განხორციელდა. გამოქვეყნდა მრავალი უცნობი წარწერა. მათი საგულისხმო ნაწილი IX-XII საუკუნეებით თარიღდება. შესაბამისად, აღნიშნული ნარწერათა მონაცემები გათვალისწინებულია ჩვენს ნაშრომშიც.

გარეჯის წარწერების გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს კახეთის სხვა ტერიტორიაზე გამოვლენილ წარწერებსაც. ამათგან ორი, კალაურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ახლადგამოვლენილი ეპიტაფია და ქოჩალოს ეკლესიის წარწერა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. პირველი წარწერის მიხედვით, ცნობილი ხდება კახეთ-ჰერეთის სამეფოს უცნობი დედოფლისა და ტახტის მემკვიდრის ელენეს ვინაობა, რომელიც კვირიკე III დიდის ასული გახლდათ; ხოლო მეორე წარწერის მიხედვით დადასტურებულია ქართულ ნარატიულ წყაროებში კახეთის ქორეპისკოპოსად ცნობილი დავითის მეფის ტიტული და უცნობი მეფის აბულალას მმართველობა ჰერეთში, რომელსაც „მატიანე ქართლისა“ მხოლოდ მთავრის ტიტულით მოიხსენიებს.

ახლადგამოვლენილი ნუმიზმატიკური მასალა ადასტურებს კახეთის და კახეთ-ჰერეთის მეფეთა განკარგულებით მონეტების მოჭრას. დადასტურებულია რამდენიმე მეფის მიერ ფულის მოჭრის ფაქტი, რაც ნაშრომში შესაბამისად არის ასახული.

უკანასკნელ ხანებში გამოიცა მრავალი უცხოური ისტორიული წყარო, მათი დიდი ნაწილი ცნობილი მწერლების ნაშრომებია, ისინი უკვე ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენაზე. მაგ. ქართულ ენაზე გამოიცა „სომხური გეოგრაფიის“ თარგმანი, რუსულ ენაზე თომა არწრუნის თხზულება, ინგლისურ

ენაზე ალ-ტაბარის ორმოცტომეული, ასევე კონსტანტინე პორფიროგენეტის „ცერემონიათა წიგნის“ ორტომეული და მრავალი სხვა. ყველა აღნიშნული და სხვა გამოცემა შესაბამისადაა ასახული საკონკურსოდ წარმოდგენილ ჩვენს მონოგრაფიაში.

ზემოთ ხსენებული ახალი ისტორიული მასალის, ბოლო წლებში გამოქვეყნებული წყაროებისა თუ უკვე დიდი ხნის წინ დაწერილი სამეცნიერო ლიტერატურის შესაბამისი ანალიზის შედეგად მომზადებულია ახალი მონოგრაფია, სადაც ახლებულად იქნება განხილული კახეთის საქორეპისკოპოსოს დაარსება, ქორეპისკოპოსთა მოღვაწეობა, კახეთისა და ჰერეთის გაერთიანება, კახეთ-ჰერეთის მეფეთა მოღვაწეობა და რანთა და კახთა სამეფოს ბაგრატიონთა მონარქიაში ინტეგრაცია. ამგვარად, აღნიშნული ნაშრომი საინტერესო იქნება VIII-XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხების განხილვისთვის.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Tedo Dundua, Emil Avdaliani, Georgia as a Part of Integrated Europe, 798-9941-34-089-5, Meridiani Publishers, Tbilisi, 104 გვ.
2. Tedo Dundua, Georgia as a Part of Integrated Europe. Appendix, 978-9941-34-092-5, Meridiani Publishers, Tbilisi, 48 გვ.
3. Tedo Dundua, Money in Georgia. Appendix, 978-9941-34-097-0, Meridiani Publishers, Tbilisi, 80 გვ.
4. Tedo Dundua, Natia Phiphia, Essays on Greeks and Romans between the Pontic and Hyrcanian Seas, 978-9941-34-101-4, Meridiani Publishers, Tbilisi, 28 გვ.
5. ლერი თავაძე, ქორეპისკოპოსი და მეფე: კახეთის პოლიტიკური ისტორია VIII-XII საუკუნეებში, 978-9941-8-1857-8, თბილისი, გამომცემლობა „კოლორი“,
6. დიმიტრი შველიძე, პოლიტიკური პარტიები საქართველოში. წარმოქმნიდან დღემდე“, გვერდი - 350, თბილისი. გამომცემლობა პალიტრა L;
7. ჯაბა სამუშია, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L;
8. ჯაბა სამუშია, საისტორიო ძიებანი, თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. წიგნში გაერთიანებულია ინგლისურენოვანი სტატიები საქართველოს ევროინტეგრაციის ისტორიის შესახებ.
2. ნაშრომი ამავე სახელმწოდების წიგნის დამატებაა, რომელშიც შესულია სტატიები საქართველოს ევროინტეგრაციის ისტორიის შესახებ.
3. აღნიშნული ნაშრომი არის დამატება ამავე სახელწოდების მონოგრაფიის მეორე გადამუშევებული გამოცემისა, რომელიც 2003 წელს გამოიცა თანაავტორებთან ერთად.
4. წიგნი ეხება ბერძნებისა და რომაელების ურთიერთობას ქართულ სამყაროსთან ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით.
5. აღნიშნული მონოგრაფია 2022 წლის დასაწყისში გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წიგნი ეხება ორი ქართული პოლიტიკური გაერთიანების ისტორიას, ესენია: 1) კახეთის საქორეპისკოპოსო; 2) კახეთ-ჰერეთის სამეფო. მეორე პირველის სამართალმემკვიდრესა და გაგრძელებას წარმოადგენდა. აღნიშნული გაერთიანებათა პოლიტიკური ცენტრი კახეთში მდებარეობდა, შესაბამისად, წიგნში მათი ისტორია კახეთის პოლიტიკური ისტორიის კონტექსტშია განხილული. შესწავლილია პოლიტიკური ისტორიის საკითხები. კახეთის საქორეპისკოპოსოსა და კახეთ-ჰერეთის სამეფოს ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორისაა როგორც სხვა ქართული ქვეყნები, ასევე მათ მეზობლად მდებარე არაქართული პოლიტიკური გაერთიანებები. ნაშრომი იყოფა რამდენიმე ნაწილად, ესენია: წინასიტყვაობა, შესავალი, პროლოგი, თოთხმეტი თავი და ეპილოგი. მონოგრაფიას დართული აქვს ბიბლიოგრაფია, სამი დამატება და ინგლისური რეზიუმე. წინასიტყვაობაში საუბარია წიგნის შექმნის დეტალებზე, მონოგრაფიის აგებულებაზე და შინაარსის სპეციფიკაზე, ასევე დეტალებზე, რომელიც უშუალოდ ზემოთ ხსენებული ნაშრომის დაწერასთან არის დაკავშირებული. შესავალში განხილულია საკვლევი თემის აქტუალობა, მოკლედაა მიმოხილული კახეთის წარსული, ვიდრე VIII საუკუნემდე. შესავლის ვრცელი ნაწილი ეთმობა ისტორიული წყაროების დახასიათებას. მიმოხილულია კახეთი საქორეპისკოპოსოსა და კახეთ-ჰერეთის სამეფოს ისტორიისთვის მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროები. მოცემული ქართული, სომხური, არაბული, სპარსული და ბიზანტიური ნარატიული მასალის ანალიზი, რაც პირდაპირ თუ ირიბ შემხებლობაშია VIII-XII საუკუნეების კახეთთან, ასევე, ზოგადად, საქართველოსთან. თხრობითი წყაროების გარდა მიმოხილულია ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ნუმიზმატიკა და ეპიგრაფიკა. ისინი მდიდარ მასალას გვაწვდიან VIII-XII საუკუნეების კახეთისა და

კახეთ-ჰერეთის შესახებ. წყაროების შემდეგ, ვრცლად არის მიმოხილული სპეციალური ლიტერატურა. კახეთის საქორეპისკოპოსოსა და კახეთ-ჰერეთის სამეფოს შესახებ მრავალი ნაშრომი (წიგნი, სტატია და ა.შ.) დაიწერა. მათი ჯეროვანი მიმოხილვა შესავალშია მოცემული. განხილულია ძირითადად ქართველი ავტორების შრომები (ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, მარიამ ლორთქიფანიძის, დავით მუსხელიშვილის, თენგიზ პაპუაშვილის, როინ მეტრეველის, გურამ მაისურაძის, ჯაბა სამუშიასა და სხვა ავტორთა ნაშრომები), ვინაიდან დიდი ნაწილი ისტორიკოსებისა, რომელიც ზემოთ ხსენებულ საკითხებზე მუშაობდნენ ან აგრძელებენ მუშაობას ეროვნული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელია. ქართველი ისტორიკოსების შრომების გარდა განხილულია ფრანგი, გერმანელი, ამერიკელი, სომეხი და სხვა ეროვნების ისტორიკოსთა ნაშრომები, რომელშიც კახეთის საქორეპისკოპოსოსა და კახეთ-ჰერეთის სამეფოს თემა გარკვეულ ადგილს იკავებს. პროლოგი წარმოადგენს ნაშრომის პრობლემატიკის შესწავლის დასაწყის ნაწილს, რომელშიც განხილულია კახეთის საქორეპისკოპოსოს წარმოშობა. მიღებული დასკვნის მიხედვით, კახეთის საქორეპისკოპოსო არ ჩამოყალიბებულა კახეთის ხანგრძლივი სეპარატიზაციის შედეგად ან, თუნდაც, ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავების გამო, მისი ჩამოყალიბება გამოიწვია შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ, რაც გამოწვეული იყო ქვეყანაში ორი დაპირისპირებული ძალის კონფლიქტთან, სადაც ერთი ბაგრატიონთა ახალ ხელისუფლებას ემხრობოდა, ხოლო მეორე – ხოსროიანთა დინასტიას. გაყოფა ასევე გამოწვეული იყო არაბთა ექსპანსიით, რომელმაც ქართლის ორი მსხვილი რეგიონი, ზემო ქართლი და კახეთ-კუხეთ-გარდაბანი, ერთი პერიოდი ერთმანეთს მოწყვიტა. პირველ თავში განხილულია გრიგოლ ქორეპისკოპოსის მოღვაწეობა და მის, თითქმის, ორმოცწლიან მმართველობაში მომხდარი პოლიტიკური პროცესები, როდესაც არაბული არმენიის ხელისუფლება სისტემატიურად ცდილობდა კახეთის დამორჩილებას, ხოლო გრიგოლის პოლიტიკა არაბთა განდევნისა და ხოსროიანთა დინასტიის აღდგენის მცდელობა იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით. მეორე თავი ეხება დაჩი ქორეპისკოპოსის მოღვაწეობას, რომელიც, ავტორის აზრით, ხოსროიანთა დინასტიის უმცროსი შტოს წარმომადგენელი გახლდათ. დაჩის დროს გრძელდებოდა კონფლიქტი სახალიფოსთან, ხოლო „სრულიად ქართლის“ გაყოფამ უფრო გაფორმებული სახე მიიღო. მესამე თავი ეხება სამოელ დონაურის ქორეპისკოპოსობის პერიოდს, როდესაც კახეთის მესვეურები მნიშვნელოვან წარმატებას აღწევენ ხალიფატის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი წარმატება შეაფერხა ბუღა თურქის სამხედრო ლაშრობამ, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით. მეოთხე თავი ეხება გაბრიელ დონაურის მმართველობას, რომელიც აგრძელებდა ძმის პოლიტიკას, მაგრამ მოექცა გუარამ მამფლის გავლენის ქვეშ, რამაც საქართველოში ქორეპისკოპოსთა პოზიცია შეასუსტა. სომხეთის აგრესიამ კი მათ გარდაბნის მნიშვნელოვანი ნაწილი დააკარგვინა და, საბოლოოდ, ხელისუფლებაც. მეხუთე თავი ეხება არევმანელთა დინასტიის პირველი წევრის ფადლა პირველის მოღვაწეობას, რომელმაც განამტკიცა ახალი დინასტიის მმართველობა კახეთში. მეექვსე თავი ეხება კვირიკე პირველის მოღვაწეობას, როდესაც არევმანელთა სახლი, ფაქტობრივად, ცალკე დინასტიად გაფორმდა და გარკვეულ წარმატებას მიაღწია საერთაშორისო ასპარეზზე. მეშვიდე თავი ფადლა მეორის ზეობას ეხება, როდესაც გაჩაღდა გარკვეული აღმშენებლობითი მოღვაწეობა. მერვე თავში საუბარია წყაროებით შედარებით უფრო ნაკლებად ცნობილ კვირიკე მეორის ხანგრძლივ ზეობაზე, რომელშიც მისივე მმართველობის მეორე პერიოდია გამორჩეული, რომლის შესახებაც მასალა უფრო მრავალფეროვანია. მეცხრე თავში საუბარია დავითის შესახებ, რომელმაც გააერთიანა კახეთი და ჰერეთი, შესაბამისად, გახლდათ პირველი, ვინც იწოდა რანთა და კახთა მეფედ. მეათე თავი ეთმობა კახეთ-ჰერეთის ყველაზე გამორჩეული მეფის კვირკე მესამე დიდის ზეობას. მეთერთმეტე თავში მოთხრობილია გაგიკ ბაგრატუნ-კვირიკიანის დამკვიდრება კახეთ-ჰერეთში, რომელიც წარმატებით იგერიებდა ბაგრატ მეოთხის ექსპანსიას და მოახერხა ახალი დინასტიის განმტკიცება. მეთორმეტე თავში შესწავლილია აღსართან პირველის ზეობა, რომელიც უაღრესად არასტაბილური გახლდათ. მეცამეტე თავში მოცემულია კვირიკე მეოთხის პერიოდის კახეთ-ჰერეთის ისტორია, როდესაც ქვეყანაში შედარებით სტაბილური ვითარებაა. ხოლო ბოლო, მეთოთხმეტე თავში მოცემულია აღსართან მეორის ზეობა, როდესაც დავით აღმაშენებლის მეოხებით კახეთ-ჰერეთის სამეფო საქართველოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. ეპილოგში წარმოდგენილია ბაგრატიონთა დინასტიის პოლიტიკა კახეთ-ჰერეთის მიმართ VIII-XII საუკუნეებში, რაც დავით აღმაშენებლის დროს მისი სტაბილური ინტეგრაციით დასრულდა ერთიან ქართულ სამეფოში. ბიბლიოგრაფია იყოფა ორ სექციად, ესენია: წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა. ნაშრომს აქვს სამი დანართი. პირველ დანართში მოცემული კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მმართველთა ნუსხა, ასევე წარმოდგენილია სხვა მეზობელი ქვეყნების მმართველთა ნუსხები. მეორე დანართში VIII-XII საუკუნეების კახეთის მმართველი დინასტიების

გენეალოგიური ტაბულა არის მოცემული. მესამე დანართში განხილულია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები კახეთის შესახებ და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ერთ-ერთი წყარო, რომელსაც ვახუშტი იყენებდა თავის ნაწარმოებში უნდა იყოს დაკარგული ნუსხა პირობითი სათაურით, „კახეთის მეფე-მთავართა დივანი“. ნაშრომს ბოლო დართული აქვს ინგლისური რეზიუმე. ამგვარად, წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო აუდიტორიისთვის. თუმცა, ასევე, ის საინტერესო იქნება კავკასიის, ბიზანტიის, ხალიფატის, ირანისა და თურქ-სელჩუკთა ისტორიის მოყვარული მკითხველისთვისაც, ვინაიდან მონოგრაფიაში ქართველების პოლიტიკური ურთიერთობა ყველა ამ ქვეყნებთან ჯეროვნად არის ასახული.

6. მონოგრაფიაში შესწავლილია და განხილულია ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა 1832 წლიდან დღემდე. მასში მოცემულია პარტიათა წარმოშობა, მათი საქმიანობის ძირითადი მომენტები და ტენდენციები; მათი საპროგრამო დოკუმენტები, საარჩევნო პლატფორმები, ყრილობები, კონფერენციები, პარტიის ლიდერთა პუბლიცისტიკა და ნააზრევი. გამოთქმულია და დასაბუთებული მრავალი ახალი კონცეფცია, ინტერპრეტაცია, გამოვლენილია ნაკლებად ცნობილი ფაქტები და ა. შ. მსგავსი მონოგრაფია პირველია ქართულ ისტორიოგრაფიასა და პოლიტოლოგიაში. იგი კარგი გზამკვლევია დღევანდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ელიტისათვის, მრავლად არსებული თანამედროვე პოლიტიკური პარტიებისათვის. გარდა სამეცნიერო სიახლისა, იგი კარგი სახელმძღვანელოა უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარულ-საისტორიო მიმართულებების სტუდენტებისათის. ზოგიერთი სამეცნიერო სიახლის შესახებ: 1. პოლიტიკური პარტიის შექმნის პირველ მცდელობად მიჩნეულია - 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ცენტრალური ორგანიზაცია. პარტიულ კომპონენტებად მიჩნეულია ორგანიზაციის ცენტრალური ორგანო - საბჭო; ორგანიზაციის საპროგრამო დოკუმენტი - წესდება - აქტი გონიური და სხვ. 2. თერგდალეულთა ერთ-ერთ პირველ საპროგრამო პროდუქციად მიჩნეულია და დასაბუთებული, ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ნაწარმოები: „მამა ალექსანდრე გავაცის ქადაგებანი“, რაც ქართული ისტორიოგრაფიისათვის სიახლეა. და სხვ.

7. გამომცემლობა „პალიტრა L“- ის მიერ გამოცემულ წიგნში, „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“, პოპულარულ ენაზე გადმოცემულია ინფორმაცია ისეთ თემებზე, როგორიცაა თბილისის დაარსება და განაშენიანება, სამეფო კარისა და ურჩი ფეოდალების დაპირისპირება, დავით აღმაშენებლის სტატუსი გამეფებამდე, თამარის ეპოქისა და მისი მემკვიდრეების დროინდელი პოლიტიკური სიტუაცია, შავი ჭირის ეპიდემია მე-19 საუკუნის დასაწყისში, საქართველო და დასავლეთი ალექსანდრე მაკედონელის დროიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა პირველი რესპუბლიკის დროს და სხვა.

8. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ წიგნში, „საისტორიო ძიებანი“, მოცემულია ინფორმაცია ბიზანტია საქართველოს ურთიერთობის, თამარისა და დავითის ეპოქაში მეფეთა კურთხევის წესის, თბილისის მოსახლეობის შესახებ გვიან შუა საუკუნეებში, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ „თურქეთის საქართველოს“ შესწავლის, კავკასიის იდეის არსებობაზე მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში და სხვა.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მარიამ ჩხარტიშვილი. რიფსიმეანთა ისტორია წმინდა ნინოს „ცხოვრების“ უძველეს რედაქციებში. DOI: 10.13140/RG.2.2.19000.83203. არმენოლოგიის კათედრის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2022, თბილისი, 24 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. გამოკვლევაში მიზნად ვისახავდი ერთმანეთისათვის შემედარებინა რიფსიმეანთა ისტორია, როგორც ის წარმოდგენილია აგათანგელოსის ნაციონალურ რედაქციაში და „მოქცევაი ქართლისაის“ შატბერდულ რედაქციაში დაცულ წმინდა ნინოს „ცხოვრებებში“. შედარებამ აჩვენა: ა) აგათანგელოსის მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება „მოქცევაი ქართლისაიში“ დაცული მონაცემებისაგან; 2) ქართული წყაროს მონაცემები რეალისტური და ისტორიულ კონტექსტთან სრულად თავსებადია. აღნიშნული დასკვნები იძლევა შემდეგი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს: რიფსიმეანთა ისტორიის წმინდა ნინოს „ცხოვრების“ უძველეს რედაქციებში დაცული ვერსია დამოკიდებული უნდა იყოს აგათანგელოსის ციკლის ჩვენამდე მოუღწეველ ავთენტურ ძეგლზე, როგორც წყაროზე. ავთენტური წყარო კი ის თხზულებაა, რომელიც სომეხთა მოქცევის შესახებ თრდატის ბრძანებით შექმნა აგათანგელოსმა. რადგან წმინდა ნინოს „ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის შემდგენელი დედოფალი სალომე უჟარმელი თრდატ მეფის ასული იყო, ამიტომ მოულოდნელი სულაც არაა, რომ მას ჰქონოდა წვდომა სომეხთა მოქცევის ისტორიის სწორედ თავდაპირველ (სავარაუდოდ ბერძნულ ენაზე ჩაწერილ) ტექსტზე. ამგვარად, ის თავისებურებანი, რომელიც რიფსიმეანთა ისტორიას ახასიათებს წმინდა ნინოს „ცხოვრების“ დღემდე მოღწეულთა შორის უძველეს რედაქციებში, შესაძლოა, იხსნებოდეს ამ რედაქციების კავშირით აგათანგელოსის ციკლის პროტორედაქციასთან. ამ ვარაუდის დამატებითი მონაცემებით განმტკიცების შემთხვევაში „მოქცევაი ქართლისაიში“ წარმოდგენილი წმინდა ნინოს „ცხოვრების“ მონაცემები რიფსიმეანთა შესახებ, განსაკუთრებულ ღირებულებას შეიძენს როგორც წმინდა გრიგოლ განმანათლებლის ციკლის, ასევე სამხრეთ კავკასიაში ოფიციალური ქრისტიანობის დამკვიდრების ისტორიის რეპრეზენტირებისათვის. სხვა ფაქტებს შორის სპეციალური აღნიშვნის ღირსია ქართული წყაროების მონაცემებზე დაფუძნებული რიფსიმეანთა გუნდის სომხეთში მისვლის თარიღი: 322 წელი და ამ მონაცემიდან გამომდინარე სომეხთა მოქცევის თარიღი – 323 წელი. როგორც აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში სომეხთა მოქცევის დათარიღების თაობაზე ერთიანი აზრი არ არსებობს. თავიდან მიღებული იყო 301 წელი, ახლა უფრო გაზიარებულად ითვლება 314 წელი. არსებობს სხვა თვალსაზრისიც. ამგვარ ვითარებაში ქართული წყაროს ინფორმაციას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია პრობლემის საბოლოოდ გადასაჭრელად. ზედმეტი არ იქნება, აქვე ითქვას, რომ ამავე მონაცემებით ქართლის მოქცევა 330 წლით თარიღდება. ეს თარიღიც უაღრესად საინტერესოა სამხრეთ კავკასიაში ოფიციალური ქრისტიანობის ისტორიის ერთიანი კონტექსტის აღსადგენად.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Tedo Dundua, Natia Phiphia Greek Cities in Colchis. Point of View. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, გვ. 21-27.
2. Tedo Dundua. Pious Formulas on Georgian Money. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, გვ. 432-440.
3. Tedo Dundua. Muslim Religious Formulas on Money of Georgian Christian Monarchs. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, გვ. 441-444.
4. Tedo Dundua, Emil Avdaliani. Western Heraldry in Modern Georgia and Western Mints for Georgian Money. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, გვ. 469-474.
5. ლერი თავაძე, დავით სოსლანის სოციალურ-პოლიტიკური სტატუსი საქართველოში (ნუმიზმატიკური ძეგლებისა და მონუმენტური მხატვრობის მიხედვით), VII საერთაშორისო კონფერენცია ქართულ-ოსური ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები: მასალები (კონფერეცია ეძღვნება იოანე იალღუზიძეს), ISBN 978-9941-33-109-1, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ. 143-146.

6. ლერი თავაძე, Church and State in Modern Georgian Reality, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, გვ. 476-478
7. ლერი თავაძე, Scientific Legacy of Ivane Javakhishvili, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, გვ. 479-482
8. აპოლონ თაბუაშვილი. 1782 წლის რუსულ-ქართული მოლაპარაკებები - რუსეთის იმპერიის გააქტიურება საქართველოში და ერეკლე II-ის პოზიცია/Russian-Georgian Talks of 1782 - Active Engagement of the Russian Empire in Georgia and the Stance of Erekle II/Российско-грузинские переговоры 1782 года активное вмешательство Российской империи в дела Грузии и позиция Эрекле II/რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობის კვლევის ფონდი. თბ. 2022. 30 გვერდი ქართული ვერია/26 გვერდი ინგლისური ვერსია/28 გვერდი რუსული ვერია ელექტრონული ჟურნალი https://www.gfsis.org/ge/publications/russian-expansion
9. აპოლონ თაბუაშვილი. ერეკლე II-ის გატარებული ღონისძიებები „ლეკიანობის“ აღსაკვეთად და მისი შედეგები (1735-1783 წწ.). თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XVIII. ISSN 1987–9970. თსუ გამომცემლობა. თბილისი. 2022. გვ. 189-250.
10. მიხეილ ბახტაძე, ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ ანდჟეი პეპლონსკის წიგნში „პოლონური დაზვერვა სსრკ-ში 1921-1939. იოსებ ალიმბარაშვილის 60 წლისადმი მიძღვნილი კრებული. გორი.

11. მიხეილ ბახტაძე, პოლონეთის არქივის „Archiwum Akt Nowych“ ერთი დოკუმენტი (1 ივლისი 1922 წელი) კავკასიაში ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადების შესახებ (თანაავტორი დოქტორი პაველ ლიბერა, (ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, პოლონეთი). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. № 1.

12. მიხეილ ბახტაძე, სამხედრო-პოლიტიკური ვითარება კავკასიის ფრონტზე 1918 წლის იანვარ-მაისი. (თანაავტორი პაველ ოლშევსკი, კელცის იან კოხანოვსკის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ფილიალი პიოტრკოვს ტრიბუნალსკში). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. № 2.

13. მიხეილ ბახტაძე, გენერალ იუზეფ პოჟეცკის მოხსენებითი ბარათი თბილისში ყოფნის შესახებ (18-25 მარტი 1920 წელი). თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები XVIII. თბილისი.

14. ქ. ქუთათელაძე, ხიდების სახელწოდებანი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით შუა სს-ის საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, 2022.23.12

15. ქ. ქუთათელაძე, „ხერთვისები“ ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით კავკასიოლოგიის VI საერთაშორისო კონგრესის მასალები (ქართულად - გვ. 73-75, რუსულად - გვ.366-368), ISBN 978-9941-33-320-0

16. ქ. ქუთათელაძე, საზღვრის აღმნიშვნელი სახელწოდებები ქართულ წყაროებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საერთაშორისო კავკასიური კონგრესი, თბილისი, 3-5 ოქტომბერი, მოხსენებათა თეზისები (ქართულად - გვ.98 და ინგლისურად - გვ.181), ISBN 978-9941-36-033-6;

17. შველიძე დიმიტრი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიისათვის (1917-1918 წწ)“. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომების“ წლევანდელ XVIII კრებულისთვისაა გადაცემული. ISSN 1987-9970. თბილისი. ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

18. ნათია ფიფია. შარჟი, როგორც საისტორიო წყარო საქართველოს შესახებ ბრიტანული და ახალზელანდიური კარიკატურების მაგალითზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის

შრომები. 2022 XVIII. იხ. https://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/XVIII/Geo/017_Natia_Phiphia.pdf

19. ეკატერინე კობახიძე, ნათია ფიფია. ამაზასპოსის ეპიტაფია. ჟ. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. 2022. იხ. http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/253/259

20. ნ. ჯავახიშვილი, რატომ სწირავდნენ კახთა მეფენი ზარებს და ვერცხლის თასებს სვანეთის ეკლესიებს? (კახეთის ბაგრატოვან ხელმწიფეთა სვანეთთან კავშირის დადგენისათვის), მასალების კრებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან არსებული სვანეთის მუზეუმისა და პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკურ კვლევათა ინსტიტუტის მიერ 2022 წლის 25-27 აგვისტოს მესტიაში ორგანიზებული კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესისა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2022, ქართულ (გვ. 79-81) და რუსულ (გვ. 133-135) ენებზე, ISBN 978-9941-33-320-0

21. ნ. ჯავახიშვილი, რატომ სწირავდნენ კახთა მეფენი ზარებს და ვერცხლის თასებს სვანეთის ეკლესიებს? (კახეთის ბაგრატოვან ხელმწიფეთა სვანეთთან კავშირის დადგენისათვის), მასალების კრებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან არსებული სვანეთის მუზეუმისა და პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკურ კვლევათა ინსტიტუტის მიერ 2022 წლის 25-27 აგვისტოს მესტიაში ორგანიზებული კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესისა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2022, ქართულ (გვ. 79-81) და რუსულ (გვ. 133-135) ენებზე, ISBN 978-9941-33-320-0

22. ნ. ჯავახიშვილი, *გამყრელიძეთა წარმომავლობა და მათი საგვარეულო განშტოებანი,* მასალების კრებული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესისა, რომელიც გაიმართა 2022 წლის 3-5 ოქტომბერს, იმავე დაწესებულებაში, თბ., 2022, ქართულ (გვ. 119) და ინგლისურ (გვ. 162) ენებზე, ISBN 978-9941-36-033-6

23. ნ. ჯავახიშვილი, ლევან ხეთაგუროვის სახელის წარმომავლობის დადგენისათვის, მასალების კრებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებული VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა თემაზე: “ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები”, მიძღვნილი ოსი მუჰაჯირი პოეტის თემირბოლათ მამსუროვისადმი, რომელიც გაიმართა 2022 წლის 13-14 ოქტომბერს, ამავე უნივერსიტეტში, თბ., 2022, გვ. 140-141, რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

24. მარიამ ჩხარტიშვილი, ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ პირველის რეპრეზენტაცია ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში: ჟანრის კანონი და მეტაისტორიოგრაფიული კონტექსტი, ქართული წყაროთმცოდნეობა, #24, 2022, ISSN 9771987956000, თბილისი, პრინტ-ჯეო, 37 გვ.

25. მარიამ ჩხარტიშვილი, ილიას ეროვნული კონცეფცია ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალიების შუქზე, ილია ჭავჭავაძე და ევროპული ღირებულებები. რედაქტორი ირმა რატიანი, 2022, ISBN, 978 9941 503 63 4, თბილისი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გვ.53-100.

26. მარიამ ჩხარტიშვილი, „თუალი იგი ბივრიტი“ ანუ კვლავ ქართული ანბანის შექმნის დროის შესახებ. „იოსებ ალიმბარაშვილი -60, გორის სახელმწიფო სასწავლოუნივერსიტეტის გამომცემლობა, გამომცემლობა, 2022 ISBN 978-9941-8-4224-5, გორი, გორის სახელმწიფო სასწავლოუნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 382-419.

27. ქეთევან ნადირაძე. მარიამ ლორთქიფანიძე – 100. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, გვ. 11-20.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატია ეძღვნება ბერძნული კოლონიების კოლხეთში დაარსების გარემოებებს, მიზეზებს და ელინური ექსპერიმენტის კოლხეთში ჩავარდნის მიზეზებს. სტატიის ძირითადი ნაწილი წაკითხულ იქნა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა თესალონიკში.

2. სტატიის ტექსტი იხ.
https://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/XVIII/Eng/019_Tedo_Dundua_International_Conference.pdf

3. სტატიის ტექსტი იხ.
https://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/XVIII/Eng/020_Tedo_Dundua_International_Conference.pdf

4. სტატიის ტექსტი იხ.
https://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/XVIII/Eng/022_Tedo_Dundua_-_Emil_Avdaliani_International_Conferences.pdf

5. დავით სოსლანის სოციალურ-პოლიტიკური სტატუსი თამარის ეპოქის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა. ტრადიციული შეხედულების მიხედვით, დავით სოსლანი გახლდათ თამარ მეფის ქმარი და საქართველოს მეფე-დედოფლის მეფე-ქმარი, რომელიც არ სარგებლობდა უმაღლესი პოლიტიკური უფლებით, არამედ წარმოადგენდა თამარის მეუღლეს, რომელსაც მეფობა თავისი ცოლის მეშვეობით ჰქონდა მიღებული. აღნიშნული მოსაზრება გამყარებული იყო, უპირატესად, ნარატიული წყაროების მონაცენებით, რაც სრულად ცხადად გვაჩვენებს დავითი სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას საქართველოს სამეფოში. იგი არ იყო ქვეყნის უმაღლესი პირი, ხოლო მეფის სტატუსით სარგებლობს არა მემკვიდრეობითი უფლებით, არამედ თამარის ხაზით. აღნიშნული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა კარგად არის ასახული ნუმიზმატიკურ მასალასა და მონუმენტური მხატვრობის შემორჩენილ ნიმუშებშიც. ამ შემთხევაში ყურადღებას გავამახვილებთ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილ თამარისა და დავითის მონეტებზე, რომელიც ცნობილია როგორც „თამარის და დავითის მონეტები ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნით“. აგრეთვე ცნობილია თამარის, დავითისა და გიორგი ლაშას გამოსახულება, რომელიც გარეჯის მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის მონასტერის ფრესკაზეა წარმოდგენილი. ორივე ძეგლზე წარმოდგენილი წარწერების ანალიზი, ასევე გამოსახულება, რომელსაც გარეჯის მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის მონასტერის დასავლეთის კედელზე გახლდათ წარმოდგენილი, ერთიდაიგივე დასკვნის გაკეთებისკენ გვიბიძგებს. ორივე ძეგლი, ნუმიზმატიკური მასალა და ფრესკა, აჩვენებს დავით სოსლანის სოციალურ-პოლიტიკურ სტატუსს ზუსტად იმ სახით რა სახითაც აღნიშნული მოცემულია თხრობით წყაროებსა და აკადემიურ ლიტერატურაში.

6. სტატია არის კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების ბეჭდური ვარიანტი და იგი ეხება ეკლესიისა და სახელმწიფოს აღქმას თანამედროვე ქართულ რეალობაში.

7. სტატია არის კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების ბეჭდური ვარიანტი და მასში მიმოხილულია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა.

8. რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლასთან დაკავშირებით, საიმპერატორო კარმა ქართველ მეფეებთან მოლაპარაკებები 1782 წლის ზაფხულში წამოიწყო. აღნიშნულ მოლაპარაკებებს წარმართავდა ქართველი წარმომავლობის რუსი ოფიცერი ბაღდათლუ სოლაღოვი. ეს საკითხი პრაქტიკულად შეუსწავლელია. სოლომონ I-ის თანხმობის მიუხედავად, რუსლმა მხარემ იმ ეპატზე ერეკლე II-ის დათანხმება ვერ შეძლო. შესაბამისად, მათ, ერთი მხრივ, საქართველოში დამატებით გამომზავნეს სხვა წარმომადგენლები – იაკობ რაინეგსი და ოფიცერი ჩოლოყაევი – გამომგზავნეს, მეორე მხრივ, გააძლიერეს ერეკლეზე ზეწოლა. სტატიაში დეტალურადაა ყველა ეს საკითხი განხილული. ასევე მოცემულია ერეკლეს იმდროინდელი პარალელური დიპლომატიური მანევრებიც: საიდუმლო ელჩის ვენის საიმპერატორო კარზე წარგზავნა და სულთნის კართან ფარული მოლაპარაკებები.

9. წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით, სამხედრო დაპირისპირების პარალელურად, 1760-იანი წლებიდან ერეკლე II ზოგიერთ დაღესტნელ მფლობელს მცირე ოდენობის „ჯამაგირს“ (ხელფასს) უნიშნავდა და ამ გზით მათი ეკონომიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ცდილობდა. კომპლექსურმა მიდგომამ შედეგი მალევე გამოიღო და „ლეკიანობის“ მასშტაბები მნიშვნელოვნად შემცირდა. 1770 წელს რუსეთის სასარგებლოდ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმით ერეკლე II-ის

მიღწეული შედეგების ანულირება მოხდა. ოსმალეთის მოწოდებით დაღესტნელი მთიელების შემოსევებმა ისევ მაღალ ნიშნულს მიაღწია.

1774 წელს დაარსებული „მორიგე ჯარის“ საშუალებით ლეკების თარეში მნიშვნელოვნად შემცირდა. პარალელურად ქართლ-კახეთის სამეფოში სრული დატვირთვით ამოქმედდა ვერცხლის და სპილენძის გადამამუშავებელი საწარმოები, ასევე სხვა მანუფაქტურული ტიპის „ქარხნები“, რის შედეგადაც სახელმწიფოს ყოველწლიური შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა. ერეკლე II-მ გაზდრილი შემოსავლები „ლეკიანობის“ შესაჩერებლად მიმართა და 1778 წლიდან დაღესტნელ მთიელებს მასობრივად დაუნიშნა ხელფასები. როგორც დოკუმენტური წყაროებიდან ირკვევა, მეფეს ხუნძახის ნუცალთან და ქართლ-კახეთის ახლომდებარე დაღესტნის თავისუფალი სასოფლო საზოგადების წევრებთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაუმყარებია. საერთო ჯამში 440-მდე ადგილობრივი „ბელადი“ და მათზე დაქვემდებარებული მოსახლეობა ქართლ-კახეთის სამეფოსაგან ფინანსდებოდა. აღნიშნული ღონისძიების შედეგად, ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ერთგვარი უსაფრთხო სარტყელი შეიქმნა, რომელიც მოიცავდა მთელი დასავლეთ დაღესტანსა და ნაწილობრივ ცენტრალური მთიანეთს. სუბსიდირებასთან ერთად, ერეკლე II ლეკ მოსახლეობას ქართლ-კახეთში უბაჟოდ ვაჭრობის უფლებას მისცა, რის შედეგადაც საქართველოზე მათი ეკონომიკური დამოკიდებულება იზრდებოდა. ეს კი მშვიდობიანი ურთიერთობებს უწყობდა ხელს.

როგორც წყაროების ანალიზით დგინდება, გატარებული ღონისძიებების წყალობით „ლეკიანობა“ პრაქტიკულად შეჩერდა. აღნიშნულ პერიოდში ერეკლე II დაღესტნელ მეომრებს ხშირად ქირაობდა და ისინი უკვე ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ იბრძოდნენ. მსგავსი ვითარება 1783 წლის ზაფხულამდე შენარჩუნდა. „გეორგიევსკის ტრაქტატის“ გაფორმებიდან მალევე, ოსმალეთის წარმომადგენლების მოწოდებით შედეგად, დაღესტნელ მთიელებმა თანდათანობით განაახლეს თარეში.

10.

11.

12.

13.

14. ხიდი საგზაო ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საინჟინრო ნაგებობაა. საქართველოში, კავკასიის რეგიონის ცენტრალური მხარის სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე, სხვადასხვა სავაჭრო, სატრანზიტო და სამხედრო გზების უზრუნველყოფის მიზნით, უდიდესი მნიშვნელობა ექცეოდა ხიდმშენებლობას, რაც საკმაოდ მაღალ დონეზეა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, ფრიად აქტუალურია ხიდების სახელწოდებების განსაზღვრა და ეტიმოლოგიური ძიება ფუნდამენტური ქართული წყაროს „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელმაც არა ერთი ხიდის სახელწოდება შემოგვინახა. თავდაპირველად ხიდი ხისგან მზადდებოდა - „ქმნეს ჴიდი რაჲმე დიდი შეშისაჲ“. სახელწოდება „ხიდი“ ქვის ხიდების[1] არსებობის მიუხედავათ, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ისეთის ხის სახელწოდებასთან, რომელსაც მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლისთვის გამოიყენებდნენ. მაგ., თუშურ დიალექტზე **ჴიდ**-ი ჰქვია ტოტებმოჭრილ ხეს, მორს, რომელსაც მდინარეზე გადებდნენ და იგი ხიდის ფუნქციას ასრულებდა. სემანტიკურად მას შეესაბამება ქიზიყურ დიალექტზე **„ჴიდ“**-ი, რომელიც არის „მაჭრის დუღილის დროს გარდი-გარდმო გადებული შინდის ჯოხები, რომ ჭაჭა დაიჭიროს და მაჭარი არ დაიღვაროს. რაჭულ დიალექტზე შემორჩენილია ძალზედ საინტერესო სიტყვა **„ხიდკოლოტა“**, რაც დროებით სარგებლობის ხიდს ნიშნავს - „კოლოტებზე დალაგებულია ფიცრები“.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, **ჴიდი** მდინარეზე გადებულს დიდსა და ვრცელს ჰქვიან; მომცროს - **ბოგირი**; და ერთს ხეს გადებულსა - **წანწალა**; ხოლო უსურვაზით დაწნულს გაბმულს - **ბონდი**“. ერთი სიტყვით, ხიდი არის „მდინარეზე(დ) გაბმული სავალად“. ხიდი ერთგვარი გზაგამტარია, რომელიც აიოლებს კონკრეტულ სივრცემდე თუ პუნქტამდე მისვლას. გადატანითი მნიშვნელობით იგი შეიძლება

[1] საქართველოში ხიდმშენებლობის მკვლევარნი ორი ტიპის ხიდებს ასახელებენ: „ქვის თაღოვან-კამაროვანი ხიდები და ქვის ბურჯებზე (საყრდენებზე) დაყრდნობილი ხის კოჭოვანი კონსტრუქციები“ (კვეზერელი-კოპაძე).

გავიგოთ, როგორც -„ჯიდ ექმნა მათ წიაღსავალ სასუფეველად“. წყაროში დაფიქსირებული ხიდების სახელწოდებას განსაზღვრავს იმ ადგილის ან პუნქტის (ქალაქი, ციხე, მდინარე და სხვ.), გეოგრაფიული მახასიათებლის სახელწოდება, რომელსაც იგი უკავშირდება. როგორც წესი, ხიდები ძირითად შემთხვევაში ფიქსირდება ხერთვისებთან, როდესაც ერთი მდინარიდან მეორეზე გადასვლა უნდა მოხდეს, რადგან ხერთვისში ერთდებოდა არა მარტო ორი მდინარე, არამედ აქ თავს იყრიდა მდინარეთა ხეობებზე მომავალი გზებიც. წყაროში აღწერილი მასალიდან ჩანს, რომ ხიდთან ყოველთვის ფიგურირებს ციხე, რომელსაც ხიდის დამცავი ფუნქცია აქვს. ხიდი მოიხსენიება, როგორც **„ორთვალი“** („ორთუალთ-ჯიდი“ სამცხეში), **„მრავალთვალი“** („ხუარამზეს ჯიდი“ ჭოროხზე - „მრავალთუალი, შუენიერად გებული“). ძირითადათ შემორჩენილი ხიდები ქვითკირისაა, თუმცა ხის ხიდებიც ფიქსირდება, რომელთა ნაწილი, ბუნებრივია, ვერ შემორჩებოდა. „დასტურლამალის“ მიხედვით, გზებთან ერთად ხიდების შენახვაც ევალებოდათ. წყაროში ხიდთან დაკავშირებით შემდეგი სახელწოდებები და ხიდებია შემორჩენილი:

მცხეთის ხიდი
ვერეს ხიდი
ოჯერ ჯიდა/ჯიდარი
გატეხილი ხიდი / ნახიდური / ნახიდი
გორის ხიდი
ახალდაბის ხიდი
მტკვრის ხიდი
ჯიდის ყური
სურის ჯიდი
ტინის ჯიდი

და სხვ.

15. **„ხერთვისი“** ძველქართულად კუნძულს ან ნახევარკუნძულს ნიშნავს, როგორც სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს - „წყალთა და ზღვათ საშუალ ადგილი ჴმელი ჭალაკი“, ასევე, **„ჴევთ შესაყარი“**. ამჯერად, ჩვენი ინტერესის სფეროა ორი მდინარის შეერთების შედეგად, მათ შორის შექმნილი ბუნებრივი გამაგრებები და სტრატეგიული ციხე-ქალაქები. მდინარეთა ხეობებს მოჰყვებოდა სხვადასხვა საუღელტეხილო სამხედრო თუ საქარავნო მნიშვნელობის გზები. სათავიდან დაწყებული მდინარე შენაკადებთან ერთად უერთდება სხვა მდინარეს, ზოგჯერ ტბას, ზღვას. ყველა ასეთი შეერთების სახელწოდებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი ინფორმაცია შემოგვინახა ქართულმა წყარომ „ქართლის ცხოვრებამ“.

„ხერთვისის“ სახელწოდებით წყარო ციხე-ქალაქს მოიხსენიებს, იქ სადაც ფარავნისწყალი („ჯავახეთის მტკუარი“) უერთდება მდინარე მტკვარს - „ამ ორს მდინარეს შორის არს ხერთვისი“. იგი ხანმეტობის დამადასტურებლად მიაჩნდა აკ. შანიძეს, რომლის აზრით, **ხ** - პრეფიქსი ადრე მესამე სუბიექტური პირის ნიშნადაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რასაც ადასტურებს ნაზმნარი სახელი **ხერთვისი** (**ხ**-ე-რთ-ვ-ი-ს).

„ხერთვისის“ გარდა, ორი მდინარის შეერთების კლასიკური განმარტება ვახუშტი ბაგრატიონს მოაქვს მცხეთასთან დაკავშირებით: „ხოლო მცხეთა არს ორს მდინარეს შორის: „სამჴრით უდის მტკუარი, აღმოსავლით არაგჳ, და მუნ შეკრებიან“. აღნიშნული კიდევ ერთხელ გვაძლევს საფუძველს უფრო დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ ამ უძველესი ქალაქის სახელწოდება, მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, უკავშრდება მდინარეთა „შეერთებას“. ეტიმოლოგიური კვლევებით დგინდება, რომ საერთო ქართველურ **ჴს** ძირს შეესაბამება მეგრული **რსხ/რცხ** და ლაზური **მცხ/ცხ.** ლაზურად ო-**მცხ**-უ „შეერთება“-ს; ნ-ა-**მცხ**-ვ-ე-ნ „ურეთდება“-ს ნიშნავს. მიგვაჩნია, რომ „მცხე-თა“ („თა“ სუფიქსის დართვით) მდინარეთა შემაერთებელი ადგილის სახელწოდებაა, რასაც ადასტურებს წყაროში დაცული ინფორმაცია მტკვრისა და არაგვის შესართავთან ქალაქის გაშენების შესახებ. სემანტიკურად „მცხეთა“ „ხერთვისის“ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. ჯუანშერი ასახელებს კიდეც „არაგუსა ხერთვისს“.

ვახუშტი ბაგრატიონი ორი მდინარის შეერთების დამადასტურებლად ხშირად აღნიშნავს „**შესართავს**“. ლიახვის ხეობაში, იქ სადაც დიდი და პატარა ლიახვი უერთდება ერთმანეთს, ასახელებს დაბის სახელწოდებას **„შერთული“**. ფშავურ დიალექტზე „შერთვა“ შერევას ნიშნავს. სულხან-საბა ორბელიანი „შერთვა/შერთო“-ს შერევისა და შეზავების მნიშვნელობით განმარტავს. შერთვა „რთვა“-დან მომდინარეობს, რომელიც ასევე ნიშნავს შერევნა/შეერთებას. მისგან მომდინარეობს ასევე, „შთართვა“, როგორც შეერთება, შედინება: „მრავალნი და დიდ-დიდნი მდინარენი შთაერთვიან მას“ (შდრ. „თანა-შერთული). მდინარეთა შეერთების აღწერისას ვახუშტი ასევე იყენებს **„შესაკრებელს“** - „ხოლო ჟინვანი არს შავისა და თეთრის არაგჳს შესაკრებელოს შორის

ციხე შენი და მაგარი“. უფრო კონკრეტულად, გუდამაყრის (შავი) და მთიულეთის (თეთრი) არაგვი ფასანაურთან ერთდებიან, ხოლო შემდეგ, ჟინვალთან მთიულეთის არაგვი უერთდება ფშავის არაგვს. საბოლოოდ კი არაგვი მცხეთასთან უერთდება მტკვარს. ასევე, „ორთა მდინარეთა შორის“ - თიანეთის-წყლისა და იორის შესართავს ზემოთ მთაში უთითებს ოჩანის ციხეს.

ზოგჯერ ვახუშტი ბატონიშვილი არ მოიხსენიებს ე.წ. „ხერთვისს“, მაგრამ ასახელებს ორ მდინარეს, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან უვლიან კონკრეტულ ციხე-ქალაქს და თავად ქმნიან მას. ამის მაგალითია დმანისი, რომელსაც „უდის ჩრდილოთ მაშავერი, სამჴრით ფინეზაური“, მათი შეერთების კონცხზე კი გაშენებულია ქალაქი. ასევე, სამშვილდე, რომელსაც „სამჴრით უდის ქცია, ჩრდილოთ ჭივჭივა“. ორივე მდინარე ქმნის ღრმა ხრამს და მათი შეერთების შედეგად შექმნილ ბუნებრივ კონცხზე გაშენებულია უძველესი ქართული ქალაქი სამშვილდე. ასევე, გორთან, ლიახვი ერთვის მტკვარს („ქალაქს გორს ჩაუდის დასავლით მდინარე ლიახვი, და მიერთვის ლიახვი მტკუარსა ჩრდილოდამ“). თვით ლიახვს კი გორთან ერთვის მდინარე მეჯუდა. ყოველივე ეს მიუთითებს გორის სტრატეგიულ მნიშვნელობას შიდა ქართლში. მდინარე ლეხურასა და მტკვრის შესართავთან ვახუშტი ბაგრატიონი ასახელებს კასპს.

შესართავი, გარდა ორი მდინარის მიერ შექმნილი „ხერთვისისა“, შესაძლოა ყოფილიყო, როგორც გასასვლელი რომელიმე მხარეს. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ „ნიჩბისის-წყლის შესართავზედ, მტკუარზედ, არს კოწახურას ფონი, მუხრანს გამსვლელი“.

ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, იმ ადგილს, სადაც მდინარე უერთდება ზღვას უწოდებენ **„თუალს“**. იგი ფოთის ციხეს, „რიონის თუალზედ“ ასახელებს. სულხან-საბა ორბელიანიც განმარტავს, რომ „თვალად ითქმის წყაროთა გამოსადინებელი და მდინარეთ ზღვათა შესართავი“. ვახუშტი თავის ნაშრომში რამოდენიმე „თუალივს“ ასახელებს.

წყაროთა მონაცემები ცხადყოფს, რომ ორი მდინარის შეერთების ადგილზე სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრე ან ქალაქი შენდება თავის ინფრასტრუქტურით, რომელსაც მდინარეთა ხეობების ჩაკეტვა და მათზე მიმავალი გზების კონტროლი ევალებოდა.

16. სახელმწიფო საზღვრის დაცულობა ქვეყნის დამოუკიდებლობის საწინდარია, ამიტომ საზღვრის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის ახსნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. „ქართლის ცხოვრებაში“ საზღვარი ორი მნიშვნელობით იხსენიება, როგორც გამყოფი ხაზი სხვადასხვა ქვეყნებს შორის და საზღვარი, როგორც მხარე, ქვეყანა, პოლიტიკურად კუთვნილი ტერიტორია.

საზღვარი მომდინარეობს **„ზღვარიდან“**. საზღვრის, მიჯნის შექმნას, **„საზღვრის დადება“** ეწოდება. „ზღვარის“ ფონეტიკური ფორმაა **„მზღვარი“**. ფშავ-ხევსურულ დია5ლექტზე **„მძღვარი“** არის საზღვარი, სხვა მნიშვნელობით, „ორი ყანის მიჯნა“. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ტექსტების მიხედვით, მხარის მნიშვნელობით „მზღვარს“ ერთგვარად შეესაბამება „არე“, „კერძო“, „ადგილი“, „თემი“. აღნიშნული სახელწოდებები არ გამორიცხავს და მოიცავს კიდეც მომიჯნავე სასაზღვრო მხარეებს.

„ქართლის ცხოვრებაში“ **„საზღვარი ქართლისად“** იწოდება კლარჯეთის, სამშვილდის, წუნდისა და ჰერეთის საერისთავოთა მხარეები, რაც გულისხმობს ქართლის სამეფოს კუთვნილ საზღვრისპირა მომიჯნავე ტერიტორიებს, რომელთა ხელყოფა ზოგჯერ ხდებოდა გარეშე ძალთა მიერ.

„საზღუართა მიხუმა“ მომიჯნავე სასაზღვრო ტერიტორიის წართმევას ნიშნავდა. საქართველოს მეფეს ევალებოდა საზღვრების დაცვა. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ „სახელმწიფოს ახალშემოერთებული ქვეყნის და საზღვრის მცველად და გამგედ ითვლებოდა“ **„მონაპირე“**, რომელიც **„ნაპირის“**-გან მომდინარეობს. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსი ასახელებს **„ნაპირის მცველს“.**

ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება სახელწოდებები: **„მართებული, სამართლიანი, სარწმუნო, უზადო საზღვარი“**. **„საზღვარ-წესდადებითა“**, გულისხმობს კონკრეტული საზღვრის დაწესების წესს. ყურადღებას იმსახურებს **„ნიშნით ზღვარნი“**, რომელსაც იყენებდნენ საზღვრის დაწესების დროს.

სასაზღვრო ნიშნად იყენებდნენ დიდ, რაიმე ნიშნით გამორჩეულ ქვებს, რომელთაც **„სამანი“ („სამანი ქუა“, „ქვასამანი“, „სამძღუარი ქუა“)** ერქვა. საზღვრისთვის სამანის დადგმას **„გასამნა“** ან **„სამღვრად გაჩენა“, „სამძღვრების ჩასხმა“** ეწოდებოდა. გამიჯვნის პროცესი მოხსენიებულია, როგორც **„გაესამძღრა“,**

„გაუსამძღვრეთ“, „გაუსამძღვრა“. ასე ხდებოდა **„სამძღვრის გარიგება“.** გურულ დიალექტზე **„სამანე“** არის „საზღვარი, მიჯნა, ზღვარი, ზღვრის დასადებად მიწაში ჩაფლული სამი ქვა“. იგივე მნიშვნელობა აქვს მთიულურად **„სამანა“**-ს. მოხევურ დიალექტზე კი **„სამან“**-ი ნიშნავდა თემიდან მოკვეთილი ადამიანისთვის მიჯნის დადებას, რაც ნიშანი იყო იმისა, რომ მას აღარ შეეძლო თემის ტერიტორიაზე შესვლა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ძველ სომხურად **„საჰმან“** (ՍԱՀՄԱՆ) არის საზღვარი, კიდე.

ტერიტორიის მითვისების მიზნით ადგილი ჰქონდა **„სამანის მოგლეჯას“**, რომელსაც **„სამძღვრების მოშლა“** ეწოდებოდა, რაც დასჯადი იყო. „დასტურლამალში“ ქართლისა და კახეთის გამყოფი ხაზის აღწერისას მოიხსენიება **„სამანაო გზა“**, რომელიც სასაზღვრო გზას ნიშნავს

17. შველიძე დიმიტრი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიისათვის (1917-1918 წწ)“. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომების“ წლევანდელ XVIII კრებულისთვისაა გადაცემული. ISSN 1987-9970. თბილისი. ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

18. შარჟი, როგორც საისტორიო წყარო, საქართველოში მეთოდური თვალსაზრისით ნაკლებად იყო ყურადღების საგანი. სტატიის მიზანია მეთოდური გაიდლაინების შექმნა, რომელიც სამომავლოდ გამოადგებას საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს.

19. სტატია ეძღვნება რომაულ-იბერიული კონტაქტების შესწავლის საკითხს, კონკრეტული ემპირიული მასალა ორი წარწერა - ამაზასპის ეპიტაფია და დედოფალ ულპიას წარწერა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იბერიელები იმპერატორ ტრაიანეს დროიდანაც ფლობდნენ რომაულ მოქალაქეობას.

20. გამოკვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს, თუ რატომ სწირავდნენ კახთა მეფენი სარიტუალო ნივთებს, კერძოდ, ზარებს და ვერცხლის თასებს სვანეთის ეკლესიებს. კერძოდ, როგორც თვით სარიტუალო ნივთებზე აღბეჭდილი წარწერებიდან ირკვევა, სვანეთის ცალკეული ეკლესიებისათვის შეწირული იმ ზარებიდან, რომელიც დღემდე შემორჩა, 8 შეუწირავს კახეთის მეფე ალექსანდრე მეორეს (1527-1605), რომელიც მეფობდა 1574-1601 და 1602-1605 წლებში, ხოლო 1 - მის ვაჟს - მეფე დავით პირველს (1569-1602), რომელიც მეფობდა 1601-1602 წლებში. ალექსანდრე მეორეს შეუწირავს ვერცხლის თასიც, რომელსაც ასევე სათანადო წარწერა აქვს. ნაშრომის ავტორი ეყრდნობა გენეალოგიურ მონაცემებს, რაზედაც ყურადღება აქამდე არავის გაუმახვილებია. ვინაიდან კახთა მეფე ალექსანდრე მეორის დედა - თინათინ გურიელი - მეუღლე კახთა მეფე ლევანისა, იყო სვანთა ერისთავ ვარდანისძეთა შთამომავალი, სტატიის ავტორი სავსებით ბუნებრივად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მეფე ალექსანდრე მეორე განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა თავისი დედის წინაპრების სალოცავებისადმი. ეს ტრადიცია განაგრძო მისმა ვაჟმა დავით პირველმაც, რომელიც თავისი ექვსთვიანი მეფობისას სვანეთში ერთი ზარის გაგზავნა მაინც მოასწრო.

21. გამოკვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს, თუ რატომ სწირავდნენ კახთა მეფენი სარიტუალო ნივთებს, კერძოდ, ზარებს და ვერცხლის თასებს სვანეთის ეკლესიებს. კერძოდ, როგორც თვით სარიტუალო ნივთებზე აღბეჭდილი წარწერებიდან ირკვევა, სვანეთის ცალკეული ეკლესიებისათვის შეწირული იმ ზარებიდან, რომელიც დღემდე შემორჩა, 8 შეუწირავს კახეთის მეფე ალექსანდრე მეორეს (1527-1605), რომელიც მეფობდა 1574-1601 და 1602-1605 წლებში, ხოლო 1 - მის ვაჟს - მეფე დავით პირველს (1569-1602), რომელიც მეფობდა 1601-1602 წლებში. ალექსანდრე მეორეს შეუწირავს ვერცხლის თასიც, რომელსაც ასევე სათანადო წარწერა აქვს. ნაშრომის ავტორი ეყრდნობა გენეალოგიურ მონაცემებს, რაზედაც ყურადღება აქამდე არავის გაუმახვილებია. ვინაიდან კახთა მეფე ალექსანდრე მეორის დედა - თინათინ გურიელი - მეუღლე კახთა მეფე ლევანისა, იყო სვანთა ერისთავ ვარდანისძეთა შთამომავალი, სტატიის ავტორი სავსებით ბუნებრივად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მეფე ალექსანდრე მეორე განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა თავისი დედის წინაპრების სალოცავებისადმი. ეს ტრადიცია განაგრძო მისმა ვაჟმა დავით პირველმაც, რომელიც თავისი ექვსთვიანი მეფობისას სვანეთში ერთი ზარის გაგზავნა მაინც მოასწრო.

22. გამოკვლევა წარმოადგენს გამყრელიძეთა გვარის წარსულისა და მის გამოჩენილ წარმომადგენელთა ერთ მთლიანობაში შესწავლის პირველ ცდას. ნაშრომი იყოფა ათ ნაწილად: 1) გამყრელიძეთა წარმოშავლობა და განსახლების თავდაპირველი არეალი - რაჭა; 2) გამყრელიძეთა იმერეთის განშტოებანი; 3) გამყრელიძეთა ქვემო ქართლის განშტოება - შანშიაშვილნი; 4) გამყრელიძეთა შიდა ქართლის განშტოება; 5) გამყრელიძეთა კახეთის განშტოებანი; 6) გამყრელიძეთა სამეგრელოს განშტოებანი; 7)

აზნაურ გამყრელიძეთა ოჯახები XIX საუკუნის შუა ხანებში; 8) ქართულ ლიტერატურაში ასახული გამყრელიძე-შანშიაშვილნი (XIX საუკუნე); 9) გამყრელიძეთა საგვარეულოს გამოჩენილი წარმომადგენლები (XIX საუკუნის მიწურულიდან); 10) გამყრელიძეთა თანამედროვე რაოდენობა და განსახლების არეალი.

23. გამოკვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს, თუ რატომ დაარქვა ნარის ხეობაში მცხოვრებმა აზნაურმა ელიზბარ ხეთაგურმა თავის 1810 წელს დაბადებულ ვაჟს - ლევანი, რომელიც ოსთა შორის საკმაოდ უჩვეულო სახელი გახლავთ, განსხვავებით ქართველებისაგან, სადაც ლევანი ერთ-ერთი პოპულარული სახელია. ამ საკითხზე ყურადღება აქამდე არავის გაუმახვილებია, თუმცა დასმული პრობლემის აქტუალობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ზემოხსენებულ ლევან ელიზბარის ძის ვაჟი გახლდათ დიდი ოსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კოსტა ხეთაგუროვი. გამოკვლევაში დადგენილია, რომ 1810 წელს, როდესაც ლევან ელიზბარის ძე დაიბადა, მის მშობლიურ ნარის ხეობაში თავს აფარებდა ლევან იულონის ძე ბაგრატიონი (1786-1811), რომელიც ლიახვის ხეობაში მომხდარი ანტიიმპერიული აჯანყების მეთაური გახლდათ. ვინაიდან მისი მამის - იულონ ერეკლეს ძის საუფლისწულო მამულში შედიოდა შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი, მათ შორის, მდინარე ლიახვის ხეობა და ნარის ხეობაც, რომელიც წარსულში დვალეთის ნაწილი იყო, ბუნებრივია, რომ ეს ბატონიშვილი და მისი ოჯახიც აღნიშნულ ტერიტორიაზე დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ამიტომაც, როდესაც რუსმა ოკუპანტებმა ჩაახშეს ხსენებული ამბოხება, ლევან იულონის ძემ თავი სწორედ ნარელებთან შეაფარა. მიუხედავად რუს ხელისუფალთა მხრიდან მოსყიდვის მცდელობისა, ნარელებმა ბოლომდე უერთგულეს ლევანს და 1811 წლის ოქტომბრამდე პატივით შეინახეს, შემდეგ კი გააცილეს ახალციხეში, სადაც ლევანს ელოდა თავისი მამიდაშვილი - იმერეთის მეფე სოლომონ მეორე (1772-1815). გზად, ბორჯომის ხეობაში, პეტრეს ციხესთან დასასვენებლად შეჩერებული ლევანი იქ შემთხვევით შეხვედრილი დაღესტნელი მოთარეშეების სიხარბის მსხვერპლი გახდა. სწორედ 25 წლის უშიშარი მებრძოლის - ლევან ბაგრატიონის დიდი ავტორიტეტის გამოხატულება გახლდათ ის ფაქტი, რომ მისი სახელი ნარელმა აზნაურმა თავის ძეს დაარქვა.

24. მედიევალური ქართული ისტორიოგრაფიის ორი მთავარი ძეგლი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ გვაწვდის ინფორმაციას ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ პირველის შესახებ, რომელიც ზეობდა VII საუკუნის 20–იან–30–იან წლებში. ეს ინფორმაციები ურთიერთგამომრიცხავია: პირველის მიხედვით სტეფანოზ პირველი იყო დიდი მმართველი, მორწმუნე, ქვეყნის მთავარი ტაძრის – ჯვრის ეკლესიის – მაშენებელი; მეორეს მიხედვით, ის იყო ურწმუნო, არათუ ახალი ეკლესიები არ აუშენებია, უკვე აშენებულებსაც არაფერი შეჰმატა. სხვა დეტალებიც ამ წყაროებში არის არაიდენტური, მაგალითად, სტეფანოზის ზეობის ქრონოლოგია. აქედან გამომდინარე ამ გამოკვლევის მთავარი კითხვა ფაქტობრივად იყო იმის შესახებ თუ რომელი წყაროს მიერ წარმოდგენილი პორტრეტი არის სინამდვილის უფრო ადექვატურად ამსახველი. როგორც ირკვევა, პოზიტიური პორტრეტი დაიწერა ერისმთავართა მმართველი სახლის დაკვეთით. ეს მოხდა VII საუკუნის შუა ხანებში სტეფანოზ მეორის ზეობაში. ეს იყო სტეფანოზ პირველის სეხნია და მისი შვილიშვილი, მისი ძის ადარნერსეს ძე. მეორე პორტრეტის შექმნის სოციალური წიაღი იყო ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ფეოდალური არისტოკრატია. ჯუანშერ ჯუანშერიანი გახლდათ ერთ-ერთი პრივილეგირებული ერისთავი, რომელიც მოღვაწეობდა VIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ ფაქტების გარკვევამ წამოჭრა სხვა კითხვა: რატომ წარმოსახავდა ჯუანშერ ჯუანშერიანი სტეფანოზ პირველს უარყოფითად? მისი უმთავრესი წყარო ხომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ იყო, ამას გარდა მცხეთის ჯვრის აღმოსავლეთ ფასადზე სტეფანოზის საპატიო ადგილი არ შეიძლება მისთვის უცნობი ყოფილიყო. ირკვევა, რომ ისტორიკოსი სტეფანოზ პირველის ბიოგრაფიის რეპრეზენტაციისას იცნობდა როგორც დადებითი, ისე არადადებითი ინფორმაციის შემცველ ტექსტებს. უარყოფით ინფორმაციას ის იყენებდა. დადებით ცნობებს კი უგულებელყოფდა. ამგვარი არჩევანის მიზეზი იყო მისი, როგორც ცენტრიდანული ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლის მიერ სტეფანოზის მსგავსი მმართველის მიუღებლობა, მმართველისა, რომელსაც ჰქონდა ამბიცია ყოფილიყო თავისი ქვეშევრდომების აბსოლუტური სიუზერენი, მათ შორის ისეთი პრვილეგირებულებისაც, როგორც გახლდათ ჯუანშერ ჯუანშერიანი. ეს მიუღებელი იყო შესაბამისისოციალური ფენისათვის, რომელსაც უკვე მოესწრო გემო გაეგო „თავისუფლებისათვის“ კლასიზმის გამო ჯუანშერ ჯუანშერიანმა აპრიორი „იცოდა“ რომ სტეფანოზ პირველის მსგავსი ერისმთავარი იყო ცუდი პიროვნება და ცუდი მმართველი. როგორც დღეს, ასევე წინამოდერნულ ეპოქაში ისტორიის წერა მჭიდროდ უკავშირდებოდა ვალდებულებას „სიმართლის თქმისა“. გამონაგონის რეპრეზენტაცია და არასწორი ინტერპრეტაცია ჟანრის იდენტობასთან შეუთავსებელი იყო. მსოფლიო ისტორიოგრაფია ბევრ მაგალითს გვაძლევს იმისა თუ

როგორ ცდილობდნენ ისტორიკოსები ყველა ეპოქაში და ყველა ქვეყანაში დაეცვათ ჟანრის ეს უმთავრესი პრინციპი. შუა საუკუნეების ქართველი ისტორიკოსების მიერ ამ პრინციპის გაგება იყო ისეთივე როგორც ყველგან. რაც შეეხება კონკრეტულად ჯუანშერ ჯუანშერიანს, მისი პრინციპი იყო თხრობა ისე, როგორც ამას ისტორიკოსი დაინახავდა. მაგრამ ეს პრინციპი ტოვებდა ადგილს მონაცემების სუბიექტური ინტერპრეტაციისათვის, რადგან იგი გულისხმობდა არა საზოგადო სიმართლეს, არამედ სიმართლეს დანახულს კონკრეტული დამკვირვებლის პოზიციიდან. ეს სწორედ ის იყო, რაც ფაქტობრივად გააკეთა ჯუანშერ ჯუანშერიანმა სტეფანოზ პირველის ბიოგრაფიის რეპრეზენტაციის შემთხვევაში . ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჟანრობრივი პრინციპიდან პრაქტიკული საქმიანობის დაცილება მისთვის არ წარმოადგენდა ჟანრის მოთხოვნასთან შეუსაბამობას . წარმოდგენილი შემთხვევა არის ძალიან სპეციფიკური და არ იქნება მართებული რომ განვაზოგადოთ ქართული სინამდვილისთვისაც კი. მითუმეტეს, შეუძლებელია მისი საშუალებით ვიმსჯელოთ წინა მოდერნის პერიოდში ისტორიგრაფიული კანონის რაობაზე მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ამგვარი ფაქტების ცოდნა მაინც გამოსადეგია რამდენადაც ის გვეხმარება უფრო ღრმად გავიაზროთ ისტორიკოსთა მეტაისტოროგრაფიული მოტივაციები.. და ისტორიის წერის პრაქტიკასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემები.

25. ილია და მისი ნააზრევის ინტერპრეტაცია ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერერების ერთი მთავარი საზრუნავია ნაშრომში ერის შესახებ თანამედროვე დასავლური თეორიის მოშველიებით გაანალიზებულია ილიას ეროვნული კონცეფცია. ნარჩენებია, რომ ეს კონცეფცია სრულად შეესატყვისება ნაციონალიზმის იდეოლოგიის ფუნდამენტურ იდეალებს და, ამგვარად, ქართული მაგალითიც უკავშირდება ნაციონალიზმის უნივერსალიებს. ილიასშექმომედების განხილვა განსხვავებული თეორიული მიდგომის საფუძველზე საშუალებას იძლევა ღრმად ჩავწვდეთ ილიას ნააზრევს და მისი ღვაწლი, როგორც „ქართველი ერის მამისა“ აღვწეროთ იმაზე უფრო ადეკვატურად ვიდრე ეს აქამდე კეთდებპოდა.

26. „ქართლის ცხოვრებამ“, კერძოდ, ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა სრულიად ცალსახა ცნობა შემოგვინახა ამის შესახებ: ცენტრით მცხეთაში ქართული სახელმწიფოს დამაარსებელმა მეფე ფარნავაზმა განახორციელა მთელი რიგი რეფორმებისა, რომელნიც ქართული იდენტობის განმტკიცებას უწყობდა ხელს. მაგალითად, შექმნა ექსკლუზიურად ეთნიკური ქართველებისათვის რელიგიური პანთეონი უზენაესი ღვთაების არმაზის მეთაურობით, ქართულ ენას მიანიჭა სახელმწიფო სტატუსი. ამ ვითარებაში ანბანის შექმნა ლოგიკური აუცილებლობა იყო. ის რომ ფარნავაზის დროიდან წარწერებმა ჩვენამდე არ მოაღწია, არავითარი არგუმენტი არ არის. უზარმაზარი დრო გვაშორებს ამ ეპოქისაგან. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქრისტიანობაზე მოქცევა გამოიწვევდა ანბანის შემცველი არტეფაქტების მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურებას: ისინი ხომ სწორედ რელიგიური შინაარსის საკულტო დანიშნულების ტექსტები უნდა ყოფილიყო. თუმც ისტორიული ჩანაწერი ამ ეპოქიდან შემოგვრჩა და ეს „მოქცევაი ქართლისაიში“ წარმოდგენილი ცნობებია ქართლის სამეფოს დაარსების შესახებ. მოკლედ, წყაროს „უდანაშაულობის პრეზუმპციის“ პრინციპის თანახმად ეს ცნობა ეჭვის საფუძველს არ იძლევა. მიუხედავად ამისა, მას ნდობით არ ეკიდებოდა და დღესაც არ ეკიდება ზოგი მკვლევარი. ამ დამოკიდებულებას სათავე დაუდო ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც ზედმეტად კრიტიკულად შეაფასა ლეონტი მროველის შემოქმედებაა. ამიტომაც მეცნიერი ამ ისტორიკოსს უმეტეს შემთხვევაში არ ეყრდნობოდა თავის სამეცნიერო პრაქტიკაში. ანბანთან მიმართებითაც ი.ჯავახიშვილმა იგივე პოზიცია დაიკავა, ანბანის წარმოშობის დროის გარკვევა მან თავად ანბანის ანალიზით გადაწყვიტა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ წარმართულ ეპოქაში ვარაუდობდა ქართული ანბანის შექმნას, ცნობას მეფე ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის შემოღების შესახებ ი.ჯავახიშვილი ნდობას არ უცხადებდა. ის ქართული ანბანის წარმოშობას ფარნავაზზე ბევრად ადრე ვარაუდობდა. ი.ჯავახიშვილის ღვაწლი უდიდესია თავად ქართული ანბანის კვლევაში, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მხოლოდ ანბანის ანალიზზე დამყარებული ისტორიული რეპრეზენტაცია რჩება დეტალების გარეშე: ვერ ვუთითებთ მისი შექმნის ზუსტ დროს და კონტექსტს, ვერ ვასახელებთ ისტორიულ პირებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ანბანის შექმნაში.

მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდა რ. პატარიძესაც, რომელმაც ასევე ძალიან დიდი წვლილი შეიტანა თავად ქართული ანბანის ანალიზში, წარმოაჩინა მისი გრაფიკული საფუძვლები და ის ფაქტი, რომ ქართული ასომთავრული ანბანი წარმართული მსოფლხედვის ნაყოფს წარმოადგენს. ამგვარად, რ.პატარიძეც ქართული ანბანის წარმოშობას უკავშირებდა წარმართულ ეპოქას, მაგრამ, ამის

მიუხედავად ცნობას ფარნავაზის მიერ ანბანის შექმნის შესახებ ისიც არ უცხადებდა ნდობას, ამ ფაქტს რ. პატარიძეც ფარნავაზზე ადრე ვარაუდობდა

ასეთივე იყო თ. გამყრელიძის დამოკიდებულებაც ქართული წყაროსადმი, თუმც თ.გამყრელიძე, განსხვავებით ი.ჯავახიშვილისა და რ.პატარიძისაგან, ქართულ ანბანს ქრისტიანულ ეპოქაში შექმნილად მიიჩნევდა. ის თვლიდა, რომ ლეონტის ცნობა უნდა გავიგოთ როგორც ალოგლოტოგრაფიული ჩაწერა და არა ქართული ასომთავრულის შექმნა, თუმც ამ ვარაუდისათვის არავითარი დოკუმენტი არ არსებობს და მისი დასაბუთება შეუძლებელია.

ქართული ანბანის ისტორიის აღსადგენად სამივე დასახელებული მკვლევარი არ იყენებდა არც სომხური ნარატიული წყაროების მონაცემებს. ამგვარად, ძალიან უცნაური ვითარება იყო შექმნილი: არსებობდა ქართული ანბანის შესახებ პირდაპირი ინფორმაციის შემცველი წერილობითი წყაროები და ქართველი მკვლევრები არცერთს არ იყენებდნენ.

სტატიაში კი გაანალიზებულია ყველა არსებულ ნარატიული წყაროა და სწორედ მათი შეჯერებით არის აღდგენილი ქართული ანბანის ისტორია. აი, ეს არის ახალი ჩემს გამოკვლევაში. ყველა ნარატიული წყაროს საფუძველზე ისტორიული რეპრეზენტაცია.

ქართული და სომხური წყაროების ცნობები ურთიერთგამომრიცხველად წარმოედგინათ მეცნიერებს . მაგრამ ეს სინამდვილეში ასე არაა. ქართული წყარო ეხება ქართული ანბანის შექმნის ფაქტს, ხოლო სომხური წყარო - მესროპ მაშთოცის მცდელობას, შეცვალოს წარმართული ქართული ანბანი ახლით, ქრისტიანულით. სომხური წყარო აუცილებლად ქართულ წყაროსთან ერთად უნდა გავიაზროთ, რომ ადეკვატურად განვმარტოთ იგი: შეუძლებელია მესროპ მაშთოცის შემთხვევაში საქმე ეხებოდეს შექმნას, რადგან შექმნის შესახებ ინფორმაცია ქართულ წყაროში არის მოცემული და არავითარ საფუძველს არ გვაძლევს ეჭვისათვის.

აქ მნიშვნელოვანია ვუპასუხოთ ორ კითხვას: „რატომ უნდა ჰქონოდა მესროპს ასეთი უცნაური სურვილი, შეეცვალა მეზობელი ხალხის საუკუნეებით გამოცდილი ანბანი ახლით“? და მეორე: “მოახერხა კი მან ეს“?

2. **ნატალია ბასილაია (ასოცირებული პროფესორი):** ვთანამშრომლობ ძირითადი პერსონალის სახით; ვარ სარედაქციო საბჭოს წევრი, რუსი კლასიკოსი მწერლების ენისა და სტილის კვლევების რეგულარული ავტორი. 2009-2022 წლებში გამოქვეყნებულ იქნა კონფერენციების მასალის 18 კრებული, მიძღვნილი ისეთი მეცნიერების დარგებს, როგორიც არის ლინგვისტიკა, ლიტერატურული კრიტიკა, შემდეგი სამეცნიერო მიმართულებებით: კლასიკოსი მწერლების ენისა და სტილის აღწერა მათი ონტოლოგიური ასპექტებისა და სამყაროსთან ურთიერთკავშირთა, რეალურ ფუნქციონირებასთან, სააზროვნო სტრუქტურებსა და პროცესებთან ერთიანობაში. ბოლო, მე-18 კრებული «**რუსული და ეროვნული ლიტერატურა**», გამოსულია 2022 წელს, ის ასახავს საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის «ი. ა. გონჩაროვი: რუსული და ნაციონალური ლიტერატურა»-ს შედეგებს. (ერევანი, ონლაინ კონფერენცია), კერძოდ, მასში განთავსებული იყო ჩემი სტატია „ობლომოვი ფსიქოლინგვისტური და ლექსიკურ-სემანტიკური ტექსტის ანალიზის პრიზმაში“.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„პოლონეთი - საქართველო. ორსაუკუნოვანი დიალოგი“.** პოლონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პროექტი___(მსოფლიო თანამეგობრობა „პოლონია“-ს და საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით, (ხელშეკრულება № **304/07/2022,** ვარშავა, 12.07.2022 წ.), ეძღვნება კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია“-ს დაარსებიდან 25 წლისთავს.

2. წიგნის **„პოლონური მემკვიდრეობა საქართველოში“** მომზადება და გამოცემა. საქართველოში **პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს პროექტი** (ხელშეკრულება № TBI **39/2022,** თბილისი, 31.05.2022 წ.

3. საერთაშორისო სამეცნიერო ნაშრომების კრებულის **„პოლონეთი - საქართველო. ორსაუკუნოვანი დიალოგი“.** რედაქტირება და გამოქვეყნება. პოლონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პროექტი (მსოფლიო თანამეგობრობა „პოლონიას“ მხარდაჭერით (ხელშეკრულება № **304/07/2022,** ვარშავა, 12.07.2022 წ.). ეძღვნება კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია“-ს დაარსებიდან 25 წლისთავს. (ხელშეკრულება 1/67/DWPP/2022, ვარშავა, 15.06.2022-31.12.12.22).

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.01.01.2022- 31.12.2022 წ.
2. 31.05-09.12.2022 წ.
3. 15.06.-31.12.2022. წ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის კოორდინატორი, საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის **თავმჯდომარე** პროფესორი მარია ფილინა;
საორგანიზაციო კომიტეტის წევრები:
პროფ. ნანა გაფრინდაშვილი
ასოც. პროფ. მაია თუხარელი
პროფ. დანუტა ოსსოვსკა (ვარმია-მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი) ;
ასოც.პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი
ასოც.პროფ. მარინე ალექსიძე - საორგანიზაციო კომიტეტის წევრი
ასოც.პროფ. ილონა ძნელაძე საორგანიზაციო კომიტეტის წევრი
ბეატა კარასი - პოლონეთის განათლების სამინისტროს თანამშრომელი

II. 1. **პროფ. მარიამ ფილინა** - ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი

1. პროფ. **დანუტა ოსსოვსკა** (ვარმია-მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი) - რედკოლეგიის წევრი
2. ბეატა კარასი - პოლონეტის განათლების სამინისტროს თანამშრომელი
3. რეგინა ვოიტინი - პოლონეთის განათლების სამინისტროს თანამშრომელი

III.

1. **პროფ. მარიამ ფილინა** - ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი
პროფ. **მაია თუხარელი** - რედკოლეგიის წევრი
პროფ. **დანუტა ოსოვსკა** (ვარმია-მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი) - რედკოლეგიის წევრი
ბეატა კარასი - პოლონეთის განათლების სამინისტროს თანამშრომელი
სალომე ბედუკაძე - თსუ-ს დოქტორანტი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2022 წლის 6-7 ოქტომბერს საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირმა „პოლონია“-მ აღნიშნა დაარსებიდან 25 წლის იუბილე (ვინაიდან 2 წლის წინ 2020 პანდემიის გამო აღნიშნული საზეიმო ღონისძიების ჩატარება იყო შეუძლებელი).
ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„პოლონეთი-საქართველო. ორსაუკუნოლვანი დიალოგი“.** კონფერენციაში მონაწილეობდნენ პოლონელი და ქართველი მეცნიერები ორი ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტებიდან და კვლევითი ცენტრებიდან.

კონფერენცია გახსნეს: თსუ-ს რექტორის მოადგილემ **ნინო გვენეტაძემ**, პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში **პროფ. მარიუშ მაშკევიჩმა,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, **პროფ. ნუნუ მიცკევიჩმა,** რომელიც „პოლონიის“ დაარსების დღიდან არის კავშირის წევრი, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა **პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა,** საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახ. უნივერსიტეტის რექტორმა **არქიმანდრიტი ადამ ვახტანგ ახალაძემ, პროფ. დანუტა ოსოვსკამ** (ვარმია-მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი), კავშირ „პოლონია“-ს თავმჯდომარმა **თსუ პროფ. მარია ფილინამ.**

პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდნენ პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი პროფ. მარიუშ მაშკევიჩი, პროფ. ნუნუ მიცკევიჩი და ბელორუსის პოლონელთა კავშირის თავმჯდომარე ტადეუშ გავინი. კონფერენციის მუშაობა ჩატარდა სამ სექციად, ხოლო მეორე დღეს - ონლაინ რეჟიმში პოლონეთის წამყვანი მეცნიერების მონაწილეობით.

2. ფართო მკითხველისთვის განკუთვნილი ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პოლონელების ბედი და აღნიშნული „პო-ლონური ადგილები„ საქართველოში, დღემდე არ გვაქვს. და ვერაფერს ვთავაზობთ იმ პოლონელებს, რომლებიც საქართველოს სტუმრობენ, ან უბრალოდ დაინტერესებულნი არიან ამ ქვეყნით. მსგავსი გამოცემა არც ქართულ ენაზე არ არსებობს. ყველას როდი სურს ასობით წყაროდან ინფორმაციის შეგროვება.

მომწიფდა საჭიროება უზარმაზარი მასალის ერთ მთლიან პანორამად შეკრებისა და თითქმის ორი საუკუნის ყველაზე გამორჩეული პოლონელი მოღვაწეების მოკლე პორტრეტების წარმოდგენა. ამ ხალხმა შთამომავლობას დაუტოვა ლექსები, მოგონებები, ქანდაკებები, ტილოები, ააგო გვირაბები, რკინიგზა, შენობები, მარ-თავდა კონცერტებს, მკურნალობდა, ასწავლიდა, სიყვარულით იკვლევდა კავკასია და საქართველო.

პოლონელებმა ნამდვილად დატოვეს ბრწყინვალე ინტელექტუალური მემკვიდრეობა, ავითარებდნენ სოფლის მეურნეობას, აარსებდნენ ნაკრძალებს, უზარმაზარი შრომა ჩადეს ქვეყანაში, რომელიც ბევრი მათგანისთვის მეორე სამშობლოდ იქცა. მათ ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქართველ ელიტასთან.

ჩვენს გამოცემას არ აქვს პრეტენზია ენციკლოპედიურობაზე, ეს არის ერთგვარი „ პოლონური გალერეა„ და „ პოლონური კუნძულები„ საქართველო¬ში. მასალა მუდმივად

შეივსება, იგი თითქმის ამოუწურავია. მუშაობის პროცესში სულ ახალ-ახალი სახელები იჩენდა თავს. ცნობები სხვადასხვა პიროვნების შესახებ არათანაბარია როგორც მოცულობის, ისე მონაცემთა „სიხშირის„ მიხედვით. მეტი ადგილი ეთმობა ან პროცესის ცენტრალურ ფიგურებს, ან იმათ, ვისი ბიოგაფიებიც უფრო დაწვრილებით არის ცნობილი. ზოგჯერ, გარკვეულ წილად შედგენაც კი გვიწევს აუცილებელია "კავკასიელთა" ბიოგრაფიისა და, შესაძლოა, მომავალში ბევრი რამ გამოირკვეს კიდევ.

წიგნზე სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლები მუშაობდნენ: ისეთები, ვინც ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი პოლონურ-ქართულ ურთიერთობებს მიუძღვნეს, და ისეთებიც, ვინც ერთი ადამიანის შესახებ ფლობნენ ცნობებს, მასთან სისხლით ნათესაობა აკავშირებდათ. წიგში მოცემულია საარქივო მასალები (თუმცა ჩვენ მას აღარ ვამძიმებთ მითითებებითა და ბიბლიოგრაფიებით), მონაცემები ძველი გამოცემებიდან, პრესიდან, მუზეუმებიდან, ბიბლიოთეკებიდან, მოგონებებიდან. ზოგიერთი ინფორმაცია აღებულია ინტერნეტიდან, თუმცა შევეცადეთ წყარო მიგვითითებინა, რადგან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი შრომა ჩადეს, არ განაწყენებულიყნენ.

მიგვაჩნია, რომ „პოლონელების გალერეა„ საქართველოში, ისინიც კი, ვინც მხოლოდ ნახსენებია, არის პოლონეთის ისტორიის ნაწილი. ისტორიის უცნობი გვერდების აღდგენას კი დიდი სულიერი მნიშვნელობა აქვს წასულთა ხსოვნისა და თანამედოვეების კოლექტიური მეხსიერებისათვის.

3. ტომი 2022 წლის დეკემბერში გადაეცა გამომცემელს და საბოლოო გამოცემა მოსალოდნელია 2023 წლის იანვარში. წინამდებარე ტომში შესულია ისტორიკოსების, პოლიტოლოგების, ლიტერატორების, კულტუროლოგების და ლინგვისტების სტატიები. კრებული ეძღვნება პოლონურ-ქართულ სამეცნიერო და კულტურულ ურთიერთკავშირებს. ტომში ძირითადად შევიდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის **„პოლონეთი - საქართველო. ორსაუკუნოვანი დიალოგი**" მასალები, რომელიც ჩატარდა 2022 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ცნობილ მეცნიერებთან ერთად გამოცემაში წარმოდგენილია მათი აღზრდილების ნაშრომები, რომლებიც აგრძელებენ პოლონურ-ქართული სამეცნიერო თანამშრომლობის ძველ ტრადიციებს.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მარიამ ფილინა. „პოლონური მემკვიდრეობა საქართველოში“ (Polska spuścizna w Gruzji)** (პოლონურ ენაზე). ISBN 978-9941-33-396-5 თბილისი, გამომც. „უნივერსალი“. 232 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროფ. დანუტა ოსოვსკას თანაავტორობით მარიამ ფილინა ავტორია წიგნის ნაწილისა, რომელიც ეძღვნება პოლონელ დევნილ მწერლებს, ასევე კათოლიკურ ეკლესიას და არქიტექტორთა მოღვაწეობას საქართველოში.ფართო მკითხველისთვის განკუთვნილი ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პოლონელების ბედი და აღნიშნული „პო-ლონური ადგილები„ საქართველოში, დღემდე არ გვაქვს. და ვერაფერს ვთავაზობთ იმ პოლონელებს, რომლებიც საქართველოს სტუმრობენ, ან უბრალოდ დაინტერესებულნი არიან ამ ქვეყნით. მსგავსი გამოცემა არც ქართულ ენაზე არ არსებობს. ყველას როდი სურს ასობით წყაროდან ინფორმაციის შეგროვება.

მომწიფდა საჭიროება უზარმაზარი მასალის ერთ მთლიან პანორამად შეკრებისა და თითქმის ორი საუკუნის ყველაზე გამორჩეული პოლონელი მოღვაწეების მოკლე პორტრეტების წარმოდგენა. ამ ხალხმა შთამომავლობას დაუტოვა ლექსები, მოგონებები, ქანდაკებები, ტილოები, ააგო გვირაბები, რკინიგზა, შენობები, მარ-თავდა კონცერტებს, მკურნალობდა, ასწავლიდა, სიყვარულით იკვლევდა კავკასია და საქართველო.

პოლონელებმა ნამდვილად დატოვეს ბრწყინვალე ინტელექტუალური მემკვიდრეობა, ავითარებდნენ სოფლის მეურნეობას, აარსებდნენ ნაკრძალებს, უზარმაზარი შრომა ჩადეს ქვეყანაში, რომელიც ბევრი მათგანისთვის მეორე სამშობლოდ იქცა. მათ ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქართველ ელიტასთან.

ჩვენს გამოცემას არ აქვს პრეტენზია ენციკლოპედიურობაზე, ეს არის ერთგვარი „ პოლონური გალერეა„ და „ პოლონური კუნძულები„ საქართველოში. მასალა მუდმივად შეივსება, იგი თითქმის ამოუწურავია. მუშაობის პროცესში სულ ახალ-ახალი სახელები იჩენდა თავს. ცნობები სხვადასხვა პიროვნების შესახებ არათანაბარია როგორც მოცულობის, ისე მონაცემთა „სიხშირის„ მიხედვით. მეტი ადგილი ეთმობა ან პროცესის ცენტრალურ ფიგურებს, ან იმათ, ვისი ბიოგაფიებიც უფრო დაწვრილებით არის ცნობილი. ზოგჯერ, გარკვეულ წილად შედგენაც კი გვიწევს აუცილებელია “კავკასიელთა“ ბიოგრაფიისა და, შესაძლოა, მომავალში ბევრი რამ გამოირკვეს კიდევ.

წიგნზე სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლები მუშაობდნენ: ისეთები, ვინც ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწიი პოლონურ-ქართულ ურთიერთობებს მიუძღვნეს, და ისეთებიც, ვინც ერთი ადამიანის შესახებ ფლობნენ ცნობებს, მასთან სისხლით ნათესაობა აკავშირებდათ. წიგში მოცემულია საარქივო მასალები (თუმცა ჩვენ მას აღარ ვამძიმებთ მითითებებითა და ბიბლიოგრაფიებით), მონაცემები ძველი გამოცემებიდან, პრესიდან, მუზეუმებიდან, ბიბლიოთეკებიდან, მოგონებებიდან. ზოგიერთი ინფორმაცია აღებულია ინტერნეტიდან, თუმცა შევეცადეთ წყარო მიგვითითებინა, რადგან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი შრომა ჩადეს, არ განაწყენებულიყნენ.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. მ. ალექსიძე, ლ. გურული. ვკითხულობთ, ვფიქრობთ, ვმსჯელობთ... დამხმარე სახელმძღვანელო რუსულ ენაში. ISBN 978-9941-8-4588-8. თბილისი.119 გვ.

2. მ. ალექსიძე, ი. მელქუმოვა. ვიმეორებთ ერთად. დამხმარე სახელმძღვანელო რუსულ ენაში. ISBN 978-9941-8-4186-6. თბილისი. 91 გვ.

3. მ. ალექსიძე, ი. მელქუმოვა. ტესტები რუსულ ენაში (გასაღებებით). ISBN 978-9941-0-8716-5. თბილისი. 231 გვ.

4. მ. ალექსიძე, ლ. გურული. ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას. რუსული ენის სახელმძღვანელო. ISBN 978-9941-8-1152-4. მეხუთე გამოცემა. თბილისი.

5. მ. ალექსიძე, ლ. გურული. ვკითხულობთ და ვსაუბრობთ რუსულად. დამხმარე სახელმძღვანელო რუსულ ენაში. ISBN 978-9941-8-1151-7. მეხუთე გამოცემა. თბილისი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. დამხმარე სახელმძღვანელო რუსულ ენაში «Читаем, думаем, обсуждаем…» განკუთვნილია საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტებისათის, რომლებიც ფლობენ რუსულ ენას A1 - A2 დონზე. ძირითადი საკითხავი მასალა წარმოდგენილია ზღაპრებით, იგავ-არაკებით და მცირე მოცულობის მოთხრობებით, რომლებსაც თან ახლავს კომენტარები და ცალკეული ერთეულების თარგმანი ქართულ ენაზე . ლექსიკური და გრამატიკული სავარჯიშოების გარდა წიგნში წარმოდგენილია ლექსიკური მინიმუმი სხვადასხვა თემების მიხედვით, როგორიცაა „ხილი და ბოსტნეული“, „ყვავილები“, „საშინაო და გარეული ცხოველები“, „წელიწადის დროები“ და სხვა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიური ლექსიკური მარაგის გამდიდრებას. წიგნში ასევე ფართოდ არის წარმოდგენილი ე.წ. ფრთოსანი გამონათქვამები და ანდაზები, რომლებიც ასევე თემატურად დაკავშირებულია მოცემულ ტექსტებთან. საინტერესოა რუბრიკა „ასოციაციები“, რომლის მეშვეობით მოსწავლეს შეუძლია ფაავარჯიშოს საკუთარი ლოგიკური აზროვნება. სახელმძღვანელოში მოცემული ყველა დავალება მიმართულია მოსწავლის შემოქმედებითი პოტენციალის აქტივიზაციაზე, რაც აუცილებელი საწინდარია თანამედროვე საგანმანათებლო პროცესის. სხვადასხვა სირთულის ტექსტები არჩევანის საშუალებას აძლევს მასწავლებელს და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალური მუშაობის პროცესში.

2. დამხმარე სახელმძღვანელო რუსულ ენაში განკუთვნილია იმათთვის, ვინც ფლობს რუსულ ენას B1 დონეზე. იგი შეიცავს სხვადასხვა თემატიკის ტექსტებს მასმედიის საშუალებებიდან და სხვადასხვა ტიპის გრამატიკულ სავარჯიშოებს. სახელმძღვანელოს მიზანია ცალკეული გრამატიკული თემების ცოდნის კორექცია და არსებული ლექსიკური მარაგის გაფართოება.

3. წიგნი წარმოადგენს რუსულ ენაში სავარჯიშო და საკონტროლო ტესტების კრებულს და განკუთვ-ნილია მათთვის, ვინც სწავლობს რუსულს როგორც უცხო ენას. მისი მიზანია აბიტურიენტების მომზადება რუსულ ენაში ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარებისათვის.

ყველა ტესტთან მოცემულია გასაღებები, რისი მეშვეობით შესაძლებელია ტესტის შესრულების სისწორის შემოწმება. ტესტების კრებულის გამოყენება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე დამოუკიდებლად. კრებულის მიზანია შემოწმდეს მოსწავლეებში რუსულ ენაში გრამატიკული და ლექსიკური უნარ-ჩვევების ფორმირების დონე და აუდიოტექსტების შინაარსის გაგების უნარი.

4. რუსული ენის დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის, საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის, აგრეთვე იმ პირებისთვის, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ რუსულს როგორც უცხო ენას ელემენტარულ და საბაზისო საფეხურებზე. სახელმძღვანელო შედგენილია წამყვანი რუსი ფილოლოგების თანამედროვე მეთოდით. გრამატიკა წარმოდგენილია სინტაქსური მოდელების სახით, რაც საშუალებას აძლევს მსმენელებს სწრაფად დაეუფლონ რუსული ენის საფუძვლებს თეორიული მასალით მეხსიერების გადატვირთვის გარეშე. ავტორების ძირითადი ყურადღება ექცევა რუსული ენის ბრუნვითი სისტემის შესწავლას. თითოეული ნაწილის ფარგლებში შემოთავაზებულია ლექსიკური და ლექსიკურ-გრამატიკული ხასიათის სავარჯიშოები. დავალებების გამოყენება შესაძლებელია როგორც შემოთავაზებულ სისტემაში, ასევე შერჩევითად, სტუდენტების მომზადების დონისა და მათი სწავლისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობის მიხედვით. რუსული ენის ამ სახელმძღვანელოს მიზანია საუბრის, კითხვისა და წერის უნარების განვითარება.

5. რუსული ენის სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისთვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის, ასევე იმ პირებისთვის, რომლებიც სწავლობენ რუსულს, როგორც უცხო ენას საბაზისო და საშუალო დონეზე. სახელმძღვანელო მოიცავს ადაპტაციის სხვადასხვა ხარისხის ლიტერატურულ ტექსტებს. ტექსტების შერჩევა და დავალებების სისტემა მიზნად ისახავს ლექსიკური მინიმუმის გააქტიურებას, ასევე ლექსიკის გაფართოებას, რუსული ენის ბრუნვითი სისტემის ცოდნის გამყარებას, აგრეთვე რუსულ ენაზე კითხვისა და მეტყველების უნარ-ჩვევების შემდგომ განვითარებას. შემოქმედებითი ხასიათის დავალებებს აქვს სადისკუსიო საკითხებზე წერილობითი განცხადების შედგენის მიზანი. წიგნის გამოყენება შესაძლებელია სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობისთვისაც. ტექსტებზე მუშაობა აგებულია ერთი სქემის მიხედვით, ამავდროულად, გათვალისწინებულია თითოეული მხატვრული ნაწარმოების თავისებურება. წიგნი შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებით მასალად ისეთ სასაუბრო თემებზე მუშაობისას, როგორიცაა „ჩემი დღე“, „ადამიანის ხასიათი და გარეგნობა“, „ოჯახი“ და ა.შ.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ბასილაია ნატალია/**ანდრაზაშვილი მარინა**.** ტექსტის კულტურული შრეების გადმოცემის სპეციფიკა თარგმანში. https://doi.org/1052340/lac. VII საერთაშორისო სამეცნიერო (დისტანციური) კონფერენციის "ენა და კულტურა" **შრომები**. ჰუმანიტარულ და პედაგოგიურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი: **2022**. გვ. 20–27.
ISSN 1987-7323, E-ISSN 27 20-7900. https://enadakultura.com. https://enadakultura.com/conferences/

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წინამდებარე მოხსენება არის ერთგვარი გაგრძელება თანაავტორთა მიერ დაწყებული კვლევისა, „საავტორო/ადამიანური“ თარგმანის მანქანურ თარგმანთან შეპირისპირებისა. რამდენადაც ამ ციკლის წინა მოხსენებაში (იხ.ქვემოთ *ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტში* წაკითხული მოხსენების ანოტაცია) ძირითადი აქცენტები მოდიოდა თარგმნის პროცესში ინტელექტუალური, მენტალური და ემოციური მომენტების ირგვლივ თეორიულ მსჯელობებზე, წინამდებარე მოხსენებაში ყურადღება გადატანილია წმინდა ლინგვისტიკურ – გრამატიკული, ლექსიკურ-სემანტიკური და ფრაზეოლოგიური დონის – ფენომენებზე. კერძოდ, აღებულია როგორც ქართული, ისე რუსული აუდიტორიისთვის უცნობი, მაგრამ გერმანიაში ერთობ პოპულარული თანამედროვე გერმანულენოვანი ბელეტრისტის (ყოფილი ადვოკატის სისხლის სამართლის განხრით) *ფერდინანდ ფონ შირახის* ნაწარმოების „ყავა და სიგარეტი“ (Ferdinand von Schirach; *1956; Kaffee und Zigaretten) ერთი თავი, თარგმნილი ქართულსა და რუსულ ენებზე. იმავე თავის მანქანური პწკარედული თარგმანი შესრულებულია ჰაიდელბერგის კარლ-რუპრეხტ-უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ რესურსცენტრში. გაკეთებულია ოთხივე ვერსიის *გერმანული ორიგინალი + პლუს ორივე ცოცხალ ენაზე შესრულებული თარგმანი + პლუს კომპიუტერული* თარგმანის დესკრიპტი, რის საფუძველზეც უკვე ენობრივი დონეების გათვალისწინებით წარმოებულია დაწვრილებითი ანალიზი; გამოტანილია შესაბამისი დასკვნები მხატვრული თარგმანის შესრულების პროცესში მანქანური თარგმანის როლის, მისი საჭიროობა-არასაჭიროობის შესახებ.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მარიამ ფილინა.** მეცნიერი-ჯადოსანი დავით გოცირიძე. ჟურნალი „რუსული კლუბი“, ISSN 1512-2972. თბილისი, 2022, # 2.. 8 გვ. (რუსულ ენაზე).
2. **ალექსიძე მ.,** გურული ლ. დისკუსიის წარმართვის უნარ-ჩვევების განვითარება უმაღლეს სასწავლებლებში რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში. კულტურათშორისი კომუნიკაციები. საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა, № 352. ISSN 1512-4363; EAN 9771512 43 6007. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 212 გვ. გვ. 11-17
3. **ბასილაია ნ**. ობლომოვი ფსიქოლინგვისტური და ლექსიკურ-სემანტიკური ტექსტის ანალიზის პრიზმაში. А.И. Гончаров; русская и национальные литературы. Ереван, 2022. Издательский дом «Лусабац»

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მეცნიერი-ჯადოსანი დავით გოცირიძე.

ანოტაცია

სტატია ეძღვნება ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავისტიკის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ დავით გოცირიძის ცხოვრებასა და შემოქმედებით გზას. სტატიაში განხილულია მისი სამეცნიერო ნაშრომების მნიშვნელობა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. შესწავლილია მისი ნაშრომები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში - ფილოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა და კულტუროლოგია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცნიერულ მიღწევებს რუსისტიკაში და განსაზღვრულია პროფესორ

გოცირიძის ადგილი ქართულ მეცნიერებაში. ასევე განიხილება მისი პედაგოგიური მოღვაწეობა და მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებისა და ფორუმების ორგანიზება.

2. დისკუსიის წარმართვის უნარ-ჩვევების განვითარება უმაღლეს სასწავლებლებში რუსული როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში.

ანოტაცია

სწავლების მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს აზროვნების უნარ-ჩვევების ფორმირება და აქედან გამომდინარე - სწავლების მეთოდების სრულყოფა. დიდ როლს ამ პროცესში თამაშობენ სწავლების ინტერაქტიური მეთოდები. სწავლების ასეთი მეთოდით სტუდენტებში ყალიბდება საკუთარი აქტიური პოზიცია ყველა ცხოვრებისეული პროცესის მიმართ, შემეცნების პროცესის ჩათვლით. სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ერთ-ერთ ინტერაქტიურ მოდელად შეიძლება ჩავთვალოთ სწავლება, რომელიც მიმართულია მოსაზრებების გაცვლაზე შემოქმედებითი დისკუსიის პროცესში. დისკუსია არის საგანმანათლებლო მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა, რომელიც სტიმულს აძლევს მოსწავლის ინიციატივობას, რეფლექსური აზროვნების განვითარებას. სწავლების ძირითადი ფორმა არის დიალოგი, რომელიც ყველასათის მნიშვნელოვანია და უნდა მიგვიყვანოს პრობლემის ერთობლივ გადაწყვეტასთან. სასწავლო დისკუსიის წარმართვის უნარ-ჩვევები არის სწავლების პროცესის აუცილებელი ფორმა, ვინაიდან საკუთარი აზრის ზუსტად, მოკლედ და სწორად გადმოცემის უნარი წარმატებული პროფესიული მოღვაწეობის საწინდარია. სადისკუსიო თემების არჩევა უნდა ხდებოდეს მონაწილეთა ინტერესების, მათი ასაკის, განათლების, ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტორიაში მხატვრული ნაწარმოების კითხვის შემთხვევაში ყველა მოსწავლე იღებს მონაწილეობას განხილვაში, მიდიან გარკვეულ დასვნამდე და თვითონ ასახელებენ საერთო თემას ამა თუ იმ ნაწარმოების შინაარსის საფუძველზე. სტატიაში წარმოდგენილია დისკუსიისათვის მომზადების მეთოდები, რომელიც ჩატარდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან მეცადინეობის დროს მცირე მოცულობის მოთხრობების მასალაზე (ლ. უშინსკის „უცხო კვერცხი“ და ლ. ტოლსტოის „არწივი“).

3. ობლომოვი ფსიქოლინგვისტური და ლექსიკურ-სემანტიკური ტექსტის ანალიზის პრიზმაში.

ანოტაცია

ი.ა. გონჩაროვის კლასიკური რომანი „ობლომოვი“ არის ნაწარმოები, რომელიც ასახავს ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს. სწორედ ამიტომ გმირის გამოსახულება არასრულია ისეთი თემების განხილვის გარეშე, როგორიცაა მისი ცხოვრების გზის ეტაპები, გარეგნობის აღწერა, ობლომოვკას "სამოთხე" და მისი პეიზაჟი, განხილული ტექსტის ფსიქოლინგვისტური და ლინგოსემანტიკური ანალიზის პრიზმაში. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, ეს სტატია წარმოდგენილია როგორც პანო, რომელიც შედგება ცალკეული ნაწილებისგან, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს „მოზაიკის ფრაგმენტს“. ემპირიული მასალა შერჩეულია რომანის მეცხრე თავიდან „ობლომოვის სიზმრის“ (გვ. 100-128) ლიტერატურის სიაში მითითებული გონჩაროვის "ობლომოვის" გამოცამიდან.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

5.3. **სტატიები** ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
დალი, კანდელაკი, Межэтнические конфликты на Кавказе: путевые заметки Клода Анэ. HISTORY, ARCHAEOLOGY, ETHNOLOGY, [S.l.], n. VIII, p. 209-217, XII, **2022.** Online ISSN: 2449-285X

http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/295

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

2. **ალექსიძე მ**., გურული ლ. სიტუაციურ ტექსტებე მუშაობა რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში. Arts Academy. სამეცნიერო ჟურნალი.#1 (1), მარტი. ISSN 2523-4684; e-ISSN 2791-1241. ნურ-სულტანი (ყაზახეთი), 174 გვ. გვ.67-77
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
2. სწავლების მთელი სისტემა მიმართულია მოსწავლეთა სამეტყველო-სააზროვნო მოღვაწეობის აქტივიზაციაზე. ამ მიზნით მასწავლებელი მიმართავს სწავლების სხვადასხვა ფორმას. უცხო ენის სწავლებაში კომუნიკაციური მიდგომის ჩარჩოებში აღნიშნული მიზნების მისაღწევად მუშავდება სწავლების ინოვაციური მეთოდები და გამოიყენება მეცადინეობის სხვადასხვა ფორმა. მოხსენებაში განვიხილავთ სწავლების ერთ-ერთი პრინციპის - სიტუაცი-ურ-თემატური პრონციპი - თავისებურებებს. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს იმ ლექ-სიკურ-გრამატიკული მასალის ცოდნას, რომელიც დაკავშირებულია არჩეულ თემებთან და სიტუაციებთან. ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს სიტუაციურ თემასთან „ექიმთან“. სწავლების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისეთი პრინციპები, როგორიცაა სხვადასხვა ტიპის ცოდნის, სამეტყველო უნარების შეძენა და პიროვნების ფორმირება. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ სწორად შერჩეული ტექსტური მასალა, რომელიც საინტერესოა მოსწავ-ლეებისათვის, შესაძლებლობას იძლევა მიღწეულ იქნას მასწავლებელსა და მოსწავლეებს წინაშე დასახული სწავლების მიზნები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **მარიამ ფილინა.** ქალის სახე პოლონელი დევნილი „კავკასიელი„ პოეტების ლირიკაში. აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. თსუ, თბილისი, 2022 წ. 14-16 ივლისი.

2. **მარიამ ფილინა.** „ჰაჯი-მურატის“ დაწერის ისტორია და ლევ ტოლსტოის ქართველი კორესპონდენტები. პროფესორ დავით გოცირიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობებისა ს/ს ინსტიტუტი და სლავისტიკის ინსტიტუტი. თბილისი, თსუ, 2022 წლის 29 დეკემბერი.

3. **მარიამ ფილინა.** რუსი რომანტიკოსებისა და გადასახლებული პოლონელი პოეტების მიერ აღქმული კავკასიის ბუნება. შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო XXIII კონგრესი. თბილისი, 2022 წლის 24-29 ივლისი.

4. **მარიამ ფილინა.** კავშირი “პოლონია“ - თსუ-ს პოლონისტიკის ცენტრი: ერთობლივი სამეცნიერო მოღწევები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია `პოლონეთი - საქართველო. ორსუკუნოვანი დიალოგი~. ეძღვნება კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია“-ს დაარსებიდან 25 წლისთავს. თსუ და საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის (თბილისი, თსუ. 2022 წლის 06-07ოქტომბერი).

5. **მაია თუხარელი.** „სლავური ფენტეზის მითოლოგიური სათავეები“. აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. 2022 წ. 14-16 ივლისი. თსუ, თბილისი

6. **მაია თუხარელი.** „მასობრივი ლიტერატურის განვითარების თავისებურებანი პოსტსაბჭოთა სივრცეში (ქართული, უკრაინული და რუსული ლიტერატურის მიხედვით)“. საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“ . ბსუ. ბათუმი.24.11.2022 წ.
7. მაია თუხარელი. „გოთური გმირი რუსულ რომანტიზმში“. პროფესორ დავით გოცირიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობებისა ს/ს ინსტიტუტი და სლავისტიკის ინსტიტუტი. 2022 წლის 29 დეკემბერი. თბილისი, თსუ.

8. **მაია თუხარელი.** პოლონური ავტორების მხატვრული და სამეცნიერო პუბლიკაციები ქართულ ენაზე (XXI ს.). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია `პოლონეთი - საქართველო. ორსაუკუნოვანი დიალოგი~. ეძღვნება კულტურულ-საგანმანათლებლო

კავშირ „პოლონია“-ს დაარსებიდან 25 წლისთავს. თსუ და საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის. 2022 წლის 06-07 ოქტომბერი, თბილისი, თსუ.

9. **ალექსიძე მ.,** მელქომოვა ი. ლექსიკური ასპექტი სპეციალობის ენის სწავლების პროცესში. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. 2022 2. 14-16 ივლისი, თბილისი.

10. **ალექსიძე მ.,** გურული ლ. სემათა რუსულ-ქართული კონტრასტული ლექსიკონი: პრობლემის დასმისათვის. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები. ი. ჯავახიშვილის დაბადებიდან 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონ-ფერენცია. 2022 წ. 27-28 აპრილი, თბილისი.

11. **ალექსიძე მ.,** ბასილაია ნ. „აზარტული თამაშების" კონცეფტოსფეროს ენობრივი და სტილისტური მახასიათებლები იოანა ხმელევსკას დეტექტიურ რომანებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „პოლონეთი-საქართველო: ორსაუკუნოვანი დიალოგი“, მიძღვნილი კავშირ „პოლონია“-ს 25 წლისთავს. 2022 წ. 6 – 7 ოქტომბერი, თბილისი.

12. **ნ. ბასილაია.** მარინა ცვეტაევას ეპისტოლარული იდიოლექტი. აკადემიკოს მარიამ ლორ-თქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. 2022 წ. 14-16 ივლისი, თბილისი.

13. **ნ. ბასილაია.** პოეტების მიმოწერა, როგორც დრამატურგიული დისკურსის ეპისტოლარული ნაირსახეობა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები. ი. ჯავახიშვილის დაბადებიდან 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონ-ფერენცია. 2022 წ. 27-28 აპრილი, თბილისი.

14. **დ. კანდელაკი.** კავკასიური ომის ისტორიები: პრინც ალბრეხტის და თეოდორ ჰორშელტის ჩანაწერები. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. 2022 წ. 14-16 ივლისი, თბილისი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1. ქალის სახე პოლონელი დევნილი „კავკასიელი„ პოეტების ლირიკაში

ანოტაცია

კავკასიაში, კერძოდ, თბილისში, როგორც ამიერკავკასიის კულტურული ცხოვრების ცენტრში, 1830-იანი და 1850-იანი წლების ბოლოს ფუნქციონირებდა პოლონური ლიტერატურის ერთგვარი მცირე ფილიალი - კავკასიური განდევნილობის ლიტერატურისა. კავკასიელი პოეტების მსოფლშეგრძნების საფუძველი განდევნილობის გრძნობაა, რითაც გამსჭვალულია მათი პოეტიკა ყველა დონეზე. მოცემულ შემთხ-ვევაში რომანტიზმის ტრადიციული მოტივის საფუძვლიანი შევსება ხდება, რომანტიკული მსოფლაღქმა ბედისწერის გარემოებებზე ეწყობა. მათი განდევნილობა აბსო-ლუტურ ხასიათს იძენს.

ამგვარად, ,,კავკასიელთა“ პოეზია, უმეტესწილად, გზავნილებისა და ეპიტაფიების პოეზიაა. ქალისადმი მიძღვნაც კი ხშირად იმედის, სიყვარულის ერთგვარ ეპიტაფიას გვაგონებს,

ვინაიდან თავიდანვე ცნობილია, რომ შეხვედრა არ შედგება. დ. ოსოვსკამ ერთ-ერთ ნაშრომში გაკვრით აღნიშნა, რომ იმ პერიოდის პოლონელ კავკასიელ ავტორებს შორის არ იყვნენ ქალები, გარდა ერთისა, რომელსაც არ ჰქონდა კავშირი გადასახლების ლიტერატურასთან - ავტორისა, რომელიც ხელს შემდეგნაირად აწერს ,,პაულინა კ.“. მან გამოაქვეყნა ,,მოგონებები საქართველოზე. იმ ქალის ნაამბობიდან, რომელმაც 1830 წელს იმოგზაურა“. დღემდე ვერ მოხერხდა ამ ქალის ვინაობის დადგენა, თუმცა სხვადასხვა ჰიპოტეზა დაწვრილებით განიხილა პროფესორმა ანჯეი ვოზნიაკიმ [133].

დიახ, ლიტერატურის კავკასიური განშტოება ცალსახად მამაკაცურ სამყაროს წარმოადგენს, რომელიც გადასახლებისა და ომის წესებს ემორჩილება. თემები, მსოფლაღქმა, ენა და გამოხატვის ფორმებიც კი ექსტრემალურ სიტუაციას ექვემდებარება [88]. ეს ერთგვარი ანგარიშია ჯარისკაცთა ბედისა და მათი გადაადგილებების შესახებ, ეს არის ,,სამხედრო ლაშქრობის მწერლობა“, არ აქვს მნიშვნელობა ლირიკული გზავნილი იქნება ეს, მოგონება თუ დღიური. თუმცა ამ უაღრესად მამაკაცურ პოეზიაში რაღაც მნიშვნელოვანი და ჭეშმარიტი გვაკლია - ქალის არსებობა. რა თქმა უნდა, ჩნდება ქალთა სახეები, მაგრამ თითქმის არ არის რეალური ობიექტი, რომელიც მთავარი უნდა იყოს ,,მამაკაცურ“ პოეზიაში. ეს კი მარტოსულობის განწყობას სძენს გადასახლების ლიტერატურას.

საკუთრივ ქალისადმი მრავალრიცხოვანი მიძღვნებიც იმით გამოირჩევა, რომ კონკრეტულობით არ ხასიათდება. ქალი, თითქოს, აჩრდილის, ოცნების სახით არსებობს. იგი მათ პოეზიაში მფარველ ანგელოზად იქცევა, რომელიც ოცნებებში სამშობლოსთან კავშირს უნარჩუნებს. იგი არ არის კონკრეტული, ხორცშესხმული არსება. ადრეულ პერიოდშიც, გადასახლებამდე, ქალის სახე ზაბლოცკისთან არის ტიპური რომანტიკული ოცნება მარადიულ, უხორცობამდე მისულ ქალურობაზე.

2. „ჰაჯი-მურატის“ დაწერის ისტორია და ლევ ტოლსტოის ქართველი კორესპონდენტები

ანოტაცია

დღეისათვის ომისა და ექსტრემალურ ვითარებაში მყოფი ადამიანის ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილი ყოველი კლასიკური ნაწარმოები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, მით უფრო თუ ეს ისეთ შედევრს ეხება, როგორიც „ჰაჯი-მურატია“.

ლევ ტოლსტოის რომანი 1896-1904 წლებში შეიქმნა (გამოქვეყნდა 1912 წელს, მწერლის გარდაცვალების შემდეგ.). იგი დიდხანს წერდა, ხან გადადებდა, მერე ისევ უბრუნდებოდა ტექსტს, რომელმაც მწერლის მთელი ცხოვრებისეული და ფილოსოფიური გამოცდილება მოიცვა. ტოლსტოიმ მთელი სიმძაფრით წარმოაჩინა რამდენიმე ერთმანეთთან შეურიგებელი, სასტიკი სამყაროს შეჯახება, დაპირისპირება და თანაარსებობა. ის მკაცრად განსჯის რუსეთის იმპერიის ომს, რომელშიც კავკასიის ხალხები იბრძოდნენ დამოუკიდებლობისთვის. ტოლსტოიმ ღრმად შეაღწია თავისი პერსონაჟების ფსიქოლოგიაში და მისი სიმპათიები ცალსახად ჰაჯი-მურატის მხარეზეა.

ტოლსტოის არასოდეს შეუწყვეტია შინაგანი კავშირი საქართველოსთან, რომელიც მისი, როგორც მწერლის, დაბადების ადგილად იქცა. მისი მიმოწერა ქართველ მეგობრებთან და ისეთ ადამიანებთანაც კი, რომელთაც პირადად არ იცნობდა, მეტყველებს ამ ქვეყნისადმი ჭეშმარიტ სიყვარულსა და ინტერესზე. საქართველოდან წასულმა, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩაიფიქრა კავკასიურ მასალაზე დაფუძნებული სიუჟეტი, რომელშიც საქართველოს წამყვანი ადგილი უკავია. მოთხრობას მსოფლიო პროზის ერთ-ერთ შედევრად გახდომა ეწერა. იგი განსაკუთრებით აქტუალურია 21-ე საუკუნეში, როდესაც ახალმა სასტიკმა ომებმა იფეთქა.

თავისი ნაწარმოების მომზადებასთან დაკავშირებით ფართოვდება და ახალ სიცოცხლეს იძენს ლევ ნიკოლაევიჩის კავშირები ქართველ მწერლებთან თუ მეცნიერებთან.

ისტორიული მასალების ძიებისას ის მიმართავს თავის დიდ თაყვანისმცემელს, ქართველ საზოგადო მოღვაწეს და მწერალს ილია ნაკაშიძეს (1866-1923).

სამხედრო-ისტორიული დეპარტამენტის უფროსი, კავკასიის ომების ექსპერტი გენერალი ვ.ა. პოტო, რომელმაც ტოლსტოის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა, შემდგომ მუშაობას თავის კოლეგას, პოლკოვნიკ სიმონ ესაძეს (1868-1927), კავკასიის ცნობილ სამხედრო ისტორიკოსს მიანდობს. ს.ს.ესაძემ ტოლსტოის გაუგზავნა მ.ტ. ლორის-მელიკოვის დეტალური ჩანაწერი „ჰაჯი-მურატის მოთხრობებიდან და ჩვენებიდან“. ჩანაწერი თითქმის მთლიანად შევიდა მოთხრობაში.

რუსი კლასიკოსის ყველა კორესპონდენტმა მას ფასდაუდებელი დახმარება გაუწია, ხოლო ილია ნაკაშიძესთან მიმოწერა ჰაჯი-მურატის თემატიკას გასცდა და ოჯახებს ორის მეგობრობის ხასიათი შეიძინა. ლევ ნიკოლაევიჩი გამუდმებით მადლობას უხდის თავის კორესპონდენტებს და გასაოცარი მოკრძალებით ითხოვს ნებართვას, რომ, მაგალითად, ს. ესაძეს თავისი ნაწარმოებები საავტორო წარწერით გაუგზავნოს. ცნობილია, რომ ტოლსტოიმ თავის ქართველ მეგობარს აჩუქა წიგნები ავტოგრაფით.

რუსული კლასიკის შედევრში ქართული მასალები ბოლომდე შესწავლილი არ არის და მოითხოვს თანამედროვე დონეზე კვლევას.

3. რუსი რომანტიკოსებისა და გადასახლებული პოლონელი პოეტების მიერ აღქმული კავკასიის ბუნება

ანოტაცია

რომანტიზმის გაჩენა და განვითარება თითქმის დაემთხვა საქართველოს რუსეთთან შეერთებას, მასთან შეხვედრა რეალობად იქცა. უპირველესი მნიშვნელობის რომანტიკოსები საქართველოსკენ იყვნენ მიმართული. ყველას შეეჯახა თავისი ბედის აღმავლობა – სამსახურში, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, თუ კავკასიაში გადასახლებაში ყოფნა. თანდათან წარმოიშვა კავკასიის მითოლოგია - ულამაზესი დიდებული ბუნების ქვეყანა, უძველესი ისტორიის მქონე თავისუფალი ხალხი.

ამავე დროს, როცა საქართველო ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა, ჩრდილოეთ კავკასიაში სასტიკი ომი მიმდინარეობდა. სინამდვილეში, ყველა რომანტიკოსმა ეს გაიაზრა და ეს გაგება ორაზროვანი იყო. ერთის მხრივ, მთების თავისუფალი მკვიდრი იყო თავისუფლების პერსონიფიკაცია - რომანტიკოსთა შორის მთავარი კატეგორია. მეორე მხრივ, მათმა ქვეყანამ დაიპყრო კავკასია, რომლის ხალხებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და ეს იყო ახალი რეალობის აღქმის ნაწილი.

რუს რომანტიკოსებთან ერთად ან ცოტა მოგვიანებით, კავკასიაში გამოჩნდა პოლონელების დიდი ჯგუფი - პოლიტიკური გადასახლებულები (1830-31 წლების აჯანყების შემდეგ და ორი აჯანყებებს შორის ე.წ. "შეთქმულების" შემდეგ). მათ შორის ბევრი პოეტი იყო და მათ შექმნეს პოლონური რომანტიზმის ერთგვარი განშტოება კავკასიაში. და მათ შექმნეს კავკასიის საკუთარი მითოლოგია. მათ პოლონელ „კავკასიელებს“ უწოდებენ.

ასე რომ, ჩვენ გვყავს მწერალთა მთელი ჯგუფი, ძირითადად დაბადებული დაახლოებით 1810 წელს, ანუ პუშკინზე და მიცკევიჩზე ათი წლით უმცროსი. მაშინვე ვთქვათ, რომ რუსული კავკასია პირველი სიდიდის პოეტებმა შექმნეს და პოლონელ „კავკასიელებს“ შორის დიდი პოეტები არ იყვნენ, მაგრამ მათი პოეტური კულტურა ძალიან მაღალია. და რუსი და პოლონელი რომანტიკოსების მემკვიდრეობის შედარება შეიძლება ძალიან საინტერესო იყოს.

ესენი იყვნენ ახალგაზრდები სულში რომანტიული ცეცხლით, თავისუფლებისმოყვარე, მეამბოხე, განათლებული და გახსნილი ახალი სამყაროს გასაგებად. ორივეს ძლიერი გავლენა მოახდინა ბაირონიზმისგან. რუსებიც და პოლონელებიც დაბლობებიდან ჩამოვიდნენ და კავკასიის ხალხების სრულიად განსხვავებულმა ბუნებამ და აზროვნებამ შოკში ჩააგდო ისინი.

ერთის და მეორის ბუნება შინაგანი სამყაროს ანარეკლია. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მთები, რომლებიც ბუნების აღქმის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცნენ.
თუმცა, გაცილებით მეტი განსხვავებაა. რუსი რომანტიკოსები კავკასიას უკვე საკუთარი ქვეყნის ნაწილად აღიქვამდნენ. პოლონელებს ეს გრძნობა არ აქვთ. პოლონელებისთვის კავკასია უცნობ მიწაზე გადასახლების ადგილად იქცა, შემოქმედებითი ინტერესის გამო აქ *არავინ მოსულა. მაგრამ ეს ინტერესი სრულად გამოვლინდა. პოლონელები საშინელ ომში* იძულებითი ჯარისკაცები გახდნენ, ასობით დაიღუპა მთებში. და მათ გაიცნეს კავკასია, ალბათ უფრო ღრმად, ვიდრე ბევრი რუსი რომანტიკოსი - გადარჩენისთვის ყოველდღიურ ბრძოლაში. ომის მიმართ მათი დამოკიდებულება ცალსახად უარყოფითი იყო.

4. კავშირი "პოლონია" - თსუ-ს პოლონისტიკის ცენტრი: ერთობლივი სამეცნიერო მოღწევები.

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია კავშირ „პოლონია"-ს და თსუ პოლონიზმის ცენტრის ერთობლივი სამეცნიერო მიღწევები. 25 წლის განმავლობაში იმართებოდა შემდეგი სამეცნიერო კონფერენციები და გამოიცა სამეცნიერო ნაშრომების ერთობლივი კრებულები. თსუ-ში 1998 წლიდან ტრადიციულად ტარდებოდა ქართულ-პოლონურ ურთიერთობებთან და დიდ პოლონელებთან დაკავშირებული სამეცნიერო სესიები, მათ შორის, 6 საერთაშორისო:
ა. მიცკევიჩისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია (1998), ფ. შოპენს და ი. სლოვაცკის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია (კონსერვატორიასთან და მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად) (1999). კავშირ „პოლონიის" 5 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „პოლონელების 200 წელი კავკასიაში: ისტორია და პერსპექტივები" (ვარშავის უნივერსიტეტთან ერთად, სამეცნიერო ნამუშევრების კრებული გამოქვეყნდა თბილისში და ვარშავაში, 2000), კ.ი.გალჩინსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია (2004), ა.მიცკევიჩის გარდაცვლების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია (2005), ჰენრიკ სენკევიჩის ხსოვისადმი მიძღვნილი კონფერენცია (2006), საერთაშორისო კონფერენცია „რომანტიზმი და თანამედროვეობა" პოლონურ-ქართული ურთიერთობათა სათავები და პერსპექტივები" მიძღვნილი კავშირ პოლონიას 15 წლისთავისადმი (2010), `პოლონური კავკასია~. ისტორია და პერსპექტივები~ (2015). ამ წლების განმავლობაში გამოცემული იქნა სამეცნიერო ნაშრომთა რამდენიმე ტომი, ქართულ-პოლონური ურთიერთობების შესახებ, მონოგრაფიები კავკასიაში და საქართველოში პოლონელთა ცხოვრების შესახებ, 4 პოლონელი კლასიკოსის, ადამ მიცკევიჩის, იულიუშ სლოვაცკის, კონსტანტი გალჩინსკის და ნობელის პრემიის ლაურეატის, ვისლავა შიმბორსკას თარგმანები ქართულ ენაზე.

5. „სლავური ფენტეზის მითოლოგიური სათავეები"

ანოტაცია

სლავური ფენტეზი არის ფანტასტიკური ჟანრის ერთგვარი სახეობა, რომელიც განა---სახიერებს ზოგადად მასობრივი ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლებს, მაგრამ აქვს საკუთარი ჟანრული სპეციფიკა. მისი ძირითადი მახასიათებლები ზღაპრული და ფანტასტიკური ლიტერატურის ტრადიციებიდან წარმოიქნება: მხატვრული სამყაროს ზღაპრულ-მითოლოგიური საფუძველი, მიზანდასახულობა მხატვრულ მონაგონზე, მთავარი გმირი-მეომრის ფიგურა, რომელიც ამარცხებს მსოფლიო ბოროტების ძალებს.

ჟანრის მკვლევარები, პირველ რიგში, განსაზღვრავენ მის ადგილს ფანტასტიკის სამყაროში. ფენტეზი აღნიშნული ჯანრის განსაკუთრებული მიმართულებაა, სადაც ბუნდოვანია საზღვრები რეალურის, ფანტასტიკურისა და მისტიკურის შორის, ხოლო სიუჟეტი ეფუძნება

ირაციონალურ ვარაუდებს. ასეთ ვარაუდს ტექსტში არავითარი ლოგიკური მოტივაცია არ გააჩნია. სწორედ ეს ირაციონალურობა და ზღაპართან სიახლოვე განასხვავებს ფენტეზის სამეცნიერო ფანტასტიკისგან (ჟანრის ფუძემდებელი ტოლკინი თავის ნამუშევრებს „ჯადოსნურ ზღაპრებს“ უწოდებდა). ფენტეზის ასევე ძლიერი მითოლოგიური წარმომავლობა აქვს: არაერთი მკვლევარი ფენტეზის არა ზღაპართან, არამედ უშუალოდ მითთან აკავშირებს. ფენტეზის ყოველთვის საფუძვლად უდევს „ან მითების შესწორებული კანონიკური სისტემა, ან ორიგინალური საავტორო მითოპოეტური კონცეფცია, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია მეორადი სამყაროს შექმნა (სამყაროსა და ადამიანის სრულყოფილი ხედვა), სადაც ადამიანი არის მიკროკოსმოსი მაკროკოსმოსის სისტემაში“. ფენტეზი აგებულია სამყაროს ისეთ მოდელზე, რომელიც გამოხატავს მითოლოგიური აზროვნების ისეთ თვისებებს, როგორიცაა ადამიანის შერწყმა გარემოსთან, სიკეთისა და ბოროტების პერსონა-ლიზაცია, ბუნებრივი მოვლენების ჰუმანიზაცია, მიკროკოსმოსისა და მაკროკოსმოსის იდენტიფიკაცია, სივრცობრივი-დროის სინკრეტიზმი, ბინარული ლოგიკა.

სლავური ფენტეზის უმეტეს ნაწარმოებებში აგებულია სამყაროს მითოლოგიური სურათი. ე.მ. მელეტინსკი აღნიშნავდა, რომ ცხოვრების მიღებული ფორმების გარდატეხით მითი ქმნის ახალ ფანტასტიკურ „უმაღლეს რეალობას“, რომელიც აღიქმება როგორც პირველადი წყარო და იდეალური პროტოტიპი.

შესასწავლი ჟანრის ნაწარმოებებში აღნიშნული ზოგადი მითოლოგიური საფუძველი თავის რეალიზაციას ახდენს სლავურ მითოლოგიაში. სლავური ფენტეზის მხატვრული სამყარო თავისი სტრუქტურით შეესაბამება კოსმოგონიური მითების არქიტექტონიკას.

სლავური ფეტეზის ჯანრის ავტორები ქმნიან ტრადიციულ მითოლოგიაზე დაყრდნობილ მითოლოგიურ მოდელს: ისინი აღწერენ სამყაროს შექმნის ეტაპებს, ღმერთების გამოჩენას (ჟანრის პირველ ნიმუშებში ღმერთები თავად ხდებიან მთავარი გმირები), ლეგენდები და თქმულებები გმირის წარმოშობის შესახებ. მითოლოგიური მოტივების ექსპლუატაცია ფენტეზში საკმაოდ ცხადს ხდის იმ ტენდენციას, რომ „მითოლოგია ხდება თანამედროვე სამეცნიერო ფანტასტიკის ფუნქციური ქვესისტემა“.

6. „მასობრივი ლიტერატურის განვითარების თავისებურებანი პოსტსაბჭოთა სივრცეში (ქართული, უკრაინული და რუსული ლიტერატურის მიხედვით)“

ანოტაცია

ლიტერატურის ფუნქციების ახლებურმა გააზრებამ თანამედროვე ეტაპზე ლიტერატურული პროცესის ხასიათისა და შემადგენელი ელემენტების ტრანსფორმაცია გამოიწვია. XXI საუკუნის დასაწყისში საკმაოდ მოთხოვნადი გახდა ე.წ. მასობრივი ლიტერატურა, რომელიც ერთგვარად ფსიქოლოგიური განტვირთვისა და დასვენების საშუალებად იქცა. შესაბამისად, შეიცვალა მკითხველის ტიპი და მისი კომპეტენციის დონეც. შეიცვალა თავად კითხვის ხასიათი, ის უფრო ინფორმაციული, პრაგმატული გახდა. ე.წ. „ელიტარული“, სერიოზული ლიტერატურა მკითხველისაგან მოითხოვს არა მარტო შრომას, აქტიურ აზროვნებას, არამედ მკითხველის კომპეტენციის მაღალ დონესაც. XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე კი მასობრივ მკითხველს სჭირდება ერთგვარი საშუალება, რომელიც დააკმაყოფილებს მის პირველად კულტურულ-ფსიქოლოგიურ მოთხოვნებს - ეს არის დასვენება, სოციალურ-ყოფითი თუ ზნეობრივი პრობლემების იგნორირება, ყოველდღიური მონოტონური რუტინისაგან თავის დაღწევა. „მასობრივი“ ლიტერატურა იქცა იმ საშუალებად, რომელსაც რთული ინტელექტუალური პრობლემები დაჰყავს პრიმიტიულ ოპოზიციებამდე („კარგი-ცუდი“, „სიკეთე-ბოროტება“...).

ამგვარი გამარტივება მასობრივ მკითხველს საშუალებას აძლევს თავიდან აიცილოს სოციალური პასუხისმგებლობა და პირადი არჩევანის გაკეთების აუცილებლობა. შესაბამისად, თანამედროვე მასობრივი ლიტერატურის მკითხველისადმი უფრო ნაკლები მოთხოვნებია.

დაჩქარდა კითხვის პროცესიც. გარდა ამისა, მასობრივი ლიტერატურის კითხვისას მკითხველი თავს გრძნობს არა მარტო მოქმედების თანამონაწილედ, არამედ, ასე ვთქვათ, გამარჯვებულად სიუჟეტების ამოცნობაში, რადგანაც თანამედროვე მასობრივი რომანების სიუჟეტური მსვლელობა იოლად პროგნოზირებადია.

მასობრივი ლიტერატურის ტექსტების კულტურულ-სამეტყველო დონის განმსაზღვრელი თავისებურებებია - მწირი მეტყველება, არალიტერატურულობა და სტერეოტიპულობა, ენობრივი ნატურალიზმის გამოვლენა, რაც „დაბალი“ ჟანრის ტექსტებს ახასიათებს.

მასობრივმა ლიტერატურამ მკაცრი ჟანრულ-თემატური კანონები გამოიმუშავა, რომლებიც წარმოადგენენ პროზაული ნაწარმოებების ერთგვარ ფორმალურ-შინაარსობრივ მოდელებს. მასობრივი ლიტერტურის ნაწარმოებები იქმნება გარკვეული სიუჟეტური სქემის მიხედვთ და ხასიათდებიან თემატიკის ერთიანობითა და მოქმედ პირთა უცვლელი ტიპაჟით. მასობრივი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრებს საფუძველად უდევთ ტიპიური შაბლონები, რომლებიც იწვევენ მკითხველის „ჟანრული მოლოდინის“ ეფექტსა და საგამომცემლო პროეტების სერიულობას. თანამედროვე მასობრივი ლიტერატურის აღქმაში ძლიერდება ვიზუალური ელემენტების როლი (კინემატოგრაფიული გამოცდილება).

7. „გოთური გმირი რუსულ რომანტიზმში“

ანოტაცია

მე-18 საუკუნის დასასრულის წინარომანტიკულ ლიტერატურაში გაჩნდა გმირის ახალი ტიპი, რომელიც მანამდე უცნობი იყო რუსული ლიტერატურისთვის.

გოთური ნაწარმოები ექვემდებარება გარკვეულ კანონს (რიტორიკული, ხატოვან-მოტივური, სიმბოლური). აქ ნორმატიულად ისახება შემდეგი პერსონაჟების გამოსახულებები: მითოლოგიური; ბიბლიური; დაცემული ბერი, ფატალური ქალი, დემონი, მოჩვენება, „მაქცია“, ორეული და ა.შ. რუსულ რომანტიკულ ლიტერატურაში გამოყენებული იყო წინარომანტიზმის ლიტერატურაში განვითარებული გმირების სხვადასხვა სახეები.

გოთური ლიტერატურიდან წარმოიშვა რომანტიკული გმირი, ასევე უარყოფითი გმირის ყველა ვარიაცია (დემონური / ფატალური გმირი / ფეოდალი ტირანი და ა.შ.). ა.ა. ბესტუჟევ-მარლინსკის მოთხრობებში(„ლატნიკი“, „საღამო კავკასიის წყლებზე“) გავრცელებულია ფეოდალური ტირანის ტიპი, რომელიც ხასიათდება დესპოტიზმით, თვითნებისყოფით, სისასტიკით. ასევე წარმოდგენილია დაწყევლილი მოხეტიალე გმირის ტიპი, რომელიც განწირულია მარადიული ხეტიალებისა და სიცოცხლისათვის,

უფრო ფართოდ ნეგატიური გმირის ტიპი გავრცელდა მ. ლერმნონტოვის შემოქმედებაში და აქტუალური რჩებოდა მისი მთელი კარიერის განმავლობაში. ფატალური/ დემონური ან ინფერნალური გმირის ზოგიერთი თვისება ლერმონტოვის ყველა პერსონაჟში გვხვდება, ფართოდ არის წარმოდგენილი გოთური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი გმირების ტიპები- ფატალური გმირის ტიპი ("ჩვენი დროის გმირი", "მასკარადი"), დემონური გმირის ტიპი, რომელიც წარმოდგენილია ღმერთთან მებრძოლი გმირის („დემონი“) და ინფერნალური გმირის ("შტოსი") ქვეტიპებით.

ვ. პ. ტიტოვის მოთხრობაში „ვასილევსკის განმარტოებული სახლი" გამოსახულია ისეთი გმირის ტიპი, რომელიც თავის შთამომავლობას "ბოროტი სულისგან" (დემონი, სატანა, ლუციფერი) იღებს.

გოგოლის შემოქმედება მდიდარია ფანტასტიკურ-მითოლოგიური და არქეტიპული მოტივებით; მწერალი თავის ფანტასტიკურ ნაწარმოებებში პირდაპირ მიმართავს ფოლკლორს, მითსა და გმირულ ეპოსს. ამაშია გოგოლის ფანტაზიის თავისებურება ევროპული რომანტიზმის კონტექსტში.

ა.კ. ტოლსტოის ფანტასტიკური პროზა შეიძლება განიხილოს, როგორც XIX საუკუნის პირველი მესამედის რუსულ ლიტერატურაში გოთიკური ტრადიციის არსებობის ყველაზე

ნაყოფიერი პერიოდის შეჯამება, და ასევე არა მხოლოდ დასავლეთევროპული გოთიკური, არამედ რუსული ტექსტების გააზრება, სადაც ამა თუ იმ სახით შენარჩუნებულია გოთური კანონი. გოთური მოტივების მთელი კომპლექსი რეალიზებულია ა.კ. ტოლსტოის ადრეულ პროზაში. მთავარი მოტივებია: მისტიკური ტექსტი, ეშმაკისთვის სულის მიყიდვა, ნიღაბი, აჩრდილი, ორეული. ა.კ. ტოლსტოიმ პირველად რუსულ ლიტერატურაში პირდაპირ შეეხო ვამპირიზმის თემას და ვამპირის პერსონაჟი რომანტიკულ გმირად წარმოაჩინა.

ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში რომანტიკული გმირის წარმოშობა და განვითარება მოხდა გოთური ლიტერატურის გავლენით. ბაირონი თავისი გმირის ასახვისას აგრძელებდა გოთურ ტრადიციას; თავის მხრივ, ბაირონულმა პოემამ პირდაპირი გავლენა მოახდინა რუსულ რომანტიზმზე.

8. პოლონური ავტორების მხატვრული და სამეცნიერო პუბლიკაციები ქართულ ენაზე (XXI ს.)

ანოტაცია

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ქართულ-პოლონურმა კულტურულმა კონტაქტებმა ახალი ხარისხი შეიძინა, ლიტერატურის ურთიერთშესწავლის მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება პიროვნული ფაქტორი. სიმონ ჩიქოვანთან და გიორგი ლეონიძესთან, მოგვიანებით კი მიხეილ ქვლივიძესთან გაცნობით, პოლონელებისთვის ახალი ეტაპი იწყება როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ქართული პოეზიის შესწავლაში.

ქართული ლიტერატურის მთარგმნელები თავიანთ საჯარო გამოსვლებში და პრესაში საუბრობენ ს. ჩიქოვანთან და გ. ლეონიძესთან დიდ შემოქმედებით მეგობრობაზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს რუსულ, უკრაინულ და სხვა ლიტერატურასთან კონტაქტების გაფართოებაში. გასაკვირი არ არის, რომ პოლონეთში გამოცემული ქართველი პოეტების პირველი პირადი კრებულები იყო ს. ჩიქოვანის (ვარშავის ჩრდილში, 1962) და გ. ლეონიძის (მარტოხელა ხე, ვარშავა, 1964) ლექსების კრებულები.

ქართული პოეზიის პოლონურად თარგმნის პროცესი, როგორც აღინიშნა, საკმაოდ ინტენსიური ხდება. 1957 წელს ცნობილმა პოეტმა, მთარგმნელმა და რედაქტორმა სევერინ პოლაკმა გამოსცა კრებული „ას ოცდაათი პოეტი“ (ვარშავა, 1957). მასში შესულია გალაკტიონ ტაბიძის ორი ლექსი ვ.გროძენსკაიას, თ.ტაბიძის თარგმნა ა.კამენსკაიას, აგრეთვე ი.აბაშიძის, გრ.აბაშიძის ლექსები. პ.იაშვილი, ი.გრიშაშვილი, ს.შანშიაშვილი, ი.მოსაშვილი, ა.მირცხულავა, რ.მარგიანი, ი.ნონეშვილი. ყველაზე დაწვრილებით არის წარმოდგენილი ს.ჩიქოვანისა და გ.ლეონიძის პოეზია. მეორე ანთოლოგიაში (ქართული პოეზიის ანთოლოგია. შედგენილია ლ. ლევინის მიერ, ვარშავა, 1961 წ.) მე-20 საუკუნის პოეზია წარმოდგენილია მხოლოდ გ.ტაბიძის ლექსებით. შეგახსენებთ, რომ მას „ძველი ქართული პოეზია“ ერქვა. მესამე ანთოლოგია მოიცავს მე-20 საუკუნის 70 ქართველი პოეტის თარგმანს. მათი სია ვარაუდობს, რომ კლასიკოსებისა და გამოჩენილი პოეტების გარდა, შეირჩა სხვადასხვა მიმართულებისა და პოზიციის ავტორები, რათა პოლონელ მკითხველს კარგად შეეძლოს ორიენტირება თანამედროვე ქართულ პოეზიაში. თანამედროვე პოლონური პოეზიის ასეთი გამოცემა ქართულად დღემდე არ არსებობს. პოლონური კულტურის მიერ მე-20 საუკუნის ქართული პოეზიის ათვისება ეფუძნება ხანგრძლივ ტრადიციებს და მომზადებული იყო ქართულ-პოლონური ლიტერატურული კონტაქტების წინა პერიოდით, ფაქტობრივად, მთელი მე-19 საუკუნისათვის. ამით აიხსნება პოლონელი მწერლების მძაფრი ინტერესი ქართული თანამედროვე პოეზიის მიმართ.

9. ლექსიკური ასპექტი სპეციალობის ენის სწავლების პროცესში

ანოტაცია

ენობრივი გარემოს უქონლობის პირობებში რუსულის როგორც უცხო ენის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პროცესში პირველ ადგილზე გამოდის სპეციალობის ენის შესწავლა და უწინარეს ყოვლისა - წაკითხული სპეციალური ტექსტის გაგების და ინფორმაციის მიღების უნარჩვევების ფორმირება. ეს არ ნიშნავს, რომ სრული უარი უნდა ითქვას ლაპარაკის, მოსმენის და წერის უნარჩვევების განვითარებაზე, მაგრამ ძირითადი ამოცანაა - ვასწავლოთ სტუდენტებს დამოუკიდებლად წაიკითხოს ტექსტი არჩეულ სპეციალობაში (ლექსიკონით ან ლექსიკონის გარეში.

შესწავლის მასალა უნდა გახდეს მეტყველების სამეცნიერო სტილი საგაზეთო-პუბლიცისტურ და ოფიციალურ-საქმიან სტილებთან კომბინაციაში. ამა თუ იმ სტილის წამყვან თუ დაქვემდებარებულ პოზიციას განაპირობებს სტუდენტის სპეციალობა: ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში ძირითადი არის მეტყველების სამეცნიერო სტილი, სტუდენტ-იურისტებთან მეცადინეობებზე კი მთავარია ოფიციალურ-საქმიანი სტილის სპეციფიური ნიშან-თვისებების და სამეცნიერო სტილის იმ თავისებურებების გამოვლენა, რომელიც დამახასიათებელია იურისპრუდენციის ენისათვის: იური-დიული ტექსტები შეიცავენ სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიანი მეტყველების ელემენტებს და შესაბამისად წარმოადგენენ გადმოცემის სხვადასხვა საშუალებათა მონაცვლეობას.

იურისტებისათვის, ასევე როგორც სხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის, სპეციაშესიტყვებების, ასევე კლისე-წინადადებების ათვისებას, ამიტომ კანონზომიერია სწავლების პროცესში მცირე მოცულობის ადაპტირებული ტექსტების გამოყენება, რომლებიც სინტაქსის მხრივ გამარტივებულია, მაგრამ ინარჩუნებენ ტერმინების მნიშვნელოვან ნაწილს.

არაადაპტირებული სახით (ერთდროულად რუსულ და ქართულ ენაზე) შეიძლება მივაწოდოთ სტუდენტებს სტანდარტიზებული ფორმის სპეციალური ტექსტები (მაგ., სისხლის სამართლის და სამოქალაქო კოდექსების მუხლები). ისინი არ წარმოადგენენ ერთმანეთის ზუსტ თარგმანს, მაგრამ მათ აქვთ ერთნაირი სტრუქტურა და ლექსიკურად ემთხვევიან ერთმანეთს. ეს კი საშუალებას გვაძლევს გავამახვილოთ სტუდენტების ყურადღება ადექვატური აზრების რუსულად და ქართულად გამოხატვის საშუალებებზე და აგრეთვე გამოვიყენოთ ეს ტექსტები რუსულიდან ქართულად და პირუქუ სათარმნ მასალად.

რუსული ტერმინის სემანტიზაციის ძირითადი საშუალებაა თარგმანი, ტერმინის წარმდგენი ერთეული - შესიტყვება, ვინაიდან სტუდენტის მშობლიურ ენაში რუსული ტერმინი შეიძლება სხვადასხვა სიტყვებით იყოს წარმოდგენილი.

სწავლების საწყის ეტაპზე ტექსტების პრეზენტაციისას სასურველია გათვალისწინებული იყოს სტუდენტების მიერ სპეციალობის ცოდნის დონე: თუ ტექსტის შინაარსი ნაცნობია, სტუდენტების ყურადრების კონცენტრირება შესაძლებელია ნაცნობი შინაარსის გამოხატვის ფორმაზე.

10. სემათა რუსულ-ქართული კონტრასტული ლექსიკონი: პრობლემის დასმისათვის ანოტაცია

გასული საუკუნის ბოლოს შეპირისპირებითი კვლევების საერთო მასივს გამოეყო კონტრასტული ლიგვისტიკა, შესაბამისად საგრძნობლად გაიზარდა სხავადასხვა ქვეყნის მკლევართა ინტერესი მის მიმართ. კონტრასრული ლინგვისტიკის მიზანია არა ენობრივი ქვესისტემების მსგავსებისა და განსხვავებების დადგენა, არამედ ერთი ენის ერთეულის სემანტიკისა და ფუნქციების განსხვავებათა გამოვლენა მეორე ენაში მის შესაძლო შესაბამისობებთან შედარებით.

კონტრასტული კვლევების შედეგები შეიძლება უშუალოდ დაინერგოს უცხო ენის სწავლების პრაქტიკაში, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ორ ენაში განსხვავებული ფაქტების აღწერას და შეიძლება გამოყენებულ იქნან ლექსიკის დიფერენციალური სემანტიზაციის

მიზნით. ლექსიკოგრაფიის ძირითად პრობლემას დღევანდელ დღეს წარმოადგენს დეფინიციის ეფექტურობის საკითხი, ანუ ის, თუ რამდენად სრულად არის გახსნილი სიტყვის მნიშვნელობა და რანდენად გასაგებია ლექსიკონის მომხმარებლისათვის სიტყვის მნიშვნელობის განმარტება. დღეს ტრადიციული პრინციპი - ცნების მოკლე განმარტება - უკვე აღარ არის საკმარისი, ვინაიდან მას არ შეუძლია ენობრივი ერთეულების ყველა ეროვნულ-კულტურული თავისებურებების ასახვა. ამ ამოცანის შესრულებას კისრულობს კონტრასტული ლექსიკოგრაფია - ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი, მაგრამ შრომატევადი დარგი, რომლის ფარგლებში ხდება განსაკუთრებული ლექსიკოგრაფიული ჟანრის - კონტრასტული ორენოვანი ლექსიკონის - ფორმირება. ორი სხავადასხვა ენის სემანტიკის კონტრასტული აღწერის შედეგების ლექსიკოგრაფიული ფიქსაცია ორენოვანი კონტრასტული ლექსიკონის შედგენის შესაძლებლობას იძლევა. ი. სტერნინის მიერ შემუშავებულია ამგვარი ლექსიკონების სამი ტიპი: 1. სემური კონტრასტული ლექსიკონი, 2. კონტრასტული ორენოვანი განმარტებით - თარგმნითი ლექსიკონი, 3. კონტრასტული ორენოვანი თარგმნითი ლექსიკონი.

ი. სტერნინის იდეებზე დაყრდნობით, შესაძლებელია რუსულ-ქართული სემური კონტრასტული ლექსიკონის შედგენა, ვინაიდან ასეთი ტიპის ლექსიკონი ფაქტიურ ბაზას ქმნის კონტრასტულ ლექსიკონთა სხვა ტიპის შესადგენად და უდიდეს ღირებულებას წარმოადგენს ენათა ეროვნული სპეციფიკის შესწავლისათვის. ამგვარი ლექსიკონის არსი მდგომარეობს რუსული და ქართული ენების ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობების აღწერაში სემების მიხედვით, რომლებიც გვევლინებიან როგორც ახლო შესატყვისობები ან ექვივალენტები და აგრეთვე როგორც ლაკუნები. ლექსიკოგრაფიული არწერის ობიექტად შეიძლება, პირველ ეტაპზე, აღებულ იქნას რუსული და ქართული არსებითი სახელები, ენის ლექსიკურ სისტემაში მათი დომინირებული მდგომარეობის გამო. სიტყვა-სტატიების მოცულობა კონტრასტულ ლექსიკონებში საკმაოდ დიდია, ამიტომ ლექსიკონში სიტყვანი უნდა იყოს თემატურად შემოსაზღვრული. მაგალითად, რუსულ და ქართულ ენათა ლექსიკურ-სემანტიკური ველი "პირის დასახელება". აღნიშნული ერთეულების სემანტიკური აღწერილობა უნდა იყოს ჩატარებული სალექსიკონო დეფინიციის დენოტატურ, კონოტატურ და ფუნქციურ დონეებზე სემური ანალიზის საფუძველზე.

11. „აზარტული თამაშების" კონცეფტოსფეროს ენობრივი და სტილისტური მახასიათებლები იოანა ხმელევსკას დეტექტიურ რომანებში

ანოტაცია

პოლონელი მწერლის იოანა ხმელევსკაიას ირონიულ დეტექტიურ რომანებში „საიდუმლოება", „რა თქვა მიცვალებულმა", „აზარტი", „აურზაური", „დოღი", „ფლორენცია - ეშმაკის ასული" და სხ. კონცეპტოსფეროს „ აზარტული თამაშების" რეალიზაცია ხდება ფულზე კარტის თამაშის და ცხენების დოღის აღწერაში. აღნიშნული კონცეპტოსფერო წარმოდგენილია შემდეგი კონცეპტებით - „სუბიექტი" (მოთამაშე), „ობიექტი" (თამაშის შედეგი), „პრედიკატი" (მოქმედება, აქტივობა, შესაძლებლობა, უნარი), „რეზულტატი" (მოგება, წაგება).

ძირითადი ყურადღება მოხსენებაში კონცენტრირებულია კონცეპტთა ერთობლიობის ანალიზზე, რომელიც წარმოდგენილია იოანა ხმელევსკაიას დეტექტივებში ფულზე კარტის თამაშის სიტუაციების „სუბიექტური კარნავალიზაციის" სახით. აღნიშნული ცნების აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენენ სათამაშო აფერაში ჩართული თაღლითი მოთამაშეების ირონიული, ნეგატიური ნომინაციები, რომლებიც გამოხატულია შეფასებითი არსებითი სახელებით (*скотина, пузан, замухрышка, мозгляк, хмырь* და სხვა); კაზინოში ფსონების ფიქსაციის ორიგინალური მეთოდების აღწერა, კარტების სიმბოლიკის ავტორისეული განმარტების გადმოცემა და კარტის თამაშის ორიგინალური ენა.

კარტის თამაშის ლექსიკა დასახელებულ დეტექტივებში წარმოადგენს რიგ თემატურ ჯგუფებად დაშლილ სისტემატიზირებულ ლექსიკურ - სემანტიკურ სიმრავლეს, რომელიც გაერთიანებულია ნომინაცია *თამაშის* (игра) ირგვლივ. მოცემული ნომინაცია წარმოდგენილია დერივაციული რიგით: *игрок, игорный, играть, выиграть, выигрывать, выигрыш, проигрыш, проиграть, проиграться, отыграться* და სხვა. რიგის ერთეულები ზოგ შემთხვევაში შედიან სინონიმურ და ანტონიმურ ურთიერთობებში (*выиграть – угадать*; *проиграть – продуть* და სხ.) ან ქმნიან შესიტყვებებს ზედსართავ სახელებთან (***вялая*** *игра*, ***собственная*** *игра*, ***заядлые*** *игроки*), ზმნებთან (***прервать*** *игру*, ***кончить*** *игру*, ***быть*** *в выигрыше,* ***играть*** *на покерном автомате*), არსებით სახელებთან (***деньги*** на *игру*, ***шансы*** *на выигрыш*), ნაცვალსახელებთან (***что-то*** *выиграть, продуть* ***все***) ან რიცხვის სახელებთან (*выиграть* ***четыре тысячи шестнадцать*** *крон*) ერთად და სხ.

ამგვარ სიტყვაწარმოების და სიტყვაშეწყობის შესაძლებლობებს ავლენენ სხვა კონცეპტებიც, რომლებიც შეადგენენ კონცეპტოსფეროს „აზარტული თამაშების“ ბირთვს. მაგალითად, კონცეპტ „რულეტის“ (рулетка) კომპონენტებში შედიან შემდეგი ნომინაციებით წარმოდგენილი ნიშნები *игровое колесо, игровой стол, фишки, ставки, красное, черное, номера, четное, нечетное, зеро*.

იოანა ხმელევსკაიას დეტექტივებში „აზარტული თამაშების“ თემით გაერთიანებულ კონცეპტებისათვის დამახასიათებელია სემანტიკური მრავალფეროვნება.

12. მარინა ცვეტაევას ეპისტოლარული იდიოლექტი

ანოტაცია

ცვეტაევასა და ბორის პასტერნაკის მიმოწერა იმ მკვლევართა ყურადღების საგანია, რომლებიც ორი პოეტის წერილების სხვადასხვა ასპექტს აანალიზებენ. დეტალურადაა განხილული მარინა ცვეტაევას ეპისტოლარული იდიოლექტი „თანაბრად დიადი“ პოეტისადმი მიწერილი საპასუხო წერილების მაგალითზე, კერძოდ, დეტალურად არის გაანალიზებული ისეთი საკითხები, როგორიცაა მარინა ცვეტაევას დამოკიდებულება წერილის ფენომენთან; მისი ინდივიდუალური გაგება ამ ნომინაციის სემანტიკის შესახებ; პოეტის მიერწერილის წაკითხვის მანერის ორიგინალურობა; როგორც წერილებში, ასევემარინას პოეტურ ნაწარმოებებში ნაპოვნი მეტაფორული ფრაზების ამოხსნისმიდგომის პრინციპები; მის შეტყობინებებში ინფორმაციის წარმოდგენის გზები; მიმოწერა მარინა ცვეტაევასა და ბორის პასტერნაკს შორის, როგორც ფსიქოლოგიური დრამის დისკურსის ეპისტოლარული მრავალფეროვნება და ა.შ. მარინა ცვეტაევას და ბორის პასტერნაკის არაჩვეულებრივი, პოეტური წერილები ერთმანეთისადმი ყველაზე მეტად წააგავს აღელვებულ და, შესაბამისად,გარკვეულწილად დაბნეულ კამათს ან საუბარს საკუთარ თავთან, როდესაც ადამიანი სკოლის გრამატიკის მკაცრი წესებისთვის არ იცლის. ეპისტოლარული დიალოგის მონაწილეთა წერილების სტილი ასახავს მათი ქცევისტილს ცხოვრებაში, ნათლად ავლენს მათ გამოსახულებებს, თითოეული ადრესატი მოქმედებს როგორც გარკვეული კულტურული ნიღბის გამომხატველი.

13. პოეტების მიმოწერა, როგორც დრამატურგიული დისკურსის ეპისტოლარული ნაირსახეობა

ანოტაცია

მკვლევარების დიდი ყურადღება სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული სამი დიდი ევროპელი პოეტის - ბორის პასტერნაკის, მარინა ცვეტაევას და რაინერ რილკეს -ეპისტოლარული მემკვიდრეობისადმი, რომლებსაც აკავშირებდა წარმოუდგენელი და მრავალმხრივ ტრაგიკული გარემოებები, მოწმობს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო სულიერი და ესთეტიკური კავშირი ერთმანეთთან მათთვის, ვინც ეწინააღმდეგებოდა არსებულ რეალობას და მთლიანად ჩაფლული იყო შემოქმედებაში. 1926 წლის ივნისში მე-20 საუკუნის უდიდესმა

გერმანულენოვანმა პოეტმა რაინერ მარია რილკემ ცვეტაევას ორი წიგნი და წერილი გაუგზავნა: „ძვირფასო პოეტო, ახლა მივიღე წერილი ბორის პასტერნაკისგან, რომელმაც უსასრულოდ შემაძრწუნა... აღელვება და მადლიერება - ყველაფერი, რამაც ჩემში მისმა გზავნილმა აღძრა - ჩემგან (როგორც მისი სტრიქონებიდან მივხვდი) ჯერ თქვენკენ უნდა წავიდეს, შემდეგ კი, თქვენი შუამავლობით, მისკენ!“ ამ პოეტების ეპისტოლარული სასიყვარულო სამკუთხედი, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში არასდროს შეხვედრიან, რამდენიმე თვე გაგრძელდა - 1926 წლის დეკემბრის ბოლოს რილკე გარდაიცვალა. ამის შესახებ მარინამ ახალი წლის ღამეს შეიტყო. და მან სიკვდილის შემდგომი წერილი მისწერა, რომელშიც იყო ასეთი სიტყვები: ”საყვარელო, ვიცი, რომ შენ წაიკითხავჩემს დაწერილს მანამდე, სანამ დავწერ… რაინერ, შენ ჯერ კიდევ დედამიწაზე ხარ, ჯერ დღე-ღამე არ გასულა.”

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **მარიამ ფილინა. პოლონური წიგნის ფონდები საქართველოში.** საერთაშორისო კონფერენცია "პოლონური ციფრული ბიბლიოთეკის 10 წელი". ვარშავის უნივერსიტეტი. **2022 წლის 16-18 ნოემბერი, ვარშავა,.**

2. **ალექსიძე მ**., გურული ლ. რუსულში როგორც უცხო ენაში მეცადინეობის პროცესში სწავლების ზოგიერთი პრინციპის პრაქტიკული რეალიზაცია. რუსისტიკა და თანამედროვეობა. XXV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 2022 წ. 14-16 ოქტომბერი. ქ. ჩანშა (ჩინეთი)

3. **ალექსიძე** მ., გურული ლ. ჩართული კონტრუქციები ორიგინალში და თარგმანში (თ. დოსტოევსკის რომანის „იდიოტი“ და მისი ქართულ ენაზე თარგმანების მიხედვით). საერთაშორისო კონფერენცია „თ. მ. დოსტოევსკის მემკვიდრეობა ეროვნულ კულტურებში“, მიძღვნილი თ. დოსტოევსკის 200 წლის იუბილეს. 2022 წ. 5-7- იანვარი. ქ. ყარსი (თურქეთი)

4. **ალექსიძე** მ., გურული ლ. დისკუსია როგორც საგანმანათლებლო მოღვაწეობის ფორმა უმაღლეს სასწავლებლებში რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში. „უცხო ენების სწავლების მეთოდიკა 2.0 : რეალური და ვირტუალური“. II სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. 2022 წ. 21-23 ივნისი, მოსკოვი

5. **ალექსიძე** მ., გურული ლ. მოსწავლის პოტენციური შესაძლებლობების განვითარება მხატვრული ტექსტის მასალაზე რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების მეშვეობით. საერთაშორისო ონლაინ ფორუმი „დიდი ევრაზია: ენებისა და კულტურების დიალოგი“. 2022 წ. 6-7 ოქტომბერი. ქ. ბიშკეკი (ყირგიზეთი).

6. **ალექსიძე** მ., გურული ლ. მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის მნიშვნელობა რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების როლური თამაშების მეთოდების გამოყენებისას. ჰუმანიტარული განათლების აქტუალური პრობლემები. 2022 წ. 27-28 ოქტომბერი. მინსკი (ბელარუსი)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1.პოლონური წიგნის ფონდები საქართველოში

ანოტაცია

პოლონური ბიბლიოთეკები საქართველოში საკმაოდ მდიდარია, მაგრამ ისინი სისტემატურად არ შედგენილია და თითოეულს თავისი ისტორია აქვს. დასაწყისია 1830-1840 წლების პოლიტიკური გადასახლებულთა მოკრძალებული წიგნების ფონდები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ე.წ. „პოლონელი კავკასიელი პოეტების“ ჯგუფი. გადასახლებულებმა ლიტერატურის (წიგნების და პრესის) ნაკლებობა განიცადეს და ყველანაირად ცდილობდნენ შეექმნათ საკუთარი ბიბლიოთეკები. ისინი მიმოწერას უწერდნენ პოლონეთის აღმოსავლეთ ტერიტორიების თითქმის ყველა მაუწყებელს.

საჯარო ბიბლიოთეკა (ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა) თბილისში დაარსდა 1846 წელს კავკასიის "ნამესტნიკის", თავადი მ. ვორონცოვის მიერ. მისი ახლო თანამშრომელი მაშინ იყო გრაფი ვოიცეხ პოტოცკი. ის არის საქართველოს მთავარი ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დამაარსებელი. წიგნი ნომერი 1 მასში არის საჩუქარი პოტოცკისგან. რარიტეტების განყოფილებაში ინახება ეკატერინე ჭავჭავაძის ალბომი. ალბომი შეიცავს პოტოცკის ორ ლექსს და მის პორტრეტს.

ბიბლიოთეკის პოლონური კოლექცია ძალიან მნიშვნელოვანია. ის შედგენილი იყო დევნილობაში მყოფი პოლონელთა და საქართველოში პოლონური ორგანიზაციების მიერ შემოწირული წიგნებიდან და ჟურნალებიდან, კერძოდ, მე-20 საუკუნის დასაწყისში მოქმედი პოლონური სახლიდან ბიბლიოთეკაში ასობით წიგნი შევიდა.

პოლონური წიგნების კოლექციები განთავსებულია ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია“-ს ბიბლიოთეკაში. ეს არის მე-18 საუკუნით დათარიღებული რარიტეტები, ა. მიცკევიჩის ნამუშევრების 1856 წლის გამოცემა, პოლონეთის მრავალტომიანი ისტორია, ასევე თანამედროვე გამოცემები.

2. რუსულში როგორც უცხო ენაში მეცადინეობის პროცესში სწავლების ზოგიერთი პრინციპის პრაქტიკული რეალიზაცია

ანოტაცია

უცხო ენების სწავლების მეთოდების გასაუმჯობესებლად მუშავდება სწავლის ინოვაციური მოდელები. მეცნიერ-მეთოდისტები გვთავაზობენ სწავლების სხვადასხვა ფორმას, რომლის მიზანია სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარება და მათი პოტენციური შესაძლებლობების განვითარება. ტრენინგის მრავალ სახეობას შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია როლური თამაშები, რომლის მომზადებაში მთავარ როლს მასწავლებელი ასრულებს. ამ ტიპის გაკვეთილის წარმატებით ჩასატარებლად საფუძვლიანი მომზადება უნდა მოხდეს მოსწავლეებს შორის, რომლებმაც, პირველ რიგში, უნდა აითვისონ ის მინიმალური ლექსიკური და გრამატიკული მასალა, რაც აუცილებელია მოცემულ თემაზე დიალოგებში მონაწილეობისთვის. მასწავლებლის ამოცანაა შეარჩიოს ისეთი თემატური და ტექსტური მასალა, რომელიც დააინტერესებს ყველა მოსწავლეს, უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჯგუფურ და ინდივიდუალურ აქტივობას აუდიტორიაში, ენის ცოდნის დონის მიუხედავად. სტატიის ავტორები გვთავაზობენ აუდიტორიაში ჯგუფში მუშაობის გამოცდილებას როლური თამაშის გამოყენებით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რუსული ენის ცოდნის შერეული დონის A2+, B1 სტუდენტებთან. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახის შემოქმედებით დავალების შესრულებაში, როგორიცაა: დიალოგების აღდგენა, ახლის შედგენა, ფრაზის დასასრულის მოფიქრება. ერთმანეთს უსვამდნენ

პრობლემურ კითხვებს, რაზეც ჰქონდათ საკუთარი პასუხი და ა.შ. სირთულის ხარისხი და დავალებების მრავალფეროვნება დამოკიდებულია მოსწავლეთა ჯგუფების შემადგენლობაზე, მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე, მასწავლებლის გამოცდილებაზე და ა.შ. ჩვენს მიერ დასახული ამოცანა - მოსწავლეთა პოტენციური შესაძლებლობების განვითარება, სამუშაოში აქტიური მონაწილეობა და ინტერესის გამოხატვა მთელი გაკვეთილის განმავლობაში - ჩვენი აზრით, მიღწეული იყო.

3. ჩართული კონტრუქციები ორიგინალში და თარგმანში (თ. დოსტოევსკის რომანის „იდიოტი“ და მისი ქართულ ენაზე თარგმანების მიხედვით)

ანოტაცია

პარენთიკული კონსრუქციების შესწავლა წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკური კვლევების აქტუალურ მიმართულებას, ვინაიდან შეიცვალა დარგის ორიენტაცია - ენობრივი სტრუქტურის შინაგანი აგებულების შესწავლიდან ენათნმეცნიერება გადავიდა იმის გარკვევაზე, თუ როგორ ასახავს ენა სინამდვილეში არსებულ ურთიერთობებს ადამიანური, პიროვნული ფაქტორის ჩათვლით. თანამედროვე ლინგვისტიკა ყალიბდება ზოგადად როგორც ანთროპოლოგიური მეცნიერება, შესაბამისად ენობრივი პროცესების შესწავლა მოითხოვს ენობრივი პიროვნების გათვალისწინებას. პარენთიკულ კონსტრუქციებში პიროვნული პარამეტრები წარმოდგენილია საკმაოდ კარგად - ემოტულობა, ხატოვნება, შეფასება, ინტენსივობა, სტილისტური მარკირება, მოდალობა და ა.შ. პარენტეზა, როგორც განსაკუთრებული სინტაქსური ერთეული, რომლის დელიმიტაცია ხორციელდება გრაფიკულად, განსხვავდებან წინადადების გართულების სხვა საშუალებებისაგან საკუთარი სრუქტურული, პოზიციური და კომუნიკაციურ-პრაგმატული თვისებებით. ამასთან მისი აგების დინსტინქტურ ნიშანს წარმოადგენს პუნქტუაციური გამოყოფა (ფრჩხილები და ორმაგი ტირე). რუსულისაგან განსხვავებით, ქართულ სინტაქსურ ტრადიციაში ერთი ტერმინის ქვეშ - ჩართული - გაერთიანებულია ორი ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ ფუნქციურად და კომუნიკაციურად განსხვავებული მოვლენა, რომლებიც პირობითად შეიძლება დავარქვათ „შესავალი სიტყვა და წინადადება“ [*საგედნიეროდ, ავარიის დროს არავინ დაშავებულა*] და ჩამატებული წინადადება [*ელგუჯას პირველად სპორტული განყოფილების (რომელიც არ არსებობდა) უფროსი შეარქვეს*]. ამასთან დაკავშირებით ჩნდება არა მარტო პარენთეზის ზეპირ და წერით მეტყველებაში სწორი გადმოცემის და გაფორმების პრობლემა თარგმანის დროს, არამედ იმ შენაარსის გადმოცემის პრობლება, რომელსაც რუსული ენის მატარებლები დებენ ამგვარ სინტაქსურ კონსტრუქციებში. წარმოდგენილ მოხსენებაში განხილულია პარენთეზის ფუნქციები მხატვრულ ტექსტში და ის, თუ რამდენად შენარჩუნებულია ეს ფუნქციები თარგმანის პროცესში. საილუსტრაციო მასალად გამოყენებულია თ. დოსტოევსკის რომანი „იდიოტი“ და მისი თარგმანები ქართულ ენაზე.

4. დისკუსია როგორც საგანმანათლებლო მოღვაწეობის ფორმა უმაღლეს სასწავლებლებში რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში

ანოტაცია

ცნობილია, რომ კომუნიკაციური სწავლის ერთ-ერთი პრინციპია სამეტყველო სიტუაციების არსებობა, ანუ სინამდვილის ისეთი სიტუაციების, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ესა თუ ის სამეტყველო რეაქცია. სხვისი საუბრის გაგება მნიშვნელოვანი უნარია, რომელსაც მოსწავლე იძენს სწავლის პროცესში. მასწავლებლის როლი, გარდა სხვა სასწავლო მიზნებისა, არის გაკვეთილზე კომუნიკაციისთვის პირობების შექმნა, როდესაც მოსწავლეები ერთობლივად (ჯგუფურად ან წყვილებში) წყვეტენ პრობლემას, რითაც ერთვებიან საერთო აქტივობაში. სწავლების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწორად შერჩეული ლიტერატურული ტექსტი, რომლის სიუჟეტში არის პრობლემა. სწორედ ეს პრობლემა შეიძლება გახდეს

განხილვის თემა. მასწავლებელი, მოსწავლეების მოსაზრებიდან გამომდინარე, წინასწარ განსაზღვრავს დისკუსიის თემას, მის მსვლელობას, გამოყოფს საკვანძო სიტყვებს, ასახელებს დისკუსიის მონაწილეებს, სვამს მოსახვედრ კითხვებს, რომლებიც შესაძლოა ახლდეს პრობლემის განხილვას. ტექსტთან მუშაობა გულისხმობს ყურადღების ფოკუსირებას სამეტყველო მოღვაწეობაზე, ანუ ტექსტებთან მუშაობა უზრუნველყოფს სწავლის მთავარი მიმართულების რეალიზაციას – აზროვნების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. რუსულის, როგორც უცხო ენის მასწავლებელი მთელი გაკვეთილის განმავლობაში უნდა ცდილობდეს შეინარჩუნოს აუდიტორიის ინტერესი, როგორც სხვადასხვა ტიპის ამოცანების, ისე ზოგადად სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობის მონაცვლეობით. ჩვენ სრულად ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ აუცილებელია „სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა ისეთი მასალებით, რომლებიც მოსწავლეებს მოსმენისა და აზროვნების სურვილს გაუჩენს. მოსწავლეები უნდა იყვნენ დაინტერესებულები. მოდელირებული, მასწავლებლის მიერ გაჟღერებული, უადრესატო ტექსტი არ გამოიწვევს მასზე დაფიქრების სურვილს. ეს იქნება ხელოვნური, არა კომუნიკაციური, მოსაწყენი“. მოხსენებაში მოცემულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან ჩატარებული პრაქტიკული გაკვეთილის მოთხრობების საფუძველზე აღწერა, რომელთა შინაარსი განხილვის მთავარ თემად იქცა.

5. მოსწავლის პოტენციური შესაძლებლობების განვითარება მხატვრული ტექსტის მასალაზე რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების მეშვეობით

ანოტაცია

სასწავლო მასალის ათვისების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების პრაქტიკულ მხარეს. ამიტომ, სიტუაციურ ტექსტებზე მუშაობის შემთხვევაში, უცხო ენის სწავლების სისტემაში წამყვანი ადგილი უკავია სანიმუშო სასწავლო დიალოგს, რომლის სტრუქტურასა და შინაარსში სამეტყველო ნიმუშია შემოტანილი. იმ სავარჯიშოებს შორის, რომლებიც ავითარებენ მოსწავლეთა კომუნიკაციურ უნარებს, გარკვეული ადგილი ეთმობა შესაბამისი დიალოგების გათამაშებას როლების მიხედვით, მათ შორის შემოთავაზებულ სიტუაციურ გარემოებებში. კომუნიკაციაზე ორიენტაციის პრინციპი გულისხმობს ენის, როგორც კომუნიკაციის საშუალების, მუდმივ გამოყენებას ზეპირ და წერილობით მეტყველებაში. ყველა შესწავლილი მასალა საინტერესო უნდა იყოს სტუდენტებისთვის, შეესაბამებოდეს მათ მიერ განხორციელებულ ამოცანებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კომუნიკაციის პროცესში მოსწავლეებმა არ გამოიყენონ დამახსოვრებული ფრაზები, არამედ შეძლონ სიტუაციაში ორიენტირება და ადეკვატური საუბრის წარმართვა. სწავლის ამ პრინციპების განხორციელებაში მთავარი როლი მასწავლებელს ეკუთვნის. სწორედ მან უნდა შეარჩიოს ისეთი მასალა, რომელიც მოსწავლეს საშუალებას მისცემს არა მხოლოდ გაიგოს ტექსტი, არამედ გადმოსცეს მისი შინაარსი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე და იმ პირობით, რომ დაეყრდნოს ტექსტის ნასწავლ მასალას. მასწავლებელმა უნდა მოამზადოს მოსწავლეები მოცემულ თემაზე დიალოგის წარმართვისთვის, უზრუნველყოს შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკული მასალის ცოდნა. სტატიაში წარმოდგენილია რუსულ ენაზე პრაქტიკული გაკვეთილის ჩატარების გამოცდილება კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციასთან დაკავში-რებულ თემაზე, კერძოდ, პოლიკლინიკაში კონსულტაციაზე. ეს მდგომარეობა დღესდღეისობით განსაკუთრებით აქტუალური გახდა ყველა ადამიანისთვის, განურჩევლად ასაკისა და ეროვნებისა.

6. მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის მნიშვნელობა რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების როლური თამაშების მეთოდების გამოყენებისას

ანოტაცია

სწავლების ყველაზე აქტიურ ინტენსიურ ტექნოლოგიებს შორის, რომლებსაც უნივერსიტეტში იყენებენ რუსულის როგორც უცხო ენის მასწავლებლები, არის სწავლების თამაშებრივი ტექნოლოგიები. ამასთან დაკავშირებით, სტუდენტების მეორე ენის შესასწავლად წახალისების ერთ-ერთი საშუალებაა როლური თამაშები, რომელიც იძლევა შემოქმედებითობის უამრავ შესაძლებლობებს და აყალიბებს აუცილებელ პროფესიულ თვისებებს. სტუდენტების მიერ რუსულ ენაზე სპეციალური ტექსტის გაგება არის უცხო ენის ცოდნის მაჩვენებელი, კერძოდ, რუსულის, როგორც სწავლების მეორე ენის. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია პროფესიული ტექსტის შესწავლა კულტურულოგიური შინაარსის შემოქმედებითი ამოცანების გამოყენებით, რადგან ერთფეროვანმა მუშაობამ ტექსტთან სპეციალობაში არამშობლიურ ენაზე შეიძლება შეამციროს სტუდენტების ინტერესი სასწავლო პროცესისადმი. მოსწავლეთა ენობრივი პიროვნების განვითარებისათვის დიდაქტიკური მასალის ერთ-ერთი მდიდარი წყაროა ვერბალური ხელოვნების მაგალითები. ცნობილია, რომ ზღაპარი პიროვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური საშუალებაა. მასში, როგორც წესი, არის ფარული მორალი, რომელიც გულისხმობს თითოეული მსმენელის მიერ ზღაპრის შინაარსის ინდივიდუალურ გადახედვას. ის ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეგნების განვითარებას და არ კარგავს აქტუალობას როგორც ბავშვებისთვის, ისე მოზრდილებისთვის. ზღაპრებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტების ენობრივი მომზადების პროცესში. ჩვენ გამოვიყენეთ ზღაპრები იურიდიული ფაკულტეტიდ სტუდენტებთან მუშაობისას. სტუდენტებს შევთავაზეთ ზღაპრის გადაკეთება შესაბამისი პროფესიული ლექსიკის გამოყენებით. ახალ ტექსტზე მუშაობის პროცესში მათ უწევდათ სიტუაციის მაქსი-მალურად მიახლოება რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციასთან, წარმოედგინათ ზღაპრის პროფესიული ვერსია. ასეთი სამუშაოს წარმატება, როგორც წესი, დამოკიდებულია ზოგადი პროფესიული მომზადების დონეზე, ასევე ენის ცოდნის დონეზე. ჩვენი გაკვეთილის მიზანი იყო სტუდენტების მომზადება იმ სიტუაციისთვის, რომელიც მათი მომავალი პროფესიის ნაწილია. სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობა განიხილება, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობის სახეობა, რომელიც ხორციელდება მასწავლებლის უშუალო მონაწილეობის გარეშე, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით და დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

მარიამ ფილინა, მაია თუხარელი

საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტების ხელმძღვანელობა და მონაწილეობა:

1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია `პოლონეთი - საქართველო. ორსუკუნოვანი დიალოგი~. ეძღვნება კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია“-ს დაარსებიდან 25 წლისთავს. თსუ და და საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო. საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტეის თავმჯდომარე (თბილისი, თსუ. 2022 წლის 06-07 ოქტომბერი).
2. საერთაშორისო კონფერენცია "პოლოური ციფრული ბიბლიოთეკის 10 წელი". ვარშავის უნივერსიტეტი. ვარშავა, 2022 წლის 16-18 ნოემბერი. სამეცნიერო კომიტეტეის წევრი.
3. პროფესორ დავით გოცირიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობებისა ს/ს ინსტიტუტი და სლავისტიკის ინსტიტუტი. თბილისი, თსუ, 2022 წლის 29 დეკემბერი. საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

საჯარო ლექციების ჩატარება:

მარიამ ფილინა. "მიხაილ ლოხვიცკის ცხოვრება და მოღვაწეობა". საჯარო ლექცია ჩერქეზული კულტურის ცენტრში. თბილისი, 28.04.2022 წ.

უცხოელ კოლეგებთან შეხვედრებისა და ლექციების ორგანიზება და გამართვა

1. ბორდოს (საფრანგეთი) უნივერსიტეტის დელეგაციასთან - პრორექტორ ანტუან ერტლესთან (რექტორის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობებში) და პროფ. ოლგა ბელოვასთან (სლავისტიკის დეპარტამენტის უფროსი, ასწავლის რუსეთისა და სსრკ-ს ისტორიას) და სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომლების შეხვედრის ორგანიზებაში მონაწილეობა (თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტთან ერთად). ასევე გაიმართა დელეგაციასთან შეხვედრა სტუდენტებთან სლავისტიკის ინსტიტუტში. 2022 წლის 18 მაისი.
2. სლავისტიკის ინსტიტუტის თანამშრომლებისა და სტუდენტების ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩთან საქართველოში პიოტრ მიკისკასთან და საელჩოს თანამშრომლებთან შეხვედრის ორგანიზებაში მონაწილეობა (თსუ ბიბლიოთეკის 1 კორპუსი, 28 აპრილი).
3. ჟეშოვის უნივერსიტეტის (პოლონეთი) პროფესორ ბარბარა სკოჩინსკა-პროკოპოვიჩთან თსუ-ს სლავისტიკის ინსტიტუტის და პოლონისტკის ცენტრის თანამშრომლებისა და სტუდენტების შეხვედრის ორგანიზება და გამართვა. 2022 წლის 18 მაისი.
4. ბიდგოშჩის ეკონომიკისა და ადმინისტრაციის უმაღლესი სკოლის (პოლონეთი) პროფესორებთან - ინსტიტუტის კანცლერ კშიშტოფ სიკორასთან და პროფ. ირინა კუდლინსკაიასთან და სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომლების და სტუდენტების შეხვედრის ორგანიზება. 2022 წლის 14 ოქტომბერი.
5. სლავისტიკის ინსტიტუტის სტუდენტებისთვის სალექციო კურსის ორგანიზება ტიმიშაორის უნივერსიტეტის (რუმინეთი) მასწავლებლის ელენა ბეჟანის მიერ, რომელიც ჩამოვიდა გაცვლითი პროგრამით ერასმუსის ფარგლებში (Erasmus Teaching mobility 2022 წლის 26-30 დეკემბერი.

6. პოდკარპატსკის სავოევოდოს ვიცე-მარშალთან (პოლონეთი) პიოტრ პლიჩთან და სავოევოდოს ადმინისტრაციის დელეგაციასთან და სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის/პოლონისტიკის ცენტრის თანამშრომლების შეხვედრის ორგანიზება. 2022 წლის 04 დეკემბერი.

სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა:

1. საქართველოში პირველი უკრაინელი დიპლომატის, პირველი კონსულის, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში უკრაინის საელჩოს დამაარსებლის (1919-1921 წწ.), ივან კრასკოვსკის შესახებ ბიოგრაფიული წიგნის „ივან კრასკოვსკი ბელორუსის და უკრაინის სამსახურში“ პრეზენტაციის ორგანიზება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში -**29. 03.2022** წ. წიგნის პრეზენტაციას პოლონეთიდან მეცნიერთა დელეგაცია დაესწრო. მოხსენებები წაიკითხეს მონოგრაფიის ავტორებმა და რედაქტორებმა. ღონისძებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში მარიუშ მაშკევიჩი, ლიეტუვის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ანდრიუს კალინდრა, საქართველოში უკრაინის საელჩოს პირველი მდივანი კულტურის საკითხებში ტატიანა კოლოტილოვა, პოლონელი, უკრაინელი, ლიეტუველი და ქართველი პროფესორები, სტუდენტები დაესწრნენ.

2. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში კავშირი „პოლონია“-ს 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს და კონცერტის ორგანიზება და ჩატარება. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **პროფ. მარიუშ მაშკევიჩი,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, **პროფ. ნუნუ მიცკევიჩი,** რომელიც „პოლონიის“ დაარსების დღიდან არის კავშირის წევრი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახ. უნივერსიტეტის რექტორი **არქიმანდრიტი ადამ ვახტანგ ახალაძე, პროფ. დანუტა ოსოვსკა** (ვარმია-მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი), მეცნიერებები პოლონეთიდან, საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მღვდელმსახურები, თბილისის საკრებულო წევრები, ჟურნალისტები. კონცერტში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი მუსიკოსები, მათ შორის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე პროფ. გიორგი შავერზაშვილი. თბილისი, **07.10.2022 წ.**

ჯილდოები

მარიამ ფილინა ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედალი (საქართველო) – 2022.

ყურადღება!

* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის

გამოქვეყნებული შრომების სია

(2022)

1. **ალექსიძე მ.,** გურული ლ. დისკუსიის წარმართვის უნარ-ჩვევების განვითარება უმაღლეს სასწავლებლებში რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში. ISSN 1512-4363; EAN 9771512 43 6007. კულტურათშორისი კომუნიკაციები. საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა, № 352. თბილისი, უნივერსალი

2. **ალექსიძე მ.,** გურული ლ. სიტუაციურ ტექსტებე მუშაობა რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში. ISSN 2523-4684; e-ISSN 2791-1241. Arts Academy. სამეცნიერო ჟურნალი.#1 (1), 2022, მარტი. ნურ-სულტანი (ყაზახეთი)

3. **ბასილაია ნ.** ობლომოვი ფსიქოლინგვისტური და ლექსიკურ-სემანტიკური ტექსტის ანალიზის პრიზმაში. А.И. Гончаров; русская и национальные литературы. Ереван, 2022. Издательский дом «Лусабац»

4. **ბასილაია ნ.,** ანდრაზაშვილი მ. ტექსტის კულტურული შრეების გადმოცემის სპეციფიკა თარგმანში. ISSN 1987-7323, E-ISSN 27 20-7900. VII საერთაშორისო სამეცნიერო (დისტანციური) კონფერენციის "ენა და კულტურა" შრომები. ჰუმანიტარულ და პედაგოგიურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი: **2022**.

5. **ფილინა მ.** პოლონური მემკვიდრეობა საქართველოში (Polska spuścizna w Gruzji) (პოლონურ ენაზე). ISBN 978-9941-33-396-5. პროექტის ავტორი, მთავარი რედაქტორი და 29 წერილის ავტორი. თბილისი, უნივერსალი

6. **ფილინა მ.** მეცნიერი-ჯადოსანი დავით გოცირიძე. ISSN 1512-2972. ჟურნალი „რუსული კლუბი“, თბილისი, 2022, # 2.

7. **კანდელაკი დ.** Межэтнические конфликты на Кавказе: путевые заметки Клода Анэ. HISTORY, ARCHAEOLOGY, ETHNOLOGY, [S.l.], n. VIII, p. 209-217, XII, **2022.** Online ISSN: 2449-285X

8.**კანდელაკი დ.** Сведения Клода Анэ о революции 1905 года в Крыму и на Кавказе. Научный сборник международной научной конференции «Украина-Грузия: диалог культур и цивилизаций». Киев. 2022.

ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

სამეცნიერო ერთეულის სტრუქტურა და პერსონალური შემადგენლობა:

ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი: დემურ ჯალაღონია პროფესორი

ფილოსოფიის ისტორიის კათედრა

1.ლელა ალექსიძე – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

2.მამუკა სურმავა – ასოცირებული პროფესორი

თეორიული ფილოსოფიის კათედრა

3. ვალერიან რამიშვილი-პროფესორი (კათედრისხელმძღვანელი)

4.ნაპო კვარაცხელია – ასოცირებული პროფესორი

5. ელიზბარ ელიზბარიძვილი – ასოცირებული პროფესორი (არ ეხება ანგარიში-კონკურსით არჩეულიიქნა სექტემრის ბოლოს)

პოლიტიკური ფილოსოფიის კათედრა

6. დემური ჯალაღონია-პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

7. მამუკა დოლიძე – ასოცირებული პროფესორი

ესთეტიკის და კულტურის ფილოსოფიის კათედრა

8.აკაკი ყულიჯანიშვილი-პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

9.ნანა გულიაშვილი-ასისტენტ.პროფესორი

ეთიკის და რელიგიის ფილოსოფიის კათედრა

10.ირაკლი ბრაჭული – ასოცირებული პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)

11.ანასტასია ზაქარიაძე – ასოცირებული პროფესორი

- შემდგომში, აღნიშნული რიცხვითი ნუმერაციით ნაჩვენები იქნება პროფესორების აქტივობები

1.დემური ჯალაღონია-პროფესორი

2.ლელა ალექსიძე – პროფესორი

3.ვალერიან რამიშვილი-პროფესორი

4.აკაკი ყულიჯანიშვილი-პროფესორი

5.ანასტასია ზაქარიაძე – ასოცირებული პროფესორი
6.ირაკლი ბრაჭული – ასოც. პროფესორი
7.ნაპო კვარაცხელია – ასოცირებული პროფესორი
8.მამუკა დოლიძე – ასოცირებული პროფესორი
9.მამუკა სურმავა – ასოცირებული პროფესორი
10.ნანა გულიაშვილი-ასისტენტ.პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2.1 ხედვის თეორია პლატონიზმში (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია, 2022-2025)
2.2 შუა საუკუნეების ფილოსოფია (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია; დამხმარე სახელმძღვანელო, 2020-2023)
2.3 ანტიკური ფილოსოფია 11-12-ე საუკუნეების ბიზანტიურ
2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
2.1 ლელა ალექსიძე
2.2 ლელა ალექსიძე
2.3 ლელა ალექსიძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
2.1. ხედვის თეორია პლატონიზმში (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია,
დამუშავდა თემები შემდეგ საკითხებზე: (ა) "ხედვის თეორია მარსილიო ფიჩინოსთან" ("რა არის ნათელი" და პლატონის "ნადიმზე" კომემტარის - "სიყვარულის შესახებ" - მეოთხე სიტყვის მიხედვით; წარმოდგენილი იყო თსუ ფილოსოფიის დღისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე 2022 წლის ნოემბერში, მზადდება სტატიის სახით დასაბეჭდად; (ბ) "ხედვის თეორია იოანე პეტრიწთან და ნიკოლოზ კუზელთან", ამ უკანასკნელის "ღმერთის ხედვისა" და "ჭვრეტის მწვერვალის შესახებ" მიხედვით. წარმოდგენილი იყო გერმანულ ენაზე მოხსენების სახით ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტის ფონდის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე თსუ-ში 2022 წლის ნოემბერში, თეზისები გამოქვეყნდა კონფერენციის მასალების სახით, მზადდება სტატიის სახით გამოსაცემად გადასაცემად. (3) მომზადდა და წაკითხული იქნა მოხსენება თემაზე "ლეონარდო და ვიჩნის 'თვალის ქება' და ხედვის თეორია რენესანსის პლატონიზმში". მოხსენება წაკითხულ იქნა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშირისო კონფერენციაზე 2022 წლის დეკემბერში. მოხსენება სტატიის სახით გადაეცა ბათუმის უნივერსიტეტს ელექტრონული პუბლიკაციისთვის, ღია წვდომითა და 'დოი'-ს მინიჭებით, ტექსტი ქართულ ენაზე, რეზიუმე ინგლისურ ენაზე. სამივე ნაშრომი ამდიდრებს ჩვენს

ცოდნას ხედვის თეორიის შესახებ შუა საუკუნეებსა და რენესანსის ფილოსოფიაში, სახავს პერსპექტივას ქართული ტექსტის განხილვისა შუა საუკუნეებისა და დასავლური რენესანსის კონტექსტში, ანტიკურ (ნეო)პლატონიზმთან მიმართებით, იძლევა საშუალებას ფილოსოფიისა და ხელოვნების თეორიის ინტერდისციპლინარულ ჭრილში კვლევისა.

2.2 შუა საუკუნეების ფილოსოფია (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია; დამხმარე სახელმძღვანელო,
შეგროვდა დამატებითი მასალები და კოლეგებთან დისკუსიებში დაიხვეწა გეგმა შუა საუკუნეების ფილოსოფიაში დაგეგმილი დამხმარე სახელმძღვანელოს სტრუქტურისა და ფორმის შესახებ. ნაშრომის შედეგი იქნება სასარგებლო შუა საუკუნეების ფილოსოფიით დაინტერესებული პირებისა და პროფესიონალურ დონეზე მისი შემსწავლელებისთვის.
2.3 ანტიკური ფილოსოფია 11-12-ე საუკუნეების ბიზანტიურ
(ა) დამუშავდა თემა სათაურით "რატომ იყო პლატონი უკეთესი ვიდრე არისტოტელე იოანე პეტრიწისთვის?" თემა წარმოდგენილი იყო ინგლისურ ენაზე მოხსენების სახით ბერძნული ფილოსოფიის მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაზე მადრიდის უნივერსიტეტში 2022 წლის აპრილში. (ბ) დამუშავდა თემა "არისტოტელე მე-12 საუკუნეების კომენტარებში პროკლეს 'თეოლოგიის საფუძვლებზე'". თემა მოიცავს არისტოტელეს გაგების ანალიზს იოანე პეტრიწისა და ბიზანტიელი ნიკოლოზ მეთონელის კომენტარებში პროკლეს აღნიშნულ ნაშრომზე. თემა წარმოდგენილი იყო ინგლისურ ენაზე მოხსენების სახით ათენში გამართულ ნეოპლატონური კვლევების საერთაშორისო საზოგადოების ყოველწლიურ კონეფერენციაზე 2022 წლის ივნისში. სტატიის სახით მოხსენება გადაცემულია დასაბეჭდად პლატონური საზოგადოების კრებულისთვის. (გ) მომზადდა პროექტი "ძველი ბერძნული ფილოსოფია 11-12-ე საუკუნეების ბიზანტიელ და ქართველ მოაზროვნეებთან" და წარდგენილ იქნა 2022 წლის სექტემბერში გრანტის მოსაპოვებლად კონკურსზე "ევროკავშირი საქართველოსთვის - მობილობის გრანტები ქართველი მკვლევარებისთვის". მთლიანი სამუშაო ამდიდრებს ჩვენს ცოდნას შუა საუკუნეების აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს მიერ (ქართულის ჩათვლით) ანტიკური მემკვიდრეობის ათვისებისა და ინტერპრეტაციის შესახებ.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2.1. არისტოტელე ნეოპლატონურ კონტექსტში: მიქაელ ფსელოსი, ნიკოლოზ მეთონელი, იოანე პეტრიწი (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია, 2021-2022)
2. 2. მიზეზობრიობა იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია, 2018-2022)
2.3. განგებისა და ბედისწერის პრობლემა იოანე პეტრიწთან (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია, 2020-2022)

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
2.1. ლელა ალექსიძე

2.2.ლელა ალექსიძე

2.3 ლელა ალექსიძე

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.1არისტოტელე ნეოპლატონურ კონტექსტში: მიქაელ ფსელოსი, ნიკოლოზ მეთონელი, იოანე პეტრიწი (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია)

2.2 მიზეზობრიობა იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია, ვრცელი სტატიის სახით (ინგლისურ და ქართულ ენებზე) მოხსენება გადაეცა ილიას უნივერსიტეტს შუა საუკუნეების ფილოსოფიაში არისტოტელეს შესახებ კრებულში დასაბეჭდად. ნაშრომი ამდიდრებს საერთაშორისო მეცნიერული საზოგადოების ცოდნას არისტოტელეს რეცეფციის შესახებ აღნიშნული ეპოქის ბიზანტიურ და ქართულ ფილოსოფიურ ტექსტებში.

2.3. განგებისა და ბედისწერის პრობლემა იოანე პეტრიწთან (ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია სტატია გამოქვეყნდა 2022 წელს ინგლისურ ენაზე კრებულში, რომელიც ეძღვნება პროკლეს "თეოლოგიის საფუძვლებისა" და "მიზეზთა წიგნის" კვლევას, მე-3 ტომი, რედაქტორი დრაგოს კალმა. (იხ. პუბლიკაციები). ნაშრომი არსებითად ხელს უწყობს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას იოანე პეტრიწის ფილოსოფიას, კერძოდ, მის თეორიას მიზეზობრიობის შესახებ გაეცნოს ანტიკური ნეოპლატონიზმის კონტექსტში და მომავალში იკვლიოს პეტრიწის თეორიის მიმართება შუა საუკუნეების დასავლურ, აღმოსავლურ-ქრისტიანულ და ისლამურ ფილოსოფიურ ტრადიციებთან.

2.4. **სტატია "განგება და ბედისწერა იონაე პეტრიწთან" ინგლისურ ენაზე იბეჭდება კრებულში "პლატონიკოსები და მათი მემკვიდრეები",** რედ. კენ პარი (ავტრალიის უნივერსიტეტი), ბრილის გამომცემლობა. ნაშრომი ამდიდრებს ქართული მასალით საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების (განსაკუთრებით, პლატონური ტრადიციის მკვლევრების) ცოდნას განგებისა და ბედისწერის თემებზე და იძლევა საშუალებას, პეტრიწის თეორია განხილულ იქნას როგორც ანტიკური ნეოპლატონიზმის კონტექსტში, ასევე შუა საუკუნეების დასავლურ და ბიზანტიურ ფილოსოფიურ თეორიებთან მიმართებებში.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.1 „ანთიმოზ ივერიელი-ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი" (# FR-19-7625) ფუნდამენტური კვლევები/ ფილოსოფია, 2020 მარტი-2022 მარტი

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.1 პროექტის ხელმძღვანელი-ანასტასია ზაქარიაძე

პროექტის კოორდინატორი -გიორგი გრიგოლაშვილი
პროექტის ძირითადი პერსონალი:
დემურ ჯალაღონია, დეკანოზი ალექსი ქშუტაშვილი,
ირაკლი ბრაჭული, ვალერიან რამიშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.1 კვლევის დასკვნით ეტაპზე გაგრძელდა მუშაობა კვლევის შედეგების შემაჯამებელ 3 ტომზე. გამოიცა სამივე ტომი. პირველ ტომში განთავსდა რუმინული და ბერძნული ენებიდან თარგმნილი და ვრცელი აკადემიური აპარატურით აღჭურვილი ანთიმოზ ივერიელის თხზულებების -„ძველი და ახალი აღთქმის სახეები“, “პოლიტიკური რჩევები ქრისტიანს“, „ყოველთა წმინდათათა სახელობის მონასტრის მშენებლობასთან დაკავშირებით“ , ანთიმოზ ივერიელის ლოცვები, ანთიმოზ ივერიელის პოეზია, ანთიმოზის ფაქსიმილეები რუმინულ, ბერძნულ და ძველ სლავურ ენებზე, ანთიმოზ ივერიელის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, და ასევე თანამედროვეთა წერილები ანთიმოზ ივერიელის შესახებ და ანთიმოზ ივერიელის წმინდანად კანონიზირებასთან დაკავშირებული რუმინეთის წმინდა სინოდისა და სხვა დადგენილებები . ტომს დაერთო ვრცელი კომენტარები,. წიგნის ავტორები: ანასტასია ზაქარიაძე, ირაკლი ბრაჭული, ვალერიან რამიშვილი, ალექსი ქშუტაშვილი, დემურ ჯალაღონია. რედაქტორი: აკადემიკოსი, რისმაგ გორდეზიანი. რეცეზენტები: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვანო ჭიაურელი, თეოლოგიის დოქტორი, დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია; ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი ვიორელ ვიზურეანუ (გრანტის უცხოელი კონსულტანტი). თბილისი, 2022 წელი. ISBN 978-9941-8-4125-5

მეორე ტომში განთავსდა კვლევის შედეგების ამსახველი მონოგრაფია - ,,ანთიმოლოგიური შტუდიები- ტრადიცია და პერსპექტივები“. მონოგრაფიის ავტორები: ანასტასია ზაქარიაძე, ირაკლი ბრაჭული, ვალერიან რამიშვილი, ალექსი ქშუტაშვული, დემურ ჯალაღონია. რედაქტორი: პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი ირაკლი ბათიაშვილი, რეცეზენტები: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი მირიან ებანოიძე, თეოლოგიის დოქტორი, დეკანოზი ლევან მათეშვილი; ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი ვიორელ ვიზურეანუ (გრანტის უცხოელი კონსულტანტი). თბილისი, 2022 წელი. ISBN 978-9941-8-4123-1 13.

მესამე ტომი ,, ანთიმოზ ივერიელი- რჩეული თხზულებები“დაეთმო ანთიმოზ ივერიელის რჩეული თხზულებების სამენოვანი პარალელური ტექსტების ქართულ, რუმინულ და ინგლისურ ენაზე კრებულს. მასში განთავსდა ანთიმოზ ივერიელის ტექსტები ინგლისური თარგმანი, რომელიც შესრულდა პირველად. აღნიშნული ნაშრომი ხელს უწყობს კვლევის შედეგების ინტენრაციონალიზაციას და ანთიმოზ ივერიელის შემოქმედების განცობას საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში. რედაქტორი: აკადემიკოსი, რისმაგ გორდეზიანი. ინგლისური თარგმანის სამეცნიერო რედაქტორი - პროფესრი მაიქლ ვიქერსი. ოქსფორდის უნივერსიტეტის იესოს კოლეჯის დეკანი. რუმინული ტექსტების რედაქტორი: თეოლოგიის დოქტორი, არქიმანდრიტი მიქაელ სტანჩუ. ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი ვიორელ

ვიზურეანუ (გრანტის უცხოელი კონსულტანტი). თბილისი, 2022 წელი. ISBN 978-9941-8-4124-8.
გაგრძელდა ანთიმოზ ივერიელის ელექტრონული ბიბლიოთეკის მართვა. მასში განთავსდა ელექტრონული წიგნები, მათ შორის პროექტით გათვალისწინებული ანთიმოზ ივერიელის თხზულებების თარგმნილი და კომენტირებული ტექსტები.
მომზადდა და მიღებულ იქნა დასაბეჭდად კვლევის ამსახველი პუბლიკაცია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემაში.
ორგანიზდა ანთიმის კუთხე. მასში განთავსდა ანთიმის პერიოდის არტეფაქტების ასლები, და სამუზემო ექსპონატებისასლები ,მონოგრაფიების, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში მოიპოვებული მდიდარი მასალა, ასევე შეძენილი და საჩუქრად მიღებული წიგნები.
პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება ჩატარდა 2022 წლის 4 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ფართო საზოგადოების წინაშე წარმოდგენილ იქნა გრანტის ფარგლებში მიღწეული კვლევების შედეგები. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელმძღვანელი ბატონი ჯაბა სამუშია, საუნივერსიტეტო აკადემიური წრეების წარმომადგენლები, თსუ პრორექტორი ნინო ოკრიბელაშვილი, სტუდენტები, სასულიერო პირები, პრეზენტაციისათვის რუმინეთიდან სპეციალურად ჩამობრძანდა გრანტის უცხოელი კონსულტატი ბუქარესტის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი პროფ. ვიორელ ვიზურეანუ, ამავე უნივერსიტეტის ერაზმუს+ პროექტის ხელმძღვანელი, კულტურულ ურთიერთობათა კათედრის გამგე ლილიან ჩრჩელი, საქართველოში რუმინეთის საელჩოს წარმომადგენელი, ელჩის მოადგილე ბატონი დრაგოს ისპასი, დაინტერესებული საზოგადოება. პროექტის ხელმძღვანელმა და პროექტის ფარგლებში გამოცემული წიგნების სამეცნიერო რედაქტორებმა და რეცენზენტებმა. ასევე მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს ჩატარებულ სამუშაოზე და გამოცემულ წიგნებზე. პრეზენტაციის ამსახველი სიუჟეტი გავიდა არხზე“ერთსულოვნება“, ინფორმაცია გავრცელდა თსუ ფეისბუქსა და ვებგვერდზე.

2.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ა. ზაქარიაძე, ი. ბრაჭული, ვ.რამიშვილი, ა.ქშუტაშვილი, დ. ჯალაღონია. მონოგრაფია „ანთიმოლოგიური შტუდიები-ტრადიცია და პერსპექტივები“ ISBN 978-9941-8-4123-1, თბილისი, ლოგოსი. გვ.236
2. ა. ზაქარიაძე, ი. ბრაჭული, ვ.რამიშვილი, ა.ქშუტაშვილი, დ. ჯალაღონია.,,ანთიმოზ ივერიელი- თხზულებები. ტომი 2. თარგმნა, კომენტირება, რედაქტირება, თბილისი, ლოგოსი. გვ.303
3. ა. ზაქარიაძე, ი. ბრაჭული, ვ.რამიშვილი, ა.ქშუტაშვილი, დ. ჯალაღონია. ,,ანთიმოზ ივერიელი რჩეული თხზულებები“. - სამენოვანი პარალელური ტექსტები. თარგმნა, კომენტირება, რედაქტირება, თბილისი, ლოგოსი. გვ.209
4. ირაკლი ბრაჭული, „რა არის ფილოსოფია“,გამომცემლობა ლოგოსი, თბილისი, წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი, გვ. 138.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მონოგრაფიაში **„ანთიმოლოგიური შტუდიები-ტრადიცია და პერსპექტივები“** აისახა საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები. ჩატარებული ინტერდისციპლინრი და ჰომილისტურ-პანორამული შტუდიების შედეგების შეჯამებამ გამოავლინა: პრემოდერნული ევროპული კულტურის ერთ-ერთი „ქტიტორული“ ფიგურანტი ანთიმოზ ივერიელი, რომელიც ცდილობდა, მოეცა კულტისა და კულტურის სინთეზი;
ანთიმოზ ივერიელი წარმოჩნდა როგორც გამოჩენილი კანონისტი, საგანმანათლებლო, სამეურნეო, საქველმოქმედო და მისტიკური ასპექტების ახალი ალიანსის სამართლებრივად გამფორმებელი;
ესთეტიკური თეორიისა და პრაქტიკის ნოვატორმა შექმნა პოეზისის - პოლისისა - და თეოზისის ანსამბლი; ანთიმოზის პოლიტიკურ-თეოლოგიური დისკურსი წარმოადგენს სოციალური და პოლიტიკური დისკურსების, კონტრაქტული და მეტაკონტრაქტული საწყისების სინთეზს;ფერისცვალების შესახებ ქადაგებაში ონტოლოგიური დიფერენცის თეოლოგიური ეკვივალენციების შემქმნელი; შტუდიებში გამოვლენილი ახალი ნარაციული კოდების, კონტურებისა და წახნაგების შედეგად გაიხსნა პერპექტივები მხატვრული

მოდელირებისათვის; კვლევის გაგრძელების პერსპექტივები პრემოდერნული და პოსტმოდერნული ჰუმანიზმის კომპარატიული ანალიზისათვის.

2. პირველ ტომში განთავსდა რუმინული და ბერძნული ენებიდან თარგმნილი და ვრცელი აკადემიური აპარატურით აღჭურვილი ანთიმოზ ივერიელის თხზულებების -„ძველი და ახალი აღთქმის სახეები“, “პოლიტიკური რჩევები ქრისტიანს“, „ყოველთა წმინდათათა სახელობის მონასტრის მშენებლობასთან დაკავშირებით“ , ანთიმოზ ივერიელის ლოცვები, ანთიმოზ ივერიელის პოეზია, ანთიმოზის ფაქსიმილეები რუმინულ, ბერძნულ და ძველ სლავურ ენებზე, ანთიმოზ ივერიელის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, და ასევე თანამედროვეთა წერილები ანთიმოზ ივერიელის შესახებ და ანთიმოზ ივერიელის წმინდანად კანონიზირებასთან დაკავშირებული რუმინეთის წმინდა სინოდისა და სხვა დადგენილებები . ტომს დაერთო ვრცელი კომენტარები,. წიგნის ავტორები: ანასტასია ზაქარიაძე, ირაკლი ბრაჭული, ვალერიან რამიშვილი, ალექსი ქშუტაშვილი, დემურ ჯალაღონია. რედაქტორი: აკადემიკოსი, რისმაგ გორდეზიანი. რეცეზენტები: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვანო ჭიაურელი, თეოლოგიის დოქტორი, დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია; ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი ვიორელ ვიზურეანუ (გრანტის უცხოელი კონსულტანტი).

3. ,, **ანთიმოზ ივერიელი- რჩეული თხზულებები“** დაეთმო ანთიმოზ ივერიელის რჩეული თხზულებების სამენოვანი პარალელური ტექსტების ქართულ, რუმინულ და ინგლისურ ენაზე კრებულს. მასში განთავსდა ანთიმოზ ივერიელის ტექსტები ინგლისური თარგმანი, რომელიც შესრულდა პირველად. აღნიშნული ნაშრომი ხელს უწყობს კვლევის შედეგების ინტენრაციონალიზაციას და ანთიმოზ ივერიელის შემოქმედების განცობას საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში. რედაქტორი: აკადემიკოსი, რისმაგ გორდეზიანი. ინგლისური თარგმანის სამეცნიერო რედაქტორი - პროფესრი მაიქლ ვიქერსი. ოქსფორდის უნივერსიტეტის იესოს კოლეჯის დეკანი. რუმინული ტექსტების რედაქტორი: თეოლოგიის დოქტორი, არქიმანდრიტი მიქაელ სტანჩუ. ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი ვიორელ ვიზურეანუ (გრანტის უცხოელი კონსულტანტი).

4. ფილოსოფიის დამწყებთათვის განკუთვნილი ეს წიგნი პოპულარული ენით გვიამბობს ფილოსოფიის საწყისებზე, ღრმა, განვითარებულ აზროვნებაზე, რომელიც ყოველთვის, ყველა ასაკში „დამწყებია“ და ამიტომაცაა საწყისური. საერთაშორისო ენებზე ძალიან ბევრი წიგნი იწერება იმასათვის რომ ფილოსოფიის მკითხველთა წრემ იარსებოს, ქართულად კი ძალზედ ცოტა, ამ „სიცოტავის“ ნაწილობრივ შესავსებად გამოიცა ეს წიგნი, ის არ არის გათვალისწინებული მხოლოდ ერთი რომელიმე ასაკობრივი ჯგუფისათვის, საერთოდ დამწყებთათვისაა, მაში მკითხველი გაეცნობა ფილოსოფიის აზროვნების სპეციფიკურ პოსტულატებს, ფილოსოფიურ სკოლებს და ფილოსოფიის დანიშნულებას თანამედროვე სამყაროში.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

2.1. Lela Alexidze, "Cause and Effect in Ioane Petritsi's *Commentary* on Proclus' *Elements of Theology*", in *Reading Proclus and the* Book of Causes, Volume 3: *On Causes and Noetic Triad.* Edited by Dragos Calma, Leiden/Boston, Brill, 2022, pp. 178-199. (ISSN 1871-188X; ISBN 978-90-04-50132-4 (hardback); ISBN 978-90-04-50133-1 (e-book) open access)

4.1 აკაკი ყულიჯანიშვილი, ჟ.დერიდა ენის დეკონსტრუქცია ლოგოცენტრიზმის კრიტიკა. ჟურნალი ,,ენა და კულტურა". ქ. ქუთაისი

9.1 ო, ტაბიძის ფილოსოფიური შეხედულებები („ ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის ენციკლოპედია", 5 გვერდი) encyclopedia.ge/ka

10.1. ნანა გულიაშვილი ,,ენა, როგორც გზა რეალობისკენ (პლატონი). ,,ენა და კულტურა". ქ.ქუთაისი 03.2022. 5 .გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.1.სტატიაში გამოკვლეულია მიზეზობრიობის თემა იოანე პეტრიწის კომენტარებში პროკლეს "თეოლოგიის საფუძვლებზე" სხვადასხვა ასპექტით. ესენია: (ა) მიზეზობრიობის ძირითადი პრინციპები პეტრიწთან, (ბ) მიზეზ-შედეგობრიობა არსება-ძალა-მოქმედება ტრიადის ურთიერთქმედებაში; (გ) წესრიგი მიზეზ-შედეგობრივ იერარქიაში და ზიარების მექანიზმი; (დ) 'ვნების' ('პათოსი', ზემოქმედება) პოზიტიური ასპექტი შედეგებისთვის; (ე) მიზეზი, განხილული მის შედეგებში და შედეგები განხილული მათ მიზეზში: შედეგების 'არსებობის' სამი სახეობა; (ვ) '*ეპისტროფე*' – 'უკუქცევა': შედეგი უბრუნდება საკუთარ თავს ანუ თავის მიზეზს; სიყვარული შედეგსა და მიზეზს შორის ურთიერთობის კონტექსტში; (ზ) იგივეობა, მსგავსება და განსხვავება მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებში და მიზეზის პროდუქტიულობა: (თ) მიზეზი როგორც 'აობა' ანუ მარტივი ექსისტენცია - არსებობა და არსთა გარკვეული/ფორმისეული არსებობის მიზეზები. კვლევის შეჯამება: მიზეზ-შედეგობრივი მიმართება პეტრიწის კომენტარის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი თემაა. ის მნიშვნელოვანია პეტრიწისთვის არსთა ონტოლოგიური იერარქიის ყველა დონეზე, დაწყებული უზენაესი ტრანსცენდენტური ერთით და დამთავრებული უფორმო მატერიით. პეტრიწი იზიარებს პროკლეს ძირითად პრინციპებს, რომლის თანახმად მიზეზი მეტია შედეგზე და რაც უფრო 'მაღალია' მიზეზი, მით უფრო შორსმწვდომია მისი ძალა. უზენაესი ერთი, ერთი მხრივ, ტრანსცენდენტურია, მეორე მხრივ კი მიზეზია ყველაფრისა და მისი ზემოქმედება პირველ მატერიამდეც ვრცელდება. უზენაესი ერთის ტრანსცენდენტური ასპექტის მის მიზეზობრიობასთან შესათანხმებლად, პეტრიწმა, როგორც ჩანს სცადა 'მეორე ერთის' შემოყვანა, რომელიც უზენაესი ერთის შემდგომ არის და წინ უსწრებს ჰენადებს. ეს, სავარაუდოდ, არის არა დამოუკიდებელი ჰიპოსტასი, არამედ უზენაესი ერთის 'მეორე ასპექტი', თავად ამ ტრანსცენდენტური ერთისგან, ფაქტობრივად, გაუმიჯნავი, რომელიც,

ამავე დროს, უზრუნველყოფს მის ‘გადაცემადობას’ ტრანსცენდენტური ზე-არსებითობიდან მისივე პროდუქტიულობასა და მიზეზობრივ მოქმედებაზე, ანუ იმას, რომ შედეგები მას ეზიარონ ისე, რომ თავად უზიარებელი დარჩეს.

4.1.ჟ.დერიდა ენის დეკონსტრუქცია ლოგოცენტრიზმის კრიტიკა. ჟურნალი ,,ენა და კულტურა“. ქ. ქუთაისი

.ნაშრომში გრამატოლოგიის შესახებ ტერმინი ,,დეკონსტრუქცია’’ დერიდამ პირველად გამოიყენა. ტერმინი ,,დეკონსტრუქცია“ თავისი შინაარსით განსხვავდება ტერმინ ,,დესტრუქციის“ შინაარსისგან. თუ დესტრუქციის შინაარსში მოიაზრება დაშლა, ,,დეკონსტრუქციის“ შინაარსში იგულისხმება ნაწილების მთელთან მიმართება და გაგების პროცესი.

დეკონსტრუქცია ერთგვარი დამტკიცებაა იმისა, რომ ნებისმიერ ტექსტში არსებობს ორაზროვნებისა და გადაუწყვეტელობის აუცილებელი ნიშნები, რომლებიც ღალატობენ ავტორის მიერ ამ ტექსტში ჩადებულ აუცილებელ მნიშვნელობას.

დეკონსტრუქციის ზუსტი და ადეკვატური განსაზღვრება შეუძლებელია, ასეთი განსაზღვრება ეწინააღმდეგება თავად დერიდას მეთოდოლოგიურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ზუსტი მნიშვნელობები სიტყვებს არ აქვთ., განსაზღვრულ და საბოლოო მნიშვნელობამდე ან მიზნამდე დაყვანის მცდელობა პარადოქსია, როცა ეს დაფუძნებულია მთლიანად სხვის გამოვლენისა და ალტერნატიული შესაძლებლობებისკენ გზის გახსნის სურვილზე. იგია მნიშვნელობებისა და მიზნების მუდმივი გახსნა თავიანთი ალტერ ეგოსკენ, რომელიც სხვაა და რომლისკენაც ისინი იცვლებიან .

9.1 ო, ტაბიძის ფილოსოფიური შეხედულებები სტატიაში მიმოხილულია საბჭოთა პერიოდის ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, ოთარ ტაბიძის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ძირითადი ეტაპები (მის მიერ ფსიქოლოგიური პრობლემების კვლევის პერიოდიდან მოყოლებული და ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრობლემების კვლევის პერიოდით დამთავრებული). გაანალიზებულია მისი მონოგრაფიის „ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები“ ძირთადი შედეგები. კერძოდ, ავტორის მიერ ბიჰევიორიზმის ინტერპრეტაციის არსებითი ასპექტები (ნეგატიური და პოზიტიური) და ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის მისეული შეფასების თავისებურებები. კვლევაში ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ ო. ტაბიძე საკმარისად არ თვლის ბიჰევიორიზმის მექანიცისტური ხასიათის კრიტიკას, არამედ მხედველობაში იღებს მის ონტოლოგიურ-რედუქციონისტულ ბუნებასაც. აქვე აღნიშნულია ისიც, რომ აქედან გამომდინარე, ქართველი ფილოსოფოსისათვის პრინციპულ მნიშვნელობას იღებს ბიჰევიორიზმის დახასიათება პრაგმატიზმთან კავშირში, ასევე, ლოგიკურ პოზიტივიზმსა და ოპერაციონალისტურ ფილოსოფიურ თეორიაში ბიჰევიორიზმის დასაბუთების კრიტიკული ანალიზი. სტატიაში ყურადღება ეთობა ო. ტაბიძის ამავე რიგის კიდევ ერთ ნაშრომს „ქცევათმეცნიერების ფილოსოფიური საფუძვლები“. ძირითადი ასპექტების მხრივ გაანალიზებულია, თუ როგორ იაზრებდა ო. ტაბიძე ფილოსოფიის და კერძო მეცნიერებების, ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის მიმართებას, ცნობიერების, ობიექტურის ცნებებს, ქცევის ობიექტურ მხარეს, ახსნისა და აღწერის ურთიერთმიმართებას, ფსიქოლოგიური ენის კერძო და საზოგადო ხასიათის პრობლემებს, ობიექტური ქცევის კვლევას ერთიანი ფსიქოლოგიური შემეცნების

თვალსაზრისით. სტატიაში ცალკე არის გაანალიზებული ოთარ ტაბიძის შრომები ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში. შესაბამისად, წინ არის წამოწეული ქართველი ფილოსოფოსის შეხედულებები იმაზე, რა დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან სპეციალური ანთროპოლოგიური მეცნიერებები და ფილოსოფიური ანთროპოლოგია, რატომ არის აუცილებელი ფილოსოფიური ანთროპოლოგია, როგორია ამ უკანასკნელის ადგილი ფილოსოფიაში, ასევე, როგორ წყვეტს ქართველი ფილოსოფოსი ადამიანის არსის პრობლემას ადამიანისა და ცხოველის შედრებითი ანალიზის საფუძველზე, რაში მდგომარეობს, მისი აზრით, ადამიანის გონითი ყოფიერება, შემოქმედება როგორც ახლის ქმნა, შემოქმედების სახეები, შემოქმედებისა და ობიექტური ღირებულებების მიმართება. კვლევის ბოლოს შეფასებულია ოთარ ტაბიძის თეორიული მემკვიდრეობის ადგილი ქართულ პრაქტიკულ ფილოსოფიაში.

10.1. **,,ენა, როგორც გზა რეალობისკენ (პლატონი).**

სოფისტური რელატივიზმის დასაძლევად პლატონი ეძებს ცოდნის მყარ საფუძველს. იგი გახლდათ პირველი ფილოსოფოსი რომელმაც ცოდნის საკითხი ენას დაუკავშირა. მისი ცნობილი დიალოგი ,,კრატილე“ სწორედ ამ საკითხს ეძღვნება. კერძოდ მას აინტერესებს იდეათა სამყაროსთან ენის მიმართების საკითხი. არის თუ არა ენა საიმედო დასაყრდენი ცოდნის ძიებისას და შესაძლოა თუ არა საკითხი გადაიჭრას იმით, რომ თუკი ვიცით სიტყვები, ვიცით საგნებიც. ასე რომ, სიტყვები არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანი ხდება, ისინი მოქმედებენ არა როგორც მედიუმი ჩვენსა და სხვა ადამიანებს შორის, არამედ როგორც ცოდნის საშუალება, მაგრამ აქვე ისმის კითხვა, სიტყვები რაიმე გარკვეული აზრით ,,სწორია”? აქვთ თუ არა მათ რაიმე აუცილებელი შინაგანი კავშირი აღსანიშნთან თუ პირობითნი არიან? ეს კითხვა დღესაც აქტუალურია. თუ თანამედროვე ლინგვისტიკა ენას განიხილავს პირობით ნიშანთა სისტემად, განსხვავებული პოზიცია უკავიათ სხვა სფეროთა: რიტორიკის, კულტურული ანთროპოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენლებს, რომლებიც ამოდიან რწმენიდან, რომ ნებისმიერი ადამიანი, მშობლიურ ენაზე თავისი ენის სიტყვათა დიდ ნაწილს მიიჩნევს როგორც ,,სწორს”.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. 1. დემურ ჯალაღონია, ადამიანი თავისუფლების დისკურსში, ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი# 12/2022, თბილისი თსუ გამომცემლობა

1.2. დემურ ჯალაღონია, ილიბერალიზმის დისკურსის პარადიგმულობა პოლიტიკურ ფილოსოფიაში.აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო კონფერენციის მასალები, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ელექტრონული გამოცემა

1.3. დემურ ჯალაღონია, პოლიტიკური ფილოსოფიის ახალი პარადიგმა- ,,დელიბერატიული დემოკრატია, ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური მე-23 საერთაშორისო კონფერენციის

მასალები, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ელექტრონული გამოცემა, ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური მე-23 საერთაშორისო კონფერენცია,

1.4. დემურ ჯალაღონია, კაკაბაძის ფენომენი. ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი# 12/2022, თბილისი თსუ გამომცემლობა

3.1. ვალერიან რამიშვილი, .“მან-ი“ და სიმულაკრი როგორც ადამიანის ყოფნის წესები ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი#12, გვ.37-61, თბ.2022 ISSN 2233-3568

3.2. ვალერიან რამიშვილი, „ხელოვნება როგორც მეტაფიზიკის პირველადი ბუნებრივი ფორმა“ , აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, გვ. 219-223, თბ.2022, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ელექტრონული გამოცემა

4.1.. აკაკი ყულიჯანიშვილი - ნანა გულიაშვილი ,,თამაში და დღესასწაული“. ფილოსოფიური ძიებანი ტ.26. ქ.თბილისი. უნივერსალი. 14. გვ.

4.2. აკაკი ყულიჯანიშვილი ,,ტელევიზია პოსტმოდერნული კულტურის მოდელი და სტილი“. ფილოსოფიური ძიებანი (კრებული), ტ. 26. თბ. უნივერსალი. გვ.9.

4.3.აკაკი ყულიჯანიშვილი, ეკო კულტურა და კულტურის ეკოლოგია (ჟურნალი) ფილოსოფიურ - თეოლოგიური მიმომხილველი. თსუ გამომცემლობა. გვ.7.

5.1. ანასტასია ზაქარიაძე. ბუნების უფლებები vs უფლებები ბუნებაზე ეკოეთიკური პერსპექტივა. ISSN 2233-3568; ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი# 12/2022თბილისი თსუ გამომცემლობა

5.2. ანასტასია ზაქარიაძემარადიული მშვიდობის ეთიკური ჭრილი- (უტილიტარიზმის დისკურსი)აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ელექტრონული გამოცემა

6.1. ირაკლი ბრაჭული, ღმერთსა და ექსისტენციას შორის, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ელექტრონული გამოცემა

6.2. ირაკლი ბრაჭული, განათლების ფილოსოფიის პარადიგმული ცვლილებები, ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი N12

7.1. ნაპო კვარაცხელია, ფილოსოფიური შემეცნება, ,,ფილოსოფიური ძიებანი“კრებული XXV, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია, ,,უნივერსალი“,
თსუ გამომცემლობა

7.2. ნაპო კვარაცხელია, მითოსური აზროვნების თავისებურება (შემეცნება მითოსურ აზროვნებაში). აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო კონფერენციის მასალები, ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

8.1.წიგნის „ დემოკრატია ამერიკაში“ მიხედვით.“ მიღებულია დასაბეჭდად ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის 23-ე საერთაშორისო კონფერენციის მასალებში. თსუ. მაისი 19-21, 2022წ.

8.2.მამუკა დოლიძე: „თეატრალური გარდასახვის ფენომენოლოგია“. მიღებულია დასაბეჭდათ ჟურნალში „ ფილოსოფიურ თეოლოგიური მიმომხილველი“ თსუ. ფილოსოფიის სასწავლო- სამეცნიერო ინსტიტუტი. 17- 19 ნოემბერი 2022 წ

9.1. მამია სურმავა, თავისუფლება როგორც ესთეტიკური იდეა/Freedom as an Aesthetic Idea, (ამერიკისმცოდნეობის 23-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 7 გვერდი).

9.2. მამია სურმავა, დოსტოევსკის მორალური ფილოსოფია და კანტის პრაქტიკული გონების კრიტიკა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სმეცნიერო კონფერენცია, თეზისები, ივლისი 14-16, 2022, გვ. 246-249).

10.1. ნანა გულიაშვილი - აკაკი ყულიჯანიშვილი ,,თამაში და დღესასწაული“ ფილოსოფიური ძიებანი (კრებული) ტ. 26. თბ. უნივერსალი 14გვ.

10.2. ნანა გულიაშვილი ,,ხელოვნების გაგების ზ. კაკაბაძისეული ვერსია.

ჟურნალი ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი. თსუ. გამომცემლობა 2022წ. 7.გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.1. ადამიანი თავისუფლების დისკურსში

ანტიკურობიდან დღემდე არსებობს მარადიული კითხვა, რა არის ადამიანი? თითქმის ყველა ფილოსოფოს უკვლევია ადამიანის არსი, მისი ყოფიერება, მაგრამ კვლევისადმი ინტერესი არადა არ ნელდება.

ადამიანი მხოლოდ ცოცხალი არსება კი არ არის, მსგავსად მცენარისა, მხოლოდ სულის მქონე კი არარის მსგავსად ცხოველისა, არამედ ის არის გონითი არსება. გონი, არის უნარი საკუთარი თავის დავიწყებისა და ამ გზით საგანში ჩაძირვისა, როგორც უნარი სრული ტრანცენდენციისა. (ბუაჩიძე თამაზ, 1987:34).

ადამიანის მაძიებელი გონება ვლინდება თავისუფლებაში, რადგან ის მუდმივი არჩევანის ან ანის წინაშე დგას. ადამიანის იდუმალი ოცნება ყოველთვის უსასრულობასთან ზიარება იყო. ადამიანი საიდუმლოს მატარებელიცაა, ეს ყველაფერი მასშია, მაგრამ ის ყველაფერს გარეთ ეძებს, საიდომლოებითაა მოცული მისი არჩევანი. მას ეს არჩევანი ,,არ მოსწონს“ და მუდმივად შორეული ,,სამშობლოს” ძიებაშია. ეს მასში ბადებს თავისებურ ,,ნოსტალგიას”, რომელიც ადამიანს აყენებს დაუკმაყოფილებლობის, სევდის, მოწყენილობის, მარტოობის, სიცარიელის, უკვალოდ გაქრობის წინაშე. ადამიანი გამოსავლის ძიებაშია. უსასრულობა, ადამიანური ცნობიერების ღრმა წიაღიდან, სამყაროს ისტორიის შორეთიდან იყურება, ამ დროს ადამიანი იწყებს ან ფილოსოფოსობას ან ღმერთის ძიებას, მაშინ ისევ დაისმება მთავარი კითხვა; მაინც რა არის ადამიანი?

ადამიანი არის ყოფიერების ყველაზე დიდი საიდუმლო. ის ყველა ხორციელ ქმნილებაზე მაღლა დგას, რადგან გააჩნია გონება, ღირსება და რაც მთავარია თავისუფალი ნება. ადამიანის არსების გასაგებად ჩვევლებრივ ირჩევენ ორ გზას: ეს გზაა მიდის დაბლიდან მაღლა-ცხოველიდან ადამიანისაკენ, ან მაღლიდან დაბლა-ღმერთიდან ადამიანისაკენ.

ფილოსოფოსობა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის საქმიანობაა, ,,უფრო მაღალ საფეხურზე იგი აღარ იქნებოდა საჭირო, ხოლო უფრო დაბალ საფეხურზე იგი აღარ იქნებოდა აუცილებელი" (კასირერი ერნსტ, 1983:214). არ იქნებოდა, რადგან ღმერთებს ფილოსოფიური ძიება არ სჭირდებათ. ქვედა საფეხურზე – ცხოველებისათვის ფილოსოფია ზედმეტია. ამდენად ადამიანია ის ნაკლოვანი არსება, რომელსაც სჭირდება ძიება, ფილოსოფოსობა, თავისი არსებობის დასადგენად. არსებობა აქ უკავშირდება ყოფიერების გარკვეული წესის არსებობას. ,,ღმერთის ყოფიერების წესი ასევე არ ეგუება ფილოსოფიას, მხოლოდ ადამიანის ყოფიერების წესი, ადამიანის რაობაა კავშირში ფილოსოფოსობასთან და ფილოსოფიასთან" (ავგუსტნე ნეტარი, 1993:20).

ცხოველი ბუნების ნაწილია, ის მთლიანად ბუნების ქმნილებაა, ბუნება საგანგებოდ ზრუნავს მასზე. ბუნებისაგან გამოუყოფლობა ცხოველს ყოველ ნაბიჯზე კარნახობს იმას, თუ როგორ უნდა მოიმოქმედოს მან. ადამიანი კი გამოგდებულია ბუნებიდან და მისი მოქმედება არ არის განსაზღვრული ბუნების მიერ. აქ სამყარო დაიყო ორად: ადამიანი და ბუნება. ადამიანი დარჩა თავის თავთან მარტო და თავის ბატონ-პატრონი, რომელმაც თავად უნდა განსაზღვროს თავისი საქმიანობა.

ადამიანი გახდა თავისუფალი არსება ე.ი. **თავის თავის უფალი, ,,უფლობა"** ნიშნავს გამოძებნოს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზები და ხერხები. ამის გამოსაძებნად მას გააჩნია ცნობიერება. ადამიანმა ცნობიერებით უნდა შესძლოს ყველა სიძნელის გადალახვა. ამრიგად, ადამიანისთვის შემეცნება სასიცოცხლო აუცილებლობაა. ის შემეცნების გარეშე სასიცოცხლო მოთხოვნილებას ვერ დაიკმაყოფილებდა (ის ვერ იადამიანებდა).

1.2. ილიბერალიზმის დისკურსის პარადიგმულობა პოლიტიკურ ფილოსოფიაში

დემოკრატია, როგორც თეორიული განაზრება ყურადღების ცენტრში საუკუნეებია დგას. უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტად ყურდღებას იქცევს ანტიელიტისტური ხასიათის (პოპულისტურად წოდებული) სახალხო მოძრაობები. ამის ნათელი მაგალითია ილიბერალიზმი, როგორც ლიბერალური დემოკრატიის პარადიგმა.

ჰაიეკმა პინოჩეტის ჩილეში ვიზიტისას განაცხადა, „მე პირადად უპირატესობას ვანიჭებ ლიბერალურ დიქტატურას, ვიდრე ლიბერალიზმს მოკლებულ დემოკრატიულ მთავრობას".

ილიბერალიზმი გაბორ ჰალმაიმ შემოიტანა, როგორც ლიბერალიზმის მიმართ კრიტიკული რეაქცია (გაბორ ჰალმაი, 2020).

ილიბერალური თეორიის წარმომადგენლები აკრიტიკებენ პოლიტიკური ლიბერალიზმის ღირებულებებს:- ადამიანთა უფლებებს, სამართლიანობას, თანასწორობას და კანონის უზენაესობის პრინციპებს. მათი კრიტიკის ობიექტია ლიბერალური თეორიები და ლიბერალური საზოგადოებები.

სტივენ ჰოლმსი აღნიშნავს; არალიბერალებს და ანტილიბერალებს არ აქვთ სურვილი შეისწავლონ ლიბერალური თეორიები და ლიბერალური საზოგადოებები ერთმანეთისგან განცალკევებით, რადგან თვლიან, რომ ლიბერალური საზოგადოებები წარმოადგენენ ლიბერალური იდეების იდეალურ განსახიერებას. შესაბამისად, ლიბერალური საზოგადოებების მარცხი ავტომატურად გამოწვეულია ლიბერალური პრინციპების არაადეკვატურობით. (ს. ჰოლმსი, 1993).

ილიბერალიზმი უპირისპირდება ლიბერალურ დემოკრატიას, რადგან როგორც საყოველთაოდ მიღებულია არ არსებობს დემოკრატია ლიბერალიზმის გარეშე და ამავდროულად, შეუძლებელია ლიბერალური უფლებების არსებობა დემოკრატიის გარეშე. ამ თვალსაზრისით, „ილიბერალური ან ანტილიბერალური დემოკრატია“ არ არსებობს. ისინი, ვინც დემოკრატიას განიხილავენ, როგორც ლიბერალურ წყობას, ასევე აცხადებენ რომ ილიბერალიზმი თავისი არსით ეწინააღმდეგება კონსტიტუციონალიზმთან დაკავშირებულ ძირითად დემოკრატიის ინსტიტუციონალურ ასპექტებს.

ფუკუიამა თავის ცნობილ ნაშრომში (1989) წინასწარმეტყველებდა „პოლიტიკური ლიბერალიზმის ცალსახა გამარჯვებას“ და „დასავლური ლიბერალური დემოკრატიის, როგორც ადამიანური მმართველობის საბოლოო ფორმის, უნივერსალიზაციას“ (ფუკუიამა, 1999), მაგრამ შემდგომში პროცესები სულ სხვა კუთხით განვითარდა.

საინტერესო განცხადება გააკეთა ორბანმა, რომ ,,სურს უნგრეთი გადააქციოს ისეთ სახელმწიფოდ, რომელიც „თავის თავზე აიღებს იმ ნეგატიურ დარტყმას, რომელიც მოჰყვება აღიარებას, რომ უნგრეთი არ არის ბუნებით ლიბერალური ქვეყანა“. მან გამოხატა მხარდაჭერა ილიბერალური დემოკრატიის მიმართ და აღნიშნა, რომ იგი ქრისტიანულ დემოკრატიასაც ილიბერალურად მიიჩნევს: „არსებობს ლიბერალური დემოკრატიის ალტერნატივა, მას ქრისტიანული დემოკრატია ეწოდება... ნება მოგვეცით დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ ქრისტიანული დემოკრატია არ არის ლიბერალური. ლიბერალური დემოკრატია ლიბერალურია, მაშინ როდესაც ქრისტიანული დემოკრატია, თავისი ბუნებით არ არის ლიბერალური, შეიძლება ითქვას, რომ ილიბერალურია“. (viktor orban 2018).

როგორც ჩანს პოლიტიკურ ველზე დუღილის პროცესი მიდის. ცივილიზაციის ძირითად ფასეულობებს საფრთხე ემუქრება. მსოფლიოს ბევრ რეგიონში უკვე გაქრა ადამიანური კეთილშობილებისა და თავისუფლების არსებითი პირობები.

დასავლელი ადამიანის ყველაზე ძვირფას მონაპოვარს, აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლებაც კი საფრთხეშია. თვითნებური ძალაუფლების გაფართოება თანდათანდ ძირს უთხრის ინდივიდუალებისა და ნებაყოფლობითი ჯგუფების პოზიციას. კონცეპტუალური ხარვეზების დიაგნოზირება და გამოსწორება შესაძლებელია თუ მონ პელერინის საზოგადოების მსგავსად გამორჩეულად მოაზროვნე ადამიანების ინტენსიურ სადისკუსიო თემად გავხდით კლასიკური ლიბერალიზმის ნაწილობრივ კრახით გამოწვეულ შედეგებს.

1.3. პოლიტიკური ფილოსოფიის ახალი პარადიგმა- ,,დელიბერატიული დემოკრატია".

დროთა განმავლობაში პოლიტიკურის ცნებები, კატეგორიები განიცდიან სახეცვლილებას. სამყაროში იცვლებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური შეხედულებები, შესაბამისად იცვლებოდა მმართველობის ფორმები და შინაარსი.

დღეს ღიად საუბრობენ დემოკრატიის ტრანსფორმაციაზე, მის მომავალზე და დაპირებების შეუსრულებებზე. რომ გაჩნდა ბზარი დემოკრატიის დამფუძნებელ მამათა მიერ წარმოდგენილ იდეალებსა და არსებულ დემოკრატიას შორის.

მთელ მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატია მმართველობის ერთადერთ ლეგიტიმურ ფორმადაა მიჩნეული.

მიმდინარეობს სერიოზული დებატები დემოკრატიის თეორიის გადასინჯად. პოლიტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლები და დემოკრატი თეორეტიკოსები მსჯელობენ დემოკრატიის

ახალ პარადიგმაზე, რომელიც ,,დელიბერაციული დემოკრატიის'' მოდელითაა ცნობილი.

დელიბერატიული (მომთაბარეობითი) დემოკრატია დემოკრატიის ისეთი მოდელია, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, სადავო საკითხების გადაწყვეტა დელიბერატიული საზოგადოებრივ განსჯას და მის საფუძველზე შეჯერებული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას ეფუძნება. (შანტალ მუფი:2020)

დელიბერატიული დემოკრატია წარმომადგენლობითი დემოკრატიის ალტერნატიული მოდელია.

დემოკრატიის კლასიკური თეორიის ძირითადი საფუძველია ,,ხალხი", რომელსაც აქვს განსაზღვრული და რაციონალური აზრი (თვალსაზრისი, შეხედულება) ყოველ ცალკეულ საკითხზე. ეს აზრი (შეხედულება) რეალიზდება დემოკრატიის პირობებში ,,წარმომადგენელთა" არჩევის გზით, რომელნიც თვალყურს ადევნებენ იმას, რომ ეს აზრი (შეხედულება) თანმიმდევრულად განხორციელდეს ცხოვრებაში. (შუმპეტერი იოზეფ:2016)

დელიბერატიული დემოკრატიის კონცეფცია პოლიტიკურ ფილოსოფიაში თანამედროვე მიმართულებას წარმოადგენს.

პოლიტოლოგმა ჯოზეფ ბესეტიმ 1980 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი ,,Deliberative Democracy: The Maijoritty Principle in Republican Government". ამ ნაშრომის გამოსვლის შემდეგ ტერმინმა სწრაფი გავრცელება პოვა.

დელიბერატიული დემოკრატიის მრავალი ვერსიას განიხილავენ. ჩვენ შეიძლება ორ მოდელად ვახდინოთ კლასიფიცირება.

პირველი როულზისეული პარადიგმაა, რომელიც აცხადებს რომ დემოკრატიულმა ლიბერალიზმმა უნდა უპასუხოს თავისუფლებისა და თანასწორობის მოთხოვნებს. მისთვის ამოსავალი სამართლიანობის პრინციპებია.

ჰაბერმასი კი ცდილობს თავის წიგნში ,,ფაქტებსა და ნორმებს შორის'' აჩვენოს, რომ მისი პროცედურული დემოკრატიის ერთ-ერთი მიზანია, წინ წამოწიოს ფუნდამენტური ინდივიდუალური უფლებებისა და სახალხო სუვერენიტეტის ,,თანა-პირველადობის'' იდეა. (Jurgen Habermas: 1996 : 127).

როულსისა და ჰაბერმასის მიზანია - უზრუნველყოს მტკიცე კავშირი დემოკრატიასა და ლიბერალიზმს შორის.

დელიბერაციული დემოკრატების მიდგომის სპეციფიკურობა ნორმატიული რაციონალობის მხარდაჭერაში მდგომარეობს.

მთავარია, რომ დემოკრატიულ მმართველობაში პოლიტიკური გადაწყვეტილებები თავისუფალ და თანასწორ მოქალაქეთა შორის დელიბერაციული პროცესებით უნდა მიიღწეოდეს.

დელიბერაციულ დემოკრატთა ერთ-ერთი გაცხადებული მიზანი ალტერნატივის შეთავაზებაა დემოკრატიის იმ ფორმის გასაგებად, რომელიც დომინანტური გახდა.

იოზეფ შუმპეტერმა ნაშრომში „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია" შემოიტანა ,,აგრეგაციული მოდელი'' სადაც იგი ამტკიცებდა, რომ მასობრივი დემოკრატიის განვითარებასთან ერთად, ხალხის სუვერენიტეტის დემოკრატიის კლასიკური მოდელით გაგება შეუძლებელი გახდა. (Joseph Schumpeter: 1947).

დელიბერაციული მიდგომის მიხედვით, რაც უფრო დემოკრატიულია საზოგადოება, მით უფრო ნაკლებადაა ძალაუფლება ჩართული სოციალური ურთიერთობების წარმოებაში.

1.4. კაკაბაძის ფენომენი.

1982 წელს ქართულ ფილოსოფიურ სკოლას დიდი ტრაგედია დაატყდა თავს. თითქმის ერთ წელს გარდაიცვალნენ ცნობილი ფილოსოფოსები: ზურაბ კაკაბაძე, შოთა გაბილაია, აპოლონ შეროზია, ვენორ ქვაჩახია და აკადემიკოსი ანგია ბოჭორიშვილი.

ზურაბ კაკაბაძე ერთ-ერთი გამორჩეული ფილოსოფოსი და მოაზროვნე გახლდათ რომელსაც 2021 წელს დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდებოდა. მასთან როგორც ჩემს საუკეთესო მასწავლებელთან უამრავი მოგონება მაკავშირებს. სწორედ ამ მოგონებებით მინდა კაკაბაძის ფენომენზე საუბარი.

მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა გურამ თევზაძემ შემომთავაზა თსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის გაზეთ ,,მატერიალისტის“ რედაქტორობა. სტუდენტისათვის ეს დიდ პატივად ითვლებოდა. ახლოვდებოდა ფილოსოფოსის, აკადემიკოს კოტე ბაქრაძის გარდაცვალებიდან ხუთი წლისთავი. გადავწყვიტეთ გაზეთში აკადემიკოს კოტე ბაქრაძეზე წერილი გამომექვეყნებინა და ამით პატივი მიგვეგო ამ დიდი მოაზროვნისათვის. წერილისათვის თხოვნით მივმართე ჩვენს დეკანს ბატონ გურამ თევზაძეს, როგორც ბაქრაძის ღირსეულ მოწაფეს. გურამმა მომისმინა, იდეა ძალიან მოიწონა, მაგრამ მირჩია, რომ წერილი პროფესორ თამაზ (თაზო) ბუაჩიძეს დაეწერა.

ჩვენი საუბრის დროს დეკანის ოთახში საბედნიეროდ ბატონი თაზო შემოვიდა და გულთბილად მოგვესალმა. ბატონმა გურამმა გააცნო ჩემი თავი, შემდგომში ჩემს უსაყვარლეს ადამიანს და თხოვა გაზეთისათვის დაეწერა მასწავლებელზე წერილი, და იქვე დაუმატა, თაზო ხომ იცი ამ წერილს შენსავით ვერავინ ვერ დაწერსო, შენ წერ ნათლად, და შეგიძლია მასწავლებლის პორტრეტი შექმნა პატარა ესეშიო. თაზომ მორიდებულად იუარა, და თავის მეგობარს ბატონი კოტეს გამორჩეულ მოწაფეს პროფესორ ზურა კაკაბაძეს გაუწია ,,რეკომენდაცია. იქვე დასძინა; ზურა ყველაზე კარგად დაწერს ამ წერილსო.

შევხვდი ბატონ ზურაბ კაკაბაძეს, იგი დიდხან მესაუბრა თავის მასწავლებელზე და დანანებით ჩაილაპარაკა ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლოო. ერთ კვირაში წერილი მომიტანა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა. გაზეთი გამოვიდა. გაზეთი იყო საკმაოდ დიდი ფორმატის. თავსდებოდა კედელზე ჩამოკიდებულ ,,ვიტრინაში'' და დეკანატის წინ იყო განთავსებული. უნდა გენახათ, რა ფურორი მოახდინა ბატონი ზურაბ კაკაბაძის სტატიამ კოტე ბაქრაძეზე. პროფესორები და სტუდენტები და დიდის ინტერესით კითხულობდნენ დიდებულ წერილს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ფილოსოფიის ინსტიტუტიდანაც მოდიოდნენ თანამშრომლები ამ სტატიის წასაკითხად. გაზეთი ყოველთვიური იყო, მაგრამ ეს ნომერი სამი თვე არ ჩამომახსნევინეს. ამ წერილს ვინც წაიკითხავს ყველას გაახსენდება ის დრო. გაზეთიც ძალიან პოპულარული გახდა.

გაგაცნობთ ხსენებულ ბატონი ზურაბ კაკაბაძის წერილს, რომელიც ეძღვნება დიდი ფილოსოფოსის კოტე ბაქრაძის ხსოვნას. ამ წერილით ჩანს სიდიადე გამორჩეული პიროვნებისა აკადემიკოს კოტე ბაქრაძისა და მისი მოწაფის დამოკიდებულება და სიყვარული მოძღვრისა და ფილოსოფიისადმი.

ზურაბ კაკაბაძის ფენომენს ასევე კარგად წარმოაჩენს თამაზ ბუაჩიძის ერთ-ერთი მონათხრობი ამბავი. 1952 წლის ნოემბერის თვეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ბატონ კოტე ბაქრაძის წიგნის ,,ლოგიკის" განხილვა მოეწყო. აუდიტორიაში მხოლოდ მოსაწვევით უშვებდნენ.

წიგნის განხილვაზე ბატონ კოტე ბაქრაძეს დააბრალეს, რომ ის ბურჟუაზიის მსახურია, კანტიანელია, ჰეგელიანელია, ჰუსერლიანელია, პოზიტივისტია, ანტილენინელია, ანტისტალინელია და ვინ იცის კიდევ რა არ დააბრალეს. იმ დროს ეს ძალიან მძიმე ბრალდებები იყო. ბუნებრივია ლოგიკის ავტორს, კარგი დღე არ ელოდა. სხდომის დასასრულს სიტყვა მოუთხოვია ახალგაზრდა პიროვნებას. ამ ახალგაზრდამ შესძლო ძალზე მარჯვედ, ჭკვიანურად, აუღელვებლად მასწავლებლის დაცვა. ლოგიკური არგუმენტაციით, სიღრმისეული ფილოსოფიური მსჯელობით შესძლო განმქიქებელთა დამარცხება.

ყველას დაანახა მათი უმეცრება, უნიჭობა, შური, ,,წითელი პროფესორობა''. ის მოხდენილად უთავსებდა ერთმანეთს ლოგიკურ ანალიზს და დახვეწილ იუმორს. დარბაზი აღფრთოვანებული დარჩა. ეს ახალგაზრდა კაცი გახლდათ ზურაბ კაკაბაძე, შემდგომში კოტე ბაქრაძის უსაყვარლესი მოწაფე. ასე დაიცვა უშიშრად მოწაფემ მასწავლებელი. სწორედ კაკაბაძის წერილში კარგად ჩანს მასწავლებლისადმი მისი უზომო პატივისცემა, რომელმაც კოტე ბაქრაძეს ,,დიდი სინათლე'' უწოდა.

ერთ ამბავსაც გავიხსენებ; ზურაბ კაკაბაძის ლექცია გვიტარდებოდა 184 აუდიტორიაში, მეორე კორპუსში (დაახლოებით ორმოცდახუთი წლის წინ). იგი კითხულობდა ლექციებს XX საუკუნის ბურჟუაზიულ ფილოსოფიაზე. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი ლექციები სარტზე, კამიუზე, კაფკაზე, ჰუსერლზე და ჰაიდეგერზე, რაც იმ პერიოდში იშვიათობას წარმოადგენდა. ეს ლექციები იყო ციკლი ექსისტენციალიზმზე.

ზურაბ კაკაბაძეს მაშინ ცნობდნენ არა მარტო საბჭოეთში, არამედ დასავლეთშიც და დიდ პატივს მიაგებდნენ. იგი გამორჩეული მკვლევარი გახლდათ. მის ლექციებს უამრავი, სხვადასხვა ფენის ადამიანები ესწრებოდნენ.

ჩვენთვის სავალდებულო ლექციაზე დასასწრებად აუდიტორიის კარი როდესაც შევაღეთ, აუდიტორია გადაჭედილი დაგვხვდა უცნობი ადამიანებით. ჩვენთან ერთად ლექციებს ესწრებოდნენ, სამართლის ინსტიტუტიდან, თეატრალური ინსიტუტიდან, სამხატვრო აკადემიიდან, უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტიდან. განსაკუთრებით დამამახსოვრდა სამართლის ინსტიტუტის ასპირანტები; ჯამლეთ ბაბილაშვილი, ორდე ბებია, იური გაბისონია, იური ტაბუცაძე ცნობილი ადვოკატი ჰამლეტ ესართია, გურამ ნაჭყებია. ყველა ესენი აკადემიკოს თინათინ წერეთლის და ნაპო კვარაცხელიას რეკომენდაციით ესწრებოდნენ ცნობილ ფილოსოფოსების ლექციებს.

ჩამოთვლილი ადამიანები შემდეგში გახდნენ სამართლის დოქტორები და სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუციების ხელმძღვანელები, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი ღრმა ანალიტიკური აზროვნებით, ჰუმანურობით და ფილოსოფიური განსწავლულობით, რაც უდავოდ ზურაბ კაკაბაძის დამსახურებაც გახლდათ.

ზურაბ კაკაბაძე გამორჩეული პიროვნება გახლდათ, რომელსაც შეეძლო ადამიანის ღირსეული დაფასება და პატივის მიგება.

1985 წელს ნაპო კვარაცხელიასთან შეკრებილნი იყვნენ ცნობილი ფოლოსოფოსები; გურამ თევზაძე, ედუარდ კოდუა, ზურაბ კაკაბაძე, თამაზ ბუაჩიზე, არჩილ ბეგიაშვილი, ვახტანგ ერქომაიშვილი და ნიკო ჭავჭავაძე. შუა სუფრაზე ნიკო ჭავჭავაზემ მოისურვა ზურაბ კაკაბაძეზე სადრეგრძელოს თქმა. მან ქართული გულუხვობით ადღეგრძელა ზურაბ

კაკაბაძე. თაზო ბუაჩიძემ სადღეგრძელოზე აღნიშნა, რომ ზურაბი არის ერთადერთი, ყველასაგან გამორჩეული, ფილოსოფიურად მოაზროვნე და ჭეშმარიტი ფილოსოფოსი. ასევე ყველამ ხაზი გაუსვა მის განსაკუთრებულობას ფილოსოფიის სფეროში, დახვეწილ წერის კულტურას, მის კეთილშობილებას და დახვეჭილ ინტელიგენტურობას.

ზურაბ კაკაბაძე იჯდა ჩუმად, თავდახრილი, სევდიანი. დიდხანს ხმა არ ამოუღია, ბოლოს მადლობა მოიხადა სადღეგრძელოსთვის და დასძინა; ჩემო მეგობრებო იცით ვინ არის ,,ბუნებით ფილოსოფოსი'', ტალანტი და ჩვენს შორის ყველაზე გამორჩეული ფილოსოფოსი, ეს არის ვენორ ქვაჩახია.

ჩემდა გასკვირვად (ვენორთან ზოგიერთ ფილოსოფოსს მაშინ უთანხმოება ქონდა). ზურაბ კაკაბაძეს ყველა ერთხმად დაეთანხმა.

ზურაბ კაკაბაძეს შეეძლო ღირსეულად სხვისი დაფასება და ჭეშმარიტების აღიარება. ამიტომაც იგი იყო გამორჩეული პიროვნება.

ოსლოში გამოსულ სტატიაში ავტორმა ზურაბ კაკაბაძის ნაშრომს ,,ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა" უწოდა ,,ფილოსოფიური მარგალიტი კაკასიიდან" და იქვე აღნიშნავდა: ხომ არ იწყება ფილოსოფიური რენესასნსი საქართველოდანო?

ზურაბ კაკაბაძე პოეტიც გახლდათ.

3.1. "მან-ი" და სიმულაკრი როგორც ადამიანის ყოფნის წესები" სტატიაში განხილულია მე 20 საუკუნის აზროვნების ერთერთი ფუნდამენტური საკითხი. მე -20 საუკუნე ეძებს ადამიანის ყოფიერების აუტენტურ წესს და ამ ძიების პროცესში ევროპული აზროვნება ავლენს ადამიანის ყოფიერების წესის გაუხცოებულ ფორმებს, ესეთია „მან-ი" და სიმულაკრის ფენომენი. მათთვის დამახასიათებელია ყოფიერების ანონიმური წესი, როდესაც ქადამიანი კარგავს ადამიანად ყოფნის პიროვნულ განზომილებას. მას არ შეუძლია პასუხი გასცეს შეკითხვას: ვინ ხარ? ეს ნიშნავს რომ ეს ადამიანი უარს ამბობს განახორციელოს თავისუფალი არჩევანი და იკისროს პასუხისმგებლობა. იგი როგორც მასის,საზოგადოების ანონიმური წევრის მქონე არავინაა. ამ ტიპის დამახასიათებელია კონფორმიზმი მე 20 საუკუნის ადამიანის არსი,რაც გულისხმობს პრობლემებზე აზროვნებას და საკუთარი აზრის ქონას. აზროვნებაზე უარის თქმა ნიშნავს თავისუფლებაზე უარის თქმას. ასეთი ადამიანი გაურბის თავისუფლებას როგორც მძიმე ტვირთს. იგი დაწყევლილია თავისუფლებით და თავს აფარებს მასის ბატონობას, კონფორმიზმს.

3.2. დასავლური აზროვნების ტრადიცია პლატონის, კანტისა და ჰუსერლის სახით გეომეტრიაში ხედავდნენ მეცნიერულობის იდეალს, იგი ყველაზე უკეთ გამოხატავდა აზროვნების არსს,

რომელსაც უნდა დამსგავსებოდა ფილოსოფიაც. ჰაიდეგერი სხვა გზით მიდის, იგი ფილოსოფიის და ხელოვნების სიახლოვეს უსვამს ხაზს, მას სურს დაინახოს ფილოსოფიასა და ხელოვნებას შორის არსებული უფრო ფარული და ღრმა კავშირი. ჰაიდეგერი თვლის,

რომ ხელოვნება და ხელოვნების ქმნილების ყოფნის წესი ეფუძნება ყოფიერების, როგორც ალეთეას, ხდომილებას. ეს ნიშნავს, რომ ყოფიერება, როგორც ალეთეა, არის ხელოვნების დასაბამი, რომელიც ხელოვნების როლს და ადგილს განსაზღვრავს ადამიანის ყოფიერებაში. ხელოვნება არის არსებულის დაფარულობიდან გამოსვლის დერივატული წესი, რომელიც ყოფიერების ალეთეას, ყოფიერების, როგორც დაფარულობიდან გამოსვლის, საფუძველზე

არსებობს. ხელოვნება არის მეტაფიზიკის პირველადი, ბუნებრივი ფორმა. ხელოვნება უნდა განვიხილოთ, როგორც ბუნებრივი მიდრეკილება მეტაფიზიკისაკენ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4.1.**,,თამაში და დღესასწაული".** ტანამედროვე ესთეტიკის მიერ ,კლასიკური ესთეტიკის პრინციპები და ესთეტიკური კატეგორიები გადაფასებულ იქნა. პოსტსტრუქტურალისტური ესთეტიკა პლირალისტური, სუბიექტივისტური და რელატივისტურია. რაც თავის მხრივ გამორიცხავს საყოველთაო და აუცილებელ ესთეტიკურ დებულებებს. თუმცა არსებობენ მოაზროვნეები, რომლებიც ცდილობენ ეპოქის შესაფერისი ახალი მქრძნობელობის ჩამოყალიბების კვალდაკვალ. ტრადიციული ესთეტიკური კატეგორიების მოდიფიკაცია მოახდინა, ასეთი გახლავთ ჰ.გ. გადამერის თამაშისა და დღესასწაულის ცნებები.

4.2 **,,ტელევიზია პოსტმოდერნული კულტურის მოდელი და სტილი**"ტელევიზია შეიძლება განვიხილოთ პოსტმოდერნული კულტურის მოდელად და სტილად. მისთვის დამახასიათებელია მოზაიკურობა, ფრაგმენტულობა, დისკრეტულობა. თანამედროვე ტელევიზია სინამდვილის ასახვას კი არ ახდენს, არამედ ქმნის მას. ამდენად თანამედროვე ტელევიზია საზოგადოებას

4.3. **ეკო კულტურა და კულტურის ეკოლოგია** თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა.

სტატიის ინსპირაცია განპირობებულია ზ. კაკაბაძის ერთი მცირე ზომის სტატიის ,,ბუნების დაცვის ერთი უცნობი ასპექტის შესახებ", რომლის მიხედვითაც ეკოლოგიური პრობლემები შეიძლება იქცეს კულტურის ქმნის პროცესის შემაფერხებელ ფაქტორად. თანამედროვე სამყაროს გამოწვევა ასევეა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, შენარჩუნება და განვითარება.

5.1. **ბუნების უფლებები vs უფლებები ბუნებაზე ეკოეთიკური პერსპექტივა.** თანამედროვე ფილოსოფიისთვის ეკოეთიკას, წარმოადგენს არა პერიფერიაზე განდგომილ, განყენებულ სეგმენტს, არამედ ზნეობის ფილოსოფიის განსაკუთრებულად სათუთ და მნიშვნელად ნაწილს ესაა სწორედ ის სეგმენტი სადაც ადამიანი, როგორც ეკოცენტრული დისკურსის კრეატორი, იღებს პასუხისმგებლობასაც და ვალდებულებასაც სამყაროზე, სადაც ხდება არა განყენება ადამიანისა ბუნებისგან, არამედ ბუნების შინაგანი ღირებულების აღიარების გზით ხდება ბუნების საზღვრების გაფართოება - ბუნების უფლებები არის ეთიკური კონსტრუქცია, იდეა, არა ფაქტი და არა ნივთი.

5.2.მარადიული მშვიდობის ეთიკური ჭრილი- (უტილიტარიზმის დისკურსი) „მარადიული მშვიდობის" ფილოსოფიური გაგება ემყარება მშვიდობის, როგორც ურღვევი იდეალის იდეას, როგორც მარადიული სიკეთის მდგომარეობას, რომელშიც ომს ადგილი არ აქვს. ამ თვალსაზრისის ფარგლებში „მარადიული მშვიდობა" გარკვეულწილად უტოპიური შინაარსის მატარებელია. შესაბამისად, ამ იდეაზე დაფუძნებული პოლიტიკური თეორიები არიან ფატალურად არარეალიზებადნი და რჩებიან მიუღწეველ იდეალად. თუმცა, პრე-მოდერნულ ეპოქაში თვისობრივად ახალი დისკურსის დაბადებასთან ერთად, გაჩნდა ამ კონცეპტის გააზრების განსხვავებული შესაძლებლობა. და კერძოდ, ბრიტანელი ფილოსოფოსი ჯერემი ბენთემი წამოაყენებს უტილიტარიზმს, როგორც „სარგებლიანობის პრინციპს", რომელსაც ზნეობის სფეროში წამყვან როლს მიაკუთვნებს. მოგვიანებით ჯონ სტუარტ მილმა საბოლოოდ დაამკვიდრა უტილიტარიზმში სიკეთის როგორც სარგებელის, ან ბედნიერების გაგება.

6.1**ღმერთსა და ექსისტენციას შორის,** თანამედროვე ფილოსოფიისთვის ეკოეთიკას, წარმოადგენს არა პერიფერიაზე განდგომილ, განყენებულ სეგმენტს, არამედ ზნეობის ფილოსოფიის განსაკუთრებულად სათუთ და მნიშვნელად ნაწილს ესაა სწორედ ის სეგმენტი სადაც ადამიანი, როგორც ეკოცენტრული დისკურსის კრეატორი, იღებს პასუხისმგებლობასაც და ვალდებულებასაც სამყაროზე, სადაც ხდება არა განყენება ადამიანისა ბუნებისგან, არამედ ბუნების შინაგანი ღირებულების აღიარების გზით ხდება ბუნების საზღვრების გაფართოება - ბუნების უფლებები არის ეთიკური კონსტრუქცია, იდეა, არა ფაქტი და არა ნივთი.

6.2. **განათლების ფილოსოფიური პარადიგმული ცვლილებები 21-ე საუკუნეში,** „მარადიული მშვიდობის“ ფილოსოფიური გაგება ემყარება მშვიდობის, როგორც ურღვევი იდეალის იდეას, როგორც მარადიული სიკეთის მდგომარეობას, რომელშიც ომს ადგილი არ აქვს. ამ თვალსაზრისის ფარგლებში „მარადიული მშვიდობა“ გარკვეულწილად უტოპიური შინაარსის მატარებელია. შესაბამისად, ამ იდეაზე დაფუძნებული პოლიტიკური თეორიები არიან ფატალურად არარეალიზებადნი და რჩებიან მიუღწეველ იდეალად. თუმცა, პრე-მოდერნულ ეპოქაში თვისობრივად ახალი დისკურსის დაბადებასთან ერთად, გაჩნდა ამ კონცეპტის გააზრების განსხვავებული შესაძლებლობა. და კერძოდ, ბრიტანელი ფილოსოფოსი ჯერემი ბენთემი წამოაყენებს უტილიტარიზმს, როგორც „სარგებლიანობის პრინციპს“, რომელსაც ზნეობის სფეროში წამყვან როლს მიაკუთვნებს. მოგვიანებით ჯონ სტუარტ მილმა საბოლოოდ დაამკვიდრა უტილიტარიზმში სიკეთის როგორც სარგებელის, ან ბედნიერების გაგება.

7.1. ფილოსოფიური შემეცნება

საკუთრივ ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში შემეცნების ფენომენის გაგება არ ყოფილა ერთიანი. თავისთავად ცხადია, რომ შემეცნების ბუნების, მისი საზრისისა და ღირებულების გაგება სულ სხვა იყო, ვთქვათ, ანტიკურ ეპოქაში ან შუა საუკუნეებში, ვიდრე ჩვენს

დროში, როცა მეცნიერება უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაიქცა და, შესაბამისად, შემეცნებითი მოღვაწეობის მიზანს მატერიალური დოვლათის წარმოება განსაზღვრავს. დღეს მეცნიერებას გადა- საწყ ვეტ პრობლემებს მეტწილად ქარხნები და ლაბორატორიები უკარნახებენ. ანტიკური ეპოქის მოაზროვნე არისტოტელესთვის კი, პირიქით, მეცნიერებათა შორის უმაღლესია ფილოსოფია, რადგან ის თავისუფალია. ეს ნიშნავს: იგი არაფრით არის განსაზღვრული და თავისი არსებობის მიზანი თავის თავში აქვს. პირველი მიზეზებისა

და საწყისების ჭვრეტა ყველა სხვა მოღვაწეობაზე მაღლა დგას. იგი, არისტოტელეს აზრით, ღმერთის საკადრისი, ხოლო ადამიანისათვის აღმატებული საქმიანობაა. ამიტომ არ შეიძლება ფილოსოფიურ შემეცნებაზე მაღლა დავაყენოთ რომელიმე სხვა მეცნიერება, რადგან ყველაზე ღვთაებრივი, ამასთანავე, ყველაზე ღირებულიც არის. „ყველა სხვა მეცნიერება უფრო აუცილებელია, ვიდრე ფილოსოფია, მაგრამ მასზე უკეთესი და ღირებული არც ერთი არ არის“ (Аристотелъ, 1976:70), დაასკვნის არისტოტელე. ამრიგად, არისტოტელეს მიხედვით, სინამდვილისადმი გონება- ჭვრეტითი დამოკიდებულება თავისთავად ღირებული რამ არის. მას თავისი გამმართლებელი და საზრისისმიმცემი ინსტანცია თავის თავში გააჩნია. ამიტომ თეორიული მოღვაწეობის ღირებულებას ადამიანისთვის მისგან გამომდინარე სასარგებლო შედეგები კი არ განსაზღვრავს, არამედ თვითონ ჭეშმარიტების ჭვრეტა ან, როგორც შემდეგ სპინოზა იტყვის, ღმერთისადმი ინტელექტუალური სიყვარული. ამ აზრით, ის არის

ნამდვილი ენტელეხია („ენტელეხია“ სიტყვასიტყვით მიზნის თავის თავში ქონას ნიშნავს). ამ მხრივ შემეცნების, როგორც თვითმიზნური და თავისთავადი ღირებულების მატარებელი მოღვაწეობის, არისტოტელესეული გაგება სრულიად საპირისპიროა შემეცნების ახალდროინდელი გაგებისა, რომელიც ფრენსის ბეკონმა ჩამოაყალიბა. ბეკონის მიხედვით, ცოდნა ძალაა, ამიტომ შემეცნებითი მოღვაწეობის ღირებულებას განსაზღვრავს ის პრაქტიკულ – უტილიტარული შედეგები, რომლებიც მისგან გამომდინარეობს, სახელდობრ, ადამიანის გაბატონების დონე ბუნების ძალებზე. ასევე სულ სხვაა შემეცნების ბუნების გაგება, მაგალითად, ჰერაკლიტე ეფესელის მიერ. მისი აზრით, რაიმე მოვლენის შემეცნება ნიშნავს გაიგო ამ მოვლენის ადგილი სამყაროს უნივერსალურ ერთიანობაში და ამ ერთიანობის ლოგოსთან მიმართებაში. ამიტომ ამბობს ჰერაკლიტე: „სიბრძნის ნიშანია – თანხმობაში იყო არა ჩემთან, არამედ ლოგოსთან. გესმოდეს რა ის, რომ ყველაფერი ერთიანობაშია“, რადგან „არსებობს ერთადერთი სიბრძნე – შეიმეცნო საზრისი, რომლითაც მოწყობილია სამყაროში ყოველივე ყოველივეს მეოხებით“ (Антология мировой философии, 1969:279). სიბრძნე, ცოდნა ამ ერთიანობასთან მიმართებას და მის შენარჩუნებას გულისხმობს. ამიტომ საქმე ბევრის ცოდნა კი არ არის, არამედ იმ ერთისა, რომელიც განაგებს სამყაროს საგანთა და მოვლენათა უნივერსალურ მთლიანობას. მაშასადამე, რო-გორც ჩანს, ჰერაკლიტეს შემეცნება სხვაგვარად ესმის, იგი შემეცნებისაგან უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე უბრალოდ მისი ფაქტიური და უშუალო მოცემულობის აღწერას, თუნდაც მისი უახლოესი მიზეზების დადგენას. შემეცნების ასეთი ღრმა გაგებიდან გამოსული ჰერაკლიტე, რა თქმა უნდა, შემეცნების თანამედროვე მეცნიერულ გაგებას საერთოდ არ ჩათვლიდა შემეცნებად. საქმე აქ მხოლოდ შემეცნების ჰერაკლიტესეული გაგების ისტორიულ-დროულ შეზღუდულობას როდი შეეხება, არამედ შემეცნების ცნების სხვადასხვაგვარ გაგებას, შე- მეც ნების განსხვავებულ მსოფლმხედველობრივ მოდელთა არსებობას. ასე მაგალითად, თანამედროვე ბოტანიკის მეცნიერება ჩვენ გვაძლევს გარკვეულ ცოდნას, ვთქვათ, სუროს ან ბროწეულის მცენარის შესახებ. კერძოდ, იგი აღწერს ამ მცენარეთა მორფოლოგიურ სტრუქტურას (რომ სუროს ახასიათებს ფოთლების მოზაიკური განლაგება და ა. შ.), ადგენს მათი ფუნქციონირებისა და ცხოველქმედების ბიოლოგიურ კანონზომიერებას. მაგრამ ბოტანიკა, სანამ საერთოდ ამ მეცნიერების ფარგლებში ვრჩებით, ვერ გვეტყვის, რატომ გამოვლინდა ერთიანი სამყაროული ყოფიერება მცენარეული ყოფიერების სახით, ხოლო, თავის მხრივ, მცენარეული ყოფიერება რატომ მოგვევლინა „სუროს“ ან „ბროწეულის ყვავილის“ მოდუსში. ეს, საბოლოოდ, ფილოსოფიურმა შემეცნებამ უნდა გვითხრას, რა თქმა უნდა, ბოტანიკის თუ სხვა კონკრეტულ მეცნიერებათა მონაცემების გათვალისწინებით, ცხადია, ჰერაკ ლიტეს, შემეცნების თავისებური გაგებიდან გამოსულს, ვერ დააკმაყოფილებდა მცენარის შესახებ მხოლოდ ბოტანიკის მონაცემები; მეტიც – იგი საერთოდ არ ჩათვლიდა ამას „შემეცნებად“.

7.2. მითოსური აზროვნების თავისებურება (შემეცნება მითოსურ აზროვნებაში)

ყველა დროის ფილოსოფია თავისი ეპოქის უმნიშვნელოვანესი პრობლემებით იყო დაინტერესებული. ამდენად, ფილოსოფიური კვლევა თვითმიზანს არასოდეს წარმოადგენდა.

ფილოსოფიის საგნის სხვადასხვა გაგება არსებობს, ზოგი თვლის, რომ ფილოსოფიის საგანია სამყაროს ჭვრეტა; მეორენი თვლიან, რომ ფილოსოფიის საქმეა მეცნიერების ლოგიკური

ანალიზი; ხოლო მესამენი – ფილოსოფიის საგნად ადამიანისა და მისი ცხოვრების საზრისის ძიებას აღიარებენ. ჩვენ რომელს ავირჩევთ, ეს ჩვენს მსოფლმხედველობაზეა დამოკიდებული. ადამიანი დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობისა და ევოლუციის ბუნებრივი და კანონზომიერი შედეგია. იგი ბუნებაში არსებობს, მაგრამ მთლიანად მასზე არ არის მიჯაჭვული. იგი ქმნის სრულიად ახალ სამყაროს კულტურის სახით. აშენებს საზოგადოებას მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ამყარებს პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ზნეობრივ, რელიგიურ ურთიერთობებს, ეწევა სულიერ მოღვაწეობას, რომლის შედეგად იქმნება მითოლოგია, რელიგია, ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოვნება და სხვა. ე.ი. ადამიანი ქმნის გონით სამყაროს, რაც უცხოა ნებისმიერი სხვა არსებისათვის.ფრიდრიხ ნიცშე (1844 –1900 წწ.) წერდა: “ადამიანი არის ხიდი და არა მიზანი… ადამიანი არის რაღაც, რაც უნდა გადაილახოს”. ე.ი. ადამიანად ყოფნა გულისხმობს ზრდას, ცვალებადობას, განვითარებას. ეს კი შეუძლებელია ნათელი ცნობიერებისა და მსოფლმხედველობის გარეშე. ადამიანი ირჩევს, რაღაც მოსწონს, რაღაც არ მოსწონს, რაღაცას კეთილად ან ბოროტად თვლის, იბრძვის, უყვარს ან გულგრილია და ა. შ. ის, რისთვისაც ადამიანი თავს გასწირავს, რისიც მას სწამს, არის მისი ცხოვრების საზრისი. ის, თუ რას მიიჩნევს ადამიანი თავისი ცხოვრების საზრისად, დამოკიდებულია მის მსოფლმხედველობაზე.

იმანუელ კანტს ჰქონდა ერთი პრინციპი, რომელიც არისტოტელედან აიღო. ეს პრინციპია: “ღმერთი და ბუნება ტყუილად არაფერს ქმნის, ე. ი. თუ რაიმე არსებობს, მას აქვს საკმაო საფუძველი”. რატომ არის ასე? – აინტერესებს კანტს, ვერც გადაჭრის და ვერც აიცილებს. რატომ? იმიტომ, რომ საინტერესოა. კანტი საჭიროდ თვლიდა შეეზღუდა თეორიული შემეცნების სფერო, საერთოდ მოაზრებადი გაეთიშა ორად – თავისთავადი ნივთების სფეროდ და მოვლენების სფეროდ. მოვლენების სფერო ეს არის – ნივთები ჩვენთვის, ე. ი. იმანენტური სფერო, რომელზეც მეცნიერება შენდება, ე. ი. ფიზიკის სფერო და თავისთავადი ნივთების სფერო, ანუ ფიზიკის იქით არსებული მეტაფიზიკური, ანუ ტრანსცენდენტური სფერო, რომელზეც მეცნიერება არ შენდება. ეს არის რწმენისა და მსოფლმხედველობის სფერო. განასხვავებენ თეორიულ და არათეორიულ მსოფლმხედველობას. მითოსი და რელიგია არათეორიული მსოფლმხედველობაა, ფილოსოფია კი – თეორიული. არსებობს მსოფლმხედველობის სამი ძირითადი სახე:1) მითოსი, როგორც მსოფლმხედველობა.2) რელიგია, როგორც მსოფლმხედველობა. 3) ფილოსოფია, როგორც მსოფლმხედველობა. მითოსი წარმოსახვის ძალას და ნათქვამის ავტორიტეტს ემყარება და ასე ახდენს სამყაროს ერთიანობის შესახებ აზრის დაფუძნებას. რელიგია რწმენას ემყარება და ამ გზით მიდის სამყაროს ერთიანობამდე. ფილოსოფია კი არის დასაბუთებული მსოფლმხედველობის მოცემის ცდა. იგი ცნებებისა და კატეგორიების გამოყენებით აყალიბებს მსოფლმხედველობას და ასე ახდენს სამყაროს ერთიანობის დაფუძნებას. იქ, სადაც იწყება ფილოსოფია, იწყება კრიტიკული აზროვნება, ისმება კითხვა – რატომ?

მე არ ვიცი, რაა სამყარო, არ ვიცი, რაა ჩემი სხეული, ჩემი გრძნობა, ჩემი სული და ჩემი არსების ის ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რასაც ვამბობ, რომელიც ცდილობს აზრით მიწვდეს და შეიცნოს ყველაფერი, შეიცნოს თავისი თავიც, მაგრამ უკეთ როდი იცნობს საკუთარ თავს, ვიდრე სხვა დანარჩენს. მე ვხედავ სამყაროს საშინელ სივრცეს, რომელშიც ვარ ჩაკეტილი. მე ვგრძნობ, რომ მიჯაჭვული ვარ ამ უვრცესი სამყაროს მხოლოდ ერთ კუნჭულს, მაგრამ არ

ვიცი, რად მხვდა წილად ეს კუთხე და არა რომელიმე სხვა ადგილი, ან რად მებოძა სასიცოცხლოდ ერთი მსწრაფლ წარმავალი წამი მარადისობის სწორედ ამ და არა რომელიმე სხვა წერტილში. მარადისობისა, რომელიც წინ უსწრებს ჩემს დასაბამს და რომელიც მოსდევს ჩემს დასასრულს.

მე ვერაფერს ვხედავ ჩემს ირგვლივ უსასრულობის გარდა, რომელშიც ატომივით ვარ ჩაკარგული. ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ჩრდილია, რომელიც მხოლოდ წამით ევლინება უსასრულობას, რათა ამ წამის წახდომისთანავე უკვალოდ გაქრეს. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მალე მოვკვდები, მაგრამ ყველაზე ნაკლებ ვიცნობ სწორედ ამ სიკვდილს, რომელსაც ვერ გავექცევი და ვერ ავიცილებ"!

მითოლოგიას, რელიგიას, ფილოსოფიას აქვს პრეტენზია იყოს მდგრადი, გავლენიანი, იყოს საყოველთაოდ აღიარებული, მაგრამ იცვლება დრო, იცვლება ადამიანის მსოფლგაგებაც. მარტინ ჰაიდეგერის (1889 –1976 წწ.) აზრით, შეუძლებელია მუდამ ერთი და იმავე იდეალის მიმართულებით მოძრაობა. მაგალითად იყო პერიოდი, როცა ევროპული საზოგადოების ცხოვრებაში წინა პლანზე წამოვიდა ცოდნის იდეალი, მაგრამ მუდამ ასე არ იყო და არც მუდამ ასე იქნება. იყო პერიოდი, როცა განსაკუთრებით მწვავედ დადგა ეკონომიკური პრობლემა და მისმა გადაჭრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვა. იყო ისეთი პერიოდიც, როცა სექსუალურმა ლტოლვამ ცივილიზებული ადამიანის ცხოვრების წარმართველ ფაქტორთა შორის ლამის ყველაზე მეტი ძალით იჩინა თავი. ახლა, ფიქრობს ჰაიდეგერი, ცივილიზებული კაცობრიობის ცხოვრებაში ყველაზე მეტ როლს ფრიდრიხ ნიცშეს მიერ ნაწინასწარმეტყველები ძალაუფლების იდეალი თამაშობს. კაცობრიობა ამ იდეალის მეოხებით დღეს კატასტროფის წინაშე დგას და თუ კი საბოლოო დაღუპვა არ უწერია, მომავალში უთუოდ დააღწევს მას თავს. ნათქვამიდან გამომდინარე, ადამიანი შეძლებისდაგვარად სრული სახით ყოფნას მიესწრაფვის. ამისათვის კი ყოფნის სისტემის გაგებას ცდილობს, სწორედ ამიტომაც იქცა ადამიანისათვის აუცილებლობად ფილოსოფიური აზროვნება, რომელიც არსებითად განსხვავდება მეცნიერული, მითოლოგიური, რელიგიური აზროვნებისაგან

1. **მიღებულია დასაბეჭდად ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის 23-ე საერთაშორისო კონფერენციის მასალებში. თსუ. მაისი 19-21, 2022წ.**
2. **მამუკა დოლიძე: „თეატრალური გარდასახვის ფენომენოლოგია". მიღებულია დასაბეჭდათ ჟურნალში „ ფილოსოფიურ თეოლოგიური მიმომხილველი" თსუ. ფილოსოფიის სასწავლო- სამეცნიერო ინსტიტუტი. 17- 19 ნოემბერი 2022 წ**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

B8.1. **წიგნის „ დემოკრატია ამერიკაში" მიხედვით."** ბრიტანული არისტოკრატია შეიცვალა ამერიკული დემოკრატიით. ეს არის აღნიშნული განსხვავების საფუძველი. ამერიკა ღია აღმოჩნდა მრავალი ერისთვის და არაერთი უცხო სიტყვა დამკვიდრდა ამერიკულ ინგლისურში. პიროვნება, ინდივიდი აღმოჩნდა ახალი ღირებულებების და პრაგმატულ-ინსტრუმენტული ფილოსოფიის სუბიექტი და რეალობის ამ მკვეთრი სუბიექტივაციის გამო მოხდა მრავალი აბსტრაქტული სიტყვის პერსონიფიცირება, მათ წინ დაერთოთ განსაზღვრული არტიკლი.

ლათინური ენების, კერძოდ ფრანგულის და ესპანურის გავლენით ამერიკულ ინგლისურში გაიზარდა კონტექსტის როლი, რის გამოც ზმნის პერფექტული დრო უფრო ნაკლებად იხმარება, ვიდრე ბრიტანულ ენაში. მოქმედების სასრულობის და დროის მომენტის დაზუსტება გამარტივდა და კონტექსტის საშუალებით ხდება.

შეიცვალა აგრეთვე მეტყველების არტიკულაცია. მახვილი ენის მდორე დინებას ემოციურ ტალღებად და ვარდნილებად გარდაქმნის. ამ ახლადშექმნილ ენობრივ ველზე თვალს გადაეშლება დიდებული ქვეყანა – ტოკვილის დროინდელი ამერიკის შეერთებული შტატები.

აქცენტები ინგლისური ენის ყველა ნაირსახეობაში მნიშვნელოვანია, მაგრამ ამერიკაში აქცენტებს მეტი ემოციური თავისუფლება ენიჭება, ისინი ინდივიდის გუნებ-განწყობას გამოხატავენ და არა მხოლოდ მეტყველების კონცენტრაციას წინადადების საზრისის მიხედვით.

ამერიკელის მეტყველებაში ჩანს არა მხოლოდ გამოსახვის თავისთავადი აქტი, არამედ სუბიექტის დამოკიდებულებაც ნათქვამის მიმართ. ამერიკული ინგლისური ადვილად და შეიძლება სიხარულითაც ითვისებს უცხო სიტყვებს, რადგან უცხო სიტყვები ქმნიან იმ ირაციონალურ აურას, რომელიც ამერიკელის ემოციურ კონცენტრაციას თავისებურად აძლიერებს.

ამ ენობრივ გარდაქმნაში ჩანს პრაქტიკის მნიშვნელობა და პიროვნების წამყვანი როლი იმდროინდელი ამერიკის ცხოვრებაში.

8.2.„თეატრალური გარდასახვის ფენომენოლოგია“. როლის თამაში და მსახიობური გარდასახვა არ წარმოადგენს თე ატრალური ხელოვნების და საერთოდ ხელოვნების პრიორიტეტს. გარ დასახვის მოვლენა ყოფიერების უღრმესი, ფუნდამენტური ფენომენია, რომელიც სიცოცხლის ინდივიდუალობის და განუმეორებლობის, მეორე მხრივ კი მისი ზოგადარსობრივი მოცემულობის აუცილებელ სინთეზს გულისხმობს.

ყოფიერებაში ერთდროულად მიმდინარეობს ინდივიდუალიზაციი სა და გლობალიზაციის პროცესი. ყოველი ინდივიდუალური არსებობა განუმეორებელია, მაგრამ მეორეს მხრივ, სამყაროში არსებობს წესრი გი და კანონზომიერება, რაც გარკვეულ რეგულარობას, ანუ ინდივიდ უალურ მოვლენათა განმეორებადობას გულისხმობს. არსებობის განუ მეორებლობის და განმეორებადობის ფენომენოლოგიური ერთიანობის ასახსნელად ჩვენ მივმართავთ ე.წ. ‘‘როლების თეორიას’’. ჩვენი ღრმა რწმენით, სამყაროს მოვლენებს ახასიათებს ურთიერთჩანაცვლების და ერთმანეთში გარდასახვის უნარი. გარკვეულ სიტუაციაში ერთმა მოვლე ნამ შეიძლება ითამაშოს მეორე მოვლენის როლი და ამავე დროს შეინარ ჩუნოს საკუთარი, ინდივიდუალური სახე. ასეთი ურთიერთჩანაცვლება მოვლენათა მსგავსების, რეგულარობის და აქედან, სამყაროს წესრიგის და კანონზომიერების გარანტიაა, რომელიც სწორედ მსახიობური გარ დასახვის გზით უკავშირდება სიცოცხლის და ზოგადად, ყოფიერების ინდივიდუაციის პრინციპს. რაც მეტად განუმეორებელი და უნიკალურია მოვლენა, მით მეტად მიისწრაფვის ის გარდაისახოს სხვა მოვლენაში და ამ გზით ეზიაროს ზოგადარსობრივ წესრიგს. ეს ხდება რეალობაში და ეს ხდება ხელოვნებაშიც.

სიცოცხლის ფენომენოლოგიასთან შედარებითი ანალიზის გზით ნაჩვენებია, რომ პიროვნული გარდასახვის ეს ფენომენი სცილდება რო გორც თეატრის სცენას, ასევე ადამიანური სამყაროს არეალს და ყოფი ერების ინდივიდუალობისა და ზოგადარსობრივი მთლიანობის ჰარმონი ულობის პრინციპიდან იღებს სათავეს.

9.1. **თავისუფლება როგორც ესთეტიკური იდეა**/პუბლიკაციაში გაანალიზებულია თავისუფლების ფილოსოფიური თემატიზირების ძირითადი ასპექტები. გამოყოფილია თავისუფლების როგორც პოლიტიკის ფილოსოფიის პრობლემის გადაწყვეტის არსებითი გზების თავისებურებები. გარდა ამისა, განვითარებულია თავისუფლების ესთეტიკურ

ასპექტში განხილვის პროდუქტიულობის იდეა. ამისათვის ანალიზის საგნად არის ქცეული, ერთი მხრივ, ი. კანტისა და ფრ. შილერის თვალსაზრისები თავისუფლებაზე და, მეორე მხრივ, ეთიკისა და ესთეტიკის ორგანული კავშირი მათ პრაქტიკულ ფილოსოფიაში. აღნიშნული კვლევის საფუძველზე ნათელყოფილია ლიბერალური დემოკრატიის ფილოსოფიური დაფუძნების ძირითადი პრინციპები და ინდივიდუალური თავისუფლების ფუნდამენტური ღირებულება (თავისუფლებისესთეტიკური იდეის კონტექტში)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

9.1. დოსტოევსკის მორალური ფილოსოფია და კანტის პრაქტიკული გონების კრიტიკა, პუბლიკაციაში განხილულია ფიოდორ დოსტოევსკის შეხედულებები ზნეობის და ადამიანის თავისუფლების შესახებ, რომლებიც გაანალიზებულია ი. კანტის პრაქტიკული ფილოსოფიის კონტექსტში. შესაბამისად, წარმოჩენილია რა მიმართებაშია ერთმანეთთან დოსტოევსკის ეთიკა და კანტის „პრაქტიკული გონების კრიტიკა“. დასახული ამოცანის გადასაწყვეტად დოსტოევსკის რომანებიდან აღებულია ერთ-ერთი, სახელდობრ, მისი ბოლო გამოქვეყნებული წიგნი „ძმები კარამოზოვები“. კიდევ უფრო კონკრეტულად, ყურადღება კონცენტრირებულია მის ორი თავზე: „ამბოხი“ და „დიდი ინკვიზიტორი“. მათი ანალიზის საფუძველზე ჩვენ თანმიმდევრულად წარმოჩინდება დიდი რუსი მწერლის თვალსაზრისი ადამიანზე, მის ბუნებაზე, რელიგიაზე, თავისუფლებაზე, სინდისზე, ზნეობასა და ადამიანის უნარზე, იცხოვროს ზნეობრივად. აქვე გაკრიტიკებული და უარყოფილია გავრცელებულ მოსაზრება, რომ დოსტოევსკის თვალსაზრისს მხოლოდ ალიოშა კარამაზოვი გამოთქვამს, ხოლო ივანე კარამაზოვის შეხედულებები დოსტოევსკის პრაქტიკული ფილოსოფიის ანტიპოდური თვალთახედვაა. ამის საპირისპიროდ პუბლიკაციაში საბუთდება, რომ ორივე ძმის პოზიციაში არის ის დებულებები, რომლებიც საკუთრივ დოსტოევსკის ანთროპოლოგიას და მორალის ფილოსოფიას გადმოსცემენ. ასეთი მიდგომა საშუალებას ნათელი ხდება, რომ ფ. დოსტოევსკი კანტის ანალოგიურ პოზიციაზე დგას. კერძოდ, ის, რომ მისი აზრით, ზნეობრიობის საფუძველში პრაქტიკული გონება, ავტონომია, კატეგორიული იმპერატივია. ამასთან, პრაქტიკული გონება პრინციპულად განსხვავდება ადამიანის გრძნობადი ბუნებისაგან. ადამიანის ნოუმენალური და ფენომენალური ბუნება ერთმანეთთან შეუთავსებელია. ისინი მუდმივ და გადაულახავ კონფლიქტში იმყოფებიან ერთმანეთთან. აქვე ხაზი გაესმის იმას, რომ დოსტოევსკი შეუძლებლად თვლის ივანე კარამაზოვის მორალური ფილოსოფიის არგუმენტებით გადალახვას. მისთვის მთავარი და ერთადერთი არგუმენტი გრძნობადი შეზღუდულობის პრაქტიკული გადალახვაა, რისთვისაც ძალას ადამიანს რწმენა აძლევს.

პროექტის პირველ ეტაპზე (15.03.2022 - 15.03.2023) დამუშავდა შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა; მოძიებული და შესწავლილ იქნა „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის ტექსტის შემცველი ყველა ხელნაწერი (მათ შორის, ლიტურგიკული კრებულები და ეგზეგეტიკური თხზულებები), მოხდა მათი კლასიფიცირება; შედგენილ იქნა ხელნაწერთა კატალოგი, რომელშიც ასახულია მოციქულთა საქმის ტექსტის შემცველი ნუსხების პალეოგარფიულ-კოდიკოლოგიური და ტექსტური მახასითებლები (თარიღი, საწერი მასალა, ფურცელთა რაოდენობა, ანბანის სახეობა, მელანი, ზომები, ხელნაწერის ფიზიკური მდგომარეობა, ახალი აღქმის წიგნთა რიგი კოდექსში, შედგენილობა, ინფორმაცია „საქმე მოციქულთაც“ ტექსტის რედაქციული კუთვნილების შესახებ, ანდერძები (მთარგმნელის/ გადამწერის/მომგებლის...), მარგინალური ნიშნები და შენიშვნები (ხელნაწერის აშიებზე მიწერილი განმარტებები ან სხვადასხვა გრაფიკული აღნიშვნები (არსებობის შემთხვევაში), წიგნის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი მინაწერები და სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ხელნაწერის კოდიკოლოგიური შესწავლისას გამოიკვეთა (კოდექსის პალეოგრაფიული ან კოდიკოლოგიური თავისებურება, პუნქტუაცია და ტექნიკური ნიშნები და სხვ.) კატალოგში შეტანილ ყველა ხელნაწერს ერთვის ბიბლიოგრაფია, არსებობის შემთხვევაში მითითებულია ხელნაწერში დაცული ტექსტის გამოცემა და ლიტერი.

„საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის ტექსტის აკადემიური გამოცემის მომზადება იგეგმება ორი წინარეათონური, ათონური (გიორგი ათონელის) და პოსტათონური (ეფრემ მცირის) რედაქციებისა და უძველეს ლექციონარებში დაცული „საქმე მოციქულთას“ საკითხავების მიხედვით. ამ დროისთვის შერჩეულია ხელნაწერები, რომლის მიხედვითაც მოხდება წინარეათონური რედაქციების (A და B რედაქციები) ტექსტის დადგენა. მიმდინარეობს მუშაობა A რედაქციის შემცველი X საუკუნის ნუსხის (S-407-ის) და B რედაქციის ტექსტის ხელნაწერის (K-176-ის) ტრანკრიპტების მომზადებაზე, რომელთაც შეუდარდება ამავე რედაციების სხვა ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტი (ამ სამუშაოს დასრულება და ყველა ვარიანტის აღნუსხვა დაგეგმილია პროექტის მომდევნო ეტაპზე).

2. **ინფორმაციული სტრუქტურა და ქართველურ ენათა ჰიპოტაქსური მოდელები** (FR-21-352)

მეცნიერების დარგი: ენათმეცნიერება (ქართველური ენათმეცნიერება)
სამეცნიერო მიმართულება: 4. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები
ქვე-მიმართულება: 4.1. ქართული ენა, აფხაზური ენა და საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნება
კატეგორია: 4.1.1. ქართული ენა, ქართველური ენები
პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: 15.03.2022 – 15.03.2025

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **ასოც. პროფ. მაია ლომია** (სამეცნიერო ხელმძღვანელი)
2. **პროფ. რამაზ ქურდაძე** (კოორდინატორი, მკვლევარი)
3. ფილოლოგიის დოქტ., მეცნიერ-თანამშრომელი ნინო ჭუმბურიძე (მკვლევარი)
4. **ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი** (მკვლევარი)
5. დოქტორანტი გიორგი ჯღარკავა (ახალგაზრდა მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ზემოაღნიშნული გრანტისთვის 2022 წელი არის მუშაობის დაწყების პირველი წელი. მიმდინარე წელს განხორციელდა გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული აქტივობები; კერძოდ, **დაიწყო:** ქართულ და უცხო ენებზე სპეციალური ლიტერატურის დამუშავება, ბეჭდურად არსებული ემპირიული მასალის დამუშავება, მონოგრაფიის თეორიული ნაწილის სისტემატიზაცია; **განხორციელდა** მივლინება ქვეყნის შიგნით: ზუგდიდის მუნიციპალიტეტში; ველზე მოპოვებული მასალა დამუშავდა და ჩაერთო კვლევაში; მეცნიერთა ჯგუფმა **მონაწილეობა მიიღო** საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში საქართველოში (პროგრამა და თეზისები დაბეჭდილია); **მზადდება** სამეცნიერო პუბლიკაცია მაღალრეიტინგულ ჟურნალში დასაბეჭდად; ასევე, მზადდება თეზისი და მოხსენება საზღვარგარეთ საერთაშორისო კონფერენციაზე წარსადგენად.

3. **დედაენა - დვრიტა ქართული ეროვნული სულისა** (**SP-22-303**)
მეცნიერების დარგი: ენათმეცნიერება (ქართველური ენათმეცნიერება)
სამეცნიერო მიმართულება: 7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები
ქვე-მიმართულება: 7.6. ჰუმანიტარული მეცნიერებები
პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: **30.11. 2022 - 30. 05. 2023**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე** (სამეცნიერო ხელმძღვანელი)
2. **ასოც. პროფ. მაია ლომია** (კოორდინატორი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

პროექტი მიზნად ისახავს აკად. გუჩა კვარაცხელიას მონოგრაფიის ბეჭდურ გამოცემას. გამოსაცემ მონოგრაფიაში ქართული ენა განხილულია სისტემურ-სტრუქტურულ და კომუნიკაციურ პარადიგმათა ფარგლებში. აღწერილია მისი, როგორც დედაენის, როლი სამყაროს

შემეცნებასა და თვითგამოხატვაში, სულიერ ღირებულებათა შექმნასა და დაუნჯებაში. გაანალიზებულია სამყაროს მეცნიერული და მხატვრულენოვანი სურათების აგებისა და დედაენაში შენახული ცოდნის უნიკალურობის საკითხები. მონოგრაფია შედგება სამი თავისა და ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმესაგან; დაერთვება საძიებლების სია. მიმდინარე წლის დეკემბერში დაიწყო და 2023 წლის იანვარში დასრულდება სარჩევის შედგენა და I თავის მომზადება დასაბეჭდად, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს ხელნაწერი ტექსტის აკრეფას, კორექტირებასა და რედაქტირებას.

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

4. **მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ძველი ქართული თარგმანები,** FR-21-3104,
2022 მარტი-2024 მარტი

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ასოც. პროფ. ანა ხარანაული (ხელმძღვანალი) სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

წლისმცირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 1. „**უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში**“

მეცნიერების დარგი: ენათმეცნიერება (ქართველური ენათმეცნიერება)

სამეცნიერო მიმართულება: 7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

ქვე-მიმართულება: 7.6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: **20.12. 2017 - 20. 06. 2022**

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **პროფ. რამაზ ქურდაძე** (სამეცნიერო ხელმძღვანელი)

2. **ასოც. პროფ. მაია ლომია** (კოორდინატორი, მკვლევარი)

3. ფილოლოგიის დოქტ. , მეცნიერ-თანამშრომელი ნინო ჭუმბურიძე (მკვლევარი)

4. დოქტორანტი თამარ ჩანქსელიანი (ახალგაზრდა მკვლევარი)

5. **ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი** (დამხმარე პერსონალი: ექსპერტ-კონსულტანტი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

სამეცნიერო პროექტის ფარგლებში განხორციელდა **უარყოფის კატეგორიის კომპლექსური ანალიზი ქართველურ ენებში** დიაქრონიული და სინქრონიული პერიოდების გათვალისწინებით; კერძოდ, საანალიზო კატეგორია აღიწერა ძველსა და ახალ ქართულში, სვანურში, მეგრულსა და ლაზურში, ასევე, ქართული ენის დიალექტებში; სინქრონიული მეტყველების ამსახველი ტექსტები მოძიებულ იქნა ველზე სამეგრელოში, სვანეთსა და ლაზეთში (ს. სარფში), მათ შორის თურქეთის ლაზეთში; სპეციალური კითხვარების საშუალებით გამოვლინდა, უარყოფის გამოხატვის რამდენიმე მოდელიდან რომელია უფრო აქტიური, ინფორმატორი რომელს ანიჭებს უპირატესობას. ველზე მოპოვებული მასალების დამუშავებითა და პარალელური ქართული ვერსიების მომზადებით შეივსო არსებული ემპირიული მასალა თანამედროვე ენობრივი სიტუაციის ამსახველი მონაცემებით. ველზე შესრულებულმა ამ ტიპის სამუშაოს მიმოხილვამ და მიღებული შედეგების შეჯამებამ ხელს შეუწყო კვლევის შედეგების შედარება-შეპირისპირებას და წარმოაჩინა ქართველურ ენათა ტიპოლოგია, საერთო-ქართველური ტენდენციები და თითოეული ქართველური ენისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა; პროექტის ფარგლებში კვლევა წარიმართა **ფუნქციურ-სემანტიკური**, **სტილისტიკური ანალიზის თანამედროვე ლინგვისტური თეორიებითა** და **მიდგომებით**.

პროექტის ფარგლებში დასახული მიზნის მისაღწევად განხორციელდა შემდეგი **ამოცანები**: ა. დამუშავდა სპეციალური ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, შედგენილ იქნა ანოტირებული ბიბლიოგრაფია; ბ. ემპირიული მასალა დამუშავდა ბეჭდური ტექსტების, მონაცემთა ბაზების, ველზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თურქეთის ლაზეთში მოძიებული მასალების მიხედვით; გ. საუკუნისწინანდელი ბეჭდურად გამოცემული სვანური, მეგრული და ლაზური ტექსტების შედარება ველზე მოძიებული სინქრონიული ენობრივი ვითარების ამსახველ მასალებთან; დ. უარყოფასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების ანალიზი ქართველურ ენებში შესაბამისი მეთოდებითა და ხერხებით. ე. უარყოფის კატეგორიის ლინგვისტური კვლევის ჩარჩოს გათვალისწინება ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით. ვ. უარყოფა-უქონლობის გამომხატველი სახელური და ზმნური მოდელების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი; ზ. უარყოფის გამოხატვის პოლარული საშუალებების კვლევა ქართველურ ენებში; თ. უარყოფის ზოგი სპეციფიკური საკითხის ანალიზი თარგმნაში.

გამოვლინდა უარყოფის გადმოცემის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი სახელური და ზმნური მოდელები, რომელთა ფორმალურ თუ ფუნქციურ ცვლილებებს შეგვიძლია თვალი გავადევნოთ სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ასევე სხვა ქართველურ ენების მონაცემების მიხედვით; სინქრონიულ დონეზე უარყოფა-უქონლობის მრავალფეროვანი მაწარმოებლების (პრეფიქსული, კონფიქსური, სუფიქსური) მიუხედავად, მასალის სისტემურმა და აფიქსთა გენეტურმა ანალიზმა გამოკვეთა უარყოფის უძველესი **უ**-ფორმანტი; **გაირკვა**, რომ **სემანტიკური გადაწევა** მოხდა **უარყოფიდან უქონლობამდე**; შესაბამისად, ფორმობრივმა ცვლილებამ შინაარსობრივი ცვლილებაც გამოიწვია. **უ- პრეფიქსი არა-/არ-** ნაწილაკმა ჩაანაცვლა და უარყოფითნაწილაკიანი რთული სახელები პროდუქტიული გახდა სამი პარამეტრის – ლექსიკური ანტონიმიის, მათ შორის ტერმინოლოგიის წარ-

მოების, თავკიდურა პოზიციისა და აქტუალური სტილურ-სემანტიკური შესაძლებლობების მიხედვით. უარყოფითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების სტრუქტურა და სემანტიკა ქართველურ ენებში მჭიდროდ უკავშირდება ორმაგი უარყოფის პრობლემური საკითხის ანალიზს. ზმნურ მოდელებში საინტერესო სურათი იკვეთება ქართველურ ენებში უარყოფის ნაწილაკის მარკერად ან ლექსიკურ ერთეულად კვალიფიკაციის თვალსაზრისით; **გამოიკვეთა** უარყოფის გამომხატველ პარალელურ ფორმათა სემანტიკური დიფერენცირებისა და სინონიმური რიგის მოშლის ტენდენციები; **განისაზღვრა** უარყოფითი ნაწილაკისა და ზმნური ფუძეების აზრობრივი შეხამების შესაძლებლობები კილოს, პოტენციალისისა და მოდალობის გათვალისწინებით. უარყოფის სემანტიკურ-პრაგმატიკული ასპექტები კარგად წარმოჩნდა უარყოფის გამოხატვის პოლარული საშუალებებითაც, რითიც შესაძლებელი გახდა **უარყოფისა** და **დადასტურების** მნიშვნელობათა ფოკუსირება ცალკეული ლექსიკური ერთეულების მიხედვით ან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს შორის მიმართებათა გათვალისწინებით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართველური ენები ნეგაციის გამოხატვის თვალსაზრისით მონონეგატიური ბუნებისაა; თუმცა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ორმაგი უარყოფის არსებობის გათვალისწინებით, ქართველური ენები პირობითად შეგვიძლია უარყოფის გამოხატვის შერეულ ტიპს მივაკუთვნოთ. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია სპეციალისტებისთვის, რომლებსაც აინტერესებთ კოგნიციის ენობრივ გამოხატულებასთან დაკავშირებული საკითხები; ასევე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ქართველურ ენათა ტიპოლოგია ისტორიულ-შედარებითი პროცესებისა და სინქრონიული მონაცემების გათვალისწინებით.

პროექტის ფარგლებში შექმნილი **მონოგრაფია** განკუთვნილია ჰუმანიტარული და მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისთვის, სტუდენტებისთვის.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. . **ასო. პროფ. გიული შაბაშვილი** - ევროკავშირის ერასმუს+ ჟან მონეს პროექტი "ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში" (EUStBA)

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ასო. პროფ. გიული შაბაშვილი- **მონაწილე, სილაბუსის ავტორი**

2. **ასოც. პროფ. კახა გაბუნია** - აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების პროგრამა - USAID. – მიმართულება - მულტილინგვური

განათლება, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება,პროექტის დაწყების და დამთავრების წლები 2020-2026

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ასოც. პროფ. კახა გაბუნია - მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში კახა გაბუნია ჩართულია ახალი სკოლის მოდელის დანერგვაში ეროვნული უმცირესობების სკოლებში. 2020 წლის განმავლობაში შემუშავდა 4 თემატური ერთეულის მატრიცა; ამავე პროექტის ფარგლებში, კახა გაბუნიას ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი 1600 მასწავლებლისთვის (დაწყებითი და მშობლიური ენების მასწავლებლები 300 არაქართულენოვანი სკოლიდან) მაისი-ივნისის პერიოდში.

3. ასოც. პროფ. კახა გაბუნია – ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისი.

მიმართულება - მულტილინგვური განათლება, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება.:

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2022-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ასოც. პროფ. კახა გაბუნია - პროექტის კოორდინატორი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია განათლების და მეცნიერების სამინისტროს მულტილინგვური სწავლების საპილოტე პროექტის ფარგლებში შერჩეული 35 სკოლისა და 16 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მასწავლებელთა მომზადება ბილინგვური განათლების სტატეგიებსა და მეთოდოლოგიაში; ხსენებული სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მომარაგება სათანადო რესურსებით.

მასწავლებლები გადამზადდებიან ტრენინგების ციკლის ფარგლებში (ნოემბერი-დეკემბერში ჩატარდა 2 პირისპირ და 3 ონლაინ ტრენინგი). ამჟამად მიმდინარეობს პროექტში ჩართული სკოლებისა და ბაღების მონიტორინგი.

შეიქმნება 15 სასწავლო თემატური ერთეული ენისა და საგნის („ჩვენი საქართველო“) ინტეგრირებული სწავლებისთვის (6 ერთეული უკვე შექმნილია და გაწერილია მათი თემატური სცენარები).

4. **ასოც. პროფ. კახა გაბუნია** – „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“

დამფინანსებელი ორგანიზაცია: UNAG; USAID

მიმართულება - ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება, უმცირესობათა წარმომადგენელი სტუდენტების ინტეგრაცია.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2022-2027

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ასოც. პროფ. კახა გაბუნია - პროექტის კომპონენტის ხელმძღვანელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

USAID-ის პროგრამა „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ 5-წლიანი პროგრამაა, რომელიც ემსახურება ახალგაზრდების სამოქალაქო ინტეგრაციასა და ეკონომიკურ გაძლიერებას. მიზნად ისახავს უმცირესობების ჩართულობის გაზრდას საჯარო პოლიტიკის ყველა საკითხში, სექტორთა თანამშრომლობის გზით მათი ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობას და სოციალური, სამოქალაქო და ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას უმცირესობასა და უმრავლესობას შორის.

პროგრამის მიზანი: პროგრამა მიზნად ისახავს საზოგადოებაზე მორგებულ ცვლილებას, რომელიც მოითხოვს ღიაობას არასტაბილური სოციალური გარემოს მუდმივი შეფასებისთვის, ასევე სწავლისა და ადაპტაციის მექანიზმების ამოქედებას. პროექტის მიზანია, იკვლიოს, შეაფასოს და მხარი დაუჭიროს 1+4 პროგრამის ეფექტურად განხორციელების პროცესს სახელმწიფო სტაჟირების პროგრამების ოპერატიული გაუმჯობესებისა და განათლების პოლიტიკის დაგეგმვისაკენ მიმართული რეკომენდაციებით.

პროექტის აქტივობები:

- კვლევის ჩატარება 1+4 პროგრამის(საშეღავათო პოლიტიკა უმაღლესი სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობებისათვის) ეფექტურობის შესაფასებლად: CCIIR შეისწავლის 1+4 პროგრამის ეფექტურობასა და კონსულტაციას გაუწევს სახელმწიფო მინისტრს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში (SMRCE), ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (MOES) პროგრამის ოპტიმალური განხორციელების შესახებ.
- ეთნიკური უმცირესობებისთვის სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის გაფართოება: CCIIR შეისწავლის სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ეფექტურობას და რეკომენდაციას გაუწევს სახელმწიფო მინისტრს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში (SMRCE) ქმედითი რეკომენდაციებით სტაჟირების პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის.

» კვლევა ენობრივი პოლიტიკის შესახებ საქართველოში: CCIIR იმუშავებს განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან ერთად (TPDC), უმცირესობათა რეგიონებში ენობრივი განათლების წახალისებისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული და პრაქტიკული ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით. კვლევის საბოლოო მიზანი იქნება განათლების ენობრივი პოლიტიკის შესახებ ქმედითი რეკომენდაციების მომზადება.

5. **ასოც. პროფ. კახა გაბუნია** - *გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკა თანაბარი განათლების შესაძლებლობებისთვის დონორი: ევროკავშირი, UNFPA, UN WOMEN*

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2022-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
კახა გაბუნია - მკვლევარი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანი: საქართველოს სასკოლო განათლების სისტემაში გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა. პროექტის ძირითადი ამოცანები:

- სკოლის დაწყებითი და საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და სოციალური მეცნიერებების სახელმძღვანელოების ანალიზი გენდერული მგრძნობელობის თვალსაზრისით;
  » სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების წესის მიმდინარე რეფორმის შესწავლა გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით;
- სახელმძღვანელოების განდერული კვლევის შედეგების საფუძველზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და პოზიტიური ცვლილებების ადვოკატირება;
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და გენდერული სტერეოტიპების თავიდან აცილების მიზნით სკოლების მასწავლებელთა შესაძლებლობების განვითარება საქართველოში.

პროექტის მნიშვნელოვანი შედეგებია:

- პროექტში ჩართულ მხარეებს აუმაღლდათ ცნობიერება გენდერულად მგრძნობიარე საგანათლებლო რესურსების შესახებ;
- თბილისის, გურიისა და იმერეთის სკოლებში მომუშავე სულ მცირე ექვსასი (600) მასწავლებელი ფლობს შესაბამის კომპეტენციას, უნარებსა და მეთოდოლოგიურ მიდგომებს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლისა და სასკოლო სახელმძღვანელოების ნაკლოვანებების პოზიტიურ გამოცდილებად გარდაქმნის მიდგომების გამოყენების შესახებ;
- კარგად მომზადებული მასწავლებელთა საზოგადოება, რომელიც იწყებს კვლევას, რეფლექსიას, ანალიზს და გენდერულად მგრძნობიარე სასწავლო პრაქტიკას;
- სახელმძღვანელოების გრიფირების წესების გადასინჯვა, სადაც გენდერული მგრძნობელობის შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფენ ორივე სქესის დაბალანსებულ წარმომადგენლობას, ბიჭებისა და გოგოების თანაბარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას; ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შემუშავების პროცესში მყოფი სახელმძღვანელოები მოიცავს გენდერულად დაბალანსებულ შინაარსს;
- გენდერული თანასწორობის საკითხი ქვეყნის განათლების სისტემაში გრიფირების გაუმჯობესებული წესების/პოლიტიკისა და შემუშავებული საგანმანათლებლო მასალების გათვალისწინებით, ყურადღების ცენტრშია.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით - ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის დაფინანსებით. OSCE-1400212; მიმართულება - მულტილინგვური განათლება, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება.:

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2017-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ასოც. პროფ. კახა გაბუნია, კომპონენტის კოორდინატორი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
პროექტის ფარგლებში შეიქმნა მე-5 და მე-6 კლასების მოსწავლეთათვის ენისა და ბუნების ინტეგრირებული სწავლებისთვის წიგნების კომპლექტები (ელექტრონული პორტალი (cciir.ge). პორტალი მოიცავს დამხმარე ვიზუალურ მასალას (პოსტერები, ნახატები, სამუშაო ფურცლები, აუდიო და ვიდეომასალა), აგრეთვე საგაკვეთილო სცენარები თითოეული თემატური ერთეულისათვის.

2. MYSCHOOL.GE/GANATLEBA.GE უკეთესი განათლების შესაძლებლობებისა და სამოქალაქო ჩართულობისთვის

დონორი: OGP EU

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ასოც. პროფ. კახა გაბუნია, კომპონენტის კოორდინატორი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანი: ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოებას და აქტიურ მოქალაქეებს საქართველოს საჯარო საგანმანათლებლო სერვისების შესახებ დასვან შეკითხვები და დააკვირდნენ მათ ფუნქციონირებას ინოვაციური ონლაინ პლატფორმისა და მასთან დაკავშირებული მობილური აპლიკაციის (Myschool.Ge) შემუშავებისა და მარტივი გამოსაყენებელი პროგრამის დანერგვის გზით. პროექტი წაახალისებს ქართულ საზოგადოებას აქტიურად ჩაერთონ საგანმანათლებლო დაწესებულებების გაუმჯობესების პროცესში.
პროექტის შედეგები:

- პლატფორმის პილოტირების პროცესმა დაფარა სამიზნე, კლასტერული სკოლები, რომლებიც აერთიანებდნენ საქართველოს ზოგადი განათლების სკოლების ყველა ტიპს;
- პროექტში ჩაერთო ყველა მოქმედი საჯარო სკოლა, სულ 2086 სკოლა, 1000+ სკოლამდელი დაწესებულება და დაახლოებით 40-მდე უმაღლესი სასწავლო დაწესებულება;
- პლატფორმის სერვისები გაფართოვდა - პლატფორმას გააჩნია მდგრადობის პოტენციალი სკოლამდელი და უმაღლესი განათლების სერვისების გაფართოებისათვის;
- პლატფორმის გამოყენება შესაძლებელია სხვა ქვეყნებშიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ჩათვლით, შინაარსის მცირე მოდიფიკაციით.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)

4.1. საერთაშორისო პატენტები;

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **პროფ. რამაზ ქურდაძე, ასოც. პროფ. მაია ლომია, ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი,** ნ. ჭუმბურიძე, **„უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“,** ISBN 978-9941-9668-8-0 (ყველა წიგნი) ISBN 978-9941-33-265-4 (წიგნი II), თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 569 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მონოგრაფია წარმოადგენს ქართველური ენების სისტემურ აღწერასა და ანალიზს ერთ-ერთი ფუნდამენტური კატეგორიის, უარყოფის, მიხედვით. უარყოფა სხვა უნივერსალური კატეგორიებისაგან იმით განსხვავდება, რომ წარმოიქმნება მტკიცებითი აზრის უარყოფით, თუმცა მისი ერთ-ერთი სემანტიკური მახასიათებელი მტკიცება-დადასტურების გამოხატვაცაა. აქედან გამომდინარე, უარყოფა რთული კატეგორიაა, რომელიც სხვადასხვა ენობრივ დონეზე გამოიხატება და წარმოაჩენს ფუნქციურ-სემანტიკურ მრავალფეროვნებას. „უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“ ინტერდისციპლინური ხასიათის ნაშრომია. საანალიზო მასალა დამუშავებულია აღწერით-სტატისტიკური, ისტორიულ-შედარებითი,

დისტრიბუციული (სინტაგმატური და პარადიგმატული) ანალიზის, სუბსტიტუციისა და პერმუტაციის (ჩანაცვლებისა და გადანაცვლების), ელიმინირების, გავრცობილი კვადრატის მეთოდებით. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია სპეციალისტებისთვის, რომლებსაც აინტერესებთ კოგნიციის ენობრივ გამოხატულებასთან დაკავშირებული საკითხები; ასევე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ქართველურ ენათა ტიპოლოგია ისტორიულ-შედარებითი პროცესებისა და სინქრონიული მონაცემების გათვალისწინებით. ნაშრომი განკუთვნილია ჰუმანიტარული და მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისთვის, სტუდენტებისთვის

2. **ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი -** რაფიელ შამელაშვილი – მეცნიერი და ადამიანი (დაბადებიდან მე-100 წლისთავის აღსანიშნავად), ცხოვრების გზა და ბიბლიოგრაფია. ISBN 978-9941-33-326-2. რედ. პროფ. ჟ. ფეიქრიშვილი, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2022. – გვ. 304.

https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1974

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. წიგნი ეძღვნება აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, **რაფიელ შამელაშვილის** დაბადებიდან მე-100 წლისთავს.

წიგნში აღწერილია გამოჩენილი ენათმეცნიერის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის გზა: მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში, სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, ასპირანტურაში, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვა, მუშაობა ცხინვალისა და ქუთაისის პედინსტიტუტებში; თავმოყრილია პროფესორის თანამედროვეთა (კოლეგათა, ყოფილ სტუდენტთა...) მოგონებები, მაგ., ალ. ღლონტის, გ. კაჭარავას, ლ. კვაჭაძის, ო. ქაჯაიას, ა. თოფურიას, ტ. სულაბერიძის, ა. ნიკოლეიშვილის, ჟ. ფეიქრიშვილის, ს. არველაის, მ. ქაცარავას, დ. ბახტაძის; დაწვრილებითაა განხილული პროფ. რ. შამელაშვილის სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები.

წიგნის მეორე ნაწილი წარმოადგენს პროფ. რაფიელ შამელაშვილის სამეცნიერო შრომებისა და საგაზეთო სტატიების ბიბლიოგრაფიას, რომელიც მოიცავს 1400-მდე დასახელებას (100-ზე მეტ გვერდს), მათ შორის – 19 მონოგრაფიასა და წიგნს; ბოლოს, დანართის სახით, მოცემულია საარქივო მასალა: მიმოწერა გამოჩენილ ენათმეცნიერებთან (აკაკი შანიძესთან, გიორგი ახვლედიანთან, მარიამ თალაკვაძესთან, ალექსანდრე ღლონტთან, გიორგი კლიმოვთან, ანტონ კიზირიასთან და სხვ.) და ფოტოები.

https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1974

3. **ასოც. პროფ. კახა გაბუნია** - ენობრივი უნარების ტესტირება და შეფასება, ISBN 9789941252413; თბილისი, „მერიდიანი“, 220 გვერდი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წინამდებარე მონოგრაფია შეიქმნა კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით: ერთი მხრივ, სახელმწიფო ენის კანონის მიღებამ განაპირობა ქართულის, როგორც მეორე / უცხო ენის შეფასების სისტემის შემუშავებაზე მუშაობის დაწყება; ამ თვალსაზრისით, მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს სხვადასხვა დონის ენობრივი ტესტების შემქმნელებს; მეორე მხრივ, წიგნი რეკომენდებულია, გამოიყენონ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების

განათლების მიმართულების საბაკალავრო / მაგისტრატურის / სადოქტორო პროგრამების სტუდენტებმა, ასევე - სკოლის მასწავლებლებმა და განათლების საკითხებით დაინტერესებულმა პირებმა.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **პროფ. რამაზ ქურდაძე - ქართული ენა 1, ქართული ენის პრაქტიკული კურსი უცხოელებისათვის,** მეოთხე გამოცემა, ISBN 978-9941-36-015-2 (ყველა წიგნი) ISBN 978-9941-36-016-9 (წიგნი I) თბილისი, თსუ გამომცემლობა, 154 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პრაქტიკული სახელმძღვანელო გრამატიკული მითითებებისა და სავარჯიშოთა კრებულია, რომელიც დამუშავდა საზღვარგარეთ სხვადასხვა დროს წაკითხული სალექციო კურსების შედეგად. ამ კრებულში შემავალი სავარჯიშოების ნაწილი შედგენილია 2008 წელს, როდესაც, ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში, ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტონი ბრუკში (ნიუ იორკის შტატი, აშშ) ვასწავლიდი ქართულს პროფესორ ალისა ჰარისის მიწვევით. მოგვიანებით კურსი გამთლიანდა და ამ სახით ორჯერ იქნა წაკითხული, 2011 და 2013 წლებში, დარტმუთის კოლეჯში (ნიუ ჰამფშირის შტატი, აშშ), სადაც ,,ღია საზოგადოების ინსტიტუტის" ფაკულტეტის განვითარების მხარდაჭერის პროგრამით ვიყავი მიწვეული ზამთრისა და გაზაფხულის სემესტრებში 2011-2013 წლებში, ხოლო აღნიშნული კურსის წაკითხვა შემომთავაზა ჩემმა იქაურმა მასპინძელმა, ასოცირებულმა პროფესორმა იოანა ჩიტორანმა. სხვადასხვა დროს ეს კურსი სამჯერ წავიკითხე ლეიდენის უნივერსიტეტში, ნიდერლანდების სამეფოში, 2012, 2016 და 2018 წლებში, 2015 წელს კი – ბრემენის უნივერსიტეტში, გერმანიაში. აღნიშნული კურსი 2018-2019 წლებში სამჯერ გამოიცა სახელმძღვანელოდ. გამოცემისთანავე ყველა ეგზემპლარი გაიყიდა. ამჟამინდელ მეოთხე გამოცემაში შევსებული და დაზუსტებულია ზოგი კონკრეტული საკითხი. პრაქტიკული კურსი შესავლისა და ოთხი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი – თანამედროვე ქართული ანბანი და მისი მოკლე დახასიათება; მეორე ნაწილი – გაკვეთილები; მესამე ნაწილი – სავარჯიშოთა პასუხები და მეოთხე ნაწილი – ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. ძირითად ნაწილში წარმოდგენილია გრამატიკული მითითებანი და სავარჯიშოები, სულ 65 სავარჯიშო. სავარჯიშოები აგებულია იმის გათვალისწინებით, რომ მსმენელმა შეძლოს გარკვეული ლექსიკური მასალის დაგროვებაც, ამიტომ სავარჯიშოთა უმეტესობას ახლავს ქართული სიტყვები ინგლისური თარგმანით.

1. **ასოც. პროფ. ინგა სანიკიძე**

ქართული ენა [ნაწილი I], რედაქტორი: ნ. მეტრეველი (პარიზის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი), ISBN 978-9941-36-032-9, სახელმძღვანელოს თან ერთვის მოსმენის კომპეტენციის მასალების ბეჭდური ვერსია, ქართული ენა [ნაწილი II], თბილისი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, გვ.1-284 [A 4 ფორმატი]; ქართული ენა, ნაწილი II, გვ. 1-17.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელმძღვანელო განკუთვნილია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის და მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა შორის. ის აგებულია ე.წ. 4-კომპონენტიანი (კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა, წერა) საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით და მოიცავს შესაბამის ტექსტებსა და პრაქტიკულ დავალებებს. სახელმძღვანელო წიგნში გათვალისწინებულია თსუ-ში მოქმედი სასწავლო კვირათა რაოდენობა, ამიტომ სახელმძღვანელო შედგება 14 თემატური თავისაგან (საგანთა სილაბუსების მიხედვით, მე-15 კვირა განსაზღვრულია შუალედური გამოცდისათვის). შესასწავლი თემებია: თავი I - გაცნობა-მისალმება-დამშვიდობება; თავი II - რომელი ქვეყნიდან ხარ? თავი III - რამდენი წლის ხარ? - მოდი, ვიანგარიშოთ! თავი IV - ჩემი ოჯახი; თავი V - რა გაცვია? თავი VI - ავად ხომ არ ხარ? სხეულის ნაწილები; თავი VII - ჩემი სახლი; თავი VIII - მაღაზიაში; თავი IX - სად სწავლობ? თავი X - სოფელში; თავი XI - სატრანსპორტო საშუალებები. მგზავრობა; თავი XII - პროფესიები. მე მუშაობა უნდა დავიწყო; თავი XIII - გართობა. დასვენება; თავი XIV - ღირსშესანიშნაობები. დღესასწაულები.

სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული კომუნიკაციური საშუალებების გააქტიურებაზე, ამიტომ ვიზუალურ დაფებზე განლაგებულია სინონიმების, ანტონიმებისა და ფრაზეოლოგიის შემცველი მასალა, რომლებიც, თავის მხრივ, თან ერთვის ტექსტებსა და დიალოგებს. ასევე, თითოეულ სასწავლო თავში დამოუკიდებელ ერთეულადაა გამოტანილი კომუნიკაციური გრამატიკის ელემენტები შესაბამისი მითითებებით (თუ რა შემთხვევაში, რა დროს შეიძლება გამოიყენოს ქართულ ენაზე მოსაუბრე პირმა ესა თუ ის ენობრივი საშუალება, მაგ., ჩართული „ალბათ“ ან ცალკე მდგომი ზმნიზედური წარმოშობის თანდებული „გარეშე“ და მისთ.).

ასევე, სახელმძღვანელოს სტრუქტურის შემადგენელია „შემეცნებისა და კულტურის“ სეგმენტიც. მასში ერთიანდება რუბრიკები: 1. „წაიკითხეთ ანდაზა“; 2. „იფიქრეთ“; 3. „ეს საინტერესოა“. თითოეულ მათგანს ახლავს ტექსტის გააზრებისა და კრიტიკული აზროვნების უნარის გააქტიურებისათვის დასმული შეკითხვები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყოველ თავს სასწავლო მასალის შემდგომ დაერთვის თვითშეფასების კითხვარი შესაბამისი რჩევებით, ეს უკანასკნელი კი ენის შემსწავლელს ათვითცნობიერებინებს საკუთარ ცოდნას, შესაძლებლობებსა და უნარებს.

3.ასოც. პროფ. გიული შაბაშვილი, ასოც. პროფ. ნინო შარაშენიძე, ქეთევან გოჩიტაშვილი

აკადემიური წერა - საუნივერსიტეტო კურსი, 377 გვ. ISBN 978-9941-36-042-8, თსუ გამომცემლობა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელმძღვანელო "აკადემიური წერა - საუნივერსიტეტო კურსი" მოიცავს საკითხებს, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს უვითარებს აკადემიური წერისა და სამეცნიერო ნაშრომის შექმნის უნარებს. ამ მიზნით მასში დაწვრილებით და თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი შესაბამისი თემები და მრავალფეროვანი პრაქტიკული სავარჯიშოები, რომლებიც სტუდენტებს დაეხმარება თეორიული ცოდნის განმტკიცებაში.

სახელმძღვანელოს აქვს შემდეგი სტრუქტურა: პირველ ნაწილში განხილულია ფორმალური ტონისა და აკადემიური ტექსტის ძირითადი მახასიათებლები, წერის მოსამზადებელი ეტაპები. ასევე, წიგნში სპეციალური თავი ეძღვნება პლაგიატს და პლაგიატის თავიდან აცილების გზებს.

სახელმძღვანელოს მერე ნაწილი მოიცავს არგუმენტირებული მსჯელობის ჩამოყალიბების პრინციპებს. აქვე განხილულია აბზაცის სტრუქტურა და მისი აგების ხერხები და საშუალებები.

სახელმძღვანელოს მესამე ნაწილი არგუმენტირებული ესეს შექმნის მთავარ პრინციპებს ეხება. მეოთხე ნაწილი კი უშუალოდ სამეცნიერო ნაშრომის შექმნის პრინციპებს განიხილავს. ამავე ნაწილში დაწვრილებითაა წარმოდგენილი კვლევის მეთოდები და სამეცნიერო ნაშრომის ტიპები.

მეოთხე ნაწილში მოცემულია საპრეზენტაციო ტექსტის მომზადების წესები და აკადემიური ნაშრომის საჯაროდ წარდგენის ძირითადი პრინციპები.

სახელმძღვანელოს ბოლო თავი სტუდენტებს სთავაზობს სამოტივაციო წერილის აგების პრინციპები.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საკითხები შეესაბამება აკადემიური წერის თანამედროვე სტანდარტებსა და მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში, ერთი მხრივ, გათვალისწინებულია საერთაშორისო გამოცდილება, ხოლო, მეორე მხრივ, ასახულია მასალა ქართული აკადემიური სივრციდან.

4. **ასოც. პროფ. ნინო შარაშენიძე** - ქართული ენა და ლიტერატურა, სახელმძღვანელო X კლასისათვის, (თანაავტორი), თბ. 2022, (გამომცემლობა "დიოგენე"), ISBN 978-9941-11-727-5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელმძღვანელო „ქართული ენა და ლიტერატურა" განკუთვნილია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მეათე კლასისათვის. სახელმძღვანელო შედგება მოსწავლის (I და II ნაწილი) და მასწავლებლის წიგნებისაგან. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშები შესაბამისი აქტივობებით. სახელმძღვანელო ინტეგრირებულია, მოიცავს ლიტერატურისა და ენის მასალების დამუშავებას ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

5. **ასოც. პროფ. კახა გაბუნია** - ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების შესავალი, **ISBN 9829941252617**, თბილისი, „მერიდიანი“

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წინამდებარე სახელმძღვანელო ბილინგვური განათლების მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი. მისი მიზანია, მეთოდიკური დახმარება გაუწიოს დაწყებითი საგეხურის პედაგოგებს ბილინგვურ კლასებში სასწავლო მასალის თემატურ (ინტეგრირებულ) დაგეგმვაში, საგაკვეთილო პროცესის ორგანიზებასა და შეფასებაში.

სახელმძღვანელოში განხილულია ის საკითხები, რომლებიც მასწავლებელმა სასწავლო მასალის დაგეგმვისა და სწავლების პროცესში უნდა გაითვალისწინოს; კერძოდ, მასწავლებლები გაეცნობიან თემატური დაგეგმვის სპეციფიკასა და გაკვეთილის დაგეგმვის პრინციპებს ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კონტექსტში; წიგნში განხილულია ბილინგვური განათლების არსი, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) მიზნები, უპირატესობა და მოსალოდნელი შედეგები (უცხოეთისა და საქართველოში განხორციელებული საპილოტე პროექტების მაგალითზე).

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში მასწავლებლებს შევთავაზებთ ბილინგვური გაკვეთილების სანიმუშო სცენარებს.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **პროფ. დარეჯან თვალთვაძე** - ძველი ხელნაწერების ახალი სიცოცხლე - გაციფრულებული ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური კვლევებისათვის (ოთხთავის ხელნაწერების მაგალითზე): „დიგიტალური ქართველოლოგია/Digital Kartvelology”, დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიის რეცენზირებადი ელექტრონული ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალი, N 1. 2022 წ. (37 გვერდი). ISSN 2720-8427 (ელექტრონული ვერსია). https://adh.ge/digital-kartvelology-ge/

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ციფრულმა ეპოქამ, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ და მონაცემთა დიდი ბაზების გაჩენამ სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მკვეთრი ცვლილება გამოიწვია ხელნაწერთმცოდნეობის სფეროშიც. ძველ მანუსკრიპტთა ფოტო- და მიკროფილმებზე ფიქსაცია დიგიტალიზაციამ შეცვალა, რამაც შესაძლებელი გახადა მაღალი ხარისხის ციფრული ფოტოასლების მიღება, რომლებიც ხელნაწერთა პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით შესწავლისთვის სანდო წყაროდ იქცა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ხელნაწერთა დიგიტალიზაცია ქართული სამეცნიერო სივრცისთვის, სადაც ძველ ქართულ ხელნაწერთა მნიშვნელოვანი კოლექციები, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ინახება, ობიექტური მიზეზების გამო, სამეცნიერო მიმოქცევაში შეზღუდულად გამოიყენებოდა. XX საუკუნის ბოლოს წლებში ფრანკფურტის ვ. გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტში პროფესორ იოსტ გიპერტის მიერ ქართველ მეცნიერებთან თანამშრომლობით დაწყებული სამეცნიერო პროექტები, რომლებიც ქართული ენის წერილობითი ძეგლების ელექტრონულ დოკუმენტირებას და ძველი ქართული ხელნაწერების დიგიტალიზირებას ისახავდა მიზნად, ამ საქმეში გარდამტეხი მნიშვნელობის აღმოჩნდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი პროექტის ფარგლებში გახდა შესაძლებელი ათონის მთაზე, ივირონის მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების კოლექციის სრულად დიგიტალიზირება.

სტატიაში სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის შემცველი ორი ათონური ხელნაწერის (Ivir.georg.62 და Ivir.georg.83) მაგალითზე ნაჩვენებია გაციფრულებული ხელნაწერების მნიშვნელობა კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური კვლევებისათვის, განხილულია ხელნაწერთა ციფრული ასლების შესწავლის შედეგად გამოვლენილი სიახლეები, რომლებიც ახალ ასპექტებს წარმოშობს ოთხთავის ქართული თარგმანის ისტორიის შემდგომი კვლევისთვს.

2. **ასოც. პროფ. ლელა ციხლაშვილი**

მეტყველების წრის ზმნის პირიანი და უპირო ფორმების (მიმღეობების) გადმოტანა ბიბლიის ქართულ ვერსიებში (მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით), „ლოგოსი“, რეცენზირებადი წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, #8, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, ISBN 978-9941-468-75-9, თბილისი: „ლოგოსი“, 2022, გვ. 178-217.

სტატიის DOI: https://doi.org/10.48614/logos.8.2022.178-222

სტატიის URL: https://logos.tsu.ge/index.php/logos/article/view/4191/4409

ჟურნალის URL: https://logos.tsu.ge/index.php/logos/about

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ბიბლიის ბერძნულიდან, როგორც განსხვავებული გრამატიკული სისტემის მქონე ენიდან, თარგმნა ყოველთვის პრობლემას უქმნიდა ქართველ მთარგმნელ-რედაქტორებს. სტატია ეხება მეტყველების წრის ზმნების (*λέγω, λαλέω, ἀποκρίνομαι*...) პირიანი და უპირო ფორმების გადმოტანას ბიბლიის ქართულ ვერსიებში. ამ მიზნით ერთმანეთს შევადარეთ მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ძველი ქართული თარგმანი (ოშკისა (O, 978-979 წწ.) და იერუსალიმის (J, XI ს.) ბიბლიებში დაცული ტექსტი) და ელინოფილური პერიოდის ვერსია (გელათის (G, XII-XIII სს.), საბასა (S, XIII ს.) და ბაქარის (B, 1743 წ.) ბიბლიები). შედარებისას გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: **1.** ბიბლიის ტექსტისთვის დამახასიათებელი ებრაიზმი - მეტყველების წრის ერთზე მეტი ზმნის პირიანი თუ უპირო ფორმის გამოყენება, ძირითადად, პირდაპირი ნათქვამის წინ, უფრო *ზაქარიას წინასწარმეტყველების* ტექსტისთვისაა დამახასიათებელი (ზაქ. 6:4 *καὶ* ***ἀπεκρίθην*** *καὶ* ***εἶπα*** *πρὸς τὸν ἄγγελον τὸν* ***λαλοῦντα*** *ἐν ἐμοί]* და

მიუგე *და* ***ვარქუ*** *ანგელოზსა მას, რომელი* ***მეტყოდა*** *მე:* OJ. *და* ***მიუგე*** *და* ***ვთქუ*** *ანგელოზისა მიმართ,* ***მზრახვალისა*** *ჩემ შორის:* GSB). **2.** თუ *λέγω* ზმნის *πρός* წინდებულიანი სახელი გელათის ბიბლიაში, როგორც სიტყვასიტყვით თარგმანში, *თქუმა* ზმნის *მიმართ* თანდებულიანი დამატებით ითარგმნება (*ვთქუ ანგელოზისა მიმართ*), ძველი მთარგმნელი მას ქართულისთვის უფრო ბუნებრივი *რქუმა* სამვალენტიანი ზმნითა და ირიბი დამატებით თარგმნის (*ვარქუ ანგელოზსა მას*). **3.** სეპტანტის ტექსტისთვის დამახასიათებელია პირდაპირი ნათქვამის წინ *λέγων*, *λαλῶν* მიმღეობების გამოყენება, რომლებიც ძველ თარგმანში ქართულისთვის უფრო ბუნებრივი ზმნის პირიანი ფორმებით გადმოდის, ხოლო გელათური ტიპის თარგმანში - სასუბიექტო მიმღეობებით (*მეტყუ̆ლი, მზრახვალი*). **4.** იმის მიხედვით, ბერძნულ წყაროში *λέγων* და *λαλῶν* აქტიური მიმღეობები არტიკლით არის წარმოდგენილი, თუ უარტიკლოდ, განსხვავებულია მათი თარგმნის წესი ქართულში. **5.** ნათარგმნი ბიბლიური წიგნების გავლენით აღნიშნული ენობრივი მოვლენა თავს იჩენს ორიგინალურ ჰაგიოგრაფიაშიც (*და* ***უთხრა*** *სპარსმან მან ფარულად და* ***ჰრქუა:*** [შუშ. 14:20-21]; ***მიუგო*** *მას სანატრელმან კონსტანტი* ***და ჰრქუა:*** [კონსტ. 167:27] და სხვ.).

3. ასოც. პროფ. ლელა ციხლეაშვილი

Rendering of the Verbs and Verbals of Saying in the Georgian Versions of the Books of the Minor Prophets, ქართველი მეცნიერები, ასოციაცია მეცნიერებისათვის, ტ. 4, #5, **E-ISSN: 2667-9760,** 2022, გვ. 251-258.

სტატიის DOI: https://doi.org/10.52340/gs.2022.04.05.27

სტატიის URL: https://journals.4science.ge/index.php/GS/article/view/1320/1383

ჟურნალის DOI: https://doi.org/10.52340/gs

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ცნობილია, რომ სეპტუაგინტის ბერძნულისთვის დამახასიათებელია მეტყველების წრის ერთზე მეტი (როგორც წესი, ორი) ზმნის პირიანი თუ უპირო ფორმის (მიმღეობის) გამოყენება პირდაპირი ნათქვამის წინ, რაც ებრაიზმს წარმოადგენს, მაგალითად: *καὶ* ***ἀπεκρίθη*** *Αμως καὶ* ***εἶπεν*** *πρὸς Αμασιαν …*] ***მიუგო*** *ამოს და* ***ჰრქუა*** *ამასიას*: [ამოს 7:14]. სტატიის მიზანს წარმოადგენს მეტყველების წრის ზმნებისა და მიმღეობების ქართულად გადმოტანის საკითხის შესწავლა. ამ მიზნით ერთმანეთს შევადარეთ მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ძველი (X-XI სს.) და ელინოფილური პერიოდის (XII–XIII სს.) ბიბლიის ქართული თარგმანები/ რედაქციები.

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ქართული ვერსიების შესწავლამ ცხადყო, რომ ძველი მთარგმნელი, მართალია, ცდილობს სათარგმნი ტექსტის ზუსტად გადმოტანას, მაგრამ, იმავდროულად, ითვალისწინებს ქართული ენის ბუნებასაც. ამიტომ ძველ ქართულ თარგმანს ერთგვარად შუალედური ადგილი უჭირავს ფორმალურ და დინამიკურ თარგმანებს შორის. ელინოფილური პერიოდის მთარგმნელ-რედაქტორი კი ამ საკითხშიც

ცდილობს დაიცვას ბერძნულთან ფორმალურ-სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ეკვივალენტურობა.

4. **ასოც. პროფ. ინგა სანიკიძე**

ბიბლიური წყევლის ფსიქოლინგვისტური პარადიგმა ძველ ქართულ ისტორიულ საბუთებში / Psycholinguistic Paradigm of Biblical Damnation in Ancient Georgian Historical Documents. DOI: https://doi.org/10.17058/signo.v47i88.17397 დაბეჭდილია ინგლისურ ენაზე ჟურნალში „Signo“ [სპეციალური გამოცემა] ტ. 47 N. 88 (2022): ISAPL. გვ.165-170, ბმული - https://online.unisc.br/seer/index.php/signo.

ვრცელი ანოტაციები (ქართულ ენაზე):

ბიბლიური წყევლის ფსიქოლინგვისტური პარადიგმა ძველ ქართულ ისტორიულ საბუთებში

ნებისმიერი ენა, როგორც ფსიქოლინგვისტური მოცემულობა, საკუთარ თავში ინახავს არა მხოლოდ ემოციურ მდგომარეობებს, არამედ ეძიებს შესაბამის ვერბალურ გზებს ამ ემოციათა გამოსახატად. ვფიქრობთ, რომ ამ თვალსაზრისით ნებისმიერი ნაციონალური ენის მასალა ის ღირებულებაა, რომელიც ასახავს ენების სისტემურ ორგანიზებას, მათი გამოხატულების პლანს, კანონზომიერებებს, რომლებიც ფსიქოლოგიურად სტაბილურია, ანუ პარადიგმული, ან ექვემდებარება კონკრეტულ ენაზე მოლაპარაკე ინივიდის ზოგადფსიქოლოგიურ ცვლილებებს.

ჩვენი აზრით, ერთ-ერთ ასეთ უძველეს ფსიქოლინგვისტურ პროტოპარადიგმად უნდა ჩაითვალოს წყევლის როგორც ზეპირი, ისე - წერილობითი ფორმები. ჩვენს მოხსენებაში ყურადღება გამახვილდება წყევლის ბიბლიურ (კერძოდ, „ძველი აღთქმის“), ვერბალურ მოდელზე, რომელიც ასახვას ძველ ქართულ ისტორიულ საბუთებში (IX— XII ს.ს.) პოვებს.

წყევლა, როგორ ფსიქოვერბალური მოდელი, კაცობრიობის არსებობის უძველესი ეტაპისათვის არის სავარაუდებელი, იმ დროისთვის, როცა ადამიანმა ღრმად გაიაზრა სიტყვის ძალა და ის რამდენადმე დაუპირისპირა ფიზიკურ შესაძლებლობებს. წყევლის, როგორც სიტყვიერი მასალის, მანიფესტირება წერილობით ძეგლებშიც მოხდა და მისი ფსიქოემოციური საფუძველი მკითხველში უპირველესად შიშის (ჩვენს შემთხვევაში „საღვთო შიშის“) აღძვრა და „ღვთისმოშიშების“ გამოწვევა იყო. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით შეირჩეოდა ე.წ. საწყევარი ტექსტი, რომელიც ექსპრესიული ძალით გადადიოდა მკითხველზე (//მსმენელზე). ფსიქოლოგიაში „დაბალ“ ემოციად წოდებული (ს.ლ. რუბინშტეინი) შიშის ემოცია წყევლის ტექსტში დომინანტურია, თუმცა ფაქტია, რომ მას მკითხველში განგაშის ემოციის აღძვრაც სურს. შიშის განცდა ბაზისური მოჩანს, ხოლო შიშით გამოწვეული განგაშის ემოცია — ზედნაშენური. ვფიქრობთ, რომ მათი ერთობლიობა საფუძვლად ედება წყევლის ფორმულებს, რომლებიც ქართულ საისტორიო საბუთებში გვხვდება და რომელთა ტექსტური მასალა ძველი აღთქმის ტექსტებიდან უნდა იღებდეს სათავეს. ბიბლიის ფრაზა „წყეულ იყავ შენ...“ („დაბადება“, თავი III) ის საკვანძო ვერბალური ფორმულაა, რომელიც რამდენადმე სახეცვლილი, თუმცა ფსიქოლოგიურად იმავე მოტივით (შიშის ემოციის აღძვრის მოტივით) რეალიზდება ქართულ ისტორიულ საბუთებში

(„შერისხოს მამამ, ძემ და სული წმინდამ“ [IX ს.]; ან: „კრულ იყოს ძილი და ღვიძილი მისი“ [IX ს.]).

5. **ასოც. პროფ. ინგა სანიკიძე**

ანთროპონიმი ფარსადანი — ფარისევლობის ენიგმა „ვეფხისტყაოსანში“ / Anthroponym Parsadan -The Enigma Of Hypocrisy in the Poem Shota Rustaveli, **https: //doi.org/1052340/lac.** https://journals.4science.ge/index.php.enadakultura

VII საერთაშორისო სამეცნიერო (დისტანციური) კონფერენცია „ენა და კულტურა“, 26-27 მარტი, 2022, ქუთაისი, საქართველო. დაბეჭდილია: VII საერთაშორისო სამეცნიერო (დისტანციური) კონფერენციის მასალებში „ენა და კულტურა“, შრომები, გვ. 272-284, ქუთაისი, 2022. ISSN 1987-7323 E-ISSN 27 20-7900

ვრცელი ანოტაციები (ქართულ ენაზე):

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ასახული „მხატვრული სინამდვილის დაკავშირება ისტორიულ სინამდვილესთან არ არის საძნელო საქმე“ [კეკელიძე, ბარამიძე 249]. ამ შემთხვევაში კვლევის მიზანი ანთროპონიმი ფარსადანია. კითხვები ამგვარად დაისმის — რას აკეთებს რუსთველი მაშინ, როცა ის თავისი პერსონაჟების სახელდებისას ლექსიკურ ერთეულს არჩევს? როგორია მისეული სელექციის კანონი? ფაქტია, რომ „ხელის-ხელ საგოგმანებ“ პოემაში მზის შუქზე გამოტანილი სიტყვა აღმნიშვნელის ფუნქციას იძენს, მაგრამ რისას? ცხადია, რომ ისტორიული სახეცვლილება ადამიანთა საკუთარი სახელების გამოყენებისა თუ მათივე გავრცელება ეთნოკულტურული ხასიათისა იყო. ანთროპონიმთა ჩანაცვლება სხვადასხვა პოლიტიკურ, ლიტერატურულ თუ რელიგიურ გავლენებს მიეწერებოდა, ქართულ ენაზე მოსაუბრე კოლექტივის კულტურულ არჩევანს წარმოადგენდა და ამავე საზოგადოების ინტელექტურ შესაძლებლობებსა თუ მენტალობას განსაზღვრავდა. ასე იყო ძველად და ასეა ახლაც.

„ფარსადან (სპ.) „ბრძენი“, „სწავლული“, „მეცნიერი“. ნესტან-დარეჯანის მამის სახელია „ვეფხისტყაოსანში“,- ვკითხულობთ ზ. ჭუმბურიძის იმ ნაშრომში, რომელშიც ანთროპონიმთა ჩამოთვლასაც ვხვდებით და მათ წარმომავლობაზე მითითებასაც. ამგვარ დეფინიციას იუ. აბულაძის შეხედულება მიუძღვის. მეცნიერი პოემაში გამოყენებულ ადამიანთა სახელებს სპარსული ენიდან მომდინარედ თვლის და წერს: „ყველაზე უწინ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ პირთა საკუთარი სახელები ... წარმოადგენენ ეპითეტებს ანდა მთელ წინადადებებს, ან ხმარებული არიან მრავლობითი რიცხვის ფორმით... ფარსადან — სპარ. ნიშნავს ფილოსოფოსთაგან ან ბრძენთაგანს, და არის მრავლობითი რიცხვი სიტყვისაგან – ბრძენი“. იუ. აბულაძის შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპონიმების სპარსული გენეტიკისა და ფორმის შესახებ უთუმცაოდ გაიზიარა ზ. გამსახურდიამ, რომელმაც შენიშნა: „ნესტანი არის ასული სიბრძნისა, მაგრამ რომელი სიბრძნისა? სიტყვა „ფარს“-ის ეტიმოლოგია უკავშირდება ძველბერძნული მითოსის „პერსეუსს“, „პერსესს“, რაც ძველაღმოსავლურ ვარსკვლავთმეტყველებას განასხიერებს“.

რა თქმა უნდა, ადამიანის სახელის – ფარსადან'ის – სპარსულ სინამდვილეში დაბადებას თავისი საფუძველი აქვს. ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კარგადაა ცნობილი, რომ „აქამენიდთა ძლევამოსილი იმპერია, რომელმაც მიდიელთა საკმაოდ არამყარი ბატონობა შესცვალა, ჩამოყალიბდა VI საუკუნეში ჩვენს ერამდე, ირანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში

ფარსში“ [2, 20]. ამგვარად, სწორედ ფარსია ირანის ის პროვინცია, რომლიდანაც აქემენიდ-სასანიანთა დინასტიები და სამეფო სახლები იღებს სათავეს, ხოლო ეთნიკური და გეოგრაფიული სახელი სპარსელებისა **Parsa** ქართულში **სპარს**-ისა და **სპარსეთ**-ის სახელით არის შეთვისებული, უეჭველია აქამენიდების დროიდან არის შეთვისებული. ქართველები **სპარსელებს** უწოდებენ ირანული მოდგმის თითქმის ყველა ტომს და **სპარსეთიც** ირანის გეოგრაფიული ცნების გამოსახატავად იხმარება ძველ ქართულ ისტორიულ ტრადიციაში“ [ანდრონიკაშვილი, 22].

რაც შეეხება ჩვენს კვლევაში ფოკუსირებულ ანთროპონიმ *ფარსადანსა* და მის ქართულ სინამდვილეში გამოყენებას, მას არც „ქართლის ცხოვრება“ ადასტურებს, არც „ქართული წარწერების კორპუსი“ და არც - „ქართული ისტორიული საბუთები“, ამ უკანასკნელში კი IX-XIII საუკუნეების ქართული დოკუმენტებია თავმოყრილი. სამაგიეროდ, საკუთარი სახელი *ფარსადანი* ფიქსირდება შედარებით გვიანდელ ძეგლებში. მათ შორის ფარსადან ნაურიანის წარწერაში, რომელიც ვ. სილოგავას მიერ XVI-XVII საუკუნეებითაა დათარიღებული და ნუსხური დამწერლობითაა შესრულებული [„ს(ულს)ა ფარსადანასა ნაურ(ი)ანისა“]. ანთროპონიმ *ფარსადანის* გამოყენებას ვხვდებით 1703 წლის გუჯარშიც. ასე რომ, დასახელებულ შემთხვევებში საქმე XVI-XVIII საუკუნეების ისტორიულ რეალობასთან გვაქვს, ეს კი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ – ანთროპონიმი *ფარსადანი* რუსთველის ხანამდე ან მწირი გამოყენებისა იყო, ან საერთოდაც არ გვხვდებოდა ქართულ სოციალურ წრეებში, ხოლო ასეთი ვითარება საერთო სახალხო აღიარების მქონე „ვეფხისტყაოსნის“ გავლენას უნდა გამოეწვია. დავამატებთ იმასაც, რომ მისი იშვიათი მოხმარება ამავე ანთროპონიმის ნაკლებ პოპულარობაზე მიანიშნებს, რასაც ვერ ვიტყვით „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ძირითად პერსონაჟთა სახელებზე; ამ მოვლენის მიზეზი კი, ჩვენი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ მეტ-ნაკლებად სწორი გააზრება უნდა იყოს. *ფარსადანი* და სპარსელი ან სპარსული „სიბრძნე“ თუ „მეცნიერება“? ვფიქრობთ, რომ საქმე ასე არ უნდა იყოს. ეს ყველაფერი კარგად მოფიქრებულ სატყუარას ჰგავს ისევე, როგორც შოთასეული დახასიათება „უხვი, მდიდარი, უკადრი“ მეფის შესახებ, რადგან პოემის შიგთავსიცა და ფარსადანის ზნენი თუ მოქმედებანი სხვა რამეზე მეტყველებს. დაკვეთილ პოემაში დამკვეთმა (გიორგი III-მ) საკუთარი თავი არ უნდა ამოიცნოს, რეალისტური სათქმელი მხატვრულს უნდა ამოეფაროს — ვფიქრობთ, რომ სწორედ ესაა ის მიზანდასახულობა, რომელიც ნიადაგად ედება „ვეფხისტყაოსანში“ განვითარებულ მოვლენებს. ანთროპონიმ ფარსადანში პირდაპირი მნიშვნელობით Parsa —› სპარს-ი და სპარსეთი რომ არ იგულისხმება, ამას, ჩვენი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური ქარგა ადასტურებს.

„ვეფხისტყაოსანში“ ანთროპონიმი ფარსადანი კლასიკური გაგებით ზმური თუ კალამბურული რითმისთვის გამოყენებული არ არის, მაგრამ, ჩვენი აზრით, ლექსიკური ორაზროვნება, რომელსაც ლინგვისტური მეცნიერება ომონიმიის სახელით იცნობს, ხოლო პოეტური ენა ლექსიკურ ერთეულთა ზმურ გადათამაშებად აღიქვამს, ნამდვილად შეინიშნება. რომელ სიტყვასთან ამჟღავნებს აკუსტიკურ მსგავსებას სიტყვა ფარსი [/სპარსი] თავისი ბგერწერით თუ არა ფარისეველთან, ძველებრაული წარმომავლობის იმ ლექსიკურ ერთეულთან, რომელსაც არა მხოლოდ ახალი, არამედ ძველი სამყაროც კარგად იცნობდა.

შენიშვნა: ნაშრომში ფარსადანის ფარისევლობის დასტურად „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან არაერთი მხატვრული პასაჟია განხილული. ის რუსთველის ენიგმური ფორმა უნდა იყოს.

6. **ასოც. პროფ. ინგა სანიკიძე**

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი პასაჟის გააზრებისთვის – ინდოთ ქალაქი და ლორე (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიება) / To Understand One Passage of the „Panther's Skin“ – Indo Citi and Lore, https://doi.org/10.52340/lac https://journals.4science.ge/index.php/enadakultura, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, N 27 / To „Language and Culture“ – Scientific Peer Reviewed journal N 27, გვ. 101-107, ქუთაისი, 2022. ISSN 1987-7323; E-ISSN 2720-7900. ჟურნალი ინდექსირებულია: Google scholar-ის მონაცემთა ბაზებში; იმპაქტფაქორის ბაზაში: SJIF 2022: 7.838.

ვრცელი ანოტაციები (ქართულ ენაზე):

ზოგადად, ჩვენი ძიების მიზანი პოემის მთავარი გმირის – ტარიელის – სახეში დემეტრე-დემნა უფლისწულის (დავით V-ის პირმშოს) ტრაგედიისაკენ არის მიმართული, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ამ თვალსაზრისით ქართულ მეცნიერებაში კიდევ ბევრი რამ მოითხოვს საფუძვლიან დაკვირვებას. ინდოეთის ამბავში ერთ-ერთი საყურადღებო პასაჟი სასიძოს მკვლელობა და ამ მკვლელობის შემდგომ განვითარებული მოვლენები მოჩანს, რომლებიც, თავის მხრივ, ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილ ფაქტთან, 1178 (სხვა დათარიღებით 1179) წლის ორბელთა აჯანყებასთან, პირდაპირ კავშირს უნდა ამჟღავნებდეს.

მართლაც, სასიძოს მკვლელობის შემდეგ ვხედავთ, რომ საკუთარ საფეოდალო ქალაქში გამოკეტილი ტარიელი კაცებს აგზავნის, მთელ ლაშქარს საშველად უხმობს: „აქა მომმართეთ, ვინცაღა ჩემსა იქმოდეთ შველასა“ [113, 553]. დასახელებული სტრიქონის წაკითხვის შემდგომ ბუნებრივად ჩნდება არცთუ ისე უსაფუძვლო კითხვები – განა რა დაემართა შავტაიჭოსან ყმას?!. ვინ არის ის, ვისგანაც უნდა უშველონ?!. მან ინდო-ხატაელთა ომი ხომ ისე მოიგო, რომ ერთხელაც არ უთქვამს – მიშველეთო. რამ შეაშფოთა „ურიცხვი რაზმების“ დამმარცხებელი ლომი და ქველი რაინდი?!. ან რატომ იკეტება ქალაქში, რომელსაც მეტისმეტად ბნელ ღამეში ფარსადანისაგან გამოგზავნილი მდევარი აწყდება [„არ გაწყდა მოსვლა მდევართა ღამესა დია ბნელასა“: 113, 553]? ამირბარი ერთგულ კაცებს აგზავნის, საკუთარი ქალაქისაკენ იხმობს ლაშქარს. ცხადია, რომ ვითარება იმაზე ცუდადაა, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლება.

ახლა ისტორიული ექსკურსი ვნახოთ – გიორგი III-ის [1156-1184 წ.წ.] წინააღმდეგ ამხედრებული დემნა-ორბელთა მომხრე დიდგვაროვნები ნელ-ნელა გიორგის მხარეს გადადიან. მათ „ყოყმანი დაიწყეს და ნანობდნენ, რომ ასეთ საქმეში გაებნენ. პირველად დიდი გამრეკელი ჩამოეცალა განდგომილთ და გიორგი მეფეს მიემხრო; იმის წახედულობით გრიგოლ ანელიც გადაუდგა დემნას და ორბელთა და გიორგის მხარეს გადავიდა; მერე ხომ მათს მაგალითს ბევრმა მიჰბაძა“ [ჯავახიშვილი 1983: 241]. ბაგრატიონთა პირდაპირი ხაზის შთამომავლის, დემნა უფლისწულის, მომხრენი მცირდებოდნენ, ხოლო გიორგის კი უკვე მოზრდილი მხედრობა ჰყავდაო,- იქვე დასძენს ივ. ჯავახიშვილი. ცხადი იყო, რომ ვითარება გიორგის სასარგებლოდ იცვლებოდა და არა – დემნასი. იოანე ორბელი და დემნა ლორეს ციხეში გამაგრდნენ, რადგან ის განსაკუთრებული სამხედრო ფუნქციის გამო ამირსპასალართა (შდრ. ტარიელის ამირბარობა) სადგომი იყო. ამასთან დაკავშირებით

სტეფანოზ ორბელიანი გვეტყვის: „და თვით [იოვანე ორბელმა -ი.ს] აღიღო სპა თვისი და დიდნი მთავარნი, რომელნიცა იყვნეს მის თანა და დიმიტრისა თანა, და წარვიდა ლორეს და განმაგრდა ფრიად“ [ორბელიანი 1978: A 47]. სტეფანოზ ორბელიანის ცნობითვე ლორეს ციხეში გამოკეტვა-გამაგრება ძვ. სტილით 19 ივლისიდან მარტის 3-მდე გაგრძელებულა.

ერთი სიტყვით, ასეთი რამ იკვეთება – „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენთვის უცნობი ქალაქი ინდოთ ქვეყნისა და ლორე. რას შეიძლება მიეწერებოდეს ამგვარი პარალელი ან ის, რომ ერთგანაც უფლისწულია გამოკეტილი ისე, რომ ზღუდეს ვერ სცდება და მეორეგანაც. ერთი გმირი ტარიელია და მეორე – დემნა. ორივეს სჭირდება დახმარება. ორივე მათგანი თავის საშველად მომხრეებს უხმობს, ანუ როგორც რუსთველი გვეტყვის – „ლაშქარსა ყველასა“. სტეფანოზ ორბელიანი, XIII-XIV ს.ს-ის სომეხ ისტორიკოსად წოდებული მემატიანე, იტყვის: აჯანყებულმა იოანე ორბელმა „შეკრიბა ყოველი მონაგები თვისი ციხესა შინა სამშვილდისასა, რომელ იყო სახლ საუნჯეთა მათთა პირველ უპირველესთა მათთასა, სავსე ურიცხვითა საუნჯითა“, ხოლო გიორგიმ, როცა აჯანყებულთა მოთავე სამშვილდის ციხეს ვერ პოვა, „გარე-მოადგა ციხესა მას ოცდახუთსა დღესა და აღიღო იავარი მრავალი საუნჯეთა მათთა და ყოველი მონაგები მათი“ [ორბელიანი 1978 A: 47-48] და შემდგომად ამისა ლორეს ციხესთან დაიბანაკა. არც XII ს-ის თანამედროვე მატიანე – დავით ქობაირელი – აღწერს განსხვავებულად გიორგის მიერ ამირსპასალარის მამაპაპისეული მხარის დარბევას. მისი სიტყვებით: გიორგი „მხედართუფროსის მამეულ მხარეში (მამულში) წავიდა. იავარჰქმნა, მოიალაფა და მათი სასახლეები გადაწვა“ [მაისურაძე 1966: 264]. ლორეს ციხიდან საბელით დაშვებული დემნა „კლდე-კართა დასუეს, უკანის თუალნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარხეს“ [ლაშა გიორგის მატიანე 1955: 367]. ვფიქრობთ, რომ ფეოდალური სამართლით დადგენილი ბაგრატიონთა სამეფო შტოს, დავით აღმაშენებლის პირდაპირი შთამომავლის, დავით V-ის ვაჟის, დემეტრე-დემნა უფლისწულის, მტკივნეული ისტორია რუსთველის მხატვრულ ტილოზე იშლება და ლორეს ციხესა თუ რუსთველის ინდოთ ქალაქში გამოკეტილი დემნა-ტარიელის ტრაგედიას ასახავს.

7. ასოც. პროფ. ინგა სანიკიძე

ი.სანიკიძე. მლარწველ ფუძის გააზრებისათვის / Towards Understanding *Mlarcvel* Stem, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ვ. თოფურიასადამი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 8 იანვარი, 2022, დაიბეჭდა ქართულ და ინგლისურ ენებზე, გვ. 19-29, Google Scholar https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1227?show=full

ვრცელი ანოტაციები (ქართულ ენაზე):

XII ს-ის თამარის ისტორიკოსის, „ისტორიანი და აზმანის“ უცნობი ავტორის თხზულების ერთ ნაწილში დემეტრე I-ის მიერ მემკვიდრეობის ხაზის გადაწევის მიზეზებზეა საუბარი. ტექსტში ვკითხულობთ: „დიმიტრისა (დემეტრე I - ი.სანიკიძე) ... ორ ძე ებადესა, რომელთა დავით და გიორგი [ეწოდებოდა სახელად]. ***მარჩეველი*** ძისა უმცროსისა ***მლარწველი მკიცხველი*** იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი“ [ისტორიანი და აზმანი 1959: 3].

უნდა აღინიშნოს, რომ ფუძე **მლარწველ**'ი სალექსიკონო ერთეულად ჯერ კიდევ სულხან-საბას ლექსიკონშია გამოტანილი და მისი გამოყენების ნიმუშად სწორედ „ქართლის ცხოვრების“ დასახელებული ადგილია მითითებული. ვკითხულობთ: „მლარწველი

მკვირცხლ (მკიცხველი D) იქმნა“ [სულხან-საბა 1991: 492]; ხოლო „ქართლის ცხოვრების“ II ტომზე დართული ლექსიკონის შემდგენელი ს. ყაუხჩიშვილი, თავის მხრივ, ეყრდნობა სულხანისეულ განმარტებას და წერს: „მლარწველი („მკიცხველი“)“ [„ქართლის ცხოვრება“ 1959: 578].

ვფიქრობთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ამ ადგილას საქმე *მლარწველ* და *მკიცხველ* ფუძეთა შინაარსობრივ აღრევასთან გვაქვს, მიზეზად კი მლარწველ'ის შინაარსის არასწორი გაგება შეიძლება დავასახელოთ. კითხვა ასე დაისმის – ნიშნავს თუ არა მლარწველ'ი მკიცხველ'ს, როცა ტექსტში ეს ორი სასუბიექტო მიმღეობა ერთმანეთის გვერდითაა განთავსებული? სინონიმური ცალებია ისინი თუ განსხვავებული შინაარსის ფორმები? ჩვენი ძირითადი მიზანი, სწორედაც რომ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემაა.

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტის აკადემიური გამოცემის სქოლიოში მოცემულია კ. კეკელიძისეული წაკითხვა განსახილველი კონტექსტისა, რომელმაც, როგორც ჩანს, იმთავითვე შექმნა ერთგვარი შინაარსობრივი არეულობა და მეცნიერი აიძულა ტექსტი გაემართა. ჩვენი აზრით, კ.კეკელიძემ სავსებით სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ამ ორ ლექსიკურ ერთეულს შორის **და** კავშირი განათავსა და იგივე კონტექსტი ასე დააზუსტა: „მლარწველ და მკიცხველ კეკ.“ [ისტორიანი და აზმანი 1959: 3]. იმისათვის, რომ მლარწველ ფუძის შინაარსს სიცხადე შეემატოს, ჯერ მისი მორფოლოგიური აგებულება მოითხოვს საგანგებო დაკვირვებას. უპირველესად თვალშისაცემი მოქმედებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებელი კონფიქსი მ—ელ [შდრ. მ-კეთებ-ელ-ი, მ-ზომვ-ელ-ი და მისთ.] მოჩანს, მარკერთა გამოცალკევების შედეგად კი *ლარწვ* ფუძე რჩება. სიტყვის მორფოლოგიურ აგებულებაში ასევე მასდარული ლა- პრეფიქსიც იკვეთება [შდრ. ლა-ხტ-ი < *სა-ხტ-ი, ანუ სახტუნავი საშუალება; ისევე, როგორც: ლა-რთხ-ი <*სა-რთხ-ი ფორმაში], რომელსაც უკვე ძველ ქართულში დაკარგული აქვს ისტორიული ფუნქცია და ზოგ შემთხვევაში ფუძესაცაა შეხორცებული. ლა- / ლე- / ლი- პრექსულ წარმოებებს ვ. თოფურია ნა- [ნა-თელ'ი] / ნე- [ნე-რწყუ'ი] / ნი- [ნი-კაპ'ი] წარმოებების გვერდით აყენებს და ფონემათა მონაცვლეობას (ფონეტიკურ სახეცვლილებას) მიაწერს, ამის შედეგად კი მათ „წარნარა **ნ-/ლ-** ელემენტიან პრეფიქსებს“ უწოდებს [თოფურია 1979: 93]. მეცნიერი **ლ**-'შემადგენლიან მორფემებს ძირითადად სვანური ენის კუთვნილებად ასახელებს: „დღევანდელს სვანურში მეტად ცოცხალია და ხშირ სახმარებლადაც გამოყენებული ლი-, ლე-, ლა- თავსართები...“ [თოფურია 1979: 63]. ამრიგად, ისტორიული **ლა**- პრეფიქსი მასდარული მაწარმოებელი მოჩანს და, ჩვენი აზრით, ის **ნა-**'ს პირდაპირი ეკვივალენტი არ არის. ამრიგად, თუკი *ლარწვ ფუძე, თავის მხრივ, საობიექტო მიმღეობაა და მასში ისტორიული ლა- თავსართი აღდგება, ძირეულ ზმნურ ელემენტებად **რწვ** უნდა გამოიყოს, რომელსაც [ა]-**რწევ**-ს [< **რწევ**-ა] ზმნის ფორმა-შინაარსთან მივყავართ, ამ ძირეულ ფუძეზე დაყრდნობით მიღებულ უძველეს მასდარში კი **ე** ხმოვნის რედუქციაა მომხდარი, ხოლო **ლა-** პრეფიქსი ფუძეს შეხორცებული მორფემაა, რომელსაც ძველ ქართულში წარმოების პროდუქტიულობაც დაკარგული აქვს და ხშირ შემთხვევაში ვეღარც მასდარულ გაგებას ინარჩუნებს [შდრ. ლა-ჯ-ი < *სა-ჯ-ი, ანუ ცხოველზე, მაგ., ცხენსა და კარაულზე საჯდომი ნაწილი]. ასეთ ვითარებაში, ცხადია, რომ **მ-ლა-რწვ-ელ**-ი ისტორიულად სხვა არაფერს არ უნდა ნიშნავდეს, თუ არა ***მრწეველს, ანუ ორჭოფს, მეორჭოფეს, აქ კი*** – *შვილისადმი [დავით V-სადმი]* ***უნდოს, უნდობარს, ანუ მასში მაეჭვებელს, შვილისადმი ნდობადაკარგულს.*** ასე რომ, „მლარწველი“ და „მკიცხველი“ არც

სინონიმებია და არც პირველი მათგანია განსაზღვრება, რომ „ქართლის ცხოვრების“ ეს კონტექსტი ასე გავიგოთ: „მკვირცხლ მკიცხველი“ [/სწრაფი გამკიცხველი ?]. საქმე ის არის, რომ **მარჩევალი**, **მლარწველი** და **მკიცხველი** — სამივე ეს სასუბიექტო მიმღეობა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით შინაარსობრივ-ფორმობრივად დემეტრე I-ს მიემართება, რაც, ჩვენი აზრით, გავაიძულებს კ. კეკელიძისადაგვარად ან ***და*** კავშირი განვათავსოთ შერწყმულ სტრუქტურაში, ან სასვენი ნიშანი, კერძოდ, მძიმე მაინც ჩავსვათ მასში და ტექსტი ასეთი ფორმით გავმართოთ: „მარჩეველი ძისა უმცროსისა მლარწველი, მკიცხველი [ან: მლარწველი და მკიცხველი] იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი“.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **პროფ. დარეჯან თვალთვაძე,** *„თავები“* ოთხთავის ქართულ ხელნაწერებში: „ქართველური ენათმეცნიერება“, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული VIII, ISSN-2346-8106. თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, გვ. 37-51 (14 გვერდი).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

„თავები“ (Κεφάλαια) სახარება-ოთხთავის კოდექსის ერთ-ერთი პარატექსტია. როდიდან ჩნდება ეს პარატექსტი სახარების ხელნაწერებში, უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ ის არ დასტურდება ადრეულ ბერძნულ ხელნაწერებში, მაგალითად, Κεφάλαια არ გვაქვს ვატიკანის კოდექსში, თუმცა, ამ ხელნაწერში ტექსტი თავებად უკვე დაყოფილია. თავების ჩამონათვალის პირველად გვხდება ალექსანდრიის კოდექსში, ამიტომ ვარაუდობენ, რომ „κεφάλαια και τίτλοι“ V საუკუნიდან იმკვიდრებს ადგილს ოთხთავის ბერძნულ ხელნაწერებში. აღსანიშნავია, რომ სახარების ტექსტის თავებად დაყოფა ყველგან ერთნაირი არ არის და განსხვავებულია თავების სახელწოდებანიც.

„Κεφάλαια“-ს ქართული შესატყვისია „თავები“ ან „თავნი საკითხავთანი“, რომელიც გულისხმობს თითოეული სახარების ფარგლებში გამოყოფილი თავებისათვის შერჩეული სათაურების (τίτλοι) თანმიმდევრობით ჩამოწერილ სიას (სარჩევს), რომელიც კონკრეტული სახარების შინაარსს გვაცნობს. სათაურების ამ ჩამონათვალს ქართულ სამწიგნობრო ტრადიციაში „ზანდუკსაც“ უწოდებენ. ოთხთავის უძველეს ხელნაწერებში, რომლებიც, ძირითადად, X საუკუნის ბოლომდე (წინაათონურ პერიოდში) შეიქმნა და პროტოვულგატური (ოპიზურ/ ჯრუჭ-პარხლის) რედაქციის ტექსტს შეიცავენ, „თავები“ წარმოდგენილი არ არის. „თავები“ არ დასტურდება სახარების ხანმეტ პალიმფსესტურ ხელნაწერებში, არ გვაქვს ის არც ადიშის (897 წ.), ოპიზის (913 წ.), ჯრუჭის (936 წ.) და

პარხლის (973 წ.) ოთხთავებში, აგრეთვე, ამ რედაქციის ტექსტის შემცველ სხვა კოდექსებში (Sin.Geo.O.15; Sin.Geo.O.30-38; K-137; K-363, ტვიბერის ოთხთავი, ანბანდიდი სახარება...).

სახარების თემატური ეპიზოდების ჩამონათვალი პირველად ჩნდება X-XI საუკუნეების ნუსხებში. კერძოდ, ხელნაწერთა იმ ჯგუფში, რომლებიც ე.წ. „გადამუშავებული პროტოვულგატის“ ტექსტს შეიცავენ (მაგ., Sin.Geo.O.16; S-962; წყაროსთავის, ურბნისის, ვენის, ტბეთის და მესტიის ოთხთავები), ოღონდ მათ ერთ ნაწილში ეს არის არა „თავები“, არამედ „სასწაულნი“ (სახარების ტექსტიდან გამოკრებილი და თანმიმდევრულად დალაგებული იესოს მიერ ჩადენილი სასწაულების სია), რომელთა რაოდენობა, თავებთან შედარებით, ბევრად ნაკლებია. მკაცრად არ არის განსაზღვრული კოდექსში მათი მდებარეობაც. ისინი უპირატესად განთავსებულია თითოეული სახარების წინ, თუმცა ზოგ ხელნაწერში შეიძლება მოსდევდეს მას, ზოგ შემთხვევაში ოთხივე სახარების „სასწაულნი“ ერთადაა წარმოდგენილი (მაგ., წყაროსთავის, ტბეთის და მესტიის ოთხთავებში). წინაათონური პერიოდის ხელნაწერთა ერთ ნაწილს (მაგ.,Sin.Geo.O.16; S-962) პარატექსტს სათაურად „სასწაულნი“ აწერია, თუმცა სინამდვილეში „თავების“ ჩამონათვალს წარმოადგენს, ნაწილში ორივე პარატექსტია („თავებიც“ და „სასწაულნიც“) წარმოდგენილი (მაგ., ურბნისის ოთხთავი; ვენის ოთხთავი). აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის ხელნაწერებში თავთა დასახელება ხშირად საკმაოდ ვრცელია და, ფაქტობრივად, ეპიზოდის მოკლე შინაარსს გადმოგვცემს; ჩვეულებრივ, თავების რიგითი ნომერი მითითებულია ტექსტშიც, რომელიც აშიაზე მიწერილი სხვა მარგინალური აღნიშვნებისაგან (ამონიოსის სექციისა და ევსების კანონის ნომერი) გასარჩევად ან ჩარჩოშია ჩასმული, ან შემოსაზღვრულია წერტილებით. საინტერესოა, რომ თავის ნომრის მითითება ზოგჯერ იმ შემთხვევაშიც გვაქვს, როცა ხელნაწერში თავების სარჩევი არ არის წარმოდგენილი (მაგ., პალესტინურ ოთხთავში (H-1741).

წინაათონური პერიოდის ხელნაწერებისაგან განსხვავებით, ათონურ პერიოდში (XI საუკუნის II ნახევრიდან) შექმნილი კოდექსების აბსოლუტურ უმრავლესობას ახლავს მხოლოდ „თავების“ ჩამონათვალი (არ გვაქვს „სასწაულნი“), მათ ეწოდება „თავები სახარებისაჲ“ ან „ზანდუკი სახარებისაჲ“, მკაცრად არის განსაზღვრული პარატექსტის მდებარეობა (უძღვის ყველა სახარებას) და სათაურები ბევრად უფრო მოკლეა, ვიდრე წინა პერიოდის ხელნაწერებში. ასევე მკაცრად არის დაცული სახარების ტექსტში მათს დასაწყისებთან აშიაზე თავის ნომრის მითითების წესი, იშვიათ შემთხვევაში, ზედა ან ქვედა აშიაზე წარმოდგენილია სათაურები სრული სახითაც (მაგ., ვანის ოთხთავში, A-1335).

ათონური პერიოდის კოდექსებში გამოიკვეთა რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც ზოგადად პარტექსტების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში და, მათ შორის, „თავების“ თვალსაზრისით, ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ქმნიან. ეს ხელნაწერები (ალავერდის, ქურაშის, იენაშის ოთხთავები და ოშკის სახარების პირველადი ტექსტი) გიორგი ათონელის რედაქციის შუალედურ რეცენზიას შეიცავენ (გიორგისეული I). ირკვევა, რომ რედაქტირების პროცესში სახარების ტექსტთან ერთად მისი თანმხლები ტექსტებიც განიცდიან ცვლილებას. ამის კარგი მაგალითია ოშკის სახარება (Ivir.georg.62), ორშრიანი ხელნაწერი, რომლის ქვედა შრე ნასწორებია ეკლესიის მიერ ვულგატად აღიარებული გიორგი ათონელისეული რედაქციის მიხედვით. სახარებათა ტექსტის ვულგატასთან „მიმყვანებელ“ რედაქტორს საგანგებოდ უმუშავია ზანდუკში წარმოდგენილი სათაურების ტექსტის კორექტირებაზეც,

გადაუფხეკია ძველი ტექსტი და გადაუწერია ახალი, ე. წ. „ვულგატური სათაურები“, რომლებიც გიორგი ათონელის მიერ სახარების ტექსტის საბოლოოდ რედაქტირების შემდეგ ჩამოყალიბებულ ტექსტს (ათონურ ვულგატას) ახლავს.

თავის მხრივ, თავთა ის დასახელება, რომელიც ამ ათონური ხელნაწერის თავების სარჩევში იყო თავდაპირველად წარმოდგენილი, განსხვავდება ე.წ. „გადამუშავებული პროტოვულგატის“ ნუსხებში არსებული სათაურებისაგან, მაგრამ ხშირ შემთხვევაში იდენტურია ალავერდის, იენაშის და ქურაშის ოთხთავებში მოცემული „თავებისა“, თუმცა ზოგჯერ განსხვავებულია ალავერდის და ქურაშის ოთხავებისაგან და მხოლოდ იენაშის ოთხთავის წაკითხვას ემთხვევა. თუ გადამუშავებულ პროტოვულგატის ხელნაწერებში წარმოდგენილ თავების სიას A ვარიანტად ჩავთვლით, B ვარიანტად უნდა გამოიყოს გიორგისეული I -ის ორ ნუსხაში - იენაშის და ოშკის სახარების ქვედა შრეში დაცული „თავები“, C ვარიანტად გამოიყოფა ალავერდის ოთხთავის და ქურაშის ოთხთავის „თავები“, ხოლო D ვერსიად კი „თავნი საკითხავთანი“, რომლებიც ათონური ვულგატის შემცველ ხელნაწერებშია წარმოდგენილი და ყველა დანარჩენისაგან სიმოკლით და ლაკონიურობით გამოირჩევა.

ვულგატის ხელნაწერებში მკაცრადაა განსაზღვრული კოდექსის სტრუქტურაში მისი ადგილიც, ის აუცილებლად უძღვის სახარებას, რომლის ტექსტშიც შესაბამის ადგილზე ასევე ყოველთვის არის მითითებული შესაბამისი თავის რიგითი ნომერი. ამ მხრივ გიორგისეული რედაქციის ნუსხები (Sin.Geo.O.19, Sin.Geo. O. 81, კალიპოსის, ვანის, ეჩმიაძინის, გელათის, შავი მთის, ჯრუჭის II, ვატიკანის, პარიზის ოთხთავები, ასევე, ქართულ ხელნაწერთა იერუსალიმურ და ათონურ კოლექციებში დაცული ოთხთავის ხელნაწერთა აბსოლუტური უმრავლესობა (Jer. Geo.49, 93, 103, 122, 160; Ivir.Georg.15, 53, 62, 67, 75, 91), სტრუქტურულად და ვიზუალურადაც ემსგავსება იმ პერიოდის ბერძნულ კოდექსებს.

2. ასოც. პროფ. ლელა ციხელაშვილი

პროფ. ლელი ბარამიძე – მეცნიერი და პედაგოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, *ქართველური ენათმეცნიერება*, VIII, ეძღვნება თსუ-ს ემერიტუს პროფესორ ლელი ბარამიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავს, ISSN 2346-8106, თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 2021-2022, გვ. 7-12.

სტატიის URL: https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1975

ჟურნალის: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/413546

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატია ეხება ლელი ბარამიძის, როგორც მეცნიერის, პიროვნებისა და პედაგოგის, ცხოვრების გზას. ყურადღება გამახვილებულია მისი ბიოგრაფიისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითად ასპექტებზე.

3. **პროფ. რამაზ ქურდაძე** - ქცევის ნიშანთა ფაკულტატიური გამოყენების ერთი შემთხვევა ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის სწავლების დროს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება VIII, ეძღვნება თსუ-ს ემერიტუს პროფესორ ლელი ბარამიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავს, თბ., 2022, გვ. 108-113.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1972
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/413546/1/Qartveluri_Enatmecniereba_2021-2022_N8.pdf

4. **პროფ.რამაზ ქურდაძე** (თანაავტორები: მაია ლომია, ქეთევან მარგიანი), ზოგი *უ--ო* სახელურფუძიანი ოკაზიური ზმნური ფორმის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“, სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, ტ. VIII; ISSN 2346-8106: თბილისი, საქართველო, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 11გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/413546/1/Qartveluri_Enatmecniereba_2021-2022_N8.pdf

5. **ასოც. პროფ. მაია ლომია** (თანაავტორი ქეთევან მარგიანი), ქართველურ ენათა ლინგვისტური ანოტაცია: I. სახელების ანოტაცია (პრობლემები და მათი გადაჭრის გზები), ჟურნალი „დიგიტალური ქართველოლოგია“, დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, I ტომი; ISSN 2720-8427:

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
https://adh.ge/digital-kartvelology-ge/

6. **ასოც. პროფ. მაია ლომია** (თანაავტორები: რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი), ზოგი *უ--ო* სახელურფუძიანი ოკაზიური ზმნური ფორმის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“, სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, ტ. VIII; ISSN 2346-8106: თბილისი, საქართველო, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 11გვ.

კრებული განთავსებულია **ეროვნული ბიბლიოთეკის** საიტზე (კოლექცია „ივერიელი“):

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/413546

7. **ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი** - ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი სვანური ლექსემა ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLIX, თსუ გამომცემლობა, 7 გვ. ISSN 1987-6572 (დაიბეჭდა 2022-ში).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
https://ice.ge/of/wp-content/uploads/2022/06/IKE-49-2021.pdf

1. ძირითად ლექსიკურ ფონდში ნებისმიერი ენისთვის ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთია
ნათესაობის ლექსიკა; ქართული თუ საერთოდ კავკასიური მენტალიტეტის გათვალისწინებით, ქართველურ ენებში ის განსაკუთრებულად მრავალფეროვანია.

სვანური ენის ზოგი ამ ტიპის მონაცემი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ, მიუხედავად ქართულთან სტრუქტურული თანხვედრისა, სემანტიკა ნაწილობრივ გადაწეული ან გაფართოებულია და ასახავს საქართველოს ამ მთიანი კუთხის მკვიდრთა, ენის მატარებელთა მენტალური დამოკიდებულების დამატებით ნიუანსებს აღნიშნული საკითხის მიმართ. სწორედ ამ თვალსაზრისით ნათესაობის ლექსიკა სვანურში მეტად მდიდარია. სტატიაში განხილულია ის ლექსემები, რომლებიც აღნიშნავენ *ქალის*, ასევე *დედის ხაზით მემკვიდრის* სტატუსს სისხლისმიერი ნათესაობით განსაზღვრულ სოციუმში. არქაულობით გამორჩეული სვანური ენის მრავალფეროვნება საანალიზო ლექსიკის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ასახავს ქალის როლისა და, ზოგადად, გენდერული პრობლემისადმი ტრადიციულ საერთოქართველურ მენტალურ დამოკიდებულებას.

8. **ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი - სხვათა სიტყვა: კლასიფიკაცია და გადმოცემის საშუალებები ქართულში:** ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, №8, მიძღვნილი ლელი ბარამიძის 90-ე წლისთავისადმი; ISSN 2346-8106; თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021-2022, 17 გვ. (20-36).

https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1970

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
სხვათა სიტყვა: კლასიფიკაცია და გადმოცემის საშუალებები ქართულში

სტატიაში განხილულია სხვათა სიტყვის კლასიფიკაცია და მისი გადმოცემის გრამატიკულ-ლექსიკური საშუალებები თანამედროვე ქართულში. მიმოხილულია ამ ენობრივი მოვლენის შესწავლის ისტორია ქართულ გრამატიკებში (XIX-XXსს.). გამოყოფილია პ. იოსელიანის დამსახურება, რომელმაც 1840 წელს თავის გრამატიკაში პირველად დაახასიათა ეს მოვლენა ქართულ ენაში და დაახასიათა მისი სახეები; ნახსენებია ძველი ქართული გრამატიკები (თ. ჟორდანიას, ა. ბენაშვილის, ს. ხუნდაძის, მ. ჯანაშვილის, ა.

ქუთათელაძის, დ. კარიჭაშვილისა და მ. კელენჯერიძის), რომლებშიც მოკლედ არის განხილული სხვათა სიტყვა და ვლინდება ტერმინოლოგიის შემუშავების მცდელობა.

საანალიზო ემპირიული მასალა მოძიებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან (GNC), ქართული დიალექტური კორპუსიდან (GDC) და ყოველდღიური მეტყველებიდან. ანალიზის დროს მოშველიებულია აღწერილობითი, შედარებითი, სუბსტიტუციური და კორპუსული კვლევის მეთოდები.

ყურადღება ეთმობა მე-20 საუკუნის ქართველ ლინგვისტთა შეხედულებებს სხვათა სიტყვის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ჟ. ფეიქრიშვილი, ა. არაბული, ლ. გეგუჩაძე...); გაზიარებულია **ა. არაბულის** მოსაზრება, რომ ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა უნდა ჩაითვალოს **ირიბი ნათქვამის** სპეციფიკურ სახეობად და არა **პირდაპირ** ნათქვამად, როგორც ეს ტრადიციულად იყო მიღებული. შეხედულების განსამტკიცებლად დამატებით მოყვანილია არგუმენტი, რომ ამ ტიპის ნათქვამი არ ასახავს უშუალო კომუნიკაციას, პირდაპირ მიმართვას ადრესატისადმი, არამედ გამეორებულია ამა თუ იმ პირის ადრე ნათქვამი ან ნაფიქრი, როგორც ირიბი ნათქვამის დროს.

დასმულია მოსაგვარებელი ტერმინოლოგიური საკითხი – „სხვათა სიტყვის“ განმარტების დაზუსტების აუცილებლობა, რადგან ის აღნიშნავს არა მარტო უცხო (ანუ სხვა) პირის ადრინდელ ნათქვამს ან ნაფიქრს, არამედ მოუბარი პირისასაც. სწორედ ასეთ შემთხვევებშია გამოყენებული -მეთქი და -თქო ნაწილაკები ქართულში და ეს შესაძლებლობას ქმნის, რომ შეუცვლელად შენარჩუნდეს ზმნის ფორმა ირიბ ნათქვამშიც.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ, გარდა ნაწილაკებისა -მეთქი, -თქო, -ო, სიტყვასიტყვით ნაწილაკად უნდა მივიჩნიოთ გამონათქვამი -***მეუთხარი***, რომელიც ყოველდღიურ მეტყველებაში ხშირად გამოიყენება ვინმესთან ადრე წარმართული დიალოგის გადმოცემისას. დასახელებული ნაწილაკი არაა აღიარებული სალიტერატურო ენის კუთვნილებად და დამახასიათებელია სასაუბრო მეტყველებისთვის დიალოგის გადმოცემის დროს (ე. წ. დიალოგი დიალოგში).

სტატიაში შესწავლილია პირდაპირი ნათქვამის ირიბად ქცევის პროცესში საჭირო ტრანსფორმაცია წინადადებათა მოდალური სახეების მიხედვით (თხრობით, კითხვით და ბრძანებით წინადადებებში); ამას გარდა, კორპუსულ მასალაზე დაყრდნობით თავმოყრილია სტატისტიკური მონაცემები სიტყვასიტყვითი ნაწილაკების გავრცელების სიხშირესთან დაკავშირებით.

9. **ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი** – გერმანელი ქართველოლოგის ახალი ნაშრომი აკადემიკოს აკაკი შანიძის ღვაწლზე: ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, №8, მიძღვნილი ლელი ბარამიძის 90-ე წლისთავისადმი; ISSN 2346-8106; თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021-2022, 7 გვ. (152-158).

https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1969

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გერმანელი ქართველოლოგის ახალი ნაშრომი აკადემიკოს აკაკი შანიძის ღვაწლზე

სტატიაში მიმოხილულია გამოჩენილი ქართველოლოგის, პროფ. ჰაინც ფენრიხის, გერმანიაში გამოცემული ახალი წიგნი: „აკაკი შანიძე – მეცნიერებისა და ქართველი ერის

სამსახურში“ (2021). ხაზგასმულია გერმანელი ქართველოლოგის დიდი დამსახურება ქართული ლინგვისტიკისა და ფილოლოგიის წინაშე, მისი თანამშრომლობა თავის დიდ მენტორთან (მაგ., აკაკი შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკის“ თარგმანი გერმანულად, 1982), ღვაწლი ჟურნალ „გეორგიკის“ გამოცემისა და რედაქტორობის საქმეში (1978-2006), იენაში კავკასიოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელობა (1986-2006).

შემდეგ დაწვრილებითაა განხილული გერმანელი ქართველოლოგის ახალი წიგნი დიდი ქართველი ენათმეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს აკაკი შანიძის ღვაწლის შესახებ.

ბიოგრაფიულ ნაწილში მოთხრობილია აკად. აკაკი შანიძის ცხოვრების რთულ, მაგრამ უაღრესად შინაარსიან გზაზე (ბავშვობა, გიმნაზიისა და სტუდენტობის წლები, ურთიერთობა დიდ მეცნიერებთან: ნიკო მართან, ივანე ჯავახიშვილთან და სხვ.). ხაზგასმულია მისი დიდი დამსახურება თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნების საქმეში; ლაპარაკია ახალ ქართულ უნივერსიტეტში დაცული პირველი სადოქტორო დისერტაციის განუზომელ მნიშვნელობაზე: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920); ნაჩვენებია ენათმეცნიერის განუზომელი წვლილი ქართველოლოგიასა და კავკასიოლოგიაში, ყურადღებაა მიქცეული აკაკი შანიძის გრამატიკული კვლევების მნიშვნელობაზე ენათმეცნიერებაში, მშობლიური ენის სწავლების საქმეში.

სტატიაში ყურადღებაა მიქცეული აკაკი შანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის ღრმა ანალიზზე ახალ და ძველ ქართულ ენებში, ქართველურ ენებში, ქართული ენის დიალექტებში, რუსთველოლოგიაში, ძველი ქართული ენის ძეგლების გამოცემის საქმეში, ქართული წარწერების წაკითხვასა და დათარიღებაში, ალბანური ხელნაწერების აღმოჩენასა და სისტემატიზაციაში.
https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1969

10. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე.** მაკროკონცეპტი „ნათესავი“ ქართულ ლინგვოკულტურაში. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, VIII, ISSN 2346-8106, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2021-2022, გვ. 9 გვ. (გვ. 86-94).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თანამედროვე კულტუროლოგიური და ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა კონცეპტისადმი, უწინარეს ყოვლისა, სულიერი ღირებულების ცნებად მიიჩნევს მას, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პარადიგმის მორიგ ცვლას, რომლის შედეგადაც გასული საუკუნის დასაწყისში გაბატონებული სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმის ადგილი ანთროპოცენტრულმა პარადიგმამ დაიკავა.

ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები ერთ-ერთ უძველეს ლექსიკურ ფენას მიეკუთვნებიან და მათ, როგორც ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის შემადგენლებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ქართული ლინგვოკულტურული სივრცის დასახასიათებლად.

ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე ლიტერატურულ ძეგლში გვხვდება როგორც კონკრეტულ ნათესაურ დამოკიდებულებათა სახელმდებელი ლექსემები (სისხლით ნათესავისა და ქორწინების გზით შეძენილი ნათესავის აღმნიშვნელი ათზე მეტი ერთეული), ასევე ზოგადი ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები – ახლო ნათესავთა გამაერთიანებელი, ოჯახისა და ოჯახის წევრთა სახელმდებელი ლექსემები **„სახლი“**, **„სახლეული“** და უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინ-კომპოზიტი **„თესლ-ტომი“**, რომლის თითოეული კომპონენტი დამოუკიდებლადაც ხშირად დასტურდება ძველ ქართულ ტექსტებში ზოგადი ნათესაობის ცნების აღსანიშნავად. „შუშანიკის წამებაში“ გამოყენებული ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები: „დედა“, „მამა“, „შვილი“, „ძე“, „ასული“, „და“, „ძმა“, „ცოლი“, „ქმარი“, „მაზლი“, „ძმის ცოლი“ (ტექსტში ასევე დასტურდება მარტივი ტერმინი „სძალი“ (> რძალი), თუმცა არა „ძმის ცოლის“ მნიშვნელობით) ასახავენ იმდროინდელ ფაქტობრივ ნათესაურ ურთიერთობებს და ადასტურებენ იმას, რომ ნათესაურ კავშირთა და შესაბამის ტერმინთა სისტემა მეთექვსმეტე ასწლეულია თითქმის არ შეცვლილა.

ენის რიგითი მატარებლისათვის რომელიმე ენის მორფოლოგიურ-სინტაქსურ შესაძლებლობათა შეფასება თუ რთულია, ლექსიკური მარაგის სიმდიდრე შედარებით ადვილი შესაგრძნობია. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართულ დისკურსში (უმეტესად ქალაქურ მეტყველებაში), უცხო ენათა გავლენით, სულ უფრო იშვიათად გვხვდება ნათესაობის ტერმინები „მამიდა“ და „ბიცოლა“, რომელთა ნაცვლადაც „დეიდაა“ გამოყენებული როგორც მიმართვის შემთხვევებში, ასევე აღნიშნულ პირთა დაუსწრებელ კონტექსტებში. არცთუ იშვიათად „მამიდაც“, „ბიცოლაცა“ და „დეიდაც“ შესაბამისი ანთროპონიმებითაა ჩანაცვლებული. ამგვარ, ერთი შეხედვით, უწყინარ ცვლილებებს მნიშვნელოვანი ძვრების გამოწვევა შეუძლია როგორც სოციალურ ურთიერთობებში (შესაბამისად, მენტალურ სტრუქტურებში), ასევე ენაში.

კულტურული ტრადიციის გაუფასურება ღირებულებათა სისტემის ცვლილებებს იწვევს, რაც, თავის მხრივ, ნებისმიერ ენასა და ამ ენის განმახორციელებელ დისკურსზეც აისახება. როცა ვცდილობთ გავერკვიოთ ჩვენს კულტურულ იდენტობაში, გვერდს ვერ ავუვლით სხვა კულტურათა შესახებ ცოდნას ისევე, როგორც დედაენის უნიკალურობას ვერ ვიგრძნობთ სხვა ენასთან შედარების გარეშე. სწორედ ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში სულ უფრო იზრდება იმ ნაშრომთა რიცხვი, რომლებშიც ნათესაობის სისტემათა ტიპოლოგიური კვლევის შედეგებია წარმოდგენილი.

ლექსემა „ნათესავი“ ლინგვოკულტურული მაკროკონცეპტის სახელად შევარჩიეთ როგორც ხშირი ხმარების სიტყვა ქართული ენის განვითარების ყველა ეტაპზე და როგორც მკვიდრი სემანტიკური ბირთვის მქონე ერთეული ძველი ქართულიდან თანამედროვემდე.

„ნათესავი“, როგორც მაკროკონცეპტი, ყველა სახის ნათესაურ დამოკიდებულებას მოიცავს, როგორც ჰიპერონიმი – ნათესაობის ტერმინთა მთელ სისტემას, როგორც ცნების სახელი კი გრძელი სინონიმური რიგის წევრია.

ნათესაობის აღმნიშვნელებში მატერიალიზებულია (სიტყვის ფუძით გამოხატულია) „ნათესავის“ კონცეპტური სტრუქტურის შემდეგი ძირითადი ლექსიკურ-სემანტიკური ელემენტები: საერთო საწყისიდან მომდინარეობა (გამრავლება, გაყოფა), სივრცითი სიახლოვე, საკუთრება, ემოციური მიმართება (სიყვარული, კეთილმოსურნეობა).

11. **ასოც. პროფ. გიული შაბაშვილი** - პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის დანერგვა აკადემიური წერის სწავლების პროცესში
ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალი, N 8, 2022 (იბეჭდება)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წერა უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი საბაზისო უნარია, რომელიც, ერთი მხრივ, მოიცავს რთულ კოგნიტურ პროცესს, ხოლო მეორე მხრივ, ეფუძნება პრაქტიკულ გამოცდილებას. ამრიგად, აკადემიური წერის სწავლება რთული ამოცანაა, რომელიც მოითხოვს ანალიზის, სინთეზის, შეფასების, კრიტიკული აზროვნების, ტექსტის სტრუქტურირების, სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტის შექმნის, კვლევის, პასუხისმგებლობის, წერის პროცესის ეტაპებისა და დისციპლინის სპეციფიკის ასპექტების გათვალისწინებას. შესაბამისად, აკადემიური წერის კურსი და შესაბამისი სასწავლო პროცესი ისე უნდა დაიგეგმოს, რომ სტუდენტს ერთდროულად განუვითარდეს წერის, კვლევისა და კრიტიკული აზროვნების უნარები, გაიზარდოს მისი საგნობრივი კომპეტენცია და შეძლოს როგორც დამოუკიდებლად, ისე ჯგუფურად მუშაობა. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია, თუ აკადემიური წერის სწავლებისას დაინერგება შერეული მიდგომა და განიხილება როგორც პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის, ისე პროცესზე ორიენტირებული წერისა და თანამშრომლობითი სწავლების პრინციპები და სტრატეგიები. ნაშრომის მიზანია განიხილოს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მახასიათებლები და უპირატესობები აკადემიური წერის სწავლებისას. ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია კონკრეტული დავალება და წარმოდგენილია დავალების შესრულების ეტაპები, გაანალიზებულია შესაბამისი სტრატეგიები და აქტივობები. შესაბამისად, ნაშრომს აქვს მეთოდოლოგიური ხასიათი და პრაქტიკული მნიშვნელობა.

12. **ასოც. პროფ. გიული შაბაშვილი, ასოც. პროფ. კახა გაბუნია,** ქეთევან გოჩიტაშივლი - მონოლინგვური მოდელიდან მულტილინგვურ მოდელზე გადასვლის გზები და საჭიროებები საქართველოს განათლების სისტემაში
DOI: https://doi.org/10.36534/erlj.2022.01.05
(ISSN 2657-9774) Educational Role of Language Journal. Volume 2022-1(7). PLACING LANGUAGE IN THE CENTRE OF SCHOOLING, pp. 47-57

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

განათლების თანამედროვე სფეროში მულტილინგვისტური განათლების მოდელის დანერგვა არის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანი ნებისმიერი მრავალენოვანი და მრავალეთნიკური საზოგადოებისთვის. მათ შორის არის საქართველო, ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით მრავალფეროვანი ქვეყანა, სადაც უმცირესობები ვერ ახერხებენ სრულ ინტეგრირებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული ენის ცოდნაში არსებული ხარვეზების გამო. სახელმწიფომ ამ საკითხის გადასაჭრელად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და 2005 წლიდან რამდენიმე ღონისძიება და პროგრამა განახორციელა. ამ პროცესში აქტიური თანამშრომლები არიან ადგილობრივი

და საერთაშორისო ორგანიზაციები; თუმცა, ბოლო კვლევების მიხედვით, უმცირესობათა ჯგუფების ენობრივი კომპეტენციის დონე კვლავაც გამოწვევად რჩება. მიმდინარე ეტაპზე, მიმდინარეობს მონოლინგვური მოდელის მულტილინგვური მოდელით ჩანაცვლება, თუმცა, ეს პროცესი მოიცავს უამრავ დაბრკოლებას, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანურ, მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსებთან, ასევე სწავლების მეთოდებთან და უმცირესობების ჩართულობის დონესთან. ნაშრომში აღწერილია და გაანალიზებულია არსებული მდგომარეობა 2005 წლიდან დღემდე, გამოვლენილია მულტილინგვური განათლების მოდელის ძლიერი და სუსტი მხარეები და შემოთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს მის ეფექტურ განხორციელებას. პირველ რიგში, აუცილებელია ჩამოყალიბდეს კონკრეტული სტრატეგია და ინსტიტუციური ხედვა, რომელიც ითვალისწინებს როგორც საერთაშორისო გამოცდილებას, ასევე არსებულ კვლევებსა და ადგილობრივ მონაცემებს. ასევე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მასწავლებლების მომზადება და მიზნობრივი სასწავლო პროგრამების ჩატარება. გარდა ამისა, აუცილებელია ეფექტური სასწავლო რესურსების შემუშავება, მჭიდრო თანამშრომლობა სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან და ადგილობრივ საზოგადოებასთან და მედია პლატფორმებთან თანამშრომლობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის გავრცელებისთვის. რაც მთავარია, CLIL მიდგომა უნდა განხორციელდეს. ეს კვლევა ეფუძნება თვისებრივ კვლევის მეთოდს, რომელიც მიზნად ისახავს აღწერითი მონაცემების წარმოჩენას. მოცემულ კვლევაში გამოყენებული მონაცემთა შეგროვების ტექნიკა შემდეგია: პირველადი და მეორადი წყაროებზე დაკვირვება, დოკუმენტაცია და დამუშავება ზოგადი ტენდენციების გამოსავლენად.

13. ასოც. პროფ. გიული შაბაშვილი, კრასიმირ კაბაკჩიევი - ვერბალური და კომპოზიციური ასპექტი: ტიპოლოგიური კვლევა ქართული, რუსული და ინგლისური ენების მონაცემების მიხედვით
Studies in Greek linguistics, 42, 2022 (იბეჭდება)
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქართული არის ქართველური ენა და ითვლება, რომ ქართველურ ენებს არ აქვთ გენეალოგიური კავშირი მსოფლიოს სხვა ენებთან. ეს გარემოება იძლევა გარკვეული ტიპოლოგიური დასკვნების გაკეთების საშუალებას, აგრეთვე ჰიპოთეზებს ენის არსებობის აუცილებლობაზე გარკვეული გრამატიკული კატეგორიებისა და გრამატიკების შესახებ. ასპექტი, რომელიც წარმოდგენილია სრული-უსრული ოპოზიციით, არის ერთ-ერთი კატეგორია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო ლინგვისტების კვლევის საგანი. მიჩნეულია, რომ ასპექტი თანამედროვე ქართულში გვიჩვენებს სლავური და ბერძნული ენების მსგავს მონაცემებს, ზმნური კატეგორიაა და არა კომპოზიციური, როგორც ინგლისურსა და სხვა გერმანულ ენებში, ფინურში და ა.შ. თუმცა, ქართული ენის მონაცემების მიხედვით ასპექტის ფუნქციონირების რამდენიმე საკითხი კვლავ საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას. ნაშრომი მიზნად ისახავს ქართული ასპექტის ძირითადი მახასიათებლების იდენტიფიცირებას ტიპოლოგიურ და შინაგან-სტრუქტურულ ჭრილში იმ მოდელის გამოყენებით, რომელშიც ასპექტი გაგებულია, როგორც ზმნის რეფერენტებს

შორის დროებითი მახასიათებლების დასახვის ყოვლისმომცველი და მუდმივი პროცესი. აქვე უნდა განვიხილოთ ის ნომინალები, რომლებიც არიან სიტუაციის მონაწილეები.

14. **ასოც. პროფ. კახა გაბუნია** - ზმნური კონსტრუქციების აგებისას დაშვებული შეცდომების ანალიზი არაქართულენოვანი (სომხურ- და აზერბაიჯანულენოვანი) მოსწავლეების მეტყველებაში: კრებული - ენათმეცნიერების საკითხები, 2022, თბილისი, თსუ გამომცემლობა, გვ. 21--38

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში ურთულესი საკითხია ზმნური კონსტრუქციების მრავალგვაროვნება, რაც, თავის მხრივ, ქართულის, როგორც ერგატიული ტიპის ენის, დრო-კილოთა სერიების პრობლემასთანაა დაკავშირებული.

წინამდებარე სტატიის მიზანია, აღნუსხოს და გააანალიზოს ის გრამატიკული (სინტაქსური) შეცდომები, რომლებსაც უშვებენ არაქართულენოვანი მოსწავლეები ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლის პროცესში. შეცდომების ანალიზი ყურადღებას ამახვილებს შემსწავლელის შემოქმედებით უნარზე, „ააგოს“ ენა. ის ემყარება რეალურ შემსწავლელთა მიერ მეორე ენაში დაშვებული შეცდომების აღწერასა და ანალიზს და არა წარმოსახვით ლინგვისტურ სტრუქტურებს.

მეტყველებაში დაშვებული შეცდომები გაანალიზდა სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების (წარუკიანი 2022, მემარნიშვილი 2022 - ხელმძღვანელი - კ. გაბუნია) ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით (კვლევა განხორციელდა ქვემო ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონებში, მე-7 - მე-12 კლასის 64 მოსწავლესთან ინტერვიურების გზით: 36 აზერბაიჯანულენოვანი და 28 სომხურენოვანი რესპონდენტი).

საზოგადოდ, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისას, აქცენტი მუდამ კეთდებოდა ერგატიულ კონსტრუქციაზე, რომელიც ინდოევროპული, ალათაურ-თურქული, სემიტური და ა.შ. ენებისთვის მართლაც სრულიად უცხოა... თუმცა, არანაკლებ სერიოზული პრობლემები დაფიქსირდა ნომინატიური და დატიური კონსტრუქციების კონსტრუირებასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ერგატიული კონსტრუქცია მხოლოდ ერთი კომპონენტია იმ ზოგადი სირთულისა, რომელიც ქართული ენის ზმნა-შემასმენლის **სტაბილური** და **ლაბილური** კონსტრუქციების საკითხს უკავშირდება.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Jost Gippert, Bernard Outtier, Sergey Kim in cooperation with Ketevan Asatiani, Manana Dolakidze, Lali Jgamaia, Maia Karanadze, Mikheil Kavtaia, Lili Khevsuriani, Lia Kiknadze, Tinatin Tseradze, Tsitsino Guledani, Tinastin Jikurashvili, Eka Kvirkvelia, Giorgi Lomsadze, Sopio Sarjveladze, Mzekala Shanidze, **Darejan Tvaltvadze** and Georgios Boudalis, Catalogue of the Georgian Manuscripts of the Holy

Monastery of Iviron“, ISBN 978-618-81968-4-1, Holy Monastery of Iviron,GR-630 86 Karyes, Mount Athos, 2022 (1064 გვერდი)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქართველი და უცხოელი მეცნიერების მრავალწილიანი თანამშრომლობის შედეგად 2022 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემული 1064-გვერდიანი წიგნი „**Catalogue of the Georgian Manuscripts of the Holy Monastery of Iviron“** (Jost Gippert, Bernard Outtier, Sergey Kim, et al.), ათონის მთაზე, ივირონის მონასტერის წიგნსაცავში დაცული ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი კოლექციის პირველ სრულ ანალიტიკურ აღწერილობას წარმოადგენს. მასში წარმოდგენილია ივირონის მონასტერში დაცული ყველა ქართული ხელნაწერის (სულ 95 ერთეული) ვრცელი და დეტალური აღწერილობა. კატალოგს ახლავს რამდენიმე დანართი, ინდექსები და ილუსტრაციები.

წიგნი საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის (GeoPal - დონორი ორგანიზაცია ფოლკსვაგენის ფონდი) ფარგლებში მომუშავე მეცნიერების კორპორაციის შედეგია (პროექტის ხელმძღვანელი იოსტ გიპერტი). მასში მონაწილეობდნენ: ბერნარ უტიე, სერგეი კიმი, გიორგიოს ბუდალისი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთა ჯგუფი - ქეთევან ასათიანი, მანანა დოლაქიძე, ლალი ჯღამაია, მაია კარანაძე, მიხეილ ქავთარია, ლილი ხევსურიანი, ლია კიკნაძე, თინათინ ცერაძე და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფი - მზექალა შანიძე, დარეჯან თვალთვაძე, ეკა კვირკველია, სოფიო სარჯველაძე, თინათინ ჯიქურაშვილი, ციცინო გულედანი და გიორგი ლომსაძე.

980-983 წლებში წმ. იოანე მთაწმიდელისა და ღირსი მამის იოანე-თორნიკეს მიერ დაარსებული ათონის ქართველთა მონასტერის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერების შესახებ ცნობები საქართველოში ადრევე ქვეყნდებოდა (ტიმოთე გაბაშვილი, პლატონ იოსელიანი, ნიკო მარი და სხვ.), თუმცა ინფორმაცია ფრაგმენტული იყო. კოლექციის სრული, მაგრამ მოკლე აღწერილობა XIX საუკუნის 80-იან წლებში შეადგინა და გამოსცა ალექსანდრე ცაგარელმა, შედარებით ვრცლად და სისტემურად ხელნაწერები XX საუკუნის 30-იან წლებში აღწერა რობერტ ბლეიკმა (86 ერთეული). 1986 წელს საქართველოში ჩამოტანილი ხელნაწერთა მიკროფილმების მიხედვით (სულ 73 მიკროფირი) გამოიცა 18 ხელნაწერის აღწერილობა (ქართულ ხელნაწერთა ათონური კოლექცია, ნაკვეთი 1, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ლ. ახობაძემ, რ. გვარამიამ, ნ. გოგუაძემ, მ. დვალმა, მ. დოლაქიძემ, მ. კვაჭაძემ გ. კიკნაძემ, გ. ნინუამ, ც. ქურციკიძემ. ლ.შათირიშვილმა, მ. შანიძემ, ნ. ჩხიკვაძემ, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986 წ), მაგრამ აშკარად იგრძობოდა ათონური კოლექციის ხელნაწერთა ახალი, უფრო სრულყოფილი ანალიტიკური კატალოგის შედგენის საჭიროება. ახალ კატალოგში ხელნაწერების შესახებ სრული ინფორმაციაა მოცემული, გარდა ძირითადი ცნობებისა (როგორიცაა თარიღი, საწერი მასალა, ზომები, ყდა, გადამწერი და ა.შ.), გამოქვეყნებულია ყველა ანდერძი, მინაწერი, მარგინალური შენიშვნა, წარმოდგენილია ვრცელი ბიბლიოგრაფიაც. სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ აქამდე გამოცემულ კატალოგებში 86 ხელნაწერი იყო აღწერილი, მუშაობის პროცესში გამოვლინდა კიდევ 9 მანუსკრიპტი, რომელთა აღწერილობა პირველად ქვეყნდება. მნიშვნელოვანია

ისიც, პროექტის ფარგლებში დამზადდა ხელნაწერთა ციფრული ასლები, 40 000 მაღალი გარჩევადობის ფერადი სურათი ყველა ხელნაწერისა, რომელთა ერთი ნაწილი კატალოგს აქვს დართული, ნაწილი კი ხელმისაწვდომია ინტერნეტში ივირონის მონასტრის ვებგვერდზე https://manuscripts.imiviron.gr/

კატალოგს ერთვის მწიგნობართა, მმოსველ-მკაზმველთა, მომგებელთა, შემომწირველთა, მფლობელთა, მთარგმნელთა, შემდგენელთა, მკითხველთა და ხელნაწერთა შექმნაში მონაწილე სხვა პირთა ინდექსები; ხელნაწერებში მოხვედრილი ტექსტების ავტორთა საძიებელი; წმინდანთა, მოწამეთა და სხვა პირთა საძიებელი; ტექსტებში, კოლოფონებსა თუ მინაწერებში მოხსენიებული ისტორიული პირების ინდექსი; ტოპონიმების ინდექსი; აღწერილობაში მოხსენიებული ქართული, ბერძნული და სხვა ხელნაწერების ინდექსი; ხელნაწერებში (ძირითადად კოლოფონებში) გამოყენებული განსაკუთრებული ტერმინების (ძირითადად, ლიტურგიასთან დაკავშირებული) სია, კატალოგში დამოწმებული ყველა სამეცნიერო ნაშრომის (ტექსტური გამოცემებისა და გამოკვლევების) ბიბლიოგრაფია, ლინირების სქემები Leroy (1995) და Muzerelle (1999) აღწერის მეთოდების გამოყენებით და ხელნაწერთა ნიმუშები (ფერადი ფოტოები). წიგნი გამოცემულია „ივირონის“ მონასტერის მიერ (Holy Monastery of Iviron, Mount Athos). საქართველოში იგეგმება კატალოგის ქართულ ენაზე გამოცემაც.

2. **Nino sharashenidze** - Modality and Negative ver Particle in the Georgian Language, Issues in Kartvelian Studies, Edited by Tamar Makharoblidze, Vernon Press, Series In Language and Linguistics, 2022

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მოდალობა და უარყოფა უნივერსალური კატეგორიებია. ისინი მრავალი კვლევის საგანი გახდნენ. ქართულ ენაში ეს საკითხები ჯერ კიდევ შესასწავლია, რაც გამოავლენს ბევრ საინტერესო მეცნიერულ პრობლემას ქართულ და სხვა ენებში ქართველური ენების ჯგუფიდან. საკითხი საინტერესოა ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც.

უარყოფა ქართულ ენაში არის სამწევრიანი სისტემა, რომელიც მოიცავს ნეიტრალურ უარყოფას (ნაწილაკი ar – არ), შესაძლებლობის უარყოფას (ნაწილაკი ver – არ შეუძლია) და აკრძალვით ან თხოვნით გამოხატულ უარყოფას (ნაწილაკი nu – არ).

სტატია ეხება შესაძლებლობის უარყოფას ქართულ ენაში. ანალიზი მოიცავს უარყოფისა და მოდალობის ასპექტებს და მიუთითებს უმთავრეს მახასიათებელზე, რომელიც დაკავშირებულია უარყოფისა და მოდალობის ერთი და იმავე ფორმით გამოხატვასთან. ნაწილაკების გამოყენების სფეროები ფართოა. იგი გამოიყენება როგორც თხრობითი, ისე კავშირებითი კილოს ფორმებთან ერთად. სტატიაში მოცემულია „ვერ“ ნაწილაკით გამოხატული შესაძლებლობის უარყოფის ანალიზი, მისი კოლოკაცია და სემანტიკა.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

6.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Kakha Gabunia,** Ketevan Gochitashvili, **Giuli Shabashvili,** Ways and Needs of Transition from Monolingual to Multilingual Teaching Model in Georgian Education System: **Publisher:** International Association for the Educational Role of Language; Publication Name: Educational Role of Language Journal; Journal Volume 2022-1(7) pp. 47-57.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1991 წელს სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველოში ენობრივი სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ქართული ენა დე ფაქტო და დე იურე გახდა ოფიციალური და ჩაანაცვლა რუსული ენა სამართალწარმოებისა და ოფიციალური ურთიერთობის ენად.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ გაჰყვა ლიბერალურ გზას და მოქალაქეობა მიანიჭა საქართველოს ტერიტორიის ყველა მცხოვრებს (სახელმწიფო ენის ათვისების კუთხით მათი კომპეტენციების მიუხედავად). აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ მათ მოქალაქეობა დამატებითი მოთხოვნების გარეშე მიანიჭა. თავისთავად, ეს ნაბიჯი იყო ძალიან ჰუმანური და ლიბერალური, თუმცა, პოსტსაბჭოთა საქართველოში მოცემულმა მიდგომამ დატოვა საკმაოდ ბევრი პრობლემა, რომელიც დღემდე გადაუჭრელია.

მიუხედავად არაერთი გატარებული ღონისძიებისა სახელმწიფოს მხრიდან, ეთნიკური უმცირესობების კომპეტენცია სახელმწიფო ენის ფლობის თვალსაზრისით დაბალია; ეს კი უმცირესობების ინტეგრაციის მთავარი დაბრკოლებაა. საბჭოთა განათლების სისტემის რეორგანიზაციის შემდეგ საქართველომ ვერ შეძლო შესაბამისი ენობრივი პოლიტიკის შემუშავება ეთნიკური უმცირესობების სრული ინტეგრაციისთვის. დღესდღეობით საქართველოს განათლების სისტემაში არსებული არაქართულენოვანი მონოლინგვური სკოლები ვერ ახერხებენ სახელმწიფო ენის (ქართულის) სრულყოფილად სწავლებას, რაც ხელს უშლის უმცირესობათა წარმომადგენელი მოსწავლეების დომინანტ საზოგადოებასა და კულტურაში ინტეგრირებას.

ნაშრომი მიზნად ისახავს სკოლებში მონოლინგვური სისტემიდან მულტილინგვურ სისტემაზე გადასვლის პროცესის შესწავლას და ანალიზს, არსებული სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას და სისტემური გადაწყვეტილებების შეთავაზებას. კერძოდ, ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საუკეთესო გზა უმცირესობის მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მეორე/ოფიციალური ენის ენობრივი კომპეტენციის განვითარებისთვის ბილინგვური განათლების დანერგვაა.

ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს 1. ჩატარებულ კვლევებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავებას. მოცემული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ბილინგვური განათლების ძლიერი მოდელების გამოყენებას.

2. **Anna Kharanauli** , Tinatin Chronz, Tamara Pataridze, Tinatin Tseradze, Palestine, in: T. Otkhmezuri (ed.), Medieval Georgian Literary Culture and Book Production in the Christian Middle East and Byzantium, Aschendorf Verlag, 2022, 23-107.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

7. **სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

7.1. **საქართველოში**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **პროფ. დარეჯან თვალთვაძე -** სამოციქულოს ხელნაწერები ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, თბილისი, 14-16 ივლისი, 2022,

მოხსენების ანოტაცია

გამოქვეყნდა კონფერენციის პროგრამა და მოხსნების თეზისები (გვ.:133-138) https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1868?show=full

2. **პროფ. დარეჯან თვალთვაძე -** ქართული კოდიკოლოგია ციფრულ ეპოქაში: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-4“. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2-4 დეკემბერი, 2022 წ. (იბეჭდება სტატიების კრებული).

მოხსენების ანოტაცია

XXI საუკუნემ კაცობრიობა განვითარების ახალ, „ელექტრონულ“ ეტაპზე გადაიყვანა, რასაც მეცნიერების ყველა დარგის „გაციფრება“ მოჰყვა. გამონაკლისი არც ჰუმანიტარული მეცნიერებებია. ციფრულმა ეპოქამ ბევრი რამ შეცვალა წერილობითი ტექსტების შემსწავლელი დარგების, მათ შორის, ფილოლოგიის და, ცხადია, კოდიკოლოგიის (ხელნაწერთმცოდნეობის) სფეროშიც. ციფრული ჰუმანიტარიის ხანმოკლე, მაგრამ ძალიან სწრაფად განვითრებად ისტორიაში, გამოცემული ტექტების ელექტრონულად დამუშავების (გაციფრების) პარალელურად, მალევე დაიწყო ამ ტექსტების შემცველი პირველწყაროების - ძველი ხელნაწერების დიგიტალიზება, რაც გახდა კიდევაც ციფრული კოდიკოლოგიის ჩამოყალიბების საწინდარი. დღეს კოდიკოლოგიური

კვლევები მედიევისტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს და როგორც მისი მომიჯნავე სხვა ჰუმანიტარული დარგები, ისიც „გაციფრულდა“ და შეიძლება ითქვას, რომ ციფრული კოდიკოლოგია ერთგვარად შეაპირობებს ტექსტის შესწავლაზე ორინეტირებული სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევების სანდოობას.

კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური კვლევებისთვის ყველაზე სანდო წყარო, რა თქმა უნდა, თავად ხელნაწერია, მაგრამ მათი დიდი ნაწილი მკვლევართათვის ყოველთვის არ არის ადვილად ხელმისაწვდომი. ამიტომაც მეცნიერებს ზოგჯერ უხდებათ არა უშუალოდ პირველწყაროს გამოყენება, არამედ ე.წ. „მეორეული წყაროებით“ სარგებლობა. XX საუკუნის ბოლომდე ამგვარი „მეორეული წყაროები“, ძირითადად, შავ-თეთრი (ხშირად დაბალი ხარისხის) ფოტოპირების ან მიკროფილმების სახით იყო წარმოდგენილი, რომლებიც ნაკლებად იძლეოდნენ ამომწურავ ინფორმაციას ხელნაწერის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური მახასითებლებისა და თავად ტექსტის შესახებ. ხელნაწერმცოდნეობაში ციფრული ეპოქის დასაწყისის მაუწყებელი იყო არსებული მიკროფილმებისა და ფოტოების ელექტრონული ასლების შექმნა და მათი ღია რესურსად ქცევა. ციფრულ ეპოქაში კი ხელნაწერთა მიკროფილმირება დიგიტალიზაციამ შეცვალა. ხელნაწერთა დიგიტალიზირების შედეგად შეიქმნა მანუსკრიპტთა ციფრული კოლექციებიც, რომელთაგან ბევრი ღია რესურსია. ამიტომ კითხვაზე, რა სიკეთე მოუტანა დიგიტალურმა ეპოქამ კიდიკოლოგიას, პასუხი ნათელია: გაიზარდა პირველწყაროთა ხელმისაწვდომობა, რამაც შესაძლებელი გახადა კოდიკოლოგიური, პალეოგრაფიული და ტექსტოლოგიური კვლევების ვერიფიცირება და განაპირობა მათი სანდოობის ხარისხის ამაღლება, რადგან ეს კვლევები ეფუძნება არა მეორეულ წყაროებს (დაბალი გარჩევადობის ფოტოებს, ძველ გამოცემებს...), არამედ, ფაქტობრივად, პირველწყაროებს - ხელნაწერთა მაღალი ხარისხის ციფრულ ასლებს, რომლებიც რეალურად ასახავენ ხელნაწერი წიგნის მდგომარეობას და მასში დაცული ტექსტის ვითარებას. ამ პროცესში ჩამოყალიბდა კვლევის ახალი მეთოდებიც და ახალი დარგებიც: ციფრული პალეოგრაფია, ციფრული კოდიკოლოგია, ციფრული ტექსტოლოგია და სხვ. შეიქმნა ხელნაწერთა ციფრული კოლექციები - მეტაინფორმაციით აღჭურვილი ხელნაწერთა ბაზები, ციფრული კატალოგები, დიგიტალური *ბიბლიოთეკები.*

ქართული კოდიკოლოგიის ციფრულ რელსებზე გადაყვანა XX საუკუნის ბოლოს წლებში ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორ იოსტ გიპერტის მიერ ქართველ მეცნიერებთან თანამშრომლობით დაწყებული პროექტებით დაიწყო, რომლებიც ქართული ენის წერილობითი ძეგლების ელექტრონულ დოკუმენტირებასაც ისახავდა მიზნად. სწორედ ამ პროექტების ფარგლებში გახდა შესაძლებელი სინის მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების დიდი ნაწილის და ათონის მთაზე, ივირონის მონასტერში არსებულ ხელნაწერთა კოლექციის სრულად დიგიტალიზირება, რასაც დაემატა სხვადასხვა პროექტის ფარგლებში შექმნილი გაციფრულებულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციები, სამეცნიერო ცენტრის თუ ბიბლიოთეკის მიერ სხვა მანუსკრიპტებთან ერთად ქართულ ხელნაწერთა ციფრული ასლების დამზადება და გამოქვეყნება. დაიწყო საქართველოში დაცული ხელნაწერების გაციფრულებაც. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, უდავოა,

რომ დიგიტალური ქართველოლოგია, რომელიც სულ უფრო და უფრო იკრებს ძალებს, მოიაზრებს დიგიტალიზირებულ ქართულ ხელნაწერებსაც. გაციფრულებულმა ძველმა ქართულმა ხელნაწერებმა კი უკვე გვიჩვენეს მათი მნიშვნელობაც როგორც პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური, ისე ტექსტოლოგიური კვლევებისთვის. მოხსენებაში განხილულია რამდენიმე კონკრეტულ შემთხვევა ახალი აღთქმის წიგნთა ძველი ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერების მაგალითზე.

3. **პროფ. დარეჯან თვალთვაძე** - „თავები“ ოთხთავის ქართულ ხელნაწერებში: აკადემიკოს აკაკი შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 26 თებერვალი, 2022 წ.

მოხსენების ანოტაცია

სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანისა და მისი შემცველი ხელნაწერების შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს და, რა თქმა უნდა, კვლევის უმთავრესი ობიექტი თავად სახარების ტექსტია, ეს ტექსტი კი ხელნაწერებში „სუფთა სახით“ იშვიათად არის წარმოდგენილი. მასზე დართულია ე.წ. „თანმხლები ტექსტები“ და ტექსტის დაყოფისა და ინფორმაციის ვიზუალიზაციისთვის გამოყენებული სხვადასხვა გრაფიკული ნიშნები, რომლებიც პარატექსტების საკმაოდ მყარად ჩამოყალიბებულ სისტემას ქმნიან. ოთხთავის კოდექსებს ერთმანეთისაგან არამხოლოდ ტექსტი, არამედ პარატექსტებიც განასხვავებს. ამ მხრივ საკმაოდ კარგად არის შესწავლილი სახარების ბერძნული ხელნაწერები და შენიშნულია, რომ პარატექსტების სისტემა სხვადასხვანაირია ტექსტის ტიპებისა და ხელნაწერთა ოჯახების მიხედვით, სახარება-ოთხთავის ქართული ხელნაწერები კი ამ კუთხით საგანგებო კვლევის ობიექტი უკანასკნელ ხანებამდე არ გამხდარა, რადგან ჩვენი მეცნიერების უპირველესი რიგის ამოცანას წარმოადგენდა თვითონ სახარების ტექსტის შესწავლა, რისთვისაც ე.წ. „ტექსტის გარე მასალა“ ნაკლებად საინტერესოდ მიიჩნეოდა.

როგორც ირკვევა, ტექსტისა და მისი პარატექსტების ისტორია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. მოხსენებაში ერთ-ერთი პარატექსტის, კერძოდ, „თავების“ - თითოეული სახარების ფარგლებში თემატური ნიშნით გამოყოფილი მონაკვეთების სათაურების ჩამონათვალის (ბერძნ. Κεφάλαια) მაგალითზე ნაჩვენებია, რომ ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტის რედაქტირების ხანგრძლივ პროცესს, რომელიც რამდენიმე ეტაპად განხორციელდა და, ძირითადად, მისი ტექსტის „ბერძულისადა მიყვანებას“ გულისხმობდა, უშუალოდ უკავშირდება „თავების“ ცვლილებაც, რაც საბოლოო ჯამში ოთხთავის კოდექსების სტრუქტურის სრულყოფას და მათს „ბერძულსა წესსა ზედა“ გამართვას ემსახურებოდა.

აღნიშნული პარატექსტი წარმოდგენილია ოთხთავის ქართულ ხელნაწერთა დიდ ნაწილში, მაგრამ გამოკვეთილი არ არის მისი უშუალო კავშირი ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტის ისტორიასთან. სახარების ძველი ქართული თარგმანის რედაქტირების სხვადასხვა ეტაპზე შექმნილ ტექსტების შემცველი ქართული ხელნაწერების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ოთხთავის კოდექსები მათში წარმოდგენილი პარატექსტების მიხედვით განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ; კერძოდ,

სახარების ხელნაწერები ამ მხრივ ორ ჯგუფად იყოფა: ა) კოდექსები, რომლებშიც „თავები“ წარმოდგენილი არ არის და ბ) კოდექსები, რომლებშიც „თავები“ დასტურდება. თუმცა, მეორე ჯგუფის ხელნაწერებში ყოველთვის ერთნაირი ვითარება არ გვაქვს: რედაქციულად განსხვავებული ტექსტის შემცველი ნუსხები ამ პარატექსტისთვისაც განსხვავებულ ვერსიებს წარმოგვიდგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ხელნაწერებში წარმოდგენილი „თავების“ ტექსტის დეტალური ტექსტოლოგიური კვლევა ჯერ კიდევ ჩასატარებელია, ისევე როგორც დასადგენია ბერძნულთან მათი მიმართება, 30-მდე ხელნაწერის შესწავლის შედაგად გამოიკვეთა, რომ წინაათონური და ათონური პერიოდის ოთხთავის ხელნაწერები „თავების“ მიხედვით ერთგვაროვანი არ არის, სახარების რედაქციულად განსხვავებული ტექსტის შემცველი კოდექსები განსხვავდებიან ამ პარატექსტის მიხედვითაც.

4. **ასოც. პროფ. ლელა ციხლაშვილი**

მეტყველების წრის ზმნები ოთხთავის ქართულ ვერსიებში, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, გიორგი ახვლედიანის სახ. ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, თბილისი, 2022 წ. 12 აპრილი.

მოხსენების ანოტაცია

თეზისები იხ.: https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1963

5. **პროფ. რამაზ ქურდაძე** - ზოგი უ- – -ო სახელურფუძიანი ოკაზიური ზმნური ფორმის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ On Certain Occasional Verb-forms with Nominal Stems and u- – -o Circumfix in “The Knight in Panther’s Skin”, თანაავტორები მ. ლომია, ქ. მარგიანი, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი, მასალები, თბილისი, 08.01.2022, გვ. 41-48, თსუ რეპოზიტორზე.

   მოხსენების ანოტაცია

   https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1229?show=full

6. **პროფ. რამაზ ქურდაძე** - ანთროპონიმები „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში (ზოგი ყრუ ფშვინვიერი ბგერის შემცველი სახელების მაგალითზე) The Anthroponyms in the English Translations of “The Knight in the Panther’s Skin” (On the Example of Certain Names Containing Voiceless Aspirated Sounds), თსუ რეპოზიტორზე

   მოხსენების ანოტაცია

   https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1359

7. **პროფ. რამაზ ქურდაძე** - ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფუძეთა ინდექსის სრულყოფისათვის თანამედროვე ქართულში/ On the Perfection of the Index of Verb-

Stems with Vowel Alternation in Modern Georgian 14 აპრილისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები

მოხსენების ანოტაცია

https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1962

8. **პროფ. რამაზ ქურდაძე** - ჩხერა ზმნისა და ჩხირი სახელის მნიშვნელობათა შესახებ ქართულში, მარიამ ლორთქიფანიძის სახელობის კითხვანი - 2022 პროგრამა 11 მაისი, 2022 წელი.

მოხსენების ანოტაცია

ქართული ზმნის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხმოვანმონაცვლე ფორმებს. ამ ზმნებს აწმყო-მყოფადში **ე** ხმოვნიანი ფუძე აქვთ (მაგ.: **კვნეტს**, **მოკვნეტს**), ხოლო ნამყოში – **ი** ხმოვნიანი (**მოკვნიტა**), უშუალოდ ფუძეები კი ასე წარმოგვიდგება: **კვნეტ** / **კვნიტ**. ისიც ცნობილია, რომ მათი ფუძეებიდან ახალი სიტყვები იწარმოება, კერძოდ, დასახელებული ზმნის **ი** ხმოვნიანი ფუძიდან მიღებულია **კვნიტი** (კვნიტი შაქარი). ზოგი ამ ტიპის ზმნა ახალ სახელს **ე** ხმოვნიანი ფუძითაც აწარმოებს, მაგალითად, **ადენს** – **ადინა** ზმნიდან ნაწარმოებია **დენი** (ელექტროდენი).

მოხსენებაში სემანტიკური თვალსაზრისით განხილულია ერთი ამგვარი ქართული ხმოვანმონაცვლე ზმნური ფუძე – **ჩხერ** / **ჩხირ** და მისი **ი** ხმოვნიანი ვარიანტით ნაწარმოები სახელი **ჩხირი**. გამოთქმულია ვარაუდი ამ ფუძეთაგან მომდინარე ზმნური ფორმების მნიშვნელობათა ცვლილებასთან დაკავშირებით: ჩხერა, დაჩხერა - **დამსხვრევა** > ჩხერა, გაჩხერა - **გაჭედვა**.

9. **პროფ. რამაზ ქურდაძე** (თანაავტორები:**ასოც. პროფ. მაია ლომია, ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი,** ნინო ჭუმბურიძე) ლექსიკური გამეორება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში: ზეპირმეტყველებისა და ქართული მხატვრული ტექსტების მიხედვით, 8-10 სექტემბერი, 2022 წელი, საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისი, საქართველო

მოხსენების ანოტაცია

https://archive.gov.ge/ge/saertashoriso-konferentsia-2022-1

10. **პროფ. რამაზ ქურდაძე** (თანაავტორები: **ასოც. პროფ. მაია ლომია, ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი,** ნინო ჭუმბურიძე), ორმაგი უარყოფის ქრონოლოგიური უწინარესობის საკითხი: ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართება, საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი, 3-5 ოქტომბერი, 2022 წელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, საქართველო.

მოხსენების ანოტაცია

უარყოფა უნივერსალური და რთული კატეგორიაა; იგი სხვადასხვა ენობრივ დონეზე გამოიხატება და ფუნქციურ-სემანტიკურად მრავალფეროვანია. უარყოფასთან დაკავ-

შირებული სტილურ-გრამატიკული და პრაგმატიკული პროცესები ყოველთვის ერთნაირად არ არის გამოხატული თვით მონათესავე ენებში. ერთ-ერთი ასეთი მოვლენაა ***ორმაგი უარყოფა*** (უარყოფის ინტენსიფიკაცია), რომელიც განსხვავებულადაა წარმოდგენილი ქართველურ ენებში; კერძოდ, დამახასიათებელია ქართული სალიტერატურო ენისთვის, ხოლო სხვა ქართველურ ენებში (მეგრულში, ლაზურსა და სვანურში) არ დასტურდება. აღსანიშნავია, რომ ორმაგი უარყოფა (წინადადებაში ერთდროულად უარყოფის გამოხატვის ორი საშუალება) ძველი ქართული ენის ორიგინალურ და თარგმნილ ძეგლებში X-XI საუკუნეებამდე არ მოგვეპოვება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ორმაგი უარყოფის გაჩენა ენაში ადამიანის ცნობიერი სფეროს დაკვეთაა. საჭიროების დროს არასალიტერატურო ქართველური ენები ორმაგი უარყოფის ეფექტს სხვა ენობრივი საშუალებებით აღწევენ და არ მიმართავენ საკუთრივ ორმაგ უარყოფას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ესა თუ ის ენობრივი მოვლენა დიალექტებსა და არასალიტერატურო ქართველურ ენებში მსგავსი საშუალებებით არის გამოხატული, რაც სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც დიალექტებიც და არასალიტერატურო ენებიც ზეპირმეტყველების ქარგაზეა აგებული. მეგრულ-ლაზურისა და სვანურის მონაცემების, ასევე ქართული ენის ზოგიერთი დიალექტის მონაცემთა გათვალისწინებითაც, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სალიტერატურო ენაში ორმაგი უარყოფის ჩამოყალიბება დიალექტების საფუძველზე არ უნდა მომხდარიყო.

11. **პროფ. რამაზ ქურდაძე** - ე – ი ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფუძეთა ერთიანი ინდექსის აუცილებლობისათვის ქართულში, საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი თბილისი, 3-5 ოქტომბერი, 2022.

მოხსენების ანოტაცია

სპეციალურ ლიტერატურაში *დრეკ-ს – დრიკ-ა* **ე – ი** ტიპის ხმოვანმონაცვლე, აბლაუტურ, ზმნურ ფუძეთა სიებს ცალ-ცალკე ვადასტურებთ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პერიოდებისა თუ თანამედროვე ქართული ენის ქვესისტემების მიხედვით.

ბუნებრივია, აღნიშნული სია-ინდექსების არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა ასე ცალ-ცალკე არსებული სიები მაინც ვერ ჩაითვლება ბოლომდე სრულყოფილად, რადგან მათში ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფუძეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეორდება, რაც ხელს უშლის ამ ზმნურ ფუძეთა საერთო რაოდენობის დადგენას; გარდა ამისა ამ გამეორებათა გამო გაურკვეველია, ქართული ენის განვითარების რომელ პერიოდსა თუ ქვესისტემას უნდა მივაკუთვნოთ ესა თუ ის ხმოვანმონაცვლე ფუძე, თუ ზოგადად ყველა პერიოდისა და ქვესისტემის კუთვნილებად ჩავთვალოთ.

ამ ნაკლოვანებათა დასაძლევად აუცილებელია შედგეს ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფუძეთა ერთიანი, რამდენადაც შესაძლებელია ზუსტი რაოდენობის კრებსითი სია-ინდექსი – ცალკე სვეტში ანბანის რიგზე დალაგებული ხმოვანმონაცვლე ზმნური ფუძეებით, ხოლო მომდევნო სვეტსა (თუ სვეტებში) მიეთითოს ქართული ენის განვითარების რომელ პერიოდსა თუ ქვესისტემაში დასტურდება ესა თუ ის ფორმა. მოხსენებაში განხილულია ცალკეული პრაქტიკული საკითხებიც, რაც აღნიშნული სია-ინდექსის შედგენასთან არის დაკავშირებული.

12. **პროფ. რამაზ ქურდაძე** - ავტორისეული სიტყვის შემცველი ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურისა და სტატუსის საკითხთა შესახებ ქართული ანდაზების მაგალითზე, თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტუტუტი, სამეცნიერო კონფერენცია: ტოგო გუდავა – მეცნიერი და მასწავლებელი, ეძღვნება მეცნიერეის დაბადებიდან 100 წლისთავს, 20 დეკემბერი, 2022.

მოხსენების ანოტაცია

ავტორისეულ სიტყვიანი თუ წინადადებიანი პირდაპირი ნათქვამის შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოცემული ანდაზა სტრუქტურული თვალსაზრისით გაანალიზების ორ შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, ანდაზა: *„ბელტი ტიროდა: წვიმა რო მოვიდეს, აი, იმ ქვას რა ეშველებაო“?* ორგვარად შეგვიძლია გავარჩიოთ:

1. განვიხილოთ ერთ წინადადებად, რომელშიც ***„ბელტი ტიროდა“*** მთავარია, ხოლო ***„წვიმა რო მოვიდეს, აი, იმ ქვას რა ეშველებაო“*** – დამოკიდებული. შემდეგ კი დამოკიდებულში თავის მხრივ გამოიყოფა მთავარი: ***„აი, იმ ქვას რა ეშველებაო“***, რომელსაც თავისი პირობითი დამოკიდებული აქვს და პასუხობს კითხვებზე: რა შემთხვევაში? რა პირობებში? – ***„წვიმა, რომ მოვიდეს“***. ამგვარი გარჩევა არ ჩანს ბოლომდე მართებული, ჯერ ერთი, გამოდის, რომ ერთ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ორი სხვადასხავა მთავარი წინადადება გვაქვს; მეორეც, ასეთი მიდგომით ყველა ავტორისეული სიტყვის თუ წინადადების მქონე ანდაზა ჰიპოტაქსური კონსტრუქციისა გამოდის.

2. განვიხილოთ ორ სხვადასხვა წინადადებად, რომელშიც ***„ბელტი ტიროდა“*** ავტორისეული სიტყვები, ავტორისეული წინადადებაა, სტრუქტურულად მარტივი, ხოლო მომდევნო ნაწილი კი – ***„წვიმა რო მოვიდეს, აი, იმ ქვას რა ეშველებაო“*** ჰიპოტაქსური კონსტრუქციაა. ამგვარ გარჩევასაც გარკვეული უმართებულობა ახლავს, რადგან ანდაზა, როგორც პარემიული ერთეული ერთგვარი მთლიანობაა და ამ თვალსაზრისით მისი ნაწილების გათიშვა არ შეიძლება.

ქართულის გარდა ეს საკითხი ამგვარდვე პრობლემატურია ზოგი სხვა ენისთვისაც. ქართულს კი სწორედ თავისი მდიდარი მორფოლოგიის წყალობით შეუძლია ზოგი დამატებითი არგუმენტი წარმოადგინოს ზემოთ მოყვანილ თვალსაზრისთაგან ერთ-ერთის სასარგებლოდ. ამ მიზნით მოხსენებაში ქართული ანდაზების მასალაზე დაყრდნობით გამოვლენილია სხვათა სიტყვის **-ო** ნაწილაკის დამატებითი სინტაქსური ფუნქცია, რითიც ეს ელემნტი ავტორისეულ სიტყვიანი თუ წინადადებიანი პირდაპირი ნათქვამის შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოცემულ ანდაზებში მკაფიოდ ავლებს ზღვარს ავტორისეულ წინადადებასა და პირდაპირ ნათქვამს შორის. ამის გამო ეს წინადადებები სინტაქსური თვალსაზრისით შეუძლებელია ერთ მთლიან სტრუქტურულ ერთეულად განვიხილოთ, რაც სწორედ მეორე ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს; თუმცა პარემიული თვალსარისით ისინი, რასაკვირველია, ერთ მთლიან ოდენობას წარმოადგნენ.

13. **ასოც. პროფ. მაია ლომია** (თანაავტორები: ნინო ჭუმბურიძე, ქეთევან მარგიანი, რამაზ ქურდაძე), ლექსიკური გამეორება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში: ზეპირმეტყველებისა

და ქართული მხატვრული ტექსტების მიხედვით, 8-10 სექტემბერი, 2022 წელი, საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისი, საქართველო:

მოხსენების ანოტაცია
https://archive.gov.ge/ge/saertashoriso-konferentsia-2022-1

14. **ასოც. პროფ.** მაია ლომია, სინტაქსური საზღვრის გადაწევის საკითხი მეგრულში -ნი კავშირ-ნაწილაკიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მიხედვით, სამეცნიერო კონფერენცია *ტოგო გუდავა – მეცნიერი და მასწავლებელი,* ეძღვნება დაბადებიდან

მოხსენების ანოტაცია
-ნი მაქვემდებარებელი კავშირ-ნაწილაკია მეგრულში. იგი პოლისემანტური მნიშვნელობისაა და ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით ყველაზე ახლოს დგას ქართულის „რომ“ კავშირთან. მეგრულში წევრ-კავშირიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარ და დამოკიდებულ კომპონენტთა განლაგების ოთხი შესაძლო შემთხვევა დასტურდება; აქედან სამი საერთოა ქართულთან, ხოლო მეოთხე – *მთავარი+დამოკიდებული+კორელატი* სპეციფიკურია მეგრულისთვის. -ნი კავშირიან ქვეწყობილ წინადადებაშიც თავისებურებას ქმნის პროსოდიულად მარკირებული დამოკიდებული წინადადება და კორელატის პოზიცია; კერძოდ, -ნი კავშირ-ენკლიტიკა დაერთვის დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელს, რომელსაც მოსდევს კორელატი; ამიტომ მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების განლაგება შემდეგი სახისაა: *ა. მთავარი+დამოკიდებული+კორელატი:*
(1) ბოშიქ დო ძღაბიქ ქიდირულეს, **ქილაცაფესგ.**V- **ნი**.SUB **უკული.**CORR (ხუბუა: 207, 34-35) „ბიჭმა დო გოგომ დაიძინეს, რომ ითამაშეს მერე“.
ბ. დამოკიდებული+კორელატი+მთავარი:
(2) ოსერშექ **გეეთუ**.V-**ნ**.SUB **უკული.**CORR, თე ბოში მიდეცონეს დანჯირუშა (ხუბუა: 280, 24) „ვახშამი რომ დამთავრდა მერმე, ეს ბიჭი წაიყვანეს დასაწოლად“.
ორივე შემთხვევაში ტრადიციული სინტაქსური საზღვრი გადაწეულია: -ნი კავშირიანი ზმნა-შემასმენელი კორელატთან ქმნის სინტაგმას, რაც ერთი საერთო ინტონაციით ფორმდება. საანალიზო სტრუქტურები განსხვავებულია, თუმცა სინტაქსური საზღვრის გადაწევის საფუძველი ორივე მათგანში ერთგვაროვანია, რაც განპირობებულია -ნი კავშირისა და კორელატის კონტაქტური პოზიციით.

15. **ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი** - ზმნისწინთა ორი რიგისათვის სვანურში, 28.06 2022, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

16. **ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი - -მცა** (-ოღ□, -ო□) ნაწილაკიანი ფორმები და მისი მიმართება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციასთან, 20.12. 2022, თსუ

17. **ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი** - თინათინ შარაძენიძე _ სვანური ენის მკვლევარი, 25.04.2022, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

18. **ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი -** ქალის სტატუსის აღმნიშვნელი ლექსიკა სოციუმთან მიმართებით სვანურში, სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია: ,,სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები“ V, მიძღვნილი პროფ. შოთა ჩართოლანის დაბადებიდან 90 წლის იუბილისადმი, 14-15 აგვისტო, 2022

19. **ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი -** ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი სვანური ლექსემის მიმართება ქართველურ ენობრივ სივრცესთან (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი), არნ. ჩიქობავას საკითხავები XXXIII, 17-19 მაისი, 2022

20. **ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი -** კვლავ ნათესაობის ლექსიკის შესახებ(სვანურ-ქართული მიმართებები), ენათმეცნიერების ინსტიტუტის 81-ე სამეცნიერო სესია, 20-23 დეკემბერი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

21. **ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი -** სვანური ენის დაცვა თუ ხელყოფა? (ერთი პუბლიკაციის შესახებ), ენათმეცნიერების ინსტიტუტის 81-ე სამეცნიერო სესია, 20-23 დეკემბერი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

22. **ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი, ბოდიშის გამომხატველი გამოთქმები ქართულ ენაში:** აკად. ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა; 2022 წლის 8 იანვარი, თბილისი, თსუ, გვ. 3-13.

მოხსენების ანოტაცია

https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1225

23. **ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი, გერმანელი ქართველოლოგის ახალი ნაშრომი აკად. აკაკი შანიძის ღვაწლზე:** აკაკი შანიძისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა; 2022 წლის 26 თებერვალი, თბილისი, თსუ (იხ. წინ კრებული: გვ. 152-158).

მოხსენების ანოტაცია

https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1969

24. **ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი, გუჩა კვარაცხელიას პოეტური კრებული „ათინათები“ გერმანულად:** კონფერენცია, მიძღვნილი აკად. გუჩა კვარაცხელიას ხსოვნისადმი; 2022 წლის 28 ივნისი, თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი (დისტანციურად, ზუმ-ის პლატფორმით).

მოხსენების ანოტაცია

მოხსენებაში განხილულია აკად. გუჩა კვარაცხელიას პოეტურ კრებულ „ათინათების“ გერმანული თარგმანი (მთარგმნელი ზუზანა შმიდტი, თბილისი, 2018): Gucha Kvaratskhelia, Die Lichtstrahlen, Übersetzung aus dem Georgischen: Susanne Schmidt, Herausgeberin: Manana Tandaschwili, Tbilisi: Publishing House „BAKMI“, 2018. ხაზგასმულია ორიგინალის პოეტური ენის გამორჩეული ჰარმონიულობა, პოეზიისა და ავტორისეული გრაფიკული მხატვრობის შერწყმა, სიტყვის სიღრმე და ლაკონიურობა. კრებულის თემატიკა მრავალფეროვანია: ცხოვრების საზრისი, უფლისა და ჭეშმარიტების ძიება, სიცოცხლის მარადიულობა,

სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი, იმიერქვეყნის ამოუცნობი არსის ძიება, ადამიანთა ურთიერთობები, მიწიერი ყოფის ტკივილი, მარტოსულობა, სიყვარული, დედაშვილობა, სევდა, ეჭვი თუ იმედგაცრუება...

ძირითადად, განხილულია თარგმანის ადეკვატურობა და მიმართება ორიგინალთან; ყურადღება მიქცეულია იმაზე, რომ ზუზანა შმიდტმა ძირითადად შეძლო ლექსების სისადავისა და ფილოსოფიური განსჯის სიღრმის შენარჩუნება. მკითხველი გრძნობს ავტორის პოეტური სახეების მრავალფეროვნებას შემდეგი ლექსების თარგმანებში: „რა შეიცვალა?“ „ფრთხილად!“ „სასაფლაოზე“, „ქალი“, „მარადიული“, „რაღაც ძველდება...“, „ასოები და სიტყვები“, „არსად გველიან“ და სხვ.

განსაკუთრებით გამოყოფილია ქართული და გერმანული ენობრივი საშუალებების სხვაობა, რაც განაპირობებს სიტყვათა ჟღერადობისა და სემანტიკური ნიუანსების განსხვავებას. ეს განსაკუთრებით ჩანს მთარგმნელის მიერ კომპოზიტების, პოეტური ნეოლოგიზმების, სიტყვათშეხამებებისა და ზოგიერთი შინაარსობრივი ნიუანსის გადმოცემისას. მაგ., „ათინათები“ თარგმნილია, როგორც „Lichtstrahlen“ (სინათლის სხივები); „მრავლისმნახველი“ – აღწერითად: „der viel gesehen hat“; „შიშნეული ლოდინი“, როგორც „ängstlich Wartende“ (შიშით მომლოდინე); „ილახვრებიან“ ზმნის თარგმანში („durchbohrt“ – გაბურღული) ოდნავ შეცვლილია ორიგინალის ექსპრესია; „ცნობისწადილი“ თარგმნილია, როგორც „Neugier“ (ცნობისმოყვარეობა); „უსურვილო“ – როგორც „leblos“ (უსიცოცხლო); „მარტოხელა“ – „auf sich gestellt“ (თავის თავზე დაყრდნობილი); „ატატებული შვილით ხელში“ – „mit dem Kind auf dem Arm“; „ავბედი“ – „unselig“; „გაუწყლოებული“ – „ausgedörrt“ (გამომშრალი, გამომხმარი); „ფოთოლცვენა“ – „Entblätterung“ (ფოთლებისგან განძარცვა), „სულდგმულობდა“ – „lebte“ (ცხოვრობდა); „მარტოსულობა“ – როგორც „Einsamkeit“ (სიმარტოვე); ცნობილია, რომ სიტყვა „შვილის“ ზუსტი ეკვივალენტი გერმანულში არაა, ამიტომ ის ნათარგმნია, როგორც „ბავშვები“ (Kinder); ქართული ნაწილაკი „ნეტავ“ სპეციფიკურია და ნატვრას გულისხმობს, გერმანულში კი ჩანაცვლებულია ნაწილაკით „ეგებ“ (vielleicht) და ა. შ.

დასასრულ, მოხსენებაში გამოტანილია დასკვნა, რომ აღნიშნულ თარგმანში კარგადაა გადმოცემული ავტორის აზრის თავისუფალი დინება, ფილოსოფიური განსჯა და ამქვეყნიური ყოფის მრავალფეროვანი ტკივილი.

25. **ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი, განტერმინება ანუ დეტერმინოლოგიზაცია, როგორც ლექსიკის გამდიდრების საშუალება (სამედიცინო ტერმინთა მაგალითზე);** III საერთაშორისო კონფერენცია „ტერმინოლოგია – მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“; 2022 წლის 29-30 ოქტომბერი, თბილისი, თსუ.

26. **ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი, საკუთარ სახელთა აპელატივაციის ერთი მარკერის შესახებ;** VI საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი „კავკასიის ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური პორტრეტი“, ეძღვნება გამოჩენილი კლასიკოსის, მწერალ მიხეილ ლოხვიცკის (აჯუკ-გირეი) ასი წლის იუბილეს; 2022 წლის 13-15 ნოემბერი, თბილისი, თსუ. პროგრამა

მოხსენების ანოტაცია

მოხსენებაში განხილულია საკუთარ არსებით სახელთა ქცევა საზოგადო სახელად, ე. წ. **აპელატივაცია,** რომელსაც ქართულ ენათმეცნიერებაში პირველად ყურადღება მიაქცია პროფ. მანანა ტაბიძემ (1893). გამოყოფილია ამ პროცესისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარკერი, კერძოდ, საკუთარ სახელთა გამოყენება მრავლობით რიცხვში.

შემჩნეულია ტენდენცია სალაპარაკო ენაში, რომ ამ ბოლო დროს პოპულარული გახდა ტოპონიმების (ქვეყნების, ქალაქების, მდინარეების, მთების სახელწოდებების) გამოყენება აპელატივებად. ამ დროს მათი მნიშვნელობა განზოგადებულია და საკუთარი სახელი ემსგავსება საზოგადოს: ის აღარაა ერთადერთი, უნიკალური, არამედ რომელიმე მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება წინაა წამოწეული და განზოგადებულია.

საკუთარ სახელთა ერთ-ერთი მახასიათებელი – ერთადერთობა, განაპირობებს მრავლობითი რიცხვის არქონას, მაგრამ, როცა ტოპონიმი გამოყენებულია მრავლობით რიცხვში, სიტყვა განსხვავებულ ელფერს იღებს (უმეტესად ირონიულს ან იუმორისტულს). მაგ., ამერიკები, ევროპები, მილანები, ლონდონები, პარიზები, ბრაზილიები, მოსკოვები... პრესტიჟული სასწავლო დაწესებულებების სახელები: ოქსფორდები, კემბრიჯები, ჰარვარდები, სორბონები...

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დასახელებული ლექსიკური ერთეულების გამოყენების შესაძლებლობას ქმნის გარკვეული ასოციაციური მსგავსება. მაგ., ვენეციები, მილანები – მდიდარი ტურისტებისთვის მიმზიდველი ქალაქების სახელებად აღიქმება; ოქსფორდები, კემბრიჯები – ამ უნივერსიტეტებში სწავლა პრესტიჟულია და, გარდა დიდი ცოდნის აუცილებლობისა, ეს მხოლოდ ფუფუნებაში მცხოვრებ მილიონერთა შვილებს შეუძლიათ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აპელატივაცია ხშირად გამოიყენება სასაუბრო ყოველდღიურ მეტყველებაში: ტელესერიალების მოქმედ პირთა მეტყველებაში, იუმორისტულ გადაცემებში და სხვ.

საკუთარ სახელთა ქცევა საზოგადოდ დადასტურებულია ბევრ ენაში და უნივერსალური ხასიათისაა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს საერთოდ ლექსიკის დინამიკურობასა და მოქნილობას.

27. **ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი, პროფ. რაფიელ შამელაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობიდან (რეცენზიები):** 2022 წლის 2 დეკემბერი, ქუთაისი, აწსუ (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

მოხსენების ანოტაცია

მოხსენება ეხება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. რაფიელ შამელაშვილის ენათმეცნიერულ მემკვიდრეობას, კერძოდ, მის რეცენზიებს. გამოყოფილია რეცენზიათა მრავალფეროვანი თემატიკა: ენათმეცნიერება, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული ლიტერატურა და სხვ.

პროფესორ რაფიელ შამელაშვილის რეცენზიები გამოქვეყნებული იყო მე-20 საუკუნის 50-90-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში: „ცისკარი“, „განთიადი“, „სკოლა და ცხოვრება“, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, „უცხოური ენები სკოლაში“, „რიწა“, „ფიდიუაგი“, „ჭოროხი“, „დროშა“, „კრიტიკა“, „საქართველოს ქალი“,

„საქართველოს ბუნება“, ალმანახი „მნათობი“, გაზეთები: „სახალხო განათლება“, „წიგნის სამყარო“, „ქუთაისი“, „ლიტერატურული საქართველო“, „თბილისი“, „საბჭოთა ოსეთი“; ნაწილი – რუსულ ლინგვისტურ ჟურნალებში: „Литературная Грузия“,„Русский язык в национальной школе“,„Русский язык в грузинской школе“, „Вопросы языкознания“ და სხვ.

არ გამოსულა არც ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი ქართულ ფილოლოგიაში, რომ რ. შამელაშვილი არ გამოხმაურებოდა რეცენზიით, არ აღეწერა ის დაწვრილებით და არ შეეფასებინა მისი მნიშვნელობა, იქნებოდა ეს გამოჩენილი და სახელგანთქმული მეცნიერების ნაშრომები თუ ახალგაზრდა მკვლევრის პირველი წიგნი. მათ შორის იყვნენ ავტორები: გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, თინათინ შარაძენიძე, ვარლამ თოფურია, მარიამ თალაკვაძე, ვალერიან რამიშვილი, მზექალა შანიძე, დავით გეწაძე, შოთა ძიძიგური, ანტონ კიზირია, კორნელი დანელია, ალექსანდრე ღლონტი, იოსებ მეგრელიძე, ივანე იმნაიშვილი, გრიგოლ იმნაიშვილი, მიხეილ ჩინჩალაძე, ნიკანდრო ბასილაია, არლი თაყაიშვილი, ივანე ქავთარაძე, ქეთევან ძოწენიძე, ლეილა კვანტალიანი, გუჩა კვარაცხელია, გიორგი შალამბერიძე, თედო უთურგაიძე, სერგი ჟღენტი, დარეჯან ჩხუბიანაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, ტიტე სულაბრიძე, თენგიზ სანიკიძე, შოთა ნიჟარაძე, ოთარ ქაჯაია, ლეო კვაჭაძე, პაატა ცხადაია, ლამარა წულაძე, ალექსანდრე გვენცაძე და სხვ.

პროფესორის რეცენზიებში შეფასებული იყო ასევე ვ. აბაევის, ი. დეშერიევის, კ. დონდუას, მ. კანკავას, გ. კლიმოვის, ნ. კოლესნიკოვის, გ. წიბახაშვილის, კ. მაჭარაშვილის, თ. შადურისა და სხვათა ლინგვისტური კვლევები თუ ლექსიკონები.

ხაზგასმულია ამ რეცენზიათა მნიშვნელობა ქართული ენათმეცნიერების ისტორიისათვის.

28. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე - აკაკი შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონის“ მნიშვნელობისათვის ქართული გასტროკულტურის კვლევაში**; 26.02.2022, თბილისი, თსუ.

ანოტაცია: როგორც ქართული ენის დიალექტებმა ასაზრდოეს საერთო ქართული სალიტერატურო ენა, ასევე საქართველოს ისტორიულ მხარეთა კვების სისტემებმა შექმნეს ზოგადქართული კვების კულტურა, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესმა – მთისა და ბარის ინტენსიურმა ურთიერთობამ.

აკაკი შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონში“ ნაირგვარი გასტროკულტურული ინფორმაციაა ასახული. აღნიშნული მასალის პირველადი ლინგვისტურ-ექსტრალინგვისტური ანალიზის შედეგად გამოვყავით რამდენიმე ჯგუფი, რომელთაგან თითოეული საგანგებო კვლევას მოითხოვს. ეს ჯგუფებია:

- კვების დღიური განაწესი და ჯერთა სახელები;
- ყოველდღიური საკვები (რეცეპტები და გლუტონიმები);
- საკრალური საკვები (რიტუალებში ჩართული საჭმელ-სასმელი);
- საკვების მომზადება-შენახვა-მოხმარებისათვის განკუთვნილი ჭურჭელი;
- კულინარიული ზმნები და მიმღეობები, რომლებიც ტექნოლოგიურ პროცესებსა და მათს შედეგებს ასახელებენ და აღწერენ;
- რძე და რძის პროდუქტები, მათი წარმოება და მათი მონაწილეობით შექმნილი კერძები;

- მარცვლოვანთა ოჯახის პურეული მცენარეები, ბურღულეულისა და ფქვილეულის ნაწარმი;
- ველურად მზარდი საზრდო მცენარეები (ტყის ხილ-კენკრა, მინდვრის მხალეული).

დიალექტური ლექსიკონის სპეციფიკიდან გამომდინარე, გასტროკულტურასთან დაკავშირებულ ერთეულთა განმარტებები, ცხადია, ინფორმაციულობის თვალსაზრისით თანაბარი ვერ იქნება. თუმცა იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც რომელიმე საგანსა თუ მოვლენაზე ლექსიკონი დაწვრილებითს ცნობებსაც კი გვაწვდის. მაგალითად, ველურად მზარდი ბალახოვანი მცენარეების შესახებ მითითებულია, თითოეულის რა ნაწილი (ძირი, გული, თავი, ფოთოლი, ყვავილი, ღერო) გამოიყენება საკვებად. მათი დახასიათებისას გვხვდება ცნობები როგორც გარეგან ნიშნებსა და გემოითს თვისებებზე, ასევე კულინარიულ-ტექნოლოგიურ პროცესებსა და ტოპოქრონოლოგიურ მახასიათებლებზე.

პირველადმა კვლევამ გვიჩვენა, რომ, გარდა ჯგუფებად განაწილებულ ლექსემათა ანალიზისა, კლასიფიკაციის გარეთ დარჩენილი შემთხვევების იდიოგრაფიული მიდგომით შესწავლაც აუცილებელია. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ლექსიკონში თავმოყრილი მდიდარი მასალის სრულად აღწერა, რაც, თავის მხრივ, უკეთ წარმოაჩენს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აკაკი შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონს“ ქართული გასტრონომიული კულტურის თავისებურებათა გამოსავლენად.

29. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე - დისკურსით შეცვლილი რეალობა;** 12.04. 2022, თბილისი, თსუ.

30 . ასოც. პროფ. სალომე ომიაძე - ინვექტივის აქტივაციის შესახებ; 15-16.04. 2022 (15 აპრილი), თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

31. ასოც. პროფ. სალომე ომიაძე , თინათინ შარაძენიძე **– ღვაწლმოსილი მეცნიერი და მადლმოსილი პიროვნება**; 25.05.2022, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ანოტაცია: მოხსენებაში განხილულ იქნა თინათინ შარაძენიძის ფართო და მრავალმხრივი მეცნიერულ-ორგანიზატორული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი გახლდათ 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და 8 მონოგრაფიის ავტორი ქართულ და რუსულ ენებზე. თ. შარაძენიძის კვლევის შედეგებს იცნობდნენ და ეყრდნობოდნენ როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. იგი ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა არა მარტო რესპუბლიკურსა თუ საკავშირო სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებში (მოსკოვი, ლენინგრადი, სამარყანდი ერევანი ...), არამედ მოხსენებებით გამოდიოდა საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე რუმინეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიაში, მიწვეული იყო იაპონიაში. მისი შრომები სისტემატურად იბეჭდებოდა საკავშირო და უცხოურ პერიოდულ ორგანოებსა და კრებულებში. თ. შარაძენიძის ნაკვლევს ფართო საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მომზადდა და თბილისში ჩატარდა (საბჭოთა ენათმეცნიერების

თეორიული საბჭოს ხაზით) ორი საკავშირო სესია – „ენა და მეტყველება“ (1971) და „მნიშვნელობის პრობლემა ენათმეცნიერებაში“ (1977).

თ. შარაძენიძე მიწვეული იყო და მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მრავალტომიან კოლექტიურ ნაშრომში „მსოფლიოს ენები“. იგი გახლდათ საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიის სამეცნიერო საკავშირო საბჭოს წევრი და ამავე საბჭოს საქართველოს სექციის თავმჯდომარის მოადგილე, რამდენიმე რესპუბლიკური და საკავშირო სამეცნიერო ორგანოს რედკოლეგიის წევრი და აქტიური თანამშრომელი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ზოგადი ენათმეცნიერების სამეცნიერო სექციის თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე.

1958 წელს თ. შარაძენიძემ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებასთან დააფუძნა მათემატიკური ლინგვისტიკის სემინარი, მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა საქართველოში პირველი საკანდიდატო დისერტაციები მათემატიკურ ლინგვისტიკაში, დაარსდა განყოფილების კრებული „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, რომლის 6 ტომი მისივე რედაქტორობით 1966-1982 წლებში გამოიცა.

1968 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1971 წელს – საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია, როგორც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთ-ერთ შემდგენელსა და რედაქტორს, 1974 წელს კი თინათინ შარაძენიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

„თინათინ შარაძენიძე ადრე გამოაკლდა ჩვენს სპეციალისტთა წრეს, მას ბევრი ჰქონდა სათქმელი; რაც თქვა, თქვა ანგარიშგასაწევად, დამაჯერებლად, მისგან მეცნიერება ბევრს მოელოდა, უთქმელი ბევრი დარჩა, რაც თქვა, ისიც საკმარისია იმისათვის, რომ ამ მაღალნიჭიერი და შრომისმოყვარე სპეციალისტის სახელი პატივით იხსენიებოდეს ჩვენს მეცნიერებაში“ (არნ. ჩიქობავა).

31. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე - მაკროკონცეპტ „ნათესავის“ აღმნიშვნელები**; 17-19.05. 2022 (19 მასი), თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

32. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე - გუჩა კვარაცხელია – შემოქმედი, მხატვრული ენის მკვლევარი;** 28.06. 2022, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

34. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე - კვეთი, ყველი – მსგავსი მოტივაციის მქონე ორი ლექსემა-ტერმინი;** 29-31.10.2022 (30 ოქტომბერი), თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

35. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე - ჰუმბოლდტის თეორიისა და მისი რამიშვილისეული ინტერპრეტაციის მნიშვნელობა ლინგვოკულტუროლოგიური კვლევისათვის;** 25-26.11.2022 (25 ნოემბერი), თბილისი, თსუ.

36. **ასოც. პროფ. სალომე ომიაძე - საქორწილო რიტუალის მონაწილეთა აღმნიშვნელების – „ძმადი“, „მდადი“ –ლინგვოკულტურული მნიშვნელობისათვის;** 20-23.12.2022, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

37. **ასოც. პროფ. კახა გაბუნია -** “ბილინგვური განათლების მოდულის შემუშავება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამებისთვის”: მე-3 საერთაშორისო კონფერენცია: „ბავშვთა უფლებების საკითხების ჩართვა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებსა და კურიკულუმებში“ სახელმწიფო ენის სწავლებასა და ეთნიკური უმცირესობების განათლებაზე აქცენტირებით
2022 წლის 20-21 სექტემბერი ახალციხე, საქართველო
https://www.unicef.org/georgia/ka

38. **ასოც. პროფ. კახა გაბუნია -** PRIMARY EDUCATION AND KEY COMPETENCIES FOR LIFELONG LEARNING: 28 June, 2022: CAUCASUS EDUCATION SCHOOL
https://www.cu.edu.ge/en/schoolss/ces/ces-news/public-lecture-firs-step-education

39. ასოც. პროფ. ანა ხარანაული - თარგმანის ენა – დევიაციიდან ნორმამდე, სამეცნიერო კონფერენცია - ნორმა და დევიაცია, ეძღვნება თ. გიორგობიანის 80 წლისთავს, 24-25 ნოემბერი, 2022, პროგრამა და თეზისები, 65-66

40. **ასოც. პროფ. ანა ხარანაული** - ფსალმუნის ქართული თარგმანი - პირველმთარგმნელთა გამოწვევები, 22.09.2022, ქუთაისი
https://www.youtube.com/watch?v=-qiNJlmHvqM

2.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური: ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **პროფ. რამაზ ქურდაძე** - მეორე ენის შესწავლის ზოგიერთი პრობლემური საკითხის შესახებ: ძირითადი და ფაკულტეტური გრამატიკისა და გენდერის ფაქტორები ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენა სწავლების დროს, უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ჟიტომირის პოლიტექნიკური სახელმწიფო უნივერსიტეტი (უკრაინა), ჩერკასის სახელმწიფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (უკრაინა),

ჰრიჰორი სკოვოროდას უნივერსიტეტი პერეიასლავში (უკრაინა), მარია კიური-სკლადოვსკას უნივერსიტეტი (პოლონეთი), გენტის უნივერსიტეტი (ბელგია), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო), ლუკნოვს უნივერისტეტი (ინდოეთი), საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია „გამოყენებითი ლინგვისტიკა-3D", მასალები, 12-13 მაისი, 2022; რეკომენდებულია გამოსაცემად ჟიტომირის პოლიტექნიკური სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N 6 13.05.2022 წ.) ჟიტომირი, 2022, pp. 8-10
https://conf.ztu.edu.ua/wp-content/uploads/2022/06/8.pdf

2. **ასოც. პროფ. გიული შაბაშვილი - ევროპული კვლევების საბაკალავრო პროგრამაში აკადემიური წერის სწავლების ძირითადი სტრატეგიები,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ევროკავშირის ერასმუს+ ჟან მონეს პროექტის „ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინური საბაკალავრო პროგრამის დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში"/EUStBA ფარგლებში მესამე საერთაშორისო კონფერენცია, 2022 წლის 14-15 ოქტომბერი
3. **ასოც. პროფ. გიული შაბაშვილი - პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის გამოყენება აკადემიური წერის სწავლების პროცესში,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ევროკავშირის ერასმუს+ ჟან მონეს პროექტის „ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინური საბაკალავრო პროგრამის დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში"/EUStBA ფარგლებში მესამე საერთაშორისო კონფერენცია, 2022 წლის 28-29 ოქტომბერი
4. **Kakha Gabunia, Giuli Shabashvili,** Ketevan Gochitashvili, Determinants of Civic Identity of National Minorities (The Case Study of Georgia): Multidisciplinary Approaches to Migration and Multilingualism (MAMM2022) University of Cyprus, Nicosia, Cyprus, October 22-23, 2022; https://mamm2022.wordpress.com/
5. **Kakha Gabunia,** Programs of multilingual education in higher education institutions of Georgia for teachers of primary classes and preschools *International Scientific and Practical Conference: "Actual Problems of Philological Science and Pedagogical Practice", November 24-25, 2022. Ministry of Education and Science of Ukraine; Oles Honchar Dnipro National University*, *Dnipro, Ukraine*

6. ***Каха Габуния,*** Опыт многоязычного обучения и подготовки педагогов для многоязычных программ в Грузии: ВЕРХОВНЫЙ КОМИССАР ПО ДЕЛАМ НАЦИОНАЛЬНЫХ МЕНЬШИНСТВ ОБСЕ; **Министерства образования и науки Кыргызской Республикии,** Представительства детского фонда ООН (ЮНИСЕФ) в Кыргызской Республике; г. ОШ, Кыргызская Республика

7. **Каха Габуния,** «Инновационные подходы в обучении языкам в дошкольных организациях»: Международной научно-практической конференции «ПОЛИЯЗЫЧИЕ КАК ОДИН ИЗ ПРИОРИТЕТОВ СОВРЕМЕННОГО ОБРАЗОВАНИЯ: СОСТОЯНИЕ И ПЕРСПЕКТИВЫ»; *30 сентября, 2022 г.* «НЦПК «Өрлеу»; Алматы. Kazakhstan.

8. Kakha Gabunia, Реформа многоязычного образования в Грузии: Международная научно-практическая конференция *«Полиязычное образование: путь к успеху»:* Городской научно-методический центр новых технологий в образовании; 25-28 марта 2022, *Алматы, Казахстан:*
   https://www.kaznaru.edu.kz/page/events/?link=iv_mezhdunarodnaia_nauchnoprakticheskaia__konferentciia_resursosberegaiushchie_tekhnologii_v_zemledelii_265&lang=ru
9. Ana xaranauli - The Readings of the Alternative Greek Translations in the Georgian Minor Prophets, *SBL* international Meeting, Salzburg, 17-21.07.2022 https://www.sbl-site.org/meetings/abstract.aspx?id=59184
   The Old Georgian Translation of Michaeas and the Textual Character of its Greek Vorlage, 18th Congress of the International Organization for Septuagint and Cognate Studies (IOSCS), Zurich, 5-7 Aug., 2022 ***https://www.iosot2022.uzh.ch/dam/jcr:a327b7ed-2c7c-4d45-8b66-aacef3e7ff3f/Abstract_IOSCS.pdf***
10. Ana xaranauli - Translation Technique – an Impetus for the Development of the Georgian Language (On the Example of the Oldest Georgian Translations of the Old Testament), International Symposium, The Bible in Words and Images, Tbilisi, 27-29 May, https://eastchrist.tsu.ge/full/ka/42
    Die Göttinger Septuaginta – eine Stilikone der modernen Philologie und die Georgische Bibeltextkritik, Humboldt Collegue Tbiilisi**,** Deutschland – Schwarzmeerraum – Südkaukasien: Geschichte und Gegenwart der gegenseitigen Wahrnehmung, **Tbilissi**. 30. November - 2. Dezember 2022. Abstracts, 49-50
    https://humboldt-kolleg.com/#lgx-schedule

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

***** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

***** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

***** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

***** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით "არ შეფასდა".

ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შრომების სია
(2022)

პროფ. დარეჯან თვალთვაძე:

1. **თვალთვაძე დარეჯან,** ძველი ხელნაწერების ახალი სიცოცხლე - გაციფრულებული ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური კვლევებისათვის (ოთხთავის ხელნაწერების მაგალითზე). N 1. ISSN 2720-8427, „დიგიტალური ქართველოლოგია / Digital Kartvelology", დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიის რეცენზირებადი ელექტრონული ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალი, 2022
2. **თვალთვაძე დარეჯან,** *„თავები"* ოთხთავის ქართულ ხელნაწერებში. „ქართველური ენათმეცნიერება", ISSN-2346-8106, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული VIII, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022
3. **თვალთვაძე დარეჯან,** სამოციქულოს ხელნაწერები ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, თბილისი, 14-16 ივლისი, 2022, გამოქვეყნდა კონფერენციის პროგრამა და მოხსნების თეზისები (გვ.:133-138) https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1868?show=full
4. **თვალთვაძე დარეჯან,** ქართული კოდიკოლოგია ციფრულ ეპოქაში: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-4". ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2-4 დეკემბერი, 2022 წ. (იბეჭდება სტატიების კრებული).

ასოც. პროფ. ლელა ციხელაშვილი:

1. **ციხელაშვილი ლელა,** მეტყველების წრის ზმნის პირიანი და უპირო ფორმების (მიმღეობების) გადმოტანა ბიბლიის ქართულ ვერსიებში (მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით), „ლოგოსი", რეცენზირებადი წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, ISBN 978-9941-468-75-9, #8, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, თბილისი, „ლოგოსი", 2022.
2. **ციხელაშვილი ლელა,** Rendering of the Verbs and Verbals of Saying in the Georgian Versions of the Books of the Minor Prophets, **E-ISSN: 2667-9760,** ქართველი მეცნიერები, ასოციაცია მეცნიერებისათვის, #5, 2022, https://doi.org/10.52340/gs
3. **ციხელაშვილი ლელა,** პროფ. ლელი ბარამიძე – მეცნიერი და პედაგოგი, ISSN 2346-8106, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო

ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, *ქართველური ენათმეცნიერება*, VIII, ეძღვნება თსუ-ს ემერიტუს პროფესორ ლელი ბარამიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავს, თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 2021-2022, https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/413546

4. **ციხელაშვილი ლელა,** *მეტყველების* წრის ზმნები ოთხთავის ქართულ ვერსიებში, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, გიორგი ახვლედიანის სახ. ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, თბილისი, 2022 წ. 12 აპრილი. https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1963

პროფ. რამაზ ქურაძე:

1. **ქურდაძე, რამაზ** ქცევის ნიშანთა ფაკულტატიური გამოყენების ერთი შემთხვევა ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის სწავლების დროს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება VIII, ეძღვნება თსუ-ს ემერიტუს პროფესორ ლელი ბარამიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავს, თბ., 2022, http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1972 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/413546/1/Qartveluri_Enatmecniereba_2021-2022_N8.pdf
2. **ქურდაძე რამაზ,** (თანაავტორები: მაია ლომია, ქეთევან მარგიანი), ზოგი *უ- – -ო* სახელურფუძიანი ოკაზიური ზმნური ფორმის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“,ISSN 2346-8106, სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, ტ. VIII; თბილისი, საქართველო, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/413546/1/Qartveluri_Enatmecniereba_2021-2022_N8.pdf
3. **ქურდაძე რამაზ,** ზოგი უ- – -ო სახელურფუძიანი ოკაზიური ზმნური ფორმის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ On Certain Occasional Verb-forms with Nominal Stems and u- – -o Circumfix in “The Knight in Panther’s Skin”, თანაავტორები მ. ლომია, ქ. მარგიანი, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი, მასალები, თბილისი, 08.01.2022, თსუ, https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1229?show=full
4. **ქურდაძე რამაზ,** ანთროპონიმები „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში (ზოგი ყრუ ფშვინვიერი ბგერის შემცველი სახელების მაგალითზე) The Anthroponyms in the English Translations of “The Knight in the Panther’s Skin” (On the Example of Certain Names Containing Voiceless Aspirated Sounds), თსუ რეპოზიტორზე: https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1359
5. **ქურდაძე რამაზ,** ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფუძეთა ინდექსის სრულყოფისათვის თანამედროვე ქართულში/ On the Perfection of the Index of Verb-Stems with Vowel Alternation in Modern Georgian 14 აპრილისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები

https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1962

6. **ქურდაძე რამაზ,** ჩხერა ზმნისა და ჩხირი სახელის მნიშვნელობათა შესახებ ქართულში, მარიამ ლორთქიფანიძის სახელობის კითხვანი - 2022 პროგრამა 11 მაისი, 2022 წელი.
7. **ქურდაძე რამაზ,** (თანაავტორები: მაია ლომია, ნინო ჭუმბურიძე, ქეთევან მარგიანი), ლექსიკური გამეორება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში: ზეპირმეტყველებისა და ქართული მხატვრული ტექსტების მიხედვით, 8-10 სექტემბერი, 2022 წელი, საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისი, საქართველო: https://archive.gov.ge/ge/saertashoriso-konferentsia-2022-1
8. **ქურდაძე რამაზ,** (თანაავტორები: მაია ლომია, ქეთევან მარგიანი, ნინო ჭუმბურიძე), ორმაგი უარყოფის ქრონოლოგიური უწინარესობის საკითხი: ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართება, საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი, 3-5 ოქტომბერი, 2022 წელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, საქართველო.
9. **ქურდაძე რამაზ,** ე – ი ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფუძეთა ერთიანი ინდექსის აუცილებლობისათვის ქართულში, საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი თბილისი, 3-5 ოქტომბერი, 2022.
10. **ქურდაძე რამაზ,** ავტორისეული სიტყვის შემცველი ქვეწყობილი წინდადების სტრუქტურისა და სტატუსის საკითხთა შესახებ ქართული ანდაზების მაგალითზე, თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტუტუტი, სამეცნიერო კონფერენცია: ტოგო გუდავა – მეცნიერი და მასწავლებელი, ეძღვნება მეცნიერეის დაბადებიდან 100 წლისთავს, 20 დეკემბერი, 2022.

ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი

1. **ზექალაშვილი რუსუდან,** რაფიელ შამელაშვილი – მეცნიერი და ადამიანი (დაბადებიდან მე-100 წლისთავის აღსანიშნავად). ცხოვრების გზა და ბიბლიოგრაფია. ISBN 978-9941-33-326-2. რედ. პროფ. ჟ. ფეიქრიშვილი, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2022, https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1974
2. **ზექალაშვილი რუსუდან,** სხვათა სიტყვა: კლასიფიკაცია და გადმოცემის საშუალებები ქართულში. ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, №8, მიძღვნილი ლელი ბარამიძის 90-ე წლისთავისადმი. ISSN 2346-8106. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021-2022, https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1970
3. **ზექალაშვილი რუსუდან,** გერმანელი ქართველოლოგის ახალი ნაშრომი აკადემიკოს აკაკი შანიძის ღვაწლზე. ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, №8, მიძღვნილი ლელი ბარამიძის 90-ე წლისთავისადმი. ISSN 2346-8106. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021-2022.https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1969

4. **ზექალაშვილი რუსუდან,** ბოდიშის გამომხატველი გამოთქმები ქართულ ენაში. აკად. ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა, მასალები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022,https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1225?show=full
5. **ზექალაშვილი რუსუდან,** განტერმინება ანუ დეტერმინოლოგიზაცია, როგორც ლექსიკის გამდიდრების საშუალება (სამედიცინო ტერმინთა მაგალითზე). III საერთაშორისო კონფერენცია „ტერმინოლოგია – მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“. კონფერენციის მასალები. თბილისი, თსუ, 2022.
   მასალები ქართულად:
   chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://ice.ge/of/wp-content/uploads/2022/10/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-2022.pdf
   მასალები ინგლისურად:
   chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://ice.ge/of/wp-content/uploads/2022/10/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2022.pdf

ასოც. პროფ. მაია ლომია

1. **ლომია მაია,** (თანაავტორი ქეთევან მარგიანი), ქართველურ ენათა ლინგვისტური ანოტაცია: I. სახელების ანოტაცია (პრობლემები და მათი გადაჭრის გზები), ISSN 2720-8427,ჟურნალი „დიგიტალური ქართველოლოგია“, დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, I ტომიhttps://adh.ge/digital-kartvelology-ge/

2. **ლომია მაია,** (თანაავტორები: რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი), ზოგი *უ-- -ო* სახელურფუძიანი ოკაზიური ზმნური ფორმის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“, სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, ტ. VIII; ISSN 2346-8106: თბილისი, საქართველო, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 11გვ. კრებული განთავსებულია **ეროვნული ბიბლიოთეკის** საიტზე (კოლექცია „ივერიელი“): https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/413546
3. **ლომია მაია,** (თანაავტორები: ნინო ჭუმბურიძე, ქეთევან მარგიანი, რამაზ ქურდაძე), ლექსიკური გამეორება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში: ზეპირმეტყველებისა და ქართული მხატვრული ტექსტების მიხედვით, 8-10 სექტემბერი, 2022 წელი,

საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისი, საქართველო: https://archive.gov.ge/ge/saertashoriso-konferentsia-2022-1

4. **ლომია მაია,** (თანაავტორები: რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი, ნინო ჭუმბურიძე), ორმაგი უარყოფის ქრონოლოგიური უწინარესობის საკითხი: ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართება, საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი, 3-5 ოქტომბერი, 2022 წელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, საქართველო
5. **ლომია მაია,** სინტაქსური საზღვრის გადაწევის საკითხი მეგრულში -ნი კავშირ-ნაწილაკიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მიხედვით, სამეცნიერო კონფერენცია *ტოგო გუდავა – მეცნიერი და მასწავლებელი,* ეძღვნება დაბადებიდან 100 წლისთავს, 20 დეკემბერი, 2022 წელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი

1. **მარგიანი ქეთევან,** ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი სვანური ლექსემა ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით, ISSN 1987-6572 იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLIX, თსუ გამომცემლობა, 2022, https://ice.ge/of/wp-content/uploads/2022/06/IKE-49-2021.pdf
2. **მარგიანი ქეთევან,** ზმნისწინთა ორი რიგისათვის სვანურში, 28.06 2022, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
3. **მარგიანი ქეთევან, -მცა** (-ოღ□, -ო□) ნაწილაკიანი ფორმები და მისი მიმართება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციასთან, 20.12. 2022, თსუ
4. **მარგიანი ქეთევან,** თინათინ შარაძენიძე – სვანური ენის მკვლევარი, 25.04.2022, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
5. **მარგიანი ქეთევან,** ქალის სტატუსის აღმნიშვნელი ლექსიკა სოციუმთან მიმართებით სვანურში, სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია: ,,სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები“ V, მიძღვნილი პროფ. შოთა ჩართოლანის დაბადებიდან 90 წლის იუბილისადმი, 14-15 აგვისტო, 2022
6. **მარგიანი ქეთევან,** ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი სვანური ლექსემის მიმართება ქართველურ ენობრივ სივრცესთან (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი), არნ. ჩიქობავას საკითხავები XXXIII, 17-19 მაისი, 2022
7. **მარგიანი ქეთევან,** კვლავ ნათესაობის ლექსიკის შესახებ(სვანურ-ქართული მიმართებები), ენათმეცნიერების ინსტიტუტის 81-ე სამეცნიერო სესია, 20-23 დეკემბერი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
8. **მარგიანი ქეთევან,** სვანური ენის დაცვა თუ ხელყოფა? (ერთი პუბლიკაციის შესახებ), ენათმეცნიერების ინსტიტუტის 81-ე სამეცნიერო სესია, 20-23 დეკემბერი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ასოც. პროფ. სალომე ომიაძე

1. **ომიაძე სალომე,** მაკროკონცეპტი „ნათესავი“ ქართულ ლინგვოკულტურაში, ISSN 2346-8106, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის

ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, VIIIთბილისი, თსუ გამომცემლობა, 2021-2022

2. **ომიაძე სალომე,** აკაკი შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონის“ მნიშვნელობისათვის ქართული გასტროკულტურის კვლევაში; 26.02.2022, თბილისი, თსუ.
3. **ომიაძე სალომე,** დისკურსით შეცვლილი რეალობა; 12.04. 2022, თბილისი, თსუ.
4. **ომიაძე სალომე,** ინვექტივის აქტივაციის შესახებ; 15-16.04. 2022 (15 აპრილი), თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
5. **ომიაძე სალომე,** თინათინ შარაძენიძე – ღვაწლმოსილი მეცნიერი და მადლმოსილი პიროვნება; 25.05.2022, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
6. **ომიაძე სალომე,** მაკროკონცეპტ „ნათესავის“ აღმნიშვნელები; 17-19.05. 2022 (19 მასი), თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
7. **ომიაძე სალომე,** გუჩა კვარაცხელია – შემოქმედი, მხატვრული ენის მკვლევარი; 28.06. 2022, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
8. **ომიაძე სალომე,** კვეთი, ყველი – მსგავსი მოტივაციის მქონე ორი ლექსემა-ტერმინი; 29-31.10.2022 (30 ოქტომბერი), თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
9. **ომიაძე სალომე,** ჰუმბოლდტის თეორიისა და მისი რამიშვილისეული ინტერპრეტაციის მნიშვნელობა ლინგვოკულტუროლოგიური კვლევისათვის; 25-26.11.2022 (25 ნოემბერი), თბილისი, თსუ.
10. **ომიაძე სალომე,** საქორწილო რიტუალის მონაწილეთა აღმნიშვნელების – „ძმადი“, „მდადი“ –ლინგვოკულტურული მნიშვნელობისათვის; 20-23.12.2022, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ასოც. პროფ. გიული შაბაშვილი

1. **შაბაშვილი გიული,** პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის დანერგვა აკადემიური წერის სწავლების პროცესში, ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალი, N 8, 2022 (იბეჭდება)
2. **შაბაშვილი გიული,** კახა გაბუნია, ქეთევან გოჩიტაშივლი, მონოლინგვური მოდელიდან მულტილინგვურ მოდელზე გადასვლის გზები და საჭიროებები საქართველოს განათლების სისტემაში, ISSN 2657-9774, DOI: https://doi.org/10.36534/erlj.2022.01.05 Educational Role of Language Journal. Volume 2022-1(7). PLACING LANGUAGE IN THE CENTRE OF SCHOOLING, pp. 47-57
3. **შაბაშვილი გიული,** კრასიმირ კაბაკჩიევ, ვერბალური და კომპოზიციური ასპექტი: ტიპოლოგიური კვლევა ქართული, რუსული და ინგლისური ენების მონაცემების მიხედვით, Studies in Greek linguistics, 42, 2022 (იბეჭდება)

ასოც. პროფ. ინგა სანიკიძე

1. **სანიკიძე ინგა,** ბიბლიური წყევლის ფსიქოლინგვისტური პარადიგმა ძველ ქართულ ისტორიულ საბუთებში / Psycholinguistic Paradigm of Biblical Damnation in Ancient Georgian Historical Documents. DOI: https://doi.org/10.17058/signo.v47i88.17397

დაბეჭდილია ინგლისურ ენაზე ჟურნალში „Signo“ [სპეციალური გამოცემა] ტ. 47 N. 88 (2022): ISAPL. გვ.165-170, ბმული - https://online.unisc.br/seer/index.php/signo.

2. **სანიკიძე ინგა,** ანთროპონიმი ფარსადანი — ფარისევლობის ენიგმა „ვეფხისტყაოსანში“/Anthroponym Parsadan -The Enigma Of Hypocrisy in the Poem Shota Rustaveli, ISSN 1987-7323, **https: //doi.org/1052340/lac.** https://journals.4science.ge/index.php.enadakultura VII საერთაშორისო სამეცნიერო (დისტანციური) კონფერენცია „ენა და კულტურა“, 26-27 მარტი, 2022, ქუთაისი, საქართველო. დაბეჭდილია: VII საერთაშორისო სამეცნიერო (დისტანციური) კონფერენციის მასალებში „ენა და კულტურა“, შრომები, გვ. 272-284, ქუთაისი, 2022, E-ISSN 27 20-7900
3. **სანიკიძე ინგა,** „ვეფხისტყაოსნის“ ერთი პასაჟის გააზრებისთვის – ინდოთ ქალაქი და ლორე (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიება) / To Understand One Passage of the „Panther's Skin“ – Indo Citi and Lore, ISSN 1987-7323, https://doi.org/10.52340/lac htts://journals.4science.ge/index.php/enadakultura, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, N 27 / To „Language and Culture“ – Scientific Peer Reviewed journal N 27, გვ. 101-107, ქუთაისი, 2022.; E-ISSN 2720-7900. ჟურნალი ინდექსირებულია: Google scholar-ის მონაცემთა ბაზებში; იმპაქტფაქორის ბაზაში: SJIF 2022: 7.838.
4. **სანიკიძე ინგა,** მლარწველ ფუძის გააზრებისათვის / Towards Understanding *Mlarcvel* Stem, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ვ. თოფურიასადამი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 8 იანვარი, 2022, დაიბეჭდა ქართულ და ინგლისურ ენებზე, გვ. 19-29, Google Scholar https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1227?show=full

ასოც. პროფ. კახა გაბუნია

1. **გაბუნია კახა,** ზმნური კონსტრუქციების აგებისას დაშვებული შეცდომების ანალიზი არაქართულენოვანი (სომხურ- და აზერბაიჯანულენოვანი) მოსწავლეების მეტყველებაში: კრებული - ენათმეცნიერების საკითხები, 2022, თბილისი, თსუ გამომცემლობა.
2. **Gabunia Kakha,** Ketevan Gochitashvili, Giuli Shabashvili, Ways and Needs of Transition from Monolingual to Multilingual Teaching Model in Georgian Education System: **Publisher:** International Association for the Educational Role of Language; Publication Name: Educational Role of Language Journal; Journal Volume 2022-1(7) pp. 47-57.

3. გაბუნია კახა, "ბილინგვური განათლების მოდულის შემუშავება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამებისთვის": მე-3 საერთაშორისო კონფერენცია: „ბავშვთა უფლებების საკითხების ჩართვა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებსა და კურიკულუმებში" სახელმწიფო ენის სწავლებასა და ეთნიკური უმცირესობების განათლებაზე აქცენტირებით ,2022 წლის 20-21 სექტემბერი,ახალციხე, საქართველო **https://www.unicef.org/georgia/ka**
4. **Gabunia Kakha, PRIMARY EDUCATION AND KEY COMPETENCIES FOR LIFELONG LEARNING: 28 June, 2022: CAUCASUS EDUCATION SCHOOL https://www.cu.edu.ge/en/schoolss/ces/ces-news/public-lecture-firs-step-education**
5. **Gabunia Kakha,** Programs of multilingual education in higher education institutions of Georgia for teachers of primary classes and preschools *International Scientific and Practical Conference: "Actual Problems of Philological Science and Pedagogical Practice", November 24-25, 2022. Ministry of Education and Science of Ukraine; Oles Honchar Dnipro National University*, *Dnipro, Ukraine*
6. Габуния Каха, Опыт многоязычного обучения и подготовки педагогов для многоязычных программ в Грузии: ВЕРХОВНЫЙ КОМИССАР ПО ДЕЛАМ НАЦИОНАЛЬНЫХ МЕНЬШИНСТВ ОБСЕ; **Министерства образования и науки Кыргызской Республикии,** Представительства детского фонда ООН (ЮНИСЕФ) в Кыргызской Республике; г. ОШ, Кыргызская Республика
7. Габуния Каха, «Инновационные подходы в обучении языкам в дошкольных организациях»: Международной научно-практической конференции «ПОЛИЯЗЫЧИЕ КАК ОДИН ИЗ ПРИОРИТЕТОВ СОВРЕМЕННОГО ОБРАЗОВАНИЯ: СОСТОЯНИЕ И ПЕРСПЕКТИВЫ»; *30 сентября, 2022 г.* «НЦПК «Өрлеу»; Алматы. Kazakhstan.
8. **Gabunia Kakha,**Ketevan Gochitashvili, Giuli Shabashvili, Determinants of Civic Identity of National Minorities (The Case Study of Georgia): Multidisciplinary Approaches to Migration and Multilingualism (MAMM2022) University of Cyprus, Nicosia, Cyprus, October 22-23, 2022; https://mamm2022.wordpress.com/
9. **Gabunia Kakha,** Реформа многоязычного образования в Грузии: Международная научно-практическая конференция «Полиязычное образование: путь к успеху»: Городской научно-методический центр новых технологий в образовании; 25-28 марта 2022, Алматы, Казахстан: https://www.kaznaru.edu.kz/page/events/?link=iv_mezhdunarodnaia_nauchnoprakticheskaia__konferentciia_resursosberegaiushchie_tekhnologii_v_zemledelii_265&lang=ru

ასოც. პროფ. ანა ხარანული

1. ხარანაული ანა, თარგმანის მეთოდები - ტრანსლიტერაცია, იმიტაცია, სიმულაცია, ტრანსლაცია, ინტერპრეტაცია - ძველი აღთქმის ქართული უძველესი თარგმანების ლექსიკის მიხედვით, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 8, თბილისი, საქართველოს საპატრიარქო, 2022
2. **Kharanauli Anna,** The Georgian Text of Anna's Song, its Greek Lucianic and Hexaplaric Sources, and the History of the Georgian Bible Translation, in: Dionisio Candido, Joshua Alfaro, and Kristin De Troyer (eds.), On Hexaplaric and Lucianic Readings and Recensions, (De Septuaginta Investigationes (DSI 14), Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht), 2021, 55-72.

3. **Kharanauli Anna,** Tinatin Chronz, Tamara Pataridze, Tinatin Tseradze, Palestine, in: T. Otkhmezuri (ed.), Medieval Georgian Literary Culture and Book Production in the Christian Middle East and Byzantium, Aschendorf Verlag, 2022, 23-107.
4. **Kharanauli Anna,** The Readings of the Alternative Greek Translations in the Georgian Minor Prophets, *SBL* international Meeting, Salzburg, 17-21.07.2022 https://www.sbl-site.org/meetings/abstract.aspx?id=59184 The Old Georgian Translation of Michaeas and the Textual Character of its Greek Vorlage, 18th Congress of the International Organization for Septuagint and Cognate Studies (IOSCS), Zurich, 5-7 Aug., 2022 *https://www.iosot2022.uzh.ch/dam/jcr:a327b7ed-2c7c-4d45-8b66-aacef3e7ff3f/Abstract_IOSCS.pdf*

ქართული ლიტერატურის ისტორიის
სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

(უნივერსიტეტების სასწავლო და სამეცნიერო ერთეულებისათვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ინსტიტუტის ხელმძღვანელი: პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე.
ასოცირებული პროფესორები: ლელა ხაჩიძე, ნესტან სულავა, ნანა გონჯილაშვილი, მაკა ელბაქიძე, ლადო მინაშვილი, თამარ შარაბიძე, ეკა ვარდოშვილი, კახაბერ ლორია, თამარ პაიჭაძე, რუსუდან ნიშნიანიძე, ქეთევან სიხარულიძე, ხვთისო მამისიმედიშვილი, ელენე გოგიაშვილი, ასისტენტ პროფესორი: ლევან ბებურიშვილი.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. „ქართული დრამატურგია“ (I და II ნაწილი) 2020-2022 წწ. ქართული ფილოლოგია, ახალი ქართ. ლიტერატურა.
2. „ქართული დრამატურგია“ (III და IV ნაწილი) 2022-2024 წწ. ქართული ფილოლოგია, ახალი ქართ. ლიტერატურა.
3. საგრანტო პროექტი: **ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში** (CS-I-21-158), 2021-2022 წწ. კავკასიოლოგია,ფოლკლორისტიკა

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. 1. თამარ შარაბიძე (სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი)
   2. თამარ ციციშვილი (პროექტის ძირითადი შემსრულებელი)

3. 1. პროექტის ხელმძღვანელი: პროფესორი ცირა ბარამიძე
   2. ძირითადი პერსონალი: ასოცირებული პროფესორი **ხვთისო მამისიმედიშვილი**

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. „ქართული დრამატურგია, ნაცნობი და უცნობი ტექსტები“ მომზადდა 2 ტომი, დაკაბადონებულია და იწყება ბეჭდვა თსუ გამომცემლობაში. გარდამავალი პროექტი წარმოადგენს უკვე დასრულებული პროექტის _ „ქართული დრამატურგია“ (I და II ნაწილი) გაგრძელებას. პროექტი მოიცავს XIXსაუკუნის 50-იანი წლებიდან მაყურებელთა შორის პოპულარული პიესების, აგრეთვე იმ დრამების თავმოყრასაც, რომლებიც არ დადგმულან სცენაზე, მაგრამ მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისთვის თავიანთი ლიტერატურული მნიშვნელობით. ზოგიერთი მათგანი პირველად გამოქვეყნდა ჩვენ მიერ. გარდამავალ პროექტში მასალების თავმოყრა გაგრძელდება ამავე პრინციპითა და ქრონოლოგიის დაცვით, ჯერ

წარმოდგენილი იქნება 60-იანი წლების დრამატურგია და მას მოჰყვება შემდგომი წლების მასალები თავიანთი ანოტაციებით, მწერალთა ბიოგრაფიებითა და შემოქმედების მოკლე ანალიზით. წინასიტყვაობაში წარმოვაჩენთ დაკვირვებებს მწერლის ენასა და სტილზე.

2.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. „ქართული დრამატურგია“, ნაცნობი და უცნობი პუბლიკაციები (I და II ტომი)
2. ელენე დარიანის დღიურები -ტექსტი და ავტორი
ლიტერატურათმცოდნეობა, ლიტერატურის ისტორია
დონორი: საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.
ხანგრძლივობა 05-2022 - 12.2022.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. 1. თამარ შარაბიძე
2. თამარ ციციშვილი

2. 1. ნინო ჩხიკვიშვილი (ხელმძღვანელი)
2. თამარ პაიჭაძე (თანახელმძღვანელი, კრებულის შემდგენელი)

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტი მოიცავს XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან მაყურებელთა შორის პოპულარული პიესების, აგრეთვე იმ დრამების თავმოყრასაც, რომლებიც არ დადგმულა სცენაზე, მაგრამ მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისთვის თავიანთი ლიტერატურული მნიშვნელობით. ზოგიერთი მათგანი პირველად გამოქვეყნდა ჩვენ მიერ.
2. ქართულმა მოდერნიზმმა თავისსხვადასხვა გამოვლინებასა თუ მიმართულებაში ცალსახად გაითავისა ყველა ის ფუნქციური სქემა და მოდელი, რომლებიც სხვადასხვა მოდერნისტულ-ავანგარდისტული მიმართულების მახასიათებლად მიიჩნეოდა და ეს ისტორია, ევროპული სქემისაგან (ისტორიისაგან) განსხვავებით, სულ ათმა-თორმეტმა წელიწადმა დაიტია. ამ ქრონოლოგიაში ყველაზე პირველი და, ამასთანავე, წინააღმდეგობრივი სიმბოლისტური მოძრაობა იყო, თავისი ისტორიით, გეოგრაფიით, პერსონაჟებით, ბრძოლებით, სინთეზურობით, გარემოთი და ბოლოს... დასასრულით.
მას ჰყავდა აქტორები, თეორეტიკოსები, მიმდევრები, მეტრები და შემსრულებლები... და მას ჰქონდა ქართულ ლიტერატურაში აქამდე უპრეცედენტო კორპორაციული ფორმაც.
ფაქტია, „ცისფერყანწელობა და სიმბოლისტობა შემსრულებლებადაც დაიყო. ისიც ფაქტია, რომ ზოგჯერ, ერთმანეთთან დაპირისპირებულები, შემოქმედებითი ცხოვრების იმ ეტაპზე ერთ მსოფლმხედველობრივ ბომონდს ემსახურებოდნენ, რასაც სამყაროს სიმბოლისტური აღქმა ჰქვია.
ამ დროს არაერთგზის გამოიკვეთა ქართული სიმბოლისტური სკოლის ხაზგასმულად არტისტული ბუნება. ამ დროს ბევრი რამ მართლაც პირველად მოხდა ქართულ ლიტერატურაში. სიახლეთა და გარდატეხათამ ამ „ვარსკვლავთცვენაში“ ყველაზე რეკლამირებული ლიტერატურული მისტიფიკაცია იყო – ნაციონალური ტრადიციისა და შემოქმედებითი მენტალობისათვის იქნებ გარკვეულად ძნელად შესაცნობი და წარმოუდგენელი ფაქტიც.
პაოლო იაშვილი – „ყანწელთა“ ლიდერი პოეტი-დენდი, მხატვარი და ლიტერატორი, ელენე დარიანის სახელით აქვეყნებდა ლექსებს. ეს საიდუმლო დიდხანს არავის გაუმხელია, თუმცა შემდგომ, როცა „ელენე დარიანის დღიურების“ ლირიკული გმირის იდენტიფიკაციას ცდილობდნენ,
პაოლო იაშვილის გარდა, სხვა შემოქმედზე ეჭვი არავის მიუტანია და ამ მისტიფიკაციის ისტორიის მოწმეებმაც არაპირდაპირ თუ სიმბოლურად დაადასტურეს კიდეც ეს ფაქტი.

...მაშინ ეს პერიოდი და ისტორიები ძალიან მღელვარე იყო... შემდეგ კოლონიურმა პოლიტიკამ და სოცრეალისტურმა რეგლამენტმა ჩააჩუმა
ეს ვნებათაღელვანი თუ მისი შემსრულებლები; რეაბილიტაცია ათწლეულთა მოტრიალების შემდეგ დაიწყო. ქართულ მწერლობას და შემეცნებას კვლავ დაუბრუნდა ტოტალიტარული პოლიტიკის მიერ აკრძალული და „ლიტერატურულ სუროგატად“ მიჩნეული „ცისფერყანწელთა“ და მისი რეპრესირებული წევრების სახელები... და კვლავ დაბრუნდა ვნებათაღელვანი ელენე დარიანის სახელის გარშემოც: ჯერ აქა-იქ გაკრთა, ხოლო მოგვიანებით (გასული საუკუნის მიწურულიდან) გამოხატული პრეტენზიისა და ამბიციის სახეც მიიღო.
ამჯერად ამის მიზეზი ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი იყო, რომელმაც უაპელაციოდ სცადა „ცისფერყანწელთა“ მუზის და კიდევ უფრო მათი ხაზგასმულად ლიტერატურული ცხოვრების წევრის, პოეტესა ელენე დარიანის მანტიის მორგება. ამ ისტორიას კარგა ხანს მოჰყვა „წაჯექ-უკუჯექობა“ ლიტერატურულ და არალიტერატურულ(!)
სარბიელზე.
„დარიანულების“ ავტორის იდენტიფიკაციის საკითხი ერთგვარად ახალ გამოწვევად იქცა ლიტერატურული კვლევებისათვის. ამ მიმართულებითაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე არაერთი ისტორიული, ფაქტობრივი, ტექსტოლოგიური და სხვა კვლევითი არგუმენტი დაიდო პაოლო იაშვილის ამ ტექსტთა უპირობო ავტოროზის
სადემონსტრაციოდ. თუმცა აქვეა ფრიად ლოგიკური კითხვაც: ამ არგუმენტთა კვალობაზე
უნდა დასრულდეს თუ არაარა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ამ ფრიად მნიშვნელოვანი ეტაპისა და ავტორის შესახებ რეკლამირებული და უტილიტარული კითხვები? რა უნდა ითქვას ან გამოიკვეთოს კიდევ, როგორც ახალი არგუმენტი?
ჩვენი მიზანი იყო, გარკვეულწილად, სწორედ ლიტერატურული პოზიციებიდან გაგვეანალიზებინა ეს პროცესი, როგორც სუფთა ლიტერატურული ფაქტი და ტექსტი. ლოგიკური ისტორიული, ლიტერატურული, ტექსტოლოგიური კვლევებითა და არგუმენტებით შეგვეჯერებინა ეს შეხედულებანი.
ლიტერატურული პოლემიკის სათავეშივე (ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან) საკითხს დამაჯერებელი და არგუმენტირებული კვლევები მიუძღვნეს ქართველმა ლიტერატურისმცოდნეებმა. ისიც ბუნებრივია, რომ მკვლევარი, რომელიც
ქართული მოდერნიზმის/სიმბოლიზმის პრობლემატიკაზე მუშაობს,
თავისთავად მიეახლებოდა პაოლო იაშვილის ლიტერატურული მისტიფიკაციის ფაქტსაც და „დარიანულების“ ავტოროზის საკითხსაც.
შესაბამისად, კვლევამ გარკვეული ისტორიული ფუნქციაც შეითავსა, რადგან აქ წარმოდგენილია თავად საკითხის ისტორია, დაწყებული პოლემიკის პირველი ეტაპიდან, მიმდინარე ლიტერატურული პროცესების და ახალი ლიტერატურული კვლევებისა
და არგუმენტები ჩათვლით.
პროექტის დაგეგმვის პროცესში არ იყო მარტივი კონკრეტულად აღნიშნულ საკითხზე დაწერილ გამოკვლევათა გამორჩევა და გამოყოფა.
კრებულის შემდგენელთა მიზანი კი ერთი იყო: საკითხი დაბრუნებოდა ჭეშმარიტ ლიტერატურულ, კვლევით, არგუმენტირებულ და ფაქტებზე დამყარებული დისკურსის არტახებს.
კიდევ ერთი მიზანი გვქონდა: მეოცე საუკუნის ქართული კლასიკური პოეზია და მისი წარმომადგენლები, რომელთაც თავისი ეპოქისა და თანამედროვეთაგან ბევრი „წყევლაკრულვიანი საკითხავი“ მიიღეს, საკუთარი სიტყვისა და აზრისთვის დაისაჯნენ და ემსხვერპლნენ წითელ ტერორს, ისინი, ვისაც წაართვეს სიცოცხლე, თავისუფლება და მკითხველი, დღეს მაინც აღარ გასამართლებულიყვნენ „ცრუ მამხილებელთაგან“.

2. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“ XIX საუკუნის საქართველოში და რუსეთის იმპერიული მმართველობის მექანიზმები, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.ქართული ფილოლოგია, საქართველოს ისტორია _ 2022-2025 წწ.. (FR-21-8335).

2. საგრანტო პროექტი: **ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში** (CS-I-21-158), 2021-2022 წწ. კავკასიოლოგია, ფოლკლორისტიკა, 2021 წლის 1 ოქტომბერი - 2023 წლის 1 მარტი.

3. „ვარლაამ და იოასაფის ისტორიის“ ქართულ და ბერძნულ რედაქციათა ურთიერთმიმართება; სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები; ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების კვლევები; ფილოლოგია, ტექსტისა და გამოსახულების კვლევა. FR-21-2001; 2022-2024.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. 1. თამარ შარაბიძე (პროექტის ხელმძღვანელი)
   2. გოჩა კუჭუხიძე (ძირითადი შემსრულებელი)
   3. მანანა შამილიშვილი (ძირითადი შემსრულებელი)
   4. ანა დოლიძე (ძირითადი შემსრულებელი)
   5. დოდო ჭუმბურიძე (ძირითადი შემსრულებელი).

2. 1. პროექტის ხელმძღვანელი: პროფესორი ცირა ბარამიძე
   2. ძირითადი პერსონალი: ასოცირებული პროფესორი **ხვთისო მამისიმედიშვილი**
   3. ძირითადი შემსრულებელი: პროფესორი ნინი ჩიქოვანი
   4. ძირითადი შემსრულებელი: დოქტორი გიორგი კრავეიშვილი

3. 1. პროექტის ხელმძღვანელი, პროფ. ე. ხინთიბიძე
   2. მკვლევარი - გაგა შურღაია - ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლ’ორიენტალეს“ ასოცირებული პროფესორი
   3. მკვლევარი - ქეთევან აბესაძე - თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბერძნული და ლათინური ენების მასწავლებელი.
4. ირმა მაკარაძე - კოორდინატორი.
5. ახალგაზრდა მეცნიერი — კოტე ლომიძე პროექტში ჩართული იქნება მკვლევარის სტატუსით.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტზე მომუშავე ჯგუფი დაწვრილებით ეცნობა ეროვნულ არქივში დაცულ „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ (ფონდი 480) მასალებს და მათი გამოყენებით სწავლობს საცენზურო კომიტეტის საქმიანობას ბეჭდვით საქმეში, დრამატურგიასა და თარგმანებთან მიმართებაში. მიზნად ისახავს ცენზურის მიერ დაწუნებული ტექსტების გამოქვეყნებას იმ ნიშნით, თუკი ეს ტექსტები თავისი მხატვრული მნიშვნელობით ღირებულია.

2. მონაწილეობა მივიღე მონაცემთა ბაზის შესაქმნელად ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებაში, თუ როგორ უნდა განთავსდეს მონაცემთა ბაზაში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორში დადასტურებული ზეპირსიტყვიერების ის ნიმუშები, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ კულტურასთან ან ქართული კულტურის გავლენით არის შექმნილი. ტექსტის შესახებ მონაცემთა ბაზაში აისახება შემდეგი მონაცემები: ა) ფოლკლორული ტექსტის სათაური; ბ) ტექსტის ჟანრი და წარმომავლობა (ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი ხალხის ფოლკლორულ შემოქმედებას ეკუთვნის); გ) მთხრობელის ვინაობა და ასაკი დ) ჩამწერი; ე) ჩაწერის დრო და ადგილი; ვ) წყარო (იმის მითითება, თუ სად არის დაბეჭდილი წარმოდგენილი ტექსტი; ზ) განმარტება და კომენტარი იმის

შესახებ, თუ ქართული კულტურის რა ელემენტები გვხვდება აღნიშნულ ტექსტში, რა სახის ქართული მოტივები დასტურდება და რა სახის პარალელები დაეძებნება ქართულ კულტურასთან; ან რა რაკურსით არიან წარმოდგენილი ქართველი პერსონაჟები. შევადგინე სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, რომელიც ასახავს ქართული კულტურის ელემენტებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორში. დავამუშავე ფოლკლორული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორული შემოქმედების შესახებ, საიდანაც გამოვლინდა პარალელები ქართულ კულტურასთან. მონაცემთა ბაზაში შესატანად, აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე სათარგმნელად მოვამზადე ცნობები ჩეჩნური და ინგუშური ფოლკლორის იმ ნიმუშებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ კულტურასთან და წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრის ტექსტებით, ესენია: ისტორიული შინაარსის თქმულება-გადმოცემები, საგმირო სიმღერები, მითოლოგიური გადმოცემები და სხვ. მონაცემთა ბაზაში შესატანად, აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე სათარგმნელად მოვამზადე ცნობები ოსური ფოლკლორის იმ ნიმუშებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ კულტურასთან და წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრის ტექსტებით, ესენია: საგმირო თქმულებები და მითოლოგიური გადმოცემები. მონაცემთა ბაზაში შესატანად, აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე სათარგმნელად მოვამზადე ცნობები დაღესტნური ფოლკლორის იმ ნიმუშებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ კულტურასთან და წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრის ტექსტებით, ესენია: სამონადირეო, დემონოლოგიური და საგმირო თქმულებები და მითოლოგიური გადმოცემები. წარმოვადგინე პროექტით გათვალისწინებული ერთი პრეზენტაცია. წარმოვადგინე პროექტით გათვალისწინებული საკონფერენციო მოხსენება. მომზადდა სტატია მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალში დასაბეჭდად.

3. პროექტის ძირითადი პრაქტიკული და თეორიული შედეგები 2022 წელს: დამუშავდა "ბალავარიანის" პრობლემასთან დაკავშირებული ფუნდამენტური ლიტერატურა; მათ შორის, ევროპელ ბიზანტინისტთა უახლესი სამეცნიერო შრომები; მუშავდება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ქართული"ბალავარიანის" ორივე რედაქციის და ექვთიმე ათონელის ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი თხზულებების ხელნაწერები; დაწყებულია "ვარლაამ და იოასაფის" ბერძნულ ხელნაწერებზე მუშაობა საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებსა და არქივებში. დაწყებულია ბერძნული და ქართული ხელნაწერების შესწავლით მოპოვებული მონაცემების ურთიერთშეჯერება და კვლევის შედეგად გამოვლენილი ქართული დაბერძნული ხელნაწერების პარალელური ციფრული გამოცემის მომზადებაზე მუშაობა. მომზადებულია და დაბეჭდილია სტატიები პროექტის მონაწილეების ავტოროობით.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. „ნ. ბარათაშვილი _ ანალიტიკური გზამკვლევი“, ძირითადი პერსონალი, რუსთაველის ფონდი, 2015 -2018 წ.წ. #Fr-318.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. . თამაზ ვასაძე
2. თამარ შარაბიძე

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მომზადდა ელექტრონული ნაშრომი „ნ. ბარათაშვილი _ ანალიტიკური გზამკვლევი“, რომელშიც თითქმის ყველა კუთხით იქნა განხილული ნ. ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება.
2.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. „ქრისტიანულ-მაჰმადიანური ურთიერთობები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“
ა.შ.შ. ბირმინგემის უნივერსიტეტი, თანამშრომლობა ქრისტიანულ-მაჰმადიანური ურთიერთობების შესასწავლად, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული კრებულის მე-16 ტომში სტატიის „ქრისტიანულ-მაჰმადიანური ურთიერთობები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“ განსათავსებლად.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

4. პატენტები (არსებობის შემთხვევაში)
4.1. საერთაშორისო პატენტები;
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ეკა ვარდოშვილი ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან, From the history of the Georgian-Europian literary relations, მონოგრაფია, Monograph, UDC (უაკ) 821.535. 1. 091:821 (4)/3-206, ISBN 978-9941-33-295-1, თბილისი, 2022, გვ. 1-202. გამომცემლობა: „უნივერსალი“.

2. **ქალი ქართულსა და ოსურ ფოლკლორში, მონოგრაფია,** 2022, „უნივერსალი“, 235 გვერდი, ISBN, 978-9941-33-235-7, ბეჭდური, თანაავტორები: ნაირა ბეპიევი, ელენა ბესოლოვა, ზურაბ კიკნაძე, **ხვთისო მამისიმედიშვილი,** აზა კოკოევა, ნინო პოპიაშვილი, მერი ცხოვრებოვა. გამოქვეყნდა გაერთიანებული სამეფოს ფონდის მდგრადი მშვიდობისთვის - COBRERM-ის დამატებითი ფინანსური ინსტრუმენტის მხარდაჭერით, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს მთავრობისა (UK) და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივ ინიციატივას. ელ. ბმული: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/2022-09/undp-georgia-coberm-monography-woman-georgian-ossetian%20folklore-20220914.pdf

3. მარხვანი, წმ. გიორგი მთაწმიდელის რედაქცია; ორტომეული; ლელა ხაჩიძის რედაქციითა და გამოკვლევით ქართულ და ინგლისურ ენებზე; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ლელა ხაჩიძემ, ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, ლიანა ახობაძემ და ეკა კვირკველიამ;
ISBN 978-9941-8-4490-4 (ორივე ტომის).
თბილისი; გამომცემლობა „ვერჟე“; 1333 გვერდი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ქართულ-ევროპული ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან, მონოგრაფიაში საუბარია იმაზე, რომ ქართულ-ევროპული ურთიერთობების პირველი ცდები საუკუნეებს ითვლის. ევროპელი ავტორები ჟან შარდენი, ალექსანდრე დიუმა, სერ ოლივერ უორდროპი, არტურ ლაისტი და სხვანი თავიანთ თხზულებებში გამოყოფენ იმ ძირითად პრიორიტეტებს, რამაც განსაზღვრა ქართველთა ნაციონალური ბუნება. ესენია: საქართველოს ისტორიული წარსული, ქართული ენა და ლიტერატურა, ქრისტიანობის ადგილი და როლი, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. ზნე-ჩვეულებანი და ადათ წესები, ქართველთა გარეგნობა, სოციალური წყობა.
აღსანიშნავია, რომ ევროპელი ავტორები ცდილობენ, განიხილონ ქართველთა იდენტობა ევროპელთან მიმართებაში, რათა საქართველოს სათანადო ადგილი მიუჩინონ საერთო ევროპულ ოჯახში.
მონოგრაფიაში ასევე ვსაუბრობთ საერთო ტენდენციებსა და სახისმეტყველების ფორმებზე ქართველ და ევროპელ მწერალთა თხზულებებში.

2. მონოგრაფია ერთობლივად შექმნეს ქართველმა და ოსმა მეცნიერებმა. მონოგრაფიის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ მე დავწერე, ეხება ოსური ეპოსის პერსონაჟ ბალსაგის ასულსა და სვანური სამონადირეო თქმულებების პერსონაჟ - დალის შორის თვისობრივ და გენეტიკურ მსგავსებებს. ნაშრომში განვიხილე აგრეთვე მითოლოგიური პარალელები ნართების ეპოსის პერსონაჟ სათანასა და მის ორეულს ქართულ ფოლკლორში - სანათას შორის. იდეალური ქალის თვისებებს ოსურ ეპოსში სათანა განასახიერებს, რომელიც საზოგადოებაში თავისი როლითა და ფუნქციით ფშაური გადმოცემების სანათას მოგვაგონებს. ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის“ შთაგონების წყარო სწორედ ხალხური სანათა გახდა, რომელიც მთელი ფშავის დედობის პრინციპს განასახიერებს.

სათანას და სანათას ერთმანეთთან არაერთი საერთო ნიშან-თვისება აახლოებთ: ორივე არის ტრადიციული საზოგადოების წევრი და ფოლკლორული ნაწარმოების პერსონაჟი. ორივე მხატვრული სახე გამდიდრებულია მითოლოგიური ელემენტებით. ორივე მათგანს მიეწერება კულტურისა და ცივილიზაციის საწყისების შემოტანა საზოგადოებაში. ხალხური ტექსტები მოგვითხრობენ სათანასა და სანათას განსაკუთრებულ როლზე. ორივე ქალი თემში უდიდესი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობს. ორივეს აქვთ რჩეულობის ნიშნები, სიწმინდე და საკრალურთან წვდომის უნარი.

ოსურ ეპოსში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ის ქალი პერსონაჟები, რომლებიც ნართ გმირებს ცოლად მიჰყვებიან. საცოლის როლი ოსურ ეპოსში, სხვა ფუნქციებთან ერთად, რამდენიმე პერსონაჟს აქვს მორგებული. ამათგან ზებუნებრივ, ღვთაებრივ და, მათ შორის, მაქციობის უნარს ფლობს დონბეთირების ასული ძერასა, ბიცენთების ასული ბიცენონი და მზის ასული აცირუხსი. საცოლეს უმეტესად ნადირობის დროს აღმოაჩენს ხელმოცარული მონადირე. ტრადიციულად ირემს მიჰყავს გმირი გამოქვაბულთან, რომელშიც ხან განძია და ხან მზეთუნახავი.

ოსურ ეპოსში ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციით ჩნდება ბალსაგის მაქცია ასული, რომელსაც კონფლიქტი აქვს სოსლანთან და გადამწყვეტ როლს ასრულებს გმირის დაღუპვაში. ბალსაგის ასული, რომელიც ნადირობისას ჯერ ირმის სახით და შემდეგ უცხო ფრინველად გარდასახული ეცხადება სოსლანს, ნადირთ ღვთაების ყველა ნიშან-თვისებას ატარებს. ამ სახით ქართულ მითებში მონადირეს ტყაში მაფა ან დალი ეცხადება. ისინიც, ბალსაგის ასულის მსგავსად, რჩეულ მონადირეებს სასიყვარულო ურთიერთობას სთავაზობენ და მათ, შესაბამისად, ან სიკეთესა და დიდებას სწევენ, ან დაღუპავენ.

3. წიგნში პირველად გამოქვეყნდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და ქართული კულტურის უდიდესი წარმომადგენლის - წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ-რედაქტირებული უნიკალური ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულის - მარხვანის აკადემიურად დადგენილი ტექსტი XI-XV საუკუნეების შვიდი ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ხელნაწერის მიხედვით. ეს ხელნაწერები ეკუთვნის ქართულ ხელნაწერთა ათონურ, იერუსალიმურ, პარიზულ და ადგილობრივ კოლექციებს.

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი ქართული სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი შეიცავს დიდმარხვის მთელი ლიტურგიისათვის განკუთვნილ მრავალრიცხოვან საგალობლებს, რომლებიც შექმნილია ქრისტიანული ეკლესიისა და კულტურის უდიდესი წარმომადგენლების მიერ. ეს საგალობლები საუკუნეების მანძილზე ითარგმნებოდა ქართულად სხვადასხვა ეკლესია - მონასტრებში. გიორგი მთაწმიდელმა თავი მოუყარა ამ თარგმანებს, რედაქციულად გადაამუშავა, დაუმატა ახალი ჰიმნოგრაფიული მასალა და მარხვანის სრულყოფილი ვერსია შეიმუშავა.

მსგავსი სისრულის კრებული დღეისათვის ცნობილ ბერძნულ ან სხვაენოვან მარხვანებში არ გვხვდება. ამას ემატება გიორგი მთაწმიდელისათის დამახასიათებელი დიდი სიზუსტე საგალობელთა ავტორების მითითებაში. ამ საგალობლების დიდი ნაწილი ბერძნულ მარხვანებში ავტორწაუწერლადაა შესული, ხშირად კი დაკარგულია. დღეისათვის ამ უნიკალური მემკვიდრეობის და მათი ავტორების აღდგენა სწორედ გიორგი მთაწმიდელის მარხვანითაა შესაძლებელი.

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში დაცულია VI-XI საუკუნეების 14 ბიზანტიელი ჰიმნოგრაფის მრავალრიცხოვანი საგალობლები, რაც დიდ ყურადღებას იმსახურებს ბიზანტიური მწერლობის კვლევისათვის.

ამავე კრებულში დაცულია X საუკუნის დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის - იოანე მინჩხის 100-ზე მეტი საგალობელი. მათი უმეტესობა (77 საგალობელი) სწორედ ამ კრებულში გამოვლინდა. ყველა მათგანი ქრისტიანული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს. როგორც ირკვევა, მათ დიდი გავლენა მოახდინეს შემდგომდროინდელი ქართული პოეზიის განვითარებაზე.

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი მოიცავს ორ ტომს - 1333 ნაბეჭდ გვერდს. მარხვანის ტექსტს ერთვის ჩემი გამოკვლევა ქართულ, ინგლისურ ენებზე და საძიებლები.

5.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. თამარ შარაბიძე, „დრამატურგიის ქრესტომათია (I და II ნაწილი)

2. თ. პაიჭაძე ელენე დარიანი მისტიფიკაციური გამოწვევა და მხატვრული იდენტიფიკაცია. კრებული ელენე დარიანის დღიურები -ტექსტი და ავტორი, თსუ, თბილისი
ISBN 978-9941-8-4976-3 (215-234 გვ.). (კრებულის შემდგენელი, წინასიტყვაობის ავტორი და სამეცნიერო რედაქტორი თ. პაიჭაძე)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. წარმოდგენილია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის (50-იანი წლების) ყველა დრამატურგის პიესები, მათი ბიოგრაფიები და შემოქმედების მოკლე ანალიზი, გამოკვლეულია მათი ენობრივი თავისებურებანი და სტილი.

2. „ელენე დარიანის დღიურები“ რომ სრულიად არაორდინალური ლიტერატურული ფენომენი იყო, იმთავითვე რთულად გააცნობიერა მკითხველმა. „ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ ქართველი ქალი ამრიგად დაცემულიყოს და ვეჭვობთ, რომ ის მართლა ელენე იყოს“ - ფაქტობრივად 1916 წლიდანვე გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნებულ ამ და ამგვარ რეზონანსთა ფონზე მიმდინარეობდა „დარიანულების“ დემონსტრირება . თუმცა არცერთი დრო არ ყოფილა დარიანული ციკლისათვის „ხავერდოვანი“, ისევე როგორც მათი ავტორისათვის, რადგან მკითხველისაგანაც, „წითელი და არაწითელი“ ხელისუფლებისაგანაც, ლიტერატურული კრიტიკისაგანაც, პოლიტიკური წრეებისაგანაც, მენტალური, სკანდალური, პერსონიფიცირებული მიმართულების პრეტენზიები არ დალეულა. ამ ფრიად სამწუხარო რეალობას ერთი ახსნა აქვს - ფაქტები, უფრო სწორად მხატვრული სახეების ფოიერვერკები არ იყო ადვილად არც დასაწუნი და არც დასათმობი.

ამ კვლევათა რაკურსი ფრიად მოცულობითია, რეალურად გაიხსნა ყველა საბაზისო ნიშა და განხილულ იქნა თეორიულად შესაძლებელი ყველა თემატური მახასიათებელი საკითხთან დაკავშირებით. სქემატურად ეს კვლევითი და ანალიტიკური მიმართულებები ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. ისტორიული ფაქტების ანალიზი მეტაფიზიკური და დინამიკური არგუმენტებით ა)ისტორიული ფაქტებით და ბ)ლიტერატურული (მემუარულ-ეპისტოლარული) მასალის ბაზაზე
2. მსოფლმხრდველობრივი ანალიზი, რომელიც თავის მხრივ რამდენიმე მიმართულებით განიხილება: ა) ფილოსოფიური ბ)მოდალური
3. ფორმალური ანალიზი, რომელიც თავის მხრივ ასევე რამდენიმე მიმართულებად განიხილება: ა)ფორმალური ბ)მხატვრული გ)სტილური დ)ვერსიფიკაციული

ამ თემატიკათაგან ყველაზე გახმაურებული და ფართოა პირველი, ანუ ისტორიული მასალის ანალიზი, ეს ანლიზი ძირითადად მხატვრული ტექსტების გარე მასალაზეა დაფუძნებული. სწორედ ისტორიულ-ფაქტორივ მასალაზე დაფუძნებულმა დისკურსმა განაპირობა ყველაზე მეტი ურთიერთსაწინააღმდეგო და დასაბუთებულ- დაუსაბუთებელი პოზიციების წარმოჩენა. ფაქტების მიზანმიმართულ აღქმასა და ანალიზთან ერთად ამ თვალსაზრისით ფაქტობრივი შეუსაბამობაც არაერთგზის გამოიკვეთა, (საბაზო მასალა ამ გაუგებრობისათვის გახდა ელენე ბაქრაძის და გიორგი ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი მასალა და დასკვნები).

ამ ცნობილ ტენდენციას დაემატა ბოლო ხანს ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტების ინტერპრეტაციის მცდელობაც. ისტორიული ფაქტების მხატვრულმა ინტერპრეტაციის მცდელობამ რიგ მკვლევართა ანალიტიკური ნარატივი ააცილა მიზანს- ეკვლია და გაეანალიზებინა ლიტერატურული ფაქტი. ზოგადად, ისტორიული ფაქტის მხატვრული ინტერპრეტაციის „უფლება“ მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურას აქვს და შესაბამისად ამ თემაზე არსებული ზოგიერთი ტექსტი მხატვრული კომპონენტით ბიოგრაფიულ რომანად იქცა.

მეორე მხრივ, სახეზეა საკითხის პუბლიცისტურ ფორმატში კვლევა, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებისა თუ პოპულარული ინტერვიუების სახით საკითხის მცდარი და უტილიტარული ფორმებით წარმოჩენის პრეცენდენტადაც არაერთგზის იქცა. (კონკრეტულად ზაალ ანდრონიკაშვილი, ზაზა აბზიანიძე, თამთა მელაშვილი). ფაქტორბრივად, კვლევითი და ფაქტობრივი მასალის ანალიტიკოსთა სია აქ სრულდება, ხოლო პაოლო იაშვილის ავტორობის დამადასტურებელი სამეცნიერო-ლიტერატურულ მკვლევართა სია ბევრად უფრო წარმომადგენლობითია და ეს კვლევები ლიტერატურული ტექსტის ანალიზზეა დაფუძნებული; თავად ტექსტის და მისი მასალის დეკოდირებაზე, როგორც კვლევის გზაზე გამოყენებულ უპირველესი მეთოდზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევათა პირველ კომპონენტზე (1.ისტორიული ფაქტების ანალიზი) დღევანდელი რეალობისთვის ფრიად კონკრეტული და მიზანმიმართული არგუმენტირებული მასალა არსებობს.

აქედან გამომდინარე „დარიანული ციკლის“ კიდევ ერთხელ განხილვისას ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ ლიტმცოდნეობით საარგუმენტო მასალაზე ანუ სად არის ამ მასალათა მართებული არე და რა საბაზო (ბინარული) კომპონენტები გამოიყოფა ფაქტობრივ მასალაში.

ელენე დარიანის პოეტური ციკლის მსოფლმხედველობრივი მოტივაცია, სიმბოლისტური ფორმალური მოდელი ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია ავტორის იდენტიფიკაციისათვის.

თუ უნდა ვაღიაროთ ფაქტი (და უნდა ვაღიაროთ), რომ პაოლო იაშვილი კლასიკური, ვიტყოდით ეტალონური სიმბოლისტური მოდელის მიმდევარი იყო, რაც ჯერ კიდევ მის მიერ დაწერილი პირველი სიმბოლისტური მანიფესტის „პირველთქმის“ ანალიზისას ცნაურდება, მაშინ მისი პოეზიის სატრფიალო თემატიკაშიც ამ მსოფლმხედველობის ფორმალური გაზიარება უნდა ვეძიოთ.

პაოლო იაშვილის სატრფიალო პოეზიის ძირითადი შემეცნებითი და აღქმადი ბინარი ე.წ. სოფიური იდეაა. თუკი მსოფლიო სიმბოლისტური კლასიკაში გაზიარებულ ამ ფილოსოფიურ ტრაქტატს გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადია, ელენე დარიანის დღიურების მსოფლმხედველობრივი ბაზა პაოლო იაშვილის სიმბოლისტურ მემკვიდრეობას ერთ მთლიან და იდენტურ მეთოდოლოგიურ სივრცეში წარმოაჩენს, რომელსაც ქართულ ლიტერატურაში სიმბოლისტური დისკურსის გარდა სხვა პრეცენდენტი არ მოეპოვება. სიმბოლისტურ დისკურში სოფიური მსოფლმხედველობა ვლადიმერ სოლოვიოვის „მარადიული ქალურობის“ კონცეფციას ეფუძნება. სოფია ღვთის სხეულია და აქედან პირველი ხატება ყოველივე სხეულებრივისა, მატერიალურისა. სოფია განსახოვნდება უმშვენიერესი ქალით — ადამიანის სიყვარულის საგნით. ეს სოფიური სიმბოლიკა უნივერსალურია და ყოვლისმომცველი.

მთლიანობის ამგვარ კონცეფციასთან პაოლო იაშვილი აბსტრაქტულ-ლოგიკურ აღქმათა მიუღებლობამ მიიყვანა. ცნობილი ფაქტია ისიც, რომ ნეგატიურად განწყობილმა ე,წ, კოლონიური ხანის (გასული საუკუნის 20-იანი წლები) ლიტერატურულმა კრიტიკამ დარიანულ პოეზიაში „სექსუალური რიაზანოვშჩინა“ „აღმოაჩინა“, რადგან რიაზანოვმა სექსი ყოფიერების ძირითად პრინციპად ცნო და საბოლოო ჯამში ყოვლისმომცველი მთლიანობის სიმაღლეზე აიყვანა, და უარყო მისი მოტივი— სიყვარული. ვერც მაშინდელი სალიტერატურო აზრი ხედავდა „დარიანულ სიყვარულში“ – „სოფიური სიყვარულის“ — ზეციური სიყვარულის კლასიკური ნიმუშს; ძირითადი ნიშნდობრივი კომპონენტით: სატრფო — იდეალი, მისი ზებუნებრივ ანტურაჟში წარმოსახვა, მისი სიახლოვით გამოწვეული ამაღლებული სულიერი განწყობილება... „დარიანული“ ციკლის პოეზიას ამ თვალსაზრისით ერთი მნიშვნელოვანი თვისებაც აქვს — ეროსის კომპლექსი გააშკარავებულია არა როგორც განუსაზღვრელი ლტოლვა სქესისა, არამედ შემოფარგლულია ცოლქმრული ურთიერთობით და გარკვეულწილად ქრისტიანულ ზნეობრივი კანონის ჩარჩოში განიხილება.

დარიანული ლექსები არ იყო ოდენ თვითმიზნური ლიტერატურული თეატრალიზაციის სურვილი, მათი შექმნის მიზეზი პაოლო იაშვილის ბუნტარულ, იმპროვიზატორულ, რომანტიკულ-აქტიორული ბუნებაშიც უნდა ვეძიოთ.

იყო კიდევ ერთი მიზეზი, რომელმაც ამ ფაქტს დაუდო სათავე – ეს იყო მითის შექმნა.მითოლოგიზებამ სატრფიალო ისტორიები მისტერიებად აქცია, რასაც საკრალურობისა და გასიმბოლურებისაკენ სწრაფვაც დაემატა, აქედან კი ფაქტობრივად ერთი ნაბიჯია მისტიკურობის სისტემატიზაციამდე, მისტიფიკაციამდე.

- მიუხედავად იმისა რომ „დარიანულ“ პოეზიას საქართველოში სხვა პრეცედენტი არ ჰქონია, აქაც პაოლო იაშვილის მეთოდოლოგიურმა არჩევანმა იმუშავა: ავტორის მისტიფიკაციის სიმბოლისტური გამოცდილებაც გაიზიარა და ამ თამაშშიც ფრიად მოტივირებული ჩაერთო:
- გენდერულად გააფართოვა ქართული სიმბოლისტური ორდენის წარმომადგენელთა სურათი
- გადაფარა დარიანული ციკლის სავარაუდო პროტოტიპი (ადრესატი).

ლიტერატურათმცონეობითი პოზიციიდან მნიშვნელოვანი კომპონენტია „დარიანული“ ტექსტების ფორმალური კომპონენტები, როგორც ზემოაღნიშნული ერთ-ერთო ძირითადი მიმართულება ავტორის საკითხის ანალიზისას. ამ თვალსაზრისით ანალიტიკური სივრცე ბევრად ფართოა (ა)ფორმალური ბ)მხატვრული გ)სტილური დ)ვერსიფიკაციული) და გასათვალისწინებელია პაოლო იაშვილის სრულ შემოქმედების თუ არა, სიმბოლისტური ეტაპის მხატვრულ მახასიათებლებთან მიმართებაში მაინც.

„დღიურები“ თეორიულადაც და კომპოზიციურადაც ზუსტად მიჰყვება სიმბოლისტური ლირიკული პოეტიკის ჟანრულ და მხატვრული ფორმატს.

ელენე დარიანი სრულყოფილი პერსონაჟია – ქალი, რომელსაც განგებამ განუმეორებელი ბედისწერა არგუნა წილად. ქალი საინტერესო ბიოგრაფიით, საკუთარი გამოკვეთილი შეხედულებებით, ხასიათით, გარე სამყაროსადმი საკუთარი დამოკიდებულებით.

„დღიურები“ არის ამბოხი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დაპირისპირება შაბლონის, უფერულობის, უემოციობის და თუნდაც უფანტაზიობის წინააღმდეგ, ანტითეზა პროვინციული ეტიკეტის, ცუდად ნათამაშები როლის თუ სასაცილოდ შენიღბული გაუბედაობისა. „დღიურები“ წარმოადგენს ლირიკული გმირის უშუალო შთაბეჭდილებათა და განწყობილებათა ანაბეჭდს, მხატვრული აქსესუარით. თოთხმეტივე ლექსის საფუძველი სიყვარული, სიმართლე და განწყობილების უშუალობაა. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ „დღიურების“ მორალური და მსოფლმხედველობრივი იდეალიც. ამდენად, პასუხი კითხვაზე ვინ არის ელენე დარიანის პოეტური ციკლის ავტორი ერთმნიშვნელოვანია და ლოგიკური - ის კვლავდაკვლავ ფაქტობრივ მასალაში ანუ ტექსტში უნდა ვეძიოთ, რაც გულისხმობს ციკლის მეთოდოლოგიური მასალის: პერსონაჟის და ლირიკული გმირის; ამასთან ერთად, მხატვრული ლაბორატორიის და სიმბოლური ბინარების: დროის, მზის, წყლის თუ ფერთა სისტემების შედარებით კვლევას პოეტის სრული სიმბოლისტური თუ არასიმბოლისტური დისკურსის პარალელურად. რათა წარმოჩნდეს „დარიანულებსა“ და ზოგადად პაოლო იაშვილის შემოქმედებაში არსებული საერთო მხატვრული და მეთოდოლოგიური ბაზა, რადგან „ელენე დარიანის დღიურები“ უპირველესად არის ლიტერატურული მასალა და ფაქტი.

5.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ნესტან სულავა,** კავკასიური სივრცე „დავითიანში“ (ნანა გონჯილაშვილის თანაავტორობით) - Filological Researches/**„ფილოლოგიური კვლევები“ (impact factor: 0,591)**. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო, სამეცნიერო რეცენზირებადი ელექტრონული ჟურნალი. #5. 2022. **გვ.102-118. ISSN 2667-9612 გამოქვეყნებული:** 2022-12-13 ვებ-მისამართი: http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ
2. **Maka Elbakidze, Irine Modebadze**.The Concepts and Realities of the Eastern Culture in "The Knight in the Panther's Skin". Proceedings Book of the XXIII Congress of the ICLA, Vol. 23 (2022): Re–Imagining Literatures of The World: Global and Local, Mainstreams and Margins.
3. **თამარ პაიჭაძე.** ქართული ლიტერატურის ქრონოლოგიზაციის საკითხისათვის – მწერლობა ორი ეპოქის ზღვარზე XIX საუკუნე ეპოქათა მიჯნა სამეცნიერო შრომათა კრებული თსუ, თბილისი (135-147 გვ) ISSN 27207862
4. **თამარ პაიჭაძე,** ქართული ლიტერატურა გზაჯვარედინზე: კულტურული გამოწვევები ICLA 2022 შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო კონგრესი კოლონიური რეალობიდან ევროპეიზაციისაკენ (მასალები) (იბეჭდება)
5. **რ. ნიშნიანიძე,** ,,საფრანგეთში გამოქვეყნებული ერთი ლიტერატურული რეცენზიის შესახებ“ VII საერთაშორისო სამეცნიერო (დისტანციური) კონფერენცია ,,ენა და კულტურა“ შრომები ISSN 1987-7323 E-ISSN 2720-7900 ქუთაისი 2022 გვ.248-253 https://journals.4science.ge/index.php.enadakultura https://doi.org/1052340/lac
6. **რ. ნიშნიანიძე, ,,**ლიტერატურული გადაძახილი და არშემდგარი ექო: ზურაბ ქარუმიძის ,,ბაში-აჩუკი ანუ მობი დიკი“ IX საერთაშორისო კონფერენციის მასალები ამერიკისმცოდნეობაში, ISSN 1512-2379 ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022 გვ.128-138
7. **ელგუჯა ხინთიბიძე,** „დიდი სიახლე ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ“, მე-14 ნომერი, თბილისი, „ქართველოლოგი“, 19 გვ.

8. **Lela Khachidze,** Byzantine and Georgian Hymnographical Heritage ("Lenten Triodion" under George the Athonite's Redaction); https://doi.org/10.30958/ajp.X-Y-Z, Athens Journal of Philology – Academic Journals. Volume 9, Issue 2, Athens, June 2022, pp. 1-13.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. „დავითიანი" მრავალმხრივი, მრავალგანზომილებიანი, რთული სტრუქტურის მქონე ნაწარმოებია, რომლის მხატვრული კონცეფციის კვლევა მისი წინამორბედი და თანამედროვე ქართული და უცხოური მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურული ეპოქების მახასიათებელი მხატვრულ-ესთეტიკური შრეებისა და სისტემების, საღვთისმეტყველო ლიტერატურის გათვალისწინებით უნდა წარიმართოს. დავით გურამიშვილის შემოქმედების მთელი სისრულით შესწავლა, ერთი მხრივ, ქართულ და, მეორე მხრივ, ევროპულ ინტერკულტურულ კონტექსტში მოითხოვს დავით გურამიშვილის პოეზიის საფუძვლების მოძიებას სხვადასხვა ცივილიზაციურ სამყაროში, კერძოდ: 1. ქართულ ტრადიციებთან მიმართების დადგენას და 2. დასავლეთევროპული, უკრაინული, პოლონური და რუსული ლიტერატურულ-კულტურული ანალოგიების წარმოჩენას მის შემოქმედებაში, ტიპოლოგიურ მსგავსებათა ისტორიული კონტექსტის განსაზღვრას, თანამედროვე კულტუროლოგიურ პროცესებთან მის დაკავშირებას, რადგან პოეტს სწორედ ამ არეალში მოუხდა ცხოვრების უდიდესი ნაწილის გატარება და ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნა; ეს ისტორიულ-ფილოლოგიური აზროვნების ევროპულ ტრადიციებთან ინტეგრაციის გამოსავლენად მიმართული კვლევის მახასიათებელია. ამ კონტექსტშია მოქცეული დავით გურამიშვილის პოეტურ სამყაროში კავკასიის დროსივრცული არეალი და მისი მხატვრული ღირებულება, რადგან მან, როგორც ქართულ ტრადიციებსა და დასავლურ სამყაროს შორის მოქცეულმა, დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე უდიდესი კვალი დატოვა.

უნდა აღინიშნოს, „დავითიანში" კავკასიის თემა წამყვანი არაა, რადგან დავით გურამიშვილის პოეტური მემკვიდრეობის მიზანი ღმერთის, სამყაროს, ქვეყნის, ადამიანის ადგილის განსაზღვრაა, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი ადამიანს ეთმობა, რაც გურამიშვილის იმ სიტყვებშია გამოხატული, რომლითაც ადამიანის თვითშემეცნების საფუძვლები გაიაზრება. ესაა შემდეგი: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო". ამ ოთხ თეზისშია მოქცეული პოეტის მიერ პირადად განცდილი იძულებითი ყოფნაკავკასიურ სივრცეში. მიუხედავად ამისა, კავკასიურმა სივრცემ გადამწყვეტი როლი შეასრულა დავით გურამიშვილის ცხოვრებაში და ღრმა კვალი გაავლო მის პოეტურ შემოქმედებას. პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული ფონი პოეტს სჭირდება თავისი ქვეყნისა დამოქალაქის სახის უკეთ წარმოსასახავად.ამიტომ რეალურად გვიჩვენებს იმ ვითარებას, რომელშიც მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა. ამ თვალთახედვითაა მნიშვნელოვანი „დავითიანში" გადმოცემული ისტორიული ფაქტები და ისტორიულ-გეოგრაფიული არეალი, რასაც ავტორისეული დროსივრცული აღქმა უდევს საფუძვლად. ამ მოვლენებისა და სივრცის ასახვით დავით გურამიშვილის თხზულება ერთ-ერთ საუკეთესო ისტორიულ წყაროდ გვევლინება იმისტორიულ თხზულებებთან ერთად, რომლებიც ჟანრული თვალსაზრისით მხატვრული არაა და ისტორიულია.

ოსმალთა და სპარსელთა შემოსევების შედეგად ფეოდალური შინააშლილობით დაუძლურებულ საქართველოში შექმნილ უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებას ემატებოდა ლეკთა თარეში. ყოველივე ამან დავით გურამიშვილის ოჯახზე, კერძოდ, მის პირად ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა დამისიცხოვრებატრაგიკულადწარმართა. საბედისწერო აღმოჩნდა მოყვრებთან გახიზვნა ლამისყანაში, საიდანაც გაიტაცეს ლეკებმა დაღესტანში, სოფელ ოსოქოლოში.

კავკასიის მთიან სივრცეში მყოფი დავით გურამიშვილის განცდები, ფიქრები, მძიმე ფიზიკური ყოფა გახდა პოეტისათვის სულიერი მედიტაციის საფუძველი, რაც მის მრავალფეროვან ლირიკულ ნაწარმოებებში გამოვლინდა და რომლებმაც წარმოაჩინეს მისი შინაგანი ბუნება და სულიერი სამყარო. აქ ყალიბდება დავით გურამიშვილის პოეტური „მე", რომლისთვისაც უმთავრესია თვითშემეცნებისა და თვითდამკვიდრების მოტივი. თვითშემეცნების გზაზე მან გამოკვეთა სამყარო-სამშობლო-პიროვნება, საიდანაც პიროვნებამ უნდა გააცნობიეროს საიდან მოდის, ვინ არის, საით მიილტვის. საამისოდ მისი ყურადღება მიმართულია მაცხოვრისადმი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი, რომელთაც მიმართავს

სიმბოლური და ალეგორიული აზროვნების გამომსახველი მხატვრული სისტემით და რომლებიც შეეწევიან დაღესტანში ტყვეობისას, რათა გაექცეს თავს დატეხილ განსაცდელს. სწორედ ამ სულიერ განცდათა და მის საფუძველზე პოეტის მედიტაციურ განსჯის შესახებ გვაქვს საუბარი სტატიაში.

2. სტატიაში განხილულია აღმოსავლური კონცეპტების და რეალიების ასახვა „ვეფხისტყაოსანზე“. ესენია: პროლოგისეული „სპარსული ამბავი“ და მისი მნიშვნელობისა და ფუნქციის ინტერპრეტაცია, ინტერტექსტუალური პარალელები („ვისრამიანი“, „როსტომიანი“, „ლეილი და მაჯნუნი“), აღმოსავლური ლიტერატურის კონცეპტები და რეალიები (რუსთველური სიყვარულის კონცეფცია და აღმოსავლური მიჯნურობა).

3. დღევანდელ ლიტერატურულ დისკუსიებში ადგილი აქვს შეხედულებათა ორხაზოვნებას ლიტერატურის პერიოდიზაციის პრინციპებზე. მაგრამ ყოველი მსჯელობა ამ საკითხებზე იწყება თვით ფაქტის კონსტატაციით, რომ ლიტერატურის ისტორია შეიძლება დაისაზღვროს განსხვავებულ პრინციპთა გათვალისწინებით; ანუ მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის შეფასებისა და ანალიტიკის მეთოდიკა დაექვემდებაროს ისტორიული კუთნილების დებულებას, თუ მოხდეს მისი კლასიფიკაცია საკუთრივ შემოქმედებითი მემკვიდრეობის მხატვრულ-თვისობრივი არსის ნიადაგზე;

არსებობს ორი ხაზი ამ ე.წ. „შეცდომის“ გამოსასწორებლად პირველი, ესაა ლიტერატურის პერიოდიზაციის ახსნა მხოლოდდამხოლოდ თვისებრიობის პრინციპით სხვადასხვა მოდულაციის პრინციპზე დაყრდნობით: ა) ანუ ლიტერატურის დასაზღვრა მოხდეს ფორმალურ-მიმართულებრივი კუთვნილების მიხედვით, მაგალითად: რენესანსის, რომანტიზმის, მოდერნიზმის, რეალიზმის ხანა; ბ) ანდა დასაზღვრა მოხდეს ეპოქის ძირითად წარმომადგენლებზე სწორებით: მაგ. ილიას, რუსთაველის, ბარათაშვილის, გალაკტიონის ხანა.

ცალსახა შეუსაბამობაა მოდულაციის ამ პრინციპებზე დაყრდნობის შემთხვევაში, მაგალითად, რომელი ფორმალურ-მიმართულებრივი მოდულის კუთნილებაა გალაკტიონ ტაბიძე- რენესანსის, რომანტიზმის, მოდერნიზმის, რეალიზმის თუ მისი პოეტური უნივერსალიზმის კვალობაზე ის ყველა მოდულის ჩარჩოში იქნეს შესწავლილი? ამასთან, გარკვეულწილად მოქმედებს პრიორიტეტიზაციის და დაპირისპირებულობის პრინციპი: მაგალითად, რა პერიოდი ვუწოდოთ XIX საუკუნის 60-80 წლებს- ილიას, აკაკის თუ ვაჟასხანა, ან XX საუკუნის 20-30იან წლებს-გალაკტიონის ხანა თუ გამსახურდიას ხანა?!

Mმოდულაციის მეორე პრინციპია წმინდა კალენდარული დასაზღვრა მაგალითად ასეთი: XX საუკუნის ქართული მწერლობა იწყება 1900 წლით... თუ ასე მივუდგებით, მაშინ კვლავ მივდივართ იმ საპოლემიკო საკითხამდე, რომელიც წლების წინ დაიწყო სალიტერატურო კრიტიკაში, როდესაც სადავო გახდა თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის XX საუკუნის დასაწყისის შემოქმედებითი ხუთეული; თუკი ვიხელმძღვანელებთ მხოლოდდამხოლოდ მკაცრი ქრონოლოგიური სუბორდინაციის პრინციპით, მაშინ ბუნებრივია, ამ მწერლების კუთვნილებაზე XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორიასაც შეიძლება გააჩნდეს პრეტენზია, მაგრამ თუკი დასახელებულ მწერალთა შემოქმედებით თავისებურებებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ: ლიტერატურის ისტორიაში ამ მწერალთა მოსვლა ახალი ლიტერატურული მიმართულების მაუწყებელი გახდა. მკაცრი ქრონოლოგიური რეგლამენტაციის პირობებში სახეზეა კიდევ ერთი გაუგებრობა: გაურკვეველი დამოკიდებულება უახალესი (XX საუკუნის) ქართული ლიტერატურის ისტორიის ე.წ. „ზედა ზღვრის“ (XXI საუკუნე) განსაზღვრისას.

დაბოლოს, იმდენად რამდენადაც თვისობრივი თუ ქრონოლოგიური განსაზღვრებისათვის ხშირად ხდება მოშველიება ევროპულ მსოფლიო ლიტმცოდნეობით პრაქტიკაში არსებული მოსაზრებებისა, (ძირითადად თვისობრიობის პრინციპის სასარგებლოდ) კონტრარგუმენტაციისთვის აღვნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ ხელმისაწვდომ ყველა ისტორიულ-ქრესტომატიულ შრომებში ერთმნიშვნელოვნად დაცულია ისტორიული ქრონოლოგიის პრინციპი, თუმცა თვისებრივი დიფერენციაციაც კანონზომიერადაა წარმოდგენილი.

ამდენად, ლიტერატურულ–ისტორიული დასაზღვრულობა გულისხმობს თვისობრიობისა და ქრონოლოგიზმის სინთეზს, ზღვარს, რომელზეც ლიტერატურისმცოდნემ უნდა იაროს მწერლის ეპოქალური და შემოქმედებითი კუთვნილების განსაზღვრისას, რადგან ორივე კომპონენტი: ქრონოლოგიზმიც და თვისებრივობაც თანაბარწილად განსაზღვრავს მწერლის ადგილს ლიტერატურის ისტორია

3. ახალი ისტორიული რეგულაციის გზაზე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი გამოწვევაა კულტურის ინტეგრირება ევროატლანტიკურ კულტურულ სივრცეში. ეს საკითხი ტოტალიტარული

რეჟიმის პოსტპერიოდის სახელმწიფოში განსაკუთრებით აქტუალურია. ამ დროს ახალ ჟანრებს, თემებსა და სახეებს ხელოვნებასა და ლიტერატურაში სპეციალური დატვირთვა აქვთ. თანამედროვე კულტურული პროცესი გარკვეული ფორმების ძიებაშია, რითაც შესაძლებელია იქნებოდა ქართული კულტურის ევროპულ სტანდარტებთან მისადაგება.

სიტყვაში `ევროპა~ რასაკვირველია, არ იგულისხმება ნიველირებული სივრცე, ერთიანი კულტურული ან თუნდაც პოლიტიკური მონოლითი.Eეს არის მრავალფეროვნებათა ერთიანობა, ცხადია, ევროპას აქვს საერთო ისტორიის ძალიან ძლიერი თანაგანცდა, ერთმანეთთან ბევრი გადაკვეთა, არაერთი მოვლენა ყოფილა ევროპის ისტორიაში, რომელიც ეხებოდა არა ერთ კონკრეტულ ქვეყანას, თუმცა არსებობს განსხვავებული ხალხების და მათი ცხოვრების ფრიად აშკარა განცდაც.

F ფაქტია, ცივილიზაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერი მოდელით ჯერ არის კულტურა, ვგულისხმობთ დასავლურ, პროტესტანტულ კულტურას, რომლის ერთ-ერთი ინკარნაციაა მისი სოციალური ასპექტი, ანუ, ჯერ არის კულტურა, და შემდეგ მასზე იგება სახელმწიფოები. საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა ექსტოტალიტარულ სახელმწიფოში, ეს პროცესები საპირისპირო მიმართულებით განვითარდა, დომინირებდა ე. წ. ძალადობრივი მოდელი, რომელიც დასავლური ცივილიზაციის არსს ეწინააღმდეგება, როდესაც ჯერ ვიღებთ სახელმწიფოს და შემდეგ სახელმწიფო ქმნის ახალ კულტურას. ტოტალიტარული ცნობიერება კრძალავდა ფანტასტიკუტურ სანახაობებს, მისტიკურ და საკრალურ პრობლემატიკას, ე.წ. `არამატერიალურ თემატიკას~ ხელოვნების ყოველ მიმართულებაში.

ეს პროცესები ქართულ კულტურაში/ლიტერატურაში თანდათან თანდათან გამოაშკარავდა, რისი მიზეზიც სამ ძირითად ფაქტორში უნდა ვეძიოთ: I-ტოტალიტარიზმისაგან განთავისუფლება; II-ქართული კულტურის ევროპულ პროცესებთან დაახლოების ტრადიცია (XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე), III კრიტიკულ-ანალიტიკური და ესთეტიკურ-დემოკრატიული ნოვაციები ქართულ ლიტერატურაში- ახალი ჟანრები ახალ მხატვრულ რეალობაში.

ამდენად, ქართული კულტურა გზაჯვარედინზეა კულტურული გაცვლის პროცესი კოლონიური ჩარჩოდან ღია, თავისუფალი შემოქმედებითი პროცესისაკენ ჯერ კიდევ აწმყო პროცესშია თავისი მრავალმხრივი გამოვლინებებით.

5. საფრანგეთში გამოქვეყნებული ეს რეცენზია არასოდეს მოხვედრილა ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობის ყურადღების არეალში. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ წერილი გამოქვეყნდა პარიზში და საქართველოში მისი გაცნობის შესაძლებლობა ნაკლებად ჰქონდათ. მიხეილ წულუკიძის ლიტერატურული რეცენზია ,,თამაზიანა“ გამოქვეყნდა გაზ. ,,დამოუკიდებელი საქართველოს“ ფურცლებზე 1934 წელს. განხილულია გრიგოლ რობაქიძის რომანი, რომელიც გერმანიაში, კერძოდ, იენაში გამოიცა 1933 წელს. ქართველი მწერალი, უკვე ემიგრაციაში მყოფი, მოხვდა ,,ახალ“ სამყაროში, შესაბამისად, განსხვავებული ფასეულობების სივრცეში, ,,ახალ“ ენობრივ გარემოში და სხვა ტექსტებთან ერთად აქვეყნებს ლიტერატურულ ტექსტს ანუ, მხატვრული ნაწარმოებით ისტორიულ-პოლიტიკურ სურათს ქმნის. რასაკვირველია, პასუხისმგებლობის ხარისხი მაღალია. ამ შემთხვევაში დროც მნიშვნელოვანია - 30-იანი წლები. რეცენზიაში არაერთი საყურადღებო, თამამიც დაკვირვებაა გამოთქმული პერსონაჟებთან თუ ავტორთან მიმართებით.

6. სტატიაში გაანალიზებულია ქართველი *(აკ. წერეთელი)* და ამერიკელი *(მელვილი ჰ.)* მწერლების ნაწარმოებები. ამასთან პარალელურად, წარმართულია კვლევა ზ. ქარუმიძის ,,ბაში-აჩუკი ანუ მობი დიკი“ მიმართებით. და განხილვის დასკვნა ერთია: ამ პროზაულ ტექსტს არც იდეური და არც მხატვრული თვალსაზრისით ამ კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებთან საერთო არაფერი აქვს.

7. ნაშრომში მიმოხილულია დანიელი ბიზანტინისტის ქ. ჰეგელის სტატია „ეფთვიმე ათონელი ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად მთარგმნელი და მეტაფრასტი?“, რომელიც ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს. მასში შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის ეფთვიმე ათონელის შემოქმედება ბიზანტიური მწერლობის პოზიციიდანაა შეფასებული და ახლებურ ნიუანსებს გამოავლენს ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის. ხინთიბიძის ნაშრომში ჩამოყალიბებულია და დასაბუთებულია ეფთვიმე ათონელის მიერ ბერძნულ ენაზე შექმნილი თხზულების „ვარლაამ და იოასაფის ისტორიის“ პრობლემატიკასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემური საკითხი. კერძოდ, „ვარლაამ და იოასაფის“ ლემაში დასახელებული საბაწმინდელი ბერის - იოანეს ვინაობის დადგენას; ამ თხზულების

შექმნის დათარიღებას და ეფთვიმეს თხზულებათა შესახებ ჩვენამდე მოღწეული მისი მამის - იოანე ათონელის ანდერძის ახლებურ ინტერპრეტირებას.

8. ბერძნულ-ქართული ურთიერთობები შორეულ წარსულში იწყება. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ. ბერძნულიდან ითარგმნა „საღვთო წერილი“ და მთელი სასულიერო მწერლობა. ამავე დროს, შეიქმნა და განვითარდა ძველი ქართული სასულიერო მწერლობა, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია გიორგი ათონელის შემოქმედებაში. ამ დიდი საეკლესიო მოღვაწის მრავალრიცხოვანი თარგმანების დიდი ნაწილი შეიქმნა საბერძნეთში, ათონის მთაზე. იგი წმინდანადაა შერაცხილი ქართული და ბერძნული ეკლესიების მიერ.

ქართულმა მარხვანმა, ისევე როგორც ყველა სხვა საღვთისმსახურო წიგნმა, განვითარების მწვერვალს მიაღწია ქართული ეკლესიისა და კულტურის ამ უდიდესი წარმომადგენლის მოღვაწეობით. ჩვენამდე მოღწეულია წმ. გიორგი ათონელის რედაქციის მრავალრიცხოვანი მარხვანები ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა კოლექციიდან. მათი შესწავლის საფუძველზე გამოიყო ხელნაწერთა ერთი ჯგუფი - 7 ყველაზე სანდო ხელნაწერი, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ კრებულის კვლევისა და აღდგენისათვის.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ეს კრებული სრული, საბოლოო სახით შედგენილი უნდა იყოს შავ მთაზე, 1056-1059 წლებში.

როგორც ირკვევა, გიორგი მთაწმიდელი მასალას კრებს მისი თანამედროვე ბიზანტიური კრებულებიდან - ყველა წყაროდან. გიორგი ათონელი ცდილობს, მთელი სისრულით გააცნოს მკითხველს მისი თანამედროვე და წინადროინდელი ბიზანტიური ლიტურგიკული პრაქტიკა. ამის საფუძველს მას აძლევდა ქართული და ბიზანტიური მწერლობის ზედმიწევნით ცოდნა.

მსგავსი სისრულის კრებული ბერძნული მარხვანის არსებულ პუბლიკაციებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილ ბერძნულ და სხვაენოვან ხელნაწერებში არ გვხვდება.

მარხვანების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა ადასტურებს გიორგი ათონელის სიტყვებს: „ჭეშმარიტად სწორი ამისი არცა ბერძენთა თანაღა იპოვების, არცა ქართველთა...“

დღეისათვის ცნობილ ბერძნულ-სლავურ მარხვანებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ კრებულებთან შედარებით, აქ ავტორი აქვს მითითებული საგალობლების დიდ ნაწილს. კვლევამ ცხადყო, გიორგი მთაწმიდელი ხშირად უთითებს კომპილაციური საგალობლების ცალკეული ნაწილების ავტორებსაც კი. მის მიერ ამ მხრივ ჩატარებული სამუშაო აგრეთვე დიდმნიშვნელობას იძენს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის კვლევისათვის, რადგან ბერძნული და სლავური მარხვანების არსებულ გამოცემებში, ჩვეულებრივ, დაკარგულია მათი კომპილაციურობის გაგება. თავის დროზე რამდენიმე ავტორისკომპილაციით შედგენილი საგალობლები ახლა ძირითადად რომელიმე ავტორს მიეწერება, ავტორწაუწერელი ან დაკარგულია.

5.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ნესტან სულავა, მეფის ბიბლიური მოდელი და სულხან-საბა ორბელიანი, კრებ.: იოსებ ალიმბარაშვილი - 60. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი, 2022. ISBN 978-9941-8-4224-5 გვ. 255-271.
2. ნესტან სულავა, სულხან-საბა ორბელიანის ერთი იგავის მიმართებისათვის ნიზამი განჯელის ლექსთან, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ISSN 1987-7323. VII საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“. შ რ ო მ ე ბ ი. ქუთაისი. 2022. Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences. Akaki Tsereteli State University. VII International Online Scientific Conference "Language and Culture". Scientific Papers. Kutaisi.
3. ნესტან სულავა, ექვთიმე თაყაიშვილი და „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები. კრებ.: რუსთველოლოგია, # 8-9. 2021-2022. გვ. 125-158.
4. ნესტან სულავა, ქართველი ერის კრებსითი სახის ინტერპრეტაციისათვის, „არავი“, 28, 2022. ISSN 2346 -836X გვ. 3-29.

5. ნესტან სულაცა, ის ეკუთვნის „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ფრაზა: „ბრძნად მეტყუელებაჲ ვეცხლი არს წმიდა, ხოლო დუმილი ოქროჲ რჩეული“. მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. # 27. თბილისი. 2021. ISSN 0234-7385 („მრავალთავი“). გვ.250-270. (გამოქვეყნდა 2022 წლის ნოემბერში).
6. ნესტან სულავა, ეპისტოლეები ქართულ ჰაგიოგრაფიაში (სამოელ კათალიკოსისა და იოვანე საბანის ძის მიმოწერა, „წმ. კონსტანტი კახის წამება“, გიორგი მერჩულე), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები. XVIII, 2022. გვ. 95-119.
7. ნესტან სულავა, Тбел Абусерис дзе. Православная Энциклопедия. Т. LXVII. Москва. 2022. გვ. 359-361.
8. ნესტან სულავა, Гимнографическое наследие царицы Тамар. Православная Энциклопедия. Т. LXVII. Москва. 2022. გვ.547-552.
9. ლადო მინაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც დრამატურგი (დრამა „არსენას“ მიხედვით) „მწიგნობარი“, 2022, #42, ISSN 2587-5469, გვ. 188-212.
10. ლადო მინაშვილი, ილია ჭავჭავაძის პროზაულ თხზულებებზე შემოქმედებითი მუშაობის თავისებურებები, 2022, #42, ISSN 2587-5469, გვ. 12-17.
11. ეკა ვარდოშვილი ინოვაციური ხედვები ქართულ და ევროპულ პოეზიაში, ინოვაციები XXI სა¬უკუნის ქარ¬თულ ლიტერატურათმცოდნეობაში, III, ინოვაციების საერთაშო¬რი¬¬¬სო ფესტივა-ლის ყოველ¬წლი¬ური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, შრო¬მა¬თა კრებული (2019 წლის 26-27 სექ¬ტემბერი), ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნი¬ვერსი¬ტე¬ტის გამომ¬ცემ-ლობა, თბილისი, 2022, ISSN 2720-8397, გვ. 49-55.
12. თამარ შარაბიძე, სიკვდილ-სიცოცხლის კონცეპტი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, კრებული „ვაჟა-ფშაველა 160 _ თამანედროვე ინტერპრეტაციათა ცდანი“, # 3, თსუ გამომცემლობა, გვ.200. 2022, ISBN 978-9941-13-675-7
13. ლევან ბებურიშვილი, ლირიკის აპოლოგია (გალაკტიონის პოეტური ტრაქტატი „საუბარი ლირიკის შესახებ“), გალაკტიონოლოგია, IX, ISBN 978-9941-491-83, 2022, გვ. 188-212.
14. ლევან ბებურიშვილი, გალაკტიონი და 40-იანი წლების იდეოლოგიური კრიტიკა, გალაკტიონოლოგია, IX, ISBN 978-9941-491-83, 2022, გვ. 267-281.
15. ლევან ბებურიშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი „ლიტერატურული ძიებანი“, 2022, XLII, ISSN 0235-3776, გვ. 70-76.
16. თ, პაიჭაძე პროტესტი, როგორც ტექსტი - ავანგარდისტული წარმოდგენით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის –შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე – მასალათა კრებული (იბეჭდება) ბსუ, ბათუმი 2022

17. თ. პაიჭაძე სიყვარულის პლატონური კონცეფცია და სიმბოლისტური პარადიგმები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“ მოხსენებათა კრებული, ბსუ, ბათუმი (იბეჭდება).
18. **რ. ნიშნიანიძე** ,,გრიგოლ რობაქიძე - იდუმალი კავშირი სამშობლოსთან“ ; ჟურნ. ,,ბედნიერი ოჯახი“#14 (18) ივნისი, 2022 ISSN 2449-3090 თბილისი, საქ. საპატრ. გამომც. გვ.58-61
19. **რ. ნიშნიანიძე** ,,წინათქმა“ წიგნი,,გიორგი გამყრელიძე წერილები არქივიდან“ ISBN 978-9941-9595-8-5 თბილისი ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა 2022 გვ.5-9
20. **რ. ნიშნიანიძე** ,,ლიტერატურული კონტრასტები სამანს აქეთ და სამანს იქით“ კრებული ,,აკადემიკოს გურამ შარაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომები - ორი საუკუნის გზასაყარზე“ თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022 გვ.83-93
21. **რ. ნიშნიანიძე** ,,წმინდა გიორგი - მებრძოლი ქრისტიანობის ხატი“ ჟურნ. ,,ბედნიერი ოჯახი“ №15 (19) ოქტომბერი, ISSN 2449-3090 თბილისი, საქ. საპატრ. გამომც. 2022 გვ.30-35
22. ქართული მოტივები ოსურ ლიტერატურაში, VII საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები, მასალები, 2022. გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ. 195-202; კოდი: ISBN 978-9941-33-109-1, ბეჭდური სახით.

23. **ელგუჯა ხინთიბიძე,** „ქართული რეალიები „ვარლაამ და იოასაფის ისტორიის“ ბერძნული თხზულების შესავალში“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ენისა, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია),#1, ISSN 2720-8443, თბ. „მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 25 გვ.
24. ე.ხინთიბიძე, *ვეფხისტყაოსნის გზა ინგლისურ დრამატურგიამდე (უცნობი საისტორიო წყაროები),* „ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმოცნეობაში“, III, თსუ გამომცემლობა, 2022, ISSN 2720-8397, 14 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში მეფის ხატ-სახის ჰიპოდიგმურ-პარადიგმული გააზრება სიუჟეტის განვითარების უმთავრეს ფაქტორად ისახება. სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით, მეფისა და ტახტის მემკვიდრის გასააზრებლად განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სულხან-საბა-ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომელშიც მეფისა და ტახტის მემკვიდრის სახე გაიაზრება, როგორც სიუჟეტის განმსაზღვრელი ფაქტორი.

ძველ ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით, მეფისა და ტახტის მემკვიდრის ჰიპოდიგმურ-პარადიგმულად გასააზრებლად განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რამდენიმე განსხვავებული ჟანრის თხზულება: „სიბრძნე ბალაჰვარისა“, შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ და სულხან-საბა-ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომელთა სიუჟეტური ჩარჩოს საწყისი ეტაპი ერთმანეთის მსგავს ქარგაზეა აგებული. თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ეპოქაში შეიქმნა. „სიბრძნე ბალაჰვარისა“ ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავს გადმოგვცემს, ფაქტობრივად, იგი ბუდას ცხოვრების ქრისტიანიზებული ვერსიაა, შოთა რუსთველის პოემა მეფის ინსტიტუტის მხატვრული წარმოსახვისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების თვალთახედვით ეპოქალურ სიახლეს ამკვიდრებს არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში, ხოლო სულხან-საბა-ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, საღვთისმეტყველო საზრისთან ერთად, ზნეობრივი აღმზრდელობით-პედაგოგიური ფუნქციის მატარებელი ნაწარმოებია და განმანათლებლური იდეების დამკვიდრებას გვთავაზობს. მეფისა და ტახტის მემკვიდრის ჰიპოდიგმურ-პარადიგმული გააზრება, როგორც სიუჟეტის განმსაზღვრელი ფაქტორი, ძველი ქართული ლიტერატურის სწორედ ამ სამი, ჟანრობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული თხზულების, განხილვის საფუძველზე მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა.

განხილვის საგანია მეფის ბიბლიური მოდელის მხატვრული წარმოსახვისა და სინამდვილის ურთიერთმიმართებათა შესახებ მსჯელობა სულხან-საბა ორბელიანის თხზულების „სიბრძნე სიცრუისას“ მიხედვით.

საბას თხზულების უმთავრესი განსახილველი საკითხი მეფის იდეალური სახის ჩამოყალიბებაა, მეფის ხატ-სახის შექმნაა, როგორი უნდა იყოს მეფე, რომ მან უკეთ უპატრონოს სახელმწიფოს და ერს. ამის სათავე მეფის ბიბლიურ მოდელშია საძიებელი, ხოლო მეფის ბიბლიური მოდელი ძირითადად მეფეთა წიგნებშია ჩამოყალიბებული. ებრაელთა პირველი მეფიდან, საულიდან და მეორე მეფიდან, დავით წინასწარმეტყველიდან მოყოლებული, მეფის ორი ტიპია გასააზრებელი: 1. კეთილი, ქველმოქმედი მეფისა, რომლის პროტოტიპად ბიბლიური დავით წინასწარმეტყველი მოიაზრება, და 2. უკეთური მეფისა, რომელმაც საღვთო გზას გადაუხვია (II რჯ. 17, 19), რაც „სიბრძნე სიცრუისაში“ იგავებში წარმოჩენილ მეფეთა სახეებშია ასახული. ბიბლიური სწავლებით, მეფე სახელმწიფოს მთლიანობის, ერთიანობის სახე-სიმბოლოა, საფუძველია, ეროვნული ცნობიერების დვრიტაა, სათავეა. მეფის ბიბლიური მოდელი, უწინარეს ყოვლისა, დავით წინასწარმეტყველის პიროვნებაშია ჰიპოდიგმურად განსახოვნებული და ყოველმხრივ შემკულ, ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებას გულისხმობს. დავით წინასწარმეტყველი ქართველ ქრისტიან მეფეთა წინასახედ მოიაზრება და მისი ჰიპოდიგმური სახე, როგორც ნიმუშისა, ბაგრატიონთა მთელ დინასტიას გასდევს. მეფის მსოფლმხედველობა, ზნეობრივი სახე სახელმწიფოს ხატ-სახეა, ყოველი მოქალაქისათვის მისაბაძია, იგი ერის რაობასა და სულიერ-ზნეობრივ ხატ-სახეს განსაზღვრავს. მეფემ ადამიანურ სისუსტეებს უნდა სძლიოს, მასზე მაღლა უნდა დადგეს, რათა ერის წინაშე პირმართლად წარდგეს და ცოდვათაგან თავისუფალმა ღვთისაგან რწმუნებული ქვეყანა ღირსეულად მართოს. მეფე ღვთის რჩეულია, რომელმაც ღვთისაგან მინდობილი ქვეყნისა და ერისათვის თვისისა უნდა დადვას თავი თვისი.

სულხან-საბა ორბელიანმა ჩამოაყალიბა მეფეთა და ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათა კოდექსი, რომელსაც სამართლიანი, ჰარმონიული სახელმწიფოს მართვისა და არსებობის წესი და რიგი ეფუძნება. ავტორმა იგი განსაზღვრა, როგორც „საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი“.

„სიბრძნე სიცრუისას“ ტახტის მემკვიდრის დაბადების, აღზრდისა და მისი შედეგის კვალობაზე სიუჟეტის განვითარებაში ნათლად დავინახავთ წინარელიტერატურული ტრადიციებისაგან სულხან-საბა ორბელიანის განსხვავებულ მიდგომასა და შეფასებას. ფინეზ მეფემ მეფისწულს ლეონის სახით გონიერი აღმზრდელი მიუჩინა. უფლისწულის ცალკე სასახლეში აღზრდას თავისი მიზანდასახულობა ჰქონდა, აღმზრდელი სამეფო კარის ზედამხედველობისაგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, უფლისწულის აღზრდისას საშუალება ჰქონოდა, ისე მოქცეულიყო, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა. ლეონი აღმოჩნდა იმგვარი აღმზრდელი, რომელმაც მეფისწულს თავისი სახელმწიფოს, თავისი ხალხის გასაჭირის შეცნობა ასწავლა; მისი მეთოდი განსაკუთრებით მკაცრი იყო, რადგან, ლეონის აზრით, მომავალმა მეფემ უნდა იგრძნოს ტკივილიც და შვებაც, უნდა გაიზიაროს თავისი ხალხის, თავისი ქვეშევრდომების ჭირიც და ლხინიც.

სტატიაში მსჯელობა გაშლილია სწორედ ამ ფუნდამენტურ საკითხებზე, რომელთა მიხედვით შეიძლება სულხან-საბა ორბელიანის თხზულების სიუჟეტის, ამბის განვითარების, ცალკეული იგავის მიზანდასახულობა სრულყოფილად წარმოჩნდეს.

2. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ აგებულია მრავლისმეტყველ სიუჟეტურ ქარგაზე, რომლის განსახორციელებლად პაექრობა პერსონაჟთა შორის მცირე ფორმის ალეგორიულ თხზულებათა საშუალებით, კერძოდ იგავ-არაკების საშუალებით იმართება. თხზულებაში მეფისა და ტახტის მემკვიდრის სახე გაიაზრება, როგორც სიუჟეტის წარმმართველი ფენომენისა, ხოლო მეფის კონცეფციის ასახვა მეფის ხატ-სახის ბიბლიურ საფუძველს ემყარება. მეფისა და მეფისწულის სახის გამოკვეთას თან ახლავს სხვა პერსონაჟთა სახეების ჩვენებაც, რომელთაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავიანთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. მათ შორის განსაკუთრებულია მეფის უპირველესი ქვეშევრდომის, ვაზირის როლი და ადგილი, რაც ასახულია როგორც სიუჟეტურ ქარგაში, ისე არაკებსა და იგავებში.

განხილვის საგანია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“ ჩართული ლეონის მიერ მოთხრობილი არაკი „უსამართლო შირვანშაჰი“. იგი მეფისა და ვაზირის ურთიერთობის, ვაზირის როლის, მისი გამჭრიახობის შესახებ გვესაუბრება; მას პარალელი ეძებნება ნიზამი განჯელის შემოქმედებაში მისი ერთი უსათაურო ლექსის სახით. ტექსტების გაცნობა და შედარება ნათლად მოწმობს, რომ სულხან-საბა ორბელიანის `სიბრძნე სიცრუისაში~ ჩართული ლეონის მოთხრობილი არაკი „უსამართლო შირვანშაჰი“ სიუჟეტურად ნიზამის ლექსთან პარალელს პოულობს და შეინიშნება მსგავსება, მაგრამ სხვაობაც დიდია მათ შორის. ორივეგან პერსონაჟები მეფე, ვაზირი და მოჩივარი კაცი არიან, რომელთა მხატვრული სახეები მრავლისმეტყველია, ორივეგან მეფის უსამართლობაზეა ყურადღება გამახვილებული და მწერლის სათქმელი შეფარვით, ალეგორიულადაა გამოხატული ვაზირის პირით, მეფის უსამართლობა ირიბადაა მხილებული. მასში დასმული პრობლემა, მეფის სახის ჩვენება თავისი ავ-კარგით, მარადიული პრობლემაა, რადგან ქვეყნის პირველი პირი უნდა იყოს სამართლიანი, კეთილი, მოწყალე ბუნებისა, ხოლო მეფის ქვეშევრდომი, ამ შემთხვევაში - ვაზირი, ფრთხილი და წინდახედული, მისი ყოველი ნაბიჯი - მოზომილი და მოფიქრებული.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“ ჩართული ლეონის მიერ მოთხრობილი ერთი არაკის განხილვამ, რომლის სახელწოდებაა „უსამართლო შირვანშაჰი“, გვიჩვენა მეფისა და ვაზირის ურთიერთობა, ვაზირის როლი, მისი გამჭრიახობა, მეფის სულიერი ზრდა, მოჩივარი კაცის გონიერება. არაკის პარალელად ნიზამი განჯელის ერთი უსათაურო ლექსის განხილვა მას სულხან-საბა ორბელიანის სავარაუდო წყაროდ მოგვაზრებინებს, მაგრამ მათ შორის არსებული დიდი სხვაობაც უნდა აღინიშნოს. ლეონის მოთხრობილი არაკი აჩვენებს ვაზირის მიერ მეფის მხილებას, ვაზირის სიბრძნის აუცილებლობას, რომელზეც მეფის ავტორიტეტი, სახელი, სიკეთე დიდადაა დამოკიდებული. თხზულების უმთავრეს საკითხად სამეფო წვრთნა და აღზრდაა მიჩნეული, რადგან მომავალმა მეფემ სახელმწიფო და ერი ღვთის ნებით ღვთაებრივი სამართლით უნდა მართოს და მისი პატრონობის გარანტი უნდა იყოს. ლეონი სწორედ ამ პრინციპებით ზრდიდა მეფისწულს და ეს არაკიც ფინეზ მეფის წინაშე თავისი სწავლების მეთოდის გასამართლებლად და მეფის სახის საჩვენებლად დასჭირდა. თითქმის ერთნაირი სიუჟეტის მქონე ამ ორ ალეგორიულ ტექსტზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ქართველი მწერალი სიღრმისეულად განიხილავს არაკში ასახულ სიბრძნეს, ჩანს მეფის სულიერი განვითარება, ხოლო მისგან განსხვავებულია ნიზამის ლექსი, რომელიც, მართალია, სიბრძნეს შეიცავს,

მაგრამ ადამიანის სულიერი განვითარების მოწმედ არ გვხდის და არც მოჩივარი კაცის სახეს აჩვენებს. თუ სულხან-საბა ორბელიანი იცნობდა ნიზამის ლექსს, შესაძლოა, მისი სიუჟეტის ქარგა გამოიყენა, მაგრამ ქართველმა მწერალმა მას სიუჟეტური სიძაფრე შესძინა, ადამიანის სულიერი გარდასახვის სიღრმე წარმოაჩინა, თავისი მხატვრული მიზანდასახულების შესაბამისად მეფის სულიერი განვითარებისა და ზრდის მხატვრული ფუნქცია დააკისრა.

3. „არავმა“ თანამედროვე საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება ასახა, შეეხმიანა ჩვენი ქვეყნის სატკივარს, ადამიანის არსისა და დანიშნულების პრობლემას, სამყაროში ქართველი ერისა და გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანეს ადგილას მდებარე საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილი ადგილის დამკვიდრების ურთულეს პროცესს. როგორც ეს მცირე განხილვაც მოწმობს, ჟურნალმა თავისი ადგილი დაიმკვიდრა, რადგან მასში გამოქვეყნებული თხზულებები, უმეტესობა მაინც, ქართული ლიტერატურის ისტორიის კუთვნილება გახდება და მხოლოდ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში არ ჩარჩება. სტატიაში განხილულია ჟურნალის ბოლო ნომრებშ დაბეჭდილი პროზაული თხზულებები: რევაზ მიშველაძის ნოველა „ქართული კინოს მამა“; ნათელა მელიქიძის ნოველები და ჩანახატები; ჯუმა ჯ’უმათელის ნოველა მეტაფორული სათაურით „ნერგები“; ვასილ ბერიძის ნოველები „ჩემი ოქროს საათი“, „მეწაღე გრიშა“ „ორი აღდგომა და გიჟი თაზო“; ნატო გაბარაშვილის ნოველა „გზა“; სოლომონ ნერგაძის მოთხრობა „იუნონა“; ზელიმხან მაღრაძის მოთხრობა „სამცხის გოდება“ („არავი“, #25), რომელიც სარჩევში სხვა სახელწოდებითაა დასათაურებული, - „დედის განაჩენი“; გიორგი სოსიაშვილის ნოველა „ბოთე“.

4. ექვთიმე თაყაიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის `ვეფხისტყაოსნის~ ტექსტის შესწავლაში; მან აღწერა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში დაცული `ვეფხისტყაოსნის~ ხელნაწერები, აგრეთვე, სხვა ფონდების რამდენიმე ხელნაწერი, შეისწავლა მათი წარმომავლობა, ისტორია, შედგენილობა, ორთოგრაფია, იკითხვისები. სხვადასხვა თვალსაზრისით იკვლია რუსთველის პოემა, ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური და ფილოლოგიური 154 კუთხით გამოავლინა `ვეფხისტყაოსნის~ ხელნაწერებისა და 1712 წლის ვახტანგ მეექვსისეული პირველი გამოცემის მეცნიერული ღირებულება, განსაზღვრა მათი მნიშვნელობა რუსთველოლოგიის განვითარებისათვის. ამ კოდიკოლოგიურ-ფილოლოგიური კვლევის თანამდევი ყოველთვის იყო კონცეპტუალურ რუსთველოლოგიურ პრობლემებზე მსჯელობა. ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობებიდან ზოგიერთი სამეცნიერო შრომის ტოლფასია და განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავისი ღირებულების გამო; ე. თაყაიშვილი ძალიან კარგი მთხრობელია და საინტერესოდ გვიამბობს 1646 წლის მამუკა თავაქალაშვილისეული, წერეთლისეული, გიორგი მეფისეული და ელენე თარხან-მოურავისეული ხელნაწერების ისტორიას. აღწერილობების შედგენამ მას ცალკეული რუსთველოლოგიური საკითხის განზოგადების საშუალება მისცა. ხელნაწერთა აღწერილობის დასრულების შემდეგ კი მან შეაჯამა კვლევისა და აღწერილობის შედეგები, განსაზღვრა ხელნაწერთა რაობა და გამოყო ჯგუფები რედაქციების მიხედვით, რაც რუსთველოლოგიური მეცნიერებისათვის უაღრესად ფასეული იყო, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ამ დარგის განვითარების ისტორიაში. განსაკუთრებით ფასეული იყო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ე.წ. არტანუჯული ხელნაწერის რაობის გარკვევა. პეტრე ლარაძის მიერ 1827 წელს გადაწერილ ხელნაწერზე დართული მინაწერების მიხედვით, მის წყაროდ, დედნად არტანუჯული ვარიანტი იყო მიჩნეული და აღნიშნული, რომ იგი უძველესი ხელნაწერიდან მომდინარეობდა. ე. თაყაიშვილმა შენიშნა, რომ `ვეფხისტყაოსნის~ ე. წ. არტანუჯული რედაქცია საერთოდ არ არსებობდა და მისი ხსენება მისტიფიცირებულია. მისი ეს შეხედულება შემდგომში სამეცნიერო ლიტერატურაში წარმართულმა კვლევებმა კიდევ უფრო განამტკიცა (ალ. სარაჯიშვილი, ა. შანიძე, ს. ცაიშვილი, მ. კარბელაშვილი). ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანია წერეთლისეული ხელნაწერის თაობაზე ე. თაყაიშვილის მიერ ჩატარებული კოდიკოლოგიური კვლევები. მანვე აღწერილობების შედგენისას ყურადღება გაამახვილა ზოგიერთ ხელნაწერზე სათაურად გამოტანილ ფრაზაზე: `ამა ჰამბავსა დასაწყისი. პირველ ამო და სასმენელად მშვენიერი 155 სწავლისათჳს მოშაირეთასა, რომელნიცა უხმობენ ტარიელ და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით~. ექვთიმე თაყაიშვილმა დიდი ღვაწლი გასწია რუსთველოლოგიაში და მის სახელს მრავალი კოდიკოლოგიურ-ფილოლოგიური მნიშვნელოვანი საკითხი უკავშირდება.

5. სტატიის მიზანია გარკვევა საკითხისა, თუ ვის ეკუთვნის გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ დასაწყისის ფრაზა: „ბრძნად მეტყველებაჲ ვეცხლი არს წმიდაჲ, ხოლო

დუმილი - ოქროჲ რჩეული“, რომელსაც მოსდევს სოლომონ წინასწარმეტყველის ხსენება და შემდეგ მისი ციტატის დამოწმება, რის გამოც სამეცნიერო ლიტერატურაში ზემოთ დამოწმებული სიტყვებიც, რომლებიც სოლომონის ხსენებას წინ უსწრებს, 1963/1964 წლის მეცნიერულ გამოცემაში ბრჭყალებში ჩასმული ბიბლიურ ციტატად გაიაზრება, მაგრამ უშუალო წყარო სქოლიოში არ მიეთითება და მხოლოდ კითხვის ნიშანია დასმული, რადგან ეს მოსაზრება არ გვხვდება სოლომონის იგავთა წიგნში. მისი წყარო სოლომონის წიგნები არ არის, მასში ეს ციტატა მუხლის სახით არ გვხვდება, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგადად აღნიშნულია, მაგრამ საგანგებო კვლევის საგანი არ ყოფილა. 2004 წელს ედიშერ ჭელიძემ თავის გამოცემაში ხსენებული ფრაზა, სამართლიანად, სოლომონისად არ მიიჩნია, არც ბრჭყალებში ჩაუსვამს და აღნიშნა, რომ მითითება, „ვითარცა თქვა სოლომონ“ მიემართება არა წინამორბედ სიტყვებს, არამედ მომდევნოს, რომელიც იგავთა წიგნიდანაა დამოწმებული: „სიბრძნეჲ მათი გამოსავალთა ზედა იქებინ“ (იგ. 1, 20). ამ საკითხის გასარკვევად საჭირო გახდა ამ ეპიზოდის კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი და ლიტერატურული ანალიზი.

გიორგი მერჩულის თხზულების დასაწყისში აღძრულია რამდენიმე საკითხი: 1. სიბრძნე ღმრთისაგან ეძლევა ღირს ადამიანს, ღმერთი აღავსებს მას სიბრძნით; 2. სრული ბრძენისაგან ღმერთი ითხოვს მოშიშებით სიბრძნისმეტყველებას, ხოლო სულელთაგან - დუმილით ბრძენთა მოსმენას, რაც სახედველი სასმენელით აღქმასაც გულისხმობს და, შეძლებისამებრ, გულის სასმენელით აღქმასაც. მაგრამ ამ სიბრძნეს ყველა ვერ აღიქვამს, ყველა ვერ შეიცნობს, რადგან ბრძნადმეტყველება წმინდა ვერცხლია, ხოლო დუმილი - ოქრო რჩეული; ე.ი. განსახილველ ფრაზას თავისი კონტექსტი აქვს; 3. გიორგი მერჩულე ნამდვილად იმოწმებს სოლომონ წინასწარმეტყველის სიტყვებს დუმილის ღირებულების შესახებ, ოღონდ არა ზემოხსენებულ ფრაზას. ესაა შემდეგი წინადადება: „რამეთუ რაჟამს ბრძენთა დუმილი ჰმატს“, მაშინ „სიბრძნეჲ მათი გამოსავალთა ზედა იქებინ“ (იგ. სოლ. 1, 20)“; აქ დამოწმებული ფრაზა სოლომონის იგავთა წიგნიდანაა. ამიტომ ჩნდება კითხვა, რამდენად სწორად არის აქცენტები დასმული „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ტექსტის გამართვისას? ფრაზა „ბრძნად მეტყველებაჲ ვეცხლი არს წმიდაჲ, ხოლო დუმილი - ოქროჲ რჩეული“, რომელიც გამოცემებში ბრჭყალებშია მოქცეული, არის თუ არა მართლაც ბიბლიური ციტატა და ეკუთვნის თუ არა იგი სოლომონს, ან ვის ეკუთვნის? 2004 წელს ედიშერ ჭელიძემ ტექსტოლოგიურად იკვლია გიორგი მერჩულის თხზულება და აღნიშნა, რომ მითითება, თხზულების ფრაზა „ვითარცა თქვა სოლომონ“ მიემართება არა წინამორბედ სიტყვებს, არამედ მომდევნოს, რომელიც იგავთა წიგნიდანაა დამოწმებული. ეს მოსაზრება მართებული და გასაზიარებელია.

კვლევამ აჩვენა, რომ ზემოხსენებული წინადადება ავტორისეული, გიორგი მერჩულისეულია, ხოლო მომდევნო წინადადებაში სოლომონია ნახსენები და ნამდვილად არის დამოწმებული იგავთა წიგნიდან ერთი მუხლი. გიორგი მერჩულე საკითხზე მსჯელობას აგრძელებს, ხოლო სოლომონის სიტყვები თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად სჭირდება. გიორგი მერჩულის სიტყვები უნდა იყოს ბიბლიური სიტყვებით შთაგონებული (და არა ციტირებული!), მაგრამ არა მხოლოდ იგავთა წიგნის ზემოხსენებული სიტყვებით (იგ. 10: 19-21; 11: 13), არამედ ეკლესიასტეს საყოველთაოდ ცნობილი სიტყვებითაც: „ჟამი არს დუმილისაჲ და ჟამი მეტყუელებისაჲ“ (ეკლ. 3: 1, 7).

გასათვალისწინებელია თხზულების დაწერის თარიღი. ესაა 951 წელი. თხზულების რედაქტირება ეკუთვნის გიორგი მერჩულის უმცროს თანამედროვეს, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავს, რაც ირიბად მიუთითებს გიორგი მერჩულის გარდაცვალებაზე თხზულების დაწერიდან მოკლე ხანში, რადგან რაც შესასწორებელი და დასამატებელი იქნებოდა, თავადვე დაამატებდა. რატომ არ დაწერა ეს თხზულება უფრო ადრე გიორგი მერჩულემ და შექმნა იგი გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე? ამაზე პასუხი მისსავე თხზულებაშია. იგი ფიქრობდა, რომ წმ. გრიგოლ ხანცთელის ღვაწლის აღწერას შეუდგებოდნენ ისეთი სახელგანთქმული მწერლები და ცნობილი პირები, როგორებიც იყვნენ სოფრონ შატბერდელი, გიორგი მაწყვერელი, ილარიონ პარეხელი, სტეფანე მტბევარი, მაგრამ ისინი ისე გადაეგნენ, რომ არ აღუწერიათ წმ. გრიგოლისა და მის თანამოაზრე-მოწაფეთა ღვაწლი და ცხოვრება. გიორგი მერჩულე საკუთარ თავს უცოდინარს და ფრიად ცოდვილს უწოდებს, რომელმაც ამ დიდ პიროვნებათა გარდაცვალების შემდეგ გააცნობიერა, რა მძიმე შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა იმას, თხზულება რომ არ დაეწერა და შეუდგა მნელად აღსასრულებელ საქმეს. გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები მოწმობს ავტორის პასუხისმგებლობას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობის მქონე საქმეს მოჰკიდა ხელი გიორგი მერჩულემ თხზულების წერით. მწერალს ეს თხზულება რომ არ დაეწერა, ეს არ იქნებოდა „დუმილი - ოქროჲ რჩეულ“, არამედ სამუდამოდ დავიწყება ნეტარ მამათა ღვაწლისა, რაც შთამომავლობას უთუოდ უნდა შემონახვოდა. მწერლისავე სიტყვებით, მან გამოიყენა წმ. გრიგოლის

მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეების მონათხრობი, ხანცთის მონასტერში არსებული წიგნები, რომლებიც გრიგოლის ხელიდან გამოვიდა, ის ნივთები და მონასტერში არსებული სხვა მატერიალური საგნები, რომლებიც ჯერ კიდევ გრიგოლ ხანცთელის სულიერ ცხოვრებას ინახავდნენ. გიორგი მერჩულე ამბობდა, რომ უმჯობესად მიიჩნია ღმერთშემოსილ კაცთა, წმ. გრიგოლისა და მის თანამოაზრე-მოწაფეთა ღირსად ცხორების აღწერა, რომელიც იცოდა ჭეშმარიტად თხრობილად წმ. გრიგოლის მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან. სწორედ ეს განაცხადი მოსდევს მერჩულისეულ მსჯელობას ბრძნადმეტყველებისა და დუმილის შესახებ, რაც იმას მიუთითებს, რომ დუმილის ესთეტიკას თავისი დანიშნულება აქვს; იგი არ ნიშნავს იმას, რომ სადაც საჭიროა ბრძნადმეტყველება, იქ დავიდუმოთ. არა. დუმილსაც და ბრძნადმეტყველებასაც აქვთ თავიანთი სიმბოლური და ლიტურგიული დანიშნულება, დროსივრცული არეალი, რაც ეკლესიასტეს წიგნშია გაცხადებული; ე.ი. დუმილი არ ნიშნავს იმას, რომ კეთილად აღსრულებული საქმე არ გაცხადდეს, პირიქით, ბიბლიური სწავლებით, ყოველივეს თავისი ჟამი აქვს, ხოლო ევანგელური სწავლებით: „არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა საიდუმლოჲ, რომელი არა საცნაურ იყოს და ცხადად მოვიდეს“ (ლუკა, 8, 17). გიორგი მერჩულის თვალთახედვით, სწორედ დაფარულის, საიდუმლოს გაცხადების დრო დადგა. ბრძნადმეტყველების//ბრძნადმოქმედების შედეგია გამორჩეულ პიროვნებათა ნაღვაწი, რაც ფიზიკურად აღიქმება როგორც მათ მიერ შექმნილი თხზულებები, საგალობლები, ასევე, მათი აშენებული ეკლესია-მონასტრები, დაწერილი ხატები და ფრესკები, რაც სულიერი ღვაწლის შედეგია და რასაც დუმილი ვერ დაგვიტოვებდა. ბრძნადმეტყველებისა და დუმილის გიორგი მერჩულისეული კონცეფცია, რომელიც თხზულებაში ვლინდება, მოწმობს, რომ ზემოხსენებული ფრაზის ავტორი თვით გიორგი მერჩულეა და თავისი ქმედება, ღვაწლი, რაც თხზულების დაწერაში გამოვლინდა, ბრძნადმეტყველებით წარმართა, რადგან უკვე იცოდა წმ. გრიგოლისა და მის თანამოაზრე-მოწაფეთა შესახებ წინამორბედ მოღვაწეთა დუმილის შედეგიც. განსახილველი ფრაზა - „ბრძნად მეტყველებაჲ ვეცხლი არს წმიდაჲ, ხოლო დუმილი - ოქროჲ რჩეული“ – ეკუთვნის გიორგი მერჩულეს და მომავალ გამოცემებში ბრჭყალების გარეშე უნდა დაიბეჭდოს, როგორც ავტორის სიტყვები.

6. ქართული ჰაგიოგრაფია ეპისტოლარულ სტილს იყენებს თავისი მიზანდასახულობის კვალობაზე, კერძოდ, არა მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით, ანუ თხზულებათა პერსონაჟების საურთიერთობოდ, არამედ მასში აქსოვდნენ თავიანთ მსოფლმხედველობრივ, ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს, რაც ეპოქის სულისკვეთებას, საზოგადოებრივ მდგომარეობასა და მოთხოვნებს ასახავდა. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათი არქეტიპია ახალი აღთქმის ეპისტოლარული ნაწილი, შვიდი კათოლიკე ეპისტოლე და პავლეს თითხმეტი ეპისტოლე. ჰაგიოგრაფებმა ისინი თავიანთი ეპისტოლეების მოდელად მიიჩნიეს და მათ მსგავსად მიიტანეს თავიანთი ძირითადი სათქმელი მკითხველამდე. თუმცა, ახალი აღქმის ეპისტოლარულ მემკვიდრეობასა და ჰაგიოგრაფიის ეპისტოლეებს შორის განსხვავებაც თვალსაჩინოა. მოციქულთა ეპისტოლეების ძირითადი დანიშნულება ქრისტიანული მოძღვრების ქადაგება იყო, ხოლო ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ჩართული ეპისტოლეების მნიშვნელობა და ღირებულება მათგან განსხვავებულია: ისინი ძირითადად ჰაგიოგრაფთა იდეურ-მსოფლმხედველობრივ და ლიტერატურულ-ესთეტიკურ ბუნებასა და საღვთისმეტყველო საზრისს წარმოაჩენენ. სამოელ ქართლის კათალიკოსისა და იოვანე საბანის ძის მიმოწერის, `წმ. კონსტანტი კახის წამებაში~ ჩართული თეოდორა დედოფლის ეპისტოლისა და გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ჩართული ეპისტოლეების ღირებულებისა და მნიშვნელობის კვლევის შედეგად წარმოჩნდა, რომ მათ, როგორც ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ჩართულ ეპისტოლეებს, კომპოზიციური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მისია აკისრიათ, ზოგჯერ კი ეპისტოლე დამოუკიდებელი თხზულების ხასიათსაც იძენს. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა ქართულ ენაზე დაცული ეპისტოლეების ორი ჯგუფი: 1. ქართველ სასულიერო პირთა და ჰაგიოგრაფთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, 2. ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ჩართული ამ ჟანრის თხზულებათა პერსონაჟების ეპისტოლეები. თითოეულ განხილულ ეპისტოლეს თავისი ინდივიდუალური სახე აქვს და, შესაბამისად, მათი დანიშნულება, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული დანიშნულებაც განსხვავებულია.

7. 7-8. სტატიები განკუთვნილია მართლმადიდებლური ენციკლოპედიისათვის. მათში შეჯამებულია ტბელ აბუსერისძის ცხოვრება-მოღვაწეობის, ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული და ჰიმნოლოგიური მემკვიდრეობის ღვაწლი; გაანალიზებულია თამარ მეფის იამბიკოების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური, პოლიტიკურ-იდეოლოგიური და სახისმეტყველებითი ასპექტები.

9. ნაშრომი ეძღვნება მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ალექსანდრე ყაზბეგის დრამატურგიის თავისებურებათა დახასიათებას. ნაშრომში მწერლის დრამა „არსენაზე“ დაყრდნობით წარმოჩენილია ალექსანდრე ყაზბეგის, როგორც დრამატურგის, სტილი და სახეობრივი აზროვნების თავისებურებები.
10. ნაშრომში ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ შემოქმედებით ისტორიაზე დაყრდნობით წარმოჩენილია ილია ჭავჭავაძის პროზაულ თხზულებებზე შემოქმედებითი მუშაობის თავისებურებები. გამოვლენილია მწერლის მხრიდან სინამდვილისადმი მხატვრული მიდგომის სპეციფიკა ილიას პროზაულ თხზულებებში.
11. ინოვაციური ხედვები ქართულ და ევროპულ პოეზიაში - სტატიაში საუბარია იმაზე, რომ XIX ს-ის ქართულ მწერლობას განსაზღვრავდა სამი რამ: ეროვნულ-სალიტერატურო ტრადიცია, XIX ს-ის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და ევროპული ლიტერატურულ-ფილოსოფიური ნააზრევი. ქართველი რომანტიკოსი მწერლებიდან ევროპულ ტენდენციებს ვხვდებით ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორ-ბელიანის, ნ. ბარათაშვილის, გრ. რჩეულიშვილის, ს. დოდაშვილის, ხოლო რეალისტებიდან ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა შემოქმედებაში.
ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ XIX საუკუნის ცნობილი უნგრელი ავტორის შანდორ პეტეფის ლექსს „მერანსა“ და მისი მიმართების საკითხს ნ. ბარათაშვილის „მერანთან“.
თავისი მსოფლმხედველობით, ლიტერატურაში ახალი იდეების შემოტანით, მებრძოლი სულისკვეთებით ეს ორი ავტორი ძალია ჰგავს ერთმანეთს. ორივე მწერლისათვის პოეტური ხატი მერანის სახეა. ისინი მსგავსი მხატვრული გრძნობით ქმნიან თავიანთ შედევრებს. ორივე ლექსი გამოხატავს ადამიანის გონების სწრაფვას უსაზღვროებისაკენ.
12. სტატიაში ვრცლად არის განხილული ვაჟა-ფშაველას მთელი პოეზია სიკვდილ-სიცოცხლის კონცეპტის გათვალისწინებით, გამოტანილია მნიშვნელოვანი დასკვნები.
13. ნაშრომი ეძღვნება გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ ტრაქტატს „საუბარი ლირიკის შესახებ“. 30-იანი წლების მიწურულს გალაკტიონი იწყებს მუშაობას პოემაზე, რომელშიც თანმიმდევრულად გადმოგვცემს თავის შეხედულებებს ლიტერატურის ერთი გვარის - ლირიკის სპეციფიკისა და ზოგადად, პოეტური შემოქმედების თავისებურებების თაობაზე.
თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა უფრო სრული და მთლიანი წარმოდგენის შემუშავება მეოცე საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მრწამსის შესახებ. აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად კი აუცილებელია პოეტური ტრაქტატის - „საუბარი ლირიკის შესახებ“ - საფუძვლიანი შესწავლა, რამდენადაც მასში გალაკტიონი ერთგვარად აჯამებს საკუთარ შემოქმედებით გამოცდილებას და მწყობრად გადმოგვცემს თავის თეორიულ-ლიტერატურულ შეხედულებებს.
მოხსენებაში განხილულია პოემის შემოქმედებითი ისტორიისა და გენეზისის საკითხი, გამოყოფილი და გაანალიზებულია საკვანძო პრობლემები: ანტიკური ლირიკის გალაკტიონისეული რეცეფცია, გალაკტიონი ქართული ლირიკის ისტორიის შესახებ, პოეტის თვალსაზრისი შემოქმედებითი პროცესის თავისებურებებზე, გალაკტიონი ლირიკული პოეზიის შესაძლებლობათა შესახებ და სხვ.
საკვლევი პრობლემა შესწავლილია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნე-ობითი მიდგომის საფუძველზე.
კვლევის შედეგებს აქვს პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომი დახმარებას გაუწევთ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიისა და, ზოგადად, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის მკვლევარებს პოეტის შემოქმედების ღრმად და ფართოდ გააზრებაში.

14. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში ახალი იდეოლოგიური კამპანია წამოიწყო. გამარჯვებული საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანელობას მოეჩვენა, რომ პოლიტიკური სიფხიზლე მოდუნდა და ინტელიგენცია თვითკმაყოფილებამ შეიპყრო. პარტიულმა ელიტამ გადაწყვიტა ისევ გაემძაფრებინა ომის პერიოდში შედარებით შესუსტებული იდეოლოგიური კონტროლი და აღეკვეთა რეჟიმის მიმართ პროტესტისა თუ უკმაყოფილების ყოველგვარი, თუნდაც უმცირესი გამოვლენა.
ამ პერიოდში მძაფრი კრიტიკის ობიექტებად იქცნენ ის ავტორები, რომელთა შემოქმედებაშიც აღმოჩენილ იქნა “ბურჟუაზიული, უიდეო ხელოვნებისა” და “ანტისაბჭოთა პროპაგანდის” ნიშნები. 1946 წლის 14 აგვისტოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება ჟურნალების “ზვეზდასა” და “ლენინგრადის” შესახებ, რომელშიც მწვავედ იქნა

გაკრიტიკებული ხსენებულ გამოცემათა სარედაქციო პოლიტიკა იდეოლოგიურად მავნე და მიუღებელი მასალების გამოქვეყნების გამო. დადგენილების მიღებიდან მეორე დღესვე პარტიული აქტივის ყრილობაზე სპეციალური მოხსენებით წარდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ანდრეი ჟდანოვი, რომელმაც განავრცო და კონკრეტული მხატვრული მასალით შეავსო ხსენებული პარტიული დირექტივა. ამ დადგენილებამ უმალ შეიძინა სახელმძღვანელო მნიშვნელობა იდეოლოგიის დარგში. მთელი საბჭოეთის მასშტაბით დაიწყო მხატვრული პროდუქციის ერთგვარი რევიზია და სახელმოხვეჭილი თუ დამწყები ავტორების შემოქმედებაში იდეოლოგიური "ჩავარდნების" ძიება.

პარტიული დადგენილებით შთაგონებულმა ქართველმა საბჭოთა კრიტიკოსებმაც დიდი მონდომებით დაიწყეს თანამედროვე მწერალთა შემოქმედებაში იდეური ნაკლოვანებების ძიება. პარტიული დირექტივით ფრთაშესხმული კრიტიკის მახვილი ირიბად გალაკტიონსაც მისწვდა, რაც იმან განაპირობა, რომ ზოგიერთმა ლიტერატორმა ჟდანოვის მოხსენება და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პიროვნული ანგარიშსწორების იარაღად გამოიყენა.

1947 წელს გაზეთ "ლიტერატურა და ხელოვნებაში" გამოქვეყნდა ცნობილი პოეტისა და დრამატურგის სანდრო შანშიაშვილის წერილი "ტალანტები და თაყვანისმცემლები", რომლის მიზანიც, ავტორის თქმით, იყო ანდრეი ჟდანოვის ცნობილ მოხსენებაზე დაყრდნობით ქართულ პოეზიაში უიდეობის, აგრეთვე, კრიტიკოსთა არაკეთილსინდისიერების გამომზეურება და მათი პირუთვნელი, ჯანსაღი მხილება. კონკრეტულად, შანშიაშვილის წერილი მიმართული იყო საბჭოთა კრიტიკოსების - ბესარიონ ჟღენტისა და შალვა რადიანის წინააღმდეგ, რომელებიც წერილის ავტორმა გალაკტიონ ტაბიძისა და იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების არასწორ ინტერპრეტაციაში დაადანაშაულა. შანშიაშვილი ეკამათება ბ. ჟღენტს გალაკტიონის რევოლუციამდელი პოეზიის შეფასების საკითხში. იგი მიუღებლად მიიჩნევს კრიტიკოსის იმ თვალსაზრისს, რომ "გალაქტიონ ტაბიძის ლექსების მეორე წიგნი შეუდარებელი სიმდიდრეა რევოლუციის წინაპერიოდის ქართული პოეზიისა" და მიუთითებს, რომ არ უნდა ხდებოდეს გალაკტიონის დეკადანტობის მიჩუმათება.

ჟდანოვის მოხსენება და პარტიის დადგენილება გალაკტიონზე ირიბი იერიშის მისატანად გამოიყენა მწერალთა კავშირის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ - სიმონ ჩიქოვანმაც. 1947 წელს იგი სპეციალური მოხსენებით წარდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე. ჩიქოვანი გამოეკამათა სერგი ჭილაიას, რომელიც ასევე დადანაშაულებულ იქნა გალაკტიონის დეკადენტური "ცოდვების" დამალვაში. გალაკტონ ტაბიძის ადრეული შემოქმედების მთავარი წყარო, სიმონ ჩიქოვანის აზრით, საძიებელია არა ეროვნული ლიტერატურის ტრადიციებში, არამედ ევროპული დეკადანსის პოეზიაში. კრიტიკოსის თქმით, გალაკტიონი "რევოლუციამდე ნამდვილი დეკადენტი იყო". თავის მოხსენებაში სიმონ ჩიქოვანმა სცადა, მკაცრად აღეკვეთა სერგი ჭილაიას მხრიდან გალაკტიონის რევოლუციამდელი შემოქმედების რეაბილიტაციის მცდელობა.

14. ალექსანდრე ორბელიანი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთ საინტერესო წარმომადგენელია. იგი მოღვაწეობდა ლიტერატურის მრავალ დარგში - პოეზიაში, პროზაში, დრამატურგიაში, კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში. ალექსანდრე ორბელიანის ლიტერატურული შესაძლებლობები ყველაზე ნათლად მის კრიტიკულ ნააზრევში გამოვლინდა. 50-იანი წლებიდან იგი აქვეყნებს რიგ წერილებს როგორც ზოგადლიტერატურული საკითხების, ისე კონკრეტულ მწერალთა შემოქმედების ირგვლივ.

საყურადღებოა ალექსანდრე ორბელიანის წერილი გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობის „ქვრივის ლიმონების" შესახებ. ამ სტატიაში კრიტიკოსი მსჯელობს საზოგადოდ ისტორიული ნაწარმოების სპეციფიკის თაობაზე და მიუთითებს იმ შეუსაბამობებზე, რაც ძალზე აკნინებს რჩეულიშვილის მოთხრობის მხატვრულ დონეს. წერილში „დართულს დართული", კრიტიკოსი განიხილავს დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეს" და არ იზიარებს მოთხრობის მხატვრულ კონცეფციას. ალექსანდრე ორბელიანი არ მიიჩნევს გამართლებულად თავადაზნაურობის, როგორც ცალკე სოციალური ფენის, კრიტიკას. მისი თქმით, მწერალი უფრო ზოგადი, ეთიკური ხასიათის პრობლემებით უნდა ინტერესდებოდეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ალექსანდრე ორბელიანი ამჩნევს ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ორი ძირითადი ნაკადის გამოკვეთას, ორი დასის დაბადებას, რომელთაც ის პირობითად „კონსერვატორებსა და პროგრესისტებს" უწოდებს. ამ მოვლენას კრიტიკოსი სავსებით კანონზომიერ და მისასალმებელ ფაქტად მიიჩნევს.

ქართული ენის ბედი, მისი აწმყო და მომავალი ალექსანდრე ორბელიანის ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი იყო. წერილში „რამდენიმე სიტყვა „გაყრის" კამედიაზედ" ალექსანდრე ორბელიანი ეჭვქვეშ აყენებს პლატონ იოსელიანის შეხედულებას გიორგი ერისთავის ენობრივ ნოვატორობასთან

დაკავშირებით. ორბელიანი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია წერითი მეტყველების ყველა სფეროზე განვაზოგადოთ გიორგი ერისთავის კომედიების ენა, ვინაიდან იგი სწორედ კომედიური ჟანრის თხზულებებისთვის არის შესაფერი და ვერც ერთ შემთხვევაში საერთო სალიტერატურო ენის პრეტენზია ვერ ექნება. ამასთანავე კრიტიკოსი აღიარებს ერთიანი ლიტერატურული ენის არსებობის აუცილებლობას.
ალექსანდრე ორბელიანი 50-იანი წლების ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად გვევლინება. ნიკოლოზ ბერძნიშვილთან და მიხეილ თუმანიშვილთან ერთად იგი დგას მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკის სათავეებთან.

16. ლიტერატურის ისტორიაში არცთუ ხშირია ფაქტი, როცა შემოქმედებითი მეთოდის ან მსოფლმხედველობის ნიშნად არა ოდენ აღქმისა და გამოსახვის მხატვრული საშუალება ქცეულა, არამედ გარკვეული ლინგვისტური ფორმატიც. ამ პრეცენდენტთა რიგში უნდა განვიხილოთ „ზაუმიც“, რომელიც ლიტერატურისმცოდნეთა შორის დღემდე განსხვავებულ (ვიტყოდით, ხშირად ურთიერთგამომრიცხავ) შეფასებათა საგნად იქცა.
ზაუმი, როგორც ასეთი, შემოქმედის მიერ გამოხატვის ფორმათა ძიების, არაორდინალურობისა და ინდივიდუალიზმის ცალსახა გამოვლინებაა, ამიტომ ბუნებრივია, მისი ნიშნები და იმპულსები არც თუ იშვიათად ცნობიერდება სხვადასხვა ლიტერატურულ ტექსტებში, ზაუმის კულტივაცია რუსული ფუტურიზმის წიაღში განხორციელდა. „ზაუმი“ - „სიტყვათა გაერთიანების ახალი წესი; ერთგვარი რევოლუციური, ავანგარდისტული და მემარცხენე ესთეტიკის საფუძვლად იქცა ლიტერატურაში, რომელმაც ეჭქვეშ დააყენა მიღებული; წესები სიტყვებით აზრის გამოხატვისა; და ერთგვარად დაანგრია სიტყვათა მნიშვნელობანი; თუმცა, როგორც რუსი “ზაუმნიკები“ (ფუტურისტები) აღიარებდნენ, რომ მათთვის ინსპირაცია ამ ძიებებისათვის წინარე პერიოდისა და ჟანრების ტექსტებშიც მოიპოვებოდა, ისეთებში, როგორიცაა ფოლკლორი, აღმოსავლური ლიტერატურა დაბოლოს სიმბოლისტური ტექსტები - შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ დროიდან ყალიბდებოდა ზაუმი, როგორც არა მხოლოდ კულტუროლოგიური მეთოდი, არამედ ლინგვისტური ტრენდიც.
„ზაუმური“ ტექსტები ფუტურისტულ ლიტერატურაში გამოხატვის დამახასიათებელ, ვიტყოდით პროფილურ ხერხად იქცა, პირველყოვლისა სწორედ რუსულ პოეზიაში, პირველივე თაობის რუსმა ფუტურისტებმა საკუთარი მხატვრული შეხედულებების ძირითად მეთოდად სწორედ ზაუმური მსოფლმხედველობა მიიჩნიეს. ამდენად ზაუმი, როგორც მსოფლმხედველობა, თუ მეთოდი იმდენად ფართოდ არ ყოფილა გამოყენებული იტალიურ ფუტურისტულ ტექსტებში, რამდენადაც რუსულში. იტალიური ფუტურიზმისათვის დამახასიათებელი სიტყვათა ძიების, კლასიკურის უარყოფის, საკუთარი სიახლის გაფეტიშების იდეები რუსმა ფუტურისტებმა არა მხოლოდ გადმოიღეს, არამედ გააღრმავეს და განავრცეს კიდეც. შედეგად, ევროპული ავანგარდიზმის განვითარების შემდგომ ეტაპზე - დადაისტური ლიტერატურისმახასიათებლად გამოხატვის „ზაუმური ფორმაც“ იქცა.
ამ ისტორიის ნაწილია `თბილისური ზაუმიც~; ზაუმური არტეფაქტების გამოჩენისთანავე ქართული ფუტურიზმი მიწისძვრას შეადარეს, აქ ერთი სახელდების ქვეშ გაერთიანდა ლინგვისტური ექსპერიმენტების კონსტრუქცივიზმის, დადაიზმის და ფუტურიზმის პრინციპები. რუსულ მეტაფიზიკურ ზაუმთან ქართული ანალოგების გარკვეული ბმის მიუხედავად, ქართულ ზაუმურ კონტექსტებში მაინც შეიმჩნევა განსხვავებული, დამახასიათებელი ნიშნები; ’’სუპერსინტაქსური ზაუმის’’ უარყოფა და მხატვრულ ტექსტებში წარმოჩენილი ფრაზეოლოგიური თუ ბგერითი სიახლეების გამოკვეთილად ინტუიტიური და ასოციაციური კავშირი ტექსტისვე თემასთან და იდეასთან.

17. სიმბოლისტური მხატვრულ დისკურსში განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სატრფიალო მოტივი და შესაბამისად ქალის სახე-სიმბოლოც. ეს პრობლემატიკა მოცემულობით ისედაც არის რომანტიკული არსის, ხოლო სიმბოლისტურ შემოქმედებით სივრცეში მას კიდევ უფრო ღრმა ხატვრულ-სიმბოლური და ესთეტიკური დატვირთვა მიეცა. ამას ემატება ქართული ლიტერატურის განსაკუთრებულად მრავალფეროვანი, ხანგრძლივი და მხატვრულად რაფინირებილი ისტორია სატრფიალო თემატიკის დამუშავებისა.
ქართულ სიმბოლისტურ მწერლობაში ამ პრობლემატიკამ არა მხოლოდ ღირსეული გაგრძელება ჰპოვა, არამედ სრულიად განსხვავებულ შემოქმედებით პრიზმაში გარდაიტეხა.

ქართული სიმბოლისტური პოეზიის სატრფიალო თემატიკა არაერთფეროვანია მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი არჩევანით, არაერთფეროვანია ასევე სიმბოლისტური პოეტური შემოქმედების შინაარსობრივი მხარეც: ქალი თავისი მომხიბვლელობითა და იდემალებით, ისტორიის, ლიტერატურისა თუ მითოლოგიის მარადიული სახეებიდან, რომლებიც ასაზრდოვებენ მის სულიერ სივრცეს. ამ მსოფლმხედველობრივ და მხატვრულ პანორამაში, სადაც სამყარო დრამატულად აღიქმება, სახიერდება პლატონური ტრფობა და მის ობიექტად ქცეული ქალი...

„მსოფლიო იღებს საყვარელ ქალის ფორმას, „შვიდასი წლის დედოფლის“ თამარის სახით მარადი ქალურობის იდეა პირველად გამოეცხადა ქართულ პოეზიას. სადაც არის ნამდვილი ხელოვნება, იქ არის მისტიური წყურვილი, რომელიც უდრის უკვდავების წინაგრძნობას... ეს პოეზია აფასებს მიწის ნოყიერებას, მაგრამ ვერ დაივიწყებს რომანტიულ ცას. აფროდიტას შემდეგ პოეზიის ქალბატონად იყო გამოცხადებული თვით მადონა, მაგრამ მადონას იდეალი იყო მეტად მაღალი, პოეტებიც უფრო ხშირად უმღერდნენ „მშვენიერ დამას“ – წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი.

სიმბოლისტური მხატვრული დისკურსის პერსონაჟი ქალი სამყაროს პლატონური აღქმის გამოხატულებაა, თუმცა ეს აღქმა არ არის გარკვეული კლიშე სიმბოლისტურ სატრფიალო პოეზიაში სახეზეა სიყვარულის ქრისტიანული კონცეფცია და აღმოსავლური მსოფლმხედველობრივი იდეალიც. პლატონური იდეალის სიმბოლისტური რემინისცენცია ვლადიმერ სოლოვიოვის სასიყვარულო დოქტრინაზეა დაფუძნებული. რადგან „მშვენიერი ქალის“ შემეცნებითი აღქმა სოლოვიოვს ფილოსოფიაში სწორედ პლატონურ იდეალს მიჰყვება.

სოლოვიოვის იდეალისტური სამყაროში იდეა და მატერია ყოვლისმომცველ მთლიანობაში აღიქმება, რაც, ფაქტობრივად, სოლოვიოვის ფილოსოფიის საფუძველია (всеединство). სოლოვიოვის ადამიანი, როგორც მატერიალური სულის მექონი, კოსმიურ წესრიგში ანგელოზებზე მაღლა დგას, რადგან მას ნების თავისუფლება გააჩნია. ყოველივე უმაღლესი, მაქსიმალური, ინტიმურ-ადამიანური თვალსაზრისით, ამ მიზანს ემსახურება.

მოძღვრება სოფიაზე – ეს არის სოლოვიოვისათვის იდეალურის მატერიალიზაცია, სავსე ინტიმურ-სატრფიალო განცდებით. სოფია ღვთის სხეულია და, აქედან, პირველი ხატება ყოველივე სხეულებრივისა, მატერიალურისა. სოფია განსახოვნდება უმშვენიერესი ქალით – ადამიანის სიყვარულის საგნით.

ეს სოფიური სიმბოლიკა უნივერსალურია და ყოვლისმომცველი. თვით უმაღლესი იდეა – ღმერთიც კი განასხვავებს თავის სხვას და ღმერთის ეს „ალტერ ეგო“ არის მარადიული ქალურობა. ეს ცნება მოიცავს განხორციელებულ მშვენიერებას და სიკეთეს, რადგან მშვენიერების იდეას ღმერთი ქალში ახორციელებს.

სიყვარული უმოკლესი გზაა ადამიანის ყოვლისმომცველ მთლიანობასთან შერწყმისა, სწორედ ამგვარი სიყვარულის გზით შეიძლება მოხდეს ინდივიდუალური ქალური არსების გარდაქმნა-გარდასახვა ღვთაებრივი მარადიული ქალურობის განუყოფელ სხივად. მარადიული ქალურობა მოიცავს სიკეთეს, სათნოებას, ჭეშმარიტებას და უკვდავ სილამაზეს, რაც, სოლოვიოვის აზრით, იხსნის მსოფლიოს სულიერი კატასტროფისა და უწმინდურებისაგან.

ბუნებრივია, ქართველი სიმბოლისტი პოეტების აქტიორულმა სულმა ერთგვარი სავანე და საკუთარი, ახალი შემოქმედებითი გზების ძიების გამართლებაც ყველაზე მეტად სოლოვიოვის ფილოსოფიურ შეხედულებებში გააცნობიერა და გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, შალვა აფხაიძის, შალვა კარმელის, ნინო თარიშვილის და სხვათა პოეზიაში საოცარ ფორმებში განსხეულდა.

18. სტატიაში წარმოდგენილია არაერთი მაგალითი წმ .ნინოს ჯვართან და მის მხატვრულ ხატებასთან დაკავშირებით. ძირითადად, მაგალითები მოყვანილია გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან (ლექსები, რომანი, პირადი მიმოწერა, წერილები და ა.შ.) არაერთი მაგალითია მოტანილი ქართველი ემიგრანტების მოღვაწეობიდან და შემოქმედებიდანაც. გიორგი გამყრელიძე ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია(1903-1975). საქართველოში გამოცემულია მისი ლექსების ორი წიგნი(1920) – (1922). 1932 წელს პარიზში გამოიცა მისი პოეტური კრებული, 1960 წელს უკვე არა მხოლოდ სხვა სახელმწიფოში, არამედ უკვე სხვა კონტინენტზე სანტიაგო დე ჩილეში გამოიცა ლექსების კრებული და ბოლოს 1963 წელს ვაშინგტონში გამოდის ,,ლექსები,

მოთხრობები, და ნარკვევები ფრინველებზე“. წიგნის წინათქმაში (რედაქტორი რ. ნიშნიანიძე) საუბარია ამ ავტორის ბიოგრაფიაზე, გამოქვეყნებულ კრებულებზე და რაც მთავარია, პირველადაა გამოქვეყნებული გიორგი გამყრელიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც დაცულია გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში. წიგნში წარმოდგენილი არაერთი ფოტოც უცნობია საზოგადოებისთვის, ახლავს პირთა საძიებელი და კომენტარები.

(წიგნის წარდგინება გაიმართა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამა წლის 25 მაისს)

19. სტატიაში ,,ლიტერატურული კონტრასტები სამანს აქეთ და სამანს იქით“ წარმართულია კვლევა ეროვნულ და ემიგრანტულ მწერლობაში გამოთქმულ მხატვრულ მოსაზრებებზე ერთი მიმართებით, როგორ განვითარდა ლიტერატურაში 30-იანი წლების რეალობის გადმოცემა. გამოვლენილია ლიტერატურული რემინისცენციები და კონკრეტული პარალელები ამ კონტრასტებისა. შესაბამისად, განხილულია გრიგოლ რობაქიძის, ინდო ინასარის უცხოეთში გამოქვეყნებული პროზაული ტექსტები და საქართველოში დაბეჭდილი ფრიდონ ნაროუშვილის და კონსტანტინე ლორთქიფანიძის პოეტური ნაწარმოებები. დეტალურადაა წარმოდგენილი რომელი ნაწარმოები სად და კონკრეტულად როგორ დაიბეჭდა. ეს ლიტერატურული კონტრასტები გამოხატავენ იმ მძიმე რეალობას, რომელიც ისტორიულ სურათს ქმნიან.

20. საქართველოში ძალზე პოპულარულია წმ. გიორგის კულტი. სტატიაში წარმოდგენილია არაერთი მაგალითი ძველი ქართული, მე-19 და მე-20 საუკუნის მხატვრული და ისტორიული ტექსტებიდან; და არა მხოლოდ. ხელოვნებათმცოდნეობაში გამოთქმული მნიშვნელოვანი გამოცემებიდან. გაანალიზებულია ჯილდა იოსებიძის წიგნი-ალბომი, რომელიც თბილისში 1989 წელს გამოიცა. ლაპარაკია აჭის დარბაზული ეკლესიის მოხატულობის თაობაზეც. დასკვნა ამგვარია - ქართული მხატვრული აზროვნების სივრცეში ყოველ ეპოქაში დიდი დატვირთვის და მნიშვნელობის მატარებელი იყო წმ. გიორგი - მებრძოლი ქრისტიანობის ხატი.

22. ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში მეგობრობის არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა ქართულ-ოსურ ურთიერთობებში, რომლის შესახებაც მოგვითხრობენ როგორც შუა საუკუნეების ქართული ისტორიული ქრონიკები, ისე ხალხური ზეპირი ტექსტები და პუბლიცისტური წერილები. საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ გულგრილი არც ოსი მწერლები დარჩენილან. ოსურ ლიტერატურაში დასტურდება ქართული თემები და მოტივები, ქართული ონომასტიკა. ოს მწერალთა ნაწარმოებებში მონაწილეობენ ქართველი პერსონაჟები.

საქართველოს თემით ოსი მწერლების დაინტერესება არ იყო მოულოდნელი, რადგან ოსური ლიტერატურა ქართული კულტურის წიაღში წარმოიშვა, რასაც პირველი ოსი მწერლის იოანე იალღუზიძის (1775-1830) ცხოვრება და შემოქმედებაც ადასტურებს. ისტორიულმა წარსულმა, მეზობლობამ და ერთ ქვეყანაში თანაცხოვრებამ ქართველი და ოსი ხალხი მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან.

ოსი მწერლების დიდი ნაწილი საქართველოში დაიბადა და ქართულ კულტურაზე აღიზარდა. მათი შემოქმედება ქართული კულტურის ნაწილს წარმოადგენს, რადგან მათ მხატვრულ ნაწარმოებებში ძირითადი მოქმედებები ხდება საქართველოს ტერიტორიაზე, ქართულ კულტურულ გარემოში; მთავარი პერსონაჟებიც არიან საქართველოში მცხოვრები ოსები და ქართველები.

ოს მწერალთა ნაწარმოებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხალხურ წეს-ჩვეულებებს, ფოლკლორულ მოტივებსა და სიუჟეტებს. საქართველოში მცხოვრები ოსების ყოფა-ცხოვრების შესასწავლად საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ოსური ლიტერატურა, რადგან ის ნასაზრდოებია ფოლკლორითა და ხალხური ტრადიციებით.

ქართველებისა და ოსების ურთიერთობა, რომელიც ოსურ ლიტერატურაში აისახა არ არის ერთგვაროვანი. თუ, ერთი მხრივ, ოსი პოეტები თავიანთ ლექსებში უმღერიან საქართველოს, ხოტბას ასხამენ ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობას, მეორე მხრივ, საბჭოთა პერიოდის ოსურ ლიტერატურაში უკიდურესად უარყოფითი თვისებებით არიან წარმოდგენილი ქართველ თავადები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოს მწერალთა მოთხრობებში ქართველ თავადებსა და ოს გლეხებს შორის კონფლიქტი არ ხდებოდა ეროვნულ ნიადაგზე. მათ შორის დაპირისპირებას საფუძვლად ედო სოციალური პრობლემები. კონფლიქტი, ზოგადად, გლეხებსა და თავადებს შორის დასტურდება ქართველ მწერალთა (ილია ჭავჭავაძე, დანიელ ჭონქაძე, ეგნატე ნინოშვილი და სხვ.) მოთხრობებშიც, რომლებშიც არანაკლებ უარყოფითად არიან წარმოდგენილი და გაკრიტიკებული ქართველი თავადები.

გარდა ამისა, კომუნისტურმა იდეოლოგიამ და საბჭოთა ლიტერატურულმა სკოლამ თავისი კვალი დაამჩნია XX საუკუნის 20-30-იანი წლების როგორც ქართულ, ისე ოსურ მწერლობას. საბჭოთა კავშირში გაბატონებული ლიტერატურული მიმდინარეობა გახდა სოციალისტური რეალიზმი, რომლის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპიც იყო კლასობრივი ბრძოლის ასახვა და არისტოკრატიის კლასობრივ მტრად გამოცხადება. XX საუკუნის 20-30-იანი წლების ოსური ლიტერატურა (არსენ ქოცოითის მოთხრობები, სოზირიყო ყულათის „ნომილუსი“) ქართველი თავადის უარყოფით სახეს გვიხატავს, რადგან სოციალისტური რეალიზმის პრინციპების მიხედვით, საბჭოთა მწერალს მხატვრულ ნაწარმოებში ფეოდალური ელიტის დადებითი რაკურსით წარმოჩენა ეკრძალებოდა.

საბჭოთა იდეოლოგიური სტერეოტიპების მიუხედავად, ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობის თემა აქტუალური იყო საბჭოთა პერიოდის ოსურ პოეზიაში. ოსი პოეტები, რომლებიც ქართულ კულტურულ გარემოში აღიზარდნენ, თავიანთ ლექსებში უმღერიან საქართველოს, როგორც ძვირფას სამშობლოს. ისინი ხოტბას ასხამენ საქართველოს ბუნებას, ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიორგი ძუგათის, ილია კავკაზაგის, გიორგი ბესთაუთის, ნაფი ჯუსოითისა და მზია ხერთაგურის შემოქმედება.

23. ნაშრომში გამოვლენილია, რომ რენესანსის პერიოდის ევროპელ ხალხთა ლიტერატურებში უაღრესად პოპულარული ნაწარმოების „ვარლაამ და იოასაფის ისტორია“ თავდაპირველად ბერძნულ ენაზე შექმნილი თხზულებაა ქართული „ბალავარიანის“ საფუძველზე და როგორც გასული საუკუნის დასასრულის მეცნიერებამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მისი ავტორი არის ეფტვიმე ათონელი. ნაშრომში ავტორი გამოავლენს მეცნიერებაში აქამდე უცნობ სიახლეს. მისი მტკიცებით, „ვარლაამ და იოასაფის“ ბერძნული თხზულების შესავალში სხვა ლიტერატურულ წყაროებთან ერთად გამოვლენილია ათონელი ქართველი ბერის იოვანე-თორნიკეს ვრცელი თეოლოგიური ანდერძი, რომელიც იკითხება 977 წელს ოშკის ქართულ ლავრაში გადაწერილ იოვანე მოსხის „სამოთხეში“. როგორც ამ ანდერძიდან ჩანს, თვით ეს თხზულება შეკვეთილი და გადაწერილია იოვანე-თორნიკეს წარსაგებელით, ხოლო ამ თეოლოგიური ანდერძის არქიტექტონიკა ემსგავსება „ვარლაამ და იოასაფის“ შესავალში დასმულ პრობლემატიკას. ორივე ნაწარმოებში დამოწმებულია ერთი და იგივე იგავი სახარებიდან, კერძოდ, „ტალანტის იგავი“ და ამასთან ერთად იოვანე-თორნიკე თავის თავს ანდერძში წარმოადგენს საერო ღირსებების და დამსახურების კუთხითაც, რაც გადატანილია „ვარლაამისა და იოასაფის“ სათაურში.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ნესტან სულავა, «Вепхисткаосани» Шота Руставели *или* Путь к мировой гармонии. Язык и Культура – от диалога к полилогу. Коллективная монография. г. Пятигорск. УДК 82’0+81’22 ББК 83.3+81.006.3 Я 41. ISBN 978-5-4220-1304-3 . 2022. გვ. 140-175.
2. ნესტან სულავა,Грузинская гимнография XII - XIII веков и политическая идеология. Язык и Культура – от диалога к полилогу. Коллективная монография. г. Пятигорск. УДК 82’0+81’22 ББК 83.3+81.006.3 Я 41. ISBN 978-5-4220-1304-3 . 2022. გვ. 252-269.
3. ეკა ვარდოშვილი Eka Vardoshvili, Georgian-Europian literary relations (Georgian-European literary relations in the 19th century), LAP LAMBERT Academic Publishing, Dodo Books of Indian Ocean Ltd; member of the Omniscriptum S.R.L. Pablishing group. ISBN 978-620-4-97900-7, Printed by Schaltungsdienst Lange o.H.G., Berlin 2022, p.p. 1-58.
4. Elguja Khintibidze, “Medieval Georgian Romance *The Man in a Panther-Skin Shakespeare’s Late Plays*”, ISBN 978-90-256-1330-3; Amsterdam, A. Hakert -Publishing, p. 330.

.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. გზა მსოფლიო ჰარმონიისაკენ „ვეფხისტყაოსანში“

სტატია გამიზნულია უცხოელი მკითხველისათვის, რის გამოც მასში მოკლედაა განხილული შოთა რუსთველის ბიოგრაფიის, დაწერის თარიღის, პოემის სტრუქტურის, მხატვრული სამყაროს, ლიტერატურულ-ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი საკითხები; გაანალიზებულია პოემის სათაურის მეტაფორული, სიმბოლური, მხატვრულ-ესთეტიკური არსი, პერსონაჟთა მრავალფეროვანი გალერეა, გმირთა სულიერი განვითარების გზა, მათი ამაღლებული და სულიერი ხატ-სახეები, რომლებმაც გადალახეს უდიდესი დაბრკოლებები.

ყურადღება გამახვილებულია პოემის სახელწოდებაზე, რომელიც სინქრონიულ-დიაქრონიულ ასპექტში დროსივრცულ მხატვრულ ფუნქციას შეიცავს, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ იგი მივიჩნიოთ სათაურ-ისტორიად, რომელშიც ქართველი ერისა და კაცობრიობის ისტორიის, სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა რიგის ინფორმაციებია ჩაკირული და რომელშიც ერთდროულად წარმოჩნდება პოეტის მიერ ვეფხისტყაოსნობის, როგორც მხატვრულ-ლიტერატურული და სოციოკულტურული მოვლენის, რემითოლოგიზაციაც და დემითოლოგიზაციაც. სტატიაში საუბარია რუსთველის პოემაში ასახულ ადამიანის კონცეფციაზე, რომელიც განსხვავდება შუასაუკუნეების შეხედულებებისაგან და სიახლეს ამკვიდრებს, რაც სათაურიდანვე ვლინდება. შოთა რუსთველმა თხზულებაში ადამიანის შესახებ ადრეული შუასაუკუნეების ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებებისაგან განსხვავებული კონცეფცია შეიმუშავა, რომლის მიხედვით ტრადიციული გაგებაც შეინარჩუნა, რაც საკუთარი თავის შემეცნების, ადამიანის ცხოვრებაში ღმერთის ადგილის შეცნობაში, ღმერთისადმი მის დამოკიდებულებაში გამოიხატა, და სიახლეც მოიტანა, რაც ადამიანის მისიის, ადამიანური მეობის, ადამიანის თვითდამკვიდრების არსში, ინდივიდუალურის ღვთაებრივამდე ამაღლებაში გამოიხატა და რაც ადამიანის სულიერი ხსნის გზად დაისახა. ამიტომ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც სათაური, ადამიანის სულიერ გარდასახვას, სულიერ ამაღლებას, პერსონაჟის, როგორც ინდივიდის ღვთაებრივამდე ამაღლებასაც ასახავს და გულისხმობს, რაც განასხვავებს რუსთველის პოემას ამავე ეპოქის აღმოსავლური და დასავლური თხზულებების სათაურებისაგან. სტატიაში განხილულია `ვეფხისტყაოსნის~ მთავარ პერსონაჟთა _ ტარიელის, ავთანდილის, ნესტან-დარეჯანის, თინათინის ქმედების უმთავრესი მიზანი - დაკარგული ღვთაებრივი ჰარმონიის ძიება, მოპოვება და დამკვიდრება, საღვთო და გარეშე სიბრძნის მორიგება, მშვენიერების, სილამაზის, სულიერი და ზნეობრივი სრულყოფის მოსაპოვებლად ბრძოლა. ისინი, როგორც ახალი თაობის წარმომადგენლები, ადამიანის გარდასახვის, ადამიანში პიროვნების გამოღვიძებისა და აღორძინების იდეას აყენებენ.

2. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია და პოლიტიკური იდეოლოგია

ჰიმნოგრაფია მწერლობის ის სფეროა, რომელშიც ისტორიუ¬ლი მოვლენები, ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური იდეოლოგია ნაკლებად, ძირითადად, ალუზიურად აისახება და გამოსჭვივის. ქართველი ერის ცნობიერების განვითარებაში X-XIII საუკუნეების ჰიმნოგრაფია უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო. ტრადიციული შეხედულებით, ამ პერიოდში შეიქმნა `ქებაÁ და დიდებაÁ ქართულისა ენისაÁ~, `ბეთლემისანი~, `გალობანი სატფურებისანი~, რომლებშიც ქართული ენისა და ანბანის ქებაა წარმოდგენილი. XII-XIII საუკუნეების ქართველ ჰიმნოგრაფთა _ ნიკოლოზ გულაბერისძის, თამარ მეფის, იოანე ანჩელის, იოანე შავთელის, არსენ ბულმაისიმისძის, საბა სვინგელოზის თხზულებებში აირეკლა პოლიტიკური იდეოლოგია, რაც განასხვავებს მათ წინარე ჰიმნოგრაფიული პოეზიისაგან. პოლიტიკური იდეოლოგია ქრის¬ტიანულ ცნობიერებასა და სამეფო იდეოლოგიას, ანუ დინასტიურ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას, ერთდროულად მოიცავს და ცივი-ლიზაციურ-კულტურულ გეოპოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი ფუნქციით დატვირთული წარმოგვიდგება. ცხადია, საქართველოს ისტორიული წარსულის, პოლიტიკური იდეოლოგიის დიაქრონიულ და სინქრონიულ ჭრილში საკვლევად აუცილებელია არა მხოლოდ ისტორიული ღირებულების მქონე თხზულებებსა და დოკუმენ¬ტებში, არამედ სხვა ჟანრის ნაწარმოებებში, კერძოდ ჰაგიოგრა¬ფიაში, ჰიმნოგრაფიაში, ჰომილეტიკასა და ეპისტოლურ მემკვიდრე¬ობაში, დაცული ცნობების მოძიება და გათვალისწინება. უნდა აღი¬ნიშნოს, რომ საღვთისმეტყველო და მხატვრული ლიტერატურა ხშირად ისეთ ფაქტოლოგიურ ცოდნას ინახავს, რომელთა შესახებ სხვადასხვა მიზეზთა გამო მატიანე ხშირად დუმს. ამასთან, არის რიგი საკითხებისა, რომლებიც საისტორიო თხზულებებსა და მხატვრულ ლიტერატურაში პარალელურად ჩნდება, აისახება და ვითარდება. კვლევამ აჩვენა, რომ საგალობლები თემატურ-იდეური და ჰაგიოგრაფიასთან მიმართების თვალსაზრისით ორი რიგისად წარმოგვიდგებიან: 1. საგალობელთა თემატიკა და მრწამსი ჰაგიოგრაფიამ განსაზღვრა; 2. საგალობლები

თავად იქცნენ ჰაგიოგრაფიის წყაროდ. ორივე შემთხვევაში საგალობლები ქართული ეკლესიისა და საქართველოს ისტორიის შესასწავლად საინტერესო წყაროს წარმოადგენენ. ქართულ ჰიმნოგრაფიაში არსებული ეროვნული ცნობიერება ამ ჟანრის ქართულ თხზულებებს სხვა ენებზე შექმნილ საგალობელთაგან განასხვავებს.

ჰიმნოგრაფიამ XII-XIII საუკუნეებში უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული ცნობიერების დახვეწაში. ქართულ მწერლობაში უკვე არსებობდა რამდენიმე ნიშნით გამოვლენილი მესიანური იდეა, რომელიც შემადგენელი ნაწილი იყო სამეფო, დინასტიურ-სახელ¬მწიფოებრივი პოლიტიკური იდეოლოგიისა: 1. უფლის კვართის საქართველოში დავანება, 2. რომლის წინაპირობა იყო ელიას ხალენის ქართულ მიწაზე დამკვიდრება; 3. ქრისტეს წამების სამსჭ¬ვალისა და ფიცრის საქართველოში ჩამოტანა; 4. საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვედრილობა; 5. თიხაზე დატვიფრული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში დამკვიდრება; 6. საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობა და ქართული ეკლესიის სამოციქულოდ მიჩნევა. სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც პოლიტიკური იდეოლო¬გიური დატვირთვა შეიძინეს ქრისტიანული იდეოლოგიის უმ¬ნიშვნელოვანესმა ფაქტებმა _ ქართული ეკლესიის სამოციქულოდ აღიარებამ, ვინაიდან აქ იქადაგეს წმ. ანდრია მოციქულმა, წმ. ბართლომემ, თადეოზმა, მატათამ, სიმონ კანანელმა, რასაც შემდ¬გომში დაემატა წმ. ნინოს ჯერ მოციქულთა სწორად, შემდეგ მოციქულად აღიარება, და ქართველ მეფეთა ბიბლიური ჩამომავ¬ლობის იდეოლოგიური ფუნქციის აქცენტირება-დამკვიდრებამ. ყო¬ველივე ამას სავსებით მიზანდასახულად წარმოაჩენდნენ ქართველი ჰიმნოგრაფები, რომელთა თხზულებები ღვთისმსახურების დროს შესასრულებლად იყო განკუთვნილი. ამ ქრისტიანულ იდეოლოგიურ პრობლემათა აქცენტირება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სახელ¬მწიფოებრივი წინსვლის საქმეს ემსახურებოდა.

3. Georgian-European Literary relations. მონოგრაფიაში ნაჩვენებია, თუ როგორ არის დანახული ევროპელ მწერალთა და მოგზაურთა მიერ საქართველო. როგორ უკავშირებენ ისინი ქართულ რეალობას ევროპულს და რას მიიჩნევენ ქართველთა იდენტობის ძირითად მახასიათებლებად.

საუბარია იმის შესახებ, თუ რა საერთო ტენდენციები ახასიათებს ქართულ და ევროპულ ლი-ტერატურას, რომ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა ეფუძნება როგორც ეროვნულ, ასევე ევროპულ ლიტერატურულ ტრადიციებსა და საზროვნო სისტემას.

საქართველო ისტორიულად ყოველთვის იყო ევროპული ორიენტაციის მატარებელი ქვეყანა-ქართული სახელმწიფო მიმართული იყო ევროპულ ფასეულობებზე. ქრისტიანული სარწმუნოება და მენტალობა განსაზღვრავდა მისი კულტურის ევროპულ ხასიათს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-ევროპულ ურთიერთობებზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომია შექმნილი, მონოგრაფიაში განხილული რიგი საკითხებიდა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში შესწავლილი არ არის.

4. მონოგრაფია არის მეორე შევსებული გადამუშავებული და შევსებული გამოცემა იმავე გამომცემლობის მიერ 2018 წელს დაბეჭდილი მონოგრაფიისა. ნაშრომი ეძღვნება ინგლისური ლიტერატურის ისტორიისა და რუსთველოლოგიური მეცნიერებისათვის ავტორის მიერ გამოვლენილ მნიშვნელოვან სიახლეს, რომ“ვეფხისტყაოსანი“ გამოყენებულია ლიტერატურულ წყაროდ რენესანსის ეპოქის მწვერვალზე დიდ ინგლისურ დრამატურგიაში. ავტორი სრული სახით წარუდგენს ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესს უცხოელ მკითხველს და ამასთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყაროს ტიპოლოგიურ მსგავსებას ევროპული რენესანსის უშუალოდ წინარე ეპოქის ლიტერატურული აზრის განვითარებასთან. ამ თვალსაზრისით, განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ მიმართება ე.წ. არტურის ციკლის რომანებთან. ასევე, წარმოდგენილია „ვეფხისტუაოსნის“ იდეურ-მსოფხედველობითი პრობლემატიკა დანტესა და პეტრარკას შემოქმდებასთან მიმართებით. საგანგებო კვლევის საგანია რუსთველის სიყვარულის კონცეფცია, რომელიც ასევე მიმართებას ამყარებს აღორძინების პერიოდის ევროპულ მხოფლმხედვასთან. დაწვრილებიტაა განხილული „ვეფხისტყაოსანი“, როგორც წყარო მე-17 საუკუნის დასაწყისის ინგლისელი ფრამატურგების ჯონ ფლეტჩერისა და ფრენსის ბომონტის ორ პოპულარულ პიესასთან: „მეფე და არა მეფე“ და „ფილასტერი“. გამოვლენილია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ლიტერატურული წყაროა შექსპირის პიესისა „ციმბელინი“ და წარმოდგენილი და არგუმენტირებულია თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისში მიტანილი უნდა იყოს შაჰ აბასის კარზე დაწინაურებული ქართველი მოხელეებისა და ასევე, შაჰის ქართველი ცოლების მე-16 საუკუნის დამლევს სპარსეთის სამეფო კარზე მყოფ ინგლისელ დიპლომატთა მეშვეობით. ნაშრომში დეტალურადაა საუბარი „ვეფხისტყაოსნისა“ და „ციმბელინის“ სიუჟეტური ეპიზოდების, იურისპოდენციული ტერმინების,

მხატვრული სახეების მიმართებები. ასევე, შექსპირის ბოლოდროინდელ პიესებში „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური და კომპოზიციური დეტალების რემინისცენციაზე. “ვეფხისტყაოსნის“ მე-17 საუკუნის ინგლისური დრამატურგიის ლიტერატურულ წყაროდ გამოვლენა ფილოლოგიური კვლევების საფუძველზე მოხდა. ინგლისური და ქართული ლიტერატურული კრიტიკის ამ სიახლეს აქვს მეორე - საისტორიო მხარე. საიდან უნდა მისულიყო ინგლისელ დრამატურგებამდე ვეფხისტყაოსნის ამბავი. ნაშომში გამოკვლეულია „ვეფხისტყაოსნის“ გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და ის საისტორიო წყაროები, რომელიც აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს.

.

6.2. სახელმძღვანელოები
ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1. Gogiashvili, Elene. Zwei Märchen der Brüder Grimm in georgischer mündlicher Erzähltradition: *Die Bremer Stadtmusikanten (KHM 27)***und** *Der treue Johannes (KHM 6)*. https://doi.org/10.1515/fabula-2022-0005 *Fabula*, vol. 63, no. 1-2, 2022, pp. 119-130. ISSN 1613-0464, გამოცემის ადგილი: გერმანია, გამომცემლობა: De Gruyter.

2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. სტატია გამოქვეყნებულია გერმანულ ენაზე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „Fabula“- ში. ჟურნალის დარგობრივი სფეროები ფოლკლორისტიკას, ლიტერატურათმცოდნეობასა და კულტურის კვლევების მოიცავს. ელენე გოგიაშვილის სტატია ეხება ლიტერატურულ და ხალხური სიუჟეტების ურთიერთმიმართების საკითხებს ქართული ზეპირსიტყვიერების მაგალითზე, კერძოდ, ევროპული წარმოშობის სიუჟეტის ადაპტაციებს ქართულ ზეპირ თხრობით ტრადიციაში. ერთგული მეგობრების ამბავი, რომელიც შექმნილია რელიგიური მოთხრობის „Vita Amici et Amelii“ საფუძველზე (დაახლ. 1100 წ.), ევროპულ ფოლკლორში საზღაპრო სიუჟეტად გავრცელდა. უამრავი ლიტერატურული და ზეპირი გადამუშავება არსებობს გერმანიულ, ფრანგულ, ბრიტანულ, იტალიურ, ესპანურ და დანიურ ლიტერატურულ და ფოლკლორულ წყაროებში. საერთო ფაბულა ასეთია: ტყუპისცალივით მსგავსი ორი მეგობარი ერთმანეთს გასაჭირში ეხმარება. როცა ერთს ორთაბრძოლაში გამოიწვევენ, მის ნაცვლად მეორე იბრძვის, რადგან უფრო ღონიერია. ერთ მათგანს მეორის ცოლთან მოუხდება ღამისთევა და საწოლში მახვილს დებს. შემდგომ, როცა ერთი მეგობარი ბრძოლაში იღუპება, ანგელოზი ეცხადება მეორეს და აუწყებს, რომ მისი გაცოცხლება შეიძლება, თუ თავისი შვილების სისხლში განბანს. მეგობარი უყოყმანოდ ხოცავს შვილებს მეგობრის გადასარჩენად. ამ მსხვერპლის სანაცვლოდ ყველა გაცოცხლდება, მეგობარიც და ბავშვებიც. ამ ლეგენდის მოტივებზეა აგებული ძმები გრიმების ზღაპრები „ორი ძმა“ ATU 303, „ერთგული მსახური“ ATU 889, „ერთგული იოჰანესი“ ATU 516 და სხვა.). ზღაპრის ეს ტიპები ცნობილია ქართულ ფოლკლორშიც. ქართული ზეპირსიტყვიერების საარქივო მასალები ადასტურებს, რომ ლიტერატურის გავლენა ხალხურ თხრობაზე საგრძნობლად ძლიერია იმ სიუჟეტებზე, რომლებიც ქრისტიანული ლეგენდების, აპოკრიფების, საკითხავების კვალს ატარებს. გარდა ამისა, ხალხური ზღაპრის თხრობაზე იმოქმედა ბეჭდური გამოცემების საყოველთაო გავრცელებამ XIX საუკუნის დასასრულს. ქართული ზღაპრების რეპერტუარში მოხვდა ისეთი

ზღაპრები გრიმების „საბავშვო და საოჯახო ზღაპრების“ კრებულიდან, როგორიც არის „ერთგული იოჰანესი“ და „ბრემენელი მუსიკოსები“.

2.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ნესტან სულავა, რომის წმინდა ადგილების იდენტიფიკაციისათვის სულხან-საბა ორბელიანის თხზულებაში „მოგზაურობა ევროპაში“. საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე ონომასტიკური პრობლემები“, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 9-10 დეკემბერი, 2022.
2. ნესტან სულავა, ივანე ჯავახიშვილი ნიკოლოზ გულაბერისძის ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო მოძღვრების შესახებ. პირველი საერთაშორისო კონფერენცია: საქართველო და კავკასია - წარსული, აწმყო, მომავალი. საქართველოს უნივერსიტეტი, თამაზ ბერაძის სახლობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი. 2022, 26-27 ნოემბერი.
3. ნესტან სულავა, ტრაგიკული ეტიუდები ე.წ. ბორდერიზაციის სამყაროდან - გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა „ბოთე“.კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი - *კავკასიის ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური პორტრეტი.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიოლოგიის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი, არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი, ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი, 2022, 10-13 ნოემბერი.
4. ნესტან სულავა, ივანე ჯავახიშვილი ძველი ქართული მწერლობის კლასიფიკაციისა და თხრობის სტილის შესახებ. Ivane Javakhishvili on the classification and style of narration of old Georgian writing II საერთაშორისო კონფერენცია ტერმინოლოგია — მემკვიდრეობა და თანამედროვეობა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი ტექინფორმი, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაცია. 2022. 29-30 ოქტომბერი (ნანა გონჯილაშვილის თანაავტორობით).
5. ნესტან სულავა, საიდუმლო სერობის რემინისცენცია იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“. 2022. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2022, 21-22 ოქტომბერი.
6. ნესტან სულავა, კავკასიური სივრცე „დავითიანში“, III საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2022. 3-5. 10. (ნანა გონჯილაშვილის თანაავტორობით).
7. ნესტან სულავა, აფხაზეთი როგორც პოლიტიკური და ქრისტიანული კულტურის დროსივრცული არეალი ქართულ ჰაგიოგრაფიაში. კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი – სვანეთის მუზეუმი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკის კვლევათა ინსტიტუტი. მესტია. 2022. 25-27 აგვისტო.
8. ნესტან სულავა, სულხან-საბა ორბელიანის ერთი იგავის მიმართებისათვის ნიზამი განჯელის ლექსთან. ქუთაისის VII საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“. ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ISSN 1987-7323. ქუთაისი, საქართველო. 26-27 მარტი, 2022 წელი. For the reference of one of the fables of Sulkhan-Saba Orbeliani to the poem of Nizami Ganjavi. Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences. Akaki Tsereteli State University. VI International Online Scientific Conference "Language and Culture". Scientific Papers. Kutaisi.

9. ნესტან სულავა, აფხაზეთი გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში. აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 26.11. 2022.
10. ნესტან სულავა, ქალთა მისია ქართლის გაქრისტიანებაში „მოქცევაÁ ქართლისაÁს“ მიხედვით. The mission of women in the Christianization of Kartli according to the „conversion of Kartli“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საფაკულტეტო კონფერენცია (ნანა გონჯილაშვილის თანაავტორობით). 2022. 14-16 ივლისი.
11. ნესტან სულავა, ივანე ჯავახიშვილის თეორიული სჯანი წმინდანთა „მარტვილობებისა“ და „ცხოვრებების“ შესახებ. ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. Scientific Conference Dedicated to the 146th Anniversary of Ivane Javakhishvili. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 27-28 მაისი, 2022. (ნანა გონჯილაშვილის თანაავტორობით).
12. Maka Elbakidze, Irine Modebadze The Concepts and Realities of the Eastern Culture in "The Knight in the Panther's Skin". XXIII Congress of the ICLA: Re–Imagining Literatures of The World: Global and Local, Mainstreams and Margins. Tbilisi. 24-29.07.2022
13. მაკა ელბაქიძე. გენდერული პრობლემები შუასაუკუნეების რაინდულ რომანში (ვეფხისტყაოსნისა და ევროპული რაინდული რომანის მაგალითზე). საერთაშორისო კონფერენცია - „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-4“. ბათუმი. 2-4.12.2022.
14. ნ. გონჯილაშვილი, ნ. სულავა, კავკასიური სივრცე „დავითიანში“, საერთაშორისი კავკასიოლოგიური კონგრესი, თსუ, ლიტერატურის ონლაინ-სექცია, 3-5/10/2022
15. ნანა გონჯილაშვილი, ნესტან სულავა, ქალთა მისია ქართლის გაქრისტიანებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით , აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, ივლისი 14-16, 2022, თბილისი, თსუ.
16. ნ. გონჯილაშვილი, ნ. სულავა, ივანე ჯავახიშვილის თეორიული სჯანი წმინდანთა „მარტვილობებისა“ და „ცხოვრებების“ შესახებ, ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები, 27-28 აპრილი, 2022, თსუ (ონლაინ)
17. ნ. გონჯილაშვილი, ნ. სულავა, ივანე ჯავახიშვილი ძველი ქართული მწერლობის კლასიფიკაციისა და თხრობის სტილის შესახებ , III საერთაშორისო კონფერენცია - ტერმინოლოგია – მემკვიდრეობა და თანამედროვეობა, 29-30/X, 2022, თბილისი, თსუ.
18. ლადო მინაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე - ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი, ელიზბარ ჯაველიძის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 25.10. 2022. თბილისი, საქართველო.
19. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრის საკითხი, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, 14-16.07.2022. თბილისი, საქართველო.
20. . ეკა ვარდოშვილი ვერიზმი XIX საუკუნის პროზაში, Verismo in the Prose of the XIX Century. აკა¬დე¬მიკოს მა¬რიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო კონფერენცია, 16th Faulty Scientific Conference In Honour of the 100th Anniversary of the Birth of Mariam Lortkipanidze, პროგრამა, Program, ივ¬ლისი 14-16 July. თბილისი 2022 Tbilisi. ივანე ჯავახიშვილის სა¬ხე¬ლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუ¬მა¬ნიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. Ivane Javakhishvili Tbilisi State Uni¬versity, Faculty Humanities.
21. ეკა ვარდოშვილი Literary paradigms of Adam Mickiewicz „Faris“ in the world poetry, XXIII Congress of the ICLA. Re-Imagining of The World: Global and Local, Mainstreams and Margins, July-24-29, Tbilisi-2022. International Comparative Literature Assotiation (IGLA), Ge¬orgian Compa¬rative

Literature Assotiation (GCLA), Ivane JAvakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Program (Congress Schedule).

22. ეკა ვარდოშვილი თამარ მეფის სახე ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში, The Image of Queen Tamar in Georgian and European Literature, საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი, International Congress of Caucasian Studies, პროგრამა, Program, თბილისი, Tbilisi, 2022, 3-5 ოქტომბერი, 3-5 October.
23. ეკა ვარდოშვილი ამერიკული ქალაქი XIX საუკუნის პროზაში, American City in XIX Century Prose, ამერიკისმცოდნეობის 23-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, ეძღვნე¬ბა საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის დიპ¬ლო¬მატიური ურთიერ¬თო¬ბე-ბის დამყარების 30-ე წლისთვის, თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ამერიკის შესწავლის ინსტიტუტი, ამერიკის შეს¬წავლის საქარ¬თვე¬ლოს ასოციაცია. პროგრამა, 19-21 მაისი, თბილისი.
24. Eka Vardoshvili, 23th International Annual conference of American Studies. The 2022 Annual conference of American Studies is dedieated to the celebration of 30 years of diplomatic relations between Georgia and US, Institute of American studies at TSU, The Georgian Association for American Studies, Program 19-21 may, Tbilisi 2022.
25. ეკა ვარდოშვილი ჰენრიკ სენკევიჩის პროზის თავისებურებების შესახებ, O prozie H. Senkiewicza, Об особенностях прозы Г. Сенкевича, საერთაშორისო სამეცნიერო კონფე¬რენ-ცია: „პო¬ლონეთი-საქართველო. ორსაუკუნოვანი დიალოგი“. „Polska-Cruzja. Dialog przez stulecia“, კონფერენცია ეძღვნება კავშირ „პოლონიას“ 25 წლისთავს, 6-7 ოქ¬ტომბერი, Tbilisi-თბილისი-2022, თსუ, პოლონეთის რესპუბლიკის სა¬ელ¬ჩო სა¬ქარ¬თველოში, საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმა¬ნათ¬ლებ¬ლო კავ¬შირის „პოლონია“.
26. თამარ შარაბიძე, „სიკვდილ-სიცოცხლის კონცეპტი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“ , 2022 წ, 28 ნოემბერი, თსუ.
27. თამარ შარაბიძე, „ბასილ მელიქიშვილი _ თურმანი“, ბასილ მელიქიშვილი ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, 2022 წლის 6 დეკემბერი, თსუ.
28. თამარ შარაბიძე, „ნ.ბარათაშვილის სიცოცხლის ბოლო წლები“, ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საჯარო ლექცია, კავკასიის უნივერსიტეტი, 2022 წლის 5 დეკემბერი.
29. თამარ შარაბიძე, გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლი XIX საუკუნის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ აზროვნებაში, სამეცნიერო კონფერენცია „XIX საუკუნე _ ეპოქათა მიჯნა“, 2022 წ. 20 დეკემბერი, თსუ.
30. ლევან ბებურიშვილი, ისევ „სტუმარ-მასპინძლის“ მთავარი კონფლიქტის შესახებ, „ვაჟა-ფშაველა 160 – თანამედროვე ინტერპრეტაციათა ცდანი“, 28.11.2022, თბილისი, საქართველო
31. ლევან ბებურიშვილი, გალაკტიონის პოეზიის რეცეფცია XX საუკუნის 50-იანი წლების ლიტერატურულ კრიტიკაში/ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი, სამეცნიერო კონფერენცია, 28.04.2022, თბილისი, საქართველო.
32. ლევან ბებურიშვილი, იაკობ გოგებაშვილი ქართული ბატონყმობის თავისებურებათა შესახებ, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია,14.06.2022, თბილისი, საქართველო.
33. Eastern and Western Literary Paradigms in Georgian Romanticism, XXIII International Comparative Literature Association Re–Imaginnig Literatures of The World: Global and Local, Mainstreams and Margins 28.07.2022, Tbilisi, Georgia.
34. თ. პაიჭაძე. ელენე დარიანი მისტიფიკაციური გამოწვევა და მხატვრული იდენტიფიკაცია კონფერენცია „დარიანული ლექსების ავტორის ვინაობა“. 12.04.2022 კავკასიური სახლი, თბილისი
    http://caucasianhouse.ge/siakhleebi/darianiconference/?fbclid=IwAR3xvi71J1W8PONRvyh3TtgW5-8m6y-S834ksBz_N2UnGsbK4KtG10Iirqg
35. თ პაიჭაძე, ქართული ლიტერატურა გზაჯვარედინზე: კულტურული გამოწვევები. ICLA 2022 შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო კონგრესი: კოლონიური რეალობიდან ევროპეიზაციისაკენ თსუ. თბილისი 24-29. 07
    https://www.ailc-icla.org/congress-2022/
36. თ. პაიჭაძე პროტესტი, როგორც ტექსტი - ავანგარდისტული წარმოდგენით

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია –შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე –9-11. 07 2022 ბსუ, ბათუმი https://bsu.edu.ge/main/page/17073/index.html

37. თ. პაიჭაძე ფოლკლორული ალუზიები ქართულ ავანგარდისტულ პოეზიაში კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესი კავკასია - ინტერდისციპლინური კვლევები II; მესტია 26-29.08.2022 https://tsu.ge/ka/news/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%97%E1%83%90-V-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D--%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98

38. თ. პაიჭაძე სიყვარულის პლატონური კონცეფცია და სიმბოლისტური პარადიგმები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“ ბსუ, ბათუმი; 2-4.12. 2022 https://bsu.edu.ge/main/page/17092/index.html

39. რ. ნიშნიანიძე, ,,საფრანგეთში გამოქვეყნებული ერთი ლიტერატურული რეცენზიის შესახებ“ 26.03.2022 ქუთაისი, VII საერთაშორისო სამეცნიერო დისტანციური კონფერენცია ,,ენა და კულტურა“ https://doi.org/1052340/lac
40. რ. ნიშნიანიძე, ,,ლიტერატურული კონტრასტები სამანს აქეთ და სამანს იქით“ 25 მაისი 2022 თბილისი, აკადემიკოს გურამ შარაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ,,ისტორიული ემიგრაცია ორი საუკუნის გზასაყარზე“
41. რ. ნიშნიანიძე, ,,მნიშვნელობადაკარგული სიტყვები“ (რეი ბრედბერის ,,451 0 ფარენჰაიტით) 19-21 მაისი, 2022 თბილისი, ამერიკისმცოდნეობის 23-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია
42. რ. ნიშნიანიძე, ,,რეი ბრედბერი და ქართული დოკუმენტური პროზის გადამახილი“ 14-15 ოქტომბერი, 2022 ქუთაისი, პროფ. თ. კობახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი X საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში
43. რ. ნიშნიანიძე, ,,კავკასია - ერთი მითოლოგიური ხატ-სიმბოლოს მხატვრული გააზრება და ქართული ემიგრაციის მსოფლხედვა“ 14-16 XI. 2022, თბილისი, კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი
44. ქ. სიხარულიძე, „ძველი წარმოდგენების რუდიმენტები კავკასიელთა მითოლოგიურ გადმოცემებში“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები, მარტი, 2022, თბილისი.
45. ქ. სიხარულიძე, „ამირანის მხატვრული სახე - გზა ფოლკლორიდან ლიტერატურამდე“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საფაკულტეტო XVI სამეცნიერო კონფერენცია (მიძღვნილი მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილისადმი), 14-16 ივლისი, 2022, თბილისი. თეზისები გამოქვეყნებულია.
46. ქ. სიხარულიძე, „სამონადირეო თემა ოსურ ფოლკლორში“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“, 13-15 ოქტომბერი, 2022, თბილისი.
47. ქ. სიხარულიძე, „ბალადები ძმების დაპირისპირებაზე“, შედარებითი ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაციის XXIII კონგრესი, 24-29 ივლისი, 2022, თბილისი.
48. ქ. სიხარულიძე, „გადმოცემები ღმერთების ბრძოლაზე კავკასიის ხალხთა ფოლკლორში“, კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესი, 25-27 აგვისტო, 2022, მესტია.
49. ქ.სიხარულიძე, „გოლიათი ქალის სახე კავკასიურ ფოლკლორში“, კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი, 14-16 ნოემბერი, 2022, თბილისი.
50. ქ.სიხარულიძე, ბიბლიური შესაქმის გახალხურებული ვერსიები სვანეთში“,

51. ხვთისო მამისიმედიშვილი, აფხაზური სოფელი ჯუმა ახუბას მოთხრობებში, სამეცნიერო კონფეენცია ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები,თსუ, თბილისი, 2022 წლის 26 მარტი, მომხსენებელი.

52. ხვთისო მამისიმედიშვილი, ფოლკლორული მოტივები ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, თბილისი, 2022 წლის 14-16 ივლისი, მომხსენებელი. თეზისები დაბეჭდილია.
53. ხვთისო მამისიმედიშვილი, .ამირანის თქმულების ლაკური და ჩეჩნური ვერსიები, კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი, თსუ, თბილისი, 2022 წლის 14-16 ნოემბერი, მომხსენებელი.
54. ხვთისო მამისიმედიშვილი, შავი ჭირის გამავრცელებელი არსებები ქართულ და ოსურ ფოლკლორში, VIII საერთაშორისო კონფერენცია, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები, თსუ, თბილისი, 2022 წლის 13-14 ოქტომბერი, მომხსენებელი.
55. ხვთისო მამისიმედიშვილი,.მითოლოგიური პარალელები ქართულ და ჩეჩნურ თქმულებებში, კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესი, თსუ, მასალები, მესტია, 2022 წლის 25-27 აგვისტო, მომხსენებელი.
56. ელენე გოგიაშვილი. ისტორია და მასმედია: ქართული ხალხური გადმოცემა ამერიკულ ჟურნალში Harper's Weekly, 1957. ამერიკისმცოდნეობის 23-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 19-21 მაისი, 2022.
57. ელენე გოგიაშვილი. ეპიკური კანონების კონცეფცია სკანდინავიურ ფოლკლორისტიკაში. აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თბილისი, 14-16 ივლისი, 2022.
58. ელენე გოგიაშვილი. ალექსანდრე მაკედონელი ოსურ ფოლკლორში. VIII საერთაშორისო კონფერენცია - ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები. თბილისი, 13-14 ოქტომბერი, 2022.
59. ელენე გოგიაშვილი. „კეთილშობილი ყაჩაღის“ საერთო მახასიათებლები ქართულ და აღმოსავლეთ ევროპის ფოლკლორში, - ფოლკლორისტთა 58-ე სამეცნიერო კონფერენცია, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 28 სექტემბერი, თბილისი 2022.
60. ლორია, კახაბერ. „ჭოლა ლომთათიძის მოთხრობა „სახრჩობელის წინაშე“ - იდეოლოგიური და ლიტერატურული განზომილებები“. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივლისი 14-16, თბილისი 2022 https://tsu.ge/assets/media/files/57/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9B%20%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94%20-100.pdf (გვ. 183 – 188)
61. ლორია, კახაბერ. „Neorealism in Norwegian and Georgian literature“. შედარებითი ლიტერატურის XXIII მსოფლიო კონგრესი /XXIII Congress of International Comparative Literature Association (ICLA)/ https://openjournals.ge/index.php/icla/issue/view/721/251 (გვ.760)
62. ე. ხინთიბიძე, „ქართული წარმოშობის შედევრი რენესანსის ევროპის ხალხთა მწერლობაში და მისი იდუმალი სათაური“, საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი; 3-5 ოქტომბერი 2022; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
63. ლელა ხაჩიძე, ისტორიული ჟანრის ბიზანტიური თხზულებები და მათი ქართული თარგმანები, მოხსენება საერთაშორისო კავკასიოლოგიურ კონგრესზე, თბილისი, 2022, 3 ოქტომბერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
    თეზისები იხ.: ისტორიული ჟანრის ბიზანტიური თხზულებები და მათი ქართული თარგმანები, საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესის მოხსენებათა თეზისები, 2022, გვ. 114-115.
64. ლელა ხაჩიძე, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ერთი ნიმუში და მისი ქართული თარგმანი, მოხსენება შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო კონგრესზე: „XXIII Congress of the ICLA Re–Imaginnig Literatures of The World: Global and Local, Mainstreams and Margins“ , 29.07. 2022 კონფერენცია ჩატარდა ონლაინ ფორმატში.
65. ლელა ხაჩიძე, მიქაელ მოდრეკილის ლიტურგიკული მოღვაწეობიდან, მოხსენება აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI

საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 14. 07. 2022.

მოხსენების თეზისები იხ.: აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი XVI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისი, 2022, გვ. 295-297.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ნესტან სულავა:

1. **ანოტაცია**: მოხსენებაში საუბარია სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობაზე ევროპაში, სადაც მან ორ წელზე ცოტა მეტი დაჰყო და თავისი შთაბეჭდილებები ასახა მოგზაურულ-მემუარული ხასიათისა და დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნაშრომში „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს საფრანგეთისა და იტალიის გეოგრაფიული სივრცის, მათი წმინდა ადგილების, იქ დაცულ სიწმინდეთა და ღირსშესანიშნაობათა შესახებ. თხზულებას როგორც უცხოელის თვალით დანახული და აღქმული ამ ქვეყნების მეცნიერული გეოგრაფიისა და ისტორიის გასაცნობად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მით უმეტეს, სულხან-საბა ორბელიანი ნანახ ადგილებს, ღირსშესანიშნაობებს ზოგჯერ ადარებდა თავისი სამშობლოს ბუნებასა და ისტორიულ ძეგლებს. მოხსენებაში განხილულია მხოლოდ რომისა და მის შემოგარენში არსებული ტაძრების, წმინდა ადგილების, სიწმინდეებისა და ღირსშესანიშნაობების ნაწილი, რომლებიც მწერალმა დიპლომატმა მოიხილა და რომელთა უაღრესად მნიშვნელოვანი აღწერა-დახასიათება შემოგვთავაზა.
2. **ანოტაცია:** ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულების - „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“ - კომპოზიციის შესახებ ივანე ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ იგი ორნაწილიანია: პირველში ისტორიული ცნობებია საუფლო კვართისა და ქართველთა გაქრისტიანების შესახებ წმ. ნინოს მიერ, ხოლო მეორეში - ასახულია უფლის კვართის, სვეტიცხოვლისა და წმ. ნინოს ძველი და ახალი სასწაულთმოქმედებები; ბოლოს დაერთვის შესხმა, რომელიც გამოყოფილია როგორც „გიხაროდენი“. ამ უკანასკნელის შესახებ მეცნიერმა აღნიშნა, რომ შესაძლოა დომენტი კათალიკოსის დაწერილი იყოს და არა ნიკოლოზისა, რის საფუძველსაც მისივე ანდერძ-მინაწერი ქმნის. იგი წერს: „ჩუენ კათალიკოზმან პატრიაქმან დომენტი განვაახლეთ ცხოვრებაჲ ესე სუეტის ცხოველისაჲ“ (გულაბერისძე, 2007: 38). ესაა თხზულების დაუჯდომლის სტილით შექმნილი ნაწილი, რომელიც საგალობლის ფორმასა და შინაარსს უახლოვდება. უნდა აღინიშნოს, რომ ძნელი გასამიჯნია ნიკოლოზ გულაბერისძისეული დედნის ტექსტი და დომენტი კათალიკოსის ნარედაქციევი ტექსტი. ივანე ჯავახიშვილმა ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულება „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“ ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო მოძღვრების ამსახველ ნაწარმოებად მიიჩნია და გამოთქვა მნიშვნელოვანი შეხედულებანი თხზულების მიზანდასახულობის, ისტორიის ფილოსოფიისა და ესთეტიკური შეხედულებების შესახებ, რაც ბიზანტიურ მწერლობასთან შედარების საფუძველზე განიხილა და წარმოაჩინა მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება. მან ყურადღება გაამახვილა ნიკოლოზ კათალიკოსის თვალსაზრისზე იმის თაობაზე, რომ ქართველებს არ ჰქონიათ ჩვევად ფილოსოფიური აზროვნებისა და ენამჭევრობისა, სამეცნიერო გამოძიებისა. ამიტომ ივანე ჯავახიშვილის აზრით, ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულება სიახლეა, რადგან თვით ნიკოლოზმა თავისი ზემოხსენებული ნაშრომი სწორედ „ჴელოვნების ნასიბრძნად“ მიიჩნია და წარუდგინა მკითხველს. მეცნიერმა აღნიშნა კიდეც, რომ კათალიკოსი ფილოსოფიურ მსჯელობას, ნასიბრძნს ამჯობინებს, ვიდრე სხვადასხვა ისტორიულ საკითხზე საუბარს; ისიც აღნიშნა, რომ მისი თხზულება დალაგებული, „შემდგომითი შემდგომადი მოთხრობა“ არაა. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია „საკითხავში“ დასმულ ქართველთათვის მნიშვნელოვან პრობლემებზე. მან ფილოსოფიური საფუძვლები დაძებნა

ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაში დამოწმებული ისეთი ტერმინებისათვის, როგორიცაა „მგონებლობითი აღწერაჲ“, „ძიება“, „გამოძიება“, „საძიებელი“, რომლებიც წმინდა ნინოს საქართველოში მოღვაწეობის რაობისა და მნიშვნელობის განსაზღვრისათვის სჭირდება.

ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაში დასმული ისტორიული, ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო საკითხები ერთმანეთთან კავშირშია განხილული და შეფასებული ივანე ჯავახიშვილის მიერ როგორც ერთიანი სისტემა, რომელთა გამოყენებით ნიკოლოზს განუზრახავს იმ ნაკლის შევსება, რომელიც ქართველებს სხვა ერებთან, კერძოდ, ბერძნებთან შედარებით ჰქონდათ. ივანე ჯავახიშვილის სტატიის უმთავრესი მიზანი იყო ნიკოლოზ გულაბერისძის როგორც ისტორიკოსის, ფილოსოფოსის, საეკლესიო ისტორიის ღრმა მცოდნის სახის ჩვენება და ამ შეხედულებათა მნიშვნელობის განსაზღვრა, რის განხილვამაც იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ნიკოლოზს ჰქონია დაკვირვებისა და ღრმა აზროვნების უნარი და ნიჭი. თუმცა, მისი ნიჭის სრულ გამოხატულებად მისი თხზულება არ მიაჩნია და გულდაწყვეტით აღნიშნა, რომ მას მეტის გაკეთება შეეძლო, რის საფუძველსაც იძლევა ფილოსოფიის, ესთეტიკის, საეკლესიო ისტორიის, ისტორიის ფილოსოფიის შესახებ თხზულების დასაწყისში მსჯელობა.

მოხსენებაში დეტალურადაა განხილული ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულების ისტორიულ-ფილოსოფიური და ესთეტიკური ღირებულების ივანე ჯავახიშვილისეული შეფასება.

ქართულმა ჰაგიოგრაფიამ ასახა საქართველოს სხვადასხვა კუთხის, სამეფოს, სამთავროს პოლიტიკურ-სოციალური, იდეოლოგიური და კულტურულ-ისტორიული ვითარება, რომელსაც გარკვეული გეოგრაფიული სივრცის ფიზიკური მდგომარეობისა და სიმბოლური გააზრების კონტექსტიც აქვს. ამ თხზულებათა სამოქმედო არეალია ქართლი, კახეთი, სამხრეთ საქართველო, დასავლეთ საქართველო; თითოეული მათგანი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სახელით მოიხსენიება. აფხაზეთის ასახვა ქართულ ჰაგიოგრაფიაში ის პრობლემაა, რომელიც მოიცავს აფხაზეთის, როგორც VIII-X საუკუნეების დასავლეთ საქართველოს, პოლიტიკურ-იდეოლოგიური და კულტურული ფონის საფუძველზე აქ მიმდინარე მოქმედებებისა და მოვლენების ჩვენებას, შესაბამისად, იმ წმინდანთა სახეების წარმოჩენას, რომლებიც ან აფხაზეთის//დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი არიან, ან მას უკავშირდებიან. IV-X საუკუნეების ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებებიდან ამ თვალსაზრისით გამოიყოფა შემდეგი თხზულებები: იოვანე საბანის ძის „წმ. აბო ტფილელის წამება“, გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, წმ. გიორგი მთაწმინდელის „წმ. იოვანესა და წმ. ეფთვიმეს ცხოვრება“, გიორგი მცირის „წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, რომლებშიც მთავარი პერსონაჟების სამოღვაწეო არეალი აფხაზეთსაც სწვდება. აქვეა განსახილველი „დავითისა და კონსტანტინეს წამების“ XII საუკუნეში შექმნილი მეტაფრასული და სვინაქსარული რედაქციები, რომლებშიც მოქმედების გეოგრაფიული არეალი აფხაზეთია და დროის თვალსაზრისით იგი VIII საუკუნის ამბებს ასახავს. მოხსენებაში გამოვყავით გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც წმ. გრიგოლ ხანცთელის მოღვაწეობის ეპოქის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, სასულიერო-საეკლესიო, სოციალურ, კულტურულ ვითარებას წარმოაჩენს. ამ დროს აფხაზეთი ჯერ კიდევ ბიზანტიის პოლიტიკურ გავლენას განიცდის, მაგრამ იგი რელიგიურ-ეკლესიურად არ იზიარებს ბიზანტიაში მიმდინარე რელიგიურ ბრძოლებს, ბიზანტიის იმპერიაში გავრცელებულ ხატმებრძოლობის ერესს და რჩება ხატთაყვანისმცემელ ეპარქიად. გიორგი მერჩულის თხზულების წმინდან პერსონაჟთა სამოღვაწეო არეალი აფხაზეთიცაა, რომელიც პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეს წარმოადგენს, როგორც „ყოველი ქართლის“ განუყოფელი ნაწილი, რომელთანაც საერთო აქვს სახელმწიფო ენა და სარწმუნოება მამულთან, ტერიტორიასთან ერთად. გიორგი მერჩულის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი - „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად „უფალო, წყალობა ყავ“, გინათუ „უფალო, შეგჳწყალენ“ (ძეგლები, 1963/1964: 290) - სწვდება და გულისხმობს აფხაზეთსაც, როგორც „ყოველი ქართლის“ სრულუფლებიან ნაწილს და წევრს. „ლოცვაჲ ყოველი“ სრული ლიტურგიული პროცესია და იგი ქართულ ენაზე სრულდება „ყოველი ქართლის“ ტერიტორიაზე, ხოლო „კჳრიელეჲსონი“ ბერძნულად თქმა, ქართულად „უფალო, წყალობა ყავ“, ან „უფალო, შეგჳწყალენ“ ქართულ ეკლესიას აერთიანებს მთელ მართლმადიდებლურ სამყაროსთან, რითაც მყარდება ეკლესიათა ერთობა, უნია.

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, თხზულებაში აფხაზეთის თემა წამყვანი არაა და ვერც იქნებოდა, რადგან ჰაგიოგრაფიის მიზანი წმინდანის ხატ-სახის ჩვენებაა. პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული ფონი ჰაგიოგრაფს სჭირდება წმინდანის სახის უკეთ წარმოსახავად, მაგრამ რეალურად გვიჩვენებს იმ ვითარებასაც, რომელშიც უწევს მას ცხოვრება, მოღვაწეობა, მოწამებრივი აღსასრული. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიაში გადმოცემული ისტორიული ფაქტები და ისტორიული გეოგრაფიული არეალი, რადგან ამ მოვლენებისა და სივრცის ასახვით ჰაგიოგრაფია საუკეთესო ისტორიულ წყაროდ გვევლინება, მით უმეტეს, რომ წმ. გრიგოლ ხანძთელის თანამედროვე საქართველოს ვითარების ამსახველი საისტორიო თხზულებები, თანამედროვეთა მიერ აღწერილი, არ შემოგვრჩა, მათ შესახებ გვიანდელი ისტორიკოსები მოგვითხრობენ.

14. ნანა გონჯილაშვილი, „დავითიანი“ მრავალმხრივი, მრავალგანზომილებიანი, რთული სტრუქტურის მქონე ნაწარმოებია, რომლის მხატვრული კონცეფციის კვლევა მისი წინამორბედი და თანამედროვე ქართული და უცხოური მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურული ეპოქების მახასიათებელი მხატვრულ-ესთეტიკური შრეებისა და სისტემების, საღვთისმეტყველო ლიტერატურის გათვალისწინებით უნდა წარიმართოს. დავით გურამიშვილის შემოქმედების მთელი სისრულით შესწავლა, ერთი მხრივ, ქართულ და, მეორე მხრივ, ევროპულ ინტერკულტურულ კონტექსტში მოითხოვს დავით გურამიშვილის პოეზიის საფუძვლების მოძიებას სხვადასხვა ცივილიზაციურ სამყაროში, კერძოდ: 1. ქართულ ტრადიციებთან მიმართების დადგენას და 2. დასავლეთევროპული, უკრაინული, პოლონური და რუსული ლიტერატურულ-კულტურული ანალოგიების წარმოჩენას მის შემოქმედებაში, ტიპოლოგიურ მსგავსებათა ისტორიული კონტექსტის განსაზღვრას, თანამედროვე კულტუროლოგიურ პროცესებთან მის დაკავშირებას, რადგან პოეტს სწორედ ამ არეალში მოუხდა ცხოვრების უდიდესი ნაწილის გატარება და ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნა; ეს ისტორიულ-ფილოლოგიური აზროვნების ევროპულ ტრადიციებთან ინტეგრაციის გამოსავლენად მიმართული კვლევის მახასიათებელია. ამ კონტექსტშია მოქცეული დავით გურამიშვილის პოეტურ სამყაროში კავკასიის დროსივრცული არეალი და მისი მხატვრული ღირებულება, რადგან მან, როგორც ქართულ ტრადიციებსა და დასავლურ სამყაროს შორის მოქცეულმა, დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე უდიდესი კვალი დატოვა.

უნდა აღინიშნოს, „დავითიანში“ კავკასიის თემა წამყვანი არაა, რადგან დავით გურამიშვილის პოეტური მემკვიდრეობის მიზანი ღმერთის, სამყაროს, ქვეყნის, ადამიანის ადგილის განსაზღვრაა, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი ადამიანს ეთმობა, რაც გურამიშვილის იმ სიტყვებშია გამოხატული, რომლითაც ადამიანის თვითშემეცნების საფუძვლები გაიაზრება. ესაა შემდეგი: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“. ამ ოთხ თეზისშია მოქცეული პოეტის მიერ პირადად განცდილი იძულებითი ყოფნაკავკასიურ სივრცეში. მიუხედავად ამისა, კავკასიურმა სივრცემ გადამწყვეტი როლი შეასრულა დავით გურამიშვილის ცხოვრებაში და ღრმა კვალი გაავლო მის პოეტურ შემოქმედებას. პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული ფონი პოეტს სჭირდება თავისი ქვეყნისა დამოქალაქის სახის უკეთ წარმოსასახავად.ამიტომ რეალურად გვიჩვენებს იმ ვითარებას, რომელშიც მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა. ამ თვალთახედვითაა მნიშვნელოვანი „დავითიანში“ გადმოცემული ისტორიული ფაქტები და ისტორიულ-გეოგრაფიული არეალი, რასაც ავტორისეული დროსივრცული აღქმა უდევს საფუძვლად. ამ მოვლენებისა და სივრცის ასახვით დავით გურამიშვილის თხზულება ერთ-ერთ საუკეთესო ისტორიულ წყაროდ გვევლინება იმისტორიულ თხზულებებთან ერთად, რომლებიც ჟანრული თვალსაზრისით მხატვრული არაა და ისტორიულია.

ოსმალთა და სპარსელთა შემოსევების შედეგად ფეოდალური შინააშლილობით დაუძლურებულ საქართველოში შექმნილ უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებას ემატებოდა ლეკთა თარეში. ყოველივე ამან დავით გურამიშვილის ოჯახზე, კერძოდ, მის პირად ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა დამისიცხოვრებატრაგიკულადწარმართა. საბედისწერო აღმოჩნდა მოყვრებთან გახიზვნა ლამისყანაში, საიდანაც გაიტაცეს ლეკებმა დაღესტანში, სოფელ ოსოქოლოში.

კავკასიის მთიან სივრცეში მყოფი დავით გურამიშვილის განცდები, ფიქრები, მძიმე ფიზიკური ყოფა გახდა პოეტისათვის სულიერი მედიტაციის საფუძველი, რაც მის მრავალფეროვან ლირიკულ

ნაწარმოებებში გამოვლინდა და რომლებმაც წარმოაჩინეს მისი შინაგანი ბუნება და სულიერი სამყარო. აქ ყალიბდება დავით გურამიშვილის პოეტური „მე“, რომლისთვისაც უმთავრესია თვითშემეცნებისა და თვითდამკვიდრების მოტივი. თვითშემეცნების გზაზე მან გამოკვეთა სამყარო-სამშობლო-პიროვნება, საიდანაც პიროვნებამ უნდა გააცნობიეროს საიდან მოდის, ვინ არის, საით მიიღტვის. საამისოდ მისი ყურადღება მიმართულია მაცხოვრისადმი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი, რომელთაც მიმართავს სიმბოლური და ალეგორიული აზროვნების გამომსახველი მხატვრული სისტემით და რომლებიც შეეწევიან დაღესტანში ტყვეობისას, რათა გაექცეს თავს დატეხილ განსაცდელს. სწორედ ამ სულიერ განცდათა და მის საფუძველზე პოეტის მედიტაციურ განსჯაზე შესახებ გვექნება საუბარი მოხსენებაში.

15. ნანა გონჯილაშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ თავისი რელიგიური, კულტურულ-ისტორიული შინაარსით, სიუჟეტითა და მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი თხზულებაა.

„წმ. ნინოს ცხოვრება“ სხვა აგიოგრაფიულ თხზულებათაგან მკვეთრად გამოირჩევა ძალზე საყურადღებო ფენომენით - ქალის კულტით. აღნიშნულის თქმის საფუძველს გვაძლევს არა მხოლოდ ის, რომ ქართლის განმანათლებელი ქალია, არამედ ქართლის გაქრისტიანების ისტორიის მონაწილე დედების რიცხვი და, უმთავრესად, მისია (კაბადოკიიდან დაწყებული და ქართლით დამთავრებული) ბევრად აღემატება მამაკაცი პერსონაჟებისას. თხზულების არაერთი ეპიზოდი მოგვითხრობს წმ. ნინოსთან დაკავშირებული ქალების შესახებ, ესენი არიან კვართის მიმრქმელი სიდონია (საქართველოს პირველი წმინდანი), დედამისი (საქართველოს პირველმარტვილი), ელენე დედოფალი, დვინელი ნიაფორი (უფლის კვართის ადგილსამყოფლის მაცნე), რიფსიმე და გაიანე, ნანა და სოჯი დედოფლები, სიდონია და მრავალი სხვა. ქართლის მოქცევაში მონაწილე დედებს დიდი მისია აქვთ: ნაწილი წმ. ნინოს კურნებებთანაა დაკავშირებული, ზოგი სვეტი-ცხოვლის აღმართვის მონაწილეა, სხვები - ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრებისათვის მებრძოლი, წმ. ნინოს ცხოვრების აღმწერნი, წმ. ნინოს თანამდგომ-თანამზრახველნი, ყველა ერთად კი „ასულნი სარწმუნოებისანი“, როგორც მათ წმ. ნინო უწოდებს.

თხზულებაში ქალის კულტს ისიც განაპირობებს, რომ განმანათლებელი ქალია, ასევე - დედათა ბუნების წყობა, ღრმა სულიერება, ხედვის მრავალპლანიანობა, სიახლის წვდომა-მიმღებლობა, მზაობა დამტევნელობისა. აქ, უმთავრესად, ყურადსაღებია ქალის ფენომენთან დაკავშირებული ის წანამძღვრები, რომლებიც წარმართობიდან იღებს სათავეს (ღვთაება მზის ქალური საწყისი - „მზე დედაა ჩემი...“, ქალღვთაებები - ადგილის დედა, ბარბალე, დალი, ხელსამძივარი და სხვ.), რომლებიც ქრისტიანობაში ღვთისმშობლის კულტით გვირგვინდება (საქართველო - ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, წმ. ნინო - ღვთისმშობლის ხელდასხმული).

როგორც ცნობილია, ენა ერის სული, ერის გონია. ქართველთა კულტურასა და ყოფა-ცხოვრებაში ქალის მნიშვნელობის და მნიშვნელოვანების (მათი ქმედითუნარიანობის) ამსახველია ქართული ენობრივი მსოფლხედვა, კერძოდ, ქალის ფენომენთან დაკავშირებული თავისებურებანი (განსხვავებით სხვა ენებისგან). აქ ორი ასპექტია გამოსაყოფი, ერთი - ლექსიკურ ერთეულებზე „დედის“ დართვით სიტყვების მნიშვნელობის ამაღლება, ზოგადიდან მთავარ სიტყვად გარდაქმნა (მაგ., დედამიწა, დედასამშობლო, დედაენა, დედაქალაქი და ა.შ) და კიდევ - ორი სქესით წარმოდგენილ კომპოზიტებში (სხვა ენებისგან განსხვავებით), პირველ ადგილზე ქალის დასახელება (მაგ., და-ძმა, დედ-მამა, ქალ-ვაჟი და სხვ.). ამდენად, ქართულის ენობრივი მსოფლხედვა აფიქსირებს ქალის როლს ქართველთა კულტურულ-ისტორიულ ყოფაში. ვფიქრობთ, ქართლის გაქრისტიანებაში ქალის წამყვანი როლი ზემოაღნიშნულს კიდევ ერთხელ ცხადყოფს. „წმ. ნინოს ცხოვრების“ საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართლის მოქცევა ქალთა მხრებზე დგას.

16. ნანა გონჯილაშვილი, ივ. ჯავახიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა, მისი ფუნდამენტური კვლევა-ძიების ყოვლისმომცველი არეალი, ჭვრეტა-განსჯის საოცარი ნიჭი და უნარი, მეცნიერული კეთილსინდისიერება, კულტურა და ღირსება ზოგადად ქართული

კულტურის ფონზე გამორჩეული და განუმეორებელია. ყოველივე ამას ცხადყოფს ყოველი მისი სტატია თუ მონოგრაფია.

წინამდებარე ნაშრომიც ივ. ჯავახიშვილის ერთ კვლევას - „მარტÂლობანი“ და „ცხოვრებანი“ - ეძღვნება, რომელშიც ძველი ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები პირველად განიხილება და ფასდება. უნდა აღინიშნოს, რომ მის ნაშრომში გამოტანილ დასკვნათა უმრავლესობა სამეცნიერო სივრცეში საყოველთაოდაა აღიარებული და დამკვიდრებული, ნაწილი - შევსებულ-გაღრმავებული და ახალი ინტერპრეტაციებით წარმოდგენილი.

ყურადღებას იქცევს ძველი ქართული ლიტერატურის, კერძოდ, ჰაგიოგრაფიის ივ. ჯავახიშვილისეული სახელდება; იგი ძველ ქართულ ლიტერატურას „საისტორიო მწერლობას“ უწოდებს და მას ამ თვალსაზრისით განიხილავს. მან, საზოგადოდ, ქრისტიანული მწერლობის კვალობაზე, პირველმა მოგვცა ქართული სასულიერო მწერლობის, ჰაგიოგრაფიის, კლასიფიკაცია, გამოყო მისი დარგები: „მარტვილობანი“ და „ცხოვრებანი“, გამოკვეთა მათი რიგითობა, თავდაპირველად - „მარტვილობები“, შემდეგ - „ცხოვრებანი“. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა ივ. ჯავახიშვილის შემდეგი მოსაზრებაც, რომ „სამოქალაქო და სამხედრო ისტორია“ დასაბამს სწორედ აქედან იღებს, რასაც, მისი სიტყვით, მოწმობს სიტყვა „ცხოვრება“, რომელიც სამოქალაქო საისტორიო თხზულების ზოგად სახელწოდებად გამოიყენება.

ივ. ჯავახიშვილი კიმენური ძეგლების გამეტაფრასების საკითხსაც შეეხო, თუმცა, არ უხსენებია ტერმინები „კიმენი“ და „მეტაფრასი“. მან განმარტა თხზულებათა „განახლება“-„განვრცელების“, „ხელმეორედ დაწერისა და გადასწორების“ მიზეზები, რაც, ძირითადად, მართლმადიდებლობის წიაღში მიმდინარე ცვლილებების ძველთან (კერძოდ, დოგმატიკის ჩამოყალიბებისა და „საყოველთაო აღსარების“ გამოცხადების შემდგომ წინარე „საეკლესიო ყოფა-ცხოვრებასთან“) შეუთავსებლობის საფუძველზე ახსნა; თუმცა, ზემოაღნიშნულის მიზეზად ასევე ასახელებს „განათლებული საეკლესიო მოთხოვნებისა და გემოვნების“ ზრდას, რასაც ძველი რედაქციები ვერ აკმაყოფილებდნენ. ამ თვალსაზრისით მეცნიერი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „ათსამეტ ასურელ მამათა ცხოვრებების“ ტექსტებზე, რომელთა განხილვისას მოცემულია მათი დათარიღების ცდაც. საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული, რის გამოკვეთასაც შევეცადეთ ჩვენს ნაშრომში.

ასევე, საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის შეხედულება, რომ „მარტვილობები“, „ბევრ“ შემთხვევაში, ეკლესიაში („წლისთავის წირვაზე“) წასაკითხად და იქ მყოფი მლოცველებისათვის მოსასმენად ქადაგების სახით იყო დაწერილი. ეს თვალსაზრისი განმტკიცებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ მოხმობილი წყაროებით.

მეცნიერი უძველეს თხზულებებად მიიჩნევს შუშანიკისა და ევსტათი მცხეთელის „მარტვილობებს“, თუმცა, ითვალისწინებს ამ თხზულებათა შემცველი ხელნაწერების გვიანდელობას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევების საფუძველზე გამოკვეთილია თანამედროვე ეტაპზე არსებული განსხვავებული მოსაზრებანი.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომში წარმოჩენილია ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი ძველი ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით კი ჰაგიოგრაფიის, შესწავლაში, იმ ეპოქის სააზროვნო სივრცისათვის მის შეხედულებებში თავჩენილი სიახლეები და მასში წამოჭრილი პრობლემატიკის შესახებ თანამედროვე ეტაპზე არსებული მონაცემები.

17. ნანა გონჯილაშვილი, ივანე ჯავახიშვილის კვლევამ ძველი ქართული მწერლობის ძეგლების თხრობის სტილის შესახებ, რომელიც მისი ფუნდამენტური ნაშრომის - „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ - შესავალს წარმოადგენს, უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა საზოგადოდ ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის, საისტორიო მწერლობის კონცეპტუალური საკითხების შესასწავლად. მან არსებითად პირველმა მიაქცია ყურადღება და ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები საისტორიო და სასულიერო სამწერლო ტრადიციებში გამოყენებული მთხრობელისა და თხრობის შინაარსის შემცველი ტერმინოლოგიის შესახებ, რაც ძველი ქართული მწერლობის თხზულებათა კლასიფიკაციის საკითხების პარალელურად განიხილა. ესენია: მწერლობის ორ მიმართულებად - საეკლესიოდ და სამოქალაქოდ - განყოფის

საკითხი, სასულიერო და საისტორიო მწერლობაში გამოყენებული „ჭეშმარიტისმეტყველების“ მეთოდი, რაც თვალით ხილულის აღწერას გულისხმობს, თხზულებათა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით შექმნა, თხრობის სტილის საკითხი, რომელთა საფუძველზე დასმულია ამბის აღმწერლის პრობლემაც. ტერმინოლოგიის სიმრავლე განაპირობა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების შინაარსობრივმა და ჟანრობრივმა მრავალფეროვნებამ. ივანე ჯავახიშვილმა თავისი ტერმინოლოგიური დაკვირვებები საისტორიო თხზულებათა შესახებ წარმართა, თუმცა, მათი უმეტესობა ფილოლოგიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი თვალთახედვითაცაა განსახილველი.

სწორედ ამიტომ მოხსენებაში განიხილება სხვადასხვა რიგის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ტერმინები, კერძოდ, ჟანრობრივი თვალსაზრისით: მოთხრობა, წარმოჩენა, უწყებაჲ, ჴსენებაჲ, აღწერა, ისტორია, ხრონოგრაფი, წარმოთქმა; ავტორი: თვითმხილველი, გამომთქმელი, ჟამთააღმწერელი, სიტყჳსმოქმედი, მემატიანე; თხრობის სტილის მიხედვით: წესი თხრობისაჲ, „ნეშტი თხრობისაჲ“, „საზღვარი სიტყჳსაჲ“, „გზა სიტყვჳსაჲ“, სიტყვათა სარბიელი, პირველდაწყებული სიტყვა და ზემოდატევებული ამბავი; თხრობის თანმიმდევრობა: „შემდგომითი შემდგომად“, „შეუწყობლად და განბნეულად“, ლიტონი სიტყვა, რიტორული ხელოვნებითა და ჯეროვანი რიტორობით აღწერილი ამბავი; სტრუქტურული თვალსაზრისით: ხელნაწერი წიგნის ზანდუკი და ანდერძი. ამ საკითხთა შესახებ გამოტანილ დასკვნათა უმრავლესობა სამეცნიერო სივრცეში საყოველთაოდაა აღიარებული და დამკვიდრებული, ნაწილი - შევსებული, გაღრმავებული და ახალი ინტერპრეტაციებით წარმოდგენილი. მოხსენებაში საუბარია ყოველ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით არსებულ განსხვავებულ მოსაზრებათა შესახებ ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევების საფუძველზე თანამედროვე ეტაპზე.

ჩვენს ნაშრომში წარმოჩენილია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი შუა საუკუნეების ეპოქის სააზროვნო სივრცის კონტექსტში ძველი ქართული მწერლობის რაობის, კლასიფიკაციის, ჟანრის, თხრობის სტილის, ავტორისა და სახელწოდებათა არსის გააზრების შესახებ თანამედროვე ფილოლოგიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი მეცნიერების მონაცემების საფუძველზე.

18. ლადო მინაშვილი, მოხსენებაში გაანალიზებულია ცნობილი ქართველი ფილოლოგის ელიზბარ ჯაველიძის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთი ასპექტი - მისი წვლილი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორიაში. განხილულია მეცნიერის შეხედულებები ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ცალკეულ საკვანძო პრობლემებზე, წარმოჩენილია მისი, როგორც მიმდინარე ლიტერატურული პროცესების შემფასებლის, წვლილი ქართული კრიტიკის ისტორიაში.

19. ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნებისა და პოეზიის შესწავლა-დახასიათებისადმი იმთავითვე გამოვლინდა განსაკუთრებული ინტერესი.დაგროვდა დიდძალი კრიტიკული და სამეცნიერო ლიტერატურა. ასე რომ, ძალზე საშურია ნ. ბარათაშვილის შესწავლის საკუთრივი ისტორიის დაწერა. გენიალური პოეტის შესწავლის გზაზე წამოჭრილ პრობლემატიკაში ძალზე მნიშვნელოვანია ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრის საკითხი. ეს საკითხი პირველად დასვა აკაკი წერეთელმა. აღორძინების ხანიდან მოყოლებული ქართულ პოეზიაში იგი ერთადერთ ნიკოლოზ ბარათაშვილს ცნობდა, რომელსაც ქვეყნის ტკივილით ტკიოდა გული დამის მომავალზე ფიქრობდა; ხოლო ნ. ბარათაშვილის ერთადერთ მემკვიდრედ ამ მხრივ, მის მოკარნახედ აღიარებდა ილია ჭავჭავაძეს. აკაკი წერეთელი როგორც დიდი სამოციანელი ეპოქის მოთხოვნებით სულდგმულობდა და ამ მოთხოვნათა შესაბამისად ილია ჭავჭავაძეს იდეურად მიიჩნევდა ნ.ბარათაშვილის მემკვიდრედ, მისი აზრების განმავითარებლად.საკითხს ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრის შესახებ უკვე მე-19საუკუნის 90-იან წლებში შეეხო მეორე დიდი სამოციანელი ილია ჭავჭავაძე. ილია ნ.ბარათაშვილს განიხილავს გოეთეს, ბაირონის, ლერმონტოვის...გარემოცვაში, მათგვერდით, რითაც იმაზეც თვალნათლივ მიუთითებს, რომ, ილიას მიხედვით, ნ.ბარათაშვილი გენიალური შემოქმედია, ხოლო გენიოსებს ძნელად ჰყავთ მემკვიდრე; ისინი ან უმემკვიდროდ რჩებიან, ან უიშვიათესად ტოვებენ გზისგამგრძელებელს. ერთი სიტყვით, ილია უკვე იდეურ მემკვიდრეზე კი არმსჯელობს, არამედ ნ. ბარათაშვილის ტიპის, მისი სულით მონათესავემემკვიდრეზე. ილია ძალიან ფრთხილად იმასაც მიანიშნებდა, რომ ბოლო დროსგამოჩნდა ერთი ახალგაზრდა,

რომელმაც რამდენიმე მაგალითი გვიჩვენა იმისა, რომსურს ნ. ბარათაშვილის კვალში ჩადგომა, თუმცა ეს ჯერ კიდევ არაა საკმარისიპირობა, რომ იგი ნ. ბარათაშვილის მემკვიდრედ გამოვაცხადოთ. ილიამ სავსებითშეგნებულად არ დაასახელა ეს ახალგაზრდა. მიუხედავად ილია ჭავჭავაძისსიფრთხილისა მისი მინიშნება გახდა იმის საფუძველი, რომ შესანიშნავმა პოეტმადა ლიტერატორმა ტიციან ტაბიძემ განაცხადა, რომ ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდაპოეტში ვაჟა-ფშაველას გულისხმობდა. გარკვეული ავტორებისათვის ტიციანის ესაზრი მისაღები აღმოჩნდა.XX საუკუნეში ამ პრობლემის შესახებ მსჯელობა გაგრძელდა. ამ მხრივსაინტერესო მოსაზრებები, დაკვირვებები, მეტნაკლებად სარწმუნო პარალელებიწარმოადგინეს პავლე ინგოროყვამ, სიმონ ჩიქოვანმა, აკაკი თოფურიამ და სხვებმა.ნიკოლოზ ბარათაშვილის ჭეშმარიტი პოეტური მემკვიდრის ბუნებით, სულითმონათესავე მისი კონგენიალური შემოქმედის მეცნიერული ჩვენება-დახასიათებისთვალსაზრისით დიდი დამსახურება მიუძღვის გამორჩეულ ქართველ მეცნიერსგრიგოლ კიკნაძეს. მის ფუნდამენტალურ წიგნში “მეტყველების სტილისსაკითხები” (1957 წელი) მეცნიერულ ენაზეა დასაბუთებული, რომ ნიკოლოზბარათაშვილის ჭეშმარიტი სულიერი მემკვიდრე გალაკტიონ ტაბიძეა. გრიგოლკიკნაძე საგანგებოდ მიუთითებს იმ ძირითად თავისებურებებზე, რაც ამ ორ გენიოსშემოქმედს ანათესავებს ერთმანეთთან.

31. XX საუკუნის 50-იანი წლები საეტაპო მნიშვნელობის პერიოდია საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის ისტორიაში. ამ ათწლეულში ბევრად უფრო ინტენსიური გახდა ლიტერატურული პროცესი, ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი თაობის მწერლები და კრიტიკოსები, „დიდი ბელადის“ გარდაცვალების შემდეგ კი დადგა ე. წ. „დათბობის“ ხანა, რომელიც ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში დიდი გარდატეხის დასაწყისად იქცა.

40-იანი წლების მიწურულს, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში, შეიძლება ითქვას, ახალი ეტაპი იწყება. ამ პერიოდში საბოლოოდ ფორმდება გალაკტიონის მეორე პოეტური რეფორმა. თვისებრივი სიახლე თვალსაჩინო ხდება როგორც თემატიკის, ასევე პოეტური სტილის სფეროში; პოეტის ყურადღების ცენტრში ექცევა ზნეობრივი პრობლემატიკა. მის პოეზიაში იჭრება ირონიულ-პაროდიული ნაკადი; იცვლება პოეტური ინტონაცია; საოცარ სისადავეს აღწევს გალაკტიონის პოეტური ენა.

საინტერესოა, რამდენად შენიშნა ყოველივე ეს გალაკტიონის თანამედროვე ლიტერატურულმა კრიტიკამ და საერთოდ, რა პრობლემებით ინტერესდებოდა 50-იანი წლების გალაკტიონოლოგია.

მთლიანობაში, 50-იანი წლების გალაკტიონოლოგიაში რამდენიმე ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა:

პირველ ნაკადს ქმნის ოფიციალური საბჭოთა კრიტიკა (დ. ბენაშვილი, ს. ჭილაია, გ. ჯიბლაძე, ე. შუშანია, გ. მერკვილაძე და სხვ.), რომელიც სოციოლოგიზმის მეთოდზე დაყრდნობით განიხილავს გალაკტიონის შემოქმედებით ევოლუციას, უკავშირებს პოეტის პესიმისტურ განწყობილებებს პირველი რევოლუციის დამარცხებას და ცდილობს გალაკტიონი დასახოს იმთავითვე მებრძოლი, რევოლუციური სულისკვეთების მქონე პოეტად.

მეორე მიმართულებას ქმნიან გალაკტიონის მოწინააღმდეგე პოეტები და მათი წრის კრიტიკოსები, რომლებიც კატეგორიულად უპირისპირდებიან საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეების მცდელობას, ჩამოშორდეს გალაკტიონს “დეკადენტისა” და „სიმბოლისტის“ წოდება. ისინი ხელიდან არ უშვებენ პოეტისათვის „ძველი ცოდვების“ შეხსენების შესაძლებლობას.

მესამე მიმართულებას ქმნიან ლიტერატურის ისტორიკოსები (მ. ებრალიძე, ქს. სიხარულიძე, გრ. კიკნაძე), რომლებიც თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად იკვლევენ გალაკტიონის ლიტერატურულ ტრადიციასთან დამოკიდებულების საკითხს (მ. ებრალიძე _ ძველ ქართულ ლიტერატურასთან, ქს. სიხარულიძე _ ფოლკლორთან, ხოლო გრ. კიკნაძე _ XIX საუკუნის ქართული ლირიკის ტრადიციებთან მიმართებით).

მეოთხე ნაკადად კი უნდა ვიგულვოთ ესეისტური კრიტიკა (თ. ჭილაძე, გ. ასათიანი, ა. გაწერელია). ეს წერილები შესრულებულია ესეისტური მანერით და თავისუფალია საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისათვის ასერიგად დამახასიათებელი ტრაფარეტულობისაგან. წერილების ავტორები წინდაწინ შემუშავებული თვალსაზრისით კი არ მიდიან ლიტერატურულ ფაქტთან, არამედ ტექსტებთან ცოცხალი, უშუალო მიმართების შედეგად

აღძრულ შთაბეჭდილებებს გადმოგვცემენ. ამ ნაშრომთა საერთო მახასიათებელია ის, რომ მათ ავტორებს გალაკტიონის პოეზია, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებთ, როგორც ლიტერატურული ფენომენი და არა როგორც გარკვეული საზოგადოებრივი ცნობიერების ასახვის ფორმა. აღნიშნული პუბლიკაციების კიდევ ერთი საერთო თავისებურება ისაა, რომ მათში ჩნდება არამხოლოდ გალაკტიონის პოეზიის, არამედ პოეტის ფსიქოტიპის დახასიათების მოთხოვნილებაც. ამ პუბლიკაციებში უკვე იგრძნობა ავტორთა ერთგვარი დისტანცირება შეფასების ობიექტისაგან, რაც იმით გამოიხატება, რომ კრიტიკოსები გალაკტიონის შემოქმედებას განიხილავენ არა როგორც მიმდინარე ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთ შენაკადს, არამედ როგორც უკვე ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებას, გალაკტიონს კი მიიჩნევენ რუსთველის, ილიას, აკაკისა და ვაჟას თანასწორ პოეტურ ფიგურად. ამ წერილების მიხედვით გალაკტიონი თანამედროვეობის ერთ-ერთ გამოჩენილ პოეტად კი არ წარმოგვიდგება, არამედ შორეულ, მიუწვდომელ შემოქმედად, კლასიკოსად, რომელიც უკვე მითის ნაწილადაა ქცეული.

32. საუკუნეების განმავლობაში ბატონყმობა (ძველქართულად „უფალ-მონობა“, „პატრონყმობა“) ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის საფუძველს წარმოადგენდა. თანამედროვე გადასახედიდან ძნელია, რაიმე პოზიტიური დავინახოთ ამ სოციალურ ინსტიტუტში, რომელიც ხშირად ხდებოდა ადამიანის ღირსებისა და საკუთრების ხელყოფის წინაპირობა. ქართველ მწერალთა არაერთი თხზულება მიეძღვნა ბატონყმობის მხილებას, თუმცა ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართველ კლასიკოსთაგან ზოგიერთი საგანგებოდ განასხვავებდა ბატონყმობის ქართულ და რუსულ მოდელებს.

მაგ., ალექსანდრე ორბელიანი ამტკიცებდა, რომ ისტორიულად საქართველოში ბატონყმობას არ ჰქონია სასტიკი ფორმა და ძველად ღირსეულ ქართველთ მამაშვილური დამოკიდებულება ჰქონდათ ყმებისადმი. წერილში „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“ („ცისკარი“, 1859, # 11) ალექსანდრე ორბელიანი აღნიშნავს: „საქართველოში მებატონეთ ყმობა მონად (მონება მესმის მე, დაჩაგვრა) არ ითქმის. მართალია სიტყვა ყმობა იყო, მაგრამ საქმე მონებას არ აცხადებს... უწინდელს დროში, გარეშე კაცი იმას ეძებდა: მებატონე ვიშოვნო და იმას შევეხიზნოვო, ამისთვის, რომ მებატონე თავის ყმასა შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მზგავსად გული სტკიოდა ყმისთვის“ (ორბელიანი 1859: 216).

ალ. ორბელიანის თქმით, ყმას ნებისმიერ დროს შეეძლო ბატონთან სტუმრობა, რჩევისა თუ სათხოვრისათვის მისვლა. ბატონი და ყმა ხშირად ერთად იყვნენ, ერთად სადილობდნენ, ერთმანეთზე ზრუნავდნენ, ჭირშიც და ლხინშიც ედგნენ ერთმანეთს გვერდით.

რა თქმა უნდა, ასეთი თვალსაზრისი დიდწილად რომანტიკულია (რის გამოც ალექსანდრე ორბელიანი საბჭოთა ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიერ რეაქციონერად იყო გამოცხადებული), თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მსგავს თვალსაზრისს გამოთქვამენ არამხოლოდ ე. წ. „მამათა თაობის“ მწერლები, არამედ სამოციანელთა ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლებიც, როგორებიც არიან აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი.

აკაკი წერდა: „ამ უკანასკნელ დრომდი ბატონყმობას ისეთი ხასიათი არ ჰქონია საქართველოში, როგორც სხვაგან; ის იყო მხოლოდ ძმური, ერთმანეთთან უმფროს-უმცროსული დამოკიდებულება... ბატონი მეგრულათ პატონია და ჭანურათ პატრონი. ცხადია, რომ აქ მხოლოდ ორი ასო „ტ“ და „რ“ არიან გადასმულ-გადმოსმული, თორემ ეს სიტყვები ერთად ნიშნავენ მზრუნველი, მფარველიო და არა უფალი, აგრეთვე ჩვენი ძირეული სიტყვა „ყმა“ არ ნიშნავს მონას. ე. ი. ყმაწვილი ანუ ახალგაზდა. რუსთველი ხშირათ ყმას ეძახის თვით ტარიელსა და ავთანდილსაც. ამნაირათ ბატონყმობა ნიშნავდა თანასწორ, ძმურ უფროს-უმცროსულ დამოკიდებულებას განაწილებას და არა ნაძალადევ მბრძანებლობას. და რუსთველსაც სწორეთ ამგვარადა აქვს გამოსახული“.

batonymoba CvenSi ar yofila krepostniCestvo. ana sagnsWvriteT “yma qarTulSi ar niSnavs monas” - gadafurcleT rusTaveli! daakvirdiT sityvas “ymawvili, gana aq yma monas niSnavs?... Tavadoba saqatTveloSi bolo xans gadagvarda.

წერილში „ბატონყმობა რუსეთსა და საქართველოში“ (ჟ. „ნაკადული“, 1911 # 2-4) იაკობ გოგებაშვილიც ძალზე საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ამ საკითხის ირგვლივ. იგი მიუთითებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ბატონყმობას არ ჰქონია ისეთი სასტიკი ფორმა, როგორც რუსეთში, რადგან იქ ორ ფენას შორის იდგა „მესამე ძალა“ რეგულარული ჯარის სახით,

რომელიც იყო ბატონთა იარაღი ყმების დასასჯელად, საქართველოში კი ასეთი შუამავალი რგოლი არ არსებულა. გლეხები უმრავლესობას შეადგენდნენ, თავადაზნაურობას კი მათი გარკვეული რიდი ჰქონდა ამ გარემოების გამო და გლეხებს ყველაფერს ვერ უბედავდა. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ თავადებსა და გლეხებს შორის გაჩნდა ჯარი, რამაც გააღრმავა უფსკრული სოციალურ ფენებს შორის. „ბატონყმობას სხვადასხვა ხასიათი ჰქონდა რუსეთსა და საქართველოში. რუსეთში არსებობდა მუდმივი ჯარი, რომელიც იცავდა თავისს ქვეყანას გარეშე მტრებისაგან და ბატონებსაც ეხმარებოდა, როცა გაბრაზებული ყმები ურჩობას გამოიჩენდნენ ხოლმე. საქართველოს მუდმივი ჯარი არა ჰყოლია. ჩვენს ქვეყანას უმთავრესად თვითონ გლეხობა იცავდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ ბატონყმობამ ჩვენში სხვა ხასიათი მიიღო. ჩვენის ქვეყნის დაცვა გარეშე მტრებისაგან იკისრა რუსის სამუდამო ჯარმა; ჩვენებურმა გლეხობამ ხელიდან გაუშვა თოფ-იარაღი და გადაეჩვია მის ხმარებასა. ბატონებსა და ყმებს შუა ჩამოდგა ახალი, მესამე ძალა - სამუდამო ჯარი და სარჩლი დაუწყო პირველებსა. ბატონებმა დიდი გული მოიცეს, შიში გლეხების უკმაყოფილებისა გაუქრათ და ბევრად მეტი სამსახური მოსთხოვეს მათ“ (გოგებაშვილი 1955: 401). ამასთანავე, იაკობ გოგებაშვილის თქმით, თუ ძველად ბატონები მარტივ ცხოვრებას მისდევდნენ და მცირედით კმაყოფილდებოდნენ, ახალ დროში მათი მოთხოვნილებები უფრო მრავალფეროვანი გახდა, რუსი არისტოკრატიის მიბაძვით მათ ფუფუნებით ცხოვრება დაიწყეს, რისი უზრუნველყოფაც გლეხს დააწვა კისრად და ამგვარად წახდა ქართული ბატონყმობის ისტორიულად ჩამოყალიბებული, შედარებით ჰუმანური ხასიათი.

33. თუ დასავლეთ ევროპელი და რუსი რომანტიკოსებისათვის აღმოსავლეთი უცხო, ეგზოტიკური სამყარო იყო, ქართველ რომანტიკოსთათვის აღმოსავლეთი მშობლიურ სივრცედ აღიქმებოდა. მეთექვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართული მწერლობა აღმოსავლური ლიტერატურის (განსაკუთრებით – სპარსულის) მძლავრ ზეგავლენას განიცდიდა. აღმოსავლური გავლენა ქართულ რომანტიზმშიც შენარჩუნდა გარკვეულწილად.

პირველი თაობის ქართველ რომანტიკოსთა – ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბალიანის – შემოქმედებაში, ერთი მხრივ, შენარჩუნებულია აღმოსავლური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მჭევრმეტყველურობა, მხატვრული აზროვნება, მუდმივი, ზოგჯერ გაცვეთილი ტროპების გამოყენება (განსაკუთრებით – სატრფიალო პოეზიაში), თრობის კულტი. მეორე მხრივ, ამ პოეტთა შემოქმედებაში ჩნდება დასავლური ლიტერატურული ხედვის ნიშნები. ბუნების რომანტიკული აღქმა, სიყვარულის რომანტიკული კონცეფცია. მკვიდრდება ახალი ლიტერატურული ჟანრები (ლიტერატურული გზავნილი, ლიტერატურული ზღაპარი, ლირიკული პოემა, ავტობიოგრაფიული ნარატივი).

მომდევნო თაობის რომანტიკოს პოეტთა (ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვახტანგ ორბელიანი) შემოქმედება კიდევ უფრო მეტადაა განტვირთული აღმოსავლური პოეტიკის ზეგავლენისაგან, თუმცა საბოლოო ჯამში ქართულ რომანტიზმში აღმოსავლური და დასავლური პარადიგმები მშვიდობიანად თანაარსებობენ გვერდიგვერდ.

39-40. დაბეჭდილია მასალებში

41. ,,მნიშვნელობადაკარგული სიტყვები“ (რეი ბრედბერის ,,451 0 ფარენჰაიტით) მოხსენებაში საუბარია დიდი ამერიკელი მწერლის უმნიშვნელოვანეს პროზაულ ტექსტზე, რომელშიც სიტყვებს მნიშვნელობა შეცვლილი აქვთ. მეხანძრე - რომელიც ხანძარს აქრობს, მოვა გადაგარჩენს. აქ კი პირიქითაა: მოვა ცეცხლს წაგიკიდებს. ცოლი, შვილები - ოჯახის, ერთგულების, შთამომავლობის გაგრძელების სიმბოლო. აქ კი ერთმანეთს აბეზღებენ ხელისუფლებასთან. დასასრულ, მწერალი ნაწარმოებს ოპტიმისტური ფინალით ამთავრებს. აქაა სწორედ მთავარი სათქმელი. ,,ხვალ“ არსებობს.

42. ,,რეი ბრედბერი და ქართული დოკუმენტური პროზის გადამახილი“. ამერიკელი მწერლის პერსონაჟი - პროფესორი ფაბერი დოკუმენტური პროზის განსაკუთრებულობასა და სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებების მნიშვნელობაზე საუბრობს. შესაბამისად, მოხსენებაში პარალელურად განხილულია ქართველი მწერლების (გიზო ნიშნიანიძე, აკაკი ბელიაშვილი) პროზაული ტექსტები და ის განსხვავებული შთაბეჭდილებები, რომლებსაც სხვადასხვა სახელმწიფოში მოგზაურობის შედეგად დარჩენიათ. ,,ყველაგან კარგია, სადაც ჩვენ არ ვართ“ -

არაჩვეულებრივად გადათამაშდა ამ ტექსტებში და დოკუმენტური პროზის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ დიდი ლიტერატურული დატვირთვა მიანიჭა.

43. მოხსენებაში ,,კავკასია - ერთი მითოლოგიური ხატ-სიმბოლოს მხატვრული გააზრება და ქართული ემიგრაციის მსოფლხედვა“ განხილულია არაერთი ასპექტი: დაწყებული საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დებატებიდან, ასევე, იმ გამოცემების მიმოხილვიდან რომელიც ქვეყანაში გამოდიოდა: ჟურნ. ,,პრომეთე“ (1918), ჟურნ. ,,კავკასიონი“ (1924), მოგვიანებით, ,,ახალი კავკასიონი“; საფრანგეთში კრებული ,,კავკასიონი“ (1929), პოლიტიკური ემიგრაციის მიერ უცხოეთში დაარსებული ,,პრომეთეელთა მოძრაობა“. ვფიქრობ, აქ და უცხოეთში შექმნილი ტექსტები არაერთი თვალსაზრისითაა ანგარიშგასაწევი და დასაფიქრებელი.

44. ძველი ადამიანის მითოლოგიური აზროვნება მოიცავდა მისთვის ცნობილ მთელ სამყაროს, როგორც სულიერ არსებებს, ისე საგნებს, რომლებსაც მან ზებუნებრივი ძალა მიანიჭა და ფუნქციებიც განუსაზღვრა. მითებში გვხვდება სხვადასხვა დანიშნულების მქონე მაგიური ნივთები, მათ შორის სამკაულები, რომლებსაც ღვთაებრივი ოსტატები ქმნიან (ბერძნ. ჰარმონიას ყელსაბამი, სკანდ. ფრეას მძივი).

კავკასიელთა მითოლოგიურ გადმოცემებში გვხვდებიან მდედრი პერსონაჟები (ხევს. სამძივარი, ლაკ. აცალოვი, მანთული, დარგ. კიბირხანი, ყუმიხ. ალბასლი), რომლებიც თითქოს დემონური არსებები არიან, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად ამ კატეგორიაში მათი მოქცევა არ ხერხდება. ისინი ოჯახის მფარველის ან ნაყოფიერების ღვთაების ნიშნებსაც ამჟღავნებენ: მუდმივად ცდილობენ ადამიანებთან სიახლოვეს, მათ შინა სივრცეში შეღწევას, მამაკაცებთან სატრფიალო ურთიერთობის დამყარებას. ოჯახში მოხვედრილები მონდომებით დიასახლისობენ და ბარაქიანობა მოაქვთ. სავარაუდოდ, ეს მითოლოგიური სახეები ნაყოფიერების ძველი ღვთაებები არიან, რომლებმაც დროთა განმავლობაში პერიფერიაზე გადაინაცვლეს და უარყოფითი არსებების ნიშნები შეიძინეს. ამგვარი მოვლენა ხშირად ახლავს რელიგიურ-მითოლოგიური სისტემის შეცვლას.

ყველა ეს პერსონაჟი ატარებს მძივს, რომელსაც მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ვერ ეგუებიან მის დაკარგვას და ცდილობენ დაბრუნებას. მითოლოგიური გადმოცემების ფრაგმენტულობის გამო ძნელია მძივის ფუნქციისა და შესაძლებლობების უფრო კონკრეტულად განსაზღვრა (მაგალითად, ყუმიხური გადმოცემით, ალბასლის მძივი თავისი პატრონის ხმას გამოსცემდა), მაგრამ აშკარაა, რომ იგი ნაყოფიერების ნიშნების მქონე არსებების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ყელსაბამი (ხევს. ყელსასხამი) ასეთი მაგიური დატვირთვით მხოლოდ კავკასიურ მითოლოგიაში გვხვდება და მას არქეოლოგიური მასალაც შეესატყვისება. კავკასიაში ნაყოფიერების მფარველი ღვთაების კულტი მცირე ზომის ქალის ფიგურებითაა წარმოდგენილი. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ფიგურა ყელსაბამის მსგავსი ორნამენტითაა შემკული.

46. მოხსენებებში განხილულია ნადირობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებები ოსეთში და ღვთაება აფსათის მითოსური სახე, რომელსაც გვიანდელ ტექსტებში ახალი შტრიხები შეემატა. ოსური ფოლკლორის საინტერესო პერსონაჟები არიან ნადირობის ღვთაება აფსატი და ტრაგიკული ბედის მქონე მონადირეები. ეს მოტივები მსგავსია კავკასიის სხვადასხვა რეგიონში. საკულტო ხასიათისაა აფსატთან დაკავშირებული ტექსტების უმრავლესობა, თუმცა გვხვდება ისეთი ლექსებიც, რომლებშიც სარწმუნოებრივ- მითოლოგიური მოტივები გაფერმკრთალებულია.

1974 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა ოსური ხალხური პოეზიის ნიმუშების კრებული „შორეული წლების სიმღერები“. აქ ყურადღებას იპყრობს აფსატისადმი მიძღვნილი ორი ლექსი, რომლებშიც ნადირთღვთაება არატრადიციულადაა წარმოდგენილი. ბალადა „სიმღერა აფსატზე“ მოგვითხრობს, რომ ნადირთღვთაება ყურად არ იღებს მდიდარი მონადირეების თხოვნას და ღუპავს მათ, ხოლო ღარიბ მონადირეს ხელს უწყობს ნადავლის მოპოვებაში. მეორე

ლექსში „აფსატი და კომიას ვაჟი“ აფსატი უსინათლო და უმწეო მოხუცია, რომელიც მისტირის მოტაცებულ ქალიშვილს.

ოსურ ზეპირსიტყვიერებაში აისახა ტრაგიკულად დაღუპული მონადირის ამბავი, რომელიც გვხვდება კავკასიის სხვა ხალხთა შემოქმედებაშიც. კავკასიელთა წეს-ჩვეულებებში ჩანს, რომ ნადირის ხოცვა რეგლამენტირებული იყო. ვინც ამ წესს დაარღვევდა ან განსაკუთრებული ნიშნების მქონე ნადირს მოკლავდა, უთუოდ დაისჯებოდა. ეს არის მთავარი თემა დაღუპული მონადირის ციკლის თქმულებებსა და პოეზიაში.

ცნობილია მონადირე გუიმანის სახელი, რომელიც კარგი მონადირე იყო, მაგრამ მამის გაფრთხილებას ყური არ უგდო და უზომოდ ხოცა ჯიხვები. ამის გამო იგი კლდიდან გადაიჩეხა. გუიმანის ამბავს ვარიანტებიც მოეპოვება, რომელშიც მეგობრის ღალატიცაა ჩართული. ეს მოტივი ასევე ცნობილია კავკასიელთა ზეპირსიტყვიერებაში. გუიმანის ამბავი გალექსა ოსმა პოეტმა გ. მელიევმა და მას უწოდა „უახაგაგის ვაჟი პატარა გუიმანი“. ამ თემას მიუძღვნა ლექსი კოსტა ხეთაგურმაც. ამდენად, ტრაგიკული ბედის მქონე მონადირე ლიტერატურულ გმირად იქცა.

47. მოხსენება ეხება ძმების მეტოქეობაზე შექმნილ ბალადებს, რომლებიც სხვადასხვა ეპოქასა და კულტურას განეკუთვნება. აღნიშნულია, რომ ფოლკლორული ბალადის განვითარებას ხანგრძლივი პროცესი დასჭირდა, სანამ იგი ლიტერატურულ ჟანრად ჩამოყალიბდებოდა. თუმცა ლიტერატურაზე გადასვლით ბალადას დრამატული ხასიათი არ დაუკარგავს. სიუჟეტის ფორმასა და ნაწარმოების პოეტურ მხარეს განსაზღვრავდა ავტორის მსოფლმხედველობა, ზნეობრივი კრიტერიუმები და გემოვნება.

მოხსენებაში განხილულია სკანდინავიური ხალხური ბალადა "ალფი ოდერსკიდან", ჰაინრიხ ჰაინეს "ორი ძმა" და აფხაზი პოეტის დიმიტრი გულიას "ეშსოუს დამბაჩა". ეს სამივე ბალადა მოგვითხრობს ორი ძმის დაპირისპირების ამბებს და მათი მტრობის მიზეზი ქალია.

ზოგიერთი სკანდინავიური გმირული ბალადა დაფუძნებულია ძველ საგებში მოთხრობილ ბრძოლებზე, მაგრამ ხალხური მომღერლები ბალადაში მოთხრობილ ამბავს თავიანთი შეხედულებისამებრ ცვლიდნენ და ამ გზით მეტ მომხიბვლელობას ანიჭებდნენ მას. ბალადა „ოდერსკელი ალფი“ ეფუძნება ჰარვორის საგას, მაგრამ ნორვეგიელმა მომღერალმა სიუჟეტი გარდაქმნა და მასში მეტი დრამატიზმი შეიტანა.

ჰაინეს ბალადა დაფუძნებულია გერმანულ ლეგენდაზე, სადაც ძმები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, მაგრამ მათ შორის ბრძოლა აღარ შედგა. ჰაინემ ბალადას ტრაგიკული და რომანტიული ხასიათი მიანიჭა. მის ლექსში ძმები ერთმანეთს ხოცავენ, მაგრამ ღამით აგრძელებენ შერკინებას და ეს ბრძოლა მარადიულია.

აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია თავის ბალადაში სხვაგვარად წარმოგვიდგენს ძმების კონფლიქტს. ესშოუ დააპირებს უფროსი ძმის მოკვლას, მაგრამ დამბაჩა უმტყუნებს. მის მცდელობას უფროსი ძმა ბრძნული საქციელით პასუხობს, რითაც სამუდამოდ თავიდან აიცილებს კონფლიქტს.

ამ ბალადების შედარება გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება ერთი და იგივე ამბავი სხვადასხვა ავტორის შემოქმედებაში, როგორი ინტერპრეტაციით გვაწვდიან ისინი მსგავს ისტორიას და მხატვრულად და იდეურად განსხვავებულად აყალიბებენ მას. სწორედ ეს განსხვავება ქმნის პოეტურ მოზაიკას.

48. მსოფლიოს ბევრი ხალხის მითოლოგიაში აღწერილია ღმერთების თაობათა ცვლა, რომელიც მძაფრი დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს. კავკასიელთა ფოლკლორშიც არის ამ თემის შემცველი ნაწარმოებები. მათ შორისაა თქმულებები მიჯაჭვულთა შესახებ, რომლებიც ძველი თაობის წარმომადგენელი გოლიათები არიან და სავარაუდოდ, ახალი თაობის ღმერთებთან დაპირისპირებისთვის არიან დასჯილები.

ღმერთებს შორის ძველი დაპირისპირების კვალი ჩანს გადმოცემებში დალის შესახებ. სვანური გადმოცემების მიხედვით აშკარაა, რომ დალი დასჯილი ღვთაებაა. დიდი ღმერთი უკრძალავს მას შვილის გაჩენას და ამიტომ დარაჯად მგელი ჰყავს მიჩენილი. ვარიანტებიდან ჩანს, რომ

ამირანს ღმერთთან დაპირისპირება დედისგან აქვს მემკვიდრეობით მიღებული და დალი შვილის მეშვეობით ცდილობს შურისძიებას.

ჩეჩნური და ინგუშური ფოლკლორის მიხედვით, ასევე დასჯილია ქარიშხლების დედა დარძა ნიანილგი, რომელიც ყაზბეგის მთაზეა წრეში მოქცეული და ვერ ტოვებს იმ ადგილს. დარძა ნიანილგის შვიდი ვაჟი დაეხმარა ღმერთთან დაპირისპირებულ კურიუკოს და ეს გახდა მათი დასჯის მიზეზი. დალი და დარძა ნიანილგი ღვთაებათა ძველ თაობას ეკუთვნიან, რომლებიც ღმერთს უპირისპირდებიან და თავიანთ შვილებსაც ამხედრებენ მის წინააღმდეგ.

ყაბარდოული გადმოცემა `ორი ღმერთის ბრძოლა~ მოგვითხრობს დიდი ღმერთისა და ფრინველთა ღმერთის ბრძოლაზე. ფრინველთა ღმერთი მარცხდება, მისი ლაშქარი კი მიწისქვეშეთშია დამწყვდეული.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, ღვთისშვილები ეომებიან დევ-კერპებს, ძველი თაობის ღვთაებებს, მოიპოვებენ ტერიტორიას და ამკვიდრებენ ახალ რელიგიას.

კავკასიელთა მითოლოგიაში დაპირისპირებულთა ბრძოლის სხვადასხვა ვერსიაა წარმოდგენილი, რომლებშიც უნივერსალური მოტივების გარდა, გვხვდება უჩვეულო ამბავი ადამიანების მონაწილეობისა ღვთაებათა დაპირისპირებაში. ასეთია გადმოცემა გახუა მეგრელაურზე, რომელიც ღვთისშვილებმა წაიყვანეს ქაჯავეთში ლაშქრობისას. ასევე ღმერთების ბრძოლაში მონაწილეობენ ადამიანები ოსურ გადმოცემაში „ძნისთვის მიმავალნი“.

გადმოცემები ღვთაებათა ბრძოლაზე, ასევე ის ფაქტი, რომ კავკასიელი მიჯაჭვული გოლიათების დასჯის ადგილი არ სცილდება კავკასიის მთებს და აქვე არიან მიჯაჭვული ქალღმერთები, ადასტურებს, რომ კავკასიური ტიტანომახია ადგილობრივი წარმოშობისაა. ღვთაებათა დაპირისპირების ამბებმა დროთა განმავლობაში გარკვეული ცვლილებები განიცადა. ამ მითის ცალკეული დეტალები კი რუდიმენტების სახით შევიდა კავკასიის ხალხთა ეპიკურ ციკლებში.

49. კავკასიის ხალხთა ფოლკლორში გვხვდებიან ქალები, რომლებიც გამოირჩევიან ფიზიკური ძალითა და ბრძოლის უნარით. სავარაუდოდ, ამ მხატვრული სახის შექმნასა და ჩამოყალიბებას ბიძგი მისცა თქმულებამ მეომარ ქალებზე - ამორძალებზე, რომლებსაც ბერძნული ტრადიცია კავკასიასთან აკავშირებდა. არქეოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ ეს არ იყო გამონაგონი. სკვითების საცხოვრებელ ტერიტორიაზე სამარხებში აღმოჩნდა შეიარაღებული ქალების ჩონჩხები. როგორც ჩანს, ამ გადმოცემების საფუძველზე წარმოიშვა მეომარი ქალის ფოლკლორული სახე, რომელიც დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა და გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიდა.

კავკასიელთა ფოლკლორში გოლიათი ქალის სხვადასხვა ტიპი არსებობს. მათში მითოლოგიური არსებების გარდა, არიან პერსონაჟები, რომლებსაც ახასიათებთ ზღაპრული და ეპიკური ნიშნები, რაც ალბათ ამ სახის სტადიური განვითარების მაჩვენებელია. ჩეჩნებისა და ინგუშების მითოლოგიური გადმოცემები მოგვითხრობენ უზარმაზარი, საშინელი ძალის მქონე არსებების - გარბაშების შესახებ. ქალ გარბაშს შეუძლია თმის ერთი ღერით რამდენიმე ბუმბერაზის შეკვრა. ბალყარელებისა და ყარაჩაელების ფოლკლორში მსგავსი არსებები არიან ემეგენები, დიდი ზომის ქალები დიდი მკერდითა და ეშვებით. ადიღეელთა ნართების ეპოსში არის განსაკუთრებული ძალის მქონე მეომარი ქალი დახანაგო. ამირანის თქმულებაში ამ ტიპის ქალია ამბრის დედა, რომელიც მეომრულ თვისებებს ავლენს.

ბრძოლისუნარიანობისა და დიდი ძალის გამო ხალხურმა ფანტაზიამ ეს ქალები გოლიათთა ჯგუფს მიაკუთვნა. აქედან გამომდინარე, მათ მიიღეს ძველი თაობის ბუმბერაზთა ყველა ნიშან-თვისება. მათაც აქვთ საკუთარი სამფლობელო და სიმდიდრე. ამ ქალებისთვის უცხოა ორგულობა და ღალატი. ეპოსსა და ზღაპარში ბუმბერაზი ქალების აქტივობა საგმირო-საქორწინო მოტივს დაუკავშირდა. გოლიათი ქალი ეძებს საქმროს სიძლიერისა და მოხერხებულობის ნიშნით. მოწინააღმდეგემ არ იცის, რომ ქალს ებრძვის, რადგან მას მამაკაცის ტანსაცმელი აცვია. ამბავი იმით მთავრდება, რომ ქალი თავისზე ძლიერ მამაკაცს პოულობს და ისინი ქორწინდებიან.

ეს გოლიათი ქალები წარმოაჩენენ კავკასიელთა შემოქმედებითი უნარის გამოვლენის საინტერესო მაგალითს. როგორც ჩანს, ამორძალების ამბები ხალხური ფანტაზიისთვის შთაგონების წყაროდ იქცა. მეომარ ქალთა სახემ მხატვრული გარდასახვის გრძელი გზა განვლო. მათ პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ პერსონაჟებმა კავკასიელთა ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრში დაიმკვიდრეს ადგილი.

50. მოხსენების თემაა ბესარიონ ნიჟარაძის თხზულებათა კრებულში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“ და „მასალათა კრებულში“ გამოქვეყნებული სვანური ლეგენდები ქვეყნის შექმნაზე. აშკარაა ამ ტექსტების ბიბლიური წარმომავლობა, მაგრამ ფოლკლორულ გარემოში მოხვედრისას შინაარსი იცვლება ხალხური წარმოდგენების შესაბამისად და ნაწარმოების ვარიანტებიც ჩნდება. აქ ღმერთს უპირისპირდება სამოელი, რომელიც ეჯიბრება მას ქვეყნიერების შექმნის პროცესში. ბ. ნიჟარაძე მოგვითხრობს, რომ ღმერთისა და სამოელის დაპირისპირების ეპიზოდი სვანეთში რიტუალურადაც იყო წარმოდგენილი. ეს არის გამოძახილი ძველი მითო-რიტუალური პრაქტიკისა.

სამოელისა და ქრისტეს დაპირისპირება აისახა სვანურ იკონოგრაფიაშიც. ლაშთხვერის (ზემო სვანეთი, ლენჯერის თემი) თარინგზელის ეკლესიაში ჩვრდილოეთ კედელზე გამოსახულია ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის ფრესკა (მე-14-მე-15 ს.) და აქ ეშმაკს ასომთავრულად აქვს მიწერილი სახელი „სამაელ“.

სვანურ ხალხურ გადმოცემებში სამალისა და ღმერთის დაპირისპირებაში აისახა ძველი კოსმოგონიის მოდელი, რომელშიც სამყაროს შექმნა დაპირისპირებულთა ბრძოლითაა გამოხატული.

51. ჯუმა ახუბას მოთხრობებში მოქმედება ხდება საბჭოთა პერიოდის ერთ აფხაზურ სოფელში, რომელსაც ავტორი „აფსარას“ უწოდებს. მოთხრობის პერსონაჟებიც ძირითადად სოფელ აფსარის მკვიდრი აფხაზები არიან.

მოთხრობაში „კერია“ აისახა ხალხური წეს-ჩვეულებები და აფხაზური ფოლკლორის ელემენტები, რომლებიც აფხაზი ხალხის ყოველდღიური ცხოვრების უფრო სიღრმისეული გაცნობის საშუალებას იძლევა და ნაწარმოებს უფრო მეტ მხატვრულ დამაჯერებლობას ანიჭებს. მწერალი მოთხრობაში წარმოგვიდგენს ღიჟვარას აფხაზურ ხალხურ ტრადიციას, რომელსაც აფხაზები ზამთარში აწყობდნენ. ღიჟვარა თავისი ფორმითა და შინაარსით ქართულ ოჩხარს მოგვაგონებს. ღიჟვარაზე ძირითადად უფროსი თაობის აფხაზები იკრიბებოდნენ. მასპინძელი წინასწარ ემზადებოდა ღიჟვარას მოსაწყობად. მწერალს მოთხრობაში ასევე ოსტატურად აქვს ჩართული მიქელგაბრიელის გლეხთან სტუმრობის აფხაზური თქმულება.

ჯუმა ახუბას მოთხრობაში „მწყემსის გუდა“ მოქმედების დრო და სივრცე უკიდურესად შეზღუდულია. მწერალმა მისი სტილისთვის დამახასიათებელი მსუბუქი იუმორით მკაცრად ამხილა საბჭოთა სინამდვილეში გავრცელებული ისეთი მანკიერი ქმედება, როგორიც იყო კორუფცია.

მწერალი მოთხრობაში ახდენს აფხაზური მითის რეპრეზენტაციას, რომლის მიხედვით, მთვარეზე მუქ ლაქად დარჩა კომბალზე დაყრდნობილი მწყემსის გამოსახულება, რადგან მას ღმერთი განურისხდა, მიწა გაიპო და მწყემსი თავის თხის ფარასთან ერთად შიგ ჩაიტანა, მისი სახე კი მთვარეზე სამუდამოდ აღიბეჭდა. ჯუმა ახუბა თავისი მოთხრობის პერსონაჟის, კუნაჩის ქმედების პირველსაწყისსა და აფხაზური მითის არქეტიპს ბიბლიური კაენისა და აბელის ისტორიაში პოულობს.

მწერალს სურს, რომ სწორხაზოვანი მიზეზ-შედეგობრიობა დაინახოს უძველეს რელიგიურ მითსა და კუნაჩის საქციელს შორის. რელიგიური მითისა და სიმბოლოს საშუალებით ჯუმა ახუბამ ნოველაში აღადგინა არქეტიპული მოდელი და თავის თანამედროვეობას დაუკავშირა. მწერლის აზრით, ის რაც აწმყოში ხდება, ხშირად წარსულის პარადიგმებია. ასე რომ, კუნაჩის საქციელში მამამისის, ხაბაშის სიხარბე და გაუმაძღრობა მეორდება.

ჯუმა ახუბას „ბზოუ“ მოგვითხრობს ჭკვიანი და გულადი ცხენის თავის პატრონთან - ბადრა ბარყუნთან ურთიერთობის შესახებ, რომელიც სცილდება პატრონისა და ერთგული

ცხოველის ჩვეულებრივ მეგობრობას. ეს ურთიერთობა უფრო მაღალადამიანური ურთიერთობის ჭრილშია გადმოცემული, რადგან ბზოუ ისევე ფიქრობს, ისევე განიცდის და ისევე წუხს, როგორც ადამიანი. მწერალი მოთხრობაში ნართების ეპოსის არქეტიპებს აცოცხლებს. მოთხრობის მთავარი გმირის, ბადრა ბარყუნის ცხენს ჰქვია აფხაზური ხალხური ეპოსის პერსონაჟის სასრიყვას გულთმისანი რაშის სახელი - ბზოუ.

მოთხრობის სიუჟეტში ჩართულია ხალხური ყოფის არაერთი ელემენტი, მათ შორის, აფხაზებში და კავკასიის მთის ხალხებში დამკვიდრებული მიცვალებულისადმი სულის ცხენის კურთხევის წესი. სულის ცხენს სიმბოლურად თავისი პატრონი საიქიოში უნდა წაეყვანა, მას ამ მიზნით საგანგებოდ რთავდნენ და კაზმავდნენ, შემდეგ კი ლოცავდნენ, აკურთხებდნენ და შენდობას ეუბნეობოდნენ. მოთხრობაში მთელი სამგლოვიარო ცერემონია ბზოუს თვალით არის აღქმული, დანახული და გააზრებული. მკითხველიც ბადრას სამგლოვიარო ცერემონიას მისი ცხენის თვალით უყურებს და მისი შთაბეჭდილებით იმსჭვალება.

ჯუმა ახუბას „ბზოუს“ აქვს სიმბოლურ-ალეგორიული დატვირთვაც. გარდა წუთისოფლის წარმავლობისა, იგი პიროვნებისა და საზოგადოების ბედზეც მიუთითებს.

53. დაღესტნის ერთ-ერთი ხალხის - ლაკების - ფოლკლორში დადასტურებულია ქართული „ამირანიანის“ ადგილობრივ ნიადაგზე გადამუშავებული თქმულება. ლაკური ვერსიაში მთავარ გმირს ჰქვია ამირი (← ამირანი), რაც, სხვა მსგავს სტრუქტურულ ელემენტებთან ერთად, ლაკური თქმულების ქართული „ამირანიანიდან“ წარმომავლობაზე მიუთითებს. ქართული „ამირანიანის“ დაღესტნური ვერსია ლაკურ და რუსულ ენებზე პირველად 2012 წელს მოსკოვში დაბეჭდა გამომცემლობა „ნაუკამ“ კრებულში Свод памятников фольклора народов Дагестана, В двадцати томах, Том 4, Мифологическая проза, издательство «Наука», Москва», 2012 (გვ. 81).

ამირანის ქართული ეპოსისა და ლაკური თქმულების - „ამირის“ ურთიერთმიმართების შესახებ დღემდე არ გამოთქმულა არანაირი თვალსაზრისი. „ამირანიანის“ ცნობილი მკვლევარი მ. ჩიქოვანი თავის მონოგრაფიაში, ამირანის ეპოსის ქართული ვარიანტების გარდა, მხოლოდ ოსურ და აფხაზურ ვერსიებზე მიუთითებს.

2011 წელს მოსკოვში გამომცემლობა „ნაუკამ“ დაბეჭდა დაღესტნის ხალხთა ჯადოსნური ზღაპრების აკადემიური გამოცემა, რომელშიც ამირანი სომხური ეპოსის გმირად არის გამოცხადებული.

ლაკურ თქმულებასა და ქართულ „ამირანიანს“ შორის დასტურდება შემდეგი მოტივებისა და სიუჟეტების თანხვედრა: 1. მთავარი გმირი ორივე ვერსიაში ფლობს განსაკუთრებულ ძალ-ღონეს; 2. ამქვეყნად არ მოიძებნება მისი მომრევი; 3. ამირანიც და ლაკური თქმულების ამირიც ძალის გამოსაცდელად ღმერთს მაღალ მთაზე იწვევენ, რომელიც ასევე გმირის გაბუდაყების მწვერვალს წარმოადგენს; 4. ღმერთთან დაპირისპირებაში გმირი მარცხდება; 5. ღმერთი გმირს კლდეზე მიაჯაჭვავს; 6. გმირი ცდილობს გათავისუფლებას, მაგრამ ამაოდ; 7. როგორც ქართულ, ასევე ლაკურ ვერსიაშიც მონაწილეობს მჭედელი; 8. გრდემლზე უროს სამჯერ დარტყმით მჭედელი ასქელებს გათხელებულ ჯაჭვს, რომლითაც გმირი არის კლდეზე მიჯაჭვული; 9. არავინ იცის გმირის მიჯაჭვის ადგილი.

ლაკური თქმულება ფრაგმენტულია, რადგან მასში გამოტოვებულია სტრუქტურული თვალსაზრისით ამირანის ეპოსისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ეპიზოდები: მთავარი გმირის შობა, ნათლობა, ბავშვობა, დევებთან ბრძოლა, გველეშაპის ეპიზოდი, ყამარის მოტაცება. ლაკურ თქმულებაში არ ხსენდებიან მთავარი გმირის მშობლები, მისი ძმები, აგრეთვე, ცამცუმი და მისი კოშკი, იგრი ბატონი და მისი საბანელი, ამბრი არაბი, ღრუბელთ ბატონი და სხვა პერსონაჟები. ლაკურ თქმულებაში გვხვდება ქართული „ამირანიანისგან“ განსხვავებული ელემენტები, რომლებიც ტექსტს ნაციონალურ იერსახეს ანიჭებენ.

ერთ-ერთ ჩეჩნურ თქმულებაში გვხვდება პერსონაჟი ამირი, რომელშიც შეიძლება ქართული „ამირანიანის“ გავლენის კვალი დავინახოთ. თვითონ ჩეჩნურ თქმულებას, რომელსაც

ჰქვია „გეპაქისა და ამირის მტრობა“, სტრუქტურულ-შინაარსობრივი თვალსაზრისით თითქოს არაფერი აკავშირებს ქართულ „ამირანიანთან“, მაგრამ მასში არის რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი დეტალი, რომლებიც მთის მწვერვალზე მიჯაჭვული ამირანის ასოციაციას აღძრავენ.

ამირანის თქმულების ლაკური და ჩეჩნური ვერსიების არსებობა ქართველ და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის მჭიდრო ურთიერთობებსა და კულტურული ფასეულობების გაზიარების ხანგრძლივ ისტორიულ პროცესზე მიუთითებს.

54. ოსურ ფოლკლორში რამდენიმე ვარიანტად გვხვდება მითოლოგიური გადმოცემა შავი ჭირის გამავრცელებელი არსების - ჟემინას - შესახებ. ვარიანტების უმრავლესობა XIX საუკუნის II ნახევარში არის ჩაწერილი. გადმოცემებში მოქმედება ხდება ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში, კერძოდ აულ სთურ დიგორში. ოსური თქმულება შავი ჭირის გამავრცელებელ არსებას ხან ანთროპომორფული სახით, ხანაც მგლის, ძაღლის, ცეცხლის ან ცეცხლოვანი ბურთის სახით წარმოგვიდგენს. ის ეცხადება კონკრეტული გვარის წარმომადგენლებს, ზოგჯერ მთელ ხალხს და ჰქვია ჟემინა. ქართული ფოლკლორიც იცნობს შავი ჭირის გამავრცელებელ მითოსურ არსებებს. ოსური ტექსტების მსგავსად, ხევსურულ მითოლოგიურ გადმოცემებში ეს არსებები პერსონიფიცირებულია და მათ ჰქვიათ ჟამნი. შავი ჭირის ეპიდემია ქართულ წყაროებში ჟამიანობის სახელით ხსენდება.

ჟამიანობასთან დაკავშირებულ ქართულ თქმულებებში შემოდის აკრძალვის, საიდუმლოს გაგებისა და დასჯის მოტივები. ქართული და ოსური გადმოცემები მოგვითხრობენ შავი ჭირის გამავრცელებელი არსებებისა და ადამიანების ურთიერთობის, ჟამიანობისგან მოსახლეობის განადგურებისა და პრევენციის ზომების შესახებ. ჟამიანობასთან დაკავშირებული ქართული და ოსური მითოლოგიური გადმოცემები ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული ხალხური ტექსტებია, რომლებსაც გამითიურებული, მაგრამ რეალურად მომხდარი ამბები უდევს საფუძვლად. მათში აისახა ადგილობრივი გეოგრაფიული გარემო, ტოპონიმები და მიკროტოპონიმები, მითიური წინაპრებისა და ეთნარქების გვარ-სახელები.

ოსური გადმოცემებისგან განსხვავებით, ხევსურულ ხალხურ ტექსტებში შავი ჭირის გამავრცელებელი არსებები არიან ბევრნი და მათი საერთო სახელი არის „ჟამნი“. ისინი ჯგუფურად გადაადგილდებიან ჯორით, რომელსაც ხურჯინში შავი ჭირის გამავრცელებელი თეთრი, წითელი და შავი ისრები უწყვია. ოსურ გადმოცემებში ჟემინა, ჯორისა და ისრების გარეშე, მარტოდ გადაადგილდება, მარტოდმარტო მოქმედებს და ავრცელებს ეპიდემიას.

ოსურ გადმოცემებში შავი ჭირის გამავრცელებელი არსების საკუთარი სახელი „ჟემინა“ ოსური ენის მონაცემებით არ იხსნება. ის ქართული, კერძოდ, ხევსურული ტრადიციიდან უნდა იყოს გადასული, სადაც იგი შავი ჭირის გამავრცელებელი არსებების ზოგად სახელს წარმოადგენდა. შავი ჭირის გამავრცელებელი დემონური არსებების სახელი ხევსურულ ტექსტებში გადმოცემულია სიმრავლის გამომხატველი ნარიანი ფორმით - „ჟამნი“ (ჟამ ***-ნ-*** ი), რომელიც ოსურმა ენამ, როგორც ჩანს, ქართულიდან მრავლობითის მაწარმოებელ „-ნ“ სუფიქსიანად ისესხა - „ჟემი ***-ნ-*** ა“, თუმცა ამ სიტყვაში „-ნ“ სუფიქსს დაკარგული აქვს მრავლობითის გაგება და ოსურ გადმოცემაში ეს სახელი შავი ჭირის გამავრცელებელ ერთ კონკრეტულ არსებას ჰქვია.

შავი ჭირის თავიდან ასაცილებლად მოსახლეობა ყველაზე მეტად მფარველ წმინდანებსა და ზებუნებრივ არსებებს სთხოვდა მფარველობას, რადგან, ეპიდემიასთან საბრძოლველად წამალი ეფექტურ საშუალებად არ ითვლებოდა. ხევსურული ანდრეზებისა და ოსური გადმოცემების მიხედვით, ჟამიანობა სწორედ ჯვარ-სალოცავებმა, ძუარებმა და იდაუაგებმა შეაჩერეს.

ოსურ ტრადიციაში მისტერიის სახით არსებობდა შავი ჭირის დამარცხებასთან დაკავშირებული ხალხური დღესასწაული და რიტუალი, რომელსაც, როგორც სცენარი, საფუძვლად ედო თქმულებაში გადმოცემული ამბავი.

შავი ჭირის გამავრცელებელ არსებებთან დაკავშირებული ქართული და ოსური მითოლოგიური გადმოცემების შედარებითი ანალიზით ვლინდება არაერთი მსგავსი ფოლკლორული მოტივი და ტრადიციული ელემენტი, რომლებიც ორი ხალხის ფოლკლორულ შემოქმედებაში კულტურული ფასეულობების გაზიარების ხანგრძლივ პროცესსა და გენეტიკურ კავშირებზე მიუთითებს.

55. ქართულ და ჩეჩნურ ფოლკლორში დასტურდება საერთო მითოლოგემები და ტრადიციული კულტურის ელემენტები. ამათგან ზოგიერთი მითოლოგიური მოტივისა და სიუჟეტის გამოჩენა ეპიკურ თქმულებებში სხვადასხვა კულტურის გავლენითა და ნასესხობით აიხსნება, ზოგიც უნივერსალურია და ისინი თვით ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ ტრადიციებშიც აისახება.

ჩეჩნური თქმულებების ნათესაობა ქართულ ფოლკლორთან დასტურდება მითოლოგემებით, ტრადიციული სიუჟეტებითა და მოტივებით. ჩეჩნურ ფოლკლორში აისახა შუა საუკუნეების ქართული კულტურის ელემენტები, რაც ამ ორ ხალხს შორის მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობაზე მიუთითებს. ჩეჩნურ ენაში ქართული ენიდან ან ქართული გზით შესული საკულტო-რელიგიური ტერმინოლოგია, საკრალური და სამეურნეო ლექსიკა, მფარველ წმინდანებისა და კვირის დღეების სახელწოდებები. ქართული ენიდან არის შესული ჩეჩნურ ენაში მიღმა სამყაროს სახელწოდებები: Ялсамани - სამოთხე, იგივე ზეციური იერუსალიმი და жоьжахате, რომელიც მომდინარეობს ქართული სიტყვიდან „ჯოჯოხეთი“.

შუა საუკუნეებში ჩეჩნეთის საკულტო ცენტრებში ისეთივე გახალხურებული რელიგიური რიტუალები და მსხვერპლშეწირვა ტარდებოდა, როგორიც მათ მეზობელ ქართველ მთიელებში. ხევსურებისა და მთიელი ჩეჩნების რელიგიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საერთო საკულტო დღესასწაულები, რომლებიც იმართებოდა ანატორისა და ხონეს ჯვარში. მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრები ჩეჩნები და ქართველი მთიელები საუკეთესოდ ფლობდნენ ერთმანეთის ენებს, რაც ხელს უწყობდა მათ შორის კულტურულ ფასეულობათა გაზიარებას. ხალხური რელიგიური დღესასწაულები ორ ხალხს შორის მეგობრობასა და კეთილმეზობლობას კიდევ უფრო აღრმავებდა.

მითოლოგიური მოტივების პარალელიზმი ქართულ და ჩეჩნურ თქმულებებში სხვადასხვა ასპექტით ვლინდება. ამ თვალსაზრისით ორი ხალხის მითოსიდან ჩვენი კვლევის საგანი გახდა სამონადირეო თქმულებები, კერძოდ, ნადირთპატრონსა და ტყის მითოსურ არსებებთან დაკავშირებული გადმოცემები; მითოლოგიურ პერსონაჟთა სახელები; დემონურ-მითოლოგიურ არსებებთან ბრძოლის მოტივი; პერსონაჟის გარეგნობასთან დაკავშირებული საიდუმლო ნიშნები; ტოპონიმების მითოლოგიური სახელწოდებები, აგრეთვე გველეშაპის მითოლოგემის კოსმოგონიური ხასიათი და მისი პარალელები ქართულ მითოსთან.

ქართულ და ჩეჩნურ თქმულებაში მონადირე ესწრება ნადირთპატრონის საიდუმლო ტრაპეზს, სადაც ის მონაწილეობს მოკლული ნადირის ბეჭის მოპარვაში, ხის ბეჭით მის შენაცვლებასა და შეჭმული ნადირის ძვლებით ცხოველის გაცოცხლებაში. ამ მოტივზეა აგებული ჩეჩნური თქმულება „გოლიათი გრძნეული ქალები“. როგორც ირკვევა, „ხისბეჭიანი“ ნადირის სასწაული საფუძვლად დაედო როგორც ქართულ, ისე ჩეჩნურ და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებში გავრცელებულ სამონადირეო თქმულებებს.

ჩეჩნურ მითო-ეპიკურ შემოქმედებასა და ქართულ ზეპირსიტყვიერებას შორის ვლინდება ტიპოლოგიური და გენეტიკური კავშირები, მითო-პოეტური და სიუჟეტური პარალელები. ჩეჩნურ და ქართულ თქმულებებში მითოლოგიური მოტივების მსგავსება არ არის ზედაპირული და ის უფრო სიღრმისეულ ხასიათს ატარებს. მათში გვხვდება როგორც

ადგილობრივ ნიადაგზე გადამუშავებული საყოველთაოდ ცნობილი სიუჟეტები, ისე სრულიად ორიგინალური თემები და მოტივები.

ვასილ მახნოს ლექსები ომის შესახებ სათაურითვე იქცევს მკითხველის ყურადღებას: „ომი“, „ომის შესახებ“, „სამშობლოსადმი“, „გასასვლელი“, „შევჩენკო“, „მარიუპოლიდან“, „მწუხარების ფსალმუნი“, „ბუჩის ფსალმუნი“, „მტრედების ღუღუნი დილით“ შექმნილია სამშობლოში მიმდინარე კატასტროფაზე. ლექსებში შესამჩნევია ისტორიული, კულტურული თუ რელიგიური მოტივები, და ბუნებრივია , ყოველი მათგანი მხატვრული ხერხების სიჭარბითა და მძაფრი ემოციური მუხტით გამოირჩევა.

ავტორი აღწერს მარიუპოლის მისადგომებთან მომხდარ ბრძოლას, ადამიანების სასოწარკვეთას, დანგრეულ სახლებს, ამავდროულად იხსენებს ტარას შევჩენკოს, აცოცხლებს მის ძეგლს , რომელიც კიევში, უნივერსიტეტის წინ კვარცხლბეკზე ამაყად და უკრაინელ ვაჟკაცთა საიმედოდ დგას და გამოსახავს რიგით ჯარისკაცად, რომელიც მკერდით დაიცავს საკუთარ სამშობლოს და ზურგს გაუმაგრებს მას ბრძოლასა და გასაჭირში. ბუჩას არქმევს ტკივილისა და შიშის ქალაქს და სვამს კითხვებს: როდის დამთავრდება ეს ყველაფერი? რა იქნება მომდევნო თვეებში? ქალაქები ისევ ცეცხლის ალში ხომ არ გაეხვევა? სად შეიძლება ნუგეშის პოვნა?

ავტორი ბოლო პერიოდში მიმართავს ხუთსტრიქონიან სტროფებს. შესამჩნევია, რომ ლექსების უმრავლესობას იწყებს ციტატით, ხოლო ამთავრებს შეკითხვით. მხატვრული ხერხებიდან ხშირად იყენებს ეპითეტებს, მეტაფორებს, მაგრამ ყველაზე ხშირად მიმართავს ალუზიას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ბიბლიიდან, ან უკრაინული ლიტერატურიდანაა ნასაზრდოები.

ვასილ მახნოს ლექსები ომის საკითხის ესთეტიზაციისკენაა მიმართული და ამ თვალსაზრისით ალბათ მნიშნელოვან როლს ითამაშებს უკრაინული ლიტერატურის ისტორიაში. ეს არის პოეზია სიკვდილისა და სიცოცხლის, სიკეთისა და ბოროტების, მათი გადაკვეთის შესახებ და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ რაც უფრო რთულია ყოფა, რაც უფრო მტკივნეულია მიმდინარე მოვლენები, მით უფრო ცხადი ხდება, თუ რა უსასრულოა ლიტერატურის შესაძლებლობები.

2.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

8. 2. უცხოეთში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ნინო ნასყიდაშვილი, სინქრონული თარგმანი: მთარგმნელის ოსტატობა და პასუხისმგებლობა, 2022 წლის 7 დეკემბერი, უკრაინული კულტურა მსოფლიო კულტურის კონტექსტში, სრულიად უკრაინული ლიტერატურათმცოდნეობითი მრგვალი მაგიდა, მიძღვნილი ვიქტორ ოჰნევიუკისადმი, ბორის გრინჩენკოს სახელობის კიევის უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ინსტიტუტი, საზღვარგარეთის ლიტერატურის მასწავლებელთა უკრაინული ასოციაცია, ქ. კიევი, უკრაინა
2. ივანე მჭედელაძე, სოფიო ჩხატარაშვილი, ნინო ნასყიდაშვილი, „ცნობილი უცნობის ახალი აღმოჩენა: ივან ფრანკოს შემოწმების თანამედროვე წაკითხვა ქართული ლიტერატურის კონტექსტში“, 36-ე ყოველწლიური კონფერენცია, მიძღვნილი ივან ფრანკოსადმი „ეძებე სილამაზე, ეძებე სიკეთე“ - ივან ფრანკოს შემოქმედების ესთეტიკური და ეთიკური საფუძვლები,
   ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: 2022 წლის 21 ოქტომბერი, უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იან ფრანკოს სახელობის ლვოვის ნაციონალური უნივერსიტეტი, ფრანკოსმცოდნეობის ინსტიტუტი, უკრაინის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ივან ფრანკოს ინსტიტუტი, ქ. ლვოვი, უკრაინა.

ანოტაცია

ივან ფრანკოს შემოქმედება ითარგმნა ქართულად ავტორის სიცოცხლეშივე, ამიტომ ივან ფრანკოს ნაწარმოებების ქართულად თარგმნის მდიდარი, ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ისტორია კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ ივან ფრანკოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ კულტურაში უკრაინელ მწერლებს შორის. რატომ შეიძლება იყოს ასეთი ცნობილი ავტორი უცნობი? მოხსენების ავტორთა მიზანია ამ პარადოქსის ახსნა და პერსპექტივების გამოკვეთა.

როგორც ლიტერატურის თეორიაშია აღიარებული, ლიტერატურული ნაწარმოები ფუნქციონირებს სამი ქრონოტოპური მოდელის, ესენია: ავტორის, მხატვრის და მკითხველის ქრონოტოპური მოდელის ფარგლებში. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ივან ფრანკოს შემოქმედების პოტენციური ქართველი მკითხველის აღქმის ქრონოტოპის ვარიაციებზე.

მიგვაჩნია, რომ ფრანკოს შემოქმედების ქართულ რეცეფციას ასევე შეიძლება ვუწოდოთ კანონიკური „კლასიკოსთა კულტი“. აღქმის ქრონოტოპის შეცვლა მოითხოვს ბრწყინვალე ავტორის ნაწარმოების ხელახლა წაკითხვას და აღმოჩენას. ცნობილი ავტორის მდიდარ შემოქმედებით მემკვიდრეობაში ვცდილობთ აღვნიშნოთ შემოქმედებითი მემკვიდრეობის მრავალი უცნობი ფენა, რომელიც გამოიყენება ცივილიზებულ საზოგადოებაში კლასიკური ავტორების ნაწარმოებების კითხვისა და კვლევისთვის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი,ქართულ ენაზე არსებობს ი.ფრანკოს შემოქმედების მაღალი ხარისხის თარგმანები, როგორიცაა, მაგალითად, ცნობილი მთარგმნელის რაულ ჩილაჩავას ბრწყინვალე თარგმანები, ასევე კრებული „შემოდგომის ფიქრები“ გამოქვეყნდა უკრაინული კვლევების ცენტრის მიერ 2017 წელს. მხოლოდ ეს მასალაც კი სრულად ასახავს დიდი უკრაინელი მწერლის შემოქმედების მთავარ მომენტებს.

3. **მომხსენებელი/მომხსენებლები;**
   სოფიო ჩხატარაშვილი
   მოხსენების სათაური: „ქართულ-უკრაინული სამეცნიერო-ლიტერატურული ურთიერთობები პანდემიისა და ომის პერიოდში“
   ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი: ბორის გრინჩენკოს სახელობის კიევის უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ინსტიტუტი, ქ. კიევი, უკრაინა

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

ანოტაცია

საუკუნეების ისტორიის მქონე ქართულ-უკრაინული სამეცნიერო-ლიტერატურული ურთიერთობები პანდემიის პერიოდში უშუალო კონტაქტების მიღმა აღმოჩნდა. მივლინებების შეზღუდვა და კოლეგებს შორის უშუალო ურთიერთობების არქონა თითქოს გამოცდილების გაზიარების საფრთხეს უქადდა ქართულ და უკრაინულ სამეცნიერო, საუნივერსიტეტო, სალიტერატურო საზოგადოებას.

უკრაინისტიკის ცენტრის მაგალითზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ პანდემიის პერიოდში თანამშრომლობის თვალსაზრისით ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. უფრო მეტიც, სხვადასხვა პლატფორმის მეშვეობით სხდომების, მრგვალი მაგიდების, კონფერენციებისა და საერთაშორისო ფორუმების ჩატარება უფრო მოქნილიც კი გახდა.

რაც შეეხება ომის პერიოდს, ცხადია, პირველ ხანებში მეტად რთული ამოცანის წინაშე დადგა მსოფლიო უკრაინისტთა კოლექტივი, თუმცა უკრაინულმა სამეცნიერო საზოგადოება თავისი მუშაობის ტემპითა და მასშტაბებით მაგალითისმიმცემი აღმოჩნდა უცხოელი კოლეგებისთვისაც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 9 მარტს ტრადიციულად ჩატარდა ტარას შევჩენკოსადმი მიძღვნილი ყოველწლიური ღონისძიება მრგვალი მაგიდის სახით. ამავდროულად, უნივერსიტეტის ინიციატივით, უკრაინელი საუნივერსიტეტო (და არა მხოლოდ) საზოგადოების მხარდაჭერის მიზნით უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე გაიხსნა უკრაინული ენის კურსი დამწყებთათვის.

ლიტერატურული ურთიერთობების თვალსაზრისით აღსანიშნავია მწერლისა და პუბლიცისტის, რაულ ჩილაჩავას მოღვაწეობა, რომელიც არა მხოლოდ ორიგინალური შემოქმედებით, არამედ საუცხოო თარგმანებით კვლავ ანებივრებდა როგორც ქართველ ,ისე უკრაინელ მკითხველს.

მიმდინარე წელმა და თავზარდაცემმა მოვლენებმა ცხადა აჩვენა, რომ ინტერესსა და სწრაფვას, კულტურათა დიალოგის გაგრძელებას ვერავითარი კონფლიქტი და აგრესია ვერ უშლის ხელს.

2.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

დაწესებულებას თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ცენტრის თანამშრომლები, ნინო ნასყიდაშვილი და სოფიო ჩხატარაშვილი მიწვეული იყვნენ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე უკრაინელი პოეტის, ლესია უკრაინკას შემოქმედებაზე სასაუბროდ, ასევე, ნინო ნასყიდაშვილი და სოფიო ჩხატარაშვილი მიიწვია რადიო „იმედმა“ უკრაინული ლიტერატურასა და კულტურაზე, მხატვრული ლიტერატურის თარგმანებზე სასაუბროდ, ივანე მჭედელაძემ რადიო „იმედის“ გადაცემაში ისაუბრა თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურასა და მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე, ივანე მჭედელაძე და ნინო ნასყიდაშვილი მიიწვია ტელეკომპანია „ფორმულამ“ და მომზადდა სიუჟეტი უკრაინული ენის, დამწერლობის საკითხებზე.

ცენტრის თანამშრომლები ივან მჭედელაძე, ნინო ნასყიდაშვილი და სოფიო ჩხატარაშვილი იყვნენ საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელები, ასევე სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილე სტუდენტების ხელმძღვანელები.

ცენტრი თანამშრომლებმა, გამომცემლობა „სიესტასთან“ დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, თარგმნეს უკრაინელი მწერლის კატერინა ბაბკინას მოთხრობების კრებული, რომელიც გამოსაცემად მზადდება. ნინო ნასყიდაშვილმა თარგმნა უკრაინული საბავშვო წიგნი, ჰალინა ვდოვიჩენკოს „36 და 6 კატა“, რომელსაც გამოსაცემად ამზადებს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა და კატერინა ეჰორუშკინას „იძულებითი არდადეგები“, რომელსაც გამოსცემს გამომცემლობა „ელფი“. ნინო ნასყიდაშვილმა და ივანე მჭედელაძემ ქართულ ენაზე თარგმნეს ომის თემატიკაზე შექმნილი უკრაინული ლექსები, რომელსაც გამოსცემს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. ივანე მჭედელაძემ თარგმნა ცნობილი უკრაინლი მეცნიერის, თამარა ჰუნდოროვას, ესე :“იარების, ტრავმისა და დუმილის შესახებ“ დაიბეჭდა ჟურნალში :“ბედნიერი ოჯახი“, ასევე სტატია „ცნობილი და უცნობი

ლიტერატურული ისტორიები: ილია ჭავჭავაძე და უკრაინა“ დაიბეჭდა ჟურნალში „ბედნიერი ოჯახი“. ივანე მჭედელაძის მიერ თარგმნილი უკრაინელი ქართველოლოგის, ლუდმილა ჰრიციკის სტატია“უცნობი მასალები უკრაინულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესახებ: ბორის ტენის გზა ჩახრუხაძის „თამარიანამდე“ იბეჭდება რეცენზირებად საერთაშორისო კრებულში „ქართველოლოგი“.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე ცენტრის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა ღონისძიებებში, ახორციელებდნენ სინქრონულ და წერილობით თარგმანს.

სოფიო ჩხატარაშვილის აქტივობა :

- სამეცნიერო გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრობა - „სამეცნიერო შრომები“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტი.
- სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა - ახალგაზრდა მეცნიერთა მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ბიულეტენის უკრაინული ნაწილის თანაავტორი (ნინო ნასყიდაშვილთან და ივანე მჭედელაძესთან ერთად) - უკრაინული ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე; ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები.
- მოწვეული მასწავლებელი - ივნისი-ივლისი-აგვისტო - თსუ უწყვეტი განათლების ცენტრი, უკრაინული ენა, კურსი დამწყებთათვის;
- უკრაინული ენის ონლაინ კურსი - 18-31 ივლისი - ლვოვის ნაციონალური უნივერსიტეტი „ლვოვის პოლიტექნიკა“, უკრაინისტთა საერთაშორისო სკოლა „ნაბიჯი უკრაინისკენ“; 60-კრედიტიანი პროგრამის გავლა, კვალიფიკაცია - უკრაინულის, როგორც უცხო ენის ფლობა B2 - დონეზე;
- სამეცნიერო სტატიის რეცენზირება - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალისთვის „ფილოლოგიური კვლევები“; სტატიის სახელწოდება : საქართველოს და თბილისის სახე ბორის პასტერნაკის შემოქმედებაში (ქართველ ადრესატებთან მიმოწერის მიხედვით);
- სამეცნიერო სტატიის რეცენზირება - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალისთვის „ფილოლოგიური კვლევები“; სტატიის სახელწოდება : „შემოქმედი ქალის სახე ვირჯინია ვულფის ესსეებში“
- საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირება - თეონა კარანაიასა და გიორგი ქალებაშვილის საბაკალავრო ნაშრომების რეცენზენტი;
- კომისიის მდივნობა - სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
- საჯარო გამოსვლა/პრეზენტაცია - კერძო სკოლაში „21-ე საუკუნე“; მოხსენების სათაური „ტარას შევჩენკო და დავით გურამიშვილი“;
- სტუმრობა საზოგადოებრივ მაუწყებელსა და რადიო იმედში; სასაუბრო თემა - უკრაინული ლიტერატურა და ქართულ-უკრაინული ურთიერთობები;
- თარგმანი -ვასილ მახნოს „ომი“, „მუდმივი კალენდარი“; კატერინა ბაბკინას მოთხრობები.

ყურადღება!

* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი

ანგარიშის ფორმა №1

(სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისთვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ცენტრის) ან უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ ცენტრის) დასახელება:

ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

„ვარლაამ და იოასაფის ისტორიის“ ქართულ და ბერძნულ რედაქციათა ურთიერთმიმართება; სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები; ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების კვლევები; ფილოლოგია, ტექსტისა და გამოსახულების კვლევა. FR-21-2001; 2022-2024.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის ხელმძღვანელი, პროფ. ე. ხინთიბიძე პროექტის ფარგლებში მისი უმთავრესი მოვალეობაა, თხზულების ბერძნულ და ქართულ ხელნაწერთა ტექსტების შედარებაზე მუშაობა და კვლევის საბოლოო დასკვნების ჩამოყალიბება, ასევე მონოგრაფიის საბოლოო რედაქციის შექმნა, პროექტის განხორციელებისას სამეცნიერო მოხსენებების მომზადება და სტატიების გამოქვეყნება, ორგანიზება დასკვნითი საერთაშორისო კონფერენციისა.

2. მკვლევარი – გაგა შურღაია – ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლ’ორიენტალეს“ ასოცირებული პროფესორი
პროექტის ფარგლებში იმუშავებს ვენეციის ბერძნულ და ნეაპოლის ლათინურ ხელნაწერებზე, როგორც დამოუკიდებლად, ასევე პროექტის მონაწილეებთან ერთად. იგი ჩართული იქნება პროექტით დაგეგმილი მეცნიერული კვლევის ყველა ეტაპზე; პროექტის განხორციელებისას სამეცნიერო მოხსენებების მომზადებასა და სტატიების გამოქვეყნებაში.

3. მკვლევარი – ქეთევან აბესაძე – თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბერძნული და ლათინური ენების მასწავლებელი.
პროექტის ფარგლებში მისი ძირითადი მოვალეობა ბერძნული ხელნაწერების შესწავლა და ბერძნული ხელნაწერის ტექსტის გამოსაცემად მომზადებაა.

4. ი. მაკარაძე – კოორდინატორი – თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მკვლევარი.
პასუხისმგებელია პროექტის მართვაზე, ადმინისტრირებასა და საორგანიზაციო საქმეებზე; მონაწილეობას მიიღებს საკითხის მეცნიერული კვლევის ყველა ეტაპზე, პროექტის განხორციელებისას სამეცნიერო მოხსენებების მომზადებასა და სტატიების გამოქვეყნებაში, დასკვნითი საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებაში.

5. ახალგაზრდა მეცნიერი — კოტე ლომიძე, თსუ, ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის უფროსი სპეციალისტი
პროექტში ჩართულია მკვლევარის სტატუსით. რადგანაც მას აქვს ხელნაწერებსა და საარქივო მასალაზე მუშაობის გამოცდილება სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში,

პროექტში მისი ძირითადი მოვალეობაა ,,ბალავარიანის“ საკუთრივ ქართულ ხელნაწერებზე მუშაობა. პროექტის განხორციელებისას სამეცნიერო მოხსენებების მომზადებასა და სტატიების გამოქვეყნებაში, დასკვნითი საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებაში.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ძირითადი პრაქტიკული და თეორიული შედეგები 2022 წელს: დამუშავდა „ბალავარიანის“ პრობლემასთან დაკავშირებული ფუნდამენტური ლიტერატურა; მათ შორის, ევროპელ ბიზანტინისტთა უახლესი სამეცნიერო შრომები; მუშავდება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ქართული „ბალავარიანის“ ორივე რედაქციის და ექვთიმე ათონელის ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი თხზულებების ხელნაწერები; დაწყებულია „ვარლაამ და იოასაფის“ ბერძნულ ხელნაწერებზე მუშაობა საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებსა და არქივებში. დაწყებულია ბერძნული და ქართული ხელნაწერების შესწავლით მოპოვებული მონაცემების ურთიერთშეჯერება და კვლევის შედეგად გამოვლენილი ქართული დაბერძნული ხელნაწერების პარალელური ციფრული გამოცემის მომზადებაზე მუშაობა. მომზადებულია და დაბეჭდილია სტატიები პროექტის მონაწილეების ავტორობით.

3.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

4.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა, პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

5. პატენტები (არსებობის შემთხვევაში):

5.1. საერთაშორისო პატენტები:

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

5.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. ე. ხინთიბიძე, „ქართული რეალიები „ვარლაამ და იოასაფის ისტორიის“ ბერძნული თხზულების შესავალში“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ენისა, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია), ISSN 2720-8443, #1 (2022), თბილისი, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 25 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში გამოვლენილია, რომ რენესანსის პერიოდის ევროპელ ხალხთა ლიტერატურებში უაღრესად პოპულარული ნაწარმოების „ვარლაამ და იოასაფის ისტორია“ თავდაპირველად ბერძნულ ენაზე შექმნილი თხზულებაა ქართული „ბალავარიანის“ საფუძველზე და როგორც გასული საუკუნის დასასრულის მეცნიერებამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მისი ავტორი არის ეფტვიმე ათონელი. ნაშრომში ავტორი გამოავლენს მეცნიერებაში აქამდე უცნობ სიახლეს. მისი მტკიცებით, „ვარლაამ და იოასაფის“ ბერძნული თხზულების შესავალში სხვა ლიტერატურულ წყაროებთან ერთად გამოვლენილია ათონელი ქართველი ბერის იოვანე-თორნიკეს ვრცელი თეოლოგიური ანდერძი, რომელიც იკითხება 977 წელს ოშკის ქართულ ლავრაში გადაწერილ იოვანე მოსხის „სამოთხეში“. როგორც ამ ანდერძიდან ჩანს, თვით ეს თხზულება შეკვეთილი და გადაწერილია იოვანე-თორნიკეს წარსაგებელით, ხოლო ამ თეოლოგიური ანდერძის არქიტექტონიკა ემსგავსება „ვარლაამ და იოასაფის“ შესავალში დასმულ პრობლემატიკას. ორივე ნაწარმოებში დამოწმებულია ერთი და იგივე იგავი სახარებიდან, კერძოდ, „ტალანტის იგავი“ და ამასთან ერთად იოვანე-თორნიკე თავის თავს ანდერძში წარმოადგენს საერო ღირსებების და დამსახურების კუთხითაც, რაც გადატანილია „ვარლაამისა და იოასაფის“ სათაურში.

2. ე. ხინთიბიძე, *ვეფხისტყაოსნის გზა ინგლისურ დრამატურგიამდე (უცნობი საისტორიო წყაროები),* ISSN 2720-8397, ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში III, თსუ გამომცემლობა, 2022, 14 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ შუასაუკუნეებში იყო არა მხოლოდ სავაჭრო და ეკონომიკური, არამედ აგრეთვე კულტურული ხიდი. საქართველოც ამ კულტურული ხიდის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. წინამდებარე გამოკვლევაში ამ მიმართულებითაა გამახვილებული ყურადღება რუსთველის *ვეფხისტყაოსანზე.* უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებებმა მე საშუალება მომცა, განმეცხადებინა და მემტკიცებინა სრულიად ახალი ფაქტი როგორც ქართველოლოგიისათვის, ასევე ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობისათვის: რუსთველის ვეფხისტყაოსანი XVII საუკუნის დასაწყისში გამოყენებულია როგორც სიუჟეტური წყარო ინგლისელი დრამატურგების ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის მიერ. ვეფხისტყაოსნის მთავარი მოქმედი გმირების ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ამბის საფუძველზე შექმნილია ორი პიესა – ფილასტერი და მეფედაარამეფე, რომლებიც მთელი XVII საუკუნის მანძილზე წარმატებით იდგმებოდა ინგლისის თეატრალურ სცენებზე.

თუ რა გზით უნდა მიეღწია რუსთველის პოემის ამბავს შექსპირის ეპოქის ინგლისის ინტელექტუალურ წრეებამდე, საიდუმლოდ რჩება. ამ საკითხზე მხოლოდ სხვადასხვა ვარაუდი შეიძლება იქნას გამოთქმული. ამ ვარაუდთაგან ერთი, ჩემი აზრით შედარებით უფრო სარწმუნო, უნდა იყოს სპარსეთის სეფიანთა კარზე დაწინაურებული გამაჰმადიანებული ქართველების წრე, კერძოდ ალავერდი ხანი და მისი ოჯახი, რაზეც კიდევ ერთი საისტორიო წყარო მიუთითებს, რომელზეც საუბარია სტატიაში.

3. ელგუჯა ხინთიბიძე, „დიდი სიახლე ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ“, ISSN1512-1186, *ქართველოლოგი* #29 (XIV), თბილისი, „ქართველოლოგი“, 19 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში მიმოხილულია დანიელი ბიზანტინისტის ქ. ჰეგელის სტატია „ეფთვიმე ათონელი ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად მთარგმნელი და მეტაფრასტი?“, რომელიც ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს. მასში შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის ეფთვიმე ათონელის შემოქმედება ბიზანტიური მწერლობის პოზიციიდანაა შეფასებული და ახლებურ ნიუანსებს გამოავლენს ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის. ნაშრომში ჩამოყალიბებულია და დასაბუთებულია ეფთვიმე ათონელის მიერ ბერძნულ ენაზე შექმნილი თხზულების „ვარლაამ და იოასაფის ისტორიის“ პრობლემატიკასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემური საკითხი. კერძოდ, „ვარლაამ და იოასაფის“ ლემაში დასახელებული საბაწმინდელი ბერის - იოანეს ვინაობის დადგენას; ამ თხზულების შექმნის დათარიღებას და ეფთვიმეს თხზულებათა შესახებ ჩვენამდე მოღწეული მისი მამის – იოანე ათონელის ანდერძის ახლებურ ინტერპრეტირებას.

4. კოტე ლომიძე, „ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლისტური რეცეფციის ერთი შემთხვევა**,** ISSN1512-1186, *ქართველოლოგი* #29 (XIV), თბილისი, „ქართველოლოგი“(იბეჭდება)

ვალერიან გაფრინდაშვილის თეორიული თვალსაზრისების რეკონსტრუქციისა და პოეტური ნაწარმოებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ვ. გაფრინდაშვილს განზრახული აქვს რუსთაველის მითის შექმნა. იგი რუსთველის შემოქმედებას რთავს საერთო მოდერნისტულ ნარატივში. ,,ვეფხისტყაოსანს“ გაიაზრებს ნიცშეს მიერ შემოთავაზებული შემოქმედების ორი საწყისის მიხედვით და პოემას აპოლონურ ნაწარმოებთა რიგს მიაკუთვნებს.

პოეტი სარაინდო რომანებზე ალუზიით ავთანდილს კურტუაზული რომანების გმირს უკავშირებს. ორიგინალურია ავთანდილის სახის რეცეფციაც — მკითხველის ცნობიერებაში მეგობრისათვის თავდადებულ რაინდად დამკვიდრებული ავთანდილი ,,წვიმის სპექტაკლში“ მიჯნურის სახედაა გააზრებული.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. Elguja Khintibidze, "Medieval Georgian Romance *The Man in a Panther-Skin Shakespeare's Late Plays*", ISBN 978-90-256-1330-3; Amsterdam, A. Hakkert -Publishing, p. 330.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მონოგრაფია არის მეორე შევსებული გადამუშავებული და შევსებული გამოცემა იმავე გამომცემლობის მიერ 2018 წელს დაბეჭდილი მონოგრაფიისა. ნაშრომი ეძღვნება ინგლისური ლიტერატურის ისტორიისა და რუსთველოლოგიური მეცნიერებისათვის ავტორის მიერ გამოვლენილ მნიშვნელოვან სიახლეს, რომ „ვეფხისტყაოსანი" გამოყენებულია ლიტერა-ტურულ წყაროდ რენესანსის ეპოქის მწვერვალზე დიდ ინგლისურ დრამატურგიაში. ავტორი სრული სახით წარუდგენს ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესს უცხოელ მკითხველს და ამასთან ერთად „ვეფხისტყაოსნის" იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყაროს ტიპოლოგიურ მსგავსებას ევროპული რენესანსის უშუალოდ წინარე ეპოქის ლიტერატურული აზრის განვითარებასთან. ამ თვალსაზრისით, განხილულია „ვეფხისტყაოსნის" მიმართება ე.წ. არტურის ციკლის რომანებთან. ასევე, წარმოდგენილია „ვეფხისტუაოსნის" იდეურ-მსოფხედველობითი პრობლემატიკა დანტესა და პეტრარკას შემოქმდებასთან მიმართებით. საგანგებო კვლევის საგანია რუსთველის სიყვარულის კონცეფცია, რომელიც ასევე მიმართებას ამყარებს აღორძინების პერიოდის ევროპულ მხოფლმხედვასთან. დაწვრილებიტაა განხილული „ვეფხისტყაოსანი", როგორც წყარო მე-17 საუკუნის დასაწყისის ინგლისელი ფრამატურგების ჯონ ფლეტჩერისა და ფრენსის ბომონტის ორ პოპულარულ პიესასთან: „მეფე და არა მეფე" და „ფილასტერი". გამოვლენილია, რომ „ვეფხისტყაოსანი" ლიტერატურული წყაროა შექსპირის პიესისა „ციმბელინი" და წარმოდგენილი და არგუმენტირებულია თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ „ვეფხისტყაოსანი" ინგლისში მიტანილი უნდა იყოს შაჰ აბასის კარზე დაწინაურებული ქართველი მოხელეებისა და ასევე, შაჰის ქართველი ცოლების მე-16 საუკუნის დამლევს სპარსეთის სამეფო კარზე მყოფ ინგლისელ დიპლომატთა მეშვეობით. ნაშრომში დეტალურადაა საუბარი „ვეფხისტყაოსნისა" და „ციმბელინის" სიუჟეტური ეპიზოდების, იურისპრუდენციული ტერმინების, მხატვრული სახეების მიმართებები. ასევე, შექსპირის ბოლოდროინდელ პიესებში „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტური და კომპოზიციური დეტალების რემინისცენციაზე. „ვეფხისტყაოსნის" მე-17 საუკუნის ინგლისური დრამატურგიის ლიტერატურულ წყაროდ გამოვლენა ფილოლოგიური კვლევების საფუძველზე მოხდა. ინგლისური და ქართული ლიტერატურული კრიტიკის ამ სიახლეს აქვს მეორე – საისტორიო მხარე. საიდან უნდა მისულიყო ინგლისელ დრამატურგებამდე ვეფხისტყაოსნის ამბავი. ნაშომში გამოკვლეულია „ვეფხისტყაოსნის" გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და ის საისტორიო წყაროები, რომელიც აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს.

7.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

7.3. სტატიები
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში
მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ე. ხინთიბიძე, „ქართული წარმოშობის შედევრი რენესანსის ევროპის ხალხთა მწერლობაში და მისი იდუმალი სათაური“, საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი; 3-5 ოქტომბერი 2022; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

2. ს. გულიაშვილი, არსებობს თუ არა XX-XXI საუკუნეების ქართული ჰაგიოგრაფია? საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში – IV“, 2-4 დეკემბერი, 2022, ბათუმი, საქართველო

3. ს. გულიაშვილი, უძველესი ტექსტების თარგმნის სტრატეგიები ქართული ჰაგიოგრაფიის იოსებ ზეთეიშვილისეულ რუსულ თარგმანებში, საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი“, 26-28 ნოემბერი, თბილისი, საქართველო

4. ს. გულიაშვილი, ტექსტის ლინგვოკულტურული სპეციფიკის განმსაზღვრელი ელემენტების ასახვა *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების* რუსულ თარგმანებში, ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში - IV, 26 დეკემბერი, 2022, თბილისი საქართველო.

5. კ. ლომიძე, „ვეფხისტყაოსნის“ რეცეფცია ვალერიან გაფრინდაშვილის ერთი ლექსის მიხედვით, ახალგაზრდა მეცნიერთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, 27-29 მაისი, 2022, თბილისი, საქართველო

6. კ. ლომიძე, „ვეფხისტყაოსანი“ და „კაკო ყაჩაღი“, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-15 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 15-16 დეკემბერი, 2022, გორი, საქართველო

7. კ. ლომიძე, რუსთველისა და დანტეს ერთი ეთიკური თვლსაზრისის შესახებ, ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში – IV, 26 დეკემბერი, 2022, თბილისი, საქართველო.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

8. 2. უცხოეთში
მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. სოფიო გულიაშვილი, კულტურული კონტექსტი ქართული აგიოგრაფიული ტექსტების რუსულ თარგმანებში (Cultural Context in Russian Translations of Georgian Hagiography), სლავური, აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიული კვლევების ასოციაციის 54-ე საერთაშორისო კონფერენცია (54th Annual Convention of the Association for Slavic, East European and Eurasian Studies), ჩიკაგო, აშშ, 13-14 ოქტომბერი, 2022

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

დაწესებულებას თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

შექსპირის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ანგარიშის ფორმა №1

(სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისთვის)

2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ცენტრის) ან უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ ცენტრის) დასახელება:

შექსპირის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ხელმძღვანელი: პროფ. მანანა გელაშვილი

ცენტრს არ ჰყავს საშტატო ერთეულით თანამშრომლები. ამიტომ ვმუშაობთ საზოგადოებრივ საწყისებზე და სხვადასხვა გრანტებით, რომელიც 2022-ში არ გვქონია

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.

2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

2.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

შექსპირი საქართველოში (თარგმნა, კვლევა და სცენური ხორცშესხმა)

FR-22-2514, საგრანტო კონკურსი ფუნდამენტური კვლევებისთვის 2022;

პროექტი მომზადდა და ჩაბარდა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს 2022 წელს. საბოლოო პასუხი იქნება იანვარში.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მანანა გელაშვილი (ხელმძღვანელი)
2. დავით მაზიაშვილი - ძირითადი პერსონალი
3, პაატა ჩხეიძე - ძირითადი პერსონალი
4. მაია ყიასაშვილი - ძირითადი პერსონალი
5. თამარ გელაშვილი - ახალგაზრდა მკვლევარი
6. ლიზი ძაგნიძე - ახალგაზრდა მკვლევარი, კოორდინატორი

დამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

3.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

4.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა, პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

5. პატენტები (არსებობის შემთხვევაში):

5.1. საერთაშორისო პატენტები:
საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.
2.

6.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **მანანა გელაშვილი,** შექსპირის ,,ქარიშხლის'' ინტერპრეტაცია მარგარეტ ეტვუდის რომანში ,,კუდიანის ნაშიერი''. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „ენა და კულტურა“, VII, 2022, გვ. 53-58 https://enadakultura.com/conferences/

   https://doi.org/10.52340/lac.2022.769

   ISSN: 1987-7323
   E-ISSN: 2720-7900
   ინდექსირებულია Google Scholar-ში.

2. **მანანა გელაშვილი,** შექსპირის სამი ტრაგედია ქართულად (მანანა ანთაძის თარგმანი). ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 26-27 აპრილი , 2022
http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1749

ინდექსირებულია Google Scholar-ში

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მარგარეტ ატვუდის ნაწარმოები ,,კუდიანის ნაშიერი'' (Hag-seed, 2016) მრავალშრიანი ნაწარმოებია, რომლიც შექსპირის ბოლო პიესის ,,ქარიშხალის'' პოსტმოდერნისტულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. რომანში შექსპირის პიესის პროტაგონისტი პროსპერო 21-ე საუკუნის თეატრის რეჟისორი ფელიქს ფილიპსია, რომელიც თეატრიდან გამოძევების შემდეგ გამოსასწორებელ კოლონიაში იწყებს მუშაობას და პიესა ,,ქარიშხალს'' დგამს, რომელშიც როლებს პატიმრები ასრულებენ. სტატიაში განხილულია თუ როგორ ინტერპრეტაციას იღებს შექსპირის ტექსტი (პერსონაჟები, სიუჟეტური განვითარება, ფინალის გააზრება და სხვ.) ეტვუდის რომანში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნაწარმოების ფორმის ანალიზს, თუ ჟანრული სპეციფიკიდან და ეპოქიდან გამომდინარე როგორ შეიცვალა მხატვრული ნაწარმოების პოეტიკა. ნაჩვენებია, თუ რა როლს ასრულებს ეტვუდის ნაწარმოებში ინტერტექსტუალობა, გაანალიზებულია რომანში ჩართული სპექტაკლის ფუნქცია და თანამედროვე სამყაროსა და ხელოვნების, როგორც სიმულაკრული რეალობის აღქმა.

2. სტატიაში განხილულია შექსპირის სამი ტრაგედიის („მეფე ლირი“, „მაკბეთი“, „იულიუს კეისარი“, 2017) ქართული თარგმანები, რომლებიც შესრულებულია მანანა ანთაძის მიერ. შექსპირის ტექსტი იმდენად მრავალშრიანი და მრავალნიშნადია, რომ მისი თარგმნა ყოველთვის, იმავდროულად, ინტერპრეტირებასაც ნიშნავს. ასეა ამ შემთხვევაშიც. მანანა ანთაძის ინტერპრეტაცია საინტერესო მიგნებებით არის სავსე. ქართულად ამეტყველებული ედმუნდის მონოლოგი (,,მეფე ლირი“) და კუდიანების სცენა („მაკბეთი“) საუკეთესო ნიმუშია ამგვარი ინტერპრეტაციის და, ამასთანავე, მთელი ტექსტის გასაღებიც. ამ თარგმანებში კარგად ჩანს არა მხოლოდ მთარგმნელის ნიჭიერება და დიდი გამოცდილება (მანანა ანთაძე მრავალი ნაწარმოების მთარგმნელი და ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის ლაურეატია), არამედ შექსპირის შემოქმედების ღრმა მეცნიერული ცოდნა და წვდომა, რომლის გარეშეც შექსპირის თარგმნა შეუძლებელია. შექსპირის სიღრმისეული ცოდნა მანანა ანთაძემ თავისი დიდი მასწავლებლის, ცნობილი შექსპიროლოგის, ნიკო ყიასაშვილისაგან მიიღო, რომელსაც ეს კრებული ეძღვნება. ახალი თარგმანი დრომ და თეატრმა მოითხოვა. როგორც ცნობილმა ქართველოლოგმა და მთარგმნელმა, დონალდ რეიფილდმა, შენიშნა: ,,ყველა თაობას სჭირდება თავისი საკუთარი შექსპირი, მაგრამ აუცილებლად ახალ თარგმანში, იმიტომ რომ მთარგმნელს შექსპირი გადაჰყავს მხოლოდ სხვა ენიდან კი არა, არამედ სხვა ეპოქიდან.'' მართლაც, ახალი თარგმანი საჭიროა, არა იმიტომ, რომ ივანე მაჩაბლის, ვახტანგ ჭელიძის თარგმანები მოძველდა, არამედ იმიტომ, რომ ისეთი ტექსტები, როგორებიც შექსპირისაა, ყოველმა ახალმა თაობამ ახლად გაიაზროს. მანანა

ანთაძის თარგმანი კი სწორედ ასეთი გააზრებაა, რომელიც შექსპირის თარგმნის მდიდარი ტრადიციიდან ამოიზარდა და იმ ნაკლოვანებებსა და უზუსტობებს ასცდა, რომლებიც წინა თარგმანებში გვხვდება. სტატიაში შედარებულია თარგმანისა და დედნის ტექსტები და კონკრეტული ნიმუშებითაა ნაჩვენებია, როგორ გადაიჭრება ცალკეული სირთულეები და იქმნება შექსპირის ტექსტის მხატვრული ეკვივალენტი. 57 შედარებითმა კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ თარგმანი არა მხოლოდ სიზუსტით გამოიჩევა, არამედ, გვხიბლავს თავისი ბუნებრიობითაც: სულერთია ანტონიოსის ორატორული ხელოვნებით გამორჩეული მონოლოგი იქნება (,,იულიუს კეისარი') თუ მეფე ლირის ტრაგიზმით აღსავსე სიტყვები, კუდიანების ბუნდოვანი წინასწარმეტყველებები (,,მაკბეთი'') თუ მასხარის კალამბურები (,,მეფე ლირი'') მთარგმნელმა ყველაფერს მოუძებნა ქართული შესატყვისი. ყველაფერს თავისი გასაღები მოარგო და პერსონაჟებისა და მთლიანი ტექსტის ახალი წაკითხვა შემოგვთავაზა.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

7.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

7.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **მანანა გელაშვილი,** შექსპირის სამი ტრაგედია ქართულად (მანანა ანთაძის თარგმანი). ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 146-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 26-27 აპრილი , 2022

2. **მანანა გელაშვილი,** შექსპირის ,,ქარიშხლის'' ინტერპრეტაცია მარგარეტ ეტვუდის რომანში ,,კუდიანის ნაშიერი''. Retelling of Shakespeare's 'The Tempest' in Margaret Atwood's 'The Hag-Seed'. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა", 2022 წლის 26-27 მარტი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

8. 2. უცხოეთში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.

2.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

დაწესებულებას თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**

*** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 ეგზემპლარად, Word-ფაილი, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.**

*** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა".**